აინ რენდი
ატლანტმა მხრები გაშალა

ავტორის შესახებ:

ალისა როზენბაუმი 1905 წლის 2 იანვარს დაიბადა სანკტ-პეტერბურგში, წარმატებული ებრაელი ფარმაცევტის ოჯახში, თუმცა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ როზენბაუმებს ქონება ჩამოართვეს. 1921-24 წლებში ის სოციალურ პედაგოგიკას სწავლობდა პეტროგრადის უნივერსიტეტში.

კომუნისტური რეჟიმის იმ პირველ წლებში როზენბაუმებს, როგორც „ბურჟუაზიულ ელემენტებს“, ყველანაირად ავიწროვებდნენ და ოჯახი ლამის შიმშილობდა. 1926 წელს ალისამ აშშ-ს ვიზა მიიღო და ემიგრირება მოახერხა.

თავდაპირველად ჩიკაგოში ცხოვრობდა, შემდეგ კი ჰოლივუდში დაფუძნდა, სადაც ათასგვარი წვრილ-წვრილი სამუშაოთი გაჰქონდა თავი.

1930-იან წლებში ალისა როზენბაუმმა — აინ რენდმა — დაწერა რამდენიმე კინოსცენარი და თავისი პირველი რომანი „ჩვენ ცოცხლები“, რომელშიც საბჭოეთის პირველი წლების რეალობა ასახა. რომანი აშშ-ში წარუმატებელი გამოდგა, თუმცა ევროპული გამოცემები კარგად იყიდებოდა და მუსოლინის იტალიაში მწერლის ნებართვის გარეშე მის მიხედვით ორი კინოფილმიც კი გადაიღეს.

1943 წელს გამოიცა რომანი „პირველწყარო“, რომელმაც აინ რენდს წარმატება და ფინანსური კეთილდღეობა მოუტანა.

მომდევნო წლებში მწერალი ჩართული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მონაწილეობდა სხვადასხვა ანტიკომუნისტურ აქტივობებში და წერდა თავისი ცხოვრების მთავარ ლიტერატურულ ნაშრომს — „ატლანტმა მხრები გაშალა“.

წიგნი 1957 წელს გამოიცა და უზარმაზარი წარმატება მოიპოვა.

მომდევნო წლებში აინ რენდი ქმნიდა არამხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც ფორმალური სახე მისცა ობიექტივიზმის ფილოსოფიას, რომელიც უკვე ჩამოაყალიბა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. აინ რენდის რომანების გმირები თავად ცხოვრობენ ობიექტივიზმის იდეებით და თავადვე აყალიბებენ მის ძირითად პოსტულატებს.

ანტიკომუნიზმი აინ რენდის პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. სწორედ ამიტომაც იკრძალებოდა უმკაცრესად მისი წიგნები საბჭოთა რეჟიმის დროს — ყველაზე ინტელექტუალ დისიდენტებსაც კი არაფერი სმენოდათ მათ შესახებ მაშინ, როდესაც დანარჩენ მსოფლიოში ისინი მილიონობით იყიდებოდა.

ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით, „ატლანტმა მხრები გაშალა“ მეორე ადგილზე გავიდა იმ წიგნებს შორის, რომელთაც ამერიკელების პირად ცხოვრებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს. მხოლოდ ბიბლიას ჩამორჩა.

აინ რენდის იდეებმა ძლიერი გავლენა იქონიეს მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიებზე, განსაკუთრებით კი ლიბერტარიანელებზე. ბევრი მსხვილი კორპორაციის ტოპ-მენეჯერი რომანს „ატლანტმა მხრები გაშალა“ თავის სამაგიდო წიგნად ასახელებს. ყველაზე დიდი გავლენა მწერალმა მთელ მსოფლიოში ჩვეულებრივ ადამიანებზე მოახდინა, რომელთაც ირწმუნეს საკუთარი თავის, განავითარეს თავიანთი უნარები და საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს.

ნაწილი პირველი
არა-წინააღმდეგობა

თავი 1
თემა

— ვინ არის ჯონ გოლტი?

დღის შუქი სადღაც უჩინარდებოდა და ედი უილერსი მაწანწალას სახეს ვერ ხედავდა. მაწანწალამ ეს სიტყვები უღიმღამოდ, ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე წარმოთქვა. მაგრამ თვალები, რომლებშიც ქუჩის ბოლოდან მოღწეული ჩამავალი მზის სუსტი, ყვითელი სხივები კრთოდა, ერთდროულად უდრტვინველი და ირონიული, პირდაპირ ედის შეშტერებოდნენ, თითქოს კითხვა მასში ფესვგადგმულ უსაფუძვლო შფოთვას მიემართებოდა.

— ეგ რატომ თქვი? — აფორიაქდა ედი უილერსი.

მაწანწალა კარის ჩარჩოს მიეყრდნო; მინის ნამსხვრევები მის უკან ცის ცეცხლოვან სიყვითლეს ირეკლავდა.

— და თქვენ ამ სიტყვებმა რატომ აგაღელვათ? — ჰკითხა მან.

— სულაც არა, — მკვახედ მოუჭრა ედი უილერსმა.

ხელი სწრაფად წაიღო ჯიბისკენ. ამ ტიპმა გააჩერა, ათი ცენტი სთხოვა და მერე მუსაიფი გაუბა, თითქოს იმ არსებული წამის მოკვლას და მოახლოებულის დახვედრას ცდილობდა. იმხანად ქუჩებში მათხოვრობა ისე გახშირდა, რომ განმარტებების მოსმენა აუცილებელი არ იყო და ედის უმცირესი სურვილიც კი არ გასჩენია, მაწანწალას ფინანსური სირთულეების კონკრეტული დეტალები შეეტყო.

— აჰა, წადი, ყავა დალიე, — უთხრა და უსახო, აჩრდილისმაგვარ სილუეტს ხურდა გაუწოდა.

— გმადლობ, სერ, — გაისმა გულგრილი ხმა და წამით სახე სიბნელეს გამოეყო, გარუჯული, ქარდაკრული ფიზიონომია, ნაოჭებით დაღარული. დაქანცული და ცინიკური, ბედს დამორჩილებული ადამიანის სახე. ჭკვიანი თვალები მის განსაკუთრებულ გონიერებაზე მიანიშნებდა.

ედი უილერსმა გზა განაგრძო, თან თავს ეკითხებოდა, მაინცდამაინც ყოველთვის დღის ამ მონაკვეთში რატომ ეუფლებოდა რაღაცნაირი, უმიზეზო ძრწოლისმაგვარი განცდა. „თუმცა, არა“, — გაიფიქრა, — „ძრწოლა არა“. შესაძრწუნებელი განა რა ჰქონდა. მხოლოდ უსაზღვრო, ბუნდოვანი წინათგრძნობა, რომელსაც წარმომავლობა და მიზეზი არ გააჩნდა. ეს გრძნობა უკვე აკვიატებაში გადაზრდილიყო, მაგრამ ვერაფრით აეხსნა — რატომ. და მაინც, მაწანწალა იმგვარად გამოელაპარაკა, თითქოს ედის განცდას იცნობდა. თითქოს იცოდა, რომ ეს მას უნდა განეცადა, და მეტიც: თითქოს ამ განცდის მიზეზიც იცოდა.

ედი უილერსი მხრებში გაიმართა, იმ იმედით, რომ თავს ხელში აიყვანდა. „ამის გაგრძელება აღარ შეიძლება“, — გაიფიქრა. უკვე რაღაც მოლანდებები ეწყებოდა. ნეტავი, ყოველთვის ასე ემართებოდა? ახლა ედი ოცდათორმეტი წლის იყო. წარსულის გახსენებას შეეცადა. არა, ყოველთვის არა; მაგრამ როდიდან, ვერც ის აღიდგინა მეხსიერებაში. ეს შეგრძნება მოულოდნელად მოდიოდა, და შემთხვევით, ბოლო ხანებში კი სულ უფრო და უფრო ხშირად. „ბინდის ბრალია“, — გაიფიქრა ედიმ, — „ვერ ვიტან ბინდს“. ღრუბლებსა და ცათამბჯენების კოლონებს ყავისფერი დაჰკრავდა და ძველ ფერწერულ ტილოს, ჟამთასვლით გაცრეცილ შედევრს ამსგავსებდა. ქიმებიდან ჭვარტლით დაფარულ კედლებს ჭუჭყის გრძელი ზოლები

მოუყვებოდა. ათი სართულის სიმაღლეზე ბზარი გაქვავებულ ელვად გაწოლილიყო; ცალი მხრიდან დაისით შეფერილ წვეტიან შვერილს სახურავების თავზე ცა გაეპო, მეორე მხრიდან კი უკვე კარგა ხნის წინ შემოსცლოდა მზის ალმური. შვერილი წითელი იყო, როგორც ცეცხლის ანარეკლი — მოგიზგიზე ცეცხლის კი არა, მინავლულის, რომლის ჩაქრობასაც აზრი აღარ აქვს.

„არა“, — გაიფიქრა ედი უილერსმა, — „არაფერი შემაშფოთებელი ქალაქის იერსახეში არ არის. ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც ყოველთვის“.

გზა განაგრძო და თან გონებაში იმეორებდა, რომ ოფისში აგვიანდებოდა. არ მოსწონდა, რაც სამსახურში დაბრუნებულს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ გადადება არაფრით არ შეიძლებოდა. თავს ძალა დაატანა და ნაბიჯს აუჩქარა.

ორი შენობის ბნელ სილუეტებს შორის მოქცეულ ვიწრო სივრცეში, თითქოსდა შეღებული კარის ღრიჭოში, მაღლა, ცაში, მანათობელ გიგანტურ კალენდარს მოჰკრა თვალი.

ეს კალენდარი ნიუ-იორკის მერმა წინა წელს აღმართა ცათამბჯენის სახურავზე, რათა მოქალაქეებს უცებ დაედგინათ, თვის რომელი რიცხვი იყო, ისევე ადვილად, როგორც დროს არკვევდნენ საათიან კოშკზე ერთი ახედვით. თეთრი მართკუთხედი ქალაქს თავზე დალივლივებდა და ქვემოთ, ქუჩაში თანდათან მომრავლებულ ხალხს თარიღს აუწყებდა. დაისის ჟანგისფერ ნათებაში მართკუთხედი 2 სექტემბერს აჩვენებდა. ედი უილერსმა გვერდზე გაიხედა. ეს კალენდარი არასდროს არ მოსწონდა. აღიზიანებდა, მაგრამ რატომ, ვერ იტყოდა. ეს გრძნობა თითქოს შეზავებოდა მის შფოთვას, სულს რომ უღრღნიდა. რაღაც უჩანდათ საერთო.

უეცრად სადღაც გაგონილი ფრაზის ნაგლეჯი ამოუტივტივდა, რომელიც სწორედ იმას ეხმიანებოდა, რაზედაც კალენდარი თავისი არსებობით მიანიშნებდა, მაგრამ თვითონ ფრაზა ვერაფრით აღიდგინა. მიდიოდა და თან ცდილობდა, გონებაში დაკიდებული ცარიელი სილუეტი აზრით შეევსო. კონტურები სიტყვებს უჯიუტდებოდნენ და გაქრობასაც არ აპირებდნენ. უკან მიიხედა, თეთრი მართკუთხედი სახურავების თავზე დაყუდებულიყო და უდრეკი შეუპოვრობით 2 სექტემბერს იუწყებოდა.

ედი უილერსმა მზერა ქვემოთ, ქუჩისკენ გადაიტანა, ბოსტნეულის ფარდულისკენ, აგურის სახლთან. დაინახა ხასხასა-ოქროსფერი სტაფილოსა და ქორფა მწვანე ხახვის შეკვრები. ღია ფანჯარაში თეთრი, გაქათქათებული ფარდა ტკაცუნებდა. მარჯვე ხელებს დამორჩილებული ავტობუსი დინჯად უხვევდა კუთხეში. უილერსი გააკვირვა თავდაჯერებამ, რომელიც მოულოდნელად ისევ დაუბრუნდა და უცნაურმა, აუხსნელმა სურვილმა — დაეცვა ეს სამყარო ცის დამთრგუნველი სიცარიელისგან.

როცა მეხუთე ავენიუმდე მიაღწია, მზერა მაღაზიების ვიტრინებს შეავლო. არაფერი არ სჭირდებოდა, არაფრის ყიდვა არ უნდოდა; მაგრამ მოსწონდა ვიტრინები, სადაც საქონელი იყო გამოფენილი, ნებისმიერი საქონელი, რომელიც ადამიანების მიერ და ადამიანებისთვის შეიქმნა. მდიდრული ქუჩა ყოველთვის სასიამოვნო საყურებელია. აქ მაღაზიების მხოლოდ მეოთხედი გაკოტრებულიყო და მხოლოდ მათი ჩაბნელებული ვიტრინები გამოიყურებოდა შიშვლად.

თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ მოულოდნელად მუხა გაახსენდა. თითქოს ისეთი არაფერი ხდებოდა, რაც ამ ხეს მოაგონებდა. თუმცა მაინც გაახსენდა ტაგარტების მამულში გატარებული ზაფხულის დღეები. ბავშვობის უმეტესი ნაწილი

ტაგარტების შვილებთან ერთად გაატარა, ახლა კი მათ კორპორაციაში მუშაობდა, როგორც მამამისი და ბაბუამისი მუშაობდნენ ტაგარტების მამასთან და ბაბუასთან.

დიდი მუხის ხე გორაკზე იდგა, ტაგარტების მამულში, ერთ განმარტოებულ ადგილას, და მდინარე ჰადსონს გადაჰყურებდა. შვიდი წლისას ედი უილერსს მუხასთან მისვლა უყვარდა. უკვე ასობით წელი იყო, ხე აქ იდგა და ბიჭს ეჩვენებოდა, რომ მუდამ ასე იქნებოდა. მუხას ფესვები ისე ღრმად ჰქონდა გადგმული მიწაში, თითქოს გორაკს თითებით ჩაჰბღაუჭებოდა. „თვით გიგანტიც რომ დასჭიდებოდა ამოსაძირკვად“, — ფიქრობდა ედი, — „მხოლოდ გორას მოარყევდა და მთელ დედამიწასაც თან მიიყოლებდა, რომელიც ისე დაეკიდებოდა ხის ფესვებს, როგორც ბუშტი თოკს“. მუხის სიახლოვეს თავს უსაფრთხოდ გრძნობდა; ხესთან არაფერი ემუქრებოდა. ბიჭს ის სიძლიერის ყველაზე სწორუპოვარ სიმბოლოდ წარმოედგინა.

ერთ ღამესაც მუხას მეხი დაეცა. ედიმ ეს მეორე დილით ნახა. შუაზე გაპობილი მუხის ნაპრალში ისე ჩაიხედა, როგორც შავი გვირაბის ხვრელში. ხის ტანი მთლიანად გამოფიტული იყო, გული დიდი ხნის წინ დალპობოდა. მერქნის შიგნით არაფერი ჩანდა რუხი მტვრის გარდა, რომელსაც მსუბუქი ნიავის სუნთქვა აქეთ-იქით ფანტავდა. სასიცოცხლო ძალა გამქრალიყო და მის გარეშე დარჩენილი ფორმაც სულ მალე შეწყვეტდა არსებობას.

წლების მერე შეიტყო, რომ ბავშვები უნდა დაეცვათ თავზარდამცემი ამბებისგან სიკვდილთან, ტკივილთან ან შიშთან შეხებისგან. ედის ამგვარი რამეები ველარაფერს დააკლებდა; თავისი საკმარისი სამყოფი ელდა და სასოწარკვეთილება მაშინ გამოიარა, როცა ხის ფუტურო ტანს ჩაჰყურებდა. ეს წარმოუდგენელი ღალატი იყო — მით უფრო საშინელი, რომ ვერაფრით გაეგო, რაში მდგომარეობდა მისი არსი. და საქმე თვითონ ედის კი არ ეხებოდა, ანდა მის რწმენას, არამედ სრულიად სხვა რამეს, მან ეს იცოდა; ცოტა ხანს ასე იდგა იქ, მდუმარედ. შემდეგ უკან გაბრუნდა, სახლისკენ. იმ დღის შესახებ არავისთან არასოდეს სიტყვა არ დასცდენია.

ედი უილერსმა თავი გააქნია, როგორც კი ჟანგიანი მექანიზმის ღრჭიალმა, შუქნიშნის ფერებს რომ ცვლიდა, ტროტუართან შეაჩერა. საკუთარ თავზე იყო გაბრაზებული. მაინც, რა მიზეზით უნდა გახსენებოდა მუხა დღეს. ეს ძველი ისტორია მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა, მხოლოდ სევდის ოდნავი გემო დალექილიყო. მაგრამ სადღაც შიგნით, სიღრმეში, ტკივილის წვეთები თითქოსდა მინაზე მოსრიალებდნენ სწრაფად და კითხვის ნიშნის ფორმის კვალს ტოვებდნენ.

არ უნდოდა, ბავშვობის მოგონებებისთვის სევდა გაეკარებინა; ყველაფერი უყვარდა, რაც ბავშვობას უკავშირდებოდა: ყოველი დღე, რომელიც იმ დროიდან ახსოვდა, სიმშვიდითა და კაშკაშა სინათლით იყო გაჯერებული. ეჩვენებოდა, რომ ამ სინათლის რამდენიმე სხივი აწმყოსაც სწვდებოდა: არა, სხივები კი არა, შორეული ნაპერწკლები, რომლებიც თავიანთი ციალით დროდადრო შუქს ჰფენდნენ მის სამუშაოს, მის მარტოსულ ბინას, დღეების უჩუმარ, შეუმჩნეველ, მდორე დინებას.

გაახსენდა ზაფხულის ერთი დღე, როცა ათი წლის იყო. იმ დღეს ტყის პირას, კორდზე, მისი ბავშვობის უსაყვარლესი მეგობარი გოგონა უყვებოდა, რას გააკეთებდნენ, როცა გაიზრდებოდნენ. ეს სიტყვები კაშკაშა მზის სხივებზე უფრო თვალის მომჭრელი იყო. აღფრთოვანებით და გაკვირვებით უსმენდა. როცა მან ჰკითხა, რის კეთებას ისურვებდა, დაუფიქრებლად უპასუხა:

— იმისას, რაც სწორია, — და დაამატა, — რაღაც დიადი უნდა გააკეთო... ჩვენ ორს ვგულისხმობ.

— მაინც რა? — ჩაეკითხა მეგობარი.

ედიმ უპასუხა:

— არ ვიცი. უნდა გავარკვიოთ. მარტო ის კი არა, რასაც შენ ამბობდი — შენს ბიზნესზე და ფულის შოვნაზე, — არამედ ისეთი რაღაცები, როგორიც, ვთქვათ, ბრძოლაში გამარჯვებაა, ან ხანძრის დროს ხალხის გადარჩენა, ანდა მწვერვალის დაპყრობა. — რისთვის? — იკითხა მეგობარმა და მანაც უპასუხა:

— გასულ კვირას მოძღვარმა თქვა, რომ ჩვენ საკუთარ თავში ყოველთვის საუკეთესო უნდა ვეძებოთ. შენი აზრით, რა არის საუკეთესო ჩვენში? — ჰკითხა ედიმ.

— არ ვიცი.

— უნდა გავარკვიოთ.

მეგობარს აღარაფერი უთქვამს — იმიტომ, რომ შორს, რკინიგზის ხაზს გასცქეროდა.

ედი უილერსმა გაიღიმა. ჩაილაპარაკა: „ის, რაც სწორია“ — ოცდაორი წლის წინ.

მას მერე მრწამსი არ შეუცვლია. სხვა დანარჩენი კითხვები თანდათან გაფერმკრთალდა მის მეხსიერებაში: მუდამ ისეთი და კავებული იყო, რომ ვეღარ მოიცალა, მაგრამ ეჭვი არასდროს შეჰპარვია, რომ ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც სწორია. ვერასოდეს იგებდა, რატომ იქცეოდა ხალხი სხვაგვარად. თუმცა იცოდა, რომ სწორედ ასე იქცეოდნენ. ეს ყველაფერი თან მარტივი ეჩვენებოდა და თან მიუღწეველი: მარტივი, რადგან ყველაფერი სწორი უნდა ყოფილიყო, და მიუღწეველი იმიტომ, რომ ასე არ გამოდიოდა. ამ ფიქრებს მოეცვა, როცა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ უზარმაზარ შენობას მიადგა.

კომპანიის შენობა ყველაზე მაღალი და ამაყი ნაგებობა იყო მთელ ქუჩაზე. ედი უილერსს ყოველთვის ეღიმებოდა, როცა მას უყურებდა. მეზობელი შენობებისგან განსხვავებით, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ფანჯრების გრძელ მწკრივში ყველა მინა მთელი იყო. ცისკენ აზიდული შენობის კონტურები უსასრულობაში იკარგებოდა. იდგა ასე, დროზე ამაღლებულივით, წლები რომ ვერაფერს დააკლებდა. „და მუდამ აქ იდგება“, — გაიფიქრა ედი უილერსმა.

ყოველთვის, როცა კი „ტაგარტის“ კორპორაციაში შედიოდა, ედის უსაფრთხოების განცდა ეუფლებოდა და შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე. შენობაში კომპეტენტურობა და წესრიგი სუფევდა. მარმარილოთი მოგებული იატაკები სარკესავით ლაპლაპებდა. მქრქალი მართკუთხა სანათები სივრცეს თანაბარ, სასიამოვნო შუქს ჰფენდნენ. მინის პანელებს მიღმა, საბეჭდ მანქანებთან ერთ რიგად გამწკრივებული გოგონების თითების კაკუნი კლავიშებზე მიმავალი მატარებლის ბორბლების ხმას მიაგავდა. კედლებს, საპასუხო ექოსავით, დროდადრო თითქოს სუსტი ჟრუანტელი უვლიდა, რომელიც შენობის ქვეშ განთავსებული უზარმაზარი ტერმინალის გვირაბებიდან ამოდიოდა. თაობიდან თაობამდე, აქედან თავის მორიგ მოგზაურობას უამრავი მატარებელი იწყებდა, რათა კონტინენტი გადაესერა და ისევ უკან დაბრუნებულიყო.

„ოკეანიდან ოკეანემდე“, — ასე ჟღერდა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ამაყი ლოზუნგი, უფრო ელვარე და წმინდა, ვიდრე სახარების რომელიმე მცნება. „ოკეანიდან ოკეანემდე, ან და მარადის“, — გაიფიქრა ედიმ და ამ სიტყვებით მოცული, უზადოდ სუფთა დერეფნებით „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ პრეზიდენტის, ჯეიმს ტაგარტის კაბინეტისკენ გაემართა.

ჯეიმს ტაგარტი მაგიდასთან იჯდა. ორმოცდაათ წელს მიტანებულს ჰგავდა, თითქოს სიყრმის წლები გამოეტოვებინა და ისე შეებიჯებინა ზრდასრულ ასაკში. პატარა, ჭირვეული ტუჩები ჰქონდა, ცხიმიანი თხელი თმა მაღალ, შემელოტებულ

შუბლზე მიჰკვროდა. რაღაცნაირი მოთენთილი და დაქანცული იერი საერთოდ არ ერწყმოდა მაღალი, გამხდარი სხეულის კონტურებს, რომლის ელეგანტურობა არისტოკრატის თავდაჯერებას უფრო მოიხდენდა, მაგრამ ის გაუთლელ და ტლანქ ადამიანს ხვდა წილად. ფერმიხდილ სახეზე ჩამქრალ-ჩაშავებული თვალები მოუჩანდა. მზერა აუჩქარებლად გადაჰქონდა საგნიდან საგანზე, მუდამ უკმაყოფილო გამომეტყველებით, თითქოს ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა, აღიზიანებდა. ჯიუტი და დაქანცული ადამიანის შეხედულება ჰქონდა. ჯეიმსი ოცდაცხრამეტი წლის იყო.

კარის გაღების ხმაზე თავი ნერვიულად წამოსწია.

— ნუ მაცდენ, ნუ მაცდენ, ნუ მაცდენ! — თქვა ტაგარტმა.

ედი უილერსი მაგიდისკენ გაემართა.

— ეს მნიშვნელოვანია, ჯიმ! — ხმისთვის არ აუწევია მას.

— კარგი, კარგი, აბა, რა ხდება?

ედიმ კაბინეტის კედელზე გაკრულ რუკას გახედა. მინის ქვეშ ფერები გაფერმკრთალებულიყო. საინტერესოა, ნეტავი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რამდენი პრეზიდენტი მჯდარა ამ რუკის ქვეშ და რამდენი წელი. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალ რეილროუდი“ — წითელი ხაზების უკიდეგანო ქსელი ქვეყნის უფერულ სხეულზე — ნიუ-იორკიდან სან-ფრანცისკომდე, — სისხლძარღვების სისტემას ჰგავდა. ოდესღაც მთავარ არტერიაში სისხლი შეუშხაპუნეს, რომელმაც მერე ამოხეთქა და მთელ ქვეყანაში შემთხვევით ნაკადულებად დაიღვარა.

ერთი წითელი ხაზი ვაიომინგის შტატის ქალაქ შაიენიდან ქვემოთ მიიკლაკნებოდა, ტექსასის შტატის ქალაქ ელ პასოსკენ. ხაზს „რიო ნორტე ლაინ ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ერქვა. ეს ახალი მიმართულება იყო და ახალი შესული საერთო ქსელში, „რიო ნორტე ლაინის“ ამოქმედებით კომპანია სამხრეთის რკინიგზის ქსელს აფართოებდა ელ პასოს საზღვრებში. ედი სწრაფად მიტრიალდა, როცა თვალი ამ წერტილს ჰკიდა.

ჯეიმს ტაგარტს შეხედა და უთხრა:

— საქმე „რიო ნორტე ლაინს“ ეხება.

შეამჩნია, როგორ გადაიტანა ტაგარტმა მზერა მაგიდის კუთხეზე.

— მორიგი ავარია გვაქვს.

— რკინიგზაზე ავარიები ყოველდღე ხდება, ამის გამო უნდა შეგეწუხებინე?

— მშვენივრად ხვდები, რასაც ვგულისხმობ, ჯიმ! რიო ნორტე საშინელ მდგომარეობაშია. რელსები განადგურებულია. მთელი ხაზი განადგურებულია.

— ახალ გზებს დავაგებთ.

ედიმ განაგრძო, თითქოს პასუხი არ გაუგონია.

— ხაზი განადგურებულია. იქ მატარებლების გაშვებას აზრი აღარ აქვს. ხალხი უარს ამბობს მგზავრობაზე.

— მე მგონი, ქვეყანაში არც ერთი რკინიგზა არ მოიძებნება, რამდენიმე ხაზზე კრიზისული სიტუაცია რომ არ ჰქონდეს. მარტო ჩვენ არ ვართ ამ მდგომარეობაში. მთელ სახელმწიფოში ასეთი ვითარებაა — დროებითი, ჩემი ვარაუდით.

ედის კრინტი არ დაუძრავს, უბრალოდ, შეხედა. ტაგარტი ვერასოდეს ვერ იტანდა ედი უილერსის ჩვევას, ადამიანებისთვის ჯიქურ ეცქირა. ფართო ცისფერ თვალებში, შუბლზე ჩამოშლილი ქერა თმის მიღმა, კითხვა ჩასდგომოდა. ეს სახე არაფრით არ გამოირჩეოდა, მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელი ყურადღებისა და დაუფარავი განცვიფრების გამომეტყველებით.

— რა გინდა? — დაუღრინა ტაგარტმა.

— მინდა გითხრა, რაც სათქმელია. ადრე თუ გვიან ხომ მაინც გაიგებ სიმართლეს.

— რომ მორიგი ავარია გვაქვს?

— რომ რიო ნორტეს ასე ვერ მივატოვებთ.

— ჯეიმს ტაგარტი თავს იშვიათად იღებდა მაღლა. როცა ადამიანებს უყურებდა, უბრალოდ, თავის მძიმე ქუთუთოებს ასწევდა ხოლმე და შუბლს ქვემოდან იცქირებოდა.

მელოტი შუბლის აზიდვით მიხვდებოდი, რომ დაჟინებით გიმზერდა.

— და ვინ აპირებს რიო ნორტეს ხაზის მიტოვებას? — ჰკითხა ტაგარტმა, — ეს არავის უფიქრია. დასანანია, ასე რომ ლაპარაკობ. ძალიან დასანანია.

— მაგრამ უკვე ექვსი თვეა, რაც განრიგს ვარღვევთ. ერთი რეისიც ვერ შევასრულეთ მცირე თუ დიდი ხარვეზის გარეშე. ყველა გადამზიდავს ერთიმეორის მიყოლებით ვკარგავთ! ასე კიდევ რამდენ ხანს გავძლებთ?

— პესიმისტი ხარ, ედი! რწმენა გაკლია! პესიმიზმი ორგანიზაციის მორალს ძირს უთხრის.

— იმის თქმა გინდა, რომ რიო ნორტეს გადასარჩენად არაფერს მოიმოქმედებ?

— ეგ არ მითქვამს. როგორც კი ახალ ლიანდაგს დავაგებთ...

— ჯიმ, არანაირი ახალი ლიანდაგი არ იქნება! — უთხრა ედიმ და დაინახა, როგორ აზიდა აუჩქარებლად ტაგარტმა ქუთუთოები, — ეს-ესაა „ესოშიეიტიდ სთილის“ ოფისიდან დავბრუნდი, ორენ ბოილს ველაპარაკე.

— რა გითხრა?

— საათ-ნახევარი მელაპარაკა და პირდაპირი და მკაფიო პასუხი მაინც არ გამცა.

— და რატომ შეაწუხე საერთოდ? როგორც ვიცი, რელსების პირველი პარტია მხოლოდ შემდეგ თვეში უნდა მოგვაწოდონ.

— ჯერ კიდევ სამი თვის წინ უნდა ჩაებარებინათ...

— გაუთვალისწინებელი გარემოებები წარმოიქმნა, რომელიც ორენზე საერთოდ არ იყო დამოკიდებული.

— კი მაგრამ, მოწოდების პირველი ვადა ექვსი თვის წინ დაითქვა, ჯიმ! უკვე ცამეტი თვეა, „ესოშიეიტიდ სთილის“ რელსებს ველოდებით!

— რა გინდა, რომ გავაკეთო? ორენ ბოილის ბიზნესში ხომ არ ჩავერევი?!

— მინდა, გაიგო: მეტი ლოდინი აღარ შეიძლება.

— ჩემმა დაიკომ რა თქვა ამაზე? — ხმადაბლა, ირონიულად და ფრთხილად იკითხა ტაგარტმა.

— ის ხვალამდე ვერ დაბრუნდება.

— და რა მერე, შენი აზრით, მე რა უნდა ვქნა?

— ეს შენ უნდა გადაწყვიტო.

— რაც არ უნდა მითხრა, „რიერდენ სთილი“ არც კი მიხსენო.

ედიმ მაშინვე არ უპასუხა. შემდეგ მშვიდად თქვა:

— კარგი, ჯიმ, არ ვახსენებ ამ კომპანიას.

— ორენი ჩემი მეგობარია, — განაგრძო ტაგარტმა და პასუხი არ გაუგონია, — და შენი პოზიცია არ მომწონს. ორენ ბოილი რელსებს მაშინვე მოგვაწვდის, როგორც კი შესაძლებლობა ექნება. და სანამ ის ამას ვერ ახერხებს, ბრალს ჩვენ ვერავინ დაგვდებს.

— ჯიმ! რაზე ლაპარაკობ საერთოდ?! ნუთუ არ გესმის, ჩვენ დაგვბრალდება ეს თუ არა, „რიო ნორტე ლაინი“ ხელიდან გვეცლება!

— აუცილებლად ჩვენ დაგვდებენ ბრალს, „ფენიქს-დურანგოს“ გარეშეც კი. — ტაგარტმა დაინახა, როგორ დაეძაბა სახე ედის, — ვიდრე სცენაზე „ფენიქს-დურანგო“ არ გამოჩნდა, რიო ნორტეს მიმართ სასაყვედურო არავის არაფერი ჰქონდა.

— „ფენიქს-დურანგო“ ბრწყინვალედ მუშაობს!

— ვინ წარმოიდგენდა, რომ რომელიღაც „ფენიქს-დურანგო“ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ოდესმე კონკურენციას გაუწევდა. ათი წლის წინ ხომ ამ ხაზით მხოლოდ რძეს ეზიდებოდნენ.

— ახლა არიზონას, ნიუ მექსიკოს და კოლორადოს სატვირთო გადაზიდვების უმეტეს ნაწილს „ფენიქს-დურანგო“ აკეთებს.

ტაგარტი დუმდა, ედიმ განაგრძო:

— ჯიმ, კოლორადოს დაკარგვა არ შეიძლება, ის ჩვენი ბოლო იმედია. ის ყველას ბოლო იმედია. სასწრაფოდ რამე თუ არ ვიღონეთ, შტატის ყველა დიდ გადამზიდავს „ფენიქს-დურანგოს“ გადავულოცავთ. ისედაც, უაიატის ნავთობის საბადოები უკვე დავკარგეთ.

— არ მესმის, გარშემო ყველა უაიატის ნავთობსაბადოებზე რატომ ლაპარაკობს?

— იმიტომ, რომ ელის უაიატი — ეს სასწაულია...

— ეშმაკს წაუღია ელის უაიატი!

„ის ნავთობსაბადოები“... — გაუელვა უცებ ედის, — „განა მათ არ აქვთ რაღაც საერთო ამ რუკაზე დაქსელილ სისხლძარღვებთან? სისხლძარღვებთან რუკაზე? განა ასეთნაირად არ გადაკვეთა წლების წინ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ წითელმა ნაკადულმა მთელი ქვეყანა და შეუძლებელი შეძლო? დღეს მსგავსი გმირობა წარმოუდგენელია“. ედის თვალწინ საბადოებიდან ამოხეთქილი ნავთობის ნაკადი წარმოუდგა, რომელიც მთელ კონტინენტს შავ მდინარეებად მოედო, ლამის უფრო სწრაფად, ვიდრე „ფენიქს-დურანგოს“ მატარებლები. ეს ნავთობსაბადოები ოდესღაც კლდოვანი მიწის ნაკვეთი იყო კოლორადოს მთებში, რომელზეც დიდი ხანია, ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ელის უაიატის მამა ახერხებდა, ცხოვრების მიწურულამდე ნავთობის მომაკვდავი საბადოებისგან მცირეოდენი შემოსავალი გამოედნო. ახლა კი თითქოს მთის გულს ვიღაცამ ადრენალინი შეუშხაპუნა, მან ფეთქვა დაიწყო და კლდეებზე შავი სისხლი გადმოღვარა. „რა თქმა უნდა, სისხლი, სისხლი ხომ კვებავს და ასულდგმულებს!“ — გაიფიქრა ედიმ, — „აი, ეს გააკეთა „უაიატ ოილის“ ნავთობმა“. მან მიწის ხრიოკ, უკაცრიელ ფერდობებს სიცოცხლე დაუბრუნა. წარმოშვა ახალი დაბები, ახალი ელექტროსადგურები, ახალი ფაბრიკა-ქარხნები რეგიონისთვის, რომელსაც ვერც ერთ რუკაზე ვერავინ ვერასდროს ამჩნევდა. „ახალი ფაბრიკები“...

გაიფიქრა ედიმ, — „სწორედ იმ დროს, როცა შემოსავლები ყველა ადრე სახელგანთქმული საწარმოს პროდუქციის გადაზიდვებიდან წლიდან წლამდე თანდათან მცირდებოდა; ახალი მდიდარი ნავთობსაბადოები, იმ დროს, როცა მანამდე ცნობილი სხვა საბადოების ჭაბურღილები ერთიმეორის მიყოლებით წყვეტდნენ მუშაობას; ახალი სამრეწველო შტატი, იქ, სადაც ორიოდე ძროხისა და ჭარხლის კვლების გარდა, კაციშვილი არაფრის ნახვას არ მოელოდა“.

„და ყველაფერი ერთმა ადამიანმა გააკეთა, სულ რაღაც რვა წელიწადში“, — ფიქრობდა ედი უილერსი. ეს იმ ისტორიებს აგონებდა, სკოლის სახელმძღვანელოებში რომ წაუკითხავს და ბოლომდე ვერ დაუჯერებია, ისტორიებს ადამიანებზე, რომლებიც იმ დროს ცხოვრობდნენ, როდესაც ეს ქვეყანა

ყალიბდებოდა. სიამოვნებით გაიცნობდა ელის უაიატს. ამ ადამიანზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მას ცოტა ვინმე თუ შეხვედრია, რადგან ნიუ-იორკში იშვიათად ჩამოდიოდა. როგორც ამბობდნენ, უაიატი ოცდაცამეტი წლის უნდა ყოფილიყო, ფიცხი ბუნების. გამოფიტული საბადოს გამდიდრება-აღდგენის რაღაც მეთოდისთვის მიუგნია და სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული ამჟამად.

— ელის უაიატი გაუმაძღარი ნაბიჭვარია, რომელსაც არაფერი აინტერესებს, ფულის გარდა, — თქვა ჯეიმს ტაგარტმა, — ჩემი აზრით, ცხოვრებაში ფულის კეთებაზე უფრო მნიშვნელოვანი რაღაცებიც არსებობს.

— რას ამბობ, ჯიმ! ეგ რა შუაშია...

— თანაც, ორჯერ დაგვაღალატა! წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ვემსახურებოდით უაიატის საბადოებს, ბებერი უაიატის დროს კვირაში ერთხელ ვაგზავნიდით ცისტერნების შემადგენლობას.

— ახლა ბებერი უაიატის დრო აღარ არის, ჯიმ. „ფენიქს-დურანგო“ იქიდან ყოველდღე ცისტერნების ორ შემადგენლობას აგზავნის და თანაც ზუსტად განრიგის მიხედვით.

— ჩვენთვის რომ დაეცლია, სულს მოვითქვამდით...

— სადა აქვს დასაკარგი დრო.

— რას მოელის? რომ ჩვენს დანარჩენ კლიენტებს მივაგდებთ, მთელი ქვეყნის ინტერესებს მას შევწირავთ და ყველა მატარებელს დავუთმობთ?

— არაფერსაც არ მოელის, უბრალოდ, „ფენიქს-დურანგოსთან“ მუშაობს.

— მე მგონი, უაიატი უპრინციპო არამზადაა. უპასუხისმგებლო და თავდაჯერებული მეტიჩარა, რომელსაც გადაჭარბებულად აფასებენ. — ემოციურმა აფეთქებამ ჯეიმს ტაგარტის უსიცოცხლო ხმაში არაბუნებრივადაც კი გაიჟღერა, — რაღაც არ მჯერა, რომ მისი საქმიანობა ძალიან სასარგებლო იყოს. ჩემი აზრით, მთელი ქვეყნის ეკონომიკური წონასწორობა დაარღვია. არავინ არ ელოდა, რომ კოლორადო სამრეწველო შტატად გადაიქცეოდა. შეიძლება, რაიმეში იყო დარწმუნებული ან დაგეგმო რაიმე, როცა ყველაფერი ასე სწრაფად იცვლება?

— ღმერთო დიდებულო, ჯიმ! ის ხომ...

— ვიცი, ვიცი: ის ფულს აკეთებს. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ გამოდგება სტანდარტად იმის შესაფასებლად, სასარგებლოა თუ არა ადამიანი საზოგადოებისთვის. და რაც შეეხება მის ნავთობს, „ფენიქს-დურანგო“ რომ არა, ის ჩვენთან მოხოხდებოდა და დანარჩენი კლიენტების მსგავსად, თავის რიგს დაელოდებოდა და გადაზიდვების კუთვნილ წილზე მეტსაც ვერ მოითხოვდა. ასეთი გამანადგურებელი კონკურენციის წინაშე უძლურნი ვართ! ვერავინ დაგვადანაშაულებს.

ედიმ შენიშნა, რომ ჯეიმსს თითქოს რაღაც აწვებოდა გულზე და საფეთქლებზე — შესაძლოა, დაძაბულობის გამო, თავის შეკავებას რომ ცდილობდა. ედის გადაწყვეტილი ჰქონდა, ერთხელ და სამუდამოდ გაერკვია ყველაფერი; და ეს ისეთი აუცილებელი იყო, რომ უსათუოდ შეაღწევდა ტაგარტის ცნობიერებაში, თუკი ედი მოახერხებდა და დამაჯერებლად გამოსცემდა ფაქტებს. სწორედ ამიტომაც ირჯებოდა ასე, მაგრამ ამჯერადაც წარუმატებლად, როგორც უმეტესად ხდებოდა ხოლმე მათი კამათის დროს: სულ ისეთი განცდა რჩებოდა, რომ სხვადასხვა რამეებზე ლაპარაკობდნენ.

— ჯიმ, რას ამბობ! რა მნიშვნელობა აქვს, დაგვადანაშაულებს თუ არა ვინმე, თუკი ხაზი ნაწილებად იშლება?

ჯეიმს ტაგარტს მკრთალი და ცივი ღიმილი დაეტყო სახეზე.

— ამაღელვებელია, ედი! — თქვა მან, — ამაღელვებელია შენი თავდადება „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისადმი“! ფრთხილად თუ არ იქნები, უსათუოდ ყურმოჭრილ ყმად ან მონად გადაიქცევი.

— მე უკვე გადავიქეცი, ჯიმ!

— მაგრამ, ნება მომეცი, ვიკითხო, გაქვს კი ამგვარი საკითხების ჩემთან განხილვის უფლება?

— არა, ეს მე არ მეხება.

— მაშინ, რატომ გავიწყდება ხოლმე, რომ ასეთი საკითხები ჩვენთან განყოფილებების უფროსების დონეზე გვარდება? რატომ არ მოახსენებ ამ ყველაფერს, ვისაც ეს ევალება? თუნდაც, ჩემი ძვირფასი დაიკოს მხრებზე რატომ არ აფრქვევ ცრემლებს?

— მომისმინე, ჯიმ, მესმის, რომ ჩემი თანამდებობა არ მაძლევს უფლებას, შენთან ეს საკითხები განვიხილო. მაგრამ ვერ გამიგია, რა ხდება. არ ვიცი, ეგ შენი მაგარი მრჩევლები რას გეუბნებიან, ან რატომ უჭირთ, საქმეში გაგარკვიონ. ამიტომ შევეცადე, პირადად დაგლაპარაკებოდი.

— მე ვაფასებ ჩვენს ბავშვობის მეგობრობას, ედი, მაგრამ გგონია, ეგ უფლებას გაძლევს, აქ ასე დაუპატიჟებლად შემოხვიდე, როცა კი მოგესურვება? შენ გარკვეული სტატუსი გაქვს, მაგრამ გახსოვდეს, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ პრეზიდენტი ჯერ კიდევ მე ვარ.

მაშ ასე, მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. ედიმ ჩვეულებისამებრ შეხედა, გულგრილადაც კი, და ჰკითხა: ., — გამოდის, რომ „რიო ნორტე ლაინის“ გადასარჩენად არაფრის გაკეთებას არ აპირებ?

— მე ეგ არ მითქვამს. ეგეთი რამ საერთოდ არ მითქვამს, — ტაგარტი რუკაზე წითელ ზოლს დააკვირდა ელ პასოს სამხრეთით, — როგორც კი „სან სებასტიან მაინსი“ დაიძვრება და ჩვენი მექსიკური ფილიალი შემოსავლის მოტანას დაიწყებს...

— ოღონდ, მაგაზე არ გვინდა, ჯიმ.

ტაგარტი მკვეთრად შემოტრიალდა, ედის მოულოდნელი მკვახე ტონით გაკვირვებული.

— რაშია საქმე?

— შენ იცი, რაშიც არის საქმე, შენმა დამ თქვა...

— ეშმაკმა დალახვროს ჩემი და! — ხმას აუწია ჯეიმს ტაგარტმა.

ედი გაუნძრევლად იდგა. არც არაფერი უთქვამს. იდგა და პირდაპირ იყურებოდა, ვეღარც ჯეიმს ტაგარტს ამჩნევდა და ვეღარც რაიმე სხვას.

წამის შემდეგ თავი დაუკრა და უხმოდ გავიდა.

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ თანამშრომლები უკვე შუქებს აქრობდნენ და სამუშაო დღის დასრულების შემდეგ სახლებში წასასვლელად ემზადებოდნენ. მხოლოდ პოპ ჰარპერი, უფროსი კლერკი, იჯდა ისევ მაგიდასთან და ნახევრად დაშლილი საბეჭდი მანქანის ბერკეტს ატრიალებდა. კომპანიის თანამშრომელთა საერთო აზრით, პოპ ჰარპერი კაბინეტის ამ კუთხეში, ამ მაგიდასთან დაიბადა და არასოდეს აპირებდა იქიდან წასვლას. ის ჯერ კიდევ ჯეიმს ტაგარტის მამის დროს იყო უფროსი კლერკი.

პოპ ჰარპერმა პრეზიდენტის ოთახიდან გამოსულ ედი უილერსს გახედა. მისი ბრძნული და დინჯი მზერა თითქოს ამბობდა, რომ ჰარპერმა იცოდა: ედის გამოჩენა შენობის ამ ნაწილში რომელიმე ხაზზე პრობლემის წარმოშობას ნიშნავდა, ისევე,

როგორც იცოდა, რომ ვიზიტმა ფუჭად ჩაიარა. თუმცა პოპ ჰარპერს ეს სრულიად არ ანაღვლებდა. სწორედ ასეთივე ცინიკური გულგრილობა დაინახა ედიმ იმ მაწანწალას თვალებში ქუჩის გზაჯვარედინზე.

— ჰეი, ედი, მომისმინე, ხომ არ იცი, სად შემიძლია შალის საცვლების ყიდვა?

ჰკითხა პოპმა, — მთელი ქალაქი შემოვიარე და ვერსად ვერ ვიშოვე.

— არ ვიცი, — უპასუხა ედიმ და შეჩერდა, — და მე რატომ მეკითხებით?

— ყველას ვეკითხები, იქნებ ვინმემ მაინც იცოდეს და მითხრას.

ედიმ ფრთხილი მზერა შეავლო ჰარპერის ჭაღარა თმას და დანაოჭებულ გულგრილ სახეს.

— ცივა ამ ბუნაგში, — განაგრძო პოპ ჰარპერმა, — და ამ ზამთარს კიდევ უფრო ეციება. — რას აკეთებთ? — ჰკითხა ედიმ და საბეჭდი მანქანის ნაწილებზე მიუთითა.

— ეშმაკმა წაიღოს! ისევ გაფუჭდა! აზრი არ აქვს შესაკეთებლად გაგზავნას. წინა ჯერზე სამი თვე ეწვალებოდნენ. ვიფიქრე, თავად შევაკეთებ-მეთქი. დიდხანს მაინც არ გაძლებს.

ხელი კლავიშებს დაადო.

— გადასაგდები ხარ უკვე, შე ბებერო, შენი დღეები დათვლილია!

ედი შეკრთა. სწორედ ამ ფრაზის გახსენებას ცდილობდა: „შენი დღეები დათვლილია“... თუმცა დაავიწყდა, რასთან დაკავშირებით იხსენებდა.

— აზრი არ აქვს, ედი, — თქვა პოპ ჰარპერმა.

— რას არ აქვს აზრი?

— რაიმეს! არაფერს!

— რას გულისხმობთ, პოპ?

— არ ვაპირებ ახალი საბეჭდი მანქანის შეკვეთას. ახლებს თუნუქისგან ამზადებენ. როცა ძველები თავიანთ დროს მოჭამენ, მანქანაზე ბეჭდვის დასასრულიც დადგება; ამ დილით ავარია იყო მეტროში, მუხრუჭებმა ვერ დაიჭირა; სახლში ნადი, ედი, რადიო ჩართე და კარგ საცეკვაო მუსიკას მოუსმინე. საქმეები დაივიწყე, ყმაწვილო. შენი უბედურება ისაა, რომ ჰობი არასოდეს გქონია; ჩემს სახლში ვიღაცამ ისევ მოიპარა კიბის ყველა ელექტრონათურა; გულმკერდის არეშიც ტკივილი მაწუხებს; ამ დილით ხველების საწინააღმდეგო წვეთები ვერ ვიყიდე, აქვე, კუთხის აფთიაქი წინა კვირას გაკოტრდა; წინა თვეს „ტექსას-უესთერნ რეილროუდი“ გაკოტრდა; გუშინ ქუინსბოროს ხიდი რეკონსტრუქციისთვის დაიკეტა დროებით; ნეტავ რას მივედ-მოვედები? და საერთოდ, ვინ არის ჯონ გოლტი?

* * *

მატარებელში ფანჯრის მხარეს იჯდა, თავი უკან გადაეწია, ცალი ფეხი კი ცარიელ წინა სკამზე ედო. ფანჯრის ჩარჩო, რომლის მიღმა ბნელი სიცარიელე დასადგურებულიყო, სისწრაფისგან ძაგძაგებდა. მხოლოდ ფანრების შუქები გაიელვებდა ხოლმე დროდადრო მინაზე კაშკაშა ხაზებად.

გამოყვანილ წვივზე ზედჩამოქნილივით ეკვროდა კოლგოტი, რომლის გრძელი ხაზი ტერფამდე ჩასდევდა, მაღალქუსლიანი, მსუბუქი ფეხსაცმლით შემოსილი ფეხის წვერამდე. მისი ფეხების მოხდენილობა და ელეგანტური მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები უადგილოდ მოჩანდა ამ მტვრიან ვაგონში და უცნაურად შეუსაბამო — მისსავე გარეგნობასთან. აქლემის ბეწვის ოდესღაც ძვირფასი პალტო უფორმოდ შემოხვეოდა უზადო სხეულს. პალტოს წამოწეული საყელო შლაპის დახრილ კიდეებამდე უწევდა, საიდანაც თითქმის მხრებამდე ეცემოდა „კარედ“ შეჭრილი ყავისფერი, ტალღოვანი თმა. სახის სწორი ნაკვთები და მკაფიოდ მოხაზული

მგრძნობიარე ტუჩები ჰქონდა. პირი მაგრად მოეკუმა. იჯდა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო. მის მდგომარეობაში რაღაც არაბუნებრივი იგრძნობოდა, — გეგონებოდა, იმ უძრაობას ვერ ეგუებოდა, რომელშიც იმყოფებოდა, — და ამასთან, რაღაც არაქალურიც, თითქოს საკუთარ სხეულს ვერ აღიქვამდა.

იჯდა და მუსიკას უსმენდა. ეს ტრიუმფის სიმფონია იყო. ბგერები მაღლა მიიწევდნენ. ისინი აღმაფრენაზე ჰყვებოდნენ და მას განასხეულებდნენ, არსითა და ფორმით — მაღლა, ცად აზიდულ მოძრაობას. ეს მუსიკა განასხეულებდა ადამიანის იმ მოქმედებებსა და აზრებს, რომელთა არსიც აღმასვლა იყო. ეს ბგერების უეცარ ამოფრქვევას ჰგავდა, რომლებმაც სამალავიდან გამოაღწიეს და ყველა მიმართულებით იხუვლეს. მუსიკაში განთავისუფლებით გამოწვეული აღფრთოვანება დაძაბულ მიზანსწრაფულობას ერწყმოდა. ბგერამ სივრცე სრულად დაიპყრო და ამ სივრცეში დაუოკებელი სწრაფვის სიხარულის გარდა, ყველაფერი შთანთქა. მხოლოდ ოდნავ გასაგონი ექო მიანიშნებდა ბგერების უწინდელ ტყვეობაზე, ეს მუსიკა კი სიხარულით აღსავსე გაოცებით ფეთქავდა, თითქოს აღმოაჩინა, რომ არც სიმახინჯე და არც ტკივილი არ არსებობდა და არც არასდროს უარსებია. ეს დიადი განთავისუფლების სიმღერა იყო.

სულ რამდენიმე წამით, ვიდრე მუსიკა ჟღერს, შეიძლება, მას ბოლომდე მინებდე — ყველაფერი დაივიწყო და გრძნობების მორევში ჩაიძირო: მიდი, მოდუნდი... აი, ასე... სადღაც, მისი გონების განაპირას, მუსიკის ჰანგებს მიღმა, მატარებლის ბორბლების ხმა ისმოდა. რიტმულად, ყოველ მეოთხე ტაქტზე ურტყამდნენ, თითქოს ამით გაცნობიერებულ მიზანს გამოხატავდნენ. შეეძლო მოდუნებულიყო, რაკი მათი ხმა ესმოდა. სიმფონიას უსმენდა და ფიქრობდა, რომ ამიტომ უნდა ემოძრავათ ბორბლებს და ეს სწორედ ის იყო, საითკენაც ისინი მიდიოდნენ.

ეს სიმფონია აქამდე არასოდეს მოუსმენია. თუმცა იცოდა, რომ მისი ავტორი რიჩარდ ჰალი იყო. მან ეს ბობოქარი ძალაც იცნო და ეს უჩვეულოდ დაძაბული ჟღერადობაც. იცნო მისი სტილიც — მელოდია თან სუფთა იყო, თანაც რთული, და ეს იმ დროს, როდესაც მელოდიებს უკვე აღარავინ წერდა. ის იჯდა, ვაგონის ჭერს შესცქეროდა, მაგრამ ვერ ხედავდა, რადგან დავიწყებოდა, სად იმყოფებოდა. არ იცოდა, ზუსტად რა ესმოდა — სრულ სიმფონიურ ორკესტრს უსმენდა თუ უბრალოდ მუსიკის თემას. იქნებ, ორკესტრი მხოლოდ მის გონებაში უკრავდა?!

ეჩვენებოდა, რომ ამ თემის წინამორბედი ხმოვანება რიჩარდ ჰალის ყველა ნაწარმოებს გასდევდა — მისი მრავალწლიანი ძიების მანძილზე, იმ დღემდე, სანამ შუა ასაკის ხელოვანს უეცრად თავს დიდება დაატყდებოდა, რამაც დაღუპა კიდეც. „სწორედ ეს იყო მისი ბრძოლის მიზანი“, — გაიფიქრა მან, როცა სიმფონიას უსმენდა. გაიხსენა ჰალის მუსიკის ბუნდოვანი მინიშნებები, ზუსტად ამ ფრაზებს რომ მოასწავებდა, მელოდიის ფრაგმენტები, რომლითაც ეს თემა იწყებოდა... კი მაგრამ, როდის დაწერა რიჩარდ ჰალიმ ეს...

უეცრად გასწორდა — როდის დაწერა რიჩარდ ჰალიმ ეს ნაწარმოები? მან წამში გააცნობიერა, სად იმყოფებოდა და პირველად შეამჩნია, საიდან მოდიოდა მუსიკა.

რამდენიმე ნაბიჯში, ვაგონის ბოლოს, ახალგაზრდა ქერა კონდუქტორი კონდიციონერს არეგულირებდა და თან სიმფონიის თემას უსტვენდა. ქალი მიხვდა, რომ ახალგაზრდა უკვე დიდი ხანია, სტვენდა და რომ სწორედ ეს სტვენა ესმოდა.

საკუთარ თავში დაეჭვებული, ერთხანს ისევ უგდებდა ყურს კონდუქტორს, ვიდრე კითხვის დასმას გაბედავდა:

— მითხარი, თუ შეიძლება, რა მელოდიას უსტვენ?

ყმაწვილი შემოტრიალდა და შეათვალიერა. პირდაპირი მზერა და ისეთი წრფელი, ენერგიული ღიმილი ჰქონდა, თითქოს მეგობარს შესცქეროდა. ქალს მოეწონა ეს სახე, მოჭიმული, მტკიცე ნაკვთები. არაფრით წააგავდა მისთვის ნაცნობ ჩვეულ სახეებს, ფორმასთან სრულიად შეუსაბამო მოშვებული კუნთებით.

— ეს ჰალის სიმფონიაა, — უპასუხა ყმაწვილმა მომღიმარი სახით.

— რომელი?

— მეხუთე.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა აუჩქარებლად უთხრა, ფრთხილად შერჩეული სიტყვებით:

— რიჩარდ ჰალიმ მხოლოდ ოთხი სიმფონია დაწერა.

ბიჭის სახეზე ღიმილი გაქრა. თითქოს ვიღაცამ რეალობაში დააბრუნაო, სწორედ ისე, როგორც ცოტა ხნის წინ ქალს დაემართა.

როგორც სინათლით სავსე ოთახი ბნელდება, როცა მოულოდნელად დარაბებს დახურავენ, ახალგაზრდას უეცრად ცარიელი, გულგრილი და არაფრის მთქმელი გამომეტყველება გაუხდა.

— შემეშალა, თქვენ მართალი ბრძანდებით.

— მაშინ რა მელოდიას უსტვენდით?

— სადღაც მოსმენილს.

— მაინც რას?

— არ ვიცი.

— სად მოისმინეთ?

— არ მახსოვს.

ქალი უმწეოდ გაჩუმდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ბიჭი ისევ კონდიციონერს მიუბრუნდა და საქმე განაგრძო.

ჰალის მუსიკა მომაგონა, — თქვა ქალმა, — არადა, მისი ყველა სიმფონია ზეპირად ვიცი, რაც კი ოდესმე დაუწერია, ეს მოტივი კი ნამდვილად პირველად მესმის.

ბიჭის სახეზე ოდნავი დაინტერესება იგრძნობოდა, როცა მოტრიალდა და კვლავ ჰკითხა:

— თქვენ მოგწონთ რიჩარდ ჰალის მუსიკა?

— დიახ, ძალიან.

ბიჭი ცოტა ხანს უყურებდა, თითქოს რაღაც ვერ გადაეწყვიტა, შემდეგ კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა. ქალი იდგა და მის გულმოდგინე და მდუმარე მუშაობას აკვირდებოდა.

ორი ღამის უძინარი იყო, რადგან თავს დაძინების უფლებას ვერ აძლევდა; ძალიან ბევრი პრობლემა და ცოტა დრო ჰქონდა მათ გასააზრებლად. მატარებელი ნიუ-იორკში განრიგის მიხედვით დილით ადრე ჩავიდოდა. დრო სჭირდებოდა, მაგრამ მაინც, უნდოდა, მატარებელს უფრო ჩქარა ევლო. თუმცა ეს „ტაგარტ-კომეტა“ იყო, ყველაზე სწრაფი მატარებელი ქვეყანაში.

ცდილობდა, რამე სხვაზე ეფიქრა, მაგრამ მელოდია ისევ ჩაესმოდა სადღაც გონების კიდეში, სრული აკორდებით, თითქოს რაღაც ისეთს მოასწავებდა, რისი შეჩერებაც შეუძლებელი იყო. გაბრაზებულმა თავი გააქნია, შლაპა მოიძრო, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

გადაწყვიტა, არ დაეძინა. მეორე ღამემდე გაუძლებდა... ვაგონის ბორბლები კვლავ ტაქტში ურტყამდნენ. იმდენად შეჩვეული იყო ამ ხმას, ცნობიერად აღარც კი

ესმოდა. თუმცა თვითონ ეს ხმა მის სულში სიმშვიდის განცდად გარდაიქმნა. სიგარეტი ჩააქრო. ერთ ღერს მეორის მოწევის სურვილი მოჰყვა, მაგრამ თავს პირობა მისცა, რამდენიმე წუთი მოეთმინა, ვიდრე...

მოულოდნელად გაეღვიძა. იქამდე, ვიდრე გააცნობიერებდა, მიხვდა, რომ რაღაც უსიამოვნო მოხდა. მატარებელი არ იძვროდა. ლურჯი აბაჟურების შუქით განათებული ვაგონი ადგილზე გაქვავებულიყო. საათს დახედა, წესით, აქ არ უნდა მდგარიყვნენ. ფანჯარაში გაიხედა, მატარებელი ტრიალ მინდორში იდგა.

შენიშნა, როგორ გაინძრა ვიღაც გასასვლელში, მეზობელ სკამზე:

— დიდი ხანია, ასე ვდგავართ? — ჰკითხა ქალმა.

— თითქმის ერთი საათია, — გულგრილად გაისმა მამაკაცის ხმა.

მან გაკვირვებული და ნამძინარევი მზერა მიადევნა სკამიდან უეცრად წამომხტარ ქალს, რომელიც კარისკენ გაიჭრა. გარეთ ცივი ქარი უბერავდა და ტრიალი მინდვრის უსასრულობა ასეთივე უსასრულო ცის ქვეშ გადაჭიმულიყო. ვაგონის გაყოლებაზე, შორს, ლოკომოტივთან მდგარი ადამიანების ფიგურები დალანდა. მათ თავზე შუქნიშნის წითელი თვალი ანათებდა.

გაჩერებული მატარებლის ბორბლებს სწრაფად ჩაუარა და მათკენ გაემართა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მატარებლის ეკიპაჟსა და რამდენიმე მგზავრს წითელი შუქის ქვეშ მოეყარათ თავი. ხმას არავინ იღებდა, უბრალოდ, იდგნენ და რაღაცას ელოდნენ.

— რა მოხდა? რატომ ვდგავართ?

მემანქანე გაკვირვებული მოუბრუნდა. ქალის კითხვამ ბრძანებასავით გაიჟღერა, არამც და არამც — როგორც რიგითი ცნობისმოყვარე მგზავრის ხმამ. ქალს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, პალტოს საყელო წამოეწია. ქარის დაბერვისას თმა სახეზე ეყრებოდა. — წითელი სასიგნალო შუქი, ქალბატონო, — ხელით შუქნიშანზე მიანიშნა.

— დიდი ხანია, ანთია?

— თითქმის ერთი საათია.

— მგონი, სათადარიგო ლიანდაგზე ვდგავართ, ასეა?

— ასეა.

— რატომ?

— არ ვიცი.

ამ დროს საუბარში გამცილებელი ჩაერთო:

— არა მგონია, სპეციალურად გადავეყვანეთ სათადარიგოზე. უბრალოდ, ეს ისარი მოიშალა, ისევე, როგორც ეს შუქნიშანი. — თავით მიანიშნა წითელ ნათებაზე.

— ეჭვი მეპარება, მწვანე ოდესმე აინთოს. ჩემი აზრით, უბრალოდ გაფუჭდა.

— აბა, რაღას ელოდებით?

— მწვანე შუქის ანთებას.

ვიდრე მის გაღიზიანებას რისხვა შეენაცვლებოდა, ცეცხლფარეშმა ჩაიცინა:

— წინა კვირას „ატლანტიკ საუთერნის“ საუკეთესო მატარებელი ორი საათის განმავლობაში იდგა სათადარიგო ხაზზე, ვიღაცის უბრალო შეცდომის გამო.

— ეს „ტაგარტ-კომეტაა“, ის არასდროს იგვიანებს, — თქვა ქალმა.

— ჰო, ეს ერთადერთი მატარებელია ქვეყანაში, რომელსაც არასდროს დაუგვიანებია, — დაეთანხმა მემანქანე.

— რაღაც ყოველთვის პირველად ხდება, — ჩაეჭრა საუბარში ცეცხლფარეში.

— თქვენ არ იცნობთ რკინიგზას, მემ! — თქვა ერთ-ერთმა მგზავრმა, — ქვეყნის არც ერთ რკინიგზაზე ამ განაპირა მხარეებში სასიგნალო სისტემა და სადისპეტჩერო სამსახური არაფრად არ ვარგა.

ქალი ისე მიტრიალდა მემანქანისკენ, თითქოს მისი სიტყვები არც გაუგონია.

— ახლა რას აპირებთ, როცა იცით, რომ შუქნიშანი მწყობრიდანაა გამოსული?

მემანქანეს ქალის მედიდური ტონი აშკარად არ მოეწონა, თან უკვირდა, უბრალო მგზავრს ეს ასე ბუნებრივად როგორ გამოსდიოდა. ქალი ნორჩი გოგონასავით გამოიყურებოდა, მხოლოდ პირი და თვალები მეტყველებდნენ, რომ ოცდაათ წელზე მეტის იქნებოდა. მუქი ნაცრისფერი თვალები პირდაპირი და გამჭოლი მზერით შემოგყურებდნენ, გეგონებოდა, შუაზე კვეთდნენ საგანს, არსის დასანახად, უმნიშვნელო დეტალებს კი გვერდზე მოისროდნენ. ქალის სახე თითქოს უცნაურად ეცნობოდა, მაგრამ ვერ იხსენებდა, სად შეიძლებოდა, ეს არსება ენახა.

— მომისმინეთ, ქალბატონო, მე რისკზე წასვლას არ ვაპირებ, — ნათელი მოჰფინა ვითარებას მემანქანემ.

— იმის თქმა უნდა, რომ ჩვენი მოვალეობაა, მითითებებს დაველოდოთ, — დააკონკრეტა ცეცხლფარეშმა.

— თქვენი მოვალეობაა, ეს მატარებელი წაიყვანოთ!

— ოღონდ არა წითელ შუქნიშანზე. როცა შუქნიშანი მიგვითითებს, გავჩერდეთ, ჩვენ ვჩერდებით!

— წითელი შუქნიშანი საფრთხის მაჩვენებელია, ქალბატონო, — ჩაერთო მგზავრი.

— უფლება არ გვაქვს, გავრისკოთ, — გაიმეორა მემანქანემ, — ვისი პასუხისმგებლობაც არ უნდა იყოს, ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება, თუ დავიძვრებით. ამიტომ არსადაც არ წავალთ, სანამ შესაბამის განკარგულებას არ მივიღებთ.

— და თუკი არ მიიღეთ ეგ განკარგულება?

— ადრე თუ გვიან ვინმე გამოჩნდება.

— რამდენ ხანს აპირებთ ლოდინს?

მემანქანემ მხრები აიჩეჩა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

— იმას გულისხმობს, რომ არ არის საჭირო ისეთი კითხვების დასმა, რომლებზეც პასუხი არავის არ აქვს, — განმარტა ცეცხლფარეშმა.

ქალმა ჯერ შუქნიშანს შეხედა, მერე უკიდეგანო წყვდიადში მიმავალ რელსებს და თქვა:

— ფრთხილად გაემართეთ შემდეგ შუქნიშნამდე, თუ იქ ნორმალურად იქნება ყველაფერი, მთავარ ხაზზე გადადით და უახლოეს სადგურამდე იარეთ.

— მართლა? ვინ გადაწყვიტა ასე?

— მე!

— თქვენ ვიღა ხართ?

წამით პაუზა ჩამოვარდა. ამ კითხვას ქალი საერთოდ არ ელოდა, ხოლო მემანქანე დაჟინებით მიაცქერდა სახეში და უცებ შეიცხადა:

— ღმერთო დიდებულო!

— დაგნი ტაგარტი, — ხმაში წყენა არ იგრძნობოდა, უბრალოდ, ისე უპასუხა, როგორც ადამიანმა, რომელსაც იშვიათად უწევს ამ შეკითხვის მოსმენა.

— ღმერთო ჩემო!.. — ჩაიბურტყუნა ცეცხლფარეშმა და ყველანი უმალ დადუმდნენ.

ქალმა კი ისევ უდრეკი მბრძანებლური ტონით განაგრძო:

— მთავარ მაგისტრალზე გადით და პირველივე უახლოეს სადგურთან გამიჩერეთ!

— დიახ, მის ტაგარტ!

— დროის ანაზღაურება მოგიწევთ. წინ მთელი დარჩენილი ღამე გაქვთ, რომ ეს გააკეთოთ. „კომეტა“ განრიგით უნდა ჩავიდეს!

— დიახ, მის ტაგარტ!

ის უკვე წასასვლელად გატრიალდა, როცა მემანქანემ ფრთხილად ჰკითხა:

— თუ რაიმე უსიამოვნება წარმოიშვება, ნებისმიერი, პასუხისმგებლობას თქვენ იღებთ, მის ტაგარტ,?

— დიახ!

გამცილებელი დაგნი ტაგარტს მის ვაგონამდე გაჰყვა:

— ამ ვაგონით რატომ მგზავრობთ, მის ტაგარტ? ეს როგორ?.. რატომ არ გაგვაფრთხილეთ, თუ წამოსვლას აპირებდით?

დაგნის ოდნავ გაეღიმა:

— დრო არ მქონდა! ჩემი პირადი ვაგონი ჩიკაგოს №22-ს მიაბეს, მაგრამ მე კლივლენდში ჩამოვედი, რაკი მატარებელი №22 ძალიან აგვიანებდა, გადავწყვიტე, მის მოხსნას აღარ დავლოდებოდი. „კომეტა“ ნიუ-იორკამდე უახლოესი აღმოჩნდა და გამოვყევი. აქ კი საძილე ვაგონებში თავისუფალი ადგილები აღარ იყო.

— თქვენი ძმა, მაგალითად, არ იმგზავრებდა დასაჯდომი ვაგონით, — თქვა კონდუქტორმა.

— ჰო, ის არ იმგზავრებდა, — გაეცინა ქალს.

ლოკომოტივთან მდგარმა მამაკაცებმა ვაგონისკენ მიმავალ დაგნის თვალი გააყოლეს. მათ შორის იყო ახალგაზრდა კონდუქტორიც:

— ვინ არის? — იკითხა მან.

— ეს ადამიანი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ მართავს, ვიცე-პრეზიდენტია და საოპერაციო საკითხებს ხელმძღვანელობს, — უპასუხა მემანქანემ და მის ხმაში გულწრფელი პატივისცემა გაისმა.

მატარებელი დაიძრა, საყვირის გამაყრუებელმა ხმამ მინდვრები გადასერა და მიჩუმდა. დაგნი ფანჯარასთან დაჯდა და მორიგ სიგარეტს მოუკიდა. ფიქრებში წავიდა: „ასე ინგრევა თვალსა და ხელს შუა ყველაფერი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ნებისმიერ წუთს უნდა ელოდო, რასაც გინდა და სადაც გინდა“. მაგრამ ბრაზს ან გაღიზიანებას არ გრძნობდა. ამისთვის დრო არ ჰქონდა. უბრალოდ, ყველა იმ პრობლემას, რომელიც გადაჭრას მოითხოვდა, კიდევ ერთი დაემატა. იცოდა, რომ ოჰაიოს შტატის მაგისტრალზე პასუხისმგებელი თავის მოვალეობას ვერ უმკლავდებოდა, მაგრამ ის ჯეიმს ტაგარტის მეგობარი იყო. დიდი ხნის წინ გააგდებდა, მაგრამ შემცვლელი არ ეგულებოდა. კარგი სპეციალისტების მონახვა რთული გამოდგა. ახლა კი საბოლოოდ გადაწყვიტა, მაინც დაეთხოვა ის სამსახურიდან და ადგილი ახალგაზრდა ინჟინრისთვის, ოუენ კელოგისთვის შეეთავაზებინა, რომელიც თავის სამუშაოს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ნიუ-იორკის ტერმინალის მმართველის ერთ-ერთი თანაშემწის პოზიციაზე ბრწყინვალედ ასრულებდა. კაცმა რომ თქვას, ფაქტობრივად, ტერმინალს სწორედ ის ხელმძღვანელობდა. ერთი ხანი დაგნი თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას.

ყოველთვის ცდილობდა, ადამიანებში ნიჭი და კომპეტენტურობა დაენახა. მართალია, კელოგი შტატის განყოფილების მმართველობისთვის ძალიან ახალგაზრდა იყო და მისი დაწინაურება ერთი წლის თავზე აჯობებდა, მაგრამ დაყოვნება აღარ ღირდა და გადაწყვიტა, ამ საქმისთვის ჩასვლისთანავე მიეხედა.

ფანჯრის მიღმა ჰორიზონტის მკრთალი ხაზი რუხ ნაკადულად გადაქცეულიყო და მატარებლის სწრაფი სვლის გამო ახლა უფრო სწრაფად გარბოდა. გონებაში გათვლების მშრალი ფრაზებით გართულმა, შეამჩნია, რომ რაღაცის შეგრძნების უნარი მაინც ჰქონდა: ეს იყო ძლიერი, მათრობელა სურვილი — ემოქმედა.

* * *

დაგნი სავარძელში წამოიწია, როცა „კომეტა“ სასიგნალო სტვენით „ტაგარტ ტერმინალის“ ერთ-ერთ გვირაბში შევარდა ნიუ-იორკის მიწის ქვეშ. ყოველთვის, როცა მატარებელი გვირაბში შედიოდა, დაგნი სიმტკიცეს, იმედს და რაღაც ფარულ მღელვარებას გრძნობდა. თითქოს ყოველდღიურობას, — გადღაბნილ, ტლანქად შეფერადებულ ფოტოგრაფიას, — ფუნჯის რამდენიმე მკვეთრი მოსმა უცებ ესკიზად აქცევდა და გამოსახულებას სისუფთავეს, მნიშვნელოვანებას და ღირებულებას სძენდა.

ფანჯრის მიღმა გვირაბის კედლები მიქროდნენ. აკვირდებოდა ბეტონის შიშველ კედლებს, ერთმანეთში გადახლართულ მილებსა და კაბელებს, რელსების ქსელს, რომლებიც გვირაბის ბუნდოვანებაში იკარგებოდნენ, სადაც აქა-იქ წითელ-მწვანე შუქნიშნები ფერადი წვეთებივით ეკიდა. აქ ზედმეტი არაფერი იყო, რეალობას არაფერი ცვლიდა, მხოლოდ აღფრთოვანებას გრძნობდი ამ წმინდა მიზანსწრაფულობითა და ადამიანის საზრიანობით, რომლის წყალობითაც ეს ყოველივე გახდა შესაძლებელი. წამით დაგნის წარმოუდგა კომპანიის შენობა, რომელიც მის თავზე აღმართულიყო, ცისკენ აზიდული, და გაიფიქრა: „ეს შენობის ფესვებია მიწის ქვეშ გადახლართული, ქალაქის მკვებავი“.

როცა მატარებელი გაჩერდა, ვაგონიდან გადმოვიდა, ფეხქვეშ ბეტონის პლატფორმის სიმკვრივე, შინაგანი სიმსუბუქე, ძალების მოზღვავება და მოქმედების სურვილი იგრძნო. ნაბიჯს აუჩქარა, თითქოს სისწრაფე ფორმას მისცემდა იმას, რასაც გრძნობდა. და რამდენიმე წუთის შემდეგ მიხვდა, რომ რაღაც მელოდიას უსტვენდა და ეს თემა ჰალის მეხუთე სიმფონიიდან იყო. მიმავალი, ვიღაცის მზერამ აიძულა, მიტრიალებულიყო — ახალგაზრდა კონდუქტორი დაჟინებით უმზერდა.

* * *

დაგნი ჯეიმს ტაგარტის მაგიდისკენ მიბრუნებული დიდი სავარძლის სახელურზე ჩამომჯდარიყო. შეხსნილი პალტოდან დაკუჭული სამგზავრო კოსტიუმი მოუჩანდა.

ედი უილერსი ოთახის მეორე ბოლოში იჯდა და დროდადრო რაღაცებს იწერდა.

უილერსს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის საგანგებო თანაშემწის თანამდებობა ეკავა საოპერაციო საკითხებში და მისი ძირითადი მოვალეობა იყო, ვიცე-პრეზიდენტი დროის ფუჭი ფლანგვისგან დაეცვა. დაგნი მას ასეთ შეხვედრებზე დასწრებას ყოველთვის სთხოვდა, მერე ახსნა რომ აღარ დასჭირვებოდა. ჯეიმს ტაგარტი თავის მაგიდასთან იჯდა და თავი მხრებში ჩაერგო.

— რიო ნორტე თავიდან ბოლომდე ჯართის გროვად არის ქცეული, საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე მე მეგონა, მაგრამ ჩვენ მას გადავარჩენთ, — დაიწყო დაგნიმ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ტაგარტმა.

— რამდენიმე ლიანდაგის გადარჩენა კიდევ შეიძლება. ბევრის არა, და არა დიდი ხნით. ახლების დაგებას მთიანი ზონიდან დავიწყებთ, კოლორადოთი. რელსები ორ თვეში გვექნება.

— ჰმ, ორენ ბოილმა თქვა, რომ...

— რელსები „რიერდენ სთილს“ დავუკვეთე.

ედი უილერსის მხრიდან მსუბუქი, ნახევრად დახშული ამოოხვრა მოისმა, რაც მოწმობდა, რომ მან ძლივს შეიკავა სიხარულის შეძახილი.

ჯეიმს ტაგარტს მაშინვე არ უპასუხია:

— დაგნი, რატომ არ ჯდები სავარძელში ადამიანურად? — უთხრა გაღიზიანებულმა, — ვინ ატარებს ასე საქმიან შეხვედრებს?

— მე ვატარებ, — უპასუხა დაგნიმ და დაელოდა, ძმა რას იტყოდა.

— ესე იგი, რელსები რიერდენს დაუკვეთე? სწორად გავიგე? — თქვა ჯეიმსმა და დაგნის თვალი მოარიდა.

— დიახ, გუშინ საღამოს, კლივლენდიდან დავურეკე.

— კი მაგრამ, დირექტორთა საბჭოს თანხმობა არ მოუცია. არც მე. ჩემთან კონსულტაციაც არ გაგივლია.

დაგნი წინ გადაიხარა, მაგიდაზე მდგარი ტელეფონის ყურმილი აიღო და გაუწოდა:

— დაურეკე რიერდენს და გააუქმე.

ტაგარტი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო:

— როდის ვთქვი, რომ გაუქმება მინდა? — გაბრაზებულმა წარმოთქვა, — მე ეგ საერთოდ არ მითქვამს.

— მაშინ შეკვეთა ძალაში რჩება!

— არც ეგ მითქვამს!

დაგნი ედის მიუტრიალდა:

— ედი, უთხარი, რომ ხელშეკრულება მოამზადონ „რიერდენ სთილთან“, ჯიმი ხელს მოაწერს, — თქვა და პალტოს ჯიბიდან ამოღებული დაკუჭული ქაღალდი ედის მიაწოდა, — აქ ციფრები და პირობებია.

— კი მაგრამ, დირექტორთა საბჭომ არ... — ჩაეჭრა ჯეიმს ტაგარტი.

— დირექტორთა საბჭოს ეს არ ეხება. ცამეტი თვის წინ დაგრთეს ნება, რელსები შეგეძინა. სად იყიდი, ეს უკვე შენი საქმეა, — გააწყვეტინა დაგნიმ.

— არა მგონია, სწორი იყოს ამგვარი გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე დირექტორთა საბჭოს აზრის გამოთქმის საშუალება არ მიეცემა. არ მესმის, მთელი პასუხისმგებლობა ჩემს თავზე რატომ უნდა ავიღო?!

— პასუხისმგებლობას მე ვიღებ ჩემს თავზე!

— და ხარჯებს რა ვუყოთ, რომელიც...

— რიერდენს ორენ ბოილის „ესოშიეიტიდ სთილთან“ შედარებით დაბალი ფასები აქვს.

— კარგი, და ორენ ბოილს რა ვუყოთ?

— მასთან ხელშეკრულება უკვე გავაუქმე! ამის უფლება ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ გვქონდა!

— როდის გააუქმე?

— გუშინ.

— კი მაგრამ, არ დაურეკავს, რომ თანხმობა მიმეცა.

— ის არც დაგირეკავს.

ტაგარტი დაჯდა და მაგიდას დააშტერდა. დაგნის ვერაფრით გაეგო, რა იყო გასაბრაზებელი რიერდენთან თანამშრომლობაში და რატომ მიიღო ამ ბრაზმა ასეთი უცნაური ხასიათი. ათი წელი გავიდა, რაც „რიერდენ სთილი“ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთავარი მიმწოდებელი იყო, იმ დღიდან, როდესაც რიერდენმა თავისი პირველი ღუმელი გაახურა და როცა კომპანიას ჯერ კიდევ დაგნის მამა ხელმძღვანელობდა. ათი წლის მანძილზე რელსების უმეტეს ნაწილს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ რიერდენი აწვდიდა.

ქვეყანაში არც ისე ბევრი ფირმა მოიძებნებოდა, რომელიც შეკვეთებს დროულად და ხარისხიანად ასრულებდა. „რიერდენ სთილი“ კი სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო.

„გიჟი რომ ვყოფილიყავი“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „ჯიმის ასეთ სიძულვილს რიერდენის მიმართ იმით ავხსნიდი, რომ რიერდენი ყოველთვის უზადოდ ასრულებდა თავის საქმეს“; თუმცა მაშინვე მოიშორა ეს ფიქრი — საღი აზრის ფარგლებს სცდებოდა. — ეს უსამართლობაა! — თქვა ტაგარტმა.

— რა არის უსამართლობა?

— ის, რომ წლიდან წლამდე მთელ ჩვენს შეკვეთებს „რიერდენ სთილს“ ვაძლევთ!

ჩემი აზრით, შანსი სხვებსაც უნდა მივცეთ. რიერდენს რად უნდა ჩვენი შეკვეთები!

ისედაც საკმაოდ ძლიერია. ჩვენ მცირე საწარმოებს უნდა დავეხმაროთ, რომ განვითარდნენ. ასე კი, უბრალოდ, მონოპოლისტს ვაძლიერებთ.

— სისულელეს ნუ ამბობ, ჯიმ!

— სულ რიერდენს რატომ ვუკვეთავთ?!

— იმიტომ, რომ ყოველთვის დროზე ასრულებს შეკვეთებს.

— არ მომწონს ჰენრი რიერდენი.

— მე მომწონს! მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს რაღა შუაშია! ასეა თუ ისე, რელსები გვჭირდება! და ის ერთადერთია, ვინც ამას შეძლებს.

— ადამიანური ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ შენთვის ასეთი ცნება საერთოდ არ არსებობს!

— ჩვენ რკინიგზის გადარჩენაზე ვლაპარაკობთ, ჯიმ!

— რა თქმა უნდა, მაგრამ შენ საერთოდ არ ითვალისწინებ ადამიანურ ფაქტორს!

— გეთანხმები, ეგ საერთოდ არ მაინტერესებს!

— თუ რიერდენს ფოლადის რელსების ამხელა შეკვეთას მივცემთ...

— ფოლადის არ იქნება, რიერდენ მეტალისგან დაამზადებენ.

დაგნი ყოველთვის ცდილობდა, ემოცია არ ეჩვენებინა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა ძმის გამომეტყველების დანახვაზე თავი ვერ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა.

რიერდენ მეტალი ათწლიანი ექსპერიმენტების შედეგად შექმნილი ახალი ტიპის შენადნობი იყო. მან არც ისე დიდი ხნის წინ გამოიტანა ის ბაზარზე, მაგრამ შეკვეთები და კლიენტები ჯერ არ ჩანდნენ.

ტაგარტი გააოგნა მკვეთრმა ცვლილებამ — დაგნიმ სიცილი უეცრად შეწყვიტა და მისმა ხმამ ადრინდელივით ცივად და უხეშად გაიჟღერა:

— არ გინდა, ჯიმ! ყველაფერი ვიცი, რის თქმასაც აპირებ. ეს მეტალი ჯერ არავის გამოუყენებია. მან მოწონება ჯერ ვერ დაიმსახურა. მისით ჯერ არავინ დაინტერესებულა. ის არავის უნდა, არავის უნდა მისი შეძენა. და ამის მიუხედავად, ჩვენი რელსები ამ მეტალისგან იქნება დამზადებული.

— მაგრამ... ის აქამდე არავის გამოუყენებია! — ჩაილაპარაკა ჯეიმს ტაგარტმა.

კმაყოფილებით შენიშნა, როგორ გაჩუმდა დაგნი ბრაზისგან. საერთოდ, ტაგარტს უყვარდა სხვის ემოციებზე დაკვირვება. ემოციები წითელი ნათურებივით ანათებდნენ ადამიანის ბნელ და გამოუცნობ პიროვნულ ლაბირინთს და მგრძნობიარე წერტილებზე მიანიშნებდნენ. მაგრამ მისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა, ასეთი ემოცია გამოეწვია რაღაც მეტალის შენადნობს. ამიტომ ვერ მოუძებნა ახსნა იმას, რაც დაგნის სახეზე ამოიკითხა. რაღაცას კი მიაგნო თითქოს, მაგრამ ბოლომდე ვეღარ მისდია.

— მეტალურგიის საუკეთესო სპეციალისტები რიერდენის შენადნობს ძალიან სკეპტიკურად უყურებენ...

— ჯიმ, მორჩი!

— კარგი, ვის აზრს ეყრდნობი მაშინ?

— არავის აზრი არ მაინტერესებს.

— რით ხელმძღვანელობ?!

— განსჯით.

— კარგი, და ვის განსჯას ეყრდნობი?

— საკუთარს.

— და კონსულტაცია ვისთან გაიარე?

— არავისთან.

— ეგებ, ის მაინც მითხრა, რა იცი საერთოდ რიერდენის შენადნობზე?!

— რომ ის საუკეთესოა, რაც კი აქამდე ბაზარზე არსებულა.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ ფოლადზე მტკიცეა, ფოლადზე იაფი, და უფრო მდგრადია კოროზიების მიმართ, ვიდრე სხვა რომელიმე მეტალი.

— ეს ვინ თქვა?!

— ჯიმ, კოლეჯში საინჟინრო საქმეს ვსწავლობდი! თავს ვდებ, რომ ასეა, ვხედავ, რომ ის მართლაც ღირებულია!

— მაინც, რა დაინახე?

— რიერდენმა ფორმულა და ექსპერიმენტის შედეგები მაჩვენა.

— მისმინე, ეგ რომ ხარისხიანი შენადნობი იყოს, აქამდე ვინმე არ გამოიყენებდა?

ხომ ხედავ, რომ ჯერ არავინ ყიდულობს!

დაგნი ისევ გააღიზიანა ტაგარტის მსჯელობამ.

— საიდან უნდა იცოდე, რომ კარგი შენადნობია?! — განაგრძო ტაგარტმა, — როგორ უნდა იყო დარწმუნებული? როგორ შეგიძლია, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო?!

— ვიღაცამ ხომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ჯიმ?

— ვერ გავიგე, პირველები რატომ უნდა ვიყოთ?! მართლა არ მესმის!

— „რიო ნორტე ლაინის“ გადარჩენა გინდა თუ არა?!

პასუხი არ გასცა.

— რომ შეიძლებოდეს, ყველა რელსს მოვხსნიდი და რიერდენ მეტალისას დავაყენებდი, ყველა ხაზი გამოსაცვლელია! დიდხანს ვერც ერთი ვერ გაძლებს. მაგრამ ახლა ამას ვერ გავწვდებით. ჯერ დავალიანებები გვაქვს გასასტუმრებელი. გინდა თუ არა, რომ აქედან ამოვძვრეთ? — განაგრძობდა დაგნი.

— ჩვენ მაინც ყველაზე კარგი რკინიგზა გვაქვს, სხვები ჩვენზე უარეს დღეში არიან. — ესე იგი, გინდა, რომ ჭაობში ვიყოთ?

— მე ეგ არ მითქვამს! რატომ აუბრალოებ ყველაფერს ასე?! და თუკი ჩვენი ფინანსური მდგომარეობა გადარდებს, ვერ გამიგია, რა დროს „რიო ნორტე ლაინია“?! მაგაში გინდა, ფული გაფლანგო? ვერ ხედავ, „ფენიქს-დურანგომ“ როგორ წაგვართვა მთელი ბიზნესი იმ რეგიონში? რა აზრი აქვს ფულის ხარჯვას ხაზისთვის იქ, სადაც ვერაფერი დაგვიცავს კონკურენტისგან, რომელიც იმდენს იზამს, ხელს მოითბობს ჩვენი ინვესტიციებით?!

— იმიტომ, რომ „ფენიქს-დურანგო“ საუკეთესო კომპანიაა, მაგრამ მე ვაპირებ, რიო ნორტე მაგაზე უკეთესად ვაქციო. იმიტომ, რომ ვაპირებ, „ფენიქს-დურანგო“ დავამარცხო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი იქნება. არ მგონია, ეს საჭირო გახდეს, კოლორადოში მარტო ორი კი არა, სამი სარკინიგზო კომპანიაც თავისუფლად იშოვის უზარმაზარ ფულს. ამას გარდა, მზად ვარ, კომპანია დავაგირაო და ელის უაიატის ნავთობის ჭაბურღილებთან ხაზი მივიყვანო.

— ყელში ამომივიდა ელის უაიატის სახელი!

ტაგარტს არ მოეწონა დაგნის მზერა.

— აჩქარების აუცილებლობას ვერ ვხედავ, — თქვა ტაგარტმა ნაწყენი ხმით, — მაინც, რა გეჩვენება ასეთი საგანგაშო „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ამჟამინდელ მდგომარეობაში?

— შენი პოლიტიკის შედეგები, ჯიმ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ ჯერ ერთი, შენი ექსპერიმენტი „ესოშიეიტიდ სთილთან“ ცამეტი თვეა, უშედეგოდ გრძელდება, და მეორეც, შენს მექსიკურ კატასტროფას.

— ხელშეკრულება „ესოშიეიტიდ სთილთან“ დირექტორთა საბჭომ მოიწონა. სან სებასტიანის ხაზის მშენებლობაც დირექტორთა საბჭოს ნებართვით დაიწყო. თანაც არ მესმის, რატომ უწოდებ ამას კატასტროფას.

— იმიტომ, რომ მექსიკის მთავრობა შენი ხაზის ნაციონალიზაციას აპირებს ნებისმიერ წუთს.

— სიცრუეა! — წამოიყვირა ტაგარტმა, — ეს მხოლოდ ბინძური ჭორებია! ყოველთვის ინფორმირებული ვარ იქაური ჩინოვნიკის მიერ, რომელიც...

— ნუ მაჩვენებ, რომ შეშინდი, ჯიმ! — ზიზღით უთხრა დაგნიმ.

ტაგარტი გაჩუმდა.

— ახლა პანიკას აზრი არ აქვს. უნდა შევეცადოთ, როგორმე დარტყმა შევასუსტოთ. ეს დარტყმა კი სერიოზული იქნება. ორმოცი მილიონი დოლარის დაკარგვა იოლი გადასატანი არ არის. მაგრამ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ბევრი სასტიკი დარტყმისთვის გაუძლია და ვიზრუნებ, ამჯერადაც გავუძლოთ.

— არ შემიძლია ამის დაჯერება. არც კი დავუშვებ, სან სებასტიანის ხაზის ნაციონალიზაცია განიხილებოდეს!

— კარგი, ნუ დაუშვებ.

დაგნი გაჩუმდა. ჯეიმსი შეეცადა, ყოველი სიტყვა ფრთხილად შეერჩია:

— არ მესმის, ასეთი მონდომებით რატომ ცდილობ ელის უაიატის დახმარებას და თან ამტკიცებ, რომ შეცდომაა, შეეხიდო საწყალ ქვეყანას, რომელსაც მსგავს შანსს არავინ აღირსებს.

— ელის უაიატი არავის არ სთხოვს, შანსი მისცენ. გარდა ამისა, ჩემი ბიზნესი ვინმესთვის შანსის მიცემა სულაც არაა. ჩემი ბიზნესი რკინიგზაა.

— ჩემი აზრით, ეს მეტისმეტად შეზღუდული ხედვაა! არ მესმის, რატომ უნდა დავეხმაროთ ერთ ადამიანს და არა მთელ ქვეყანას.

— არავის დახმარება არ მაინტერესებს. მე მინდა, ფული ვაკეთო.

— ეს ძალიან არაპრაქტიკული მიდგომაა. პირადი ხეირის ეგოისტური წყურვილი წარსულს ჩაბარდა. ახლა უკვე ყველამ აღიარა, რომ საზოგადოების ინტერესებს საკადრისი ადგილი უნდა მიეჩინოს ნებისმიერ კომერციულ საქმიანობაში, რომელიც...

— კიდევ რამდენ ხანს აარიდებ თავს გადაწყვეტილების მიღებას, ჯიმ?

— რომელი გადაწყვეტილების?

— რიერდენ მეტალის შეკვეთას.

პასუხი არ გაუცია. დაგნის მდუმარედ უყურებდა. დაგნი დაღლილობას ვეღარ მალავდა. ამაყად გამართული მხოლოდ სნორი, მკაფიოდ მოყვანილი მხრების ხარჯზე ჩანდა, ხოლო მხრებს საკუთარი სიმართლის რწმენით ნასაზრდოები ნებისყოფა უმაგრებდა. დაგნის სახე ცოტას თუ მოსწონდა: ზედმეტად ცივი სახე ჰქონდა, მზერა კი ზედმეტად დაჟინებული და მკაცრი. ამ მზერას ვერაფერი და ვერანაირი დრო ვერასდროს ვერ შეარბილებდა. სავარძლის სახელურზე იჯდა. მისი ჩამოქნილი ფეხები ტაგარტს აღიზიანებდა — როგორ არ შეესატყვისებოდნენ ესოდენ არაქალურ ხატებას!

დაგნი დუმდა და ბოლოს სიჩუმე ტაგარტმა დაარღვია:

— მოიცა, აი ასე, წამში, დაუფიქრებლად, ადექი და ტელეფონით შეუკვეთე?

— ეგ უკვე ექვსი თვის წინ მქონდა გადაწყვეტილი, უბრალოდ, ჰენკ რიერდენს ველოდებოდი, წარმოება უნდა დაეწყო.

— ჰენკს ნუ ეძახი. ვულგარულია.

— ყველა მასე ეძახის. ნუ ცდილობ, თემა შეცვალო!

— რაში დაგჭირდა გუშინ საღამოს მასთან დარეკვა?!

— მანამდე ვერ დავიჭირე. სასწრაფოდ უნდა დავლაპარაკებოდი.

— რატომ არ მოიცადე, ვიდრე ნიუ-იორკში დაბრუნდებოდი და მერე...

— იმიტომ, რომ რიო ნორტეს ხაზი ვნახე.

— დრო მჭირდება დასაფიქრებლად, დირექტორთა საბჭოს უნდა გავაცნო საკითხი, საუკეთესო სპეციალისტებს დაველაპარაკო...

— დრო არ ითმენს.

— საშუალებაც არ მომეცი, რომ აზრი დავალაგო...

— საერთოდ არ მაინტერესებს შენი აზრი! არც კამათს ვაპირებ — არც შენს საბჭოსთან და არც შენს „პროფესორებთან“. არჩევანი უნდა გააკეთო და თან — ახლავე.

თქვი: „კი“ ან „არა“!

— ეს უაზრობაა, ზეწოლაა, და თავნებობა...

— კი თუ არა?!

— სულ ერთი და იგივე! შენ ყოველთვის ასე იქცევი, ცდილობ, ყველაფერი შავად და თეთრად დაყო! სამყარო კი სულაც არ არის ასეთი. აბსოლუტური ქვეყნად არაფერია!

— როდესაც მეტალის რელსებს ეხება, ასეა — ან ვყიდულობთ, ან არ ვყიდულობთ.

დაგნი პასუხს ელოდებოდა. ჯეიმსი კი დუმდა.

— აბა, რას იტყვი?

— შენ იღებ პასუხისმგებლობას?

— ვიღებ!

— შენ იცი! შენი რისკია. რიერდენთან შეთანხმებას არ გავაუქმებ, მაგრამ დიდად თავსაც არ მოვიკლავ საბჭოს წევრების წინაშე მის დასაცავად.

— რაც გინდა, ის ქენი!

დაგნი წასასვლელად წამოდგა. ტაგარტმა თავი მაგიდაზე ჩახარა. არ ესიამოვნა, საუბარი ასეთ მტკიცე ნოტაზე რომ დასრულდა:

— ცხადია, გესმის, რომ ეს ხანგრძლივი პროცედურაა. ადვილი ნუ გეგონება! — ამ სიტყვებმა ლამის იმედიანად გაიჟღერა, — მარტო დალაპარაკება არ კმარა.

— ოჰ, რა თქმა უნდა! დეტალურ ანგარიშს მოგაწვდი, რომელსაც ედი მოამზადებს და რომელსაც შენ არ წაიკითხავ! ინსტანციებში წარსადგენი დოკუმენტის შედგენაშიც ედი დაგეხმარება. საღამოს ფილადელფიაში მივდივარ რიერდენთან შესახვედრად. უამრავი საქმე გვაქვს, — და დასძინა, — აი, რა ადვილია, ჯიმ!

როდესაც დაგნი წასასვლელად შეტრიალდა, ჯიმი ისევ ალაპარაკდა და ისეთი რამე თქვა, დაგნის დიდ სისულელედ მოეჩვენა:

— შენთვის ეს ადვილია, იმიტომ, რომ იღბალი გწყალობს. სხვებს ეგ არ გამოსდით.

— რა არ გამოსდით?!

— სხვები ადამიანურები არიან, მგრძნობიარეები. მთელ ცხოვრებას მეტალებსა და მატარებლებს ვერ მიუძღვნიან. შენ კი გიმართლებს — გრძნობები არასდროს გქონია.

— შენ არასდროს გიგრძნია რაიმე.

დაგნიმ ჯიმს შეხედა და მის მუქ-ნაცრისფერ თვალებში გაოცებას ჯერ სიმშვიდე შეენაცვლა, შემდეგ უცნაური გამომეტყველება, რომელიც დაქანცულობას მიაგავდა, მაგრამ რაღაც კიდევ იყო, რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ამ მოცემული მომენტის ჭეშმარიტების აღიარება.

— მართალია, ჯიმ! — მიმართა წყნარი ხმით, — მართლაც, მე არასდროს არანაირი გრძნობა არ მქონია.

ედი უილერსმა დაგნი კაბინეტამდე მიაცილა. დაგნი დაბრუნდა, და ედის მოეჩვენა, რომ სამყარო უფრო ნათელი, მარტივი და სრულიად მისაღები გახდა, და რომ ახლა უკვე შეუძლია, დაივიწყოს შფოთვაც და გაურკვევლობაც. ედი ერთადერთი იყო, ვინც სავსებით ბუნებრივად თვლიდა, ეს უზარმაზარი სარკინიგზო კომპანია ვიცეპრეზიდენტის რანგში სწორედ დაგნის ემართა, მიუხედავად იმისა, რომ ქალი იყო.

ათი წლის იქნებოდა დაგნი, როცა გამოუცხადა, ერთ დღესაც რკინიგზას მე ვუხელმძღვანელებო. ამიტომ ახლახან მომხდარი ფაქტი სულაც არ აკვირვებდა იმაზე მეტად, ვიდრე იმ დაპირებამ გააკვირვა მაშინ, ტყის პირას, კორდზე.

როცა კაბინეტში შევიდნენ და დაინახა, როგორ მიუჯდა დაგნი მაგიდას და მისთვის მომზადებულ ანგარიშებს მოავლო მზერა, ედიმ თავი ისე იგრძნო, როგორც საკუთარ მანქანაში: ძრავა ამუშავდა და ბორბლებიც მზად არიან წინ გასაჭრელად.

გასვლისას გაახსენდა, რომ ერთი საქმის შესახებ არ მოუხსენებია:

— ოუენ კელოგმა, ტერმინალის განყოფილებიდან, თქვენთან შეხვედრა მთხოვა.

დაგნიმ გაკვირვებით შეხედა:

— საოცარია, მე თვითონ ვაპირებდი მასთან შეხვედრას. გამოიძახეთ, მოვიდეს.

მჭირდება. და კიდევ, ედი, ვიდრე დავიწყებდე, უთხარი, ტელეფონით დამაკავშირონ ეიერსს „ეიერსის მუსიკალური გამომცემლობიდან“.

— მუსიკალური გამომცემლობა? — გაოცებულმა გაიმეორა ედიმ.

— ჰო, რაღაც მინდა, ვკითხო.

როცა მისტერ ეიერსი თავაზიანი ხმით დაინტერესდა, რით შეეძლო დახმარება, დაგნიმ ჰკითხა:

— ხომ ვერ მეტყვით, რიჩარდ ჰალიმ ახალი, მეხუთე სიმფონია თუ დაწერა?

— მეხუთე სიმფონია, მის ტაგარტ? არა, რა თქმა უნდა, არ დაუწერია.

— დარწმუნებული ხართ?

— სავსებით დარწმუნებული, მის ტაგარტ! რვა წელია, არაფერი დაუწერია.

— ესე იგი, ცოცხალია?

— დიახ, ცოცხალია. უფრო სწორად, დაბეჯითებით ვერ გეტყვით. საზოგადოებრივ ცხოვრებას სრულიად ჩამოშორდა. თუმცა, ეჭვიც არ მეპარება, რომ გარდაცვლილიყო, აუცილებლად შევიტყობდით.

— და რაიმე რომ დაეწერა, ცხადია, ამასაც გაიგებდით, არა?

— უთუოდ! თანაც პირველი ჩვენ გავიგებდით. ყველა მისი ნაწარმოები ჩვენი გამოცემულია. მაგრამ მან წერა შეწყვიტა.

— გასაგებია, გმადლობთ.

როცა ოუენ კელოგი ოფისში შემოვიდა, დაგნიმ კმაყოფილებით შეხედა. გაუხარდა, რომ კარგად ახსოვდა მისი გარეგნობა. იმავე ტიპის სახე ჰქონდა, როგორიც იმ ახალგაზრდა კონდუქტორს მატარებლის ვაგონში, ისეთი კაცის სახე, ვისთანაც საქმის დაჭერა შეეძლო.

— დაბრძანდით, მისტერ კელოგ! — მიმართა დაგნიმ, მაგრამ ის ისევ მისი მაგიდის წინ იდგა.

— მის ტაგარტ, თქვენ ერთხელ მითხარით, ხომ არ მსურდა სამსახურებრივი მდგომარეობის შეცვლა, ამიტომაც მოვედი, რომ გთხოვოთ — გამათავისუფლეთ.

დაგნი ყველაფერს მოელოდა, ამის გარდა. წამით დაიბნა, მერე კი ჰკითხა:

— რატომ?

— პირადი მიზეზების გამო.

— აქ რაიმემ არ დაგაკმაყოფილათ?

— არა.

— უკეთესი შემოთავაზება მიიღეთ?

— არა.

— რომელ რკინიგზაზე გადადიხართ?

— არც ერთ რკინიგზაზე არ გადავდივარ, მის ტაგარტ.

— აბა, რა სამსახური მონახეთ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

დაგნი მას ოდნავი უხერხულობით აკვირდებოდა. მამაკაცის სახეზე მტრული განწყობის კვალიც არ ჩანდა, პირიქით, თვალებში უყურებდა და კითხვებს პირდაპირ და გულახდილად პასუხობდა, როგორც ადამიანი, რომელსაც არაფერი აქვს დასამალი ან გამოსაგონებელი. თავაზიანი და ნეიტრალური გამომეტყველება ჰქონდა.

— აბა, რატომ გადაწყვიტეთ წასვლა?

— ეს პირადული ამბავია.

— ავად ხომ არ ხართ? ეს თქვენს ჯანმრთელობას ეხება?

— არა.

— ქალაქიდან მიდიხართ?

— არა.

— მემკვიდრეობა მიიღეთ, რომელიც საშუალებას გაძლევთ, აღარ იმუშაოთ?

— არა.

— ესე იგი, ზოგადად მუშაობას აპირებთ?

— დიახ.

— ოღონდ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ მუშაობა აღარ გსურთ?

— არა.

— ასეთ შემთხვევაში, რაღაც ისეთი მოხდა, რამაც წასვლა გადაგაწყვეტინათ. რა?

— არაფერი მომხდარა, მის ტაგარტ.

— მინდა, ყველაფერი მითხრათ, უნდა ვიცოდე, საამისოდ მიზეზი მაქვს.

— მის ტაგარტ, მენდობით სიტყვაზე?

— დიახ.

— არაფერს და არავის კომპანიაში არავითარი კავშირი არა აქვს ჩემ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან.

— ასე რომ, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მიმართ კონკრეტული პრეტენზია არ გაგაჩნიათ?

— არც ერთი.

— მაგრამ, იქნებ გადაწყვეტილება შეცვალოთ კიდეც, როცა გაიგებთ, რას გთავაზობთ.

— მაპატიეთ, მის ტაგარტ, მაგრამ ვერაფერს შევცვლი.

— შემიძლია, ის მაინც გითხრათ, რას ვგულისხმობ?

— დიახ, თუ გნებავთ.

— დამიჯერებთ, თუ გეტყვით, რომ თქვენთვის ერთი თანამდებობის შეთავაზება ჯერ კიდევ მანამდე მინდოდა, ვიდრე თქვენ ჩემთან შეხვედრას ითხოვდით? მინდა, ეს იცოდეთ.

— თქვენი ყოველთვის მჯეროდა, მის ტაგარტ.

— ეს ოჰაიოს შტატის მაგისტრალების განყოფილების მმართველის თანამდებობაა და ის თქვენია, თუ მოისურვებთ.

კელოგს გამომეტყველება არ შესცვლია, თითქოს დაგნის სიტყვები იგივე იყო მისთვის, რაც პირველყოფილი ადამიანისთვის, რომელმაც საერთოდ არ იცის, რა არის რკინიგზა.

— თანამდებობა არ მინდა, მის ტაგარტ, — უბრალოდ უპასუხა მან.

წუთიერი დუმილის შემდეგ დაგნიმ დაძაბული ხმით უთხრა:

— თქვენი პირობები მითხარით, კელოგ, თანხაც დამისახელეთ. მინდა, რომ დარჩეთ, მე უფრო მეტს შემოგთავაზებთ, ვიდრე სხვა რომელიმე რკინიგზა.

— სხვა რომელიმე რკინიგზაზე მუშაობას არ ვაპირებ.

— მე კი მეგონა, გიყვარდათ თქვენი საქმე.

ამ სიტყვებმა პირველად გამოიწვია რაღაც ემოცია კელოგის სახეზე. თვალები ოდნავ გაუფართოვდა, უცნაური, ჩუმი სიჯიუტით უპასუხა:

— მიყვარს.

— აბა, მითხარით, რა უნდა შემოგთავაზოთ, რომ დარჩეთ.

ამ სიტყვებმა ისე უშუალოდ და გულწრფელად გაიჟღერა, რომ კელოგი გაოცდა.

— მის ტაგარტ, მგონი, არასწორად მოვიქეცი, რომ მოვედი და სამსახურიდან გათავისუფლებას გთხოვთ. ვიცი, იმიტომ გინდოდათ, ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი

შეგეტყოთ, რომ საპასუხო წინადადება მოგეცათ. და ახლა ისე გამოდის, თითქოს თანახმა ვიყო, არადა, არ არის ასე. მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ... ჩემი სიტყვა შევასრულო.

მოულოდნელმა პაუზამ წამიერად აუხილა თვალი დაგნის, მიახვედრა, რამდენს ნიშნავდა კელოგისთვის მისი ინტერესები და მისი თხოვნა და როგორ უმძიმდა ამ გადაწყვეტილების მიღება.

— კელოგ, ნუთუ საერთოდ არაფერია, რისი შემოთავაზებაც შემიძლია?

— არაფერია, მის ტაგარტ, არაფერი დედამიწის ზურგზე, — უპასუხა და გასასვლელისკენ შეტრიალდა.

დაგნიმ სიცოცხლეში პირველად იგრძნო თავი უმწეოდ და დამარცხებულად.

— კი მაგრამ, რატომ? — ისე იკითხა, თითქოს სივრცეს მიმართავდა.

კელოგი გაჩერდა, მხრები აიწურა და გაიღიმა. წამით გამოცოცხლდა კიდეც, მაგრამ ეს ყველაზე იდუმალი ღიმილი იყო, რაც კი დაგნის ოდესმე ენახა. მასში ფარული სიხარული, ღრმა მწუხარება და უსაზღვრო სიმწარე იგრძნობოდა.

მან კითხვითვე უპასუხა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

თავი 2

ჯაჭვი

ყველაფერი რამდენიმე ნათებით დაიწყო. როდესაც ტაგარტის მატარებელი ქალაქ ფილადელფიის მისადგომებს მიუახლოვდა, სიბნელეში აქა-იქ გაბნეული თვალის მომჭრელი ნათება გაკრთა — უკაცრიელ დაბლობზე თითქოს უაზროდ მოჩანდნენ, მაგრამ მეტისმეტად კაშკაშებდნენ საიმისოდ, რომ დანიშნულება არ ჰქონოდათ. მგზავრები გულგრილად შეჰყურებდნენ, ინტერესის გარეშე.

შემდეგ გამოჩნდა რაღაც ნაგებობის შავი სილუეტი, რომელიც ძლივს ილანდებოდა ცის ფონზე; შემდეგ დიდი შენობა ამოიზარდა ლიანდაგების სიახლოვეს; შენობის ჩაბნელებული ფანჯრების მინები განათებული ვაგონების შუქებს აირეკლავდა.

შემხვედრმა სატვირთო შემადგენლობამ ფანჯრები გადაფარა და როდესაც ჩაიქროლა, წუილმა ირგვლივ ყველაფერი დაახშო.

ვაგონებს შორის შუალედებში მგზავრები შორეულ ნაგებობებს ხედავდნენ მეწამული ცის ფონზე. ალისფერი ათინათი ნერვიულად პულსირებდა, გეგონებოდა, ნაგებობები სუნთქავდნენ.

როცა მატარებელი გაუჩინარდა, მგზავრებმა კვამლის რგოლებში გახვეული მოუხეშავი შენობები დაინახეს. რამდენიმე მძლავრი პროჟექტორის სხივები რგოლებს წილაკებად ანაწევრებდა. კვამლიც ალისფერი იყო, ცასავით.

ის, რაც შემდგომ გამოჩნდა, შენობას მაინცდამაინც არ ჰგავდა. უფრო ჭადრაკისებურად დატიხრული მინის გარსივით გამოიყურებოდა, რომელსაც კოჭები, ამწეები და ფერმები თითქოს ერთიანად გაეხვია დამაბრმავებელ ცეცხლში.

მგზავრები სათანადოდ ვერც აღიქვამდნენ მათ წინ მრავალ მილზე გადაჭიმული ამ ქალაქის მთელ სირთულეს, ქალაქის, რომელიც თითქოს ადამიანის მონაწილეობის გარეშე მუშაობდა.

მათ თვალწინ აღმოცენდა კოშკები, რომლებიც დაგრეხილ ცათამბჯენებს წააგავდნენ; დაინახეს ჰაერში გამოკიდებული ხიდები და დამსკდარი, დაბზარული

კედლებიდან გადმოხეთქილი ცეცხლი, ღამის წყვდიადში მოძრავი გავარვარებული ცილინდრების რიგი; ეს წითელი, ცხელი მეტალი დუღდა.

ლიანდაგებთან ახლოს კანტორის შენობა გამოჩნდა. როდესაც შენობას ჩაუქროლეს, მისი სახურავიდან ნეონის დიდმა პანომ სამგზავრო ვაგონების ინტერიერი გაანათა. წარწერა პანოზე იტყობინებოდა: „რიერდენ სთილი“.

ერთ-ერთი მგზავრი, ეკონომიკის პროფესორი, თანამგზავრს მიუბრუნდა: „რა მნიშვნელობა აქვს ცალკეულ პიროვნებას ჩვენი ინდუსტრიული ეპოქის ტიტანურ კოლექტიურ მიღწევებში?!“ მეორემ, რომელიც ჟურნალისტი აღმოჩნდა, იქვე ჩაინიშნა თავის ბლოკნოტში მომავალი სტატიისთვის:

„ჰენკ რიერდენი მიეკუთვნება ადამიანთა იმ სახეობას, რომელიც თავის სახელს კვეთს ყველაფერზე, რასაც კი შეეხება. მკითხველს მხოლოდ ამ ფრაზითაც შეუძლია, შეიქმნას წარმოდგენა ჰენკ რიერდენის ხასიათის შესახებ“.

მატარებელი კვლავ სიბნელეში მიქროდა, როცა წაგრძელებული შენობიდან კაშკაშა წითელმა ალმა იელვა... მგზავრებს ამ ელვარებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. გამოდნობის პროცესი, გავარვარებული მეტალის ჩამოსხმა იმ მოვლენების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, რომელთა შემჩნევასაც შეჩვეული იყვნენ.

ეს რიერდენ მეტალს ადნობდნენ, პირველი შეკვეთა სრულდებოდა.

როდესაც თხევადმა მეტალმა იხუვლა, ღუმელთან მომუშავე ადამიანებს ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს მოულოდნელად ერიჟრაჟა. მეტალის გავარვარებული თეთრი ნაკადი მზესავით ელვარებდა. ღუმელს თავზე შავი, ალაგ-ალაგ წითლად შეფერილი ორთქლის ჯანღი ედგა. ნაპერწკლების შადრევნები გაგლეჯილი არტერიიდან ამოხეთქილი სისხლივით იფრქვეოდა. ცეცხლის ალებს ჰაერი ნაფლეთებად ექცია, მისი წითელი ენები იკლაკნებოდნენ და სივრციდან გაღწევას ლამობდნენ, თითქოს უარს აცხადებდნენ ადამიანის მიერ შექმნილ კონსტრუქციაში დარჩენაზე, თითქოს ცდილობდნენ, წაელეკათ ეს კოლონები, კოჭები, ამწეების ხიდები. თუმცა თვითონ მეტალის გრძელი გაბმული ნაკადი მშვიდობიანად მინარნარებდა ყალიბებში თეთრი ატლასივით და სადღესასწაულოდ ბრწყინავდა. შენადნობი თვინიერად მიედინებოდა თიხის ღარით და ექვსი მეტრის სიმაღლიდან უზარმაზარ, ორას ტონაზე გათვლილ ჩამჩაში იღვრებოდა. ცხელი დინების გლუვი ზედაპირიდან ვარსკვლავები იფრქვეოდა, რომლებიც ბენგალიური შუშხუნების ალერსიან და უწყინარ ნაპერწკლებს ჰგავდნენ.

მხოლოდ ახლოდან შეიმჩნეოდა, რომ ეს თეთრი ატლასი დუღდა. დროდადრო გავარვარებული შხეფები ცვიოდა და მიწასთან შეხებისთანავე ცივდებოდა და ქვავდებოდა.

ფოლადზე მტკიცე ორას ტონა შენადნობს, რომელიც ოთხი ათას გრადუსზე ლღვებოდა, შენობის ნებისმიერი კედლის განგრევა შეეძლო, ნებისმიერის განადგურება, ვინც მის სიახლოვეს მუშაობდა. მაგრამ ამ დინების ყოველი დუიმი, ყოველი მოლეკულა, მისი შემქმნელის ნებას ემორჩილებოდა, მისი დაუღალავი, მრავალწლიანი შრომისა და გონებრივი ძიების შედეგი იყო.

სიბნელის გამკვეთი კაშკაშა შხეფები დროდადრო საამქროს კუთხეში გაუნძრევლად მდგარი ადამიანის სახეს ანათებდა. კოლონას მიყრდნობილი იცდიდა. წამით, დამაბრმავებელმა წითელმა ელვარებამ მის ცისფერ, ყინულივით ცივ თვალებს გადაურბინა, შემდეგ ფერფლისფერ თმას, სპორტული ქურთუკის ქამარს და ჯიბეებში ჩაწყობილ ხელებს. მაღალი, გამხდარი მამაკაცი იყო, ყოველთვის უფრო მაღალი გარშემომყოფებთან შედარებით. ყვრიმალამოწეულ სახეზე რამდენიმე ღრმა

ნაოჭი გასდევდა, თუმცა, არა ასაკის მატებით გაჩენილი ნაოჭები. ისინი ყოველთვის ჰქონდა, ამიტომაც წინათ მუდამ იმაზე უფროსი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, ახლა კი, ორმოცდახუთი წლისა, გაცილებით ახალგაზრდას ჰგავდა.

რაც თავი ახსოვდა, უმტკიცებდნენ, რომ თავისი შეუპოვარი და მკაცრი გამომეტყველების გამო უშნო შესახედი იყო. სახეზე არც ახლა გადასდიოდა ნათელი, როცა მეტალის ნიაღვარს შესცქეროდა. ეს კაცი ჰენკ რიერდენი იყო.

მეტალი ჩამჩის კიდეებს უწევდა და უხვად იღვრებოდა ნაპირებიდან. თვალის მომჭრელად თეთრი ჭავლები სწრაფად მუქდებოდა და წამში ლითონის შავ ლოლოებად იქცეოდა.

მაღლა, თავზე, ამწის კაბინა გასრიალდა. მუშამ ხელის ძალდაუტანებელი მოძრაობით ბერკეტი გადასწია, ჯაჭვზე დაკიდებული უზარმაზარი ფოლადის კაუჭები ქვემოთ დაეშვნენ, ჩამჩის სახელურს გამოედნენ, ორასი ტონა გამდნარი, ცხელი ლითონი რძით სავსე ბიდონივით ციმციმ ასწიეს და გასავსებად გამზადებული ჩამწკრივებული ფორმებისკენ წაიღეს.

ჰენკ რიერდენი უკან გადაიხარა და თვალები დახუჭა. გრძნობდა, როგორ ზანზარებდა ამწის მოძრაობის ტაქტში ბოძი, რომელსაც მიჰყრდნობოდა. „საქმე გაკეთებულია“, — გაიფიქრა მან.

მუშამ შეამჩნია და შეთანხმებულივით გაუღიმა, თანამოძმისა და დიად დღესასწაულში თანამონაწილის ღიმილით — იცოდა, რატომაც უნდა ყოფილიყო ეს მაღალი ქერა მამაკაცი იქ იმ მომენტში. რიერდენმაც გაუღიმა საპასუხოდ და მუშის ღიმილი ერთადერთი მილოცვა იყო, რაც მიიღო. შეტრიალდა და თავისი კაბინეტისკენ გაემართა, ადრინდელივით არაფრის მთქმელი გამომეტყველებით.

იმ საღამოს ჰენკ რიერდენი გვიან გავიდა კაბინეტიდან. ქარხნიდან მის სახლამდე რამდენიმე უკაცრიელი მილი იყო გასავლელი. თვითონაც არ იცოდა, რატომ გადაწყვიტა, ეს გზა ფეხით გაევლო.

მიდიოდა... ერთი ხელი ჯიბეში ჩაეყო, თავისი შენადნობისგან დამზადებული ჯაჭვის სამაჯური ჩაებღუჯა. დროდადრო თითებს ამოძრავებდა, რომ მისი ტექსტურა შეეგრძნო. ცხოვრების ათი წელი მოანდომა ამ სამაჯურის დამზადებას. „ათი წელი დიდი დროა“, — გაიფიქრა თავისთვის.

ჩაბნელებულ გზას ორივე მხრიდან ხეები მიუყვებოდა. ყოველთვის, როცა ზემოთ აიხედავდა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე რამდენიმე ფოთოლს ხედავდა, გამხმარ, დაჭმუჭნილ, ჩამოსაცვენად გამზადებულ ფოთლებს.

შორს, სოფლად, აქა-იქ გაბნეულ სახლებში სინათლეები მოჩანდა, რაც, გასაკვირად, გზას უფრო უკაცრიელ შესახედაობას აძლევდა.

მარტოობას არასდროს გრძნობდა, გარდა იმ წამებისა, როცა ბედნიერი იყო. დროდადრო უკან იყურებოდა, ქარხანაზე ჩამოწოლილი დაისის წითელი ელვარება რომ დაენახა. განვლილ ათ წელიწადზე არ ფიქრობდა. დღეს მათგან შემორჩენილი ბუნდოვანი განცდების სახელდება და განსაზღვრა უჭირდა, მხოლოდ და მხოლოდ სიმშვიდესა და დღესასწაულს გრძნობდა. ეს გრძნობა ცხადი ჯამი იყო და მას აღარ უნდა დაეთვალა ნაწილები, რომლებისგანაც ის შედგებოდა. ეს იყო ქარხნის კვლევით ლაბორატორიაში, გავარვარებულ ღუმლებთან გათენებული ღამეები... შინ, თავის კაბინეტში, ფორმულებით გადაჭრელებული ფურცლების კითხვაში გათენებული ღამეები, ფურცლების, რომლებსაც მორიგი წარუმატებლობით სასოწარკვეთილი ანაკუწებდა და ურნაში ყრიდა... დღეები, როდესაც ახალგაზრდა მეცნიერები, ამ საქმეში დასახმარებლად რომ აიყვანა, მოუთმენლად ელოდნენ მის ყოველ

ინსტრუქციას და მზად იყვნენ, ჯარისკაცებივით, ბოლომდე გაჰყოლოდნენ უიმედო ბრძოლაში, საბრძოლოდ შემართულნი, თუმცა უკვე ღონემიხდილნი, თითქოს ჰაერში გამოუთქმელი განაჩენი ეკიდა: „მისტერ რიერდენ, ამის გაკეთება შეუძლებელია...“ მოულოდნელი გასხივოსნების გამო შეწყვეტილი და გადავიწყებული ტრაპეზები, როდესაც ახალი იდეა დაუყოვნებლივ უნდა გადაემოწმებინათ, მოესინჯათ, მრავალი თვის განმავლობაში გამოეცადათ, შემდეგ კი, მორიგი წარუმატებლობის გამო, ისევ უგულებელეყოთ... წამები, რომლებსაც აკლებდა კონფერენციებს, კონტრაქტებს, ქვეყნის საუკეთესო ფოლადსადნობი ქარხნის დირექტორის მოვალეობებს, ჰპარავდა ლამის დამნაშავე ღიმილით, თითქოს საიდუმლო სიყვარულისთვის... ათი წლის მანძილზე ყველაფერი, რასაც აკეთებდა, რასაც ხედავდა, ამ ერთადერთი აზრით იყო გამსჭვალული.

ყოველთვის, — ქალაქის შენობებს უყურებდა, რკინიგზის ლიანდაგს, სინათლეს შორეული სოფლის სახლის განათებულ ფანჯარაში თუ მშვენიერ ქალს, დანით ხელში ხილს რომ ჭრიდა ბანკეტზე, — მის გონებაში ეს აზრი ისადგურებდა; გამუდმებით ლითონის შენადნობზე ფიქრობდა, შენადნობზე, რომელიც თავისი ყველა ნიშან-თვისებით ნებისმიერ შენადნობს აჯობებდა. შენადნობი, რომელიც ფოლადისთვის იგივე იქნებოდა, რაც ფოლადი გახდა რკინისთვის... თვითგვემის წამები, როდესაც უარი უნდა ეთქვა იმედზე ან ნიმუშზე, უფლება არ მიეცა საკუთარი თავისთვის, დაღლილობა ეგრძნო, დრო დაეკარგა ამაზე, დატანჯულიყო დაუკმაყოფილებლობის გრძნობით... წინსვლა, რომლის ერთადერთი მამოძრავებელი იყო რწმენა, რომ შესაძლებელია... და დადგა დღე, როცა ეს მოხდა. და მისი შრომის შედეგს რიერდენ მეტალი ეწოდა. ყოველივე ეს ახლა თეთრ ცეცხლში დნებოდა და ზავდებოდა მის სულში და შენადნობი უცნაურ და მშვიდ განცდად გარდაიქმნებოდა, რომელიც აქეზებდა, გაეღიმა აქ, ქალაქგარეთ, ამ ბნელ გზაზე მიმავალს და გაოცებულიყო, რომ თურმე ბედნიერება შეიძლება გტკიოდეს.

მერე მიხვდა, რომ საკუთარი წარსული თითქოს კონკრეტულ დღეებად დანაწევრებული წარმოუდგა თვალწინ, რათა ხელახლა გადაეხედა მათთვის. არ უნდოდა ეს. მას სძულდა მოგონებები, როგორც საკუთარი სურვილების ყოვლად უმიზნო წაქეზება.

მაგრამ შემდეგ დაასკვნა, რომ წარსული დღეს იმ მეტალის ნაკეთობის პატივსაცემად გადაეშალა, ჯიბეში რომ ედო. და თავს უფლება მისცა, მოგონებებს დანებებოდა.

გაახსენდა, როგორ იდგა კლდის პირას, როგორ მოწვეთავდა ოფლი საფეთქლებიდან ქვემოთ, ყელისკენ. თოთხმეტი წლისას პირველი სამუშაო დღე ჰქონდა მინესოტას შტატის რკინის მაღაროში. ცდილობდა, მკერდში მწვავე ტკივილს გამკლავებოდა. იდგა და საკუთარ თავს ეჩხუბებოდა, რადგან ადრევე გადაეწყვიტა, არ დაღლილიყო. წუთის მერე ისევ სამუშაოს მიუბრუნდა იმ ფიქრით, რომ ტკივილი არ იყო ისეთი სერიოზული მიზეზი, მუშაობა შეეწყვიტა.

გაახსენდა კიდევ ერთი დღე, როცა თავისი კაბინეტის ფანჯარასთან იდგა და გაჰყურებდა იმავე მაღაროს, რომელიც სწორედ იმ დღეს შეიძინა. მაშინ ოცდაათი წლის იყო. რასაც ამ ორ მოვლენას შორის, განვლილი თექვსმეტი წლის მანძილზე, თვითონ აკეთებდა, რიერდენისთვის აღარაფერს ნიშნავდა, როგორც ის ოდინდელი ტკივილი.

მთელი ეს პერიოდი ქვეყნის ჩრდილოეთში სხვადასხვა მაღაროებსა და ფოლადსადნობ ქარხნებში, მეტალურგიულ საწარმოებში მუშაობდა და წინ მიიწევდა

დასახული მიზნისკენ. ერთადერთი, რაც დაამახსოვრდა ყველა იმ ადგილიდან, სადაც უმუშავია, ის იყო, რომ ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა, როგორც ეტყობოდა, არასოდეს არ იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ ცხოვრებაში. თვითონ კი ყოველთვის ყველაფერი მკაფიოდ ჰქონდა წარმოდგენილი. გაახსენდა, როგორ უკვირდა, ამდენი რკინის მადნის მაღარო რომ იხურებოდა გარშემო. ეს მაღაროც მან გადაარჩინა დახურვას, როცა შეიძინა. შორეულ კლდეებს გახედა. მუშები გზის ბოლოს, მაღაროს ჭიშკარზე, ახალ აბრას ამაგრებდნენ: „რიერდენის მაღარო“.

გაიხსენა ერთი საღამო, როცა მაგიდაზე გადაწვა.

გვიანი იყო და თანამშრომლები წავიდნენ. ასე რომ, მარტო დარჩენილს თავისუფლად შეეძლო, მოდუნებულიყო. გადაიღალა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს საკუთარ სხეულთან გაემართა შეჯიბრი. მთელი ამ წლების დაქანცულობა, რომლის აღიარებაც არ სურდა, ერთბაშად მოეძალა და სავარძელს მიასრისა. ვერაფერს გრძნობდა, განძრევის სურვილსაც კი. ღონემიხდილს არაფრის ძალა აღარ შერჩენოდა, აღარც ტანჯვის. თითქოს მთელი შინაგანი ენერგია დაეწვა, რისი დაწვაც შეეძლო. ადამიანი, რომელიც ირგვლივ ნაპერწკლებს აფრქვევდა და გამუდმებით ახალ-ახალ საქმეებს იწყებდა, ახლა იჯდა და მარჩიელობდა, ნეტავი, თუ ვინმე მისცემდა იმ იმპულსს, სწორედ ახლა ასე სასოწარკვეთილად რომ სჭირდებოდა, ახლა, როცა განძრევის ძალაც კი აღარ ჰქონდა. საკუთარ თავს შეეკითხა: ვინ იყო ის, ვინც აამოქმედა და არ აძლევდა უფლებას, გაჩერებულიყო. მერე თავი ასწია. ძალა მოიკრიბა, სხეული დაძაბა, ისე, როგორც არასდროს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ცალი ხელი მაგიდას დააყრდნო, მეორე მოცახცახე ხელი კი სხეულს მიაშველა და მხოლოდ ასე წამოიწია ნელა, წელში გაიმართა.

მსგავსი შეკითხვა საკუთარი თავისთვის აღარასოდეს დაუსვამს. კიდევ ერთი დღეც მოაგონდა, როცა გორაკზე იდგა და აკვირდებოდა პირქუშ პეიზაჟს, გაჩანაგებული, მიტოვებული ფოლადსადნობი ქარხნის გაპარტახებულ ტერიტორიას, რომელიც წინა ღამით შეიძინა. საწარმო გაკოტრდა და დახურეს. და მან ის წინა საღამოს შეიძინა. ძლიერი ქარი უბერავდა, ღრუბლებიდან მზის ერთი-ორმა მქრქალმა სხივმა გამოაღწია და გიგანტურ ამწეკრანებს მოდებული ჟანგის წითელი ლაქები გაანათა, რომლებიც შედედებულ სისხლს წააგავდა. ჩალეწილ ფანჯრებამდე ახორხლილი მინის ნამსხვრევების გორებს ხარბად მოსდებოდა ხასხასა მწვანე სარეველა. შორს, ჭიშკართან, ვიღაცების შავი სილუეტები მოჩანდა. ესენი ოდესღაც აყვავებული ქალაქის ახლა უკვე უბადრუკ ქოხმახებში მცხოვრები უმუშევარი ადამიანები იყვნენ.

ჩუმად იდგნენ და რიერდენის მბზინვარე ავტომანქანას უცქერდნენ ქარხნის შესასვლელთან; მარჩიელობდნენ, გორაკზე მდგარი ადამიანი ნამდვილად ის ჰენრი რიერდენი იყო თუ არა, ვისზეც ხალხი ამდენს ლაპარაკობდა და მართალი იყო თუ არა, რომ ქარხანა კვლავ უნდა ამუშავებულიყო. „პენსილვანიაში ფოლადის წარმოების ისტორიული ციკლი ჩაკვდა, ექსპერტები კი ჰენრი რიერდენის სარისკო წამოწყებას ერთხმად უწინასწარმეტყველებენ ჩავარდნას. თქვენ მალე სენსაციური ჰენრი რიერდენის მოღვაწეობის სენსაციური დასასრულის მომსწრე გახდებით“, — ასე დაწერეს გაზეთში.

ეს ათი წლის წინ იყო. ამღამინდელმა ცივმა ქარმა, სახეში რომ სცემდა, მაშინდელი გაახსენდა. უკან მიიხედა. ქარხნის თავზე მეწამული ათინათი ელვარებდა — სიცოცხლის ნიშანი, აისივით.

ეს მისი გაჩერებები იყო, სადგურები, სადაც ცხოვრების ექსპრესი ჩერდებოდა და შემდეგ გზას განაგრძობდა. მათ შორის, შუალედებში, გარკვევით არაფერი აგონდებოდა. ეს წლები ერთ მთლიან ლაქად გადღაბნილიყო.

რაც მოხდა, — ფიქრობდა რიერდენი, — მთელი ეს ტანჯვა და დაძაბულობა, ღირდა ამ ფასად, რადგან ამან მოაღწევინა დღემდე, იმ დღემდე, როცა რიერდენ მეტალის პირველი შეკვეთა მზადდებოდა, რათა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ლიანდაგებად გადაქცეულიყო.

ჯიბეში ჩადებულ სამაჯურს შეეხო. ეს სამაჯური შენადნობის პირველი პარტიისგან გააკეთებინა თავისი ცოლისთვის. შეეხო თუ არა, მოულოდნელად მიხვდა, რომ გაიფიქრა რაღაც აბსტრაქტულ ქმნილებაზე, რომელსაც სახელად „ცოლი“ ერქვა, და არა იმ ქალზე, რომელზეც იყო დაქორწინებული.

ინანა, სამაჯური რომ დაამზადებინა და იმავე წუთს სინდისის ქენჯნამ შეაწუხა ამ სინანულის გამო. თავი გააქნია. ძველი ეჭვების დრო აღარ იყო. გრძნობდა, რომ ახლა ყველას ყველაფერს აპატიებდა, რადგან ბედნიერება კეთილშობილების წყაროა. სჯეროდა, რომ მისთვის იმ ღამით ყველა სულიერს სიკეთე სურდა. მოუნდა, ვინმე შეხვედროდა, პირველივე უცნობი გამვლელისთვის მიემართა, დამდგარიყო მის წინაშე უიარაღო, წრფელი და ეთქვა: „აჰა, შემომხედე!“

„ადამიანებს ისევე მოენატრათ სიხარული, როგორც მე, თუნდაც წუთიერი განთავისუფლება ნაცრისფერი ტანჯვის მძიმე წნეხისგან, აუხსნელი და ფუჭი ტანჯვის“, — ფიქრობდა რიერდენი. მას არასოდეს ესმოდა, რატომ უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები უბედურები.

ჩაბნელებულმა გზამ შეუმჩნევლად მიაღწია გორაკის წვერამდე. გაჩერდა და უკან მიიხედა. შორს, დასავლეთით, ვიწრო ზოლად მოჩანდა დაისის ელვარება, ბნელი ცის ფონზე კი სიშორის გამო დაპატარავებული ნეონის ასოებით ეწერა: „რიერდენ სთილი“. წელში გაიმართა, თითქოს სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. ოდესღაც ღამით განათებული სხვა დანარჩენი აბრებიც გაიხსენა: „რიერდენის მადანი“, „რიერდენის ქვანახშირის საბადოები“, „რიერდენის ქვის საბადოები“. ფიქრობდა უკან მოტოვებულ დღეებზე და იმაზე, რომ არ იქნებოდა ურიგო, ყველა მათგანის თავზე ნეონის ტაბლო აღმართულიყო წარწერით: „რიერდენის ცხოვრება“.

მკვეთრად მიტრიალდა და გზა განაგრძო. შენიშნა, რომ რაც უფრო უახლოვდებოდა საკუთარ სახლს, უნებლიეთ ნაბიჯს ანელებდა და განწყობა თანდათან ქრებოდა.

ბუნდოვანი სურვილი აღეძრა, სახლში არ შესულიყო, თუმცა არ უნდოდა, ეს ეგრძნო.

„არა“, — გაიფიქრა, — „არა ამ ღამით. დღეს ისინი გამიგებენ“. მაგრამ ის კი არ იცოდა, არც კი დაფიქრებულა, რის გაგებას მოელოდა მათგან.

როცა სახლს მიუახლოვდა, სასტუმრო ოთახში შუქი დაინახა. სახლი თეთრად წამომართულიყო გორაზე. შიშველი გეგონებოდა, გარდა რამდენიმე ფსევდოკოლონიალური სტილის სვეტისა, არაფერი ამკობდა.

დარწმუნებული არ იყო, რომ ცოლმა შეამჩნია, როგორ შევიდა ის სასტუმრო ოთახში. ბუხართან იჯდა და ლაპარაკობდა, თან გრაციოზულად ჟესტიკულირებდა, მეტი გამომხატველობისთვის. წუთით გაჩუმდა და რიერდენს ეგონა, რომ ცოლმა დაინახა, მაგრამ არა — მას არც მოუხედავს, ისე განაგრძო ლაპარაკი:

— „საქმე ის არის, რომ ხელოვან ადამიანს მობეზრებული აქვს წმინდა მატერიალური საზრიანობის მოჩვენებითი საოცრებები. უბრალოდ, წყალგაყვანილობის მილები მას არ აღაფრთოვანებს.

მერე თავი მოატრიალა და როცა გრძელი ოთახის მოპირდაპირე მხარეს რიერდენი დაინახა, ხელები ჭერისკენ აღაპყრო ორი ყელმოღერებული გედივით.

— ო, ჩემო ძვირფასო, — ხალისიანი ხმით დაინტერესდა, — განა ძალიან ადრე არ დაბრუნდი სახლში? ნუთუ რაიმე ზოდი არ მოიძებნა გასაწმენდი ან ფორმები — გასაპრიალებელი?

ყველანი რიერდენისკენ მიბრუნდნენ: დედა, მისი ძმა ფილიპი და პოლ ლარკინი, ოჯახის ძველი მეგობარი.

— მაპატიეთ, — თქვა რიერდენმა, — ვიცი, რომ დავიგვიანე.

— ნუ ბოდიშობ! შეგეძლო, დაგერეკა მაინც, — გაისმა დედამისის ხმა.

რიერდენმა დედას შეხედა და რაღაცის გახსენებას შეეცადა.

— ხომ შეგვპირდი, რომ სადილად მოხვიდოდი.

— ო, დიახ, მართალია, შეგპირდით. მაგრამ დღეს ქარხანაში ჩვენ შენადნობი...

რატომღაც გაჩუმდა, არ იცოდა, რამ შეუშალა ხელი, ეხსენებინა ის ერთადერთი რამ, რის გამოც სახლში მოდიოდა, მხოლოდ დაამატა, — მე უბრალოდ... დამავიწყდა.

— აი, სწორედ ამას გულისხმობდა დედა, — ჩაილაპარაკა ფილიპმა.

— დააცადეთ, გონს მოვიდეს. ჯერაც ბურანშია. ეგ ახლაც ქარხანაშია, — მხიარულად თქვა ცოლმა, — ჰენრი, გაიხადე პალტო ბოლოს და ბოლოს.

პოლ ლარკინი იჯდა და ავადმყოფი ძაღლის ერთგული თვალებით უყურებდა რიერდენს.

— გამარჯობა, პოლ. როდის ჩამოხვედი? — ჰკითხა რიერდენმა.

გამოჩენილი ყურადღების გამო პოლი მადლიერების ღიმილად დაიღვარა:

— ნიუ-იორკის მატარებლით ჩამოვქანდი, 5:35-იანით, — მოხდა რამე?

— ჩვენს დროში ვის არ აქვს პრობლემები?! — თქვა პოლმა და მისმა ღიმილმა რაღაც განყენებული შინაარსი შეიძინა, თითქოსდა იმის ხაზგასასმელად, რომ ეს წმინდა ფილოსოფიური რეპლიკა იყო, — არა, ამჯერად არანაირი განსაკუთრებული უსიამოვნებები. უბრალოდ, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, შემომერბინა და მენახეთ.

რიერდენის ცოლმა გადაიკისკისა:

— პოლ, იმედები გაუცრუე. — მერე ქმრისკენ შეტრიალდა, — ჰენრი, ეს რა, არასრულფასოვნების კომპლექსია თუ განდიდების მანია? გგონია, შენი ნახვა უმიზეზოდ არ მოუნდებათ, ან იქნებ ფიქრობ, რომ შენი დახმარების გარეშე ვერავინ ვერაფერს გააწყობს?

ჰენრის უნდოდა, ბრაზით ეუარა, მაგრამ ცოლმა ისე გაუღიმა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ გაიხუმრა. თან ძალაც აღარ ჰქონდა ორაზროვანი საუბრებისთვის, ამიტომ თავი დაანება. ადგილზე გაქვავებული, ცოლს უყურებდა და თან ცდილობდა, იქნებ როგორმე ახლა მაინც ჩასწვდომოდა იმ რაღაცას, რის გასაგებადაც აქამდე ვერასოდეს მოიცალა.

ლილიან რიერდენს ყველა ულამაზეს ქალად თვლიდა. მაღალი იყო, გრაციოზული აღნაგობის. განსაკუთრებით მაღალწელიანი, ამპირის სტილის კაბები უხდებოდა, რომლებიც ხშირად ეცვა. უნაკლო პროფილი, ნატიფი და ამაყი ნაკვთები, კლასიკურად დავარცხნილი ბრწყინვალე ღია-წაბლისფერი ხვეული თმა მას მკაცრი არისტოკრატი ქალის იერს აძლევდა. მაგრამ როცა ადამიანებს სახით პირისპირ შემოუტრიალდებოდა, ისინი ცოტა არ იყოს, გაწბილებულნი რჩებოდნენ.

ლილიანის სახეს ლამაზი არ ეთქმოდა, განსაკუთრებით მის რაღაცნაირ უფერულ თვალებს — არც მთლად ყავისფერ და არც მთლად ნაცრისფერ, ჩამქრალ და ცარიელ თვალებს. რიერდენს ყოველთვის უკვირდა, რატომ ჰქონდა მის ცოლს ყოველთვის მუდამ ასეთი უსიხარულო გამოხედვა, როცა ჩვეულებრივ, ხშირად და ბევრს იცინოდა ხოლმე.

— ძვირფასო, ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, თუმცა, მგონი, შენ დარწმუნებული არ ხარ ამაში, — უთხრა ცოლმა მისი დაჟინებული მზერის პასუხად.

— ჰენრი, დღეს ისადილე მაინც? — ჰკითხა დედამისმა, ისეთი საყვედურითა და გაღიზიანებული ტონით, თითქოს მისი პირადი შეურაცხყოფა იყო, შვილს რომ შიოდა.

— კი... არა... არ მშიოდა.

— ვეტყვი, რომ მოგიტანონ...

— არა, დედა, ახლა არა. არ არის სასწრაფო.

— აი, ამიტომ მიჭირს შენთან ურთიერთობა! აზრი არ აქვს შენზე ზრუნვას, მაინც არ აფასებ, ვერა და ვერ გასწავლე ნორმალურად კვება! — უთხრა დედამისმა ისე, რომ ჰენრისთვის არ შეუხედავს, თითქოს სივრცეს მიმართავდა.

— ჰენრი, ძალიან ბევრს მუშაობ! — გამოაცხადა ფილიპმა, — ასე არ შეიძლება.

რიერდენს გაეცინა:

— მე კი მომწონს!

— უბრალოდ, თავს შთააგონებ, რომ მოგწონს. სინამდვილეში, რაღაც ნერვიული აშლილობა გაქვს. როცა ადამიანი თავით ფეხამდე ეფლობა სამუშაოში, ესე იგი, უნდა, რაღაცას გაექცეს. რაიმე ჰობი უნდა გაიჩინო.

— თუ ღმერთი გწამს, ფილ, მორჩი! — წასცდა რიერდენს და მაშინვე ინანა გაღიზიანებული ტონი.

მტკიცე ჯანმრთელობით ფილიპი ვერასდროს დაიკვეხნიდა, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა მის აწონილ და უსუსურ სხეულში სერიოზულ დეფექტს ვერ მიაკვლიეს. ოცდათვრამეტი წლის იყო, მაგრამ ქრონიკულად დაღლილი გამომეტყველების გამო ხანდახან თავის ძმაზე უფროსს ჰგავდა.

— გართობა უნდა ისწავლო, — განაგრძობდა ფილიპი, — თორემ მოსაწყენი და უჟმური ადამიანი გახდები. ჩაიკეტები. უნდა გამოხვიდე საკუთარი ნიჟარიდან და სამყაროს სხვა თვალით შეხედო. ცხოვრების წესი უნდა შეიცვალო, იმედია, არ გინდა, სიცოცხლე თვალსა და ხელს შუა გაგიფრინდეს.

რიერდენი შეეცადა, ბრაზი დაეთრგუნა და თავი დაერწმუნებინა, რომ ფილიპს ასეთი ფორმით სჩვეოდა ზრუნვის გამოხატვა, რომ უსამართლობა იქნებოდა ახლობლებზე გაბრაზება: ისინი ხომ, ყველანი, ცდილობდნენ, მასზე ეზრუნათ, ოღონდ დასანანი იყო, რომ ამისთვის ასეთი უსიამოვნო ფორმა აირჩიეს.

— დღეს საკმაოდ საინტერესოდ გავატარე დრო, ფილ. — უთხრა ღიმილით და გულში წყენამ გაჰკრა, რომ ფილიპი არც კი დაინტერესდა, რას გულისხმობდა.

უნდოდა, რომელიმეს მაინც ეკითხა მიზეზი. უჭირდა შეგრძნებების სიტყვებად ქცევა. ლითონის თეთრი წვრილი ნაკადი ახლაც თვალწინ ედგა და მთელი მისი ცნობიერება მოეცვა, სხვა რამეზე ფიქრი არ შეეძლო.

— შეგეძლო, მოგებოდიშებინა, მაგრამ კარგად გიცნობ და ამის იმედი არც მქონდა.

ეს დედამისი იყო. რიერდენი მიტრიალდა, დედა უმწეოდ შეჰყურებდა, უფლებააყრილი არსების შეურაცხყოფილი თვინიერებით:

— დღეს ჩვენთან ვახშმად მისის ბიჩემი იყო, — თქვა მან საყვედურით.

— ვინ?

— მისის ბიჩემი, ჩემი მეგობარი.

— მართლა?

— მე გიყვებოდი მის შესახებ, ბევრჯერ მომიყოლია, თუმცა, შენ არაფერს იმახსოვრებ, მე რასაც გიყვები. ისე უნდოდა შენი გაცნობა, მაგრამ ვახშმის მერე მალე უნდა წასულიყო. ვერ დაგელოდებოდა. მისის ბიჩემი ძალიან დაკავებული ადამიანია. იმდენი რამ ჰქონდა შენთვის საამბობი იმ შესანიშნავ საქმეებზე, ჩვენს სამრევლო სკოლაში რომ ვაკეთებთ, ლითონზე მუშაობის გაკვეთილებზე და გასაოცარ კარების სახელურებზე, რომლებსაც ღატაკი ბავშვები თავიანთი ხელით აკეთებენ.

რიერდენმა ძლივს მოთოკა ნერვები, რომ დედამისისთვის მშვიდად ეპასუხა:

— მაპატიე, დედა, ძალიან ვწუხვარ, თუ იმედი გაგიცრუე.

— შენ არ წუხხარ. მშვენივრად შეგეძლო, დროულად მოსულიყავი, რომ გდომებოდა. მაგრამ ვისთვის რა გაგიკეთებია, საკუთარი თავის გარდა? შენ არც ერთი ჩვენგანი არ გაინტერესებს, არც ის გაინტერესებს, რას ვაკეთებთ. გგონია, რაკი ჩვენს ხარჯებს ფარავ, ეს საკმარისია, არა? ფული! მარტო ეს გაინტერესებს! და რასაც შენ გვაძლევ, მხოლოდ ფულია. ოდესმე დაგითმია ჩვენთვის დრო?

„თუ ეს სიტყვები ნიშნავს, რომ დედაჩემს ვენატრები“, — ფიქრობდა რიერდენი, — „ესე იგი, მისთვის ძვირფასი ვარ, და თუ ასეა, მაშინ უფლება არ მაქვს, შევეწინააღმდეგო იმ მძიმე, ბნელ გრძნობას, რომელიც მაიძულებს, გავჩუმდე — ხმით რომ არ გავთქვა ის, რასაც, ჩვეულებრივ, წყენას ეძახიან“.

— შენ არ გენაღვლებით, — აგრძელებდა მუდარანარევი გესლიანი ხმით დედამისი, — დღეს ლილიანი ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე უნდა დაგლაპარაკებოდა, მაგრამ ვუთხარი, რომ ლოდინს აზრი არ ჰქონდა.

— ოჰ, დედა, აბა, რა მნიშვნელოვანი ეს არის, ყოველ შემთხვევაში, ჰენრისთვის, — უთხრა ლილიანმა.

ჰენრი მისკენ მიბრუნდა. ჯერაც შუა ოთახში იდგა, ლაბადა არც კი გაუხდია, თითქოს არარეალურ სამყაროში აღმოჩნდა, რომელსაც არა და არ სურდა, რეალობად ქცეულიყო.

— საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი, — მხიარულად თქვა ლილიანმა. ჰენრის ვერ გაეგო, რა ტონით ითქვა ეს სიტყვები, მობოდიშების ტონით თუ თვითკმაყოფილებით, — ეს ხომ ბიზნესს არ უკავშირდება. ჩემი საქმისგან კომერციული ხეირი არ არის.

— და რა არის ასეთი?

— წვეულების მოწყობა მინდა უბრალოდ.

— წვეულების?

— კარგი რა, ნუ შეშინდი, ძვირფასო! ეს ხვალ საღამოს კი არ მოხდება! ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ხარ, მაგრამ სამი თვის მერე მინდა, წვეულება გავმართო ერთი მნიშვნელოვანი და სრულიად განსაკუთრებული მიზეზით და მინდა, ეს დიდი და განსაკუთრებული დღე იყოს. ამიტომ დამპირდი, რომ იმ საღამოს სახლში იქნები და არა სადმე მინესოტაში, კოლორადოში ან კალიფორნიაში!

ლილიანი უცნაურად უყურებდა ქმარს, მისი სიტყვები თან თითქოს მეტისმეტად ძალდაუტანებლად ჟღერდა, თანაც მეტისმეტად მიზანდასახულად; უმანკო ღიმილის მიღმა კი რაღაც მზაკვრული იმალებოდა.

— ზუსტად სამ თვეში? მაგრამ, ხომ იცი, რომ ყოველთვის მოსალოდნელია. გამოჩნდეს გადაუდებელი საქმე და ქალაქიდან წასვლა მომიწიოს.

— ო, რასაკვირველია, ვიცი, მაგრამ ნუთუ არ შემიძლია, საქმიანი შეხვედრა დაგინიშნო, როგორც, მაგალითად, რკინიგზის ჩინიანმა მოხელემ ან ავტომანქანების მწარმოებელმა, ან როგორც ჯართის შემგროვებელმა? ამბობენ, საქმიანი შეხვედრები არ გავიწყდება ხოლმე. რა თქმა უნდა, გთავაზობ, თვითონ შეარჩიო შენთვის მოსახერხებელი დღე. — ლილიანმა შუბლს ქვემოდან ახედა ერთგვარი კეკლუცობით, და ისევ რაღაც გადამეტებული უშუალობით და სიფრთხილით ჰკითხა:

— მე ათ დეკემბერზე ვფიქრობ, მაგრამ შენ იქნებ ცხრა ან თერთმეტი დეკემბერი გირჩევნია?

— ჩემთვის სულერთია.

— ათი დეკემბერი ჩვენი ქორწინების დღეა, ჰენრი, — აკურატულად შეახსენა ლილიანმა.

ახლა უკვე ყველა ჰენრის შეჰყურებდა სახეში. მაგრამ დანაშაულის ნიშნებს ეძებდნენ და, სანაცვლოდ მხოლოდ დაბნეული, მკრთალი ღიმილი შერჩათ. „არა, ლილიანი ვერ შემიტყუებს ხაფანგში, თავის დახსნა ხომ ისეთი იოლია“, — ფიქრობდა რიერდენი, — „სულაც არ მომეთხოვება მობოდიშება ჩემი გულმავიწყობის გამო. თანაც, შემიძლია, წვეულებაზეც უარი ვთქვა“. ლილიანმა იცოდა, რომ ერთადერთი იარაღი ებადა — რიერდენის გრძნობა მისდამი. ალბათ უნდოდა, ირიბად, ისე, რომ თავმოყვარეობა რომ არ შელახვოდა, ქმრის გრძნობები შეემოწმებინა და საკუთარი ეღიარებინა. წვეულებას რიერდენი დღესასწაულად არ თვლიდა, მაგრამ ლილიანი ამგვარ მოვლენებზე სხვა აზრის იყო. რიერდენისთვის მსგავსი ღონისძიებები არაფერს ნიშნავდა, ლილიანის თვალსაზრისით კი ეს უდიდესი საჩუქარი იყო, რომელიც შეიძლებოდა, ქმრისთვის და მათი ქორწინებისთვის მიეძღვნა. პატივი უნდა ეცა ცოლის ახირებისთვის, მიუხედავად იმისა, შეესატყვისებოდა თუ არა მისი შეხედულებები რიერდენის ნორმებს, და კიდევ იმიტომაც, რომ დარწმუნებული არ იყო, ჯერ კიდევ აინტერესებდა თუ არა ცოლის მხრიდან რაიმენაირი ყურადღება — ლილიანს სრული უფლება ჰქონდა, მიეღო, რაც სურდა. ალალად და მეგობრულად გაუღიმა ცოლს, აგრძნობინა, რომ გაიმარჯვა:

— კარგი, ლილიან, გპირდები, რომ ათ დეკემბერს საღამოს სახლში ვიქნები, — უთხრა ხმადაბლა.

— გმადლობ, ძვირფასო, — ლილიანის უცნაური ღიმილის მიღმა რაღაც საიდუმლო იმალებოდა; და გაოცებულ რიერდენს წამით მოეჩვენა, თითქოს თავისი პასუხით იქ მყოფებს იმედები გაუცრუა.

„თუ ლილიანი მენდობა“, — ფიქრობდა რიერდენი, — „ესე იგი, მისი ჩემდამი გრძნობა ისევ ცოცხალია, შესაბამისად, უფლება არ მაქვს, გავაწბილო“. ეს სიტყვები უსათუოდ უნდა წარმოეთქვა, რადგან ისინი, ლინზის მსგავსად, აზრების ფოკუსირებაში ეხმარებოდნენ. სხვა სიტყვები კი იმ საღამოს რიერდენს უბრალოდ არ ებადა:

— ლილიან, მაპატიე, რომ დავაგვიანე, მაგრამ დღეს ქარხანაში რიერდენის ლითონის პირველი შენადნობი ჩამოვასხით.

პაუზა ჩამოწვა. შემდეგ ფილიპმა წარმოთქვა:

— მართლა? სასიამოვნოა.

სხვები დუმდნენ.

რიერდენმა ხელი ჯიბისკენ წაიღო. შეეხო თუ არა თითებით სამაჯურს, ნაცნობმა შეგრძნებამ თითქოს მყისვე გამოდევნა ყველაფერი ამქვეყნად მისი გონებიდან. ისეთივე განცდა დაეუფლა, როგორიც მაშინ, დამდნარი ლითონის შემყურეს.

— ლილიან, საჩუქარი მოგიტანე.

როცა ცოლს მეტალის ჯაჭვს მუხლებზე უდებდა, აზრად არ მოსვლია, თუ საგანგებოდ წელში გაიმართა, და თუ მისი ჟესტი ომიდან დაბრუნებული ჯვაროსნის მიერ ნაალაფარის მიძღვნას ჰგავდა საყვარელი ადამიანისთვის.

ლილიან რიერდენმა სამაჯური აიღო, ორ თითზე წამოიცვა, მაღლა ასწია და სინათლეზე გახედა. მძიმე, ტლანქად ნაკეთ რგოლებს უცნაური მოცისფრო-მწვანე ტონი დაჰკრავდა.

— ეს რა არის?

— პირველი ნივთი, რომელიც რიერდენის ლითონის პირველი შენადნობიდან დამზადდა.

— გინდა თქვა, რომ იგივე ფასი აქვს, რაც სარკინიგზო რელსის ნაკუწს?

რიერდენმა დაბნეულად შეხედა მას.

ლილიანმა სინათლეზე მოციალე სამაჯური გააწკარუნა.

— იცი, ჰენრი, ეს გასაოცარი იდეაა! გასაოცარი და ორიგინალური! ფურორს მოვახდენ, როცა ნიუ-იორკში გამოვჩნდები სამკაულით, იმავე მასალით რომ არის დამზადებული, რომლითაც ხიდების საყრდენი, მანქანების ძრავა, სამზარეულოს ქურები, საბეჭდი მანქანები, და კიდევ, — რას ამბობდი გუშინ, ძვირფასო?.. — აჰ, ჰო, წვნიანის ქვაბები!

— ღმერთო ჩემო, ჰენრი! რა პატივმოყვარე ხარ! — უთხრა ფილიპმა.

— უბრალოდ, სენტიმენტალურია, როგორც ყველა მამაკაცი. გმადლობ, ჰენრი, ძვირფასო, ვაფასებ! საჩუქარს კი არა, განზრახვას, — გაიცინა ლილიანმა.

— მე თუ მკითხავ, წმინდა წყლის ეგოიზმია და მეტი არაფერი, — ჩაერთო საუბარში რიერდენის დედა, — სხვა მამაკაცი შენ ადგილას, თუ საჩუქრის ჩუქება უნდოდა, ბრილიანტის სამაჯურს მოართმევდა მეუღლეს, მისთვის რომ ესიამოვნებინა, და არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის. მაგრამ ჰენრის აზრით, რაკი მან მორიგი სათუნუქე მასალა გამოიგონა, ის ყველასთვის ალმასზე ძვირფასი უნდა გახდეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მან შექმნა! ხუთი წლის ასაკიდან ასეთი იყო და, რასაკვირველია, ეჭვი არ შემპარვია, რომ ამქვეყნად ყველაზე ეგოისტი მამაკაცი გაიზრდებოდა.

— არა, საყვარელი სამაჯურია, — თქვა ლილიანმა, — პირდაპირ მომხიბვლელია.

მან სამკაული მაგიდაზე დააგდო, წამოდგა, ხელები რიერდენს მხრებზე დააწყო, ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა:

— გმადლობ, ძვირფასო.

ჰენრი არ განძრეულა. არც თავი დაუხრია ალერსის პასუხად. ცოტა შეიცადა, მერე ლაბადა გაიხადა და ბუხართან ჩამოჯდა, სხვებისგან მოშორებით. ვერაფერს გრძნობდა, მხოლოდ უზომო დაღლილობას.

დანარჩენების ლაპარაკს არ უსმენდა, დროდადრო ლილიანის ხმა ესმოდა, ხვდებოდა, რომ ის დედამთილს ეკამათებოდა ქმრის დასაცავად.

— ჰენრის შენზე უკეთ ვიცნობ, — ამბობდა დედამისი, — ჰენკ რიერდენს არავინ და არაფერი არ აინტერესებს, თუ რაიმენაირად თვითონ და მის საქმეს არ ეხება. მას მხოლოდ თავისი სამუშაო აინტერესებს. მთელი ცხოვრება ვცდილობდი, როგორმე მომეთვინიერებინა, მაგრამ უშედეგოდ...

რიერდენმა დედას განუზომელი საშუალებები შესთავაზა — შეეძლო, იქ ეცხოვრა, სადაც მოესურვებოდა და ისე, როგორც ესიამოვნებოდა. უკვირდა, რომ დედამისმა მაინცდამაინც მასთან ერთად ცხოვრება დაიჟინა. ვარაუდობდა, რომ შვილის წარმატება რაღაცას ნიშნავდა მისთვის და ეს რამდენადმე აკავშირებდა მათ. სხვა რაიმე კავშირს რიერდენი არ აღიარებდა. თუ დედას სურდა წარმატებულ შვილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, ამ უფლებაზე ჰენრი უარს არ ეტყოდა.

— აზრი არ აქვს ჰენრისგან წმინდანის შექმნას, დედა. ის ამ როლისთვის არ არის მოწოდებული. — თქვა ფილიპმა.

— ცდები, ფილიპ, ოჰ, როგორ ცდები! — გაეპასუხა ლილიანი, — ჰენრის წმინდანის ყველა მონაცემი აქვს. უბედურებაც ეგ არის.

„რა უნდათ ჩემგან?..“ — ფიქრობდა ჰენრი, — „რისი მიღწევა სურთ?“ არც ერთი მათგანისთვის არასდროს არაფერი მოუთხოვია... პირიქით, მისგან ითხოვდნენ სულ რაღაცას, გამუდმებით რაღაც პრეტენზიები ჰქონდათ, თანაც, ეს პრეტენზიები სიყვარულივით გამოიყურებოდა, ეს კი გაცილებით უფრო ძნელი ასატანი იყო მისთვის, ვიდრე სიძულვილის ნებისმიერი სახესხვაობა. უმიზეზო სიყვარული რიერდენს ისევე სძულდა, როგორც დაუმსახურებელი სიმდიდრე. რომელიღაც დაუდგენელი მიზეზით, ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს, ჰყვარებოდათ ჰენრი და არც კი უცდიათ, მიმხვდარიყვნენ, რის გამო სურდა მას, ის ჰყვარებოდათ. სცოდნოდა მაინც, ნეტავი, რა რეაქციას ელოდნენ ამგვარი დამოკიდებულების პასუხად, თუკი ცხადია, საერთოდ სჭირდებოდათ მისი რეაქცია; „არადა, სჭირდებათ“, — გაიფიქრა რიერდენმა, — „ისე, საინტერესო კია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა საჭიროა ეს გაუთავებელი საყვედურები ჩემი მისამართით, ან ეს გამუდმებული ბრალდებები, ქრონიკულად ეჭვიანი გარემო, თითქოს მოსწონთ კიდეც, თუ დაჩაგრულად იგრძნობენ თავს“. ჰენრის არასდროს ნდომებია რომელიმე მათგანისთვის ტკივილის მიყენება, თუმცა მაინც მუდმივად გრძნობდა მათ შიშნარევ საყვედურს. თითქოს მის მიერ ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა გულზე ხვდებოდათ; არადა, არც სიტყვები და არც საქციელი არაფერ შუაში არ იყო. გამოდიოდა, რომ...

გამოდიოდა, თითქოს თვითონ მისი არსებობა უშლიდათ ნერვებს. „ნუ იგონებ რაღაც სისულელეებს!“ — შეუძახა საკუთარ თავს, როდესაც ცდილობდა, ამ თავსატეხისთვის მისთვის დამახასიათებელი სასტიკი სამართლიანობის კრიტერიუმები მიესადაგებინა. უფლება არ ჰქონდა, განესაჯა თავისი ახლობლები, ვიდრე არ გაუგებდა; მათი გაგება კი არ შეეძლო.

მოსწონს კი ისინი? არა. — გაიფიქრა. ისინი უნდა შეეყვარებინა, რაც სულაც არ არის ერთი და იგივე. რიერდენს მათი შეყვარება სურდა რომელიღაც არაფორმულირებული პოტენციალის გამო, რომელსაც ოდესღაც ყველა ადამიანში ეძებდა. ახლა ამ ხალხის მიმართ აბსოლუტური სიცარიელის, გულგრილობის გარდა, ვერაფერს გრძნობდა... გულიც კი არ წყდებოდა დანაკარგის გამო. იქნებ, არც სჭირდებოდა, ვინმე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო? იქნებ, აღარც უნდოდა განეცადა სასურველი გრძნობა? „არა“, — გაიფიქრა რიერდენმა. ოდესმე თუ ენატრებოდა ეს გრძნობა? „დიახ“, — დაასკვნა მან, — „ახალგაზრდობაში, მაგრამ ახლა არა“. დაღლილობის შეგრძნება გაუძლიერდა. მიხვდა, რომ მოწყენილობის გამო.

თუმცა ეს არ უნდა შემჩნეოდა. ვალდებული იყო, თავაზიანობა გამოეჩინა ამ ადამიანების მიმართ, — ფიქრობდა რიერდენი, რომელიც მოუხერხებლად იჯდა და ცდილობდა, უკვე ფიზიკურ ტკივილში გადაზრდილ ძილის სურვილს გამკლავებოდა.

თვალები ეხუჭებოდა, როცა ფაფუკი, ნოტიო თითების შეხება იგრძნო ხელზე. ეს პოლ ლარკინი იყო, რომელმაც სავარძელი მისკენ მიაჩოჩა და კერძო საუბრისთვის გაემზადა:

— ჩემთვის სულერთია, რას ამბობენ ამ თემაზე დარგის წარმომადგენლები, ჰენკ, რიერდენ მეტალი დიდებული პროდუქტია! და სიმდიდრესაც მოგიტანს, ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც ეხები.

— ჰო, მომიტანს, — დაეთანხმა რიერდენი.

— უბრალოდ... უბრალოდ, იმედი მაქვს, რომ უსიამოვნებებში არ გაგხვევს.

— რა უსიამოვნებებში?

— აბა, რა გითხრა... ხომ იცი, რა დროშიც ვცხოვრობთ... არიან ადამიანები, რომლებიც... როგორ გითხრა... ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

— რა უნდა მოხდეს?

ლარკინი მოკუნტული იჯდა და ჰენრის მავედრებელი, ალერსიანი თვალებით ასცქეროდა ქვემოდან. მისი მოკლე, მსუქანი ტანი რაღაცნაირი დაუცველი და დაუსრულებელი ჩანდა, თითქოს ნიჟარა აკლდა, რაიმე საფრთხის მოახლოებისთანავე შიგ რომ შეყუჟულიყო. ამ ნიჟარას ნაღვლიანი თვალები და დაბნეული, უმწეო, მავედრებელი ღიმილი უცვლიდა. ეს გულის ამაჩუყებელი ღიმილი უსასრულო სამყაროს სამოწყალოდ მინდობილ ბიჭუნას უფრო მოუხდებოდა. პოლი ორმოცდაცამეტი წლის იყო.

— რეკლამა არ გივარგა, ჰენკ, პრესაში ერთი კეთილი სიტყვა არ დაწერილა შენზე.

— და რა მერე?

— შენ პოპულარული არ ხარ, ჰენკ.

— ჩემს კლიენტებს ერთხელაც არ დასცდენიათ საყვედური.

— მაგას არ ვგულისხმობ. კარგი პიარაგენტი უნდა აიყვანო, რომელიც შენს თავს კარგად „მიჰყიდის“ პუბლიკას.

— რისთვის? მე ფოლადს ვყიდი.

— გინდა, რომ საზოგადოება აგიმხედრდეს? საზოგადოებრივი აზრი სახუმარო რამე არაა, ჰენკ.

— არ მგონია, საზოგადოება ჩემ წინააღმდეგ იყოს განწყობილი. და არც ის მგონია, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ვუყვარვარ ვინმეს თუ არა.

— გაზეთებიც გიპირისპირდებიან.

— ისინი მოცლილები არიან, ჩემგან განსხვავებით.

— ეს არ მომწონს, ჰენკ, ეს არაა კარგი.

— რა?

— რასაც შენზე წერენ.

— და რას წერენ?

— თვითონაც კარგად იცი — რომ ჯიუტი ხარ, დაუნდობელი, რომ ერთპიროვნულად მართავ შენს ქარხნებს; რომ შენი ერთადერთი მიზანი ფოლადის და ფულის კეთებაა.

— და მართლა ეგ არის ჩემი მიზანი!

— მაგრამ ამაზე არ უნდა ლაპარაკობდე.

— და რატომ? აბა, რაზე უნდა ვილაპარაკო?

— არ ვიცი... მაგრამ შენი ქარხნები...

— ხომ ჩემი ქარხნებია, რა, ასე არ არის?

— დიახ, მაგრამ... არ არის საჭირო, ხალხს ყოველ წუთს მეტისმეტად ხმამაღლა შეახსენო ეს ამბავი... ხომ იცი, როგორი დროა... ისინი ფიქრობენ, რომ შენი დამოკიდებულება ანტისოციალურია.

— საერთოდ არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ ისინი.

პოლ ლარკინმა ხმით ამოისუნთქა.

— რა ხდება, პოლ, რის მინიშნებას ცდილობ?

— არაფრის... არაფრის კონკრეტულად, უბრალოდ, წინასწარ ვერავინ იტყვის, რა შეიძლება მოხდეს ჩვენს დროში. სიფრთხილეა საჭირო.

რიერდენს ჩაეცინა:

— შენ რა, ცდილობ, ჩემზე იზრუნო?

— უბრალოდ, მე შენი მეგობარი ვარ, ჰენკ, შენი მეგობარი. იცი, როგორი აღფრთოვანებული ვარ შენით.

პოლ ლარკინს არასოდეს უმართლებდა ცხოვრებაში. რასაც არ უნდა შესჭიდებოდა, ყველაფერს უღიმღამოდ აკეთებდა — არც ბოლომდე მარცხდებოდა, მაგრამ ვერც წარმატებას აღწევდა. ბიზნესმენი იყო, მაგრამ დიდხანს ვერც ერთ სფეროში ვერ მოიკიდა ფეხი. ახლა მას მცირე ქარხანა ჰქონდა, რომელიც მაღაროსთვის საჭირო აღჭურვილობას ამზადებდა.

რიერდენს უბრალოდ აღმერთებდა და უკვე მრავალი წლის წინ მიეტმასნა. რჩევისთვის აკითხავდა ხოლმე, ხანდახან, იშვიათად, მცირე თანხებს სესხულობდა.

ვალს, — მართალია, ზოგჯერ დაგვიანებით, — მაგრამ ყოველთვის აბრუნებდა. ეტყობოდა, ლარკინის დაჟინებულ სწრაფვას, ჰენრისთან ემეგობრა, ასაზრდოებდა ანემიური პერსონებისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილება, სასიცოცხლო ძალებით აღსავსე ადამიანთან უშუალო კონტაქტისას მისი ენერგიით დამუხტულიყო. ჰენრი კი სწორედ ასეთი ადამიანი იყო.

ჰენრის ლარკინის მცდელობები ჭიანჭველას წვალებას მოაგონებდა, რომელიც წელში გაეწყვიტა ტვირთის სიმძიმეს. რა რთული იყო ეს ყველაფერი ლარკინისთვის და რა ადვილი — მისთვის, — ფიქრობდა რიერდენი... ამიტომაც ყოველთვის ეხმარებოდა მეგობარს რჩევებით, და როცა ეცალა, ყურადღებას და ტაქტიან მოთმინებას იჩენდა მისი საქმეების მიმართ.

— შენი მეგობარი ვარ, ჰენკ!

რიერდენმა გაკვირვებით შეხედა. ლარკინი კი გატრიალდა, თითქოს რაღაცაზე დაფიქრდა და ცოტა ხნის მერე ფრთხილად ჰკითხა:

— როგორ მისდის შენს კაცს საქმეები ვაშინგტონში?

— მე მგონი, კარგად.

— ამაში დარწმუნებული უნდა იყო, ეს მნიშვნელოვანია, — ლარკინმა შეხედა რიერდენს, მერე კი ხაზგასმული დაჟინებით გაუმეორა, თითქოს რთული მორალური მოვალეობის მოხდა უწევდა, — ძალიან მნიშვნელოვანი, ჰენკ.

— ჰო, მეც მასე მგონია.

— საერთოდაც, აქ ამის სათქმელად ჩამოვედი.

— რაიმე განსაკუთრებული მოხდა?

ლარკინი დაფიქრდა, გადაწყვიტა, რომ ვალი უკვე მოხდილი ჰქონდა და უპასუხა:

— არა.

რიერდენს არ სიამოვნებდა ამ თემაზე საუბარი. ესმოდა, რომ ვინმეს უნდა დაეცვა მისი ინტერესები საკანონმდებლო ორგანოში. ყველა მეწარმე იძულებული იყო, ასეთი ხალხი შეენახა. მაგრამ თვითონ არასოდეს უთმობდა განსაკუთრებულ

ყურადღებას თავისი საქმიანობის ამ მხარეს. ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, თუ ეს ასეთი აუცილებელი იყო. ყოველთვის, როდესაც დაუფიქრდებოდა, რომ ვიღაც ფულის სანაცვლოდ მისი კომპანიის საქმეებს ლობირებდა, რაღაცნაირი სიძულვილი ეძალებოდა, რომელშიც მოწყენილობა და ზიზღი ერთმანეთს შერწყმოდა.

— სამწუხაროდ, პოლ, მასეთი საქმისთვის ბინძური ადამიანების არჩევა გიწევს!

— რას იზამ! ასეთია ცხოვრება.

— ჯანდაბა! ვერ ვხვდები, რატომ, რა სჭირს სამყაროს?

ლარკინმა სევდიანად აიწურა მხრები:

— რატომ სვამ შეკითხვებს, რომლებზედაც პასუხები არ არსებობს? რამდენად ღრმაა ოკეანე? რამდენად მაღალია ცა? ვინ არის ჯონ გოლტი?

რიერდენი სავარძელში შესწორდა:

— არა, — თქვა მოჭრით, — მასე ფიქრი არ შეიძლება.

რიერდენი წამოდგა. დაღლილობამ მაშინვე გადაუარა, როგორც კი საქმეზე წამოიწყეს ლაპარაკი. ძალების უეცარი მოზღვავება იგრძნო, ძლიერი სურვილი, კვლავ დაებრუნებინა და დაემკვიდრებინა სამყაროზე საკუთარი შეხედულება, რომელიც დღეს გზად, შინისკენ მომავალმა შეიგრძნო და რომელსაც ახლა რაღაც აუხსნელი და გაუგებარი ემუქრებოდა.

წინ და უკან დააბიჯებდა ოთახში, ენერგიით აივსო. ოჯახის წევრებს გახედა:

უვარგისი, საბრალო ბავშვები, დედამისიც კი. სისულელეა, ბრაზობდე მათ მოუსაზრებლობაზე, — ეუბნებოდა საკუთარ თავს, — ეს ხომ უმწეობის შედეგია და არა ბოროტი განზრახვის. სწორედ მან უნდა ისწავლოს საკუთარი ახლობლების გაგება, სწორედ მას შეუძლია, გაუზიაროს მათ თავისი სიხარული და უსაზღვრო ძალა, რომელიც თვითონ არასოდეს შეუგრძვნიათ.

ოთახის საპირისპირო მხარეს გაიხედა. დედამისი და ფილიპი გატაცებით მსჯელობდნენ რაღაცაზე. თუმცა რაღაც არაბუნებრივიც შენიშნა — თითქოს აღელვებულებს უფრო ჰგავდნენ.

ფილიპი დაბალ სავარძელში იჯდა, გამობზეკილი მუცლით, მოკუნტული, გეგონებოდა, თავისი საცოდავი პოზის გამო იქ მყოფების დასჯას ცდილობდა.

— მოხდა რამე, ფილ? დაღლილი ჩანხარ. — უთხრა რიერდენმა, როდესაც ძმას მიუახლოვდა.

— მძიმე დღე მქონდა, — უპასუხა დაღვრემით.

— მარტო შენ არ მუშაობ ბევრს ამქვეყნად! — ჩაერთო საუბარში საუბარში დედა, — სხვებსაც აქვთ პრობლემები, მერე რა, რომ ეს ტრანს—, სუპერკონტინენტური მილიონდოლარიანი პრობლემები არ არის, როგორც შენი!

— ძალიანაც კარგი, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ფილს სათავისო საქმე უნდა ეპოვა.

— ძალიან კარგი? ესე იგი, მოგწონს, შენი ძმა როგორ წყდება წელში მუშაობით?

ალბათ ეს გახალისებს კიდევაც, არა?

— აბა, რას ამბობ, დედა? სიხარულით დავეხმარები.

— არაა საჭირო, სულაც არ გევალება, თანაგვიგრძნობდე.

რიერდენმა ხეირიანად არც იცოდა, რითი იყო მისი ძმა დაკავებული ან რისი კეთება სურდა ცხოვრებაში. კოლეჯშიც თვითონ გაგზავნა, თუმცა ფილიპმა მაინც ვერ მიაგნო თავის მოწოდებას. რიერდენის აზრით, შემაშფოთებელი იყო, თუ მამაკაცი მაღალანაზღაურებადი სამუშაოსკენ არ მიისწრაფოდა, მაგრამ არ უნდოდა, ფილიპისთვის საკუთარი წესები მოეხვია თავზე. თავისუფლად შეეძლო, ერჩინა ძმა

და არაფერში შეეზღუდა; იცხოვროს, როგორც უნდა, — ფიქრობდა რიერდენი, — იქნებ, რაიმე შანსი გამოუჩნდეს და სასურველ საქმეს მოეკიდოს, არსებობისთვის კი არ იბრძოლოს.

— დღეს რას აკეთებდი, ფილ? — მოთმინებით ჰკითხა ძმას.

— შენ ეს არ დაგაინტერესებს.

— დამაინტერესებს, ამიტომაც გეკითხები.

— დილიდან ენაგადმოგდებული დავრბოდი მთელ ქალაქში, რედინგიდან უილმინგტონამდე, ოც კაცს მაინც შევხვდი...

— რა მიზნით შეხვდი მაგ ხალხს?

— თანხის შეგროვებას ვცდილობ ორგანიზაციისთვის „გლობალური პროგრესის მეგობრები“.

რიერდენი ვერასდროს იმახსოვრებდა ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომლებთანაც მისი ძმა პერიოდულად თანამშრომლობდა, და ვერც ამ ორგანიზაციების საქმიანობებს. ბოლო რამდენიმე თვე იყო, ფილიპი დროდადრო ვიღაც „პროგრესის მეგობრებს“ ახსენებდა ხოლმე. თუ რაიმე არ ეშლებოდა, ეს ორგანიზაცია უფასო ლექციებს აწყობდა ფსიქოლოგიის, ფოლკლორისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. რიერდენს ყოველთვის ეცინებოდა მსგავსი ტიპის დაწესებულებებზე და მათ საქმიანობას სრულიად უსარგებლოდ თვლიდა.

გაჩუმდა, აღარაფერი უკითხავს, თუმცა ფილიპმა მაინც განაგრძო:

— ათი ათასი დოლარი გვჭირდება ერთი მნიშვნელოვანი პროექტისთვის, მაგრამ თანხის შეგროვება მართლაც რომ წამებაა! ადამიანებს სოციალური თვითშეგნების ნატამალიც აღარ შერჩათ. იმ გაბერილ ფულის ტომრებს რომ ვიხსენებ, რომლებსაც დღეს ვესაუბრე... დარწმუნებული ვარ, თავიანთი ნებისმიერი ახირების დასაკმაყოფილებლად ამაზე ბევრად მეტს ხარჯავენ, მე კი საცოდავ ას დოლარს ვთხოვდი და ისიც ვერ გავაგდებინე. მორალური ვალდებულების არანაირი შეგრძნება არ აქვთ, არანაირი!.. რა გაცინებს?

რიერდენი მის წინ იდგა და ეღიმებოდა.

„რა ბავშვური მიამიტობაა“, — გაიფიქრა მან, — „რა უსუსური და ტლანქი ნამუშევარი: თან შეურაცხყოფა, თანაც მინიშნება ერთდროულად. რა ადვილად შემიძლია, გავსრისო ფილიპი, შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფითვე ვუპასუხო, ოღონდ პასუხი მომაკვდინებელი აღმოჩნდება, რადგან სამართლიანი იქნება — მაგრამ ეს დაუშვებელია. საბრალო ბრიყვი, იცის, რომ ჩემს ხელშია, ხვდება, რომ თუ მომინდება, ჭკუას ვასწავლი, სწორედ ამიტომაც არ უნდა შეურაცხვყო. პირიქით უნდა მოვიქცე. ასეთი პასუხი აჯობებს — შეუძლებელია, არ დააფასოს; ეს რა დღეში ჩაიგდო ფილიპმა თავი, ასე რომ დაკარგა ადამიანური სახე!“

და უეცრად რიერდენმა გაიფიქრა, რომ ძმის ქრონიკულ უკმაყოფილებას წამში მოუღებდა ბოლოს; უიმედო სურვილის ახდენით მოულოდნელ სიხარულს აჩუქებდა.

„რა მნიშვნელობა აქვს, რა სურს ფილიპს? ეს მისი სურვილია, ისევე, როგორც რიერდენ მეტალი იყო ჩემი. ის მისთვის იმავეს უნდა ნიშნავს, რასაც მეტალი ნიშნავს ჩემთვის. დაე, ერთხელ მაინც იყოს ბედნიერი. იქნებ, ამან მაინც ასწავლოს რაიმე. თვითონ არ ვამბობდი, რომ ბედნიერება აკეთილშობილებს? დღეს მე ვზეიმობ! დაე, მასაც ერგოს რამე ჩემი დღესასწაულიდან!“

— ფილიპ, დაურეკე ხვალ მის აივსს ჩემს ოფისში, ჩეკს გამოგიწერს ათი ათას დოლარზე, — უთხრა ძმას ღიმილით.

ფილიპი მას შუშის თვალებით უყურებდა, მის მზერაში არც გაოგნება ჩანდა, არც კმაყოფილება, მხოლოდ სიცარიელე გაქვავებულიყო:

— ოჰ, ამას ძალიან დავაფასებთ. — მის ხმაში არავითარი ემოცია არ იგრძნობოდა, სიხარბის რაიმე ნიშანწყალიც კი.

რიერდენი საკუთარ განცდებში ვერ გარკვეულიყო: უცნაური სიცარიელე იგრძნო, თითქოს მასში ტყვიისებრი ვაკუუმი დაიშალა. ორივე იგრძნო — მისი სიმძიმეც და სიცარიელეც ერთდროულად. ხვდებოდა, რომ ამას იმედგაცრუება ერქვა, მაგრამ უკვირდა, რატომ იყო ეს გრძნობა ასე ნაცრისფერი და უგვანი.

— ძალიან სასიამოვნოა შენი მხრიდან, ჰენრი! — მშრალად უთხრა ფილიპმა, — პირდაპირ გაკვირვებული ვარ! არ მოველოდი შენგან!

— ნუთუ არ გესმის, ფილ, ჰენრიმ დღეს თავისი ლითონი გამოადნო, — აღნიშნა ლილიანმა გამოკვეთილად მკაფიო და მჟღერი ხმით, მერე ქმარს მიუბრუნდა, — ძვირფასო, იქნებ, ეს დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოვაცხადოთ?

— კარგი ადამიანი ხარ, ჰენრი! თუმცა არც ისე ხშირად, — თქვა დედამისმა.

რიერდენი იდგა და ფილიპს უყურებდა, თითქოს რაღაცას ელოდა.

ფილიპმა გვერდზე გაიხედა, მერე რიერდენს პირდაპირ თვალებში შეხედა, თითქოს გამოწვევა მიიღო:

— შენ მართლა გინდა, უმწეო ადამიანებს დაეხმარო?

რიერდენმა ყურებს არ დაუჯერა, როდესაც მის ხმაში საყვედურის ტონი იგრძნო.

— არა, ფილ, ისინი საერთოდ არ მანაღვლებს, უბრალოდ, მინდა, შენ იყო ბედნიერი.

— ჰო, მაგრამ ეგ ფული მე არ მეკუთვნის. პირადი ხეირისთვის კი არ ვაგროვებ. ამ საქმეში ანგარება არ მამოძრავებს... — ფილიპის ცივ ხმაში საკუთარი სათნოებით გამოწვეული, თვითკმაყოფილი კაცის ამპარტავნება გაკრთა.

რიერდენი შეტრიალდა. მოულოდნელად ზიზღი მოეძალა, იმიტომ არა, რომ მისი ძმა თვალთმაქცობდა, პირიქით, სრულ სიმართლეს ამბობდა. ზუსტად ის თქვა, რასაც ფიქრობდა.

— სხვათა შორის, ჰენრი, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, მის აივსმა ნაღდი თანხა რომ მომცეს?

ამის გაგონებისას რიერდენი გაკვირვებული მიუბრუნდა ძმას.

— იცი, „გლობალური პროგრესის მეგობრები“ ძალიან პროგრესული ორგანიზაციაა. ისინი შენ ყოველთვის ყველაზე შავბნელ რეტროგრადად გთვლიდნენ ამ ქვეყანაში. ამიტომ, არ ესიამოვნებათ, თუ შენი სახელი ჩვენს შემომწირველთა სიაში აღმოჩნდება, ვინმემ შეიძლება, დაგვადანაშაულოს, ჰენკ რიერდენს მიეყიდეთო.

რიერდენს უნდოდა, სილა გაეწნა სახეში ძმისთვის. მაგრამ თითქმის გაუსაძლისმა სიძულვილმა აიძულა, ამის ნაცვლად თვალები დაეხუჭა.

— კარგი, — უთხრა ხმადაბლა, — ნაღდ ფულს მიიღებ.

და ოთახის შორეული კუთხისკენ წავიდა, ფანჯარასთან, სადაც გაქვავდა და შორს, ქარხნის თავზე მოკიაფე ათინათს გასცქეროდა.

გაიგონა, როგორ ამოიგმინა ლარკინმა:

— ჯანდაბა, ჰენკ! არ უნდა მიგეცა!

ამ დროს ლილიანის ცივმა და მხიარულმა ხმამ გაიჟღერა:

— ცდები, პოლ, ო, როგორ ცდები! წარმომიდგენია, რა დაემართებოდა ჰენკის პატივმოყვარეობას, ჩვენ რომ არ ვყავდეთ გვერდით, თუკი შემთხვევით სხვას

ვერავის გადაუგდებდა მოწყალებას!., რა ეშველებოდა მის ძალაუფლებას, უფრო სუსტებს რომ არ იმორჩილებდეს? თვითონ ჰენრის რა ეშველებოდა, ჩვენ რომ არ ვეგულებოდეთ მასზე დამოკიდებული? და ეს სავსებით სამართლიანია, არაფერში ვადანაშაულებ. ასეთია ადამიანის ბუნება...

მეტალის სამაჯური მაღლა ასწია — სამაჯურმა სინათლეზე გაიბრწყინა.

— ჯაჭვი... როგორი ზუსტია, არა? — ჩაილაპარაკა მან, — ეს სწორედ ის ჯაჭვია, რომლითაც მიბმული ვყავართ.

თავი 3

მწვერვალი და ფსკერი

ჭერი ისეთი მძიმე და დაბალი იყო, როგორც სარდაფში, და ვიდრე ოთახს გადაკვეთდნენ, ადამიანები წელში იხრებოდნენ ხოლმე, თითქოს ეს ჭერი მხრებზე აწვებოდათ. წითელი ტყავით გაწყობილი მრგვალი კაბინები დროისა და სინესტისგან შეჭმულ ქვის კედლებში ჩაეშენებინათ. ფანჯრები არ იყო, მხოლოდ ბრების არაამქვეყნიური ლურჯი ნათება იღვრებოდა აგურის ნიშებიდან. აქ ვიწროსაფეხურებიანი კიბით ჩამოდიოდნენ, თითქოსდა მიწისქვეშეთში. ეს ნიუ-იორკის ყველაზე ძვირად ღირებული ბარი იყო, ცათამბჯენის სახურავზე.

მაგიდას ოთხი მამაკაცი უჯდა. საუბრობდნენ, მაგრამ არა ისეთი მქუხარე ხმით, მაღლა, ცასთან ახლოს მყოფთ რომ სჩვევიათ ხოლმე. ქალაქს სამოცი სართულით აცილებულნი, მაინც რომელიღაც ნამდვილი სარდაფის გარემოსთვის შესაფერისი, მოგუდული ხმით ამჯობინებდნენ ლაპარაკს.

— ადამიანი აბსოლუტურად ვერ აკონტროლებს პირობებს და ვითარებას, ჯიმ, — წარმოთქვა ორენ ბოილმა, — ყველაფერი მზად გვქონდა, რელსები რომ მოგვეწოდებინა, მაგრამ გაუთვალისწინებელი გარემოებები წარმოიქმნა, სრულიად მოულოდნელი. შენ რომ კიდევ ერთი შანსი მოგეცა ჩვენთვის, ჯიმ!

— ჩემი აზრით, ყველა სოციალური პრობლემის ნამდვილი მიზეზი, — აუჩქარებლად თქვა ჯეიმს ტაგარტმა, — ერთიანობის არარსებობაა. ჩემს დაიკოს სერიოზული გავლენა აქვს ჩვენი აქციონერების გარკვეულ ჯგუფზე და მე ზოგჯერ ვერ ვახერხებ, მათ დამანგრეველ ტაქტიკას გავუმკლავდე.

— მართალს ამბობ, ჯიმ! უთანხმოება — აი, რა არის ჩვენი უბედურების მიზეზი! აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ რთულ, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვერც ერთი საწარმო ვერ მიაღწევს წარმატებას, თუკი სხვების პრობლემების ნაწილს არ გაიზიარებს.

ტაგარტმა სასმელი მოწრუპა და თქვა:

— ამათ ადგილას ბარმენს გავაგდებდი!

— ავიღოთ, მაგალითად, „ესოშიეიტიდ სთილი“. მთელ ქვეყანაში ყველაზე თანამედროვე აღჭურვილობა და ყველაზე ორგანიზებული წარმოება ჩვენ გვაქვს. მე ვფიქრობ, ეს უდავო ფაქტია, რადგან შარშან ჟურნალმა „გლობმა“ სწორედ ჩვენ მოგვანიჭა პრემია, როგორც ყველაზე ეფექტიან წარმოებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია კიდევაც, ვამტკიცოთ, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი ჩვენზე იყო დამოკიდებული და არავის არა აქვს უფლება, გვაკრიტიკოს. მაგრამ ვერაფერს გავხდებით, თუ რკინის მადნის დეფიციტი საერთო-ეროვნულ პრობლემად გადაიქცა. რკინის მადანი ვერ მოვნახეთ, ჯიმ!

ტაგარტი დუმდა. ოდნავ წინ გადახრილი იჯდა, ისედაც პატარა და მოუხერხებელ მაგიდაზე იდაყვები ფართოდ დაეწყო და თანამოსაუბრეებს ავიწროებდა, თუმცა მათ რკინიგზის ბოსის პრივილეგიის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

— რკინის მადანს ვერავინ ვეღარ პოულობს. ბუნებრივი რესურსები ამოწურულია, დანადგარები გაცვეთილი, მასალა საკმარისი არ არის, ტრანსპორტირება გართულებულია, სხვა გარდაუვალი სიძნელეებიც წარმოიქმნა... — განაგრძობდა ბოილი.

— სამთო-მომპოვებელი მრეწველობა ინგრევა. ეს კი ჩემს სამთო-მაღაროების აღჭურვილობის ბიზნესს ანადგურებს. — თქვა პოლ ლარკინმა.

— დამტკიცებულია, რომ ნებისმიერი ბიზნესი სხვა დანარჩენზეა დამოკიდებული, — ამბობდა ორენ ბოილი, — ამიტომაც ეზიდება თითოეული ჩვენგანი სხვისი ტვირთის ნაწილს.

— ჭეშმარიტებაა, — დაუდასტურა უესლი მაუჩმა, თუმცა, როგორც ყოველთვის, მისთვის არც ახლა მიუქცევიათ ყურადღება.

— ჩემი მიზანი, — განაგრძობდა ორენ ბოილი, — თავისუფალი ეკონომიკის შენარჩუნებაა, რომელიც ახლა გამოცდას გადის, როგორც ამბობენ. თუკი ის თავის სოციალურ მნიშვნელობას არ დაამტკიცებს და მთელი საზოგადოების წინაშე გარკვეულ პასუხისმგებლობას არ აიღებს, ხალხი ასეთ ეკონომიკას მხარს არ დაუჭერს. ის უბრალოდ დაინგრევა, თუ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, მერწმუნეთ!

ორენ ბოილი ხუთი წლის წინ არსაიდან აღმოცენდა და მას მერე მისმა სახელმა და გვარმა ქვეყნის ყველა ჟურნალის გარეკანი მოიარა. თავისი საქმე საკუთარი ასი ათასი დოლარით და ორასი მილიონი დოლარის სახელმწიფო სესხით დაიწყო. ამჟამად უზარმაზარ კონცერნს ხელმძღვანელობდა, რომელსაც არაერთი შედარებით პატარა კომპანია გადაეყლაპა. ეს ფაქტი, როგორც მას უყვარდა აღნიშვნა, ამტკიცებდა, რომ უნარიან კაცს ჯერ კიდევ შეეძლო, წარმატებისთვის მიეღწია ამ სამყაროში.

— კერძო საკუთრების ერთადერთი გამართლება მისი საზოგადოების სამსახურში ყოფნაა, — ამბობდა ბოილი.

— ეს, ჩემი აზრით, უდავოა. — თქვა უესლი მაუჩმა.

ორენ ბოილმა ხრუპუნით მოსვა. ტანით დიდი კაცი იყო და ხმაურიანი, მამაკაცურად მოუზომავი ჟესტები სჩვეოდა. სიცოცხლით მეტისმეტად სავსე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე მისი თვალების წვრილ, შავ ჭრილს ჩახედავდი.

— ჯიმ, რიერდენ მეტალი უბრალოდ კოლოსალური თაღლითობაა.

— აჰა.

— არც ერთ ექსპერტს არ გამოუთქვამს დადებითი შეფასება ამ მეტალზე.

— არც ერთს.

— ჩვენ ათეული წლებია, ფოლადის რელსების ხარისხს ვაუმჯობესებთ და ამასთან ერთად მათი წონაც იზრდება. დასაჯერებელია კი, რომ რიერდენ მეტალის რელსები უფრო მსუბუქია, ვიდრე ყველაზე იაფფასიანი ხარისხის ფოლადისგან დამზადებული რელსები?

— მართალია. უფრო მსუბუქია, — თავი დაუქნია ტაგარტმა.

— ეს ხომ სასაცილოა, ჯიმ. ეს ხომ ფიზიკურად შეუძლებელია — შენი დატვირთული, მაღალსიჩქარიანი, მთავარი მაგისტრალისთვის?

— სწორედაც.

— უბედურებას დაიტეხავ.

— მე არა, ჩემი დაიკო.

ტაგარტმა აუჩქარებლად დაატრიალა სასმისის ფეხი თითებს შორის.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მეტალურგიული მრეწველობის ეროვნულმა საბჭომ რეზოლუცია მიიღო საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელმაც რიერდენ მეტალის საკითხი უნდა შეისწავლოს, რადგან მისი გამოყენება შეიძლება, საზოგადოებისთვის საშიში აღმოჩნდეს, — თქვა ორენ ბოილმა.

— ვფიქრობ, ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, — აღნიშნა უესლი მაუჩმა.

— როცა ყველა თანხმდება, თუკი ყველას საერთო აზრი აქვს, როგორ ბედავს ერთადერთი ადამიანი თვითნებობას? რა უფლებით? აი, ამის გაგება მინდა, რა უფლებით?— თქვა ტაგარტმა მოულოდნელად ბრაზნარევი ხმით.

ბოილი ტაგარტს პირდაპირ უყურებდა, მაგრამ ჩაბნელებულ ბარში სახის ნაკვთების გარჩევა შეუძლებელი იყო. მან მხოლოდ ბაცი, მოცისფრო ლაქა დაინახა.

— როცა ამ მწვავე დეფიციტის დროს ბუნებრივ რესურსებზე ვფიქრობთ და იმაზე, როგორ იფლანგება ძირითადი ნედლეული უპასუხისმგებლო ექსპერიმენტებზე, რკინის მადანზე ვფიქრობთ... — ნელა წარმოთქვა ბოილმა, მაგრამ არ დაასრულა და კვლავ ტაგარტს შეხედა. ტაგარტი კარგად ხვდებოდა, რომ ბოილი მას გადასცემდა სიტყვას, მაგრამ არ ჩქარობდა, სიამოვნებით წელავდა სიჩუმეს.

— საზოგადოებას გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის, ჯიმ, თუკი საქმე ბუნებრივ რესურსებს ეხება, მაგალითად, რკინის მადანს... საზოგადოება გულგრილი ვერ დარჩება, როცა ვიღაც ანტისოციალური ტიპი ნედლეულს წინდაუხედავად და ეგოისტურად იყენებს. ბოლოს და ბოლოს, კერძო საკუთრება — ეს ხომ ნდობით აღჭურვილი სარგებლობაა, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება.

ტაგარტმა ბოილს შეხედა და გაიღიმა. ეს ღიმილი თითქოს ამბობდა, რომ მისი აზრი ბოილის ნათქვამს პასუხობდა:

— ამათი კოქტეილი რაღაც საზიზღრობაა! მე მგონი, ასეთ ფასს იმაში ვიხდით, რომ ათასი ჯურის ვიგინდარები არ გვარტყიან გარშემო. მაგრამ მინდა იცოდნენ — მათ საქმე ამ საკითხის ექსპერტებთან აქვთ. რაკი ვიხდი, შესაბამის ხარისხს და სიამოვნებას ვითხოვ!

ბოილმა არაფერი უპასუხა; სახე მოეღუშა.

— მომისმინე, ჯიმ... — მძიმედ დაიწყო ბოილმა.

ტაგარტს გაეღიმა:

— რა იყო? გისმენ.

— ჯიმ, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმები, რომ მონოპოლიაზე დამანგრეველი არაფერია.

— ასეა, — თქვა ტაგარტმა, — მაგრამ, მეორე მხრივ, შეუზღუდავი და გაუკონტროლებელი კონკურენციაც არ არის ნაკლებად საშიში.

— მართალი ხარ! სავსებით მართალი! ოქროს შუალედს ვერაფერი აჯობებს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ საზოგადოების ვალია, ეს უკიდურესობები აღმოფხვრას, არ მეთანხმები?

— ასეა, გეთანხმები.

— მოდი, რკინის მადნის ბიზნესში არსებული ვითარება განვიხილოთ. მადნის მოპოვების მთლიანი შიდა მოცულობა კატასტროფული სისწრაფით მცირდება, რაც თვითონ ფოლადის წარმოებას უქმნის საფრთხეს. ფოლადსადნობი ქარხნები მთელი ქვეყნის მასშტაბით იხურება. მხოლოდ ერთადერთ სამთო-მომპოვებელ კომპანიას არ შეხებია კრიზისი. მისი პროდუქცია ყველგან იყიდება და მადანსაც ყოველთვის დროულად აწოდებენ. და ვისთვის არის ეს მომგებიანი? არავისთვის, მფლობელის გარდა.

შენ რას იტყოდი, სამართლიანია?

— არა, ეს უსამართლობაა. — დაეთანხმა ტაგარტი.

— ფოლადის მწარმოებელთა უმეტესობა საკუთარ რკინის საბადოებს არ ფლობს.

როგორ უნდა გავუწიოთ კონკურენცია ადამიანს, რომელმაც მოახერხა, ხელში ჩაეგდო ღმერთის მიერ შექმნილი ბუნებრივი რესურსების ამხელა წილი? რა გასაკვირია, რომ ის ყოველთვის დროულად აწოდებს ფოლადს, მაშინ, როცა ჩვენ ბრძოლა, ლოდინი, კლიენტების დაკარგვა და ბიზნესზე უარის თქმა გვიწევს. განა ეს საზოგადოების ინტერესებშია — ერთ ადამიანს მთელი ინდუსტრია გაანადგურებინოს?

— რა თქმა უნდა, არა, — უპასუხა ტაგარტმა.

— მე მგონი, ეროვნული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები და მადნეულის თავისი წილი მიეცეს, რაც მთლიანად სფეროს გადაარჩენდა. შენ ასე არ ფიქრობ?

— მასე ვფიქრობ.

ბოილმა ამოისუნთქა, მერე კი ფრთხილად გააგრძელა:

— მაგრამ, მე მეჩვენება, რომ ვაშინგტონში არც ისე ბევრი ადამიანია, პროგრესული პოლიტიკური ტენდენციების მნიშვნელობა რომ გაეგებოდეს.

— არიან მასეთი ადამიანებიც, — თქვა ტაგარტმა, — ცხადია, ბევრნი არ არიან, არც მათთან მოხვედრაა ადვილი, მაგრამ არსებობენ. შემიძლია, მათ დაველაპარაკო.

ბოილმა თავისი სასმელი აიღო და ერთიანად გადაკრა, თითქოს უკვე მოისმინა, რისი მოსმენაც უნდოდა.

— რაც შეეხება პროგრესულ პოლიტიკას, ორენ, — შენიშნა ტაგარტმა, — შეგიძლია, შენს თავს ასეთი კითხვა დაუსვა? — ახლა, როცა სატრანსპორტო სფეროში მკაცრი კრიზისია, როცა რკინიგზები ერთიმეორის მიყოლებით კოტრდებიან და უზარმაზარი ტერიტორიები სარკინიგზო მიმოსვლის გარეშე რჩება, პასუხობს თუ არა საზოგადოების ინტერესებს ერთ რაიონში თავმოყრილი უამრავი ზედმეტი და უსარგებლო რკინიგზა და მტაცებლური კონკურენცია ახალბედების მხრიდან იმ ტერიტორიებზე, სადაც ძველ, უკვე დამკვიდრებულ კომპანიებს ისტორიული პრიორიტეტი აქვთ?

— რა გითხრა, — კმაყოფილი ტონით უთხრა ბოილმა, — ძალიან საინტერესო საკითხი წამოჭერი. ამაზე ჩემს მეგობრებს უნდა დაველაპარაკო რკინიგზის ეროვნული ალიანსიდან.

— მეგობრობა, — თქვა ტაგარტმა სასხვათაშორისოდ, აბსტრაქტულად, — ოქროზე ძვირფასია!

და მოულოდნელად ლარკინს მიუბრუნდა:

— შენ როგორ ფიქრობ, პოლ?

— რა? დიახ... რა თქმა უნდა. — უპასუხა ლარკინმა, რამდენადმე დაბნეულმა იმ ამბით, რომ საერთოდ ვინმემ მიმართა.

— შენი მეგობრობის იმედი მაქვს, პოლ.

— ჰმ... ანუ?

— შენი ფართო სამეგობრო წრის იმედი მაქვს.

ჩანდა, ყველამ იცოდა, რატომ არ უპასუხა ლარკინმა მაშინვე; მხრები ჩამოეყარა, ლამის მაგიდამდე.

— ყველა რომ ერთი მიზნისთვის გაერთიანებულიყო, არავინ დაზარალდებოდა! — წამოიძახა უეცრად სრულიად უადგილო სასოწარკვეთილებით ხმაში. მერე დაინახა, როგორ მისჩერებოდა ტაგარტი და მუდარით დაამატა, — ვისურვებდი, ჩვენ გამო არავინ დაზარალებულიყო.

— ეს ანტისოციალური მიდგომაა, — აუჩქარებლად გაწელა სიტყვები ტაგარტმა, — ვისაც სხვა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა აშინებს, უფლება არ აქვს, საერთო მიზანზე ილაპარაკოს.

— მაგრამ მე ისტორია მაინტერესებს, — სწრაფად შეეპასუხა ლარკინი, — და ისტორიულ აუცილებლობას ვაღიარებ.

— კარგია, — უპასუხა ტაგარტმა.

— მსოფლიო ტენდენციას ვერ დავუპირისპირდები, ასე არ არის? — უმისამართო მუდარასავით გაისმა ლარკინის სიტყვები, — არ შემიძლია, ხომ მართალია?

— რა თქმა უნდა, არა, მისტერ ლარკინ, — გამოეპასუხა უესლი მაუჩი, — ჩვენ ვერავინ დაგვადანაშაულებს, თუ...

მაუჩის ხმაზე ლარკინი მკვეთრად შეხტა, თითქოს დენმა დაჰკრაო; უბრალოდ, დასანახავად ვერ იტანდა ამ კაცს.

— მგონი, მექსიკაში კარგი დრო გაატარე, ორენ, ასე არ არის? — მოულოდნელად ხმამაღლა და უშუალოდ ჰკითხა ტაგარტმა.

ყველას ესმოდა, რომ დღევანდელი შეკრების მიზანი მიღწეული იყო: საკითხი, რომელმაც ისინი აქ შეყარა, ამოიწურა.

— საოცარი ადგილია ეს მექსიკა, — მხიარულად უპასუხა ბოილმა, — ძალიან გახალისებს, ახალი აზრები გებადება. თუმცა საძაგლად გაჭმევენ. მოვიწამლე კიდეც.

მაგრამ თავს არ ზოგავენ, რომ ქვეყანა ფეხზე დააყენონ.

— მერე, როგორ მისდით საქმეები?

— ჩინებულად, ვფიქრობ, ჩინებულად. თუმცა ახლა იქ... მაგრამ ჩვენი საქმიანობა მაინც სამომავლო გათვლებს ემყარება. მექსიკის სახალხო რესპუბლიკას უდიდესი მომავალი აქვს. რამდენიმე წლის შემდეგ გვაჯობებენ კიდეც, აი, ნახავთ.

— სან სებასტიანის მაღაროებზე თუ იყავი?

ამ სიტყვებზე მაგიდასთან მსხდომი ოთხივე მამაკაცი გაიმართა და დაიძაბა. ამ მაღაროებში ოთხივეს სერიოზული ინვესტიცია ჰქონდა ჩადებული.

ბოილს მაშინვე არ უპასუხია და ამის გამო მისი ნათქვამი მოულოდნელად და არაბუნებრივად ხმამაღლა გაისმა:

— რა თქმა უნდა, ვიყავი. სწორედ მაგის ნახვა მინდოდა იქ ყველაზე მეტად.

— და მერე?

— რა „მერე?“

— როგორ მიდის საქმე?

— ბრწყინვალედ! გადასარევად! მათ, მგონი, იქ, იმ მთაში, სპილენძის ყველაზე დიდი მარაგი აქვთ დედამიწაზე.

— დატვირთული თუ ჩანდნენ საქმით?

— ცხოვრებაში არ მინახავს მასეთი საქმიანი ადგილი.

— მაინც, რას აკეთებდნენ?

— როგორ გითხრა, მათი ლათინოსი მენეჯერი ისეთი საშინელი ინგლისურით ლაპარაკობდა, ნახევარიც ვერ გავიგე, მაგრამ მართლაც გამალებით მუშაობდნენ.

— რაიმე პრობლემა, სირთულე... ხომ არ შეგინიშნავს?

— პრობლემა? მხოლოდ არა სან სებასტიანში! ეგ მაღაროები ერთადერთი კერძო საწარმოა, რომელიც მექსიკაში დარჩა, მეტი განსხვავება რაღა გინდა!

— ორენ, — სიფრთხილით უთხრა ტაგარტმა, — იმ ხმებზე რას იტყვი, თითქოს სან სებასტიანის მაღაროებს ნაციონალიზაციას უპირებენ?

— ჭორებია, — თქვა ბოილმა ბრაზით, — ბინძური ჭორებია უბრალოდ. ნამდვილად ვიცი. მე და მექსიკის კულტურის მინისტრმა ერთად ვივახშმეთ, სხვა ჩინოვნიკებთან ერთადაც ვისადილე.

— მგონი, რაღაც კანონი უნდა არსებობდეს უპასუხისმგებლო ჭორების გამავრცელებელთა წინააღმდეგ. — დაღვრემით თქვა ტაგარტმა, — მოდით, კიდევ დავლიოთ.

გაღიზიანებულმა ხელით მოიხმო მიმტანი.

დარბაზის ბნელ კუთხეში ბარი იყო, სადაც კარგა ხანია, გაუნძრევლად იდგა ხნიერი ბარმენი. დიდხანს იდგა ხოლმე ასე. როცა მოუხმეს, ადგილიდან ქედმაღალი სიზანტით დაიძრა. მართალია, მისი მოვალეობა იყო, თავი არ დაეზოგა, რომ კლიენტებს დაესვენათ და ესიამოვნათ, მაგრამ ისე ირჯებოდა, როგორც გაბოროტებული ექიმბაში ვენერიული ავადმყოფების მიღებისას.

ოთხივენი დუმდნენ, სანამ სასმელს მოუტანდნენ. მიმტანის მიერ მაგიდაზე დაწყობილი ჭიქები სანახევროდ ჩაბნელებულ სივრცეში ლურჯ ათინათებად გადაიქცნენ, რომლებიც გაზქურის სუსტ ალებს წააგავდნენ.

ტაგარტმა ხელი გაიწოდა თავისი სასმისისკენ და მოულოდნელად გაიღიმა.

— მოდით, ისტორიული აუცილებლობისთვის შეწირული მსხვერპლი ვადღეგრძელოთ, — თქვა მან და ლარკინს შეხედა.

წუთით სიჩუმე ჩამოწვა. გაჩახჩახებულ სივრცეში ეს წუთი ორი მამაკაცის მზერათა ბრძოლად გადაიქცეოდა, მაგრამ აქ, ამ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, თითოეული მხოლოდ მეორის ცარიელ თვალის ბუდეებს ხედავდა.

პოლ ლარკინმაც ასწია თავისი ჭიქა.

— მე ვიხდი, ბიჭებო! — გამოაცხადა ტაგარტმა და ყველამ დალია.

სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ და ბოილმა ისე, სხვათა შორის, ჰკითხა ტაგარტს:

— მომისმინე, ჯიმ, უნდა მეკითხა, რა ჯანდაბა ხდება შენს სან სებასტიანის ხაზზე? — რას გულისხმობ, რა უნდა ხდებოდეს?! რამე შეემთხვათ?

— არ ვიცი, მაგრამ მხოლოდ ერთი სამგზავრო შემადგენლობა დღეში, ეს...

— დღეში ერთი?!

— საცოდაობაა უბრალოდ, და თან რა მატარებელი!.. ეგ პრეისტორიული ვაგონები ალბათ დიდი ბაბუისგან გერგო მემკვიდრეობით და ისიც კარგად დაარიხინებდა მათ წინ და უკან. საიდან გამოჩიჩქნე ეს ორთქლმავალი, რომელიც შეშაზე მუშაობს?

— როგორ თუ შეშაზე?

— ზუსტადაც შეშაზე! ძველისძველი ფოტოების გარდა, არსად მინახავს ეგეთი.

რომელი მუზეუმიდან გამოიყვანე? ოღონდ, არ გინდა ახლა, ვითომდა არაფერი იცი.

გამოტყდი, რა ჩაიფიქრე!

— რა თქმა უნდა, ვიცი, — ნაჩქარევად უპასუხა ტაგარტმა, — ეს უბრალოდ... შენ შემთხვევით აღმოჩნდი იქ სწორედ იმ კვირაში, როცა პატარა პრობლემები გვქონდა ლოკომოტივებთან დაკავშირებით. ახლები შევუკვეთეთ, მაგრამ დააგვიანეს. თუმცა ეს დროებითია.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ბოილმა, — შეფერხებები გარდაუვალია. მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეგეთი საშინელი ვაგონით ცხოვრებაში არ მიმგზავრია, კინაღამ გულ-მუცელი ამომიტრიალდა!

რამდენიმე წუთში ყველამ შეამჩნია, რომ ტაგარტი გაყუჩდა. უცებ მკვეთრად წამოდგა, ახსნა-განმარტების გარეშე. ეს ბრძანებად იქნა აღქმული და სხვებმაც უსიტყვოდ მიბაძეს.

— ძალიან სასიამოვნო იყო, ჯიმ. ძალიან. აი, ასე იბადება დიადი იდეები, მეგობრების წრეში, ჭიქასთან, — ჩაიბუტბუტა ლარკინმა და თან ძალით იღიმებოდა.

— სოციალური რეფორმები ნელ-ნელა ხდება, — ცივად თქვა ტაგარტმა, — მოთმინება და სიფრთხილეა საჭირო.

და პირველად მთელი საღამოს მანძილზე, უესლი მაუჩს მიუბრუნდა:

— რა მომწონს შენი, იცი, მაუჩ? ბევრი ლაპარაკი რომ არ გჩვევია.

უესლი მაუჩი რიერდენის კაცი იყო ვაშინგტონში.

ცას ჯერ კიდევ დაისის კვალი ეტყობოდა, როცა ტაგარტი და ბოილი ქუჩაში გამოვიდნენ. ამ ფაქტმა ცოტა შეაცბუნა ორივე — ჩაბნელებულ ბარში ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს მთელი ქალაქიც წყვდიადში უნდა ყოფილიყო გახვეული. დაისის ფონზე მაღალი შენობა იკვეთებოდა ცამდე აზიდული, წვეტიანი და მტკიცე, მოღერებული მახვილივით. სადღაც შორს, მის მიღმა, ჰაერში გიგანტური კალენდარი ეკიდა.

ქუჩაში ციოდა; ტაგარტმა ნერვიულად წამოიწია საყელო და პალტოს ღილები შეიკრა. კანტორაში დაბრუნებას არ აპირებდა, მაგრამ ახლა ეს აუცილებელი იყო. და უნდა ენახა. დის ნახვას ეჩქარებოდა.

— ...წინ რთული საქმე გვაქვს, ჯიმ, — ამბობდა ბოილი, — რთული საქმე, უამრავი საფრთხით, გართულებებით, და ძალიან ბევრი რამ დევს სასწორზე.

— ყველაფერი დამოკიდებულია... — აუჩქარებლად წარმოთქვა ტაგარტმა, — ნაცნობობაზე, საჭირო ხალხზე, გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ ვინ არის ეს საჭირო ხალხი. * * *

დაგნი ტაგარტი ცხრა წლის იყო, როცა საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ ერთხელაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ უხელმძღვანელებდა. ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა ერთხელ ლიანდაგზე იდგა მარტოდმარტო და გაჰყურებდა ორ რელსს, რომლებიც სწორ ფოლადის ხაზებად მიემართებოდნენ ჰორიზონტისკენ და სადღაც შორს ერთ წერტილში იკვეთებოდნენ. რკინიგზის ლიანდაგს ტყე არაფრად ჩაეგდო და შუაზე გაეკვეთა. დაგნიმ მედიდური ქედმაღლობა იგრძნო: გზა საერთოდ არ ერწყმოდა ირგვლივ მოშრიალე საუკუნოვან ხეებს, ბუჩქებამდე დახრილ მწვანე ტოტებს და მინდვრის ყვავილებს, მაგრამ ის არსებობდა. ფოლადის რელსები მზეზე ბრწყინავდა, შავი შპალები კი კიბის საფეხურებს ჰგავდა, რომელზეც დაგნი ავიდოდა.

ეს ნაუცბადევი გადაწყვეტილება არ ყოფილა — უფრო საბოლოო სიტყვიერი ბეჭედი იყო იმის გასამყარებლად, რაც ისედაც იცოდა, დიდი ხანია. მდუმარე თანხმობით, თითქოსდა სრულიად ზედმეტი აღთქმით შეკრულებმა, მან და ედი უილერსმა სულ პატარაობიდანვე თავი რკინიგზას მიუძღვნეს.

დაგნი მოზრდილებისა და ბავშვების მიმართ გულგრილობას გრძნობდა. ამ ხვედრს, მოსაწყენი ადამიანების გარემოცვაში რომ უწევდა ცხოვრება, რაღაც სევდიან გაუგებრობად მიიჩნევდა, რომელიც ერთი ხანი მოთმინებით უნდა აეტანა. მან მოახერხა სხვა სამყაროს დანახვა და იცოდა, რომ ის სადღაც არსებობდა: სამყარო, რომელსაც შეექმნა მატარებლები, ხიდები, სატელეგრაფო კავშირები და ღამღამობით მოციმციმე შუქნიშნები. უნდა დალოდებოდა, გადაწყვიტა დაგნიმ, და გაზრდილიყო ამ სამყაროსთვის.

არასდროს უცდია, აეხსნა, რატომ უყვარდა რკინიგზა. იცოდა, რომ სხვებისთვის ეს შეგრძნება უცხო იყო, ამგვარი განცდები მათ უბრალოდ არ გააჩნდათ. მსგავსი გრძნობა სკოლაშიც დაეუფლა, მათემატიკის გაკვეთილებზე. მათემატიკა ერთადერთი საგანი იყო, რომელიც დაგნის უყვარდა. მოსწონდა, როგორ ღელავდა ამოცანის ამოხსნისას; ქედმაღლური აღტაცება, როდესაც გამოწვევას იღებდა და განსაკუთრებული წვალების გარეშე დაძლევდა სირთულეს, მერე კი ახალი, გაცილებით რთული გამოწვევებისთვის ემზადებოდა. სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა პატივისცემის გრძნობა მოწინააღმდეგისადმი, იმ მეცნიერებისადმი, რომელიც ასე სუფთა, ასე მკაცრი და ამაღლებულად რაციონალური იყო. მათემატიკის გაკვეთილებზე ხშირად გაუფიქრებია: „რა მშვენიერია, რომ ადამიანებმა ეს შექმნეს“, და „რა არაჩვეულებრივია, რომ ამაში ძლიერი ვარ“. მათემატიკით და საკუთარი შესაძლებლობებით აღფრთოვანება თანდათან უძლიერდებოდა. რკინიგზის მიმართაც იმავეს განიცდიდა:

ეთაყვანებოდა გენიას, რომელმაც ის შექმნა; ვიღაცის საზრიანობას, ლოგიკას, ფაქიზ ინტელექტს; ამ თაყვანისცემას იდუმალი ღიმილი ერთვოდა, რომელიც თითქოს ამბობდა, რომ ერთხელაც თვითონ დაგნიც მიხვდებოდა, როგორ გაეუმჯობესებინა ის.

მორჩილი მოწაფესავით დახეტიალებდა ლიანდაგებს შორის და მატარებლების დეპოში და გული ევსებოდა წინასწარი სიამაყის განცდით, რომელიც ჯერ კიდევ უნდა დაემსახურებინა.

დაგნის მთელი ბავშვობა გამუდმებით ორი ფრაზა ესმოდა თავისი მისამართით — „აუტანლად თავდაჯერებული ხარ!“, თუმცა არასოდეს უმტკიცებია, რომ სხვებზე ჭკვიანი იყო, და მეორე — „ეგოისტი ხარ!“ მაგრამ, როდესაც სცადა, გაერკვია მათი მნიშვნელობა, პასუხი ვერავისგან მიიღო. უყურებდა უფროსებს და სულ უკვირდა — რატომ ეგონათ, რომ თავს დამნაშავედ იგრძნობდა, როცა თვითონ ბრალდებები იყო ასეთი გაურკვეველი.

თორმეტი წლისამ უთხრა ედი უილერსს, როცა გავიზრდები, რკინიგზას ვუხელმძღვანელებო. თხუთმეტი წლის ასაკში პირველად დაფიქრდა იმაზე, რომ ქალები, ზოგადად, რკინიგზას არ მართავენ და ეს ვინმეს შეიძლებოდა არ მოსწონებოდა.

ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, თუ ასე იფიქრებენ! — უთხრა ერთხელაც საკუთარ თავს და მას მერე ამაზე აღარ უდარდია.

თექვსმეტი წლის იყო, როცა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ დაიწყო მუშაობა.

მამამისს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ამ ამბავმა გაართო და ცოტათი დააინტერესა კიდეც. ღამის დისპეტჩერად მუშაობდა სოფლის პატარა სარკინიგზო სადგურზე. პირველი რამდენიმე წელი ღამის ცვლაში მსახურობდა, დღისით კი კოლეჯში, საინჟინროზე სწავლობდა.

თავისი კარიერა, სწორედ იმავე პერიოდში, ჯეიმს ტაგარტმაც რკინიგზაზე დაიწყო, ოღონდ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში. მაშინ ოცდაერთი წლის იყო.

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ დაგნი სწრაფად მიიწევდა კარიერულ კიბეზე და იქ მომუშავე მამაკაცთაგან ამაში არც ერთი არ შესცილებია. ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობას მეორე ცვლიდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვა უკეთესი არავინ მოიძებნებოდა. მის გარემოცვაში დროდადრო ნიჭიერი ადამიანებიც ხვდებოდნენ, მაგრამ წლებთან ერთად მათი რიცხვი სულ უფრო მცირდებოდა. დაგნის უშუალო უფროსები, რომელთაც გადაწყვეტილების მიღება ევალებოდათ, ყველანაირად გაურბოდნენ პასუხისმგებლობას; ამიტომაც განკარგულებების გაცემა დაგნის უწევდა და ადამიანები ამ განკარგულებებს ასრულებდნენ.

კარიერული კიბის ყოველ მომდევნო საფეხურზე, ვიდრე მორიგ პოსტს ჩაიბარებდა, დაგნის უკვე დიდი ხნის დაწყებული ჰქონდა ხოლმე შესაბამისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება. კარიერა მას დაცარიელებულ სახლში ბორიალს აგონებდა: წინ არავინ ეღობებოდა, მაგრამ არც მის დაწინაურებას იწონებდა ვინმე.

მამამისს თან უკვირდა და თან ეამაყებოდა შვილის წინსვლა: დუმდა, მაგრამ როდესაც დაგნის კაბინეტში შედიოდა, შვილს სევდიანი თვალებით უმზერდა. ოცდაცხრა წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. „რკინიგზას ყოველთვის ტაგარტი მართავდა“, — ასეთი იყო ბოლო სიტყვები, რომელიც მან ქალიშვილს უთხრა და უცნაურად შეხედა: მის მზერაში თავისი თანასწორისადმი პატივისცემა და თანაგრძნობა ერთდროულად იკითხებოდა.

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აქციების საკონტროლო პაკეტი ჯეიმს ტაგარტს ერგო. ოცდათოთხმეტი წლის ასაკში კომპანიის პრეზიდენტი გახდა. დაგნი ელოდა, რომ დირექტორთა საბჭო ჯეიმსს აირჩევდა, მაგრამ ვერაფრით მიმხვდარიყო, ასე რატომ იჩქარეს გადაწყვეტილების მიღება. ტრადიციებსა და იმ არგუმენტს იშველიებდნენ, რომ კომპანიას სათავეში ყოველთვის ტაგარტების უფროსი ვაჟი უნდა ჩასდგომოდა. შემდეგ აირჩიეს ჯეიმსი, რათა ვითარებას რაც შეიძლებოდა სწრაფად მოჰფენოდა ნათელი. ლაპარაკობდნენ მის ნიჭზე, „კარგი რეპუტაცია შეექმნა რკინიგზისთვის“, იმაზე, რომ „პრესასა ის უყვარდა“, ჰქონდა „კავშირები ვაშინგტონში“. ჯეიმსი კანონმდებელთა კეთილგანწყობის მოპოვების არაჩვეულებრივ უნარს ფლობდა.

დაგნის არაფერი გაეგებოდა „ვაშინგტონის კავშირებისა“ და უნარების, რომლებიც ამ კავშირების დამყარებას ესაჭიროებოდა, მაგრამ აქეთ მიმართული მცდელობები აუცილებლობით ეჩვენებოდა გამოწვეული, ამიტომ ამაზე ფიქრი თავიდან ამოიგდო და გადაწყვიტა, რომ ქვეყნად ბევრი სხვადასხვაგვარი საქმიანობა არსებობდა — ნაკლებ სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი, მაგალითად, წყალსადენი მილების გაწმენდა. ეს საქმეებიც ხომ უნდა ეკეთებინა ვინმეს. ჰოდა, გაეკეთებინა ჯიმს, რაკი არ სძაგდა. დაგნი პრეზიდენტის სავარძლისკენ არ მიისწრაფოდა. მისი ერთადერთი საზრუნავი საოპერაციო დეპარტამენტი იყო. ოდესღაც, ერთ-ერთ

ხაზზე ყოფნისას, ხნიერმა მუშებმა, რომელთაც ჯეიმსი სძულდათ, უთხრეს: „რკინიგზის სათავეში ყოველთვის ტაგარტი იდგება“ — მასში მამამისის საქმის გამგრძელებელი დაინახეს. დაგნიმ იცოდა, რომ ჯეიმსი საკმარისად ჭკვიანი არ იყო და სწორედ ეს განაწყობდა ძმის წინააღმდეგ, თუმცა ვარაუდობდა, რომ კომპანიას ის სერიოზულ ზიანს ვერასოდეს მიაყენებდა, რადგან თვითონ ყოველთვის მოახერხებდა მისი შეცდომების გამოსწორებას.

თექვსმეტი წლის ასაკში, როცა დისპეტჩერის მაგიდასთან იჯდა და მზერით აცილებდა „ტაგარტის“ მატარებლების განათებულ ფანჯრებს, ფიქრობდა, რომ თავის სამყაროში აღმოჩნდა. წლების მერე კი, მიხვდა, რომ ეს ასე სულაც არ იყო. მიხვდა, რომ მოწინააღმდეგე, რომელთანაც ბრძოლა უწევდა, არც ამ ბრძოლად ღირდა და არც გამარჯვებად. უღირსი მტერი მეტოქეობას არ იმსახურებდა. მისი მტერი იყო ათასგვარი უაზრო რამ, ნაცრისფერი ბამბა, რბილი, უფორმო რუხი მასა, რომელიც არავის და არაფერს უქმნიდა დაბრკოლებას, მაგრამ მაინც გადაულახავ წინაღობად გაწოლილიყო მის გზაზე. თავგზა აებნა, ამ გამოცანას საგონებელში ჩაეგდო, ვერაფრით გაეგო, ეს როგორ ხდებოდა.

პირველ ხანებში ზოგჯერ ოცნებობდა, სადმე გადასწყდომოდა ინტელექტს, მკაცრ გონებას, ელვარე კომპეტენტურობას. ხანდახან სული ეხუთებოდა მტანჯველი მოთხოვნილებით, ან მეგობარი შეეძინა, ან მტერი, ვინც მას აჯობებდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ამან გაუარა. საქმე უნდა გაეკეთებინა. დრო არ ჰქონდა, ტკივილი რომ განეცადა; ყოველ შემთხვევაში, ხშირად არა.

ჯეიმს ტაგარტის სარკინიგზო პოლიტიკის პირველი ეტაპი, მას მერე, რაც კომპანიის პრეზიდენტი გახდა, სან სებასტიანის ხაზის მშენებლობით დაიწყო... ამ წამოწყებაზე ბევრი ვინმე აგებდა პასუხს, მაგრამ დაგნის თვალსაზრისით, მას ერთადერთი ხელის მომწერი ჰყავდა, სახელი, რომელმაც ყველა დანარჩენი გადაფარა. ეს სახელი გასდევდა ხუთ წელზე გაწელილ, მრავალმილიანი და წამგებიანი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას; ციფრებით გადაჭრელებულ ფურცლებს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ კოლოსალური ფინანსური დანაკარგებით, რომლებიც ისე გაედინებოდნენ კომპანიიდან, როგორც სისხლის ნაკადი მოწვეთავს შეუხორცებელი იარიდან. ეს სახელი იყო ყველგან — საფონდო ბირჟების სატელეგრაფო შეტყობინების ფირებზე, იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ბირჟები; სპილენძის სადნობი ღუმლების ცეცხლის ალით განათებულ საკვამლე მილებზე; უამრავი სკანდალური საგაზეთო სტატიის სათაურებში; ძველ პერგამენტის ფურცლებზე, კეთილშობილ წინაპართა სახელების ჩამონათვალში; სამ კონტინენტზე მცხოვრები ქალების ბუდუარებში შეგზავნილი თაიგულების ბარათებზე.

ეს სახელი ფრანცისკო დ'ანკონია იყო.

ოცდასამი წლის ასაკში, მას მერე, რაც მემკვიდრეობა მიიღო, ფრანცისკო დ'ანკონია ცნობილი გახდა მსოფლიოში, როგორც სპილენძის მეფე. ახლა, ოცდათექვსმეტი წლისა, ცნობილი იყო, როგორც ყველაზე მდიდარი, ყველაზე სკანდალური და აღვირახსნილი პლეიბოი დედამიწაზე. დ'ანკონიას, არგენტინის ერთ-ერთი ყველაზე დიდგვაროვანი ოჯახის უკანასკნელ წარმომადგენელს, ეკუთვნოდა უამრავი რანჩო, ყავის პლანტაციები, სპილენძის საბადოების უმეტესობა ჩილეში, სამხრეთ ამერიკის ნახევარი და ამ მსხვილ კუპიურას ხურდად დართული მაღაროები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო მიმობნეული.

როცა ფრანცისკო დ'ანკონიამ უეცრად უკაცრიელი მთების ვეებერთელა ტერიტორია შეიძინა მექსიკაში, პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ მან იქ სპილენძის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინა. დ'ანკონიას თითიც კი არ გაუნძრევია, თავისი ახალი საწარმოს აქციები რომ გაეყიდა; ამ აქციებს ლამის ხელიდან სტაცებდნენ მსურველები, ფრანცისკო კი წყვეტდა, ვის რგებოდა მათი ფლობის პატივი. დ'ანკონიას ფინანსურ ნიჭს ფენომენალურს უწოდებდნენ. არასოდეს და არავის არც ერთ საქმეში ის არ დაუმარცხებია. ყოველი მომდევნო გარიგება, ყოველი მომდევნო ნაბიჯი მის ისედაც წარმოუდგენელ სიმდიდრეს კიდევ უფრო ზრდიდა. და ისინი, ვინც დ'ანკონიას სხვებზე მეტი მონდომებით კიცხავდნენ, ცდილობდნენ, ჩასჭიდებოდნენ შესაძლებლობას, ხელი მოეთბოთ მისი ნიჭის ხარჯზე და მორიგი შენაძენიდან რაიმეს გამორჩენოდნენ. ჯეიმს ტაგარტი, ორენ ბოილი და მათი მეგობრები იმ პროექტის მთავარი აქციონერები იყვნენ, რომელსაც ფრანცისკო დ'ანკონიამ „სან სებასტიანის მაღაროები“ დაარქვა.

დაგნიმ ვერასგზით ვერ გაარკვია, ვისი ზეგავლენით გადაწყვიტა ჯეიმსმა, რკინიგზა გაეყვანა ტექსასიდან სან სებასტიანის უკაცრიელ რეგიონამდე. შესაძლოა, ჯეიმსი არც კი ყოფილიყო საქმეში ჩახედული: ის ისეთივე დაუცველი იყო, როგორც მინდორი ქარსაცავის გარეშე — ვისაც საიდან მოესურვებოდა, იქიდან შემოუვლიდა და საბოლოო გადაწყვეტილებას გაუაზრებლად იღებდა.

დირექტორთა საბჭოდან მხოლოდ რამდენიმემ არ მოიწონა ეს იდეა. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ მთელი თავისი რესურსები რიო ნორტეს ხაზის აღსადგენად სჭირდებოდა და ორივე პროექტის ერთდროულად განხორციელებას ვერ შეძლებდა.

მაგრამ ჯეიმს ტაგარტი ახლად დანიშნული პრეზიდენტი გახლდათ, მისი მმართველობის პირველი წელი იდგა და მან გაიმარჯვა.

მექსიკის მთავრობა განწყობილი იყო სათანამშრომლოდ და ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ორასი წლით გადაეცემოდა საკუთრებაში თავისივე აშენებული რკინიგზა, იმ ქვეყანაში, სადაც მსგავსი კერძო საკუთრება არ არსებობდა. ფრანცისკო დ'ანკონიამაც ანალოგიური გარანტია მიიღო საკუთარ მაღაროებზე.

დაგნიმ ბევრი იბრძოლა, სან სებასტიანის ხაზის მშენებლობა რომ ჩაეშალა. მაგრამ იმ დროს ის მხოლოდ და მხოლოდ თანაშემწე იყო საოპერაციო დეპარტამენტში, და მეტისმეტად ახალგაზრდა, ავტორიტეტი რომ ჰქონოდა, ამიტომაც არავინ არ მოუსმინა.

ვერც მაშინ გაეგო და ვერც მერე, რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ის ადამიანები, ვინც ამ ხაზის გაყვანას ემხრობოდნენ. როდესაც დირექტორთა საბჭოს ერთერთ სხდომას ესწრებოდა, როგორც უმწეო მაყურებელი, უმცირესობის წარმომადგენელი, რაღაცნაირი არაგულწრფელობა იგრძნო, — ატმოსფეროში, თითოეულ გამოსვლაში, თითოეულ არგუმენტში, — თითქოს ამ გადაწყვეტილების რეალური მიზეზი ყველასთვის ცნობილი იყო, მის გარდა, მაგრამ რატომღაც ეს მიზეზი მაინც არავინ გაახმოვანა.

ილაპარაკეს სავაჭრო კავშირების სამომავლო მნიშვნელობაზე მექსიკასთან, უზღვავ სატვირთო გადაზიდვებზე, კოლოსალურ შემოსავლებზე, რომელიც სპილენძის ამოუწურავი მარაგის ექსკლუზიურ გადამზიდავს გარანტირებული ჰქონდა. მთავარ არგუმენტად ფრანცისკო დ'ანკონიას წარსული მიღწევები მოჰყავდათ. და რატომღაც სან სებასტიანის მაღაროების სიმდიდრის დამადასტურებელი გეოლოგიური მტკიცებულებები არავის წარმოუდგენია.

ინფორმაცია მხოლოდ ფრანცისკო დ'ანკონიას მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ფაქტით შემოიფარგლებოდა. თუმცა, აქ მტკიცებულებები, როგორც ჩანდა, მაინცდამაინც არც არავის აინტერესებდა.

ბევრი ილაპარაკეს იმაზეც, თუ როგორ უჭირდათ მექსიკელებს და როგორ სჭირდებოდათ მათ რკინიგზა: „მათ სხვა შანსი აღარ მიეცემათ“... „ჩვენი ვალია, ჩამორჩენილ სახელმწიფოს დავეხმაროთ. ჩვენი ქვეყანა უახლოეს მეზობლებს მხარში უნდა ამოუდგეს“...

დაგნი იჯდა, უსმენდა და იმ განშტოებებზე ფიქრობდა, რომლებზეც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ უარი უნდა ეთქვა; უკვე წლები იყო, კომპანიის შემოსავლები გამუდმებით იკლებდა. ფიქრობდა უზარმაზარი სარკინიგზო ქსელის ყველა ხაზისთვის აუცილებელ, გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებზე.

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ პოლიტიკა ქსელის ტექნიკური მომსახურების საკითხებში თამაშს წააგავდა, უფრო — რეზინის ნაჭერს, რომელიც მაშინ შეგეძლო გაგეწელა, როცა მოგინდებოდა. ყოველთვის შეგეძლო გაგეწელა, მერე კიდევ გაგეწელა.

„ჩემი აზრით, მექსიკელები ძალიან შრომისმოყვარე ხალხია, მაგრამ მათი ეკონომიკა გამოქვაბულის ეპოქის დონეზე დარჩა. როგორ უნდა განახორციელონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, თუკი არავინ დაეხმარებათ?“ „ჩვენი ინვესტიციების განხილვისას, ვფიქრობ, პირველ რიგში, ადამიანები უნდა გავითვალისწინოთ და არა მატერიალური ფაქტორები“.

დაგნი რიო ნორტეს ლოკომოტივზე ფიქრობდა, რომელიც თხრილში გადავარდა, რადგან რელსები გადასკდა. ის ხუთი დღე გაიხსენა, როდესაც რიო ნორტეს ხაზზე მოძრაობა გაჩერდა, რადგან კლდის შემაკავებელი კედელი ჩამოინგრა და მთიდან ტონობით დაძრულმა ქვებმა ლიანდაგები ჩახერგა.

„რადგანაც ადამიანი ვალდებულია, ჯერ ახლობლებზე იზრუნოს და მერე საკუთარ კეთილდღეობაზე, ვფიქრობ, ამერიკელ ხალხსაც ევალება, ჯერ უახლოეს მეზობელზე იფიქროს და მერე საკუთარ მატერიალურ ინტერესებზე“.

დაგნი ელის უაიატზე ფიქრობდა, რომელსაც ცოტა ხნის წინ არავინ იცნობდა. ახლა უაიატს ყველა ყურადღებით ადევნებდა თვალს, რადგან მისი საქმიანობის შედეგად კოლორადოს გამოფიტული უდაბნოებიდან ნავთობის მდინარე დაიძრა. რიო ნორტეს გაპარტახება კი სწორედ მაშინ დაუშვეს, როცა წესით, სრული დატვირთვით უნდა გამოეყენებინათ.

„ქვენა სიხარბე ყველაფერს არ ნიშნავს. საჭიროა არამატერიალური იდეალების გათვალისწინებაც“. „უბრალოდ, სირცხვილით ვიწვი, როდესაც საკუთარ თავს ვუტყდები, რომ ჩვენი ქვეყანა უზარმაზარ სარკინიგზო ქსელს ფლობს და ამ დროს მექსიკელ ხალხს ორიოდე უხარისხო ხაზი აბადია“. „მოძველებულმა თეორიამ ეკონომიკური თვითკმარობის შესახებ რა ხანია, თავისი დრო მოჭამა. დაუშვებელია, ერთი ქვეყანა ყვაოდეს, დანარჩენი მოშიმშილე მსოფლიოს ფონზე“.

დაგნი დაფიქრდა, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ისეთი, როგორიც დღეს იყო, ჯერ კიდევ მის დაბადებამდე გახდა, როდესაც თითოეულ რელსს, თითოეულ ლურსმანს და დოლარს აღრიცხავდნენ და როდესაც ეს ყველაფერი უკიდურესად ჭირდა.

იმავე თათბირზე ბევრი ითქვა მექსიკის მთავრობის ეფექტიან მუშაობაზე, რომელიც ყველაფერს აკონტროლებდა. მექსიკას დიდი მომავალი აქვს, — ამბობდნენ ისინი, — და სულ რამდენიმე წელიწადში ეს ქვეყანა ძალიან საშიშ კონკურენტად

გადაიქცევა. „მექსიკაში დისციპლინა აქვთ“, — დაუღალავად იმეორებდნენ დირექტორები შურნარევი ინტონაციით.

დაუმთავრებელი წინადადებებით და ბუნდოვანი მინიშნებებით, ჯეიმს ტაგარტმა იქ შეკრებილი საზოგადოება მიახვედრა, რომ მისი მეგობრები ვაშინგტონში, რომელთა ვინაობასაც არ ასახელებდა, მექსიკის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზის აშენებას მიესალმებოდნენ; რომ ამ ხაზის მშენებლობა დიდად წაადგებოდა საერთაშორისო დიპლომატიას და მომავალი უსათუოდ აჩვენებდა, რომ კეთილი ნება და მსოფლიო საზოგადოების განწყობა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ დანახარჯებად ღირდა.

და საბოლოოდ, დირექტორთა საბჭომ ხმა მისცა ოცდაათი მილიონი დოლარის გამოყოფას სან სებასტიანის ხაზის მშენებლობისთვის.

როცა დაგნიმ დატოვა კაბინეტი, სადაც თათბირი გაიმართა, და ქუჩის სუფთა, ცივი ჰაერი ჩაისუნთქა, მის დაცარიელებულ ცნობიერებაში ორად ორი სიტყვა ტრიალებდა: „წადი აქედან... წადი აქედან... წადი აქედან“...

„წადი“...

გაოგნებული აყურადებდა თავს. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ დატოვების იდეას საღ აზრთა რიცხვს ვერ მიაკუთვნებდა. შიშმა მოიცვა — თვითონ აზრმა კი არ შეაშინა, არამედ იმ ვითარებამ, რომელმაც ის წარმოშვა. თავი ბრაზით გააქნია და გაიფიქრა, რომ ახლა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ისე სჭირდებოდა, როგორც არასდროს.

დირექტორთა საბჭოს ორი წევრი გადადგა. გადადგა საოპერაციო მიმართულების ვიცე-პრეზიდენტიც, რომელიც ჯეიმს ტაგარტის ერთ-ერთმა მეგობარმა შეცვალა.

ფოლადის რელსებმა მექსიკის უდაბნო გადასერეს, გაიცა განკარგულება, რიო ნორტეს ხაზზე მატარებლებს დაბალი სიჩქარით ემოძრავათ, რადგან გზის ეს მონაკვეთი სავალალო მდგომარეობაში იყო.

მექსიკური სოფლის მტვრიან და გაპარტახებულ ცენტრალურ მოედანზე მარმარილოთი მოპირკეთებული და სარკეებით დამშვენებული რკინაბეტონის სადგური აშენდა, ხოლო რიო ნორტეზე, იმის გამო, რომ რელსებმა დატვირთვას ველარ გაუძლო და შუაზე გადაიხსნა, ნავთობით დატვირთული ცისტერნების მთელი შემადგენლობა ლიანდაგებიდან გადავიდა, აფეთქდა და ცეცხლის ალში დაბუგულ ჯართად იქცა. ელისი უაიატი არ დალოდებია სასამართლოს ვერდიქტს, რათა მომხდარში უფლის ნება განეჭვრიტა, როგორც ჯეიმს ტაგარტი სთავაზობდა. ადგა და თავისი ნავთობის გადაზიდვა უცნობ სარკინიგზო კომპანია „ფენიქს-დურანგოს“ მიანდო, პატარა კომპანიას, რომელიც პედანტურობით გამოირჩეოდა და ყოჩაღად უძღვებოდა საქმეს.

ელის უაიატთან თანამშრომლობა ერთგვარი ბიძგი გახდა „ფენიქს-დურანგოსთვის“. მას მერე ეს კომპანია ელის უაიატის კომპანიის კვალდაკვალ იზრდებოდა, რომლის ქარხნები მეზობელ მიმდებარე რაიონებშიც გამოჩნდა. ამის პარალელურად, მექსიკაში, გადამხმარ სიმინდის ყანებს შორის, რკინიგზის რელსებისა და შპალების დაგება გრძელდებოდა, ორი მილის განაკვეთით თვეში.

დაგნი ოცდათორმეტი წლის იყო, როცა თავის ძმას უთხრა, რომ კომპანიიდან წავიდოდა. ბოლო სამი წლის მანძილზე ის საოპერაციო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, ყოველგვარი ოფიციალური თანამდებობის, გავლენისა და ძალაუფლების გარეშე, დაქანცა საათებმა, დღეებმა, ღამეებმა, რომლებსაც ჯიმის

მეგობრის დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ახარჯავდა. ჯიმის მეგობარს ვიცე-პრეზიდენტისა და საოპერაციო დეპარტამენტის ოფიციალური ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. ამ ადამიანს საკუთარი პოლიტიკა არ გააჩნდა და თითოეული გადაწყვეტილება, რომელსაც ის იღებდა, ყოველთვის დაგნის მიერ იყო ნაკარნახევი. თუმცა, დაგნის რჩევებს მხოლოდ მას მერე იღებდა, როცა წინასწარ იზრუნებდა, მათი შესრულება შეუძლებელი გამხდარიყო. დაგნიმ ულტიმატუმი წაუყენა ძმას. ჯეიმს სუნთქვა გაუძნელდა:

— მაგრამ დაგნი, შენ ხომ ქალი ხარ?! ქალი — ვიცე-პრეზიდენტად და საოპერაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელად?! სად გაგონილა! საბჭო ამ საკითხის განხილვასაც კი არ მოინდომებს!

— მაშინ მე მივდივარ!

არ იცოდა, რას გააკეთებდა დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ დატოვება მისთვის ორივე ფეხის ამპუტაციას უდრიდა. „რაც იქნება, იქნება, მერე გავერკვევი“, — ფიქრობდა ის.

დაგნიმ ვერასოდეს ახსნა, თუ რატომ მისცა ხმა ერთსულოვნად დირექტორთა საბჭომ მის დანიშვნას ვიცე-პრეზიდენტისა და საოპერაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე.

სწორედ დაგნიმ დაასრულა ბოლოს და ბოლოს სან სებასტიანის ხაზის მშენებლობა. როცა საქმე გადაიბარა, სამუშაო უკვე სამი წელი მიმდინარეობდა. ჯერ ხაზის მხოლოდ ერთი მესამედი იყო გაყვანილი, დანახარჯი კი უკვე პროექტის მთლიან ღირებულებას აღემატებოდა. დაგნიმ ჯეიმსის ყველა მეგობარი გაუშვა სამსახურიდან და ისეთი კონტრაქტორი იპოვა, რომელმაც მშენებლობა ერთ წელიწადში დაასრულა.

სან სებასტიანის ხაზი ამოქმედდა, მაგრამ არც გადაზიდვების დაპირებული მოცულობა და არც სპილენძით დატვირთული მატარებლები ამას არ მოჰყოლია. სან სებასტიანის მთებიდან მხოლოდ ორი-სამი ვაგონი თუ დაეშვებოდა ძალიან იშვიათად.

ფრანცისკო დ'ანკონიას თქმით, მაღაროები ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაში იყო.

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ დანაკარგები სულ უფრო იზრდებოდა.

ახლა დაგნი თავის კაბინეტში იჯდა მაგიდასთან, სადაც მრავალი დაუსრულებელი საღამო გაუტარებია და ცდილობდა, გაერკვია, თუ რომელ მიმართულებებს შეეძლოთ მთელი სისტემის გადარჩენა და რამდენ წელიწადში.

განახლებული რიო ნორტეს ხაზი ყველა დანარჩენს გადაარჩენდა. როდესაც ციფრებით გადაჭრელებულ ფურცლებს ათვალიერებდა, სადაც ახალი და ახალი დანაკარგები იყო აღრიცხული, მექსიკური წამოწყების ხანგრძლივ, უაზრო აგონიაზე არ ფიქრობდა. მხოლოდ თავის სატელეფონო ზარს იხსენებდა.

— ჰენკ, შეგიძლია ჩვენი გადარჩენა? შეგიძლია, უმოკლეს ვადებში მოგვაწოდო რელსები და საფასურის გადახდა მაქსიმალურად გადაგვივადო?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა გაწონასწორებულმა, დამაჯერებელმა ხმამ.

ეს ჩანაფიქრი საყრდენ წერტილად ექცა. დაგნი მაგიდაზე დაწყობილ ფურცლებზე გადაიხარა. იგრძნო, რომ უკვე გაუადვილდებოდა მათზე კონცენტრირება. რაღაც მაინც გამოუჩნდა ისეთი, რომელიც გაუძლებდა, არ დაინგრეოდა, არ დაიშლებოდა ბოლო მომენტში.

ჯეიმს ტაგარტმა დაგნის კაბინეტის მისაღები გადაკვეთა. თავდაჯერებულობა, რომელსაც თავის თანამოაზრეებთან ერთად ყოფნისას გრძნობდა ბარში ნახევარი საათის წინ, ჯერაც გამოყოლილი ჰქონდა. როცა კაბინეტის კარი შეაღო, ეს მისი თავდაჯერებულობა სადღაც აორთქლდა. დის მაგიდას დანაშაულში გამოჭერილი ბავშვივით მიუახლოვდა, რომელიც სამაგალითო, დაუვიწყარი სასჯელის მოლოდინშია.

დაგნის თავი ფურცლებზე დაეხარა. აწეწილი თმა მაგიდის სანათის შუქზე უბზინავდა, მხრებიდან ჩამოცურებული თეთრი ბლუზის ნაკეცები მის სიგამხდრეს გამოკვეთდა. — მოხდა რამე, ჯიმ?

— რის გაკეთებას ცდილობ სან სებასტიანის ხაზზე?

დაგნიმ თავი ასწია.

— რას უნდა ვცდილობდე?

— რა გრაფიკი გვაქვს იქ და როგორი მატარებლები მოძრაობენ?

დაგნიმ გაიცინა. მის სიცილში დაღლილობა და მხიარულება გაისმა.

— ხანდახან მაინც უნდა წაიკითხო ხოლმე ანგარიშები, რომლებსაც პრეზიდენტის მაგიდაზე აწყობენ, ჯიმ, ხანდახან მაინც.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ ამ გრაფიკით და ამ მატარებლებით უკვე სამი თვეა, სან სებასტიანის ხაზზე ვმუშაობთ.

— დღეში ერთი სამგზავრო მატარებელი?

— დიახ, დილაობით, და ერთიც სატვირთო — ღამით.

— ღმერთო ჩემო! და ეს ასეთ მნიშვნელოვან ხაზზე ხდება?!

— ეს მნიშვნელოვანი ხაზი ამ ორი მატარებლის ხარჯებსაც კი ვერ ფარავს.

— მაგრამ მექსიკელი ხალხი ჩვენგან რეალურ დახმარებას ელის!

— ეჭვიც არ მეპარება.

— მათ მატარებლები სჭირდებათ!

— რისთვის?

— იმისთვის... რომ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაში დავეხმაროთ. შენი აზრით, როგორ განვითარდება, თუ ტრანსპორტით არ უზრუნველვყოფთ?

— საერთოდ არ ველოდები, რომ ამ ქვეყნის მრეწველობა განვითარდება.

— ეს მხოლოდ შენი პირადი აზრია. ვერ ვხვდები, რა უფლება გქონდა, თვითნებურად შეგეკვეცა განრიგი. მარტო სპილენძის გადაზიდვები დაფარავს ყველაფერს.

— როდის?

ჯეიმსმა დას შეხედა. სახეზე იმ ადამიანის კმაყოფილება დაეწერა, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა, რაიმე საწყენი ეთქვა.

— შემთხვევით, იმ სპილენძის მაღაროების წარმატებაში ეჭვი ხომ არ გეპარება?

ისინი ხომ ფრანცისკო დ'ანკონიას ეკუთვნის, — ტაგარტმა ეს სახელი განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვა და თან დაგნის თვალს არ აშორებდა.

— შეიძლება, ის შენი მეგობარია, მაგრამ... — დაიწყო დაგნიმ.

— ჩემი მეგობარი? მე მეგონა, შენი მეგობარი იყო.

— მაგრამ არა ბოლო ათი წლის მანძილზე, — მშვიდად უპასუხა დაგნიმ.

— არადა, რა სამწუხაროა, არა? ის ხომ მაინც ყველაზე იღბლიანი საქმოსანია დედამიწაზე. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ფრანცისკოს საქმიან წამოწყებას

წარმატება არ მოჰყოლოდა, თვითონაც კარგად იცი. ამ მაღაროებში კი მილიონები ჩაყარა, ამიტომ შეგვიძლია, ვენდოთ მის გონიერებას.

— ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა მიხვდე, რომ ფრანცისკო დ'ანკონია უვარგის უსაქმურად გადაიქცა.

ჯეიმსმა ჩაიხითხითა:

— ყოველთვის ვიცოდი, ეგეთი რომ იყო. მაგრამ შენ არ იზიარებდი ჩემს აზრს. საპირისპიროს ამტკიცებდი. ოჰ, ღმერთო, თანაც როგორ ამტკიცებდი! რა თქმა უნდა, გემახსოვრება, რამდენს ვკინკლაობდით ამ საკითხზე. გაგახსენო შენი რამდენიმე გამონათქვამი? ან, იქნებ, გითხრა, რას ვფიქრობ ზოგიერთი შენი საქციელის მიზეზებზე? — ფრანცისკო დ'ანკონიაზე ვილაპარაკოთ? ამისთვის მოხვედი?

ჯეიმსს სახეზე ბრაზისა და იმედგაცრუების ნიშნები გამოესახა, ვინაიდან დაგნის სახეზე ვერაფერი ვერ ამოიკითხა.

— გადასარევად იცი, რატომაც მოვედი, — მოუჭრა მან, — დაუჯერებელი რაღაცები მოვისმინე ჩვენს მატარებლებზე მექსიკაში.

— მაინც, რა რაღაცები?

— რა შემადგენლობას იყენებ იქ?

— ყველაზე ცუდს, რისი პოვნაც მოვახერხე.

— აღიარებ?

— ამის შესახებ ჩემს ანგარიშში გაცნობებდი.

— მართალია, რომ შეშაზე მომუშავე ორთქლმავლებს იყენებ?

— ედიმ ეგ ორთქლმავალი ლუიზიანას ერთ-ერთ მიტოვებულ დეპოში მომიძებნა.

იმ რკინიგზის სახელიც კი ვერ დაადგინა.

— და ეს ჯაბახანა დადის „ტაგარტის“ მატარებლების სახელით?

— დიახ.

— ვერაფერს იტყვი, მაგარი იდეაა! რა ხდება, გამარკვევ ბოლოს და ბოლოს? მინდა, ვიცოდე, რა ხდება!

დაგნი გაწონასწორებულად ლაპარაკობდა, ძმისთვის თვალი არ მოურიდებია.

— თუ გაინტერესებს, სან სებასტიანის ხაზზე ჯართის გარდა არაფერი დამიტოვებია, მექსიკიდან ყველაფერი წამოვიღე, რისი წამოღებაც შეიძლებოდა — ორთქლმავლები, მთელი ინსტრუმენტები, აღჭურვილობა, საბეჭდი მანქანები და სარკეებიც კი.

— კი მაგრამ, რატომ? რამ გაგაგიჟა?!

— იმიტომ, რომ ბანდიტებს არაფერი დარჩეთ ხაზის ნაციონალიზაციის მერე.

ტაგარტი წამოხტა:

— ამას ასე არ დავტოვებ! ამ ჯერზე ეს ოინები არ გაგივა! არა, ხომ უნდა მოგივიდეს თავში აზრად ასეთი იაფფასიანი, გაუგონარი რამეების გაკეთება!.. თან რაღაც ბინძური ხმების გამო, როცა ორასწლიანი ხელშეკრულება გვაქვს დადებული!

— ჯიმ, — ნელა თქვა დაგნიმ, — ჩვენს კომპანიას არც ერთი ზედმეტი ვაგონი, არც ერთი ზედმეტი ლოკომოტივი, არც ერთი ზედმეტი ტონა ნახშირი არ აქვს.

— ამას ვერ დავუშვებ! კატეგორიულად არ დავუშვებ ასეთ გაუგონარ პოლიტიკას მეგობარი ხალხის მიმართ, რომელსაც ჩვენი დახმარება სჭირდება. ქვენა სიხარბე ყველაფერს როდი ამართლებს. ბოლოს და ბოლოს, ამაღლებული რამეებიც ხომ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ შენ ეს არ გესმის.

დაგნიმ ბლოკნოტი გადაშალა და ფანქარი აიღო.

— კარგი, ჯიმ, რამდენი მატარებელი უნდა გავუშვა, შენი აზრით, სან სებასტიანზე? — ჰმ...

— რომელი მატარებლები უნდა მოვხსნა და რომელი ხაზიდან, თუკი გინდა, მექსიკაში დიზელის თბომავლები და ფოლადის ვაგონები გქონდეს?

— არსაიდან არაფრის მოხსნა არ მინდა!

— მაშინ საიდან მოვიტან მოძრავ შემადგენლობას მექსიკისთვის?

— აი, ეს შენ უნდა მოაგვარო! ეს შენი გასაკეთებელია.

— მე ამას ვერ ვაკეთებ. ასე რომ, შენ გადაწყვიტე.

— ისევ შენი უზნეო ფანდი — გინდა, მთელი პასუხისმგებლობა მე გადმომაბარო!

— მითითებებს ველოდები, ჯიმ.

— არაფერი გამოგივა! ხაფანგში ვერ გამაბამ!

დაგნიმ ფანქარი დააგდო:

— რახან ასეა, სან სებასტიანზე ყველაფერი უცვლელად დარჩება.

— მაშინ დამაცადე შემდეგ თვემდე, ვიდრე დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართება. მოვითხოვ, გადაწყვეტილება მიიღონ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად გადაისინჯოს საოპერაციო დეპარტამენტის უფლება-მოვალეობები. ამისთვის პასუხს გაგებინებენ!

— ვაგებ!

სანამ ჯეიმს ტაგარტის უკან კარი მიიხურებოდა, დაგნი უკვე საქმეს მიუბრუნდა.

როცა მუშაობა დაამთავრა, ქაღალდები განზე გასწია და ფანჯარაში გაიხედა.

ბნელი ცისა და გაუჩინარებული კედლების ფონზე ქალაქი განათებული ფანჯრები მოციმციმე განფენილობად გადაქცეულიყო. უხალისოდ წამოდგა. ესმოდა, რომ უკვე დაიღალა და ეს თავის მცირე მარცხად ეჩვენებოდა.

ოფისი ჩაბნელებული და დაცარიელებული იყო. ყველა წავიდა. მხოლოდ ედი უილერსი იჯდა ისევ თავის მაგიდასთან, მინის ტიხრის მიღმა, რომელიც ახლა განათებულ კუბს წააგავდა გაშლილ სივრცეში. როდესაც ედის გვერდით ჩაუარა, დაგნიმ ხელი დაუქნია.

ლიფტით დაეშვა, ოღონდ შენობის კი არა, მის ქვეშ განთავსებული „ტაგარტის“ ვაგზლის ვესტიბიულში. შინისკენ ვაგზლის გავლით მოსწონდა წასვლა.

ეჩვენებოდა, რომ ეს ვესტიბიული რაღაცით ტაძარს წააგავდა. როდესაც მაღალ ჭერს ახედავდა, ვეებერთელა გრანიტის კოლონებზე ჩამოყრდნობილ მკრთალად განათებულ კამარას და წყვდიადით ამოვსებული ფანჯრების კონტურებს ხედავდა. კათოლიკური ტაძრის საზეიმო სიმშვიდით აღსავსე კამარა თითქოს დამცავ საბურველად გადაჰფარებოდა ქვემოთ მოფუსფუსე ხალხს.

დარბაზში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, რკინიგზის დამაარსებლის — ნათანიელ ტაგარტის მონუმენტი იდგა. მგზავრები მას უკვე ისე მიეჩვივნენ, ყურადღებას აღარ აქცევდნენ და ინტერიერის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ.

დაგნი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც გულგრილად არასოდეს ჩაუვლია ამ მონუმენტთან და ყოველთვის საგანგებოდ მიაგებდა ხოლმე დიდებულ წინაპარს პატივს. ვესტიბიულის გადაკვეთისას მისკენ მიპყრობილი მზერა ლოცვის ერთადერთი სახეობა იყო, რომელიც დაგნიმ იცოდა.

ოდესღაც ნათანიელ ტაგარტი, ჯიბეგაფხეკილი ავანტიურისტი, ახალი ინგლისიდან ჩამოვიდა და გაიყვანა რკინიგზა, რომელმაც კონტინენტი გადასერა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ფოლადის რელსები პირველად გამოჩნდა. ამ რკინიგზამ აწმყომდეც მოაღწია. ტაგარტის ბრძოლა რკინიგზის აშენებისთვის ლეგენდად იქცა,

რადგან მაშინ ადამიანებს ან ერჩივნათ, არ სცოდნოდათ მისი მნიშვნელობა, ან კიდევ, უბრალოდ, არ სჯეროდათ, თუ ეს მართლა შესაძლებელი იყო.

ამ კაცს წინ ვერავინ გადაეღობებოდა. მან მიზანი დაისახა და შეუპოვრად გაემართა მისკენ, ისეთივე პირდაპირი გზით, როგორითაც მისივე სარკინიგზო რელსები მიიწევდნენ ჰორიზონტისკენ. არასოდეს უსარგებლია სახელმწიფო სესხით, ობლიგაციებით, სუბსიდიებით, მიწის დოტაციითა თუ სამართლებრივი შეღავათებით მთავრობისგან. ფულს იმათგან იღებდა, ვისაც ის ჰქონდა — ხან ბანკირის წითელი ხის ძვირფას კარზე მიაკაკუნებდა, ხანაც ფერმერის უხეში ფიცრებისგან შეკრულ კარზე. ტაგარტი საზოგადოების კეთილდღეობაზე არასდროს ლაპარაკობდა. უბრალოდ, უხსნიდა ადამიანებს, რომ მისი რკინიგზა მათ დიდ შემოსავალს მოუტანდა, უხსნიდა, საიდან მოვიდოდა ეს შემოსავალი და არგუმენტებსაც უსახელებდა. არგუმენტები კი მართლა დამაჯერებელი ჰქონდა.

ყველა მომდევნო თაობის პერიოდში „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან რკინიგზათაგან, რომელიც არ გაკოტრებულა და ერთადერთი, რომლის აქციათა საკოტროლო პაკეტს დამაარსებლის შთამომავლობა ფლობდა.

ნათ ტაგარტს სიცოცხლეში პოპულარული არ ეთქმოდა, უფრო საეჭვო რეპუტაციით იყო ცნობილი. მის სახელს პატივისცემით კი არა, ზიზღიანი ცნობისმოყვარეობით ახსენებდნენ ხოლმე. და თუკი ვინმე იყო აღფრთოვანებული მისით, ეს იღბლიანი ბანდიტით აღფრთოვანებას უფრო ჰგავდა. და მაინც, ერთი პენსიც კი თავისი ქონებიდან გამოძალვით ან თაღლითური გზით არ მოუპოვებია. მას არაფერი დაუშავებია, გარდა იმისა, რომ საკუთარი ქონება საკუთარივე შრომით დააგროვა და არასდროს ავიწყდებოდა, რომ ეს მისი იყო, მხოლოდ და მხოლოდ მისი.

ნათ ტაგარტის შესახებ ბევრ ისტორიას ჰყვებოდნენ ჩურჩულით. ამბობდნენ, რომ დასავლეთში, ერთ-ერთ მიყრუებულ შტატში, ადგილობრივი კანონმდებელი ჩაცხრილა, რომელმაც სცადა, ტაგარტისთვის მაშინ ჩამოერთმია მოპოვებული უფლება, როცა რკინიგზას იმ შტატის ტერიტორიის ნახევარი უკვე გადაესერა.

იქ ვიღაცებს განუზრახავთ, ტაგარტის აქციებზე ფასის თამაშით დიდი ფული ეშოვათ. ტაგარტი მკვლელობაში დაადანაშაულეს, მაგრამ მისი ბრალეულობა ვერასდროს ვერ დაამტკიცეს. მას შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობა აღარასოდეს გართულებია.

იმასაც ამბობდნენ, რომ რკინიგზის ასაშენებლად ხშირად საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაუნანებია; მაგრამ ერთხელ სასწორზე იმაზე ძვირფასი რამ დადო, ვიდრე სიცოცხლეა. ოდესღაც, როცა სასოწარკვეთილი დაეძებდა საჭირო სახსრებს შეფერხებული მშენებლობის გასაგრძელებლად, ერთი ჩინოვნიკი კიბიდანაც კი დააგორა, რადგან ამ ჯენტლმენმა სახელმწიფო სესხი შესთავაზა. მერე ფული ვიღაც მილიონერისგან ისესხა, რომელსაც სანაცვლოდ, გირაოს სახით, თავისი ცოლი შესთავაზა. ამ მილიონერს ჭირივით სძულდა ტაგარტი, მის ულამაზეს ცოლს კი ეტრფოდა. ტაგარტმა დროულად დაფარა მთელი სესხი და ვალდებულებისგან გათავისუფლდა. ეს გარიგება ტაგარტის ცოლის თანხმობით შედგა. ის გასაოცარი სილამაზის ქალი იყო და სამხრეთის ერთ-ერთი შტატის წარჩინებულ ოჯახს მიეკუთვნებოდა. როცა სახლიდან გაიპარა და ცოლად ნათ ტაგარტს გაჰყვა, მაშინ ჯერ კიდევ ჯიბეცარიელ ახალგაზრდა ავანტიურისტს, ოჯახმა ის მოიკვეთა და მემკვიდრეობისა და მზითვის გარეშე დატოვა.

დაგნი ხანდახან ნანობდა, ნათ ტაგარტი მისი წინაპარი რომ იყო. სიყვარული, რომელსაც მის მიმართ გრძნობდა, ოჯახური ურთიერთობების ჩარჩოში ვერ თავსდებოდა. არ სურდა, ეს განცდა ისეთი ყოფილიყო, ბიძის ან ბაბუის მიმართ რომ აქვთ ხოლმე. უნდოდა, ის ჰყვარებოდა, ვისაც თავად აირჩევდა შესაყვარებლად, ძალდატანების გარეშე. ყოველთვის აღაშფოთებდა, როცა სიყვარულს მისგან მოითხოვდნენ. და მაინც, წინაპრების არჩევა რომ შესძლებოდა, დაუფიქრებლად, ნებაყოფლობით და უსაზღვრო მადლიერებით, სწორედ ნათ ტაგარტს აირჩევდა.

ნათ ტაგარტის სკულპტურა უცნობი მხატვრის მიერ ფანქრით შესრულებული მისი პორტრეტის მიხედვით შეიქმნა. ამ ჩანახატის გარდა, ნათის გარეგნობა სხვას არაფერს შემოუნახავს. მართალია, მან ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა, ყველას მაინც სწორედ ისეთი წარმოედგინა, როგორიც ამ გრაფიკულ ჩანახატში იყო გამოსახული — ახალგაზრდა მამაკაცი.

ბავშვობაში ეს მონუმენტი დაგნისთვის ამაღლებული სულისა და სიდიადის პირველ განსხეულებად იქცა და როცა მოგვიანებით ეკლესიაში და სკოლაში გაიგონა სიტყვები — „დიადი“ და „ამაღლებული“, მიხვდა, რასაც ნიშნავდა ისინი — ამ სკულპტურას. მაღალ, ტანხმელ ახალგაზრდა კაცს, მოუხეშავი სახით, თავი ამაყად აეწია, ნებისმიერი გამოწვევისთვის მზად იყო და ეს ახარებდა კიდეც. ყველაფერი, რასაც კი დაგნი ცხოვრებისგან მოელოდა, თავსდებოდა სურვილში — მასავით ამაყად თავაწეულს ევლო, როდესაც იმ საღამოს ვესტიბიული გადაკვეთა, მან ისევ შეხედა მონუმენტს. მის სიახლოვეს წამიერ შვებას გრძნობდა. თითქოს რაღაც უსახელო, დამთრგუნველი ტვირთისგან თავისუფლდებოდა, თითქოს მსუბუქი ნიავი ეხებოდა გავარვარებულ შუბლზე.

ვესტიბიულის კუთხეში, შესასვლელთან, პატარა საგაზეთო ჯიხური იდგა. უკვე ოცი წელი იყო, ის ერთ წყნარ, თავაზიან მოხუც კაცს ეკუთვნოდა. თავის დროზე თამბაქოს ფაბრიკა ჰქონდა, რომელიც გაკოტრდა და მას მერე ამ პატარა ჯიხურში განმარტოვდა, მგზავრების მუდმივი ორომტრიალის შუაგულში. არც ოჯახი ჰყავდა და არც მეგობრები. ერთადერთ სიამოვნებას ცხოვრებაში თავისი ჰობი ანიჭებდა — მსოფლიოს ყველა კუთხის სიგარეტებს აგროვებდა. სიგარეტის თითოეული ბრენდი იცოდა, რაც კი ოდესმე უწარმოებიათ.

დაგნის უყვარდა სახლში წასვლამდე ამ ჯიხურთან გაჩერება. ის თითქოს „ტაგარტის“ ვაგზლის განუყოფელ ნაწილად იქცა, როგორც ბებერი ყარაული ძაღლი, უკვე ძალიან ბებერი და სუსტი რაიმეს საყარაულოდ, მაგრამ მაინც დამაიმედებელი თავისი იქ ყოფნით. ჯიხურის მეპატრონესაც სიამოვნებდა დაგნის სტუმრობა, მოსწონდა, როცა ფიქრობდა, რომ ამ ბრბოში მან ერთადერთმა იცოდა, ვინ იყო სპორტულ ლაბადაში გამოწყობილი ეს ახალგაზრდა ქალბატონი, გვერდულად დახურული ქუდით, რომელსაც ვერავინ ცნობდა ადამიანების ამ ორომტრიალში.

დაგნი იმ საღამოსაც ჩვეულებისამებრ გაჩერდა ჯიხურთან, სიგარეტის საყიდლად.

— თქვენი კოლექციის საქმე როგორაა? რაიმე ახალი ხომ არ შეემატა? — ჰკითხა მოხუცს.

— არა, მის ტაგარტ, — უპასუხა მან სევდიანად და თავი გაიქნია, — ახალი მარკის სიგარეტებს მსოფლიოში ახლა საერთოდ აღარ უშვებენ, ძველებიც თანდათან ერთიმეორის მიყოლებით ქრება. მხოლოდ ხუთი-ექვსი მარკა იყიდება, როცა ადრე ათობით იყო. ადამიანები ახალს აღარაფერს ქმნიან.

— სულ ასე არ იქნება, ეს დროებითია.

მოხუცმა შეხედა და არაფერი უპასუხა, მერე კი თქვა:

— სიგარეტი მომწონს, მის ტაგარტ, მომწონს, როცა წარმოვიდგენ, როგორ უჭირავს ადამიანს ცეცხლი ხელში. ცეცხლი საშიშია, მაგრამ ამ დროს მოთვინიერებულია ადამიანის თითებს შორის. ხშირად წარმოვიდგენ ხოლმე იმ საათებს, როცა კაცი მარტო ზის, სიგარეტის ბოლს უყურებს და ფიქრობს. საინტერესოა, ნეტავი, რამდენი გენიალური აზრი დაბადებულა ასეთ წუთებში. როცა ადამიანი აზროვნებს, მის გონებაში ცეცხლის ალი წარმოიქმნება და ანთებული სიგარეტიც თითქოს მის სიმბოლოდ იქცევა.

— ფიქრობენ კი საერთოდ ადამიანები? — აღმოხდა დაგნის უნებურად და მაშინვე გაჩუმდა. ეს კითხვა დიდი ხანია, მოსვენებას არ აძლევდა და არ უნდოდა ვინმესთან ამის განხილვა.

მოხუცმა ისე შეხედა, თითქოს მიუხვდა, რატომაც გაჩუმდა მოულოდნელად და მხოლოდ ესღა თქვა:

— არ მომწონს, რაც ადამიანებს ახლა სჭირთ, მის ტაგარტ.

— რა სჭირთ?

— არ ვიცი. თუმცა, აი უკვე ოცი წელია, ადამიანებს ვაკვირდები და ცვლილებებს ვამჩნევ. მახსოვს, ადრეც ყველა სადღაც გარბოდა, მაგრამ მაშინ მსიამოვნებდა ყურება — იცოდნენ, საით მიეჩქარებოდათ და ცდილობდნენ, სწრაფად მიეღწიათ იქამდე. ახლა კი ჩქარობენ, იმიტომ, რომ ეშინიათ. ახლა მათ მიზანი კი არა, შიში მიერეკებათ. საითკენღაც კი არ მიისწრაფვიან, გაქცევას ლამობენ. ეჭვი მეპარება, იცოდნენ, რას გაურბიან. ერთმანეთს არ უყურებენ. თუ ვინმე შეეხებათ, შიშისგან კრთიან, ზედმეტად ბევრს იღიმებიან, მაგრამ ეს საზიზღარი ღიმილებია: უსიხარულო, მავედრებელი. არ მესმის, რა ემართება სამყაროს, — მხრები აიჩეჩა მან, — ხო, მართლა, ვინ არის ჯონ გოლტი?

— უაზრო ფრაზაა. — თქვა დაგნიმ ისე უხეშად, რომ თვითონაც შეცბა და მობოდიშების ტონით დასძინა, — არ მომწონს ასეთი სულელური გამონათქვამები. რას ნიშნავს საერთოდ? ან საიდან მოვიდა?

— არავინ იცის, — აუჩქარებლად უპასუხა მოხუცმა.

— მაშინ რატომ იმეორებს ყველა? გამოდის, არავინ იცის, რას ნიშნავს, და მაინც ისე იყენებენ, თითქოს იცოდნენ.

— ეს ასე რატომ გაწუხებთ?

— არ მომწონს, რასაც ამ ფრაზის წარმოთქმისას გულისხმობენ.

— არც მე, მის ტაგარტ.

* * *

ედი უილერსი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ვაგზლის კაფეტერიაში ვახშმობდა ხოლმე. შენობაში რესტორანიც ფუნქციონირებდა, რომლის ძირითადი კლიენტები კომპანიის უფროსი თანამშრომლები იყვნენ, მაგრამ ედის ის არ მოსწონდა. კაფეტერია, რესტორნის მოპირდაპირედ, თითქოს რკინიგზის ნაწილი იყო, იქ თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

ეს კაფეტერია მიწის ქვეშ მდებარეობდა. თეთრი კაფელით მოპირკეთებული კედლები სინათლეს აირეკლავდა და ვერცხლისფერ ფარჩას ემსგავსებოდა. მაღალი ჭერი და მინითა და ქრომით გაწყობილი მოლაპლაპე დახლები სივრცისა და სინათლის განცდას ქმნიდნენ.

დროდადრო ედი ერთ რკინიგზელს გადაეყრებოდა ხოლმე კაფეტერიაში, მუშას.

მისი სახე მოსწონდა. ოდესღაც შემთხვევით გამოელაპარაკა და მას მერე ჩვევად გადაექცათ, ერთად ევახშმათ, თუკი იქ შეხვდებოდნენ.

ედის არ ახსოვდა, უკითხავს თუ არა ოდესმე მისთვის, რა ერქვა ან რას საქმიანობდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა, რადგან ყოველთვის უბრალო, ზეთით დალაქავებული ტანისამოსი ეცვა. ამ მუშას ედი პიროვნებად კი არა, უფრო მდუმარე, უსახურ კრებით სახედ აღიქვამდა, რომლისთვისაც უმთავრესი ცხოვრებაში კომპანია „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ იყო, სწორედ ისევე, როგორც თვითონ ედისთვის.

იმ ღამით ედი კაფეტერიაში გვიან ჩავიდა და ნახევრად ცარიელი დარბაზის კუთხეში თავისი მუშა დაინახა. სიხარულით გაუღიმა, მიესალმა და ლანგრით ხელში მისი მაგიდისკენ გაემართა.

აქ, ამ მყუდრო კუთხეში, ედის სიმშვიდე დაეუფლა. მოდუნდა დაძაბული, გრძელი დღით დაქანცული. აქ თავისუფლად შეეძლო ელაპარაკა, ის ეთქვა, რასაც არსად სხვაგან არ იტყოდა. ხმამაღლა ეფიქრა და ყურადღებით მომზირალი მუშისთვის თვალებში ეყურებინა.

— რიო ნორტე ჩვენი ბოლო იმედია! — თქვა ედი უილერსმა, — ის თუ გვიხსნის. ერთი ხაზი მაინც გვექნება კარგ მდგომარეობაში იქ, სადაც ყველაზე მეტად გვჭირდება და ყველა დანარჩენის გადარჩენაშიც დაგვეხმარება. სასაცილოა, არა? „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ბოლო იმედზე ილაპარაკო... დაიჯერებ, ვინმემ რომ გითხრას, დედამიწას მეტეორი შეეჯახება და გაანადგურებსო?.. არც მე... „ოკეანიდან ოკეანემდე, სამუდამოდ“ — აი, რა გვესმოდა მთელი ბავშვობა ჩვენს რკინიგზაზე მე და მას. არა, სიტყვა „სამუდამოდ“ იქ არ იყო, მაგრამ იგულისხმებოდა... იცი, მე უბრალო კაცი ვარ. მე ამ რკინიგზას ვერ ავაშენებდი. თუ ის განადგურდება, მის აღდგენას ვერ შევძლებ. მე მასთან ერთად ჩავიძირები... ყურადღება არ მომაქციო. ვერ გავიგე, რატომ ვამბობ დღეს ამ ყველაფერს. ალბათ, მეტისმეტად დაღლილი ვარ... ჰო, გვიანობამდე ვიმუშავე. მას არ უთხოვია, დარჩიო, მაგრამ მის კაბინეტში შუქი ენთო, დიდი ხანი ენთო, მერეც, ყველა რომ წავიდა... ჰო, უკვე ისიც წასულია... პრობლემები? ოჰ, პრობლემებს რა გამოლევს ოფისში. მაგრამ ის არ ღელავს. იცის, რომ თავს გაართმევს... რა თქმა უნდა, ცუდადაა საქმეები. უფრო მეტი ავარია გვაქვს, ვიდრე შენ გაიგებდი. გასულ კვირას კიდევ დავკარგეთ ორი დიზელის ლოკომოტივი, პირველი, შეიძლება ითქვას, სიბერით გარდაიცვალა, მეორე კი შემხვედრ მატარებელს დაეჯახა. ...ჰო, ლოკომოტივები უკვე შევუკვეთეთ „იუნაიტიდ ლოკომოტივს“, მაგრამ უკვე ორი წელია ველოდებით. არც კი ვიცი, მივიღებთ ოდესმე თუ არა... არადა, ღმერთო, როგორ გვჭირდება! „ლოკომოტივები — ვერ წარმოგიდგენია, ეს რა მნიშვნელოვანია. რკინიგზის გულია... რატომ გეღიმება? ერთი სიტყვით, როგორც გითხარი, ცუდ დღეში ვართ... მაგრამ, კიდევ კარგი, რიო ნორტე მაინც მოწესრიგდება. რელსების პირველ პარტიას რამდენიმე კვირაში მივიღებთ და ერთ წელიწადში ამ ახალ გზაზე ახალ მატარებელს გავუშვებთ. ამჯერად ვერაფერი შეგვაჩერებს ... რა თქმა უნდა, ვიცი, ლიანდაგებს ვინც დააგებს — მაკნამარა კლივლენდიდან. მაკნამარა, ის კონტრაქტორი, სან სებასტიანის ხაზი ვინც დაასრულა. ყოველი შემთხვევისთვის, ამ ადამიანმა იცის თავისი საქმე, შეგვიძლია, მას ვენდოთ. სანდო კონტრაქტორები პრაქტიკულად აღარ დარჩენენ... სასწაულად გვეჩქარება, მაგრამ ეს მომწონს კიდეც... ბოლო დროს სამსახურში სავალდებულოზე ერთი საათით ადრე მოვდივარ, მაგრამ ის მასწრებს ხოლმე. ყოველთვის პირველი მოდის... რა? არ ვიცი, რას აკეთებს ღამღამობით. ისეთს

არაფერს, ალბათ... არა, ღამით არავისთან ერთად არ გადის ხოლმე. სახლში ზის და მუსიკას უსმენს. ჩანაწერებს უსმენს... რაში გაინტერესებს, რომელ ჩანაწერებს? რიჩარდ ჰალის... ძალიან უყვარს რიჩარდ ჰალის მუსიკა. რკინიგზის გარდა, ეგ ერთადერთია, რაც უყვარს.

თავი 4

უძრავი მამოძრავებლები

„ლოკომოტივები“, — გაიფიქრა დაგნიმ და „ტაგარტის“ შენობას ახედა ბინდში, — „აი, რა სჭირდება მას პირველ რიგში. ახლა ჩემი მიზანია, დავეხმარო ამ შენობას, რომ გადარჩეს, მამოძრავებელმა ძალამ უნდა გადაარჩინოს; მოძრაობამ, რათა ის უძრავი დარჩეს; ეს ძალა ხომ გრანიტის ფილებში კი არა, იმ ძრავებშია, რომლებიც მთელ კონტინენტს სერავს“.

დაგნიმ ბუნდოვანი შფოთვა იგრძნო. ახალი დაბრუნებული იყო ნიუ-ჯერსიდან, სადაც „იუნაიტიდ ლოკომოტივ უორქსის“ ქარხანაში კომპანიის პრეზიდენტს პირადად უნდა შეხვედროდა, მაგრამ ვერაფერი გაარკვია: ვერც შეკვეთის დაგვიანების მიზეზი და ვერც ზუსტი თარიღი, თუ როდის დაუმზადებდნენ დიზელის ლოკომოტივებს. კომპანიის პრეზიდენტი ორი საათი ელაპარაკა დაგნის, მაგრამ მის არც ერთ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი არ გაუცია. რაღაცნაირად ეჭირა თავი, გეგონებოდა, ქედმაღლურად საყვედურობდა დაგნის, რომელიც გასაკიცხი კადნიერებით არღვევდა ყველასთვის ცნობილ რომელიღაც დაუწერელ კანონს.

როდესაც ქარხნის ეზოში დააბიჯებდა, დაგნიმ კუთხეში მიგდებული უზარმაზარი მექანიზმი შენიშნა. მეტალის ეს გროვა ოდესღაც იშვიათი დაზგა იყო, რომლის მსგავსსაც კი ახლა კაცი ვერავითარი ფულის სანაცვლოდ ვერ შეიძენდა. ჟანგმოდებული, ჭუჭყით გაპოხილი დაზგა სიძველის გამო კი არა, ადამიანების დაუდევრობის წყალობით აღმოჩნდა სანაგვეზე. დაგნი შებრუნდა, მზერა რომ მოერიდებინა. ასეთი სანახაობა ლამის აცოფებდა. არ იცოდა, რატომ; თვითონაც ვერ აეხსნა. მხოლოდ ის იცოდა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ იფოფრებოდა, და რომ ეს იყო რეაქცია რაღაც სრულიად სხვაზე, გაცილებით მეტზე, ვიდრე ერთი ძველი დაზგაა.

როცა თავის მისაღებში შევიდა, ყველა წასული დახვდა, ედი უილერსის გარდა, დაგნის ელოდებოდა. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურებოდა ედი და როგორ უსიტყვოდ შეჰყვა ფეხდაფეხ კაბინეტში, დაგნი მიხვდა, რომ რაღაც მოხდა.

— რამე მოხდა, ედი?

— მაკნამარა წავიდა.

დაგნიმ გაოცებისგან წარბები აზიდა:

— რას ნიშნავს „წავიდა“?

— წავიდა. გადადგა. საქმე დახურა.

— მაკნამარამ? ჩვენმა კონტრაქტორმა?

— დიახ.

— მაგრამ ეს შეუძლებელია!

— ვიცი.

— რა მოხდა? რატომ?

— არავინ არ იცის.

ჩაფიქრებულმა აუჩქარებლად შეიხსნა პალტოს ღილები, თავის მაგიდას მიუჯდა და ხელთათმნის გახდას შეუდგა. მერე თქვა:

— სულ თავიდან დაიწყე, ედი... დაჯექი.

ედიმ მშვიდი ხმით უპასუხა, მაგრამ ისევ ფეხზე იდგა:

— მთავარ ინჟინერს ველაპარაკე ტელეფონით. კლივლენდიდან დაგვირეკა ამ ამბის სათქმელად. მხოლოდ ეს მითხრა. მეტი თვითონაც არაფერი იცის.

— და რა გითხრა?

— რომ მაკნამარამ თავისი ბიზნესი დახურა და გაქრა.

— სად გაქრა?

— მან არ იცის. არც სხვებმა იციან.

დაგნიმ ახლაღა შეამჩნია, რომ მარცხენა ხელთათმანი ბოლომდე არ გაეძრო, გაიხადა და მაგიდაზე დააგდო.

ედიმ განაგრძო:

— უამრავი ხელშეკრულება დატოვა, რომლებიც უზარმაზარ მოგებას მოუტანდა.

კლიენტების სია სამ წელზე ჰქონდა გაწერილი.

დაგნი დუმდა და ედიმ ხმადაბლა დაამატა:

— არ შევშინდებოდი, გაგება რომ შემეძლოს... მაგრამ ასე მოიქცე, როცა არავითარი მიზეზი არ ჩანს...

დაგნი ისევ დუმდა და ედიმ განაგრძო:

— მაკნამარა საუკეთესო კონტრაქტორი იყო ქვეყანაში.

ერთმანეთს უყურებდნენ. დაგნის ენის წვერზე ადგა: „ღმერთო ჩემო, ედი!“

მაგრამ ამის ნაცვლად მშვიდი ხმით უთხრა:

— ნუ ღელავ. სხვა კონტრაქტორს ვიპოვით რიო ნორტესთვის.

გვიანი იყო, ოფისი რომ დატოვა. გარეთ, ტროტუარზე, შენობის შესასვლელთან შეყოვნდა და უმწეოდ გაიხედა ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ, უცებ იგრძნო, რომ ძალა, სურვილები, მისწრაფებები წამში გაქრა, თითქოს სადღაც, შიგნით, ძრავა გადაეწვა. ბაცი ნათება შენობებს მიღმა ცისკენ მიიწევდა და ათასობით მოლიცლიცე იდუმალი ცეცხლის ალის მოძრაობას აირეკლავდა, ქალაქის ელექტროსუნთქვას.

დასვენება მოუნდა. დასვენება და გართობა.

სამუშაო ყველაფერი იყო, რაც მას სჭირდებოდა და სურდა. მაგრამ ზოგჯერ, როგორც, მაგალითად, ამ საღამოს, დგებოდა წუთები, როცა უცაბედ და უცნაურ სიცარიელეს გრძნობდა, სიცარიელესაც არა, უძრაობას, თითქოს მის შიგნით რაღაც კი არ ინგრეოდა, არამედ გაქვავდა. ამ დროს სურვილი უჩნდებოდა, საკუთარი არსების მიღმა განეცადა სიხარულის წამები, რაღაც დიადის პასიურ მჭვრეტელად გადაქცეულიყო — ან ვინმეს ქმნილების ან, უბრალოდ, რაიმე სანახაობის. „კი არ აკეთო“, — ფიქრობდა დაგნი, — „არამედ მიიღო; კი არ დაიწყო, არამედ გამოეხმაურო; კი არ შექმნა, არამედ აღფრთოვანდე; ეს მჭირდება, რომ არსებობა გავაგრძელო, რადგან ბედნიერება სულის საწვავია“.

ის ყოველთვის იყო — დაგნიმ თვალები დახუჭა და საკუთარი ბედნიერების მამოძრავებელ ძალას მკრთალად გაუღიმა, ოდნავი სიმწარით. ახლა მას უნდოდა, შეეგრძნო სხვების მიღწევები, — როგორც ადამიანებს გაახარებდათ მიმავალი მატარებლის განათებული ფანჯრების დანახვა ბნელ პრერიებში, მისი ნამოღვაწარი, მისი ძლევამოსილების ნიშანი, რომელიც მათ რწმენას შემატებდათ ღამეულ წყვდიადში, — აი, სწორედ ეს მოუნდა, შეეგრძნო: წამიერი შეხვედრა. უბრალოდ, ხელი დაექნია და ეთქვა: „ვიღაცამ ჩაიქროლა“...

ნაბიჯი შეანელა. ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო... შუბლზე ოდნავ ჩამოწეული ქუდი სახეს უჩრდილავდა. გარშემო შენობები ისე მაღლა აზიდულიყვნენ, რომ ცას ვეღარ ხედავდა. გაიფიქრა: იმდენი ძალა დასჭირდა ამ ქალაქის აშენებას... ბევრი რამის შემოთავაზება უნდა შეეძლოს.

მაღაზიის კარზე დამონტაჟებული რადიოდან მუსიკის ჰანგები ქუჩაში იღვრებოდა. სიმფონიურ მუსიკას გადმოსცემდნენ, რომელსაც სადღაც უკრავდნენ ქალაქში.

გაწელილ წივილს ჰგავდა, დაფლეთილ სხეულს თუ ქსოვილს. ამ ნაწყვეტებს არაფერი არ ამთლიანებდა — არც მელოდია, არც ჰარმონია, არც რიტმი. თუ მუსიკა გამოხატავს ემოციას და თანაც აზრით შობილ ემოციას, მაშინ ეს წივილი ირაციონალურ უსუსურობაზე, ადამიანის საკუთარი თავისგან განდგომაზე მიანიშნებდა.

დაგნიმ გზა განაგრძო. წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდა, სადაც მოყავისფრო-იასამნისფერყდიანი წიგნების პირამიდა აეგოთ. წიგნს ასე ერქვა: „სვავს ბუმბული სცვივა“. სარეკლამო პლაკატი იუწყებოდა, რომ ეს იყო „საუკუნის რომანი, ბიზნესმენის სიხარბის ბუნების ამომწურავი კვლევა. ადამიანის მანკიერების უშიშარი მხილება“.

კინოთეატრსაც ჩაუარა, რომლის განათება ნახევარ კვარტალს ეფინებოდა, ჰაერში კი ელვარებდა უზარმაზარი ფოტო ზედ წარწერილი რაღაც ასოებით. ფოტოდან ახალგაზრდა ქალი იღიმებოდა. შეხედავდი თუ არა, გული შეგიწუხდებოდა, თითქოს პირველად კი არ დაინახე, მრავალი წელი ყოველდღე მას უყურებდი. ანონსი ამბობდა: „... ეპოქალურ დრამაში იხილავთ პასუხს მარადიულ კითხვაზე: „უნდა აღიაროს თუ არა ეს ქალმა?“

ღამის კლუბის კარს გასცდა, საიდანაც მობარბაცე წყვილი გამოვიდა და ტაქსისკენ გაემართა. გოგონას არეული თვალები და გაოფლილი სახე ჰქონდა, მშვენიერ საღამოს კაბაზე ყარყუმის მოსასხამი მოეგდო. კაბა დიასახლისის ხალათივით ჩამოსცურებოდა ცალ მხარზე და მკერდი თითქმის მოშიშვლებოდა, მაგრამ გამომწვევი სითამამით კი არა, შეზარხოშებული ადამიანის გულგრილობით. თანმხლებს ხელჩაკიდებული მიჰყავდა, სახეზე კი ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა, რომელიც ხულიგანი ბიჭისას უფრო ჰგავდა, ღობეს რომ უწმაწური სიტყვებით აჭრელებს, ვიდრე რომანტიკული თავგადასავლით გატაცებული მამაკაცისას.

რის ნახვას მოელოდი? — შეეკითხა საკუთარ თავს და გზა განაგრძო. ასე ცხოვრობდნენ ადამიანები გარშემო, ასეთი ფორმა მიეღო მათ სულებს, მათ კულტურას, მათ გართობას. რამდენი წელია, განსხვავებული არსად არაფერი უნახავს.

თავისი ქუჩის კუთხეში გაზეთი იყიდა და სახლისკენ გაემართა.

ოროთახიან ბინაში, ცათამბჯენის ბოლო სართულზე ცხოვრობდა. მისაღები ოთახის კუთხედ შეკრული მინები ამ სივრცეს ზღვაში გასულ გემს ამსგავსებდა, ხოლო ქალაქის სინათლეებს — ფოსფორისფერ ნაპერწკლებს ფოლადისგან და ქვისგან ნაქსოვ შავ ტალღებზე. დაგნიმ ლამპა აანთო და მისმა სხივებმა შიშველი კედლები გრძელი სამკუთხედებით დასერა. ამ გეომეტრიულ გამოსახულებას მხოლოდ ოთახში მეჩხრად განლაგებული სადა, კუთხოვანი ავეჯი არღვევდა.

დაგნი შუა ოთახში იდგა, ეულად ცასა და ქალაქს შუა.

მხოლოდ ერთ, ერთადერთ რაიმეს შეეძლო, მისთვის ის შეგრძნება მიეცა, რისი განცდაც დღეს უნდოდა. მხოლოდ ერთი, ერთადერთი გასართობი იცოდა.

პატეფონისკენ მიბრუნდა და რიჩარდ ჰალის მუსიკის ჩანაწერი ჩართო. ეს მისი მეოთხე სიმფონია იყო — კომპოზიტორის უკანასკნელი ქმნილება. საწყისი აკორდების გრგვინვამ დაგნის მეხსიერებიდან გამოდევნა ყველაფერი, რაც კი იმ დღეს ქუჩაში ნახა.

სიმფონია ძლიერი აღშფოთების ყვირილი იყო. ეს იყო „არა“ — მიხლილი რომელიღაც თავზარდამცემი დამცირებისთვის, ტანჯვის უარყოფა შემზარავი ბრძოლის დროს, დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისკენ. მელოდია თითქოს ადამიანის ხმით ირწმუნებოდა: „ტკივილი სულაც არ არის ყოფიერების აუცილებელი პირობა; მაგრამ მაშინ რატომ განიცდიან ყველაზე მტანჯველ ტკივილს ისინი, ვინც მის გარდუვალობას უარყოფენ?.. რა სასჯელი მოგვესაჯა და ვინ გვსჯის ჩვენ, ვინც სიყვარულის და სიხარულის საიდუმლოს ვეზიარეთ?“ წამების ბგერები მის უარყოფად გადაიქცა, ტანჯვის გმინვა შორეული ხილვის ჰიმნად, რომლისთვისაც ღირდა წვალება, ამ ყველაფრის ატანაც კი. ეს იყო ოდა ამბოხებაზე და დიად ძიებაზე ერთდროულად.

დაგნი გაუნძრევლად იჯდა სავარძელში, თვალები დაეხუჭა და უსმენდა.

არავინ იცოდა, რა ბედი ეწია რიჩარდ ჰალის ან რატომ. მისი ცხოვრების ისტორია პატარა ნოველას ჰგავდა, რომელიც იმისთვის დაიწერა, რომ დაეწყევლა დიდება და ეჩვენებინა ის ფასი, რისი გადახდაც არის საჭირო მის მისაღწევად. ეს იყო მანსარდებსა და სარდაფებში გატარებული წლები; წლები, განვლილი ისეთსავე ნაცრისფერ კედლებში, როგორი ფერადოვანიც იყო ამ კედლებში გამომწყვდეული კაცის მუსიკა.

ეს ნაცრისფერი ამხელდა უსასრულო, დამქანცველ ბრძოლას ჩაბნელებული კიბეების წინააღმდეგ, წყლის გაყინული მილების, აყროლებული ფარდულის ბუტერბროდის წინააღმდეგ, იმ ადამიანთა სახეების წინააღმდეგ, რომლებიც მის მუსიკას შუშის თვალებით უსმენდნენ. ეს იყო დაძაბული ბრძოლა, ბრძოლა განსხეულებული მოწინააღმდეგის გარეშე, როდესაც მხოლოდ ყრუ, ყველაზე საიმედოდ დახშულ კედელს ეხლები — გულგრილობას, რომელიც შთანთქავს დარტყმებს, აკორდებსა და ყვირილს; მდუმარე ბრძოლა, რომელიც წამოიწყო ადამიანმა, ვისაც შეეძლო, ბგერები უფრო წარმტაცად აეჟღერებინა, ვიდრე ვინმეს ოდესმე; მივიწყების სიჩუმეში, მარტოობაში გალეული საღამოები, როცა, იშვიათად, რომელიღაც შემთხვევითი ორკესტრი მის ერთ-ერთ ნაწარმოებს ასრულებდა; ჰალი გაჰყურებდა წყვდიადს და იცოდა — ეს მისი სული ცახცახებდა და რადიოტალღების არათანაბარ რკალებად დალივლივებდა მთელ ქალაქს გადამცემი ანტენიდან, მაგრამ არ არსებობდა რადიომიმღები, რომელიც ამ ტალღას დაიჭერდა.

„რიჩარდ ჰალის მუსიკა განმსჭვალულია ჰეროიზმით. ჩვენმა ეპოქამ ეს სისულელე უკან მოიტოვა“, — აღნიშნავდა ერთი კრიტიკოსი.

„რიჩარდ ჰალის მუსიკა ჩვენს თანამედროვეობას არ ეხმიანება. მასში აღტკინება იგრძნობა. ვის რად უნდა ეს გრძნობა ჩვენს დროში?“ — ამბობდა მეორე.

ჰალის ცხოვრება იმ შემოქმედთა ცხოვრებას ჰგავდა, რომელთა ჯილდო ძეგლია ხოლმე, საზოგადოებრივ პარკში ასი წლის შემდეგ აღმართული მას მერე, რაც დაჯილდოებულისთვის ყურადღების ამგვარი გამოვლინება აღარაფერს აღარ ნიშნავს — ოღონდ რიჩარდ ჰალი საკმარისად ადრე ვერ გარდაიცვალა. მან იცოცხლა იმ საღამომდე, რომელსაც, თუ ისტორიის მიერ აღიარებულ კანონებს დავუჯერებთ, არ უნდა დასწრებოდა.

ჰალი ორმოცდასამი წლის გახლდათ და იმ დღეს მისი ოპერის — „ფაეტონის“ პრემიერა იმართებოდა. ეს ოპერა ოცდაოთხი წლისამ დაწერა. ჰალიმ ძველბერძნული მითი თავის ნებასა და მიზანს მოარგო: ფაეტონი, ჰელიოსის ნორჩი ვაჟი, რომელიც მამას ეტლს ჰპარავს და ქედმაღლური კადნიერებით ცდილობს, მზე ცის იქით გადაიტანოს, ოპერაში კი არ იღუპება, არამედ დასახულ მიზანს მიაღწევს. „ფაეტონი“ პირველად ცხრამეტი წლით ადრე დაიდგა და პირველსავე წარმოდგენას პუბლიკამ სტვენა და აღშფოთებული შეძახილები მიაგება. იმ ღამეს რიჩარდ ჰალი გათენებამდე დაეხეტებოდა ქალაქის ქუჩებში და ცდილობდა, ერთადერთ კითხვაზე გაეცა პასუხი, რომელიც მაინც ვერ იპოვა.

როცა „ფაეტონი“ კვლავ დადგეს ოპერაში, ცხრამეტი წლის შემდეგ, ფინალურ ნოტებს ისეთი ოვაციები მოჰყვა, მანამდე რომ არასდროს მოსწრებია ოპერის თეატრი.

პუბლიკის აღფრთოვანებამ ძველი კედლები გაარღვია, მოწონების შეძახილებმა ფოიეში, კიბეებზე, ქუჩებშიც გააღწია — ბიჭთან, ამ ქუჩაზე რომ დაეხეტებოდა ცხრამეტი წლის წინ.

წარმოდგენას დაგნიც ესწრებოდა იმ ტრიუმფის ღამეს. ის ერთ-ერთი იყო მცირეთაგან, რომელიც რიჩარდ ჰალის მუსიკამ გაცილებით ადრე გაიტაცა, მაგრამ თვითონ ჰალი მანამდე არ ენახა. ხედავდა, როგორ უბიძგეს კომპოზიტორს ძალით, სცენაზე რომ გასულიყო. უყურებდა, როგორ იდგა გაუნძრევლად მაღალი, გამხდარი, შეჭაღარავებული კაცი. არც თავს უკრავდა მაყურებელს, არც იღიმებოდა. უბრალოდ, იქ იდგა და ბრბოს გასცქეროდა, სახეზე კი გაოგნებული ადამიანის მშვიდი და წრფელი შეკითხვა ეწერა.

„რიჩარდ ჰალის მუსიკა“, — წერდა ერთი კრიტიკოსი მეორე დღეს, — კაცობრიობას ეკუთვნის. ის ხალხის დიდებამ შვა და ამ დიდების გამომხატველია“. „რიჩარდ ჰალის სიცოცხლე“, — თქვა ერთმა სასულიერო პირმა, — „შთამაგონებელი გაკვეთილია., მას სასტიკი ბრძოლა გარდახდა, მაგრამ განა აქვს ახლა ამას მნიშვნელობა? რაოდენ სასარგებლო, რაოდენ კეთილშობილური აღმოჩნდა ყველა ის ტანჯვა, უსამართლობა, სიმწარე და შეურაცხყოფა, რომელიც მან თანამოძმეთაგან გადაიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეძლებდა, გაემდიდრებინა იმ ადამიანების ცხოვრება და ვერ ასწავლიდა მათ ღვთიური მუსიკის სილამაზის აღქმას“.

ტრიუმფის მეორე დღეს რიჩარდ ჰალი გაქრა.

არავისთვის არაფერი არ აუხსნია. უბრალოდ, გამომცემლებს განუცხადა, რომ საკუთარი კარიერა დასრულებულად მიაჩნია. კომპოზიტორმა საავტორო უფლებები მოკრძალებულ ფასად მიჰყიდა მათ, თუმცა იცოდა, რომ ახლა უკვე თავისი ჰონორარებით გამდიდრებაც შეეძლო. ისე წავიდა, მისამართიც არ დატოვა. ეს რვა წლის წინ მოხდა და მას მერე ჰალი არავის უნახავს.

დაგნი მეოთხე სიმფონიას უსმენდა, თავი უკან გადაეწია და თვალები დაეხუჭა.

დივანზე წამოწოლილიყო, სხეული მოედუნებინა, სახე გაჰქვავებოდა, მაგრამ მგრძნობიარე ბაგეზე დაუკმაყოფილებელი სურვილი დასთამაშებდა.

ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა და გაზეთი დაინახა, რომელიც დივანზე მიაგდო. მექანიკურად წაიწია ასაღებად. უნდოდა, მოწინავე სტატიების უხამსი მყვირალა სათაურები თვალთახედვიდან მოეშორებინა. გაზეთი ხელიდან გაუვარდა და ფოტოზე ნაცნობ სახესა და სტატიის სათაურს მოჰკრა თვალი. გაზეთი დაკეცა და მოისროლა.

ფოტოზე ფრანცისკო დ'ანკონია იყო გამოსახული. სათაური ნიუ-იორკში მის ჩამოსვლას იტყობინებოდა. „მერე რა, დიდი ამბავი“, — გაიფიქრა დაგნიმ. საუკუნეა, არ უნახავს, ვალდებული არ არის, შეხვდეს.

იატაკზე დაგდებულ გაზეთს მიაჩერდა. „არ წაიკითხო! არც კი შეხედო!“ — ეუბნებოდა საკუთარ თავს. თუმცა მაინც აღნიშნა, რომ სახე სულ არ შესცვლია.

როგორ უნდა შერჩენოდა უწინდელი სახე, როდესაც ყველაფერი დანარჩენი უკვალოდ გაქრა? დაგნის გული დასწყდა, რომ გაზეთში მომღიმარი დ'ანკონიას ფოტო დაებეჭდათ. „ასეთი ღიმილი გაზეთში გამოსაქვეყნებელი არ არის“, — გაიფიქრა მან. ეს იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო, აღმოეჩინა, სცოდნოდა და შეექმნა, სიცოცხლე გაეღმერთებინა. ეს ბრწყინვალე ინტელექტუალის დამცინავი და მედიდური ღიმილი იყო.

— არ წაიკითხო! — ურჩია საკუთარ თავს, — ოღონდ არა ახლა, არა ამ მუსიკის ფონზე! ოღონდ ამ მუსიკის ფონზე არა!

გაზეთს დასწვდა და გადაშალა.

სტატია იუწყებოდა, რომ სენიორ ფრანცისკო დ'ანკონია თავაზიანად დასთანხმდა პრესას ინტერვიუზე და ჟურნალისტებს სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“, თავის აპარტამენტებში შეხვდა. დ'ანკონიამ განმარტა, რომ ნიუ-იორკში ორი მნიშვნელოვანი მიზეზით ჩამოვიდა: გოგონასთან კლუბში დანიშნული პაემნის გამო და „მოს დელიკატესების“ ღვიძლის ძეხვის გასასინჯად მესამე ავენიუზე. ამასთან, უარი განაცხადა კომენტარზე მისტერ და მისის გილბერტ ვეილების მოსალოდნელი განქორწინების პროცესთან დაკავშირებით.

მისის ვეილმა, ერთობ კეთილშობილი წარმომავლობის უჩვეულოდ ლამაზმა ქალმა, რამდენიმე თვით ადრე სახელგანთქმულ ახალგაზრდა მეუღლეს თავზარი დასცა, როცა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი მიტოვება გადაწყვიტა საყვარლის, ფრანცისკო დ'ანკონიას გამო. მისის ვეილმა პრესას თავისი რომანის დეტალები გაუმხილა, ანდებში მდებარე დ'ანკონიას ვილაზე ახალი წლის დღეებში გატარებული ღამის ჩათვლით.

ქმარმა ეს დარტყმა როგორც იქნა, გადაიტანა, მაგრამ განქორწინება მოითხოვა.

ცოლმა ქმრის მოთხოვნას საპირისპირო პრეტენზია მიაგება რამდენიმემილიონიან ქონებაზე და განაცხადა, რომ ქმრის აუარებელი რომანის ფონზე მისი ცხოვრება უმანკოდ გამოიყურებოდა.

პრესას საქმე მიეცა — მრავალი კვირის მანძილზე, გაზეთები დეტალურად აღწერდნენ ამბავს. მაგრამ როცა რეპორტიორები ამ ისტორიით დაინტერესდნენ, სენიორ დ'ანკონიას სათქმელი არაფერი აღმოაჩნდა. კითხვაზე, უარყოფდა თუ არა მისის ვეილის მონათხრობს, დ'ანკონიამ ასე უპასუხა: „მე არასდროს უარვყოფ რაიმეს“.

რეპორტიორები განცვიფრებული იყვნენ მისი მოულოდნელი ჩამოსვლით. ეგონათ, დ'ანკონია არ მოისურვებდა ქალაქში ყოფნას მაინცდამაინც იმ დღეებში, როცა სკანდალი ის-ის იყო გამწვავდებოდა და მალე ყველა გაზეთის პირველ გვერდზე მოექცეოდა. თუმცა, შეცდნენ. ფრანცისკო დ'ანკონიამ კი კიდევ ერთი მიზეზი შემატა თავის ჩამოსვლას: „მინდოდა, ამ ფარსის მოწმე გავმხდარიყავი“, — განაცხადა მან. დაგნის გაზეთი ხელიდან გაუვარდა. იჯდა მოხრილი, თავი მკლავებში ჩაერგო. არ ინძრეოდა, მხოლოდ მისი მუხლებზე დაფენილი თმა ირხეოდა შიგადაშიგ.

ჰალის დიდებული მუსიკა კვლავ ჟღერდა, ოთახს ავსებდა, ფანჯრის მინებს ეხეთქებოდა, თითქოს ქალაქში გაღწევას ლამობდა. დაგნი ბგერებს ისრუტავდა. ეს მისი ძიება იყო, მისი ტირილი.

* * *

ჯეიმს ტაგარტმა თავისი აპარტამენტების სასტუმრო ოთახს თვალი მოავლო, იმ იმედით, რომ გაიგებდა, რა დრო იყო. განძრევა ეზარებოდა, მაჯის საათი რომ ეპოვა. სავარძელში ფეხშიშველი და დაკუჭული პიჟამათი იჯდა; ჩუსტების მოძებნა მეტისმეტად ერთულა. ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფს ფანჯრის მიღმა დაღვრემილი ცა თვალს სჭრიდა. თავის არეში საძაგელ სიმძიმეს გრძნობდა, რომელიც, ჩანდა, მალე ტკივილში გადაიზრდებოდა. „საინტერესოა, აქ რაღა მინდოდა?“, — გაუკვირდა მას, — „აჰ, ჰო, ჰო!“ — გაახსენდა, — „უნდა გამეგო, რა დროა“.

სავარძლის სახელურზე გადაეყუდა, მოპირდაპირე შენობის კედელზე საათი რომ დაენახა: უკვე პირველის ოცი წუთი იყო.

სააბაზანოს ღია კარიდან მოესმა, როგორ იხეხავდა ბეტი პოუპი კბილებს. სავარძელთან, იატაკზე, დანარჩენ ტანსაცმელთან ერთად, მისი ბაცი ვარდისფერი ქამარი ეგდო, დაწყვეტილი რეზინებით.

— დაუჩქარებ თუ არა? — გასძახა გაღიზიანებულმა, — უნდა ჩავიცვა.

ბეტიმ არ უპასუხა. სააბაზანოს კარი ისევ ღია იყო და ისმოდა, როგორ გამოირეცხა პირი.

„რატომ ვაკეთებ ამ რაღაცებს?“, — გაიფიქრა მან, როცა წინა ღამე გაიხსენა, თუმცა პასუხის პოვნა მეტისმეტად რთულ საქმედ მოეჩვენა.

ბეტი პოუპი სასტუმრო ოთახში გამოვიდა, თან ატლასის ნარინჯისფერ-იასამნისფერ კუბოკრულ პენუარს ისწორებდა. „ხალათში საშინლად გამოიყურება“, — გაიფიქრა ტაგარტმა. გაცილებით უკეთესი ჩანდა საჯირითო სამოსში, გაზეთების საზოგადოებრივი ქრონიკების ფოტოებზე. ბეტი გამხდარი გოგო იყო, ყველა ძვალი და სახსარი უთავბოლოდ უმოძრავებდა.

უღიმღამო სახეზე არაჯანმრთელი ფერი ედო, თუმცა თავი მედიდური შემწყნარებლობით ეჭირა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ ბეტი ერთ-ერთ საუკეთესო ოჯახს მიეკუთვნებოდა.

— ჯანდაბა! — თქვა მან უმისამართოდ და გაიზმორა, — ჯიმ, სად გაქვს ფრჩხილების მაკრატელი? ფეხებზე ფრჩხილები უნდა დავიჭრა.

— არ ვიცი. თავი მტკივა. ეგ სახლში გააკეთე.

— დილაობით მიმზიდველად არ გამოიყურები, ლოქორას ჰგავხარ, — გულგრილად უთხრა ბეტიმ.

— იქნებ, მოკეტო!

ბეტი უმიზნოდ დაბორიალებდა ოთახში.

— არ მინდა სახლში წასვლა. — თქვა განსაკუთრებული ემოციის გარეშე, — ვერ ვიტან დილას. კიდევ ერთი დღე უსაქმურად. შუადღეს ჩაი მელის, ლიზ ბლეინთან. ისე, შეიძლება, კარგადაც გავერთო, ლიზი ხომ მაგარი ძუკნაა.

ბეტიმ ჭიქა აიღო და გამოცალა:

— რატომ არ მოსთხოვ, კონდიციონერი შეაკეთონ? აქაურობა ყარს!

— აბაზანაში მორჩი? უნდა ჩავიცვა. დღეს მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრა მაქვს.

— შემოდი. ჩემთვის სულერთია. ორივენი დავეტევით. ვერ ვიტან, რომ მაჩქარებენ.

სანამ წვერს იპარსავდა, უყურებდა, როგორ იცვამდა ბეტი სააბაზანოს ღია კართან. ქამრის წელზე გაკეთებას დიდხანს მოუნდა, მერე წინდები და ძვირფასი ტვიდის კოსტიუმი ჩაიცვა.

არლეკინოს კუბოკრული პენუარი, რომელიც ბეტის ყველაზე მდიდრულ მოდურ მაღაზიაში შეეძინა, საგანგებო შემთხვევებისთვის განკუთვნილ მუნდირს აგონებდა და ბეტიც მას სწორედ ასეთ შემთხვევებში იცვამდა, მერე კი იხდიდა და ივიწყებდა. ურთიერთობაც ასეთი ჰქონდათ. მასში არც ვნება იყო, არც სურვილი და არც ნამდვილი სიამოვნება, სირცხვილსაც კი არ გრძნობდნენ.

სქესობრივი ურთიერთობა მათთვის არც ბედნიერება იყო, არც ცოდვა. ის, უბრალოდ, არაფერს არ ნიშნავდა. გაეგოთ, რომ ქალები და კაცები ერთად წვანან და თვითონაც ასე იქცეოდნენ.

— ჯიმ, იქნებ, დღეს სომხურ რესტორანში წამიყვანო? — თქვა ბეტიმ, — ვგიჟდები ქაბაბზე.

— არ შემიძლია, — ბრაზით უპასუხა სახეგაქაფულმა, — მძიმე დღე მელის.

— კი მაგრამ, ხომ შეგიძლია, გადადო?

— რა?

— რაც არის.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემო ძვირფასო — დირექტორთა საბჭოს სხდომაა.

— ოჰ, წაიღე ტვინი ამ შენი რკინიგზით. ყელში ამოვიდა. ატანა არ მაქვს ბიზნესმენების, მაზალო ხალხია.

ჯეიმსმა არ უპასუხა.

ბეტიმ ცბიერად გახედა ჯეიმსს. ხმა გაუხალისდა და სიტყვები გაწელა:

— ჯონ ბენსონმა თქვა, რომ შენ მაგ შენს რკინიგზაში ბევრს არაფერს წარმოადგენ, რადგან ყველაფერს შენი და მართავს.

— ოჰ, ასე თქვა? მართლა?

— ჩემი აზრით, შენი და აუტანელია. მე მგონი, საზიზღრობაა, როცა ქალი მექანიკოსივით იქცევა და ფირმის ხელმძღვანელს თამაშობს. ეს ისეთი არაქალურია. ვინ ჰგონია თავი?

ტაგარტი სააბაზანოს ზღურბლზე იდგა, კარს საფეთქლით მიჰყრდნობოდა და დაჟინებით მისჩერებოდა ბეტის, სარკასტული და თავდაჯერებული, მკრთალი ღიმილით სახეზე. „რაღაც აქვთ საერთო“, — გაიფიქრა.

— თუ გინდა, იცოდე, ჩემო ძვირფასო, დღეს ვაპირებ, ერთხელ და სამუდამოდ მოვსვა ჩემი და თავის ადგილას.

— მართლა? — ბეტის ხმაში დაინტერესება იგრძნობოდა, — არ არსებობს!

— ამიტომაცაა ეს სხდომა ასე მნიშვნელოვანი.

— მართლა აპირებ მის გაგდებას?

— არა. ეს საჭირო არ არის, არც სასურველი. უბრალოდ, თავის ადგილს მივუჩენ.

დიდი ხანია, ასეთ შანსს ველოდებოდი.

— რაიმე გაქვს მის წინააღმდეგ? რაიმე სკანდალური...

— არა, არა. შენ არ გესმის. მარტივია — მან მეტისმეტად შეტოპა, ერთხელაც ამისთვის უნდა დაისაჯოს. ჭკუას არავის ეკითხება, ისე აკეთებს სრულიად დაუშვებელ რამეებს. ჩვენს მექსიკელ მეზობლებს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. როცა საბჭო ამას გაიგებს, საოპერაციო დეპარტამენტისთვის ორიოდე ახალ წესს შემოიღებს, რომლებსაც ჩემი დაიკო ასე იოლად ვერ აუვლის გვერდს.

— ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ, ჯიმ!

— ახლა კი აჯობებს, ჩავიცვა, — კმაყოფილი ხმით უპასუხა ჯეიმსმა, პირსაბანისკენ მიტრიალდა და ხალისიანად დაამატა, — იქნებ კიდეც მოვახერხო, ამ საღამოს რესტორანში წაგიყვანო და ქაბაბი გაჭამო.

ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

ჯეიმსმა უპასუხა. ოპერატორმა აცნობა, რომ მეხიკოდან ურეკავდნენ. მექსიკაში მისი პოლიტიკური ინტერესების დამცველი რეკავდა.

— ვერაფერი ვერ შევძელი, ჯიმ!.. — ლუღლუღებდა ის, — საერთოდ ვერაფერი!..

არც კი გაგვაფრთხილეს, ღმერთს ვფიცავ! ამას ვერავინ წარმოიდგენდა! არავინ არ იცოდა, ამას თუ აპირებდნენ! ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ვერ დამაბრალებ, რომ რაიმე არ გავაკეთე, ჯიმ. ეს ამბავი მეხივით დაგვეცა მოწმენდილ ცაზე! დეკრეტი ამ დილით გამოსცეს, ხუთი წუთის წინ, სრულიად გაუფრთხილებლად! მექსიკის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებამ სან სებასტიანის მაღაროებისა და რკინიგზის ნაციონალიზაცია მოახდინა!

* * *

— „და ამიტომაც, ბატონებო, გარწმუნებთ, რომ პანიკის მიზეზი არ არსებობს. ამ დილის მოვლენა უდავოდ სამწუხაროა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც ჩემთვის არის ცნობილი ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის შესახებ, შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენოთ — ჩვენი მთავრობა მოახერხებს მექსიკის მთავრობასთან მოლაპარაკებას და ჩვენ სრულ და სამართლიან კომპენსაციას მივიღებთ ჩვენი საკუთრების გამო.

ჯეიმს ტაგარტი გრძელი მაგიდის თავში იდგა და დირექტორთა საბჭოს მიმართავდა. მისი მკაფიო და მონოტონური ხმა საქმის ხელსაყრელი დასასრულისადმი რწმენას გამოხატავდა:

— ამავე დროს, მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ წინასწარ ვივარაუდე მოვლენების ამგვარი განვითარება და ყველა აუცილებელი ზომა მივიღე, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ინტერესები დამეცვა: რამდენიმე თვის წინ საოპერაციო დეპარტამენტს დავავალე განრიგის შეკვეცა და სან სებასტიანის ხაზზე მოძრაობა დღეში ერთ მატარებლამდე დავიყვანეთ. მოვახსნევინე ჩვენი საუკეთესო ლოკომოტივები და ყველა მოძრავი შემადგენლობა. მექსიკის მთავრობას ხელში მხოლოდ ხის ვაგონები და დანჯღრეული ორთქლმავალი ჩაუვარდა. ჩემმა გადაწყვეტილებამ კომპანიას მილიონები შეუნარჩუნა — დავიანგარიშებთ თუ არა, ზუსტ ციფრებს წარმოგიდგენთ.

ვფიქრობ, ჩვენი აქციონერები სრულიად სამართლიანად მოელიან, რომ მათ, ვისაც მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ამ წამოწყებაზე და გულგრილობა გამოიჩინეს, შესაბამისად, საკუთარი სამსახურებრივი გულგრილობის შედეგებზეც უნდა აგონ პასუხი. გთავაზობთ, მოვითხოვოთ ეკონომიკის კონსულტანტის, მისტერ კლარენს ედინგტონის, თავის დროზე სან სებასტიანის ხაზის მშენებლობის რეკომენდატორის, და მისტერ ჯულს მოტის, მექსიკაში ჩვენი წარმომადგენლის, გადაყენება დაკავებული თანამდებობებიდან.

გრძელი მაგიდის ირგვლივ მსხდომნი ისმენდნენ. ისინი იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რა უნდა ეღონათ, არამედ იმაზე, თუ რა უნდა ეთქვათ ადამიანებისთვის, ვის ინტერესებსაც წარმოადგენდნენ; ტაგარტის გამოსვლამ ისინი სავსებით დაა კმაყოფილა.

* * *

როდესაც ტაგარტი თავის კაბინეტში დაბრუნდა, იქ ორენ ბოილი ელოდებოდა.

როგორც კი მარტო დარჩნენ, ტაგარტის თავდაჯერებულობა უკვალოდ გაქრა. მაგიდას ჩამოეყრდნო, მხრებჩამოყრილი, სახემომჩვარული და ფერწასული.

— აბა, რა ხდება?! — ჰკითხა.

ბოილმა უმწეოდ გაშალა ხელები:

— ყველაფერი გადავამოწმე, ჯიმ, ასეა: დ'ანკონიამ თავისი თხუთმეტი მილიონი დოლარი დაკარგა ამ მაღაროებთან ერთად. არა, არავითარი თაღლითობა — საკუთარი ნაღდი ფული ჩადო და დაკარგა.

— მერე, ახლა რას აპირებს?

— არ ვიცი, და არც არავინ არ იცის.

— კი მაგრამ, თავს ხომ არ გააქურდვინებს, ასე არ არის?! ამისთვის მეტისმეტად ჭკვიანია. რაღაც ფანდი ექნება შემონახული.

— იმედია!

— დ'ანკონიამ მსოფლიოს ყველაზე მოხერხებული თაღლითები გააცურა. ნუთუ მექსიკელი პოლიტიკოსების ხროვას შეარჩენს ამ დეკრეტს? დარწმუნებული ვარ, მათ წინააღმდეგ რაღაც ბერკეტები მოეპოვება და ბოლო სიტყვას მაინც თვითონ იტყვის.

და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ, რომ დროულად შევუერთდეთ!

— ეს შენ უნდა გააჩალიჩო, ჯიმ, შენ ხომ მისი მეგობარი ხარ?

— მეგობარი? რა მეგობარი, ეშმაკმა დალახვროს! მასეთი მეგობრის...

ღილაკს დააჭირა და მდივანი გამოიძახა. მდივანი გაუბედავად შევიდა, უბედური გამომეტყველებით. ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ არც მთლად ყმაწვილი; უფერულ სახეზე რიგიანი აღზრდა და ამდენადვე რიგიანი სიღარიბე ეტყობოდა.

— დამინიშნე ფრანცისკო დ'ანკონიასთან შეხვედრა? — უხეშად მიმართა ტაგარტმა.

— არა, სერ.

— მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს! ხომ გითხარი, დაურეკე-მეთქი?!

— ვერ შევძელი, სერ. ყველაფერი ვცადე.

— სცადე კიდევ ერთხელ.

— ის ვიგულისხმე, რომ შეხვედრაზე მოლაპარაკება ვერ შევძელი, მისტერ ტაგარტ.

— რატომ?

— უარი თქვა.

— იმის თქმა გინდა, რომ ჩემს ნახვაზე თქვა უარი?

— დიახ, სერ. ეგ მსურდა მეთქვა.

— ანუ, ჩემი ნახვა არ მოინდომა?

— დიახ, სერ.

— პირადად ესაუბრე?

— არა, სერ, მის მდივანს ვესაუბრე.

— რა გითხრა? კონკრეტულად მითხარი, რა გითხრა?

მდივანს ხმა ჩაუვარდა და კიდევ უფრო გასაცოდავდა.

— რა გითხრა? — გაუმეორა ტაგარტმა.

— სენიორ დ'ანკონიას უთქვამს, რომ თქვენ მას თავი მოაბეზრეთ, მისტერ ტაგარტ.

* * *

წინადადება, რომელიც მათ მიიღეს, ცნობილი იყო სახელწოდებით „ნორმა მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“. როცა მას კენჭი უყარეს, რკინიგზის ეროვნული ალიანსის წევრები ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის თვალი აერიდებინათ.

ისინი ვრცელ დარბაზში ისხდნენ, ფანჯრებიდან კი გვიანი შემოდგომის საღამოს ბინდი მოჩანდა.

რკინიგზის ეროვნული ალიანსი, როგორც გამოცხადდა, რკინიგზის ინდუსტრიის ინტერესების დასაცავად შეიქმნა. უნდა შეემუშავებინათ თანამშრომლობის მეთოდები საერთო მიზნის მისაღწევად; შეთანხმების საფუძველზე, კავშირის თითოეულ წევრს საკუთარი ინტერესები მთელი სფეროს ინტერესებისთვის უნდა დაექვემდებარებინა; ინდუსტრიის ინტერესები კი, მთლიანობაში, ხმათა უმრავლესობით უნდა განსაზღვრულიყო; ყოველი წევრი ვალდებული იყო, დაეცვა ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც უმრავლესობა მიიღებდა.

— ერთი პროფესიის ან ერთ სფეროში მოღვაწე ადამიანები ერთად უნდა დადგნენ, — ამტკიცებდნენ კავშირის დამფუძნებლები, — ჩვენ საერთო პრობლემები, საერთო ინტერესები და საერთო მტრები გვყავს. ჩვენ ენერგიას ერთმანეთთან ბრძოლაში ვხარჯავთ, იმის მაგივრად, რომ საერთო ფრონტით დავუპირისპირდეთ მათ, ვინც დაბრკოლებას გვიქმნიან. ჩვენ შეგვიძლია, ერთობლივად გავძლიერდეთ, თუ ძალებს გავაერთიანებთ.

— ვის წინააღმდეგ იქმნება ეს კავშირი? — იკითხა ერთმა სკეპტიკოსმა.

— რას ნიშნავს „ვის წინააღმდეგ“? არავის წინააღმდეგ. მაგრამ თუკი ასე სვამთ საკითხს, კი ბატონო, მაშინ გეტყვით: გადამზიდავებისა და რკინიგზის აღჭურვილობის მწარმოებლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ, გაგვაცურონ. ვის წინააღმდეგ იქმნება ნებისმიერი კავშირი? — იყო პასუხი.

— ჰოდა, ზუსტად მაგას ვკითხულობ, — თქვა სკეპტიკოსმა.

კანონი „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“ ხმამაღლა საჯაროდ პირველად რკინიგზის ეროვნული ალიანსის საერთო ყოველწლიურ სხდომაზე ახსენეს და კავშირის წევრებს მოუწოდეს, კენჭი ეყარათ მისთვის. თუმცა, ამ ნორმის შესახებ უკვე ყველა წევრმა იცოდა; მას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არჩევდნენ კერძო საუბრებში და განსაკუთრებული გაცხარებით — ბოლო თვეების მანძილზე. ადამიანები, რომლებიც ვრცელ დარბაზში შეკრებილიყვნენ, რკინიგზის კომპანიების პრეზიდენტები იყვნენ. მათ არ მოსწონდათ კანონი „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“ და იმედი ჰქონდათ, რომ ის კენჭისყრაზე არასდროს დადგებოდა.

თუმცა, როცა ეს მოხდა, მათ „ნორმას“ ხმა მაინც მისცეს.

კენჭისყრამდე, გამომსვლელთაგან არავის არ უხსენებია არც ერთი სარკინიგზო კომპანია, რომელზეც ახალი ნორმა გავრცელდებოდა. მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობაზე ილაპარაკეს. ითქვა, რომ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ კეთილდღეობას სატრანსპორტო კრიზისი ემუქრებოდა, სარკინიგზო კომპანიები ერთმანეთს ანადგურებდნენ გაცხარებული, „მტაცებლური“ კონკურენციის პირობებში.

მართალია, ზოგიერთ რეგიონში სარკინიგზო მომსახურება შეწყდა, მაგრამ ამავდროულად, იყო მსხვილი ოლქებიც, სადაც ორი ან მეტი სარკინიგზო კომპანია იბრძოდა გადაზიდვების იმ მოცულობისთვის, რომელიც ერთსაც ძლივს ეყოფოდა. ითქვა, რომ მოცემულ ეტაპზე რკინიგზის გარეშე დარჩენილ რეგიონებში გაცილებით ახალბედა სარკინიგზო კომპანიებს უზარმაზარი შესაძლებლობები ეძლეოდათ. დღეს

ეს რეგიონები სრულიად წამგებიანი იყო, მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობაზე მზრუნველ კომპანიას მთავარ მიზნად მრავალტანჯული მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა უნდა დაესახა, რადგან რკინიგზის არსებობის მთავარი დანიშნულება ხომ საზოგადოების მსახურება იყო და არა მოგება.

შემდეგ ითქვა, რომ დიდ, უკვე დამკვიდრებულ სარკინიგზო სისტემებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების კეთილდღეობისთვის; და რომ ერთი მათგანის მოშლაც კი ეროვნულ კატასტროფას გამოიწვევს; და თუ რომელიმე ეს სისტემა საერთაშორისო კეთილი ნების მისიის შესრულებისას გამანადგურებელ დარტყმას განიცდის, საზოგადოების ვალია, მხარი დაუჭიროს მის გადარჩენას.

არც ერთი სარკინიგზო კომპანია სახელით არ უხსენებიათ. მაგრამ როცა კავშირის თავმჯდომარემ ხელი საზეიმოდ ასწია კენჭისყრის დაწყების ნიშნად, ყველამ „ფენიქს-დურანგოს“ პრეზიდენტს, დენ კონვეის გახედა.

მხოლოდ ხუთმა წევრმა მისცა ხმა შემოთავაზებული ნორმის წინააღმდეგ. და მაინც, როცა კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ხმათა უმრავლესობით ნორმა მიღებული იყო, არც აპლოდისმენტები, არც მოწონების შეძახილები ამას არ მოჰყოლია. ადგილიდან არავინ დაძრულა — დარბაზში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

უკანასკნელ წუთამდე ყველას იმედი ჰქონდა, რომ მოულოდნელად რაღაც იხსნიდათ ამ ახალდადგენილი წესისგან.

კანონი „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“ წარმოადგინეს „ნებაყოფლობითი თვითრეგულაციის“ ზომად, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების მიერ დიდი ხნის წინ მიღებული კანონების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს. ნორმა კავშირის ყველა წევრს უკრძალავდა „დამანგრეველ კონკურენციაში“ მონაწილეობას; ზოგიერთ რეგიონებში ფუნქციონირება მხოლოდ ერთ სარკინიგზო კომპანიას შეეძლო; ასეთ რეგიონებში უპირატესობა მიენიჭებოდა ყველაზე ძველ მოქმედ სარკინიგზო კომპანიას და ახალბედა კომპანიები, რომლებიც უსამართლოდ შეიჭრნენ მათ ტერიტორიაზე, ვალდებული იყვნენ, შეეწყვიტათ გადაზიდვები ცხრა თვის ვადაში შესაბამისი მითითების მიღებიდან; უფლებამოსილება, განესაზღვრა, რომელ რაიონებში შეიზღუდებოდა კონკურენცია, მხოლოდ რკინიგზის ეროვნული ალიანსის აღმსრულებელ კომიტეტს ენიჭებოდა.

სხდომის დახურვის შემდეგ ყველამ საჩქაროდ დატოვა დარბაზი, კერძო საუბრებისა თუ ჯგუფური განხილვების გარეშე. დიდი დარბაზი უჩვეულო სისწრაფით დაცარიელდა. დენ კონვეის არავინ დალაპარაკებია, მისკენ არც კი გაუხედავს ვინმეს.

ვესტიბიულში ჯეიმს ტაგარტი ორენ ბოილს შეხვდა. ისინი შეხვედრაზე არ შეთანხმებულან, მაგრამ ტაგარტმა მარმარილოს კედელს მიყრდნობილი ზორბა კაცი შეამჩნია და ბოილი იქამდე იცნო, ვიდრე მის სახეს დაინახავდა. როცა ერთმანეთისკენ გაემართნენ, ბოილმა გაიღიმა, ოღონდ არც ისე მეგობრულად, როგორც საერთოდ სჩვეოდა, და უთხრა:

— მე ჩემი საქმე უკვე გავაკეთე. ახლა ჯერი შენზეა, ჯიმ.

— შენი აქ მოსვლა არ იყო საჭირო, რატომ მოხვედი? — დაღვრემილად ჩაიბურტყუნა ჯეიმსმა.

— ისე, სეირისთვის რომ მეცქირა, — უპასუხა ბოილმა.

დენ კონვეი მარტოდმარტო იჯდა დაცარიელებულ დარბაზში. მანამდე იჯდა, ვიდრე დამლაგებელი არ შემოვიდა, დარბაზი რომ მოეწესრიგებინა. როცა ის მიესალმა, კონვეი დამჯერედ წამოდგა და ფეხათრევით გაემართა კარისკენ. ახლოს

რომ ჩაუარა, ჯიბეები მოისინჯა და დამლაგებელს ხუთდოლარიანი გაუწოდა. უსიტყვოდ, თვინიერად, სახეზე არც კი შეუხედავს. ეტყობა, ვერც კი ხვდებოდა, რას აკეთებდა. სავარაუდოდ, ეგონა, ისეთ ადგილას იმყოფებოდა, სადაც სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა.

დაგნი ჯერ კიდევ თავის მაგიდასთან იჯდა, როცა კარი გაფრიალდა და კაბინეტში ჯეიმს ტაგარტი შემოვარდა. ასე პირველად შევიდა დის კაბინეტში. სახე ცხელებიანივით ალეწვოდა.

დაგნის ძმა სან სებასტიანის ხაზის ნაციონალიზაციის შემდეგ არ უნახავს. ჯეიმსს არ უცდია დასთან ამ თემაზე საუბარი და გაურბოდა, არც დაგნი ცდილობდა მასთან შეხვედრას. „ცხოვრებამ ისე ხატოვნად წარმოაჩინა ჩემი სიმართლე“, — ფიქრობდა დაგნი,— „რომ კომენტარი სრულიად ზედმეტია“. ნაწილობრივ თავაზიანობამ, ნაწილობრივ სიბრალულმა შეაკავა, მოეხსენებინა ძმისთვის განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე დასკვნები. ყოველი შემთხვევისთვის, ჯეიმსს ახლა მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეეძლო. დაგნის უამბეს მისი გამოსვლის შესახებ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე. საპასუხოდ, მხოლოდ გულგრილი გაოცებით აიჩეჩა მხრები.

რაკი ჯეიმსმა, რაღაც მიზეზებით, თავს უფლება მისცა, მიეთვისებინა მისი მიღწევები, ესე იგი, სხვა თუ არაფერი, ამიერიდან თავს მაინც დააანებებდა და ხელს აღარ შეუშლიდა, რომ ემოქმედა.

— ისევ გგონია, რომ მხოლოდ შენ შრომობ ჩვენი რკინიგზის საკეთილდღეოდ?

დაგნი გაოგნებული უყურებდა. ჯეიმსი მაგიდის წინ იდგა, სიმივით მოჭიმული და გამგმირავი ხმით ამბობდა:

— ადრინდელივით ფიქრობ, რომ კომპანია მე დავანგრიე, არა? — წამოიყვირა მან, — და ახლა შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ჩვენი ხსნა შეუძლია? გგონია, ვერ ვიპოვი გამოსავალს, რომ მექსიკური დანაკარგი ავანაზღაურო?

— ჩემგან რა გინდა? — აუჩქარებლად ჰკითხა დაგნიმ.

— მინდა, რაღაც სიახლეები შეგატყობინო. გახსოვს, რამდენიმე თვის წინ რომ გეუბნებოდი რკინიგზის კავშირის წინადადებაზე „მტაცებლურ კონკურენციასთან“ დაკავშირებით? შენ ეს იდეა არ მოგეწონა. ძალიან არ მოგეწონა.

— მახსოვს. მერე?

— დაამტკიცეს.

— რა დაამტკიცეს?

— კანონი „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“. სულ რამდენიმე წუთის წინ, კავშირის სხდომაზე. ასე რომ, ცხრა თვის თავზე „ფენიქს-დურანგოსგან“ კოლორადოში არაფერი დარჩება!

დაგნი წამოხტა. ბროლის საფერფლე მაგიდიდან გადმოვარდა და იატაკზე ხმაურით დაიმსხვრა.

— გათახსირებულებო!

ჯეიმსი არც კი განძრეულა. იდგა და იღიმებოდა.

დაგნი ატყობდა, რომ ცახცახებდა, რომ ახლა დაუცველი იდგა ძმის წინაშე, რომელსაც ეს სიამოვნებას ჰგვრიდა, მაგრამ ამას აღარ დაეძებდა. მერე უცებ ჯეიმსის ღიმილი დაინახა, და მოულოდნელად სულის შემხუთველი ბრაზი გაქრა. უკვე აღარაფერს გრძნობდა. ძმის ღიმილს ცივი, უემოციო ცნობისმოყვარეობით სწავლობდა.

იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. ჯეიმსს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს, პირველად თავის ცხოვრებაში, არ ეშინოდა დის. ზეიმობდა. ეს მოვლენა მისთვის კონკურენტის განადგურებაზე მეტს ნიშნავდა. და კონკურენტი დაგნი იყო, დენ კონვეი კი არა. დაგნის არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, ან რატომ, მაგრამ იმაში ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ძმამაც იცოდა, ასე რომ იყო.

გონების წამიერი გასხივოსნებისას, დაგნიმ იფიქრა, რომ აქ, მის თვალწინ, ჯეიმს ტაგარტში და მისი გაღიმების გამომწვევ მიზეზში იმალებოდა უკიდურესად მნიშვნელოვანი საიდუმლო, რომლის არსებობაზე აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდა და ახლა მას მართლაც ნებისმიერ ფასად უნდა ჩასწვდომოდა. თუმცა ამ ფიქრმა გაუელვა და გაქრა.

კარადას მივარდა და პალტოს დასტაცა ხელი.

— სად მიდიხარ? — ტაგარტის ხმა უწინდელივით ომახიანად აღარ ჟღერდა; გაწბილებული და ოდნავ შეწუხებული ჩანდა.

დაგნიმ არ უპასუხა და კაბინეტი სწრაფად დატოვა.

* * *

— დენ, თქვენ უნდა შეებრძოლოთ მათ. მე დაგეხმარებით. თქვენთვის ვიბრძოლებ, თავს არ დავზოგავ.

დენ კონვეიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

ის ცუდად განათებულ კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და ცარიელ საქაღალდეს დასჩერებოდა; კუთხეში სანათი მკრთალად კიაფობდა. როდესაც დაგნი დაუყოვნებლივ გაემართა „ფენიქს-დურანგოს“ ოფისში და კონვეის კაბინეტში შევიდა, ის არც კი განძრეულა. დაგნი რომ დაინახა, შესვლისთანავე გაუღიმა და დაბალი, უსიცოცხლო ხმით უთხრა:

— საოცარია, ვიცოდი, რომ მოხვიდოდით.

ისინი ერთმანეთს კარგად არ იცნობდნენ, თუმცა რამდენჯერმე შეხვდნენ კოლორადოში.

— მაგრამ, — თქვა კონვეიმ, — ამას აზრი არ აქვს.

— იმ შეთანხმებას გულისხმობთ, რომელსაც კავშირმა მოაწერა ხელი? ეგ შეთანხმება უკანონოა. ჩვეულებრივი ექსპროპრიაციაა. არც ერთი სასამართლო არ დაამტკიცებს მის კანონიერებას. და თუ ჯიმი ისევ ამოეფარება თაღლითების საყვარელ ლოზუნგს — „საზოგადოებრივი კეთილდღეობა“, მე თვითონ გამოვალ სასამართლოზე და დავიფიცებ, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ მარტო ვერ გაუმკლავდება გადაზიდვებს კოლორადოში. და თუ რომელიმე სასამართლო გაგამტყუნებთ, შეგიძლიათ, მომდევნო ათი წლის მანძილზე გაასაჩივროთ.

— მართალია, — დაეთანხმა კონვეი, — არ ვარ დარწმუნებული, რომ საქმეს მოვიგებ, მაგრამ შემეძლო მეცადა და ჩემი რკინიგზა კიდევ რამდენიმე წლით შემენარჩუნებინა, თუმცა... ახლა იურიდიული საკითხები ნაკლებად მაფიქრებს. მთავარი ეგ არ არის. — აბა, მაშინ რა ხდება?

— არ მინდა ბრძოლა, დაგნი.

დაგნიმ შეხედა მას და გაოგნდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კონვეის მსგავსი სიტყვები არასოდეს დასცდენია. ამ ასაკში ადამიანი ვერ შეიცვლებოდა.

დენ კონვეი ორმოცდაათ წელს უახლოვდებოდა. მისი ფართო, ფლეგმატური, ჯიუტი სახე ლოკომოტივის მემანქანეს უფრო მოუხდებოდა, ვიდრე კომპანიის პრეზიდენტს. მებრძოლის იერი ჰქონდა, მზეზე გარუჯული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახე, მიუხედავად თმაში შეპარული ჭაღარისა. თავის დროზე არიზონაში ერთი

დაფეხვილი სარკინიგზო ხაზი იყიდა, რომელსაც რიგიან სასურსათო ფარდულზე მეტი შემოსავალი არ მოჰქონდა და ის საუკეთესო რკინიგზად აქცია მთელ სამხრეთ-დასავლეთში.

მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ცოტას კითხულობდა და არასდროს უსწავლია კოლეჯში. ნებისმიერ ადამიანურ საქმიანობას, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, დაუფარავი გულგრილობით ეკიდებოდა; არაფერი გაეგებოდა იმის შესახებ, რასაც ადამიანები კულტურას ეძახიან, მაგრამ რკინიგზის საქმეში ბადალი არ ჰყავდა.

— კი მაგრამ, რატომ არ გინდათ, იბრძოლოთ?

— იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ უფლება, ასე მოქცეულიყვნენ.

— დენ, თქვენ რა, ჭკუიდან შეიშალეთ?

— ცხოვრებაში არასდროს დამირღვევია მიცემული სიტყვა. — წარმოთქვა უღიმღამოდ, — და ჩემთვის სულერთია, სასამართლოები რას გადაწყვეტენ. მე უმრავლესობას დავპირდი, რომ დავემორჩილებოდი და დაპირება უნდა შევასრულო, — და განა არ იცოდით, რომ უმრავლესობა სწორედ ასე მოგექცეოდათ?!

— არა, — ოდნავ მოეკრუნჩხა უსიცოცხლო სახე. კონვეი ჩუმად ლაპარაკობდა. დაგნის არ უყურებდა, ჯერ კიდევ ვერ გაეაზრებინა, რაც მოხდა, — არა, ამას არ ველოდი.

ვიცოდი, რომ ამ ნორმაზე უკვე ლამის მთელი წელი ლაპარაკობდნენ, მაგრამ არ მჯეროდა, რომ დაამტკიცებდნენ. იმ მომენტშიც კი, როცა კენჭს უყრიდნენ.

— მაინც, რას ელოდით?

— მე მეგონა... მათ თქვეს, რომ ყველა ჩვენგანი საერთო კეთილდღეობისთვის უნდა იღვწოდეს. და ვფიქრობდი, რომ რასაც კოლორადოში ვაკეთებდი, კარგი იყო.

კარგი იყო ყველასთვის.

— ღმერთო, რა ბრიყვი ხართ! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ სწორედ მაგისთვის დაისაჯეთ, ასე კარგად რომ მუშაობდით?

კონვეიმ თავი გაიქნია და ჩაილაპარაკა:

— არაფერი არ მესმის, და გამოსავალსაც ვერ ვხედავ.

— განა ვინმეს დაჰპირდით, რომ თავს საკუთარი ხელებით გაინადგურებდით?

— როგორც ჩანს, ახლა არჩევანი არც ერთ ჩვენგანს აღარ დაგვრჩა.

— რას გულისხმობთ?

— იმ საშინელებას, რაც დღეს მთელ მსოფლიოს სჭირს, დაგნი. ზუსტად რა, არ ვიცი, მაგრამ საქმე ცუდად არის, ძალიან ცუდად. ადამიანები უნდა გაერთიანდნენ და გამოსავალი იპოვონ. და ვინ უნდა გადაწყვიტოს, რა გზას უნდა დავადგეთ, თუ არა უმრავლესობამ? მე მგონი, ეს ერთადერთი სამართლიანი გზაა პრობლემის გადასაჭრელად, სხვას უბრალოდ ვერ ვხედავ. ვფიქრობ, ვიღაც უნდა შეეწიროს ამას. რაკი ისე გამოვიდა, რომ ეს მე უნდა ვიყო, უფლება არ მაქვს, უარი ვთქვა. სიმართლე იმათ მხარესაა. ხალხი იძულებულია, გაერთიანდეს.

დაგნი შეეცადა, მშვიდად ელაპარაკა; ბრაზისგან კანკალებდა:

— თუ გაერთიანებისთვის ეს ფასი უნდა გადავიხადოთ, მაშინ წყეულიმც ვიყო, ასეთ ადამიანებთან ერთ პლანეტაზე ცხოვრება თუ მოვინდომო! თუკი სხვები მხოლოდ ჩვენი განადგურების ფასად გადარჩებიან, მაშინ ჩვენ რატომღა უნდა გვინდოდეს მათი გადარჩენა? არაფერი არ ამართლებს საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებას. ვინ მისცათ უფლება, ადამიანები სამსხვერპლო ცხოველებად გადააქციონ! ვერაფერი გაამართლებს საუკეთესოების განადგურებას. არავინ უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ ასეთი კარგია. დაუშვებელია, ვინმე ისჯებოდეს თავისი

შესაძლებლობების გამო. და თუ ეს სამართლიანია, მაშინ აჯობებს, უცებ გავანადგუროთ ერთმანეთი, რადგან სამყაროში არავითარი სამართალი აღარ დარჩება.

კონვეიმ არ უპასუხა, მხოლოდ უსუსურად შეჰყურებდა დაგნის.

— თუკი სამყარო მართლაც ასეთია, როგორ უნდა ვიცხოვროთ მასში? — ჰკითხა დაგნიმ.

— არ ვიცი... — ჩაიჩურჩულა კონვეიმ.

— დენ, ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ეს სამართლიანია? გულახდილად თქვით, გულში ჩაიხედეთ და ისე — ეს სწორად მიგაჩნიათ?

კონვეიმ თვალები დახუჭა.

— არა, — თქვა მან, მერე დაგნის შეხედა და დაგნიმ ახლაღა შეამჩნია, რომ მის თვალებში ტკივილს დაესადგურებინა, — ვზივარ და სწორედ მაგის გაგებას ვცდილობ. ვიცი, უნდა ვიფიქრო, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ენა არ მომიბრუნდება ამის სათქმელად. თვალწინ მიდგას ჩემი რკინიგზის ყოველი შპალი, ყოველი სასიგნალო შუქნიშანი, ყოველი ხიდი, ყოველი ღამე, რომელიც დამათენდა, როცა...

თავი ხელებზე ჩამოუვარდა:

— ო, ღმერთო, რა უსამართლობაა!

— დენ, — კბილებში გამოცრა დაგნიმ, — შეებრძოლეთ!

კონვეიმ თავი ასწია და დაცარიელებული თვალებით შეხედა.

— არა, ეგ არ იქნება სწორი, — უპასუხა მან, — მე უბრალოდ ეგოისტი ვარ.

— სისულელეებს მოეშვით! ხომ იცით, რომ ასე არ არის!

— არ ვიცი... — ძალიან დაღლილი ხმით წარმოთქვა, — ვზივარ და ვცდილობ, რაღაცას მივხვდე... უკვე აღარ ვიცი, რა არის სწორი და რა არა. თუმცა, მგონი, ჩემთვის სულერთია.

დაგნიმ უცებ გააცნობიერა, რომ არც ერთ სიტყვას აზრი აღარ ჰქონდა და დენ კონვეი ამიერიდან აღარასოდეს გახდებოდა ადამიანი-საქმე. ზუსტად არ იცოდა, ეს რამ აფიქრებინა და დაბნეულმა უთხრა:

— მაგრამ თქვენ ადრე უბრძოლველად არასოდეს ნებდებოდით.

— არა, არ ვნებდებოდი, — თქვა ჩუმი, გულგრილი სიმწარით ხმაში, — მე გრიგალსა და წყალდიდობას ვებრძოდი, მეწყერს და რელსების ნახეთქებს. ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა და მომწონდა, რომ ვიბრძოდი... მაგრამ ასეთი ბრძოლა... ამგვარ შეტაკებაში გამარჯვება არ მიწერია.

— რატომ?

— არ ვიცი. ვინ იცის, რატომაა სამყარო ისეთი, როგორიც არის? და საერთოდ, ვინ არის ჯონ გოლტი?

დაგნი შეკრთა:

— აბა, რას აპირებთ?

— არ ვიცი...

— ანუ... — არ დაასრულა დაგნიმ.

კონვეი მიხვდა, რისი თქმა უნდოდა მას.

— საქმე ჩემთვის ყოველთვის მოიძებნება... მე მგონი, კონკურენცია მხოლოდ კოლორადოსა და ნიუ მექსიკოში იკრძალება. არიზონაშიც ხომ მაქვს რკინიგზა... როგორც ოცი წლის წინ. ჰოდა, იმას მივხედავ. დავიღალე, დაგნი. აქამდე დროც არ მქონდა, ეს რომ შემენიშნა, არადა, ნამდვილად დავიღალე, დამიჯერეთ.

დაგნის სათქმელი აღარაფერი ჰქონდა.

— სულაც არ ვაპირებ, რომელიმე კრიზისულ ზონაში ახალი რკინიგზა გავიყვანო, — თქვა კონვეიმ იმავე გულგრილი ხმით, — აი, ასეთი გამამხნევებელი პრიზი უნდოდათ, გადმოეცათ. მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები მგონია. რა საჭიროა რკინიგზის აშენება იქ, სადაც ასეულობით მილის მანძილზე კაცის ჭაჭანება არ არის, ერთი-ორი საწყალი ფერმერის გარდა, ლამის სული რომ ხდებათ შიმშილით. შეუძლებელია, ასეთ ადგილებში რკინიგზა ააშენო და მან თავი შეინახოს. თავი თუ არ შეინახა, მაშინ ვინ შეინახავს? ჩემი აზრით, ეს სისულელეა. თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენ.

— ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ მაგ კრიზისულ რაიონებს! თქვენ მეფიქრებით, — დაგნი ვალდებული იყო, ეს ეთქვა, — რას უპირებთ საკუთარ თავს?

— არ ვიცი... ისე, უამრავი რამეა, რისთვისაც ადრე დრო არ მრჩებოდა. თევზაობა, მაგალითად. ყოველთვის მომწონდა თევზაობა. იქნებ, წიგნების კითხვა დავიწყო, ყოველთვის მინდოდა, მეკითხა. არაფერია, რამეს ვიზამ. როგორც იქნა, მომეცა თევზაობის საშუალება. არიზონაში რამდენიმე ისეთი ლამაზი ადგილია, მშვიდი და წყნარი, კაციშვილს რომ ვერ წააწყდები ათეულობით მილზე...

კონვეიმ დაგნის შეხედა და დაამატა:

— დავივიწყოთ ეს ამბავი. ჩემზე რატომ უნდა იდარდოთ?

— ეს მარტო თქვენ არ გეხებათ... დენ, — თქვა დაგნიმ უეცრად, — იმედია, გესმით, რომ მხოლოდ თქვენი გულისთვის არ მითხოვია, გებრძოლათ.

კონვეის გაეღიმა, მკრთალი, მეგობრული ღიმილით.

— მესმის.

— სიბრალული, ქველმოქმედება ან სხვა რაიმე ამგვარი სისულელე არაფერ შუაშია. მომისმინეთ, ჩაფიქრებული მქონდა, თქვენთვის კოლორადოში ჯოჯოხეთი მომეწყო. ვაპირებდი, საქმეში შემოგჭროდით, კედელთან მიმემწყვდიეთ, გამომეგდეთ იქიდან, თუ საჭირო გახდებოდა.

კონვეის მსუბუქად ჩაეცინა, მიანიშნა, რომ ხვდებოდა, საითაც უმიზნებდა.

— დიდი ჯაფა კი დაგადგებოდათ. — უთხრა.

— მაგრამ, ვფიქრობ, ეს აუცილებელი არ იყო. ჩემი აზრით, იქ ადგილი ორივეს გვეყოფოდა.

— ჰო, გვეყოფოდა, — დაეთანხმა კონვეი.

— და მაინც, როგორც კი მივხვდებოდი, რომ ასე არ არის, ომს გამოგიცხადებდით და თუ ჩემს მაგისტრალს თქვენსაზე უკეთესად ვაქცევდი, გაგაკოტრებდით და საერთოდ არ ვიდარდებდი, რა მოგივიდოდათ. მაგრამ ასე... დენ, მე მგონი, ახლა რიო ნორტეს ვერც კი შევხედავ. მე... ღმერთო ჩემო! დენ, არ მინდა, ბანდიტი ვიყო!

ცოტა ხანს კონვეი ჩუმად უყურებდა, უცნაური, თითქოს შორეული მზერით, მერე კი ხმადაბლა უთხრა:

— ეჰ, ჩემო გოგონა, თქვენ ასი წლის წინ უნდა დაბადებულიყავით. მაშინ შანსი გექნებოდათ.

— ჯანდაბა! არ მაინტერესებს! მე თვითონ ვაპირებ, შანსი შევქმნა.

— თქვენს ასაკში მეც იგივე მსურდა.

— გამოგივიდათ კიდევაც.

— ვითომ?

დაგნი ადგილზე გაიყინა. უცებ მომაკვდინებელი აპათია დაეუფლა.

კონვეი გაიმართა და მტკიცედ თქვა, თითქოს ბრძანებას გასცემდა:

— თქვენს „რიო ნორტე ლაინს“ მიხედეთ, და რაც შეიძლება სწრაფად. მანამდე მოაწესრიგეთ, სანამ წავალ. იმიტომ, რომ თუ ამას არ გააკეთებთ, ელის უაიატი და სხვა მეწარმეები კოლორადოში დაიღუპებიან, ესენი კი საუკეთესო ხალხია, ვინც ქვეყანაში დარჩა. ეს დაუშვებელია. ამიერიდან მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგაწვებათ, რა აზრი აქვს თქვენი ძმისთვის იმის ახსნას, რომ ახლა უფრო გაგიჭირდებათ იქ, ვიდრე მე რომ კონკურენტად დავრჩენილიყავი. მაგრამ ჩვენ ხომ გვესმის. ასე რომ, საქმეს მიხედეთ. რაც არ უნდა გააკეთოთ, თქვენ თაღლითი არ გახდებით. ვერც ერთი ქურდი ვერ მოახერხებს, რკინიგზა ამუშაოს ქვეყნის იმ ნაწილში. და რასაც იქ მიაღწევთ, თქვენი პატიოსანი შრომით იქნება მოპოვებული. თქვენი ძმისნაირ რწყილებზე კი ლაპარაკიც არ ღირს. ახლა ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

დაგნი იჯდა, უყურებდა მას და საკუთარ თავს ეკითხებოდა — ნეტა, რას შეეძლო, გაეტეხა ასეთი კაცი. ერთი რამ ზუსტად იცოდა — ეს ჯეიმს ტაგარტის გაკეთებული არ იყო.

შეამჩნია, რომ კონვეი დაჟინებით უმზერდა, თვალებში გამოუთქმელი შეკითხვა ედგა. მერე მან გაიღიმა და დაგნი გაოგნდა, როდესაც ამ ღიმილში მწუხარება და თანაგრძნობა ამოიკითხა.

— ნუ გეცოდებით, — უთხრა კონვეიმ, — მე მგონი, ჩვენ ორს შორის, უფრო მძიმე დრო სწორედ თქვენ გიდგათ და არა მე. ვფიქრობ, მასთან ჭიდილში თქვენ ჩემზე მეტად დაზარალდებით.

* * *

იმ დღეს დაგნიმ ქარხანაში დარეკა და შუადღისთვის ჰენკ რიერდენთან შეხვედრა შეათანხმა. როგორც კი ყურმილი დაკიდა და მაგიდაზე გაფენილი რიო ნორტეს ხაზის რუკებისკენ დაიხარა, კაბინეტის კარი გაიღო. დაგნიმ გაოცებით აიხედა მაღლა: ჩვეულებრივ, მის კაბინეტში გაუფრთხილებლად არავინ შემოდიოდა.

კართან უცნობი მამაკაცი იდგა. ახალგაზრდა იყო, მაღალი და რამდენადმე საშიშიც კი, თუმცა რატომ საშიში, დაგნი დაზუსტებით ვერც იტყოდა, რადგან პირველი, რაც ამ ადამიანში თვალს ხვდებოდა, საკუთარი თავის ფლობის უნარი იყო, რომელიც ძალიან წააგავდა მედიდურობას. მუქი თვალები ჰქონდა, აწეწილი თმა; ძვირფასი კოსტიუმი ეცვა, მაგრამ ისე, ვითომდა ამას ვერც ამჩნევდა ან სულაც არ აინტერესებდა.

— ელის უაიატი, — გაეცნო უცნობი.

დაგნი უნებლიეთ ფეხზე წამოხტა. ახლა კი მიხვდა, რატომ ვერავინ შეძლო მისი შეჩერება მისაღებში.

— დაბრძანდით, მისტერ უაიატ, — თავაზიანად გაუღიმა დაგნიმ.

— არ არის საჭირო, — თქვა უაიატმა და საპასუხოდ არ გაუღიმა, — ხანგრძლივი მოლაპარაკებები არ მჩვევია.

დაგნი საგანგებოდ აუჩქარებლად ჩაჯდა სავარძელში, საზურგეს მიეყრდნო, თან თვალს არ აშორებდა მოსულს.

— გისმენთ! — უთხრა მერე.

— თქვენ სანახავად მოვედი, რადგან როგორც მივხვდი, თქვენ ერთადერთი ხართ ამ შტერების გუნდში, ვისაც ჭკუა მოეკითხება.

— რით შემიძლია, გემსახუროთ?

— ულტიმატუმის მოსმენა მოგიწევთ. — უაიატმა მკაფიოდ გამოთქვა თითოეული სიტყვა, — მოველი, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ცხრა თვის შემდეგ

კოლორადოში ისე ამუშავდეს, როგორც ამას ჩემი ბიზნესი მოითხოვს. თუ ეს თაღლითობა, რომლის საშუალებითაც თქვენმა ხალხმა „ფენიქს-დურანგო“ მოიშორა, იმასაც ისახავს მიზნად, რომ მუშაობას აარიდოთ თავი, ოინი არ გაგივათ! არაფერი მომითხოვია თქვენგან, როცა ისე ვერ მომემსახურეთ, როგორც მე მჭირდებოდა. ავდექი და სხვა გადამზიდავი ვიშოვე. ახლა კი იძულებულს მხდით, საქმე მხოლოდ თქვენთან დავიჭირო. გგონიათ, რაკი არჩევანი არ დამიტოვეთ, თქვენს ჭკუაზე ვივლი? თუ ვარაუდობთ, რომ ჩემი საქმიანობის ტემპს დავწევ თქვენთვის ჩვეული არაკომპეტენტურობის შესაბამისად, იცოდეთ, შემცდარხართ.

დაგნიმ თავს ძალა დაატანა და ნელა უპასუხა:

— გნებავთ, მოისმინოთ, რას ვაპირებ ჩვენს ხაზთან დაკავშირებით კოლორადოში?

— არა. განზრახვები და განხილვები არ მაინტერესებს. მე გადაზიდვები მჭირდება.

რას და როგორ გააკეთებთ ამის უზრუნველსაყოფად, ეგ თქვენი პრობლემაა და არა ჩემი. უბრალოდ, გაფრთხილებთ. ვისაც ჩემთან საქმის დაჭერა უნდა, ჩემი პირობები უნდა მიიღოს, და მორჩა! უვიცებთან არაფერი მესაქმება. თუ ჩემი ნავთობის გადაზიდვით აპირებთ, ფული იშოვოთ, მაშინ ისევე უნდა იცოდეთ თქვენი საქმე, როგორც მე ვიცი ჩემი. გასაგებია?

— მესმის თქვენი, — უთხრა დაგნიმ ხმადაბლა.

— დროს არ დავკარგავ არგუმენტებზე, თუ რატომ უნდა მოეკიდოთ ჩემს ულტიმატუმს სერიოზულად. რაკი გყოფნით ინტელექტი, ეს კორუმპირებული ორგანიზაცია რაღაცნაირად ამუშაოთ, ამასაც მიხვდებით. ორივემ ვიცით, რომ თუ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ კოლორადოში ისევე იმუშავებს, როგორც ხუთი წლის წინ მუშაობდა, ეს მე დამაქცევს. ვიცი, რომ სწორედ ამის მიღწევას ცდილობთ. გინდათ, ბოლომდე გამომიყენოთ, მერე კი, როდესაც მიწასთან გამასწორებთ, ვინმე სხვა მონახოთ. დღეს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ამ ხაზს მისდევს. ამიტომ, აი, ჩემი ულტიმატუმი: ახლა თქვენ ხელში ვარ, შეგიძლიათ, გამაკოტროთ. არ არის გამორიცხული, წასვლა მომიწიოს; მაგრამ მე თუ წავედი, დარწმუნებული იყავით: ყველას თან გაგიყოლებთ.

სადღაც სულის ფსკერზე, იმ მდუმარებაში, ადგილზე რომ გააქვავა, დაგნიმ, რომელსაც სიტყვები როზგებივით ხვდებოდა, მწვავე ტკივილი იგრძნო, მწველი, დამწვრობის ტკივილივით. უნდოდა, უაიატისთვის იმ წლების შესახებ მოეყოლა, რომლებიც მისნაირი ადამიანების ძებნაში გაატარა, ადამიანების, ვისთანაც ისე იმუშავებდა, როგორც მასთან. უნდოდა, ეთქვა, რომ უაიატის მტრები მისი მტრებიც იყვნენ; რომ თვითონაც იმავე ომში იბრძოდა; უნდოდა, ეყვირა: „მე არ ვარ ერთ-ერთი მათგანი“, თუმცა, იცოდა, რომ ამის უფლება არ ჰქონდა. ის „ტაგარტ ტრანსკონტინენტალზე“

პასუხისმგებელი პირი იყო და ყველაფერი. რაც კომპანიის სახელით კეთდებოდა, მას ეხებოდა. ახლა თავის მართლება არ ეკადრებოდა.

დაგნი სავარძელში გაიმართა, თვალებში შეხედა უაიატს და მშვიდად უპასუხა:

— თქვენ მიიღებთ თქვენთვის აუცილებელ ტრანსპორტს, მისტერ უაიატ!

უაიატს სახეზე მსუბუქი გაკვირვება გამოესახა: ასეთ პირდაპირ პასუხს არ ელოდა; შესაძლოა, ის კი არ გაუკვირდა, რაც დაგნიმ უთხრა, არამედ ის, რომ თავის მართლებასა და მობოდიშებას არ მოჰყვა. წამით უსიტყვოდ სწავლობდა დაგნის. მერე შედარებით შერბილებული ტონით უთხრა:

— კეთილი, გმადლობთ. ნახვამდის.

დაგნიმ თავი დაუკრა, უაიატმაც, და კაბინეტიდან გავიდა.

* * *

— აი, ასეა საქმე, ჰენკ. პრაქტიკულად არარეალური გრაფიკი შევიმუშავე რიო ნორტეს ერთ წელიწადში დასამთავრებლად. ახლა კი ცხრა თვეში უნდა ჩავეტიო.

თქვენ რელსები წლის განმავლობაში უნდა მოგეწოდებინათ. მოახერხებთ, ეს ცხრა თვის ვადაში გააკეთოთ? თუ ადამიანურ ძალებს არ აღემატება, როგორმე მოახერხეთ. თუ არა და, სხვა გზების მოძებნა მომიწევს.

რიერდენი თავის მაგიდასთან იჯდა. ცივი თვალების ორ ცისფერ ჭრილს ჰორიზონტალურად გაეჭრა მისი დანაკვთული სახე; ისევ ისე ნახევრად მოხუჭული და გულგრილი თვალებით, ერთფეროვნად, მახვილის გარეშე წარმოთქვა:

— მე ამას მოვახერხებ.

დაგნი სკამის ზურგს მიეყრდნო. ამ მოკლე წინადადებამ მონუსხა. თითქოს ლოდი ჩამოეხსნა გულიდან: არავითარი დამატებითი გარანტიები არ სჭირდებოდა, არც მტკიცებულებები, კითხვები, ახსნა-განმარტებები; რთული პრობლემის გადაწყვეტა სრულიად რეალური ჩანდა იმ კაცის მიერ წარმოთქმული სამიოდე სიტყვის წყალობით, რომელმაც საკუთარი სიტყვის ფასი იცოდა.

— ნუ შეიმჩნევთ, რომ გულზე მოგეშვათ, — ჩაიცინა რიერდენმა, — ასე აშკარად მაინც, თორემ მეგონება, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ გამოვიჭირე, — მისი მოჭუტული თვალები იდუმალი ღიმილით უცქერდნენ დაგნის.

— ვითომ არ იცით, რომ ასეა.

— ვიცი. და ვაპირებ, ამისთვის გადაგახდევინოთ.

— ეჭვი არ მეპარება. მაინც, რამდენი?

— დამატებით ოცი დოლარი ყოველ ტონაზე, რომელიც დღეის შემდეგ მოგეწოდებათ.

— ძვირია, ჰენკ. ეს თქვენი საუკეთესო ფასია?

— დიახ. და მივიღებ კიდეც, რასაც მოვითხოვ. ხომ შემეძლო, ორჯერ მეტი მომეთხოვა და თქვენც გადამიხდიდით.

— ჰო, გადავიხდიდი. თქვენც შეგეძლოთ, მოგეთხოვათ, მაგრამ ამას არ იზამთ.

— მაინც, რატომ?

— იმიტომ, რომ რიო ნორტეს დასრულება თქვენს ინტერესებშიც შედის. ეს რიერდენ მეტალს რეკლამას გაუწევს.

რიერდენს ჩაეცინა:

— მართალი ხართ. მომწონს ისეთ ადამიანთან საქმის დაჭერა, რომელიც შეღავათებს არ ითხოვს.

— იცით, რატომ ვიგრძენი შვება, როცა გადაწყვიტეთ, თქვენი უპირატესობით გესარგებლათ?

— რატომ?

— იმიტომ, რომ როგორც იქნა, ისეთ ადამიანთან მაქვს საქმე, ვინც არ თამაშობს, რომ შეღავათს მიკეთებს.

რიერდენის ღიმილი დაკონკრეტდა: ახლა უკვე ეს ხალისიანი ღიმილი იყო.

— და თქვენ ყოველთვის ასე ღიად თამაშობთ, არა? — ჰკითხა დაგნის.

— არასდროს შემიმჩნევია, თქვენ თვითონ სხვანაირად მოქცეულიყავით.

— მე კი მეგონა, ერთადერთი ვიყავი, ვინც თავს ამის უფლებას აძლევდა.

— ამ თვალსაზრისით ჯერ არც ისე გავღარიბებულვარ, ჰენკ.

— ვფიქრობ, ერთხელაც მოვახერხებ, გაგაკოტროთ.

— რატომ?

— ეს ყოველთვის მინდოდა.

— რა, გეცოტავებათ ლაჩრები გარშემო?

— სწორედ იმიტომაც მინდა ასე ძალიან, რომ თქვენ ერთადერთი გამონაკლისი ხართ. ესე იგი, ფიქრობთ, სწორად ვიქცევი, როცა ვცდილობ, თქვენი კრიტიკული მდგომარეობით ვისარგებლო და ბოლო ცენტი გამოგწუროთ?

— რა თქმა უნდა. სულელი ხომ არ ვარ, სხვანაირად ვიფიქრო. სულაც არ მგონია, თქვენს საქმეს მხოლოდ ჩემი გულისთვის აკეთებდეთ.

— და არ გინდათ, ასე რომ იყოს?

— მე მათხოვარი არ ვარ, ჰენკ.

— და არ გაგიჭირდებათ... მაგ თანხის გადახდა?

— ეს უკვე ჩემი პრობლემაა და არა თქვენი. მე მჭირდება ეს რელსები.

— დამატებითი ოცი დოლარის შემთხვევაშიც ყოველ ტონაზე?

— თანახმა ვარ, ჰენკ.

— მშვენიერია. თქვენ რელსებს მიიღებთ, მე კი უზარმაზარ მოგებას, თუკი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ამ ფულის გადმორიცხვამდე არ დაინგრა.

— თუ ცხრა თვის განმავლობაში ხაზს არ გავმართავ, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ გაკოტრდება, — თქვა დაგნიმ ღიმილის გარეშე.

— ეგ არ მოხდება, სანამ თქვენ ხართ სათავეში.

რიერდენი არ იღიმოდა, სახე ისევ გულგრილი ჰქონდა, სიცოცხლის ნიშანს მხოლოდ მისი თვალები ინარჩუნებდნენ, რომლებშიც შემეცნების ცივ და მანათობელ სისუფთავეს დაესადგურებინა. მაგრამ კერძოდ რა გრძნობებს ბადებდნენ მასში ეს შემეცნებული საგნები, არავინ იცოდა, ეგებ თავად რიერდენმაც კი, ფიქრობდა დაგნი.

— ყველაფერი იღონეს, თქვენთვის ამოცანა რომ გაერთულებინათ, არა? — მიმართა რიერდენმა დაგნის.

— ჰო, იმედი მქონდა, კოლორადო გადაარჩენდა კომპანიის მთელ ქსელს. მაგრამ ახლა მე უნდა გადავარჩინო კოლორადო. ცხრა თვის შემდეგ დენ კონვეი თავის მაგისტრალს დახურავს. თუ ამ დროისთვის ჩემი ხაზი მზად არ იქნება, მშენებლობის დამთავრებას აზრი დაეკარგება. იმ ხალხის რკინიგზის გარეშე დატოვება ერთი დღეც არ შეიძლება, აღარაფერს ვამბობ ერთ კვირაზე ანდა ერთ თვეზე. თუ გავითვალისწინებთ, რა ტემპებით იზრდება ეს კომპანია, მათი პარალიზება დაუშვებელია. ეს იგივეა, საათში ორასი მილის სიჩქარით მიმავალი თბომავალი უცებ დაამუხრუჭო.

— გასაგებია.

— მე შემიძლია, კარგი რკინიგზა ვამუშაო. მაგრამ არ შემიძლია, მთელი კონტინენტი გადავასერინო მატარებლებს ხალხისთვის, ვისაც სათავისოდ საკმარისი თალგამიც კი ვერ მოუყვანია. მე ისეთი ადამიანები მჭირდება, როგორიც ელის უაიატია, რომლებიც იმას აწარმოებს, რასაც ჩემი მატარებლები გადაზიდავენ. ამიტომ მოვალე ვარ, ცხრა თვის შემდეგ ის სარკინიგზო ხაზით და მატარებლებით უზრუნველვყო, თუნდაც ამისთვის ყველანი რელსებქვეშ დავიმარხოთ!

რიერდენს გაოცებით გაეღიმა.

— ვხედავ, არ ხუმრობთ.

— და თქვენ?

რიერდენმა არ უპასუხა, მაგრამ ისევ იღიმებოდა.

— თქვენ ეს არ განაღვლებთ, ასეა? — ლამის რისხვით ჰკითხა დაგნიმ.

— არა.

— ნუთუ არ გესმით, ეს რას ნიშნავს?.

— მე ის ვიცი, რომ რელსები უნდა დავამზადო, თქვენ კი — ცხრა თვეში გზა დააგოთ. დაგნიმ გაიღიმა, ოდნავ დაღლილმა, დანაშაულის განცდით:

— ასეა, და ჩვენ ამას გავაკეთებთ. ვიცი, აზრი არ აქვს ისეთ ადამიანებზე გაბრაზებას, როგორებიც ჯიმი და მისი მეგობრები არიან. ჩვენ ამის დრო არ გვაქვს. პირველ რიგში, უნდა გამოვასწორო, რაც მათ გააფუჭეს და მერე... — დაგნი უეცრად გაჩუმდა, ჩაფიქრდა, თავი გააქნია და მხრები აიჩეჩა, — მერე კი, მათ ვინღა დაეძებს.

— მართალია. როცა ამ გარეწრული ნორმის შესახებ შევიტყვე, გული კინაღამ ამერია. მაგრამ მაგ ვიგინდარებზე ფიქრი არ ღირს.

ბოლო წინადადებამ განსაკუთრებული ემოციურობით გაიჟღერა, თუმცა რიერდენს გამომეტყველება და ხმა არ შესცვლია.

— მე და თქვენ ყოველთვის ვიქნებით საჭირო ადგილას და მოვახერხებთ, ქვეყანა მათი ქმედების ნებისმიერი შედეგებისგან ვიხსნათ.

რიერდენი ადგა. კაბინეტში წინ და უკან ბოლთას სცემდა.

— კოლორადოს განვითარება არ უნდა შეფერხდეს. თქვენ ამას თავს გაართმევთ.

მაშინ დენ კონვეიც დაბრუნდება და დანარჩენებიც. მთელი ეს სიგიჟე დროებითია.

შეუძლებელია, დიდხანს გასტანოს. უგუნური თავს თვითონვე გაინადგურებს. უბრალოდ, მე და თქვენ უფრო მეტი მუშაობა მოგვიწევს, ეს არის და ეს.

დაგნი აკვირდებოდა, როგორ მიდი-მოდიოდა ეს მაღალი ფიგურა კაბინეტში.

აქაურობა უხდებოდა: ოთახში მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ავეჯი იდგა, უკიდურესად საჭირო და, მასალისა და ნატიფი კონსტრუქციის თვალსაზრისით, უკიდურესად ძვირფასი.

მთელი ოთახი დიდი ფანჯრებით შემინულ ყუთში მოთავსებულ ძრავას ჰგავდა. დაგნიმ ერთადერთი განსაცვიფრებელი დეტალი შენიშნა — ნეფრიტის ლარნაკი საქაღალდეებით სავსე კარადის თავზე. მუქი მწვანე ქვის სადა რელიეფი და გლუვი ნაყშები ლარნაკის ხელით შეხების დაუოკებელ სურვილს ბადებდა. და ეს უცნაური მგრძნობიარობა აშკარად არ შეესატყვისებოდა კაბინეტის მკაცრ გარემოს.

— კოლორადო არაჩვეულებრივი ადგილია, — თქვა რიერდენმა, — მალე ის საუკეთესო იქნება ქვეყანაში. კიდევ გეეჭვებათ, რომ მისი მომავალი მადარდებს? ეს შტატი ჩემი ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელი ხდება, რასაც სატვირთო გადაზიდვების ანგარიშებიც დაგიდასტურებთ.

— ვიცი. უკვე გავეცანი.

— ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში იქ ქარხანა ავაშენო, ტრანსპორტირების ხარჯებისგან რომ გავთავისუფლდე. — რიერდენმა ცერად გახედა დაგნის, — და თუ ასე მოხდა, თქვენ ძალიან ბევრს დაკარგავთ ფოლადის გადაზიდვების კუთხით.

— იმოქმედეთ. მე სავსებით დამაკმაყოფილებს ნედლეულის, მუშებისთვის საჭირო საქონლის, იმ ფაბრიკების პროდუქციის გადაზიდვებიც, რომლებიც იქ თქვენი ქარხნის კვალდაკვალ გაიხსნება; და შესაძლოა, დროც კი არ დამრჩეს შესამჩნევად, რომ თქვენი ფოლადის გადაზიდვა აღარ გვიწევს... რა გაცინებთ?

— არაჩვეულებრივია.

— რა?

— ის, თუ როგორ რეაგირებთ ჩემს სიტყვებზე, დღესდღეობით ყველასგან განსხვავებულად.

— და მაინც, უნდა ვაღიარო, რომ დღეს თქვენ ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი კლიენტი ხართ.

— ნუთუ ფიქრობთ, რომ მე ეს არ ვიცი?

— ამიტომაც, ვერაფრით გამიგია, რატომ ცდილობს ჯიმი, რომ... — დაგნი გაჩუმდა.

— „„რომ ჩემს ბიზნესს ხელი შეუშალოს? იმიტომ, რომ თქვენი ძმა სულელია!

— მასეა, მაგრამ ამ ამბავში რაღაც უფრო მეტია, უარესი, ვიდრე უბრალო უგუნურება. — დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ ამაზე ფიქრში. ეგ ავყია საფრთხეს ვერავის შეუქმნის. ჯიმ ტაგარტი და მისნაირები მხოლოდ აჭუჭყიანებენ ამ სამყაროს.

— სამწუხაროდ, ასეა.

— სხვათა შორის, რას იზამდით, თუკი გეტყოდით, რომ შეკვეთას ცხრა თვეში ვერ შევასრულებდი?

— სათადარიგო გზებს ავყრიდი ან რომელიმე განშტოებას და რელსებს რიო ნორტეზე გადავიტანდი, დროულად რომ დამემთავრებინა.

რიერდენს გაეცინა:

— აი, რატომ არ მაღელვებს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ბედი! თუმცა, სანამ მე ბიზნესში ვიქნები, სათადარიგო გზებიდან რელსების აყრა არ მოგიწევთ.

დაგნიმ უეცრად გაიფიქრა, რომ ამაოდ ეჩვენებოდა რიერდენის სახე უგრძნობელი: სინამდვილეში, ის ამგვარად მხოლოდ სიამოვნებას ნიღბავდა. მიხვდა, რომ რიერდენის გარემოცვაში თავისუფლდებოდა, სიმსუბუქე ეუფლებოდა და რომ რიერდენიც იმავეს გრძნობდა. ეს მამაკაცი ერთადერთი იყო დაგნის ნაცნობებს შორის, ვისთანაც შეეძლო, შეუბოჭავად, დაძაბულობის გარეშე ესაუბრა. პატივისცემის ღირსი გონება და ღირსეული მოწინააღმდეგე — ასე ხედავდა მას დაგნი.

და მაინც, მათ შორის ყოველთვის არსებობდა რაღაც უცნაური სიშორე, ჩაკეტილი კარის შეგრძნება; რიერდენი გამუდმებით იცავდა მანძილს, დაგნის მასთან მიახლოება უჭირდა.

რიერდენი ფანჯარასთან გაჩერდა და წამით გარეთ გაიხედა.

— იცით, რომ დღეს თქვენი რელსების პირველ პარტიას გიგზავნით?

— რა თქმა უნდა, ვიცი.

— აქ მოდით.

დაგნი მიუახლოვდა. რიერდენმა უხმოდ მიანიშნა შორს, ლიანდაგზე ჯაჭვად გაბმული ვაგონებისკენ.

ვაგონების თავზე ამწე აღმართულიყო. უზარმაზარ მაგნიტს ტვირთი ეჭირა — რელსები. მოღრუბლული ამინდი იდგა. ნაცრისფერ ცაზე მზის სხივი არ კრთოდა, მაგრამ რელსები მაინც ბზინავდა, თითქოს მეტალი სივრციდან ისრუტავდა სინათლეს. ამწის მსხვილი ჯაჭვი ვაგონების თავზე დაეშვა, წამით დაიჭიმა და მომწვანო-მოცისფრო რელსები ჩამოიხსნა. შემდეგ კი დიდებული ინდიფერენტულობით ისევ უკან გაბრუნდა, რაღაცით ადამიანებისა და დედამინის თავზე მოძრავი გეომეტრიული თეორემის უზარმაზარი ნახაზის მსგავსი.

ისინი ფანჯარასთან იდგნენ, უხმოდ და დაკვირვებით იყურებოდნენ. დაგნი დუმდა, ვიდრე ჰაერში მომწვანო-მოცისფრო რელსების მეორე პარტია არ ატორტმანდა.

სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა, არც რელსებს ეხებოდა, არც მომავალ ლიანდაგს და არც დროულად შესრულებულ შეკვეთებს. ამ სიტყვებით დაგნი თითქოს ბუნების ახალ ფენომენს ესალმებოდა:

— რიერდენ მეტალი...

რიერდენმა ეს შეამჩნია, მაგრამ არაფერი უთქვამს. დაგნის შეხედა და მერე ისევ ფანჯრისკენ მიტრიალდა.

— ჰენკ, ეს დიდებულია.

— ჰო, — დაეთანხმა რიერდენი უბრალოდ და გულწრფელად. მის ხმაში არც დაკმაყოფილებული თავმოყვარეობა გამოსჭვიოდა და არც თავმდაბლობა. დაგნიმ იცოდა, რომ რიერდენი ამ სიტყვებით მას კუთვნილ პატივს მიაგებდა: ეს უიშვიათესი იყო იმ უფლებათაგან, რომლებიც ადამიანს მიენიჭება — უფლება, აღიაროს საკუთარი სიდიადე და არ ეეჭვებოდეს, რომ სწორად მიუხვდებიან.

— როცა წარმოვიდგენ, რა შეუძლია ამ მეტალს... რამდენი რამე შეიძლება გაკეთდეს... ჰენკ, ჩვენ ახლა ვუყურებთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც კი ახლა სამყაროში ხდება, და არავინ იცის ამის შესახებ.

— ჩვენ ვიცით.

ერთმანეთისთვის არ შეუხედავთ, ისევ ამწის მუშაობას ადევნებდნენ თვალს.

შორს, ლოკომოტივის წინა მხარეს, დაგნიმ ორი ასო გაარჩია — „TT“.

— როგორც კი ვიპოვი ქარხანას, რომელიც ასეთ ამოცანას გაუმკლავდება, ძრავებს შევუკვეთავ რიერდენ მეტალისგან.

— ძალიან გამოგადგებათ. რა სიჩქარით მოძრაობენ თქვენი მატარებლები რიო ნორტეს ხაზზე?

— ახლა? ბედნიერები ვართ, საათში ოც მილს თუ გაივლიან.

რიერდენმა რელსებზე მიუთითა:

— როცა გზას ამ რელსებით დააგებთ, მატარებლები საათში ორას ორმოცდაათ მილს დაფარავენ, თუ მოგესურვებათ.

— ჰო, ასეც მოხდება რამდენიმე წელიწადში, როცა რიერდენ მეტალისგან დამზადებული ვაგონები გვექნება, ფოლადზე მტკიცე და ორჯერ მსუბუქი.

— ავიაციაზეც უნდა იფიქროთ. ჩვენ ვმუშაობთ თვითმფრინავის მოდელზე, რომელიც რიერდენ მეტალისგან დავამზადებთ. ეს ძალიან მსუბუქი თვითმფრინავი იქნება, რომელიც ნებისმიერ ტვირთს გადაზიდავს. შორეული საჰაერო გადაზიდვების ეპოქამდე დიდი დრო არ დარჩა.

— იმაზე ვფიქრობ, როგორი ძრავები გამოვა ამ მეტალისგან, ნებისმიერი ტიპის ძრავა, და რა შეიძლება, ადამიანმა მისგან ახლავე შექმნას.

— იმაზე არ გიფიქრიათ, როგორი მავთულის ღობე გამოვიდოდა ამ მეტალისგან?

ჩვეულებრივი მავთული ქათმების ფერმისთვის, მაგალითად. უმარტივესი ღობის ერთი მილი რიერდენ მეტალისგან ცენტები ეღირება და ორასი წელი ივარგებს. და სამზარეულოს ჭურჭელი, რომელიც ყველაზე იაფიან ფარდულში გაიყიდება და არაერთ თაობას გაუძლებს?.. ანდა ოკეანის ლაინერები, რომლებსაც ვერც ერთი ტორპედო ვერ დააზიანებს... მოგიყევით, რომ ექსპერიმენტებს ვატარებ ჩემი მეტალის გამოსაცდელად საკომუნიკაციო სადენებისთვის? იმდენ სხვადასხვაგვარ ცდას ვატარებ, რომ მგონი, ხალხს ვერასდროს ვაჩვენებ ამ მეტალის მთელ პოტენციალს.

ისინი მეტალზე და მისი ამოუწურავ შესაძლებლობებზე საუბრობდნენ. თითქოს ორივენი მთის წვერზე იდგნენ და უკიდეგანო დაბლობს გადაჰყურებდნენ, სადაც

უამრავი გზა იქსაქსებოდა ყველა მიმართულებით. თუმცა, მხოლოდ ციფრებზე ლაპარაკობდნენ — წონაზე, წნევაზე, წინააღმდეგობაზე, ფასებზე...

დაგნის თავისი ძმაც გადაავიწყდა და რკინიგზის ალიანსიც. გადაავიწყდა ყველა თავისი პრობლემა და მათთან დაკავშირებული პიროვნებები და მოვლენები. თუმცა ეს ყველაფერი მისთვის ისედაც მეორეხარისხოვანი იყო. ყოველთვის შეეძლო, გვერდი აევლო მათთვის, უკანა პლანზე გადაეწია; სულ დაუსრულებელი, სულ არასაკმარისად რეალური... „აი, ეს არის რეალობა სინამდვილეში“, — „ფიქრობდა დაგნი, — „მკაფიო კონტურების შეგრძნება, მიზნის, სიმსუბუქის, იმედის“. ასე უნდოდა ეცხოვრა — არც ერთი საათი, არც ერთი ქმედება ამაზე ნაკლები შინაარსით.

დაგნიმ ზუსტად იმ წამს მიაპყრო მზერა რიერდენს, როცა ეს უკანასკნელი შემოტრიალდა და დაგნის შეხედა. ისინი ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან. დაგნი მისი თვალებით მიხვდა, რომ რიერდენიც იმავეს გრძნობდა, რასაც თავად. თუ სიხარული მართლაც ყოფიერების მიზანი და არსია, — ფიქრობდა დაგნი, — და თუკი ის, რასაც ადამიანისთვის უდიდესი ბედნიერება მოაქვს, ყოველთვის საგულდაგულოდ არის დაფარული, როგორც უდიდესი საიდუმლო, მაშინ იმ წამს ორივენი შიშვლები იდგნენ ერთმანეთის წინაშე.

რიერდენმა ნაბიჯით უკან დაიხია და ერთგვარი გულგრილი კიცხვით თქვა:

— ისე, ჩვენ ორი არამზადა ვართ, არ მეთანხმებით?

— მაინც, რატომ?

— არანაირი სულიერი მიზნები და უნარები არ გაგვაჩნია. მხოლოდ მატერიალური სამყარო გვაინტერესებს. სხვა არაფერი გვადარდებს.

დაგნი დაბნეულად მიაჩერდა. მაგრამ რიერდენი პირდაპირ იყურებოდა, შორს, ამწისკენ. დაგნის გული დაწყდა, რომ მან ეს სიტყვები წარმოთქვა. ბრალდებამ არ შეაცბუნა, რადგან არასოდეს განუსჯია საკუთარი თავი მსგავსი, მისი აღქმისთვის საკმაოდ რთული ტერმინებით და არც რაიმე მიუტევებელი დანაშაული უგრძნია რომელიმე თავისი ქმედების გამო ოდესმე. მაგრამ ოდნავ მაინც შეცბა, თუმცა რატომ, ვერ ხვდებოდა. რიერდენის სიტყვები რაღაც სერიოზულზე მიანიშნებდა, რაღაც თავისთვისვე საშიშზეც კი. ეს სიტყვები შემთხვევით არ წარმოუთქვამს, თუმცა მის ხმაში არც რაიმე ემოცია ისმოდა, არც მიტევებას ითხოვდა ანდა რცხვენოდა რაიმეს გამო.

ეს ფრაზა რიერდენმა ყოველგვარი ინტონაციის გარეშე წარმოთქვა, როგორც ფაქტის კონსტატაცია.

დაგნი შესცქეროდა მას, უეცარმა შეცბუნებამ თანდათან გადაუარა. რიერდენი ფანჯრიდან გაჰყურებდა თავის ქარხანას; მის სახეზე არც დანაშაული იკითხებოდა, არც ეჭვი, არაფერი, მხოლოდ და მხოლოდ ურყევი თავდაჯერებულობა.

— დაგნი, — თქვა რიერდენმა, — ვინც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ვამოძრავებთ სამყაროს და ჩვენ ვართ ის ადამიანები, ვინც მას წინ წაუძღვება.

თავი 5

დ'ანკონიების კულმინაცია

პირველი, რაც დაგნიმ შენიშნა, გაზეთი იყო, რომელიც ედის მაგრად ჩაებღუჯა, როცა კაბინეტში შემოვიდა. დაგნიმ შეხედა ედის. ის დაძაბული და აღელვებული ჩანდა. — დაგნი, ძალიან დაკავებული ხარ?

— რატომ მეკითხები?

— ვიცი, რომ მასზე ლაპარაკი არ გიყვარს, მაგრამ აქ რაღაც ისეთია, რაც უნდა ნახო, ჩემი აზრით.

დაგნიმ ხელი უსიტყვოდ გაიწოდა გაზეთისკენ.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებული სტატია იტყობინებოდა, როგორ აღმოაჩინა მექსიკის სახალხო რესპუბლიკამ სან სებასტიანის მაღაროების ნაციონალიზაციის შემდეგ უეცრად, რომ მაღაროებს არანაირი ღირებულება არ გააჩნდა. ხუთწლიანი მუშაობა და დახარჯული მილიონები წყალში გადაიყარა. რამდენიმე გულმოდგინედ ამოღებული და კეთილსინდისიერად გათხრილი ხვრელიღა დარჩა. სპილენძის მწირი კვალი მათ მოსაძიებლად გაწეულ შრომად ნამდვილად არ ღირდა. იქ არათუ სპილენძის უზარმაზარი საბადო არ აღმოჩნდა, არამედ რაიმე ნიშანიც კი, რომელსაც ამგვარი ეჭვის საფუძველი უნდა გაეჩინა. აღშფოთებული მექსიკელი ხელისუფლები ერთიმეორის მიყოლებით ატარებდნენ საგანგებო სხდომებს; სახელმწიფო მოღვაწეები თავს მოტყუებულად გრძნობდნენ.

ედი თვალს არ აშორებდა დაგნის და შენიშნა, რომ კითხვის დასრულების მერეც, ის კიდევ დიდხანს დაჰყურებდა გაზეთს. მიხვდა, რომ არ შემცდარა, როცა სტატიის წაკითხვის შემდეგ შიშმა შეიპყრო, თუმცა დაზუსტებით ვერ იტყოდა, კერძოდ რისი შეეშინდა.

ედი იცდიდა. დაგნიმ თავი ასწია. ედისთვის არ შეუხედავს. სადღაც შორს იყურებდა, თითქოს მისი უკიდურესად კონცენტრირებული მზერა რაღაც იდუმალის დანახვას ცდილობდა.

ედიმ ხმადაბლა თქვა:

— ფრანცისკო სულელი არ არის. როგორი აღვირახსნილი და უზნეოც არ უნდა იყოს, — და უკვე დიდი ხანია, შევეშვი იმის გარკვევას, თუ რატომ გახდა ასეთი, — სულელი ნამდვილად არ არის. მას არ შეეძლო ასეთი შეცდომის დაშვება, უბრალოდ, წარმოუდგენელია. მართლა არაფერი მესმის.

— მე კი, მგონი, რაღაცას ვხვდები...

დაგნი გაიმართა, მკვეთრად, ძრწოლისმაგვარმა უეცარმა ბიძგმა თხემით ტერფამდე დაუარა.

„უეინ-ფოლკლენდში“ დარეკე და იმ ნაძირალას უთხარი, რომ მისი ნახვა მინდა.

— დაგნი, — ოდნავი საყვედურით უთხრა ედიმ, — ეს ხომ ფრისკო დ'ანკონიაა.

— ოდესღაც იყო.

* * *

დაგნი ადრეულ ბინდში გახვეულ ქუჩას მიუყვებოდა სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდისკენ“. ედიმ უთხრა, რომ დ'ანკონია მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს მიიღებდა. მაღლა, ღრუბლებქვეშ, რამდენიმე ფანჯარაში პირველი სინათლეები აინთო.

ცათამბჯენები მიტოვებულ შუქურებს ჰგავდნენ, რომლებიც სუსტ, მიმქრალ სიგნალებს გზავნიან ზღვაში, სადაც ხომალდები აღარ დაცურავენ.

უჩვეულო ფიფქებმა აუჩქარებლად ჩაიფარფატეს დაცარიელებული მაღაზიების ჩაბნელებულ ვიტრინებთან და ტროტუარზე დადნენ. წითელი განათებების ძეწკვი ქუჩას სერავდა და ნისლიან სიშორეში იკარგებოდა.

დაგნის ვერ გაეგო, რატომ მოუნდა, გაქცეულიყო, რატომ ეჩვენებოდა, თითქოს უნდა გაქცეულიყო; ოღონდ არა ამ ქუჩაზე — ჰადსონისკენ, ტაგარტების მამულიდან მწველი მზით განათებულ გამწვანებულ ფერდობზე. ყოველთვის ასე გარბოდა, როგორც კი ედი დაიყვირებდა: „ეს ფრისკო დ'ანკონიაა!“ და ორივენი

თავპირისმტვრევით ეშვებოდნენ ფერდობიდან მდინარის გასწვრივ მომავალი მანქანისკენ.

ფრანცისკო ერთადერთი სტუმარი იყო მათი ბავშვობის წლებში, ვისი მამულში ჩასვლაც დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე, უდიდეს მოვლენად. ეს რბოლა მის შესახვედრად ამ სამს შორის შეჯიბრის სახეს იღებდა. შუა ფერდობზე გზასა და სახლს თანაბრად დაშორებული არყის ხე იდგა. დაგნი და ედი ყოველთვის ცდილობდნენ, ხესთან უფრო ადრე ჩაერბინათ, ვიდრე ფრისკო ამ აღმართს ამოათავებდა. არასოდეს, არც ერთ წელს, როდესაც ფრანცისკო ჩამოდიოდა, არყის ხესთან პირველებს დაგნის და ედის არ მიურბენიათ; ყოველთვის ფრისკო ასწრებდათ. ის ყოველთვის იმარჯვებდა; ყოველთვის და ყველაფერში.

ფრანცისკოს მშობლები ტაგარტების ოჯახის ძველი მეგობრები იყვნენ. ის ერთადერთი ბავშვი იყო ოჯახში და ადრეული ასაკიდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იზრდებოდა. ამბობდნენ, მამა ცდილობდა, რომ ბავშვს მთელი მსოფლიო მომავალ სამფლობელოდ აღექვა.

დაგნიმ და ედიმ არასდროს იცოდნენ წინასწარ, თუ სად გაატარებდა ფრანცისკო ზამთარს, მაგრამ წელიწადში ერთხელ, ყოველ ზაფხულს, მკაცრ სამხრეთამერიკელ აღმზრდელს ის ტაგარტების მამულში ჩაჰყავდა ერთი თვით.

ფრანცისკოს სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა ტაგარტების შვილებთან მეგობრობა. ისინი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მემკვიდრეები იყვნენ, ხოლო თვითონ — „დ'ანკონია კოპერის“. როცა თოთხმეტი წლის იყო, ერთხელ დაგნის უთხრა: „ჩვენ ერთადერთი არისტოკრატია ვართ, რომელიც მსოფლიოს შემორჩა, ფინანსური არისტოკრატია. ეს კი ერთადერთი ნამდვილი არისტოკრატიაა, რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც ესმის, ეს რასაც ნიშნავს“.

ფრისკოს თავისებური კასტობრივი დაყოფის სისტემა ჰქონდა: მისთვის ტაგარტების შვილები ჯიმი და დაგნი კი არა, დაგნი და ედი იყვნენ. ჯიმის არსებობას იშვიათად თუ ამჩნევდა ხოლმე, ხანდახან.

— ფრანცისკო, შენ ხომ დიდგვაროვანი ხარ, ასე არ არის? — ჰკითხა ერთხელ ედიმ.

— ჯერ არა, — უპასუხა ფრანცისკომ, — ჩვენმა გვარმა ამდენი ხანი მხოლოდ იმიტომ გაძლო, არც ერთ ჩვენგანს არ უნდა ჰგონებოდა, რომ ის დ'ანკონიად დაიბადა.

დ'ანკონია უნდა გახდე!

და ამ სახელს ისე წარმოთქვამდა, თითქოს მხოლოდ მის ჟღერადობასაც კი შეეძლო თანამოსაუბრის გააზნაურება.

ფრანცისკოს შორეულმა წინაპარმა — სებასტიან დ'ანკონიამ მრავალი საუკუნის წინ დატოვა ესპანეთი, იმ დროს, როცა ის ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო იყო დედამიწაზე, დ'ანკონია კი ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული გვარი. სამშობლო იმიტომ დატოვა, რომ ინკვიზიციის სათავეში მდგომი მეთაური მის აზრებს არ იწონებდა და რომელიღაც სამეფო წვეულებაზე დ'ანკონიას მსოფლმხედველობის შეცვლა ურჩია. პასუხად დ'ანკონიამ ღვინო შეასხა სახეში. მერე კი გაიქცა, ვიდრე დაიჭერდნენ და სამშობლოში დატოვა ყველაფერი: ქონება, მამულები, უზარმაზარი მარმარილოს სასახლე და შეყვარებული; და ახალი სამყაროსკენ გაცურა.

მისი პირველი მამული არგენტინაში ხის ქოხი გახდა ანდების ძირას. დ'ანკონიას საგვარეულო ვერცხლის გერბი ქოხის კარს ზემოთ შუქურასავით ანათებდა მზეზე.

თავად სებასტიან დ'ანკონია კი ამ დროს თავის პირველ სპილენძის საბადოს დაეძებდა. მრავალი წლის მანძილზე ის დეზერტირ ჯარისკაცებთან, გაქცეულ პატიმრებთან და მშიერ ინდიელებთან ერთად, აისიდან დაისამდე, კლდეებს ამსხვრევდა წერაქვით ხელში.

ესპანეთის დატოვებიდან თხუთმეტი წლის თავზე, დ'ანკონიამ ხალხი გაგზავნა და ჩამოაყვანინა თავისი შეყვარებული, რომელიც ჯერ კიდევ ელოდა მას. ანდების ძირას ქალს მარმარილოს სასახლის შესასვლელზე დ'ანკონიას საგვარეულო ვერცხლის გერბი, უზარმაზარი მამული, ბაღები, ხოლო შორს კლდეები და სპილენძის კარიერები დახვდა. დ'ანკონიამ ხელში აყვანილი შეიყვანა სასახლეში შეყვარებული, რომელსაც სებასტიანი უფრო ახალგაზრდად მოეჩვენა, ვიდრე თხუთმეტი წლის წინ იყო, მათი რისას.

„ჩვენს წინაპრებს მოეწონებოდათ ერთმანეთი“, — უთხრა ფრანცისკომ ერთხელ დაგნის.

მთელი ბავშვობა დაგნი მომავალზე ფიქრით ცხოვრობდა — სამყაროზე, მომავალში რომ აღმოაჩენდა, სადაც არც მოიწყენდა და არც ზიზღს იგრძნობდა. მაგრამ წელიწადში ერთ თვეს თავს ლაღად გრძნობდა. ამ ერთადერთ თვეს ცხოვრობდა ის აწმყოში; და როცა ფერდობზე ფრანცისკო დ'ანკონიასთან შესახვედრად ქვემოთ ჩარბოდა, თითქოს ბნელ საპატიმროს ტოვებდა.

— გამარჯობა, სლაგ!

— გამარჯობა, ფრისკო!

თავიდან ორივე ბრაზდებოდა ამ მეტსახელებზე.

— ეგ რა სახელია, რისი თქმა გინდა? — უკმაყოფილო ტონით ჰკითხა დაგნიმ.

— თუ არ იცი, სლაგი ლოკომოტივის ღუმელში მოგიზგიზე ცეცხლს ნიშნავს.

— საიდან მოიტანე ეგ სიტყვა?

— ერთი ჯენტლმენისგან გავიგონე „ტაგარტის“ რკინიგზაზე.

ფრანცისკომ ხუთი ენა იცოდა და ინგლისურად უაქცენტოდ ლაპარაკობდა, რაფინირებული სალიტერატურო ენით, რომელსაც განგებ შეურევდა ხოლმე სლენგს. დაგნიმ სამაგიერო გადაუხადა და „ფრისკო“ დაარქვა. დ'ანკონიას ამაზე გაეცინა, თუმცა ცოტა გაღიზიანდა — ბარბაროსებო, თუ თქვენი დიდებული ქალაქის სახელს აბუჩად იგდებთ, მე მაინც დამანებეთ თავი.

თუმცა თანდათან ორივენი მიეჩვივნენ ამ მეტსახელებს.

ეს ფრანცისკოს მეორე სტუმრობისას დაიწყო. მაშინ ის თორმეტი წლის იყო, დაგნი ათის. იმ ზაფხულს, რაღაც იდუმალი მიზეზით, ფრანცისკო ყოველ დილით უჩინარდებოდა. გარიჟრაჟზე ველოსიპედით სადღაც მიდიოდა და ზუსტად ლანჩისთვის ბრუნდებოდა, როცა ყველა ტერასაზე იკრიბებოდა ბროლივით გამჭვირვალე, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდასთან, ხაზგასმით ზრდილობიანი და სრულიად აუღელვებელი. როცა დაგნიმ და ედიმ გამოკითხვა დაუწყეს, ის მხოლოდ იცინოდა და არ პასუხობდა. ერთხელ გადაწყვიტეს, ცივი რიჟრაჟის ბინდში უკან ასდევნებოდნენ, მაგრამ მალე ფარ-ხმალი დაყარეს: დ'ანკონიას ვერავინ დაეწეოდა, თუ ეს თვითონ მას არ უნდოდა.

რაღაც დროის შემდეგ მისის ტაგარტი სერიოზულად შეშფოთდა და განიზრახა, გაერკვია, რა ხდებოდა. მართალია, დაადგინა, ფრანცისკოს დისპეტჩერთან არაოფიციალური მოლაპარაკების საფუძველზე კურიერად დაეწყო მუშაობა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ადგილობრივ სამმართველოში, ტაგარტების საზაფხულო სახლიდან ათი მილის მოშორებით, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, როგორ

მოახერხა მან, გვერდი აევლო კანონებისთვის, რომლებიც ბავშვების დასაქმებას კრძალავდა და დისპეტჩერი დაეყოლიებინა. დისპეტჩერი გაოგნებული დარჩა, როცა მისის ტაგარტი პირადად ეახლა: მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მისი კურიერი ტაგარტების სტუმარია.

რკინიგზელები კურიერს ფრენკის ეძახდნენ და მისის ტაგარტს ზედმეტად მოეჩვენა მისი ნამდვილი სახელის გამხელა. უბრალოდ, აუხსნა, რომ ბავშვმა მშობლების დაუკითხავად დაიწყო მუშაობა და ამიტომაც დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან. დისპეტჩერს ენანებოდა მარჯვე თანამშრომლის გაშვება; უთქვამს, ასეთი კურიერი ადრე არასოდეს მყოლიაო.

— მინდა, დავიტოვო. იქნებ, მოვახერხო, მის მშობლებს მოველაპარაკო? — შესთავაზა დისპეტჩერმა.

— ვშიშობ, შეუძლებელია, — უპასუხა მისის ტაგარტმა.

— ფრანცისკო, რას იტყოდა მამაშენი, ეს რომ გაეგო? — ჰკითხა ბიჭს მისის ტაგარტმა“ როდესაც სახლში დაბრუნდნენ.

— მამა მკითხავდა, კარგად ვაკეთებდი თუ არა ჩემს საქმეს. მას სხვა არაფერი „ინტერესებს.

— კარგი რა, სერიოზულად გეკითხები.

როდესაც მისის ტაგარტს უმზერდა, ფრანცისკოს სალონებსა და სასტუმრო დარბაზებში აღზრდილი თავისი წინაპრების მრავალი თაობისგან მემკვიდრეობით გადმოცემული თავაზიანობა ეწერა სახეზე, მაგრამ თვალებში რაღაც ისეთი უკრთოდა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო კარგ ტონთან.

— გასულ ზამთარს იუნგად მოვეწყვე სატვირთო გემზე, რომელსაც მამაჩემის სპილენძი გადაჰქონდა. მამა სამი თვე მეძებდა, მაგრამ როცა დავბრუნდი, მხოლოდ ეს მკითხა, — უპასუხა ფრანცისკომ.

— ჰმ, აი, თურმე როგორ ატარებ ხოლმე ზამთრებს, — ჩაიქირქილა ჯეიმს ტაგარტმა. ამ ქირქილში ტრიუმფის ნოტი იგრძნობოდა, პირადი გამარჯვება, რომელიც უფლებას აძლევდა, საკუთარი უპირატესობა ეგრძნო.

— ეს გასულ ზამთარს იყო, — თავაზიანად უპასუხა ფრანცისკომ უცოდველი და მშვიდი ხმით, — იქამდე კი ზამთარი მადრიდში გავატარე, ჰერცოგ ალბას მამულში.

— და მაინცდამაინც რკინიგზაზე რატომ მოინდომე მუშაობა? — ჰკითხა დაგნიმ.

ისინი ერთმანეთს უყურებდნენ. დაგნის მზერა აღფრთოვანებას გამოხატავდა, ფრანცისკოსი — დაცინვას, მაგრამ ბოროტ დაცინვას კი არა, მხიარულს, თითქოს ესალმებოდა.

— რომ თვითონ მეგრძნო, ეს რა იყო, — უპასუხა მან, — და კიდევ: შენთვის რომ მეთქვა: სლაგ, მე „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ შენზე ადრე ვმუშაობდი.

დაგნი და ედი ზამთრობით სულ იმას ცდილობდნენ, რაიმე ახალი ესწავლათ, რომ ზაფხულში ფრანცისკო გაეკვირვებინათ და ერთხელ მაინც ეჯობნათ მისთვის, თუმცა არაფერი გამოსდიოდათ. როცა ფრანცისკოს აჩვენეს, როგორ უნდა ეთამაშა ბეისბოლი — მისთვის ეს უცხო ხილი აღმოჩნდა. მაგრამ ცოტა ხანი უყურა მათ და თქვა: „მგონი, მივხვდი, ეგ როგორ კეთდება. მომეცით, ვცდი“. ბიტა აიღო და ბურთს ისე დაარტყა, რომ მინდვრის განაპირას გამწკრივებულ მუხებს გადააცილა.

როცა ჯიმს დაბადების დღეზე კატერი აჩუქეს, ყველანი ნაპირზე გამოეფინნენ და უყურებდნენ, როგორ ასწავლიდა ინსტრუქტორი მას ტარებას. იქამდე კატერი არც ერთ მათგანს არ უმართავს. ქათქათა თეთრი, მბზინავი, ტყვიის ფორმის კატერი ტორტმანით მიაპობდა წყალს და სუსტ ტალღას წარმოქმნიდა. ძრავა არათანაბრად

ფუხფუხებდა, თითქოს იხრჩობოდა. ინსტრუქტორი კი, რომელიც ჯიმს გვერდით ეჯდა, დროდადრო მას ხელს აშვებინებდა და თვითონ ატრიალებდა საჭეს. ჯიმი უეცრად ფრანცისკოსკენ მიტრიალდა და მიაძახა:

— გგონია, ჩემზე უკეთ შეძლებ?

— შევძლებ.

— აბა, სცადე.

როცა კატერი ნაპირთან დაბრუნდა და ჯიმი და ინსტრუქტორი ფიცარნაგზე გადმოვიდნენ, ფრანცისკო სხარტად მიუჯდა საჭეს.

— ერთი წუთით, მინდა, გავერკვე, რა ხდება, — უთხრა ინსტრუქტორს, რომელიც ჯერ კიდევ იქ იდგა.

ინსტრუქტორმა თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრო, რომ კატერი ტყვიასავით გაიჭრა და შუა მდინარეში აღმოჩნდა. ვიდრე დანარჩენები გონს მოეგებოდნენ ფრანცისკო ისარივით გაფრინდა შორს, მზისკენ. დაგნიმ მხოლოდ უკან მოტოვებული ქაფი დაინახა წყალზე და ძრავის გუგუნს მოჰკრა ყური.

მან უცნაური გამომეტყველება შენიშნა მამის სახეზე, რომელიც სივრცეში გაუჩინარებულ კატერს გაჰყურებდა და დუმდა. დაგნის ეცნო ეს გამომეტყველება, სწორედ ასეთი სახე ჰქონდა მამამისს, როცა თორმეტი წლის ფრანცისკოს მიერ კლდის წვერზე ასასვლელ ბლოკებისგან დამზადებულ რთულ სისტემას ათვალიერებდა — დაგნისა და ედის იქიდან ჰადსონში ხტომას ასწავლიდა. გარშემო მიწაზე ნახაზებითა და გამოთვლებით აჭრელებული ფურცლები ეყარა. მისტერ ტაგარტმა მათ თვალი გადაავლო და ფრანცისკოს ჰკითხა:

— რამდენი წელი სწავლობდი ალგებრას?

— ორი წელი.

— და ვინ გასწავლა ეს ყველაფერი?

— არავინ, თვითონ მოვიფიქრე.

დაგნიმ არ იცოდა, რომ იმ დაჭმუჭნილ ფურცლებზე, რომელიც მამამისს ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, ფრანცისკოს მიერ დამოუკიდებლად გამოგონილი დიფერენციული განტოლება იყო გამოსახული.

სებასტიან დ'ანკონიას მემკვიდრეობა ყოველთვის უფროს ვაჟებს გადაეცემოდათ, რომლებიც ღირსებით ატარებდნენ თავიანთ გვარს. ოჯახური ტრადიციის თანახმად, მემკვიდრე, რომელიც ისე წავიდოდა ამქვეყნიდან, რომ მამისგან გადმოცემულ ქონებას ვერაფერს შემატებდა, გვარის შემარცხვენელი ხდებოდა. ასწლეულების მანძილზე, თაობიდან თაობამდე, დ'ანკონიას გვარს ასეთი სირცხვილი არ განუცდია. არგენტინული ლეგენდა ამბობდა, რომ დ!ანკონიებს სასწაულთმოქმედი ძალა აქვთ ხელებში, როგორც წმინდანებს, თუმცა ეს მადლი განკურნებაში კი არა, შექმნაში გამოიხატებოდა.

ყველა დ'ანკონია იშვიათი ნიჭით და შესაძლებლობებით იყო დაჯილდოებული, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა ფრანცისკოს, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი ელოდა. გეგონებოდა, ამ ოჯახის თვისებები ასწლეულებმა წმინდა საცერში გაატარა — უსარგებლო, უმნიშვნელო, უნდილი ჩამოაცილა და სუფთა, ნათელი ნიჭი გამოაცალკევა, თითქოს რაღაც უცნაურმა შემთხვევითობამ მისი არსება ყველაფერ ზედმეტისგან განწმინდა, ყველა უცხო მინარევისგან.

ფრანცისკოს ნებისმიერი საქმე გამოსდიოდა, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, და უფრო უკეთ, ვიდრე ვინმე სხვას, თანაც ყოველგვარი დაძაბულობისა და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. თუმცა, არც ქცევით და არც აზროვნებით

არასოდეს არავის ედრებოდა. მისი პოზიცია ასე გამოითქმებოდა: „მე ამის გაკეთება შემიძლია“, და არა: „ამის გაკეთება შენზე უკეთესად შემიძლია“.

და რასაც კი აკეთებდა — ყოველთვის უზადო ხარისხით.

მამამისი ცდილობდა, შვილისთვის ამომწურავი განათლება მიეცა და რომელი საგნის შესწავლაც არ უნდა დაევალებინა, ფრანცისკო ყველაფერს ადვილად და ხალისით ითვისებდა, სრულყოფილად. მამა აღმერთებდა შვილს, მაგრამ თავის გრძნობებს საგულდაგულოდ მალავდა, ისევე, როგორც მალავდა უსაზღვრო სიამაყეს, ისედაც ბრწყინვალე გვარის უბრწყინვალეს წარმომადგენელს რომ ზრდიდა.

ყველა ერთსულოვნად აღიარებდა, რომ ფრანცისკო დ'ანკონიების გვარის კულმინაცია გახდებოდა.

— არ ვიცი, რა დევიზია ამოტვიფრული დ'ანკონიების საგვარეულო გერბზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ფრანცისკო მას ჩაანაცვლებს უბრალო სიტყვით — „რისთვის?“, — თქვა ერთხელ მისის ტაგარტმა.

სწორედ ამ კითხვას მოაყოლებდა ხოლმე ფრანცისკო ნებისმიერ თხოვნასა თუ შემოთავაზებას და თითს თითზეც არ დაადებდა გონივრული, დასაბუთებული მიზეზის გარეშე. ზაფხულის იმ ერთ თვეს ის რაკეტასავით დაქროდა აქეთ-იქით, თუმცა, თუკი ვინმე ფრენისას მის შეჩერებას მოახერხებდა, ყოველთვის შეეძლო, ნებისმიერი გამოცალკევებული წამის აზრი და მიზანი დაესახელებინა. მხოლოდ ორი რამ იყო მისთვის თანაბრად შეუძლებელი: უმოქმედობა და უმიზნოდ მოქმედება.

„მოდით, გავარკვიოთ“, — ასე ჟღერდა დაგნისთვის და ედისთვის ფრანცისკოს მოტივი, როცა რაღაცის წამოწყება უნდოდა, ანდა უბრალოდ ამბობდა: „მოდით, გავაკეთოთ“.

სიამოვნების სხვა ფორმებს ფრანცისკო არ აღიარებდა.

— ამის გაკეთება შემიძლია, — თქვა ერთხელ, როცა ამწეს აწყობდა და ფრიალო კლდეზე ლითონის სოლებს აჭედებდა. ნამდვილი ოსტატის თავდაჯერებით ირჯებოდა. ყურადღებას არ აქცევდა სისხლს, რომელიც შეხვეული მაჯიდან მოწვეთავდა, — არა, ედი, ვერ შემენაცვლები, ჯერ პატარა ხარ და ჩაქუჩს კარგად ვერ ხმარობ. აჯობებს, ეს ტოტები დატეხო და ადგილი გამისუფთაო, უკეთ რომ დავინახო. დანარჩენს თვითონ ვიზამ... რა სისხლი? აჰ, ეს? გუშინ გავიჭერი. დაგნი, გაიქეცი სახლში და სუფთა ბინტი მოიტანე რა.

ჯიმი თვალყურს ადევნებდა მათ. ისინი მას მარტო ტოვებდნენ ხოლმე, მაგრამ ხშირად ხედავდნენ, როგორ იდგა მოშორებით და განსაკუთრებული, უცნაური ყურადღებით აკვირდებოდა ფრანცისკოს.

ჯიმი იშვიათად ლაპარაკობდა ფრანცისკოს თანდასწრებით, მერე კი დაგნის მისდგებოდა ხოლმე აღშფოთებული ღიმილით:

— თავი ვინ გგონია? დამოუკიდებელი რკინის ლედი ყველასგან განსხვავებული აზროვნებით? უპრინციპო ჩვარი ხარ და მეტი არაფერი! საზიზღარი საყურებელია, როგორ აბედვინებ ამ გათავხედებულ მეტიჩარას, დაგიბრიყვოს. როგორც უნდა, ისე გატრიალებს! სიამაყე საერთოდ არ გაქვს! საკმარისია, დაგისტვინოს, რომ ეგრევე მირბიხარ და მის ბრძანებას ელოდები. ლამის ფეხსაცმელებიც გაუწმინდო!

— თუ მეტყვის, გავუწმენდ კიდეც! — უპასუხა დაგნიმ.

ფრანცისკო ნებისმიერ თამაშში გაიმარჯვებდა, ნებისმიერ შეჯიბრებაში, თუმცა ასეთი რამეები არასდროს აინტერესებდა. შეეძლო, ახალგაზრდული კლუბის პრეზიდენტი გამხდარიყო, მაგრამ ახლოსაც კი არ გაჰკარებია მას, მიუხედავად

კლუბის მესვეურების არაერთი მცდელობისა, როგორმე მიეტყუებინათ მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული მემკვიდრე თავისთან. მისი ერთადერთი მეგობრები დაგნი და ედი იყვნენ. დაზუსტებით ვერც ერთი ვერ იტყოდა, ვინ ვის ეკუთვნოდა — ისინი მას, თუ ის მათ, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ნებისმიერ შემთხვევაში, ერთად ბედნიერები იყვნენ.

ყოველ დილით ეს სამეული რაღაც განსაკუთრებული თავგადასავლების საძებნელად მიემართებოდა. ერთხელ მოხუცმა პროფესორმა, მისის ტაგარტის მეგობარმა, რომელიც ლიტერატურას ასწავლიდა, მეძველმანის ეზოში, ჯართის გროვასთან აღმოაჩინა ისინი. ბავშვები ავტომობილს ნაწილებად შლიდნენ. პროფესორმა თავი გააქნია, გაჩერდა და ფრანცისკოს მიმართა:

— თქვენი წარმომავლობის ყმაწვილი დროს ბიბლიოთეკებში უნდა ატარებდეს და მსოფლიო ცივილიზაციას ეწაფებოდეს.

— და თქვენი აზრით, აბა, ახლა მე რას ვაკეთებ? — უპასუხა ფრანცისკომ.

ახლომახლო ქარხნები არ იყო, მაგრამ ფრანცისკომ დაიყოლია დაგნი და ედი, ტაგარტების მატარებლებში მალულად აპარულიყვნენ და სხვა ქალაქებში ჩასულიყვნენ, სადაც ხან ფაბრიკის ღობიდან ეზოში ძვრებოდნენ, ხან კიდევ ფანჯრებს აკრულები აკვირდებოდნენ დაზგებისა და მანქანების მუშაობას, ისეთივე გატაცებით, როგორითაც სხვა ბავშვები კინოს უყურებენ ხოლმე.

— როცა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ვუხელმძღვანელებ... — ამბობდა დროდადრო დაგნი.

— როცა „დ'ანკონია კოპერის“ მეპატრონე გავხდები... — ამბობდა ფრანცისკო.

ერთმანეთისთვის ასახსნელი არაფერი ჰქონდათ — საკუთარი მიზანი და მისკენ სავალი გზა თითოეულმა მათგანმა მშვენივრად იცოდა.

ხანდახან მათ კონდუქტორები გამოიჭერდნენ ხოლმე და მაშინ ტაგარტების მამულს ასობით კილომეტრით დაშორებული რომელიმე მორიგი სადგურის უფროსი მისის ტაგარტს ურეკავდა:

— აქ სამი პატარა მაწანწალა გვყავს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ...

— დიახ, დიახ, ეგენი არიან. შინ გამოგზავნეთ, თუ შეიძლება, — ამოიოხრებდა მისის ტაგარტი.

— ფრანცისკო, — ჰკითხა ერთხელ ედიმ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ერთერთ სადგურში, — შენ, ალბათ, უკვე მთელი მსოფლიო შემოიარე, მითხარი, რა არის ყველაზე მთავარი ამქვეყნად?

— აი, ეს, — მიუთითა ლოკომოტივზე გამოსახულ ემბლემაზე „TT“ ფრანცისკომ და დასძინა, — დასანანია, რომ ნათ ტაგარტს არ ვიცნობდი.

მაგრამ ამ დროს დაგნის მზერა შენიშნა და გაჩუმდა. რამდენიმე წუთში, როცა ტყის დაჩრდილულ, ვიწრო, ნოტიო ბილიკს მიუყვებოდნენ, ფრანცისკომ თქვა:

— დაგნი, სხვისი საგვარეულო გერბის წინაშე ყოველთვის ქედს მოვიხრი. კეთილშობილური წარმომავლობის სიმბოლოების პატივისცემას მიჩვეული ვარ. მეც ხომ არისტოკრატი ვარ. მაგრამ ხელიდან ხელში გადასული ციხე-კოშკები და ჩრჩილის დაჭმული მარტორქები ოდნავაც არ მადარდებს. ჩვენი დროის გერბები ბილბორდებსა და პოპულარული ჟურნალების რეკლამებში უნდა ეძებო.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ედიმ.

— სავაჭრო მარკებს, ედი.

იმ ზაფხულს ფრანცისკო თხუთმეტი წლის იყო.

„როცა „დ'ანკონია კოპერის“ მეპატრონე გავხდები“... „სამთო ინჟინერიას და მინერალოგიას ვსწავლობ, რომ მზად ვიყო იმ დღისთვის, როცა „დ'ანკონია კოპერს“ ჩავიბარებ“... „ელექტრულ ინჟინერიას ვსწავლობ, რადგან ენერგეტიკული კომპანიები „დ'ანკონია კოპერის“ საუკეთესო კლიენტები არიან“... „ფილოსოფიის შესწავლას ვაპირებ, დამჭირდება, „დ'ანკონია კოპერის“ ინტერესები რომ დავიცვა“...

— სხვა რამეზე ფიქრობ ხოლმე საერთოდ, „დ'ანკონია კოპერის“ გარდა?

ჰკითხა ერთხელ ჯიმმა.

— არა.

— მე მგონი, ქვეყნად სხვა ბევრი საინტერესო რამეც არსებობს.

— მათზე სხვებმა იფიქრონ.

— ვითომ, ეს ეგოიზმი არ არის?

— დიახ, ეგოიზმია.

— მაინც, რა გაინტერესებს?

—“ ფული.

— რა, ცოტა გაქვს?

— ჩემი თითოეული წინაპარი „დ'ანკონია კოპერის“ წარმოებას დაახლოებით ათი პროცენტით ზრდიდა, მე ვაპირებ, ასი პროცენტით გავზარდო.

— რისთვის? — იქედნურად გამოაჯავრა ჯიმმა ფრანცისკოს.

— სიკვდილის შემდეგ სამოთხეში ვაპირებ გამგზავრებას, სადაც არ უნდა იყოს ის, და მინდა, იმ საფასურის გადახდა შევძლო, რაც კარის გასაღებად იქნება საჭირო.

— ღირსება და სათნოება — აი, რა აღებს სამოთხის კარს, — ქედმაღლურად წარმოთქვა ჯიმმა.

— ზუსტად ეგ ვიგულისხმე, ჯეიმს. მინდა, მსოფლიოში უდიდეს ღირსებას ვფლობდე — დამერქვას ადამიანი, რომელიც ფულს აკეთებდა.

— ჰმ, ნებისმიერ თაღლითს შეუძლია ფულის კეთება.

— ჯეიმს, ოდესმე მიხვდები, რომ ყოველ სიტყვას ზუსტი მნიშვნელობა აქვს.

ფრანცისკოს გაეღიმა, მხიარული, დამცინავი ღიმილით. დაგნი ორივეს უყურებდა და უცებ დაფიქრდა, როგორ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან. ორივე ირონიულად იღიმებოდა. თუმცა, ფრანცისკო უფრო იმიტომ იცინოდა, რომ ყოველ.

დღიურობის მიღმა რაღაც გაცილებით დიადს ხედავდა, ჯიმი კი იმიტომ, რომ არ სურდა, რაიმე დიადს ეარსება ამქვეყნად.

ფრანცისკოს ღიმილის ეს განსაკუთრებულობა დაგნიმ ერთხელაც შენიშნა, როცა სამივენი ტყეში ღამით კოცონს უსხდნენ გარშემო. ცეცხლის ათინათს თითქოს დაბრეცილი, მოცახცახე ღობე შემოევლო, ნახევრად ჩამწვარი ნაფოტები კი ვარსკვლავებივით კიაფობდნენ.

დაგნის ეჩვენებოდა, რომ ამ ზღუდის მიღმა მხოლოდ ბნელი სიცარიელე იყო, დამთრგუნველი, სახიფათო დაპირებებით სავსე... მომავალივით. „და მაინც, მომავალი ფრანცისკოს ღიმილს ემსგავსება“, — გაიფიქრა დაგნიმ. ფიჭვებქვეშ ცეცხლის ალით განათებულ მის სახეზე თითქოს მომავლის გასაღები, ერთგვარი გაფრთხილება იკითხებოდა; და მოულოდნელად დაგნი წარმოუდგენელმა ბედნიერებამ მოიცვა, აუტანელმა, რადგან მეტისმეტად უკიდეგანო იყო და არ იცოდა, როგორ გამოეხატა. ედის შეხედა. ედიც ფრანცისკოს უყურებდა, თითქოს, ნაწილობრივ მაინც, ისიც იმავეს გრძნობდა, რასაც დაგნი.

— რატომ მოგწონს ფრანცისკო? — ჰკითხა დაგნიმ ედის რამდენიმე კვირაში მას მერე, რაც ფრანცისკო გაემგზავრა.

ედიმ გაკვირვებით შეხედა: აზრადაც არასოდეს მოსვლია, ეს თუ საკითხავი გახდებოდა.

— მასთან ერთად არაფრის არ მეშინია, — უპასუხა ედიმ.

— მე კი ყოველთვის რაღაც ამაღელვებელსა და საინტერესოს ველი მისგან, — თქვა დაგნიმ.

მომდევნო ზაფხულს ფრანცისკოს თექვსმეტი წელი შეუსრულდა. სწორედ იმ დღეს დაგნი მასთან ერთად კლდის წვერიდან გადაჰყურებდა მდინარეს.

კლდეზე აფოფხებისას შორტები და მაისურები შემოჰფხრეწოდათ იდგნენ და ჰადსონს დასცქეროდნენ ქვემოთ. ამბობდნენ, რომ მზიან ამინდში ამ კლდის წვერიდან ნიუ-იორკს დაინახავდი. მაგრამ იმ მომენტში მხოლოდ მირაჟს ხედავდნენ, რომელიც სინათლის სამ წყაროს — მდინარეს, ცას და მზეს ერთად წარმოექმნათ.

დაგნი წინ გადაიხარა, მუხლებით ლოდს დაეყრდნო — ნიუ-იორკი უნდოდა დაენახა. ქარში თმა გაეწეწა და დროდადრო თვალებზე ეფარებოდა. თავი უკან მიაბრუნა და შენიშნა, რომ ფრანცისკო ჰორიზონტს კი არა, მას უყურებდა — უცნაურად, დაჟინებით, ღიმილის გარეშე. წამით ადგილს მიეყინა, ხელისგულებით კლდეს მოჭიდებული. ფრანცისკოს დაჟინებულმა მზერამ აიძულა, თავისი საკმაოდ უხერხული პოზა გაეაზრებინა, მხართან შემოხეული მაისური და საკუთარი დაკაწრული, გარუჯული ფეხები გახსენებოდა. დაგნი მკვეთრად წამოიმართა და განზე გადგა.

თავი უკან გადასწია და ფრანცისკოს შეხედა პირდაპირ თვალებში, როგორც მაშინ მოეჩვენა, კიცხვითა და წყრომით სავსე თვალებში. და უეცრად, თვითონაც რომ არ ელოდა ისე, კეკლუცი მხიარულებით ჰკითხა:

— მაინც, ასე რა მოგეწონა ჩემი?

ფრანცისკომ გაიცინა, დაგნი კი შეცბა, აღარ იცოდა, სად წასულიყო — ნეტა რამ ათქმევინა ასეთი სისულელე ...

— აი, რა მომწონს შენი, — უთხრა და „ტაგარტის“ შორეული სადგურის გასწვრივ მზეზე აელვარებულ რელსებზე მიუთითა.

— ეგ ჩემი არაა, — ამოიოხრა გაწბილებულმა დაგნიმ.

— ის მომწონს, რომ შენი იქნება.

დაგნიმ გაუღიმა და და ფრანცისკოს მორიგი გამარჯვება აღიარა. ვერ გაეგო, რატომ უყურებდა ის ასე უცნაურად; მაგრამ რომელიღაც მეათე გრძნობით მიხვდა, რომ ფრანცისკომ რაღაც, დაგნისთვის ჯერ ბუნდოვანი კავშირი დაინახა მასა და მის მომავალ უნარს შორის, ემართა ეს რელსები.

— მოდი, ვნახოთ, ნიუ-იორკი თუ ჩანს, — უთხრა ფრანცისკომ უხეშად და კბოდისკენ უბიძგა. დაგნის ეგონა, მან ვერ შეამჩნია, მაჯა რომ მისებურად გადაუტრიალა და თავისკენ დაქაჩა; ისინი გვერდიგვერდ იდგნენ, ძალიან ახლოს ერთმანეთთან და დაგნი გრძნობდა, როგორ მოედო ფეხზე ფრანცისკოს მზით გამთბარი ფეხის სითბო. გაჰყურებდნენ შორეთს, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ, აციალებული ნისლის გარდა.

როცა იმ ზაფხულს ფრანცისკო გაემგზავრა, დაგნიმ გაიფიქრა, რომ ეს საზღვრის გადალახვას ჰგავდა, რამაც მისი ბავშვობა დაასრულა: ფრანცისკოს შემოდგომაზე კოლეჯში უნდა ჩაებარებინა. მომავალ წელს დაგნის ჯერი დადგებოდა.

დაგნი მსუბუქ მოუთმენლობას გრძნობდა, და შიშს, თითქოს მის მეგობარს ბუნდოვანებაში უნდა შეებიჯებინა. ამ წამმა ძველი განცდასავით გაიელვა, რამდენიმე წლის წინანდელი განცდასავით, როდესაც დაგნი უყურებდა, როგორ გადაეშვა ფრანცისკო კლდიდან ჰადსონის შავ ტალღებში და იცოდა — ის წუთი წუთზე ამოყვინთავდა და მისი ჯერი დადგებოდა.

დაგნიმ შიში უკუაგდო. ფრანცისკოსთვის საფრთხეები მხოლოდ და მხოლოდ მორიგი შესაძლებლობა იყო, კიდევ ერთხელ გაებრწყინა; რადგან არ არსებობდა ბრძოლა, რომელსაც ის წააგებდა; არც მტერი არსებობდა, რომელიც მას დაამარცხებდა.

მერე კი დაგნის გაახსენდა რეპლიკა, რომელიც რამდენიმე წლით ადრე მოისმინა ფრანცისკოს მისამართით. ამ სიტყვებმა ისე უცნაურად გაიჟღერა, რომ მეხსიერებაში ჩარჩა, თუმცა მაშინ სისულელედ მოეჩვენა. რეპლიკა მოხუცმა პროფესორმა წარმოთქვა, მამამისის მეგობარმა მათემატიკოსმა, რომელიც ერთადერთხელ ესტუმრა მათ მამულს. დაგნის მისი სახე მოეწონა. იმ საღამოს, ტერასაზე, პროფესორის თვალებში განსაკუთრებული სევდა ამოიკითხა, როცა ბაღში მოსეირნე ფრანცისკოზე მიუთითა და თქვა: „როგორი მგრძნობიარე ბიჭია, როგორ სჭირდება ბედნიერება. რა ეშველება ამ სამყაროში, სადაც ასე ცოტაა ბედნიერების მიზეზი?!“

ფრანცისკო ამერიკის ცნობილი სასწავლებლის სტუდენტი გახდა — ყველაზე განთქმული სასწავლო დაწესებულების, პატრიკ ჰენრის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი კლივლენდში, რომელიც მამამისს დიდი ხნის წინ შეერჩია მისთვის.

იმ ზამთარს ფრანცისკო მათთან სტუმრად არ ჩასულა ნიუ-იორკში, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობას მხოლოდ ერთი ღამე სჭირდებოდა. მიწერ-მოწერა არ ჰქონდათ, არც არასდროს მიუწერიათ ერთმანეთისთვის. მაგრამ დაგნიმ იცოდა, რომ ფრანცისკო ზაფხულში ერთი თვით ჩავიდოდა მათთან მამულში.

იმ ზამთარს რამდენჯერმე უცნაურად აფორიაქდა: გამუდმებით ახსენდებოდა პროფესორის ფრაზა, გაფრთხილებასავით, რომელიც ვერაფრით აეხსნა. ცდილობდა, თავიდან ამოეგდო. როდესაც ფრანცისკოზე ფიქრობდა, თანდათან უფრო უმყარდებოდა რწმენა, რომ მიეცემოდა კიდევ ერთი თვე, როგორც ავანსი სამომავლოდ, როგორც დასტური, რომ სამყარო, რომელიც მას ელოდა, რეალური იყო, მერე რა, თუ ეს სამყარო მის გარშემო მყოფ ადამიანებს არ ეკუთვნოდა.

— გამარჯობა, სლაგ!

— გამარჯობა, ფრისკო!

როგორც კი მას კვლავ მოჰკრა თვალი ფერდობის დაღმართზე, დაგნი უეცრად ჩასწვდა იმ სამყაროს აზრს, რომელიც მათ ორივეს აერთიანებდათ, ყველა დანარჩენის წინააღმდეგ. წამი თითქოს გაქვავდა, იგრძნო, როგორ უფრიალებდა ჩითის კაბას ქარი; იგრძნო მზის სხივების შეხება ქუთუთოებზე, უსაზღვრო სიმსუბუქე იგრძნო, ისე რომ მიეზიდებოდა ცისკენ, სანდლებით მიწასაც კი ჩაეჭიდა, ქარს რომ არ წაეღო მოულოდნელად უწონადი.

ეს იყო თავისუფლებისა და უსაფრთხოების უცაბედი შეგრძნება, რადგან მიხვდა, რომ არაფერი იცოდა მისი ცხოვრების შესახებ; არასდროს იცოდა და არც უნდოდა, სცოდნოდა რაიმე ოდესმე. შემთხვევითობების სამყარო, ოჯახების, ვახშმებისა და სადილების, სკოლების, გამოუცნობი დანაშაულით დათრგუნვილი ადამიანების სამყარო მათი არ იყო. ის ვერ შეცვლიდა ფრანცისკოს, ბოლოს და ბოლოს, ის არაფერს არ ნიშნავდა საერთოდ. ისინი არასდროს ჰყვებოდნენ თავს გადახდენილ

ამბებს, მხოლოდ ფიქრებსა და სამომავლო გეგმებს უზიარებდნენ ერთმანეთს. დაგნი მდუმარედ უყურებდა ფრანცისკოს, თითქოს შინაგანი ხმა ეუბნებოდა: „რაც ახლა არის, ის არა, არამედ ჩვენ რასაც შევქმნით... მე და შენ... ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ. მაპატიე შიში, რომ ვფიქრობდი, თითქოს დაგკარგავდი. მაპატიე ეჭვი, შენ მათ შესახებ ვერასდროს შეიტყობ. ამიერიდან აღარასდროს შემეშინდება შენ გამო...“

წამით ფრანცისკოც გაქვავებული შეჰყურებდა და დაგნის მოეჩვენა, რომ ეს ხანგრძლივი განშორების შემდეგ მიღებული ჩვეულებრივი მისალმება კი არა, იმ ადამიანის მზერა იყო, რომელიც მთელი წელი ყოველდღე მასზე ფიქრობდა. არა, დარწმუნებული მაინც არ იყო, ეს წამიერი განცდა იყო, ისეთი ხანმოკლე, რომ ლამის იმავე წუთს ფრანცისკო უკვე შემოტრიალდა, უკან მოტოვებულ არყის ხეზე მიანიშნა და ადრინდელივით, ბავშვური ანცობით უთხრა:

— ოდესმე ისწავლი უფრო სწრაფად სირბილს? ყოველთვის მე უნდა დაგელოდო.

— დამელოდები ხოლმე? — მხიარულად ჰკითხა დაგნიმ.

— ყოველთვის, — უპასუხა მან ღიმილის გარეშე.

როცა გორაკს აუყვნენ სახლისკენ, ფრანცისკო მთელი გზა ედის ელაპარაკებოდა, დაგნი უხმოდ მიაბიჯებდა მათ გვერდით. იგრძნო, რომ მათ ურთიერთობაში აქამდე უცნობი თავშეკავებულობა გაჩნდა, რომელიც, უცნაურად, სიახლოვეში გადაიზარდა.

დაგნის არ გამოუკითხავს ფრანცისკოსთვის უნივერსიტეტის ამბები. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ჰკითხა, მოსწონდა თუ არა იქ.

— ახლა უამრავ სისულელეს გვასწავლიან, მაგრამ რამდენიმე საგანი ნამდვილად მომწონს.

— მეგობრები უკვე შეიძინე?

— ჰო, ორი.

დაგნისთვის მეტი აღარაფერი უთქვამს.

ჯიმი იმ წელს ნიუ-იორკის კოლეჯს ამთავრებდა. იქ გატარებულმა წლებმა მის ქცევებს უცნაური, მშფოთვარე აგრესიულობა შესძინა, თითქოს რაღაც ახალი იარაღისთვის მიეგნო. ერთხელ არც აცია, არც აცხელა, სრულიად უმიზეზოდ, ფრანცისკო შუაგულ მდელოზე გააჩერა და შეურაცხყოფილი წმინდანის ტონით უთხრა:

— მე მგონი, ახლა, როცა უკვე გაიზარდე და სტუდენტი ხარ, დროა, რაიმე მაინც ისწავლო იდეალების შესახებ. დროა, დაივიწყო ეგოისტური სიხარბე და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობაზე დაფიქრდე. იმიტომ, რომ ჩემი აზრით, ის მილიონები, რომელსაც მემკვიდრეობით მიიღებ, შენი პირადი სიამოვნებისთვის კი არ გეძლევა, არამედ ღარიბებისა და დაჩაგრულების სასიკეთოდ. და ადამიანი, რომელიც ამას ვერ აცნობიერებს, ყველაზე გახრწნილი პიროვნებაა ამქვეყნად.

— ჯეიმს, არ გირჩევ საეჭვო შეხედულებების გამოთქმას, თუკი ამას არავინ გთხოვს, თორემ იდიოტურ სიტუაციაში აღმოჩნდები, როცა გაიგებ, რა ფასი აქვს შენს მოსაზრებებს მოსაუბრის თვალში, — თავაზიანად უპასუხა ფრანცისკომ.

— ნუთუ ქვეყნად ბევრია ჯიმის მსგავსი ადამიანი? — ჰკითხა დაგნიმ ფრანცისკოს, როცა იქაურობას გაეცალნენ.

— ძალიან ბევრი, — გაეცინა ფრანცისკოს.

— და შენ ეს არ განაღვლებს?

— არა. მასეთებთან საქმეს არ ვიჭერ. რატომ მეკითხები?

— იმიტომ, რომ მგონი, რაღაცნაირად საშიშები არიან... ოღონდ არ ვიცი, რითი...

— ღმერთო ჩემო, დაგნი! ნუთუ გგონია, ისეთი სუბიექტის შემეშინდება, როგორიც ჯეიმსია?

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ტყეში, მდინარის ნაპირზე მარტონი სეირნობდნენ, დაგნიმ ჰკითხა:

— ფრანცისკო, როგორი ადამიანია ყველაზე გახრწნილი ამქვეყნად?

— ადამიანი, რომელსაც მიზანი არ გააჩნია.

დაგნიმ მაღალ, სწორ ხეებს ახედა. მათ მიღმა, ღობის იქით, უკიდეგანო ელვარე სივრცე მოჩანდა. ტყეში ბინდი და სიგრილე იდგა, მაგრამ ხის კენწეროებს მდინარის ტალღებიდან არეკლილი მზის მცხუნვარე ვერცხლისფერი სხივები დასთამაშებდა.

ვერ ხვდებოდა, რატომ მოსწონდა ასე ეს სურათი, რატომ ადრე ვერ ამჩნევდა ბუნებას თავის გარშემო, რატომ ანიჭებდა ასეთ სიამოვნებას ახლა მოძრაობა, რატომ სიამოვნებდა საკუთარი სხეულის აღქმა.

არ უნდოდა, ფრანცისკოსთვის შეეხედა. როცა თვალს არიდებდა, მისი იქ ყოფნა შეუდარებლად უფრო რეალური ხდებოდა. საკუთარ თავსაც რომ გაცილებით მკაფიოდ შეიგრძნობდა, ესეც თითქოს ფრანცისკოსგან მოდიოდა, როგორც წყალი აირეკლავს ხოლმე სინათლეს.

— ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ ჭკვიანი ხარ, არა? — ჰკითხა ფრანცისკომ.

— ყოველთვის ასე ვფიქრობდი, — უპასუხა დაგნიმ გამომწვევად, ისე, რომ არც კი მიტრიალებულა მისკენ.

— კეთილი, დამიმტკიცე. ვნახოთ ერთი, რას შეძლებთ შენ და შენი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ერთად. როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყო, იმედი მაქვს, თავს არ დაზოგავ, უფრო მეტს რომ მიაღწიო. და როცა დაქანცული მიზანთან მიხვალ, იმწუთასვე ახალი დაისახე და მისკენ იარე — ამას მოველი შენგან...

— რატომ გგონია, რომ მომინდება, რაიმე დაგიმტკიცო?

— გინდა, გიპასუხო?

— არა, — ჩაიჩურჩულა დაგნიმ და მდინარის გაღმა ნაპირს მიაჩერდა.

ესმოდა, როგორ იცინოდა ფრანცისკო, ცოტა ხნის შემდეგ კი თქვა:

— დაგნი, ცხოვრებაში არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, თუ როგორ აკეთებ შენს საქმეს. არაფერი. ეს არის ყველაზე მთავარი. მხოლოდ აქ შეგიძლია, გამოავლინო საკუთარი თავი. სწორედ ეს არის ადამიანის შესაფასებელი ერთადერთი საზომი. მთელი ის ეთიკური პრინციპები კი, თავს რომ გახვევენ, ქაღალდის ფულს ჰგავს, რომლითაც თაღლითები ხალხის პატიოსნებას ყიდულობენ. მხოლოდ და მხოლოდ კომპეტენტურობის პრინციპია იმ მორალური კოდექსის საფუძველი, რომელიც შეიძლება, ოქროს სტანდარტს გაუტოლდეს! როცა გაიზრდები, მიხვდები, რასაც ვგულისხმობ.

— მე ახლაც ვხვდები. მაგრამ, ფრანცისკო... რატომ მეჩვენება, რომ მარტო მე და შენ ვიცით ეს?

— სხვებს რას დაეძებ!

— იმიტომ, რომ მომწონს, როცა ყველაფერი მესმის, ადამიანებში კი რაღაც ისეთს ვხედავ, რაც ჩემთვის გაუგებარია.

— მაინც რას?

— სკოლაში პოპულარული არასდროს ვყოფილვარ და ეს არც მაწუხებდა, მაგრამ ახლა მიზეზი აღმოვაჩინე, სრულიად წარმოუდგენელი მიზეზი. ადამიანებს არ ვუყვარვარ განა იმიტომ, რომ რაიმეს ცუდად ვაკეთებ, პირიქით, ის არ მოსწონთ, ყველაფერს რომ კარგად ვაკეთებ. არავის არ ვუყვარვარ, რადგან სკოლაში

ყოველთვის საუკეთესო მოსწავლე ვიყავი. როცა არ ვმეცადინეობ, მაშინაც კი უმაღლეს შეფასებას ვიღებ. იქნებ, ღირდეს, დაბალი ნიშნების მიღება დავიწყო, სკოლის ყველაზე პოპულარული გოგო რომ გავხდე?

ფრანცისკო ადგილზე გაქვავდა, მერე კი დაგნის მიუტრიალდა და სილა გააწნა.

წამით დაგნის ფეხქვეშ თითქოს მიწა იძრა, თითქოს მასში რაღაც აფეთქდა. იცოდა, რომ ნებისმიერს მოკლავდა, ვინც მასზე ხელს ასწევდა; უსაზღვრო რისხვას გრძნობდა, რომელიც ამის ძალას მისცემდა... მაგრამ ამდენადვე უსაზღვრო სიამოვნებასაც, რადგან მას სწორედ ფრანცისკომ გაარტყა. ესიამოვნა აუტანელი, მწველი ტკივილი ლოყაზე, სისხლის წვეთების გემო გახეთქილი ტუჩის კუთხეში. გაუხარდა, რომ მოულოდნელად მიხვდა მიზეზს, რომელმაც ფრანცისკო აიძულა, ასე მოქცეულიყო. მიხვდა — მასშიც და საკუთარ თავშიც...

ფეხები დაძაბა და მიწა გაიმყარა, თავბრუსხვევა რომ შეეჩერებინა; მერე თავი ასწია და ტრიუმფატორის დამცინავი ღიმილით, პირდაპირ თვალებში შეხედა ფრანცისკოს.

პირველად გააცნობიერა საკუთარი ძალა, პირველად იგრძნო თავი მის თანასწორად.

— ნუთუ ასე გატკინე? — ჰკითხა მას.

ფრანცისკო გაოგნდა: არც კითხვა იყო ბავშვური და არც ღიმილი.

— ჰო, თუ გსიამოვნებს ამის გაგონება.

— მსიამოვნებს.

— არასდროს აღარ თქვა ასეთი რამე, ასე აღარასოდეს იხუმრო!

— რას სულელობ. რამ გაფიქრებინა, რომ პოპულარობა მადარდებდა ოდესმე!

— როცა გაიზრდები, მიხვდები, რა შემზარავი რამ თქვი.

— ახლაც მესმის.

ფრანცისკო მიტრიალდა, ცხვირსახოცი ამოიღო, წყალში დაასველა.

— აქ მოდი! — უბრძანა.

დაგნის გაეცინა და ნაბიჯით უკან დაიხია.

— ოჰ, არა, დარჩეს, როგორც არის. იმედია, ლოყა გამისივდება. მომწონს ასე.

ფრანცისკო დაჟინებით მიაჩერდა, მერე აუჩქარებლად, სრულიად გულწრფელად თქვა:

— დაგნი, რა მშვენიერი ხარ.

— მე კი მეგონა, ყოველთვის ასე ფიქრობდი, — დაუდევრად, ოდნავ მედიდურად უპასუხა დაგნიმ.

როცა სახლში დაბრუნდა, დედას უთხრა, რომ ტუჩი ქვას დაარტყა. ეს ერთადერთი ტყუილი იყო, რაც კი ცხოვრებაში ოდესმე უთქვამს. ასე ფრანცისკოს დასაცავად არ მოქცეულა. უბრალოდ, რაღაც თავისთვისვე აუხსნელი მიზეზით, ეს საიდუმლო მეტისმეტად ძვირფასი იყო საიმისოდ, ვინმესთვის რომ გაეზიარებინა.

შემდეგ ზაფხულს, როცა ფრანცისკო მათთან მამულში ჩავიდა, დაგნის უკვე თექვსმეტი წელი შესრულებოდა. ის-ის იყო მის შესახვედრად ფერდობზე სირბილით დაეშვა, რომ უცებ გაჩერდა. ფრანცისკომ ეს დაინახა და თვითონაც ადგილზე გაიყინა.

წამით ორივენი იდგნენ დამრეც მწვანე ფერდობზე და უბრალოდ ერთმანეთს უყურებდნენ. მერე ფრანცისკო აუჩქარებლად დაიძრა დაგნისკენ, ის კი იდგა და ელოდა.

როცა ფრანცისკო მიუახლოვდა, დაგნიმ უმანკოდ გაუღიმა, თითქოს მათ შორის არანაირი შეჯიბრი არ არსებულა.

— შენ ალბათ დაგაინტერესებს, რომ მე უკვე რკინიგზაზე ვმუშაობ. ღამის მორი.

გედ როკდეილის სადგურზე. — თქვა მან.

ფრანცისკოს გაეცინა:

— ძალიან კარგი, მის „ტაგარტ ტრანსკონტინენტალო“! მარათონი დაწყებულია!

ვნახოთ, ვინ უფრო მეტ პატივს მიაგებს დიდ წინაპარს, შენ — ნათ ტაგარტს, თუ მე — სებასტიან დ'ანკონიას.

იმ ზამთარს დაგნის ცხოვრება მარტივ გეომეტრიულ ნახაზს დაემსგავსა — სახლს, საინჟინრო კოლეჯსა და როკდეილის სადგურს შორის გავლებული რამდენიმე სწორი ხაზი და ძრავის დიაგრამებით, ლითონის კონსტრუქციების ესკიზებითა და რკინიგზის განრიგებით მოფენილი მისი ოთახის ჩაკეტილი წრე.

მისის ტაგარტი ქალიშვილს გაკვირვებით და დანანებით ადევნებდა თვალს. ყველა უცნაურობას აპატიებდა, ერთის გარდა: დაგნის სრულიად არ აინტერესებდა მამაკაცები, რომანტიკული მიდრეკილებები საერთოდ არ გააჩნდა. მისის ტაგარტი უკიდურესობებს არ სწყალობდა; თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყო, საპირისპირო უკიდურესობას გამკლავებოდა; მაგრამ რაც დაგნის თავს ხდებოდა, მისი აზრით, კიდევ უფრო რთული იყო. ის ამბავი, რომ მისი ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ერთი თაყვანისმცემელიც კი არ ჰყავდა, ძალიან აფორიაქებდა.

— დაგნი და ფრანცისკო დ'ანკონია? — მწარედ გაეღიმა მისის ტაგარტს ცნობისმოყვარე მეგობრების შეკითხვაზე, — ოჰ, არა, ეს რომანტიკული ურთიერთობა არ არის. ეს რაღაც საერთაშორისო ინდუსტრიული კარტელია. ამ ორს სხვა არაფერი ადარდებს.

ერთ საღამოს მისის ტაგარტმა გაიგონა, როგორ გამოაცხადა სტუმრების თანდასწრებით ჯეიმსმა უცნაურად კმაყოფილი ხმით:

— დაგნი, მართალია, სახელი ნათ ტაგარტის ულამაზესი ცოლის საპატივცემულოდ დაგარქვეს, მაგრამ შენ ნათს უფრო ჰგავხარ, ვიდრე მის ცოლს.

მისის ტაგარტმა კარგად არ იცოდა, რამ უფრო დასწყვიტა გული — ჯეიმსის უხეშობამ, თუ იმან, რომ დაგნიმ ძმის სიტყვები კომპლიმენტად მიიღო.

მისის ტაგარტმა დაასკვნა, რომ ის ვერასოდეს მოახერხებდა საკუთარი ქალიშვილის ბოლომდე შეცნობას. დაგნი სილუეტად გადაიქცა, რომელიც თავისი მაღალი ფეხებით შერბოდა სახლში და გამორბოდა იქიდან, გამხდარ ფიგურად, საყელოწამოწეული ტყავის ქურთუკით და მოკლე ქვედატანით. სიარულის მანერა მამაკაცური ჰქონდა — მკვეთრი და მიზანმიმართული, და მაინც, მის სწრაფ, დაძაბულ და ფიცხ მოძრაობებს გამომწვევი ქალურობა ახასიათებდა.

დროდადრო მისის ტაგარტს დაგნის გამომეტყველება ძალიან აბნევდა: სახეზე მხიარულება კი არ ეწერა, არამედ ნამდვილი კრისტალური კმაყოფილებ ა, რაც არაბუნებრივად ეჩვენებოდა — მისის ტაგარტის აზრით, ამ ასაკის ნებისმიერ გოგონას რაიმე მიწიერი სადარდებელი უნდა ჰქონოდა. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის შვილს გრძნობები უბრალოდ არ გააჩნდა.

— დაგნი, ნუთუ არასდროს გინდება, გაერთო? — ჰკითხა ერთხელ დედამ.

დაგნიმ დაეჭვებით შეხედა დედას და უპასუხა:

— და მე აბა რას ვაკეთებ, შენი აზრით?

დაგნისთვის პირველი ოფიციალური წვეულების მოწყობის გადაწყვეტილებამ მისის ტაგარტს დიდი თავის ტკივილი გაუჩინა. არ იცოდა, ვის წარუდგენდა ნიუ-

იორკის მაღალ საზოგადოებას — მის დაგნი ტაგარტს თუ როკდეილის სადგურის დისპეტჩერს.

უფრო ამ უკანასკნელზე შეჩერდა, რადგან სიმართლესთან გაცილებით ახლოს იყო.

თანაც ფიქრობდა, რომ დაგნი ამ იდეას არ მოიწონებდა. მაგრამ რა გაოგნებული დარჩა, როცა მისი ქალიშვილი ბავშვური სიხალისით შეხვდა მისის ტაგარტის შეთავაზებას. მეორედ მაშინ განცვიფრდა, როცა დაგნი თავისი დებიუტისთვის გამოეწყო. მას პირველად ეცვა ქალურად — თეთრი შიფონის კაბა, უზარმაზარი ქვედატანით, რომელიც ღრუბელს ჰგავდა. მისის ტაგარტი სრულიად საპირისპირო სანახაობას ელოდა, მაგრამ დაგნი გასაოცრად ლამაზი იყო. კაბაში გაცილებით უფროსი და უმწიკვლო ჩანდა, ვიდრე ჩვეულებრივ. სარკის წინ თავი ისე ეჭირა, როგორც ამას ნათ ტაგარტის მეუღლე გააკეთებდა.

— აი, ხედავ, დაგნი, თუ მოინდომებ, რა მშვენიერი შეგიძლია იყო, — ნაზად, მსუბუქი საყვედურით უთხრა შვილს.

— ჰო, ვხედავ, — გაკვირვების გარეშე უპასუხა დაგნიმ.

სამეჯლისო დარბაზის გაფორმებას სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“ პირადად მისის ტაგარტი გაუძღვა. მას უდავოდ დახვეწილი გემოვნება ჰქონდა და იმ საღამოს თავისი ქალიშვილისთვის ნამდვილი შედევრი შექმნა.

— დაგნი, მინდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციო მთელ ამ ანტურაჟს — განათებას, ფერებს, ყვავილებს, მუსიკას. ეს ყველაფერი არც ისეთი უმნიშვნელოა, როგორც შენ ფიქრობ. — უთხრა მისის ტაგარტმა.

— მასე არასდროს არ მიფიქრია, — ხალისიანად უპასუხა დაგნიმ. და მისის ტაგარტმა პირველად იგრძნო რაღაც კავშირი შვილთან. დაგნი დედას ბავშვური მადლიერებითა და ნდობით შესცქეროდა.

— ყველაფერი ეს ცხოვრებას ამშვენიერებს, — თქვა მისის ტაგარტმა, — დაგნი, მინდა, ეს საღამო შენთვის ულამაზესი იყოს. პირველი წვეულება ყველაზე რომანტიკული მოვლენაა ქალის ცხოვრებაში.

მაგრამ უფრო გამაოგნებელი მისის ტაგარტისთვის ის წუთი აღმოჩნდა, როცა დაგნი საცეკვაო დარბაზს ათვალიერებდა და შვილი ჭაღების სინათლეზე დაინახა. ეს არ იყო გოგონა, არც ქალიშვილი, ეს იყო ქალი, ისეთი თავდაჯერებული და საშიშად ძლიერი, რომ მისის ტაგარტი გულწრფელად აღფრთოვანდა. ყოველდღიური, ცინიკური და გულგრილი რუტინის დროში, იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ისე ცხოვრობდნენ, თითქოს მათი სხეული ხორცის გარდა სხვა არაფერი იყო, დაგნის ქცევა ცოტა უხერხულადაც კი მოჩანდა — რამდენიმე საუკუნის წინ, როცა ნახევრად შიშველი წარდგომა მამაკაცების სამსჯავროზე სიმამაცედ ითვლებოდა და საზოგადოების მიერ დიდ ავანტიურად აღიქმებოდა, სამეჯლისო დარბაზს ამგვარად მხოლოდ ის ქალი თუ გახედავდა, რომელსაც თავში ერთადერთი აზრი უტრიალებდა. „და ეს ის გოგოა“, — ღიმილით გაიფიქრა მისის ტაგარტმა, — „რომელსაც, მეგონა, სექსუალური მიმზიდველობის არაფერი ეცხო“. ის გრძნობდა უზარმაზარ შვებას და ერთგვარ გაოცებასაც, რომ ამგვარ გაოცებას შეეძლო, შვება მოეგვარა მისთვის.

კმაყოფილებამ მხოლოდ რამდენიმე საათს გასტანა. წვეულების დასასრულს, დაგნი სამეჯლისო დარბაზის კუთხეში დაინახა — მოაჯირზე ისე ჩამომჯდარიყო.

როგორც ღობეზე და შიფონის ქვედატანის ქვეშ ფეხებს აქანავებდა, თითქოს შარვალი სცმოდა და არა საღამოს კაბა. ვიღაც ორ უსუსურ ახალგაზრდას ესაუბრებოდა აგდებული, გულგრილი გამომეტყველებით.

გზად სახლისკენ დაგნის და მისის ტაგარტს სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მისის ტაგარტმა ცდუნებას ვერ გაუძლო და შვილის ოთახში შევიდა. დაგნი ფანჯარასთან იდგა და ჯერ კიდევ საღამოს კაბა ეცვა. კაბა ღრუბელს ჰგავდა, რომელსაც სამყოფად მეტისმეტად გამხდარი სხეული აერჩია, სხეული ჩამოყრილი მხრებით.

ფანჯრის მიღმა, ამოწვერილი მზის სხივებით განათებულ ცაზე ნაცრისფერი ღრუბლები მოჩანდა.

როცა დაგნი დედისკენ მიტრიალდა, თვალებში დაბნეულობა და უმწეობა ედგა.

მშვიდი სახე ჰქონდა, თუმცა, როცა შეხედა, რატომღაც მისის ტაგარტს გული დაწყდა, რომ მისმა ქალიშვილმა გააცნობიერა, რა იყო ნაღველი.

— დედა, რატომ ესმით მათ ყველაფერი პირიქით? — ჰკითხა დაგნიმ.

— რა? — შეცბა მისის ტაგარტი.

— ის, რასაც შენ ამბობდი: მუსიკა და ყვავილები. ნუთუ ფიქრობენ, რომ მუსიკისა და ყვავილების ფონზე თვითონაც უფრო რომანტიკულები ხდებიან, და არა პირიქით?

— რას გულისხმობ, ძვირფასო?

— იქ არ იყო არც ერთი ბედნიერი ადამიანი, ვისაც შეეძლო ეფიქრა ან ეგრძნო რაიმე საერთოდ, — უსიცოცხლო ხმით თქვა დაგნიმ, — დადიოდნენ ჩემ გარშემო და ისეთივე სისაძაგლეებს ლაპარაკობდნენ, რასაც ყველგან. ეტყობა, ფიქრობდნენ, ჭაღების სინათლე ბრწყინვალებას შესძენდათ.

— ყველაფერს ზედმეტად სერიოზულად აღიქვამ, ძვირფასო. წვეულებაზე სულაც არ არის აუცილებელი, ინტელექტუალი იყო. იქ, უბრალოდ, უნდა გაერთო.

— როგორ უნდა გაერთო? სისულელეებზე ლაპარაკით?

— კი მაგრამ, აი, მაგალითად, სულ არ მოგეწონა ახალგაზრდა მამაკაცებთან შეხვედრა?

— რომელ მამაკაცებთან? იქ ისეთი არავინ არ იყო, ვისაც ვერ გავსრესდი!

რამდენიმე დღის მერე, როცა როკდეილის სადგურში საკუთარ მაგიდასთან იჯდა, სრულიად კმაყოფილი, და თავს ისე გრძნობდა, როგორც შინ, ის წვეულება უკვე გულგრილად მოიგონა. მხრები აიჩეჩა და ზიზღით უსაყვედურა თავს, იმედი რომ გაუცრუვდა. მაღლა აიხედა. გაზაფხული იდგა და ფანჯრის მიღმა შეფოთლილი ტოტები მოჩანდა. ჰაერი მშვიდი და თბილი იყო. თავის თავს ჰკითხა, მაინც რას ელოდა ამ წვეულებისგან. ზანტად გადაწვა მაგიდაზე, არც დაღლას გრძნობ და, არც მუშაობის სურვილს.

როცა ზაფხულში ფრანცისკო ნახა, წვეულებისა და თავისი იმედგაცრუების შესახებ უამბო. ის ჩუმად უსმენდა და პირველად უყურებდა გაყინული, დამცინავი მზერით, სხვებისთვის რომ ჰქონდა ხოლმე შემონახული. მზერით, რომელსაც მეტისმეტად ბევრი რამის დანახვა შეეძლო. დაგნის მოეჩვენა, რომ ფრანცისკომ უფრო მეტი გაიგო მისი სიტყვებიდან, ვიდრე თვითონ აპირებდა, ეთქვა.

იგივე ირონიული მზერა შეამჩნია ფრანცისკოს, როცა ერთ საღამოს დაგნი მოულოდნელად ადრე წავიდა. მარტონი ისხდნენ მდინარის ნაპირას, დაგნის კიდევ ერთი საათი ჰქონდა დარჩენილი როკდეილში წასვლამდე. ცაზე ჯერაც დაისის ალისფერი გრძელი ზოლები გაწოლილიყო, ხოლო მათგან არეკლილი წითელი ნაპერწკლები წყალზე სხმარტალებდნენ. ფრანცისკოს უკვე დიდი ხანი იყო, ხმა არ ამოეღო, როცა დაგნი მოწყვეტით ადგა და უთხრა, უნდა წავიდეო. ფრანცისკოს მისი გაჩერება არ უცდია. ბალახზე გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და გაუნძრევლად უყურებდა დაგნის. მისი მზერა თითქოს ამბობდა, რომ მშვენივრად ხვდებოდა

მიზეზს. დაგნი ფერდობს აუყვა აჩქარებით. თვითონაც არ იცოდა, მაინც რამ აიძულა, იქაურობას ასე ადრე გასცლოდა. ეს უეცარი ფორიაქი მისთვის მანამდე უცნობი იმედის შეგრძნებიდან მომდინარეობდა.

ყოველ ღამით ხუთ მილს გადიოდა მანქანით მამულიდან როკდეილამდე. გამთენიისას ბრუნდებოდა, რამდენიმე საათი ეძინა და მერე ყველასთან ერთად დგებოდა.

ძილი საერთოდაც არ უნდოდა. დასაწოლად ამომავალი მზის პირველ სხივებთან ერთად ემზადებოდა, დაძაბული, ხალისიანი, უმიზეზო განწყობით — მალე შეჰგებებოდა ახალ დღეს.

ფრანცისკოს დამცინავი მზერა კიდევ ჩოგბურთის კორტის ბადესთან დაინახა.

თამაშის დასაწყისი არ ახსოვდა. ჩოგბურთს ხშირად თამაშობდნენ და ფრანცისკო ყოველთვის იმარჯვებდა. დაგნიმ ისიც კი არ იცოდა, ზუსტად რა მომენტში გადაწყვიტა უცებ, რომ ამჯერად გაიმარჯვებდა. მაგრამ რაწამს გააცნობიერა, ეს უკვე მხოლოდ სურვილი კი არა, მასში ამოვარდნილი მძვინვარე ქარიშხალი იყო. დაგნიმ არ იცოდა, რატომ უნდა გაემარჯვა; ვერ ხვდებოდა, რატომ ეჩვენებოდა გამარჯვება ასეთი მნიშვნელოვანი, ასე სასიცოცხლოდ აუცილებელი; იცოდა მხოლოდ, რომ უნდა გაემარჯვა და გაიმარჯვებდა კიდეც.

თამაში ეადვილა. თითქოს მისი ნება სადღაც გაქრა და მის ნაცვლად ვიღაც სხვა თამაშობდა. ფრანცისკოს უყურებდა — მაღალს, ტანადს, გარუჯულს, სხეულზე მჭიდროდ მომდგარი მოკლე თეთრი მაისური მხრების ნამზეურს კიდევ უფრო გამოკვეთდა. წინასწარ მედიდურ სიამოვნებას გრძნობდა მისი ოსტატური მოძრაობების შემყურე, რადგან ეს იყო ის სრულყოფილება, რომელიც უნდა დაემარცხებინა.

ფრანცისკოს ყოველი დახვეწილი მოქნევა დაგნის გამარჯვება ხდებოდა, მის მიერ საკუთარი სხეულის ფლობის ბრწყინვალე უნარი კი დაგნის ტრიუმფად იქცეოდა.

დაღლილობის ტკივილი თანდათან გაუძლიერდა. მაგრამ დაგნი მას ტკივილად კი არა, მხოლოდ უეცარ ჩხვლეტებად აღიქვამდა, რომლებიც წამით შეახსენებდა სხეულის სხვადასხვა ნაწილის არსებობას — იდაყვების, მხრების, ტერფების, თეძოების, რომლებზეც სველი შორტი შემოტმასნოდა, ფეხის კუნთების, ბურთის ჩასაწოდებლად რომ ახტებოდა ხოლმე, ქუთუთოების... როდესაც დაგნის ნასროლი ბურთი ფრანცისკოსკენ მიფრინავდა, ეს ჩხვლეტები — წვრილი, გავარვარებული ძაფი კოჭიდან ზურგისკენ — ცას თითქოს წითლად ღებავდა, ბურთს თეთრ ცეცხლოვან გორგლად აქცევდა. დაგნი აღფრთოვანებას გრძნობდა, რადგან იცოდა, რომ მის სხეულში დაწყებული ტკივილის ყოველი ჩხვლეტა ფრანცისკოს სხეულში უნდა დასრულებულიყო, ისეთივე დაღლილში, როგორიც დაგნისი იყო. და როდესაც თვითონ იძაბებოდა, ფრანცისკოსაც ძაბავდა, ამას ფრანცისკოც გრძნობდა, რადგან დაგნის მიზნად სწორედ ეს დაესახა. და ეს ტკივილი დაგნის სისუსტედ კი არა, ფრანცისკოს ტანჯვად იქცა.

როდესაც ასეთ წუთებში ფრანცისკოს სახეს მოჰკრავდა თვალს, ხედავდა, რომ ის იცინოდა.

დაგნის ისე უმზერდა, თითქოს ყველაფერს ხვდებოდა. გამარჯვებისთვის კი არ თამაშობდა, არამედ იმისთვის, რომ დაგნის გასძნელებოდა გამარჯვება. ბურთს კორტების კიდეებში აწვდიდა, იძულებული რომ გაეხადა, ერბინა. შეგნებულად კარგავდა ქულებს, რომ დაენახა, როგორ იწელებოდა დაგნის სხეული საპასუხო

დარტყმისთვის; განგებ ფეხს არ იცვლიდა, რათა დაგნის ჰგონებოდა, რომ ამჯერად ააცდენდა, სულ ბოლო წამს კი დაუდევრად მოიქნევდა ხოლმე ხელს და ბურთს ბადის იქით ისეთი ძალით გზავნიდა, რომ დაგნის გაეგო: „ვერ მიასწრებს“. დროდადრო დაგნის ეჩვენებოდა, რომ ადგილიდან ვეღარ დაიძვროდა, რომ გასაკვირად, უცებ თავისი მოედნის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდებოდა და ისე დაუნდობლად ურტყამდა ბურთს, თითქოს მისი ნაფლეთებად ქცევა უნდოდა, თითქოს ბურთს კი არა, ფრანცისკოს ურტყამდა სახეში.

„კიდევ ერთი, კიდევ“... — ფიქრობდა დაგნი, თუნდაც მომდევნო დარტყმას მისი მკლავი ძვლებშიც გადაეტეხა... კიდევ ერთი, თუნდაც ვეღარასოდეს ჩაესუნთქა და ამოესუნთქა... მერე უკვე ვეღარაფერს გრძნობდა... ვეღარც ტკივილს, ვეღარც კუნთებს, ვერაფერს, გარდა იმისა, რომ ის უნდა დაემარცხებინა, უნდა ენახა ძალაგამოცლილი, უნდა ენახა, როგორ დაინგრეოდა და შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ, თუნდაც მომკვდარიყო.

დაგნიმ გაიმარჯვა. შეიძლება იმიტომაც, რომ ფრანცისკო, ჩვეულებისამებრ, იცინოდა.

ფრანცისკო ბადესთან მივიდა, თუმცა დაგნი ადგილიდან არ დაძრულა, და ჩოგანი მის ფეხებთან დააგდო, თითქოს იცოდა, რომ დაგნის სწორედ ეს ეწადა. შემდეგ კი კორტიდან გავიდა, გაზონზე დაემხო და მკლავი თავქვეშ ამოიდო.

დაგნი ნელა მიუახლოვდა. თავზე დაადგა, მის ფეხებთან გაშხლართულ სხეულს, ოფლისგან გალუმპულ სპორტულ მაისურსა და ხელზე ჩამოყრილ კულულებს დააჩერდა. ფრანცისკომ თავი წამოსწია. მისი მზერა ნელ-ნელა აუყვა დაგნის ფეხებს, მერე შორტებს და ბლუზონს და თვალებზე შეჩერდა. ეს ირონიული მზერა თითქოს გამჭოლად ხედავდა დაგნის, ტანსაცმლის მიღმა და დაგნის გონების მიღმაც. და თითქოს ამბობდა, რომ სინამდვილეში თავად მოიგო და არა დაგნიმ.

იმ ღამეს დაგნი სამუშაო მაგიდასთან იჯდა სადგურის ძველ შენობაში სრულიად მარტო და ფანჯარაში ცას გაჰყურებდა. ეს დრო ყველაზე მეტად მოსწონდა — როცა ფანჯრის ზემოთა მინები ნათდებოდა, გარეთ კი რელსები ჩაშავებული ვერცხლის თხელ ძაფებს ემსგავსებოდა. მაგიდის სანათი გამორთო და უძრავ დედამიწაზე სინათლის უჩუმარ მოძრაობას ადევნებდა თვალს. სიმშვიდე იდგა, ერთი ფოთოლიც კი არ ირხეოდა ხეზე, ცა თანდათან ეთხოვებოდა ძველ ფერებს და ახალს იძენდა, თითქოსდა თვალუწვდენელ ნათელ ოკეანედ გადაქცეული.

ამ დროს ტელეფონი ყოველთვის დუმდა, გეგონებოდა, მოძრაობა მთელ სისტემაზე გაჩერებულიყო. უეცრად გარედან მოახლოებული ნაბიჯების ხმა მოესმა, კართან ახლოს. ფრანცისკო შემოვიდა. აქ არასდროს გამოჩენილა მანამდე, მაგრამ დაგნის მისი მოსვლა არ გაჰკვირვებია.

— რას აკეთებ აქ ასეთ დროს? — ჰკითხა დაგნიმ.

— რაღაც არ მეძინებოდა.

— აქამდე როგორ მოაღწიე? მანქანის ხმა არ გამიგია.

— ფეხით მოვედი.

წუთები გავიდა, სანამ მიხვდებოდა, რომ არ უკითხავს, თუ რატომ მივიდა, და რომ არც უნდოდა, ეკითხა.

ფრანცისკომ ოთახი დაიარა, თან კედელზე დაკიდებულ სატრანსპორტო ზედნადებების დასტას და კალენდარს შეავლო თვალი, რომელზეც ტაგარტის „კომეტა“ იყო გამოსახული. „კომეტა“ კამერას იმ მომენტში დაეფიქსირებინა, როცა ის ობიექტს სწრაფი სვლით უახლოვდებოდა. ფრანცისკო თითქოს თავის კუთვნილ

ადგილას მოვიდა, თითქოს ეს ადგილი მათი იყო, ორივესი, სწორედ ისე, როგორც ნებისმიერი სხვა ადგილი, სადაც ერთად მოხვედრილან.

გარეთ თანდათან ინათა, ხაზზეც მოძრაობები გახშირდა და სიჩუმეს დროდადრო ტელეფონის ზარი არღვევდა. დაგნი სამუშაოს მიუბრუნდა. ფრანცისკო კუთხეში იჯდა, ერთი ფეხი სავარძლის სახელურზე გადაედო და ელოდებოდა.

დაგნი სწრაფად მუშაობდა, გონების არაჩვეულებრივი სიცხადით. საკუთარი ხელების სწრაფი მოძრაობები სიამოვნებას ანიჭებდა. მთელი გულისყური სატელეფონო ზარებზე, ტელეფონისა და ავტომობილების ნომრებზე, შეკვეთებზე გადაეტანა. სხვას ვეღარაფერს ამჩნევდა.

თუმცა, როცა შემთხვევით ფურცელი დაუვარდა და მის ასაღებად დაიხარა, უცებ თითქოს გვერდიდან, სხვისი თვალებით დაინახა საკუთარი თავი: საკუთარი მოძრაობა... ნაცრისფერი ტილოს ქვედატანი, ნაცრისფერი ბლუზონის აკაპიწებული სახელო და ქაღალდის ასაღებად გაწვდილი თავისი გაშიშვლებული ხელი. წამით გული გაუჩერდა, თითქოს წინათგრძნობამ შეიპყრო, ქაღალდი აიღო და სამუშაოს დაუბრუნდა.

უკვე გათენდა. სადგურთან მატარებელმა ჩაიარა, რომელიც არც უნდა გაჩერებულიყო. დილის გამჭვირვალე ნათელში ვაგონების გრძელი მწკრივი ვერცხლისფერ ძეწკვს დაემსგავსა. ერთ-ერთმა მატარებელმა ისე ჩაუქროლა სადგურის შენობას, თითქოს მიწას არც შეხებია. იატაკმა დაიზრიალა, ფანჯრის მინები აწკარუნდა, დაგნიმ აღტაცებული მზერა გააყოლა გაქანებულ მატარებელს. ფრანცისკოს გახედა, ისიც იღიმებოდა და დაგნის თვალს არ აშორებდა.

როცა დღის ოპერატორი მივიდა, დაგნიმ მას ცვლა გადააბარა და ფრანცისკოს.

თან ერთად დილის ჰაერზე გამოვიდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო და გეგონებოდა, მის ნაცვლად ჰაერი გამოსცემდა ნათელს. დაგნი სულ არ გრძნობდა დაღლილობას, თითქოს ახლა გაიღვიძა.

თავისი მანქანისკენ გაემართა, მაგრამ ფრანცისკომ უთხრა:

— მოდი, ფეხით გავუყვეთ სახლისკენ. მანქანას მერე მოვაკითხოთ.

— კარგი.

დაგნის სულაც არ გაჰკვირვებია შეთავაზება, არც ხუთი მილის ფეხით გავლის წინააღმდეგი იყო. ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივი ჩანდა; თუმცა ბუნებრივი და ნათელი მხოლოდ იმ წამის განსაკუთრებული რეალურობისთვის, დანარჩენი სამყაროსგან რაღაცნაირად გამიჯნული წამის, თან რომ ახლო იყო, მაგრამ თანაც ბურუსით მოცულ ზღვაში მოლაპლაპე კუნძულივით განცალკევებული, გამძაფრებული შეგრძნებებით, როგორც ალკოჰოლის მსუბუქი ზემოქმედებისას.

გზა ტყეზე გადიოდა. გზატკეცილიდან ძველ ბილიკზე გადაუხვიეს, რომელიც ქალწულებრივად უბიწო ტყეში ხეებს შორის მიიკლაკნებოდა. ირგვლივ ადამიანის არსებობის ნიშანწყალი არ ჩანდა. ბალახმოდებული ძველი ლიანდაგი ადამიანების კვალს კიდევ უფრო შორეულს ხდიდა, რადგან მანძილით დაშორებას დროით სიშორესაც მატებდა. ბინდი ჯერაც ებღაუჭებოდა მიწას, მაგრამ ხეების ტოტებს შორის გამომკრთალი თვალის მომჭრელად ხასხასა სიმწვანე ტყეს თითქოს ასხივოსნებდა.

ფოთლები არ იძვროდა. ისინი მიდიოდნენ. ამ უძრავ სამყაროში მხოლოდ ეს ორნი მოძრაობდნენ. და დაგნიმ უცებ შეამჩნია, რომ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ, რაც წამოვიდნენ.

კორდზე გავიდნენ. აქ ორ ციცაბო კლდეს შორის პატარა მწვანე დაბლობს ნაკადული კვეთდა. ხეებს ტოტები მიწამდე დაეხარათ.

წყლის ჩქაფუნი ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს ამკვეთრებდა, თვალისთვის ძლივს მისაწვდომი ცის ჭრილის ფონზე კი ეს ადგილი კიდევ უფრო განმარტოებული ჩანდა. შორს, კლდის თხემზე ამოზრდილი ეული ხე ამომავალი მზის პირველ სხივებს მოეხელთებინათ.

გაჩერდნენ და ერთმანეთს შეხედეს. ფრანცისკო დაგნის მოეხვია და თავისკენ მიიზიდა. ტუჩებით მის ტუჩებს დააკვდა. როცა იგრძნო, როგორ გაშმაგებით ეხვეოდნენ მისი ხელები საპასუხოდ ფრანცისკოს სხეულს, დაგნი მიხვდა, რომ წინასწარ იცოდა, ელოდა მის შეხებას. მან პირველად გააცნობიერა, თურმე როგორ ნდომებია ეს.

წუთით პროტესტი და მსუბუქი შიში იგრძნო: ფრანცისკო ისევ ეკვროდა მას, მთელი სხეულით ეჭიდებოდა დაჭიმული, მიზანდასახული დაჟინებით. ხელით დაგნის მკერდს ეფერებოდა, მესაკუთრის უფლებით, თითქოს დაგნის სხეულით უნდოდა ინტიმურობის შესწავლა, არც თანხმობას ითხოვდა, არც ნებართვას.

დაგნი შეეცადა, თავი დაეხსნა, მაგრამ ისღა მოახერხა, უკან გადაწეულიყო, მისი სახე და ღიმილი რომ დაენახა. ღიმილი, რომელიც ეუბნებოდა, რომ ფრანცისკოს თანხმობა დიდი ხნის მიღებული ჰქონდა. დაგნიმ გაიფიქრა, რომ უნდა გაქცეულიყო; ამის მაგივრად, თვითონვე მიეკრო ფრანცისკოს და ტუჩებზე დაეკონა.

იცოდა, რომ შიშს აზრი არ ჰქონდა; რომ ფრანცისკო მაინც იმას უზამდა, რაც მოესურვებოდა; რომ ფრანცისკო წყვეტდა; რომ მას სხვა არაფერი დაუტოვა, გარდა იმისა, რაც დაგნის ყველაფერზე მეტად სურდა — დანებებოდა; დაგნის ვერ გაეცნობიერებინა, რა უნდოდა ფრანცისკოს; ამ წამმა გააქარწყლა მისი წარმოდგენები ცუდზე და კარგზე. ძალა არ ეყო, დაეჯერებინა, რაც მის თავს ხდებოდა, იცოდა მხოლოდ, რომ ეშინოდა, და მაინც, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს უყვიროდა: არ მთხოვო, ო, არ მთხოვო ნებართვა... გააკეთე, გააკეთე!

წამით შეეცადა, არ წაქცეულიყო, მაგრამ ფრანცისკო ისეთი ძალით კოცნიდა, რომ ორივენი მიწაზე დაეშვნენ. კოცნა არც შეუწყვეტიათ. დაგნი უძრავად იწვა, როგორც აქტის მოცახცახე ობიექტი, ყოყმანის გარეშე, მარტივად შესრულებული აქტისა, თითქოს იმ აუტანელი სიამოვნების უფლებით, რომელიც ორივეს მოჰგვარა.

ფრანცისკომ მერე ნათქვამი პირველივე სიტყვებით ახსნა ის, რაც მათ შორის აღსრულდა:

— ჩვენ ეს ერთმანეთისგან უნდა შეგვეცნო.

დაგნი ფრანცისკოს გრძელ სხეულს უყურებდა, რომელიც მის გვერდით ბალახზე გაშოტილიყო; მას შავი შარვალი და შავი პერანგი ეცვა. და უეცრად სიამაყით აღივსო; სიამაყით იმის გამო, რომ ამიერიდან ფრანცისკოს სხეული მას ეკუთვნოდა.

დაგნი ზურგზე იწვა, მაღლა ცას აჰყურებდა. არც განძრევა უნდოდა, არც ფიქრი, წარმოდგენაც კი არაფრის სურდა, არაფრის ამ წამის მიღმა.

როცა სახლში დაბრუნდა, ლოგინში შიშველი დაწვა, რადგან საკუთარი სხეული გაუცხოებოდა; მეტისმეტად ძვირფასი გამხდარიყო ღამის პერანგთან შეხებისთვის.

ეს სიშიშვლე სიამოვნებდა, სიამოვნებდა სხეულით თეთრეულის შეგრძნება, ის თითქოს ფრანცისკოს სხეულით იყო გამთბარი. და დაგნიმ გაიფიქრა, რომ არ დაიძინებდა, რადგან არ უნდოდა, დაესვენა ყველაზე მშვენიერი დაქანცულობისგან, რომელიც კი ოდესმე განუცდია. სულ ბოლოს, ჩაძინებამდე, მოაგონდა, რამდენჯერ ნდომებია, თუმცა კი ვერასოდეს მოეხერხებინა, გამოეხატა შეგრძნება, რომელიც

ბედნიერებაზე მეტი იყო, დაელოცა მთელი სამყარო, განცდა, რომ უყვარს და არსებობს სწორედ ამ სამყაროში. გაიფიქრა, რომ ის, რაც დღეს თავს გადახდა, ერთადერთი საშუალება იყო ამ შეგრძნებების მთელი გამის გამოსახატავად. არ იცოდა, რამდენად სერიოზული იყო ეს ყველაფერი; არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო სერიოზული იმ სამყაროში, საიდანაც ტკივილი გაეძევებინათ. საკუთარი ნაფიქრალის გააზრება ვერც კი მოასწრო, რომ უკვე ეძინა; ნაზი ღიმილით სახეზე, მყუდრო, დილის მზით სავსე ნათელ ოთახში.

იმ ზაფხულს ხან ტყეში, ხან მდინარის პირას, თვალს მოფარებულ ადგილებში, ხან მიტოვებულ ქოხში, ხანაც სახლის სარდაფში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

სწორედ მაშინ სწავლობდა მშვენიერების აღქმას, როდესაც ჭერში დაძველებულ კოჭებს აჰყურებდა, ან ვენტილატორის ფოლადის ფრთებს, მათ თავზე რიტმულად რომ ზუზუნებდნენ. დაგნის შარვლები ან ტილოს საზაფხულო ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ ჯერ არასოდეს ყოფილა ასეთი ქალური, როგორც იმ წუთებში — ფრანცისკოს მიკრული, მის მკლავებში გარინდებული, როდესაც უფლებას აძლევდა მას, როგორც სურდა, ისე მოჰპყრობოდა, და დაუფარავად ეღიარებინა ფრანცისკოს პრივილეგია, სრულ უმწეობამდე მიეყვანა იმ სიამოვნების განცდით, რომლის მინიჭებაც მას შეეძლო დაგნისთვის; ფრანცისკომ მგრძნობელობის ყველა ილეთი ასწავლა, რისი მოფიქრებაც შეეძლო.

— განა სასწაული არაა, რომ ჩვენს სხეულებს ასეთი სიამოვნების მონიჭება შეუძლიათ? — გულწრფელად გაოცდა ერთხელ ფრანცისკო. ისინი ბედნიერები და წარმოუდგენლად სპეტაკნი იყვნენ. აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ბედნიერება შეიძლებოდა, ცოდვა ყოფილიყო.

ურთიერთობას სხვებისგან საიდუმლოდ ინახავდნენ, იმიტომ კი არა, რომ რცხვენოდათ რამის, არამედ იმიტომ, რომ ეს მხოლოდ მათ ორს ეკუთვნოდათ და მისი გაკიცხვისა თუ მოწონების უფლება არავის ჰქონდა. დაგნისთვის კარგად ცნობილი იმდროინდელი შეხედულებების თანახმად სექსის შესახებ, სექსი — ეს ადამიანის მდაბალი ბუნების მახინჯი, ზიზღის მომგვრელი გამოვლინება იყო და მას თავისი შინაგანი სისუფთავე აიძულებდა, გამიჯვნოდა არა საკუთარი სხეულის მოთხოვნილებებს, არამედ ადამიანებს, რომლებიც ამ დოქტრინას იზიარებდნენ.

იმ ზამთარს ფრანცისკო დაგნის სანახავად ნიუ-იორკში სრულიად მოულოდნელად ჩადიოდა. ხან თვეობით იკარგებოდა, ხანაც კლივლენდიდან კვირაში ორჯერ მოფრინავდა გაუფრთხილებლად. თავისი ოთახში იატაკზე მოკალათებულ, ნახაზებში, სქემებსა და გრაფიკებში თავჩარგულ დაგნის კარზე კაკუნი მოესმებოდა.

— არ მცალია! — გასძახებდა დაგნი.

— მართლა? — გაისმებოდა კარს იქით დამცინავი ხმა. მაშინ კი უცებ წამოხტებოდა და კარს აღებდა, იქ კი ფრანცისკო იდგა. მერე ფრანცისკოს ბინაში მიდიოდნენ, რომელსაც ის ქალაქის წყნარ უბანში ქირაობდა.

— ფრანცისკო, — ჰკითხა ერთხელ, მოულოდნელად გაკვირვებულმა, — მე შენი საყვარელი ვარ, არა?

— დიახ, ზუსტად, — გაეცინა ფრანცისკოს.

და დაგნიმ სიამაყე იგრძნო, რომელიც ქალმა ცოლის სტატუსის მინიჭებისას უნდა იგრძნოს.

მრავალთვიანი განშორების მანძილზე არასოდეს გაწვალებულა იმაზე ფიქრით, ხომ არ ღალატობდა ფრანცისკო. იცოდა, რომ არ ღალატობდა. მართალია, საკმაოდ ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, მისი ერთგულების ნამდვილი მიზეზი სცოდნოდა,

მაგრამ ხვდებოდა, რომ აღვირახსნილობა და უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობები მხოლოდ მათ ახასიათებთ, ვინც სექსში და საკუთარ თავში მხოლოდ ბოროტებას ხედავენ.

ფრანცისკოს ცხოვრების შესახებ მხოლოდ ცოტა რამ იცოდა. ის უნივერსიტეტს ამთავრებდა და თავის საქმეებზე იშვიათად ლაპარაკობდა. არც დაგნი აწუხებდა გამოკითხვებით. ეჭვი ჰქონდა, რომ ფრანცისკო მეტისმეტად ბევრს მუშაობდა, რადგან დროდადრო თვალში ხვდებოდა მისი უცნაური გამომეტყველება. დაგნიმ ერთხელ დაიტრაბახა, რომ ის უკვე რა ხანია, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ მუშაობდა, ფრანცისკოს კი ჯერ არც დაეწყო თავისი შრომით ფულის გამომუშავება.

— ვიდრე სწავლას არ დავამთავრებ, მამაჩემი კომპანიაში მუშაობის ნებას არ მრთავს, — უთხრა ფრანცისკომ.

— როდის მერე გახდი ასეთი დამჯერე?

— პატივი უნდა ვცე მის სურვილებს. ის ხომ „დ'ანკონია კოპერის“ მეპატრონეა...

თუმცა, მსოფლიოს ყველა სპილენძის კომპანია მას არ ეკუთვნის, — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა ფრანცისკომ.

დაგნისთვის სრული სურათი მომდევნო შემოდგომაზე გახდა ცნობილი, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფრანცისკო ჯერ ბუენოს-აირესში გაემგზავრა მამასთან, შემდეგ კი ნიუ-იორკში დაბრუნდა.

დაგნის უამბო, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სწავლების ორი კურსი გაიარა — პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტში და სპილენძის ქარხანაში, კლივლენდის გარეუბანში.

— მიყვარს, როცა ყველაფერში ჩემით გავერკვევი, — უთხრა მან. ამ ქარხანაში, ღუმელთან, ფრანცისკომ თექვსმეტი წლის ასაკში დაიწყო უბრალო თანაშემწედ მუშაობა. ახლა, ოცის წლის, უკვე მისი მფლობელი იყო. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და უნივერსიტეტის დიპლომი ერთ დღეს მიიღო, ოღონდ, ნასყიდობის გასაფორმებლად ოდნავ იცრუა თავისი დაბადების თარიღთან დაკავშირებით. ორივე დოკუმენტი მამამისს გაუგზავნა.

აჩვენა თავისი ქარხნის ფოტოც. ეს იყო პატარა, ჭუჭყიანი, სამარცხვინოდ ძველი ქარხანა-სახელოსნო, რომლის შესახებაც არავის არაფერი სმენოდა. ქარხნის შესასვლელთან, სიძველის მიზეზით მიტოვებული გემის ანძაზე მოფრიალე ახალი დროშასავით, თავს იწონებდა წარწერა: „დ'ანკონია კოპერი“.

მამამისის წარმომადგენელი ნიუ-იორკის ოფისში აღშფოთებას ვერ მალავდა:

— კი მაგრამ, დონ ფრანცისკო, ეს დაუშვებელია! რას იტყვის ხალხი?! როგორ შეიძლება, ასეთი სახელი რაღაც ნაგავსაყრელზე ეწეროს?

— ეს ჩემი სახელია, — უპასუხა ფრანცისკომ.

როდესაც ბუენოს-აირესში, მამასთან შევიდა კაბინეტში, — ვრცელ, მკაცრი დიზაინით, თანამედროვე ლაბორატორიის მსგავსად მოწყობილ ოთახში, რომლის ერთადერთი სამშვენისი „დ'ანკონია კოპერის“ უმსხვილესი სპილენძის მაღაროებისა და ქარხნების ფოტოები იყო, — ყველაზე საპატიო ადგილას, სწორედ მამამისის სამუშაო მაგიდის მოპირდაპირედ, ფრანცისკომ თავისი კლივლენდის ქარხნის ფოტო დაინახა ახალი აბრით შესასვლელთან.

ფრანცისკო მაგიდის წინ დადგა. მამამისმა მზერა ფოტოდან მისკენ მიმართა:

— ხომ არ ჩქარობ?

— მთელი ოთხი წელი მარტო ლექციებზე ხომ არ ვივლიდი.

— პირველი შენატანისთვის ფული სად იშოვე, ქარხანა რომ გეყიდა?

— ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე მოვიგე.

— რა? ეს ვინ გირჩია?

— არც ისე რთულია, განსაზღვრო, რომელი საწარმოები იქნება წარმატებული და რომელი არა.

— და ბირჟაზე სათამაშო ფული საიდან მოგქონდა?

— იქიდან, რასაც თქვენ მიგზავნიდით ხოლმე, სერ, და რასაც საკუთარი შრომით ვშოულობდი.

— და ბაზარზე დაკვირვებასა და ანალიზს როდისღა ახერხებდი?

— როცა ნაშრომს ვწერდი მეტაფიზიკურ სისტემებზე არისტოტელეს უძრავი მამოძრავებლის თეორიის გავლენის შესახებ.

იმ შემოდგომას ფრანცისკო ცოტა ხანს დარჩა ნიუ-იორკში. მამამისმა მონტანას შტატში გაგზავნა დ'ანკონიას მაღაროების მმართველის თანაშემწედ.

— მამაჩემს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ მეტისმეტად სწრაფად დამაწინაუროს. მე კი არ მინდა, ვთხოვო, მენდოს. რაკი სურს, ვაჩვენო, რა შემიძლია, რა გაეწყობა, თანახმა ვარ, — უთხრა ღიმილით დაგნის.

გაზაფხულზე ფრანცისკო უკან დაბრუნდა — უკვე როგორც „დ'ანკონია კოპერის“ ნიუ-იორკის ოფისის ხელმძღვანელი.

შემდეგი ორი წლის მანძილზე ერთმანეთს იშვიათად ხედავდნენ. შეხვედრიდან უკვე მეორე დღეს, დაგნი დაზუსტებით ვერ იტყოდა, რომელ ქალაქში, მეტიც, რომელ კონტინენტზე ამოყოფდა თავს ფრანცისკო. ყოველთვის მოულოდნელად მოდიოდა, რაც დაგნის მოსწონდა კიდეც — ასე თითქოს უფრო მუდმივად იყო მის ცხოვრებაში, მზის სხივივით, ნებისმიერ წუთს შეეძლო, დაგნის ცხოვრება გაენათებინა.

ყოველთვის, როცა ფრანცისკოს სამუშაო კაბინეტში ხედავდა, ის დღე აგონდებოდა, როდესაც მისი ხელები კატერის საჭეს შემოსჭდობოდა: თავის საქმეს ახლაც სწორედ ისეთივე სარისკო სისწრაფით, მიზანმიმართულად და თავდაჯერებულად უძღვებოდა. მაგრამ ერთი შემთხვევა ელდასავით ჩარჩა დაგნის მეხსიერებაში, ისე არ ჰგავდა ეს ფრანცისკოს.

ერთხელ საღამოს მის კაბინეტში იყო. ფრანცისკო ფანჯარაში ზამთრის ქალაქის ბნელ უსასრულობას გაჰყურებდა. დიდხანს იდგა გაუნძრევლად. სახე მკაცრი და დაძაბული ჰქონდა, თვალებში ისეთი სიმწარე და უმწეო ბრაზი ედგა, დაგნი რომ ვერასოდეს წარმოიდგენდა.

— სამყაროში რაღაც რიგზე არ არის. ყოველთვის ასე იყო. რაღაც ისეთი არსებობდა, რასაც სახელი ვერავინ დაარქვა და ვერც ახსნა.

მაგრამ არ განუმარტავს, რას გულისხმობდა.

როცა დაგნიმ ფრანცისკო კვლავ ნახა, იმ დღის განცდებიდან მის სახეზე კვალიც აღარ დარჩენილიყო. გაზაფხული იყო. ორივენი რესტორნის სახურავზე მოწყობილ ტერასაზე იდგნენ. დაგნის მსუბუქი აბრეშუმის საღამოს კაბა ნიავზე ლივლივებდა, ფრანცისკოს მკაცრი შავი კოსტიუმი ეცვა. ქალაქს გაჰყურებდნენ.

მათ ზურგსუკან, დარბაზში, რიჩარდ ჰალის საკონცერტო ეტიუდი ჟღერდა. ჰალის სახელი ბევრისთვის უცნობი იყო, თუმცა მათ უკვე აღმოაჩინეს ეს კომპოზიტორი და შეიყვარეს.

— აქედან ადვილია ცათამბჯენების დანახვა, არა? ჩვენ უკვე მივაღწიეთ მათ სიმაღლეს, — თქვა ფრანცისკომ.

დაგნის გაეღიმა და უპასუხა:

— ვშიშობ, უფრო მაღლა არ აღმოვჩნდეთ... ცოტა მაფრთხობს კიდეც... თითქოს ჩქაროსნული ლიფტით ავდივართ.

— რა თქმა უნდა. და რა გაშინებს? დაე, უფრო და უფრო მაღლა ავიდეს. განა სისწრაფეს ზღვარი აქვს?

ფრანცისკო ოცდასამი წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ის ბუენოს-აირესში ჩავიდა, რათა კონცერნის საქმეები გადაებარებინა. დ'ანკონიების მთელი ქონება ახლა მას ეკუთვნოდა. ამის შემდეგ სამი წელი დაგნის ფრანცისკო აღარ უნახავს.

თავიდან ხანდახან წერილებს სწერდა ხოლმე დაგნის, იშვიათად და ზერელედ უყვებოდა „დ'ანკონია კოპერზე", მსოფლიო ბაზრის მდგომარეობაზე, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისთვის" საინტერესო საკითხებზე. მისი წერილები მოკლე იყო, ხელით წერდა და, როგორც წესი, ღამით.

ფრანცისკოს გარეშე დაგნი თავს უბედურად არ გრძნობდა. თვითონაც პირველ ნაბიჯებს დგამდა თავისი მომავალი სამფლობელოს სათავეში მოსასვლელად. ესმოდა, როგორ ამბობდნენ ინდუსტრიის ლიდერები, მამამისის მეგობრები, რომ ახალგაზრდა დ'ანკონია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა: ეს კომპანია ადრეც ყვაოდა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით მომავალში მთელ მსოფლიოს დაიპყრობდა. ამის გაგონებისას დაგნის ეღიმებოდა, თუმცა, სულაც არ უკვირდა. დგებოდა წუთები, როცა ფრანცისკო უზომოდ ენატრებოდა, თუმცა მიზეზი ტკივილი კი არა, მოუთმენლობა იყო. ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა. რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ორივენი მომავლისთვის შრომობდნენ, მომავლისთვის, რომელიც მათ მოუტანდათ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდნენ, მათ შორის — ერთმანეთსაც. მერე კი ეს წერილები შეწყდა.

გაზაფხულის იმ დღეს, როცა დაგნი ოცდაოთხი წლის გახდა, მის კაბინეტში, სამუშაო მაგიდაზე, ტელეფონმა დარეკა. ეს ხმა მაშინვე იცნო...

— დაგნი, ახლა სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში" ვარ. საღამოს მოდი, ერთად ვივახშმოთ. შვიდ საათზე.

არც კი მისალმებია, თითქოს წინა დღეს დაცილებულიყვნენ. წუთმა, რომელიც დაგნის იმისთვის დასჭირდა, რომ ხელახლა ესწავლა, როგორ ესუნთქა, მიახვედრა, რამდენს ნიშნავდა ეს ხმა მისთვის.

— კარგი... ფრანცისკო, — უპასუხა დაგნიმ. მეტი არც არაფრის თქმა არ სჭირდებოდათ. ყურმილი დადო თუ არა, გაიფიქრა, რომ მისი დაბრუნება სრულიად ბუნებრივი იყო. და რომ ის ყოველთვის ელოდებოდა ამ მოვლენას. თუმცა ფრანცისკოს სახელის წარმოთქმის უეცარი მოთხოვნილება და ისარივით დაძგერებული ბედნიერების განცდა, რასაკვირველია, მოულოდნელი აღმოჩნდა.

როცა საღამოს მისი სასტუმროს ნომერში შევიდა, ადგილზე გაშეშდა.

ფრანცისკო შუა ოთახში იდგა და უყურებდა. სახეზე უნებლიე ღიმილი გამოესახა, გეგონებოდა, აქამდე გაღიმების უნარი დაკარგული ჰქონდა და ახლა უკვირდა, ისევ რომ ეღიმებოდა. დაგნის უნდობლად შეჰყურებდა, თითქოს ვერ ხვდებოდა, ვინ იყო, ან თვითონ რას გრძნობდა. მისი მზერა მუდარას ჰგავდა, იმ კაცის ყვირილს, რომელიც შველას ითხოვდა და რომელსაც ტირილი არ შეეძლო.

როგორც კი დაგნი შევიდა, ფრანცისკო შეეცადა, ადრინდელივით მისალმებოდა, მაგრამ სიტყვა ვეღარ დაასრულა.

— დაგნი, მშვენიერი ხარ, — წარმოთქვა ისე, თითქოს ამ აზრმა ტკივილი მიაყენა.

— ფრანცისკო, მე...

ფრანცისკომ თავი გააქნია, შეაწყვეტინა. არც მას და არც საკუთარ თავს არ მისცა უფლება, წარმოეთქვათ სიტყვები, რომლებიც არასდროს უთქვამთ ერთმანეთისთვის, თუმცა მშვენივრად მიხვდა, რომ იმ წუთს ორივემ ისედაც გაიგონეს ეს სიტყვები.

დაგნის მიუახლოვდა, მოეხვია, ტუჩებში აკოცა, მაგრად ჩაიკრა გულში და დიდხანს არ უშვებდა. და როცა დაგნიმ ახედა, ის უღიმოდა — თავდაჯერებით და ირონიულად. ეს ღიმილი ამბობდა, რომ ფრანცისკო აკონტროლებდა თავის თავს, მას და, საერთოდ, ყველაფერს. ეს ღიმილი ბრძანებდა, რომ დაგნის დაევიწყებინა, რაც შეხვედრის პირველ წუთს დაინახა.

— გამარჯობა, სლაგ, — უთხრა ფრანცისკომ.

დაგნი არაფერს გრძნობდა, იმის გარდა, რომ კითხვები არ უნდა დაესვა, გაიღიმა და უპასუხა:

— გამარჯობა, ფრისკო.

ალბათ ნებისმიერ ცვლილებას გაიგებდა, მაგრამ არა იმას, რაც ფრანცისკოს შეამჩნია. მის სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ იყო, სიხარულის ნატამალიც კი; ახლა ეს სახე სრულიად შეუვალი ჩანდა. წუთის წინ მავედრებელი მისი ღიმილი სისუსტეზე აღარ მიანიშნებდა; შეუპოვრობის ელფერი დაედო, რომელიც სისასტიკეს წააგავდა.

წელში ამაყად გამართულიყო, თითქოს აუტანელი ტვირთი აწვა მხრებზე. დაგნიმ თვალებს არ დაუჯერა: ფრანცისკოს სახეზე სიმწრის ნაოჭები დაეტყო. გაწამებული ჩანდა. — დაგნი, არ გაიკვირვო, რასაც ვაკეთებ, და არც ის, რასაც მომავალში გავაკეთებ. — თქვა ფრანცისკომ.

სულ ეს იყო, რაც უთხრა, მეტი არაფერი აუხსნია. მერე კი ისე იქცეოდა, ვითომ ასახსნელიც არაფერი ჰქონდა.

დაგნი მხოლოდ ოდნავ ფორიაქს გრძნობდა; შეუძლებელი იყო, მისი ბედის გამო ან მის სიახლოვეს შეშინებოდა. და როცა ფრანცისკომ გაიცინა, დაგნიმ გაიფიქრა, რომ ისინი ისევ თავიანთ ტყეში დაბრუნდნენ, ჰადსონის ნაპირას: ფრანცისკო არ შეცვლილა, და არც არასდროს შეიცვლებოდა.

ვახშამი ნომერში მოართვეს. დაგნი ძალიან გაართო ფრანცისკოს დანახვამ ზეოფიციალურად, უკიდეგანო სიძვირეზე მინიშნებით გაწყობილ მაგიდასთან, სასტუმროს ნომერში, რომელიც ევროპული სასახლის დარბაზს უფრო მიაგავდა.

„უეინ-ფოლკლენდი“ ყველაზე სახელგანთქმული სასტუმრო იყო, რაც კი რომელიმე კონტინენტზე არსებობდა. მყვირალა სიმდიდრე, ხავერდის ფარდაგები, სკულპტურული პანელები, შანდლები აშკარად ეწინააღმდეგებოდა ამ დაწესებულების დანიშნულებას: აქ მხოლოდ ის ადამიანები ჩერდებოდნენ, რომლებიც ნიუ-იორკში მსოფლიო მასშტაბის საქმეების მოსაგვარებლად ჩადიოდნენ. დაგნიმ შენიშნა, რომ ოფიციანტის განსაკუთრებული მანერები, რომელიც მათ მაგიდას ემსახურებოდა, სრულიად გამორჩეულ პატივისცემაზე მიანიშნებდა ამ კონკრეტული კლიენტის მიმართ, და რომ ფრანცისკოსთვის ეს სულერთი იყო. ის თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდა. დიდი ხანია, უკვე მიეჩვია, რომ სენიორ დ'ანკონია გახლდათ, „დ'ანკონია კოპერის“ მეპატრონე.

მაგრამ დაგნის უცნაურად მოეჩვენა, რომ ფრანცისკო თავის საქმიანობაზე ხმას არ იღებდა. ელოდა, როგორ ეტყოდა ის, რომ მხოლოდ საკუთარი სამუშაო აინტერესებდა, პირველ რიგში, ბოლო მიღწევებს გაუზიარებდა. მაგრამ ფრანცისკო ასე არ მოქცეულა. ამის მაგივრად, დაგნი გამოჰკითხა, რა პერსპექტივები ჰქონდა, რა

დამოკიდებულება „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მიმართ. დაგნიც უყვებოდა თავისი საქმიანობის შესახებ, როგორც ყოველთვის, ჩვეული ნდობით, იმ განცდით, რომ ფრანცისკო ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ესმოდა მისი მგზნებარე ერთგულება „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მიმართ. ყურადღებით უსმენდა, კომენტარის გარეშე.

ოფიციანტმა რადიო ჩართო. წყნარ საღამოს მუსიკას გადმოსცემდნენ, რომელიც არავითარ ემოციებს არ აღძრავდა. მაგრამ მოულოდნელად ბგერების ნიაღვარმა იხუვლა და კედლები შეაზანზარა, თითქოს მიწა იძრა, ძლიერი ჟღერადობის კი არა, მძლავრი მელოდიის გამო. ეს ჰალის მეოთხე, ახალი სიმფონია იყო.

ორივენი მდუმარედ უსმენდნენ ამ ამბოხს, მუსიკალურ ჯანყს — ტრიუმფის ჰიმნს, იმ დიად წამებულთა ჰიმნს, რომლებმაც უარი თქვეს, ტკივილს დანებებოდნენ. ფრანცისკო უსმენდა და ღამის ქალაქს უყურებდა.

ბოლოს კი, ყოველგვარი შესავლისა და გაფრთხილების გარეშე, უცნაური, სრულიად გულგრილი ხმით ჰკითხა:

— დაგნი, რას იტყოდი, რომ გთხოვო, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ დატოვო და არ ინაღვლო მის უბადრუკ მომავალზე — წყალსაც წაუღია შენი ძმის ხელმძღვანელობით?

— გინდა, იცოდე, რას ვიფიქრებდი, ჩემთვის თვითმკვლელობა რომ გეთხოვა?! — გაბრაზებულმა უპასუხა დაგნიმ.

ფრანცისკო გაჩუმდა.

— საერთოდაც, ეგ რა საკითხავი იყო? ეს ხუმრობა არ ყოფილა. ადრე ასეთ რამეებზე არ ხუმრობდი.

ფრანცისკოს სახეზე მხიარულების ოდნავი ნიშანიც არ ჩანდა. ხმადაბლა და სერიოზულად უპასუხა:

— არა. რა თქმა უნდა. შენთვის ეს არ უნდა მეკითხა.

დაგნიმ ძლივს მოახერხა, ფრანცისკოს საქმეებზე ჩამოეგდო ლაპარაკი. ის მხოლოდ პასუხობდა კითხვებზე, მაგრამ თვითონ ინიციატივას არ ავლენდა... დაგნიმ უამბო, რომ მრეწველები „დ'ანკონია კოპერს“ ფრანცისკოს ხელმძღვანელობით ბრწყინვალე პერსპექტივებს უწინასწარმეტყველებდნენ.

— ჰო, ეგ მართალია, — უპასუხა ფრანცისკომ უსიცოცხლო ტონით.

მოულოდნელად აფორიაქებულმა დაგნიმ, იმის გაუცნობიერებლად, თუ რამ წააქეზა, უცებ ჰკითხა:

— ფრანცისკო, რატომ ჩამოხვედი ნიუ-იორკში?

— მეგობარი უნდა ვნახო, რომელმაც მთხოვა, შევხვედროდი.

— საქმესთან დაკავშირებით?

ფრანცისკო სადღაც განზე იყურებოდა, თითქოს საკუთარ აზრს პასუხობდა, ირონიულად გაიღიმა, მაგრამ ხმა უცნაურად რბილი და ნაღვლიანი ჰქონდა:

— დიახ.

შუაღამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ფრანცისკოს გვერდით გაეღვიძა საწოლში. ქალაქიდან ჩქამი არ ისმოდა. ოთახის სიჩუმეში ცხოვრება თითქოს ცოტა ხნით გაქვავდა. ბედნიერი და დაქანცული დაგნი ზანტად გადაბრუნდა, რომ ფრანცისკოსთვის შეეხედა. ფრანცისკოს ბალიში წამოეწია და ზურგზე იწვა. ქალაქის აქა-იქ გაბნეული შუქებით განათებული ფანჯრის ფონზე მისი პროფილი იკვეთებოდა. თვალები გახელილი ჰქონდა, არ ეძინა, ტუჩები კი ისე მჭიდროდ

მოეკუმა, როგორც ადამიანს, რომელიც აუტანელ ტკივილს უძლებს და არც ცდილობს თავისი ტანჯვის დაფარვას.

დაგნის განძრევისაც კი ეშინოდა. ფრანცისკომ მისი მზერა იგრძნო და გადმობრუნდა.

უცებ გააჟრჟოლა, ზეწარი გადახადა დაგნის შიშველ სხეულს, მერე კი დაგნის მკერდში ჩამალა თავი და აცახცახებული მხრებზე ეფერებოდა. ცხვირი მხარზე მიადო და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— არ შემიძლია უარის თქმა, არ შემიძლია.

— რაზე? — წაიჩურჩულა დაგნიმ.

— შენზე.

— და რატომ უნდა...

— ...და ყველაფერზე.

— რატომ უნდა თქვა უარი?

— დაგნი! დამეხმარე, რომ დავრჩე. უარი ვთქვა. იმის მიუხედავად, რომ ის მართალია. — რაზე უნდა თქვა უარი, ფრანცისკო? — მშვიდი ხმით ჰკითხა დაგნიმ.

ფრანცისკომ არ უპასუხა, მხოლოდ უფრო მიეკრო სახით.

დაგნი გაყუჩდა. მარტო ის იცოდა, რომ უსაზღვრო სიფრთხილე მართებდა.

ფრანცისკოს თავი დაგნის მკერდზე ედო. დაგნი მის თმას მშვიდად, ალერსიანად ეფერებოდა, სიბნელეში ძლივს გასარჩევ ძერწილ ჭერს შეჰყურებდა, და იცდიდა, შიშისგან დამუნჯებული.

ცოტა ხანში ფრანცისკომ თავი ასწია. წამოჯდა ცახცახმა გაუარა.

— რა ხდება, ფრანცისკო?

— ვერ გეტყვი, — ალალად უთხრა, გულწრფელი ხმით, — შენ ჯერ მზად არ ხარ ამის მოსასმენად.

— მინდა, დაგეხმარო.

— ვერ დამეხმარები.

— შენ თვითონ არ მითხარი წეღან, უარის თქმაში დამეხმარეო.

— არ შემიძლია უარის თქმა.

— მაშინ ნება მომეცი, მეც გავიზიარო შენი გადაწყვეტილება.

ფრანცისკომ თავი გააქნია და ზემოდან დახედა დაგნის, თითქოს ჭოჭმანობდა, ეთქვა თუ არა. მერე ისევ გააქნია თავი, უკვე თავისთვის თქვა ხმაში შეპარული, დაგნისთვის აქამდე უცნობი სინაზით:

— თვითონ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამას გავუძლებ, და შენ როგორღა გადაიტან?!

დაგნიმ თავს ძალა დაატანა, რომ არ დაეყვირა და მშვიდად თქვა:

— ფრანცისკო, უნდა ვიცოდე.

— მაპატიებ? ვხედავ, როგორი შეშინებული ხარ. და ეს სისასტიკეა ჩემი მხრიდან.

მაგრამ თუ გინდა, ჩემთვის რაიმე გააკეთო — დავივიწყოთ ეს ლაპარაკი. უბრალოდ, დავივიწყოთ და არასოდეს არაფერი არ მკითხო.

— მე...

— ამის მეტს ვერაფერს გამიკეთებ. კარგი?

— კარგი, ფრანცისკო.

— ჩემ გამო არ შეგეშინდეს. ეს დღეს ვარ ასე, მეტი აღარ განმეორდება მერე უფრო ადვილი იქნება, დროთა განმავლობაში...

— იქნებ, შემიძლია...

— არა, დაიძინე, უძვირფასესო...

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სიტყვა „უძვირფასესო“ უთხრა.

დილით მზერა არ მოურიდებია დაგნისთვის, სახეში უყურებდა, არც მის მღელვარებით სავსე თვალებს გაურბოდა, მაგრამ ღამით მომხდარზე არაფერს ამბობდა.

მშვიდ სახეზე ტანჯვა და სიფხიზლე ეწერა, ტკივილით გაჯერებული ღიმილივით, თუმცა, არ იღიმებოდა. საკვირველი იყო, მაგრამ განცდა ფრანცისკოს კიდევ უფრო აახალგაზრდავებდა. იმ კაცს კი არ ჰგავდა, რომელსაც სასტიკად აწამებენ, არამედ იმას, ვინც იცის, რომ ეს წამება ღირს გაძლებად.

გამოკითხვა არ დაუწყია. წასვლამდე უბრალოდ ჰკითხა:

— როდის გნახავ ისევ?

ფრანცისკომ უპასუხა:

— არ ვიცი, დაგნი. არ მელოდო. როცა ისევ შევხვდებით, შენ ჩემი დანახვაც კი აღარ მოგინდება. რაც არ უნდა გავაკეთო მომავალში, საამისო მიზეზი მექნება.

მაგრამ ამ მიზეზს ვერ გაგიმხელ და სრული უფლება მოგეცემა, შემიძულო. არ მინდა, თავი ვიმართლო ამ საზიზღარი საქციელის გამო, გთხოვო, ჩემი გჯეროდეს. შენ საკუთარ წარმოდგენებსა და განსჯას დაუჯერებ. მოვა დრო და შემაჩვენებ. ძალიან გეტკინება. ოღონდ შეეცადე, გულთან ძალიან ახლოს არ მიიტანო. გახსოვდეს, რომე ეს მე გითხარი. მეტს ვეღარაფერს გეტყვი.

მთელი წელი ფრანცისკოსგან ან მის შესახებ დაგნის არაფერი სმენოდა. მერე სხვადასხვა ჭორებს მიაყურადა, პრესას მიადევნა თვალი. თავიდან ვერ იჯერებდა.

ვერ იჯერებდა, რომ ეს ისტორიები ფრანცისკო დ'ანკონიას ეხებოდა. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, იძულებული გახდა, დაეჯერებინა.

წაიკითხა ერთ-ერთი წვეულების შესახებ, რომელიც დ'ანკონიამ თავის იახტაზე მოაწყო ვალპარაისოს ნავსადგურში. ყველა სტუმარს საცურაო კოსტიუმში სთხოვეს მისვლა, იახტის გემბანზე კი მთელი ღამე შამპანური წვიმდა და ვარდის ფურცლები ცვიოდა, წაიკითხა ამბავი წვეულების შესახებ, რომელიც დ'ანკონიამ ალჟირის უდაბნოში, კურორტზე მოაწყო. მან ყინულის თხელი ფირფიტებისგან პავილიონი ააგებინა და თითოეულ მოწვეულ ქალბატონს ყარყუმის მოსასხამი აჩუქა, რათა ამ წვეულებაზე ჩაეცვათ, იმ პირობით, რომ ყინულის კედლების დნობასთან ერთად, ისინი ჯერ მოსასხამს, შემდეგ საღამოს კაბას და ყველაფერ დანარჩენსაც გაიხდიდნენ.

წაიკითხა მისი ბიზნეს-პროექტების ანგარიშები. ფრანცისკოს ნებისმიერ წამოწყებას გასაოცარი წარმატება და ყველა მისი კონკურენტის განადგურება მოსდევდა. თუმცა საქმეებს ის სპორტსმენივით უძღვებოდა: მოულოდნელი დარტყმების შემდეგ ერთი ან ორი წლით იკარგებოდა, ხოლო „დ'ანკონია კოპერს“ მენეჯმენტის სამართავად ტოვებდა.

დაგნიმ ერთი ინტერვიუ წაიკითხა, სადაც დ'ანკონია ამბობდა:

— რატომ უნდა მინდოდეს ფულის კეთება? ფული იმდენი მაქვს, ჩემი შთამომავლების სამ თაობას ეყოფა, ასეთივე განცხრომით რომ იცხოვროს.

ერთხელ მას შემთხვევით, ელჩის მიერ გამართულ მიღებაზე შეხვდა ნიუ-იორკში. ფრანცისკო თავაზიანად მიესალმა, თავი დაუკრა და გაუღიმა, ისე შეხედა, თითქოს მათ შორის არასოდეს არაფერი ყოფილა. დაგნიმ გვერდზე გაიყვანა და მხოლოდ ორი სიტყვა წარმოთქვა:

— რატომ, ფრანცისკო?

— რატომ — რა? — ჰკითხა ფრანცისკომ.

დაგნი გატრიალდა.

— მე გაფრთხილებდი, დაგნი.

დაგნის მისი ნახვა აღარ უცდია.

მან გადაიტანა განშორება. შეძლო, რომ გადაეტანა, ვინაიდან ტანჯვას არ აღიარებდა. ტკივილი აფორიაქებდა და არ სურდა, მისთვის რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინა. ტანჯვა უაზრო გადახრა იყო ნორმიდან და ის დაგნის ცხოვრების ნაწილად ვერ იქცეოდა. უბრალოდ, არ დაუშვა, ტკივილს მნიშვნელობა შეეძინა. იმ სიმტკიცისთვის, რომელიც ტკივილს დაუპირისპირა, და ვერც იმ ემოციისთვის, რომელმაც ეს სიმტკიცე წარმოშვა, სახელი ვერ დაერქმია; მაგრამ სიტყვები, რომლებიც ამის ეკვივალენტად მოსდიოდა თავში, ასე ჟღერდა: ეს არაფერს არ ნიშნავს; ამის სერიოზულად აღქმა დაუშვებელია. ასე ფიქრობდა, იმ წუთებშიც კი, როდესაც მისი სული კივილის სურვილის გარდა, აღარაფერს გრძნობდა, როდესაც მხოლოდ იმას ნატრობდა, გონება წართმეოდა, რათა აღარ დაენახა, როგორ იქცეოდა სიმართლედ ის, რაც არ უნდა ყოფილიყო სიმართლე.

ამის სერიოზულად აღქმა დაუშვებელია, — იმეორებდა მასში დასადგურებული ურყევი რწმენა, — ტკივილი და სიმახინჯე არასდროს არ უნდა იყოს აღქმული სერიოზულად.

დაგნი იბრძოდა და მან გაიმარჯვა.

წლები დაეხმარა, იმ დღემდე მიეღწია, როცა მოგონებებს მღელვარების გარეშე შეხედა; და იმ დღემდე, როცა მათი გახსენების საჭიროებასაც ვეღარ ხედავდა. ეს ისტორია დასრულებული იყო და ამიერიდან მას საერთოდ აღარ ეხებოდა.

დაგნის ცხოვრებაში სხვა მამაკაცი არ გამოჩენილა. არ იცოდა, ეს კარგი იყო თუ ცუდი. უბრალოდ, დრო არ ჰქონდა ამის გასარკვევად. ცხოვრების სუფთა, ბრწყინვალე საზრისი მან სწორედ იქ იპოვა, სადაც უნდოდა — თავის სამუშაოში. ადრე ფრანცისკო აძლევდა შეგრძნებას, თითქოს საკუთარ სამყაროს, საკუთარ სამუშაოს ეკუთვნოდა. მამაკაცები კი, რომელთაც შემდგომში შეხვდა, ისეთივენი იყვნენ, როგორებიც თავის პირველ წვეულებაზე.

მოგონებები დაამარცხა. მაგრამ წამების ერთ სახეობას წლებმა მაინც ვერაფერი დააკლო, წამებას სიტყვისგან — რატომ?

რა ტრაგედიაც არ უნდა დასტყდომოდა თავს, რატომ დაადგა ფრანცისკო გაქცევის ყველაზე მდარე გზას, ისეთ სამარცხვინოს, მხოლოდ ვინმე გალოთებული არარაობა რომ აირჩევდა? ბიჭი, რომელსაც ის იცნობდა, საცოდავ ლაჩრად ვერ გადაიქცეოდა. მისი უბადლო გონება ისე ვერ დაკნინდებოდა, რომ თავისი საზრიანობა ყინულის სამეჯლისო დარბაზების გამოგონებაზე დაეხარჯა. და მაინც, ეს მართლაც ასე მოხდა. არ არსებობდა არც ერთი გონივრული ახსნა, რომელიც ნათელს მოჰფენდა ამ ამბავს და დაგნიც მშვიდად დაივიწყებდა ყველაფერს. ვერც ადრინდელ ფრანცისკოში შეჰქონდა ეჭვი და ვერც ახლა როგორადაც გადაიქცა, იმაში. და მაინც, ერთი მეორეს შეუძლებელს ხდიდა. დროდადრო ხან საკუთარი შერაცხადობა აეჭვებდა, ხანაც საერთოდ სამყაროს რაციონალურობა მსგავს ეჭვებს დაგნი სხვას არავის აპატიებდა. და მიუხედავად ამისა, ახსნა მაინც არ არსებობდა; არც მიზეზი; მცირე მინიშნებაც კი რამდენადმე გასაგებ მიზეზზე — ათი წლის განმავლობაში პასუხისმაგვარიც კი ვერაფერი იპოვა.

„არა“, — ფიქრობდა დაგნი, როდესაც ნაცრისფერ ბინდში სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდისკენ“ მიმავალმა მიტოვებული მაღაზიების ვიტრინებს ჩაუარა, — „ამ

კითხვაზე პასუხი არ არსებობს“. მის ძიებას აღარ გააგრძელებს. ახლა უკვე ამ პასუხს მნიშვნელობა დაეკარგა.

ძველი გრძნობის ნაშთი, რომელიც ჯერ კიდევ თრთოდა მასში, იმ კაცისთვის არ იყო განკუთვნილი, რომლის ნახვასაც ახლა აპირებდა; თითქოს კივილით აპროტესტებდა მკრეხელობას, იმის ნგრევას, რაც ჭეშმარიტად დიდებული უნდა გამხდარიყო.

შენობებს შორის სასტუმროს კოშკურები დალანდა. წამით თითქოს გული გაუჩერდა, მუხლები მოეკვეთა წამით შეჩერდა კიდეც. შემდეგ გზა მტკიცედ განაგრძო.

ვიდრე მარმარილოთი მოპირკეთებულ ჰოლში მიაბიჯებდა, შემდეგ ლიფტით ზევით ავიდა და „უეინ-ფოლკლენდის“ ფართო, ხავერდის ხალიჩებით მოგებულ უკაცრიელ კორიდორებს მიუყვებოდა, ვერაფერს გრძნობდა ყინულივით ცივი ბრაზის გარდა, რომელიც ყოველი მორიგი ნაბიჯის გადადგმისას უფრო და უფრო ცივი ხდებოდა.

დაგნი სრულიად დარწმუნებული იყო თავის სიბრაზეში, როცა კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით, — გაისმა შიგნიდან. დაგნი კარს მიაწვა და შევიდა.

ფრანცისკო დომინგო კარლოს ანდრეს სებასტიან დ'ანკონია იატაკზე იჯდა და მარმარილოს ბურთულებით მარბლსს თამაშობდა.

არც კი დაფიქრებულა ვინმე ოდესმე, იყო თუ არა ფრანცისკო სიმპათიური; ეს სრულიად ზედმეტი ჩანდა; როცა ის ოთახში შედიოდა, სხვას ვეღარავის შეხედავდი.

ყველასგან გამორჩეული აღნაგობა ჰქონდა, მეტისმეტად შთამბეჭდავი საიმისოდ, თანამედროვეობას რომ შესატყვისებოდა. ისე მოძრაობდა, თითქოს მხრებზე რაინდის მოსასხამი უფრიალებდა. საზოგადო აზრით, ფრანცისკო ჯანმრთელი ცხოველივით სიცოცხლისუნარიანი იყო, თუმცა, ეს აზრი ბუნდოვან ეჭვსაც ბადებდა.

ფრანცისკო ჯანმრთელი ადამიანივით სიცოცხლისუნარიანი იყო, რაც იმდენად იშვიათ მოვლენად იქცა, რომ ამას ვეღარც კი ამჩნევდნენ. მას საკუთარი შესაძლებლობების სწამდა.

მისი გარეგნობა რომაულს არ ჰგავდა, მაგრამ ფრანცისკოს სწორედ ეს სიტყვა მიესადაგებოდა — არა თანამედროვე, არამედ უძველესი მნიშვნელობით, როცა ის ესპანეთს კი არა, ძველ რომს მიემართებოდა. ფრანცისკოს მოქნილი, აღნაგი სხეული, მწყობრი, მიზანმიმართული მოძრაობებით, თითქოს საგანგებოდ წარმოსადეგობისა და დახვეწილობის სამაგალითო ნიმუშად შეექმნათ. სკულპტურული სიზუსტით ნაძერწი ნაკვთები ჰქონდა, უკან გადავარცხნილი შავი, სწორი თმა. გარუჯული კანი გასაოცარ კონტრასტს ქმნიდა მისი თვალების საკვირველ, გამჭვირვალე სილურჯესთან. ყოველი გრძნობა მყისიერად აესახებოდა წრფელ სახეზე, თითქოს დასამალი არაფერი გააჩნდა. ცისფერი თვალები მშვიდად და უცვლელად იყურებოდნენ. ისინი არასოდეს ამხელდნენ, რაზე ფიქრობდა ფრანცისკო.

ის თავის ნომერში, იატაკზე იჯდა, თხელი აბრეშუმის შავი პიჟამა ეცვა. ირგვლივ ხალიჩაზე მიმოფანტული ბურთულები მისი სამშობლოდან ჩამოტანილი ნახევრად ძვირფასი ქვებისგან — სერდოლიკისა და მთის ბროლისგან იყო დამზადებული. არ წამოწეულა, როცა დაგნი შევიდა. მხოლოდ ქვემოდან ახედა; ბროლის ბურთულა კი ცრემლივით გადმოგორდა მისი მტევნიდან. ფრანცისკომ გაიღიმა, ადრინდელი, ქედმაღლური, ბრწყინვალე ღიმილით, როგორც ბავშვობაში.

— გამარჯობა, სლაგ!

— გამარჯობა, ფრისკო! — მოესმა დაგნის საკუთარი უმწეოდ ბედნიერი ხმა.

ფრანცისკოს სახეში უყურებდა; ეს სახე სწორედ ისეთი იყო, როგორსაც თვითონ იცნობდა. მასზე არც იმ ცხოვრების რაიმე კვალი ჩანდა, ფრანცისკო რომ ეწეოდა და არც ის დაბნეულობა, რომელიც დაგნის მათი ერთად გატარებული ბოლო ღამიდან დაამახსოვრდა. არავითარი ტრაგედიის ნიშანი, არავითარი სიმწარე, არც დაძაბულობა — მხოლოდ დამაბრმავებლად ბრწყინვალე, წლებთან ერთად დახვეწილი ირონიული ღიმილი, საშიშად არაპროგნოზირებადი მხიარულება და უცოდველი სულის უსაზღვრო სისუფთავე. „მაგრამ ეს წარმოუდგენელია“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „კიდევ უფრო წარმოუდგენელი, ვიდრე სხვა დანარჩენი“.

ფრანცისკო დაჟინებით ათვალიერებდა: დაგნის გაქუცული პალტო შეეხსნა, მხრებზე ნახევრად ჩამოსცურებოდა; მოხდენილ ტანზე უნიფორმის მსგავსი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა.

— თუ ასე ჩაცმული იმიტომ მოხვედი, რომ არ შემემჩნია, რა კარგი ხარ, მაშინ შეცდი, — თქვა ფრანცისკომ, — მშვენიერი ხარ. ვერ წარმოიდგენ, რამხელა შვებაა უდავოდ ჭკვიანი ქალის სახის დანახვა. მაგრამ აქ ამის მოსასმენად არ მოსულხარ.

ფრანცისკოს ეს სიტყვები, უადგილო ერთდროულად ბევრი მიზეზით, იმდენად დაუდევრად წარმოითქვა, რომ დაგნი მყისვე რეალობას დაუბრუნა — ბრაზსა და თავისი მისვლის მიზანს. ისევ ფეხზე იდგა. გულგრილად დახედა ფრანცისკოს ზემოდან, თითქოს ამ გამომეტყველებით არა მარტო წარსულში მასთან ნაცნობობას უგულებელყოფდა, არამედ მცირეოდენ შესაძლებლობასაც არ უტოვებდა ფრანცისკოს, შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ ერთი რამ გკითხო, — უთხრა დაგნიმ.

— გისმენ.

— როცა ჟურნალისტებს უთხარი, რომ ნიუ-იორკში ფარსის საყურებლად ჩამოხვედი, რომელ ფარსს გულისხმობდი?

ფრანცისკომ ხმამაღლა გადაიხარხარა, როგორც ადამიანმა, რომელსაც მოულოდნელი გამხიარულების მიზეზი იშვიათად ეძლევა.

— აი, სწორედ ეს მომწონს შენში, დაგნი. ნიუ-იორკში შვიდი მილიონი ადამიანი ცხოვრობს ამჟამად და აქედან მხოლოდ შენ მიხვდი, რომ ვეილების სკანდალური გაყრა სულაც არ მიგულისხმია.

— აბა, რას გულისხმობდი?

— შენი ვარაუდით?

— სან სებასტიანის კრახს.

— აი, ეს კი გაცილებით სახალისოა, ვიდრე ნებისმიერი გაყრა, ასე არ არის?

— შენ ეს შეგნებულად, ცივსისხლიანი გონებით, გულსგარეთ და სრულიად განზრახულად გააკეთე. — უთხრა დაგნიმ დაუნდობელი, ბრალდებითი ტონით.

— ხომ არ ჯობია, პალტო გაიხადო და დაჯდე?

დაგნი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა წამის წინ თავისი გრძნობები ვერ დამალა. ცივად მიტრიალდა, პალტო გაიხადა და გვერდზე მიაგდო. ფრანცისკო არ წამომდგარა, რომ დახმარებოდა. დაგნი სავარძელში ჩაჯდა. ის კი ისევ იატაკზე იჯდა, მოშორებით, მაგრამ მაინც თითქოსდა დაგნის ფეხებთან.

— მაშ ასე, რა გავაკეთე ცივსისხლიანად და სრულიად განზრახულად?

— სან სებასტიანის მთელი თაღლითობა.

— და მაინც, რა იყო ჩემი განზრახვა?

— ზუსტად ეგ მინდა, გავიგო.

ფრანცისკოს ჩაეცინა, თითქოს დაგნის ეთხოვა, სახელდახელოდ აეხსნა მისთვის ურთულესი სამეცნიერო საკითხი, რისთვისაც მთელი სიცოცხლეც არ იკმარებდა.

— შენ იცოდი, რომ სან სებასტიანის მაღაროები არაფრად არ ვარგოდა. იცოდი, ჯერ კიდევ ამ ბედუკუღმართი საქმის დაწყებამდე! — უთხრა დაგნიმ.

— მაშინ რატომ დავიწყე?

— ოღონდ ახლა ნუ მომიყვები, რომ მაქედან არაფერი გიხეირია. ვიცი. ვიცი, რომ საკუთარი თხუთმეტი მილიონი დოლარი დაკარგე, და მიუხედავად ამისა, ეს შეგნებულად გააკეთე.

— შეგიძლია, წარმოიდგინო მოტივი, რამაც მიბიძგა, ასე მოვქცეულიყავი?

— არა. ეს წარმოუდგენელია.

— მართლა? გგონია, გენიალური გონება მაქვს, უსაზღვრო ცოდნა და შემოქმედებითი პოტენციალი და ყველაფერმა, რასაც ხელს მოვკიდებ, აუცილებლად წარმატება უნდა მომიტანოს. და მერე კი ამტკიცებ, რომ არავითარი სურვილი არ მქონდა, მექსიკის სახალხო რესპუბლიკის საკეთილდღეოდ გავრჯილიყავი. ცოტა გაუგებარი ხომ არ გეჩვენება?

— შენ იცოდი, სანამ იმ მაღაროებს შეიძენდი, რომ მექსიკას ბანდიტები მართავენ. არ იყავი ვალდებული, მათთვის გემუშავა.

— არ ვიყავი ვალდებული...

— თუმცა, მექსიკის მთავრობა ფეხებზე გეკიდა, იმიტომ, რომ...

— მაგაში ცდები.

— „„იმიტომ, რომ იცოდი — ადრე თუ გვიან, ისინი მაღაროებს მაინც მიიტაცებდნენ. ამერიკელი აქციონერები — აი, შენი სამიზნე.

— მართალი ხარ, — უთხრა ფრანცისკომ წრფელი ხმით. პირდაპირ თვალებში უყურებდა, არ იღიმებოდა, — მაგრამ ეგ მხოლოდ სიმართლის ნაწილია, — დაამატა ცოტა ხანში.

— და დანარჩენი სიმართლე რაღაა?

— ჩემი მიზანი სხვა იყო.

— მაინც?

— ეგ შენ უნდა თქვა.

— ამიტომაც მოვედი, მინდოდა, მეთქვა, რომ შენი მიზნების მიხვედრას ვიწყებ...

ფრანცისკომ გაიღიმა:

— ასე რომ იყოს, აქ არ მოხვიდოდი.

— მართალია. არ მესმის და ალბათ ვერც ვერასდროს გავიგებ. მე მხოლოდ ნაწილის დანახვას ვიწყებ.

— რომელი ნაწილის?

— შენ უზნეობის ყველა ფორმა ამოწურე და ახალი გასართობი მოიგონე — ჯიმისა და მისი მეგობრების მსგავსი ადამიანების გასულელება, მერე მათი კლაკვნით რომ ისეირო. არ ვიცი, რა გარყვნილი უნდა იყოს ადამიანი, ასეთი რამეები სიამოვნებას რომ ანიჭებდეს, მაგრამ ნიუ-იორკში შენ სწორედ ამ სეირის საყურებლად ჩამოხვედი. — ვერაფერს იტყვი, მართლაც საინტერესო იქნებოდა, მენახა, როგორ იკლაკნებოდნენ, განსაკუთრებით შენი ძმა, ჯეიმსი.

— ეგენი დამპალი ბრიყვები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი ერთადერთი დანაშაული ის იყო, შენ რომ გენდნენ. შენს სახელსა და ღირსებას ენდნენ.

ფრანცისკოს სახეზე ისევ გულწრფელობა გამოესახა, და დაგნი მიხვდა, რომ არ შემცდარა, როდესაც მან წარმოთქვა:

— ჰო, ასეა, მენდნენ.

— და ეს შენ გართობს, არა?

— არა. სულაც არ მართობს.

ფრანცისკო ისევ განაგრძობდა თავისი ბურთულებით თამაშს, უგულისყუროდ, გულგრილად, ზანტად ისროდა ერთიმეორის მიყოლებით. დაგნის უეცრად თვალში მოხვდა მისი ხელების ოსტატური მოქმედება. ერთხელაც არ აუცდენია მიზნისთვის. მტევნის ერთი მსუბუქი მოძრაობით ქვის წვეთი ხალიჩაზე მიგორავდა და მეორე წვეთს ეჯახებოდა. დაგნის ბავშვობა გაახსენდა, გაახსენდა, როგორ სჯეროდათ, რომ რასაც ფრანცისკო ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს უზადოდ გააკეთებდა.

— არა, — გაიმეორა ფრანცისკომ, — სულაც არ მართობს. შენი ძმა და მისი მეგობრები სამთამადნო მრეწველობის აზრზე არ არიან. არც იმის აზრზე არიან, ფული როგორ კეთდება. მათ რომ ჰკითხო, სწავლა არც არის საჭირო. თვლიან, რომ ცოდნა და წინდახედულება ზედმეტი ბარგია. მათ შენიშნეს ჩემი გამოჩენა ამქვეყნად, შენიშნეს, რომ ცოდნის შეძენა ღირსების საკითხად ვაქციე. და გადაწყვიტეს, რომ შეიძლებოდა, ჩემს ღირსებას დაჰყრდნობოდნენ. ასეთი ნდობის ღალატი ხომ დაუშვებელია, ასე არ არის?

— ესე იგი, გამიზნულად მოატყუე?

— ეგ შენი გადასაწყვეტია. სწორედ შენ დაიწყე მათ ნდობაზე და ჩემს ღირსებაზე ლაპარაკი. მე ამ ტერმინებით უკვე აღარ ვსარგებლობ... — მხრები აიჩეჩა ფრანცისკომ და დაამატა, — შენი ძმა და მისი მეგობრები ფეხებზე მკიდია. მათი თეორია ახალი არ არის, უკვე მრავალი საუკუნეა, არსებობს. მაგრამ სულელებგამძლე არ არის.

მათ ერთადერთი პუნქტი ვერ გათვალეს. და გადაწყვიტეს, ჩემი იდეით ეხეირათ, მათი ვარაუდით ხომ ჩემი მიზანი მხოლოდ გამდიდრება იყო. მთელი ეს გათვლა ემყარებოდა წინაპირობას, რომ მე ამ მაღაროებით ფულის შოვნა მინდოდა. და, იქნებ, სულაც არ იყო ასე?

— მაშინ, რა გინდოდა?

— ეგ მათ ჩემთვის არასდროს უკითხავთ. ჩემი მიზნებით, მოტივებით და სურვილებით არასოდეს დაინტერესებულან. ასეთი ინტერესი მათი თეორიის ნაწილი არ არის.

„ თუ ფულის გაკეთებას არ აპირებდი, სხვა რა მიზანი უნდა გქონოდა?

— ნებისმიერი! მაგალითად, პირიქით — ფულის დახარჯვა.

— სრულიად წამგებიან საწარმოზე ფულის დახარჯვა?

— საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ის მაღაროები სრულიად წამგებიანი და უპერსპექტივო იყო?

— და როგორ შეიძლებოდა, შენ ეგ არ გცოდნოდა?

— ძალიან მარტივად — უბრალოდ, არ დავფიქრებულვარ.

— ახალი პროექტი ისე წამოიწყე, რომ ჯერ ყოველმხრივ არ შეისწავლე?

— არა, მთლად მასე არ იყო. მაგრამ დავუშვათ, შევცდი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ვარ მეც. მეტი არაფერი. შეცდომა დავუშვი, წარუმატებლობა ვიწვნიე, ცუდად ვიმუშავე. — ფრანცისკომ ხელის მტევანი მკვეთრად მოატრიალა. ბროლის ბურთულა ბრჭყვიალით გაგორდა იატაკზე და წკრიალით შეეჯახა ყავისფერ თანამოძმეს ოთახის მეორე ბოლოში.

— შენი არ მჯერა.

— არ გჯერა? და მე ვინ წამართვა შეცდომის დაშვების უფლება, მეც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ? ხომ ადამიანი ვარ? თუ სულ სხვების შეცდომებისთვის უნდა ვიხდიდე და თვითონ ერთი საკუთარი შეცდომის დაშვების უფლება არ მაქვს?

— ეგ შენ არ გგავს.

— მართლა? — ფრანცისკო ლაღად და ზანტად გადაწვა ხალიჩაზე, — გინდოდა, მიგეხვედრებინე, რომ თუ ეს შეგნებულად გავაკეთე, რაღაც მიზანი მაინც მამოძრავებდა? შენ ისევ ფიქრობ, რომ მიზანი მაქვს, ვერა და ვერ დაგიჯერებია, რომ ჩვეულებრივი ფუქსავატი ვარ?

დაგნიმ თვალები დახუჭა. ფრანცისკომ გადაიხარხარა; ეს მისი ყველაზე მხიარული სიცილი იყო, რაც კი ოდესმე დაგნის სმენოდა. თვალი საჩქაროდ გაახილა, მაგრამ ფრანცისკოს სახეზე სისასტიკის ნატამალიც არ ჩანდა, უბრალოდ, გულწრფელ სიცილს გაეცისკროვნებინა.

— ჩემი მოტივი, დაგნი? და იმაზე არ გიფიქრია, რომ ეს შესაძლოა, ყველაზე მარტივი რამ ყოფილიყო ამქვეყნად — წუთიერი ახირებით გამოწვეული?

„არა“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „არა, ეს ასე არის, მაშინ ასე ვერ გაიცინებდა, ვერც ასე შეხედავდა. უპასუხისმგებლო ბრიყვს ასეთი ლაღი მხიარულების ნიჭი არ გააჩნია; უვარგისი ადამიანისთვის სულის ურყევი სიმშვიდე უცხოა; ასეთი სიცილი მხოლოდ ყველაზე ღრმა, ყველაზე სერიოზულ აზრებს მოსდევს“.

თითქმის უემოციოდ დააკვირდა მის ფეხებთან გართხმულ სხეულს, დაგნიმ იგრძნო, რომ რაღაც ამოუტივტივდა მეხსიერებაში: შავი პიჟამა ფრანცისკოს გრძელ ფეხებს გამოკვეთდა, გადაღეღილი საყელოს ქვეშ გლუვი, ახალგაზრდა, გარუჯული კანი მოუჩანდა; ის ბიჭი გაახსენდა, შავ შარვალსა და შავ პერანგში, ოდესღაც გამთენიისას გვერდით რომ ეწვა ბალახზე.

მაშინ სიამაყე დაეუფლა, ფრანცისკოს სხეული მას რომ ეკუთვნოდა. ამ სიამაყეს ჯერაც გრძნობდა. დაგნის უცებ მათი სიახლოვის განსაკუთრებულად ზღვარგადასული წუთები გაახსენდა. ეს მოგონება ახლა თითქოს შეურაცხმყოფელი უნდა მოსჩვენებოდა, მაგრამ ასეთს ვერაფერს გრძნობდა. მის სიამაყეს სინანულთან ან იმედთან არაფერი ესაქმებოდა; ეს გრძნობა დაგნის ვეღარ მართავდა, მაგრამ ვერც თავი დაეხსნა მისგან.

— ფრანცისკო, ჩვენ ორივეს რიჩარდ ჰალის მუსიკა გვიყვარდა... — გაიგონა საკუთარი ჩუმი ხმა.

— მე ახლაც ძველებურად მიყვარს.

— იცნობდი მას?

— კი, რატომ მეკითხები?

— შემთხვევით ხომ არ იცი, მეხუთე სიმფონია თუ დაწერა?

ფრანცისკო ადგილზე გაქვავდა. დაგნის ეგონა, რომ მისი გაოგნება შეუძლებელი იყო; მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. თუმცა, არც უცდია, გამოეძიებინა, მაინცდამაინც ამ ბოლო სიტყვებმა რატომ დაძაბა ასე ფრანცისკო. მაგრამ ეს ყველაფერი სულ სულ ერთი წამი გაგრძელდა; ფრანცისკო კვლავ აუღელვებელი ტონით ალაპარაკდა:

— რამ გაფიქრებინა, რომ ასეა?

— ანუ დაწერა თუ არა?

— ხომ იცი, რომ ჰალის მხოლოდ ოთხი სიმფონია არსებობს.

— ჰო, მაგრამ მომეჩვენა, რომ კიდევ ერთიც დაწერა — მან წერა შეწყვიტა.

— ვიცი.

— მაშინ ეს რამ გაკითხვინა?

— უბრალოდ, ისე გავიფიქრე. ახლა რას აკეთებს? სად არის?

— არ ვიცი. დიდი ხანია, არ მინახავს. მაინც, რატომ გადაწყვიტე, რომ მეხუთე სიმფონია დაწერა?

— დარწმუნებით არ მიკითხავს, უბრალოდ, ვივარაუდე.

— ახლა რატომ გაგახსენდა რიჩარდ ჰალი?

— იმიტომ, რომ... — დაგნიმ შეამჩნია, რომ თავს ვეღარ აკონტროლებდა, — იმიტომ, რომ ჩემს გონებას გაუჭირდა ასეთი გადასვლის აღქმა — რიჩარდ ჰალის მუსიკიდან მისის გილბერტ ვეილამდე.

ფრანცისკომ შვებით ამოისუნთქა და გაიცინა:

— აჰ, ამას გულისხმობდი? სხვათა შორის, თუ წაიკითხე, რას წერდნენ ჩემზე გაზეთები, მისის ვეილის მონათხრობში ერთ მცირე შეუსაბამობას შეამჩნევდი.

— სისულელეებს არ ვკითხულობ.

— სულ ტყუილად. მან ჟურნალისტებს ისე მომხიბვლელად აუწერა გასული შობისწინა ღამე, რომელიც, მისი მტკიცებით, ერთად გავატარეთ ანდებში, ჩემს ვილაზე. მთის წვერებს მთვარის შუქი ანათებდა... სისხლივით წითელი ყვავილები ფანჯრების გარშემო სუროს რტოებზე... ატყობ, რა არის მცდარი ამ სურათში?

— ეგ მე უნდა მეკითხა, მაგრამ არ ვაპირებ, — უთხრა ხმადაბლა დაგნიმ.

— ოჰ, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, გარდა იმისა, რომ სწორედ იმ დღეს მე ანდებში კი არა, ტექსასში გახლდით, ელ პასოში სან სებასტიანის ხაზის გახსნას ვხელმძღვანელობდი, რომელიც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ეკუთვნის, — ვფიქრობ, ეს შენც უნდა გხსომებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პატივი არ დაგვდე, ჩამოსულიყავი ცერემონიაზე დასასწრებად. ფოტოც კი გადავიღე შენს ძმასთან და სენიორ ორენ ბოილთან ერთად ხელგადახვეულმა.

დაგნის სუნთქვა შეეკრა; გაახსენდა, რომ ეს მართლაც ასე იყო. მისის ვეილის სიტყვებიც გაახსენდა გაზეთიდან.

— ფრანცისკო, ეს... ეს რას ნიშნავს?

ფრანცისკოს ჩაეცინა:

— დასკვნები თავად გამოიტანე, დაგნი, — მერე უცებ ისევ სერიოზული სახით ჰკითხა, — რატომ გადაწყვიტე, რომ ჰალიმ მეხუთე სიმფონია დაწერა? არა ახალი ოპერა ან სხვა რამ, არამედ მაინცდამაინც სიმფონია?

— ეგ ასე რატომ გაღელვებს?

— საერთოდ არ მაღელვებს, — უთხრა ჩუმად და დასძინა, — დღემდე მიყვარს მისი მუსიკა, დაგნი.

მერე ისევ დაუდევარი ხმით განაგრძო:

— მაგრამ ეს მუსიკა წარსულის კუთვნილებაა. ჩვენს დროში გართობამ ცოტა სხვა სახე მიიღო.

ფრანცისკო ზურგზე დაწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო. იწვა და ჭერს ისე შესცქეროდა, თითქოს იქ რომელიღაც კინოფარსის სცენა თამაშდებოდა.

— დაგნი, ნუთუ არ გაგამხიარულა ამ სპექტაკლმა მექსიკაში... რა ჰქვია... სან სებასტიანის მაღაროებთან დაკავშირებით? წაიკითხე ამ ქვეყნის ხელისუფალთა განცხადებები მათ გაზეთებში? რას აღარ მეძახიან — ბინძურ გაიძვერას, უპრინციპო თაღლითს, რომელმაც მთელი სახელმწიფო გააცურა. ისინი ხომ პერსპექტიული სამთამადნო კონცერნის მითვისებას გეგმავდნენ. და მე უფლება არ მქონდა, ასე გამეწბილებინა ისინი. იმ ქეციან პატარა ბიუროკრატზე თუ წაიკითხე, რომელიც მათ ურჩევდა, ჩემ წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღეძრათ?

ფრანცისკომ გაიცინა და მდგომარეობა შეიცვალა: ახლა ხელები ფართოდ გაეშალა ხალიჩაზე. სხეულს ჯვრის ფორმა მიეღო. სრულიად დაუცველი ჩანდა, მოდუნებული და ახალგაზრდა.

— რადაც არ უნდა დამჯდომოდა ეს ფარსი, ამად ღირდა და ფასზეც ხელი მიმიწვდებოდა. და ეს წარმოდგენა შეგნებულადაც რომ დამედგა, იმპერატორ ნერონის რეკორდს მოვხსნიდი. მან რომი გადაწვა მხოლოდ, მე კი ბიჭებს ჯოჯოხეთის კარი გავუღე და შევახედე.

ფრანცისკო იდაყვს დაეყრდნო, რამდენიმე ბურთულა წამოკრიფა და ხელში დაბნეულად აათამაშა. ბურთულები ძვირფასი წარმომავლობისთვის დამახასიათებელ მსუბუქ, სუფთა წკრიალს გამოსცემდნენ. დაგნი უეცრად მიხვდა, რომ მარბლსით გართობა სულაც არ იყო ფრანცისკოს უაზრო ჩვევა, უბრალოდ, მას დასვენება არ შეეძლო — დიდხანს უმოქმედოდ ვერ ძლებდა.

— მექსიკის მთავრობამ გამოაქვეყნა პროკლამაცია, სადაც თავის ხალხს მოუწოდებდა, მოთმინება მოეკრიბათ და კიდევ ცოტა ხანი სირთულეებს შეჰგუებოდნენ როგორც ჩანს, მათ ცენტრალურ კომიტეტს სერიოზული გეგმები ჰქონდა სან სებასტიანის სპილენძიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით. მას მოსახლეობის ცხოვრების დონე უნდა აემაღლებინა და ყოველ კვირას შემწვარი ღორის ხორცით უზრუნველეყო მექსიკის თითოეული მოქალაქე — ქალი, კაცი, ბავშვი, აბორტის მსხვერპლიც კი... ახლა ეს დაგეგმვის მოყვარულები ხალხს მთავრობის კი არა, უზნეო მდიდრის დადანაშაულებას სთხოვენ, რადგან მე ხარბი კაპიტალისტი კი არ აღმოვჩნდი, როგორც ისინი ვარაუდობდნენ, არამედ უპასუხისმგებლო პლეიბოი. საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ასე გაგვაცურებდა? — ხელს იშვერენ ჩემკენ. მართლაც, საიდან უნდა სცოდნოდათ?

დაგნიმ შენიშნა, როგორ უჭერდა ფრანცისკო თითებს ბურთულებს. თვითონ ამას ვერც ამჩნევდა, სადღაც ბუნდოვან სიშორეში იყურებოდა, მაგრამ დაგნიმ ცხადად იგრძნო, რომ ეს ქმედება მას შვებას ჰგვრიდა, ალბათ, თავისი კონტრასტულობით. თითებს აუჩქარებლად, ფაქიზი ტკბობით უსვამდა ქვის ზედაპირს, ფაქტურა რომ შეეგრძნო. სიამოვნების ამგვარ განცდაში დაგნისთვის არაფერი იყო მიუღებელი, პირიქით, უცნაურად მიმზიდველადაც კი მოეჩვენა, „თითქოს“, — გაიფიქრა მოულოდნელად, — „ამ მგრძნობელობას ფიზიკური ბუნება კი არა აქვს, არამედ სულიერი ბუნების ერთგვარი ნატიფი დამცირების შედეგი იყოს“.

— თუმცა, მათ სხვა ბევრი რამეც არ იციან, — განაგრძობდა ფრანცისკო, — კიდევ მოუწევთ რაღაც-რაღაცების შეტყობა — სან სებასტიანის მაღაროების მუშებისთვის აშენებული დასახლების შესახებ, რომელიც რვა მილიონი დოლარი დაგვიჯდა. ფოლადისკარკასიანი სახლები — წყალმომარაგებით;, ელექტროენერგიითა და მაცივრებით. სკოლა, ეკლესია, საავადმყოფო და კინოთეატრიც ავაშენეთ.

მთელი დასახლება აშენდა ხალხისთვის, რომელიც საშინელ ბარაკებში ცხოვრობდა. ეგ რომ არა, იქიდან ცოცხალი და საღ-სალამათი ვერ გამოვასწრებდი, კიდევ იმან გადამარჩინა, რომ მექსიკის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე არ ვიყავი. ეს მუშათა დასახლებაც მათი გეგმის ნაწილი იყო, რატომაც არა — მშენებლობის პროგრესული მეთოდების ნიმუში. თუმცა ეგ ფოლადისკარკასიანი მუყაოს ყუთებია, ერთ წელიწადსაც ვერ გაძლებენ. წყალგაყვანილობის მილები, ისევე, როგორც მთელი ჩვენი სამთამადნო ჩვენი აღჭურვილობა, ისეთი ხალხისგან შევიძინეთ, რომელთა ძირითადი მომწოდებლები ბუენოს-აირესისა და რიო-დე-ჟანეიროს

ჯართის საყრელებია. წყალგაყვანილობის სისტემისთვის ხუთი თვე მიმიცია, ელექტროგაყვანილობისთვის — ექვსი თვე. არაჩვეულებრივი გზები, რომლებიც ჩვენ მექსიკის სახალხო რესპუბლიკისთვის გავიყვანეთ, ორიოდე ზამთარს გაუძლებს: იაფფასიანი ცემენტით არის დაგებული, გრუნტის გარეშე, ხოლო საშიშ მოსახვევებში შეღებილი დაფებით არის შემოღობილი. ერთი გვარიანი მეწყერი, და საქმე დამთავრებულია. აი ეკლესია კარგად არის ნაგები, დიდხანს გაძლებს, ხალხს გამოადგება.

— ფრანცისკო, შენ ეს გამიზნულად გააკეთე? — ჩაიჩურჩულა დაგნიმ.

ფრანცისკომ თავი ასწია; დაგნი გაოცდა, როცა მის თვალებში უსაზღვრო დაღლილობა დაინახა.

— გამიზნულად, დაუდევრობით, სისულელით — ნუთუ არ გესმის, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს? ნებისმიერ შემთხვევაში, რაღაც აკლდა.

დაგნი ცახცახებდა. მართალია, საკუთარ თავს აღუთქვა, რომ წონასწორობას არ დაკარგავდა, ვეღარ მოითმინა და დაიყვირა:

— ფრანცისკო! თუკი ხედავ, სამყაროში რა ხდება, თუ აცნობიერებ, რა თქვი ახლა, როგორ შეგიძლია, ამ ყველაფერზე იცინო! შენ, პირველ რიგში, შენ უნდა შებრძოლებოდი მათ.

— ვის?

— მძარცველებს, მათ, ვინც სამყაროს ბანდიტურად ანაწევრებს, მექსიკელ დამგეგმავებს და მათნაირებს.

ფრანცისკოს ღიმილმა საშიში სახე მიიღო.

— არა, ძვირფასო. ეს შენ ხარ, ვისაც უნდა შევებრძოლო.

დაგნიმ გაოგნებული სახით შეხედა.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ სან სებასტიანის მუშათა დასახლების მშენებლობა რვა მილიონი დამიჯდა, — ფრანცისკო მკაცრი ხმით თითოეულ სიტყვას გამოკვეთდა, — ამ მუყაოს სახლებში გადაყრილი ფულით ნორმალური სახლების აშენება შეიძლებოდა, ფოლადის კონსტრუქციებით, ისევე, როგორც სხვა დანარჩენში დახარჯული ფულით. ეს ფული იმათ ჩავუგდეთ ხელში, ვინც ამ ხერხით მდიდრდება; მაგრამ ასეთი ხალხი მდიდარი დიდხანს ვერ დარჩება. ფული იმათ ჯიბეში კი არ მიდის, ვინც ყველაზე კარგად აწარმოებს, არამედ ვინც ყველაზე გაქნილი და გარყვნილია. ჩვენი დროის საზომით რომ ვიმსჯელოთ, იმარჯვებს სწორედ ის, ვინც ყველაზე ნაკლებს ქმნის.

ეს ფული ისეთივე პროექტებზე იხარჯება, როგორიც სან სებასტიანის მაღაროებია.

— ესე იგი, ეს არის შენი მიზანი?

— დიახ.

— და ეს გახალისებს, არა?

— დიახ.

— მე შენი რეპუტაცია მაფიქრებს... — უთხრა დაგნიმ, თუმცა მისი გონების რომელიღაც ნაწილი ჯიუტად უმტკიცებდა, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა, — შენი ოჯახის ტრადიცია ყოველ მორიგ დ'ანკონიას ავალდებულებდა, კიდევ უფრო გაეზარდა ქონება, რომელიც მამისგან გადაეცა.

— დიახ... ჩემს წინაპრებს არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდათ, საჭირო დროს საჭირო ნაბიჯები გადაედგათ და ფული ჭკვიანურად დაებანდებინათ... რა თქმა უნდა, „დაბანდება“ ფარდობითი ცნებაა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რისი მიღწევა

გსურს. ავიღოთ, მაგალითად, სან სებასტიანის მაღაროები. ისინი მე თხუთმეტი მილიონი დოლარი დამიჯდა, მაგრამ ამ თხუთმეტმა მილიონმა „ტაგარტ ტრანს კონტინენტალის“ ორმოცი მილიონი შეიწირა, ოცდათხუთმეტი მილიონი კი ისეთი აქციონერების, როგორებიც ჯეიმს ტაგარტი და ორენ ბოილი არიან; ამას დაამატე ის ასობით მილიონი, რომელიც მეორეული შედეგები დაჯდება. არცთუ ისე ცუდი კაპიტალდაბანდებაა, არა, დაგნი?

დაგნი სავარძელში გაიმართა:

— გესმის მაინც, რას ამბობ?

— ო, სავსებით! გინდა, დაგასწრო და ჩამოგითვალო ამ ფარსის შედეგები, რომელშიც მე მადანაშაულებ? პირველი — არა მგონია, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალმა“ ამ თავისი აბსურდული სან სებასტიანის ხაზის დაკარგვის შემდეგ ფეხზე დადგომა შეძლოს. შენ იმედი გაქვს, რომ გამოძვრებით, მაგრამ ამას ვერ შეძლებთ. მეორეც — სან სებასტიანი შენს ძმას „ფენიქს-დურანგოს“ განადგურებაში დაეხმარა, რომელიც, მგონი, ერთადერთი კარგი სარკინიგზო კომპანია იყო მთელ ქვეყანაში.

— ამ ყველაფერს აცნობიერებ?

— არა მარტო ამას. გაცილებით მეტს.

— შენ თუ იცნობ... — დაგნიმ არც იცოდა, რატომ მოუნდა, ეს ეკითხა; ალბათ იმიტომ, რომ ის მუქი გამძვინვარებული თვალები თითქოს ისევ მისჩერებოდნენ მეხსიერების სიღრმიდან, — იცნობ ელის უაიატს?

— რა თქმა უნდა.

— გესმის, ამან რა შეიძლება დამართოს მას?

— დიახ, ახლა მისი განადგურების ჯერი დგება.

— და შენ ეს სახალისო გგონია?

— უფრო სახალისო, ვიდრე მექსიკის დამგეგმავების განადგურება.

დაგნი ადგა. წლების მანძილზე ფრანცისკოს ზნედაცემულ ადამიანად თვლიდა.

ამის ეშინოდა, ამაზე ფიქრობდა, ამას გაურბოდა, ცდილობდა, აღარასოდეს გახსენებოდა, თუმცა ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ფრანცისკოს გახრწნილება ასე შორს წავიდოდა.

დაგნი არ უყურებდა ფრანცისკოს. ვერ ხვდებოდა, რომ ხმამაღლა ლაპარაკობდა, ხმამაღლა წარმოთქვამდა მათ მიერ ოდესღაც უკვე ნათქვამ სიტყვებს: „ვინ უფრო მეტ პატივს მიაგებს დიდ წინაპარს: შენ — ნათ ტაგარტს, თუ მე — სებასტიან დ'ანკონიას...“

— მაგრამ ნუთუ ვერ მიხვდი, რომ ამ მაღაროებს ჩემი დიდი წინაპრის სახელი დავარქვი? მგონი, ასეთ პატივს ის ნამდვილად მოიწონებდა.

დაგნის წამით თითქოს თვალთ დაუბნელდა; აქამდე არასდროს დაფიქრებულა, ღვთის გმობა რას ნიშნავდა, ან რას გრძნობს მასთან შეჯახებისას ადამიანი; ახლა იცოდა.

ფრანცისკო წამოდგა და ზემოდან დაჰყურებდა დაგნის; ცივი ღიმილი იყო, უსახური.

დაგნი კანკალებდა, მაგრამ ამას ვერც გრძნობდა. სულერთი გახდა, რას ხედავდა ფრანცისკო, რას მიხვდებოდა, რაზე გაიცინებდა.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ მინდოდა, მცოდნოდა იმის მიზეზი, რაც შენს ცხოვრებას დამართე, — უთხრა გულგრილი, უემოციო ხმით.

— მე დაგისახელე მიზეზი, — უპასუხა ფრანცისკომ სერიოზული ტონით, — მაგრამ და მისი დაჯერება.

— მე მაინც სულ ისეთს გხედავ, როგორიც ადრე იყავი და ვერ გივიწყებ. ის კი, რადაც შენ ახლა გადაიქეცი — რაციონალურ სამყაროს არ მიეკუთვნება.

— არ მიეკუთვნება? და ის სამყარო, რომელიც შენ ირგვლივ არის?

— შენ არ ჰგავხარ იმ კატეგორიის ადამიანს, რომელსაც სამყარო გატეხავს, როგორიც არ უნდა აღმოჩნდეს ის.

— მართალია.

— მაშინ — რატომ?

ფრანცისკომ მხრები აიჩეჩა.

— ვინ არის ჯონ გოლტი?

— ოჰ, ოღონდ ეს ქუჩის ენა არ გინდა!..

ფრანცისკომ შეხედა. მისი ტუჩები იღიმოდნენ, მაგრამ თვალები მშვიდად, გულწრფელად და — წამით — შეშფოთებით იყურებოდნენ.

— რატომ? — გაიმეორა დაგნიმ.

ისევე უპასუხა, როგორც ათი წლის წინ, მათი ბოლო შეხვედრისას ამავე სასტუმროში:

— მზად არ ხარ, რომ ეს მოისმინო.

კარამდე არ გაუცილებია. როცა დაგნიმ სახელური ჩამოსწია, მოტრიალდა... და გაჩერდა. ფრანცისკო თვალს არ აცილებდა; ამ მზერამ დაგნი მთლიანად მოიცვა; ესმოდა მისი არსი და ამან ადგილზე გააქვავა; — მე ისევ მინდიხარ, მაგრამ ამისთვის არასაკმარისად ბედნიერი ვარ, — უთხრა ფრანცისკომ.

— არასაკმარისად ბედნიერი? — გაიმეორა დაგნიმ სრულიად დაბნეულმა.

ფრანცისკომ გაიცინა — არ ჯობია, პირველ წინადადებაზე მიპასუხო? — დაგნი დუმდა, — ეს შენც გინდა, ასე არ არის?

დაგნის უნდოდა, უპასუხა „არა“, მაგრამ დროულად იგრძნო, რომ სიმართლე გაცილებით უარესი იყო.

— ჰო, — ცივად უთხრა, — მაგრამ ეს სურვილი ჩემთვის არაფერს ნიშნავს.

ფრანცისკომ პატივისცემით გაუღიმა, თითქოს იცოდა, რად დაუჯდა დაგნის, სწორედ ასე რომ ეპასუხა.

თუმცა, როცა დაგნიმ კარი გააღო და უნდა წასულიყო, ყოველგვარი ღიმილის გარეშე უთხრა:.

— დაგნი, შენ უსაზღვროდ მამაცი ხარ. ოდესმე ეს ყელში ამოგივა.

— რა? სიმამაცე?

ფრანცისკომ აღარ უპასუხა.

თავი 6

არაკომერციული

რიერდენმა შუბლი სარკეს მიაჭირა და შეეცადა, არაფერზე არ ეფიქრა. მხოლოდ ასე თუ გადავიტან ამ საღამოს, — უთხრა თავის თავს.

სარკის გრილ ზედაპირთან შეხებით მოგვრილ შვებაზე სცადა ყურადღების კონცენტრირება. უნდოდა, გონება გაეთიშა, ოღონდ ვერ მიმხვდარიყო — როგორ, მით უმეტეს, რომ მთელი ცხოვრება მისგან გამუდმებულ, მოუდუნებელ სიფხიზლეს მოითხოვდა. უკვირდა, რატომ ვერ მოეხერხებინა რამდენიმე შავი სადაფის ღილის

შეკვრა გახამებულ თეთრ პერანგზე, როცა აქამდე დაუძლეველი ამქვეყნად არაფერი ეჩვენებოდა.

დღეს მათი ქორწინებიდან მერვე წელი შესრულდა. ჯერ კიდევ სამი თვის წინ იყო გაფრთხილებული, რომ ამ საღამოს ლილიანი წვეულებას გამართავდა.

პირობა ჰქონდა მიცემული ცოლისთვის, რომ აუცილებლად დაესწრებოდა.

გულს იმით იმშვიდებდა, რომ წვეულებას მთელი სამი თვე აშორებდა, და როდესაც ეს დღე დადგებოდა, ამ მოვალეობასაც ისევე გაუმკლავდებოდა, როგორც სხვა ათასგვარ საქმეს თავის გადატვირთულ გრაფიკში. მერე კი, ყოველდღიური თვრამეტსაათიანი სამუშაო დღის რეჟიმში, ეს წვეულება სულაც ბედნიერად გადაავიწყდა, სანამ ნახევარი საათის წინ, საღამოხანს, მასთან მდივანი არ შევიდა და დამაჯერებელი ხმით არ მოახსენა: „მისტერ რიერდენ, დღეს თქვენ წვეულება გაქვთ“.

— ო, ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა, ფეხზე წამოვარდა და სასწრაფოდ სახლში გაიქცა. მეორე სართულზე აიჭრა, სამუშაო კოსტიუმი სწრაფად გაიძრო და ჩაცმას შეუდგა. მხოლოდ ის იცოდა, რომ უნდა ეჩქარა; რატომ უნდა ეჩქარა — არა.

როცა ბოლომდე გაიაზრა, რას მოითხოვდნენ მისგან, რიერდენი შეჩერდა.

„შენ არაფერი გადარდებს, შენი ბიზნესის გარდა“. ეს სიტყვები ესმოდა მთელი ცხოვრება, დანაშაულში მხილებასავით. ყოველთვის აგრძნობინებდნენ, რომ ბიზნესი ერთგვარი საიდუმლო, სამარცხვინოდ შერაცხული კულტი იყო, რომელსაც უმწიკვლო ობივატელი ახლოსაც არ უნდა გაჰკარებოდა; რომ ადამიანები ამ საქმიანობას საძაგელ აუცილებლობად მიიჩნევენ, რომელსაც მართალია, ვერ გაექცევი, მაგრამ სასურველია, მეტისმეტად არ ჩაუღრმავდე; რომ საქმიანი საუბრები მაღალ ფასეულობებს შეურაცხყოფენ; და თუკი მანქანის ზეთით დასვრილი ხელები უნდა დაიბანო სახლში შესვლამდე, მაშინ, ვიდრე სასტუმრო ოთახში შეაბიჯებდე, გონებიდანაც ასევე უნდა გადარეცხო ბიზნესიდან შემორჩენილი ლაქა. რიერდენი მსგავს შეხედულებებს არასდროს იზიარებდა, მაგრამ სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ მისი ოჯახის წევრები ამ აზრზე იდგნენ. ერთხელ და სამუდამოდ შეეგუა, როგორც მოცემულობას, — უსიტყვოდ, დაუეჭვებლად, როგორც მხოლოდ ბავშვობაში ხდება ხოლმე, არც სადავოდ გაუხდია და არც სახელი დაურქმევია ამ გრძნობისთვის, — რომ რომელიღაც საიდუმლო აღმსარებლობის მსახურება დააკისრა საკუთარ თავს. ეს რწმენა მისი მთავარი ვნება გახდა ცხოვრებაში, მაგრამ მანვე გარიყა იმ ადამიანებისგან, ვისგანაც თანაგრძნობის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა.

შეეგუა, რომ ვალდებული იყო, ცოლისთვის თავისი ცხოვრების რაღაც ნაწილი დაეთმო, სადაც ბიზნესს ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ ეს ვერასოდეს განახორციელა და ვერც იმისთვის მოიცალა, რომ ამის გამო დანაშაული ეგრძნო. ვერაფრით აიძულა თავი, შეცვლილიყო და ვერც ლილიანს კიცხავდა, როცა ის საყვედურობდა.

თვეები ისე გავიდოდა, ლილიანს თავისი უძვირფასესი დროის უმცირეს ნაწილსაც ვერ უთმობდა. „არა“, — გაიფიქრა, — „წლები ისე გავიდოდა“. მათი თანაცხოვრების მთელი რვა წელი. არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ცოლის ინტერესები გაეზიარებინა, ან გაეგო მაინც, რაში მდგომარეობდა ამ ინტერესების არსი.

ლილიანს უამრავი მეგობარი ჰყავდა; მათი სახელები, როგორც რიერდენს სმენოდა, ეროვნული კულტურის სიამაყე იყო, თუმცა დროს ვერც ამ ადამიანებთან შესახვედრად პოულობდა და ვერც მათი დიდების აღიარებისთვის, მას მერე, რაც მათ იმ მიღწევებს გაეცნობოდა, რომლებმაც ეს დიდება განაპირობა. ერთი იცოდა, რომ

ამ სახელებს ხშირად ხედავდა ჟურნალების გარეკანებზე. ლილიანი სავსებით მართალი იყო, როდესაც ქმრის საქციელი აღაშფოთებდა, — ფიქრობდა რიერდენი, — ეგებ, წყენას არც ისე სასიამოვნო ფორმით გამოხატავდა, მაგრამ თვითონ რიერდენი ამას ნამდვილად იმსახურებდა. ოჯახის წევრებიც სამართლიანად ეძახდნენ უგულოს.

თავი არასდროს დაუზოგავს. როცა ქარხანაში რაიმე გართულდებოდა, პირველად იმას არკვევდა, თვითონ რა შეცდომა დაუშვა; დამნაშავეს სხვაგან არასოდეს ეძებდა, მხოლოდ საკუთარი თავისგან ითხოვდა სრულყოფილებას; არავითარი შეღავათები არ სჭირდებოდა, დანაშაულს ყოველთვის თავის თავზე იღებდა. მაგრამ ქარხანაში ეს მყისიერი ქმედებისკენ უბიძგებდა, რათა ხარვეზი გამოესწორებინა; ახლა ასე მოქცევას შედეგი არ ექნებოდა. „კიდევ რამდენიმე წუთი“, — ფიქრობდა რიერდენი, შუბლით ისევ სარკეს მიყრდნობილი და თვალებდახუჭული.

ვერაფრით შეაჩერა გონებაში სიტყვების ნაკადი. როგორც დაზიანებული სახანძრო მილიდან ამოხეთქილი წყლის ჭავლს ვერ შეაჩერებდა შიშველი ხელებით.

ეს გესლიანი ჭავლები — ნახევრად სიტყვები, ნახევრად სურათები — გონებას უსერავდნენ...

„საათები“, — ფიქრობდა ის, — „საათები წავა ამ სახეების ყურებაში; საშინელი მოწყენილობით სავსე საათები, როცა ყველანი დათვრებიან, და ზიზღი ამ ცარიელი თვალების გამო, ვიდრე სასმელი მოეკიდებათ, რამდენ ხანს არ უნდა შეიმჩნიო არც ერთი და არც მეორე. წვალებით მოიფიქრო ფრაზები, როდესაც სათქმელი არაფერი გაქვს“. არადა, როგორ სჭირდებოდა ეს საათები, სასწრაფოდ რომ მოეძებნა შემცვლელი დამღორღავი საამქროს ხელმძღვანელისთვის, რომელიც სამსახურიდან ახსნა-განმარტების გარეშე, უეცრად წავიდა. ეს ახლავე უნდა გაეკეთებინა. მისნაირი სპეციალისტის პოვნა ძალიან რთული იყო. საამქროს მუშაობა არაფერს არ უნდა შეეფერხებინა... ისინი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ შეკვეთას ასრულებდნენ.

რიერდენს გაახსენდა უტყვი საყვედურები, ოჯახის წევრების ბრალდებითა და ზიზღით სავსე მზერა, როცა თავისი საქმის მიმართ ერთგულების მორიგ გამოვლინებაში გამოიჭერდნენ; გაახსენდა, როგორ ოცნებობდა ჩუმად, ერთხელაც დაეჯერებინათ, რომ „რიერდენ სთილი“ სულაც არ იყო ისეთი ძვირფასი მისთვის — ასე ლოთი თამაშობს გულგრილობას სასმელისადმი სხვების თანდასწრებით, რადგან იცის, რა ზიზღს იწვევს მისი სამარცხვინო სისუსტე.

— გავიგე, როგორ დაბრუნდი სახლში ღამის ორ საათზე. სად იყავი? — ჰკითხა დედამისმა სასადილო მაგიდასთან.

— სად უნდა ყოფილიყო, რაღა თქმა უნდა, თავის ქარხანაში, — დაასწრო ლილიანმა ისეთი ტონით, როგორითაც სხვა ცოლი დარწმუნებით იტყოდა: ბარში, რა თქმა უნდა, სხვაგან სად...

ან თვითონ ლილიანი ჰკითხავდა ირონიულად:

— რას აკეთებდი გუშინ ნიუ-იორკში?

— ბიჭებთან ერთად ბანკეტზე ვიყავი.

— საქმეები?

— დიახ.

— ასეც ვიფიქრე. — ლილიანი მეტს აღარაფერს ამბობდა და შეტრიალდებოდა, მას კი სულელურ, სამარცხვინო შეგრძნებას უტოვებდა. თავი იმაშიც კი დაიჭირა, რომ ლამის უნდოდა კიდევაც, ლილიანს ჰგონებოდა, თითქოს ნიუ-იორკში მართლაც რომელიმე აღვირახსნილ წვეულებას დაესწრო...

მიჩიგანის ტბაზე შტორმის დროს მადნის გადამზიდავი სატვირთო კაპარჭი ჩაიძირა. მას რიერდენის მიერ შეძენილი რამდენიმე ათასი ტონა მადანი გადაჰქონდა. ეს გემები უკვე დიდი ხანი იყო, ლამის ნაწილებად იშლებოდა და თუ რიერდენი არ დაეხმარებოდა, მიჩიგანის ტბის ერთადერთი სატრანსპორტო კომპანია გაკოტრდებოდა...

— ეს კუთხე? — ლილიანმა დივნებზე და ყავის მაგიდებზე მიანიშნა, რომლებიც სასტუმრო ოთახში განალაგებინა, — არა, ჰენრი, ახალი სულაც არ არის, მაგრამ ალბათ ძალიან კმაყოფილი უნდა ვიყო, რომ სამი კვირის თავზე მაინც შეამჩნიე. ეს ცნობილი ფრანგული სასახლის დილის მისაღების ჩემებური ვარიანტია. მაგრამ შენ ასეთი რაღაცები ალბათ არ გაინტერესებს, ძვირფასო, მათ ხომ საფონდო ბირჟებთან არაფერი ესაქმებათ.

სპილენძი, რომელიც ნახევარი წლის წინ შეუკვეთა, ჯერაც არ ჩამოსვლოდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღი უკვე სამჯერ გადაიტანეს: „აქ ჩვენ ვერაფერს ვწყვეტთ, მისტერ რიერდენ“. იძულებული გახდა, სხვა კომპანიასთან დაეჭირა საქმე. სპილენძის მოპოვება სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა...

ფილიპს არ გაუღიმია, როდესაც სიტყვა გაწყვიტა — დედამისის რომელიღაც მეგობართან ცამდე აჰყავდა ერთი ორგანიზაცია, სადაც ამას წინათ გაწევრიანდა, უბრალოდ, მისი სახის მომჩვარული ნაკვთები მუდმივად მიანიშნებდნენ საკუთარი უპირატესობის განცდით სავსე ღიმილზე.

— არა, ჰენრი, ეს თემა შენ არ დაგაინტერესებს, მას კომერციასთან არაფერი აკავშირებს... — თქვა მან.

ის კონტრაქტორი დეტროიტში, რომელიც დიდი ქარხნის აღდგენით სამუშაოებს უძღვებოდა, რიერდენ მეტალისგან საყრდენი კონსტრუქციების დამზადების შესაძლებლობას შეისწავლიდა — საჭირო იყო დეტროიტში ჩასვლა და მასთან პირადად მოლაპარაკება, ეს ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ უნდა გაეკეთებინა. ამის მოხერხება ამ ღამითაც შეიძლებოდა...

— შენ არ მისმენ, — უთხრა დედამისმა საუზმის დროს, როცა რიერდენის გონება ნახშირის მიმდინარე ფასის ინდექსზე ფიქრობდა, დედა კი ამასობაში წინა ღამით ნანახ სიზმარს ჰყვებოდა, — შენ არასდროს არავის არ უსმენ. საკუთარი თავის გარდა, არავინ გაინტერესებს. სულ არ ფიქრობ სხვებზე, არც ერთი ადამიანი არ გენაღვლება ამქვეყნად.

დაბეჭდილი გვერდები, თავის კაბინეტში, სამუშაო მაგიდაზე რომ დატოვა, რიერდენ მეტალისგან დამზადებული საავიაციო ძრავის გამოცდების ანგარიში იყო. ყველაზე მეტად ამქვეყნად ახლა ალბათ ამ ანგარიშის წაკითხვა უნდოდა. უკვე სამი დღე გავიდა, რაც დასკვნა ხელუხლებელი ედო მაგიდაზე და მისთვის ვერ მოიცალა...

თავი მკვეთრად გააქნია, თვალები გაახილა და სარკეს მოშორდა.

შეეცადა, პერანგის ღილები შეეკრა, თუმცა, ხელი უნებლიეთ წერილების დასტისკენ გაექცა, რომელიც მაგიდაზე ეწყო. ეს სასწრაფო წერილები იყო და დღესვე უნდა წაეკითხა, მაგრამ სამსახურში ვერ მოიცალა და წამოსვლის წინ მდივანმა ჯიბეში ჩაუჩურთა. ტანისამოსი რომ გამოიცვალა, იქვე დაყარა მაგიდაზე.

დასტიდან გაზეთიდან ამოჭრილი სტატია გადმოვარდა და იატაკზე დაეცა. ეს მოწინავე წერილი მდივანს გაგულისებით მოენიშნა წითელი მარკერით. სტატიას „შესაძლებლობების გათანაბრება“ ერქვა. აუცილებლად უნდა წაეკითხა: ამ საკითხის ირგვლივ ბოლო სამი თვეა, ზედმეტად ბევრი ხმაური იყო ატეხილი, ავის მომასწავებლად ზედმეტი. წაიკითხა, ქვემოდან ამოღწეული ხმებისა და ნაძალადევი

სიცილის ფონზე, რომელიც შეახსენებდა, რომ სტუმრები მოდიოდნენ, წვეულება იწყებოდა და მას მოუწევდა თავისიანების მწარე, საყვედურებით სავსე მზერის ატანა, როცა დაბლა ჩავიდოდა.

სტატია იუწყებოდა, რომ, როცა წარმოება დაეცა, გასაღების ბაზრები შემცირდა და საარსებო სახსრების მოპოვება გაჭირდა, უსამართლობაა, ნება დართო ერთ სუბიექტს, რამდენიმე საწარმოს ფლობდეს, მაშინ, როდესაც სხვებს ერთიც არ აქვთ; დამღუპველია, მთელი ბუნებრივი რესურსები ერთი მუჭა მეწარმეებს დაუტოვო, სხვებს კი შანსი არ მისცე; რომ კონკურენცია საზოგადოებისთვის აუცილებელი დასაყრდენია და მისი ვალია, არ დაუშვას, ვინმე ისე აღზევდეს, რომ კონკურენტი არ ჰყავდეს. სტატიის ავტორის პროგნოზით, განსახილველად გატანილ კანონპროექტს, რომელიც ნებისმიერ სუბიექტს ან კორპორაციას ერთზე მეტი სამრეწველო კონცერნის ფლობას უკრძალავდა, მალე დაამტკიცებდნენ.

უესლი მაუჩმა, რიერდენის კაცმა ვაშინგტონში, მას უთხრა, რომ არ ეღელვა; ბრძოლა შეუპოვარი იქნებოდა, მაგრამ მისი თქმით, კანონპროექტი არ გავიდოდა.

რიერდენს ამ ტიპის ბრძოლების არაფერი გაეგებოდა. მან მაუჩსა და მის ხალხს მიანდო ეს საქმე. დროს საიმისოდაც ძლივს პოულობდა, რომ ვაშინგტონიდან მოსული ანგარიშებისთვის თვალი გადაევლო და მაუჩის გამოგზავნილი ჩეკებისთვის მოეწერა ხელი მის მიერ გარდახდილი ბატალიების საზღაურად.

რიერდენს არ სჯეროდა, რომ კანონპროექტი გავიდოდა. მას ეს უბრალოდ ვერ წარმოედგინა. მთელი ცხოვრების მანძილზე მეტალის, ტექნიკის, ტექნოლოგიების შეურყვნელ რეალობასთან ურთიერთობამ ჩამოუყალიბა რწმენა, რომ ადამიანს მხოლოდ რაციონალური საგნები უნდა აინტერესებდეს და არა გიჟური; რომ ადამიანმა სიმართლე უნდა ეძიოს, ვინაიდან უცდომელი მხოლოდ მართალი პასუხი შეიძლება აღმოჩნდეს; რომ უაზრო, მცდარი, შემზარავად უსამართლო ვერ გაიმარჯვებს, ვერაფერს მიაღწევს, დამარცხების გარდა. ბრძოლა ისეთ რამესთან, როგორიც ეს კანონპროექტი იყო, ამაზრზენი და, უბრალოდ, უაზროც კი ეჩვენებოდა — თითქმის ისევე, უცებ იმ ადამიანთან კონკურენცია რომ მოეთხოვათ, რომელიც ფოლადის შენადნობების დამზადებას ნუმეროლოგიაზე დაყრდნობით შეეცდებოდა.

საკუთარ თავს შეახსენა, რომ ეს კანონპროექტი სერიოზული საფრთხე იყო. და მაინც, ყველაზე ისტერიული გაზეთის ყველაზე ხმამაღალი ჭყვიტინიც კი მასში ემოციას არ აღძრავდა, თუმცა, რიერდენ მეტალის რომელიღაც თვისების თუნდაც უმნიშვნელო ცვლილებას ლაბორატორიული ექსპერიმენტის დროს შეიძლებოდა, ფეხზე წამოეგდო მოთმინებადაკარგული ან შეშფოთებული.

სხვა რაღაცებისთვის ენერგია აღარ რჩებოდა.

სტატია დაკუჭა და ურნაში მოისროლა. იგრძნო, როგორ ეპარებოდა ნელ-ნელა დამთრგუნველი დაღლილობა — სამსახურში ეს არასოდეს ემართებოდა — თითქოს ჩასაფრებული ელოდა, როდის გადაერთვებოდა სხვა საქმეებზე. რიერდენს ეჩვენებოდა, რომ არაფერს გრძნობდა, გარდა დაუძლეველი სურვილისა, დაეძინა.

თავის თავს უთხრა, რომ წვეულებას უნდა დასწრებოდა; რომ ოჯახს უფლება ჰქონდა, მისგან ეს მოეთხოვა; რომ ვალდებული იყო, ესწავლა მათთვის ნაცნობი სიამოვნებების განცდა — მათი ხათრით, საკუთარი თავის გამო არა.

უკვირდა, რატომ არ აღმოჩნდა მოტივი საკმარისად ძლიერი საიმისოდ, რომ მოქმედებისკენ ებიძგებინა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, როგორც კი ირწმუნებდა ამა თუ იმ სამოქმედო ვექტორის სისწორეს, ავტომატურად უჩნდებოდა მისი მიყოლის სურვილი. „რა მემართება?“ — ვერ გარკვეულიყო რიერდენი. იქნებ,

სწორედ ეს იყო მორალური გახრწნის ძირითადი ფორმულა — გრძნობების უაზრო კონფლიქტი, როდესაც სწორად მოქცევის სურვილი არ გებადება? როდესაც დანაშაულს აღიარებ და მაინც — არაფერს გრძნობ ყველაზე ცივი, ყველაზე ღრმა გულგრილობის გარდა. თავისი ცხოვრების არსს, მამოძრავებელ ძალას ხომ არ ღალატობდა, ასე რომ ეამაყებოდა?

ამ კითხვაზე პასუხის საძიებლად დრო აღარ დაუკარგავს. ჩაიცვა — სწრაფად, საკუთარი თავისადმი სიბრალულის გარეშე.

წელში გამართული, უზადოდ თეთრი ცხვირსახოცით შავი ფრაკის გულის ჯიბეში, ბუნებრივი და ნამდვილი ძალაუფლების თავდაჯერებულობით დაეშვა კიბეზე, სასტუმრო ოთახში სახელოვანი ინდუსტრიალისტის გამომეტყველებით შეაბიჯა, ასაკოვანი ქალბატონების აღტაცებული მზერების ფონზე.

კიბის დასაწყისთან ლილიანი დაინახა. ლიმონისფერი ამპირის სტილის საღამოს კაბის არისტოკრატული ნაკეცები მისი სხეულის გრაციოზულობას გამოკვეთდა, თავი ისე ეჭირა, როგორც ყველაფრით კმაყოფილ ადამიანს. რიერდენმა გაიღიმა; ესიამოვნა ბედნიერი ცოლის დანახვა; მისი სიხარული მთელ ამ წვეულებას რაღაც აზრს აძლევდა.

თუმცა, როდესაც მას მიუახლოვდა, ადგილზე გაქვავდა. ლილიანი ყოველთვის უზადო გემოვნებას იჩენდა, როცა საქმე სამკაულს ეხებოდა და გადაჭარბება არასდროს სჩვეოდა. მაგრამ იმ ღამით საგანგებოდ გაისარჯა — ბრილიანტის ყელსაბამი, ალმასის საყურეები, ბეჭდები, ბროშები. ამ ფონზე მისი მკლავები დამაეჭვებლად შიშველი მოჩანდა. მხოლოდ მარჯვენა მაჯას უმშვენებდა რიერდენ მეტალისგან დამზადებული სამაჯური. ბრილიანტების ელვარებას ის უშნო, იაფფასიან ბიჟუტერიად ექცია.

როცა რიერდენის მზერამ ლილიანის მაჯიდან მის სახეზე აინაცვლა, ცოლის საპასუხო მზერას წაანყდა. ლილიანს თვალები მოეჭუტა. ვერ ახსნა ეს მზერა — იდუმალი და გაფაციცებული. თითქოს რაღაცას მალავდა, მხილებისგან იცავდა.

მოუნდა, მაჯიდან სამაჯური ჩამოეგლიჯა. ამის მაგივრად, ლილიანის მხიარულ ხმას დამორჩილებულმა, მორიგ სტუმარ ქალბატონს არაფრის მთქმელი გამომეტყველებით დაუკრა თავი.

— ადამიანი, რა არის ადამიანი? განდიდების მანიასთან შერწყმული ქიმიური კომპონენტების ერთობლიობაა მხოლოდ, — უხსნიდა დოქტორი პრიტჩეტი ოთახში მყოფ სტუმართა ჯგუფს.

ბროლის ლანგრიდან ორი თითით ხიზილალის კანაპე აიღო და პირის კენ გააქანა.

— ადამიანის მეტაფიზიკური პრეტენზიები უაზრობაა. პროტოპლაზმის ამ უბადრუკ გუნდას, თავისი მახინჯი და წვრილმანი კონცეფციებით, უსახური და ამდენადვე წვრილმანი ემოციებით, თავი რაღაც მნიშვნელოვნად წარმოუსახავს! ჩემი აზრით, სამყაროს ყველა უბედურების წყარო სწორედ ეს არის.

— პროფესორო, თქვენი აზრით, არსებობს კონცეფცია, რომელიც მახინჯი ან წვრილმანი არ არის? — ჰკითხა ერთმა სერიოზულმა ქალბატონმა, მისი ქმარი მანქანათმწარმოებელ ქარხანას ფლობდა.

— ასეთი არ არსებობს. ერთიც კი, — უთხრა დოქტორმა პრიტჩეტმა, — უბრალოდ, არ არსებობს. ცხადია, ვგულისხმობ, ადამიანის შესაძლებლობების ფარგლებში.

— მაგრამ, თუ ვარგისი არ არსებობს, მაშინ რის საფუძველზე მივიჩნევთ მახინჯად ჩვენს წარმოდგენებს, რომელი კრიტერიუმით? — გაუბედავად იკითხა ერთმა ახალგაზრდა კაცმა.

— არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს.

ყველა გაჩუმდა.

— წარსულის ფილოსოფოსები ზედაპირულად მსჯელობდნენ, — განაგრძობდა დოქტორი პრიტჩეტი, — ფილოსოფიის მიზნის ხელახლა განსაზღვრა ჩვენს ეპოქას ხვდა წილად. ეს მიზანი ადამიანს ცხოვრების აზრის მიგნებაში კი არ უნდა დაეხმაროს, არამედ დაუმტკიცოს, რომ ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს.

— და ვის შეუძლია, ეგ დაამტკიცოს? — აღშფოთებით იკითხა ახალგაზრდა მიმზიდველმა ქალმა, რომლის მამაც ქვანახშირის მაღაროს მფლობელი იყო.

— ამის გაკეთებას მე ვცდილობ, — უთხრა დოქტორმა პრიტჩეტმა. ბოლო სამი წლის მანძილზე ის პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტში ფოლოსოფიის კათედრას ხელმძღვანელობდა.

მათთან ლილიან რიერდენი მივიდა, ჭაღების შუქზე მოელვარე ბრილიანტების ბრჭყვიალით. გამომეტყველებაც და მკრთალი ღიმილიც იმავე პარიკმახერის უზადო ნახელავს მიუგავდა, რომელმაც მისი ვარცხნილობა შექმნა.

— ადამიანი ასეთ რთულ არსებად სწორედ აზრისადმი მისმა სწრაფვამ აქცია, — თქვა დოქტორმა პრიტჩეტმა, — მიხვდება თუ არა, როგორი არარაობაა უსასრულო სამყაროსთან შედარებით, რა უაზროა მისი ნებისმიერი საქმიანობა, რა სულერთია, ცოცხალია ის თუ მკვდარი, ადამიანი გაცილებით უფრო მორჩილი ხდება. — მხრები აიჩეჩა მან და მორიგი კანაპეს ასაღებად გაიწია.

— მაგრამ, პროფესორო, მე მაინტერესებდა, რას ფიქრობთ „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“ შესახებ? — შეშფოთებით ჰკითხა ერთმა ბიზნესმენმა.

— აჰ, მაგ კანონზე?.. — უპასუხა პროფესორმა, — მეგონა, გასაგებად განვმარტე, რომ ვიწონებ მას, რადგან მე თავისუფალ ეკონომიკას ვემხრობი. თავისუფალი ეკონომიკა კი კონკურენციის გარეშე ვერ იარსებებს. აქედან გამომდინარე, ადამიანებს კონკურენციისკენ ძალით უნდა უბიძგო. ერთი სიტყვით, ადამიანები უნდა აიძულო, თავისუფლები გახდნენ.

— მაგრამ, მისმინეთ... განა საკუთარ თავს თვითონვე არ ეწინააღმდეგებით?

— უმაღლესი ფილოსოფიური გაგებით — არა. მოძველებული აზროვნებისთვის დამახასიათებელ სტატიკურ ფორმულირებებს უნდა გადავეჩვიოთ. სამყაროში სტატიკური არაფერია. ყველაფერი იცვლება და მიედინება.

— თუმცა, გონება...

— გონება, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყველაზე მიამიტური რამ არის მცდარ წარმოდგენათაგან. ყოველ შემთხვევაში, ასეთია დღეს საქვეყნოდ გავრცელებული შეხედულება.

— მაგრამ მე ბოლომდე არ მესმის, როგორ შეგვიძლია...

— თქვენ არ გასვენებთ ფრიად პოპულარული ილუზია: რომ ყველაფრის გაგება შესაძლებელია. ვერ გაგიცნობიერებიათ ფაქტი, რომ თვითონ სამყარო — ეს კოლოსალური წინააღმდეგობაა.

— წინააღმდეგობა? რასთან? — იკითხა მანქანათმწარმოებლის ცოლმა.

— თავისსავე თავთან, თვითონ სამყაროსთან.

— ეგ როგორ?

— როგორ გითხრათ, ძვირფასო ლედი, მოაზროვნის ვალია, არა ახსნას, არამედ დაამტკიცოს, რომ შეუძლებელია, რაიმე ახსნა.

— დიახ, ცხადია... მხოლოდ...

— ფილოსოფიის მიზანი ცოდნის ძიება კი არ არის, არამედ იმის დამტკიცება, რომ ადამიანი და ცოდნა შეუთავსებელია.

— მაგრამ როცა დავამტკიცებთ, მერე რაღა დარჩება? — იკითხა ახალგაზრდა ქალმა.

— ინსტინქტები, — ღრმა მოწიწებით წარმოთქვა დოქტორმა პრიტჩეტმა.

ოთახის მეორე ბოლოში სტუმრების ერთი ჯგუფი ბალფ იუბენკს უსმენდა. ის სავარძლის კიდეზე იჯდა წელში გამართული, რაც კი შეიძლებოდა, გაჯგიმული, რადგან მისი მძიმე სხეული მოშვებული კიდევ უფრო ვეება ჩანდა.

— წარსულის მთელი ლიტერატურა, — ქადაგებდა ბალფ იუბენკი, — წმინდა წყლის თაღლითობა იყო. ის რეალობას ისე აფერადებდა, რომ ესიამოვნებინა იმ ფულიანი მაგნატებისთვის, რომლებსაც ემსახურებოდა. მორალი, თავისუფალი ნება, მიღწევები, სიკეთის ზეიმი და ადამიანი, როგორც რაღაც გმირული არსება — ეს ყოველივე დღეს ნამდვილად სასაცილოა. ჩვენმა ეპოქამ, ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის ჩვენებით, პირველად მთელი ისტორიის მანძილზე, ლიტერატურას სიღრმე შესძინა.

— და რა არის ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი, მისტერ იუბენკ? — მორიდებით ჰკითხა ახალგაზრდა გოგონამ საღამოს თეთრ კაბაში.

— ტანჯვა... დამარცხება და ტანჯვა. — უპასუხა იუბენკმა.

— კი მაგრამ, რატომ?.. ადამიანები ხომ არიან ბედნიერები... ხანდახან მაინც. ასე არ არის?

— ამ ილუზიას მხოლოდ ზედაპირული არსებები ქადაგებენ.

გოგონა გაწითლდა. მდიდარმა ქალბატონმა, რომელსაც მემკვიდრეობით ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ერგო, დამნაშავის ტონით იკითხა:

— მისტერ იუბენკ, რა უნდა გავაკეთოთ მასების ლიტერატურული გემოვნების გასაუმჯობესებლად?

— ეგ უდიდესი სოციალური პრობლემაა, — უპასუხა იუბენკმა. ის თანამედროვეობის უდიდეს ლიტერატურულ ლიდერად იყო აღიარებული, მაგრამ მისი არც ერთი წიგნი არ გაყიდულა არასდროს სამი ათას ცალზე მეტი, — პირადად მე მიმაჩნია, რომ „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონს“ თუ ლიტერატურაშიც გამოვიყენებდით, ამ პრობლემას ეშველებოდა.

— და ამ კანონის მრეწველობაში გამოყენებას მხარს უჭერთ? არც კი ვიცი, რა ვიფიქრო ამის შესახებ.

— რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ. ჩვენი კულტურა მატერიალიზმის ჭაობშია ჩაძირული. მატერიალურ ხეირს გამოდევნებულმა და ტექნოლოგიურ თაღლითობაში გაწაფულმა ადამიანებმა ყოველგვარი სულიერი ღირებულებები დაკარგეს. სამყარო მეტისმეტად კომფორტული გახდა. მაგრამ, თუ ხელახლა ვასწავლით გაჭირვების დათმენას, ადამიანები ისევ დაუბრუნდებიან კეთილშობილურ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ უნდა შევებრძოლოთ სიხარბეს.

— არასოდეს შემიხედავს ასეთი კუთხით ამ პრობლემისთვის, — მობოდიშების კილოთი თქვა ქალმა.

— კი მაგრამ, როგორ აპირებთ, „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონი“ ლიტერატურას მიუსადაგოთ, რალფ? — ჰკითხა მორტ ლიდიმ, — ჩემთვის ეს რაღაც ახალია.

— მე ბალფი მქვია, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა იუბენკმა, — ეს იდეა თქვენთვის იმიტომ არის სიახლე, რომ პირადად ჩემი მოფიქრებულია.

— არ გეკამათებით. უბრალოდ, მაინტერესებდა, — თქვა მორტ ლიდიმ და გაიღიმა. ის სულ ნერვიულად იღიმებოდა. ლიდი კომპოზიტორი იყო და ძველმოდურ კინომუსიკასა და მოდერნისტულ სიმფონიებს წერდა, რომელთაც ნახევრად ცარიელ საკონცერტო დარბაზებში ასრულებდნენ.

— ყველაფერი ძალიან მარტივია, — თქვა ბალფ იუბენკმა, — უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ნებისმიერი წიგნის ტირაჟს ათი ათას ეგზემპლარამდე შეზღუდავდა. ეს გზას გაუხსნიდა ახალ ლიტერატურულ ტალანტებს, ახალ იდეებსა და არაკომერციულ მწერლობას. თუ რაღაც მაკულატურა მილიონიანი ტირაჟით აღარ გასაღდება, ადამიანები იძულებული გახდებიან, უფრო ხარისხიანი წიგნები შეიძინონ.

— არის რაღაც საინტერესო მაგ იდეაში, — თქვა მორტ ლიდიმ, — მაგრამ ეგ ამბავი უარყოფითად ხომ არ აისახება მწერლების საბანკო ანგარიშებზე?

— მით უკეთესი. წერის უფლება მხოლოდ მათ უნდა მიეცეთ, ვისი მოტივიც ფულის კეთება არ არის.

— მაგრამ, მისტერ იუბენკ, იქნებ, რომელიმე წიგნის ყიდვა ათი ათასზე მეტ ადამიანს მოუნდეს? — ჰკითხა თეთრკაბიანმა გოგონამ.

— ათი ათასი მკითხველი სავსებით საკმარისია ნებისმიერი წიგნისთვის.

— ეს არ მიგულისხმია. იქნებ, მოუნდეთ?!

— მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— მაგრამ თუ წიგნში საინტერესო ამბავია მოთხრობილი, რომელიც...

— სიუჟეტი ლიტერატურაში — ეს მხოლოდ პრიმიტიული ვულგარულობაა, — ზიზღით წარმოთქვა ბალფ იუბენკმა.

დოქტორმა პრიტჩეტმა, რომელიც ბარისკენ მიემართებოდა, ამ საუბარს ყური მოჰკრა და გაჩერდა:

— სავსებით სწორია. ისევე, როგორც ლოგიკაა პრიმიტიული ვულგარულობა ფილოსოფიაში.

— მელოდია კი პრიმიტიული ვულგარულობა მუსიკაში, — დაამატა მორტ ლიდიმ.

— რაზე კამათობთ? — იკითხა ლილიანმა, როცა მათთან შეჩერდა.

— ლილიან, ჩემო ანგელოზო, — დატკბა ბალფ იუბენკი, — ჯერ არ მითქვამს, რომ ჩემს ახალ რომანს თქვენ გიძღვნით?

— მართლა? გმადლობთ, ძვირფასო.

— რა ჰქვია თქვენს ახალ რომანს? — იკითხა ერთმა მდიდარმა ქალბატონმა.

— „გული მერძევეა“.

— რას ეხება?

— იმედგაცრუებას.

— მაგრამ, მისტერ იუბენკ, — ჰკითხა თეთრკაბიანმა გოგონამ, თან სასოწარკვეთილად გაწითლდა, — თუ ეს სამყარო მხოლოდ იმედგაცრუებაა, რისთვისღა უნდა იცხოვრო ადამიანმა?

— მოყვასის სიყვარულისთვის, — მოღუშულად თქვა იუბენკმა.

ბერტრამ სკადერი ბართან ატუზულიყო. გრძელი, ვიწრო სახე თითქოს შიგნით შევარდნოდა, მხოლოდ პირი და თვალები გამოზნექოდა რბილ ბურთულებად. ის ჟურნალ „ფიუჩერის“ გამომცემელი იყო, სადაც ჰენკ რიერდენზე სტატია გამოაქვეყნა სათაურით „რვაფეხა“.

ბერტრამ სკადერმა გამოცლილი სასმისი უსიტყვოდ გაუწოდა ბარმენს შესავსებად. ცოტა მოსვა და როცა მის გვერდით ფილიპ რიერდენის ცარიელი ჭიქა დაინახა, ბარმენს თითით მიანიშნა, ფილიპთან მდგარი ბეტი პოუპის ცარიელი სასმისი კი არ შეუმჩნევია.

— მომისმინეთ, მეგობარო, — თქვა ბერტრამ სკადერმა და მზერა სადღაც ფილიპის შორიახლო მიმართა, — მოგწონთ ეს თუ არა, „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონი“ წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია.

— რამ გაფიქრებინათ, რომ არ მომწონს ეს კანონი? — თავმდაბლად ჰკითხა ფილიპმა.

— თუმცა, უმტკივნეულოდ არ ჩაივლის! საზოგადოების გრძელი ხელი ვიღაც-ვიღაცების ჯიბეებს მისწვდება. — და ბარისკენ მიანიშნა.

— რატომ გგონიათ, რომ მაგის წინააღმდეგი ვარ?

— და რა, ასე არ არის? — ჰკითხა ბერტრამ სკადერმა განსაკუთრებული ინტერესის გარეშე.

— არა, არ არის ასე, — გაცხარებით თქვა ფილიპმა, — საზოგადო კეთილდღეობას ყოველთვის ნებისმიერ პირად ინტერესზე მაღლა ვაყენებდი. ჩემს დროსა და ფულს ვწირავდი ორგანიზაციას „გლობალური პროგრესის მეგობრები“, რომელიც ამ კანონის მხარდასაჭერად ჯვაროსნულ ომში ჩაება. ჩემი აზრით, სრული უსამართლობაა, მხოლოდ ერთ ადამიანს მიეცეს შანსი, სხვას კი არაფერი დარჩეს.

ბერტრამ სკადერმა ჩაფიქრებული, მაგრამ გულგრილი მზერა მიაპყრო ფილიპს:

— ეს განსაკუთრებულად სასიამოვნოა თქვენი მხრიდან, — წარმოთქვა მან.

— ზოგიერთი ადამიანი, მისტერ სკადერ, სერიოზულად ეკიდება მორალურ საკითხებს, — ხაზგასმული სიამაყით თქვა ფილიპმა.

— რაზე ლაპარაკობს ის, ფილიპ? — იკითხა ბეტი პოუპმა, — ჩვენ არავის ვიცნობთ ისეთს, ვისაც ერთ ბიზნესზე მეტი აქვს, ასე არ არის?

— ოჰ, შეეშვით ამ სისულელეს! — თქვა გაბეზრებული ხმით ბერტრამ სკადერმა.

— ვერ გამიგია, რატომ ატყდა ამხელა აურზაური ამ კანონის გამო, — წამოიწყო ბეტი პოუპმა ეკონომიკის ექსპერტის შემტევი ტონით, — ვერ ვხვდები, რამ გაამწარა ასე ეს ბიზნესმენები. ისევ მათ არ წაადგებათ? თუ გარშემო ყველა გაჭირვებული იქნება, გასაღების ბაზარი ხომ აღარ ექნებათ. მაგრამ თუ საკუთარ ეგოიზმს დათრგუნავენ და დაგროვებულ ქონებას სხვებსაც გაუზიარებენ, ახალი პროდუქციის წარმოებას შეძლებენ.

— მე კიდევ ის ვერ გამიგია, საერთოდ რა საჭიროა მრეწველების ინტერესების გათვალისწინება, — თქვა სკადერმა, — როცა მასები სიღატაკეში ცხოვრობენ, ამ დროს კი საქონელი ხელმისაწვდომია, ნამდვილი იდიოტი უნდა იყო, რომ იმედი გქონდეს, ხალხს რაღაც ქაღალდი შეაჩერებს, რომელსაც საკუთრების აქტი ჰქვია.

საკუთრების უფლება წმინდა წყლის ცრურწმენაა. საკუთრებას ვიღაც მხოლოდ იმათი წყალობით ინარჩუნებს, ვინც მას არ ართმევს. ხალხს ყოველ წუთს შეუძლია მისი ხელში ჩაგდება. და რადგან ასეა, ბოლოს და ბოლოს, რაღას ელოდოს?

— ჰოდა, არც დაელოდება, — თქვა კლოდ სლაგენჰოპმა, — ხალხს უჭირს. აი, რა არის მთავარი და გასათვალისწინებელი. და როდესაც ხალხს უჭირს, ჯერ თავისას მიიღებს, მერე კი მოპოვებულს...

მოულოდნელად აღმოცენებული კლოდ სლაგენჰოპი ფილიპსა და სკადერს შორის ჩაეკვეხა და, ვითომ სხვათა შორის, რედაქტორი გვერდით ჩააჩოჩა. სლაგენჰოპს არც მაღალი ეთქმოდა, არც მსუქანი, ჯირკივით იყო, გატეხილი ცხვირით. ის „გლობალური პროგრესის მეგობრების“ პრეზიდენტი გახლდათ.

— შიმშილი არ მოითმენს, — განაგრძობდა სლაგენჰოპი, — იდეა ჰაერია და მეტი არაფერი. ცარიელი მუცელი კი მატერიალური ფაქტია. მე ჩემს ყველა გამოსვლაში ვამბობ, რომ სულაც არ არის საჭირო ზედმეტი ლაპარაკი. არასაკმარისი საქმიანი შესაძლებლობები — აი, რის გამო იტანჯება ახლა საზოგადოება. ამიტომაც, სრული უფლება გვაქვს, არსებულ შესაძლებლობებს დავეპატრონოთ. ის უნდა დაკანონდეს, რაც საზოგადოებისთვის იქნება სასიკეთო.

— კი მაგრამ, საკუთარი ხელებით ხომ არ გაუთხრია ეს მადანი? — წამოიძახა უცებ ფილიპმა, — ასობით მუშა ჰყავდა დაქირავებული. მათ გააკეთეს ყველაფერი.

რატომღა არის ასეთი კმაყოფილი თავისი თავით?

ორივე თანამოსაუბრემ მას შეხედა. სკადერმა წარბები აზიდა. სლაგენჰოპს სახე არ შესცვლია.

— ოჰ, ღმერთო! — რაღაც გაახსენდა ბეტი პოუპს.

ჰენკ რიერდენი სასტუმრო ოთახის ბოლოს, ბნელ კუთხეში, ფანჯარასთან განმარტოვდა. უნდოდა, ცოტა დაესვენა, რამდენიმე წუთით მაინც.

ის-ის იყო, ერთ ასაკოვან ქალბატონს დაუსხლტა, რომელიც საკუთარ პარაფსიქიკურ გამოცდილებას უზიარებდა. იდგა და ფანჯარაში იყურებოდა. შორს, „რიერდენ სთილის“ თავზე, ჩვეული წითელი ალმური ცას უწევდა. შვებით შესცქეროდა თავის ქარხანას.

მოტრიალდა, სასტუმრო ოთახისთვის რომ თვალი მოევლო. საკუთარი სახლი არასდროს მოსწონდა; ლილიანის გემოვნებით იყო მოწყობილი. მაგრამ იმ ღამით საღამოს კაბების ფერადოვანი ელვარება იქაურობას ხალისსა და პენს სძენდა. მოსწონდა ყურება, როგორ ერთობოდნენ ადამიანები, თუმცა ამგვარი გართობა თვითონ გულზე არ ეხატებოდა.

მერე მზერა ყვავილებზე გადაიტანა, სინათლეზე მოკიაფე ბროლის სასმისებზე, ქალბატონების შიშველ მხრებსა და მკლავებზე. გარეთ, შემოდგომის მოტიტვლებულ სივრცეებში, ცივი ქარი დაძრწოდა. იქვე ახლოს ხე იდგა, მისი წვრილი ტოტები ვედრებით აპყრობილ ხელებს მიამსგავსა. ხის მიღმა შორეული ალმური მოჩანდა ქარხნის თავზე.

სახელი ვერ მოუძებნა ამ გრძნობას. სიტყვები ვერ შეურჩია ვერც მის მიზეზს, ვერც ხარისხს, ვერც მნიშვნელობას. ნაწილობრივ, ეს თითქოს სიხარული იყო, თან — თითქოს სურდა, თავი საზეიმოდ დაეხარა, თუმცა ვის წინაშე — არ იცოდა.

როცა სტუმრებში გაერია, იღიმებოდა. მაგრამ უცებ სახე შეეცვალა; დაინახა, როგორ შემოვიდა ახალი სტუმარი: ეს დაგნი ტაგარტი იყო.

ლილიანი დაგნისკენ გაემართა, თან ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ისინი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს სხვადასხვა გარემოებებში და ლილიანს დაგნის ხილვა საღამოს კაბაში ძალიან ეუცნაურა. შავი კაბის მოსასხამი დაგნის ცალ მხარს უფარავდა, მეორე კი მოეშიშვლებინა. ეს ერთადერთი დეტალი ამკობდა მის სამოსს. ჩვეულებრივ, დაგნის საქმიანი კოსტიუმი ეცვა ხოლმე და არავინ დაფიქრებულა,

როგორი სხეული ჰქონდა. ეს კაბა კი მეტისმეტი გულახდილობით წარმოაჩენდა მის მოშიშვლებულ თხელ და ულამაზეს მხარს, ხოლო ბრილიანტის სამაჯური, ერთადერთი სამკაული, დაგნის ქალურობას იმ განსაკუთრებულობას სძენდა, ბორკილები რომ იწვევს.

— მის ტაგარტ, რა საოცარი სიურპრიზია თქვენი ხილვა, — უთხრა ლილიანმა და სახის კუნთებით ღიმილი გამოსახა, — იმედიც არ მქონდა, რომ ჩემი მოსაწვევი გაცილებით მნიშვნელოვან საქმეებს მოგწყვეტდათ. ძალიან მასიამოვნეთ.

ჯეიმს ტაგარტი დასთან ერთად შევიდა. ლილიანმა მას მოგვიანებით გაუღიმა, თითქოს ის-ის იყო შეამჩნია:

— გამარჯობა, ჯეიმს. ისე განმაცვიფრა შენი დის დანახვამ, ვერც კი შეგამჩნიე.

აი, რა ძალა აქვს პოპულარობას.

— პოპულარობაში შენ ვერავინ შეგეჯიბრება, ლილიან, შენი არშემჩნევა უბრალოდ შეუძლებელია, — უთხრა ჯეიმსმა და ძუნწად გაუღიმა.

— ჩემი? ოჰ, მე უკვე შევეგუე, რომ მეორე ადგილზე ვარ, ჩემი ქმრის ჩრდილში.

თავმდაბლობით ვაცნობიერებ, რომ როცა დიდებული პიროვნების მეუღლე ხარ, მისი დიდების ჩრდილქვეშ ყოფნით უნდა დაკმაყოფილდე, ასე არ არის, მის ტაგარტ?

— არა, — უთხრა დაგნიმ, — მე ასე არ ვფიქრობ.

— ეს კომპლიმენტია თუ გაკიცხვა, მის ტაგარტ? გთხოვთ, მაპატიეთ, თუ ჩემი უსუსურობა ვაღიარე. ვინ გაგაცნოთ? ვშიშობ, მხოლოდ მწერლებისა და მხატვრების შემოთავაზება მომიწევს, დარწმუნებული ვარ, არ დაგაინტერესებთ.

— ჰენკი მინდა ვნახო და მივესალმო.

— დიახ, რა თქმა უნდა. ჯეიმს, გახსოვს, ამბობდი, რომ ბალფ იუბენკთან საუბარი გინდოდა?

— ოჰ, დიახ.

— აქ არის. მოვუყვები, როგორ აქებდი მის ბოლო რომანს მისის ვიტკომბთან სადილობისას.

როდესაც ვრცელ ოთახს კვეთდა, დაგნის გულწრფელად უკვირდა, რამ ათქმევინა, რომ ჰენკ რიერდენის ნახვა უნდოდა, რატომ დამალა, რომ შესვლისთანავე დაინახა ის. რიერდენი გრძელი ოთახის მეორე ბოლოში იდგა და დაგნის უყურებდა.

თვალს არ აშორებდა, მაგრამ ნაბიჯიც არ გადმოუდგამს მის შესახვედრად.

— გამარჯობა, ჰენკ.

— საღამო მშვიდობის.

თავაზიანად, მაგრამ ცივად დაუკრა თავი. მისი მიმოხრა ზუსტად შეესატყვისებოდა კოსტიუმის უზადო ოფიციალურობას. არ იღიმებოდა.

— გმადლობ მოწვევისთვის, — ხალისიანად უთხრა დაგნიმ.

— ვერ ვიტყვი, რომ ვიცოდი, თუ თქვენ უნდა მოსულიყავით.

— ჰმ, მაშინ მიხარია, რომ მისის რიერდენს უფიქრია ჩემზე. გამონაკლისი მომინდა, დამეშვა.

— გამონაკლისი?

— წვეულებებზე იშვიათად დავდივარ.

— მოხარული ვარ, რომ გამონაკლისის სახით სწორედ ამ წვეულებას ესწრებით, — აღარ დაამატა „მის ტაგარტ“, მაგრამ ფრაზა იმგვარად გაისმა, თითქოს ასე მიემართოს. რიერდენის ოფიციალურობა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა დაგნისთვის, რომ მხარი უცებ ვერც აუბა.

— მინდოდა, დღეს მეზეიმა, — უთხრა დაგნიმ.

— ჩემი ქორწინების წლისთავი?

— დღეს თქვენი ქორწინების წლისთავია? არ ვიცოდი. გილოცავთ, ჰენკ.

— მაინც, რა უნდა გეზეიმათ?

— ვიფიქრე, ცოტას მოვდუნდები და დავისვენებ-მეთქი. გადავწყვიტე, საკუთარი ზეიმი მომეწყო — თქვენ და ჩემ საპატივცემულოდ.

— რასთან დაკავშირებით?

დაგნი ახალ სარკინიგზო ხაზზე ფიქრობდა, რომელიც კოლორადოს კლდოვან დაღმართებზე ნელა მიიწევდა შორეული მიზნისკენ — უაიატის ნავთობის საბადოებისკენ. ხედავდა მომწვანო-ზღვისფერ რელსებს უკაცრიელ მიწაზე, გამხმარ ბალახებში, მოტიტვლებულ კლდეებსა და შიმშილით გაწამებული დასახლებების ღარიბულ ქოხებს შორის.

— რიერდენ მეტალისგან დამზადებული პირველი სამოცკილომეტრიანი სარკინიგზო ხაზის საპატივცემულოდ. — უპასუხა დაგნიმ.

— მნიშვნელოვანი ამბავია, — თქვა რიერდენმა ისეთი ტონით, რომელიც სიტყვებს — „პირველად მესმის ამის შესახებ“ უფრო მოუხდებოდა.

დაგნიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სრულიად უცხო ადამიანს ელაპარაკებოდა.

— მის ტაგარტ! ნუთუ ეს თქვენ ხართ! — მათი დუმილი ხალისიანმა ხმამ დაარღვია, — ზუსტად ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ჰენკ რიერდენს ნებისმიერი სასწაულის მოხდენა შეუძლია.

მათთან ნაცნობი ბიზნესმენი მივიდა, რომელიც აღტაცებით იღიმებოდა. სამივენი ხშირად მართავდნენ ხოლმე სასწრაფო თათბირებს ფოლადის მიწოდებასა და სატვირთო გადაზიდვების ტარიფებთან დაკავშირებით. ახლა ეს ბიზნესმენი დაგნის თვალს არ აშორებდა და სახეზე ეწერა, როგორი განცვიფრებული იყო მისი გარეგნული ცვლილებით, „ცვლილებით, რომელიც რიერდენმა არც კი აღნიშნა“, — გაიფიქრა დაგნიმ.

მან მისალმების საპასუხოდ გაიცინა. თავს არ უტყდებოდა, რა იმედგაცრუებული იყო, რომ რიერდენის სახეზე ვერ ამოიკითხა ასეთივე აღფრთოვანება. ამ ადამიანთან ხანმოკლე საუბარი გააბა და როცა მოტრიალდა, რიერდენი იქ აღარ იდგა.

— ესე იგი, ეს არის შენი ცნობილი დაიკო? — ჰკითხა ბალფ იუბენკმა ჯეიმს ტაგარტს. — არ ვიცოდი, ჩემი და თუ ცნობილი პიროვნება იყო, — მწარედ თქვა ტაგარტმა.

— მაგრამ, ჩემო კარგო, ის იმდენად უჩვეულო მოვლენაა ეკონომიკის სფეროში, რომ გასაკვირი არაფერია, მასზე რომ ამდენს ლაპარაკობენ. შენი და ჩვენი ეპოქის საერთო სენის სიმპტომს განასახიერებს. მექანიზმებისა და მანქანების ეპოქის დეკადენტური პროდუქტი. მექანიზმებმა ადამიანებს ადამიანურობა წაართვა, მინას მოსწყვიტა ისინი, ბუნებრივ საქმიანობებს ჩამოაშორა, მათი სულები დაღუპა და უემოციო რობოტებად აქცია. და აი, ნათელი მაგალითიც: ქალი, რომელიც რკინიგზას მართავს იმის მაგივრად, რომ ქსოვის ხელოვნებას ეუფლებოდეს და ბავშვებს აჩენდეს.

რიერდენი სტუმრებს შორის დადიოდა, ცდილობდა, არავის ჩაეთრია საუბარში.

სასტუმრო ოთახს თვალი მოავლო და ვერავინ დაინახა, ვისთან მისვლა და ლაპარაკიც მოუნდებოდა.

— მომისმინეთ, ჰენკ რიერდენ, არც ისეთი საძაგელი ვინმე ჩანხართ ახლოდან, საკუთარ ბუნაგში. ხანდახან მაინც რომ მოაწყოთ ხოლმე პრეს კონფერენციები, ეგებ კიდეც გადაგებირებინეთ თქვენს მხარეზე.

რიერდენმა მიიხედა და თვალებს არ დაუჯერა. ეს ერთობ საეჭვო ყაიდის ახალგაზრდა ჟურნალისტი იყო რადიკალური ბულვარული ჟურნალიდან. მისი შეურაცხმყოფელი ფამილარობა აშკარად მიანიშნებდა, რომ ის განგებ ეუხეშებოდა რიერდენს, რადგან იცოდა, რომ ეს უკანასკნელი მისნაირ ადამიანთან ურთიერთობას არასოდეს იკადრებდა. რიერდენი ამ ჟურნალისტს თავისი ქარხნის ზღურბლზეც არ შეუშვებდა, მაგრამ ის ლილიანის სტუმარი იყო. თავი შეიკავა და ცივად ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— თქვენ არცთუ ისე ცუდი ადამიანი ხართ, ნიჭი გაქვთ. ტექნოლოგიური ნიჭი.

მაგრამ რიერდენის შენადნობს რაც შეეხება, აქ, რა თქმა უნდა, არ გეთანხმებით.

— მე თქვენთვის დათანხმება არც მითხოვია.

— იცით რა, ბერტრამ სკადერმა თქვა, რომ თქვენი პოლიტიკა — გამომწვევად განაგრძო კორესპონდენტმა და ბარისკენ მიანიშნა, მაგრამ უცებ გაჩუმდა, თითქოს მიხვდა, რომ იმაზე მეტი მოუვიდა, ვიდრე განზრახული ჰქონდა.

რიერდენმა გაიხედა და ბარზე გადახრილი ფეთხუმად ჩაცმული კაცი დაინახა.

ლილიანმა ისინი ერთმანეთს გააცნო, მაგრამ მაშინ მისი სახელისთვის ყურადღება არ მიუქცევია. რიერდენი ისე მკვეთრად გატრიალდა და გაეცალა, რომ უტიფარ ახალგაზრდას უკან გადევნების სურვილი დაუკარგა.

ლილიანმა შეამჩნია რიერდენის გამომეტყველება, როდესაც ის სტუმრებით გარემოცულს მიუახლოვდა და განზე გადგა, სადაც მათ ვერავინ მოუსმენდა.

— ეს ის სკადერია ჟურნალ „ფიუჩერიდან“? — ჰკითხა ლილიანს და ბარის მხარეს გაიშვირა ხელი.

— დიახ, და რა?

რიერდენი უსიტყვოდ მისჩერებოდა ცოლს, ყურებს არ უჯერებდა, მისი საქციელის ლოგიკას ვერ ჩასწვდა. ლილიანი თვალს არ აშორებდა.

— როგორ შეგეძლო მისი დაპატიჟება?

— ო, ჰენრი, სასაცილო ნუ იქნები. გინდა, შეზღუდული ადამიანივით გამოიყურებოდე? პატივი უნდა სცე სხვის აზრსა და უფლებას, დაუფარავად გამოთქვას საკუთარი პოზიცია.

— ჩემს საკუთარ სახლში?

— ო, ჰენრი, კარგი რა, ნუ ხარ ასეთი კონსერვატორი!

რიერდენი დუმდა. მისი გონება ორმა სურათმა გადაფარა, რომლებიც ჯიუტად დაუდგა თვალწინ: ბერტრამ სკადერის მიერ დაწერილი სტატია სათაურით „რვაფეხა“ — საჯაროდ გადმოცლილი ნაგვის ურნა, არავითარი იდეა, არც ერთი რეალური ან თუნდაც გამოგონილი ფაქტი, მხოლოდ დაცინვისა და შეურაცხყოფის ნიაღვარი, მხოლოდ ავტორის ბინძური ბოღმა და დაუსაბუთებელი ბრალდებები. მეორე სურათი იყო ლილიანის მშვენიერი პროფილი, ამაყი უმწიკვლოება, რომელსაც ესწრაფოდა, როცა ცოლად მოიყვანა.

ისევ შეხედა ცოლს და მიხვდა, რომ ეს პროფილი უბრალოდ მის მეხსიერებაში იყო ჩაბეჭდილი: ახლა ლილიანი მას გაფაციცებით და ცოტა დაძაბული შესცქეროდა.

როცა რეალობას დაუბრუნდა, რიერდენმა ცოლის თვალებში სიამოვნება ამოიკითხა, მაგრამ მომდევნო წამს საკუთარ თავს შეახსენა, რომ საღ გონებაზე იყო და, შესაბამისად, ეს სიმართლე ვერ იქნებოდა.

— ეს იყოს პირველი და უკანასკნელი დაპატიჟება ჩემს სახლში ამ... — ცივად გამოცრა რიერდენმა უწმაწური სიტყვა...

— როგორ ბედავ ჩემთან მასეთ...

— ნუ მედავები, ლილიან! კიდევ ერთი სიტყვაც, და ახლავე მოვისვრი გარეთ!

მშვიდად ადროვა წუთი ლილიანს, რომ სურვილის შემთხვევაში ეპასუხა, შესწინააღმდეგებოდა ან თუნდაც ეყვირა, მაგრამ ცოლი დუმდა, ქმრისკენ არც იყურებოდა, მხოლოდ გლუვი ლოყები შეეზნიქა თითქოს.

სინათლეში, ხმაურში და სუნამოების სუნში ბრმად მიიკვლევდა გზას და უცებ ძრწოლის ცივი შეხება იგრძნო. ხვდებოდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ რიგიანად უნდა დაფიქრებულიყო ლილიანთან დაკავშირებით, მის ხასიათში და ბუნებაში გარკვეულიყო, რადგან დღევანდელი უბოდიშო საქციელის მოყრუება დაუშვებელი იყო. თუმცა რიერდენს ლილიანზე ფიქრი არ სურდა და ძრწოლასაც იმიტომ გრძნობდა, რომ იცოდა: ამ გამოცანის პასუხი უკვე ძალიან დიდი ხანი იყო, აღარ აინტერესებდა.

ისევ მოეძალა დაღლილობა. მოეჩვენა, თითქოს ხედავდა, როგორ აიქოჩრა დაქანცულობა ტალღებად; დაღლამ მასში კი არა, გარეთ, მთელ ამ ოთახში დაისადგურა; წამით ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მარტო დარჩა, უსიცოცხლო უდაბნოში აებნა გზა, დახმარება სჭირდებოდა, მაგრამ იცოდა, რომ არავინ დაეხმარებოდა. და უცებ ადგილზე გაიყინა. სასტუმრო ოთახის საპირისპირო მხარეს, კართან, მაღალი, ტანადი მამაკაცი დაინახა, რომელიც სანამ შევიდოდა, წუთით შეჩერდა. რიერდენი ადრე ამ ადამიანს არ შეხვედრია, მაგრამ იმ სკანდალურად ცნობილ პიროვნებებს შორის, ვის ფოტოებსაც პრესის ფურცლები გადაჭრელებული ჰქონდა, ყველაზე ძლიერ სიძულვილს სწორედ მის მიმართ გრძნობდა. ეს ფრანცისკო დ'ანკონია იყო.

რიერდენს განსაკუთრებული ყურადღება არასოდეს გაუმეტებია ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც ბერტრამ სკადერი იყო. მაგრამ ცხოვრების ყოველ წუთსა და წამს, როცა კი ამაყი იყო, რაკი დაძაბულობისგან ფეხები ეკეცებოდა და თავი უსკდებოდა; ყოველ ნაბიჯზე, რომელსაც მინესოტას მაღაროებიდან ამოჰყავდა, რომ თავისი შრომა ოქროდ ექცია; მთელი თავისი უსაზღვრო პატივისცემის გამო ფულისა და მისი არსის მიმართ, მას ეზიზღებოდა ეს მფლანგველი არარაობა, რომელმაც ვერ შეიფერა ისეთი წყალობა, როგორიც მდიდრული მემკვიდრეობის მიღებაა. „აი“, — ფიქრობდა რიერდენი, — „ადამიანის მოდგმის ყველაზე საძულველი წარმომადგენელი“.

ფრანცისკო დ'ანკონია შემოვიდა, ლილიანს თავი დაუკრა, და ხალხში ისე გაერია, თითქოს ეს სასტუმრო ოთახი მისი იყო და იქ ცხოვრებაში პირველად არ მისულიყოს.

თავს ყველა ფრანცისკოს მიმართულებით ატრიალებდა, გეგონებოდა, თვითონ მართავდა მათ თოკებით.

რიერდენი კიდევ ერთხელ მივიდა ლილიანთან, უკვე რისხვის გარეშე — გაღიზიანება ინტერესში გადაეზარდა და უთხრა:

— არ ვიცოდი, ამ ტიპს თუ იცნობდი.

— რამდენიმე წვეულებაზე შევხვდი.

— ესე იგი, ეგეც შენი ერთ-ერთი მეგობარია?

— არა, რა თქმა უნდა.

— მაშინ რატომ დაპატიჟე?

— როცა ის ჩვენს ქვეყანაშია, შეუძლებელია, წვეულება მოაწყო, მე ღირსეულ წვეულებას ვგულისხმობ, და არ დაპატიჟო. თუ მოდის, ეს, ცხადია, არასასიამოვნოა, მაგრამ თუ არ მოდის — სამარცხვინო ლაქაა საზოგადოების თვალში.

რიერდენს გაეცინა. ლილიანმა თავი გასცა. ჩვეულებრივ, მსგავსი გულახდილობა მას არ ახასიათებდა.

— მომისმინე, — დაღლილი ხმით უთხრა რიერდენმა, — არ მინდა, ზეიმი გაგიფუჭო. მაგრამ ეგ ადამიანი არ გამაკარო და ჩვენი გაცნობა არც იფიქრო. არ მსურს, ამ კაცს ვიცნობდე. არ ვიცი, ამას როგორ მოახერხებ, მაგრამ შენ გამოცდილი დიასახლისი ხარ და რამე მოიფიქრე.

დაგნი ადგილზე გაქვავდა, როდესაც დაინახა, როგორ უახლოვდებოდა ფრანცისკო. როდესაც გვერდით ჩაუარა, მან დაგნის თავი დაუკრა. არ გაჩერდა. მაგრამ ქალმა იცოდა, რომ ეს წამი ფრანცისკოს გონებაში აღიბეჭდა. დაგნიმ მის სახეზე მკრთალი ღიმილი შეამჩნია, რითაც ფრანცისკომ ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერი ესმის, მაგრამ ამჯობინებს, არ შეიმჩნიოს მათი ნაცნობობა. დაგნი გატრიალდა. იმედი ჰქონდა, რომ მასთან ურთიერთობას მთელი საღამოს განმავლობაში აირიდებდა.

ბალფ იუბენკი დოქტორ პრიტჩეტის ირგვლივ შემოკრებილი სტუმრების ჯგუფს შეუერთდა და პირქუშად წარმოთქვა:

— არა... არანაირი იმედი არ არსებობს, რომ ადამიანები ფილოსოფიის მაღალ იდეალებს გაიგებენ. კულტურა ფულზე მონადირე ხალხს. ხელიდან უნდა გამოვგლიჯოთ. ლიტერატურისთვის ნაციონალური სტიპენდია უნდა დაწესდეს. ეს ხომ სირცხვილია: ხელოვანებს ისე ექცევიან, როგორც წვრილმანებით მოვაჭრეებს, მათი ნაღვაწი კი საპონივით უნდა გაიყიდოს.

— იქნებ, არ მოგწონთ, რომ საპონი უკეთ საღდება? — ჰკითხა ფრანცისკო დ'ანკონიამ.

ის შეუმჩნევლად ჩაერთო საუბარში, რომელიც იმწამსვე შეწყდა. უმეტესობა არ იცნობდა დ'ანკონიას, თუმცა სმენოდათ მის შესახებ.

— იმის თქმა მინდოდა, რომ... — დაიწყო გაბრაზებულმა ბალფ იუბენკმა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. მსმენელთა სახეებზე ცხოველი ინტერესი შენიშნა, ოღონდ უკვე არა ფილოსოფიის მიმართ.

— ოჰ, პროფესორო, მოგესალმებით უთხრა ფრანცისკომ დოქტორ პრიტჩეტს და თავი დაუკრა.

დოქტორ პრიტჩეტს საპასუხო მისალმებისას განსაკუთრებული სიამოვნება არ გამოუხატავს და დ'ანკონია დანარჩენებს წარუდგინა.

— ჩვენ ერთ უაღრესად საინტერესო საკითხს ვარჩევდით. დოქტორი პრიტჩეტი ბრძანებდა, რომ ყველაფერი არაფერია, — თქვა ერთმა ქალბატონმა.

— მან, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი იცის ამ საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე ვინმე სხვამ, — სერიოზული ტონით უპასუხა ფრანცისკომ.

— ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ დოქტორ პრიტჩეტს ასე კარგად იცნობდით, სენიორ დ'ანკონია, — თქვა ქალმა და ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ არ ესიამოვნა დოქტორ პრიტჩეტს მისი რეპლიკა.

— მე იმ ცნობილი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ, სადაც დოქტორი პრიტჩეტი ამჟამად მუშაობს — პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტის. მაგრამ ჩემი ლექტორი მისი წინამორბედი, ჰიუ ექსტონი იყო.

— ჰიუ ექსტონი! — გაოცებით თქვა მიმზიდველმა ახალგაზრდა ქალმა, — მაგრამ სენიორ დ'ანკონია, ეს შეუძლებელია! თქვენ ხომ ძალიან ახალგაზრდა ხართ. მეგონა, ის... გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი იყო.

— ალბათ სულით, მადამ. თუმცა, არა სინამდვილეში.

— მე მეგონა, დიდი ხნის წინ გარდაიცვალა.

— ცდებით, ის ჯერაც ცოცხალია.

— მაშინ რატომ არაფერი ისმის მის შესახებ?

— ის ცხრა წლის წინ დაეთხოვა სამსახურს.

— რა უცნაურია. როცა პოლიტიკოსი ან კინოვარსკვლავი ასრულებს კარიერას, ჩვენ ამის შესახებ პრესაში პირველივე გვერდებიდან ვიგებთ, მაგრამ როცა ფილოსოფოსი წყვეტს მუშაობას, ხალხმა არაფერი იცის.

— ზოგიერთმა იცის.

— მე კი მეგონა, ჰიუ ექსტონი ერთ-ერთი ის კლასიკოსი იყო, რომელსაც ახლა მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიაში თუ ეცნობიან. — განცვიფრებით აღნიშნა ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა, — ამის წინათ სტატია წავიკითხე, სადაც ის გონების უკანასკნელ დამცველად არის წარმოდგენილი.

— და რას ამბობდა ჰიუ ექსტონი? — იკითხა ისევ ქალმა.

— გვასწავლიდა, რომ გარშემო ყველაფერი არის რაღაც, — უთხრა ფრანცისკომ.

— თქვენი ერთგულება ლექტორის მიმართ შექებას იმსახურებს, სენიორ დ'ანკონია, — ცივად თქვა დოქტორმა პრიტჩეტმა, — ანუ, ჩვენ შეგვიძლია, თქვენ განგიხილოთ, როგორც მისი სწავლების პრაქტიკული შედეგი, მისი მემკვიდრე, ასეა?

— ასეა.

შეკრებილ სტუმრებს ჯეიმს ტაგარტი მიუახლოვდა და ელოდებოდა, როდის შეამჩნევდნენ.

— გამარჯობა, ფრანცისკო.

— საღამო მშვიდობის, ჯეიმს.

— რა არაჩვეულებრივი დამთხვევაა, აქ რომ შეგხვდი! ძალიან მინდოდა შენთან ლაპარაკი.

— ეს რაღაც ახალია. ადრე ასეთი სურვილი იშვიათად გიჩნდებოდა.

— სულ ხუმრობ, როგორც ადრე, არა? — ტაგარტი ცდილობდა, ნელა, თითქოს შემთხვევით, გვერდზე გამდგარიყო, იმ იმედით, რომ ფრანცისკოსაც გაიტყუებდა; — მშვენივრად იცი, რომ ამ დარბაზში ერთი ადამიანიც არ მოიძებნება, ვისაც შენთან საუბარი არ უნდოდეს.

— მართლა? მე კი პირიქით მგონია. — ფრანცისკო დამჯერედ გაჰყვა ტაგარტს, მაგრამ ისე დადგა, რომ მათი მოსმენა სხვებსაც შესძლებოდათ.

— ყველა გზა ვცადე შენთან დასაკავშირებლად, მაგრამ... არც ერთხელ არ გამიმართლა... — თქვა ტაგარტმა.

— ცდილობ, მიჩქმალო ფაქტი, რომ შენთან შეხვედრაზე უარი ვთქვი?

— ჰო... ასეა... ანუ... რატომ მითხარი უარი?

— უბრალოდ, ვერ წარმოვიდგინე, რის შესახებ უნდა გელაპარაკა ჩემთან.

— რაღა თქმა უნდა, სან სებასტიანის მაღაროების შესახებ, — ხმას აუწია ტაგარტმა. — მართლა? და რა ხდება?

— მაგრამ... მომისმინე, ფრანცისკო, ეს ძალიან სერიოზული თემაა. ეს ხომ უბედურებაა, უპრეცედენტო კატასტროფა და ჯერ ვერავინ მიხვდა, რა ხდება. არ ვიცი, რა ვიფიქრო. არაფერი მესმის. ბოლოს და ბოლოს, უფლება მაქვს, ვიცოდე.

— უფლება? რა ძველმოდური ხარ, ჯეიმს. მაინც, რა გინდა, იცოდე?

— პირველ რიგში, ეს ნაციონალიზაცია — რის გაკეთებას აპირებ ამასთან დაკავშირებით?

— არაფრის.

— არაფრის?!

— შენ ხომ, რა თქმა უნდა, არ გინდა, რომ რაიმე მოვიმოქმედო ამ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. ჩემს მაღაროებს და შენს რკინიგზას ხალხი დაეპატრონა, საკუთარი სურვილით. იქნებ გინდა, ხალხის ნება-სურვილს დავუპირისპირდე?

— ფრანცისკო, ეს სერიოზული საქმეა, სიცილისთვის არ მცხელა!

— ამაში ეჭვი არც არასდროს შემპარვია.

— ახსნა-განმარტებას ვითხოვ! შენი აქციონერების წინაშე უნდა აგო პასუხი ამ სამარცხვინო ისტორიის გამო! რა გესაქმებოდა მაღაროებთან, რომლებიც გახვრეტილი გროშიც არ ღირდა თურმე? რატომ გაატანე ქარს მილიონები? რა ბინძური თაღლითობა გაჩარხე?

ფრანცისკო თავაზიანი გაკვირვებით უცქერდა.

— რას ამბობ, ჯეიმს, მე მეგონა, შენ მოიწონებდი ამ ავანტიურას.

— მოვიწონებდი?!

— მეგონა, სან სებასტიანის მაღაროების საქმეს უმაღლესი მორალური იდეალების პრაქტიკულ ხორცშესხმად შეაფასებდი. იმის გათვალისწინებით, რამდენჯერ გვიკამათია წარსულში, ვიფიქრე, კმაყოფილი დარჩებოდი, თუ შენი პრინციპების შესაბამისად მოვიქცეოდი.

— რაზე ლაპარაკობ საერთოდ?

ფრანცისკომ დანანებით გააქნია თავი:

— არ მესმის, რატომ უწოდებ ჩემს საქციელს თაღლითობას. მეგონა, დამიფასებდი გულწრფელ მცდელობას, პრაქტიკულად განმეხორციელებინა ის, რასაც ახლა მთელ მსოფლიოში ქადაგებენ. განა გარშემო ყველა იმას არ ამტკიცებს, რომ ეგოიზმი ბოროტებაა? სან სებასტიანის პროექტის შემთხვევაში აბსოლუტურად არავითარი ეგოისტური მიზნები არ მქონია. საერთოდ არ მქონია იქ პირადი ინტერესი.

განა ეს საძაგლობა არ არის — საკუთარი ხეირისთვის მუშაობა? მე იქ მოგება არ მიძებნია... პირიქით, ვიზარალე. განა ყველა არ ფიქრობს, რომ ნებისმიერი სამრეწველო საწარმოს მიზანი და დანიშნულება წარმოება კი არა, მისი დაქირავებული მუშახელის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა? ასე რომ, სან სებასტიანის მაღაროები ყველაზე წარმატებული პროექტია მრეწველობის ინდუსტრიაში — ამ მაღაროებს ერთი გრამი სპილენძიც არ მოუციათ, მაგრამ ათასობით ადამიანი უზრუნველყვეს, რომლებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეუქმნიათ ის, რასაც ერთ სამუშაო დღეში იღებდნენ ჩემთან. ხომ აღიარებული ფაქტია, რომ მფლობელი პარაზიტია და ექსპლუატატორი? რომ მთელ სამუშაოს დაქირავებული მუშები ასრულებენ და მხოლოდ მათი შრომის წყალობით არის შესაძლებელი წარმოება? მე იქ ექსპლუატაცია არავისთვის გამიწევია. სან სებასტიანი ჩემი უსარგებლო პერსონით არ დამიმძიმებია. იქაურობა მართლაც ღირსეულ ადამიანებს ჩავაბარე. არც ამ საწარმოს შეფასება ამიღია საკუთარ თავზე. იქაურობის მართვა სამთო საქმის სპეციალისტს მივანდე. ის არცთუ ისე კარგი პროფესიონალი იყო, მაგრამ საშინლად უნდოდა მუშაობა. განა აღიარებული არ არის,

რომ როცა ადამიანი სამუშაოზე აგყავს, პირველ რიგში, მისი საჭიროება უნდა გაითვალისწინო და არა კვალიფიკაცია? ხომ ყველა დარწმუნებულია, რომ რაღაცის მისაღებად საკმარისია, ის გჭირდებოდეს? მე ჩვენი დროის ყველა მორალური პრინციპი დავიცავი. მადლიერებასა და საქებარ სიტყვებს ველოდი... ვერ გამიგია, რისთვის მწყევლიან.

მათ საუბარს ყველა გატრუნული უსმენდა. ფრანცისკოს პასუხად მხოლოდ ბეტი პოუპის მოულოდნელი, მჭახე კისკისი გაისმა — მართალია, ვერაფერი გაიგო, სამაგიეროდ, ჯეიმს ტაგარტის უმწეო და გაცეცხლებული სახე დაინახა.

ყველანი ტაგარტს უყურებდნენ, აინტერესებდათ, თუ რა პასუხს გასცემდა ფრანცისკოს. თვითონ საკითხი სულ არ ადარდებდათ, უბრალოდ, სეირი ართობდათ.

ტაგარტმა ძლივს გამოსახა მოწყალე ღიმილი.

— ნუთუ გგონია, ამ ყველაფერს სერიოზულად მივიღებ? — ჰკითხა მან ფრანცისკოს.

— იყო დრო, არც მე მჯეროდა, რომ ამ დემაგოგიას ვინმე სერიოზულად მიიღებდა. ვცდებოდი.

— ეს აღმაშფოთებელია! — ხმას აუწია ტაგარტმა, — ეს, უბრალოდ, გაუგონარია!

როგორ შეიძლება, შენს საზოგადოებრივ მოვალეობებს ასე უპასუხისმგებლოდ მოექცე! ასეთი თავქარიანი როგორ უნდა იყო!

გატრიალდა და წასვლა დააპირა.

ფრანცისკომ მხრები აიჩეჩა და ხელები გაშლა:

— აი, ხომ ხედავ, ასეც ვიცოდი, რომ არ მოინდომებდი ჩემთან ლაპარაკს.

„რიერდენი მარტო იდგა, ოთახის მეორე ბოლოში. ეს ფილიპმა შენიშნა, მასთან მივიდა და ლილიანიც მოიხმო.

— ლილიან, მგონი, ჰენრიმ მოიწყინა, — თქვა და დამცინავად გაიღიმა, თუმცა გაუგებარი იყო, ვისი მისამართით — ლილიანის თუ რიერდენის, — ნუთუ გუნებაზე ვერ მოვიყვანთ?

— კარგი რა, — თქვა რიერდენმა.

— ოჰ, ფილიპ, სულ მინდოდა, ჰენრის დასვენება ესწავლა. ის ყველაფერს ისე სერიოზულად ეკიდება... ნამდვილი პურიტანია. მინდოდა, ერთხელ მაინც მენახა მთვრალი, მაგრამ დიდი ხანია, მაგის იმედი დავკარგე. იქნებ, შენ შემოგვთავაზო რამე?

— არ ვიცი, მაგრამ მაინც არ არის კარგი, ასე მარტო რომ დგას.

— გეყოფათ, — უთხრა რიერდენმა, და რაკი ცდილობდა, არ დავიწყებოდა, რომ მათი გრძნობების მოფრთხილება მართებდა, მაინც დაამატა, — რომ იცოდეთ, რამდენი ვიწვალე, განმარტოება რომ მომეხერხებინა.

— აი, ხომ ხედავ, რას გეუბნებოდი! — უთხრა ლილიანმა ფილიპს და გაუღიმა, — მისთვის ცხოვრება და ადამიანებით ტკბობა გაცილებით რთულია, ვიდრე ტონა ფოლადის გამოდნობა. ინტელექტუალურ წიაღსვლებს ბაზარში არაფერი ესაქმება.

ფილიპს ჩაეცინა:

— ინტელექტუალური მიღწევები სულ არ მენაღვლება. დარწმუნებული ხარ, რომ ჰენრი ნამდვილად პურიტანია, ლილიან? შენ ადგილას მარტოს არ დავტოვებდი, თვალი რომ არ გაექცეს. აქ დღეს ბევრი ლამაზი ქალი ტრიალებს.

— ჰენრი და ღალატი? ფილიპ, შენ ახლა აქებ მას. მეტისმეტად აზვიადებ მის გამბედაობას.

ლილიანმა რიერდენს ცივად, ხაზგასმული ხელოვნურობით გაუღიმა და გაეცალა.

— ჯანდაბა, ფილიპ! რა სისულელეებს ბოდავ!

— მორჩი რა პურიტანელის თამაშს! ხუმრობა არ გესმის?

დაგნი უაზროდ დადიოდა სტუმრებით გადაჭედილ დარბაზში. ფიქრობდა, რამ გადააწყვეტინა ამ წვეულებაზე მოსვლა. პასუხმა განაცვიფრა — იმან, რომ ჰენკ რიერდენი უნდოდა ენახა. როდესაც უამრავ სტუმარს შორის დაინახა, პირველად შენიშნა, როგორ გამოირჩეოდა დანარჩენებისგან. სხვების სახეები თითქოს ურთიერთჩანაცვლებადი დეტალებისგან იყო აწყობილი, ყოველი მათგანი საყოველთაო მსგავსების ანონიმურობაში გაზავებას ეშურებოდა და ყოველი მათგანი გადადღაბნილი ჩანდა. რიერდენის თითქოსდა ყინულისგან ნაკვეთი სახე კი მკვეთრად გამოირჩეოდა სტუმრების ამორფული ფიზიონომიების ფონზე.

დროდადრო მზერა უნებურად მისკენ გაურბოდა, რიერდენს კი მთელი საღამოს მანძილზე ერთხელაც არ გაუხედავს დაგნისკენ. ვერ დაეჯერებინა, რომ ჰენკი განზრახ გაურბოდა მასთან საუბარს — ამას ლოგიკური ახსნა არ მოეძებნებოდა, მაგრამ მაინც, დაგნი გრძნობდა, რომ ეს მართლაც ასე იყო. რიერდენთან მისვლა და ამ ეჭვის გაბათილება უნდოდა. თუმცა, რაღაც აკავებდა, თავადაც ვერ აეხსნა საკუთარი მერყეობის მიზეზი.

რიერდენმა მოთმინებით გადაიტანა საუბარი დედასთან და ორ ხანშიშესულ ქალბატონთან, რომლებიც, დედამისის აზრით, მას თავისი ბავშვობისა და წარმატებისკენ მიმავალი გზის ამსახველი ამბებით უნდა შეექცია. დაემორჩილა, ფიქრობდა, რომ დედა თავისებურად ამაყობდა მისით. რიერდენს ეჩვენებოდა, რომ ის ისე იქცეოდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მისი მუდმივი დასაყრდენი და ძლიერების წყარო წარმატების გზაზე. გულით გაიხარა, როცა წასვლის ნება დართო და სასწრაფოდ ისევ ფანჯარასთან განცალკევდა.

ერთხანს იქ იდგა, თითქოს მარტოობაში ფიზიკურ დასაყრდენს ეძებდა.

— მისტერ რიერდენ, — გაისმა მამაკაცის უცნაურად მშვიდი ხმა უკნიდან, — ნება მომეცით თავი წარმოგიდგინოთ მე ფრანცისკო დ'ანკონია გახლავართ.

რიერდენი გაოცებული მიტრიალდა. დ'ანკონიას ქცევაში და ხმაში ისეთი რამ გამოკრთოდა, რასაც იშვიათად ამჩნევდა ადამიანებს — გულწრფელი პატივისცემა.

— მოგესალმებით, — მოკლედ და უკმეხად უპასუხა... თუმცა, მაინც უპასუხა.

— შევნიშნე, რომ მისის რიერდენი ცდილობს, არ გაგვაცნოს ერთმანეთს და მიზეზსაც, ვფიქრობ, ვხვდები. გირჩევნიათ, დავტოვო თქვენი სახლი, ასეა?

დ'ანკონია უხერხულობას არ შეუშინდა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ჯიქურ გადავიდა საქმეზე, და ეს ისე არ ჰგავდა რიერდენისთვის ნაცნობი ადამიანების ქცევას, იმდენად გასაკვირი და სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ უცებ არც უპასუხა. ცდილობდა, სტუმრის სახე შეეთვალიერებინა, ფრანცისკომ ეს სიტყვები ძალდაუტანებლად წარმოთქვა... არა როგორც საყვედური, არა როგორც თხოვნა, თუმცა ისე, რომ უცნაურად გაუსვა ხაზი რიერდენის ღირსებას და, ამავე დროს, არც საკუთარი შეულახავს.

— არა, — უთხრა რიერდენმა, — რასაც არ უნდა ვარაუდობდეთ თქვენ, ეგ მე არ მითქვამს.

— გმადლობ. თუკი ასეა, ნებას მომცემთ, დაგელაპარაკოთ?

— რატომ გინდათ ჩემთან ლაპარაკი?

— ამჟამად ჩემი მოტივები არ დაგაინტერესებთ.

— ვფიქრობ, არც თქვენ უნდა დაგაინტერესოთ ჩემთან საუბარმა.

— თქვენ ცდებით ერთ-ერთ ჩვენგანთან დაკავშირებით, მისტერ რიერდენ, ან, იქნებ, ორივესთან დაკავშირებითაც. ამ წვეულებაზე მხოლოდ თქვენთან დალაპარაკების მიზნით მოვედი.

რიერდენის ხმაში ერთგვარ გაოცებას მსუბუქი ირონია შეენაცვლა:

— თქვენ ღია თამაშით დაიწყეთ. ასე გააგრძელეთ.

— ვაგრძელებ.

— რისთვის გინდოდათ ჩემთან შეხვედრა? იმისთვის, რომ მიბიძგოთ, ფული დავკარგო?

— დიახ — საბოლოოდ ასე გამოვა, — ფრანცისკო თვალებში უყურებდა.

— ამჯერად რას უნდა ველოდოთ? ოქროს საბადოებს?

ფრანცისკომ აუჩქარებლად გააქნია თავი; საგანგებოდ შენელებულმა მოძრაობამ ლამის მწუხარე იერი მისცა:

— არა, არ ვაპირებ, რაიმე მოგყიდოთ. სხვათა შორის, არც ჯეიმს ტაგარტის გარევა მიფიქრია სპილენძის საბადოების საქმეში. თვითონ გამოიჩინა ინიციატივა.

თქვენ ამას არ იზამთ.

რიერდენმა ჩაიცინა:

— თუ ამდენი გესმით, სულ მცირე, გონივრული საფუძველი გვქონია საუბრისთვის. განაგრძეთ. თუ რაიმე გიჟურ ინვესტიციას არ გეგმავთ, მაშ, რისთვის გინდოდათ ჩემთან შეხვედრა?

— რომ გამეცანით.

— ეს პასუხი არ არის. თქვენ იმავეს ამბობთ, ოღონდ სხვა სიტყვებით.

— ასეც არ არის, მისტერ რიერდენ.

— ან, იქნებ, ჩემი ნდობის მოპოვება გაქვთ განზრახული?

— არა, არ მომწონს, როცა ცდილობენ, სიტყვებით ან აზრებით მოიპოვონ სხვების ნდობა. თუ კაცი პატიოსნად იქცევა, ნდობის წინასწარ მოპოვება არ სჭირდება, მისი საქციელის რაციონალური ანალიზიც საკმარისია. ვინც ცდილობს, სხვა ადამიანის ნდობა დაიმსახუროს, მას უპატიოსნო ზრახვები აქვს, თუნდაც ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებოდეს.

რიერდენი გაკვირვებით უყურებდა დ'ანკონიას. მისი მზერა ხელის უნებლიე გაწვდენას ჰგავდა, რომელიც სასოწარკვეთით დაეძებს დასაყრდენს. ამ მზერამ თქვა, როგორ სასიცოცხლოდ სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც ახლა მის წინ იდგა.

რიერდენმა თვალები დახარა, თითქმის დახუჭა, რომ გამიჯვნოდა, რასაც ხედავდა და თავის სურვილსაც. მერე სახე ისევ გაუმკაცრდა. ეს სიმკაცრე თვითონ მას მიემართებოდა; შეუვალი და მარტოსული ჩანდა:

— კეთილი, — წარმოთქვა გულგრილად, — თუ ნდობა არა, მაშ, რა გინდათ ჩემგან?

— მინდა... თქვენი გაგება მინდა შევძლო.

— რისთვის?

— ამისთვის საკუთარი მიზეზი მაქვს. მაგრამ ახლა თქვენ ეს არ დაგაინტერესებთ — რისი გაგება გინდათ, კერძოდ?

ფრანცისკომ სიბნელეს გახედა მდუმარედ. სადნობი ღუმლების ცეცხლი ჩამქრალიყო; მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ციალი მოჩანდა ჰორიზონტზე, რომელიც დაფლეთილ ღრუბლებს წითლად ფერავდა ცაზე. ფანჯრის მიღმა დროდადრო გამკრთალი ტოტების ბუნდოვანი სილუეტები თვით ქარის განსხეულებას ჰგავდა.

— ასეთი ღამე საშინელებაა ნებისმიერი ცხოველისთვის, რომელიც ავდარს ვერსად გაექცევა ამ ტრიალ ველზე, — თქვა ფრანცისკო დ'ანკონიამ — ამ დროს ხვდები, რა მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი ხარ.

რიერდენი ჯერ დუმდა; მერე კი თქვა ოდნავ გაკვირვებულმა, თითქოს საკუთარ თავს უპასუხა:

— სასაცილოა...

— რა?

— ის თქვით, რაზეც ზუსტად რამდენიმე წუთის წინ ვფიქრობდი...

— მართლა?

— „„ოღონდ სიტყვებად არ ჩამომიყალიბებია.

— გავაგრძელო?

— გისმენთ!

— თქვენ იდექით და ქარიშხალს უყურებდით ისეთი უსაზღვრო სიამაყით, როგორიც კი ადამიანმა შეიძლება განიცადოს — რადგან ამ საშინელ ღამეს თქვენი სახლი გაზაფხულის ყვავილებითა და ნახევრად შიშველი მშვენიერი ქალებით არის სავსე, ეს კი თქვენი გამარჯვებაა ქარიშხალზე. რომ არა თქვენ, აქ მყოფთა უმეტესობა შიშველი და დაუცველი დარჩებოდა ამ დაუოკებელი გრიგალის წინაშე.

— როგორ მიხვდით ამ ყველაფერს?

როცა ეს იკითხა, რიერდენმა უკვე იცოდა, რომ დ'ანკონიამ მისი მხოლოდ აზრები კი არა, მისი საკუთარი, ყველაზე დაფარული, ყველაზე პირადული ემოცია განასიტყვა. თვითონ კი, ის, ვინც თავის გრძნობებში არავის არასდროს გამოუტყდებოდა, ახლა ამ აღიარებითი შეკითხვით სწორედ ასე მოიქცა. ფრანცისკოს თვალებში თითქოს შეუმჩნეველი ღიმილი გაკრთა.

— თქვენ რა უნდა გესმოდეთ ასეთი სიამაყის შესახებ? — მოჭრილად ჰკითხა რიერდენმა, ვითომ მეორე კითხვის უდიერ ჟღერადობას პირველის გაქარწყლება შეეძლო, — როდესღაც, როცა ახალგაზრდა ვიყავი, მეც ამას ვგრძნობდი.

რიერდენმა შეხედა. ფრანცისკოს მზერაში არც დაცინვა იგრძნობოდა, არც საკუთარი თავისადმი სიბრალული. დახვეწილი, სწორი ნაკვთები და სუფთა, ცისფერი თვალები სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა — მისი უდრტვინველი სახე ნებისმიერი დარტყმისთვის მზად იყო.

— რატომ გინდათ ამაზე საუბარი? — ჰკითხა რიერდენმა, რომელიც დანებდა წუთიერ თანაგრძნობას.

— მოდით, ასე ვთქვათ — მადლიერების გამო, მისტერ რიერდენ.

— მადლიერება ჩემ მიმართ?

— თუ ამას მიიღებთ.

— მე მადლიერება არ მითხოვია. არ მჭირდება, — უთხრა რიერდენმა მკაცრად.

— არც მითქვამს, რომ გჭირდებათ, მაგრამ ყველა იმ ადამიანს შორის, ვინც დღევანდელი ქარბუქისგან იხსენით, არავინ გეტყვით მადლობას, ჩემ გარდა.

წუთიერი დუმილის შემდეგ რიერდენმა ხმადაბლა, ლამის მუქარის ტონით ჰკითხა:

— რის მიღწევას ცდილობთ?

— მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო მათ ბუნებას, ვისთვისაც თქვენ მუშაობთ.

— ასეთ რამეს მხოლოდ ის ადამიანი თუ გაიფიქრებდა ან იტყოდა, ვისაც ერთი დღეც არ უმუშავია. პატიოსნად მთელი სიცოცხლის მანძილზე, — რიერდენის ხმაში

ზიზღი და შვება გაისმა: წუთის წინ თანამოსაუბრის შესახებ საკუთარი შეხედულებების სისწორეში დაეჭვებამ განაიარაღა, ახლა კი თავდაჯერებულობა კვლავ დაუბრუნდა, — თქვენ ეს როგორ უნდა გაიგოთ? ამის გაგება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც შრომობს, მხოლოდ საკუთარი თავის გამო შრომობს, თუნდაც ზურგით ათას უნიჭოს მიათრევდეს. ახლა ვხვდები თქვენს აზრებს: განაგრძეთ, მითხარით, რომ ეს ბოროტებაა, რომ მე თავდაჯერებული, უსულგულო და სასტიკი ეგოისტი ვარ. დიახაც! ოღონდ ნუ მომიყვებით რაღაც სისულელეებს, რომ ადამიანმა სხვებისთვის უნდა იმუშაოს. არ მინდა.

რიერდენმა პირველად დაინახა, რომ ფრანცისკოს ადამიანური რეაქცია ჰქონდა მის სიტყვებზე. მზერა უფრო ახალგაზრდული და მხნე გაუხდა.

— იქიდან, რაც თქვით, მხოლოდ იმაში ვერ გამართლებთ, რომ თქვენ სხვებს აძლევთ უფლებას, თქვენი პოზიცია ბოროტებად შერაცხონ, — უპასუხა ფრანცისკომ.

და გაოგნებულ რიერდენს სტუმრებით სავსე დარბაზისკენ მიუთითა:

— რატომ გინდათ, ამათ მიათრევდეთ?

— იმიტომ, რომ ესენი მხოლოდ და მხოლოდ უბედური ბავშვები არიან, რომლებიც ცდილობენ, როგორმე ცოცხლები გადარჩნენ, მაშინ, როცა მე ვერც კი ვგრძნობ ტვირთის სიმძიმეს.

— და რატომ არ ეტყვით მათ ამას?

— რას?

— რომ თქვენ საკუთარი თავისთვის მუშაობთ და არა მათთვის.

— იციან.

— აჰ, დიახ. იციან. თითოეულმა მათგანმა ეს იცის. მაგრამ მათ ჰგონიათ, რომ თქვენ არ იცით ეს. და თავს არ ზოგავენ, რომ ვერც ვერასოდეს გაიგოთ ამის შესახებ. — რატომ უნდა მანაღვლებდეს, რას იფიქრებენ?

— იმიტომ, რომ ეს ბრძოლაა, სადაც თითოეულმა ადამიანმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, ვის მხარეს არის.

— ბრძოლა? რომელი ბრძოლა? მე უიარაღოებს არ ვებრძვი.

— ვითომ უიარაღოები არიან? მათ მოეპოვებათ იარაღი თქვენ წინააღმდეგ. ეს მათი ერთადერთი იარაღია, მაგრამ საშინელი. ერთხელაც ეგებ სცადოთ და გაერკვეთ, რა შეიძლება ეს იყოს...

— რა გაფიქრებინებთ, რომ ის მართლა არსებობს?

— თუნდაც ის მიუტევებელი ფაქტი, რომ ასეთი უბედური ხართ.

რიერდენი ნებისმიერ საყვედურს, შეურაცხყოფას, ნებისმიერ წყევლას აიტანდა; ერთადერთი, რასაც ადამიანებისგან ვერასოდეს მიიღებდა, სიბრალული იყო. მრისხანების ცივმა ჩხვლეტამ რეალობას დაუბრუნა. მერე კი თქვა, თან შეეცადა, თავისი ნამდვილი ემოცია არ გაეცა:

— როგორ ბედავთ ასეთ თავხედობას? ან რის მიღწევას ცდილობთ, რა მიზანი გაქვთ?

— მოდით, ასე ვთქვათ — ვცდილობ, გიკარნახოთ სიტყვები, რომლებიც ოდესმე დაგჭირდებათ.

— საერთოდ, რამ გადაგაწყვეტინათ ჩემთან ამ თემაზე ლაპარაკი?

— იმედმა, რომ ჩვენს საუბარს დაიმახსოვრებთ.

რიერდენი მიხვდა, რომ მისი რისხვის სათავე ის წარმოუდგენელი ფაქტი იყო, საკუთარ თავს უფლება რომ მისცა, სიამოვნება მიეღო ამ საუბრიდან. თითქოს ღალატის სუნი იგრძნო, უხილავი საფრთხის გემო.

— ნუთუ ფიქრობთ, რომ დამავიწყდება, ვინ ხართ თქვენ? — ჰკითხა და თან მიხვდა, რომ ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

— ჩემი აზრით, ამაზე არც უნდა იფიქროთ.

იმ ბრაზის მიღმა, რომლის აღიარებაც რიერდენს არ სურდა, კიდევ ერთი გრძნობა იმალებოდა — ერთგვარი მინიშნება ტკივილზე.

საკუთარი თავისთვის რომ მიეყურადებინა, მიხვდებოდა, რომ ჯერ კიდევ ესმოდა ფრანცისკოს ხმა: „ჩემ გარდა, მადლობას არავინ გეტყვით... თუ ამ მადლიერებას მიიღებთ...“

რიერდენს ჩაესმოდა წყნარი ხმით, უცნაურად საზეიმო ინტონაციით წარმოთქმული ეს სიტყვები და თავისი სრულიად აუხსნელი პასუხი — „დიახ“, სადღაც მისი სულის სიღრმიდან, გრძნობდა, უნდოდა, მიეღო ეს მადლიერება და ეთქვა ამ ადამიანისთვის, რომ მზად იყო, ეს მიეღო, რომ ეს სჭირდებოდა — არა, არა მადლიერება, არამედ რაღაც სხვა, რასაც სულაც არ ერქვა „მადლიერება“, და იცოდა, რომ თანამოსაუბრე სრულიად სხვა რამეს გულისხმობდა.

ხმამაღლა კი თქვა:

— მე თქვენთან შეხვედრა არ მიცდია. ეს თქვენ გინდოდათ ჩემთან დალაპარაკება, კეთილი... მაშ, მომისმინეთ. ჩემი აზრით, ერთადერთი ფორმა ადამიანის ზნეობრივი დაცემის — მიზნის დაკარგვაა.

— მართალია.

— შემიძლია, დანარჩენებს მივუტევო მათი უზნეობა, რადგან ისინი უსუსურები არიან. მაგრამ თქვენ — თქვენ იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომლის პატიებაც დაუშვებელია.

— სწორედ მიტევების ცოდვისგან მინდა, დაგიცვათ.

— თქვენ უდიდესი შანსი მოგეცათ ცხოვრებაში. და რაში გამოიყენეთ? თუკი გონება საიმისოდ გიჭრით, ყველაფერი გესმოდეთ, რაც აქ მელაპარაკეთ, საერთოდ, როგორღა შეგიძლიათ ჩემთან საუბარი? როგორ შეგიძლიათ, თვალებში შეხედოთ ადამიანებს იმ უპასუხისმგებლო მაქინაციის შემდეგ, რაც მექსიკაში დაატრიალეთ?

— სრული უფლება გაქვთ, გამკიცხოთ მაგის გამო, თუ ასე გსურთ.

დაგნი იქვე იდგა, ფანჯრის მეორე მხარეს, და გულმოდგინედ აყურადებდა. ისინი მას ვერ ხედავდნენ. როცა ორივე ერთად დაინახა, აუხსნელ წადილს წინ ვერა და ვერ აღუდგა და შეუმჩნევლად მიუახლოვდა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა იმის გაგება, თუ რაზე საუბრობდა ერთმანეთთან ეს ორი ადამიანი.

ბოლო რამდენიმე ფრაზა კარგად გაარჩია. ვერასდროს“ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე შეესწრებოდა, როგორ ასწორებდნენ მიწასთან ფრანცისკოს. მას ნებისმიერი მეტოქის განადგურება შეეძლო ნებისმიერ პაექრობაში, მაგრამ ახლა თავის დაცვასაც კი არ ცდილობდა.

და დაგნიმ იცოდა, რომ გულგრილობა აქ არაფერ შუაში არ იყო. მეტისმეტად კარგად იცნობდა ფრანცისკოს სახეს და მშვენივრად ხვდებოდა, რად უჯდებოდა სიმშვიდის შენარჩუნება, ხედავდა, როგორ უთრთოდა მას კანქვეშ კუნთები.

— მათ შორის, ვინც სხვის ხარჯზე ცხოვრობს, თქვენ ყველაზე დიდი პარაზიტი ხართ, — უთხრა რიერდენმა.

— ეს მე მოგეცით საფუძველი, ასე გეფიქრათ.

— მაშინ რა უფლებით მსჯელობთ ადამიანის ცხოვრების საზრისზე? თქვენ ხომ მას უღალატეთ!

— ძალიან ვწუხვარ, თუ შეურაცხყოფა მოგაყენეთ იმით, რაც თავისუფლად შეიძლებოდა, ქედმაღლობად მოგჩვენებოდათ, — ფრანცისკომ თავი დაუკრა და რიერდენს ზურგი აქცია.

— და მაინც, რა გინდოდათ, ჩემზე გაგეგოთ? — ჰკითხა რიერდენმა და ვერც კი გააცნობიერა, რომ ამ კითხვამ ერთბაშად გააქარწყლა მისი რისხვა, რომ ეს კითხვა გაისმა, როგორც თხოვნა ამ ადამიანისადმი, არ წასულიყო.

ფრანცისკო მოტრიალდა. მისი სერიოზული გამომეტყველება კვლავ მოწიწებას გამოხატავდა.

— მე ეს უკვე გავიგე, — უპასუხა მან.

რიერდენი იდგა და დიდხანს უყურებდა მიმავალს, ვიდრე ის სტუმრებს არ შეერია. მსახურმა ბროლის ლანგრით ხელში და დოქტორმა პრიტჩეტმა, რომელიც მორიგი კანაპეს ასაღებად გადაიხარა, ფრანცისკო მისი თვალთახედვის არიდან გააქრეს.

რიერდენმა ისევ ფანჯარაში გაიხედა. გარეთ გამეფებულ წყვდიადში მხოლოდ ქარის ზუზუნი ისმოდა.

როგორც კი რიერდენი ფანჯარას მოსცილდა, დაგნი მისკენ გაემართა და გაუღიმა, აგრძნობინა, რომ დალაპარაკება უნდოდა. რიერდენი გაჩერდა, თუმცა, დაგნის მოეჩვენა, რომ უხალისოდ და სწრაფად დაარღვია სიჩუმე:

— ჰენკ, როგორ შეიკრიბნენ აქ ეს ინტელექტუალები, რომლებიც მძარცველებს უჭერენ მხარს? მე მათ სახლში არ შემოვუშვებდი.

ამის თქმა სულაც არ სურდა. მაგრამ არც ის იცოდა, რა ეთქვა; მანამდე რიერდენის თანდასწრებით სიტყვები ასე არასდროს უძებნია.

ჰენკს თვალები დაუვიწროვდა, თითქოს კარი დაიკეტაო.

— მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა დაპატიჟოს ისინი ადამიანმა, — ცივად უპასუხა მან.

— ოჰ, სულაც არ მიფიქრია, გამეკრიტიკებინა, როგორ შეარჩიეს სტუმრები, მაგრამ... არც კი მინდა, ვიცოდე, რომელია ბერტრამ სკადერი, სილა რომ არ გავაწნა, — დაგნი შეეცადა, წონასწორობა შეენარჩუნებინა, — სკანდალის მოწყობა არ მსურს, მაგრამ ვშიშობ, გამიჭირდება თავის შეკავება. ყურებს არ დავუჯერე, როცა მითხრეს, რომ მისის რიერდენმა დაპატიჟა.

— ის მე დავპატიჟე.

— მაგრამ... რატომ? — ხმას დაუწია დაგნიმ.

— ასეთ გამოხტომებს მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

— მაპატიეთ, ჰენკ. არ ვიცოდი, ასეთი მომთმენი თუ იყავით. საკუთარ თავზე იმავეს ვერ ვიტყოდი.

რიერდენი დუმდა.

— ვიცი, რომ წვეულებები არ გიყვართ. არც მე მიყვარს. მაგრამ ხანდახან მგონია, სინამდვილეში, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, მათგან ნამდვილი სიამოვნება მივიღოთ.

— ვშიშობ, ამგვარი გართობის ნიჭი არ მაქვს.

— ამგვარის არა. მაგრამ, ნუთუ ფიქრობთ, რომ ამათგან ვინმე მართლა კარგ დროს ატარებს? ისინი უბრალოდ ცდილობენ, უფრო უაზრონი და უმიზნონი იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივ არიან; უფრო თავქარიანები და არასერიოზულები. მე კიდევ

მგონია, რომ ნამდვილ სიმსუბუქეს მხოლოდ ის ადამიანი გრძნობს, ვინც თავის მნიშვნელოვანებას და საჭიროებას აცნობიერებს.

— არ ვიცი.

— ეს აზრი დროდადრო მაფორიაქებს... ჩემი პირველი წვეულების შემდეგ...

დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ მიღება და წვეულება დღესასწაული უნდა იყოს, დღესასწაული კი მხოლოდ იმას ექნება, ვისაც სადღესასწაულო აქვს რაიმე.

— მაგაზე არასდროს მიფიქრია.

დაგნი ვერაფრით ვერ აეწყო რიერდენის მკაცრ და ოფიციალურ ქცევას. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა: მის კაბინეტში ისინი ყოველთვის ბუნებრივად და ძალდაუტანებლად საუბრობდნენ. ახლა კი რიერდენი ისე იქცეოდა, თითქოს სხვა ადამიანად ქცეულიყო.

— ჰენკ, აი, წარმოიდგინეთ! ამ ადამიანებს რომ არ იცნობდეთ, რა მშვენიერი მოგეჩვენებოდათ ეს სანახაობა! ფერები, განათება, წარმოსახვა, რომელმაც ეს წვეულება შექმნა... — დაგნი სტუმრებს გასცქეროდა. არც კი შეუმჩნევია, რომ რიერდენის მზერას სულ სხვა მიმართულება აერჩია. ის ჩრდილებს დაჰყურებდა დაგნის მოშიშვლებულ მხარზე, დაგნის თმაში გამომჭვირვალი სინათლისგან წარმოქმნილ მკრთალ, ლურჯ ჩრდილებს, — რატომ დავუთმეთ ეს ყველაფერი სულელებს? ეს ჩვენი დღესასწაული უნდა ყოფილიყო, — როგორ?

— არ ვიცი... ყოველთვის ვფიქრობდი, რომ წვეულება რაღაც ამაღელვებელი, მომაჯადოებელი უნდა ყოფილიყო, ძვირფასი ღვინოსავით, — დაგნიმ გაიცინა, თუმცა, ნაღვლიანად, — ოღონდ, მე საერთოდ არ ვსვამ. ეს კიდევ ერთი სიმბოლოა, რომელიც სულ სხვა რამეს აღნიშნავს.

რიერდენი დუმდა და დაგნიმ დაამატა:

— იქნებ, მათში არის რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ?

— არ შემიმჩნევია.

უეცრად მოვარდნილი სასოწარკვეთილი სიცარიელის ტალღაზე, დაგნის გაუხარდა კიდეც, რომ რიერდენი ვერ მიუხვდა, ან არ აჰყვა, რადგან გრძნობდა, რომ ზედმეტი გაუმხილა, თუმცა კერძოდ რა — ბოლომდე არ ესმოდა. დაგნიმ მხრები აიჩეჩა. ამ მოძრაობამ მსუბუქი კონვულსიასავით გადაურბინა მხარზე.

— ეს ჩემი ძველი ილუზიაა, — გულგრილად თქვა მან, — უბრალოდ, გუნება, რომელიც წელიწადში ერთხელ მსტუმრობს. მაგრამ, აბა, მაჩვენეთ ფოლადის უკანასკნელი ფასთა ინდექსი და მაშინვე გადამავიწყდება.

არ იცოდა, რომ რიერდენს თვალი არ მოუშორებია, როდესაც გადიოდა. ოთახში აუჩქარებლად დააბიჯებდა. არავის არ უყურებდა. ბუხართან სტუმრების ერთი ჯგუფი შეკრებილიყო. ბუხარში ცეცხლი არ ენთო. დარბაზში არ ციოდა, მაგრამ მათ იქ ისე მოეყარათ თავი, თითქოს არარსებულ ცეცხლის იდეით თბებოდნენ.

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ სიბნელის შიში დამჩემდა. არა, ახლა არა, მხოლოდ მაშინ, როცა მარტო ვარ. ღამე მაშინებს, ღამე, როგორც ასეთი, — ამბობდა ქალი, შინაბერა ჩანდა, კარგად აღზრდილი და სრულიად იმედგადაწურული სამ ქალსა და ორ მამაკაცს კარგად ეცვათ. მათი გლუვი სახის კანი ცხადად მოწმობდა, რომ თავსაც მშვენივრად უვლიდნენ, მაგრამ შინაგანი ფორიაქი და დაძაბულობა, რომელიც აიძულებდათ, ძალიან ხმადაბლა ელაპარაკათ, მათ შორის არსებულ ასაკობრივ სხვაობას შლიდა და ყველანი ერთნაირად ჭაღარა და ერთნაირად გამოფიტული ჩანდნენ. ასეთები ყოველთვის გამოერევიან ხოლმე რესპექტაბელურ კომპანიაში. დაგნი შორიახლოს გაჩერდა და მიაყურადა.

— მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ეს რატომ გაშინებთ? — იკითხა მეორე ქალბატონმა.

— არ ვიცი, — უპასუხა შინაბერამ, — არც ქურდების მეშინია, არც ბანდიტების.

უბრალოდ, მთელი ღამე ვერ ვიძინებ. მხოლოდ გამთენიისას მეძინება. რა უცნაურია. ყოველ საღამოს, როცა შებინდებას იწყებს, მიჩნდება შეგრძნება, რომ მორჩა, ეს საბოლოოა და მზე აღარასოდეს ამოვა.

— ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც მენის შტატის სანაპიროზე ცხოვრობს, იგივე მომწერა. — თქვა სხვა ქალბატონმა.

— წუხელ, — თქვა შინაბერამ, — სროლის გამო ვერ დავიძინე. სადღაც, ზღვის მხარეს, მთელი ღამე ისროდნენ. ცეცხლი არ დამინახავს, არაფერი არ ჩანდა, მხოლოდ აფეთქების ხმა მესმოდა, მერე პაუზა, მერე ისევ აფეთქება — სადღაც ატლანტიკის ოკეანის თავზე, ნისლში.

— დილის გაზეთებში წავიკითხე, რომ თურმე სანაპირო დაცვის ბრიგადა წვრთნებს ატარებდა.

— კარგი რა, რომელი წვრთნები, — გულგრილად თქვა შინაბერამ, — სანაპიროზე ყველამ მშვენივრად იცის, რაც მოხდა. ეს რაგნარ დანეშოლდი იყო და სანაპირო დაცვა ისევ მის დაჭერას ცდილობდა.

— რაგნარ დანეშოლდის? დელავერის ყურეში?

— დიახ, და ამბობენ, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

— დაიჭირეს?

— არა.

— მას ვერავინ დაიჭერს, — თქვა ერთმა მამაკაცმა.

— ნორვეგიის სახალხო რესპუბლიკამ მილიონი დოლარი დააწესა ჯილდოდ მისი დაჭერისთვის.

— ასეთი კოლოსალური თანხა მეკობრის გამო!

— მაგრამ რომელ სიმშვიდეზე და კეთილდღეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მეკობრეები ასე თავისუფლად დაპარპაშებენ ზღვებსა და ოკეანეებში?

— ხომ არ გაგიგიათ, წუხელ რა ჩაიგდო ხელში? — იკითხა შინაბერამ.

— ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული უზარმაზარი გემი, რომელსაც საფრანგეთის სახალხო რესპუბლიკას ვუგზავნიდით.

— მიტაცებულ ნადავლს რას უშვრება?

— ეგ არავინ იცის.

— ერთხელ ერთ მეზღვაურს ველაპარაკე. მათი გემი მეკობრეებმა დაატყვევეს.

იმ დროს ისიც იქ ყოფილა. ამ მეზღვაურმა რაგნარ დანეშოლდი დაინახა. მან თქვა, რომ დანეშოლდს ცეცხლისფერი თმა და ყველაზე საშიში სახე აქვს დედამიწაზე, აბსოლუტურად უგრძნობი. თქვა, რომ თუკი ამქვეყნად უგულო ადამიანი დაბადებულა, ეს რაგნარ დანეშოლდია.

— ჩემმა ძმისშვილმა ერთხელ ღამით რაგნარ დანეშოლდის გემი დაინახა შოტლანდიის სანაპიროზე. მწერდა, რომ უბრალოდ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა — თურმე მეკობრეების გემს დიდი ბრიტანეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედროსაზღვაო ფლოტის ვერც ერთი ხომალდი ვერ შეედრება.

— ამბობენ, რომ რაგნარ დანეშოლდი ნორვეგიის ერთ-ერთ ფიორდში იმალება, სადაც მას ვერც ღმერთი ვერ მოძებნის და ვერც ადამიანი. ვიკინგებიც იქ იმალებოდნენ შუა საუკუნეებში.

— პორტუგალიისა და თურქეთის სახალხო რესპუბლიკებმაც დააწესეს ჯილდო მისი დაჭერისთვის.

— ამბობენ, რომ ნორვეგიაში მის გამო ნამდვილი სახელმწიფო დონის სკანდალი ატყდა. დანეშოლდი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახიდან არის. ეს გვარი მრავალი საუკუნის წინ გაღარიბდა, მაგრამ დიდებულება შეინარჩუნეს. ნორვეგიაში დღემდეა შემორჩენილი მათი საგვარეულო ციხე-კოშკის ნანგრევები. მამამისი ეპისკოპოსი გახდა. ის შვილს განუდგა და ეკლესიიდან განკვეთა. თუმცა ამას შედეგი არ გამოუღია.

— ის თუ იცით, რომ რაგნარ დანეშოლდი ჩვენს ქვეყანაში სწავლობდა? მართლა.

ის პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

— რას მეუბნებით! ნუთუ?

— დიახ. ამის გადამოწმება რთული არ იქნება.

— იცით, რა მაშფოთებს... ძალიან არ მომწონს ეს ყველაფერი. არ მომწონს, რომ ჩვენს წყლებში გამოჩნდა. მეგონა, მსგავსი რამ მხოლოდ სადღაც გადაკარგულ მხარეში მოხდებოდა. ევროპაში. მაგრამ ამ მასშტაბის ყაჩაღი — დელავერის ყურეში, და ისიც — ჩვენს დროში?!

— ნანტაკეტშიც დაინახეს და ბარ ჰარბორთანაც. გაზეთებს სთხოვეს, ეს არ გაეშუქებინათ.

— რატომ?

— არ უნდოდათ, ხალხის წინაშე ეღიარებინათ, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტს მასთან გამკლავება არ ძალუძს.

— ეს ძალიან არ მომწონს. სასაცილოა და მეტი არაფერი. შუა საუკუნეებია პირდაპირ...

დაგნიმ აიხედა და ფრანცისკო დ'ანკონია დაინახა. ის რამდენიმე ნაბიჯში იდგა და დაგნის განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა; თვალები ირონიით ჰქონდა სავსე.

— უცნაურ სამყაროში ვცხოვრობთ, — ჩაილაპარაკა შინაბერამ ხმადაბლა.

— ერთი სტატია წავიკითხე. ეწერა, რომ ძნელბედობა ჩვენთვის სასარგებლოა, ეს კარგია, როცა ადამიანები ღარიბდებიან, რადგან გაჭირვების დათმენა სათნოებაა, — დუნე ხმით წარმოთქვა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

— ალბათ, მასეა. — თქვა მეორემ არცთუ დარწმუნებით.

— ჩვენ არ უნდა გვეჩქარებოდეს. ვიღაც ამბობდა, რომ აზრი არ აქვს აჩქარებას ან ვინმეს დადანაშაულებას. ვერავინ ვერაფერში დაგვეხმარება. ჩვენ არაფერი შეგვიძლია, ვერაფერს შევცვლით. ჩვენ ამის ატანა უნდა ვისწავლოთ.

— და რა აზრი აქვს? რა არის ადამიანის ხვედრი? იმედები, რომელთაც არ უწერიათ ასრულება? ასე იყო ყოველთვის. ბრძენი მხოლოდ ის ადამიანია, ვინც დაიმედებას არ ცდილობს.

— აი, ეს მართებული მიდგომაა.

— არ ვიცი... უკვე საერთოდ აღარ ვიცი, რა არის მართებული და რა არა... საიდან უნდა ვიცოდეთ?

— ჰო. ვინ არის ჯონ გოლტი?

დაგნი მკვეთრად გატრიალდა და გვერდზე გადგა. ერთ-ერთი ქალბატონიც უკან გაჰყვა.

— მე კი ვიცი, — თქვა ქალბატონმა ჩუმი და იდუმალი ხმით, თითქოს უდიდეს საიდუმლოს უმხელდა დაგნის.

— რა იცით?

— ვიცი, ჯონ გოლტი ვინც არის.

— ვინ? — დაძაბულად ჩაეკითხა დაგნი და ადგილზე გაქვავდა.

— ვიცნობ ადამიანს, რომელიც პირადად იცნობდა ჯონ გოლტს. ეს ადამიანი ჩემი დიდი დეიდის ძველი მეგობარია. იქ იყო და თავისი თვალით დაინახა, რაც მოხდა, მის ტაგარტ. ატლანტიდაზე ლეგენდა გახსოვთ?

— რაზე?

— ატლანტიდაზე.

— დიახ... ბუნდოვნად.

— დალოცვილთა კუნძულები. ასე უწოდებდნენ ამ მხარეს ათასი წლის წინ ბერძნები. მათ სწამდათ, რომ ატლანტიდაში სხვა ადამიანებისთვის უხილავ ნეტარებაში დაღუპული გმირები ცხოვრობენ. იქ მოხვედრა მხოლოდ გმირების სულებს შეეძლოთ, თანაც გარდაცვალების გარეშე, რადგან სიცოცხლის საიდუმლოებას ფლობდნენ. მერე კი ადამიანებს გადაავიწყდათ ატლანტიდა. მაგრამ ბერძნებმა იცოდნენ, რომ ის არსებობდა და მის მოძებნას ცდილობდნენ. ზოგიერთი ამბობდა, რომ ატლანტიდა მიწის ქვეშ იყო, დედამიწის შუაგულში. თუმცა, უმეტესობას სჯეროდა, რომ ეს კუნძული იყო. მბრწყინავი კუნძული დასავლეთ ოკეანეში. შესაძლებელია, ამერიკას გულისხმობდნენ. საბოლოოდ, ბერძნებმა ატლანტიდა მაინც ვერ იპოვეს.

ასწლეულების მერე ხალხმა გადაწყვიტა, რომ ეს მხოლოდ ლეგენდაა. მათ არ სწამდათ ატლანტიდის არსებობის, მაგრამ მაინც სულ ეძებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მისი მოძებნა აუცილებელი იყო.

— კი მაგრამ, გოლტი აქ რა შუაშია?

— მან იპოვა.

დაგნის ინტერესი გაუქრა.

— და ვინ არის ის?

— ჯონ გოლტი მილიონერი იყო, ზღაპრულად მდიდარი. ერთხელ ღამით, როცა ატლანტიკის ოკეანეს კვეთდა თავისი იახტით, საშინელ შტორმში მოყვა. აი, მაშინ აღმოაჩინა ის ოკეანის სიღრმეში, სადაც იმიტომ ჩაიძირა, რომ ადამიანებისთვის მიუღწეველი გამხდარიყო. მან ოკეანის ფსკერზე ატლანტიდის მბრწყინავი კოშ კები დაინახა. ეს ისეთი სანახაობა იყო, რომლის ხილვის შემდეგაც ადამიანს დანარჩენი სამყაროს ხილვა აღარ მოუნდებოდა. ჯონ გოლტმა თავისი გემი ჩაძირა და ოკეანის ფსკერზე წავიდა მთელი თავისი ეკიპაჟით. ასეთი ხვედრი არჩიეს. ერთადერთი ჩემი მეგობარი გადარჩა.

— რა საინტერესოა.

— ჩემმა მეგობარმა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, — განაწყენდა ქალბატონი, — ეს მრავალი წლის წინ მოხდა, მაგრამ ჯონ გოლტის ოჯახმა ამ ისტორიის ჩაფარცხვა მოახერხა.

— და მის ქონებას რა ბედი ეწია? რაღაც არ მახსოვს, ჯონ გოლტის ქონება ეხსენებინოთ.

— ქონება მასთან ერთად ჩაიძირა, — უპასუხა ქალმა და მერე აგრესიულად დაამატა, — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მის ტაგარტ.

— მის ტაგარტს არ სჯერა თქვენი, — წარმოთქვა ფრანცისკო დ'ანკონიამ, — მე კი მჯერა.

ორივემ მიიხედა. ფრანცისკო, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდათ და ყველაფერი ესმოდა, კადნიერად, გაზვიადებული სერიოზულობით შეჰყურებდა მათ.

— თქვენ საერთოდ რაიმე გწამთ, სენიორ დ'ანკონია? — ბრაზით ჰკითხა ქალმა.

— არა, მადამ.

როდესაც ის აღშფოთებული გაეცალა, ფრანცისკოს გაეცინა.

— რა გაცინებს? — ცივად ჰკითხა დაგნიმ.

— ეს სულელი ქალი ვერც კი ხვდება, რომ სიმართლე გითხრა.

— და შენ გგონია, რომ დაგიჯერებ?

— არა.

— მაშინ ასე რამ გაგახალისა?

— ო, ბევრმა რამემ, და შენ არა?

— არა.

— აი, ესეც მახალისებს, სხვა დანარჩენთან ერთად.

— ფრანცისკო, დამანებებ თავს?

— დანებებული არ მაქვს? ნუთუ ვერ შეამჩნიე, რომ დღეს პირველმა შენ გამიბი ლაპარაკი?

— სულ რატომ მითვალთვალებ?

— ცნობისმოყვარეობის გამო.

— და რა გაინტერესებს?

— შენი რეაქცია ისეთ რამეებზე, რასაც სახალისოდ არ თვლი.

— შენ რა გესაქმება ჩემს რეაქციებთან?

— ეს ჩემი ერთ-ერთი გასართობია, რაც, სხვათა შორის, შენთვის სრულიად უცხოა, დაგნი. თუ ვცდები? თან შენ აქ ერთადერთი ქალი ხარ, ვინც ყურადღებას იმსახურებს.

აღშფოთებული დაგნი ადგილზე გაქვავდა — ფრანცისკო მას ისე უყურებდა, რომ წესით, დაგნი უნდა განრისხებულიყო და წასულიყო. მაგრამ ის გაუნძრევლად იდგა — როგორც ყოველთვის, გამართული, დაძაბული, ამაყად თავაწეული, ხელმძღვანელი პირის არაქალურ პოზაში. თუმცა მოშიშვლებული მხარი შავი კაბის ქვეშ დამალულ ნაზ სხეულს ამხელდა, ამიტომაც ეს პოზა გასაოცრად ქალური ჩანდა. მისი ამაყი ძალა თითქოს ნებისმიერ უფრო დიდ ძალას იწვევდა, ეს სინაზე კი მის შესაძლო მარცხზე მიანიშნებდა. დაგნი ამას ვერ აცნობიერებდა. და არც არავინ ეგულებოდა, ვინც ამას დაინახავდა.

ფრანცისკომ უთხრა, თან მას უყურებდა:

— დაგნი, რა ფუჭი დიდებულებაა!

დაგნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა — უნდა გატრიალებულიყო და გაქცეულიყო. პირველად მრავალი წლის მანძილზე, შეამჩნია, რომ გაწითლდა. გაწითლდა, რადგან უეცრად მიხვდა: ფრანცისკომ ამ სიტყვებით ის გამოხატა, რასაც დაგნი მთელი საღამო გრძნობდა.

სწრაფად გაეცალა, ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. მუსიკამ შეაჩერა, რომელიც უეცრად გადმოიღვარა რადიომიმღებიდან. შეამჩნია, როგორ ჩართო მორტ ლიდიმ რადიო და ახლა ხელებს იქნევდა და დანარჩენებს გასძახოდა:

— მოდით! მოდით! მინდა, ამას მოუსმინოთ!

ბგერათა დიდებული ჰარმონია ჰალის მეოთხე სიმფონიიდან იყო. მუსიკა მტანჯველ ტრიუმფად, შორეული ხილვისადმი აღვლენილ საზეიმო ჰიმნად მაღლდებოდა და ტკივილის უარყოფას გამოხატავდა. შემდეგ მელოდია შეწყდა. მუსიკას თითქოს ტალახი და ღორღი დაუშინეს, დიად ჰანგს კაკუნი და ბუყბუყი ჩაენაცვლა. ასე გაისმა პოპულარულ რიტმზე გადაწყობილი ჰალის სიმფონია. მისი მელოდია თითქოს რაღაც სლოკინით ამოვსებულ ხვრელებად დაიქსაქსა.

ამაღლებული სიხარული სამიკიტნოს უხამს, ვულგარულ ხითხითად გადაიქცა. და მაინც, სწორედ ჰალის მუსიკის შემორჩენილი კვალი უნარჩუნებდა ფორმას ამ მელოდიას, ხერხემალივით იჭერდა მას.

— მგონი, არა უშავს, ხომ? — დაიტრაბახა მორტ ლიდიმ და ნერვიულად გაიღიმა, — რას ფიქრობთ? წლის საუკეთესო კინომუსიკად აღიარეს. ამ მუსიკამ პრემია და გრძელვადიანი კონტრაქტი მომიტანა. მუსიკა ფილმისთვის — „სამოთხე შენს ბაღში“.

დაგნი იდგა და სასტუმრო ოთახს ათვალიერებდა, გეგონებოდა, სურდა, ერთი გრძნობით მეორე ჩაენაცვლებინა, მხედველობით ბგერა გადაეფარა. თავს ნელა ატრიალებდა, თითქოს ცდილობდა, რაიმე დასაყრდენი მაინც ეპოვა. ფრანციისკოს მოჰკრა თვალი, რომელიც სვეტს მიჰყუდებოდა და ხელები გულზე დაეკრიფა. დაგნის უყურებდა, იცინოდა.

— „ნუ ცახცახებ ასე“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „აქედან წადი“. — მოწოლილ სიბრაზეს ვეღარ იკავებდა — „არაფერი თქვა“, — უბრძანა საკუთარ თავს, — „მშვიდად წადი, წადი აქედან“.

დაგნი გასასვლელისკენ გაემართა, ძალიან ნელა, ფრთხილად. უცებ ლილიანის სიტყვებს მოჰკრა ყური და შეჩერდა. იმ საღამოს ლილიანმა ეს სიტყვები უამრავჯერ გაიმეორა ერთი და იმავე კითხვის პასუხად, მაგრამ დაგნიმ პირველად მოისმინა მისი განმარტება.

— ეს? — თქვა ლილიანმა, თან მეტალისსამაჯურიანი მაჯა გაუშვირა ორ შესანიშნავად მოვლილ ქალს, — ოჰ, არა, რკინა-კავეულის ფარდულში არ შემიძენია, ეს ჩემი ქმრის განსაკუთრებული საჩუქარია. ოჰ, დიახ, ვიცი, რომ საშინელებაა, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ იდეის დონეზე ეს სამაჯური შეუფასებელია. რა თქმა უნდა, მე სიამოვნებით გავცვლიდი მას ჩვეულებრივ ბრილიანტისთვლებიან სამაჯურში, მაგრამ რატომღაც არავინ მთავაზობს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან, ძალიან ძვირფასია. რატომ? ჩემო ძვირფასო, ეს ხომ რიერდენ მეტალისგან დამზადებული პირველი ნივთია!

დაგნი ოთახს ვეღარ ხედავდა. აღარც მუსიკა ესმოდა. გრძნობდა, როგორ აწვებოდა ყურებში მკვდარი სიჩუმე. დროის შეგრძნება დაკარგა. მომდევნო მომენტი წინასგან ვერ გაემიჯნა. ახლა გარშემო ვეღარავის ხედავდა, ვერ ამჩნევდა: ვერც საკუთარ თავს, ვეღარც ლილიანს, ვეღარც რიერდენს და ვერც თავის საქციელს აცნობიერებდა. უბრალოდ, ერთადერთმა წამმა ყველაფერი დანარჩენი ააფეთქა.

დაგნის ესმოდა სიტყვები. შეხედა მომწვანო-მოცისფრო მეტალის სამაჯურს.

იგრძნო, როგორ შეიხსნა რაღაც მაჯიდან, მერე კი სამარისებურ სიჩუმეში საკუთარი ხმა მოესმა, ძალიან მშვიდი, გვამივით გაყინული;, უემოციო ხმა:

— თუ გეყოფათ გამბედაობა, — რაც ძალიან მეეჭვება, — გავცვალოთ.

დაგნიმ თავისი ბრილიანტის სამაჯური გაუწოდა ლილიანს.

— ამას სერიოზულად აკეთებთ, მის ტაგარტ? — გაისმა ქალის ხმა. ეს ლილიანი არ იყო. ლილიანი პირდაპირ თვალებში უყურებდა დაგნის. მან დაინახა ეს თვალები ლილიანმა იცოდა, რომ დაგნი არ ხუმრობდა.

— მომეცით ეგ სამაჯური, — უთხრა დაგნიმ და ხელისგული უფრო მაღლა ასწია ბრილიანტების წყებამ სინათლეზე გაიბრწყინა.

— რა საშინელებაა! — წამოიყვირა ვიღაც ქალმა. მისი ხმა ძალიან მკვეთრად გაისმა. ამის მერეღა გააცნობიერა დაგნიმ, რომ მათ ირგვლივ ხალხი შეკრებილიყო და ყველა დუმდა. ახლა უკვე ისევ ესმოდა ხმები, მუსიკა, ჰალის დასახიჩრებული მუსიკაც კი საიდანღაც შორიდან.

ხედავდა რიერდენს. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მასშიც რაღაც დასახიჩრებულიყო, როგორც ამ მუსიკაში, ოღონდ ვერ გაეგო — რითი. მათ უყურებდა.

ლილიანს პირის კუთხეები ზევით აეგრიხა, ნახევარმთვარესავით და რაღაც ღიმილისმაგვარი გამოესახა სახეზე. მან სამაჯური მოიხსნა, დაგნის ხელისგულზე დაუგდო და მისი ბრილიანტის სამაჯური აიღო, — გმადლობ, მის ტაგარტ, — თქვა მან.

დაგნიმ თითები მეტალის სამაჯურს მოუჭირა. მხოლოდ ამ ნივთს გრძნობდა, მეტს არაფერს.

ლილიანი მისკენ წამოსულ რიერდენს მიუტრიალდა, რომელმაც ბრილიანტის სამაჯური აიღო ცოლის ხელიდან, მაჯაზე გაუკეთა, მერე მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა.

დაგნის არც კი შეხედა.

ლილიანმა გადაიკისკისა, მხიარულად, ბუნებრივად, მიმზიდველად, რის მერეც სიტუაცია განიმუხტა და ჩვეული ვითარება აღდგა.

— მის ტაგარტ, თუ გადაიფიქრებთ, შეგიძლიათ, უკან დაიბრუნოთ, — უთხრა ლილიანმა.

დაგნი გატრიალდა. სიმშვიდე და თავისუფლების შეგრძნება დაეუფლა. აღარაფერი თრგუნავდა. გაქცევის სურვილიც სადღაც გამქრალიყო.

მეტალის სამაჯური გაიკეთა. ესიამოვნა მისი სიმძიმე. რატომღაც, ქალური თავმომწონეობა იგრძნო, რომელიც ადრე არასდროს განუცდია: სურვილი, ყველას შეემჩნია ეს უჩვეულო სამკაული.

შორიდან აღშფოთებული ხმები მოესმა:

— ცხოვრებაში არ შევსწრებივარ ასეთ შეურაცხმყოფელ საქციელს... რა უზნეობაა... მოხარული ვარ, რომ ლილიანმა აჯობა... ბედნიერებაში მოიხმაროს, თუკი ასე უნდა, რამდენიმე ათასი დოლარი ქარს გაატანოს.

დარჩენილი საღამო რიერდენი ცოლს გვერდიდან არ მოშორებია.

მონაწილეობდა მის საუბრებში, იცინოდა ცოლის მეგობრებთან ერთად. მოულოდნელად, ერთგულ, ყურადღებიან, მოსიყვარულე ქმრად გადაიქცა.

როცა დაგნი მასთან მივიდა, რიერდენი ოთახს კვეთდა ლილიანის მეგობრებისთვის განკუთვნილი სასმისებით სავსე ლანგრით ხელში — ასეთი კეთილგანწყობილი და მზრუნველი აქამდე არავის ენახა.

დაგნი გაჩერდა და რიერდენს ისე შეხედა, თითქოს მის კაბინეტში ყოფილიყვნენ მარტონი.

ქალს თავი მაღლა აეწია, ხელმძღვანელი პირის გამომეტყველებით. რიერდენმა ზემოდან დახედა, მისმა მზერამ დაგნის სხეულის მხოლოდ შეუმოსავი ნაწილი დაინახა, მარტო მეტალის სამაჯურს ხედავდა მის მაჯაზე.

— მაპატიე, ჰენკ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო.

რიერდენის თვალები არაფერს გამოხატავდა. და მაინც, დაგნისთვის უეცრად ნათელი გახდა, რას გრძნობდა ის: მისთვის სილის გაწნა უნდოდა.

— არ იყო აუცილებელი, — ცივად უპასუხა მან და გაეცალა.

* * *

ძალიან გვიანი იყო, როცა მეუღლის საძინებელში შევიდა. ლილიანს არ ეძინა.

ტუმბოზე სანათი კიაფებდა.

ნახევრად მიწოლილიყო, ბაცი მწვანე ფერის ბალიშებით გარშემორტყმული. ბაცი მწვანე ფერის ატლასის პიჟამა ეცვა, რომელიც ისე იდეალურად ჰქონდა მორგებული, როგორც მანეკენს მაღაზიის ვიტრინაში. ვაშლის ყვავილისფერი აბაჟურის შუქი მაგიდას ეცემოდა, ზედ წიგნი, ჭიქა ხილის წვენით და ტუალეტის ვერცხლიც აქსესუარები ეწყო, რომლებიც სინათლეზე ქირურგიული ინსტრუმენტებივით ელავდა. ლილიანის ხელები ფაიფურივით ასხივებდა. ტუჩებზე მკრთალი ვარდისფერი პომადის ნაკვალევი შემორჩენოდა. წვეულებით გადაღლის კვალიც არ ეტყობოდა. საძინებელი დიზაინერის მიერ შექმნილ დეკორაციას ჰგავდა: ქალბატონი დასაძინებლად ემზადება და მისი შეწუხება არ შეიძლება.

რიერდენი ისევ სმოკინგში იყო, მაგრამ ჰალსტუხი მოეშვა, თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ლილიანმა მას გაოცების გარეშე ახედა, თითქოს მშვენივრად იცოდა, რად დაუჯდა მის ქმარს ოთახში გატარებული ბოლო ერთი საათი.

ცოლს მდუმარედ უყურებდა. დიდი ხანია, მის საძინებელში არ ყოფილა და ახლა ნანობდა, რომ შევიდა.

— ცოტა ლაპარაკი არ გვაწყენდა, ჰენრი.

— როგორც გინდა.

— თუ შეგიძლია, ქარხნიდან რომელიმე შენი ბრწყინვალე ექსპერტი გამოგზავნე ჩვენი ღუმლის სანახავად. შენ არც კი იცი, შუა წვეულების დროს გაფუჭდა და საწყალი სიმონსი დაიტანჯა, ხელახლა რომ ჩაერთო. მისის ვესტონმა გამოაცხადა, რომ ეს ჩვენი მზარეული საუკეთესო მონაპოვარია — ძალიან მოეწონა კერძები...

ბალფ იუბენკმა კი სასაციილო რამ თქვა შენზე — რომ შენ ჯვაროსანი ხარ, რომლის მუზარადს ბუმბულები კი არა, ქარხნის მილებიდან ამოსული კვამლი ამშვენებს...

მოხარული ვარ, რომ ფრანცისკო დ'ანკონია არ მოგეწონა, ვერ ვიტან მას.

რიერდენს არ აუხსნია თავისი მისვლის მიზეზი, არც მარცხის შენიღბვა უცდია და არც მისი აღიარება საძინებლიდან წასვლით. უეცრად მისთვის სულერთი გახდა, რას ფიქრობდა, რას ხვდებოდა ან გრძნობდა ლილიანი. ფანჯარასთან მივიდა და დადგა, გარეთ იყურებოდა.

„რატომ გამომყვა ცოლად?“ — ფიქრობდა რიერდენი. ეს კითხვა საკუთარი თავისთვის მათი ქორწინების დღეს არ დაუსვამს, რვა წლის წინ. თუმცა მას მერე, მტანჯველ მარტოობაში, მრავალჯერ სცადა, პასუხისთვის მიეკვლია, მაგრამ ამაოდ.

არც მისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და არც ქონების გამო არ გაჰყოლია. ლილიანის ოჯახს ერთიც ჰქონდა და მეორეც. მართალია, ყველაზე ცნობილ ოჯახთა რიცხვში არ ირიცხებოდნენ და ქონებაც საკმაოდ მოკრძალებული ჰქონდათ, თუმცა სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ ლილიანს ნიუ-იორკის მაღალი საზოგადოების წრეში ეტრიალა, სადაც გაიცნო კიდეც რიერდენი. ცხრა წლის წინ „რიერდენ სთილის“ ბრწყინვალე წარმატებით გაცისკროვნებული რიერდენის გამოჩენა ნიუ-იორკში ბომბის აფეთქებას ჰგავდა, თუმცა ქალაქის ექსპერტები ამ წარმატებას შეუძლებლად თვლიდნენ. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას რიერდენი თავისი გულგრილობით ახდენდა. ვერც კი ხვდებოდა, რომ მისგან სულ სხვა რამეს მოელოდნენ — მაგალითად, რომ შეეცდებოდა, ფულით გაეკვლია გზა მაღალი საზოგადოებისკენ, — და წინასწარ ტკბებოდნენ იმის წარმოდგენისას, თუ როგორ შეაქცევდნენ ზურგს. მას კი დროც არ ჰქონდა, პუბლიკის იმედგაცრუება რომ შეემჩნია.

უხალისოდ დაესწრო რამდენიმე მიღებას, სადაც ის ადამიანები ეპატიჟებოდნენ, რომელთაც მისი კეთილგანწყობის მოპოვება უნდოდათ. ამ ადამიანებისგან განსხვავებით, თვითონ ვერ ხვდებოდა, რომ მისი თავაზიანი დამოკიდებულება უბრალოდ მოწყალება იყო მათდამი, ვისაც მისი დამცირება ეწადა, მათდამი, ვინც ამტკიცებდა, რომ დიადი მიღწევების დრო წასული იყო.

ლილიანმა სიმკაცრით მოხიბლა, უფრო სწორად, ხასიათის სიმკაცრესა და ქცევას შორის შეუსაბამობით. რიერდენს არასდროს არავინ ჰყვარებია და არ ეგონა, თუ ვინმე შეიყვარებდა. ის ამ ქალის დადგმულმა სპექტაკლმა გაიტაცა, რომელიც აშკარად ცდილობდა მის მოპოვებას, თუმცა უხალისოდ, თითქოსდა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, უსიამოვნო სურვილს დაპირისპირებული. პაემნებს სწორედ ლილიანი გეგმავდა, მერე კი ისე ცივად ექცეოდა, გეგონებოდა, არც ანაღვლებდა, რიერდენი რას იფიქრებდა. ლილიანი ცოტას ლაპარაკობდა და იდუმალება, რომელიც მას მოსავდა, რიერდენს მიანიშნებდა, რომ ვერასდროს გადალახავდა ამ მედიდურ გაუცხოებასა და ირონიას, რომლითაც ლილიანი საკუთარ სურვილსაც დასცინოდა და მისასაც.

რიერდენის ცხოვრებაში ცოტა ქალი ყოფილა. ის მიზნისკენ მიდიოდა და ყველაფერს იშორებდა გზიდან, რასაც კავშირი არ ჰქონდა ამ მიზანთან — როგორც გარე სამყაროში, ასევე საკუთარ თავშიც. საკუთარი საქმისადმი მისი თავდადება იმ ცეცხლს ჰგავდა, რომელთანაც ასე ხშირად უწევდა ურთიერთობა, ცეცხლს, რომელიც ყველა მინარევს, ყველა ჭუჭყს წვავდა, რაც კი სუფთა მეტალის გავარვარებულ ჭავლს მოჰყვებოდა. სანახევრო, ზედაპირული გატაცებები არ ახასიათებდა.

თუმცა, დროდადრო სურვილი აიტანდა ხოლმე, ისეთი ბობოქარი და ვნებიანი, რომ ვერ უმკლავდებოდა. იშვიათად, სულ რამდენიმეჯერ წლების მანძილზე, ის დანებდა ამ სურვილს ქალებთან, რომლებიც მას სიმპათიურებად მოსჩვენებიან. მაგრამ მერე ყოველთვის მხოლოდ ბრაზიან სიცარიელეს გრძნობდა, რადგან ტრიუმფი სწყუროდა, რომლის არსსაც, მართალია, ბოლომდე ვერ სწვდებოდა, მაგრამ ქალებისგან მხოლოდ ხანმოკლე სიამოვნებაზე იღებდა თანხმობას და ცხადად ხვდებოდა, რომ საბოლოოდ ამ გამარჯვებებს სრულიად არ ჰქონდა აზრი. რჩებოდა მარტო და ვერ გრძნობდა, რომ რაღაცას მიაღწია — მხოლოდ საკუთარი დაცემის განცდა ეუფლებოდა. და სურვილი შესძულდა. ცდილობდა, დაეთრგუნა. სცადა, თავი დაერწმუნებინა, რომ ამ სურვილს მხოლოდ ფიზიკური ბუნება ჰქონდა, — ითხოვდა სხეული და არა გონება, — და საბოლოოდ დაუპირისპირდა აზრს, რომ სხეულს თავისუფლად არჩევა შეეძლო და ეს არჩევანი არ ემორჩილებოდა გონებას. ცხოვრება მაღაროებში და ქარხნებში გაატარა, სადაც მატერია გონებას ემორჩილებოდა და ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისთვის შემთხვევები, როდესაც საკუთარი სხეულის დამორჩილებას ვერ ახერხებდა. მან დაამარცხა მატერია უსულო ბუნებასთან ყველა ბრძოლაში მაგრამ ეს ბრძოლა წააგო.

სწორედ დაპყრობის სირთულემ მოანდომა ლილიანი. ისეთი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც კვარცხლბეკს იმსახურებდა და მან ეს იცოდა. სწორედ ამიტომ მოუნდა რიერდენს მისი იქიდან ჩამოგდება თავის ლოგინში. „მისი ჩამოგდება“ — ეს სიტყვები გამუდმებით უტრიალებდა თავში. მათგან ბნელ სიამოვნებას იღებდა, გამარჯვების შეგრძნებას, რომლისთვისაც ნამდვილად ღირდა ბრძოლა, მიზეზს ვერ ხვდებოდა და ამ ყველაფერს რაღაცნაირ უხამს შინაგან კონფლიქტად, მის არსებაში ფესვგადგმული მანკიერების გამოვლინებად თვლიდა,

თუმცა, იმავე დროს, უდიდეს სიამაყეს ჰგვრიდა იმის გაფიქრება, რომ ამ ქალისთვის თავისი ცოლის სტატუსი უნდა მიენიჭებინა. ეს ამაღლებული და ნათელი გრძნობა იყო. ლამის ფიქრობდა, რომ ცდილობდა, ქალისთვის დიდი პატივი მიეგო მისი დაუფლების წყურვილით.

ლილიანი შესანიშნავად შეესატყვისებოდა ხატებას, რომელიც რიერდენისთვისვე შეუმჩნევლად დამკვიდრებულიყო მის სულში და სულ მას დაეძებდა. ხედავდა ლილიანის სილამაზეს, სიამაყესა და სისპეტაკეს — ყველაფერი დანარჩენი უკვე თვითონ მასშივე იყო. მაშინ ვერც კი ხვდებოდა, რომ საკუთარ ანარეკლს შესცქეროდა.

გაახსენდა დღე, როცა ლილიანი თავისი სურვილით მოულოდნელად ნიუ-იორკიდან მასთან ჩავიდა, ოფისში ეწვია და სთხოვა, ქარხანა დაეთვალიერებინებინა. გაახსენდა მისი ჩუმი, თანდათან სულ უფრო და უფრო აღტაცებული ხმა, როდესაც რიერდენს თავისი საქმიანობის შესახებ ეკითხებოდა და საამქროს ათვალიერებდა, როგორ უყურებდა თვითონ მის გრაციოზულ სხეულს გავარვარებული ღუმლებიდან გამოტყორცნილი ცეცხლის ალის ფონზე, როგორ სწრაფად და მსუბუქად მიჰყვებოდა ლილიანი გვერდით მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით წიდის გროვებს შორის.

როცა გავარვარებული ფოლადის ჭავლს შეცქეროდნენ, რიერდენს მოეჩვენა, რომ ლილიანის თვალების გამომეტყველება მისას ჰგავდა. მერე ლილიანმა თვალებში შეხედა და რიერდენმა მათში საკუთარი მზერა დაინახა, ოღონდ უფრო ძლიერი, რის გამოც ქალი კიდევ უფრო უმწეო და უწყინარი გამოჩნდა. იმ საღამოს, ვახშამზე, ხელი სთხოვა.

დაქორწინების შემდეგ რამდენიმე ხანი დასჭირდა, ვიდრე თავს გამოუტყდებოდა, რომ მათი ქორწინება წამებად იქცა. ახლაც ახსოვდა ის ღამე, როცა ეს საკუთარ თავს უთხრა — იდგა საწოლთან, ლილიანს შესცქეროდა და მუშტები ისე შეეკრა, რომ სისხლი გაუჩერდა, — უთხრა თავს, რომ ეს წამება დაიმსახურა და ბოლომდე აიტანდა მას.

იმ საღამოს საწოლთან იდგა და ცოლს ზემოდან დაჰყურებდა. მაჯაზე ძარღვები დაჰბერვოდა და უფეთქავდა. ლილიანს არ შეუხედავს. თმას ივარცხნიდა.

— შემიძლია, დავიძინო?— ჰკითხა ცოლმა.

ლილიანი არასდროს ეწინააღმდეგებოდა; უარი არასდროს არაფერზე უთქვამს მისთვის. მის ყოველ სურვილს ემორჩილებოდა. ემორჩილებოდა, როგორც წესს, რომ დროდადრო ქმრის კუთვნილ უსულო საგნად გადაქცევა ევალებოდა.

ქმარს არ განიკითხავდა, უბრალოდ, აგრძნობინა, რომ სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა მამაკაცებისთვის დამახასიათებელი უხამსი ინსტინქტები, რომლებიც ქორწინების საზიზღარ, ფარულ ნაწილს შეადგენდა. ლილიანი შემწყნარებლურად მომთმენი იყო. ქმრის სურვილებისა და გრძნობების ინტენსივობას მსუბუქი ზიზღით ხვდებოდა.

— ეს ყველაზე უღირსი თავშესაქცევია, რაც კი ოდესმე მცოდნია, — უთხრა ქმარს ერთხელ ლილიანმა, — მაგრამ არც არასდროს მქონია იმის ილუზია, რომ მამაკაცები ცხოველებისგან დიდად განსხვავდებოდნენ.

ქორწინების პირველივე კვირის შემდეგ რიერდენის ვნება მოკვდა. დარჩა მხოლოდ მოთხოვნილება, რომელსაც ვერაფერს უხერხებდა. საროსკიპოებში არასდროს უვლია, თუმცა ხანდახან ეჩვენებოდა, ვერსად იგრძნობდა თავს უფრო დამცირებულად, ვიდრე საკუთარი ცოლის საძინებელში გრძნობდა.

ხშირად იქ იმ დროს შედიოდა, როცა ლილიანი კითხულობდა. ცოლი თეთრი ლენტით გვერდს მონიშნავდა და წიგნს გვერდზე დებდა. მერე კი, როცა რიერდენი ღონეგამოცლილი, თვალდახუჭული იწვა და მძიმედ სუნთქავდა, ლილიანი შუქს ანთებდა, წიგნს გადაშლიდა და მშვიდად განაგრძობდა კითხვას.

რიერდენი თავს არწმუნებდა, რომ იმსახურებდა ამ ტანჯვას, რადგან ყოველ ჯერზე აღთქმას დებდა, აღარასოდეს გაჰკარებოდა ცოლის სხეულს და სიტყვას ვერ ასრულებდა. სძულდა საკუთარი თავი ამის გამო. სძულდა ის მოთხოვნილება, რომელშიც სიხარულის ან აზრის ნატამალიც არ დარჩენილიყო და მხოლოდ ქალის სხეულის მიმართ მოთხოვნილებად გადაქცეულიყო. ეს უსახელო სხეული იყო, რომელიც ეკუთვნოდა ქალს, რომლის დავიწყებასაც თავს აიძულებდა ამ სხეულის ფერებისას.

თანდათან იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი მოთხოვნილება ღრმად უზნეო იყო.

ლილიანს არ კიცხავდა. მის მიმართ რაღაც მტკნარ, გულგრილ პატივისცემას გრძნობდა. რაკიღა საკუთარი ვნება სძაგდა, უნებურად ირწმუნა, რომ ქალები სპეტაკი არსებები არიან, და რომ სპეტაკ ქალს ფიზიკური სიამოვნების განცდა არ შეეძლო.

ქორწინების მტანჯველი წლების მანძილზე, ერთხელაც არ მიუცია საკუთარი თავისთვის ღალატზე ფიქრის უფლება. მან პირობა დადო და ასრულებდა. ამას ლილიანის მიმართ ერთგულება არ ერქვა. მას ლილიანის კი არა, თავისი ცოლის ღირსების დაცვა სურდა.

ამაზე ფიქრობდა ახლა, როცა ფანჯარასთან იდგა. არ უნდოდა ცოლის საძინებელში შესვლა. ეწინააღმდეგებოდა ამ სურვილს, მაგრამ უფრო გამეტებით იმ კონკრეტული მიზეზის დათრგუნვა უნდოდა, რომლის გამოც იმ დღეს თავშეკავება მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. მერე კი, დაინახა თუ არა ლილიანი, უეცრად მიხვდა, რომ არ მიეკარებოდა — არ მიეკარებოდა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მის საძინებელში შევიდა.

გაუნძრევლად იდგა, მოზღვავებული სურვილებისგან გათავისუფლებული. დუნე სიმსუბუქეს გრძნობდა საკუთარი სხეულის, ამ ოთახისა და იქ თავისი ყოფნის მიმართაც კი მოძალებული გულგრილობის გამო. გატრიალდა, რომ ლილიანის უმწიკვლო კეთილგონიერება არ დაენახა. იცოდა, რომ პატივისცემა უნდა ეგრძნო ცოლის მიმართ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ სიძულვილს გრძნობდა.

— ...დოქტორმა პრიტჩეტმა აღნიშნა, რომ ჩვენი კულტურა იმიტომ იღუპება, რომ უნივერსიტეტები იძულებული არიან, ხორცით და ხორბლით მოვაჭრეებისა და მეფოლადეების მოწყალების ხარჯზე იარსებონ.

„რატომ გამომყვა ცოლად“, — ფიქრობდა რიერდენი. წკრიალა, ცივი ხმა ამბობდა: სრულიად გარკვეული მიზნით. ლილიანმა იცოდა, რისთვის მივიდა მასთან ქმარი. ისიც გადასარევად იცოდა, რას იგრძნობდა რიერდენი, როცა ლილიანი ხელში ვერცხლის ქლიბს აიღებდა და საუბრის დროს ფრჩხილების ქლიბვას დაიწყებდა. ის წვეულების შესახებ ლაპარაკობდა და არც ბერტრამ სკადერი უხსენებია და არც დაგნი ტაგარტი.

რას ესწრაფოდა ლილიანი ამ ქორწინებით? რიერდენი გრძნობდა, რომ ლილიანს რაღაც ცივი და დაჟინებული მიზანი ჰქონდა, მაგრამ გაკიცხვის მიზეზს არ აძლევდა. ლილიანს არასდროს გამოუყენებია ქმარი საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. არასდროს მოუთხოვია მისგან რაიმე. გავლენიანი მეწარმის ცოლის პრივილეგია არ ანაღვლებდა — მეგობრების საკუთარი წრე ამჯობინა. არც

ფული აინტერესებდა. ცოტას ხარჯავდა და გულგრილად ეკიდებოდა ფუფუნებას, რომელზეც ქმარი უარს არ ეტყოდა. რიერდენს უფლება არ ჰქონდა, გაეკიცხა ცოლი, ისევე, როგორც არ ჰქონდა განქორწინების უფლება. ლილიანი ღირსეული ცოლი იყო, როგორც წესიერ ქალს შეეფერებოდა. ქმრისგან არაფერი მატერიალური არ უნდოდა.

რიერდენი მიტრიალდა და დაღლილი სახით შეხედა ცოლს:

— შემდეგში, როცა მიღებას მოაწყობ, მხოლოდ შენი წრის ხალხი დაპატიჟე. არ არის საჭირო იმათი დაპატიჟება, ვინც ჩემს მეგობრებად მიგაჩნია. მათთან შეხვედრა საზოგადოებაში არ მინდა.

ლილიანმა გაიცინა, მისი ნათქვამით გაოცებულმა და ნასიამოვნებმა:

— არ გადანაშაულებ, ძვირფასო!

რიერდენი საძინებლიდან ისე გავიდა, რომ აღარაფერი უთქვამს.

„მაინც, რა უნდა ჩემგან?“ — ფიქრობდა, — „რის მიღწევას ცდილობს?“ იმ სამყაროში, რომელსაც რიერდენი იცნობდა, ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობდა.

თავი 7

ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულები

რელსები კლდეებს შორის, ცად აწვდენილ ნავთობის ჭაბურღილებამდე მიდიოდა. დაგნი ხიდზე იდგა და ბორცვის თხემს გაჰყურებდა, სადაც მზის სხივები ყველაზე მაღალი კოშკურის თავზე მეტალის ლაქას ეცემოდა, რომელიც თეთრი ჩირაღდანივით ანათებდა უაიატის ნავთობსაბადოების თოვლიან ქედებს.

„გაზაფხულისთვის“, — ფიქრობდა დაგნი, — „ეს გზა იმ ხაზს შეუერთდება, რომელიც შაიენიდან მოემართება“. ის მომწვანო-მოცისფრო რელსებს უყურებდა, რომლებიც ჭაბურღილებიდან ქვემოთ ეშვებოდა და. ხიდის გავლით ჰორიზონტისკენ გრძელდებოდა. თავი მიაბრუნა და გამჭვირვალე სივრცეს გახედა: იქ, მთების ფერდობებზე, ახალი სარკინიგზო გზა მიიხლართებოდა.. სადღაც, დასალიერში, როგორც ხელი გაშიშვლებული ძვლებითა და ნერვებით, ლიანდაგსაგები ამწე მოძრაობდა ცის ფონზე.

გვერდით მომწვანო-მოცისფრო ჭანჭიკებით დატვირთულმა ტრაქტორმა ჩაუარა.

ქვემოდან გრუხუნი მოისმოდა. ეს მეტალის ტროსებზე დაკიდებული მუშები ამსხვრევდნენ ფლატეს, რათა ხიდის საყრდენები დაემაგრებინათ. ქვემოთ სხვა მუშები რელსებს აგებდნენ. დაგნი ხიდიდან არჩევდა, როგორი დაჭიმული იყო მათი კუნთები.

— ხელებით, მის ტაგარტ, მამაკაცის ხელებით აშენდა ყველაფერი ამ დედამიწაზე, — უთხრა ბენ ნილიმ, კონტრაქტორმა.

ისეთი კონტრაქტორი, როგორიც მაკნამარა იყო, ალბათ აღარც არსებობდა და დაგნიმაც ყველაზე უკეთესი დაიქირავა, ვისი მოძებნაც შეძლო. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ვერც ერთ ინჟინერს ვერ ანდობდა ხაზის მშენებლობის მეთვალყურეობას. ახალ მეტალს ყველანი სკეპტიკურად უყურებდნენ.

— მის ტაგარტ, გულახდილად გეტყვით, რაკი ეს ექსპერიმენტი პირველად ტარდება, ვფიქრობ, რომ მთელი პასუხისმგებლობის ჩემთვის დაკისრება უბრალოდ უსამართლობა იქნება, — უთხრა მას მთავარმა ინჟინერმა.

— მთელ პასუხისმგებლობას მე ვიღებ, — უპასუხა დაგნიმ.

მთავარი ინჟინერი ორმოცს იყო გადაცილებული და ჯერაც შემორჩენოდა სტუდენტური ხალისი. ოდესღაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ მთავარ

ინჟინრად ერთი ჩუმი, ჭაღარა კაცი მუშაობდა. თვითნასწავლი იყო, თუმცა მისი მსგავსი არც ერთ რკინიგზაზე არ მოიძებნებოდა. ხუთი წლის წინ საკუთარი ნებით წავიდა სამსახურიდან.

დაგნიმ ქვემოთ ჩაიხედა. ვიწრო კოჭზე იდგა. ქვემოთ, ათას ხუთასი მეტრის სიღრმეზე, ხეობა გადაშლილიყო. შორს, ხევში, კანიონის ძირას, მდინარის დამშრალი კალაპოტის კონტურები იკვეთებოდა და ქვების გროვა და დროისგან დამახინჯებული ხეები მოჩანდა. დაფიქრდა — იკმარებდა კი კუნთები, ქვები და ხის მასალა, რომ ამ კანიონზე ხიდი გადებულიყო? მერე კი სრულიად მოულოდნელად ისიც გაიფიქრა, რომ ამ ხეობაში ათასობით წლის წინ შიშველი, ცხოველის ბეწვში გამოხვეული გამოქვაბულის ადამიანები ბინადრობდნენ.

უაიატის ნავთობის ჭაბურღილებისკენ გაიხედა. სარკინიგზო მაგისტრალი უამრავ განშტოებად იქსაქსებოდა და ჭაბურღილებთან მიდიოდა. თოვლის ფონზე რკინიგზის ისრები მოჩანდა. ასეთივე მეტალის ისრები ათასობით იყო მიმობნეული მთელ ქვეყანაში, მაგრამ ესენი მზეზე განსაკუთრებულად ბრწყინავდნენ და მომწვანო-მოცისფრო ნაპერწკლებს ისროდნენ. დაგნის ეს ათინათები მრავალსაათიან მოლაპარაკებებს ახსენებდა, მოთმინებით დაძლეულ წინააღმდეგობებს, კერძოდ, მისტერ მოუენისას, რომელიც სარკინიგზო ისრებისა და სემაფორების მწარმოებელი კომპანიის პრეზიდენტი იყო, კონექტიკუტის შტატიდან.

— მაგრამ, მის ტაგარტ, ძვირფასო მის ტაგარტ! ჩემი კომპანია თქვენი კონცერნის უკვე მერამდენე თაობას ემსახურება. თქვენი ბაბუა მამაჩემის პირველი კლიენტი იყო, ამიტომ ეჭვიც არ უნდა შეგეპაროთ, რომ თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, მაგრამ... მგონი, გსურთ, ისრები რიერდენ მეტალისგან დავამზადოთ? — დიახ.

— მაგრამ, მის ტაგარტ, დაფიქრებულხართ, რას გულისხმობს მაგ მეტალთან მუშაობა? ცხადია, თქვენ იცით, რომ ეს მეტალი ოთხი ათას გრადუსზე დაბლა არ დნება... გამძლეა?.. შესაძლებელია, მათთვის, ვინც მანქანების ძრავებს აწარმოებს, გადასარევია, მაგრამ ჩემთვის ეს ახალი მეტალი ნამდვილი თავის ტკივილია: ახალი ღუმელი, სრულიად ახალი ტექნოლოგიური პროცესი... უნდა გადავამზადო მუშები, შევცვალო გეგმები, დაიწეროს ახალი ინსტრუქციები... ამას დაემატება წარმოების გრაფიკის შეფერხება — მოკლედ, ყველაფერი უნდა აირიოს და ერთმა ღმერთმა უწყის, აქედან რა გამოვა... საიდან იცით, მის ტაგარტ... რა იცით, თუკი თქვენამდე ეს არავის გაუკეთებია?.. არც იმას ვამბობ, რომ ეს მეტალი კარგია და წინასწარ ვერც იმას ვიტყვი, რომ არაფრად არ ვარგა... არა, ნუ მეუბნებით, რომ გენიოსმა შექმნა, იქნებ, მორიგი თაღლითობაა, როგორც ბევრი ეჭვობს, მის ტაგარტ, თანაც მეტისმეტად ბევრი. არა, ვინ რას ამბობს, ჩემთვის გადამწყვეტი არ არის, მაგრამ არ მინდა, გავრისკო და ასეთ საქმეს მოვკიდო ხელი.

დაგნიმ შეკვეთის საფასური გაარომაგა, რიერდენმა კი თავისი ორი მეტალურგი მიავლინა მოუენთან, რათა მისი მუშებისთვის შეესწავლებინათ, ეჩვენებინათ, აეხსნათ ტექნოლოგიური პროცესის ყოველი ეტაპი. რიერდენივე უხდიდა მოუენის მუშებს, ვიდრე ისინი სწავლობდნენ.

დაგნიმ დახედა ლურსმნებს შპალებში თავის ფეხებთან და ის საღამო გაახსენდა, როცა შეიტყო, რომ კომპანია „სამიტ კასტინგი“ ილინოისის შტატიდან, ერთადერთი, რომელიც დათანხმდა, რიერდენ მეტალისგან დაემზადებინა ლურსმნები, გაკოტრდა, თანაც იმ დროს, როცა შეკვეთის მხოლოდ ნახევარი ჰქონდა შესრულებული. დაგნი იმავე ღამეს ჩაფრინდა ჩიკაგოში, სამი ადვოკატი, მოსამართლე და ერთი

ადგილობრივი კანონმდებელი წამოაგდო საწოლიდან. ორი მათგანი მოისყიდა, დანარჩენები დააშინა და მიიღო დოკუმენტი, რომლის ძალით მას, სრულიად კანონიერად, საგანგებო უფლება მიენიჭა — „სამიტ კასტინგის“ კარებს ბოქლომი მოხსნა და ნაჩქარევად შეკრებილი, ნახევრად ჩაუცმელი ბრიგადა მანამდე აღმოჩნდა სადნობ ღუმლებთან, ვიდრე ირიჟრაჟებდა. სამუშაოს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ინჟინერი და რიერდენის მეტალურგი ხელმძღვანელობდნენ. რიო ნორტეს მშენებლობა არ შეფერხებულა.

დაგნიმ მბურღავი მანქანის ხმას მიაყურადა. ერთხელ მაინც მოუწიათ გაჩერება, როდესაც ხიდის საყრდენებქვეშ ბურღავდნენ.

— მე ვერაფერს გავხდები, მის ტაგარტ, — ნაწყენი ხმით უთხრა მაშინ ბენ ნილიმ, — თქვენც ხომ იცით, რა სწრაფად ცვდება საბურღი ჩარხის თავები. დიდი ხნის წინ შევუკვეთე ახალი, მაგრამ „ინკორპორეიტიდ თულსი“ შეფერხდა. მათაც ვერ დაადანაშაულებ. „ესოშიეიტიდ სთილმა“ თავის დროზე ფოლადი არ მიაწოდა, ამიტომ ჩვენ არაფერი დაგვრჩენია, ლოდინის გარდა. რა აზრი აქვს გაბრაზებას, მის ტაგარტ? ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია.

— მე თქვენ იმიტომ დაგიქირავეთ, რომ კონკრეტული საქმე გააკეთოთ და არა ის, რაც შეგიძლიათ!

— საინტერესო აზრია. ოღონდ ასეთი შეხედულებები ახლა არ ჭრის მის ტაგარტ, ნეტავ იცოდეთ, როგორ არ ჭრის.

— არანაირი „ინკორპორეიტიდ თულსი“. არანაირი ფოლადი. საბურღი ჩარხის თავები რიერდენ მეტალისგან შეუკვეთეთ.

— ოღონდ არა მე. ეს მეტალი თქვენს რელსებშიც მეყოფა! ჯანდაბა! აღჭურვილობის გაფუჭებას არ ვაპირებ!

— რიერდენ მეტალისგან დამზადებული საბურღი ჩარხის ერთი თავი სამჯერ უფრო დიდხანს გაძლებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ფოლადის.

— შეიძლება.

— გითხარით — შეუკვეთეთ!

— და ვინ გადაიხდის მათ საფასურს?

— მე.

— და ვინ იპოვის იმას, ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს?

დაგნიმ სასწრაფოდ რიერდენს დაურეკა. რიერდენმა მიტოვებული, უკვე დიდი ხნის წინ დახურული ინსტრუმენტული ქარხანა იპოვა, სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში ბოლო მეპატრონის ნათესავებისგან გამოისყიდა, ხოლო კიდევ ერთი დღის შემდეგ ქარხანა ამუშავდა, ზუსტად ერთი კვირის თავზე კი რიერდენ მეტალისგან დამზადებული საბურღი ჩარხის თავები უკვე კოლორადოში აღმოჩნდა — ხიდთან.

დაგნიმ ხიდს გახედა, სრულყოფილებისგან ძალიან შორს იყო, მაგრამ ამასთან შეგუება მოუწია. ეს ხიდი, ათას ორასი ფუტი ფოლადი, შავ უფსკრულზე იმ დროს გაიდო, როცა კომპანიას ნათ ტაგარტის შვილი უძღვებოდა. უკვე დიდი ხანია, ხიდი სანდო აღარ იყო და ფოლადის, რკინისა და ხის კოჭებით ამაგრებდნენ. უკვე მისი რესტავრაციაც აღარ ღირდა.

დაგნი უკვე რიერდენ მეტალისგან აგებულ ახალ ხიდზე ფიქრობდა. მთავარ ინჟინერს ხიდის პროექტის შემუშავება და დაახლოებითი ღირებულების დაანგარიშება სთხოვა, ეს პროექტი ფოლადის ხიდის სქემას იმეორებდა, ახალი მეტალის მეტი მდგრადობის გათვალისწინებით, ხარჯები კი კოლოსალურ ციფრებს

უახლოვდებოდა, — მაპატიეთ, მის ტაგარტ, — უთხრა წყენით მთავარმა ინჟინერმა, — მაგრამ არ მესმის, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ რიერდენ მეტალის თვისებები არ გამოვიყენე. ამ პროექტში საუკეთესო ხიდების ელემენტები გავითვალისწინე. სხვა რაღა გინდოდათ ჩემგან?

— მშენებლობის ახალი მეთოდი!

— ახალი მეთოდი? რისი თქმა გინდათ?

— იმის თქმა მინდა, რომ როცა გამოჩნდა საკმარისად გამძლე ფოლადი, ფოლადის ხიდებს ხის ხიდების ანალოგიით აღარ აშენებდნენ, — უთხრა დაგნიმ და დაღლილმა დაამატა, — მოამზადეთ გეგმა, რა უნდა გაკეთდეს, რომ ძველმა ხიდმა კიდევ ერთი ხუთი წელი გაძლოს.

— კეთილი, მის ტაგარტ, — სხარტად უპასუხა მთავარმა ინჟინერმა, — თუ ხიდს ფოლადით გავამაგრებთ...

— ჩვენ ხიდს რიერდენ მეტალის კოჭებით გავამაგრებთ!

— დიახ, მის ტაგარტ, — ცივად დაეთანხმა მთავარი ინჟინერი.

დაგნიმ დათოვლილ მთებს შეხედა. ნიუ-იორკში ყოფნისას ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ძალიან რთული სამუშაო ჰქონდა. ხანდახან შუა კაბინეტში ჩერდებოდა ენაჩავარდნილი, სასოწარკვეთილად პარალიზებული იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ უმკაცრესად დათქმულ ვადებს ერთი დღითაც ვერ გადასწევდა. ეს იყო დღეები, როცა ერთიმეორის მიყოლებით მართავდა სასწრაფო საქმიან შეხვედრებს, როდესაც დაძველებული ლოკომოტივების, ვადაგასული სატვირთო ვაგონების, მწყობრიდან გამოსული სიგნალიზაციის სისტემების, შემცირებული შემოსავლების შესახებ უწევდა ლაპარაკი და პარალელურად, რიო ნორტეს ხაზის მშენებლობის უკანასკნელ ამბებზე ფიქრობდა და ამ დროს გონებაში მხოლოდ მეტალის მომწვანო-მოცისფრო ლიანდაგი უტრიალებდა; ეს ის დღეები იყო, როცა თათბირს გონებაში უეცრად გაელვებული საკითხის გამო წყვეტდა ტელეფონს მივარდებოდა და კონტრაქტორს ურეკავდა: „მუშებისთვის საკვებს ვინ გაწვდით?.. ეგრეც ვიცოდი... ეგ კომპანია გუშინ გაკოტრდა, სასწრაფოდ სხვა მომწოდებელი იპოვეთ, თუ არ გინდათ, მშიერი დარჩეთ“. მაგისტრალის მშენებლობას თავისი კაბინეტიდან ხელმძღვანელობდა ნიუ-იორკში. და ეს ძალიან რთული იყო. მაგრამ ახლა ლიანდაგს უყურებდა და იცოდა, რომ მშენებლობა დათქმულ ვადებში დასრულდებოდა.

აჩქარებული, მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა, მიტრიალდა. ახლად დაგებულ ლიანდაგს მაღალი, ახალგაზრდა კაცი მოუყვებოდა, შავ თმას ცივი ნიავი უწეწდა. ტყავის სამუშაო ქურთუკის მიუხედავად, ჩვეულებრივ მუშას მაინც არ ჰგავდა — საამისოდ მეტისმეტად მბრძანებლურად მოაბიჯებდა. დაგნიმ ის მხოლოდ მაშინ იცნო, როცა უცნობი მოუახლოვდა. ეს ელის უაიატი იყო. იმ ერთადერთი შეხვედრის შემდეგ თავის კაბინეტში, დაგნის უაიატი აღარ უნახავს.

უაიატმა დაგნის შეხედა, გაჩერდა და გაუღიმა:

— გამარჯობა, დაგნი.

დაგნიმ საკვირველი შვება და ძალების მოზღვავება იგრძნო. ამ ორი უმნიშვნელო სიტყვით ყველაფერი გაიგო, რისი თქმაც უაიატს უნდოდა. ეს იყო მობოდიშება, გაგება, აღიარება. ეს თანასწორის მისალმება იყო.

დაგნის ბავშვური სიცილით გაეცინა, ბედნიერს, რომ ყველაფერი ასე უცებ გამარტივდა.

— გამარჯობა, — უთხრა უაიატს და ხელი გაუწოდა.

უაიატმა დაგნის ხელი უფრო დიდხანს დააყოვნა თავისაში, ვიდრე ამას ჩვეულებრივი მისალმება ითხოვდა, თითქოს მათი შერიგების თავისებურ ნიშნად — უთანხმოება გარკვეული და ამოწურული იყო.

— ნილის უთხარით, რომ გრანადა პასის რაიონში თოვლისგან დამცავი ახალი მესერი გააკეთოს, ერთ-ნახევარი მილის სიგრძის, — თქვა უაიატმა, — ძველი უკვე დალპა. კიდევ ერთ ქარბუქს ველარ გაუძლებს. და ახალი თოვლის გამწმენდიც გაუგზავნეთ. ის ჯართი, მას რომ აქვს, დათოვლილ ეზოსაც ვერ გაწმენდს. ახლა უკვე ნებისმიერ დღეს შეიძლება, გათოვდეს.

დაგნი ყურადღებით აკვირდებოდა უაიატს:

— ხშირად იქცევით ასე?

— როგორ?

— მოდიხართ და აკვირდებით, როგორ მიდის მუშაობა?

— როგორც კი დროს ვპოულობ, რა იყო?

— როცა მეწყერი ჩამოწვა, იმ დღესაც აქ იყავით?

— კი.

— როდესაც ანგარიშებს გავეცანი, გამიკვირდა, რა სწრაფად და კარგად გაწმინდეს გზა. ისიც კი გავიფიქრე, რომ ნილი უფრო ყოჩაღი ვინმე ყოფილა, ვიდრე მეგონა-მეთქი. — ასე არ არის.

ესე იგი, ხაზის ყოველდღიური მომარაგების სისტემაც თქვენი ორგანიზებული იყო?

— რა თქმა უნდა. მისი ხალხი ნახევარი დღე დარბოდა, რომ ეშოვათ, რაც საჭირო იყო. უთხარით, რომ წყლის ცისტერნებს ყურადღება მიაქციოს, თორემ ერთ ღამესაც აუცილებლად გაიყინება. და შეეცადეთ, ახალი ექსკავატორი გამოუგზავნოთ.

რაც მას ჰყავს, არ მომწონს. ელექტროგაყვანილობის სისტემა შეამოწმებინეთ.

დაგნი უაიატს შეხედა და მერე უთხრა:

— გმადლობთ, ელის.

უაიატმა გაუღიმა და გზა განაგრძო. დაგნი უყურებდა, ვიდრე ის ხიდზე არ გადავიდა, სადაც უკვე ნავთობის ჭაბურღილების გრძელი აღმართი იწყებოდა.

— ამას ეტყობა, აქ ყველაფერი თავისი საკუთრება ჰგონია, არა?

დაგნი გაკვირვებული მიტრიალდა. უკან ბენ ნილი ედგა და თითი უაიატისკენ გაეშვირა.

— რა ყველაფერი?

— რკინიგზა, მის ტაგარტ, თქვენი რკინიგზა, და იქნებ, მთელი სამყაროც. მგონი, სწორედ ასე ფიქრობს.

ბენ ნილი ვეებერთელა ტანის კაცი იყო, ცარიელი, მაგრამ ჯიუტი გამოხედვით, ქათქათა თოვლის ფონზე კანი კარაქივით ყვითელი უჩანდა.

— რას დაყიალებს სულ აქ? თითქოს მაგის გარდა არავინ არაფერი იცოდეს. ნამდვილი ყოყლოჩინაა! თავი ვინ ჰგონია?!

— ეშმაკმა წაგიღოთ, — აუღელვებელი ხმით უთხრა დაგნიმ.

ნილი ვერ მიხვდა, რამ გააბრაზა დაგნი, თუმცა მოეჩვენა, რომ სადღაც გულის სიღრმეში მიხვდა მიზეზს: ალბათ იმან აღაშფოთა, რომ ამ თვითმარქვიას გამოჩენას მეტისმეტად მშვიდად შეხვდა. და უბრალოდ, დადუმდა.

— თქვენს კანტორაში წავიდეთ, — უთხრა დაგნიმ დაქანცული ხმით და შორიახლოს მდგარ ძველ ვაგონზე მიანიშნა, — ვინმეს დაავალეთ, ანგარიში მოიტანოს.

— ამ შპალებს რაც შეეხება, მის ტაგარტ, — სწრაფად დაიწყო ნილიმ, როცა ადგილიდან დაიძრნენ, — მისტერ კოულმანმა, თქვენი ოფისიდან, მოიწონა ისინი. არ მესმის, რატომ მიგაჩნიათ, რომ...

— მე თქვენ გიბრძანეთ, შეგეცვალათ.

ვაგონი რომ დატოვა, დაგნი უსაზღვროდ იყო დაღლილი — ორი საათი მოთმინებით უხსნიდა, არიგებდა და აუცილებელ მითითებებს აძლევდა. ქვემოთ, გადათხრილ, ტალახიან გზაზე ახალთახალი შავი ორადგილიანი მანქანა დაინახა. იმ დროს ახალი ავტომობილი იშვიათი სანახავი იყო, ქალაქებშიც კი.

დაგნიმ მიმოიხედა და გაოგნებისგან სუნთქვა შეეკრა, როდესაც ხიდთან მამაკაცის მაღალ სილუეტს მოჰკრა თვალი — ეს ჰენკ რიერდენი იყო. კოლორადოში მასთან შეხვედრას ნამდვილად არ მოელოდა. რიერდენს ხელში ფანქარი და ბლოკნოტი ეჭირა და რაღაც გამოთვლებით იყო გართული. მისი ტანსაცმელიც, მანქანასავით, თვალში საცემი ჩანდა და იმავე მიზეზით: სპორტული ლაბადა და დახრილკიდეებიანი შლაპა ისეთი განსაცვიფრებელი ხარისხის და იმდენად ძვირფასი იყო, რომ ღატაკი მუშების ფონზე საგანგებოდ გამოპრანჭულს ჰგავდა, მით უმეტეს, რომ თავი სრულიად ბუნებრივად ეჭირა.

დაგნიმ უეცრად შეამჩნია, რომ მისკენ გარბოდა. დაღლილობა უკვალოდ გაქრა.

მერე კი გაახსენდა, რომ უკანასკნელი წვეულების მერე არ ენახა და გაჩერდა.

რიერდენმა დაინახა, სასიამოვნოდ გაკვირვებულმა ხელი დაუქნია მისალმების ნიშნად და მისკენ გაემართა. იღიმებოდა.

— გამარჯობა, დაგნი. პირველად ხართ აქ?

— მეხუთედ სამი თვის მანძილზე.

— არ ვიცოდი, აქ თუ იყავით. არავის უთქვამს.

— ვიცოდი, რომ ერთხელაც ვერ მოითმენდით.

— ვერ მოვითმენდი?

— და თქვენი მეტალის სანახავად ჩამოხვიდოდით. როგორ მოგწონთ?

რიერდენმა მიმოიხედა:

— თუ ოდესმე რკინიგზიდან წასვლას გადაწყვეტთ, გამაგებინეთ.

— სამსახურს მთავაზობთ?

— ნებისმიერ დროს.

დაგნიმ მას შეხედა.

— თქვენ მხოლოდ სანახევროდ ხუმრობთ, ჰენკ. ვფიქრობ, მოგეწონებოდათ, სამსახურის სათხოვნელად რომ მოვსულიყავი თქვენთან. კლიენტის როლში კი არა, ხელქვეითად — თქვენ მიბრძანებდით, მე კი თქვენს ბრძანებებს შევასრულებდი.

— კი, მომეწონებოდა.

— ნუ წახვალთ ფოლადის ბიზნესიდან. რკინიგზაზე ადგილს არ გპირდებით, — უთხრა დაგნიმ მკაცრი სახით.

რიერდენს გაეცინა.

— არც კი შეეცადოთ, დაგნი.

— რას?

— ვაჭრობას, რადგან პირობებს მე ვაწესებ.

დაგნიმ არ უპასუხა. ამ სიტყვებმა მას... მას... ფიზიკური სიამოვნება მოჰგვარა, ბუნდოვანი და აუხსნელი.

— სხვათა შორის, აქ პირველად არ ვარ. გუშინაც ვიყავი.

— მართლა? რატომ?

— კოლორადოში ჩემს საქმეებზე ჩამოვედი და ვიფიქრე, აქაურობასაც დავხედავდი.

— მერე, მიაღწიეთ მიზანს?

— რატომ გგონიათ, რომ აქ რაიმე მიზანი დავისახე?

— თქვენ ტყუილად დროს არ დაკარგავდით, აქაურობისთვის უბრალოდ რომ დაგეხედათ. მით უმეტეს, ორჯერ.

რიერდენს გაეცინა.

— მართალია. მე აი, ეს მაინტერესებს, — ხიდისკენ მიანიშნა.

— და რა არის მასში განსაკუთრებული?

— უკვე დრო მოჭამა, დღესვე შეიძლება, ჯართში მოისროლო.

— გგონიათ, ეგ მე არ ვიცი?

— რიერდენ მეტალისგან დასამზადებელი დეტალების ჩამონათვალი ვნახე, რომელიც თქვენ ხიდის გასამაგრებლად შეუკვეთეთ. ფულს ქარს ატანთ. განსხვავება ამ ჯართის კიდევ ერთი-ორი წლით შესანარჩუნებლად გაწეულ დანახარჯებსა და ჩემი მეტალით აშენებული ახალი ხიდის ღირებულებას შორის იმდენად მცირეა, რომ უბრალოდ ვერ გამიგია, რაში გჭირდებათ ეს სამუზეუმო ექსპონატი.

— მე თქვენი მეტალისგან ახალი ხიდის აშენებაზე უკვე ვიფიქრე და ჩემს ინჟინრებს ხარჯების დაანგარიშება ვთხოვე.

— მერე, რა ციფრი გითხრეს?

— ორი მილიონი დოლარი.

— ღმერთო დიდებულო! რამდენი?

— და თქვენ რას მეტყვით?

— რვაასი ათასი.

დაგნიმ დაჟინებით შეხედა მას. მისთვის ცნობილი იყო, რომ რიერდენი უსაქმოდ არაფერს ამბობდა.

— ეგ როგორ? — ჰკითხა და შეეცადა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

— აი ასე.

რიერდენმა მას თავისი ბლოკნოტი აჩვენა. დაგნიმ რამდენიმე ურთიერთდაუკავშირებელ ჩანაწერს, აურაცხელ ციფრსა და ნაჩქარევ ჩანახატებს დახედა და იმაზე ადრე გაერკვა ყველაფერში, ვიდრე რიერდენი ახსნას დაამთავრებდა. არც კი შეუმჩნევია, როგორ ჩამოსხდნენ იქვე დაყრილ გაყინულ სამშენებლო ფიცრებზე, არც ის, როგორ ამოუყვა უხეში ფიცრებიდან სიცივე თხელ წინდებს და ფეხები გაეთოშა.

რიერდენს რამდენიმე ფურცელი ეკავა, რომელთა წყალობითაც ათასობით ტონა ტვირთი შავ უფსკრულს გადაკვეთდა. რიერდენი მკაფიო და დამაჯერებელი ხმით ჰყვებოდა საყრდენ სისტემაზე, გაწევის ძალაზე, დატვირთვაზე, ქარის მიმართულებაზე. მისი ჩანაფიქრით, ხიდი შეკრული, ათას ორას ფუტზე გადაჭიმული ერთიანი კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო. რიერდენს ხიდის მშენებლობის პრინციპულად ახალი მეთოდი ჰქონდა მოფიქრებული. ადრე ასეთი არავის აუგია და ვერც ააგებდა, რადგან არ არსებობდა მასალა, რომელსაც რიერდენ მეტალის სიმსუბუქე და გამძლეობა ექნებოდა.

— ჰენკ, თქვენ რა, ეს ყველაფერი ორ დღეში მოიფიქრეთ? — ჰკითხა დაგნიმ.

— არა, ცხადია... ეს იდეა გაცილებით ადრე ამეკვიატა, ვიდრე რიერდენ-მეტალი მექნებოდა. ყველაფერი მაშინ გამოვთვალე, როცა ფოლადს ვაწარმოებდი ხიდებისთვის. მინდოდა, მქონოდა მეტალი, რომლისგანაც, სხვა დანარჩენის გარდა,

მსგავსი კონსტრუქციის განხორციელებასაც მოვახერხებდი. მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ჩამოვედი, რომ თქვენი პრობლემა საკუთარი თვალით მენახა.

რიერდენს ჩაეცინა, როცა შენიშნა, როგორ მოისვა დაგნიმ აუჩქარებლად ხელები თვალებზე და ის სიმწარე, რომელიც უცებ სახეზე გამოესახა, თითქოს მეხსიერებიდან იმ ყველაფრის წაშლას ლამობდა, რის წინააღმდეგაც ქანცგამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინა.

— ეს მხოლოდ უხეში მონახაზია, — თქვა რიერდენმა, — მაგრამ, ვფიქრობ, გესმით, რომ სავსებით რეალურია.

— ყველაფერს ვერც გეტყვით, ჰენკ, რასაც აქ ვხედავ.

— არცაა საჭირო. ისედაც ვიცი.

— თქვენ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ უკვე მეორედ გადაარჩინეთ.

— ადრე უკეთესი ფსიქოლოგი იყავით.

— რას გულისხმობთ?

— „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ გადარჩენა რატომ უნდა მაღელვებდეს? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ რიერდენ მეტალისგან აგებული ხიდი იმისთვის მჭირდება, რომ ამ მეტალის უპირატესობა მთელ ქვეყანას ვაჩვენო?

— ჰო, ჰენკ, მე ეს მესმის.

— მეტისმეტად ბევრი ადამიანი გაჰყვირის, რომ რიერდენ მეტალისგან დამზადებული რელსები არასაიმედოა. ამიტომაც ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, უფრო შესამჩნევი რამე დამედო მათთვის, მერე წავიდნენ და იყვირონ. ნახონ ერთი, როგორია რიერდენ მეტალის ხიდი!

დაგნიმ შეხედა და თითქმის ბავშვური აღტაცებით გაიცინა.

— ახლა რაღა გაცინებთ? — ჰკითხა რიერდენმა — იცით, ჰენკ, სხვას არავის ვიცნობ, ვინც მსგავს ვითარებაში ასე უპასუხებდა საზოგადოებრივ კრიტიკას.

— და თქვენ? თქვენ რა აზრის ხართ ამ პერსპექტივის შესახებ, არ გსურთ, ჩემთან ერთად გაიზიაროთ საზოგადოების რისხვა და მოისმინოთ, როგორ წიოკს ატეხენ თქვენი მისამართით?

— მშვენივრად იცით, რომ მინდა.

— ჰო, ვიცი.

რიერდენმა დაგნის შეხედა და თვალები მოჭუტა. დაგნისგან განსხვავებით, მას არ გასცინებია, მაგრამ თვალები მხიარულად უცინოდა.

უცებ დაგნის მათი უკანასკნელი შეხვედრა გაახსენდა წვეულებაზე. ახლა ეს მოგონება დაუჯერებელი ჩანდა. რა თავისუფლად გრძნობდნენ თავს ერთად, როგორი თავბრუდამხვევი სიმსუბუქით აცნობიერებდნენ, რომ ერთმანეთზე ახლობელი და სასიამოვნო სხვა არავინ ეგულებოდათ — მტრობაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო. და მაინც, დაგნის წვეულება ვერა და ვერ დაევიწყებინა, რიერდენი კი ისე იქცეოდა, თითქოს ის არც ყოფილა.

კანიონის კიდესთან მივიდნენ და ერთად გახედეს ბნელ უფსკრულს და მასზე წამომართულ კლდესა და მზეს, რომელიც უაიატის ნავთობის ჭაბურღილებს ანათებდა. დაგნი ცივ ქვებზე იდგა და ფეხები ფართოდ გაედგა, ქარისთვის რომ გაეძლო. ზურგს უკან გრძნობდა რიერდენის მკერდს, რომელსაც ქარი ლაბადის კალთებს უფრიალებდა.

— ჰენკ, როგორ ფიქრობთ, მოვასწრებთ ხიდის დროულად აშენებას? სულ რაღაც ექვსი თვე დაგვრჩა.

— რა თქმა უნდა. ამ ხიდის ასაგებად გაცილებით ცოტა დრო და ენერგია დაიხარჯება, ვიდრე ნებისმიერი სხვა კონსტრუქციის ასაშენებლად. ჩემი ინჟინრები ძირითად სქემას მოამზადებენ და მერე თქვენ გადმოგცემენ, ისე, რომ არანაირი ვალდებულება არ დაგეკისრებათ. უბრალოდ, ყურადღებით გაეცანით და გადაწყვიტეთ, ფინანსურად თუ შესწვდებით. შესწვდებით. დანარჩენ დეტალებზე კი მერე თქვენმა დიპლომიანმა ბიჭებმა იმუშაონ.

— და თვითონ მეტალის საქმე როგორ იქნება?

— ამაზე პასუხს მე ვაგებ, ყველა სხვა შეკვეთაზე უარის თქმაც რომ მომიწიოს.

— ასეთ შეკვეცილ ვადებში?

— ოდესმე დამიღალატებიხართ?

— არა. მაგრამ ახლა საქმეები ისე მიდის, შეიძლება, ამჯერად პირობა ვერ შეასრულოთ.

— ვის ელაპარაკებით, რა გგონიათ? ორენ ბოილს?

დაგნის გაეცინა.

— კეთილი. ნახაზები რაც შეიძლება მალე მომაწოდეთ. გადავხედავ და პასუხს ორმოცდარვა საათის განმავლობაში გეტყვით. და რაც შეეხება ჩემს დიპლომიან ბიჭებს... — დაგნიმ წარბი შეკრა, — ჰენკ, რატომ გაჭირდა ახლა ასე კარგი კადრების პოვნა ნებისმიერი სამუშაოსთვის?

— არ ვიცი... — რიერდენმა მზერა ცაში აჭრილ მთებს ააყოლა. შორეული დაბლობიდან კვამლის ვიწრო ხაზი მაღლა ადიოდა.

— კოლორადოს ახალი ქალაქები და ქარხნები თუ ნახეთ? — იკითხა მან.

— ვნახე.

— არაჩვეულებრივი სანახავია, რამდენმა ადამიანმა მოიყარა აქ თავი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ასე არ არის? ყველანი ახალგაზრდები არიან, ნულიდან იწყებენ და მთების შეძვრის ამბიცია აქვთ.

— და თქვენ რომელი მთის შეძვრა გადაწყვიტეთ?

— რას გულისხმობთ?

— კოლორადოში რას აკეთებდით?

რიერდენმა გაიღიმა.

— საბადოებს ვეძებდი.

— რის საბადოებს?

— სპილენძის.

— ღმერთო ჩემო, თქვენ რა, საქმე გეცოტავებათ?

— ვიცი, რომ ეს არაა იოლი საქმე. მაგრამ სპილენძის მოწოდება სულ უფრო რთულდება. ქვეყანაში, მგონი, უკვე ერთი. რიგიანი კომპანიაც აღარ დარჩა ამ სფეროში, „დ'ანკონია კოპერთან“ თანამშრომლობა კი არ მინდა. მაგ პლეიბოის არ ვენდობი.

— არ გადანაშაულებთ, — უთხრა დაგნიმ და გვერდზე გაიხედა.

— ასე რომ, რაკი არც ერთი კომპეტენტური მომწოდებელი აღარ დარჩა, თვითონ მომიწევს სპილენძის მოპოვება, ისევე, როგორც რკინის მადანს მოვიპოვებ. ვერ გავრისკავ და შეფერხებებსა და ხარვეზებს ვერ დავუშვებ. რიერდენ მეტალის საწარმოებლად ბევრი სპილენძი მჭირდება.

— უკვე იყიდეთ მაღარო?

— ჯერ არა. რამდენიმე პრობლემაა გადასაჭრელი. პერსონალი, აღჭურვილობა, ტრანსპორტირება...

— აჰა... — ჩაეცინა დაგნის, — გინდათ, ახალი ხაზის მშენებლობა შემომთავაზოთ?.. — სავსებით შესაძლებელია. ამ შტატის პოტენციალი უკიდეგანოა. იცით, რომ აქ სასარგებლო წიაღისეულის ყველა არსებული ნაირსახეობა მოიპოვება? ხელუხლებელი საბადოები, რომლებიც თავიანთ დროს უცდიან. და რა სისწრაფით ფართოვდებიან აქ ქარხნები! ათი წლით ახალგაზრდა მგონია თავი, როცა ჩამოვდივარ.

— მე კი არა. — დაგნი აღმოსავლეთით მთებს გაჰყურებდა, — მე მაშინვე „ტაგარტ ტრანსკონინენტალის“ სხვა ხაზების მდგომარეობაზე ვიწყებ ფიქრს. ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ცოტა პროდუქცია იწარმოება, გადაზიდვების საერთო მოცულობა იკლებს... თითქოს... ჰენკ, რა დაემართა ჩვენს ქვეყანას?

— არ ვიცი.

— სულ მახსენდება, რასაც სკოლაში გვიყვებოდნენ — მზის ენერგიის კლებაზე, სიცივის მატებაზე. მახსოვს, ვფიქრობდი, სამყაროს ბოლო დღეები როგორი იქნებოდა.

ალბათ, სწორედ ასეთი... თანდათან სულ უფრო აცივდება და ყველაფერი ჩერდება.

— სამყაროს აღსასრულის არასდროს მჯეროდა. ყოველთვის მეგონა, რომ როდესაც მზე საბოლოოდ ჩაქრებოდა, ადამიანები მას შემცვლელს უპოვიდნენ.

— მართლა? საინტერესოა. ეს მეც მიფიქრია.

რიერდენმა კვამლის სვეტზე მიანიშნა:

— აი, ჩვენი ახალი აისი. ეს მზე გამოკვებავს ყველაფერ დანარჩენს.

— თუ არ შეაჩერეს.

— ფიქრობთ, მისი შეჩერება შესაძლებელია?

დაგნიმ თავის ფეხებთან რელსებს დახედა და თქვა:

— არა.

რიერდენმა გაიღიმა. მანაც დახედა რელსებს, მერე თავი ასწია და ლიანდაგის გაყოლებაზე, მთების ფერდობებზე წამომართული შორეული სარკინიგზო ამწეებისკენ გაიხედა. და წამით დაგნის თვალსაწიერში ორად ორი რამე მოექცა: რიერდენის პროფილი და მომწვანო-მოცისფრო ძაფი, რომელიც სივრცეში მიიკლაკნებოდა.

— ჩვენ ეს გავაკეთეთ, არა? — თქვა რიერდენმა.

ეს წუთი ღირდა ყველა წვალებად, თითოეულ უძილო ღამედ, სასონარკვეთასთან ყოველ უსიტყვო ბრძოლად. სხვა დაგნის არაფერი უნდოდა.

— ჰო, ჩვენ ეს გავაკეთეთ.

დაგნი გატრიალდა, ძველი ამწე შენიშნა და გაიფიქრა, რომ კაბელები გასცვეთოდა და მათი შეცვლა იყო საჭირო. ასეთია აზრის უზომო სიცხადე, რომელიც გრძნობათა მიღმა დგება, იმგვარი ჯილდოს მიღების მერე, როცა ყველაფერი განცდილია, რისი განცდაც შეიძლება. „ჩვენი მიღწევები“, — გაიფიქრა მან, — „ამის გაცნობიერების წუთი, ამის ერთობლივად ფლობის — განა არსებობს ორ ადამიანს შორის ამაზე უფრო ძლიერი სიახლოვე?“ ახლა მას შეეძლო, მიჰბრუნებოდა უმარტივეს, ბანალურ საქმეებს, რადგან ყველაფერს გარშემო, რასაც მისი მზერა მოიცავდა, ღრმა აზრი შეეძინა. უკვირდა, რატომ იყო ასე დარწმუნებული, რომ რიერდენიც სწორედ იმასვე გრძნობდა, რასაც თავად.

უეცრად რიერდენი მკვეთრად მიტრიალდა და თავისი ავტომანქანისკენ წავიდა.

დაგნი გაჰყვა. ერთმანეთს არ უყურებდნენ.

— ერთ საათში აღმოსავლეთით უნდა წავიდე, — თქვა რიერდენმა.

— სად იყიდეთ? — ჰკითხა დაგნიმ და მანქანაზე მიანიშნა.

— აქ. ეს „ჰემონდია“. კოლორადოს „ჰემონდი“ ერთადერთი კომპანიაა, სადაც ჯერ კიდევ კარგ ავტომანქანებს აწარმოებენ. სულ ახლახან ვიყიდე, ამ მგზავრობის დროს, — მშვენიერი ნამუშევარია.

— ასეა.

— ამითი ბრუნდებით ნიუ-იორკში?

— არა. გამომიგზავნიან. აქ ჩემი თვითმფრინავით ჩამოვფრინდი.

— მართლა? მე შაიენიდან მანქანით ჩამოვედი, ხაზი უნდა მენახა, მაგრამ შინ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუნდე. ხომ არ გამიყოლებდით? შემიძლია, თქვენთან ერთად გავფრინდე ნიუ-იორკში?

რიერდენმა მაშინვე არ უპასუხა. დაგნიმ ეს პაუზა შენიშნა.

— ძალიან ვწუხვარ, — თქვა რიერდენმა და დაგნიმ გაიფიქრა, ხომ არ მოეჩვენა, რომ მისმა ხმამ უხეშად გაიჟღერა, — მაგრამ მე ნიუ-იორკში არ ვბრუნდები. მინესოტაში მივფრინავ.

— რა გაეწყობა, მაშინ შევეცდები, რაიმეს გავყვე, თუ დღეს რეისი იქნება.

უყურებდა, როგორ გაუჩინარდა მანქანა მოსახვევში. ერთი საათის შემდეგ დაგნი აეროპორტისკენ მიდიოდა. ეს პირქუშ მთებს შორის მოქცეული პატარა მინდორი იყო, ალაგ-ალაგ თოვლით დაფარული. მინდვრის განაპირას რადიოგადამცემი ბოძი იდგა, რომელსაც კაბელები მიწაზე დასთრევდა. სხვა რადიოგადამცემები ქარბუქს წამოექცია.

დაგნის მორიგე გამოეგება.

— არა, მის ტაგარტ, — თქვა მან დანანებით, — თვითმფრინავი მხოლოდ ზეგ იქნება.

აქ ტრანსკონინენტური ლაინერი დღეგამოშვებით დაფრინავს. ის, რომელიც განრიგით დღეს უნდა ჩამოფრენილიყო, არიზონაში დაეშვა. როგორც ყოველთვის — ძრავის გაუმართაობა, — და დასძინა, — სამწუხაროა, რომ ცოტა ადრე არ მოხვედით, სულ ახლახან მისტერ რიერდენი გაფრინდა ნიუ-იორკში საკუთარი თვითმფრინავით.

— მაგრამ ის ხომ ნიუ-იორკში არ მიფრინავდა?

— მე მითხრა, რომ ნიუ-იორკში მიფრინავს.

— დარწმუნებული ხართ?

— ასე თქვა, ამაღამ ნიუ-იორკში საქმიანი შეხვედრა მაქვსო.

დაგნიმ ცარიელი თვალებით გახედა ცას აღმოსავლეთით. ვერ მოენახა ასე მოქცევის მიზეზი — უკანასკნელი დასაყრდენის გარეშე დარჩენილს, ვერც განესაჯა და ვერც მიეღო ის.

* * *

— ეშმაკმა დალახვროს ეს ქუჩები! — თქვა ჯეიმს ტაგარტმა, — მაინც ვაგვიანებთ!.. დაგნიმ წინ გაიხედა, მძღოლის მხარს ზემოთ. სველი თოვლი მოდიოდა. საქარე მინის მიღმა, რომლის საწმენდების რიტმული მოძრაობის ფონზე დაგნი ერთ გრძელ, უძრავ რიგად ჩამწკრივებული ძველი ავტომობილების შავ, მოლაპლაპე სახურავებს ხედავდა. წინ, საკმაოდ შორს, ტროტუარზე, წითელი ნათურა სარემონტო სამუშაოებზე მიანიშნებდა.

— ყველა ქუჩაზე რაღაცაა დაზიანებული. ახლა მოუნდათ გათხრა! რატომ დროულად არ მიხედავს ვინმე? — გაღიზიანებით ჩაიბურტყუნა ჯეიმს ტაგარტმა.

დაგნი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და მოსასხამში გაეხვია. დილის შვიდი საათიდან მუშაობდა და ძალიან დაიქანცა, თუმცა დღის ბოლოს საქმის შეწყვეტა მოუწია, რადგან სახლში უნდა გაქცეულიყო, ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ჯიმს შეჰპირდა, რომ ნიუ-იორკის მეწარმეთა კონგრესზე სიტყვით გამოვიდოდა.

— უნდათ, მოისმინონ, რას ვფიქრობთ რიერდენ მეტალზე. შენ ამას ჩემზე უკეთ მოახერხებ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კარგი შთაბეჭდილება მოვახდინოთ.

ტრადიციული ფოლადის ამ შემცვლელის ირგვლივ ხომ გაცხარებული კამათია.

ახლა, როცა ჯიმს მანქანაში გვერდით ეჯდა, ნანობდა, რომ დათანხმდა. ნიუ-იორკის ქუჩებს გაჰყურებდა და ფიქრობდა მარათონზე მეტალსა და დროს შორის, რიო ნორტეს რელსებსა და გაფრენილ დღეებს შორის გამართულ რბოლაზე. ეჩვენებოდა, რომ მანქანაში გამეფებული სიმშვიდე ნერვებს აწყვეტდა. მთელი საღამო უნდა დაეკარგა, არადა, უფლება არ ჰქონდა, თუნდაც ერთი საათი გაეცდინა ფუჭად.

— თუ გავითვალისწინებთ, როგორ ესხმიან თავს ყველა მხრიდან რიერდენს, მას მეგობრების მხარდაჭერა სჭირდება, — თქვა ჯეიმსმა.

დაგნიმ გაკვირვებით შეხედა:

— იმის თქმა გინდა, რომ მხარს დაუჭერ მას?

ჯიმმა პასუხს თავი აარიდა, ესღა თქვა დუნედ:

— მეტალურგიული მრეწველობის ეროვნული საბჭოს სპეკკომიტეტის ანგარიშზე რა აზრის ხარ?

— იცი ჩემი აზრი.

— ისინი ფიქრობენ, რომ რიერდენ მეტალი ეროვნულ უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნის, ვინაიდან მისი ქიმიური ფორმულა დაუსაბუთებელია, ეს მეტალი სუსტია, მოლეკულურ დონეზე იშლება და ნებისმიერ დროს შეიძლება, გაიბზაროს...

ჯეიმსი გაჩუმდა, თითქოს პასუხს ელოდა. დაგნიმ არ უპასუხა და მან შეშფოთებით ჰკითხა:

— აზრი არ შეგიცვლია, არა?

— რის შესახებ?

— ამ შენადნობის.

— არა, ჯიმ, არ შემიცვლია.

— თან ისინი... ექსპერტები არიან... მაგ კომიტეტის წარმომადგენლები... მოწინავე ექსპერტები... უმსხვილესი კორპორაციების წამყვანი მეტალურგები, ქვეყნის ყველა კუთხის უნივერსიტეტების დიპლომებით... — თქვა საცოდავად, თითქოს დაგნისგან ითხოვდა მტკიცებულებას, რომ დაეჭვებულიყო ამ ადამიანების მიერ გამოტანილ განაჩენში.

დაგნი გაოგნებული უყურებდა ჯეიმსს: ეს მის ქცევას არ ჰგავდა.

მანქანა ადგილიდან დაიძრა, ნელა ჩაუარა თხრილს, სადაც წყალგაყვანილობიც დაზიანებული მილიდან წყალი იღვრებოდა. იქვე დაგნიმ ახლად ჩაყრილი მილები დაინახა, მწარმოებლის ქარხნული მარკით — „სტოკტონ ფაუნდრი, კოლორადო“, გვერდზე გაიხედა, არ უნდოდა, კოლორადოზე ეფიქრა.

— არ მესმის... — დაიჩივლა ჯეიმსმა, — მეტალურგიული მრეწველობის ეროვნული საბჭოს საუკეთესო ექსპერტები...

— ვინ არის ამ საბჭოს პრეზიდენტი, ჯიმ? ორენ ბოილი, არა?

ტაგარტი დაგნისკენ არ მიბრუნებულა, თუმცა პირი დააღო.

— თუ მაგ გასიებულ ყეყეჩს ჰგონია, რომ უფლება აქვს... — დაიწყო ტაგარტმა, მაგრამ სიტყვა შუაზე გაწყვიტა.

დაგნიმ ქუჩის კუთხეში ჩამოკიდებულ ფარანს ახედა, მანათობელ სფეროს, რომელიც, ავდრის მიუხედავად, ხის ფანჯრებსა და დახეთქილ ტროტუარებს ანათებდა, როგორც მათი ერთადერთი მცველი. ქუჩის ბოლოს, მდინარის გაღმა ნაპირზე, რომელიღაც ქარხნის სინათლეების ფონზე, დაგნიმ ძლივს გაარჩია თბოელექტროსადგური. გვერდით სატვირთო მანქანამ ჩაიარა და ყველაფერი დაფარა. ახალშეღებილ ხასხასა მწვანე ფერის ცისტერნაზე, თოვლ-ჭყაპის მიუხედავად, თეთრად ქათქათებდა წარწერა: „უაიატ ოილ, კოლორადო“.

— დაგნი, გაიგე იმ დისკუსიის ამბავი, რომელიც ფოლადსადნობი ქარხნების მუშათა პროფკავშირების შეხვედრაზე გაიმართა დეტროიტში?

— არა, და რაზე კამათობდნენ?

— ამის შესახებ გაზეთებში ეწერა. განიხილავდნენ, დართონ თუ არ დართონ ნება პროფკავშირების წევრებს, რიერდენ მეტალზე იმუშაონ. ვერაფერზე შეთანხმებულან, მაგრამ ეს განხილვაც კი უკვე საკმარისი აღმოჩნდება, რომ კონტრაქტორმა აღარ გარისკოს და შეკვეთა გააუქმოს!.. და რა მოხდება, თუკი... რიერდენ მეტალზე ყველა იტყვის უარს?

— თქვან მერე.

სიბნელეში გაუჩინარებულ ცათამბჯენს ერთი განათებული წერტილი აუყვებოდა სწორ ხაზად. ეს უზარმაზარი სასტუმროს ლიფტი იყო. შენობის გვერდითა ქუჩაზე მსუბუქმა ავტომანქანამ შეუხვია. ბრიგადამ სატვირთო მანქანიდან მძიმე ყუთი ჩამოტვირთა და სარდაფში შეიტანა. დაგნიმ ყუთზე ამოიკითხა — „ნილსენ მოტორს, კოლორადო“.

— და კიდევ, არ მომწონს ნიუ მექსიკოს სკოლის მასწავლებლების სხდომაზე მიღებული რეზოლუცია, — თქვა ტაგარტმა.

— რომელი რეზოლუცია?

— მოსწავლეებს აეკრძალათ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რიო ნორტეს ახალი ხაზით მგზავრობა, როცა მისი მშენებლობა დასრულდება, რადგან ეს საშიშია.

აი, ასე, ხაზგასმით — „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ახალი სარკინიგზო მაგისტრალი. ეს ყველა გაზეთმა დაბეჭდა. ასეთი რეკლამა არანაირად არ გვაწყობს... როგორ ფიქრობ, რით უნდა ვუპასუხოთ, დაგნი?

— პირველი მატარებლის გაშვებით რიო ნორტეზე.

ტაგარტი დიდხანს დუმდა. უზომოდ დათრგუნვილი ჩანდა.

დაგნი გაოცებული იყო: ჯეიმსი არ აქილიკებდა, თავისი საყვარელი ავტორიტეტების შეხედულებებს არ უფრიალებდა, თითქოს დისგან ნუგეშისცემას ითხოვდა.

გვერდით მანქანამ ჩაიქროლა; დაგნიმ წამში შეაფასა მისი სიმძლავრე, რბილი და თავდაჯერებული სვლა, არაჩვეულებრივი დიზაინი. იცოდა, ვინ აწარმოებდა ასეთ მანქანებს — „ჰემონდ ქარ კომპანი“, კოლორადო.

— დაგნი, ჩვენ... მართლა მოვასწრებთ ამ ხაზის დროულად დასრულებას?

დაგნი გაოცდა, როდესაც ჯეიმსის ხმაში ჩვეულებრივმა გრძნობამ გაიჟღერა — მარტივმა ცხოველურმა შიშმა.

— თუ ჩვენ ვერ დავეხმარებით ამ ქალაქს, ღმერთი მაინც დაეხმაროს! — უპასუხა ძმას. მანქანამ კუთხეში შეუხვია. სახლების ჩაშავებული სახურავების თავზე

პროჟექტორის თეთრი შუქით განათებული კალენდრის ტაბლო გამოჩნდა, რომელზედაც თარიღი ენთო: 29 იანვარი..

— დენ კონვეი ნაბიჭვარია! — მოულოდნელად აღმოხდა ტაგარტს, თითქოს თავის შეკავება აღარ შეეძლო.

დაგნიმ აღშფოთებით შეხედა.

— მაინც, რატომ?

— უარი გვითხრა, „ფენიქს-დურანგოს“ კოლორადოს ხაზი ჩვენთვის მოეყიდა.

— დიდი იმედი მაქვს... — დაიწყო დაგნიმ და ცოტა ხანს გაჩუმდა, რომ არ აყვირებულიყო, — რომ შენ არ შეგითავაზებია, მოეყიდა?

— რა თქმა უნდა, შევთავაზე.

— ნუთუ გეგონა, რომ თავის ხაზს... შენ მოგყიდდა?..

— და რატომაც არა? — დაუბრუნდა ტაგარტს თავისი ჩვეული ისტერიკული და ჭინჭყლი ტონი, — მე მას გაცილებით მეტი თანხა შევთავაზე, ვიდრე ვინმე სხვა გადაუხდიდა. რელსების მოხსნა და გადატანაც არ მოგვიწევდა. მისი ხაზის გამოყენება პირდაპირ იქვე შეგვეძლო. და რა რეკლამა გამოგვივიდოდა! საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, რიერდენ მეტალისგან დამზადებულ რელსებზე უარს ვიტყოდით! მისი ხაზი ბოლო ცენტამდე აანაზღაურებდა დანახარჯს! მაგრამ მაგ ნაბიჭვარმა უარი მტკიცა. ისიც კი განაცხადა, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ თავისი გზის ერთ ფუტსაც არ მიჰყიდის. ახლა რელსებს ნაწილ-ნაწილ ასაღებს ნებისმიერ მსურველზე არკანზასში და ჩრდილო დაკოტაში. ზარალობს და ეს მაშინ, როცა ამ ნაბიჭვარს ამხელა ფული შევთავაზე! მოგებაც კი არ აინტერესებს. რომ იცოდე, რამდენი სვავი შეესია... რა თქმა უნდა! განა არ იციან, რომ რელსებს სხვაგან ვერ იშოვიან!

დაგნის თავი დაეხარა. ჯეიმსისკენ გახედვაც არ შეეძლო.

— ჩემი აზრით, ეს „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“ მოქმედ კანონს ეწინააღმდეგება, — ბრაზით თქვა ტაგარტმა, — თუ რამე არ მეშლება, რკინიგზის ეროვნულ ალიანსს პირველ რიგში უმსხვილესი სარკინიგზო კომპანიები უნდა დაეცვა და არა ვიღაც ჩრდილოდაკოტელი წვრილფეხები. მაგრამ ახლა არ შემიძლია, ვაიძულო საბჭო, ამ საკითხს კენჭი უყაროს. ყველანი კოლორადოში არიან და ამ რელსების გამო ბრდღვნიან ერთმანეთს.

— ახლა კი გასაგებია... რატომ მოგინდა... რიერდენ მეტალი დამეცვა. — ძლივს გამოცრა დაგნიმ, თითქოს წუხდა, რომ ხელთათმანები არ ეცვა და შიშობდა, ხელები არ გაეთხვარა ამ სიტყვებით.

— არ მესმის, რას...

— მოკეტე, ჯიმ, — წყნარად უთხრა დაგნიმ.

ტაგარტი წუთით დადუმდა, მერე კი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

— ისე, შეეცადე, დამაჯერებლად ილაპარაკო — ვინ-ვინ და, ბერტრამ სკადერმა დაგესვლა და კბენა კარგად იცის.

— ბერტრამ სკადერმა?

— დღეს ერთ-ერთი გამომსვლელი ეგეც იქნება.

— ერთ-ერთი... შენ არ გითქვამს, რომ ჩემ გარდა კიდევ ვინმე უნდა გამოსულიყო!

— მე... და მერე რას ცვლის ეგ? მისი ხომ არ გეშინია?

— ნიუ-იორკის მეწარმეთა კონგრესი... და თქვენ ბერტრამ სკადერი მოიწვიეთ?

— და რატომაც არა? ვფიქრობ, ძალიანაც ჭკვიანურია. სინამდვილეში, მას არაფერი აქვს ბიზნესმენების საწინააღმდეგო, არა, მართლა. თანაც, მან მოწვევა მიიღო. ჩვენ გვინდა, ფართოდ ვიაზროვნოთ, ყველა მხარეს მოვუსმინოთ. და იქნებ გადმოვიბიროთ კიდეც... რას მომჩერებიხარ? ხომ შეძლებ, დაჯაბნო კამათში, ხომ ასეა?

— დავჯაბნო?

— პირდაპირ ეთერში. ეს რადიოტრანსლაცია იქნება. შენ მასთან დებატებში გამოსვლა მოგიწევს, თემაზე — „არის თუ არა რიერდენ მეტალი სიხარბის მომაკვდინებელი პროდუქტი?“

დაგნი წინ გადაიხარა და მინა დაუშვა, რომელიც მათ მძღოლისგან გამოყოფდა და უბრძანა:

— გააჩერეთ მანქანა!

მას უკვე აღარ ესმოდა, რას ეუბნებოდა ტაგარტი. მხოლოდ ბუნდოვნად აცნობიერებდა, რომ მისი ძმა გამეტებით ხაოდა:

— გველოდებიან!.. ვახშამზე ხუთასი კაცია მოწვეული, მთელი ქვეყნის მაღალი ეშელონი!.. ასე ვერ მომექცევი!

ბოლოს დაგნის ხელში სწვდა და დაიყვირა:

— კი მაგრამ, რატომ?

— უბედურო იდიოტო! ნუთუ მართლა გგონია, რომ ეს საკითხი კენჭისყრით გადაწყდება?

მანქანა გაჩერდა, დაგნი გადახტა და გაიქცა.

როცა ცოტა დაწყნარდა, პირველი, რაც შეამჩნია, თავისი გამოსასვლელი ფეხსაცმელი იყო. ქუჩაში მშვიდად, აუჩქარებლად მიდიოდა. მაღალქუსლიან შავი ატლასის ფეხსაცმელებში ტროტუარის სიცივეს გრძნობდა. შუბლიდან თმა გადაიწია.

იგრძნო, როგორ დნებოდა ფიფქები მის ხელისგულზე.

ახლა, როცა ბრაზი აღარ ახრჩობდა, მხოლოდ უსაზღვრო დაღლას გრძნობდა.

ცოტა თავიც სტკიოდა, მოშივდა, გაახსენდა, რომ არაფერი უჭამია, მეწარმეთა კონგრესზე უნდა წაეხემსა. გზა განაგრძო. ჭამა აღარ უნდოდა. ფინჯან ყავაზე კი უარს არ იტყოდა, მერე კი ტაქსის გააჩერებდა და სახლში წავიდოდა.

დაგნიმ მიიხედ-მოიხედა. ახლომახლო ტაქსი არ ჩანდა. ეს რაიონიც არ ეცნო, საერთოდაც, კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ქუჩის გადაღმა სახლებს შორის ფართო ღრიჭოს მოჰკრა თვალი; გაქუცული სახლების ფანჯრებში აქა-იქ სინათლე ენთო, რამდენიმე შეუხედავი, ჭუჭყიანი მაღაზია უკვე დაეკეტათ; ორი კვარტლის მოშორებით, ისთ-რივერიდან, ნისლი მოცოცავდა.

უკან გაბრუნდა, ქალაქის ცენტრისკენ. მის წინ შენობის შავი ჩონჩხი აღიმართა ოდესღაც აქ ოფისები იყო განთავსებული. ახლა ფოლადის გაშიშვლებულ კარკასსა და ჩამონგრეულ აგურის კედლებს შორის ცა მოჩანდა. ამ ჩონჩხის ჩრდილში მომცრო სასაუზმე მიკუჭულიყო, პატარა ბალახივით, მკვდარი გოლიათის ფეხქვეშ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის რომ იბრძვის. მის სუფთა ფანჯრებში სინათლე კაშკაშებდა. დაგნიმ კარი შეაღო და შევიდა.

სუფთა, ქრომირებული დახლი და მეტალის მბრწყინავი ბოილერი დაინახა. ყავის სურნელი ტრიალებდა. სასაუზმეში რამდენიმე მაწანწალა იჯდა. დახლთან მეპატრონე ფუსფუსებდა — ზორბა, ხნიერი კაცი, გაქათქათებული პერანგის სახელოები იდაყვებამდე აეკაპიწებინა. სითბოში რომ შეაბიჯა, მაშინღა მიხვდა,

როგორ გაყინულიყო. შავი ხავერდის მოსასხამი რაც შეეძლო მჭიდროდ შემოიხვია და დახლთან დაჯდა.

— ფინჯანი ყავა, თუ შეიძლება.

ყველამ გულგრილად გამოხედა, ყოველგვარი ცნობისმოყვარეობის გარეშე. არავის გაჰკვირვებია ამ იაფფასიან ბუნაგში საღამოს კაბით შემოსილი ქალის დანახვა. თუმცა, ახლა არავის აღარაფერი უკვირდა. მეპატრონე უშფოთველად შეტრიალდა, რომ ყავა მოემზადებინა, ერთგვარი დელიკატურობით, რომელიც უფლებას არ აძლევდა, კითხვები დაესვა.

დაგნიმ ვერ გაარკვია, რას წარმოადგენდა კაფეში მსხდომი ოთხი კაცი — უმუშევარი მაწანწალები იყვნენ ისინი თუ მუშები. იმ დროს ადამიანებს არც ჩაცმულობა განასხვავებდა და არც ქცევა. მეპატრონემ ყავა წინ დაუდო. დაგნიმ ფინჯანს ხელები შემოაჭდო, სითბო ესიამოვნა.

მზერა ირგვლივ მიმოავლო და, პროფესიული ჩვევიდან გამომდინარე, შეეცადა, გამოეთვალა, რამდენ რამეს შეიძენდა აქ ადამიანი ათ ცენტად და შედეგი მოეწონა.

შემდეგ მზერა ტაფაზე გადაიტანა, მერე მინის თაროებზე, ემალირებულ ნიჟარაზე, მიქსერის ქრომირებულ სათქვეფ ფეხებზე. მეპატრონე ტოსტებს ამზადებდა.

დაგნი სიამოვნებით უცქერდა, როგორ მიუყვებოდა ნელა პურის ნაჭრები კონვეიერს გავარვარებული სპირალების გასწვრივ. მერე კი ტოსტერზე მწარმოებლის მარკა შენიშნა: „მარშ ელექტრიკ“, კოლორადო“.

თავი უმწეოდ ჩამოუვარდა დახლზე შემოდებულ ხელზე.

— აზრი არ აქვს, ქალბატონო, — ჩაიბურტყუნა გვერდით მჯდომმა მოხუცმა, დაგნი იძულებული გახდა, აეხედა და გაეღიმა — მისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც.

— მართლა?

— მართლა. დაივიწყეთ. თავს ნუ მოიტყუებთ.

— რით?

— რომ ამ ცხოვრებაში რაიმეს აზრი აქვს. გარშემო მხოლოდ ჭუჭყია, ქალბატონო, მხოლოდ ჭუჭყია და სისხლი. ნუ აჰყვებით ოცნებებს, რომლებითაც გაბრუებენ და ტკივილიც აგცდებათ.

— რომელ ოცნებებს?

— აი, იმ ზღაპრებს, ბავშვობაში რომ გვიყვებოდნენ — ადამიანზე, მის სულზე., არავითარი სული ადამიანს არა აქვს. ერთი მდაბალი ცხოველია და მეტი არაფერი, არც ინტელექტი აბადია, არც სათნოება და არც მორალი. ცხოველი, რომელსაც ორად ორი რამე შეუძლია — ჭამა და გამრავლება.

მოსაუბრის გამხდარ სახეს, მის დახვეწილ ნაკვთებსა და ფართოდ გახელილ თვალებს ჯერ კიდევ ემჩნეოდა ღირსეულობის კვალი. ის მოძღვარს ჰგავდა ან ესთეტიკის პროფესორს, რომელსაც უამრავი წელი ღმერთისგან და ხალხისგან მივიწყებულ მტვრიან მუზეუმში გაეტარებინა. „საინტერესოა, რას უნდა დაეღუპა ეს ადამიანი, რომელ შეცდომას უნდა მიეყვანა აქამდე?“ — ფიქრობდა დაგნი.

— ადამიანი ცხოვრებას სილამაზის, დიდების, კეთილშობილური საქმეების ძიებით იწყებს და რას პოულობს? — განაგრძო მოხუცმა, — აურაცხელ ეშმაკურ ხელსაწყოს ავტომობილის შალითებისა თუ ზამბარიანი მატრასების დასამზადებლად.

— რა არ მოგწონს ზამბარიან მატრასებში? — იკითხა მამაკაცმა, რომელიც სატვირთო მანქანის მძღოლს ჰგავდა, — ნუ აქცევთ ყურადღებას, ქალბატონო. ეგ საკუთარ თავს ელაპარაკება. თქვენ არაფერს არ დაგიშავებთ.

ადამიანის ერთადერთი ნიჭი მისი მდაბალი ცბიერებაა, საკუთარი მოთხოვნილებები რომ დაიკმაყოფილოს, — ამბობდა მოხუცი, — ამას განსაკუთრებული ინტელექტი არ სჭირდება. არ დაიჯეროთ ეს მონაჩმახი ადამიანის გონებაზე, მის სულზე, მის იდეალებზე და უსაზღვრო პატივმოყვარეობაზე.

— არც მჯერა, — თქვა ახალგაზრდამ, რომელიც ბარის კუთხეში მიმჯდარიყო, დახლის ბოლოს. მას დიდი პირი ჰქონდა და პალტო მხარზე შემოჰფხრეწოდა. სახეზე ისეთი სიმწარე ეწერა, ღრმა სიბერემდე ეყოფოდა.

— და რა არის სული? — განაგრძობდა მაწანწალა, — წარმოების პროცესს და გამრავლების აქტს არანაირი სული არა აქვს. ადამიანს კი სხვა არაფერი ანაღვლებს. მატერია — აი, ადამიანის ერთადერთი ინტერესი, მისი ერთადერთი სადარდებელი. ამის მაგალითია ყოვლისშემძლე ინდუსტრიალიზაცია — ჩვენი ეგრეთ წოდებული ცივილიზაციის ერთადერთი მიღწევა, ვულგარული მატერიალისტების მიერ შექმნილი, ღორების მორალითა და მათივე ინტერესებით. ათტონიანი სატვირთო მანქანის აწყობას კონვეიერზე არც ზნეობრიობა სჭირდება და არც მორალური პრინციპები.

— რა არის მორალი? — ჰკითხა დაგნიმ.

— კრიტერიუმი, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას განსაზღვრავს, ჭეშმარიტების დანახვის უნარი, სიმამაცე, რომელიც ჭეშმარიტებისთვის თავდადებას სჭირდება, სიკეთის ერთგულება, პატიოსნება და ნებისმიერ ვითარებაში და ნებისმიერ ფასად მათი შენარჩუნებისთვის მზადყოფნა. მაგრამ სად იპოვი ახლა ამ ყველაფერს?

— ვინ არის ჯონ გოლტი? — ჩაიფხუკუნა ირონიულად ახალგაზრდამ.

დაგნიმ ყავა დალია და ახლა მხოლოდ იმ სიამოვნებაზე ფიქრობდა, ცხელმა სითხემ რომ მოჰგვარა, როცა მთელ სხეულში ცეცხლივით დაუარა.

— მე შემიძლია, გითხრა, — თქვა დაბალმა, სახედანაოჭებულმა მაწანწალამ, რომელსაც თვალებზე ქუდი ჩამოეფხატებინა, — მე ვიცი.

მისი სიტყვები ან არავის გაუგონია ან, უბრალოდ, არაფრად ჩააგდეს. ახალგაზრდა დაძაბული და უაზრო მზერით მისჩერებოდა დაგნის.

— თქვენ არ გეშინიათ, — თქვა უეცრად სრულიად უმიზეზოდ, თითქოს ფაქტს აღნიშნავდა უსიცოცხლო, წყვეტილი, ოდნავ გაოცებული ხმით.

— არ მეშინია, — უთხრა დაგნიმ.

— მე ვიცი, ჯონ გოლტი ვინ არის, — გაიმეორა მაწანწალამ, — ეს საიდუმლოა მაგრამ მე ვიცი.

— მაინც, ვინ არის? — ჰკითხა დაგნიმ უინტერესოდ.

— მოგზაური და აღმომჩენი-მკვლევარი, — უპასუხა მაწანწალამ, — უდიდესი მსოფლიოში. ადამიანი, რომელმაც მარადიული ახალგაზრდობის წყაროს მიაგნო.

— კიდევ ერთი შავი ყავა, — თქვა მოხუცმა და ფინჯანი გაიწოდა.

— ჯონ გოლტი მას არაერთი წელი ეძებდა. მან გადაცურა ზღვები და ოკეანეები, გადასერა უდაბნოები, მიწის ქვეშ, მიტოვებულ მაღაროებში ჩავიდა. ეს წყარო მთის მწვერვალზე იპოვა. ათი წელი დასჭირდა, იმ მთაზე რომ ასულიყო. ყველა ძვალი დაემტვრა, ხელებზე კანი გადასძვრა, ყველაფერი დაივიწყა — საკუთარი სახლი, საკუთარი სახელი, სიყვარული. მაგრამ ამ მთაზე მაინც ავიდა. ჯონ გოლტმა

მარადიული ახალგაზრდობის წყარო იპოვა. უნდოდა, ის ხალხისთვის მიეცა, მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულა.

— საინტერესოა, რატომ? — იკითხა დაგნიმ.

— იმიტომ, რომ აღმოჩნდა, რომ ამ წყაროს ჩამოტანა ქვემოთ, ხალხთან, არ შეიძლებოდა.

* * *

კაცს, რომელიც რიერდენის წინ, მაგიდასთან იჯდა, გადღაბნილი გამომეტყველება ჰქონდა და უსახური ქცევა, არაფრით გამორჩეული. ასე რომ, არც მისი სახე დაგამახსოვრდებოდა და ვერც რაიმე განსაკუთრებულს აღმოაჩენდი მასში. ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანი უზარმაზარი ცხვირი იყო. თავშეკავებულად იქცეოდა, შეიძლება ითქვას, თვინიერად, თუმცა, მის საქციელში ერთგვარი უცნაური ქარაგმა იგრძნობოდა, მუქარა, რომლის დამალვასაც შეგნებულად ცდილობდა, მაგრამ ისე, რომ მაინც შესამჩნევი ყოფილიყო. რიერდენს მისი ვიზიტის მიზანი ვერ გაეგო. ეს ადამიანი დოქტორი პოტერი იყო, რომელსაც რაღაც გაურკვეველი თანამდებობა ეკავა მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტში.

— რა გნებავთ ჩემგან? — მესამედ ჰკითხა რიერდენმა.

— გთხოვთ, საკითხის სოციალური მხარე გაითვალისწინოთ, მისტერ რიერდენ, — ხმადაბლა თქვა დოქტორმა პოტერმა, — უმორჩილესად გთხოვთ, დაფიქრდეთ, როგორ დროში გვიწევს ცხოვრება. ჩვენი ეკონომიკა არ არის მზად ამისთვის.

— კერძოდ, რისთვის?

— დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა უზომოდ არასაიმედოა. ყველანი უნდა გავერთიანდეთ, რომ ის კოლაფსისგან ვიხსნათ.

— ჩემგან რას მოელით?

— მე მთხოვეს, თქვენი ყურადღება ამ ასპექტებზე გამემახვილებინა, მისტერ რიერდენ. მე მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტს წარმოვადგენ — ეს უკვე გავიგე.

— ინსტიტუტს საკმაოდ უარყოფითი აზრი აქვს თქვენს შენადნობთან დაკავშირებით — ეგეც მითხარით უკვე.

— ნუთუ ამ ფაქტორს არ გაითვალისწინებთ?

— არა.

ფანჯრის მიღმა ჩამობნელდა დღეები დამოკლდა. რიერდენმა დოქტორ პოტერის ლოყაზე მისი გრძელი ცხვირის უსწორმასწორო ჩრდილი და მისკენ მოპყრობილი უფერული თვალების გაფანტული, თუმცა მაინც მიზანმიმართული მზერა შენიშნა.

— ჩვენს ინსტიტუტში ქვეყნის საუკეთესო მოაზროვნეები არიან თავმოყრილი, მისტერ რიერდენ.

— მსმენია.

— და, ცხადია, თქვენ მათ აზრს არ დაუპირისპირდებით — დავუპირისპირდები.

დოქტორმა პოტერმა ისე შეხედა რიერდენს, გეგონებოდა, შველას სთხოვდა, თითქოს რიერდენს რომელიღაც დაუწერელი კანონი დაერღვია, რომელიც მისგან უკვე დიდი ხანია, მოითხოვდა, საკუთარი: მდგომარეობის მთელი სიფაქიზე გაეცნობიერებინა. რიერდენი არ დაეხმარა.

— სულ ესაა, რისი გარკვევაც გსურდათ? — ჰკითხა რიერდენმა.

— მხოლოდ დროის ამბავია, მისტერ რიერდენ, — უდრტვინველად წარმოთქვა პოტერმა, — ეს მხოლოდ მცირეოდენი შეფერხებაა. უბრალოდ, ეკონომიკას შანსი უნდა მივცეთ, ისევ დასტაბილურდეს. ორიოდე წელი რომ მოგეთმინათ...

რიერდენს გაეცინა — მხიარულად და ზიზღით:

— აი, თურმე რისი მიღწევა გდომებიათ! გინდათ, ჩემი მეტალი ბაზრიდან მოვხსნა? რატომ?

— მხოლოდ რამდენიმე წლით, მისტერ რიერდენ, ვიდრე...

— მომისმინეთ, — თქვა რიერდენმა, — ახლა შეგეკითხებით. თქვენი მეცნიერები ფიქრობენ, რომ რიერდენ მეტალი ის არ არის, რადაც მე ვასაღებ?

— ჩვენ არ გაგვიკეთებია მსგავსი განცხადება.

— თქვენ ფიქრობთ, რიერდენ მეტალი არ ვარგა?

— საქმე თქვენი მეტალის სოციალური მნიშვნელობას ეხება. ჩვენ მთლიანად ქვეყანაზე ვფიქრობთ. საზოგადოების კეთილდღეობა გვადარდებს და ის საშინელი კრიზისი, რომელსაც ამჟამად განვიცდით...

— რიერდენ მეტალი კარგია თუ ცუდი?

— თუ პრობლემას უმუშევრობის შემაშფოთებელი ზრდის კუთხით შევხედავთ, რომელიც დღეს...

— ესე იგი, კარგია?

— ფოლადის კატასტროფული დეფიციტის პერიოდში ვერ დავუშვებთ ერთი ფოლადსადნობი კომპანიის გაფართოებას, რომელიც მეტისმეტად ბევრს აწარმოებს, რათა ის კომპანიები არ დაიღუპონ, რომლებიც მეტისმეტად ცოტას აწარმოებენ, რაც ეკონომიკის დისბალანსს გამოიწვევს, ეს კი, თავის მხრივ...

— აპირებთ, მიპასუხოთ?

სტუმარმა მხრები აიჩეჩა:

— ფასეულობები შედარებითია. თუ რიერდენ მეტალი ცუდია, მაშინ ის ფიზიკურ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, და თუ კარგია — სოციალურ საფრთხეს.

— თუ რაიმე გაქვთ სათქმელი მეტალის ფიზიკური საფრთხის შესახებ, ბრძანეთ.

დანარჩენი არ მაინტერესებს. და სწრაფად, თქვენს ენაზე ლაპარაკი არ მეხერხება.

— მაგრამ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საკითხები...

— გითხარით, არ მაინტერესებს-მეთქი.

პოტერი გაოგნებული ჩანდა, თითქოს ფეხქვეშ საყრდენი გამოაცალესო — მაშ, რა არის თქვენთვის მთავარი ინტერესი?

— ბაზარი.

— ანუ?

— რიერდენ მეტალზე მოთხოვნილება არსებობს და ვაპირებ სრულად ავითვისო ბაზარი.

— ბაზარი რაღაც ჰიპოთეტური ცნება ხომ არ არის? საზოგადოების რეაქცია თქვენს შენადნობთან დაკავშირებით დიდად დამაიმედებელი არ არის. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ შეკვეთის გარდა, თქვენ არც ერთი სხვა მსხვილი შეკვეთა არ აგიღიათ... — კეთილი, თუ ფიქრობთ, რომ რიერდენ მეტალი არავის არ აინტერესებს მაშინ რაღა გადარდებთ?

— მისტერ რიერდენ, თუ კლიენტები არ გეყოლებათ, ძალიან იზარალებთ.

— აი, ეგ უკვე ჩემი პრობლემაა და არა თქვენი.

— მაგრამ, თუ თქვენ თუნდაც მცირე კომპრომისს დაუშვებთ და დათანხმდებით, რამდენიმე წელი მოიცადოთ...

— რატომ უნდა მოვიცადო?

— მგონი გასაგებად გითხარით, რომ დღესდღეობით მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი არ იწონებს რიერდენ მეტალის გამოჩენას მეტალურგიაში.

— რატომ უნდა მაინტერესებდეს თქვენი აზრი?

— თქვენ ძალიან მძიმე კაცი ხართ, მისტერ რიერდენ, — ამოიხვნეშა პოტერმა.

გარეთ შებინდდა და ცა თითქოს გამკვრივდა. მოსაუბრის სილუეტი ლაქასავით გაიდღაბნა ავეჯის მკვეთრი, სწორხაზოვანი ფორმების ფონზე.

— მე მხოლოდ იმიტომ მიგიღეთ, — თქვა რიერდენმა, — რომ თქვენ მითხარით, თითქოს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა გსურდათ ჩემთან. თუ სულ ესაა, რის თქმასაც აპირებდით, უნდა მომიტევოთ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს.

პოტერი სავარძლის საზურგეზე გადაწვა:

— თუ არ ვცდები, შენადნობის მისაღებად ათი წელი დაგჭირდათ. რამდენი დაგიჯდათ?

რიერდენმა თვალები ასწია — ამ შეკითხვის არსს ვერ ჩასწვდა, თუმცა, პოტერს აშკარად რაღაც მიზანი ჰქონდა; ხმა გაუმკაცრდა.

— მილიონ-ნახევარი დოლარი, — უთხრა რიერდენმა.

— რამდენს ითხოვთ მის სანაცვლოდ?

რიერდენი უნებლიეთ გაჩუმდა, ყურებს არ უჯერებდა. მერე კი ხმადაბლა ჩაეკითხა:

— რის სანაცვლოდ?

— ყველა უფლებისთვის რიერდენ მეტალზე.

— მგონი, აჯობებს, აქაურობას გაეცალოთ, — თქვა რიერდენმა.

— თქვენი პოზიცია სრულიად გაუმართლებელია. თქვენ ბიზნესმენი ხართ, მე კი საქმიან წინადადებას გთავაზობთ, გარიგებას. თქვენი ფასი დაასახელეთ.

— რიერდენ მეტალზე უფლებები არ იყიდება.

— მე უფლებამოსილი ვარ, უზარმაზარი თანხა შემოგთავაზოთ. სახელმწიფო მასშტაბებს ვგულისხმობ.

რიერდენი გაქვავდა, კრიჭაშეკრული იჯდა. მხოლოდ სახის კუნთები უთრთოდა, თუმცა გულგრილ მზერაში ოდნავი ცნობისმოყვარეობა გამოუკრთოდა.

— თქვენ ბიზნესმენი ხართ, მისტერ რიერდენ, და ასეთ წინადადებაზე უარს ვერ იტყვით. ერთი მხრივ, სერიოზულად რისკავთ — საზოგადოებრივი აზრი თქვენ გიპირისპირდებათ. შეიძლება, ყველაფერი დაკარგოთ, რაც კი შენადნობში ჩადეთ, უკანასკნელ პენიმდე. ჩვენ კი გთავაზობთ, რისკი ნულამდე დაიყვანოთ და პასუხისმგებლობის სიმძიმისგან განთავისუფლდეთ. ამავე დროს, უზარმაზარი თანხა მოხსნათ, თანაც შეუფერხებლად, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ოცი წლის განმავლობაში მიიღებთ თქვენი მეტალის გაყიდვით.

— თუ მე არ მეშლება, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი სამეცნიერო დაწესებულებაა და არა კომერციული ორგანიზაცია, — უთხრა რიერდენმა, — მაინც, რამ შეგაშინათ ასე?

— თქვენ ულამაზო და უადგილო სიტყვებს ხმარობთ, მისტერ რიერდენ. მე ვცდილობ, მეგობრულად ვისაუბროთ. საკითხი უკიდურესად სერიოზულია.

— თანდათან ვრწმუნდები.

— ჩვენ განუზომელ თანხას გთავაზობთ... კიდევ რაღა გინდათ? დაასახელეთ თქვენი ფასი.

— რიერდენ მეტალზე უფლებები არ იყიდება, ამ თემაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

თუ კიდევ რაიმე დაგრჩათ სათქმელი, თქვით და მიბრძანდით.

სტუმარი უკან გადაიწია, მერე რიერდენს ეჭვით შეხედა და ჰკითხა:

— რის მიღწევას ცდილობთ?

— მე? რას გულისხმობთ?

— თქვენ ხომ ბიზნესი იმისთვის გაქვთ, რომ ფული აკეთოთ, ასე არ არის?

— მასეა.

— და ცდილობთ, მაქსიმალური მოგება მიიღოთ, ასეა?

— ცხადია.

— მაშინ რატომ ამჯობინებთ, რომ წლები იბრძოლოთ რაღაც უბადრუკი საზღაურის სანაცვლოდ ყოველი გაყიდული ტონისთვის, როცა შეგიძლიათ, ერთბაშად კოლოსალური თანხა აიღოთ თქვენს საქონელში? რატომ?

— იმიტომ, რომ შენადნობი ჩემია. გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა?

პოტერმა ამოიხვნეშა და წამოდგა.

— იმედი მაქვს, მისტერ რიერდენ, არ ინანებთ ამ გადაწყვეტილებას, — თქვა ისეთი ტონით, რომ აშკარად საპირისპირო იგულისხმა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — წარმოთქვა რიერდენმა.

— მგონი, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ სავარაუდოდ, ინსტიტუტი ოფიციალურად დაგმობს თქვენს მეტალს.

— როგორც გენებოთ.

— ეს დასკვნა ცხოვრებას საგრძნობლად გაგირთულებთ.

— ეჭვი არ მეპარება.

— რაც შეეხება უფრო შორეულ შედეგებს... — პოტერმა მხრები აიჩეჩა, — ჩვენი დრო არ სწყალობს ადამიანებს, რომლებიც უარს აცხადებენ თანამშრომლობაზე.

დღეს მეგობრები ყველას სჭირდება. თქვენ კი, მისტერ რიერდენ... თქვენ არაპოპულარული ბრძანდებით.

— ამით რისი თქმა გსურთ?

— დარწმუნებული ვარ, შესანიშნავად მიმიხვდით — არა.

— საზოგადოება, მისტერ რიერდენ, რთული ორგანიზმია. ახლა უამრავი საკითხი ბეწვზე კიდია და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს. ძნელი სათქმელია, როდის გადაწყდება ესა თუ ის საკითხი და რომელი ფაქტორი განსაზღვრავს ამ ფაქიზი წონასწორობის ბედს. გასაგებად აგიხსენით?

— არა.

სადნობი ღუმლებიდან ავარდნილმა წითელმა ალმურმა ბინდი გაკვეთა, რიერდენის ზურგს უკან კედელი ოქროსფერი მეწამულით დაიფერა და ნელ-ნელა მის შუბლსაც მოეფინა.

ის კვლავ უდრტვინველი სახით იჯდა.

— მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი სამთავრობო ორგანიზაციაა, მისტერ რიერდენ. ამჟამად საკანონმდებლო ორგანოში განიხილება რამდენიმე კანონპროექტი, რომლებიც ნებისმიერ წუთს შეიძლება დაამტკიცონ. ჩვენს დროში ბიზნესმენებს მშვიდი ძილი არ უწერიათ. დარწმუნებული ვარ, ახლა გესმით, რასაც ვგულისხმობ, რიერდენი წამოდგა. ისე იღიმებოდა, თითქოს ყველა მისი სადარდებელი ერთი ხელის მოსმით გაქრა.

— არა, დოქტორ პოტერ, არ მესმის. რომ მესმოდეს — მოგკლავდით.

პოტერი კარისკენ გაემართა, გაჩერდა და რიერდენს შეხედა. იმ წამს მის მზერაში მხოლოდ უბრალო ადამიანური გაოგნება იკითხებოდა. რიერდენი უძრავად იჯდა, მის

უკან კედელზე სინათლის ლაქა ლიცლიცებდა იჯდა ბუნებრივად, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო.

— მითხარით, ისე გეკითხებით, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო, ჩვენ შორის დარჩეს და, ამას რატომ აკეთებთ?

— გიპასუხებთ. მაგრამ თქვენ ვერ გაიგებთ იცით,; იმიტომ რომ რიერდენ მეტალი ძალიან კარგია.

* * *

დაგნის ვერ გაეგო, მაინც რამ აიძულა მისტერ მოუენი, თავისი კომპანიის სახელით ეცნობებინა, რომ მის შეკვეთას ვერ შეასრულებდნენ. თითქოს არაფერი საგულისხმო არ მომხდარა, უარის მიზეზი არ ჩანდა, არც არაფერი განუმარტავთ.

დაგნი სასწრაფოდ კონექტიკუტში გაქანდა, რათა პირადად შეხვედროდა მისტერ მოუენს, თუმცა ამ ვიზიტის ერთადერთი შედეგი აღმოჩნდა დამთრგუნველი სიმძიმე, რომელიც ახალი ძალით დაატყდა თავს. მისტერ მოუენმა დაგნის განუცხადა, რომ წყვეტდა ისრების წარმოებას რიერდენ მეტალისგან. განმარტების სახით კი ესღა თქვა: ამას მეტისმეტად ბევრი ადამიანი არ იწონებდა. — თან ცდილობდა, თვალი მოერიდებინა მისთვის.

— რას? მეტალს თუ იმას, რომ მისგან ისრებს აკეთებთ? — ჰკითხა დაგნიმ.

— ერთსაც და მეორესაც, როგორც ვხვდები ხალხს. ეს არ მოსწონს... არ მაწყობს უსიამოვნებები.

— რა უსიამოვნებები?

— ნებისმიერი.

— თუ გსმენიათ მაინც, რომ რასაც რიერდენ მეტალზე ამბობენ, იქიდან რაიმე სიმართლე აღმოჩნდა?

— ვინ იცის, რა არის სიმართლე და რა არა? მეტალურგიული მრეწველობის ეროვნული საბჭოს რეზოლუციაში ნათქვამია...

— მომისმინეთ, თქვენ მთელი ცხოვრება მეტალთან გაქვთ საქმე. ბოლო ოთხი თვეა, რიერდენ მეტალზე მუშაობთ. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ დღემდე ამაზე უკეთესი არაფერი გინახავთ?

მოუენი დუმდა.

— ნუთუ ვერ ხვდებით?

მოუენი გატრიალდა.

— ნუთუ ვერ ხვდებით, რა არის სიმართლე?

— ჯანდაბა! მის ტაგარტ, მე ბიზნესმენი ვარ, პატარა კაცი. უბრალოდ, მინდა, ფული ვაკეთო.

— და რას ფიქრობთ, როგორ კეთდება ფული?

დაგნი ხვდებოდა, რომ მოუენს ვერაფერს შეასმენდა. შეჰყურებდა მის სახეს, მის აწრიალებულ თვალებს და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტრასაზე იდგა მარტო, ქარიშხალს სატელეფონო ხაზები დაეწყვიტა, კავშირი აღარ არსებობდა და სიტყვები უაზრო, არაფრის აღმნიშვნელ ბგერებად გადაქცეულიყო.

„რა აზრი აქვს კამათს ან თავის ატკივებას იმ ადამიანებზე ფიქრით, რომლებსაც არც არგუმენტის უარყოფა შეუძლიათ და არც მისი გაზიარება“, — ფიქრობდა დაგნი.

როდესაც მატარებლით ნიუ-იორკში ბრუნდებოდა, დაგნი საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ არც მისტერ მოუენს და არც არაფერს, რაც მას უკავშირდებოდა, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ახლა მთავარი მხოლოდ ის იყო — ეპოვა ახალი

მწარმოებელი, რომელიც ისრების რიერდენ მეტალისგან დამზადებას დასთანხმდებოდა.

ტვინს იჭყლეტდა, რომ გაეხსენებინა, ვის დაითანხმებდა უფრო ადვილად, ან მოელაპარაკებოდა ანდა მოისყიდდა ამ საქმისთვის.

თავისი კაბინეტის მისაღებში შედგა თუ არა ფეხი, მიხვდა, რომ რაღაც მოხდა. იქ ჩამოწოლილმა უჩვეულო სიმშვიდემ და თითოეული თანამშრომლის მისკენ მიმართულმა მზერამ შეაშფოთა. თითქოს ყველანი შიშით და იმედით ელოდებოდნენ მის დაბრუნებას. ედი უილერსი ადგა და დაგნის კაბინეტისკენ გაემართა, იცოდა, რომ ის მიუხვდებოდა და ფეხდაფეხ გაჰყვებოდა. დაგნიმ შენიშნა მისი გამომეტყველება და გაიფიქრა: „რაც არ უნდა მომხდარიყო, საწყენია, ასე რომ ღელავს.

როცა მარტონი დარჩნენ, ედიმ ჩუმად უთხრა:

— მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ყველას მოუწოდებს, თავი შეიკავონ რიერდენ მეტალის გამოყენებისგან, — და დასძინა, — რადიოთიც გადმოსცეს და საღამოს გაზეთებშიც დაიბეჭდა.

— მერე რაო, რას ამბობენ?

— არაფერს, დაგნი... ფაქტობრივად, არაფერს. თითქოს ცუდი არაფერი უთქვამთ, მაგრამ მაინც ისე გამოვიდა, რომ ყველაფერი ცუდადაა. აი, ეს არის ყველაზე შემზარავი. ედი ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, მაგრამ ძალიან უჭირდა და გულნატკენი ბავშვივით, რომელიც პირველად შეეჯახა ბოროტებას, სიტყვებსაც ვერაფერს უხერხებდა. ისინი თითქოს თავისით მოფრინავდნენ.

— რა თქვეს, ედი?

— მათ... აჯობებს, თავად წაიკითხო... — ედიმ დაგნის მაგიდაზე დატოვებულ გაზეთზე მიანიშნა, — მათ არ უთქვამთ, რომ რიერდენ მეტალი ცუდია, არც იმას ამტკიცებენ, რომ საშიშია. უბრალოდ...

ედიმ ხელები გაშალა და მერე უსუსურად ჩამოყარა.

დაგნი უცებ მიხვდა, რაც მათ გააკეთეს. მაშინვე თვალში ეცა წინადადებები:

„ძლიერი დატვირთვის შედეგად, მოსალოდნელია ნახეთქების გაჩენა, თუმცა იმის გათვლა, თუ როდის შეიძლება, ეს მოხდეს, ამჟამად შეუძლებელია... გამორიცხული არც ჯერჯერობით უცნობი სახის მოლეკულური დაშლაა... მიუხედავად გაწელვისთვის საჭირო სიმდგრადის აშკარად მაღალი კოეფიციენტისა, გარკვეული ეჭვები მაინც ჩნდება მეტალის ქცევასთან დაკავშირებით. მკვეთრი დარტყმითი დატვირთვის შემთხვევაში... თუმცა არ არსებობს დასაბუთება, რომელიც ამ შენადნობის აკრძალვას გაამყარებდა. მისი თვისებების შემდგომი შესწავლა აუცილებელია“...

— ჩვენ ამას ვერ შევებრძოლებით. ვერაფერს ვუპასუხებთ, — აუჩქარებლად ლაპარაკობდა ედი, — იმასაც კი ვერ მოვითხოვთ, რომ ოფიციალურად უარყონ. ვერც ჩვენი ექსპერიმენტების შედეგებს ვაჩვენებთ და ვერც რაიმეს დავამტკიცებთ. ისეთი არაფერი უთქვამთ, რომ მათ კომპეტენტურობაში ეჭვი შევიტანოთ და დავუპირისპირდეთ. უკანასკნელი ლაჩრებივით მოიქცნენ. ამას მხოლოდ თაღლითი ან შანტაჟისტი თუ იკადრებს. მაგრამ, დაგნი, ეს ხომ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტია!

დაგნიმ უსიტყვოდ დაუქნია თავი. იდგა და თვალი რომელიღაც წერტილისთვის გაეშტერებინა ფანჯრის მიღმა. ბნელი ქუჩის ბოლოში სარეკლამო ელექტროაბრის

ნათურები ხან ქრებოდნენ და ხანაც ინთებოდნენ; თითქოს ნიშნის მოგებით თვალს უკრავდნენ.

ედიმ მხნეობა მოიკრიბა და სამხედრო პირივით მოახსენა:

— ჩვენი აქციების ფასი მკვეთრად დაეცა. ბენ ნილი სამსახურიდან წავიდა. სარკინიგზო მაგისტრალებისა და ავტოსტრადების მუშათა ეროვნულმა კავშირმა თავის წევრებს რიო ნორტეს ხაზზე მუშაობა აუკრძალა. ჯიმმა ქალაქი დატოვა.

დაგნიმ ქუდი მოიხადა, პალტო გაიძრო, კაბინეტი გადაკვეთა და ნელა, რაღაცნაირად ფრთხილად მიუჯდა თავის მაგიდას.

მის წინ დიდი რუხი კონვერტი იდო საფირმო შტამპით — „რიერდენ სთილი“.

— ეგ კურიერმა მოიტანა, წახვედი თუ არა, მალევე, — უთხრა ედიმ.

დაგნიმ კონვერტს ხელი დაადო, მაგრამ არ გაუხსნია. ისედაც იცოდა — ხიდის ნახაზები იყო.

ცოტა ხანში იკითხა:

— ვინ აწერს ხელს ამ განცხადებას?

ედიმ შეხედა, მწარედ გაიღიმა და თავი გააქნია.

— ჰო, — თქვა მან, — მაგაზე მეც ვიფიქრე., ინსტიტუტს საქალაქთაშორისო ტელეფონით დავუკავშირდი და ვიკითხე. ეს დოკუმენტი დოქტორ ფლოიდ ფერისის კანცელარიიდან გამოვიდა, მათი კოორდინატორია.

დაგნი დუმდა.

— მაგრამ ინსტიტუტს მაინც დოქტორი სტადლერი ხელმძღვანელობს. ინსტიტუტი — სტადლერია. წესით, ამ ქაღალდის შესახებ მასაც უნდა სცოდნოდა. ეს განცხადება მისი ნებართვით გაკეთდა და გამოდის — მისი სახელით. დოქტორი რობერტ სტადლერი გახსოვს, კოლეჯში... ჩვენი დროის დიდ ადამიანებზე რომ ვსაუბრობდით სრულყოფილი ინტელექტის მქონე ადამიანებზე... რობერტ სტადლერის სახელს ყოველთვის მათ შორის ვახსენებდით... — ედი გაჩუმდა, — მაპატიე, დაგნი. მესმის, რაც არ უნდა თქვა — აზრი არ აქვს... მხოლოდ...

დაგნი იჯდა, ხელი ისევ რუხ კონვერტზე ედო.

— დაგნი, რა დაემართა ხალხს? — ჩუმად ჰკითხა ედიმ, — რატომ გამოიწვია ამ განცხადებამ ასეთი ხმაური? ეს ხომ ბინძური ცილისწამებაა, აშკარა, საძაგელი ცილისწამება. პატიოსანი ადამიანი ამას ნაგავში მოისვრის. როგორ შეეძლოთ... — ედის ხმა უკრთოდა მოზღვავებული რისხვისგან და სასოწარკვეთისგან, — როგორ შეეძლოთ ამის მიღება? საინტერესოა, ინსტიტუტში წაიკითხეს მაინც საერთოდ? ნუთუ ხალხი დაბრმავდა? ნუთუ საღად ვეღარავინ აზროვნებს? დაგნი, როგორ კადრულობენ ადამიანები ასე მოქცევას. როგორ უნდა ვიცხოვროთ ასეთ ვითარებაში?

— დამშვიდდი, ედი, — უთხრა დაგნიმ, — დამშვიდდი. და ნუ გეშინია.

* * *

მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი ნიუ-ჰემპშირში მდებარეობდა, მდინარის ნაპირას, განცალკევებულ გორაკზე, შუა გზაზე მდინარესა და ცას შორის. შენობა შორიდან ეულ მონუმენტს ჰგავდა უბინო ტყეში. ხეები კოხტად დაერგოთ.

გზები ისე იყო დაგებული, როგორც პარკში. აქედან რამდენიმე მილში ვაკეზე გაშლილი პატარა ქალაქის სახურავები მოჩანდა. შენობის სიახლოვეს კი არაფერი იდგა, მისი მკაცრი სიდიადე რომ არ შეებღალა...

მარმარილოს თეთრი კედლები ნაგებობას კლასიკურ დიდებულებას ანიჭებდა, სწორკუთხოვანი ელემენტების კომპოზიცია კი თანამედროვე სამრეწველო საწარმოს

სისადავესა და სილამაზეს. ეს პათეტიკური ნაგებობა იყო. ხალხი მდინარის გაღმიდან მოწიწებით შეჰყურებდა ამ შენობას, როგორც იმ ადამიანის პატივსაცემად აღმართულ ძეგლს, რომელიც ისეთივე კეთილშობილი იყო, როგორც ეს დახვეწილი ხაზები.

ინსტიტუტის შესასვლელში მიძღვნა ამოეტვიფრათ: „უშიშარ გონებას. შეუბღალავ სიმართლეს“. შენობის ერთ-ერთი, სრულიად უღიმღამო დერეფნის. წყნარ კუთხეში, კარზე, თითბრის პატარა დაფა ეკიდა, ისეთივე, როგორიც ასობით სხვა კარზე, წარწერით — „დოქტორი რობერტ სტადლერი“.

ოცდაშვიდი წლის ასაკში დოქტორმა სტადლერმა დაწერა სამეცნიერო ტრაქტატი კოსმოსური გამოსხივების შესახებ, რომელმაც მისი წინამორბედების მიერ შექმნილი თეორიების უდიდესი ნაწილი ნაცარტუტად აქცია. ყველა სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ამ ტრაქტატის შემდეგ დაიწერა, ნებისმიერი კვლევა, მის პოსტულატებს ეყრდნობოდა.

ოცდაათი წლისა, ის თავისი დროის უდიდეს ფიზიკოსად აღიარეს. ოცდათორმეტი წლისა კი ფიზიკის ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტში, იმ დროს, როცა ეს უნივერსიტეტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძველ ღირსებას. სწორე დოქტორ სტადლერზე თქვა ერთმა ჟურნალისტმა: „შესაძლებელია, იმ სამყაროს ნებისმიერ მოვლენაზე უფრო გასაოცარი, რომელსაც ის სწავლობს, სწორედ მისი ტვინი იყოს“. სწორედ დოქტორმა სტადლერმა შეუსწორა ერთხელ თავის სტუდენტს:

„დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა? პირველი ზედსართავი სახელი ზედმეტია“, ორმოცი წლის ასაკში, დოქტორმა სტადლერმა ერს მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის შექმნის თხოვნით მიმართა.

„მივცეთ მეცნიერებას საშუალება, თავი დააღწიოს დოლარის დიქტატს!“ — მოუწოდებდა ის თანამემამულეებს. საკითხი განიხილეს:. მაგრამ ნაკლებად ცნობილ მეცნიერთა ჯგუფმა ზედმეტი ხმაურის გარეშე გაიტანა ინსტიტუტის დაფუძნების კანონპროექტი საკანონმდებლო ხელისუფლების უსასრულო კორიდორებში. ამ გადაწყვეტილების მიღება ჩინოვნიკების: ჭოჭმანის. გამო გაჭიანურდა, ეჭვებისა და შფოთვის მიზეზი ვერავის გაეგო. მაგრამ დოქტორ სტადლერის სახელი იმ კოსმოსური გამოსხივებასავით მოქმედებდა, რომელსაც ის იკვლევდა — ნებისმიერ წინაღობას სძლევდა. და ქვეყანამ თეთრი მარმარილოს შენობა პირადი საჩუქრის სახით აუშენა თავის ერთ-ერთ დიად წარმომადგენელს.

დოქტორ სტადლერის მოკრძალებული კაბინეტი არაფრით განსხვავდებოდა რომელიღაც მეორეხარისხოვანი ფირმის ბუღალტრის კაბინეტისგან. ოთახში ყვითელი მუხის იაფფასიანი მაგიდა, დოკუმენტების შესანახი კარადა; ორი სავარძელი და მათემატიკური ფორმულებით გადაჭრელებული შავი დაფა იდგა: დაგნი ერთ-ერთ სავარძელში იჯდა მოშიშვლებულ კედელთან და ფიქრობდა, რომ ამ კაბინეტში რაღაცნაირ თავმომწონე ფუფუნებასა და ამავე დროს,; ელეგანტურობას დაესადგურებინა. ფუფუნებას, რადგან კაბინეტის მოკრძალებული ინტერიერი: აშკარად მიანიშნებდა, რომ იქაურობის ბატონ-პატრონი იმდენად დიდებული იყო; შეეძლო;, საკუთარი თავისთვის უფლება მიეცა, უარი ეთქვა ყოველგვარ მოსართავებზე; ელეგანტური კი იმიტომ, რომ ამ ადამიანს მართლაც არაფერი სჭირდებოდა იმის გარდა, რაც ოთახში იდგა.

დაგნი დოქტორ სტადლერს უკვე იცნობდა. რამდენჯერმე შეხვედრია ბანკეტებზე და მიღებებზე, რომელსაც ცნობილი ბიზნესმენები ან წამყვანი

სამრეწველო კომპანიები ამა თუ იმ საზეიმო მოვლენასთან და კავშირებით მართავდნენ. ამ წვეულებებს დაგნი ისევე უხალისოდ ესწრებოდა, როგორც დოქტორი სტადლერი და შეამჩნია, რომ მეცნიერს მასთან საუბარი მოსწონდა.

— მის ტაგარტ, — უთხრა მან ერთხელ დაგნის, — არასდროს არ მაქვს იმედი, რომ ამგვარ წვეულებებზე ჭკვიან ადამიანს. გადავაწყდები. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მახარებს, თქვენ რომ გიცნობთ!

ეს სიტყვები ახსოვდა დაგნის და ამიტომაც მივიდა მასთან ოფისში. იჯდა და დოქტორ სტადლერს მკვლევრის მზერით აკვირდებოდა; ყოველგვარი ვარაუდებისა და ემოციების გარეშე. მხოლოდ ერთი რამ სწადდა: დაჰკვირვებოდა და გაეგო.

— მის ტაგარტ, — მხნედ წამოიწყო დოქტორმა სტადლერმა, — თქვენ ჩემში ცნობისმოყვარეობას აღვივებთ, ისევე, როგორც ყველაფერი ის, რაც წესიდან გამორიცხვად მიმაჩნია. ზოგადად, სტუმრები თავს მაბეზრებენ. არ დაგიმალავთ და, თვითონაც გულწრფელად მიკვირს, ასე რომ მესიამოვნა თქვენი ხილვა. გამოგიცდიათ, რას გრძნობ, როცა ბოლოს და ბოლოს გადააწყდები ისეთ თანამოსაუბრეს, რომელსაც თავისუფლად აგებინებ ყველაფერს?

დოქტორი სტადლერი მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა, ძალიან ლაღად და მკვირცხლად. ის მაღალი არ იყო, სიგამხდრის წყალობით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა და პატარა ბიჭივით ენერგიული ჩანდა. სახის მიხედვით მისი ასაკის ამოცნობა რთული იყო. ცოტა უბრალო სახე ჰქონდა. თუმცა, მაღალი შუბლი და დიდი, ნაცრისფერი თვალები ისეთ ინტელექტზე მიანიშნებდა, რომ სხვა აღარაფერი იქცევდა ყურადღებას. თვალების კუთხეებში მხიარული ნაოჭები უჩნდებოდა, ტუჩების კუთხეებში კი სევდა. მხოლოდ ოდნავ შეჭაღარავებული თმა გასცემდა, რომ უკვე ორმოცდაათს გადასცილებოდა.

— მიამბეთ თქვენ შესახებ, თუ შეიძლება უთხრა დოქტორმა სტადლერმა, — ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ არჩიეთ ქალისთვის ასე უჩვეულო კარიერა მაინცდამაინც მძიმე მრეწველობაში, ან ამ ადამიანებს როგორ უძლებთ?

— ბევრ დროს ვერ წაგართმევთ, დოქტორო სტადლერ; — თავაზიანად, განყენებული კორექტულობით უთხრა დაგნიმ — თქვენთან უკიდურესად მნიშვნელოვანმა საქმემ მომიყვანა.

სტადლერს გაეცინა:.

— აი, ნამდვილი საქმიანი ქალი — მყისვე და პირდაპირ საქმეზე გადახვედით კეთილი. თუმცა ჩემს დროზე ნუ წუხხართ — ის თქვენიც არის. აბა, რის შესახებ გინდოდათ ლაპარაკი? აჰ, დიახ, რიერდენ მეტალი. ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვარ მის შესახებ ინფორმირებული, მაგრამ თუკი რამეში გამოგადგებით — და ხელით ანიშნა, რომ საუბარი დაეწყო.

— იმ დასკვნას თუ გაეცანით, რომელიც თქვენმა ინსტიტუტმა რიერდენ მეტალის თაობაზე გამოაქვეყნა?

სტადლერი ოდნავ მოიღუშა:

— კი, გავიგე ამის შესახებ.

— წაიკითხეთ?

— არა.

— ეს განცხადება რიერდენ მეტალის გამოყენებას ეწინააღმდეგება.

— დიახ, დიახ, რაღაც ამდაგვარი მსმენია.

— შეგიძლიათ, ამიხსნათ, რა მიზეზით?

სტადლერმა ხელები გაშალა. ლამაზი ხელები ჰქონდა, თხელი, ენერგიული და ძლიერი.

— პირდაპირ მოგახსენებთ — არაფერი ვიცი. ეგ დოქტორ ფერისის სამფლობელოა. დარწმუნებული ვარ, განსაკუთრებული მიზეზები ექნებოდა. თვითონ მას ხომ არ გაესაუბრებოდით?

— არა. თქვენ რიერდენ მეტალის ფიზიკურ თვისებებს თუ იცნობთ, დოქტორო სტადლერ?

— რატომ მეკითხებით? დიახ, ზოგადად კი. მაგრამ მითხარით, რატომ გადარდებთ ასე ეს მეტალი?

— დაგნის თვალებში მსუბუქმა გაოცებამ გაიელვა, თუმცა ტონი არ შეუცვლია — რიერდენ მეტალისგან ახალ ხაზს ვაშენებ, რომელიც...

— აჰ, დიახ, რასაკვირველია! მსმენია ამის შესახებ. უკაცრავად, მის ტაგარტ, გაზეთებს არ ვკითხულობ ისე რეგულარულად, როგორც საჭიროა. ესე იგი, მაგ გზას სწორედ თქვენი კომპანია აშენებს?

— ჩემი რკინიგზის არსებობა იმაზეა დამოკიდებული, დასრულდება თუ არა ახალი ხაზის მშენებლობა და, საბოლოოდ, ჩემი აზრით, ამაზეა დამოკიდებული მთელი ქვეყნის არსებობაც.

სტადლერს თვალების გარშემო გაოცების ნაოჭები გაუჩნდა — ნუთუ შეგიძლიათ, ასეთი რამეები სრული თავდაჯერებულობით განაცხადოთ მის ტაგარტ? მე, მაგალითად, არა.

— კონკრეტულად ამ შემთხვევაში?

— ნებისმიერ“ შემთხვევაში. წინასწარ ვერავინ: იტყვის როგორ წარიმართება ქვეყნის ბედი მომავალში. ეს პროცესი გათვლას არ ექვემდებარება, ის ქაოტურია და ნებისმიერ მოცემულ მომენტში შეიძლება, ნებისმიერი მიმართულება მიიღოს.

— დოქტორო სტადლერ, მეთანხმებით, რომ მრეწველობა ქვეყნის არსებობის აუცილებელი პირობაა?

— დიახ... უთუოდ.

— ჩემი ახალი ხაზის მშენებლობა თქვენი ინსტიტუტის მიერ გაკეთებული დასკვნის შედეგად გაჩერდა.

სტადლერმა არ გაიღიმა და დადუმდა.

— შეესატყვისება თუ არა ეს დასკვნა თქვენს შეხედულებას რიერდენ მეტალზე?

— მე უკვე გითხარით, რომ არც წამიკითხავს, — ცოტა უკმაყოფილოდ თქვა სტადლერმა.

დაგნიმ ჩანთა გახსნა, გაზეთიდან ამონაჭერი ამოიღო და მას გაუწოდა.

— წაიკითხეთ და თქვით, ამ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს მეცნიერება?

სტადლერმა ტექსტს თვალი გადაავლო, ზიზღით გაიღიმა და გვერდზე მოისროლა:

— სისაძაგლეა. მაგრამ აბა რა უნდა ქნა, როცა საქმე ადამიანებთან გაქვს.

— გამოდის, თქვენ არ ეთანხმებით ამ განცხადებას? — ჰკითხა გაოგნებულმა დაგნიმ.

სტადლერმა მხრები აიჩეჩა:

— ჩემს თანხმობას ან უარყოფას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

— საკუთარი აზრი თუ ჩამოგიყალიბდათ რიერდენ მეტალზე?

— მოდით, ასე ვთქვათ, მეტალურგია მთლად ჩემი სპეციალობაა არაა.

— თქვენთვის ცნობილია რიერდენ მეტალის თვისებების შესახებ?

— მის ტაგარტ, არ მესმის, რა აზრი აქვს თქვენს კითხვებს, — ოდნავი გაღიზიანება გამოკრთა სტადლერის ხმაში.

— პირადად თქვენი დასკვნა მაინტერესებს რიერდენ მეტალთან დაკავშირებით.

— რა მიზნით?

— იმისთვის, რომ პრესას გადავცე.

სტადლერი წამოდგა.

— ეს შეუძლებელია.

— სრულ ინფორმაციას მოგაწვდით, რაც კი დასაბუთებული მსჯელობისთვის დაგჭირდებათ, — უთხრა დაგნიმ და შეეცადა, საკუთარი ხმისთვის მაქსიმალური დამაჯერებლობა შეეძინა.

— ვერანაირ საჯარო განცხადებას ვერ გავაკეთებ ამ თემაზე.

— რატომ?

— ვითარება მეტისმეტად რთულია საიმისოდ, რომ ზედაპირულ საუბარში რაიმე აგიხსნათ.

— მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ რიერდენ მეტალი მართლაც ძალიან ფასეული პროდუქტია, რომელიც...

— ამას არ აქვს მნიშვნელობა.

— რას არა აქვს მნიშვნელობა, რომ რიერდენ მეტალი მართლაც ფასეულია?

— მის ტაგარტ, ეს ძალიან რთული საკითხია, გარდა ფაქტის კონსტატაციისა, სხვა საკითხებიც გასათვალისწინებელია.

— რა, თუ არა ფაქტები, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მეცნიერებისთვის — ყურებს არ დაუჯერა დაგნიმ.

— მის ტაგარტ, თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რა პრობლემები აქვს დღეს მეცნიერებას.

— მე მგონია, რომ თქვენ შესანიშნავად მოგეხსენებათ, რა არის სინამდვილეში რიერდენ მეტალი, — ნელა წარმოთქვა დაგნიმ, თითქოს თვითონაც ახლაღა მიხვდა ამას.

სტადლერმა ისევ აიჩეჩა მხრები.

დიახ, ვიცი. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მე ვიცი, ეს გასაოცარი რამაა, ტექნოლოგიის ბრწყინვალე მიღწევა.

სტადლერი გაღიზიანებული დადიოდა კაბინეტში წინ და უკან — სიმართლე გითხრათ, მე თვითონ უარს არ ვიტყოდი, ერთხელაც სპეციალური ლაბორატორიული ძრავა შემეკვეთა, რომელიც ისეთივე მაღალ ტემპერატურას გაუძლებდა, როგორსაც რიერდენ მეტალი უძლებს. ეს დანადგარი ძალიან გამომადგებოდა იგი კონკრეტული მოვლენების შესასწავლად. აღმოვაჩინე, რომ თუ ელემენტარულ ნაწილაკებს ისე ავაჩქარებთ, რომ სინათლის სიჩქარეს მივუახლოვებთ, ისინი...

— დოქტორო სტადლერ, — მშრალად შეაწყვეტინა დაგნიმ, — სიმართლე იცით, და მიუხედავად ამისა, არ გსურთ, საჯაროდ გამოთქვათ თქვენი აზრი?

— მის ტაგარტ, თქვენ აბსტრაქტულ ცნებებს იყენებთ, მაშინ, როცა საქმე რეალობას ეხება!

— საქმე მეცნიერებას ეხება.

— მეცნიერებას... ტერმინოლოგია ხომ არ გერევათ? ჭეშმარიტება აბსოლუტურ კრიტერიუმად მხოლოდ წმინდა მეცნიერებისთვის ივარგებს. როცა ლაპარაკი გამოყენებით დისციპლინაზეა, ან ტექნიკაზე — ჩვენ უკვე ადამიანებთან გვაქვს

საქმე, და როცა საქმე ადამიანებს ეხებათ, ჭეშმარიტების გარდა, სხვა რამეებიც არის გასათვალისწინებელი.

— კერძოდ?

— მე ტექნიკის სამყაროზე წარმოდგენა არ მაქვს, მის ტაგარტ. არც ნიჭი მაქვს და არც სურვილი, ადამიანებთან ვიქონიო საქმე. ეგრეთ წოდებული პრაქტიკული საკითხებისთვის არ მცალია.

— ეს განცხადება თქვენი სახელით გაკეთდა.

— მასთან არავითარი შეხება არ მაქვს!

— მაგრამ ამ ინსტიტუტზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

— ეს ყოვლად დაუსაბუთებელი მტკიცებაა.

— ხალხს თქვენი შეუბღალავი სახელი ინსტიტუტის ნებისმიერი მოქმედების ობიექტურობისა და უმწიკვლობის გარანტიად მიაჩნია.

— რა გაეწყობა, ვერაფერს ვიზამ, თუ ასე ფიქრობენ — თუკი საერთოდ რამეზე ფიქრობენ!

— მათ თქვენს განცხადებას დაუჯერეს, თუმცა ეს სიცრუეა.

— რომელ ჭეშმარიტებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საქმე ადამიანებთან გვაქვს?

— არ მესმის თქვენი, — დაგნი ცდილობდა, წონასწორობა შეენარჩუნებინა.

— ჭეშმარიტების საკითხს საზოგადოებასთან არაფერი აკავშირებს. არც ერთი პრინციპი არასოდეს არანაირ ზემოქმედებას არ ახდენდა საზოგადოებაზე.

— კი მაგრამ, აბა, რა უდევს საფუძვლად ადამიანის მოქმედებებს?

სტადლერმა, უკვე მერამდენედ, ისევ აიჩეჩა მხრები:

— ამწუთიერი მოთხოვნილებები.

— დოქტორო სტადლერ, — უთხრა დაგნიმ, — მგონი, უნდა აგიხსნათ, რა შედეგები მოჰყვება ჩემი ახალი ხაზის მშენებლობის შეჩერებას. მე მაფერხებენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მომიზეზებით, რადგან საუკეთესო რელსები გამოვიყენე, რაც კი ოდესმე უწარმოებიათ. თუ ხაზის მშენებლობას ექვს თვეში არ დავასრულებ, ქვეყნის ყველაზე მსხვილი სამრეწველო რეგიონი სატრანსპორტო საშუალებების გარეშე დარჩება. ის მოისპობა იმიტომ, რომ ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა და ვიღაცამ მისი სიმდიდრის მისაკუთრება გადაწყვიტა.

— რას იზამთ, შეიძლება, ეს ცუდია“ უსამართლოა, აღმაშფოთებელია, მაგრამ ასეთია საზოგადოებრივი ცხოვრება. ვიღაც ყოველთვის მსხვერპლად ეწირება და, როგორც წესი, უსამართლოდ. მაგრამ ასეა მიღებული ადამიანებთან. რას გახდება ამის წინააღმდეგ ერთი ადამიანი?!

— თქვენ შეგიძლიათ, სიმართლე თქვათ რიერდენ მეტალზე.

სტადლერი გაჩუმდა.

— შემეძლო, შეგვედრებოდით, ჩემი საქმე რომ გადამერჩინა, ან მეთხოვა, ქვეყანა ნაციონალური კატასტროფისგან გეხსნათ. მაგრამ ამას არ გავაკეთებ. ამ მიზეზებს შეიძლება საკმარისი წონა არ აღმოაჩნდეს. ერთადერთი მიზეზი რჩება — თქვენ ეს მხოლოდ იმიტომ უნდა უნდა თქვათ, რომ ეს სიმართლეა.

— ჩემთან კონსულტაცია არავის გაუვლია ამ განცხადების თაობაზე! — უნებურად აღმოხდა სტადლერს, — მე ამას არ დავუშვებდი! ის მე ისევე არ მომწონს, როგორც თქვენ, მაგრამ საჯაროდ უარყოფა არ შემიძლია!

— კონსულტაცია არავის უთხოვია? ნუთუ არ გაინტერესებთ, გაარკვიოთ, სინამდვილეში რა იმალება ამ განცხადების უკან?

— ახლა ვერ დავღუპავ ინსტიტუტს!

— მაგრამ, ნუთუ არ გინდათ მიზეზების გარკვევა?

— და რა ვარკვიო! არაფერს მეუბნებიან, მაგრამ ისედაც ვიცი: ყველაფერი და ვერც ვუსაყვედურებ მათ ამის გამო.

— შეგიძლიათ, მეც მითხრათ ეს მიზეზები, დოქტორო სტადლერ?

— გეტყვით, თუ გნებავთ. თქვენ ჭეშმარიტება გჭირდებათ, ასე არ არის? არც დოქტორ ფერისს შეუძლია რამე, როცა ეს იდიოტები, რომლებზეც ჩვენი ინსტიტუტის დაფინანსებაა დამოკიდებული, დაჟინებით ითხოვენ პრაქტიკულ შედეგებს.

ისეთი მარტივი რამ, როგორიც აბსტრაქტული მეცნიერებაა, მათთვის სრულიად გაუგებარია. მას მხოლოდ იმ სათამაშოებით აღიქვამენ, რომელიც მისი წყალობით იქმნება. არ ვიცი, როგორ ახერხებს დოქტორი ფერისი, აცოცხლოს ეს ინსტიტუტი.

პირდაპირ გაოცებული ვარ მისი პრაქტიკული ნიჭით. არა მგონია, ოდესმე ფერისი პირველხარისხოვანი მეცნიერი ყოფილიყო, ჩემი აზრით, ის მეცნიერების ფასდაუდებელი მსახურია! ვიცი, რომ ახლახან სერიოზული პრობლემა შეექმნა. არაფერში მრევს და ცდილობს, ყველაფერი ამარიდოს, მაგრამ ჩემამდე ხმები მაინც აღწევს.

ჩვენს ინსტიტუტს აკრიტიკებენ, რომ არაფერს ვქმნით. საზოგადოება ეკონომიას ითხოვს. ისეთ დროში, როცა საფრთხე ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დაემუქრა, ეჭვი არ შეგეპაროთ, პირველს მეცნიერებას მიიტანენ სამსხვერპლოზე. ჩვენი ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი სამეცნიერო დაწესებულებაა კერძო სამეცნიერო-კვლევითი ფონდები თითქმის აღარ დარჩა. უბრალოდ, იმ ხარბ არამზადებს შეხედეთ ერთი, ვინც ჩვენს მრეწველობას განაგებს!

როგორ გგონიათ, მათგან რომელიმეს მეცნიერება ადარდებს?

— ვინ ინახავს ახლა ინსტიტუტს? — ჩუმად იკითხა დაგნიმ.

— საზოგადოება, — ლამის დაუდევრად უპასუხა სტადლერმა.

— თქვენ აპირებდით, ჩამოგეთვალათ ამ განცხადების უკან დამალული მიზეზები, — ხმა დაეძაბა დაგნის.

— ვფიქრობ, თვითონაც მშვენივრად მოგეხსენებათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე ცამეტი წელია, ინსტიტუტში მეტალურგიის კვლევის დეპარტამენტი ფუნქციონირებს და ოცი მილიონი დოლარი მხოლოდ იმისთვის გადაყლაპა, რომ ვერცხლით დაფერვის ახალი მეთოდი და ანტიკოროზიული საშუალება შეექმნა, — ჩემი აზრით, წინაზე უარესი, — წარმოიდგინეთ საზოგადოების რეაქცია, როცა კერძო ფირმა ქმნის სენსაციურ პროდუქტს, რომელიც მეტალურგიაში ნამდვილ რევოლუციას მოახდენს!

დაგნიმ თავი ჩაღუნა, სათქმელი აღარაფერი დარჩა.

— ვერ ვამტყუნებ ჩვენს მეტალურგიულ დეპარტამენტს! — თქვა სტადლერმა ბრაზით, — ვიცი, რომ ასეთი შედეგები ლოგიკას არ ექვემდებარება და შეუძლებელია, წინასწარ განსაზღვრო, მაგრამ საზოგადოება ამას ვერ გაიგებს. რისი გაწირვა გვმართებს: დიდებული მეტალურგიული აღმოჩენის, თუ ცივილიზებული მსოფლიოს უკანასკნელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და მასთან ერთად — კაცობრიობის მომავალი მიღწევების? აი, რა არჩევანი გვაქვს.

დაგნი თავდახრილი იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ კი თქვა:

— კეთილი, დოქტორო სტადლერ, აღარ შეგეკამათებით.

სტადლერმა დაინახა, როგორ ცახცახებდა დაგნი, როცა ჩანთის ასაღებად გაიწია, თითქოს ცდილობდა, წამოდგომისთვის აუცილებელი მოძრაობების თანმიმდევრობა გაეხსენებინა.

— მის ტაგარტ, — ჩუმად უთხრა დოქტორმა სტადლერმა, ლამის მუდარით. დაგნიმ თავი ასწია.

„მისი დაძაბული სახე არაფერს არ გამოხატავდა.

სტადლერი ახლოს მივიდა და ხელისგული კედელს მიაყრდნო დაგნის თავზე, თითქოს უნდოდა, მხრებზე მოხვეოდა.

— მის ტაგარტ, — უთხრა რბილად, დამაჯერებელი, ძალიან ნაღვლიანი ხმით, — მე თქვენზე უფროსი ვარ. დამიჯერეთ, სხვაგვარად ამ სამყაროში ვერ იცხოვრებთ.

ადამიანებისთვის მიუწვდომელია ჭეშმარიტება და გონიერება. გონება მათთვის არაფერია. რაციონალური არგუმენტები არ სჭირდებათ. „და მიუხედავად ამისა, იძულებული ვართ, მათთან ვიქონიოთ საქმე. თუ რამის მიღწევა გვსურს, აუცილებლად ან უნდა მოვატყუოთ ისინი, ან ვაიძულოთ, რომ ჩვენი საქმის გაკეთება გვაცალონ. სხვა მათთან არაფერი ჭრის. სხვა ენა არ ესმით. არ უნდა ველოდოთ, რომ მხარს დაუჭერენ გონივრულ წამოწყებებს ან სულიერ მისწრაფებებს. ადამიანი დაუნდობელი ცხოველია, ხარბი, თვითკმაყოფილი მტაცებელია, დოლარის მადევარი, რომელიც...

— მეც ერთ-ერთი „დოლარის მადევარი“ ვარ, დოქტორო სტადლერ, — ყრუდ ჩაურთო დაგნიმ.

— თქვენ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვი ხართ, რომელმაც არცთუ ისე ბევრი ნახა ჯერ ცხოვრებაში, ადამიანის უგუნურების მასშტაბებს რომ ჩასწვდომოდა. მის წინააღმდეგ მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძოლე. და ძალიან დავიღალე... — სტადლერის ხმაში ალალი გულახდილობა იგრძნობოდა. ნელა მოშორდა დაგნის, — იყო დრო, როცა ამ საგიჟეთის შემყურეს, რადაც მათ სამყარო გადააქციეს, მინდოდა, მეყვირა, შევვედრებოდი, მოესმინათ — მე ხომ შემეძლო, ადამიანებისთვის უკეთესად, უფრო სრულყოფილად ცხოვრება მესწავლებინა. მაგრამ არავის უნდოდა ჩემი მოსმენა ან რითი უნდა მოესმინათ — ყრუნი იყვნენ... ინტელექტი? ეს იშვიათი და არასაიმედო ნაპერწკალია, რომელიც წამით აკიაფდება ადამიანთა შორის და მალევე ქრება. არავინ იცის მისი ბუნება... მისი მომავალი... ან მისთვის გამოყოფილი დრო... დაგნი შეეცადა, წამომდგარიყო.

— ასე ნუ წახვალთ, მის ტაგარტ. მინდა, რომ გესმოდეთ ჩემი.

დაგნიმ მას სრულიად გულგრილად შეხედა. გაფითრდა, სახის ნაკვთები თითქოს გაუმკვეთრდა.

— თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, — განაგრძო სტადლერმა, — თქვენს ასაკში მეც მჯეროდა გონების უკიდეგანო ძალის, რაციონალური ადამიანის ამ ბრწყინვალე ხატების. მას მერე იმდენი რამ ვნახე ცხოვრებაში და იმდენჯერ განვიცადე ღრმა იმედგაცრუება... მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ.

სტადლერი კაბინეტის ფანჯარასთან იდგა. გარეთ უკვე ბნელოდა. თითქოს სიბნელე ქვემოდან ამოდიოდა, მდინარის კალაპოტიდან. წყლის ზედაპირზე უკვე მდინარის გადაღმა გორაკებიდან მოღწეული იშვიათი სინათლეების ანარეკლები ცახცახებდა.

საღამოს უძრავ, მუქ ლურჯ ცაზე, დედამიწასთან ახლოს, არაჩვეულებრივად დიდი ეული ვარსკვლავი ანათებდა და ამის გამო ცა კიდევ უფრო ბნელი მოჩანდა.

— როცა პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტში ვასწავლიდი, — დაიწყო სტადლერმა, — სამი მოსწავლე მყავდა. მანამდე ბევრი ნიჭიერი სტუდენტი მყოლია, მაგრამ ეს სამი ნამდვილი ჯილდო იყო, რომელზეც პედაგოგს მხოლოდ ოცნება შეუძლია. უმაღლესი საჩუქარი — ადამიანის გონება მისი გაფურჩქვნის ხანაში, ახალგაზრდა და შენთვის მონდობილი განსწავლისთვის. აი, სწორედ ასეთი საჩუქარი აღმოჩნდა ეს სამი მოსწავლე. იმ ტიპის ინტელექტი, რომლისგანაც მოელი, რომ ოდესმე კაცობრიობის ბედს შეცვლის. ისინი სხვადასხვა სოციალურ წრეს მიეკუთვნებოდნენ;, მაგრამ განუყრელი მეგობრები იყვნენ. სამივემ ინტერესების უჩვეულო შეხამება შეარჩია.

მათ ორი საგანი აინტერესებდათ — ჩემი და ჰიუ ექსტონის, ფიზიკა და ფილოსოფია.

დღეს მისწრაფებების ასეთი კომბინაცია იშვიათობაა. ჰიუ ექსტონი ღირსეული, უდიდესი გონების ადამიანი იყო... იმ არარაობისგან განსხვავებით, რომელიც ახლა მის ადგილს იკავებს უნივერსიტეტში. ექსტონი და მე ცოტა ვეჭვიანობდით კიდეც ერთმანეთზე ამ სტუდენტების გამო. ეს ერთგვარი პაექრობა იყო ჩვენ შორის, მეგობრული შეჯიბრი — ინტერესები ხომ „საერთო გვქონდა ერთხელ ექსტონმა მითხრა, რომ ისინი საკუთარი შვილებივით უყვარდა. გავღიზიანდი... ვინაიდან ამ ყმაწვილებს მეც შვილებად ვთვლიდი. — სტადლერი მოტრიალდა და დაგნის შეხედა.

სახეზე ასაკობრივი ნაოჭები აჩნდა, — როცა ამ ინსტიტუტის დაფუძნების იდეით გამოვედი, ერთ-ერთმა იმ სამიდან შემაჩვენა. მას მერე აღარასოდეს მინახავს. თავიდან ვდარდობდი. დროდადრო ვფიქრობდი, იქნებ, მართალიც იყო... ახლა უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ეს აღარ მანაღვლებს. — სტადლერს გაეღიმა. მისი სახე და ღიმილი მხოლოდ დარდს გამოხატავდა, — და სად არის ეს სამი ბიჭი, ეს სამნი, რომელთაც თავიანთი გონების წყალობით ბრწყინვალე მომავალი ელოდათ... რომელთა წინაშეც ყველა კარი გაიღებოდა... ერთ-ერთი მათგანი ფრანცისკო დ'ანკონიაა, რომელიც უმსგავსო მექალთანედ გადაიქცა, მეორე — რაგნარ დანეშოლდი — ჩვეულებრივი მეკობრეა. ვერაფერს იტყვი, ღირსეული ხორცშესხმაა იმედების, რომელსაც ბრწყინვალე ადამიანური გონებები იძლეოდა.

— მესამე ვინ იყო? — ჰკითხა დაგნიმ.

სტადლერმა მხრები აიჩეჩა:

— მესამემ ასეთ უმსგავსო პოპულარობასაც ვერ მიაღწია. უკვალოდ გაქრა — უკიდეგანო უფერულობაში ჩაიძირა. ალბათ, სადმე ბუღალტრის უმცროს თანაშემწედ მუშაობს.

* * *

— ეს სიცრუეა, არსადაც არ გავქცეულვარ! — წამოიყვირა ჯეიმს ტაგარტმა, — აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ავად გავხდი. ექიმ უილსონს ჰკითხე. დაგიდასტურებს. რაღაც გრიპისმაგვარი დამემართა. კი მაგრამ, როგორ გაიგე, სად ვიყავი?

დაგნი შუა ოთახში იდგა. პალტოს. საყელოსა და შლაპის კიდეებზე ფიფქები ადნებოდა. ირგვლივ მიმოიხედა. ამისთვის არ სცხელოდა, თორემ უსათუოდ ნაღველს იგრძნობდა.

ტაგარტების ძველი სახლი ჰადსონის ნაპირას... მამული მემკვიდრეობით ჯეიმსს ერგო, მაგრამ იქ იშვიათად ჩადიოდა. მათ ბავშვობაში ეს მამის კაბინეტი იყო. ახლა კი აქ არავინ ცხოვრობდა, იშვიათად თუ შევიდოდა ვინმე: ავეჯი, ორი სავარძლის გარდა, შალითებში შეეფუთათ. ბუხარი არ ენთო, ელექტროგამათბობელი, რომლის კაბელი მთელ ოთახზე გადაჭიმულიყო ოდნავ ათბობდა საწერი მაგიდის მინის ზედაპირზე არაფერი იდო.

ჯეიმსი დივანზე მიწოლილიყო, ყელზე პირსახოცი შარფივით შემოეხვია გვერდით სკამი ედგა, ზედ ვისკის ბოთლი, სიგარეტის ძველი ნამწვავებით სავსე საფერფლე და ქაღალდის დაკუჭული ჭიქა ეწყო; იატაკზე ორი დღის წინანდელი გაზეთები ეყარა. ბუხართან მათი ბაბუის უკვე გახუნებული“ პორტრეტი ეკიდა, რომელიც მთელი ტანით გამოესახათ სარკინიგზო ხიდის ფონზე — სალაპარაკოდ არ მცალია, ჯიმ.

— ეს შენი იდეა იყო! იმედია, დირექტორთა საბჭოსთან ამას აღიარებ აი, სადამდე მიგვიყვანა შენმა დაწყევლილმა. რიერდენ მეტალმა ეშმაკმა წაიღოს! ორენ ბოილისთვის რომ მოგვეცადა...

მის გაუპარსავ სახეზე ერთდროულად გამოისახა პანიკა, სიძულვილი და მოზეიმე შურისძიება, რაკიღა შესაძლებლობა მიეცა, რისხვა ვინმეზე გადაენთხია. თან ფრთხილ მზერას თითქოს შიშით დააცეცებდა, ხსნის იმედი რომ ეპოვა.

ჯეიმსი დადუმდა, მაგრამ დაგნი პასუხს არ ჩქარობდა. ჩუმად იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ძმას უყურებდა.

— მეტს ვეღარაფერს ვიზამთ, — ამოიკვნესა ტაგარტმა, — ვაშინგტონთან დაკავშირებას ვცდილობდი, რომ „ფენიქს-დურანგო“ ჩამოერთმიათ და ეროვნული უსაფრთხოების მიზნით ჩვენთვის გადმოეცათ, მაგრამ არც კი დამელაპარაკნენ.

მითხრეს, რომ ეს ძალიან ბევრ ვინმეს არ მოეწონებოდა. მეტისმეტად საშიში პრეცედენტი იქნებაო... რკინიგზის ეროვნული ალიანსი გადავადებაზე დავითანხმე, დენ კონვეის კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა კოლორადოში და ჩვენც დროს მოვიგებდით. მაგრამ დენ კონვეიმ უარი თქვა. ელის უაიატთან და მის მეგობრებთან მოლაპარაკება ვცადე კოლორადოში. მინდოდა, ვაშინგტონისგან მოეთხოვათ, რომ კონვეის მუშაობა გაეგრძელებინა, მაგრამ არც უაიატი დამთანხმდა და არც ის ნაბიჭვრები კოლორადოდან. არადა, საქმე მათ ტყავს ეხება. ეგენი ჩვენზე უარეს დღეში არიან, და ალბათ გაკოტრდებიან — და მაინც უარი მითხრეს!!!

დაგნის ჩაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ახლა უკვე ვეღარაფერს ვიზამთ. ჩიხში ვართ. ხაზის მშენებლობას ვერ ვასრულებთ და არც მისი მიტოვება შეგვიძლია. ვერც წინ წავალთ, ვერც გავჩერდებით.

ფული არ გვაქვს. ყველა გაგვირბის. რაღა დაგვრჩება რიო ნორტეს ხაზის გარეშე?

მაგრამ მშენებლობას ვერ ვასრულებთ. ბოიკოტს გამოგვიცხადებენ და შავ სიაში აღმოვჩნდებით. რკინიგზის პროფკავშირები სასამართლოში გვიჩივლებს. აი ნახავ, თუ არა, არის ეგეთი კანონი. ამ ხაზის მშენებლობის დასრულება არ შეგვიძლია! ღმერთო ჩემო! ახლა რა უნდა ვქნათ!

დაგნი უცდიდა, როდის მორჩებოდა ლაპარაკს და ცივად უთხრა:

— დაამთავრე, ჯიმ? თუ ყველაფერი თქვი, ახლა მე გეტყვი, რა უნდა ვქნათ.

ტაგარტი გაჩუმდა და დაგნის ახედა დამძიმებული ქუთუთოების ქვემოდან:

— ეს შემოთავაზება-არ არის, ჯიმ.: ულტიმატუმია. მოისმინე და იფიქრე: მე გადავწყვიტე, დავასრულო რიო ნორტეს ხაზის მშენებლობა. პირადად მე დავასრულებ, არა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“. დროებით დავტოვებ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს და საკუთარ კომპანიას შევქმნი. შენი დირექტორთა საბჭო რიო ნორტეს ხაზს გადმომცემს. კონტრაქტორი თვითონ ვიქნები. საკუთარი თავის კონტრაქტორი. საკუთარ დაფინანსებასაც თვითონვე მოვიპოვებ. ყველა ვალდებულებას, მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. მშენებლობას

დათქმულ ვადაში დავასრულებ. და მას შემდეგ, რაც რიერდენ მეტალის რელსების ვარგისიანობაში დარწმუნდებით, რიო ნორტეს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ გადავცემ და ჩემს ძველ თანამდებობას დავუბრუნდები. სულ ეს არის.

ჯეიმსი უყურებდა, დუმდა და ტერფით ჩუსტს ათამაშებდა. დაგნი ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ იმედს შეეძლო, ასე დაემახინჯებინა ადამიანის სახე. ჯეიმსის სახეზე ავადმყოფური შვება და ცბიერება ერთდროულად გამოსახულიყო. დაგნიმ თვალი აარიდა მას. საკუთარ თავს ეკითხებოდა, როგორ ახერხებდა მისი ძმა, ასეთ წუთებშიც კი, პირველ რიგში, იმაზე ეფიქრა, კიდევ რით შეიძლებოდა ეხეირა.

თუმცა უარესი ჯერ წინ ელოდა.

— კი მაგრამ, მთელი ეს პერიოდი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ საქმეებს ვინ შეხედავს? — ჰკითხა შეშფოთებული ხმით ჯეიმსმა.

დაგნის გაეცინა და საკუთარმა სიცილმა თვითონვე გააკვირვა — მოხუცებულის მწარე ამოოხვრასავით გაისმა.

— ედი უილერსი, — თქვა დაგნიმ.

— ოჰ, არა! ვერ შეძლებს!

დაგნის ისევ უსიხარულოდ გაეცინა:

— მე მეგონა, ჭკუა გეყოფოდა და მიხვდებოდი: ედი უბრალოდ ვიცე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პოსტს დაიკავებს. ჩემს კაბინეტში გადავა, ჩემს მაგიდასთან. მაგრამ, როგორ გგონია, ვინ უხელმძღვანელებს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ სინამდვილეში?

— მაგრამ არ მესმის...

— კოლორადოდან ხშირად ჩამოვფრინდები ხოლმე. თვითმფრინავი რისთვისაა?

ამას გარდა, ტელეფონიც ხომ არსებობს. იმას გავაკეთებ, რასაც ახლა ვაკეთებ, არაფერი შეიცვლება, გარდა იმისა, რომ მე შემექმნება მეტი სირთულე. შენ კი შეგეძლება, სპექტაკლი გამართო შენი მეგობრებისთვის...

— რა წარმოდგენა?

— ჯიმ, შენ მშვენივრად გესმის ჩემი. წარმოდგენა არ მაქვს, რა თამაშებში ხართ გარეული შენ და შენი დირექტორთა საბჭო. არ ვიცი, რამდენ პარტიას თამაშობთ ერთდროულად დანარჩენებისა და ერთმანეთის წინააღმდეგ და რამდენი ურთიერთგამომრიცხავი პრეტენზიის გათვალისწინება გიწევთ. არც ვიცი და არც მანაღვლებს.

შეგიძლიათ, ყველანი ჩემს ზურგს უკან დაიმალოთ. რახან ასე გეშინია, რადგან გაურიგდი შენს მეგობრებს, რომლებსაც რიერდენ მეტალი ასე აშინებთ, რა გაეწყობა — გეძლევა შესაძლებლობა, დაარწმუნო ისინი, რომ არაფერ შუაში არ ხარ და ყველაფერი მე გავაკეთე, შენ კი არა. შეგიძლია, დაეხმარო მათ, შემაჩვენო და მიწასთან გამასწორო. ყველანი თქვენ-თქვენ ადგილას დარჩით, ნურაფერს გარისკავთ და ნურც ვინმეს გადაიმტერებთ. ერთადერთი, რაც მოგეთხოვებათ — ხელს ნუ შემიშლით.

— კეთილი, — ნელა წარმოთქვა ტაგარტმა, — რა თქმა უნდა, მსხვილ სარკინიგზო კომპანიას რთული პოლიტიკური პრობლემები ექმნება... მაშინ, როცა პატარა დამოუკიდებელ კომპანიას, რომელსაც კერძო პირი მართავს, შეუძლია...

— ჰო, ჯიმ, ჰო. ვიცი ეს ყველაფერი. როგორც კი გამოაცხადებ, რომ რიო ნორტეს მე მაძლევ, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აქციების ფასი აიწევს. ეგ წურბელებიც მოგვეშვებიან და სისხლსაც ვეღარ გამოგვწოვენ. და ვიდრე გადაწყვეტენ, მე რა მომიხერხონ, მშენებლობის დასრულებას მოვასწრებ. არც მე მომიწევს შენთან და

შენს დირექტორთა საბჭოსთან ურთიერთობა, გაუთავებლად თქვენი დარწმუნება და ნებართვის თხოვნა. ამის დრო უბრალოდ არ გვაქვს, თუ გვინდა, მშენებლობა დავასრულოთ. ამიტომაც გადავწყვიტე, დამოუკიდებლად ვიმოქმედო, თქვენ გარეშე.

— და... თუ არაფერი გამოგივიდა?

— თუ არაფერი გამომივა, ფსკერისკენ მხოლოდ მე წავალ, მე ჩავიძირები.

— იმედია, გესმის, რომ მასეთ შემთხვევაში „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ვეღარაფრით დაგეხმარება.

— მესმის.

— ესე იგი, ჩვენ იმედად არ იქნები?

— არა.

— ყოველგვარ ოფიციალურ კავშირს გაწყვეტ ჩვენთან, რომ შენი ქმედებები ჩვენს რეპუტაციაზე არ აისახოს?

— ასეა — მე მგონი, ახლავე უნდა შევთანხმდეთ, რომ წარუმატებლობის ან სერიოზული კანდალის შემთხვევაში... შენი დროებითი წასვლა სამუდამო გახდება... ანუ, შენ ვეღარ დაბრუნდები კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დაგნიმ წამით თვალები დახუჭა:

— კეთილი, ჯიმ. მასეთ შემთხვევაში აღარ დავბრუნდები — სანამ რიო ნორტეს გადმოგცემთ, ხელი უნდა მოვაწეროთ შეთანხმებას რომ ხაზის რენტაბელურობის შემთხვევაში, მას აქციების საკონტროლო პაკეტთან ერთად დაგვიბრუნებ. თორემ, შესაძლოა, იმით ისარგებლო, რომ ეს ხაზი უკიდურესად გვჭირდება და ბოლომდე გამოგვიყენო.

წამით დაგნის თვალებში აღშფოთებამ გაუელვა, შემდეგ კი გულგრილად თქვა, თითქოს მათხოვარს მოწყალება მიუგდო:

— რა თქმა უნდა, ჯიმ. ხვალისთვის ყველა დოკუმენტი მოამზადონ მე ხელს მოვაწერ დაგნის სიტყვები ისე ჟღერდა, თითქოს მოწყალება მიუგდო.

— ახლა რაც შეეხება შენს დროებით შემცვლელს — რა?

— ნუთუ მართლა გინდა, რომ ის ედი უილერსი იყოს?

— კი, მინდა.

— კი მაგრამ, ის უბრალოდ ვერ შეასრულებს ვიცე-პრეზიდენტის როლს შესაფერისი მანერები არ გააჩნია — სხვა გარეგნობა, სხვა ქცევები აქვს...

— მან კარგად იცის თავისი საქმე... და ჩემიც. იცის, რა მჭირდება მე ედის ვენდობი და მასთან მუშაობა მიადვილდება.

— იქნებ, უკეთესი იყოს, ვინმე უფრო ღირსეული შევარჩიოთ ახალგაზრდა თანამშრომლებიდან, რიგიანი ოჯახიდან გამოსული, მეტად ცნობილი და...

— ჯიმ, ვიცე-პრეზიდენტი ედი უილერსი იქნება!

— ჰო, კარგი, — ამოისუნთქა ტაგარტმა, — მხოლოდ ძალიან უნდა ვიფრთხილოთ ხომ არ გვაწყობს, ვინმემ იეჭვოს, რომ კომპანიას ისევ შენ ხელმძღვანელობ? ამის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს.

— ამის შესახებ ყველას ეცოდინება, ჯიმ. მაგრამ ხმამაღლა ვერავინ იტყვის და შველა კმაყოფილი დარჩება.

— მაგრამ სახე უნდა შევინარჩუნოთ.

— რასაკვირველია! თუ არ გინდა, ქუჩაშიც ნუ მომესალმები შეგიძლია ისიც თქვა, რომ ცხოვრებაში არ გინახივარ, მე კი ვიტყვი, რომ არასდროს მსმენია „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ შესახებ.

ტაგარტი დუმდა და ჩაფიქრებული დასჩერებოდა იატაკს.

დაგნი შეტრიალდა და ფანჯარაში გაიხედა. ზამთრის ცას თანაბარი ნაცრისფერი საბურველი გადაჰკვროდა შორს ქვემოთ, მდინარე ჰადსონის გასწვრივ, გზა მიიკლაკნებოდა. სწორედ ამ გზას მოუყვებოდა ხოლმე ფრანცისკოს მანქანა; მდინარეს ფრიალო კლდე გადმოჰყურებდა, საიდანაც ნიუ-იორკის. ცათამბჯენების დანახვას ცდილობდნენ... სადღაც ტყის მიღმა, როკდეილის სადგურისკენ მიმავალი რელსები გადიოდა. ახლა თოვლით დაფარული მიწა ამ მშობლიური ადგილების გაცრეცილ ჩანახატს ჰგავდა, თოვლიდან ცისკენ აზიდული შიშველი ტოტებით. ნახატი თეთრ-ნაცრისფერი იყო, ძველი ფოტოსავით, რომელსაც სამახსოვროდ ინახავენ და რომელსაც არაფრის დაბრუნება არ ძალუძს.

— რა უნდა დაარქვა?

დაგნი შეკრთა და მიტრიალდა:

— რა?

— შენს კომპანიას.

— აჰ, მაგაზე მეკითხები? ალბათ „დაგნი ტაგარტის ხაზი“.

— მაგრამ... შენი აზრით, ეს გონივრულია? შეიძლება, არასწორად გაიგონ. „ტაგარტს“ გაიგებენ, როგორც...

— აბა, რა გინდა, დავარქვა? — მოთმინება დაკარგა დაგნიმ, — „ხაზი — მის არავინ?“ ან „მადამ X?“ თუ „ჯონ გოლტი?“ — უცებ გაჩუმდა და გაიღიმა, ცივი, მუქარასავით ღიმილით, — აი, სწორედ ასე დავარქმევ — „ჯონ გოლტის ხაზი“!

— ოჰ, ღმერთო ჩემო! არა!

— კი, ჯიმ, კი!

— კი მაგრამ, ეს ხომ უბრალოდ უაზრო, მდაბიური გამონათქვამია.

— ეგრეა.

— ხომ არ შეიძლება, სამასხარაოდ გახადო ასეთი სერიოზული პროექტი... ასე ვულგარულად და... უღირსად ვერ მოიქცევი!

— ასე გგონია?

— ღმერთო ჩემო! კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ ეს შოკის მომგვრელი იქნება ყველასთვის, სწორედ ისე, როგორც ახლა შენთვის იყო.

— რაღაც არ მახსენდება, ეფექტის მოხდენა გყვარებოდა ოდესმე.

— ამჯერად ასე მოვიქცევი.

— მაგრამ... მომისმინე, დაგნი, — ჯეიმსმა ხმას დაუწია, ლამის ცრუმორწმუნესავით აჩურჩულდა, — ეს სახელი სიკეთეს არ მოიტანს... ეს ხომ ნიშნავს...

— და რას ნიშნავს?

— არ ვიცი... მაგრამ, მე მგონი, ადამიანები მას მაშინ წარმოთქვამენ, როცა...

— როცა შიში ეუფლებათ? სასოწარკვეთა? უიმედობა?

— სწორედ ასეა...

— ჰოდა, საპირისპიროს დავამტკიცებ.

როცა დაგნის რისხვით ანთებულ თვალებში მოულოდნელმა მხიარულებამ გაიელვა, ტაგარტი მიხვდა, რომ ჯობდა, გაჩუმებულიყო.

— ყველა დოკუმენტში ჩაწერე — „ჯონ გოლტის ხაზი“, — უთხრა დაგნიმ.

— როგორც გინდა. ეს შენი ხაზია, — ამოიხვნეშა ტაგარტმა.

— ჩემია, აბა რა!

ჯეიმსმა გაკვირვებით შეხედა დას. დაგნი ახლა უზარმაზარი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს აღარ ჰგავდა. დიდი სიხარულით ჩამოენაცვლებინა დეპოს მუშის დონეზე.

— რაც შეეხება ქაღალდებს და საკითხის იურიდიულ მხარეს, — უთხრა ტაგარტმა, — აქ შესაძლოა, გარკვეული სირთულეები წარმოიშვას. ნებართვის თხოვნა მოგვიწევს... დაგნი უხეშად შეტრიალდა მისკენ. ენთუზიაზმი ნაწილობრივ ჯერ კიდევ შერჩენოდა, თუმცა სიხარული უკვალოდ გამქრალიყო მის უცნაურად გამკაცრებულ, შეუვალ სახეზე. აღარ იღიმებოდა. როცა მის გამომეტყველებას შეხედა, ჯეიმსმა გაიფიქრა, რომ ასეთი დაგნის დანახვა აღარასოდეს აღარ უნდოდა.

— მომისმინე, ჯიმ, — ტაგარტს ასეთი ინტონაცია ჯერ არავისგან მოუსმენია, — ამ გარიგებაში ერთი რამე პირადად შენი ვალდებულებაა და გირჩევნია, კარგად მოინდომო. შენი ბიჭები ვაშინგტონიდან ახლოს არ გამაკარო! იზრუნე, რომ დაუყოვნებლივ მივიღო ყველა აუცილებელი ნებართვა, აქტი, ცნობა და მსგავსი მაკულატურა, რასაც მათი კანონები მოითხოვს. უფლება არ მისცე, ჩემს გაჩერებას შეეცადონ.

ერთი გაბედონ... ჯიმ, ამბობენ, რომ ჩვენმა წინაპარმა — ნათ ტაგარტმა ერთხელ ჩინოვნიკი მოკლა, რომელმაც ნებართვის გაცემაზე უარი უთხრა. ისეთ ნებართვაზე, რომელიც სათხოვნელი არც იყო. არ ვიცი, მართლა ასე მოხდა თუ არა, მაგრამ არ დაგიმალავ და ერთს გეტყვი: თუ მართლაც გაისტუმრა საიქიოში, შემიძლია, წარმოვიდგინო, რას გრძნობდა. თუკი ეს ცოდვა არ აწევს, მის ნაცვლად მე დავიდებ, რომ ოჯახური ლეგენდა გავამყარო. არ ვხუმრობ, ჯიმ!

* * *

ფრანცისკო დ'ანკონია დაგნის წინ, მაგიდასთან იჯდა. სრულიად უტყვი სახით უყურებდა, მაშინაც, როცა დაგნი საქმიანი საუბრისთვის შესაფერისი მკაფიო, ნეიტრალური ხმით უყვებოდა საკუთარი სარკინიგზო კომპანიის მიზნებზე და ამოცანებზე. ფრანცისკომ მოუსმინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

დაგნის ადრე არასოდეს უნახავს მისი სახე ასეთი დაცარიელებული — არც ირონია, არც გაოცება, არც წინააღმდეგობა, არაფერი არ ეწერა სახეზე. თითქოს ეს ყველაფერი მას საერთოდ არ ეხებოდა. ამის მიუხედავად, მაინც ინტერესით უსმენდა; ჩანდა, უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე დაგნის წარმოედგინა. მისი თვალები დაბინდულ სარკეს ჰგავდა, რომელიც სინათლის სხივებს ისრუტავდა და არ აირეკლავდა.

— ფრანცისკო, აქ მოსვლა იმიტომ გთხოვე, რომ მინდოდა, ჩემს კაბინეტში გენახე. შენ აქ პირველად ხარ. ადრე ამას დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდი.

ფრანცისკომ აუჩქარებლად მიმოიხედა. კაბინეტის ცარიელ კედლებზე სამად სამი რამ ეკიდა: „ტაგარტ ტრანსკონინენტალის“ ხაზების რუკა, ნათ ტაგარტის გრაფიკული პორტრეტის ორიგინალი, რომლის მიხედვითაც მისი ქანდაკება შეიქმნა, და დიდი სარკინიგზო კალენდარი. ასეთ ფერად, ჭრელ კალენდრებს, კომპანიის სადგურების გამოსახულებით, ყოველ წელს ახალ-ახალი ილუსტრაციებით ბეჭდავდნენ. ერთი ამდაგვარი ოდესღაც როკდეილის სადგურშიც ეკიდა, სადაც დაგნი მუშაობდა.

ფრანცისკო წამოდგა და ძლივს გასაგონად თქვა: ზარ.

— დაგნი, ისევ საკუთარი თავისთვის და... — წამით ხმა გაებზარა და გაჩუმდა, — კიდევ იმ სინანულის გამო, რასაც შესაძლოა, ჩემ გამო ჯერ კიდევ გრძნობდე, არ მთხოვო, რის თხოვნასაც აპირებ. არ გინდა. მომეცი ნება, წავიდე.

ეს ფრანცისკოს არ ჰგავდა. დაგნი ვერასდროს იფიქრებდა, რომ ოდესმე რაიმე ამდაგვარს გაიგონებდა მისგან.

— კი მაგრამ, რატომ? — ჰკითხა ცოტა ხნის მერე.

— ვერ გიპასუხებ, არ შემიძლია. ვერც ერთ კითხვაზე. ვერ გიპასუხებ. ამიტომაც ჯობს, საერთოდ არ ვილაპარაკოთ.

— უკვე იცი, რა მინდოდა, მეთხოვა?

— ვიცი.

დაგნიმ მას ისეთი აშკარა, ისეთი სასოწარკვეთილი გაოგნებით შეხედა, რომ ფრანცისკო იძულებული გახდა, დაემატებინა:

— ისიც ვიცი, რომ უარს გეტყვი.

— რატომ?

ფრანცისკომ მწარედ გაიღიმა და ხელები გაშალა, თითქოს უნდოდა, ეჩვენებინა, რომ სწორედ ამას ელოდა და გაურბოდა.

— მე მაინც ვცდი, ფრანცისკო. იძულებული ვარ, გთხოვო. ვალდებული ვარ. როგორ მოიქცევი — შენი საქმეა. ის მაინც მეცოდინება, რომ ყველაფერი ვცადე.

ფრანცისკო ისევ იდგა, თავი ოდნავ დახარა თანხმობის ნიშნად და უთხრა:

— მოგისმენ, თუ ეს რამეში დაგეხმარება.

— თხუთმეტი მილიონი დოლარი მჭირდება, რიო ნორტეს მშენებლობა რომ დავასრულო. შვიდი მილიონი უკვე მაქვს — „ტაგარტ ტრანსკონინენტალის“ ჩემი კუთვნილი აქციების პაკეტი ჩავდე. მეტს ვერ ვშოულობ. ჩემი ახალი კომპანიის ობლიგაციებს გამოვუშვებ. ამიტომ დაგიძახე, მინდა, ამ ობლიგაციების ყიდვა გთხოვო.

ფრანცისკო დუმდა.

— ფრანცისკო, მე ახლა მათხოვარი ვარ და ფულს გთხოვ. ოდესღაც ვფიქრობდი, რომ ბიზნესში ფულს სამოწყალოდ არ ითხოვენ. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ხარისხზე, რომელსაც ადამიანი გთავაზობს და ფულს იმაში ვიხდიდი, რაც ამ ფულად ღირდა. ახლა ეს წესი აღარ მუშაობს. თუმცა არ მესმის, რითი შეიძლება მისი შეცვლა. ობიექტური მაჩვენებლების გათვალისწინებით, რიო ნორტეს ხაზი ქვეყანაში საუკეთესო რკინიგზა უნდა გახდეს. ჩემთვის ცნობილი ყველა სტანდარტის მიხედვით, ეს ყველაზე მომგებიანი, ინვესტიციაა. ჩემი უბედურებაც ეს არის. ხალხს მომგებიან კაპიტალდაბანდებას ვთავაზობ და საჭირო თანხას მაინც ვერ ვშოულობ: სწორედ იმიტომაც იტყვიან უარს, რომ შემოთავაზება მეტისმეტად კარგია. არც ერთი ბანკი არ იყიდის ჩემი კომპანიის ობლიგაციებს. მე კი სხვა არაფერი მაქვს შესათავაზებელი. მხოლოდ მოწყალება შემიძლია, ვითხოვო.

დაგნი თითქოს ჭედდა თითოეულ სიტყვას. მერე გაჩუმდა და პასუხს ელოდებოდა. ფრანცისკო დუმდა.

— მესმის, რომ არც შენთვის მაქვს რაიმე შემოსათავაზებელი, — ამოიოხრა დაგნიმ, — კაპიტალის დაბანდებას არ გთხოვ. შენ ფულის კეთება არ გჭირდება. ინდუსტრიული პროექტები დიდი ხანია, აღარ გაინტერესებს. ამიტომ თავს არ მოგაჩვენებ, თითქოს პატიოსან გარიგებას გთავაზობდე. ჩათვალე, რომ ვმათხოვრობ...

დაგნიმ ღრმად ჩაისუნთქა და დაამატა, — მომეცი ეს ფული, როგორც მოწყალება, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ეს შეგიძლია.

— არ გინდა, დაგნი, — ყრუდ თქვა ფრანცისკომ. დაგნიმ ვერ გაიგო, რამ გამოიწვია ასეთი უცნაური ტონი — ბრაზმა თუ ტკივილმა. ფრანცისკო მას არ უყურებდა.

— მომცემ ფულს, ფრანცისკო?

— არა.

დაგნი წუთით გაჩუმდა. შემდეგ თქვა:

— იმიტომ კი არ გთხოვე აქ მოსვლა, რომ შენი თანხმობის იმედი მქონდა, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი გაგება. ჰოდა, მეც ვცადე, — დაგნი სულ უფრო და უფრო ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს ასე სურდა, სულ უფრო და უფრო ძლიერად დაეფარა თავისი გრძნობები, — იცი, ვერაფრით დამიჯერებია, რომ შენგან აღარაფერი დარჩა... იმიტომ, რომ ვიცი, დღემდე შეგიძლია ჩემი გაგება...

შენ გარყვნილი ცხოვრებით ცხოვრობ, მაგრამ შენი საქციელები — არა, ისიც კი, თუ როგორ ჰყვები მათზე, საწინააღმდეგოზე მეტყველებს... მე უნდა მეცადა... ვეღარ ვუძლებ, ძალა აღარ მყოფნის, რომ როგორმე გავიგო, მივხვდე, რა ხდება შენს თავს. — მიგანიშნებ რაღაცას. წინააღმდეგობები არ არსებობს. ყოველთვის, როცა გგონია, რომ რაიმე წინააღმდეგობას გადააწყდი, წინაპირობები გადაამოწმე. მიხვდები, რომ ერთი მათგანი არასწორია.

— ფრანცისკო, — ჩაიჩურჩულა დაგნიმ, — რატომ არ გინდა, გამიმხილო, რა შეგემთხვა?

— იმიტომ, რომ ახლა სიმართლე უფრო დიდ ტკივილს მოგიტანს, ვიდრე ვარაუდი.

— ნუთუ ყველაფერი ასეთი საშინელია?

— ამ კითხვის პასუხამდე თვითონ უნდა მიხვიდე.

დაგნიმ თავი გააქნია:

— უკვე აღარ ვიცი, რა შემოგთავაზო. ვეღარ ვხვდები, შენთვის ფასეული რა არის. ნუთუ არ გესმის, რომ მათხოვარმაც კი უნდა გასცეს რაღაც სანაცვლოდ, რაღაც მიზეზი უნდა მოიფიქროს, რაც მის დახმარებას მოგანდომებს... ოდესღაც მეგონა... წარმატება შენთვის ბევრს ნიშნავდა. საქმეში წარმატება. გახსოვს, როგორ ვლაპარაკობდით ხოლმე ამაზე ადრე? შენ ძალიან მკაცრი იყავი. ძალიან ბევრს მოელოდი ჩემგან. მეუბნებოდი, რომ შენი იმედები უნდა გამემართლებინა.

მეც შევეცადე. შენ გაინტერესებდა, რა სიმაღლეებს მივაღწევდი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“.

დაგნიმ კაბინეტს მოავლო ხელი:

— აი, რა სიმაღლეს მივაღწიე... და ვიფიქრე... თუ იმ ფასეულობების ხსოვნა შენთვის კიდევ რაღაცას ნიშნავს... თუნდაც როგორც რაიმე გასართობი, ან სევდიანი მოგონებები ან, უბრალოდ, როგორც... როგორც საფლავზე დარგული ყვავილები...

ამის გამო... შესაძლოა, ფულის მოცემა მოგდომებოდა... წარსულის სახელით.

— არა.

დაგნიმ თავს ძალა დაატანა და წარმოთქვა:

— ეს ფული შენთვის არაფერს ნიშნავს, გაცილებით მეტი დაგიხარჯავს რაღაც უაზრო წვეულებებზე. კიდევ უფრო მეტი კი სან სებასტიანის მაღაროების აბსურდულ ავანტიურაში გადაყარე.

ფრანცისკომ მზერა იატაკს მოსწყვიტა და დაგნის პირდაპირ თვალებში შეხედა.

დაგნიმ პირველად შენიშნა ცოცხალი რეაქცია, ცხადი, დაუნდობელი და წარმოუდგენლად ამაყი მზერა, თითქოს ეს ბრალდება ფრანცისკოს ძალას მატებდა.

— აჰ, დიახ, — ჩაილაპარაკა დაგნიმ, თითქოს ფრანცისკოს აზრს პასუხობდა, — მესმის, ყველაფერი მესმის. შეგაჩვენე იმ მაღაროების გამო, გაგემიჯნე, როგორ არ გიმტკიცე ჩემი სიძულვილი, ახლა კი გამოგეცხადე და ფულს გთხოვ. როგორც ჯიმი, როგორც ნებისმიერი ის მათხოვარი, ვისთანაც კი საქმე გქონდა. ვიცი, რომ ზეიმობ. ვიცი, რომ დაცინვას ვიმსახურებ და სრული უფლება გაქვს, გეზიზღებოდე.

თუკი ეს გაგართობს, თუკი გსიამოვნებდა იმის ყურება, როგორ დაფორთხავდნენ შენ წინაშე ჯიმი და მისი მექსიკელი კომისრები, იქნებ, ჩემი გატეხვაც გესიამოვნოს. ნუთუ ეს სიამოვნებას არ მოგგვრის? იქნებ გინდა, მისმინო, როგორ ვაღიარებ, რომ დამამარცხე. ან იქნებ გინდა, დაინახო, როგორ ვხოხავ შენ ფერხთით? თქვი, როგორ უფრო მოგეწონება ჩემი დამცირება და დაგემორჩილები.

ფრანცისკო იმდენად სწრაფად მოსწყდა ადგილს, რომ დაგნიმ თვალიც კი ვერ შეასწრო; მხოლოდ მოეჩვენა, რომ ის უბრალოდ შეკრთა. ფრანცისკომ მაგიდას შემოუარა, დაგნის ხელი აიღო, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. თავიდან ეს ჟესტი უღრმეს პატივისცემას გამოხატავდა, თითქოს უნდოდა, თავისი ძალა ეწილადებინა დაგნისთვის. მაგრამ. იმის მიხედვით, როგორ ეკვროდა ტუჩებით და სახით მის ხელს, დაგნი მიხვდა, რომ ფრანცისკოს პირიქით, მისგან უნდოდა ძალის მიღება.

მან დაგნის ხელი გაუშვა. სახეში შეხედა, პირდაპირ შეშინებულ თვალებში და გაიღიმა, არც უცდია ტანჯვის, რისხვისა და სინაზის დამალვა.

— დაგნი, ნუთუ გინდა, ჩემ წინაშე იხოხო? შენ არ იცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა და ვერასოდეს ვერ გაიგებ. ადამიანი ვერ იხოხებს, როცა ასე გულწრფელად აცხადებს ამის შესახებ, როგორც შენ ახლა გააკეთე. იქნებ გგონია, არ ვაფასებ სიმამაცეს, რომელმაც ეს ჩაგადენინა? მაგრამ... არ მთხოვო, დაგნი.

— იმის ხათრით, რასაც შენთვის ოდესმე ვნიშნავდი, — ჩაიჩურჩულა დაგნიმ, — იმის ხათრით, რაც შენში კიდევ დარჩა...

და სწორედ მაშინ, როდესაც დაგნიმ გაიფიქრა, რომ უკვე უნახავს ეს გამომეტყველება ფრანცისკოს სახეზე, იმ ღამით, უკანასკნელად რომ იწვა მის გვერდით და მძინარე ქალაქის სინათლეებს გაჰყურებდა, ფრანცისკომ ამოიგმინა ასეთი მწარე გმინვა დაგნის მისგან არასოდეს სმენია:

— არ შემიძლია ამის გაკეთება, ჩემო საყვარელო!

— მერე, როცა გაკვირვებისგან დამუნჯებულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ, დაგნიმ დაინახა, როგორ შეეცვალა ფრანცისკოს სახე. ეს მოულოდნელად მოხდა, წამებში, თითქოს ვიღაცას ჩამრთველისთვის თითი დაეჭიროს. უეცრად ფრანცისკომ გაიცინა, დაგნის მოშორდა და ყველაზე შეურაცხმყოფელი დაუდევრობით უთხრა:

— სტილის აღრევისთვის პატიებას გთხოვ. როგორც ჩანს, მეტისმეტად მივეჩვიე ქალებისთვის ასე მიმართვას, ოღონდ სრულიად სხვა მიზეზებით.

დაგნის თავი ჩამოუვარდა, მოკუნტულიყო და ხელები საკუთარი მხრებისთვის შემოეხვია, არც ადარდებდა, ფრანცისკო რომ ასეთ მდგომარეობაში ხედავდა. როცა ბოლოს და ბოლოს თავი ასწია, თვალებში სრული გულგრილობა ედგა:

— კეთილი, ფრანცისკო. შესანიშნავად გაითამაშე! მართლა დავიჯერე. თუ ფიქრობ, რომ. სხვა. გასართობს ვერ. შემოგთავაზებდი — გამოგივიდა, შენ გაიმარჯვე აღარაფერს არ მოგთხოვ.

— მე შენ გაფრთხილებდი.

— არ ვიცოდი, მესმის, ვის მხარეს იყავი წარმოუდგენელი მეჩვენებოდა .. რომ შენ ორენ ბოილის, ბერტრამ სკადერისა და შენი ყოფილი ლექტორის მოკავშირე იქნებოდი — ჩემი ყოფილი ლექტორის? — დაიძაბა ფრანცისკო.

— დიახ, დოქტორ რობერტ სტადლერის.

მან შვებით ამოისუნთქა:

— აჰ, მაგის? ეგ ბანდიტია, რომელიც თვლის რომ მისი მიზანი ჩემი სახსრების მიტაცებას ამართლებს იცი, დაგნი, მინდა, კარგად დაიმახსოვრო, ახლა რაც თქვი — იმის შესახებ, თუ ვის მხარეს ვარ. ერთხელაც ამ სიტყვებს გაგახსენებ და შეგეკითხები, კიდევ გინდა თუ არა მათი გამეორება.

— ჩემთვის მათი შეხსენება არ მოგიწევს.

ფრანცისკო წასასვლელად მიტრიალდა, ხელი დაუდევრად დაუქნია დამშვიდობების ნიშნად და უთხრა:

— რიო ნორტეს ხაზს წარმატებას ვუსურვებ თუკი მის დასრულებას მოახერხებ.

— ის დასრულდება! და ჯონ გოლტის სახელი დაერქმევა.

— რა?! — წამოიყვირა ფრანცისკომ.

მის გაოგნებულ ყვირილზე დაგნიმ დამცინავად ჩაიცინა.

— ჯონ გოლტის ხაზი.

— ღვთის გულისათვის, დაგნი! კი მაგრამ, რატომ?

— რა, არ მოგწონს?

— ეს რამ მოგაფიქრა?

— ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთესად მაინც ჟღერს ვიდრე მისტერ არავინ ან მისტერ „ვიღაც“, არა?

— მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ჯონ გოლტი?

— იმიტომ, რომ ეს ასე გაშინებს.

— შენი აზრით, რას ნიშნავს ეს სახელწოდება?

— შეუძლებელს, მიუღწეველს. და თქვენ ყველას ისევე გეშინიათ ჩემი მაგისტრალის, როგორც ამ სახელის.

— ფრანცისკომ გაიცინა. იცინოდა ისე, რომ დაგნის არ უყურებდა და დაგნი უცებ მიხვდა, რომ ფრანცისკოს ის დაავიწყდა, რომ ახლა სადღაც ძალიან შორს იყო და ეს სიცილი — თან უსაზღვროდ მხიარული და თან მწუხარე, — რაღაც ისეთს მიემართებოდა, რასთანაც დაგნის არაფერი ესაქმებოდა.

მერე ისევ დაგნის მიუბრუნდა და სრულიად გულწრფელად უთხრა:

— შენ ადგილას ამას არ გავაკეთებდი, დაგნი.

დაგნიმ მხრები აიჩეჩა:

— ეს ჯიმსაც არ მოეწონა.

— და შენ რა მოგწონს ამ სახელში?

— ვერ ვიტან მას. ვერ ვიტან სამყაროს აღსასრულის საყოველთაო მოლოდინს, ვერც ამ კაპიტულაციას და ვერც ამ უაზრო კითხვას, რომელიც ყოველთვის ისე ისმის, თითქოს შველას იხვეწებიან. ყელში ამომივიდა ლეგენდები ჯონ გოლტზე. ომს ვუცხადებ.

ფრანცისკომ უდრტვინველად უთხრა:

— შენ უკვე გამოუცხადე.

— რკინიგზას ავუშენებ. მოვიდეს და წამართვას!

ფრანცისკომ ნაღვლიანად გაუღიმა და თავი დაუქნია:

— ეჭვი არ შეგეპაროს. მოვა!

* * *

გავარვარებული ფოლადის ალისფერი ათინათი ჭერზე და კედელზე ლიცლიცებდა. რიერდენი თავის კაბინეტში იჯდა მაგიდასთან, იქაურობას

ერთადერთი სანათი ანათებდა. სინათლის რკალს მიღმა კაბინეტში დასადგურებული სიბნელე ფანჯრის იქით გამეფებულ წყვდიადს ერწყმოდა. რიერდენს ეჩვენებოდა, რომ იქ, გარეთ, მხოლოდ ცარიელი სივრცე იყო, სადაც თავისუფლად დანავარდობდნენ ღუმლებიდან ამომსხლტარი სხივები, მისი მაგიდა კი ჰაერში გამოკიდებული სხეული, რომელიც მხოლოდ მათ ორს მიჯნავდა ამ სამყაროში — პირისპირ დაგნი ეჯდა.

დაგნის პალტო გაეძრო და მისი მოხდენილი, მოჭიმული სხეული ნაცრისფერ კოსტიუმში სავარძლის ფონზე იკვეთებოდა.

სინათლის რკალში მხოლოდ ხელი მოუჩანდა, რომელიც მაგიდის კიდეზე ჩამოედო. რიერდენი ძლივს არჩევდა მის სახეს, თეთრ ბლუზონსა და გაღეღილი საყელოს სამკუთხედს.

— მაშ ასე, ჰენკ, დავიწყოთ ახალი ხიდის მშენებლობა რიერდენ მეტალისგან. აი, შენ — „ჯონ გოლტის ხაზის“ ოფიციალური მფლობელის ოფიციალური შეკვეთა.

რიერდენს გაეღიმა და მაგიდაზე სინათლის რკალში მოქცეულ ხიდის ნახაზებს დახედა.

— გაეცანით ჩვენს შემოთავაზებულ სქემას?

— კი. თქვენ არ გჭირდებათ არც ჩემი კომენტარები და არც კომპლიმენტები, შეკვეთის მოცემით ყველაფერი ნათქვამია.

— ძალიან კარგი. გმადლობთ. მაშ, მეტალის დამზადებას შევუდგები — და არ გინდათ, მკითხოთ, აქვს თუ არა „ჯონ გოლტის ხაზს“ შეკვეთის ან ფუნქციონირების უფლება კანონით?

— ეგ ზედმეტია. რაკი თქვენ მოხვედით, ესე იგი, ყველაფერი წესრიგშია დაგნიმ გაიღიმა:

— მართალი ხართ. ყველაფერი მოწესრიგებულია, ჰენკ. მოვედი, რომ ეს მეთქვა და ხიდის კონსტრუქციასთან დაკავშირებული დეტალებიც განგვეხილა.

— კი ბატონო, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, ვინ შეიძინა ჯონ გოლტის ხაზის“ ობლიგაციები?

— არ მგონია, რომელიმე მათგანს ამდენი შეეძლოს ყველა ჩვენი მეპაიე მზარდი საწარმოა, ფული საკუთარი ქარხნებისა და ფაბრიკების გასაფართოებლად სჭირდებათ. მაგრამ ამ მაგისტრალისთვის ვინც რამდენი მოახერხა, ის გაიმეტა დაგნიმ ჩანთიდან ფურცელი ამოიღო და რიერდენს გადააწოდა — აი, „ჯონ გოლტ ინკორპორეიტიდის“ წევრების სია.

სიაში რიერდენის ბევრი ნაცნობი იყო: ელის უაიატი — „უაიატ ოილი“, კოლორადო, ტედ ნილსენი — „ნილსენ მოტორსი“, კოლორადო; ლოურენს ჰემონდი — „ჰემონდ ქარზ კომპანი“, კოლორადო; ენდრიუ სტოკტონი — „სტოკტონ ფაუნდრი“, კოლორადო. რამდენიმე მეპაიე სხვა შტატებიდანაც იყო, მაგალითად: კენეტ დენეგერი — „დენეგერ ქოული“, პენსილვანია. თანხები ხუთნიშნა ციფრებიდან ექვსნიშნა ციფრებამდე მერყეობდა.

რიერდენმა კალამი აიღო და სიის ბოლოს მიაწერა: ჰენრი რიერდენი — რიერდენ სთილი“, პენსილვანია — $1000000 — და სია დაგნის გაუწოდა.

— ჰენკ, — უთხრა დაგნიმ ხმადაბლა, — არ მინდოდა ამ საქმეში გამერიეთ თქვენ ისედაც იმდენი ჩადეთ თქვენს მეტალში დამატებითი დანახარჯების უფლებას თავს ვეღარ მისცემთ.

— არასდროს მივიღებ სიბრალულს „ცივად უპასუხა რიერდენმა — რას გულისხმობთ?

— არასოდეს არავისთვის არ მითხოვია, ჩემს წამოწყებებში ჩემზე მეტი ფული ჩაედო. თუ ეს თამაშია, მაშინ ჩემი ფსონი მაღალი უნდა იყოს. თანაც, თვითონ არ ამბობდით, რომ ეს მაგისტრალი საუკეთესო რეკლამა. იქნება ჩემი მეტალის შესაძლებლობების საჩვენებლად.

დაგნიმ თავი ჩაღუნა და სერიოზული ტონით უთხრა:

— კეთილი, ჰენკ, დიდი მადლობა.

— სხვათა შორის, სულაც არ ვაპირებ ამ ფულის დაკარგვას მშვენივრად ვიცი ის პირობები, რომელთა თანახმადაც, თუ სურვილი მექნება, ეს ობლიგაციები აქციებად კონვერტირდება. ამიტომ უსინდისოდ დიდი მოგების მიღების იმედი მაქვს რომელსაც თქვენ მომიტანთ.

დაგნის გაეცინა:

— ღმერთო ჩემო, ჰენკ, ბოლო ხანებში იმდენ მხდალ ყეყეჩს ველაპარაკე, კინაღამ მეც არ დამაეჭვეს „ჯონ გოლტის ხაზის“ წარმატებაში. გმადლობთ, რომ საპირისპირო შემახსენეთ. დიახ, მეც მგონია, რომ აურაცხელ ფულს გაშოვნინებთ.

— ეგ მხდალი ყეყეჩები რომ არა, თქვენს წამოწყებაში გასარისკი არაფერი იქნებოდა. მაგრამ არა უშავს, მაგათ ვაჩვენებთ! მადლობა ღმერთს, ყოჩაღი ხალხი ჯერ არ გამწყდარა, — რიერდენმა მაგიდაზე გაშლილ ფურცლებში ორი ტელეგრამა მოძებნა და დაგნის გაუწოდა, — ვფიქრობ, ეს დაგაინტერესებთ.

პირველი ტელეგრამა იტყობინებოდა: „სამუშაოების დაწყებას ორი წლის შემდეგ ვაპირებდი, მაგრამ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის განცხადებამ დაუყოვნებელი მოქმედებისკენ მიბიძგა. შეგიძლიათ, ეს ტელეგრამა განიხილოთ, როგორც რიერდენ მეტალის ოფიციალური შეკვეთა ექვსასი მილის სიგრძის ნავთობსადენის მშენებლობისთვის კოლორადოდან კანზას-სიტიმდე, მილის დიამეტრი დუიმი. დეტალებზე — მოგვიანებით. ელის უაიატი“.

მეორეში ეწერა: „რაც შეეხება ჩემს შეკვეთას — შეუდექით. კენ დენეგერი“.

— ჯერ არც დენეგერი აპირებდა შეკვეთის მოცემას. ეს რვა ათასი ტონა რიერდენ მეტალია, სტრუქტურული მეტალი ნახშირის მაღაროებისთვის, — აუხსნა რიერდენმა.

ერთმანეთს შეხედეს და გაიღიმეს. კომენტარი ზედმეტი იყო.

— როცა დაგნიმ ტელეგრამები დაუბრუნა, რიერდენი მის ხელს დააკვირდა — სანათის შუქზე მაგიდის კიდეზე ჩამოდებული ხელის კანი გამჭვირვალე მოჩანდა. დაგნის პატარა გოგოს ხელები ჰქონდა, გრძელი, თხელი თითებით, წამით მოდუნებული და უმწეო.

— კომპანია „სტოკტონ ფაუნდრი“ კოლორადოდან დამპირდა, დაასრულოს შეკვეთა, რომელზედაც „მოუენის. კომპანიამ უარი“ თქვა. მეტალთან დაკავშირებით თქვენთან შეხვედრა სურთ, — უთხრა დაგნიმ.

— ეგ საკითხი უკვე მოგვარდა. პერსონალის საქმე როგორ გაქვთ?

— ნილის საუკეთესო ინჟინრები, ზუსტად ისინი, ვინც მე მჭირდებოდა, რჩებიან, და ოსტატების უმეტესობაც. ნილისგან კი ხეირი ისედაც ცოტა იყო.

— მუშები?

— მსურველები იმაზე მეტი არიან, ვიდრე საჭიროა. არა მგონია, პროფკავშირები ჩაერიოს. მუშების უმეტესობა პროფკავშირების წევრია, მაგრამ „ანკეტებში: შეცვლილი სახელები ჩაწერეს. სამუშაო ძალიან სჭირდებათ. მაგისტრალზე. რამდენიმე დაცვის თანამშრომელი მეყოლება, თუმცა, არა მგონია, რაიმე განსაკუთრებული პრობლემა წარმოიშვას.

— ჯიმი და მისი დირექტორთა საბჭო როგორ იქცევიან?

— ახლა იმით არიან დაკავებული, რომ საგაზეთო ინტერვიუებში იფიცებიან — არანაირი კავშირი არ გვაქვს „ჯონ გოლტის ხაზთანო“ და მიწასთან ასწორებენ ჩემს წამოწყებას. ჩემი ყველა პირობა მიიღეს.

დაგნიმ მხრები დაძაბა და ისე გამართა, თითქოს ბრძოლისთვის ემზადებოდა. ეს დაძაბულობა სავსებით ბუნებრივი ჩანდა და შფოთვაზე კი არა, სიხარულზე მეტყველებდა. მთელი მისი სხეული ნაცრისფერი კოსტიუმის ქვეშ დაჭიმული იყო და კაბინეტში ჩამოწოლილ ბინდს ერწყმოდა.

— კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობებს ედი უილერსი შეასრულებს, — თქვა დაგნიმ, — თუ რაიმე დაგჭირდებათ, მას დაუკავშირდით ამ ღამით კოლორადოში მივფრინავ.

— დღეს?

— ჰო. ველარ გადავდებ. ისედაც მთელი კვირა დავკარგეთ — თქვენი თვითმფრინავით?

— ჰო. ათი დღის შემდეგ დავბრუნდები. ნიუ-იორკში თვეში ერთხელ ან ორჯერ მაინც უნდა ჩამოვფრინდე ხოლმე.

— კოლორადოში სად იცხოვრებთ?“

— იქვე, ჩემს. სარკინიგზო ვაგონში, უფრო სწორად, ედის ვაგონში, რომელიც დროებით მათხოვა.

— და საშიში არაა?

— საშიში? — დაგნიმ გაკვირვებით გაიცინა, — ჰენკ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა გაგახსენდათ, რომ მამაკაცი არ ვარ. ნუ ღელავთ, არაფერი მომივა.

რიერდენი დაგნის არ უყურებდა, მისი მზერა“ მაგიდაზე ციფრებით გადაჭრელებული ფურცლისკენ იყო მიპყრობილი.

— ჩემმა ინჟინრებმა ხარჯები დათვალეს და მშენებლობის მიახლოებითი გრაფიკი მოამზადეს. ამის განხილვა მინდოდა თქვენთან, — უთხრა, როცა ფურცელს აძლევდა. დაგნი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და კითხვას შეუდგა.

სინათლის ზოლი დაგნის სახეზე დაეცა და მისი მკაცრი და მგრძნობიარე ტუჩები გაანათა. მერე ოდნავ უკან გადაიხარა და რიერდენი ახლა მხოლოდ მის ცხვირსა და მუქ, დახრილ წამწამებს ხედავდა.

„განა შენზე არ ვოცნებობდი“ — ფიქრობდა რიერდენი, დად პირველივე შეხვედრისთანავე... აბა, სხვა ვისზე; მთელი ეს ორი წელი...“

გაუნძრევლად იჯდა და დაგნის უყურებდა. ყურებში ედგა სიტყვები, რომელთა წარმოთქმა ფიქრშიც არასოდეს გაუბედავს, სიტყვები, რომლებსაც გრძნობდა, მაგრამ ფორმის მიღებას უკრძალავდა, რომელთა განადგურება“ სურდა, სამუდამოდ ჩახშობა. ახლა ამ თავზარდამცემად გულახდილმა სიტყვებმა მოულოდნელ ნიაღვრად გადმოხეთქა, თითქოს მათ დაგნის ეუბნებოდა. „...ჩვენი პირველივე შეხვედრისთანავე... მხოლოდ შენი სხეული, ტუჩები და შენი თვალები, რომლებიც შემომხედავდნენ, თუ... ჩემს ყველა ფრაზაში, ყველა თათბირზე, შენ რომ ასეთი უწყინარი გეგონა, ჩვენ მიერ უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას... შენ ხომ მენდობოდი, ასე არ არის? შენი ნიჭი ვაღიარო? გაღიარო, როგორც თანასწორი...

ისე მოგექცე, თითქოს მამაკაცი იყო? ნუთუ ფიქრობ, რომ არ მესმის, რას ვუღალატე? ერთადერთი ნათელი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც პატივს ვცემ, საუკეთესო ბიზნესმენი, რომელსაც ვიცნობ, ჩემი მოკავშირე, ჩემი პარტნიორი სასოწარკვეთილ ბრძოლაში... და ყველაზე

ამაღლებულს, რასაც ცხოვრებაში შევხვედრივარ, ყველაზე მდაბალი სურვილით ვპასუხობ... თუ იცი, რა ვარ? მიფიქრია ამაზე, რადგან ჩემი სურვილი დაუშვებელია. ამ მდაბალმა მოთხოვნილებამ არ უნდა შელახოს შენი სახელი... მაგრამ არასდროს მდომებია შენ გარდა ვინმე... არც კი ვიცოდი, ეს რა იყო, ვიდრე შენ არ შეგხვდი. ვფიქრობდი: ოღონდ მე არა... ეს მე ვერ მაჯობებს... მას შემდეგ... მთელი ორი წელი გავიდა... წამით ვერ ამოვისუნთქე... იცი, ეს რა არის — გინდოდეს? გინდა, გეტყვი, რაზე ვფიქრობდი, როცა გიყურებდი... უძილო ღამეებში... როცა შენი ხმა მესმოდა ყურმილში... მერე სამსახურში, ისევ ამით შეპყრობილი... დაგამცირო იმით, რაც ჩვენთვის, ორივესთვის მიუღებელია და ვიცოდე, რომ ამაში მე ვარ დამნაშავე... დაგამცირო და ცხოველური სიამოვნება მოგანიჭო, ვიცოდე, როგორ გჭირდება ის, მესმოდეს, როგორ მთხოვ ამას, ვხედავდე, როგორ შებოჭავს შენს გასაოცარ სულს ეს სამარცხვინო, პირუტყვული ვნება. გხედავდე ისეთს, როგორიც ხარ: სუფთას, ამაყს, ძლიერს, სამყაროს წინააღმდეგ ამხედრებულს... შემდეგ კი გიხილო ჩემს ლოგინში, ჩემს ყველაზე მდაბალ ვნებებს დამორჩილებული, ნებისმიერ ჩემს ქმედებას. და მხოლოდ იმიტომ, რომ დავტკბე შენი დაცემით განუზომელი სიამოვნების განცდის სანაცვლოდ... მინდიხარ — და წყეულიმც ვიყო ამისთვის!“

დაგნი კითხულობდა, ოთახის ბინდში სინათლის ჩრდილები მის თმაზე და მხარზე ეცემოდა, მერე ხელს მოუყვებოდა და მოშიშვლებულ მაჯაზე ეფინებოდა.

„იცი, რაზე ვფიქრობ სწორედ ამ წუთებში? შენი ნაცრისფერი კოსტიუმი, შეხსნილი საყელო... ისეთი ახალგაზრდა ხარ, ისეთი მკაცრი და თავდაჯერებული...

უცებ რომ მოგხვეოდი, იატაკზე რომ დამეწვინე ამ მკაცრ კოსტიუმში, შენი ქვედატანი რომ ამეწია...“

დაგნიმ ახედა. რიერდენი მაგიდაზე დაწყობილ ფურცლებს დაჰყურებდა, მცირე პაუზის მერე კი წარმოთქვა:

— ხიდის რეალური ღირებულება უფრო ნაკლები აღმოჩნდა ვიდრე ჩვენმა თავდაპირველმა გაანგარიშებამ გვაჩვენა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ ხიდის გამძლეობა საშუალებას იძლევა, დროთა განმავლობაში მეორე ლიანდაგიც გავიყვანოთ, რომელიც, ჩემი აზრით, ამ რაიონს რამდენიმე წელიწადში უთუოდ დასჭირდება. თუ მშენებლობის ხარჯებს რაღაც პერიოდზე გადავანაწილებთ...

რიერდენი ლაპარაკობდა, დაგნი კი კაბინეტის ბინდში მის განათებულ სახეს ათვალიერებდა. სანათს ვერ ხედავდა, ამიტომაც ეჩვენებოდა, რომ მაგიდაზე გაშლილ ფურცლებს რიერდენის სახე ანათებდა. „მისი სახე, და ეს ცივი, ასე მკაფიო ხმა, ნათელი გონება, ერთადერთი მიზნისკენ სწრაფვა. მისი სახეც მისსავე სიტყვებს ჰგავს — ამ შევარდნილი ლოყებისა და ოდნავ ზიზღიანი ტუჩების აზიდული კუთხეების ეს უკომპრომისო ასკეტიზმი, შეუპოვარი მზერასავით გამჭოლი“, — ფიქრობდა დაგნი.

* * *

დღე საშინელი კატასტროფის შესახებ გავრცელებული ცნობით დაიწყო: ნიუ მექსიკოს მთებში კომპანია „ატლანტიკ საუთერნის“ სატვირთო შემადგენლობა მკვეთრ მოსახვევში სამგზავრო მატარებელს შეეჯახა და ტვირთით სავსე ვაგონები მთების ფერდობებზე მიმოეფინა. ამ ვაგონებით ხუთი ათასი ტონა სპილენძის მადანი გადაჰქონდათ, რომელიც არიზონას შტატში მოიპოვეს რიერდენის ქარხნებისთვის რიერდენი პირადად დაუკავშირდა. „ატლანტიკ საუთერნის“ მთავარ მენეჯერს, მაგრამ ის ერთადერთს გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, მისტერ რიერდენ, აბა, რა გითხრათ? არავინ იცის, რა დრო დასჭირდება გზის გაწმენდას და ავარიის შედეგების

ლიკვიდაციას. ასეთი ავარია ჯერ არ მახსოვს... არ ვიცი, მისტერ რიერდენ, არა, ქვეყნის ამ ნაწილში სხვა რკინიგზა არ არსებობს. დაახლოებით ასოცფუტიან მონაკვეთზე გზა სრულიად განადგურებულია. მეწყერიც ჩამოწვა. ჩვენი საავარიო მატარებელი კატასტროფის ადგილამდე ვერ მიდის.

არც კი ვიცი, ამ ვაგონებს რელსებზე თუ დავაყენებთ როდისმე... ალბათ, არა უადრეს ორი კვირისა... სამ დღეში? მისტერ რიერდენ, ეს შეუძლებელია! მაგრამ ამას ვერ ვიზამთ... უთხარით თქვენს კლიენტებს, რომ ეს ღვთის განგებაა...

ნუთუ არ შეიძლება, შეკვეთის შესრულება ცოტა დააგვიანოთ? ამ შემთხვევაში ვერავინ დაგადანაშაულებთ!“

შემდეგი ორი საათის განმავლობაში, თანაშემწის თავისი სატრანსპორტო განყოფილების ორი ახალგაზრდა ინჟინრის, საავტომობილო რუკისა და ტელეფონის დახმარებით, რიერდენმა ყველაფერი ხელახლა, ოღონდ განსხვავებულად დაგეგმა და სატვირთო მანქანების მთელი კოლონა და ცარიელი ვაგონების შემადგენლობა გაუშვა კატასტროფის ადგილზე. სატვირთო ვაგონები მათ „ატლანტიკ საუთერნის“ უახლოეს სადგურზე უნდა დალოდებოდნენ. რიერდენმა ვაგონები „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისგან“ ითხოვა, ხოლო სატვირთო მანქანები ნიუ მექსიკოს, არიზონასა და კოლორადოს შტატებიდან. ჩამოიყვანა. რიერდენის ინჟინრები სატვირთო მანქანების კერძო მფლობელებს ურეკავდნენ და ისეთ საფასურს სთავაზობდნენ რომელზეც უარს ვერავინ ამბობდა.

ეს შეკვეთილი სპილენძის მესამე პარტია იყო, რომელსაც რიერდენი ელოდებოდა. პირველი ორი შეკვეთა არა და არ შესრულდა: ერთი კომპანია გაკოტრდა, მეორე კი გაუთავებლად ობიექტურ, მისგან დამოუკიდებელ გარემოებებს იმიზეზებდა.

რიერდენმა საქმე ისე მოაგვარა, რომ ერთი შეხვედრაც არ გადაუდია ან გაუუქმებია; ხმისთვის ერთხელაც არ აუწევია. არც დაძაბულობა დასტყობია, არც უიმედობა ან შიში არ გამოუმჟღავნებია; ოფიცრის უზადო სიზუსტით მოქმედებდა, რომელიც თანამებრძოლებთან ერთად მოულოდნელ ცეცხლში მოყვა, ხოლო გვენ აივსი ყველაზე უდრტვინველი თანაშემწე გამოდგა. გვენი ოცდაათ წლამდე იქნებოდა, სასიამოვნო, ჰარმონიული სახე საუკეთესო საოფისე აღჭურვილობის უზადო ნაწილს მიუგავდა. ის რიერდენის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მუშაკი იყო და თავის მოვალეობებს ისეთი სრულყოფილი რაციონალურობით ასრულებდა, რომ სამსახურში გრძნობების ნებისმიერ გამოვლინებას უპატიებელ ამორალობად აქცევდა.

როცა ვითარება ჩაცხრა, გვენმა მხოლოდ ეს აღნიშნა:

— მისტერ რიერდენ, ჩემი აზრით, ყველა ჩვენს მომწოდებელს უნდა ვთხოვოთ, ტვირთი მხოლოდ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მაგისტრალების საშუალებით მოგვაწოდონ.

— მეც ეგ ვიფიქრე, — უთხრა რიერდენმა და დაამატა, — ფლემინგს, კოლორადოში, სასწრაფო შეტყობინება გაუგზავნე — სპილენძის მაღარო იყიდოს, რომელიც მე შევარჩიე.

მერე მაგიდასთან დაბრუნდა და ერთდროულად ორი ტელეფონით დაიწყო ლაპარაკი — მენეჯერთან და კომერციულ დირექტორთან. შეამოწმა ნედლეულის ოდენობა და მოწოდების თარიღები — ღუმლების მუშაობა ერთი საათითაც არ უნდა შეფერხებულიყო შემთხვევითობის ან ვინმეს დაუდევრობის გამო. როცა „ჯონ გოლტის ხაზის“ ბოლო შენადნობი მზადდებოდა, ზარი გაისმა და გვენმა მოახსენა,

რომ მისაღებში დედა უცდიდა და დაჟინებით მოითხოვდა მასთან სასწრაფო შეხვედრას.

რიერდენი ოჯახის წევრებს ქარხანაში გაუფრთხილებლად მისვლას უკრძალავდა. უხაროდა, ასე რომ ეზიზღებოდათ ეს ადგილი და ძალიან იშვიათად ჩნდებოდნენ მის კაბინეტში. ახლა დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო, დედამისი მიებრძანებინა იმ ტერიტორიიდან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისად მიაჩნდა. მაგრამ თავს ძალა დაატანა, იმაზე მეტად, ვიდრე კატასტროფის შედეგების აღმოსაფხვრელად დასჭირდა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— კარგი, შემოვიდეს.

დედა მის კაბინეტში საბრძოლოდ შემართული მეომრის გამომეტყველებით შემოვიდა. გარშემო ისე იყურებოდა, თითქოს ხვდებოდა, რას ნიშნავდა მისი შვილისთვის იქაურობა და ძალიან ბრაზობდა, რომ შვილის ცხოვრებაში მის პერსონაზე უფრო მნიშვნელოვანი რამე არსებობდა. სავარძელში დიდხანს წრიალებდა, ცდილობდა, მოხერხებულად მოკალათებულიყო, ჩანთა და ხელთათმანები ხან ერთ მხარეს დააწყო, ხანაც მეორე მხარეს და თან მონოტონურად ზუზუნებდა:

— ვერაფერს იტყვი, კარგი წესები გაქვთ! — მშობელი დედა იძულებულია, მისაღებში იცადოს და ვიღაც მბეჭდავს სთხოვოს საკუთარი შვილის ნახვის ნებართვა, ის კი... — დედა, შენ მართლა რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გაქვს ჩემთან? დღეს წუთიც არ მაქვს თავისუფალი.

— მარტო შენ კი არ გაქვს პრობლემები. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან საკითხზე მოვედი. ამსიშორეს რაიმე წვრილმანისთვის მოვიდოდი?

— მაინც?

— საქმე ფილიპს ეხება.

— ჰო?

— ფილიპი ძალიან უბედურია.

— მართლა?

— განიცდის, რომ იძულებულია, შენს მოწყალებაზე იყოს დამოკიდებული, თვითონ კი არაფერი აბადია.

რიერდენს გაკვირვებით გაეღიმა:

— კარგია. სულ მაინტერესებდა, როდის მიხვდებოდა ბოლოს და ბოლოს.

— მგრძნობიარე ადამიანისთვის ასეთი მდგომარეობა აუტანელია.

— რა თქმა უნდა.

— სამუშაო უნდა მისცე.

— მივცე... რა?

— სამუშაო უნდა მისცე, აქ, ქარხანაში, ცხადია, სუფთა, კარგი სამსახური, ცალკე კაბინეტითა და კარგი ხელფასით, შენი მუშებისგან და ახრჩოლებული ღუმლებისგან მოშორებით.

რიერდენმა იცოდა, რომ ეს სიტყვები ნამდვილად ესმოდა, მაგრამ ყურებს ვერ უჯერებდა — დედა, შენ რა, ხუმრობ?

— არა, სრულიადაც. შემთხვევით გავიგე, რომ ზუსტად ეს უნდა, მაგრამ მეტისმეტად ამაყია, პირადად რომ გთხოვოს. თუმცა, თუ თვითონ შესთავაზებ სამსახურს და თანაც ისე, თითქოს დახმარებას სთხოვ, დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით დაგთანხმდება. აი, რატომ გავხდი იძულებული, აქ მოვსულიყავი, ფილიპი რომ ვერ მიმხვდარიყო, მე თუ გელაპარაკე.

მსგავს რამეებს რიერდენის ცნობიერება უბრალოდ ვერ სწვდებოდა. ერთადერთმა აზრმა გაუელვა გონებაში, იმდენად თვალნათლივმა, რომ ვერაფრით ხვდებოდა, როგორ შეიძლებოდა, ვინმეს ვერ შეემჩნია.

— მაგრამ ფილიპი ხომ მეტალურგიის აზრზე არ არის!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მას მხოლოდ სამსახური სჭირდება — მაგრამ ის თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს.

— ფილიპს საკუთარი თავის რწმენა უნდა გაუჩნდეს იგრძნოს რომ თვითონაც რაღაცას წარმოადგენს.

— და მისგან რა ხეირი იქნება?

— უნდა იგრძნოს, რომ საჭიროა.

— სად, აქ? აქ რაში უნდა დამჭირდეს?

— სამსახურში ხომ ათასნაირ ადამიანს იღებ.

— სამსახურში იმათ ვიღებ, ვინც საქმის კეთება იცის. ფილიპმა რა უნდა შემომთავაზოს?!

— მაგრამ ის ხომ შენი ძმაა!

— მერე რა? ეგ აქ რა შუაშია?

ახლა დედამისს ჩაუვარდა ენა გაოგნებისგან. ერთხანს ჩუმად ისხდნენ და ისე შეჰყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს კოსმოსური სივრცე ჰყოფდათ.

— ის შენი ძმაა, — დედის სიტყვები გრამაფონზე ჩაწერილი მაგიური ფორმულასავით გაისმოდა, რომელში დაეჭვებაც დაუშვებელი იყო, — მან თავისი ადგილი უნდა იპოვოს ამ სამყაროში. კარგი ხელფასი სჭირდება, რომელსაც დამსახურებულად მიიღებს და არა როგორც მოწყალებას.

— დამსახურებულად? მაგრამ, ის ხომ ხუთი ცენტის საღირალსაც ვერაფერს შექმნის!

— აი, თურმე რაზე ფიქრობ პირველ რიგში? — საკუთარ სარგებელზე, მოგებაზე!

მე გთხოვ, დაეხმარო ძმას, შენ კი იმას დაეძებ მისი შრომით ხელი როგორ მოითბო, და იხეირებ, არც დაეხმარები, ასეა?

როდესაც რიერდენის მზერა დაინახა, გატრიალდა, ხმას აუწია და სწრაფად მიაყარა:

— რა თქმა უნდა, მას ისე ეხმარები, როგორც პირველ შემხვედრ მათხოვარს დაეხმარებოდი. მატერიალური დახმარება — მხოლოდ ეს იცი, სხვა არაფერი. ერთხელ მაინც დაფიქრებულხარ მის სულიერ მოთხოვნილებებზე ან იმაზე, როგორ მოქმედებს ეს მდგომარეობა მის თავმოყვარეობაზე? მას არ უნდა მათხოვრული ცხოვრება. არ უნდა, შენზე იყოს ფინანსურად დამოკიდებელი.

— და მიიღოს ჩემგან ფული, რომელიც საკუთარი შრომით არ გამოუმუშავებია?

— შენ ამას ვერც კი შეამჩნევდი. აქ უამრავი ადამიანია, რომელიც შენთვის მუშაობს. — მთხოვ, რომ დავეხმარო ამ თაღლითობაში?

— რა საჭიროა ასეთი ფორმულირება?

— არის თუ არა ეს თაღლითობა?

— შენ არავინ გებრალება.

— ნუთუ ასეთი სიცრუე სამართლიანი გგონია?

— შენ ყველაზე ამორალური ადამიანი ხარ ამქვეყნად — სამართლიანობის გარდა არაფერი გაინტერესებს. არავინ გიყვარს.

რიერდენი მკვეთრად წამოდგა და აგრძნობინა, რომ საუბარი დამთავრებული იყო:

— დედა, მე ფოლადის ქარხნის მეპატრონე ვარ და არა საროსკიპოსი.

— ჰენრი! — აღშფოთებით გამოცრა დედამისმა, უხეში სიტყვით აღშფოთებულმა, სხვა არაფრით.

— სიტყვაც აღარ დაგცდეს ფილიპის სამსახურზე. ცოცხსაც კი არ ვანდობ, ფერფლი რომ მოხვეტოს ღუმლებთან. ჩემს ქარხანაში ფეხსაც არ შემოდგამს! დაიმახსოვრე ერთხელ და სამუდამოდ. რითიც გინდა, დაეხმარე, მაგრამ ჩემს ქარხანაზე ფიქრიც კი ამოიგდე თავიდან.

— რა გგონია შენი ქარხანა?! რა, წმინდა ტაძარია?

— რატომაც არა, — უპასუხა ხმადაბლა რიერდენმა, გაკვირვებულმა, რომ აქამდე მსგავსი აზრი თვითონ არ გასჩენია.

— ნუთუ არასდროს არ ფიქრობ სხვა ადამიანებზე და შენს მორალურ ვალდებულებებზე მათ მიმართ?

— არ ვიცი, რას ეძახი შენ მორალს. არა, არ ვფიქრობ სხვა ადამიანებზე, მაგრამ ერთი ვიცი: ფილიპს თუ სამსახურში მივიღებ, თვალებში ვეღარ შევხედავდი კომპეტენტურ სპეციალისტს, ადამიანს, რომელსაც ეს სამსახური სჭირდება და იმსახურებს კიდევაც!

დედამისი ადგა, თავი მხრებში ჩარგო და სამართლიანი გულისტკივილით ხმაში სწრაფად მიაყარა შვილის მაღალ, წარმოსადეგ ფიგურას უკანასკნელი არგუმენტები:

— ამ ყველაფრის მიზეზი შენი სისასტიკეა, შენი მდაბალი ეგოიზმი. შენ რომ ძმა გიყვარდეს, სამსახურს მისცემდი, რომელსაც არ იმსახურებს. დიახ, დიახ, სწორედ იმიტომ, რომ არ იმსახურებს — აი, ეს იქნებოდა ჭეშმარიტი სიკეთისა და ძმური გრძნობების გამოვლინება. აბა, რაღა საჭიროა მაშინ სიყვარული? მისცე სამსახური მას, ვინც ამის ღირსია — ეს არაა სათნოება. ჭეშმარიტი სათნოებაა — როდესაც იმას გასცემ, რაც არ დაუმსახურებიათ.

რიერდენი დედას უყურებდა ბავშვის თვალებით, რომელსაც კოშმარული სიზმარი მარტო იმიტომ არ ზარავს, რომ არ სჯერა.

— დედა, — თქვა მან აუჩქარებლად, — თვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ. ვერასდროს ვერ შეგიძულებ ისე, რომ დავიჯერო, თითქოს მართლა ასე ფიქრობ.

ყველაფერზე მეტად რიერდენი დედამისის გამომეტყველებამ გააკვირვა: მარცხის განცდას თანდართულმა უცნაურმა, ცინიკურმა ცბიერებამ — თითქოს წამით გონება გაუნათა ხალხურმა სიბრძნემ, რომელიც მისი შვილის მიამიტობას მასხრად იგდებდა.

ეს მზერა რიერდენის მეხსიერებამ საგანგებოდ მოინიშნა, როგორც აუხსნელი ფაქტი, რომელსაც პირველად შეეჯახა და რომელზეც საგულდაგულოდ უნდა დაფიქრებულიყო.

თუმცა, თავს უფლებას ვერ მისცემდა, ამაზე მომცდარიყო, გონებას ძალას ვერ დაატანდა, ეს ფაქტი დაფიქრების ღირსად მიეჩნია, ვერაფერს გრძნობდა ბუნდოვანი ძრწოლისა და ზიზღის გარდა. ახლა ამისთვის არ სცხელოდა — მაგიდასთან უკვე შემდეგი სტუმარი ეჯდა. რიერდენი უსმენდა ადამიანს, რომელიც ემუდარებოდა, დაღუპვისგან ეხსნა.

სტუმარი სათქმელს სხვაგვარად ამბობდა, თუმცა რიერდენმა იცოდა, რომ ხუთასი ტონა ფოლადი, რომელსაც ეს ადამიანი ითხოვდა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო.

მისი სტუმარი მისტერ უარდი იყო მინესოტადან — კომბაინების მწარმოებელი კომპანიის პრეზიდენტი.

„უარდის კომბაინებს“ უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდა და იმ საწარმოთა ტიპს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მსხვილ კომპანიებად იშვიათად გადაიქცევიან ხოლმე, მაგრამ არასდროს კოტრდებიან. მისტერ უარდი კომპანიის მფლობელთა მეოთხე თაობას წარმოადგენდა და, წინაპრების მსგავსად, ყველაფერს აკეთებდა მისი კეთილდღეობისთვის, ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა.

უარდი ორმოცდაათს იყო გადაცილებული და მისი ფართო, ფლეგმატური სახის ერთხელ დანახვაც კი საკმარისი იყო, რომ დარწმუნებით გეთქვა: ამ ადამიანს საკუთარი სულიერი ტანჯვის ნებისმიერი დაუფარავი გამოვლინება ისეთივე უზნეობად მიაჩნდა, როგორც საჯაროდ გაშიშვლება. მისტერ უარდი მშრალად და საქმიანად უხსნიდა რიერდენს, რომ მამამისივით, თვითონაც მთელი ცხოვრება ფოლადს ერთი პატარა ფოლადსადნობი კომპანიისგან იღებდა, რომელიც ორენ ბოილის „ესოშიეიტიდ სთილმა“ ჩაყლაპა, თავისი უკანასკნელი შეკვეთის მიღებას უკვე ერთი წელი ელოდა, ეს ბოლო თვე კი რიერდენთან მოხვედრას ცდილობდა.

— მისტერ რიერდენ, ვიცი, რომ თქვენი ქარხნები უკიდურესი დატვირთვით მუშაობენ და ახალი შეკვეთებისთვის საერთოდ არ გცხელათ, — თქვა მისტერ უარდმა.

როცა ყველაზე მსხვილი და ძველი კლიენტები თავიანთ რიგს მოთმინებით ელიან, რადგან თქვენ ერთადერთი პატიოსანი, ვგულისხმობ, საიმედო მწარმოებელი ხართ, რომელიც ამ ქვეყანაში დარჩა. არ ვიცი, რამ უნდა გიბიძგოთ, რომ ჩემთვის გამონაკლისი დაუშვათ. მაგრამ მე სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ ჩემი ქარხნის კარები სამუდამოდ დავკეტო, თუმცა... — ხმა ოდნავ აუცახცახდა, — ამის წარმოდგენაც კი მიჭირს... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით... ამიტომაც გადავწყვიტე, შეგხვედროდით, მიუხედავად იმისა, რომ შანსი თითქმის არ მაქვს... და მაინც, ყველაფერი უნდა ვცადო, რაც შესაძლებელია.

აი, ეს ენა რიერდენისთვის გასაგები იყო.

— ძალიან მინდა, რომ დაგეხმაროთ, — უთხრა რიერდენმა, — მაგრამ-ვშიშობ, შეუძლებელია, რადგან ახლა დიდ, განსაკუთრებულ შეკვეთაზე ვმუშაობ, რომელიც ჩემთვის უდავოდ პრიორიტეტულია.

— ვიცი. მაგრამ, მისტერ რიერდენ, იქნებ, მაინც მომისმინოთ!

— რა თქმა უნდა.

— თუ საქმე ფულს ეხება, იმდენს გადაგიხდით, რამდენსაც მოითხოვთ. თუ ამ გზით დაგაინტერესებთ, მზად ვარ, ორჯერ მეტი“ გადავიხადო, ოღონდ მომეცით ფოლადი. წელს კომბაინების გაყიდვით რომც ვიზარალო; მიღირს, ოღონდ იძულებული არ გავხდე, ქარხანა დავხურო. თუ საჭირო გახდა, ჩემს: პირად დანაზოგებს გამოვიყენებ, ერთი-ორი წელი მაინც რომ იარსებოს. როგორმე უნდა გავუძლო ამ რთულ დროს, რადგან ვფიქრობ, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ცხოვრება აუცილებლად უკეთესობისკენ შეიცვლება, სხვანაირად ჩვენ... — წამით გაჩერდა და მერე მტკიცედ დაამატა, — შეუძლებელია, ვითარება არ გამოსწორდეს.

— ასეა, — დაეთანხმა რიერდენი.

სულ ახსოვდა „ჯონ გოლტის ხაზი“, როგორც იმედის მომგვრელი სიტყვათშეთანხმება. აზრმა ელვასავით გაურბინა გონებაში. მაგისტრალის მშენებლობა შეუფერხებლად გრძელდებოდა. რიერდენ მეტალთან დაკავშირებული საზოგადო ვნებათაღელვა მიწყნარდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ის და დაგნი ტაგარტი, რომელთანაც ასობით მილი აშორებდა, ახალ ჰორიზონტს ჭვრეტდნენ და აღარაფერი უშლიდათ ხელს, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. „ისინი თავს

დაგვანებებენ და ჩვენ მშენებლობას დავასრულებთ“, — გაიფიქრა რიერდენმა. ეს სიტყვები საბრძოლო ჰიმნივით ჟღერდა: „ისინი თავს დაგვანებებენ“.

— ჩემი ქარხანა წელიწადში ათას კომბაინს აწარმოებს; — თქვა მისტერ უარდმა, — გასულ წელს მხოლოდ სამასი გამოვუშვით, ძლივს წვალებით ვიშოვე ფოლადი, როცა რომელიმე ფოლადის ქარხანა კოტრდებოდა, მისგან ვყიდულობდი. ხან ერთ, ხან მეორე მსხვილ კონცერნს სათითაო ტონას ვეხვეწებოდი. როგორც მენაგვე, ჯართის საყრელებზე დავწანწალებდი... თავს აღარ შეგაწყენთ. უბრალოდ, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ დადგებოდა დღე, როცა ასე მომიწევდა საქმიანობა. და მთელი ეს პერიოდი მისტერ ორენ ბოილი მეფიცებოდა, რომ ფოლადს შემდეგ კვირას მომაწოდებდა.

თუმცა, ყველაფერი, რის წარმოებასაც ახერხებდა, სრულიად გაუგებარი მიზეზებით, მის ახალ კლიენტებთან იგზავნებოდა... ის კი მსმენია, როგორ ჩურჩულებდნენ, რომ ამ ხალხს გარკვეული პოლიტიკური კავშირები ჰქონდა. ახლა კი ორენ ბოილთან შეხვედრასაც ვერ ვახერხებ. თვეზე მეტია, ვაშინგტონშია, მისი მენეჯერები კი ერთხმად გაიძახიან, რომ არაფერი შეუძლიათ, რადგან ფოლადი არ იშოვება.

— დროს ტყუილად კარგავთ, — ჩაილაპარაკა რიერდენმა, — მათგან ვერაფერს მიიღებთ.

— იცით, მისტერ რიერდენ, — უთხრა უარდმა იმგვარი ხმით, თითქოს ისეთი რამ აღმოაჩინა, თვითონაც რომ ვერ დაეჯერებინა, — მე მგონი, მისტერ ბოილი არც ისე სუფთად მუშაობს. ვერ გამიგია, რის მიღწევას ცდილობს. მისი ღუმლების ნახევარი გაჩერებულია, მაგრამ გასულ თვეს ყველა გაზეთი „ესოშიეიტიდ სთილზე“ წერდა.

იმაზე კი არა, თუ რამდენ ფოლადს აწარმოებენ, სულაც არა. იმაზე წერდნენ, როგორი არაჩვეულებრივი საცხოვრებელი კორპუსი ააშენა სულ ახლახან თავისი მუშებისთვის. წინა კვირას კინოთეატრში, ფერად კინოჟურნალში აჩვენეს, რომ ბოილმა ყველა ინსტიტუტში საკუთარი წარმომადგენლები გაგზავნა, რათა ეჩვენებინათ, როგორ ადნობენ ფოლადს და რა როლს თამაშობს ფოლადი ადამიანის ცხოვრებაში.

ამას გარდა, მისტერ ბოილი მონაწილეობს. რადიოგადაცემაში, სადაც გაუთავებლად იმაზე ლაპარაკობენ, როგორი მნიშვნელოვანია ფოლადის მრეწველობა ქვეყნისთვის. და ყველანი ირწმუნებიან, რომ საჭიროა ამ სფეროს მთლიანად. შენარჩუნება. არ მესმის, რას გულისხმობენ მთლიანად შენარჩუნებაში.

— მე კი მესმის. მაგრამ დაივიწყეთ. არაფერი გამოუვა.

— იცით, მისტერ რიერდენ, არ მომწონს ის ხალხი, ვინც სულ იმას ამტკიცებს რომ მხოლოდ სხვა ადამიანების საკეთილდღეოდ შრომობს. ასე სულაც არ არის. სიმართლეც რომ იყოს, მე მაინც მგონია, რომ არასწორია. ამიტომ, გეტყვით — ფოლადი მხოლოდ იმისთვის მჭირდება, რომ ჩემი ბიზნესი გადავარჩინო. იმიტომ, რომ ჩემია. იმიტომ, რომ თუ ქარხნის დახურვა მომიწევს მაგრამ ჩვენს დროში ეს მაინც არავის ესმის.

— მე მესმის თქვენი.

— დიახ, თქვენ ეს მართლაც უნდა გესმოდეთ საკუთარი საქმე გადავარჩინო და შევინარჩუნო — აი, რა არის ჩემთვის მთავარი. ამას გარდა, ჩემი კლიენტებიც ხომ მყავს. ისინი წლების მანძილზე კომბაინებს მხოლოდ ჩემგან ყიდულობდნენ. მათ ჩემი იმედი აქვთ. ახლა ხომ თითქმის შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შოვნა. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რა მოხდება მინესოტაში, თუ ფერმერებს ტექნიკა

არ ეყოლებათ, თუ მოსავლის აღებისას მანქანები მწყობრიდან გამოვა და სათადარიგო ნაწილები არ იქნება, ახალი კომბაინები არ შეიქმნება... არაფერი, მისტერ ბოილის ფერადი კინოქრონიკის გარდა... აბა, რა უნდა თქვა ადამიანმა... თან მე ხომ მუშებიც მყავს, ზოგიერთი ქარხანაში ჯერ კიდევ მამაჩემის დროიდან მუშაობდნენ.

წასასვლელი არ აქვთ. ყოველ შემთხვევაში, დღეს.

„შეუძლებელია“, — ფიქრობდა რიერდენი, — „ახლა, როცა ყოველი ღუმელი, ყოველი საათი და ყოველი ტონა მკაცრად არის გაწერილი ნახევარი წლით ადრე სასწრაფო შეკვეთების შესასრულებლად, დამატებითი ხუთასი ტონა ფოლადის ჩამოსხმა... თუმცა, „ჯონ გოლტის ხაზი“, — შეახსენა მან საკუთარ თავს. თუ მას დაასრულებს, ნებისმიერ რამეს შეძლებს... კინაღამ მოუნდა, ათობით ახალ ამოცანას შესჭიდებოდა. უეცრად ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისთვის შეუძლებელი ამქვეყნად არაფერი იყო.

— მომისმინეთ, — უთხრა სტუმარს და ტელეფონისკენ გაიწია, ახლა ჩემს მენეჯერს დავუკავშირდები და გადავამოწმებ, უახლოესი რამდენიმე, კვირის მანძილზე რა შეკვეთები გვაქვს. იქნებ, მოვახერხო, სხვა შეკვეთებიდან დროებით რამდენიმე ტონა მეტალი...

მისტერ უარდი სწრაფად შეტრიალდა, მაგრამ რიერდენმა მაინც მოასწრო მისი გამომეტყველების დანახვა.

„რამდენს ნიშნავს ამ ადამიანისთვის ის, რაც ჩემთვის ასეთი უმნიშვნელოა“, გაიფიქრა რიერდენმა.

ყურმილი აიღო, მაგრამ მაშინვე ხელიდან გააგდო, რადგან სრულიად მოულოდნელად კაბინეტის კარი გაფრიალდა და მის აივსი შემოვარდა.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ გვენ-აივსს შეეძლო, ასე დაერღვია დადგენილი წესრიგი, ისევე, როგორც გრძნობების ასეთი ქარიშხალი იყო წარმოუდგენელი მის ჩვეულებისამებრ მშვიდ სახეზე. მღელვარებას ის თითქოს დაებრმავებინა და ნაბიჯი არეოდა.

— პატიებას ვითხოვ, რომ გაწყვეტინებთ, მისტერ რიერდენ, — უთხრა გვენმა და რიერდენი მიხვდა, რომ მის გარდა, გვენი ვერაფერს ხედავდა: ვერც კაბინეტს, ვერც მისტერ უარდს, — ვფიქრობ, უნდა შეგატყობინოთ; რომ საკანონმდებლო ორგანომ ეს წუთია დაამტკიცა „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონი“.

— ოჰ, ღმერთო! არა! ოღონდ ეს არა! — წამოიყვირა მისტერ უარდმა.

რიერდენი წამოხტა და არაბუნებრივ პოზაში გაშეშდა: ამან წამი გასტანა. შემდეგ მან მიმოიხედა, თითქოს იმ წამს თვალი კვლავ აეხილა და წარმოთქვა:

— მომიტევეთ, — უთხრა ერთდროულად გვენსა და უარდს და ადგილს დაუბრუნდა.

— გაგვაფრთხილეს იმის შესახებ, რომ კანონპროექტი განსახილველად გაჰქონდათ? — თავშეკავებული, მკაცრი ხმით იკითხა რიერდენმა.

— არა, მისტერ რიერდენ. ეს მოულოდნელი სვლა იყო. კენჭისყრამ სულ ორმოცდახუთ წუთს გასტანა.

— ეს მაუჩმა შეგატყობინათ?

— არა, მისტერ რიერდენ, — გვენმა განსაკუთრებული მახვილი პირველ სიტყვაზე გააკეთა, — კურიერმა ჩამოირბინა მეხუთე სართულიდან და მითხრა, რომ იმ წუთს მოისმინა რადიოში. უამრავ რედაქციაში დავრეკე, მინდოდა

გადამემოწმებინა, მართალია თუ არა. ვაშინგტონში დარეკვას და მაუჩთან დაკავშირებას ვცდილობდი, მაგრამ მის კაბინეტში არავინ პასუხობს.

— ბოლოს როდის შეგეხმიანათ?

— ათი დღის წინ, მისტერ რიერდენ.

— კეთილი. გმადლობთ, გვენ. შეეცადეთ, მაუჩს დაუკავშირდეთ.

— დიახ, მისტერ რიერდენ.

გვენი გავიდა. მისტერ უარდი უკვე ფეხზე წამომდგარიყო, ქუდით ხელში — მე მგონი, აჯობებს... — დაიწყო მან ნირწამხდარი ხმით.

— დაბრძანდით, — შეუღრინა რიერდენმა.

უარდი უმწეოდ დაემორჩილა.

— ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია, — უთხრა რიერდენმა, უარდი ზუსტად ვერ იტყოდა, რა ემოციამ დაუბრიცა მას პირი ასე, — მისტერ უარდ, რატომ ვერ გვიტანენ ეს უსინდისო ნაბიჭვრები? ალბათ, ჩვენი დევიზისთვის: „საქმე — უპირველეს ყოვლისა“. მართლაც, მისტერ უარდ, უპირველეს ყოვლისა — საქმე.

რიერდენმა ტელეფონის ყურმილი აიღო და მენეჯერთან დაკავშირება ითხოვა.

— მომისმინე, პიტ... რა? ...ჰო, უკვე ვიცი... ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ. ახლა ის მინდა ვიცოდე, შეძლებ თუ არა უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში გრაფიკს გარეთ ხუთასი ტონა ფოლადის დამზადებას?.. ჰო, მესმის რომ რთულია... თარიღები და ციფრები მითხარი.

რიერდენი უსმენდა და ფურცელზე რაღაცას სწრაფად ინიშნავდა „კარგი, გმადლობ“, — უთხრა ბოლოს და ყურმილი დაკიდა.

რამდენიმე წამი ციფრებს დაჰყურებდა, რაღაცას ითვლიდა ფურცლის კიდეზე მერე თავი ასწია და თქვა:

— აი ასე, მისტერ უარდ: თქვენ მიიღებთ თქვენს ფოლადს ათ დღეში როცა უარდი გაისტუმრა, რიერდენი მისაღებში გავიდა.

— გვენ, ფლემინგს კოლორადოში სასწრაფო ტელეგრამა გაუგზავნე მაღაროს ნუღარ იყიდის. ის მიხვდება; რატომაც ვთქვი უარი.

გვენმა მორჩილად დაუკრა თავი თანხმობის ნიშნად, ისე, რომ არც კი შეუხედავს მისთვის.

რიერდენი შემდეგ სტუმარს მიუტრიალდა, ჟესტით კაბინეტში შეიპატიჟა და უთხრა:

— მოგესალმებით მობრძანდით „ამაზე მოგვიანებით ვიფიქრებ“; — უთხრა თავის თავს, — ადამიანი წინ ნაბიჯნაბიჯ მიდის და არ უნდა შეჩერდეს“. წამით, მისი ცნობიერება ერთმა არაბუნებრივად ცხადმა, სასტიკად მარტივმა აზრმა მოიცვა, ერთადერთმა აზრმა: ამან არ უნდა შემაჩეროს. ეს ფრაზა განცალკევებულად დაეკიდა მის გონებაში, წარსულისა და მომავლის გარეშე. არ ფიქრობდა, კერძოდ რას არ უნდა შეეჩერებინა. არც იმაზე დაფიქრებულა, თუ რატომ აღმოჩნდა ეს სიტყვები ასე უკიდურესად უდავო. აზრმა სრულიად მოიცვა მისი ცნობიერება და რიერდენს ისღა დარჩენოდა, დამორჩილებოდა, მანაც განაგრძო სვლა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყველა შეხვედრა ჩაატარა, სწორედ ისე, როგორც დაგეგმილი ჰქონდა.

უკვე გვიან იყო, როცა უკანასკნელმა სტუმარმა კაბინეტი დატოვა და რიერდენი მისაღებში გავიდა. ყველა თანამშრომელი წასულიყო. მხოლოდ მის აივსი დახვდა თავის მაგიდასთან დაცარიელებულ მისაღებში. წელში გამართული იჯდა, ხელები მოემუშტა და მუხლებზე დაეწყო. თავი მაღლა აეწია, სახე თითქოს გაყინვოდა.

ლოყებზე ცრემლები სცვიოდა — უნებურად, უხმოდ, მიუხედავად იმისა, რომ უძალიანდებოდა გვენმა რიერდენი შენიშნა და მშრალად, დამნაშავესავით უთხრა:

— მაპატიეთ, მისტერ რიერდენ, — არც უცდია, ცრემლები დაემალა.

რიერდენი მიუახლოვდა და ნაზად უთხრა — გმადლობთ.

გაოცებული გვენი მისკენ მიტრიალდა და ახედა.

რიერდენმა გაუღიმა:

— მე მგონი, ღირსეულად ვერ მაფასებთ, გვენ, ცოტა ნაადრევად ხომ არ დამტირით?

— ყველაფერს ავიტანდი, — ჩაიჩურჩულა გვენმა და და ხელი გაზეთისკენ გაიშვირა, რომელიც მაგიდაზე იდო, — მაგრამ ისინი ამას ანტისიხარბის გამარჯვებას უწოდებენ.

რიერდენს გაეღიმა:

— მესმის, რომ ინგლისური ენის ამგვარი დამახინჯება ნებისმიერ ადამიანს მოთმინებას დააკარგვინებს. სხვა ხომ არაფერი გნებავდათ?

გვენმა ისევ შეხედა რიერდენს, უკვე ოდნავ დამშვიდებულმა. ადამიანი, რომლის დაცვაც მის ძალებს აღემატებოდა, ერთადერთი, საყრდენი წერტილი იყო მისთვის სამყაროში, სადაც ყველაფერი ინგრეოდა.

რიერდენმა ნელა გადაუსვა ხელი თმაზე. ეტიკეტის: ამგვარი დარღვევა სრულიად უცხო იყო: მისთვის: უბრალოდ, მან უსიტყვოდ აღიარა ის, რაც არამც და არამც არ იყო სასაცილო, — სახლში წადით, გვენ. დღეს აღარ დამჭირდებით მეც მალე წავალ შინ არა, ნუ დამელოდებით, არ მინდა.

შუაღამეს გადაცილებული იყო. რიერდენი ჯერ კიდევ მაგიდას უჯდა და. ჯონ გოლტის ხაზის“ ხიდის ნახაზებს ჩაჰკირკიტებდა. მოულოდნელად მუშაობა შეწყვიტა — უეცრად მოზღვავებულ გრძნობებს ვეღარ გაუმკლავდა, თითქოს ნარკოზის მოქმედება დასრულდა. მხრები ჩამოყარა; მაინც სცადა, მოძალებულ სისუსტეს შესწინააღმდეგებოდა, მკერდით მაგიდას დააწვა, შეეცადა, თავი დაეჭირა — თითქოს მხოლოდ ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული, დანებდებოდა თუ არა. რამდენიმე წუთი ასე იყო გაქვავებული. ვერაფერს გრძნობდა მტანჯველი ტკივილის გარდა, უსაზღვრო, დაუნდობელი ტკივილის გარდა, წამების, რომელსაც მისი სული, მთელი სხეული, გონება მოეცვა.

თუმცა ცოტა ხანში ყველაფერი დასრულდა რიერდენმა თავი ასწია და გაიმართა, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. ახლა ხვდებოდა, რომ მთელი დღე ინტუიციურად სწორედ ამ წამის გადადებას ცდილობდა, მაგრამ გაუბედაობის გამო არა — არც კი ფიქრობდა მასზე, ან რა იყო დასაფიქრებელი.

„აზრი“, — შეახსენა მან საკუთარ თავს, — „ეს ის იარაღია, რომელსაც ადამიანი მოქმედებისთვის იყენებს“. მაგრამ ახლა მოქმედება შეუძლებელი იყო. აზრი ინსტრუმენტია, რომლის მეოხებითაც ადამიანი არჩევანს აკეთებს. მაგრამ მას არჩევანი არ დაუტოვეს. აზრი მიზანსა და მისი მიღწევის გზას განსაზღვრავს. და ახლა, როდესაც მთელ მის ცხოვრებას ნაკუწებად გლეჯდნენ, მას ხმის ამოღება არ შეეძლო, ვერ მოენახა მიზანი, გზა, თავდაცვა...

რიერდენი დათრგუნვილი და დაბნეული იყო. პირველად აღმოაჩინა, რომ აქამდე არ იცოდა, შიში რას ნიშნავდა, რადგან ნებისმიერი უსიამოვნების დროს უებარ ხერხს მიმართავდა — მოქმედებას იწყებდა. „არა“, — გაიფიქრა, — „გამარჯვების რწმენა კი არა — ვინ შეიძლება იყოს ბოლომდე დარწმუნებული გამარჯვებაში? უბრალოდ, მოქმედების შესაძლებლობა — აი, ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება“.

ახლა კი, პირველად თავის ცხოვრებაში, ნამდვილ ძრწოლას განიცდიდა, მთელი მისი არსით: მას აკოტრებდნენ, ხელები კი წინასწარ შეეკრათ.

„რაკი ასეა“, — გაიფიქრა, — „ხელებშეკრულმა უნდა იარო, თუნდაც ბორკილები დაგადონ, ამან არ უნდა გაგაჩეროს“... თუმცა მეორე ხმა. იმას ეუბნებოდა, რისი გაგონებაც არ სურდა, რასაც ებრძოდა: „რაში გჭირდება ეს ყველაფერი? რა ყრია ამაში... უაზრობაა... რისთვის?.. თავიდან ამოიგდე!“

მაგრამ ამის გაკეთება არ შეეძლო. „ჯონ გოლტის ხაზის“ ხიდის ნახაზებს დაჰყურებდა და შინაგან ხმას აყურადებდა — ხან ხმოვან, ხანაც ვიზუალურ ხატებებს: მათ ეს მის გარეშე გადაწყვიტეს... არ დაუძახეს, არ ჰკითხეს, არ ალაპარაკეს..: თავიც არ შეიწუხეს, არც კი შეატყობინეს, რომ ცხოვრების ნახევარი მოჰგლიჯეს და ამიერიდან სახიჩარივით უნდა ეცხოვრა... ყველა დაინტერესებულ ადამიანს შორის, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი და რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდათ, ის აღმოჩნდა ერთადერთი,; ვისი აზრიც არ გაითვალისწინეს.

„რიერდენის მადანი“ — იუწყებოდა აბრა შორეული წარსულიდან წლებზე და ღამეებზე გამოკიდებული... საათებზე, როცა რიერდენი, სიხარულით და აღტაცებით, წვეთ-წვეთად იძლეოდა სისხლს, ეს სანატრელი დღე და აბრა რომ ეხილა... თავისი წვალების, ძალისხმევის, გონებრივი დაძაბვისა და იმედების ფასად...

და ეს ყველაფერი განადგურდა იმ ადამიანების ახირების გამო, რომლებიც უბრალოდ დასხდნენ და კენჭი ყარეს. ვინ იცის, ვისი ინტერესებით მოქმედებდნენ?..

ან ვინ მიანიჭა მათ ძალაუფლება?.. რა მიზნები ჰქონდათ... რა იცოდნენ საერთოდ?

რომელი მათგანი მოახერხებდა, სხვისი დახმარების გარეშე თუნდაც ერთი ბელტი მოეპოვებინა მაღაროდან?.. ახლა კი ის ნადგურდება იმ ადამიანების ახირების გამო, რომლებიც მას არასდროს უნახავს... რომლებსაც არასდროს უნახავთ მეტალის ზოდები... განადგურდება, რადგან მათ ასე გადაწყვიტეს. რა უფლებით?

თავი გააქნია. „არის რაღაცეები, რაზეც აჯობებს, არ იფიქრო“, — გაიფიქრა მან, — „რადგან ბოროტება უხამსობაა და ადამიანის წაბილწვა შეუძლია. არსებობს ზღვარი, სადამდეც ადამიანი უნდა ხედავდეს. არ უნდა იფიქროს ამაზე, არც ეცადოს, რომ მასში ჩაიხედოს, მის ფესვებს ჩასწვდეს“.

სიმშვიდისა. და სიცარიელის შეგრძნება დაეუფლა. შეახსენა საკუთარ თავს, რომ ხვალ უკვე კარგად იქნებოდა. ამღამინდელი სისუსტე ეპატიებოდა, — როგორც დაკრძალვის დროს არის ცრემლები მისატევებელი, — მერე კი ისწავლიდა, როგორ ეცხოვრა ღია ჭრილობით ანუ დასახიჩრებული ქარხნით.

რიერდენი წამოადგა და ფანჯარასთან მივიდა. ქარხანა ჩუმი და უკაცრიელი ჩანდა. შავი მილების თავზე ძლივს შესამჩნევი ალისფერი ათინათი დაინახა, ობობის ქსელივით ერთმანეთში გადახლართული ამწეებისა და ხიდების ფონზე ორთქლის გრძელი ნაკადი ცისკენ მიიკლაკნებოდა.

ასეთი სასოწარკვეთილი და მარტოსული აქამდე არასდროს ყოფილა.

გაიფიქრა, რომ გვენი და მისტერ უარდი მისგან იმედს, ნუგეშსა და ვაჟკაცობის მაგალითს მოელოდნენ. თვითონ ვის დაჰყრდნობოდა? დღეს მასაც ჰაერივით სჭირდებოდა ეს ყველაფერი. გული დაწყდა, რომ ისეთი მეგობარი არ ჰყავდა, რომელსაც დახმარებას კი არ სთხოვდა, უბრალოდ, გულს გადაუშლიდა, ვისაც ნებისმიერ წუთს დაეყრდნობოდა და ეტყოდა: „ძალიან დავიღალე“, და ცოტა ხნით სულს მოითქვამდა. მაინც, ვის ნახვას ინატრებდა ახლა? პასუხი გონებაში გაიგონა, მყისიერი და შოკის მომგვრელი თავისი გულწრფელობით: ფრანცისკო დ'ანკონიას.

გაიცინა ბრაზმორეულმა. სიტუაციის აბსურდულობამ სიმშვიდე დაუბრუნა. „აი, რა ხდება, როცა სისუსტეს აჰყვები“, — გაიფიქრა რიერდენმა.

ფანჯარასთან იდგა. ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. მაგრამ ჯერ კიდევ თავში უტრიალებდა: „რიერდენის მაღაროები... რიერდენის ქვანახშირის. საბადოები, რიერდენის ფოლადი... რიერდენ მეტალი..;“ და რა მერე?.. რისთვის მიაღწია ამდენს?.. რატომღა უნდა, კიდევ გააკეთოს რაიმე?..

პირველი სამუშაო დღე რკინის მაღაროს კიდეზე... იმ ქარიან დღეს იდგა და ფოლადის ქარხნის ნანგრევებს გაჰყურებდა... მერე კი სხვა დღე, როცა აქ, თავის კაბინეტში იდგა, ამ ფანჯარასთან, და ცდილობდა, წარმოედგინა ხიდი, რომელიც განუსაზღვრელ დატვირთვას გაუძლებდა, მეტალის რამდენიმე კოჭს თუ თაღით შეაერთებდა, თუ დიაგონალზე გაჭიმავდა და წვერებს ზემოთ აღუნავდა.

ადგილზე გაშეშდა... იმ დღეს აზრადაც არ მოსვლია, კოჭები თაღთან დაეკავშირებინა.

მომდევნო წამს უკვე მაგიდასთან აღმოჩნდა, ცალი მუხლით სავარძელს დაყრდნობილი შეუდგა მუშაობას, დაჯდომა არც გახსენებია: ხაზავდა ხაზებს, მრუდებს, სამკუთხედებს... აჩქარებით ითვლიდა, — განურჩევლად ყველაფერზე — ნახაზებზე, პრეს-პაპიეზე, ვიღაცის წერილებზე...

ერთი საათის შემდეგ საქალაქთაშორისო სატელეფონო ზარი შეუკვეთა კოლორადოსთან. ელოდებოდა, როდის დარეკავდა ტელეფონი საწოლის გვერდით, სარკინიგზო ვაგონში. თითქმის ყვიროდა:

— დაგნი! ჩვენს ხიდთან დაკავშირებით გირეკავ... გადაყარე ყველა ნახაზი, რომელიც მე გამოგიგზავნე, იმიტომ, რომ... რა? აჰ, კანონზე მეუბნები? ეშმაკსაც წაუღია ეგ კანონი! რას დავეძებ მაგ ყაჩაღებს და მათ კანონებს! დაივიწყე! დაგნი, რა გვესაქმება მაგათთან! მომისმინე, ხომ გახსოვს ის კოჭი, რომელსაც რიერდენის კოჭი დაარქვი და ასე იყავი აღფრთოვანებული? არაფრად არ ვარგა. მოვიფიქრე სხვა კოჭი, რომელიც ყველას აჯობებს, რაც კი დღემდე არსებულა! შენი ხიდი ოთხ მატარებელს გაუძლებს ერთდროულად, სამას წელს იმუშავებს და სადრენაჟო წყლის მილზე იაფი დაგიჯდება! ახალ ნახაზებს ორ დღეში გამოგიგზავნი. მაგრამ ვერ მოვითმინე, ახლავე მინდოდა, მომეყოლა. ყველაფერი მარტივია, საჭიროა მხოლოდ, რომ ხიდის არტახი თაღთან შევაერთოთ. თუ სამაგრებს დიაგონალურად გავუშვებთ...

და რა?“ ...არ მესმის შენი. შენ რა, ხომ არ გაცივდი?“ რისთვის მიხდი მადლობას? დამაცადე, აგიხსნა...

თავი 8

„ჯონ გოლტის ხაზი“

მუშამ გაუღიმა ედი უილერსს, რომელიც მის მოპირდაპირედ იჯდა.

— აქ თავს დევნილივით ვგრძნობ, — თქვა ედიმ, — ალბათ, იცი, რატომ არ ვჩანდი რამდენიმე თვე, — და „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ კაფეტერიის კაფელით მოპირკეთებულ კედელზე მიანიშნა, — ახლა ვიცე-პრეზიდენტად ვითვლები, საოპერაციო დეპარტამენტის უფროსად. ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, ამას სერიოზულად ნუ მიიღებ. სანამდე შევძელი, გავუძელი, მერე იძულებული გავხდი, გამოვქცეულიყავი, ერთი საღამოთი მაინც... როცა ჩემი ვითომდა დაწინაურების შემდეგ აქ პირველად ჩამოვედი, ყველა ისე მიყურებდა, რომ მეორედ ჩამოსვლა უბრალოდ ვერ გავბედე. მიყურონ, რა ვქნა. შენ სხვა ხარ. მიხარია, რომ ეს შენთვის ეს არაფერს ნიშნავს... არა, უკვე ორი კვირაა, ის არ მინახავს. მაგრამ ყოველდღე

ტელეფონით ველაპარაკები, ხანდახან დღეში ორჯერაც კი... ჰო, ვიცი, როგორც უჭირს იქ, მაგრამ თავისი საქმე უყვარს. რა გვესმის, როცა ტელეფონით ვსაუბრობთ? — ხმოვანი ვიბრაციები, არა? მისი ხმა ყურმილში თითქოს სინათლის პულსაციას ემსგავსება — თუ, რასაკვირველია, გესმის, რისი თქმაც მინდა. ახარებს ამ საშინელ ომში მარტო ბრძოლა და გამარჯვება... ოჰ, დიახ, ის იმარჯვებს. იცი, ბოლო ხანებში გაზეთები რატომ არ წერენ „ჯონ გოლტის ხაზის“ შესახებ? იმიტომ, რომ იქ საქმეები უბრალოდ გადასარევად მიდის... ოღონდ... რკინიგზა რიერდენ მეტალისგან საუკეთესო იქნება კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ, აბა, რა აზრი აქვს, თუ საკმარისად მძლავრი ლოკომოტივები არ გვეყოლა, მაგისტრალის უპირატესობით რომ ვისარგებლოთ? შეხედე ამ დაკემსილ-დაკერებულ ნახშირის ორთქლმავლებს, მაგათ მეტი აღარაფერი დაგვრჩა — ძველები ლამის ტრამვაისავით დაჩოჩავენ... მაგრამ იმედი მაინც არსებობს. კომპანია „იუნაიტიდ ლოკომოტივ უორქსი“ გაკოტრდა. უკანასკნელი კვირების მანძილზე ამაზე კარგი არაფერი შეგვიტყვია — ქარხანა დუაიტ სანდერსმა შეისყიდა, ახალგაზრდა, ბრწყინვალე ინჟინერმა, ამ ქვეყნის საუკეთესო საავიაციო ქარხნის მეპატრონემ. „ იუნაიტიდ ლოკომოტივი“ რომ შეეძინა, თავისი ქარხანა ძმას მიჰყიდა. სხვათა შორის, ეს ყველაფერი „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“ გამო გააკეთა. რა თქმა უნდა, ძმებმა მოილაპარაკეს, მაგრამ ვინ დაადანაშაულებს? ასეა თუ ისე, „იუნაიტიდ ლოკომოტივ უორქსი“ ამუშავდება და ჩვენც ბოლოს და ბოლოს, ლოკომოტივებს მივიღებთ. დუაიტ სანდერსი იქაურობას სულს ჩაუდგამს... ჰო, მას დუაიტის იმედი აქვს. რატომ მეკითხები? ...ჰო, დუაიტი ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით ბევრს ნიშნავს. სულ ახლახან მოვაწერეთ ხელი კონტრაქტს მასთან პირველივე ათი ლოკომოტივის შესყიდვის შესახებ. როცა მას დავურეკე და ვაცნობე, რომ ხელშეკრულება გავაფორმეთ, გაიცინა და მითხრა: „აი, ხომ ხედავ? არაფრის არ უნდა გეშინოდეს“. ასე იმიტომ მითხრა, რომ იცის — მართალია, არასდროს მითქვამს მისთვის, მაგრამ იცის, რომ მეშინია... ჰო, მეშინია... არ ვიცი... მიზეზი ვიცოდე... რაიმეს ვიზამდი... მაგრამ ეს... ერთი ის მითხარი, არ გძულვარ იმის გამო, რომ ვიცე-პრეზიდენტი გავხდი?.. ნუთუ არ გესმის, რომ ეს უსამართლობაა? რომელი პატივი! თვითონაც ვერ გამიგია, ვინ ვარ სინამდვილეში.

ჯამბაზი, მოჩვენება, დუბლიორი, თუ უბრალოდ სულელი მარიონეტი. როცა მის კაბინეტში ვზივარ, მის სავარძელში, მის მაგიდასთან, კიდევ უფრო მეტად მიმძიმს.

თავი მკვლელი მგონია... რა თქმა უნდა, მესმის, რომ მისი შემცვლელი ვარ და ეს ჩემთვის მართლაც დიდი პატივია, მაგრამ..; მაგრამ როგორღაც, თვითონაც ვერ გამიგია, რანაირად, ჯიმ ტაგარტის დუბლიორიც გამოვდივარ. რატომ უნდა დასჭირვებოდა შემცვლელის დატოვება? რატომ უნდა იმალებოდეს? რატომ გააძევეს შენობიდან? იცი თუ არა, რომ იძულებული გახდა, რაღაც ჯურღმულში გადაბარგებულიყო, ჩვენი საფოსტო და საბარგო განყოფილების შესასვლელის მოპირდაპირედ?

როგორმე ერთხელ შეიარე და ნახე, როგორ გამოიყურება „ჯონ გოლტ ინკორპორეიტიდის“ ოფისი. და მაინც, ყველამ მშვენივრად იცის, რომ სწორედ ის მართავს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“. რატომ უნდა მალავდეს, რომ თავის საქმეს ბრწყინვალედ უძღვება? რატომ არ აფასებენ? რატომ ხდება ასე — მის მიღწევებს ყაჩაღურად იტაცებენ, მე კი ნაძარცვის გადამყიდველი გამოვდივარ? უკან არაფერზე იხევენ, ოღონდ მან წარმატებას არ მიაღწიოს, არადა, ეს მისი, მხოლოდ და

მხოლოდ მისი დამსახურებაა, ჯერ რომ არ გაკოტრებულან. ამის გამო ტანჯავენ?.. ეი; რა გჭირს?

ასე რატომ მიყურებ?.. ჰო, ვიცი, შენ ყველაფერს ხვდები. მთელ ამ ამბავში რაღაც მაინც ვერ გამიგია, რაღაც ბოროტი. აი, ამიტომაც მეშინია... ეჭვი მეპარება, ყველაფერი მარტივად მოგვარდეს... გაგიკვირდება და, მე მგონი,ეს თვითონაც იციან.

ჯიმმა და მისმა ბიჭებმა, ყველამ ამ შენობაში. აქ, მთელ ამ შენობაში დანაშაული და უნამუსობა იგრძნობა. რაღაც დანაშაულებრივი, საძაგელი და მკვდარი. „ტაგარტ ტრანსკონინენტალი“ იმ ადამიანს დაემსგავსა, რომელმაც სული დაკარგა... რომელმაც სულს უღალატა... არა, მას ეს არ ადარდებს. ნიუ-იორკში ბოლოს რომ დაბრუნდა, გაუფრთხილებლად მოვიდა ჩემთან. მე ჩემს, უფრო სწორად, მის კაბინეტში ვიჯექი, როცა კარი მოულოდნელად გაიღო და ის შემოვიდა. შემოვიდა და ამბობს:

„მისტერ უილერს, დისპეტჩერის სამუშაოს ვეძებ, იქნებ, შანსი მომცეთ?“ მინდოდა, გამეთათხა ყველა ისინი, მაგრამ ამის ნაცვლად, გადავიხარხარე: ისე გამიხარდა მისი ნახვა და ისიც ისე ხალისიანად იცინოდა... პირდაპირ აეროპორტიდან მოვიდა.

შარვალი და საზაფხულო ქურთუკი ეცვა — ძალიან ლამაზი იყო. ქარდაკრული სახე რომ არა, კურორტიდან დაბრუნებული გეგონებოდა. მაიძულა, მის ადგილას, ანუ მის სავარძელში დავრჩენილიყავი, თვითონ კი მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და „ჯონ გოლტის ხაზის“ ახალი ხიდის შესახებ მიყვებოდა... არა, არ მიკითხავს, რატომ აირჩია ეს სახელწოდება... არ ვიცი, რას ნიშნავს ეს მისთვის. ალბათ, ერთგვარ გამოწვევას, როგორც ვხვდები... მაგრამ არ ვიცი, ვისი მისამართით... რას უნდა ნიშნავდეს — არაფერს, რადგან არანაირი ჯონ გოლტი არ არსებობს, თუმცა, აჯობებდა, თავისი კომპანიისთვის სხვა რამე დაერქმია. შენ რას ფიქრობ? ...მოგწონს? შენი ხმის მიხედვით ამას ვერ იტყოდა კაცი...

* * *

როცა თავის მაგიდასთან იჯდა, ოფისის ფანჯრები ბნელ, ვიწრო შესახვევში გადიოდა.

როცა თავის მაგიდასთან იჯდა, დაგნი ცას ვერ ხედავდა — მის წინ აღმართული „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ცათამბჯენის გვერდითი კედელი ყველაფერს ფარავდა.

მისი ახალი შტაბ-ბინა დანგრევის პირამდე მისული შენობის პირველ სართულზე, ორ ოთახში იყო განლაგებული. შენობა ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ზედა სართულები უსაფრთხოების მიზნით აეჭედათ. აქ ნახევრად გაკოტრებული კომპანიები განთავსებულიყვნენ, რომლებიც, წარსულის ინერციით სულდგმულობდნენ, ამ შენობასავით.

დაგნის მოსწონდა თავისი ახალი ოფისი: იაფი უჯდებოდა. ოთახებში არც ზედმეტი ავეჯი იყო, არც ზედმეტი ხალხი. ავეჯი მეორად მაღაზიებში შეიძინა. შტატი იმათგან დააკომპლექტა, ვინც საუკეთესო იპოვა. ნიუ-იორკში იშვიათად ჩამოდიოდა და კაბინეტის მისახედად ვერ იცლიდა, თუმცა, ამჩნევდა, რომ დანიშნულებას შეესატყვისებოდა.

თვითონაც არ იცოდა, რამ აიძულა იმ საღამოს, ფანჯარასთან მდგარიყო. და ეყურებინა, როგორ ჩამოედინებოდა წვიმის წვეთები წვრილ ნაკადებად მინაზე, შესახვევის მოპირდაპირე სახლის კედლისთვის ეყურებინა.

შუაღამეს გადაცილებული იყო. მისი თითზე ჩამოსათვლელი თანამშრომლები უკვე სახლებში წავიდნენ. დილის სამ საათზე აეროპორტში უნდა ყოფილიყო, თავისი თვითმფრინავით კოლორადოში რომ გადაფრენილიყო. მნიშვნელოვანი აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, მხოლოდ ედის მიერ მომზადებულ რამდენიმე ანგარიშს უნდა გასცნობოდა. როცა გააცნობიერა, რომ არსად არ ეჩქარებოდა, კითხვა შეწყვიტა, თავს უფლება მისცა, ცოტა დაესვენა. ანგარიშები ყურადღებით უნდა წაეკითხა, დღეს კი ამის ძალა უკვე აღარ შერჩა. სახლში წასვლა და დაძინება არ ღირდა — უკვე გვიან იყო, არც აეროპორტში — ლოდინი მოუწევდა., „როგორ დაღლილხარ“, — გაიფიქრა დაგნიმ და მოუთმენლად, ზიზღით ელოდებოდა, როდის გადაუვლიდა ეს საძაგელი განწყობილება. ერთი სული ჰქონდა...

ნიუ-იორკში მოულოდნელად ჩამოფრინდა, მყისიერი გადაწყვეტილებით. ახალ ამბებში ერთი მოკლე ცნობა მოისმინა თუ არა, ოც წუთში უკვე თვითმფრინავში იჯდა. რადიოთი გამოაცხადეს, რომ დუაიტ სანდერსმა უეცრად, ყოველგვარი ახსნაგანმარტების გარეშე, საქმე დახურა. და დაგნი ნიუ-იორკში იმ იმედით გამოქანდა, რომ მოძებნიდა სანდერსს და გააჩერებდა.

თუმცა, უკვე ჰაერში, როდესაც კონტინენტს კვეთდა, ფიქრობდა, რომ ამ ადამიანის კვალსაც ვერ იპოვიდა.

გაზაფხულის წვიმა უმოძრაოდ ეკიდა ფანჯრის მიღმა, თხელი ნისლივით. დაგნი იჯდა, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ვაგზლის, ანუ, როგორც ახლა უწოდებდნენ, „ტაგარტ ტერმინალის“, საფოსტო-საბარგო განყოფილების შესასვლელ გვირაბს უყურებდა. შიგნით, ჭერზე, ფოლადის კოჭებს შორის, ნათურები ენთო; ბეტონის გაცვეთილ იატაკზე გორებად ეწყო ბარგი. განყოფილება მიტოვებული და ჩამკვდარი ჩანდა.

დაგნიმ ელვასავით გაკლაკნილ ბზარს შეხედა თავისი კაბინეტის კედელზე. სამარისებური სიჩუმე იდგა. იცოდა, რომ ნახევრად დანგრეულ შენობაში მარტოდმარტო იყო. არა მხოლოდ შენობაში, თითქოს მთელ ამ ქალაქშიც. ისევ მოეძალა განცდა, რომელსაც არაერთი წელი ებრძოდა — მარტოობის განცდა, გაცილებით დიდი, ვიდრე ეს წამი, ამ ოთახში გამეფებული მდუმარება, ვიდრე ეს ნესტიანი, უკაცრიელი ქუჩა იტევდა — ნაცრისფერი სიცარიელის მარტოობა, სადაც არ არსებობს მიზანი და მისაღწევიც არაფერია; მისი ბავშვობის მარტოობა.

ადგა და ფანჯარასთან მივიდა. მინას შუბლით მიაწვა და „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთელი შენობა დაინახა, რომლის ცად აწვდენილ კედლებს კოშკურა აგვირგვინებდა. ოდესღაც თავისი კაბინეტის ჩაბნელებულ ფანჯარას ახედა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს გადასახლება მიუსაჯეს, საიდანაც ველარასდროს დაბრუნდებოდა; თითქოს ამ შენობისგან გაცილებით მეტი რამ მიჯნავდა, ვიდრე ფანჯრის თხელი მინა, წვიმის ფარდა და თითზე ჩამოსათვლელი თვეები იყო.

დაგნი იდგა ოთახში, სადაც კედლებიდან ბათქაში ცვიოდა და სახით ფანჯრის მინას მიყრდნობილი შეჰყურებდა იმ ყველაფრის მიუწვდომელ სილუეტს, ასე უზომოდ რომ უყვარდა. არ ესმოდა თავისი მარტოობის არსი. მხოლოდ ასე შეეძლო, აღეწერა: „ეს არ არის ის სამყარო, სადაც ცხოვრება მენდომებოდა“.

ერთხელ, როცა თექვსმეტი წლისა „ტაგარტის“ უსასრულო ლიანდაგებს გაჰყურებდა, ამ ცათამბჯენის ხაზებივით, რომელიღაც შორეულ წერტილში ერთმანეთს რომ უერთდებოდნენ, ედი უილერსს უთხრა, რომ ყოველთვის ეჩვენებოდა, თითქოს ეს რელსები, სადღაც ჰორიზონტს მიღმა, ერთ ადამიანს ეკავა

ხელში, — არა, არა მამამისს ან კომპანიის რომელიმე თანამშრომელს, — და რომ დაგნი ოდესმე შეხვდებოდა ამ ადამიანს.

თავი გააქნია და ფანჯარას მოშორდა.

მაგიდასთან დაბრუნდა. ედის მომზადებულ ანგარიშებს მიუბრუნდა და უეცრად აღმოაჩინა, რომ მკერდით გადაწოლილიყო მაგიდაზე, თავი ხელზე ჩამოედო. „არ დანებდე“, — გაიფიქრა დაგნიმ; მაგრამ არც კი განძრეულა, არ უცდია, წამოწეულიყო: რა მნიშვნელობა ჰქონდა?.. ახლა ხომ მაინც ვერავინ ხედავდა.

ყოველთვის უკრძალავდა საკუთარ თავს თავისი ყველაზე ძლიერი სურვილის აღიარებას.

ახლა კი ის ისევ მოეძალა. გაიფიქრა: თუკი ყველაფერ იმაზე, რასაც სამყარო მას სთავაზობს, თვითონ სიყვარულით პასუხობს, თუ ეს რელსები უყვარს, ეს შენობა, და მეტიც: თუ ის სიყვარული უყვარდა საკუთარ თავში, რომლითაც ესენი უყვარდ.

— მაინც რჩება კიდევ ერთი განცდა, დანარჩენებზე აღმატებული, რომელიც მას გამორჩა. გაიფიქრა: უნდა იპოვოს ისეთი გრძნობა, რომელიც შეაჯამებს ყველაფერს, რაც მას ამქვეყნად უყვარს, საბოლოო გამოხატულება ამ სიყვარულისა... უნდა იპოვოს გონება, თავისი გონების მსგავსი, რომელიც მისი სამყაროს აზრი გახდება, როგორც ის თავად გახდებოდა მისი სამყაროს აზრი... არა, არა ფრანცისკო დ'ანკონია და არც ჰენკ რიერდენი — არც ერთი ის მამაკაცი, ვისაც იცნობდა ან ვისითაც აღფრთოვანებული იყო... ადამიანი, რომელიც არსებობდა მხოლოდ მის წადილში, განეცადა ეს გრძნობა, რომელიც მას არასდროს არ განუცდია, მაგრამ სიცოცხლეს მისცემდა მისი განცდისთვის... დაგნი მკერდით მაგიდას დაეყრდნო; ოდნავ შეინძრა; მტანჯველ სურვილს მთელი მისი სხეული მოეცვა.

სულ ეს არის, რაც გჭირდება? ნუთუ ასე იოლადაა საქმე? — გაიფიქრა დაგნიმ, თუმცა მშვენივრად ხვდებოდა, რომ საქმე ძალიანაც რთულად იყო. თავისი სამუშაოსადმი მის სიყვარულსა და მისივე სხეულის სურვილს შორის, — თითქოს პირველი მას მეორის უფლებას აძლევდა, — ურღვევი კავშირი არსებობდა, რომელიც ერთსაც და მეორესაც მთლიანობასა და არსს ატყობინებდა და ყველაფერს აგვირგვინებდა... და მას მხოლოდ დაგნის სწორი მამაკაცი თუ შეესატყვისებოდა.

სახით ხელს დაყრდნობილი, ოდნავ შეინძრა;, თავი გააქნია — ის მას ვერასდროს იპოვის. და მისი წარმოდგენა ცხოვრების შესახებ, მისი რაგვარობის შესახებ, დარჩება იმ სამყაროს ერთადერთ ზმანებად, რომელშიც ეწადა არსებობა. ზმანებად,; აზრად და რამდენიმე იშვიათ წამად, დროდადრო რომ დგებოდა მის ცხოვრებაში — რათა სცოდნოდა, დაეფასებინა და მიჰყოლოდა მათ სულ ბოლომდე...

დაგნიმ თავი ასწია.

ფანჯრიდან, გარეთ, ტროტუარზე, მისი ოფისის შესასვლელთან, ადამიანის ლანდი გაწოლილიყო.

კარი რამდენიმე ნაბიჯში იყო; დაგნი უცნობს ვერ ხედავდა, ვერც ლამპიონს ქუჩაში — მხოლოდ აჩრდილს ტროტუარზე. უცნობი გაქვავებული იდგა.

ისე ახლოს იყო კართან, გეგონებოდა, შეაღებსო, დაგნი უკვე ელოდა, როდის დააკაკუნებდა. მაგრამ ლანდი უცებ მკვეთრად გატრიალდა და გვერდზე გაიწია. წუთით ისევ გაშეშდა და მიწაზე მხოლოდ მისი მხრების და შლაპის კიდეების კონტური გამოისახა. მერე ისევ დაიძრა და კართან მობრუნდა, ისევ გაზრდილი.

დაგნის არ შეშინებია. მაგიდასთან იჯდა გაუნძრევლად და იცდიდა. უცნობი ცოტა ხანს კართან გაჩერდა, შემდეგ ისევ უკან დაიხია; ის შუა ქუჩაში იდგა. რამდენიმე ნერვიული ნაბიჯი გადადგა და ისევ გაჩერდა. მისი ჩრდილი შუქურასავით

ირხეოდა ტროტუარზე, თითქოს უხმო ბრძოლის ნიშნად: ეს ადამიანი საკუთარ თავს ებრძოდა — ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო კარში თუ არ შესულიყო.

დაგნი ისე უყურებდა ამ ყველაფერს, თითქოს მასთან არავითარი კავშირი არ ჰქონოდა. მოქმედების ძალა ვერ მოეკრიბა, მხოლოდ ყურება შეეძლო. გეგონებოდა, სადღაც შორიდან მარჩიელობდა: ვინ არის ეს კაცი? ნეტა, მას უთვალთვალებს სიბნელიდან? დაინახა თუ არა განათებულ, უფარდებო ფანჯარაში, როგორ დაემხო ღონემიხდილი მაგიდაზე? ისევე შეესწრო დაგნის სასოწარკვეთილ მარტოობას, როგორც ახლა თვითონ აკვირდებოდა მის შინაგან სულიერ ჭიდილს? დაგნი არაფერს გრძნობდა.

ისინი მარტონი იყვნენ მკვდარი ქალაქის მდუმარებაში ეჩვენებოდა, რომ უცნობი საკმაო მანძილით იყო დაშორებული და თავის უსახელო ტანჯვას განასხეულებდა; გადარჩენილი თანამოძმე, რომლის პრობლემებიც ისეთივე შორეული იყო დაგნისთვის, როგორც დაგნის გასაჭირი იქნებოდა იმისთვის.

უცნობმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კედელს მიეფარა და მერე ისევ დაბრუნდა. დაგნი იცდიდა და სველ, მოლაპლაპე ტროტუარს აკვირდებოდა — ამ უსახელო ტანჯვის აჩრდილს.

აჩრდილი ისევ მოეფარა თვალს. დაგნი ელოდებოდა მაგრამ ის აღარ დაბრუნდა ფეხზე წამოვარდა. უნდოდა, ამ ბრძოლის ფინალი ენახა; ახლა, როცა უცნობმა გაიმარჯვა — ან, იქნებ, დამარცხდა, — დაგნის უეცრად დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, სასწრაფოდ დაედგინა მისი ვინაობა და მისი ყოყმანის მიზეზი. ჩაბნელებული მისაღები გადაკვეთა, კარი გააღო და გარეთ გაიხედა.

ქუჩაში არავინ იყო. ტროტუარი თანდათან ვიწროვდებოდა და შორს მიემართებოდა. ის სველ სარკეს ჰგავდა, რომელსაც რამდენიმე ლამპიონი დაჰნათოდა. ახლომახლო არავინ ჩანდა. დაგნის თვალში მიტოვებული მაღაზიის ჩამსხვრეულ ვიტრინაში შავი ხვრელი მოხვდა, ამის იქით კი რამდენიმე საცხოვრებელი სახლის კარები. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მიწისქვეშა გვირაბების ღია კარის თავზე, ფარნის შუქზე წვიმის წვეთები ბრწყინავდა.

* * *

რიერდენმა ქაღალდებს ხელი მოაწერა, მაგიდაზე მიყარა და გატრიალდა, ინატრა, აღარასოდეს გახსენებოდა ისინი, ან კიდევ უკეთესი — იმ შორეულ მომავალში გადაენაცვლა, როდესაც ეს წუთი სამუდამოდ წაიშლებოდა მისი მეხსიერებიდან.

პოლ ლარკინმა გაუბედავად წაიღო ხელი ქაღალდების ასაღებად უსუსური და მლიქვნელური გამომეტყველება ჰქონდა.

— მხოლოდ იურიდიული ფორმალობაა, ჰენკ. ხომ იცი, რომ ეს რკინის მაღაროები ყოველთვის შენი იქნება. მე ესე ვთვლი.

რიერდენმა თავი ნელა გააქნია, მხოლოდ კისრის კუნთები შეუტოკდა ოდნავ, სახე თითქმის არ შესცვლია; საერთოდაც, თავი ისე ეჭირა, თითქოს ლარკინი არასოდეს სცნობია.

— არა, — თქვა მან, — საკუთრება ან ჩემია, ან არა.

— მაგრამ... უნდა მენდო, მადანთან დაკავშირებით ნუ ინერვიულებ. ჩვენ შეთანხმება დავდეთ... ხომ იცი, რომ შეგიძლია, ბოლომდე მენდო.

— ჯერ არ ვიცი, იმედი მაქვს, შემიძლია.

— მაგრამ მე სიტყვა მოგეცი!

— აქამდე სხვის სიტყვაზე დამოკიდებული არასოდეს ვყოფილვარ.

— რატომ... რატომ ამბობ მაგას? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. შენთვის ყველაფერს გავაკეთებ. რასაც კი მოვიპოვებ, შენ მოგაწვდი. ეს მაღაროები კვლავინდებურად შენია — შენი. რისი გეშინია. მე... ჰენკ, რა გჭირს?

— რა საჭიროა ეს სიტყვები?

— კი მაგრამ, მაინც რა ხდება, ჰენკ?

— არ მიყვარს შეპირებები. ნუ მიყვები, როგორ კარგად ვარ ახლა. არ ვარ. ჩვენ გარიგება დავდეთ, რომელსაც მე ვერ დავარღვევ. მინდა, რომ იცოდე — მშვენივრად მესმის, რა მდგომარეობაშიც აღმოვჩნდი. თუ განზრახული გაქვს, დანაპირები შეასრულო — შეასრულე, ამაზე ნუ ლაპარაკობ. უბრალოდ, შეასრულე.

— რატომ მიყურებ ისე, თითქოს ჩემი ბრალი იყოს? ხომ იცი, როგორი მიუღებელია ჩემთვის ეს კანონი; შენი მაღაროები მხოლოდ იმიტომ ვიყიდე, რომ რამით დაგხმარებოდი, ანუ იმიტომ, რომ ვიფიქრე, მეგობარს უფრო მიჰყიდდი, ვიდრე ვიღაც უცნობს. ჩემი ბრალი არ არის. მე თვითონ არ მომწონს ეს უბადრუკი კანონი. არ ვიცი, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ მას დაამტკიცებდნენ. გავოგნდი, როცა მათ...

— არ გვინდა მაგაზე.

— მაგრამ, მე...

— ასე რატომ გინდა ამაზე ლაპარაკი?

— მე... მე ხომ ყველაზე მაღალი ფასი შემოგთავაზე, ჰენკ, — უთხრა ლარკინმა მუდარის ტონით, — კანონში ნათქვამია „გონივრული კომპენსაცია“, და ჩემი წინადადება ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა შენთვის.

რიერდენმა ქაღალდებს შეხედა მაგიდაზე, ისინი ისევ იქ ეყარა. გაიფიქრა საფასურზე, რომელსაც ქაღალდების თანახმად, თავისი მაღაროების გაყიდვით მიიღებდა. ამ თანხის ორი მესამედი ლარკინმა სახელმწიფო სესხის სახით აიღო; ეს კანონი ითვალისწინებდა ამგვარ სესხებს: „რათა ახალ მფლობელებს, მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობები, რასაც ადრე მოკლებულნი იყვნენ“...

თანხის დარჩენილი მესამედი ნაწილი ლარკინს თავად რიერდენმა მისცა, გირავნობით, რომელიც საკუთარი მაღაროებისთვის მიიღო...

„და სახელმწიფო ფული?“, — გაიფიქრა ანაზდად; — „საიდან მოიტანეს ფული, რომელიც მას მაღაროებში გადაუხადეს? ვინ გამოიმუშავა ეს ფული?

— არაფერზე იდარდო, ჰენკ, — უთხრა ლარკინმა „ადრინდელი, გულის ამრევი ხმით, — ეს წმინდა წყლის ფორმალობაა.

რიერდენი შეეცადა, მიმხვდარიყო, რა უნდოდა ლარკინს მისგან.

გრძნობდა, რომ გარდა თვითონ გაყიდვის ფაქტისა, მისგან კიდევ მოითხოვდნენ რაღაცას — შეგნებული მოქალაქის სიტყვებს, რომლებიც ამ ვითარებას მოუხდებოდა, რაღაც აბსურდული გულმოწყალების გამოვლენას ლარკინს, ამ მისთვის ყველაზე იღბლიან წუთებში, რატომღაც საცოდავი მათხოვრის თვალები ჰქონდა.

— რატომ ბრაზობ, ჰენკ? ეს მხოლოდ ახალი ბიუროკრატიული ფორმალობაა. უბრალოდ, ისტორიული ვითარება შეიცვალა. და. ამაში ბრალი არავის მიუძღვის, ისტორია ჩვენზე მაღლა დგას. ვერავის დაადანაშაულებ ამის გამო. მაგრამ ყოველთვის მოიძებნება გამოსავალი, არსებობა რომ გაიხანგრძლივო. შეხედე დანარჩენებს. ყველა მშვიდად არის. ისინი...

— მათთვის წართმეულ საწარმოებს მათივე მარიონეტები მართავენ, რომლებსაც თვითონ აკონტროლებენ. მე კი...

— რა საჭიროა მასეთი სიტყვები, ჰენკ?

— ერთი რამეც უნდა შეგახსენო, — თუმცა, ვფიქრობ, ეს შენც მშვენივრად მოგეხსენება, — მასეთი თამაშები არ მეხერხება. არც დრო მაქვს და არც სურვილი, ათასნაირად დაგაშანტაჟო და ხელ-ფეხი შეგიკრა და გამოგიყენო, რომ ჩემი მაღაროები ისევ მე ვმართო. საკუთრებას ვერავისთან ვერ გავიზიარებ. არ მსურს, საბადოები შენი სიმხდალის წყალობით შევინარჩუნო — მუდმივად ვცდილობდე, ჭკუაში მოგატყუო და ახალ-ახალი საფრთხეებით დაგაშინო. არ მინდა ასეთი ბიზნესი, მხდალებთან არაფერი მესაქმება. მე ბიზნესს ასეთი მეთოდებით არ ვაწარმოებ და ლაჩრებთან საქმეს არ ვიჭერ. საბადოები შენია. თუ აპირებ, შენ მიერ მოპოვებული მადანი მთლიანად მე მომყიდო — ასეც მოიქცევი. ჩემი მოტყუება თუ გაქვს გადაწყვეტილი — რა გაეწყობა, ნება შენია.

ლარკინი გულნატკენი ჩანდა.

— უსამართლოდ იქცევი, ჰენკ, — თქვა მან ალალმართალი კაცის საყვედურით ხმაში, — შენთვის უნდობლობის საბაბი არასდროს მომიცია.

ფიცხი მოძრაობით აკრიფა მაგიდიდან ქაღალდები და სასწრაფოდ პიჯაკის შიდა ჯიბეში უკრა თავი.

როდესაც ლარკინმა წამით პიჯაკი შეიხსნა, რიერდენმა თვალი შეასწრო მის მსუქან, დონდლო სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნილ ჟილეტს და ოფლის ლაქას იღლიებთან.

უეცრად მეხსიერებაში ოცდაშვიდი წლის წინ ქუჩაში ნანახი სახე ამოუტივტივდა. ეს მოძღვრის სახე იყო, რომელსაც რომელიღაც უკვე გადავიწყებული პატარა ქალაქის რომელიღაც ქუჩის კუთხეში შეეფეთა. გაახსენდა ბარაკების ჩამუქებული კედლები, შემოდგომის წვიმიანი ბინდბუნდი და ამ კაცის სამართლიანი რისხვით დაბრეცილი ტუჩები, რომელიც გაჰკიოდა:

— ყველაზე კეთილშობილი იდეალი ის ადამიანია, რომელიც მოყვასისთვის ცხოვრობს; სუსტის ნაცვლად ძლიერმა უნდა იმუშაოს, რათა თავისი ნიჭით ემსახუროს მას, ვისაც უფალმა ამგვარი ნიჭი არ უწყალობა...

შემდეგ თვრამეტის წლის ჰენკ რიერდენი გაიხსენა. წარმოუდგა თავისი დაძაბული სახე, როგორ სწრაფად მიაბიჯებდა, მათრობელა აღფრთოვანებით აღსავსე სხეული, — უძილო ღამეების დამბანგავი ენერგიით, — ამაყად აწეული თავი; მკაცრი თვალების სუფთა და უცვლელი გამოხედვა, იმ ადამიანის მზერა, რომელიც თავდაუზოგავად მიიწევდა დასახული მიზნისკენ.

შემდეგ პოლ ლარკინი დაინახა, დაინახა, როგორი იქნებოდა ის იმ წლებში — ახალგაზრდა კაცი დაბერებული ჩვილის სახით, პირმოთნე, უსიხარულო ღიმილით, რომელიც იმუდარება, არ განირონ, ემუდარება სამყაროს, შანსი გამოიმეტოს მისთვის. ახალგაზრდა ლარკინი მაშინდელი ჰენკ რიერდენისთვის რომ დაენახვებინათ და ეთქვათ: აი, ამ უხეიროსთვის იშრომებ მთელი ცხოვრება, აი, ვინ მოიმკის შენც შრომის ნაყოფს...

ეს უბრალოდ მოგონება არ იყო — თითქოს თავში ჩასცხესო.

როცა აზროვნების უნარი ისევ დაუბრუნდა, მიხვდა, რასაც იგრძნობდა თვრამეტი წლის ჰენკ რიერდენი: ეს საზიზღარი არარაობა ჭიაყელასავით გაესრისა ფეხით და სამუდამოდ გაექრო მისი სლიპინა სხეული.

მსგავსი ემოცია აქამდე არასდროს განეცადა. დრო დასჭირდა, რომ გაეცნობიერებინა: სწორედ ამას ერქვა სიძულვილი.

შენიშნა, რომ ლარკინმა ისეთი ნაწყენი და საყვედურით სავსე გამომეტყველებით ჩაიბურტყუნა გამოსამშვიდობებელი სიტყვები, თითქოს თვითონ ყოფილიყო დაზარალებული მხარე.

როცა რიერდენმა თავისი ქვანახშირის მაღაროები კენ დენეგერს მიჰყიდა, ქვანახშირის კომპანიის მფლობელს პენსილვანიაში, უკვირდა, რატომ ვერ იგრძნო განსაკუთრებული წუხილი ამ ამბის გამო. მაშინ არავითარი სიძულვილი არ უგრძნია.

კენ დენეგერი ორმოცდაათს იყო გადაცილებული. მკაცრი და შეუვალი სახე ჰქონდა. კარიერა რიგითი, უბრალო მაღაროს მუშაობით დაიწყო.

როცა რიერდენმა დენეგერს საკუთრების უფლების დამადასტურებელი აქტი გადასცა, დენეგერმა გულგრილი ტონით თქვა:

— მგონი, დამავიწყდა, მეთქვა, რომ ქვანახშირის ყოველ შეკვეთაში მხოლოდ თვითღირებულებას გადამიხდით.

რიერდენმა გაკვირვებით შეხედა:

— მაგრამ, ეს ხომ კანონს ეწინააღმდეგება!

— ვინ გაიგებს, რა თანხა გადმოგეცით თქვენს საკუთარ მისაღებში?

— ფასდაკლებას გულისხმობთ?

— დიახ.

— მაგრამ ასე უამრავ კანონს დაარღვევთ ამ ფაქტზე თუ დაგიჭირეს ჩემზე უარესი დღე დაგადგებათ.

— რა თქმა უნდა. ეს თქვენი დაცვაა — ჩემი კეთილი ნების იმედად არ იქნებით.

რიერდენმა გაიღიმა. ეს ბედნიერი ღიმილი იყო, მაგრამ თვალები დახარა, თითქოს დარტყმა აიცდინა... მერე კი უარის ნიშნად თავი გააქნია:

— გმადლობ, მაგრამ მე ერთ-ერთი მათგანი არ ვარ. არ მინდა, ვინმემ ჩემ გამო იზარალოს.

— არც მე ვარ ერთი მათგანი, — გაგულისებით უპასუხა დენეგერმა, — მომისმინეთ, რიერდენ, როგორ ფიქრობთ, არ მესმის, რომ ის მივიღე, რაც არ დამიმსახურებია? დღეს მაღაროების ფასი ფულით არ განისაზღვრება.

— თქვენ არ გითხოვიათ ჩემთვის, მომეყიდა ჩემი საკუთრება. ეს თვითონ შემოგთავაზეთ. მინდოდა, ამ ბიზნესში ვინმე თქვენი მსგავსი მეპოვა, ვისაც გულდამშვიდებული გადავცემდი ჩემს მაღაროებს ასეთი არავინ აღმოჩნდა. თუ გსურთ, სამსახური გამიწიოთ, ფასდაკლებას ნუ შემომთავაზებთ. მომეცით საშუალება, სრული საფასური გადაგიხადოთ, იმაზე მეტი, ვიდრე სხვები გადაგიხდიან. გნებავთ, ცხრა პირი ტყავი გამაძვრეთ, ოღონდ ქვანახშირი პირველს მე მომაწოდეთ. საკუთარ საქმეებს თვითონ გავუმკლავდები როგორმე. ოღონდაც ქვანახშირი მქონდეს.

— გექნებათ!

რიერდენს ერთი ხანი ვერა და ვერ გაეგო, სად დაიკარგა უესლი მაუჩი. სატელეფონო ზარებს ვაშინგტონში არავინ პასუხობდა. მოგვიანებით წერილი მიიღო, რომელიც მხოლოდ ერთი წინადადებისგან შედგებოდა და აუწყებდა, რომ მისტერ მაუჩი პოსტიდან გადადგა. ორი, კვირის შემდეგ კი რიერდენმა გაზეთებიდან შეიტყო, რომ ის ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროს კოორდინატორის თანაშემწედ დაინიშნა.

„ნუ იფიქრებ ამაზე“, — უმეორებდა რიერდენი საკუთარ თავს უძილო ღამეებში და ებრძოდა ახალ, მისთვის აქამდე უცნობ, უსაზღვროდ საძულველ განცდას, „სამყაროში წარმოუდგენელმა ბოროტებამ დაისადგურა, შენ ეს იცი და დეტალებს ნუღარ ჩაუღრმავდები. უბრალოდ, უფრო მეტი უნდა იმუშაო. კიდევ უფრო მეტი. ნუ დაუშვებ, რომ მან გაიმარჯვოს“.

რიერდენ მეტალისგან დამზადებული კოჭები და განივები:ყოველდღე ეგზავნებოდა „ჯონ გოლტის ხაზის“ მშენებლობას: კანიონის მთელ სიგრძეზე მოცისფრო-მომწვანო მეტალისგან აწყობილი ხიდის პირველი კონტურები უკვე ბრწყინავდა გაზაფხულის მზის სხივებზე.

ტკივილის განცდის დრო არ ჰქონდა, არც ენერგია მრისხანებისთვის. რამდენიმე კვირაში ყველაფერმა გაუარა: სიძულვილის დამაბრმავებელი შეტევები შეწყდა და აღარ დაბრუნებულა.

იმ საღამოს, როცა ედი უილერსს დაურეკა, თავს უკვე სრულად აკონტროლებდა:

— ედი, ნიუ-იორკში ვარ, სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“. ხვალ დილით მოდი, ერთად ვისაუზმოთ. რაღაცაზე მინდა,დაგელაპარაკო.

ედი უილერსი რიერდენთან შესახვედრად დანაშაულის განცდით დამძიმებული მიდიოდა.

ჯერაც ვერ მოჰგებოდა გონს „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“ მიღების მერე. სულში რაღაც ყრუდ სტკიოდა, დარტყმის შედეგად გაჩენილი სისხლჩაქცევასავით. ქალაქი აღიზიანებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველგან უხილავ, ავის მომასწავებელ საფრთხეს დაესადგურებინა. შიშს აეტანა იმ ადამიანთან პირისპირ შეხვედრის წინ, რომელიც ახალ კანონს „ემსხვერპლა: ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ამ კანონის ასე აბსურდულად, საზარლად დამტკიცებაში თავადაც მიუძღოდა ბრალი.

როგორც კი რიერდენი დაინახა, ეს შეგრძნება „გაუქარწყლდა. რიერდენს მსხვერპლს არაფერი მიუგავდა. სასტუმროს ნომრის ფანჯრებს მიღმა ადრიანი დილის მზის სხივებს ქალაქი გაებრწყინებინა; მკრთალი ცისფერი ცაც ისეთი ნორჩი ჩანდა; ოფისები ჯერ არ გაეღოთ და არც ქალაქი გეგონებოდა ისეთი ავის მომასწავებელი. პირიქით — ხალისიანი იყო, იმედით სავსე, მოქმედებისთვის შემართებული რიერდენივით, რომელიც გამოძინებული და დასვენებული ჩანდა. ხალათი შემოეცვა, ეტყობოდა, დრო ვერ გაიმეტა ჩაცმისთვის — ერთი სული ჰქონდა, თავის საყვარელ თამაშს შესდგომოდა — თავის. საქმიან მოვალეობებს.

— დილა მშვიდობისა, ედი. მაპატიე, თუ გამოძინება არ დაგაცადე, მაგრამ მერე ვეღარ მოვიცლიდი. საუზმის შემდეგ სასწრაფოდ ფილადელფიაში მივფრინავ. თან ვისაუზმოთ, თან ვილაპარაკოთ.

მუქი ლურჯი ხალათი ეცვა, ფლანელის, გულის ჯიბეზე თეთრი ინიციალებით „ჰ. რ.“, ახალგაზრდა და თავისუფალი ჩანდა, ამ ნომერში და მთელ სამყაროში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

ედიმ თვალი გააყოლა ოფიციანტს, რომელმაც ისე მოხერხებულად და სწრაფად შემოაგორა ნომერში სერვირებული გორგოლაჭებიანი მაგიდა, რომ სტუმარი უნებლიეთ ლამის ადგილიდან წამოიწია. იგრძნო, როგორ ესიამოვნა გახამებული, ქათქათა სუფრის, მზის სხივებზე აელვარებული ვერცხლეულისა და ყინულის კუბებით სავსე თასების დანახვა, რომლებშიც ახლად გამოწურული ფორთოხლის: წვენით სავსე სასმისები ჩაედგათ. არასოდეს უფიქრია ასეთ რამეებს მხნეობისა და სიამოვნების მინიჭება თუ შეეძლოთ.

— არ მინდოდა, დაგნის ამ თემაზე ტელეფონით დავლაპარაკებოდი, — თქვა რიერდენმა, — საქმე ისედაც არ აკლია. ამას ჩვენ თვითონაც ორიოდე წუთში მოვაგვარებთ — თუკი მე საამისო უფლებამოსილება მაქვს.

— რიერდენმა გაიღიმა და მაგიდისკენ გადმოიხარა:

— გაქვს... ედი, როგორია „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა? უიმედო?

— კიდევ უფრო უარესი, მისტერ რიერდენ.

— ხელფასების გასტუმრებას ახერხებთ?

— სრულად ვერა. ჯერ პრესას არ ვუმხელთ, მაგრამ ვეჭვობ საიდუმლო აღარავისთვის აღარ არის. ყველგან დავალიანება გვაქვს და ჯიმი უკვე ვერც ხვდება, თავი როგორ გაიმართლოს.

— თუ იცი, რომ მომავალ კვირას რიერდენ მეტალის რელსებისთვის თანხის პირველი ნაწილი უნდა გადაიხადოთ?

— დიახ, ვიცი.

— კარგი, მორატორიუმს გთავაზობთ ვაპირებ, გადაგივადოთ — არ აფრის გადახდა არ მოგიწევთ, ვიდრე „ჯონ გოლტის ხაზის“ გახსნიდან ექვსი თვე არ გავა.

ედიმ ყავის ფინჯანი ლამბაქზე წკარუნით დადგა. სიტყვა ვეღარ დაძრა.

რიერდენს გაეცინა:

— რა მოგივიდა? ვფიქრობ, საამისო ძალაუფლება გაქვს, ასე არ არის?

— მისტერ რიერდენ... არც კი ვიცი... რა გითხრათ.

— უბრალოდ თქვი, რომ თანახმა ხარ. მეტი არაფერი.

— თანახმა ვარ, მისტერ რიერდენ, — ძლივს ამოილუღლუღა ედიმ.

— ყველა საჭირო დოკუმენტს მოვამზადებ და გამოგიგზავნით. ჯიმს მოუყევი და უთხარი, ხელი მოაწეროს.

— დიახ, მისტერ რიერდენ.

— არ მიყვარს ჯიმთან საქმის დაჭერა. ორ საათს დახარჯავდა, რომ საკუთარი თავი დაერწმუნებინა, თითქოს მოახერხა, დაემტკიცებინა ჩემთვის, ვითომდა თავისი თანხმობით დიდი პატივი დამდო.

ედი გაუნძრევლად იჯდა და თეფშს დასჩერებოდა — რა ხდება, ედი?

— მისტერ რიერდენ... მინდა მადლობა გადაგიხადოთ, მაგრამ საკადრისი ფორმა ვერ მოვნახე, რომ...

— აი რა, ედი, ყველა. მონაცემი გაქვს რომ შესანიშნავი ბიზნესმენი გახდე, ამიტომ მომისმინე: პატიოსნად და გულწრფელად გეუბნები — ასეთ სიტუაციაში მადლიერების სიტყვები უადგილოა. მე ამას „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისთვის“ არ ვაკეთებ. ჩემი მარტივი, პრაქტიკული, ეგოისტური ინტერესი მაქვს. რატომ უნდა გამოგართვათ ახლა ფული, როცა თქვენი კომპანიისთვის ამ თანხის გადახდა შეიძლება, სასიკვდილო დარტყმა აღმოჩნდეს? თქვენგან ხეირი რომ არ იყოს, უყოყმანოდ მოვითხოვდი ჩემსას. მე ქველმოქმედებას არ ვეწევი და არაკომპეტენტურებთან არ ვთამაშობ. თქვენ კი ჯერჯერობით მაინც საუკეთესო რკინიგზა ხართ ქვეყანაში. და როცა „ჯონ გოლტის ხაზი“ თავის პირველ შემადგენლობას გაუშვებს, ყველაზე საიმედო ფინანსური პარტნიორებიც გახდებით. აქედან გამომდინარე, უამრავი მიზეზი მაქვს, რომ მოვიცადო. თანაც, პრობლემებიც შეგექმნათ ჩემი რელსების გამო. ვაპირებ, თქვენი გამარჯვება ვიხილო.

— სულერთია. მაინც მინდა, მადლობა გადაგიხადოთ, მისტერ რიერდენ ეს უფრო მეტია, ვიდრე გულმოწყალება.

— არა, ედი, ნუთუ არ გესმის? მე ახლახან დიდი თანხა მივიღე... რომელიც არ მინდოდა. ამ ფულს ვერაფერში ჩავდებ. ეს ჩემთვის უსარგებლო თანხაა... ამიტომ, სადღაც მსიამოვნებს კიდეც, რომ შემიძლია,—ის იმავე ხალხის წინააღმდეგ, იმავე ბრძოლაში გამოვიყენო. მათ საშუალება მომცეს, გადაგივადოთ და ამით მათსავე დამარცხებაში დაგეხმაროთ.

რიერდენმა შეამჩნია, როგორ შეკრთა ედი, თითქოს რიერდენი მის ღია ჭრილობას შეეხო — სწორედ ეს არის საშინელება!

— კერძოდ, რა?

— ის, რაც მათ გაგიკეთეს და ისიც, რითი პასუხობთ მათ. იმის თქმა მინდა, რომ... — ედი გაჩუმდა, — მაპატიეთ, მისტერ რიერდენ ვიცი, რომ ბიზნესში ამგვარად არ საუბრობენ — რიერდენმა გაიღიმა.

— გმადლობ, ედი. ვიცი, რისი თქმაც გინდა, მაგრამ დაივიწყე. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ!

— კარგი. ოღონდ... მისტერ რიერდენ, შეიძლება, რაღაც გითხრათ? ვიცი, რომ სრულიად უადგილოა და ახლა როგორც ვიცე-პრეზიდენტი, ისე არ ვლაპარაკობ.

— გისმენ...

— იმას ახსნას არ მოვყვები, თუ რას ნიშნავს თქვენი წინადადება დაგნისთვის, ჩემთვის და თითოეული წესიერი ადამიანისთვის ჩვენს კომპანიაში. ეს ისედაც იცით, ისიც იცით, რომ შეგიძლიათ, ჩვენი იმედი გქონდეთ, არ შეგარცხვენთ. მაგრამ... საშინელ უსამართლობად მეჩვენება, რომ ამ ყველაფრით ჯიმ ტაგარტიც იხეირებს, რომ თქვენ მას და მის მსგავსებსაც ეხმარებით, მიუხედავად იმისა, რაც გააკეთეს...

რიერდენმა გაიცინა.

— ედი, რა გვესაქმება ჯიმთან და მისნაირებთან? ჩვენ ექსპრესი მიგვყავს, ისინი კი სახურავზე სხედან და ყაყანებენ, ვითომ თვითონ არიან ლიდერები. მერედა, ჩვენ რა? ძალა მაგათ სათრევადაც გვეყოფა, ასე არ არის?

* * *

„მათ არაფერი გამოუვათ“.

ზაფხულის მზე ცეცხლს უკიდებდა ქალაქის ფანჯრებს და „ნაპერწკლებს. აფრქვევდა მტვრიან ქუჩებში. გავარვარებულ სახურავებს ცხელი ჰაერის ტალღები ბუღივით ასდიოდა და ცისკენ, თეთრი კალენდრის ტაბლოსკენ მიიწევდა, რომელიც ქალაქის თავზე ეკიდა და ივნისის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

„მათ არაფერი არ გამოუვათ“, — ამბობდა ხალხი, — „ჯონ გოლტის ხაზის“ პირველივე მატარებელი რელსებს დახეთქავს. ხიდამდე ვერც მიაღწევს. კიდევაც რომ მიაღწიოს, ხიდი ორთქლმავალსაც ვერ გაუძლებს და ჩაინგრევა“.

კოლორადოს მთის ფერდობებიდან სატვირთო შემადგენლობები „ფენიქს დურანგოს“ სარკინიგზო ხაზით ჩრდილოეთისკენ, ვაიომინგამდე ჩადიოდნენ, მერე კი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთავარ ხაზამდე, სამხრეთისკენ — ნიუ მექსიკომდე და „ატლანტიკ საუთერნის“ მაგისტრალამდე. მოელვარე ცისტერნების გრძელი ჯაჭვები უაიატის ნავთობსაბადოებიდან სხვადასხვა მიმართულებით მიიჩქაროდნენ — მოშორებით მდებარე შტატების საწარმოებისკენ. მათზე არავინ ლაპარაკობდა. საზოგადოების თვალში ისინი მზის სხივებივით წყნარად გადაადგილდებოდნენ და მაშინღა ამჩნევდნენ, როცა მათი ტვირთი ელექტრონათურების სინათლედ, ღუმლების სიმხურვალედ, ძრავების ასამუშავებლად საჭირო ენერგიად გარდაიქმნებოდნენ. მაგრამ ახლა ისინი შეუმჩნეველი იყვნენ, თითქოს მუდამ ასეც უნდა ყოფილიყო.

„ფენიქს დურანგოს“ რკინიგზას არსებობა ოცდახუთ ივლისს უნდა დაესრულებინა.

„ჰენკ რიერდენი უბრალოდ ხარბი ურჩხულია“, — ამბობდა ხალხი, — „შეხედეთ; რა ქონება დააგროვა. ოდესმე რაიმე გაუცია სამაგიეროდ? ერთხელ მაინც „გამოუვლენია მოქალაქეობრივი სულისკვეთება? მას მხოლოდ ფული აინტერესებს. რა ენაღვლება, თუ ხალხი ჩაიხოცება, როცა მისი ხიდი ჩაინგრევა!“

„ტაგარტები ყოველთვის პარაზიტები იყვნენ, თაობიდან თაობამდე“, — ამბობდნენ ისინი, — „სისხლში აქვთ. თუნდაც ნათ ტაგარტი გაიხსენეთ, პირველი ამ ოჯახიდან, რომელმაც ეს საქმე დაიწყო, ამქვეყნად ყველაზე საძაგელი ანტისოციალური არამზადა, წვეთწვეთობით სწოვდა სისხლს ხალხს, რათა გამდიდრებულიყო! ეჭვი არ არის, ნებისმიერი ტაგარტი უყოყმანოდ გაწირავს სხვების სიცოცხლეს, ოღონდაც მოგება ნახოს. იმიტომ იყიდეს უხარისხო რელსები, რომ ფოლადის რელსებზე იაფი ღირდა; რაში ენაღვლებათ კატასტროფები და დასახიჩრებული ადამიანები! მგზავრობის საფასური ხომ უკვე აღებული აქვთ“.

ხალხი ასე ლაპარაკობდა, რადგან ეს სხვებისგან ესმოდა. არავინ იცოდა, რატომ ატყდა ამ თემის ირგვლივ ასეთი ხმაური. ადამიანები გონივრულ ახსნა-განმარტებას არავის სთხოვდნენ.

„გონიერება“, — უთხრა მათ დოქტორმა პრიტჩეტმა, — „ყველაზე გულუბრყვილოა მცდარ წარმოდგენათა შორის“.

„საზოგადოებრივი აზრის წყარო?“ — კვერს უკრავდა მას კლოდ სლაგენჰოპი რადიოთი გამოსვლისას, — „არავითარი წყარო არ არსებობს. საზოგადოებრივი აზრი სტიქიურია. ის თავისთავად წარმოიშობა, როგორც კოლექტიური ინსტინქტის, კოლექტიური ცნობიერების რეაქცია“.

ორენ ბოილმა ჟურნალ „გლობს“ მისცა ინტერვიუ, ყველაზე მაღალტირაჟიან საინფორმაციო გამოცემას. ინტერვიუ საზოგადოების წინაშე მეტალურგების სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანებას მიეძღვნა და ძირითადი ყურადღება იმ ფაქტს დაეთმო, რომ მეტალი საზოგადოების ცხოვრებაში უამრავ საეჭვოდ ფუნქციას ასრულებდა და ადამიანები ფიზიკურად იყვნენ მასზე დამოკიდებული.

„ჩემი აზრით, დაუშვებელია, ახალი პროდუქტის გამოსაცდელად ადამიანების სიცოცხლე გამოიყენო, თითქოს ზღვის გოჭები იყვნენ“, — აღნიშნა ორენ ბოილმა, თუმცა არავინ დაუსახელებია.

„არა, არა, მე არ ვამბობ, რომ ეს ხიდი ჩაინგრევა“, — თქვა „ესოშიეიტიდ სთილის“ მთავარმა მეტალურგმა ტელევიზიით გამოსვლისას, — „მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, ბავშვები რომ მყავდეს, არ მივცემდი იმ მატარებლით გამგზავრების უფლებას, რომელიც პირველი გადაკვეთდა ამ ხიდს. მაგრამ ეს ჩემი პირადი აზრია და მეტი არაფერი. უბრალოდ, ძალიან მიყვარს ბავშვები“.

„არ ვამტკიცებ, რომ რიერდენისა და ტაგარტის ეშმაკური ჩანაფიქრი ჩაინგრევა“, — წერდა ბერტრამ სკადერი ჟურნალში „ფიუჩერ“, — „შეიძლება, ჩაინგრეს, შეიძლება არა. მთავარი ეს არ არის. არსებითი სხვა რამეა: რა უნდა დაუპირისპიროს საზოგადოებამ ორი აღვირახსნილი ინდივიდუალისტის თავხედობას, ეგოიზმსა და სიხარბეს, რომლებსაც მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე საზოგადოების საკეთილდღეოდ არაფერი გაუკეთებიათ. როგორც ჩანს, ეს ორნი მზად არიან, ჩვენი თანამოძმეების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდონ, ოღონდ კი

საკუთარი პოზიციის უპირატესობა დაამტკიცონ, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული ექსპერტების დიდი უმრავლესობა საპირისპიროს ამტკიცებს.

უნდა დაუშვას კი ეს საზოგადოებამ? თუ ხიდი მართლაც ჩაინგრევა, ხომ არ დაგვიანდება უსაფრთხოების ზომების მიღება? რა აზრი აქვს საჯინიბოს ჩარაზვას, თუ ცხენი უკვე გაიქცა? ჩვენი რუბრიკა უწინდებურად ერთგული რჩება შეხედულებისა, რომ საზოგადოების საკეთილდღეოდ ზოგიერთი ცხენი უნდა ავლაგმოთ და საიმედოდ გამოვამწყვდიოთ“.

ჯგუფმა, რომელიც თავის თავს „უანგარო მოქალაქეების კომიტეტს“ უწოდებდა, პეტიციისთვის ხელმოწერები შეკრიბა და მოითხოვდა, სახელმწიფო ექსპერტები ერთი წლის განმავლობაში დაჰკვირვებოდნენ „ჯონ გოლტის ხაზის“ გზებს, ვიდრე მასზე პირველი შემადგენლობა გაივლიდა. პეტიციაში ხაზგასმით ირწმუნებოდნენ, რომ ხელის მომწერები მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით ხელმძღვანელობდნენ. ბალფ იუბენკმა და მორტ ლიდიმ პირველებმა მოაწერეს ხელი. ამ პეტიციას გაზეთებმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმეს და თანაგრძნობით გამსჭვალული კომენტარებიც დაურთეს, რაკიღა ხელის მომწერები აშკარად უანგარო მოქალაქეები იყვნენ.

„ჯონ გოლტის ხაზის“ მშენებლობის მიმდინარეობით პრესა არ დაინტერესებულა. იქ არც ერთი რეპორტიორი არ გაუგზავნიათ. პრესის ერთიანი პოლიტიკა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ასე ჩამოაყალიბა ერთმა ცნობილმა რედაქტორმა: „ობიექტური ფაქტები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ: მათი ინტერპრეტაცია. ამიტომ ფაქტების აღწერას აზრი არ აქვს“.

რამდენიმე ბიზნესმენმა გადაწყვიტა, დაედგინათ, მართლაც ხომ არ ჰქონდა რიერდენ მეტალს რაიმე კომერციული ღირებულება და ამ საკითხის შესწავლას მიჰყვეს ხელი, თუმცა მათ არც მეტალურგები დაუქირავებიათ, არც ინჟინრები მიუვლენიათ მშენებლობაზე. უბრალოდ, საზოგადოებრივი აზრი გამოიკითხეს. ამ გამოკითხვაში სრულიად განსხვავებული ინტელექტუალური განვითარების მქონე ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც“ მარტივი კითხვა დაუსვეს:

„ისურვებდით თუ არა „ჯონ გოლტის ხაზის“ მატარებლით მგზავრობას?“

დიდი უმრავლესობა პასუხობდა:

— არაფრის გულისთვის, სერ!

რიერდენ მეტალის დასაცავად სიტყვა არავის დასცდენია, და არც იმ ფაქტისთვის მიუნიჭებია ვინმეს რაიმე მნიშვნელობა, რომ საფონდო ბირჟებზე „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აქციების: ფასი მართალია ნელა და გაუბედავად, მაგრამ იზრდებოდა. თუმცა, ისეთებიც იყვნენ, ვინც თვალს ადევნებდა ვითარებას და ყოველი შემთხვევისთვის თავს იზღვევდა. მისტერ მოუენმა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აქციები დის სახელზე შეიძინა; ბენ ნილიმ — ბიძაშვილის სახელზე; პოლ ლარკინმა კი ფსევდონიმი გამოიყენა.

— არ მწამს ამ ურთიერთსაპირისპირო მაქინაციების, — გამოთქვა აზრი ერთ-ერთმა მათგანმა.

— დიახ, ხაზის მშენებლობა დათქმული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს, — მხრებს იჩეჩავდა ჯიმ ტაგარტი დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, — ეჭვიც არ შეგეპაროთ. ჩემი უძვირფასესი დაიკო ხომ ადამიანი კი არა, მოაზროვნე შიგაწვის ძრავაა. ასე რომ, მისი წარმატება ნუ გაგიკვირდებათ.

როცა ჯეიმს ტაგარტის ყურამდე მიაღწია მითქმა-მოთქმამ, რომ ხიდის რამდენიმე საყრდენმა ვერ გაუძლო დატვირთვას, გაიბზარა, ჩაინგრა და სამი მუშაც

იმსხვერპლა, ის ადგილიდან წამოიჭრა, მისაღებში შევარდა და თავის მდივანს უბრძანა, დაუყოვნებლივ დაჰკავშირებოდა კოლორადოს. სატელეფონო ზარის მოლოდინში ისე — მიჰყრდნობოდა მდივნის მაგიდას, თითქოს მისგან ითხოვდა დაცვას. თვალებში გულწრფელი შიში ედგა, თუმცა მისი ტუჩები რაღაც ღიმილისმაგვარს დაებრიცა.

— რას არ მივცემდი ახლა, ჰენრი რიერდენის ფიზიონომია რომ დამენახა.

და როდესაც აცნობეს, რომ ეს ამბავი ჭორი აღმოჩნდა, თქვა:

— მადლობა ღმერთს!

თუმცა, მის ხმაში იმედგაცრუება ისმოდა.

— არ ვიცი, — თქვა ფილიპ რიერდენმა მეგობრებთან, როდესაც ჭორმა მის ყურამდეც მიაღწია, — შეიძლება, ზოგჯერ ჩემი ძამიკოც კი უშვებდეს შეცდომებს. როგორც ჩანს, ის მაინც არც ისე დიდებულია, თავად რომ ჰგონია.

— ძვირფასო, — უთხრა ლილიან რიერდენმა მეუღლეს, — გუშინ ისე გიცავდი, ჩაიზე რომ შევიკრიბეთ. ქალებმა თქვეს, რომ დაგნი ტაგარტი შენი საყვარელია... — ოჰ, ღვთის გულისათვის! ნუ მიყურებ მასეთი თვალებით! ვიცი, რომ სრული აბსურდია.

ამიტომაც კარგად შევჯორე! ამ უტვინო ქათმებს ვერ წარმოუდგენიათ, სხვა რა მიზეზით უნდა დაუპირისპირდეს ქალი მთელ საზოგადოებას შენი შენადნობის გამო.

მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ასე არ არის. ვიცი, რომ ისეთ ქალს, როგორიც დაგნი ტაგარტია, სქესი საერთოდ არ გააჩნია და შენ მიმართ სრულიად გულგრილია... გარდა ამისა, ძვირფასო, ისიც ვიცი; რომ საამისო გამბედაობა რომც გყოფნოდა, — რაშიც ძალიან ეჭვი მეპარება, — რაღა დიდებულ კოსტიუმში გამოწყობილ ამ გამომთვლელ მანქანას გამოეკიდებოდი? მონახავდი ქერა, ქალური გარეგნობის გოგოს ვარიეტედან, რომელიც... ჰენრი! ნუ მიყურებ მასეთი თვალებით, უბრალოდ, ვიხუმრე!

— დაგნი, — საცოდავი ხმით თქვა ჯიმ ტაგარტმა, — რა გვეშველება? ჩვენი კომპანია ისეთი არაპოპულარული გახდა!

დაგნიმ გაიცინა, მხიარულად და მსუბუქად, ისე, თითქოს მის სულში სამუდამოდ დასადგურებულმა ხალისმა თავისუფლება მოიპოვა და წამში გარეთ გამოაღწია.

ლაღად იცინოდა, გარუჯულ სახეზე უზადო თეთრი კბილები უელავდა. უკიდეგანო სივრცეებს მიჩვეული თვალებით ახლაც სადღაც შორს იმზირებოდა. ბოლო ხანებში ნიუ-იორკში ჩამოსვლისას ჯიმს ისე უყურებდა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა. ჯიმმა ეს შენიშნა.

— რა უნდა ვქნათ? საზოგადოებრივი აზრი ჩვენ გვიპირისპირდება!

— ჯიმ, გახსოვს, რას გვიყვებოდნენ ნათ ტაგარტის შესახებ? თურმე ამბობდა, რომ თავისი ერთადერთი, კონკურენტის შურდა, იმისი, ვისაც უთქვამს: „ეშმაკსაც წაუღია საზოგადოება“. გული წყდებოდა, ეს სიტყვები თვითონ რომ არ ეკუთვნოდა.

იმ ზაფხულის საღამოებში, როცა ქალაქში დამთრგუნველი მწუხრი ჩამოწვებოდა, ზოგჯერ რომელიღაც მარტოხელა ადამიანი — პარკში, მერხზე ჩამომჯდარი, ან კიდევ ღია ფანჯარასთან, სავარძელში მოკალათებული, — გაზეთში მოკლე, თითქოსდა შემთხვევით ცნობას წააწყდებოდა „ჯონ გოლტის ხაზის“ მშენებლობის წარმატებული მიმდინარეობის შესახებ და ქალაქს უცაბედად მოზღვავებული იმედით შეჰყურებდა. ესენი ან ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც ამ მშენებლობას იმგვარ მოვლენათა რიგს მიაკუთვნებდნენ ასე რომ ეწადათ, საკუთარი თვალით ენახათ, ანდა ძალიან მოხუცები, რომელთაც ჯერ კიდევ

არ დავიწყებოდათ ის დრო, როდესაც სამყაროში ასეთი მოვლენები მართლაც ხდებოდა. მათ რკინიგზისა და ბიზნესის არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ ერთს ხვდებოდნენ: ვიღაც ცდილობდა, უდიდეს სირთულეებს შებრძოლებოდა და შეუპოვრად მიიწევდა გამარჯვებისკენ, ისინი არ იწონებდნენ ამ მებრძოლთა მიზნებს, საზოგადოებრივი აზრის უფრო სჯეროდათ და მაინც, როცა კითხულობდნენ, როგორ შენდებოდა ახალი ხაზი, მოულოდნელად აღფრთოვანება ეუფლებოდათ და ვერც კი გაეგოთ, რატომ ეჩვენებოდათ ამ დროს საკუთარი პრობლემები უფრო მარტივი.

უჩუმრად, ყველასთვის შეუმჩნევლად, — გარდა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ საწყობისა შაიენში და ჩაბნელებულ შესახვევში მდებარე „ჯონ გოლტის ხაზის“ ოფისისა, — მოგროვდა დაკვეთები და ტვირთები პირველი შემადგენლობისთვის, რომელსაც ახალ ხაზზე უნდა გაევლო. დაგნი ტაგარტმა წინასწარ გამოაცხადა, რომ პირველი შემადგენლობა პოლიტიკოსებითა და ცნობილი ადამიანებით გავსებული სამგზავრო ექსპრესი. კი არა, — როგორც ამგვარ ვითარებაში მიღებული იყო, — არამედ საგანგებო დანიშნულების სატვირთო მატარებელი იქნებოდა.

ტვირთები მოედინებოდა ფერმებიდან, სამხერხაოებიდან, მთელ ქვეყანაში მიმობნეული მაღაროებიდან, ყველაზე გადაკარგული ადგილებიდან, სადაც ადამიანები არსებობას. მხოლოდ“ კოლორადოს. ახალი „ქარხნების“ წყალობით ახერხებდნენ.

რკინიგზის, ამ კლიენტების შესახებ.: გაზეთები „არაფერს წერდნენ, რადგან ისინი „დაუინტერესებელი მოქალაქეების“ რიცხვს არ მიეკუთვნებოდნენ.

„ფენიქს-დურანგოს“ რკინიგზა ოცდახუთ ივლისს უნდა დახურულიყო, „ჯონ გოლტის ხაზზე“ პირველი შემადგენლობა კი ოცდაორ ივლისს უნდა გაეშვათ.

— აი, რა, მის ტაგარტ! — გამოაცხადა მემანქანეთა პროფკავშირების წარმომადგენელმა, — ვფიქრობ, ჩვენ არ დაგრთავთ ნებას, ეს მატარებელი გაუშვათ დაგნი თავის გადაქექილ სამუშაო მაგიდასთან იჯდა.

არც კი განძრეულა, ისე გამოცრა:

— გაეთრიეთ აქედან!

პროფკავშირების წარმომადგენელს რკინიგზის ხელმძღვანელთა გაპრიალებულ კაბინეტებში ასე არასოდეს მოჰქცევიან და ძალიან აღშფოთდა — მოვედი, რომ თქვენთვის მეთქვა...

— თუ მართლაც რაიმე გაქვთ სათქმელი, თავიდან დაიწყეთ — რაა?

— სიტყვაც არ დაგცდეთ იმაზე, თითქოს რაიმეს გაკეთებასაც მიკრძალავდეთ — კეთილი, მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი პროფკავშირების წევრებს არ მივცემთ უფლებას, თქვენი მატარებელი წაიყვანონ.

— ეს სხვა საქმეა.

— ჩვენ ასე გადავწყვიტეთ.

— ვინ „ჩვენ“?

— ჩვენმა კომიტეტმა. რასაც თქვენ აკეთებთ — ადამიანის უფლებების ხელყოფაა, ვინ მოგცათ ნება, ადამიანები სასიკვდილოდ გაწიროთ, როცა ეს ხიდი ჩაინგრევა, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ფული ჩაიჯიბოთ.

დაგნიმ მაგიდიდან სუფთა ფურცელი აიღო და სტუმარს გაუწოდა:

— დაწერეთ ეს ყველაფერი და ხელშეკრულება გავაფორმოთ — რა ხელშეკრულება?

— რომ „ჯონ გოლტის ხაზზე“ თქვენი პროფკავშირების არც ერთი წევრი არასდროს არ მიიღებს სამუშაოს.

— არა... ერთი წუთით... მე არ მითქვამს, რომ...

— ესე იგი, არ გინდათ, ასეთ კონტრაქტს მოაწეროთ ხელი?

— არა. მე...

— რატომ, თუკი დარწმუნებული ხართ, რომ ხიდი ჩაინგრევა?

— მე მხოლოდ ის მინდა...

— ვიცი, რაც გინდათ. თქვენ მანიპულირებთ იმ სამუშაო ადგილებით, რომელიც მე შემეძლო, შემეთავაზებინა თქვენი ხალხისთვის და ასე ცდილობთ, მათ ყელში ხელი წაუჭიროთ, მე კი მათ წამიჭირონ ყელში ხელი. თქვენ გინდათ; რომ მე მათ სამუშაო ადგილებს ვაძლევდე და ამავე დროს, არ მქონდეს ამის შესაძლებლობა.

ამოირჩიეთ... ოცდაორ ივლისს ეს მატარებელი ხაზზე გავა, ამას თქვენ ხელს ვერ შეუშლით. მაგრამ შეგიძლიათ, აირჩიოთ, დართავთ თუ არ დართავთ. თქვენს წევრს ნებას, ეს შემადგენლობა წაიყვანოს; თუ აუკრძალავთ, მატარებელი მაინც წავა, პირადად მეც რომ მომიწიოს მემანქანის ადგილას დაჯდომა. და თუ ხიდი ჩაინგრევა, ქვეყანაში არც ერთი რკინიგზა არ დარჩება. მაგრამ თუ ხიდი გაუძლებს, თქვენი პროფკავშირების ვერც ერთი „წევრი ვერასოდეს ვერ მიიღებს სამუშაოს „ჯონ გოლტის ხაზზე“. თუ მიგაჩნიათ, რომ მე უფრო მჭირდება, თქვენი ხალხში, ვიდრე მათ მე, შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეთ. თუკი გესმით, რომ მე შემიძლია მატარებლის მართვა, მაგრამ ისინი რკინიგზას ვერ ააშენებენ, მაშინ სხვა დასკვნა გააკეთეთ. ახლა რას იზამთ, კიდევ აუკრძალავთ თქვენს ხალხს ამ მატარებლის მართვას?

— მე არ მითქვამს, რომ ავუკრძალავდით აკრძალვაზე არაფერი მითქვამს — მაგრამ... არ გაქვთ უფლება, ადამიანები აიძულოთ, თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდონ ისეთი რამისთვის, რომელიც ჯერ არავის გამოუცდია.

— არ ვაპირებ, ვინმეს დავაძალო, ამ რეისს გამოჰყვეს.

— მაშ, რას აპირებთ?

— მოხალისეებს მოვნახავ.

— თუკი ასეთები არ გამოჩნდებიან?

— ეს უკვე ჩემი პრობლემაა და არა თქვენი.

— რა გაეწყობა. ამ შემთხვევაში ნება მომეცით, ვურჩიო მათ, უარი თქვან თქვენს წინადადებაზე.

— კი ბატონო. რაც გინდათ, ის ურჩიეთ, უთხარით, რაც მოგესურვოთ, მაგრამ არჩევნის საშუალება მიეცით. არც კი გაბედოთ, რაიმე აუკრძალოთ.

განცხადებას, რომელიც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ყველა დეპოში გამოაკრეს, ხელს ვიცე-პრეზიდენტი ედვინ უილერსი აწერდა. განცხადება იუწყებოდა, რომ იმ მემანქანეებმა, რომლებსაც სურთ, „ჯონ გოლტის ხაზზე“ პირველი შემადგენლობა წაიყვანონ, ამის შესახებ მისტერ უილერსს უნდა აცნობონ არა უგვიანეს 15 ივლისის დილის 11 საათისა.

თხუთმეტ ივლისს, 10:15 საათზე, დაგნის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა.

ედი რეკავდა დაგნის ფანჯრის მოპირდაპირედ აღმართული „ტაგარტის“ შენობის მაღალი სართულიდან.

— დაგნი, ვფიქრობ, აჯობებს, მოხვიდე, — უთხრა უცნაური ხმით.

დაგნიმ ქუჩა სწრაფად გადაკვეთა, მარმარილოს კიბეები აირბინა და მიადგა კარს, სადაც ჯერაც ეკიდა მინის ფირფიტა წარწერით „დაგნი ტაგარტი“.

მან კარი შეაღო.

მისაღები გადაჭედილი იყო. მაგიდებს შორის, კედლების გასწვრივ, ყველგან ხალხი იდგა. დაგნის გამოჩენისას ყველა გაჩუმდა და ქუდი მოიხადა. დაგნიმ დაინახა ჭაღარა თავები, დაკუნთული მხრები, მაგიდებთან მსხდომი თავისი თანამშრომლების მოღიმარი სახეები და ედი უილერსი კაბინეტის კართან. ყველამ იცოდა, რომ სიტყვები ზედმეტი იყო.

ედი კართანვე დარჩა. ხალხი ორად გაიყო და დაგნი გაატარა. ედიმ ხელი მოავლო იქაურობას და დაგნის მიანიშნა წერილებისა და ტელეგრამების დასტაზე, რომელიც მაგიდაზე ეწყო.

— დაგნი, სურვილი უკლებლივ ყველამ გამოთქვა. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ თითქმის ყველა მემანქანე აქაა! ვინც შეძლო, მოვიდა, ჩიკაგოს განყოფილებიდან მოყოლებული, — ედიმ ისევ მიუთითა ფოსტაზე, — დანარჩენებიც აქ არიან... სიმართლე გითხრათ, მხოლოდ სამი ადამიანი არ გამოგვეხმაურა: ერთი შვებულებას ჩრდილოეთის ტყეებში ატარებს, მეორე საავადმყოფოში წევს, მესამე — ციხეშია, ავტომანქანას მთვრალი მართავდა.

დაგნიმ მემანქანეებს თვალი მოავლო. მათი საზეიმო გამომეტყველების მიღმა ღიმილი შენიშნა. მადლიერების ნიშნად თავი დახარა. წუთით ასე იდგა თავდახრილი, თითქოს ვერდიქტს ისმენდა, ვერდიქტს, რომელიც პირადად მასა და აქ შეკრებილ ადამიანებს ეხებოდა, და ამ კედლებს მიღმა დარჩენილ სამყაროს.

— გმადლობთ, — წარმოთქვა მან.

მემანქანეების უმეტესობას დაგნი ადრეც ბევრჯერ უნახავს. ახლა, როცა შეჰყურებდნენ, თუ როგორ ასწია მან თავი მაღლა, ბევრმა გაიფიქრა, — გაკვირვებით და პირველად, — რომ მათი ვიცე-პრეზიდენტის და საოპერაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქალი იყო და თანაც — ძალიან ლამაზი ქალი.

უცებ უკანა რიგებში ვიღაცამ მხიარულად დაიძახა:

— ძირს ჯიმ ტაგარტი!

ამას დიდი მხიარულება მოჰყვა: ხალხმა სიცილი და სტვენა დაიწყო, ბოლოს ტაშმა იქუხა. თვითონ ხუმრობა სრულიად არ იმსახურებდა ასეთ რეაქციას, თუმცა იქ შეკრებილთ ის საბაბი მიაშველა, რომელიც ძალიან სჭირდებოდათ. აპლოდისმენტები ხუმრობას კი არა, თითქოს იმ სიტყვებს მოჰყვა, რომელიც კადნიერად უპირისპირდებოდა ძალაუფლებას.

და ეს იმ კაბინეტში მყოფ ნებისმიერ ადამიანს შესანიშნავად მოეხსენებოდა.

დაგნიმ ხელი ასწია.

— ნუ იჩქარებთ. — თქვა მან სიცილით, — ერთი კვირაც მოიცადეთ. აი, მაშინ გვექნება დღესასწაული და მენდეთ, ღირსეულადაც ვიზეიმებთ!

მერე კენჭი ყარეს. დაგნიმ ამოიღო ერთი დაგრაგნილი პატარა ფურცელი მსგავსი ფურცლების გროვიდან, რომლებზეც სახელები ეწერა. ადამიანი, რომელსაც პირველი მატარებლის წაყვანის პატივი ერგო, პეტ ლოგანი, „ტაგარტ კომეტის“ მემანქანე-ინჟინერი ნებრასკას მიმართულებაზე, დამსწრეთა შორის არ აღმოჩნდა, მაგრამ ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო სისტემაში.

— შეატყობინეთ პეტს, რომ ის დაქვეითებულია, სატვირთოზეა გადაყვანილი, — უთხრა დაგნიმ ედის და დაუდევარი ტონით დასძინა, ისე, სხვათა შორის, თითქოს გადაწყვეტილება ბოლო წუთს მიეღო, თუმცა ეს არავინ დაიჯერა, — დიახ, აი, კიდევ რა, აცნობე, რომ ამ რეისში მასთან ერთად ვიქნები, ლოკომოტივის კაბინაში.

მის გვერდით მოხუცმა მემანქანემ გაიცინა და თქვა:

— ასეც ვიცოდი, მის ტაგარტ.

* * *

რიერდენი ნიუ-იორკში იყო, როცა დაგნიმ თავისი კაბინეტიდან დაურეკა:

— ჰენკ, ხვალ პრესკონფერენციის მოწყობას ვაპირებ.

არა! — ხმამაღლა გაეცინა რიერდენს.

— დიახ! — სერიოზული ხმით თქვა დაგნიმ, მეტისმეტად სერიოზული ხმით, — გაზეთებმა უეცრად აღმოაჩინეს ჩემი არსებობა და კითხვები გაუჩნდათ. ვაპირებ, პასუხი გავცე.

— ნარმატებას გისურვებ.

— გმადლობ. ხვალ ქალაქში იქნები? მინდოდა, შენც მოსულიყავი.

— კეთილი. ასეთ მოვლენას ვერ გამოვტოვებ.

„ჯონ გოლტ ინკორპორეიტიდის“ ოფისში შეკრებილი ჟურნალისტები მოვლენათა ჭეშმარიტი არსის დამალვაში საგანგებოდ გაწვრთნილი ახალგაზრდები იყვნენ.

ეს მათი ყოველდღიური სამუშაო იყო — შეევსოთ აუდიტორია სახელოვანი პირებისთვის და ესმინათ მათი მაღალფარდოვანი ფრაზები საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესახებ, რომლებიც საგულდაგულოდ ისე უნდა დაეწყოთ, რომ აზრი ვერავის მათი ყოველდღიური რუტინა ამ სიტყვების მათთვის სასურველი ნებისმიერი კომბინაციით დალაგებას გულისხმობდა, ოღონდ არა რაიმე კონკრეტული შინაარსის მქონე თანმიმდევრულობით; ამიტომ არც იმ ინტერვიუს შინაარსი ესმოდათ, რომელსაც ახლა იწერდნენ.

დაგნი ტაგარტი თავის მაგიდას უჯდა კაბინეტში“ რომელიც ჯურღმულს უფრო წააგავდა. თეთრი ბლუზონი და იდეალურად შეკერილი მუქი ლურჯი საქმიანი კოსტიუმი ეცვა, ძალიან ოფიციალური და სამხედრო სამოსივით ელეგანტური. წელში გამართული იჯდა, თავი ღირსეულად ეჭირა, მეტისმეტადაც კი.

რიერდენი კუთხეში, დანჯღრეულ სავარძელში მოკალათებულიყო. ერთ სახელურზე ფეხები გადაეწყო, მეორეს კი ზურგით მიჰყრდნობოდა:. უშუალოდ და არაოფიციალურად იქცეოდა, რამდენადმე გაზვიადებული არაოფიციალურობით.

დაგნის ფურცლებში არც კი ჩაუხედავს, პირდაპირ შეჰყურებდა კაბინეტში შეკრებილთ. თითქოს სამხედრო პატაკს აბარებსო, მკაფიო, მონოტონური ხმით აცნობდა მათ ტექნოლოგიურ ინფორმაციას „ჯონ გოლტის ხაზთან“ დაკავშირებით და ასახელებდა ზუსტ მონაცემებს რელსების, ხიდის გამტარუნარიანობის, მშენებლობის მეთოდებისა და ხარჯების შესახებ. შემდეგ, ბანკირის მშრალი ტონით, მაგისტრალის ფინანსურ პერსპექტივებზე ილაპარაკა და კონკრეტული ციფრების სახით წარმოადგინა სავარაუდო მოგება, რომელსაც მომავალში ამ პროექტისგან ელოდა.

— სულ ეს იყო, — თქვა მან.

— მეტი არაფერი? — იკითხა ერთ-ერთმა რეპორტიორმა, — ნუთუ არ გსურთ ჩვენი მეშვეობით საზოგადოებას მიმართოთ?.

— თქვენ უკვე მოისმინეთ ჩემი მიმართვა.

— მაგრამ, ჯანდაბა, ნუთუ თავის დაცვას არ აპირებთ?

— დაცვას — რისგან?

— ნუთუ თქვენი ხაზის გასამართლებლად არაფერს იტყვით?

— უკვე ვთქვი.

ერთმა მუდამ ირონიულად მოღიმარმა რეპორტიორმა ჰკითხა — მე მაინტერესებს, — მგონი, ეს ბერტრამ სკადერის სიტყვები უნდა იყოს, — როგორ დავიცვათ თავი, თუკი თქვენი მაგისტრალი საიმედო არ აღმოჩნდა?

— არ იმგზავროთ ჩვენი ხაზით, — უპასუხა დაგნიმ.

— არ გვეტყვით, რა მიზეზებმა გადაგაწყვეტინათ ამ ხაზის აშენება? — იკითხა სხვამ. — მე უკვე გითხარით: მოგებამ, რომლის მიღების იმედიც მაქვს.

— ო, მის ტაგარტ, ასე ნუ ილაპარაკებთ! — წამოიყვირა ერთ-ერთმა რეპორტიორმა, ის ჯერ თითქმის ბავშვი იყო და ახალი მისული ჟურნალისტიკაში და ამიტომაც კეთილსინდისიერად ეკიდებოდა საკუთარ საქმეს. გარდა ამისა, თვითონაც ვერ ხვდებოდა, რატომ, მაგრამ დაგნი ტაგარტი მოეწონა, — ასეთ სიტყვებს ნუ გამოიყენებთ. სწორედ ამის გამო გაკრიტიკებენ.

— ნუთუ?

— დარწმუნებული ვარ, სხვაგვარად გინდოდათ, გეთქვათ... და დარწმუნებული ვარ, მოინდომებთ, განმარტოთ თქვენი ნათქვამი.

— კეთილი, თუ ასე გსურთ. საშუალოდ, რკინიგზის რენტაბელურობის საშუალო წლიური მაჩვენებელი კაპიტალდაბანდების ორ პროცენტს შეადგენს. მრეწველობის სფერო, რომელიც ამდენს მოითხოვს და ასე ცოტას იძლევა, ეკონომიკურად არახელსაყრელი უნდა იყოს. როგორც უკვე აგიხსენით, „ჯონ გოლტის ხაზზე“ მოსალოდნელი დატვირთვის გათვალისწინებით, სულ ცოტა, ჩვენ მიერ ინვესტირებული სახსრების თხუთმეტი პროცენტის მოგების იმედი მაქვს. რასაკვირველია, დღეს ნებისმიერი სამრეწველო მოგება, რომელიც ოთხ პროცენტს აღემატება, მევახშეობად ითვლება მიუხედავად ამისა, მე მაინც ყველაფერს გავაკეთებ, რომ „ჯონ გოლტის ხაზმა“ ოცპროცენტიანი მოგება მომიტანოს. სწორედ ამიტომ ავაშენე ჩემი რკინიგზა. იმედია, ახლა თქვენთვის ყველაფერი ნათელია.

ახალგაზრდა რეპორტიორი დაგნის სასოწარკვეთილი უყურებდა — მაგრამ თქვენ მხოლოდ თქვენი მოგება არ გაინტერესებთ, მის ტაგარტ, ასე არ არის? პირველ რიგში ხომ თქვენს წვრილ აქციონერებზე ფიქრობთ? — იმედიანი ხმით ივარაუდა მან.

— სულაც არა. „ჯონ გოლტ ინკორპორეიტიდის“ აქციების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პაკეტი მე მეკუთვნის. აი, მისტერ რიერდენი უფრო მომგებიან მდგომარეობაშია, რადგან მას აქციონერები არ ჰყავს და მოგებას არავის უყოფს იქნებ, მისტერ რიერდენს თავად სურს რაიმეს თქმა?

— დიდი სიამოვნებით, — თქვა რიერდენმა, — რაკიღა რიერდენ მეტალის ფორმულა ჩემი პროფესიული საიდუმლოა, და იმის გათვალისწინებით, რომ მისი ჩამოსხმა გაცილებით იაფი მიჯდება, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ, უახლოეს წლებში ვგეგმავ, საზოგადოებას ოცდახუთპროცენტიანი მოგება „ავახიო“.

— მისტერ რიერდენ, რას ნიშნავს; „აახიოთ საზოგადოებას“? — ჰკითხა ახალგაზრდა რეპორტიორმა, — თუ სწორად გავიგე, თქვენს რეკლამაში ნათქვამია, რომ რიერდენ მეტალის საექსპლუატაციო ვადა სამჯერ აღემატება ჩვეულებრივი მეტალისას და ორჯერ უფრო იაფია. განა საზოგადოება არ გამოდის მოგებული?

— ოჰ, ნუთუ თქვენ ეს შეამჩნიეთ? — ჰკითხა რიერდენმა.

— ხვდებით თუ არა თქვენ ორნი, რომ თქვენი ნათქვამი გაზეთებში დაიბეჭდება?

— ჰკითხა ირონიულად მომღიმარმა ჟურნალისტმა.

— კი მაგრამ, მისტერ ჰოპკინს, — თქვა დაგნიმ. თავაზიანი გაოცებით, — სხვა რა მიზეზი უნდა გვქონდეს თქვენთან საუბრისთვის,; გარდა იმისა, რომ გვინდა, ეს ყველაფერი პრესაში მოხვდეს?

— და გსურთ, ყველაფერი სიტყვასიტყვით დავბეჭდოთ, რაც თქვით?

— იმედი მაქვს, უეჭველად „ასეც მოიქცევით. ხომ არ.ჩაიწერდით ერთ. მოკლე ფორმულირებას? — დაგნიმ შეიცადა, ვიდრე ყველანი კალმებს მოიმარჯვებდნენ და კარნახს შეუდგა, — მის ტაგარტმა თქვა, გახსენით ბრჭყალები... ვაპირებ, „ჯონ გოლტის ხაზის“ საშუალებით უამრავი ფული ვიშოვო. მე უკვე გამოვიმუშავე ეს ფული. დახურეთ ბრჭყალები. დიდი მადლობა.

— არის კიდევ კითხვები, ჯენტლმენებო? — დაინტერესდა რიერდენი.

ჟურნალისტები დუმდნენ.

— ორიოდე სიტყვით „ჯონ გოლტის ხაზის“ გახსნაზეც მოგახსენებთ, — თქვა დაგნიმ, — პირველი მატარებელი ოცდაორ ივლისს დაიძვრება დღის 4 საათზე „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სადგურიდან, რომელიც ვაიომინგის შტატის ქალაქ შაიენში მდებარეობს. ეს ოთხმოცი ვაგონისგან შემდგარი სპეციალური სატვირთო შემადგენლობა იქნება, ოთხტურბინიანი დიზელის ძრავით, რომელიც რვა ათასი ცხენის ძალის სიმძლავრით იმოძრავებს. ეს ლოკომოტივი ამ განსაკუთრებული შემთხვევისთვის ლიზინგით გამოვართვი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“. მატარებელი შეუჩერებლად ივლის უაიატის საკვანძო სადგურამდე, რომელიც კოლორადოშია, საათში საშუალოდ ასი მილის სიჩქარით. უკაცრავად?.. — იკითხა დაგნიმ, როდესაც ვიღაცამ გაბმით დაუსტვინა. — რა თქვით, მის ტაგარტ?

— ვთქვი — საათში ასი მილის სიჩქარით, დაღმართების, აღმართების, მოსახვევებისა და ყველაფრის გათვალისწინებით — მაგრამ, დასაწყისისთვის ხომ არ აჯობებდა, სიჩქარე დაგეწიათ... მის ტაგარტ, ნუთუ სულ არ ითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს?

— ვითვალისწინებ. რომ არ ვითვალისწინებდე, საათში სამოცდახუთ მილსაც დავჯერდებოდი.

— და ვინ წაიყვანს მატარებელს?

— ამასთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები მქონდა. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ყველა მემანქანემ გამოთქვა სურვილი. იგივე მოხდა მემანქანის თანაშემწეების, მემუხრუჭეებისა და კონდუქტორების შემთხვევაშიც. იძულებული გავხდით, კენჭი გვეყარა. მატარებელს პეტ ლოგანი წაიყვანს — „ტაგარტ კომეტის“ მემანქანე, ხოლო მისი თანაშემწე რეი მაქ'კიმი იქნება. მეც მათთან ერთად ვიქნები ორთქლმავლის კაბინაში — მართლა?!

— ყველას გეპატიჟებით გახსნის ცერემონიაზე. ის ოცდაორ ივლისს გაიმართება.

იმედი გვაქვს, პრესის წარმომადგენლები დაესწრებიან. ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა ვცდილობ, რაც შეიძლება ფართოდ გაგვაშუქონ — მინდა, ხაზის გახსნაზე პროჟექტორები, მიკროფონები და ტელეკამერები ვიხილო... გირჩევთ, რამდენიმე კამერა ხიდთან განათავსოთ — მისი ჩანგრევისას დიდებულ კადრებს გადაიღებთ.

— მის ტაგარტ, რატომ გამოგრჩათ, გეთქვათ, რომ მეც თქვენ გვერდით ვიქნები იმ ორთქლმავალში? — შეეკითხა რიერდენი.

დაგნიმ რიერდენს შეხედა, წამით, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ისინი თითქოს მხოლოდ ორნი იყვნენ მთელ ამ ბრბოში.

— დიახ, რა თქმა უნდა, მისტერ რიერდენ, — უპასუხა დაგნიმ.

* * *

დაგნის რიერდენი ოცდაორ ივლისამდე აღარ უნახავს. ამ დღეს მათი მზერები ისევ შეხვდა ერთმანეთს შაიენის სადგურის პლატფორმაზე.

პლატფორმაზე გასვლისას თვალებით არავინ უძებნია: უცნაური გრძნობა დაეუფლა, ეჩვენებოდა, რომ ვერც ცას ხედავდა, ვერც მზეს, არც უზარმაზარი ბრბოს ხმები ესმოდა. მხოლოდ მღელვარებასა და სინათლეს აღიქვამდა.

და მაინც, რიერდენი პირველი იყო, ვინც დაგნიმ დაინახა და ზუსტად ვერც კი იტყოდა, რამდენ ხანს უყურებდა მხოლოდ მას და სხვას არავის. ჰენკი ლოკომოტივთან იდგა და ვიღაცას ელაპარაკებოდა, ვისაც დაგნი ვერ ხედავდა.

რიერდენს რუხი შარვალი და იმავე ფერის პერანგი ეცვა, გამოცდილ მემანქანეს ჰგავდა, მაგრამ ყველა მას უცქერდა — ეს ხომ ჰენკ რიერდენი იყო, „რიერდენ სთილის“ პრეზიდენტი. მაღლა, მის თავზე, დაგნიმ ორთქლმავლის ფრონტალური კედლის ვერცხლისფერ ზედაპირზე ამოტვიფრული ორი ასო შენიშნა — „TT“. ლოკომოტივი უკან გაზიდული კონტურით სივრცისთვის დამიზნებულ ისარს ჰგავდა.

მათ შორის ბრბო და მანძილი იყო, მაგრამ როგორც კი დაგნი პლატფორმაზე გადმოვიდა, რიერდენის თვალებმა ის უმალ შენიშნა. ერთმანეთს შეხედეს და დაგნი მიხვდა, რომ რიერდენიც იმავეს გრძნობდა, რასაც თვითონ. მათ საზეიმო მგზავრობა კი არა, რომელსაც ორივეს მომავალი უნდა განესაზღვრა, არამედ სიხარულით სავსე დღე ელოდათ. მათ თავიანთი საქმე გააკეთეს. ახლა მომავალი უბრალოდ არ არსებობდა. მათ თავიანთი აწმყო მოიმკეს.

„ჭეშმარიტ სიმსუბუქეს ადამიანი მხოლოდ მაშინ გრძნობს, როდესაც თავის განსაკუთრებულ მნიშვნელოვანებას აცნობიერებს, — უთხრა ერთხელ დაგნიმ რიერდენს. რა მნიშვნელობაც არ უნდა. ჰქონოდა ამ პირველ რეისს სხვებისთვის, ამ ორისთვის დღევანდელი დღის არსი თავად მათშივე იყო. რაც არ უნდა ეძიათ სხვებს საკუთარ ცხოვრებაში, ორივენი ყოველთვის ამ უფლებისკენ მიისწრაფოდნენ — უფლებისკენ, განეცადათ, რასაც ახლა გრძნობდნენ თითქოს ბრბოს თავზემოთ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

შემდეგ დაგნი გატრიალდა.

უცებ შეამჩნია, რომ მასაც უცქერდნენ რომ მასაც შემოეხვივნენ გარს ადამიანები, და რომ თვითონ იცინოდა და მათ კითხვებს პასუხობდა.

ამდენ ხალხს არ ელოდა. პლატფორმა, ლიანდაგი, მოედანი სადგურის წინ გადაჭედილი იყო. ადამიანები სათადარიგო ხაზებზე მდგარი სატვირთო ვაგონების სახურავებზე ამძვრალიყვნენ, ფანჯრებს მისწყდომოდნენ. ყველა რაღაცამ მიიზიდა, რომელიც ჰაერში ტრიალებდა და ჯეიმს ტაგარტსაც კი მოანდომა ბოლო წუთს, „ჯონ გოლტის ხაზის“ გახსნას დასწრებოდა, მაგრამ დაგნიმ კატეგორიულად აუკრძალა.

— „ჯიმ, თუ მოხვალ, ვუბრძანებ, შენივე სადგურიდან გაგაძევონ შენ ამ მოვლენას არ დაესწრები“, — უთხრა ძმას.

ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ გახსნის ცერემონიალზე ედი უილერსს. უნდა წარმოედგინა როცა ბრბოს თვალი მოავლო, ერთგვარი უხერხულობა იგრძნო იმის გამო, რომ ასეთ პირადულ მომენტში ყველა მას მისჩერებოდა, წუთებში, რომელთა გაზიარება სხვებისთვის უბრალოდ შეუძლებელი ეჩვენებოდა. თუმცა, იმასაც გრძნობდა, რომ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო — ამ ადამიანების აქ ყოფნა სრულიად კანონზომიერი იყო, მათ უნდა ნდომებოდათ, დაენახათ დაგნი, რადგან ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც კი შეიძლება, ადამიანმა სხვებს შესთავაზოს — ეს არის შესაძლებლობა.

უდიდესი მიღწევის მოწმე გახდეს.

ახლა დედამიწის ზურგზე არავინ ეგულებოდა, ვისზეც ნაწყენი იყო. ყველაფერი, რაც უგრძნია და გადაუტანია, შორეულ ბურუსს დამსგავსებოდა, ტკივილს,

რომელსაც ჯერ კიდევ გრძნობ, მაგრამ ადრინდელი სიმწვავე დაეკარგა. ყველაფერი უსიამოვნო რეალობის ბრწყინვალებამ გააქარწყლა. ამ დღის არსი ისეთივე დამაბრმავებლად თვალის მომჭრელი იყო, როგორც ლოკომოტივის მოვერცხლილ ზედაპირზე მოელვარე მზის სხივები. ეს ახლა აქ ყველას უნდა შეეგრძნო, ყველას უნდა ეწამა და დაგნის ამ წუთს სიძულვილისთვის არ ეცალა.

ედი უილერსი ყურადღებით ადევნებდა თვალს დაგნის. თვითონ პლატფორმაზე, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ჩინოვნიკების, განყოფილებების უფროსების, პოლიტიკური ლიდერებისა და ათასი ჯურის ადგილობრივი ადმინისტრატორების გარემოცვაში იდგა, რომელთაგან ზოგიერთი დაარწმუნეს, ზოგიც მოისყიდეს ან დააშანტაჟეს, რათა მათ ნება დაერთოთ, მატარებელს საათში ასი მილის სიჩქარით ემოძრავა. ამ დღეს, სწორედ ახლა, ამ მოვლენის ფონზე, ედისთვის ვიცე-პრეზიდენტის ტიტულმა პირველად შეიძინა რეალური“ სახე და თავიც შესაბამისი ღირსებით ეჭირა. თუმცა სანამ გარშემომყოფთ ესაუბრებოდა, თვალი არ მოუშორებია ლურჯ შარვალსა და ბლუზონში გამოწყობილი დაგნისთვის, რომელიც ბრბოში ხან აქ გაკრთებოდა, ხან იქ. მან ოფიციალური ვალდებულებები მთლიანად ედის გადააბარა; თვითონ ახლა მხოლოდ მატარებელი ადარდებდა; თითქოს ბრიგადის ერთადერთი წევრი ყოფილიყო.

დაგნიმ ედი შენიშნა, მივიდა და ხელი ჩამოართვა. გაუღიმა; მისი ღიმილი იტევდა ყველაფერს, რაც უთქმელადაც გასაგები იყო:

— აბა, შენ იცი, ედი, დღეს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ — ეს შენ ხარ.

— ჰო, — ხმადაბლა, საზეიმო ტონით უთხრა ედიმ...

ჟურნალისტები დაგნის ყველა მხრიდან. შემოეხვივნენ და კითხვები დააყარეს.

მათ ედისაც ჰკითხეს:

— მისტერ უილერს, როგორი იქნება „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ პოლიტიკა „ჯონ გოლტის ხაზთან“ დაკავშირებით? გამოდის, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ამ შემთხვევაში მიუკერძოებელი მეთვალყურეა, ასეა?

ედი პასუხობდა, როგორც შეეძლო. ის ლოკომოტივის პრიალა ზედაპირზე აბრჭყვიალებულ მზის სხივებს უყურებდა, მაგრამ მზით განათებულ ტყისპირა კორდსა და თორმეტი წლის გოგონას ხედავდა, რომელიც ეუბნებოდა, რომ ერთ დღესაც ედი მას რკინიგზის მართვაში დაეხმარებოდა.

ის შორიდან აკვირდებოდა ბრიგადის წევრებს, რომლებიც ლოკომოტივის გასწვრივ გამწკრივებულიყვნენ ფოტორეპორტიორების წინაშე: დაგნი და რიერდენი ისე იღიმებოდნენ, თითქოს საზაფხულო შვებულებისას სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. მემანქანე პეტ ლოგანი, საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი, ჭაღარა კაცი გულგრილად იდგა, შეიძლება ითქვას, რამდენადმე ზიზღიანი გამომეტყველებითაც კი.

მემანქანის თანაშემწე რეი მაქ'კიმი, ახალგაზრდა, დაკუნთული გიგანტი, იღიმებოდა, ოდნავ შემცბარი და, იმავე დროს, საკუთარი უპირატესობის გრძნობით. ხოლო ბრიგადის დანარჩენ წევრებს ლამის თვალი ჩაეკრათ ფოტოკამერებისთვის.

— ბიჭებო, არ შეგიძლიათ, განწირული სახე მიიღოთ? ვიცი, ჩემს რედაქტორს სწორედ ეს მოეწონება, — სიცილით თქვა ერთმა ფოტოგრაფმა.

დაგნი და რიერდენი ჟურნალისტებს პასუხობდნენ. ახლა მათ პასუხებში დაცინვა და წყენა კი არა, სიხარული ისმოდა, თითქოს ვერც კი გრძნობდნენ აშკარა ჩასაფრებას ამ კითხვებში.

— როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ამ რეისის დროს? იმედი გაქვთ, რომ საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე მიაღწევთ? — ჰკითხა ერთ-ერთ მემუხრუჭეს რეპორტიორმა.

— ეჭვიც არ მეპარება, — უპასუხა მან, — ისევე, როგორც შენ, ძმაო.

— მისტერ ლოგან, ბავშვები თუ გყავთ? დამატებითი დაზღვევა თუ მოითხოვეთ?

ამ ხიდს ვგულისხმობ, ხომ ხვდებით.

— თქვენც არ გაიაროთ მაგ ხიდზე, ვიდრე მატარებელი არ გაივლის — ამრეზით უპასუხა ლოგანმა.

— მისტერ რიერდენ, საიდან იცით, რა დატვირთვას გაუძლებს თქვენი რელსები?

— იმ ადამიანმა, რომელმაც საბეჭდი დაზგა გამოიგონა, საიდან იცოდა, რომ მისი მანქანა იმუშავებდა? — უპასუხა რიერდენმა.

— მის ტაგარტ, მითხარით, რა აკავებს სამიათასტონიან ხიდზე შვიდიათასტონიან შემადგენლობას?

— ჩემი გათვლა, — უპასუხა დაგნიმ ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ პროფესიას ვერ იტანდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ მუშაობდნენ დღეს ასეთი სიამოვნებით, ერთ-ერთმა მათგანმა, ჯერაც ახალგაზრდამ, მაგრამ უკვე კარგა ხნის საჩოთიროდ სახელმოხვეჭილმა, რაც ერთიორად მატებდა ასაკს, უცებ თქვა: მივხვდი, რასაც ვისურვებდი — აი, ასეთ ახალ ამბებს გავაშუქებდი.

სადგურის საათზე ისრები 3:45-ს უჩვენებდა ბრიგადა: სამუხრუჭე ვაგონისკენ დაიძრა, რომელიც შემადგენლობის ბოლოში იყო. ხალხი თანდათან მიწყნარდა ყველანი მოლოდინით გაირინდნენ.

როცა დისპეტჩერმა სტარტიდან სამას მილზე, უაიატის ნავთობსაბადოებამდე გადაჭიმული დისტანციის ყველა ადგილობრივი ოპერატორისგან მიიღო შეტყობინება, პლატფორმაზე გამოვიდა, დაგნის შეხედა და ანიშნა, რომ გზა თავისუფალი ელიც ლოკომოტივთან იდგა, იმავე ჟესტით უპასუხა — მიახვედრა, რომ მიუხვდა.

გრძელ ჯაჭვად გაწელილი სატვირთო შემადგენლობის ვაგონები ხერხემლის მართკუთხა სახსრებს ჰგავდა. როცა გამცილებელმა მატარებლის ბოლოში ხელი ასწია, დაგნიმ მის სიგნალს საპასუხო ხელის აწევით უპასუხა.

რიერდენი, ლოგანი და მაქ'კიმი ლოკომოტივის ასასვლელთან მდუმარედ გამწკრივდნენ ჯარისკაცებივით და დაგნის გზა დაუთმეს, პირველი რომ ასულიყო ვაგონში. როდესაც ის კიბეს აუყვა, რომელიღაც რეპორტიორს უცებ გაახსენდა, რომ ერთი კითხვის დასმა დაავიწყდა:

— მის ტაგარტ, ვინ არის ჯონ გოლტი? — მიაყვირა მან დაგნის.

ის მოტრიალდა, ხელი მეტალის სახელურისთვის არც გაუშვია, გასაცილებლად მოსულ ხალხს წუთით თავზე გადმოეკიდა და უპასუხა:

— ჩვენ, ყველანი.

კაბინაში დაგნის ფეხდაფეხ ლოგანი შეჰყვა, შემდეგ მაქ'კიმი, ბოლოს კი რიერდენი, რომელმაც ენერგიულად, თავდაჯერებული მოძრაობით მოიხურა კარი.

ცის ფონზე, სემაფორზე, მწვანე შუქი ენთო.

მწვანე შუქი ენთო მთელ პერიმეტრზე, მოსახვევშიც. ზაფხულის ხასხასა ტყეც თითქოს მწვანე შუქს უნთებდა შემადგენლობას.

ორ კაცს ლოკომოტივის წინ აბრეშუმის თეთრი ლენტი გაეჭიმა. ერთი მათგანი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ კოლორადოს განყოფილების უფროსი იყო, ხოლო მეორე ბენ ნილის მთავარი ინჟინერი, რომელიც მშენებლობაზე დარჩა სამუშაოდ

ნილის წასვლის შემდეგ. ლენტი ედი უილერსს უნდა გაეჭრა და „ჯონ გოლტის ხაზი“ ოფიციალურად გაიხსნებოდა.

ფოტოგრაფებმა ედის შესთავაზეს, მაკრატლით ხელში, ლოკომოტივისკენ ზურგით დამდგარიყო და აუხსნეს, რომ გახსნის ცერემონია ორჯერ უნდა გაემეორებინა, რათა მერე საუკეთესო კადრი შეერჩიათ; ლენტის მთელი გორგალი ჰქონდათ მომზადებული. ედი ლამის დათანხმდა, მაგრამ ბოლო წუთში გადაიფიქრა.

— არა, — თქვა მან, — არავითარი დადგმა! — და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის მშვიდი და მკაცრი ტონით უბრძანა ფოტოგრაფებს, — უკან დაიხიეთ... როცა ლენტს გავჭრი, ფოტო გადაიღეთ და მერე ხაზი სწრაფად დატოვეთ.

ფოტოგრაფები დაემორჩილნენ და სირბილით გაეცალნენ ლოკომოტივს. საათი 3:59-ს აჩვენებდა. ხაზის გახსნას ერთი წუთი აკლდა. ლენტის გასაჭრელად მომზადებულ ედის ობიექტივებისთვის ზურგი შეექცია, რელსებს შორის იდგა, პირით ლოკომოტივისკენ. მან ქუდი მოიხადა, მოისროლა, ლოკომოტივისთვის თვალი არ მოუშორებია. მსუბუქი ნიავი ქერა თმას უწეწავდა. ლოკომოტივი დიდ ვერცხლისფერ ფარს დაემსგავსა, რომელზეც ნათ ტაგარტის გერბი იყო გამოსახული.

როდესაც სადგურის საათის ციფერბლატზე ისრებმა ზუსტად ოთხი საათი აჩვენა, ედიმ ხელი ასწია და დაიყვირა:

— დაძარი, პეტ!

სწორედ იმ წამს, როცა მატარებელი ადგილიდან დაიძრა, ედიმ ლენტი გაჭრა და გვერდზე გადახტა.

კაბინის ფანჯარაში დაგნის მოჰკრა თვალი, მან მხიარულად დაუქნია ხელი. ლოკომოტივი წავიდა, ედი იდგა და ხალხით გადაჭედილ პლატფორმას უყურებდა, რომელიც ჩნდებოდა და ქრებოდა მიმავალი სატვირთო მატარებლის ვაგონებს შორის ღრიჭოში.

* * *

მომწვანო-ცისფერი რელსები სადღაც, ჰორიზონტს იქით, ერთი სათავიდან მომდინარე ორი წვრილი ნაკადივით მორბოდნენ მათ შესახვედრად. მატარებელი წინიდან მომსკდარი შპალების გლუვ ნაკადზე მისრიალებდა. აქეთ-იქით მიწა გადღაბნილ ზოლებად მოჩანდა. გზადაგზა მოულოდნელად გამომხტარი ხეები და სატელეფონო ბოძები ასევე მოულოდნელად ქრებოდნენ უკან მოტოვებულ უსასრულობაში. ფანჯრებს მიღმა მწვანე დაბლობი ზანტად მიიზლაზნებოდა. ჰორიზონტთან, შორს, მთების გრძელ გრეხილს თითქოს მოძრაობის უნარი შეეძინა და მატარებელს ასდევნებოდა დაგნი ბორბლების რაკარუკს ვერ გრძნობდა. მოძრაობა თანაბარ, მსუბუქ ფრენას აგონებდა. წინასწარ ნაკარნახევ იმპულსს ადევნებული ლოკომოტივი თითქოს რელსებს კი არა, ჰაერის ნაკადს დაყრდნობილი მიქროდა. ვერც სიჩქარეს აღიქვამდა. უბრალოდ, აკვირვებდა წამდაუწუმ წინ შემოგებებული და წამშივე გაუჩინარებული სემაფორის მწვანე შუქები — იცოდა, რომ ისინი ორ-ორი მილის დაშორებით ეყენა.

ისარი სპიდომეტრზე, პეტ ლოგანის წინ, საათში 100 მილის სიჩქარეს იუწყებოდა.

მემანქანის თანაშემწის ადგილას მოკალათებული დაგნი დროდადრო ლოგანისკენ აპარებდა თვალს. ლოგანი ოდნავ წინ გადახრილიყო, თავისუფლად იჯდა, ერთი ხელი თითქოს შემთხვევით ჩამოედო დროსელზე, თუმცა თვალწინ გადაჭიმულ ლიანდაგს დაჟინებულ მზერას არ აშორებდა — ნამდვილი ოსტატის თავდაჯერებულობით, ძალადაუტანებლად, ისე დარწმუნებული საკუთარ თავში, რომ ერთი შეხედვით გეგონებოდა, უპატიებელი დაუდევრობით, ზერელედ

ირჯებოდა. ოღონდ ეს გარეგნული სიმსუბუქე წარმოუდგენელი ძალისხმევის, კონცენტრაციის, ლამის აბსოლუტის უკომპრომისობის შედეგი იყო. მათ უკან, სკამზე, რეი მაქ'კიმი იჯდა; რიერდენი კაბინის შუაგულში იდგა: ფეხები ფართოდ გაეშალა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, წინ იყურებოდა, სხვა ყველაფერს მისთვის აზრი დაჰკარგოდა მხოლოდ ლიანდაგს გაჰყურებდა დაჟინებით.

„საკუთრება!“ — გაიფიქრა დაგნიმ და დროდადრო რიერდენისკენ იხედებოდა, „ნეტავი ახლა აქ ის ადამიანები ყოფილიყვნენ, რომლებსაც წარმოდგენაც არ აქვთ მის ბუნებაზე და მისი ნამდვილობა აეჭვებთ! საკუთრებას ქაღალდები, ბეჭდები, გრანტები და ნებართვები არ ქმნის. აი, ის აქ არის რიერდენის თვალებში“.

ხმა, რომელიც კაბინას ავსებდა, მათ მიერ გავლილი სივრცის ნაწილს ჰგავდა — ძრავების მოგუდული გუგუნი, მეტალის ათასგვარი ღრჭიალი და მისი ენით აუწერელი ხმოვანება, ფანჯრის აძაგძაგებული მინების წკრიალი.

ჩაუქროლეს წყალსაწნევ კოშკს, ხეს, ქოხს, ელევატორის კოშკურას საქარე მინის საწმენდებივით ამოძრაობდნენ: ამოიზრდებოდნენ, რკალს მოხაზავდნენ და მერე ისევ ქვემოთ ეშვებოდნენ. ტელეგრაფის ხაზის მავთულები თითქოს ცდილობდნენ, გაესწროთ მატარებლისთვის, რიტმულად აუყვებოდნენ ბოძებს, მათ შორის გადაჭიმულნი, თითქოს ცაზე თანაბრად მძგერი, ჯანმრთელი გულისცემის კარდიოგრამა იწერებოდა.

დაგნი მქრქალ კვამლში გახვეულ სივრცესა და რელსებს გაჰყურებდა, კვამლს, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეეძლო, გაფანტულიყო და რაიმე უბედურება წარმოეჩინა. ვერ გაეგო, რატომ გრძნობდა თავს აქ, ამ კაბინაში იმაზე უსაფრთხოდ, ვიდრე ვაგონში... — კაბინაში, სადაც ნებისმიერი მოულოდნელი წინააღმდეგობისას, ის პირველი იქნებოდა, ვინც საქარე მინას მკერდით შეასკდებოდა... გაიღიმა, მიხვდა, რომ კითხვაზე პასუხი იცოდა: უცნობი ძალის კარნახით უცნობ სამყაროში ბრმად ხეტიალისგან განსხვავებით, როდესაც ყველაფერს ხედავ, აცნობიერებ და იცნობ ვითარებას, არაფრის გეშინია. სწორედ ეს არის ყოფიერების უდიდესი ბედნიერება — კი არ მიენდო, არამედ იცოდე.

კაბინის მინისპანელებიანი ფანჯრებიდან მინდვრები უფრო ვრცელი მოჩანდა; თითქოს მიწაც ისევე გაშლილიყო სწრაფი მოძრაობისთვის, როგორც თვალი. და მაინც, არაფერი ჩანდა შორეული და მიუღწეველი. მზერა ძლივს ჰკიდა წყლის ზედაპირის ელვარებას და მაშინვე ტბა უკან მოტოვებული აღმოჩნდა.

არაფერი იყო შორი და მიუღწეველი; წამის წინ ძლივს გასარჩევი მოციალე ტბა მომდევნო წამს მათ გვერდით იყო, კიდევ ერთი წამის მერე კი უკვე უკვალოდ ქრებოდა.

„ხედვასა და შეხებას შორის კავშირი თითქოს უცნაურად გამყარდა“, — ფიქრობდა დაგნი, — „სურვილსა და მის შესრულებას შორის“, — მცირე პაუზის შემდეგ ეს სიტყვები მის გონებაში თავისთავად ამოტივტივდა, — „სულსა და სხეულს შორის.

ჯერ ხილვა — შემდეგ მისი მატერიალური ფორმა. ჯერ აზრი — შემდეგ დასახული იდეისკენ მიზანსწრაფული მოძრაობა ერთადერთი შესაძლებელი პირდაპირი გზით.

შეიძლება, რომ ერთს მეორის გარეშე ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა? ეს ხომ მანკიერებაა — გინდოდეს რაღაც და უმოქმედოდ იყო ანდა იმოქმედო მიზნის გარეშე? რა ბოროტებამ დაისადგურა სამყაროში, რომელიც ანგრევს ამ ორს შორის არსებულ კავშირს და ერთს მეორეს უპირისპირებს?!“

დაგნიმ თავი გააქნია. არ უნდოდა, იმაზე ეფიქრა“, თუ რატომ გახდა უკან დარჩენილი სამყარო ასეთი, ან გაოცებულიყო ამის გამო. ამ სამყაროს საათში ასი მილის სისწრაფით გაურბოდა. გაღებული ფანჯრისკენ გადაიხარა, თითქოს ქარში ჩაყვინთა, რომელიც შუბლზე ჩამოშლილ თმას უწეწავდა. თავი უკან გადასწია, აღარაფერს გრძნობდა, გარდა სიამოვნებისა, რომელიც ამ ქარს მოჰქონდა.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მისი გონება ფხიზლად აზროვნებდა. ფიქრის ნამსხვრევები ისე დაუქროდა თავში, როგორც ფანჯრებს მიღმა გამკრთალი გზისპირა ტელეგრაფის ბოძები. „ფიზიკური სიამოვნება?“ — ფიქრობდა დაგნი, — „ფოლადის მატარებელი, რომელსაც ნავთობის წვისა და ელექტროგენერატორების ენერგია მიაქროლებს რიერდენ მეტალის რელსებზე... ფიზიკურ სივრცეში ფიზიკური მოძრაობის ფიზიკური განცდა... მაგრამ, ნუთუ ეს არის იმის მიზეზი და ახსნა, რასაც ახლა მე ვგრძნობ?.. ამას ეძახიან მდაბალ, ცხოველურ სიამოვნებას — სრულ გულგრილობას იმის წარმოდგენისას, რომ შესაძლებელია, ჩვენ ფეხქვეშ რელსები დასკდნენ და ნაწილებად გაიფანტონ?.. ცხადია, ეს ასე არ მოხდება, თუმცა, ჩემთვის მაინც სულერთი იქნებოდა, რადგან მე უკვე გამოვცადე ეს სიხარული. ნუთუ, მართლაც ეს არის მდაბალი, მატერიალური, შეურაცხმყოფელი ხორციელი სიამოვნება?“

თვალები დახუჭა და გაიღიმა. ქარი თმას უწეწავდა.

მერე თვალი გაახილა და დაინახა, რომ რიერდენი მის წინ იდგა და სწორედ ისე უყურებდა, როგორც სულ ცოტა ხნის წინ რელსებს. დაგნის ძალა სრულიად გამოეცალა, თითქოს ძლიერი დარტყმისგან მოძრაობის უნარი დაკარგა. სავარძელს მიეყრდნო და რიერდენს თვალებში შეხედა, ქარისგან სიფრიფანა ბლუზონი ტანზე ეტმასნებოდა და მისი სხეულის კონტურებს გამოკვეთდა.

რიერდენი მიტრიალდა და დაგნიმ კვლავ მის წინაშე გადაშლილ სივრცეს მიაპყრო მზერა.

არ უნდოდა, ეფიქრა, თუმცა აზრები განუწყვეტლივ ხმაურობდნენ, ისევე, როგორც მოგუგუნე ძრავები და ზრიალი ლოკომოტივის კაბინაში. დაგნიმ ზევით აიხედა. „ფოლადის თხელი ბადურა ჭერში“, — ფიქრობდა ის, — „კუთხეებში მოქლონების წყებით ერთ მთლიანობად შეკრული ფოლადის ფურცლების ჭერი — ვინ გააკეთა ეს ყველაფერი? კუნთების უხეშმა ძალამ? ვისი წყალობით ახერხებს პეტ ლოგანი, ოთხი ციფერბლატისა და სამი ბერკეტის მეშვეობით გააერთიანოს თექვსმეტი ძრავის უდიდესი სიმძლავრე და ადამიანის ხელის ძალდაუტანებელ მოძრაობას დაუმორჩილოს ისინი?

ნუთუ შეიძლება, ბოროტებად შერაცხო საქმიანობა, რომელსაც ყველაფერი ეს და მისი შემქნელი გონება უკავშირდება? ამას უწოდებენ ადამიანები ფიზიკური სამყაროსადმი მდაბალ ინტერესს? ამას ჰქვია მატერიისადმი მონობა? სად ჩანს აქ ადამიანის სულის კაპიტულაცია სხეულის წინაშე?“

დაგნიმ ისევ გაიქნია თავი, თითქოს სურდა, ფანჯრიდან მოესროლა ეს აზრები და ნამსხვრევებად ექცია. ზაფხულის მზით გაბრწყინებულ მინდვრებს შეხედა. არა, ამაზე არ უნდა ეფიქრა, რადგან ეს მხოლოდ ნაწილი იყო მისთვის ცნობილი ჭეშმარიტების, რომელიც ყოველთვის იცოდა. დაე, ამ აზრებმა უკვალოდ ჩაიქროლონ, იმ სატელეგრაფო ბოძებივით. ის რაღაც კი, დაგნიმ რაც იცოდა, ფანჯრის გასწვრივ უწყვეტ ხაზად გაჭიმულ სადენებს უფრო ჰგავდა..მთელ ამ მოგზაურობას, მის გრძნობებს, კაცობრიობისთვის ბოძებულ მთელ ამ მინას რამდენიმე სიტყვა იტევდა: „ეს ისეთი მარტივი და სწორია!“

დაგნიმ პეიზაჟს გახედა ფანჯარაში. თავიდანვე შენიშნა ადამიანები, რომლებიც გაურკვეველი რეგულარულობით ჩნდებოდნენ რკინიგზის პირას. მაგრამ ისე სწრაფად მიქროდნენ, რომ უცბად ვერ მოასწრო ამ კინოფილმის ფრაგმენტების გამთლიანება და მათი აღქმა. მშენებლობის დასრულების შემდეგ დაგნიმ ხაზის დაცვაზე იზრუნა, თუმცა ვერ მიხვდა, ვინ იყო გზის პირას ჯაჭვად გამწკრივებული ეს ხალხი. ყოველ მილში ბოძთან ახალი სილუეტი ამოიზრდებოდა. ზოგი აშკარად სკოლის მოსწავლე იყო, ზოგიერთი კი ხანდაზმულობისგან წელში მოხრილი მოხუცი. ამათგან ყველა, ვინ — ძვირფასი თოფით, ვინ — ანტიკვარული შაშხანით იყო შეიარაღებული. თითოეულს რკინიგზელის კეპი ეხურა. ეს ადამიანები „ტაგარტის“ კომპანიის თანამშრომლების შვილები და ძველი რკინიგზელები იყვნენ, რომლებსაც მთელი სიცოცხლე ამ კომპანიის სამსახურში გაეტარებინათ. მატარებლის დასაცავად საკუთარი ნებით მისულიყვნენ და როგორც კი მატარებელი ჩაუვლიდათ, ყოველი მათგანი წელში იმართებოდა და მაღლა აწეული იარაღით ხელში სამხედრო სალამს იძლეოდა.

როცა დაგნიმ ეს გააცნობიერა, უეცრად სიცილი აუტყდა. იცინოდა და მთელი ტანით ცახცახებდა, როგორც ბავშვი. ამ სიცილს შვების ცრემლები ერთვოდა. პეტ ლოგანმა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით დაუკრა თავი; ის უკვე დიდი ხნის წინ მიმხვდარიყო, რომ ეს საპატიო ყარაული იყო. დაგნი ღია ფანჯარას მივარდა, ხელები გაშალა და გზის გასწვრივ გამწკრივებულ ადამიანებს საპასუხოდ საზეიმოდ ესალმებოდა.

მოშორებით ფერდობზე მდგომი ადამიანებიც დაინახა, რომლებიც ხელს უქნევდნენ მოახლოებულ მატარებელს. ქვემოთ, ველზე, სოფლის უსახური, თითქოსდა მიტოვებული და მივიწყებული სახლები მიმოფანტულიყო, დაბრეცილი სახურავებით, გახუნებული კედლებით. ალბათ, ამ სახლებში ადამიანების არაერთ თაობას ეცხოვრა, რომლებისთვისაც დღის მდინარებას სხვა არაფერი აღნიშნავდა, თუ არა მზის მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

და ახლა ეს ხალხი გორაკის მწვერვალზე შეკრებილიყო, რათა ვერცხლისფერი „კომეტა“ დაენახა, რომელმაც მათი ველი ისე გადაკვეთა, როგორც ბუკის ძახილი აპობს მძიმედ ჩამოწოლილ მდუმარებას.

სახლები სულ უფრო და უფრო ხშირად და გზასთან ახლოს ხვდებოდათ. დაგნი ხედავდა ფანჯრებთან, ეზოებში, სახურავებზე გამოფენილ ადამიანებს, გზაჯვარედინებთან თავმოყრილ ბრბოს. მატარებელი სწრაფად მიქროდა და ამიტომ ცალკეულ ფიგურებს ვერ არჩევდა; მხოლოდ მისასალმებლად აწეულ ასობით ხელს ხედავდა, რომლებიც ისე ირხეოდნენ, როგორც ხის ტოტები, როცა შემადგენლობა ჩაივლიდა. ხალხი სემაფორის წითელი შუქების ქვეშაც შეკრებილიყო, ნიშნებთან, რომლებიც მოუწოდებდა: „შეჩერდით. შეხედეთ. უსმინეთ“.

ქალაქი საათში ასი მილის სიჩქარით გაიარეს, გვერდი აუარეს რკინიგზის სადგურს, რომელიც პლატფორმიდან სახურავამდე, მისალმების ნიშნად ხელაპყრობილი უამრავი ადამიანის გაცოცხლებულ სკულპტურას ჰგავდა. დაგნიმ მხოლოდ ხელები, ჰაერში ასროლილი ქუდები და ყვავილების თაიგული დაინახა, რომელიც ლოკომოტივის გვერდითა ფანჯარას მოხვდა.

წინ მიქროდნენ, ქალაქებსა და სადგურებს გვერდზე იტოვებდნენ, მატარებელი შეუჩერებლად მიდიოდა, მაგრამ გზადაგზა ბაქანზე გამოფენილ ადამიანებს ხვდებოდნენ, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მოსულიყვნენ, რომ შეეხედათ, მისალმებოდნენ და იმედი ეპოვათ. ძველი სადგურების გამჭვარტლული კარნიზები

ყვავილების გირლანდებით მოერთოთ, დროით შელახულ კედლებს კი თეთრ-წითელ-ცისფერი დროშები ამკობდა. დაგნის ძველი ფოტოსურათები მოაგონდა, რომლებსაც რკინიგზის ისტორიის სახელმძღვანელოებში ათვალიერებდა ხოლმე და შურით ფიქრობდა გარდასულ დროზე, როცა ადამიანები იკრიბებოდნენ, რომ აღტაცებით მისალმებოდნენ სიცოცხლეში ნანახი პირველი მატარებლის გავლას. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ნათ ტაგარტმა კონტინენტი გადაკვეთა — მასაც ასევე ეგებებოდა ხალხი, რომელსაც სურდა, საკუთარი თვალებით დაენახა ადამიანის გონების ახალი მიღწევა.

დაგნის ეგონა, ის დრო წავიდა; თაობები შეიცვალნენ. მათთვის უცნობი იყო სიხარულის მომგვრელი მოვლენები, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ნათ ტაგარტის მიერ აგებული კედლების ბზარებს ხედავდნენ, რომლებიც წლებთან ერთად თანდათან უფრო ღრმავდებოდა. მაგრამ ადამიანები ისევ მოვიდნენ, ისევე, როგორც ბაბუამისის დროს, იმავე გულისკარნახს აყოლილნი.

დაგნიმ რიერდენს შეხედა. ის კაბინის ტიხარს მიჰყრდნობოდა, სრულიად გულგრილი ფანჯრის მიღმა შეკრებილი ადამიანებისა და მათი აღფრთოვანების მიმართ, და გამოცდილი ექსპერტის პროფესიონალური ინტერესით, მხოლოდ ლიანდაგის ხარისხსა და მატარებლის მოძრაობას აკვირდებოდა. მთელი თავისი შესახედაობით ამბობდა, რომ ისეთი აზრები, როგორც არის, მაგალითად — „მათ მოსწონთ“, მოისროლა, როგორც სრულიად უადგილო, და გული სულ სხვა სიტყვით უძგერდა: „გამოვიდა!“

რუხ პერანგში და თხელ შარვალში მისი წარმოსადეგი ფიგურა შიშველს ჰგავდა. უშუალო და თვითდაჯერებული ჩანდა, თუმცა ნებისმიერ წამს მზად იყო, უმცირესი საჭიროების შემთხვევაშიც კი ადგილს მოსწყდომოდა და ემოქმედა. მოკლესახელოებიანი, საყელოგაღეღილი პერანგიდან ძლიერი, ძარღვიანი ხელები და მკვრივი მკერდი მოუჩანდა.

დაგნი შეტრიალდა, უცებ მიხვდა, რომ მეტისმეტად ხშირად იყურებოდა რიერდენისკენ. მაგრამ ამ დღეს არ ჰქონდა წარსულთან ან მომავალთან კავშირი — ამწუთიერი გრძნობების შედეგებზე არ ფიქრობდა. უკიდურესი სიცხადით მხოლოდ იმას აცნობიერებდა, რომ მასთან ერთად იყო გამომწყვდეული ერთსა და იმავე სივრცეში, რომ რიერდენის იქ ყოფნა მისთვის ამ დღის ჭეშმარიტი არსის შეცნობაში ეხმარებოდა, ისევე, როგორც რიერდენის რელსები — მატარებლის ქროლას.

კიდევ ერთხელ მიხედა მას, ამჯერად განგებ. რიერდენის მზერაც მისკენ იყო მოპყრობილი.

თვალი არ მოურიდებია, მაგრამ ცივად, დაუფარავი განზრახვით შეჰყურებდა.

დაგნიმ გამომწვევად გაიღიმა, დიდად არც ჩაღრმავებია თავისი ღიმილის ჭეშმარიტ აზრს, მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ უდრტვინველ სახეს უფრო მტკივნეულ დარტყმას სხვა ვერაფრით მიაყენებდა. უცებ ძალიან მოუნდა, რიერდენი აცახცახებული ეხილა, გაეგონა, როგორ შეჰყვირებდა. უცნაური გრძნობა მოეძალა, თავი გაატრიალა, ვერ ხვდებოდა; მოულოდნელად რატომ გაუძნელდა სუნთქვა. იქოთ მოხერხებულად მოეწყო სავარძელში, ახლა მხოლოდ წინ იყურებოდა. თუმცა იცოდა, რომ რიერდენიც ისევე იყო მისით, სავსე, როგორც თვითონ — რიერდენით.

და ეს შეგრძნება თავისი სიმძაფრით განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა. როცა ფეხი ფეხზე გადაიდო, როცა ხელი რაფას ჩამოაყრდნო, როცა შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან გადაიწია, ნებისმიერი მოძრაობისას ერთადერთ რამეზე ფიქრობდა: „ხედავს თუ არა ის?“

„ქალაქები უკან მოიტოვეს. გზა ზემოთ ადიოდა, უფრო და უფრო პირქუშ, უსალმო ადგილებში. დროდადრო რელსები მოსახვევებში ქრებოდა, მთების გრეხილი თანდათან მოახლოვდა, პეიზაჟებმა თითქოსდა ნაოჭი აისხეს. კოლორადოს მთებიც კლდოვანი ტერასები ლიანდაგს ლამის მიეჯრა, ჰორიზონტზე ლურჯი მწვერვალები ტალღებად აიქოჩრა.

სადღაც შორს, წინ, ქარხნის მილებმა კვამლი აუშვა, შემდეგ ელექტროგადამცემი ხაზები და მაღალი მეტალის კონსტრუქცია გამოჩნდა, რომელიც გრძელ ნემსს ჰგავდა. ისინი დენვერს უახლოვდებოდნენ. დაგნიმ პეტ ლოგანს შეხედა მემანქანე ოდნავ წინ გადაიხარა: დაგნიმ შეამჩნია, როგორ დაჭიმა თითები, მზერა უფრო დაეძაბა. მან, ისევე, როგორც დაგნიმ, მშვენივრად იცოდა, რამდენად საშიში იყო ქალაქის გავლა ასეთი სისწრაფით.

წუთი წუთს მისდევდა, მაგრამ დრო თითქოს ერთ მთლიანობად იქცა. თავდაპირველად ფაბრიკა-ქარხნების ეულ სილუეტებს ჩაუქროლეს, მალე მათ ქუჩების ბუნდოვანი კონტურები შეენაცვლა, გაურკვეველ ხაზებს შეერწყა და ბოლოს თვალწინ რელსების დელტა გადაეშალათ, ისეთივე, როგორიც „ტაგარტის“ სადგურში, და მას არაფერი იცავდა, მიწას გაყოლებული პატარა მოციმციმე მწვანე შუქების გარდა.

კაბინის სიმაღლიდან დაჰყურებდნენ, როგორ გაიელვა გვერდით ჩავლილი სათადარიგო ვაგონების ლენტივით გადაჭიმულმა სახურავებმა; შემდეგ სავაგონე დეპოს ბნელი ხახა დაინახეს. მერე, თითქმის ფეხდაფეხ — გამაყრუებელი ხმაური, ბორბლების კაკუნი, ზღვასავით ატორტმანებული ხალხის აღფრთოვანებული მისასალმებელი შეძახილები... მერე განათებული ტრიუმფალური თაღი, მის უკან კი ცის ფონზე მწვანე შუქების ჯაჭვი ენთო. ეს შუქები თითქოს.სივრცეში ჩაშენებული კარების სახელურები იყო, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა მათ წინაშე.

მერე ისევ გაქროლდნენ და თვალის, დახამხამებაში უკან მოიტოვეს ავტომობილებით სავსე ქუჩები, ღია ფანჯრებს მომწყდარი ადამიანები და ქაღალდის ფიფქების ღრუბელი, რომელიც ვიღაცამ დაუშვა შორეული ცათამბჯენის სახურავიდან, როცა დაინახა, როგორ შემოფრინდა ვერცხლისფერი ტყვია ქალაქის ქუჩებში, ახლა კი იდგა და თვალით აცილებდა.

— მალე ქალაქს გასცდნენ და ისევ კლდოვან ფერდობზე აღმოჩნდნენ. მათ წინ დამაფრთხობელი უცაბედობით მთები წამოიმართნენ. თითქოს ქალაქმა მატარებელი პირდაპირ გრანიტის კედელს მიანარცხა და იღბლად ვიწრო კარნიზმა დაიკავა ბოლო წუთს. შემადგენლობა ფრიალო კლდეს ეკვროდა; მიწა სადღაც ქვემოთ ჩაიკარგა; ჩამოქცეული უსწორმასწორო ლოდების უზარმაზარი ყრილების გამო ვერც მიწას ხედავდნენ დაბლა და ვერც ცას მაღლა და ბინდის მოცისფრო ღრუბელში მიქროდნენ.

კლდეებს შორის ნახევარწრეებად დაგრეხილ მოსახვევებს თითქოს მატარებლის გაცამტვერება განეზრახათ. თუმცა ლიანდაგი ყოველ ჯერზე დროულად სხლტებოდა მათ შორის და მთებიც გზას უთმობდნენ, თითქოს ორი ფრთასავით იშლებოდნენ, მათგან ერთი მწვანე იყო, ფიჭვნარის ხალიჩით მოგებული, ხოლო მეორე, ტიტველი, ქვიანი — წითელ-ყავისფერი.

— დაგნიმ ღია ფანჯრიდან უფსკრულზე დაკიდებული ლოკომოტივის ვერცხლისფერი გვერდი დაინახა. სადღაც ქვემოთ ნაკადულის წვრილი ძაფი კლდის შვერილებზე მიხტოდა. წყლისკენ არყის ხის მთრთოლავი წვერები იხრებოდნენ, რომლებიც ზემოდან გვიმრას წააგავდნენ. დაგნი ხედავდა, როგორ მოიგრაგნებოდა

შემადგენლობა გრანიტის კედლის გასწვრივ, ხედავდა ჩამოშლილი ქვების ნამსხვრევებს უკან მოტოვებული მომწვანო-მოცისფრო რელსების სპირალს.

მოულოდნელად გზად კლდოვანი კედელი წამოიზარდა და მთლიანად გადაფარა საქარე მინა. კაბინაში დაბნელდა. კედელი ისე ახლოს იყო, შეჯახება გარდაუვალი გეგონებოდა, მაგრამ მოსახვევში ბორბლების ღრჭიალი გაისმა და კაბინა კვლავ განათდა... დაგნიმ ფლატის ვიწრო შვერილი და მასზე გაწოლილი რელსები დაინახა, რომლებიც სადღაც სივრცეში იკარგებოდნენ. ლოკომოტივის ცხვირი ცას-უმზერდა. მათ ვერაფერი დაიჭერდა, გარდა ორი მომწვანო-ცისფერი მეტალის ხაზისა.

ამ წარმოუდგენელ საქმეს — თექვსმეტი ძრავის გაშმაგებული გუგუნისთვის და შვიდი ათასი ტონა ტვირთისა და მეტალის სიმძიმისთვის გაეძლო და შეეკავებინა ციცაბო კლდის კალთებზე, ახლა ჩემი ხელისგულის სიფართე მეტალის ორი ზოლი ასრულებს“, — გაიფიქრა დაგნიმ. რამ გახადა ეს შესაძლებელი? მოლეკულების უხილავ განლაგებაში რამ ჩადო სიმტკიცე, რომელზედაც ახლა იყო დამოკიდებული არა მარტო მათი, არამედ მრავალი ადამიანის სიცოცხლეც, ამ ოთხმოცი ვაგონის ჩასვლას რომ ელოდებოდა. დაგნიმ დაინახა კაცის სახე და ხელები, რომლებიც ლაბორატორიის: გავარვარებული ღუმლების ალსა და თხევადი მეტალის თეთრი ნაკადის ელვარებას გაენათებინა.

მოზღვავებულ გრძნობებს ვეღარ გაუმკლავდა, მიტრიალდა და სამანქანო განყოფილების კარი შეაღო, სადაც ხმაურს თითქოს ხორცი შეესხა და ლოკომოტივის გამალებით მფეთქავ გულში შეიჭრა.

წამით მოეჩვენა, რომ ერთ მთელ, ერთადერთ გრძნობად გადაიქცა — ხორცშესხმულ სმენად, ეს სმენა კი გოდებად, რომელიც ხან გრძელდებოდა, ხან ძლიერდებოდა და ხანაც იკლებდა. იდგა და გიგანტურ, გენერატორებს უყურებდა ატორტმანებულ ჩაკეტილ მეტალის ყუთებში. გაიფიქრა, რომ მათი ნახვა იმიტომ მოუნდა, რომ მის სულში დასადგურებული გამარჯვების განცდა სწორედ მათთან იყო დაკავშირებული; მათ მიმართ მის სიყვარულთან, მისი სიცოცხლის აზრთან — მის მიერ არჩეულ საქმესთან. მოზღვავებული ემოციების ამ ქარიშხალში დაგნიმ თითქოს მთელი სხეულით იგრძნო: სწორედ ახლა, ისეთ რამეს ჩასწვდება, რაც აქამდე უცნობი იყო მისთვის, თუმცა აუცილებლად უნდა სცოდნოდა. ლაღად გაეცინა. თვითონ საკუთარი ხმა არ ესმოდა. განუწყვეტელ გრუხუნში შეუძლებელი იყო რაიმეს გაგონება.

„ჯონ გოლტის ხაზი!“ — დაიყვირა დაგნიმ, მხოლოდ იმიტომ რომ არ გაეგონა არც ერთი სიტყვა, რომელიც მის ბაგეს დასცდებოდა.

დაგნი აუჩქარებლად მიაბიჯებდა ძრავებსა და კედელს შორის ვიწრო გასასვლელში — თავს უტიფარ, დაუპატიჟებელ სტუმრად გრძნობდა, რომელიც იქ შეიჭრა, სადაც არ დაუპატიჟებიათ. თითქოს ცოცხალ არსებაში შეაბიჯა, მისი ვერცხლისფერი კანის ქვეშ და მის ცხოვრებას აკვირდებოდა, რომელიც მეტალის რუხ ცილინდრებში, მოღუნულ მილებში და მეტალის ბადურის მიღმა ვენტილატორების ფრთების გაშმაგებულ ტრიალში პულსირებდა; ამ მექანიზმის კოლოსალური ძალა უხილავი არხებით გადაეცემოდა ციფერბლატის მყიფე ისრებს, პანელებზე მოციმციმე მწვანე და წითელ ნათებებს და მაღალ, ვიწრო კარადებს წარწერით — „მაღალი ძაბვა“.

„რატომ ვგრძნობ თავდაჯერებულობასა და სიხარულს ყოველთვის, როცა მანქანებს ვუყურებ?“ — გაიფიქრა დაგნიმ. ამ გიგანტური ფორმებისთვის სრულიად უცხო იყო თავისი ბუნებით არაადამიანური ცნებები: უმიზეზობა და უმიზნობა.

ძრავების თითოეული დეტალი მატერიალური პასუხი იყო კითხვებზე: „რატომ?“ და „რისთვის?“ — ცხოვრების ეტაპების მსგავსად, გონების იმ სახესხვაობის მიერ არჩეული კურსის მსგავსად, რომელსაც თვითონ ეთაყვანებოდა. ეს ძრავები დაგნისთვის ფოლადში განსხეულებული მორალური კოდექსი იყო.

„ისინი ცოცხლები არიან“, — ფიქრობდა დაგნი, — „რადგან ცოცხალი ძალის მოქმედებას ფიზიკურად განასხეულებენ — გონებას, რომელიც ჩაწვდა მთელ მათ სირთულეს და მას მიზანი და ფორმა მიანიჭა“. წუთით მოეჩვენა, რომ ძრავები გამჭვირვალე გახდა და რომ მათ ნერვულ სისტემას ხედავდა. ამ სისტემას გაცილებით რთული და მნიშვნელოვანი კავშირები ქმნიდა, ვიდრე უბრალო სადენები და გაყვანილობები იყო: რაციონალური კავშირები, რომელიც ადამიანის გონებამ შექმნა.

„ისინი ცოცხლები არიან“, — გაიფიქრა, — „მაგრამ მათი სული მათ შორიდან მართავს. და ეს სული ყოველ ცოცხალ ადამიანშია, ვისაც ებოძა უნარი, მათი თანასწორი იყოს. და თუ ის გაქრება, ძრავებიც გაჩერდება, რადგან სწორედ ეს ძალა ამოძრავებს მათ. არა ნავთობი, რომელიც მის ფეხქვეშ მილებში გაედინება. ნავთობი მაშინ ისევ უბრალო მინერალად გადაიქცევა; არა ფოლადის ცილინდრები, რომლებიც ჟანგის ლაქებად გადაიქცეოდნენ ახალი ველური ადამიანების საცხოვრებელი გამოქვაბულის კედლებზე... არა, სწორედაც რომ სული — ცოცხალი გონების ძალა, აზრის, არჩევნისა და მიზნის ძალა“. კაბინაში დაბრუნდა; უნდოდა, ეცინა, მუხლი მოეყარა ან ხელები ცისკენ აეპყრო, ოღონდ კი შესძლებოდა, გამოეთავისუფლებინა ემოცია, რომელიც მთლიანად დაუფლებოდა მის არსებას. გარეთ გაეშვა, თუმცა იცოდა, რომ ამ ემოციის გამოხატვა შეუძლებელი იყო.

უცებ ადგილზე გაქვავდა. კაბინის კართან, კიბის საფეხურზე რიერდენი იდგა და ისე უყურებდა, თითქოს იცოდა, რატომ იყო დაგნი იქ, იცოდა, რას გრძნობდა. ორივენი გაუნძრევლად იდგნენ, იმ მზერაში განსხეულებულნი, რომელიც მათ ამ ვიწრო კორიდორში აერთიანებდათ. ფეთქვა, ძრავების ფეთქვა, რომელსაც დაგნის მთელი არსება მოეცვა, რიერდენისგანაც მოდიოდა; ამ რიტმულმა გრუხუნმა დაგნის ნებისყოფა უკვალოდ გააქრო. კაბინაში უსიტყვოდ დაბრუნდნენ, ორივემ იცოდა — გარდასული წამის მოგონება სამუდამოდ მათთან დარჩებოდა.

წინ კლდეები კაშკაშა, გამდნარ ოქროს დაემსგავსა. ქვემოთ, დაბლობზე, ჩრდილები ჩამუქდა. მზე დასავლეთით, მთის მწვერვალებზე ეშვებოდა. ისინიც დასავლეთისკენ მიქროდნენ, მზესთან შესახვედრად.

მწუხრის ცა უკვე რელსების მომწვანო-ცისფერს დაიკრავდა, როცა შორეულ ველზე საკვამურები შენიშნეს.—ეს ერთ-ერთი იყო კოლორადოს ახალი ქალაქებიდან, რომლებიც სოკოებივით აღმოცენდნენ უაიატის ნავთობსაბადოების გარშემო. დაგნიმ თანამედროვე სახლების კუთხოვანი კონტურები, ბრტყელი სახურავები და დიდი ფანჯრები გაარჩია, ადამიანების დანახვა კი ამსიშორიდან ძალიან გაუჭირდა. და სწორედ მაშინ, როდესაც გაიფიქრა, სიშორის გამო ხალხი მატარებლის დანახვას ალბათ არც კი შეეცდებაო, სადღაც, ქალაქის თავზე, რაკეტა აიჭრა და ჩამობნელებული ცის ფონზე ოქროსფერი ვარსკვლავები შადრევანივით გადმოაფრქვია. ადამიანები, რომლებსაც დაგნი ვერ ხედავდა, ელოდებოდნენ მატარებლის გამოჩენას მთის ფერდობზე და სალუტით ეგებებოდნენ, რომელმაც ბინდი ცეცხლოვანი წვიმით გაასხივოსნა, დღესასწაულის ნიშნად ან დახმარების თხოვნით.

შემდეგი მოსახვევის მერე“ მოულოდნელად თვალწინ გადაშლილ სივრცეში, არცთუ ისე მაღლა ცაში, დაგნიმ ორი ელექტრონათება შენიშნა — თეთრი და წითელი. ეს თვითმფრინავები არ იყო — დაგნიმ გაარჩია მეტალის კოჭები, რომელთაც ეს სინათლეები ეკავა და მაშინვე მიხვდა, რომ „უაიატ ოილის“ ჭაბურღილებს ხედავდა. ლიანდაგი ქვემოთ დაეშვა და დედამიწა თითქოს გადაიხსნა მატარებლის შესახვედრად, თითქოს მთებიც აქეთ-იქით გაიწ-გამოიწივნენ, შორს კი, უაიატის ჭაბურღილების ძირში, კანიონის ბნელ უფსკრულზე რიერდენ მეტალისგან აშენებული ხიდი გადაჭიმულიყო.

ქვემოთ მიქროდნენ. დაგნის დაავიწყდა, ზუსტად რამდენი გრადუსით იყო დაღმართი დაქანებული. დაავიწყდა თანდათანობითი დახრის ვირაჟების რადიუსი, უბრალოდ, ეჩვენებოდა, რომ მატარებელი სიმაღლიდან ვარდებოდა, თავით ეშვებოდა ძირს. ხიდი თითქოს თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა და მზის ირიბი სხივებით განათებული რამდენიმე მომწვანო——ცისფერი კოჭი მეტალის მაქმანისებურ ქსოვილს დაემსგავსა. ხიდთან შეკრებილი ხალხი მუქ ლაქად მოჩანდა, მაგრამ ეს ფაქტი უმალვე დაგნის ცნობიერების განაპირას აღმოჩნდა. მას მოესმა უფრო აჩქარებული ბორბლების სწრაფი რაკარუკი: და რომელიღაც მელოდიის თემა ამ გამალებულ რიტმში. ეს მელოდია აფორიაქებდა. ის თანდათან ძლიერდებოდა და უეცრად კაბინაშიც აჟღერდა, თუმცა, დაგნი ხვდებოდა, რომ მუსიკა მხოლოდ მის თავში გაისმოდა: ეს რიჩარდ ჰალის მეხუთე სიმფონია იყო. „ნუთუ ეს სიმფონია ასეთი შემთხვევისთვის დაწერა?“ — გაიფიქრა დაგნიმ, — „ნუთუ მასაც განუცდია ამგვარი გრძნობები?“ მატარებელი სულ უფრო და უფრო სწრაფად მიქროდა. დაგნის ეჩვენებოდა, რომ მიწას მოსწყდნენ, მთებმა ისინი ტრამპლინზე მოისროლეს და ახლა შემადგენლობა სივრცეში მიფრინავდა. „ეს უსამართლო გამოცდა იქნება“, — ფიქრობდა დაგნი, — „თუკი ხიდს ისე გადავიფრენთ, რომ ვერც კი შევეხებით“. რიერდენი გვერდით ედგა სახეგაქვავებული. თუ თავს უკან გადახრიდა, მის თვალებს დაინახავდა... მატარებელი ხიდის გვირაბში ხმაურით შევარდა. მეტალი შეზანზარდა, ფეხებქვეშ ბორბლები აძაგძაგდნენ და ფანჯრის მიღმა ხიდის დიაგონალურმა საყრდენებმა გაიელვეს — თითქოს მეტალის ღერძი წკარუნებდა, როდესაც ერთიმეორის მიყოლებით ეხებოდა მესრის ბოძებს, — გაიელვეს და გაუჩინარდნენ. მალე ყველაფერი მოულოდნელად გაქრა. ახლა მატარებელს იგივე სიჩქარე უკვე ზემოთ მიაქროლებდა.

კაბინას მოულოდნელად გარს „უაიატ ოილის“ ნავთობჭაბურღილები შემოერტყნენ.

პეტ ლოგანი მათკენ მოტრიალდა და რიერდენს ძლივს შესამჩნევად გაუღიმა.

— ესეც ასე! — თქვა რიერდენმა.

სახურავზე ფირნიში იუწყებოდა — „უაიატის სარკინიგზო გზაჯვარედინი“. დაგნიმ მას შეხედა და უცებ ვერც კი მიხვდა, მაინც რა მოეჩვენა ასე უცნაური: ფირნიში არ მოძრაობდა. ყველაზე ამაღელვებელი მთელი მოგზაურობის განმავლობაში სწორედ ეს წუთი აღმოჩნდა — როცა მატარებელი გაჩერდა.

საიდანღაც ხმები მოესმა, დაგნიმ ქვემოთ ჩაიხედა და დაინახა, რომ პლატფორმაზე უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. მერე კი კაბინის კარი ფართოდ გაიღო. მიხვდა, რომ პირველი თვითონ უნდა გადასულიყო და ზღურბლისკენ გაემართა.

უცებ იგრძნო, როგორი სიფრიფანა, მსუბუქი იყო მისი წამით ადგილზე გაქვავებული სხეული. მეტალის სახელურს მოეჭიდა და კიბეს დაუყვა. ნახევარიც კი

არ ჩაევლო, როცა წელზე მამაკაცის ხელები იგრძნო. ვიღაცამ კიბეს მოსწყვიტა, ჰაერში აიტაცა და მიწაზე დასვა. დაგნიმ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, როცა მიხვდა, რომ ეს ახალგაზრდა, ლამის ბიჭური, მოცინარი სახე ელის უაიატს ეკუთვნოდა.

კარგად ახსოვდა, როგორი დაძაბული და ზიზღით აღსავსე გამომეტყველება ჰქონდა უაიატს მათი პირველი შეხვედრისას. ახლა კი მისი სახე ბავშვურ სისუფთავეს, ენერგიასა და კეთილგანწყობას გაეცისკროვნებინა, ბავშვისას, სწორედ იმ სამყაროში რომ მოხვდა, რომლისთვისაც იყო გაჩენილი.

დაგნის მიწაზე მყარად დადგომა გაუჭირდა და უაიატის მხარს მიეყრდნო; ის ეხვეოდა, დაგნი იცინოდა, უაიატს უსმენდა და პასუხობდა:

— განა შეიძლებოდა დაეჭვება, რომ ჩვენ ამას შევძლებდით?

დაგნიმ ახლაღა შეამჩნია ირგვლივ მყოფი ხალხი. ისინი. „ჯონ გოლტ ინკორპორეიტიდის“ აქციონერები იყვნენ, ადამიანები, რომლებიც „ნილსენ მოტორსს“, „ჰემონდ ქარზ კომპანის“, „სტოკტონ ფაუნდრის“ და სხვა დანარჩენ კომპანიებს წარმოადგენდნენ. დაგნი მათ უსიტყვოდ ართმევდა ხელს. ოდნავ მოხრილიყო და ელის უაიატს. დაყრდნობილი, შუბლიდან თმას იწევდა. უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი ბრიგადის წევრებსაც. მათ სახე უბრწყინავდათ ღიმილით. ირგვლივ ფოტოკამერების შუქები ელავდა. ფერდობზე აღმართული ჭაბურღილებიდან ადამიანები მისალმების ნიშნად ხელს უქნევდნენ. ჩამავალი მზის ბოლო სხივები მატარებლის ვერცხლის დაფაზე გამოსახულ ინიციალებს ანათებდა.

ელის უაიატმა ინიციატივა გამოიჩინა. ხალხი იდაყვით განზე გასწია, გზა გაათავისუფლა, დაგნი რომ გაეყვანა. ამ დროს ერთმა რეპორტიორმა გზა გამოიკვლია და მათთან მიღწევა მოახერხა:

— მის ტაგარტ, რაიმეს ხომ არ ეტყოდით ხალხს?

— მან უკვე ყველაფერი თქვა, — უპასუხა ელის უაიატმა და სატვირთო ვაგონების გრძელი ჯაჭვისკენ მიუთითა.

შემდეგ დაგნი კაბრიოლეტის უკანა სავარძელზე აღმოჩნდა. ავტომობილი მიხვეულ-მოხვეული გზით აუყვა ფერდობს; დაგნის გვერდით რიერდენი ეჯდა, უაიატი საჭეს მართავდა.

ზედ ფლატის პირას მდგარ სახლთან გაჩერდნენ. ირგვლივ ახლომახლო არავინ ცხოვრობდა, სამაგიეროდ, აქედან მშვენივრად მოჩანდა ნავთობსაბადოები.

— რა თქმა უნდა, ღამეს ორივენი ჩემს სახლში გაათევთ, — უთხრა მათ უაიატმა, როგორც კი შინ შეუძღვა, — ან, იქნებ, სხვა გეგმები გაქვთ?

დაგნის გაეცინა:

— არ ვიცი, ამაზე საერთოდ არ მიფიქრია.

— უახლოესი ქალაქი აქედან ერთი საათის სავალზეა. თქვენი მატარებლის ბრიგადის წევრები იქ წაიყვანეს. თქვენი ფილიალის მუშებმა მათ საპატივცემულოდ ბანკეტი გამართეს. მთელი ქალაქი მათთან ერთადაა. მაგრამ მე ტედ ნილსენს და დანარჩენებს ვუთხარი, რომ მიღების მოწყობას და სიტყვების წარმოთქმას არ ვაპირებთ, თუ, რასაკვირველია, თქვენ არ მოისურვებთ.

— ღვთის გულისათვის! არა! — შესძახა დაგნიმ, — გმადლობთ, ელის.

უკვე ბნელოდა, როცა სავახშმოდ დასხდნენ. ოთახს ფართო ფანჯრები ჰქონდა და სადად, მაგრამ ძვირფასი ავეჯით იყო გაწყობილი. ვახშამზე ხნიერი, სიტყვაძუნწი ინდიელი ემსახურებოდათ, უდრტვინველი და თავაზიანი. უაიატისა და ინდიელი

მსახურის გარდა, აქ სხვა არავინ ცხოვრობდა. ოთახში;, მაგიდაზე, სანთლები ენთო, გარეთ კი ჭაბურღილების პროჟექტორები და ვარსკვლავები ანათებდნენ.

— ესე იგი, საქმეს უკვე შეუდექით, არა? — თქვა ელის უაიატმა, — მხოლოდ ერთი წელი მომეცით და საქმე თავზესაყრელად გექნებათ. დღეში ცისტერნების ორი შემადგენლობა — როგორ მოგწონთ, დაგნი? მერე ოთხ, ექვს შემადგენლობას შევავსებ დღეში... რამდენსაც მოისურვებთ.

— მან ხელი მთებისკენ გაიშვირა:

— ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ამიერიდან ვაპირებ.

— მერე დასავლეთზე მიანიშნა:

— ეს ბუენა-ესპერანსას უღელტეხილია. აქედან ხუთ მილში. ყველა გაკვირვებულია, ვერ გაუგიათ, იქ რას ვაკეთებ. ფიქლის ნავთობი... რამდენი წლის წინ ჩაიქნია ყველამ ხელი ფიქლისგან ნავთობის მიღებაზე, რადგან მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა. ცოტაც მაცადეთ და ნახავთ ჩემი შემუშავებული მეთოდის შედეგებს. ეს ყველაზე იაფი ნავთობი იქნება... ამოუწურავი მარაგი... ყველაზე დიდი საბადოები მასთან შედარებით ჭუჭყიან გუბედ მოგეჩვენებათ... უკვე შევუკვეთე თუ არა მილსადენი?

ჰენკ, ჩვენ მოგვიწევს, აქედან ყველა მიმართულებით ავაშენოთ მილსადენები... ო, გთხოვთ, მაპატიოთ, სადგურში არ გაგეცანით. არც კი მითქვამს, რა მქვია.

რიერდენს გაეღიმა:

— უკვე თვითონაც მივხვდი.

— გთხოვთ, თავქარიანი არ გეგონოთ, მაგრამ ძალიან აღელვებული ვიყავი.

— მაინც, რამ აგაღელვათ? — ირონიულად მოჭუტა თვალები დაგნიმ.

უაიატმა სწრაფად შეხედა დაგნის. მისი პასუხის საზეიმო ტონი უცნაურად ერწყმოდა გულიან სიცილს მის ხმაში:

— ყველაზე შესანიშნავმა სილამ ჩემს ცხოვრებაში, რომელიც სავსებით დავიმსახურე.

— ჩვენს პირველ შეხვედრას გულისხმობთ?

— ჩვენს პირველ შეხვედრას ვგულისხმობ.

— არ გინდათ, ელის. თქვენ მართალი იყავით.

— დიახ, ყველაფერში, ერთის გარდა, თქვენში შევცდი. დაგნი, თქვენ გამონაკლისი აღმოჩნდით. გამონაკლისი იპოვო ამდენი წლის შემდეგ... თუმცა, ჯანდაბას მაგათი თავი! ხომ არ გინდათ, ჩავრთო რადიო და მოგასმენინოთ, რას ამბობენ თქვენ ორის შესახებ?

— არა.

— კარგია. მეც არ მინდა მათი მოსმენა. თვითონ უსმინონ თავიანთ თავს. ახლა ყველა ჩვენ მოგვაწყდება. ბრძანებებსაც ჩვენ გავცემთ.

— მან რიერდენს შეხედა:

— ჰენკ, რატომ გეღიმებათ?

— ყოველთვის მინდოდა, ისეთი მენახეთ, როგორიც სინამდვილეში ხართ.

— დღევანდელ დღემდე არასოდეს მქონია შესაძლებლობა, ის ვყოფილიყავი, ვინც სინამდვილეში ვარ.

— თქვენ რა, აქ ასე ცხოვრობთ, მარტო, ყველაფრისგან ასე შორს?

— მხოლოდ ორიოდე ნაბიჯი მაშორებს ყველაფრისგან, — უპასუხა უაიატმა და ფანჯარაზე ანიშნა.

— და ადამიანებთან ურთიერთობაზე რას იტყვით?

— სახლში სასტუმრო ოთახები მაქვს, მათთვის, ვინც ჩემთან საქმეზე ჩამოდის. სხვებს რაც შეეხებათ, მართალი გითხრათ, რაც უფრო დიდი მანძილი იქნება ჩვენ შორის, მით უკეთესია. — უაიატი წინ გადაიხარა და სასმისები ხელმეორედ შეავსო, — ჰენკ, იქნებ, კოლორადოში გადმოსულიყავით? რატომაც არა, ეშმაკს წაუღია ნიუ-იორკიც და მთელი დასავლეთი სანაპიროც! რენესანსის დედაქალაქი აქ არის. მეორე რენესანსის — ფერწერისა და საკათედრო ტაძრების აღორძინების კი არა, არამედ ნავთობის ჭაბურღილების, ელექტროსადგურებისა და ძრავების, რომლებიც რიერდენ მეტალისგან იქნება დამზადებული.

ხომ იყო ქვის ხანა, რკინის ხანა, ამ ახალ დროს კი რიერდენ მეტალის ხანას დაარქმევენ, იმიტომ, რომ თქვენი მეტალის წყალობით ადამიანისთვის შეუძლებელი აღარაფერი იქნება.

— პენსილვანიაში რამდენიმე ჰექტარი მიწის შეძენას ვაპირებ, — თქვა რიერდენმა, — ჩემი საწარმოების ირგვლივ. რა თქმა უნდა, გაცილებით იაფი დაჯდებოდა, აქ გამეხსნა ფილიალი, ასეც მინდოდა, მაგრამ თვითონაც იცით, ახლა რატომ არ შემიძლია ამის გაკეთება. რა გაეწყობა, ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ! ასეა თუ ისე, მაგათ ორივე ბეჭზე დავანარცხებ. ქარხნების გაფართოებას ვაპირებ და თუ დაგნი დღეში სამ შემადგენლობას გამომიყოფს კოლორადომდე, მერე ვნახავთ, მაშინ სად იქნება მეორე რენესანსის დედაქალაქი!

— ერთი წელი მომეცით, რომ „ჯონ გოლტის ხაზი“ ავამუშაო და „ტაგარტი“ გავმართო და დღეში სამჯერ გადავზიდავ თქვენს ტვირთებს ოკეანიდან ოკეანემდე გადაჭიმული რიერდენ მეტალის რკინიგზით.

— ვინ ამბობდა, საყრდენი წერტილი მომეცითო? — იკითხა ელის უაიატმა, — გზაზე ნურ ავინ გადამეღობება და დავანახებ მაგათ, როგორ უნდა დედამიწის გადატრიალება. დაგნი შეეცადა, მიმხვდარიყო, რა მოსწონდა ასე ელის უაიატის სიცილში. ორივე მამაკაცის ხმებში, და მის საკუთარშიც, ისეთი ინტონაცია ისმოდა, რომელიც ადრე არასდროს გაუგონია.

როცა სუფრიდან წამოდგნენ, დაგნიმ მაშინღა შეამჩნია, რომ ოთახში მხოლოდ სანთლები ენთო, არადა, აქამდე ეჩვენებოდა, რომ გარს კაშკაშა სინათლე ერტყათ.

ელის უაიატმა სასმისი ასწია, სტუმრებს შეხედა და თქვა:

— ვადღეგრძელებ სამყაროს, დედამიწას, რადგან ის სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს!

და სულმოუთქმელად გამოცალა და დაგნიმ გაიგონა, როგორ მიელეწა კედელს მინა. ეს არ იყო ჩვეული ჟესტი, როცა სასმისს დღესასწაულის აღსანიშნავად ამსხვრევენ. დაინახა, როგორ მოიქნია ხელი მკვეთრად ელისმა, ეს გამძვინვარებული მეამბოხის ჟესტი იყო, გაშმაგებული ჟესტი, რომელიც ტკივილის უხმო ყვირილს უფრო ჰგავდა.

— ელის, — წაიჩურჩულა დაგნიმ, — რა მოგივიდათ?

უაიატი დაგნისკენ შეტრიალდა და შეხედა. ისეთივე მოულოდნელობით თვალები გაუნათდა, სახე დაუმშვიდდა და შიშის მომგვრელი გრიმასა თბილმა ღიმილმა შეცვალა.

— მაპატიეთ, — თქვა უაიატმა, — ყურადღებას ნუ მომაქცევთ. იმედი ვიქონიოთ, ეს ყველაფერი დიდხანს დარჩება ისეთი, როგორსაც დღეს ვხედავთ.

არემარეს უკვე მთვარის შუქი ეფინა, როცა უაიატმა ისინი გარეთა კიბით მეორე სართულზე აიყვანა ღია ტერასაზე, სადაც სასტუმრო ოთახების კარები გამოდიოდა, მშვიდობიანი ღამე უსურვა და ქვევით ჩავიდა. მთვარის შუქმა ბგერებიც თითქოს

ისევე მიაყუჩა, როგორც ყოველი ფერი გაახუნა გარშემო. უაიატის ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყნარდა და როცა ბოლოს და ბოლოს შეწყდა, ირგვლივ დასადგურებული სიჩუმე ხანგრძლივ მარტოობას დაემსგავსა, გეგონებოდა, მთელ დედამიწაზე სულიერი არსება აღარ დარჩენილიყო.

დაგნი თავის ოთახში არ შესულა. რიერდენიც გაუნძრევლად იდგა. ტერასას მხოლოდ დაბალი მოაჯირი დაუყვებოდა, მის მიღმა კი წყვდიადი ჩამოწოლილიყო.

კუთხოვანი მოაჯირი ქვემოთ ეშვებოდა. მთვარის შუქით განათებულ კლდეზე შავ ზოლებად დაფენილი ჩრდილები ჭაბურღილის კოშკურათა კონტურებს იმეორებდნენ. კამკამა ჰაერში რამდენიმე წითელი და თეთრი ალი თრთოდა ფოლადის კოჭების კიდეებს შერჩენილი წვიმის წვეთებივით. შორს, „ტაგარტის“ რკინიგზის გასწვრივ, სამი პატარა მწვანე წვეთი გამწკრივებულიყო.

მათ უკან, დასალიერში, თეთრი რკალის ქვეშ, აბლაბუდასავით დაქსელილ მართკუთხედად ხიდი ეკიდა.

დაგნიმ რიტმი იგრძნო, რომელიც არც ხმას შეესატყვისებოდა, არც მოძრაობას, მის გვერდით რაღაც პულსირებდა, თითქოს ორთქლმავლის ბორბლები ჯერაც მიქროდნენ „ჯონ გოლტის ხაზზე“.

რიერდენისკენ შეტრიალდა, ნელა, გეგონებოდა, უხმო ძახილს უძალიანდებოდა რიერდენის გამომეტყველებამ პირველად მიახვედრა იმას, რაც ადრეც მშვენივრად იცოდა — მათი მოგზაურობის ბოლო სწორედ ასეთი იქნებოდა. რიერდენი ისე არ უყურებდა, როგორც ჩვეულებრივ მამაკაცები უყურებენ ხოლმე სასურველ ქალს — არც მოშვებული იყო, არც მოდუნებული, არც უაზრო სიხარბე ეტყობოდა, მჭიდროდ მოკუმული დაძაბული ტუჩები პირის კონტურს გამოკვეთდა. მხოლოდ თვალები ჰქონდა მიბნედილი, თითქოს ჩამოსიებული, ჯიუტი მზერა კი ერთდროულად სიძულვილსა და ტკივილს გამოხატავდა.

დაგნი ელდანაკრავი გაქვავდა ადგილზე. შეამჩნია, როგორ წაუჭირა რაღაცამ ყელში და ვერაფერს გრძნობდა, გარდა ამ უხმო კონვულსიისა, რომელიც სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. თუმცა, რასაც ახლა შეიგრძნობდა, ერთადერთს ნიშნავდა: ჰო, ჰენკ, ჰო... რადგან ეს ამავე ბრძოლის ნაწილია. ვერც კი აგიხსნი, რატომ, მაგრამ ასეა... ეს ხომ ჩვენი ცხოვრებაა, რომლითაც მათ უბადრუკ არსებობას ვუპირისპირდებით... ჩვენი უდიდესი ნიჭიერება, რის გამოც ისინი ასე გვტანჯავენ; იმის გამო, რომ უნარი შეგვწევს, ვიყოთ ბედნიერნი... ახლა კი, დაე, ეს მოხდეს, აი ასე, უსიტყვოდ, კითხვების გარეშე... იმიტომ, რომ ჩვენ ორივეს ეს გვინდა.

თითქოს სიძულვილის ვულკანი ამოიფრქვა, გეგონებოდა, მათრახი გადაუჭირეს დაგნიმ რიერდენის ხელები იგრძნო. თვითონაც მთელი სხეულით მიეკრო და ტუჩებით დააკვდნენ ერთმანეთს.

დაგნის ხელმა რიერდენის მხარიდან მის ზურგზე გადაინაცვლა, მერე კი ფეხებისკენ ჩასრიალდა, იმ გამოუთქმელი, უღიარებელი სურვილით; რომელსაც მასთან ყოველი შეხვედრისას განიცდიდა. როცა დაგნიმ რიერდენს ტუჩები მოსწყვიტა, უხმოდ, საზეიმო განცდით აღვსილი იცინოდა, თითქოს ამბობდა: „ჰენკ რიერდენი, მკაცრი და უკარება ჰენკ რიერდენი — მისი კაბინეტი, რომელიც ბერის სენაკს ჰგავს; საქმიანი მოლაპარაკებები, დაუნდობელი გარიგებები — ახლა თუ გახსოვს ისინი?

აი, მე კი მახსოვს და მიხარია, ამ წამამდე რომ მოგიყვანე“...

რიერდენი არ იღიმებოდა, ეს მტრის სახე-იყო. მან ისევ გადაუწია დაგნის თავი და ტუჩებზე ისე დაეწაფა, თითქოს უნდოდა, ტკივილი მიეყენებინა მისთვის.

დაგნიმ იგრძნო, როგორ კანკალებდა ის და გაიფიქრა, რომ სწორედ ასე უნდოდა მისი დამარცხება — მტანჯველი წინააღმდეგობის შედეგად. და მაინც, აცნობიერებდა, რომ ეს რიერდენის ტრიუმფი იყო; რომ დაგნის სიცილი მხოლოდ რიერდენით აღფრთოვანებას გამოხატავდა; რომ დაგნის წინააღმდეგობას სხვა არაფერი ერქვა, თუ არა მორჩილება; რომ დაგნი თავს არ ზოგავდა, ოღონდ კი რიერდენის გამარჯვება უფრო შთამბეჭდავი გამხდარიყო. რიერდენი მკერდში ისე იკრავდა, თითქოს უნდოდა მიეხვედრებინა, რომ ახლა ის მხოლოდ და მხოლოდ მისი სურვილის დაკმაყოფილების ინსტრუმენტი იყო, რომ მისი გამარჯვება დაგნის დამორჩილების სურვილს ნიშნავდა:

„ვინც არ უნდა ვიყო მე“, — ფიქრობდა დაგნი, — „როგორც არ უნდა ვამაყობდე საკუთარი გამბედაობით, მუშაობით, ინტელექტით და უნარებით — ამას ყველაფერს შემოგწირავ შენი სხეულის სიამოვნებისთვის; მინდა, ამ ყველაფრით გემსახურო, შენ კი გსურს, დამაჯილდოვო იმ უმაღლესი ჯილდოთი, რომლის მოცემაც ჩემთვის შეგიძლია“.

მათ ზურგს უკან, ოთახებში, შუქი ენთო. რიერდენმა დაგნის ხელი ჩაჰკიდა და თავისი ოთახისკენ უბიძგა, აგრძნობინა, რომ არც მის თანხმობას საჭიროებდა, არც მის პროტესტს. დაგნის პირდაპირ თვალებში უმზერდა, კარი მიხურა. დაგნი გამართული იდგა და რიერდენს,უყურებდა,შემდეგ სანათისკენ ხელი გაიწოდა და შუქი ჩააქრო. რიერდენი მიუახლოვდა მას და სინათლე ისევ აანთო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად დაინახა რიერდენის სახეზე ღიმილი — ზანტი, დამცინავი, ავხორცი ღიმილი, რომელიც ამგვარი საქციელის მიზანს ააშკარავებდა.

მან დაგნი საწოლზე დააწვინა და ტანსაცმელი შემოაგლიჯა. დაგნი მას კისერს, მხრებს უკოცნიდა. ხვდებოდა, რომ ვნების ყოველი გამოვლინება რიერდენს ტკივილს აყენებდა, რომ ახლა მის სულში წარმოუდგენელი მრისხანება გროვდებოდა — ვერავითარი ალერსი ვერ დააკმაყოფილებდა რიერდენის სწრაფვას, გული ეჯერებინა მის მიერ გამოხატული ვნებით — რიერდენმა შეხედა დაგნის შიშველ სხეულს, შემდეგ დაიხარა და ქალმა გაიგონა მისი ჩუმი ხმა, რომელშიც ტრიუმფი უფრო მოისმოდა, კითხვა კი არა:

— შენ გინდა ეს?

დაგნის პასუხი ამოოხვრას ჰგავდა:

— ჰო. — ამოიკვნესა მან თვალებდახუჭულმა.

დაგნი გრძნობდა, რომ ეს მისი პერანგის ქსოვილი ეხებოდა, იცოდა, რომ ტუჩები, რომელიც მის ტუჩებს კოცნიდა, რიერდენის იყო, სხვა. მათ არაფერი ყოფდათ, სწორედ ისე, როგორც ამ წამს სული და სხეული იყო განუყოფელი. მთელი განვლილი ცხოვრების განმავლობაში ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მტკიცედ მიუყვებოდნენ არჩეულ გზას; ცხოვრებისადმი მათი სიყვარული აღმოცენდა იმის გაცნობიერებით, რომ ამ სამყაროში მუქთად არაფერი მოდის; რომ ადამიანი თვითონ უნდა გაერკვეს საკუთარი სურვილის არსში და ვალდებულია; თვითონ ესწრაფოს მის შესრულებას. ეს იყო მეტალისადმი, რელსებისადმი, ძრავებისადმი მიძღვნილი წლები, როდესაც ისინი ერთადერთ აზრს ემორჩილებოდნენ: რომ ადამიანმა გარე სამყარო სათავისოდ უნდა შეცვალოს; რადგან მხოლოდ ადამიანის სული ანიჭებს. მნიშვნელობას უსულო მატერიებს, აიძულებს მათ, დასახული მიზნის მიღწევაში ემსახურონ. სწორედ ამ გზამ მოიყვანა ისინი წუთამდე, როცა ყველაზე ამაღლებული; ყველაზე სანუკვარი წამის პასუხად, იმ აღტაცებას დამორჩილებულმა, ადამიანის სულმა სხეული აიძულა,

ტკბობად: გარდაქმნილიყო, მტკიცებულებად, წახალისებად, ჯილდოდ, ისეთ სიხარულად, რომელიც ზედმეტად აქცევს ყველა დანარჩენ სიხარულს ამ სამყაროში, და რიერდენმა გაიგონა, როგორ შეიცვალა დაგნის სუნთქვა კვნესით, დაგნიმ კი იგრძნო, როგორ მოიცვა კანკალმა რიერდენის სხეული.

თავი 9

წმინდა და უწმინდური

დაგნი უყურებდა სინათლის რგოლებს, რომლებიც სამაჯურებივით შემოხვეოდნენ ხელზე მხრებიდან მაჯებამდე. მზის სხივები ფანჯრის ჟალუზის ღრიჭოებს შორის აღწევდა მისთვის უცნობ ოთახში. იდაყვი ჩალურჯებული ჰქონდა, შემხმარი სისხლის მუქი წინწკლებიც შენიშნა. ტანზე საბანი ეფარა, ხელი კი ზემოდან ედო. მხოლოდ თავის ფეხებსა და თეძოებს გრძნობდა, სხვას ვერაფერს. მთელ დანარჩენ სხეულს უცნაური სიმსუბუქე დაუფლებოდა, თითქოს ჰაერში იწვა, მზის სხივებით ნაქსოვ სარეცელზე.

რიერდენისკენ გადაბრუნდა და გაიფიქრა: მისი ადრინდელი თავშეკავებისგან, მინასავით მყიფე ოფიციალურობისგან, მისი ამაყი მზადყოფნისგან არასდროს ეგრძნო რაიმე, კვალიც კი არსად დარჩენოდა. ეს ახალი რიერდენი მის გვერდით იწვა, რამდენიმესაათიანი გახელების შემდეგ, რომლისთვისაც სახელი ვერ მოეძებნათ, სიტყვები და გამოთქმები ვერ შეერჩიათ, მაგრამ. ის ერთმანეთისკენ მიპყრობილ მათ თვალებში იკითხებოდა. უნდოდათ;—რაიმე დაერქმიათ; მნიშვნელობა მიენიჭებინათ, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ.

რიერდენის წინაშე ნორჩი გოგონა იყო, რომლის სახეც შინაგან სხივს გაეცისკროვნებინა, ბაგეზე კი ღიმილი გადაჰფენოდა; დაგნის კულული შიშველ მხარზე ჩამოშლოდა; რიერდენს ისე უყურებდა, გეგონებოდა, მზად იყო; მისი ნებისმიერი სიტყვა მიეღო, ყველაფერს შეჰგუებოდა, რასაც ის ინებებდა.

რიერდენმა ხელი გაიწოდა და ლოყიდან თმა გადაუწია, ფრთხილად, თითქოს მსხვრევადი ყოფილიყო. დაგნის კულული თითებში მოიქცია და თვალებში ჩახედა, შემდეგ მოულოდნელად ეს კულული ტუჩებთან მიიტანა, აკოცა. ამ კოცნაში უსაზღვრო სინაზე იგრძნობოდა, თუმცა თითები სასოწარკვეთით უთრთოდა.

ბალიშზე გადაწვა, გაირინდა და თვალები დახუჭა. ახალგაზრდული და წყნარი სახე ჰქონდა. როცა დაგნიმ წამით დამშვიდებული დაინახა, უეცრად აღმოაჩინა, რა უბედური იყო ეს კაცი; „ახლა უკვე ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „დასრულდა“.

რიერდენი საწოლიდან ისე წამოდგა, რომ დაგნისთვის არ შეუხედავს. ისევ ცარიელი და გულჩათხრობილი გამომეტყველება ჰქონდა.

იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი აკრიფა და ჩაცმა დაგნისკენ ნახევრად მიბრუნებულმა დაიწყო. ისე კი არ იქცეოდა, თითქოს დაგნი ოთახში არ ყოფილიყო, არამედ ისე;

თითქოს ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ზუსტი, დროის დაზოგვას ჩვეული კაცის სწრაფი მოძრაობებით შეიკრა პერანგის ღილები და შემოიჭირა ქამარი. დაგნიმ თავი ბალიშზე დადო. სიამოვნებით ადევნებდა თვალს მისი ხელების მარჯვე მოძრაობებს. მისი რუხი შარვალი და პერანგიც მოსწონდა. „ჯონ გოლტის ხაზის“ გამოცდილ მექანიკოსს ჰგავს“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „მზის სხივებისა და ჩრდილების გალიაში დატყვევებულს“. მაგრამ ეს ციხის გისოსები „ჯონ გოლტის ხაზის“ მიერ დანგრეული კედლის ბზარებად იქცა, რომელიც წინასწარ

შეახსენებდათ, თუ რა ელოდათ ორივეს იქ, გარეთ, ამ სახლის ფანჯრებს მიღმა. დაგნი უკვე ტკბებოდა, როგორ გაემგზავრებოდა უკან ახალი რელსებით პირველივე მატარებლით უაიატის სადგურიდან პირდაპირ თავის ოფისში, „ტაგარტის შენობაში“. დაჰბრუნებოდა იმ ყველაფერს, რისი მიღწევაც ამიერიდან მას შეეძლო... თუმცა, ახლა ეს დაიცდიდა, არ უნდოდა საქმეებზე ფიქრი; დაგნი რიერდენის ტუჩების პირველ შეხებას იხსენებდა — ჰქონდა უფლება, მოგონებებით დამტკბარიყო, გაეხანგრძლივებინა ეს წამი, რადგან ახლა მისთვის სხვას არაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა დაგნიმ გამომწვევად გაუღიმა ცის ხაზებს ჟალუზებს შორის.

— მინდა, რომ ეს იცოდე, — თანაბარი, მკაფიო, გულგრილი ხმით უთხრა დაგნის რიერდენმა, რომელიც საწოლთან იდგა და: ზემოდან დაჰყურებდა მას. დაგნიმ მორჩილად შეხედა. რიერდენმა განაგრძო:

— მე შენ მეზიზღები. მაგრამ ეს ზიზღი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც საკუთარი თავის მიმართ ვგრძნობ. მე შენ არ მიყვარხარ. და არც არასდროს მყვარებიხარ. მაგრამ იმ წუთიდან მინდიხარ, როცა პირველად გნახე; მინდოდი, როგორც უნდათ ხოლმე მეძავი, იმავე მიზნით და იმავე მიზეზით. ორი წელი საკუთარ თავს ვწყევლიდი, რადგან ვთვლიდი, რომ შენ ამ ცოდვაზე მაღლა იდექი. თუმცა, ეს ასე არ ყოფილა. შენც ისეთივე ბილწი ცხოველი ხარ, როგორიც მე. როცა ეს აღმოვაჩინე, უნდა შემძულებოდი. მაგრამ ვერ შეგიძულე: ჯერ კიდევ გუშინ ნებისმიერს მოვკლავდი, ვინც მეტყოდა, რომ შენ იმის გაკეთება შეგეძლო, რისი გაკეთებაც მე გაიძულე. დღეს კი სიცოცხლეს მივცემდი, ოღონდ არაფერი შეიცვალოს და ისეთივე“ ძუკნა დარჩე, როგორიც სინამდვილეში ხარ. მთელ იმ სიდიადეს, რასაც მე შენში ვხედავდი... არ გავცვლი შენს უხამს ნიჭში, ცხოველური ტკბობა განიცადო. სულ ახლახან ჩვენ ორი დიდებული ადამიანი ვიყავით, შენ და მე, ამაყნი ჩვენი სიმტკიცით, ასე არ“ არის? და აი, რა დაგვემართა, რა დარჩა ჩვენგან... არ ვაპირებ, თავი მოვიტყუო.

რიერდენი აუჩქარებლად ლაპარაკობდა, თითქოს თავს იმათრახებდა. მის ხმაში ემოცია არ იგრძნობოდა. ეს იმ კაცის ინტონაცია იყო, რომელსაც სათქმელის ამოთქმის სურვილი კი არა, უსაზღვროდ მტანჯველი ვალდებულება ალაპარაკებდა:

— მეამაყებოდა, რომ არასდროს არავინ მჭირდებოდა. ახლა მე შენ მჭირდები. ვამაყობდი, რომ ყოველთვის ჩემი პრინციპების შესაბამისად ვიქცეოდი. დავნებდი სურვილს რომელიც მეზიზღება. ამ სურვილმა მიწასთან გაასწორა ჩემი გონება, ჩემი არსება, ჩემი სასიცოცხლო ძალა — ახლა შენზე ვარ დამოკიდებული. არა დაგნი ტაგარტზე, ვისითაც აღფრთოვანებული ვიყავი, არამედ შენს სხეულზე, ხელებზე, ტუჩებზე, შენს რამდენიმეწამიან ჟრჟოლაზე. ფიცი არასდროს დამირღვევია, დასამალი არასოდეს არაფერი ჩამიდენია. გუშინ მე მთელი ჩემი ცხოვრების ფიცი დავარღვიე. ახლა იძულებული ვიქნები, ვიცრუო, თავი დავიძვრინო, ვითვალთმაქცო, ადრე საკუთარ სურვილებს საქვეყნოდ ვაცხადებდი და ჩემს მიზანს ყველას დასანახად ვაღწევდი. ახლა კი ჩემი ერთადერთი სურვილი იმ სიტყვებით გამოითქმის, რომელთა წარმოთქმაც კი ზიზღს მგვრის. მაგრამ ეს ერთადერთია, რაც მინდა. შენ მე უნდა მეკუთვნოდე და ამისთვის ყველაფერს დავთმობ — ქარხნებს, ჩემს მეტალს, მთელი ცხოვრების მიღწევებს. მინდა, შენ გფლობდე იმის ფასად, რაც სიცოცხლეზე მეტად მიღირს, საკუთარი თავისადმი პატივისცემის ფასად, და მინდა, შენ ეს იცოდე. არ ვაპირებ, სიყვარულით, შეფასებებით; ერთგულებით თუ პატივისცემით მოვიტყუო თავი. არ მინდა, ღირსების მისხალიც კი შეგვრჩეს, თავი რომ გავიმართლოთ. არასდროს მითხოვია მოწყალება. ასე მე თვითონ მოვიქეცი, ეს ჩემი

არჩევანია. ჩემს. საქციელზე და მის შედეგებზე თავადვე ვაგებ პასუხს... ეს დაცემაა — მე მას ისე ვიღებ, როგორც არის, მაგრამ არ მოიძებნება არც ერთი-უმაღლესი სათნოება, რომელსაც მისი გულისთვის არ გავწირავდი. ახლა, თუ გინდა, სილა გამაწანი.

და დიდი სურვილიც მაქვს, რომ ზუსტად ასეც მოიქცე.

— დაგნი საწოლზე წამომჯდარიყო და უსმენდა, საბანი: ყელთან მიეკრა., თავდაპირველად რიერდენმა შენიშნა, როგორ დაებინდა დაგნის“ გაოგნებისგან და რისხვისგან თვალები. შემდეგ უეცრად მოეჩვენა,ის უფრო ყურადღებით უსმენდა და თითქოს რაღაც უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე: რიერდენის სახის გამომეტყველება იყო, თუმცა თვალი არ მოუშორებია მისთვის. თითქოს ისეთი რამ აღმოაჩინა, რაც აქამდე არ იცოდა, ჯიუტად სწავლობდა რაღაცას, რაც მისთვის: აღმოჩენა იყო; რასთანაც ადრე საქმე არ ჰქონია: რიერდენს უცებ ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სახე სინათლის სხივმა გაუცისკროვნა და ამ სხივის ანარეკლს ის უკვე ხედავდა დაგნის სახეზეც, რომელზედაც გაკვირვება ეჭვმა ჩაანაცვლა; მერე კი რაღაც არაჩვეულებრივმა სიცხადემ, წყნარმა და ელვარემ...

ლაპარაკი რომ დაამთავრა, დაგნის სიცილი აუტყდა; რიერდენი გაოგნდა, როდესაც დაგნის სიცილში რისხვა ვერ შენიშნა. მხიარულად, ლაღად, თავისუფლად, შვებით იცინოდა — ასე-მაშინ:კი არ იცინიან, როდესაც პრობლემის გადაწყვეტის გზას მიაგნებენ, არამედ მაშინ, როდესაც აღმოაჩენენ, რომ ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს.

დაგნიმ რამდენადმე განზრახ გაზვიადებული, მკვეთრი მოძრაობით გადაიძრო საბანი და საწოლიდან წამოდგა. იატაკზე დაყრილ თავის ტანსაცმელს დახედა და ფეხით გვერდზე მიყარა. რიერდენის წინ შიშველი იდგა და სახეში უყურებდა, — მე მინდიხარ, ჰენკ. ჩემში ცხოველური უფრო მეტია, ვიდრე შენ წარმოგიდგენია.

ჩვენი გაცნობის პირველივე წუთიდან მინდოდი და მხოლოდ იმის გამო მრცხვენია, რომ თავიდანვე ვერ მივხვდი. არ ვიცი რატომ, მაგრამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ყველაზე ნათელი ჩემს ცხოვრებაში ის წუთები იყო; როცა შენს კაბინეტში ვიჯექი და შემეძლო, დამენახე. ვერ ვხვდებოდი იმ განცდების ბუნებას, რომლებიც შენ გვერდით მეუფლებოდა. ახლა ვიცი. და მხოლოდ ეს მინდა, ჰენკ. მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი სარეცელი გაიზიარო — სხვას არაფერს გთხოვ. შენ თვალთმაქცობა არ დაგჭირდება... ჩემზე ნუ იფიქრებ, ნუ იზრუნებ — არ ვაპირებ შენი გონების, ნებისყოფის, არსებისა თუ სულის ხელყოფას, ვიდრე ჩემთან შენი ყველაზე ქვენა სურვილის დასაკმაყოფილებლად მოხვალ ხოლმე. მე მხოლოდ და მხოლოდ ცხოველი ვარ, რომელიც სხვას არაფერს დაეძებს, გარდა ესოდენ საზიზღარი ცხოველური სიამოვნებისა, მაგრამ ეს სიამოვნება მინდა, შენგან მივიღო. შენ ამბობ, რომ ამ სულმდაბალ ვნებას ამქვეყნად ყველაზე ამაღლებულ სათნოებას შესწირავდი, მე კი... მე ამგვარი სათნოებები არ გამაჩნია, ამიტომაც გასაწირიც არაფერი მაქვს. იმდენად ზნედაცემული ვარ, ქვეყნად ყველა სათნოებას დავთმობდი, ოღონდ კი ლოკომოტივის კაბინაში მდგომი დაგინახო. გულგრილად ვერასოდეს შემოგხედავ. ნუ შეგაშინებს, რომ ჩემზე გახდები დამოკიდებული... ეს მე ვიქნები დამოკიდებული შენზე და შენს ნებისმიერ ახირებაზე. შეგეძლება, მაშინ დამეუფლო, როცა, სადაც და როგორც მოგესურვება. შენ ამას ცხოველური სიამოვნების უსირცხვილო ნიჭი უწოდე? სწორედ ამ ნიჭის წყალობით შეძლებ, უფრო საიმედოდ დამისაკუთრო;, ვიდრე ნებისმიერი შენი უძრავი ქონება.

შენ განუსაზღვრელი უფლება გაქვს ჩემზე, და მე ამის აღიარების არ მეშინია, რადგან არაფერი მაქვს შენგან დასაცავი ან დასამალი. შენ გგონია, რომ ის, რაც ჩვენ შორის მოხდა, შენს მიღწევებს საფრთხეს შეუქმნის, მაგრამ ცდები. მე ისევ ჩემს მაგიდასთან ვიჯდები და ვიმუშავებ, და როცა ცხოვრება უცებ აუტანელი გახდება, ვიოცნებებ ჯილდოზე, რომელსაც შენს სარეცელზე მივიღებ. შენ ამას გარყვნილება უწოდე? მე შენზე გარყვნილი ვარ: შენ ამის გამო თავს იდანაშაულებ, მე კი მეამაყება ჩვენი კავშირი. ეს უფრო მეამაყება, ვიდრე სხვა დანარჩენი, რაც ცხოვრებაში შემიქმნია, ვიდრე ჩემი აშენებული ხაზი. თუ შემეკითხებიან, რა არის ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ცხოვრებაში, ვუპასუხებ: „მე ჰენკ რიერდენთან ვიწექი“. დავიმსახურე და იმიტომ.

როცა რიერდენმა დაგნი საწოლზე დააგდო, მათი სხეულები ისე შეერთდნენ, თითქოს ორი ხმა დაეჯახა ერთმანეთს — კაცის გაწამებული კვნესა და ქალის სიცილი.

* * *

სიბნელეში წვიმა არ ჩანდა, მაგრამ გზაჯვარედინზე ქუჩის განათებას წვიმის წვეთები მბრწყინავ მაქმანად შემოვლებოდა. ჯეიმს ტაგარტმა ჯიბეები მოიქექა და აღმოაჩინა, რომ ცხვირსახოცი დაკარგა...

ხმადაბლა, მაგრამ ძალიან გაღიზიანებულმა შეიგინა, თითქოს რომ წვიმდა, ცხვირსახოცი რომ დაეკარგა და რომ გაილუმპა, ვიღაცის მზაკვრული ხრიკების ბრალი ყოფილიყო.

ქვაფენილზე ტალახი იდო, იგრძნო, როგორ წკლაპუნობდა ფეხსაცმლის ქვეშ ეს სისაძაგლე, ხოლო ცივი ქარი საყელოში უბერავდა. არც სადმე წასვლა უნდოდა, არც გაჩერება. კაცმა რომ თქვას, წასასვლელიც არსად ჰქონდა...

როდესაც დირექტორთა საბჭოს სხდომის შემდეგ თავისი კაბინეტიდან გამოვიდა, უცებ მიხვდა, რომ სრულიად თავისუფალი იყო ყველანაირი საქმისგან და რომ წინ გრძელი, მძიმე საღამო ელოდა და არც არავინ ეგულებოდა, ვისთან ერთადაც ამ საღამოს გაიყვანდა. გაზეთების პირველი გვერდები „ჯონ გოლტის ხაზის“ ტრიუმფალურ წარმატებას იუწყებოდნენ, წუხელ მთელი საღამო რადიოც განუწყვეტლივ ამას გაჰყვიროდა. გაზეთები გადაჭრელებული იყო „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სახელით და ჯიმიც მილოცვების პასუხად იღიმებოდა. მაშინაც იღიმებოდა, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, გრძელი მაგიდის თავში, როცა დირექტორები საფონდო ბირჟაზე „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აქციების თავბრუდამხვევ ზრდაზე საუბრობდნენ; როცა ფრთხილად სთხოვეს, — ისე, ყოველი შემთხვევისთვის, — ეჩვენებინა მათთვის შეთანხმება, რომელსაც ჯეიმსმა მოაწერა ხელი დაგნისთან. მერე კი თქვეს, რომ დოკუმენტი სავსებით კანონიერად იყო შედგენილი და ერთობ დამაჯერებლად ადასტურებდა, რომ ახლა დაგნის მოუწევდა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“. შემდეგ მსჯელობდნენ ბრწყინვალე პერსპექტივებზე და იმ უდიდეს მადლიერებაზე, რომლის გამოც კომპანია ჯეიმს ტაგარტთან დავალებულად გრძნობდა თავს.

— ერთი სული ჰქონდა, სხდომა როდის დამთავრდებოდა და სახლში წასვლა შეეძლებოდა. ოღონდ, როგორც კი ქუჩაში გამოვიდა, მიხვდა, რომ ამ საღამოს ყველაზე მეტად სწორედ შინ არ უნდოდა დაბრუნება. მარტოობა აშინებდა, თუმცა წასასვლელიც არსად ჰქონდა.

არავის დანახვა არ უნდოდა. ყურადღებით აკვირდებოდა საბჭოს წევრების თვალებს, როდესაც ისინი-მის სიდიადეზე საუბრობდნენ; ცბიერ, სლიპინა თვალებს,

რომლებშიც ჯეიმსის მიმართ ზიზღი იგრძნობოდა და უფრო საშინელიც — საკუთარი თავის მიმართ ზიზღი.

თავჩაქინდრული მიყიალებდა, დროდადრო წვიმის წვეთები ნემსებად ესობოდა კისერზე. როგორც კი გაზეთების ჯიხურებს ჩაუვლიდა, ზურგს აქცევდა. გაზეთები ჯიუტად გაჰყვიროდნენ „ჯონ გოლტის ხაზის“ ტრიუმფის შესახებ და ასევე ჯიუტად ახსენებდნენ მეორე სახელსაც, რომლის გაგონება ზარავდა — რაგნარ დანეშოლდის სახელს. ამ უკანასკნელმა წინაღამით ნორვეგიის სახალხო რესპუბლიკაში გასაგზავნი დაზგებით დატვირთული გემი გაიტაცა. ეს ამბავი რატომღაც პირადად შეურაცხყოფდა. ამ განცდას რაღაც ჰქონდა საერთო ჯონ გოლტის ხაზთან“ დაკავშირებულ განცდასთან.

„ყველაფერი იმის ბრალია,“ რომ გავცივდი — ფიქრობდა ჯეიმსი ეს წყეული გაციება რომ არა, თავს ასე ცუდად არ იგრძნობდა, რა მოეთხოვება ადამიანს, როცა ის ავადაა (აბა, რა მისი ბრალი იყო?) — „ნეტა რას ელოდნენ დღეს ჩემგან — ვიმღერებდი თუ ვიცეკვებდი?“ — ბრაზით ესროლა სახეში მისი დღევანდელი უძლურების წარმოსახვით მაძაგებლებს. ჯიბეებში ისევ მოქექა არარსებული ცხვირსახოცი. შეიგინა. გადაწყვიტა, სადმე შესულიყო და ქაღალდის ხელსახოცების შეკვრა ეყიდა.

მოედნის მოპირდაპირე მხარეს, ოდესღაც სიცოცხლით სავსე მოედანზე, განათებული ფანჯრები შენიშნა. გვიანი საათის მიუხედავად, იაფფასიანი მაღაზია ჯერ კიდევ ღია იყო კლიენტების მოლოდინში. „აი, მალე ესეც გავარდება საქმიდან“, — გაიფიქრა, როცა მოედანი გადაჭრა. ამ აზრმა სიამოვნება მოჰგვარა.

აჩახჩახებულ მაღაზიაში, დახლებთან, რამდენიმე დაღლილი გამყიდველი იდგა.

კლიენტები არსად ჩანდნენ, პატეფონი კუთხეში მიმჯდარი ერთადერთი აპათიური მყიდველისთვის უკრავდა. მუსიკამ ტაგარტის ხმაში გაღიზიანება ჩაახშო: მან ისეთი ტონით მოითხოვა ქაღალდის ცხვირსახოცები, თითქოს მისი გაციება სწორედ გამყიდველის ბრალი იყო. გოგონა დახლისკენ შეტრიალდა, მაგრამ უცებვე გამობრუნდა და სწრაფად შეხედა ტაგარტს სახეში. ცხვირსახოცების შეკვრა აიღო, მაგრამ შეჩერდა და უკვე დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა კლიენტს.

— თქვენ ჯეიმს ტაგარტი ხომ არ ხართ? — ჰკითხა გამყიდველმა.

— დიახ! — მკვახედ უპასუხა ტაგარტმა, — მერე თქვენ რა?

— ოჰ! — პირი დააღო გოგონამ და ისეთი აღფრთოვანებით მიაჩერდა, როგორც ბავშვი უყურებს საზეიმო ფეიერვერკს. ჯეიმსის აზრით, ასეთ მზერას მხოლოდ კინოვარსკვლავებისთვის იმეტებდნენ.

— თქვენი ფოტო ამ დილით გაზეთში ვნახე, მისტერ ტაგარტ, — სწრაფად მიაყარა გოგონამ და მსუბუქად გაწითლდა, — იქ ამბობდნენ, რომ ეს ღირსშესანიშნავი მიღწევაადა რომ ის სწორედ თქვენ გეკუთვნით, ოღონდ არ გინდოდათ, ვინმეს ეს გაეგო — აა... დიახ... — უთხრა ტაგარტმა. უკვე იღიმებოდა.

— ზუსტად ისეთი ყოფილხართ, როგორიც იმ ფოტოზე, — სულელური გაოცებით თქვა გოგონამ და მერე დაამატა, — უბრალოდ, დაუჯერებელია... სწორედ თქვენ...

პირადად... შემოხვედით ამ მაღაზიაში!..

— ნუთუ ეს ასეთი დაუჯერებელია? — დაინტერესდა ჯეიმსი და უცებ თავი უხერხულად იგრძნო.

— იმის თქმა მინდა, რომ ყველა თქვენზე ლაპარაკობს მთელი ქვეყანა. ეს ყველაფერი თქვენ გააკეთეთ, და უცებ, აქ შემოდიხართ! ადრე არასდროს შევხვედრივარ ასეთ მნიშვნელოვან ადამიანს. ასე მგონია, ჩემზეც დაწერეს გაზეთებში.

ტაგარტს აქამდე არასოდეს უგრძნია, რომ მის მისვლას. სადმე იქაურობა გაეცისკროვნებინოს: გოგონას დაღლილობა უკვალოდ გაქრა, თითქოს მაღაზია უეცრად ჯადოსნურ, ამაღლებული დრამის სცენად გადაქცეულიყო.

— მისტერ ტაგარტ, მართალია, რასაც გაზეთში თქვენზე წერენ?

— მაინც, რა დაწერეს ასეთი?

— თქვენი საიდუმლოს შესახებ.

— რომელი საიდუმლოს?

— მათ თქვეს, რომ ყველა ამ ხიდის წინააღმდეგი იყო, ეჭვი ეპარებოდათ რომ გაუძლებდა, თქვენ კი არავის შეჰკამათებიხართ, უბრალოდ, შენებას განაგრძობდით, იმიტომ, რომ დარწმუნებული იყავით — ხიდი გაუძლებდა, თუმცა ამის არავის სჯეროდა; რომ „ჯონ გოლტის ხაზი“ ტაგარტების პროექტია და თქვენ იყავით მისი ფარული სულის ჩამდგმელი, მაგრამ ამას საიდუმლოდ ინახავდით, რადგან თქვენთვის სულერთი იყო, ვის შეაქებდნენ ამის გამო.

ტაგარტს უკვე წაკითხული ჰქონდა თავისი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ მომზადებული პრეს-რელიზის ასლი.

— დიახ, — თქვა ჯეიმსმა, — მართლაც.

გოგონა ისე უყურებდა, რომ ტაგარტმა ლამის თვითონაც დაიჯერა საკუთარი ნათქვამი.

— ეს გასაოცარი საქციელია, მისტერ ტაგარტ!

— ყოველთვის ასე იმახსოვრებთ ყველაფერს, რასაც გაზეთებში კითხულობთ?

— რატომ მეკითხებით, დიახ, მგონი, ყველაფერს, რაც საინტერესოა, მნიშვნელოვანი. მომწონს, ასეთ რამეებს რომ ვკითხულობ. ჩემს თავს ხომ არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდება.

მან ეს ხალისიანად თქვა, მხიარულად, საკუთარი თავისადმი სიბრალულის გარეშე. მის ხმაში და მოძრაობაში ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი უშუალობა გამოსჭვიოდა. ხვეული წაბლისფერი თმა, შორიშორ ჩასმული თვალები და ოდნავ დაჭორფლილი აპრეხილი ცხვირი ჰქონდა. „ასეთ სახეს მიმზიდველიც კი ეთქმის, თუკი საერთოდ შეამჩნია კაცმა“, — გაიფიქრა ტაგარტმა, თუმცა არავითარი განსაკუთრებული მიზეზი მისი შემჩნევისთვის არ ჩანდა. გოგონას სრულიად ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, თუ არ გაითვალისწინებდი მკვირცხლ, ცნობისმოყვარე მზერას; რომელიც ყოველ კუნჭულში რაღაც ამაღელვებელსა და უჩვეულოს აღმოაჩენდა.

— მისტერ ტაგარტ, როგორია, როცა თავს დიდებულ ადამიანად გრძნობს კაცი?

— როგორია, როცა თავს პატარა გოგონად გრძნობ?

გოგონას გაეცინა:

— მე მგონი, გადასარევი.

— თუ ასეა, უკეთეს მდგომარეობაში ყოფილხართ, ვიდრე მე.

— ო, როგორ შეგიძლიათ, ასეთი რამ თქვათ...

— ვფიქრობ, ძალიან გაგიმართლათ, რომ არაფერი გესაქმებათ იმ მნიშვნელოვან მოვლენებთან, რაზეც გაზეთები წერენ. ისე, მაინც, რას ეძახით მნიშვნელოვან მოვლენებს?

— იმას, რაც მნიშვნელოვანია...

— და რა არის მნიშვნელოვანი?

— ეს თქვენ უნდა ამიხსნათ, მისტერ ტაგარტ..

— ამქვეყნად მნიშვნელოვანი არაფერია.

გოგონამ უნდობლად შეხედა მას:

— და ამას თქვენ ამბობთ, და სწორედ ასეთ საღამოს?!

— თუ სიმართლე გინდათ, იცოდეთ, სულაც არ მეზეიმება. ასე საძაგლად თავი არასოდეს მიგრძნია.

ტაგარტი გაკვირვებული შეჰყურებდა გოგონას — ასეთ შეშფოთებულ და მზრუნველ მზერას პირველად ხედავდა.

— თქვენ გადაიღალეთ, მისტერ ტაგარტ, — გულწრფელად უთხრა მან, — ჯანდაბაში წასულა ყველა!

— ვინ ყველა?

— ყველა, ვინც გულს გტკენთ. ეს უსამართლობაა.

— რა არის უსამართლობა?

— ის, რომ ახლა თავს ასე გრძნობთ. თქვენ ბევრი სირთულე გადაიტანეთ, მაგრამ ბოლოს გაიმარჯვეთ და ახლა უნდა დატკბეთ ამით. თქვენ ეს დაიმსახურეთ.

— მაინც, რას მთავაზობთ, როგორ უნდა მოვიქცე?

— ოჰ, არ ვიცი. მაგრამ ვფიქრობ, დღეს უნდა გეზეიმათ, წვეულება გაგემართათ, — უამრავი ცნობილი ადამიანი, შამპანური, საჩუქრები, მაგალითად, როგორიც ქალაქის გასაღებია, — ერთი სიტყვით, მართლაც დიდებული წვეულება ქალაქში მარტოს კი არ უნდა გეხეტიალათ და სულელური ქაღალდის ცხვირსახოცები შეგეძინათ.

— ჰო მართლა, მომეცით ეს ცხვირსახოცები, სანამ დაგვიწყებიათ, — უთხრა ტაგარტმა და მონეტა გაუწოდა, — რაც შეეხება მდიდრულ წვეულებას არ გიფიქრიათ, რომ დღეს შესაძლოა, არავის დანახვა არ მინდოდეს?

გოგონა გულწრფელად შეფიქრიანდა:

— მართლაც, მაგაზე არ დავფიქრებულვარ მაგრამ ახლა მესმის რატომაც არ მოგინდათ.

— რატომ? — ამ კითხვაზე თვითონაც არ ჰქონდა პასუხი.

— იმიტომ, რომ თქვენ გარშემო არავინ არ არის თქვენი ღირსი," მისტერ ტაგარტ, — ყოველგვარი პირფერობის გარეშე, ძალიან უბრალოდ წარმოთქვა გოგონამ როგორც ფაქტის კონსტატაცია.

— მართლა ასე ფიქრობთ?

— ადამიანები მაინცდამაინც არ მიყვარს მისტერ ტაგარტ, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა.

— არც მე. მე საერთოდ არ მიყვარს ისინი.

— ვფიქრობ, ისეთ პიროვნებას, როგორიც თქვენ ხართ, ვერ ეცოდინება როგორი უსინდისოები შეიძლება იყვნენ, როგორ ცდილობენ ყველანი, გაგთელონ და ფეხებით გადაგიარონ, თუ ნებას მისცემთ. მეგონა, დიდ ადამიანებს ყოველთვის შეეძლოთ მათი თავიდან მოშორება, და არა მოთმენა ამ რწყილების კბენის — „რწყილების კბენის"? რას გულისხმობთ?

— უბრალოდ, როცა ძალიან.გამიჭირდება,ჩემს თავს ვეუბნები, რომ ისეთ ადგილას უნდა გავაღწიო, სადაც ყველა ტილიანი გულს არ გამიწყალებს, როგორც

რწყილის ნაკბენი. მაგრამ ეტყობა, ყველგან ერთი და იგივე ხდება, ოღონდ რწყილები არიან უფრო დიდები — მერე როგორი დიდები.

გოგონა გაჩუმდა, რაღაცაზე დაფიქრდა — სასაცილოა, — თქვა, თითქოს რომელიღაც თავისი აზრის პასუხად — რა არის სასაცილო?

— ერთხელ წიგნი წავიკითხე, სადაც ეწერა, რომ დიდი ადამიანები ყოველთვის უბედურები არიან, და რაც უფრო დიდები არიან, მით უფრო უბედურნიც. მაშინ ეს უაზრობად მომეჩვენა, მაგრამ ალბათ სიმართლეა.

— იმაზე მეტად, ვიდრე თქვენ გგონიათ.

გოგონა გატრიალდა. სახეზე მღელვარება დაეტყო.

— კი მაგრამ, ასე რატომ წუხხართ დიდი ადამიანების გამო? — შეეკითხა ტაგარტი, — თუ, უბრალოდ, გმირების თაყვანისცემა ჩვევად გექცათ?

გოგონა ტაგარტს მოუბრუნდა. მის ჯერ კიდევ სერიოზულ სახეზე ღიმილმა მკრთალად გამოანათა — ეს ყველაზე მჭევრმეტყველი გამოხედვა იყო, რაც კი ტაგარტს ოდესმე საკუთარი მისამართით დაუჭერია.

— მისტერ ტაგარტ, აბა, სხვამ რამ უნდა აღგვაფრთოვანოს? — ჩუმი, თითქმის განწირული ხმით უპასუხა გოგონამ.

მოულოდნელად რაღაც ხმა გაისმა — არც ზარი იყო, არც ზუმერი, ღრჭიალს უფრო ჰგავდა, რომელიც გამაღიზიანებელი სიჯიუტით გრძელდებოდა.

გოგონა შეკრთა, თითქოს რეალობას დაუბრუნდა, მერე კი ამოიხვნეშა:

— დაკეტვის დროა; მისტერ ტაგარტ, — თქვა გულდაწყვეტილმა.

— მიდით, მოემზადეთ, მე ქუჩაში დაგელოდებით, — უთხრა ტაგარტმა.

გოგონას თვალები გაუფართოვდა. თითქოს ცხოვრებამ ისეთი რამ შესთავაზა, რასაც გულშიც ვერ გაივლებდა.

— არ მეხუმრებით? — ჩაიჩურჩულა — არ გეხუმრებით.

გოგონა ელვის უსწრაფესად გატრიალდა და მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი კარისკენ გაიქცა, დახლიც გადაავიწყდა, თავისი მოვალეობებიც და არც ის გახსენებია; რომ ქალმა არასოდეს არ უნდა დაანახოს მამაკაცს როგორ ესიამოვნა მისი შეთავაზება.

ტაგარტმა წუთით შეიცადა და თვალი. გააყოლა მას. არ უცდია, საკუთარი გრძნობების არსს ჩასწვდომოდა. საერთოდ, მათი გაანალიზება არ სჩვეოდა — ეს ერთადერთი წესი იყო, რომელიც არასოდეს დაურღვევია; უბრალოდ, სურვილს გრძნობდა და ეს სიამოვნებდა — და მეტი არაფრის ცოდნა არ უნდოდა. მაგრამ ამჯერად გრძნობა აზრმა წარმოშვა, რომელიც იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მისი სიტყვებად ჩამოყალიბება ვერ მოასწრო. ის ხშირად ხვდებოდა გოგონებს საზოგადოების დაბალი ფენიდან, რომლებიც უტიფარ სპექტაკლებს უმართავდნენ და, სრულიად გასაგები მიზეზით, დაუფარავად ეთვალთმაქცებოდნენ. ჯეიმსს ისინი არ მოსწონდა, თუმცა, არც ზიზღს ჰგვრიდნენ. მსგავსი საზოგადოება ართობდა.

ასეთები მისთვის თანასწორი პარტნიორები იყვნენ ორივე მხარისთვის სრულიად გასაგებ თამაშში; მაგრამ ეს გოგონა სულ სხვანაირი ჩანდა.

ტაგარტს გონებაში გამოუთქმელი სიტყვები უტრიალებდა: „ეშმაკმა წაიღოს! ეს სულელი გოგო არ თვალთმაქცობს“.

სულაც არ აკვირვებდა და არც წინააღმდეგობრივად ეჩვენებოდა, ამ წვიმაში რომ ტროტუარზე იდგა და მოუთმენლად ელოდა მას; და რომ ის ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც ტაგარტს დღეს სჭირდებოდა. არ უცდია, ჩასწვდომოდა თავისი

ახირების ბუნებას. რაღაც დაუსახელებელი და გამოუთქმელი კი საკუთარ თავს ვერ დაუპირისპირდებოდა.

როდესაც გოგონა მაღაზიიდან გამოვიდა, ტაგარტს თვალში მოხვდა უჩვეულო შეხამება მის გარეგნობაში: მორცხვი მზერა და ამაყად აწეული თავი. ამ საშინელი საწვიმარი ლაბადის საყელოზე დაბნეული მოზრდილი იაფფასიანი ბროში და ხვეულ თმაზე გამომწვევად დაკოსებული პატარა სუროსყვავილებიანი ქუდი კიდევ უფრო აუბრალოებდა. საკვირველი იყო, მაგრამ ამაყად აწეული თავი მის ჩაცმულობას უცნაურ პენს აძლევდა და ცხადყოფდა, რა კარგად იხდენდა იმ ტანსაცმელს, რაც ებადა.

— გნებავთ, ჩემთან შევიაროთ და რაიმე დავლიოთ? — შესთავაზა ტაგარტმა.

გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, უხმოდ, საზეიმოდ, გეგონებოდა, უცებ ვერ გამონახა საჭირო სიტყვები. შემდეგ ისე, რომ მისთვის არ შეუხედავს, თითქოს საკუთარ თავს მიმართა:

— ამ საღამოს თქვენ არავის ნახვა არ გინდოდათ, მაგრამ ჩემთან ერთად ყოფნა მოგინდათ...

ასეთი გულწრფელი სიამაყე ადამიანის ხმაში ტაგარტს თავის დღეში არ მოუსმენია, სიტყვაც არ.დასცდენია, ისე დაჯდა ტაქსიში ტაგარტის გვერდით: ერთხანს გზად უბრალოდ ცათამბჯენებს ათვალიერებდა, მერე კი თქვა:

— გაგონილი მქონდა, რომ ასეთი ამბები ნიუ-იორკში ხდება ხოლმე, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ მსგავსი რამ მე შემემთხვეოდა.

— წარმოშობით საიდან ხართ?

— ბუფალოდან.

— ოჯახი გყავთ?

გოგონამ პასუხი დააყოვნა:

— მგონი, კი... ისინი იქ, ბუფალოში დარჩნენ...

— რას ნიშნავს: „მგონი“?

— მე მათგან წამოვედი.

— რატომ?

— უბრალოდ, ვიფიქრე, რომ თუ მინდოდა, რაიმესთვის მიმეღწია ცხოვრებაში, იქიდან უნდა წამოვსულიყავი, სამუდამოდ.

— რატომ? მოხდა რამე?

— არაფერი. და არც არაფერი მოხდებოდა ოდესმე. სწორედ ამის ატანა აღარ შემეძლო.

— რას გულისხმობთ?

— ისინი... მოკლედ, მე მგონი, აჯობებს, სიმართლე მოგიყვეთ, მისტერ ტაგარტ. მამაჩემი ყოველთვის არარაობა იყო, დედას კი ეს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, მე კიდევ ბოლოს და ბოლოს, ყელში ამომივიდა, რომ შვიდი კაცის მაგივრად მხოლოდ მე ვმუშაობდი, ხოლო მათ რატომღაც არასდროს უმართლებდათ. ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ თუ იქაურობას არ გავეცლებოდი, მეც დავნებდებოდი და მათსავით ჩავლპებოდი. ერთხელაც, უბრალოდ, მატარებლის ბილეთი ვიყიდე და წამოვედი. არც კი გამოვემშვიდობე მათ. წინასწარ არავინ გამიფრთხილებია, წასვლას რომ ვაპირებდი.

— უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა და გაეცინა:

— მისტერ ტაგარტ, იცით, ეს თქვენი მატარებელი იყო.

— აქ როდის ჩამოხვედით?

— ექვსი თვის წინ.

— და მთელი ეს დრო აქ სრულიად მარტო ხართ?

— ასეა, — მხიარულად უპასუხა გოგონამ.

— რის გაკეთებას აპირებდით?

— რა ვიცი, რაიმესი... სადმე მინდოდა, მოვხვედრილიყავი.

— მაინც, სად?

— არ ვიცი... რას არ ახერხებენ ადამიანები. ნიუ-იორკის ფოტო დავინახე და გავიფიქრე... — გოგონამ ცათამბჯენებზე მიუთითა წვიმის ფარდის მიღმა ტაქსის ფანჯრიდან, — გავიფიქრე, რომ ვინც ეს შენობები ააშენა, უსაქმოდ კი არ ზის და წუწუნებს, რომ სამზარეულოში სიბინძურეა, სახურავიდან ჟონავს, წყალგაყვანილობა გაიჭედა და ეს დაწყევლილი ქვეყანა ისე მობეზრდა, რომ... მისტერ ტაგარტ, — გოგონამ თავი მკვეთრი მოძრაობით გაიქნია და ჯეიმსს თვალებში შეხედა, — ჩვენ შიმშილით სული გვხდებოდა, მაგრამ ვითომც არაფერი. სწორედ ამას ვერ შევეგუე — იმას, რომ მათთვის ეს მართლაც სულერთი იყო. თითის განძრევაც არ უნდოდათ, ნაგვის გადაყრაც კი. მეზობლის „ქალი კი გაუთავებლად მიმტკიცებდა, რომ ვალდებული ვიყავი, მათ დავხმარებოდი... მე, შენ, ნებისმიერ ჩვენგანს რა დაემართება, არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ვერავინ ვერაფერს ვერ შეცვლისო.

მის ნათელ თვალებში ტკივილი და გამბედაობა იკითხებოდა.

— არ მინდა მათზე ლაპარაკი, — თქვა მერე, — ახლა-არ. მინდა ჩემი შეხვედრა თქვენთან — ეს ის არის, რაც მათ ვერ ექნებათ. აი, ეს, — თქვენთან შეხვედრას ვგულისხმობ, — მსგავსი რამ არასოდეს შეემთხვეოდათ. და არ მსურს ეს მათ გავუზიარო. ეს მოვლენა მე მეკუთვნის და არა მათ.

— მაინც, რამდენი წლის ხართ? — შეეკითხა ტაგარტი — ცხრამეტის.

უკვე სახლში, თავის გაჩახჩახებულ სასტუმრო ოთახში, როდესაც გოგონა ყურადღებით შეათვალიერა, ტაგარტმა გაიფიქრა, რომ უკეთესი კვების შემთხვევაში, მას. ურიგო ფიგურა არ ექნებოდა; თავისი სიმაღლისთვის და. აღნაგობისთვის მეტისმეტად გამხდარი ჩანდა. მოკლე, გაცრეცილი, ვიწრო კაბა ეცვა, რომელიც უგვანი პლასტმასის ჩხარუნა სამაჯურებით გაელამაზებინა. გოგონა ოთახს ისე ათვალიერებდა, თითქოს მუზეუმში ყოფილიყო, სადაც ხელით ვერაფერს შეეხებოდა და ცდილობდა, მოწიწებით დაემახსოვრებინა ყოველი წვრილმანი — რა გქვიათ? — ჰკითხა ტაგარტმა — შერილ ბრუკსი.

— დაჯექით, შერილ.

ტაგარტმა უსიტყვოდ შეაზავა სასმელი, შერილი სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა და მორჩილად ელოდებოდა. როცა ტაგარტმა სასმისი მიაწოდა, შერილმა დამჯერედ მოსვა რამდენიმე ყლუპი და მას მერე ჭიქა უბრალოდ ეჭირა ხელში. ტაგარტი ხედავდა, რომ გოგონამ სასმელის გემო ვერც კი იგრძნო, ამისთვის არ სცხელოდა.

ტაგარტმა მოსვა და გაღიზიანებულმა სასმისი მაგიდაზე დადგა: დალევა არც მას მოუნდა. დაღვრემილი დააბიჯებდა ოთახში წინ და უკან და იცოდა, რომ შერილი მდუმარედ ადევნებდა თვალს; ტკბებოდა წუთით, იმ უზარმაზარი მნიშვნელობით, რომელიც გოგონას წარმოსახვაში ტაგარტის ყოველ მოძრაობას, მის მანჟეტების საკინძებს, ფეხსაცმლის თასმებს, აბაჟურებსა თუ საფერფლეს ენიჭებოდა.

— მისტერ ტაგარტ, რის გამო ხართ დღეს ასე უბედური?

— თქვენ რატომ გაღელვებთ ეს ამბავი?

— იმიტომ, რომ... თუ დღეს თქვენ არ გაქვთ უფლება, ბედნიერი და ამაყი იყოთ, მაშ, ვის აქვს?

— ზუსტად ეგ მინდა ვიცოდე: ვის აქვს ამის უფლება? — ტაგარტი მკვეთრად მიტრიალდა გოგონასკენ და თავს სიტყვების კორიანტელი დაატეხა, — მას ხომ არ გამოუგონებია რკინის მადანი და ბრძმედები, ასე არ არის?

— ვის?

— რიერდენს. მას არ გამოუგონებია წრთობა, ქიმია და ჩამოსხმა. ის. თავის მეტალს ვერ გამოიგონებდა, რომ არა ათასობით სხვა ადამიანი. მისი შენადნობი! რატომ ჰგონია, რომ ეს მისია? რატომ ჰგონია, რომ ეს მისი გამოგონებაა? ყველა ყველას აღმოჩენებით სარგებლობს. ვერავინ ვერაფერს გამოიგონებს...

შერილი ძალიან დაიბნა:

— მაგრამ, რკინის მადანი და სხვა დანარჩენი... ეს ყველაფერი დიდი ხანია, არსებობს. რატომ არავის მოაფიქრდა ამ მეტალის შექმნა, მისტერ რიერდენის გარდა?

— მან ეს კეთილშობილური მიზნით კი არა, პირადი ხეირისთვის გააკეთა. მთელი ცხოვრება ასე იქცეოდა.

— მაგრამ, მისტერ ტაგარტ, რა არის ამაში ცუდი?

გოგონამ ხმადაბლა გაიცინა, თითქოს გამოცანის პასუხს მიაგნოო:

— მისტერ ტაგარტ ეს ხომ უაზრობაა. თქვენ ალბათ სულ სხვა რამე იგულისხმეთ. ხომ იცით, რომ მისტერ რიერდენმაც და თქვენც სიმდიდრე ალალი შრომით მოიპოვეთ. ასე მოკრძალებულობის გამო ამბობთ, თუმცა ისედაც ყველამ მშვენივრად იცის, რა დიდი საქმე გააკეთეთ — თქვენ, მისტერ რიერდენმა და თქვენმა დამ... ის ალბათ ბრწყინვალე ადამიანია!

— მართლა? ეს თქვენ ფიქრობთ ასე. ჩემი და მკაცრი, უგრძნობელი ქალია, რომელიც მთელ თავის ცხოვრებას რკინიგზებისა და ხიდების მშენებლობაში ატარებს, დიდი იდეალების გულისთვის კი არა, უბრალოდ იმიტომ, რომ ამის კეთება სიამოვნებს. თუკი სიამოვნებს, რა არის აღსაფრთოვანებელი მის საქმიანობაში? სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ხაზის მშენებლობა კოლორადოელი მრეწველების გულისთვის მართლაც მოსაწონია, მით უმეტეს, იმ დროს, როცა გაღატაკებულ ადამიანებს, განსაკუთრებით უმუშევრობის გამო ჩამორჩენილ რაიონებში, ასე სჭირდებათ ტრანსპორტი.

— მაგრამ, მისტერ ტაგარტ, თქვენ თვითონ არ იბრძოდით ამ ხაზის ასაშენებლად?

— დიახ, ვიბრძოდი, იმიტომ, რომ ეს ჩემი მოვალეობა იყო კომპანიის წინაშე, აქციონერების წინაშე, პერსონალის წინაშე. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამით აღფრთოვანებული ვიყო. ძალიან მეეჭვება, ეს ყველაფერი ასეთი მნიშვნელოვანი იყოს... რა საჭიროა ასეთი რთული მეტალი, როცა უამრავ ქვეყანაში ჩვეულებრივი რკინა არ იშოვება. იცი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საკმარისი ლურსმნებიც კი არ გააჩნიათ, საცხოვრებელი სახლები რომ ააშენონ?

— მაგრამ... ჩემი აზრით, ეს თქვენი ბრალი არ არის.

— ვიღაცამ ხომ უნდა იზრუნოს ამ ლურსმნებზე. ვინმე ისეთმა, ვისაც მხოლოდ საკუთარი ინტერესები არ ანაღვლებს. ჩვენს დროში ადამიანს ვერ იპოვი, რომელსაც თანაგრძნობის უნარი აქვს — არადა, გარშემო რამდენი უბედურებაა! როგორი ამბავია: ყველას და ყველაფერს მიაფურთხო და სიცოცხლის ათი წელი რაღაც მეტალებს შეალიო. თქვენ ამას დიდ საქმედ თვლით? ზებუნებრივი ნიჭი არაფერ შუაშია, სინამდვილეში ეს მხოლოდ სქელი ტყავია, რომელსაც მაშინაც ვერ გახვრეტ, ზედ ერთი ტონა გამდნარი ფოლადიც რომ გადაასხა. ამქვეყნად უამრავი უფრო

ნიჭიერი ადამიანია,ვიდრე რიერდენი, მაგრამ მათ შესახებ გაზეთებში არაფერს წერენ, და არც თქვენ გაიქცევით მათ შესახედად რკინიგზის გადასასვლელისკენ, რადგან იმ დროს, როცა სული კაცობრიობის ტანჯვით აქვთ დამძიმებული, ისინი ურყევი ხიდების გამოგონებას არ შეუდგებიან!

გოგონა ტაგარტს მდუმარედ და პატივისცემით უყურებდა, თუმცა უკვე უხალისოდ, თვალებში სხივი. ჩაუქრა. ტაგარტმა თავი უფრო მხნედ იგრძნო. მაგიდიდან სასმისი აიღო, მოსვა, მერე უეცრად რაღაც გაახსენდა და გადაიხარხარა:

— თუმცა, სასაცილო კი იყო, — უკვე უფრო უშუალოდ, მხიარული ხმით უთხრა, — ნეტავი, დაგენახათ, ორენ ბოილს რა დაემართა გუშინ, როცა რადიოთი პირველი ცნობა გადმოსცეს უაიატის სადგურიდან. გაფუჭებული ქაშაყივით გამწვანდა! იცი, როგორ გაატარა გუშინდელი საღამო, ეს საშინელი ამბავი რომ გადაეტანა? სასტუმრო „ვალჰალაში“ ნომერი დაიქირავა — ეს კი ხუმრობა არ გეგონოთ, — და როგორც გავიგე, ახლაც იქ არის — მაგიდის ქვეშ აგდია უგონოდ გალეშილი, თავის ძმაბიჭებთან და ამსტერდამ-ავენიუზე წამოკრეფილ მეძავებთან ერთად!

— ორენ ბოილი ვინ არის? — იკითხა გაოგნებულმა შერილმა.

— ეგა? ქონიანი მატლი, რომელსაც თავისი თავი რაღაც ჰგონია, ერთი საზრიანი ყმაწვილი, რომელიც დროდადრო მეტისმეტად ჭკვიანი ხდება. გუშინ უნდა შეგეხედა მისთვის! მე, პირადად, ძალიან მასიამოვნა. მაგანაც და დოქტორმა ფლოიდ ფერისმაც. ამ პრანჭიას ძალიან არ მოეწონა ეს ყველაფერი, ოჰ, როგორ არ მოეწონა! ელეგანტური ფლოიდ ფერისი, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტიდან, ერის მსახური, რაც მართალია, მართალია, უნდა ვაღიარო, რომ თავი ბრწყინვალედ ეჭირა, თვალიც არ დაუხამხამებია, თუმცა ლაპარაკის დროს აშკა რად ცმუკავდა, — მის ამდილანდელ ინტერვიუს ვგულისხმობ.; ასე თქვა: „რიერდენს ქვეყანამ მისცა ეს მეტალი და ახლა ჩვენ ველოდებით, საპასუხოდ რას მისცემს ის ქვეყანას“. მოხერხებულია, ვერაფერს იტყვი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს ფულებს ხვეტავს... ბერტრამ სკადერსაც კი აჯობა... რომელმაც „არავითარი კომენტარის“ გარდა ვერაფერი მოიფიქრა, როცა კოლეგა ჟურნალისტებმა აზრის გამოთქმა სთხოვეს. „არავითარი კომენტარი“ — და ამას ბერტრამ სკადერი ამბობს, რომელსაც დაბადებიდან პირი არ დაუხურავს, რასაც ჰკითხავენ და არ ჰკითხავენ, ყველაფერზე დაუსრულებლად ლაქლაქებს, დაწყებული აბისინიის პოეზიიდან, დამთავრებული ტექსტილის ფაბრიკებში ქალთა ტუალეტების მდგომარეობით! დოქტორი პრიტჩეტი კი, ეს ბებერი ჩერჩეტი, მიედმოედებოდა, ყველას უმტკიცებდა, რომ ზუსტად იცის — ეს მეტალი რიერდენს სრულებითაც არ გამოუგონებია და რომ ვითომ სარწმუნო წყარომ შეატყობინა, თითქოს რიერდენმა შენადნობის ფორმულა ვიღაც ღარიბ გამომგონებელს მოჰპარა, რომელიც მერე მოკლა!

ტაგარტი კმაყოფილებით ხითხითებდა. შერილმა ვერაფერი გაიგო, თითქოს მას უმაღლეს მათემატიკაში წაუკითხეს ლექცია, მისთვის ტაგარტის გამოხატვის მანერაც გაუგებარი იყო, რის გამოც მისი ნათქვამი კიდევ უფრო იდუმალი ეჩვენებოდა, რადგან დარწმუნებული იყო — ის! — ტაგარტი, სრულიად სხვა რამეს გულისხმობდა ტაგარტმა სასმისი ისევ შეივსო, მაგრამ უეცრად მოიღუშა.

შერილის პირდაპირ, სავარძელში ჩაჯდა და ამღვრეული თვალებით შეხედა გოგონას — იცი, ხვალ ბრუნდება, პირქუშად ჩაიცინა ჯეიმსმა — ვინ?

— ჩემი და, ჩემი უძვირფასესი დაიკო ო, ახლა ალბათ ეჭვი აღარ ეპარება რომ უდიდესი ადამიანი გახდა!.

— მისტერ ტაგარტ, თქვენ არ გიყვართ თქვენი და?

ჯეიმსმა ისევ მწარედ ჩაიცინა, იმდენად ერთმნიშვნელოვნად, რომ პასუხის მაგივრობა გასწია.

— რატომ? — ჰკითხა შერილმა.

— იმიტომ, რომ თავი სრულყოფილი ჰგონია რა უფლება აქვს, ასე იფიქროს? და საერთოდ, ვის აქვს უფლება, თავი უნაკლო ეგონოს? არავის.

— მისტერ ტაგარტ, თქვენ ალბათ სულ სხვა რამეს გულისხმობთ.

— მე უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები ვართ. და რა არის ადამიანი? სუსტი, მახინჯი, ცოდვილი და მანკიერი არსება, ძვლებამდე გახრწნილი. თვინიერება — აი, ერთადერთი სათნოება, რომელზედაც ადამიანს ხელი მიუწვდება. მთელი ცხოვრება მუხლებზე დამხობილი უნდა ითხოვდეს მიტევებას საკუთარი ბინძური ყოფის გამო. როცა კაცს თავი ყველაზე კეთილი და ჭკვიანი ჰგონია, სწორედ მაშინ იწყებს ლპობას. ამპარტავნებაზე დიდი ცოდვა არ არსებობს, რასაც არ უნდა ქმნიდეს კაცი.

— მაგრამ, თუკი ადამიანმა იცის, რომ საქმეს აკეთებს?

— ამ შემთხვევაში ბოდიში უნდა მოიხადოს.

— ვის წინაშე?

— იმათ წინაშე, ვინც ეს არ გააკეთა.

— მე... მე თქვენი არ მესმის.

— რა თქმა უნდა, არ გესმის, რა გასაკვირია. ამისთვის უამრავი წელი უნდა ისწავლო და იშრომო. რაიმე თუ გსმენია დოქტორ სიმონ პრიტჩეტის ნაშრომზე ამყაროს მეტაფიზიკური წინააღმდეგობები? — შერილმა შიშით გააქნია თავი, — საერთოდაც, საიდან უნდა იცოდე, რა კარგია და რა ცუდი? ვის შეუძლია ამის თქმა? ვის შეუძლია, რაიმე ამტკიცოს? აბსოლუტები არ არსებობენ, როგორც უდავოდ დაასაბუთა დოქტორმა პრიტჩეტმა. აბსოლუტური არაფერია. სინამდვილეში, ეს მხოლოდ და მხოლოდ კერძო შეხედულებებია. საიდან იცი, რომ ეს ხიდი საერთოდ არსებობს?

შენ გგონია, რომ ფილოსოფიური სისტემა, დოქტორ პრიტჩეტის სისტემა, აკადემიური, რაღაც განკერძოებული, არაპრაქტიკული რამეა, მაგრამ ასე სრულიადაც არ არის. რომ იცოდე, როგორ არ არის!

— მაგრამ, მისტერ ტაგარტ, ხაზი, რომელიც თქვენ ააშენეთ...

— და რა არის ამ ხაზში განსაკუთრებული? მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური ქმნილება... აქვს კი ამ ხიდს რაიმე მნიშვნელობა? არის კი რაიმე დიდებული რაღაც მატერიალურში? მხოლოდ მდაბალ ცხოველს თუ განაცვიფრებს ეს ხიდი, როცა ცხოვრებაში ამდენი ამაღლებული რამე არსებობს! მაგრამ ამაღლებულ ღირებულებებს ოდესმე ვინმე აღიარებდა? არა! შეხედე ადამიანებს! რის გამოა ეს საგაზეთო ალიაქოთი ატეხილი? რამდენიმე უსულო: მატერიალური ნაჭრის ხელსაყრელი განლაგების გამო. ვის აღელვებს უფრო კეთილშობილური თემები! ვის ან როდის დაუთმია სულის ფენომენისთვის გაზეთების პირველი გვერდები? ვინ დაინახა და დააფასა ფაქიზი, მგრძნობიარე ადამიანი? და შენ კიდევ გიკვირს, რომ დიდი ადამიანი უბედურებისთვის არის განწირული ამ უზნეო სამყაროში.

ტაგარტი წინ გადაიხარა და ყურადღებით დააკვირდა თავის სტუმარს.

— რაღაცას გეტყვი... აი, რას... ზნეობრიობის ნიშანი უბედურებაა. თუ ადამიანი უბედურია, ნამდვილად უბედური, ეს ნიშნავს, რომ ის ამაღლებული არსებაა, სხვებისგან გამორჩეული.

გოგონას სახეზე დაბნეულობა და შეშფოთება გამოესახა...

— მაგრამ, მისტერ ტაგარტ, თქვენ ხომ ყველაფერს მიაღწიეთ, რაც შეიძლება, ადამიანმა ისურვოს. ქვეყანაში საუკეთესო რკინიგზა თქვენია. გაზეთები საუკუნის უდიდეს ბიზნესმენს გიწოდებენ, ამბობენ, რომ თქვენი კომპანიის აქციებმა თვალის დახამხამებაში უდიდესი სიმდიდრე მოგიტანათ... ყველაფერი გაქვთ... ნუთუ ეს არ გიხარიათ?

— არა, — უპასუხა ტაგარტმა.

ამ მოკლე პასუხმა შერილს აუხსნელი შიში მოჰგვარა. თვითონაც არ იცოდა, ჩურჩულზე რატომ გადავიდა:

— ნუთუ ფიქრობთ, რომ აჯობებდა, ხიდი ჩანგრეულიყო?

— ეგ არ მითქვამს! — მოუჭრა მას ჯეიმსმა, მხრები აიჩეჩა და აგდებულად აიქნია ხელი, — უბრალოდ, შენ არ გესმის.

— მაპატიეთ, მისტერ ტაგარტ... ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო.

— მე რაღაც უფრო დიდისკენ სწრაფვას ვგულისხმობ, ვიდრე ეს ხიდია. სწრაფვას, რომელსაც ვერაფერი მატერიალური ვერ დააკმაყოფილებს.

— მართლა, მისტერ ტაგარტ? ნუთუ მართლაც ეს გჭირდებათ?

— ისევ შენსას გაიძახი! ამ კითხვით ისევ უხეშ, მატერიალურ სამყაროში ბრუნდები, სადაც ყველაფერი გამოზომილია და ყველაფერს იარლიყი უნდა ეკრას. მე ისეთ რამეებს ვგულისხმობ, რომელთაც მატერიალური დასახელება არ გააჩნიათ... სულის უმაღლეს, ადამიანისთვის მიუღწეველ სფეროებზე... ბოლოს და ბოლოს, რა არის ადამიანის ნებისმიერი მიღწევა? თვით დედამიწაც კი მხოლოდ და მხოლოდ სამყაროში მოხეტიალე ერთი ატომია და მეტი არაფერი. რას წარმოადგენს ეს ხიდი მზის სისტემასთან შედარებით?

შერილი მოულოდნელად თითქოს რაღაცას მიხვდა და თვალები გაუნათდა — მისტერ ტაგარტ, რა კეთილშობილებაა თქვენი მხრიდან, არაფრად მიგაჩნდეთ საკუთარი მიღწევები. ეჭვიც არ მეპარება, რასაც არ უნდა მიაღწიოთ, მაინც გენდომებათ, უფრო მეტი გააკეთოთ. თქვენ პატივმოყვარე ხართ. აი, რა მიტაცებს ყველაზე მეტად ადამიანებში — პატივმოყვარეობა. ანუ, როდესაც ადამიანი სულ რაღაცას აკეთებს, კი არ ჩერდება, კი არ ნებდება, უბრალოდ, მოქმედებს. მივხვდი, მისტერ ტაგარტ... მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება, ყველა ამაღლებული აზრი ჩემთვის გასაგები არ აღმოჩნდეს.

— ისწავლი.

— ოჰ, მე ძალიან მოვინდომებ!

გოგონას.თვალებში ისევ აღტაცება ედგა ტაგარტმა ოთახი გადაკვეთა, სასმისი რომ შეევსო; ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს შერილის მზერას პროჟექტორივით გაესხივოსნებინა. პატარა ბართან, ნიშაში ჩამოკიდებულ სარკეში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრა თვალი: მხრებში მოხრილი, მოდუნებული მაღალი სხეული, რომელიც თითქოს დემონსტრაციულად უარყოფდა ადამიანის მოხდენილობას, შეთხელებული თმა; მოშვებული, მოღუშული ტუჩები: და უცებ ტაგარტი მიხვდა, რომ გოგონა ახლა მას კი არა, გმირ მშენებელს ხედავდა, ამაყად გაშლილი მხრებითა და ქარში აწეწილი თმით. ჩაეცინა კმაყოფილს, ასე კარგად რომ გაეთამაშა ამ გოგონას. მსუბუქ სიამოვნებას გრძნობდა, — რაღაცით გამარჯვებასაც რომ მიაგავდა, უეჭველ უპირატესობას.

სასმელი მოსვა და თან საძინებლის კარებს გახედა ფიქრობდა, ეს თავგადასავალი ტრადიციულად ხომ არ დაესრულებინა. მიზნის მიღწევა არ

გაუჭირდებოდა: გოგონა მეტისმეტად გაოგნებული ჩანდა საიმისოდ, რომ წინააღმდეგობა გაეწია.

შერილს თავი დაეხარა და ლამპის შუქზე მის მოწითალო-ბრინჯაოსფერ თმასა და გლუვ მხრებს ხედავდა. ჯეიმსი გატრიალდა. „რაში მჭირდება ეს დავიდარაბა?“ — გაიფიქრა თავისთვის.

ბუნდოვან სურვილს, რომელიც დაეუფლა, სუსტი ფიზიკური დისკომფორტი უფრო ეთქმოდა. მოქმედებისკენ გოგონაზე ფიქრი კი არ უბიძგებდა, არამედ იმ მამაკაცებზე, რომლებიც ასეთ შემთხვევას ხელიდან არასოდეს არ გაუშვებდნენ. ამის მიუხედავად, ჯეიმსი იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ ცხოვრებამ გადაჰყარა არსებას, რომელიც გაცილებით უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ბეტი პოუპი, და იქნებ, საუკეთესოც კი, ვინც ოდესმე სცნობია. თუმცა, ამ აზრმა სრულიად გულგრილი დატოვა. ამ გოგონას მიმართაც იმავეს გრძნობდა, რასაც ბეტი პოუპის მიმართ — არაფერს. სიამოვნების მიღების პერსპექტივა გარჯად არ ღირდა; არც არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ეს სიამოვნება მიეღო.

— უკვე გვიანია, — უთხრა ტაგარტმა, — სად ცხოვრობთ? მოდი, ცოტაც კიდევ დავლიოთ და მერე სახლში წაგიყვანთ.

როცა შერილის უბადრუკი ავეჯით გაწყობილი ბინის კართან ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, სადღაც ჯურღმულში, გოგონა ისევ ებრძოდა სასოწარკვეთილ სურვილს, მთავარი კითხვა დაესვა.

— კიდევ... — დაიწყო მან და გაჩუმდა — რა?

— არა, არაფერი, არაფერი!

ტაგარტი მიხვდა, რომ ეს კითხვა დაისმებოდა — მე თქვენ კიდევ გნახავთ?

ტაგარტი სიამოვნებით გაჩუმდა, თუმცა იცოდა, რომ ხალისით მისცემდა მას ასეთ შესაძლებლობას.

შერილმა კვლავ შეხედა, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა და ხმადაბლა, გრძნობით უთხრა:

— მისტერ ტაგარტ, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რადგან თქვენ ნებისმიერი სხვა მამაკაცი თქვენ ადგილას შეეცდებოდა... მათ ხომ მხოლოდ ეს აინტერესებთ, მაგრამ თქვენ იმდენად მაღლა დგახართ ამ ყველაფერზე, იმდენად მაღლა...

ტაგარტი მისკენ დაიხარა და მსუბუქი და ცნობისმოყვარე ღიმილით ჰკითხა:

— ხომ არ ნანობთ? — შეეკითხა გოგონას.

გოგონამ უკან დაიხია, უეცრად შეძრწუნებულმა საკუთარი სიტყვებით — ოჰ... მე ეს სულაც არ მიგულისხმია, — ამოიხვნეშა მან, — ღმერთო ჩემო, მე არაფერს არ ვაპირებდი, სულაც არ ველოდი...

— სახეზე ცეცხლი წაეკიდა, გატრიალდა და გრძელ, ხვეულ კიბეზე აირბინა.

ტაგარტი ერთხანს ტროტუარზე შეყოვნდა. უცნაურ, მძიმე, ბუნდოვან კმაყოფილებას გრძნობდა, თითქოს ზნეობრივი გმირობა ჩაედინა და, იმავე დროს, შურიც ეძია თითოეულ ადამიანზე, რომელიც ჯონ გოლტის. სამასმილიანი მაგისტრალის გასწვრივ იდგა და პირველ მატარებელს ესალმებოდა.

* * *

როცა მათმა ვაგონმა ფილადელფიას მიაღწია, რიერდენმა დაგნი ისე დატოვა; სიტყვაც არ უთქვამს; გეგონებოდა, უკანა გზაზე ერთად გატარებულ ღამეებს მნიშვნელობა დაეკარგა დღის რეალობის წინაშე, ხალხით გადაჭედილი პლატფორმებისა და ორთქლმავლების რეალობის წინაშე, რომელსაც ასე სცემდა

პატივს. დაგნი ნიუ-იორკში მარტო დაბრუნდა. იმავე საღამოს მის კარზე ზარის ხმა გაისმა და მიხვდა, რომ ის იყო, ვისაც ელოდა.

რიერდენს არაფერი უთქვამს, როცა ბინაში შეაბიჯა. დაგნის შეხედა და ამ დუმილმა მის იქ ყოფნას უფრო მეტი ინტიმურობა შესძინა, ვიდრე ნებისმიერმა სიტყვებმა. სახეზე ზიზღიანი ღიმილი უკრთოდა, რომელიც ერთდროულად აღიარებდა კიდეც და კიცხავდა კიდეც მის — და დაგნის — მოუთმენლობას. რიერდენი მისაღები ოთახის ცენტრში გაჩერდა, ირგვლივ აუჩქარებლად მიმოიხედა; ეს დაგნის ოთახი იყო, მისი ხანგრძლივი, ორწლიანი ტანჯვის მიზეზი, რომელზე ფიქრსაც კი ვერ ბედავდა და მაინც გამუდმებით ეფიქრებოდა, ოთახი, სადაც ის არ უნდა შემოსულიყო, მაგრამ ახლა სწორედ აქ იყო, კანონიერი მეპატრონის შინაურულობით.

სავარძელში ჩაჯდა, ფეხები გაჭიმა, დაგნი კი მის წინ იდგა თითქოს დაჯდომისთვის ნებართვა სჭირდებოდა და ახლა მოთმინებით იცდიდა.

— უნდა გითხრა, რომ ბრწყინვალე საქმე გააკეთე ამ მაგისტრალის აშენებით, — თქვა რიერდენმა. დაგნიმ გაკვირვებით შეხედა. რიერდენს არასოდეს სჩვეოდა ასეთი სწორხაზოვანი.ქათინაურები; აღფრთოვანება მის ხმაში გულწრფელი იყო, თუმცა სახეზე კვლავ ირონიული ღიმილი დასთამაშებდა. დაგნის მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები რაღაც მისთვის უცნობი.მიზნით წარმოთქვა, — მთელი დღე შენ შესახებ, მაგისტრალის შესახებ, შენადნობისა და მომავლის შესახებ დასმულ კითხვებს ვპასუხობდი. და კიდევ, შეკვეთებს ვიღებდი რიერდენ მეტალზე, საათში რამდენიმე ათასი ტონის შეკვეთას. არადა, ცხრა თვის წინ ერთიც არ მიმიღია.

დღეს კი იძულებული გავხდი, ტელეფონი გამეთიშა, თავი რომ დამეღწია იმათგან, ვისაც პირადად უნდოდა, ეთქვა, თუ რაოდენ სასწრაფოა მათთვის რიერდენ მეტალი. შენ რას საქმიანობდი?

— არ ვიცი, ვცდილობდი, ედის ანგარიშები მომესმინა ვცდილობდი, ჟურნალისტებს დავმალვოდი:. კიდევ, მოქმედი შემადგენლობა მომეძებნა, რომ „ჯონ გოლტის ხაზზე“ რაც შეიძლება, მეტი მატარებელი გამეშვა, თორემ არსებული განრიგით ამ ბოლო სამ დღეში დაგროვებულ შეკვეთებსაც ვერ გავართმევთ თავს — უამრავ ადამიანს უნდოდა დღეს. შენი ნახვა ასეა?

— ჰო, ასეა.

— ყველაფერს გაიღებდნენ შენთან დალაპარაკებისთვის არა?

— ალბათ კი...

— რეპორტიორები გაუთავებლად მეკითხებოდნენ როგორი ხარ. ერთი ახალგაზრდა ბიჭი ადგილობრივი გაზეთიდან გამუდმებით იმეორებდა, არაჩვეულებრივი ქალიაო. ასე თქვა, შესაძლებლობა რომც მომეცეს, მასთან ლაპარაკის მაინც შემეშინდებაო. და ის მართალია. მომავალი, რომლის შესახებაც ისინი დაუსრულებლად ლაპარაკობენ და რომლისაც ასე ეშინიათ, სწორედ ისეთი იქნება, როგორსაც შენ შექმნი, რადგან შენ აღმოგაჩნდა ის სიმამაცე, რომელიც არც ერთ მათგანს არ გააჩნია. შენ შენი ძლიერებით მათ გზა გაუხსენი გამდიდრებისკენ რაც ასე სწყურიათ. შენ აღმოგაჩნდა სიმტკიცე, ყველას დაჰპირისპირებოდი. სიმტკიცე, არავის ნება-სურვილი არ აღიარო, საკუთრის გარდა.

დაგნის უნებლიეთ სული შეეხუთა: მიზანს მიუხვდა. გამართული იდგა, გაქვავებული, ხელები ჩამოეშვა, ნაკვთიც არ ეძვროდა, არაადამიანური გამძლეობით ისმენდა თავს დახვავებულ ქება-დიდებას, თითქოს როზგით სცემდნენ.

— შენც ხომ მთელ დღეს შეკითხვებს გაყრიდნენ? — განაგრძობდა რიერდენი, რომელიც წინ გადმოხრილიყო, — და აღტაცებით შემოგყურებდნენ, „თითქოს მთის მწვერვალზე მდგარიყავი და მათ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ — ქუდები უნდა მოეხადათ და შორიდან მოწიწებით ეცქირათ, არა?

— ჰო, — წაიჩურჩულა დაგნიმ.

— ისინი შემოგყურებდნენ, თითქოს შენთან მოახლოებას ან შენი თანდასწრებით დალაპარაკებას ვერ ბედავდნენ, შენი კაბის კალთასთან შეხებასაც კი: ეს იცოდნენ და ასეც იქცეოდნენ. მოწიწებით გიცქერდნენ? თითქოსდა ქვემოდან, არა?

დაგნის ხელში სწვდა, ძალა დაატანა, მუხლებზე დააჩოქა და ტუჩებზე დააკვდა.

დაგნი უხმოდ იცინოდა, სიამოვნებისგან დაბინდული თვალები ნახევრად დაეხუჭა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როცა საწოლში იწვნენ გვერდიგვერდ, რიერდენმა, რომლის ხელიც დაგნის სხეულზე დასრიალებდა, მოულოდნელად ჰკითხა — ვინ იყვნენ ის მამაკაცები, ჩემამდე რომ გყავდა?

მან აიძულა დაგნი, ზურგზე გადაწოლილიყო; თვითონ კი მისკენ დაიხარა და დაგნი მიხვდა, რომ ეს კითხვა დიდი ხანია, მოსვენებას არ აძლევდა — მისმა გამომეტყველებამ, წამით შეკრულმა სუნთქვამ, ვითომ მშვიდმა, ხმადაბალმა, მაგრამ აშკარად დაძაბულმა ტონმა მიახვედრა.

დაგნის ისე უყურებდა, თითქოს ელოდა, პასუხად დაენახა უცნობი სახეები — უმცირეს დეტალებში, და ეს სანახაობა მისთვის თავზარდამცემი იყო, თუმცა თვალიც ვერ მოეწყვიტა. მის ხმაში ზიზღი გამოსჭვიოდა, სიძულვილი, წვალება და ამასთან ერთად, უჩვეულო ცნობისმოყვარეობა, რომელსაც სულიერ ტანჯვასთან არაფერი ესაქმებოდა.

ჰკითხა და მჭიდროდ მიიკრა.

დაგნიმ მშვიდად უპასუხა, თუმცა მის თვალებში საშიშმა ნაპერწკალმა გაიელვა, იმის ნიშნად, რომ ყველაფერი კარგად ესმოდა — შენამდე მხოლოდ ერთი მამაკაცი მყავდა, ჰენკ.

— როდის?

— როცა ჩვიდმეტი წლის ვიყავი.

— და ეს დიდხანს გაგრძელდა?

— რამდენიმე წელი.

— ვინ იყო?

დაგნი ცოტა გაიწია და მის ხელზე გადაწვა რიერდენი იდაყვს დაეყრდნო და სახე დაეძაბა.

— ვერ გეტყვი, — უთხრა დაგნიმ.

— გიყვარდა?

— ვერც მაგას გეტყვი.

— მოგწონდა მასთან ყოფნა?

— კი!

თვალებში გამკრთალი სიცილის გამო ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს რიერდენისთვის სახეში სილა გაეწნა. სიცილი მიანიშნებდა, რომ დაგნიმ იცოდა — რიერდენს სწორედ ასეთი პასუხის ეშინოდა და სწორედ მისი გაგონება სურდა.

რიერდენმა ხელები შემოხვია და მაგრად ჩაიკრა მკერდში, ისე მაგრად, რომ დაგნის ზურგში ტკივილმა გაჰკრა. რიერდენის სიტყვებში ბრაზი ისმოდა, ხმაში კი სიამოვნება: — ვინ იყო?

დაგნიმ არ უპასუხა. უყურებდა, მუქი თვალები უცნაურად უბრწყინავდა, ტკივილისგან დაბრეცილმა ტუჩებმა კი ირონიული ღიმილი გამოსახა.

რიერდენი მის ტუჩებს შეეხო და აიძულა; დამორჩილებოდნენ.

ისე დაეუფლა მას, თითქოს გაშმაგებული, სასოწარკვეთილი ვნებით უნდოდა, უხილავი მეტოქის ხსოვნა ამოეძირკვა დაგნის მეხსიერებიდან; მისი წარსულიდან.

უფრო მეტიც — თითქოს ამ სიშმაგით დაგნის ცხოვრების ნებისმიერ ფრაგმენტს, თვით ამ მეტოქესაც, საკუთარი სიამოვნების წყაროდ გარდასახავდა. დაგნიმ, რომელსაც ხელები შემოეჭდო მისთვის, ისე ამოიკვნესა, რომ რიერდენი მიხვდა — სწორედ ასე უნდოდა, მას დანებებოდა.

* * *

კონვეიერის ლენტის სილუეტი ცეცხლოვანი ხაზებით დასერილი ცის ფონზე მიწისქვეშეთიდან ამოზრდილი შავი კონტეინერების უსასრულო წყებას ჰგავდა, რომელიც დიაგონალად მიემართებოდა დაისისკენ და შორეული კოშკურისკენ ნახშირს მიეზიდებოდა. შორეულ ყრუ ღრჭიალს თან ერთვოდა ჯაჭვების ჩხრიალი, რომლებითაც ლურჯკომბინეზონიანი ახალგაზრდა კაცი მექანიზმებს კონექტიკუტის შტატის „ქუინ ბოლ ბიარინგ კომპანის“ კუთვნილი სათადარიგო ლიანდაგის პლატფორმებზე ამაგრებდა.

მისტერ მოუენი, სიგნალებისა: და სემაფორების მწარმოებელი გაერთიანებული კომპანიიდან, რომელიც ქუჩის გადაღმა მდებარეობდა, იქვე იდგა და ამ სანახაობას აკვირდებოდა. თავისი ქარხნიდან სახლისკენ მიმავალი გზად შეჩერდა, რათა ეყურებინა, როგორ ტვირთავდნენ ვაგონებს. მსუბუქი ლაბადა ჯმუხ, სრულ სხეულზე შემოტმასნოდა. თავზე ქვაბურა ქუდი ჩამოეფხატებინა.

ჰაერში უკვე მოახლოებული შემოდგომის პირველი სუსხი იგრძნობოდა ქუინს ქარხნის ყველა ჭიშკარი ფართოდ იყო გაღებული. მუშები და ამწეები გარეთ ეზიდებოდნენ ჩარხებს „გეგონება, სასიცოცხლო ორგანოები: გამოაქვთ და მხოლოდ ჩონჩხს ტოვებენო“, — გაიფიქრა მისტერ მოუენმა.

— ესე იგი, კიდევ ერთი? — შეეკითხა ის და თითი ქარხნისკენ გაიშვირა, თუმცა პასუხი ისედაც იცოდა.

— ბატონო? — გამოეხმაურა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ახლადღა შეამჩნია მოუენი.

— ანუ კიდევ ერთი კომპანია გადადის კოლორადოში?

— ჰო.

— ბოლო ორი კვირის მანძილზე ეს უკვე მესამე კომპანიაა კონექტიკუტიდან, — განაგრძო მისტერ მოუენმა, — და როცა ხედავ, რა ხდება ნიუ-ჯერსიში, როდ-აილენდში, მასაჩუსეტსში და ატლანტის სანაპიროს მთელ გაყოლებაზე...

— ახალგაზრდა კაცს მისთვის არც შეუხედავს და ეტყობოდა, არც უსმენდა.

— თითქოს წყალსადენის გადაკეტვა დაავიწყდათო, მთელი წყალი კოლორადოში გაედინება, და მთელი ფულიც, — თქვა მოუენმა.

ახალგაზრდამ ჯაჭვი ბრეზენტგადაფარებულ დაზგაზე გადააგდო და თვითონაც საპირისპირო მხარეს გადაძვრა.

— სად გაქრა მშობლიური შტატის მიმართ სიყვარული, ერთგულება... ყველა გარბის. არ მესმის, რა ემართება ამ ხალხს.

— ეს ყველაფერი სულ იმ კანონის ბრალია.

— რომელი კანონის?

— „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“.

— მაინც, როგორ?

— ამბობენ, რომ მისტერ ქუინი ერთი წლის წინ კოლორადოში ფილიალის გახსნას აპირებდა. კანონმა მას ამის საშუალება არ მისცა და გადაწყვიტა, მთლიანად გადაბარგებულიყო იქით.

— არ მესმის, ეგ რა შუაშია. ამ კანონის მიღება აუცილებელი იყო. სირცხვილი და თავის მოჭრა — ძველი ფირმები აქ თაობების მანძილზე მუშაობდნენ... კანონი აუცილებელი იყო...

ახალგაზრდა კაცი სწრაფად და ოსტატურად მოქმედებდა, თითქოს ეს სამუშაო მოსწონდა კიდეც. მის ზურგს უკან კონვეიერი გრუხუნით მიიწევდა ცისკენ.

შორს ოთხი საკვამური მილი ფლაგშტოკებივით აღმართულიყო და ზანტად ამომავალი კვამლის ბოლქვები საღამოს მეწამულ ბინდში გრძელ, სანახევროდ დაშვებულ ალმებს ჰგავდნენ. მოუენს ეს მილები მამამისისა და ბაბუამისის დროიდან ახსოვდა. უკვე ოცდაათი წელი იყო, თავისი ოფისიდან კონვეიერს უყურებდა. ვერაფრით წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა, ქუინის კომპანია ამ ქუჩიდან გამქრალიყო. ქუინის გადაწყვეტილებების შესახებ ადრევე სმენოდა, მაგრამ არ დაიჯერა; ან, უფრო ზუსტად, დაიჯერა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სიტყვები, გაგონილი ან წარმოთქმული, რომლებსაც მხოლოდ ბგერებად აღიქვამდა და რომლებსაც კონკრეტულ რეალობასთან კონკრეტული არაფერი აკავშირებდა. ახლა კი უკვე იცოდა, რომ ეს ამბავი რეალური იყო. ისე იდგა სათადარიგო ლიანდაგის პლატფორმასთან, თითქოს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ამ ყველაფრის შეჩერება.

— ეს არასწორია, — მიმართა სივრცეს, თუმცა მის ნათქვამს მხოლოდ ახალგაზრდა კაცი თუ გაიგონებდა, — მამაჩემის დროს ასე არ ხდებოდა. დიდი ვინმე არ ვარ. კონფლიქტი არავისთან არ მინდა. რა მოუვიდა ამ სამყაროს?

მისი კითხვა უპასუხოდ დარჩა.

— კი, შენ მაგალითად, მიჰყავხარ მათ კოლორადოში?

— მე? არა. მე აქ არ ვმუშაობ. დროებითი მუშახელი ვარ. მხოლოდ იმისთვის დამიქირავეს, რომ დატვირთვაში დავხმარებოდი.

— გასაგებია, და რას აპირებ, როცა ისინი წავლენ?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— და რას იზამ, თუკი დანარჩენებიც გადავლენ?

— დაველოდები და შევხედავ, მისტერ მოუენი მუშას ეჭვით მიაშტერდა: ვერ გაეგო, ვის უპასუხა ახალგაზრდამ — მას თუ საკუთარ თავს. მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ თავისი სამუშაოთი იყო მოცული, ქვემოთ არც იყურებოდა. მან მომდევნო პლატფორმაზე გადაინაცვლა, ბრეზენტგადაფარებული სხვა გროვისკენ დაიძრა და მისტერ მოუენიც ფეხდაფეხ გაჰყვა, თან ზევით იყურებდა, თითქოს მაღლა, ზეცაში ეკამათებოდა ვინმეს.

— მეც ხომ მაქვს უფლებები? მე აქ დავიბადე. ყოველთვის მეგონა, ძველი კომპანიები სულ აქ იქნებოდნენ. ვფიქრობდი, მეც; მამაჩემივით, ქარხანას გავუძღვებოდი, ადამიანი საზოგადოების ნაწილია და უფლება აქვს მისი იმედი ჰქონდეს ასე არ არის?.. ამას რაღაც უნდა ეშველოს..

— რას უნდა ეშველოს?

— ოჰ, რა თქმა უნდა, ვიცი, შენ ფიქრობ რომ ეს ყველაფერი შესანიშნავია, არა?

— ტაგარტის მისამართით ატეხილი მთელი ეს ბუმი, რიერდენ მეტალი და ოქროს ციებ-ცხელება კოლორადოში; ეს. მხიარული ალიაქოთი იქ, სადაც უაიატი და მისი მეგობრები აფართოებენ წარმოებას, რომელიც ისედაც ადუღებული ჩაიდანივით

თუხთუხებს. ყველა დარწმუნებულია, რომ ეს შესანიშნავია, სადაც არ უნდა გაიხედო, მეტი არაფერი გესმის. გარშემო ყველა ისეთი ბედნიერია, ისე აწყობენ გეგმებს, როგორც ექვსი წლის ბავშვები საზაფხულო არდადეგების წინ. უცებ გეგონება, მთელ ქვეყანაში ეროვნული მასშტაბის“ თაფლობის თვე დადგა ან უსასრულო ოთხი ივლისი!

ახალგაზრდა დუმდა.

— აი, მე კი ასე არ ვფიქრობ, — თქვა მოუენმა და ხმას ცოტა დაუწია, გაზეთებში ამას არ წერენ, გაითვალისწინე, გაზეთებში ხეირიანს ვერაფერს ამოიკითხავ პასუხად მოუენმა მხოლოდ ჯაჭვების ჟღარუნი გაიგონა.

— რატომ გარბის ყველა მაინცდამაინც კოლორადოში? რა იპოვეს იქ ისეთი, რაც ჩვენთან არ იშოვება?

ახალგაზრდამ ჩაიცინა:

— იქნებ ისეთი რამ, რაც თქვენ გაქვთ აქ და იქ არ არის?

— მაგრამ რა?

ახალგაზრდა კაცმა არ უპასუხა.

— ვერ გამიგია. ეს ხომ ჩამორჩენილი, პრიმიტიული, უსახური შტატია მათ თანამედროვე მთავრობაც კი არ ჰყავთ. ეს ყველაზე ცუდი მთავრობაა მთელ ფედერაციით და ყველაზე ზარმაცი. ის არაფერს აკეთებს, მარტო სასამართლოს და პოლიციას ინახავს. ხალხისთვის არაფერს აკეთებს. არავის ეხმარება. არ მესმის, ჩვენი საუკეთესო კომპანიები თავქუდმოგლეჯილები რატომ გარბიან იქით.

ახალგაზრდა კაცმა ზემოდან დახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მისტერ მოუენმა ამოიოხრა.

— არასწორია ეს ყველაფერი, — თქვა მან, — „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონი“ ძალიან კარგი რამეა. შანსი ყველას უნდა მიეცეს. რა სირცხვილია, როცა ისეთი ადამიანები, როგორიც ქუინია, ცდილობენ, ამ კანონით უსამართლოდ ისარგებლონ, რატომ არ უნდა, ვინმე სხვას დაანებოს ასეთივე საკისრების წარმოება კოლორადოში?.. მე რომ მკითხოს კაცმა, ცუდი არ იქნება, თუ ეს კოლორადოელები საერთოდ თავს დაგვანებებენ! არც „სტოკტონ ფაუნდრის“ არა აქვს არავითარი უფლება, ჩამრთველებისა და სასიგნალო სისტემების ბიზნესი წამოიწყოს. ამ ბიზნესს წლები შევალიე და უფროსობაც ულაპარაკოდ მე მეკუთვნის.ეს უსამართლობაა, პირწავარდნილი მტაცებლური კონკურენციაა, ახალბედებს შემოჭრის უფლება. არ უნდა მიეცეთ., რა ვქნა მე ახლა, სად გავყიდო ჩემი ჩამრთველები და სასიგნალო სისტემები? კოლორადოში ორი დიდი რკინიგზა იყო. ახლა „ფენიქს-დურანგო“ წასულია და მხოლოდ — „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ დარჩა. ისინი საზიზღრად მოიქცნენ — დენ კონვეი აიძულეს, წასულიყო. კონკურენციის საშუალება ყოველთვის. უნდა არსებობდეს... მე კიდევ ექვსი თვეა, ველოდები ფოლადს ორენ ბოილისგან, ახლა კი ამბობს, რომ ვერაფერს შემპირდება, რადგან რიერდენ მეტალმა მისი ბაზარი დაანგრია. ყველა ამ მეტალზე გადაირია და ბოილი იძულებულია, წარმოება შეამციროს. ესეც უსამართლობაა... რატომ მისცეს ამ რიერდენს უფლება, სხვების:ბაზრები დაენგრია. ახლა მეც მჭირდება ცოტა ეს მეტალი; მაგრამ მიდი-აბა, იშოვე! ისეთი რიგი აქვს, სამ შტატზე გაიჭიმება, და რა — ვის აძლევენ რამეს, მისი ძველი ძმაბიჭების, უაიატის, დენეგერისა და მასეთების გარდა. ეს უსამართლობაა, ნამდვილი დისკრიმინაცია. მაგათზე ნაკლები არაფრით არ ვარ, ჩემი წილი მეტალი მეც მეკუთვნის.

ახალგაზრდა კაცმა შეხედა:

— გასულ კვირას პენსილვანიაში ვიყავი, — თქვა მან, — რიერდენის ქარხანა ვნახე. აი, სად დუღს მუშაობა! ოთხ ახალ კონვეიერს აშენებენ და კიდევ ექვსს აპირებენ... ექვს ახალ ღუმელს, — სამხრეთისკენ გაიხედა, — ატლანტის სანაპიროზე ბოლო ხუთი წელია, ერთი ღუმელიც კი არავის აუშენებია.;— იდგა ბრეზენტში გახვეულ ძრავაზე და ბინდს ისეთი მოწადინებული და ანთებული გასცქეროდა, როგორც რაღაც შორეულსა და საოცნებოს უყურებენ.

— იქ მუშაობენ... — გაიმეორა მან.

მერე მოულოდნელად სახეზე ღიმილი უკვალოდ გაუქრა; ჯაჭვი ძლიერად დაქაჩა — ეს მისი პირველი მცდარი მოძრაობა იყო; მასში აშკარად რისხვამ იფეთქა.

მისტერ მოუენმა ჰორიზონტს გახედა, მერე კონვეიერს, ბორბლებს, კვამლს, რომელიც ზანტად მიიზლაზნებოდა საღამოს ბინდში“ დაისს ამოფარებული ნიუ-იორკისკენ. ოდნავი შვება მოჰგვარა ნიუ-იორკზე „ფიქრმა, წმინდა ცეცხლის ენებით, ქარხნის მილებით, ცისტერნებითა და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით გარშემორტყმულ ამ ქალაქზე. იგრძნო, როგორ მოემატა ენერგია, რომელიც მისთვის ასე ნაცნობი ქუჩის თითოეული პირქუში შენობიდან მოდიოდა; მოსწონდა ამ ახალგაზრდა კაცის სხეული, რომელიც მწყობრად, თავდაჯერებულად მუშაობდა იქ, მაღლა.

მის მოძრაობებში რაღაც გამამხნევებელი იგრძნობოდა, რაღაც ძალიან მშობლიური ამ ჰორიზონტისთვის... და მაინც, მისტერ მოუენს აფორიაქებდა შეგრძნება, თითქოს სადღაც სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა ბზარი, რომელიც ერთხელაც მყარ, სამუდამო კედლებს დახეთქავდა.

— რაღაც უნდა გაკეთდეს, — ჩაიბურტყუნა მისტერ მოუენმა, გასულ კვირას ერთი ჩემი მეგობარი გაკოტრდა. ნავთობის ბიზნესი ჰქონდა, ორიოდე ჭაბურღილს ფლობდა ოკლაჰომაში — ელის უაიატთან კონკურენციას ვერ გაუძლო. ეს უსამართლობაა. პატარა ხალხს.შანსი უნდა დაუტოვონ. უაიატს ზღვარი უნდა დაუწესონ.

არ უნდა ჰქონდეს უფლება, იმდენი ნავთობი მოიპოვოს, რომ ბაზრიდან ყველა დანარჩენი გადარეცხოს... გუშინ ნიუ-იორკში გავიჭედე. იძულებული გავხდი, მანქანა იქ დამეტოვებინა და სახლში იმ ჯანდაბის მატარებლით დავბრუნებულიყავი. ბენზინი ვერ ჩავასხი, ამბობდნენ, ქალაქში საწვავზე საშინელი დეფიციტიაო ასე არ შეიძლება. რაღაც უნდა გაკეთდეს...

ისევ ჰორიზონტს გახედა და შეეცადა, მიმხვდარიყო, კერძოდ რა ემუქრებოდა სამყაროს, რა ღუპავდა მას...

— მაინც, რის გაკეთებას გვთავაზობთ? — შეეკითხა ახალგაზრდა კაცი.

— ვინ, მე? — გაიკვირვა მისტერ მოუენმა, — აბა, რა ვიცი? მე პატარა კაცი ვარ, მთელი ქვეყნის პრობლემებს ვერ გადავწყვეტ. უბრალოდ, მინდა, თავის რჩენა შემეძლოს. ერთი ის ვიცი, რომ ვიღაცამ რაღაც უნდა უშველოს ამ მდგომარეობას ცუდადაა საქმე... რაღაც უნდა გამოსწორდეს — მომისმინე, რა გქვია?

— ოუფენ კელოგი.

— მომისმინე, კელოგ, შენ როგორ გგონია, რა ხდება ამ სამყაროში?

— ჩემი აზრი თქვენ არ დაგაინტერესებთ.

შორეული კოშკიდან გონგმა ღამის ცვლის მუშებს უხმო და მოუენი მიხვდა, რომ უკვე გვიანი იყო. ამოიოხრა, ლაბადა შეიკრა და წასასვლელად გატრიალდა.

— რაღაც მაინც გვარდება, — თქვა მან; — რაღაც ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ქმედითი ნაბიჯები. კანონმდებლებმა კანონი მიიღეს რომელიც უფრო ფართო

უფლებამოსილებას მიანიჭებს ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროს, მთავარ კოორდინატორად ძალიან უნარიანი კაცი დანიშნეს. ვერ ვიტყვი, რომ ადრე მის შესახებ რაიმე მსმენია, მაგრამ გაზეთები წერენ, მისგან ბევრს უნდა ველოდოთო. უესლი მაუჩი ჰქვია.

* * *

დაგნი თავისი მისაღები ოთახის ფანჯარასთან იდგა და ქალაქს გასცქეროდა. უკვე გვიანი იყო და ქალაქის ლამპიონები ნაღვერდალში მოკიაფე უკანასკნელ ნაპერწკლებს ჰგავდნენ. სულში სიმშვიდეს დაესადგურებინა; ცდილობდა, ამ სიმშვიდეს ჩასჭიდებოდა და ხელახლა განეცადა ქარიშხალივით ჩავლილი თითოეული წუთი. ვერც კი მოიცალა, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ შენობაში, საკუთარ კაბინეტში დაბრუნება გახარებოდა ან წყენოდა. იმდენი საქმე დაგროვდა, რომ ამასწინდელი გადასახლება საერთოდ გადაავიწყდა. აღარც ახსოვდა, ჯიმმა რამე თქვა თუ არა თავის დაბრუნებასთან დაკავშირებით... დაგნის ერთადერთი ადამიანის რეაქცია აინტერესებდა და ამიტომაც დარეკა სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“, მაგრამ უთხრეს, რომ სენიორ ფრანცისკო დ'ანკონია შინ, ბუენოს-აირესში გამგზავრებულიყო.

დაგნის ახსოვდა. ის წუთი, როცა გრძელ, ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოწერით საბოლოოდ დაუსვა წერტილი კომპანია „ჯონ გოლტის ხაზის“ არსებობას. ამიერიდან ეს კვლავ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რიო ნორტეს ხაზი იყო, თუმცა მატარებლის ბრიგადის წევრები ხაზს ისევ წინანდელი სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. და თავადაც უძნელდებოდა მისი დავიწყება. თავს აიძულებდა, ხაზისთვის ძველი სახელი არ ეწოდებინა და სულ უკვირდა, ამ დროს ასე რატომ იძაბებოდა, რატომ გრძნობდა მსუბუქ სევდას.

ერთ საღამოს, მოულოდნელ განცდას აყოლილმა, „ტაგარტ. ტრანსკონტინენტალის“ შენობასთან, კუთხეში შეუხვია, რათა „ჯონ გოლტის ხაზის“ ოფისისთვის უკანასკნელად შეევლო თვალი. თვითონაც არ იცოდა, ეს რატომ გააკეთა — „უბრალოდ, მინდოდა, შემეხედა“, — დაასკვნა ბოლოს.

— ტროტუარის გასწვრივ ხის მესერი დადგეს, შენობის დანგრევას იწყებდნენ — უკვე მეტისმეტად დაძველდა. დაგნი მესერზე გადაძვრა: და ქუჩის ფარნის შუქზე, ოდესღაც ტროტუარზე მდგარი იდუმალი უცნობის აჩრდილი რომ გაანათა, თავისი ყოფილი კაბინეტის ფანჯარაში შეიხედა. პირველი სართულისგან აღარაფერი იყო დარჩენილი: კედლები დაენგრიათ, ჭერიდან დამსხვრეული მილები გადმოშვერილიყო, იატაკზე ნაგავი გროვებად ეყარა, საყურებელი არაფერი დარჩა.

რიერდენს ჰკითხა, გაზაფხულზე, ღამით, ის ხომ არ იდგა ამ შენობის კართან და ებრძოდა სურვილს, შიგნით შესულიყო. თუმცა, ვიდრე რიერდენი უპასუხებდა, უკვე იცოდა, რომ იქ ის არ ყოფილა. დაგნი ვერც კი იტყოდა, რატომ ჰკითხა ეს რიერდენს, ვერც ის გაეგო, რატომ აფორიაქებდა დღემდე ეს მოგონება დროდადრო.

მისი ფანჯრის მიღმა, ჩაბნელებულ ცაზე, კალენდრის მანათობელი გვერდი პატარა იარლიყივით ეკიდა. ორი სექტემბერი... გამომწვევად გაიღიმა, ის რბოლა გაახსენდა, კალენდარს რომ გაუმართა: ახლა უკვე აღარც უკიდურეს ვადებზე აღარ უნდა ეფიქრა, აღარც წინააღმდეგობებზე, აღარც საზღვრებზე, ფიქრობდა დაგნი.

შემოსასვლელი კარის საკეტში გასაღებმა გაიჩხაკუნა; ელოდა ამ ხმას, უნდოდა, ეს ხმა იმ საღამოს გაეგო.

რიერდენი იყო. უკვე მერამდენედ, თავის მოსვლას გასაღების გადატრიალებით აგებინებდა, რომელიც თავად მისცა. შლაპა და პალტო დაუდევრად მიყარა სავარძელზე, უკვე ჩვეული ჟესტით. ოფიციალური საღამოს კოსტიუმი ეცვა.

— სალამი, — უთხრა დაგნიმ.

— სულ იმ საღამოს ველოდები როცა აქ არ დამხვდები, — უთხრა რიერდენმა.

— მასეთ შემთხვევაში „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ოფისში დარეკვა მოგიწევს.

— ყოველ ჯერზე! და მხოლოდ იქ? სხვაგან არსად?

— ეჭვიანობ, ჰენკ?

— არა, უბრალოდ მაინტერესებს, რას ვიგრძნობდი მაშინ.

რიერდენი ოთახის მეორე ბოლოდან უყურებდა მას, არ მიახლოებია. განზრახ წელავდა სიამოვნებას. დაგნის საქმიანი კოსტიუმი ეცვა — ვიწრო რუხი ქვედატანი და კაცის პერანგის ყაიდაზე შეკერილი ნახევრად გამჭვირვალე თეთრი ბლუზონი, რომელიც წელთან განივრდებოდა და თეძოებს გამოკვეთდა. სანათის შუქი ზურგიდან ეცემოდა და რიერდენი ნატიფი ფიგურის კონტურებს ხედავდა.

— როგორ ჩაიარა ბანკეტმა? — ჰკითხა დაგნიმ.

— ჩინებულად. როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, მაშინვე გამოვიპარე რატომ არ მოხვედი? შენც ხომ დაგპატიჟეს?

— არ მინდოდა, ერთად ვენახეთ.

რიერდენმა დაგნის შეხედა და მიახვედრა, რომ მიზეზს ხვდებოდა მერე სახე შეეცვალა და მხიარულად გაიღიმა:

— ბევრი დაკარგე. მეტალურგიული მრეწველობის ეროვნული საბჭო აღარასოდეს დამპატიჟებს საპატიო სტუმრის რანგში თუ, რა თქმა უნდა, ეს მათზე იქნება დამოკიდებული.

— რა მოხდა?

— არაფერი. უბრალოდ, გაუთავებელი სიტყვით გამოსვლები — და შენ ამ მძიმე გამოცდას გაუძელი?

— არა... თუმცა, კი — ნაწილობრივ ძალიან მინდოდა, ამ ბანკეტით მესიამოვნა — დალევ რამეს?

— უარს არ ვიტყოდი, შენ?

დაგნი გატრიალდა, მაგრამ რიერდენმა გააჩერა, ზურგიდან მხრებზე მოეხვია, თავი მოაბრუნებინა და ტუჩებში აკოცა: როცა მოშორდა, დაგნიმ მომთხოვნი მესაკუთრის ჟესტით კვლავ დააწევინა თავი, თითქოს ცდილობდა ხაზი გაესვა, რომ მას ამის უფლება ჰქონდა, მერე კი გაეცალა.

— მოდი, ნუ დამისხამ, — უთხრა რიერდენმა, — მაინცდამაინც არ მინდა, უბრალოდ, მსიამოვნებს, ჩემზე რომ ზრუნავ.

— კარგი, მაშინ ნება მომეცი, ვიზრუნო.

— არ არის საჭირო.

რიერდენმა გაიღიმა, ტახტზე გაიშოტა და ხელები თავქვეშ ამოიწყო ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საკუთარ სახლში იყო; როგორც ჩანს, სხვა სახლი აქამდე არც ჰქონია.

— იცი, ყველაზე ცუდი ამ ბანკეტზე ის იყო, რომ იქ მყოფი თითოეული ადამიანი ოცნებობდა, დროზე დამთავრებულიყო, — თქვა რიერდენმა, — ვერ გამიგია, საერთოდ რატომ მოაწყვეს. რისთვის იწვალეს ამდენი — ჩემ გამო?

დაგნიმ სიგარეტის კოლოფი აიღო და გაუწოდა, შემდეგ სანთებელა აუნთო და მოაკიდებინა. მის ირონიულ ჩაცინებაზე გაიღიმა და სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა ოთახის მეორე მხარეს.

— რატომ მიიღე მიწვევა, ჰენკ? მათთან ურთიერთობა ხომ არასდროს გდომებია, — არ მინდოდა, შერიგებაზე უარი მეთქვა — მით უფრო მას მერე, რაც მე ისინი დავამარცხე, და ეს მშვენივრად იციან. ამ ორგანიზაციის წევრი არასდროს გავხდები, მაგრამ რაკი საპატიო სტუმრის რანგში მიმიწვიეს... ვიფიქრე, ღირსეულად დამარცხებაც ეხერხებათ-მეთქი. ვიფიქრე, რომ ეს მათი მხრიდან დიდსულოვნება იყო.

— მათი მხრიდან?

— გინდა, თქვა, რომ ჩემი მხრიდან იყო დიდსულოვნება?

— ჰენკ! იმ ყველაფრის შემდეგ, რაც შენ გაგიკეთეს, რომ გაეჩერებინეთ...

— მაგრამ მე არ გავჩერდი, განა ასე არ იყო? ამიტომაც ვიფიქრე... იცი, სულაც არ ვბრაზობდი, რომ მათ დროულად ვერ დაინახეს ჩემი მეტალის ღირსებები... საბოლოოდ ხომ მაინც დაინახეს. ყოველი ადამიანი ისე სწავლობს, როგორც შეუძლია, და მაშინ, როდესაც მისი დრო დგება. რა თქმა უნდა, სიმხდალეს, შურსა და ფარისევლობასაც ვხედავდი, მაგრამ ვიფიქრე, ეს მხოლოდ ზედაპირული იყო. ახლა, როცა ჩემი სიმართლე დავამტკიცე, და .ასე ცხადად დავამტკიცე... გადავწყვიტე, იმიტომაც მიწვევდნენ, რომ ჩემი მეტალის აღიარება სურდათ.

და როდესაც რიერდენი წამით შეყოვნდა, დაგნის გაეღიმა; მიხვდა, რისი თქმაც სურდა მას: „და ამის გამო ყველას ყველაფერს ვაპატიებდი“.

— მაგრამ ასე სულაც არ ყოფილა. ჯერ კიდევ ვერ გამიგია, რა მოტივით მიმიწვიეს. დაგნი, არა მგონია, მოტივი.საერთოდ არ გააჩნდეთ, უბრალოდ, მე ვერ ვხვდები... ეს ბანკეტი იმისთვის არ მოაწყვეს, რომ ჩემთვის ესიამოვნებინათ ან რაიმე მიეღოთ ჩემგან, ან კიდევ საკუთარი რეპუტაცია ეხსნათ. „როგორც ჩანს, ამ ბანკეტს არანაირი მიზანი-არ ჰქონდა, არანაირი აზრი. ადრე, როცა მათ ჩემი მეტალი დაგმეს, სრულიად არ იყვნენ დაინტერესებული მისი აკრძალვით, სწორედ ასევე არ ადარდებთ ახლაც მისი შემდგომი ბედი. ისიც კი არ აშინებთ, რომ მართლაც ყველას გავაძევებ ბაზრიდან — ესეც კი არ ანაღვლებთ! იცი, რას ჰგავდა ეს ბანკეტი? თითქოს ვიღაცამ ჩააგონათ, რომ არსებობს რაღაც ფასეულობები, რომლებსაც პატივი უნდა სცენ და თანაც სწორედ ამ ფორმით... ჰოდა, ისინიც შესაბამის მოძრაობებს მოჰყვნენ, აჩრდილებივით, გაუცნობიერებლად რომ იმეორებენ უკეთესი დროების შორეულ გამოძახილს... ამის გაძლება აღარ შემეძლო.

— და შენ კიდევ ეჭვქვეშ აყენებ შენს დიდსულოვნებას! — უთხრა დაგნიმ განზრახ გულგრილი ხმით.

რიერდენმა გაოცებული თვალებით შეხედა დაგნის:

— ასე რატომ ხარ მათზე გაბრაზებული?

— შენ კი გინდოდა, გაგეხარა... — თავი გააქნია დაგნიმ და შეეცადა, ხმაში გამკრთალი სინაზე დაეფარა.

— ალბათ, ღირსიც ვარ, რომ წავედი. სხვას რას ველოდი? თვითონაც არ ვიცი, რა მინდოდა.

— მე კიდევ ვიცი.

— მსგავსი რამეები არასდროს მომწონდა. ვერ ვხვდები, რატომ მეგონა რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. იცი, როდესაც იქ მივდიოდი,

მეჩვენებოდა, თითქოს ჩემმა მეტალმა ყველაფერი შეცვალა ადამიანებიც კი — ოჰ, ჰენკ, ვიცი!

— მოკლედ, ეს ის ადგილი არ იყო, სადაც რაიმეს ვიპოვიდი... გახსოვს ერთხელ ამბობდი — ზეიმი მხოლოდ მათთვის უნდა იყოს, ვისაც რაიმე აქვს საზეიმოო.

ანთებული სიგარეტი ჰაერში გაქვავდა; დაგნი გაუნძრევლად იჯდა. არასდროს განუხილავს მასთან ის წვეულება ან რაიმე, რაც რიერდენის ოჯახურ ცხოვრებას უკავშირდებოდა. წუთის შემდეგ ხმადაბლა უპასუხა — მახსოვს.

— ვიცი, რასაც გულისხმობდი მაშინაც ვიცოდი. ..

რიერდენი პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა, დაგნიმ თავი დახარა ერთი ხანი რიერდენი დუმდა როცა ისევ ალაპარაკდა მისი ხმა უკვე მხიარულად ჟღერდა:

— ყველაზე უარესი ის კი არ არის, როცა შეურაცხგყოფენ არამედ კომპლიმენტებით რომ გამკობენ. თანაც, სწორედ ისე, როგორც დღეს — უკვე გული მერეოდა. თურმე როგორ ვჭირდები ყველას — მათ, ქალაქს, ქვეყანას, მთელ მსოფლიოს... ეტყობა, ჰგონიათ, დიდების მწვერვალზე მაშინ ხარ, თუ ყველას სჭირდები. მე კიდევ ვერ ვიტან იმ ხალხს, ვისაც ვჭირდები. — თქვა და დაგნის შეხედა, — აი, მაგალითად, შენ გჭირდები? — უსაზღვროდ, — სრულიად გულწრფელად უპასუხა დაგნიმ რიერდენმა გადაიხარხარა:

— არა, არა, სულ სხვა. რამე ვიგულისხმე თანაც, შენ ეს ისე არ გითქვამს როგორც მათ.

— მაინც, როგორ ვამბობ?

— როგორც საქმოსანი, ადამიანი, რომელიც ფულს იმაში იხდის, რაც სჭირდება ისინი კი შემოგტირიან, თითქოს მათხოვრებივით თუნუქის ქილა გამოეწოდებინოთ მოწყალებისთვის — მე... ამაში ვიხდი, ჰენკ?

— მიამიტ სახეს ნუ იღებ, ზუსტად იცი, რასაც ვგულისხმობ — ვხვდები, — ჩაიჩურჩულა დაგნიმ ღიმილით.

— ეშმაკსაც წაუღია ეგენი! — უდარდელად აიქნია ხელი რიერდენმა და გაიჭიმა, გვერდი იცვალა, სიამოვნებდა, მოდუნება რომ შეეძლო, — ჩემგან საზოგადო მოღვაწე არასოდეს დადგება. ყოველ შემთხვევაში, ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რას გვადარდებს, რა ესმით და რა არა. უბრალოდ, თავი დაგვაზე გზა ხსნილი გვაქვს. რომელია შემდეგი პროექტი, მის ვიცე-პრეზიდენტო?

— ტრანსკონტინენტური რკინიგზა რიერდენ მეტალისგან.

— სასწრაფოდ გჭირდება?

— ხვალ დილისთვის... რეალურად კი სამი წლის შემდეგ.

— ფიქრობ, რომ სამ წელიწადში მოასწრებ?

— მოვასწრებ, თუ „ჯონ გოლტის ხაზი“... თუ რიო ნორტე ისევე იმუშავებს, როგორც ახლა.

— უკეთესადაც იმუშავებს. ეს მხოლოდ დასაწყისია.

— ფულის ჩადების სქემა უკვე მომზადებული მაქვს. ფული შემოვა თუ არა, ნელ ნელა ლიანდაგს ავყრი და რიერდენ მეტალის რელსებით ჩავანაცვლებ.

— კეთილი, დავიწყოთ, როცა ინებებ.

— ძველ რელსებს პერიფერიულ განშტოებებზე გადავიტან, თორემ დიდხანს ვეღარ გაუძლებენ. სამ წელიწადში საკუთარ მეტალზე გაივლი სან-ფრანცისკომდე, თუკი ვინმე იქ შენთვის ბანკეტის გამართვას მოისურვებს.

— სამ წელიწადში კოლორადოში უკვე ჩემი ქარხნები გამოადნობენ რიერდენ მეტალს. ასევე მიჩიგანში და აიდაჰოშიც. ასეთი გეგმა მაქვს.

— შენი საკუთარი ქარხნები? ანუ ფილიალები?

— ჰო.

— „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონს“ რას უპირებ?

— ნუთუ მართლა გჯერა, რომ ეგ კანონი კიდევ სამ წელს გაძლებს? ჩვენ მათ ისეთი დემონსტრაცია მოვუწყვეთ, რომ მთელ ამ სიდამპლეს ქარი წაიღებს. მთელი ქვეყანა ჩვენ გვერდითაა. ვინ გაბედავს ახლა ამ ყველაფრის შეჩერებას? ვინ მოუსმენს ამ ბოდვას? ახლა ვაშინგტონში საუკეთესო ლობი მუშაობს. შემდეგ სხდომაზე ამ კანონიდან არაფერი დარჩება.

— იმედი მაქვს...

— ბოლო რამდენიმე კვირა ძალიან რთული მქონდა, ახალი ღუმლების აშენება უნდა დამეწყო, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი დალაგდა და საქმე დაიძრა, შემიძლია, წამოვწვე და დავისვენო. შემიძლია, მაგიდას მივუჯდე და ფულები ვითვალო, ფეხი ფეხზე გადავიდო უკანასკნელი უსაქმურივით. უბრალოდ, თვალი ვადევნო, როგორ შემოდის შეკვეთები და მსურველები რიგში ჩავაყენო... მართლა, ხვალ რომელ საათზე გადის ფილადელფიაში პირველი მატარებელი?

— არ ვიცი.

— არ იცი? აბა, რა ვიცე-პრეზიდენტი ხარ?! ხვალ, დილის შვიდ საათზე ქარხანაში უნდა ვიყო. ექვსისთვის გადის რამე?

— თუ არ ვცდები, პირველი მატარებელი ექვსის ნახევარზე უნდა გავიდეს.

— გამაღვიძებ, ამ მატარებელზე რომ მივასწრო, თუ უბრძანებ, შემადგენლობა დააყოვნონ?

— გაგაღვიძებ.

— კეთილი.

რიერდენი გაჩუმდა. დაგნი უყურებდა. როცა მოვიდა, დაღლილი ჩანდა, მაგრამ ახლა მისი სახიდან დაღლილობის კვალიც კი გამქრალიყო.

— დაგნი, — მიმართა მოულოდნელად შეცვლილი, გულწრფელი ხმით, — რატომ არ გინდოდა, ერთად დავენახეთ?

— არ მინდა, შენი ოფიციალური ცხოვრების ნაწილი გავხდე.

რიერდენმა არაფერი უპასუხა. წუთის შემდეგ ისე, სხვათა შორის ჰკითხა:

— ბოლოს შვებულებაში როდის იყავი?

— მგონი, ორი... არა სამი წლის წინ.

— და რა გააკეთე?

— ადირონდაკის მთებში წავედი ერთი თვით და ერთ კვირაში ჩამოვედი, მეტი ვეღარ გავძელი.

— მე კი ბოლოს შვებულება ხუთი წლის წინ ავიღე და ორეგონში გავატარე. — რიერდენი ზურგზე იწვა და ჭერს უყურებდა, — დაგნი, მოდი, ერთად წავიდეთ შვებულებაში. ჩავსხდეთ ჩემს მანქანაში და სადმე გავწიოთ რამდენიმე კვირით, სადაც მოგვესურვება, უბრალოდ, სოფელ-სოფელ ვიხეტიალოთ, სადაც არ გვიცნობენ. მისამართიც არ დავტოვოთ, გაზეთები არ ვიკითხოთ, დავივიწყოთ, რომ ტელეფონი არსებობს — არავითარი ოფიციალური კონტაქტები.

დაგნი ადგა, რიერდენთან მივიდა, ტახტთან გაჩერდა და: უყურებდა. სხეულით სანათს ჩამოეფარა. არ უნდოდა, რიერდენს მისი სახე დაენახა-და შეემჩნია, როგორ ცდილობდა, არ გაღიმებოდა.

— ხომ შეძლებ, რამდენიმე კვირით შვებულება აიღო? — განაგრძო რიერდენმა — ყველაფერი მოგვარდა. წესით, არაფერი არ უნდა გართულდეს. უახლოესი სამი წლის მანძილზე ასეთი შანსი აღარ გვექნება.

— კარგი, ჰენკ, — უთხრა დაგნიმ და ცდილობდა, მის ხმას რაც შეიძლებოდა, მშვიდად გაეჟღერა.

— თანახმა ხარ?

— როდის გინდა, გავემგზავროთ?

— ორშაბათს დილით.

— კარგი.

დაგნი გატრიალდა. რიერდენმა ხელში წაავლო ხელი, თავისკენ მიიზიდა და ზემოდან გადაიწვინა მთელი სხეულით; ასე ჰყავდა მოუხერხებლად გაკავებული. ცალი ხელი თმაში შეუცურა, თან კოცნიდა; მეორე ხელს კი თხელი ბლუზონით დაფარული მისი მხრებიდან წელზე და ფეხებზე დაასრიალებდა. და დაგნიმ წაიჩურჩულა:

— და შენ ამბობ, რომ არ გჭირდები?!

ბოლოს, წამოდგა და აწეწილი თმა გაისწორა რიერდენი ისევ იწვა, თვალებმოჭუტული უყურებდა დაგნის, რაღაცნაირი, განსაკუთრებული, მეპატრონის დამცინავი დაინტერესებით უბრწყინავდა თვალები. დაგნიმ სხეულზე დაიხედა: ბიუსტჰალტერის სამხრე მხარზე ჩამოსცურებოდა და გამჭვირვალე ბლუზონიდან ნახევრად მოშიშვლებული მკერდი მოუჩანდა. რიერდენი კი მის მკერდს უცქერდა, რომელიც სიფრიფანა ქსოვილიდან მაცდურად იყურებოდა. ხელი ასწია, სამხრე გაესწორებინა, მაგრამ რიერდენმა მსუბუქად დაარტყა მტევანზე. დაგნიმ გაგებით გაუღიმა. აუჩქარებლად გასცილდა, მერე მისკენ მობრუნდა და მაგიდისკენ დაიხარა, ხელებით მაგიდის კიდეს ჩამოეყრდნო, მხრები კი ოდნავ უკან გადახარა.

სწორედ ეს კონტრასტი უყვარდა რიერდენს — მკაცრი კოსტიუმი და ნახევრად შიშველი სხეული, რკინიგზის თანამფლობელი ქალი, რომელიც მას ეკუთვნოდა...

რიერდენი წამოჯდა, მოხერხებულად მოკალათდა ტახტზე, ფეხი ფეხზე გადაიდო და დაგნის ისევ მეპატრონის შემფასებელი მზერით მიაჩერდა.

— შენ ამბობ, რომ ტრანსკონტინენტური რკინიგზა გნებავს რიერდენ მეტალისგან, მის ვიცე-პრეზიდენტო? — ჰკითხა მან, — და რა მოხდება, უარი რომ გითხრა? ახლა უკვე შემიძლია, თავად ავირჩიო ნებისმიერი კლიენტი და ნებისმიერი ფასი მოვითხოვო. ეს რომ ერთი წლის წინ ყოფილიყო, მეტალის სანაცვლოდ ჩემთან დაწოლას მოგთხოვდი, — ნეტა, ასე მოქცეულიყავი.

— დამთანხმდებოდი?

— რა თქმა უნდა.

— გარიგების ფარგლებში?

— თუ საქმე შენ შეგეხებოდა, ცხადია. მოგეწონებოდა, არა?

— შენ მოგეწონებოდა?

— კი... — ჩაიჩურჩულა დაგნიმ.

რიერდენი დაგნის მიუახლოვდა, მხრებზე ხელები შემოხვია და გამჭვირვალე ქსოვილით დაფარულ მკერდზე ტუჩებით შეეხო.

მერე დიდხანს უყურებდა ასე, მდუმარედ.

— სამაჯურს რა ბედი ენია? — ჰკითხა რიერდენმა.

ამ სამაჯურის თემაზე სიტყვა არასდროს არ დასცდენიათ და დაგნიმ უცებ ვერაფერი უპასუხა.

— შენახული მაქვს, — თქვა მერე.

— მინდა, რომ ატარო.

— თუ ვინმე მიხვდება, შენთვის უფრო უარესი იქნება, ვიდრე ჩემთვის.

— ატარე.

დაგნიმ სამაჯური ამოიღო. უხმოდ გაუწოდა ხელი რიერდენს, თან დაჟინებით შესქეროდა თვალებში. ხელისგულზე მომწვანო-ცისფერი ჯაჭვი ბზინავდა. რიერდენმა მაჯაზე გაუკეთა და შეუკრა, თან თვითონაც თვალს არ აშორებდა. როცა შესაკრავმა დაიწკაპუნა, დაგნიმ თავი დახარა და ხელზე ეამბორა.

* * *

მანქანის ძარის ქვეშ გზა ფერწერული ტილოსავით იშლებოდა. ადამიანის არსებობაზე აქ მხოლოდ ბუჩქნარის, ხეებისა და ბალახების თვალუწვდენელ ოკეანეზე მყიფე ხიდად გადებული ვისკონსინის ავტოსტრადა მიანიშნებდა, რომელიც გორაკებს შორის მიიგრაგნებოდა. ირგვლივ თითქოს ყვითელ-მეწამულად დატალღული მშვიდი ზღვა ლივლივებდა. მთის ფერდობების გასწვრივ დროდადრო წითელი ზოლები კრთოდა. გამჭვირვალე ცის ქვეშ, დაბლობებზე, აქა-იქ ჯერაც შემორჩენილი მწვანე კუნძულები მოჩანდა. ამ საფოსტო ბარათებზე გამოსახული პეიზაჟების ფერებით გარშემორტყმული მანქანის ძარა საიუველირო ნაკეთობას ჰგავდა — ქრომირებულ ფოლადზე მზე ბრჭყვიალებდა, შავი ემალი კი ცას აირეკლავდა.

დაგნი ფანჯარასთან მოკალათებულიყო, ფეხები გაემართა; მოსწონდა ფართო, მოხერხებული სავარძელი, მოსწონდა მხრებზე მზის სხივების სითბოს შეგრძნება.

ტკბებოდა ამ შესანიშნავი პეიზაჟებით.

— ახლა ბილბორდის დანახვა გამახარებდა. — თქვა რიერდენმა.

დაგნის გაეცინა: რიერდენი თითქოს მის გამოუთქმელ აზრს გამოეხმაურა.

— აქ რა უნდა გაიყიდოს, ან მყიდველი ვინ არის? უკვე ერთი საათია, არც მანქანა შეგვხვედრია, არც სახლი.

— აი, სწორედ ეს არ მომწონს. — რიერდენი მოიღუშა და ოდნავ წინ გადაიწია, შეხედე ამ გზას.

ბეტონის გრძელი ხაზი უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ დაყრილი ძვლებივით გათეთრდა; თითქოს მზესა და თოვლს ბორბლების, ბენზინის, ცივილიზაციის ნებისმიერი კვალი პირწმინდად წაეშალა; ბეტონის ბზარებიდან მწვანე ბალახს ამოეყო თავი. ამ გზით უკვე ბევრი წელია, არავის უსარგებლია და არც არავის შეუკეთებია, თუმცა ბზარები ცოტა იყო.

— კარგი დაგებულია, — თქვა რიერდენმა,— ხანგრძლივი მოხმარებისთვის და, სავარაუდოდ, გამალებული მოძრაობისთვის.

— მართალია...

— ეს არ მომწონს.

— არც მე, — თქვა დაგნიმ და გაიღიმა — მაგრამ გაიხსენე, რა ხშირად ჩივიან ბილბორდები პეიზაჟს ამახინჯებენო. ასე რომ, დატკბნენ ეს წუწუნები ამ ქალწულებრივი ბუნებით. — და დაამატა, — მძულს ეგეთი ხალხი.

დაგნის არ უნდოდა, ამდღევანდელი სიხარული რაიმეს ოდნავადაც დაემძიმებინა. ბოლო სამი კვირის მანძილზე ხშირად აფორიაქებულა; როცა ფანჯრიდან გასცქეროდა, როგორ მისხლტოდნენ პეიზაჟები მანქანის ძარის წინ. გაიღიმა: სწორედ ეს ძარა გახდა მის თვალთახედვაში ათვლის უძრავი წერტილი, როდესაც მიწა ელვის სისწრაფით მიქროდა; ძარა ცენტრი იყო, ფოკუსი,

უსაფრთხოების საზომი ფანჯრის მიღმა გადღაბნილ, მქრქალ სამყაროში... წინ ავტომობილის ძარა და საჭეზე რიერდენის ხელები... დაგნიმ ისევ გაიღიმა: სამყარო თითქოს დაპატარავებული იყო და ჩარჩოში ჩასმული და ეს ძალიან მოსწონდა.

ერთ დილით, მოგზაურობის პირველი კვირის თავზე, როცა ალალბედზე მიუყვებოდნენ სრულიად უცნობ გზებს, რიერდენმა უთხრა:

— დაგნი, დასვენება აუცილებლად უმიზნო უნდა იყოს?

დაგნის გაეცინა:

— არა. მაინც, რომელი ქარხნის ნახვა გინდა?

რიერდენს გაეღიმა — ამ დანაშაულის გამო, რომლის აღიარებაც არ სურდა, და ახსნა-განმარტებისა, რომელიც არ ევალებოდა:

— ერთი მიტოვებული საბადო უნდა იყოს საგინო ბეის მახლობლად, ამბობენ, მთლიანად გამოფიტულიაო.

მთელი მიჩიგანი გადასერეს და გეზი საბადოსკენ აიღეს. დაცარიელებული, მიტოვებული მაღაროს გარშემო ბორცვებს დაუყვებოდნენ. წინ, ცის ფონზე, ჩონჩხივით აღმართულიყო ამწის ნარჩენები, დაგნიმ ვიღაცის ლანჩის ჟანგიან კონტეინერს წამოჰკრა ფეხი. უეცრად შფოთვა იგრძნო, უფრო მძაფრი, ვიდრე ნაღველი, მაგრამ რიერდენმა მხნედ თქვა:

— რა გამოფიტული! მე მათ ვაჩვენებ, რამდენი ტონა მადნის და დოლარის მოპოვება შეიძლება აქედან.

როდესაც მანქანისკენ გაემართნენ, დაამატა:

— შესაფერისი კაცი რომ მეპოვა, ამ საბადოს ხვალვე ვიყიდდი და აქ მუშაობას დავაწყებინებდი.

მეორე დღეს, როცა სამხრეთ-დასავლეთისკენ ეჭირათ გეზი, ილინოისის დაბლობისკენ, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, რიერდენმა მოულოდნელად წარმოთქვა:

— არა, მოცდა მომიწევს, სანამ მაგ კანონს ურნაში არ ჩაუძახებენ. ადამიანს, რომელიც ამ მაღაროს ამუშავებას შეძლებს, ჩემი სწავლება არ დასჭირდება, ხოლო ვისაც დასჭირდება, ის ერთი გროშიც არ ღირს.

როგორც ყოველთვის, თავიანთ საქმეებზე თავისუფლად ლაპარაკობდნენ. ერთმანეთის ორივეს ესმოდა. თუმცა ერთიმეორეზე ხმა არ ამოუღიათ.

რიერდენი ისე იქცეოდა, თითქოს მათ ვნებას ერთადერთხელ ეფეთქოს, თითქოს მხოლოდ უსახელო ფიზიკური ფაქტი ყოფილიყოს და არაფერი ჰქონოდეს საერთო ორი ინტელექტის ურთიერთობასთან. დაგნის ყოველ ღამეს ეჩვენებოდა, რომ უცხო მამაკაცის მკლავებში იწვა, რომელიც ნებას აძლევდა, ეგრძნო, როგორ დაუვლიდა მთელ მის სხეულს მგრძნობიარე ცახცახი, მაგრამ არასოდეს მიუცია უფლება, დაენახა ამ ცახცახის ანარეკლი მის სულში. შიშველი ეწვა ხოლმე გვერდზე, მაგრამ მაჯაზე ყოველთვის ეკეთა რიერდენ მეტალის სამაჯური.

ხედავდა, როგორ სიძულვილს ჰგვრიდა რიერდენს გზისპირა სასტუმროების დაძენძილ, ჭუჭყიან სარეგისტრაციო ჟურნალებში „მისტერ და მისის სმიტების“ სახელით ხელის მოწერა. ზოგჯერ, საღამოს, მორიგი ყალბი ხელმოწერისას, დაგნი ხედავდა მრისხანებით მოკუმულ ტუჩებს. თვითონ დაგნის სულაც არ ანაღვლებდა სასტუმროს მომსახურე პერსონალის ორაზროვანი და ცბიერი გამომეტყველება, რომლებიც თითქოსდა მიანიშნებდნენ, რომ თავადაც თანამონაწილე იყვნენ სამარცხვინო ქცევისა — აკრძალული ტკბობისკენ სწრაფვისა. თუმცა იმასაც ხედავდა; რომ ეს რიერდენისთვისაც სულერთი ხდებოდა, როცა მარტონი

რჩებოდნენ, როცა წუთით ჩაიკრავდა გულში, დაგნი კი მის ცოცხალ, უცოდველ თვალებს შეჰყურებდა.

პატარა ქალაქები გაიარეს, მივიწყებულ სოფლის გზებს მიუყვებოდნენ, ადგილებს; წლების მანძილზე მსგავსი რომ აღარ უნახავთ. დაგნის სული დაუმძიმა ამ ქალაქებია გაპარტახებულმა შესახედაობამ. დღეები გავიდა, სანამ მიხვდებოდა, რა ენატრებოდა ყველაზე მეტად: ახლად შეღებილი რაიმეს დანახვა. სახლები ისე იდგნენ, როგორც დაჭმუჭნულკოსტიუმიანი კაცები, რომელთაც წელში გამართვის სურვილიც კი დაჰკარგოდათ: კარნიზები ჩამოყრილ მხრებს ჰგავდნენ, კიბის დაბრეცილი საფეხურები — დაფხრეწილ ნაკეცებს, ჩალეწილი, ფიცრებით აჭედილი ფანჯრები — საკერებელს. გამვლელები მათ ახალ მანქანას აშტერდებოდნენ, მაგრამ ისე კი არა, თითქოს ასეთი რამე იშვიათად ენახოთ, არამედ თითქოს ეს მბზინვარე შავი აპარატი სხვა, სრულიად არარეალური სამყაროდან იყო. ქუჩებში მანქანა აქა-იქ თუ ჩაივლიდა, უმეტესად ფორნები შემოხვდებოდნენ ხოლმე. დაგნის უკვე დავიწყებული ჰქონდა, როგორ გამოიყურებოდა ფორანი და რა დანიშნულება ჰქონდა მას და ეს სრულებითაც არ სწყინდა.

არ გაღიმებია, როცა ერთხელ რკინიგზის გადასასვლელთან რიერდენმა ირონიული ღიმილით მიანიშნა ადგილობრივ მატარებელზე, რომელიც გორაკზე მობობღავდა და წინ არქაული ორთქლმავალი მოუძღოდა გრძელი მილიდან შავი კვამლის ფუტებით.

— ღმერთო ჩემო, ჰენკ, ეს სასაცილო არ არის!

— ვიცი, — უპასუხა მან.

ერთი საათის მერე, როცა იმ ადგილს სამოცდაათი მილით გასცდნენ, დაგნიმ თქვა:

— ჰენკ, როდისმე გინახავს, „ტაგარტ კომეტას“ აი ასეთი ნახშირის ჯოჯო მიეზიდებოდეს მთელი კონტინენტის გავლით?

— დაგნი, რა მოგივიდა, გუნებას ნუ გაიფუჭებ!

— მაპატიე... უბრალოდ გავიფიქრე, რომ. ჩემი ახალი ლიანდაგიც და ყველა შენი ახალი ღუმელიც უსარგებლო აღმოჩნდება, თუ შესაფერის ადამიანს ვერ ვიპოვით, რომელიც ახალ ლოკომოტივებს აწარმოებს. თანაც, თუ დროზე არ ვიპოვით...

— ტედ ნილსენი კოლორადოდან — აი, ვინ გჭირდება.

— ჰო, თუ ის ახალი ქარხნის გახსნას მოახერხებს. მან „ჯონ გოლტ ინკორპორეიტიდის“ აქციებში უფრო მეტი ჩადო, ვიდრე ევალებოდა.

— თუმცა, სამაგიეროდ, ინვესტიცია ხომ ფრიად მომგებიანი გამოდგა?

— ჰო, მაგრამ ამის გამო შეფერხდა კიდეც. ახლა მზადაა, საქმეს შეუდგეს, ოღონდ დაზგებსა და ხელსაწყოებს ვერ შოულობს. მათ ვერსად იყიდი, ვერსად და ვერანაირი ფულით. ცარიელი დაპირებებისა და დროის გადავადების გარდა, ვერაფერს მიაღწია.

მთელი ქვეყანა გადააბრუნა, რომ ძველი მოწყობილობა-დანადგარები მოეძებნა დახურულ ქარხნებში. და თუ უახლოეს მომავალში წარმოებას არ დაიწყებს...

— დაიწყებს. ახლა ვინღა გააჩერებს — ჰენკ, — თქვა უცებ დაგნიმ, — შეგვიძლია, ერთგან შევიაროთ? ძალიან მჭირდება.

— რა თქმა უნდა, სადაც გინდა. მაინც, სად?“

— ვისკონსინის შტატში. მამაჩემის დროს იქ ძრავების მწარმოებელი მსხვილი ქარხანა იყო; ჩვენი რკინიგზის ერთ-ერთი ტოტი ამ კომპანიას ემსახურებოდა, მაგრამ შვიდი წლის წინ გავაუქმეთ, როცა ეს ქარხანა გაკოტრდა. ჩემი აზრით, ახლა ეგ ერთ-

ერთი ყველაზე კრიზისული ზონაა. იქნებ იქ კიდევ დარჩა რაიმე დაზგები, ტედ ნილსენს რომ გამოადგეს. შესაძლოა, ეს ქარხანა ვერავის შეენიშნა — მიყრუებული ადგილია და იქამდე ტრანსპორტიც აღარ მიდის.

— ვიპოვი. რა ერქვა ქარხანას?

— „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანი“.

— რა თქმა უნდა! ჩემს ახალგაზრდობაში ეგ ერთ-ერთი ყველაზე კარგი ძრავთმშენებელი კომპანია იყო, თუ საუკეთესო არა. მე მგონი, რაღაც უცნაურ ვითარებაში დაიხურა... ოღონდ, არ მახსოვს, ზუსტად როგორ...

სამი დღე დასჭირდათ გასაკითხად, მაგრამ მივიწყებული, ეკალ-ბარდით დაფარული გზა საბოლოოდ მაინც იპოვეს და გაუყვნენ შემოდგომის ფოთლების ოქროსფერ ხალიჩას „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანისკენ“.

— ჰენკ, ტედ ნილსენს რაიმე რომ მოუვიდეს? — უეცრად დაარღვია დაგნიმ სიჩუმე, — მაინც, რატომ უნდა მოუვიდეს რამე?

— არ ვიცი... მაგრამ... აი, ხომ იყო დუაიტ სანდერსი, იყო და გაუჩინარდა. და მასთან ერთად „იუნაიტიდ ლოკომოტივიც“ გაქრა. სხვა ქარხნები კი იმ მდგომარეობაში არ არიან, რომ დიზელის ძრავები აწარმოონ. უკვე აღარ მჯერა დაპირებების...

მერე კიდევ... რა არის რკინიგზა მამოძრავებელი ძალის გარეშე?

— ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, კაცმა რომ თქვას...

ქარი ტოტებს არწევდა და ფოთლები თრთოდნენ. გზად მხოლოდ მეწამულ-წითლად მოელვარე ბუჩქები, ზეები და ბალახი ხვდებოდათ, ნამდვილი: ცეცხლივით ცოცხალი და აბრიალებული: თითქოს რაღაცას ზეიმობდნენ და მთელი თავიანთი წამლეკავი, ხელშეუხებელი სიუხვით გიზგიზებდნენ.

რიერდენმა გაიღიმა:

— მაინც არის რაღაც საუცხოო ველურ ბუნებაში. უფრო და უფრო მომწონს. ეს რაღაც ახალი ქვეყანაა, რომელიც ჯერ არავის აღმოუჩენია.

დაგნიმ სიხარულით დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად:

— კარგი მიწაა. შეხედე, როგორ ხარობს ყველაფერი. ამ ბუჩქნარებს ამოვძირკვავდი და აქ ავაშენებდი...

უეცრად მათი სახეებიდან ღიმილი უკვალოდ გაქრა. გზის პირას, ბალახებში, დაჟანგებული ავზი დაინახეს, ზედ მინის ციფერბლატის ნარჩენებით.

ბენზინგასამართი სადგურისგან დარჩენილი რამდენიმე დანახშირებული ბოძი, გახუნებული ბლოკი და მზეზე მბრწყინავი მინის ნამსხვრევები ბუჩქებს ისე შთაენთქათ, რომ მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა და ერთ წელიწადში ამასაც სარეველა დაფარავდა.

ორივემ განზე გაიხედა. გზა განაგრძეს, არ უნდოდათ, სცოდნოდათ, კიდევ რას მალავდა გაველურებული გზისპირები. მანქანაში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა: ვინ იცის, რამდენი რამ ჩაიკარგა ბუჩქებისა და ბალახების საფარქვეშ.

მთის ფერდობთან, მოსახვევში, გზა მოულოდნელად გაწყდა. მათ თვალწინ უდაბური ველი გადაიშალა, მიწიდან და ასფალტის ნაგლეჯებიდან ბეტონის კარკასის რამდენიმე ნარჩენი ამოჩრილიყო. ვიღაცას ჯაფა გაუწევია, კედლები დაუნგრევია და ნაწილ-ნაწილ გაუზიდავს; გამოფიტულ მიწაზე ბალახიც კი არ იზრდებოდა. გორაკის წვერზე, შორს, ცის ფონზე, უზარმაზარ საფლავზე აღმართული ჯვარივით მოჩანდა დაბრეცილი სატელეგრაფო ბოძი.

სამი საათი კიდევ იარეს, მერე საბურავი დაეშვათ. ძალიან ნელა გაუყვნენ გადათხრილ, ნაურმალ გზას და როგორც იქნა, რაღაც დასახლებამდე მიაღწიეს, რომელიც იმ გორაკის უკან მდებარეობდა, რომლის წვერზეც ტელეგრაფის ბოძი იყო აღმართული ოდესღაც ინდუსტრიულ, ახლა კი უკვე ჩონჩხადქცეულ ქალაქში რამდენიმე მიტოვებული სახლი ჯერ კიდევ იდგა. ყველაფერი, რისი გაზიდვაც შეიძლებოდა, უკვე გაეზიდათ; დაგნიმ სულ რამდენიმე ადამიანს მოჰკრა თვალი. ნაგებობები ვერტიკალურად წამომართულ ნანგრევებს ჰგავდა; ისინი დრომ კი არა, ადამიანმა დაანგრია და გააპარტახა — აგლეჯილი ფიცრები, გადახდილი სახურავები და გატეხილი სარდაფები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვიღაცამ ბრმად, ხარბად, გაუმაძღრად აფათურა ხელები და ყველაფერი დაიტაცა, რასაც კი წააწყდა, ისე, რომ არც იცოდა, რა შეიძლებოდა გამოსდგომოდა მომავალში.

ნანგრევებს შორის ისეთი სახლებიც მოჩანდა, სადაც ჯერ კიდევ ვიღაც ცხოვრობდა. მთელ ქალაქში მხოლოდ ამ სახლების ღუმლების მილებიდან ამომავალი კვამლი მოძრაობდა. განაპირას. ბეტონის დიდი ჩონჩხი წამომართულიყო — ერთადერთი, რაც სკოლიდან დარჩენილიყო. თავის ქალას ჰგავდა, მისი ჩალეწილი ფანჯრები კი თვალების ბუდეებს...

ქალაქის იქით, მოშორებით მდებარე მთის თხემზე, თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ შენობა იდგა. მისი კედლები, სახურავი და მილები მკაცრ, აუღებელ ციხესიმაგრეს წააგავდა. რომ არა ვერცხლისფერი წყალსაწნევი კოშკის შესამჩნევად დაცერებული ავზი, ქარხანა გარედან ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდა არც არაფერი დაშავებიაო.

გატყიურებულ გორაკებზე ქარხნისკენ მიმავალი გზის: ნაკვალევიც კი ვერ შენიშნეს და უახლოეს სახლს მიაშურეს, საიდანაც შესქელებული კვამლი ამოდიოდა.

სახლის კარი ღია იყო. ავტომობილის ძრავის ხმაზე ჯვალოსკაბიანი, სახეშეშუპებული და მოკუზული მოხუცი ქალი გამოფლატუნდა. ფეხებს ძლივს მოათრევდა. მანქანას გულგრილად. შეხედა, გაკვირვებისა და. ცნობისმოყვარეობის გარეშე. მისი ცარიელი თვალები ამბობდა, რომ ამ არსებას დიდი ხნის წინ დაეკარგა უნარი, რაიმე ეგრძნო, შიმშილის გარდა.

— ქარხნის გზას ხომ ვერ მიგვასწავლით? — შეეკითხა რიერდენი.

ქალმა უცებ არ უპასუხა; თითქოს ლაპარაკს გადასჩვეოდა — აბა, რომელი ქარხნის?

— აი, — მიუთითა რიერდენმა.

— დაკეტილია.

— ვიცი, რომ დაკეტილია. როგორმე შეიძლება იქამდე მისვლა?

— არ ვიცი.

— არის რაიმე გზა, თუნდაც ბილიკი?

— ტყეების გავლით ბევრია.

— მანქანით მივალთ?

— ვინ იცის.

— აბა, როგორ შეიძლება იქ მივიდეთ?

— არ ვიცი.

მის ზურგს უკან, ღია კარში, სახლის უბადრუკი ინტერიერი მოჩანდა.

— სრულიად უსარგებლო გაზქურას რაღაც ჩვრები ეფარა და კომოდის მაგივრობას სწევდა; კუთხეში კი, ქვებისგან შეკოწიწებულ ღუმელში, რამდენიმე ღერი შეშა იწვოდა და ჩაიდანს ადუღებდა; კედელს ჭვარტლის გრძელი ხაზი

აუყვებოდა, მაგიდის ფეხებზე რაღაც თეთრი საგანი დაემაგრებინათ — ეს ვიღაცის სააბაზანოში მოხსნილი ფაიფურის პირსაბანი ნიჟარა იყო, რომელიც პირთამდე გაევსოთ დამჭკნარი კომბოსტოთი. მაგიდაზე ბოთლი იდგა, რომელშიც ქონის სანთელი ჩაერჭოთ. ოდესღაც შეღებილ იატაკზე საღებავის კვალიც არ ჩანდა; მისი გადაფხეკილი ფიცრები თითქოს იმ ქალის ძვლების ტკივილის თვალხილული განსხეულება იყო, რომელიც მუხლებზე დამხობილი რეცხავდა და ხეხავდა, ვიდრე არ დამარცხდა ფიცრებშორის საბოლოოდ ჩამჯდარ ჭუჭყთან ბრძოლაში.

ბებრუხანას ზურგს უკან თითო-თითოდ, მდუმარედ გამოიკრიფნენ ჩამოკონკილი ბავშვები. ავტომანქანას მიშტერებოდნენ, მაგრამ ბავშვური ცნობისმოყვარეობით კი არა, ველურებივით დაძაბულები და გაფაციცებულები, პირველი საშიშროებისთანავე რომ გამქრალიყვნენ.

— აქედან ქარხნამდე რამდენი მილია? — ჰკითხა რიერდენმა.

— ათი, — თქვა ქალმა და დასძინა, — შეიძლება ხუთიც.

— და უახლოეს ქალაქამდე?

— აქ ახლომახლო არავითარი ქალაქი არ არის.

— მაგრამ ხომ არის სადღაც სხვა ქალაქები, შორსაა?

— არ ვიცი.

სახლის გვერდით, მოტიტვლებულ ადგილას, ტელეგრაფის ბოძის სადენი გაებათ და რაღაც გახუნებული ჩვრები გაეფინათ. უბადრუკი ბოსტნის კვალში სამი გალეული წიწილა დაბოდიალებდა, მეოთხე კი წყალგაყვანილობის მილის ქანდარაზე მობუზულიყო. ნარჩენებით სავსე გუბეში ორი ღორი ნებივრობდა. ჭუჭყზე და სიბინძურეზე ბილიკი გადიოდა, რომელზეც ავტოსტრადიდან აღებული ბეტონის საფარი დაელაგებინათ.

შორიდან ჭრიალი გაისმა. რიერდენი და დაგნი მიტრიალდნენ და დაინახეს მამაკაცი, რომელიც საერთო ჭიდან წყალს იღებდა. მან სათლი გაავსო და აუჩქარებლად გამოემართა ავტომანქანისკენ. ორი სავსე სათლი ძალიან მძიმე ჩანდა მისი წვრილი ხელებისთვის. ვერ მიხვდებოდი, რა ასაკის იყო.

მამაკაცი მანქანასთან მივიდა და თვალიერება დაუწყო. დროდადრო ცბიერ და ეჭვიან მზერას უცხოებისკენ აპარებდა.

რიერდენმა ათდოლარიანი ამოიღო და გაუწოდა:

— ქარხნისკენ გზას ხომ ვერ მიგვასწავლით?

მამაკაცმა ფულს პირქუში გულგრილობით შეხედა, არც კი განძრეულა, არც ხელი გამოუწვდია ფულის გამოსართმევად. სათლები არც კი დაუდგამს მიწაზე. „თუ ამქვეყნად არსებობს ადამიანი, რომელსაც სიხარბის ნატამალი არ გააჩნია, ის ახლა ჩემ წინ დგას“, — გაიფიქრა დაგნიმ.

— აქ ჩვენ ფული არ გვჭირდება, — უთხრა მამაკაცმა.

— კი მაგრამ, ხომ უნდა იარსებოთ?

— ასეა — და რას იყენებთ ფულის ნაცვლად?

მამაკაცმა სათლები მიწაზე დადგა, თითქოს ახლაღა მიხვდა, რომ წელის მოწყვეტა საჭირო არ იყო.

— ჩვენ ფულს არ ვიყენებთ, გაიმეორა მან, — უბრალოდ, ვცვლით.

— აბა, სხვა ქალაქების მოსახლეობასთან როგორ ვაჭრობთ?

— ჩვენ სხვა ქალაქებში არ დავდივართ.

— როგორც ჩანს, აქ ცხოვრება ადვილი არ არის.

— მერე თქვენ რა?

— არც არაფერი, უბრალოდ, მაინტერესებს რატომ არსად წახვედით აქედან?

— მამაჩემს სასურსათო მაღაზია ჰქონდა, ვიდრე ქარხანა დაიკეტებოდა — რატომ არ გადახვედით?

— სად?

— სადმე.

— რატომ?

დაგნიმ სათლებს შეხედა.. ისინი ოდესღაც ბენზინის ოთხკუთხა ავზები იყო, ახლა სახელურის მაგივრად თოკები გამოებათ.

— მომისმინე, — უთხრა რიერდენმა, შეგიძლია, გვანახო თუკი არსებობს რაიმე გზა ქარხნამდე?

— აქ ბევრი გზაა.

— სამანქანო თუ არის?

— ალბათ კი.

— რომელი?

მამაკაცი ერთხანს ჩაფიქრდა და შეეცადა პრობლემა გადაეჭრა.

— მოკლედ, თუ მარცხნივ ჩაუხვევთ სკოლასთან და პირდაპირ წახვალთ დაბრეცილ მუხის ხემდე, გახვალთ გზაზე, რომელსაც არა უშავს თუ რამდენიმე კვირა არ უწვიმია.

— ბოლოს როდის“ იწვიმა?

გუშინ.

— სხვა გზა არ არსებობს?

— თუ ჰენსონის საძოვრებს გაივლით და შემდეგ ტყეს, კარგ გზაზე მოხვდებით, რომელიც მდინარემდე მიგიყვანთ.

— მდინარეზე ხიდი არის?

— არა.

— კიდევ როგორ შეიძლება მისვლა?

— თუ თქვენ მაინცდამაინც საავტომობილო გზა გინდათ, მაშინ ყველაზე უკეთესი ის არის, მილერის ნაკვეთის უკან რომელიცაა. ეს ასფალტიანი გზაა და ყველას სჯობია. სკოლასთან მარჯვნივ შეუხვიეთ...

— მაგრამ ეგ ხომ ქარხნამდე არ მიდის?

— არა, არ მიდის.

— კარგი, გმადლობ, — უთხრა რიერდენმა, — ესე იგი, ჩვენ თვითონ უნდა გავიკვლიოთ გზა.

რიერდენმა სტარტერს მიაჭირა თუ არა, საქარე მინას ქვა მოხვდა. მინა არ გატყდა, მაგრამ გაიბზარა. პატარა ხულიგანი საძაგელი სიცილით გაუჩინარდა კუთხეში, მეზობელ ფანჯრებთან და თუ სხვა სამალავებში შეყუჟულმა ბავშვებმა ხარხარი დაადევნეს.

რიერდენმა თავი ძლივს შეიკავა, რომ არ შეეგინა. მამაკაცმა დაღლილი მზერა მოავლო ქუჩას და ოდნავ მოიღუშა. გზის მეორე მხარეს ნაღვლიანად გასცქეროდა.

მოხუცი ქალი გულგრილად იყურებოდა, მცირედი ინტერესიც არ დასტყობია. უბრალოდ, იდგა და მდუმარედ ადევნებდა თვალს ყველაფერს, როგორც ფოტორეაქტივი აფიქსირებს გამოსახულებას ფირზე, რომლის ფუნქციაც მხოლოდ და მხოლოდ ამ გამოსახულების აღბეჭდვაა და არა იმის გაგება, რასაც ხედავს.

დაგნი უკვე რამდენიმე წუთი იყო, ყურადღებით აკვირდებოდა ქალს. მისი უფორმო სხეული არც ასაკზე მიანიშნებდა და არც განზრახ დაუდევრობაზე

საკუთარი თავისადმი. გარდა ამისა, როგორც ჩანდა, ფეხმძიმედაც იყო-ეს დაუჯერებელი ჩანდა, მაგრამ როცა უფრო კარგად დააკვირდა, დაგნიმ შეამჩნია, რომ ქალს ქერა თმა ჯერ არ გასჭაღარავებოდა და არც სახე დანაოჭებოდა. მოხუცებულის იერს ცარიელი თვალები, მოხრილი მხრები და ფლატუნით სიარული აძლევდა.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა დაგნიმ ქალს.

ქალმა წყენის გარეშე შეხედა, იმ ადამიანივით რომელსაც უაზრო შეკითხვა დაუსვეს.

— ოცდაჩვიდმეტის, — უპასუხა მან.

რამდენიმე კვარტალს რომ გასცდნენ, დაგნიმ ძრწოლვით თქვა:

— ჰენკ, ეს ქალი მხოლოდ ორი წლით არის ჩემზე უფროსი!

— ჰო.

— ღმერთო ჩემო, აქამდე რამ მიიყვანათ?

რიერდენმა მხრები აიჩეჩა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

უკანასკნელი, რაც მათ ქალაქიდან გასვლისას დაინახეს, ბილბორდი იყო — ქაღალდის ნაფლეთებზე ჯერ კიდევ გაირჩეოდა გამოსახულება, მაგრამ ოდესღაც ხასხასა ფერებს ჩამკვდარი ნაცრისფერი დასდებოდა, ბილბორდზე სარეცხი მანქანის რეკლამა იყო გამოსახული.

ქალაქის გარეუბანში, შორს, მინდორში, ვიღაც ზანტად დააბიჯებდა, არაადამიანურად დაძაგრული სხეული დამახინჯებოდა: ის გუთანს ჩაჰფრენოდა და მიწას ხნავდა.

ური მილის გავლას ორი საათი მოანდომეს და „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ ქარხანას მიადგნენ. როდესაც გორაკზე ავიდნენ, მიხვდნენ, რომ მათმა მოგზაურობამ ფუჭად ჩაიარა: მთავარი შესასვლელის კარს დაჟანგებული ბოქლომი ედო, არმ აზარი ფანჯრები ჩალეწილი დახვდათ, ქარხანა ყველასთვის და ყველაფრისთვის ღია იყო: ზაზუნებისთვის, კურდღლებისთვის და ხმელი ფოთლებისთვის, ქარს რომ დაუნანებლად შეეხვეტა შიგნით.

ქარხანა დიდი ხნის წინ გაეძარცვათ. დიდი დაზგები ცივილიზებული მეთოდით გაეტანათ ბეტონის იატაკს ჯერაც ეტყობოდა მათ დასამაგრებლად საგანგებოდ დატანებული აკურატული ხვრელები. ყველაფერი დანარჩენი შემთხვევითმა ვიზიტორებმა დაიტაცეს. ქარხანაში აღარაფერი იყო დარჩენილი ხარახურის გარდა, იმის, რაც უკანასკნელ მაწანწალასაც კი სრულიად უსარგებლოდ მოეჩვენა — დაგრეხილი, ჟანგიანი მეტალის გორები, დამტვრეული ფიცრები, ჩამოყრილი ბათქაში და მინის ნამსხვრევები და სახურავისკენ წრიულად ამავალი მტკიცე და საიმედო ფოლადის კიბე.

ისინი დიდ დარბაზში გაჩერდნენ, სადაც სახურავიდან ნახვრეტით სინათლის ირიბი სხივი შედიოდა. მათი ნაბიჯების მაღალი ექო სადღაც შორს იკარგებოდა, დაცარიელებულ სივრცეებში. ფოლადის ბოძებს შორის მოწრიალე ჩიტი ფრთების შხუილით გამოიჭრა და სახურავზე პირდაღებული ბზარიდან გარეთ გაფრინდა.

— ყველაფერი დავათვალიეროთ, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, — უთხრა დაგნიმ, — შენ საამქროებს მიხედე, მე კი დამატებით ნაგებობებს დავათვალიერებ ოღონდ ვიჩქაროთ.

— აჯობებს, აქ მარტომ არ იხეტიალო არ ვიცი, რამდენად საიმედოა ეს იატაკი და კიბეები.

— სისულელეა! ქარხანაში ორიენტირება არ მიჭირს უბრალოდ, მინდა, რაც შეიძლება, ჩქარა გავეცალოთ აქაურობას.

დაგნი. ჩუმ, დაცარიელებულ საამქროებში დააბიჯებდა, სადაც ჭერში ჯერაც ეკიდა ფოლადის ამწეების დაჟანგებული სატაცები და გეომეტრიულად სრულყოფილ ნახაზს ქმნიდა. არაფრის დანახვა არ სურდა, მაგრამ თავს აიძულებდა, მაინც შეეხედა.

თითქოს საყვარელი ადამიანის გაკვეთას ესწრებოდა დაგნიმ კბილი კბილს მაგრად დააჭირა და მზერას პროჟექტორივით ავლებდა გარშემო. სწრაფად მოძრაობდა — სადმე შეჩერებას აზრი არ ჰქონდა.

მხოლოდ იმ ოთახში გაჩერდა, სადაც, როგორც ჩანდა, ადრე ლაბორატორია იყო განთავსებული. აქ მისი ყურადღება ხარახურის გროვიდან გამოჩრილმა მავთულებდახვეულმა ინდუქციურმა კოჭამ მიიქცია. ადრე ასე დახვეული კოჭა. არასოდეს უნახავს, თუმცა, რაღაც მაინც ბუნდოვნად ეცნობოდა, თითქოს შემთხვევით შემორჩენილი, ძალიან შორეული მოგონება გაუღვიძა. კოჭა გამოსწია, მაგრამ ძვრა ვერ უყო: ეტყობოდა, ათასგვარი ხარახურის ქვეშ მოქცეული რაღაც მექანიზმის ნაწილი იყო.

აქ თავისუფლად შეიძლებოდა, სასწავლო-საკვლევი ლაბორატორიაში ყოფილიყო განთავსებული — თუკი დაგნიმ სწორად გამოიცნო კედელზე ჯერ კიდევ შემორჩენილი დაზიანებული დანადგარის დანიშნულება: აურაცხელი ელექტროშესაერთებელი, კაბელების ნაწყვეტები, ტყვიის მილები, მინის მილაკები, ჩაშენებული კარადები, თაროებისა და კარების გარეშე. ყველგან მინის ნამსხვრევები, რეზინი, პლასტმასა, გრაფიტის იზოლატორებისთვის განკუთვნილი რუხი ფიქლის ნამტვრევები ეყარა. მთელ იატაკზე ფურცლები იყო მიმობნეული. ნაგვის გორაში ისეთი ნივთებიც ერია, რომელიც ამ ლაბორატორიის ყოფილ თანამშრომლებს აშკარად არ ეკუთვნოდათ: სიმინდის ფანტელების პაკეტები, ვისკის ცარიელი ბოთლი, რომელიღაც სექტის მიერ გამოცემული ბროშურა.

დაგნი კიდევ ერთხელ შეეცადა, კოჭა ამოეღო, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ, მერე დაიხარა და ამ ხარახურის ქექვას შეუდგა.

როცა ბოლოს და ბოლოს, წელში გაიმართა და მისთვის საინტერესო საგანი შეათვალიერა, ხელისგულები დასერილი ჰქონდა და მთლიანად მტვერში იყო ამოგანგლული. ეს საგანი დამსხვრეული ელექტროძრავის მოდელი აღმოჩნდა. დეტალების უმეტესი ნაწილი აკლდა, მაგრამ ის, რაც დარჩენილი იყო, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მისი თავდაპირველი ფორმა და დანიშნულება რომ წარმოედგინა. დაგნის ასეთი ძრავა ან რაიმე მისი მსგავსი ადრე არასდროს უნახავს. ბოლომდე ვერ გაიგო მისი უჩვეულო კონსტრუქციისა და ფუნქციების თავისებურებები.

ჩაშავებული მილები და უჩვეულო ფორმის კონტაქტები ყურადღებით დაათვალიერა. ცდილობდა, მათ დანიშნულებას ჩასწვდომოდა, მისთვის ცნობილი ძრავების ყველა ტიპი და მათი ნაწილების მუშაობის რეჟიმები გადაარჩია გონებაში.

ამ მოდელს ვერაფერი შეუსატყვისა. თითქოს ძრავას, გენერატორს ჰგავდა, მაგრამ ვერ მიხვდა, რომელ საწვავზე უნდა ემუშავა. არც ორთქლზე იყო გათვლილი, არც მაზუთზე ან მისთვის ცნობილ რომელიმე სხვა საწვავზე.

უცებ შეჰყვირა, და ეს უბრალო ბგერა კი არა, ბიძგი იყო, რომელმაც ხარახურის გროვაზე დაანარცხა. მუხლებზე და იდაყვებზე დამხობილმა მოიარა მთელი ოთახი და

ძირს მიმობნეულ ფურცლებს კრეფდა, სწრაფად ათვალიერებდა, მერე კი მოისროდა და ძებნას განაგრძობდა. ხელები უკანკალებდა.

ბოლოს და ბოლოს, გაუმართლა, იპოვა; რასაც ეძებდა, მხოლოდ ნაწილი: ერთად შეკრული ნაბეჭდი ფურცლების თხელი შეკვრა — ანგარიშის ნაწყვეტი. დასაწყისი და დაბოლოება არ ჰქონდა. სამაგრში ჩარჩენილი ქაღალდის ნაგლეჯები მოწმობდა, რომ ეს ანგარიში ოდესღაც გაცილებით სქელი იყო. თვითონ ქაღალდი უკვე გაყვითლებულიყო და გამომშრალიყო. ანგარიში ძრავის აღწერილობას შეიცავდა.

როდესაც ქარხნის გაპარტახებულ ელექტროსადგურს ათვალიერებდა, რიერდენმა დაგნის ყვირილი გაიგონა:

— ჰენკ!

დაგნის თითქოს ძრწოლისგან აკანკალებდა.

რიერდენი ამ ხმისკენ გაიქცა. დაგნი შუაგულ ოთახში იდგა, ხელებიდან სისხლი სდიოდა, წინდები დახეოდა, კოსტიუმი გასჭუჭყიანებოდა... მაგრამ ფურცლების შეკვრა მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული.

— ჰენკ, როგორ ფიქრობ, რა შეიძლება, ეს იყოს? — ჰკითხა რიერდენს და გაუგებარი ფორმის ნატეხებზე მიანიშნა თავის ფეხებთან; დაძაბული, ისტერიკანარევი გაოცებული ხმა ჰქონდა, როგორც ადამიანს, რომელიც მოულოდნელმა ელდამ რეალობას მოსწყვიტა, — ეს რას ჰგავს?

— ხელი გაიჭერი? რა მოხდა?

— არა... საშიში არაფერია, მე ნუ მიყურებ! ჯობია“ ამას შეხედო იცი, ეს რა არის? — რა მოგივიდა?

— იძულებული გავხდი, ეს ნაგვის გროვიდან გამომეთრია, მაგრამ მე არაფერი მიჭირს.

— სულ კანკალებ.

— ახლა შენც ჩემსავით აკანკალდები, ჰენკ! შეხედე ამას, უბრალოდ, შეხედე და მითხარი, შენი აზრით, ეს რა არის?

რიერდენმა მორჩილად დაიხედა ძირს, და უცებ მზერა დაეძაბა — ის იატაკზე დაეშვა და ყურადღებით დააკვირდა საგანს დაგნის ფეხებთან.

— ძალიან უცნაური კვანძებია, — თქვა შეფიქრიანებულმა და მოიღუშა.

— აი, ეს წაიკითხე, — უთხრა დაგნიმ და ფურცლები გაუწოდა.

რიერდენმა წაიკითხა, მერე გაოგნებულმა დაგნის ახედა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო!

დაგნი უკვე მის გვერდით იჯდა იატაკზე. რამდენიმე წუთი სიტყვა არ დაუძრავთ.

— ეს კოჭა თავიდანვე შევამჩნიე, — დაიწყო დაგნიმ. ისეთი შეგრძნება. ჰქონდა, თითქოს საკუთარ გონებას ვერ ეწეოდა, ვერაფრით მოეხელთებინა და აეხსნა ის, რაც მოულოდნელად გაეხსნა მის ცნობიერებას. სიტყვები ერთიმეორის მიყოლებით სცვიოდა ბაგიდან, — შევამჩნიე, იმიტომ, რომ მსგავსი ნახაზები მინახავს, ზუსტად ასეთები არა, მაგრამ მსგავსი... ბევრი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ კოლეჯში ვსწავლობდი... ერთ ძველ წიგნში, სადაც ეწერა, რომ ამ იდეაზე უარი თქვეს... უარი თქვეს, ძალიან დიდი ხნის წინ — მაგრამ მე ყველაფერს ვკითხულობდი, რაც კი სარკინიგზო ძრავებს შეეხებოდა. იმ წიგნში წერდნენ, რომ თავის დროზე ადამიანები ამ იდეაზე მუშაობდნენ, ბევრი წელი მოანდომეს ექსპერიმენტს, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს და ბოლოს ფარ-ხმალი დაყარეს. მერე კი ეს აზრი საერთოდ გადაივიწყეს. არც კი მიფიქრია, რომ რომელიმე მეცნიერი დღეს მას ხელს მოჰკიდებდა. მაგრამ ვიღაცამ მაინც გაიხსენა. გაიხსენა და გადაჭრა კიდეც ეს

ამოცანა!.. დღეს, ახლა... ჰენკ, შენ გესმის, ეს რას ნიშნავს? ადამიანები დიდი ხანია, ცდილობენ, გამოიგონონ ძრავა, რომელიც ატმოსფეროდან სტატიკურ ელექტროენერგიას შთანთქავს და საკუთარ სიმძლავრედ გარდაქმნის მას. ეს ვერავინ მოახერხა და იდეაც დაივიწყეს, — დაგნიმ ნამსხვრევებზე მიუთითა, — მაგრამ აი, ის აქ არის.

რიერდენმა თავი დაუქნია. არ იღიმოდა. იჯდა და ძრავის ნარჩენებს დასცქეროდა, რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო, რაღაც თავისაზე, ხელშეუხებელზე — თუმცა, ჩანდა, არცთუ ისე სასიხარულოზე.

— ჰენკ, ნუთუ არ გესმის, ეს რას ნიშნავს? ეს ხომ უდიდესი რევოლუციაა ენერგეტიკაში, შიგაწვის ძრავის გამოგონების მერე — არა, ეს უფრო მეტია! ეს ძრავა ყველაფერს დაასამარებს, რაც კი აქამდე შექმნილა, მისთვის შეუძლებელი არაფერი იქნება! ეშმაკსაც წაუღია დუაიტ სანდერსი და ყველა დანარჩენი! ვიღას დასჭირდება დიზელი ანდა ნავთობი, ქვანახშირი და ბენზინგასამართი სადგურები? ნუთუ ვერ ხედავ, რაც მე დავინახე? ახალი, დღევანდელზე ორჯერ უფრო პატარა ლოკომოტივი, და ათჯერ უფრო ძლიერი. სულ რამდენიმე წვეთ საწვავზე მომუშავე ავტოგენერატორი, რომელსაც განუსაზღვრელი ძალა ექნება. გადაადგილების ყველაზე სუფთა, სწრაფი და იაფი საშუალება, რაც კი ადამიანისთვის არის ცნობილი. წარმოგიდგენია, რას უზამს ეს ძრავა ჩვენს სატრანსპორტო სისტემას და მთელ ქვეყანას სულ რაღაც ერთ წელიწადში?

რიერდენის სახეზე აღელვების ნატამალიც არ ეტყობოდა.

— კი მაგრამ, ვინ დააპროექტა ეს ძრავა? ან რატომ დააგდეს აქ ეს მოდელი?

აუჩქარებლად წარმოთქვა მან.

— ჩვენ მაგას გავარკვევთ.

ჩაფიქრებულმა რიერდენმა ფურცლები ხელისგულზე აწონა:

— დაგნი, თუ ვერ მოძებნი ადამიანს, რომელმაც ეს ძრავა გამოიგონა, შეძლებ კი, აღადგინო ძრავა ამ ნამსხვრევების მიხედვით?

დაგნი დიდხანს დუმდა; მერე კი დაღვრემილმა უპასუხა:

— ვერა.

— და ვერც ვერავინ შეძლებს. ვიღაცამ ეს ძრავა შექმნა და, თუ ამ ჩანაწერებს დავუჯერებთ, როგორც ჩანს, ის მუშაობდა კიდეც. უფრო დიადი აღმოჩენა არასოდეს არ მინახავს. ჩვენ მას ვეღარ გავაცოცხლებთ. დაკარგული დეტალების აღსადგენად ისეთივე ტიტანური გონებაა საჭირო, როგორც თავად იმ უცნობ გამომგონებელს ჰქონდა.

— მე მას ვიპოვი, თუნდაც ამის გამო ყველა სხვა საქმის მიტოვება მომიწიოს.

— თუ ჯერ კიდევ ცოცხალია.

დაგნი ერთი ხანი გაჩუმდა, მერე კი შეფიქრიანებულმა ჰკითხა:

— ეს რამ გაფიქრებინა?

— ეჭვი მეპარება, ცოცხალი იყოს. ნუთუ საკუთარ შედეგრს, ამ მასშტაბის აღმოჩენას, ნაგვის გროვაში დასალპობად დატოვებდა? ცოცხალი რომ იყოს, უკვე დიდი ხანია, ავტოგენერატორიანი ლოკომოტივები გექნებოდა და არც ამ ადამიანის მოძებნა აღარ მოგიწევდა, რადგან მისი სახელი მთელ მსოფლიოს ეცოდინებოდა.

— ვფიქრობ, ეს მოდელი არცთუ ისე დიდი ხნის წინ შექმნეს. — უთხრა დაგნიმ.

რიერდენმა ფურცლებს და ჟანგის ფენას დახედა ძრავის ზედაპირზე:

— მე ვფიქრობ, ათი წლის წინ არის შექმნილი, ან, იქნებ, ცოტა ადრეც.

— ჩვენ უნდა ვიპოვოთ ის ან ვინმე, ვინც მას იცნობდა. ეს უფრო მნიშვნელოვანია... ვიდრე ყველაფერი...

— ვიდრე ყველაფერი, რაც დღეს იწარმოება ან ვინმეს ეკუთვნის. არ მგონია, ეს გამომგონებელი ვიპოვოთ. და თუ ვერ ვიპოვეთ, ვერავინ ვერასდროს ვერ შეძლებს მისი მიღწევის გამეორებას. ვერავინ ვერ აღადგენს მის ძრავას. მისგან ძალიან ცოტა რამ დარჩა. ეს მხოლოდ მინიშნებაა, ფასდაუდებელი მინიშნება, ოღონდ მას რომ ჩასწვდე, ისეთი გონებაა საჭირო, როგორიც საუკუნეში ერთხელ იბადება. როგორ გგონია, ჩვენი თანამედროვე ინჟინრები ამ საქმეს გაუმკლავდებიან?

— ვერა.

— ქვეყანაში კვალიფიციური კონსტრუქტორიც კი აღარ დარჩა. წლებია, ახალი იდეა არ დაბადებულა ძრავების განხრით. როგორც ჩანს, ეს პროფესია კვდება ან უკვე მკვდარია.

— ჰენკ, გესმის, რას ნიშნავს... ამ ძრავის აღდგენა რომ მოხერხდეს?

რიერდენს ჩაეცინა:

— მე ვიტყოდი, რომ ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ათი წლით მაინც გაუხანგრძლივებდა ცხოვრებას, თუ გავითვალისწინებთ, რამდენად მარტივი და იაფი დაჯდებოდა ყველაფრის წარმოება, რამდენი საათის შრომას გამოათავისუფლებდა ის სხვა საქმეებისთვის და რამდენად მეტი რამის მოსწრება გახდებოდა შესაძლებელი ამ დროში. მარტო ლოკომოტივები? და ავტომობილები, გემები, თვითმფრინავები, რომლებიც ამ ძრავით იქნებოდა აღჭურვილი? ტრაქტორები? ელექტროსადგურები, რომლებსაც შეუზღუდავად მიეწოდებოდა ენერგია, საწვავის გარეშე, რომელიც ფული ღირს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პენის, კონვერტორის მუშაობას რომ დასჭირდება. ეს ძრავა მსოფლიოს გადაატრიალებდა. ყველაზე მიყრუებულ მხარეშიც კი მიიტანდა ელექტრონათურას, იმ ადამიანების სახლებშიც კი, ჩვენ რომ ვნახეთ დღეს ქვემოთ, ქალაქში.

— მიიტანდა? აუცილებლად მიიტანს! მე ვიპოვი იმ ადამიანს, ვინც ეს გამოიგონა.

— შევეცადოთ.

რიერდენი მკვეთრად წამოიმართა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი დამტვრეულ ძრავას და უხალისოდ ჩაიცინა:

— აი, ესეც ძრავა „ჯონ გოლტის ხაზისთვის“, — მერე კი ხელმძღვანელი პირის მბრძანებლური ტონით გააგრძელა, — უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვძებნოთ, სად იყო აქ მათი კადრების განყოფილება. პირად საქმეებს უნდა გადავხედოთ, თუ კიდევ დარჩა რაიმე. მათი მკვლევრების და ინჟინრების ვინაობა უნდა დავადგინოთ. არ ვიცი, ეს ნანგრევები ახლა ვის ეკუთვნის, ვეჭვობ, მფლობელების პოვნა ძალიან ძნელი იქნება, ასე რომ არ იყოს, აქ ასე თავისუფლად ვერ შემოვიდოდით. შემდეგ ლაბორატორიაში ყველა ოთახი უნდა შევისწავლოთ. მოგვიანებით, ჩვენი ინჟინრები უნდა გამოვგზავნოთ აქ თვითმფრინავით, მთელი ქარხანა რომ გადაატრიალონ.

გასასვლელისკენ გაემართნენ, მაგრამ დაგნი წუთით კარებში გაჩერდა.

— ჰენკ, ამ ქარხანაში ყველაზე ძვირფასი ეს ძრავა იყო,— თქვა ჩუმად — გაცილებით ძვირფასი, ვიდრე თვითონ ეს ქარხანა და მთელი მისი პროდუქციაა. ამის მიუხედავად, ის ერთადერთი რამ არის, რაც თან არ წაიღეს ან არ მოიპარეს.

— სწორედ ეგ მაშინებს ყველაზე მეტად, — აღიარა რიერდენმა.

კადრების განყოფილებაში დიდხანს არ გაჩერებულან. კარზე ჯერაც ეკიდა შესაბამისი დაფა, მაგრამ ამის გარდა იქ აღარაფერი იყო დარჩენილი: არც ავეჯი, არც ქაღალდები, არაფერი, მინის ნამსხვრევების გარდა...

ლაბორატორიაში დაბრუნდნენ. მუხლებზე დაჩოქილებმა გადაარჩიეს მთელი ნაგავი, იატაკზე დაყრილი ყოველი წვრილმანი ყურადღებით დაათვალიერეს.

ბევრი ვერაფერი იპოვეს. ცალკე გადააწყვეს ფურცლები, სადაც არაფერი ეწერა ძრავასთან დაკავშირებით. სიმინდის ფანტელების პაკეტები და ვისკის ბოთლი აშკარად მოწმობდა, რომ აქ ბარბაროსთა ურდოებს ეთარეშათ და მათთვის საინტერესო ყველა ნარჩენიც თან გაეყოლებინათ.

მათ აღმოაჩინეს მეტალის რამდენიმე ნატეხი, რომელიც შეიძლებოდა, ძრავის ნაწილიც იყო, თუმცა იმდენად მცირე ზომის, საეჭვოა, ფასეული ყოფილიყო. ძრავა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ვიღაც ქურდებმა ზოგიერთი დეტალი გამოაგლიჯეს, რომ სამომავლოდ იქნებ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსდგომოდათ. ის, რაც გადარჩენილიყო, მეტისმეტად უცნაურად გამოიყურებოდა საიმისოდ, ვინმე რომ დაეინტერესებინა.

მუხლებზე დაჩოქილი, ხელისგულებით ქვიშიან იატაკს დაყრდნობილი დაგნი მრისხანებას გრძნობდა, მწველ, უმწეო მრისხანებას, რომელსაც ეს გაპარტახება ჰგვრიდა. „ვინ იცის“, — ფიქრობდა ის, — „იქნებ, ძრავის ჩამრთველ კაბელზე ახლა ვიღაცის ჩვრები შრება, ან იქნებ მისი ლილვაკების დახმარებით ვიღაც საერთო ჭიდან წყალს ეზიდებოდა, ძრავის ცილინდრი კი,გერანიის ქოთნად გადაქცეული, იმ ლოთის ფანჯრის რაფაზე დგას, რომელმაც აქ ეს ვისკის ბოთლი დატოვა.

გორაკზე. ჯერ კიდევ არ ბნელოდა, მაგრამ მინდვრებიდან უკვე მოცოცავდა ლურჯი ბურუსი.

დაღამებული იყო, როცა ყველაფერს მორჩნენ.

დაგნი წამოდგა და ჩამსხვრეული ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო; გახურებული შუბლი საღამოს სიგრილეს შეუშვირა. ცას მუქი სილურჯე დაედო.

— ეს ძრავა მთელ ქვეყანას აამოძრავებდა, სულს ჩაუდგამდა.

დაგნიმ ძრავას გახედა, შემდეგ ისევ ფანჯარაში გაიხედა და უცებ ამოიგმინა.

სხეულში ცახცახმა დაუარა და თავი იმ ხელზე ჩამოუვარდა, რომლითაც ფანჯრის ჩარჩოს მიჰყრდნობოდა.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა რიერდენი.

დაგნიმ არ უპასუხა.

რიერდენმა ფანჯარაში გაიხედა. შორს, დაბლობზე, ღამის ბლანტ ბინდში რამდენიმე ქონის სანთელი სუსტად ციმციმებდა.

თავი 10

უაიატის ჩირაღდანი

— უფალო, შეგვიწყალე! მემ! — აღმოხდა საარქივო ბიუროს კლერკს, — არავინ არ იცის, ეს ქარხანა ახლა ვისია და ვერც ვერავის შევეკითხებით.

კლერკი მაგიდასთან იჯდა პირველ სართულზე მდებარე კაბინეტში, სადაც მომსვლელები იშვიათად შედიოდნენ. გარშემო შემოწყობილ საქაღალდეებს მტვრის სქელი ფენა ედო. კლერკი დაბინდულ, გაფანტულ მზერას ხან მბზინავ ავტომობილს მიაპყრობდა, რომელიც ოლქის ოდესღაც აყვავებული დედაქალაქის ჭუჭყიან მოედანზე, მის ფანჯარასთან იყო გაჩერებული, ხანაც ორ უცხო ვიზიტორს.

— რატომ? — შეეკითხა დაგნი.

კლერკმა უმწეოდ მიანიშნა საქაღალდიდან ამოღებული ქაღალდების დასტაზე:

— ვის ეკუთვნის ეს ქარხანა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუმცა, ჩემი აზრით, საკმარისად კომპეტენტური სასამართლო აღარც არსებობს, თუკი ეს საბუთები საერთოდ მოხვდა როდისმე სასამართლოში, ძალიან კი მეეჭვება.

— რატომ? რა მოხდა?

— გაიყიდა. ქარხანას ვგულისხმობ, ანუ ძრავთმშენებელ ქარხანას. ერთდროულად ორ მყიდველს მიჰყიდეს. ადრე, ორი წლის წინ, ამის გამო დიდი სკანდალი ატყდა, ახლა კი... — ხელით საბუთების გროვაზე მიანიშნა, — ახლა ეს მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდია, რომელიც სასამართლო განხილვას ელოდება. ვერ წარმომიდგენია, რომელი მოსამართლე შეძლებს, ან როგორ, დაადგინოს, ვის ეკუთვნის საკუთრების უფლება, ან რაიმე უფლება საერთოდ.

— ძალიან გთხოვთ, მოგვიყევით, რა მოხდა.

— ქარხნის უკანასკნელი კანონიერი მფლობელი ვისკონსინის შტატის ქალაქ რომის „სახალხო იპოთეკური კომპანია“ იყო. ეს ქალაქი ქარხნის გაღმა, აქედან ოცდაათი მილის მოშორებით მდებარეობს, ჩრდილოეთით. ეგ იპოთეკური კომპანია საკმაოდ ყოჩაღი კანტორა იყო, რომელიც ყველა კუთხე-კუნჭულში შეღავათიან კრედიტებზე გაჰყვიროდა. ვინმე მარკ იონტსი ხელმძღვანელობდა. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა და არავინ იცის, საით წავიდა ახლა ის. მაგრამ მისი გაუჩინარების მეორე დილას, მას შემდეგ, რაც „სახალხო იპოთეკური კომპანია“ გაკოტრდა“ გამოირკვა, რომ მარკ იონტსმა ქარხანა ვიღაც სამხრეთდაკოტელ ლაწირაკებს მიჰყიდა და პარალელურად, გირაოში ჩადო ილინოისის ერთ-ერთ ბანკში, სესხი რომ აეღო. როდესაც ქარხნის დასათვალიერებლად მივიდნენ, გაირკვა, რომ იონტს ყველა დანადგარი გამოზიდული და გაყიდული ჰქონდა, ზოგი დაშალა და ნაწილებადაც კი გაყიდა, ვის მიჰყიდა, კაცმა არ იცის. აი ასე, გამოდის, რომ ახლა ქარხანა ბევრს ეკუთვნის... და თან არავის. სამხრეთდაკოტელი ბიჭები, ბანკი და „სახალხო იპოთეკური კომპანიის“ კრედიტორების ადვოკატები — ყველანი სასამართლოში უჩივიან ერთმანეთს, ყველა ამ ქარხნის მფლობელობას იბრალებს, არადა, არავის აქვს უფლება, იქიდან თუნდაც ერთი ბორბალი გამოიტანოს, თუკი დარჩა იქ საერთოდ რაიმე გამოსატანი.

— მარკ იონტსმა ქარხანა აამუშავა, სანამ გაყიდდა?

— ღმერთო, ქალბატონო, არა, რა თქმა უნდა! ის არ იყო იმ ტიპის კაცი, რომელიც ქარხანას უხელმძღვანელებდა. მას მუშაობა კი არა, არამედ ფულის მიღება უნდოდა მხოლოდ. და ეტყობა, მიიღო კიდეც, თან იმაზე მეტი, ვიდრე ამ ქარხანაში ვინმე გადაიხდიდა, კლერკს ვერ გაეგო, ეს ქერა, მკაცრი შესახედაობის. მამაკაცი, რომელიც ქალის გვერდით იჯდა, დროდადრო რატომ გაჰყურებდა ფანჯრიდან თავის მანქანას, უფრო სწორად კი დიდ, ბრეზენტში გახვეულ რაღაც საგანს, მანქანის საბარგულიდან რომ მოჩანდა.

— ქარხნის დოკუმენტაციას რა მოუვიდა?

— კერძოდ რომელს, მემ?

— საწარმოო დოკუმენტაციას, სამუშაო დოკუმენტებს... პირად საქმეებს.

— ო, მათგან აღარაფერი დარჩა. იქ ყველაფერი გაიქურდა. ქარხნის ყველა სავარაუდო მფლობელმა, რაც კი მოასწრო, სულ გამოზიდა — ავეჯი, ყველაფერი, რისი გამოზიდვაც შეიძლებოდა. შერიფმა ჭიშკარიც კი აჭედა, მაგრამ ამას ისინი არ შეუჩერებია. ქაღალდები და მსგავსი რამეები, სავარაუდოდ, სტარნსვილელმა მაწანწალებმა წაიღეს. ეს ქალაქი ქვემოთაა, დაბლობზე. მათ იქ ძალიან უჭირთ. ალბათ, გასათბობად დაწვეს.

— აქ ხომ არ დარჩა ვინმე, ვინც ამ ქარხანაში მუშაობდა? — იკითხა რიერდენმა.

— არა, სერ. ყველანი სტარნსვილში ცხოვრობდნენ.

— ყველა? — ჩაიჩურჩულა დაგნიმ და თვალწინ ისევ ის ნანგრევები დაუდგა, — და... ინჟინრებიც?

— დიახ, მემ. ეგ ქარხნის დასახლება იყო, მაგრამ მაქედან დიდი ხანია, ყველა წავიდა. — იქნებ, ვინმეს სახელი დაგამახსოვრდათ, ვინც მანდ მუშაობდა?

— არა, მემ.

— ვინ იყო ქარხნის ბოლო მეპატრონე, რომელიც ქარხანას ამუშავებდა? — ჰკითხა რიერდენმა.

— ვერ გეტყვით, სერ. აქ ისეთი არეულობა იყო... თანაც, ქარხანა ხელიდან ხელში გადადიოდა, მას შემდეგ, რაც მოხუცი ჯედ სტარნსი გარდაიცვალა. მან ააშენა ეგ ქარხანა, თან რა ქარხანა?! შეიძლება ითქვას, მან ქვეყნის ეს ნაწილი თავისი ხელებით შექმნა. თორმეტი წლის წინ გარდაიცვალა.

— შეგიძლიათ, ქარხნის ყველა მფლობელის სახელები გვითხრათ, ვინც მისი გარდაცვალების შემდეგ ყოფილა?

— არა, სერ. სამი წლის წინ სასამართლოს შენობაში ხანძარი გაჩნდა და მთელი არქივი დაიწვა. არ ვიცი, ახლა სად შეიძლება ამ ცნობების მოპოვება.

— ის მაინც თუ იცით, მარკ იონტსმა ქარხანა როგორ შეიძინა?

— ეს ვიცი. მან ქარხანა ქალაქ რომის მერისგან, ბასკომისგან იყიდა. ოღონდ, ბასკომის ხელში როგორღა მოხვდა, არ ვიცი.

— სად არის ახლა მერი ბასკომი?

— ისევ იქ, ქალაქ რომში.

— დიდი მადლობა, — უთხრა რიერდენმა, — ჩვენ მასთან მივალთ უკვე კართან იდგნენ, როცა კლერკმა ჰკითხა:

— მაინც, რას ეძებთ, სერ?

— ერთ მეგობარს ვეძებთ, — უპასუხა რიერდენმა, — ძველ მეგობარს რომელიც დავკარგეთ და რომელიც ოდესღაც ამ ქარხანაში მუშაობდა.

* * *

ვისკონსინის შტატის ქალაქ რომის მერი ბასკომი სავარძელში გადაწოლილიყო, გაპოხილ პერანგში გამოკრული მკერდი და მუცელი მსხალს მიუგავდა...

ქუჩის მტვერსა და ბუღს მისი სახლის ტერასაზეც შემოეღწია. მან ხელი გაიქნია, რომელსაც დიდი, მაგრამ მდარე ხარისხის ტოპაზისთვლიანი ბეჭედი უმშვენებდა.

— უაზრობაა, ლედი, სრული უაზრობაა აქაურების გამოკითხვა, — თქვა მან — დროს დაკარგავთ, მეტი არაფერი. ქარხნის ყოფილი მუშებისგან აქ აღარავინ აღარ არის, არც ისეთი ვინმეა, ვინც რაიმეს გიამბობთ მათ შესახებ. ქალაქიდან უამრავი ოჯახი წავიდა, მხოლოდ ნაყარნუყარი დარჩა. ჰოდა, სულ იმას ვუმეორებ საკუთარ თავს, რომ ნაყარნუყარის მერი ვარ.

მან თავის სტუმრებს დაჯდომა შესთავაზა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რომ ლედიმ ტერასის პარაპეტთან დგომა ამჯობინა. ბასკომი სავარძელში გადაწვა და დაგნის მოხდენილი სხეული შეათვალიერა; „ბრწყინვალე ქალია“, — გაიფიქრა მან, — „მისი თანამგზავრი კი უდავოდ მდიდარი“.

დაგნი ქუჩას გაჰყურებდა, სახლებს, ტროტუარებს, ფანრებს სარეკლამო აბრასაც კი მოჰკრა თვალი, გამაგრილებელი სასმელის რეკლამით, თუმცა იქაურობა მაინც ისეთი შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სულ ცოტაც და, ეს ქალაქიც სტარნსვილის ბედს გაიზიარებდა.

— არა, არავითარი დოკუმენტაცია აქ არის. თუ მაინცდამაინც ამას ეძებთ, ლედი;, თავს ნულარ შეიწუხებთ, ეს იგივეა, მინდორში ქარს სდიოთ. ვიღას ენაღვლება დღეს ქაღალდები? ასეთ დროში ადამიანებს მხოლოდ ხარისხიანი, მატერიალური ობიექტები აინტერესებთ. კაცი პრაქტიკული უნდა იყო.

ფანჯრის დამტვერილი მინებიდან მერის სასტუმრო ოთახი მოჩანდა ხის იატაკზე სპარსული ხალიჩები ეგო. კედელთან ქრომირებული ბარის პატარა მაგიდა იდგა და ძვირფასი რადიომიმღები, ზედ ძველებური ნავთის ლამფით.

— დიახ, მარკ იონტსს ქარხანა მე მივყიდე. მარკი კარგი ბიჭი იყო, მხიარული და ენერგიული ბიჭი. რა თქმა უნდა, უცოდველი არ ყოფილა, მაგრამ განა ეს ვინმეს უკვირს? და იმასაც წყალი არ გაუვა, რომ ღრმად შეტოპა... მართალი გითხრა, ამას არ ველოდი, მეგონა, იმდენი ჭკუა ეყოფოდა, რომ კანონი არ დაერღვია... უფრო სწორედ, რაც ამ კანონისგან დარჩა.

მერმა ბასკომმა გაიღიმა, სტუმრებს უწყინარი გულწრფელობით მიაჩერდა, უინტელექტო ადამიანის პრიმიტიული გამჭრიახობით, თითქოს კეთილად იღიმებოდა, მაგრამ ამ ღიმილს სიკეთის არაფერი ეცხო.

— რაღაც არა მგონია, მეგობრებო, თქვენ დეტექტივები იყოთ, — თქვა მერმა, — მაგრამ რომც იყოთ, ჩემთვის სულერთია. მარკისგან ქრთამი არ ამიღია, თავის გარიგებებში არ მახედებდა. არც ის ვიცი, სად გაუჩინარდა, — ამოიოხრა, — მომწონდა ეგ ტიპი. სამწუხაროა, რომ წავიდა. რაც მართალია, ანგელოზი არ ყოფილა. კაცმა რომ თქვას, ხომ უნდა ეცხოვრა როგორღაც, ასე არ არის? არავისზე უარესი არ იყო, უბრალოდ, სხვებზე მეტად უჭრიდა ჭკუა. სხვებს მასეთი თაღლითობისთვის ჩააყუდებდნენ, მაგას კი ვერაფერი უქნეს. აი, სულ ეს განსხვავებაა... არა, არ ვიცოდი, როცა ყიდულობდა, რას უპირებდა ამ ქარხანას. რა თქმა უნდა, ცოტა უფრო მეტი გადამიხადა, ვიდრე ეგ დანჯღრეული სათაგური ღირდა და ძალიანაც მაწყობდა.

არა, ძალა არ დამიტანებია, რომ ეყიდა. არც იყო საჭირო. უბრალოდ, მანამდე მეც რამდენჯერმე დავეხმარე. სერ, იცით, ზოგიერთი კანონი რეზინის გეგონებათ... მერი თუ ხარ, შეგიძლია, ცოტათი გაწელო მეგობრის დასახმარებლად. აბა, სხვაგვარად როგორდა უნდა გამდიდრდე კაცი ამ სამყაროში, — და მდიდრულ შავ მანქანას გახედა, — ეს თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ.

— თქვენ ქარხანაზე გვიყვებოდით, — შეახსენა რიერდენმა, თან ცდილობდა მოთმინება არ დაეკარგა.

— აი, ვისი ატანაც არ შემიძლია, ეს ის ხალხია, ვინც გაუთავებლად პრინციპებზე ლაქლაქებს, — თქვა ბასკომმა, — პრინციპებით ვერ გაძღები. ცხოვრებაში ფასი მხოლოდ მყარ მატერიალურ აქტივებს აქვს. როცა გარშემო სამყარო ნაწილებად იშლება, თეორიების დრო აღარ რჩება. მე რაც შემეხება, დაძირვას არ ვაპირებ. იდეები სხვებისთვის დამითმია, მე კი ქარხანა მექნება იდეები არაფერში მჭირდება წესიერად კვება მინდა დღეში სამჯერ:

— კი მაგრამ, მაშინ რატომ შეიძინეთ ეს ქარხანა?

— რატომ ყიდულობს ადამიანი წარმოებებს? რომ რისი გამოწურვაც შეიძლება, ყველაფერი გამოწუროს. თუ შანსი მეძლევა, ხელიდან არ ვუშვებ. ქარხანას გაკოტრებულის სტატუსი ჰქონდა, იყიდებოდა და თავი არავის მოუკლავს ამ ძველმანის შესაძენად. ამიტომაც ვიყიდე, თითქმის უფასოდ მერგო. დიდხანს არც ჩემს ხელში გაჩერებულა, ორი-სამი თვის შემდეგ მარკს მივყიდე. რა თქმა უნდა, სარფიანი გარიგება იყო, ამას არც ვმალავ. ვერც ერთი საქმოსანი უკეთესს ვერაფერს მოახერხებდა.

— ქარხანა მუშაობდა, როცა თქვენ იყიდეთ?

— არა, უკვე დახურული იყო.

— ამუშავება არ გიცდიათ?

— რას ამბობთ! ოღონდ არა მე. მე პრაქტიკული ადამიანი ვარ.

— შეგიძლიათ, გაიხსენოთ ვინმეს სახელი, ვინც იქ მუშაობდა?

— არა, მათ არასდროს შევხვედრივარ.

— ქარხნიდან რაიმე წამოიღეთ?

— კეთილი, გეტყვით. ყველაფერი ყურადღებით დავათვალიერე და მოხუცი ჯედ სტარნსის მაგიდა მომეწონა. თავის დროზე ეს კაცი სერიოზული ვინმე იყო. შესანიშნავი მაგიდა, წითელი ხის. ჰოდა, მოკლედ, სახლში წამოვიღე. კიდევ ერთ უფროსს, არ ვიცი, რომელს, სააბაზანოში დიდებული საშხაპე კაბინა ჰქონდა, ეგეთი არც მინახავს, მინის კარით, ზედ ქალთევზათი, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში იყო, თანაც ისეთი მაცდუნებელი, ნახატებშიც რომ ვერ ნახავ, ასე რომ, საშხაპეც წამოვიღე. ბოლოს და ბოლოს, ასეთიც რა მოხდა... ყველაფერი მე არ მეკუთვნოდა? უფლება მქონდა, წამომეღო, რაც კი ძვირფასი დამხვდა.

— ვინ იყო ის გაკოტრებული მფლობელი, ვისგანაც ქარხანა იყიდეთ?

— ო, ეგ „სათემო ეროვნული ბანკი“ გაკოტრდა მედისონში. ღმერთო, ეს რა უბედურება იყო! ამ ბანკის გაკოტრებამ ლამის მთელი ვისკონსინი დაღუპა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მხარეს მართლაც ბოლო მოუღო. ზოგი ამბობდა, რომ სწორედ ამ ქარხანამ გააკოტრა ბანკი, სხვები ამტკიცებდნენ, რომ ეს ქარხანა უბრალოდ ბოლო წვეთი იყო, რადგან „სათემო ეროვნულ ბანკს“ ინვესტიციები სამ თუ ოთხ შტატში ჰქონდა ჩადებული. მაგ ბანკს მაშინ იუჯინ ლოუსონი ხელმძღვანელობდა. გულიან ბანკირს ეძახდნენ. ორი-სამი წლის წინ ძალიან ცნობილი პიროვნება იყო ამ მხარეში — და ლოუსონი ამუშავებდა ქარხანას?

— არა. მან მხოლოდ უამრავი ფული ჩადო, იმაზე მეტი, ვიდრე ამ ძველი ნაგავსაყრელიდან ამოიღებდა. როცა ქარხანა გაჩერდა, ლოუსონი საბოლოოდ დაიძირა. სამი თვის შემდეგ ბანკიც გაკოტრდა, — ბასკომმა მძიმედ ამოიხვნეშა, — ეს აქაურებისთვის საშინელი დარტყმა იყო. ყველა ამ ბანკში ინახავდა დანაზოგს.

მერმა ბასკომმა თავის ქალაქს მწუხარებით გახედა. მან ჭაღარა დამლაგებელზე მიათითა, რომელიც მუხლებზე დაჩოქილი გაჭირვებით რეცხავდა კიბის საფეხურებს.

— აი, მაგალითად, ხომ ხედავთ ამ ქალს? სოლიდური, რესპექტაბელური ოჯახი იყო, მისი ქმარი ქსოვილების მაღაზიას ფლობდა. მთელი ცხოვრება მუშაობდა, რომ ცოლს ნორმალური სიბერე: ჰქონოდა და ვიდრე გარდაიცვლებოდა, მიზანს მიაღწია კიდეც — ოღონდ მთელი მათი ფული „სათემო ეროვნულ ბანკში“ ინახებოდა.

— ვინ ხელმძღვანელობდა ქარხანას, როცა ის გაკოტრდა?

— აჰ, დიახ, იყო ასეთი სულელური კომპანია „ემალგამეითიდ სერვის ინკორპორეიტიდ“. არაფერი, საპნის ბუშტი — არაფრისგან დაიბადა და ასევე უკვალოდ გაქრა.

— ახლა სად არიან ამ კომპანიის მესვეურები?

— სად მიდიან საპნის ბუშტის შხეფები? ეძებე მთელ შეერთებულ შტატებში, სცადე და იპოვე.

— და იუჯინ ლოუსონი სადღაა?

— ო, ლოუსონს არაფერი უჭირს. ვაშინგტონში მოძებნა სამსახური — ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროში.

რიერდენს სიმშვიდემ მაინც უღალატა და მკვეთრად წამოხტა ადგილიდან, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი და თავაზიანად წარმოთქვა:

— გმადლობთ ინფორმაციისთვის.

— სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ჩემო მეგობარო, ძალიან სასიამოვნო, — მშვიდად უპასუხა ბასკომმა, — არ ვიცი, რას დაეძებთ, მაგრამ ჩემს რჩევას ენდეთ, არ ღირს წვალებად. ამ ქარხნიდან არანაირი ხეირი აღარ იქნება.

— უკვე მოგახსენეთ, რომ ძველ მეგობარს ვეძებთ.

— როგორც გენებოთ. ალბათ ძალიან კარგი მეგობარი იყო, რაკი ასე ცდილობთ მის მოძებნას ამ მომხიბვლელ ლედისთან ერთად, რომელიც აშკარად არ არის თქვენი ცოლი.

დაგნიმ დაინახა, როგორ გაფითრდა რიერდენი, ტუჩებიც კი გაუთეთრდა.

— მოკეტე ეგ შენი ბინძური... — დაიწყო რიერდენმა, მაგრამ დაგნიმ ნაბიჯი წინ წადგა. — მაინც, რატომ იფიქრეთ, რომ მისი ცოლი არ ვარ? — მშვიდად იკითხა მან.

რიერდენის რეაქციამ ბასკომი ძალიან გააკვირვა: მან ეს რეპლიკა უბოროტოდ წამოისროლა, უბრალოდ, თავისი გამჭრიახობის დემონსტრირება და მეგობრულად შელაზღანდარავება სურდა, თითქოს მათ, სამივეს, საერთო ცოდვა აკავშირებდათ.

— ლედი, ცხოვრებაში ბევრი რამე მინახავს, — სრულიად კეთილგანწყობილად უთხრა, — მეუღლეები ერთმანეთს ისე არ უყურებენ; თითქოს თავში მხოლოდ საძინებელი უტრიალებთ.. ამ ცხოვრებაში — ან წმინდანს თამაშობ, ანდა სიცოცხლით ტკბები. ორიდან ერთია, ლედი, ორივე ერთად არ გამოდის.

— მე მას კითხვა დავუსვი, — უთხრა დაგნიმ რიერდენს, ვიდრე ის კიდევ აფეთქდებოდა, — და მანაც დამაჯერებლად მიპასუხა.

— თუ გინდათ რჩევა, ლედი, — ჩაიბურდღუნა ბასკომმა, — იაფიანი საქორწინო ბეჭედი იყიდეთ და გაიკეთეთ. სრული გარანტია არ გექნებათ, მაგრამ ცოტათი მაინც გაჭრის.

— გმადლობთ, ნახვამდის, — უთხრა დაგნიმ.

მისმა მკაცრმა და მშვიდმა ტონმა ბრძანებასავით გაიჟღერა და რიერდენი აიძულა, უსიტყვოდ გაჰყოლოდა მანქანისკენ.

როცა ქალაქს უკვე საკმაოდ გასცდნენ, რიერდენმა ჩუმი, სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა, ისე, რომ დაგნისთვის არც შეუხედავს:

— დაგნი, დაგნი, დაგნი... ძალიან ვწუხვარ...

— მე არა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც დაინახა, რომ რიერდენს სიმშვიდე დაუბრუნდა, დაგნიმ უთხრა:

— არასდროს გაბრაზდე ადამიანზე, რომელიც სიმართლეს ამბობს.

— მაგრამ სწორედ ამ სიმართლესთან მას არაფერი ესაქმებოდა, — კბილებში გამოცრა რიერდენმა, თითქოს კი არ უპასუხა, არამედ მტანჯველი აზრი უნებლიეთ გარდაიქმნა სიტყვებად, — ვერ შევძელი შენი დაცვა იმ მდაბალი არარაობისგან...

— მე დაცვა არ მჭირდება.

რიერდენი დადუმდა, დაგნის არ უყურებდა.

— ჰენკ, როცა ბრაზი გადაგივლის, — ხვალ, ან ერთი კვირის შემდეგ, — ამ კაცის ნათქვამი გაიხსენე და დაფიქრდი; იქნებ, რაღაც თვალსაზრისით, ის მართალიც არის.

რიერდენმა შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

დიდი ხნის მერე თქვა, დაღლილი, გაწონასწორებული ხმით:

— ჩვენ ვერ დავრეკავთ ნიუ-იორკში ჩვენი ინჟინრების გამოსაძახებლად, ქარხანა რომ დაათვალიერონ. მათ აქ ვერ დავხვდებით, ვერ ვეტყვით, რომ ძრავა ერთად ვიპოვეთ... ეგ სულ გადამავიწყდა... იქ, ლაბორატორიაში ყოფნისას...

— ედის დავურეკავ, როცა ტელეფონს ვიპოვით. „ტაგარტიდან“ ორ ინჟინერს გამოვაგზავნინებ. აქ მარტო ვარ, შვებულებაში — სხვა მათ არაფერი იციან და არც არის საჭირო.

ორასი მილი გაიარეს, ვიდრე საქალაქთაშორისო ტელეფონს იპოვიდნენ. როცა დაგნიმ ედი უილერსს დაურეკა, მან დაგნის ხმის გაგონებაზე ლამის შეჰყვირა:

— დაგნი, მადლობა ღმერთს, გამოჩნდი! სად ხარ?

— ვისკონსინში. რა არის?

— არ ვიცოდი, სად მომეძებნე. აჯობებს, სასწრაფოდ ჩამოხვიდე, რაც შეიძლება ჩქარა.

— მოხდა რამე?

— ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ რაღაც ისეთები ხდება, რომ... უკეთესი იქნება, ჩამოხვიდე და სანამ დროა, შეაჩერო, თუ შეძლებ. თუ ეს შესაძლებელია საერთოდ...

— რა ხდება?

— შენ რა, გაზეთებს არ კითხულობ?

— არა.

— ტელეფონით ყველაფერს ვერ აგიხსნი. ყველა დეტალს ვერ მოგიყვები, რომელი ერთი გითხრა. დაგნი, შეიძლება, იფიქრო, რომ გავგიჟდი, მაგრამ მე მგონი, ისინი კოლორადოს განადგურებას გეგმავენ.

— დაუყოვნებლივ ვბრუნდები, — უთხრა დაგნიმ.

* * *

„ტაგარტ ტერმინალის“ ქვეშ, მანჰეტენის გრანიტში გვირაბები იყო გაჭრილი.

ადრე, როდესაც ტერმინალის ყველა არტერიით უწყვეტ ნაკადად დაქროდნენ მატარებლები, მათ სათადარიგო გზებად იყენებდნენ. მოძრაობა რომ შემცირდა, მიტოვებული გვირაბები მდინარის დამშრალ შესართავებს დაემსგავსა. გრანიტის თაღებზე მხოლოდ რამდენიმე ფანარი ანათებდა მივიწყებულ რელსებს.

დაგნიმ ძრავის ნარჩენები ერთ-ერთი გვირაბის სარდაფში დამალა. ამ სარდაფში ოდესღაც ავარიის დროს გამოსაყენებელი სათადარიგო ელექტროგენერატორი იდგა, რომელიც უკვე დიდი ხანი იყო, იქიდან მოეშორებინათ. დაგნი კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების უვარგის ახალგაზრდებს არ ენდობოდა. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ მხოლოდ ორი ნიჭიერი ინჟინერი ეგულებოდა, რომელთაც მისი ნაპოვნის ღირსეულად შეფასება შეეძლოთ. მხოლოდ მათ გაანდო თავისი საიდუმლო და ვისკონსინში გაგზავნა ქარხნის კიდევ ერთხელ გამოსაკვლევად. შემდეგ კი ძრავა სარდაფში დამალა, რომ მის არსებობაზე ეჭვი არავის აეღო.

მუშებმა ძრავა სარდაფში შეიტანეს და წავიდნენ. დაგნიმაც წასვლა დააპირა. ფოლადის კარი უნდა დაეკეტა, მაგრამ მოულოდნელად გაჩერდა. ხელში გასაღები ეჭირა, თითქოს სიჩუმემ და მარტოობამ ის პრობლემა შეახსენა, რომელიც დიდი ხანია, არ ასვენებდა... თითქოს დადგა ის წუთი, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

ერთ-ერთ ხაზზე, მატარებლის კუდზე მიბმულ ვაგონში, სამსახურის მანქანა ელოდებოდა. მატარებელი რამდენიმე წუთში ვაშინგტონის მიმართულებით

დაიძვრებოდა. დაგნი იუჯინ ლოუსონს შეუთანხმდა შეხვედრაზე, მაგრამ გაიფიქრა, რომ გააუქმებდა ამ შეხვედრასაც და გამგზავრებასაც, თუ მოიფიქრებდა, რა ფორმით დაჰპირისპირებოდა პრობლემებს, რომელიც ნიუ-იორკში ჩამოსულმა აღმოაჩინა, მოვლენებს, რომელთან საბრძოლველადაც ედიმ ის გამოიძახა.

ამაოდ დაეძებდა გამალებული ფიქრით ბრძოლის რაიმე მეთოდს, წესებს, იარაღს.

მისთვის სრულიად უცხო, აქამდე უცნობი უმწეობის შეგრძნება დაეუფლა; ადრე არასოდეს გასჭირვებია ვითარებისთვის თვალის გასწორება და გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ახლა საქმე მოვლენებთან და ადამიანებთან კი არა, უსახელო, გაურკვეველ ბურუსთან ჰქონდა, სადაც, — თითქოსდა ბლანტ, წებოვან სითხეში, — რაღაც უხილავი, შედედებული სიმახინჯე უცნაურად მოძრაობდა, ხან“ ერთ ფორმას იღებდა, ხან მეორეს. დაგნი თითქოს იძულებული იყო, ირიბად, თვალის კუთხით შეეხედა მისთვის და მხოლოდ ბუნდოვნად გაერჩია მოახლოებული უბედურების კონტურები, მაგრამ მისკენ პირით შეტრიალება, განძრევა, მზერის ფოკუსირება არ შეეძლო.

მემანქანეთა პროფკავშირები „ჯონ გოლტის ხაზზე“ მატარებლების მაქსიმალური სიჩქარის საათში სამოც მილამდე შემცირებას მოითხოვდა, კონდუქტორებისა და მემუხრუჭეების პროფკავშირები კი — „ჯონ გოლტის ხაზის“ შემადგენლობის სამოც ვაგონამდე შემცირებას.

ვაიომინგის, ნიუ მექსიკოს, იუტას და არიზონას შტატები მოითხოვდნენ, კოლორადოს მიმართულებით მოძრავი მატარებლების რაოდენობას თითოეული ამ მეზობელი შტატის ტერიტორიაზე მოძრავი შემადგენლობების რაოდენობისთვის არ გადაეჭარბებინა.

მეწარმეების ჯგუფი, ორენ ბოილის წინამძღოლობით, ითხოვდა გარანტირებული საარსებო სახსრების კანონის მიღებას, რომელიც რიერდენ მეტალის წარმოებას ისეთ მოცულობამდე შეზღუდავდა, ანალოგიური სიმძლავრის ნებისმიერი ფოლადსადნობი ქარხნის მწარმოებლურობის შესატყვისი რომ ყოფილიყო. სხვა ჯგუფი, მოუენის მეთაურობით, „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“ შემოღებას მოითხოვდა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი მსურველი რიერდენ მეტალის თანაბარ წილს მიიღებდა.

ჯგუფი ბერტრამ სკადერის წინამძღოლობით ითხოვდა კანონს საზოგადოებრივი სტაბილურობის შესახებ, რომელიც აღმოსავლეთ სანაპიროს საწარმოებს საკუთარი შტატების საზღვრების დატოვებას აუკრძალავდა.

უესლი მაუჩი, ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროს დირექტორი, ერთიმეორის მიყოლებით აკეთებდა“ განცხადებებს, რომელთა შინაარსი და მიზანი სრულიად გაუგებარი იყო, ყოველ აბზაცში კი ექსტრემალურ ზომებსა“ და „დაუბალანსებელ ეკონომიკას“ ახსენებდა.

— რა უფლებით, დაგნი? — კითხულობდა ედი უილერსი მშვიდი, მაგრამ მაინც თითქოს საყვირლად მომზადებული ხმით, — რა უფლებით სჩადიან ამ ყველაფერს, ვინ მისცა მათ ამის უფლება?

დაგნიმ ჯეიმს ტაგარტს უთხრა მისსავე კაბინეტში:

— ჯიმ, ეს შენი ბრძოლაა. მე ჩემი მოვიგე, ახლა შენი რიგია. შენ გაიძვერებთან ურთიერთობის სპეციალისტად გიცნობენ, შეაჩერე ისინი.

— შენ რა, გინდა, ეროვნული ეკონომიკა საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართო? — უთხრა დაგნის ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს..

— ეროვნულ ეკონომიკასთან რა მესაქმება! ერთადერთი ის მინდა, რომ მათ, ვინც ქვეყნის ეკონომიკას მართავენ, თავი დამანებონ! სამართავად საკუთარი რკინიგზაც მეყოფა... გარდა ამისა, ძალიან კარგად ვიცი, მაგ თქვენს ეროვნულ ეკონომიკას რაც მოუვა, თუ რკინიგზა გაკოტრდა!

— პანიკის საფუძველს ვერ ვხედავ.

— ჯიმ, ნუთუ იმის ახსნა. მჭირდება“ შენთვის რომ ერთადერთი, რაც გაკოტრებისგან გვიხსნის, „რიო ნორტეს ხაზის“ შემოსავალია? რომ ამ ხაზიდან. შემოსული ყოველი ცენტი, ყოველი:— გადაზიდვა, თითოეული ვაგონი გვჭირდება, თანაც მაშინვე; ამ ფულს მივიღებთ თუ არა?

ტაგარტს პასუხი არ გაუცია.

— ახლა, როცა ყველა დანჯღრეული ლოკომოტივის შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ, როდესაც ლოკომოტივები არ გვყოფნის, კოლორადოში იმდენი მატარებელი რომ გავუშვათ, რამდენიც აუცილებელია, წარმოგიდგენია რა მოხდება, სიჩქარე და ვაგონების რაოდენობა რომ შევამციროთ?

— იცი რა, პროფკავშირების პრეტენზიებიც გასაგებია, კაცმა რომ თქვას მაშინ როცა უამრავი რკინიგზა იხურება და უამრავი რკინიგზელი უმუშევარი რჩება, რა თქმა უნდა, თვლიან, რომ ისეთი მაღალი სიჩქარე, შენ რომ დააწესე რიო ნორტეზე, მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რომ მეტი მატარებელი უნდა მოძრაობდეს და, შესაბამისად, მეტი სამუშაო ადგილი იყოს. თვლიან, რომ ჩვენ უსამართლოდ ვსარგებლობთ იმ პრივილეგიებით, რომლებსაც ახალი რელსები გვანიჭებს მათაც უნდათ თავიანთი წილი სარგებლის მიღება.

— რომელი წილის? და რის სანაცვლოდ?

ტაგარტი დუმდა.

— ვინ დაფარავს ორი მატარებლის ხარჯს, როცა ისინი ერთის სამუშაოს შეასრულებენ?

ტაგარტი დუმდა.

— სად აპირებ ვაგონებისა და ლოკომოტივების შოვნას?

ტაგარტი დუმდა.

— რას აპირებენ ეგ ტიპები მას მერე, რაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ დაასამარებენ?

— მე ვაპირებ, ბოლომდე დავიცვა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ინტერესები, — როგორ?

ტაგარტმა არ უპასუხა.

— როგორ... თუ კოლორადოს გაანადგურებ?

— ჩემი აზრით, ვიდრე ზოგ-ზოგიერთებს გაფართოების შანსს მივცემდეთ, მანამდე იმ ადამიანებზეც უნდა ვიფიქროთ, რომლებსაც ძლივს გააქვთ თავი.

— თუ კოლორადოს მოსპობთ, ეგ შენი ვიგინდარები რითი აპირებენ თავის გატანას?

— შენ ყოველთვის უპირისპირდებოდი ნებისმიერ. პროგრესულ სოციალურ წამოწყებას. მახსოვს, რას წინასწარმეტყველებდი, როცა „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“ კანონი მივიღეთ, მაგრამ როგორც ხედავ, ქვეყანა არ დაქცეულა.

— იმიტომ, რომ მე გადაგარჩინეთ, შე იდიოტო! მაგრამ ამჯერად ვეღარაფერს მოვახერხებ.

ტაგარტს არ შეუხედავს, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— და მე თუ ვერ შევძლებ, სხვას ვის შეეძლება?

აქ, მიწის ქვეშ, ეს ყველაფერი არარეალურად ეჩვენებოდა. როდესაც ამაზე ფიქრობდა, ხვდებოდა, რომ ჯიმის ომში ვერ ჩაებმებოდა. რა უნდა დაეპირისპირებინა იმ ადამიანებისთვის, რომელთა ქმედებებსა და მოტივებს კონკრეტული ლოგიკა არ გააჩნდა, ვისაც კონკრეტული მისწრაფებები, მკაფიო მკაცრი მორალი არ ჰქონდათ.

რა უნდა ეთქვა მათთვის — რას შეასმენდა, რაზე მიიღებდა პასუხს? რომელი იარაღი გაჭრიდა იქ, სადაც გონება უძლური იყო? ამ სივრცეში დაგნის არაფერი ესაქმებოდა, აქ ასპარეზი ჯიმისთვის უნდა დაეთმო, იმის იმედად, რომ მას პირადი ინტერესი ჰქონდა. და მაინც, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ პირადი ინტერესი სულაც არ იყო ჯიმის ქმედების განმსაზღვრელი მოტივი.

დაგნიმ შეხედა. მის წინ მდგარ საგანს, მინის სარქველის ქვეშ მოქცეულ ძრავის ნაშთს „სად არის ის ადამიანი, ვინც ეს ძრავა გამოიგონა?“ — მოულოდნელად გაუელვა გონებაში სასოწარკვეთილ კივილად.. წუთით უმწეოდ მოუნდა, მოეძებნა, დაჰყრდნობოდა და უფლება მიეცა მისთვის, როგორც მოისურვებდა, ისე მოჰქცეოდა მას. ასეთი გონების პატრონს ნამდვილად ეცოდინებოდა, როგორ მოეგო ეს ბრძოლა.

ირგვლივ მიმოიხედა. მიწისქვეშა გვირაბების სუფთა, რაციონალურ სამყაროში არაფერი იყო უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფო, ვიდრე იმ ადამიანის პოვნა, ვინც ეს ძრავა შექმნა. გაიფიქრა, ღირდა კი ამ ძიების გადადება ორენ ბოილთან კამათის გამო... ან მისტერ მოუენის დასაყოლიებლად თუ ბერტრამ სკადერთან სიტყვიერი ორთაბრძოლისთვის? დაგნიმ წარმოიდგინა ეს ძრავა დასრულებული სახით ლოკომოტივზე, რომელიც ორასვაგონიან შემადგენლობას საათში ორასი მილის სიჩქარით გააქროლებდა რიერდენ მეტალის ლიანდაგებზე. და თუ ეს პერსპექტივა რეალური იყო, თუკი ოდესმე შეძლებდა, ეს სინამდვილედ ექცია, განა ღირდა სამოცი ვაგონისა და სამოცი მილის შესახებ დავა და ვაჭრობა? დაგნი ვერ დაეცემოდა ყოფამდე, სადაც მისი ტვინი ნაწილებად დაიმსხვრეოდა, როდესაც აუკრძალავდნენ უღიმღამობისთვის გაესწრო. ვერ იარსებებდა წესით: დადუმდი და ნუ ფართხალებ, გაყუჩდი, შენს ტყავში დაეტიე — არ არის საჭირო, უკეთ აკეთო, ამას შენგან არავინ მოელის!

მტკიცედ მოტრიალდა და სარდაფიდან გავიდა. უკვე აღარ ჭოჭმანობდა, ვაშინგტონისკენ მიმავალი მატარებლისკენ გაემართა.

თითქოს ნაბიჯების სუსტი ექო მოესმა, როცა ფოლადის კარებს კეტავდა. ბნელ გვირაბს დააკვირდა. არავინ ჩანდა. მხოლოდ გრანიტის ნესტიან კედლებს მიუყვებოდა ცისფერი შუქის ძეწკვი.

* * *

რიერდენს არ შეეძლო იმ ბანდებთან ჭიდილი, რომლებიც სამართლიანობას მოითხოვდნენ. არჩევნის წინაშე იდგა: ან მათთან უნდა ებრძოლა, ან იმაზე ეზრუნა, როგორმე ქარხანა არ გაჩერებულიყო. რკინის მადნის მთელი მარაგი ამოეწურა.

ერთ-ერთ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. შეთავსება შეუძლებელი იყო — არც დრო ჰქონდა, არც სურვილი და არც ძალა.

უკან დაბრუნებისას აღმოაჩინა, რომ“ გრაფიკით განკუთვნილი რკინის მადანი არ მიუღია. ლარკინს ახსნა-განმარტება აზრად არ მოსვლია — ერთი სიტყვაც არ მოუწვდენია. როცა რიერდენმა ოფისში დაიბარა, დათქმულ დროს სამი დღე გადააცილა და ბოდიშიც არ მოუხადა. რიერდენისთვის არც შეუხედავს შეურაცხყოფილი გამომეტყველებით ჩაიბურტყუნა:

— ბოლოს და ბოლოს, რა უფლება გაქვს ადამიანებს უბრძანო შენს პირველსავე დაძახებაზე გეახლონ.

რიერდენმა აუჩქარებლად გამოცრა თითოეული სიტყვა:

— მადანი სად არის, რატომ აქამდე არ მოვიდა?

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ? მოსმენასაც არ ვაპირებ, რადგან არაფერი დამიშავებია. მაღაროს გაძღოლა შენზე ნაკლებად არ შემიძლია ზუსტად იმას ვაკეთებ, რასაც შენ აკეთებდი. მაგრამ ვერ გავიგე, ყოველთვის რატომ ფუჭდება საქმე მოულოდნელად. გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო პასუხს მე რატომ უნდა ვაგებდე?

— გასულ თვეში რკინის მადანი ვის მიაწოდე?

— შენთვის შენი წილის მოწოდებას ვაპირებდი, მართლა ვაპირებდი; მაგრამ რა უნდა მექნა, თუ წინა თვეში მთელი ათი დღე დავკარგეთ ამ დაწყევლილი წვიმის გამო მთელ ჩრდილოეთ მინესოტაში — მე მინდოდა, შენთვის მადანი გამომეგზავნა, ამიტომაც არ გაქვს უფლება, დამადანაშაულო სრულიად გულწრფელი განზრახვები მქონდა.

— ჩემი ერთ-ერთი ღუმელი რომ გაჩერდეს, შენი განზრახვებით ავამუშავებ?

— ამიტომ არ უნდა არავის შენთან საქმის დაჭერა... დალაპარაკებაც კი არავის არ უნდა! ადამიანური არაფერი გაგაჩნია!

— გავიგე, რომ ბოლო სამი თვეა, მადანს ტბით კი არა, რკინიგზით ეზიდები, რატომ? — იცი რა, ბოლოს და ბოლოს, უფლება მაქვს, ჩემი საქმე ისე გავაკეთო, როგორც ჩავთვლი საჭიროდ.

— რატომ გადაწყვიტე, ზედმეტი ხარჯები გასწიო?

— შენ რა გენაღვლება, შენ ხომ არ გახდევინებ მაგ ხარჯებს?

— მერე რაღას იზამ, როცა აღმოაჩენ, რომ რკინიგზით ტრანსპორტირებას ფინანსურად ვეღარ აუდიხარ, ტბით გადაზიდვის სისტემა კი შენი წყალობით მოიშლება?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ საკუთარი დოლარებისა და ცენტების გარდა, შენ უბრალოდ არაფერი გაინტერესებს, თუმცა, ზოგიერთები თავიანთ მოქალაქეობრივ და პატრიოტულ ვალდებულებებს სერიოზულად ეკიდებიან — რა ვალდებულებებს?

— კეთილი, მე მგონია, რომ ისეთი რკინიგზა, როგორიც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალია“, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და. ჩემი საზოგადოებრივი ვალდებულებაა, ჯიმ ტაგარტის მინესოტას რკინიგზის წამგებიან ტოტს დავეხმარო.

რიერდენი მაგიდისკენ დაიხარა. როგორც იქნა, ჩასწვდა თანმიმდევრობით კავშირებს, რომელსაც ადრე ვერ ხვდებოდა:

— მაშ ასე, გასულ თვეში ვის მიაწოდე რკინის მადანი? — გაუმეორა მშვიდი ტონით.

— ბოლოს და ბოლოს, ეგ ჩემი პირადი საქმეა — ორენ ბოილს, ასეა?

— რა უფლებით ითხოვ, შენს ეგოისტურ ინტერესებს შეეწიროს ქვეყნის მთელი ფოლადის ინდუსტრია და...

— აქედან გაეთრიე! — სრულიად აუღელვებლად უთხრა რიერდენმა ახლა უკვე მისთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

— შენ ვერ გამიგე. არ მინდოდა...

— გაეთრიე!

ლარკინი გავიდა.

მომდევნო დღეებისა და ღამეების განმავლობაში რიერდენმა მთელი კონტინენტი გადაატრიალა, — ტელეფონით, ტელეგრაფით, თვითმფრინავით, — რათა მიტოვებული ან ლამის უკვე გაკოტრებული საბადოებისა და მაღაროებისთვის მიეგნო; დაძაბული, ნაჩქარევი თათბირები სამარცხვინო რესტორნების ბნელ კუთხეებში — იქ, მაგიდასთან უნდა გადაეწყვიტა თანამოსაუბრის სახის, ქცევისა და ლაპარაკის მანერის მიხედვით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რამხელა თანხით შეეძლო, გაერისკა და აგიჟებდა ის გარემოება, რომ იძულებული იყო, ვიღაცის თითქოსდა სამოწყალო პატიოსნების იმედად ყოფილიყო. მაინც რისკავდა, ფულს უცნობ ხელს გადასცემდა მხოლოდ არაფრით გამყარებული დაპირების სანაცვლოდ, დაურეგისტრირებელ თანხებს გაკოტრებული მაღაროების ცრუმეპატრონეებს — თანხებს, რომელიც ისე ფარულად გადაეცემოდა ხელიდან ხელში, როგორც დამნაშავეებს შორის ხდება ხოლმე; ანონიმური ფული არასაიმედო კონტრაქტებით გაედინებოდა და ორივე მხარე კარგად ხვდებოდა, რომ თაღლითობის შემთხვევაში, მხოლოდ მოტყუებული მხარე დაისჯებოდა და არა თაღლითი და ქურდი. ფული, რომელიც იმაში იხარჯებოდა, რომ მადანს უწყვეტად ედინა მის ღუმლებში და იქიდან თეთრ, მდუღარე მეტალად გადმოღვრილიყო.

— მისტერ რიერდენ, — ჰკითხა თავისი ქარხნის კომერციულმა დირექტორმა, — თუ ვითარება არ შეიცვალა, რა ელის თქვენს შემოსავალს?

— ტონაჟის ხარჯზე გავალთ, — დაღლილი ხმით უპასუხა, — რიერდენ მეტალს განუზომელი ბაზარი აქვს.

შესყიდვების მენეჯერი ხნიერი, ჭაღარაშერეული, მშრალი კაცი იყო, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, გული ერთადერთი მიზნისთვის უძგერდა — ყოველი პენიდან მაქსიმალური შემოსავალი გამოეწურა. ის რიერდენის მაგიდის წინ იდგა და ცივი, პირქუში მზერა მიეპყრო თავისი უფროსისთვის. მის თვალებში ყველაზე ღრმა სიმპათია იკითხებოდა, რაც კი ოდესმე რიერდენს უნახავს ცხოვრებაში.

„სხვა გზა აღარ დამრჩა“, — ფიქრობდა რიერდენი ახლაც, ისევე, როგორც მთელი ეს ხანები. სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო; უნდა გადაეხადა იმაში, რაც მას სჭირდებოდა, მიეცა ღირებულება ღირებულებისთვის; არაფერი ეთხოვა ბუნებისთვის საპირწონე ძალისხმევის გარეშე; არაფერი ეთხოვა ადამიანებისთვის, თუკი არ გადაუხდიდა მათ შესაბამისი შრომისთვის. „სხვა რა იარაღი მოვნახო, თუ ღირებულებამ არსებობა დაასრულა?“ — ფიქრობდა რიერდენი.

— ამბობთ, რომ განუზომელი ბაზარია,; მისტერ რიერდენ? — მშრალად ჩაეკითხა კომერციული დირექტორი.

რიერდენმა შეხედა.

— ალბათ საიმისოდ ჭკუა. აღარ მიჭრის რომ დღევანდელი ვითარების შესაფერისი გარიგებები ვხლართო, უთხრა რიერდენმა მისი გამოუთქმელი, ჰაერში გამოკიდებული კითხვის საპასუხოდ.

— კომერციულმა დირექტორმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია — არა, მისტერ რიერდენ — ან ერთი, ან მეორე. ერთი და იგივე გონება ორივეს ვერ მოახერხებს. ან კარგად მართავთ თქვენს საწარმოს, ან ოსტატურად მუშაობთ ვაშინგტონთან.

— იქნებ, დროა, მათი მეთოდები შევისწავლო?

— თქვენ ეს არ გამოგივათ და ასეთი ცოდნები ხეირს არ დაგაყრით ნუთუ არ გესმით? თქვენ რაღაც ისეთს ფლობთ, რისი წართმევაც შეიძლება.

როცა მარტო დარჩა, ისევ ნაცნობმა გააფთრებამ შემოუტია — მტკივნეულმა, მწვავემ და მოულოდნელმა, დენის დარტყმასავით... გააფთრებამ, რადგან საბოლო—

„ოდ გააცნობიერა, რომ შეუძლებელია, ბოროტებასთან დაიჭირო საქმე, შიშველ, შეუნიღბავ ბოროტებასთან, რომელსაც არსებობის უფლებაც არ აქვს და რომელიც არც კი ცდილობს საკუთარი არსებობის გამართლებას. და იმ წუთს, როდესაც რიერდენი შეიპყრო სურვილმა, შებრძოლებოდა მას და დაემარცხებინა სამართლიანი თავდაცვისთვის, თვალწინ მერ ბასკომის ხორცსავსე, მოღიმარე ფიზიონომია დაუდგა და მისი გულის გამაწვრილებელი ხმა მოესმა: „...და ეს მშვენიერი ლედი, რომელიც თქვენი ცოლი არაა“.

სამართლიანი რისხვა უკვალოდ გაქრა, აღშფოთებისგან გამოწვეული ტკივილი სამარცხვინო მორჩილების ტკივილად გადაქცეულიყო. „არ მაქვს უფლება, ვინმე განვსაჯო“, — ფიქრობდა რიერდენი, — „დავადანაშულო ვინმე, კეთილშობილი საქმისთვის გმირულად ვერ დავიღუპები ბრძოლის ველზე დარღვეული აღთქმა, ფარული სურვილები, ღალატი, ტყუილი, თაღლითობა — ეს ყველაფერი ჩემს სინდისზეა. დეგრადაციის რომელი ფორმა უნდა განვსაჯო? ხრწნის ხარისხს რა მნიშვნელობა აქვს, ბოროტების მილიმეტრებზე არ ვაჭრობენ“.

თავი მაგიდაზე ჩახარა, ფიქრობდა პატიოსნებაზე, რომელსაც ამიერიდან ვეღარ დაიბრალებდა, სამუდამოდ გამქრალ სამართლიანობის გრძნობაზე, და არც კი იცოდა, რომ სწორედ შეუდრეკელი. „პატიოსნებისა და უმოწყალო სამართლიანობის გრძნობის გამო უსხლტებოდა თავისი ერთადერთი იარაღი ხელიდან. მძარცველებთან ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ-სულში რისხვა და. ცეცხლი ჩაუქრა. იბრძოლებდა, მაგრამ ახლა უკვე როგორც ერთ-ერთი დამნაშავე, ერთ-ერთი ნაძირალა სხვა ნაძირალებთან.: ეს სიტყვები არ წარმოუთქვამს, მათ მისი მტანჯველი ტკივილი ჩასძახოდა, შემზარავი, მახინჯი: „ვინ ვარ მე, რომ ქვა პირველმა ვესროლო?“ — თავს სულ უფრო და უფრო უარესად გრძნობდა, მაგიდას დაეყრდნო... „დაგნი“, — ფიქრობდა, — „დაგნი, თუ ეს ის ფასია, რომელიც მე შენი გულისთვის უნდა გადავიხადო, გადავიხდი“... ის ვაჭარი იყო, თხემით ტერფამდე; სხვა კანონი არ იცოდა, თუ არა ის, რომ ყველა თავისი სურვილის სანაცვლოდ სრულად უნდა გადაეხადა.

შინ გვიან დაბრუნდა და უხმაუროდ ავიდა საძინებელში. სძულდა საკუთარი თავი, რადგან იძულებული იყო, სახლში ქურდივით შეპარულიყო, თუმცა ბოლო რამდენიმე თვე, თითქმის ყოველ საღამოს,; ასე იქცეოდა. ოჯახის წევრებთან შეხვედრა მისთვის აუტანელი გახდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ. „არ. უნდა შეიძულო ისინი შენივე ცოდვების გამო“, — ეუბნებოდა საკუთარ თავს, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მის სიძულვილს სულ სხვაგან გაედგა ფესვები.

საძინებლის კარი უხმოდ მიიხურა — თითქოს მდევრებს ემალებოდა. ასევე ფრთხილად გაიხადა: არ უნდოდა, ოჯახის წევრებს მისი შინ დაბრუნება გაეგოთ, არ უნდოდა მათთან ურთიერთობა — თუნდაც რაიმე ხმას შეეტყობინებინა მათთვის მისი იქ ყოფნა. პიჟამა ჩაიცვა, სიგარეტს მოუკიდა და ადგილზე გაქვავდა, როდესაც. მისი საძინებლის კარი გაიღო. იმ ერთადერთ ადამიანს, ვისაც მის საძინებელში დაკაკუნების გარეშე შესვლის უფლება ჰქონდა, არასოდეს უსარგებლია თავისი უფლებით, ამიტომ რიერდენი რამდენიმე წამი გაოგნებული შეჰყურებდა ზღურბლზე მდგარ ქალს და უჭირდა დაჯერება, რომ მის წინაშე ლილიანი იდგა.

ლილიანს ამპირის სტილის, ღია შარტრეზისფერი სამოსი ეცვა. დაგოფრილი ქვედატანი მაღალი წელიდან დახვეწილ ნაკეცებად ეშვებოდა. ერთი შეხედვით ვერ მიხვდებოდი, საღამოს კაბა იყო თუ საღამური... თუმცა, არა — მაინც საღამური იყო.

ლილიანი კართან გაჩერდა. შუქი მისი სხეულის მიმზიდველ“ კონტურებს გამოკვეთდა.

— ვიცი, რომ პირველი არ უნდა გავეცნო უცნობებს, — წარმოთქვა მან ხმადაბლა, — მაგრამ ამჯერად იძულებული ვარ, ასე მოვიქცე: მე მისის რიერდენი გახლავართ.

რიერდენმა ვერ გაიგო, რა გაისმა ცოლის ხმაში: სარკაზმი თუ თხოვნა.

ლილიანი ოთახში შემოვიდა და კარი მიიხურა — ძალდაუტანებლად, მედიდურად, დიასახლისის ჰონორით.

— რამე მოხდა, ლილიან? — წყნარად ჰკითხა რიერდენმა.

— ძვირფასო, არ შეიძლება, ასე დაუფარავად გაამჟღავნო საკუთარი გრძნობები, — ლილიანმა აუჩქარებლად გადაკვეთა ოთახი და სავარძელში მოკალათდა, — თანაც, ჩემთვის საკმაოდ უსიამოვნო ფორმით. გეგონება, ცდილობ, მაგრძნობინო, თითქოსდა განსაკუთრებული მიზეზი უნდა წარმოგიდგინო, დრო რომ გამომიყო ნუთუ შენს მდივანთან უნდა ჩავეწერო, რომ მიმიღო?

რიერდენი საძინებლის ცენტრში იდგა, პირში სიგარეტით, და ცოლს შეჰყურებდა. არ უნდოდა, ეპასუხა.

ლილიანმა გაიცინა:

— ჩემი მიზეზი იმდენად უჩვეულოა, რომ დარწმუნებული ვარ თავში არც არასდროს მოგივიდოდა: მარტოობა, ძვირფასო. ხომ არ მიუგდებდით თქვენი ძვირფასი ყურადღების რამდენიმე ნამცეცს საცოდავ ღატაკს? წინააღმდეგი ხომ არ ხარ, რომ აქ დავრჩე, ისე, უბრალოდ, ფორმალური მიზეზის გარეშე.

— არა, რასაკვირველია, არ ვარ წინააღმდეგი, — თქვა რიერდენმა, — დარჩი, თუ გინდა. — მე მნიშვნელოვანი თემის შემოთავაზება არ შემიძლია, — არც მილიონიანი შეკვეთების, არც ტრანსკონტინენტური გარიგებების, არც რელსების და არც ხიდების, პოლიტიკური ჭორებისაც კი. უბრალოდ, მინდა გელაქლაქო, როგორც ჩვეულებრივი ქალი, სრულიად უმნიშვნელო რამეებზე — კი ბატონო.

— ჰენრი, განა არსებობს უკეთესი მეთოდი, ხმა რომ ჩამაგდებინო? — უმწეო, გულის ამაჩუყებელი სიწრფელით ჩაილაპარაკა ლილიანმა, — რაღა უნდა ვთქვა ამის მერე? იქნებ, მინდოდა, შენთვის მომეყოლა ბალფ იუბენკის ახალი რომანის შესახებ, რომელსაც, როგორც დამპირდა, მე მომიძღვნის, ეს დაგაინტერესებდა?

— თუ სიმართლე გინდა — საერთოდ არა.

ლილიანმა გაიცინა:

— და თუკი სიმართლის მოსმენა არ მსურს?

— მაშინ არც კი ვიცი, რა გითხრა, — უპასუხა რიერდენმა და იგრძნო, უცებ როგორ მოაწვა სისხლი საფეთქლებში გულწრფელად წარმოთქმული ორმაგად მდაბალი ტყუილის გამო; მართალია, გულწრფელად თქვა, მაგრამ ეს სიწრფელე გულჩათხრობილობას გულისხმობდა, სურვილს, არ დაეშვა გარეშე ჩარევა საკუთარ ცხოვრებაში, რისი უფლებაც აღარ ჰქონდა.

— თუ სიმართლე არ არის, მაშინ რად გინდა? — კითხვა აღეძრა რიერდენს, — რისთვის? — აი, ეს არის მართალი ადამიანების შეუბრალებლობა. შენ ვერ გამიგებდი, რომ მეთქვა, — ან, ვინ იცის, იქნებ, გაგეგო კიდევაც, — რომ ნამდვილი ერთგულება იმასაც გულისხმობს, ხანდახან იცრუო, მოატყუო, ითაღლითო, ოღონდ კი სხვა ადამიანი გააბედნიერო და ის რეალობა შეუქმნა, რომელსაც ესწრაფვის, თუკი არსებული არ მოსწონს...

— არა, — ნელა თქვა რიერდენმა, — ეს ჩემთვის გაუგებარია.

— სინამდვილეში, ყველაფერი მართლა ძალიან მარტივია. თუკი მშვენიერ ქალს ეტყვი, რომ მშვენიერია, ამით რას მისცემ? ეს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტია და მეტი არაფერი. იმის დადასტურება, რაც რეალობაა, არაფერი გიჯდება. მაგრამ თუ მახინჯ ქალს ეტყვი, რომ მშვენიერია, შენ მისი გულისთვის მსხვერპლს გაიღებ, რადგან თვით სილამაზის გაგებას ამახინჯებ. უაზრობაა, ქალი მისი ღირსებისთვის გიყვარდეს. ეს მას დამსახურებული აქვს, ეს ჯილდოა და არა საჩუქარი. მაგრამ, როცა ქალი მისი მანკიერებებისთვის უყვართ, როდესაც მას სიყვარული არ დაუმსახურებია — ეს უკვე ნამდვილი საჩუქარია, იმიტომ, რომ ეს არ დაუმსახურებია.

მანკიერის სიყვარული ნიშნავს, მისი გულისთვის ყოველგვარი სათნოება მოიძულო.

სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინება, იმიტომ, რომ მსხვერპლად სწირავ შენს სინდისს, შენს „გონებას, შენს პატიოსნებას და საკუთარი თავისადმი პატივისცემას, რომელიც ფასდაუდებელია.

რიერდენი გაოგნებული შეჰყურებდა. ეს საზარელი მკრეხელობა თვითონვე გამორიცხავდა შესაძლებლობას, ადამიანს მართლაც ასე ეფიქრა. მხოლოდ იმის მიხვედრას ცდილობდა, რაში დასჭირდა ლილიანს ამ ყველაფერზე ლაპარაკი.

— აბა, სხვა რა არის სიყვარული, თუ არა თვითშეწირვა, ძვირფასო? — ძალდაუტანებელი ტონით იკითხა ლილიანმა, თითქოსდა სალონურ საუბარში იყო გართული, — და თვითშეწირვა რაღა არის, თუკი იმას არ გაიღებ მსხვერპლად, რაც ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანია? მაგრამ მეეჭვება, ჩემი გაგება მოახერხო. შენ პურიტანი ხარ, შენი უჟანგავი ფოლადივით უდრეკი. ამიტომაც გახასიათებს სწორედაც რომ პურიტანისთვის ნიშანდობლივი ეს უსაზღვრო ეგოიზმი. გირჩევნია, სამყარო დაიქცეს, ოღონდაც შენს უმწიკვლო პერსონას უმცირესი ლაქა არ დააჩნდეს, რომელიც შენი სირცხვილის მიზეზი გახდებოდა.

— თავი უმწიკვლო არასდროს მგონებია, — ნელა უპასუხა რიერდენმა უჩვეულოდ დაძაბული და სერიოზული ხმით.

ლილიანს ისევ გაეცინა:

— აბა, ახლა რას შვრები? შენ ხომ სიმართლე მითხარი, ასე არ არის? — ლილიანმა მოშიშვლებული მხრები აიჩეჩა, — ო, ძვირფასო, სერიოზულად ნუ მიიღებ ჩემს სიტყვებს, უბრალოდ, ვლაქლაქებ.

რიერდენმა საფერფლეში სიგარეტი ჩააქრო და არაფერი უპასუხია.

— ძვირფასო, — თქვა ლილიანმა, — სინამდვილეში მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ გავიფიქრე: „მე ხომ ქმარი მყავდა!“ და მომინდა გამეხსენებინა, როგორ გამოიყურება ის. ლილიანმა შეხედა მას: რიერდენი საძინებლის მეორე ბოლოში იდგა, მაღალი, ათლეტური, მუქი ლურჯი პიჟამა მის დაკუნთულ სხეულს გამოკვეთდა.

— ძალიან მიმზიდველი გახდი. და ბოლო რამდენიმე თვეა, კიდევ უფრო უკეთ გამოიყურები, — თქვა ლილიანმა, — ახალგაზრდულად. ეგებ, ბედნიერადაც კი? ყოველი შემთხვევისთვის, ადრინდელივით დაძაბული არ ჩანხარ. ვიცი, რომ ახლა გაცილებით მეტი საზრუნავი გაქვს, ვიდრე ოდესმე გქონია; ახლა მეთაურს უფრო ჰგავხარ ავიადაბომბვის დროს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულ მხარეს ეხება, შინაგანად კი ნაკლებად დაძაბული ხარ.

რიერდენმა გაკვირვებით შეხედა. ლილიანი მართალი იყო. თვითონ რიერდენი ამას არ აცნობიერებდა, უფრო სწორად, თავს არ უტყდებოდა. გააოცა ცოლის დაკვირვებულობამ. ბოლო თვეების მანძილზე ლილიანს ძალიან იშვიათად ხედავდა. რაც კოლორადოდან დაბრუნდა, მის საძინებელში არც კი შესულა. ფიქრობდა, რომ

ცოლს გაახარებდა ეს ორმხრივი იზოლაცია. ახლა კი ვერაფრით მიმხვდარიყო, რას უნდა გაეხადა ლილიანი ასეთი მგრძნობიარე მასში მომხდარი ცვლილებებისადმი, თუ არა მის გრძნობას, რომელიც გაცილებით ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე თვითონ ვარაუდობდა.

— მე არ შემიმჩნევია. — უპასუხა მან.

— ძვირფასო, შენ ეს ძალიან გიხდება... მაგრამ, თან უცნაურადაც მეჩვენება, რადგან ახლა ასეთი რთული პერიოდი გაქვს.

„იქნებ ეს კითხვაა?“ — გაიფიქრა რიერდენმა. ლილიანმა პაუზა გააკეთა, თითქოს პასუხს ელოდა, თუმცა არ მოუთხოვია ის და მალე იმავე ხალისიანი ტონით განაგრძო:

— ვიცი, რომ ქარხანასთან დაკავშირებით ათასგვარი პრობლემა შეგექმნა... პოლიტიკური სიტუაციაც ძალიან დაიძაბა, ასე არ არის? შენთვის სასტიკი დარტყმა იქნება, თუ ისინი იმ კანონებს მიიღებენ, რომლებზეც გარშემო ყველა ლაპარაკობს, არა?

— ასეა. მაგრამ შენ ხომ ეს თემა სრულიად არ გაინტერესებს, ლილიან?

— სულაც არა, ცდები! — ლილიანმა თავი ასწია და რიერდენს თვალებში შეხედა; ცოლის მზერას რიერდენისთვის ნაცნობი ნისლი გადაეფარა, არაბუნებრივი იდუმალებითა და რწმენით აღსავსე, რომ ის ვერასოდეს. შეაღწევდა მასში, — პირიქით. ეს საკითხი ძალიანაც მაინტერესებს... თუმცა არა შესაძლო ფინანსური დანაკარგების გამო, — დასძინა მერე ხმადაბლა.

და რიერდენი პირველად დაფიქრდა, რომ ცოლის ირონიულობა, სარკაზმი, სულმოკლე, ღიმილით შენიღბული შეურაცხმყოფელი თავდასხმები, შესაძლოა, სრულიად საწინააღმდეგოს ნიშნავდა და არა იმას, რადაც მათ მიიჩნევდა. ახლა ეს ტკივილის მიყენების ხერხი კი არა, სასოწარკვეთის გადაგვარებული ფორმა იყო. არა სურვილი, ქმარი გაეტანჯა, არამედ საკუთარი ტკივილის აღიარება. ეს იყო უსიყვარულო ცოლის შეურაცხყოფილი სიამაყე, ფარული ვედრება... და მთელი ქარაგმები, მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი და ვედრება, გაეგოთ მისთვის, დაუფარავ სიავეს კი არა, დაფარულ სიყვარულს ნიშნავდა. ამ ფიქრმა რიერდენს თავზარი დასცა. ეს მის დანაშაულს გაცილებით უფრო მეტად ამძიმებდა, ვიდრე თვითონ ვარაუდობდა.

— სხვათა შორის, ჰენრი, რადგან პოლიტიკა ვახსენეთ, საინტერესო აზრი დამებადა. მხარე, რომელსაც შენ მიეკუთვნები... თქვენ რა ლოზუნგს იმეორებთ ხოლმე ძალიან ხშირად, აი, თქვენი დევიზი რომ არის და ვალდებული ხართ, მუდამ უერთგულოთ — „ხელშეკრულების ურყეობა“, მგონი, ასეა, არა?

ლილიანმა შენიშნა ქმრის სწრაფი მზერა, უეცრად დაძაბული და ფრთხილი, და ხმამაღლა გაიცინა.

— განაგრძე, — უთხრა რიერდენმა ჩუმი, საშიში ხმით.

— რატომ, ჩემო ძვირფასო? ისედაც ბრწყინვალედ გამიგე.

— მაინც, რისი თქმა გსურდა?

— ნუთუ მართლა გინდა, ისე დამამცირო, რომ ჩივილი დავიწყო? ეს ისეთი ბანალურია. მე კი მეგონა, ისეთ ადამიანზე ვარ გათხოვილი, რომელიც სხვებისგან, პატარა კაცუნებისგან გამორჩეულობით ამაყობდა. გინდა, გაგახსენებ, ოდესღაც როგორ მეფიცებოდი, რომ ჩემი ბედნიერება ცხოვრების მიზნად გქონდა დასახული?

შეგიძლია კი, პატიოსნად და გულწრფელად თქვა, ბედნიერი ვიყავი თუ არა? შენ ხომ ვერც ამჩნევ, ვარსებობ თუ არ ვარსებობ!

გრძნობების გრიგალი, რომელიც მართლაც ფიზიკურ ტკივილში გადაეზარდა, ერთბაშად თავს დაატყდა და ნაწილებად დაფლითა. ცოლი ამ სიტყვებით ევედრებოდა, დაენდო და რიერდენმა მწველი, ბნელი სინდისის ქენჯნა იგრძნო. ბრაზით აიმღვრა; ხმა, რომლის ჩახშობასაც ცდილობდა, მაინც ზიზღით ყვიროდა: „რატომ ვარ ვალდებული, ვისმინო ეს ბინძური, გაქნილი სიცრუე? რატომ უნდა ვითმინო ყველა ეს წამება — მხოლოდ სიბრალულისთვის? რატომ უნდა ვზიდო ეს.: უიმედო ტვირთი და მისი გრძნობები, რომლის აღიარება არ უნდა, რომლებიც ჩემთვის გაუგებარია, რომელთა გაცნობიერება და შეფასება, თუნდაც ნაწილობრივ, არ შემიძლია? თუკი მას მართლაც ვუყვარვარ, მაშინ რატომ, ეშმა კმა წაიღოს, ეს წყეული მხდალი რატომ გულწრფელად არ მეტყვის და ფაქტის წინაშე არ დამაყენებს მეც და საკუთარ თავსაც?“

მაგრამ სხვა, უფრო მაღალი ხმა უდრტვინველად შეახსენებდა: „მას არაფერი დააბრალო, ეს ყველა მხდალის ძველი ხრიკია — შენ დამნაშავე ხარ და მან რაც არ უნდა გააკეთოს, ეს არაფერია შენს დანაშაულთან შედარებით... გზარავს, რომ ის მართალია (გზარავს კი?). და შენ ეს იცი. ასე რომ, ითვალთმაქცე, რამდენიც გინდა, წყეულო მრუშო. მართალი მაინც ის არის, და არა შენ!“

— მაინც, შენ რა გაგაბედნიერებდა, ლილიან? — ჰკითხა რიერდენმა ნაძალადევი გულგრილობით.

ლილიანმა გაიღიმა და ძალდაუტანებლად მიეყრდნო სავარძლის საზურგეს, ის ყურადღებით შეჰყურებდა ქმარს სახეში.

— ო, ჩემო ძვირფასო! — თქვა მან მსუბუქი წყენით და ოდნავ გაკვირვებულმა, — ეს ნამდვილი პრაგმატისტის შესაფერისი კითხვაა, ხაფანგი. ხელშეკრულების პუნქტი, რომელიც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებს, — ის წამოდგა და ხელები უმწეოდ, მაგრამ თეატრალური მოხდენილობით ჩამოყარა, — რა გამაბედნიერებდა, ჰენრი? ეს მე შენ უნდა მითხრა. შენ თვითონ უნდა მასწავლო. ამ კითხვაზე პასუხი არ ვიცი. შენ უნდა შეგექმნა ჩემთვის ბედნიერება და გეჩუქებინა ჩემთვის. ეს შენი მოვალეობა იყო. თუმცა შენ არ ხარ ერთადერთი მამაკაცი ამ პლანეტაზე, ვინც დაპირება დაივიწყა. ყველა სხვა ვალთან შედარებით, ამისგან თავის დაძვრენა ყველაზე ადვილია. შენ არასდროს დაუშვებდი, მოწოდებული რკინის მადნის პარტიის საფასური არ გადაგეხადა. მაგრამ, როცა საქმე ჩემს ცხოვრებას ეხება...

ლილიანი მსუბუქად დააბიჯებდა ოთახში, მოყვითალო-მომწვანო. ქვედატანის კალთები გრძელ ტალღებად ევლებოდა გარშემო.

— მე მესმის, რომ მსგავსი პრეტენზიების გამოთქმა სრულიად არაპრაქტიკულია, — განაგრძო მან, — შენთან ურთიერთობისას არც გირავნობა მიმაგრებს ზურგს, არც თავდებობა, ან რაიმე იარაღი და ბორკილები. მე არავითარი ძალაუფლება არ მაქვს შენზე, ჰენრი, საერთოდ არავითარი — შენი პატიოსნების გარდა.

რიერდენი უყურებდა ცოლს და და ცდილობდა, როგორმე მზერა არ მოეწყვიტა მისი სახისთვის, როგორმე გაეძლო ამ სანახაობისთვის.

— მაინც, რა გინდა? — ჰკითხა ბოლოს.

— ძვირფასო, ამქვეყნად იმდენი რამეა, რასაც თვითონ უნდა მიმხვდარიყავი, თუკი მართლა გინდა, იცოდე, მე რა მსურს. მაგალითისთვის — ნუთუ ფიქრობ, რომ არ უნდა მაინტერესებდეს მიზეზი, ასე დაუფარავად რატომ გამირბიხარ, აგერ უკვე რამდენიმე თვეა.

— ძალიან დაკავებული ვიყავი.

ლილიანმა მხრები აიჩეჩა.

— ნებისმიერი ქალი მოელის, რომ ქმრის უპირველესი საზრუნავი თავად იყოს. არ ვიცოდი, რომ, როცა ფიცს დებდი, ჩემი გულისთვის ყველაფერზე უარი გეთქვა, სადნობი ღუმლები არ იგულისხმებოდა.

ქმართან ისეთი დაბნეული ღიმილით მივიდა და მოეხვია, რომ არა მხოლოდ რიერდენი, ეტყობა, ლამის თვითონაც გაკვირვებული დარჩა.

რიერდენმა სწრაფი, ინსტინქტური, მკვეთრი მოძრაობით მოიშორა მისი ხელები და ისე უბიძგა ლილიანს, თითქოს ყმაწვილი საქმრო ყოფილიყო და აბეზარი კახპის არასასურველ შეხებას გაურბოდა.

უბიძგა და ადგილზე გაქვავდა საკუთარი უხეშობით თავზარდაცემული.

ლილიანი სრულიად გაოგნებული შეჰყურებდა, მის მზერაში არც საიდუმლო დარჩა, არც პრეტენზია, არც თავდაცვა. ყველაფერს ელოდა, ასეთი რეაქციის გარდა.

— მაპატიე, ლილიან, — ხმადაბლა უთხრა, გულწრფელი, გატანჯული ხმით.

ლილიანი დუმდა.

— მაპატიე... უბრალოდ, ალბათ, ძალიან გადავიღალე, — ძლივს ამოთქვა რიერდენმა; მიწასთან გაასწორა უკვე სამმაგმა ტყუილმა, სადაც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მისი მოღალატეობა იყო, თუმცა არა ლილიანის მიმართ, — რომელიც ვერ აეტანა.

ლილიანმა ჩაიცინა:

— რა გაეწყობა, თუკი სამუშაო ასე ზემოქმედებს შენზე, ეგებ, უკეთესიც იყოს, მაპატიე, მე მხოლოდ ჩემი მოვალეობის შესრულებას ვცდილობდი. მეგონა, სენსუალისტი იყავი და ცხოველურ ინსტინქტებზე ამაღლება გიჭირდა. თუმცა მე არ ვარ ძუკნა, რომელიც მიჩვეულია ასეთ ლაფში წოლას.

ლილიანი სათქმელს ცივად, დაბნეულად ამბობდა, სრულიად დაუფიქრებლად მისი ფიქრები ერთ დიდ კითხვის ნიშნად ქცეულიყო და გამალებით დაეძებდნენ პასუხს.

მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა რიერდენი იძულებული გახადა, ცოლისკენ მიტრიალებულიყო და პირდაპირ და მარტივად შეეხედა მისთვის თვალებში, მაგრამ უკვე არა როგორც ადამიანს, რომელიც თავს იცავდა.

— ლილიან, რისთვის ცხოვრობ? — ჰკითხა რიერდენმა.

— რა უხეში კითხვაა არც ერთი განათლებული ადამიანი არ დასვამდა ამ კითხვას.

— კარგი. მაშ, მითხარი — მაინც რისთვის ცხოვრობენ განათლებული ადამიანები?

— ისინი, ალბათ, უბრალოდ არაფრის გაკეთებას არ ცდილობენ. სწორედ ამაში გამოიხატება მათი განათლებულობა.

— თავიანთ დროს რაზე ხარჯავენ?

— ყოველ შემთხვევაში, არა საკანალიზაციო მილების წარმოებაზე — მითხარი, მუდმივად რაში გჭირდება ეს კბენა? ვიცი, რომ საკანალიზაციო მილების წარმოება შენში ზიზღის გარდა არაფერს იწვევს. უკვე დიდი ხანია, რაც ეს გამაგებინე. შენი ზიზღი ჩემთვის სრულიად არაფერს ნიშნავს რატომ იმეორებ ამას დაუსრულებლად?

რიერდენს გულწრფელად გაუკვირდა, რომ მისი ნათქვამი ლილიანს მართლაც პირდაპირ გულში მოხვდა; ვერ გაეგო, ეს როგორ მოხდა, თუმცა ეჭვი არ შეჰპარვია — ამაში ლილიანის გამომეტყველებამ დაარწმუნა, კიდევ იმაშიც, რომ რაც თქვა, სრული სიმართლე იყო.

— რატომ დაგჭირდა ეს მოულოდნელი დაკითხვა? — ცივად იკითხა ლილიანმა.

— მინდა, გავიგო, არსებობს რაიმე, რაც შენ მართლა გულით გწადია? თუ არსებობს, მზად ვარ, რომ მოგცე, ცხადია, თუკი შემეძლება. — გულწრფელად უპასუხა რიერდენმა. — ანუ იყიდი ჩემს სურვილს. შენ მხოლოდ ეს შეგიძლია — გადაიხადო იმისთვის, რაც გსურს. არა, ჰენრი, ყველაფერი ისე მარტივად არ არის, შენ რომ გეჩვენება. ის, რაც მე მინდა, არამატერიალურია.

— მაინც რა?

— შენ.

— რას გულისხმობ, ლილიან? შენ სექსს არ გულისხმობ.

— არა, სექსს არა.

— მაშინ, რას?

ლილიანი უკვე კარში იდგა. მოტრიალდა. თავი მაღლა ასწია, რიერდენს შეხედა და ცივად გაიღიმა.

— შენ ამას ვერ გაიგებ, — თქვა მან და ქმრის საძინებლიდან გავიდა.

რიერდენმა მტანჯველი ტკივილი იგრძნო, როდესაც გაიაზრა, რომ ლილიანი არასდროს მოისურვებდა მასთან განშორებას; რომ ვერასოდეს მოიპოვებდა ცოლის მიტოვების უფლებას, რომ მისი მოვალე იყო ამ, თუნდაც მახინჯი, სიმპათიის გამო და პატივი უნდა ეცა მისი გრძნობისთვის, რომლის გაგებაც არ შეეძლო და რომელსაც ვერასოდეს უპასუხებდა... ცოლის მიმართ ზიზღის გარდა არაფერს განიცდიდა, აუხსნელ, თანაგრძნობის, საყვედურებისა და სამართლიანობისკენ თავისივე მოწოდებების მიმართ ყრუ, აბსოლუტურ ზიზღს... და, რაც ყველაზე მძიმე იყო — საძაგელ, წებოვან სიძულვილს საკუთარივე განაჩენისადმი, რომელიც მოითხოვდა, თავი იმ ქალზე სულმდაბალი ჰგონებოდა, ასე რომ სძაგდა.

შემდეგ ამ ფიქრებს მნიშვნელობა დაეკარგათ, სადღაც შორს გადაიკარგნენ. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ყველაფრისთვის გაეძლო...

რიერდენი ერთდროულად დაძაბულიც იყო და მშვიდიც — ლოგინში იწვა, სახე ბალიშში ჩაერგო და დაგნიზე ფიქრობდა, დაგნის მოხდენილ, მგრძნობიარე სხეულზე, რომელიც მისი თითების ყოველი შეხებისას კრთოდა. გული დაწყდა, ნიუ-იორკში რომ არ იყო, თორემ უმალვე მასთან გაიქცეოდა, ახლავე, ამ ღამის წყვდიადში.

* * *

იუჯინ ლოუსონი თავის მაგიდას ისე უჯდა, როგორც ბომბდამშენის საჭეს, რომლის ქვეშაც კონტინენტი გადაჭიმულიყო. მაგრამ დროდადრო ეს ავიწყდებოდა, დუნდებოდა, თითქოს მთელი მსოფლიო ღირსეულ მეტოქედ არ მიაჩნდა. მის თავდაჯერებულ იერს მხოლოდ დიდი და ნაზი პირი ეწინააღმდეგებოდა, რომელიც უსიამოვნოდ გამოიყურებოდა ხმელ ფიზიონომიაზე და თანამოსაუბრის ყურადღებას იქცევდა. როდესაც ლოუსონი პირს აღებდა, ჯერ მისი გამობერილი ქვედა ტუჩი იწყებდა მოძრაობას და ლაპარაკისას ერთხანს მერეც თვითნებურად უტოკავდა ნერვიულად.

— ამის არ მრცხვენია, — თქვა მან, — მის ტაგარტ, მინდა, რომ იცოდეთ, ჩემი წარსული კარიერის სრულიადაც არ მრცხვენია, არ მრცხვენია, „სათემო-ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი რომ ვიყავი.

— მე სირცხვილი არ მიხსენებია, — ცივად უთხრა დაგნიმ.

— ბრალი არაფერში მიმიძღვის, რადგან ამ ბანკის გაკოტრების შემდეგ, რაც გამაჩნდა, ყველაფერი დავკარგე. ვფიქრობ, ასეთი მსხვერპლი ბევრ რამეს ამართლებს.

— მხოლოდ რამდენიმე კითხვა მინდა დაგისვათ თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ შესახებ, რომელიც...

— ყველა კითხვაზე სიხარულით გიპასუხებთ არაფერი მაქვს დასამალი მე სინდისი სუფთა მაქვს, შემცდარხართ, თუ ფიქრობდით, რომ ამ თემაზე ლაპარაკი მეუხერხულება.

— მინდოდა, იმ ადამიანების შესახებ მეკითხა თქვენთვის, ვინც მაშინ ფლობდა ქარხანას, როდესაც თქვენგან კრედიტი აიღო.

— შესანიშნავი ადამიანები იყვნენ... იდეალურები. არანაირი რისკი არ არსებობდა, მაგრამ, ცხადია, მათზე, მხოლოდ როგორც ადამიანებზე, ისე ვლაპარაკობ, თუმცა ზოგჯერ ფინანსურ ტერმინოლოგიას ვიყენებ, როგორც თქვენ, ყველანი, მიჩვეული ხართ ბანკირებისგან. მათ ამ ქარხნის შესაძენად კრედიტი მივეცი, რადგან ფული სჭირდებოდათ. ჩემთვის მთავარი მათი საჭიროება იყო და არა საკუთარი სიხარბე, მის ტაგარტ. საჭიროება და არა სიხარბე. მამაჩემმა და ბაბუაჩემმა ეს ბანკი მხოლოდ საკუთარი ქონების დასაგროვებლად შექმნეს. მე კი მათი ფული უფრო მაღალი იდეალების სამსახურში ჩავაყენე. ოქროთი სავსე ტომრებს კი არ ვაჯექი, ვისაც ფული სჭირდებოდა, მათგან სესხის ხელწერილებს კი არ ვითხოვდი, ამ ხელწერილების მაგივრობას სუფთა გული მიწევდა. რა თქმა უნდა, არ მქონდა იმედი, რომ ჩვენს უხეშ მატერიალისტურ ქვეყანაში ვინმე გამიგებდა. თქვენი ტიპის ადამიანებს არ შეუძლიათ, შეაფასონ ჯილდო, რომელსაც მე ვიღებდი, მის ტაგარტ. იმ ადამიანებს, ჩემს სამუშაო მაგიდასთან რომ ისხდნენ ბანკში, თავი თქვენსავით არ ეჭირათ, მის ტაგარტ. ეს მორჩილი, საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებული, გაჭირვებით გამწარებული, შეშინებული ადამიანები იყვნენ. და ჩემი ჯილდო მათი მადლიერებით აცრემლებული თვალები იყო, მათი აცახცახებული ხმები, დალოცვა... მახსოვს, ერთმა ქალმა ხელები დამიკოცნა, კრედიტი რომ მივეცი, რომელზეც ყველგან უარი უთხრეს.

— შეგიძლიათ, იმ ადამიანების სახელები მითხრათ, ვისაც ქარხანა ეკუთვნოდათ?

— ეს ქარხანა მთელი ამ რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, სწორედაც რომ სასიცოცხლოდ. მათ კრედიტი სრულიად სამართლიანად მივეცი. ამის წყალობით ათასობით მუშა დასაქმდა, რომელთაც სხვა არანაირი საარსებო სახსარი არ გააჩნდათ.

— ამ ქარხანაში მომუშავე ადამიანებისგან ვინმეს თუ იცნობდით?

— რა თქმა უნდა, ყველას ვიცნობდი. მე ადამიანები მაინტერესებდა და არა მანქანები... მრეწველობის ადამიანური ასპექტი და არა ფინანსური მხარე.

დაგნი მაგიდისკენ გადაიხარა:

— რომელიმე ინჟინერს ხომ არ იცნობდით?

— ინჟინრებს? ოჰ, არა. საამისოდ მეტისმეტად დემოკრატიული ვიყავი. მე მხოლოდ ნამდვილი მშრომელი ადამიანები, უბრალო მუშები მაინტერესებდა. ყველა სახეზე მიცნობდა. ხანდახან, როცა საამქროებში შევდიოდი, ისინი მცნობდნენ და ხელს მიქნევდნენ: „სალამი, იუჯ!“ სწორედ ასე მომმართავდნენ — იუჯ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს თქვენ სრულიად არ გაინტერესებთ. ყველაფერი წარსულში დარჩა. ახლა კი, თუ სინამდვილეში თქვენი რკინიგზის შესახებ სასაუბროდ ჩამოხვედით ვაშინგტონში... — ის მკვეთრად გაიმართა და ისევ ბომბდამშენის პილოტის პოზა დაიბრუნა, — არც ვიცი, შემიძლია კი, შეგპირდეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოგეკიდებით... იძულებული ვარ, ერის

კეთილდღეობა ნებისმიერ პირად პრივილეგიაზე და ინტერესზე უფრო მაღლა დავაყენო...

— თქვენთან ჩემს რკინიგზაზე სალაპარაკოდ არ ჩამოვსულვარ, — ოდნავ გაღიზიანდა დაგნი, — არავითარი სურვილი არ მაქვს, ამ თემაზე გესაუბროთ.

— მართლა? — იმედი გაუცრუვდა ლოუსონს.

— მართლა. მე ამ ქარხნის შესახებ ინფორმაცია მაინტერესებს. არ შეგიძლიათ, რომელიმე ინჟინრის სახელი გაიხსენოთ, რომელიც იქ მუშაობდა?

— არა, მათი სახელებით არასოდეს დავინტერესებულვარ. კაბინეტებისა და ლაბორატორიის პარაზიტები არასოდეს არ მაინტერესებდა. უპირატესობას ჭეშმარიტ მუშებს ვანიჭებდი, ადამიანებს დაკოჟრილი ხელებით, ვისი წყალობითაც ქარხანა მუშაობდა. ისინი იყვნენ ჩემი მეგობრები.

— მაშინ, იქნებ იმ უბრალო თანამშრომლების სახელები მაინც მითხრათ, რამდენიმესი, ნებისმიერის...

— მის ტაგარტ, ძვირფასო, ეს დიდი ხნის წინ იყო. იქ ათასობით კაცი მუშაობდა როგორ უნდა მახსოვდეს?

— ნუთუ თუნდაც ერთ სახელს ვერ გაიხსენებთ?

— ვერა. ჩემს ცხოვრებას ყოველთვის უამრავი ადამიანი ავსებდა როგორ შემიძლია, ცალკეული წვეთები მახსოვდეს ამ უნაპირო ადამიანურ ოკეანეში?“.

— ის მაინც თუ იცით, რა პროდუქციას ქმნიდა ქარხანა? რომელ ძრავებს აწარმოებდნენ ან გეგმავდნენ მომავალში?

— რა თქმა უნდა: ყველა ჩემს ინვესტირებულ საქმიანობას პირადად ვადევნებდი თვალყურს. ქარხანაში ხშირად მივდიოდი ვითარების შესასწავლად. იქ საქმე ჩინებულად მიდიოდა. მართლაც რომ სასწაულებს ახდენდნენ. ამ ქარხნის მუშებს საუკეთესო საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ შექმნილი მთელ რეგიონში.

ყველა ფანჯარაში მაქმანებიან-ფარდებს, რიკულებზე კი ყვავილებს ვხედავდი.

თითოეულ სახლს ნაკვეთი ჰქონდა ბაღისთვის „მათ ახალი სკოლა ააშენეს თავიანთი ბავშვებისთვის. ..

— რაიმე თუ გსმენიათ ქარხნის ლაბორატორიის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესახებ?

— ცხადია, მსმენია. მათ ბრწყინვალე კვლევითი ლაბორატორია ჰქონდათ ძალიან პროგრესული, ძალიან დინამიკური, პერსპექტიული, შესანიშნავი გეგმებით.

— თუ გახსოვთ... იქნებ, გაგიგიათ ახალი ტიპის ძრავის შექმნის შესახებ რაიმე გეგმები ხომ არ ჰქონდათ?

— ძრავა? რა ძრავა, მის ტაგარტ? დეტალების განსახილველად სად მეცალა ჩემი მიზანი სოციალური პროგრესი იყო, საერთო წინსვლა; ადამიანური ძმობა და სიყვარული. სიყვარული ადამიანებს შორის, მის ტაგარტ, აი, ყველაფრის გასაღები. ადამიანები თუ ერთმანეთის სიყვარულს ისწავლიან,ყველა პრობლემა მოგვარდება.

დაგნი მიბრუნდა, რადგან მისი სველი, მოცახცახე ტუჩების ყურებას ვეღარ უძლებდა.

კაბინეტის კუთხეში, კონსოლზე, ეგვიპტურეროგლიფებიანი ქვა იდო... იქვე ახლოს, ნიშაში, ინდური ქალღმერთის ქანდაკება იდგა, ობობასავით ექვსხელიანი...

კედელზე კი წარმოუდგენლად რთული მათემატიკური დიაგრამა ეკიდა — მაღაზიის პრეისკურანტი გეგონებოდა.

— ამიტომაც, მის ტაგარტ, თუ თქვენი რკინიგზა გადარდებთ, — და მე, ბუნებრივია, ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ასეც არის, — ზოგიერთი შესაძლო

მოვლენის განვითარებასთან დაკავშირებით, გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ თუმც, უპირველეს ყოვლისა, მე მთელი ქვეყნის კეთილდღეობაზე ვზრუნავ და მზად ვარ, უჭოჭმანოდ შევწირო მას ნებისმიერის მოგება, ვისიც არ უნდა იყოს ის, მიუხედავად ამისა, არასდროს ვყოფილვარ ყრუ, როდესაც ვინმე მთხოვდა, დამენდო და...

დაგნიმ შეხედა და მიხვდა, რომ ეს კაცი მისგან სწორედ ამას ელოდა, მიუხედავად მისი კონკრეტული მოტივისა მოცემულ მომენტში.

— ჩემი რკინიგზის საქმეებზე საუბარს არ ვაპირებ, — უთხრა დაგნიმ, ცდილობდა, მშვიდად და გაწონასწორებულად ელაპარაკა, თუმცა ლამის ზიზღით აყვირებულიყო, — თუ რაიმე განსაკუთრებული გაქვთ სათქმელი ამ თემაზე, შეგიძლიათ, ჩემს ძმას, მისტერ ჯეიმს ტაგარტს მოახსენოთ.

— მე მგონი, ამ დროში არ ღირს, ხელიდან გაუშვათ ასეთი იშვიათი შესაძლებლობა, თქვენს პრობლემებზე იმსჯელოთ...

— ქარხანასთან დაკავშირებული რაიმე მონაცემები ხომ არ შემოგრჩათ?

დაგნი გამართული იჯდა და ხელები მაგრად მოეკუმშა.

— რომელი მონაცემები? აკი გითხარით უკვე, რომ ყველაფერი დავკარგე, რაც კი მქონდა, როდესაც ჩემი ბანკი გაკოტრდა, — ლოუსონი მოდუნდა და ყოველგვარი ინტერესი გაუქრა, — მაგრამ გული სულაც არ მწყდება. მე მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური სიმდიდრე დავკარგე. პირველი არ ვარ ისტორიაში, ვინც იდეისთვის დაზარალდა. მე ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანების სიხარბემ და ეგოიზმმა დამღუპა. ვერ შევძელი, ძმობა და სიყვარული დამემყარებინა ერთ პატარა შტატში, რომელიც ყოველი მხრიდან ხეირს დახარბებული და თითოეულ დოლარს გამოკიდებული ადამიანებით იყო გარშემორტყმული. ამაში მე არ მიმიძღოდა ბრალი. მაგრამ მე მათ არ დავნებდი; ვერავინ გამაჩერებს. ვიბრძვი — და ახლა უფრო ფართო მასშტაბით — უფლებისთვის, რომ ადამიანებს, ჩემს თანამოძმეებს ვემსახურო. მონაცემები, მის ტაგარტ? როცა მედისონიდან წამოვედი, საკუთარი მონაცემები იქ დავტოვე — ჩემი სახელის ხსოვნა ღარიბების გულებში, რომელთაც ჩემამდე არავინ არასდროს დახმარებია.

დაგნის არ უნდოდა, ზედმეტი სიტყვა დასცდენოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა.

მის მეხსიერებაში მომაკვდინებელი სიმკვეთრით ამოტივტივდა მოხუცი დამლაგებელი ქალი, რომელიც კლუბის კიბის საფეხურებს წმენდდა.

— თუ გინახავთ, როგორია დღეს ქვეყნის ის მხარე?

— ეს ჩემი ბრალი არ არის! — წამოიყვირა ლოუსონმა, — დამნაშავეები მდიდრები არიან, რომლებიც საკუთარ ფულს ჩაებღაუჭნენ და არაფერი გაიმეტეს, ჩემი ბანკი და ვისკონსინის მოსახლეობა რომ გადაერჩინათ. არ გაქვთ ჩემი დადანაშაულების უფლება. მე ყველაფერი დავკარგე!

— მისტერ ლოუსონ, — თავს ძალა დაატანა დაგნიმ, — იქნებ, ქარხნის მფლობელი კორპორაციის ხელმძღვანელის სახელი გახსოვთ? კომპანია ემალგამეითიდ სერვისი“, მე მგონი, ასე ერქვა, ვინ იყო მისი პრეზიდენტი?

— აჰ, პრეზიდენტი? დიახ, მე ის მახსოვს. ლი ჰანსაკერი ჰქვია. ძალიან ღირსეული ახალგაზრდა კაცი, რომელიც ცხოვრებამ მაგრად აჯანჯღარა.

— სად არის ახლა? მისი მისამართი იცით?

— მგონი, სადღაც ორეგონის შტატში ცხოვრობს. კი, გრენჯვილში, ორეგონში.

მისამართს ჩემი მდივანი მოგცემთ. მაგრამ არ მესმის, რაში გჭირდებათ ეგ კაცი... მის ტაგარტ, თუ მისტერ უესლი მაუჩთან შეხვედრას ცდილობთ, მაშინ ნება მომეცით,

გაგიმხილოთ, რომ მისტერ მაუჩი განსაკუთრებულად აფასებს ჩემს აზრს ისეთ რამეებთან დაკავშირებით, როგორიც რკინიგზა და სხვა ამგვარებია...

— არავითარი სურვილი არ მაქვს, მისტერ მაუჩი ვნახო, — უთხრა დაგნიმ და ადგილიდან წამოდგა.

— მაგრამ მაშინ ვერაფერი გამიგია... აბა, აქ რატომ ჩამოხვედით?

— ვცდილობ, ერთი ადამიანი ვიპოვო, რომელიც „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ ქარხანაში მუშაობდა.

— რაში გჭირდებათ მისი მოძებნა?

— მინდა, ჩემს კომპანიაში მოვიწვიო სამუშაოდ.

აშკარად დაეჭვებულმა ლოუსონმა მსუბუქი აღშფოთების გამომეტყველებით ხელები ფართოდ გაშალა:

— და ასეთ მომენტში, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები წყდება, დროს ვიღაც ერთი დაქირავებული თანამშრომლის ძებნაში ხარჯავთ? მერწმუნეთ, თქვენი რკინიგზის ბედი განუზომლად მეტად არის მისტერ მაუჩზე დამოკიდებული, ვიდრე თქვენ მიერ მოძიებულ ნებისმიერ მექანიკოსზე ან ცეცხლფარეშზე.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — უთხრა დაგნიმ და როდესაც წასასვლელად გატრიალდა, ლოუსონმა წვრილი, გაბზარული ხმით მიაყვირა:

— არანაირი უფლება არ გაქვთ, გძულდეთ!

დაგნი შეჩერდა და შეხედა ლოუსონს:

— მე არ გამომითქვამს ჩემი აზრი თქვენ შესახებ.

— მე აბსოლუტურად უდანაშაულო ვარ, რადგან ყველაფერი დავკარგე, მთელი ჩემი ფული, ბოლო ცენტამდე, კეთილი საქმის გულისთვის და მისი სახელით. მე წმინდა განზრახვები მქონდა. ჩემთვის არაფერი მდომებია. მის ტაგარტ, სიამაყით შემიძლია ვთქვა, მთელი ცხოვრების მანძილზე არც ერთხელ არსაიდან არ მიცდია მეხეირა.

დაგნის წყნარი და აუღელვებელი ხმა საზეიმოდ გაისმა:

— მისტერ ლოუსონ, ვალდებული ვარ, გითხრათ, რომ ეს ყველაზე სამარცხვინო განცხადებაა, რაც კი შესაძლებელია, ადამიანმა წარმოთქვას.

* * *

— არასდროს არ მქონია შანსი! — აღშფოთდა ლი ჰანსაკერი.

ის ქაღალდებით მოფენილ მაგიდას უჯდა შუა სამზარეულოში.

პირის გაპარსვა და პერანგის გარეცხვა ნამდვილად არ აწყენდა. მისი ასაკის განსაზღვრა ძნელი იყო: შეშუპებულ, გადატკეცილ, ცარიელ სახეს გაჭირვება თითქოს არ დასტყობოდა, მაგრამ ჭაღარა თმა და ამღვრეული თვალები დაქანცულ იერს სძენდა. სინამდვილეში სულ რაღაც ორმოცდაორი წლის იყო.

— ჩემთვის შანსი არავის არასდროს არ მოუცია. იმედი მაქვს, ახლა კმაყოფილები არიან იმით, რაც გამიკეთეს. არ გეგონოთ, ვერ ვხვდებოდე. ვიცი, რომ ყველაფერში მომატყუეს. თავი კეთილებად ნუ მოაქვთ. ისინი, მთელი ეს ბანდა, უბრალოდ, ბინძური ფარისევლები არიან და მეტი არაფერი.

— მაინც ვინ? — ჰკითხა დაგნიმ.

— ყველა, — უპასუხა ლი ჰანსაკერმა, — ადამიანები ბუნებით.—არამზადები არიან და თავის მოკატუნებას აზრი არა აქვს. სამართალი? ჰა! ერთი ამას შეხედეთ! — ხელი გარშემო მოავლო, — აი, სადამდე მიიყვანეს ჩემნაირი კაცი!

შუადღის სინათლე ფანჯრის მიღმა რუხ ბინდად ეკიდა გამოხუნებულ სახურავებსა და ხეების გატიტვლებულ ტოტებს შორის; აქაურობა სოფელს არ

ჰგავდა, მაგრამ არც ქალაქი არ ეთქმოდა. ბინდი და ნესტი თითქოს სამზარეულოს-კედლებშიც კი ჩამჯდარიყო. ნიჟარაში საუზმიდან მორჩენილი ჭურჭლის გორა აღმართულიყო; გაზქურაზე ქვაბში ნახარში ბუყბუყებდა და იაფფასიანი ხორცის ცხიმიან სუნს აფრქვევდა ირგვლივ; მაგიდაზე, ქაღალდების გროვაში, მტვრიანი საბეჭდი მანქანა იდგა.

— „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანი“ ერთ-ერთი უბრწყინვალესი იყო ამერიკის მრეწველობის ისტორიაში, — თქვა ლი ჰანსაკერმა, — მე კი ამ კომპანიის პრეზიდენტი ვიყავი. ქარხანა მე მეკუთვნოდა. თუმცა მათ არც კი მოინდომეს, რომ ჩემთვის შანსი მოეცათ.

— მაგრამ, თქვენ ხომ არ ყოფილხართ „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ პრეზიდენტი? მე როგორც ვიცი, კორპორაცია „ემალგამეითიდ სერვისს“ ხელმძღვანელობდით, ასე არ არის?

— დიახ, მაგრამ ეგ ერთი და იგივეა. ჩვენ შევისყიდეთ მათი ქარხანა. განზრახული გვქონდა, მათზე ნაკლებად არ გვემუშავა, უფრო უკეთესადაც კი. საკმაოდ სოლიდური ხალხი ვიყავით. მერედა, ეშმაკმა წაიღოს, ვინ ოხერია ეს ჯედ სტარნსი საერთოდ? ერთი უბრალო მექანიკოსი იყო სადღაც ჯანდაბიდან. ის თუ იცით, რით დაიწყო? ღმერთმა უწყის, საიდან გამოძვრა. ჩემი ოჯახი კი ნიუ-იორკის ნაღებ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა: ბაბუაჩემი ქვეყნის საკანონმდებლო საკრებულოს წევრი იყო. ჩემი ბრალი არ არის, რომ როცა მამაჩემმა სასწავლებლად. გამიშვა, მანქანა ვერ მიყიდა. სხვა ყველა მოსწავლეს საკუთარი ავტომანქანა ჰყავდა. მაგრამ ჩვენი ოჯახი მათ ოჯახებზე ნაკლები არაფრით არ იყო. როდესაც კოლეჯში ვსწავლობდი... — მოულოდნელად გაჩუმდა, — რა თქვით, რომელი გაზეთიდან ბრძანდებით?

დაგნის უკვე ნათქვამი ჰქონდა თავისი სახელი; მაგრამ თან გაუხარდა, რომ მასპინძელმა ვერ იცნო და ამჯობინა, არ დაეზუსტებინა საკუთარი ვინაობა.

— მე არ მითქვამს, რომ გაზეთში ვმუშაობ, — უპასუხა მან, — ინფორმაცია ამ ქარხანაზე პირადი მიზნებისთვის მჭირდება და არა პუბლიკაციისთვის.

— აჰ, — ჰანსაკერს სახეზე იმედგაცრუება გამოესახა და მოიღუშა, თითქოს დაგნის შეურაცხყოფა მიეყენებინოს, — მე კი ვიფიქრე, რომ ინტერვიუ გინდოდათ ჩაგეწერათ, მე ხომ ავტობიოგრაფიას ვწერ. — უთხრა დაგნის და ხელი მაგიდაზე მოფენილი ქაღალდებისკენ გაიშვირა.

— ძალიან ბევრი რამ მაქვს სათქმელი მკითხველისთვის. გადავწყვიტე... ოხ, ეშმაკმა წაიღოს! — უეცრად იყვირა, რაღაც გაახსენდა.

ჰანსაკერი ქურას მივარდა, ქვაბს სახურავი ახადა და აშკარა ზიზღით დაბნეულად მოურია წვნიანს. რას აკეთებდა, არც ფიქრობდა. მერე სველი კოვზი დააგდო ქურა ცხიმით მოწუნა და კვლავ მაგიდასთან დაბრუნდა.

— დიახ, დიახ, გადავწყვიტე, ავტობიოგრაფია დავწერო, თუ ამის შესაძლებლობას მომცემენ, — განაგრძო მან, — როგორ უნდა მოვახერხო სერიოზულ სამუშაოზე კონცენტრირება, როცა იძულებული ვარ, ამ სისულელეებზე მოვცდე? — ქურისკენ გადააქნია თავი, — ამათაც მეგობრები ჰქვიათ რა! მათი აზრით, რაკი ჩემზე იზრუნეს, ესე იგი უფლება აქვთ, ჩინელი მებარგულივით გამწყვიტონ წელში შრომით!

მხოლოდ იმიტომ, რომ წასასვლელი არსად მაქვს. თვითონ მშვენივრად ცხოვრობენ, ეს ჩემი ძველი, კეთილი მეგობრები. ის სახლში თითს არ ანძრევს, სამაგიეროდ, მთელი დღე თავის ტილიან საკანცელარიო მაღაზიაში ზის. განა მისი

საქმიანობა შეეძრება იმ წიგნს, რომელსაც მე ვწერ? მეორე კი საყიდლებზე მიდის და მთხოვს, სადილს მივხედო. მშვენივრად იცის, რომ მწერალს სიმშვიდე და ყურადღების მოკრება სჭირდება, მაგრამ განა ედარდება? იცით, დღეს რა ოინი მომიწყო? — ჰანსაკერი მიმნდობად გადმოიხარა დაგნისკენ და ჭუჭყიან ჭურჭელზე მიანიშნა, — ბაზარში ისე წავიდა, ჭურჭლისთვის ხელიც არ უხლია, მერე გავრეცხავო. ვიცი, რისი იმედიც აქვს, უნდა, მე გავრეცხო, მაგრამ ვერ მივართვი — თითსაც არ დავაკარებ.

— თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე კითხვას დაგისვამთ ძრავთმშენებელ ქარხანაზე.

— ოღონდ, ნუ გეგონებათ, რომ ეს ქარხანა ერთადერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში. მანამდე არაერთი სერიოზული პოსტი მეკავა. სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი კავშირები მქონდა ქირურგიული ინსტრუმენტების, მუყაოს, მამაკაცის ქუდებისა და მტვერსასრუტების მწარმოებელ კომპანიებთან. რა თქმა უნდა, ეს პროდუქცია სერიოზულ პერსპექტივას არ იძლეოდა: აი, ძრავთმშენებელი ქარხანა კი უკვე განსაკუთრებული შანსი იყო ჩემთვის. სწორედ ამას ველოდი მთელი ცხოვრება.

— როგორ მოხდა, რომ მისი შეძენა მოახერხეთ?

— უბრალოდ, ჩემი ბედი იყო. ჩემი ოცნება, რომელიც რეალობად იქცა. ქარხანა გაკოტრდა და დაიხურა. ჯედ სტარნსის შთამომავლებმა საქმე-მალევე დაღუპეს.

ზუსტად არ ვიცი, რა და როგორ მოხდა, მაგრამ იქ რაღაც თაღლითობა წამოიწყეს და კომპანია დაიქცა. რკინიგზის ხალხმა ადგილობრივი ხაზი დახურა. იქაურობა აღარავის აღარ სჭირდებოდა, ამ ქარხანას არავინ არ ყიდულობდა. თუმცა, თვითონ ქარხანა ხომ არსებობდა — დიდებული ქარხანა, მთელი თავისი დანადგარებით, დაზგებით, ყველაფრით, რამაც ჯედ სტარნსს მილიონები მოუტანა. ..

ეს ზუსტად ის იყო, რაც მჭირდებოდა, ზუსტად ის შანსი, რომელზეც ყველა უფლება მქონდა. ამიტომაც შევკრიბე მეგობრები და დავაფუძნეთ კორპორაცია „ემალგამეითიდ სერვისს“ და რაღაც თანხა შევაგროვეთ. მაგრამ ეს ფული მაინც არ იყო საკმარისი, კრედიტი გვჭირდებოდა, ქარხანა რომ შეგვესყიდა და წარმოება დაგვეწყო. საქმე კი მართლა მაგარი ჩანდა. ახალგაზრდები ვიყავით, დიდი მიღწევები გველოდა, ენერგიით და მომავლის იმედებით ვიყავით აღსავსე. და გგონიათ, ვინმემ გაგვამხნევა? არავინ. ხარბი, შურიანი, საკუთარი პრივილეგიებით გაქსუებული სვავები! როგორ უნდა მიგვეღწია წარმატებისთვის, როცა ქარხანას არავინ გვაძლევდა? როგორ გავუწევდით მეტოქეობას იმ ცინგლიანებს, რომლებსაც მემკვიდრეობით ქარხნების მთელი ქსელი ერგოთ, ასე არ არის? არადა, განა ყველანი თანასწორნი არ უნდა ვიყოთ? აი, ასეა, და სამართლიანობაზე სიტყვაც არ დაგცდეთ, ძაღლივით ვმუშაობდი. ვცდილობდი, ვინმესთვის მაინც გამომეთხოვა კრედიტი, მაგრამ ამ არამზადა მაიდას მალიგანმა სული ამომხადა.

დაგნი დაიძაბა:

— მაიდას მალიგანი?

— დიახ... ბანკირი, სატვირთო მანქანის მძღოლს რომ ჰგავს გარეგნულადაც და საქციელითაც.

— იცნობდით მაიდას მალიგანს?

— ვიცნობდი თუ არა? მე ხომ ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც მას ყოფა უტირა...

თუმცა ამანაც ვერ მომიტანა ხეირი!

დაგნის დროდადრო უცნაურად აფორიაქებდა მაიდას მალიგანის გაუჩინარების ამბავი, სწორედ ისე, როგორც ზღვაში მცურავი მიტოვებული ხომალდებისა თუ ცაში მოულოდნელად წარმოქმნილი კაშკაშა ნათებების შესახებ მონათხრობები ახსენდებათ ხოლმე. ამ საიდუმლოებების ამოხსნა მაინცდამაინც საკუთარ ამოცანად სულაც არ მიაჩნდა, თუმცა ერთი კი ზუსტად იცოდა — მსგავსი ამბები სამუდამოდ საიდუმლოებებად არ უნდა დარჩენილიყო: მათ უსათუოდ ექნებოდათ კონკრეტული მიზეზები, თუმცა ვერც ერთმა, ცნობილმა მიზეზმა ამ ისტორიებს ჯერჯერობით ნათელი ვერ მოჰფინა.

მაიდას მალიგანი თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე. მდიდარი და, შესაბამისად, ყველაზე გასაკიცხი ადამიანი იყო ქვეყანაში. ის ყოველთვის წარმატებით აბანდებდა თავის კაპიტალს; ყველაფერი, რასაც მალიგანი ეხებოდა, ოქროდ იქცეოდა. „ეს იმიტომ, რომ ვიცი, რას შევეხო“, — ამბობდა ის. მისი ინვესტირების სისტემას ვერავინ ჩასწვდა: ის უარს ამბობდა გარიგებებზე, რომლებიც ყველას სავსებით უსაფრთხოდ ეჩვენებოდა და კოლოსალურ თანხებს აბანდებდა ისეთ წარმოებებში, არც ერთი სხვა ბანკირი ახლოსაც რომ არ გაეკარებოდა. მრავალი წლის განმავლობაში მის მიერ გასროლილი სრულიად მოულოდნელი და ერთობ ეფექტიანი ტყვიები ქვეყნის ყველა კიდეში წუოდა და სამრეწველო სასწაულებს ახდენდა. სწორედ მალიგანმა ჩადო კაპიტალი პირველმა „რიერდენ სთილში“ და ჰენკ რიერდენს პენსილვანიაში მიტოვებული ფოლადსადნობი ქარხნის შესყიდვაში დაეხმარა. როცა ერთ-ერთმა ეკონომისტმა მას თავდაჯერებული მოთამაშე უწოდა, მალიგანმა უპასუხა:

„თქვენ ვერასოდეს გამდიდრდებით, ერთი მარტივი მიზეზის გამო — რადგან ჩემს საქმიანობას აზარტულ თამაშად თვლით“.

დადიოდა ხმები, რომ მაიდას მალიგანთან ურთიერთობისას ერთი დაუწერელი კანონი უნდა დაგეცვა: სიტყვა არ უნდა დაგცდენოდა პირადი საჭიროების ან, საერთოდ, რაიმე პირადი მიზეზების შესახებ, თორემ საუბარი წამსვე დასრულდებოდა და მთხოვნელს მისტერ მალიგანთან ხელმეორედ შეხვედრის შესაძლებლობა მეტად აღარასდროს მიეცემოდა.

— რატომაც არა, წარმომიდგენია, — უპასუხა მაიდას მალიგანმა, როცა მას ჰკითხეს, წარმოედგინა თუ არა იმაზე უფრო საძაგელი ვინმე, ვიდრე შეუბრალებელი, გულქვა ადამიანია, — კაცი, რომელიც ვიღაცის მისდამი სიბრალულს იარაღად იყენებს.

მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არაფრად ჩაუგდია საზოგადოების თავდასხმები, ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა. სინამდვილეში მალიგანს მაიკლი ერქვა, მაგრამ ერთხელ ერთმა გამჭრიახმა, კაცთა მოდგმაზე მზრუნველმა ჟურნალისტმა-ჰუმანისტმა მას მაიდას მალიგანი უწოდა და მას მერე ეს მეტსახელი სამუდამოდ მიენება. მალიგანმა სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, რომ მისთვის ოფიციალურად შეეცვალათ სახელი და მაიდასი ეწოდებინათ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

თანამედროვეების თვალში მალიგანი იყო ადამიანი, რომელსაც უპატიებელი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი: ის ამაყობდა თავისი სიმდიდრით.

დაგნის მხოლოდ სმენოდა ეს ისტორიები მაიდას მალიგანის შესახებ, მას პირადად არასდროს შეხვედრია. შვიდი წლის წინ მაიდას მალიგანი გაუჩინარდა. ერთხელ, დილით, ის თავისი სახლიდან გავიდა და იმ დღიდან მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მისი გაუჩინარებიდან მეორე დღეს „ „მალიგან ბანკის“

მეანაბრეებმა შეტყობინება მიიღეს — მათ თავიანთი დეპოზიტების. გატანას სთხოვდნენ. ბანკის დახურვის გამო. შემდგომმა გამოძიებამ აჩვენა, რომ მალიგანმა წინასწარ დაგეგმა ბანკის დახურვა და ყველა დეტალი გაითვალისწინა; ბანკის თანამშრომლებმა მხოლოდ მის მიერ დატოვებული ინსტრუქციები შეასრულეს. ეს ბანკის ყველაზე სანიმუშო დახურვა იყო, რაც კი ოდესმე ქვეყანას მოსწრებია. ყველა მეანაბრემ უკლებლივ მიიღო თავისი ფული, კუთვნილი პროცენტებიანად. ბანკის მთელი ქონება ნაწილ-ნაწილ მიჰყიდეს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებს. როცა ბალანსი გამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ ის უკანასკნელ ცენტამდე იყო გასწორებული „მალიგან ბანკისგან“ არაფერი დარჩენილა და მან არსებობა შეწყვიტა.

მალიგანის გადაწყვეტილების მიზეზი და მისი პირადი თუ მრავალმილიონიანი ქონების ბედი საიდუმლოებით დარჩა მოცული. ადამიანიცა და ქონებაც გაუჩინარდა; თითქოს არც არასდროს უარსებიათ. წინასწარ არავინ არ გაუფრთხილებიათ; ვერც ვერავინ გაიხსენა, რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყოს, რაც როგორმე ახსნიდა მალიგანის გაუჩინარების ფაქტს. თუ უნდოდა, საქმეს ჩამოშორებოდა, — უკვირდა საზოგადოებას, — ხომ შეეძლო, კი არ დაეხურა, არამედ ძალიან სარფიანად გაეყიდა თავისი ბანკი? პასუხის გაცემა არავის შეეძლო. მალიგანს არც ოჯახი ჰყავდა, არც მეგობრები. მისმა თანამშრომლებმა არაფერი იცოდნენ: იმ დილით ის ჩვეულებრივად გავიდა შინიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. ეს იყო და ეს, მეტი არავინ არაფერი იცოდა.

მალიგანის გაუჩინარების ამბავი დაგნის მრავალი წელი ეჩვენებოდა შემაშფოთებლად და აბსურდულად. თითქოს ნიუ-იორკის რომელიღაც ცათამბჯენი გამქრალიყო და გზაჯვარედინზე მისგან მხოლოდ ცარიელი ადგილი „დარჩენილიყო. მალიგანის მსგავსი ადამიანი და სიმდიდრე, რაც მან თან წაიღო, უკვალოდ ვერსად გაქრებოდა. ცათამბჯენი ვერსად დაიმალებოდა — ის, ნებისმიერ შემთხვევაში, ცამდე აღიმართებოდა იმ დაბლობზე ან ტყეში, რომელსაც სამალავად შეარჩევდა. მაშინაც კი, რომც დაენგრიათ, სულერთია, მისგან ნანგრევების გორა მაინც დარჩებოდა, რომელსაც აუცილებლად შეამჩნევდნენ. მაგრამ მალიგანი გაუჩინარდა და უკვე შვიდი წელი იყო, მიუხედავად დაუსრულებელი ჭორების, ვარაუდების, თეორიების, ჟურნალების. საკვირაო დანართებში გამოქვეყნებული ზღაპრების და მოწმეთა ჩვენებებისა, რომლებიც ირწმუნებოდნენ, ვითომდა ის დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში ნახეს, მისი გაუჩინარების ამბავს უტყუარი ახსნა მაინც არა და არ მოეძებნა. ამ მონაჩმახებს შორის ერთ-ერთი იმდენად აბსურდული იყო, რომ დაგნიმ ლამის დაიჯერა-კიდეც, თუმცა, რაც კი მალიგანის ხასიათის შესახებ სმენოდა, ამ ისტორიას არაფერი არ შეესაბამებოდა: ამბობდნენ, რომ გაზაფხულის იმ დილას, როდესაც მალიგანი გაუჩინარდა, ბოლო ადამიანი, ვინც მას თვალი. მოჰკრა, მოხუცი მეყვავილე მოხუცი ქალი იყო „მალიგან ბანკის“ გზაჯვარედინთან. ეს ქალი ირწმუნებოდა, რომ მალიგანი მასთან გაჩერდა და გაზაფხულის პირველი მაჩიტების უზარმაზარი თაიგული იყიდა: ქალს ცხოვრებაში არ ენახა. ასეთი ბედნიერი სახე; ის ახალგაზრდა ყმაწვილს ჰგავდა, რომელმაც ეს-ესაა შეაბიჯა უზარმაზარ, უკიდეგანო სამყაროში; ტკივილისა და ცხოვრებისეული. სირთულეების ყოველგვარი ნიშანწყალი, განვლილი წლების ანაბეჭდი — ყველაფერი პირწმინდად გამქრალიყო. სახეზე მხოლოდ სიხარული, ახალგაზრდული მგზნებარება და სიმშვიდე ეხატა. თითქოსდა მოულოდნელ აღტკინებას დამორჩილებულმა მალიგანმა მოხუც ქალს თაიგული გამოართვა, თვალი ჩაუკრა, თითქოს უნდოდა, მხიარულება მისთვისაც გაეზიარებინა და უთხრა:

— იცით, როგორ მიყვარდა ყოველთვის აი, ეს... როგორ მიყვარდა სიცოცხლე?

ქალი გაოცებული მიაჩერდა, ის კი წავიდა და თაიგული ხელიდან ხელში ისე გადაჰქონდა, თითქოს ბურთი ყოფილიყო. მერე კი, — მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, თავისი სოლიდური, ბიზნესმენისთვის შესაფერისი ძვირფასი პალტოთი; — სწორკუთხოვან ადმინისტრაციულ შენობებს მიეფარა, რომელთა ფანჯრებში გაზაფხულის მცხუნვარე მზე ირეკლებოდა...

— მაიდას მალიგანი ზნედაცემული არამზადა იყო, რომელსაც დოლარის ნიშანი მკერდზე სამუდამოდ ჰქონდა ამოშანთული, — თქვა სადილის მძაღე ორთქლში გახვეულმა ლი ჰანსაკერმა, — მთელი ჩემი მომავალი საცოდავ. ნახევარ მილიონ დოლარზე იყო დამოკიდებული, რომელიც მისთვის ხურდა ფულს უდრიდა, მაგრამ, როცა მას კრედიტი ვთხოვე, უარი მითხრა, და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერავითარი გარანტიები ვერ შევთავაზე. არადა, საიდან უნდა მომეტანა ეს გარანტიები, როცა ჩემთვის არავის და არასდროს სერიოზული შანსი არ მოუცია. რატომ აძლევდა სხვებს ფულს, მე კი არა? ეს ხომ აშკარა დისკრიმინაციაა! მისთვის ჩემი გრძნობები და განცდები სულერთი იყო: ასე თქვა, რომ ჩემი წარსული წარუმატებლობების გათვალისწინებით, ერთ ურიკა ბოსტნეულსაც ვერ მანდობდა, ძრავთმშენებელ ქარხანას კი არა. რომელი წარუმატებლობები? რა უნდა მექნა, თუ იმ უვიცმა ბოსტნეულით მოვაჭრეებმა უარი განაცხადეს ჩემგან მუყაოს კონტეინერების შეძენაზე? ვინ მისცა უფლება, ჩემი შესაძლებლობები განესაჯა? რატომ უნდა ყოფილიყო ეგოისტი მონოპოლისტის ახირებებზე დამოკიდებული ჩემი სამომავლო გეგმები? მე ამის მორჩილად ატანას არ ვაპირებდი, ამ დაცინვას ვერ შევარჩენდი და სასამართლოში ვუჩივლე.

— რა? რა ქენით?

— დიახ, — ამაყად უპასუხა ჰანსაკერმა, — სასამართლოში ვუჩივლე. დარწმუნებული ვარ, ეს უცნაური მოეჩვენებოდათ მაგ თქვენს ჩამყაყებულ აღმოსავლეთ შტატებში, მაგრამ ილინოისის შტატში ძალიან ჰუმანური და პროგრესული კანონი მოქმედებდა, რომელსაც შემეძლო, დავყრდნობოდი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მანამდე ასეთი საქმე არ განხილულა, მაგრამ ფრიად მოხერხებული და ლიბერალური ადვოკატი შემხვდა, რომელმაც რაღაც ხელმოსაჭიდი გამოგვინახა. ეს, კანონი „უკიდურეს ეკონომიკურ საჭიროებას“ ეხებოდა და კრძალავდა დისკრიმინაციას ნებისმიერი მიზეზით, როცა ლაპარაკი საარსებო სახსრებზე იყო; ეხებოდა საკითხს, რომ ნებისმიერ ადამიანს თავისი არსებობა მისი უფლებების ფარგლებში უნდა უზრუნველეყო. მას დღიურად მომუშავე და ამდაგვარი სტატუსის ადამიანების დასაცავად იყენებდნენ, მაგრამ ვითომ, ჩემი და ჩემი პარტნიორების დასაცავად რატომ არ ივარგებდა? ასე რომ, სასამართლოში წავედით. მოვყევით ყველა ჩვენი წარსული მარცხი. მე მალიგანის სიტყვებიც გავიმეორე, როცა თქვა, რომ ბოსტნეულით სავსე ურიკასაც არ მანდობდა. „დავამტკიცეთ, რომ „ემალგამეითიდ სერვისის“ წევრებს არც პრესტიჟი გაგვაჩნდა; არც კრედიტი და არც სხვა რაიმე სახსრები არსებობისთვის, ამიტომაც ძრავთმშენებელი ქარხნის. შეძენა ჩვენი: ერთადერთი შანსი იყო, თავი რომ გვერჩინა. მაშასადამე, მაიდას მალიგანს არ ჰქონდა ჩვენი დისკრიმინაციის უფლება, და ამგვარად, ჩვენ კანონის ძალით უფლებამოსილნი ვიყავით, მისგან კრედიტი მოგვეთხოვა. ო; ჩვენ პროცესის მოგების სრული-საფუძველი გვქონდა, მაგრამ პროცესს მოსამართლე ნარაგანსეტი თავმჯდომარეობდა, ძველი ყაიდის სამართლის

ერთ-ერთი წარმომადგენელი. მასეთებს მხოლოდ მათემატიკურად აზროვნება შეუძლიათ და არასდროს ანაღვლებთ საქმის წმინდა, ადამიანური მხარე.

მთელი პროცესის განმავლობაში მარმარილოს ქანდაკებასავით იჯდა იქ — აი, თვალებახვეული სტატუეტები რომ არიან, ისე. ბოლოს კი ნაფიც მსაჯულებს მითითება მისცა, ვერდიქტი მაიდას მალიგანის სასარგებლოდ გამოეტანათ. თანაც, ძალიან საწყენი რაღაც-რაღაცებიც დაამატა ჩემზე და ჩემს პარტნიორებზე. მაგრამ როცა შემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრეთ, განაჩენი. შეცვალა და მალიგანს უბრძანა, ჩვენთვის კრედიტი მოეცა ჩვენივე პირობებით. სასამართლომ მალიგანს სამი თვე მისცა განჩინების აღსასრულებლად. თუმცა, ვიდრე ეს ვადა ამოიწურებოდა, მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა — მალიგანი უკვალოდ გაქრა თავისი ფულებია.

ნად, აორთქლდა. მისი ბანკიდან ერთი ცენტიც კი არ დარჩა ჩვენი კანონიერი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. უამრავი ფული გადავყარეთ, დეტექტივები რომ დაგვექირავებინა და მოგვეძებნა, და რომელი არ იზამდა ჩვენ ადგილას? მაგრამ უშედეგოდ. დავნებდით.

„არა“, — ფიქრობდა დაგნი, — „მიუხედავად იმისა, რომ გულის ამრევი ამბავია, ეს შემთხვევა არაფრით არ არის იმ აურაცხელ საძაგლობაზე უარესი, რასაც მაიდას მალიგანი წლობით იტანდა. ანალოგიური განაჩენების გამო მან უამრავი ფინანსური დანაკარგი განიცადა; უგუნური წესები და ედიქტები კოლოსალურ თანხებად დაუჯდა; ყველაფერს უძლებდა, ებრძოდა და კიდევ უფრო თავდაუზოგავად მუშაობდა. ძნელი წარმოსადგენია, ამ შემთხვევას გაეტეხა“.

— და მოსამართლე ნარაგანსეტს რა ბედი ენია? — უნებურად დაინტერესდა დაგნი: რაღაც ქვეცნობიერმა გრძნობამ აიძულა, ეს კითხვა დაესვა. მართალია, მოსამართლე ნარაგანსეტს პირადად არ იცნობდა, მაგრამ მისი სახელი არაერთ გახმაურებულ საქმესთან იყო დაკავშირებული. უეცრად მიხვდა, რომ უკვე დიდი ხანია, მის შესახებ აღარაფერი სმენოდა.

— ო, ის გადადგა, — უთხრა ლი ჰანსაკერმა.

— მართლა? — აღმოხდა დაგნის.

— აჰა.

— კი მაგრამ, როდის?

— ჩვენი პროცესიდან ექვს თვეში.

— და მერე რას საქმიანობდა?

— არ ვიცი. მერე მის შესახებ არავის აღარაფერი სმენია.

ჰანსაკერი გააკვირვა დაგნის სახეზე გამკრთალმა მსუბუქმა შიშმა. თვითონ დაგნიც ვერ ახსნიდა, რატომ გაკენწლა ამ წმინდად ინტუიციურმა შიშმა.

— თუ შეიძლება, მიამბეთ ამ ძრავთმშენებელ ქარხანაზე, — თავს ძალა დაატანა მან, საუბარი რომ განეგრძო.

— მოკლედ, ბოლოს, როგორც იქნა, იუჯინ ლოუსონმა მედისონის „სათემო ეროვნული ბანკიდან“ გამოგვიყო კრედიტი, ქარხანა რომ შეგვეძინა. მაგრამ ის ბინძური კრიჟანგი გამოდგა და საკმარისი ფული არ აღმოაჩნდა, მუშაობაში რომ დაგვხმარებოდა. ჩვენი ბრალი არ იყო, რომ გავკოტრდით. თავიდანვე ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ აეწყო. როგორ უნდა ემუშავა ქარხანას, როცა რკინიგზა აღარ იყო ჩვენს განკარგულებაში? რა, არ გვეკუთვნოდა რკინიგზა? შევეცადე, დამეყოლიებინა ისინი, ისევ გაეხსნათ ეს ხაზი, მაგრამ ის წყეულები „ტაგარტ ტრანს...“ — უცებ ჰანსაკერი გაჩუმდა, — შემთხვევით, ერთ-ერთი იმ ტაგარტთაგანი ხომ არ ხართ?

— „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

წუთით, სრულიად გაოგნებული მიაშტერდა. დაგნიმ მის დაბინდულ თვალებში შიშის, პირფერობისა და სიძულვილის ჭიდილი ამოი კითხა, რასაც ჰანსაკერის უკმაყოფილო ბუზღუნი მოჰყვა:

— არაფერში არ მჭირდებიან თქვენნაირი ბობოლები! ნუ გგონიათ, თქვენი შემეშინდება. არც ის გეგონოთ, რომ სამსახურს მოგთხოვთ. არავის მოწყალება არ მჭირდება. თავს დავდებ, მიჩვეული არ ხართ ასეთ ლაპარაკს, ასე არ არის?

— მისტერ ჰანსაკერ, თქვენი ძალიან მადლიერი ვიქნები, თუ ქარხნის შესახებ იმ ინფორმაციას მომაწვდით, რაც მჭირდება.

— რაღაც დაგიგვიანდათ დაინტერესება. მაინც, რა მოხდა? სინდისმა შეგაწუხათ? თქვენმა ხალხმა ჯედ სტარნსს ნება მისცა, უზნეოდ გამდიდრებულიყო, ჩვენს დასახმარებლად კი თითიც არ გაგინძრევიათ. ეს ხომ იგივე ქარხანა იყო. ჩვენც მხოლოდ იმას ვაკეთებდით, რასაც სტარნსი. მუშაობა ზუსტად იმ ტიპის ძრავის წარმოებით დავიწყეთ, რომელსაც წლების მანძილზე კოლოსალური მოგება მოჰქონდა. მერე კი, კაცმა არ იცის საიდან, ვიღაც მეტიჩარა გამოხტა, რომლის შესახებაც არავის არაფერი სმენოდა, კოლორადოში რაღაც გროშიანი ქარხანა გახსნა, „ნილსენ მოტორსი“ ჰქვია და ახალი ძრავის გამოშვება დაიწყო, იმავე კლასის, სტარნსი რომ უშვებდა, ოღონდ ორჯერ უფრო იაფად! რაღა უნდა გვექნა? ჯედ სტარნსს რა უჭირდა, ასეთი საშიში მეტოქე არ ჰყოლია, მაგრამ ჩვენ რას ვიზამდით? როგორ უნდა გავმკლავებოდით ამ ნილსენს, როცა ვერავინ შემოგვთავაზა ისეთი ძრავა, რომელიც მათსას კონკურენციას გაუწევდა?

— სტარნსის კვლევითი ლაბორატორია თქვენ გადმოგეცათ?

— კი, კი, სრულად.

— ლაბორატორიის თანამშრომლებიც დარჩნენ?

— ზოგიერთი. ბევრი მაშინვე წავიდა, როგორც კი ქარხანა დაიხურა.

— და ინჟინრები?

— ისინი ყველანი წავიდნენ.

— თქვენ თვითონ თუ დაიქირავეთ საკუთარი მკვლევრები?

— დიახ, ზოგიერთი... მაგრამ ნება მომეცით, გითხრათ, რომ იმდენი ფული არ მქონდა, ისეთ რამეებზე დამეხარჯა, როგორებიც ლაბორატორია და ამგვარებია.

ჩემი სახსრები სულის მოსათქმელადაც არ მყოფნიდა. ელემენტარული მოდერნიზაციისა და შენობის სარემონტო სამუშაოების ხარჯებიც ვერ დავფარე — ქარხანა პირდაპირ სამარცხვინო მდგომარეობაში დამხვდა... ხელმძღვანელობის კაბინეტები მარტო შელესილი იყო და და მხოლოდ ერთი ციცქნა. სააბაზანო ჰქონდა პირსაბანით. ნებისმიერი თანამედროვე ფსიქოლოგი გეტყვით, რომ ასეთ დამრთგუნველ პირობებში ვერაფერ სასიკეთოს ვერ მიაღწევთ. უბრალოდ, იძულებული გავხდი, ჩემი კაბინეტის კედლები უფრო ხალისიანი ფერებით შემეღება და თანამედროვე საშხაპე კაბინა დამედგა. მერე უამრავი ფული მივახარჯე ახალ კაფეტერიას, მოსასვენებელ ოთახს და ტუალეტს მუშებისთვის. ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემო ხომ უნდა შემექმნა, რა, ასე არ არის? ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ ადამიანის სულიერ მდგომარეობას მისი უშუალოდ გარემომცველი მატერიალური ფაქტორები განაპირობებს, ხოლო გონებას წარმოების იარაღები აყალიბებენ. მაგრამ ეკონომიკის დეტერმინაციის კანონების ამოქმედებას არავინ არ დაელოდა. ადრე ხომ საკუთარი ძრავთმშენებელი ქარხანა

არასოდეს გვქონია. ამიტომაც მოგვიწია, წარმოების იარაღებისთვის დრო მიგვეცა ჩვენი გონების გარდასაქმნელად მაგრამ დაგვცალდა? არავინ დაგვაცალა.

— იქნებ რაიმე მიამბოთ თქვენი კვლევითი ჯგუფის მუშაობის შესახებ?

— ო, დიახ. რამდენიმე ძალიან იმედის მომცემი ახალგაზრდა მყავდა, ყველას საუკეთესო უნივერსიტეტების დიპლომები ჰქონდა. მაგრამ კარგი აქედან მაინც არაფერი გამოვიდა. არ ვიცი, იქ რითი იყვნენ დაკავებული. მგონი, უბრალოდ, ისხდნენ და ხელფასს ხრავდნენ.

— ლაბორატორიას ვინ ხელმძღვანელობდა?

— ჯანდაბა, აბა, ეგ საიდან უნდა მახსოვდეს?.

— კვლევითი ჯგუფიდან ვინმეს სახელი ხომ არ გახსოვთ?

— როგორ ფიქრობთ, მაგისთვის მეცალა, რომ ყოველი დაქირავებული თანამშრომელი გამეცნო?

— რომელიმე მათგანს ოდესმე თუ უხსენებია თქვენთან რაიმე ექსპერიმენტი რაიმე სრულიად ახალი ტიპის ძრავის შესახებ?

— რომელი ძრავის? ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ ჩემი დონის ხელმძღვანელი თავს უფლებას ვერ მისცემს, გამუდმებით ლაბორატორიაში იწრიალოს. ჩემს დროს უმეტესად ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში ვატარებდი, რათა მუშაობის გასაგრძელებლად ფული მეშოვა.

— ქარხნის გენერალური მენეჯერი ვინ იყო?

— ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა, სახელად. როი კანინგემი გასულ წელს დაიღუპა ავტოკატასტროფაში, როგორც მითხრეს, მთვრალი მართავდა მანქანას.

— შეგიძლიათ, თქვენი თანამშრომლების სახელები და მისამართები მომცეთ? ნებისმიერის, ვინც გახსენდებათ.

— არ ვიცი, რა ბედი ეწიათ. არ გამჩენია სურვილი, მათი შემდგომი ცხოვრებით დავინტერესებულიყავი.

— ქარხნის რაიმე დოკუმენტაცია თუ შემოგრჩათ?

— რა თქმა უნდა.

დაგნი თითებით მაგიდას ჩაეჭიდა — ნებას მომცემთ, გადავხედო?

— სიამოვნებით!

ჰანსაკერი ხალისით დაყაბულდა — მაშინვე წამოხტა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. როცა დაბრუნდა, დაგნის წინ სქელი ალბომი დაუდო: თავისი საგაზეთო ინტერვიუები და პრესმდივნის პრესრელიზები.

— მეც ვიყავი ერთ დროს სერიოზული მეწარმე, — ამაყად წარმოთქვა მან, — ეროვნული მასშტაბის ფიგურა, როგორც ხედავთ. ჩემი ცხოვრება ღირსია, ღრმა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წიგნი მიეძღვნას. დიდი ხნის წინ დავამთავრებდი ამ წიგნს, შესაფერისი პირობები რომ მქონოდა... და წარმოების. საშუალებები, — მან საბეჭდი მანქანისკენ გადააქნია თავი, — ამ წყეულ მანქანაზე მუშაობა არ შემიძლია.

კლავიშები არ უვარგა. რომელ შთაგონებაზე და ბესტსელერზეა ლაპარაკი, როცა შენი საბეჭდი მანქანა წესიერად არ ბეჭდავს?!

— გმადლობთ, მისტერ ჰანსაკერ,— უთხრა დაგნიმ და წამოდგა, — ვფიქრობ, რაც შეგეძლოთ, ყველაფერი მითხარით. ხომ არ იცით, სტარნსის შთამომავლებს რა ბედი ეწიათ?

— ო, ქარხანა დაღუპეს და მაშინვე მიიმალნენ. სამი შვილი ჰყავდა: ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ბოლო, რაც გავიგე, ის არის, რომ თავი ლუიზიანას შტატს, დიურანსს შეაფარეს.

როდესაც დაგნი უკანასკნელად შემოტრიალდა, თვალი შეასწრო, როგორ ისკუპა მოულოდნელად ჰანსაკერმა გაზქურისკენ, ხელი დასტაცა ქვაბის სახურავს და მაშინვე მოისროლა, თან დამწვარ თითებზე სულს იბერავდა და დედას იგინებოდა.

ბულიონი საბოლოოდ მაინც ამომშრალიყო.

* * *

სტარნსის ქონებიდან ცოტა რამ გადარჩა, მისი შთამომავლებიდან კი ამაზე ცოტა.

— მათი ნახვა არ გესიამოვნებათ, მის ტაგარტ, — თქვა ლუიზიანას შტატის „ქალაქ დიურანსის პოლიციის განყოფილების უფროსმა, ხანშიშესულმა, დინჯმა და ხისტმა კაცმა, რომელსაც უკან მოტოვებული რთული ცხოვრების გამო ბრმა სინანულით კი არა, კანონისა და კანონიერებისადმი ერთგულებით გამკაცრებოდა მზერა, — ქვეყნად ყველანაირ ადამიანს გადაეყრები, მკვლელებსაც, მანიაკებსაც, მაგრამ მე რატომღაც მგონია, ეს სტარნსები ისეთი ხალხია, წესიერ კაცს მათთან არაფერი ესაქმება. საძაგელი ვინმეები არიან; მის ტაგარტ. საზიზღრები და უვარგისები... დიახ, ჯერაც ამ ქალაქში ცხოვრობენ, უფრო სწორად, ორი მათგანი. მესამე მკვდარია.

თავი მოიკლა ოთხი წლის წინ. ძალიან ულამაზო ისტორია გამოვიდა. ამ სამიდან ყველაზე უმცროსი ის გახლდათ, ერიკ სტარნსი ერქვა. ისეთი ვინმე იყო, ორმოცს რომ გადააბიჯებენ და თავი მაინც ახალგაზრდა ჰგონიათ, გაუთავებლად საკუთარი ფაქიზი მგრძნობელობის გამო მოთქვამენ. ეს ერიკი სულ ამტკიცებდა, რომ სიყვარულის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. ასაკით უფროსი ქალების კმაყოფაზე ცხოვრობდა, თუ ასეთს იშოვიდა. შემდეგ თექვსმეტი წლის გოგოს დაუწყო კუდში დევნა.

ლამაზი გოგო იყო, რომელსაც ერიკისნაირთან არაფერი ესაქმებოდა. ეს გოგო მალე იმ ბიჭს გაჰყვა ცოლად, ვისზეც დანიშნული იყო. ქორწილის დღეს ერიკ სტარნსი მათთან სახლში შეიპარა. ჯვრისწერის შემდეგ, როცა ახლად დაქორწინებულები შინ დაბრუნდნენ, სტარნსი თავიანთ საძინებელში მკვდარი იპოვეს, ვენები ჰქონდა გადაჭრილი და მთელი ოთახი სისხლით იყო მოსვრილი... მე ასე ვიტყოდი, რომ იმ კაცის პატიება, ვინც უხმაუროდ წავა ამ ქვეყნიდან, კიდევ შეიძლება. ვინ განსჯის მოყვასს მისი ტანჯვის გამო ან ვის შეუძლია იცოდეს, რამდენის ატანა ძალუძს ადამიანს? მაგრამ, როცა კაცი თავს იმიტომ იკლავს, რომ ამ სიკვდილით ერთგვარი შოუ მოაწყოს და ადამიანებს ტკივილი მიაყენოს, კაცი, რომელიც ამ ქვეყანას ბოღმის გამო ტოვებს... მას არც ეპატიება და არც გამართლება მოეძებნება. ასეთი ადამიანი თავით ფეხებამდე გახრწნილია და სამუდამო დავიწყებისა და ფურთხის ღირსია, თანაგრძნობის კი არა...

აი, ასეთი კაცი იყო ერიკ სტარნსი. თუ გნებავთ, შემიძლია გითხრათ, სად იპოვით დანარჩენ ორ სტარნსს.

ჯერალდ სტარნსს დაგნიმ ღამის თავშესაფარში მიაგნო. მოკუნტული იწვა ხის საწოლზე. თმა ჯერ არ გასჭაღარავებოდა, თუმცა სრულიად უტყვ სახეზე გამხმარი ხავსივით მოსდებოდა თეთრი ჯაგარი. გალეშილი მთვრალი იყო. ლაპარაკისას დროდადრო უაზროდ ეცინებოდა, ბოროტად, მოუნელებელი ბოღმით.

— ის გაკოტრდა, ის დიადი ქარხანა, გაკოტრდა და მორჩა. მოკლედ, იბუთქა. მერედა, თქვენ რა, მადამ? დალპა ის ქარხანა. და ყველაც დალპა.: მაგათ ჰგონიათ, რომ ბოდიში მქონდა მოსახდელი ვიღაცებთან, მაგრამ არაფერ ბოდიშსაც არ მოვიხდი. მიმიფურთხებია. საკუთარი ტყავიდან ძვრებიან და რაღაც შოუს დგამენ,

არადა, გარშემო ყველაფერი დამპალია: მანქანები, შენობები, სულები, და რა მნიშვნელობა აქვს, რამ დაალპო. უნდა დაგენახათ, ეს „ჭკვიანები“ როგორ ბუქნაობდნენ ჩემს დაკრულზე; ოღონდ, როცა ფული მქონდა. პროფესორები, პოეტები, ინტელექტუალები, ქვეყნიერების მხსნელები და აი, ისინი... მოყვასი რომ თავს ურჩევნიათ. მარტო უნდა დამესტვინა. კარგად კი ვიმხიარულე! მაშინ მინდოდა, სიკეთე მეკეთებინა, ახლა აღარ მინდა. სიკეთე არ არსებობს. არანაირი წყეული სიკეთე მთელ ამ წყეულ სამყაროში. იცით რა, მე თუ რაღაც არ მინდა, არ მინდა და მორჩა. ამ ქარხანაზე რაიმეს გაგება თუ გსურთ, ჩემს დაიკოს. „მიმართეთ. ჩემმა ტკბილმა დაიკომ თავის დროზე ფულები მოიმარაგა და ამიტომაც ახლა მშვენივრად ცხოვრობს. მართალია, მთლად ფილე-მინიონს ვეღარ ქაჩავს. ბეარნული სოუსით; მაგრამ ჰამბურგერის დონეზე არ უჭირს, აბა, ერთ ცენტს მაინც თუ გაიმეტებს.საკუთარი ძმისთვის? არადა, იდეა მეც ისევე მეკუთვნოდა, როგორც მაგას, მაგრამ ცენტსაც ვერ გავაგდებინებ. ჰა! წადით, ნახეთ ეს ჰერცოგინია. რა მესაქმება მაგ ქარხანასთან? მაგ გაზეთილი დაზგების გროვასთან. სასმელის გულისთვის მთელ ჩემს უფლებებსა და ტიტულს. სიხარულით მოგყიდით: სტარნსების უკანასკნელი წარმომადგენელი მე ვარ. ეს ერთ დროს დიდებული გვარი იყო — სტარნსი. მოგყიდით. გგონიათ, აყროლებული მაწანწალა ვარ, მაგრამ ახლა ყველა ეგეთია, და მდიდრებიც არაფრით გვჯობიან. მთელი ქვეყნიერებისთვის სიკეთე მინდოდა გამეკეთებინა, ჰა! კუპრშიც ჩახარშულა ყველა. რა სანახავი იქნება! გაწყვეტილხართ ყველანი! და რა აზრი აქვს რაიმეს? მე რა რო?

მეზობელ საწოლზე სახედანაოჭებულმა, ჭაღარა „მაწანწალამ დაიკვნესა და გვერდი იცვალა. ძონძებიდან ხუთცენტიანი გადმოუგორდა და იატაკზე წკრიალით გაგორდა. ჯერალდ სტარნსი მონეტას დასწვდა და. ჯიბეში გააქანა. დაგნის შეხედა და ბოროტად გაიღიმა:

— გინდა, გააღვიძო და დამასმინო? — გამოცრა მან, — მე კიდე ვიტყვი, რომ იტყუები. აქოთებული ქოხმახი, სადაც დაგნიმ აივი სტარნსს მიაგნო, ქალაქის კიდეში, მისისიპის ნაპირას იდგა. სახურავიდან ჩამოწლაწული ხავსი და ნოტიო წებოვანი ფოთლები კარის გარშემო მოხშირებულ მცენარეებს დორბლიანი პირის შესახედაობას აძლევდნენ. ვიწრო ოთახში ჩამოკიდებული აურაცხელი ფარდა საქმეს ვერ შველოდა. მყრალი სუნი დიდი ხნის დაუგველი კუნჭულებიდან და აღმოსავლელი ღვთაებების დაბრეცილ ფეხებთან განთავსებული ჭუჭყიანი ვერცხლის თასებიდან მოდიოდა, სადაც რაღაც ბალახ-ბულახი ხრჩოლავდა. აივი სტარნსს ბალიშზე ფეხი მოერთხა ბუდასავით. ორმოცდაათს გადაცილებულ ქალს შეშუპებულ, უფერულ სახეზე ტუჩები ნახევარმთვარედ მოეპრუწა, უფრო ჭირვეული, განრისხებული ბავშვივით, მშობლებისგან ყურადღებას რომ მოითხოვს. თვალები ორ გუბეს მიუგავდა.

სიტყვებს მონოტონურად ცრიდა, შემოდგომის წვიმის მსგავსად.

— ჩემო გოგონა, მასეთ კითხვებზე ვერ გიპასუხებთ. კვლევითი ლაბორატორია?

ინჟინრები? რატომ უნდა მახსოვდეს ეგეთი რაღაცები? ეგ მამაჩემს აინტერესებდა და არა მე. მამაჩემი ბოროტი ადამიანი იყო, რომელსაც ბიზნესის „გარდა არაფერი ანაღვლებდა. სიყვარულისთვის არასოდეს ეცალა, მხოლოდ ფულისთვის ჰქონდა დრო. მე და ჩემი ძმები სულ სხვა სამყაროში ვცხოვრობდით. ჩვენი მიზანი რაღაც რკინების წარმოება კი არა, სიკეთის კეთება იყო. ჩვენ ახალი, დიდებული გეგმა შევიტანეთ ქარხანაში. ეს თერთმეტი წლის წინ იყო. მაგრამ დავმარცხდით, სიხარბემ, ეგოიზმმა და ადამიანის მდაბალმა ცხოველურმა ბუნებამ

დაგვამარცხა. ეს იყო მარადიული კონფლიქტი სულიერებასა და მატერიას, სულსა და სხეულს შორის. მათ არ მოისურვეს, უარი ეთქვათ საკუთარ სხეულზე, მხოლოდ ამას ვითხოვდით მათგან. არც ერთი მათგანი აღარ მახსოვს. არც მინდა, მახსოვდეს... ინჟინრები? მგონი, ზუსტად ეგ ინჟინრები იყვნენ, ვისგანაც ჰემოფილია დაიწყო ქარხანაში. დიახ, დიახ, არ მოგესმათ. ჰემოფილია ვახსენე — ნელი სისხლდენა, სისხლის დაკარგვა, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. ისინი პირველები გაიქცნენ, ერთიმეორის მიყოლებით...

დეზერტირებივით... ჩვენი გეგმა?“ გვინდოდა; პრაქტიკაში დაგვენერგა უკეთილშობილესი ისტორიული პრინციპი: თითოეულისგან მისი უნარის მიხედვით, თითოეულს — მისი საჭიროების შესაბამისად. ქარხანაში ყველა, დაწყებული დამლაგებლიდან და დამთავრებული პრეზიდენტით, ერთნაირ ხელფასს იღებდა — საარსებო მინიმუმს.

წელიწადში ორჯერ საერთო კრებას ვაწყობდით, სადაც ყოველი თანამშრომელი საკუთარ საჭიროებებს წარმოადგენდა. ჩვენ პუნქტებს სათითაოდ ვუყრიდით „კენჭს და ხმათა უმრავლესობით განვსაზღვრავდით თითოეული პიროვნების მოთხოვნილებასა და უნარს. ქარხნის შემოსავალიც შესაბამისად ნაწილდებოდა. პრემიები საჭიროებების მიხედვით გაიცემოდა; ჯარიმები კი უნარების. ის, ვინც უმრავლესობის აზრით, ყველაზე მეტს საჭიროებდა, ყველაზე მეტს იღებდა, მათ კი, ვინც უმრავლესობის აზრით, უფრო ნაკლებს მუშაობდა, ვიდრე შეეძლო, ვაჯარიმებდით — ნორმის ზევით ვამუშავებდით და ამაში უკვე აღარ ვუხდიდით, აი, ასეთი იყო ჩვენი გეგმა. ის ალტრუიზმის პრინციპს ეფუძნებოდა და ადამიანებისგან მოითხოვდა, „მოყვასის სიყვარულით ეხელმძღვანელათ და არა პირადი სარგებლით.

დაგნის სულში ცივი, შეურიგებელი ხმა გაისმოდა: „დაიმახსოვრე... ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად დაიმახსოვრე... ხშირად კი ვერ ხედავს ადამიანი ხორცშესხმულ ბოროტებას; შეხედე მას... დაიმახსოვრე; და ერთ დღესაც მიაგნებ სიტყვებს, მისი არსი რომ განსაზღვრო“... ეს ხმა სხვა ხმებს ახშობდა, რომლებიც ამაოდ გაიძახოდნენ: „სისულელეა, ეს ადრეც მომისმენია... ახლა ყველგან ასე ლაპარაკობენ,.

ეს ისევ იგივე, მოძველებული აზრია... მაგრამ რატომ არის ასეთი გაუსაძლისი...

ვერ ვუძლებ, ვერ ვუძლებ!“ აის — რა დაგემართათ, ჩემო გოგონა? ასე რატომ კანკალებთ? რა? ხმამაღლა ილაპარაკეთ, არაფერი არ მესმის... გეგმამ როგორ იმუშავა? სიამოვნებით გიამბობთ. ყველაფერი ძალიან ცუდად გამოვიდა და წლიდან წლამდე უფრო და უფრო უარესდებოდა. ადამიანებისადმი რწმენა საბოლოოდ დავკარგე. სულ რაღაც ოთხ წელიწადში გეგმა, რომელიც ცივი რაციონალური გაანგარიშებებით კი არა, წმინდათაწმინდა სიყვარულის, სუფთა გულის კარნახით შეიქმნა, გაკოტრების სასამართლო პროცესებით დასამარდა პოლიციელებისა და ადვოკატების სამარცხვინო საზოგადოებაში. მაგრამ მე ჩემს შეცდომას მივხვდი და გამოვასწორე ის. სამუდამოდ გავწყვიტე კავშირი მანქანებთან, მწარმოებლებთან, ფულთან, მატერიალურ ღირებულებებს დამონებულ სამყაროსთან. მე სულის ემანსიპაციას ვსწავლობ, როგორც ინდოეთის უდიდეს საიდუმლოებებშია განცხადებული, სულის გათავისუფლებას ხორცისგან, სულის ტრიუმფალურ გამარჯვებას ყველაფერ მატერიალურზე.

დამაბრმავებელი, სითეთრემდე გავარვარებული-ბრაზის. მიღმა დაგნი ხედავდა ბეტონის გრძელ ზოლს, რომელიც ადრე გზა იყო, ახლა კი ბზარებში ბალახს ამოეხეთქა, და კიდევ ადამიანის სილუეტს, რომელიც მიწას: კავით ხნავდა.

კი მაგრამ, ჩემო გოგონა, ხომ გითხარით — არ მახსოვს... მათი სახელები არ ვიცი. არც ერთის სახელი არ ვიცი, წარმოდგენა.არ მაქვს იმ ავანტიურისტებზე, რომლებსაც მამაჩემი, ამუშავებდა მაგ ლაბორატორიაში!.. არ მისმენდით?.. მიჩვეული არ ვარ ასეთ დაკითხვას... და ნუ იმეორებთ ერთსა და იმავეს, სხვა სიტყვები, გარდა „ინჟინრისა“, არ იცით?.. ჩემი გესმით საერთოდ?.. რა გემართებათ?.. არ მომწონს თქვენი სახე, თქვენ... თავი დამანებეთ. არ ვიცი, ვინ ხართ, თქვენთვის არაფერი დამიშავებია, მოხუცი ქალი ვარ; და ნუ მიყურებთ მასეთი თვალებით... მე... უკან დაიხიეთ! არ მომიახლოვდეთ, თორემ დავიყვირებ! მე... აჰ, დიახ; დიახ, რა. თქმა უნდა, ვიცი ის ტიპი! მთავარი ინჟინერი. დიახ. ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. დიახ.

უილიამ ჰეისტინგსი. ასე ერქვა — უილიამ ჰეისტინგსი. მახსოვს. ბრენდონში გადავიდა, ვაიომინგის შტატში. გეგმის განხორციელებას შევუდექით თუ არა, მეორე დღესვე მიატოვა სამსახური. მეორე ადამიანი იყო, ვინც დაგვტოვა „არა, არა, პირველი ვინ იყო, არ მახსოვს ვიღაც სრულიად უმნიშვნელო * * *

კარები შეჭაღარავებულმა ქალმა გაუღო, რომელსაც ისეთი თანდაყოლილი ღირსებით ეჭირა თავი, დაგნიმ მხოლოდ მერეღა შენიშნა, უბრალო საშინაო ხალათში რომ იყო გამოწყობილი.

— შემიძლია, მისტერ უილიამ ჰეისტინგსს ვესაუბრო? ჰკითხა დაგნიმ ქალმა სწრაფი მზერა შეავლო, ყურადღებით, ეჭვით, სერიოზულად შეჰყურებდა — ვინ ბრძანდებით?

— დაგნი ტაგარტი, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალიდან“.

— ო! შემობრძანდით, მის ტაგარტ. მე მისის უილიამ ჰეისტინგსი ვარ. — ამ ქალის მიერ წარმოთქმულ ყოველ ბგერაში, ერთგვარ გაფრთხილებასავით, თავაზიანი გაფაციცება იგრძნობოდა. ზრდილი კეთილგანწყობით იქცეოდა, თუმცა არ იღიმებოდა.

მოკრძალებული სახლი სამრეწველო ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა. სახლისკენ მიმავალ აღმართზე ხეების გატიტვლებული ტოტები ნათელ, ცივ ცაში აჭრილიყო. სასტუმრო ოთახის კედლებზე მოვერცხლისფრო-რუხი შპალერი იყო გაკრული, თეთრაბაჟურიანი სანათის ბროლის სადგამზე მზის სხივი დათამაშობდა; ღია კარში სამზარეულო მოჩანდა, კედლებზე თეთრი, წითელწინწკლებიანი შპალერი გაეკრათ.

— მის ტაგარტ, ჩემს ქმართან საქმიანი ურთიერთობა გაკავშირებდათ?

— არა, მისტერ ჰეისტინგს არ ვიცნობდი, მაგრამ ძალიან მინდა, დაველაპარაკო ერთ საკითხზე, რომელიც ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია — ჩემი ქმარი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, მის ტაგარტ.

დაგნის გული მოეწურა იმედგაცრუებისგან და თვალები დახუჭა; ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო: ესე იგი, ადამიანი, რომელსაც დაგნი ეძებდა, მართლაც აქ ცხოვრობდა, და რიერდენი არ შემცდარა, როდესაც ივარაუდა ის გარდაიცვალა, ამიტომაც აღმოჩნდა ძრავა ნაგვის გროვაში.

— ძალიან ვწუხვარ — უთხრა დაგნიმ მისის ჰეისტინგსს და საკუთარ თავსაც.

ოდნავ შესამჩნევი ღიმილში, რომელმაც რამდენადმე შეარბილა მისის ჰეისტინგსის სახის ნაკვთები, სევდა იგრძნობოდა, თუმცა სახეზე ტრაგედიის კვალი არ ეტყობოდა, მხოლოდ სიმტკიცე, ხვედრთან შეგუება და მშვიდი სიცხადე აღბეჭდვოდა.

— მისის ჰეისტინგს, თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ — რა თქმა უნდა: დაბრძანდით, გეთაყვა.

— თქვენი მეუღლის სამეცნიერო მუშაობის შესახებ თუ გსმენიათ რაიმე?

— ბევრი არაფერი, უფრო ზუსტად, არაფერი სახლში თავის სამუშაოზე არასოდეს ლაპარაკობდა.

— ის ერთ დროს „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ მთავარი ინჟინერი იყო, ასე არ არის?

— დიახ. მან ამ კომპანიაში თვრამეტი წელი იმუშავა.

— სწორედ ამაზე მინდოდა მისტერ ჰეისტინგსთან დალაპარაკება, მინდოდა, მეკითხა, რა მიზეზით წამოვიდა იქიდან თუ რაიმე იცით, იქნებ მითხრათ, რა მოხდა იმ ქარხანაში.

მისის ჰეისტინგსის სახეზე ერთდროულად სევდიანი და ირონიული ღიმილი გაკრთა:

— მე თვითონაც მინდა, ეგ ვიცოდე, — თქვა მან, — მაგრამ, ვშიშობ, ეს უკვე სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩა ჩემთვის. ვიცი, რატომაც წამოვიდა ქარხნიდან. ჯედ სტარნსის შთამომავლების მიერ დაწესებული შემზარავი შრომითი ორგანიზაციის გამო. ის ასეთ პირობებში და ასეთ ხალხთან ვერ იმუშავებდა. მაგრამ იქ კიდევ იყო რაღაც. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანიში“ რაღაც მოხდა, რაღაც ისეთი, რომელზეც ჩემს მეუღლეს ლაპარაკი არ სურდა.

— ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ხელჩასაჭიდი მინიშნებაც კი იმასთან დაკავშირებით, რაც იქ მოხდა.

— მიახლოებითაც კი არაფერი ვიცი. შევეცადე, გამერკვია, მაგრამ ბოლოს ხელი ჩავიქნიე. ვერაფერს მივხვდი. ერთი კი ზუსტად ვიცი, რომ რაღაც ნამდვილად მოხდა. როცა ჩემმა ქმარმა „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანი“ დატოვა, საცხოვრებლად აქ გადმოვედით და „აკმე მოტორსში“ დაიწყო მუშაობა საინჟინრო დეპარტამენტის უფროსად. იმ დროს ეს წარმატებული, მზარდი.კონცერნი იყო. ჩემს ქმარს მოსწონდა იქ მუშაობა. შინაგანი კონფლიქტები საერთოდ არ ახასიათებდა, თავის ქმედებებში არასოდეს დაეჭვებულა და საკუთარ თავთან ჰარმონიაში ცხოვრობდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ვისკონსინი დავტოვეთ, მთელი წელი მეჩვენებოდა, რომ რაღაც ტანჯავდა, თითქოს რომელიღაც პირადი, დაუძლეველი პრობლემა მოსვენებას არ აძლევდა. იმ წლის მიწურულს, ერთ დილას, ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ „აკმე მოტორსიდან“ წამოვიდა და მუშაობას აღარ. აპირებდა. მას უყვარდა თავისი სამუშაო. ეს მართლაც მისი ცხოვრების აზრი იყო. და მაინც, მშვიდი, თავდაჯერებული და ბედნიერი ჩანდა, პირველად მას შემდეგ, რაც აქ გადმოვედით. მთხოვა, არ მეკითხა ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი. მეც არაფერი „მიკითხავს და არც გამიპროტესტებია. ეს სახლი გვქონდა, ასევე დანაზოგი, სრულიად საკმარისი, რომ სიცოცხლის ბოლომდე მოკრძალებულად გვეცხოვრა. მიზეზი დღემდე არ ვიცი. აქ უხმაუროდ, მშვიდად და ბედნიერად ვცხოვრობდით. მეჩვენებოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო. ადრე არასოდეს მინახავს ასე უცნაურად მშვიდი და აუმღვრეველი.

მის საქციელში და მოქმედებებში უჩვეულოდ არაფერი მომჩვენებია; გარდა ერთისა — ხანდახან, ძალიან იშვიათად, სადღაც მიდიოდა და არ მეუბნებოდა, სად ან ვის სანახავად. სიცოცხლის ბოლო ორი წელი, ყოველ ზაფხულს ერთი თვით სადღაც მიემგზავრებოდა, სად, არ ამბობდა. სხვა მხრივ, ჩვეულებრივად ცხოვრობდა. ბევრს მუშაობდა, მთელ დროს დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევებს ანდომებდა ჩვენი სახლის სარდაფში. არ ვიცი, სად წაიღო თავისი ჩანაწერები და საექსპერიმენტო

მოდელები. მისი სიკვდილის შემდეგ მათ კვალსაც ვერ მივაგენი სარდაფში. ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, გულმა უღალატა, გულს ადრეც უჩიოდა.

დაგნიმ სრულიად უიმედოდ ჰკითხა:

— რა ექსპერიმენტებს ატარებდა, ხომ არ იცით?

— არა. ტექნიკაში საერთოდ ვერ ვერკვევი.

— ეგებ მის კოლეგებს ან თანამშრომლებს იცნობდით, რომელთაც შესაძლოა, რაიმე სცოდნოდათ მისი კვლევების შესახებ?

— არა. როცა „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანიში“ მუშაობდა, შინ ისე გვიან ბრუნდებოდა, რომ ერთმანეთთან ურთიერთობისთვის დრო ისედაც ძალიან ცოტა გვრჩებოდა, ამიტომ სხვებისთვის აღარ გვემეტებოდა. საზოგადოებრივი ცხოვრება საერთოდ არ გვქონია. და თანამშრომლებიც არასდროს დაუპატიჟებია სახლში.

— როცა „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანიში“ მუშაობდა, ოდესმე უხსენებია ძრავა, თავისი შექმნილი, სრულიად ახალი ტიპის ძრავა, რომელიც მრეწველობაში ნამდვილ რევოლუციას მოახდენდა?

— ძრავა? დიახ, დიახ. რამდენჯერმე ახსენა. ამბობდა, რომ ეს გამოგონება ფასდაუდებელი იყო, მაგრამ ეგ ძრავა მან კი არა, მისმა ახალგაზრდა თანაშემწემ შექმნა. როდესაც ქალმა დაგნის გამომეტყველება შენიშნა, აუჩქარებლად, ოდნავი სევდით უთხრა:

— მესმის... თქვენი.

— ოჰ, მაპატიეთ! — დაიბნა დაგნი, რადგან მიხვდა, რომ მოულოდნელი წარმატების წინათგრძნობა ღიმილად გარდაისახა და ეს ღიმილი ისეთივე უადგილო იყო, როგორც შვებით გამოწვეული ამოოხვრა.

— ყველაფერი გასაგებია. მესმის თქვენი. ამ ძრავის გამომგონებელს ეძებთ. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არავითარი საფუძველი არ მაქვს, საპირისპირო ვივარაუდო.

— ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი, რომ გავიგო, ვინ არის და ვიპოვო. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, მისის ჰეისტინგს. რა ჰქვია? — რა — არ ვიცი. არც მისი სახელი ვიცი და არც სხვა რაიმე მის შესახებ. ჩემი ქმრის გუნდიდან არავის არ ვიცნობდი. მხოლოდ ის ჰქონდა ნათქვამი, რომ ახალგაზრდა ინჟინერი ჰყავდა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მთელ სამყაროს გადაატრიალებდა. ჩემი მეუღლე ადამიანებში მხოლოდ ნიჭიერებას აფასებდა. მე მგონი, მას მხოლოდ ის ახალგაზრდა უყვარდა. ეს არასოდეს უთქვამს, მაგრამ მე ვხვდებოდი, იმის მიხედვით, თუ როგორ ლაპარაკობდა ხოლმე თავის თანაშემწეზე. მახსოვს, სწორედ იმ დღეს, როცა ძრავაზე მუშაობა თითქმის დაასრულეს, როგორი სიამაყით თქვა — არადა, ის ჯერ მხოლოდ ოცდაექვსი წლის არისო. ეს ჯედ სტარნსის გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მოხდა. მას შემდეგ ჩემთან აღარასდროს უხსენებია არც ძრავა და არც ის ახალგაზრდა თანაშემწე.

— ხომ არ იცით, რა ბედი ენია იმ ახალგაზრდა ინჟინერს?

— არა.

— იქნებ, სულ მცირე წარმოდგენა მაინც გაქვთ, სად შეიძლება მისი პოვნა?

— არა.

— ან, იქნებ, უმცირესი მინიშნება, რაიმე გასაღები გაიხსენოთ, რომელიც მის მოძებნაში დამეხმარება?

— არანაირი. მითხარით, ის ძრავა მართლაც ასეთი ფასდაუდებელია?

— იმაზე გაცილებით ფასდაუდებელი, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

— უცნაურია, იმიტომ რომ, იცით, ერთხელ, რამდენიმე წლის მერე, რაც ვისკონსინიდან წამოვედით, ჩემს მეუღლეს ვკითხე, რა დაემართა იმ გამოგონებას, ასე რომ აქებდი-მეთქი. მხოლოდ რაღაც უცნაურად შემომხედა და თქვა, არაფერიო.

— რატომ?

— არ მითხრა.

— ვერავის გაიხსენებთ, ვინც თუენთის სენჩერი მოტორსში მუშაობდა? ვინმეს ვინც იმ ახალგაზრდა ინჟინერს იცნობდა? ვინც მასთან მეგობრობდა?

— ვერა. მე... ერთი წუთით, დამაცადეთ, მგონი, რაღაც მახსენდება. ეგებ მისი ერთ-ერთი მეგობრის პოვნაში დაგეხმაროთ. ვერ გეტყვით, იმ ადამიანს რა ჰქვია, მაგრამ მისამართი ვიცი. ცოტა უცნაური ისტორიაა. აჯობებს, აგიხსნათ, როგორ მოხდა ყველაფერი. ერთ საღამოს, აქ გადმოსვლიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, ჩემი მეუღლე გასვლას აპირებდა, იმ საღამოს კი მანქანა მე მჭირდებოდა, ამიტომ მითხრა, მოგვიანებით მისთვის გამევლო და ვახშმის შემდეგ რკინიგზის სადგურის რესტორნიდან წამომეყვანა. მაშინ არ უთქვამს, ვისთან ერთად უნდა ევახშმა... როცა რესტორანთან მივედი, დავინახე, რომ ორ კაცთან ერთად იდგა. ერთერთი მათგანი ახალგაზრდა და მაღალი იყო. მეორე ცოტა ხნიერი, მაგრამ ძალიან ღირსეული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. იმ ორს დღესაც კი ვიცნობ. ასეთი სახეების დავიწყება შეუძლებელია. როცა ჩემმა ქმარმა დამინახა, მათ დაემშვიდობა. ისინი რკინიგზის პლატფორმისკენ წავიდნენ, მატარებელი უკვე ახლოვდებოდა.

ჩემმა მეუღლემ ახალგაზრდა კაცისკენ გაიშვირა ხელი და მითხრა: ხედავ მას? აი, ეგ ის ბიჭია, მე რომ გიყვებოდიო. ვინ დიდი გამომგონებელი-მეთქი, ვკითხე, სწორედ ეგო, ასე მიპასუხა.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— არაფერი. ეს ცხრა წლის წინ იყო. გასულ გაზაფხულზე, ჩემს ძმას ვესტუმრე შაიენში. ერთხელ სასეირნოდ წამიყვანა. სრულიად მიყრუებულ ადგილს მივადექით, სადღაც კლდოვან მთებში, და გზისპირა კაფეში შევედით წასახემსებლად.

დახლთან წარმოსადეგი ჭაღარა კაცი იდგა. სანამ სენდვიჩებსა და ყავას გვიმზადებდა, თვალს არ ვაშორებდი, იმიტომ, რომ მისი სახე მეცნო, მაგრამ უცებ ვერ გავიხსენე, საიდან. როცა გზა გავაგრძელეთ და კაფეს უკვე რამდენიმე მილით გავცდით, მერეღა გამახსენდა... ასე რომ, აჯობებს, იქ წახვიდეთ. ეს კაფე მთებშია, შაიენის დასავლეთით, 86-ე გზაზე, პატარა ინდუსტრიულ დასახლებასთან ახლოს, „ლენოქს კოპერ ფაუნდრის“ გვერდით. უცნაურად ჟღერს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმ კაფეში სწორედ ის კაცი მუშაობს, რომელიც მაშინ რკინიგზის სადგურში ჩემი ქმრის ახალგაზრდა კუმირთან ერთად დავინახე.

* * *

კაფე გრძელი, ციცაბო აღმართის თავზე იდგა. მინის კედლები თვალის მომჭრელად ელვარებდა კლდეებისა და დაისისკენ უსწორმასწორო რიგებად გადახრილი ფიჭვების ფონზე ქვემოთ ბნელოდა, მაგრამ კაფეში ჯერ. კიდევ თანაბარი, სუსტი შუქი ენთო — ზღვის მიქცევის შემდეგ ნაპირზე დარჩენილი წყნარი გუბესავით დაგნი ბარის განაპირას იჯდა და სენდვიჩს შეექცეოდა.

ასეთი გემრიელი არასოდეს არაფერი მოსჩვენებია. ეს სენდვიჩი მარტივი ინგრედიენტებით, მაგრამ არაჩვეულებრივი ოსტატობით მოემზადებინათ. იქვე ორი მუშა სადაც იყო, ვახშმობას დაასრულებდა. დაგნი მათ წასვლას უცდიდა.

დახლს იქით მდგარ მამაკაცს ყურადღებით უყურებდა. მაღალი და წარმოსადეგი კაცი იყო, თითქოსდა ღირსების საბურველში გახვეული, ძველი ციხე-კოშკის

ბინადარს ან ბანკის ინტერიერს რომ უფრო შეეფერებოდა, თუმცა მისი განსაკუთრებულობა ამ გარემოსაც სრულად შეესატყვისებოდა. მზარეულის თეთრი უნიფორმა ფრაკივით ეცვა. ნამდვილი ოსტატისთვის დამახასიათებელი, თავდაჯერებული მოძრაობები ჰქონდა — მსუბუქი და გააზრებულად ეკონომიური. ხმელი სახე და ჭაღარა თმა გასაოცარი ჰარმონიულობით ეხამებოდა ცივ ცისფერ თვალებს, მაგრამ მკაცრი თავაზიანობის მიღმა ირონიის მსუბუქი ნიშანი იგრძნობოდა, ოღონდ იმდენად შეუმჩნეველი, რომ უკვალოდ ქრებოდა, როგორც კი ვინმე მის ჩაწვდომას შეეცდებოდა.

მუშებმა ივახშმეს, გადაიხადეს და გავიდნენ, თითოეულმა დამატებით ათცენტიანი დატოვა. დაგნი უყურებდა, როგორ აიღო მათი თეფშები მამაკაცმა და როგორ ჩაიდო ეს ათცენტიანები თეთრი უნიფორმის ჯიბეში; როგორი ზუსტი და მოხერხებული მოძრაობებით გადაწმინდა დახლი. მერე დაგნისკენ მოტრიალდა და გულგრილად შეხედა. მისი მზერა გამოლაპარაკების სურვილს არ გამოხატავდა. მაგრამ დაგნი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ მამაკაცს დიდი ხნის შემჩნეული ჰქონდა მისი ნიუ-იორკული საქმიანი კოსტიუმი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, იერი, იმ ქალის იერი, რომელსაც დროის ფუჭად ფლანგვა არ სჩვევია; მისი ცივი, გამჭრიახი თვალები თითქოს დაუფარავად ეუბნებოდნენ დაგნის, რომ შესანიშნავად ხვდებოდა — სტუმარი იქაური არ იყო, და ელოდებოდა, თვითონ როდის გაუმხელდა მისვლის მიზეზს.

— როგორ მიდის თქვენი საქმეები? ჰკითხა დაგნიმ.

— საკმაოდ ცუდად. შემდეგ კვირას „ლენოქს ფაუნდრის“ დახურვას აპირებენ, ასე რომ, მეც მომიწევს დავხურო ჩემი კაფე და აქედან გადავიდე, — მკაფიოდ, პროფესიული თავაზიანობით უპასუხა მან.

— სად?

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

— მერე რას აპირებთ?

— არ ვიცი. ავტოფარეხის გახსნაზე ვფიქრობ თუ რომელიმე ქალაქში შესაფერის ადგილს ვნახავ.

— ო, არა, თქვენ მეტისმეტად კარგად იცით თქვენი საქმე, რომ ის შეიცვალოთ მზარეულობაზე უარი არასოდეს უნდა თქვათ.

მამაკაცის ტუჩებს უცნაური ღიმილი დაეტყო.

— მართლა ასე ფიქრობთ? — თითქოს ოდნავ დაძაბულმა იკითხა მან.

— რა თქმა უნდა! ნიუ-იორკში მუშაობაზე რას იტყოდით? — მზარეულმა გაკვირვებით შეხედა, — სერიოზულად გეუბნებით. შემიძლია, დიდ რკინიგზაზე მოგცეთ სამსახური — ვაგონ-რესტორნის უფროსის ადგილი.

— შემიძლია, შევიტყო ამ მოულოდნელი წინადადების მიზეზები?

დაგნიმ თეთრ ხელსახოცში გახვეული სენდვიჩი აიღო თეფშიდან:

— აი, ერთ-ერთი მიზეზი.

— გმადლობთ. სხვა რა მიზეზებია?

— არა მგონია, დიდ ქალაქებში არ გეცხოვროთ და არ იცოდეთ, რამდენად რთულია კომპეტენტური, მცოდნე ადამიანის პოვნა ნებისმიერი სამუშაოსთვის.

— ეს ჩემთვისაც ნაცნობი პრობლემაა.

— მართლა? ესე იგი, ჩემი გესმით. რას იტყვით ნიუ-იორკში მუშაობაზე, წელიწადში ათი ათასი დოლარის შემოსავლით?

— არ გამოვა.

დაგნი, აღტაცებული, მშვენიერი შემთხვევით, რომ ნამდვილ ოსტატს მიაგნო და მისი ღირსეულად დაჯილდოება შეეძლო, გაოგნებული იყო:

— მე მგონი, თქვენ ვერ მიმიხვდით, — თქვა მან.

— შესანიშნავად მიგიხვდით.

— უარს ამბობთ ასეთ შესაძლებლობაზე?

— დიახ.

— კი მაგრამ, რატომ?

—ეს ჩემი პირადი საქმეა.

— აქ რატომ უნდა ჩარჩეთ, როცა უკეთესი სამსახურის მოძებნა შეგიძლიათ?

— უკეთეს სამსახურს არ ვეძებ.

— არ გსურთ, წინსვლისა და მეტი ფულის შოვნის შესაძლებლობა მოგეცეთ?

— არა. მაინც, ასე დაჟინებით რატომ ცდილობთ, დამიყოლიოთ?

— იმიტომ, რომ ვერ ვიტან, როცა ადამიანი თავის უნარს ფუჭად ფლანგავს მზარეულმა ნელა და გულწრფელად თქვა — ვერც მე.

ეს ორი სიტყვა ისე წარმოთქვა, რომ დაგნიმ მასთან ღრმა სულიერი ნათესაობა იგრძნო და ამ შეგრძნებამ დაარღვევინა დაუწერელი კანონი — არავისთან არაფერზე არ დაეჩივლა.

— ისინი უბრალოდ გულს მირევენ! — თქვა დაგნიმ და თავადვე შეაშინა საკუთარმა ხმამ, თითქოს უნებლიეთ აღმომხდარმა სულის კივილმა, — მომენატრა ისეთი ადამიანის დანახვა, ვისაც მართლა შესწევს უნარი, აკეთოს, ის, რასაც ხელი მოჰკიდა!

დაგნიმ თვალებზე ხელი აიფარა, ცდილობდა გამკლავებოდა მოზღვავებულ სასოწარკვეთილებას, რომელსაც საკუთარ თავსაც არ უმხელდა. ვერც კი წარმოედგინა, როგორ გამოეფიტა ამ თავგანწირულ ძიებას — ძალიან ვწუხვარ, — ხმადაბლა თქვა კაფეს მეპატრონემ თუმცა ეს სიტყვები ბოდიშივით კი არა, უფრო გულწრფელი თანაგრძნობასავით გაისმა.

დაგნიმ თავი ასწია და შეხედა. მამაკაცმა გაიღიმა და დაგნი მიხვდა, რომ ეს ღიმილი მათ შორის არსებულ იმ კავშირს არღვევდა, რომელიც მამაკაცმაც შენიშნა ამ ღიმილში თავაზიანი ირონია იგრძნობოდა.

— მაგრამ არ მჯერა, რომ მთელი ეს გზა, ნიუ-იორკიდან კლდოვან მთებამდე მხოლოდ რკინიგზის მზარეულის მოსაძებნად გამოიარეთ.

— არა, სხვა მიზნით ჩამოვედი. — თქვა დაგნიმ, ორივე ხელით დახლს დაეყრდნო და წინ გადაიწია. ისევ დაუბრუნდა ცივი თავდაჯერება ღირსეული მოწინააღმდეგის პირისპირ, — ხომ არ იცნობდით დაახლოებით ათი წლის წინ ახალგაზრდა ინჟინერს რომელიც მაშინ „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანიში“ მუშაობდა?

პაუზა წამები გაგრძელდა; დაგნის ვერ გაეგო მისკენ მოპყრობილი განსაკუთრებულად დაჟინებული და ფრთხილი მზერის აზრი.

— დიახ, ვიცნობდი, — უპასუხა მზარეულმა.

— შეგიძლიათ, მისი სახელი და მისამართი მომცეთ?

— რისთვის?

— მე ის აუცილებლად უნდა მოვძებნო.

— ის კაცი? მაინც, რითია ასეთი მნიშვნელოვანი?

— ახლა ის სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია.

— მართლა? რატომ?

— იცოდით რაიმე მისი საქმიანობის შესახებ?

— დიახ.

— იცოდით, რომ ამქვეყნად ყველაზე ფასდაუდებელ იდეას მიაგნო?

მამაკაცი წამით შეყოვნდა:

— შემიძლია, გკითხოთ, ვინ ბრძანდებით?

— დაგნი ტაგარტი. მე ვიცე-პრეზ...

— დიახ, მის ტაგარტ, ვიცი, ვინც ხართ.

მართალია, თანამოსაუბრემ ეს სიტყვები წმინდა ოფიციალური პატივისცემით წარმოთქვა, თუმცა დაგნის მოეჩვენა, თითქოს მან როგორც იქნა, მიაგნო გულის გამაწვრილებელი გამოცანის პასუხს და ეჭვებისგან გათავისუფლდა.

— მაშინ, ალბათ გესმით, რომ ჩემი დაინტერესება უსაფუძვლო არ არის. მზად ვარ, მას საჭირო შანსი მივცე და იმდენი გადავუხადო, რამდენსაც მომთხოვს.

— შემიძლია, გკითხოთ, მაინც რამ გამოიწვია თქვენი ინტერესი?

— მისმა ძრავამ.

— როგორ შეიტყვეთ მისი ძრავის შესახებ?

— ისე მოხდა, რომ „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ ნანგრევებში ამ ძრავის დამსხვრეული მოდელი ვიპოვე, იმდენად დაზიანებული, რომ მისი რესტავრირება ან კონსტრუქციის ბოლომდე გაგება შეუძლებელია, თუმცა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მისი მუშაობის პრინციპისა და იმის გასაგებად, რომ ამ გამოგონებას ჩემი რკინიგზის, მთელი ქვეყნისა და მთლიანად სამყაროს გადარჩენა შეუძლია. ოღონდ, ნუ მომთხოვთ, გიამბოთ, რა გზა გამოვიარე, ამ ძრავის შემქმნელისთვის რომ მიმეკვლია. ამას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ახლა მნიშვნელობა ჩემს სიცოცხლესა და ჩემს საქმიანობასაც აღარ აქვს..: ახლა ჩემთვის ერთადერთი რამ არის მნიშვნელოვანი — მე ის უნდა ვიპოვო. არ მკითხოთ, როგორ მოგაგენით. ძიების ჯაჭვი თქვენთან წყდება. მითხარით მისი სახელი.

მამაკაცი უსმენდა, გარინდებული პირდაპირ თვალებში უყურებდა; მისი ყურადღებიანი მზერა თითქოს თითოეულ სიტყვას ისრუტავდა და სადღაც ფრთხილად ინახავდა არქივში, ისე, რომ დაგნისთვის გაუგებარი დარჩენილიყო, თუ რატომ აკეთებდა ამას. კარგა ხანს ადგილზე გაქვავდა, შემდეგ თქვა:

— თავი დაანებეთ ძებნას, მის ტაგარტ. თქვენ მას ვერ იპოვით.

— რა ჰქვია?

— მე უფლება არ მაქვს, მის შესახებ გიამბოთ.

— ცოცხალია?

— ვერაფერს გეტყვით.

— თქვენ რა გქვიათ?

— ჰიუ ექსტონი.

ლამის სიგიჟის ზღვარზე მყოფი, სრულიად გაოგნებული დაგნი უხმო და აუხსნელ ელდას ებრძოდა და საკუთარ თავს უმეორებდა: შენ ისტერიკაში ხარ...

არა, ეს უბრალოდ რაღაც სისულელეა... ეს მხოლოდ დამთხვევაა... — თუმცა შესანიშნავად იცოდა, წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ მის წინ თვით ჰიუ ექსტონი იდგა.

— ჰიუ ექსტონი? — ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა დაგნიმ, — ფილოსოფოსი?..

უკანასკნელი გონების დამცველთაგან?

— დიახ, — თავაზიანად უპასუხა მან, — ან მათი დაბრუნების პირველი მაუწყებელი.

დაგნის მიერ განცდილ გაოგნებას ის სულაც არ გაუკვირვებია, თუმცა ეს აშკარად ზედმეტად ეჩვენებოდა.

უშუალოდ და მეგობრულად ეჭირა თავი. საკუთარი ვინაობის დამალვა საჭიროდ არ მიუჩნევია და არც სინანული დასტყობია, მისი. სახელი რომ გამჟღავნდა.

— არ მეგონა, თუ დღეს ისეთ ახალგაზრდა ქალბატონს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ჩემი სახელი ეცოდინებოდა ან მას რაიმე მნიშვნელობას მიანიჭებდა. — თქვა ექსტონმა.

— კი მაგრამ... აქ რას აკეთებთ? — ხელი მოავლო დაგნიმ იქაურობას, — ამას ხომ არავითარი აზრი არ აქვს!

— დარწმუნებული ხართ?

— რა არის ეს? ხუმრობა? ექსპერიმენტი? საიდუმლო მისია? ან, იქნებ რაიმე განსაკუთრებულ კვლევებს ატარებთ?

— არა, მის ტაგარტ. ამით თავს ვირჩენ. — გაისმა პასუხად, რომლის გულწრფელობაში დაეჭვება უბრალოდ შეუძლებელი იყო.

— დოქტორო ექსტონ, მე... ეს წარმოუდგენელია. თქვენ... თქვენ ხომ ფილოსოფოსი ხართ... უდიდესი ფილოსოფოსი ცოცხალთაგან თქვენ ხომ საკუთარი სახელი უკვდავყავით... რატომ აკეთებთ ამ ყველაფერს?

— იმიტომ, რომ მე ფილოსოფოსი ვარ, მის ტაგარტ.

სრულიად სასოწარკვეთილმა დაგნიმ იგრძნო, როგორ გაცამტვერდა მისი სიჯიუტე და თავდაჯერებულობა: ეს ადამიანი მას არაფრით არ დაეხმარებოდა, ყველა კითხვა უპასუხოდ დარჩებოდა, ის დაგნის ერთ სიტყვასაც არ ეტყოდა — არც გამომგონებლის და არც თავისი შემდგომი ბედის შესახებ.

— თქვენი ძიება დასრულებულია, მის ტაგარტ, — ხმადაბლა უთხრა ექსტონმა, თითქოს უდასტურებდა, — დაგნი ასეც ვარაუდობდა, რომ ექსტონს მისი აზრების წაკითხვა შეეძლო, — ეს უიმედო ძიებაა, მით უმეტეს, რომ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა განუხორციელებელ საქმეს შეეჭიდეთ. გირჩევთ, ამაოდ ნუ გაირჯებით, თავს ნუ დაიღლით არგუმენტებისა და ხერხების მოფიქრებით, თქვენთვის საჭირო ინფორმაცია რომ დამაცდენინოთ. ნუ შეეცდებით, გადამათქმევინოთ. ენდეთ ჩემს სიტყვას: ეს შეუძლებელია. თქვენ თქვით, რომ ძიების ჯაჭვი ჩემთან წყდება. ეს ჩიხია, მის ტაგარტ. და ნურც გამოძიების სხვა, ჩვეულებრივ ხერხებზე და მეთოდებზე დახარჯავთ დროსა და ფულს. საჭირო არ არის დეტექტივების დაქირავება. ისინი ვერაფერს შეიტყობენ. თქვენ უფლება გაქვთ, ჩემი გაფრთხილება ყურად არ იღოთ, მაგრამ მე ვფიქრობ, განსაკუთრებული ინტელექტით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით, რომელიც უნდა ხვდებოდეს, რომ ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. დაანებეთ თავი. საიდუმლო, რომლის ამოხსნასაც ცდილობთ, რაღაც უფრო დიდს უკავშირდება — არსებითად უფრო დიდს, ვიდრე ატმოსფერული ელექტრობით მართული ძრავის გამოგონებაა. მხოლოდ ერთი სასარგებლო მინიშნების შემოთავაზება შემიძლია: ყოფიერების არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, წინააღმდეგობების არსებობა შეუძლებელია. თუკი დაუჯერებლად მიგაჩნიათ, რომ გენიალური გამოგონება ნანგრევებს შორის ეგდოს, ფილოსოფოსს კი სასადილოში მზარეულად მუშაობა მოუნდეს, თქვენი წინაპირობები შეამოწმეთ და აღმოაჩენთ, რომ შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი მცდარი გამოდგეს.

დაგნი შეკრთა. გაახსენდა, რომ ეს სიტყვები ადრეც მოუსმენია, და ისინი ფრანცისკო დ'ანკონიამ უთხრა თანაც, მის წინაშე ფრანცისკოს ერთ-ერთი მასწავლებელი იდგა.

— როგორც გენებოთ, დოქტორო ექსტონ — უპასუხა დაგნიმ — მეტს ამის შესახებ აღარაფერს შეგეკითხებით. მაგრამ, ნებას მომცემთ, რომ კითხვა სრულიად სხვა თემაზე დაგისვათ?

— რა თქმა უნდა.

— დოქტორმა რობერტ სტადლერმა ერთხელ მითხრა, რომ როცა თქვენ პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტში ასწავლიდით, სამი საყვარელი სტუდენტი გყავდათ, სამი ბრწყინვალე ახალგაზრდა კაცი, რომელთაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდით. ერთ-ერთი მათგანი ფრანცისკო დ'ანკონია იყო.

— დიახ. მეორე რაგნარ დანეშოლდი გახლდათ.

— მესამე ვინ იყო?

— მისი სახელი თქვენ არაფერს მოგცემთ ის ცნობილი არ გამხდარა — დოქტორ სტადლერმა თქვა, რომ თქვენ ამ სტუდენტების გამო ერთმანეთს ეჯიბრებოდით, რადგან მათ საკუთარ შვილებად აღიქვამდით.

— ვეჯიბრებოდით? აბა, მას რა შეეძლო... სტადლერმა წააგო შეჯიბრი.

— მითხარით, დღესაც გეამაყებათ ეს ახალგაზრდები?

ექსტონი დაისს გაჰყურებდა, რომელიც შორეული მთების კალთებზე ინავლებოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მამას, ვისი ვაჟებიც ბრძოლის ველზე სისხლისგან იცლებიან.

— მეამაყება, თანაც, იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი. — უთხრა მან დაგნის.

უკვე თითქმის ჩამობნელდა. ექსტონი მკვეთრად შეტრიალდა, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ერთ ღერს დასწვდა, მაგრამ უცებ შეჩერდა, თითქოს წამით დაავიწყდა, იქ დაგნიც რომ იყო, მერე კი ისევ გაახსენდა. შემდეგ კოლოფი გაუწოდა. დაგნიმ სიგარეტი აიღო. ექსტონმა ასანთს გაჰკრა და მაშინვე ჩააქრო. შემინულ ოთახში და მის მიღმა სივრცეში ორად ორი მოელვარე წერტილი ენთო.

დაგნი ადგა, ანგარიში გაასწორა:

— გმადლობთ, დოქტორ ექსტონ, თავს არ შეგაწყენთ მუდარით, არც ხრიკებით.

დეტექტივებსაც არ დავიქირავებ. მაგრამ მოვალე ვარ, გითხრათ, რომ მე არ დავნებდები და იმ ძრავის გამომგონებლის ძებნას გავაგრძელებ. და მე მას ვიპოვი.

— ეს მხოლოდ იმ დღეს მოხდება, როცა თვითონ გადაწყვეტს თქვენთან შეხვედრას.

როცა დაგნი მანქანისკენ წავიდა, ექსტონმა დარბაზში შუქი აანთო და დაგნიმ გზის პირას მდგარი საფოსტო ყუთი დაინახა. სრულიად დაუჯერებელი დეტალი შენიშნა: „ჰიუ ექსტონი“ — სწორედ ასე ეწერა ყუთზე.

დაგნიმ კარგა მანძილი გაიარა მიხვეულ-მოხვეულ გზაზე და კაფეტერიის აბრაც უკვე კარგა ხნის მოტოვებული ჰქონდა უკან, როცა ყურადღება მიაქცია, როგორ ესიამოვნა ექსტონის მიერ მიცემული სიგარეტის გემო. ის ყველა იმ სიგარეტისგან განსხვავდებოდა, რაც აქამდე მოუწევია. ნამწვი სინათლესთან მიიტანა, მწარმოებლის სახელი რომ წაეკითხა. სახელწოდება არ ეწერა. მხოლოდ სავაჭრო ნიშანი იყო გამოსახული: თეთრ, თხელ ფურცელზე დაშტამპული დოლარის ოქროსფერი ნიშანი.

ინტერესით დააკვირდა ლოგოს: ასეთი აქამდე არასოდეს ენახა.

შემდეგ „ტაგარტ ტერმინალში“, ანუ, როგორც ადრე ეძახდნენ, ტაგარტის ვაგზალზე მდებარე სიგარეტის ჯიხურის მოხუცი გაახსენდა, გაეღიმა და გაიფიქრა, რომ ამ ექსპონატს მას წაუღებდა კოლექციისთვის. სიგარეტი ჩააქრო და ნამწვი

ჩანთაში ჩაიდო. მატარებელი №57 უაიატის სადგურისკენ გასამგზავრებლად უკვე ხაზზე იდგა, როცა დაგნიმ შაიენს მიაღწია, მანქანა იმ ფარეხში დატოვა, სადაც იქირავა და ტაგარტის სადგურის პლატფორმაზე გავიდა. აღმოსავლეთით მიმავალი ნიუ-იორკის ექსპრესის გამოჩენამდე ნახევარი საათი უნდა მოეცადა. პლატფორმა ბოლომდე გაიარა და გაჩერდა. დაღლილი განათების ბოძს მიეყრდნო; არ უნდოდა, სადგურის მუშებს შეემჩნიათ და ეცნოთ. ნახევრად ცარიელ პლატფორმაზე ადამიანები ჯგუფებად შეკრებილიყვნენ. გაცხოველებულ საუბარში ჩვეულებრივზე ხშირად ახსენებდნენ გაზეთებს.

მატარებელ №57-ის განათებულ ფანჯრებს შეხედა, რომლებიც სიმყუდროვეს დასვენებას, დიად მიღწევებს ახსენებდა და ცოტაოდენ შვებას ჰგვრიდა. ეს მატარებელი სადაც იყო, „ჯონ გოლტის ხაზით“ ქალაქს გაივლიდა, შემდეგ მთის ციცაბო ფერდობებსა და შუქნიშნების მწვანე შუქებს ჩაუქროლებდა, ველებს, სადაც ოდესღაც მოზეიმე ადამიანები იყვნენ შეკრებილი და ზაფხულის ცაში რაკეტებს უშვებდნენ. ახლა მატარებლის სახურავზე ხეების ტოტები და მათზე შემორჩენილი უკანასკნელი შემჭკნარი ფოთლები გადმოკიდებულიყვნენ, მგზავრები კი ბეწვეულში და თბილ კაშნეებში გახვეულიყვნენ. მათთვის მატარებელი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბად ქცეულიყო, გამგზავრებას ისე აღიქვამდნენ, როგორც მოცემულობას...

„ჩვენ ეს გავაკეთეთ“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „ეს მაინც ხომ შევძელით“.

თითქმის ჩაიკეტა საკუთარ თავში, როდესაც მისი ყურადღება შემთხვევით ზურგს უკან მდგარი ორი მამაკაცის გაცხარებულმა კამათმა მიიპყრო:

— მაგრამ კანონებს ასე არ უნდა იღებდნენ, ასე ნაჩქარევად... მეტისმეტად ჩქარობენ! — ეს ხომ კანონები არაა, ეს დირექტივებია.

— მაშინ ისინი უკანონოა.

— უკანონო არ არის, რადგან კანონმდებლებმა გასულ თვეში მიიღეს კანონი, რომელიც მათ ამ დირექტივების გამოცემის უფლებამოსილებას ანიჭებთ.

— სულერთია. არა მგონია, სწორი იყოს, ხალხს დირექტივები ასე დაატეხო თავზე... მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით...

— რას იზამ, როცა საქმე ეროვნულ ინტერესებს ეხება, ყბედობის დრო არ არის — მაგრამ მაინც არა მგონია, ეს სამართლიანი იყოს, თანაც რაღაც უაზრობა გამოდის! რა უნდა ქნას რიერდენმა, როცა აქ ნათქვამია, რომ...

— რიერდენზე რატომ დარდობ? ის ისედაც საკმაოდ მდიდარია როგორმე გამოძვრება.

დაგნი უახლოესი ჯიხურისკენ გაქანდა და საღამოს გაზეთი იყიდა.

ყველაფერი პირველივე გვერდზე ეწერა, ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროს მთავარმა კოორდინატორმა, უესლი მაუჩმა, — წერდა გაზეთი, — ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა და საერთო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამოსცა რიგი დირექტივებისა...

რკინიგზებს ქვეყნის მასშტაბით ნაბრძანები ჰქონდათ, მაქსიმალური სიჩქარე საათში სამოც მილამდე დაეწიათ, ხოლო მატარებლის შემადგენლობაში ვაგონების რიცხვი სამოცამდე შეემცირებინათ, ამას გარდა, ყოველ მომიჯნავე ხუთ შტატში მატარებლების თანაბარი რაოდენობა უნდა გაეშვათ. საგანგებოდ ამ მიზნისთვის, ქვეყანას შესაბამის ზონებად დაყოფდნენ.

ქვეყნის ყველა ფოლადსადნობ ქარხანას მიეცა მითითება, ნებისმიერი მეტალის შენადნობის მაქსიმალური წარმოება შეეზღუდა იმ მოცულობამდე, რომელსაც იმავე

სიმძლავრის სხვა ქარხნები აწარმოებდნენ და საკუთარი პროდუქციის თანაბარი წილი მიეწოდებინა ყველა იმ მომხმარებლისთვის, ვისაც მისი შეძენა მოესურვებოდა.

ქვეყნის ნებისმიერ საწარმოს, სიდიდისა და შინაარსის მიუხედავად, ეკრძალებოდა ადგილის შეცვლა და წარმოების სხვა შტატში გადატანა, ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროს ნებართვის გარეშე.

ქვეყნის რკინიგზების დამატებითი ხარჯების კომპენსირების მიზნით და „გარდაქმნის პროცესების შესამსუბუქებლად“, გამოცხადდა ხუთწლიანი მორატორიუმი პროცენტებისა და ძირის გადახდაზე სარკინიგზო კომპანიების ობლიგაციებზე — კონვერტირებულზე და არაკონვერტირებულზე, უზრუნველყოფილზე და არაუზრუნველყოფილზე.

იმ ჩინოვნიკების შესანახი საჭირო თანხების მოსაპოვებლად, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ აღნიშნული დირექტივების შესრულებისთვის, კოლორადოს შტატს, როგორც ყველაზე ძლიერსა და ყველაზე მომზადებულს ექსტრემალური სიტუაციის მთელი სიმძიმის გასაძლებად, განსაკუთრებული გადასახადი დაეკისრა — კოლორადოს სამრეწველო კონცერნების პროდუქციის გაყიდვების ხუთი პროცენტი.

და დაგნის განწირული ხმა აღმოხდა. ამგვარი სიტყვების წარმოთქმას აქამდე საკუთარი სიამაყე უკრძალავდა, რომელიც აიძულებდა, დამოუკიდებლად მოენახა გამოსავალი ნებისმიერ სიტუაციაში... მისგან რამდენიმე ნაბიჯში მამაკაცი იდგა. ვერც შეამჩნია, ჩვეულებრივი მაწანწალა თუ იყო. მხოლოდ იმიტომ შეჰყვირა, რომ ეს ყველაფერი დაუჯერებელ აბსურდად მოეჩვენა, ის კი შემთხვევით აღმოჩნდა იქვე:

— ახლა რაღა გვეშველება?

მაწანწალამ უსულგულოდ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა:

— და ვინ არის ჯონ გოლტი?

ასეთი თავზარდაცემული „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ გამო არ ყოფილა, არც ჰენკ რიერდენის გამო, რომელსაც ეს დირექტივები ნაწილ-ნაწილ დაფლეთდა — დაგნი ელის უაიატის გამო წუხდა. ამ წუხილმა სხვა ყველაფერი გადაფარა, სიმწვავე და მნიშვნელობა დაუკარგა. თვალწინ ორად ორი სურათი ედგა: მის მაგიდასთან მდგარი უდრტვინველი ელის უაიატი, რომელიც რისხვით ეუბნებოდა: „ახლა თქვენ შეგიძლიათ, გამანადგუროთ. იქნებ იძულებული გავხდე, წავიდე; მაგრამ თუ წავალ, შევეცდები, ყველა თან გაგიყოლოთ“; და ის გააფთრება ელის უაიატის მოძრაობებში, როდესაც მან ჭიქა შეამსხვრია კედელს.

ეს სურათები ერთადერთ შეგრძნებას უჩენდა სულში — მოახლოებული წარმოუდგენელი კატასტროფის წინათგრძნობას, და კიდევ იმას, რომ მან ეს უნდა აღკვეთოს და შეაჩეროს. ელის უაიატი უნდა მონახოს და შეაჩეროს. რა უნდა აეცილებინა თავიდან, არ იცოდა, იცოდა მხოლოდ, რომ უაიატი უნდა შეეჩერებინა.

და რაკი მტკიცედ ახსოვდა, რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობა მოქმედება იყო — თუნდაც შენობის ნანგრევებქვეშ მოყოლილიყო, ან საჰაერო თავდასხმისას ნაფლეთებად ქცეულიყო, რაც არ უნდა ეგრძნო და განეცადა, — დაგნი პლატფორმაზე გაიქცა და როდესაც სადგურის უფროსს მოჰკრა თვალი, დაუყვირა:

— №57-ის გასვლა შეაყოვნეთ, გიბრძანებთ! — შემდეგ უახლოეს სატელეფონო ჯიხურთან მიირბინა და საქალაქთაშორისო ოპერატორს ელის უაიატის სახლის ტელეფონის ნომერი უკარნახა.

იდგა. თვალები დახუჭული ჰქონდა. ტელეფონის ჯიხურის კედელს მიჰყრდნობოდა. მეტალის უსიცოცხლო შრიალს უსმენდა, რომელიც შორეულ

ზუმერად გარდაიქმნებოდა, მაგრამ არავინ პასუხობდა. ზუმერი თითქოს ყურიდან სპაზმებად ვრცელდებოდა მთელ მის სხეულში და აძაგძაგებდა.

ყურმილს ისე დააკვდა თითებით, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს, უაიატი რომ არ პასუხობდა. სულ დაავიწყდა, რომ ზარი, რომელიც თვითონ ესმოდა, სულაც არ იყო ის, რაც ახლა უაიატის სახლში გაისმოდა. ვერც კი ამჩნევდა, როგორ ყვიროდა:

„ელის, არ გინდა! არა, არა!“ — ვიდრე ოპერატორის ცივი, საყვედურიანი ხმა არ მოესმა ყურმილში: „თქვენი აბონენტი არ პასუხობს“.

მატარებელ №57-ის ვაგონში, ფანჯარასთან, რიერდენ მეტალის რელსებზე მიმავალი ბორბლების გუგუნს უსმენდა, მორჩილად აყოლილი ვაგონის“ მოძრაობის ტაქტს. ბნელი მოლაპლაპე მინების მიღმა გადაშლილი პეიზაჟისკენ გახედვაც არ სურდა. ეს მისი მეორე მგზავრობა იყო „ჯონ გოლტის ხაზით“, და ცდილობდა, პირველი არ გაეხსენებინა.

„ჯონ გოლტის ხაზის“ აქციონერებმა ხომ წლების თავდაუზოგავი შრომით ნაშოვნი და დაზოგილი თავიანთი ფული ჩემს პატიოსნებას ანდეს, ფიქრობდა დაგნი, — ჩემს ნიჭიერებას ენდნენ, ჩემი შრომისმოყვარეობის იმედი ისევე ჰქონდათ, როგორც საკუთარის“. დაგნიმ კი მათ იმედები გაუცრუა, უღალატა, ბანდიტების ხაფანგში შეიტყუა: აღარ იქნება არც მატარებლები, არც ტვირთმზიდები; „ჯონ გოლტის ხაზი“ უბრალო მილად გადაიქცევა, საიდანაც აქციონერების ფული ჯიმ ტაგარტის ჯიბეში გადაედინება, ფული, მას რომ არ გამოუმუშავებია, როგორც ჯილდო იმისთვის, რომ საკუთარი რკინიგზის გაძარცვის ნებას მისცემს სხვებს. „ჯონ გოლტის ხაზის“ აქციები, ჯერ კიდევ ამ დილით მათი მფლობელების ეკონომიკური სტაბილურობისა და მომავლის ამაყი მცველები, სულ რაღაც ერთ საათში ქაღალდის უსარგებლო ნაგლეჯებად გადაიქცნენ, რომლებსაც აღარავინ შეიძენდა... ქაღალდის ნაგლეჯები, უფასური, უმომავლო, რომლებსაც აღარ გააჩნდათ არავითარი ძალა, გარდა ერთადერთისა — კარი გაიჯახუნო, ქვეყნის უკანასკნელი იმედის ბორბლები გააჩერო — და „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ უკვე ცოცხალი ორგანიზმი კი აღარ იქნება, რომელიც თავისი გამომუშავებული საზრდოთი იკვებება, არამედ კანიბალი, საკუთარ დაუბადებელ ბავშვებს რომ შთანთქავს, რომელნიც შესაძლოა, დიადნი გამხდარიყვნენ.

„კოლორადოსთვის დაწესებული გადასახადი“, — ფიქრობდა დაგნი, — „რომელიც ელის უაიატს იმ ხალხისთვის უნდა გადაეხადა, ვისაც ის უნდა შეებოჭა და სიცოცხლე გაუსაძლისი გაეხადა მისთვის; იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყველაფერს იღონებდნენ, რათა მას არც მატარებლები მიეღო, არც ცისტერნები და არც რიერდენ მეტალის ნავთობსადენი; ელის უაიატს, რომელსაც თავდაცვის უნარი წაართვეს, ხმის უფლება წაართვეს, უიარაღოდ დატოვეს და კიდევ უფრო უარესი: საკუთარი თავის დანგრევის იარაღად აქციეს, თავისივე დამანგრევლების მხარდამჭერად და მათი სარჩოსა და შრომის იარაღის მწარმოებლად — ელის უაიატი, ადამიანი, რომელსაც უნდოდა, ნავთობის ფიქალი ამოუწურავ მარაგად ექცია... რომელიც მეორე რენესანსზე ოცნებობდა“.

მოკუნტული იჯდა, თავი ვაგონის ვიწრო კარნიზზე ჩამოდებულ ხელზე დაეყრდნო, ფანჯრის მიღმა კი, სიბნელეში, მომწვანო-ცისფერი რელსები, მთები, მინდვრები, კოლორადოს შტატის ახალი ქალაქები უჩინარდებოდა.

მოულოდნელი დამუხრუჭების გამო წელში გასწორდა. განრიგის მიხედვით აქ გაჩერება არ უნდა ყოფილიყო. პატარა სადგური ხალხით იყო გადაჭედილი, ყველა ერთი მიმართულებით იყურებოდა. მატარებელში მსხდომი მგზავრები ვაგონის

ფანჯრებს მიაწყდნენ და რაღაცას აშტერდებოდნენ. დაგნი ადგილიდან წამოხტა, სავარძლებს შორის გასასვლელი გაიარა და კიბით დაეშვა პლატფორმაზე, სადაც ცივი ქარი ქროდა.

ტრაგედია მაშინვე დაინახა და მისმა კივილმა ბრბოს ყრუ გუგუნი გააპო; იცოდა, რომ ამას დაინახავდა და სწორედ ამისი ეშინოდა. ორ მთას შორის სივრცეში, „უაიატ ოილის“ ჭაბურღილების თავზე, ცეცხლის უზარმაზარი კედელი აღმართულიყო და მთელ ცას, მთებს, სადგურების სახურავებსა და კედლებს ანათებდა.

მოგვიანებით მას უთხრეს, რომ ელის უაიატი უკვალოდ გაქრა და მხოლოდ ფიცრის დაფა დატოვა, რომელიც ლურსმნებით მიეჭედებინა ბოძზე, მთის ძირას. როგორც კი დაგნიმ დაფას შეხედა, მისი ხელწერა იცნო და მიხვდა, რომ სწორედ ამ სიტყვებს ელოდა: „ყველაფერს ისე ვტოვებ, როგორც ჩემ მოსვლამდე იყო. წაიღეთ.

ის თქვენია“.

ნაწილი მეორე

ან-ან

თავი 1

ადამიანი, რომელიც დედამიწას ეკუთვნოდა დოქტორი რობერტ სტადლერი კაბინეტში წინ და უკან დადიოდა და სიცივეს წყევლიდა. ამ წელს გაზაფხულმა დააგვიანა. ფანჯარაში უზარმაზარი მთების უსიცოცხლო სირუხე ბუნებრივად აგრძელებდა ცის მქრქალ ჭუჭყისფერს და მდინარის ტყვიისფერ-შავ ზოლს ერწყმოდა. დროდადრო მთის რომელიღაც ნაგლეჯი ვერცხლისფერ-ყვითლად ანათებდა, მომწვანო ფერადაც კი, თუმცა მაშინვე ქრებოდა.

ადგილ-ადგილ მზის სხივებით დასერილი ღრუბლები ისევ მთლიანდებოდნენ და მზეს მიწისგან მიჯნავდნენ.

„ცუდად რომ ათბობენ, იმიტომ კი არა“, — გაიფიქრა დოქტორშა სტადლერმა, — „ამ პეიზაჟის გამო უფრო ცივა“.

„დღეს არც ისე ყინავს“, — ფიქრობდა ის, — „უბრალოდ, ზამთრის თვეებში ისე გაჯდა სიცივე ძვლებში, რომ საჭირო გახდა მუშაობის შეწყვეტა და ყოფით ამბებზე გადართვა, მაგალითად, არასაკმარის გათბობაზე და საუბრებზე საწვავის ეკონომიის აუცილებლობის შესახებ“.

„რა უცნაურია“, — ფიქრობდა დოქტორი სტადლერი, — „ბუნება თანდათან სულ უფრო აქტიურად ზემოქმედებს ადამიანების ცხოვრებაზე და საქმიანობაზე. ადრე ასეთი რამ არ ხდებოდა“.

მაშინაც კი, როდესაც ზამთარი უჩვეულოდ მკაცრი გამოდგებოდა, ან რკინიგზის რომელიმე მონაკვეთს წყალდიდობა გადარეცხავდა, ადამიანები „ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ ბოსტნეულის კონსერვებით არ იკვებებოდნენ; თუ ჭექა-ქუხილი ელექტროსადგურს დააზიანებდა, ისეთი დაწესებულება, როგორიც მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი იყო, ელექტროენერგიის გარეშე მთელი ხუთი დღე არ რჩებოდა.

„უმოქმედობის ხუთი დღე“, — გაიფიქრა სტადლერმა, — „გაჩერებული ძრავები, ხელსაწყოები, სამუდამოდ დაკარგული საათები, მის გუნდს სამყაროს საიდუმლოებათა შესწავლისთვის რომ უნდა მოეხმარებინა“...

გაგულისებული მოშორდა ფანჯარას, წამით ადგილზე გაქვავდა და მერე ისევ ფანჯრისკენ მიბრუნდა. არ უნდოდა იმ წიგნის დანახვა, რომელიც მის მაგიდაზე იდო.

„სად დაიკარგა ეს დოქტორი ფერისი?“ — საათს დახედა: დოქტორი ფერისი იგვიანებდა — გასაოცარი ფაქტი იყო. იგვიანებდა, თან მასთან შეხვედრაზე, დოქტორი ფლოიდ ფერისი, მეცნიერების ლაქია, რომელიც სტადლერთან შეხვედრისას ისე გამოიყურებოდა, თითქოს ბოდიშს იხდიდა, მხოლოდ შლაპას რომ იხდიდა მის წინაშე.

„მაისისთვის მართლაც წარმოუდგენელი ამინდია“, — ფიქრობდა სტადლერი და მდინარეს გაჰყურებდა, — „ცხადია, განწყობა ასე ამინდის გამო გამიფუჭდა, ამ წიგნის კი არა“.

წიგნი ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დაედო და როცა მიხვდა, რომ მისი დანახვაც კი არ სიამოვნებდა, უბრალოდ ზიზღი კი არა, მის მიმართ კიდევ რაღაც სხვა გრძნობაც გაუჩნდა, რომლის აღიარებაც არ სურდა. საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ მაგიდას იმიტომ კი არ გაეცალა, მასზე ეს წიგნი რომ იდო, არამედ მოუნდა, მუხლი გაემართა, ცოტა გახურებულიყო. კაბინეტში მაგიდასა და ფანჯარას შორის დაწრიალებდა. და უკვე გადაწყვიტა, რომ დოქტორ ფერისთან საუბარს დაასრულებდა თუ არა, წიგნს ნაგვის ურნაში გადაუძახებდა, სწორედ იქ, სადაც, კაცმა რომ თქვას, იყო კიდეც მისი ადგილი.

მზერა ისევ მზის სხივითა და სიმწვანით დაფერილ შორეული მთის ფერდობს მიაპყრო, თითქოსდა გაზაფხულის შეპირებას იმ სამყაროში, სადაც იფიქრებდი, რომ უკვე აღარასოდეს გაიზრდებოდა ბალახი და აღარც ხეები გაიკვირტებოდა. თვალები სიხარულით გაუნათდა, მაგრამ როცა მზის სხივი გაუჩინარდა,გულში მძაფრი ნაღველი ჩაეღვარა. როგორ უნდოდა, ეს ნათელი ლაქა კი არ გამქრალიყო, უფრო გადიდებულიყო და მთელი დედამიწა მოეცვა. უცებ გასულ ზამთარს ერთი ცნობილი მწერლისთვის მიცემული თავისი ინტერვიუ გაახსენდა. მწერალი ევროპიდან საგანგებოდ ჩამოვიდა, მასზე სტატია რომ დაეწერა და სტადლერი, რომელიც ვერ იტანდა ინტერვიუებს, დიდხანს და ბევრს ლაპარაკობდა, მეტისმეტად დიდხანს, რაკი თანამოსაუბრე ინტელექტუალი იყო, უსაფუძვლო, სასოწარკვეთილი იმედით, რომ ის ნამდვილად შეძლებდა, მისი აზრები მკითხველამდე მიეტანა. სტატია დაიბეჭდა. ავტორი მას ხოტბას ასხამდა და მის ყველა იდეას ისე ამახინჯებდა, რომ ვეღარავინ იცნობდა. როცა ჟურნალი დახურა, იგივე იგრძნო, რაც ახლა, ღრუბლებში მზის უკანასკნელი სხივის გაუჩინარებისას.

„კარგი“, — გაიფიქრა სტადლერმა და ფანჯარას მოშორდა, — „ვაღიარებ, რომ ხანდახან მარტოობის შემოტევებს ვერ ვუძლებ. მაგრამ მე განწირული ვარ ასეთი მარტოობისთვის, ეს ცოცხალი, მოაზროვნე გონების საპასუხო რეაქციის წყურვილია. როგორ დამღალეს ამ ადამიანებმა“, — ფიქრობდა ის ზიზღნარევი სიმწრით, — „მე კოსმოსურ გამოსხივებას ვიკვლევ, ისინი კი ჭექა-ქუხილის შედეგებს ვერ გამკლავებიან“.

იგრძნო, როგორ დაემანჭა ტუჩები მოულოდნელად, თითქოს ვიღაცამ სილა გააწნა, ამგვარი ფიქრები რომ შეეწყვიტა. და უკვე წიგნს უყურებდა, მისი პრიალა გარეკანს. სულ რაღაც ორი კვირის წინ დაებეჭდათ.

„მაგრამ მე ამასთან არაფერი მაკავშირებს!“ — საკუთარ თავს დაუყვირა და ეს ყვირილი თითქოს ულმობელ სიჩუმეში გაიქნა უპასუხოდ დარჩენილი, ექოც კი არ მოჰყოლია, რომ დაედასტურებინა. წიგნის ყდაზე გესლიანი სათაური იპრანჭებოდა: „რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ ფიქრობთ?“

ცნობიერებაში დასადგურებულ მდუმარებაში, სასამართლო პროცესებზე ჩამოწოლილ სიჩუმეს რომ წააგავდა, ბგერა არ კრთოდა, არც სიბრალულის, არც

გამოსარჩლების — მხოლოდ სტრიქონები, რომელიც მისმა უბადლო მეხსიერებამ აღბეჭდა.

„აზრები, რომლებიც ვითომდა თქვენს გონებაში წარმოიქმნებიან — ილუზიაა, რომელსაც თქვენივე ჯირკვლები, ემოციებისა და საბოლოო მონაცემების თანახმად, თქვენი კუჭის შიგთავსი წარმოშობს“.

„საღი აზრი — ირაციონალური იდეაა. ბავშვური წარმოდგენა, რომ აზროვნება შეგვიძლია, კაცობრიობის უზომო შეცდომაა“.

„რუხი ნივთიერება, რომლითაც ასე ამაყობთ, სიცილის ოთახის სარკეს ჰგავს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის მიუწვდომელი რეალობის დამახინჯებულ სიგნალებს გადმოსცემს“.

„რაც უფრო დარწმუნებული ხართ თქვენს რაციონალურ დასკვნებში, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ცდებით. თქვენი გონება დამახინჯების ინსტრუმენტია. რაც უფრო აქტიურია გონება, მით უფრო ძლიერია მის მიერ სინამდვილის დამახინჯება“.

„აზროვნების გიგანტები, ვისაც ასე ეთაყვანებით, ოდესღაც ასწავლიდნენ, რომ დედამიწა ბრტყელია, ატომი კი მატერიის უმცირესი ნაწილაკი. მეცნიერების მთელი ისტორია შეცდომათა მხილების გრძელი წყებაა და და არა მიღწევების“.

„რაც უფრო მეტი ვიცით, მით უფრო მწვავედ ვაცნობიერებთ, რომ არაფერი ვიცით“.

„მხოლოდ ყველაზე უმეცარი ადამიანები ებღაუჭებიან ჯერ კიდევ პრინციპს: რასაც ვხედავ, იმის მჯერა. სწორედ ის არ უნდა დაიჯერო უპირველეს ყოვლისა, რისი დანახვაც შესაძლებელია“.

„მეცნიერმა იცის, რომ ქვა სრულიადაც არ არის ქვა. სინამდვილეში ის არაფრით განსხვავდება ბუმბულის ბალიშისგან. ერთიცა და მეორეც უხილავი, მოძრავი ნაწილაკების მოცულობითი წარმონაქმნია. მაგრამ თქვენ იტყვით, რომ ქვის გამოყენება ბალიშად არ შეიძლება? და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს თქვენს უსუსურობას ჭეშმარიტი რეალობის წინაშე“.

უკანასკნელმა სამეცნიერო აღმოჩენებმა, აი თუნდაც, დოქტორ რობერტ სტადლერის კოლოსალურმა მიღწევებმა, საბოლოოდ დაადასტურეს, რომ ჩვენს გონებას არ ძალუძს, სამყაროს ბუნებას ჩასწვდეს. ამ აღმოჩენების მეშვეობით მეცნიერებმა გამოავლინეს წინააღმდეგობრიობები, რომელთა არსებობა, ადამიანური წარმოდგენების თანახმად შეუძლებელია, მაგრამ სინამდვილეში, ისინი მაინც არსებობენ.

ეგებ თქვენ ეს ჯერ არ იცით, ჩემო ძვირფასო, ცხოვრებას ჩამორჩენილო მეგობრებო, მაგრამ უკვე დამტკიცებულია, რომ ყველაფერი რაციონალური — სიგიჟეა“.

„მიზეზ-შედეგობრიობის იმედად ნუ იქნებით. არსებობს მხოლოდ წინააღმდეგობრიობები ყველაფრის მიმართ. და არაფერი, წინააღმდეგობრიობების გარდა“.

„ნუ ეძებთ საღ აზრს. აზრის ძიება — უაზრობის კრიტერიუმია. ბუნებაში აზრი არ არსებობს. არაფერს აქვს აზრი. თუკი ვინმე ცდილობს, აზრს მიაკვლიოს, ეს მხოლოდ „აზრის“ ბეჯითი ჯვაროსანი შინაბერა მეცნიერი ქალები არიან, რომელთაც მეგობარი მამაკაცი ვერ უპოვიათ, ანდა მედუქნე რეტროგრადები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამყარო ისეთივე მარტივია, როგორც მათ დუქანში გასაყიდად გამოფენილი საქონლის ჩამონათვალი და მათი საყვარელი სალარო აპარატი“.

„მოდით, გავთავისუფლდეთ ცრურწმენათა ჯაჭვისგან, რომელსაც ლოგიკა ჰქვია. მაშ ასე, თქვენ ფიქრობთ, რომ დარწმუნებული ხართ საკუთარი მოსაზრებების სისწორეში? ვერაფერში ვერ იქნებით დარწმუნებული. მზად ხართ, საფრთხე შეუქმნათ თქვენი ქალაქის მოწესრიგებულ ცხოვრებას, მეზობლებთან მეგობრობას, თქვენს საზოგადოებრივ მდგომარეობას, რეპუტაციას, პატიოსან სახელსა და მატერიალურ სტაბილურობას — და ეს ყველაფერი ილუზიისთვის? მირაჟისთვის?

მზად ხართ, ისეთ არეულ დროში, როგორიც ჩვენია, გარისკოთ და სასამართლოს მიმართოთ, დაუპირისპირდეთ არსებულ საზოგადოებრივ წესრიგს და დაიცვათ წარმოსახვითი წარმოდგენები, რომელთაც საკუთარ პრინციპებს უწოდებთ? თქვენ ამბობთ, რომ დარწმუნებული ხართ თქვენს სიმართლეში? არავინ არის მართალი და ვერც იქნება. თქვენ გრძნობთ, რომ სამყაროში რაღაც არასწორად ხდება? თქვენ არ გაქვთ შესაძლებლობა, ეს იცოდეთ. ადამიანების თვალთახედვით ყველაფერი არასწორია — მაშ, რაღა აუცილებელია ამ ყველაფერთან ბრძოლა? დავა არაა საჭირო. მიიღეთ ისე, როგორც არის, შეეგუეთ, დაემორჩილეთ“.

ეს წიგნი დოქტორმა ფლოიდ ფერისმა დაწერა და მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტმა გამოსცა.

„მე ამასთან არაფერი მესაქმებოდა!“ — გამოცრა დოქტორ რობერტ სტადლერმა.

ის ჯერაც მაგიდასთან იდგა გაქვავებული, უსიამოვნო განცდით, თითქოს რაღაც დროით გაითიშა და ახლა არ იცოდა, რამდენ ხანს იყო უძრავად. ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა, გესლით, სარკასტულად, იმის მისამართით; ვინც. იძულებული გახადა, ისინი წარმოეთქვა.

მხრები აიჩეჩა. თვითირონიაში ცუდი არაფერია, მხრების აჩეჩვით კი თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა: „შენ რობერტ სტადლერი ხარ, ასე რომ, ნევრასთენიკი მოწაფესავით ნუ იქცევი“. მაგიდას მიუჯდა და წიგნი განზე გასწია.

დოქტორმა ფლოიდ ფერისმა ნახევარი საათით დაიგვიანა.

— მაპატიეთ, მაგრამ ვაშინგტონიდან რომ მოვდიოდი, გზად მანქანა ისევ გამიფუჭდა. უამრავი დრო დავკარგე, ვიდრე ვინმეს ვიპოვიდი, ვინც შემიკეთებდა.

გზებზე სულ უფრო და უფრო ცოტა მანქანა მოძრაობს, ამიტომ სარემონტო სახელოსნოების ნახევარი დაკეტილია, — თქვა ფერისმა, უფრო გაღიზიანებით, ვიდრე მობოდიშებით. ისე დაჯდა, შეთავაზებას არც კი დალოდებია. სავარაუდოდ, დოქტორი ფერისი ნებისმიერ სხვა პროფესიაში წარმატებას ვერ მიაღწევდა, მაგრამ მან მეცნიერება აირჩია და ყოველთვის „სიმპათიურ მეცნიერად“ მოიხსენიებდნენ. ორმოცდახუთი წლისა და ექვსი ფუტის სიმაღლის ფერისი როგორღაც ახერხებდა, უფრო ახალგაზრდა და მაღალი გამოჩენილიყო. უზადოდ იცვამდა, მოცეკვავესავით გრაციოზულად მოძრაობდა, თუმცა ყოველთვის მკაცრად ოფიციალური სამოსი ეცვა, უმეტესად შავი ან მუქი ლურჯი ფერის. ზედა ტუჩზე აკურატული ულვაში მიუყვებოდა და ინსტიტუტელი ენაკვიმატების დაჟინებული მტკიცებით, თმა ასეთი სწორი და შავი მხოლოდ იმიტომ ჰქონდა, რომ იმავე საცხს ისვამდა, რომლითაც ფეხსაცმელებს იპრიალებდა. ხშირად იმეორებდა, გეგონებოდა, საკუთარ თავს დასცინისო, რომ ოდესღაც ერთმა პროდიუსერმა გაქნილი ევროპელი ჟიგოლოს როლი შესთავაზა. ფლოიდ ფერისი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში ბიოლოგი იყო, მაგრამ ეს უკვე დიდი ხანია, აღარავის ახსოვდა. სახელი მან ისე გაითქვა, როგორც მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარმა კოორდინატორმა.

დოქტორმა სტადლერმა ფერისს გაკვირვებით შეხედა. ამ უკანასკნელს საბოდიშოდ ერთი სიტყვა ეყო:

— ჩანს, ვაშინგტონში დიდ დროს ატარებთ, — მშრალად შენიშნა დოქტორმა სტადლერმა.

— მაგრამ, დოქტორო სტადლერ, თქვენ არ შემაქეთ ერთხელ, ამ ინსტიტუტის მოდარაჯე ქოფაკი რომ მიწოდეთ? — თავაზიანად უთხრა ფერისმა, — მეც ჩემი უმთავრესი მოვალეობა ეს მგონია, განა ასე არ არის?

— მეჩვენება, რომ თქვენ მზად ხართ, თქვენი ვალდებულებები ნებისმიერ ადგილას შეასრულოთ, ოღონდ ინსტიტუტში არა. მაგრამ, ვიდრე დამვიწყებია, იქნებ ამიხსნათ, რატომ ხდება ეს უმსგავსობა საწვავთან დაკავშირებით?

სტადლერს ვერ გაეგო, რატომ დაეძაბა უცებ დოქტორ ფერისს სახე და ნაწყენი გამომეტყველება მიიღო.

— კეთილი, თუმცა, მართალი გითხრათ, თქვენგან ამ სიტყვებს არ მოველოდი, — უპასუხა მან ისეთი ოფიციალური ტონით, რომელიც გაუგებარი მიზეზებით წამებულს ამსგავსებდა, — ხელისუფლების ვერც ერთმა წევრმა კრიტიკის ვერანაირი საბაბი ვერ მოძებნა. ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროს სწორედ ახლა გავუგზავნეთ დეტალური ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ და მისტერ მაუჩი სავსებით კმაყოფილი დარჩა. ამ პროექტისთვის ყველაფერი გავაკეთეთ და საყვედურს არ ვიმსახურებთ. ადგილმდებარეობის სირთულეების, ხანძრის მასშტაბებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ...

— რას გულისხმობთ? — შეეკითხა დოქტორი სტადლერი — უაიატის საბადოების აღდგენის პროექტს. ეს არ მკითხეთ?

— არა, — თავი გადააქნია დოქტორმა სტადლერმა, — არა, მე... ერთი წუთი დამაცადეთ. მოდით, გავერკვეთ. როგორც მახსოვს, ინსტიტუტმა თითქოს რაღაც აღდგენის პროექტი წამოიწყო. მაინც, რის აღდგენას ვაპირებთ?

— ნავთობის მოპოვების, — უპასუხა დოქტორმა ფერისმა, — უაიატის ნავთობის საბადოების — იქ ხანძარი გაჩნდა, არა? კოლორადოში? ამ კაცმა... ერთი წუთით... ამ კაცმა საკუთარი ნავთობსაბადოები თვითონ გადაწვა, ასე არ არის?

— მე ეგ უფრო ისტერიული საზოგადოებრიობის მოგონილი ჭორი მგონია. — თქვა დოქტორმა ფერისმა ცივად, — მთელი ეს საგაზეთო მონაჩმახები ყურადღებას არ იმსახურებს. პირადად მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო და ელის უაიატი ხანძრის დროს დაიღუპა.

— ახლა ვის ეკუთვნის ეგ ნავთობის საბადოები?

— ამჟამად არავის. უაიატს ანდერძი არ დაუტოვებია, არც მემკვიდრეები დარჩენია, ამიტომ, რაკი მისი რეგულარული ექსპლოატაცია საზოგადოებრივ აუცილებლობად მიიჩნია, მთავრობამ შვიდი წლის ვადით ჩაიბარა საბადოების მართვა. თუ ელის უაიატი ამ დროის მანძილზე არ გამოჩნდება, ის ოფიციალურად ჩაითვლება გარდაცვლილად.

— კი მაგრამ, თქვენ რატომ მოგმართეს, ანუ ჩვენ? ნავთობის მოპოვება ხომ არასოდეს ყოფილა ჩვენი საქმე?

— იმიტომ, რომ მოცემული საქმიანობის უდიდესი ტექნოლოგიური სირთულე საუკეთესო მეცნიერების ჩართვას მოითხოვს. საქმე უაიატის მიერ შემუშავებული ნავთობის მოპოვების განსაკუთრებული მეთოდის აღდგენას შეეხება. მისი აღჭურვილობები ჯერაც იქ არის, თუმცა სავალალო მდგომარეობაშია. ტექნოლოგია

ნაწილობრივ ცნობილია ჩვენთვის, მაგრამ რატომღაც პროცესის სრულ აღწერილობასა და ძირითად პრინციპებს ვერსად მივაკვლიეთ. აი, რა უნდა აღვადგინოთ იქ თავიდან — მერე, როგორ მიდის საქმე?

— პროგრესი დამაიმედებელია. მნიშვნელოვანი დამატებითი სახსრები გამოგვიყვეს. მისტერ მაუჩი ჩვენი მუშაობით კმაყოფილია. ისევე, როგორც მისტერ ბალჩი — საგანგებო მდგომარეობის კომიტეტიდან, მისტერ ანდერსონი — სტრატეგიული მარაგების კომიტეტიდან და მისტერ პეტიბოუნი — მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომიტეტიდან. არ ვიცი, მეტი რაღა უნდა მოითხოვონ ჩვენგან პროექტი სრულიად წარმატებულია.

— ნავთობის მოპოვება თუ მოახერხეთ?

— არა. მაგრამ ერთ-ერთი ჭაბურღილიდან ექვს ნახევარი გალონის გამოწურვა უკვე შევძელით. ამ მოცულობას, რა თქმა. უნდა, ექსპერიმენტული მნიშვნელობა უფრო აქვს, მაგრამ ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ ხანძრის ლიკვიდაციამ მთელი სამი თვე წაიღო, ახლა ცეცხლი მთლიანად... თითქმის მთლიანად ლოკალიზებულია. ჩვენ წინაშე გაცილებით უფრო მძიმე ამოცანები დგას, ვიდრე უაიატს ჰქონდა. ის წვრილმან სირთულეებს აგვარებდა, ჩვენ კი დანაშაულებრივი, ანტისაზოგადოებრივი საბოტაჟის დამანგრეველ შედეგებს ვებრძვით, რომლებიც... ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ პრობლემა ძალიან რთულია მაგრამ ეჭვგარეშეა, მის დაძლევას მაინც შევძლებთ.

— ისე, მე მინდოდა მეკითხა, აქ, ინსტიტუტში რატომ შემოგვაკლდა საწვავი.

მთელი ზამთარი შენობაში აუტანლად ციოდა. მითხრეს, რომ ეს ნავთობის ეკონომიის აუცილებლობით იყო გამოწვეული. დარწმუნებული ვარ მოახერხებთ, უკეთ მოგვამარაგონ.

— აა, ამას გულისხმობდით, დოქტორო სტადლერ? მომიტევეთ! — შვების ღიმილი მოეფინა დოქტორ ფერისს სახეზე და ისევ შეეცადა, თანამოსაუბრის კეთილგანწყობა დაებრუნებინა, — თქვენ ამბობთ, ტემპერატურა იმდენად დაბალია, რომ დისკომფორტი შეგიქმნათ?

— იმდენად დაბალი, რომ ლამის გავიყინე.

— ეს უპატიებელია! რატომ აქამდე არაფერი მაცნობეს? გთხოვთ, პირადად მე მაპატიეთ, დოქტორო სტადლერ. გარწმუნებთ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ერთადერთი გამართლება ჩვენი სამეურნეო დეპარტამენტისთვის ის არის, რომ საწვავის დეფიციტი მათი დაუდევრობის ბრალი არ ყოფილა. მე მესმის, შესაძლოა, თქვენ ეს სრულებით არ გაინტერესებდეთ. ამგვარმა წვრილმანებმა თქვენი ფასდაუდებელი ყურადღება არ უნდა მოაცდინოს, მაგრამ იცით, ამ ზამთარს ნავთობის დეფიციტი საერთო ეროვნული კრიზისით იყო გამოწვეული.

— აი, თურმე რა! ღვთის გულისათვის, არ მითხრათ ახლა, რომ უაიატის ეს ბედკრული ნავთობსაბადოები საწვავის ერთადერთი წყარო იყო ქვეყანაში!

— არა, არა, რას ბრძანებთ, მაგრამ ადგილობრივი უმსხვილესი საბადოს უეცარმა გამოსვლამ მწყობრიდან ბაზარზე ქაოსი გამოიწვია. მთავრობა იძულებული გახდა, მკაცრი კონტროლი დაეწესებინა ნავთობზე და მის განაწილებაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა უმნიშვნელოვანესი საწარმოები არ გაჩერებულიყო. მხოლოდ ჩემი განსაკუთრებული კავშირების წყალობით შევძელი, გამონაკლისის სახით ინსტიტუტისთვის ძალიან დიდი კვოტა გამოეყოთ, მაგრამ მორჩილად ვაღიარებ საკუთარ დანაშაულს, თუკი ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გარწმუნებთ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ეს მხოლოდ დროებითი კრიზისია. მომავალი

ზამთრისთვის უაიატის საბადოებს აღვადგენთ და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება. სხვათა შორის, უკვე გავეცი აუცილებელი განკარგულებები, ჩვენი ინსტიტუტის გათბობის სისტემა ნახშირზე გადავიყვანოთ, სამუშაოები მომავალი თვისთვის უკვე უნდა დასრულებულიყო, თუმცა, მოულოდნელად კოლორადოში „სტოკტონ ფაუნდრი“ დაიკეტა, სწორედ ის ამზადებდა დეტალებს ჩვენი ღუმლებისთვის. ენდრიუ სტოკტონმა უეცრად, გაფრთხილების გარეშე მიატოვა საქმე და ახლა იძულებული ვართ, დაველოდოთ, სანამ მისი ძმისშვილი ქარხანას ხელახლა არ აამუშავებს.

— გასაგებია. რა გაეწყობა, იმედი მაქვს, ამ საკითხსაც ყურადღებით მოეკიდებით თქვენს სხვა ვალდებულებებთან ერთად. — უთხრა დოქტორმა სტადლერმა და გაღიზიანებულად აიჩეჩა მხრები, — სასაცილოც კია — რამდენ საწარმოსთან გვიწევს საქმის დაჭერა.

— მაგრამ, დოქტორო სტადლერ — ვიცი, ვიცი, ამას ვერ ავცდებოდით. სხვათა შორის, ეს „პროექტი X“ რა არის?

დოქტორმა ფერისმა სწრაფად შეხედა, ფრთხილი, მაგრამ არა შეშინებული მზერით.

— „პროექტ X“—ის შესახებ საიდან იცით, დოქტორო სტადლერ?

— გავიგონე, როგორ ლაპარაკობდა თქვენი ორი ახალგაზრდა კოლეგა ამ პროექტზე, რაღაც უცნაურად, შეფარულად, მოყვარული დეტექტივებივით. მათ მითხრეს, ეს დიდი საიდუმლოებაა.

— დიახ, ასეა, დოქტორო სტადლერ. ეს განსაკუთრებულად საიდუმლო კვლევითი პროექტია, რომელიც მთავრობამ ჩვენ მოგვანდო და უკიდურესად მნიშვნელოვანია, გაზეთებმა ამის შესახებ სიტყვაც არ შეიტყონ.

— რას ნიშნავს „X“?

— ქსილოფონს. პროექტი ქსილოფონი. ეს მისი კოდური სახელია, რა თქმა უნდა, სამუშაო თავისი არსით სრულიად არ უკავშირდება სახელწოდებას. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს თქვენ არ დაგაინტერესებთ. წმინდა ტექნოლოგიური პროექტია.

— ნამდვილად არ მცალია თქვენი ტექნოლოგიური პროექტებისთვის.

— ნება მომეცით, გთხოვოთ, დოქტორო სტადლერ, არავისთან არ ახსენოთ „პროექტი X“.

— კეთილი, კეთილი. უნდა ვთქვა, რომ არ მიყვარს ამგვარი დისკუსიები.

— რა თქმა უნდა! თავს არ ვაპატიებ, ამდენი დრო რომ წაგართვით. შეგიძლიათ, ეს პრობლემები მშვიდად გადმომაბაროთ. — ფერისი ოდნავ წამოიმართა იმის ნიშნად, რომ ადგომას აპირებდა, — ასე რომ, თუ თქვენ ამ საკითხთან-დაკავშირებით გსურდათ ჩემი ნახვა, გარწმუნებთ, რომ...

— არა, — უთხრა დოქტორმა სტადლერმა აუჩქარებლად; — თქვენი ნახვა სულ სხვა მიზეზით მინდოდა.

ფერისი ისევ იჯდა, მეტი აღარაფერი უკითხავს.

დოქტორი სტადლერი გადაიხარა და ზიზღით მისწია წიგნი მაგიდის ცენტრისკენ:

— იქნებ, მითხრათ, რა არის ეს უხამსობა?

— დოქტორ ფერისს მაგიდისთვის არც შეუხედავს. მან თვალი გაუსწორა დოქტორ სტადლერს, შემდეგ სავარძელში გადაწვა და უცნაური ღიმილით წარმოთქვა:

— დიდი პატივია, რომ ჩემი გულისთვის გამონაკლისი დაუშვით და ფართო აუდიტორიისთვის განკუთვნილი წიგნი წაიკითხეთ. ორ კვირაში ამ პატარა წიგნის ოცი ათასი ეგზემპლარი გაიყიდა.

— მე ის წავიკითხე.

— და მერე?

— ახსნა-განმარტებას ველი.

— ტექსტმა იმედი გაგიცრუათ?

დოქტორმა სტადლერმა გაოცებით შეხედა:

— აცნობიერებთ მაინც, როგორი თემა აირჩიეთ განხილვისთვის და როგორ მოიმოქმედეთ ეს? მარტო სტილი რად ღირს! ანდა ეს საზიზღარი მიდგომა ასეთი მნიშვნელოვანი თემისადმი!

— თქვენი აზრით, შინაარსი უფრო ღირსეულ ფორმას იმსახურებდა? — ფერისმა ეს იმდენად უწყინარი ტონით წარმოთქვა, რომ დოქტორი სტადლერი ირონიას ვერ მიუხვდა.

— გესმით საერთოდ, ამ წიგნში რას ქადაგებთ?

— რაკი წიგნი არ მოგეწონათ, დოქტორო სტადლერ, ვისურვებდი, იფიქროთ, რომ ავი განზრახვა ნამდვილად არ მქონია.

„ჰოო-ო“, — გაიფიქრა დოქტორმა სტადლერმა, — „აი, ესეც ფერისისთვის დამახასიათებელი უცნაურობა: მისთვის საკმარისია, უბრალოდ, მოისმინოს კრიტიკა თავისი მისამართით, სხვა დანარჩენი კი სრულიად არ აღელვებს“.

— ვინმე მთვრალ ხეპრეს რომ თვითგამოხატვისთვის ძალები გამოენახა და ფურცელზე დაენთხია საკუთარი არსი — უსაშველო სიველურე, გონებისადმი სიძულვილი, შედეგად სწორედ ასეთ წიგნს მივიღებდით, — უთხრა დოქტორმა სტადლერმა, — მაგრამ როცა მას მეცნიერი წერს, თანაც ჩვენი ინსტიტუტის გრიფით!..

— მაგრამ, დოქტორო სტადლერ, ეს წიგნი არ დაწერილა მეცნიერთა წრისთვის.

ის სწორედ მთვრალი ხეპრეებისთვის დაიწერა.

— რას გულისხმობთ?

— ფართო პუბლიკისთვის.

— კი მაგრამ, ღმერთო ჩემო! უკანასკნელი გონებაჩლუნგიც კი აღმოაჩენს თითოეულ თქვენს გამონათქვამში ურთიერთგამომრიცხავ წინააღმდეგობებს.

— მოდით, სხვაგვარად ვთქვათ, დოქტორო სტადლერ: ის, ვინც ამას ვერ ხედავს, იმსახურებს, ყველა ჩემი მტკიცებულება სჯეროდეს.

— მაგრამ თქვენ რაღაც წარმოუდგენელი აბდაუბდა მეცნიერული პრესტიჟით შემოსეთ! კიდევ მესმის, მისტიკური მონაჩმახით გაბრუებული არარაობა ბოდავდეს, საიმონ პრიტჩეტივით, რომელსაც სულერთია, მაინც არავინ არ უსმენს. მაგრამ თქვენ ადამიანებს შთააგონებთ, რომ ეს მეცნიერებაა. მეცნიერება! თქვენ გონების მიღწევებს მისსავე დასანგრევად იყენებთ. რა უფლებით გამოიყენეთ ჩემი ნაშრომი, დაუსაბუთებლად და აბსურდულად რომ შეჭრილიყავით სრულიად სხვა დარგში და ყოვლად უვარგისი მეტაფორების მოშველიებით შემზარავი განზოგადებები გაგეკეთებინათ წმინდა მათემატიკური პრობლემების საფუძველზე? რა უფლებით განაცხადეთ, თითქოს მე... მე მოგეცით თანხმობა ამ წიგნის გამოცემისთვის?

დოქტორი ფერისი მშვიდად შეჰყურებდა დოქტორ სტადლერს, თვალიც კი არ დაუხამხამებია.

— იცით, დოქტორო სტადლერ; თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ეს წიგნი მოაზროვნე აუდიტორიისთვის იყოს დაწერილი. ამ შემთხვევაში მართლაც საჭირო იქნებოდა ისეთი კატეგორიები, როგორებიც სიმართლე, დასაბუთებულობა, ლოგიკა, მეცნიერების პრესტიჟია. მაგრამ ეს წიგნი საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი.

თქვენ თვითონ არ ამბობდით ყოველთვის, რომ ხალხს აზროვნება არ შეუძლია?

ფერისი დადუმდა, მაგრამ დოქტორ სტადლერს არაფერი უპასუხია და მანაც განაგრძო, — ამ წიგნს ფილოსოფიური ღირებულება ვერ ექნება, მაგრამ მას უდიდესი ფსიქოლოგიური სარგებლობა აქვს.

— რას გულისხმობთ?

— იცით რა, დოქტორო სტადლერ, ხალხს აზროვნება არ სურს. და რაც უფრო ღრმა უფსკრულში მოხვდებიან, მით უფრო ნაკლებად უნდათ ფიქრი. ინტუიციურად ხვდებიან, რომ უნდა იაზროვნონ და თავს დამნაშავედ გრძნობენ, ამიტომაც აღმერთებენ ნებისმიერს, ვინც კი გამართლებას გამოუძებნის მათ სურვილს, არასოდეს იაზროვნონ; ნებისმიერს დაუფიქრებლად გაჰყვებიან, ვისაც შეეძლება, ცოდვა, სისუსტე და დანაშაული სათნოებად, თანაც მაღალინტელექტუალურ სათნოებად გადააქციოს, — და თქვენ გსურთ, ამ ყველაფერს ხელი შეუწყოთ?

— ეს პოპულარობისკენ მიმავალი გზაა.

— პოპულარობა რაში გჭირდებათ?

ფერისმა თითქოს სხვათა შორის, შემთხვევით შეავლო თვალი დოქტორ სტადლერს, — როგორც ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია, — უპასუხა მან მშვიდად, — ჩვენც გადასახადების გადამხდელთა ხარჯებით ვარსებობთ.

— და ამიტომაც ეუბნებით ხალხს, რომ მეცნიერება წმინდა წყლის თაღლითობაა, რომელიც უნდა ამოიძირკვოს!

— ლოგიკის თვალსაზრისით, ჩემი წიგნიდან ამ დასკვნის გამოტანა შესაძლებელია, მაგრამ ისინი ასე არ მოიქცევიან.

— და რა ვუყოთ ინსტიტუტის რეპუტაციას, რომელსაც ჩირქი მოეცხება კულტურული და გონიერი ადამიანების თვალში, თუკი ასეთები კიდევ დარჩნენ სადმე?

— და ამაზე რატომ უნდა ვიდარდოთ?

ფერისს რომ ეს სენტენცია სიძულვილით, შურით ან ბოღმით წარმოეთქვა, დოქტორი სტადლერი კიდევ რაღაცას გაიგებდა, მაგრამ სრულმა უგრძნობელობამ, უდრტვინველობამ და აგდებულმა, დამცინავმა სიმსუბუქემ ფერისის ხმაში ის შეაცბუნა, თითქოს წამით არარეალურობის შეგრძნება დაეუფლა, რომელმაც სხეულში გამყინავ ტკივილად დაუარა.

— ჩემს წიგნთან დაკავშირებულ გამოხმაურებებს თუ გაეცანით, დოქტორო სტადლერ? ის მოიწონეს.

— დიახ, და ძალიან მიჭირს დაჯერება, — ისე პასუხობდა, თითქოს სამეცნიერო დისპუტში მონაწილეობდა, მაგრამ დრო არ ჰქონდა, საკუთარ ემოციებს რომ გამკლავებოდა, — ვერაფრით ვერ გამიგია, როგორ მოახერხეთ, ასე დაგეინტერესებინათ სოლიდური სამეცნიერო ჟურნალები და რატომ აქციეს მათ თქვენი წიგნი სერიოზული განხილვის საგნად? ჰიუ ექსტონი რომ აქ იყოს, ვერც ერთი აკადემიური გამოცემა ვერ გაბედავდა, ეს ნაშრომი ფილოსოფიური თვალსაზრისით განეხილათ.

— მაგრამ ის აქ არ არის.

დოქტორი სტადლერი გრძნობდა, რომ ძლივს იკავებდა თავს, პირს მომდგარი სიტყვები არ დასცდენოდა, მაგრამ უკვე დიდი ხანი იყო, ამ საუბრის დასრულება სურდა. ., — მეორე მხრივ, — შეახსენა დოქტორმა ფერისმა, — დარწმუნებული ვარ, არც კი შეგიმჩნევიათ ყდაზე მისტერ უესლი მაუჩის ერთობ საქებარი გამოხმაურება, რომელიც მან პირადად მე გამომიგზავნა.

— ვინ ჯანდაბაა ეგ უესლი მაუჩი?

დოქტორ ფერისს გაეღიმა:

— ერთი წლის მერე, დოქტორო სტადლერ, ამ კითხვას აღარ დამისვამთ. მისტერ მაუჩი, ასე ვთქვათ, ის ადამიანია, რომელიც ამჟამად ნავთობის კვოტირებას განაგებს.

— მაშინ აჯობებს, თქვენს საქმეს დაუბრუნდეთ. მოელაპარაკეთ მისტერ მაუჩს, მიხედოს ნავთობს, მე კი იდეების სამყარო დამიტოვეთ.

— საინტერესო იქნებოდა, გვეცადა სადემარკაციო ხაზის გავლება მათ შორის, — ტონის მიხედვით იგრძნობოდა, რომ ფერისმა ანბანური ჭეშმარიტება გაახმოვანა, — მაგრამ რადგან საუბარი ჩემს წიგნზეა, საზოგადოებასთან ურთიერთობებსაც უნდა შევეხოთ, — და ის მათემატიკური ფორმულებით გადაჭრელებული დაფისკენ შეტრიალდა, — დოქტორო სტადლერ, ძალიან გულსატკენია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების გამო იმ საქმეებს უნდა მოგწყვიტოთ, რომლის შესრულებაც მთელ დედამიწაზე მხოლოდ თქვენ ერთს შეგწევთ.

ეს სიტყვები აშკარა პირფერობით წარმოთქვა და დოქტორი სტადლერი ვერ მიხვდა, რატომ მოესმა მის ნათქვამში სრულიად სხვა ფრაზა: „გიჯობს, ისევ შენი ფორმულები წერო დაფაზე!“

მტკივნეული გაღიზიანება იგრძნო და საკუთარი თავისკენ მიმართა, ბრაზით გაიფიქრა, რომ დრო იყო, ჰალუცინაციები უკუეგდო.

— საზოგადოებრივი ურთიერთობები? — აგდებულად წარმოთქვა სტადლერმა, — თქვენს წიგნში ვერანაირ პრაქტიკულ სარგებლობას ვერ ვხედავ. არ მესმის, რა ამოცანას ემსახურება.

— მართლა? — დოქტორმა ფერისმა ისევ სწრაფი მზერა შეავლო მის სახეს. უტიფარი ნაპერწკალი იმდენად წამიერად გაუკრთა თვალებში, რომ შესაძლებელი იყო, სტადლერს სულაც მოსჩვენებოდა.

— ღირსეულ საზოგადოებაში თავს ყველაფერზე მსჯელობის უფლებას ვერ მივცემ, — მკაცრად თქვა დოქტორმა სტადლერმა.

— სავსებით მართალი ბრძანდებით! — უყოყმანოდ დაუდასტურა დოქტორმა ფერისმა და წამოდგა, იმის ნიშნად, რომ საუბარი დასრულებული იყო, — ძალიან გთხოვთ, ნებისმიერ დროს გამომიძახეთ, როგორც კი რაიმე შეგაწუხებთ, დოქტორო სტადლერ, — მუდამ თქვენს სამსახურში მიგულეთ, ეს ჩემთვის დიდი პატივია.

გრძნობდა, რომ მოუნდა, გაემყარებინა საკუთარი ავტორიტეტი, რომელიც შეარყია სამარცხვინო გაცნობიერებამ, თავის მოადგილედ ეს ტიპი თვითონ რომ შეარჩია და დოქტორმა სტადლერმა ქედმაღლური, სარკასტული და უხეში ტონით თქვა:

— მომავალში, როცა გამოგიძახებთ, იზრუნეთ, რომ მანქანა გამართული გყავდეთ.

— რა თქმა უნდა, დოქტორო სტადლერ. გარწმუნებთ, აღარასოდეს დავაგვიანებ, გთხოვთ, მომიტევოთ. ეს მანქანა თავსატეხს არ მილევს, უამრავ უსიამოვნებას მიქმნის, ლამის ნაწილებად იშლება და ახლახან ახალი შევუკვეთე, საუკეთესო, რაც

კი ბაზარზე არსებობს — „ჰემონდის“ კაბრიოლეტი. მაგრამ გასულ კვირას ლოურენს ჰემონდმა ბიზნესი მიატოვა, ყოველგვარი გაფრთხილებისა და ახსნა-განმარტების გარეშე, ასე რომ, გავიჭედე, ამ ნაძირლებს თითქოს მიწამ უყო პირი. ამას რაღაც უნდა მოვუხერხოთ.

როდესაც ფერისი წავიდა, დოქტორი სტადლერი მაგიდას მიუჯდა დაქანცული.

აღარავის დანახვა აღარ სურდა. გრძნობდა, რომ მაინც აღარასოდეს არავინ მოვიდოდა ისეთი, ვინც მისთვის ძვირფასი იქნებოდა.

იცოდა ის სიტყვები, რომლებიც ვერ თქვა. მან ვერ თქვა, რომ საჯაროდ დაგმობს ამ წიგნს და უარყოფს მას ინსტიტუტის პატიოსანი სახელის გადასარჩენად. მან ეს არ თქვა, რადგან შეეშინდა, რომ მისი მუქარა არანაირ ზემოქმედებას არ მოახდენდა ფერისზე; რომ ფერისი უსაფრთხოდ იყო; რომ რობერტ სტადლერის სიტყვას ამიერიდან ადრინდელი ძალა აღარ ჰქონდა. და მართალია, თავს ირწმუნებდა, რომ მოგვიანებით მიუბრუნდებოდა საჯაროდ გაპროტესტების საკითხს, იცოდა, რომ ამას არ იზამდა.

წიგნი ნაგვის ურნაში მოისროლა.

მოულოდნელად და ძალიან გარკვევით, წარმოუდგა სახე, ისე გარკვევით, რომ ყოველი დეტალის გარჩევა შეეძლო, ახალგაზრდა სახე, რომლის გახსენებასაც უკვე მრავალი წელი იყო, საკუთარ თავს უკრძალავდა. „არა“, — გაიფიქრა სტადლერმა, — „მას ეს წიგნი არ წაუკითხავს, ის მას ვერ ნახავს, ის გარდაიცვალა, ის დიდი ხნის წინ უნდა გარდაცვლილიყო“... თავზარმა, რომელიც იმის ცოდნამ დასცა, რომ სწორედ ამ ადამიანის დანახვა სურდა ახლა ყველაზე მეტად ამქვეყნად და კიდევ იმან, რომ ეს სრულიად უიმედო იყო, მწვავე ტკივილი აგრძნობინა.

ვერ მიხვდა, რატომ, მაგრამ როცა ტელეფონმა დარეკა და მდივანმა შეატყობინა, ხაზზე მის დაგნი ტაგარტიაო, სიხარულით დასწვდა ყურმილს, შეამჩნია, რომ ხელი უცახცახებდა. მათი ბოლო შეხვედრიდან უკვე წელიწადზე მეტი იყო გასული და ფიქრობდა, რომ დაგნი აღარასოდეს მოისურვებდა მის ნახვას. დოქტორ სტადლერს მოესმა დაგნის სუფთა, გულგრილი ხმა. ის შეხვედრას სთხოვდა.

— დიახ, მის ტაგარტ, რა თქმა უნდა, დიახ, რასაკვირველია... ორშაბათს, დილით?

კეთილი... იცით, მის ტაგარტ, დღეს ნიუ-იორკში შეხვედრა მაქვს დაგეგმილი და შემიძლია, ოფისში შემოგირბინოთ დღის მეორე ნახევარში, თუ წინააღმდეგი არ ხართ... არა, არა, არანაირად არ შევწუხდები, ძალიან მოხარული ვიქნები... ნაშუადღევს, მის ტაგარტ, ორი საათისთვის, უფრო ზუსტად, ოთხი საათისთვის.

დოქტორ სტადლერს ნიუ-იორკში არავითარი შეხვედრა არ ჰქონდა. მაგრამ არც უცდია, გაერკვია, რამ წააქეზა, ეს ეთქვა. მხოლოდ სიხარულით იღიმოდა, როცა შორს, შორეული მთის ფერდობზე მზის ნათელ ლაქას გასცქეროდა.

* * *

დაგნი შეეცადა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა და განრიგში მატარებელ №93-ის მოძრაობის გრაფიკი გადახაზა. წუთიერი კმაყოფილებაც კი იგრძნო. ბოლო ექვსი თვის მანძილზე ეს ბევრჯერ გააკეთა. თავიდან უჭირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო გაუადვილდა.

„დადგება დღე“, — ფიქრობდა დაგნი, — „როცა ამ მომაკვდინებელი ხაზის გასმას გულგრილად მოვახერხებ“. მატარებელი №93 სატვირთო შემადგენლობა იყო, რომელიც კოლორადოში ჰემონდსვილს ამარაგებდა იცოდა, შემდეგ რა მოხდებოდა: ჯერ პირდაპირი რეისების შემცირება, შემდეგ ჰემონდსვილში სატვირთო ვაგონების შემცირება, რომლებიც საცოდავი ნათესავებივით მიებმებოდნენ სხვა ქალაქებისკენ

მიმავალი მატარებლების კუდებს, შემდეგ უსათუოდ მოიკლებდა სამგზავრო მატარებლების რიცხვი, რომლებიც ჰემონდსვილის სარკინიგზო სადგურზე აჩერებდნენ, და ის დღეც მალე დადგებოდა, როდესაც ჰემონდსვილსა და კოლორადოს წაშლიდა რუკაზე. ასეთივე ხვედრი ელოდა უაიატის სადგურსა და ქალაქ სტოკტონსაც.

როცა ლოურენს ჰემონდის ბიზნესიდან წასვლა შეიტყო, მაშინვე მიხვდა: აზრი არ ჰქონდა არც ლოდინს, არც იმედს ან ოცნებას, რომ ჰემონდის ბიძაშვილი, მისი ადვოკატი ან ადგილობრივ მოქალაქეთა კომიტეტი თავიდან გახსნიდნენ ქარხანას.

იცოდა, დადგა დრო, განრიგისთვის გადაეხედა.

ელის უაიატის გაუჩინარების დღიდან ნახევარი წელიც არ იყო გასული, პერიოდი, რომელსაც ჟურნალისტებმა მხიარულად შეარქვეს „პატარა კაცუნას განსაკუთრებული დღე“. ყველა მცირე ნავთობმეწარმე, რომელიც სამ ჭაბურღილს მაინც ფლობდა და წუწუნებდა, რომ ელის უაიატმა არსებობის შანსი არ დაუტოვა, მიასკდა ხანძრით გადაბუგულ უმსხვილეს ნავთობსაბადოს. მათ ჩამოაყალიბეს გაერთიანებები, კოოპერატივები, ასოციაციები; თავიანთი რესურსები და ფასიანი ქაღალდები გააერთიანეს. „მზემ გაათბო პატარა კაცუნა“, — წერდნენ გაზეთები. მათი მზე ცეცხლის ალი იყო, რომელიც „უაიატის ნავთობის“ ნანგრევებს შორის იკლაკნებოდა. ამ ცეცხლის თვალის მომჭრელ ელვარებაში ისე გამდიდრდნენ, ადრე რომ ვერც იოცნებებდნენ, აურაცხელი ფული იშოვეს, რასაც არც მათი კომპეტენცია დასჭირვებია და არც შრომა. შემდეგ მათი უმსხვილესი კლიენტები, ენერგოკომპანიები, რომლებიც ნავთობს უზღვავი რაოდენობით მოიხმარდნენ და სულაც არ სურდათ ადამიანური სისუსტეების გათვალისწინება, ნახშირის მოხმარებაზე გადავიდნენ, ხოლო შედარებით მცირე კალიბრის კლიენტები, გაცილებით მოკრძალებულნი, ერთიმეორის მიყოლებით ტოვებდნენ ბიზნესს, რადგან ბიჭებმა ვაშინგტონიდან ნავთობის რაციონალური განაწილების წესი შემოიღეს და დასაქმებულებს წარმოუდგენელი გადასახადი დაუწესეს ნავთობის სფეროს უმუშევარი მუშების მხარდაჭერის მიზნით. შემდეგ რამდენიმე მსხვილი ნავთობკომპანია დაიხურა. შემდეგ „მზეს მიფიცხებულმა“ პატარა კაცუნებმა აღმოაჩინეს, რომ ჭაბურღილის ბურღვა, რომელიც ადრე ასი დოლარი ღირდა, ახლა ხუთასი უჯდებათ; ნავთობმომპოვებელი სფეროს აღჭურვილობის ბაზარი აღარ არსებობდა, მომწოდებლები იძულებული იყვნენ, ერთი ჭაბურღილიდან იმდენი ნავთობი მიეღოთ, რამდენსაც ადრე ხუთიდან იღებდნენ, თუ არადა, დაიღუპებოდნენ. შემდეგ ნავთობსადენები დაიხურა, არავინ იყო, ვინც მათ შენახვა-შეკეთების ხარჯებს გადაიხდიდა. შემდეგ რკინიგზებმა სატვირთო გადაზიდვების ტარიფების გაზრდის ნებართვა მოიპოვეს. ვინაიდან გადასაზიდი ნავთობი ცოტა იყო, გადაზიდვის ხარჯები ფატალური აღმოჩნდა ორი არცთუ დიდი რკინიგზისთვის. მზე თანდათანობით დაისისკენ გადაიხარა და მცირე მეწარმეებმა დაინახეს, რომ მათ მიერ უაიატის ნავთობსაბადოების წყალობით მოპოვებულ ნავთობს, ოდესღაც სრულიად საკმარისს სამოცი აკრის ფართობზე არსებობისთვის, წარმოუდგენელი ფასი დაედო და იმავე კვამლის რგოლებივით გაიფანტა.

და ვიდრე მათი ქონება არ გაიზარდა, მათი საქაჩი ტუმბოები კი კვლავ მუშაობდა, პატარა კაცუნებმა ვერა და ვერ გააცნობიერეს, რომ ვერც ერთი ბიზნესმენი ამ ქვეყანაში ვერ შეძლებდა ნავთობის იმ ფასად შეძენას, მისი მოპოვება რომ უჯდებოდათ. ამის შემდეგ ბიჭებმა ვაშინგტონიდან ნავთობის მწარმოებლებს სუბსიდიები გამოუყვეს, მაგრამ ყველა ნავთობმწარმოებელს ხომ არ ეყოლებოდა

მეგობარი ვაშინგტონში. და ამიტომაც შეიქმნა სიტუაცია, რომლის შესასწავლად და განსახილველად თავი არავის აუტკივებია.

ენდრიუ სტოკტონის მდგომარეობა ბევრ ბიზნესმენს შურდა. ნახშირზე გადასვლის ციებ-ცხელება ღვთის წყალობასავით დაებერტყა თავზე: საკუთარ ქარხანას სადღეღამისო რეჟიმში ამუშავებდა, ზამთრის ქარბუქებამდე რომ მოესწრო საქვაბეების დამზადება. საიმედო ფოლადსასხმელი ქარხნები უკვე ცოტა იყო დარჩენილი და ის იქცა მთავარ დასაყრდენად, რომელიც ქვეყნის სამზარეულოებსა და საქვაბეებს ამარაგებდა. და ეს მთავარი საყრდენი გაფრთხილების გარეშე დაიშალა.

ენდრიუ სტოკტონმა განაცხადა, რომ წყვეტდა საქმიანობას, ქარხანა დახურა და გაუჩინარდა. სიტყვაც კი არ დასცდენია იმის შესახებ, თუ რა უნდა ექნათ ქარხნისთვის ან ჰქონდათ თუ არა მის ნათესავებს მისი ხელახლა გახსნის უფლება.

ქვეყნის გზებზე ჯერ კიდევ მოძრაობდნენ ავტომობილები, იმ მოგზაურებივით, უდაბნოში მზით დახრუკული ცხენების ჩონჩხებს შორის რომ დახეტიალებენ, და გვერდს უქცევდნენ გზაში დაგდებულ ან გზისპირა კიუვეტებში დატოვებული მანქანების ნარჩენებს.

ხალხი მანქანებს აღარ ყიდულობდა და ავტომწარმოებელი ქარხნები ერთიმეორის მიყოლებით იხურებოდა. თუმცა ჯერ კიდევ იყვნენ ისეთებიც, ნავთობის შოვნას რომ ახერხებდნენ იმ მეგობრული კავშირების წყალობით, რომელთა შესახებ ყველა დუმილს ამჯობინებდა. ეს ადამიანები მანქანებს შეუვაჭრებლად ყიდულობდნენ. კოლორადოს მთებს ლოურენს ჰემონდის ქარხნის უზარმაზარი ფანჯრებიდან გამომავალი სინათლე ეფინებოდა, ქარხნის, რომლის ამწყობი საამქროს კონვეიერიდან „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სათადარიგო ხაზებზე საბარგო და მსუბუქი ავტომანქანები ჩამოდიოდა. ცნობა, მოკლე და მოულოდნელი, იმის შესახებ, რომ ლოურენს ჰემონდმა საქმე დატოვა, ისეთ დროს გავრცელდა, როცა ამას ყველაზე ნაკლებად წარმოიდგენდნენ, და მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ადგილობრივ მოქალაქეთა კომიტეტი ლოურენს ჰემონდს რადიოს საშუალებით ემუდარებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ნება დაერთო მათთვის, ქარხანა ისევ გაეხსნათ. პასუხი არ იყო.

დაგნი ყვიროდა, როდესაც ელის უაიატი გაქრა; ოხრავდა, როცა ენდრიუ სტოკტონი საქმეს დაეთხოვა; როცა მოისმინა, რომ ლოურენს ჰემონდმა საქმიანობა შეაჩერა, აპათიურად იკითხა: „ვინ იქნება შემდეგი?“

— არა, მის ტაგარტ, ამის ახსნა არ შემიძლია, — უთხრა ენდრიუ სტოკტონის დამ დაგნის, როდესაც უკანასკნელად ჩავიდა კოლორადოში, ორი თვის წინ, — მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის, ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი, ელის უაიატივით. არა, წინა დღეს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ვიღაც კაცი მოვიდა მასთან იმ ბოლო საღამოს. უცხო კაცი, რომელიც ადრე არასდროს მინახავს. გვიანობამდე ლაპარაკობდნენ. როცა დასაძინებლად წავედი, ენდრიუს კაბინეტში ისევ შუქი ენთო.

კოლორადოს ქალაქებში ხალხი დუმდა. დაგნი ხედავდა, როგორ დახეტიალებდნენ ადამიანები ქუჩებში, თავიანთი სასადილოების, რკინა-კავეულისა და სასურსათო მაღაზიების ახლომახლო: თითქოს ამ ყველაფრის ყურება მომავლისკენ გახედვის აუცილებლობისგან იხსნიდათ. მანაც გაიარა ამ ქუჩებზე, ცდილობდა, თავი მაღლა არ აეწია, რათა უაიატის ნავთობის საბადოებიდან დარჩენილი გაჭვარტლული ქვები და დაგრეხილი მეტალი არ დაენახა. ამის დანახვა

უამრავი დასახლებიდან შეიძლებოდა; საკმარისი იყო, თავი აგეწია და მხოლოდ ამ ნანგრევებს ხედავდი.

მთის კალთაზე ერთი კოშკურა ჯერ კიდევ იწვოდა. ვერავინ შეძლო მისი ჩაქრობა. დაგნიმ ეს ქუჩიდანაც დაინახა: ცეცხლის შლეიფი ცის ფონზე ისე იკლაკნებოდა, თითქოს ცდილობდა, თავი გაეთავისუფლებინა და გაფრენილიყო. დაგნიმ ეს ალი ღამითაც დაინახა, ვაგონის ფანჯრიდან, ასი მილის დაშორებით ხალხმა მას უაიატის ჩირაღდანი უწოდა.

„ჯონ გოლტის ხაზის“ ყველაზე გრძელი შემადგენლობა ორმოცი ვაგონისგან შედგებოდა; ყველაზე სწრაფი საათში ორმოცდაათი მილის სიჩქარით მოძრაობდა.

ძრავებს უნდა მოფრთხილებოდნენ: ესენი ნახშირზე მომუშავე ძრავები იყო და საექსპლუატაციო ვადა უკვე დიდი ხნის წინ გაუვიდათ. ჯიმმა ლოკომოტივებისთვის საწვავის შოვნა მოახერხა, რომელიც „კომეტას“ და რამდენიმე ტრანსკონტინენტურ სატვირთო ვაგონს ამუშავებდა. საწვავის ერთადერთი წყარო, რომლის იმედიც დაგნის ჰქონდა და ვისთანაც საქმეს დაიჭერდა, კენ დენეგერი იყო, „დენეგერ ქოულიდან“, პენსილვანიაში.

კოლორადოს მიმართულებით მოძრავ ცარიელ მატარებლებს ოთხი მეზობელი შტატი უნდა გაევლოთ. რამდენიმე ვაგონით ცხვრები გადაჰყავდათ, ცოტაოდენი მარცვლეული, ცოტაოდენი საზამთრო გადაჰქონდათ და და შემთხვევითი მგზავრები, ერთი ფერმერი ოჯახითურთ, რომელსაც მეგობრები ჰყავდა ვაშინგტონში. ჯიმმა ვაშინგტონიდან სუბსიდიის მოპოვება შეძლო ყოველი მოძრავი შემადგენლობისთვის, მოგების მისაღებად კი არა, „მოსახლეობაში თანასწორობის“ უზრუნველსაყოფად.

დაგნი თავს არ ზოგავდა, რომ მატარებლებს კვლავ ემოძრავათ იმ რეგიონებში, სადაც ეს ჯერ კიდევ საჭირო იყო, სადაც წარმოება ჯერაც არ ჩამკვდარიყო. მაგრამ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ საბალანსო აღრიცხვის ფურცლებიდან ჩანდა, რომ ჯიმის მიერ მოზიდული სუბსიდიების ჩეკებში ცარიელი მატარებლებისთვის უფრო დიდი ციფრები ეწერა, ვიდრე ყველაზე აქტიური სამრეწველო რაიონის საუკეთესო გადამზიდი მატარებლის მიერ მოტანილი მოგება იყო.

ჯიმი იკვეხნიდა, რომ ეს ექვსი თვე ყველაზე შემოსავლიანი გამოდგა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ისტორიაში. აქციონერებისთვის მომზადებული თავისი ანგარიშების პრიალა ფურცლებზე, „მოგების“ გრაფაში მითითებული იყო ფული, რომელიც მას არ გამოუმუშავებია: სუბსიდიები ცარიელი ვაგონებისთვის, ფული, რომელსაც ის არ ფლობდა — თანხები, რომლებიც პროცენტების გადახდასა და კომპანიის ობლიგაციების გამოსყიდვას უნდა მოხმარებოდა, სესხისა, რომელიც უესლი მაუჩის ნება-სურვილის წყალობით, ჯიმს შეეძლო, აღარ დაეფარა. ჯიმი ტრაბახობდა არიზონას შტატში სატვირთო გადაზიდვების გაზრდილი მოცულობით, სადაც დენ კონვეიმ „ფენიქს-დურანგო“ დახურა და საქმიანობა შეწყვიტა; და მინესოტაში, სადაც პოლ ლარკინი რკინის მადნის გადასაზიდად მატარებელს იყენებდა, ხოლო დიდ ტბებზე რკინის მადნის გადამზიდმა უკანასკნელმა ბორანმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

— შენ ფულის კეთება ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვან რამედ მიგაჩნდა, — უთხრა ჯიმმა დაგნის უცნაური, რაღაცნაირი ნახევარი ღიმილით, — მეჩვენება, რომ ამაში მე გაჯობე.

არავინ ახსენებდა ხმამაღლა რკინიგზების გაყინული ვალების პრობლემას. ალბათ იმიტომაც, რომ ყველას მშვენივრად ესმოდა სიტუაცია. ჯერ ერთი,

ობლიგაციების მფლობელებს შორის პანიკა იწყებოდა, კიდევ უფრო მეტად ღელავდა საზოგადოება, მეორეც — უესლი მაუჩმა მორიგი განკარგულება გამოსცა, რომლის თანახმადაც, „უკიდურესი საჭიროების“ დასაბუთებისას, შესაძლებელი ხდებოდა ობლიგაციების „გალღობა“. დამაჯერებელი დასაბუთების შემთხვევაში, მთავრობა ობლიგაციებს შეისყიდდა. ჩნდებოდა სამი კითხვა, რომელსაც არავინ პასუხობდა: „რა ჩაითვლებოდა მტკიცებულებად?“ „რას უნდა განესაზღვრა საჭიროება?“ და „უკიდურესი — ვისთვის?“ — შემდგომ, ცუდ ტონად იქცა იმის გარჩევა, თუ რატომ იღებდა მავანი თავისი ფულის „გალღობის“ ნებართვას, როცა სხვას უარს ეუბნებოდნენ. კითხვას „რატომ?“

პასუხი არასოდეს მოსდევდა. უბრალოდ, აცნობებდნენ, მაგრამ ახსნით არავის არაფერს უხსნიდნენ, ნებადართული მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია იყო, მათი შეფასება — არა: მისტერ სმიტს „გაულღვეს“, მისტერ ჯონსს — არა; მორჩა და გათავდა. და როცა მისტერ ჯონსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ადამიანები ამბობდნენ: „რა ვიცი, მას რომ მართლაც ასე სჭირვებოდა თავისი ფული, მთავრობა მისცემდა, მაგრამ ზოგიერთი, უბრალოდ, მეტისმეტად ხარბია“.

ხმას არავინ იღებდა იმაზე, რომ მათ, ვისაც უარი უთხრეს, თავიანთი ობლიგაციები ღირებულების მესამედ ფასში მიჰყიდეს ადამიანებს, რომელთაც სასწაულის ძალით გამოალღვეს ოცდაცამეტი გაყინული ცენტი ერთ სრულფასოვან დოლარად.

არავინ ლაპარაკობდა ფხიანი ჯეილების მიერ ათვისებულ ახალ პროფესიაზე, რომლებსაც უნივერსიტეტი ახლახან დაემთავრებინათ, თავიანთ თავს „გამლღობებს“ უწოდებდნენ და ადამიანებს მათი განაცხადების „შესაბამის, თანამედროვე გაფორმებას“ სთავაზობდნენ. ამ ყმაწვილებს ვაშინგტონში მეგობრები ჰყავდათ.

როდესაც დაგნი პროვინციული სადგურის პლატფორმიდან ტაგარტების რკინიგზის რელსებს გაჰყურებდა, საკუთარი თავი გამოიჭირა, რომ ადრინდელ სიამაყეს კი არა, ბუნდოვან სირცხვილს გრძნობდა — თითქოს მეტალს ჟანგი მოსდებოდა, ანდა უფრო უარესი: თითქოს ჟანგი სისხლით იყო დაფერილი. მაგრამ მერე, ტერმინალის მთავარ დარბაზში ნათ ტაგარტის ქანდაკებას შეხედა და გაიფიქრა: „ეს შენი რკინიგზაა, შენ შექმენი ის, შენ იბრძოდი მისთვის, შენ ვერც შიში შეგაჩერებდა, ვერც ზიზღი. და არც მე არ დავიხევ უკან, სისხლსა და ჟანგს არ შევაჭმევინებ მას, მე ხომ ერთადერთი დავრჩი, ვინც მას დაიცავს“.

დაგნის არ შეუწყვეტია იმ ადამიანის ძებნა, რომელმაც ძრავა გამოიგონა.

ეს მისი საქმიანობის ერთადერთი ნაწილი იყო, რომელიც ძალას აძლევდა, ყველაფერ დანარჩენისთვის გაეძლო.

ეს იყო ერთადერთი მიზანი, რომელიც მის ბრძოლას აზრს აძლევდა. თუმცა დროდადრო საკუთარ თავს ეკითხებოდა, რისთვის უნდოდა ამ ძრავის აღდგენა.

თითქოს რომელიღაც შინაგანი ხმა ეკითხებოდა — რისთვის? „იმიტომ, რომ ჯერ ცოცხალი ვარ“, — პასუხობდა დაგნი. მაგრამ ძიება ისევ ამაო იყო. მისმა ორმა ინჟინერმა ვისკონსინში ვერაფერი იპოვა. დაგნიმ მათ დაავალა, მთელი ქვეყანა გადაეჩხრიკათ და მოეძებნათ ადამიანი, რომელიც „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანისთვის“ მუშაობდა და დაედგინათ ძრავის გამომგონებლის სახელი. მათ ვერაფერი შეიტყვეს. დაგნიმ ისინი საპატენტო ბიუროშიც გაგზავნა მონაცემთა ბაზის შესასწავლად, მაგრამ გაირკვა, რომ ეს ძრავა არასოდეს არავის დაუპატენტებია.

ერთადერთი, რაც ამ ძებნის შედეგად მოიპოვა, სიგარეტის ნამწვი იყო დოლარის გამოსახულებით. დაგნის ის არც კი გახსენებია, ვიდრე ერთ საღამოს თავისი მაგიდის უჯრაში არ გადააწყდა. ნამწვი ნაცნობ მოხუცს აჩვენა, სადგურის პლატფორმაზე მდებარე თამბაქოს კიოსკში. მოხუცს ნამწვი ორი თითით ფრთხილად ეჭირა და ყურადღებით ათვალიერებდა გაოცებული: ამ მარკის შესახებ არასოდეს არაფერი სმენოდა, უკვირდა, ეს როგორ გამოეპარა.

— კარგი თამბაქო იყო, მის ტაგარტ?

— საუკეთესო, რაც კი ოდესმე მომიწევია.

მოხუცმა თავი გააქნია, შეფიქრიანებული ჩანდა. დაგნის დაჰპირდა, რომ გაიგებდა, სად იყო დამზადებული ეს სიგარეტი და მის ერთ კოლოფსაც უშოვიდა.

დაგნი ცდილობდა, ეპოვა მეცნიერი, რომელიც ძრავის რეკონსტრუქციას მოჰკიდებდა ხელს. გაესაუბრა ადამიანებს, რომელთაც რეკომენდაცია გაუწიეს, როგორც საუკეთესოებს თავიანთ სფეროში. პირველმა, ძრავის ნარჩენებისა და ხელნაწერის შესწავლის შემდეგ, სამხედრო ინსტრუქტორის ტონით განაცხადა, რომ ამ ძრავას მუშაობა არ შეეძლო, არც არასდროს უმუშავია და დაამტკიცებდა, რომ ამგვარი ძრავა ვერასოდეს იმუშავებდა. მეორემ სიტყვები ისე გაწელა, თითქოს აბეზარი ბრიყვის შტერულ კითხვას პასუხობდა და თქვა, რომ არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა მისი აღდგენა და არც აპირებდა ამის გარკვევას. მესამემ საბრძოლო შემართებით განუცხადა, რომ თანახმა იყო, ამ საქმისთვის ხელი მოეკიდებინა, თუკი ათწლიან კონტრაქტს გაუფორმებდნენ და წელიწადში ოცდახუთი ათასი დოლარს გადაუხდიდნენ: „ბოლოს და ბოლოს, მის ტაგარტ, თუ თქვენ უზარმაზარი მოგების მიღებას აპირებთ ამ ძრავის ამუშავებით, ჩემს სამუშაო დროშიც უნდა გადაიხადოთ“. მეოთხემ, ყველაზე ახალგაზრდამ, დაგნის წუთით მდუმარედ შეხედა, მისი გულგრილი გამომეტყველება ზიზღმა შეცვალა: „იცით, მის ტაგარტ, არ მგონია, ასეთი ძრავის გაკეთება საერთოდ საჭირო იყოს, იმ შემთხვევაშიც კი, ვინმემ რომც მოახერხოს. ეს იმდენად აღემატება ყველაფერს, რაც კი აქამდე გამოუგონებიათ, რომ დიდი უსამართლობა იქნებოდა ნაკლებად ნიჭიერი გამომგონებლების მიმართ, რადგან მათი მიღწევებისთვის და შესაძლებლობებისთვის ასპარეზი აღარ დარჩებოდა. არ მგონია, რომ ძლიერს უფლება ჰქონდეს, სუსტის თავმოყვარეობა შელახოს“. დაგნიმ ის თავისი კაბინეტიდან გააძევა და დიდხანს იჯდა თავზარდაცემული იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ ყველაზე უზნეო განაცხადი, რაც კი ოდესმე მოუსმენია თავის სიცოცხლეში, მორალის მქადაგებლის ტონით იყო წარმოთქმული.

გადაწყვეტილება, დალაპარაკებოდა დოქტორ რობერტ სტადლერს, დაგნის უკანასკნელი იმედი იყო.

როგორც იქნა, თავი აიძულა, მისთვის დაერეკა; ძლივს დაძლია შინაგანი წინააღმდეგობა, რომელსაც ვერა და ვერ მორეოდა. საკუთარი თავის გადარწმუნება არც უცდია. „ისეთ ხალხთან ხომ ვმუშაობ, როგორებიც ჯიმი და ორენ ბოილი არიან, სტადლერის დანაშაული მათსაზე ნაკლებია, აბა, რატომღა არ უნდა დავურეკო?“ — ფიქრობდა დაგნი.

პასუხი ვერ იპოვა, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ერთადერთი ადამიანი დედამიწის ზურგზე, ვისთვისაც არ უნდა დაერეკა, სწორედ დოქტორი რობერტ სტადლერი იყო.

როცა მაგიდასთან იჯდა „ჯონ გოლტის ხაზის“ განრიგის ქვეშ და დოქტორ სტადლერის მოსვლას ელოდებოდა, ფიქრობდა, რატომ არ გამოჩნდა წლების

მანძილზე მეცნიერების სფეროში ნამდვილი ტალანტი. პასუხისთვის ვერ მიეგნო, მხოლოდ შავ ხაზს დაჰყურებდა, რომელმაც მატარებელი №93 დაასამარა.

„მატარებელს ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელი ორი ატრიბუტი აქვს“, — ფიქრობდა დაგნი, — „მოძრაობა და მიზანი“; მაგრამ ახლა ის მხოლოდ და მხოლოდ მკვდარი სატვირთო ვაგონებისა და ძრავების გროვა იყო. „არ გაქვს ფიქრის უფლება!“ — უბრძანა საკუთარ თავს, — „რაც შეიძლება მალე დაშალე შემადგენლობა, ძრავები ყველგან სჭირდებათ, კენ დენეგერი პენსილვანიაში მატარებლებს ითხოვს, მეტ მატარებელს, თუკი“...

— დოქტორი რობერტ სტადლერი, — გაისმა შიდასაოფისე კომუტატორიდან მის მაგიდაზე.

დოქტორი სტადლერი მომღიმარი სახით შევიდა. ამ ღიმილს მისი სიტყვები უნდა შეერბილებინა:

— მის ტაგარტ, არ დამიჯერებთ, თუ გეტყვით, როგორ მიხარია კვლავ თქვენი ნახვა.

დაგნიმ არ გაუღიმა, სერიოზულად და ზრდილად უპასუხა:

— დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრიდან, რომ მობრძანდით. — წელში გაიმართა და მისალმების ნიშნად თავი ნელა, ოფიციალურად დაუკრა.

— გამოგიტყდებით, მხოლოდ დამაჯერებელი საბაბი მჭირდებოდა აქ მოსასვლელად. ხომ არ გაგაწბილეთ?

— ვეცდები, თქვენი თავაზიანობა ბოროტად არ გამოვიყენო, — ისევ არ გაიღიმა დაგნიმ, — გთხოვთ, დაბრძანდით, დოქტორო სტადლერ.

სტუმარმა დაძაბულად მიმოიხედა ირგვლივ:

— ადრე არასდროს ვყოფილვარ სარკინიგზო კომპანიის ხელმძღვანელის კაბინეტში. არ მეგონა, თუ ასეთი... ასეთი ოფიციალური გარემო იქნებოდა. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარეა ასე?

— საკითხი, რის შესახებაც რჩევა მინდა გთხოვოთ, შორს არის თქვენი ინტერესების სფეროსგან, დოქტორო სტადლერ. შეიძლება, უცნაურადაც მოგეჩვენოთ, თქვენ რომ მოგმართეთ. ნება მომეცით, აგიხსნათ, რატომ დაგირეკეთ.

— ის ფაქტი, რომ ჩემთან დაკავშირება მოისურვეთ, უკვე სრულიად საკმარისი მიზეზია. თუკი შევძლებ, რაიმე სამსახური გაგიწიოთ, ეს უზარმაზარ სიამოვნებას მომანიჭებს, — დოქტორ სტადლერს მიმზიდველი ღიმილი ჰქონდა, იმ ადამიანის, რომელიც ღიმილით თავისი სიტყვების შენიღბვას კი არ ცდილობს, არამედ ჰყოფნის სითამამე, გულწრფელად გამოხატოს საკუთარი გრძნობები.

— მე წმინდა წყლის ტექნიკური პრობლემა მაქვს, — უთხრა დაგნიმ, მკაფიო, ახალგაზრდა მექანიკოსის მშრალი ტონით, რომელიც რთულ ამოცანაზე მსჯელობს, — ვიცი, რომ ამ სფეროს სერიოზულობით არ ეკიდებით. რა თქმა უნდა, ეს ფუნდამენტური მეცნიერება არ არის. არ მოველი, რომ ჩემს პრობლემას გადაჭრით — ეს არ არის თქვენი სამუშაო. მე მხოლოდ იმიტომ დაგირეკეთ, რომ გაგაცნოთ ეს პრობლემა და შემდეგ ორად ორი კითხვა დაგისვათ. იძულებული ვიყავი, თქვენთვის მომემართა, რადგან ამ საქმეს გონება სჭირდება, ძალიან მძლავრი გონება, — დაგნი ამ სიტყვებს ემოციების გარეშე წარმოთქვამდა, მხოლოდ ფაქტების კონსტატაციის სახით, — თქვენ კი ერთადერთი დიდი მეცნიერი ხართ, რომელიც ამ სფეროში დარჩა.

დაგნის ვერ აეხსნა, რატომ გაანაწყენა ასე მისმა სიტყვებმა დოქტორი სტადლერი. დაინახა, როგორ გაეყინა სახე, თვალებში უცნაური გულწრფელობა

ჩაუდგა, დაუფარავი და ლამის მავედრებელი. შემდეგ მისი შეცვლილი ხმა მოესმა, თითქოსდა ემოციის გავლენით უფრო უბრალო და დამორცხვებული:

— რა არის თქვენი პრობლემა, მის ტაგარტ?

დაგნიმ ძრავისა და იმ ადგილის შესახებ უამბო, სადაც ის იპოვა, ისიც თქვა, რომ ვერაფრით მიაკვლია გამომგონებლის სახელს; ოღონდ ძიების დეტალები არ მოუყოლია. მერე ძრავის ფოტოები და ხელნაწერის გადარჩენილი ნაწილი გაუწოდა.

თვალი არ მოუცილებია, ვიდრე დოქტორი სტადლერი ხელნაწერს კითხულობდა.

შენიშნა, როგორი პროფესიონალიზმით, რა სხარტად გადაავლო თვალი ამ მასალებს, მერე ადგილზე გაქვავდა, ყურადღება მოიკრიბა, ტუჩები ისე მოკუმა, გეგონებოდა, დაუსტვინა ან ამოიოხრაო. შემდეგ რამდენიმე წუთით გაირინდა; მზერით სხვა სამყაროში გადაინაცვლა. მის წინაშე თითქოს აურაცხელი ხელმოსაჭიდი იყო და ცდილობდა, არც ერთი არ გამოჰპარვოდა. მერე უკან გადაფურცლა ხელნაწერი, ისევ განაგრძო კითხვა. გეგონებოდა, მისი უსაზღვრო ინტუიციის წინაშე გადაშლილ პერსპექტივებს სურდა, დასწაფებოდა. დაგნი გრძნობდა მის მდუმარე მღელვარებას. იცოდა, რომ დოქტორ სტადლერს დაავიწყდა მისი კაბინეტი, დაგნის არსებობა, ყველაფერი, გარდა ამ გამოგონებისა, და გაიფიქრა, რა კარგი იქნებოდა, დოქტორი სტადლერი რომ მოსწონდეს.

თითქმის მთელი ერთი საათი ორივენი დუმდნენ ვიდრე სტადლერმა კითხვა საბოლოოდ დაასრულა და დაგნის ახედა.

— ეს განსაცვიფრებელია! — სიხარულით და დაბნეული ტონით გამოაცხადა მან, თითქოს დაგნის მოულოდნელ სიახლეს ატყობინებდა.

როგორ უნდოდა, საპასუხოდ გაეღიმა და მასთან ერთად გაეზიარებინა სიხარული, მაგრამ დაგნიმ თავი დაუკრა და ცივად უთხრა:

— დიახ.

— მაგრამ, მის ტაგარტ, ეს სასწაულია!

— დიახ.

— თქვენ თქვით, ეს ტექნიკური ხასიათის პრობლემააო? ეს მეტია, გაცილებით მეტი. გვერდები, სადაც ის თავის კონვერტერს აღწერს... ხომ დაინახეთ, რა წინაპირობას ეყრდნობა. მან ენერგიის ახალ კონცეფციას მიაგნო. გააცამტვერა ჩვენი ყველა სტანდარტული ვარაუდი, რომელთა მიხედვითაც მისი ძრავის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. მან ახალი, საკუთარი პრინციპების ფორმულირება შეძლო და პოტენციური ენერგიის კინეტიკურად გარდაქმნის საიდუმლო ამოხსნა. თქვენ თუ გესმით, ეს რას ნიშნავს? აცნობიერებთ, რამხელა გმირობა უნდა ჩაედინა წმინდა, აბსტრაქტულ მეცნიერებაში, ვიდრე ამ ძრავის შექმნას შეძლებდა?

— ვის? — მშვიდად, ხმადაბლა ჰკითხა დაგნიმ.

— უკაცრავად, რა თქვით?

— ეს პირველი კითხვაა იმ ორიდან, რომელიც თქვენთვის მინდოდა დამესვა, დოქტორო სტადლერ: ხომ ვერ გაიხსენებდით ახალგაზრდა მეცნიერს, რომელსაც იცნობდით ათი წლის წინ, ვისაც ამის შექმნა შეეძლო დოქტორი სტადლერი დაბნეულად გაჩუმდა; ამაზე დაფიქრება ვერ მოასწრო:

— არა, — მოიღუშა ის და ნელა უპასუხა, — არა, არავინ მაფიქრდება... და ეს უცნაურიცაა... იმიტომ, რომ ასეთი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა... ვინმე მაინც მიამბობდა მის შესახებ... იმედის მომცემ ფიზიკოსებს ყოველთვის ჩემთან აგზავნიდნენ... თქვენ თქვით, რომ ეს რომელიღაც რიგითი ძრავთმშენებელი ქარხნის კვლევით ლაბორატორიაში იპოვეთ, ასეა?

— დიახ.

— უცნაურია. იქ რა ესაქმებოდა?

— ძრავას აპროექტებდა.

— სწორედ მაგას ვგულისხმობდი. ადამიანი, გენიოსობის ნიშნით აღბეჭდილი, ნამდვილი მეცნიერი, ამჯობინებს, ტექნიკური გამოგონებები შექმნას? აღმაშფოთებელია. მას ძრავა დასჭირდა და ისე მშვიდად მოახდინა ფუნდამენტური რევოლუცია ენერგეტიკის მეცნიერებაში, რომ თავიც არ შეიწუხა საკუთარი აღმოჩენების გამოსაქვეყნებლად. პირდაპირ ძრავის შემუშავებას მიჰყო ხელი. რატომ უნდა მოუნდეს, თავისი ტვინი პრაქტიკულ ხელსაწყოებს დაახარჯოს?

— ალბათ, იმიტომ, რომ ამ დედამიწაზე ცხოვრება მოსწონდა, — უნებურად აღმოხდა დაგნის.

— მაპატიეთ, რა თქვით?

— არა, მე... უკაცრავად, დოქტორო სტადლერ. არ ვაპირებ... რაიმე უადგილო საკითხის განხილვას.

სტადლერმა სადღაც სხვაგან გაიხედა და საკუთარ აზრებს მიუბრუნდა:

— ჩემთან რატომ არ მოვიდა? რომელიმე მოწინავე სამეცნიერო დაწესებულებაში რატომ არ მუშაობდა, სადაც მისი ადგილი იყო? თუ იმის ჭკუა ეყო, ასეთი რამე შეექმნა, უდავოდ თავისი ქმნილების მნიშვნელობასაც მიხვდებოდა. რატომ არ გამოაქვეყნა სტატია თავის თეორიაზე ენერგიის შესახებ? მისი მუშაობის ზოგად მიმართულებას კი ვხვდები, მაგრამ ეშმაკმა დალახვროს — ყველაზე მნიშვნელოვანი გვერდები დაკარგულია, მტკიცება ფორმულირებული არ არის! რა თქმა უნდა, ვიღაცამ მისი გარემოცვიდან საკმარისად ბევრი იცოდა საიმისოდ, რომ სამეცნიერო წრეებისთვის შეეტყობინებინა მისი აღმოჩენების შესახებ. ეს რატომ არ გააკეთეს?

როგორ შეეძლოთ უგულებელყოფა, უბრალოდ უგულებელყოფა ასეთი აღმოჩენის?

— ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხები არ გამაჩნია.

— გარდა ამისა, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, რატომ აღმოჩნდა ეს ძრავა ნაგვის გროვაში? ნებისმიერი ხარბი, ბრიყვი მრეწველიც კი ხელს სტაცებდა, რომ გამდიდრებულიყო. მისი კომერციული ფასეულობის მიხვედრას განსაკუთრებული გონება არ სჭირდებოდა.

დაგნიმ პირველად გაიღიმა — ჯავრიანი მწარე ღიმილით; და არაფერი უთქვამს.

— გამომგონებელს ვერ მიაკვლიეთ? — ჰკითხა დოქტორმა სტადლერმა.

— ეს სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა, დღემდე.

— როგორ ფიქრობთ, ცოცხალია?

— საფუძველი მაქვს, ვიფიქრო, რომ ცოცხალია. მაგრამ დარწმუნებული ვერ ვიქნები.

— განცხადება რომ გამოვაქვეყნო და ასე ვცადო მისი პოვნა?

— არა. არ არის საჭირო.

— მაგრამ განცხადება რომ განმეთავსებინა სამეცნიერო გამოცემებში და დოქტორ ფერისისთვის დამევალებინა... — აქ დადუმდა, დაგნის ფიცხი გამოხედვა დაიჭირა. დაგნის არაფერი უთქვამს, თუმცა მის საპასუხო მზერას გაუძლო. დოქტორმა სტადლერმა თვალი აარიდა და წინადადება ცივად, მკაფიოდ დაასრულა, — და დოქტორ ფერისისთვის მეთხოვა, რადიოთი გამოეცხადებინა, რომ მისი ნახვა მსურს, უარს მეტყოდა მოსვლაზე?

— დიახ, დოქტორო სტადლერ, ჩემი აზრით, უარს გეტყოდათ.

დოქტორი სტადლერი უკვე აღარ უყურებდა მას. სახე ოდნავ დაეძაბა და მაშინვე მოეშვა; დაგნი ვერ იტყოდა, რა ნაპერწკალი ჩაქრა მის არსებაში, ისევე, როგორც ვერც იმას, რამ უბიძგა, ეს გაეფიქრებინა.

დოქტორმა სტადლერმა ხელის ჩვეული, დაუდევარი მოძრაობით დააგდო ხელნაწერი მაგიდაზე.

— ადამიანები, რომლებიც იმდენად საზრიანები არიან, რომ საკუთარი ტვინის გაყიდვა შეუძლიათ, ცოტათი მაინც უნდა იცნობდნენ რეალობას.

მან დაგნის გამომწვევად შეხედა, თითქოს მისგან ბრაზიან პასუხს ელოდა. მაგრამ დაგნის პასუხი ბრაზზე უარესი იყო: ისეთი გულგრილი იყო, თითქოს დოქტორ სტადლერის დასკვნების სიმართლეცა და სიყალბეც ამიერიდან სრულიად არ აინტერესებდა. დაგნიმ ზრდილობიანად ჰკითხა:

— რაც შეეხება ჩემს მეორე კითხვას — ხომ ვერ დამისახელებდით რომელიმე ფიზიკოსს, ვინც, თქვენი აზრით, ამ ძრავის რეკონსტრუქციას შეძლებდა?

დოქტორმა სტადლერმა დაგნის შეხედა და ჩაიცინა, მის ხმაში ტკივილი გამოკრთა:

— თქვენც ეს გტანჯავთ, მის ტაგარტ? რომ შეუძლებელი გახდა თუნდაც რამდენადმე ინტელექტუალური პიროვნების პოვნა?

— რამდენიმე ფიზიკოსს გავესაუბრე, რომლებიც ძალიან მიქეს და ყველა მათგანი სრულიად უიმედოდ მივიჩნიე.

დოქტორი სტადლერი მკვეთრად გადაიხარა წინ:

— მის ტაგარტ, — ჰკითხა, — იმიტომ დამიძახეთ, რომ ჩემს მეცნიერულ შეფასებას ენდობით?

მის კითხვაში გულწრფელი მუდარა ისმოდა.

— დიახ, — მშვიდად უპასუხა დაგნიმ, — თქვენს მეცნიერულ შეფასებას ვენდობი.

დოქტორი სტადლერი უკან გადაიწია. ფარულმა ღიმილმა თითქოს მისი სახიდან დაძაბულობა წაშალა.

— ძალიან მინდოდა, დაგხმარებოდით, — უთხრა მეგობრულად, — ყველაზე ეგოისტური მოსაზრებებით დაგხმარებოდით, იმიტომ რომ, იცით, ეს ჩემი ყველაზე დიდი პრობლემაა — ნიჭიერი ადამიანების პოვნა ჩემი საკუთარი გუნდისთვის. ნიჭიერება, ეშმაკმა წაიღოს! მისი თუნდაც გარეგნული ნიშნებიც დამაკმაყოფილებდა, მაგრამ ისინი, ვისაც მე მიგზავნიან, მართალი გითხრათ, რიგიანი ავტოფარეხის მექანიკოსობას თუ გასწვდებიან. არ ვიცი, მე ვბერდები და უფრო მომთხოვნი ვხდები თუ ადამიანის მოდგმა დეგრადირდება. მაგრამ სამყარო ჩემი ახალგაზრდობის დროს ასეთი ღატაკი არ მეჩვენებოდა ინტელექტუალურად.

რომ დაგანახათ, რა კატეგორიის ადამიანებს შორის მიწევს დღეს არჩევნის გაკეთება, თქვენ ალბათ...

დოქტორი სტადლერი გაჩუმდა, გეგონებოდა, მოულოდნელმა მოგონებამ შეაძრწუნა. ერთხანს დუმდა, თითქოს რაღაცაზე დაფიქრდა, რაზე ლაპარაკიც არ სურდა. დაგნი ამაში საბოლოოდ დარწმუნდა, როდესაც მან მკვეთრად წარმოთქვა, განაწყენებული ტონით, რომლის მიღმაც უკანდახევას მალავდა.

— არა. არავინ არ ვიცი ისეთი, ვისაც რეკომენდაციას გავუწევდი.

— სულ ეს იყო, რაც მინდოდა, მეკითხა, დოქტორო სტადლერ, — უთხრა დაგნიმ, — გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ.

დოქტორი სტადლერი წუთით ჩუმად იჯდა, თითქოს ვერაფრით აიძულა საკუთარი თავი, წასულიყო.

— მის ტაგარტ, თვითონ ძრავა შეგიძლიათ, მაჩვენოთ? — ჰკითხა მან დაგნის.

დაგნიმ მას დაბნეულად შეხედა:

— კი ბატონო... თუ გნებავთ. მაგრამ ის მიწისქვეშა საცავშია, ქვემოთ, ჩვენი ტერმინალის გვირაბებში.

— თუ წინააღმდეგი არ ხართ, მოხარული ვიქნებოდი, იქ რომ ჩაგეყვანეთ. განსაკუთრებული მოტივაცია არ მაქვს, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობა მინდა დავიკმაყოფილო. მინდა, შევხედო, ეს არის და ეს.

როდესაც გრანიტის მიწისქვეშა საცავში იდგნენ და მინის ყუთს დაჰყურებდნენ, რომელშიც მეტალის დამტვრეული ძრავა იდო, დოქტორმა სტადლერმა ნელი, დაბნეული მოძრაობით მოიხადა ქუდი. და დაგნი ვერ მიხვდა, რა იყო ეს — ავტომატური მოძრაობა, რაკი გვერდით ქალბატონი ედგა თუ ჟესტი, თავსაბურავს რომ იხდიან გარდაცვლილის კუბოსთან.

მდუმარედ იდგნენ სარდაფში, რომელსაც ერთადერთი ნათურა ანათებდა და მისი ნათება მინის ზედაპირიდან მათ სახეებზე აირეკლებოდა. საცავში მატარებლების ბორბლების რახუნი გაისმოდა და დროდადრო გეგონებოდა, მოულოდნელი, მკვეთრი ვიბრაცია მინის სარკოფაგში მოთავსებული ნარჩენებისგან პასუხის გამოდევნას ლამობდა.

— ეს ისეთი მშვენიერია, — თქვა დოქტორმა სტადლერმა ხმადაბლა, — რა მშვენიერია, როცა ხედავ დიად, ახალ, საკვანძო მნიშვნელობის მქონე იდეას, რომელიც შენ არ გეკუთვნის.

დაგნიმ შეხედა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, სწორად გაუგო თუ არა მას. დოქტორი სტადლერი მგზნებარე რწმენით ლაპარაკობდა, ყველა პირობითობის უგულებელყოფით, აღარც ის აფიქრებდა, უხერხული იყო თუ არა საკუთარ ტკივილზე ხმამაღლა ლაპარაკი, ვეღარაფერს ხედავდა, გარდა იმ ქალის სახისა, რომელსაც მისი გაგება შეეძლო:

— მის ტაგარტ, თქვენ თუ იცით მეორეხარისხოვნობის ნიშანდობლივი კრიტერიუმი? ბოღმა სხვისი მიღწევების გამო. ეს საცოდავი უნიჭოები, რომლებიც შიშით კანკალებენ, რომ სხვისი ნამუშევარი მათსას არ სჯობდეს. მათთვის უცხოა მარტოსულობა, რომელიც მაშინ მოდის, როცა მწვერვალს მიაღწევ. მარტოსულობა, როდესაც არსად გეგულება შენი თანასწორი, იმ გონებისა, რომელსაც პატივს სცემდი, და აღმოჩენები, რომელიც აღგაფრთოვანებს. ვირთხებივით გიკრეჭენ კბილებს თავიანთი სოროებიდან და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ სიამოვნებას განიჭებს საკუთარი ბრწყინვალებით მათი დაჩრდილვა. შენ კი ერთი წლის სიცოცხლეს დათმობდი, რომელიმე მათგანში ნიჭიერების ნაპერწკალი მაინც რომ დაგენახა. მათ შურთ მიღწევების და როდესაც დიდებაზე ოცნებობენ, ისეთ სამყაროს წარმოისახავენ, სადაც ყველა ადამიანი მათი მადლიერი ქვეშევრდომია. წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ეს ოცნება — მათი საშუალოობის უეჭველი დასტურია, რადგან ჭეშმარიტად დიდი ადამიანისთვის ასეთი სამყარო უბრალოდ აუტანელია. ისინი ვერასოდეს მიხვდებიან, რას გრძნობს ნიჭიერებით გამორჩეული ადამიანი, რომელიც უღიმღამობით არის გარშემორტყმული. სიძულვილს? არა, სიძულვილს არა, მოწყენილობას, საშინელ, უიმედო, დამადამბლავებელ მოწყენილობას. რა ფასი აქვს იმ ადამიანების მლიქვნელობას და მათ მიერ აღვლენილ ხოტბას, რომელთაც

პატივს არ სცემ? ოდესმე გაგჩენიათ სურვილი, გაგეცნოთ ადამიანი, რომელიც აღგაფრთოვანებდათ? ვისაც ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ ახედავდით?

— მთელი ცხოვრება ეს სურვილი მქონდა, — უთხრა დაგნიმ. ამას ნამდვილად ვერ იუარებდა.

— ვიცი, — უთხრა დოქტორმა სტადლერმა და ხმაში სინაზე გაუკრთა, — ეს უკვე მაშინვე ვიცოდი, როგორც კი პირველად გაგესაუბრეთ. ამიტომაც მოვედი დღეს აქ.

— წამით დადუმდა, მაგრამ დაგნის არაფერი უთქვამს და იმავე ჩუმი სინაზით დაასრულა, — აი, რატომ მინდოდა ძრავის ნახვა.

— მესმის, — რბილად უთხრა დაგნიმ და ეს მადლიერების გამოხატვის ერთადერთი ფორმა იყო, რაც კი შეეძლო, მისთვის გაემეტებინა.

— მის ტაგარტ, — უთხრა დოქტორმა სტადლერმა და თვალები დახარა, თან მინის ყუთს უყურებდა, — მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რომელიც ამ ძრავის რეკონსტრუქციას მოჰკიდებდა ხელს. ის ჩემთვის არ მუშაობს, სწორედ ამიტომაც, ალბათ სწორედ ის ადამიანია, ვინც თქვენ გჭირდებათ.

მაგრამ იმ მომენტისთვის, როდესაც მან თავი ასწია, — და იქამდე, ვიდრე დაგნის თვალებში დაინახავდა აღტაცებას, რომელსაც ასე ივედრებოდა, იმ შემნდობ მზერას, ასე რომ ელოდა, — მან საკუთარ თავს სძლია და ხმას სარკაზმი გაურია:

— სრულიად აშკარაა, რომ იმ ახალგაზრდას საზოგადოების საკეთილდღეოდ ან მეცნიერების პროგრესისთვის მუშაობის სურვილი არ გააჩნია. მითხრა, სამთავრობო სამსახურში არ ჩავდგებიო. ჩემი ვარაუდით, დიდი გასამრჯელოს სანაცვლოდ კერძო დამსაქმებლისთვის მუშაობას უნდა დასთანხმდეს.

— დიახ, — უთხრა დაგნიმ ხისტად, — შესაძლოა, ეს სწორედ ის ადამიანია, ვინც მე მჭირდება.

— ახალგაზრდა ფიზიკოსია იუტას ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, — უთხრა მშრალად დოქტორმა სტადლერმა, — ქუენტინ დენიელსი ჰქვია. ჩემმა მეგობარმა გამომიგზავნა რამდენიმე თვის წინ. ჩემს გასაცნობად მოვიდა, მაგრამ ჩემ მიერ შეთავაზებულ სამუშაოზე უარი თქვა. საკუთარ გუნდში მინდოდა ამეყვანა. ნამდვილი მეცნიერის გონება აქვს. არ ვიცი, წარმატებას მიაღწევს თუ არა თქვენს ძრავაზე მუშაობისას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, საამისო ნიჭი მაინც აქვს. იმედი მაქვს, თუ იუტას ტექნოლოგიურ ინსტიტუტს დაუკავშირდებით, მისი პოვნა არ გაგიჭირდებათ. არ ვიცი, ახლა იქ რითია დაკავებული — ინსტიტუტი ერთი წლის წინ დახურეს.

— გმადლობთ, დოქტორო სტადლერ. მე მას დავუკავშირდები.

— თუ.. თუ მოისურვებთ... მოხარული ვიქნებოდი, თეორიული ნაწილის მომზადებაში დავხმარებოდი. განზრახული მაქვს, სამუშაოს რაღაც ნაწილი დამოუკიდებლად შევასრულო, ხელნაწერის დასაწყისი თავებიდან მოყოლებული. ძალიან მინდა, ენერგიის კარდინალურ საიდუმლოს მივაკვლიო, რომელიც ავტორმა აღმოაჩინა.

ჩვენ მისი საბაზისო პრინციპი უნდა ამოვხსნათ. თუ ამას მივაღწევთ, მისტერ დენიელსი თქვენს ძრავაზე მუშაობის დასრულებას შეძლებს.

— მადლობელი ვიქნები ნებისმიერი დახმარებისთვის თქვენი მხრიდან, დოქტორო სტადლერ.

ისინი მდუმარედ მიუყვებოდნენ ტერმინალის უკაცრიელ გვირაბებს, ლურჯი შუქებით განათებული დაჟანგებული რელსების გასწვრივ, შორს მოლაპლაპე პლატფორმებისკენ.

გვირაბის გასასვლელთან, მუხლებზე დაჩოქილი კაცი შენიშნეს, რომელიც რელსებისკენ დახრილიყო და არარიტმულად და გაღიზიანებით სცემდა ისარს ჩაქუჩს.

მეორე კი გვერდზე იდგა და მოუთმენლად აკვირდებოდა.

— მაინც რა მოუვიდა ამ დაწყევლილ ისარს? — იკითხა ამ მეორემ.

— არ ვიცი.

— ერთი საათია, ეწვალები.

— ჰო.

— კიდევ დიდხანს მოუნდები?

— ვინ არის ჯონ გოლტი?

დოქტორი სტადლერი შეკრთა. როდესაც მუშებს გვერდით ჩაუარეს, მან თქვა:

— არ მომწონს ეგ გამოთქმა.

— არც მე, — უთხრა დაგნიმ.

— მაინც, საიდან მოვიდა?

— არავინ იცის?

ორივენი გაჩუმდნენ. მერე სტადლერმა თქვა:

— ერთ დროს ვიცნობდი ჯონ გოლტს. ოღონდ ის დიდი ხნის წინ გარდაიცვალა.

— ვინ იყო?

— დიდხანს ვფიქრობდი, რომ ცოცხალი იყო. მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ გარდაცვლილია. ისეთი გონება ჰქონდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა მთელი მსოფლიო მხოლოდ მასზე ილაპარაკებდა.

— მაგრამ მთელი მსოფლიო ისედაც მასზე ლაპარაკობს.

დოქტორი სტადლერი ადგილზე გაქვავდა.

— დიახ... — თქვა მან ნელა, თითქოს ახლაღა მიხვდა ამას, — დიახ... მაგრამ რატომ? — მის ხმაში შიშის ზარი ისმოდა.

— ვინ იყო ის, დოქტორო სტადლერ?

— რატომ ლაპარაკობენ მასზე?

— ვინ იყო?

დოქტორმა სტადლერმა ძრწოლით გააქნია თავი და მკაფიოდ თქვა:

— ეს უბრალოდ, დამთხვევაა. არც ისეთი იშვიათი სახელია. ეს უაზრო დამთხვევაა. არანაირი კავშირი არ აქვს იმ ადამიანთან, ვისაც მე ვიცნობდი. ის ადამიანი გარდაიცვალა.

და დაუფიქრებლად დაამატა:

— სხვაგვარად შეუძლებელია.

* * *

განკარგულებაზე, რომელიც მის მაგიდაზე იდო, წაეწერათ: „კონფიდენციალური... სასწრაფო... პრიორიტეტული... განსაკუთრებული მნიშვნელოვანება დადასტურებულია უმაღლესი კოორდინატორის ოფისის მიერ... ეხება პროექტ X-ს“, და მოითხოვდა, ათი ათასი ტონა რიერდენ მეტალი მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის გაეგზავნათ.

რიერდენმა განკარგულება წაიკითხა და ქარხნის მმართველს შეხედა, რომელიც მის წინ უძრავად იდგა. ეს განკარგულება მან შემოუტანა და უსიტყვოდ დაუდო მაგიდაზე. — ვიფიქრე, ამის ნახვას ისურვებდით, — თქვა მან რიერდენის უხმო შეკითხვის საპასუხოდ.

რიერდენმა ღილაკს თითი დააჭირა და მის აივსი გამოიძახა, განკარგულება გადასცა და უთხრა:

— ეს საიდანაც მოვიდა, იქ გაუგზავნე. გადაეცი, რომ მეტალს მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტს არ მივცემ.

გვენ აივსი და მმართველი რიერდენს მიაჩერდნენ, შემდეგ ერთმანეთს და მერე ისევ რიერდენს; რიერდენმა მათ თვალებში მადლიერება ამოიკითხა.

— დიახ, მისტერ რიერდენ, — უპასუხა ოფიციალური ტონით მის აივსმა და განკარგულება ისე აიღო, თითქოს ჩვეულებრივი საქმიანი დოკუმენტი ყოფილიყოს, თავი დაუკრა და კაბინეტიდან გავიდა. მმართველიც უკან გაჰყვა.

რიერდენმა ღიმილით გააცილა ისინი. იმ ქაღალდისთვისაც მიეფურთხებინა და თავისი გადაწყვეტილების შესაძლო შედეგებისთვისაც.

ექვსი თვის წინ, შინაგანი ხმის კარნახით, თითქოსდა ბერკეტი ჩამოსწია, ემოციების ნაკადი რომ შეეჩერებინა და საკუთარ თავს უბრძანა: „იმუშავე, არ შეწყვიტო წარმოება, გრძნობებზე მერე იფიქრებ“. ეს დაეხმარა, გულგრილად დაჰკვირვებოდა, თუ როგორ მუშაობდა „სამართლიანი განაწილების კანონი“.

არავინ იცოდა, ეს კანონი როგორ უნდა გაეგოთ. თავდაპირველად მას უთხრეს, რომ უფლება არ ჰქონდა, ეწარმოებინა რიერდენ მეტალი იმაზე მეტი მოცულობით, ვიდრე საუკეთესო საგანგებო შენადნობი იწარმოებოდა, ანუ სხვა სიტყვებით, ორენ ბოილის მიერ წარმოებული ფოლადი. მაგრამ ორენ ბოილის საუკეთესო საგანგებო შენადნობი უვარგისი პროდუქტი იყო, რომლის ყიდვაც არავის არ სურდა. მერე უთხრეს, რომ შეეძლო, რიერდენ მეტალი იმ მოცულობით ეწარმოებინა, რამდენის წარმოებასაც ორენ ბოილი შეძლებდა. არავინ იცოდა, ეს როგორ უნდა გაეგოთ. ვიღაცამ ვაშინგტონში დაასახელა ციფრი, რომელიც ტონაჟის წლიურ ოდენობას განსაზღვრავდა, ყოველგვარი განმარტების გარეშე. და ყველანი იძულებული გახდნენ, ეს ციფრი მიეღოთ.

რიერდენმა არ იცოდა, როგორ მიეცა ყოველი მომხმარებლისთვის რიერდენ მეტალის თანაბარი წილი. გრძელ რიგში ჩამდგარ მომლოდინეთა დაკმაყოფილებას სამი წელიც არ ეყოფოდა, სრული სიმძლავრითაც რომ ემუშავა. ახალი შეკვეთები ყოველდღიურად მოდიოდა. ამ შეკვეთებს ძველი, ღირსეული სახე დაეკარგათ; ესენი უკვე მოთხოვნები იყო, შეკვეთები კი არა. კანონი ნებისმიერ კლიენტს უფლებას აძლევდა, სასამართლოში ეჩივლა რიერდენისთვის, თუ ეს უკანასკნელი მათ რიერდენ მეტალის თავიანთ კუთვნილ სამართლიან წილს არ მიაწოდებდა.

მაგრამ არავინ იცოდა, როგორ უნდა განესაზღვრა, მაინც რას ნიშნავდა ეს სამართლიანი წილი და მეტალის რა მოცულობასთან მიმართებით უნდა დაანგარიშებულიყო. მაშინ ვაშინგტონიდან რიერდენთან დირექტორის მოადგილედ მზა პროდუქციის განაწილების დარგში მიავლინეს ახალგაზრდა, მკვირცხლი ყმაწვილი, რომელსაც სულ ახლახან დაესრულებინა კოლეჯი. დედაქალაქთან მრავალი სატელეფონო მოლაპარაკების შემდეგ, ყმაწვილმა განაცხადა, რომ თითოეული კლიენტი, რიგის დაცვით, ხუთას ტონა რიერდენ მეტალს მიიღებდა. ამ ციფრის წინააღმდეგ არავინ წასულა.

კაცმა რომ თქვას, ან კი რა აზრი ჰქონდა შეწინააღმდეგებას? ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა, ერთი ფუნტი დაესახელებინათ, ანდა მილიონი ტონა. ყმაწვილმა რიერდენის ქარხანაში მოიწყო ოფისი, სადაც რიერდენ მეტალის შეკვეთებს ოთხი გოგონა იღებდა. ქარხნის წარმადობის მიხედვით იმ მომენტისთვის,

დარეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა მომდევნო ასწლეულსაც გადასწვდებოდა.

ხუთასი ტონა რიერდენ მეტალი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რკინიგზის ლიანდაგების სამ მილსაც არ ეყოფოდა და კენ დენეგერის ქვანახშირის ერთი მაღაროს გასამაგრებლადაც არ იკმარებდა. უმსხვილეს სამრეწველო საწარმოებს — რიერდენის საუკეთესო კლიენტებს მისი მეტალის გამოყენება აეკრძალათ. სამაგიეროდ, უეცრად გამოჩნდა ბაზარზე რიერდენ მეტალისგან დამზადებული გოლფის ყვანჭები, მათ მოჰყვა ყავადნები, მებაღის სამუშაო იარაღები და ონკანები. კენ დენეგერს, რომელმაც რიერდენ მეტალის ფასი იცოდა და საზოგადოებრიობის რისხვის მიუხედავად, მაინც გაბედა და რიერდენს მეტალი დაუკვეთა, ნება არ დართეს, ის მიეღო. მისი განაცხადი არ დაკმაყოფილდა და მეტალის მიწოდება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეუწყვიტეს, რის უფლებასაც ახალი კანონი იძლეოდა.

მისტერ მოუენი, რომელმაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ ყველაზე სახიფათო დროს უღალატა, ახლა რიერდენ მეტალისგან ჩამრთველებს აწარმოებდა და „ატლანტიკ საუთერნზე“ ყიდდა. რიერდენი გვერდიდან აკვირდებოდა ამ ყველაფერს და მთელი ძალით ცდილობდა, ემოციები როგორმე მოეთოკა.

უსიტყვოდ გატრიალდებოდა ხოლმე, როცა ვინმე მოუყვებოდა, როგორ გამდიდრდა თვალის დახამხამებაში რიერდენ მეტალით ბევრი, რაც ყველასთვის ისედაც ცნობილი იყო.

— არა, — ლაპარაკობდნენ ადამიანები კაბინეტებში, — ამას შავ ბაზარს ვერ დაარქმევ, რადგან ეს მართლაც არ არის ასე. კაციშვილი არ ყიდის შენადნობს არალეგალურად. უბრალოდ, თავიანთ უფლებას ყიდიან ამ მეტალზე. უფრო სწორედ, არც კი ყიდიან, უბრალოდ, საკუთარ წილებს აერთიანებენ.

არაფრის გაგონება არ სურდა იმ წვრილმან გარიგებებზე, როდესაც „წილებს“ ყიდდნენ და ამსხვილებდნენ. არც იმის ცოდნა უნდოდა, როგორ „ჩამოასხა“ ერთმა მწარმოებელმა ვირჯინიაში ორი თვის მანძილზე ხუთი ათასი ტონა შენადნობი რიერდენ მეტალისგან, და არც იმის, ამ მეწარმის ფარული პარტნიორი ვაშინგტონელი კაცი რომ იყო.

იცოდა, რომ ისინი ერთი ტონა რიერდენ მეტალიდან ხუთჯერ მეტს იგებდნენ, ვიდრე თვითონ, მაგრამ არაფერს ამბობდა. ყველას ჰქონდა რიერდენ მეტალზე უფლება, მის გარდა.

ახალგაზრდა ყმაწვილი ვაშინგტონიდან, რომელსაც ფოლადსასხმელი საამქროს მუშებმა მეტსახელად უეთ ნერსი — მეძუძური ძიძა — შეარქვეს, სულ რიერდენის ირგვლივ ტრიალებდა პრიმიტიული, აღფრთოვანებული ცნობისმოყვარეობით, რომელიც საკვირველია და, ერთგვარი გაღმერთების ფორმა იყო.

რიერდენი მას ზიზღნარევი ხალისით აკვირდებოდა ხოლმე. ყმაწვილს იოტისოდენა წარმოდგენა არ გააჩნდა მორალის ცნების შესახებ. მისი ზნეობა საფუძვლიანად მოიწამლა იმ წლებში, რომელიც კოლეჯში გაატარა. მხოლოდ უჩვეულო გულახდილობა შეინარჩუნა, ერთდროულად მიამიტური და ცინიკური, ველური ადამიანისთვის დამახასიათებელი უმანკოების მაგვარი.

— თქვენ მე გეზიზღებით, მისტერ რიერდენ, — გამოაცხადა ყმაწვილმა ერთხელ, მოულოდნელად, ყოველგვარი აღშფოთების გარეშე, — ეს არაპრაქტიკულია.

— რატომ არის არაპრაქტიკული? — ჰკითხა რიერდენმა.

ყმაწვილმა დაბნეული მზერით შეხედა და ვერაფერი ვერ უპასუხა. მას არასდროს მოეპოვებოდა პასუხი კითხვაზე „რატომ?“ და მარტივ მტკიცებულებებს სჯერდებოდა ხოლმე. ადამიანებს ახასიათებდა ფრაზებით — „ის ძველმოდურია“, „ის ვერ გარდაიქმნა“, „ის ვერ ადაპტირდა“, — უყოყმანოდ და განმარტების გარეშე. განათლებით მეტალურგს, შეეძლო, გამოეცხადებინა: „რკინის დნობას, მე მგონი, მაღალი ტემპერატურა სჭირდება“. ფიზიკური პროცესების თაობაზე მეტისმეტად ბუნდოვან მოსაზრებებს გამოთქვამდა, ადამიანების შეფასებისას კი უკიდურესად კატეგორიული იყო.

— მისტერ რიერდენ, — თქვა მან ერთხელ, — თუ თქვენ მეტალის მიყიდვა მოგინდებათ თქვენი მეგობრებისთვის, მე ვგულისხმობ — დიდი რაოდენობით, ამის მოხერხება შესაძლებელია, იცით. რატომ არ ვითხოვთ სპეციალურ ნებართვას უკიდურესი საჭიროების საფუძველზე? რამდენიმე მეგობარი მყავს ვაშინგტონში. თქვენი მეგობრებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ხალხია, მსხვილი ბიზნესმენები, ასე რომ, არ იქნება რთული, უკიდურესი საჭიროების სახელით, წვრილმანებს გვერდი ავუაროთ.

რა თქმა უნდა, რაღაც ხარჯები გაჩნდება. ვაშინგტონის საქმეების გამო. ხომ იცით, როგორც ხდება, საქმე ხარჯს ყოველთვის მოითხოვს.

— რა საქმეები?

— თქვენ გესმით, რასაც ვგულისხმობ.

— არა, — უთხრა რიერდენმა, — არ მესმის, ეგებ ამიხსნათ?

ყმაწვილმა დაბნეულად შეხედა, გონებაში ყველაფერი აწონ-დაწონა და შემდეგ განაცხადა:

— ეს ცუდი ფსიქოლოგიაა.

— რა „ეს“?

— იცით, მისტერ რიერდენ, არ არის აუცილებელი კონკრეტული სიტყვების გამოყენება.

— კერძოდ, რომელი სიტყვების?

— სიტყვები ფარდობითი რამ არის. ისინი მხოლოდ სიმბოლოებია. თუ საძაგელ სიმბოლოებს არ გამოვიყენებთ, არანაირი სისაძაგლე არ გვექნება. რატომ გინდათ, ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდო, როცა მე უკვე სხვა სახელები გამოვიყენე?

— მაინც, რომელი სიტყვები მინდა, თქვენგან მოვისმინო?

— და რატომ გინდათ ეს?

— იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თქვენ არ გინდათ.

ყმაწვილი ერთი წუთით გაჩუმდა, შემდეგ კი თქვა:

— იცით, მისტერ რიერდენ, აბსოლუტური სტანდარტები არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებთ მტკიცე პრინციპების დაცვას. იძულებული ვართ, ხანდახან მოქნილნი ვიყოთ, რეალობას უნდა მოვერგოთ და მომენტის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ.

— აქედან დაახვიე, ლაწირაკო, მიდი და სცადე, ერთი ტონა ფოლადი გამოადნო მტკიცე პრინციპების გარეშე, მომენტის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

დიახ, რიერდენს ეზიზღებოდა ეს ყმაწვილი, მაგრამ ვერაფრით აიძულა საკუთარი თავი, აღშფოთება ეგრძნო მის მიმართ. ბიჭი თავისი დროის შვილი იყო, აი, თვითონ რიერდენი კი ვერაფრით შეესაბამებოდა ამ დროს. „იმის მაგივრად, ახალი ღუმლები ვაშენო“, — ფიქრობდა ის, — „წელში ვწყდები, ძველები რომ შევინარჩუნო.

იმის მაგივრად, ახალი ექსპერიმენტები წამოვიწყო, ახალი კვლევები რიერდენ მეტალის გამოყენებასთან დაკავშირებით, მთელ ჩემს ენერგიას რკინის მადნის მოძიებას ვახმარ: ზუსტად ისე, როგორც რკინის ხანის გარიჟრაჟზე უწევდათ ადამიანებს, ოღონდ წარმატების იმედი უფრო მცირეა“.

ამ ფიქრების განდევნას ცდილობდა. საკუთარი გრძნობებისგან უნდა დაეცვა თავი — თითქოს მისივე ერთი ნაწილი ვიღაც უცნობად გადაქცეულიყო, რომელიც როგორმე უნდა გაეჩუმებინა, თავისი ფხიზელი ნებისყოფა მუდმივ ანესთეტიკად ექცა. საკუთარ ორეულზე მხოლოდ ის იცოდა, რომ მისთვის ხმის უფლება უნდა ჩამოერთმია. ერთი საშიში მომენტი უკვე გადაიტანა, რომლის განმეორებაც აღარ უნდა დაეშვა.

ეს ის მომენტი იყო, როცა ზამთრის ერთ საღამოს მარტოდმარტო იჯდა თავის კაბინეტში და სრულიად პარალიზებული დასჩერებოდა დირექტივების გრძელ სვეტს გაზეთის პირველ გვერდზე, ამ დროს კი რადიომ გადმოსცა ინფორმაცია ელის უაიატის ცეცხლმოკიდებული ნავთობსაბადოების შესახებ. მისი პირველი რეაქცია, — ვიდრე მომავალზე, საშინელ სიღატაკეზე, შიშზე ან პროტესტზე დაიწყებდა ფიქრს, — ხარხარი იყო. იცინოდა, ტრიუმფს, გადარჩენას, სასიცოცხლო ძალების მოზღვავებას გრძნობდა, და სიტყვებს, რომლებიც არ წარმოუთქვამს, მაგრამ სიღრმისეულად იგრძნო: „ღმერთმა დაგლოცოს, ელის უაიატ, რასაც არ უნდა აკეთებდე, მაინც!“

როდესაც თავისი სიცილის ფარული არსი გაიაზრა, მიხვდა, რომ ამიერიდან მისჯილი ჰქონდა, გამუდმებით მიეყურადებინა საკუთარი თავისთვის, როგორც იმ ადამიანს, რომელმაც ინფარქტი გადაიტანა და იცოდა, რომ პირველმა ზარმა ჩამოკრა — მის არსებაში ცხოვრობდა საფრთხე, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეეძლო, ის განეგმირა.

მას მერე თანაბარ, ფრთხილ, შინაგანად მკაცრად გაკონტროლებულ ნაბიჯებს დგამდა. მაგრამ ეს საზარელი მომენტი ისევ განმეორდა. როდესაც მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის განკარგულებას დახედა თავის მაგიდაზე, მოეჩვენა, რომ სინათლე, რომელსაც თითქოსდა ფურცელი გამოსცემდა, უახლოესი სადნობი ღუმლიდან კი არ მოდიოდა, არამედ უაიატის ცეცხლმოკიდებული ჭაბურღილებიდან.

— მისტერ რიერდენ, — თქვა უეთ ნერსმა, როცა გაიგო, რომ მან მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის მოთხოვნაზე უარი თქვა, — ეგ არ უნდა გექნათ.

— რატომ?

— ეს უსიამოვნებებს გამოიწვევს.

— რა უსიამოვნებებს?

— ეს სახელმწიფო დაკვეთაა. მთავრობას უარს ვერ ეტყვით.

— მაინც, რატომ ვერ ვეტყვი?

— ეს პროექტი უკიდურესად მნიშვნელოვანია და თანაც საიდუმლო. ძალიან საიდუმლო.

— რა პროექტია?

— არ ვიცი. საიდუმლოა.

— მაშ, საიდან იცით, რომ მნიშვნელოვანია?

— ასე ამბობენ.

— ვინ ამბობს?

— თქვენ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოთ ასეთი რამეები, მისტერ რიერდენ!

— რატომ არა?

— უბრალოდ, არ შეგიძლიათ.

— თუ არ შემიძლია, ესე იგი ეს აბსოლუტური ღირებულებაა, თქვენ კი თქვით, რომ აბსოლუტური ცნებები არ არსებობს.

— ეს სხვა რამეა.

— როგორ არის სხვა რამე?

— საქმე მთავრობას ეხება.

— გულისხმობ, რომ ერთადერთი აბსოლუტური ღირებულება მთავრობაა?

— მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ რაკი ისინი ამბობენ, ეს მნიშვნელოვანიაო, ასეც არის.

— რატომ?

— არ მინდა, უსიამოვნებებს გადაეყაროთ, მისტერ რიერდენ, არადა, თვითონ დაეძებთ, ეშმაკმა წაიღოს. მეტისმეტად ბევრ კითხვას სვამთ. რატომ აკეთებთ ამას?

რიერდენმა შეხედა და ჩაიცინა. ახალგაზრდამ როგორც იქნა გაიაზრა საკუთარი სიტყვები და დანაღვლიანებულმა მორიდებულად გაიცინა.

ადამიანი, რომელიც ერთი კვირის შემდეგ რიერდენთან მივიდა, ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თუმცა არც ისე ახალგაზრდა და წარმოსადეგი იყო, როგორადაც თავი მოჰქონდა. სამოქალაქო კოსტიუმში და ტყავის ჩექმებში იყო გამოწყობილი, საგზაო პოლიციელივით. რიერდენი ხეირიანად ვერც კი მიხვდა, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტიდან იყო ეს კაცი თუ ვაშინგტონიდან.

— გავიგე, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის მეტალის მიყიდვაზე უარი გითქვამთ, მისტერ რიერდენ, — დაიწყო მან რბილი, მიმნდობი ტონით.

— ასეა, — უთხრა რიერდენმა.

— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ შეგნებულად არ დაემორჩილეთ კანონს?

— თქვენი გადასაწყვეტია.

— შემიძლია, მიზეზი გკითხოთ?

— არა მგონია, ჩემმა მიზეზებმა თქვენ დაგაინტერესოთ.

— ოჰ, რას ბრძანებთ, პირიქით. ჩვენ თქვენი მტრები არ ვართ, მისტერ რიერდენ.

ჩვენ გვინდა, სამართლიანები ვიყოთ თქვენ მიმართ. ნუ შეგაშინებთ ის ფაქტი, რომ დიდი მეწარმე ბრძანდებით. ჩვენ ამას თქვენ წინააღმდეგ არ გამოვიყენებთ. სინამდვილეში, გვინდა, ისეთივე სამართლიანები ვიყოთ თქვენ მიმართ, როგორც უკანასკნელი დღიურად დაქირავებული მუშის მიმართ. გვინდა, თქვენი უარის მიზეზი ვიცოდეთ.

— გამოაქვეყნეთ ჩემი უარი გაზეთებში და ნებისმიერი მკითხველი გეტყვით ამის მიზეზს. ეგ უკვე წელიწადზე მეტია, რაც ყველა გაზეთში დაიბეჭდა.

— ოჰ, არა, არა! გაზეთები რა შუაშია? ნუთუ არ შეგვიძლია, ყველაფერი მეგობრულად, პირადი ურთიერთობის ჩარჩოებში მოვაგვაროთ?

— როგორც გენებოთ.

— არ გვინდა, ეს ამბავი პრესაში მოხვდეს.

— არა?

— არა, არ გვინდა, დაზარალდეთ.

რიერდენმა ქვემოდან ახედა და შეეკითხა:

— რაში სჭირდება მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტს ათი ათასი ტონა მეტალი? რა არის „პროექტი X“?

— აჰ, ეგ? ეს ძალიან მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტია, უდიდესი სოციალური მნიშვნელობის საქმე, რომელიც ფასდაუდებელ სარგებლობას

მოუტანს მთელ საზოგადოებას, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკური მოსაზრებების გამო უფლება არ მაქვს, მისი არსი დეტალურად გაგაცნოთ.

— იცით, — დაიწყო რიერდენმა, — მიზეზად შემიძლია, ის დავასახელო, რომ არ მსურს, ჩემი მეტალი მათ მივყიდო, ვინც თავის მიზნებს მიმალავს. ეს მეტალი მე შევქმენი და ჩემი მორალური პასუხისმგებლობაა, ვიცოდე, რა მიზნებისთვის გამოიყენებენ მას.

— მაგრამ მაგაზე შეგიძლიათ, არ იდარდოთ, მისტერ რიერდენ! ჩვენ განთავისუფლებთ ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან.

— დავუშვათ, არ მინდა, პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლონ.

— მაგრამ... კი მაგრამ, ეს ისეთი ძველმოდური და... და რეალობას სრულიად მოწყვეტილი პოზიციაა.

— მე ვთქვი, რომ შემიძლია ჩემი უარის მიზეზად ეს დავასახელო. მაგრამ ამას არ გავაკეთებ, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა მიზეზი მაქვს. მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტს არანაირი მიზნისთვის არ მივყიდი ჩემს მეტალს, არც კეთილი მიზნისთვის, არც ცუდისთვის, არც საიდუმლო და არც გაცხადებული მიზნებისთვის, — კი მაგრამ, რატომ?

— მომისმინეთ, — წარმოთქვა რიერდენმა აუჩქარებლად, — იქნებ, ველური ტომებისთვის მოიძებნოს რაიმე გამართლება, სადაც ადამიანი ნებისმიერ წუთს მოელის, რომ მტრები დაესხმებიან და მოკლავენ, ამიტომაც იძულებულია, ყველა შესაძლო საშუალებით დაიცვას თავი. მაგრამ არავითარი გამართლება არ აქვს იმ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანმა იცის, რომ იარაღი საკუთრივ მისი განადგურებისთვის იქმნება. — ასეთი სიტყვების გამოყენება უადგილო მეჩვენება, მისტერ რიერდენ. არა მგონია, პრაქტიკული იყოს ამგვარი ტერმინებით მსჯელობა. ბოლოს და ბოლოს, მთავრობა, როცა საქმე საერთო ეროვნულ პოლიტიკას ეხება, ვერ გაუწევს ანგარიშს თქვენს პირად არაკეთილგანწყობას ერთი კონკრეტული დაწესებულების მიმართ.

— მაშინ ნუ გაუწევთ ანგარიშს.

— რას გულისხმობთ?

— ნუღარ ჩაეძიებით ჩემს მიზეზებს.

— მაგრამ მისტერ რიერდენ, ჩვენ ვერ მოვუყრუებთ კანონის იგნორირების ფაქტს, ეს ხომ თქვენც იცით?

— როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით.

— მაგრამ ეს სრულიად გაუგონარია. ჯერ არავის განუცხადებია უარი, მთავრობისთვის აუცილებელი პროდუქცია მიეყიდა. სინამდვილეში, კანონი თქვენ გიკრძალავთ, უარი უთხრათ თქვენი შენადნობის მიყიდვაზე ნებისმიერ კლიენტს, მთავრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— მაშინ, რატომ არ მაპატიმრებთ?

— მისტერ რიერდენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ მეგობრული საუბარია. რა საჭიროა დაპატიმრებაზე და ასეთ რამეებზე ლაპარაკი?

— განა ეს არ არის თქვენი უკანასკნელი არგუმენტი ჩემ წინააღმდეგ?

— რატომ წამოჭერით ეს საკითხი?

— განა ეგ არ იგულისხმება ამ საუბრის ყოველ წინადადებაში, რომელსაც თქვენ წარმოთქვამთ?

— რა საჭიროა დასახელება?

— რატომაც არა? — პასუხი ვერ მიიღო, — თქვენ ცდილობთ, დამიმალოთ ის ფაქტი, რომ თუ არა თქვენი მთავარი კოზირი, მე ამ კაბინეტში ფეხსაც არ შემოგადგმევინებდით?

— მაგრამ მე დაპატიმრებაზე სიტყვაც არ დამცდენია.

— მე დამცდა.

— არ მესმის თქვენი, მისტერ რიერდენ.

— არ დაგეხმარებით, თავი მომაჩვენოთ, თითქოს ეს მეგობრული საუბარია. ასე არ არის. ახლა, რაც გინდათ, ის გააკეთეთ.

სტუმარს უცნაური გამომეტყველება დაედო: დაბნეულობა, თითქოს ვერაფრით გაეგო, რას უნდა შესწინააღმდეგებოდა, და შიში, თითქოს სინამდვილეში ყველაფერსაც ბრწყინვალედ ხვდებოდა და მხილების მუდმივ მოლოდინში უწევდა ცხოვრება.

რიერდენი უცნაურ მღელვარებას გრძნობდა; თითქოს ის-ის იყო, ისეთი რამ უნდა გაეგო, რაც ადრე არ ესმოდა, თითქოს რაღაც აღმოჩენას უახლოვდებოდა, ჯერ კიდევ საკმაოდ შორეულს, მაგრამ მისთვის უზომოდ მნიშვნელოვანს.

— მისტერ რიერდენ, — უთხრა მამაკაცმა, — მთავრობას თქვენი მეტალი სჭირდება. მოვალე ხართ, ის მოგვყიდოთ, ვინაიდან, თქვენ, ეჭვი არ არის, აცნობიერებთ, რომ მთავრობის გეგმები თქვენი თანხმობის გარეშე ვერ განხორციელდება.

— გაყიდვისთვის, — წარმოთქვა რიერდენმა აუჩქარებლად, — გამყიდველის თანხმობაა აუცილებელი, — ის წამოდგა და ფანჯრისკენ წავიდა, — გეტყვით, რაც შეგიძლიათ, გააკეთოთ.

მან რკინიგზის სათადარიგო ხაზზე მიანიშნა, სადაც სატვირთო ვაგონებში „რიერდენ სთილის“ პროდუქციას ტვირთავდნენ.

— აი, იქ რიერდენ მეტალია, მოაყენეთ თქვენი საბარგო მანქანები, როგორც სხვა ნებისმიერმა ბანდიტმა, თუმცა რისკი, რომელიც ჩვეულებრივ ამ საქმიანობას ახლავს, თქვენ არ გემუქრებათ, რადგან მე სროლას არ დაგიწყებთ, არ შემიძლია და იმიტომ. იმდენი მეტალი წაიღეთ, რამდენიც მოგესურვებათ და აქედან დაიკარგეთ.

არც კი შეეცადოთ, საზღაური გამომიგზავნოთ, არ მივიღებ, ჩეკიც არ ამობეჭდოთ, ის არც ერთ ბანკში არ განაღდდება. თუ ეს მეტალი გჭირდებათ, იარაღი გაქვთ, რომ დაეუფლოთ. აბა, თქვენ იცით!

— ღმერთო ჩემო, მისტერ რიერდენ, საზოგადოება რას იფიქრებს!

რიერდენს სახეზე აესახა უხმო სიცილი. ორივე მათგანი მიხვდა ამ უნებლიე რეაქციის მიზეზს. რიერდენმა წყნარად წარმოთქვა, ძალდაუტანებელი ტონით, თითქოს აგრძნობინებდა, რომ საუბარი დასრულდა:

— თქვენ ჩემი დახმარება გჭირდებათ, რომ ეს შესყიდვას დაემსგავსოს — უსაფრთხო, სამართლიან, სრულიად ზნეობრივ გარიგებას. მე არ დაგეხმარებით.

მამაკაცს კამათი არ დაუწყია. წასასვლელად წამოდგა და მხოლოდ ეს თქვა:

— ინანებთ, ასეთი პოზიცია რომ დაიკავეთ, მისტერ რიერდენ.

— მე ასე არ ვფიქრობ, — უპასუხა რიერდენმა.

მან იცოდა, რომ ეს საქმე ასე არ დამთავრდებოდა. ისიც იცოდა, რომ ეს ხალხი ამ საქმის გახმაურებას მხოლოდ იმიტომ არ გაურბოდა, რომ „პროექტი X“—ის საიდუმლო იყო. გულზე მოეშვა, უცნაური, სიხარულის მომგვრელი თავდაჯერებულობა იგრძნო. იცოდა, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა იმ გზაზე, რომელიც ბუნდოვანი, მაგრამ ნათელი მიზნისკენ მიემართებოდა.

* * *

დაგნი თვალდახუჭული მიწოლილიყო სავარძელზე თავის სასტუმრო ოთახში, დღე რთული გამოდგა, მაგრამ იცოდა, საღამოს ჰენკ რიერდენს ნახავდა და ეს ყოველდღიურობის საძაგელ უაზრობას უმსუბუქებდა.

გაუნძრევლად იწვა და დასვენებითა და საკეტში გასაღების გადატრიალების უხმო მოლოდინით ტკბებოდა. ჰენკს მისთვის არ დაურეკავს, მაგრამ სპილენძის მწარმოებელთა კონფერენციაზე შეიტყო, რომ ის ნიუ-იორკში იყო ჩამოსული. როგორც წესი, რიერდენი ქალაქს ყოველთვის მომდევნო დილით ტოვებდა ხოლმე და ჯერ ერთი ღამეც კი არ გაუთენებია დაგნის გარეშე. უყვარდა მისი ლოდინი. დროის ეს მონაკვეთი თითქოს ხიდი იყო, რომელიც მის დღეებსა და ღამეებს აკავშირებდა.

უკვე მერამდენედ, ისევე, როგორც რიერდენთან ერთად გატარებულ ყოველ საღამოს, დაგნი ახლაც იმაზე ფიქრობდა, რომ ამ უძვირფასეს წამებს სიცოცხლის ბოლომდე მოუფრთხილდებოდა და იამაყებდა, რომ ისინი არსებობდნენ მის ცხოვრებაში. ერთადერთი, რაც მის სამუშაო დღეს არ ეხებოდა, იყო სიხარული, რომ მან მოახერხა და გადარჩა.

„არასწორია“, — ფიქრობდა დაგნი, — „საშინელი უსამართლობაა, როდესაც ადამიანებს აღარაფერი აქვთ სათქმელი მთელ თავიანთ ცხოვრებაზე“. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი არ სურდა. რიერდენზე ფიქრობდა, მის ბრძოლაზე თავისუფლებისთვის. დაგნიმ იცოდა, რომ შეეძლო, გამარჯვებაში დახმარებოდა მას, მაგრამ ეს ნებისმიერი სხვა ხერხით უნდა გაეკეთებინა, სიტყვების გარდა.

გაახსენდა გასული ზამთრის ერთი საღამო, როცა რიერდენი მოვიდა, ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო, გაუწოდა და უთხრა:

— მინდა, ეს შენ გქონდეს.

დაგნიმ კოლოფი გახსნა და უზომოდ გაოცებული დააჩერდა გულსაკიდს — ზარდახშის თეთრ ატლასზე მსხვილი ლალი ელვარებდა. ასეთი იშვიათი, სახელგანთქმული ქვის ფლობა მთელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელ ადამიანს შეეძლო, მაგრამ რიერდენი ხომ მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა!

— ჰენკ... რისთვის?

— ისე, უბრალოდ, განსაკუთრებული მიზეზების გარეშე. მინდა, ვნახო, როგორ ატარებ მას.

— ოჰ, არა, ოღონდ ეს გასაოცარი ნივთი არა! საცოდაობა იქნება. მე ხომ იშვიათად დავდივარ ისეთ ადგილებში, სადაც რიგიანად უნდა გეცვას. როდისღა უნდა გავიკეთო? რიერდენმა შეხედა, მისი მზერა დაგნის მთელ სხეულს დაუყვებოდა, თავიდან ფეხებამდე.

— მე გაჩვენებ, — უთხრა.

საძინებლისკენ წაუძღვა, სიტყვა არ დაუძრავს. გახადა ტანისამოსი, როგორც მესაკუთრემ, რომელსაც ნებართვა არ სჭირდებოდა. გულსაკიდი ყელზე დაჰკიდა.

დაგნი შიშველი იდგა, მხოლოდ ქვა ბრწყინავდა მის მკერდზე სისხლის წვეთივით.

— შენი აზრით, როდესაც მამაკაცი თავის საყვარელ ქალს ძვირფასეულობას სჩუქნის, საკუთარი სიამოვნების გარდა, სხვა რამეზე უნდა ფიქრობდეს? — შეეკითხა დაგნის, — მინდა, მხოლოდ ჩემთვის ატარო. მომწონს, როცა ვუყურებ. ის მშვენიერია.

დაგნის ნაზად, ჩუმად გაეცინა; არც განძრევა შეეძლო, არც ლაპარაკი, მხოლოდ უხმოდ დაუქნია თავი თანხმობისა და მორჩილების ნიშნად. რამდენჯერმე დახარა

თავი, თმა ჯერ კისრის რბილ მოძრაობას აჰყვა, მერე კი გაქვავდა და გვირგვინად დაადგა მის დახრილ სახეს.

საწოლზე დაეცა და ნეტარად გადაწვა, ხელისგულები ზეწარზე დააწყო. ერთი ფეხი მოეხარა, მეორე კი მუქ ლურჯ ქსოვილზე გაჭიმულიყო. ჩაბნელებულ საძინებელში ლალი წითლად ელვარებდა მის სხეულზე.

ნახევრად დახუჭულ თვალებში ირონია და ზეიმი ედგა, რადგან იცოდა, რომ მას აღმერთებენ, მაგრამ პირი ოდნავ გაეპო უმწეო, მავედრებელი მოლოდინით. რიერდენი შუა ოთახში იდგა, დაგნის უყურებდა, მის ბრტყელ, შევარდნილ მუცელს, მის მგრძნობიარე სხეულს, რომელმაც იცოდა, რა ძალაც ჰქონდა. რიერდენმა დაბალი, ერთდროულად დაძაბული და თან მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— დაგნი, მხატვარს რომ დაეხატე ისეთი, როგორიც ახლა ხარ, მამაკაცები ამ ნახატის სანახავად ივლიდნენ, რათა ის მომენტი განეცადათ, რომელიც მათ რეალურ ცხოვრებაში არასოდეს არ ეღირსებოდათ. ისინი ამას დიდ ხელოვნებას დაარქმევდნენ. საკუთარი შეგრძნებების არსს ვერ ჩასწვდებოდნენ, მაგრამ სურათი მათ ყველაფრის შესახებ მოუყვებოდათ — იმის შესახებაც კი, რომ შენ კლასიკური ვენერა კი არა, სარკინიგზო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ხარ, ჩემ შესახებაც კი, რადგან მეც ამ სურათის ნაწილი ვარ. დაგნი, ისინი ამას იგრძნობდნენ, წავიდოდნენ, პირველივე შემხვედრ ქალთან ერთად რომ დაწოლილიყვნენ და ვერასდროს გამოცდიდნენ იმას, რაც ამ პორტრეტის ყურებისას განიცადეს. არ მინდა, გრძნობები ნახატებში ვეძებო. მე რეალობა მსურს. უნიადაგო სურვილები არ მიზიდავს. არ მსურს, მკვდრადშობილი სწრაფვები ვიგრძნო. მინდა, განვიცადო ეს გრძნობები, განვიცადო ისინი, ვიცხოვრო მათით. გესმის ჩემი?

— ოჰ, დიახ, ჰენკ, მესმის! — უპასუხა დაგნიმ, — „შენ, ჩემო ძვირფასო, შენ კი გესმის ეს ბოლომდე?“ — გაიფიქრა მან, მაგრამ ხმამაღლა აღარ უთქვამს.

ზამთრის ერთ ქარიშხლიან საღამოს, როდესაც დაგნი სახლში დაბრუნდა, სასტუმრო ოთახში, ფანჯრის ჩაბნელებული, დაფიფქული მინის მოპირდაპირედ, ტროპიკული ყვავილების ვეებერთელა თაიგული დაინახა. ეს სამი ფუტის სიმაღლის ჰავაის ჯანჯაფილის თაიგული იყო. მისი ვეებერთელა, კონუსის ფორმის სისხლივით წითელი ყვავილების ხელით შეხებისას თითქოს უნაზეს, ხავერდოვან კანს ეხებოდი.

— საყვავილის ვიტრინაში დავინახე, — უთხრა რიერდენმა დაგნის, როცა იმ ღამით მოვიდა, — მომეწონა, როგორ გამოიყურებოდნენ თოვლიან ქარბუქში. ვიტრინაში ყველას დასანახავად გამოდგმული ნივთი მთელ თავის ფასეულობას კარგავს.

ამის მერე დაგნი ყვავილებს თავისი ბინის ყველაზე მოულოდნელ კუთხეებში აწყდებოდა, ყველაზე მოულოდნელ დროს. ყვავილებს ბარათის გარეშე გზავნიდნენ, მაგრამ თავიანთი ფანტასტიკური ფორმებით, გასაოცარი ფერებითა და ექსტრავაგანტური კომპოზიციით, ისინი ცხადად ამბობდნენ, ვისაც გამოეგზავნა რიერდენმა დაგნის ოქროს ყელსაბამი მოუტანა, პაწაწინა, ერთმანეთს გადაბმული კვადრატები, მხრებზე ერთიან ოქროს საყელოდ დაფენილი, რომელიც რაინდის ფოლადის საჭურველს წააგავდა.

— შავ კაბასთან ერთად გაიკეთე, — უბრძანა დაგნის.

ბროლის ჭიქების ნაკრებიც მოუტანა, ცნობილი იუველირის მიერ მთის ბროლისგან დამზადებული, მაღალი და მოხდენილი კუბისტური კრისტალების მსგავსი.

დაგნი ტკბებოდა, როდესაც უყურებდა, როგორ ეკავა ერთ-ერთი ეს ჭიქა რიერდენს მის მიერ მომზადებული სასმელით — თითქოს თითების ბროლის ზედაპირზე შეხება, სასმელის გემო და დაგნის სახის გამომეტყველება ერთიან და განუყოფელ სიამოვნების წამად შერწყმულიყო.

— მე ლამაზი ნივთების ყურება მიყვარს, — თქვა რიერდენმა, — მაგრამ არასდროს ვყიდულობდი, მათ ჩემთვის მნიშვნელობა არ გააჩნდათ. ახლა ასე აღარ არის.

ერთხელ, ზამთრის ერთ საღამოს, დაგნის ოფისში დაურეკა და ბრძანების ტონით უთხრა:

— დღეს ჩვენ ორნი ვივახშმებთ. მინდა, განსაკუთრებულად გამოეწყო. ხომ გახსოვს, მე რომ ცისფერი საღამოს კაბა მიყვარს? ის ჩაიცვი.

დაგნიმ ჩაიცვა სიფრიფანა მკრთალი ცისფერი კაბა, რომელმაც მას უმწეო უბრალოების იერი მისცა; ქანდაკებას დაამსგავსა ზაფხულის ცისფერ შუქ-ჩრდილებში. რიერდენმა მოუტანა და მხრებზე მოასხა ცისფერი მელიის ბეწვის მოსასხამი, რომელიც მას ნიკაპიდან ტერფამდე სცემდა.

— ჰენკ, ამას აზრი არა აქვს, — გაიცინა დაგნიმ, — ეს საერთოდ არ არის ჩემი სტილი! — არა? — შეეკითხა რიერდენი და სარკისკენ შეატრიალა.

უზარმაზარი ბეწვის მოსასხამმა დაგნი ბავშვს დაამსგავსა, ქარბუქისგან დასაცავად რომ შეფუთნეს. მისმა დიდებულებამ სავსებით დაფარულ სხეულს წარმოუდგენელი მგრძნობიარობა შესძინა. მდიდრული ბეწვი მქრქალი ცისფერი ნათებით მსუბუქ ღრუბელს წააგავდა, თითქოს რაღაცას მოგიწოდებდა. გეგონებოდა, ნებისმიერი ადამიანი შორიდანვე, ხელის შეუხებლადაც მოინუსხებოდა, წარმოიდგენდა თუ არა, როგორ ჩაეფლობოდა თითებით ამ უნაზეს ბეწვში. მოსასხამი დაგნის თითქმის მთლიანად ფარავდა, მხოლოდ წაბლისფერი თმა, მოცისფრო-ნაცრისფერი თვალები და მკაფიოდ მოხაზული ტუჩები მოუჩანდა.

ის რიერდენისკენ შებრუნდა უმწეო, შეშინებული ღიმილით:

— მე... მე არ ვიცოდი, ასეთი მომაჯადოებელი თუ იქნებოდა.

— მე ვიცოდი.

რიერდენის გვერდით იჯდა მანქანაში და ქალაქის ბნელ ქუჩებს მიუყვებოდნენ. განათებულ გზაჯვარედინებზე ფანტელების მოციმციმე ფარდა ეშვებოდა.

დაგნის არ უკითხავს, სად მიდიოდნენ. სავარძელში გადაწოლილიყო და მოცეკვავე ფიფქებით ტკბებოდა. ბეწვის მოსასხამი სხეულზე შემოტმასნოდა. კაბას თითქოს წონა არ ჰქონდა, ბეწვის შეხება მოალერსე მკლავების მოხვევასავით სიამოვნებდა.

დაგნი სინათლეების ურთიერთგადამკვეთ იარუსებს გასცქეროდა თოვლის ფარდის მიღმა. მოსწონდა ჰენკის ყურება, მისი თითების, რომლებიც მტკიცედ ჩასჭიდებოდნენ საჭეს, მისი მკაცრად ელეგანტური სხეულისა, შავ პალტოში და თეთრი შარფით, და ფიქრობდა, რომ ის თავისი გარეგნობით გასაოცრად შეესატყვისებოდა ამ დიდ ქალაქს, მოლაპლაპე ტროტუარებითა და სკულპტურული სახლებით.

ავტომანქანა მდინარის ქვეშ გვირაბში შევიდა და ფართოდ გადაშლილი, ჩაბნელებული ცისკენ მაღლა აჭრილ ხვეულ ესტაკადაზე ამოვიდა. ახლა უკვე მბრწყინავი წერტილები ქვემოთ დარჩა — მრავალ მილზე გადაჭიმული ფანჯრების მოცისფრო სინათლეები და საკვამლე მილებისა და სამშენებლო ამწეების წითელი სასიგნალო შუქები, პროჟექტორების გრძელი მქრქალი სხივები, სამრეწველო

რაიონების ტეხილი სილუეტები. მოაგონდა, ერთხელ როგორ ნახა რიერდენი თავისსავე ქარხანაში — გამურული შუბლით, მჟავით ამომწვარი სპეცტანსაცმლით, რომელიც ისევე მოხდენილად ეცვა, როგორც ოფიციალური კოსტიუმი. „ის ქარხანასაც ასევე შეესატყვისება“, — გაიფიქრა დაგნიმ, როდესაც ნიუ-ჯერსის ველებს გაჰყურებდა, — „მისი ამწეებით, ცეცხლის ენებით, სინათლეებით და მოღრჭიალე მექანიზმებით“.

ქარბუქში უკაცრიელ საგარეუბნო გზაზე მიქროდნენ, ფიფქები ფარების შუქზე ბრწყინავდნენ და დაგნიმ გაიხსენა, როგორ გამოიყურებოდა რიერდენი ზაფხულში, როდესაც ერთად გაემგზავრნენ დასასვენებლად. ის ბალახზე გაშოტილიყო და მზის სხივები დასთამაშებდა. „ბუნებასთანაც ახლოსაა“, — ფიქრობდა დაგნი, — „არა, ის ყველაფრის კუთვნილებაა; დედამიწის ადამიანია“... მერე კი უფრო ზუსტი განსაზღვრება მოუნახა: „ეს არის ადამიანი, რომელსაც დედამიწა ეკუთვნის, ადამიანი, რომლისთვისაც დედამიწა სახლია“. „რატომ უნდა ზიდოს ასეთი უსიტყვო და უსასრულო მოთმინებით ეს მძიმე ტვირთი“, — ფიქრობდა დაგნი, — „რომელიც თავადვე მიიღო და დროდადრო ავიწყდება კიდევაც, რა სიმძიმე აწევს მხრებზე?“ ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ნაწილობრივ ჰქონდა. ეჩვენებოდა, რომ სულ ცოტაც და, ერთ მშვენიერ დღეს, ძალიან მალე, ყველაფერი საბოლოოდ გაირკვეოდა. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი არ უნდოდა, რად განაახლა ისინი შორს მიქროდნენ, შორს ამ აუტანელი ტვირთისგან, რადგან ავტომობილის სალონის ჩაკეტილ სივრცეში თავს მშვიდად და აბსოლუტურად ბედნიერად გრძნობდნენ. დაგნის ემოცია მოეძალა და წამით შუბლით მის მხარს შეეხო.

ავტომობილი გზიდან გადავიდა და გაუხვია განათებული ფანჯრებისკენ, რომლებიც თოვლის ნამქერს მიღმა, გატიტვლებული ხეების ტოტებს შორის ციალებდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაგნი და რიერდენი ფანჯარასთან მიდგმულ, მქრქალი შუქით განათებულ მაგიდას უსხდნენ და წყვდიადში ხეებს გასცქეროდნენ. სასტუმრო პატარა გორაკზე იდგა, შუაგულ ტყეში — მდიდრული, ძვირიანი და განცალკევებული, უზადო ინტერიერით. ეს იყო ადგილი, რომელიც ჯერ არ აღმოეჩინათ მათ, ვისაც ფულის ფლანგვა და თავის გამოჩენა უყვარს. დაგნი ათვალიერებდა მყუდრო და კომფორტულ სასტუმრო ოთახს, ფანჯრებს მიღმა მბრწყინავ გაყინულ ტოტებს.

იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. ცისფერი ბეწვი თითქმის ჩამოუცურდა გაშიშვლებული მხრებიდან. რიერდენს თვალები მოეჭუტა და იმ სკულპტორივით შეჰყურებდა, რომელიც კმაყოფილი აკვირდება თავის ქმნილებას.

— მიყვარს, როდესაც რაიმეს გჩუქნი, — უთხრა დაგნის, — იმიტომ, რომ შენ ეს არ გჭირდება.

— არ მჭირდება?

— უბრალოდ ის კი არ მინდა, რომ შენ ისინი გქონდეს. მინდა, რომ ჩემგან გქონდეს, — მე მჭირდება ისინი, ჰენკ, იმიტომ, რომ მათ შენ მჩუქნი.

— შენ გესმის, რომ მე უბრალოდ საკუთარ სურვილებს ვიკმაყოფილებ? საჩუქრებს შენი კი არა, ჩემი სიამოვნებისთვის გჩუქნი.

— ჰენკ! — აღმოხდა დაგნის თავისდაუნებურად, მის სიტყვებში მხიარული გაოცება, სასოწარკვეთა, აღშფოთება და სინანული ისმოდა, — შენ რომ ჩემთვის რაიმე მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის გეჩუქებინა, და არა საკუთარი სიამოვნებისთვის, მე მათ სახეში მოგახლიდი.

— ასეა... მომახლიდი... ნამდვილად ასე იზამდი.

— და შენ ამას შენი უზნეო სურვილების წაქეზებას უწოდებ?

— ჩემი აზრით, ამას სწორედ ასე ჰქვია.

— ო, დიახ! სწორედ ასე ჰქვია. მაინც რას გულისხმობ, ჰენკ?

— არ ვიცი, — გულგრილად უპასუხა მან, — მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს უზნეობაა, მაგრამ გინდ შემაჩვენო, მე ეს ძალიან მომწონს.

დაგნიმ არ უპასუხა; რიერდენს მსუბუქი ღიმილით უყურებდა, თითქოს აიძულებდა, საკუთარ ნათქვამს ჩაჰფიქრებოდა.

— ყოველთვის მინდოდა, ჩემი სიმდიდრით დავმტკბარიყავი, — თქვა რიერდენმა, — მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ მექნა. დროც კი არ მქონდა, რომ გამეგო, რა ძლიერად მსურდა ეს. მხოლოდ ერთი ვიცი: ჩემ მიერ გადამდნარი მთელი ფოლადი მევე დამიბრუნდა თხევადი ოქროსავით და შემიძლია, ნებისმიერი ფორმა მივცე, როგორიც კი მომესურვება, და სწორედ მე, და არა ვინმე სხვა, უნდა დატკბეს მისით. მაგრამ ადრე მე ეს არ შემეძლო. არ ვიცოდი, როგორ გამომეყენებინა ის. ახლა უკვე ვიცი. მე შევქმენი ეს სიმდიდრე და ამიერიდან ვაიძულებ მას, ნებისმიერი სიამოვნება მომანიჭოს, რომელიც კი მომესურვება, მათ შორის ისიც, წარმოვიდგინო, რამდენი შემიძლია, ამისთვის გადავიხადო; და კიდევ გიჟური ახირება — შენ გადაგაქციო ფუფუნების საგნად.

— მაგრამ მე უკვე ვარ ფუფუნების საგანი, რომლის საფასურიც შენ დიდი ხნის წინ გადაიხადე. — დაგნი არ იღიმოდა.

— როგორ?

— ისევე, როგორც შენი ქარხნებისთვის გადაიხადე.

დაგნიმ არ იცოდა, მოახერხა თუ არა საკუთარი აზრის სრულყოფილად გადმოცემა სიტყვებით, მაგრამ იგრძნო, რომ რიერდენს მისი ესმოდა. დაინახა, როგორ გაუთბო მზერა მას შეკავებულმა ღიმილმა.

— ფუფუნება არასდროს არ მეზიზღებოდა, — აღიარა რიერდენმა, — თუმცა ყოველთვის მეზიზღებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ ფუფუნებით ტკბებოდნენ.

როცა ვუყურებდი, რას ნათლავდნენ ისინი თავიანთ სიამოვნებებად, ისეთი მდაბალი და უაზრო მეჩვენებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რასაც ქარხნებში ყოფნისას ვგრძნობდი ხოლმე. ვხედავდი, როგორ ადნობდნენ ფოლადს, ჩემს ნება-სურვილს დამორჩილებულ ტონობით თხევად მეტალს. შემდეგ კი წვეულებაზე მივდიოდი და ვხედავდი, რა მოწიწებით დაჰკანკალებდნენ ადამიანები თავიანთ ოქროს ჭურჭელსა და მაქმანიან სუფრებს, თითქოს სასტუმრო ოთახი მათი ბატონი იყო, თვითონ კი მისი უბრალო მსახურები იყვნენ, მერე რა, რომ ბრილიანტისთვლიანი ქინძისთავებითა და ყელსაბამებით მორთულნი. და ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი და თვალებით პირველივე წიდის გროვა მომენახა, ისინი კი მეუბნებოდნენ, რომ ცხოვრებით ტკბობა არ შემეძლო, ვინაიდან თურმე ბიზნესის გარდა, სხვა არაფერი მაინტერესებდა.

რიერდენმა მკრთალად განათებული დახვეწილი ოთახი და მაგიდებთან მსხდომი ადამიანები მოათვალიერა. ისინი დაუფარავად გამოფენდნენ საკუთარ თავებს, თითქოს მოელოდნენ, რომ ზღაპრულად ძვირფასი სამოსი და მათი ნებიერა სხეულების მოვლაში ჩაყრილი აურაცხელი ფული მათ განუმეორებელ დიდებულებას შესძენდათ, მაგრამ ყველაფერი პირიქით იყო. მათი სახეები მხოლოდ ღვარძლსა და შფოთვას გამოხატავდა.

— დაგნი, შეხედე ამ ადამიანებს. მათ ცხოვრების ნებიერებს უწოდებენ, თავგადასავლების მაძიებლებსა და ფუფუნების მოყვარულებს. სხედან აქ და იმედი აქვთ, — რომ აქაურობა მნიშვნელოვანებას მიანიჭებთ. მაგრამ სინამდვილეში ისინი მატერიალური სიამოვნებების მონები არიან და გასაგები ხდება, რატომაც ითვლება მატერიალური სიამოვნებებით ტკბობა ბოროტებად. ტკბობა? მაგრამ განა ისინი ტკბებიან? ხომ არ არის იმაში, რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ, რაღაც სიმახინჯე, რაღაც შეცდომა, მანკიერი და ფატალურიც კი?

— ჰო, ჰენკ, ნამდვილად ასეა.

— ისინი ცხოვრების ნებიერები არიან, ჩვენ კი, მე და შენ — საქმის ადამიანები.

თუ გესმის, რომ ჩვენ ისე შეგვიძლია, ამ რესტორნით დავტკბეთ, ისინი რომ ვერც იოცნებებენ?

— ასეა.

რიერდენმა აუჩქარებლად წარმოთქვა, ციტატასავით:

— რატომ დავუტოვეთ ეს ყველაფერი ბრიყვებს? ეს ჩვენი უნდა ყოფილიყო, — დაგნიმ შეხედა მას და შეკრთა. რიერდენმა გაიღიმა, — გახსოვს ის წვეულება, ჩემს სახლში? არც ერთი სიტყვა არ დამვიწყებია, რომელიც შენ იმ წვეულებაზე მითხარი. მაშინ არ გიპასუხე, იმიტომ, რომ ერთადერთი პასუხი შენს სიტყვებზე იყო: „მე შენ მინდიხარ“, — მან დაგნის შეხედა, — დაგნი, იმ დღეს შენ ეს არ გითქვამს, მაგრამ რაც თქვი, იმას ნიშნავდა, რომ ჩემთან დაწოლა გსურდა, ასეა?

— კი, ჰენკ, რა თქმა უნდა.

რიერდენმა თვალი გაუსწორა და შემდეგ მზერა მოაშორა. ისინი დიდხანს დუმდნენ. რიერდენი მკრთალი შუქით განათებულ სასტუმრო ოთახს ათვალიერებდა, სასმისებში აკიაფებულ ღვინოს უყურებდა.

— დაგნი, ახალგაზრდობაში, როცა მინესოტაში მადნის საბადოზე ვმუშაობდი, სწორედ ასეთ საღამოზე ვოცნებობდი ხოლმე. არა, ამის გულისთვის არ ვმუშაობდი და არც ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამაზე. მაგრამ ხანდახან, ზამთრის ღამეებში, როცა ცაზე ვარსკვლავები კრთოდნენ, როცა დაღლილობისგან ფეხზე ვეღარ ვიდექი, რადგან ორ ცვლაში ვმუშაობდი და მხოლოდ ის მინდოდა ამქვეყნად ყველაზე მეტად, რაც შეიძლებოდა, მალე დავწოლილიყავი და დამეძინა, იქვე, მაღაროში, ვფიქრობდი, რომ ოდესმე დადგებოდა დღე, როდესაც ვიჯდებოდი აი, ამის მსგავს დარბაზში, სადაც ერთი ჭიქა სასმელი ჩემს მაშინდელ დღიურ ანაზღაურებაზე ძვირი ეღირებოდა და თითოეული წუთი, ღვინის თითოეული წვეთი და თითოეული ყვავილი მაგიდაზე დამსახურებული მექნებოდა, და მე იქ, ისე, უბრალოდ, მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის ვიჯდებოდი.

დაგნიმ ღიმილით ჰკითხა:

— შენს საყვარელთან ერთად?

მის თვალებში გამკრთალი სულიერი ტანჯვა შენიშნა და ინანა საკუთარი სიტყვები.

— ჩემს ქალთან ერთად, — უპასუხა რიერდენმა. დაგნიმ იცოდა სიტყვა, რომელიც მან არ წარმოთქვა. რიერდენმა რბილი, თანაბარი ხმით განაგრძო:

— როცა გავმდიდრდი და დავინახე, რას სჩადიოდნენ მდიდრები თავის გასართობად, ვიფიქრე, რომ ადგილი, რომელიც მე წარმოვისახე, არ არსებობდა. ვერც კი შევძელი, მკაფიოდ წარმომედგინა ის. არც კი ვიცოდი, როგორი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ რა უნდა მეგრძნო იმ წუთებში, ის ვიცოდი. საკმაოდ დიდი ხანი

გავიდა, რაც იმედი საბოლოოდ გადამეწურა. მაგრამ დღეს სწორედ იმას ვგრძნობ, რაზეც ვოცნებობდი.

რიერდენმა სასმისი ასწია, დაგნის უყურებდა.

— ჰენკ, მე... ამქვეყნად ყველაფერს დავთმობდი, რაც კი მქონია, ერთადერთი რამის გარდა — ვიყო... ვიყო ფუფუნების ობიექტი შენი სიამოვნებისთვის.

რიერდენმა შენიშნა, როგორ უცახცახებდა დაგნის ხელი, რომლითაც სასმისი ეჭირა და მხოლოდ ეს უთხრა:

— ვიცი, ჩემო საყვარელო.

დაგნი ადგილზე გაქვავდა. რიერდენს ასე არასოდეს მიუმართავს მისთვის. რიერდენმა კი თავი უკან გადასწია და ყველაზე ბედნიერი და თვალის მომჭრელი ღიმილით გაიღიმა, რომელიც კი დაგნის ოდესმე დაენახა მის სახეზე.

— პირველად გამოავლინე სისუსტე, დაგნი, — თქვა მან.

დაგნიმ თავი დაუქნია და გაიცინა. რიერდენმა მაგიდის იქითა მხრიდან ხელი გამოიწოდა და მოშიშვლებულ მხარზე შეეხო, თითქოს თანადგომას უცხადებდა მას.

დაგნი ნაზად იცინოდა, ტუჩებით ვითომდა შემთხვევით შეეხო მის თითებს და თავი დახარა, რომ რიერდენს ვერ შეენიშნა, როგორ კიაფობდა მის თვალებში ცრემლები.

როცა თავი ისევ ასწია, დაგნიმ რიერდენს საპასუხოდ გაუღიმა და მთელი დარჩენილი საღამო მათ დღესასწაულად გადაიქცა — რევანშად რიერდენის მიერ მაღაროებში გატარებული ყოველი ღამისთვის, ყველა წელიწადისთვის, რომელიც დაგნის პირველი მეჯლისიდან გამოხდა, როდესაც მარტოსულობას მხიარულების ნიღაბს მიღმა მალავდა და ფიქრობდა ადამიანებზე, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ კაშკაშა სინათლეები და ყვავილები მათ დიდებულებას შესძენდათ.

— „ხომ არ არის იმაში, რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ, რაღაც სიმახინჯე, რაღაც შეცდომა, მანკიერი და ფატალურიც კი?“ — ფიქრობდა დაგნი რიერდენის ამ სიტყვებზე ნახევრად მიწოლილი სავარძელში, თავის სასტუმრო ოთახში, გაზაფხულის ერთ დაღვრემილ საღამოს და მის მოსვლას ელოდა... — „ცოტაც, საყვარელო“, — ფიქრობდა ის, — „სულ ცოტაც და, გათავისუფლდები ამ შეცდომისაგან და ამ უსარგებლო ტკივილისგან, რომელსაც შენ არ უნდა განიცდიდე...“

მაგრამ გრძნობდა, რომ ჯერ თავადაც ვერ ხედავდა გზას მთლიანად და არც ის იცოდა, რა ნაბიჯების გადადგმა მოუწევდა, პასუხამდე რომ მისულიყო.

რიერდენი ბნელი ქუჩებით მიაბიჯებდა დაგნის სახლისკენ, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო და გვერდებზე მჭიდროდ მიეკრო — არ უნდოდა, ვინმეს შეხებოდა, თუნდაც შემთხვევით. აქამდე ასეთი გრძნობა არასდროს განუცდია — ზიზღი, არა რაიმე კონკრეტულით გამოწვეული, არამედ, უბრალოდ, ზიზღი, რომელსაც მთელი ქალაქი წაელეკა. რაღაც კონკრეტულის მიმართ ზიზღს გაიგებდა და დარწმუნებული, რომ ის სხვა სამყაროს კუთვნილება იყო, შეძლებდა, გამკლავებოდა მას. მაგრამ შეგრძნება, რომ მთელი სამყარო საძაგელი ადგილია, რომელსაც არ სურს, მიეკუთვნებოდეს, მისთვის სრულიად ახალი განცდა იყო.

მან თათბირი გამართა სპილენძის მწარმოებლებთან. ამ ხალხს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული აურაცხელი დირექტივით და უკვე მომავალი წლისთვის უეჭველი გაკოტრება ემუქრებოდათ. რიერდენმა ვერაფერი ურჩია მათ. პრობლემის გადაწყვეტის ვერავითარი გზა ვერ შესთავაზა. გამჭრიახობა, რომლის წყალობითაც რიერდენმა სახელი გაითქვა, როგორც ადამიანმა, რომელიც ყოველთვის პოულობდა

გამოსავალს, მისი წარმოება რომ არ გაჩერებულიყო, ამჯერად ვეღარ დაეხმარა, სპილენძის მწარმოებელთა გადარჩენის გზისთვის მიეგნო. ყველამ იცოდა, რომ ასეთი გზა არ არსებობდა, გამჭრიახობა გონების მახასიათებელია, შექმნილ ვითარებაში კი გონება, უკვე დიდი ხნის წინ, უსარგებლო რამედ იქცა.

ეს ვაშინგტონელი ბიჭებისა და სპილენძის იმპორტიორების ნავაჟკაცარია, — თქვა ერთ-ერთმა, — ძირითადად „დ'ანკონია კოპერის“.

„კიდევ ერთი საძაგელი მტკივნეული ჩხვლეტა“, — ფიქრობდა რიერდენი, — „გაწბილებული მოლოდინის შეგრძნება, რისი უფლებაც მე არ მაქვს“. ის მოვალე იყო, სცოდნოდა, რომ ამის ჩადენა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, როგორიც ფრანცისკო დ'ანკონიაა, სხვა არაფრის მოლოდინი არ შეიძლებოდა. და გულის სიღრმეში რაღაც ჩაწყდა, თითქოს ამ პირქუშ სამყაროში კიდევ ერთი ნათელი სხივი ჩაქრა.

ვერ გარკვეულიყო, რამ გამოიწვია ეს ყოვლის შთანმთქმელი ზიზღი, იმან, რომ მოქმედება შეუძლებელი გახდა თუ ზიზღმა ჩაკლა მოქმედების ყოველგვარი სურვილი. „ორივეა“, — გაიფიქრა მან, — „მოქმედების სურვილი გულისხმობს მოქმედების შესაძლებლობას; მოქმედება გულისხმობს მიზანს, რომელიც იმსახურებს, რომ იბრძოლო მის მისაღწევად. თუ ერთადერთი მიზანი ათასი ჯურის ბანდიტის წინაშე მუხლის მოყრაა საჩოთირო უპირატესობის მოსაპოვებლად, მაშინ მოქმედების სურვილი უბრალოდ გეკარგება“.

„ნეტავი შესაძლებელია, ცხოვრება გაგრძელდეს?“ — გულგრილად ჩაეკითხა საკუთარ თავს, — „სიცოცხლის არსი მოძრაობაა; ადამიანის ცხოვრება მიზნის კენ სწრაფვაა; რა დაემართება ადამიანს, თუ მას მოძრაობასაც აუკრძალავენ და მიზანსაც წაართმევენ, ადამიანს, რომელსაც ბორკილებს დაადებენ და მხოლოდ სუნთქვის უფლებას დაუტოვებენ, რათა შორიდან უმწეოდ უყუროს იმ უზარმაზარ შესაძლებლობებს, რომლის რეალიზებაც მას შეეძლო. ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ისღა დარჩენია, იყვიროს — „რატომ???“ — და ერთადერთ ახსნა-განმარტებად მისთვის სახეში მიბჯენილი იარაღის ლულა დაინახოს?“ მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო; არც კი უცდია, პასუხი ეპოვა.

გულგრილად ფიქრობდა მისი საკუთარი გულგრილობით გამოწვეულ სიცარიელეზე. იმის მიუხედავად, რა მძიმე ბრძოლები გადაუტანია წარსულში, ისე საძაგლად არასოდეს დაცემულა, რომ მოქმედებაზე ხელი აეღო. ტანჯვის წუთებში ტკივილს არასოდეს დანებებია; არასოდეს მიუცია საკუთარი თავისთვის იმის უფლება, რომ სიხარულისკენ სწრაფვაზე უარი ეთქვა. არასოდეს დაეჭვებულა სამყაროს არსში და ადამიანის სიდიადეში, როგორც ამ სამყაროს არსსა და მის მთავარ მამოძრავებელ ძალაში. ბევრი წლის წინ ქედმაღლური ზიზღით ეკიდებოდა ფანატიკოსების სექტებს, რომლებიც ისტორიის წყვდიადში წარმოიშვნენ, სექტებს, რომლებსაც სწამდათ, რომ ადამიანი ბოროტებით მართული ღვარძლიანი სამყაროს ხაფანგშია გაბმული; გაბმული ერთადერთი მიზნისთვის — რომ იტანჯოს. დღეს ის მიხვდა, როგორი იყო მათი მსოფლაღქმა, ესმოდა, როგორი უნდოდათ, მათ ეს სამყარო დაენახათ. თუ მთელი სამყარო ისეთია, როგორიც ის, რასაც ირგვლივ ხედავდა, მაშინ იოტისოდენა სურვილი არ ჰქონდა, მის თუნდაც უმცირეს ნაწილს შეხებოდა, მასთან ბრძოლა არ უნდოდა. ის აუტსაიდერი იყო, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და ცხოვრების გაგრძელებას ამიერიდან აზრი დაეკარგა.

დაგნი... მასთან ყოფნის სურვილი ერთადერთი გამონაკლისი იყო.

და ეს ლტოლვა არ განელებულა. და უცებ — გაოგნდა. მიხვდა, რომ დღეს არ სურდა, დაგნისთან ერთად სარეცელი გაეყო. ვნება, რომელიც წუთითაც არ აძლევდა მოსვენებას, რომელიც გამუდმებით მძაფრდებოდა და უკვე საკუთარი არსებობითვე იკვებებოდა, გამქრალიყო. ეს იყო უცნაური იმპოტენცია, მაგრამ არც მისი გონების და არც სხეულის. ისევე, როგორც ყოველთვის, მგზნებარედ გრძნობდა, რომ დაგნი მისთვის ქვეყნად ყველაზე სასურველი ქალი იყო. მაგრამ ეს მხოლოდ მისი სურვილების სურვილს ბადებდა, გრძნობის წყურვილს, მაგრამ არა თავად გრძნობას. ეს უგრძნობელობა თითქოს სრულიად უპიროვნო იყო, არც მას ეხებოდა და არც დაგნის, თითქოს სექსი ახლა იმ სამყაროს კუთვნილებად ქცეულიყო, რომელიც რიერდენმა მიატოვა.

— არ ადგე, იჯექი. ვიცი, შენ მე მელოდებოდი, ჰოდა, მინდა, კიდევ ცოტა ხანს ასე გიყურო, — ეს ზღურბლიდანვე უთხრა, თან უყურებდა, როგორ იჯდა დაგნი სავარძელში, როგორი სიხარულით წამოიწია, როცა წამოდგომა დააპირა. რიერდენი იღიმოდა.

შეამჩნია, თითქოს მისი რომელიღაც ნაწილი განცალკევებული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მის რეაქციას; რომ მისი ღიმილი და მოულოდნელი სიხარული გულწრფელი იყო. საკუთარი თავი დაიჭირა გრძნობაში, რომელსაც ყოველთვის განიცდიდა, მაგრამ მისი განსაზღვრება და სახელდება უჭირდა, რადგან ერთდროულად მარადიულიც იყო და წამიერიც. ეს იყო გრძნობა, რომელიც უკრძალავდა დაგნის ნახვას ტანჯვის წუთებში, უფრო მეტი, ვიდრე სურვილი, სიამაყის გამო საკუთარი წვალება დაეფარა. იცოდა, რომ მტკივნეული განცდები არ უნდა დასტყობოდა, რათა არც ერთი ახალი ძაფი, რომელიც მათ შორის გაიბმებოდა, არასოდეს არ გაჩენილიყო ტკივილის ან სიბრალულის გამო. ის აქ სიბრალულს არ მოუყვანია და არც სიბრალულისთვის არ მოსულა.

— კიდევ გჭირდება იმის დამტკიცება, რომ მე ყოველთვის გელოდები? — ჰკითხა დაგნიმ და მორჩილად დარჩა სავარძელში; მის ხმაში არც სინაზე ისმოდა და არც მუდარა, მხოლოდ სიხარული და კეკლუცობა.

— დაგნი, რატომ ხარ შენ ერთადერთი ქალი, ვინც ამას აღიარებს?

— იმიტომ, რომ სხვა ქალები არ არიან დარწმუნებული, რომ სასურველნი არიან, მე კი დარწმუნებული ვარ.

— მომწონს შენი თავდაჯერებულობა.

— საკუთარი თავის რწმენა მხოლოდ ნაწილია იმის, რაც მე შენ გითხარი, ჰენკ.

— დანარჩენზე რას იტყვი?

— დანარჩენი — საკუთარი და შენი ფასეულობის მტკიცე რწმენაა.

რიერდენმა შეხედა, თითქოს მოულოდნელად თავში რაღაც აზრმა გაუელვა.

დაგნიმ გაიცინა და დაამატა:

— დარწმუნებული არ ვარ, რომ ისეთ ადამიანს შევინარჩუნებდი, როგორიც, მაგალითად, ორენ ბოილია. მას შესაძლოა, სულაც ვერ შევემჩნიე. აი, შენ კი მე გჭირდები. — გინდა, თქვა, რომ შენს თვალში ავმაღლდი, როცა მიხვდი, რომ მჭირდები?

ჰკითხა აუჩქარებლად.

— რასაკვირველია.

— ეს სულაც არ ჰგავს ადამიანთა უმრავლესობის რეაქციას, როცა მათ უნდათ, რომ სასურველნი იყონ.

— მართალია, არ ჰგავს.

— ადამიანთა უმეტესობა საკუთარ თვალში მაღლდება, თუკი სხვებისთვის არიან სასურველნი.

— მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სხვები იზრდებიან ჩემს თვალში, თუკი მათ მე ვუყვარვარ. და შენ სწორედ ასევე ფიქრობ, ჰენკ, მიუხედავად იმისა, აღიარებ ახლა ამას თუ არა.

„მე სულ სხვა რამეს გეუბნებოდი შენ, იმ ჩვენს პირველ დილას“, — უყურებდა მას რიერდენი და ფიქრობდა.

დაგნიმ მისკენ წამოიწია; სახე ისევ მშვიდი ჰქონდა, მაგრამ თვალები სიხარულით უბრწყინავდა. ჰენკმა იცოდა, რომ დაგნიც სწორედ ამის შესახებ ფიქრობდა და ხვდებოდა, რომ ამაზევე ფიქრობდა რიერდენიც. გაიღიმა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, სავარძელში ჩაჯდა და ოთახის იმ კუთხიდან უმზერდა დაგნის, სიმშვიდე დაეუფლა — თითქოს მათსა და იმ ფიქრებს შორის, აქეთკენ მომავალს რომ ტანჯავდა, დამცველი კედელი წამოიმართა. დაგნის უამბო, როგორ მოვიდა მასთან მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომელი — მიუხედავად იმისა, რომ იმ საუბრიდან მომდინარე საფრთხეს გრძნობდა, კმაყოფილების განცდა მაინც არ ტოვებდა.

როცა დაგნის აღშფოთებული გამომეტყველება დაინახა, რიერდენმა გადაიხარხარა:

— არ ღირს მათზე გაბრაზება, — დაამშვიდა მან დაგნი, — ისინი ყოველდღე გაცილებით უარეს რამეებს სჩადიან.

— ჰენკ, გინდა, ამის შესახებ დოქტორ სტადლერს დაველაპარაკო?

— რა თქმა უნდა, არა!

— მან ეს უნდა შეაჩეროს. სხვა თუ არაფერი, ეს მაინც შეუძლია.

— მაგას მირჩევნია, ციხეში წავიდე! დოქტორი სტადლერი? შენ მასთან არაფერი გაკავშირებს, ხომ ასეა?

— მე ის რამდენიმე დღის წინ ვნახე.

— რატომ?

— ძრავის გამო.

— ძრავის?.. — რიერდენმა ეს ნელა, უცნაური ტონით წარმოთქვა, თითქოს ძრავის შესახებ აზრმა ის მოულოდნელად გადავიწყებულ სამყაროში დააბრუნა, — დაგნი...

ადამიანი, რომელმაც ეგ ძრავა გამოიგონა... მართლა არსებობს?

— რა თქმა უნდა... რას გულისხმობ?

— მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ... ეს სასიამოვნო აზრია, ხომ მართალია?

თუნდაც უკვე ცოცხალი აღარ იყოს. ოდესღაც ხომ იყო ცოცხალი... თანაც, იმდენად ცოცხალი, რომ ეგ ძრავა შექმნა...

— ეს რა შუაშია, ჰენკ?

— არაფერი. მომიყევი ძრავაზე.

დაგნიმ უამბო დოქტორ სტადლერთან შეხვედრის შესახებ. ის წამოდგა და ოთახში მიდი-მოდიოდა; ერთ ადგილას მშვიდად ჯდომა უჭირდა, როდესაც ლაპარაკი ძრავას შეეხებოდა, ყოველთვის იმედისა და მოქმედების სურვილის მოზღვავებას გრძნობდა.

რიერდენი ფანჯარაში განათებულ ქალაქს გაჰყურებდა; მოუნდა, ლამპიონები ერთიმეორის მიყოლებით ანთებულიყვნენ და ჰორიზონტის უსასრულო ხაზი წარმოექმნათ, რომელიც ყოველთვის აღაფრთოვანებდა. მას ეს უნდოდა, თუმცა

იცოდა, რომ სინათლეები უკვე ადრეც ენთო. შემდეგ სადღაც სულის სიღრმიდან ისევ ამოუტივტივდა აზრი: თანდათან უბრუნდებოდა ქალაქის სიყვარული. რიერდენი გრძნობდა ამას, როდესაც ქალაქს უყურებდა. ის ქალის ტანადი სხეულის უკან გადაშლილიყო. ქალს ენერგიულად აეწია თავი, თითქოს ცდილობდა, შორს ვიღაც დაენახა, ვიღაც, ვისი დაუღალავი სვლაც მას ფრენას უცვლიდა; რიერდენი მისით უცხოსავით ტკბებოდა, თითქოს დაავიწყდა კიდევაც, ქალი რომ იყო, მისი ხატება განსხეულდა განცდაში, რომელსაც ყველაზე მეტად მიესადაგებოდა სიტყვები: „აი, ეს არის სამყარო, მისი ნამდვილი არსი. აი, რამ შექმნა ქალაქი“. ყველაფერი ერთ მთლიანობად იქცა — შენობების კუთხოვანი ხაზები და ჯიუტი ნაკვთები სახისა, რომელიც მხოლოდ მიზანსწრაფულობას გამოხატავდა; ფოლადის წარმოების თანმიმდევრული ეტაპები და მიზნისკენ შეუპოვრად გადადგმული ნაბიჯები; ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ელექტრობას, ფოლადს, ღუმლებს, ძრავებს — სწორედ ისინი განასახიერებენ ამ სამყაროს და არა ის კაცუნები, ბნელ კუნჭულებში რომ იმალებიან და ნახევრად იხვეწებიან, ნახევრად იმუქრებიან, და თავიანთი ღია წყლულებით ისე იწონებენ თავს, თითქოს ეს ერთადერთი სათნოება იყოს, რომელიც სიცოცხლის უფლებას განიჭებს. რიერდენმა იცოდა, რომ არსებობდა ამ სამყაროში ადამიანი, რომელსაც ეყო კადნიერება, ახალ აზრს შესჭიდებოდა. განა შეუძლია, ეს სამყარო სხვებს, იმ დანარჩენებს დაუტოვოს? ახლა, როდესაც იხილა ის, რამაც აღაფრთოვანა და სიცოცხლის წყურვილი დაუბრუნა, როგორ ირწმუნოს იმ სამყაროს არსებობა, რომელშიც ტანჯვა, გმინვა და იარაღი გაბატონებულა? ადამიანი, რომელმაც ძრავა გამოიგონა, ნამდვილად არსებობდა. ის არასოდეს დაეჭვებულა მის რეალობაში, რომელიც ამ კონტრასტს აუტანელს ხდიდა: ასე რომ, ზიზღიც კი მისი ლოიალობის გამოვლინება იყო მის და იმ სამყაროს მიმართ, რომელიც დაგნისა და რიერდენს ეკუთვნოდა.

— საყვარელო... წარმოთქვა მან, — საყვარელო... — თითქოს მოულოდნელად გაეღვიძა, როცა შენიშნა, რომ დაგნი გაჩუმდა.

— რა არის, ჰენკ? — ჰკითხა დაგნიმ რბილად.

— არაფერი... გარდა იმისა, რომ სტადლერისთვის არ უნდა მიგემართა, რიერდენს სახეზე ნდობა აღბეჭდვოდა, მისი ხმა სიხარულით, დამამშვიდებლად, ნაზად ჟღერდა. დაგნიმ მეტი ვერაფერი შეამჩნია. ის ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის, უცნაური და ახალი მხოლოდ სინაზის აშკარა ნოტი იყო.

— მეც ასე მგონია, — თქვა დაგნიმ, — თუმცა არ ვიცი, რატომ.

— მე გეტყვი, რატომაც, — უთხრა რიერდენმა და წინ გადაიხარა, — შენი დახმარებით მას სურს, დარწმუნდეს, რომ ისევ ის დოქტორი რობერტ სტადლერია, როგორიც ოდესღაც იყო, თუმცა კი ესმის, რომ ეს ასე აღარ არის. უნდოდა, ყველაფრის მიუხედავად, მას პატივისცემით მოჰპყრობოდი. უნდოდა, შენ მისი გულისთვის რეალობა გაგეყალბებინა, თითქოსდა მისი დიდებულება ჯერ კიდევ არსებობს, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი კი აღგვილია პირისაგან მიწისა, თითქოს არც არასდროს ეარსებოს. და შენ ერთადერთი იყავი, ვისაც შეუძლია, მისთვის ეს გააკეთოს.

— მე, რატომ?

— იმიტომ, რომ შენ მსხვერპლი ხარ.

დაგნი შეშფოთებით მიაჩერდა მას. რიერდენი მტკიცედ ლაპარაკობდა, საკუთარ სიტყვებში დარწმუნებული, თითქოს მოულოდნელი სასტიკი სიცხადე გააცნობიერა,

თითქოს მოულოდნელად თვალი აეხილა, თითქოს მის მზერაში ახალი ენერგია შეიჭრა და აქამდე ბუნდოვნად ხილული და გაუგებარი გაამთლიანა და ერთი მიმართულება მისცა.

— დაგნი, ისინი რაღაც ისეთს სჩადიან, რასაც ჩვენ ვერასდროს გავიგებთ. მათ ისეთი რამ იციან, რაც ჩვენ არ ვიცით, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიგოთ. მე ჯერჯერობით ყველაფერი არ მესმის, მაგრამ ზოგიერთ შტრიხს უკვე ვარჩევ. იმ თაღლითს, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტიდან, შეეშინდა, როცა უარი ვუთხარი, დავხმარებოდი, თავი რომ მოეკატუნებინა, თითქოსდა ჩემი მეტალის პატიოსანი მყიდველი ყოფილიყო. ძალიან შეეშინდა. რისი? არ ვიცი — იმის, რასაც მან საზოგადოებრივი აზრი უწოდა? არა, ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. რატომ უნდა შეშინებოდა? მის ხელში იარაღია, ციხეები, კანონები — შეეძლო, ყველა ჩემს ქარხანას დაჰპატრონებოდა, თუკი მოესურვებოდა და ჩემს დაცვას ვერავინ გაბედავდა. და მან ეს იცის. მაშინ ასე რატომ უნდა შეეშინებინა, მე რას ვიფიქრებდი? მაგრამ შეეშინდა.

— ის ელოდა, რომ დავუწყებდი მტკიცებას, თაღლითი კი არა, ჩემი კლიენტი და მეგობარი ხარ-მეთქი. სწორედ ამას ელოდა შენგან დოქტორი სტადლერიც: ისე მოქცეულიყავი, თითქოს ის დიდი ადამიანია და არასოდეს უცდია შენი რკინიგზისა და ჩემი მეტალურგიული ქარხნების განადგურება. ჯერ ვერ ვხვდები, რა ჩაიფიქრეს, ერთი ის ვიცი ზუსტად, რომ უნდათ, თავი მოვიკატუნოთ, თითქოს სამყარო ჩვენც ისეთი გვგონია, როგორსაც ისინი ხედავენ. რაღაც გამართლების მსგავსს მოელიან ჩვენგან. ჯერ არ ვიცი, როგორს. მაგრამ, დაგნი, იმას ვხვდები, რომ თუკი ჩვენი სიცოცხლე ჩვენთვის ძვირფასია, მათ ეს გამართლება არ უნდა ვაღირსოთ.

რომც გაწამონ, მაინც არ დანებდე. დაე, გაანადგურონ შენი რკინიგზა და ჩემი ქარხნები, მაინც არ დანებდე. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ერთადერთი შანსია.

დაგნი ისევ გაუნძრევლად იდგა მის წინ, დაჟინებით ცდილობდა რაღაც ბუნდოვანის აღქმას, მისი მკრთალი კონტურების გარჩევას.

— ჰო... — უთხრა დაგნიმ, — ჰო, მესმის, რაც მათში დაინახე. ეს მეც ვიგრძენი, მაგრამ ისე მოუხელთებლად გაიელვა, თითქოს ჰაერის ცივ ნაკადს ჩაექროლოს.

მხოლოდ ერთადერთი განცდა დამიტოვა, ლამის რწმენა: მე ისინი უნდა შევაჩერო... ვიცი, მართალი ხარ. ვერ გამიგია, რა წესებით თამაშობენ, მაგრამ უდავოა, მათ ვერ უნდა გვაიძულონ, სამყარო ისეთად დავინახოთ, როგორც მათ ეს სურთ.

ეს ისეთი სიცრუეა, ძალიან ძველი და საზარელი და მისი განადგურება ერთადერთი გზით შეიძლება: ყოველ მათ განზრახვას მივხვდეთ, მათი თითოეული წესი გადავამოწმოთ.

დაგნი მკვეთრად შეტრიალდა რიერდენისკენ, მოულოდნელი აზრით გაოგნებული, მაგრამ ადგილზე გაქვავდა და გაჩუმდა, რადგან შეეშინდა, არ ეთქვა ის, რისი თქმაც ჯერჯერობით არ სურდა მისთვის. იდგა და მდუმარედ შეჰყურებდა რიერდენს ნათელი, შეკითხვით სავსე ღიმილით.

სადაც სულის სიღრმეში რიერდენი თითქოს ხვდებოდა აზრს, რომლის გახმოვანებაც დაგნიმ არ ისურვა, მაგრამ იმდენად ჩანასახოვან მდგომარეობაში, რომ ის აწი უნდა შემოსილიყო სიტყვებით. რიერდენს ამ აზრზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია, რადგან ის ახლა სხვა, ყოვლისმომცველმა გრძნობამ ჩაანაცვლა და კიდევ დიდი ხნით დაეუფლა მის არსებას — რიერდენი ადგა, დაგნისთან მივიდა და მაგრად მოეხვია. მათი სხეულები თითქოს ორ ნაკადად გადაიქცა, რომლებიც

ერთმანეთისკენ მიისწრაფოდნენ, რათა ერთ მთლიანობად და ერთ წერტილში შერწყმულიყვნენ — თავიანთ ბაგეებში, როდესაც ისინი ერთმანეთს შეეხნენ.

როდესაც რიერდენი ეხვეოდა, დაგნი შუაგულ ოთახში იდგა, გაჩახჩახებული ქალაქის თავზე და ტკბებოდა მისი სხეულის სილამაზით, რომელიც ფანჯრის მინაში აირეკლებოდა.

რიერდენმა იცოდა, რომ იმ საღამოს სიცოცხლის სიყვარული კვლავ დაუბრუნდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაგნის მიმართ მგზნებარე ვნება განუახლდა. პირიქით, ვნება მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ისევ მოიპოვა თავისი სამყარო, გააცნობიერა მისი ფასი და საზრისი; ლტოლვა დაგნის სხეულის ძახილის საპასუხო რეაქცია კი არ იყო, არამედ სიცოცხლისადმი მისი ნების ზეიმი.

რიერდენი ვერ აცნობიერებდა ამას, არ ფიქრობდა ამაზე, სიტყვები არ სჭირდებოდა. მაგრამ იმ წუთს, როდესაც დაგნის სხეულის საპასუხო გამოძახილი იგრძნო, უცებ, ძალიან მშვიდად და ბუნებრივად მიხვდა — ის, რაც მას დაგნის ბიწიერებად მიაჩნდა, სინამდვილეში, მისი უზენაესი ზნეობრიობა იყო — უნარი, შეეგრძნო ყოფიერების სიხარული სწორედ ისე, როგორც ამას თავად რიერდენი გრძნობდა.

თავი 2

კავშირების არისტოკრატია

დაგნის კაბინეტის ფანჯრის მიღმა, ცაზე, კალენდრის ტაბლო ორ სექტემბერს აჩვენებდა. დაღლილი სამუშაო მაგიდაზე დაიხარა. ჩამავალი მზის სხივები შებინდებამდე კალენდარს ეცემოდა და სახურავების თავზე ქათქათა თეთრი მართკუთხედი ენთებოდა, ქალაქი იდღაბნებოდა და სიბნელე მძაფრდებოდა.

უკვე მერამდენე თვე იყო, ყოველ საღამოს ამ უმოწყალო კალენდარს გაჰყურებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ის მხოლოდ თავისთვის ცნობილი რომელიღაც მოვლენის მოახლოებას აუწყებდა და ეუბნებოდა: „შენი დღეები დათვლილია“. ოდესღაც ის „ჯონ გოლტის ხაზის“ მშენებლობის დასრულებას აღნიშნავდა; ახლა კი დაუნდობლად ითვლიდა დაგნის ბრძოლის დღეებს უცნობ დამანგრეველთან.

ადამიანები, რომლებმაც კოლორადოში ახალი ქალაქები ააშენეს, ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ მდუმარე იდუმალებაში, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულიყო. მათ მიერ მიტოვებული ქალაქები კვდებოდნენ. მათ მიერ აშენებული ქარხნების ერთი ნაწილი უპატრონოდ დარჩა და იხურებოდა. სხვებს ადგილობრივი ავტორიტეტები დაეპატრონნენ; მაგრამ მუშაობა ყველამ შეწყვიტა.

დაგნის ეჩვენებოდა, თითქოს წინ კოლორადოს რუკა ედო გადაშლილი, რომელიც მატარებლების მოძრაობის კონტროლის ელექტროპანელს წააგავდა, რამდენიმე ადგილას გამონათებულს, სინათლის ჯაჭვად რომ გაჭიმულიყო მთებს შორის. ეს სინათლეები ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ. ასევე ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებოდნენ ადამიანებიც. დაგნი გრძნობდა, რომ ამაში რაღაც კავშირი იგულისხმებოდა, მაგრამ ვერა და ვერ მოეხელთებინა. უკვე შეეძლო, ეწინასწარმეტყველა, უმეტესად ზუსტად, ვინ გაქრებოდა შემდეგი და როდის, მხოლოდ ის ვერ გაეგო — რატომ.

მათგან, ვინც ოდესღაც დაგნის ესალმებოდა უაიატის სადგურის პლატფორმაზე, მხოლოდ ტედ ნილსენი დარჩა, რომელიც ჯერ კიდევ მართავდა „ნილსენ მოტორსის“ ქარხანას.

— ტედ, თქვენ ხომ არ აღმოჩნდებით შემდეგი? — ჰკითხა დაგნიმ მას, როდესაც ბოლოს ნიუ-იორკში ჩავიდა, თან ცდილობდა, გაეღიმა.

მან პირქუშად უპასუხა:

— იმედი მაქვს, არა.

— ასე რატომ ამბობთ? დარწმუნებული არ ხართ?

მან, თითქოს თავს ძალას ატანდა, ნელა წარმოთქვა:

— დაგნი, მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ უმალ სიკვდილს ვამჯობინებდი, ვიდრე მუშაობას შევწყვეტდი. მაგრამ ასევე ფიქრობდა ყველა ის ადამიანიც, ვინც წავიდა. შეუძლებლად მიმაჩნია, ოდესმე საქმიანობა შევწყვიტო. მაგრამ ერთი წლის წინ ეს ჩემს ბევრ მეგობარსაც შეუძლებელი ეგონა. იცოდნენ, რასაც ნიშნავდა მათი წასვლა ჩვენთვის, ადამიანებისთვის, რომლებიც დარჩნენ. ასე არ უნდა წასულიყვნენ, ასე სიტყვის უთქმელად, არ უნდა დავეტოვებინეთ შიშში გაურკვევლობის წინაშე, თუ საამისოდ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიზეზები არ ჰქონდათ. ერთი თვის წინ როჯერ მარში, „მარშ ელექტრიკიდან“, მეუბნებოდა, რომ თავს ჯაჭვით მიიბამდა სამუშაო მაგიდაზე, შესაძლებლობა რომ არ მისცემოდა მისი მიტოვების, როგორი საშინელი ცდუნებაც არ უნდა გასჩენოდა. გაცოფებული ბობოქრობდა იმ ადამიანების საქციელით აღშფოთებული, რომლებიც წავიდნენ, იფიცებოდა, რომ თვითონ ასე არასოდეს მოიქცეოდა.

— „და თუ რაიმე ისეთი მოხდა, რასაც წინააღმდეგობას ვერ გავუწევ, — მითხრა მან, — გეფიცები, იმდენი ჭკუა შემრჩება, რომ წერილი დაგიტოვო და მიგანიშნო, რა მოხდა, ისევე რომ არ დაიზაფრო, როგორც ახლა მე და შენ“. დაიფიცა, მაგრამ ორი კვირის წინ გაქრა. ისე, რომ ჩემთვის წერილი არ დაუტოვებია... დაგნი, წინასწარ ვერ ვიტყვი, რას ვიზამ, როცა ვიხილავ იმას, რაც მათ ყველამ დაინახეს, ვიდრე წავიდოდნენ.

დაგნის ეჩვენებოდა, რომ ვიღაც უცნობი დამანგრეველი უხმაუროდ დააბიჯებდა მთელ ქვეყანაში და მისი შეხებით ხან იქ, ხან აქ სინათლეები ქრებოდა. „ვიღაც ადამიანი“, — მწარედ ფიქრობდა დაგნი, — „რომელმაც მეოცე საუკუნის მამოძრავებელი ძალის პრინციპი თავდაყირა დააყენა და კინეტიკური ენერგიის სტატიკურად გარდაქმნას ცდილობს“.

„სწორედ ამ მტერს გამოვუცხადე ომი“, — ფიქრობდა დაგნი, როცა შებინდებისას თავის მაგიდასთან იჯდა. მაგიდაზე ქუენტინ დენიელსის ყოველთვიური ანგარიში ედო. ისევე, როგორც ადრე, ახლაც არ იყო დარწმუნებული, რომ დენიელსი ძრავის საიდუმლოს ამოხსნიდა, დამანგრეველი კი, ფიქრობდა ის, სწრაფად მოქმედებდა, მტკიცედ, სულ უფრო და უფრო სწრაფად. „საინტერესოა“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „იმ დროისთვის, როცა ძრავას აღადგენს, დარჩება კი ვინმე ამქვეყნად, ვინც მას გამოიყენებს?“

ქუენტინ დენიელსი დაგნის მაშინვე მოეწონა, როგორც კი მის კაბინეტში შემოაბიჯა, სადაც მათი პირველი საუბარი შედგა. ეს იყო მაღალი, ოცდაათ წელს ოდნავ გადაცილებული მამაკაცი, უფერული, გამხდარი სახით და სანდომიანი ღიმილით.

მის სახეს მუდმივად ანათებდა მქრქალი ღიმილი, უფრო ღიმილის მსუბუქი მინიშნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანამოსაუბრეს უსმენდა; მისი კეთილი მზერა მახვილ გონებასაც გამოხატავდა, თითქოს ქუენტინი მოსმენილიდან სწრაფად ცხრილავდა უსარგებლო სიტყვებს და მოსაუბრეზე წამით დაწინაურებული სწვდებოდა ნათქვამის არსს.

— რატომ თქვით უარი დოქტორ სტადლერთან მუშაობაზე? — ჰკითხა დაგნიმ.

დენიელსის მქრქალ ღიმილს რაღაცნაირი სიმკვეთრე და სიუხეშე დაეტყო; მისთვის გრძნობების უკიდურესი გამოხატვა იყო, მაგრამ ჩვეულებისამებრ მშვიდად და აუღელვებლად უპასუხა:

— იცით, დოქტორმა სტადლერმა ერთხელ მითხრა, გამოთქმაში „დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა“ პირველი სიტყვა ზედმეტიაო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს გადაავიწყდა. რა გაეწყობა, მე მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ სიტყვათშეთანხმება „სახელმწიფო სამეცნიერო კვლევა“ აშკარა წინააღმდეგობრიობას შეიცავს.

დაგნიმ ჰკითხა, რა პოსტი ეკავა იუტას ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

— ღამის დარაჯი ვარ, — უპასუხა მან.

— რა? — სული შეეხუთა დაგნის.

— ღამის დარაჯი, — გაიმეორა თავაზიანად ყმაწვილმა, თითქოს დაგნიმ უბრალოდ ვერ გაიგონა მისი ნათქვამი, თორემ სხვა უჩვეულო არაფერი ეთქვას.

დაგნიმ გამოკითხვისას გაარკვია, რომ დენიელსი მიუღებლად თვლიდა სამეცნიერო ინსტიტუტებში მუშაობას, რომ ისურვებდა, რომელიმე დიდი ინდუსტრიული კონცერნის კვლევით ლაბორატორიაში ემუშავა, მაგრამ...

— მაგრამ რომელ კონცერნს შეუძლია, ჩვენს დროში ხანგრძლივი კვლევა წამოიწყოს, ან, კაცმა რომ თქვას, რისთვის?

ამიტომაც, როცა იუტას ტექნოლოგიური ინსტიტუტი უსახსრობის გამო დაიხურა, დენიელსი იქ ღამის დარაჯად და იქაურობის ერთადერთ ცოცხალ ბინადრად დარჩა.

ხელფასი ყველაზე აუცილებელი საჭიროებებისთვის ჰყოფნიდა, ხოლო ინსტიტუტის ლაბორატორია, ხელუხლებელი და უვნებელი, მის სრულ განკარგულებაში აღმოჩნდა.

— ესე იგი, თქვენ საკუთარ სამეცნიერო კვლევებს აწარმოებთ?

— სწორედ. ისე, საკუთარი სიამოვნებისთვის...

— როგორ მოიქცევით, თუკი რაიმე კომერციულად ღირებულ აღმოჩენას გააკეთებთ, აპირებთ მის გასაჯაროებას საზოგადოებრივი გამოყენებისთვის?

— არ ვიცი. არა მგონია.

— გაქვთ მისწრაფება, სარგებლობა მოუტანოთ კაცობრიობას?

— მე მასეთი ენით არ ვლაპარაკობ, მის ტაგარტ. ვფიქრობ, არც თქვენ.

დაგნის გაეცინა:

— როგორც ჩანს, მე და თქვენ ერთმანეთს გავუგებთ.

— უთუოდ.

როცა დაგნისგან ძრავის ისტორია მოისმინა და ხელნაწერი შეისწავლა, ქუენტინს არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია, მხოლოდ ის თქვა, რომ მზად იყო, ნებისმიერი პირობებით მოეკიდებინა ხელი ამ სამუშაოსთვის.

დაგნიმ შესთავაზა, თავად აერჩია პირობები, მაგრამ როდესაც დენიელსმა ყოველთვიური დაბალი ანაზღაურება დაუსახელა, აღშფოთდა და გააპროტესტა:

— მის ტაგარტ, — აუხსნა ქუენტინმა, — არ მინდა, მეტისმეტად მაღალი ანაზღაურება მივიღო სრულიად გაურკვეველ საქმეში. არ ვიცი, რამდენ ხანს მოგიწევთ, ფული მიხადოთ და დაიბრუნებთ თუ არა თქვენს ფულს. მე მხოლოდ ჩემი გონების იმედად ვარ და მოწყალებას არავისგან არ მივიღებ. თუმცა, რასაკვირველია, ვაპირებ, კონკრეტული შედეგისთვის გასამრჯელო მივიღო. თუ ძრავის აღდგენა

მოვახერხე, აი, მაშინ ცხრა პირ ტყავს გაგაძრობთ, იმიტომ, რომ პროცენტს მოვითხოვ მოგებისგან და ის ძალიან მაღალი იქნება. თუმცა არც თქვენ გაღატაკდებით.

როცა მან პროცენტი დაასახელა, დაგნის გაეცინა:

— მართლაც ტყავს გამაძრობთ, მაგრამ არც მე გავღატაკდები. კეთილი, მოვილაპარაკეთ.

შეთანხმდნენ, რომ ეს დაგნის პირადი შეკვეთა იქნებოდა, დენიელსი კი კერძო დაქირავებული თანამშრომელი; არც ერთ მათგანს არ სურდა, ამ საქმეში „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ კვლევითი დეპარტამენტი ჩარეულიყო. დენიელსმა სთხოვა, ნება დაერთო იუტაში, დარაჯის პოზიციაზე დარჩენილიყო, სადაც მას ლაბორატორიაში აუცილებელი ლაბორატორიული აღჭურვილობა და მშვიდი, განმარტოებული სამუშაო გარემო ექნებოდა. ვიდრე წარმატებას არ მიაღწევდნენ, პროექტი საიდუმლოდ უნდა შეენახათ.

— მის ტაგარტ, — უთხრა დენიელსმა ბოლოს, — არ ვიცი, ამ დავალების შესასრულებლად რამდენი წელი დამჭირდება, თუ ეს საერთოდ შესაძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ თუკი მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ამ პროექტზე მუშაობას მოვანდომებ და წარმატებას მივაღწევ, მეცოდინება, რომ ამაოდ არ მიცხოვრია, — და დაამატა, — ერთადერთი რამ, რაც იმაზე მეტად მინდა, ვიდრე წარმატების მიღწევა, იმ ადამიანთან შეხვედრაა, რომელმაც ამას უკვე მიაღწია.

თვეში ერთხელ დაგნი მას ჩეკს უგზავნიდა, დენიელსი კი გაწეული სამუშაოს ანგარიშს. რაიმეთი დაიმედება ნაადრევი ჩანდა, მაგრამ ეს ანგარიშები სინათლის ერთადერთი სხივი იყო სამუშაო დღეების მდორე წყვდიადში.

დაგნიმ დენიელსის მორიგი შეტყობინება ჩაიკითხა და თავი ასწია. შორს კალენდარი ორ სექტემბერს იუწყებოდა. ტაბლოს ქვეშ დიდი ქალაქის მოკიაფე სინათლეები ფართოდ განფენილიყო. დაგნი რიერდენზე ჩაფიქრდა. ძალიან უნდოდა, ქალაქიდან არსად წასულიყო და იმ საღამოს ერთმანეთს შეხვედროდნენ.

შემდეგ მანათობელ თარიღს შეხედა და უცებ გაახსენდა, რომ სასწრაფოდ სახლში უნდა მისულიყო და ტანთ გამოეცვალა — საღამოს ხომ აუცილებლად უნდა დასწრებოდა ჯიმის ქორწილს.

წელიწადზე მეტი იყო, ჯიმი კომპანიის კედლებს მიღმა არ ენახა. არც მისი საცოლე უნახავს, მაგრამ გაზეთებში საკმარისზე მეტი წაიკითხა ამ ნიშნობის შესახებ. დაგნი დაღლილი წამოდგა, გულისტკივილით გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ გაცილებით ადვილი იყო ქორწილში მისვლა, ვიდრე თავის მართლება, რატომ არ მივიდა იქ.

დაგნი სწრაფად მიაბიჯებდა ტერმინალის მთავარ დარბაზში, როცა მოესმა, როგორ დაუძახეს, ერთდროულად დაჟინებით და თან გაუბედავად. ის მკვეთრად შეჩერდა და რამდენიმე წამი დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო — მას მოხუცი გამყიდველი ეძახდა თამბაქოს ჯიხურიდან.

— უკვე რამდენი დღეა, ვცდილობ, მოგნახოთ, მის ტაგარტ. ძალიან მინდა თქვენთან დალაპარაკება, — დაგნი ხედავდა, როგორ ცდილობდა მოხუცი, არ დასტყობოდა, რა შეშინებული იყო.

— მომიტევეთ — გაუღიმა დაგნიმ, — სულ ისე მეჩქარება, სამსახურში თუ სამსახურიდან, რომ გასაჩერებლად ვეღარ მოვიცალე.

მოხუცს საპასუხოდ არ გაუღიმია.

— მის ტაგარტ, ის სიგარეტი, დოლარის ნიშნით, თქვენ რომ მომეცით რამდენიმე თვის წინ... საიდან გქონდათ?

დაგნი წამით ადგილზე გაქვავდა.

— ვშიშობ, ეგ ძალიან გრძელი და ჩახლართული ისტორიაა, — უპასუხა მან მოხუცს.

— შეგიძლიათ, როგორმე დაუკავშირდეთ იმ ადამიანს, რომელმაც თქვენ ეს სიგარეტი მოგცათ?

— ვფიქრობ, შემიძლია, თუმცა დარწმუნებული არ ვარ. კი მაგრამ, რა ხდება?

— გეტყვით, საიდან მოიტანა ეს სიგარეტი?

— არ ვიცი. რატომ გგონიათ, რომ შეიძლება, დამიმალოს?

მოხუცი ცოტა შეყოყმანდა, შემდეგ ჰკითხა:

— მის ტაგარტ, თქვენ როგორ იქცევით ხოლმე, როცა ვინმესთან სრულიად დაუჯერებელ რამეზე გიწევთ ლაპარაკი?

დაგნის გაეცინა.

— ადამიანმა, რომელმაც სიგარეტი მომცა, თქვა, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა, ყველაფერი ლოგიკით შევამოწმოთ.

— ასე თქვა? სიგარეტზე თქვა?

— როგორ გითხრათ, არა, მთლად არა. და რა? რის თქმა გსურდათ?

— მის ტაგარტ, მე ყველგან ვიკითხე. ინფორმაციის ყველა წყარო გადავამოწმე, თამბაქოს მრეწველობის აბსოლუტურად ყველა. ცნობარი ვნახე. სიგარეტის ნამწვი ქიმიური ანალიზით შევამოწმე. არ არსებობს ფაბრიკა, რომელიც ამ ხარისხის ქაღალდს აწარმოებდეს. არომატული დანამატები, რაც იმ თამბაქოში იყო, არასდროს გამოუყენებიათ ჩემთვის ცნობილ რომელიმე მოსაწევ ნარევში. ის სიგარეტი მანქანაზეა დამზადებული, მაგრამ ჩემთვის ცნობილ არც ერთ ფაბრიკაში არ დაუმზადებიათ, მე კი ყველა ფაბრიკა ვიცი. მის ტაგარტ, რამდენადაც ვხვდები, ეს სიგარეტი დედამიწაზე არ დაუმზადებიათ.

* * *

რიერდენი უაზროდ აკვირდებოდა, როგორ გამოაგორა მიმტანმა მისი ნომრიდან ბორბლებიანი სადილის მაგიდა. კენ დენეგერი წავიდა. ოთახი ნახევრად ჩაბნელებული იყო. მდუმარე შეთანხმებით, მათი სადილის დროს შუქი ოდნავ დაახშეს, რათა არც ერთ მსახურს არ მიექცია ყურადღება დენეგერისთვის და არ ეცნოთ ის.

იძულებული იყვნენ, მალულად შეხვედროდნენ ერთმანეთს, როგორც კრიმინალები, რომლებიც ერთად არ უნდა ენახათ. მათ არ შეეძლოთ თავიანთ ოფისებში შეხვედრა, ან თავიანთ სახლებში, მხოლოდ ქალაქის ორომტრიალში, ანონიმურ ადგილას, რიერდენის ნომერში, სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“ თუ შეხვდებოდნენ.

ვინმეს რომ შეეტყო ამ შეხვედრების შესახებ, სადაც ისინი შეთანხმდნენ, რომ რიერდენი დენეგერს რიერდენ-მეტალის ოთხი ათას ტონას გამოუყოფდა, ორივეს ათი მილიონი დოლარის ჯარიმა და ათწლიანი ციხე ემუქრებოდა.

ვახშამზე მათ არც ეს კანონი არ განუხილავთ და არც მოტივი, რომლის გამოც ამ რისკზე მიდიოდნენ. მხოლოდ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

ისევე ნათლად და მშრალად, როგორც, ჩვეულებრივ, კონფერენციებზე გამოდიოდა ხოლმე სიტყვით, დენეგერმა აუხსნა, რომ მისი დაკვეთის ნახევარი იმ გვირაბების გამაგრებას მოხმარდებოდა, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა,

ჩამონგრეულიყო, და ასევე გაკოტრებული ქვანახშირის კომპანიის „კონფედერეითიდ ქოულ კომპანის“ მაღაროების რეკონსტრუქციას, მან რომ სამი კვირის წინ შეიძინა.

— შესანიშნავი ქონებაა, მაგრამ საშინელ მდგომარეობაშია. გასულ თვეს მაღაროში საზარელი უბედური შემთხვევა მოხდა — მთის ქანები ჩამოინგრა და აფეთქება გამოიწვია, ოთხი კაცი დაიღუპა, — და თითქოს მოსაწყენ, მშრალ სტატისტიკურ ინფორმაციას გადმოსცემსო, დაამატა, — გაზეთები გაჰყვირიან, ქვანახშირი ახლა ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი გახდაო. იმაზეც აყაყანდნენ, ქვანახშირის მწარმოებლებმა ნავთობის დეფიციტზე ხელი მოითბესო. ერთი ბანდა ვაშინგტონში ჭორებს ავრცელებს, თითქოს მე მეტისმეტად სწრაფად ვაფართოებ ჩემს სამფლობელოებს და დადგა დრო, რაიმე იღონონ ჩემს შესაჩერებლად, ვინაიდან თურმე მონოპოლისტი ვხდები. სხვა ვაშინგტონელი ბანდიტები კი ირწმუნებიან, რომ მე საკმარისად სწრაფად არ ვვითარდები და საჭიროა, მთავრობა აიძულონ, ჩემი მაღაროები ჩამომართვას, რადგან თურმე მე ძუნწი ვარ და არ მსურს, საწვავზე საზოგადოების მოთხოვნილება დავაკმაყოფილო. „კონფედერეითიდ ქოულ კომპანის“ დღევანდელი მოგების მიხედვით, ჩემს ახალ შენაძენში გადახდილ ფულს ორმოცდაშვიდი წლის მერე დავიბრუნებ. შვილები არ მყავს. მაღაროები იმიტომ შევიძინე, რომ ერთ ჩემს კლიენტს ნახშირის გარეშე ვერ დავტოვებ — „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“. სულ ვფიქრობ, რა მოხდება, რკინიგზა თუ გაჩერდა, — დენეგერი — ცოტა ხანს დადუმდა და ისევ განაგრძო, — არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს ძალიან მადარდებს. მგონი, ვაშინგტონში კარგად ვერც კი ხვდებიან, რა შეიძლება, ამას მოჰყვეს. მაგრამ მე ვხვდები.

— მეტალს მოგცემ, — უთხრა რიერდენმა, — როცა მეორე ნაწილი დაგჭირდება, მაცნობე და იმასაც მოგაწოდებ.

სადილის ბოლოს დენეგერმა ისეთივე წყნარი, აუღელვებელი ხმით თქვა, იმ ადამიანის ტონით, რომელმაც იცის, რასაც ნიშნავს მისი ნათქვამი:

— თუ ვინმე ჩემი ან შენი თანამშრომლებიდან ამის შესახებ გაიგებს და შეეცდება ჩემს დაშანტაჟებას, დაუფიქრებლად გადავუხდი, რადგან მიღირს. მაგრამ ერთ ცენტსაც არ გადავიხდი, თუკი მას ვაშინგტონში მეგობრები ეყოლება. თუ ეს გამჟღავნდება, ციხეში წავალ.

— მაშინ ორივენი ერთად წავალთ ციხეში, — უთხრა რიერდენმა.

როდესაც თავის ნახევრად ჩაბნელებულ ნომერში მარტო დარჩა, რიერდენმა შენიშნა, რომ ციხეში მოხვედრის პერსპექტივამ სრულიად გულგრილი დატოვა. ის დრო გაახსენდა, როცა თოთხმეტი წლის იყო და შიმშილისგან გული უწუხდა, მაგრამ დახლიდან ვაშლი მაინც არ მოიპარა. ახლა კი, დღეს, ციხეში მოხვედრის ალბათობა მისთვის სატვირთო მანქანის ბორბლებქვეშ მოხვედრის ალბათობას უტოლდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ უბედურ შემთხვევას, რომელსაც არავითარი მორალური მნიშვნელობა არ გააჩნდა, მეტს არაფერს.

ფიქრობდა იმაზე, რომ აიძულებდნენ, დანაშაულებრივი საიდუმლოსავით დაემალა ერთადერთი საქმიანი გარიგება, რომელმაც სიამოვნება მოჰგვარა მთელი ამ წლის მუშაობის მანძილზე; და რომ ის დანაშაულებრივი საიდუმლოებასავით მალავდა დაგნისთან გატარებულ ღამეებსაც, საათებს, რომელთა წყალობითაც სიცოცხლეს ინარჩუნებდა. გრძნობდა, რომ ამ ორ საიდუმლოს შორის რაღაც კავშირი არსებობდა, არსებითი კავშირი, რომელსაც აუცილებლად მიაკვლევდა. ვერაფრით აეხსნა ეს ურთიერთკავშირი, მისი სახელდება უჭირდა, მაგრამ თუკი მას მიაგნებდა, მისი ცხოვრების ყველა კითხვას გაეცემოდა პასუხი.

კედელს ზურგით მიეყრდნო, თავი უკან გადასწია, თვალები დახუჭა და დაგნიზე ფიქრობდა; გრძნობდა, რომ სხვა აღარაფერი აღელვებდა. დღეს დაგნი აუცილებლად უნდა ენახა, თითქმის სიძულვილით ფიქრობდა ამაზე, რადგან ხვალინდელი დღე და მასთან განშორება ისე ახლოს ეჩვენებოდა... საკუთარ თავს ეკითხებოდა, დარჩენილიყო თუ არა ქალაქში კიდევ ერთი დღე, თუ ახლავე წასულიყო ისე, რომ დაგნი არ ენახა; რომ ელოდოს, რათა ყოველთვის იცოდეს, რომ ის წუთი, როდესაც მას მოეხვევა და სახეში შეხედავს, ჯერ კიდევ წინაა. „ჭკუიდან ვიშლები“, — გაიფიქრა რიერდენმა, მაგრამ იცოდა — თუნდაც ცხოვრების ბოლომდე ჰყოლოდა დაგნი გვერდით, მაშინაც სულ მისი მონატრება გატანჯავდა. იცოდა, იმ ღამით დაგნის ნახავდა, მაგრამ საპირისპიროზე ფიქრი კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა. ეს ტანჯვა ხაზს უსვამდა მის რწმენას მომავლისადმი. გაიფიქრა, რომ შუქს არ ჩააქრობდა მის სასტუმრო ოთახში და დატკბებოდა სინათლის ხაზით, დაგნის წელს რომ დაუყვებოდა მუხლამდე, მარტივი ხაზით, რომელიც მის მოხდენილ, თხელ სხეულს გამოკვეთდა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, მერე სინათლისკენ შეატრიალებდა, რათა მისი სახისთვის შეეხედა. დაინახავდა, როგორ გადასწევდა დაგნი თავს უკან მორჩილად, როგორ ჩამოიშლებოდა მისი თმა რიერდენის ხელზე — თვალები დახუჭული ექნებოდა, სახეზე სასიამოვნო ტკივილით წინასწარი ტკბობა დაეხატებოდა, პირი კი ოდნავ გაეპობოდა მისი ტუჩების მოლოდინში.

რიერდენი იდგა კედელთან და უცდიდა, როდის წაეშლებოდა მეხსიერებიდან იმდღევანდელი ამბები, რათა დარწმუნებულიყო, რომ საღამოს დარჩენილი ნაწილი მთლიანად მას ეკუთვნოდა.

არც გაუგია, როგორ გაიღო მისი ნომრის კარი გაუფრთხილებლად და უცებ ვერც კი დაიჯერა, ეს თუ მართლაც მოხდა. ჯერ ქალის სილუეტი გაარჩია, მერე სასტუმროს მომსახურე, რომელმაც ჩემოდანი ძირს დადგა და მაშინვე წავიდა. ხმა, რომელიც რიერდენმა გაიგონა, ლილიანს ეკუთვნოდა:

— ო, ჰენრი! სიბნელეში, და ასე მარტო?

ლილიანმა სინათლის ჩამრთველს მიაჭირა ხელი. კართან იდგა — დახვეწილი, მისი ღია ჩალისფერი სამგზავრო კოსტიუმი ისე პეწიანად გამოიყურებოდა, თითქოს მინის სარქველქვეშ ემგზავრა; ლილიანი იღიმოდა და ხელთათმანებს იმ ადამიანის გამომეტყველებით იძრობდა, როგორც იქნა, შინ რომ დაბრუნდა.

— საღამოს აქ ატარებ, ძვირფასო? — ჰკითხა მან, — თუ გასვლას აპირებდი?

რიერდენმა არ იცოდა, რა დრო გავიდა, ვიდრე უპასუხებდა:

— შენ აქ რას აკეთებ?

— ნუთუ არ გახსოვს, ჯიმ ტაგარტმა თავის ქორწილში რომ დაგვპატიჟა? სწორედ ამ საღამოს.

— არ ვაპირებ მის ქორწილში წასვლას.

— სამაგიეროდ, მე ვაპირებ!

— რატომ ამ დილით, წასვლამდე არაფერი არ მითხარი?

— სიურპრიზი მინდოდა, გამეკეთებინა, ძვირფასო, — კეკლუცად გაუცინა ლილიანმა, — შენი რომელიმე წვეულებაში გატყუება თითქმის შეუძლებელია, და ვიფიქრე, ეგებ ახლა, ექსპრომტად მაინც გამომსვლოდა რამე. უბრალოდ, წავსულიყავით და კარგად გაგვეტარებინა დრო, როგორც ცოლ-ქმარს შეეფერება. ვიფიქრე, წინააღმდეგი არ იქნებოდი, შენ ხომ ისე ხშირად რჩები ხოლმე ნიუ-იორკში მთელი ღამით!

რიერდენმა თვალი შეასწრო სწრაფ მზერას, რომელიც ლილიანმა მას ესროლა შუბლზე ჩამოწეული მოდური შლაპის ფარფლებს ქვემოდან და გაჩუმდა.

— რასაკვირველია, გავრისკე, — განაგრძო ლილიანმა, — შესაძლოა, ვინმესთან ერთად უნდა გევახშმა ქალაქში, — რიერდენი ისევ დუმდა, — ან, იქნებ, ამაღამ შინ — აპირებდი დაბრუნებას?

— არა.

— ამ საღამოს რამე გქონდა დაგეგმილი?

— არა.

— შესანიშნავია. — თქვა ლილიანმა და ჩემოდანზე მიანიშნა, — ჩემი საღამოს კაბა წამოვიღე. გინდა, დავნიძლავდეთ ორქიდეების თაიგულზე, რომ შენზე სწრაფად გამოვეწყობი?

რიერდენს გაახსენდა, რომ დღეს დაგნი ძმის ქორწილში იქნებოდა; ამ საღამოს მისთვის მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა.

— თუ გინდა, სადმე წავიდეთ ერთად, — უთხრა რიერდენმა, — ოღონდ არა იმ ქორწილში.

— მაგრამ მე სწორედ იქ მინდა წასვლა! ეს სეზონის ყველაზე გახმაურებული მოვლენაა და ყველა ჩემი მეგობარი უკვე რამდენი კვირაა, ამ ამბავს ელოდება. ამ წვეულებას ქვეყნად არაფრის გამო არ გამოვტოვებ. ქალაქში ამაზე უფრო თავშესაქცევი და არც უფრო რეკლამირებული არაფერი ხდება — განსაცვიფრებლად სასაცილო ქორწინებაა, სწორედ ისეთი, ჯიმ ტაგარტისგან რომ მოველოდი.

ლილიანი ლაღად მიდი-მოდიოდა ოთახში, იქაურობას ათვალიერებდა, თითქოს უცხო ადგილს ეჩვევაო.

— საუკუნეა, ნიუ-იორკში არ ვყოფილვარ, — თქვა ლილიანმა, — ანუ შენთან ერთად, ოფიციალურ საბაბს ვგულისხმობ.

რიერდენმა შეამჩნია, როგორ შეაჩერა ლილიანმა მზერა წუთით ნამწვებით გადავსებულ საფერფლეზე და სწრაფადვე შეტრიალდა. უცებ ზიზღის მწვავე შემოტევა იგრძნო.

ლილიანმა ეს ქმრის სახეზე ამოიკითხა და მხიარულად გაიცინა:

— მაგრამ, ძვირფასო, მე უკმაყოფილო ვარ. იმედი გამიცრუვდა. მეგონა, რამდენიმე პომადიან ნამწვს ვიპოვიდი.

რიერდენმა მიიღო მის მიერ ამ მცირეოდენი, თუმცა, ხუმრობით შენიღბული თვალთვალის აღიარება, მაგრამ ლილიანის დაუფარავად ნევროტულმა ქცევამ დააეჭვა, მართლა ხუმრობდა ის თუ არა; წამით მოეჩვენა, რომ ლილიანმა სიმართლე იცოდა. რიერდენმა თავი გადააქნია — არა, ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო.

— ვშიშობ, შენ არასდროს ყოფილხარ ნამდვილი მამაკაცი, — განაგრძობდა ლილიანი, — ასე რომ, დარწმუნებული ვარ, მეტოქე არ მყავს. და ასეც რომ არ იყოს, რაშიც ეჭვი მეპარება, ძვირფასო, ნამდვილად არ ვიღელვებ, რადგან თუ ეს ქალბატონი ყოველთვის ხელმისაწვდომია და წინასწარ შეთანხმებული პაემნის გარეშე, პირველივე დაძახებისთანავე... ხომ გესმის ჩემი... გასაგებია, რა კატეგორიის ქალიც იქნება. რიერდენმა გაიფიქრა, რომ როგორმე თავი უნდა მოეთოკა: კინაღამ სახეში სილა გააწნა ლილიანს; — ლილიან, მგონი, იცი, რომ ამგვარი იუმორი ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

— ო, როგორი სერიოზულები ვართ! — გაიცინა ლილიანმა, — ნელ-ნელა მავიწყდება.

ყოველთვის ისეთი სერიოზული ხარ, განსაკუთრებით, თუ საქმე თავად შენ გეხება.

შემდეგ მოულოდნელად მკვეთრად შეტრიალდა ქმრისკენ, ღიმილი გაჰქრობოდა.

რიერდენს უცნაური, გამომწვევი მზერით შეჰყურებდა, სიმტკიცითა და სიმამაცით აღსავსე მზერით, რომელიც არაერთხელ შეუნიშნავს რიერდენს მის სახეზე:

— სერიოზულ საუბარს ამჯობინებ, ჰენრი? კეთილი. კიდევ დიდხანს გინდა, სადღაც შენი ცხოვრების განაპირას ვიარსებო? გინდა, ამაზე უფრო მეტად მარტოსული გავხდე? მე შენთვის არაფერი არ მითხოვია. ნება მოგეცი, ისე გეცხოვრა, როგორც გესიამოვნებოდა. ნუთუ არ შეგიძლია, ეს ერთი, ერთადერთი. საღამო მომიძღვნა? ვიცი, გძულს წვეულებები და ძალიან მალე მოიწყენ. მაგრამ ეს ქორწილი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც გინდა, ის დაარქვი ამას — პატივმოყვარეობა, ამაოება, მაგრამ მინდა, საზოგადოებაში ხანდახან მაინც გამოვჩნდე ჩემს ქმართან ერთად. ალბათ, ასეთ რამეებზე არ დაფიქრებულხარ, მაგრამ შენ ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა ხარ, შენი შურთ, ვერ გიტანენ, პატივს გცემენ და ეშინიათ. შენ ისეთი მამაკაცი ხარ, რომელსაც ნებისმიერი ქალი სიამაყით წარადგენდა საკუთარ ქმრად. შეგიძლია, ამას პრიმიტიული ქალური ამპარტავნება უწოდო, მაგრამ სინამდვილეში ქალისთვის ეს არის ბედნიერება. შენი სტანდარტები განსხვავებულია, მაგრამ მე სწორედ ამ სტანდარტებით ვცხოვრობ. ნუთუ უარს მეტყვი ამ მცირეოდენ მსხვერპლზე და მოწყენილობის რამდენიმე საათს არ შემომწირავ? შეგიძლია თუ არა, გამოიჩინო საკმარისი ძალა, შეასრულო შენი ვალი, ცოლქმრული მოვალეობები — წამოხვიდე იქ არა შენი გულისთვის, არამედ იმიტომ, რომ ეს მე მინდა?

„დაგნის“, — გაიფიქრა რიერდენმა სასოწარკვეთილებით, — „დაგნის სიტყვაც კი არასდროს დასცდენია ჩემს ოჯახურ ცხოვრებაზე, არასოდეს არაფერი მოუთხოვია, არასოდეს უსაყვედურია და არასოდეს უკითხავს რაიმე“.

როგორ უნდა გამოჩენილიყო მის წინაშე ცოლთან ერთად? როგორ დანახვებოდა დაგნის ქმრის რანგში, რომელსაც სიამაყით წარუდგენენ საზოგადოებას. უმალ სიკვდილი ერჩივნა, მაგრამ შინაგანად უკვე ხვდებოდა, რომ ლილიანს უარს ვერ ეტყოდა. რიერდენი თავის საიდუმლოს დანაშაულად თვლიდა და საკუთარ თავს აღუთქვა, რომ მის შედეგებს დაითმენდა. იცოდა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიმართლე ლილიანის მხარეს იდგა და მზად იყო, ნებისმიერი სასჯელი გადაეტანა. ლილიანის სიმართლეს ვერ უარყოფდა, რადგან ესმოდა, რომ მიზეზი, რის გამოც მას ამ ქორწილში წასვლა არ სურდა, უარის თქმის უფლებას არ აძლევდა. გონებაში ივედრებოდა: „ღმერთო ჩემო, ლილიან, რაც გინდა, მთხოვე, ოღონდ არა ეს ქორწილი!“

თუმცა საკუთარი თავისთვის უფლება არ მიუცია, შებრალება ეთხოვა, უბრალოდ, უსიცოცხლო, თანაბარი ხმით უთხრა:

— კარგი, ლილიან, წამოვალ შენთან ერთად.

* * *

ვარდისფერი მაქმანის საპატარძლო მანდილი ნაქირავები ოთახის ოკრობოკრო იატაკში გაეჭედა. შერილ ბრუკსმა ის ფრთხილად ასწია და მოტრიალდა, კედელზე დაკიდებულ სარკეში რომ ჩაეხედა. აქ დღესაც დილიდან ფოტოსურათებს უღებდნენ, ისევე, როგორც მთელი ამ ბოლო ორი თვის მანძილზე. ახლაც ისეთივე დამფრთხალი

და მადლიერი იღიმოდა, როდესაც ფოტორეპორტიორები მის გადასაღებად მოვიდნენ, თუმცა ერჩივნა, ეს ასე ხშირად აღარ მომხდარიყო.

ხნიერმა ჟურნალისტმა ქალმა, რომელსაც სულელური სვეტი მიჰყავდა სიყვარულზე გაზეთში, რეალურ ცხოვრებაში კი პოლიციელი ქალის მწარე სიბრძნით გამოირჩეოდა, რამდენიმე კვირით ადრე, როდესაც გოგონა პირველად ჩაუვარდა პრესას კლანჭებში, შერილის მფარველობა გადაწყვიტა. იმ დღეს მან ჟურნალისტები გარეთ მიაბრძანა, მეზობლებს გასძახა: „მაგათ მიხედეთ, შავი დღე დააყარეთო!“ და შერილს ჩაცმაში დაეხმარა. გოგონა საკურთხეველთან მას უნდა მიეცილებინა: გაირკვა, რომ ამას სხვა ვერავინ გააკეთებდა.

საპატარძლო მანდილი, თეთრი ატლასის კაბა, დახვეწილი ფეხსაცმელები და მარგალიტის მძივი, რომელიც შერილს ეკეთა, ხუთასჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე ყველა ის ნივთი, რაც კი მის ოთახში იდგა. საძინებელში უდიდესი ადგილი საწოლს ეკავა, დანარჩენ სივრცეში ძლივს ეტეოდა კომოდი, სკამი და გახუნებული ფარდის უკან დაკიდებული რამდენიმე კაბა. საპატარძლო კაბის უშველებელი კრინოლინი სიარულისას კედლებს ედებოდა, შერილის ვიწრო კორსეტში გამოკრული თხელი სხეული ფუშფუშა ქვედატანის ფონზე დრამატულ კონტრასტს ქმნიდა; კაბა ქალაქის საუკეთესო დიზაინერის შეკერილი იყო.

— იცით, როცა მაღაზიაში სამსახური ვიშოვე, შემეძლო, უკეთეს ოთახში გადავსულიყავი, — მობოდიშებით უთხრა შერილმა რეპორტიორს, — მაგრამ ვიფიქრე, რომ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად გავათევდი ღამეს, ჰოდა, გადავწყვიტე, ფული რაიმე უფრო ღირებულისთვის დამეზოგა...

— მან გაიღიმა და გაჩუმდა. გაოცებით გააქნია თავი.

— მეგონა, დამჭირდებოდა, — დასძინა მერე.

— შესანიშნავად გამოიყურები, — უთხრა ქალმა, — ამ ვითომ სარკეში ხეირიანად არაფერი ჩანს, მაგრამ ყველაფერი წესრიგშია.

— ეს ყოველივე ისე მოულოდნელად მოხდა... გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი.

მაგრამ, იცით, ჯიმი არაჩვეულებრივია. მისთვის არაფერს არ ნიშნავს, რომ მე უბრალო გამყიდველი ვარ იაფფასიანი საქონლის მაღაზიაში და ასეთ ადგილას ვცხოვრობ. მას არაფერი აქვს ამის საწინააღმდეგო.

— აჰა, — პირქუშად დაეთანხმა რეპორტიორი.

შერილმა გაიხსენა, როგორ გაოცდა, ჯიმ ტაგარტი აქ პირველად რომ მოვიდა.

ერთ საღამოს, მათი გაცნობიდან ერთ თვეში, როდესაც სრულიად გადაეწურა მისი ხელახლა ნახვის იმედი, გაუფრთხილებლად გამოეცხადა გოგონას. შერილი უსაზღვროდ დაიბნა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს აისის მოხელთებას ცდილობდა ბინძურ გუბეში. მაგრამ ჯიმი იღიმოდა, დაჯდა ერთადერთ სკამზე და მის ოთახს სწრაფად მოავლო თვალი. შერილის შემცბარ სახესა და საცოდავ ოთახს უყურებდა. შემდეგ გოგონას მოსთხოვა, პალტო ჩაეცვა და სავახშმოდ ქალაქის ყველაზე ძვირიან რესტორანში წაიყვანა.

ჯიმს ეცინებოდა, როცა უყურებდა, როგორი დამფრთხალი იყო შერილი, როგორი დაფეთებული, როგორ ეშინოდა, შეუფერებელი ჩანგალი არ აეღო შეცდომით და როგორ უბრწყინავდა თვალები ბედნიერებით.

შერილმა არ იცოდა, ჯიმი რას ფიქრობდა მასზე. სამაგიეროდ, ჯიმი ხვდებოდა, რომ გოგონას ძვირფას კერძებთან გაკარებაც კი მხოლოდ იმიტომ გაუჭირდა, რომ რესტორნით კი არა, იმით იყო განცვიფრებული, ამ რესტორანში ის ჯიმმა რომ დაპატიჟა; ვახშამზე დაპატიჟება მდიდარი დამთხვეულისგან მან აღიქვა ზღაპრულ

ჯილდოდ, რომელზე ოცნებასაც ვერ გაბედავდა (და არა ძვირფას საჩუქრად, ჯიმის ნაცნობი სხვა გოგონებისგან განსხვავებით).

ორი კვირის შემდეგ ჯიმი ისევ დაბრუნდა და შემდეგ მათი შეხვედრები თანდათან სულ უფრო და უფრო ხშირი გახდა. როდესაც მაღაზიის დაკეტვის დრო დადგებოდა, ჯიმი მანქანით აკითხავდა და შერილი ხედავდა, როგორ მისჩერებოდნენ თანამშრომელი გოგონები მას, მის ლიმუზინს, უნიფორმაში გამოწყობილ მძღოლს, რომელიც შერილს ავტომობილის კარს უღებდა. ჯიმს შერილი საუკეთესო ღამის კლუბებში დაჰყავდა და თავის მეგობრებს ასე წარუდგენდა: „მის ბრუკსი, ის მაღაზია „ათას წვრილმანში“ მუშაობს, მედისონ სკვერზე“. შერილი ამჩნევდა მათი სახეების უცნაურ გამომეტყველებას, ხედავდა, როგორი მსუბუქი ირონიით უყურებდა ჯიმი ამ ადამიანებს. „ის ცდილობს, შესაძლო ტყუილისა და თვალთმაქცობისგან დამიცვას“, — მადლიერების გრძნობით ფიქრობდა შერილი; „მას ჰყოფნის ძალა, არ იცრუოს და არ ენაღვლება, რას იფიქრებენ სხვები“, — აღფრთოვანებით მსჯელობდა გოგონა. მაგრამ ერთხელ მწველი ტკივილი იგრძნო, უცნაური, მისთვის სრულიად ახალი განცდა, როცა გაიგონა, როგორ გადაულაპარაკა ერთხელ პრესტიჟული პოლიტიკური ჟურნალის ერთმა თანამშრომელმა ქალმა თავის მეგობარს გვერდით მაგიდასთან: „ეს ისეთი კეთილშობილებაა ჯიმის მხრიდან!“

ჯიმს რომ მოესურვებინა, შერილი დიდი ხნის წინ მისცემდა იმ ერთადერთ საფასურს, რისი შეთავაზებაც მისთვის ღარიბ გოგონას შეეძლო. და ძალიან მადლიერი იყო, რომ ის ამას არ ესწრაფოდა. მაგრამ გოგონა თავს ძალიან დავალებულად გრძნობდა მათი ურთიერთობის გამო, ამ ვალს ვერასოდეს ვერ გადაიხდიდა, ვერაფრით, გარდა უსიტყვო თაყვანისცემისა.

„თუმცა მას ჩემი თაყვანისცემა არ სჭირდება“, — ფიქრობდა შერილი.

იყო ისეთი საღამოებიც, როცა ჯიმი მოდიოდა, მის ოთახში რჩებოდა და ელაპარაკებოდა შერილს, ის კი ჩუმად უსმენდა. ლაპარაკს მოულოდნელად, მკვეთრად იწყებდა, თითქოს ეს არც კი ჰქონია განზრახული, მაგრამ მის არსებაში უეცრად რაღაც იფეთქებდა და სათქმელი უსათუოდ უნდა ამოეთქვა. შემდეგ შერილის საწოლზე მძიმედ დაეშვებოდა, ირგვლივ ვეღარაფერს ხედავდა, ვეღარც შერილს ვეღარ ამჩნევდა; მხოლოდ დროდადრო შეავლებდა ხოლმე სწრაფ მზერას, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ თუნდაც ერთი ცოცხალი არსება მაინც უსმენდა.

— ... მე ეს ჩემთვის არ გამიკეთებია, საერთოდ არ გამიკეთებია ჩემთვის. რატომ არ სჯერათ ჩემი ამ ადამიანებს? იძულებული ვიყავი, დავთანხმებულიყავი კავშირის მოთხოვნებს, რომ მატარებლების რიცხვი შემცირებულიყო და ერთადერთი გამოსავალი მორატორიუმი და ობლიგაციების გაყინვა იყო. სწორედ ამიტომაც წამოვიდა უესლი ამაზე — მუშებისთვის და არა პირადად ჩემთვის. ყველა გაზეთმა დაწერა, რომ მე საუკეთესო, მისაბაძი ბიზნესმენი ვარ, რომ საზოგადოების წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოვირჩევი და ყველამ მე უნდა მომბაძოს. სწორედ ასე წერდნენ. ეს სიმართლეა, ხომ ასეა?

— რით იყო ცუდი ეს მორატორიუმი? დიდი ამბავი, თუკი რამდენიმე ფორმალობას გვერდი ავუარეთ! ეს ხომ კეთილი მიზნებისთვის გაკეთდა. ყველა დაგვეთანხმება, რომ რაც გაკეთდა, საკუთარი ინტერესებისთვის კი არა, სხვებისთვის გაკეთდა... მაგრამ მას არ სჯერა, რომ კეთილი განზრახვები მქონდა. ის ფიქრობს, რომ მხოლოდ თვითონ არის კარგი, სხვები კი ცუდები არიან. ჩემი და შეუბრალებელი, თავდაჯერებული ძუკნაა, რომელსაც არავის იდეები არ სწამს,

საკუთრის გარდა... ასე რატომ მიყურებენ — ის და რიერდენი და ყველა დანარჩენი? რატომ არიან ასე დარწმუნებული თავიანთ სიმართლეში?.. მე თუ მათ უპირატესობას ვაღიარებ მატერია.

ლურ სფეროში, მათ რატომ არ უნდა აღიარონ ჩემი უპირატესობა სულიერებაში?

მათ გონება აქვთ, მე კი — გული. მათ თუ უნარი აქვთ, სიმდიდრე შექმნან, მე მაქვს უნარი — მიყვარდეს. ნუთუ ჩემი უნარი უფრო მნიშვნელოვანი არ არის? განა კაცობრიობის ისტორია სწორედ ამას არ აღიარებდა უზენაეს ღირებულებად მრავალი საუკუნის განმავლობაში? და ისინი რატომღა არ აღიარებენ?.. რატომ არიან ასე დარწმუნებული თავიანთ სიდიადეში?.. და თუკი ისინი დიდებულნი არიან და მე არა, ამიტომ უპატივცემულოდ უნდა მომეპყრონ?

— განა ეს ჰუმანურობის ჭეშმარიტი გამოვლინება არ იქნებოდა? რა დიდი გმირობაა, პატივი სცე ადამიანს, რომელიც პატივისცემას იმსახურებს, ეს მხოლოდ მისი დამსახურებების ელემენტარული აღიარება იქნება. გულმოწყალების გამოვლინება უღირსისადმი დაუმსახურებელი პატივის მიგებაა... მაგრამ მათ გულმოწყალების უნარი არ გააჩნიათ. ისინი ჰუმანურები არ არიან.

— მათ არ ადარდებთ სხვისი გასაჭირი ან სხვისი სისუსტე. არავის თანაუგრძნობენ... არავინ ებრალებათ...

შერილს მისი ნათქვამიდან ძალიან ცოტა რამე ესმოდა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ჯიმი უბედური იყო და რომ ვიღაცამ ტკივილი მიაყენა. ჯიმი გოგონას თვალებში თანაგრძნობას ხედავდა, მისი მტრებით უსაზღვრო აღშფოთებას. შერილი მას ისე უმზერდა, როგორც გმირებს უმზერენ ხოლმე. ეს იმ ქალის მზერა იყო, რომელსაც შეეძლო, მგზნებარედ განეცადა, ქედი მოედრიკა მისი ტალანტის წინაშე.

თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ შერილს ღრმად სწამდა, რომ თვითონ ერთადერთი ადამიანი იყო ამქვეყნად, ვისაც ჯიმი საკუთარ სატანჯველს გაუზიარებდა. შერილი ამ აღსარებას განსაკუთრებულ პატივად აღიქვამდა, ისე იღებდა, როგორც კიდევ ერთ საჩუქარს.

„ერთადერთი გზა, მისი ღირსი გახდე“, — ფიქრობდა შერილი, — „ის არის, რომ არასოდეს დაუსვა შეკითხვები“.

ჯიმმა ერთხელ ფული შესთავაზა, მაგრამ შერილმა უარი სტკიცა, თვალები ისეთი აშკარა მრისხანებით უელავდა, რომ ჯიმი ასე აღარასოდეს მოქცეულა. შერილი მხოლოდ საკუთარ თავზე ბრაზობდა: ეტყობა, რაღაც ისეთი ჩაიდინა, რომ ჯიმს აფიქრებინა, თითქოს ერთ-ერთი იმათთაგანი იყო.

ეშინოდა, ჯიმს არ ჰგონებოდა, რომ მადლიერებას არ გრძნობდა მათი ურთიერთობის გამო, ეშინოდა, არ შეეცბუნებინა თავისი უკიდურესი სიღარიბით. სურდა, დაემტკიცებინა მისთვის, როგორ ცდილობდა, მისი ნდობა გაემართლებინა. სწორედ ამიტომაც უთხრა, რომ თუ მისი დახმარება სურდა, შეეძლო, უკეთესი სამსახურის მოძებნაში დახმარებოდა. ჯიმმა არაფერი უპასუხა. მომდევნო კვირების მანძილზე, შერილი ელოდა, რომ ის ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამაოდ.

შერილი საკუთარ თავს ადანაშაულებდა, რომ ჯიმი გაანაწყენა, რომ მან ეს თხოვნა მისი გამოყენების მცდელობად აღიქვა. როცა ჯიმმა ზურმუხტის სამაჯური აჩუქა, გოგონა ისე გაოგნდა, რომ ვერც კი მიხვდა ამ საჩუქრის მნიშვნელობას. ამაოდ ცდილობდა, ჯიმისთვის გული არ ეტკინა და დაერწმუნებინა, რომ სამაჯურს ვერ მიიღებდა. „რატომ?“ — ჰკითხა ჯიმმა, — „შენ ხომ უზნეო ქალი არ ხარ, რომელმაც ამისთვის ჩვეულებრივი ფასი უნდა გადაიხადოს. იქნებ, გეშინია, რომ შენგან

სანაცვლოდ რაიმეს მოვითხოვ? არ მენდობი?“ — და ხმამაღლა გაიცინა, როდესაც დაინახა, როგორ დაიბნა შერილი. მთელი საღამო უცნაური კმაყოფილების იერით იღიმოდა, როდესაც ღამის კლუბში წავიდნენ და შერილმა ის სამაჯური გაიკეთა თავის გაქუცულ შავ კაბასთან ერთად.

მან შერილი აიძულა, ისევ გაეკეთებინა სამაჯური იმ ღამით, როცა წვეულებაზე წაიყვანა, დიდებულ მიღებაზე, რომელიც მისის კორნელიუს პოუპმა გამართა. „რაკი ჯიმმა იმის ღირსად მიმიჩნია, რომ თავისი მეგობრების წრეში გამომაჩინოს“, — ფიქრობდა შერილი, — „თავისი სახელოვანი მეგობრების, რომელთა სახელებითაც არის აჭრელებული მაღალი საზოგადოების ცხოვრების ამსახველი საგაზეთო ქრონიკები, უფლება არ მაქვს, ძველ კაბაში გამოვეწყო და გული დავწყვიტო“. შერილმა მთელი წლის დანაზოგი გადაიხადა კაშკაშა მწვანე ფერის შიფონის ღრმად გულამოჭრილ საღამოს კაბაში, მთისბროლისბალთიანი და ყვითელვარდებიანი ქამრით.

როცა შერილმა მკაცრ, ცივი შუქით განათებულ სივრცეში შეაბიჯა, ცათამბჯენების სახურავებზე გადაკიდებულ ტერასაზე, მიხვდა, რომ მისი კაბა ამ ვითარებისთვის არ გამოდგებოდა, თუმცა ვერაფრით ახსნიდა, რატომ. მაგრამ თავი ამაყად ეჭირა და იღიმოდა, გაბედული კნუტის მიამიტობით, რომელსაც ხელი გაუწოდეს, რომ გასთამაშებოდნენ: „ადამიანები, რომლებიც იმისთვის შეიკრიბნენ რომ იმხიარულონ, არავის გაანაწყენებენ“, — ფიქრობდა შერილი.

ერთი საათის შემდეგ მისი ღიმილი უმწეო, დარცხვენილ მუდარას გამოხატავდა.

შემდეგ კი, როცა ირგვლივ მყოფები კარგად შეათვალიერა, ღიმილი საერთოდ გაუქრა. დაინახა, ელეგანტური თავდაჯერებული გოგოები რა საძაგლად, რა თავხედურად ელაპარაკებოდნენ ჯიმს, თითქოს ისინი მას პატივს არ სცემდნენ და არც არასდროს უციათ. განსაკუთრებით ერთ-ერთი მათგანი — ბეტი პოუპი, მასპინძლის ქალიშვილი, გაუთავებლად ისეთ ფრაზებს ისროდა ჯიმის მისამართით, რომელთა გაგება შერილს არ შეეძლო, რადგან ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მართლაც სწორად გაიგო ისინი.

თავიდან შერილს ყურადღებას არავინ აქცევდა, მხოლოდ რამდენიმეჯერ შეავლეს მის კაბას გაკვირვებული მზერა. ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ შენიშნა, რომ ყველა მას აკვირდებოდა. ერთმა ხნიერმა ქალმა შეშფოთებით ჰკითხა ჯიმს:

— თქვენ თქვით, მის ბრუკსი მედისონ სკვერიდან, ხომ ასეა? — თითქოს რომელიმე ცნობილი გვარის წარმომადგენლის შესახებ ეკითხებოდა, რომლის შესახებაც მას რატომღაც აქამდე არაფერი სმენოდა.

შერილმა ჯიმის სახეზე უცნაური ღიმილი შენიშნა, როდესაც მან ქალბატონს საგანგებოდ ხმამაღლა უპასუხა:

— დიახ, „ათასი წვრილმანის“ კოსმეტიკური განყოფილებიდან.

შერილმა მაშინვე შეამჩნია, რომ ზოგიერთი სტუმარი მის მიმართ ზედმეტად თავაზიანი გახდა, სხვები მრავალმნიშვნელოვნად გაერიდნენ, ხოლო უმრავლესობა რატომღაც შემცბარი ჩანდა; ჯიმი კი ყველას და ყველაფერს უცნაური ღიმილიც ადევნებდა თვალს.

შერილი შეეცადა, ამ პუბლიკას გასცლოდა. როცა კედელ-კედელ ლამობდა გაპარვას, ყური მოჰკრა, როგორ ამბობდა ვიღაც კაცი მხრების აჩეჩვით: რას იზამ, ჯიმ ტაგარტი ახლა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცია ვაშინგტონში“. მაგრამ მის ხმაში პატივისცემის ნატამალი არ იგრძნობოდა.

ტერასაზე, იქ, სადაც შედარებით უფრო ბნელოდა, შერილმა ორი მამაკაცის საუბარს მიაყურადა და რატომღაც მაშინვე გადაწყვიტა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ.

— ტაგარტს შეუძლია, ყველაფრის უფლება მისცეს საკუთარ თავს, რაც კი მოესურვება, — ამბობდა ერთი.

მეორემ საპასუხოდ რომის რომელიღაც იმპერატორის, მგონი, კალიგულას ცხენზე თქვა რაღაც.

შერილმა შორს წამომართულ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ შენობას გახედა და უცებ მოეჩვენა, რომ მიხვდა, რაც ხდებოდა: ამ ხალხს ჯიმი სძულდა, რადგან შურდათ მისი. ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რამდენი ფულიც არ უნდა ჰქონოდათ, ვერც ერთი ვერ მოიწონებდა თავს ისეთი მიღწევებით, რომლებიც ჯიმის წარმატებებს გაუტოლდებოდა. არავის აუშენებია რკინიგზა, რომლის აშენებასაც ყველა შეუძლებლად თვლიდა. შერილი პირველად მიხვდა, რა შეეძლო, ჯიმის სამსხვერპლოზე მიეტანა: ყველა ეს ადამიანი ისეთივე არარაობა, ისეთივე საშუალო იყო, როგორც ის ბუფალოელი კაცუნები, თვითონ რომ გამოექცა; ჯიმი კი ისეთივე მარტოსული, როგორც თავად შერილი ყოველთვის, და მისი გრძნობების გულწრფელობა თანადგომის ერთადერთი ფორმა იყო, რომელიც ჯიმს სასიცოცხლოდ სჭირდებოდა.

შემდეგ შერილი დარბაზში დაბრუნდა. როდესაც უამრავ ადამიანს შორის გზას მიიკვლევდა, იმ ცრემლების ნაცვლად, რომელთა შეკავებასაც ჩამობნელებულ ტერასაზე ცდილობდა, თვალებში ახლა მხოლოდ უცნაური ელვარება ედგა. რაკი ჯიმმა მასთან, უბრალო გამყიდველთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა მოისურვა, რაკი მან მოინდომა საკუთარი გრძნობების სააშკარაოზე გამოფენა, რაკი მან შერილი აქ მოიყვანა და მეგობრების მხრიდან გაკიცხვას არ მოერიდა, ესე იგი, მან მამაცური ზიზღით უგულებელყო სხვების აზრი, ამიტომ თვითონაც მოუნდა, საფრთხობელას როლი ეტვირთა ამ წვეულებაზე და მისი სიმამაცე გაეზიარებინა.

თუმცა შერილმა შვებით ამოისუნთქა, როცა ყველაფერი დასრულდა და ჯიმის გვერდით ჩაჯდა მანქანაში, რომელმაც სიბნელეში მისი სახლისკენ აიღო გეზი. გაურკვეველი სიმსუბუქე იგრძნო. მისი საბრძოლო სიფიცხე უცნაურმა სიცარიელემ შეცვალა, რომელსაც ვერა და ვერ დააღწია თავი. ჯიმი თითქმის არ ლაპარაკობდა, მოღუშული იყურებოდა ფანჯარაში; შერილი ცოტა არ იყოს შეშფოთდა კიდევაც, შემთხვევით ხომ არ გააწბილა...

იმ სახლის კიბეზე, სადაც ოთახს ქირაობდა, გოგონამ თქვა:

— მაპატიე, თუ... მოლოდინი ვერ გაგიმართლე...

ჯიმი წუთით დუმდა, მერე კი უეცრად ჰკითხა:

— რას იტყოდი, შენთვის ცოლობა რომ მეთხოვა?

შერილმა ჯერ ჯიმს შეხედა, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა — მეზობლის ფანჯრიდან ვიღაცის ლეიბი გადმოეფინათ, გზის გადაღმა ლომბარდი მოჩანდა, იქვე ახლოს ნაგვის ურნა იდგა — განა შეიძლებოდა, ასეთ ადგილას ვინმეს ხელი ეთხოვა? შერილმა არ იცოდა, რა ეფიქრა და უპასუხა:

— მე ალბათ... მე იუმორის გრძნობა არ მაქვს.

— ძვირფასო, მე შენ ხელს გთხოვ.

სწორედ მაშინ აკოცეს მათ პირველად ერთმანეთს. შერილს ცრემლები სცვიოდა, ყველა ის ცრემლი, რომლის შეკავებასაც წვეულებაზე ცდილობდა — ელდის ცრემლები, ბედნიერების, იმ აზრის, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ბედნიერება, და კიდევ... წყნარი და მწუხარე ხმის ცრემლები, რომელიც სულის სიღრმეში

ჩასჩურჩულებდა: ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ეს მაინცდამაინც ასე უნდა მომხდარიყო.

შერილს რეპორტიორები იმ დღემდე არც კი გახსენებია, ვიდრე ჯიმმა არ დაავალა, მასთან მისულიყო, მის სახლში, რომელიც ბლოკნოტებიანი და კამერებიანი ადამიანებით დახვდა გადაჭედილი. როცა თავისი ფოტოსურათი პირველად იხილა გაზეთში, სადაც ის და ჯიმი ერთად იდგნენ და ჯიმს მისთვის წელზე შემოეხვია ხელი, შერილმა აღფრთოვანებით გაიცინა და სიამაყით გაიფიქრა, რომ ალბათ ეს ფოტო ყველამ ნახა ქალაქში. რამდენიმე ხნის შემდეგ აღფრთოვანება უკვალოდ გაქრა.

შერილს გაუთავებლად უღებდნენ ფოტოებს, ყველგან — მაღაზიაში, მეტროში, სახლის კიბეზე, თავის პატარა, ღარიბულ ოთახში. ახლა შერილი ჯიმისგან ხალისით მიიღებდა ფულს, რომ ჯვრისწერამდე დარჩენილი რამდენიმე კვირა რომელიმე უცნობ ოტელში გადამალულიყო. მაგრამ ჯიმს ეს არ შეუთავაზებია.

ისე ჩანდა, თითქოს მას უნდოდა, შერილი იქვე დარჩენილიყო, სადაც აქამდე ცხოვრობდა. გაზეთებში იბეჭდებოდა ჯიმის ფოტოსურათები მის სამუშაო მაგიდასთან, „ტაგარტ ტერმინალის“ სარკინიგზო ხაზზე, მისი პირადი ვაგონის საფეხურებზე, ოფიციალურ ბანკეტზე, ვაშინგტონში.

შერილი თავს არწმუნებდა, არ ყოფილიყო ეჭვიანი, თუ უხერხულობას იგრძნობდა; არ ყოფილიყო უმადური, თუ ვინმე აწყენინებდა. ასეთი წუთები იშვიათად დგებოდა, მაშინ, როდესაც შუაღამისას გაეღვიძებოდა, სიჩუმეში იწვა და დილამდე თვალი ვეღარ მოეხუჭა. ხვდებოდა, რომ წლები დასჭირდებოდა, ვიდრე მიეჩვეოდა, დაიჯერებდა, გაიგებდა. თითქოს ბურანში ცხოვრობდა, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა ჯიმ ტაგარტის გარდა, ისეთი ჯიმ ტაგარტის გარდა, როგორიც მისი დიადი ტრიუმფის ღამეს იხილა.

— მომისმინე, გოგონი, — უთხრა შერილს მფარველმა რეპორტიორმა, როცა ის უკანასკნელად იდგა თავის ოთახში, საპატარძლო მანდილი კი ბროლის ქაფივით დაჰფენოდა თმაზე და ბინძურ ხის იატაკს სცემდა, — შენ გგონია, რომ თუ გულს გტკენენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი ბრალია, ზოგადად, ეს ასეც არის. მაგრამ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც შეეცდებიან, იმ სიკეთის გამო მოგაყენონ ტკივილი, რომელსაც შენში დაინახავენ — ეცოდინებათ, რომ კარგი ხარ, და სწორედ ამისთვის მოუნდებათ შენი დასჯა. შეეცადე, სულით არ დაეცე, როცა ამას მიხვდები.

— მე მგონი, არ მეშინია, — უთხრა შერილმა, ის პირდაპირ იყურებოდა და მისმა ნათელმა ღიმილმა მისივე მზერის სერიოზულობა რამდენადმე შეარბილა, — მე არ მაქვს უფლება, რაიმესი შემეშინდეს. მეტისმეტად ბედნიერი ვარ. იცით, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ცდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ცხოვრება მხოლოდ ტანჯვაა. მე არ ვნებდებოდი. მჯეროდა, რომ ბედნიერება შესაძლებელი იყო. არ მიფიქრია, თუ ეს ჩემს თავს მოხდებოდა — ასეთი ბედნიერება და ასე მალე, მაგრამ შევეცდები, ჩემი ბედნიერების ღირსი ვიყო.

* * *

— ფული ყველა ბოროტების წყაროა, — თქვა ჯეიმს ტაგარტმა, — ბედნიერებას ფულით ვერ იყიდი. სიყვარული ყველა ბარიერსა და სოციალურ დისტანციას გადალახავს. ეს შეიძლება, ბანალურად ჟღერდეს, ბიჭებო, მაგრამ მე ასე ვგრძნობ.

ტაგარტი სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ განათებულ დარბაზში იდგა, ასობით კორესპონდენტის გარემოცვაში, რომლებიც მას საქორწინო ცერემონიალის დამთავრებისთანავე შემოეხვივნენ. ესმოდა, როგორ მოაწყდა მოზღვავებული სტუმრების ტალღა ჟურნალისტების მიერ აღმართულ გალავანს. შერილი მის

გვერდით იდგა, თეთრთათმანიანი ხელი ჯიმის შავი სმოკინგის სახელოზე ჩამოედო. ჯერ კიდევ გონებაში იმეორებდა ცერემონიის დროს წარმოთქმულ სიტყვებს, რათა ბოლომდე დაეჯერებინა, რომ ისინი ნამდვილად წარმოითქვა.

— რას გრძნობთ, მისის ტაგარტ?

მოესმა შერილს შეკითხვა რეპორტიორების ბრბოდან. თითქოს მუჯლუგუნით შეაბრუნეს რეალობაში. ამ სიტყვებმა ოცნება რეალობად აქცია. შერილმა გაიღიმა და ლამის სუნთქვაშეკრულმა ჩაიჩურჩულა:

— მე... მე ძალიან ბედნიერი ვარ...

დარბაზის მოპირდაპირე კიდეში ოფიციალური კოსტიუმის ფონზე მეტისმეტად მასიური ორენ ბოილი და ბერტრამ სკადერი, ასევე მეტისმეტად გალეული რომ მოჩანდა თავის სმოკინგში, იქ შეკრებილ სტუმრებს ერთნაირი ფიქრებით შეპყრობილნი ათვალიერებდნენ, თუმცა არც ერთი და არც მეორე ამ ფიქრებს საკუთარ თავსაც კი არ გაუმხელდა. ორენ ბოილმა თავი თითქმის დაირწმუნა, რომ ნაცნობებს ეძებდა.

ბერტრამ სკადერი კი ვითომდა მასალას აგროვებდა სტატიისთვის. მაგრამ ორივენი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გონებაში ახარისხებდნენ დანახულთა სახეებს და ორ ჯგუფად ყოფდნენ. პირველ ჯგუფს „კეთილგანწყობა“ ერქვა, მეორეს — „შიში“. აქ იყვნენ ის ადამიანები, რომელთა დასწრებაც ჯეიმს ტაგარტის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მიანიშნებდა; და ის ადამიანებიც, რომელთა დასწრება გამოხატავდა სურვილს, თავიდან აეცილებინათ მტრობა ჯეიმსის მხრიდან — ერთნი სიმბოლურად განასახიერებდნენ ხელს, რომელსაც უნდა ებიძგებინა ჯეიმისთვის აღმასვლისას, მეორენი — ზურგს, რათა ჯეიმსს მათზე დაებიჯებინა აღმასვლისთვის.

დაუწერელი კანონის თანახმად, ამ ორი ხსენებული მოტივის გარეშე, გამორჩეული საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანისგან მოწვევას ვერავინ მიიღებდა.

ისინი, ვინც პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, მეტწილად ახალგაზრდები და ვაშინგტონიდან ჩამოსულები გახლდნენ, მეორე ჯგუფს კი გაცილებით უფროსი ასაკის ბიზნესმენები შეადგენდნენ.

ორენ ბოილი და ბერტრამ სკადერი სიტყვებს საზოგადოებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებდნენ.

სიტყვები ვალდებულებები იყო, რომელთა დაფარული აზრის გახსნა მათ არ სურდათ. ადამიანთა დასახარისხებლად სიტყვები არ სჭირდებოდათ; კლასიფიკაცია მიმიკას ეფუძნებოდა: პირველი ჯგუფისთვის წარბების მოწიწებული მოძრაობა ეკვივალენტი იყო ემოციისა, რომლის გამოხატვა შესაძლებელი იყო შორისდებულით — „ოჰო!“ სარკასტულად მოკუმული ტუჩები კი შეესატყვისებოდა ემოციას: „აი, თურმე რა!“ — მეორე ჯგუფისთვის. გამომთვლელი მექანიზმის მწყობრი მუშაობა წუთით მხოლოდ ერთმა სახემ შეაფერხა, როდესაც მათ ჰენკ რიერდენის ცივი ცისფერი თვალები და ქერა თმა დაინახეს. ბოილისა და სკადერის სახის კუნთების მოძრაობა მეორე ჯგუფში მისი რეგისტრირებისას ტოლფარდი იყო ფრაზისა: „არა უშავს ბიჭს!“ ჯეიმს ტაგარტის ძალის საბოლოო შეფასება ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

როდესაც დაინახეს, როგორ მიდი-მოდიოდა ჯეიმს ტაგარტი თავის სტუმრებს შორის, ხვდებოდნენ, რომ მან ყველაფერი იცოდა ამის შესახებ. ტაგარტის მკვეთრი, რამდენადმე აღგზნებული გადაადგილება მორზეს ანბანის წესებს ჰგავდა —

წერტილი, ტირე, წერტილი, — თითქოს აცნობიერებდა, რამდენი ადამიანი შეკრებილიყო ამ დარბაზში, ვის უკმაყოფილებასაც შეიძლებოდა, უსიამოვნება მოჰყოლოდა. ღვარძლიანი ღიმილით თითქოს ამბობდა, რომ ამ ადამიანების მოსვლა და მის მიმართ პატივისცემის გამოხატვა, სინამდვილეში, მოსულთ ღირსებას ულახავდა; ჯიმიმ თითქოს იცოდა ეს და ტკბებოდა ამით.

რამდენიმე კაცი განუწყვეტლივ კუდში დასდევდა ტაგარტს, გეგონებოდა, საგანგებოდ იმისთვის, რომ გამუდმებით ჰქონოდა ვინმეს იგნორირების შესაძლებლობა. კუდში წუთით გაიელვა მისტერ მოუენმა, აგრეთვე დოქტორმა პრიტჩეტმა და ბალფ იუბენკმაც.

ყველაზე აბეზარი ამ ჯგუფში პოლ ლარკინი ჩანდა. დაღვრემილი ღიმილით, თითქოსდა ივედრებოდა, შეემჩნიათ, დაუღალავად ურტყამდა წრეებს ტაგარტს გარშემო, გეგონებოდა, სურდა, თითოეულ შემთხვევით სხივს მიჰფიცხებოდა.

დროდადრო ტაგარტის მზერა სწრაფად და შეპარვით მოევლებოდა მთელ კომპანიას, ქურდის ფანარივით; ორენ ბოილის მიმიკის ენაზე, ტაგარტი ვიღაცას ეძებდა, მაგრამ არ სურდა, ეს ვინმეს შეემჩნია. ძებნა დასრულდა, როცა მას იუჯინ ლოუსონი მიუახლოვდა, მისასალმებლად ხელი რომ ჩამოერთმია. ლოუსონმა სველი ქვედა ტუჩი მოღრიცა, დარტყმა რომ შეესუსტებინა და უთხრა:

— მისტერ მაუჩმა მოსვლა ვერ მოახერხა, ჯიმ, მისტერ მაუჩი ძალიან წუხს, სპეციალური თვითმფრინავიც კი შეუკვეთა, მაგრამ ბოლო წუთში გარემოებები შეიცვალა. უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პრობლემები წარმოიშვა, ხომ გესმის...

ტაგარტი ადგილზე გაქვავდა, მოიღუშა და არაფერი უთქვამს.

ორენ ბოილმა გადაიხარხარა. ტაგარტი მისკენ ისე მკვეთრად მიტრიალდა, რომ დანარჩენები აქეთ-იქით გახტნენ, თითქოს საერთო ბრძანება მოისმინეს.

— შენ აქ რას აკეთებ? — დაიღრინა ტაგარტმა.

— ვმხიარულობ, ჯიმი, უბრალოდ, ვმხიარულობ, — უპასუხა ბოილმა, — უესლი შენი ბიჭია, ასე არ არის?

— ჩემი ბიჭი კიდევ ერთიც ვიცი და მისთვის აჯობებს, თვითონ არ დაავიწყდეს ეს, — ვინ? ლარკინი? არა, არა მგონია, ლარკინს გულისხმობდე. და თუ ლარკინზე არ ლაპარაკობ, მაშინ, ვფიქრობ, შენ უფრო აკურატულად უნდა გამოიყენო ნაცვალსახელები. ასაკობრივი კლასიფიკაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ვიცი, რომ ჩემს ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოვიყურები, უბრალოდ, ვერ ვიტან ნაცვალსახელებს.

— ძალიან ჭკვიანურია, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც ზედმეტად დაჭკვიანდი.

— თუ მართლაც ასეა, მიდი, ჯიმ, გამოიყენე ეს ამბავი.

— იმ ადამიანების უბედურება, საკუთარ თავს გადაჭარბებულად რომ აფასებენ, ის არის, რომ მათ მეტისმეტად მოკლე მეხსიერება აქვთ. გიჯობს, გაიხსენო, ვინ მიიღო რიერდენ-მეტალი, რომელიც შენი გულისთვის გააქრეს ბაზრიდან.

— მე მახსოვს, ვინ დამპირდა ამას. ის გუნდი, რომელიც მერე იჯდა და ყველა შესაძლო ღილაკს აჭერდა თითს, ამ დირექტივის დაკანონებისთვის რომ შეეშალა ხელი, რადგან გამოთვალა, რომ მომავალში შესაძლოა, თვითონ დასჭირვებოდა რიერდენ მეტალის რელსები.

— კი მაგრამ, შენ არ დაახარჯე ათი ათასი დოლარი იმ ხალხს, რომელიც შენი ჭკუით, შეძლებდა, ობლიგაციების გაყინვის ბრძანებას წინ აღსდგომოდა?

— ასეა. სწორედაც რომ ასე მოვიქეცი. მყავს მეგობრები, რომელთაც რკინიგზის ობლიგაციები ჰქონდათ. ამას გარდა, მეგობრები ვაშინგტონშიც მყავს, ჯიმ. დიახ,

შენმა მეგობრებმა ჩემები დაამარცხეს ობლიგაციების გაყინვის საქმეში, მაგრამ რიერდენ მეტალის საქმეში შენებს ჩემები მოერივნენ — და მე ეს არ მავიწყდება. მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს! მე ყველაფერი კარგად მაქვს, საერთოდაც, ყველაფერი კარგად არის. ოღონდ, არც კი სცადო ჩემი გაბითურება, ჯიმ, ეგ არიფებისთვის შეინახე.

— თუ ეჭვი გეპარება, რომ ყოველთვის ვცდილობდი, შენთვის ყველაფერი გამეკეთებინა, რაც კი შემეძლო...

— რა თქმა უნდა, ცდილობდი. უკეთესად არ შეიძლება — და მომავალშიც შეეცდები, ვიდრე ვინმე ისეთს არ შევეხები, ვინც შენ გჭირდება. და არც ერთი წუთით მეტხანს. ამიტომაც, უბრალოდ, მინდოდა, შენთვის შემეხსენებინა, რომ მეც მყავს მეგობრები ვაშინგტონში, მეგობრები, რომელთაც ფულით ვერ იყიდი — შენებისგან განსხვავებით, ჯიმ.

— მაინც, რის თქმა გინდა?

— სწორედ იმის, რაც შენ გაიფიქრე. ის ხალხი, ვინ შენ მოისყიდე, რეალურად გროშიც არ ღირს, რადგან ყოველთვის მოიძებნება ვინმე, ვინც მათ მეტს შესთავაზებს ამგვარად, კარი ყველასთვის ღიაა, ზუსტად ისე, როგორც ადრე, ძველ დროში, კონკურენციის პირობებში იყო. მაგრამ თუ რომელიმე ჯეელზე რაიმე იცი, მას ვეღარავინ იყიდის და შეგიძლია, მისი მეგობრობის იმედი იქონიო. ასე რომ, შენც გყავს მეგობრები და მეც. მეც შემიძლია, გამოვიყენო შენი მეგობრები და პირიქითაც. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჯანდაბა! ყველა რაღაცით ვაჭრობს. თუ ფულით არა, — და ფულის საუკუნე წარსულს ჩაბარდა, — მაშინ ადამიანებით ვივაჭრებთ.

— არ იტყვი ბოლოს და ბოლოს, რის თქმა გინდა?

— მე რამდენიმე სიტყვას გეტყვი, რომლებიც შენ უნდა დაიმახსოვრო. აი, ავიღოთ მაგალითად, უესლი. შენ მას თანაშემწის ადგილს შეჰპირდი ეკონომიკური დაგეგმვის ეროვნულ ბიუროში — იმისთვის, რომ რიერდენი გაეცურებინა, როდესაც „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონს“ იღებდნენ. შენ კავშირები გქონდა და მეც გთხოვე, ხელი წაგეშველებინა ამ კანონისთვის — სანაცვლოდ მე წავეხმარე რეზოლუციას „მტაცებლური კონკურენციის წინააღმდეგ“, იქ მე მქონდა კავშირები.

უესლიმ თავისი საქმე გააკეთა, შენ კი თვალყური მიადევნე, რომ ყველაფერი წესიერად გაეფორმებინათ. დარწმუნებული ვარ, ყველა მისი გარიგების წერილობითი დადასტურება გაქვს, რაც მან გაჩარხა, კანონი რომ მიეღოთ, ამასობაში კი მან რიერდენისგან ფული აიღო მის ჩასაფლავებლად და რიერდენი გადააგდო. ბინძური გარიგებები იყო. მისტერ მაუჩს კარგი დღე არ დაადგება, თუ ყველაფერი გამოაშკარავდა. მოკლედ, შენ დაპირება შეასრულე და მაუჩს ადგილი უშოვე, რადგან გეგონა, ის უკვე შენი იყო. და ის შენი იყო. და მან ბოლომდე გადაგიხადა, ასე არ არის? მაგრამ მუსიკა მალევე შეწყდა. გავა დრო და მისტერ უესლიმ შესაძლოა, ისეთი გავლენა მოიპოვოს, სკანდალი კი ისე მოძველდეს, რომ არავინ დაინტერესდეს, რით დაიწყო მან თავისი კარიერა ან ვინ მოატყუა. არაფერია მუდმივი ამქვეყნად. უესლი რიერდენის კაცი იყო, მერე შენი გახდა, ხვალ კიდევ ვიღაცის სხვის გახდება.

— რამეზე მიმანიშნებ?

— არა, რას ამბობ, მეგობრულად გაფრთხილებ. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, ჯიმ, და მგონი, არაფერი შეიცვლება. ვფიქრობ, შეიძლება, ძალიან გამოვადგეთ ერთმანეთს, შენ და მე. თუ შენ მეგობრობაზე მცდარი აზრები არ გაგიჩნდება. მე ძალთა ბალანსის მჯერა.

— ეს შენ ურჩიე მაუჩს, დღეს აქ არ მოსულიყო?

— შესაძლოა, ასეც იყოს, შესაძლოა — არც. მაგაზე თავის მტვრევა შენთვის მომინდვია. ჩემთვის კარგია, თუ ხელი შევუშალე, და კიდევ უკეთესი — თუ არა.

შერილმა თვალი მიადევნა, როგორ გაჰყურებდა ჯიმი სტუმრებს. იმ ადამიანების სახეები, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ და მასთან მოდიოდნენ, ისეთი მეგობრული ეჩვენებოდა, რომ შერილმა დაიჯერა — აქ მისთვის ცუდი არავის სურდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ ელაპარაკებოდა ზოგიერთი მათგანი მას იმედითა და ნდობით ვაშინგტონზე, ბუნდოვანი ფრაზებითა და სანახევროდ ქარაგმულად, თითქოს მისგან დახმარებას ელოდნენ მისთვის ცნობილ რომელიღაც საიდუმლო საქმეში. შერილს არაფერი ესმოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა, მაგრამ იღიმებოდა და ალალბედზე პასუხობდა, რაც კი თავში აზრად მოუვიდოდა. „მისის ტაგარტის“ წოდებას ვერ შებღალავდა შიშის თუნდაც უმცირესი გამოვლინებით.

შემდეგ კი მტერი დაინახა, — მაღალი, მოხდენილი ქალი, რუხ საღამოს კაბაში, — რომელი დღეს მისი მული გახდა.

მეხსიერებაში შემონახული ჯიმის მონათხრობები, მისი წამებული ხმა შერილის გონებაში რისხვად აკუმულირდა. მან შეუსრულებელი მოვალეობის მტანჯველი მოწოდება იგრძნო. შერილი თვალს არ აცილებდა მტერს და დაჟინებით სწავლობდა მას. საგაზეთო ფოტოებში დაგნი ტაგარტი მხოლოდ ფართო შარვალში ან საყელოწამოწეულ პალტოში და ფარფლებდახრილი შლაპით უნახავს. ახლა მას ასკეტურად მკაცრი, რუხი საღამოს კაბა ეცვა, რომელიც ვითარებას მაინცდამაინც არ შეესატყვისებოდა. ეს მკაცრი კაბა დაგნისკენ მიმართულ მზერებს ისხლეტდა და მთელი ყურადღება მის მოხდენილ სხეულზე გადაჰქონდა, ვითომდა რომ მოსავდა. რუხი აბრეშუმი მსუბუქ ცისფერს დაიკრავდა, რაც განსაკუთრებით უხდებოდა დაგნის თვალების ფოლადისფერს: მას ერთადერთი სამკაული ეკეთა მაჯაზე — მომწვანოცისფრად შეფერილი მეტალის მსხვილი რგოლების ჯაჭვი.

შერილმა დაიცადა, ვიდრე დაგნი მარტო დარჩებოდა და მერე მისკენ გაემართა.

დარბაზი გაბედულად გადაკვეთა. ჯიქურ შეხედა იარაღის ფოლადისფერ თვალებში, რომლებიც ერთდროულად ცივიც მოეჩვენა და ღრმაც. ეს თვალები პირდაპირ შემოჰყურებდნენ თავაზიანი, გულგრილი ინტერესით.

— მინდა, რომ თქვენ იცოდეთ, — უთხრა შერილმა მტკიცე, მკაცრი ხმით, — ჩვენ შორის არანაირი გაურკვევლობა არ უნდა იყოს. არ ვაპირებ, გულის ამაჩუყებელი ოჯახური სცენა გავითამაშო. ვიცი, ჯიმს რაც გაუკეთეთ და როგორ ამცირებდით მას მთელი ცხოვრება. გადაწყვეტილი მაქვს, დავიცვა ის თქვენგან. მე თქვენ შესაფერის ადგილს მიგიჩენთ. მე მისის ტაგარტი ვარ. ახლა მე ვარ ქალი ამ ოჯახში.

— სწორედ ასეა, — უთხრა დაგნიმ, — მე კი მამაკაცი ვარ.

შერილი უყურებდა, როგორ გაეცალა დაგნი და გაიფიქრა, რომ ჯიმი მართალი იყო: მისი და ცივსისხლიანი, ავი, უგრძნობელი და უჟმური, უმადური ქალია, რომელსაც მხოლოდ უკეთური და უგულო დაცინვა ეხერხება.

რიერდენი ლილიანს გვერდიდან არ სცილდებოდა და ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, როცა ის ადგილიდან ადგილზე გადადიოდა.

ლილიანს უნდოდა, ის ქმართან ერთად ეხილათ და რიერდენიც დაემორჩილა.

ვერც კი ხედავდა, უყურებდნენ მას თუ არა. გარშემო ვერავის ამჩნევდა, იმ ერთადერთი არსების გარდა, ვისთვის თვალის შევლებაც კი აუკრძალა საკუთარ თავს.

გონებაში გაუქვავდა წუთი, როდესაც დარბაზში ლილიანთან ერთად შევიდა და დაინახა დაგნი, რომელიც მათ უყურებდა. რიერდენს მზერა არ აურიდებია,

ნებისმიერი დარტყმის გასაძლებად იყო მზად. როგორი რეაქციაც არ უნდა ჰქონოდა ლილიანს, ერჩივნა, აქ და ახლა, საჯაროდ ეღიარებინა ცოლქმრული ღალატი, ვიდრე მხდალივით გაჰქცეოდა დაგნის მზერას და სახეზე გულგრილობის სამარცხვინო ნიღაბმორგებულს, თავი მოეკატუნებინა, ვითომ ვერ ხვდებოდა საკუთარი ქმედებების არსს.

მაგრამ დარტყმა არ ყოფილა. რიერდენმა შეისწავლა გრძნობების ყველა ელფერი, რომელიც დაგნის სახეზე გაკრთა, ამიტომაც მიხვდა, რომ დაგნის ელდა არ სცემია:

სახეზე მხოლოდ ურყევი სერიოზულობა ეწერა. მისი მზერა ამბობდა, რომ სრულიად აცნობიერებდა მათი შეხვედრის გარემოებებს, მაგრამ მტკიცე სიმშვიდეს ინარჩუნებდა რიერდენს ისე უყურებდა, როგორც შეხედავდა ნებისმიერ სხვა ადგილას — მის კაბინეტში თათბირისას ან თავის საძინებელში. რიერდენს მოეჩვენა, რომ დაგნი, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მისგან და ლილიანისგან, ისევე უბრალოდ და დაუფარავად გაიხსნა მის წინაშე, როგორც ნაცრისფერი კაბა აშიშვლებდა მის სხეულს.

დაგნიმ მათ თავი დაუკრა. თავაზიანი მისალმება ორივეს ეკუთვნოდა. როდესაც რიერდენი საპასუხოდ მიესალმა, შეამჩნია, როგორ სწრაფად დააქნია ლილიანმა თავი მისალმების ნიშნად, როგორ გააგრძელა მან გზა და აღმოაჩინა, რომ თვითონ უკვე დიდი ხანი იყო, ისევ თავდახრილი იდგა.

თითქოს ბურანში ესმოდა, რას ეუბნებოდნენ ლილიანის მეგობრები და ან თვითონ რას პასუხობდა მათ. როგორც ადამიანი მიუყვება გზას ნაბიჯ-ნაბიჯ და ცდილობს, მის უსასრულობაზე არ იფიქროს, ასე ცდილობდა ყოველი წუთის გაყვანას, ეს დაუსრულებელი საღამო რომ გაეყვანა, რომელიც მის ტვინში არავითარ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ესმოდა ლილიანის მხიარული სიცილი, მისი თავდაჯერებული ხმა.

ცოტა ხანში რიერდენმა აღმოაჩინა, რომ გარს ქალები შემოხვეოდნენ, რომლებიც გაჭრილი ვაშლებივით ჰგავდნენ ლილიანს — ისეთივე მოვლილი სახეებით, წვრილად ამოქნილი, აზიდული წარბებით და გაქვავებული მხიარულებით თვალებში. მიხვდა, რომ ისინი მასთან გაკეკლუცებას ცდილობდნენ, ლილიანი კი უყურებდა და ტკბებოდა მათი წარუმატებლობით. სწორედ ქალური პატივმოყვარეობის ამ ტკბილ წუთებს ევედრებოდა მას ლილიანი და ისიც დათანხმდა, თუმცა თვითონ ამ ნორმებს არ აღიარებდა. რიერდენი გატრიალდა და ერთად შეჯგუფებულ მამაკაცებს შეაფარა თავი.

მამაკაცების საუბარში ერთი გულწრფელი ფრაზაც კი ვერ მოისმინა. რის შესახებაც არ უნდა ელაპარაკათ, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს საუბარი სულ სხვა რამეზე იყო. რიერდენი მათ ისე უსმენდა, როგორც უცხოელი, რომელსაც ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ესმოდა, მაგრამ მათგან წინადადებას ვერ კრავდა. ერთმა ახალგაზრდამ, რომელსაც ფეხი არეოდა, მთვრალი კაცის უტიფრობით ჩაიცინა და წამოისროლა — მიიღე გაკვეთილი, რიერდენ?

რიერდენი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ეს ყმაწვილი ვირთხა, მაგრამ დანარჩენებმა, როგორც მათი სახის გამომეტყველებიდან და ძლივს შეკავებული სიცილიდან ჩანდა, ეტყობა, იცოდნენ; ლილიანი გაეცალა, თითქოს აგრძნობინა, რომ არ მოითხოვდა, მუდმივად მის გვერდით ყოფილიყო. რიერდენი ერთ კუთხეში განმარტოვდა, სადაც ვერავინ შენიშნავდა და ვერც იმას შეამჩნევდა, საითკენ მიმართავდა მზერას. აქ უკვე თავს უფლება მისცა, დაგნისთვის ეცქირა.

უყურებდა მის რუხ კაბას, უყურებდა, როგორ ირხეოდა ნაზი ქსოვილი დაგნის მოძრაობისას, მისი სხეული თითქოს სკულპტურას ემსგავსებოდა აბრეშუმის ლივლივსა და შუქ-ჩრდილებში. რიერდენი მოხიბლული შესცქეროდა მოცისფრო-რუხ კვამლად დაფენილ დატალღულ ქსოვილს, რომელიც ჩანჩქერივით ეშვებოდა ჯერ დაგნის მუხლებამდე, მერე კი მის მოხდენილ ფეხსაცმელებამდე. კვამლი რომ გაფანტულიყო, რიერდენს თითოეული ეს ათინათი ეხსომებოდა.

ღრმა, ყრუ ტკივილს გრძნობდა: ყველა კაცზე ეჭვიანობდა, ვისაც კი დაგნი ესაუბრებოდა. ადრე ეს არასდროს შეუმჩნევია, მხოლოდ აქ — სადაც ნებისმიერს ჰქონდა უფლება, დაგნის მიახლოებოდა, მის გარდა.

მერე კი, უცებ, თითქოს ძლიერი დარტყმა იგრძნო, წამიერი რყევა ყველაფერ იმის გამო, რაც ახლა ხდებოდა და უსაზღვრო სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მოულოდნელად ყველა მისი დოგმა, კონცეფცია და პრობლემები უკვალოდ გაქრა. მხოლოდ ერთი იცოდა — ისიც თითქოს ბუნდოვნად, შორეულად, რომ ადამიანი თავისი მიზნების მიღწევისთვის ცხოვრობს, და გაოგნებული ფიქრობდა, რატომ იდგა აქ და ვის ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მისგან, გაეფლანგა თავისი ცხოვრების აუნაზღაურებელი საათები, მაშინ, როცა ერთადერთი, რაც სურდა — ხელები მოეხვია რუხ სამოსში გამოწყობილი ამ მოხდენილი სხეულისთვის და სიცოცხლის ბოლომდე ასე ჰყოლოდა გულში ჩაკრული.

წუთის შემდეგ სინამდვილეს დაუბრუნდა. იგრძნო, როგორ მტკიცედ წარმოთქვამდნენ მისი ტუჩები სიტყვებს, რომლებსაც ის გონებაში გაჰყვიროდა: „შენ კონტრაქტი დადე, კეთილი ინებე და შეასრულე ის!“ შემდეგ მოულოდნელად გაიფიქრა, რომ ბიზნესში სამოქალაქო კოდექსი არ აღიარებს კონტრაქტს, თუ რომელიმე მხარე ადეკვატურ ჯილდოს არ იხდის. და ჩაფიქრდა. მაინც, საიდან მოუვიდა თავში? ეს აზრი უღირსად მოეჩვენა და უკუაგდო.

ჯეიმს ტაგარტმა დაინახა, როგორ მონარნარებდა მისკენ ლილიან რიერდენი, სწორედ იმ მომენტში, როცა თვითონ მარტო აღმოჩნდა ბნელ კუთხეში, დიდი პალ მის ქოთანსა და ფანჯარას შორის. შეჩერდა და დაელოდა.

ჯიმმა არ იცოდა, რა რაში დასჭირდა ის ახლა ლილიანს, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ აჯობებდა, მოესმინა მისთვის.

— ჯიმ, როგორ მოგეწონა ჩემი საქორწინო საჩუქარი? — ჰკითხა ლილიანმა და გაეცინა, როდესაც ჯიმის დაბნეულ სახეს შეხედა, — არა, არა, ნუ ეცდები, გონებით გადახედო ყველა საჩუქარს, რომ მიხვდე, რას ვგულისხმობ. ის შენს სახლში კი არა, აქ არის. და ეს საჩუქარი არამატერიალურია, ძვირფასო.

ჯეიმსმა ლილიანის სახეზე გამკრთალი დაფარული ღიმილი დაინახა, მზერა, რომელიც მისი მეგობრებისთვის საიდუმლო გამარჯვების გაზიარებას ნიშნავდა. ეს მზერა ეუბნებოდა, რომ ლილიანმა ვიღაცის გაცურება მოახერხა.

მან ოფიციალურად, თავაზიანი ღიმილით უპასუხა:

— შენი სტუმრობა ჩემთვის საუკეთესო საჩუქარია.

— ჩემი, ჯიმ?

და წამით სახე დაებრიცა. ჯიმმა იცოდა, ლილიანი რასაც გულისხმობდა, მაგრამ არ ელოდა, თუ ის ამას მიხვდებოდა.

ლილიანმა ფართოდ გაუღიმა.

— ჩვენ ორივემ ვიცით, ვისი მოსვლაა დღეს შენთვის ყველაზე ფასეული და თან ყველაზე მოულოდნელიც. გაკვირვებული ვარ. მე კი მეგონა, შენ გენიოსი იყავი პოტენციური მეგობრების ამოცნობაში.

ტაგარტმა თავი არ გასცა და ნეიტრალური ტონი შეინარჩუნა:

— ნუთუ შენს მეგობრობაში შევცდი, ლილიან?

— ოჰ, ძვირფასო, შენ იცი, ახლა რაზეც ვლაპარაკობთ. შენ არ ელოდი, რომ ის აქ მოვიდოდა, მაგრამ არც იმას ფიქრობ, რომ მას შენი ეშინია, ასე არ არის? თუმცა სხვები აიძულო, ასე იფიქრონ — ეს ფასდაუდებელი უპირატესობაა, არა?

— მე... გაკვირვებული ვარ, ლილიან.

— იქნებ „გაოგნებული“? შენი სტუმრები გაოგნებულნი არიან. ლამის მესმის თითოეულის ფიქრები. უმეტესობა ფიქრობს, რომ: „თუ თვით ისიც კი ცდილობს მეგობრობას ჯიმ ტაგარტთან, აჯობებს, ჩვენც ასევე მოვიქცეთ“; ზოგიერთები კი, — უფრო ცოტანი, — ფიქრობენ: „თუკი მასაც ეშინია, ჩვენ კიდევ უფრო მეტს მოვიპარავთ!“ შენც ხომ სწორედ ეს გინდოდა. არ მინდა, დღესასწაული გაგიფუჭო, მაგრამ მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით, რომ ამისთვის საკუთარი ძალებით არ მიგიღწევია.

ჯეიმსმა საპასუხოდ არ გაიღიმა; შეუვალი სახით და საგულდაგულოდ მოზომილი სიმკაცრით, აუღელვებელი ხმით წარმოთქვა:

— შენ თვითონ რა სარგებელს ელი აქედან?

ლილიანმა გაიცინა:

— აი, ახლა უკვე საკუთარ თავს ჰგავხარ, ჯიმ. მაგრამ თუ საქმე ამაზე მიდგა, არც არავითარს. უბრალოდ, სამსახური გაგიწიე და სამაგიეროდაც ამასვე ვითხოვ. არ ინერვიულო. ვინმეს ინტერესების ლობირებას არ ვაპირებ. მისტერ მაუჩისგან კონკრეტული დადგენილებების გამოწურვას არ ვცდილობ, შენ წარმოიდგინე, ბრილიანტის დიადემასაც კი არ მოგთხოვ. მაგრამ გარკვეული, არამატერიალური თვალსაზრისით, შენი მხარდაჭერა ნებისმიერ ძვირფასეულობაზე ღირებულია.

ჯეიმსმა პირველად შეხედა მას პირდაპირ. თვალები დაუვიწროვდა, სახე გაიმსუბუქა, როცა ზედ თვითონაც ისეთივე ვითომდა-ღიმილი გადაიკრა, როგორიც ლილიანს ეფინა, და ისეთი გამომეტყველება გაითამაშა, რომელიც ორივე მათგანისთვის ნიშნავდა, რომ ისინი თავს ერთი ჯურის ხალხად თვლიდნენ — ეს ზიზღის გამომეტყველება იყო.

— შენ იცი, რომ ყოველთვის აღმაფრთოვანებდი, ლილიან, როგორც ერთ-ერთი ჭეშმარიტად დიდებული ქალი.

— ეგ ვიცი, — ლილიანის ნაზ ხმაში ჯიმმა ლაკის მსუბუქი ფენასავით შეუმჩნეველი ირონია ამოიკითხა.

ტაგარტი მას კვლავ ჯიქურ შეჰყურებდა.

— უნდა მაპატიო, თუ წუთით მომეჩვენა, რომ მეგობრებს შორის ხანდახან დასაშვებია ერთგვარი ცნობისმოყვარეობის გამოვლენა, — თითქოს მოიბოდიშა ტაგარტმა, — მაინტერესებს, რა პოზიციიდან განიხილავ მოგებისა თუ წაგების შესაძლებლობას, რომელიც შენს პირად ინტერესებზე აისახება.

ლილიანმა მხრები აიჩეჩა:

— მოჯირითე ქალის პოზიციიდან, ძვირფასო. თუ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ცხენი გყავს, შენ მას ლაგამს ამოსდებ და იქითკენ მიმართავ, სადაც კომფორტი გეგულება, თუნდაც ამან მისი უზარმაზარი შესაძლებლობები შეიწიროს; თუნდაც მისი მაქსიმალური შესაძლებლობები ვერავინ იხილოს და მისი უსაზღვრო ძალა ფუჭად გაიფლანგოს. ასე მოიქცევი, რადგან ცხენი რომ თავის ნებაზე მიუშვა, ის მყისვე უნაგირიდან გადმოგაგდებს... თუმცა ფინანსური ასპექტები არ არის ჩემთვის მთავარი, და არც შენთვის, ჯიმ.

— ნამდვილად ვერ გაფასებდი სათანადოდ, — უთხრა ტაგარტმა ნელა.

— ო, შემიძლია, დაგეხმარო ამ სამწუხარო შეცდომის გამოსწორებაში. ვიცი, „ის“ რა ტიპის პრობლემებს გიქმნის. ვიცი, რატომაც გეშინია მისი, და ამისთვის სერიოზული მიზეზი გაქვს. მაგრამ... შენ ბიზნესშიც ხარ და პოლიტიკაშიც, ამიტომ შევეცდები, შენს ენაზე გითხრა. ბიზნესმენი ამბობს, რომ საქონელს ყიდის, წვრილფეხა პოლიტიკოსი კი ამბობს, რომ შეუძლია, ხმები გაყიდოს, ასეა? ერთი სიტყვით, მინდა, იცოდე, რომ „მას“ ნებისმიერ დროს მოგყიდი, როცა კი საჭიროდ ჩავთვლი. შეგიძლია, შესაბამისად იმოქმედო.

ჯიმის მეგობრების კოდურ ენაზე გულწრფელობა მტრისთვის იარაღის მიცემას ნიშნავდა. მაგრამ მან ლილიანს გულწრფელობაზე გულწრფელობითვე უპასუხა და თქვა:

— ნეტავი შემეძლოს, ასეთივე ჭკვიანი ჩემს დასთანაც ვიყო.

ლილიანმა გაოცების გარეშე შეხედა. მისი სიტყვები უხამსად არ მოსჩვენებია.

— ჰო, ის კერკეტი კაკალია, — თქვა მან, — რა, არავითარი სუსტი წერტილი არა აქვს? არც ერთი სისუსტე?

— არც ერთი.

— არავითარი სასიყვარულო თავგადასავალი?

— ოჰ, ღმერთო, არა!

ლილიანმა მხრები აიჩეჩა და თემა შეცვალა; დაგნი ტაგარტი ის პერსონა არ იყო, ვის შესახებაც დეტალურად ლაპარაკს ისურვებდა.

— ახლა კი გაგათავისუფლებ, ბალფ იუბენკთან რომ ცოტა წაიჭორაო, — უთხრა ლილიანმა, — თორემ ეტყობა, ღელავს, რადგან მთელი საღამოა, მისთვის ერთხელაც არ შეგიხედავს და შფოთავს, ხომ არ დარჩა ლიტერატურა ზემდგომი მეგობრების მფარველობის გარეშე.

— ლილიან, შეუდარებელი ხარ, — უნებურად აღმოხდა ტაგარტს.

ლილიანმა გაიცინა.

— სწორედ ეს არის, ჩემო ძვირფასო, ის არამატერიალური დიადემა, რომლის მიღებაც მსურდა!

როდესაც სტუმრებს შორის გზას მიიკვლევდა, ლილიანს ჯერ კიდევ ეფინა ღიმილი, რომელიც შეუმჩნევლად გადაიზარდა ისეთსავე დაძაბულობასა და მოწყენილობაში, თითოეულს რომ შეჰყინვოდა სახეზე გარშემო. ნელა მიაბიჯებდა. მოსწონდა, ყველანი მას რომ მისჩერებოდნენ. სპილოსძვლისფერი ატლასის კაბა მის მაღალ სხეულზე კრემივით ლივლივებდა.

ლილიანის ყურადღება მომწვანო-ცისფერმა ნაპერწკალმა მიიქცია, რომელმაც მოშორებით, დახვეწილ, შიშველ მაჯაზე გაიბრწყინა. შემდეგ მან მოხდენილი ფიგურა, რუხი კაბა და ნაზი, მოშიშვლებული მხრები დაინახა. ლილიანი შეჩერდა. მოიღუშა და სამაჯურს შეხედა.

როდესაც მიუახლოვდა, დაგნი მისკენ მოტრიალდა. ყველაფერზე მეტად ლილიანს ეს ზოგადი, უმისამართო თავაზიანობა აღიზიანებდა დაგნის მზერაში.

— რას ფიქრობთ თქვენი ძმის ქორწინების შესახებ, მის ტაგარტ? — ღიმილით ჰკითხა ლილიანმა, თითქოსდა სხვათა შორის.

— რაიმე განსაკუთრებული აზრი ამის შესახებ არ გამაჩნია.

— გინდათ, თქვათ, რომ ეს ქორწინება იმად არ ღირს, მასზე იფიქრო?

— თუ თქვენ სიზუსტე გიზიდავთ, რა გაეწყობა — სწორედ ეს ვიგულისხმე.

— ნუთუ ამაში რაიმე ზოგადადამიანურ მნიშვნელობას არ ხედავთ?

— არა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი ძმის საცოლე ინტერესს იმსახურებს?

— არა.

— მშურს თქვენი, მის ტაგარტ. მშურს თქვენი ოლიმპიური სიმშვიდე. ვფიქრობ, სწორედ ამ საიდუმლოს გამოა, რომ უბრალო მოკვდავები ვერც კი იოცნებებენ, ოდესმე თქვენ გაგიტოლდნენ ბიზნესში. მათი ყურადღება ხომ დანარჩენ რამეებსაც ეთმობა, სულ ცოტა — ცხოვრების სხვა სფეროებში წარმატების მიღწევასაც.

— რა მიღწევებს გულისხმობთ?

— ნუთუ პატივისცემას არ იმსახურებენ ის ქალები, რომლებიც წარმოუდგენელ გამარჯვებებს მოიპოვებენ სასტიკი კონკურენციის პირობებში, ოღონდ ბიზნესში კი არა, არამედ ადამიანური ურთიერთობების სფეროში?

— არ მგონია, ისეთი სიტყვა, როგორიც „გამარჯვებაა“, ადამიანურ ურთიერთობებს უხდებოდეს.

— ჰმ, მაგრამ დამეთანხმეთ, რა მძიმე ჯაფა ადგათ სხვა ქალებს, — თუკი საერთოდ სიტყვა „ჯაფა“ მათ მიესადაგებათ, — იმას რომ მიაღწიონ, რასაც ამ გოგონამ თქვენი ძმის მეშვეობით მიაღწია.

— მე არა მგონია, რომ ეს გოგონა სწორედ ხვდებოდეს იმის არსს, რასაც მიაღწია.

რიერდენმა დაინახა, როგორ იდგნენ ერთად დაგნი და ლილიანი და მათკენ გაემართა. გრძნობდა, რომ უნდა მოესმინა მათი საუბარი, რა შედეგებიც არ უნდა მოჰყოლოდა ამას. ის უსიტყვოდ დადგა მათთან ახლოს. ზუსტად არ იცოდა, შეამჩნია თუ არა მისი იქ ყოფნა ლილიანმა. დაგნი მას ხედავდა.

— გთხოვთ, ცოტაოდენი დიდსულოვნება გამოიჩინეთ მის მიმართ, მის ტაგარტ, — უთხრა ლილიანმა, — დიდსულოვანი ყურადღება მაინც. თქვენ არ უნდა გეზიზღებოდეთ ის ქალები, ვინც თქვენსავით გამორჩეული ნიჭით არ არიან დაჯილდოებული და მხოლოდ საკუთარ უნარებს იყენებენ. ბუნება თანაბრად არ ანაწილებს ჯილდოებს და სამაგიეროდ კომპენსაციას გვთავაზობს — არ მეთანხმებით?

— დარწმუნებული არ ვარ, რომ თქვენი მესმის.

— ჰმ, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ არ გსურთ, უფრო მკაფიოდ გამოვთქვა სათქმელი.

— პირიქით, მინდა.

ლილიანმა გაღიზიანებით აიჩეჩა მხრები. მისი მეგობარი ქალები მას უკვე კარგა ხნის წინ მიუხვდებოდნენ, ეს მოწინააღმდეგე კი უჩვეულო და სრულიად ახალ ხილად ეჩვენებოდა: ქალი, რომელიც უარს აცხადებდა, ტკივილი მიეყენებინათ მისთვის. ლილიანს აღარ უნდოდა, უფრო კონკრეტულად ელაპარაკა და ამ დროს უცებ რიერდენი შენიშნა, რომელიც მათ უყურებდა.

ლილიანმა გაიღიმა და გააგრძელა:

— რაც შეეხება, მაგალითად, თქვენს რძალს, მის ტაგარტ. რა შანსები ჰქონდა მას ამქვეყნად? თქვენი მკაცრი სტანდარტების მიხედვით — არავითარი. წარმატებას ბიზნესში ის ვერ მიაღწევდა. თქვენსავით გამორჩეული გონება არ აქვს. თანაც, მამაკაცები ამას არც დაანებებდნენ — მეტისმეტად მიმზიდველად ჩათვლიდნენ. ამიტომაც მან იმით ისარგებლა, რომ კაცებსაც აქვთ თავიანთი სტანდარტები, სამწუხაროდ, არცთუ ისეთი მაღალი, როგორც თქვენია, და ის უნარები აამოქმედა, რომლებიც თქვენ, დარწმუნებული ვარ, გეზიზღებათ, თქვენ არასდროს შეგიწუხებიათ თავი, კონკურენცია გაგეწიათ სხვა ქალებისთვის, ჩვენი ამბიციების

ერთადერთ ასპარეზზე — მამაკაცებზე ძალაუფლების მოპოვების ამბიციებს ვგულისხმობ.

— თუ ამას ძალაუფლებას უწოდებთ, მისის რიერდენ, მაშინ არა, ამისთვის თავი მართლაც არასოდეს შემიწუხებია.

დაგნი მიტრიალდა, რომ წასულიყო, მაგრამ ლილიანის ხმამ შეაჩერა:

— მინდა, ვირწმუნო, რომ მართლაც ასეთი სრულყოფილი ბრძანდებით და სავსებით თავისუფალი ადამიანური სისუსტეებისგან, მის ტაგარტ. არ არის გამორიცხული, მართლაც არასოდეს მოგდომებოდათ, გეპირფერათ და გეცრუათ. მაგრამ ვხედავ, რომ ამ საღამოს აქ ორივეს გველოდით, მეც და ჰენრისაც.

— ვერ ვიტყოდი, რომ გელოდით, სტუმრების სიას არ გავცნობივარ.

— მაშ, რატომ გაიკეთეთ ეგ სამაჯური?

დაგნიმ დემონსტრაციულად გაუსწორა ლილიანს თვალი.

— მე ის ყოველთვის მიკეთია.

— არ გეჩვენებათ, რომ ხუმრობა უკვე ძალიან შორს მიდის?

— მე არ ვხუმრობ, მისის რიერდენ.

— მაშინ გამიგებთ, თუ გეტყვით, რომ მინდა, უკან დამიბრუნოთ სამაჯური.

— მესმის თქვენი, მაგრამ არ დაგიბრუნებთ.

ლილიანი გაჩუმდა, რათა ორივეს გაეცნობიერებინა ამ პაუზის მნიშვნელობა. და კამ საღამოს მან პირველად შეხედა დაგნის ღიმილის გარეშე.

— როგორ გგონიათ, რა შეიძლება ვიფიქრო თქვენზე, მის ტაგარტ?

— რაც გნებავთ, ის.

— მაინც, რისკენ ისწრაფვით?

— თქვენ იცოდით ჩემი მოტივები, როცა ეს სამაჯური მომეცით.

ლილიანმა რიერდენს შეხედა. ქმრის სახე არაფერს ეუბნებოდა; უმცირესი მინიშნებაც კი ვერ დაინახა, რომ მხარს აუბამდა, ვერც მოწოდება, გაჩუმებულიყო — სრულიად ვერაფერი, გარდა სიმკაცრისა და მოწყენილობისა, რამაც მას ისეთი განცდა გაუჩინა, თითქოს საყოველთაო ყურადღების სამიზნე გამხდარიყო.

ლილიანი ისევ ღიმილს ამოეფარა — მოწყალე ღიმილს, რომელიც მოწოდებული იყო, საუბარი უწყინარი სალონური დიალოგის კალაპოტში დაებრუნებინა.

— დარწმუნებული ვარ, მის ტაგარტ, თქვენ ხვდებით, ეს რა უხამსობაა.

— არა.

— მაგრამ მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ძალიან საშიშად რისკავთ.

— არა.

— არ დაგიშვიათ, რომ შესაძლებელია, თქვენ... არასწორად გაგიგონ?

— არა.

ლილიანმა საყვედურით გააქნია თავი და გაიღიმა:

— მის ტაგარტ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ფუჭ იმედებს კი არ უნდა დაეყრდნოთ, არამედ რეალობა გაითვალისწინოთ?

დაგნიმ საპასუხოდ არ გაიღიმა:

— ამგვარი სენტენციების არსს ვერასოდეს ვწვდებოდი.

— იმის თქმა მინდა, რომ თქვენ მიერ არჩეული პოზიცია იდეალისტურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანების უმეტესობა არ იზიარებს თქვენს ამაღლებულ სწრაფვებს და არასწორად და უსაძაგლესად განმარტავს თქვენს მოქმედებას.

— ესე იგი, მთელი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ და არა მე.

— აღფრთოვანებული ვარ... არა, ვერ ვიტყვი, რომ თქვენი „უმწიკვლობით“, აჯობებს, ვთქვა, „სისუფთავით“. დარწმუნებული ვარ, ამაზე არ გიფიქრიათ, ცხოვრება არ არის ისეთი პირდაპირი და ლოგიკური, როგორც... როგორც რკინიგზის ლიანდაგი. ეს სამწუხაროა, მაგრამ შესაძლებელია, თქვენმა მაღალმა მისწრაფებებმა ადამიანები ისეთ რამეებში დააეჭვოს, რომელთაც... ჰმ, დარწმუნებული ვარ, ბინძურსა და სკანდალურს დაარქმევდით.

დაგნის მზერა არ აურიდებია:

— არა.

— მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამ შესაძლებლობის იგნორირება.

— შემიძლია.

დაგნი წასასვლელად გატრიალდა.

— ოჰ, რატომ გაურბიხართ საუბარს, თუკი არაფერი გაქვთ დასამალი?

დაგნი გაჩერდა.

— და თუ მართლაც უმწიკვლო ბრძანდებით და გყოფნით სიმამაცე, საფრთხე შეუქმნათ თქვენს რეპუტაციას, იმ საშიშროებას ხომ მაინც ვერ უარყოფთ, რომელიც მისტერ რიერდენს ემუქრება?

დაგნი აუჩქარებლად ჩაეკითხა:

— რომელ საშიშროებას?

— ეჭვიც არ მეპარება, შესანიშნავად მიმიხვდით.

— ვერ მიგიხვდით.

— ოჰ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მეტი სიზუსტე საჭირო არ არის.

— საჭიროა — თუკი გსურთ, რომ დისკუსია გაგრძელდეს.

ლილიანის თვალები რიერდენის სახეზე დაეძებდა რაიმე ნიშანს, რომელიც მას დაეხმარებოდა, გადაეწყვიტა — შეეწყვიტა თუ გაეგრძელებინა საუბარი. რეარდენი მას არ დაეხმარა.

— მის ტაგარტ, — წარმოთქვა ლილიანმა, — ცხოვრებისადმი ფილოსოფიური დამოკიდებულებით თქვენ ვერ გაგიტოლდებით. მე მხოლოდ ჩვეულებრივი, ნორმალური ცოლი ვარ. გთხოვთ, ეგ სამაჯური მომეცით — თუ არ გინდათ, ვიფიქრო, რაც უნდა ვიფიქრო. თქვენ არ მოგინდებათ, ეს ხმამაღლა წარმოვთქვა.

— მისის რიერდენ, ეს ადგილი და ამგვარი მანერა იმისთვის შეარჩიეთ, რომ ივარაუდოთ, თქვენს ქმართან რომ ვწევარ?

— რა თქმა უნდა, არა! — ეს პანიკით აღსავსე წამოძახილი ლილიანს ისევე რეფლექსურად დასცდა, როგორც დანაშაულის ადგილზე წასწრებულ ჯიბის ქურდს შეუხტებოდა ხელი. მან ბრაზიანი, ნერვიული სიცილით და სარკასტული ტონით თქვა:

— ასეთ რამეს ვერც წარმოვიდგენდი.

— მაშინ კეთილი ინებე და მოიბოდიშე მის ტაგარტის წინაშე, — უთხრა რიერდენმა.

დაგნის სუნთქვა შეეკრა. ორივენი რიერდენს შეჰყურებდნენ. ლილიანი ვერაფერს ხედავდა; დაგნიმ კი მის თვალებში ტანჯვა დაინახა.

— ეს აუცილებელი არ არის, ჰენკ, — თქვა დაგნიმ.

— არის — ჩემთვის, — ცივად უპასუხა რიერდენმა, ისე, რომ მისთვის არ შეუხედავს. ის ლილიანს უყურებდა, ბრძანებით, რომელსაც უსათუოდ უნდა დამორჩილებოდა.

ლილიანმა გაოგნებით შეხედა ქმარს, მაგრამ რისხვის გარეშე, როგორც ადამიანმა, რომელიც მოულოდნელ სიძნელეს შეეჯახა.

— დიახ, რა თქმა უნდა, — ლილიანის ხმამ კვლავ მშვიდად და ნდობით გაიჟღერა.

გთხოვთ, მომიტევოთ, მის ტაგარტ, თუკი მე საკუთარ თავს უფლება მივეცი, წარმომედგინა ისეთი ურთიერთობების არსებობა, რომელსაც დაუჯერებლად ვთვლი თქვენთვისაც და ჩემი ქმრისთვისაც, მისი მისწრაფებები რომ ვიცი.

ლილიანი შეტრიალდა და გულგრილად გაეცალა იქაურობას, ისინი კი მარტო დატოვა, რითაც თითქოს საგანგებოდ წარმოადგინა საკუთარი სიმართლის მტკიცებულება.

დაგნი გაუნძრევლად იდგა, თვალები დაეხუჭა. ის საღამო გაახსენდა, როცა ლილიანმა სამაჯური მისცა. მაშინ რიერდენმა ცოლის მხარე დაიჭირა, ახლა — მისი. ამ სამიდან მას ერთადერთს ესმოდა, ეს რას ნიშნავდა.

— რა საშინელებაც არ უნდა მითხრა, შენ მართალი იქნები, — მოესმა დაგნის რიერდენის ხმა და თვალები გაახილა. რიერდენი მას მკაცრი სახით უყურებდა და ოდნავადაც არ იმჩნევდა მტანჯველ ტკივილს, და არც პატიებას ითხოვდა მიტევების იმედით. — უსაყვარლესო, ასე ნუ იტანჯავ თავს, — უთხრა დაგნიმ, — მე ვიცოდი, რომ ცოლიანი იყავი. არასდროს გავქცევივარ ამ ფაქტს. და დღეს ცუდად ამის გამო არ ვარ. დაგნის პირველი სიტყვა ყველაზე ძლიერი განსაცდელი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში; ადრე დაგნის ასე არასდროს მიუმართავს. მათი პრივატული შეხვედრებისას სიტყვაც არასოდეს დაუძრავს მისი ქორწინების შესახებ. დღეს კი ამაზე უბრალოდ და ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა.

დაგნიმ რიერდენის სახეზე ბრაზი წაიკითხა — ის სიბრალულს აპროტესტებდა, ესე იგი დახმარებას არ საჭიროებდა. შემდეგ კი გააცნობიერა, რომ ისევე კარგად შეისწავლა მისი სახე, როგორც თვითონ მან — დაგნისი. რიერდენმა თვალები დახუჭა, თავი დახარა და ძალიან ხმადაბლა უთხრა:

— გმადლობ.

დაგნიმ გაიღიმა და გაეცალა.

ჯეიმს ტაგარტს ხელში შამპანურის ცარიელი სასმისი ეჭირა და შენიშნა, როგორ სწრაფად მოიხმო ბალფ იუბენკმა გვერდით ჩავლილი მიმტანი, თითქოს ამ უკანასკნელს უპატიებელი შეცდომა დაეშვას. შემდეგ კი გააგრძელა საუბარი:

— მაგრამ თქვენ, მისტერ ტაგარტ, იცით, რომ ადამიანს, რომელიც უფრო მაღალ სივრცეში ცხოვრობს, ვერ უგებენ და არ აფასებენ. იმ საყაროში, რომელსაც ბიზნესმენები მართავენ, მცდელობა, მოიპოვო მხარდაჭერა ლიტერატურისთვის, სრულიად უიმედოა. ისინი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ან საშუალო კლასის ვულგარული წარმომადგენლები არიან, ან მტაცებელი ველურები, რიერდენივით. — ჯიმ, — მხარზე ხელი დაჰკრა ბერტრამ სკადერმა, — საუკეთესო კომპლიმენტი, რომელიც შემიძლია გითხრა, ის არის, რომ შენ ნამდვილი ბიზნესმენი არ ხარ!

— შენ კულტურის კაცი ხარ, ჯიმ, — განაცხადა დოქტორმა პრიტჩეტმა, — შენ არ ხარ ყოფილი მემაღაროე, როგორც რიერდენი. მე არ მჭირდება, აგიხსნა, რა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისთვის ვაშინგტონის მხარდაჭერა.

— თქვენ ნამდვილად მოგეწონათ ჩემი ბოლო რომანი, მისტერ ტაგარტ? — თავისას არ იშლიდა ბალფ იუბენკი, — მართლა მოგეწონათ?

როდესაც გვერდით ჩაუარა, ორენ ბოილმა მათ შეხედა, მაგრამ არ გაჩერებულა.

ერთი შეხედვაც ეყო, რომ მიმხვდარიყო, ვის რა განზრახვა ჰქონდა. „სრულიად ნორმალურია“, — გაიფიქრა, — „ყველამ იმით უნდა ივაჭროს, რითაც შეუძლია“. იცოდა, რას ყიდდნენ მის თვალწინ, მაგრამ სახელდება არ მოუნდა.

— ჩვენ ახალი ეპოქის ზღურბლზე ვდგავართ, — წარმოთქვა ჯეიმს ტაგარტმა შამპანურით სავსე სასმისით ხელში, — ჩვენ გავანადგურებთ ეკონომიკური ტირანიის ძალაუფლებას. ჩვენ ადამიანებს დოლარის დიქტატურისგან გავათავისუფლებთ, ჩვენ გავათავისუფლებთ ჩვენს სულიერ მისწრაფებებს მატერიალური ფასეულობებისგან და მათი მფლობელებისგან. ჩვენ დავიხსნით ჩვენს კულტურას მომხვეჭელების ბორკილებისგან. ჩვენ ავაშენებთ საზოგადოებას, რომელიც მაღალ იდეალებს მოემსახურება. ჩვენ ფულის არისტოკრატიას შევცვლით...

— მძარცველების არისტოკრატიით, — დაასრულა ვიღაცამ მის ზურგს უკან.

ყველანი მიტრიალდნენ. მათ ფრანცისკო დ'ანკონია შეჰყურებდათ.

გარუჯულ სახეზე თვალები იმ ცის ფერად უელავდა, როგორიც, ალბათ, მაშინ იქნებოდა, მზეზე რომ ირუჯებოდა.

მისი ღიმილი ზაფხულის დილას ჰგავდა. კოსტიუმი ისე ბუნებრივად ეცვა, დანარჩენებმა ნათხოვარ ტანსაცმელში გამოწყობილ მასკარადის მონაწილეებად იგრძნეს თავი.

— რა მოხდა? — დაარღვია დ'ანკონიამ სამარისებური სიჩუმე, — რაიმე ისეთი ვთქვი, რაც რომელიმე თქვენგანისთვის ახალი ამბავი აღმოჩნდა?

— აქ როგორ მოხვდი? — ეს იყო პირველი, რაც ჯეიმს ტაგარტს პირზე მოადგა.

— ნიუ-იორკამდე თვითმფრინავით, აეროპორტიდან ტაქსით, შემდეგ კი ლიფტით ჩემი ნომრიდან ორმოცდამეცამეტე სართულზე, რომელიც სამი სართულით მაღლაა.

— ეგ არ მიკითხავს... ის ვიგულისხმე, რომ...

— ასე რამ შეგაშინა, ჯეიმს? როდესაც ნიუ-იორკში დავეშვი და შევიტყვე, რომ აქ წვეულებაა, ამას როგორ გამოვტოვებდი? შენ ყოველთვის ამბობდი, რომ მე დიდი დარდიმანდი ვარ.

ყველანი უსიტყვოდ შესჩერებოდნენ მათ.

— მე, რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გხედავ, — ფრთხილად უთხრა ტაგარტმა და მტრული ტონით დასძინა, უკვე ნათქვამის დასაბალანსებლად, — მაგრამ თუ შენ ფიქრობ, რომ...

ფრანცისკო გამოწვევას არ აჰყვა; დააცადა ტაგარტის სიტყვებს, ჰაერში განქარებულიყვნენ და თავაზიანად ჩაეკითხა:

— მე თუ ვფიქრობ — რას?

— მშვენივრად მიმიხვდი.

— კი, მიგიხვდი. გითხრა, რას ვფიქრობ?

— მეეჭვება, ახლა საამისოდ შესაფერისი ვითარება იყოს...

— მე ვფიქრობ, შენს საცოლესთან უნდა წარმადგინო, ჯეიმს. კარგ მანერებს დიდი ხნით ვერასოდეს უძლებდი, სულ მცირე მიზეზი, და თავაზიანობა გავიწყდებოდა. არადა, ხომ არის წუთები, როცა ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანი ხდება.

როდესაც ტაგარტი გატრიალდა, ფრანცისკო შერილთან რომ მიეყვანა, ძლივს გასაგონი, თითქმის შეუმჩნეველი ხმა მოხვდა ყურში: ეს ბერტრამ სკადერი ცდილობდა, სიცილი შეეკავებინა; ტაგარტმა იცოდა, რომ აქ მყოფი ადამიანები, რომლებიც წუთის წინ მის ფეხებთან დახოხავდნენ და რომელთაც ფრანცისკო დ'ანკონია შესაძლოა, უფრო მეტად სძულდათ, ვიდრე მას თვითონ, ახლა ტკბებოდნენ აქ გათამაშებული სცენით. ამ სანახაობის დასათაურება იმგვარ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთა დასახელებასაც არ ისურვებდა.

ფრანცისკომ შერილს თავი დაუკრა და ისე დახვეწილად უსურვა მას ყოველივე საუკეთესო, თითქოს სამეფო ოჯახის პატარძალი ყოფილიყო. ტაგარტმა, ამ სცენას ნერვიულად რომ ადევნებდა თვალს, ერთდროულად შვებაც იგრძნო და, ის უცნაური, სახელგანუსაზღვრელი გულისწყრომაც, რომელიც, თუკი მაინც რაიმე სახელს მოირგებდა, ეტყოდა მას, როგორ ოცნებობდა, არანაკლები კეთილშობილება ჰქონოდა, ვიდრე ფრანცისკოს მანერებში გამოსჭვიოდა.

ტაგარტს აფრთხობდა დ'ანკონიას გვერდით დარჩენა და, ამავე დროს, ისიც აშინებდა, თავი დაენებებინა მისთვის, მიეტოვებინა და თავისუფლად გარეულიყო სტუმრებს შორის. ის რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯით გაეცალა მას, მაგრამ ფრანცისკო ღიმილით აედევნა ფეხდაფეხ.

— ნუთუ ფიქრობდი, რომ შენს ქორწილს გამოვტოვებდი, ჯეიმს, შენ ხომ ჩემი ბავშვობის მეგობარი და მთავარი აქციონერი ხარ! ., — რა? — აღმოხდა ტაგარტს და მაშინვე ინანა, რომ პანიკური შიში დაეტყო.

ფრანცისკოს ეს ვითომ არც შეუმჩნევია და ხალისიანი, მიამიტი ხმით უთხრა:

— ოჰ, რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს ამბავი ცნობილია. ჩემთვის ცნობილია, „დ'ანკონია კოპერის“ აქციონერთა სიაში ვის უკან ვინ დგას და კიდევ იმის უკანაც — ვინ. უბრალოდ, გასაოცარია, ქვეყნად რამდენი მდიდარი სმიტი და გომესი ყოფილა, იმდენად მდიდარი, რომ მსოფლიოს უმდიდრესი კორპორაციების მსხვილ სააქციო პაკეტს ფლობდეს. ამიტომაც, ნუ განმსჯი, ცნობისმოყვარეობა რომ გამოვიჩინე და დამაინტერესა, მაინც ვინ იყვნენ ის სახელოვანი პიროვნებები, ჩემს მსხვილ აქციონერთა სიაში რომ აღმოჩნდნენ. ეტყობა, ერთობ პოპულარული გამოვდექი მთელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი პერსონების ამ უზარმაზარი მარაქისთვის, შენ წარმოიდგინე, სახალხო რესპუბლიკებშიც. შენ ალბათ ვერც იფიქრებდი, იქ კაპიტალი საერთოდ თუ იყო კიდევ დარჩენილი.

— არსებობს მრავალი მიზეზი, საქმიანი მიზეზი, რომელთა გამოც ღიად ინვესტირება ხანდახან მიზანშეწონილი არ არის, — მშრალად უპასუხა მოღუშულმა ტაგარტმა.

— ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ადამიანს არ უნდა, ხალხმა იცოდეს, მდიდარი რომ არის. მეორე — რომ მას არ სურს, ხალხმა იცოდეს, როგორ მოიპოვა მან ეს სიმდიდრე. — ვერ მივხვდი, რას გულისხმობ, ან რა გაქვს საწინააღმდეგო.

— ო, არა, საწინააღმდეგო სულაც არაფერი მაქვს. პირიქით, ძალიანაც მომწონს.

უამრავმა ინვესტორმა, რომლებიც ძველებურად აზროვნებენ, სან სებასტიანის მაღაროებთან დაკავშირებული ამბების მერე უკანმოუხედავად მიმატოვა. შეეშინდათ.

მაგრამ ინვესტორების თანამედროვე თაობა უფრო მენდობა და ისევ ისე იქცევა, როგორც ყოველთვის იქცეოდა — ნდობაზე დაყრდნობით. სიტყვები არ მყოფნის, რომ გადმოგცე, როგორი მადლიერი ვარ მათი.

ტაგარტს უნდოდა, ფრანცისკოს ცოტა უფრო ხმადაბლა ელაპარაკა, გარშემო ხალხი რომ არ შემოკრებილიყო.

— შენ ძალიან წინდახედულად მოქმედებდი, — ფრთხილად, საქმიანი ქათინაურის ტონით თქვა მან.

— ხომ მართლაც ასეა, არა? გასაოცარია, როგორ აიწია ამ ბოლო წლის განმავლობაში „დ'ანკონია კოპერის“ აქციების ფასმა. მაგრამ არ მგონია, რომ ეს ზედმეტად უნდა ამივარდეს თავში — მსოფლიოში კონკურენტები თითქმის აღარ დარჩნენ, ადამიანები ვეღარსად ვეღარ აბანდებენ თავიანთ კაპიტალს. თუკი ვინმე

ბედად სწრაფად გამდიდრდა, „დ'ანკონია კოპერი“, უძველესი კომპანია მთელ მსოფლიოში, ყველაზე საიმედო უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე, მზად არის, ემსახუროს.

უბრალოდ, დაფიქრდი, რის გადატანა მოუხდა კომპანიას, ამ ურთულესი წლებისთვის რომ გაეძლო. ამიტომაც, თუ ადამიანები გადაწყვეტენ, რომ მას იოლად ვერავინ მოერევა და რომ ეს საუკეთესო ადგილია მათი... ჰმ... გადამალული ფულის დასაბანდებლად, რომ სრულიად განსხვავებული ტიპის ადამიანი უნდა მოინახოს, „დ'ანკონია კოპერის“ განადგურება რომ მოახერხოს, შენ მართალი აღმოჩნდები.

— შევიტყვე, საკუთარ ვალდებულებებს უკვე სერიოზულად ეკიდები და, როგორც იქნა, მთლიანად გადაერთე ბიზნესზე. ამბობენ, თავდაუზოგავად მუშაობ.

— ნუთუ ეს ვინმემ შეამჩნია? განა მხოლოდ ძველი ყაიდის ინვესტორებს არ სჩვევიათ, კომპანიის პრეზიდენტის საქმიანობას თვალი ადევნონ? თანამედროვე აქციონერებს ეს საჭიროდ არ მიაჩნიათ. ეჭვი მეპარება, საერთოდ აინტერესებდეთ, როდის რას ვაკეთებ.

— ისინი ბირჟის სიახლეებს ეცნობიან, — გაიღიმა ტაგარტმა, — იქ კი ყველაფერი მშვენივრად ჩანს, ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, თუკი მათ სათანადოდ დიდხანს შეისწავლი.

— უნდა გითხრა, მოხარული ვარ, რომ გასულ წელს წვეულებებს ადრინდელივით ხშირად არ სტუმრობდი. და ეს შენს საქმეებსაც დაეტყო.

— ვითომ? არა, ჯერ არა.

— მგონი, — თქვა ტაგარტმა ფრთხილი, შემპარავი კითხვის ტონით, — კმაყოფილებას უნდა ვგრძნობდე, ამ მიღებაზე მოსვლა რომ გადაწყვიტე.

— აბა, რას ამბობ. მე, უბრალოდ, არ შემეძლო, არ მოვსულიყავი. მეგონა, ელოდებოდი ჩემს მოსვლას.

— ჰმ... არა, არ ველოდებოდი... უფრო სწორად, იმის თქმა მინდოდა, რომ...

— მაგრამ, შენ ხომ მელოდებოდი, ჯეიმს, აღიარე. ეს დიდებული, ოფიციალური, პრესტიჟული ღონისძიებაა, სადაც შენი მომხრეების დათვლა მიდის, სადაც მსხვერპლი მოდის, რათა აჩვენოს, რა იოლი და უსაფრთხოა მისი განადგურება, ხოლო გამანადგურებლები თავდაუსხმელობისა და სამუდამო მეგობრობის პაქტებს დებენ, რომლებიც მთელ სამ თვეს გრძელდება. ზუსტად არ ვიცი, რომელ ჯგუფს მივეკუთვნები, მაგრამ უსათუოდ უნდა მოვსულიყავი, რომ სათვალავში მეც მოვხვედრილიყავი, ასე არ არის?

— ჯანდაბა, რას ბოდავ? — გაცოფდა ტაგარტი, რადგან შენიშნა, როგორ დაიძაბნენ მათ გარშემო შემოკრებილი ადამიანები.

— ფრთხილად იყავი, ჯეიმს. თუ ცდილობ, თავი მოიკატუნო, თითქოს ვერ მიმიხვდი, შემიძლია, უფრო გასაგებადაც აგიხსნა.

— თუ შენ ფიქრობ, რომ გამართლებულია ასეთი...

— მე ვფიქრობ, რომ ეს სახალისოა. იყო დრო, ადამიანებს ეშინოდათ, რომ ვინმე გამოააშკარავებდა მათი მეგობრებისთვის უცნობ რომელიღაც საიდუმლოებებს.

დღეს ეშინიათ, რომ ვინმე თავის ნამდვილ სახელებს უწოდებს იმას, რაც ყველასთვის ცნობილია. ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, თქვენ, პრაქტიკულო ადამიანებო, რომ საკმარისია, თქვენს საქმიანობას ვინმემ ნამდვილი სახელი დაარქვას, რომ ყველაფერი აფეთქდება — მთელი ეს დიდი, რთული სისტემა, ყველა თავისი კანონითა და იარაღით.

— თუ გგონია, რომ უფლება გაქვს, საქორწინო ზეიმზე მოხვიდე და სტუმრები შეურაცხყო...

— მისმინე, ჯეიმს. მე აქ შენთვის მადლობის სათქმელად მოვედი.

— მადლობის, ჩემთვის?

— რა თქმა უნდა. შენ მე დიდი პატივი მომაგე — შენ და შენმა ბიჭებმა ვაშინგტონიდან და სანტიაგოდან. ოღონდ რატომღაც თავი არავინ შეიწუხა, რომ ამის შესახებ ჩემთვის ეცნობებინათ. ამ დირექტივებმა, რომლებიც ვიღაცამ გამომიგზავნა რამდენიმე თვის წინ, თქვენს ქვეყანაში დაასამარა სპილენძის მთელი წარმოება. შედეგად, ქვეყანა იძულებული გახდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა სპილენძის იმპორტი.

და სად დარჩა ჯერ კიდევ მსოფლიოში სპილენძი, თუ არა „დ'ანკონია კოპერში"? ასე რომ, შენ ხედავ, როგორი კარგი მიზეზი მქონია მადლობის სათქმელად.

— გარწმუნებ, ამასთან არაფერი მესაქმება, — აფორიაქდა ტაგარტი, — თანაც, ამ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები არ საჭიროებს განხილვას და შენს ნართაულებს...

— ვიცი, რასაც საჭიროებენ ისინი, ჯეიმს. ისიც ვიცი, რომ ყველაფერი სანტიაგოს ბიჭებიდან დაიწყო, იმიტომ, რომ მათი სახელები უკვე რამდენიმე საუკუნეა, „დ'ანკონია კოპერის" საგადასახადო უწყისებში იხსენიება. ჰმ, არა, „საგადასახადო უწყისები" მეტისმეტად კეთილშობილური ნათქვამია. უფრო ზუსტი იქნება, ითქვას, რომ რამდენიმე ასწლეულია, „დ'ანკონია კოპერი" მათ თავანს აბარებს — მგონი, ასე უწოდებთ თქვენ, განგსტერები ვაშინგტონში, არა? ჩვენი ბიჭები სანტიაგოში კი ამას „გადასახადებს" ეძახიან. ისინი „დ'ანკონია კოპერის" მიერ გაყიდული ყოველი ტონა სპილენძიდან თავიანთ წილს იღებდნენ. სწორედ ამიტომაც იყვნენ დაინტერესებული, თვალი ედევნებინათ ჩემთვის, რომ მე რაც შეიძლება მეტი სპილენძი გამეყიდა. მაგრამ როცა მსოფლიოში სახალხო რესპუბლიკების აღმოცენება დაიწყო, ამერიკა ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც ადამიანებს არ მოუწევთ, ტყეებში გავიდნენ და ფესვები ამოთხარონ, შიმშილით რომ არ დაიხოცონ — ეს უკანასკნელი გადარჩენილი ბაზარია დედამიწაზე. სანტიაგოს ბიჭებმა ამ ბაზრის მონოპოლიზება მოიწადინეს. არ ვიცი, რას შეჰპირდნენ ისინი ვაშინგტონელ ბიჭებს და ვის რა მიჰყიდეს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენ ამაში მონაწილეობდი, რადგან შენ „დ'ანკონია კოპერის" აქციების ძირითადი პაკეტის მფლობელი გახდი. და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ იმ მშვენიერ დილით, ოთხი თვის წინ, დირექტივების გამოცემიდან მეორე დღეს, როცა დაინახე, როგორ ფანტასტიკურად ავარდა ბირჟაზე ჩემი კომპანიის აქციები, გუნება ნამდვილად არ წაგიხდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ფულმა, უბრალოდ, ტელეტაიპის ლენტიდან შენს სახეზე ისკუპა.

— რა საფუძველი გაქვს, ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებები რომ გააკეთო?

— არავითარი. მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცი. უბრალოდ, ვნახე, როგორ ავარდა აქციების ფასი იმ დილით. ეს კი ყველაფერს ცხადყოფს, ხომ მართალია? ამას გარდა, სანტიაგოელმა ბიჭებმა მეორე დღესვე გაზარდეს გადასახადი სპილენძზე და მითხრეს, რომ წინააღმდეგობა არ უნდა გამეწია — აკი აქციების ფასი ავარდა!

ისინი ჩემივე ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ამბობენ, რომ სადარდებელი არაფერი მაქვს — ჩემი ქონება ხომ გაორმაგდა! და მართალიცაა. მე უფრო გავმდიდრდი.

— ამ ყველაფერს მე რატომ მიყვები?

— რატომ არ გინდა, ეს აღიარო, ჯეიმს? ეს ხომ სცილდება იმ პოლიტიკის ჩარჩოებს, რომლის ასეთ ექსპერტადაც იქეცი? ჩვენს დროში, როცა ადამიანები საკუთარი უფლებების კი არა, ჩაწყობის წყალობით ცხოვრობენ, მადლიერ კაცს ხელს კი არ ჰკრავენ, პირიქით, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ასეთი ადამიანი შეიტყუონ თავიანთ ბადეში. ნუთუ არ გინდა, შენს მოვალეთა სიაში მეც აღმოვჩნდე?

— ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ.

— დაფიქრდი, რა უპირატესობა მხვდა, ისე, რომ თითიც კი არ გამინძრევია. მე არავინ არ მომთათბირებია, არავის არაფერი შეუტყობინებია ჩემთვის, ამაზე ფიქრიც კი არ დამჭირვებია, ყველაფერი ჩემ გარეშე მოაწყვეს, და ერთადერთი, რაც ახლა მევალება — სპილენძი უნდა ვაწარმოო. ეს ძალიან დიდი უპირატესობაა, ჯეიმს, და შეგიძლია, დარწმუნებული იყო — ვალში არ დაგრჩები.

ფრანცისკო პასუხს არ დალოდებია, მკვეთრად მიტრიალდა და იქაურობას გაეცალა. ტაგარტი უკან არ გაჰყოლია; იდგა და გრძნობდა, რომ ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ ეს საუბარი დასრულებულიყო.

როდესაც დაგნისთან მივიდა, ფრანცისკო შეყოვნდა. არ მისალმებია, მხოლოდ მდუმარედ შეხედა მას და გაუღიმა — დარბაზში შესვლისას პირველი, ვინც დაინახა, სწორედ დაგნი იყო.

მიუხედავად შინაგანი ეჭვებისა და სიფრთხილისა, დაგნი მის მიმართ მხოლოდ სიხარულით სავსე ნდობას გრძნობდა. თვითონაც ვერ აეხსნა, რატომ, მაგრამ ხვდებოდა, რომ ფრანცისკო ერთადერთი იყო, ვინც ურყევ უსაფრთხოებას განასახიერებდა. მაგრამ სწორედ იმ წუთს, როდესაც დაგნის სახეზე ღიმილი გაკრთა, რომელიც ამბობდა, რა ბედნიერი იყო ის მისი ნახვით, ფრანცისკომ უთხრა:

— არ გინდა, მომიყვე, რა ბრწყინვალე პერსპექტივები გადაიშალა „ჯონ გოლტის ხაზის“ წინაშე?

დაგნიმ იგრძნო, როგორ აუთრთოლდა და დაეჭიმა ტუჩები, როცა უპასუხა:

— არ უნდა დამენახვებინა შენთვის, რომ ადრინდელივით შესაძლებელია ჩემთვის ტკივილის მოყენება. ძალიან მაკვირვებს შენი ხილვა იქ, სადაც მიღწევები ეზიზღებათ. — მართალია. მე ისე მეზიზღებოდა ეგ ხაზი, რომ არც კი მინდოდა, დამენახა, რა შორს წავიდა ის და რას მიაღწია.

ფრანცისკომ შენიშნა დაგნის ყურადღებიანი მზერა: აზრი, რომელიც ნანგრევში გაღწევის შემდეგ ახალი მიმართულებით მიიწევდა. წუთით დააკვირდა დაგნის, თითქოს უკვე იცოდა მისი თითოეული ნაბიჯი ამ ახალ გზაზე. მერე ჩაიცინა და თქვა:

— არ გინდა, მკითხო, ვინ არის ჯონ გოლტი?

— რატომ უნდა გკითხო და რატომ მაინცდამაინც ახლა?

— არ გახსოვს, როგორ გამოიწვიე, მოსულიყო და თავისი სარკინიგზო გზა მოეთხოვა? აი, მოვიდა კიდევაც.

თავიც არ შეუწუხებია, დაგნისთვის რისხვით, დაბნეულობითა და გაურკვევლობით სავსე თვალებში რომ შეეხედა და იქაურობას გაეცალა.

რიერდენმა საკუთარი სახის კუნთებით გააცნობიერა თავისი რეაქცია ფრანცისკოს გამოჩენაზე: იგრძნო, როგორ გაებადრა და მოუდუნდა სახე, როდესაც ის ამ ბრბოში დაინახა.

მან პირველად იგრძნო კმაყოფილება. ერთი-ორჯერ საკმაოდ დუნედ ინატრა, რომ მოსულიყო. მერე საკუთარ თავს ამაზე ფიქრი აუკრძალა, ბოლოს მტკიცე რწმენა დაეუფლა, რომ ის აუცილებლად მოვიდოდა. და გაუხარდა. ძალიან უნდოდა მისი ნახვა. იყო წუთები, როდესაც უძლურებას გრძნობდა, — თავის სამუშაო მაგიდასთან,

როცა ბინდბუნდში მინავლული სადნობი ღუმლებიდან ამომავალი ალი ბჟუტავდა, ან როდესაც მარტო მიუყვებოდა უკაცრიელ გზას სახლისკენ ან კიდევ უძილო ღამეების მდუმარებაში, — და რიერდენი მოულოდნელად საკუთარ თავს იჭერდა, რომ იმ ერთადერთ ადამიანზე ფიქრობდა, რომელმაც ერთხელ ასე მკაფიოდ გაახმოვანა მისი ყველაზე წმინდა და სანუკვარი ნაფიქრალი.

მან მოგონებები უკუაგდო და თავი დაირწმუნა: ყველაზე ცუდი ის არის, როცა გრძნობ, რომ მართალი არ ხარ, მაგრამ ვერაფრით გაგიგია — რატომ. არც ის გამოჰპარვია, გაზეთს რომ იმიტომ ათვალიერებდა, რომ გაერკვია, ხომ არ ჩამოვიდა ფრანცისკო დ'ანკონია ნიუ-იორკში და გვერდზე მოისროლა, თან ბრაზით დაეკითხა საკუთარ თავს: „და თუ ჩამოვიდა კიდევაც, რა მერე? ღამის კლუბებში დაუწყებ ძებნას თუ კოქტეილის საღამოებზე? ბოლოს და ბოლოს, რა გინდა ამ ადამიანისგან?“

„აი, რა მინდოდა“, — გაიფიქრა რიერდენმა, როცა სტუმრებს შორის ფრანცისკოს მოჰკრა თვალი, — „ეს მოლოდინის უცნაური გრძნობა, ცნობისმოყვარეობასთან, სიხარულთან და იმედთან ნაზავი“.

ასე ჩანდა, რომ ფრანცისკომ ის ვერ შენიშნა. რიერდენი იცდიდა, მასთან მისვლის სურვილს ებრძოდა; „იმ საუბრის მერე“, — ფიქრობდა რიერდენი, — „როგორ უნდა მივიდე, რა უნდა ვუთხრა?“ და უცებ, იმავე სიხარულის ღიმილით, შემსუბუქებული გულით, დარწმუნებულმა, რომ სწორად იქცეოდა, აღმოაჩინა, რომ დარბაზი გადაკვეთა და სტუმრების იმ ჯგუფისკენ გაემართა, რომელიც ფრანცისკო დ'ანკონიას შემოხვეოდა.

როდესაც ამ ადამიანებს შეჰყურებდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, მაინც, რამ მიიზიდა ისინი დ'ანკონიასკენ, რატომღა მოემწყვდიათ ის მჭიდრო წრეში, როდესაც მათ სახეებზე ღიმილს მიღმა აშკარა მტრობა გამოსჭვიოდა. ამ სახეებზე სიფრთხილე უფრო იკითხებოდა, ვიდრე შიში და, ამავე დროს, ბრაზი, ბრაზი მსახურებისა, რომელთაც რაღაც ჰქონდათ დაშავებული. ამ ხალხით გარშემორტყმული ფრანცისკო მარმარილოს ბალუსტრადის კიდეში იდგა, ნახევრად კოლონას მიყრდნობილი, ნახევრად კიბეზე ჩამომჯდარი; ეს არაოფიციალური პოზა მკაცრი კოსტიუმის ფონზე მას უსაზღვროდ ელეგანტურ იერს სძენდა. სახეზე ხაზგასმული უდარდელობა ეფინა და იმ ადამიანივით იღიმებოდა, რომელიც წვეულებით ტკბება, თუმცა მის მზერაში მხიარულების კვალიც კი არ ჩანდა. თვალები, გამაფრთხილებელი სიგნალივით, დაძაბულობასა და გამძაფრებულ ყურადღებას ასხივებდა.

რიერდენს, რომლის მიახლოება ვერავინ შენიშნა, ესმოდა, როგორ ჰკითხა ერთმა ქალმა, ბრილიანტის უზარმაზარი საყურეებითა და დამჭკნარი, ნერვიული სახით:

— სენიორ დ'ანკონია, თქვენი აზრით, რა ელის სამყაროს?

— ზუსტად ის, რასაც იმსახურებს.

— ჰმ, რა სისასტიკეა!

— თქვენ მორალური კანონების ქმედითობის გწამთ, მადამ? — შეეკითხა ფრანცისკო თავაზიანად, — მე მწამს.

რიერდენმა გაიგონა, როგორ უთხრა განაპირას მდგარმა ბერტრამ სკადერმა ერთ აღშფოთებულ გოგონას:

— ნუ მისცემ მას უფლებას, გუნება გაგიფუჭოს; შენ ხომ იცი, რომ ფული ყველა ბოროტების წყაროა ამ სამყაროში, ის კი ფულის ტიპური პროდუქტია.

რიერდენს არ უფიქრია, რომ ფრანცისკომ ამ სიტყვებს ყური მოჰკრა, მაგრამ დაინახა, როგორ მიუტრიალდა ის მათ თავაზიანი, თუმცა პირქუში ღიმილით.

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ფული ბოროტების წყაროა? ოდესმე იმაზე თუ დაფიქრებულხართ, ფულის წყარო რა არის? ფული გაცვლის ინსტრუმენტია, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებს, თუკი პროდუქტი იწარმოება და არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მისი წარმოება შეუძლიათ. ფული მატერიალური გამოხატულებაა იმ პრინციპისა, რომ ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთქმედება ვაჭრობის მეშვეობით და ღირებულების ღირებულებაში გაცვლა. ფული არც მათხოვრების საშუალებაა, რომლებიც თქვენს პროდუქტს თვალცრემლიანნი იხვეწებიან, და არც მძარცველების, რომლებიც მას ძალით გართმევენ. ფულს მხოლოდ ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც რაიმეს ქმნიან. და ამას უწოდებთ თქვენ ბოროტებას?

როცა თქვენ ფულს თქვენი შრომის სანაცვლოდ იღებთ, ამას იმ რწმენით აკეთებთ, რომ მას სხვა ადამიანების შრომის პროდუქტში გაცვლით. ფულს ღირებულებას უსაქმურები და მძარცველები არ ანიჭებენ. ვერც ცრემლების ზღვა, ვერც მთელი მსოფლიოს იარაღი ქაღალდის ნაკუწებს ვერ გადააქცევს თქვენს საფულეში პურად, რომელიც გჭირდებათ, რათა ხვალინდელ დღემდე მიაღწიოთ. ეგ ქაღალდის ნაკუწები, ისევე, როგორც ოქრო, იმ ადამიანების ენერგიას შეიცავს, რომლებიც ღირებულებებს აწარმოებენ. თქვენი საფულე განასახიერებს იმედს, რომ სადღაც, ახლოს, არიან ადამიანები, რომლებიც ერთგულებენ მორალურ პრინციპს, ფულს რომ უდევს საფუძვლად. ამას უწოდებთ თქვენ ბოროტებას?

ოდესმე თუ გიცდიათ, წარმოების საფუძვლისთვის მიგეკვლიათ? შეხედეთ ელექტროგენერატორს და შეეცადეთ, თავი დაირწმუნოთ, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ უგუნური არსებების კუნთებმა შექმნა. სცადეთ, მოიყვანოთ ხორბალი ცოდნის გარეშე, იმ ადამიანებმა რომ დაგვიტოვეს, რომლებმაც პირველებმა მოახერხეს, ამისთვის მიეღწიათ. აბა, სცადეთ, საკვები მხოლოდ ფიზიკური ძალების გამოყენებით მოიპოვოთ და ძალიან მალე მიხვდებით, რომ დედამიწაზე არსებული ყველა ღირებულებისა და ნებისმიერი სიმდიდრის საფუძველი ადამიანის გონებაა.

თქვენ ამტკიცებთ, რომ ფული ძლიერთა მიერ არის შექმნილი, სუსტების ხარჯზე? რომელ ძალას გულისხმობთ? ეს კუნთებისა და იარაღის ძალა არ არის. სიმდიდრე ადამიანის აზროვნების უნარის შედეგია. განა ის ფული, რომელიც იმ ადამიანმა შექმნა, ძრავა რომ გამოიგონა, იმათ ხარჯზეა შექმნილი, ვისაც ძრავა არ გამოუგონებია? ნიჭიერი ადამიანების ფული — უმეცართა ხარჯზე? იმათ მიერ, ვისაც შეუძლია — მათ ხარჯზე, ვისაც არ შეუძლია? ამბიციურთა ფული — ზარმაცების ხარჯზე? ფული, ვიდრე მისი მოპარვა ან მომათხოვრება გახდება შესაძლებელი, ყოველი პატიოსანი ადამიანის შრომით არის შექმნილი, თითოეულის მიერ, მისი შესაძლებლობის შესაბამისად. პატიოსანი ადამიანი ის არის, რომელმაც იცის, რომ მას არ შეუძლია, იმაზე მეტი მოიხმაროს, ვიდრე უწარმოებია.

წარმოება და ვაჭრობა ფულის მოსაპოვებლად — აი, რა არის წესიერი ადამიანების ღირსების კოდი. ფული ეყრდნობა აქსიომას, რომ თითოეული ადამიანი თავისი გონებისა და შრომის ერთპიროვნული და სრულუფლებიანი ბატონია. ფულის დადგენილი წესია, რომ მხოლოდ იმ ადამიანის ცნობიერი არჩევანი განსაზღვრავს მათ ღირებულებას, რომელმაც გადაწყვიტა, თავისი შრომა მოგყიდოთ. ფული გაძლევთ უფლებას, მოიპოვოთ პროდუქტები და შრომა, და მხოლოდ ამდენად აქვს მას ფასი ადამიანებისთვის. ფული მხოლოდ ნებაყოფლობით, ორმხრივი სარგებელისთვის მოწოდებულ პატიოსან გარიგებებს აგვარებს, გამდიდრების მიზნით და არა გაღატაკების. იმის გასაცნობიერებლად, რომ ადამიანები მძიმე

ტვირთის სათრევად დაბადებული ვირები არ არიან, შენ მათ სთავაზობ ღირებულებებს და არა იარებს, რითაც ასაბუთებ, რომ ადამიანებს შორის ბუნებრივი ურთიერთობა პროდუქტების გაცვლაა და არა ტანჯვის გაცვლა.

ფული მოითხოვს, საკუთარი სისუსტე კი არ გაყიდო ადამიანის სისულელეზე, არამედ საკუთარი ტალანტი მათივე საჭიროებებზე. ფული მოითხოვს, უხარისხო პროდუქტი კი არ იყიდო, რომელსაც გთავაზობენ, არამედ საუკეთესო იქიდან, რის საშუალებასაც თქვენი სახსრები მოგცემთ. და როდესაც ადამიანებს შეუძლიათ, თავისუფლად ჩაებან სავაჭრო ურთიერთობებში, სადაც უზენაესი მსაჯული გონებაა და არა ძალა — ეს საუკეთესო პროდუქტია: უმაღლესი შესაძლებლობებით დაჯილდოებული ადამიანი. და ადამიანის პროდუქტიულობის დონე მისი დაჯილდოების დონეს განსაზღვრავს. ეს არის არსებობის აზრი, რომლის ინსტრუმენტი და სიმბოლო ფულია. ამას უწოდებთ თქვენ ბოროტებას?

მაგრამ ფული მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია. ის თქვენ მოგცემთ, რასაც კი მოისურვებთ, მაგრამ ვერ შეგცვლით თვითონ თქვენ, როგორც ადამიანს, რომელიც მიზნისკენ მიემართება. ის დაგიკმაყოფილებთ დღევანდელ სურვილებს, მაგრამ ახალი სურვილებით ვერ უზრუნველგყოფთ. ფული სჯის მათ, ვინც მოიწადინებს, ამოაყირაოს მიზეზობრიობის კანონი — გონება გონების პროდუქტებით შეცვალოს.

ფული ვერ უყიდის ბედნიერებას მას, ვინც თავად არ იცის, რა უნდა: ვისაც არ სურს, იცოდეს, რა არის დასაფასებელი და გაურბის არჩევანს, ფული მას ვერ დაეხმარება ღირებულებათა სისტემის განსაზღვრაში; ბრიყვს ინტელექტს ვერ უყიდის, მხდალს — სიმამაცეს, უვიცს — პატივისცემას; ადამიანი, რომელიც შეეცდება, ფულის დახმარებით იყიდოს ქვეშევრდომთა გონება, იმით დაამთავრებს, რომ სწორედ ამ ქვეშევრდომთა მსხვერპლი გახდება. გონიერი ადამიანები მას გაურბიან, თაღლითები და მატყუარები კი ბუზებივით გარს ეხვევიან, იმ კანონის თანახმად, რომელიც მისთვის გაუგებარია: არავის არ აქვს უფლება, მისი ფული მას აღემატებოდეს.

ამიტომ უწოდებთ ფულს ბოროტებას?

მხოლოდ ის ადამიანი იმსახურებს, მიიღოს მემკვიდრეობა, რომელიც არ სჭირდება, ვისაც თავად შესწევს უნარი, შექმნას სიმდიდრე, იმის მიუხედავად, ნულიდან დაიწყებს თუ არა. თუ მემკვიდრე იმსახურებს თავის ფულს, თუ მემკვიდრე უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ის ქონება, რომელიც მას წილად ხვდა, მაშინ ეს ფული მას ღირსეულ სამსახურს გაუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაანადგურებს. თქვენ კი გაჰყვირით, რომ ფული რყვნის ადამიანს. იქნებ, პირიქით არის? იქნებ, ის თავად რყვნის ფულს? ნუ შეგშურდებათ უმაქნისი მემკვიდრის; მისი სიმდიდრე თქვენ არ გეკუთვნით და რომც მიგეღოთ, უკეთესი მაინც ვერ გახდებოდით. ნუ იფიქრებთ, რომ ის თქვენ შორის უნდა განაწილებულიყო; ორმოცდაათი პარაზიტის წარმოშობა, ერთის ნაცვლად, სიმდიდრეს მხოლოდ და მხოლოდ გაანიავებს. ფული სასიცოცხლო ძალაა, რომელიც ფესვების გარეშე მოკვდება. ფული არ ემსახურება გონებას, რომელიც მისი ღირსი არ არის. ამიტომ უწოდებთ მას ბოროტებას?

ფული თქვენი ხსნაა. ვერდიქტს, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობის წყაროს გამოუტანთ, თქვენივე ცხოვრების წინააღმდეგ მიმართავთ. თუ ეს წყარო წაიბილწება, საკუთარ ცხოვრებას წყევლით. თქვენი ფული უღირსი გზით მიიღეთ? ადამიანური მანკიერებების ან სისულელის წყალობით? სულელების მომსახურებით, მათგან მეტის მიღების იმედით, ვიდრე იმსახურებთ? თქვენი საკუთარი

სტანდარტების დაქვეითებით? იმ სამუშაოს შესრულებით, რომელიც გეზიზღებათ? თუ ასეა, თქვენი ფული ვერ მოგანიჭებთ ბედნიერების ერთ წამსაც კი. ნებისმიერი ნივთი, რომელსაც შეიძენთ, სარგებელს კი არა, ზიანს მოგიტანთ, სირცხვილს და არა სახელს; აი, მაშინ კვლავ აყვირდებით, რომ ფული ბოროტებაა. ბოროტებაა, რადგან გააცამტვერა თქვენდამი პატივისცემა? ბოროტებაა, რადგან მან არ მოგცათ საშუალება, საკუთარი უზნეობით დამტკბარიყავით? ეს არის წყარო, რომლის გამოც ფული გძულთ?

ფული ყოველთვის დარჩება მხოლოდ შედეგად და არასდროს მიზეზს არ შეგიცვლით. ფული — ზნეობის პროდუქტია, მაგრამ ის თქვენ ზნეობრივად არ გაქცევთ და თქვენს მანკიერ მხარეებს ვერ გამოასწორებს; ვერ გამოისყიდის თქვენს ცოდვებს.

ფული ვერ მოგცემთ იმას, რასაც თქვენ არ იმსახურებთ — არც მატერიალურ სამყაროში და არც სულიერ სამყაროში. ამაში ხომ არ უნდა ვეძიოთ ფულისადმი თქვენდამი სიძულვილის ფესვები?

ან, იქნებ თქვენ ამტკიცებთ, რომ თავად ფული კი არა, მისდამი სიყვარულია ყველა ბოროტების წყარო?

გიყვარდეს რაიმე, ნიშნავს, იცოდე და გიყვარდეს მისი არსი. გიყვარდეს ფული, ნიშნავს, იცოდე და გიყვარდეს ის ფაქტი, რომ ფული არის თქვენშივე არსებული იმ საუკეთესო ძალის პირმშო და თქვენივე ნებართვა, გაცვალოთ თქვენი მიღწევები ადამიანთა შორის საუკეთესოთა მიღწევებში. სწორედ ის გაჰყვირის ყველაზე ხმამაღლა ფულის მიმართ თავისი სიძულვილის შესახებ, ვინც ხუთი ცენტისთვის მზადაა, სული გაყიდოს და მას საამისოდ სერიოზული მიზეზი აქვს. ადამიანი, რომელსაც ფული უყვარს, მზად არის, მისი გულისთვის იმუშაოს. მან იცის, რომ მისი დამსახურება შეუძლია.

ნება მომეცით, მიგანიშნოთ ადამიანის ბუნების საიდუმლოზე: ადამიანს, რომელიც ფულს წყევლის, ის უწესო გზით აქვს მოპოვებული; ვინც ფულს პატივს სცემს, მან დაიმსახურა ის.

უკანმოუხედავად გაიქეცით იმ ადამიანისგან, ვინც გეტყვით, რომ ფული ბოროტებაა. ეს სენტენცია კეთროვნის ზარის წკრიალს ჰგავს და ბოროტმოქმედის მოახლოების შესახებ გვაფრთხილებს. ვიდრე ადამიანები დედამიწაზე ერთად ცხოვრობენ, თუ არა ფული, მათი ურთიერთობის ერთადერთი საშუალება იარაღის ლულა გახდება.

მაგრამ ფული თქვენგან უმაღლეს ღირსებებს მოითხოვს, თუ თქვენ მის კეთებას ან შენახვას მოისურვებთ. ადამიანები, ვისაც არ გააჩნიათ სიმამაცე, სიამაყე ან საკუთარი ღირსების შეგრძნება, მათ, ვისაც არა აქვთ მორალური უფლება ფულთან მიმართებით და არ სურთ, ისევე დაიცვან ის, როგორც საკუთარ სიცოცხლეს დაიცავდნენ, რომლებიც ბოდიშს იხდიან თავიანთი სიმდიდრის გამო — კაპიტალს დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ. ისინი ნამდვილი“ სატყუარები ხდებიან მძარცველებისთვის, ყოველთვის სადღაც ჩრდილში რომ იმალებიან და მაშინვე გამოცვივდებიან ხოლმე, როგორც კი იკრავენ იმ ადამიანის სუნს, რომელიც პატიებას ითხოვს იმისთვის, რომ სიმდიდრეს ფლობს. ეს მძარცველები შეეცდებიან მის განთავისუფლებას დანაშაულის განცდისგან — და მისი სიცოცხლისაგანაც, რადგან ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

აი, მაშინ კი დაინახავთ, როგორ გაძლიერდებიან ის ადამიანები, რომლებიც ძალის პრინციპს აღიარებენ, მაგრამ მათი ხელიდან იკვებებიან, ვინც ქმნიან ფულს,

რომელსაც ეს მძარცველები იტაცებენ. მაღალზნეობრივ საზოგადოებაში ესენი ბოროტმოქმედები არიან და კანონები იმისთვის იწერება, რომ მათგან დაგიცვან. მაგრამ, როცა საზოგადოება კრიმინალსა და ძარცვას აკანონებს და ბოროტმოქმედები ძალადობის გზით ეუფლებიან განიარაღებული მსხვერპლის ფულს, მაშინ ფული მათი შემქმნელების შურისმაძიებელი ხდება. ამგვარი მძარცველები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ დაუცველი ადამიანების გაქურდვა უსაფრთხოა, რაკიღა კანონი მათ ემხრობა. მაგრამ ძარცვა-გლეჯით შეძენილი ქონება მაგნიტივით იზიდავს სხვა მძარცველებს, რომლებიც მას ისევე მიიტაცებენ, როგორც წინამორბედი ბოროტმოქმედები. შემდეგ იწყება რბოლა, მაგრამ არა მათ შორის, ვინც ყველაზე საუკეთესოს ქმნის, არამედ ყველაზე ყოჩაღ ქურდბაცაცებს შორის. როცა უმთავრესი კანონი ძალა ხდება, მკვლელი იმარჯვებს ჯიბის ქურდებზე, და მაშინ საზოგადოება ნანგრევებისა და სისხლიანი სასაკლაოს წყვდიადში ქრება.

გინდათ, იცოდეთ, ახლოს არის თუ არა ეს დღე? თვალყური ადევნეთ ფულს. ფული საზოგადოების ზნეობრიობის ბარომეტრია. თუკი დაინახავთ, რომ ვაჭრობა ნებაყოფლობითი ურთიერთშეთანხმების კი არა, ძალდატანების საფუძველზე ხდება; თუ თქვენ ხედავთ, იმისთვის, რომ აწარმოოთ, საჭიროა იმათი ნებართვა, ვისაც არასდროს არაფერი უკეთებია; თუკი ფული ულევად მიედინება მათკენ, ვინც კეთილდღეობას კი არა, პრივილეგიებს ქმნის; თუ თქვენ ხედავთ, რომ წესიერება და პრინციპულობა თვითმკვლელობას უდრის, კორუფცია კი ყვავის — იცოდეთ: თქვენი საზოგადოება განწირულია. ფული კეთილშობილი მატერიაა. ის, რაც არ უპირისპირდება იარაღს, ის არ ებრძვის სისასტიკეს. სწორედ ფული არ დაანებებს ქვეყანას საკუთრების იდეის ნაძარცვის იდეაში აღრევას.

ნებისმიერ ეპოქაში მტარვალები ნგრევას ფულის განადგურებით იწყებდნენ, რადგან სწორედ ფული იყო ადამიანების დამცველი და მათი მორალური არსებობის საფუძველი. მტარვალები იტაცებენ ოქროს და მათ უწინდელ მფლობელებს გაუფასურებული ქაღალდის გროვის ამარა ტოვებდნენ. ისინი ანადგურებდნენ ყველა ობიექტურ სტანდარტს და ადამიანებს იმათი მონობისთვის სწირავდნენ, ვინც თვითნებურად აწესებს ფასეულობებს. ოქრო — ეს ობიექტური ფასეულობაა, შექმნილი დოვლათის ეკვივალენტი. ქაღალდის ფული არარსებული ღირებულებების ანარეკლია, რომელსაც მხოლოდ მათ წინააღმდეგ მიმართული მუქარები უმაგრებს ზურგს, ვინც უარს აცხადებს, შექმნას. ქაღალდის ფული — ეს ჩეკია, რომელსაც ლეგალური ბანდიტები საკუთარ მსხვერპლს გამოუწერენ და რომელიც მათ არ ეკუთვნით, მაგრამ დადგება დღე, როცა ჩეკი უკან დაუბრუნდებათ შტამპით: „თქვენი ანგარიში ამოწურულია!“

თუ თქვენ გადარჩენის საშუალებად ბოროტებას აღიარებთ, ნუღარ ელოდებით, რომ ადამიანები კეთილნი დარჩებიან. ნუღარ დაელოდებით, რომ ისინი ზნეობრივ არსებებად დარჩებიან და სიცოცხლეს მსხვერპლად გაიღებენ უზნეოთა დასაპურებლად. ნუღარ დაელოდებით, რომ ისინი აწარმოებენ მაშინ, როცა წარმოება ისჯება, ძარცვა კი ჯილდოვდება. ნუღარ იკითხავთ, ვინ დაანგრია ეს სამყარო. ის თქვენ დაანგრიეთ.

თქვენ ცხოვრობთ კაცობრიობის უმაღლესი მიღწევების საუკუნეში; ყველაზე პროდუქტიული ცივილიზაციის საუკუნეში მთელი ისტორიის მანძილზე, თქვენ კი გიკვირთ, რატომ ცამტვერდება ყველაფერი გარშემო, როცა მის სასიცოცხლო ძალასა და სისხლს — ფულს წყევლით. ფულს ისევე ზემოდან უყურებთ, როგორც

თქვენამდე მას ველურები უყურებდნენ და ვერ მიმხვდარხართ, რატომ ემსგავსება ჩვენი ქალაქები ჯუნგლებს. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ფულს ყოველთვის იტაცებდნენ ათასი ჯურის ბანდიტები, მათი სახელები იცვლებოდა, მეთოდი კი უცვლელი რჩებოდა: ძალის გამოყენებით წაერთმიათ სიმდიდრე მწარმოებლებისთვის და ბორკილები დაედოთ მათთვის, დაემცირებინათ ისინი, ღირსება და უფლებები აეყარათ ამ ადამიანებისთვის. ეს თქვენი ფრაზა, ასე მაღალფარდოვნად და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქმული იმის შესახებ, რომ ფული ყველა ბოროტების წყაროა, სწორედ იმ დროიდან მოდის, როცა სიმდიდრე იქმნებოდა მონების ხელით, საუკუნეების განმავლობაში რომ იმეორებდნენ ოდესღაც ვიღაცის გონების მიერ გამოგონებულ და ასეული წლობით შეუცვლელ ერთსა და იმავე მოძრაობებს. როდესაც წარმოება ძალას ეფუძნებოდა, სიმდიდრის მოპოვება კი დაპყრობით შეიძლებოდა, კონკურენციისთვის ასპარეზი აღარ რჩებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სტაგნაციისა და შიმშილის საუკუნეებში ადამიანები ქება-დიდებას ასხამდნენ მძარცველებს — მახვილის არისტოკრატებს, წარმოშობით არისტოკრატებს, კალმის არისტოკრატებს და ეზიზღებოდათ მწარმოებლები. მათ მონებს, ვაჭრებსა და საქმოსნებს უწოდებდნენ.

კაცობრიობის მიმქრალი დიდების სასახელოდ, არსებობს პირველი და ერთადერთი ფულის ქვეყანა ისტორიის მანძილზე — და მე არ მომეპოვება უფრო მაღალი და უფრო მოკრძალებული პატივი, რომელსაც ამერიკას მივაგებდი: ეს ადამიანის გონების ქვეყანაა, სამართლიანობის, თავისუფლების, წარმოების, მიღწევების ქვეყანა, სადაც, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანთა გონებამ და ფულმა თავისუფლება მოიპოვა, სადაც ძალადობის გზით მიტაცებული სიმდიდრე კი არა, მხოლოდ გამომუშავებული სიმდიდრე არსებობდა, მახვილით შეიარაღებული მეომრებისა და მონების ნაცვლად პირველად გამოჩნდა სიმდიდრის ჭეშმარიტი შემოქმედი, ადამიანის ყველაზე კეთილშობილი ტიპი — ადამიანი, რომელმაც თავად შექმნა საკუთარი თავი — ამერიკელი მეწარმე.

თქვენ მთხოვთ დავასახელო ამერიკელების ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი, მე ვიტყოდი, — და ეს სხვა ყველაფერს განსაზღვრავს, — ეს არის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში ადამიანებმა გამოიგონეს გამოთქმა: „ფულის კეთება“.

არც ერთ სხვა ენაზე ან ერში არ გაჟღერებულა ამგვარი სიტყვათშეთანხმება მანამდე; ადამიანები სიმდიდრეს ყოველთვის მარადიულ ოდენობად გაიაზრებდნენ: მას მიიტაცებდნენ, მოიმათხოვრებდნენ, მემკვიდრეობით იღებდნენ, ინაწილებდნენ, ძარცვავდნენ ან უპირატესობების გზით მოიხვეჭდნენ. ამერიკელებმა პირველებმა გააცნობიერეს, რომ სიმდიდრეს შექმნა სჭირდება. გამოთქმა „ფულის კეთება“ ადამიანური მორალის კვინტესენციას მოიცავს.

და მაინც, სწორედ ამ სიტყვების გამო კილავენ მძარცველთა გადაგვარებული კულტურების მქონე კონტინენტები ამერიკას. ახლა მძარცველთა კრედო იძულებულს გხდით, თქვენი საკუთარი უმაღლესი მიღწევები ისე გესირცხვილებოდეთ.

თითქოსდა სამარცხვინო დამღა გედოთ; თქვენი კეთილდღეობა დანაშაულად მიგაჩნდეთ; თქვენი საუკეთესო ადამიანები, მრეწველები, ნაძირალებად; თქვენი დიდებული ქარხნები კი მხოლოდ ფიზიკური შრომის პროდუქტად და კუთვნილებად, თითქოს ისინი, ეგვიპტის პირამიდების მსგავსად, უფლებააყრილ, მათრახის ცემით დაშინებულ მონებს შეექმნათ. ამ არამზადებმა, რომლებიც თვითკმაყოფილი

ირონიული ღიმილით ირწმუნებიან, ვითომდა ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავენ დოლარის ძალაუფლებასა და მათრახის ძალაუფლებას შორის, საკუთარ ტყავზე უნდა იწვნიონ ეს მათრახი — და მე ვფიქრობ, რომ ეს გარდაუვალია.

ვიდრე არ გააცნობიერებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ფული სამყაროში არსებული ყოველგვარი სიკეთის საფუძველია, თქვენ საკუთარ თავს გააცამტვერებთ. როდესაც ფული ადამიანებს შორის ურთიერთობის ინსტრუმენტი გახდება, მაშინ ადამიანიც ადამიანის ინსტრუმენტად იქცევა. ამოირჩიეთ: ან სისხლი, მათრახი და იარაღი, ანდა დოლარი. სხვა არჩევანი არ არსებობს, და თქვენი დრო იწურება...

ვიდრე ლაპარაკობდა, ფრანცისკოს ერთხელაც არ გაუხედავს რიერდენისკენ, მაგრამ დაასრულა თუ არა, თვალი თვალში გაუყარა. ჰენკი მდუმარედ იდგა, გაბრაზებული ადამიანებით გარშემორტყმული ფრანცისკოს გარდა, გარშემო ვერავის ხედავდა.

ზოგიერთმა მას მოუსმინა, მაგრამ საჩქაროდ გაეცალა. სხვებმა, ხმამაღლა და თან ერთგვარი სიფრთხილით, თითქოს სურდათ, მათი ნათქვამი ფრანცისკოს კი არა, გვერდით მდგომთ გაეგონათ, წამოიძახეს: „ეს საშინელებაა!“ ან: „ეს სიცრუეა!“ „რა მანკიერი და ეგოისტური განცხადებებია!“

— სენიორ დ'ანკონია, — განაცხადა საყურეებიანმა ქალმა, — მე არ გეთანხმებით!

— თუ თქვენ ჩემი რომელიმე მოსაზრების უარყოფას შეძლებთ, მადამ, მე მადლიერების გრძნობით მოგისმენთ.

— ო, უარყოფას ვერ მოვახერხებ. საპასუხო არაფერი მაქვს, ჩემი გონება ასე არ არის მოწყობილი და მე თქვენს სიტყვებში სიმართლე ვერ ვიგრძენი, ამიტომაც ვიცი, რომ მართალი არ ბრძანდებით.

— მაინც, საიდან იცით ეს?

— მე ამას ვგრძნობ. მე გონებით კი არა, გულით ვხელმძღვანელობ. თქვენ შეიძლება, ლოგიკაში ძლიერი იყოთ, მაგრამ სრულიად უგულო ბრძანდებით.

— მადამ, როცა ვხედავთ, როგორ ხდებათ გარშემო სული შიმშილით ადამიანებს.

თქვენი გული ვერაფერში დაგვეხმარება. მე კი საკმაოდ უგულო გახლავართ და გეუბნებით: როდესაც შეიცხადებთ: „მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი!“, ამას არასოდეს გაპატიებენ.

ქალი გაეცალა, მსუქანი ლოყები უთრთოდა და ხმაგაბზარული ბურტყუნებდა:

— რა სულელური ლაპარაკია წვეულებისთვის!

თვალებგადმოკარკლულმა ზორბა მამაკაცმა ნაძალადევი მხიარულების ტონით, დაიმედებულმა, რომ მისი ნათქვამი უსიამოვნოდ არ გაისმებოდა, ხმამაღლა განაცხადა:

— თუკი მართლაც ასეთი დამოკიდებულება გაქვთ ფულის მიმართ, სენიორ, მოხარული ვარ, რომ მნიშვნელოვან პაკეტს ვფლობ „დ'ანკონია კოპერში“.

ფრანცისკომ პირქუშად უპასუხა:

— გირჩევთ, კარგად დაფიქრდეთ, სერ.

— რიერდენი ფრანცისკოსკენ გაემართა, რომელიც გეგონებოდა, მის მხარეს არც კი იხედებოდა, მაგრამ მაშინვე გამოეშურა მის შესახვედრად, თითქოს გარშემო მათ გარდა არავინ იყო.

— სალამი, — ღიმილით უთხრა რიერდენმა, მსუბუქად და მარტივად, როგორც ბავშვობის მეგობარს; მან დაინახა, როგორ აისახა მისი ღიმილი ფრანცისკოს სახეზე.

— სალამი!

— თქვენთან ლაპარაკი მინდა.

— და მე ვისთან ვლაპარაკობდი, თქვენი აზრით, ბოლო თხუთმეტი წუთი?

რიერდენს ჩაეცინა:

— მე კი მეგონა, ვერ შემამჩნიეთ.

— როცა შემოვედი, შევამჩნიე, რომ თქვენ ერთ-ერთი იყავით იმ ორიდან, ვისაც ჩემი დანახვა გაუხარდა.

— მეტისმეტად თავდაჯერებული ხომ არ ხართ?

— არა — მადლიერი.

— ვინ იყო მეორე, ვისაც თქვენი დანახვა გაუხარდა?

ფრანცისკომ მხრები აიჩეჩა და მსუბუქად თქვა:

— ქალი.

რიერდენმა შენიშნა, რომ ფრანცისკომ ისე ბუნებრივად გააცილა ის ბალუსტრადასთან თავმოყრილი ადამიანების ჯგუფს, რომ ვერავინ მიხვდა, ეს თუ განზრახ გააკეთა. — არ ველოდი აქ თქვენს ნახვას უთხრა ფრანცისკომ, — ამ ქორწილზე არ უნდა მოსულიყავით.

— რატომ?

— შემიძლია, ვიკითხო, რამ გაიძულათ აქ მოსვლა?

— ჩემს ცოლს უნდოდა ძალიან, მოპატიჟება მიეღო.

— მაპატიეთ, შესაძლოა, უხეშად ჟღერდეს, მაგრამ გაცილებით წესიერი და უსაფრთხო იქნებოდა, საროსკიპოებში ექსკურსიაზე წაყვანა რომ ეთხოვა თქვენთვის.

— რომელ საფრთხეებს გულისხმობთ?

— მისტერ რიერდენ, თქვენ არ იცით, ეს პუბლიკა როგორ აკეთებს საქმეებს და როგორ ახსნიან ისინი თქვენს აქ ყოფნას. თქვენი წესების მიხედვით, ისარგებლო ადამიანის სტუმართმოყვარეობით, ნიშნავს, კეთილი ნება გამოავლინო და აღიარო, რომ ცივილიზებული ურთიერთობა გაკავშირებს მასპინძელთან, მაგრამ ამ ადამიანებს სხვაგვარი წესები აქვთ. ნუ გადაუგდებთ მათ ამგვარ საკბილოს.

— მაშინ, თქვენ რატომ მოხვედით აქ?

ფრანცისკომ მხიარულად აიჩეჩა მხრები:

— მე რას ვაკეთებ, მნიშვნელობა არ აქვს. მე ხომ ყველა წვეულებაზე დავყიალებ, — და ამ წვეულებაზე რას აკეთებთ?

— ნადავლს ვეძებ.

— იპოვეთ რამე?

ფრანცისკოს სახემ მოულოდნელად სერიოზული გამომეტყველება მიიღო და სერიოზულადვე, ლამის საზეიმოდ წარმოთქვა:

— დიახ, და ვფიქრობ, ის ჩემი უბრწყინვალესი გამარჯვება იქნება.

რიერდენს უნებლიე ბრაზით წამოსცდა, საყვედურით კი არა, უფრო სასოწარკვეთით:

— როგორ შეგიძლიათ, ასეთ რამეებზე დახურდავდეთ?

ფრანცისკოს თვალებში ღიმილის მსუბუქმა ჩრდილმა გაიელვა, შორეული სინათლესავით, როდესაც შეეკითხა:

— იქნებ, აღიაროთ, რომ თქვენ ეს გადარდებთ?

— უარეს აღიარებასაც მოისმენთ, თუკი მოისურვებთ. ვიდრე გაგიცნობდით, სულ მიკვირდა, როგორ გაატანეთ ქარს ასეთი ქონება. ახლა კიდევ უფრო უარესია,

აღარ შემიძლია, ადრინდელივით მძულდეთ, კითხვა კი გაცილებით დამძიმდა: როგორ შეგიძლიათ ისეთი გონების ფუჭად გაფლანგვა, როგორიც თქვენ გაქვთ?

— რაღაც არ მგონია, სწორედ ახლა მას მაინცდამაინც ფუჭად ვფლანგავდე.

— მე არ ვიცი, არსებობს თუ რაიმე ისეთი თქვენს ცხოვრებაში, რასაც ცოტათი მაინც აფასებთ, მაგრამ მინდა, გითხრათ ის, რაც არასდროს არავისთვის არ მითქვამს. გახსოვთ, როცა პირველად შეგხვდით, თქვენ მითხარით, რომ გსურდათ, სიკეთით გადაგეხადათ ჩემთვის?

ფრანცისკოს თვალებში მხიარულების ნიშანწყალიც კი აღარ იყო. რიერდენს ადრე არასდროს შეუმჩნევია მისთვის ასეთი სერიოზული და მოწიწებული მზერა.

— დიახ, მისტერ რიერდენ, — ჩუმად წარმოთქვა ფრანცისკომ.

— მე გითხარით, რომ მადლიერებას არ ვსაჭიროებდი და ამით შეურაცხგყავით. კეთილი, თქვენ გაიმარჯვეთ. სიტყვა, რომელიც დღეს წარმოთქვით, მე მეძღვნებოდა, ასეა? — დიახ, მისტერ რიერდენ.

— ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მადლიერება, და მე ის მჭირდებოდა; ეს მადლიერებაზე მეტი იყო და მე ესეც ძალიან მჭირდებოდა; უფრო მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერი სიტყვები. დღეები გაივლის, ვიდრე გავიაზრებ, რა მომეცით თქვენ მე, მაგრამ ერთი კი უკვე ახლავე ვიცი: მე ეს მჭირდება. დღეს ამას პირველად ვაღიარებ, რადგან არასდროს არავისთვის არ მითხოვია დახმარება. თუ ეს რამდენადმე გაგართობთ, იცოდეთ: მე გამიხარდა თქვენი ნახვა. თუ გსურთ, შეგიძლიათ, იცინოთ ამაზე.

— შესაძლოა, ამას რამდენიმე წელი დასჭირდეს, მაგრამ მე დაგიმტკიცებთ, რომ ისეთი რამეებიც არსებობს, რაზედაც არასოდეს ვიცინი.

— მაშინ, ეს ახლავე დამიმტკიცეთ, ერთ კითხვაზე მიპასუხეთ: თავად რატომ არ ცხოვრობთ იმ ფასეულობების მიხედვით, რომლებსაც ქადაგებთ?

— დარწმუნებული ხართ, რომ ასეა?

— თუკი ის, რაც თქვით, სიმართლეა, თუ ამდენად დიდი ადამიანი ხართ, რომ ამის გაგება — შეგიძლიათ, თქვენ დღეს უკვე მსოფლიოს უდიდესი მეწარმე უნდა იყოთ.

ფრანცისკომ მას ისევე პირქუშად უპასუხა, როგორც იმ ზორბა მამაკაცს, თუმცა უცნაური მზრუნველობის ნოტით ხმაში:

— გირჩევთ, ორჯერ დაფიქრდეთ, მისტერ რიერდენ.

— თქვენზე იმაზე მეტს ვფიქრობდი, ვიდრე შემიძლია ვაღიარო. და პასუხს ვერ მივაგენი.

— ნება მომეცით, მიგანიშნოთ: თუ ის ყველაფერი, რასაც მე ვამბობდი, სიმართლეა, ვინ არის ამ დარბაზში ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი?

— ჩემი ვარაუდით — ჯეიმს ტაგარტი.

— არა, მისტერ რიერდენ, ჯეიმს ტაგარტი არა. მაგრამ თქვენ თავად შეგიძლიათ, დააზუსტოთ დანაშაული და დამნაშავე დაასახელოთ.

— რამდენიმე წლის წინ მე ვიტყოდი, რომ ეს თქვენ ხართ. მე დღესაც მგონია, რომ ასე უნდა გიპასუხოთ. მაგრამ ახლა თითქმის ვეთანხმები იმ სულელ ქალს, რომელიც შეგეკამათათ: გული მიგრძნობს, რომ შენ დამნაშავე ხარ — და მაინც ვერ დამიჯერებია ეს.

— თქვენ იმავე შეცდომას უშვებთ, როგორსაც ის სულელი ქალი, მისტერ რიერდენ, მხოლოდ უფრო კეთილშობილური ფორმით.

— რას გულისხმობთ?

— მე ვგულისხმობ არა მხოლოდ თქვენს შეხედულებას ჩემ შესახებ. ის ქალი და მისნაირები სიკეთეზე ფიქრს გაურბიან. თქვენ კი ცდილობთ, ის აზრები განდევნოთ, რომლებიც თქვენი რწმენით, ბოროტებაა. ისინი ასე იმიტომ იქცევიან, რომ გარჯა არ სურთ. თქვენ კი ასე იმიტომ იქცევით, რომ საკუთარ თავს არ ინდობთ.

ისინი თავიანთ ემოციებს ნებისმიერ ფასად წაახალისებენ. თქვენ კი პირველივე შემთხვევისთანავე თქვენი გრძნობები სამსხვერპლოზე მიგაქვთ. მათ არაფრის მოთმენა არ ნებავთ. თქვენ კი მზად ხართ, ყველაფერი მოითმინოთ. ისინი პასუხისმგებლობას გაურბიან. თქვენ კი პირიქით, მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებთ. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ შეცდომა არსებითად ერთი და იგივეა?

ყოველი თქვენი უარი, აღიაროთ რეალობა, საშინელ შედეგებს გამოიწვევს. არ არსებობს ბოროტი აზრები, ერთის — აზროვნებაზე უარის თქმის გარდა. არ უგულებელყოთ თქვენი სურვილები, მისტერ რიერდენ. ნუ შესწირავთ მათ მსხვერპლად.

გამოიკვლიეთ მათი მიზეზები. თქვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

— საიდან შეიტყვეთ ეს ყველაფერი ჩემ შესახებ?

— ოდესღაც მე თვითონ ვუშვებდი იმავე შეცდომებს. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

— მეც ვუსურვებდი საკუთარ თავს... — დაიწყო რიერდენმა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. ფრანცისკოს გაეღიმა:

— გეშინიათ, გსურდეთ, მისტერ რიერდენ?

— მინდა, თავს უფლება მივცე, ისეთი პატივისცემით მოგეპყრო, როგორიც კი შესაძლებელია.

— მე... — ფრანცისკო გაჩუმდა. რიერდენმა მის მზერაში წაიკითხა გრძნობა, რომლის ახსნა არ შეეძლო, თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ტკივილი იყო; მან პირველად შენიშნა, რომ ფრანცისკო ყოყმანობდა.

— მისტერ რიერდენ, თქვენ თუ ფლობთ დ'ანკონია კოპერის“ აქციებს?

— არა, — უპასუხა დაბნეულმა რიერდენმა.

— როდესაც ყველაფერს შეიტყობთ, მიხვდებით, სწორედ ახლა რა მუხანათობას ჩავდივარ, მაგრამ... არასდროს არ შეიძინოთ „დ'ანკონია კოპერის“ აქციები. არასოდეს დაიჭიროთ საქმე „დ'ანკონია კოპერთან“.

— რატომ?

— როცა ყოველივეს შეიტყობთ, მიხვდებით, არსებობს თუ არა რაიმე ან ვინმე ღირებული და მნიშვნელოვანი ჩემთვის ამქვეყნად, და რამდენად ღირებულია ეს რაიმე... თუ ვინმე ჩემთვის.

რიერდენი მოიღუშა: რაღაც გაახსენდა.

— მე საქმეს არასოდეს არ დავიჭერ თქვენს კომპანიასთან. თქვენ არ ლაპარაკობდით ორმაგი სტანდარტების შესახებ? განა თქვენ არ ხართ ერთ-ერთი იმ ბანდიტთაგან, რომელიც სწორედ ახლა გამდიდრდა, ამ დირექტივების წყალობით?

რატომღაც მისმა სიტყვებმა ფრანცისკო არ შეურაცხყო. მის სახეს წინანდელი სიმტკიცე დაუბრუნდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მე გამოვთხოვე ამ გამომძალველ-დამგეგმავებს ეგ დირექტივები?

— თქვენ თუ არა, მაშინ სხვამ ვინ?

— ჩემმა მუქთამჭამელებმა.

— თქვენი თანხმობის გარეშე?

— ჩემთან შეუთანხმებლად.

— მრცხვენია, გამოგიტყდეთ, როგორ მინდა, დაგიჯეროთ — მაგრამ ახლა ამის დამტკიცება შეუძლებელია.

— ასე ფიქრობთ? მე ამას უახლოეს თხუთმეტ წუთში დაგიმტკიცებთ.

— როგორ? ფაქტი ის არის, რომ მაგ დირექტივების წყალობით თქვენ ყველაზე მეტად იხეირეთ.

— ეს მართლაც ასეა. მე იმაზე მეტი მოვიგე, ვიდრე მისტერ მაუჩი და მისი ბანდა წარმოიდგენდა. ჩემი მრავალწლიანი შრომის შემდეგ, მათ ზუსტად ის შანსი ჩამიგდეს ხელში, რომელიც ასე მჭირდებოდა.

— ტრაბახობთ?

— სწორედაც! — რიერდენი გაოგნებული შეჰყურებდა, მაგრამ ფრანცისკოს თვალები უელავდა, ეს უსაქმური დარდიმანდის მზერა კი არა, საქმის კაცის მზერა იყო, — მისტერ რიერდენ, თქვენ თუ იცით, ამ ახალი არისტოკრატების უმეტესობამ სად შეინახა თავისი გადამალული ფული? იცით, სად დააბანდეს ამ „თანაბარი წილის“ სვავებმა რიერდენ მეტალისგან მიღებული მოგების უდიდესი ნაწილი?

— არა, მაგრამ...

— „დ'ანკონია კოპერის“ აქციებში. უსაფრთხოდ — ქვეყნის საზღვრებს მიღმა.

„დ'ანკონია კოპერი“ ძველი, ურყევი კომპანიაა... ისეთი მდიდარი, რომ კიდევ სამსაუკუნოვან ძარცვას გაუძლებს. მას დეკადენტი პლეიბოი მართავს, რომელსაც ყველაფრისთვის მიუფურთხებია, რომელიც მათ ნებას აძლევს, მისი საკუთრება ისე გამოიყენონ, როგორც ესიამოვნებათ და ძველებურად განაგრძობს მათთვის ფულს კეთებას — ავტომატურად, როგორც მისი წინაპრები აკეთებდნენ. აბა, უკეთესი რა შეიძლება იყოს ამ მძარცველებისთვის, მისტერ რიერდენ? ოღონდ, ეგაა, მათ ერთი, ერთადერთი დეტალი გამორჩათ.

რიერდენი დაჟინებით შეჰყურებდა.

— რის მინიშნებას ცდილობთ?

ფრანცისკომ მოულოდნელად გადაიხარხარა:

— იმ ხალხს ცუდი დღე დაადგება, ვინც რიერდენ მეტალით ხეირობს. თქვენ ხომ არ გსურთ, ამ ადამიანებმა დაკარგონ ფული, რომელიც თქვენ მათთვის გამოიმუშავეთ, არა, მისტერ რიერდენ? მაგრამ სამყაროში კატასტროფებიც ხდება — ხომ გსმენიათ, როგორ ამბობენ: ადამიანი მხოლოდ სათამაშოა სტიქიის ხელში. დავუშვათ, ხვალ დილით „დ'ანკონია კოპერის“ ვალპარაისოს მაღაროს ნავმისადგომებში ხანძარი გაჩნდეს, ხანძარი, რომელიც მიწასთან გაასწორებს ყველაფერს, მათ შორის საპორტო ნაგებობების ნახევარსაც. ახლა რომელი საათია, მისტერ რიერდენ? ჰმ, როგორც ჩანს, დრო ამერია. ხვალ, ნაშუადღევს, დ'ანკონიას ორანოს მაღაროებში მეწყერი ჩამოწვება — მსხვერპლი არ იქნება, არც ნგრევა, მხოლოდ თავად მაღაროები განადგურდება. გამოირკვევა, რომ ეს მაღაროები ისედაც განწირული იყო მრავალთვიანი არასწორი ექსპლოატაციის გამო — აბა, სხვას რას უნდა ელოდო პლეიბოი მენეჯერისგან? სპილენძის უზარმაზარი მარაგი მრავალტონიანი მთის ქანების ქვეშ დაიმარხება, საიდანაც მადანს თავად სებასტიან დ'ანკონიაც კი ვერ მოიპოვებდა უახლოესი სამი წელი — სახალხო რესპუბლიკას რაც შეეხება, ის ვერც ვერასოდეს მოიპოვებს. როცა აქციონერები ვითარებაში გარკვევას შეეცდებიან, აღმოაჩენენ, რომ კამპოსის, სან ფელიქსის, ლას ჰერასის მაღაროებში

ზუსტად ასეთივე სქემით მუშაობენ და სულ რაღაც ერთ წელიწადში ისინი გროშიც არ ეღირება.

უბრალოდ, პლეიბოიმ ბუღალტერია გააყალბა და ეს პრესას დაუმალა. გითხრათ, რა დახვდებათ მათ დ'ანკონიას ქარხნებში? ან რას შეიტყობენ ფლოტილიის შესახებ, რომელსაც მეტალი გადააქვს? მაგრამ ყველა ეს აღმოჩენა აქციონერებს სიკეთეს არ მოუტანს, რამეთუ „დ'ანკონია კოპერის“ აქციები ხვალ დილისთვის კატასტროფულად დაეცემა და დაიმსხვრევა, როგორც ბეტონის კედელს მინარცხებული ელექტრონათურა, როგორც სწრაფი ლიფტი, რომელიც თავისი მგზავრებიანად უდიდესი სიმაღლიდან მოწყდება!

ფრანცისკოს მოზეიმე ხმას რიერდენის ხმამაღალი ხარხარი შეუერთდა.

რიერდენს არ ახსოვდა, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მომეტი: მან თითქოს სხვა რეალობაში გადაინაცვლა, მომდევნო დარტყმამ კი ისევ უკან დააბრუნა. როდესაც გონს მოეგო, სწორედ ისე, როგორც ნარკოტიკის ზემოქმედების მერე გამოერკვევიან ხოლმე, ერთადერთ რამეს გრძნობდა — აბსოლუტურ, უკიდეგანო თავისუფლებას, ადრე რომ არასოდეს განუცდია. „სწორედ ისე, როგორიც მაშინ, უაიატის ნავთობსაბადოები რომ იწვოდა“, — გაიფიქრა მან.

უცებ გააცნობიერა, რომ უკან დაეხია ფრანცისკოსგან, რომელიც უკვე კარგა ხანი იყო, დაჟინებით მისჩერებოდა მას.

— არ არსებობს ბოროტი აზრები, მისტერ რიერდენ, — უთხრა ფრანცისკომ რბილად, — ერთადერთის — აზროვნებაზე უარის თქმის გარდა.

— არა, — თქვა რიერდენმა, ლამის ჩურჩულებდა, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ეყვირა, — არა... თუ ეს ეს არის გასაღები, რომელიც თქვენ მოგერგებათ, ჩემგან აპლოდისმენტებს ნუ ელით... თქვენ არ გეყოთ ძალა, მათ შებრძოლებოდით... თქვენ ყველაზე იოლი და ყველაზე მანკიერი გზა აირჩიეთ... შეგნებული განადგურება...

განადგურება იმ მიღწევისა, რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ და რასთან შეჯიბრებასაც ვერ ახერხებთ...

— თქვენ ამის შესახებ ხვალინდელ გაზეთებში ვერაფერს ამოიკითხავთ. არავითარი შეგნებული განადგურება — ყველაფერი ბანალური, გასაგები და დადასტურებული არაკომპეტენტურობის შედეგი იქნება. არაკომპეტენტურობის გამო დღეს არავის სჯიან, ასე არ არის? ბიჭებმა ბუენოს-აირესიდან და სანტიაგოდან შესაძლოა, სუბსიდიების შემოჩეჩება მოინდომონ ჩემთვის — ნუგეშისცემისა და დაჯილდოების მიზნით. „დ'ანკონია კოპერის“ სოლიდური ნაწილი მაინც გადარჩება, თუმცა უფრო მეტი მოუსავლეთში გადაინაცვლებს. ვერავინ იტყვის, რომ მე ეს განზრახ გავაკეთე. თქვენ კი რაც გინდათ, ის იფიქრეთ.

— მე ვფიქრობ, თქვენ ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი ხართ აქ მყოფთა შორის, — მშვიდად, დაღლილი ხმით უთხრა რიერდენმა; ბრაზიც კი უკვალოდ გაუქრა; ვერაფერს გრძნობდა, სიცარიელის გარდა, რომელიც მისი უდიდესი იმედის დაღუპვას მოჰყვა, — მე მგონი, თქვენ იმაზე უარესიც კი ხართ, ვიდრე ვფიქრობდი...

ფრანცისკომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ უცნაურად იღიმოდა, უშფოთველად, როგორღაც სანახევროდ, ტკივილზე გამარჯვებული კაცის სიმშვიდით.

ჩამოწოლილმა სიჩუმემ მათ იქვე, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მდგარი ორი მამაკაცის საუბრის მოსმენის საშუალება მისცა და ისინიც მოსაუბრეებისკენ შეტრიალდნენ.

ჩაფსკვნილი, ხნიერი მამაკაცი აშკარად კეთილსინდისიერ ბიზნესმენთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მისი მისი ოფიციალური კოსტიუმი, უდავოდ მაღალი

ხარისხის, ასე ოცი წლის წინ მაინც იქნებოდა შეკერილი და ნაკერებში უკვე ფერი ეცვალა, თუმცა პატრონს მისი ჩაცმა აშკარად არც ისე ხშირად უწევდა. პერანგის მეტისმეტად დიდი საკინძეების ზომა ცხადად მიანიშნებდა, რომ ეს ახირებული, ოდინდელი ხელნაკეთობა უდავოდ მემკვიდრეობით გადმოცემული საგვარეულო რელიკვიის ნაწილი იყო და ბიზნესთან ერთად რგებოდა მის მფლობელს წინაპრებისგან. მამაკაცს ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც ამ დროში წესიერებაზე მიანიშნებდა — შეცბუნებული გამომეტყველება აღბეჭდვოდა. ის თანამოსაუბრეს შეჰყურებდა და კეთილსინდისიერად და უიმედოდ ცდილობდა, როგორმე ჩასწვდომოდა მისი ნათქვამის აზრს.

მისი გაწკეპილი თანამოსაუბრე შედარებით ახალგაზრდა იყო და უფრო ტანსრული, წინ გამოზნექილი მკერდით და წვრილი ულვაშებით, მოწყალედ და გაბეზრებული იერით ელაპარაკებოდა.

— აბა, რა ვიცი, ვისაც კი მოგება ცოტათი შეუმცირდა, ყველა ფასების მომატებაზე წუწუნებს. ახლა ყველას ეს აკერია პირზე. არ ვიცი, ვნახოთ, უნდა გადავწყვიტოთ, მოგცეთ თუ არა ნება, ცოტა მოიგოთ.

რიერდენმა ფრანცისკოს შეხედა და დაინახა სახე, რომელმაც სრულიად დაამსხვრია მისი წარმოდგენები იმის თაობაზე, რა შეიძლება დამართოს ადამიანს ძლიერმა გრძნობამ: უფრო დაუნდობელი გამომეტყველება ცხოვრებაში არ ენახა. რიერდენი ყოველთვის სასტიკად თვლიდა საკუთარ თავს, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენდა, რამდენად ჩამორჩებოდა ამ გამძვინვარებულ, შეუბრალებელ კაცს, რომელიც მკვდარი იყო ყველა გრძნობისთვის, სამართლიანობის გამო. რა მნიშვნელობა აქვს, რითია ეს ადამიანი გამსჭვალული, — გაიფიქრა რიერდენმა, — ვისაც ასეთი გრძნობების განცდა შეუძლია, უკვე ტიტანია.

ეს მხოლოდ წამით გაგრძელდა. ფრანცისკოს სახეს გულგრილი გამომეტყველება დაუბრუნდა, ხმას — სიმშვიდე:

— გადავიფიქრე, მისტერ რიერდენ. მოხარული ვარ, რომ ამ წვეულებაზე მოხვედით. მინდა, ეს საკუთარი თვალით იხილოთ.

მერე კი მოულოდნელად ხმას აუწია და მხიარული, სრულიად უპასუხისმგებლო ადამიანის უდარდელი ტონით თქვა:

— ხელს ხომ ვერ გამიმართავდით, მისტერ რიერდენ? ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. აუცილებლად უნდა ვიშოვო რაღაც თანხა, დღესვე, ვიდრე საფონდო ბირჟა გაიღებოდეს, იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში...

მეტის თქმა აღარ დასჭირვებია, რადგან სწორედ ის მსუქანა და ულვაშებიანი კაცი იმწამსვე ხელში ჩაებღაუჭა.

რიერდენი თვალებს არ უჯერებდა, რომ ადამიანს შეეძლო, ასე წამში შეეცვალა გაბარიტები, მაგრამ მან ცხადად დაინახა, როგორ დაპატარავდა წონაშიც და მოცულობაშიც ეს კაცი, ფორმები ისე შეეკუმშა, თითქოს ჰაერი გამოტუმბესო. მედიდური დესპოტი მოულოდნელად საცოდავ არარაობად გადაიქცა:

— რა... რაიმე მოხდა, მისტერ დ'ანკონია? მე ვგულისხმობ... ბირჟაზე?

ფრანცისკომ შიშით მიიდო საჩვენებელი თითი ტუჩებზე.

— ჩუმად, — შეშინებულმა ჩაიჩურჩულა მან, — თუ ღმერთი გწამთ, ჩუმად!

მსუქანა ცახცახებდა:

— რაიმე ისე არ არის?

— თქვენ შემთხვევით „დ'ანკონია კოპერის“ აქციონერი ხომ არ ბრძანდებით?

მამაკაცმა პასუხად მხოლოდ თავი დაუქნია, ენა ჩაუვარდა.

— ოჰ, ღმერთო, საქმე ცუდადაა! კეთილი, მომისმინეთ, გეტყვით, თუ პატიოსან სიტყვას მომცემთ, რომ არავის მოუყვებით. თქვენ ხომ არ გინდათ, პანიკა ატყდეს, — უთხრა ფრანცისკომ.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ... — ლამის სული შეეხუთა მამაკაცს.

— მაშინ გაიქეცით, რაც შეიძლება ჩქარა დაუკავშირდით თქვენს ბროკერს და სასწრაფოდ დაიწყეთ აქციების გაყიდვა, წუთი არ დაკარგოთ, რადგან „დ'ანკონია კოპერის“ საქმეები არც ისე კარგად მიდის. მე ვცდილობ, ფული ვიშოვო, მაგრამ თუ არაფერი არ გამომივიდა, ხვალ დილისთვის უკვე ბედის მადლობელი იყავით, თუ დოლარიდან ათ ცენტს მაინც მიიღებთ... ოჰ, სულ დამავიწყდა, რომ ბროკერს ხვალ დილამდე ვერ დაუკავშირდებით — რას იზამთ, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ...

მსუქანა უკვე დარბაზში მიქროდა, თან მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას, თითქოს ბრბოში ტორპედო გაუშვესო.

— უყურეთ — მწარედ თქვა ფრანცისკომ და რიერდენს მიუბრუნდა.

მამაკაცი ბრბოში ჩაიკარგა, თვალთახედვიდან გაქრა, ძნელი გასაგები იყო, გაამხილა თუ არა მან თავისი საიდუმლო ან საკმარისად მზაკვარი აღმოჩნდა თუ არა, რომ მოესწრო და ვინმეს გარიგებოდა, მაგრამ მის ფეხდაფეხ მღელვარების კერები წარმოიქმნა. ბრბო უცაბედმა ნაპრალებმა გააპო, თითქოს ყინული დასკდა, თითქოს ჩამოსაქცევად გამზადებული კედელი დაიბზარა, ეს ბზარები დაიტოტა და შიშის დაუნდობელი ქარიშხლის ამოვარდნამ დაცარიელებული კუნძულები გააჩინა.

უეცრად გაისმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი წამოყვირებები, გაჩნდა მოულოდნელი პაუზები, მერე სხვაგვარი ხმები: ისტერიკული მონოტონურობით გამეორებული შეკითხვების მზარდი ტალღა, არაბუნებრივი გადაჩურჩულებები, ქალების შეკივლება, რამდენჯერმე — იმათი ნაძალადევი ხანმოკლე სიცილი, ვინც ჯერ კიდევ ცდილობდა, თავი მოეჩვენებინა, ვითომ არაფერი მომხდარა.

ბრბოს ამ ორომტრიალში გაქვავებული, თითქოსდა პარალიზებული უბნებიც შეიმჩნეოდა; არაბუნებრივი სიჩუმე ჩამოწვა, გეგონებოდა, მოგრუხუნე ძრავა გამოირთო; შემდეგ თითქოს გრავიტაციის ბრმა ძალის ზემოქმედებით, მთის წვერიდან მძვინვარე, უწესრიგო, უმიზნო და უმართავ ნაკადად ჩამოშვავდა ქვების უზარმაზარი ტალღა:

ადამიანები დარბოდნენ, ტელეფონს ესეოდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ, ვინ ვის ებღაუჭებოდა, ვინ ვის — პირიქით, გაურბოდა. ქვეყნის ყველაზე ძლევამოსილი ადამიანები, რომლებიც არც ერთ ხელისუფლებას არ ექვემდებარებოდნენ, რომელთაც ხელთ ეპყრათ ამ ქვეყნის მოქალაქეების დოვლათი და ყველა სიამოვნება, ახლა პანიკას მზიდი კედლის ჩამონგრევის შედეგად ჩამოყრილი ღორღის გორად ექცია.

ჯეიმს ტაგარტმა, რომელსაც სახეზე ცხადად ეხატა ყველა ის ემოცია, რომელთა დაფარვასაც ასწლეულების მანძილზე ასწავლიდნენ ადამიანებს, ფრანცისკოსთან მიირბინა და შეჰყვირა:

— ეს მართალია?

— რა ხდება, ჯეიმს? — ღიმილით ჰკითხა ფრანცისკომ, — ასე რამ აგაღელვა?

ფული ყველა ბოროტების წყაროა ამ სამყაროში, მე კი, უბრალოდ, დავიღალე, ბოროტი ვიყო.

ტაგარტი მთავარი გასასვლელისკენ გაქანდა, გზად ორენ ბოილს რაღაცას უყვიროდა. ბოილმა თავი დაუქნია და ერთხანს კიდევ ასე უკრავდა თავს უგერგილო მსახურის მორჩილებითა და უდრტვინველობით, შემდეგ ისარივით გაფრინდა

საწინააღმდეგო მიმართულებით. შერილი ბროლის ღრუბელივით მოლივლივე საპატარძლო მანდილის ფრიალით ტაგარტს კარებთან დაეწია:

— ჯიმ, რა მოხდა?

ტაგარტმა მას ხელი ჰკრა და გაიქცა. შერილი პოლ ლარკინს გადაემხო.

დარბაზში მხოლოდ სამი ადამიანი იდგა კოლონებივით გაქვავებული, მათმა მზერებმა ქაოსი გადასერა და დარბაზის სივრცე გაკვეთა; დაგნი თვალს არ აშორებდა ფრანცისკოს, ფრანცისკო და რიერდენი ერთმანეთს უყურებდნენ.

თავი 3

ღია შანტაჟი

— რომელი საათია?

„დრო იწურება“, — გაიფიქრა რიერდენმა, მაგრამ მხოლოდ ეს უპასუხა:

— არ ვიცი. მგონი, ჯერ შუაღამე არ არის, — და რაკი გაახსენდა, რომ ხელზე საათი ეკეთა, დასძინა, — ოცი წუთი აკლია.

— სახლში მატარებლით წავალ, — აუწყა ლილიანმა.

რიერდენმა მისი ნათქვამი გაიგონა, მაგრამ რამდენიმე წუთი დასჭირდა, ვიდრე რეალობას დაუბრუნდებოდა. ისინი ლიფტით ამოვიდნენ იმ სართულიდან, სადაც წვეულება გაიმართა და ახლა უაზროდ შეჰყურებდა თავისი ნომრის სასტუმრო ოთახს, სადაც ის-ის იყო ფეხი შემოდგეს. ბოლოს და ბოლოს უპასუხა:

— ასე გვიან?

— რა უჭირს. მატარებლები ჯერ კიდევ დადიან.

— თუ გინდა, შეგიძლია, დარჩე, რა თქმა უნდა.

— არა, მირჩევნია, შინ დავბრუნდე, — რიერდენი არ შეჰკამათებია, — შენ რას იზამ, ჰენრი? აპირებ დღეს სახლში წამოსვლას?

— არა, — თქვა მან და დაამატა, — ხვალ საქმიანი შეხვედრა მაქვს.

— როგორც გენებოს.

ლილიანმა მხრების მოძრაობით მდიდრული მოსასხამი გადაიძრო, ხელზე გადაიკიდა და საძინებლის კარისკენ გაემართა, მაგრამ ზღურბლზე შეჩერდა.

— ვერ ვიტან ფრანცისკო დ'ანკონიას, — ნერვიულად თქვა მან, — რატომ მობრძანდა ამ წვეულებაზე? ნუთუ არ შეეძლო, ენისთვის კბილი დაეჭირა, დილამდე მაინც. — რიერდენმა პასუხი არ გასცა, — საშინელებაა, როგორ მიიყვანა თავისი კომპანია ამ მდგომარეობამდე. რა თქმა უნდა, ფრანცისკო ხელიდან წასული პლეიბოია და მეტი არაფერი, მაგრამ ასეთი უზარმაზარი ქონება პასუხისმგებლობას აკისრებს. ბედოვლათობასაც ხომ აქვს საზღვარი, რომელსაც კაცმა არ უნდა გადააბიჯოს! — ლილიანს სახე უჩვეულოდ დასძაბვოდა, დაჭიმული ნაკვთები ასაკს მატებდა, — მას ხომ აქციონერების წინაშე რაღაც ვალდებულებები აქვს, ასე არ არის?..

ხომ ასეა, ჰენრი?

— წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ფრანცისკოზე მსჯელობა რომ შეგვეწყვიტა?

ლილიანმა ტუჩები მობრიცა, მხრები აიჩეჩა და საძინებელში შევიდა.

რიერდენი ფანჯარასთან იდგა, გადაჰყურებდა ქუჩაში მიმავალი ავტომანქანების სახურავებს, დროდადრო მზერას რაღაცაზე შეაჩერებდა, მაგრამ მისი ცნობიერება ამ ყველაფერში არ მონაწილეობდა. თვალწინ ჯერაც ბრბოში გარეული ორი ფიგურა ედგა. თუმცა რაკი, მართალია ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ახსოვდა, რომ საკუთარ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, გონება თანდათან რბილად

მიანიშნებდა, რომ რაღაც უნდა მოემოქმედებინა. თავში გაუელვა, რომ ურიგო არ იქნებოდა, საღამოს კოსტიუმი გაეხადა, მაგრამ ქვეცნობიერმა განცდამ, საძინებელში მყოფი უცხო ქალის თანდასწრებით სამოსი არ გამოეცვალა, გადააწყვეტინა, არ ეჩქარა.

ლილიანი გამოვიდა, ელეგანტური, თმადავარცხნილი — ხორცისფერი სამგზავრო კოსტიუმი შთამბეჭდავად გამოკვეთდა მის წარმოსადეგ სხეულს. დატალღულ თმაზე ოდნავ გვერდულად ეხურა შლაპა. ხელით ჩემოდანი მოჰქონდა და მსუბუქად აქანავებდა, თითქოს იმის საჩვენებლად, რომ სულ არ უჭირდა მისი ტარება.

რიერდენი მექანიკურად მივიდა მასთან და ჩემოდანი გამოართვა.

— რას აკეთებ? — შეეკითხა ლილიანი.

— მინდა, სადგურში მიგაცილო.

— ასე აპირებ წამოსვლას? ტანსაცმელი არ გამოგიცვლია — ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— აუცილებელი არ არის გაცილება, გზას თვითონაც გავაგნებ თუ ხვალ საქმიანი შეხვედრა გაქვს, ჯობია, დაწვე და გამოიძინო.

რიერდენმა არ უპასუხა. კართან მივიდა, გაუღო, ცოლი გაატარა და ლიფტისკენ გაემართნენ.

ვიდრე ტაქსი სადგურისკენ მიემართებოდა, ორივენი დუმდნენ დროდადრო, როცა რიერდენს მისი იქ ყოფნა ახსენდებოდა, ამჩნევდა, რომ ლილიანი აბსოლუტურად გამართული იჯდა, თითქოს საგანგებოდ ცდილობდა, საკუთარი პოზის სრულყოფილება წარმოეჩინა. დაღლა სრულიად არ ემჩნეოდა და ისე მხნედ გამოიყურებოდა, გეგონებოდა, ამ დილაუთენია სამოგზაუროდ წასვლას აპირებდა.

ტაქსი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რკინიგზის ცენტრალური სადგურის შესასვლელთან გაჩერდა. გაჩახჩახებული მინის კარი შუაღამის დაღლილობას აქარვებდა და მოქმედების სურვილს აღძრავდა, მიუხედავად იმისა, დღე-ღამის რა მონაკვეთი იყო, და ერთგვარი უსაფრთხოების განცდას აჩენდა. ლილიანი მსუბუქად გადმოხტა ტაქსიდან და თქვა:

— არა, არა, ნუღარ გადმოხვალ, უკან დაბრუნდი. ხვალ სადილად გამოჩნდები...

თუ მომდევნო თვეში გელოდოთ?

— დაგირეკავ, — უპასუხა რიერდენმა.

ლილიანმა თათმანიანი ხელი დაუქნია და სადგურის სინათლეებში გაუჩინარდა.

როდესაც ტაქსი დაიძრა, რიერდენმა მძღოლს დაგნის მისამართი უკარნახა.

ბინაში ბნელოდა, მაგრამ საძინებლის კარი ნახევრად შეღებული იყო და რიერდენმა დაგნის ხმა გაიგონა:

— სალამი, ჰენკ.

რიერდენი შევიდა და ჰკითხა:

— გეძინა?

— არა.

შუქი აანთო. დაგნი საწოლზე იწვა, თავი მაღალ ბალიშზე ედო, თმები მხრებზე ისე დაჰფენოდა, თითქოს დიდხანს იყო ასე უმოძრაოდ; სახეზე სრული სიმშვიდე ეწერა. მქრქალ ცისფერ ღამის პერანგში, რომლის შეკრული საყელოც ყელს უფარავდა, ერთი შეხედვით სკოლის მოსწავლეს ჰგავდა. კეკლუცი ნაქარგობა ღამის პერანგის გულისპირზე არაბავშვურად მდიდრული და ძალიან ქალური ჩანდა.

რიერდენი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. დაგნიმ გაიღიმა, შეამჩნია, რომ კოსტიუმის მკაცრი ოფიციალურობა მის მოძრაობებს განსაკუთრებულ ინტიმურობას სძენდა. საპასუხოდ რიერდენმაც გაუღიმა. მივიდა, რათა უარი ეთქვა დაგნისგან წვეულებაზე მიღებულ პატიებაზე, სწორედ ისე, როგორც მოწინააღმდეგის მეტისმეტად დიდსულოვან წინადადებაზე ამბობენ უარს. ამის ნაცვლად კი, მოულოდნელად მისკენ გადაიხარა და მზრუნველად გადაუსვა ხელი დაგნის შუბლზე, თმა გადაუწია, უეცრად იგრძნო, როგორი მინიატურული იყო, ბავშვივით. მეტოქე, რომელიც მუდმივად იწვევდა, მაგრამ ამავე დროს, მუდმივად მის დაცვას საჭიროებდა.

— შენ ისედაც არ გილხინს, — უთხრა რიერდენმა, — მე კი კიდევ უფრო გირთულებ ცხოვრებას...

— არა, ჰენკ, არ ხარ მართალი და ეს შენც იცი.

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენ საკმაოდ ძლიერი ხარ და არავის არ მისცემ უფლებას, ტკივილი მოგაყენონ, მაგრამ მე ამით ბოროტად არ უნდა ვისარგებლო.

თუმცა, სწორედ ასე ვიქცევი, სხვა გზა არ მაქვს, ვერაფერს გთავაზობ. მე მხოლოდ ამის აღიარება შემიძლია და უფლება არ მაქვს, პატიება გთხოვო.

— საპატიებელი არაფერია.

— უფლება არ მქონდა, ის იქ მომეყვანა.

— ჩემთვის გული ამას არ უტკენია, ოღონდ...

— ოღონდ რა?

— ... ოღონდ ძალიან გამიჭირდა იმის დანახვა, შენ როგორ იტანჯები.

— არ მგონია, ტანჯვით შეიძლებოდეს, რაიმე გამოისყიდო, მაგრამ რაც არ უნდა მეგრძნო, საკმარისად მაინც არ დავტანჯულვარ. არსებობს ისეთი რამეები, რაც ზიზღს მგვრის, მაგრამ ყველაზე მეტად საკუთარ სატანჯველებზე ლაპარაკი მეზიზღება — ისინი მხოლოდ მე მეხება. მაგრამ რაკი უკვე ყველაფერი ისედაც იცი, გამოგიტყდები — ეს მართლაც ჯოჯოხეთურად მძიმე იყო ჩემთვის. თუმცა, ვისურვებდი, უფრო უარესადაც გავწამებულიყავი. არ ვაპირებ, ამას გავექცე.

რიერდენი მკაცრად ლაპარაკობდა, ემოციების გარეშე, თითქოს საკუთარი თავისთვის სასტიკი განაჩენი გამოჰქონდა. დაგნიმ ნაღვლიანად გაიღიმა, მისი ხელი აიღო, ტუჩებთან მიიტანა, თავი გააქნია ასეთი მძიმე განაჩენის უარსაყოფად და სახე მის ხელისგულში ჩარგო.

— რის თქმა გინდა? — ჰკითხა რიერდენმა ალერსიანად.

— არაფრის — დაგნიმ თავი ასწია და მტკიცედ თქვა, — ჰენკ, მე ვიცოდი, რომ ცოლიანი იყავი. ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. ეს ჩემი არჩევანია. შენ ჩემი არაფერი გმართებს, ვალდებული არ ხარ ჩემ წინაშე.

რიერდენმა პროტესტის ნიშნად თავი ნელა გააქნია.

— ჰენკ, მე შენგან არაფერი მინდა, იმის გარდა, რაც შენ თვითონ გინდა, მომცე. გახსოვს, ერთხელ ვაჭარი რომ მიწოდე? მინდა, ჩემთან მხოლოდ იმისთვის მოდიოდე, რომ სიხარული მიიღო. რაკი შენ ისევ ცოლიან კაცად რჩები, მნიშვნელობა არ აქვს, რა მიზეზით, მე უფლება არ მაქვს, ეს გავაპროტესტო. ჩემი ვაჭრობა ძალიან მარტივია: უნდა ვიცოდე, რომ სიხარული, რომელიც შენ მოგაქვს ჩემთვის, გადახდილია იმ სიხარულით, რომელსაც შენ იღებ ჩემგან, და არა ჩემი ან შენი ტანჯვით. მე მსხვერპლს არ მივიღებ და არც თავად გავიღებ საკუთარ თავს მსხვერპლად. თუ შენ იმაზე მეტს მოითხოვ ჩემგან, ვიდრე მე შემიძლია მოგცე, უარს გეტყვი. თუ შენ მომთხოვ, რკინიგზა მივატოვო, მე შენ მიგატოვებ.

თუკი რომელიმე ჩვენგანის სიამოვნება მეორისგან ტკივილს მოითხოვს, გარიგებას აზრი დაეკარგება. ვაჭრობა, სადაც ერთი იხეირებს, მეორე კი დაზარალდება — თაღლითობაა. ბიზნესში შენ ასე არ იქცევი, ჰენკ. ნურც შენს პირად ცხოვრებაში დაუშვებ ამას.

მისი სიტყვების მიღმა რიერდენს დაზიანებული ფონოგრამასავით ჩაესმოდა ლილიანის ახლახან ნათქვამი სიტყვები. რა უძირო უფსკრული ყოფდა ამ ორ ქალს, რა წარმოუდგენელი განსხვავება იყო იმაში, თუ რას მოითხოვდა თითოეული მათგანი მისგან და ცხოვრებისგან.

— დაგნი, რას ფიქრობ ჩემი ქორწინების შესახებ?

— მე მაგაზე ფიქრის უფლება არ მაქვს.

— იქნებ, რაიმე გაინტერესებს...

— ადრე მაინტერესებდა... ვიდრე ელის უაიატის სახლში მივიდოდი მერე ყველაფერს მნიშვნელობა დაეკარგა.

— შენ ჩემთვის ერთი კითხვაც კი არ დაგისვამს — და არც ვაპირებ.

რიერდენი წუთით გაჩუმდა, პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა დაგნის და, თითქოს ხაზს უსვამდა საკუთარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, — რომელიც კაცმა რომ თქვას, დაგნის არც არასოდეს შეულახავს, — უთხრა:

— მინდა, ერთადერთი რამ იცოდე: მას არ მივკარებივარ მას მერე, რაც... ელის უაიატის სახლის მერე.

— მიხარია.

— ფიქრობდი, შემეძლო?

ჩემი თავისთვის მაგაზე ფიქრის უფლება არასოდეს არ მიმიცია.

— დაგნი, იმას გულისხმობ, რომ შენ... შენ ამასაც შეეგუებოდი?

— ჰო.

— და არ აღშფოთდებოდი?

— მთელი ჩემი არსებით, მაგრამ თუ ეს შენი არჩევანი იქნებოდა, მე მას შევეგუებოდი. მე შენ მინდიხარ, ჰენკ.

რიერდენმა დაგნის ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა. დაგნიმ წამით იგრძნო, როგორ დაეძაბა მას სხეული. მოულოდნელად რიერდენი ლამის დაემხო და დაგნის მხრები დაუკოცნა. შემდეგ მკვეთრი მოძრაობით თავისკენ მიიზიდა მქრქალი ცისფერი პერანგით შემოსილი მისი ნაზი სხეული, მუხლებზე დაისვა და მოეხვია, ღიმილის გარეშე შეჰყურებდა, ისე, თითქოს ამ სიტყვების გამო ეზიზღებოდა დაგნი და ამავე დროს, ამქვეყნად ყველაზე მეტად სწორედ ეს სიტყვები სურდა, გაეგონა.

რიერდენი სახით მისკენ დაიხარა და დაგნიმ ის კითხვა მოისმინა, რომელსაც გამუდმებით იმეორებდა, ყოველთვის ისე მოულოდნელად, თითქოს მის იდუმალ ტანჯვას ამოეხეთქოს:

— ვინ იყო შენი პირველი მამაკაცი?

დაგნი უკან გაიწია, შეეცადა, გასცლოდა, მაგრამ რიერდენმა არ დაანება — არა, ჰენკ. — უპასუხა დაგნიმ მტკიცედ.

რიერდენმა სწრაფად, დაძაბულად გაიღიმა.

— ვიცი, რომ არ მიპასუხებ, მაგრამ მე ყოველთვის შეგეკითხები, რადგან ვერასოდეს შევეგუები მას... ვინც ჩემამდე...

შეეკითხე საკუთარ თავს, რატომ ვერ შეეგუები რიერდენმა უპასუხა. ნელა ჩააყოლა ხელი მის სხეულს, მკერდიდან მუხლამდე, თითქოსდა მესაკუთრის უფლების გასამყარებლად და ამავე დროს, ამ უფლების სიძულვილით:

— იმიტომ, რომ... ის, რის ნებასაც მე მაძლევ... მე არ მეგონა, თუ შენ შეგეძლო, ამის უფლება მოგეცა, ჩემთვისაც კი... მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ნებას რთავდი სხვა მამაკაცს... რომ ის გსურდა...

— შენ გესმის, რას ლაპარაკობ? რომ შენ არასოდეს დაიჯერებ ჩემს ლტოლვას შენდამი, არასოდეს დაიჯერებ, რომ მე შენ მინდიხარ, ისე, როგორც ოდესღაც სხვა მსურდა.

— მართალია, — უთხრა რიერდენმა ხმადაბლა.

დაგნი მკვეთრად, ლამის უხეშად დაუსხლტა რიერდენს და ადგა. ზემოდან მსუბუქი ღიმილით დახედა და რბილად უთხრა:

— იცი, რა არის შენი მთავარი უბედურება — მართალია, ამის უდიდესი ნიჭი გაქვს, მაინც ვერ ისწავლე ტკბობა. შენ ყოველთვის მეტისმეტად კატეგორიულად ეუბნებოდი საკუთარ თავს უარს სიამოვნებაზე. გსურდა, მეტისმეტად ბევრი აგეტანა.

— მანაც ეგ მითხრა.

— ვინ?

— ფრანცისკო დ'ანკონიამ.

რიერდენს მოეჩვენა, რომ ამ სახელის ხსენებამ დაგნის ყური მოსჭრა და წამით დააგვიანდა პასუხი:

— შენ ეს მან გითხრა?

— საერთოდ, ჩვენ სრულიად სხვა რამეზე ვსაუბრობდით.

წუთის შემდეგ დაგნიმ მშვიდად თქვა:

— დაგინახე, მას რომ ესაუბრებოდი. ამჯერად ვინ ვის მიაყენა შეურაცხყოფა?

— არავინ, დაგნი. რას ფიქრობ მასზე?

— ჩემი აზრით, მან განზრახ მოაწყო ეს კატასტროფა, რომლის შედეგებსაც ხვალ ვიხილავთ.

— ეგ ვიცი, და მაინც, რას ფიქრობ მასზე, როგორც ადამიანზე?

— არ ვიცი. წესით, უნდა ვფიქრობდე, რომ ის ყველაზე უზნეო პიროვნებაა, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ.

— წესით? მაგრამ ასე არ ფიქრობ?

— არა. ბოლომდე ვერაფრით ვერ დამიჯერებია.

რიერდენმა გაიღიმა.

— მეც სწორედ ეს მეჩვენება უცნაური მასში. ვიცი, რომ მატყუარაა, ყალთაბანდი, იაფფასიანი პლეიბოი, ყველაზე გარყვნილი და უპასუხისმგებლო ადამიანი, უარესის წარმოდგენაც კი გამიჭირდება. და მაინც, როცა ვუყურებ, ვგრძნობ, რომ ის ერთადერთია, ვისაც საკუთარ სიცოცხლეს ვანდობდი.

დაგნიმ გაკვირვებისგან პირი გააღო.

— ჰენკ, გინდა თქვა, რომ შენ ის მოგწონს?

— არც კი ვიცოდი, რას ნიშნავს, როდესაც მამაკაცი მოგწონს, არ ვიცოდი, როგორ მაკლდა ეს, ვიდრე მას შევხვდებოდი.

— ღმერთო ჩემო, ჰენკ, შენ ის შეგიყვარდა!

— ჰო, ალბათ... — რიერდენმა გაიღიმა, — ეს რატომ გაშინებს?

— იმიტომ, რომ... იმიტომ რომ, ჩემი აზრით, რაიმე სისაძაგლეს მოიფიქრებს და ტკივილს მოგაყენებს... და რაც უფრო ხშირად შეხვდები მას, მით უარესი... დიდი დრო დაგჭირდება, ამას რომ გაუმკლავდე, თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ მოხდა რაიმე... ვგრძნობ, რომ ვალდებული ვარ, გაგაფრთხილო, დაგიცვა მისგან, მაგრამ არ

შემიძლია — მე ხომ თვითონაც არაფერში არ ვარ დარწმუნებული, როცა საქმე მას ეხება, იმაშიც კი, თუ ვინ არის ეს კაცი სინამდვილეში — ამქვეყნად უდიდესი თუ ყველაზე მდაბალი ადამიანი.

— მეც არაფერში არ ვარ დარწმუნებული, გარდა იმისა, რომ მომწონს.

— მაგრამ აბა, დაფიქრდი, რა ჩაიდინა. მან ჯიმსა და ბოილს კი არ მიაყენა ტკივილი, არამედ მე, შენ, კენ დენეგერს და ყველა დანარჩენს, იმიტომ, რომ ჯიმის ბანდა ამ ყველაფერს ჩვენ წინააღმდეგ შემოატრიალებს, ეს კი კიდევ ერთ კატასტროფას გამოიწვევს, რომელიც უაიატის ხანძარს დაემსგავსება.

— ჰო... ჰო, უაიატის ხანძარს. მაგრამ იცი, მეჩვენება, რომ ეგ დიდად არ მენაღვლება. კიდევ ერთი კატასტროფა, რა მერე? მაინც ყველაფერი ჯოჯოხეთისკენ მიექანება, ახლა ეს მხოლოდ დროის ამბავია — ცოტათი ადრე თუ ცოტათი გვიან... ჩვენ ერთადერთი ის დაგვრჩენია, რაც შეიძლება დიდხანს არ ჩავძიროთ ხომალდი, მერე კი მასთან ერთად დავეშვათ ფსკერზე.

— ასე ამართლებს ის თავის საქციელს? მან გაიძულა, ასე დაგეწყო ფიქრი?

— ოჰ, არა! როდესაც მას ვესაუბრებოდი, უცნაური განცდა დამეუფლა.

— მაინც?

— იმედი.

დაგნიმ თავი დაუქნია, გაკვირვებულმა, რადგან თვითონაც იმავეს გრძნობდა.

— არ ვიცი, რატომ, — განაგრძო რიერდენმა, — მაგრამ ადამიანებს ვუყურებ და მათში ტკივილის გარდა ვერაფერს ვხედავ. უკლებლივ ყველაში, ფრანცისკოს გარდა. ირგვლივ გამეფებული ეს შემზარავი უიმედობა მხოლოდ მაშინ ქრება, როდესაც ფრანცისკოს ვუყურებ. და კიდევ აქ. სხვაგან არსად.

დაგნი მივიდა რიერდენთან და მის ფეხებთან ჩაჯდა, სახით მუხლებზე მიეკრო:

— ჰენკ, ჩვენ ჯერ კიდევ იმდენი რამ გველის წინ... და იმდენი რამ გვაქვს ახლა... რიერდენმა შეხედა მქრქალი ცისფერი აბრეშუმის ლაქას თავისი კოსტიუმის სიშავის ფონზე, დაიხარა და ჩუმად უთხრა:

— დაგნი... ის, რაც იმ დილით ელის უაიატის სახლში გითხარი... მე საკუთარ თავს ვატყუებდი.

— ვიცი.

* * *

გარეთ, წვიმის ნაცრისფერი ფარდის მიღმა, სახურავების თავზე, ტაბლო კი არა, სწორედ კალენდარი იტყობინებოდა: „დღეს 3 სექტემბერია“, მეზობელ კოშკზე კი საათი აზუსტებდა: „10 საათი და 40 წუთია“, როცა რიერდენი უკან, სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“ ბრუნდებოდა. ტაქსიში რადიოდან პანიკით მოცული გამჭოლი ხმა იღვრებოდა, რომელიც „დ'ანკონია კოპერის“ კრახის შესახებ იუწყებოდა.

რიერდენი დაქანცული მიესვენა ტაქსის სავარძელზე: კატასტროფა მხოლოდ და მხოლოდ სადღაც ამოკითხულ, უკვე მოძველებულ საინფორმაციო სიახლედ ეჩვენებოდა, არა უმეტეს. არაფერს გრძნობდა, გარდა შემაწუხებელი უხერხულობისა, ამ სისხამ დილით ქალაქის ქუჩებში საღამოს კოსტიუმით რომ მოუწია გამოჩენა.

იოტისოდენა სურვილიც კი არ ჰქონდა, დაბრუნებულიყო ნაცრისფერ, წვიმით გალუმპულ სამყაროში, რომელიც ტაქსის ფანჯრებს მიღმა მოჩანდა...

სასტუმროს ნომრის კარში გასაღები გადაატრიალა — იმედით, რაც შეიძლება ჩქარა მისჯდომოდა სამუშაო მაგიდას, გარშემო რომ აღარაფერი დაენახა.

ის ერთდროულად სამმა რამემ გააოგნა: საუზმის მაგიდამ, საძინებლის ღია კარმა, საიდანაც აშლილი ლოგინი მოჩანდა, და ლილიანის ხმამ.

— დილა მშვიდობის, ჰენრი.

ლილიანი სავარძელში იჯდა, იგივე კოსტუმი ეცვა, რაც გუშინ, ოღონდ ჟაკეტისა და შლაპის გარეშე. მისი ქათქათა თეთრი ბლუზონი სრულიად უზადოდ გამოიყურებოდა. მაგიდაზე საუზმის ნარჩენები მოჩანდა. ლილიანი გაბეზრებული გამომეტყველებით იჯდა, დიდხანს მოთმინებით მომლოდინის პოზაში და სიგარეტს ეწეოდა.

რიერდენი ადგილზე გაიყინა. ლილიანმა კი ფეხი ფეხზე გადაიდო, უფრო მოხერხებულად მოკალათდა და შეეკითხა:

— არაფრის თქმა არ გინდა ჩემთვის, ჰენრი?

რიერდენი ისე იდგა, როგორც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცი ოფიციალურ ცერემონიაზე, სადაც ემოციების გამოვლენა ყოვლად დაუშვებელია.

— აჯობებს, შენ ილაპარაკო.

— ეგებ, შეეცადო და თავი გაიმართლო?

— არა.

— არ აპირებ, პატიება მთხოვო?

— საპატიებელი არაფერი გაქვს. მეტს ვერაფერს დავამატებ. შენ იცი სიმართლე.

დანარჩენი შენთვის მომინდვია.

ლილიანმა ჩაიცინა, წელში გაიმართა და ბეჭებით სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— არ ელოდი, რომ ადრე თუ გვიან გამოგიჭერდნენ? — ჰკითხა მან, — ნუთუ გგონია, თუ ისეთი მამაკაცი, როგორიც შენ ხარ, წელიწადზე მეტი ხანი ბერივით ცხოვრობს, არ ვიეჭვებდი, რომ საამისო მიზეზიც არსებობს? ძალიან სახალისოა, მაგრამ შენმა სახელგანთქმულმა გონიერებამ ვერ დაგიცვა ასეთი მარტივი ხაფანგისგან.

ლილიანმა ხელი ლოგინისკენ და საუზმის მაგიდისკენ გაიშვირა, — დარწმუნებული ვიყავი, რომ წუხელ აქ არ დაბრუნდებოდი. სულაც არ გამოდგა რთული ან ძვირი ამ დილით სასტუმროს თანამშრომლისგან გარკვევა, რომ ბოლო წლის მანძილზე ამ ოთახებში შენ ერთი ღამეც კი არ გაგითევია.

რიერდენმა არაფერი უპასუხა.

— ადამიანი უჟანგავი ფოლადისგან! — გაიცინა ლილიანმა, — ადამიანი, რომელმაც ამდენს მიაღწია, კეთილშობილი, ყველაზე ჩვენგანზე აღმატებული! ის ქალი რა, ვარიეტეში ცეკვავს თუ მანიკურს აკეთებს მილიონერებისთვის განკუთვნილ სილამაზის სალონში?

რიერდენი ისევ დუმდა.

— ვინ არის ის, ჰენრი?

— მე არ ვაპირებ, გიპასუხო.

— მინდა, ვიცოდე.

— ვერაფერს გაიგებ.

— სასაცილოდ არ გეჩვენება, ჯენტლმენის როლს რომ თამაშობ, რომელიც ლედის ღირსებას იცავს? ვინ არის ის?

— მე უკვე გითხარი, არ გიპასუხებ-მეთქი.

ლილიანმა მხრები აიჩეჩა.

— თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. სტანდარტული მიზნისთვის ქალის სტანდარტული ტიპი არსებობს. ყოველთვის ვეჭვობდი, რომ ამ ასკეტური ნიღბის მიღმა ვულგარული, ტლანქი, განცხრომას დახარბებული ადამიანი იმალებოდა, რომელსაც ქალი მხოლოდ საკუთარი ცხოველური ინსტინქტების დაკმაყოფილების საშუალება ჰგონია, და ვამაყობ, აქამდე რომ არ დავეცი. ვიცოდი, რომ ეს შენი ნაქები წესიერება ერთ მშვენიერ დღესაც დაემხობოდა და ყველაზე მდაბალი, ყველაზე იაფფასიანი ტიპის ქალის ბადეში გაეხვეოდი, როგორც ნებისმიერი რიგითი მოღალატე ქმარი, — ლილიანმა ჩაიცინა, — შენი სათაყვანებელი მის დაგნი ტაგარტი გააფთრდა, როცა უბრალოდ ირიბად მივანიშნე, რომ მისი გმირი მისივე წუნდაუდებელი, უჟანგავი ლიანდაგივით უზადო არ იყო. და მიამიტობა ეყო, წარმოედგინა, მას იმ ტიპის ქალად ჩავთვლიდი, მამაკაცები რომ მიმზიდველად მიიჩნევენ ურთიერთობისთვის, რომელსაც, როგორც ცნობილია, ჭკუა არ სჭირდება. ვიცოდი შენი ჭეშმარიტი ბუნება და მიდრეკილებები. ასე არ არის?

რიერდენმა არაფერი არ უპასუხა.

— იცი, რას ვფიქრობ ახლა შენზე?

— შეგიძლია, როგორც მოგესურვება, ისე გამკიცხო, შენ ამის უფლება გაქვს.

ლილიანს საპასუხოდ გაეცინა:

— დიადი პიროვნება, ყოველთვის ასე ქედმაღლურად რომ ეპყრობოდა სუსტ ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ, სირთულეებისთვის გვერდი აევლოთ, ანდა ცხოვრებისგან გაირიყებოდნენ, რაკი შენსავით მტკიცე ხასიათი და მიზანსწრაფულობა ვერ გამოავლინეს! ახლა რას გრძნობ ასეთების მიმართ?

— ჩემი გრძნობები შენ არ გეხება. უფლება გაქვს, გადაწყვიტო, რა გინდა ჩემგან.

ნებისმიერ შენს მოთხოვნას დავთანხმდები, ერთის გარდა: არ მომთხოვო, უარი ვთქვა ამაზე.

— ჰმ, არც ვაპირებ, ეს მოგთხოვო! არ მჯერა, რომ შეძლებ, ბუნება შეიცვალო.

სწორედ ეს არის შენი ჭეშმარიტი დონე — ინდუსტრიული რაინდის დიდებულებით შენიღბული, რაინდისა, რომელმაც მხოლოდ საკუთარი გენიალურობის წყალობით გამოაღწია დაბალი ფენებიდან, მემაღაროედან ბროლის სასმისებისა და სმოკინგების მფლობელად გადაიქცა! და აი, მოულოდნელად ის შინ დილის თერთმეტ საათზე ბრუნდება! ვერასოდეს ვერ ამობობღდები შენი მაღაროდან, სწორედ იქ არის შენი ადგილი — შენი და ყველა შენნაირის, ვინც თვითონვე იქციეთ საკუთარი თავი სალარო-აპარატების არისტოკრატებად: შაბათის საღამოებს კი სამიკიტნოებში, წვრილი კომივოიაჟერებისა და მოცეკვავე გოგონების კომპანიაში ატარებთ!

— გინდა, გამეყარო?

— მშვენიერი გარიგება გამოვიდოდა! შე რა, გგონია, ვერ ვხვდები, რომ განქორწინება ჩვენი ქორწინებიდან უკვე ერთ თვეში გინდოდა?

— თუ ეს იცოდი, რატომ აქამდე არ წახვედი ჩემგან?

— შენ აღარ გაქვს უფლება, ეს კითხვა დამისვა! — მკაცრად უპასუხა ლილიანმა.

— მართალია, — უთხრა რიერდენმა და გაიფიქრა, რომ ერთადერთი შესაძლო მიზეზი, რაც ამ პასუხს გაამართლებდა, ლილიანის მისდამი სიყვარული იყო.

— არა, შენთან განქორწინებას არ ვაპირებ. ნუთუ გგონია დავუშვებ, ვიღაც ქალთან შენმა სასიყვარულო თავგადასავალმა დამაკარგვინოს ჩემი სახლი, ჩემი სახელი, საზოგადოებრივი მდგომარეობა? ჩემი ცხოვრების ამ ნაწილს თავდაუზოგავად გავუფრთხილდები, მიუხედავად იმისა, რომ შენი ყალბი

ერთგულებით მას დასაყრდენი გამოაცალე. არაფერი შეგეშალოს: მე შენ არასდროს მოგცემ გაყრის უფლებას. მოგწონს ეს თუ არა, შენ ცოლიანი კაცი ხარ და ასეთად დარჩები.

— დავრჩები, თუკი შენ ასე გადაწყვიტე.

— და საერთოდ, ვერ გამიგია, რატომ არ დაჯდები?

რიერდენი კვლავ ფეხზე იდგა.

— თუ შეიძლება, თქვი, რისი თქმაც გინდა.

— არაოფიციალური გაყრის შესახებ სიტყვის გაგონებაც კი არ მსურს, ჩვენ ისევ ერთად ვიცხოვრებთ. შეგიძლია, დატკბე შენი სასიყვარულო იდილიით მეტროში ან სადარბაზოებში, სწორედ იქ არის მისი ადგილი, მაგრამ მე მოვითხოვ, არასოდეს დაგავიწყდეს — საზოგადოების თვალში მე მისის ჰენრი რიერდენი ვარ. შენ ყოველთვის ურყევ ერთგულებას უცხადებდი პატიოსნებას, ახლა კი ნება მომეცი, ვნახო, როგორ ამღერდები პირფერის ტყავში — როგორიც ყოველთვის იყავი სინამდვილეში. მე მოველი, შენ დაბრუნდე სახლში, რომელიც ოფიციალურად შენ გეკუთვნის, მაგრამ ამიერიდან ჩემი იქნება.

— თუ ასე გსურს.

ლილიანი მოეშვა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა, ფეხები გაჭიმა, ხელები კი სახელურებზე დააწყო, თითქოს მოსამართლე იყო, რომელმაც როგორც იქნა, თავს უფლება მისცა, ცოტათი მოდუნებულიყო.

— განქორწინება? — ცივად გაიცინა ლილიანმა, — ხომ არ გგონია, ასე იოლად გამოძვრები? გეგონა, შენი მილიონებიდან რამდენიმეს მომიგდებდი და თავიდან მომიშორებდი? მეტისმეტად შეეჩვიე ყველაფერი იყიდო შენი დოლარებით, რისი ყიდვაც მოგესურვება და ერთ რამეს ვერა და ვერ მიხვდი: ყველაფერს ვერ იყიდი და ვერ გაყიდი, ყველაფერი ვაჭრობის საგანი ვერ გახდება. არ გაქვს უნარი, დაიჯერო, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ფულისთვის მიუფურთხებიათ. შენ არ შეგიძლია, წარმოიდგინო, ეს რას ნიშნავს. არა უშავს, ვფიქრობ, ისწავლი. რასაკვირველია, ამიერიდან მოგიწევს ზოგიერთი ჩემი მოთხოვნის მიღება. მინდა, რომ შენს კაბინეტში იჯდე, რომლითაც ასე ამაყობ, მაგ შენს ძვირფას ქარხანაში, და ითამაშო გმირი, რომელიც დღე-ღამეში თვრამეტ საათს მუშაობს, ინდუსტრიის გიგანტი, რომელსაც მთელი ქვეყანა წინ მიჰყავს, ცხოვრებას ამოძრავებს, გენიოსი, რომელიც მონკმუტუნე, მატყუარა, ქურდბაცაცა კაცუნების ფარაზე მაღლა დგას. კიდევ, მე მინდა, რომ მოდიოდე შენს სახლში, სადაც დაგელოდება ერთი არსება, რომელმაც იცის, სინამდვილეში ვინც ხარ, იცის შენი სიტყვის, შენი სიამაყის, წესიერების, შენი ნაქები თვითშეფასების ჭეშმარიტი ფასი. მინდა, რომ შენ შენს საკუთარ სახლში ხედავდე მას, ვისაც ეზიზღები და აქვს ამის უფლება. მინდა, მხედავდე ყოველთვის, როცა კიდევ ერთ ღუმელს ააშენებ ან ფოლადის მორიგ სარეკორდო რაოდენობას ჩამოასხამ, როცა ტაშს დაგიკრავენ და ხოტბა-დიდებას მოგიძღვნიან, როცა სიამაყე დაგეუფლება, როცა საკუთარი სისუფთავითა და დიდებით — საკუთარი დიდებით თრობას იგრძნობ. მინდა, ყოველთვის მე მიყურებდე, როცა აღშფოთდები, რომ ვინმეს უსამართლოდ წაართვეს საკუთრება, აღგაშფოთებს ადამიანების ზნედაცემულობა და თანაგრძნობით განიმსჭვალები მათ მიმართ, ვინც ხელისუფლების მხრიდან თაღლითობისა და მორიგი გამოძალვის მსხვერპლი გახდება — შემომხედავ და გეცოდინება, რომ შენ არავის სჯობიხარ, ვერავისზე უკეთესი ვერ გახდი, რომ არ გაქვს ვინმეს გაკიცხვის უფლება. მინდა, მიყურებდე და გახსოვდეს, რა ბედი ელის ადამიანს, რომელიც შეეცადა, ცამდე

მიწვდენილი კოშკი აეგო, ან ცვილის ფრთებით მზემდე გაფრენილიყო, ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავი სრულყოფილი ჰგონია!

რიერდენი, გარეშე დამკვირვებელივით, ცივსისხლიანად მოეჭიდა თავში გაელვებულ ერთობ საინტერესო აზრს: ლილიანის სადამსჯელო სისტემაში რაღაც ზადი იყო, რაღაც შეუსატყვისობა — ცდომილება, რომელიც მთელ მის სქემას დაანგრევდა, ოღონდ უნდა მიეკვლია ამ ზადისთვის. არ უცდია მისი მონახვა. მხოლოდ კმაყოფილებით მოინიშნა ეს აზრი და შეეცადა, შორეულ მომავალში გაეხედა. ახლა იქ აღარაფერი დარჩენილიყო, რისი ლოდინი და რისკენ სწრაფვაც ღირდა.

მისი გონება პრაქტიკულად არაფერში მონაწილეობდა, მხოლოდ ცდილობდა, სამართლიანობის უკანასკნელი ნარჩენები დაეპირისპირებინა ზიზღის ამ ნიაღვრისთვის, რომელმაც ლილიანს ადამიანის სახე დააკარგვინა. „თუკი ის ამაზრზენია, ეს ჩემი ბრალია, მე მივიყვანე ამ მდგომარეობამდე. ასე ებრძვის ტკივილს. ვერავინ უკარნახებს ადამიანებს, როგორ უნდა გადაიტანონ მათ ტანჯვა, არავის აქვს საყვედურის უფლება, მეტადრე მე — მე ვარ ამ ტანჯვის მიზეზი“. მაგრამ თავად ლილიანის საქციელში რაიმე ტკივილის ვერავითარ ნიშანწყალს ვერ ხედავდა. „ალბათ, ამ გულის ამრევი ქცევით მას თავისი ტანჯვის დამალვა სურს“, — გაიფიქრა რიერდენმა. და პატიოსნად ცდილობდა, ზიზღის გრძნობა დაეძლია... ეს არც ისე ადვილი გამოდგა.

როცა ლილიანი გაჩუმდა, ჰკითხა:

— დაასრულე?

— დიახ, მგონი, კი.

— მაშინ, აჯობებს, შინ გაემგზავრო.

როდესაც ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, საღამოს კოსტიუმი გაეხადა, რიერდენმა აღმოაჩინა, რომ ყველა კუნთი სტკიოდა, თითქოს მთელი დღე ფიზიკურად ეშრომა. გახამებული პერანგი ოფლისგან დასველებოდა.

აღარც აზრები დარჩა, აღარც გრძნობები, მხოლოდ შეგრძნება, რომ მათი უკანასკნელი ნამსხვრევებიც კი უკვალოდ გაქრა, და უსაზღვრო შვება უდიდესი გამარჯვების გამო, რომელიც ოდესმე საკუთარ თავზე მოუპოვებია — ლილიანს რომ უფლება მისცა, სასტუმროს ნომრიდან ცოცხალი გასულიყო.

* * *

დოქტორმა ფლოიდ ფერისმა რიერდენის კაბინეტში მოწყალე ღიმილით შეაბიჯა, ჩვეულებრივ, ასე ის ადამიანები იღიმიან, რომელთაც წუთითაც არ აეჭვებთ საკუთარი მისიის წარმატება. სასიამოვნო, მხნე თავდაჯერებულობით ლაპარაკობდა.

რიერდენს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს შულერის თავდაჯერებულობა იყო, რომელმაც ტიტანური შრომა გასწია, ბანქოს ყველა შესაძლო კომბინაცია რომ დაემახსოვრებინა და ახლა ოლიმპიურ სიმშვიდეს განასახიერებს, რაკი იცის, რომ ყოველი კარტი დანიშნულია.

— მაშ ასე, მისტერ რიერდენ, — წარმოთქვა ფერისმა სალმის ნაცვლად, — ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ საზოგადოებრივ პირობითობებში ისე გაწაფულ და გაქნილ კაცს, როგორიც მე გახლავართ, შეიძლებოდა, ასეთი მღელვარება განეცადა გამოჩენილ ადამიანთან შეხვედრისას. არადა, გინდ დამიჯერეთ, გინდა არა, ახლა სწორედ ამას ვგრძნობ.

— მოგესალმებით, — უთხრა რიერდენმა.

დოქტორი ფერისი დაჯდა და რამდენიმე ფრაზა წარმოთქვა შემოდგომის ფერთა პალიტრის თაობაზე, ასე რომ მოხიბლა იმ გრძელ გზაზე, რომელიც ვაშინგტონიდან საგანგებოდ, პირადად მისტერ რიერდენთან შესახვედრად გამოიარა. რიერდენი დუმდა. დოქტორ ფერისმა ფანჯარაში გაიხედა და აზრი გამოთქვა რიერდენის ქარხნის შთამაგონებელი ხედის შესახებ, რომელიც, მისი თქმით, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საწარმო იყო.

— წელიწად-ნახევრის წინ სულ სხვაგვარად ლაპარაკობდით, — შენიშნა რიერდენმა.

დოქტორი ფერისი წამით მოიღუშა, თითქოს უმნიშვნელო შეცდომის გამო კინაღამ თამაში წააგო, შემდეგ კი ისე ჩაიხითხითა, ვითომ კვლავ ხელთ მოიგდო ინიციატივა. — ეგ წელიწად-ნახევრის წინ იყო, მისტერ რიერდენ, — მსუბუქად თქვა მან, — დრო იცვლება და დროსთან ერთად ადამიანებიც იცვლებიან, ყოველ შემთხვევაში, ბრძენი ადამიანები. სიბრძნე იმაში მდგომარეობს, იცოდე, როდის გახსოვდეს და როდის დაივიწყო. თანმიმდევრულობა გონების ის მახასიათებელი არ არის, რომელსაც ადამიანმა თავად უნდა მისდიოს ანდა კაცობრიობის სხვა წარმომადგენლებისგან ელოდოს.

შემდეგ ფერისმა წაიკითხა მოკლე ლექცია იმის თაობაზე, რა შეუსაბამისობაა თანმიმდევრული აზროვნება იმ სამყაროში სადაც, მისი აზრით, არაფერია აბსოლუტური, კომპრომისის პრინციპის გარდა. ის ლაღად, ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, თითქოს ორივენი შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ ეს მათი საუბრის ძირითადი საგანი არ იყო.

ისე, უცნაური ჩანდა, რომ ფერისი საკუთარ აზრებს შესავლის კი არა, პოსტსკრიპტუმის ტონით აყალიბებდა — გეგონებოდა, ძირითადი საკითხი უკვე განხილული ყოფილიყო.

რიერდენი დაელოდა ფრაზას „თქვენ ასე არ ფიქრობთ?“ და უპასუხა:

— გთხოვთ, იმ გადაუდებელ საქმეზე ილაპარაკოთ, რომლის გამოც ჩემთან შეხვედრა გსურდათ.

დოქტორ ფერისს სახეზე წუთით გაოგნება და დაძაბულობა დაეტყო, მაგრამ მერე, თითქოს უმნიშვნელო დეტალი გამორჩენოდა, სიხარულით წარმოთქვა:

— აჰ, ეგ? ეგ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის რიერდენ მეტალის მიწოდების ვადებს ეხებოდა. გვინდა, ხუთი ათასი ტონა დეკემბრის პირველი რიცხვისთვის მივიღოთ, დაკვეთის დანარჩენ ნაწილს კი თანახმა ვართ, მომავალი წლის დასაწყისამდე დაველოდოთ.

რიერდენი იჯდა და საკმაოდ დიდხანს უსიტყვოდ უყურებდა მას; დუმილის ყოველი მიწურული წამი დოქტორ ფერისის კეკლუცტ ხმას, ჯერაც რომ ირხეოდა ჰაერში, კიდევ უფრო სულელურ ჟღერადობას აძლევდა. როცა დოქტორი ფერისი უკვე აფორიაქდა, რომ რიერდენი მას საერთოდ აღარ უპასუხებდა, ის, როგორც იქნა, ალაპარაკდა:

— ნუთუ იმ ტყავისჩექმებიანმა საგზაო პოლიციელმა, აქ რომ მომიგზავნეთ, არ გადმოგცათ ჩვენი საუბრის შინაარსი?

— დიახ, მისტერ რიერდენ, მაგრამ...

— კიდევ რის მოსმენა გნებავთ ჩემგან?

— მაგრამ ეგ ხუთი თვის წინ იყო, მისტერ რიერდენ. მას შემდეგ ზოგიერთმა მოვლენამ დამარწმუნა, რომ თქვენ აზრი შეიცვალეთ და დაბრკოლებებს აღარ შეგვიქმნით, ისევე, როგორც ჩვენ არ მოგაყენებთ არავითარ ზიანს.

— რას გულისხმობთ?

— მაგალითად, მოვლენას, რომელზეც თქვენ უფრო მეტი იცით, ვიდრე მე, მაგრამ მის შესახებ ჩემთვისაც ცნობილია, თუმცა, თქვენ ნამდვილად გერჩივნებოდათ, რომ არაფერი მცოდნოდა.

— რომელ მოვლენას?

— რაკიღა ეს თქვენი საიდუმლოა, მისტერ რიერდენ, რატომ არ უნდა დავტოვოთ ეს ისევ საიდუმლოდ? ჩვენს დროში ვის არ აქვს საიდუმლო? მაგალითად, „პროექტი X“ საიდუმლოა. თქვენ, რა თქმა უნდა, აცნობიერებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია, თქვენი მეტალი პატარ-პატარა პარტიებად შევისყიდოთ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით, და თქვენ ამას ხელს ვერ შეუშლით. მაგრამ ეს აუცილებლად გამოიწვევდა უამრავი ბინძური ბიუროკრატის ჩარევას საქმეში, — დოქტორმა ფერისმა მომხიბვლელი გულახდილობით გაიღიმა, — ოჰ, დიახ, ჩვენ, ბიუროკრატები, სწორედ ისევე არ ვწყალობთ ერთმანეთს, როგორც თქვენ, უბრალო მოქალაქეები, არ გვწყალობთ ჩვენ. იძულებული გავხდებოდით, უამრავი ვინმესთვის უფლება მიგვეცა, „პროექტ X“—ის საიდუმლოებებში ჩაეხედათ, რაც მოცემულ მომენტში უკიდურესად არასასურველია. ისევე არასასურველი, როგორც პრესაში ამტყდარი ალიაქოთი, თუკი სასამართლოში გიჩივლებდით სახელმწიფო დაკვეთის შესრულებაზე უარის თქმისთვის, მაგრამ თუ თქვენ სასამართლოს წინაშე წარდგომა სხვა მიზეზით მოგიწევთ, გაცილებით უფრო სერიოზული ბრალდებით, სადაც არც „პროექტი X“ იქნება გარეული და არც მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი, და თუ თავს ვერ გაიმართლებთ ან საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებთ, რა გაეწყობა, ეს ჩვენ უხერხულობას საერთოდ არ შეგვიქმნის, თქვენ კი გაცილებით უფრო ძვირი დაგიჯდებათ, ვიდრე წარმოგიდგენიათ. აქედან გამომდინარე, თქვენთვის ერთადერთი პრაქტიკული გადაწყვეტილება იქნება, დაგვეხმაროთ ჩვენი საიდუმლოს შენახვაში, ჩვენ კი დაგეხმარებით თქვენი საიდუმლოებების შენახვაში. მგონი, გესმით, რომ ჩვენ შეგვიძლია, ნებისმიერი ბიუროკრატისგან და სასამართლო დავიდარაბისგან იმდენ ხანს დაგიცვათ, რამდენ ხანსაც მოვისურვებთ.

— რომელი მოვლენა, რომელი საიდუმლო, რა სასამართლო?

— მისმინეთ, მისტერ რიერდენ, ბავშვივით ნუ იქცევით! ცხადია, იმ ოთხი ათას ტონა რიერდენ მეტალს ვგულისხმობ, რომელიც კენ დენეგერს მიაწოდეთ, — მსუბუქად უპასუხა დოქტორმა ფერისმა.

რიერდენი გაჩუმდა.

— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მთელი ეს პრინციპებზე ლაპარაკები დროის ფუჭად ფლანგვაა მხოლოდ და მეტი არაფერი, — ღიმილით განაგრძობდა დოქტორი ფერისი, — თუნდაც რომ მოისურვოთ, თავი წამებულად, მსხვერპლად წარმოადგინოთ, შექმნილ ვითარებაში, რომლის შესახებაც, შესაძლოა, მხოლოდ მე და თქვენ ვიცოდეთ და სხვამ არავინ, თქვენ მაინც ვეღარასოდეს ვეღარ იქნებით გმირი, შესანიშნავი შენადნობის შემქნელი, მტრებთან პირისპირ მდგომი, თქვენი საქციელი პუბლიკაზე შთაბეჭდილებას ვეღარ მოახდენს. თქვენ ჩვეულებრივი კანონის დამრღვევი გახდებით, ხარბი ფაბრიკანტი, რომელმაც ანგარების გამო დაარღვია საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასაცავად შექმნილი სახელმწიფო რეგულაციები; გმირი, დიდებისა და თაყვანისმცემლების გარეშე, რომელსაც სადღაც მეხუთე გვერდზე მიკუჭულ საგაზეთო სვეტის ნახევარს თუ აღირსებენ... მზად ხართ, წამებული გახდეთ? იმიტომ, რომ დღეს საკითხი ასე დგას: ან ჩვენ ვიღებთ მეტალს, ან თქვენ მიდიხართ ციხეში ათი წლით, თქვენს მეგობარ კენ დენეგერთან ერთად.

როგორც ბიოლოგს, დოქტორ ფერისს ყოველთვის აღაფრთოვანებდა თეორია, რომლის მიხედვითაც ცხოველები სხვა არსების შიშის სუნს გრძნობენ და ცდილობდა, ეს უნარი თვითონაც განევითარებინა. როდესაც რიერდენს უყურებდა, მან დაასკვნა, რომ ამ ადამიანისთვის უცხო იყო ფარ-ხმლის დაყრა, რადგან მას შიშის ვერანაირი ნიშანი ვერ შეატყო.

— ვინ არის თქვენი ინფორმატორი? — ჰკითხა რიერდენმა.

— თქვენი ერთ-ერთი მეგობარი, მისტერ რიერდენ. სპილენძის მაღაროს მეპატრონე არიზონაში. მან შეგვატყობინა, რომ გასულ თვეს თქვენ სპილენძის დამატებითი რაოდენობა მიიღეთ, რომელიც მეტალის კანონით ნებადართული თვიური მოცულობის წარმოებისთვის საჭირო ტონაჟს აღემატებოდა. სპილენძი ხომ რიერდენის შენადნობის ერთ-ერთი კომპონენტია, ასე არ არის? ეს ინფორმაცია სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ჩვენთვის. დანარჩენის დადგენას დიდი ჯაფა არ დასჭირვებია. იმ სპილენძის მაღაროს მფლობელს ძალიანაც ნუ დაადანაშაულებთ. სპილენძის მწარმოებლებს, როგორც იცით, შავი დღე ადგათ. ამიტომაც მას რაღაც ფასეულის შეთავაზება მოუწია ხელისუფლებისგან „უკიდურესი საჭიროების“ უპირატესობის მოსაპოვებლად, რის საფუძველზეც მის მიმართ ზოგიერთი დირექტივის მოქმედება დროებით შეჩერდება და ეს მას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. ადამიანმა, რომელმაც თავისი ინფორმაცია გაყიდა, იცოდა, ვისთვის შეიძლებოდა, ის ყველაზე ღირებული ყოფილიყო, და ის მე გადმომცა მისთვის საჭირო ზოგიერთი შეღავათის სანაცვლოდ.

ასე, რომ, ყველა აუცილებელი სამხილი ჩემ ხელშია, ისევე, როგორც თქვენი სიცოცხლის მომდევნო ათი წელი და მე თქვენ გარიგებას გთავაზობთ. დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგი არ იქნებით, რადგან გარიგების დადება — თქვენი სპეციალობაა, ფორმა შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს იმისგან, რაც თქვენი ახალგაზრდობის დროს იყო მიღებული, მაგრამ თქვენ გამოცდილი საქმოსანი ხართ, ყოველთვის იცოდით, როგორ გესარგებლათ უპირატესობებით, როდესაც ვითარება იცვლებოდა, ჩვენი დროის ვითარება კი აი, ასეთია. ამიტომაც, არ უნდა გაგიძნელდეთ მიხვედრა, თუ სად ძევს თქვენი ინტერესი და შესაბამისად იმოქმედოთ.

რიერდენმა მშვიდად თქვა:

— ჩემს ახალგაზრდობაში ამას შანტაჟი ერქვა.

დოქტორი ფერისი გაიკრიჭა:

— ასეც არის, მისტერ რიერდენ. ჩვენ გაცილებით უფრო რეალისტურ ეპოქაში შევაბიჯეთ.

„მაგრამ აქ ერთი უცნაური განსხვავებაა“, — ფიქრობდა რიერდენი, — „ბანალურ შანტაჟისტსა და დოქტორ ფერისს შორის. შანტაჟისტს ახარებს თავისი მსხვერპლის დანაშაული და საფრთხედ იქცევა მისთვის, საშიშროება კი მათ ორივეს ელით. დოქტორი ფერისი სულ სხვა საქმეა. ის მშვიდად და ბუნებრივად იქცევა, სრულიად თავდაჯერებულია, მის ტონში გაკიცხვა კი არა, უფრო ამხანაგობაზე მინიშნება ისმის, რომელიც საკუთარი თავისადმი დაუდევარ დამოკიდებულებაზეა დაფუძნებული“. მოულოდნელმა შეგრძნებამ, რომ ლამის მიაგნო მომდევნო ნაბიჯს თავის ჯერ კიდევ ბუნდოვანებით მოცულ გზაზე, რიერდენს უბიძგა, წინ გადახრილიყო სმენად ქცეული.

როდესაც რიერდენის მზერაში ინტერესი ამოიკითხა, დოქტორმა ფერისმა გაიღიმა და გულში საკუთარ თავს მიულოცა, რომ საჭირო ტაქტიკა შეარჩია. ახლა მისთვის თამაში სრულიად მკაფიო იყო, პარტია საჭირო მიმართულებით

ვითარდებოდა. „სხვებთან ასეთი პირდაპირობა არც დამჭირდებოდა; უკვე დიდი ხნით ადრე დათანხმდებოდნენ“, — ფიქრობდა ფერისი, — „მაგრამ ამ ადამიანს გულახდილობა სურს. მე კი მეგონა, აქ პირწავარდნილი რეალისტი დამხვდებოდა“.

— თქვენ პრაქტიკული ადამიანი ხართ, მისტერ რიერდენ, — მეგობრულად უთხრა დოქტორმა ფერისმა, — არ მესმის, რატომ არ გინდათ, დროს ფეხი აუწყოთ. რატომ არ გინდათ, რეალობას მოერგოთ? თქვენ გაცილებით ჭკვიანი ხართ, ვიდრე ადამიანების უმრავლესობაა. საიმედო კაცი. ჩვენ ძალიან გვინდა, დიდხანს იმუშაოთ და როდესაც შევიტყვე, რომ ჯიმ ტაგარტთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობთ, მივხვდით, რომ ეს შესაძლებელია. ტაგარტზე დროის დაკარგვა არ ღირს, ის არარაობაა, პაიკი. დიდ თამაშში ჩაერთეთ. ჩვენ თქვენი გამოყენება შეგვიძლია, თქვენ კი ჩვენი. გინდათ, თქვენი გულისთვის ორენ ბოილს მოვუხაზოთ? მან თქვენ საშინელი დარტყმა მოგაყენათ, თუ მოგინდებათ, მას ცოტათი შევაჯანჯღარებთ. ეს ადვილი საქმეა. ან, იქნებ, გინდათ, კენ დენეგერს მივხედოთ? ვიცი, რატომაც მიჰყიდეთ მეტალი — ქვანახშირის მიღება გინდოდათ მისგან. ასე გარისკეთ, შეიძლებოდა ციხეში ამოგეყოთ თავი და უზარმაზარი ჯარიმა გადაგეხადათ, მხოლოდ იმის გამო, რომ კენ დენეგერისთვის არ გევნოთ. და თქვენ ამას კარგ ბიზნესს ეძახით? მისმინეთ, ითანამშრომლეთ ჩვენთან, აგრძნობინეთ მისტერ დენეგერს, რომ თუ არ დაგვემორჩილება, ციხეში უკრავენ თავს, რადგან თქვენ ასეთი მეგობრები გყავთ, მას კი არა, და მაშინ აღარასოდეს დაგჭირდებათ ნერვიულობა ქვანახშირთან დაკავშირებით.

აი, როგორ უნდა აკეთო დღეს ბიზნესი. ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა უფრო პრაქტიკულია. და რაც არ უნდა ილაპარაკონ თქვენზე, იმ ფაქტს, რომ თქვენ დიდი ბიზნესმენი და ჭეშმარიტი რეალისტი ხართ, ვერავინ უარყოფს.

— დიახ, ეგ ნამდვილად ვარ, — დაეთანხმა რიერდენი.

— ასეა, — თავი დაუქნია დოქტორმა ფერისმა, — თქვენ სწორედ იმ წლებში გამდიდრდით, როცა ადამიანების უმეტესობას გაკოტრება ელოდა. ყოველთვის ახერხებდით, ნებისმიერი წინააღმდეგობა გადაგელახათ, თქვენს საწარმოებს მუშაობა არ შეეწყვიტათ და ფულს აკეთებდით. სწორედ ამიტომაც, არც ახლა მოისურვებთ, არაპრაქტიკულობა გამოავლინოთ, ხომ ასეა? რატომ, რისი გულისთვის? ფულს ხომ ისევ გააკეთებთ? ეგ თეორიები სხვებს დაუტოვეთ, ისეთებს, როგორიც ბერტრამ სკადერია, იდეალები კი ბალფ იუბენკის მსგავს ტიპებს — და დარჩით, ვინც სინამდვილეში ხართ. დაეშვით დედამიწაზე. თქვენ არ ხართ ის ადამიანი, რომელიც დაუშვებს, სანტიმენტების გამო ბიზნესი დაზარალდეს.

— არა, — წარმოთქვა ნელა რიერდენმა, — არ დავუშვებ, არავითარი სანტიმენტების გამო.

დოქტორმა ფერისმა გაიღიმა.

— გგონიათ, ამაში ეჭვი გვეპარებოდა? — უთხრა მან ისე, თითქოს დანაშაულზე წასწრებული მეგობრის გაოგნება სურდა საკუთარი ცბიერებით, — ჩვენ დიდხანს ვიცდიდით, ვიდრე თქვენზე კომპრომატს მოვიპოვებდით. თქვენგან, ამ წესიერი ადამიანებისგან, პრობლემებისა და თავის ტკივილის გარდა, სხვა არაფერია. მაგრამ ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან, ფეხი დაგიცდებოდათ, და აი, ეს დღეც დადგა, სწორედ ეგ გვინდოდა.

— მგონი, ძალიან კმაყოფილი ჩანხართ.

— განა საამისო მიზეზი არ მაქვს?

— მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მე ხომ თქვენი ერთ-ერთი კანონი დავარღვიე.

— და როგორ გგონიათ, აბა, კანონები რისთვის არსებობს?

დოქტორმა ფერისმა ვერ შენიშნა რიერდენის სწრაფი მზერა, იმ ადამიანის მზერა, რომლის წინაშეც პირველად გაცხადდა ის, რის დანახვაც ასე ეწადა.

დაკვირვების სტადია დასრულდა და დოქტორი ფერისი მოემზადა, რომ უკანასკნელი დარტყმა მიეყენებინა ხაფანგში გაბმული მხეცისთვის.

— მართლა ფიქრობთ, თითქოს ჩვენ გვინდა, ეგ კანონები ვინმემ შეასრულოს?

დაიწყო დოქტორმა ფერისმა, — ჩვენ გვინდა, ისინი დაარღვიონ. გიჯობთ, დაიმახსოვროთ, რომ საქმე ბოისკაუტებთან გაქვთ და ლამაზი ჟესტების დრო უკვე წავიდა. ძალა ჩვენ ხელშია და ჩვენ ეს კარგად ვიცით. თქვენი მეგობრები გამგონე ბიჭები არიან, აი, ჩვენ კი ვიცით, სინამდვილეში რაც ხდება. ასე რომ, გირჩევნიათ მეტი გამჭრიახობა გამოიჩინოთ. უდანაშაულო ადამიანების მართვა შეუძლებელია ერთადერთი იარაღი, რომელსაც ხელისუფლება ფლობს, ის ძალაა, რომელსაც შეუძლია, დამნაშავეები გატეხოს. ხოლო როცა დამნაშავეები არასაკმარისია ქვეყანაში მათ ქმნიან. იმდენი ახალი კანონი გამოიცა, რომ ადამიანი ვერ იარსებებს, თუ ისინი არ დაარღვია. ვის რაში სჭირდება ერი, რომელიც მხოლოდ კანონმორჩილი მოქალაქეებისგან შედგება? რა ხეირია მათგან? მაგრამ საკმარისია, გამოსცე ისეთი კანონები, რომელთა შესრულება, ცხოვრებაში დანერგვა და ობიექტური განმარტება შეუძლებელია, და თქვენ შექმნით კანონდამრღვევთა სახელმწიფოს, ანუ შესაძლებელი გახდება, დანაშაულებზე გამდიდრდე. ახლა ამან უკვე სისტემის სახე მიიღო, მისტერ რიერდენ, ეს თამაშია და როდესაც მის წესებს ისწავლით, თქვენთან საქმის დაჭერა გაცილებით უფრო ადვილი გახდება.

როდესაც რიერდენი დოქტორ ფერისს უყურებდა, დაინახა, რომ მასში მოულოდნელად პანიკის მომასწავებელმა შფოთვამ გაიელვა, თითქოს მის წინ მაგიდაზე დაუნიშნავი კარტი დავარდა, რომელიც ადრე არ შეუნიშნავს.

დოქტორი ფერისი რიერდენის თვალებში ძველისძველ, საიდუმლოებით მოცულ კითხვაზე უცაბედად დანახული პასუხით გამოწვეულმა სიმშვიდის სხივმა შეაშფოთა, და ამ პასუხს შვება და მოქმედებისთვის მზადყოფნა მოჰყვა. რიერდენის მზერაში ახალგაზრდულმა სისპეტაკემ იელვა, ტუჩების კუთხეებში კი ოდნავ შესამჩნევად უკრთოდა ზიზღი. დოქტორი ფერისი ვერ ხვდებოდა, ეს რას ნიშნავდა, ვერა და ვერ აეხსნა მისი თვალების გამომეტყველება, მაგრამ ერთი რამ უდავო იყო: რიერდენის სახეზე დანაშაულის ერთი ნიშანიც კი არ ჩანდა.

— თქვენს სისტემაში წუნი გაიპარა, დოქტორო ფერის, — მშვიდად, თითქმის კმაყოფილებით თქვა რიერდენმა, — პრაქტიკული ხარვეზი, რომელსაც მაშინ აღმოაჩენთ, როცა პასუხისგებაში მიმცემთ კენ დენეგერისთვის ოთხი ათასი ტონა მეტალის უკანონო მიყიდვისთვის.

ოცი უსასრულო წამი დასჭირდა, — და რიერდენს თითქოს ესმოდა, როგორ ნელა გადიოდნენ ისინი, — ვიდრე დოქტორი ფერისი დარწმუნდა, რომ მისმა თანამოსაუბრემ თავისი საბოლოო გადაწყვეტილება გაახმოვანა.

— გგონიათ, ჩვენ ბლეფისთვის გვცალია? — აფეთქდა დოქტორი ფერისი, მის ხმაში მოულოდნელად რაღაც ცხოველური გაისმა; ტყუილად ხომ არ სწავლობდა ცხოველების ქცევას ამდენი წელი: გეგონებოდა, მუქარის ნიშნად კბილები დაკრიჭაო.

— არ ვიცი, — თქვა რიერდენმა, — და არც მაინტერესებს, ჩემთვის სულერთია — გადაწყვეტილი გაქვთ, არაპრაქტიკული იყოთ?

— მოქმედების შეფასება, როგორც „არაპრაქტიკულისა“, მისტერ ფერის დამოკიდებულია იმაზე, კონკრეტულად რის გაკეთებას განიზრახავს ადამიანი.

— მაგრამ თქვენ ხომ ყველაზე წინ ყოველთვის ეგოიზმს აყენებდით?

— ახლა სწორედ ასე ვიქცევი.

— თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ნებას მოგცემთ, ასე ადვილად გამოძვრეთ...

— კეთილი ინებეთ და აქედან მიბრძანდით.

— ვის ასულელებთ, რა გგონიათ? — დოქტორ ფერისის ხმა ყვირილში გადაიზარდა, — მეწარმე ბარონების დრო წავიდა! თქვენ გაქვთ ის, რაც ჩვენ გვჭირდება, მაგრამ ჩვენც გვაქვს რაღაც-რაღაცები თქვენ წინააღმდეგ და და ან ისე მოიქცევით, როგორც გეტყვით, ანდა...

რიერდენმა ღილაკს თითი დააჭირა და კაბინეტში მის აივსი შემოვიდა.

— მის აივს, დოქტორი ფერისი დაიბნა და გასასვლელს ვერ პოულობს, — გამოაცხადა რიერდენმა, — იქნებ გამოიჩინოთ სიკეთე და გააცილოთ? — მერე ფერისს მიუბრუნდა, — მის აივსი ქალია, ის დაახლოებით ას ფუნტს იწონის და არავითარ სპეციალურ კვალიფიკაციას არ ფლობს, გარდა ბრწყინვალე ინტელექტისა. ადამიანების ცემა-ტყეპით გასაბრძანებლად ვერასოდეს ივარგებს, მაგრამ ისეთ არაპრაქტიკულ ადგილას მუშაობაში, როგორიც ქარხანაა, ბადალი არ ჰყავს.

მის აივსი ფერისს ისე შეჰყურებდა, როგორც ბრიყვი, რომელსაც შეკვეთების ნაკარნახევი განაცხადების ჩაწერის გარდა, სხვა არაფერი შეეძლო. ცივი უშფოთველობით გააღო კარი, დისციპლინირებულად დაელოდა, ვიდრე ფერისი ოთახს გადაკვეთდა და პირველი გავიდა. ფერისი მას ფეხდაფეხ გაჰყვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მის აივსი დაბრუნდა, სახე მოზეიმე ღიმილით გაბადროდა.

— მისტერ რიერდენ, — ჰკითხა, თან ეცინებოდა — შიშზე, რიერდენის მიმართ რომ განიცდიდა, და საფრთხეზე, რომელიც მათ ემუქრებოდათ, ყველაფერზე, გარდა მოპოვებული გამარჯვებისა, — რა ხდება თქვენს თავს?

რიერდენს ასეთ პოზაში ჯდომის უფლება ადრე საკუთარი თავისთვის არასოდეს მიუცია — ეს ყველაზე ვულგარულ მანერად მიაჩნდა ბიზნესმენისთვის: სავარძელზე გადაწოლილიყო, ფეხები კი მაგიდაზე შემოეწყო. მაგრამ მის აივსს მოეჩვენა, რომ ეს პოზა უცნაურ კეთილშობილებას გამოხატავდა, თითქოს მის წინ მოსაწყენი უფროსი კი არა, ჭაბუკი ჯვაროსანი იჯდა.

— მე მგონი, ახალი კონტინენტი აღმოვაჩინე, გვენ, — განუცხადა მას მხიარულად რიერდენმა, — კონტინენტი, რომელიც ამერიკასთან ერთად უნდა აღმოეჩინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

* * *

— ამაზე უნდა დაგელაპარაკო, — უთხრა ედი უილერსმა მაგიდის საპირისპირო მხარეს მჯდომ მუშას, — არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს ნამდვილად მეხმარება, მინდა, რომ მომისმინო.

გვიანი იყო და მიწისქვეშა კაფეტერია ნახევრად ჩაებნელებინათ, თუმცა ედი უილერსი მაინც ხედავდა, როგორ ყურადღებით შემოსჩერებოდნენ მუშის თვალები.

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ... თითქოს აღარც ადამიანები არსებობენ და აღარც ადამიანური ენა აღარ არსებობს. ასე მგონია, შუაგულ ქუჩაში რომ ავყვირდე, ხმას ვერავის გავაგონებ... არა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შუა ქუჩაში ვიღაც ყვირის, მაგრამ ადამიანები მიდი-მოდიან და არც ერთი ბგერა მათ ყურამდე არ აღწევს. ჰენკ რიერდენი, კენ დენეგერი ან მე კი არ ვყვირით, არამედ სამივენი ერთად... ნუთუ ვერ ხედავ, რომ ისინი ვინმემ უნდა დაიცვას, მაგრამ არავის

არ სურს ამის გაკეთება? რიერდენს და დენეგერს ამ დილით მეტალის უკანონო ყიდვა-გაყიდვაში წაუყენეს ბრალი. ერთი თვის მერე ციხეში ჩასხდებიან. ვიყავი იქ, ფილადელფიაში, სასამართლო დარბაზში, როცა საბრალდებო აქტი წაიკითხეს. რიერდენი ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა. მომეჩვენა, თითქოს იღიმებოდა, მაგრამ ის არ იღიმებოდა. დენეგერს საერთოდ სიტყვაც არ დაუძრავს. უბრალოდ იდგა, თითქოს იმ დარბაზში სხვა არავინ იყო... გაზეთები გაიძახიან, რომ ორივე ციხეშია ჩასაგდები... არა... არა, მე არ ვცახცახებ. ყველაფერი რიგზეა. რამდენიმე წუთში გამივლის... აი, რატომ არ ვუთხარი მას არაფერი, მეშინოდა, რომ ავფეთქდებოდი და არ მინდოდა, კიდევ უფრო გამეფუჭებინა მისთვის გუნება. ვიცი, რა დღეშიც არის... ჰო, ასეა, ის მე ამის შესახებ მელაპარაკა, და არ კანკალებდა, მაგრამ ეს კიდევ უფრო უარესია — როდესაც ადამიანი თითქოს გაქვავდება და ველარაფერს გრძნობს. მომისმინე, მე არასოდეს არ მითქვამს შენთვის, რომ ძალიან გაფასებ? ძალიან მადლიერი ვარ იმის გამო, თუ როგორ მიყურებ ახლა, ყურს როგორ მიგდებ... როგორ გესმის ჩვენი. ...რა თქვა? უცნაურია, ის ჰენკ რიერდენის გამო კი არ შიშობს, არამედ კენ დენეგერის გამო. თქვა, რომ რიერდენი გამონახავს ძალას, ეს ყველაფერი რომ გადაიტანოს. ის დარწმუნებულია, რომ კენ დენეგერი შემდეგი იქნება, ვინც წავა. წავა, როგორც ელის უაიატი და სხვა დანარჩენები. დანებდება და გაუჩინარდება... რატომ?

ის ფიქრობს, რომ საქმე სტრესს ეხება, ეკონომიკურ და პირად სტრესს. როგორც კი ამ ტვირთის მთელი სიმძიმე რომელიმე ერთი ადამიანის მხრებს დააწვება, ის უჩინარდება, წაქცეული საყრდენი ბოძივით. ერთი წლის წინ ამ ქვეყნისთვის ყველაზე დიდი საშინელება ელის უაიატის გაქრობა იყო. და ის გაქრა.

მას მერე, — თქვა მან, — თითქოს სიმძიმის ცენტრმა გადანაცვლება დაიწყო, როგორც ჩასაძირად განწირული ხომალდი კარგავს მართვის უნარს, ერთი დარგიდან მეორეში გადაინაცვლებს, ერთი ადამიანიდან მეორესთან. როცა პირველს ვკარგავდით, მეორე კიდევ უფრო საჭირო ხდებოდა და სწორედ ამ მეორეს ვკარგავდით შემდგომ, რა შეიძლება, დღეს იმაზე უარესი მოხდეს, ვიდრე ქვანახშირის მარაგები აღმოჩნდეს ისეთი ადამიანების კლანჭებში, როგორებიც ბოილი და ლარკინი არიან?

ნახშირის მრეწველობაში კენ დენეგერის გარდა აღარავინ დარჩა. და ისიც ამბობს, რომ დენეგერი თითქოს მიზანშია ამოღებული, თითქოს ყოველი მხრიდან პროჟექტორები მიანათეს და ელოდება, როდის მოუღებენ ბოლოს... რაზე გეცინება? ვიცი, რომ აბსურდულად ჟღერს, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს სიმართლეა... რა?.. ჰო, მართლაც ჭკვიანი ქალია. აქ კიდევ ერთი რამეა, ის ამბობს, რომ ადამიანი მიაღწევს რაღაც განსაზღვრულ მდგომარეობამდე, როდესაც ველარც ბრაზს გრძნობს, ველარც სასოწარკვეთას, და ეს სწორედ მაშინ ხდება, როდესაც მას ბოლო უნდა მოუღონ.

ის ვერ ამბობს, რა არის ეს, მაგრამ ხანძრამდე დიდი ხნით ადრე, ელის უაიატმა მიაღწია ამ მდგომარეობას და მას რაღაც უნდა დამართნოდა. როცა დღეს სასამართლო დარბაზში კენ დენეგერი დაინახა, თქვა, რომ დენეგერი დამანგრევლის მოლოდინშია... დიახ, ეს მისი სიტყვებია: ის დამანგრევლის მოსვლას ელოდება. იცი, ის არ ფიქრობს, რომ ეს შემთხვევით ხდება. მიაჩნია, რომ ამ ყველაფრის უკან სისტემა დგას, ჩანაფიქრი, ადამიანი. ქვეყანაში დახეტიალებს გამანადგურებელი, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით აცლის საყრდენებს, რათა მთელი სტრუქტურა თავზე დაგვემხოს. რომელიღაც სასტიკი არსება, რომელსაც ჩვენთვის გაუგებარი მიზანი

ამოძრავებს... ის ამბობს, რომ მას ხელში არ ჩაუგდებს კენ დენეგერს. სულ იმას იმეორებს, რომ დენეგერი უნდა შეაჩეროს — გადაწყვეტილი აქვს, დაელაპარაკოს, სთხოვოს, შეევედროს, გადაიტანოს დანაკარგი, დაიცვას დამანგრევლისგან მანამ, სანამ ის მოვიდოდეს. საშინლად შფოთავს და სურს, დენეგერი პირველმა მან ნახოს.

დენეგერმა ყველას უარი უთხრა შეხვედრაზე, არავის ნახვა არ სურს. ისევ პიტსბურგში დაბრუნდა, თავის მაღაროებში. მაგრამ დღეს საღამოს მან როგორც იქნა, მოახერხა, ტელეფონით დალაპარაკებოდა და შეხვედრა დაუთქვა ხვალ, დღისით...

ჰო, ხვალ ის პიტსბურგში მიფრინავს... ჰო, დენეგერის გამო შიშობს, ძალიან შიშობს... არა, მან დამანგრეველზე არაფერი არ იცის. არც ის იცის, ვინ არის, არც მისი არსებობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ გააჩნია, თუ იმ ნანგრევებს არ გავითვალისწინებთ, გზადაგზა რომ ტოვებს. მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ დამანგრეველი არსებობს... არა, მის მიზნებს ვერ ხვდება. ამბობს, რომ მისი გამართლება არაფერს არ შეუძლია. დგება წუთები, როდესაც გრძნობს, რომ ამქვეყნად ყველაფერზე მეტად მისი მონახვა სურს, ძრავის გამომგონებელზე მეტადაც კი.

ამბობს, რომ თუ იპოვის გამანადგურებელს, ადგილზე დახვრეტს; რომ სიცოცხლესაც კი დათმობს, ოღონდაც საკუთარი ხელით მოუღოს ბოლო... რადგანაც ის ყველაზე საზარელი არსებაა დედამიწაზე მცხოვრებთა შორის, ადამიანი, რომელიც მსოფლიოს გონებას ართმევს.

ალბათ, ეს დროდადრო მეტისმეტად აუტანელი ხდება ხოლმე მისთვისაც კი. არ მგონია, თავს ნებას აძლევდეს, იმაზე იფიქროს, როგორ დაიღალა. ისე დაიღალა.

ერთ დილით სამსახურში ძალიან ადრე მივედი და დავინახე, რომ თავის კაბინეტში ეძინა, ტახტზე, მაგიდაზე კი ჯერაც ენთო ლამპა. მთელი ღამე მუშაობდა. ვიდექი და ვუყურებდი. არ გავაღვიძებდი, ეს წყეული რკინიგზა სულ რომც დანგრეულიყო...

როდის ჩაეძინა... პატარა გოგონას ჰგავდა. თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ისეთ სამყაროში გაიღვიძებდა, სადაც არავინ აწყენინებდა, სადაც დასამალი და საშიში არაფერია. საშინელება იყო — ასეთი უმანკო და უცოდველი სახე და უმწეო სხეული, გეგონებოდა, გონება დაკარგა და წაიქცაო. როგორ გამოიყურებოდა... რატომ კითხულობ, ის როგორ გამოიყურებოდა მძინარე?.. ჰო, მართალი ხარ, რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი. არ უნდა ვლაპარაკობდე... არც კი ვიცი, ამაზე რატომ ვფიქრობ... ნუ მომაქცევ ყურადღებას. ხვალ უკვე ყოჩაღად ვიქნები. იმ სასამართლო დარბაზში თითქოს მეხი დამეცა. სულ ვფიქრობ, თუკი ისეთ ადამიანებს, როგორებიც რიერდენი და დენეგერი არიან, ციხეში ჩასვამენ, მაშინ, რა სამყაროში ვცხოვრობთ და რისთვისღა ვმუშაობთ? ნეტავ დედამიწაზე სამართალი თუ დარჩა საერთოდ? მე სულელმა ეს ერთ რეპორტიორს ვუთხარი, როცა სასამართლო დარბაზიდან გამოვდიოდი. მან კი უბრალოდ გაიცინა და თქვა — და ვინ არის ჯონ გოლტიო? მითხარი, რა დაემართა ამ ხალხს? ერთი ადამიანი მაინც დარჩა ამ ქვეყანაში? ნუთუ მათ არავინ დაიცავს? მისმენ? ნუთუ მათ არავინ დაიცავს?

* * *

— მისტერ დენეგერი სადაცაა, გათავისუფლდება, მის ტაგარტ. სტუმარი ჰყავს კაბინეტში. ბოდიშს გიხდით, — უთხრა მდივანმა.

პიტსბურგამდე ორსაათიანი ფრენის განმავლობაში, დაგნის ვერაფრით აეხსნა ან დაეძლია მტანჯველი ფორიაქი. წუთების თვლა სისულელე იყო, მაგრამ

მოუთმენლობისგან ადგილს ვერ პოულობდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაფრინდებოდა. შფოთვამ მხოლოდ მაშინ გადაუარა, როდესაც დენეგერის მისაღებში შეაბიჯა: უკვე აქ იყო და ხელს ვეღარავინ შეუშლიდა. უსაზღვრო შვება და თავდაჯერება დაეუფლა.

მდივნის სიტყვებმა ეს განცდა დაამსხვრია. „შენ მშიშარა ხდები“, — გაიფიქრა დაგნიმ თავის თავზე, როდესაც იგრძნო, როგორ შემოუტია უმიზეზო შიშმა, მრავალჯერ რომ აღემატებოდა ამ სიტყვების მნიშვნელობას.

— მომიტევეთ, მის ტაგარტ, — მოესმა დაგნის მდივნის პატივისცემით აღსავსე ხმა და მიხვდა, რომ ისევ ფეხზე იდგა მდუმარედ.

— მისტერ დენეგერი ერთ წუთში მიგიღებთ. ხომ არ დაბრძანდებოდით? — შეწუხებული ხმა ჰქონდა: ეს ხომ თვით დაგნი ტაგარტი იყო.

დაგნიმ გაიღიმა:

— ოჰ, არა უშავს, ყველაფერი რიგზეა.

დაგნი ხის სავარძელში ჩაჯდა, მდივნის მოპირდაპირედ.

სიგარეტისკენ გაიწია და გაჩერდა, დაფიქრდა, მოასწრებდა თუ არა მოწევას.

იმედი ჰქონდა, რომ არა, მაგრამ მერე მაინც მოუკიდა.

ცნობილი კომპანიის „დენეგერ ქოულ კომპანის“ მთავარი ოფისი ძველმოდურ შენობაში იყო განთავსებული. ფანჯრებს მიღმა, მთებში, მაღაროები მოჩანდა, სადაც ოდესღაც თვითონ კენ დენეგერიც მემაღაროედ მუშაობდა. მას არასოდეს გადაუტანია ოფისი საბადოებიდან შორს.

დაგნი ხედავდა მთის ფერდობებში შეჭრილი მაღაროების შესასვლელს, მეტალის ბიგელებს ღიობებში, რომლებიც უკიდეგანო მიწისქვეშა სამეფოში მიემართებოდნენ, შეუმჩნეველნი, თითქოს ჩაკარგულნი ფერდობების მოწითალო-მეწამულში... გვიანი ოქტომბრის მზით გაკაშკაშებული ფირუზისფერი ცის ქვეშ შემოდგომის ფერებით აჭრელებული ფოთლები მოგიზგიზე ცეცხლის ზღვას ჰგავდა... ტალღები, გეგონებოდა, მაღაროების მყიფე კონსტრუქციების გადაყლაპვას ლამობდნენ. დაგნის შეაჟრჟოლა და თვალი მოარიდა: სტარნსვილის გზაზე, ვისკონსინის მთების ფერდობებს მოდებული მეწამული ფოთლები მოაგონდა.

შენიშნა, რომ თითებს შორის მხოლოდ სიგარეტის ფილტრიღა დარჩა. მეორეს მოუკიდა.

როცა კედლის საათს შეხედა, შეამჩნია, რომ სწორედ ამ დროს მდივანიც ციფერბლატს მისჩერებოდა. შეხვედრა სამზე იყო დანიშნული, საათი უკვე 3:12-ს აჩვენებდა. — ბოდიშს გიხდით, მის ტაგარტ, — გაუმეორა მდივანმა, — მისტერ დენეგერი წუთი წუთზე გათავისუფლდება, მისტერ დენეგერი ძალიან პუნქტუალური ადამიანია.

მერწმუნეთ, ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა.

— ვიცი.

დაგნიმ მართლაც იცოდა, რომ კენ დენეგერი სკრუპულოზური სიზუსტით, რკინიგზის განრიგივით იცავდა სამუშაო გრაფიკს და ხუთი წუთით დაგვიანებასაც არ აპატიებდა არავის — შეხვედრას დაუყოვნებლივ აუქმებდა.

მდივანს, შუახნის თავაზიან ქალს, თავი ყველასთან ერთნაირი გაწონასწორებულობით ეჭირა და ნებისმიერი ქარიშხლის აუღელვებლად გაძლება შეეძლო, მისი უზადოდ თეთრი ბლუზონი როგორღაც არ ეხამებოდა ნახშირის მტვრით გაჯერებულ ატმოსფეროს. დაგნის უცნაურად მოეჩვენა, რომ ასე გაწაფულ და ნაწრთობ ქალს აშკარა მღელვარება ეტყობოდა: მდივანი არ გამოლაპარაკებია,

საუბარში არ ერთვებოდა, უხმოდ დაეხარა თავი მაგიდაზე გაშლილ რაღაც ქაღალდებზე. დაგნიმ ნახევარი სიგარეტი ჩაწვა, მდივანი კი ჯერაც ერთსა და იმავე ფურცელს ჩასჩერებოდა.

მერე მან ისევ ასწია თავი, საათისთვის რომ შეეხედა, ციფერბლატი 3:30-ს აჩვენებდა: — ვიცი, რომ ეს მიუტევებელია, მის ტაგარტ, — მის ხმაში უკვე აშკარად ისმოდა ავი წინათგრძნობა, — ვერაფრით ვერ ამიხსნია.

— ხომ არ აცნობებდით მისტერ დენეგერს, რომ მე უკვე მოვედი?

— არ შემიძლია! — თითქმის ყვირილით წარმოთქვა მდივანმა; და როდესაც დაგნის გაკვირვებული მზერა დაინახა, გადაწყვიტა, განემარტა, — მისტერ დენეგერმა შიდა ტელეფონით დამირეკა და მიბრძანა, მასთან არ შევსულიყავი, არავითარ შემთხვევაში, არანაირი მიზეზით.

— ეს როდის მოხდა?

წამიერი პაუზის მერე პასუხმა თითქოს ძლივს გასაგონად ჩაიშრიალა — ორი საათის წინ.

დაგნი უყურებდა დენეგერის კაბინეტის მიხურულ კარს. კარს მიღმა ხმა ისმოდა, მაგრამ ისე ბუნდოვნად, რომ ვერ მიხვდა, ერთი ადამიანი ლაპარაკობდა თუ ორნი საუბრობდნენ. ვერც სიტყვები გაარჩია, ვერც საუბრის თანამდევი ემოციები — მხოლოდ დახშული ხმები ესმოდა, უფრო ნორმალურ დიალოგს რომ წააგავდა და არა ხმამაღალ კამათს.

— რამდენი ხანია, მისტერ დენეგერის შეხვედრა მიმდინარეობს? — ჩაეკითხა დაგნი.

— პირველი საათიდან, — უთხრა მდივანმა პირქუშად და მობოდიშებით დააყოლა, — ეს დაუგეგმავი შეხვედრა იყო, თორემ მისტერ დენეგერი არასდროს დაუშვებდა გრაფიკის დარღვევას.

„ჩაკეტილი არ არის“, — გაიფიქრა დაგნიმ; დაუძლეველი სურვილი იგრძნო, კარები მოეფრიალებინა და შესულიყო. ხის სულ რამდენიმე ფიცარი და თითბრის სახელური — მსუბუქი ბიძგიც იკმარებდა... მაგრამ მერე გვერდზე გაიხედა — ეტიკეტის წესები და კენ დენეგერის უფლება კონფიდენციალობაზე ნებისმიერ საკეტზე საიმედო ბარიერი იყო.

როდესაც საფერფლეში თავისი მოწეული სიგარეტების ნამწვებს დასჩერებოდა, დაფიქრდა, რატომ დაეუფლა მათი ყურებისას ავი წინათგრძნობა. შემდეგ გააცნობიერა, რომ ჰიუ ექსტონზე ფიქრობდა: დაგნიმ მისწერა მას ვაიომინგში, რესტორნის მისამართზე, და სთხოვა, ეთქვა, საიდან ჰქონდა სიგარეტი დოლარის გამოსახულებით; წერილი უკან დაბრუნდა საფოსტო შეტყობინებით, რომ ადრესატი იმ ადგილიდან გადავიდა და ახალი მისამართი არ დაუტოვებია.

გაღიზიანებული არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ ამ ამბავს არავითარი კავშირი არ ჰქონდა დღევანდელთან და ნერვები უნდა მოეთოკა. მაგრამ ხელი უნებლიეთ მაინც დააჭირა საფერფლის ღილაკს და ნამწვები გაუჩინარდა.

როცა დაგნიმ თვალები ასწია, დაინახა, რომ მდივანი მას უყურებდა.

— ვწუხვარ, მის ტაგარტ, არ ვიცი, რა ვქნა, — მის ხმაში დაუფარავი, სასოწარკვეთილი მუდარა ისმოდა, — უფლება არ მაქვს, შეხვედრა შევაწყვეტინო.

დაგნიმ ეტიკეტი დაივიწყა და ნელა, მომთხოვნი ტონით ჰკითხა:

— ვინ არის ახლა მისტერ დენეგერთან?

— არ ვიცი, მის ტაგარტ. ეგ ჯენტლმენი ადრე აქ არასდროს მინახავს. — უპასუხა მდივანმა და როდესაც შენიშნა, მოულოდნელად როგორ გაუქვავდა დაგნის მზერა, დაამატა, — მე ვფიქრობ, ის დენეგერის ბავშვობის მეგობარია.

— ოჰ! — შვებით ამოისუნთქა დაგნიმ.

— გაუფრთხილებლად მოვიდა და მისტერ დენეგერთან შეხვედრა ითხოვა, თქვა, რომ ეს შეხვედრა დენეგერმა მას ორმოცი წლის წინ დაუთქვა.

— მისტერ დენეგერი რამდენი წლისაა?

— ორმოცდათორმეტის, — უპასუხა მდივანმა და დასძინა, — მისტერ დენეგერმა თორმეტი წლის ასაკში დაიწყო მუშაობა.

მცირე პაუზის მერე თქვა:

— უცნაურია, რომ სტუმარი ორმოცი წლისასაც კი არ ჰგავდა. ასე ოცდაათს გადაცილებული ჩანდა.

— თავისი სახელი ხომ არ უთქვამს?

— არა.

— როგორ გამოიყურებოდა?

მდივანმა გაიღიმა, მოულოდნელად გამოცოცხლდა, თითქოს მოემზადა, აღფრთოვანება გამოეთქვა, მაგრამ უცებ მისი ღიმილი უკვალოდ გაქრა:

— არ ვიცი, — უპასუხა უხერხულად, — აღწერა გამიჭირდება, ისეთი უცნაური სახე აქვს.

ისინი დიდხანს დუმდნენ. საათი 3:50-ს აჩვენებდა, როცა მდივნის მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა, ზარი დენეგერის კაბინეტიდან იყო — შესვლის ნებართვას იუწყებოდა.

ორივენი ფეხზე წამოხტნენ და შვებით გაიღიმეს, მდივანი კაბინეტის კარისკენ გაქანდა.

როდესაც ის კაბინეტში შედიოდა, დაგნიმ დაინახა, როგორ მიიხურა სათადარიგო გასასვლელის კარი დენეგერის სტუმრის ზურგს უკან: გაასწრო. მხოლოდ დაკეტვის ხმა გაიგონა, როდესაც კარი მიხურეს და მინამ ოდნავ დაიწკარუნა.

კენ დენეგერის სახეს თითქოს წასული ადამიანის ანარეკლი შერჩენოდა. ეს ის სახე აღარ იყო, რომელიც დაგნიმ სასამართლოს დარბაზში იხილა, არც ის, უკვე მრავალი წელი რომ იცნობდა — უდრეკი სიმტკიცის განსახიერებას. სახე, რომელიც ახლა სასწაულებრივად იყო შეცვლილი, ოცი წლის ჭაბუკსაც შეშურდებოდა. დაძაბულობის ყოველგვარი ნიშანი უკვალოდ გამქრალიყო — ნაოჭებით დაღარული ლოყები, მოჭმუხვნილი შუბლი, ჭაღარაშეპარული თმა ახლა თითქოსდა ახალ სქემაზე გადაწყობილიყო და იმედს, სიწრფელესა და უცოდველ უშფოთველობას ასხივებდა:

ეს გათავისუფლებული კაცის სახე იყო.

დენეგერი ფეხზე არ წამომდგარა, როცა დაგნიმ კაბინეტში შეაბიჯა — თითქოს სულ ახლახან დაუბრუნდა რეალობას და ყოველდღიური რუტინა დავიწყებოდა, მაგრამ ისეთი სისუფთავითა და კეთილგანწყობით უღიმოდა მას, რომ უნებლიეთ დაგნიმაც გაუღიმა საპასუხოდ. თავი იმ ფიქრში დაიჭირა, რომ ადამიანები სწორედ ასე უნდა ესალმებოდნენ ერთმანეთს და შფოთვამ სრულიად გაუარა, უეცრად დაიჯერა, რომ ყველაფერი კარგად არის და არავითარი საშიშროება აღარ არსებობს.

— როგორ გიკითხოთ, მის ტაგარტ, — წარმოთქვა დენეგერმა, — მაპატიეთ, მგონი, გალოდინეთ. დაბრძანდით, გთხოვთ. — მან თავისი სამუშაო მაგიდის წინ მდგარ სკამზე მიუთითა.

— ლოდინი არაფერია, — უთხრა დაგნიმ, — მადლობელი ვარ, რომ შეხვედრაზე დათანხმდით. აუცილებლად უნდა დაგლაპარაკებოდით ერთ ძალიან სასწრაფო და მნიშვნელოვან საქმეზე.

დენეგერი წინ გადმოიხარა, გულისხმიერი გამომეტყველებით, ყურადღებით შესცქეროდა, როგორც ყოველთვის, როცა საქმე რაიმე სერიოზულს შეეხებოდა, მაგრამ დაგნი ახლა იმ ადამიანს არ ელაპარაკებოდა, რომელსაც ასე კარგად იცნობდა — მის წინაშე სრულიად უცნობი კაცი იჯდა. დადუმდა, თითქოსდა დაეჭვებული იმ არგუმენტებში, რომელთა მოშველიებასაც აპირებდა.

დენეგერი ერთხანს მდუმარედ უყურებდა, მერე თქვა:

— მის ტაგარტ, დღეს ისეთი მშვენიერი დღეა, იქნებ, ის უკანასკნელიც არის წელს. ყოველთვის მინდოდა ერთი რამ, მაგრამ დრო ვერ გამოვნახე. მოდით, ნიუიორკში ერთად დავბრუნდეთ და ბორნით მანჰეტენის კუნძულის ირგვლივ გავისეირნოთ. უკანასკნელად შევავლოთ თვალი ყველაზე დიდებულ ქალაქს მსოფლიოში.

დაგნი არ ინძრეოდა, ერთ წერტილს მისჩერებოდა და მთელი ძალით ცდილობდა, მის გარშემო ატორტმანებული ოფისი გაეჩერებინა. და ამას ამბობდა კენ დენეგერი, რომელსაც არასოდეს ჰყოლია ახლო მეგობარი, არასდროს ყოფილა დაქორწინებული, არასდროს დასწრებია სპექტაკლს ან ფილმს, არავისთვის მიუცია ნება, ეთავხედა და მისთვის დრო წაერთმია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ბიზნესს არ შეეხებოდა.

— მისტერ დენეგერ, თქვენთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეზე სალაპარაკოდ მოვედი, რომელიც თქვენი და ჩემი ბიზნესის მომავალს ეხება. თქვენ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების შესახებ უნდა დაგელაპარაკოთ.

— აჰ, მაგაზე? ეს ამბავი ნუ აგაღელვებთ. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე გადავწყვიტე — საქმეს ვტოვებ.

გაოგნებული დაგნი ვერაფერს გრძნობდა, შიშველი ცნობისმოყვარეობის გარდა:

ალბათ სწორედ ამას შეიგრძნობს ადამიანი, რომელმაც ეს-ესაა, მოისმინა სასიკვდილო განაჩენი, ასე რომ ზარავდა და იმავე დროს, შესაძლებელიც არ ეგონა.

დაგნი მკვეთრად მიტრიალდა წუთის წინ მიხურული სათადარიგო კარისკენ. ხმადაბლა, სიძულვილისგან დაბრეცილი ტუჩებით იკითხა:

— ვინ იყო ის?

დენეგერმა გაიცინა:

— რაკი ამდენს მიხვდით, იმასაც უნდა მიმხვდარიყავით, რომ ამ შეკითხვას არ ვუპასუხებ.

— ღმერთო ჩემო, კენ დენეგერ! — ამოიგმინა დაგნიმ რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მათ შორის უკვე აღიმართა უიმედობის, დუმილის, პასუხგაუცემელი კითხვების ბარიერი, მხოლოდ სიძულვილის წვრილი ძაფი აკავებდა, რომ არ ეფეთქა, — ოჰ, ღმერთო!

— თქვენ ცდებით, ბავშვო, — ალერსიანად თქვა დენეგერმა, — ვხვდები, რასაც გრძნობთ, მაგრამ ცდებით.

მერე უფრო ოფიციალური ტონით დაამატა, თითქოს მართებული მანერები გაახსენდა მოულოდნელად და ორი ურთიერთგამომრიცხავი რეალობის დაბალანსებისას შეეცადა, წონასწორობა მოეპოვებინა:

— ვწუხვარ, მის ტაგარტ, ასე სწრაფად რომ შემოხვედით ამ ყველაფრის შემდეგ.

— მე მეტისმეტად დავიგვიანე, — დაიგმინა დაგნიმ, — აქ მის შესაჩერებლად მოვედი. ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა.

— რატომ?

— მივხვდი, რომ შემდეგი სამიზნე თქვენ იქნებოდით, რომ ის, — ვინც არ უნდა იყოს, — თქვენ მოგაკითხავდათ.

— იცოდით? საინტერესოა. მე არა.

— მინდოდა, გამეფრთხილებინეთ.. შემეიარაღებინეთ მის წინააღმდეგ.

დენეგერმა გაიღიმა:

— დამერწმუნეთ, მის ტაგარტ, თავი არ უნდა დაიტანჯოთ სინანულით, რაკი დაგაგვიანდათ, თვითონ არ თქვით: ეს უნდა მომხდარიყო!

დაგნი გრძნობდა, რომ თითოეულ განვლილ წამთან ერთად, დენეგერი სულ უფრო და უფრო შორდებოდა მას და ძალიან მალე ისე შორს აღმოჩნდებოდა, ხმას ვეღარ მიაწვდენდა; მათ შორის გადებული უკანასკნელი ვიწრო ხიდი ჯერ კიდევ არსებობდა და უნდა ეჩქარა.

დაგნი წინ გადაიხარა და ძალიან მშვიდად უთხრა — ამ სიმშვიდეში მთელი თავისი გრძნობები ჩააქსოვა:

— გახსოვთ, რას ფიქრობდით და გრძნობდით ან ვინ იყავით სამი საათის წინ?

გახსოვთ, რას ნიშნავდა თქვენთვის თქვენი მაღაროები? გახსოვთ „ტაგარტ ტრანს კონტინენტალი“ ან „რიერდენ სთილი“? ამ ყველაფრის სახელით გთხოვთ, მიპასუხეთ, დამეხმარეთ, გავიგო!

— ყველაფერზე გიპასუხებთ, რაც შემეძლება.

— გადაწყვიტეთ, საქმე დატოვოთ, ბიზნესს თავი დაანებოთ?

— დიახ.

— ახლა თქვენი საქმე თქვენთვის აღარაფერს ნიშნავს?

— უფრო მეტსაც კი, ვიდრე ოდესმე.

— და მაინც, გადაწყვიტეთ, უარი თქვათ მასზე?

— დიახ.

— რატომ?

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— თქვენ, რომელსაც სიცოცხლე არ შეგეძლოთ საკუთარი საქმის გარეშე, პატივს სცემდით შრომას, უმაქნისობის, პასიურობისა და უმოქმედობის ნებისმიერი გამოვლინება გეზიზღებოდათ, ახლა უარს აცხადებთ იმ ცხოვრებაზე, ასე რომ გიყვარდათ?

— არა. უბრალოდ, საბოლოოდ მივხვდი, რა ძლიერ მიყვარს ის.

— მაგრამ გინდათ, მიზნის, საქმის გარეშე იცხოვროთ?

— ეს რამ გაფიქრებინათ?

— სადმე სხვაგან აპირებთ ქვანახშირის მოპოვებას?

— არა, ამ ბიზნესიდან მივდივარ.

— აბა, რის გაკეთებას აპირებთ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

— სად მიდიხართ?

— არ გიპასუხებთ.

დაგნი წუთით შეჩერდა, რათა ძალები მოეკრიბა და საკუთარი თავისთვის ეთქვა:

„გრძნობები მოთოკე, არ აჩვენო მას შენი განცდები, არ დაუშვა, რომ მათ ეს უკანასკნელი ხიდი ჩაანგრიონ თქვენ შორის“. შემდეგ ისეთივე მშვიდი, გულგრილი ხმით განაგრძო:

— გააზრებული გაქვთ, როგორ იმოქმედებს თქვენი წასვლა ჰენკ რიერდენზე, ჩემზე, ყველა ჩვენგანზე, ვისაც თქვენ ტოვებთ?

„ დიახ, ახლა მე ეს უფრო უკეთ მესმის, ვიდრე თქვენ.

— და ეს არაფერს არ ნიშნავს თქვენთვის?

— უფრო მეტსაც, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ.

— მაშინ რატომ გარბიხართ?

— თქვენ ამას არ დაიჯერებთ, ამიტომაც არ ვაპირებ, აგიხსნათ, რომ სულაც არ გავრბივარ.

— ჩვენ უმძიმეს დღეში აღმოვჩნდებით, თქვენ კი შეძლებთ, გულგრილად უყუროთ, როგორ გაგვსრესენ მძარცველები?

— ასე დარწმუნებული ნუ იქნებით მაგაში.

— რაში? თქვენს გულგრილობაში თუ ჩვენს განადგურებაში?

— ერთშიც და მეორეშიც.

— მაგრამ თქვენ იცით... ანუ ამ დილით თქვენ იცოდით, რომ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, და სწორედ ჩვენ სამნი — თქვენ, მე და რიერდენი, — ვუპირისპირდებით მძარცველებს.

— თუ გიპასუხებთ, რომ მე ეს ვიცი, თქვენ კი არა, იფიქრებთ, რომ არც კი მესმის, რაზე ვლაპარაკობ. ამიტომ ისე გაიგეთ, როგორც გსურთ, მაგრამ ჩემი პასუხი ეს არის. — ეგებ ამიხსნათ, რა იგულისხმეთ?

— არა. თქვენ თვითონ მიხვდებით ყველაფერს.

— თქვენ მზად ხართ, სამყარო ბანდიტებს დაუთმოთ. ჩვენ არა.

— ნურც მაგაში იქნებით დარწმუნებული.

დაგნი უსუსურად დადუმდა. უცნაური დენეგერის ქცევაში მისი უბრალოება იყო. ის სრულიად ბუნებრივად ლაპარაკობდა და მიუხედავად ბუნდოვანებით მოცული პასუხგაუცემელი კითხვებისა და ვითარების ტრაგიკული იდუმალებისა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისთვის საიდუმლოებები უკვე აღარ არსებობდა და სათქმელიც აღარაფერი დარჩენოდა.

თუმცა, როცა კენს შეჰყურებდა, დაგნიმ მის ნეტარ სიმშვიდეში პირველი ბზარი შენიშნა: დენეგერი აშკარად რაღაც აზრს ებრძოდა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ კი თავს ძალა დაატანა და თქვა:

— რაც შეეხება ჰენკ რიერდენს... იქნებ, ერთი სამსახური გამიწიოთ?

— რა თქმა უნდა.

— გადაეცით მას, რომ... იცით, ადამიანებზე არასდროს მიზრუნია, და მაინც, რიერდენი ყოველთვის ის კაცი იყო, ვისაც პატივს ვცემდი, მაგრამ დღევანდლამდე არ მესმოდა, რომ რასაც მის მიმართ ვგრძნობდი... რომ ის ერთადერთი ადამიანი ყოფილა, ვინც ჩემთვის ძვირფასია. უბრალოდ, ეს გადაეცით და კიდევ ის, რომ ვისურვებდი... არა, მეტი არაფერი... სულ ესაა. შესაძლოა მან შემაჩვენოს წასვლის გამო თუმცა, შეიძლება — არც...

— გადავცემ.

როდესაც დენეგერის ხმაში ყრუ, დაფარული ტკივილი მოესმა, დაგნიმ ისეთი სიახლოვე იგრძნო კენთან, რომ მისი საქციელი შეუძლებლად მოეჩვენა და კიდევ ერთხელ, უკანასკნელად შეეცადა:

— მისტერ დენეგერ, თქვენ წინაშე რომ დამეჩოქა, ყველაზე მთავარი სიტყვების მოძებნა რომ მომეხერხებინა, რომლებსაც ახლა ვერ ვპოულობ შევძლებდი არსებობს, რაიმე შანსი თქვენს შესაჩერებლად?

— არა.

წამის შემდეგ, დაგნიმ უსიცოცხლოდ ჰკითხა:

— როდის მიდიხართ?

— ამ ღამით.

— რას უპირებთ... — დაგნიმ მთებისკენ მიანიშნა ფანჯრის მიღმა, — „დენეგერ ქოულ კომპანის“? ვის უტოვებთ?

— არ ვიცი, სულერთია. არავის ან ნებისმიერს. ვისაც მოუნდება, იმას.

— არ აპირებთ, რომ განკარგულება გასცეთ კომპანიასთან დაკავშირებით ან შემცვლელი დანიშნოთ?

— არა. რისთვის?

— თუნდაც იმისთვის, რომ საიმედო კაცის ხელში დატოვოთ. იქნებ თქვენ მიერ არჩეული მემკვიდრე მაინც დაგესახელებინათ?

— მე არ მაქვს არანაირი არჩევანი. ჩემთვის სულერთია. გინდათ, თქვენ დაგიტოვებთ? — დენეგერი ფურცელს მისწვდა, — თუ მოისურვებთ, წერილს დავწერ, სადაც თქვენ ერთადერთ მემკვიდრედ დაგასახელებთ, ახლავე.

დაგნიმ თავი გააქნია უნებლიე ძრწოლის შემოტევისგან:

— მე მაროდიორი არ ვარ!

დენეგერს ჩაეცინა და ფურცელი გვერდზე გასწია.

— ხომ ხედავ, რა ზუსტად მიპასუხეთ, ისე, რომ თვითონაც ვერ შეამჩნიეთ? „დენეგერ ქოულის“ გამო ნუ ნერვიულობთ. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამქვეყნად საუკეთესო შემცვლელს დავნიშნავ თუ ყველაზე უარესს. სრულიად უმნიშვნელოა, ახლა მას ვინ ჩაიბარებს — ადამიანები თუ სარეველა ბალახი, ეს არაფერს შეცვლის. — მაგრამ წახვიდეთ და მიაგდოთ... უბრალოდ, მიაგდოთ... მსხვილი სამრეწველო საწარმო, თითქოს ჩვენ უსახლკარო მაწანწალების ან ჯუნგლებში მობინადრე ველურების ხანაში ვცხოვრობდეთ!..

— და განა ასე არ არის? — ირონიულად და თანაგრძნობით იღიმოდა დენეგერი, — რატომ უნდა დავტოვო ანდერძი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი? მე არ მინდა, მძარცველებს დავეხმარო, ბანდიტებს დავეხმარო, ითვალთმაქცონ, ვითომდა კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არსებობს. მე იმ სისტემას ვემორჩილები, რომელიც მათ შექმნეს. მათ მე არ ვჭირდები, მათ მხოლოდ ჩემი ქვანახშირი სჭირდებათ. დაე, წაიღონ. — გამოდის, რომ მათი სისტემა მიიღეთ?

— ასე გამოდის?

დაგნიმ ამოიგმინა და სათადარიგო გასასვლელს გახედა:

— რა გაგიკეთათ მან?

— მან მითხრა, რომ მაქვს უფლება, წავიდე.

— არ მჯერა, რომ შესაძლებელია, სამ საათში ვინმემ მოახერხოს, ადამიანს უარი ათქმევინოს თავისი ცხოვრების ორმოცდათორმეტ წელზე!

— თუკი ფიქრობთ, რომ მან რაღაც წარმოუდგენელ აღმოჩენას მაზიარა, მაშინ კარგად მესმის, რა გაუგებარი გეჩვენებათ ეს ყველაფერი. მაგრამ ასე არ არის. მან მხოლოდ ის მითხრა, თუ რისთვის ვცხოვრობდი, რისთვის ცხოვრობს თითოეული ადამიანი — თუკი საკუთარი თავის დანგრევას არ დაიწყებს.

დაგნი მიხვდა, რომ ამაოდ ცდილობდა მის დაყოლიებას და სათქმელი აღარაფერი დარჩა.

დენეგერმა შეხედა მის დახრილ თავს და ალერსიანად უთხრა:

— თქვენ მამაცი ქალი ხართ, მის ტაგარტ. ვხვდები, ახლა რასაც აკეთებთ და ეს რადაც გიჯდებათ. ნუ იტანჯავთ თავს. ნება მომეცით, წავიდე.

დაგნი ადგა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უეცრად დაბლა დაიხედა და წამოხტა, საფერფლეს დასტაცა ხელი მაგიდის განაპირას.

საფერფლეში სიგარეტის ნამწვი ეგდო — დოლარის ნიშნით.

— რა მოხდა, მის ტაგარტ?

— მან... მან მოწია ეს სიგარეტი?

— ვინ?

— თქვენთან ვინც იყო. ის ეწეოდა ამ სიგარეტს?

— არ ვიცი... ალბათ... დიახ, მგონი, დავინახე, რომ მოწია... დამაცადეთ, შევხედო... არა, ეს ჩემი მარკა არ არის. ესე იგი, მისი უნდა იყოს.

— დღეს თქვენთან სხვა ვინმეც იყო მოსული?

— არა. კი მაგრამ, რა ხდება, მის ტაგარტ?

— შემიძლია, ეს ავიღო?

— რა? სიგარეტის ნამწვი? — დაბნეული მისჩერებოდა კენი.

— დიახ.

— ცხადია, მაგრამ რისთვის?

დაგნი ნამწვს ისე დაჰყურებდა თავის ხელისგულზე, თითქოს ძვირფასი ქვა ყოფილიყო.

— არ ვიცი... არ ვიცი, გამომადგება თუ არა, მაგრამ შესაძლოა, ეს აღმოჩნდეს გასაღები... — დაგნიმ მწარედ გაიღიმა, — ჩემი პირადი საიდუმლოს გასაღები.

ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. ისე უყურებდა დენეგერს, როგორც უკანასკნელი მზერით მიაცილებენ ხოლმე ადამიანებს მოუსავლეთში.

დენეგერი მიუხვდა, გაუღიმა და ხელი გაუწოდა:

— არ გემშვიდობებით, იმიტომ, რომ არცთუ ისე შორეულ მომავალში ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

— ოჰ, — სიხარულით გამოეხმაურა დაგნი, თან დენეგერის ხელი ეჭირა თავისაში, — დაბრუნებას აპირებთ?

— არა. თქვენ აპირებთ, შემომიერთდეთ.

* * *

ქარხნების თავზე მოწითალო ბურუსი ტორტმანებდა, თითქოს ფოლადსადნობ საამქროებს ეძინათ და მხოლოდ ღუმლების სუნთქვა და კონვეირების თანაბარი გულისცემა მიანიშნებდა, რომ ფხიზლობდნენ. რიერდენი თავის კაბინეტში, ფანჯარასთან იდგა, ხელისგულით ფანჯრის მინას მიყრდნობილი — მისი ხელი ქარხნის ტერიტორიის ნახევარ მილს ფარავდა, გეგონებოდა, ასე ცდილობდა მათ შენარჩუნებას.

უყურებდა გრძელ კედელს, რომელიც ვერტიკალური ზოლებისგან შედგებოდა — კოქსის ღუმლებს. ალმა წამით იელვა, ვიწრო კარი გასრიალდა და ისე იოლად გადმოეშვა წითლად გავარვარებული კოქსის ფირფიტა, თითქოს პურის ნაჭერი გადმომხტარიყოს გიგანტური ტოსტერიდან. წამით უმოძრაოდ ეკიდა, შემდეგ დაიბზარა და კოქსი ქვემოთ, რელსებზე მდგარ ვაგონში ჩაცვივდა.

„დენეგერის ქვანახშირი“, — გაიფიქრა რიერდენმა. თავში სხვა არაფერი უტრიალებდა.

სხვა დანარჩენი მარტოობის გრძნობამ დამარხა, ისე უკიდეგანომ, რომ მისი ტკივილიც კი დაინთქა უსაზღვრო სიცარიელეში.

გუშინ დაგნიმ უამბო, რა ფუჭად ჩაიარა მისმა მცდელობამ და დენეგერის დანაბარები გადასცა. დილით ახალი ამბები მოისმინა, რომელიც დენეგერის გაუჩინარებას იუწყებოდა. უძილო ღამისა და საფიქრალებით სავსე დაძაბული დღის მანძილზე, გრძნობდა, როგორ პულსირებდა გონებაში პასუხი დენეგერის დანაბარებზე, პასუხი, რომლის ხმამაღლა წარმოთქმის საშუალებაც მას არასდროს ექნებოდა.

„ერთადერთი ადამიანი, რომელიც ჩემთვის ძვირფასია“. ეს კენ დენეგერმა თქვა, რომელსაც არასოდეს მიუმართავს უფრო ნაზად, ვიდრე: „მომისმინეთ, რიერდენ“.

„რატომ დავუშვით ეს? რატომ გავწირეთ ორივემ საკუთარი თავი, გავერიყეთ ამ აუტანლად მოსაწყენ, უცხო ადამიანებს, რომელთაც გვაიძულეს, უარი გვეთქვა ჩვენს სურვილებზე — დასვენების, მეგობრობის, ადამიანებთან ურთიერთობის ყოველგვარ სურვილზე.

შევძლებ კი ამიერიდან, თუნდაც ერთი საათი ვუსმინო ჩემს ძმას, ფილიპს, როცა კენ დენეგერთან ურთიერთობის შესაძლებლობა წამერთვა? ვინ დაგვიწესა ვალდებულებად, ერთადერთ ჯილდოდ ჩვენი შრომისთვის, ტანჯვა-წამებით განვასახიეროთ სიყვარული მათ მიმართ, ვინც მხოლოდ სიძულვილს აღგვიძრავს?

ჩვენ, ვისაც კლდისა და მეტალის დადნობა შეგვიძლია, რატომ არასოდეს არ ვეძებთ ადამიანებში იმას, რაც რაც ასე გვაკლდა?“ — ფიქრობდა რიერდენი.

შეეცადა, ამგვარი აზრები გონებიდან მოეშორებინა, ხვდებოდა, რომ ახლა ეს სრულიად უსარგებლო იყო. მაგრამ სიტყვები არ ქრებოდნენ; თითქოს გარდაცვლილ ადამიანს მიმართავდა. „არა, მე შენ არ შეგაჩვენებ, რაკი წახვედი, თუკი ყველა კითხვა და ტკივილი თან წაიყოლე. რატომ არ მომეცი საშუალება, შენთვის მეთქვა... რა? რომ მე ვიწონებ შენს ნაბიჯს?.. არა, მე შენ არ გკიცხავ, მაგრამ არც გამოგყვები“.

თვალები დახუჭა და შეეცადა, წარმოსახვითი შვება განეცადა, ვითომდა თვითონაც გადაწყვიტა, ყველაფერი მიეყარა და წასულიყო. დანაკარგით შეძრწუნებულმა ოდნავი შურიც კი იგრძნო. რატომ მეც არ მომაკითხეს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, და რატომ არ გამიზიარეს ის უდავო მიზეზი, რომელიც მაიძულებდა, წავსულიყავი? მაგრამ მომდევნო წუთს რისხვისგან აკანკალდა, რადგან მიხვდა, რომ უმალ ადამიანს მოკლავდა, ვიდრე მისგან მოისმენდა საიდუმლოს, რომელიც თავის ქარხნებზე ხელს ააღებინებდა.

გვიანი იყო, ყველა თანამშრომელი წავიდა. მაგრამ სძაგდა სახლისკენ მიმავალი გზა და დღევანდელი საღამოს სიცარიელე. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სადნობი ღუმლების ელვარების მიღმა, წყვდიადში, მტერი იყო ჩასაფრებული, რომელმაც კენ დენეგერი აღგავა პირისაგან მიწისა. შესაძლებელია, რიერდენი ადრინდელივით უვნებელი აღარ იყო, მაგრამ აქ, ბოროტების დამაფრთხობელი, მხსნელი ცეცხლის რკალით გარშემორტყმული, ძველებურად უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს გამოუცნობი მუქარა სინამდვილეში და საიდანაც არ უნდა წამოსულიყო ის.

სიამოვნებდა შორეული ქარხნის ბნელი ფანჯრების მინებზე არეკლილი თეთრი ათინათის ყურება, რომელიც მზის სხივის ლივლივს აგონებდა წყალზე. ეს ნეონის ანთებული წარწერა აირეკლებოდა, რომელიც იმ შენობის სახურავზე კაშკაშებდა,

რომელშიც თავად იმყოფებოდა და რომელსაც „რიერდენ სთილი“ ერქვა. გაახსენდა, როგორ მოუნდა ერთხელ, მთელი თავისი წარსულისთვის წაეწერა: „რიერდენის ცხოვრება“. რატომ მოუნდა ეს? რისთვის? ვის თვალებს უნდა წაეკითხა ეს წარწერა?

სიმწრითა და სასოწარკვეთით, პირველად გაიფიქრა, რომ იმ ამაყი სიხარულის წყარო, რომელსაც ადრე შეიგრძნობდა, ადამიანების მიმართ მისი პატივისცემა იყო, მათი ფასეულობითა და საღი აზროვნებით აღფრთოვანება. ახლა ამ სიხარულს აღარ გრძნობდა. ორად ორი ადამიანიღა დარჩა, — ფიქრობდა რიერდენი, — ვისთვისაც ამ ფირნიშის განათება მოუნდებოდა.

ფანჯარას ზურგი აქცია, პალტო აიღო, ცდილობდა, მოზომილი, მიზანმიმართული მოძრაობებით ქმედითობის მდგომარეობას დაჰბრუნებოდა. პალტოში გაეხვია, მკვეთრი მოძრაობით შეიკრა ქამარი, ხელის სხარტი, ზუსტი გაწვდენით შუქი გამორთო და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან. კარი ფართოდ გააღო და ადგილზე გაქვავდა ნახევრად ჩაბნელებული მისაღების კუთხეში ერთადერთი სანათი ენთო. მაგიდასთან ფრანცისკო დ'ანკონია იჯდა და მოთმინებით ელოდებოდა.

რიერდენმა მის მზერაში წამით გაელვებული ღიმილი დაინახა, თითქოს შეთქმულივით ჩაუკრა თვალი მხოლოდ მათთვის ცნობილ საიდუმლოსთან დაკავშირებით, რომელზეც ორივენი დუმილს ამჯობინებდნენ. ეს განცდა, მეტისმეტად ხანმოკლე და ძლივს შესამჩნევი, მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა — რადგან ფრანცისკო უმალვე წამოდგა და თავაზიანად, მოწიწებით წელში გაიმართა. მიუხედავად ოფიციალური პოზისა, მასში არაფერი მიანიშნებდა არაგულწრფელობაზე, უცხოობაზე, ინტიმური უფრო ეთქმოდა, რომელიც არც მისალმებას საჭიროებს, არც ახსნა-განმარტებას.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? — მკაცრად შეეკითხა რიერდენი.

— ვიფიქრე, ჩემს ნახვას მოისურვებდით ამ საღამოს, მისტერ რიერდენ.

— მაინც, რატომ?

— იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ასე გვიანობამდე შეყოვნდით დღეს ოფისში. თქვენ არ მუშაობდით.

— რამდენი ხანია, აქ ზიხართ?

— ერთი-ორი საათია.

— რატომ არ დააკაკუნეთ?

— უფლებას მომცემდით, შემოვსულიყავი?

— მაგ კითხვის დასმა უკვე გვიანია.

— წავიდე, მისტერ რიერდენ?

— მობრძანდით, — კაბინეტის კარისკენ მიანიშნა რიერდენმა.

რიერდენმა შუქი აანთო, მშვიდად და მტკიცედ მოქმედებდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, გრძნობების გამოხატვის უფლება არ მიეცა საკუთარი თავისთვის, მაგრამ უნებლიეთ იგრძნო, რომ ჯერჯერობით მისთვის ბუნდოვანი მზარდი განცდის კვალდაკვალ, სიცოცხლეს თითქოს ფერები დაუბრუნდა. „ფრთხილად იყავი“, — უბრძანა თავს.

ხელები გულზე გადაიჯვარედინა, მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და ფრანცისკოს შეხედა, რომელიც მის წინ ისევ მოწიწებით იდგა და ცივი, სანახევრო ღიმილით ჰკითხა: — აქ რისთვის მოხვედით?

— თქვენ არ გინდათ, რომ მე გიპასუხოთ, მისტერ რიერდენ. თქვენ არც მე და არც საკუთარ თავს არ გამოუტყდებით, როგორი მარტოსული ხართ ამ საღამოს. არაფერი

არ მკითხოთ და უარყოფაც არ მოგიწევთ. უბრალოდ, მიიღეთ, როგორც მოცემულობა, რომ მე ეს ვიცი.

რიერდენმა იგრძნო, რისხვისგან როგორ დაიჭიმა სიმი, რომელიც ერთი მხრივ, ფრანცისკოს გულწრფელობით აღფრთოვანებასა და, მეორე მხრივ, მისსავე კადნიერებას შორის გაიბა, და უპასუხა:

— ვაღიარებ, თუკი ასე გნებავთ. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, თქვენ რა გეცოდინებათ?

— მხოლოდ ის, რომ მე ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც ეს იცის და ვისთვისაც ეს სულერთი არ არის.

— რატომ განაღვლებთ ეს? ან თქვენი დახმარება რატომ უნდა მჭირდებოდეს ამ საღამოს?

— იმიტომ, რომ არც ისეთი ადვილია იმ ადამიანის შეჩვენება, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

— არ შეგაჩვენებთ, თუ ამ კაბინეტიდან გაბრძანდებით.

ფრანცისკოს თვალები ოდნავ გაუფართოვდა, მერე გაიღიმა და თქვა:

— მე მისტერ დენეგერს ვგულისხმობდი.

რიერდენს წამით მოუნდა, სილა გაეწნა მისთვის, მერე ჩუმად ჩაიცინა და წარმოთქვა:

— კეთილი, დაბრძანდით.

რიერდენი ინტერესით ელოდა, როგორ გამოიყენებდა ამ სიტუაციას ფრანცისკო თავის სასარგებლოდ, მაგრამ ის უსიტყვოდ დამორჩილდა, ბავშვური ღიმილით, რომელიც ერთდროულად ტრიუმფსაც გამოხატავდა და მადლიერებასაც.

მე არ ვგმობ კენ დენეგერს, — თქვა რიერდენმა.

— თქვენ არ გმობთ? — ფრანცისკომ სამივე სიტყვა ერთნაირი მახვილით, ძალიან მშვიდად წარმოთქვა, აღარ იღიმებოდა; — არა. მე ვერ დავუწესებ ადამიანს, რამდენის ატანა უნდა შეეძლოს. თუ ის გატყდა, მე მას ვერ განვსჯი.

— თუ გატყდა?..

— რა, ასე არ არის?

ფრანცისკო უკან გადაიხარა და სკამის საზურგეს მიეყრდნო; ღიმილი ისევ დაუბრუნდა, მაგრამ ეს ღიმილი უკვე ბედნიერებას არ გამოხატავდა.

— რას მოგიტანთ თქვენ მისი გაუჩინარება?

— უბრალოდ, ამიერიდან უფრო დაძაბულად უნდა ვიმუშაო.

ფრანცისკომ ხელი ფოლადის ხიდისკენ გაიშვირა, რომელიც შავად მოჩანდა წითელი დაისის ფონზე, ფანჯრის მიღმა, და უთხრა:

— ყოველ ამ ბოძს გამძლეობის კონკრეტული ზღვარი აქვს. თქვენი ზღვარი როგორია?

რიერდენმა გაიცინა:

— აი, თურმე რისა გეშინიათ? ამისთვის მოხვედით? გეშინიათ, რომ გავტყდები?

გინდათ, რომ გადამარჩინოთ, როგორც დაგნი ტაგარტს სურდა კენ დენეგერის გადარჩენა? დაგნი ჩქარობდა, ცდილობდა, მიესწრო მისთვის, მაგრამ დააგვიანდა.

— ცდილობდა? მე ეს არ ვიცოდი. მის ტაგარტს და მე ბევრ რამეზე განსხვავებული შეხედულებები გვაქვს.

— არ იღელვოთ. მე გაუჩინარებას არ ვაპირებ. დაე, ყველა დანებდეს და შეწყვიტოს მუშაობა. მე არ შევწყვეტ. მე არ ვიცი ჩემი გამძლეობის ზღვარი, არ ვიცი

და არც მაინტერესებს. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ის არის, რომ ვერაფერი შემაჩერებს.

— ნებისმიერი ადამიანის შეჩერება შეიძლება, მისტერ რიერდენ.

— როგორ?

— მხოლოდ ის უნდა იცოდე, რა ძალა ამოძრავებს მას.

— ეს რას ნიშნავს?

— ეს თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, მისტერ რიერდენ. თქვენ ერთ-ერთი უკანასკნელი ზნეობრივი ადამიანი ხართ, ვინც ამ სამყაროში დარჩა.

რიერდენმა მწარედ ჩაიცინა.

— ჩემთვის რა აღარ უწოდებიათ, მაგის გარდა. თქვენ ცდებით. წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორ ცდებით.

— დარწმუნებული ხართ?

— მე ეს ვიცოდი. ზნეობრიობა? რამ გაიძულათ, ეს გეხსენებინათ?

ფრანცისკომ ფანჯრის მიღმა ქარხნის საამქროებზე მიუთითა:

— ამან.

რიერდენი დიდხანს გაუნძრევლად შეჰყურებდა მას, შემდეგ ჰკითხა — რას გულისხმობთ?

— თუ გსურთ, იხილოთ აბსტრაქტული პრინციპის მატერიალური ხორცშესხმა — აი, ისიც, შეხედეთ, მისტერ რიერდენ. ყოველი კოჭი, ყოველი მილი, მავთული და ხუფი განთავსებულია პრინციპის მიხედვით: სწორია თუ მცდარი? თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თქვენსავე ცოდნაზე დაყრდნობით, რა არის უმჯობესი, რათა თქვენი მიზანი განახორციელოთ — ფოლადი აწარმოოთ, მერე წინ წახვიდეთ, გაიღრმაოთ ცოდნა და სულ უფრო უკეთ და უკეთ იმუშაოთ. სტანდარტი კი თქვენი მიზანი იქნება. თქვენ თქვენი საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებთ, თქვენთვის აუცილებელია, განსჯის უნარი გქონდეთ, სიმამაცე, დაიცვათ საკუთარი აზრი. საკუთარ თავს წრფელად, უკომპრომისოდ მიუძღვნით თქვენსავე საუკეთესო, უმაღლეს მიღწევას. ვერაფერი გაიძულებთ, საკუთარი კეთილგონიერების საპირისპიროდ იმოქმედოთ, და ნებისმიერს უარყოფთ, როგორც უზნეოს და ბოროტს, ვინც კი შეეცდება, დაგარწმუნოთ, რომ ღუმლის გაცხელების უმჯობესი ხერხი მისი ყინულით გავსებაა. მილიონობით ადამიანი, მთელი ერიც კი ვერ შეგაფერხებდათ, რიერდენ მეტალი გეწარმოებინათ, იმიტომ, რომ თქვენთვის ცნობილია მისი უმაღლესი ფასეულობა და ის ძალა, რასაც ამის ცოდნა გაძლევთ. მაგრამ აი, რა მაკვირვებს, მისტერ რიერდენ: თქვენ ერთი მორალური კოდექსით ცხოვრობთ, როცა საქმე ბუნებასთან გაქვთ, და მეორით — ადამიანებთან ურთიერთობისას.

რიერდენი ისეთი დაჟინებით შეჰყურებდა ფრანცისკოს, რომ სიტყვებს ძლივს წარმოთქვამდა, თითქოს ეშინოდა, ამ დროს უმთავრესი აზრი არ გასხლტომოდა:

— რას გულისხმობთ?

— აქ ყოველი აგური კუთვნილ ადგილას დევს, თავისი დანიშნულებისამებრ და მიზანმიმართულად — ეს მიზანი ფოლადის წარმოებაა. ასეთივე შეუპოვარი ხართ იმ მიზნის მიმართაც, რომელსაც თქვენი ქარხნები და ფოლადი ემსახურება? რას გსურთ, მიაღწიოთ სიცოცხლის შეწირვით ფოლადის წარმოებისთვის? ფასეულობათა რომელ სტანდარტს მიუსადაგებთ თქვენს დღეებს? მაგალითად, რატომ შეალიეთ ათი წელი მცდელობას, თქვენი შენადნობი რომ მიგეღოთ?

რიერდენმა თვალი აარიდა, მხრები მოეშვა, შვებითა და იმედგაცრუებით.

— თუკი ამას მეკითხებით, ესე იგი, მაინც ვერაფერს მიხვდებით.

— თუ გეტყვით, რომ მე ვიცი-ამ კითხვის პასუხი, აი, თქვენ კი — არა, აქედან გამაძევებთ, ასეა?

— აქედან ნებისმიერ შემთხვევაში. უნდა გამეძევებინეთ — ასე რომ, განაგრძეთ, მითხარით, რასაც ფიქრობთ.

— თქვენ ამაყობთ „ჯონ გოლტის ხაზის“ რელსებით?

— დიახ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს საუკეთესო რელსებია, რაც ოდესმე მე დამიმზადებია.

— რატომ დაამზადეთ ისინი?

— იმიტომ, რომ ფული გამეკეთებინა.

— გაცილებით უფრო იოლი გზებიც არსებობს ფულის გასაკეთებლად. ყველაზე რთული რატომ აირჩიეთ?

— თქვენ ეგ თვითონვე თქვით ტაგარტის ქორწილში: ჩემი საუკეთესო მიღწევებ სხვების საუკეთესო მიღწევებში რომ გამეცვალა.

— თუკი ეგ იყო თქვენი მიზანი, მიაღწიეთ მას?

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— არა, — თქვა რიერდენმა.

— ფული გააკეთეთ?

— არა.

— როცა მთელ თქვენს ენერგიას ხარჯავთ, რათა საუკეთესო შენადნობი დაამზადოთ, რას ელოდებით — ჯილდოს თუ სასჯელს?

რიერდენმა არ უპასუხა.

— წესიერების, პატიოსნების, სამართლიანობის თქვენთვის ცნობილი კანონების მიხედვით, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ თქვენ ჯილდოს იმსახურებთ?

— დიახ.

— და თუ თქვენ ამის ნაცვლად დაგსჯიან, ასეთ კანონს შეეგუებით?

რიერდენმა არ უპასუხა.

— საყოველთაო შეხედულების თანახმად, დამიანს საზოგადოებაში ცხოვრება არსებობას უნდა უმსუბუქებდეს და გაცილებით უფრო უსაფრთხოს ხდიდეს, ვიდრე იმ ადამიანის არსებობაა, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე მარტო ეომება ბუნებას.

შესაბამისად, რიერდენის შენადნობი აადვილებს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას, რომელიც მას იყენებს. თქვენ თუ გაგიიოლათ მან ცხოვრება?

— არა, — ხმადაბლა უპასუხა რიერდენმა.

— თქვენი ცხოვრება უცვლელი დარჩა, ისეთი, როგორიც ამ შენადნობის წარმოებამდე იყო?

— არა... — და აქ რიერდენი მოწყვეტით გაჩუმდა, თითქოს მომდევნო აზრი გაწყვიტა.

— დატოვა თუ არა ამან თქვენი ცხოვრება ისეთივე, როგორიც მეტალის წარმოებამდე გქონდათ?

ფრანციისკოს ხმამ მათრახივით გადაუჭირა:

— თქვით ბოლოს და ბოლოს!

— მან მე ცხოვრება უფრო დამიმძიმა, — ყრუდ წარმოითქვა რიერდენმა.

— როცა ამაყობდით „ჯონ გოლტის ხაზის“ რელსებით, — თანაბარი რიტმი ფრანციისკოს სიტყვებს დაუნდობელ სიცხადეს სძენდა, — როგორ ადამიანებზე ფიქრობდით? გინდოდათ, რომ ამ ხაზით თქვენს თანასწორ ადამიანებს ესარგებლათ

— მრეწველობისა და ენერგეტიკის გიგანტებს, მაგალითად, როგორიც ელის უაიატია, რომელსაც ეს გზა დაეხმარებოდა, კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის მიეღწია?

— დიახ, — დაუფიქრებლად უპასუხა რიერდენმა.

— გინდოდათ, ამ გზით ისეთ ადამიანებს ესარგებლათ, რომლებიც შესაძლოა, მძლავრი ინტელექტით ვერ გაგტოლებოდნენ, მაგრამ ზნეობრივი სიმტკიცით თქვენი ტოლი და სწორი იქნებოდნენ, როგორც ედი უილერსია, მაგალითად, რომელიც მეტალს ვერასდროს შექმნიდა, მაგრამ ისევე პატიოსნად და შეუპოვრად იშრომებდა, როგორც თქვენ მუშაობთ? და როცა თქვენს რელსებზე გაივლიდა, გულში მადლობას გადაუხდიდა ადამიანს, რომელმაც მასა და მისნაირებს უფრო მეტი მისცა, ვიდრე პირიქით, თვითონ მისცა ეს მას?

— დიახ, — უთხრა რიერდენმა რბილად.

— გინდოდათ, რომ ხაზით წუწუნა სალახანებს ესარგებლათ, ცხოვრებაში თითი რომ არ გაუნძრევიათ და ოფისის კლერკის უმარტივესი ამოცანების გადაჭრაც კი „რ შეუძლიათ, მაგრამ კომპანიის პრეზიდენტის შემოსავალს ითხოვენ; რომლებიც მარცხიდან მარცხამდე დინებას მიჰყვებიან და საკუთარი დანახარჯების გადახდას თქვენგან ელიან; რომლებიც თავიანთ სურვილებს თქვენს შრომას უტოლებენ, თავიანთ საჭიროებებს კი უზენაეს უფლებად მიიჩნევენ, უფრო მეტი ჯილდოს ღირსად, ვიდრე თქვენი შრომაა; რომლებიც მოითხოვენ, რომ თქვენ მათ ემსახუროთ და რომ თქვენი მსახურება მათი ცხოვრების მიზნად იქცეს, რომ თქვენი ნიჭი მათი უძლურების უტყვი, უუფლებო, უსასყიდლო მონა გახდეს, და აცხადებენ, რომ თქვენ თქვენივე გენიის მონობისთვის ხართ განწირული, მაშინ, როდესაც ისინი არაკომპეტენტურობის ნიჭით დაჯილდოებულნი, იმისთვის არიან დაბადებული, რომ მართონ. სწორედ იმიტომ, რომ ნიჭიერი ხართ. ეს იმ დროს, როცა საკუთარი უნიჭობის უფლებით, დაბადებული არიან, რომ მართონ; რომ თქვენ მხოლოდ უნდა გასცეთ, მათ კი მხოლოდ მიიღონ; რომ თქვენი ხვედრია, აწარმოოთ, მათი კი — მოიხმარონ; რომ თქვენ არ იმსახურებთ არც მატერიალურ ჯილდოს, არც სულიერს, არც სიმდიდრეს, არც აღიარებას, არც პატივისცემას და არც მადლიერებას. აი, ისინი კი თქვენი რელსებით იმოგზაურებენ, გაგაქილიკებენ და შეგაჩვენებენ, რადგან მათ თქვენი ვალი არ ექნებათ. თქვენთან შეხვედრისას ქუდსაც კი არ მოიხდიან, რომელიც თქვენი ფულით ექნებათ ნაყიდი. ეს გინდოდათ? ამით იამაყებდით?

— უმალ ავაფეთქებდი მაგ ხაზს, — გათეთრებული ტუჩებით თქვა რიერდენმა.

— მაშ, რატომ არ აკეთებთ მაგას, მისტერ რიერდენ? იმ სამი ტიპის ადამიანებისგან, რომლებიც მე აღვწერე — რომელი უნდა განადგურდეს და ვინ სარგებლობს დღეს თქვენი გზით?

სიჩუმე ჩამოწვა, ესმოდათ, როგორ პულსირებდა მეტალი ქარხანაში გულივით.

— სულ ბოლოს ადამიანის ის ტიპი აღვწერე, — თქვა ფრანცისკომ, — რომელიც უფლებას აცხადებს სხვა ადამიანის შრომით მოპოვებულ თითოეულ ცენტზე.

რიერდენს სიტყვა არ უთქვამს; ის ნეონის წარწერის ანარეკლს უყურებდა შორეული ჩაბნელებული ფანჯრის მინებზე.

— თქვენ ამაყობთ იმით, რომ საკუთარ გამძლეობას ზღვარს არ უწესებთ, მისტერ რიერდენ, რაკიღა მიგაჩნიათ, რომ ყველაფერს სწორად აკეთებთ. და იქნებ ასე არ არის? იქნებ თქვენს ღირსებას ბოროტების სამსახურში აყენებთ და ნებას აძლევთ, ეს იარაღად იქნეს გამოყენებული იმ ყველაფრის გასანადგურებლად, რაც თქვენ გიყვართ, რასაც პატივს სცემთ და ეთაყვანებით? რატომ არ განამტკიცებთ

თქვენი ფასეულობების სისტემას ადამიანებთან ურთიერთობისას ისევე, როგორც ამას თქვენს საამქროებში ახერხებთ? თქვენ, კაცმა, რომელიც ერთ პროცენტ მინარევსაც კი არ დაუშვებს თავის მეტალში, რა მიიჩნიეთ დასაშვებად თქვენს ზნეობრივ კოდექსში?

რიერდენი სრულიად გაქვავებული იჯდა; მსხვერპლის თანხმობა“ — როგორც ნაბიჯების ხმა უცნობ ბილიკზე, გაისმოდა მის გონებაში ეს სიტყვები.

— თქვენ, ვინც ქედს არ იხრით ბუნების წინაშე, დაუპირისპირდით მას და საკუთარი სიამოვნებისა და კომფორტის სამსახურში ჩააყენეთ — რა მიიღეთ სანაცვლოდ ადამიანებისგან? თქვენ, რომელმაც თქვენი შრომის წყალობით შეიტყვეთ.

რომ ადამიანი სასჯელს მხოლოდ დანაშაულისთვის იმსახურებს, მზად ხართ, მოითმინოთ და რისთვის? მთელი თქვენი ცხოვრება მხოლოდ იმას ისმენდით, რომ გლანძღავდნენ არა თქვენი ცოდვებისთვის, არამედ თქვენი უდიდესი ღირსებებისთვის.

თქვენი შეცდომებისთვის კი არ ეზიზღებოდით, არამედ თქვენი მიღწევებისთვის.

თქვენ ყველა იმ თვისების გამო სძულხართ, რომლითაც თავად ასე ამაყობთ; ეგოისტს გიწოდებენ იმ სიმამაცისთვის, რომ მთელი ცხოვრება საკუთარი შეხედულებების ერთგული იყავით და საკუთარ ცხოვრებაზე თავადვე აგებდით პასუხს; ქედმაღალს — დამოუკიდებელი გონების გამო, სასტიკს უდრეკი პირდაპირობის გამო, ანტისოციალურ ადამიანად გნათლავდნენ თქვენი შეხედულებების გამო, რომელნიც გიბიძგებდნენ, გაუკვალავი გზებით გევლოთ. შეუბრალებელს გიწოდებდნენ მიზნისკენ მიმავალ გზაზე გამოჩენილი სიმტკიცისა და თვითდისციპლინის გამო; ხარბს — გასაოცარი უნარის გამო, შეგექმნათ სიმდიდრე. თქვენ, რომელიც კოლოსალურ ენერგიას ავლენდით მუშაობისას, პარაზიტი გეწოდათ. თქვენ დოვლათი იქ შექმენით, სადაც არაფერი იყო, გარდა უდაბური მიწებისა, უმწეობისა და მოშიმშილე ადამიანებისა, და ამის გამო სისხლისმსმელი ბანდიტი გიწოდეს. თქვენ, ვინც ადამიანებს სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, ექსპლუატატორი გიწოდეს. თქვენ, ყველაზე სუფთა და ზნეობრივ ადამიანს, ქილიკით „ვულგარული მატერიალისტი“, გიწოდეს.

რატომ არ ჰკითხეთ მათ: „რა უფლებით?“ „რომელი კანონის მიხედვით?“ „რომელი მორალური საზომის საფუძველზე?“ არა, თქვენ ყველაფერს ითმენდით და დუმდით., თქვენ თავი დაუხარეთ მათ მორალურ კოდექსს და არ განამტკიცეთ საკუთარი. თქვენ იცოდით, რამდენი შრომა სჭირდება მეტალის ერთი ლურსმნის გაკეთებას, მაგრამ მათ ნება მიეცით, ამორალური ადამიანის დამღა დაესვათ თქვენთვის.

თქვენ იცოდით, რომ ადამიანს უმკაცრესი მორალური კოდექსი სჭირდება ბუნებასთან შესარკინებლად, მაგრამ იფიქრეთ, რომ ადამიანებთან ურთიერთობისთვის საგანგებო კანონები არ გჭირდებოდათ. თქვენ მომაკვდინებელი იარაღი ჩაუგდეთ ხელში თქვენს მტრებს, იარაღი, ისე, რომ არასოდეს არც კი გიფიქრიათ, ეჭვიც კი არ აგიღიათ. ეს იარაღი მათი მორალური კოდექსია. საკუთარ თავს ჰკითხეთ, რამდენად საფუძვლიანად და რამდენი საშინელი ფორმით შეჰგუებიხართ ამას.

ჰკითხეთ საკუთარ თავს, რამდენად ღრმად და რთულად მოახერხეთ მისი მიღება?

ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა წვლილი შეაქვს ადამიანის ცხოვრებაში მორალურ ფასეულობებს და რატომ არ შეუძლია მას მის გარეშე არსებობა, და რა ელის, თუკი ის აღიარებს მცდარ სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც ბოროტება — სიკეთეა.

გითხრათ, რა გიზიდავთ ჩემში, მიუხედავად იმისა, რომ გგონიათ, უნდა შემაჩვენოთ? ის, რომ მე პირველი ადამიანი ვარ, რომელმაც ის მოგაგოთ, რაც მთელ სამყაროს მართებს თქვენი, და რაც სრული უფლება გაქვთ, მოითხოვოთ ადამიანებისგან, ვიდრე მათთან საქმეს დაიჭერთ: მორალური თანადგომა.

რიერდენი მკვეთრად მიბრუნდა მისკენ, მერე კი გაშეშდა, თითქოს სუნთქვა შეეკრა. ფრანცისკო წინ გადაიხარა, გეგონებოდა, საშიში ფრენის შემდეგ დასაფრენად ემზადებოდა; ჯიქურ, დაძაბულობით აღსავსე მზერით შეჰყურებდა.

— თქვენ საშინელი ცოდვა გედებათ ბრალად, მისტერ რიერდენ. იმაზე გაცილებით მეტად ხართ ცოდვილი, ვიდრე გეუბნებიან, მაგრამ თქვენი დანაშაული სულ სხვაა — ყველაზე საზარელი ცოდვა დაუმსახურებელი დანაშაულის აღიარებაა, თქვენ კი ამას მთელი ცხოვრება სჩადიოდით.

— თქვენ ფულს უხდიდით შანტაჟისტებს, მაგრამ ისინი თქვენი დანაშაულებების გამო კი არა, თქვენი ღირსებების გამო გაშანტაჟებდნენ. ნებაყოფლობით ეზიდებოდით დაუმსახურებელი სასჯელის ტვირთს და ნებას აძლევდით მას, რაც მეტ ღირსებას გამოავლენდით, მით მეტად დამძიმებულიყო. მაგრამ თქვენი ღირსებები ადამიანებს დაეხმარნენ, გადარჩენილიყვნენ. თქვენი პირადი მორალური კოდექსი, რომლის მიხედვითაც თქვენ ცხოვრობდით, მაგრამ არასოდეს განამტკიცებდით, არ აღიარებდით და არ იცავდით, იყო კოდექსი, რომელიც ადამიანს არსებობას უნარჩუნებს. და თუ ამის გამო ისჯებოდით, მაშინ როგორიღა იყო მათი არსი, ვინც თქვენ გსჯიდათ?

— თქვენი კანონი სიცოცხლის კოდექსი იყო. მაშინ მათი კოდექსი რაღა იყო? რა უდევს მას საფუძვლად? რა არის მისი საბოლოო მიზანი? ფიქრობდით, რომ საქმე მხოლოდ თქვენი სიმდიდრის კონსპირირებულ მითვისებას ეხებოდა? თქვენთვის ცნობილია სიმდიდრის წარმოშობის წყარო, მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, რომ საქმე გაცილებით უარესად არის. თქვენ მე მთხოვეთ, დამესახელებინა ადამიანის მამოძრავებელი ძალა? ადამიანის მამოძრავებელი ძალა მისი მორალური კოდექსია.

ჰკითხეთ საკუთარ თავს, საით მიემართება მათი მორალური კოდექსი და რა საბოლოო მიზანს გთავაზობთ ის თქვენ. მოკლა ადამიანი — გაცილებით უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ჩაუნერგო მას აზრი, რომ თვითმკვლელობა უმწიკვლობის უდიდესი აქტია. ადამიანის სამსხვერპლო ცეცხლში დაწვაზე უარესია, მოითხოვო მისგან, ჯერ ეს ცეცხლი თავად გააჩაღოს, მერე კი საკუთარი სურვილით შევიდეს მასში. მათი მტკიცებით, თქვენ ვალდებული ხართ, დაეხმაროთ მათ, რადგან ისინი თქვენ გარეშე ვერ იარსებებენ. დააკვირდით, რა ამაზრზენია — ის, რომ თვითონ უძლურნი არიან და რომ თქვენ მათ სჭირდებით, ისე წარმოადგინონ, როგორც გამართლება ყველა იმ ტანჯვისთვის, თქვენ რომ მოგაყენეს. გინდათ, ამას შეეგუოთ? ეს გინდათ — თქვენი უსაზღვრო გამძლეობის, თქვენი აგონიის სანაცვლოდ, — თქვენივე გამანადგურებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება?

— არა!

— მისტერ რიერდენ, — თქვა ფრანცისკომ მშვიდი და სერიოზული ხმით, — მითხარით, თქვენ რომ ატლანტი დაგენახათ, გიგანტი, რომელსაც დედამიწა საკუთარი მხრებით უჭირავს. დაგენახათ, როგორ სდის სისხლი დაძაგრული მკერდიდან, მუხლები ეკეცება, ხელები უკანკალებს, უკანასკნელ ძალას არ ზოგავს,

რომ დედამიწა დაიჭიროს და რაც უფრო მეტად ცდილობს, მით მეტი ძალით აწვება ეს დედამიწა მას მხრებზე, რის გაკეთებას ურჩევდით?

— მე... არ ვიცი. რა... უნდა გააკეთოს? თქვენ რას ურჩევდით?

— მხრებში გამართვას.

მეტალის ღრჭიალი უწესრიგო, გაურკვეველი რიტმით შემოიჭრა ოთახში. ეს დანადგარების გამართული მუშაობის ხმას არ ჰგავდა. ყოველი მომდევნო მოულოდნელი დაგრუხუნება მანქანების დაძაბულ ამოკვნესას ჰგავდა. ფანჯრის მინა აზრიალდა.

ფრანცისკო რიერდენს ისე აკვირდებოდა, თითქოს თვალს ადევნებდა, როგორ ხვდებოდა ტყვიები უკვე დაცხრილულ სამიზნეს. ამოცანა მარტივი არ იყო. რიერდენი გამართული იჯდა მაგიდის კიდეზე, მისი ცივი ცისფერი თვალები არაფერს გამოხატავდნენ, მხოლოდ დაჟინებით იყურებოდნენ სადღაც შორს, უკიდეგანო სივრცეში, ტუჩებიც ტკივილის გრიმასას დაებრიცა.

— განაგრძე, — თავს ძალა დაატანა და წარმოთქვა რიერდენმა, — ჯერ ხომ არ დაგიმთავრებია?

— ეს მხოლოდ დასაწყისია, — თქვა ხმამაღლა ფრანცისკომ.

— რა... გაქვს განზრახული?

— ყველაფერს მანამდე მიხვდებით, ვიდრე დავასრულებ. მაგრამ ჯერ მინდა, ერთ კითხვას გასცეთ პასუხი: თუ თქვენი ტვირთის არსი გესმით, როგორ შეგიძლიათ...

სივრცე საავარიო სირენების გამჭოლმა კივილმა გაკვეთა და ცაში რაკეტასავით აიჭრა. სიგნალი წამით გაწყდა, შესუსტდა და მერე ახალი ძალით ისევ გაისმა, სპირალივით ჩაახვია მწივანა ბგერები, გეგონებოდა, შიშობდა, უფრო ძლიერად არ აკივლებულიყო. ეს აგონიის კივილი იყო, დახმარების განწირული ვედრება, თითქოს თავად ქარხანა სასიკვდილოდ დაეჭრათ და ბოლო ხმაზე ყვიროდა.

რიერდენს ეჩვენებოდა, რომ მყისვე გავარდა კარისკენ, როგორც კი სირენის ხმამ მის სმენამდე მოაღწია, მაგრამ დაინახა, რომ წამით დაიგვიანა, რადგან ფრანცისკომ წინ გაუსწრო. იმავე ინსტინქტის ბიძგით, ფრანცისკო დერეფანში გაიჭრა, ლიფტის ღილაკს თითი მიაჭირა და არც კი დაელოდა, ისე დაეშვა ფეხით ქვემოთ კიბეებით. რიერდენი ფეხდაფეხ გარბოდა, თან ლიფტის მოძრაობას აკვირდებოდა.

ლიფტში მაშინ შეცვივდნენ, როცა ნახევარი გზა უკვე გავლილი ჰქონდათ. როგორც კი ფოლადის კაბინამ ტორტმანით ჩააღწია პირველ სართულამდე, ფრანცისკო ტყვიასავით გაიჭრა გარეთ და განგაშის სიგნალს პირისპირ შეეჩეხა. რიერდენი თვლიდა, რომ ურიგოდ არ დარბოდა, თუმცა ვერაფრით დაეწია სწრაფ ფიგურას, დროდადრო რომ გაკრთებოდა ხოლმე წითლად მოელვარე შუქებით დასერილ ბნელ გვირაბში, უდარდელი პლეიბოის ფიგურას, ასე რომ ხიბლავდა და სწორედ ამის გამო რომ სძულდა ასე საკუთარი თავი.

სადნობი ღუმლის გვერდით კედელში გაჩენილი ნაპრალიდან გადმოღვრილი მეტალი წითლად კი არ ღუოდა, თვალის მომჭრელ, მზის სხივივით თეთრ ნათებას გამოსცემდა და გამალებულ ნაკადად უწესრიგოდ იდღაბნებოდა მიწაზე. გავარვარებული მეტალის ალმურით შეფერილი ბლანტი ორთქლი დილის ნისლს წააგავდა. ეს გამლღვალი მეტალი იღვრებოდა. განგაშის სიგნალი იუწყებოდა, რომ ღუმელი დაზიანდა.

საამქროს უფროსი იქვე იწვა უგრძნობლად, თეთრი ჭავლი გარეთ იღვრებოდა და თანდათან სულ უფრო აფართოებდა ნაპრალს. ადამიანები გარბი-გამორბოდნენ, ქვიშას, შლანგებსა და ცეცხლგამძლე თიხას ეზიდებოდნენ და ცდილობდნენ

მოელვარე ნაკადულის შეჩერებას, მწარე კვამლის ღრუბლებში გახვეული რომ მოედინებოდა და გზად ყველაფერს შთანთქავდა.

რამდენიმე წამში, რომელიც რიერდენს იმისთვის დასჭირდა, რომ თვალი მოევლო და მომხდარი უბედურების მიზეზს მიმხვდარიყო, ალმურში, ზედ ღუმელთან, თვალი მოჰკრა ადამიანის ფიგურას, რომელსაც თითქოს გავარვარებული ნაკადისთვის გზა მოეჭრა. შემდეგ მისი თეთრი პერანგის სახელომ გაიელვა და მდუღარე მეტალის შუაგულში რაღაც შავი ნივთიერება მოისროლა. ეს ფრანცისკო დ'ანკონია იყო, რომელმაც ეს მანევრი ისეთი ოსტატობით განახორციელა, რიერდენი თვალებს არ უჯერებდა. აღარც ჰქონდა იმედი, თუ მსგავს რამეს ოდესმე კიდევ შეესწრებოდა.

წლების წინ, რიერდენი მინესოტას ერთ ფოლადგადამამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა, სადაც მას ევალებოდა, დაზიანებულ ღუმელში მეტალის ნაკადის შესაჩერებლად ცეცხლგამძლე თიხით ხელით ამოეგმანა ბრძმედის კრიჭა. ამ საშიშმა სამუშაომ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მართალია, ჰიდრავლიკური ზარბაზანი უკვე კარგა ხნის გამოგონებული იყო, მაგრამ აქა-იქ კიდევ დარჩა მცირე ქარხნები, რომელნიც თავიანთი არსებობის მიწურულს ცდილობდნენ, ვადაგასული მოწყობილობები და დიდი ხნის წინ მოძველებული მეთოდები გამოეყენებინათ. თვითონ რიერდენი ამ სამუშაოს უმკლავდებოდა, მაგრამ მას მერე არასოდეს აღარავინ შეხვედრია, ვინც ამავე საქმეს შეეჭიდებოდა. და აი, ახლა ხედავდა, როგორ ოსტატურად ცდილობდა ეს წარმოსადეგი პლეიბოი, ცეცხლის მდინარე შეეჩერებინა.

რიერდენმა წამში გაიძრო პალტო. ვინც კი ყველაზე ახლოს აღმოჩნდა მასთან, დამცავი სათვალე აართვა და და ფრანცისკოს შეუერთდა. ლაპარაკის, ემოციებისა და ფიქრის დრო არ იყო. ფრანცისკომ მას შეხედა — და რიერდენმა მისი გამურული სახე, დამცავი შავი სათვალე და ფართო ღიმილი დაინახა.

სლიპინა დაბუგულ წიდაზე იდგნენ, თვალის მომჭრელად თეთრი ნაკადის პირას, მათ ფეხქვეშ მხურვალება იფრქვეოდა, ისინი კი განუწყვეტლივ ყრიდნენ თიხას ცეცხლში, სადაც ცეცხლმოკიდებული გაზის ენებივით ლივლივებდა და დუღდა მეტალი. რიერდენისთვის სამყარო სწრაფი, თანმიმდევრული მოძრაობის რიგად იქცა:

თიხას იღებდა, უმიზნებდა, ესროდა და ვიდრე ის მიზანს მოხვდებოდა, მორიგი ულუფისთვის იხრებოდა; მთელი მისი გონება მიპყრობილი იყო გავარვარებული სამიზნისკენ, ღუმელი რომ გადაერჩინა, და არამყარ ნიადაგზე ფეხებქვეშ, რათა საკუთარი სიცოცხლე ეხსნა. სხვა არაფერზე არ ფიქრობდა — მხოლოდ მღელვარე აღმაფრენას გრძნობდა ძალების დაძაბვისგან, სხეულის მკაფიო მოძრაობებისგან, ნებისყოფის მოკრებისგან. ამის გასაცნობიერებლად დრო არ ჰქონდა, გონებით კი არა, გრძნობით აღიქვამდა მბრწყინავი სხივების ფონზე შავ სილუეტს, დაძაბულ იდაყვებს, დაკუნთულ სხეულს. პროჟექტორების ნემსებივით გრძელი წითელი სხივები გამოკვეთდნენ იმ სწრაფი, დახელოვნებული თანაშემწის მოძრაობებს, რომელიც ადრე მხოლოდ გაკაშკაშებულ სამეჯლისო დარბაზებში თუ უნახავს სმოკინგში გამოწყობილი.

სიტყვების გამოძებნის, ფიქრისა და ახსნა-განმარტების დრო არ ჰქონდა, მაგრამ რიერდენმა იცოდა, რომ ეს ნამდვილი ფრანცისკო დ'ანკონია იყო; მისი ის ნაწილი, რომელიც მან თავიდანვე დაინახა და შეიყვარა — ამ სიტყვას ის არ გაუოგნებია, რადგან ეს ერთადერთი სიტყვა იყო, რომელიც გონებაში მოიძებნა. და კიდევ სიხარული, რომელმაც ენერგიის მორიგი ტალღის მოზღვავება მოაგონა.

როდესაც აღიქვამდა სხეულის რიტმულ მოძრაობას, ცეცხლის სიმხურვალეს სახეზე და ღამის სიცივეს ზურგზე, მოულოდნელად გააცნობიერა, რომ სწორედ ეს იყო მისი სამყაროს უმარტივესი არსი: ინტუიციური სურვილი, არ შეჰგუებოდა უბედურებას, ბრძოლის დაუოკებელი ჟინი, ტრიუმფალური განცდა საკუთარი უნარისა, გაემარჯვა. დარწმუნებული იყო, რომ ფრანცისკოც იმავეს გრძნობდა, რომ ფრანცისკოსაც იგივე იმპულსი ამოძრავებდა, რიერდენს სჯეროდა, რომ ორივეს ჰქონდა უფლება, ეს გრძნობა განეცადათ. ხედავდა, როგორ გაიელვებდა ოფლში გახვითქული სახე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მძიმე სამუშაოზე იყო მომართული — და ეს ყველაზე ბედნიერი სახე იყო, რაც კი ოდესმე უნახავს.

მათ თავზე ღუმელი აღმართულიყო — ორთქლში გახვეული უზარმაზარი შავი მანქანა თითქოს იხრჩობოდა, როდესაც წითელ ოხშივარს გამოისროდა, ქარხნის თავზე რომ გროვდებოდა ალისფერ ღრუბლებად, ისინი კი იბრძოდნენ, რათა ის სისხლისაგან არ დაცლილიყო და არ მომკვდარიყო.

მეტალი მათ ფეხებთან მოულოდნელ ნაპერწკლებს ისროდა; ეს ნაპერწკლები შეუმჩნევლად უჩინარდებოდნენ ტანსაცმელზე და ხელებზე. ჯეგირი, რომელიც თვალსა და ხელს შუა თანდათან იზრდებოდა, ნაკადს ეღობებოდა და ის სულ უფრო და უფრო ნელა მოედინებოდა.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ რიერდენმა მომხდარის ბოლომდე გაცნობიერება მერეღა მოახერხა, როდესაც ავარია აღკვეთეს.

მას ორი მომენტი დაამახსოვრდა. პირველი — როდესაც დაინახა, როგორ მოიქნია ფრანცისკომ ხელი ძლიერად, თიხის მორიგი გუნდა რომ ისროლა და მეტისმეტად მკვეთრად გადაიხარა წინ მთელი სხეულით, მერე მოულოდნელად უკან რომ გახტა და ცდილობდა, წონასწორობა აღედგინა. როდესაც თვითონ გადახტა ფრანცისკოსკენ და მის გვერდით დაეშვა სლიპინა ზედაპირზე, ჰენკი ფიქრობდა, რომ ეს ნახტომი, რომლითაც მათ შორის არსებული მანძილი გადაფარა, მათ ორივეს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდათ. მეორე მომენტი — როცა ის დაეშვა ფრანცისკოს გვერდით, ხელები შემოაჭდო მას, თეთრ ნაკადში რომ არ წაქცეულიყო და უკან გაათრია, თვითონ კი მთელი ძალით ცდილობდა, ფეხები გაემაგრებინა, ხელს არ უშვებდა, ისე იყო ჩაჭიდებული, როგორც თავის ერთადერთ ვაჟიშვილს ჩაეჭიდებოდა.

მთელმა მისმა სიყვარულმა, მისმა შიშმა, შვებამ გადმოხეთქა ყვირილში:

— ფრთხილად, შეშლილო!

ფრანცისკო ნიჩაბს დასწვდა, თიხის მორიგი ულუფა აიღო და მუშაობა განაგრძო.

როცა ყველაფერი დამთავრდა და ნაპრალი ამოავსეს, რიერდენმა მკლავებსა და ფეხის კუნთებში მტანჯველი ტკივილი იგრძნო. დაუძლურებული სხეული აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ თავს მაინც მხნედ გრძნობდა, თითქოს ის-ის იყო გათენდა, თავის კაბინეტში შედიოდა და მზად იყო, უამრავი ახალი პრობლემა გადაეჭრა.

ფრანცისკოს შეხედა და ახლაღა შეამჩნია, რომ ტანსაცმელი დამწვარი და დახვრეტილი ჰქონდათ, ხელები დასისხლიანებოდათ, ფრანცისკოს საფეთქელზე კანი გასჭროდა, ღაწვზე სისხლის წვრილი წითელი ნაკადული მოჟონავდა; ფრანცისკომ დამცავი სათვალე შუბლზე აიწია და რიერდენს გაუღიმა — ეს ნათელი, მზიანი დილის ღიმილი იყო.

მათთან ერთი ახალგაზრდა მიიჭრა, ქრონიკულად განაწყენებული და თავხედური გამომეტყველებით და ყვიროდა:

— მე ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი, მისტერ რიერდენ! — და დაუსრულებელ ახსნა-განმარტებას მოჰყვა.

რიერდენმა უსიტყვოდ შეაქცია ზურგი. ეს ოსტატის თანაშემწე იყო, რომელსაც ღუმლის მანომეტრისთვის თვალყურისდევნება ევალებოდა, პირტიტველა ყმაწვილი, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა კოლეჯი.

სადღაც, ცნობიერების განაპირას, გაუელვა აზრმა, რომ ასეთი ავარიები, რომელთაც მადნის უხარისხობა იწვევდა, ბოლო დროს გახშირდა, მაგრამ საქმე ასარჩევად არ ჰქონდა, იძულებული იყო, ის მადანი გამოეყენებინა, რომლის შოვნასაც მოახერხებდა. კიდევ გაიფიქრა, რომ ძველი მუშები ყოველთვის ახერხებდნენ, თავიდან აეცილებინათ ავარიები; ისინი დროულად ამჩნევდნენ ავარიის ნიშნებს და იცოდნენ, როგორ აღეკვეთათ ის, მაგრამ ასეთი ადამიანი თითო-ოროლაღა თუ მოიძებნებოდა.

იძულებული იყო, შემთხვევითი ხალხი დაექირავებინა. ორთქლის ბოლქვებს მიღმა დაინახა ხნიერი კაცი, რომელიც შორიდან მოვარდა კატასტროფასთან შესაბრძოლებლად და ახლა რიგში იდგა, სამედიცინო დახმარება რომ აღმოეჩინათ მისთვის.

„რა დაემართა ახალგაზრდობას ამ ქვეყანაში?“ — გაიფიქრა რიერდენმა, მაგრამ ეს კითხვა თავისთავად გაუქრა, როგორც კი კოლეჯის კურსდამთავრებულ ყმაწვილს შეხედა, რომლის ყურებისას მოზღვავებულ ზიზღს ვერ უმკლავდებოდა, — „თუ მტერი ასეთია, მაშინ საშიშიც არაფერი ყოფილა“. ეს ემოციები შემოაწვა და მერე გაუჩინარდა ღამის წყვდიადში, ისინი ფრანცისკო დ'ანკონიამ გადაფარა, რომელიც გარშემო შემოჯარულ ადამიანებს განკარგულებებს აძლევდა. მათ არ იცოდნენ, ვინ იყო ეს კაცი და საიდან მოვიდა, მაგრამ უჯერებდნენ, როგორც ადამიანს, რომელმაც საკუთარი საქმე იცის. როდესაც ფრანცისკომ დაინახა, როგორ მიუახლოვდა მათ რიერდენი, მომდევნო ბრძანება შუაზე გაუწყდა და სიცილით მოიბოდიშა:

— ოჰ, გთხოვთ, მომიტევოთ!

რიერდენმა უთხრა:

— განაგრძეთ. ყველაფერი სწორია.

როდესაც ჩაბნელებული ოფისისკენ მიაბიჯებდნენ, ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ. რიერდენი გრძნობდა, როგორ უწრიალებდა შიგნით ნერვიული სიცილი, უნდოდა, თვალი ჩაეკრა ფრანცისკოსთვის, როგორც ერთ-ერთი შეთქმულისთვის, რომელმაც სხვებისთვის უცნობი საიდუმლო ამოიცნო. მან ფრანცისკოს გახედა, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ ძირს იყურებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანცისკომ უთხრა:

— თქვენ მე გადამარჩინეთ, გმადლობთ.

რიერდენს გაეცინა:

— თქვენ მე ღუმელი გადამირჩინეთ.

— და გზა ისევ მდუმარედ განაგრძეს. ყოველ მომდევნო ნაბიჯთან ერთად, რიერდენი თავს სულ უფრო და უფრო მსუბუქად გრძნობდა. როდესაც სახე სუსხიან ქარს შეუშვირა, დაინახა მშვიდობიანი ბნელი ცა და ერთადერთი ვარსკვლავი ქარხნის მილის თავზე, რომელზეც ვერტიკალურად წაეწერათ: „რიერდენ სთილი“. და მიხვდა, როგორი ბედნიერი იყო, ცოცხალი რომ გადარჩა.

მოუნდა, დაენახა, როგორ შეეცვლებოდა ფრანცისკოს გამომეტყველება, როდესაც მის განათებულ კაბინეტში დაბრუნდებოდნენ. მაგრამ ის, რასაც გავარვარებული ღუმლის შუქზე ხედავდა, უკვალოდ გამქრალიყო. ელოდა, რომ

ტრიუმფატორის მზერას დაინახავდა, ირონიას ყველა იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც ფრანცისკოს მიაყენა, მზერას, რომელიც მოსთხოვდა, მოებოდიშებინა, რასაც თვითონაც სიხარულით იზამდა. ამის ნაცვლად მან დაინახა ღრმა მწუხარებით შეპყრობილი კაცის სრულიად უსიცოცხლო სახე.

— დაჭრილი ხარ?

— არა... არა, სულაც არა.

— მოდი აქ, — უბრძანა რიერდენმა და კაბინეტის სააბაზანოს კარი გააღო.

— საკუთარ თავს შეხედეთ.

— ეგ არაფერია. მოდი აქ.

რიერდენმა პირველად იგრძნო, რომ მასზე უფროსი იყო; მოსწონდა, როდესაც ფრანცისკოს უბრძანებდა, როცა მის მიმართ უჩვეულო და ასე სასიამოვნო მამობრივ მზრუნველობას ავლენდა. მან ფრანცისკოს სახიდან ჭვარტლი ჩამოჰბანა, ნაკაწრები სადეზინფექციო საშუალებით დაუმუშავა და საფეთქელზე, ხელებზე და დამწვარ იდაყვებზე პლასტირი დაადო. ფრანცისკო უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

ყველაზე გულითადი ტონით, რისი უნარიც კი ჰქონდა, რიერდენმა ჰკითხა:

— ასე მუშაობა სად ისწავლე?

ფრანცისკომ საპასუხოდ გაიცინა:

— ყველა ტიპის სადნობი ღუმლის თავისებურებები შესწავლილი მაქვს.

რიერდენს ვერაფრით ამოეხსნა ფრანცისკოს სახის ეს ახალი, მორიგი გამომეტყველება: უცნაური სიმშვიდე, თითქოს მისი თვალები სხვებისთვის დაფარულ ხატებას ხედავდნენ, რომელიც მას მწარე, მტანჯველ თვითირონიულ ღიმილს ჰგვრიდა.

ვიდრე კაბინეტში არ დაბრუნდნენ, ხმა არ ამოუღიათ.

— იცი, — დაიწყო რიერდენმა, — ყველაფერი, რაც შენ დღეს აქ მითხარი, სიმართლეა. მაგრამ ეგ მხოლოდ ნაწილია სიმართლის. მეორე ნაწილი ის არის, რასაც ჩვენ ამ ღამით ვაკეთებდით. ნუთუ არ გესმის? ჩვენ გვაქვს უნარი, ვიმოქმედოთ, მათ არა. ამიტომ გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ გავიმარჯვებთ, მიუხედავად იმისა, რა მზაკვრობა აქვთ მათ ჩვენ წინააღმდეგ ჩაფიქრებული.

ფრანცისკომ არ უპასუხა.

— მომისმინე, — განაგრძო რიერდენმა, — ვიცი, რა არის შენი უბედურება. ცხოვრებაში არ გიმუშავია ერთი დღე რეალური, რუტინული შრომით. ვფიქრობ, პატივმოყვარე იყავი, მაგრამ წარმოდგენა არ გქონდა, რა არის შენში დამალული. ცოტა ხნით დაივიწყე შენი სიმდიდრე და ჩემთან იმუშავე. თავიდან მექურე იქნები. არც კი იცი, ეს რამდენ რამეს მოგცემს. რამდენიმე წელიწადში შენ მზად იქნები, მართო „დ'ანკონია კოპერი“.

რიერდენი ელოდა, რომ ფრანცისკოს ხარხარს გაიგონებდა და მზად იყო კამათისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად დაინახა, როგორ ნელა გადააქნია მან თავი, თითქოს საკუთარ ხმას არ ენდობაო, თითქოს ეშინოდა, რომ თუ ხმას ამოიღებდა, დათანხმდებოდა.

წუთის შემდეგ უთხრა:

— მისტერ რიერდენ... მთელ ჩემს ცხოვრებას გავიღებდი, ერთი წელი თქვენთან რომ მემუშავა ღუმლის ოსტატად, მაგრამ არ შემიძლია.

— რატომ?

— ნუ მკითხავთ. ეს... ეს პირადული მიზეზია.

რიერდენს დღემდე ფრანცისკო წარმოედგინა ადამიანად, რომელიც ერთსა და იმავე დროს თან აღაშფოთებდა, თანაც უსაზღვროდ იზიდავდა და რომელიც სრულიად მოკლებული იყო ტანჯვის უნარს. ახლა რიერდენი ფრანცისკოს თვალებში სრულიად მართულ, მოთმინებით გადატანილ ტანჯვას ხედავდა.

ფრანცისკო უსიტყვოდ დასწვდა თავის პალტოს.

— შენ ხომ ახლა არ წახვალ? — ჰკითხა რიერდენმა.

— მივდივარ.

— არ დაამთავრებ, რის თქმასაც აპირებდი?

— დღეს არა.

— გინდა, გიპასუხო შენს კითხვაზე? მკითხე.

ფრანცისკომ თავი გააქნია.

— ხომ შემეკითხე, როგორ შემეძლო... როგორ შემეძლო — რა?

ფრანცისკოს ღიმილი ტკივილით გამოწვეულ კვნესას უფრო ჰგავდა, ერთადერთ კვნესას, რომლის უფლებაც მან საკუთარ თავს მისცა.

— მე აღარაფერს აღარ გკითხავთ, მისტერ რიერდენ. ისედაც ვიცი პასუხი.

თავი 4

მსხვერპლის თანხმობა

შემწვარი ინდაური ოცდაათი დოლარი დაჯდა, შამპანური — ოცდახუთი; მაქმანიანი სუფრა, აბლაბუდას რომ წააგავდა, სანთლების შუქზე მოლიცლიცე ზედ გამოსახული ვაზის ფოთლებითა და ყურძნის მტევნებით, ორი ათასი დოლარი ღირდა, ნახევრად გამჭვირვალე ჩინური ფაიფურის ცისფერ-ოქროსფერი სადილის სერვიზი — ორი ათას ხუთასი დოლარი.

სუფრის ვერცხლეული;, მონოგრამით „L“ და დაფნის ფოთლების გვირგვინით ამპირის სტილში, სამი ათასი დოლარი დაჯდა. მაგრამ ფულზე და იმაზე ფიქრი, თუ რისი მტკიცებულება იყო ის, სათაკილოდ ითვლებოდა.

მაგიდის ცენტრში მოოქრული ხის გლეხური ფეხსაცმელი იდო, გულყვითელა ნარგიზებით, ყურძნის ლერწებითა და სტაფილოთი გავსებული. გოგრებში, ზედ რომ პირდაღებული მოცინარი სახეები ამოეკვეთათ, სანთლები ჩაერჭოთ. სუფრაზე ქიშმიში, ნიგოზი და კანფეტები მიმოეფანტათ.

მადლიერების დღისადმი მიძღვნილ სადილზე რიერდენი, მისი ცოლი, დედა და ძმა შეიკრიბნენ.

— ამ საღამოს მადლობას ვწირავთ უფალს წყალობისთვის, — თქვა რიერდენის დედამ, — უფალი კეთილია ჩვენ მიმართ. დღეს ქვეყანაში უამრავ ადამიანს არა აქვს საკვები, უამრავს სახლიც კი არ გააჩნია და უამრავიც უმუშევრად დარჩა.

გახედავ ქალაქს და გული შეგიწუხდება. აი, სულ ახლახან, გასულ კვირას, ვის შევეჩეხე, როგორ გგონიათ? ლუსი ჯადსონს, ჰენრი, გახსოვს ლუსი ჯადსონი?

ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა მინესოტაში, მაშინ ოცი წლის იქნებოდი, შენი თანატოლი ბიჭი ჰყავდა. ლუსის კვალი ოცი წლის წინ დავკარგე, როცა ისინი ნიუიორკში გადავიდნენ საცხოვრებლად, მას შემდეგ მგონი ოცი წელი გავიდა. პირდაპირ თავზარი დამეცა, როცა დავინახე, რას დამსგავსებია — უკბილო ბებერი ალქაჯი, მამაკაცის პალტოში გამოხვეული, ქუჩის კუთხეში მოწყალებას ითხოვდა. და გავიფიქრე: რომ არა უფლის წყალობა, მის ადგილას შეიძლება, მე ვყოფილიყავი-მეთქი.

— კეთილი, თუ სამადლობელი სიტყვები უნდა წარმოითქვას, — მხიარულად თქვა ლილიანმა, — მაშინ, ვფიქრობ, არ უნდა დავივიწყოთ გერტრუდა, ჩვენი ახალი მზარეული. ის ნამდვილი ხელოვანია.

— ამ თვალსაზრისით ძველმოდური ვიქნები, — თქვა ფილიპმა, — მინდა, მადლობა გადავუხადო მსოფლიოში საუკეთესო დედას.

— თუ ასეა, — თქვა რიერდენის დედამ, — ჩვენ ლილიანს უნდა გადავუხადოთ მადლობა ამ ვახშმისთვის და იმ შრომისთვის, რაც მან გასწია, ყველაფერი რომ ასეთი ლამაზი გამოსულიყო. ის რამდენიმე საათი აწყობდა ამ სუფრას. მართლაც როგორი უჩვეულო და უცხო გამოვიდა.

— ხის ფეხსაცმელს ვუმადლოდეთ, — აიტაცა ფილიპმა, მას თავი დაეხარა და კრიტიკულად და მოწონებით ათვალიერებდა ლარნაკს, — საინტერესო მიგნებაა. სანთლები, სუფრის ვერცხლეული და დანარჩენი ძვირად ღირებული ხარახურა ყველას მოეძებნება, აი ეს ფეხსაცმელი რომ მოგეფიქრებინა, მართლაც წარმოსახვაა საჭირო.

რიერდენი დუმდა. სანთლის შუქი მის სახეს ძველებურ პორტრეტს ამსგავსებდა, რომელიც არაფერს გამოხატავდა, გულგრილი თავაზიანობის გარდა.

— შენ ღვინოს არც კი მიჰკარებიხარ, — უთხრა დედამისმა და შეხედა, — ჩემი აზრით, ვალდებული ხარ, მადლიერებით ადღეგრძელო ამ ქვეყნის ადამიანები, რომელთაც ამდენი რამ მოგცეს.

— ჰენრი არ არის მაგის ხასიათზე, დედა, — თქვა ლილიანმა, ვშიშობ, მადლიერების დღე მხოლოდ მათთვის არის დღესასაწაული, ვისაც სინდისი სუფთა აქვს, — ლილიანმა სასმისი ასწია, მაგრამ ტუჩებთან არც კი მიუტანია, ისე იკითხა:

— ხვალინდელ სასამართლო პროცესზე რაიმე განცხადების გაკეთებას აპირებ, ჰენრი?

— ვაპირებ.

ლილიანმა სასმისი დადგა:

— კერძოდ, რის თქმას აპირებ?

— ხვალ მოისმენ.

— შემთხვევით, ხომ არ გგონია, რომ იოლად გამოძვრები?

— არ ვიცი, „გამოძრომაში“ რას გულისხმობ.

— აცნობიერებ, რომ სერიოზული ბრალდება გაქვს წაყენებული?

— ვაცნობიერებ.

— შენ აღიარე, რომ მეტალი კენ დენეგერს მიჰყიდე.

— ვაღიარე.

— მათ შეუძლიათ, ათი წლით ჩაგსვან ციხეში.

— მეეჭვება, თუმცა გამორიცხული არ არის.

— გაზეთები თუ წაიკითხე, ჰენრი? — ჰკითხა ფილიპმა უცნაური ღიმილით.

— არა.

— ოჰ, უნდა წაიკითხო.

— ვითომ? რატომ უნდა წავიკითხო?

— რომ იცოდე, როგორ გამკობენ!

— საინტერესო კია, — რიერდენის სიტყვები ფილიპის აშკარად კმაყოფილ ღიმილს მიემართებოდა.

— არ მესმის, — თქვა რიერდენის დედამ, — ციხე? ციხე ახსენე, ლილიან? ჰენრი, შენ შეიძლება დაგიჭირონ?

— ყველაფერი შესაძლებელია.

— მაგრამ ეს სასაცილოა! გააკეთე რაიმე!

— რა?

— არ ვიცი. არაფერი გამეგება მაგ საქმის. პატივსაცემი ხალხი ციხეში არ ხვდება, გააკეთე რაიმე. შენ ყოველთვის იცოდი, რა უნდა გექნა, როცა საქმე ბიზნესს ეხებოდა, — არა ამ სახის ბიზნესს.

— არ მჯერა, — დედა შეშინებული, განებივრებული ბავშვივით ლაპარაკობდა, — ისე ლაპარაკობ, თითქოს გინდა, შეგიბრალონ.

— ის გმირს თამაშობს, დედა, — თქვა ლილიანმა და ცივად გაიღიმა, — ჰენრი, ხომ არ გეჩვენება, რომ სრულიად არასერიოზულად იქცევი?

— არა.

— შენ იცი, რომ ამგვარი პროცესები ყოველთვის... ციხით არ მთავრდება. არსებობს გზები, თავი რომ აარიდო, მშვიდობიანად მოაგვარო საქმე, თუკი საჭირო ხალხს გამონახავ.

— მე საჭირო ხალხს არ ვიცნობ.

— შეხედე ორენ ბოილს. მას გაცილებით ბევრი და სერიოზული ცოდვა აქვს, ვიდრე ეს შენი წვრილმანი მაქინაციაა შავ ბაზარზე, მაგრამ ჭკუა ეყო, სასამართლომდე რომ არ მიიყვანოს საქმე.

— ესე იგი, მე ჭკუა არ მყოფნის.

— არ გეჩვენება, რომ დადგა დრო, თავს ძალა დაატანო და ცოტათი გაიზარდო?

— არა.

— კეთილი, მაშინ, არ ვიცი, როგორღა აპირებ, მსხვერპლის როლი მოირგო. თუ ციხეში წახვალ, ეს მხოლოდ შენი ბრალი იქნება.

— რომელ მსხვერპლის როლზე ლაპარაკობ, ლილიან?

— ოჰ, ვიცი, შენ თვლი, რომ შენი პრინციპების დასაცავად იბრძვი, მაგრამ სინამდვილეში საქმე მხოლოდ შენს პატივმოყვარეობას ეხება. ასე იმიტომ იქცევი, რომ თავი მართალი გგონია.

— შენ კი ფიქრობ, რომ ისინი არიან მართლები?

ლილიანმა მხრები აიჩეჩა:

— მე ვლაპარაკობ შენს ამბიციურ იდეაზე, რომ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანია, ვინ არის მართალი და ვინ არა. ეს არის პატივმოყვარეობის ყველაზე აუტანელი ფორმა — გამუდმებით ამტკიცო, რომ მართალი ხარ. საიდან იცი, რა არის სიმართლე? შენ ეგ საიდან უნდა იცოდე? ეს მხოლოდ ილუზიაა — საკუთარ ეგოს აამო და სხვა ადამიანები დაამცირო გაუთავებელი კეკლუცობით შენი მორალური აღმატებულობის გამო.

რიერდენი ცოლს ყურადღებით და ინტერესით უყურებდა.

— განა შეიძლება, ადამიანებს სწყინდეთ ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა?

— ნუთუ აუცილებელია, ვამტკიცო, რომ ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ შენს ფარისევლობაშია? აი, რატომ მგონია შენი საქციელი უგუნური. კითხვა, ვინ არის მართალი, არავითარ გავლენას არ ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. შენ კი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ხარ, არა, ჰენრი? არაფრით არ სჯობიხარ მათ, ვის წინაშეც ხვალ წარდგები სასამართლოში. ვფიქრობ, უნდა გახსოვდეს, რომ პრინციპების დაცვა შენი საქმე არ არის. შესაძლებელია, კონკრეტულად ამ საქმეში მართლაც მსხვერპლი ხარ, შესაძლოა, რაღაც სისაძაგლეს გეგმავენ შენ წინააღმდეგ, მაგრამ რა მერე? ისინი ასე

იმიტომ იქცევიან, რომ სუსტები არიან; ვერ ერევიან ცდუნებას, რომ შენი მეტალი მიითვისონ და შენს ქონებას წაეპოტინონ, იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ გამდიდრდებიან. რატომ კიცხავ მათ ამისთვის? საქმე მხოლოდ განსხვავებულ თვალსაზრისშია. შენ ფული არ გაცდუნებს, ის ყოველთვის იოლად გეძლეოდა. მაგრამ სხვა საცდურებს ვერ გაუმკლავდებოდი და სამარცხვინოდ დაეცემოდი, ასე არ არის? სწორედ ამიტომაც არ გაქვს სპეტაკი აღშფოთების უფლება. არავითარი მორალური უპირატესობა არ გაგაჩნია, რომლითაც თავს მოიწონებდი ან რომელსაც დაიცავდი. და თუკი ასეა, რა აზრი აქვს, წამოიწყო ბრძოლა, რომელსაც ვერასოდეს მოიგებ? ჩემი ვარაუდით, მსხვერპლის მდგომარეობაც საკმარისია, სიამოვნება რომ განიცადო, ოღონდ თუ ადამიანი ეჭვზე მაღლა დგას. შენ კი... შენ ვინ ხარ, რომ პირველმა ისროლო ქვა?

ლილიანი შეჩერდა, მოხდენილი ეფექტით რომ დამტკბარიყო. თუმცა ეფექტი არ შეიმჩნეოდა, მხოლოდ რიერდენის ყურადღებიანი და დაინტერესებული მზერა გახდა უფრო დაჟინებული. ის ისე ისმენდა, თითქოს სუფთა სამეცნიერო ცნობისმოყვარეობას შეეპყრო. ასეთ რეაქციას ლილიანი არ ელოდა.

— იმედია, გესმის ჩემი, — დაამატა ლილიანმა.

— არა, — უპასუხა რიერდენმა ხმადაბლა, — არ მესმის.

— ჩემი აზრით, უარი უნდა თქვა საკუთარი სრულყოფილების ილუზიაზე. ძალიან კარგად იცი, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა. მიმაჩნია, რომ დროა, სხვა ადამიანებთან შეგუება ისწავლო. გმირების დრო წარსულს ჩაბარდა. ეს ჰუმანურობის საუკუნეა, იმაზე უფრო ღრმა გაგებით, ვიდრე შენი საკუთარია. ადამიანებისგან წმინდანობას აღარ მოითხოვენ, მაგრამ არც ცოდვებისთვის სჯიან. არავინ არ არის მართალი ან მცდარი, ჩვენ ყველანი ერთად ვართ, ჩვენ, ადამიანები, ადამიანი კი არასრულყოფილი ქმნილებაა. შენ ხვალ ვერაფერს მიაღწევ იმის მტკიცებით, რომ ისინი ცდებიან. უნდა დანებდე, ღირსეულად, უბრალოდ იმიტომ, რომ ეს პრაქტიკულია. უნდა გაჩუმდე, ზუსტად იმიტომ, რომ ისინი არ არიან. ამას ისინი დააფასებენ. დათმე და შენც დაგითმობენ. იცხოვრე და სხვებსაც მიეცი ცხოვრების საშუალება.

დაუთმე და დაგითმობენ. ეს არის ჩვენი ეპოქის პოლიტიკა — და უკვე დროა, ამას შეურიგდე. არ მითხრა, რომ მეტისმეტად წესიერი ხარ ამ ეპოქისთვის. შენ იცი, რომ ეს ასე არ არის. და ისიც იცი, რომ მე ეს ვიცი.

რიერდენის მზერა, სივრცისკენ მიპყრობილი, სულაც არ მეტყველებდა, რომ ის ლილიანის სიტყვებს ჩაუფიქრდა. რიერდენი პასუხობდა ხმას, რომელიც დაუსრულებლად ჟღერდა მის გონებაში: „შენ გგონია, ეს მხოლოდ შენი სიმდიდრის მითვისების მიზნით შექმნილი საიდუმლო შეთქმულებაა? შენ, ვისთვისაც ცნობილია სიმდიდრის წყარო, ისიც უნდა იცოდე, რომ საქმე გაცილებით რთულად არის“.

რიერდენი მიტრიალდა და ლილიანს შეხედა. ახლა უკვე მისთვის სავსებით ცხადი გახდა ცოლის გათვლის სრული სიღრმე. ლილიანის არგუმენტების მოზუზუნე ნაკადი მექანიზმის მოსაბეზრებელ შორეულ გუგუნს ჰგავდა, რომელიც არც მის გონებას ეხებოდა, არც მის გულს. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, ყოველ საღამოს, როცა სახლში იყო, გაუთავებლად ისმენდა, როგორ ჩამოთვლიდა ხოლმე ლილიანი მის ცოდვებს. მაგრამ დანაშაულის გრძნობა ერთადერთი ემოცია იყო, რომელსაც რიერდენი არ განიცდიდა. ლილიანს უნდოდა, ქმარი სირცხვილით დაეტანჯა, მაგრამ მის მიერ მისჯილი წამება მოწყენილობისგან ტანჯვად გადაიქცა.

გაიხსენა, როგორ აღმოაჩინა იმ დილით, „უეინ-ფოლკლენდში“, ხარვეზი ლილიანის შურისძიების სქემაში. მაშინ დეტალებს არ ჩაღრმავებია, ახლა კი პირველად განსაზღვრა ამ გათვლის არსი თავის თავთან. ლილიანს უნდოდა, რიერდენი გაეწირა ტანჯვისთვის საკუთარი უღირსობის გამო, მაგრამ მისი ერთადერთი იარაღი მისივე წესიერება იყო. უნდოდა, იძულებული გაეხადა ქმარი, თავისი უზნეობა ეღიარებინა, მაგრამ ამგვარი ვერდიქტის გამოტანა მისივე ღირსებებს შეეძლო. ლილიანი ცდილობდა, ქმარი დაემცირებინა თავისი ზიზღით, მაგრამ ის ამ ზიზღს ვერ აღიქვამდა, რადგან მისი აზრი სამართლიანად არ მიაჩნდა. ლილიანს უნდოდა, ქმარი დაესაჯა ტკივილისთვის, რომელიც მას მიაყენა, ამ ტკივილს ისე უმიზნებდა მის სიბრალულს, როგორც იარაღის ლულას, თითქოს ცდილობდა, ძალით გამოეწვია მისი ტანჯვა. მაგრამ ლილიანის ერთადერთი იარაღი ქმრის სიკეთე და მისი თანაგრძნობა იყო. ლილიანის ერთადერთი ძალა ქმრისავე ღირსებები იყო. და რა მოხდებოდა, რიერდენს რომ გადაეწყვიტა, ამ ღირსებებზე უარი ეთქვა?

დანაშაულის აღიარება, — ფიქრობდა რიერდენი, — უნდა დაეფუძნოს სამართლიანობის მათი კოდექსის აღიარებას, რომლითაც იგი დამნაშავედ ცხადდებოდა. მას არ უღიარებია ეს კოდექსი და არც არასოდეს აპირებდა მის აღიარებას. ყველა ის ღირსება, რომელთა გამოც ლილიანს რიერდენის დასჯა სურდა, სხვა მორალურ კოდექსს მიეკუთვნებოდა და სხვა პრინციპებს ეფუძნებოდა.

რიერდენს არც დანაშაულის გრძნობა სტანჯავდა, არც სირცხვილის და არც სიბრალულის, არც უღირსად მიაჩნდა თავი. მისთვის სულერთი იყო, ლილიანი როგორ განაჩენს გამოუტანდა: უკვე დიდი ხნის წინ დაეკარგა ცოლის მიმართ პატივისცემა.

და ჯაჭვის ერთადერთი რგოლი, რომელიც აკავებდა, სიბრალულის ნარჩენები იყო.

მაგრამ რომელ კოდექსს ეფუძნებოდა თავად ლილიანის ქცევა? რომელი მორალი ამართლებდა სასჯელს, რომლის მსხვერპლიც ბრალდებულის ღირსებები იყო? ის, — ფიქრობდა რიერდენი, — რომელიც ნებისმიერს გაანადგურებს, ვინც მის შესწავლას დააპირებს; სასჯელი, რომელიც მხოლოდ პატიოსან ადამიანებს ავნებს, უღირსები კი დაუსჯელი გაუსხლტებიან. შესაძლებელია კი, შეეგუო უღირსობას ან ღირსება ტკივილს გაუთანაბრო, მანკიერება კი არა, სწორედ ღირსება აქციო ტანჯვის წყაროდ და მამოძრავებელ ძალად? ის რომ მართლაც ნაძირალა იყოს, რაშიც ცოლი მის დარწმუნებას ასე თავგამოდებით ცდილობდა, ზნეობა და პატიოსნება არაფერი ეღირებოდა.

და თუ ასეთი არ იყო, მაშინ რის მიღწევას ცდილობდა ლილიანი?

რიერდენის ღირსების გამოყენება ინსტრუმენტად მისივე წამებისთვის; მსხვერპლის დაშანტაჟება მისივე კეთილშობილებით, როგორც ძალდატანების ერთადერთი საბაბით, ადამიანის მიერ ლანგრით მორთმეული მისი კეთილი ნება უმალვე მისსავე წინააღმდეგ მიმართულ იარაღად გადააქციო... რიერდენი უშედეგოდ ცდილობდა, ამოეხსნა ამ შემზარავი, იმდენად დახვეწილი ბოროტების ფორმულა, რომ არათუ სახელი ვერ მოეძებნა მისთვის, არამედ უძლური აღმოჩნდა, მისი რეალურობა დაეჯერებინა.

ძალიან მშვიდად იჯდა, საფეთქლებში მხოლოდ ერთი კითხვა უბაგუნებდა: ესმოდა კი ლილიანს თავისი სქემის ჭეშმარიტი ბუნება? ნუთუ მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ტაქტიკის არსი და მისი მნიშვნელობის სრული გააზრებით

მოქმედებდა? რიერდენმა მხრები აიჩეჩა: არც იმდენად სძულდა ცოლი, რომ ეს დაეჯერებინა.

მან ლილიანს შეხედა. სწორედ ამ დროს ის ქლიავის პუდინგს ჭრიდა, რომელსაც ვერცხლის ლანგარზე ცისფერი ალის ათინათი დასციმციმებდა. ეს ათინათი დასთამაშებდა ლილიანის სახეს და მომღიმარ ბაგესაც. მან მოხერხებული, გრაციოზული მოძრაობით ჩაასო ვერცხლის დანა ალში. სანთლების შუქზე მისი შავი ხავერდის კაბის ერთ მხარეს მეტალის ძაფით ამოქარგული წითელი, ოქროსფერი და ყავისფერი შემოდგომის ყვავილები ბრწყინავდა.

რიერდენი ვერა და ვერ განთავისუფლდა აზრისგან, რომელიც უკვე ბოლო სამი თვეა, მოსვენებას არ აძლევდა, რომ მისი შურისძიება სულაც არ იყო სასოწარკვეთილების გამოვლინება, როგორც თავიდან ფიქრობდა. დაუჯერებელი ჩანდა, მაგრამ მას ეჩვენებოდა, რომ ლილიანი ტკბებოდა თავისი შურისძიებით. მის საქციელში ტანჯვის ნატამალიც კი არ იგრძნობოდა. პირიქით, თითქოს მისთვის სრულიად ახალი თავდაჯერებულობის ტალღებში ნებივრობდა. თითქოს პირველად იგრძნო, რომ შინ იყო. იმის მიუხედავად, რომ სახლში ყველაფერი მის არჩევანსა და გემოვნებას ექვემდებარებოდა, ადრე თავი მაღალი კლასის სასტუმროს საიმედო, მცოდნე და საქმიანი მენეჯერივით ეჭირა, მწარე ღიმილით სახეზე, გეგონებოდა, სასტუმროს მეპატრონეთა უპირატესობას აცნობიერებდა. ახლა ღიმილით კი ისევ იღიმებოდა, მაგრამ სიმწარე უკვალოდ გაქრა. მხიარულება დარჩა, მაგრამ სიმწარემ გაიარა. ლილიანი არ გასუქებულა, თუმცა მისი სახის ნაკვთების უწინდელი თავისებური სიხისტე ახლა კმაყოფილებას შეერბილებინა. თითქოს მისი ხმაც კი უფრო რბილად ჟღერდა.

არ უსმენდა, რას ლაპარაკობდა ცოლი, რომელიც უკვე მიმქრალი სანთლების ცისფერი ათინათის ფონზე იცინოდა. სულ ფიქრობდა: იცოდა კი ლილიანმა? რიერდენი დარწმუნებული იყო, რომ საიდუმლოება გაცილებით უფრო სერიოზული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ქორწინების პრობლემა, რომ სწორედ იმ პოლიტიკის ჭეშმარიტ არსს ჩასწვდა, რომელიც ირგვლივ გამეფებულიყო. მაგრამ ადამიანს ასეთი რამ დასწამო, ეს ნიშნავს, საბოლოო განაჩენი გამოუტანო მას. და ესმოდა, რომ ამას მანამდე ვერ დაიჯერებდა, ვიდრე თუნდაც უმცირესი ეჭვიც არ გაუქარწყლდებოდა.

„არა“, — ფიქრობდა რიერდენი, რომელიც ლილიანს შეჰყურებდა და ცდილობდა, როგორმე მთელი თავისი დიდსულოვნება მოეკრიბა, — „რა თქმა უნდა, ასე არ არის.

მისი სიამაყის, მისი სიკეთის გამო, იმ წუთების გამო, როდესაც მის სახეზე ადამიანური ბედნიერების ღიმილი დამინახავს, ხანმოკლე სიყვარულის იმ მკრთალი აჩრდილის გამო, რომელიც ოდესმე მის მიმართ მიგრძნია, ვერ გავიმეტებ ბრალდებისთვის, რომ ის აბსოლუტური ბოროტების განსხეულებაა“.

მსახურმა რიერდენს წინ თეფში დაუდგა ქლიავის პუდინგით და ლილიანის ხმამაც არ დააყოვნა:

— ჰენრი, სად დაფრინავ, ბოლო ხუთი წუთია, ან იქნებ, უკანასკნელი ასი წელი?

შენ არ მიპასუხე. ერთი სიტყვაც კი არ გაგიგონია, რაც მე ვთქვი.

— მესმოდა, — მშვიდად უპასუხა მან, — ვერ მივხვდი, რის მიღწევას ცდილობ, — რა კითხვაა! — შესძახა რიერდენის დედამ, — ლილიანი ცდილობს, ციხიდან გიხსნას, აი, რის მიღწევას ცდილობს.

„შეიძლება, ასეცაა“, — გაიფიქრა რიერდენმა, — „შესაძლოა, ბავშვური სიმხდალის გამო გადაწყვიტა დავეცავი, მერე კი გავეტეხე, იძულებული გავეხადე,

კომპრომისზე წავსულიყავი, რომ გადავერჩინე. შეიძლება...“ — ირწმუნებდა ის თავს, თუმცა ეს ვერაფრით დაეჯერებინა.

— შენ პოპულარული არასოდეს ყოფილხარ, — განაგრძო ლილიანმა, — მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევას არ ვგულისხმობ. ყველაფერი შენი უკომპრომისობისა და უხიაგობის ბრალია. იმ ადამიანებმა, რომლებმაც შენ უნდა გაგასამართლონ, იციან, რასაც ფიქრობ. ამიტომაც არ შეგარჩინეს ის, რასაც სხვებს აპატიებდნენ.

— მეეჭვება, იცოდნენ, რასაც ვფიქრობ, მაგრამ ხვალ ყველაფერს მოვახსენებ მათ.

— თუ არ განაცხადებ, რომ თანახმა ხარ, დანებდე და ითანამშრომლო მათთან, არავითარი შანსი არ მოგეცემა. შენთან საქმის დაჭერა ძალიან რთულია.

— პირიქით. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მეტისმეტად მარტივია.

— მაგრამ თუ მათ მართლაც დაგიჭირეს, — აფორიაქდა რიერდენის დედა, — შენს ოჯახს რა ბედი ეწევა? ამაზე გიფიქრია?

— არა. არ მიფიქრია.

— გიფიქრია, რა სირცხვილს დაგვატეხ ჩვენ ყველას?

— დედა, შენ თუ გესმის, რაც ახლა ხდება?

— არა, და არც მინდა მესმოდეს. ეს ყველაფერი ბინძური ბიზნესისა და ბინძური პოლიტიკის ბრალია. უბრალოდ, ბიზნესი ყოველთვის ბინძური პოლიტიკა იყო, პოლიტიკა კი — ბინძური ბიზნესი. არასდროს მდომებია ამაში გარკვევა. არ მაინტერესებს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი,: ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანი უპირველეს ყოვლისა საკუთარ ოჯახზე უნდა ფიქრობდეს. შენ გესმის, რა შეიძლება, ამ ყველაფერს მოჰყვეს და რას ნიშნავს ეს ჩვენთვის?

— არა, დედა, არ ვიცი და არც მაინტერესებს.

დედა თავზარდაცემული მიაჩერდა მას.

— ჰმ, იცით, თქვენ, ყველას, ძალიან პროვინციული დამოკიდებულება გაქვთ ამ ყველაფერთან, — მოულოდნელად ჩაერთო ფილიპი, — როგორც ვხედავ, არც ერთ თქვენგანს არ ესმის ამ საქმის უფრო ფართო, სოციალური ასპექტი. მე შენ არ გეთანხმები, ლილიან. ვერ გამიგია, რატომ ამბობ, თითქოს ვინმე აპირებდეს, ჰენრის რაღაც საზიზღარი ოინი მოუწყონ და სიმართლე მის მხარესაა? მე მიმაჩნია, რომ ის საშინლად დამნაშავეა. დედა, მე შენ ძალიან მარტივად აგიხსნი საქმის არსს.

არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, სასამართლოები წალეკილია ასეთი საქმეებით. ბიზნესმენები სარგებლობენ, რომ სახელმწიფოში კრიტიკული ვითარებაა და ცდილობენ, ფული გააკეთონ. ისინი არღვევენ რეგულაციებს, რომლებიც საზოგადოებრივ კეთილდღეობას იცავენ, და მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ იხეირონ.

ისინი უპატიოსნო გზებით გამდიდრებული სპეკულიანტები არიან, რომლებიც ამ უკიდურესი დეფიციტის დროს ღარიბებს ყვლეფენ და მათ კანონიერ კუთვნილებას ითვისებენ. მათი პოლიტიკა ყაჩაღური, მძარცველური, ანტისოციალური პოლიტიკაა, მხოლოდ და მხოლოდ პირად გამორჩენაზე და სიხარბეზე დაფუძნებული. და აზრი არ აქვს თავის მოკატუნებას, ეს ყველამ კარგად ვიცით. და მე ამას სიმდაბლედ ვთვლი.

ფილიპი ისე აგდებულად და მოურიდებლად ლაპარაკობდა, თითქოს მოზარდებს აქსიომატურ ჭეშმარიტებას განუმარტავდა, იმ ადამიანის თავდაჯერებულობით, რომლის მორალურ პრინციპებისა და პოზიციის სისწორეში დაეჭვება შეუძლებელია.

რიერდენი ძმას უყურებდა და თითქოს ცდილობდა, შეესწავლა ობიექტი, რომელსაც თვალით პირველად ხედავდა. სადღაც ღრმად, მისი ცნობიერების ფსკერზე, კვლავ პულსირებდა ხმა: „რა უფლებით? რომელი მორალური კოდექსის მიხედვით?

რომელი პრინციპის თანახმად?“

— ფილიპ, — თქვა რიერდენმა ხმის აუმაღლებლად, — ერთხელ კიდევ იტყვი ამას და ქუჩაში აღმოჩნდები, ახლავე, ამავე კოსტიუმში, რაც გაცვია, და ხურდა ფულით, რაც ჯიბეში გიყრია, სხვას თან ვერაფერს წაიღებ.

მის ნათქვამს პასუხი არ მოჰყოლია, არც სიტყვა, არც მოძრაობა. მხოლოდ ის შენიშნა, რომ მის წინაშე გაქვავებულ სამ ადამიანს, მისი ოჯახის წევრებს, გაოცების კვალიც არ დასტყობიათ. გაოგნებულები ჩანდნენ, თითქოს მოულოდნელად ბომბი აუფეთქდათ თვალწინ, თუმცა კი როცა მბჟუტავ ფალიას უკირკიტებდნენ, ესმოდათ, ცეცხლს რომ ეთამაშებოდნენ. არც წამოძახილები, არც პროტესტი, არც შეკითხვები; ხვდებოდნენ, რომ რიერდენი იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა. რაღაც ბუნდოვანი, ზიზღისმგვრელი გრძნობა კარნახობდა, რომ ამ ადამიანებმა მასზე დიდი ხნით ადრე იცოდნენ, რაც ხდებოდა.

— შენ... შენ არ გააგდებ შენს საკუთარ ძმას ქუჩაში, ხომ მართალია? — ამოთქვა ბოლოს დედამისმა. ეს არ იყო მოთხოვნა, ემუდარებოდა.

„ გავაგდებ.

— მაგრამ ის ხომ შენი ძმაა... ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს შენთვის?

— არა.

— შეიძლება, ხანდახან მეტისმეტი მოსდის, მაგრამ ეს მხოლოდ ყბედობაა და მეტი არაფერი, მოდური ლაყბობა. თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს.

— ჰოდა, ამიერიდან ეცოდინება.

— ნუ იქნები მის მიმართ ასეთი მკაცრი... ის შენზე უმცროსია და.. და სუსტი ის... ჰენრი, ასე ნუ მიყურებ! შენ ადრე ასე არასოდეს მიყურებდი... არ არის საჭირო მისი შეშინება. ხომ იცი, მას როგორ სჭირდები.

— თვითონ თუ იცის ეს?

— ვერ იქნები მკაცრი იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც სჭირდები. მთელი ცხოვრება სინდისი შეგაწუხებს.

— არ შემაწუხებს.

— შენ კეთილი უნდა იყო, ჰენრი.

— არ ვარ ვალდებული.

— გამოიჩინე სიბრალული.

— სიბრალულის გრძნობა არ მაქვს.

— კარგ ადამიანს მიტევება შეუძლია.

— მე არ შემიძლია.

— ნუ მაიძულებ, ვიფიქრო, რომ ეგოისტი ხარ.

— ვარ.

ფილიპს თვალები დაურბოდა, ხან ძმას უყურებდა, ხან დედას. იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც სულ ახლახან დარწმუნებული იყო, რომ მყარ გრანიტზე იდგა, და უცებ აღმოაჩინა, თხელ ყინულზე მდგარა, რომელიც მის ფეხქვეშ დაიბზარა.

— მაგრამ მე... — დაიწყო მან და გაჩუმდა. მისი ხმა ყინულზე ფრთხილად მოსიარულე კაცის გაუბედავი ნაბიჯებივით გაისმა, — ნუთუ მე სიტყვის თავისუფლება არ მაქვს? — შენს საკუთარ სახლში. ჩემს სახლში — არა.

— უფლება არ მაქვს, საკუთარი აზრი მქონდეს?

— შენი საკუთარი ხარჯებით. ჩემით ფულით არა.

— ნუთუ განსხვავებულ შეხედულებას პატივს არ სცემ?

— თუ მე ვიხდი, არა.

— რა, ფულის გარდა არაფერი არსებობს ამქვეყნად?

— არსებობს — ის ფაქტი, რომ ეს ჩემი ფულია.

— მაგრამ რატომ არ გინდა, აღიარო უფრო... — ფილიპმა კინაღამ თქვა „მაღალი“, მაგრამ გადაიფიქრა, — სხვა ასპექტებიც?

— არ მინდა.

— მაგრამ მე შენი მონა არ ვარ.

— და მე ვარ შენი მონა?

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობ. — ფილიპი გაჩუმდა, მიხვდა, რაც იგულისხმა.

— არა, — განაგრძო რიერდენმა, — შენ ჩემი მონა არ ხარ. შენ თავისუფალი ხარ და შეგიძლია, წახვიდე აქედან ნებისმიერ დროს, როცა კი მოგესურვება.

— მე... მე ეს არ მითქვამს.

მე კი ვამბობ.

— არ მესმის...

— ნუთუ მართლა?

— შენ ყოველთვის იცოდი ჩემი პოლიტიკური შეხედულებები. და ადრე არასოდეს გამოგითქვამს საწინააღმდეგო აზრი.

— მართალია, — მკაცრად უთხრა რიერდენმა, — ალბათ, უნდა განგიმარტო. მე ვცდილობდი, არასოდეს არ შემეხსენებინა შენთვის, რომ ჩემს მოწყალებაზე ცხოვრობ. მიმაჩნდა, რომ შენ თვითონ უნდა გხსომებოდა ეს. ვფიქრობდი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც სხვის დახმარებას იღებს, უნდა იცოდეს, რომ ამ დახმარების გაღების ერთადერთი მოტივი კეთილი ნებაა და ერთადერთი სამაგიერო, რასაც საპასუხოდ უნდა ელოდოს, ასევე კეთილი ნებაა. მაგრამ ვხედავ, რომ ვცდებოდი. შენ სარჩოს დაუმსახურებლად იღებდი და დაასკვენი, რომ მადლიერებაც არ იყო აუცილებელი. შენ დაასკვენი, რომ მე ამქვეყნად ყველაზე უსაფრთხო სამიზნე ვარ და სწორედ იმიტომაც უნდა მაფურთხო, რომ მთელი ცხოვრება მიგათრევ. გადაწყვიტე, რომ მე შენ ამის შესახებ არასოდეს არ შეგახსენებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ შენი ფაქიზი გრძნობების შეურაცხყოფის შემეშინდებოდა. კარგი, მოდი, პირდაპირ ვთქვათ: შენ ჩემი მოწყალების ობიექტი ხარ, რომელმაც ძალიან დიდი ხანია, თავისი კრედიტი ამოწურა. თუკი რაიმეს ვგრძნობდი შენ მიმართ, ყველაფერი გაქრა, ოდნავადაც აღარ მაინტერესებ — არც შენ, არც შენი ბედ-იღბალი და არც შენი მომავალი. არავითარი მიზეზი არ მაქვს, გარჩინო და შეგინახო. თუკი შენ ჩემს სახლს დატოვებ, ჩემთვის სულერთია, იშიმშილებ თუ არა. აი, ასეთია დღეს შენი მდგომარეობა აქ და კეთილი ინებე და დაიმახსოვრე ეს, თუკი აქ დარჩენას გადაწყვეტ. თუ არა, მოშორდი აქედან.

ფილიპს მის ნათქვამზე არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, მხოლოდ თავი ჩარგო მხრებში.

— ნუ გეგონება, რომ აქ ცხოვრება ძალიან მსიამოვნებს, — უთხრა ფილიპმა აცახცახებული, უსიცოცხლო ხმით, — თუ გგონია, რომ ბედნიერი ვარ, ძალიან ცდები.

ყველაფერს დავთმობდი, აქედან რომ წავსულიყავი. — სიტყვები ამბოხს გულისხმობდა, მაგრამ ხმაში სიმხდალე ჟღერდა, — თუ შენ ასე ფიქრობ, მაშინ

აჯობებს, მართლაც წავიდე შენი სახლიდან, — სიტყვები თითქოს ირწმუნებოდნენ, მაგრამ ხმაში კითხვა გაისმოდა, თუმცა პაუზას პასუხი არ მოჰყოლია, — ჩემს მომავალზე ნუ იღელვებ. არავის მოწყალება არ მჭირდება. თვითონაც მშვენივრად ვიზრუნებ საკუთარ თავზე. — ეს ყველაფერი რიერდენის მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ ფილიპის თვალები დედამისს შეჰყურებდნენ. დედას სიტყვა არ დაუძრავს, განძრევასაც კი ვერ ბედავდა, — ყოველთვის მინდოდა, ჩემთვის მეცხოვრა, ცალკე, ნიუ-იორკში გადავსულიყავი, ჩემს მეგობრებთან, — ხმა თითქმის მიწყდა, მერე კი დასძინა, თითქოს უმისამართოდ, — რა თქმა უნდა, რაღაც სირთულეები შემექმნება სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით... ერთი-ორი წელი ფული დამჭირდება... ისე რომ ვიცხოვრო, როგორც საკადრისია ჩემი...

— ჩემგან ფულს ვერ მიიღებ.

— მე ეს არ მითხოვია, ხომ მართალია? ნუ გეგონება, რომ მათ შოვნას თვითონ ვერ შევძლებ, თუ მომინდება! ნუ გეგონება, რომ წასვლა არ შემიძლია! ერთ წუთსაც არ გავჩერდებოდი, მარტო საკუთარ თავზე რომ ვფიქრობდე. მაგრამ მე დედას ვჭირდები და რომ მივატოვო...

— თავს ნუ იმართლებ.

— და საერთოდაც, შენ მე ვერ გამიგე, ჰენრი. მე ისეთი არაფერი მითქვამს, რაც შენ შეურაცხგყოფდა. მე პირადად შენზე არაფერი მითქვამს. მხოლოდ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ვითარებაზე ვლაპარაკობდი აბსტრაქტული სოციოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც...

— თავს ნუ იმართლებ, — უხეშად შეაწყვეტინა რიერდენმა. ფილიპს ჯიქურ შეჰყურებდა, მას კი თავი დაეხარა და თვალებს მალავდა, ისე ცარიელსა და უმეტყველოს, გეგონებოდა, ირგვლივ ვერაფერს ხედავდნენ. ისინი არაფერს გამოხატავდნენ, არც მღელვარებას, არც შფოთვას, არც სინანულს, არც სირცხვილს ან ტანჯვას; ცარიელი თვალები, რომლებიც რეალობას ვერ აღიქვამდნენ და არც ცდილობდნენ მის აღქმას, მასში გარკვევას, მის შესახებ სწორი შეხედულების შექმნას; არაფერს, უაზრო სიძულვილის გარდა, — თავს ნუ იმართლებ, უბრალოდ, ენას კბილი დააჭირე.

რიერდენი შეტრიალდა, ზიზღს გრძნობდა, ჯერ კიდევ ცოტათი სიბრალულნარევს. წამის ერთ მონაკვეთში უნდოდა, ძმას მხრებში ჩაჰფრენოდა, შეეჯანჯღარებინა და ეყვირა: „რა უქენი საკუთარ თავს? აქამდე როგორ დაეცი? რატომ დაკარგე, როგორ გაგექცა საკუთარი თავი, რატომ თქვი უარი ამ მშვენიერ ჯილდოზე — სიცოცხლეზე?“

ის გატრიალდა, იცოდა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა.

დაღლილი ზიზღით შეამჩნია, რომ ყველანი, სამივენი, თითქოს დამუნჯებულიყვნენ. მთელი ეს წლები, მის მის გრძნობებს მხოლოდ ღვარძლიანი საყვედურებით პასუხობდნენ. სად გაქრა მათ ნაქები სამართლიანობა? აი, ახლა უნდა გამოსდგომოდათ თავიანთი მორალური კოდექსი — თუკი ეს კოდექსი საერთოდ შეიცავდა სამართლიანობის რაიმე მარცვალს. რატომ სახეში არ მიახალეს ჩვეული ბრალდებები, რომ სასტიკი და ეგოისტია, ასე დაუსრულებლად, ხმაშეწყობილად რომ უმღერდნენ მთელი ცხოვრება? რა აძლევდათ მათ ამის უფლებას ამდენი წლის მანძილზე? რიერდენმა იცოდა პასუხი, რომელიც მის გონებაში პულსირებდა: „მსხვერპლის თანხმობა“.

— მოდით, არ ვიჩხუბოთ! — გაუბედავად წარმოთქვა რიერდენის დედამ, — დღეს ხომ მადლიერების დღეა.

რიერდენი ლილიანის პანიკით აღსავსე მზერას წააწყდა და მიხვდა, რომ ის უკვე დიდი ხანია, აკვირდებოდა.

რიერდენი წამოდგა.

— ახლა კი გთხოვთ, მაპატიოთ, — თქვა მან, ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის არ მიუმართავს.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ლილიანმა უხეშად.

რიერდენი საგანგებოდ შეყოვნდა და მას უყურებდა, თითქოს სურდა, ხაზი გაესვა თავისი სიტყვების ფარული მნიშვნელობისთვის, მხოლოდ ლილიანისთვის რომ იყო გასაგები:

— ნიუ-იორკში.

ლილიანი წამოხტა.

— ამ ღამით?

— ახლა.

— შენ არ შეგიძლია, ამაღამ ნიუ-იორკში წახვიდე! — ხმადაბლა წარმოთქმული ეს სიტყვები უძლური, გამკივანი ყვირილივით გაისმა, — ამის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემ, ახლა ამის დრო არ არის, შენი ოჯახიდან რომ გაიქცე, ამას ვგულისხმობ. შენს რეპუტაციაზე უნდა იფიქრო. იმ მდგომარეობაში არ ხარ, თავს უფლება მისცე, ისეთი რამ ჩაიდინო, რომელიც შესაძლოა, უზნეობად შეფასდეს.

„რომელი კანონის მიხედვით?“ — გაიფიქრა რიერდენმა, — „რომელი სტანდარტით“?

— რატომ გადაწყვიტე ნიუ-იორკში წასვლა მაინცდამაინც დღეს ღამით?

— მე მგონი, იმავე მიზეზით, ლილიან, რომლის გამოც შენ გინდა დღეს ჩემი შეჩერება. — ხვალ სასამართლო პროცესია.

— მეც სწორედ ეგ ვიგულისხმე.

რიერდენი წასასვლელად გატრიალდა და ლილიანმა ხმა აიმაღლა:

— მე არ მინდა, რომ წახვიდე!

რიერდენმა მას გაუღიმა, პირველად ამ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე, და ლილიანმა ეს ღიმილი ვერ აიტანა:

— მე შენ გიკრძალავ ამ ღამით წასვლას!

რიერდენი გატრიალდა და ოთახიდან გავიდა.

მანქანას მიაქროლებდა. უყურებდა, როგორ მიფრინავდა ლაპლაპა, მოლიპული გზა საათში სამოცი მილის სიჩქარით ბორბლებქვეშ და მასთან ერთად ოჯახის წევრების შესახებ აზრებიც. სისწრაფის მორევი მათ სახეებს გაშიშვლებულ ხეებისა და გზისპირა კანტიკუნტი შენობების კვალდაკვალ შთანთქავდა. გზაზე მანქანები იშვიათად ხვდებოდა, მხოლოდ პატარ-პატარა ქალაქების სინათლეები ციმციმებდნენ ალაგ-ალაგ. დღესასწაულზე მარტო უკაცრიელობა და მიმცხრალი ამაოება მიანიშნებდა. შორს, ქარხნის თავზე, ხანდახან იელვებდა მრუმე ნათება, რომელსაც ყინვა აცხრობდა. ცივი ქარი ზუზუნით იჭრებოდა მანქანაში და ბრეზენტის სახურავი ყრუდ ენარცხებოდა მეტალის კარკასს.

მისთვისვე სრულიად აუხსნელი კონტრასტულობით, ოჯახის წევრების შესახებ ფიქრს იმ ვაშინგტონელ ბიჭზე მოგონება ჩაენაცვლა, რომელიც მის ქარხანაში მუშაობდა.

მალევე, რაც რიერდენს ბრალდება წაუყენეს, მან აღმოაჩინა, რომ ამ ყმაწვილმა იცოდა მისი გარიგების შესახებ დენეგერთან, მაგრამ ამის შესახებ არავის

შეატყობინა. — რატომ არ დამასმინე შენს ვაშინგტონელ მეგობრებთან? — შეეკითხა მაშინ რიერდენი.

ახალგაზრდას მისთვის არ შეუხედავს, უხეშად უპასუხა:

— არ მინდოდა.

— მაგრამ, ეს ხომ შენი სამუშაოს ნაწილია, ამგვარ რამეებს თვალყური ადევნო, ასე არ არის?

— ასეა.

— თანაც, შენს მეგობრებს ეამებოდათ ამის გაგება.

— ვიცი.

— ნუთუ ვერ მიხვდი, რა ფასდაუდებელი ინფორმაცია ჩაგივარდა ხელში და რა კოლოსალურ გარიგებას გაჩარხავდი შენს ვაშინგტონელ მეგობრებთან ერთად, იმათთან, „ვისი მეგობრობაც ყოველთვის ძვირი ჯდება“, მათ ხომ ადრე უკვე შესთავაზე ჩემი თავი, გახსოვს ალბათ?

ბიჭმა არ უპასუხა.

— შეგეძლო, თავბრუდამხვევი კარიერა გაგეკეთებინა. ოღონდ ახლა არ მითხრა, რომ ეს არ იცოდი.

— ვიცოდი.

— მაშინ რატომ არ გამოიყენე ეს შესაძლებლობა?

— არ მინდოდა.

— რატომ არ გინდოდა?

— არ ვიცი.

ბიჭი იდგა და პირქუშად არიდებდა რიერდენს მზერას, თითქოს ცდილობდა, გამკლავებოდა აუხსნელ გრძნობას, რომელსაც მის არსებაში დაებუდებინა. რიერდენმა გაიცინა:

— მომისმინე, აბსოლუტების უარმყოფო, ცეცხლს ეთამაშები. გირჩევნია, წახვიდე და ვინმე მოკლა, სასწრაფოდ, ვიდრე სწორედ ის პრინციპი, რომელმაც ჩამშვებობა არ დაგანება, ბოლომდე არ დაგეუფლა და შენი კარიერა ნაცარტუტად არ აქცია.

ახალგაზრდამ არ უპასუხა.

დილით რიერდენი ოფისში ჩვეულებრივ დროს მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ შენობის დანარჩენი ნაწილი დაკეტილი იყო. ლანჩის დროს მან საამქროში შეიხედა და გაოგნებული დარჩა, როდესაც იქ ბიჭი აღმოაჩინა, რომელიც ქარხნის მუშაობას ბავშვური აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა რიერდენმა, — არ იცი, რომ დასვენების დღეა?

— გოგოები გავუშვი, მე თვითონ კი მოვედი, უბრალოდ, რაღაც საქმეები დამრჩა დასამთავრებელი.

— რა საქმეები?

— წერილები და... ჯანდაბა, სამ წერილს მოვაწერე ხელი და ფანქრები გავთალე.

ვიცი, რომ დღეს არ უნდა მოვსულიყავი, მაგრამ სახლში რა მეკეთებინა... აქ თავს მარტოსულად არ ვგრძნობ.

— ოჯახი გყავს?

— არა... ისეთი არა, სალაპარაკოდ რომ ღირდეს. თქვენ, მისტერ რიერდენ? თქვენ გყავთ ოჯახი?

— მგონი, ისეთი არა, სალაპარაკოდ რომ ღირდეს.

— მომწონს ეს ადგილი. მიყვარს აქ ყოფნა... იცით, მისტერ რიერდენ, მე მეტალურგიას ვსწავლობდი.

ვიდრე გაეცლებოდა, რიერდენმა მოიხედა და შენიშნა, რომ ბიჭი მას ისე უყურებდა, როგორც ბავშვი შეხედავდა თავისი საყვარელი სათავგადასავლო წიგნის გმირს.

„ღმერთო, დაეხმარე ამ პატარა საცოდავ ნაბიჭვარს!“ — გაიფიქრა რიერდენმა.

„ღმერთო, უშველე მათ, ყველას“, — ფიქრობდა რიერდენი, როცა პატარა ქალაქის ბნელ ქუჩებს მიუყვებოდა მანქანით, მათივე რწმენისთვის დამახასიათებელი სიტყვებით, რომელსაც არასდროს იზიარებდა. გაჰყურებდა მეტალის სტენდებზე გამოფენილ გაზეთებს, დიდ, შავი ასოებით აჭრელებულ პირველ გვერდებს: „სარკინიგზო კატასტროფა“. რადიოთი გადმოსცეს, დღისით ახალი ამბები რომ მოისმინა:

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთავარ მაგისტრალზე, როკლენდთან ახლოს, ვაიომინგის შტატში, ავარია მოხდა; ლიანდაგს ბზარი გაუჩნდა და სატვირთო შემადგენლობა კანიონში გადაიჩეხა. „ტაგარტის“ მთავარ მაგისტრალზე ავარიები გახშირდა — გზები საკმაოდ გაცვდა, ის გზები, რომელთა რეკონსტრუქციასაც თვრამეტ თვეზე ნაკლები ხნის წინ გეგმავდა დაგნი და რიერდენს ოკეანიდან ოკეანემდე ჰპირდებოდა მგზავრობას მისი მეტალის რელსებზე.

დაგნი მთელი წელი აგროვებდა ნახმარ რელსებს მიტოვებული სათადარიგო ხაზებიდან ძირითადი ხაზის შესაკეთებლად. თვეობით ეომებოდა ჯიმის ხალხს დირექტორთა საბჭოდან, რომლებიც უმტკიცებდნენ, რომ საგანგებო ვითარება ქვეყანაში დროებითი მოვლენაა და გზა, რომელმაც ათი წელი გაძლო, მშვენივრად გაუძლებდა კიდევ ერთ ზამთარსაც. გაზაფხულზე კი, როგორც მისტერ უესლი მაუჩი ჰპირდებოდათ, მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. სამი კვირის წინ დაგნიმ ისინი ძლივს დაითანხმა სამოცი ათასი ტონა ახალი რელსების შეძენაზე. ეს რაოდენობა მხოლოდ ტრანსკონტინენტური გზების ყველაზე დაზიანებული მონაკვეთების დასაკერებლად იკმარებდა, მაგრამ მათ ამის მეტს ვეღარაფერს გამორჩა.

დაგნი იძულებული იყო, პანიკით ზარდაცემული ადამიანებისთვის გამოეგლიჯა ფული: ავარიები ისე გახშირდა, რომ დირექტორთა საბჭოს წევრებს მუხლი ეკვეთებოდათ ჯიმის ფრაზის მხოლოდ ხსენებაზეც კი ყველაზე წარმატებული წლის შესახებ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთელ ისტორიაში. როდესაც გადაეწურებოდა იმედი, საგანგებო კვოტა მოეპოვებინა რიერდენ მეტალის შესასყიდად და დროც აღარ იცდიდა, დაგნი იძულებული ხდებოდა, ფოლადის რელსები შეეკვეთა.

რიერდენმა გაზეთებიდან მზერა ცის კიდეზე გადაიტანა — იქ, სადაც ნიუ-იორკის სილუეტი იწყებდა გამოკვეთას და საჭეს კიდევ უფრო ძლიერად მოსჭიდა ხელები.

ნიუ-იორკში საღამოს ათის ნახევარზე ჩავიდა. დაგნის ბინაში ბნელოდა, როდესაც კარი თავისი გასაღებით გააღო და შევიდა. ყურმილს დასწვდა და ოფისში დაურეკა. დაგნიმ უპასუხა: „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“.

— შენ თუ იცი, დღესასწაული რომ არის? — ჰკითხა რიერდენმა.

— სალამი, ჰენკ. რკინიგზამ დღესასწაულები არ იცის. საიდან რეკავ?

— შენი ბინიდან.

— ნახევარ საათში მოვალ.

— კარგი. დამელოდე. მე გამოგივლი.

დაგნის მისაღებში ნახევრად ბნელოდა, მხოლოდ ედი უილერსთან ენთო ნათურა, ედი წასასვლელად ემზადებოდა. დაბნეულმა გაოცებით შეხედა რიერდენს.

— საღამო მშვიდობის, ედი. აქამდე რატომ შემორჩით აქ ყველანი, როკლენდის ავარიის გამო?

ედიმ ამოიოხრა.

— დიახ, მისტერ რიერდენ.

— ამიტომაც გადავწყვიტე, დაგნის სანახავად შემომევლო... თქვენს რელსებთან დაკავშირებით.

— ის ჯერაც აქ არის.

როცა რიერდენი დაგნის კაბინეტისკენ გაემართა, ედიმ გაუბედავად დაადევნა მას:

— მისტერ რიერდენ...

— დიახ? — შეჩერდა რიერდენი.

— მინდოდა, მეთქვა... ხვალ თქვენი სასამართლოა რასაც ისინი გიპირებენ...

ისინი აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი მთელი ხალხის სახელით კეთდება... მე უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ მე... რომ ეს ჩემი სახელით არ იქნება, თუნდაც ეს არაფერს ნიშნავდეს.

— ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ შესაძლოა, უფრო მეტსაც, ვიდრე ჩვენ ყველას წარმოგვიდგენია. გმადლობთ, ედი.

დაგნიმ თავისი მაგიდიდან ახედა, როცა რიერდენი კაბინეტში შევიდა; რიერდენი ხედავდა, როგორ ქრებოდა მის თვალებში დაღლილობა. მაგიდის კიდეზე ჩამოუჯდა. დაგნი სკამის საზურგეზე გადაწვა, სახეზე ჩამოყრილი თმა გადაიწია და სიფრიფანა, თეთრი ბლუზონის ქვეშ მხრები მოუდუნდა.

— დაგნი, რაღაც მინდა გითხრა იმ რელსების შესახებ, რომლებიც შენ შეუკვეთე. მინდა, რომ შენ ეს ამ საღამოსვე გაიგო.

დაგნიმ ყურადღებით შეხედა მას:

— „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისთვის“ თხუთმეტ თებერვალს სამოცი ათასი ტონა რელსი უნდა მიმეწოდებინა. ეს საშუალებას მოგცემდა, სარკინიგზო ხაზის სამასი მილი დაგეგო. იმავე თანხის საფასურად შენ მიიღებ ოთხმოცი ათას ტონა რელსს და შეგეძლება, ხუთასი მილის სიგრძის მაგისტრალი გაიყვანო. თვითონაც იცი, რომ ეს მასალა ფოლადზე იაფი და მსუბუქია. შენი რელსები იქნება არა ფოლადის, არამედ რიერდენ მეტალის. არ მეკამათო და უარის თქმას ნუ შეეცდები. შენი თანხმობა არ მჭირდება. არ მჭირდება, რომ დამეთანხმო ან საერთოდ იცოდე ამის შესახებ. ყველაფერს თვითონ ვაკეთებ და პასუხსაც მხოლოდ მე ვაგებ. ისე მოვაწყობთ, რომ შენი ხალხი, ვისთვისაც ცნობილია, რომ ფოლადი შეუკვეთე, ვერ გაიგებს, რიერდენ მეტალი რომ მიიღე, და ვერც მოისაზრებენ, მისი შესყიდვის ნებართვა თუ არ გაქვს. დოკუმენტაციას ისე გავაფორმებთ, რომ თუ ოდესმე რაიმე ამოტივტივდება, ვერავინ ვერავის ვერ დაადანაშაულებს, ჩემ გარდა. შეუძლიათ, ივარაუდონ, რომ შენ ან შენი რომელიმე თანამშრომელი მოგისყიდეთ, მაგრამ ვერაფერს დაამტკიცებენ. მინდა, სიტყვა მომცე, რომ ამას არასდროს აღიარებ, რაც არ უნდა მოხდეს. ეს ჩემი მეტალია და თუკი მისი განკარგვის შესაძლებლობა მომეცემა, აუცილებლად გამოვიყენებ. ამ საქმეს იმ დღიდან ვგეგმავდი, როცა შენგან შეკვეთა მივიღე. სპილენძი ისეთ მომწოდებელს შევუკვეთე, რომელიც მე არ მიღალატებს. არ მინდოდა, შენთვის მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე. მინდა, რომ

დღესვე შეიტყო ამის შესახებ — რადგან ხვალ სასამართლოს წინაშე უნდა წარვდგე სწორედ ამგვარივე დანაშაულის გამო.

დაგნი გაუნძრევლად უსმენდა მას. როდესაც რიერდენმა დაასრულა, შენიშნა, როგორ შეუთრთოლდა დაგნის ტუჩები და ლოყები; დაგნის არ გაუღიმია, მაგრამ ამ სახემ რიერდენს ყველაფერი უთხრა: მისი აღფრთოვანება, შფოთვა, გაგება.

დაინახა, როგორ შერბილდა დაგნის მზერა, მის თვალებში ტკივილი ჩაიღვარა, და რიერდენმა ხელი მაჯაზე მოჰკიდა, თითქოს სურდა, თითების მჭიდროდ მოჭერით და მშვიდი მზერით მიეცა ის საყრდენი, რაც დაგნის სჭირდებოდა და მტკიცედ თქვა:

— მადლობა არ მითხრა, ეს მოწყალება არ არის, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მუშაობის უნარი შევინარჩუნო, სხვაგვარად, კენ დენეგერივით გავტყდები დაგნიმ წაიჩურჩულა:

— კარგი, ჰენკ. არ გეტყვი მადლობას — მისმა ნაზმა ხმამ და თვალების გამომეტყველებამ მისი ნათქვამი სიცრუედ აქცია.

— რიერდენმა გაიღიმა.

— დამპირდი, რომ თხოვნას შემისრულებ დაგნიმ თავი დახარა:

— სიტყვას გაძლევ.

რიერდენმა მისი მაჯა გაუშვა.

დაგნის თავი არ აუწევია, ისე დაამატა:

— მხოლოდ ერთს ვიტყვი, თუ ხვალ დაგაპატიმრებენ საქმეს მივატოვებ დამანგრევლის მოწოდებას არ დაველოდები.

— შენ ამას არ იზამ. არა მგონია, რომ ისინი მე პატიმრობას ხვალვე მომისჯიან.

ვფიქრობ, მსუბუქად გამოვძვრები. ერთი ჰიპოთეზა მაქვს, მერე აგიხსნი, როცა საქმეში გამოვცდი.

— რა ჰიპოთეზა?

— ვინ არის ჯონ გოლტი? — რიერდენმა გაიღიმა და წამოდგა, — მორჩა. ამ საღამოს სასამართლოს შესახებ აღარ ვილაპარაკებთ. რაიმე დასალევი ხომ არ მოგეძებნება ოფისში?

— არა, მაგრამ, მგონი, ჩემს მენეჯერს კარტოთეკაში, თაროზე, რაღაც ბარი უნდა ჰქონდეს.

— როგორ ფიქრობ, შეძლებ, ჩემთვის სასმელი მოჰპარო, თუ ჩაკეტილი არ ექნება?

— ვეცდები.

რიერდენი იდგა და დაგნის კაბინეტის კედელზე ნათ ტაგარტის პორტრეტს უყურებდა — ამაყად თავაწეული ახალგაზრდა მამაკაცის პორტრეტს, ვიდრე დაგნი არ დაბრუნდა ბრენდის ბოთლით და ორი ჭიქით ხელში. რიერდენმა ჩუმად შეავსო ჭიქები.

— იცი, დაგნი, მადლიერების დღესასწაული იმ ადამიანებმა მოიგონეს რომლებიც საკუთარ წარმატებებს აღნიშნავდნენ.

რიერდენმა ჭიქა ასწია, ჯერ პორტრეტის მისამართით, მერე დაგნისკენ მერე კი ქალაქისკენ, ფანჯრის მიღმა.

* * *

მართალია, ადამიანებს, რომლებსაც იმ დღეს სასამართლო დარბაზი შეევსოთ, ერთი თვით ადრე პრესა ჰპირდებოდა, რომ ისინი საზოგადოების ხარბ მტერს იხილავდნენ, მაგრამ ეს ხალხი იქ იმ კაცის სანახავად მივიდა რომელმაც რიერდენ მეტალი შექმნა.

როდესაც მოსამართლეებმა მას მოუწოდეს ფეხზე წამომდგარიყო, რიერდენი დაემორჩილა. ყინულივით ცივი შეურიგებლობის შთაბეჭდილებას მისი რუხი კოსტიუმი, ნათელი ცისფერი თვალები და ქერა თმა კი არა; კოსტიუმის მდიდრული სისადავე ქმნიდა, რაც უკვე საკმაო იშვიათობა იყო და მდიდარი კორპორაციის დიდებულ ოფისს უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე იმდღევანდელ ვითარებას; — იქ შეკრებილებმა გაზეთებიდან იცოდნენ, რომ რიერდენი ულმობელი გამდიდრების ბოროტებას განასახიერებდა. ეს ადამიანები, ზნეობრიობისა და კეთილგონიერების მოტრფიალენი, თავქუდმოგლეჯით გარბოდნენ ნებისმიერი ფილმის სანახავად, რომლის აფიშაზეც ნახევრად შიშველი ქალი იყო გამოსახული; ასე მოვიდნენ დღეს რიერდენის სანახავადაც. ყოველ შემთხვევაში, ბოროტება მოყირჭებული და უმაქნისი საძილე საშუალება მაინც არ არის, რომლისაც აღარავის სჯერა, მაგრამ არც არავინ უძალიანდება. ეს ადამიანები რიერდენს აღფრთოვანების გარეშე შესცქეროდნენ. აღფრთოვანების უნარი მათ. დიდი ხნის წინ დაეკარგათ. რიერდენს ისინი ცნობისმოყვარეობით უმზერდნენ, და ქვეცნობიერი პროტესტით იმათ მიმართ, ვინც უთხრა, რომ რიერდენის სიძულვილი მათი მოვალეობა იყო.

რამდენიმე წლის წინ ისინი მის რესპექტაბელურ შესახედაობას დასცინებდნენ, მაგრამ დღეს სასამართლოს შენობას რუხი ცა ჩამოსწოლოდა, რომელიც მძიმე, დაუსრულებელი ზამთრის პირველ ქარბუქს მოასწავებდა; ქვეყანაში კი ნავთობის მარაგის უკანასკნელი ნარჩენები უკვე ამოიწურა. ქვანახშირის მაღაროებს სული ლამის ამოხდომოდათ, ზამთრის მარაგები რომ შეევსოთ. სასამართლოს დარბაზში შეკრებილ ბრბოს ახსოვდა, რომ დღევანდელ პროცესს უკვე შეეწირა კენ დენეგერი.

ხმა გავრცელდა, რომ დენეგერის კომპანიის წარმადობა მისი გაუჩინარების მერე მკვეთრად შემცირდა. გაზეთები გაჰყვიროდნენ, რომ ეს დროებითი იყო, რომ ყველაფერი დალაგდებოდა, როგორც კი დენეგერის ბიძაშვილი კომპანიის რეორგანიზაციას დაასრულებდა. გასულ კვირას, გაზეთების წინა გვერდები საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედანზე მომხდარ კატასტროფას მიმოიხილავდნენ: უხარისხო ფოლადისგან დამზადებული კოჭები ჩამოინგრა და ქვეშ ოთხი მუშა მოიყოლა.

გაზეთებში ამის შესახებ არ წერდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს კოჭები ორენ ბოილის კომპანია „ესოშიეიტიდ სთილის“ მიერ იყო დამზადებული.

დარბაზში დამრთგუნველი სიჩუმე ჩამოწოლილიყო. ადამიანები ისხდნენ და შეჰყურებდნენ რუხ კოსტიუმში გამოწყობილ მაღალ ფიგურას, იმედით კი არა, — იმედი მათ უკვე დიდი ხნის წინ დაკარგეს, — გულგრილი განურჩევლობით და ჯერ კიდევ გაურკვეველი კითხვით. ეს კითხვა იმ დღეს ყველა რელიგიურ ლოზუნგში იგრძნობოდა, რომელსაც ისინი წლობით ისმენდნენ.

გაზეთები ყეფდნენ, რომ უბედურების მიზეზი, რომელმაც ქვეყანა ამ. მდგომარეობამდე მიიყვანა, სწორედ ამ მდიდარი მრეწველების ეგოისტური სიხარბე იყო, როგორც დღევანდელი პროცესიც მოწმობდა, და რომ ჰენკ რიერდენის მსგავსი ადამიანები არიან დამნაშავენი, მთელი ერის კვების რაციონი რომ გაღარიბდა, სახლებში რომ აცივდა, სახურავებში რომ წყალი ჩამოდიოდა, რომ თუ არა ისინი, ვინც რეგულაციებს არ ემორჩილებოდა და მთავრობის გეგმებს აფერხებდა, ქვეყანა უკვე დიდი ხნის წინ აყვავდებოდა; რომ ჰენკ რიერდენი მოხვეჭის ჟინით იყო შეპყრობილი და სხვა არაფერი ანაღვლებდა. რაც შეეხებოდა ამ უკანასკნელ განცხადებას, მისი განმარტებისთვის თავი არავის შეუწუხებია — „მოხვეჭის ჟინი“ უკვე თავისთავად იყო აბსოლუტური ბოროტების .თვალნათლივი ნიშანი.

ბრბოს ახსოვდა: ჯერ ორი წელიწადიც არ იყო გასული, იგივე გაზეთები გაჰყვიროდნენ, რომ რიერდენ მეტალის წარმოება უსათუოდ უნდა აეკრძალათ, ვინაიდან მწარმოებელი საკუთარი სიხარბის გამო „საფრთხეს უქმნიდა ადამიანების სიცოცხლეს, ახლა კი მას იმის გამო ასამართლებდნენ, რომ საზოგადოებას არ მისცა საშუალება, ამ შენადნობის კუთვნილი წილი მიეღო.

დირექტივებით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, ამგვარ საქმეებს ნაფიცი მსაჯულები კი არა, სამი მოსამართლისგან შემდგარი კომისია განიხილავდა. მოსამართლეებს ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიურო ნიშნავდა. დირექტივების თანახმად, პროცედურა არაფორმალური და დემოკრატიული უნდა ყოფილიყო.

საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის, სასამართლო დარბაზიდან ნაფიც მსაჯულთა სავარძლები გააქრეს და მათ ნაცვლად ხის პლატფორმაზე შემდგარი ხის მაგიდა დადგეს, რის მერეც იქაურობა რაღაც თათბირს დაემსგავსა, სადაც თავმჯდომარე გონებრივად შეზღუდულ აუდიტორიას ასულელებს.

ერთ-ერთმა მოსამართლემ, რომელიც პროკურორივით იქცეოდა, საბრალდებო დასკვნა ჩაიკითხა.

— ახლა კი შეგიძლიათ, ნებისმიერი არგუმენტები წარმოადგინოთ საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, — გამოაცხადა მან.

ჰენკ რიერდენმა მოსამართლეებს შეხედა და გულგრილი, მკაფიო ხმით უპასუხა — მე არ ვაპირებ, თავი დავიცვა.

— არა? — ენა დაება მოსამართლეს; არ ელოდა, რომ ყველაფერი ასე სწრაფად დასრულდებოდა, — საკუთარ ბედს ჩვენს სასამართლოს მიანდობთ?

— მე არ ვაღიარებ ამ სასამართლოს უფლებამოსილებას — რაა?

— მე არ ვცნობ ამ სასამართლოს უფლებამოსილად, ეს პროცესი წარმართოს., — მაგრამ, მისტერ რიერდენ, ეს სასამართლო კანონიერად არის დანიშნული, საგანგებოდ ამ კატეგორიის დანაშაულების პროცესების წარსამართავად.

— მე არ მიმაჩნია, რომ ჩემი ქმედებები დანაშაულებრივია.

— მაგრამ თქვენ უნდა აღიაროთ, რომ დაარღვიეთ რეგულაციები, რომლებიც თქვენი მეტალის გაყიდვას აკონტროლებს.

— მე არ მიმაჩნია, რომ თქვენ უფლებამოსილი ხართ, გააკონტროლოთ ჩემი მეტალის გაყიდვა..

— აუცილებელია აღვნიშნო, რომ თქვენი აღიარება აუცილებელი არ არის?

— არა. მე სრულიად ვაცნობიერებ ამას და გარემოების შესაბამისად ვმოქმედებ რიერდენმა შეამჩნია, როგორი სიჩუმე ჩამოწვა: დარბაზში. ამ ადამიანებს, ასე ჩვეული თვალთმაქცობისა და სიცრუის წესების მიხედვით, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ იყენებდნენ საკუთარი ხეირის გულისთვის, ეს განცხადება გაუგონარ თავხედობად უნდა მიეჩნიათ. წესით, მას გაოცებული შეძახილები და დაცინვა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ დარბაზში სამარისებური მდუმარება იდგა, ადამიანები ჩუმად ისხდნენ. მათ ყველაფერი გაიგეს.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ უარს აცხადებთ, კანონს დაემორჩილოთ? — იკითხა მოსამართლემ.

— არა. მე კანონს ვემორჩილები — ზედმიწევნით თქვენი კანონის თანახმად, ჩემი ცხოვრების, ჩემი საქმიანობისა და საკუთრების განკარგვისთვის ჩემი თანხმობა საჭირო არ არის. ძალიან კარგი, ესე იგი, ამ საქმეს ჩემი მონაწილეობის გარეშეც მშვენივრად გაართმევთ თავს. არავითარი სურვილი არ მაქვს, კომედია გავითამაშო

და თავი დავიცვა, როდესაც ეს სრულიად შეუძლებელია. არ მსურს, შევქმნა ილუზია, თითქოს ეს სამართლიანი სასამართლოა.

— მაგრამ, მისტერ რიერდენ, კანონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ თქვენ უნდა მოგეცეთ შესაძლებლობა, თქვენი მხარე წარმოადგინოთ და დამოუკიდებლად დაიცვათ თავი.

— ბრალდებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავის დაცვა, როცა არსებობს სამართლის ობიექტური პრინციპი, აღიარებული მოსამართლეების მიერ, პრინციპი, რომელიც აღიარებს ბრალდებულის უფლებას, რომელსაც მოსამართლე ვერ დაარღვევს, თავად ბრალდებული კი გამოიყენებს. კანონი, რომლის მიხედვითაც თქვენ მასამართლებთ, გვაუწყებს, რომ მე არავითარი უფლება არ მაქვს, რომ არ არსებობს არავითარი პრინციპი და რომ თქვენ შეგიძლიათ, ყველაფერი გამიკეთოთ, რასაც მოინდომებთ., ძალიან კარგი. გააკეთეთ.

— მისტერ რიერდენ, კანონი, რომელსაც თქვენ გმობთ, უზენაეს პრინციპზე — საზოგადოების კეთილდღეობის პრინციპზეა დაფუძნებული.

— რა არის საზოგადოება? რას მიიჩნევს კანონი მის კეთილდღეობად? იყო დრო, როცა ხალხს სჯეროდა, რომ სიკეთე და სარგებელი მორალური ფასეულობების საფუძველზე განისაზღვრებოდა და რომ არც ერთ ადამიანს არ აქვს უფლება, სარგებელს სხვა ადამიანების უფლებების დარღვევით მიაღწიოს. დღეს ითვლება, რომ ჩემს მოძმეებს უფლება აქვთ, მათთვის ხელსაყრელ ნებისმიერ მიზანს მათთვის ცნობილი ნებისმიერი გზით შემწირონ მსხვერპლად. თუკი გადაწყვიტეს, რომ ჩემი საკუთრება უნდა მიითვისონ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ის სჭირდებათ... რა გაეწყობა, ასე იქცევა ნებისმიერი ბანდიტი. თუმცა ერთი განსხვავება მაინც არსებობს: ბანდიტი არ მოითხოვს ჩემგან თანხმობას თავის მოქმედებაზე.

სასამართლო დარბაზში განაპირა ადგილები საპატიო სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი, ისინი ნიუ-იორკიდან ჩამოვიდნენ, რათა პროცესის მსვლელობას დაჰკვირვებოდნენ. დაგნი გაუნძრევლად იჯდა, მისი სახე არავითარ ემოციას არ გამოხატავდა. იცოდა, რომ მისი ცხოვრების შემდგომ განვითარებას ამ არგუმენტების ლოგიკა განსაზღვრავდა. მის გვერდით ედი უილერსი იჯდა. ჯეიმს ტაგარტი არ მოსულა. პოლ ლარკინი მთელი სხეულით წინ გადაწეულიყო, მისი შეშინებული გამოზნექილი სახე ცხოველის დრუნჩს წააგავდა და ახლა მხოლოდ და მხოლოდ დაუფარავ სიძულვილს გამოხატავდა. მისტერ მოუენი, რომელიც ლარკინის გვერდით იჯდა, უმეცარი და შეზღუდულად მოაზროვნე, აშკარად დაფეთებული ჩანდა, ის გაოგნებული და აღშფოთებული ისმენდა და ლარკინს ეჩურჩულებოდა:

— ღმერთო ჩემო, რას სჩადის! ახლა ეგ მთელ ქვეყანას დაარწმუნებს, რომ ყველა ბიზნესმენი საზოგადოებრივი კეთილდღეობის მტერია!

— ჩვენ ეს ყველაფერი ისე უნდა გავიგოთ, რომ თქვენ პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე უფრო მაღლა აყენებთ? — შეეკითხა მოსამართლე.

— მე ვამტკიცებ, რომ ასეთი შეკითხვა შეუძლებელია წარმოიშვას კანიბალების საზოგადოებაში.

— რა?.. რას გულისხმობთ?

— იმას ვგულისხმობ, რომ იმ ადამიანთა ინტერესები არ ეჯახება ერთმანეთს რომლებიც დაუმსახურებელს არ მოითხოვენ და ადამიანის მსხვერპლშეწირვას არ მისდევენ.

— ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ თქვენ არ აღიარებთ საზოგადოების უფლებამოსილებას მოითხოვოს, რომ თქვენი მოგება შეიკვეცოს, თუ ეს მას აუცილებლად მიაჩნია?

— რატომაც არა. ვაღიარებ. საზოგადოებას ნებისმიერ დროს შეუძლია ჩემი მოგების შეკვეცა როცა მოესურვება — უბრალოდ, უარი უნდა თქვან ჩემი პროდუქტის ყიდვაზე.

— ჩვენ... სხვა მეთოდებს ვგულისხმობთ.

— მოგების შეკვეცის ნებისმიერი სხვა მეთოდი ბანდიტების მეთოდია და მე ასეთ მეთოდებს ბანდიტურს ვუწოდებ.

— მისტერ რიერდენ, თქვენს გამოსვლას თავდაცვას ვერ დავარქმევთ — მე უკვე ვთქვი, რომ თავს არ დავიცავ.

— მაგრამ ეს გაუგონარია! აცნობიერებთ თქვენ მიმართ წაყენებული ბრალდების სერიოზულობას?

— არ ვაპირებ, ბრალდება ვაღიარო.

— აცნობიერებთ თქვენი პოზიციის შესაძლო შედეგებს?

— სავსებით.

— სასამართლოს აზრით, ბრალდებით წარმოდგენილი ფაქტები შეწყნარების საფუძველს არ იძლევა. სასამართლოს საკმარისი ძალაუფლება აქვს რომ უმკაცრესი სასჯელი დაგადოთ.

— დამადეთ.

— უკაცრავად?

— დამადეთ სასჯელი.

სამივე მოსამართლემ ერთმანეთს. გადახედა შემდეგ ის, ვინც საბრალდებო სიტყვას წარმოთქვამდა, რიერდენს მიუტრიალდა:

— თქვენი ქცევა უპრეცედენტოა! — თქვა მან.

— ეს ყოველგვარ ჩარჩოს სცდება, — მხარი აუბა მეორე მოსამართლემ — კანონი მოითხოვს, რომ თქვენ თავი იმართლოთ თავდაცვის მიზნით. ერთადერთი ალტერნატივაა, ოქმში შევიდეს, რომ სასამართლოს შეწყალება სთხოვეთ.

— მაგას არ გავაკეთებ.

— მაგრამ თქვენ მოვალე ხართ.

— ესე იგი, თქვენ ჩემგან მოელით რომ ასე ნებაყოფლობით მოვიქცევი?

— დიახ.

— ამას არ ვიზამ.

— მაგრამ კანონი ითხოვს რომ დაცვის მხარის პოზიცია წარმოდგენილი იყოს ოქმში.

— იმის თქმა გინდათ რომ ჩემი დახმარება გჭირდებათ, რათა პროცედურა კანონიერი გამოიყურებოდეს?

— ჰმ, არა... დიახ... ფორმა დაცული უნდა იყოს.

— მე არ დაგეხმარებით.

მესამე, ყველაზე ახალგაზრდა მოსამართლემ ვეღარ მოითმინა:

— ეს სასაცილო და უპატიოსნო საქციელია! თქვენ რა, გინდათ, საქმე ისე წარმოადგინოთ, თითქოს თქვენი მდგომარეობის ადამიანს ციხეში ბრალდების გარეშე...

და სიტყვა შუაზე გაუწყდა. უკანა რიგებში გაბმული სტვენა გაისმა.

— მინდა, — მკაცრად უპასუხა რიერდენმა, — დღევანდელი პროცესის ჭეშმარიტი არსი ვაჩვენო. თუ თქვენ გსურთ, ჩემი დახმარებით სამართლიანი კანონის არარსებობა შენიღბოთ, მე ამაში არ დაგეხმარებით.

— მაგრამ ჩვენ შანსს გაძლევთ, თავი დაიცვათ, თქვენ კი თავად აცხადებთ უარს ამაზე.

— მე არ დაგეხმარებით ფარისევლობაში, თითქოს შანსი მქონდეს. მე არ დაგეხმარებით, შექმნათ ილუზია, ვითომ სამართლიანობა არსებობს იქ, სადაც ის სრულიად არ არსებობს. არ დაგეხმარებით, რომ შექმნათ რაციონალიზმის ილუზია, იმ დისკუსიაში მონაწილეობით, სადაც გადამწყვეტი არგუმენტი იარაღის ლულაა. არ დაგეხმარებით, ითვალთმაქცოთ, ვითომდა სამართალს ახორციელებდეთ.

— მაგრამ კანონი განიჭებთ უფლებას, თავი დაიცვათ!

დარბაზის ბოლოში სიცილი გაისმა.

— თქვენს თეორიაში ხარვეზია, ბატონებო, — მკაცრად უპასუხა რიერდენმა, — მე თქვენ არ დაგეხმარებით გამოსავლის პოვნაში. თუ თქვენ ადამიანებთან ურთიერთობისას ძალდატანების გზას ანიჭებთ უპირატესობას, რა გაეწყობა. მაგრამ ამ შემთხვევაში აღმოაჩენთ, რომ თქვენ მსხვერპლის ნებაყოფლობითი თანამშრომლობა გჭირდებათ, გაცილებით უფრო დიდ მასშტაბებში, ვიდრე დღეს. თქვენი მსხვერპლები კი აღმოაჩენენ, რომ თურმე მხოლოდ მათი საკუთარი ნება-სურვილი, რომელზეც თქვენ გავლენას ვერ მოახდენთ, ხდის თქვენს საქმიანობას შესაძლებელს. მინდა, თანმიმდევრული ვიყო და არ დაგემორჩილოთ იმაში, რასაც თქვენ ასე დაჟინებით მოითხოვთ. რაც არ უნდა მოითხოვოთ ჩემგან, მე მხოლოდ იარაღის ლულის ქვეშ დავმორჩილდები. თუ ციხეში ჩასმას მიპირებთ, შეიარაღებული ადამიანების მთელი ჯარის გამოიძახება მოგიწევთ, იქამდე რომ მიმათრიონ — ჩემი ნებით ნაბიჯსაც არ გადავდგამ. თუ დამაჯარიმებთ, ჩემი საკუთრების წართმევა მოგიწევთ, რადგან მე ჩემი ნებით მის გადახდას არ ვაპირებ. თუ ფიქრობთ, რომ უფლება გაქვთ, მაიძულოთ — თქვენი იარაღი აშკარად გამოიყენეთ. მე თქვენ თქვენი მოქმედებების ჭეშმარიტი ბუნების შენიღბვაში ხელს არ შეგიწყობთ.

ასაკით ყველაზე უფროსი მოსამართლე წინ გადაიხარა და შემპარავი ხმით ირონიულად ჰკითხა:

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, მისტერ რიერდენ, თითქოს რაღაც პრინციპის დასაცავად იბრძოდეთ, სინამდვილეში კი მხოლოდ თქვენი საკუთრებისთვის იბრძვით, ასე არ არის?

— დიახ, რა თქმა უნდა. მე ჩემი საკუთრებისთვის ვიბრძვი. რაიმე თუ გსმენიათ პრინციპის შესახებ, რომელსაც ის განასახიერებს?

— თქვენ თავისუფლებისთვის მებრძოლად მოგაქვთ თავი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ფულის კეთების თავისუფლება გაინტერესებთ და სხვა არაფერი.

— დიახ, რა თქმა უნდა. მხოლოდ ის მინდა, რომ თავისუფლად ვაკეთო ფული.

თქვენ იცით, ეგ თავისუფლება რას გულისხმობს?

— მისტერ რიერდენ, ცხადია, თქვენ არ გენდომებათ, თქვენი პოზიცია დამახინჯებულად იქნეს გაგებული და განამტკიცოთ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ისეთი ადამიანი ხართ, ვისთვისაც უცხოა პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე, ადამიანი, რომელსაც არ ედარდება მოყვასის კეთილდღეობა და მხოლოდ საკუთარი ხეირისთვის მუშაობს.

— მე მხოლოდ ჩემი პირადი მოგებისთვის ვმუშაობ. მე ის დავიმსახურე.

დარბაზმა ერთიანად ამოიხვნეშა, არა აღშფოთების, არამედ გაკვირვების ხვნეშით. მოსამართლეებს სახე გაუქვავდათ. რიერდენმა მშვიდად განაგრძო; — არა, არ მინდა, რომ ჩემი პოზიცია არასწორად იქნეს გაგებული, და მსურს, ჩემი თვალსაზრისი ოქმში შეიტანოთ. მე ვადასტურებ თითოეულ ფაქტს, რომელიც ჩემთან დაკავშირებით დაიწერა პრესაში, მაგრამ არ ვეთანხმები ამ ფაქტების განმარტებებს. მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი მოგებისთვის ვმუშაობ, რომელსაც ვიღებ ჩემი პროდუქტის მიყიდვით იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ მისი შეძენა. მე ამ პროდუქტს არ ვაწარმოებ მათი სარგებლისთვის და ჩემ საზარალოდ, ხოლო ისინი მას არ ყიდულობენ ჩემი სარგებლისთვის და თავიანთ საზარალოდ, მე არ ვწირავ მსხვერპლად ჩემს ინტერესებს და არც ადამიანები არ შემომწირავენ თავიანთ ინტერესებს მე მსხვერპლად. ჩვენ ვთანამშრომლობთ, როგორც თანასწორნი, ორმხრივი თანხმობისა და ორმხრივი სარგებლის პირობებით. მე ვამაყობ თითოეული ცენტით, რომელსაც ასე გამოვიმუშავებ. მე მდიდარი ვარ და ვამაყობ ამით. ჩემი ფული ჩემი შრომით ვიშოვე, თავისუფალი გაცვლის საფუძველზე ნებისმიერი იმ ადამიანის ნებაყოფლობითი თანხმობით, ვისთანაც საქმე მქონია, მათი ნებაყოფლობითი თანხმობით, ვინც მე სამუშაოდ ამიყვანა, როცა საქმეს ვიწყებდი; მათი ნებაყოფლობითი თანხმობით, ვინც ახლა ჩემთან მუშაობს და მათიც, ვინც ჩემს პროდუქტს ყიდულობს. მე ვუპასუხებ ყველა კითხვას, რომელთა ხმამაღლა დასმასაც თქვენ უფრთხით. ვაპირებ თუ არა, იმაზე მეტი გადავუხადო ჩემს მუშებს, ვიდრე მათი სამსახური მიღირს?. არა. ვაპირებ თუ არა, იმაზე იაფად გავყიდო ჩემი პროდუქტი, ვიდრე მიღირს ან სულაც ხელი ავიღო მასზე? არა. თუ ეს ბოროტებაა, მაშინ რაც გნებავთ, ის გამიკეთეთ თქვენი ნებისმიერი პრინციპის შესაბამისად. მე სხვაგვარი პრინციპებით ვხელმძღვანელობ. მე ისევე გამოვიმუშავებ ჩემს სარჩოს, როგორც ნებისმიერი ადამიანი. ჩემი:ცხოვრებისთვის საჭირო ფულს ისევე გამოვიმუშავებ, როგორც ნებისმიერი პატიოსანი ადამიანი. უარს ვაცხადებ, დანაშაულად მივიჩნიო ფაქტი, რომ ეს შემიძლია და თან კარგადაც ვაკეთებ ამას. უარს ვაცხადებ, დანაშაულად მივიჩნიო, რომ მაქვს უნარი, უკეთ ვიმუშაო, ვიდრე ადამიანთა უმეტესობამ, რომ ჩემი შრომა ღირს იმაზე ძვირიც, ვიდრე ადამიანების უმეტესობა არის მზად, გადამიხადოს. უარს ვამბობ, ბოდიში მოვიხადო ჩემი ნიჭიერების გამო, უარს ვამბობ, ბოდიში მოვიხადო ჩემი წარმატებების გამო, უარს ვამბობ, ბოდიში მოვიხადო ჩემი ფულის გამო. თუ ეს ბოროტებაა, ებრძოლეთ მას, როგორც შეგიძლიათ.

თუ საზოგადოება თვლის, რომ ჩემი საქმიანობა მის ინტერესებს ვნებს, დაე, მან მე გამანადგუროს. ეს არის ჩემი კოდექსი და სხვას არ ვაღიარებ.

— შემეძლო მეთქვა, რომ მე უფრო მეტი სიკეთე მაქვს გაკეთებული ჩემი თანამოძმეებისთვის, ვიდრე წარმოგიდგენიათ, მაგრამ ამას არ ვიზამ, იმიტომ, რომ არ მოველი სიკეთეს სხვებისგან ჩემი არსებობის გასამართლებლად, ისევე; როგორც არ მიმაჩნია, რომ გარშემომყოფთა მიერ გაკეთებული სიკეთე მათ უფლებას აძლევს, ჩემი ქონება მიითვისონ ან ჩემი ცხოვრება გაანადგურონ. არ ვიტყვი, რომ ჩემი შრომის მიზანი სხვების კეთილდღეობაა — ჩემი მიზანი ჩემი პირადი კეთილდღეობაა და მე მძულს ის კაპიტულანტები, რომლებიც უარს ამბობენ თავიანთ სარგებელზე. მე შემეძლო, თქვენთვის მეთქვა, რომ თქვენ არ ემსახურებით საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რადგან არავისი კეთილდღეობა არ მიიღწევა ადამიანთა მსხვერპლის ფასად, რომ, როცა ერთი, ერთადერთი ადამიანის უფლებებს ხელყოფთ, თქვენ ხელყოფთ ყველა დანარჩენის უფლებებსაც, უუფლებო არსებებისგან

შემდგარი საზოგადოება კი დაღუპვისთვის არის განწირული. მე შემეძლო, თქვენთვის მეთქვა, რომ თქვენ ვერაფერს მიაღწევთ, გარდა ქვეყნის საყოველთაო გაჩანაგებისა, როგორც ეს ნებისმიერ მძარცველს დაემართება, როდესაც მსხვერპლი აღარ დარჩება. შემეძლო, მეთქვა ეს ყველაფერი, მაგრამ არ ვიტყვი. მე თქვენს პოლიტიკას ვუპირისპირდები, თქვენს მორალურ პრინციპებს კი არა.

— თუ კეთილდღეობის მიღწევას მართლაც ვინმეს სამსხვერპლო ცხოველად გადაქცევა სჭირდება და მე მომიწოდებენ, საკუთარი თავი შევწირო მსხვერპლად მათ სასიკეთოდ, ვისაც სურს, ჩემი სისხლის ფასად გადარჩეს, თუკი მე მომიწოდებენ, ვემსახურო იმ საზოგადოების ინტერესებს, რომელიც მე მიპირისპირდება, მე მას უკუვაგდებ, როგორც ყველაზე საზარელ ბოროტებას და შევებრძოლები მას მთელი ჩემი ძალით. მთელ კაცობრიობას შევებრძოლებოდი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე და მცირეოდენი ეჭვიც კი არ შემეპარებოდა ჩემს სიმართლეში, ჩემი ბრძოლის სამართლიანობაში და ადამიანის უფლებაში, იცოცხლოს. მინდა, რომ თქვენ სწორად გაიგოთ ეს ყველაფერი.: თუ ჩემს თანამოძმეებს, რომლებიც თავიანთ თავს საზოგადოებას უწოდებენ, სწამთ, რომ მათი კეთილდღეობა მსხვერპლს მოითხოვს; დაე, წყეულიმც იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მე არ მსურს გავხდე მისი ნაწილი.

დარბაზში აპლოდისმენტებმა იქუხა.

რიერდენმა ირგვლივ მიმოიხედა, ის უფრო მეტად იყო გაოგნებული ვიდრე მოსამართლეები. დაინახა, როგორ შეეცვალა თავშეუკავებელ სიცილს სახეები, სახეები, რომლებიც შველას ევედრებოდნენ; დაინახა სასოწარკვეთილება; რომელიც არტახებიდან თავის დახსნას ცდილობდა, ის მრისხანება და აღშფოთება; მთელი მისი არსება რომ მოეცვა, იგრძნო დაუმორჩილებლობის თავისუფლება; ხედავდა იმედით გასხივოსნებულ აღფრთოვანებულ სახეებს. აქა-იქ ხელიდან წასული ახალგაზრდებისა და შემზარავად ფეთხუმი ქალების სახეებსაც მოჰკრა თვალი, იმგვარების, კინოქრონიკებში გამოჩენილ ყოველ ბიზნესმენს კინოთეატრებში სტვენას რომ უტეხავენ: ისინი დუმდნენ, არ აპროტესტებდნენ.

როდესაც რიერდენი მოტრიალდა, დარბაზში შეკრებილმა ადამიანებმა იხილეს ის, რასაც მოსამართლეებმა მუქარებით ვერ მიაღწიეს მის სახეზე პირველად გაკრთა ემოცია.

რამდენიმე წამი გავიდა, ვიდრე მოსამართლის ჩაქუჩის გაცოფებული კაკუნის ხმა გაისმა მაგიდაზე და მოსამართლეებიდან ერთ-ერთმა დაიღრიალა — თორემ ვბრძანებ, დარბაზი დაიცალოს!

რიერდენი ისევ მიტრიალდა დარბაზისკენ, თვალი გადაავლო. მაყურებელთა რიგს და მზერა დაგნიზე შეაჩერა, თითქოს. ეუბნებოდა: „გაჭრა!“. დაგნი საკმაოდ ვიდი ჩანდა რომ არა მისი უზომოდ გაფართოებული თვალები.

ედი უილერსის სახე გრიმასას დაებრიცა: იგრძნობოდა, რომ ცრემლს ძლივს იკავებდა. იგი იღიმებოდა, როგორც იღიმებიან ხოლმე ცრემლიანი თვალებით. მისტერ მოუენი გაშტერებული იჯდა. პოლ ლარკინი იატაკს ჩასჩერებოდა. ბერტრამ სკადერისა და ლილიანის სახეები არაფერს არ გამოხატავდნენ. ლილიანი გაუნძრევლად იჯდა რიგის ბოლოში, ფეხი ფეხზე გადაედო, წაულის მოსასხამი მხრებიდან მუხლებზე ჩამოსცურებოდა; მზერა რიერდენისთვის მიეპყრო.

თავს დამტყდარ ემოციათა ორომტრიალში რიერდენმა ვერ მოასწრო, გაეცნობიერებინა, როგორ გაჰკრა გულში სინანულმა: პირველი წუთებიდანვე

იმედოვნებდა, დაენახა ადამიანი, რომლისკენაც მთელი გულით მიისწრაფოდა. მაგრამ ფრანცისკო დ'ანკონია არ მოვიდა.

— მისტერ რიერდენ, — დასწავლილი თავაზიანობითა და მოწყალე ღიმილით გაიწოდა რიერდენისკენ ხელები უფროსმა მოსამართლემ, — რა სამწუხაროა, რომ თქვენ ასე სრულიად არასწორად გაგვიგეთ. მთელი უბედურება ის არის, რომ ბიზნესმენები უარს აცხადებენ ჩვენთან ნდობით გამსჭვალულ, მეგობრულ თანამშრომლობაზე. როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ ჩვენ მათი მტრები ვართ. რატომ ლაპარაკობთ ადამიანების მსხვერპლშეწირვაზე? რამ გაიძულათ, ასეთი თავზარდამცემი გამოთქმები გამოგეყენებინათ? ჩვენ არ გვაქვს განზრახვა, თქვენი საკუთრება წაგართვათ ან ცხოვრება დაგინგრიოთ. აზრადაც არ გაგვივლია თქვენი ინტერესების ხელყოფა. ჩვენ სრულიად ვაღიარებთ თქვენს უმაღლეს მიღწევებს. ჩვენი ერთადერთი მიზანი საზოგადოებაში დაძაბულობის შერბილება და საყოველთაო სამართლიანობის უზრუნველყოფაა. ეს სხდომები ჩაფიქრებული იყო არა როგორც სასამართლო პროცესი, არამედ როგორც ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისკენ მიმართული მეგობრული დისკუსია.

— მე არ ვთანამშრომლობ, როცა იარაღს მიმიზნებენ.

— რა საჭიროა იარაღის ხსენება? ვითარება არც იმდენად. სერიოზულია, რომ მსგავსი ასოციაციები წარმოშვას. ჩვენ სრულიად ვაცნობიერებთ, რომ ამ მოცემულ შემთხვევაში ბრალი ძირითადად მისტერ კენ დენეგერს ეკისრება, კანონის დარღვევის პროვოცირებით, მან თქვენზე ძლიერი ზეწოლა განახორციელა და როცა სასჯელს თავი აარიდა და მიიმალა, საკუთარი ბრალეულობა სრულად აღიარა.

— არა, ჩვენ ყველაფერი ერთად, ორმხრივი და ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე გავაკეთეთ.

— მისტერ რიერდენ, — თქვა მეორე მოსამართლემ, — თქვენ უფლება გაქვთ, არ გაიზიაროთ ზოგიერთი ჩვენი შეხედულება, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველანი ხომ ერთ მიზანს ვემსახურებით — საზოგადოების კეთილდღეობას. ჩვენთვის გასაგებია, რომ ქვანახშირის მოპოვების სფეროში შექმნილმა კრიტიკულმა ვითარებამ, საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის საწვავის უკიდურესმა საჭიროებამ გიბიძგათ; გვერდი აგევლოთ კანონით დადგენილი ზოგიერთი წესისთვის.

— არა, ამისკენ მხოლოდ ჩემმა პირადმა მოგებამ და საკუთარმა ინტერესებმა მიბიძგა. როგორ აისახა ეს ქვანახშირის მოპოვებაზე და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, თქვენი განსასჯელი არ არის. მაგრამ ჩემი მოტივი სწორედ ეს იყო.

გაოგნებულმა მისტერ მოუენმა პოლ ლარკინს გადაუჩურჩულა:

— აქ რაღაც ისე ვერ არის.

— ოჰ, მოკეტეთ რა! — შეუღრინა ლარკინმა.

— დარწმუნებული ვარ, მისტერ რიერდენ, — თქვა ყველაზე ხნიერმა მოსამართლემ, — რომ სინამდვილეში არც თქვენ, არც საზოგადოება არ ფიქრობთ, რომ ჩვენ ისე გეპყრობით, როგორც მსხვერპლს. თუკი ვინმეს ასეთი მცდარი შეხედულება მაინც შეექმნა, ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, საწინააღმდეგო დავამტკიცოთ.

მოსამართლეები დარბაზიდან გავიდნენ გადაწყვეტილების მისაღებად. ისინი დიდხანს არ შეყოვნებულან. დარბაზი მათ ავის მომასწავებელი სიჩუმით შეხვდა. მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ჰენრი რიერდენი ხუთი ათასი დოლარით დაჯარიმდა.

დარბაზში აპლოდისმენტებმა და ირონიულმა შეძახილებმა იხუვლა. აპლოდისმენტები რიერდენს მიემართებოდა, დაცინვა — მოსამართლეებს.

რიერდენი იდგა, ბრბოსკენ არ მიტრიალებულა, ყრუდ ჩაესმოდა ტაშისცემა მის სახეზე არც ტრიუმფი არ იკითხებოდა, არც გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, მხოლოდ დაძაბული მოლოდინით და მწარე ეჭვით, ლამის შიშით შეჰყურებდა მოსამართლეებს. მან პირველად დაინახა მთელი სისავსით, როგორი არარაობა იყო ის მტერი, რომელიც სამყაროს ანადგურებდა. თითქოს მრავალწლიანი ხეტიალის მერე უკაცრიელ, უნაყოფო უდაბნოში, ვეებერთელა ქარხნების ნანგრევებს, ძლიერი მექანიზმების ნამსხვრევებსა და ქედმოუხრელი გმირების გვამებს შორის, დამანგრეველს წააწყდა პირისპირ და ის ყოვლისშემძლე გიგანტი კი არ აღმოჩნდა, როგორც მოელოდა, არამედ მხდალი ვირთხა, რომელიც მზად იყო, უკანმოუხედავად გაქცეულიყო, ადამიანის ფეხის ხმა შემოესმებოდა თუ არა. „თუ ეს არის ის მტერი, რომელმაც დაგვამარცხა“, — გაიფიქრა მან, — „დამნაშავეები ჩვენ თვითონ ვყოფილვართ“.

რეალობას ყოველი მხრიდან გარს შემოკრებილმა ბრბომ დაუბრუნა. რიერდენმა ხალხს გაუღიმა მათი ღიმილის, მათი მგზნებარე, თითქმის ტრაგიკული იმედის საპასუხოდ, სახეებზე რომ გამოსახვოდათ. ღიმილში სევდა იყო.

— ღმერთმა დაგლოცოთ, მისტერ რიერდენ! — უთხრა მოხუცმა ქალბატონმა რომელსაც თავზე გაქუცული თავსაფარი შემოეხვია, — ხომ გვიშველით? ცოცხლად გვჭამენ. ვერავის დააჯერებენ, რომ ყველაფერი მდიდრების ბრალია. რა გველის?

— მომისმინეთ, მისტერ რიერდენ, — შეაწყვეტინა მას მამაკაცმა, რომელიც ქარხნის მუშას ჰგავდა, — სწორედ მაგ მდიდრებმა დაგვღუპეს. გადაეცით მაგ მდიდარ ნაბიჭვრებს, რომლებმაც ასე სიხარულით მიატოვეს ყველა საქმე, რომ როცა თავიანთი სასახლეები დატოვეს, უკანასკნელი ტყავიც გაგვაძრეს.

— ვიცი, — უთხრა რიერდენმა.

„დანაშაულის მთელი სიმძიმე ჩვენ გვაწევს მხრებზე“, — ფიქრობდა რიერდენი, „ჩვენ თვითონ, ამ სამყაროს მამოძრავებლებმა, კაცობრიობის კეთილისმყოფლებმა, მივეცით უფლება, რომ ჩვენთვის ბოროტების დამღა დაესვათ, და უსიტყვოდ შევეგუეთ, ჩვენი ღირსებებისთვის რომ გვსჯიან. აბა, სხვა რის მოლოდინი უნდა გვქონოდა, რომელ „სიკეთეს“ უნდა ეზეიმა ამ სამყაროში?“

მან თვალი შეავლო მის წინ მდგომ ადამიანებს. დღეს ისინი მას გამარჯვებას ულოცავდნენ ხმამაღალი შეძახილებით; ზუსტად ასევე ესალმებოდნენ „ჯონ გოლტის ხაზის“ გასწვრივ ჩამწკრივებული ადამიანებიც. მაგრამ ხვალ იგივენი უესლი მაუჩისგან ახალ დირექტივას მოითხოვენ უფასო საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროგრამასთან დაკავშირებით, რომელსაც ორენ ბოილი განახორციელებს, სწორედ მაშინ, როდესაც ბოილის დამზადებული კოჭები თავზე დაემხობათ, ისინი ამას გააკეთებდნენ, ვინაიდან უბრძანებდნენ, ძველისძველი ცოდვის მსგავსად დაევიწყებინათ, რატომ ასხამდნენ ხოტბას ჰენკ რიერდენს.

რატომ არიან ისინი მზად; თავიანთი საუკეთესო მიღწევები ცოდვად გადააქციონ? რატომ ღალატობენ ყველაზე ამაღლებულს საკუთარ თავში? რამ აიძულა ისინი, სწამდეთ, რომ ეს დედამიწა ბოროტების სამეფოა, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვისთვის არის ადამიანი განწირული? რიერდენს მიზეზი ვერ დაესახელებინა, მაგრამ იცოდა, რომ ამას რაღაც სახელი უნდა დარქმეოდა. ეჩვენებოდა, რომ სასამართლოს დარბაზში მის წინ დიდი კითხვის ნიშანი აღიმართა, და ახლა ვალდებული იყო, პასუხი მოენახა.

აი, ნამდვილი განაჩენი, რომელიც მას დღეს სასამართლომ გამოუტანა, — ფიქრობდა რიერდენი, — მიაკვლიოს, მაინც რა იდეამ, ნებისმიერი უბრალო მოკვდავისთვის გასაგებმა რა იდეამ აიძულა კაცობრიობა, მიეღო დოქტრინა, რომელმაც ის თვითგანადგურებამდე მიიყვანა.

* * *

— ჰენკ, ამიერიდან მე აღარ ვიფიქრებ, რომ ყველაფერი უიმედოა, აღარასოდეს ცხოვრებაში, — უთხრა დაგნიმ საღამოს, პროცესის მერე, — მე ვერავინ მაიძულებს, მივატოვო ჩემი-საქმე. შენ დაამტკიცე, რომ სიმართლე ყოველთვის ჭრის და ყოველთვის იმარჯვებს, — დაგნი გაჩუმდა, შემდეგ კი დაამატა, — თუ ადამიანმა იცის, რა არის სიმართლე.

მეორე დღეს, სადილობისას, ლილიანმა თქვა:

— ესე იგი, შენ მოიგე პროცესი, ასეა არა?

— მისი ხმა რაღაცნაირად უცნაურად ჟღერდა; მეტი არაფერი უთქვამს; ლილიანი ქმარს ისე უყურებდა, თითქოს გამოცანის ამოხსნას ცდილობდა.

ბიჭმა რიერდენს ქარხანაში ჰკითხა:

— მისტერ რიერდენ, რა არის მორალური პრინციპი?

— ის, რასაც უამრავი უსიამოვნება მოაქვს.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა და სიცილით თქვა:

— ღმერთო, რა არაჩვეულებრივი შოუ გამოვიდა! კარგად კი შეჯორეთ ისინი, მისტერ რიერდენ! რადიოსთან ვიჯექი და ვღრიალებდი.

— როგორ მიხვდი, რომ ეს გამარჯვება იყო?

— მაგრამ, ხომ მართლაც თქვენ გაიმარჯვეთ, რა, არა?

— დარწმუნებული ხარ?

— ცხადია, დარწმუნებული ვარ.

— აი, რაც გარწმუნებს, რომ გაიმარჯვე, ის არის მორალური პრინციპი.

— გაზეთები დუმდნენ. იმ გადაჭარბებული ყურადღების შემდეგ, რომელიც მათ ამ პროცესის მიმართ გამოიჩინეს, პრესა ისე იქცეოდა, ვითომ ეს პროცესი სახსენებელიც არ იყო. სხვადასხვა გვერდებზე დაბეჭდეს მოკლე ცნობები, ისეთი ზოგადი ფორმულირებებით, რომ ვერც ერთი მკითხველი ვერ მიმხვდარიყო მის წინააღმდეგობრივ ხასიათს.

ბიზნესმენები, რომელთაც რიერდენი ხვდებოდა, თითქოს ცდილობდნენ ამ თემისთვის თავი აერიდებინათ. ზოგიერთს კომენტარი საერთოდ არ გაუკეთებია.

ზურგს აქცევდნენ და გულგრილობის ნიღბის მიღმა მალავდნენ აღშფოთებას, გეგონებოდა, ეშინოდათ, რომ რიერდენისკენ მიპყრობილი ერთი მარტივი მზერაც კი პოზიციად იქნებოდა გაგებული. სხვები კი ამბობდნენ:

— ჩემი აზრით, რიერდენ, თქვენ გონივრულად არ მოიქეცით... ვფიქრობ, დღეს არ ღირს მტრების გაჩენა... ჩვენ თავს იმის უფლებას ვერ მივცემთ, რომ უკმაყოფილება გამოვიწვიოთ.

— ვისი უკმაყოფილება? — იკითხა რიერდენმა.

— არა მგონია, მთავრობას ეს მოეწონოს.

— ნახავთ, ამას რა შედეგები მოჰყვება.

— არ ვიცი, არ ვიცი... საზოგადოება ამას არ შეეგუება — კიდევ დაინახავთ, ადამიანები როგორ გაიგებენ ამ ყველაფერს — არ ვიცი... როგორ არ ვეცადეთ, არანაირი საფუძველი არ მიგვეცა მთელი ამ ბრალდებებისთვის პირად მოგებასთან დაკავშირებით, თქვენ კი მტერს პირდაპირ იარაღი ჩაუგდეთ ხელში...

— იქნებ აპირებთ, დაეთანხმოთ მტერს, რომ არავითარი უფლება არ გაქვთ, პირადი მოგება გქონდეთ და საკუთრებას ფლობდეთ?

— ოჰ, არა, არა, რა თქმა უნდა, არა, რა საჭიროა უკიდურესობები? ოქროს შუალედი ყოველთვის არსებობს.

— ოქროს შუალედი თქვენსა და თქვენს მკვლელებს შორის?

— რა საჭიროა ასეთი სიტყვები?

— იყო თუ არა სიმართლე ის, რაც სასამართლო პროცესზე ვთქვი?

— თქვენი სიტყვები შესაძლოა, არასწორად გაიგონ და დაამახინჯონ.

— მაინც, სიმართლე იყო თუ არა?

— საზოგადოება ძალიან ჩლუნგია, ამის გარკვევა რომ შეძლოს.

— სიმართლე იყო თუ არა?

— ახლა, როცა ხალხი შიმშილობს, იმის დრო არ არის, იამაყო, მდიდარი რომ ხარ.

ამან შეიძლება, ადამიანები წააქეზოს, ყველაფერი წაგართვან.

— მაგრამ ის განცხადებები, რომ შენ არ გაქვს უფლება, მდიდარი იყო, მათ კი აქვთ, არ წააქეზებს ადამიანებს?

— არ ვიცი...

— არ მომწონს, რაც სასამართლო პროცესზე თქვით, — უთხრა კიდევ ერთმა, — მე თქვენ საერთოდ არ გეთანხმებით, — ჩაეჭრა სხვა, — პირადად მე ვამაყობ რომ საზოგადოების საკეთილდღეოდ ვმუშაობ და არა ჩემი საკუთარი მოგებისთვის. მომწონს, როცა ვფიქრობ, რომ უფრო მაღალი მიზანი მაქვს, ვიდრე ეს სამჯერადი კვება და „ჰემონდის“ ლიმუზინია.

— მე კი ბრძანებებისა და კონტროლის გაუქმების იდეა არ მომწონს, — თქვა კიდევ ერთმა, — მათ, რა თქმა უნდა, გადამეტებული გულმოდგინება გამოიჩინეს, მაგრამ საერთოდ რომ არავითარი კონტროლი არ იყოს?! ამას არ ვეთანხმები. მე მგონი, საზოგადოების კეთილდღეობისთვის გარკვეული კონტროლი აუცილებელია, — გთხოვთ, მაპატიოთ, ბატონებო, — თქვა რიერდენმა, — რომ იძულებული ვარ თქვენი წყეული კისრებიც გადავარჩინო ჩემს საკუთართან ერთად.

ბიზნესმენთა ჯგუფს, მისტერ მოუენის ხელმძღვანელობით, არანაირი აზრი არ გამოუთქვამს პროცესთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი კვირის მერე მათ დიდი ხმაურით განაცხადეს, რომ ფული ჩადეს სათამაშო მოედნის მშენებლობაში უმუშევართა ბავშვებისთვის.

ბერტრამ სკადერს სასამართლო პროცესი თავის რუბრიკაში არ უხსენებია.

თუმცა ათი დღის შემდეგ რუბრიკაში „სხვადასხვა“ დაწერა: „თვითონ იდეა, რომ მისტერ ჰენკ რიერდენის პერსონა საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, შესაძლოა, იმ ფაქტმა წარმოშვა, რომ ყველა სოციალური ჯგუფიდან ყველაზე არაპოპულარული, ჩანს, სწორედ ის აღმოჩნდა თავისივე კოლეგა-ბიზნესმენებს შორის. თვით უმსხვილესი სამრეწველო ბარონებიც კი თვლიან, რომ თავისი ძველმოდური შეუბრალებლობით მან ძალიან ღრმად შეტოპა“.

დეკემბრის ერთ საღამოს, როცა ქუჩა ფანჯრის მიღმა ანგინიანი ყელივით იხველებოდა წინასაშობაო საცობებში გაჩხერილი ავტომობილების სიგნალებს, რიერდენი თავის ნომერში იჯდა „უეინ-ფოლკლენდში“ და უფრო საშიშ მტერს ებრძოდა, ვიდრე დაღლილობა ანდა შიშია — ზიზღს, რომელიც მთელ მის არსებას ეუფლებოდა, როგორც კი გაიფიქრებდა, რომ ადამიანებთან საქმის დაჭერა გარდაუვალი იყო.

იჯდა და არც ქუჩაში გასვლის ძალა ჰქონდა, არც განძრევის, თითქოს თავის სკამსა და ოთახს იყო მიჯაჭვული. უკვე რამდენიმე საათის მანძილზე ცდილობდა, თავიდან მოეცილებინა აზრი, რომელიც ნოსტალგიის შეუპოვრობით შესჩენოდა:

იცოდა, რომ ერთადერთი ადამიანი, ვის ნახვასაც ახლა ისურვებდა, აქ იყო, ამ სასტუმროში, რამდენიმე სართულით მაღლა.

რამდენჯერ გამოიჭირა საკუთარი თავი, როცა სასტუმროდან გადიოდა, ანდა უკან ბრუნდებოდა, რომ ფოიეში ფეხს ითრევდა, უმიზეზოდ ყოვნდებოდა საფოსტო ყუთებთან ან გაზეთების დახლთან და ადამიანების სწრაფ ნაკადს ათვალიერებდა იმ იმედით, რომ მათ შორის ფრანცისკო დ'ანკონიას დაინახავდა. იმაშიც ამხილა თავი, რომ ხშირად, როდესაც სასტუმროს რესტორანში მარტო სადილობდა, თვალს არ აშორებდა შემოსასვლელ კარს, რომელსაც ფარდა ფარავდა. ახლა კი, იჯდა საკუთარ ნომერში და იმაზე ფიქრობდა, რომ მათ სულ რამდენიმე სართული აშორებდათ ერთმანეთს.

რიერდენი ფეხზე წამოდგა და აღშფოთებით გადაიხარხარა. „იმ ქალივით ვიქცევი, ტელეფონის ზარს რომ ელოდება და ძლივს იკავებს თავს, თვითონ რომ არ გადადგას პირველი ნაბიჯი“, — გაიფიქრა მან. ბოლოს გადაწყვიტა, რომ არანაირი მიზეზი არ არსებობდა, რომელიც ხელს შეუშლიდა, მისულიყო ფრანცისკოსთან, თუკი ეს მართლაც ასე ძალიან სურდა. და მაინც, როცა საკუთარ თავს უთხრა, რომ დღეს მასთან წავიდოდა, კაპიტულაციის სახიფათო ელემენტი დალანდა შვებაში, ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე რომ დაეუფლა.

ტელეფონისკენ გადადგა ნაბიჯი, ფრანცისკოს ნომერში რომ დაერეკა, მაგრამ შეჩერდა. ეს სულაც არ იყო ის, რისი გაკეთებაც მას უნდოდა; უნდოდა, უბრალოდ, გაუფრთხილებლად, დაუპატიჟებელ სტუმრად მისულიყო, როგორც ადრე თვითონ ფრანცისკო გამოეცხადა კაბინეტში — თითქოს მათ შორის ამგვარი ფარული ვიზიტების უფლების დასაკანონებლად.

ლიფტისკენ რომ მიემართებოდა, რიერდენი ფიქრობდა: იქნებ ნომერში არც არის, ან ვინმე ქალთან ერთად ერთობა და ამ დროს დავადექი თავს — ახი არ იქნება ჩემზე? თუმცა ეს აზრი არარეალური ეჩვენა, არა და არ ესადაგებოდა იმ ადამიანს, რომელიც აბრიალებულ ღუმელთან იხილა. თავდაჯერებული ავიდა ლიფტით საჭირო სართულზე და დერეფანს გაუყვა. იგრძნო, როგორ გადაიზარდა სიმწარე თანდათან მხიარულებაში და კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით! — უგულისყუროდ გამოსძახა ფრანცისკომ.

რიერდენმა კარი შეაღო და ზღურბლზე შეჩერდა. შუაგულ ოთახში, იატაკზე, სასტუმროს ერთ-ერთი უძვირფასესი, ატლასისაბაჟურიანი სანათი რკალად დაჰნათოდა ესკიზებიან ფართო ფურცლებს. ფრანცისკო დ'ანკონია, რომელსაც სამკლავურები წამოეცვა ხელებზე და თმა სახეზე ჩამოშლოდა, იატაკზე წამოწოლილიყო, იდაყვებს დაჰყრდნობოდა, ფანქრის ბოლოს ღრღნიდა და ნახაზზე რომელიღაც წერტილს ჩაჰკირკიტებდა. მას თავი არც კი აუწევია, თითქოს უკვე დაავიწყდა, კარზე რომ დააკაკუნეს. რიერდენი შეეცადა, ნახაზი გაერჩია: გამოსახულება სადნობი ღუმლის სექციას მიამსგავსა. ადგილზე გაქვავდა, მონუსხული: ფრანცისკო დ'ანკონიას მისეული ხატება რომ გამოესახა, სწორედ ასეთ სურათს შექმნიდა: დახატავდა მიზანსწრაფულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც რთულ ამოცანას ჩაღრმავებია.

სწორედ ამ დროს ფრანცისკომ თავი ასწია. მომდევნო წამს მუხლებზე წამოიწია და რიერდენს უსაზღვრო სიხარულით აღსავსე ღიმილით შეხედა. მერე ნახაზები

სასწრაფოდ წამოკრიფა და გვერდზე მოისროლა, გამოსახულებით პირქვე — ხელი შეგიშალე? — ჰკითხა რიერდენმა.

— სულაც არა. შემობრძანდით. — იღიმებოდა ფრანცისკო. რიერდენი უცბად დარწმუნდა, რომ ფრანცისკო მას ელოდა, ელოდა გამარჯვებას, რომლის მიღწევის იმედი დიდად არ ჰქონდა.

— რას აკეთებდი? — ჰკითხა რიერდენმა.

— არაფერს. ისე, უბრალოდ, თავს ვირთობდი.

— აბა, მაჩვენე.

— არა, — ფრანცისკო წამოდგა და ნახაზები ფეხით გვერდზე გასწია.

რიერდენმა შენიშნა, რომ მართალია ადრე ძალია გააღიზიანა ფრანცისკოს შინაურულმა ქცევამ მის კაბინეტში, მაგრამ ახლა თვითონაც სწორედ ასე იქცეოდა: თავისი სტუმრობის მიზეზი არც კი აუხსნია, უბრალოდ, ოთახი გადაკვეთა და სავარძელში ისე გემრიელად მოკალათდა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო.

— რატომ აღარ მოხვედი, დაწყებული საუბარი რომ გაგეგრძელებინა? — ჰკითხა რიერდენმა ფრანცისკოს.

— თქვენ ეგ ჩემი დახმარების გარეშეც ბრწყინვალედ მოახერხეთ.

— ჩემს სასამართლო პროცესს გულისხმობ?

— დიახ.

— საიდან იცი, შენ ხომ იქ არ ყოფილხარ?

ფრანცისკომ გაიღიმა, რადგან ამ კითხვაში გაკრთა აღიარება მე ველოდი რომ შენ მოხვიდოდი.

— არ გიფიქრიათ, რომ თითოეულ თქვენს სიტყვას რადიოთი მოვისმენდი?

— მოისმინე? კეთილი, აბა, როგორ მოგეწონა საკუთარი იდეები, რომელიც შენმა შუამავალმა პირმა ეთერით გაახმოვანა?

— თქვენ ჩემი შუამავალი არ ხართ, მისტერ რიერდენ და არც ეგ იდეებია ჩემი საკუთრება. რა, ამ წესების მიხედვით არ იცხოვრეთ მთელი თქვენი სიცოცხლე?

— დიახ, ასეა.

— მე მხოლოდ დაგეხმარეთ, მიხვედრილიყავით შეგიძლიათ, იამაყოთ, სწორედ ასე რომ იცხოვრეთ.

— მიხარია, პროცესს რომ უსმინე.

— ეს დიდებული იყო, მისტერ რიერდენ მაგრამ დაახლოებით სამი თაობით დაგვიანებული.

— რას გულისხმობ?

— ერთ ბიზნესმენს მაინც რომ მოეკრიბა სიმამაცე მაშინ და ეთქვა რომ მხოლოდ საკუთარი მოგებისთვის მუშაობს, და ეთქვა ეს სიამაყით, ის სამყაროს გადარჩენას შეძლებდა.

— მე არ მეჩვენება, რომ ჩვენი სამყარო დაიღუპა.

— არც დაღუპულა. არასდროს არ დაიღუპება. მაგრამ ღმერთო ჩემო, რას დაემსგავსა ის!

— და მაინც, ფიქრობ ჩვენ ვალდებული ვართ, ვიბრძოლოთ მიუხედავად იმისა; თუ როგორ დროში ვცხოვრობთ.

— დიახ... იცით, მისტერ რიერდენ, გირჩევთ, თქვენი სასამართლო პროცესის, თქვენი გამოსვლის ჩანაწერი გადაიკითხოთ. მერე კი გაერკვიოთ, ეს ყველაფერი მტკიცედ და სრულად გაითავისეთ თუ არა.

— გინდა თქვა, რომ არ გამითავისებია?

— თვითონ გადაწყვიტეთ.

— ვიცი, რომ ძალიან ბევრი რამის თქმას აპირებდი იმ ღამით, ჩემს ქარხანაში საუბარი რომ შეგვაწყვეტინეს. რატომ არ დაასრულე სათქმელი?

— იმიტომ, რომ ჯერ ძალიან ადრეა.

ფრანცისკო ისე იქცეოდა, კაცი იფიქრებდა, რიერდენის სტუმრობაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავსო, საერთოდაც არასოდეს არ იყო შებოჭილი მისი თანდასწრებით.

მაგრამ, თითქოს იმდენად მშვიდად მაინც ვერ გრძნობდა თავს, თვითონ რომ ისურვებდა. ოთახში ბოლთას ცემდა, გეგონებოდა, იმ ემოციისგან გათავისუფლება ენადა, რომლის აღიარებაც არ უნდოდა; სანათის აღებაც კი დაავიწყდა, რომელიც ისევ იატაკზე იდგა და ოთახს ანათებდა.

— ვფიქრობ, თავზარი დაგცათ ახალმა აღმოჩენებმა, ასე არ არის? — განაგრძობდა ფრანცისკო, — როგორ მოგეწონათ თქვენი თანამოძმე ბიზნესმენების რეაქცია?

— სხვას არც არაფერს მოველოდი.

ფრანცისკომ მოზღვავებული ემოციებისგან დაძაბული ხმით თქვა:

— უკვე თორმეტი წელი გავიდა, და მაინც დღემდე ვერ ვუყურებ ამას გულგრილად!

ეს სიტყვები რაღაცნაირად, უნებურად დასცდა, თითქოს დაფარული აზრები ველარ შეაკავა.

— თორმეტი წელი... რის მერე? — ჰკითხა რიერდენმა.

წამიერი პაუზის შემდეგ ფრანცისკომ მშვიდად უპასუხა:

— მას მერე, რაც მივხვდი, რასაც ეს ადამიანები აკეთებდნენ, — და დაამატა,— მე ვიცი, რისი გავლა გიწევთ ახლა... და წინ. კიდევ რა გელოდებათ — გმადლობ. — უთხრა რიერდენმა — რისთვის?

— იმისთვის, ასე რომ ცდილობ, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს. მაგრამ ჩემზე არ იღელვო. მე უფრო მეტსაც გავუძლებ... იცი, აქ საკუთარ თავზე ან თუნდაც იმ სასამართლო პროცესზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

— მზად ვარ, ნებისმიერ რამეზე ვილაპარაკოთ, ოღონდაც აქ გხედავდეთ — ფრანცისკოს ვითომდა ხუმრობანარევი თავაზიანობა ვერ ფარავდა, მართლაც გახარებული რომ იყო რიერდენის ნახვით, — რის შესახებ გინდოდათ, გვესაუბრა?

— შენ შესახებ.

ფრანცისკო ადგილზე გაირინდა წამით ის რიერდენს შეაცქერდა, შემდეგ ხმადაბლა უპასუხა:

— კეთილი რიერდენის გრძნობები სიტყვებად რომ გადმოღვრილიყვნენ და მისი ნებისყოფის ჯებირი წაელეკათ, ყვირილით აღმოხდებოდა: „არ მიმატოვო, მე შენ მჭირდები, მე ყველას დავუპირისპირდი, მათ მე უფსკრულის პირას მიმიმწყვდიეს, განწირული ვარ ამ ბრძოლისთვის, თუმცა ეს ჩემს ძალებს აღემატება და ერთადერთი ჩემთვის აუცილებელი იარაღი იმის ცოდნაა, რომ არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ვენდობი, პატივს ვცემ და ვისითაც აღფრთოვანებული ვარ“.

მაგრამ ამის ნაცვლად რიერდენმა მშვიდად და ძალიან უბრალოდ თქვა სათქმელი, და მათი ერთადერთი მაკავშირებელი იყო გულწრფელი ტონი, პირდაპირი, დაუფარავი, დაბეჯითებული და თანამოსაუბრის საპასუხო წესიერების მოგულისხმე.

— იცი, ჩემი აზრით, ერთადერთი ნამდვილი დანაშაული, რომელიც ადამიანს მეორე ადამიანის წინააღმდეგ შეუძლია ჩაიდინოს, არის მცდელობა, სიტყვებით ან

მოქმედებებით წინააღმდეგობრიობის — შეუძლებლისა და ირაციონალურის — შთაბეჭდილება შეუქმნას მას და ამ გზით შეარყიოს მსხვერპლის რაციონალურობის საფუძვლები.

— მართალია.

— თუკი გეტყვი, რომ შენ მე დილემის წინაშე დამაყენე, დამეხმარები და მიპასუხებ ერთ ძალიან პირადულ შეკითხვაზე?

— შევეცდები.

— ვფიქრობ, საჭირო არ-არის, გითხრა, — ეს თვითონაც კარგად იცი; — რომ შენ უდიდესი გონების მქონე ადამიანი ხარ მათ შორის, ვინც კი ოდესმე მცნობია. ახლა მგონია, რომ შენ უარი თქვი შენი უნარების განვითარებაზე. მაგრამ სასოწარკვეთილების მდგომარეობაში ჩადენილი საქციელი ადამიანის ხასიათის გასაღებად არ გამოდგება. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ნამდვილი გასაღები ის არის, რა მიაჩნია კაცს სიამოვნებად. და აი, რა ვერ გამიგია: მართალია, რაღაცაზე, — მნიშვნელობა არ აქვს, რაზე, — ხელი აიღე, თუმცა მაინც გადაწყვიტე, ცოცხალი დარჩენილიყავი, მაგრამ როგორ შეგიძლია, სიამოვნებას განიჭებდეს ცხოვრება, რომელსაც ქალების დევნაში და სულელურ გასართობებში ფლანგავ?

ფრანცისკო მსუბუქი ღიმილით შეჰყურებდა. რიერდენს, თითქოს ეუბნებოდა:

„აჰ, ესე იგი, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ გინდოდა, არა? და აბა, ამწუთას რა აღიარე, თუ არა სასოწარკვეთილი მარტოობა, რომლის გამოც ახლა ჩემს ხასიათთან დაკავშირებული კითხვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი სხვა?“ ეს ღიმილი რბილ, კეთილგანწყობილ სიცილს ამოეფარა, თითქოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უმარტივესი საქმე იყო და არც ერთი მტკივნეული საიდუმლოს გამხელას არ გულისხმობდა.

— ნებისმიერი მსგავსი დილემის გადასაჭრელად რაიმე გზა მოიძებნება, მისტერ რიერდენ. თქვენი წინაპირობა შეამოწმეთ, — უთხრა ფრანცისკომ და სასიამოვნო მუსაიფის გასაბმელად არხეინად მოიკალათა იატაკზე, — თქვენ პირადად დაასკვენით, რომ მე უდიდესი გონების მქონე ადამიანი ვარ?

— დიახ.

— და დაზუსტებით იცით, რომ ჩემს ცხოვრებას ქალების დევნაში ვფლანგავ?

— ამას არასდროს უარყოფდი.

— უარვყოფდი? თავს არ ვზოგავდი, ასეთი შთაბეჭდილება რომ შემექმნა.

— იმას გულისხმობ, რომ ასე სულაც არ იყო?

— თქვენი აზრით, მე არასრულფასოვნების კომპლექსით გატანჯულ მამაკაცს ვგავარ?

— ღმერთო ჩემო, ცხადია, არა!

— მხოლოდ ასეთი მამაკაცები ატარებენ თავიანთ ცხოვრებას ქალების დევნაში.

— რას გულისხმობ?

— გახსოვთ, რას გეუბნებოდით იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც მიზეზ-შედეგობრიობის კანონი ამოაყირავეს? ადამიანების, რომლებიც ცდილობენ, გონება გონების მიერ წარმოშობილი პროდუქტებით ჩაანაცვლონ? მამაკაცი, რომელსაც საკუთარი თავი ეზიზღება, თვითშეფასების ამაღლებას სექსუალური თავგადასავლებით ცდილობს, რაც შეუძლებელია, რადგან სექსი მხოლოდ მიზეზი კი არა, მისი საკუთარი ფასეულობის შედეგი და გამოხატულებაა.

— აჯობებს, უკეთ ამიხსნა.

— არასდროს მოგსვლიათ აზრად, რომ აქ ბევრი დამთხვევაა? ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სიმდიდრე მატერიალური წყაროებიდან მოდის და არანაირი ინტელექტუალური ფესვები არ გააჩნია, სწორედ ასევე ფიქრობენ, რომ სექსი ფიზიკური უნარია, რომელიც არ არის დამოკიდებული ადამიანის გონებაზე, არჩევანზე ან ფასეულობათა სისტემაზე. მათი აზრით, სხეული აღძრავს სურვილს და აკეთებს არჩევანს შენ ნაცვლად, ზუსტად ისევე, რკინის მადანი რომ საკუთარი სურვილით რკინიგზის რელსებად გადაიქცეს.: სიყვარული ბრმაა, ამბობენ ისინი, სექსი გონების ნააზრევს არ ცნობს და ფილოსოფოსების მთელ ძალისხმევას მასხრად იგდებს. სინამდვილეში კი მამაკაცის სექსუალური არჩევანი მისი საბაზისო მრწამსის შედეგი და ჯამია. მითხარით, რა ჰგონია მამაკაცს სექსუალურად მიმზიდველი და მთელ მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას. წარმოგიდგენთ. მაჩვენეთ ქალი, რომელთანაც ის წევს და გეტყვით, როგორია მისი თვითშეფასება. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მახინჯია მისი წარმოდგენა თავგანწირვის სათნოებაზე, სექსი ეგოიზმის ყველაზე უკიდურესი აქტია ადამიანისთვის ჩვეულ ქმედებათა შორის, რომლის ერთადერთი შესაძლო მოტივაცია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებაა. უბრალოდ სცადეთ; იფიქროთ სიყვარულის აქტის განხორციელებაზე უანგარო ქველმოქმედების სულისკვეთებით! სექსი წარმოუდგენელია, თუ ადამიანი საკუთარ თავს არარაობად თვლის. ეს პატივმოყვარეობის აქტია, რწმენის, რომ შენ სასურველი ხარ და რომ იმსახურებ, იყო სასურველი. ეს აქტი მამაკაცს სულიერადაც ისევე აშიშვლებს, როგორც ფიზიკურად, და აიძულებს, თავისი ჭეშმარიტი მე ღირებულების სტანდარტად აღიაროს. ასეთი მამაკაცი ყოველთვის მიმზიდველია ქალისთვის; რომლის დაპყრობაც მას განაცდევინებს, — ან წარმოასახვინებს, — საკუთარ მნიშვნელოვანებას. მამაკაცისთვის, რომელიც დარწმუნებულია საკუთარ მნიშვნელოვანებაში და ამაყობს ამით, სასურველი ყველაზე მაღალი კატეგორიის ქალი იქნება — ის, ვისითაც აღფრთოვანდება, ყველაზე ძლიერი, ყველაზე რთულად დასაპყრობი, ვისთან მეტოქეობაც შეუძლებელია. რადგან მხოლოდ გმირი ქალის ფლობა მიანიჭებს ჭეშმარიტი მიღწევის განცდას და არა უტვინო მეძავის. მამაკაცი არ ისწრაფვის... მოხდა რამე? — იკითხა ფრანცისკომ, როდესაც რიერდენის მზერაში წმინდად აბსტრაქტული მსჯელობისთვის აშკარად შეუფერებელი დაძაბულობა შენიშნა.

— განაგრძე, — მძიმედ უპასუხა რიერდენმა.

— მამაკაცი საკუთარი თავის ფასის მომატებას როდი ცდილობს, ის ამ ფასის გამოხატვას ესწრაფვის. მისი გონების სტანდარტებსა და სხეულის სურვილებს შორის კონფლიქტი არ ხდება. მაგრამ საკუთარ არარაობაში დარწმუნებული მამაკაცი ყოველთვის გაიწევს ქალისკენ, რომელიც ზიზღს ჰგვრის, იმიტომ, რომ ასეთი ქალი მისივე დაფარული არსის ანარეკლია და ათავისუფლებს ობიექტური რეალობისგან, რომელშიც თვითონ ყალბი არარაობაა და მეტი არაფერი; ეს მას საკუთარი ფასეულობის ხანმოკლე ილუზიას ჩაუსახავს და საშუალებას მისცემს, მცირე ხნით დაემალოს მის განმაქიქებელ მორალური კანონებს.

დააკვირდით იმ ამაზრზენ ალიაქოთს, რადაც მამაკაცების უმრავლესობამ საკუთარი სექსუალური ცხოვრება გადააქცია, და წინააღმდეგობრივ აბდაუბდას, რომელსაც ისინი თავიანთ ზნეობრივ ფილოსოფიად მიიჩნევენ. ერთი მეორისგან გამომდინარეობს. სიყვარული ჩვენი უმაღლესი ღირებულებების გამოხატულებაა და სხვა ვერც ვერაფერი ვერ იქნება. მიეცით ადამიანს ნება, გახრწნას თავისი ღირებულებები და არსებობის მიზანი, მიეცით ნება, განაცხადოს, რომ სიყვარული

არა ტკბობა, არამედ საკუთარი თავის უარყოფაა, რომ ღირსება სიამაყეში კი არა, მოწყალებაშია, რომ ფასეულობების კი არა, ნაკლოვანებების ანარეკლია, და ის ორად გაიხლიჩება. მას საკუთარი სხეული აღარ დაემორჩილება, ეს სხეული მას იმპოტენტად აქცევს ქალთან, რომელიც ვითომდა უყვარს და უკანასკნელი მეძავისკენ უბიძგებს. მისი სხეული ყოველთვის მისივე სიღრმისეული რწმენის უმაღლეს ლოგიკას დაექვემდებარება; თუ ის ირწმუნებს, რომ მანკიერებები ღირებულებებია, არსებობა ბოროტებად ექცევა და მხოლოდ ბოროტება მიიზიდავს მომავალში. ის რყვნის საკუთარ თავს და გადაწყვეტს, რომ გარყვნილება ერთადერთი რამ არის, რასაც ტკბობა მოაქვს. ღირსებას ტკივილთან გაათანაბრებს და დაიჯერებს, რომ სიამოვნების ერთადერთი წყარო: ცოდვაა. მერე კი გაჰყვირის, რომ მისი სხეული მანკიერ სურვილებს წარმოშობს, რომელთა დაოკებაც მის გონებას არ ძალუმს; რომ სექსი ცოდვაა; რომ ნამდვილი სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ სულის წმინდა ემოციაა. მერე კი განცვიფრებულია, რატომ მოაქვს სიყვარულს მისთვის მხოლოდ მოწყენილობა, სექსს კი სხვა არაფერი, სირცხვილის გარდა.

რიერდენი სადღაც სხვაგან, სივრცეში იყურებოდა ვერც კი აცნობიერებდა, რომ ხმამაღლა ფიქრობდა და ნელა წარმოთქვა:

— როგორც იქნა... არასოდეს არ ვაღიარებდი სხვა პრინციპს მე არასდროს არ მიგრძნია თავი დამნაშავედ იმის გამო, რომ ფულს ვაკეთებდი.

ფრანცისკომ ვერც კი შენიშნა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი პირველი სიტყვები, გაიღიმა და მგზნებარედ თქვა:

— ამჩნევთ, რომ ეს არსებითად ერთი და იგივე რამეა? არა, თქვენ არასდროს მიიღებთ მათ მანკიერ მრწამსს. იძულებით ვერ დანერგავთ მას საკუთარ ცნობიერებაში. თუნდაც შეეცადოთ, სექსი ბოროტებად შერაცხოთ, საკუთარი სურვილის მიუხედავად, მაინც მორალური პრინციპების თანახმად იმოქმედებთ. ყველაზე შესანიშნავი ქალი მიგიზიდავთ, ვისაც კი ოდესმე შეხვედრიხართ. თქვენ ყოველთვის ქალღმერთზე ოცნებობდით. საკუთარი თავის შეზიზღებას ვერასოდეს მოახერხებთ. ვერასოდეს დაიჯერებთ, რომ არსებობა ბოროტებაა, თქვენ კი დაუნდობელი სამყაროს ხაფანგში გაბმული უსუსური ქმნილება ხართ. თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელიც მთელი ცხოვრება საკუთარი შეხედულებებისამებრ ცვლიდა ყოფიერებას; ადამიანი, ვინც იცის, რომ იდეა, რომელსაც განხორციელება არ უწერია, უბადრუკი ფარისევლობაა და მეტი არაფერი, სწორედ ასეთია პლატონური სიყვარული, ხოლო ფიზიკური აქტი, რომელსაც იდეა არ მართავს — სულელური თავის მოტყუება, ასევეა სექსიც, თუ ის ადამიანის ფასეულობათა სისტემას მოწყვეტილია. არსი ერთი და იგივეა და თქვენ ეს იცით. ეს იცის თქვენმა პატივისცემის ურყევმა გრძნობამ საკუთარი თავისადმი. თქვენ არ გაგიჩნდებოდათ ვნება ქალის მიმართ, რომელიც გეზიზღებათ. უზნეო, უსიყვარულო ხორციელი სურვილები მხოლოდ იმ მამაკაცს აქვს, რომელიც წმინდა, ხორციელი ვნებისგან თავისუფალ სიყვარულს განადიდებს. მიმოიხედეთ გარშემო, მამაკაცების უმეტესობა თითქოს ორად არის გახლეჩილი, ისინი სასოწარკვეთილი; აწყდებიან ხან თავიანთ ერთ ნახევარს, ხანაც მეორეს. პირველს მიეკუთვნება ადამიანი, რომელსაც ფული, ქარხნები, ცათამბჯენები და საკუთარი სხეული ეზიზღება. ის მიუწვდომელი საგნების, მაგალითად, ცხოვრების საზრისის ანდა სათნოებისადმი სწრაფვის გაურკვეველ გრძნობებს ებღაუჭება. და სასოწარკვეთილებისგან ტირის, ვინაიდან ვერაფერს გრძნობს იმ ქალის მიმართ, ვისაც პატივს სცემს, თუმცა დაუძლეველი: ვნებით სწყურია მეძავი. ასეთებს იდეალისტებს უწოდებენ.

მეორე უკიდურესობას მიეკუთვნება ის, ვისაც პრაქტიკული ადამიანი დაარქვეს, ვისაც პრინციპები, აბსტრაქტული წარმოდგენები, ხელოვნება, ფილოსოფია და საკუთარი გონება ეზიზღება. ის ცხოვრების ერთადერთ აზრად მატერიალური ფასეულობების შეძენას მიიჩნევს და სასაცილოდ მიაჩნია მიზნისა და საშუალებების თანაზომადობის აუცილებლობა. დარწმუნებულია,რომ მატერიალური ფასეულობები მას სიამოვნებას მიანიჭებენ და უკვირს, რატომ ხდება, რომ რაც უფრო მეტს იღებს, მით ნაკლებად გრძნობს სიამოვნებას. ასეთი“ ადამიანი დროს ქალების დევნაში ფლანგავს. დავაკვირდეთ სამმაგ ტყუილს, რომელსაც ის საკუთარ თავს უწყობს. ის არ აღიარებს, რომ საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას საჭიროებს, რადგანაც მასხრად იგდებს მორალურ ფასეულობებს და უსაზღვროდ ეზიზღება თავი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ხორცის ნაჭერი ჰგონია. ამას არ აღიარებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ სექსი პიროვნული ღირებულებებისადმი გაღებული ხარკია.

ამიტომაც ცდილობს, შედეგით მიაღწიოს იმას, რაც, წესით, მიზეზი უნდა იყოს. საკუთარი თავისადმი პატივისცემის მოპოვებას იმ ქალების მეშვეობით ცდილობს, რომლებიც მას ნებდებიან; და ავიწყდება, რომ ქალებს, რომლებსაც თვითონ ირჩევს, არც ხასიათი არ გააჩნიათ, არც მსჯელობის უნარი, არც მორალური სტანდარტი. თავის თავს ეუბნება, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური სიამოვნება აინტერესებს, მაგრამ ამჩნევს, როგორ იღლება ამ ქალებისგან ერთი კვირაში ან სულაც ერთადერთი ღამის მერე; როგორ ეზიზღება პროფესიონალი მეძავები და თავს იტყუებს, თითქოს უმწიკვლო გოგონებს აცდუნებდეს, რომლებიც მას განსაკუთრებულ ადამიანად მიიჩნევენ. ის გამარჯვების გრძნობას ეძიებს, მაგრამ ვერასოდეს პოულობს. აბა, რა გმირობაა უგუნური სხეულის დაუფლება? როგორ გგონიათ, მე ეს აღწერილობა შემესატყვისება?

— ღმერთო, არა!

— მაშინ შეგიძლიათ, თვითონვე განსაჯოთ, ისე, რომ არაფერი მკითხოთ, ბევრი ქალი მეყოლება თუ არა დაპყრობილი ცხოვრებაში.

— კი მაგრამ, მაშინ, რა გესაქმებოდა გაზეთების პირველ გვერდებზე ეს ბოლო, ალბათ, თორმეტი წელია?

— აურაცხელი ფული დავხარჯე ყველაზე ამაზრზენი და ვულგარული წვეულებების მოსაწყობად, რაც კი შეიძლება, ადამიანმა წარმოიდგინოს, და სულ ვცდილობდი, ღირსეული ქალების გვერდით არავის დავენახე. რაც შეეხება დანარჩენს...

ფრანცისკო ჯერ გაჩუმდა, შემდეგ გააგრძელა, — მყავს რამდენიმე მეგობარი, რომლებმაც იციან ამის შესახებ, მაგრამ თქვენ პირველი ადამიანი ხართ, ვისაც, — ჩემი წესების საპირისპიროდ, — ვუტყდები: მე არც ერთ იმ ქალთან სარეცელი არასდროს გამიყვია. არც ერთ მათგანს არასდროს არ მივკარებივარ.

— ყველაზე დაუჯერებელი ის არის, რომ მჯერა შენი.

როდესაც ფრანცისკო უცოდველი ღიმილით წინ გადაიხარა, იატაკზე მდგარმა სანათმა შუქის ლაქები მოჰფინა მისი სახეს.

— ყურადღებით თუ გადაავლებთ თვალს იმ საგაზეთო გვერდებს, ნახავთ, რომ მე თვითონ არასდროს მომიყოლია რაიმე. თავად ამ ქალებმა წალეკეს პრესა თავიანთი ისტორიებითა და ქარაგმებით, თითქოს რესტორანში ჩემთან ერთად გამოჩენა ჩვენ შორის გაბმულ რომანზე მიანიშნებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი იმასვე ესწრაფოდნენ, რასაც ბანალური მექალთანე, კაზანოვა — საკუთარი

ფასეულობის ამაღლებას თავიანთი დაპყრობილი მამაკაცების მრავალრიცხოვნებისა და სკანდალური დიდების ხარჯზე. ოღონდ, მათი შემთხვევა კიდევ უფრო მეტად „ყალბია, რადგან აქ მიზანი კონკრეტული ფაქტი კი არა, სხვა ქალებზე შთაბეჭდილების მოხდენა და მათთვის შურის აღძვრაა. ჰოდა, მეც ვაძლევდი მაგ მდედრებს, რასაც ეძიებდნენ, და თანაც ზუსტად იმას, რაც უნდოდათ, და არა იმ სიცრუეს, რომელიც თავად მათგანვე მალავს მათივე სწრაფვების ჭეშმარიტ არსს. გგონიათ, რომელიმეს ან ჩემთან ან სხვა მამაკაცებთან დაწოლა სურდა? ასეთი რეალური და წრფელი სურვილები მათთვის უცხოა. მათ პატივმოყვარეობის წყურვილი კლავდათ და მე ამ წყურვილის დაკმაყოფილებაში ვეხმარებოდი. საშუალებას ვაძლევდი, ებაქიბუქათ მეგობრებთან და თავი მოეწონებინათ სკანდალური გაზეთების ფურცლებზე, როგორც დიად მაცდუნებლებს.

მაგრამ იცით, რომ ამან ზუსტად ისევე იმუშავა, როგორც თქვენს სასამართლო პროცესზე? თუ გინდათ, რომელიღაც მანკიერი სიცრუე ამხილოთ, დაეთანხმეთ მას ზედმიწევნით“ .საკუთარი, პირადული არაფერი დაამატოთ, არ შენიღბოთ მისი არსი.

თითოეულ იმ ქალს ეს ესმოდა. და ისიც იცოდნენ, მოაქვს თუ არა კმაყოფილება, როცა სხვებს შურთ შენი გამარჯვება, რომელიც სინამდვილეში არ მოგიპოვებია.

ნაცვლად პატივისცემისა საკუთარი თავისადმი, ამ რეკლამირებულმა რომანებმა მათი არასრულფასოვნების განცდა კიდევ უფრო გააღრმავა: ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ შეეცადა, მაგრამ დამარცხდა. თუკი ქალი ჩემს საწოლში შეტყუებას გამარჯვების საზოგადო სტანდარტად თვლიდა, ასეთ შემთხვევაში მან იცოდა, რომ ამ სტანდარტს არ შეესატყვისებოდა. ვფიქრობ, იმ ქალებს ქვეყნად ჩემზე მეტად არავინ არ სძულთ. მაგრამ ჩემი საიდუმლო არასოდეს არ გამჟღავნდება, რადგან ყოველ მათგანს ჰგონია, რომ მხოლოდ თვითონ დამარცხდა, სხვებმა კი გაიმარჯვეს, ამიტომაც თითოეული კიდევ უფრო მეტი მგზნებარებით ამტკიცებს, თითქოს ჩემთან რომანი ჰქონდა და სიმართლეს არასოდეს არავის არ გაუმხელს — კი მაგრამ, საკუთარ რეპუტაციას რა დამართე?

ფრანცისკომ მხრები აიჩეჩა:

— ისინი, ვისაც მე პატივს ვცემ, ადრე თუ გვიან ჩემ შესახებ სიმართლეს მაინც შეიტყობენ. სხვები კი, — სახე მოექუფრა, — სხვები ხორცშესხმულ ბოროტებად მთვლიან. რა გაეწყობა, დაე, ისეთი ვეგონო, როგორიც გაზეთების პირველ გვერდებზე ვჩანვარ.

— კი მაგრამ, რისთვის? ამას რატომ აკეთებ? უბრალოდ, ჭკუა რომ ასწავლო?

— ჯანდაბა, არა, ცხადია, არა! მინდა, პლეიბოიდ მთვლიდნენ.

— რატომ?

— პლეიბოი ისეთი ადამიანია, რომელიც თავს ფულის ფლანგვის უფლებას აძლევს.

— რატომ გადაწყვიტე, ასეთი საძაგელი როლი გეთამაშა?

— ეს კამუფლაჟია.

— რისთვის?

— ჩემი პირადი მიზნის მისაღწევად — რომელი მიზნის?

ფრანცისკომ თავი გააქნია:

— ნუ მთხოვთ, გიპასუხოთ. იმაზე მეტი გითხარით, ვიდრე უნდა მეთქვა დანარჩენს მალე ისედაც თვითონვე შეიტყობთ.

— თუ იმაზე მეტი თქვი, ვიდრე უნდა გეთქვა, მაინცდამაინც მე რატომ მითხარი?

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ თქვენ პირველი ადამიანი ხართ მრავალი წლის მანძილზე, რომელმაც სურვილი გამიჩინა, გული გადამეშალა, — ფრანცისკოს ხმა უსაზღვრო გულწრფელობით ჟღერდა, — იმიტომ, რომ არასდროს მდომებია, ვინმეს სიმართლე შეეტყო ჩემ შესახებ, თქვენ გარდა. იმიტომ, რომ ვიცოდი: თქვენ, ისევე, როგორც მე, ამქვეყნად ყველაზე მეტად ფლეიბოები გეზიზღებათ. პლეიბოი? მთელი ჩემი ცხოვრება ერთადერთი ქალი მიყვარდა, ახლაც ის მიყვარს და ყოველთვის მეყვარება! — უნებლიეთ აღმოხდა ფრანცისკოს და მერე ჩუმად დაამატა, — ეს დღემდე არავისთვის არ მითქვამს... იმ ქალისთვისაც კი.

— შენ ის ქალი დაკარგე?

ფრანცისკო სივრცეს გაჰყურებდა. რიერდენი მის თვალებს ვერ ხედავდა, მხოლოდ პირს — წრფელი მორჩილებით დახრილ მის კუთხეებს. და მიხვდა: აჯობებდა ამ ჭრილობას აღარასოდეს აღარ შეხებოდა.

მერე ფრანცისკოს გუნება ჩვეულებისამებრ სწრაფად ეცვალა, ფეხზე წამოდგა და ღიმილით თქვა:

— რაღაც გაგვიგრძელდა საუბარი!

— რაკი შენ მენდე, — უთხრა რიერდენმა, — საპასუხოდ ერთი ჩემი საიდუმლო უნდა გაგიმხილო, მინდა იცოდე, როგორ გენდობოდი ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე აქ მოვიდოდი. და მოგვიანებით შეიძლება, შენი დახმარებაც დამჭირდეს.

— თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისაც სიამოვნებით დავეხმარებოდი, — ძალიან ბევრი რამ შენი ახლაც არ მესმის, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: თაღლითების მეგობარი არ ხარ.

— ასეა, — ფრანცისკოს თვალებში მხიარული ნაპერწკალი გაკრთა.

— ამიტომაც, მჯერა, არ გამთქვამ, თუ გეტყვი, რომ ვაპირებ, გავაგრძელო ჩემი მეტალის გაყიდვა, კლიენტებს თვითონვე შევარჩევ, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა. სწორედ ახლა ვამზადებ შეკვეთას, რომელიც ოცჯერ აღემატება იმას, რისთვისაც გამასამართლეს.

სავარძლის სახელურზე ჩამომჯდარი ფრანცისკო მოიღუშა, წინ გადაიხარა და მას უსიტყვოდ შეჰყურებდა:

— გგონიათ, ასე მათ ებრძვით?

— აბა, შენი აზრით, ამას რა ჰქვია — თანამშრომლობა?

— თავიდან თქვენ მუშაობდით და რიერდენ მეტალს მათთვის საკუთარი მოგების, საკუთარი მეგობრების დაკარგვის ფასად აწარმოებდით, ნაძირალების გასამდიდრებლად, რომლებიც თქვენს გაძარცვას ცდილობდნენ; და იტანდით შეურაცხყოფას იმისთვის, რომ საშუალებას აძლევდით, გადარჩენილიყვნენ. ახლა კი მზად ხართ, იგივე აკეთოთ და თანაც რისკავთ, ბოროტმოქმედის მდგომარეობაში აღმოჩნდეთ და ნებისმიერ წუთს ციხეში ამოყოთ თავი, და ეს ყველაფერი იმ სისტემის შენარჩუნებისთვის, რომელიც მხოლოდ თავისი მსხვერპლის ხარჯზე არსებობს და საკუთარივე კანონების დარღვევის გზით.

— ამას სისტემისთვის კი არ ვაკეთებ, არამედ კლიენტებისთვის, რომლებსაც ხელს ვერ ვკრავ მათი სისტემის გამო. არ ვაპირებ, ამ სისტემას არსებობა გავუხანგრძლივო, ჩემი შეჩერების უფლებას არ მივცემ, როგორი რთულიც არ უნდა გამოდგეს ეს, არ დავუთმობ მათ ამ სამყაროს, უკანასკნელი ადამიანიც რომ აღმოვჩნდე, ვინც გადარჩა. ახლა, ამ მომენტში, ეს არალეგალური შეკვეთა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ყველა ჩემი ქარხანა.

ფრანცისკომ თავი ნელა გააქნია და არ უპასუხა. შემდეგ ჰკითხა:

— ამჯერად თქვენი დასმენის პრივილეგია რომელ თქვენს მეგობარს გინდათ, მიანიჭოთ სპილენძის მომპოვებელ მრეწველობაში?

რიერდენმა გაიღიმა:

— ამჯერად ასე არ მოხდება. ამჯერად საქმე ისეთ ადამიანთან მაქვს, ვისაც შემიძლია ვენდო.

— მართლა? მაინც, ვინ არის ეს ადამიანი?

— შენ.

ფრანცისკო მკვეთრად გასწორდა.

— რა? — ლამის მოახერხა, განცვიფრებული ამოოხვრა შეეკავებინა.

რიერდენი იღიმებოდა.

— არ იცოდი, რომ მე ახლა შენი ერთ-ერთი კლიენტი ვარ? ყველაფერი ორიოდე შუამავლის მეშვეობით მოგვარდა, ყალბი სახელით, მაგრამ შენი დახმარება დამჭირდება, რათა შენმა თანამშრომლებმა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გამოიჩინონ. მჭირდება ეგ სპილენძი, დროზე მჭირდება და როცა საქმე დამთავრდება, მერე რომც დამაპატიმრონ, აღარ მანაღვლებს. ვიცი, რომ შენი კომპანიის, ქონების, შენი საქმიანობის მიმართ გული გაგიცივდა, რადგან არ გინდა, საქმე დაიჭირო ისეთ თაღლითებთან, როგორებიც ტაგარტი და ბოილი არიან. მაგრამ თუ მართლა გჯერა ის ყველაფერი, რაც მე მასწავლე, თუ მე ერთადერთი ადამიანი ვარ, ვისაც ჯერ კიდევ პატივს სცემ, დამეხმარები, რომ გადავრჩე და გავანადგურო ისინი. მე დახმარება არასდროს არავისთვის არ მითხოვია. ახლა შენ გთხოვ, დამეხმარო. მე შენ მჭირდები; გენდობი. შენ ყოველთვის გულწრფელად გამოხატავდი აღფრთოვანებას ჩემ მიმართ. ასე რომ, ჩემი სიცოცხლე შენ ხელთაა — ჩაიბარე ის, თუ გსურს.

„დ'ანკონია კოპერის“ სპილენძი უკვე დატვირთეს და ახლა ის ჩემთვის მოაქვთ. ხომალდი სან-ხუანიდან ხუთ დეკემბერს გამოვიდა.

— რა?

ეს ლამის შეძრწუნებულ ყვირილად გაისმა. ფრანცისკო ფეხზე წამოვარდა და ემოციები ვეღარ დამალა:

— ხუთ დეკემბერს?

— ჰო... — დაიბნა რიერდენი.

ფრანცისკო ტელეფონს მივარდა.

— ხომ გითხარით, „დ'ანკონია კოპერთან“ საქმე არ დაიჭიროთ-მეთქი! — განრისხებით დაიყვირა თუ ამოიგმინა მან.

ფრანცისკო ტელეფონისკენ უკვე გაწვდილი ხელით უცებ მაგიდის კუთხეს ჩაეჭიდა, თითქოს ცდილობდა, როგორმე შეეკავებინა, ყურმილი რომ არ აეღო. ვერც ფრანცისკო და ვერც რიერდენი დაზუსტებით ვერ იტყოდნენ, რამდენ ხანს იდგა ის ასე. რიერდენი გაოგნებული გაშეშდა ადგილზე და შეჰყურებდა დაძაბულ, გაქვავებულ სხეულში მიმდინარე მძვინვარე ბრძოლას, რომელიც აგონიას უფრო წააგავდა. მას ამ ბრძოლის მიზეზი ვერ ეცოდინებოდა, მხოლოდ იმას მიხვდა, რომ ფრანცისკოს საკმარისი ძალა ჰქონდა ბევრი რამის აღსაკვეთად, მაგრამ არ შეეძლო ამ ძალის გამოყენება. როდესაც ფრანცისკომ თავი ასწია, რიერდენმა დაინახა სახე, რომელიც ისე შეეცვალა არაადამიანურ ტანჯვას, გეგონებოდა, თითოეული ნაკვთი ტკივილისგან ყვიროდა უკვე მიღებული გადაწყვეტილების სიმტკიცე, საშინელ ფასად რომ მიეღო, ამ სახეს კიდევ უფრო შემზარავს ხდიდა.

— ფრანცისკო... რა მოხდა?

— ჰენკ, მე... — ფრანცისკომ თავი გააქნია, წელში გასწორდა, — მისტერ რიერდენ — ეს სასოწარკვეთილი, მტკიცე ხმა თითქოსდა უიმედოდ ივედრებოდა, — როდესაც მზად იქნებით, შემაჩვენოთ, და თითოეულ იმ სიტყვაში შეგეპარებათ ეჭვი, რომელიც კი მე თქვენთვის მითქვამს... გეფიცებით ქალს, რომელიც მიყვარს — მე თქვენი მეგობარი ვარ.

დანაკარგისა და სიძულვილის გამო შეძრწუნებულ და გონებადაბნელებულ რიერდენს იმ ტრაგიკულ მომენტში ფრანცისკოს ტკივილისგან დასახიჩრებული სახე სამი დღის მერე ამოუტივტივდა მეხსიერებაში. ეს მაშინ მოხდა, როდესაც საკუთარ კაბინეტში რადიომიმღებთან იდგა და ფიქრობდა, რომ ამიერიდან „უეინ-ფოლკლენდისგან“ თავი შორს უნდა დაეჭირა, თორემ თუკი სადმე ფრანცისკო დ'ანკონიას მოჰკრავდა თვალს, უსათუოდ მოკლავდა. ეს ხატება გამუდმებით ბრუნდებოდა რიერდენთან — მაშინაც, როდესაც მოისმინა განცხადება იმის შესახებ, რომ „დ'ანკონია კოპერის“ მადნით დატვირთულ სამ ხომალდს, რომლებიც სან-ხუანიდან ნიუ-იორკამდე ზღვით მიემართებოდნენ, რაგნარ დანეშოლდი დაესხა თავს და ოკეანის ფსკერზე დაძირა, და მერეც, როდესაც გააცნობიერა, რომ მისთვის იქ იმ ხომალდებთან ერთად სპილენძის მადანზე გაცილებით მეტი რამ ჩაიძირა.

თავი 5

ანგარიში ზღვარს გადასცდა

ასეთი რამ „რიერდენ სთილის“ ისტორიაში პირველად მოხდა პირველად ვერ მოხერხდა შეკვეთის ჩაბარება დათქმულ დროს. მაგრამ 15 თებერვლისთვის, როდესაც ტაგარტის კომპანიის რელსები მზად უნდა ყოფილიყო, ამ ამბავს მნიშვნელობა უკვე აღარავისთვის აღარ ჰქონდა.

ზამთარი ადრიანად, ნოემბრის ბოლო დღეებში დაიწყო. ხალხი ამბობდა, რომ ასეთი სუსხიანი ზამთარი არავის ახსოვდა, ქარბუქის უჩვეულო სიმკაცრეშიც ვერავის დაადანაშაულებდი. თავი არავის შეუწუხებია, გაეხსენებინა, რომ ადრე ავდარში ქუჩები მაინც განათებული იყო, სახლებიც თბებოდა, არც მატარებლები წყვეტდნენ მოძრაობას და ასეულობით ადამიანის სიცოცხლეც არ ეწირებოდა ზამთრის ყინვას.

როდესაც დეკემბრის ბოლო კვირაში დენეგერის ქვანახშირის მომპოვებელმა კომპანიამ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ საწვავის მიწოდება დაუგვიანა, დენეგერის ბიძაშვილმა განაცხადა, რომ ვერაფერს გააწყობდა, რომ ის იძულებული გახდა, სამუშაო დღე ექვს საათამდე შეემცირებინა, რათა მორალური განწყობა აემაღლებინა თანამშრომლებისთვის, რომლებიც ისე კარგად ვეღარ ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც მისი ბიძაშვილის, კენეტ დენეგერის დროს; მისი თქმით, მუშებს აპათია მოეძალათ და საქმეზე გული აიყარეს, რადგან ისინი წინა მმართველობის მიერ დამყარებულმა მკაცრმა დისციპლინამ გამოფიტა; ვერაფერს გააწყობდა, რადგან მისი ზედამხედველებისა და ოსტატების ნახევარმა, იმ ხალხმა, ვინც ამ კომპანიაში ათი, ზოგმა კი ოცი წელიც იმუშავა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვა სამსახური; ვერაფერს იღონებდა დაძაბულობის შესამსუბუქებლად, მუშებსა და ახალ ხელმძღვანელობას შორის რომ წარმოიშვა, მიუხედავად იმისა, რომ ახლები გაცილებით მეტ შემწყნარებლობას იჩენდნენ, ვიდრე ძველი მონათმფლობელები; თქვა, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო და მალე ყველაფერი მოგვარდებოდა. კენის ბიძაშვილი ვერც მაშინ იღონებდა რაიმეს, როდესაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისთვის“ განკუთვნილი ნახშირი სწორედ

განრიგით დაგეგმილ დღეს გლობალური შემწეობის ბიუროს გადასცეს ინგლისის სახალხო რესპუბლიკისთვის გადასაგზავნად. ეს უკიდურესი აუცილებლობით იყო გამოწვეული: ინგლისელი ხალხი შიმშილობდა, მათი ყველა სახელმწიფო ქარხანა-ფაბრიკა იხურებოდა, და მის ტაგარტი სულ ტყუილად ბრაზობდა — საქმე ხომ სულ რაღაც ერთდღიან შეფერხებას ეხებოდა.

შეფერხება მხოლოდ ერთდღიანი იყო. ამან სამი დღით შეაფერხა სატვირთო მატარებელ №386-ის მოძრაობა, რომელსაც კალიფორნიიდან ნიუ-იორკში ორმოცდაცხრამეტი ვაგონი სალათა-ლატუკა და ფორთოხალი უნდა ჩაეტანა. სატვირთო მატარებელი №386 სათადარიგო ხაზებზე უცდიდა საწვავს, რომელიც არ ჩამოვიდა. როდესაც მატარებელმა ნიუ-იორკში ჩააღწია, სალათა და ფორთოხალი ისთ-რივერში გადაყარეს — ისინი მეტისმეტად დიდხანს ელოდნენ თავიანთ რიგს კალიფორნიის რკინიგზის საწყობებში, რაკი დირექტივის ძალით მატარებლების განრიგი შეამცირეს და ლოკომოტივებს სამოცზე მეტი ვაგონით მოძრაობა აეკრძალათ. მხოლოდ მეგობრებმა და სავაჭრო პარტნიორებმა შენიშნეს, რომ კალიფორნიაში ფორთოხლის სამმა მომწოდებელმა და ორმა ფერმერმა იმპერიალ ველიდან, რომლებსაც სალათა-ლატუკა მოჰყავდათ, საქმიანობა შეწყვიტა; არავის შეუმჩნევია ნიუ-იორკში საბროკერო ფირმისა და წყალსადენის კომპანიის დახურვა, რომლის ფულიც ამ საბროკერო ფირმას ემართა, არც იმ კაცის გაქრობა მოუსაკლისებია ვინმეს, რომელიც ბითუმად ვაჭრობდა მილებით და წყალსადენის კომპანიას ამარაგებდა. გაზეთებში წერდნენ, რომ ადამიანებს, რომლებიც შიმშილობდნენ, გაკოტრებული კერძო ბიზნესსაწარმოების თანაგრძნობა არ ევალებოდათ — ეს საწარმოები ხომ პირადი მოგებისთვის მუშაობდნენ!

ქვანახშირს, რომელიც გლობალური შემწეობის ბიუროს ატლანტიკის ოკეანეზე გადაჰქონდა, ინგლისის სახალხო რესპუბლიკამდე არ მიუღწევია: ის რაგნარ დანეშოლდმა მიიტაცა.

მეორე ჯერზე, როდესაც „დენეგერ ქოულ კომპანიმ“ ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ შუა იანვარში საწვავის მიწოდება დაუგვიანა, დენეგერის ბიძაშვილმა ტელეფონში დაიღრინა, რომ ვერაფერს გააწყობდა: მისი მაღაროები სამი დღით დაეხურათ აღჭურვილობის გასაპოხი ზეთის დეფიციტის გამო. ქვანახშირის მარაგი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალმა“ ოთხი დღის დაგვიანებით მიიღო.

მისტერ ქუინი, ბურთულსაკისრების მწარმოებელი კომპანიის მმართველი, რომელიც სულ ახლახან გადასულიყო კონექტიკუტიდან კოლორადოში; მთელი კვირა უცდიდა სატვირთო მატარებელს, რომელსაც მის მიერ შეკვეთილი რიერდენ მეტალი უნდა ჩამოეტანა. როდესაც მატარებელი ჩამოვიდა, ქუინის ბურთულსაკისრების მწარმოებელი კომპანიის ქარხნის კარი უკვე დაკეტილი იყო.

არავის შეუნიშნავს მიჩიგანში ძრავების მწარმოებელი კომპანიის დახურვა, რომელიც საკისრების პარტიას ელოდებოდა (მანქანები უქმად ცდებოდა, მუშებს კი სრულ ხელფასს უხდიდნენ); არც ორეგონში ხე-ტყის სახერხი ქარხნის დახურვა შეუმჩნევიათ, რომელიც ახალ ძრავას ელოდებოდა; არც აიოვაში ხე-ტყის საწყობის დახურვა, რომელიც მარაგის გარეშე დარჩა; არც ილინოისში კონტრაქტორი მშენებლის გაკოტრება, რომელსაც ყველა ხელშეკრულება გაუუქმეს, რაკი ხე-ტყე დროზე ვერ მიიღო, ბინების მუშტრები კი თოვლით დანამქრულ გზებზე დაეძებდნენ იმას, რაც უკვე აღარსად აღარ არსებობდა.

იანვრის მიწურულს ქარბუქმა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ კლდოვან მთებში გამავალი ძირითადი სარკინიგზო ხაზი ჩაჩუმქრა ოცდაათი ფუტის სიმაღლის

თოვლის ნამქერით. ადამიანებმა, რომლებმაც გზის გაწმენდა სცადეს, რამდენიმე საათში შეწყვიტეს დაწყებული საქმე: თოვლსაწმენდები ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა მწყობრიდან და შეკეთება ვერ მოხერხდა, რადგან მათი ექსპლუატაციის ვადა უკვე ორი წლის წინ ამოწურულიყო. ახალი თოვლსაწმენდები ვერ იშოვეს — მწარმოებელს საქმიანობა შეეწყვიტა, რადგანაც ორენ ბოილისგან ფოლადი ვერ მიეღო.

უინსტონის სადგურის მახლობლად, მაღლა, კლდოვან მთებში, სადაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთავარი მაგისტრალური ხაზი კოლორადოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს კვეთდა, დასავლეთით მიმავალი სამი მატარებელი იყო გაჩერებული. მაშველთა ბრიგადები ხუთი დღის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ მათ დახმარებას. ქარბუქის გამო იქამდე მატარებლები ვერ აღწევდა. ლოურენს ჰემონდის მიერ წარმოებული უკანასკნელი სატვირთო მანქანები მთებში, მოყინულ მთიან გზებზე დაილეწა.

შემდეგ ქარბუქმა დუაიტ სანდერსის მიერ წარმოებული საუკეთესო თვითმფრინავები შეიწირა — ვერც მათ მიაღწიეს უინსტონის სადგურამდე.

მატარებლებში გამომწყვდეული მგზავრები თოვლის ფარდის მიღმა უინსტონის ქოხმახებიდან გამომავალ სინათლეებს გასცქეროდნენ. ღამით ეს შუქები ჩაქრა. მესამე დღეს, მოსაღამოებულს, მატარებლებში სინათლე, სითბო და საკვები გამოილია. ქარბუქის ხანმოკლე დაცხრომისას, როდესაც წყვდიადი ჩაბნელებულ დედამიწას უვარსკვლავო ცასთან აერთებდა, მგზავრები სამხრეთით, მრავალი მილის დაშორებით, ხედავდნენ ცეცხლის ალს, რომელიც ქარში იკლაკნებოდა. ეს უაიატის ჩირაღდანი იყო.

მეექვსე დღეს, დილით, როდესაც მატარებლები როგორც იქნა, ადგილიდან დაიძრნენ და იუტას, ნევადასა და კალიფორნიის ფერდობებს შეუყვნენ, მემანქანეებმა შენიშნეს უკვამლო საკვამურები და გზის განაპირას აგებული მცირე ქარხნების დაკეტილი კარები, რომლებიც მათი წინა მგზავრობისას ღია იყო.

„ქარიშხალი უფლის ნებას ემორჩილება, — წერდა ბერტრამ სკადერი, — „და ამინდზე პასუხს ვერავინ აგებს“.

უესლი მაუჩის მიერ დაწესებული ქვანახშირის ნორმა დღეში სამი საათით იძლეოდა სახლების გათბობის საშუალებას. სადღა იყო დასაწვავი შეშა, ან ლითონი — ახალი ღუმლების საწარმოებლად, ანდა ხელსაწყოები, რომლებითაც სახლებში ახალ გაყვანილობას დაამონტაჟებდნენ. აგურისა და ნავთის ქილებისგან შეკოწიწებულ იმპროვიზებულ მოწყობილობებში პროფესორები თავიანთი ბიბლიოთეკების წიგნებს, ხილით მოვაჭრეები კი თავიანთი ბაღების ხეებს წვავდნენ. „გაჭირვება ხალხის სულსა და საზოგადოებრივი წესრიგის ფოლადს აწრთობს“, — წერდა ბერტრამ სკადერი, — „ადამიანებს ერთ მუშტად კრავს და საზოგადოებას ადუღაბებს“.

„ერს, რომელსაც ერთ დროს სწამდა, რომ სიდიადე მიიღწევა წარმოებით, ახლა ეუბნებიან, რომ ის სიღატაკით მიიღწევა“, — ამბობდა ფრანცისკო დ'ანკონია პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, მაგრამ ეს არ დაუბეჭდავთ.

იმ ზამთარს მხოლოდ გასართობი ინდუსტრია ყვაოდა. დამშეული ადამიანები საკვებისა და გათბობის ფულიდან შემორჩენილ ბოლო ცენტებს იმეტებდნენ და კინოთეატრებში მიდიოდნენ, რამდენიმე საათით მაინც რომ გაჰქცეოდნენ ცხოველურ მდგომარეობას, სადაც მათი ერთადერთი საზრუნავი ელემენტარული საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილება იყო. იანვარში უესლი მაუჩის

განკარგულებით ყველა კინოთეატრი, ღამის კლუბი და კეგლის სათამაშო ადგილი დაიხურა საწვავის დაზოგვის მიზნით. „სიამოვნება არსებობისთვის აუცილებელი პირობა არ არის“ — წერდა ბერტრამ სკადერი.

„სამყაროს ფილოსოფიურად უნდა უჭვრიტოთ“, — უთხრა დოქტორმა საიმონ პრიტჩეტმა შუა ლექციის დროს მოულოდნელად ასლუკუნებულ სტუდენტ გოგო.

ნას, რომელიც მოხალისეთა სამაშველო ექსპედიციაში მონაწილეობდა და ცოტა ხნის წინ დაბრუნებულიყო ზემო ტბის დასახლებიდან; გოგონას დაუნახავს დედა, რომელსაც შიმშილით გარდაცვლილი ვაჟიშვილის ცხედარი აეტატებინა ხელში, „აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს“, — ამბობდა დოქტორი პრიტჩეტი, — „რეალობა მხოლოდ ილუზიაა. საიდან შეიტყო იმ ქალმა, რომ მისი ვაჟი მკვდარია?

რატომ ჰგონია, რომ ის ოდესმე არსებობდა?“

მოქალაქეები, სასოწარკვეთილი „გამომეტყველებითა და მავედრებელი თვალებით, იკრიბებოდნენ კარვებში, სადაც ევანგელისტები ზარ-ზეიმით გაიძახოდნენ, რომ ადამიანს არ ძალუძს ბუნებასთან გამკლავება, რომ მისი მეცნიერება ცრუა, გონება კი მცდარი, რომ ადამიანი დამსახურებულ სასჯელს იმკის ამპარტავნებისა და საკუთარი ინტელექტისადმი წრეგადასული რწმენის გამო, და რომ მხოლოდ მისტიკური ძალისადმი რწმენა იხსნის მას ლიანდაგის გაბზარვისგან ან მისი უკანასკნელი მანქანის უკანასკნელი საბურავის დაშვებისგან. „სიყვარული — აი, რა არის მისტიკური საიდუმლოებების გასაღები“ — გაჰყვიროდნენ ისინი, — „სიყვარული და უანგარო თავგანწირვა მოყვასის დასახმარებლად“.

ორენ ბოილმა უანგარო მსხვერპლი გაიღო საზოგადოების საჭიროებებისთვის.

მან „ატლანტიკ საუთერნის“ რკინიგზისთვის განკუთვნილი ათი ათასი ტონა ფოლადი გლობალური შემწეობის ბიუროს მიჰყიდა გერმანიის სახალხო რესპუბლიკისთვის გადასაგზავნად. „ეს რთული გადაწყვეტილება იყო“, — უთხრა ბოილმა ცრემლმორეული, სათნო მზერით. „ატლანტიკ საუთერნის“ თავზარდაცემულ პრეზიდენტს, — „მაგრამ მე გავითვალისწინე ის ფაქტი, რომ თქვენ მდიდარი კორპორაცია ხართ, გერმანიის მოსახლეობა კი ენით გამოუთქმელ სიღატაკეში ცხოვრობს. ამგვარად, ვიმოქმედე პრინციპით: „დაეხმარე გაჭირვებულს“, როდესაც ორჭოფობ, პირველ რიგში, სუსტს უნდა მიანიჭო უპირატესობა და არა ძლიერს“. „ატლანტიკ საუთერნის“ პრეზიდენტს სმენოდა, რომ ორენ ბოილის ყველაზე გავლენიან ვაშინგტონელ მეგობარს გერმანიის სახალხო რესპუბლიკის მომარაგების სამინისტროში ჰყავდა მეგობარი. ვერავინ იტყოდა დაბეჯითებით, — ანდა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, — რომ სწორედ ეს იყო ბოილის ნამდვილი მოტივი და არა თავგანწირვის პრინციპი. ბოილი რომ მართლაც თავგანწირვის მრწამსის აღმსარებელი ყოფილიყო, მაინც იმავეს მოიმოქმედებდა. ამიტომაც „ატლანტიკ საუთერნის“ პრეზიდენტმა ხმა გაკმინდა და ვერ გაბედა, ეთქვა, რომ საკუთარი რკინიგზა უფრო მეტად ანაღვლებდა, ვიდრე გერმანიის მთელი მოსახლეობა; მან ვერც თავგანწირვის პრინციპის წინააღმდეგ გალაშქრება გაბედა.

მისისიპი მთელი იანვრის განმავლობაში ადიდებული იყო, ქარბუქმა მდინარეს დაუჯერებელი ძალა შთაბერა და ისიც ნებისმიერ დაბრკოლებას ღმუილით ასკდებოდა. ერთ თოვლჭყაპიან ღამეს, თებერვლის პირველ კვირას, მისისიპიზე გადებული ხიდი ჩაინგრა და „ატლანტიკ საუთერნის“ მგზავრებით სავსე მატარებელიც თან ჩაიტანა. ლოკომოტივი და წინა ხუთი საძილე ვაგონი ოთხმოცი ფუტის სიღრმის ბნელ მორევში დაინთქა დალეწილ კოჭებთან ერთად. მატარებლის მომდევნო ნაწილი ხიდის გადარჩენილ წინა სამ მალაზე დარჩა.

„შეუძლებელია, ნამცხვარი ბოლომდე შეჭამოთ და თან მეზობელიც გამოკვებოთ — ამბობდა ფრანცისკო დ'ანკონია. პრესის მესვეურთა მრისხანება გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მათივე წუხილი მდინარეზე დატრიალებული ტრაგედიის გამო.

ჩურჩულით ჰყვებოდნენ, რომ „ატლანტიკ საუთერნის" მთავარი ინჟინერი, სასოწარკვეთილი იმის გამო, რომ კომპანიამ ხიდის გასამაგრებლად საჭირო ფოლადი ვერ მიიღო, ექვსი თვით ადრე წავიდა სამსახურიდან, კომპანია კი გააფრთხილა, რომ ხიდი საიმედო არ იყო. მან ნიუ-იორკის უმსხვილეს გაზეთსაც მისწერა, რომ საზოგადოება გაეფრთხილებინათ; წერილი არ დაუბეჭდავთ. ხმა დაირხა; თითქოს ხიდის წინა სამი მალა მხოლოდ იმიტომ არ დაზიანდა, რომ ისინი რიერდენ მეტალისგან დამზადებული კონსტრუქციებით იყო გამაგრებული; მაგრამ სარკინიგზო კომპანიას „სამართლიანი განაწილების კანონის" მიხედვით მხოლოდ ხუთასი ტონა ლითონის მიღების უფლება ჰქონდა.

ოფიციალური გამოძიების ერთადერთი შედეგი შედარებით მცირე სარკინიგზო კომპანიების მიერ აგებული, მისისიპიზე გადებული ორი ხიდის წუნდებულად გამოცხადება იყო. ერთ-ერთმა სარკინიგზო კომპანიამ ფუნქციონირება შეწყვიტა; მეორემ კი თავისი სარკინიგზო-განშტოება დახურა, რელსები: აყარა და: სარკინიგზო გზა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის" მისისიპიზე გადებულ ხიდს მიუერთა, ატლანტიკ საუთერნიც" ასევე მოიქცა.

ბედფორდში, ილინოისში, ტაგარტის კომპანიის დიდი ხიდი ნათანიელ ტაგარტის აგებული იყო. ამისთვის ის წლების განმავლობაში ებრძოდა მთავრობას, რადგან მდინარეზე ტვირთის გადამზიდავთა საჩივრის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ რკინიგზა დამანგრეველ კონკურენციას უწევდა ტვირთის სანაოსნო გზით გადაზიდვას და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა, ამიტომაც, მისისიპიზე სარკინიგზო ხიდები აიკრძალა; სასამართლოს განკარგულებით, ნათანიელ ტაგარტს ხიდი უნდა დაეშალა. და მგზავრები მდინარეზე ბარჟებით გადაეყვანა. მან ეს საქმე ერთი ხმით მოიგო უზენაეს სასამართლოში. ახლა ტაგარტის ხიდი კონტინენტის ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალება იყო. მისმა უკანასკნელმა შთამომავალმა კი ცხოვრების უმკაცრეს წესად გაიხადა, ყველაფერი დაეთმო, ოღონდ ტაგარტის ხიდი ყოველთვის უზადოდ ყოფილიყო გამართული.

ფოლადმა, რომელიც ატლანტიკის ოკეანეზე გლობალური შემწეობის ბიუროს გადაჰქონდა, გერმანიის სახალხო რესპუბლიკამდე ვერ ჩააღწია. ის რაგნარ დანეშოლდმა მიიტაცა, თუმცა ამის შესახებ ბიუროს გარდა არავის შეუტყვია, რადგან გაზეთებში უკვე კარგა ხანი იყო, დანეშოლდის საქმიანობაზე სიტყვას არ ძრავდნენ, როდესაც ადამიანებმა შეამჩნიეს, რომ დეფიციტი თვალში საცემი გახდა და ბაზრიდან გაქრა ელექტროუთოები, ტოსტერები, სარეცხი მანქანები და ელექტროტეკ, ნიკა, შეკითხვების დასმა და ჭორების მიყურადება დაიწყეს. ხმა დაირხა, რომ დ'ანკონიას კომპანიის სპილენძით დატვირთულ გემებს შეერთებული შტატების ნავსადგურამდე არ მიუღწევია, რადგან რაგნარ დანეშოლდს ვერ დაუსხლტნენ ხელიდან.

ზამთრის ნისლიან ღამეებში, პორტში, მეზღვაურები ჩურჩულით ჰყვებოდნენ; რომ რაგნარ დანეშოლდს, რომელიც შემწეობის ხომალდების ტვირთს ყოველთვის ხელთ იგდებდა, სპილენძზე ტაბუ ჰქონდა დადებული: ის დ'ანკონიას გემებს ტვირთთან ერთად ძირავდა, თუმცა ეკიპაჟს საშუალებას აძლევდა, ნავებით

გასულიყო სამშვიდობოს. მეზღვაურები ამ ამბავს ისე ჰყვებოდნენ, როგორც ლეგენდას, რომლის ახსნაც ადამიანის შესაძლებლობას აღემატებოდა; ვერავინ ხვდებოდა, მაინც რა მიზეზით არ მიჰქონდა დანეშოლდს სპილენძი თან.

თებერვლის მეორე კვირაში სპილენძის სადენებისა და ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით, გამოიცა განკარგულება, ოცდახუთი სართულის ზემოთ ლიფტებით მოძრაობა აკრძალულიყო. შენობების ზედა სართულები დაცალეს და კიბეები ფიცრებით ჩახერგეს. თუმცა სპეციალური ნებართვით, „განსაკუთრებული აუცილებლობის“ საფუძველზე, რამდენიმე დიდი საწარმოსა და მოდური: სასტუმროს შემთხვევაში გამონაკლისები მაინც დაუშვეს. ქალაქის სხვა ცათამბჯენების ზედა სართულები ჩაბნელდა.

ადრე ნიუ-იორკის მოსახლეობას ამინდი დიდად არ ანაღვლებდა. ჭექა-ქუხილი მხოლოდ და მხოლოდ საძაგელი დაბრკოლება იყო, რომელიც სატრანსპორტო მოძრაობას აფერხებდა და გაჩახჩახებული მაღაზიების შესასვლელებში გუბეებს აყენებდა. საწვიმარ ლაბადებსა და ბეწვის ქურქებში გახვეული ნიუ-იორკელები საგარეო ფეხსაცმელებით დაიარებოდნენ ქარიშხალში და მას ქალაქის დაუპატიჟებელ დროებით სტუმრად თვლიდნენ. დღეს კი,; როდესაც თოვლით დანამქრულ ქუჩებს აუხსნელი შიშით შესცქეროდნენ, ეჩვენებოდათ, რომ. გადაადგილების უპირატესობა ქარს ეკუთვნოდა, დაუპატიჟებელი სტუმრები კი თვითონ იყვნენ.

— დაივიწყე, ჰენკ, ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, — თქვა დაგნიმ, როდესაც რიერდენისგან შეიტყო, რომ ის რელსებს ვერ დაუმზადებდა, რადგან სპილენძის მიმწოდებელი ვერ ეპოვა.

დავიწყებას რაც შეეხებოდა, ამაზე რიერდენს მისთვის არ უპასუხია. „რიერდენ სთილის“ პირველ მარცხს ვერაფრით შეჰგუებოდა.

15 თებერვლის საღამოს უინსტონიდან ნახევარი მილის დაშორებით, კოლორადოში, რელსების გადაბმის ადგილზე პირაპირა ზესადები გაიბზარა და სარკინიგზო ხაზის იმ მონაკვეთზე, სადაც ახალი რელსები უნდა ყოფილიყო დაგებული, ლოკომოტივი ლიანდაგიდან გადავიდა. უინსტონის სადგურის წარმომადგენელმა ამოიოხრა და ამწიან სამაშველო ჯგუფს უხმო; უკვე მიეჩვია — ეს ხომ ერთ-ერთი, არც მაინცდამაინც სერიოზული ავარია იყო, ასეთები ლამის ყოველდღე ხდებოდა.

იმ საღამოს პენსილვანიის მუხლამდე დანამქრულ გარეუბანში, რიერდენი, რომელსაც პალტოს საყელო წამოეწია, ქუდი კი თვალებზე ჩამოეფხატა, ქვანახშირის მიტოვებულ ღია მაღაროში დააბიჯებდა და თვალყურს ადევნებდა, როგორ იტვირთებოდა მოპარული ქვანახშირი. მაღაროს მფლობელი არ ჰყავდა, მისი ამუშავებისთვის საჭირო თანხას ვერავინ გაიღებდა. მაგრამ მოშიმშილე დასახლებიდან მოსულმა ახალგაზრდა კაცმა, ხრინწიანი ხმითა და ბრაზიანი მზერით, რამდენიმე უმუშევარს მოუყარა თავი და რიერდენს გაურიგდა.

ისინი ქვანახშირს ღამღამობით მოიპოვებდნენ და შტოლნებში მალავდნენ ნაღდ ფულს იღებდნენ და ზედმეტ კითხვებს არ სვამდნენ. სიცოცხლისა და გადარჩენის მძვინვარე სურვილით ანთებულები, ისინიც და რიერდენიც, ველურებივით მუშაობდნენ — კანონის, საკუთრების უფლების, ხელშეკრულებებისა და დაცვის მექანიზმების გარეშე, მხოლოდ ურთიერთგაგებისა და მიცემული სიტყვისადმი ერთგულების საფუძველზე. რიერდენმა ამ ახალგაზრდა კაცის სახელიც კი არ იცოდა. როდესაც აკვირდებოდა, როგორ ტვირთავდა ის ქვანახშირს, გაიფიქრა, ეს

ბიჭი ერთი თაობით ადრე რომ დაბადებულიყო;, უთუოდ დიდი მეწარმე გახდებოდაო; ახლა კი ის რამდენიმე წელიწადში ალბათ ერთი ჩვეულებრივი კრიმინალივით დაასრულებდა თავის ხანმოკლე სიცოცხლეს.

იმ საღამოს დაგნი ტაგარტის კომპანიის დირექტორთა საბჭოს თათბირს უნდა დასწრებოდა.

შეკრებილები საბჭოს დიდებულ დარბაზში, სადაც უჩვეულოდ ციოდა, გაპრიალებულ მაგიდას შემოსხდომოდნენ. ადამიანები, რომლებიც თავიანთი კარიერის მრავალი ათწლეულის განმავლობაში საკუთარ უსაფრთხოებას“ არაფრის მთქმელი გამომეტყველებით, ბუნდოვანი: ფრაზებითა და უზადო ჩაცმულობით უზრუნველყოფდნენ, ახლა ერთგვარ უხერხულობას გრძნობდნენ მუცლებზე მოტმასნილი უცნაური სქელი სვიტერების, კისერზე შემოხვეული კაშნეების ავტომატის ჯერივით გაბმული ხველების გამო.

დაგნიმ შენიშნა, რომ ადრინდელი პეწი თვით ჯიმისაც კი დაეკარგა.

ჯიმის თავი მხრებში ჩაერგო, მზერა კი სწრაფად გადაჰქონდა ერთი სახიდან მეორეზე.

საბჭოს წევრებთან ერთად მაგიდას ვაშინგტონის წარმომადგენელიც უჯდა.

მისი თანამდებობა და წოდება დაზუსტებით არავინ იცოდა, მაგრამ ამის საჭიროება არც არსებობდა: ის ვაშინგტონიდან ჩამოვიდა, რაც სრულიად საკმარისი იყო. ამ ადამიანს მისტერ ვეზერბის უწოდებდნენ. მას შეჭაღარავებული საფეთქლები, გრძელი, ვიწრო სახე და ისეთი პირი ჰქონდა, გეგონებოდა, რომ მოკუმოს, სახის კუნთებს ჭიმავსო, ეს კი თავდაჭერილობის იერს.სძენდა მის-სახეს, რომელიც სხვას არც არაფერს გამოხატავდა. დირექტორებმა არ იცოდნენ, საბჭოს სტუმარი იყო ის, მრჩეველი თუ ხელმძღვანელი, და ერჩივნათ, ამ საკითხს არც ჩასძიებოდნენ.

— დღეს, — თქვა თავმჯდომარემ, — ჩვენი მთავარი ამოცანაა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი მაგისტრალის ლიანდაგები, რბილად თუ ვიტყვით, სავალალო მდგომარეობაშია... — ის გაჩერდა, შემდეგ კი წინდახედულად დასძინა, — მაშინ, როცა კარგი რელსები მხოლოდ „ჯონ გოლტის ხაზზე“ გვაქვს — რიო ნორტეს ხაზს ვგულისხმობ.

ისეთივე ფრთხილი ტონით, რომელიც გულისხმობდა, რომ აზრს ვინმე სხვაც აიტაცებდა, ახლა საბჭოს მეორე წევრმა თქვა:

— თუ ვაღიარებთ, რომ აღჭურვილობის კრიტიკული დეფიციტი გვაქვს, და თუ გადაწყვეტილი გვაქვს, ეს აღჭურვილობა ბოლომდე გავცვითოთ იმ სარკინიგზო განშტოების სამსახურში, რომელსაც მხოლოდ წაგება მოაქვს... — მერე გაჩერდა და აღარ განუცხადებია, მაინც რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამის აღიარებას.

— ჩემი აზრით, — თქვა გამხდარმა და მიცვალებულივით სახეგაფითრებულმა კაცმა, მოვლილი, აკურატული ულვაშებით, — რიო ნორტეს ხაზი, როგორც ჩანს, ფინანსურ ტვირთად დაგვაწვა, რომელიც კომპანიამ შესაძლოა, ველარც ზიდოს, თუ გარკვეული რეორგანიზაცია არ განხორციელდა, რაც... — მას წინადადება არ დაუსრულებია, მხოლოდ მისტერ ვეზერბის შეხედა. ამ უკანასკნელმა კი ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი გაუგონია.

— ჯიმ, — თქვა თავმჯდომარემ, — მგონი, თქვენ უნდა აუხსნათ ვითარება მისტერ ვეზერბის.

ტაგარტის ხმამ ადრინდელი ძალდაუტანებლობით გაიჟღერა, თუმცა ეს იმ ქსოვილის სიგლუვეს ჰგავდა, მინის „ნამსხვრევებზე რომ გადაჭიმეს და ბასრ წვეტებს ამოუყვიათ თავი:

— მგონი, ყველანი დამეთანხმებით, რომ. მთავარი ფაქტორი, რომელიც ქვეყნის ნებისმიერ სარკინიგზო კომპანიაზე აისახება; წარუმატებლობების“ უჩვეულოდ მაღალი დონეა. ჩვენ, რასაკვირველია, ვაცნობიერებთ, რომ ეს მხოლოდ დროებითია, თუმცა, დღესდღეობით, ვითარებას შეიძლება უიმედოც ეწოდოს. ტერიტორიაზე, რომელსაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ემსახურება, იმდენი ქარხანა დაიხურა, რომ ჩვენი ფინანსური სტრუქტურა მთლიანად ჩამოიქცა. ყველაზე სტაბილური და შემოსავლიანი ოლქები და დანაყოფები დღეს ზარალზე მუშაობენ. მოძრაობის განრიგი დიდი მოცულობის ტვირთის გადაზიდვისთვის იყო შედგენილი, მეტისმეტად დიდი მოცულობისთვის იმ ვითარებაში, როდესაც შვიდიდან სამი დამკვეთიღა დარჩა. ჩვენ მათ იმავე ხარისხით ვეღარ ვემსახურებით — ყოველ შემთხვევაში... ახლანდელი ტარიფებით. — ჯიმმა მისტერ ვეზერბის შეხედა, ამ უკანასკნელს კი თითქოს არც შეუნიშნავს ეს მზერა.

— ჩემი აზრით, — გამკაცრდა ტაგარტის ხმა, — ჩვენი გადამზიდავების პოზიცია უსამართლოა. მათი უმრავლესობა კონკურენტებზე ჩივის და თავიანთ დარგში კონკურენციის მოსასპობად ლოკალური ხასიათის სხვადასხვა ზომებიც მიიღეს. ამჟამად უმეტეს მათგანს ბაზარზე სრული მონოპოლია აქვს, თუმცა, მაინც ვერ შეუგნიათ, რომ სარკინიგზო კომპანიას არ შეუძლია, აქა-იქ შემორჩენილ ქარხნებს ტვირთის გადაზიდვის ის ტარიფები შესთავაზოს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ოპტიმალური, თუკი წარმოება მთელი რეგიონის მასშტაბით იმუშავებდა. ჩვენი მატარებლები მათი გულისთვის წაგებაზე მუშაობენ, ისინი კი ძველებურად ეწინააღმდეგებიან ტარიფების ნებისმიერ... ზრდას.

— ნებისმიერ ზრდას? — მოწყალედ ჩაეკითხა მისტერ ვეზერბი, ოსტატურად დაყენებული გაოცებით, — მათ სრულიად სხვა პოზიცია აქვთ.

— თუ ის ჭორები, რომელთა დაჯერება მე არ. მინდა, მართალი გამოდგა — დაიწყო თავმჯდომარემ და, როგორც კი საკუთარ ხმაში აშკარა პანიკის მაუწყებელი ნოტები შემოესმა, ფრაზა შუაზე გაწყვიტა.

— ჯიმ, — თქვა მისტერ ვეზერბიმ თავაზიანად, — ვფიქრობ, ყველაფერს აჯობებს თუ ტარიფების გაზრდის საკითხს საერთოდ არ ვახსენებთ.

— მე არ გთავაზობთ, ახლავე გავზარდოთ ტარიფები, — უპასუხა ტაგარტმა აჩქარებით, — მე ეს, უბრალოდ, მთლიანი სურათის წარმოსადგენად ვახსენე.

— კი მაგრამ, ჯიმ, — წარმოთქვა ერთმა ხნიერმა კაცმა აკანკალებული ხმით, — მე მეგონა, თქვენი გავლენა — მისტერ მაუჩთან თქვენს მეგობრობას ვგულისხმობ — უზრუნველყოფდა...

„მას სიტყვა გაუწყდა, რადგან დანარჩენებმა დაუწერელი წესის დარღვევის გამო მკაცრად შეხედეს — ამ წესის თანახმად, ასეთი მარცხისა და ჯიმ ტაგარტის გავლენიანი მეგობრების გასაიდუმლოებული და ამოუცნობი გზების შესახებ და იმის შესახებაც, თუ რატომ უმტყუნეს მათ ტაგარტს, ხმამაღლა ლაპარაკი მიუღებელი იყო.

— საქმე ის არის, — თქვა ვეზერბიმ მსუბუქად, — მისტერ მაუჩმა აქ იმისთვის გამომგზავნა, რომ განგვეხილა რკინიგზის პროფესიული კავშირების მოთხოვნა ხელფასების გაზრდის თაობაზე და ტვირთის გადამზიდავთა მოთხოვნა ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით.

ვეზერბი დაუდევარი თავდაჯერებულობით ლაპარაკობდა იცოდა, რომ ეს ყველა იქ მყოფისთვის იყო ცნობილი, ამ მოთხოვნებს გაზეთებში უკვე თვეების განმავლობაში განიხილავდნენ; ხვდებოდა, რომ ეს ადამიანები თვითონ ფაქტს კი არა, მის დასახელებას დაეფრთხო — თითქოს ფაქტს არც ეარსებოს და მხოლოდ ვეზერბის სიტყვები აიძულებდა მას. არსებობას იცოდა, რომ ყველანი ელოდებოდნენ, გამოავლენდა თუ არა ის თავის ამ უნარს, ჰოდა, მანაც გამოავლინა.

წესით, მის სიტყვებს პროტესტი უნდა გამოეწვია, მაგრამ ასე არ მოხდა, ვეზერბის არავინ შეჰპასუხებია. შემდეგ კი ჯეიმს ტაგარტი ალაპარაკდა წყვეტილად, ნერვიულად, და მაინცდამაინც თავდაჯერებულიც ვერ ჩანდა:

— ვფიქრობ, ტვირთის გადამზიდავთა ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი ბაზი უოტსი არც ისეთი მნიშვნელოვანი ვინმეა. მართალია, ძალიან ხმაურობს და ძვირად ღირებულ სადილებს მართავს ვაშინგტონში, მაგრამ მე ამ ყველაფრის სერიოზულად მიღებას არ გირჩევდით.

— ოჰ, არ ვიცი, — თქვა მისტერ ვეზერბიმ.

— მომისმინეთ, კლემ, მე მითხრეს, რომ უესლიმ წინა კვირას მის ნახვაზე უარი განაცხადა..

— ეს სიმართლეა. უესლი ძალიან დაკავებული კაცია.

— ისიც ვიცი, რომ ათი დღის წინ ჯინ ლოუსონის მიერ გამართულ დიდ წვეულებაზე თითქმის ყველა იყო მიპატიჟებული, ბაზი უოტსის გარდა.

— ასეა, — მშვიდად აღიარა ვეზერბიმ.

— ამიტომაც მისტერ ბაზი უოტსი დიდად ანგარიშგასაწევი არ მგონია და მასზე დარდით თავს არ შევიწუხებ, კლემ.

— უესლი მიუკერძოებელი კაცია, — თქვა მისტერ ვეზერბიმ, — საზოგადოების ერთგული მსახური. ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, ის ვალდებულია, ყველა წინადადება შეისწავლოს. — ტაგარტი წელში გასწორდა; საკუთარი გამოცდილება ჰკარნახობდა, რომ საუბრის ამ კუთხით წარმართვა კარგს არაფერს მოასწავებდა, — ვერავინ უარყოფს, ჯიმ, რომ უესლი დიდ პატივს გცემთ თქვენ, როგორც ნიჭიერ ბიზნესმენს, ფასდაუდებელ მრჩეველსა და თავის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს.

ტაგარტმა სწრაფი მზერა ესროლა ვეზერბის — საქმე სულ უფრო და უფრო უარესად მიდიოდა.

— მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ უესლი პირად გრძნობებსა და მეგობრულ ურთიერთობებს მსხვერპლად არ გაიღებს საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ტაგარტი ადრინდელივით გულგრილი ჩანდა; ყოველთვის ცდილობდა, შიში არ დასტყობოდა. ახლა კი, პანიკით შეპყრობილი, ებრძოდა აზრს, რომელმაც მოსვენება დააკარგვინა: ის მეტისმეტად დიდხანს წარმოადგენდა სწორედ ამ „საზოგადოებას“ და აცნობიერებდა, რასაც ნიშნავდა, ეს მაგიური, წმიდათაწმიდა ტიტული, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგებოდა, თავისი „კეთილდღეობითურთ“ ბაზი უოტსის მსგავს არსებას თუ გადაეცემოდა.

თუმცა სასწრაფოდ სულ სხვა რამ იკითხა:

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მე პირად ინტერესებს საზოგადოების კეთილდღეობაზე მაღლა ვაყენებ?

— არა, ცხადია, არა, — თითქმის იღიმებოდა ვეზერბი, — ასე ნამდვილად არ ვფიქრობ, თქვენზე ეს არ ითქმის. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ თქვენ სწორად აფასებთ სიტუაციას და პატიოსნად ეკიდებით საზოგადოებრივ

კეთილდღეობას. სწორედ ამიტომაც მოელის უესლი, რომ შექმნილ ვითარებას მრავალმხრივ გაიაზრებთ.

— დიახ, რა თქმა უნდა, — გაება მახეში ტაგარტი.

— კეთილი, მაშინ საქმეს პროფესიული კავშირების თვალით შევხედოთ. შესაძლოა, ხელფასების მომატებას ვერ ახერხებთ, მაგრამ ამ ადამიანებმა როგორღა იარსებონ, როდესაც ცხოვრება ასე გაძვირდა? ხომ უნდა იკვებონ? ეს ყველას ეხება, რკინიგზელებსაც და სხვებსაც... — მისტერ ვეზერბი მშვიდი და გონივრული ტონით ლაპარაკობდა და ოსტატურად მალავდა საკუთარი სიტყვების ნამდვილ აზრს, რომელიც უამისოდაც ყველასთვის გასაგები იყო. ის ტაგარტს ისე უყურებდა, თითქოს უნდოდა, ხაზი გაესვა მის მიერ წარმოუთქმელი სიტყვების განსაკუთრებული მნიშვნელობისთვის — რკინიგზელთა პროფესიულ კავშირებში თითქმის მილიონამდე წევრია გაერთიანებული, რომელთაც ჰყავთ ოჯახები, მათ კმაყოფაზე მყოფი სარჩენი ადამიანები და ღარიბი ნათესავები — აბა, ვის არ ჰყავს დღეს ღარიბი ნათესავები? — ეს დაახლოებით ხუთი მილიონი საარჩევნო ხმაა. ანუ... ადამიანებს ვგულისხმობ უესლი იძულებულია, ეს არ დაივიწყოს. მან ამ ხალხის ფსიქოლოგია უნდა გაითვალისწინოს ამას გარდა, საზოგადოებაც უნდა გახსოვდეთ. თქვენი ტარიფები მაშინ დაწესდა, როდესაც ყველა გამოიმუშავებდა ფულს. მაგრამ ამ ვითარებაში ტრანსპორტირების საფასური ხალხს მძიმე ტვირთად აწვება. სადაც არ უნდა გაიხედოთ, სულ ამას გაიძახიან. — ვეზერბიმ ტაგარტს ჯიქურ შეხედა, კი არ შეხედა, თითქოს თვალი ჩაუკრა, — ისინი აურაცხელნი არიან, ჯიმ, და დღეს მათ ძალიან ბევრი რამ არ მოსწონთ. მთავრობა, რომელიც რკინიგზის ტარიფებს შეამცირებს უამრავ ადამიანს მოიმადლიერებს.

სიჩუმემ, რომელმაც ვეზერბის სიტყვების საპასუხოდ დაისადგურა, ღრმა ორმოს ჰგავდა, ისე ღრმას, რომ შიგ რაც არ უნდა ჩაგეგდო, ვერავინ გაიგონებდა, ფსკერზე როგორ დავარდა. ტაგარტი, დანარჩენების მსგავსად, ხვდებოდა, რა უანგარო მოტივსაც შესწირავდა მისტერ მაუჩი მსხვერპლად თავის მეგობრულ კავშირებს.

მართალია, დაგნის გადაწყვეტილი ჰქონდა, კრინტი არ დაეძრა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა; სამარისებური სიჩუმის ფონზე მისმა ხმამ განსაკუთრებული სიმკვეთრით გაიჟღერა:

— ხომ მიიღეთ, რასაც მთელი ეს წლები იხვეწებოდით, ბატონებო?

მეყსეული მზერა, რომელიც ოთახში შეკრებილებმა დაგნის მიაპყრეს, მოულოდნელ ხმაზე გაცემული უნებლიე პასუხი იყო, მაგრამ რა სისწრაფითაც ამავე მზერებმა მაგიდაზე, კედლებზე და სხვა საგნებზე გადაინაცვლა, ოღონდ კი მისთვის არ შეეხედათ, აშკარად მიანიშნებდა, რომ ყველამ ზუსტად გაიგო, რაც დაგნიმ თქვა.

მომდევნო წუთს კი დაგნიმ ლამის ფიზიკურად შეიგრძნო, როგორ დამძიმდა აღშფოთებისგან ოთახში ჰაერი — ჭექა-ქუხილის წინ რომ იცის ხოლმე, ისე, და გააცნობიერა, რომ ამ აღშფოთების ადრესატი მისტერ ვეზერბი კი არა, თვითონ იყო. მისი შეკითხვა რომ უპასუხოდ დარჩა, ამას კიდევ აიტანდა, მაგრამ ორმაგმა სიყალბემ გული აურია: ამ ჯერ ვითომდა სრულმა იგნორირებამ, და მერე მათთვის დამახასიათებელი ფორმით პასუხის გაცემამ.

თავმჯდომარემ — ისე, რომ დაგნისთვის არც შეუხედავს — ერთდროულად დამთმობი და თან მრავალმნიშვნელოვანი ტონით განაცხადა:

— ყველაფერი შესანიშნავად მოგვარდება, თუკი... ძალაუფლება ბაზი უოტსისა და ჩიკ მორისონისნაირ შემთხვევით ადამიანებს არ ჩაუვარდებათ ხელში.

— მე ჩიკ მორისონი არ მანაღვლებს, — უპასუხა მკვდარივით გაფითრებულმა მწვანეკაშნეიანმა ულვაშამ, — უესლისთან უფრო ახლოს ჯო დანფი და ბად ჰეიზელტონი არიან. თუ მათი გავლენა გადაწონის, ჩვენი საქმე კარგად წავა. უფრო საშიში კიპ ჩალმერსი და ტინკი ჰოლოვეი მგონია.

— კიპ ჩალმერსი მე მომანდეთ, — თქვა ჯიმ ტაგარტმა.

მისტერ ვეზერბი ერთადერთი ადამიანი იყო ამ ოთახში, ვინც დაგნის არ უყურებდა. მაშინაც კი, როდესაც შეხედავდა ხოლმე, მისი მზერა სრულიად გულგრილი ჩანდა; ის აქ მხოლოდ დაგნის ვერ ამჩნევდა.

— ჩემი აზრით, — თქვა ვეზერბიმ და თან ჯიმს შესცქეროდა, — თქვენ უესლის სამსახური უნდა გაუწიოთ.

— უესლიმ იცის, რომ ყოველთვის შეუძლია, ჩემი იმედი ჰქონდეს.

— კეთილი, ვფიქრობ, თუ თქვენ დააკმაყოფილებდით პროფესიული კავშირების მოთხოვნას ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ჩვენ დროებით გვერდზე გადაგვედო ტარიფების შემცირების საკითხი.

— არ შემიძლია! — ლამის დაიყვირა ჯიმმა, — რკინიგზის ეროვნული ალიანსი ერთხმად დაუპირისპირდა ხელფასების გაზრდას და ნებისმიერი წევრი, ვინც ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, დაუყოვნებლივ გაირიცხება.

— სწორედ ამას ვგულისხმობდი, — ლმობიერად უპასუხა მისტერ ვეზერბიმ, — უესლის ამ ასოციაციაში განხეთქილების შეტანა სურს. თუ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მსგავსი სარკინიგზო კომპანია დატოვებს მის რიგებს, დანარჩენების დაყოლიება ადვილი იქნება. თქვენ ძალიან დაეხმარებით უესლის. ის ამ სიკეთეს არ დაგივიწყებთ.

— კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, კლემ! ასოციაციის წესების თანახმად, მათ შეუძლიათ, ამის გამო სასამართლოში მიჩივლონ!

მისტერ ვეზერბიმ გაიღიმა:

— რომელ სასამართლოში? ამას უესლი მიხედავს.

— კი მაგრამ, მომისმინეთ, კლემ, ხომ იცით, — ისევე, როგორც მე, — რომ ჩვენ ამას ვერ გავწვდებით!

ვეზერბიმ მხრები აიჩეჩა:

— ეს პრობლემა თქვენ უნდა მოაგვაროთ.

— ღვთის გულისათვის, მითხარით, მაინც როგორ?

— არ ვიცი. ეს თქვენი საქმეა და არა ჩვენი. იქნებ გინდათ, მთავრობამ გიკარნახოთ, როგორ მართოთ თქვენი რკინიგზა?

— არა, რა თქმა უნდა, არა! მაგრამ...

— ჩვენი საქმე მხოლოდ ის არის, თვალყური ვადევნოთ, რომ ადამიანები უზრუნველყოფილი იყვნენ სამართლიანი ხელფასებითა და ტრანსპორტირების სათანადო დონით. ამის უზრუნველყოფა კი თქვენი საქმეა. მაგრამ თუ, თქვენი თქმით, დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებთ, რატომაც არ...

— მე ეს არ მითქვამს! — წამოიყვირა ტაგარტმა აჩქარებით, — მსგავსი რამ საერთოდ არ მითქვამს!

— კარგია, — თქვა მისტერ ვეზერბიმ თავაზიანად, — ჩვენ ვიცით, რომ თქვენ მოახერხებთ, გამოსავალი მონახოთ.

ის ჯიმს შესცქეროდა, ჯიმი — დაგნის.

— კეთილი, მე მხოლოდ ხმამაღლა ვფიქრობდი, — თქვა მისტერ ვეზერბიმ და თან მოკრძალებული გამომეტყველებით მიაწვა სკამის საზურგეს, — უბრალოდ, ჩემი

შეხედულება გამოვთქვი, რომელიც თქვენ უნდა გაიაზროთ. მე აქ მხოლოდ სტუმარი ვარ არ მინდა, თქვენს საქმეში ჩავერიო. ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო, განგვეხილა, რა ვითარებაა მგონი, ადგილობრივ სარკინიგზო განშტოებებზე... კერძოდ, რიო ნორტეს ხაზზე, ასე არ არის?

— დიახ, — ამოიოხრა თავმჯდომარემ, დიახ ახლა კი, თუ ვინმეს კონსტრუქციული წინადადება აქვს... — მან შეიცადა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია, — მგონი, ვითარება ყველასთვის ნათელია. — ისევ გაჩერდა, — ვფიქრობ, თუკი ჩვენ ველარ ვახერხებთ ზოგიერთი სარკინიგზო განშტოების ექსპლუატაციას... კერძოდ, რიო ნორტეს ხაზის... აქედან გამომდინარე, უნდა შევიმუშავოთ შესაბამისი ზომები...

— ჩემი აზრით, — თქვა ფერმკრთალმა ულვაშიანმა კაცმა მოულოდნელად დარწმუნებული ტონით, — ახლა დროა, მის ტაგარტს მოვუსმინოთ. — ის დაგნის მხარეს გადაიხარა ცბიერი დაიმედებით, მერე კი, რაკი დაგნიმ არაფერი უპასუხა და მხოლოდ თავი მიაბრუნა მისკენ, იკითხა — რას გვეტყვით, მის ტაგარტ?

— არაფერს.

— უკაცრავად?

— ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა იმ ანგარიშშია წარმოდგენილი, რომელიც ჯიმმა წაგიკითხათ. — მშვიდი და მკაფიო ხმით უპასუხა დაგნიმ.

— მაგრამ თქვენ არც ერთი რეკომენდაცია არ შემოგითავაზებიათ — შემოსათავაზებელი არც არაფერი მაქვს..

— კი მაგრამ, თქვენ, როგორც ჩვენი კომპანიის მმართველ ვიცე-პრეზიდენტს ამ რკინიგზის პოლიტიკა ძალიან უნდა გაინტერესებდეთ.

— მე არ მაქვს საკმარისი ავტორიტეტი, ამ პოლიტიკაზე გავლენა რომ მოვახდინო — მაგრამ, ჩვენ ერთი სული გვაქვს თქვენი აზრი მოვისმინოთ — მე აზრები არ გამაჩნია.

— მის ტაგარტ, — თქვა ფერმკრთალმა კაცმა ოფიციალური წინადადების ტონით, — ეჭვგარეშეა, აცნობიერებთ, რომ ჩვენი ადგილობრივი სარკინიგზო. განშტოებები კატასტროფულად წამგებიანი გახდა და ჩვენ თქვენგან მოველით „რომ რაიმეს იღონებთ, რათა მათ მოგება მოიტანონ.

— როგორ?

— არ ვიცი. ეს თქვენი საქმეა და არა ჩვენი.

— მე ჩემს ანგარიშში დავასახელე მიზეზები, რომელთა გამოც ეს ახლა შეუძლებელია თუ რაიმე გამომრჩა, გთხოვთ, მითხრათ.

— ოჰ, არ ვიცი... ჩვენ ველოდით, სწორედ თქვენ გამონახავდით გზებს რომ ეს შესაძლებელი გამხდარიყო. ჩვენი საქმე მხოლოდ ის არის, თვალყური ვადევნოთ, რომ აქციონერებმა სამართლიანი მოგება მიიღონ. ამის უზრუნველყოფა კი თქვენი საქმეა.

თქვენ ხომ არ გსურთ, ვიფიქროთ, რომ ვერ ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას და...

— მე არ შემიძლია ამის გაკეთება.

ულვაშამ პირი გააღო, მაგრამ საჭირო სიტყვები ველარ იპოვა; ის გაოცებით შესცქეროდა დაგნის და ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ გაამართლა ამჯერად უკვე დიდი ხნის ნაცადმა სვლამ.

— მის ტაგარტ — იკითხა კაცმა, რომელსაც მწვანე კაშნე ჰქონდა შემოხვეული, — თქვენს ანგარიშში თუ მიუთითეთ, რომ რიო ნორტეს ხაზზე მდგომარეობა კრიტიკულია?

— მე ამ მდგომარეობას უიმედო ვუწოდე.

— მაშინ, რას გვთავაზობთ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— არაფერსაც არ გთავაზობთ.

— ცდილობთ, პასუხისმგებლობას გაექცეთ?

— და თქვენ, თქვენ რას ცდილობთ? — აუღელვებლად მიმართა დაგნიმ დირექტორებს, — იმედი გაქვთ, არ ვიტყვი, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად თქვენ გაკისრიათ, რომ სწორედ თქვენმა წყეულმა სტრატეგიამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე? კეთილი, მე ვამბობ ამას.

— მის ტაგარტ, მის ტაგარტ, — ძნელი მისახვედრი იყო, შეევედრა თუ საყვედურობდა თავმჯდომარე, — ნუ გავიმეტებთ ერთმანეთს. ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის დამნაშავე? ნუ ვიკამათებთ ჩვენი შეცდომების გამო. ახლა ყველანი უნდა გავერთიანდეთ, რომ ჩვენი სარკინიგზო კომპანია ამ სავალალო მდგომარეობიდან დავიხსნათ.

არისტოკრატიული მანერების მქონე თმაშევერცხლილმა მამაკაცმა, რომელიც მთელი თათბირის განმავლობაში მდუმარედ იჯდა და სევდიან სახეზე ეწერა, რომ ყველაფერს მშვენივრად აცნობიერებდა, დაგნის ისეთი მზერით. შეხედა, თითქოს თანაუგრძნობდა მას, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ დაეკარგა. მან ოდნავ აუწია ხმას, შეკავებული აღშფოთება რომ გაემჟღავნებინა:

— ბატონო თავმჯდომარევ, თუ ჩვენ პრაქტიკული გადაწყვეტილების შესახებ ვმსჯელობთ, მე გთავაზობთ, განვიხილოთ შეზღუდვები, რომლებიც ჩვენი მატარებლების მარშრუტის სიგრძეზე და სიჩქარეზე დაწესდა. ბოლო ხანებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის ეს ყველაზე დამღუპველია. მართალია, ამ შეზღუდვების გაუქმება ჩვენს ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ დიდი შეღავათი იქნება.

ორთქლმავლებისა და საწვავის სავალალო დეფიციტის ფონზე, ვფიქრობ, დანაშაულებრივი სიგიჟეა ლიანდაგზე ლოკომოტივის გაშვება სამოცი ვაგონით, როდესაც მას ასის გაწევა შეუძლია, და მგზავრობის ოთხ დღეზე გაწელვა, როდესაც გზის იმ მონაკვეთის დაფარვა სამ დღეშიც შესაძლებელია. მე გთავაზობთ, გამოვითვალოთ ტვირთის გადამზიდავებისა და ოლქების რიცხვი, რომლებიც ჩვენ დავღუპეთ ჩვენი მცდარი გათვლებით, დეფიციტითა და ტრანსპორტირების შეფერხებით, მერე კი...

— ამაზე არც კი იფიქროთ, — მოუჭრა მისტერ ვეზერბიმ სწრაფად, — რაიმეს გაუქმებაზე და ძველისკენ მიბრუნებაზე არც იოცნებოთ. ჩვენ ამ საკითხებს არ განვიხილავთ. ამის შესახებ სიტყვის გაგონებაც კი არ გვსურს.

— ბატონო თავმჯდომარევ, — იკითხა წყნარი ხმით ჭაღარა კაცმა, — შეიძლება, დავასრულო?

თავმჯდომარემ სასიამოვნოდ გაიღიმა და ხელები გაშალა — იმის ნიშნად, რომ უძლური იყო.

— აზრს ვერ ვხედავ, — უპასუხა მან ჭაღარა კაცს.

— მგონი, აჯობებს, რიო ნორტეს ხაზის სტატუსის განხილვით შემოვიფარგლოთ, — დაიღრინა ტაგარტმა.

ხანგრძლივმა სიჩუმემ დაისადგურა.

მწვანეკაშნეიანი კაცი დაგნის მიუბრუნდა.

— მის ტაგარტ, — იკითხა მან სევდიანი და ფრთხილი ხმით, როგორ ფიქრობთ, — ეს მხოლოდ ჰიპოთეზური კითხვაა, — თუ ამჟამად რიო ნორტეს ხაზზე

გამოყენებულ აღჭურვილობას. გამოვათავისუფლებთ, ჩვენი ძირითადი ტრანსკონტინენტური ტრანსპორტის მოძრაობას გასწვდება?

— ერთგვარი შეღავათი იქნებოდა.

— რიო ნორტეს ხაზის რელსებს, — თქვა ულვაშებიანმა, ფერმკრთალმა კაცმა — მთელი ქვეყნის მასშტაბით არ მოეპოვება ანალოგი; ახლა თქვენ ასეთ რელსებს ვერავითარი ფულის საფასურად ვერ იყიდით. ჩვენ უნდა გადავარჩინოთ სამასი მილის სიგრძის ლიანდაგი, რასაც „რიერდენ სთილის“ მიერ დამზადებული ოთხასზე მეტი მილის სიგრძის რელსები დასჭირდება. გვითხარით, მის ტაგარტ, შეგვიძლია, თავს უფლება მივცეთ, ეს შესანიშნავი რელსები ადგილობრივი: სარკინიგზო განშტოებისთვის გავიმეტოთ, რომელიც ადრინდელივით დატვირთული აღარ არის?

— ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია.

— მოდით, სხვაგვარად შეგეკითხებით: ამ რელსების ხარისხი შეეფერება თუ არა ჩვენს მთავარ სარკინიგზო ხაზს, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეკეთდეს?

— რასაკვირველია.

— მის ტაგარტ, — იკითხა ხნიერმა კაცმა აკანკალებული ხმით, — იქნებ გვითხრათ, რამდენი მნიშვნელოვანი ტვირთის გადამზიდავი დაგვრჩა რიო ნორტეს ხაზზე?

— ტედ ნილსენი „ნილსენ მოტორსიდან“ სხვა არავინ:

— ესე იგი, შესაძლებელია, რიო ნორტეს ექსპლოატაციისთვის განკუთვნილი სახსრები მთელი დანარჩენი სისტემის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას მოხმარდეს?

— ეს დიდი შეღავათი იქნებოდა.

— მაშინ, როგორც ჩვენმა ვიცე-პრეზიდენტმა — მან წინადადება აღარ დაასრულა, დაგნი დუმდა, მერე კი განაგრძო, — აბა, რას იტყვით?

— რას მეკითხებით?

— მე იმის თქმა მინდოდა... როგორც ჩვენს ვიცე-პრეზიდენტს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ხომ არ უნდა მიგეღოთ?

დაგნი ფეხზე წამოდგა და მაგიდის ირგვლივ მსხდომთა სახეებს შეხედა — ბატონებო, — თქვა მან, — ვერ ხვდები, როგორ ახერხებთ, საკუთარი თავი მოატყუოთ და იმედი გქონდეთ, რომ მე გავახმოვანებ გადაწყვეტილებას, რომლის მიღებაც თქვენ თვითონ განგიზრახავთ, და პასუხსაც თქვენ ნაცვლად მე ვაგებ. შესაძლოა, გგონიათ, რომ თუკი უკანასკნელი დარტყმა ჩემი ხმით გაჟღერდება, ეს მე მკვლელად მაქცევს, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად მოგეხსენებათ — ეს მკვლელობა ძალიან დიდი ხნის წინ დაიგეგმა. ვერ გამიგია, რის მიღწევას ცდილობთ ასეთი თვალთმაქცობით, და არ ვაპირებ, ამ წარმოდგენის დადგმაში დაგეხმაროთ.

უკანასკნელ დარტყმას, როგორც ყველა დანარჩენს, თქვენ განახორციელებთ, დაგნი წასასვლელად მიბრუნდა. თავმჯდომარე ადგილიდან წამოიწია და უმწეო ხმით წარმოთქვა:

— კი მაგრამ, მის ტაგარტ...

— გთხოვთ, დაბრძანდით. განაგრძეთ დისკუსია და კენჭი უყარეთ. ჩემ გარეშე, მე თავს შევიკავებ ხმის მიცემისგან. შემიძლია, დავრჩე კიდევაც, თუ თქვენ ასე გსურთ, მაგრამ მხოლოდ დაქირავებული თანამშრომლის სტატუსით. მეტის პრეტენზია აღარ მაქვს.

დაგნიმ ისევ დააპირა წასვლა, მაგრამ ახლა ჭაღარა კაცის ხმამ შეაჩერა:

— მის ტაგარტ, ეს ოფიციალური კითხვა არ არის, უბრალოდ, მაინტერესებს, თქვენი აზრით, რა ელის მომავალში ტაგარტის ტრანსკონტინენტურ სისტემას?

დაგნიმ თვალებით მიახვედრა, რომ მიუხვდა და მშვიდად უპასუხა:

— მე კომპანიის მომავალზე აღარ ვფიქრობ. უბრალოდ, ვაპირებ, იქამდე უზრუნველვყო მატარებლების მოძრაობა, სადამდეც ეს შესაძლებელი იქნება. მაგრამ, ვფიქრობ, დიდი დრო აღარ დაგვრჩა.

დაგნი მაგიდას მოშორდა და ფანჯარასთან გადაინაცვლა, დისკუსიისთვის ხელი რომ აღარ შეეშალა. მან ქალაქს გახედა. ჯიმმა მოიპოვა ნებართვა, ელექტროენერგია ტაგარტის ცათამბჯენის ყველა სართულს მისწოდებოდა. ზემოდან ქალაქი მიწასთან მოსწორებულს ჰგავდა, ნანგრევების გროვას, ჩაბნელებულ ცას ფანჯრებიდან აქა-იქ კანტიკუნტად გამომავალი სინათლის რამდენიმე ზოლიღა სწვდებოდა.

დაგნის აღარ ესმოდა მის ზურგს უკან მსხდარი კაცების ლაპარაკი. არც ის იცოდა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდა მათი კამათი — ეს ბგერები ერთმანეთს აწყდებოდნენ და იმსხვრეოდნენ. თითოეული დირექტორი ცდილობდა, ვიღაცის ზურგს ამოჰფარებოდა და ფრონტის წინა ხაზზე ვინმე სხვა გაეგდო. ამ ბრძოლაში საკუთარი ნების დაცვა არავის სურდა, ყველანი იბრძოდნენ, რათა მსხვერპლისთვის მხარდაჭერა გამოეძალათ და გადაწყვეტილება გამარჯვებულს კი არა, დამარცხებულს გამოეცხადებინა:

— მეჩვენება, რომ... მგონი, ეს... ჩემი აზრით, ეს უნდა.. .თუ ჩვენ დავუშვებთ... მე მხოლოდ გთავაზობთ... მე ამას არ ვგულისხმობ, მაგრამ... თუ ორივე მხარეს გავითვალისწინებთ... ჩემი აზრით, ეს უდავოა... მეჩვენება, რომ ეს უდავო ფაქტია...

დაგნი ვერ მიხვდა, ვისი ხმა ესმოდა, სიტყვები კი ცხადად გაიგონა:

— „და აქედან გამომდინარე, მე წინადადება შემომაქვს, „ჯონ გოლტის ხაზი“ დაიხუროს.

დაგნიმ გაიფიქრა, რომ ამ ადამიანს რომელიღაც ძალამ უბიძგა, სარკინიგზო ხაზი სწორი სახელწოდებით მოეხსენებინა.

„შენც მოგიწია რაღაც ამდაგვარის ატანა თაობების წინ — და ეს შენთვისაც ასეთივე რთული, ასეთივე მძიმე იყო, მაგრამ მაინც ვერ შეგაჩერა. ნეტავი მაშინაც ასეთი საძაგელი, გულის ამრევი ვითარება იყო, როგორიც დღეს არის? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ეს მხოლოდ ტკივილია, და ტკივილს, როგორი ძნელი ასატანიც არ უნდა ყოფილიყო ის, შენ არასოდეს შეუჩერებიხარ — შენ მას არ დანებდი — შენ მას თვალი გაუსწორე. შენ იბრძოდი და მეც ასე უნდა მოვიქცე. შენ ის დაამარცხე და მეც შევეცდები...“ — ჩუმად და ჯიუტად გაისმოდა დაგნის გონებაში და მან უცებ ვერც კი გააცნობიერა, ნათ ტაგარტს რომ მიმართავდა.

შემდეგ მან მისტერ ვეზერბის ხმა გაიგონა:

— ერთი წუთით, ბიჭებო:. ხომ არ დაგავიწყდათ, სარკინიგზო განშტოების დახურვამდე სათანადო ნებართვა რომ უნდა მოიპოვოთ?

— ღმერთო ჩემო, კლემ! — ტაგარტის ხმაში დაუფარავი პანიკა შეიგრძნობოდა — დარწმუნებული ვარ, პრობლემა არ იქნება...

— მე ასე დარწმუნებული არ ვარ. ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ საზოგადოებას ემსახურებით და ტრანსპორტირების უზრუნველყოფა გევალებათ, მიუხედავად იმისა, მოგებას ნახულობთ თუ არა.

— კი მაგრამ, ხომ იცით, რომ ეს შეუძლებელია!

— კეთილი, ამ ხაზის დახურვით თქვენს პრობლემებს მოაგვარებთ — მაგრამ ჩვენ რას მოგვიტანს ეს? თუ კოლორადოსნაირი შტატი პრაქტიკულად

ტრანსპორტირების გარეშე დარჩება, რა რეაქციას გამოიწვევს ეს საზოგადოებაში? მაგრამ თუკი უესლის რაიმეს შესთავაზებდით სანაცვლოდ, სიტუაციის: „გასაწონასწორებლად, თუ დააკმაყოფილებდით პროფესიული კავშირების მოთხოვნას ხელფასების“ გაზრდის თაობაზე...

— არ შემიძლია! მე სიტყვა მივეცი რკინიგზის ეროვნულ ალიანსს!

— სიტყვა მიეცით? კეთილი; ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ. ჩვენ არ გვინდა ასოციაციაზე ზეწოლა. გაცილებით უფრო გვაწყობს, ყველაფერი თავისთავად მოხდეს. მაგრამ ახლა რთული დროა და მოვლენების წინასწარ განსაზღვრა ძნელია. მაშინ, როდესაც ყველა კოტრდება და გადასახადების მოკრება გაჭირდა; შესაძლოა, — იმის გათვალისწინებით, რომ ტაგარტის კომპანიის აქციების ორმოცდაათ პროცენტზე მეტს ვფლობთ, — ჩვენ იძულებული გავხდეთ, ექვსი თვის ვადაში მოვითხოვოთ რკინიგზის აქციების განაღდება.

— რაა?! — წამოიყვირა ტაგარტმა.

— ან უფრო ადრეც.

— მაგრამ თქვენ ამას ვერ იზამთ! ოჰ, ღმერთო, ასე ვერ მოიქცევით! მორატორიუმი ხომ ხუთი წლით გამოცხადდა! ეს იგივეა, რაც ხელშეკრულება, ვალდებულება!

ჩვენ ამის იმედად ვიყავით!

— ვალდებულება? თქვენ რა, ცხოვრებას ჩამორჩით, ჯიმ? არავითარი ვალდებულება არ არსებობს, გარდა იმისა, რასაც დროება მოითხოვს. ამ აქციების დღევანდელი მფლობელებიც მათ განაღდებაზე ამყარებენ იმედებს.

დაგნის სიცილი აუტყდა.

თავშეუკავებლად იცინოდა, ვერა და ვერ მოახერხა ხელიდან გაეშვა ელის უაიატის, ენდრიუ სტოკტონის, ლოურენს ჰემონდისა და სხვების გამო შურისძიების შესაძლებლობა. სიცილისგან აცახცახებულმა ძლივს თქვა:

— გმადლობთ, მისტერ ვეზერბი!

ვეზერბიმ ქალს გაკვირვებული სახით შეხედა.

— რა ბრძანეთ? — იკითხა მან ცივად.

— ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ვალების გადახდა მაინც მოგვიწევდა ჰოდა, ვიხდით კიდეც.

— მის.ტაგარტ, — თქვა თავმჯდომარემ მკაცრი ტონით, — ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, ვერ გაიგეთ, რომ იმის შესახებ მსჯელობა, თუ რა მოხდებოდა, სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავით, წმინდა თეორიული ვარაუდებია. ახლა თეორიების დრო არ გვაქვს, ამ წუთის პრაქტიკულ რეალობას უნდა მივხედოთ:

— მართალია, — მხარი აუბა მას მისტერ ვეზერბიმ, — სწორედაც რომ პრაქტიკულობა გმართებთ. ახლა კი გარიგებას გთავაზობთ. თქვენ გააკეთებთ. რაღაცას ჩვენთვის და სანაცვლოდ ჩვენც გაგიკეთებთ რაიმეს. თქვენ დააკმაყოფილებთ პროფესიული კავშირების მოთხოვნას ხელფასების გაზრდის თაობაზე, ჩვენგან კი რიო ნორტეს სარკინიგზო ხაზის დახურვის ნებართვას მიიღებთ.

— კარგი, — დაიჩურჩულა ჯეიმს ტაგარტმა.

ფანჯარასთან მდგომ დაგნის ესმოდა, როგორ უყარეს მის ზურგს უკან კენჭი ამ გადაწყვეტილებას. გაიგონა, როგორ გადაწყდა, რომ მისი „ჯონ გოლტის ხაზი“ ექვს კვირაში, 31 მარტს დაიხურებოდა.

ახლა მთავარი იყო, მომდევნო რამდენიმე წამი გადაეტანა, ფიქრობდა დაგნი, მერე კიდევ რამდენიმე, მერე კიდევ, თანდათან, ნელ-ნელა, და ცოტა ხანში ყველაფერი უფრო მარტივი იქნებოდა; კიდევ ცოტაც, და ყველაფერი გაივლიდა.

მომდევნო რამდენიმე წამისთვის დაგნიმ თავის თავს დაავალა, პალტო ჩაეცვა და ოთახიდან პირველი გასულიყო.

შემდეგი დავალება კი ტაგარტების თვალშეუწვდენელი ცათამბჯენის ლიფტით ჩავლა იყო. შემდეგ კი თავს უბრძანა, ჩაბნელებული ვესტიბიული გადაეკვეთა.

დაგნი ვესტიბიულის ცენტრში გაჩერდა. კედელს ვიღაც მიჰყრდნობოდა და მოთმინებით იცდიდა — ის სწორედ დაგნის უცდიდა, რადგან ჯიქურ შეცქეროდა მას თვალებში. თავიდან დაგნიმ ვერც იცნო, რადგან მის ნახვას აქ და ახლა არ ელოდებოდა — სალამი, სლაგ, — თქვა კაცმა ალერსიანი ხმით.

დაგნიმ უპასუხა, თითქოს ძლივს გადალახა მანძილი, რომელიც იმ დროს აშორებდა, ოდესღაც თვითონ რომ ეკუთვნოდა:

— სალამი, ფრისკო.

— მოკლეს თუ არა, ბოლოს და ბოლოს, „ჯონ გოლტი“?

დაგნი მთელი ძალით ცდილობდა, ამ წამისთვის დროის მოწესრიგებულ თანმიმდევრობაში მიეჩინა ადგილი. კითხვა აწმყოს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს სერიოზული, შავგვრემანი სახე თითქოს ჰადსონის პირას წამომართულ გორაკზე გატარებული დღეებიდან გამოეცხადა, როდესაც ფრანცისკომ უკვე იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს კითხვა დაგნისთვის. — როგორ შეიტყვე, რომ ეს ამ საღამოს მოხდებოდა? — იკითხა დაგნიმ.

— უკვე რამდენიმე თვის წინ იყო ცხადი, რომ მათ მორიგ თავშეყრას რიო ნორტე შეეწირებოდა.

— აქ რატომ მოხვედი — რომ მენახა, რა რეაქცია გექნებოდა.

— გინდა, იცინო?

— არა, დაგნი, ამაზე სიცილს არ ვაპირებ.

დაგნიმ მის სახეზე იოტისოდენა ირონია ვერ ამოიკითხა და გულწრფელად უპასუხა:

— თვითონაც არ ვიცი, რა რეაქცია მაქვს.

— მე ვიცი.

— მე ამას ველოდი, ვიცოდი, რომ ასე მოიქცეოდნენ, ახლა მთავარია, გადავიტანო... — უნდოდა ეთქვა „ეს ღამე“, მაგრამ ამის ნაცვლად თქვა, — მთელი ეს პროცესი. ფრანცისკომ დაგნის ხელი ჩაჰკიდა:

— მოდი, სადმე წავიდეთ, რამე დავლიოთ.

— ფრანცისკო, რატომ არ დამცინი? ყოველთვის გეცინებოდა, როდესაც ამ ხაზზე ლაპარაკობდი.

— დაგცინებ — ოღონდ ხვალ, როდესაც დავინახავ, რომ უკვე გადაიტანე... ეს პროცესი. მაგრამ ამ საღამოს — არა.

— რატომ?

— ახლა ამაზე ლაპარაკის თავი არ გაქვს.

— მე... — დაგნიმ დააპირა, შესწინააღმდეგებოდა, მაგრამ მხოლოდ ეს თქვა, — მგონი, მართალი ხარ. ასეა.

ფრანცისკომ დაგნი ქუჩაში გაიყვანა და ისიც უსიტყვოდ გაჰყვა, ფეხი აუწყო მის თანაბარ ნაბიჯებს. თითებით შეიგრძნობდა ფრანცისკოს მტკიცე, საიმედო ხელს.

უხმოდ დაემორჩილა მას, არაფერი უკითხავს, შვებით, იმ მოცურავის მსგავსად, რომელსაც აზვირთებულ ტალღებთან ბრძოლა აღარ უწევს. თვითონ; საბოლოოდ სასოწარკვეთილი, მოულოდნელად მაშველი რგოლივით ჩაეჭიდა ფრანცისკოს თავდაჯერებულობას. შვება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებამ კი არ მოჰგვარა, არამედ იმ ფაქტმა, რომ გვერდში მოჰყვებოდა კაცი, რომელსაც შეეძლო, ეს პასუხისმგებლობა სრულად აეღო საკუთარ თავზე.

— დაგნი, — თქვა ფრანცისკომ, თან ტაქსის ფანჯრიდან ქალაქს გასცქეროდა — გაიხსენე ის ადამიანი, რომელმაც პირველმა გადაწყვიტა, ფოლადის კოჭი შეექმნა.

მან იცოდა, რაც მოიფიქრა და რაც სურდა. ის არც იმას ამბობდა: „მეჩვენება, რომ“, და არც იმათ განკარგულებებს ემორჩილებოდა, ვინც ამბობდა: „ჩემი აზრით“.

განცვიფრებულმა დაგნიმ ჩაიცინა: ფრანცისკომ ზუსტად გამოიცნო ის გულის ამრევი შეგრძნება, რომელიც ვერა და ვერ მოიშორა, ჭაობის შეგრძნება, საიდანაც თავის დაღწევას ლამობდა.

— მიმოიხედე ირგვლივ, — მიმართა მას ფრანცისკომ, — ქალაქი ადამიანის სიმამაცის გაქვავებული ფორმაა — იმ ადამიანების სიმამაცის, ჭანჭიკი, მოქლონი და ელექტროგენერატორი რომ გამოიგონეს, რომელთა გარეშე ეს ქალაქი ვერ აშენდებოდა.

ამ ადამიანებს ეყოთ სიმამაცე, ეთქვათ: „ეს არის“, და არა — „მეჩვენება, რომ“, და დაეცვათ საკუთარი გადაწყვეტილებები. შენ მარტო არ ხარ. ასეთი ხალხი არსებობს.

ისინი ყოველთვის არსებობდნენ. იყო დრო, როდესაც პირველყოფილი ადამიანები გამოქვაბულებში იმალებოდნენ, სნეულებებითა და ქარიშხლით დაშინებულნი შეძლებდნენ შენი დირექტორთა საბჭოს წევრები, კაცობრიობა გამოქვაბულიდან გამოეყვანათ და მათთვის ეს ყველაფერი მიეცათ? — ფრანცისკომ ქალაქზე მიუთითა.

— ღმერთო ჩემო, არა!

— აი, ესეც მტკიცებულება, რომ სხვა ტიპის ადამიანები მართლაც არსებობენ.

— ჰო, — თქვა დაგნიმ მღელვარებით, — ჰო.

— მათზე იფიქრე და დაივიწყე ის შენი დირექტორთა საბჭო.

— ფრანცისკო, სად არიან ისინი ახლა — ეს სხვა ტიპის ადამიანები?

— ახლა ისინი არავის სჭირდება.

— მე მჭირდება. ოჰ, ღმერთო, როგორ მჭირდება!

— თუკი გჭირდება, იპოვი კიდეც.

ფრანცისკოს არაფერი უკითხავს დაგნისთვის „ჯონ გოლტის ხაზის“ შესახებ და დაგნიც დუმდა, ვიდრე ბარის ნახევრად ჩაბნელებულ კუპეში მაგიდას არ მიუსხდნენ და საკუთარ თითებს შორის მოქცეული სასმისი არ აღმოაჩინა. ვერც კი შეამჩნია, იქ როგორ მოხვდნენ. ამ მყუდრო, სოლიდურმა ადგილმა საიდუმლო თავშესაფარი მოაგონა; თავის ხელებქვეშ შენიშნა პატარა, კრიალა მაგიდა, მხრების უკან სავარძლის ტყავის საზურგე, კიდევ მუქი ლურჯი მინის ნიშა, რომელიც მათ სხვათა სიხარულისგან და ტკივილისგან მიჯნავდა. ფრანცისკოს იდაყვები მაგიდაზე დაებჯინა და დაგნის შეჰყურებდა, ქალს კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ საიმედო დასაყრდენი გაუჩნდა.

ისინი რკინიგზაზე არ საუბრობდნენ, მაგრამ მოულოდნელად დაგნიმ თქვა, თან სითხეს ჩასცქეროდა თავის ჭიქაში:

— სულ იმ ღამეზე ვფიქრობ, როდესაც ნათ ტაგარტს უთხრეს, რომ ხიდის მშენებლობა უნდა შეეწყვიტა. მისისიპიზე გადებულ ხიდს ვგულისხმობ. ფული არ ჰყოფნიდა — ხალხს ეშინოდა ხიდის, არაპრაქტიკულ წამოწყებად მიაჩნდათ. იმ დილით შეატყობინეს, რომ მდინარის ბარჟების მწარმოებელ ქარხნებს მის წინააღმდეგ საჩივარი შეეტანათ, ხიდის დანგრევას მოითხოვდნენ, რადგან ის საზოგადოების კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა. სამი მალა უკვე აგებული იყო. იმავე დღეს ნაგებობას ადგილობრივი ბანდა შეესია და ხარაჩოს ცეცხლი წაუკიდა. ნათ ტაგარტის მუშები გაიქცნენ: ზოგს შეეშინდა, ზოგი ბარჟების მწარმოებლებმა მოქრთამეს, უმეტესობამ კი იმიტომ მიატოვა სამუშაო, რომ ტაგარტი მათ კვირების განმავლობაში ვეღარ უხდიდა გასამრჯელოს. ნათი მთელი დღის განმავლობაში იღებდა ცნობებს იმის შესახებ, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის რკინიგზის“ აქციონერობის მსურველები ერთიმეორის მიყოლებით აუქმებდნენ თავიანთ ხელმოწერებს. შებინდებისას ტაგარტს ორივე ბანაკის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომიტეტი ეწვია. ეს მისი ბოლო იმედი იყო. ყველაფერი მშენებლობის ადგილზევე ხდებოდა, მდინარის ნაპირზე, მატარებლის ძველ ვაგონში, სადაც ტაგარტი ცხოვრობდა. ვაგონის ღია კარიდან ჩაშავებული ნანგრევები მოჩანდა, დაგრეხილი ფოლადის კონტრუქციის თავზე ჯერ კიდევ ხრჩოლავდა ხარაჩოების ნაშთები. კომიტეტის წევრებმა ნათს ურჩიეს, ხელი აეღო, მშენებლობაზე, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ სასამართლო. პროცესს უსათუოდ წააგებდა და ხიდს მაინც დაანგრევდნენ.

დაჰპირდნენ, თუ ამ საქმეს ნებაყოფლობით შეეშვებოდა და სხვა სარკინიგზო კომპანიების მსგავსად, ისიც ბარჟებით გადაიყვანდა მგზავრებს მდინარეზე, კონტრაქტს ხელი მოეწერებოდა და ფულს მიიღებდა სარკინიგზო ხაზის ასაშენებლად დასავლეთით, მდინარის მეორე ნაპირზე; თუ არადა, სესხს აღარ დაუმტკიცებდნენ:

მათ ჰკითხეს ტაგარტს, რა გადაწყვეტილებას“ მიიღებდა. ნათს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ხელშეკრულება დახია, ნაგლეჯები მათ გადასცა და გარეთ გავიდა. ხიდისკენ გაემართა, მალები გადაიარა, ბოლო კოჭთან ჩაიმუხლა, მუშების მიერ დატოვებული ხელსაწყოები აიღო და ფოლადის კონსტრუქციის გასუფთავებას შეუდგა. მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა დაინახა, როგორ მუშაობდა ნათი მდინარის პირას მარტო, ნაჯახით ხელში, მის უკან, დასავლეთით, სადაც მის სარკინიგზო ხაზს უნდა გაევლო, მზე ჩადიოდა. ტაგარტი იქ მთელი ღამე მუშაობდა. დილისთვის კი უკვე სამოქმედო გეგმა მოფიქრებული ჰქონდა, უნდა ეპოვა მიუკერძოებელი, თავისუფალი აზროვნების ადამიანები, დაეინტერესებინა ისინი, ეშოვა ფული და ხიდი დაესრულებინა.

დაგნი ჭიქის გატოკებისას სითხეში მოცახცახე სინათლის ლაქას ჩასცქეროდა და მშვიდად, ჩუმად ლაპარაკობდა, ემოციებისგან დაცლილი, ლოცვისთვის დამახასიათებელი მონოტონური ხმით:

— ფრანცისკო... თუ მან ის ღამე გადაიტანა, მე რა უფლებით ვწუწუნებ? რა მნიშვნელობა აქვს, რას ვგრძნობ ახლა? ნათმა ააგო ის ხიდი. მე კი ის მისი გულისთვის უნდა შევინარჩუნო. არ მაქვს უფლება, ისიც „ატლანტიკ საუთერნის“ ხიდივით მივაგდო. მეჩვენება, თითქოს მაშინ, იმ საზარელ ღამეს, როდესაც სულ მარტო იყო მდინარის ნაპირას, ნათმა ამის შესახებ იცოდა... ცხადია, სისულელეა, მაგრამ ახლა ასე მგრძნობ: თუ დავუშვი, რომ ეს უნდა მოხდეს, მე ყველა იმ ადამიანს ვუღალატებ,

ვინც იცის, რას გრძნობდა ნათ ტაგარტი იმ ღამეს, მასაც ვუღალატებ და ყველა იმ ადამიანსაც, რომელმაც იცის, რა გადაიტანა მან იმ ღამეს... მას ვერ ვუღალატებ.

— დაგნი, ახლა რომ ნათ ტაგარტი ცოცხალი იყოს, რას გააკეთებდა?

დაგნიმ მწარედ ჩაიცინა და თითქოს უნებლიეთ წამოსცდა:

— წუთსაც არ დაკარგავდა! — შემდეგ კი შეასწორა, — არა, ის რაიმე გზას გამონახავდა მათთან საბრძოლველად.

— როგორ?

— არ ვიცი.

ფრანცისკო წინ გადმოიხარა და დაგნიმ მისი ფრთხილი და დაჟინებული მზერა შენიშნა:

— დაგნი, შენი დირექტორთა საბჭოს წევრები ნათ ტაგარტს ვერ შეედრებიან ხომ ასეა? ერთ მუშტადაც რომ შეკრულიყვნენ, ვერაფრით აჯობებდნენ, ვერც ნებით, ვერც ნებისყოფით — ყველანი ერთად ნათის მეათასედიც არ ღირან.

— ასეა.

— მაშინ რატომ ხდება, რომ კაცობრიობის ისტორიაში ნათ ტაგარტის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ქვეყანას ქმნიდნენ და ყოველთვის იმარჯვებდნენ, საბჭოს წევრების მსგავს ადამიანებთან ბრძოლაში ყოველთვის მარცხდებოდნენ?

— მე... არ ვიცი.

— როგორ შეეძლოთ ადამიანებს, რომლებსაც შიშით ამინდის შესახებაც კი არ გამოუთქვამთ აზრი, ნათ ტაგარტს დაჰპირისპირებოდნენ? როგორ შეეძლოთ, მისი მიღწევა მიეტაცებინათ, თუ ტაგარტს გადაწყვეტილი ჰქონდა, დაეცვა ის? დაგნი, ნათი ყველა შესაძლო იარაღს იყენებდა ბრძოლისთვის, გარდა ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღისა. ისინი ვერ გაიმარჯვებდნენ, თუ ჩვენ — ნათი და ჩვენ — ჩვენს სამყაროს მათ არ ჩავაბარებდით.

— ჰო. შენ ჩააბარე მათ შენი სამყარო, შენ, ელის უაიატმაც და კენ დენეგერმაც მე კი ასე არ მოვიქცევი.

ფრანცისკომ გაიღიმა:

— ვინ გაუყვანა მათ „ჯონ გოლტის ხაზი“?

ფრანცისკომ დაგნის სახეზე მხოლოდ მისი ტუჩების უმნიშვნელო მოძრაობა შენიშნა, თუმცა იცოდა, რომ ეს კითხვა ქალისთვის ღია ჭრილობაზე მარილის მოყრას უდრიდა. მაგრამ დაგნიმ მაინც მშვიდად უპასუხა — მე გავუყვანე.

— ასეთი დასასრულისთვის?

— მე ის იმ ადამიანებისთვის გავიყვანე, რომლებიც უკან არ იხევენ და არ ნებდებიან. — ხომ არ ფიქრობ, რომ ამ ყველაფერს სხვანაირი დასასრული ვერც ექნებოდა?

— არა.

— მაინც, რამდენი უსამართლობის ატანას აპირებ?

— რამდენსაც გავუმკლავდები.

— ხვალ რას იზამ?

დაგნიმ მშვიდად უპასუხა, ამაყი მზერით:

— მის დაშლას დავიწყებ.

— რა?!

— „ჯონ გოლტის ხაზს“ დავშლი. დავშლი გულმოდგინედ, თითქოს საკუთარი ხელებით ვშლიდე, საკუთარი გონებით, ჩემივე განკარგულებების მიხედვით. ჯერ დახურვისთვის მოვამზადებ მას, შემდეგ დავშლი და ტრანსკონტინენტური

ლიანდაგის გასამაგრებლად გამოვიყენებ. ბევრი საქმე მელის. მოცლა არ მექნება. — დაგნის სიმშვიდემ უმტყუნა, ხმა გაებზარა, — იცი, ერთი სულიც კი მაქვს, როდის შევუდგები მუშაობას. მიხარია, ამის გაკეთება მე თვითონ რომ მომიწევს. სწორედ ამიტომ მუშაობდა ნათ ტაგარტი მთელი ის ღამე — მე რომ არ გავჩერდე. ვიდრე საქმე გაქვს, ყველაფერი არც ისე ცუდად არის. ის მაინც მეცოდინება, რომ მთავარ ხაზს გადავარჩენ.

— დაგნი, — ჰკითხა ფრანცისკომ ძალიან მშვიდად, მაგრამ დაგნის რატომღაც მოეჩვენა, თითქოს ფრანცისკოს ბედი მის პასუხზე იყო დამოკიდებული, — როგორ ფიქრობ, რა მოხდება, ძირითადი ხაზის დაშლა რომ მოგიწიოს?

დაგნიმ გულწრფელად უპასუხა:

— უკანასკნელ მატარებელს ჩავუვარდები! — მაგრამ შემდეგ შეასწორა, — არა. ეს მხოლოდ საკუთარი თავის შებრალებაა. ასე არ მოვიქცეოდი.

ფრანცისკომ მშვიდი ხმით თქვა:

— ვიცი, თუმცა კი ინატრებდი, ასე მოქცევა შეგძლებოდა.

— მართალია.

ფრანცისკომ გაიღიმა, დაგნისთვის არც შეუხედავს — ირონიული ღიმილით, რომელიც ტკივილს გამოხატავდა, დაცინვით კი: საკუთარ თავს დასცინოდა. დაგნის ვერ გაეგო, რატომ იყო ამაში ასე დარწმუნებული; თუმცა, იმდენად კარგად იცნობდა ფრანცისკოს სახეს, კონკრეტული მიზეზები რომც არ სცოდნოდა, მაინც ყოველთვის ხვდებოდა, რას გრძნობდა ის. დაგნი ისევე კარგად იცნობდა ფრანცისკოს სახეს, როგორც მისი სხეულის ყოველ ხაზს, თითქოს მოულოდნელად დაინახა კიდეც ისინი ტანსაცმელს მიღმა, ახლა, რამდენიმე ფუტის დაშორებით, ბარის ხალხმრავალ განმარტოებაში. ფრანცისკო გატრიალდა და მისი მზერის უცაბედმა ცვლილებამ დაგნი მიახვედრა, რომ მან იცოდა, ქალი რაზეც ფიქრობდა. მერე ფრანცისკომ თვალი აარიდა და ჭიქა აიღო ხელში.

— კარგი... — თქვა მან, — ნათ ტაგარტს გაუმარჯოს.

— და სებასტიან დ'ანკონიას? — ჰკითხა დაგნიმ და მაშინვე ინანა, რადგან მისმა სიტყვებმა უნებლიეთ დაცინვასავით გაიჟღერა.

მაგრამ ფრანცისკოს თვალები სიამაყეს ასხივებდა, მან მსუბუქად გაიღიმა და მტკიცედ უპასუხა:

— დიახ — და სებასტიან დ'ანკონიას.

დაგნის ხელი ცოტათი აუკანკალდა და რამდენიმე წვეთი ქაღალდის ოთხკუთხა ხელსახოცზე დაეცა, რომელიც მაგიდის მუქ, მბზინავ ზედაპირზე იდო. უყურებდა, როგორ დაცალა ფრანცისკომ სულმოუთქმელად სასმისი; ხელის სწრაფმა და მკვეთრმა მოძრაობამ ამ უბრალო სიტყვებს სადღესასწაულო ჟღერადობა შესძინა.

დაგნიმ მოულოდნელად გაიფიქრა, რომ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ფრანცისკო პირველად მივიდა მასთან საკუთარი ნებით.

ფრანცისკო ისე იქცეოდა, თითქოს უნდოდა, დაგნისთვის საკუთარი თავისადმი და იმ ყველაფრისადმი რწმენა ჩაენერგა, რაც მის გარშემო ხდებოდა, განგებ არ უტოვებდა დროს, დაფიქრებულიყო, თუ რატომ იყვნენ ისინი დღეს იქ ერთად. მერე დაგნიმ იგრძნო, რომ ფრანცისკოს მართვის სადავეები ხელიდან გამოსცლოდა.

მხოლოდ შემთხვევითი პაუზები და სახემიბრუნებული ფრანცისკოს შუბლის, ყვრიმალისა და პირის მკაფიო კონტური კარნახობდა რომ დ'ანკონია მთელი ძალით იბრძოდა იმისთვის, რასაც უსათუოდ უნდა დაუფლებოდა.

დაგნი ვერ ხვდებოდა, რა მიზანი ამოძრავებდა ფრანცისკოს იმ საღამოს, მერე კი გაიფიქრა, რომ მან შესაძლოა, უკვე მიაღწია კიდეც ამ მიზანს: დაგნის უმძიმესი წუთები გადაატანინა და ფასდაუდებელი დაცვით შეაიარაღა სასოწარკვეთილების წინააღმდეგ — იმის ცოდნით, რომ ჭკვიანმა ადამიანმა მოუსმინა და გაუგო, მაგრამ რატომ მოუნდა ასე მოქცევა? რატომ ზრუნავდა უბედურების ჟამს დაგნიზე, იმ მრავალწლიანი აგონიის შემდეგ, რომლისთვისაც თვითონვე გასწირა? რატომ გახდა მისთვის უცებ ასეთი მნიშვნელოვანი, როგორ გადაიტანდა დაგნი „ჯონ გოლტის ხაზის“ განადგურებას? და ახლაღა გაახსენდა, რომ სწორედ ეს უნდოდა, ეკითხა ფრანცისკოსთვის ტაგარტების ცათამბჯენის ბნელ ვესტიბიულში.

დაგნი ფიქრობდა, რომ მათ შორის კავშირი არსებობდა და ფრანცისკოს გამოჩენა იმ წუთებში, როდესაც ის ყველაზე მეტად დასჭირდებოდა, გასაკვირი აღარასოდეს მოეჩვენებოდა. მაგრამ ეს ძალიან სახიფათო იყო: დაგნი ყოველთვის მიენდობოდა ფრანცისკოს, მაშინაც კი, თუ ეცოდინებოდა, რომ კიდევ ერთ, მორიგ მახეში გაებმებოდა; მაშინაც კი, თუ ეხსომებოდა, რომ ის ყოველთვის ღალატობდა ადამიანებს, რომლებიც მას ენდობოდნენ.

ფრანცისკოს გადაჯვარედინებული ხელები მაგიდაზე დაეყრდნო და წინ იყურებოდა. მოულოდნელად, ისე, რომ ქალისკენ არც კი მიბრუნებულა, თქვა:

— მე იმ თხუთმეტ წელიწადზე ვფიქრობ, როდესაც სებასტიან დ'ანკონია საყვარელ ქალს ელოდა: არ იცოდა, კიდევ შეხვდებოდა თუ არა მას ოდესმე, გადარჩებოდა თუ არა ის ცოცხალი... დაუცდიდა თუ არა მას. მაგრამ სებასტიან დ'ანკონიამ იცოდა, რომ ქალი მის ბრძოლას ვერ გაუძლებდა და იქამდე ვერ უხმობდა მას, ვიდრე არ გაიმარჯვებდა. ამიტომაც იმ იმედით სულდგმულობდა, რომლის უფლებაც მას არ ჰქონდა. და თუ სებასტიანი საყვარელ ქალს, როგორც ახალი სამყაროს პირველ სენიორა დ'ანკონიას, თავის სახლში შეიყვანდა, მას ეცოდინებოდა, რომ ბრძოლა მოგებულია, რომ ისინი თავისუფლები არიან, რომ მას საფრთხე აღარ ემუქრება და გულს ვეღარაფერი ატკენს.

მათი მგზნებარე სიყვარულის მანძილზე ფრანცისკოს არასდროს მიუნიშნებია დაგნისთვის, რომ მასზე ისე ფიქრობდა, როგორც მომავალ სენიორა დ'ანკონიაზე.

დაგნი წუთით დაფიქრდა, ვინ იყო დღეს ის ფრანცისკოსთვის. მაგრამ მხოლოდ წუთით. უცებ ჟრუანტელმა დაუარა: ძნელი დასაჯერებელი ჩანდა, რომ განვლილ თორმეტ წელიწადს არაფერი შეეცვალა და ფრანცისკოს ის ჯერ კიდევ უყვარდა.

„აი, ესეც ახალი მახე“, — გაიფიქრა ქალმა.

— ფრანცისკო, — იკითხა დაგნიმ მტკიცე ხმით, — რა გაუკეთე ჰენკ რიერდენს?

ფრანცისკო დაიბნა, უცებ ვერ მიხვდა, რატომ ახსენეს ეს სახელი მაინცდამაინც ახლა.

— ამას რატომ მეკითხები? — ჰკითხა მან ქალს.

— მან ერთხელ მითხრა, რომ შენ ერთადერთი ადამიანი იყავი, რომელიც მოსწონდა. მაგრამ ბოლოს როცა ვნახე, თქვა, რომ თუ სადმე განახავდა, მოგკლავდა.

— მიზეზი არ უთქვამს?

— არა.

— არაფერი მოუყოლია ამის შესახებ?

— არა. — დაგნიმ ფრანცისკოს უცნაური ღიმილი დაინახა, სევდიანი, მადლიერი და მწუხარე ღიმილი, — როდესაც მითხრა, რომ შენ ერთადერთი იყავი, ვინც მას მოსწონდა, გავაფრთხილე, რომ გულს ატკენდი.

ფრანცისკოს სიტყვები მოულოდნელ აფეთქებას ჰგავდა:

— ის მეორე ადამიანი იყო, — კიდევ ერთი სხვა ადამიანის მერე, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეს მივცემდი!

— პირველი ვინ არის?

— ადამიანი, რომელსაც უკვე შევწირე სიცოცხლე.

— რას გულისხმობ?

ფრანცისკომ თავი ისე გააქნია, თითქოს ზედმეტი წამოცდა და პასუხი აღარ გაუცია.

— რა გაუკეთე რიერდენს?

— როდისმე გეტყვი. მაგრამ არა ახლა.

— ისე მოექეცი, როგორც ექცევი ხოლმე მათ, ვინც ვინც შენთვის ძალიან მნიშვნელოვანია? — ფრანცისკომ დაგნის გულწრფელი, უმანკო, ტკივილით აღსავსე ღიმილით ახედა.

— იცი, — უპასუხა მან ალერსიანად; — შემეძლო, მეთქვა, რომ ისე მოვიქეცი, როგორც ისინი მექცეოდნენ ყოველთვის. — შემდეგ კი დაამატა, — მაგრამ მე არ ვიტყვი ამას. ჩემს მოქმედებებზე და ცოდნაზე მევე ვაგებ პასუხს მერე წამოდგა.

— ხომ არ წავიდეთ? სახლამდე მიგაცილებ დაგნი ადგა. ფრანცისკომ მას პალტო მიაწოდა. როდესაც ქალს ფართო პალტო მოასხა, ლამის მოეხვია მას. დაგნიმ იგრძნო, რომ ფრანცისკოს ხელი მის მხრებზე წამით იმაზე მეტხანს შეყოვნდა, ვიდრე... ეს თვითონ სურდა.

დაგნიმ ფრანცისკოს შეხედა. ის ადგილზე გაქვავებულიყო და დაჟინებით დასჩერებოდა მაგიდას. წამოდგომისას მათ შემთხვევით ქაღალდის ხელსახოცებს ადგილი უცვალეს და დაგნიმ მაგიდის ზედაპირზე ამოკვეთილი წარწერა დაინახა. როგორც ჩანს, ეცადათ მისი წაშლა, მაგრამ ამაოდ. თითქოს ვიღაც სასოწარკვეთილი უცნობის უკვდავყოფილი მთვრალი ხმა კითხულობდა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

დაგნის მოულოდნელად ბრაზი მოერია და წარწერას ხელის მკვეთრი მოძრაობით ისევ დააფარა ხელსახოცი. ფრანცისკომ ჩაიცინა.

— მე შემიძლია, ამ კითხვას ვუპასუხო, — თქვა მან, — შემიძლია, გითხრა, ვინ არის ჯონ გოლტი.

— მართლა? თითქოს მას ყველა იცნობს, მაგრამ მის შესახებ სულ სხვადასხვა ამბებს ჰყვებიან.

— მიუხედავად ამისა, რაც კი მის შესახებ გსმენია, ყველაფერი სიმართლეა.

— კარგი, მაშინ შენ რას მეტყვი? ვინ არის ეს კაცი?

— ჯონ გოლტი პრომეთეა, რომელმაც აზრი შეიცვალა. მას მერე, რაც საუკუნეების განმავლობაში სვავები კორტნიდნენ იმის გამო, რომ მან ადამიანებს ღვთაებრივი ცეცხლი მიუტანა, პრომეთემ ბორკილები დაწყვიტა და თავისი ცეცხლიც თან წაიღო — და ასე იქნება იქამდე, ვიდრე ადამიანები თავიანთ სვავებს არ მოაშორებენ. * * *

კოლორადოს გრანიტის მთებს შორის რკინიგზის ლიანდაგი მიიკლაკნებოდა.

დაგნი შპალებს მიუყვებოდა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაეყო, და არაფრის მთქმელ მანძილს გაჰყურებდა; რკინიგზასთან დაკავშირებული მოქმედების შეგრძნებას მას მხოლოდ ლიანდაგის შპალების დანაყოფებისთვის ფეხის აწყობის ნაცნობი მოძრაობა უქმნიდა.

ცასა და მთებს შორის თითქოს ნისლი და ღრუბელი კი არა, ნაცრისფერი ბამბის ნესტიანი ქულები ეკიდა და ცა ძველ ლეიბს ჰგავდა, რომელიც ადგილ-ადგილ

დაფლეთილიყო და მისი სატენი მთების მწვერვალებზე გადმოფანტულიყო. მიწას გადაკრულ ხრაშუნა ლიპს არც ზამთრის თოვლი ეთქმოდა და არც გაზაფხულის თოვლჭყაპი. ჟინჟღლავდა და დაგნი დროდადრო სახეზე ყინულოვან ჩხვლეტას გრძნობდა — ეს რაღაც საშუალო იყო წვიმის წვეთსა და თოვლის ფიფქს შორის.

ამინდს გეგონებოდა, გადაწყვეტილების მიღება აფრთხობდა და ადგილზე ტკეპნიდა მიწას. „დირექტორთა საბჭოსავით“, — გაიფიქრა დაგნიმ; შუქი თითქოს დაწრეტილიყო და დაგნი ვერ იტყოდა,; 31 მარტის შუადღე იყო თუ საღამო. ერთი კი იცოდა დარწმუნებით, რომ ნამდვილად 31 მარტი იდგა; ამას ვერსად გაექცეოდა.

კოლორადოში ჰენკ რიერდენთან ერთად ჩამოვიდა, დახურულ ქარხნებში შემორჩენილი აღჭურვილობა რომ შეესყიდათ. ეს ჩასაძირავად განწირული გემის უკანასკნელ, ნაჩქარევ დათვალიერებას ჰგავდა, ვიდრე ის სამუდამოდ დაინთქმებოდა ფსკერზე. შეიძლებოდა, ამ საქმის დაქირავებული ადამიანებისთვის მინდობა, მაგრამ ორივე ფარულ საბაბს წაექეზებინა: ვერ მოერივნენ სურვილს, უკანასკნელი მატარებლით ემგზავრათ, ისევე, როგორც ადამიანებს უჭირთ ხშირად, უკანასკნელი პატივი არ მიაგონ გარდაცვლილს და შენდობა არ სთხოვონ, თუმცა იციან, რომ ამით მხოლოდ თავს დაიტანჯავენ. ისინი არაკანონიერი გზებით იძენდნენ აღჭურვილობას საეჭვო მფლობელებისგან, რადგან ვერავინ იტყოდა, ვის ეკუთვნოდა ამ უზარმაზარი, ფუნქციადაკარგული საკუთრების განკარგვის უფლება და გარიგებების კანონიერებასაც ვერავინ დააყენებდა ეჭვქვეშ. მათ ყველაფერი შეისყიდეს, რისი. გატანაც კი შეიძლებოდა „ნილსენ მოტორსის“ გაპარტახებული ქარხნიდან. ტედ ნილსენს .საქმიანობისთვის თავი მიენებებინა და გამქრალიყო ერთი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც სარკინიგზო ხაზის დახურვა გამოაცხადეს.

დაგნი თავს მტაცებლად გრძნობდა, მაგრამ ნადირობის აზარტმა შეიყოლია და ბოლო რამდენიმე დღე გადაატანინა. როდესაც აღმოაჩინა, რომ უკანასკნელი მატარებლის გასვლამდე სამი საათი იყო დარჩენილი, განაპირა გზებზე სახეტიალოდ გაეშურა“ ამ მომაკვდავ ქალაქს რომ გასცლოდა. ალალბედზე მიუყვებოდა დაგრაგნილ ლიანდაგს“ მარტო მიაბიჯებდა კლდეებსა და თოვლს შორის, ცდილობდა, მოძრაობით ჩაენაცვლებინა ფიქრი. იცოდა, ეს დღე ისე უნდა გადაეგორებინა, რომ იმ ზაფხულზე არ ეფიქრა, როდესაც ამ ხაზის პირველი მატარებლით მოქროდა.

მაგრამ შემდეგ აღმოაჩინა, რომ „ჯონ გოლტის ხაზის“ შპალებს მიუყვებოდა და გააცნობიერა, რომ რაღაც ძალა აქეთ ეზიდებოდა და გასეირნებაც ამან გადააწყვეტინა. ეს დამატებითი ლიანდაგი იყო, რომელიც უკვე დაეშალათ. აღარსად ჩანდა სასიგნალო სინათლეები, გადამრთველები, არც სატელეფონო ხაზები, მხოლოდ ხის შპალების გრძელი ზოლი გაწოლილიყო მიწაზე — რელსების გარეშე დარჩენილი შპალების ეს ჯაჭვი ხერხემლის ნაშთს ჰგავდა, მისი ერთადერთი მცველი კი მიტოვებულ გადასასვლელთან აღმართული გადახრილი ბოძი იყო, რომელიც იუწყებოდა: „შეჩერდი!“ და „ფრთხილად, მატარებელი მოდის!“

ნისლთან შერწყმული ნაადრევი წყვდიადი ხეობაზე ეშვებოდა, როდესაც დაგნი ქარხანას მიადგა. მაღლა, შენობის წინა კედელზე, კრიალა დაფაზე წაეწერათ: „როჯერ მარში. ელექტრონული მოწყობილობები“. „ეს ის კაცი იყო, რომელსაც სურდა, თავი მიეჯაჭვა სამუშაო მაგიდაზე, აქაურობა რომ არ მიეტოვებინა“, — გაახსენდა დაგნის. შენობა ახალგარდაცვლილის“ ცხედარივით უვნებელი იდგა, როდესაც უნებლიეთ ელოდები, რომ უკვე ჩამქრალ, დახუჭულ თვალებში სადაცაა, კვლავ სიცოცხლე ჩადგება. დაგნის „ეჩვენებოდა,“ რომ უზარმაზარ. ფანჯრებში,

გრძელი, ბრტყელი სახურავის ქვეშ, შუქი ნებისმიერ წამს შეიძლებოდა ანთებულიყო: შემდეგ ერთი ჩამსხვრეული ფანჯარა შენიშნა, რომელსაც ვიღაც თავქარიანმა ქვა ესროლა თავის შესაქცევად, მერე კი თვალი მოჰკრა მთავარი შესასვლელის კიბეზე საფეხურებს შორის ეულად ამოსული სარეველას მაღალ, გამხმარ ღეროს. სარეველას უტიფრობით გამძვინვარებული, ისე ეკვეთა მას, თითქოს საშინელი მტრის მზვერავს წასწყდომოდეს, და გაუაზრებელი სიძულვილით დაბრმავებულმა, მცენარე ფესვებიანად ამოგლიჯა. როდესაც გამოერკვა და დახურული“ ქარხნის კიბეზე ჩამომჯდარი, მშვიდად გარინდებულ მთებს გასცქეროდა, საკუთარ თავს ჰკითხა: „მაინც, რა გგონია, აქ რას აკეთებ?“

უკვე თითქმის ბნელოდა, როდესაც ქალაქ მარშვილის განაპირას ამოყო თავი, იქ, სადაც შპალები სრულდებოდა. ეს. პატარა ქალაქი ბოლო თვეების განმავლობაში სარკინიგზო ხაზის უკანასკნელი წერტილი იყო; უაიატის საკვანძო სადგურის მომსახურება დიდი ხნის წინ შეწყვეტილიყო, ხოლო დოქტორ ფერისის მიერ წარდგენილი აღდგენა-განვითარების პროექტი ჯერ კიდევ ზამთარში ჩავარდა.

ბურუსში გამოკიდებული ქუჩის ფარნების ყვითელი სფეროები, რომლებიც თანდათან პატარავდებოდნენ, გრძელ ძეწკვად მიუყვებოდნენ მარშვილის უკაცრიელ ქუჩებს. შედარებით უკეთესი, მოწესრიგებული, მტკიცედ ნაგები და მოვლილი სახლები დაკეტილი იყო — მათ წინ, გაზონებზე, გაცრეცილი მოჩანდა აბრები: „იყიდება“. მაგრამ უბრალო, ჭყეტელა ფერებად გადაღებილი, რამდენიმე წელიწადში უკვე კარგა გვარიანად ჩამოფხავებული და ჯურღმულებად ქცეული სახლების ფანჯრებიდან სინათლე მოჩანდა. ეს სახლები იმ ადამიანებს ეკუთვნოდათ, რომლებიც სხვაგან არ გადასულიყვნენ საცხოვრებლად, და რომელთა სამომავლო გეგმები, მომდევნო ერთ კვირას არასოდეს გასცდენია. დაგნიმ თვალი მოჰკრა დიდ, ახალ ტელევიზორს ერთ-ერთი სახლის განათებულ ოთახში, რომელსაც სახურავი დასცურებოდა და კედლები დასკდომოდა. „ნუთუ ამ სახლში მცხოვრებ ადამიანებს იმედი აქვთ, რომ კოლორადოს ელექტროენერგიის მწარმოებელი კომპანიები კიდევ დიდხანს მოახერხებენ ფუნქციონირებას?“ — გაიფიქრა მან. შემდეგ თავი გააქნია:

ამ ხალხმა ისიც კი არ იცოდა, ასეთი კომპანიები თუ არსებობდა.

მარშვილის მთავარ ქუჩაზე დახურული მაღაზიების ჩაბნელებული ფანჯრები ჩამწკრივებულიყო. ყველა ის მაღაზია, სადაც ძვირფასი ნივთები იყიდებოდა, დაეხურათ. დაგნის გააჟრჟოლა, როდესაც გააცნობიერა, რომ იმ ყველაფერზე, რასაც მან ფიქრში „ძვირფასი“ უწოდა, ადრე ღატაკებსაც კი მიუწვდებოდათ ხელი. საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობების მაღაზია, ქიმწმენდა, გაზის გასამართი სადგური, აფთიაქი, უნივერსალური მაღაზია — ყველაფერი დაეხურათ. მხოლოდ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებისთვის და სასადილოებისთვის არ ეხლოთ ხელი.

რკინიგზის სადგურის ბაქანი ხალხით იყო სავსე. პროჟექტორების შუქებს ის თითქოს გარს შემორტყმული მთების ალყიდან გამოეტაცებინა და პატარა სცენისთვის დაემსგავსებინა, ამ სცენაზე გათამაშებულ ყოველ მოქმედებას კი მაყურებლები ღამის წყვდიადით მოცული იარუსებიდან შესცქეროდნენ. ხალხი ბარგს მიათრევდა, თავს უყრიდა ბავშვებს, დაობდა სალაროებთან, მათი მიმოხვრა, რომელშიც ჩახშობილი პანიკა იგრძნობოდა, აჩვენებდა;, რომ სინამდვილეში მხოლოდ ის უნდოდათ, მიწაზე დამხობილიყვნენ და შიშისგან ეყვირათ. მათ შიშს პანიკის ელფერი ედო, რადგან მისი საფუძველი რეალობის გაცნობიერება კი არა, გაცნობიერებაზე უარის თქმა იყო.

ბაქანთან უკანასკნელი მატარებელი ჩამომდგარიყო. მის ფანჯრებს სინათლის გრძელი, თანაბარი ზოლი გასდევდა. ორთქლის ოხშივარში გახვეული ლოკომოტივი ადრინდელივით ხალისიანად აღარ ქშინავდა, ახლა ეს მომაკვდავის აგონიურ ხროტინს უფრო ჰგავდა, რომელიც შემზარავი სასმენია, მაგრამ კიდევ უფრო შემზარავი მაშინ არის, როდესაც შეწყდება. შორს, განათებული ფანჯრების ბოლოში, დაგნიმ თავის პირად ვაგონზე მიმაგრებული ფარნის პატარა წითელი წერტილი დაინახა, ფარნის მიღმა უკუნი წყვდიადიღა იყო.

მატარებელი ბოლომდე იყო გადაჭედილი და გასასვლელებში დროდადრო ისტერიკული ხმით ითხოვდნენ, ცოტა შევიწროვდითო ისინი, ვინც თვითონ არსად მიემგზავრებოდნენ, მაგრამ აქ ბრიყვულ ცნობისმოყვარეობას მოეყვანა; თითქოს იცოდნენ, რომ ეს შესაძლოა, უკანასკნელი მოვლენა ყოფილიყო, რომლის მომსწრენიც გახდებოდნენ თავიანთ დასახლებაში და, ეგებ, სიცოცხლეშიც კი.

— დაგნიმ აჩქარებული ნაბიჯებით გაიარა ბრბო, თან ცდილობდა, არავისთვის შეეხედა. ზოგიერთმა იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ უმეტესობა ვერ ცნობდა. მოხუცი ქალი შენიშნა, რომელსაც მხრებზე დაძენძილი მოსასხამი შემოეხვია და ნაოჭებით დაღარულ სახეზე ეწერა, რომ მთელი ცხოვრება ლუკმაპურისთვის იბრძოდა; თვალებით დახმარებას ივედრებოდა. გაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, ამაღლებულ ადგილას შემდგარიყო და გამვლელებს უყვიროდა:

— ვინ ამბობს, რომ ბიზნესი აღარ არსებობს! შეხედეთ ამ მატარებელს! სავსეა მგზავრებით! ბიზნესის მეტი რა არის! უბრალოდ, ისინი მოგებას ვეღარ ნახულობენ და ამიტომაც გაგწირეს საშიმშილოდ ამ გაუმაძღარმა მუქთახორებმა!

დაგნისთან თმაგაწეწილი ქალი მიქანდა, ორი ბილეთი აუფრიალა და ყვირილით რაღაც ეუბნებოდა არასწორი თარიღის შესახებ. დაგნი ბრბოს მიარღვევდა, ცდილობდა, მატარებლის ბოლოსთვის მიეღწია, მაგრამ მას ყვირილით მიეჭრა გაძვალტყავებული, მზერაგაქვავებული კაცი:

— თქვენ რა გიჭირთ, თბილი პალტო და ცალკე ვაგონი გაქვთ, ჩვენ კი მატარებლებს არ გვაძლევთ, თქვენ და ყველა ის ეგოისტი...

მოულოდნელად მან ვიღაც დაინახა დაგნის ზურგს უკან და ენა ჩაუვარდა დაგნიმ იგრძნო, რომ იდაყვზე შეეხნენ — ეს ჰენკ რიერდენი იყო. მან ქალს მტკიცედ ჩასჭიდა მკლავში ხელი და ვაგონისკენ გაუძღვა; როცა დაგნიმ ჰენკის გამომეტყველება დაინახა, მიხვდა, რატომ უთმობდნენ მათ გზას ადამიანები. ბაქნის ბოლოს ფერწასული, ტანსრული კაცი იდგა და ატირებულ ქალს ეუბნებოდა:

— ამ სამყაროში ყოველთვის ასე იყო ღარიბები ვერაფერს მიაღწევენ ვიდრე მდიდრები არ გაწყდებიან.

მაღლა, ქალაქის თავზე, წყვდიადით მოცულ სივრცეში, მბორგავი პლანეტასავით, უაიატის ჩირაღდნის ალი იკლაკნებოდა ქარში.

რიერდენი ვაგონში შევიდა, მაგრამ თვითონ დაგნი ტამბურის კიბეზე იდგა და შესვლას არ ჩქარობდა. ესმოდა, როგორ დაიყვირეს: „ყველანი მატარებელში!“ და ისე შეჰყურებდა ბაქანზე დარჩენილებს, როგორც იმ ადამიანებს შეცქერიან რომელთა ადგილიც სამაშველო ნავში აღარ აღმოჩნდა.

გამცილებელი დაბლა, კიბის ძირას იდგა, ერთ ხელში ფარანი ეჭირა, ხოლო მეორეში საათი. მან ჯერ საათს შეხედა, შემდეგ კი დაგნის. ქალმა თვალები უხმოდ დახუჭა და თავი დაუქნია — უხმო დასტური მისცა. თვალი მოჰკრა, როგორ შემოხაზა გამცილებლის ფარანმა ჰაერში წრე და ბორბლების პირველი ბიძგიც იგრძნო

რიერდენ მეტალისგან დამზადებულ რელსებზე. ვაგონში რომ შევიდა და რიერდენის მზერა შემოეგება, ცოტათი მაშინღა მოეშვა გულზე.

* * *

როდესაც ჯეიმს ტაგარტმა ლილიან რიერდენს დაურეკა ნიუ-იორკიდან და უთხრა: „არა, არა, არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ, მინდოდა, გამეგო, თავს როგორ გრძნობ, რატომ ამბობ ამას, არა — არავითარი განსაკუთრებული მიზეზი არ მაქვს, შემთხვევით, ქალაქში ხომ არ აპირებდი ჩამოსვლას. საუკუნეა, არ მინახიხარ, ჰოდა, ვიფიქრე, ერთად ხომ არ გვესაუზმა, როდესაც ნიუ-იორკში ჩამოხვიდოდი“, — ლილიანი მიხვდა, რომ ტაგარტმა რაღაც ჩაიფიქრა.

და როდესაც ლილიანმა ზანტად უპასუხა: „ოჰ, ერთი წუთით, დავფიქრდები — დღეს რა დღეა? ორი აპრილი? კალენდარში უნდა ჩავიხედო. რატომაც არა, ხვალისთვის საყიდლებზე წასვლა მქონია დაგეგმილი ნიუ-იორკში, ასე რომ, სიამოვნებით მივიღებ შენს შეთავაზებას“, — ჯეიმსმაც იცოდა, რომ ლილიანს არავითარ საყიდლებზე წასვლა არ ჰქონია დაგეგმილი და ქალაქში მისი ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი ეს ლანჩი იყო. ისინი ერთმანეთს ძვირად ღირებულ რესტორანში შეხვდნენ, სადაც მხოლოდ რჩეულნი დაიარებოდნენ და მეტისმეტად მდიდრული იყო საიმისოდ, ყვითელი პრესის ფურცლებზე რომ ეხსენებინათ, იმ ადგილებისგან განსხვავებით, სადაც საზოგადოებრივი რეკლამის დიდი ტრფიალი ჯიმ ტაგარტი მუდმივ კლიენტად ითვლებოდა. „ესე იგი, ჯიმს არ სურს, ერთად დაგვინახონ“, — დაასკვნა ლილიანმა.

ლილიანს სახეზე მსუბუქი ღიმილი დასთამაშებდა, ვიდრე ჯიმი მათ საერთო მეგობრებზე, თეატრებზე და ამინდზე ლაპარაკობდა და გულმოდგინედ ცდილობდა, უმნიშვნელო ფრაზებით დამცავი კედელი აეგო თავის გარშემო. ლილიანი გრაციოზულად მოშვებული იჯდა და თითქოს თავს ირთობდა ამ წარმოდგენის ამაოებითა და იმ ფაქტით, რომ ჯიმი: იძულებული-გახდა, მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად ეს. სპექტაკლი დაედგა. ლილიანი მოთმინებითა და ცნობისმოყვარეობით ელოდა, როდის შეიტყობდა ტაგარტის განზრახვას.

— ვფიქრობ, შენ მართლაც იმსახურებ შექებას ან მედალსაც კი, ჯიმ, — თქვა ქალმა, — იმისთვის, რომ ახერხებ, ასეთი მხიარული იყო, მიუხედავად ყველაფრისა, რაც ამ ბოლო ხანს თავს დაგატყდათ. განა ახლახან არ დახურეთ თქვენი რკინიგზის საუკეთესო განშტოება?

— ოჰ, ეს მხოლოდ უმნიშვნელო ფინანსური მარცხია, მეტი არაფერი. ჩვენს დროში ხარჯებს გვერდს ვერ აუვლი. ქვეყნის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, საქმეს თავს კარგად ვართმევთ; დანარჩენებზე უკეთ. — შემდეგ კი მხრების აჩეჩვით დაამატა, — გარდა ამისა, ისიც საკითხავია, იყო თუ არა რიო ნორტეს ხაზი ჩვენი საუკეთესო განშტოება. ასე მხოლოდ ჩემი და თვლიდა: ეს მისი საყვარელი პროექტია.

ლილიანმა შეამჩნია, რომ ტაგარტის სიტყვებში აშკარა კმაყოფილება გაკრთა.

გაიღიმა და თქვა:

— მესმის.

ჯიმმა შუბლს ქვემოდან დაჟინებით ახედა ქალს ახედა და ისე იკითხა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ის მიუხვდებოდა:

— ის როგორ შეხვდა ამ ამბავს?

— ვინ? — ლილიანი მშვენივრად ხვდებოდა, ვინ იგულისხმა ჯიმმა.

— შენი ქმარი.

— შეხვდა რას?

— ამ ხაზის დახურვას.

ლილიანმა მხიარულად გაიღიმა:

— რასაც მე ვხვდები, იმას შენც ხვდები, ჯიმ — მე კი ნამდვილად ვიცი, რომ ვხვდები. — რას გულისხმობ?

— შენ იცი, როგორც მიიღებდა ამ ამბავს, ისევე, როგორც იცი, რა რეაქცია აქვს შენს დას ამ ყველაფერზე. ასე რომ, არ გინდა...

— რას ამბობდა ეს ბოლო დღეები?

— უკვე კვირაზე მეტია, რაც კოლორადოშია, ამიტომაც მე... — ლილიანი დადუმდა, შენიშნა, რომ ჯიმმა ეს მეტისმეტად სერიოზული შეკითხვა რაღაც ხაზგასმით დაუდევარი ტონით დაუსვა და მიხვდა, რომ მან პირველი ნაბიჯი გადადგა ნამდვილი მიზნისკენ. ლილიანი სულ ერთი წამით დუმდა, შემდეგ კი კიდევ უფრო უდარდელად განაგრძო, — ამიტომაც, მე ეს ვერ მეცოდინება მაგრამ ახლა უკვე შესაძლოა, ნებისმიერ დღეს ჩამოვიდეს.

— შენი აზრით, ის კვლავ ჯიუტად განაგრძობს ამბოხს?

— ეს კიდევ მსუბუქი ნათქვამია, ჯიმ!

— თითქოს იმედი გაჩნდა, რომ გარემოებები სიბრძნეს შემატებდა.

ლილიანი თავს იქცევდა და არ იმჩნევდა, რომ მისთვის უკვე ყველაფერი დღესავით ნათელი იყო.

— ოჰ, დიახ, — თქვა მან მიამიტად, — კარგი იქნებოდა, რაიმეს რომ შეეძლოს მისი შეცვლა.

— საშინლად ირთულებს საქმეს.

— ის ყოველთვის ასე იქცეოდა.

— მაგრამ გარემოებები ადრე თუ გვიან ჩვენ, ყველას გვიბიძგებს მეტი მოქნილობა გამოვავლინოთ.

— მასზე ბევრი რამ უთქვამთ, მაგრამ „მოქნილობისა“ რა მოგახსენო — დრო იცვლება და მასთან ერთად — ადამიანებიც. ბოლოს და ბოლოს, ბუნების კანონია, რომ ცხოველები გარემოს უნდა შეეგუონ. მე დავამატებდი, რომ ბუნების გარდა, სხვა კანონების მიხედვითაც, ამჟამად ყველაზე საჭირო თვისება სწორედ შეგუების უნარია. ჩვენ ძალიან მძიმე დროში გვიწევს ცხოვრება, და არ მინდა, ვნახო, როგორ დაიტანჯები მისი შეურიგებელი პოზიციის შედეგებით. როგორც შენს მეგობარს, არ მინდა, საფრთხე დაგემუქროს რაც გარდაუვალია, თუ ის თანამშრომლობას არ ისწავლის.

— შენი მადლობელი ვარ, ჯიმ, — თავაზიანად დაიჟღურტულა ლილიანმა ტაგარტი სიტყვებს ძუნწად და ფრთხილად არჩევდა შინაარსსა და ინტონაციას შორის წონასწორობის შესანარჩუნებლად, ნაწილობრივი სიცხადის საჭირო ხარისხისთვის რომ მიეღწია. უნდოდა, ლილიანს გაეგო მისთვის, მაგრამ არა ბოლომდე, არა ძირისძირობამდე. ურთიერთობის თანამედროვე ენის არსი, რომელსაც ტაგარტი სრულყოფილად ფლობდა, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანს ვერაფერი გაეგო ბოლომდე და სავსებით.

ჯიმმა მალევე აუღო ალღო მისტერ ვეზერბის. ვაშინგტონში ბოლო ჩასვლისას მას მუდარის ტონით უხსნიდა, რომ ტარიფების შემცირება სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდა რკინიგზას; ხელფასები გაზარდეს, მაგრამ პრესაში ჯერ კიდევ გაისმოდა ტარიფების შემცირების მოთხოვნები — და ტაგარტი ხვდებოდა, რასაც ნიშნავდა, მისტერ მაუჩი გაზეთებს ხმაურის ატეხვის უფლებას რომ აძლევდა. აცნობიერებდა,

რომ საფრთხეს ჯერ კიდევ არ ჩაევლო. მისტერ ვეზერბის მის მუდარაზე პირდაპირი პასუხი არ გაუცია, მაგრამ, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა, უდარდელი ტონით თქვა:

— უესლის იმდენი პრობლემა აქვს. ყველას რომ სული მოათქმევინოს, ფინანსების ენით თუ ვიტყვი, რაღაც საგანგებო პროგრამა უნდა აამოქმედოს, რომელზედაც თქვენ ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ. მაგრამ თვითონაც იცით, ამაზე რა ამბავს ატეხენ ქვეყნის არაპროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლები, მაგალითად, ისეთები, როგორც ჰენკ რიერდენია. ნამდვილად აღარ გვჭირდება, რიერდენმა კიდევ ერთი ოინი მოგვიწყოს. უესლი ვალში არ დარჩებოდა იმ ადამიანს, ვინც მის მართვას მოახერხებდა. მაგრამ, მგონი, ამას ვერავინ ვერ შეძლებს. თუმცა, იქნებ ვცდები. შენ უკეთ მოგეხსენება, ჯიმ, მასთან ხომ ერთგვარი მეგობრობა გაკავშირებს, შენ მიერ გამართულ წვეულებებს სტუმრობს და ასე შემდეგ...

ტაგარტმა ლილიანს შეხედა და უთხრა:

— მეგობრობა, ჩემი აზრით, ცხოვრებაში ყველაზე საიმედო რამ არის და, ვფიქრობ, საქმითაც დაგიმტკიცე.

— მაგრამ, მე ამაში არც არასდროს შემპარვია ეჭვი.

ტაგარტმა ავის მომასწავებელი გაფრთხილების ტონით წარმოთქვა:

— მიმაჩნია, რომ ჩვენი მეგობრობის სახელით, ვალდებული ვარ, გაგიმხილო, — თუმცა კი ეს საიდუმლოა, — რომ შენი ქმრის პოზიციას იქ, მაღლა განიხილავენ დარწმუნებული ვარ, ხვდები, რასაც ვგულისხმობ.

ტაგარტმა გაიფიქრა, რომ სწორედ ამის გამო სძულდა ლილიან რიერდენი ლილიანი ჩინებულად იცნობდა თამაშს, მაგრამ ყოველთვის საკუთარი, მოულოდნელი სახესხვაობებით თამაშობდა. ყველა წესს. ეწინააღმდეგებოდა — ხან განცვიფრებული გამომეტყველებით შეხედავდა ჯიმს, ხან პირდაპირ სახეში შესცინებდა, ხან კი მოულოდნელად — ვითომ არაფერი ესმოდა. პირდაპირ მიზანში ახვედრებდა.

— რასაკვირველია, ძვირფასო, ვხვდები, რასაც გულისხმობ. იმის თქმა გსურს, რომ ამ შესანიშნავი ლანჩის მიზანი ჩემთვის სამსახურის გაწევა კი არა, ჩემგან სამსახურის მიღება იყო. ეს შენ გემუქრება საფრთხე და გადაწყვიტე; ჩემი მხარდაჭერა გამოიყენო მაღალ ეშელონებში ვაჭრობისას. და კიდევ იმას ნიშნავს რომ შემახსენე ჩემი დაპირება, სიკეთისთვის სიკეთით გადაგიხადო.

— იმ წარმოდგენას, რომელიც მან დადგა სასამართლო პროცესზე, სიკეთისთვის სიკეთით გადახდა არ ჰქვია, — თქვა ტაგარტმა ბრაზით, — შენ მე ამას არ დამპირებიხარ. — მართალია, ამას არ დაგპირებივარ, — მშვიდად აღიარა ლილიანმა, — მაგრამ, ძვირფასო, თვითონაც ვხვდები, რომ ამ წარმოდგენის შემდეგ ის პოპულარული ვერ იქნება მაღალ ეშელონებში. მართლა გეგონა, რომ ვალდებული იყავი, გულითადად გაგემხილა ჩემთვის ეს საიდუმლო?

— კი მაგრამ, ეს სიმართლეა. შემთხვევით ყური მოვკარი, როგორ განიხილავდნენ მის საქციელს და ვიფიქრე, ეს შენთვის უნდა მეცნობებინა.

ეჭვიც არ მეპარება, რომ სიმართლეა. ვიცი, რომ ისინი მის შესახებ ისაუბრებდნენ. ისიც ვიცი, მისთვის რაიმეს დაშავება რომ ნდომებოდათ, პროცესი დასრულდებოდა თუ არა, ამას მაშინვე გააკეთებდნენ. ღმერთო, არადა, როგორ უნდოდათ!

ამიტომაც, ვხვდები, რომ დღეს ის ერთადერთია თქვენ შორის, ვისაც საფრთხე არ ემუქრება. ვიცი, რომ მათ ეშინიათ მისი. ახლა ხედავ, რა კარგად ჩავწვდი შენი ნათქვამის არსს, ძვირფასო?

— კეთილი, თუ ფიქრობთ, რომ ყველაფერი გესმის, ვერ დაგიმალავ და გეტყვი, რომ ჩემი მხრივ, მე საერთოდ არ მესმის შენი. ვერ ვხვდები, რას აკეთებ.

— მე უბრალოდ მინდა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა, რათა გააცნობიერო, როგორ ძალიან გჭირდები. ახლა კი, გულწრფელად გეტყვი სიმართლეს: მე.შენ არ მომიტყუებიხარ, უბრალოდ, დავმარცხდი. მისი საქციელი პროცესზე ჩემთვის უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე თქვენთვის. უამრავი მიზეზი მქონდა, მსგავსი არაფერი მევარაუდა. მაგრამ რაღაც ისე არ მოხდა. არ ვიცი, რა. ვცდილობ, მიზეზი გავიგო. და. როდესაც გავიგებ, ჩემს დაპირებას შევასრულებ. მერე კი სრული უფლება გექნება, ყველაფერი თვითონ დაიბრალო და მეგობრებს, იქ, მაღლა;, უთხრა, რომ ის პირადად შენ განაიარაღე. — ლილიან, — თქვა ტაგარტმა ნერვიულად; — მე სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც გითხარი, რომ მინდოდა, „ჩემი მეგობრობა დამემტკიცებინა შენთვის — ამიტომაც, თუ რაიმეთი შემიძლია, დაგეხმარო.

ქალმა გაიცინა:

— არ არის საჭირო ვიცი, რასაც გულისხმობდი მაგრამ შენგან არაფერი მჭირდება. არავითარი სამსახურის გაწევა არავითარი ვაჭრობა. მე მართლა უანგარო ადამიანი ვარ, სანაცვლოდ არაფერი მსურს. შენ არ გაგიმართლა, ჯიმ ჩემი ქველმოქმედების იმედად მოგიწევს ყოფნა:

— კი მაგრამ, მაშინ რატომ აკეთებ ამ ყველაფერს? შენ რას გამოელი ამ საქმიდან?

ლილიანი უკან გადაიხარა და გაიღიმა:

— ამ ლანჩს. შენს აქ ნახვას. და იმის ცოდნას რომ შენ მოგიწია ჩემთან მოსვლა ტაგარტს თვალები ჯერ რისხვით აენთო, მერე ნელ-ნელა დაუვიწროვდა და თვითონაც სკამის საზურგეს მიეყრდნო. სახე დაუმშვიდდა, ახლა მას ირონიული და კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა. იმ თავისი ქაოტური, გამოუთქმელი და ბინძური ღირებულებათა კოდექსის გადმოსახედიდანაც კი შეძლო,გაეცნობიერებინა, რომელი მათგანი უფრო მეტად იყო დამოკიდებული მეორეზე და ვინ უფრო მეტად იმსახურებდა ზიზღს.

როდესაც ისინი ერთმანეთს რესტორნის კართან დაშორდნენ, ლილიანი „უეინ-ფოლკლენდში“ წავიდა, რიერდენის ნომერში, სადაც ქმრის არყოფნისას ხანდახან რჩებოდა ხოლმე. თითქმის ნახევარ საათს, ფიქრებში წასული დააბიჯებდა ოთახში.

შემდეგ კი მტკიცე გადაწყვეტილებით აიღო ტელეფონის ყურმილი და ქარხანაში, ქმრის კაბინეტში დარეკა, მის აივსს ჰკითხა, როდის ბრუნდებოდა რიერდენი.

— მისტერ რიერდენი ხვალ ჩამოვა ნიუ-იორკში, ის „კომეტით“ ჩამოდის, მისის, რიერდენ, — მკაფიო და თავაზიანი ხმით უპასუხა მის აივსმა.

— ხვალ? შესანიშნავია. მის აივს, ერთ სამსახურს ხომ ვერ გამიწევდით? სახლში გერტრუდას ხომ ვერ დაურეკავდით და ეტყოდით, რომ სადილად არ მელოდოს? ამ ღამით ნიუ-იორკში ვრჩები.

ლილიანმა ყურმილი დაკიდა, საათს დახედა და „უეინ-ფოლკლენდის“ მეყვავილეს დაურეკა.

— მისის ჰენრი რიერდენი გაწუხებთ, — თქვა მან, — მინდა, თორმეტი ვარდი გაგზავნოთ მისტერ რიერდენის კუპეში „კომეტაზე“... დიახ, დღეს, შუადღისას,

როდესაც „კომეტა“ ჩიკაგოში ჩავა... არა, ბარათის გარეშე მხოლოდ ყვავილები... დიდი მადლობა.

ლილიანმა ჯეიმს ტაგარტსაც დაურეკა:

— ჯიმ, თქვენს სამგზავრო ბაქნებზე შესასვლელად“ საშვს ხომ ვერ გამომიგზავნიდი? ხვალ ჩემს ქმარს მინდა დავხვდე სადგურში.

ლილიანმა ერთხანს იყოყმანა, ბალფ იუბენკსა და ბერტრამ სკადერს შორის არჩევანი ვერ გაეკეთებინა, ბოლოს ბალფ იუბენკი ამჯობინა, დაურეკა მას და საღამოს სადილად დაპატიჟა ვარიეტეში. შემდეგ ცხელ აბაზანაში“ ჩაწვა და ჟურნალების კითხვას შეუდგა, რომლებიც პოლიტიკური ეკონომიკის პრობლემებს შეეხებოდა შუადღე გადასული იყო, ლილიანს მეყვავილემ რომ დაურეკა.

— ჩვენი ჩიკაგოს ფილიალიდან გვაცნობეს, რომ მათ ყვავილები: ვერ გაგზავნეს მის რიერდენ, — თქვა მან, — რადგან მისტერ რიერდენი კომეტაზე არ იმყოფება — დარწმუნებული ხართ? — იკითხა ლილიანმა.

— სავსებით, მისის რიერდენ. ჩვენმა თანამშრომლებმა ჩიკაგოს სადგურში თვითონ გაარკვიეს, რომ მისტერ რიერდენის სახელზე მატარებელში კუპე არავის დაუჯავშნია. ჩვენ ეს ინფორმაცია, ყოველი შემთხვევისთვის, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ნიუ-იორკის ოფისშიც გადავამოწმეთ, მათ კი გვითხრეს რომ კომეტის მგზავრთა სიაში მისტერ რიერდენის სახელი არ არის.

— გასაგებია... მაშინ გააუქმეთ შეკვეთა, გეთაყვა... მადლობა!

ლილიანი ერთი წუთი წარბშეკრული იჯდა ტელეფონთან შემდეგ მის აივსს დაურეკა.

— მომიტევეთ დაბნეულობა მის აივს, მაგრამ ვჩქარობდი და თქვენი სიტყვები არ ჩამიწერია, ახლა კი აღარ მახსოვს, რა მითხარით. ესე იგი, მისტერ რიერდენი ხვალ ბრუნდება? „კომეტით“?

— დიახ, მისის რიერდენ.

— რაიმე შეფერხება ან ცვლილება ხომ არ მომხდარა მის გეგმებში?

— არა. მისტერ რიერდენს დაახლოებით ერთი საათის წინ ველაპარაკე. მან ჩიკაგოს სადგურიდან დარეკა და თქვა, რომ უნდა ეჩქარა მატარებელზე დაბრუნება, რადგან „კომეტა“ სადაცაა გავიდოდა.

— გასაგებია. გმადლობთ.

დადო თუ არა ყურმილი, ლილიანი ფეხზე წამოიჭრა. ოთახში ნერვიულად, დაძაბული დააბიჯებდა. მერე კი მოულოდნელად რაღაც აზრმა გაუელვა თავში და გაოგნებული ადგილზე გაქვავდა. ., მხოლოდ ერთი მიზეზის გამო შეიძლებოდა, მამაკაცს მატარებლის კუპე გამოგონილი სახელით დაეჯავშნა: თუ ის მარტო არ მგზავრობდა.

ლილიანს სახეზე კმაყოფილი ღიმილი მოეფინა: ამგვარ შესაძლებლობაზე ვერც კი იოცნებებდა.

* * *

სადგურის ბაქანზე მდგარი ლილიან რიერდენი „კომეტიდან“ გადმოსულ მგზავრებს შესცქეროდა. დროდადრო პირზე ღიმილი გადაურბენდა ხოლმე, აღგზნებული მზერა სკოლის მოსწავლე გოგონასავით გადაჰქონდა ერთი სახიდან მეორეზე. წინასწარ ტკბებოდა, რომ ფიქრობდა, რა გამომეტყველება ექნებოდა რიერდენს, როდესაც თავის საყვარელთან ერთად მომავალი, ბაქანზე ცოლს დაინახავდა.

ლილიანი იმედით შესცქეროდა მატარებლიდან ჩამოსულ ყველა ახალგაზრდა ქალს. ეს ადვილი არ იყო: ერთ წამში ბაქანი თითქოს ადამიანების ნიაღვარმა წალეკა: ყველანი ერთი მიმართულებით მიიჩქაროდნენ და ცალკეული სახეების შეთვალიერება ძნელი აღმოჩნდა. განათება უფრო ბჟუტავდა, ვიდრე აშუქებდა და ბინდს სინათლის წვრილი ზოლები სერავდა. ლილიანი ძლივს ახერხებდა, მოზღვავებულ ნაკადს გამკლავებოდა.

რიერდენის დანახვამ მას თავზარი დასცა. ვერც კი შეამჩნია, როგორ გადმოვიდა მატარებლიდან, ახლა კი ის პირდაპირ მისკენ მოემართებოდა სადღაც შორიდან, შემადგენლობის ბოლოდან. მარტო იყო. თავისი ჩვეული საქმიანი ნაბიჯებით მოდიოდა, ხელები საწვიმარი პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო. გვერდით არც ქალი მოჰყვებოდა, არც ვინმე სხვა, გარდა მებარგულისა, რომელსაც მისი ჩანთა მოჰქონდა.

იმედგაცრუებული ლილიანი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა და გაცხარებული ცდილობდა, ბრბოში თუნდაც ნებისმიერი ქალის ფიგურა მოეძებნა, დარწმუნებული იყო, რომ ქმრის რჩეულს უსათუოდ იცნობდა. თუმცა, საეჭვო ვერავინ დაინახა.

მაგრამ მერე მოულოდნელად თვალი მოჰკრა მატარებლის ბოლო;, კერძო ვაგონის კიბესთან როგორ ესაუბრებოდა ქალი სადგურის თანამშრომელს. ეს დაგნი ტაგარტი იყო. სადგურის მეპატრონის შესაფერისად, წელში გამართული იდგა. სპორტული შემოსაცმელი, ნაცვლად წაულის ქურქისა და ლაბადისა, კიდევ უფრო გამოკვეთდა რკინიგზისა და სადგურის მეპატრონის უზადო სხეულის შეუდარებელ მოხდენილობას, და ლილიანი ყველაფერს მიხვდა.

— ლილიან! რა მოხდა?

ქალმა რიერდენის ხმა გაიგონა, მკლავზე კი მისი ხელის შეხება იგრძნო; დაინახა, რომ რიერდენი მას ისეთი შეშფოთებით შესცქეროდა, თითქოს ცოლს მისთვის თავდამცემი უბედურება უნდა ეუწყებინა. მაშინვე შენიშნა ლილიანის გაფითრებული და შეშინებული სახე.

— რა მოხდა? აქ რას აკეთებ?

— მე... გამარჯობა, ჰენრი... უბრალოდ, შენ დასახვედრად მოვედი... არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა... უბრალოდ, შენი ნახვა მსურდა. — ქალის სახიდან შიში გამქრალიყო, მაგრამ ის მაინც უცნაური, მონოტონური ხმით ლაპარაკობდა, — შენი ნახვა მომინდა, ეს იმპულსი იყო, წამიერი იმპულსი და თავი ვეღარ შევიკავე, რადგან — კი მაგრამ, შენ... ისე გამოიყურები... ავად ხომ არ ხარ?

— არა... არა, შესაძლოა, თავბრუ დამეხვა, აქ ისეთი ორომტრიალია... არ შემეძლო, არ მოვსულიყავი, რადგან ის დღეები გამახსენდა, როდესაც ჩემი ნახვა გიხაროდა... ეს წამიერი ილუზია იყო, წარსული რომ აღმედგინა — ლილიანის სიტყვები დაზეპირებული გაკვეთილივით გაისმოდა.

ხვდებოდა, რომ უნდა ელაპარაკა, ვიდრე მისი გონება მთელი ძალით ცდილობდა აღმოჩენის სრულად შეცნობას. ეს სიტყვები იმ გეგმის ნაწილი იყო, რომლის გამოყენებასაც აპირებდა, თუ რიერდენს მას მერე შეხვდებოდა, რაც ის კუპეში ვარდებს ნახავდა.

ჰენკი მოიღუშა და ცოლს მდუმარედ, დაჟინებით შეჰყურებდა — მენატრებოდი, ჰენრი. ვაცნობიერებ, რაშიც გიტყდები: თუმცა, იმედი არ მქონდა, რომ ეს შენთვის რაიმეს ნიშნავს. — ლილიანის სიტყვები არ შეესაბამებოდა მის დაძაბულ გამომეტყველებას, ძლივს დამორჩილებულ ბაგეებსა და მზერას, რომელიც ჯერ

კიდევ ბაქნის ბოლოსკენ იყო მიმართული, — მინდოდა... უბრალოდ, შენი გაოცება მინდოდა. — ლილიანის სახეს გამჭრიახობა და მიზანდასახულობა უბრუნდებოდა.

რიერდენმა ცოლს მკლავში წაავლო ხელი, მაგრამ ქალი უკან გაიწია, ზედმეტად მკვეთრადაც კი.

— ჩემთვის არაფრის თქმას არ აპირებ ჰენრი?

— რა გინდა, რომ ვთქვა?

— ასე ძალიან გეწყინა ცოლის მოსვლა სადგურში შენ დასახვედრად? — ლილიანმა ბაქანს გახედა: დაგნი ტაგარტი მათკენ მოდიოდა, მაგრამ რიერდენი მას ვერ ხედავდა — მოდი, წავიდეთ, — თქვა რიერდენმა.

ლილიანი არ განძრეულა.

— ასეა? — ჰკითხა მან ქმარს — რა?

— გეწყინა, შენ დასახვედრად რომ მოვედი?

— არა, არ მეწყინა. უბრალოდ, ვერ გავიგე.

— შენს მოგზაურობაზე მიამბე. დარწმუნებული ვარ, ძალიან ისიამოვნე — წავიდეთ. ამაზე სახლში ვისაუბროთ.

— როდისმე მქონია შენთან სახლში დალაპარაკების შესაძლებლობა? — ლილიანი უდრტვინველად წელავდა სიტყვებს, თითქოს დრო გაჰყავდა ჯერჯერობით მისთვისაც უცნობი მიზეზით, — იმედი მქონდა, რომ შენს ყურადღებას რამდენიმე წუთით მაინც მივიპყრობდი — ასე მაინც — მატარებლებით მგზავრობებს, საქმიან შეხვედრებსა და იმ მნიშვნელოვან საქმეებს შორის, რომლებითაც დღე და ღამე ხარ დაკავებული, დიად მიღწევებს შორის... გამარჯობა, მის ტაგარტ! — თქვა ლილიანმა მკვეთრად და ხმამაღლა.

რიერდენი შეტრიალდა. დაგნის მათთვის გვერდზე უნდა ჩაევლო, მაგრამ გაჩერდა.

— გამარჯობა, — უთხრა მან ლილიანს თავის დაკვრით და არაფრის მთქმელი გამომეტყველებით.

— ვწუხვარ, მის ტაგარტ, — თქვა ღიმილით ლილიანმა, — უნდა მომიტევოთ, თუ ჯეროვნად ვერ მოგისამძიმრებთ ამ შემთხვევის გამო. — ლილიანმა შენიშნა, რომ დაგნი და რიერდენი ერთმანეთს არ მისალმებიან, — შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ბავშვის დაკრძალვიდან ბრუნდებით, რომლის მამაც ჩემი ქმარი იყო?

დაგნის სახეზე გაკვირვება და თანაგრძნობა გამოესახა. მან ოდნავ დახარა თავი, თითქოს დამშვიდობების ნიშნად, და გზა განაგრძო.

ლილიანმა გამჭოლი მზერა მიაპყრო რიერდენს, კაცი კი მას უცნაურად, შეფიქრიანებული შეჰყურებდა.

ლილიანს არაფერი უთქვამს. ქმარს უსიტყვოდ გაჰყვა, როდესაც ის გასასვლელისკენ გაემართა. „უეინ-ფოლკლენდისკენ“ მიმავალ გზაზე, ტაქსიში, ლილიანი სანახევროდ შეტრიალებულიყო რიერდენისგან და ხმას არ იღებდა. რიერდენი ცოლის მოკუმული ტუჩებისას დანახვისას მიხვდა, რა უჩვეულო გააფთრებას მოეცვა ლილიანი. პირველად ხედავდა, რომ ცოლს ასეთი მძაფრი ემოციები დაუფლებოდა — როდესაც ოთახში მარტონი დარჩნენ, ლილიანი მკვეთრად შებრუნდა რიერდენისკენ, რომელიც მას გაოგნებული შესცქეროდა.

— შენი საყვარელი დაგნი ტაგარტია, ხომ ასეა? — იკითხა მან რიერდენი დუმდა.

— შემთხვევით გავიგე, რომ იმ მატარებელში კუპე არ დაგიჯავშნია ასე რომ, ვიცი, სადაც გეძინა ბოლო ოთხი ღამე. თვითონ აღიარებ ამას, თუ ვერძო

დეტექტივები დავაგზავნო მისი მატარებლის თანამშრომლებისა და შინამოსამსახურეების დასაკითხად? დაგნი ტაგარტია?

— დიახ, — უპასუხა რიერდენმა მშვიდად.

ლილიანმა შეჰყვირა, ტუჩები მოეღრიცა; სადღაც სხვაგან რიერდენის მიღმა იყურებოდა:

— უნდა მივმხვდარიყავი... აი, რატომ არ გამოვიდა არაფერი!

— რა არ გამოვიდა? — ჩაეკითხა დაბნეულად რიერდენი.

ლილიანმა უკან დაიხია, თითქოს ახლაღა გაახსენდა მისი იქ ყოფნა.

— მაშინ — როდესაც ის ჩვენს სახლში მოვიდა, წვეულებაზე უკვე მაშინ?..

— არა. მოგვიანებით.

— დიდი ბიზნესლედი, — თქვა ლილიანმა, — უმწიკვლო, უშიშარი, ქალური სისუსტეებისგან თავისუფალი. დიადი გონება, რომელზეც სხეული ვერ ბატონობს... — ჩაიცინა მან და უცებ გაჩერდა, — სამაჯური... — ლილიანს მზერა გაუქვავდა, თითქოს ეს სიტყვები შემთხვევით ამოტივტივდა მისი ფიქრების მორევიდან, — აი, სწორედ ამას ნიშნავდა დაგნი შენთვის. სწორედ მან მოგცა ეს იარაღი.

— თუ მართლა გესმის, რასაც ამბობ — ასეა, მართალი ხარ.

— გგონია, უფლებას მოგცემ, თავი დაიძვრინო?

— თავი დავიძვრინო? — რიერდენი ცოლს გაკვირვებით და გულგრილი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა.

— აი, თურმე შენს პროცესზე რატომ... — ლილიანი დადუმდა.

— ჩემს პროცესზე — რა?

ლილიანი კანკალებდა:

— შენ, რასაკვირველია, ხვდები, რომ არ დავუშვებ, ეს გაგრძელდეს.

— ჩემს პროცესთან ამას რა კავშირი აქვს?

— ნებას არ მოგცემ, მის გვერდით დარჩე. ოღონდ მასთან არა. ნებისმიერთან, ოღონდ არა მასთან.

რიერდენი წამით შეყოვნდა, შემდეგ კი მშვიდი ხმით იკითხა:

— რატომ?

— ამას არ დავუშვებ! შენ მას მიატოვებ! — რიერდენი ცოლს არაფრის მთქმელი გამომეტყველებით შესცქეროდა, მაგრამ მისი დაჟინებული მზერა მრისხანებაზე საშიში იყო, — შენ მას მიატოვებ, მას აღარასოდეს ნახავ!

— ლილიან, თუ საუბრის გაგრძელება გინდა, ერთი რამ უნდა შეიგნო: დედამინის ზურგზე ვერავინ და ვერაფერი ვერ მაიძულებს მის მიტოვებას.

— მაგრამ მე მოვითხოვ ამას!

— მე უკვე გითხარი, რომ ნებისმიერი რამე შეგიძლია, მოითხოვო, ამის გარდა.

რიერდენმა დაინახა, როგორ ჩაუდგა ლილიანს მზერაში უსაზღვრო შიში: ეს მზერა გაგებას კი არ გამოხატავდა, არამედ გააფთრებულ უარს გაგებაზე — ქალს თითქოს სურდა, თავისი ემოციის ძალა ნისლის შირმად ექცია, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ეს შირმა დააბრმავებდა და რეალობას ვეღარ დაინახავდა, და სწორედ სიბრმავე აიძულებდა რეალობას, გამქრალიყო.

— მაგრამ, მე უფლება მაქვს, ეს მოვითხოვო! შენი სიცოცხლე მე მეკუთვნის! ის ჩემი საკუთრებაა. ჩემი საკუთრებაა — შენი ფიცით. შენ დაიფიცე, რომ ჩემი ბედნიერებისთვის იცოცხლებდი. შენი კი არა — ჩემი ბედნიერებისთვის! როგორ მომექეცი? ჩემთვის არაფერი მოგიცია, ჩემი გულისთვის მსხვერპლი არასოდეს გაგიღია, სხვაზე არასოდეს გიფიქრია, მხოლოდ საკუთარი თავი გადარდებდა — შენი

საქმიანობა, შენი ქარხნები, შენი ნიჭი, შენი საყვარელი! ჩემზე რაღას იტყვი? მე პრეტენზიას ვაცხადებ პირველობაზე! შენ საბანკო ანგარიში ხარ, რომელიც მე მეკუთვნის!

სწორედ რიერდენის გამომეტყველება უბიძგებდა ლილიანს, უფრო ხმამაღლა აყვირებულიყო შიშისგან. ის ქმრის სახეზე ვერც ბრაზს ხედავდა და ვერც ტკივილს, მხოლოდ გულგრილობას.

— ჩემზე გიფიქრია? — სახეში შეჰყვიროდა ლილიანი რიერდენს, — გიფიქრია ოდესმე იმაზე, მე რას მიკეთებ? შენ არ გაქვს უფლება, ასე გააგრძელო! ყოველ ჯერზე, როცა იმ ქალთან წვები, მე ჯოჯოხეთისთვის მიმეტებ! ამის ატანა არ შემიძლია, ერთ წამსაც ვერ გავუძლებ, როცა უკვე ვიცი სიმართლე! ნუთუ შენს ცხოველურ ლტოლვას უნდა შემწირო მსხვერპლად? ასეთი ბოროტი და ეგოისტი ხარ? ნუთუ შეგიძლია, ჩემი ტანჯვის ფასად დატკბე სიამოვნებით? როგორ შეგიძლია, ისიამოვნო, როდესაც იცი, ამის გამო როგორ ვიტანჯები?

რიერდენი ვერაფერს გრძნობდა, გაოცების გარდა, და გონებით იმ ერთადერთ სურათს ხედავდა, წარსულში რომ სულ ერთი წამით მოეკრა თვალი და ახლა მთელი თავისი სიმახინჯით წარმოუდგა: როცა შებრალებას მძულვარე ღრენით, მუქარებითა და მოთხოვნებით ემუდარებიან.

— ლილიან, — თქვა რიერდენმა ძალიან მშვიდად, — მთელი შენი ცხოვრება რომ იწვალო, ჩემს გრძნობებზე უარს მაინც ვერ მათქმევინებ.

ლილიანმა გაიგო ეს სიტყვები. იმაზე მეტიც გაიგო, ვიდრე თავად რიერდენმა იგულისხმა. რიერდენი კი გაოგნდა, რომ ქალი, აყვირების ნაცვლად, უცებ ჩაცხრა და გაჩუმდა.

— შენ უფლება არ გაქვს... — თქვა მერე ლილიანმა უემოციოდ, იმ ადამიანისთვის დამახასიათებელი უმწეობით, რომელიც აცნობიერებს, რომ რაიმეს თქმას აზრი აღარ აქვს.

— არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, მეორეს მოსთხოვოს, რომ მან არსებობა შეწყვიტოს, — თქვა რიერდენმა.

— ამდენად მნიშვნელოვანია ის შენთვის?

— ამაზე მეტადაც.

ლილიანის სახემ აზრიანი გამომეტყველება დაიბრუნა, ოღონდ ეს ცბიერი გამომეტყველება იყო. ის დუმდა.

— ლილიან, მოხარული ვარ, რომ სიმართლე შეიტყვე: ახლა შენთვის ყველაფერი ნათელია და შეგიძლია, არჩევანი გააკეთო. შენ შეგიძლია, გამშორდე — ან გერჩივნოს, ყველაფერი ძველებურად დარჩეს. სხვა არჩევანი არ გაქვს. მეტს ველარაფერს შემოგთავაზებ. ვფიქრობ, ხვდები, რომ მე გაყრა მირჩევნია, თუმცა მსხვერპლის გაღებას არ გთხოვ. არ ვიცი, რაში გჭირდება ეს ქორწინება, მაგრამ თუ მაინც გჭირდება, არ მოგთხოვ, ეს დათმო. ვერ ვხვდები, რატომ ცდილობ, არ გამიშვა, არ ვიცი, რას ვნიშნავ შენთვის, რას დაეძებ, რა განიჭებს ბედნიერებას. ამ მდგომარეობაში, რომელიც მე ორივესთვის გაუსაძლისი მგონია. ჩემი სტანდარტებით, შენ დიდი ხნის წინ უნდა გამშორებოდი. ჩემი სტანდარტებით, ჩვენი ქორწინება მანკიერი სიყალბე იყო. მაგრამ ჩემი სტანდარტები შენსას არ ემთხვევა. მე არ მესმის შენი სტანდარტები, არც“ არასოდეს მესმოდა, მაგრამ მე შევეგუე მათ.

თუ ასეთი გზით გამოიხატება შენი ჩემდამი სიყვარული, თუ შენი ცხოვრების აზრს ჩემი ცოლის სახელის ტარებაში ხედავ, მე მას არ წაგართმევ. სწორედ მე გავტეხე ფიცი, ასე რომ, მე უნდა დავისაჯო. შენ, რა თქმა უნდა, აცნობიერებ, რომ

შემეძლო, მომესყიდა რომელიმე ეს თანამედროვე მოსამართლე და გაგშორებოდი, როცა კი მომესურვებოდა. მაგრამ ამას არ გავაკეთებ. მე შევასრულებ ჩემს დაპირებას, თუ შენ ასე გინდა. ახლა კი აირჩიე, მაგრამ თუ ჩემთან დარჩენას გადაწყვეტ, მასზე ჩემთან სიტყვა აღარასოდეს აღარ უნდა დაგცდეს, თუ მომავალში მას ისევ შეხვდები, არასოდეს არ აგრძნობინო, რომ იცი სიმართლე, ჩემი ცხოვრების ამ ნაწილს აღარასოდეს შეეხო.

ლილიანი მოშვებული იდგა და რიერდენს ისე უცნაურად შეჰყურებდა, თითქოს გააფთრებას ეს ულაზათო და მონჯღრეული ფორმა სწორედ მისი დამსახურებით შეეძინა და თავაზიანობის წესებიც მისი წყალობით დავიწყებოდა.

— მის დაგნი ტაგარტი... — თქვა ლილიანმა და ჩაიცინა, — ზექალი, რომელსაც ჩვეულებრივი ცოლები ეჭვით ვერ შეურაცხყოფდნენ. ქალი, რომელსაც მხოლოდ ბიზნესი ანაღვლებდა და კაცებთან კაცური ურთიერთობა ჰქონდა. მამაცი ქალი, რომელიც პლატონურად გეტრფოდა, მხოლოდ შენი ნიჭის, შენი ქარხნებისა და შენი მეტალის გამო! — ლილიანმა ისევ ჩაიცინა, — მე უნდა მივმხვდარიყავი, რომ ის ერთი ჩვეულებრივი კახპა იყო, რომელსაც ისეთნაირადვე უნდოდი, როგორც სხვა ნებისმიერ კახპას, რადგან შენ ლოგინშიც ისეთივე ექსპერტი ხარ, როგორც სამუშაო მაგიდასთან, თუ მსგავსი საკითხების რაიმე გამეგება. თუმცა, მასთან სად მივალ — ის ხომ ექსპერტების თაყვანისმცემელია და თანაც ალბათ ყველას დაუწვა იმ თავის რკინიგზის რელსებზე!

ლილიანი გაჩუმდა, რადგან თავის ცხოვრებაში პირველად“ დაინახა, როგორი მზერა აქვს ადამიანს, რომელიც მზად არის, მკვლელობა ჩაიდინოს. მაგრამ რიერდენი მას არ უყურებდა. ლილიანი იმაშიც კი არ იყო დარწმუნებული;, რომ ის მას ხედავდა ან ესმოდა მისი ხმა.

ეს — რაღაც ბნელი, გონებაში ელვასავით გამკრთალი — სულ ერთ წამს გაგრძელდა. რიერდენს საკუთარი ხმა ესმოდა, რომელიც ლილიანის სიტყვებს ამბობდა — ამ სიტყვებს ის დაგნის ელის უაიატის მზით გაჩახჩახებულ საძინებელში ეუბნებოდა. წარსულის ღამეების წარმოდგენისას, დაინახა დაგნის სახე იმ მომენტებში, როდესაც მისი სხეული ქალისას ტოვებდა. დაგნი გაუნძრევლად იწვა, მისი მანათობელი გამომეტყველება კი უბრალო ღიმილზე მეტი იყო. ეს იყო ახალგაზრდობის, ადრეული დილისა და საკუთარი არსებობის ფაქტისადმი მადლიერების გამომხატველი მზერა. მერე კი ლილიანის სახეც დაუდგა თვალწინ, როდესაც ის გვერდით ეწვა საწოლში — უსიცოცხლო სახე;, ცბიერი თვალები, ტუჩებზე ბუნდოვანი დაცინვა დასთამაშებდა, მზერაში კი რაღაც უხამსი დანაშაულის გრძნობა უკრთოდა. რიერდენმა დაინახა, ვინ იყო ბრალმდებელი და ვინ ბრალდებული — უცებ გააცნობიერა, რა ურცხვობაა, უძლურებას მისცე უფლება, თავი სათნოებად გაასაღოს, სიცოცხლის ძალა კი ცოდვად გამოიყვანოს. წამიერად გაოგნებულმა უშუალო აღქმის სიცხადით დაინახა იმ ყველაფრის უკიდურესი სიმახინჯე, რაც ოდესღაც თავის მრწამსად მიაჩნდა.

გაოგნებამ რეალობას დაუბრუნა, მან კვლავ დაინახა ლილიანი და გაიგონა მისი სიტყვები. თითქოს მოულოდნელად საწყენი ეჩვენა ამ ქალის იქ ყოფნა. რაღა უნდა ეთქვა.

— ლილიან, — თქვა რიერდენმა მშვიდი ხმით, თითქოს თავისი განრისხების პატივიც კი არ გაიმეტა მისთვის, — აღარასოდეს დამელაპარაკო მასზე. თუ ერთხელაც იზამ ამას, ისე გიპასუხებ, როგორც ხულიგანს ვუპასუხებდი: გცემ. ამიერიდან არც შენ, არც მე მასზე სიტყვას არ დავძრავთ.

ლილიანმა ქმარს შეხედა.

— მართლა? — თქვა მან. ეს სიტყვები უცნაურად გაისმა, რაღაცნაირი ყოველდღიურობით, თითქოს ნათქვამი აისხლიტა აზრმა, რომელსაც ქალის გონება მოეცვა. ლილიანს რომელიღაც წარმოსახვითი სურათისთვის ვერ მოეწყვიტა თვალი.

რიერდენმა მშვიდად, მსუბუქი გაკვირვებით წარმოთქვა:

— მეგონა, გაგახარებდა სიმართლის გაგება. მეგონა, გერჩივნა, ყველაფერი გცოდნოდა, — თუნდაც იმ სიყვარულისა და პატივისცემის გამო, რომელსაც ჩემ მიმართ გრძნობდი. თუ მე შენ გიღალატე, გიღალატე არა ავხორცი ლტოლვის გამო, არა ვიღაც იაფფასიან მეძავთან, არამედ ჩემი ცხოვრების ყველაზე წმინდა და სერიოზული გრძნობის გამო.

ლილიანი უნებლიეთ მივარდა რიერდენს და ასევე გაუაზრებლად, სიძულვილისგან დამანჭულმა დაუყვირა მას:

— ოჰ, შე წყეულო იდიოტო!

ჰენკს ხმა არ ამოუღია.

— ლილიანმა ისევ აიყვანა თავი ხელში, სახეზე კი შეფარული დაცინვის გამომხატველი მსუბუქი ღიმილი დასთამაშებდა.

— ალბათ, ჩემს პასუხს უცდი, არა? — თქვა მან, — არა, მე შენ არ გაგეყრები. ამაზე არც კი იოცნებო. ჩვენ ძველებურად გავაგრძელებთ ცხოვრებას — ეს თვითონვე შემომთავაზე, რაკი ფიქრობ, რომ შესაძლებელია, მომავალშიც ასე გაგრძელდეს. ვნახოთ, თუ მოახერხებ, ფეხქვეშ გათელო ყველა შენი ზნეობრივი პრინციპი და თან დაუსჯელი დარჩე!

რიერდენი ლილიანს აღარ უსმენდა, როდესაც მან პალტო აიღო და უთხრა; რომ სახლში ბრუნდებოდა და ლამის ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიხურა ქალმა კარი. ადგილიდან არც დაძრულა, სრულიად ახალ, უცნობ განცდას მიყურადებული. იცოდა, რომ მოგვიანებით დაფიქრდებოდა და ყველაფერს გაიგებდა, მაგრამ ამ მომენტში მხოლოდ ის უნდოდა, გაერკვია, რას გრძნობდა.

უსაზღვრო თავისუფლების გრძნობა დაუფლებოდა,— თითქოს ის-ის იყო, მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოიხსნა და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. ეს სრული განთავისუფლების შეგრძნება იყო, ცოდნა, რომ ამიერიდან ლილიანის რეაქცია, მისი ტანჯვა, აღარაფერს ნიშნავდა, უფრო მეტიც: ეს იყო სრული უდანაშაულობის განცდა, განცდა იმისა, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, და არც უნდა ჰქონოდა მისთვის.

თავი 6

საკვირველი მეტალი

— კი მაგრამ, როგორ უნდა დავიძვრინოთ თავი ამ სიტუაციიდან? — იკითხა უესლი მაუჩმა ბრაზისგან აწივლებული, გაწვრილებული ხმით. არავის უპასუხია. ჯეიმს ტაგარტი გაუნძრევლად ჩამომჯდარიყო სავარძლის კიდეზე და შუბლს ქვემოდან შესცქეროდა მას. ორენ ბოილმა ღვარძლიანი მოძრაობით დაჰკრა სიგარა საფერფლეს. დოქტორმა ფლოიდ ფერისმა გაიღიმა. მისტერ ვეზერბიმ ტუჩები მოკუმა.

ფრედ კინანმა, ამერიკის მშრომელთა გაერთიანებული კავშირის თავმჯდომარემ, ბოლთის ცემა შეწყვიტა, ფანჯრის რაფაზე შემოჯდა და ხელები გულზე დაიკრიფა.

იუჯინ ლოუსონ?, რომელიც წელში მოხრილი მინის დაბალ მაგიდაზე დაბნეულად აადგილებდა ყვავილებს ლარნაკში, გაიმართა და განაწყენებულმა ახედა ჭერს მაუჩი თავის სამუშაო მაგიდას უჯდა და ფურცელზე დაედო მუშტი.

მას იუჯინ ლოუსონი გამოეპასუხა:

— მეჩვენება, რომ საკითხი ასე არ უნდა დაისვას. არ უნდა დავუშვათ ბანალურმა სიძნელეებმა შეარყიოს ჩვენი რწმენა, რომ ეს მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობით ნაკარნახები კეთილშობილური გეგმაა. ეს ხალხის სასიკეთოდ კეთდება.

ხალხს სჭირდება ეს. საჭიროება კი, მოგეხსენებათ, უპირველესია, ყველაფერ დანარჩენზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს თუმცა არც თემა აუტაცებია ვინმეს; ოთახში მყოფებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ლოუსონმა თავისი განცხადებებით კიდევ უფრო გააძნელა განხილვის მსვლელობა, მაგრამ ტანმორჩილმა კაცმა, რომელიც საუკეთესო სავარძელში იჯდა განცალკევებით, ვითომდა დანარჩენების ყურადღება რომ არ მიეპყრო, — თუმცა კი მშვენივრად აცნობიერებდა, მისი იქ ყოფნა რომ არავის დაავიწყდებოდა, — ჯერ ლოუსონს შეხედა, შემდეგ მაუჩს, და რიხიანად განაცხადა:

— საქმეც ეს არის, უესლი. განავრცე, შეალამაზე, შენი პრესის ბიჭები აამღერე, და სადარდებელიც აღარაფერი იქნება.

— დიახ, მისტერ ტომპსონ, — წარმოთქვა მაუჩმა პირქუშად.

მისტერ ტომპსონს, სახელმწიფოს მეთაურს, გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სამიოდე კაცში გარეულს, დანარჩენი ორისგან უკვე ვეღარ განასხვავებდი, ცალკე დანახული კი უეცრად უამრავ მსგავს ადამიანს მოგაგონებდა.

ქვეყანაში ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მის გარეგნობაზე: ტომპსონის ფოტოები ჟურნალების გარეკანზე ისევე ხშირად ჩანდა, როგორც მისი წინამორბედების, მაგრამ დაბეჯითებით. ვერავინ ამბობდა, რომელ ფოტოზე იყო აღბეჭდილი მისტერ ტომპსონი და რომელზე — ფოსტის მოხელე ან კლერკი. ასეთივე უსახური და არაფრის მთქმელი იყო ყოველდღიურ ამბებს მიძღვნილი ეს სტატიებიც. ერთადერთი, რაც მისტერ ტომპსონს სხვებისგან გამოარჩევდა, მისი გამუდმებით დაჭმუჭნილი საყელო გახლდათ. სუსტი აღნაგობისთვის შეუფერებლად განიერი მხრები ჰქონდა, ცხიმიანი თმა, დიდი პირი და ასაკის ფართო დიაპაზონი — ხან ნაადრევად დაბერებულ ორმოცი წლის კაცს ჰგავდა, ხანაც უჩვეულოდ მხნე სამოცი წლის ადამიანს. მიუხედავად განუზომელი ძალაუფლებისა, მაინც დაუცხრომლად იღწვოდა გავლენის კიდევ უფრო გასაფართოებლად, რადგან ადამიანები, რომლებმაც ის ამ თანამდებობაზე დასვეს, მისგან სწორედ ამას მოელოდნენ. ტომპსონს ინტელექტუალის მზაკვრობა და მხეცის უშრეტი ენერგია ჰქონდა. მისი თავბრუდამხვევი აღმასვლის ერთადერთი საიდუმლო იყო ფაქტი, რომ უმაღლეს მწვერვალზე ის შემთხვევით გარემოებათა წყალობით აღმოჩნდა და მეტის პრეტენზია არც ჰქონდა.

— სავსებით ნათელია, რომ საჭიროა ზომების მიღება, გადამჭრელი ზომების მიღება, — თქვა ჯეიმს ტაგარტმა, რომელიც მისტერ ტომპსონს კი არა, უესლი მაუჩს მიმართავდა, — ჩვენ ვეღარ დავუშვებთ, რომ ყველაფერი ასე გაგრძელდეს — ტაგარტს აკანკალებულ ხმაში ბრაზი და მღელვარება ეტყობოდა.

— დაწყნარდი, ჯიმ, — უთხრა მას ორენ ბოილმა.

— რაღაც უნდა ვიღონოთ და, რაც შეიძლება სწრაფად!

— მე ნუ შემომყურებთ, — წამოიძახა უესლი მაუჩმა, — მე არ შემიძლია ამის შეჩერება. ვერაფერს ვიღონებ, თუ ხალხი თანამშრომლობაზე უარს განაცხადებს ხელები მაქვს შებორკილი. უფრო ფართო ძალაუფლება მჭირდება.

მაუჩმა ისინი ვაშინგტონში იხმო, როგორც მეგობრები და პირადი მრჩევლები, ეროვნული კრიზისის შესახებ კერძო, არაოფიციალურ თათბირზე დასასწრებად.

მაგრამ ოთახში მყოფებს ვერ გაეგოთ, ბრძანებებს გასცემდა ის თუ იხვეწებოდა, იმუქრებოდა თუ შველას ითხოვდა.

— ფაქტია, — თქვა მისტერ ვეზერბიმ თავშეკავებული, საქმიანი ტონით, — რომ თორმეტთვიან პერიოდში, რომელიც ამ წლის პირველ რიცხვში დასრულდა, გაკოტრების დონე ბიზნესში წინა თორმეტთვიან პერიოდთან შედარებით გაორმაგდა, ხოლო მიმდინარე წლის დასაწყისიდან მოყოლებული — გასამმაგდა.

— არის ეჭვი, თითქოს ისინი ამის გამო საკუთარ თავს იდანაშაულებენ — თქვა დოქტორმა ფერისმა გულგრილად.

— რა? — იკითხა უესლი მაუჩმა და ფერისს ესროლა მზერა.

— რასაც არ უნდა აკეთებდეთ, არ მოიბოდიშოთ, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — დაე, თვითონ იგრძნონ თავი დამნაშავედ.

— მე არ ვიხდი ბოდიშს! — წამოიძახა მაუჩმა, — მე ვერავინ ვერაფერს ვერ დამაბრალებს, მე უფრო ფართო ძალაუფლება მჭირდება.

— კი მაგრამ, ეს მართლაც მათი ბრალია, — თქვა იუჯინ ლოუსონმა და აგრესიულად შეტრიალდა დოქტორ ფერისისკენ, — საზოგადოებრივი აზროვნება აკლიათ, მათ არ სურთ, აღიარონ, რომ წარმოება კერძო საქმე კი არა, საზოგადოებრივი ვალდებულებაა. მათ მარცხის უფლება არ აქვთ, მიუხედავად იმისა, რა ხდება იქ, მათთან. წარმოება უნდა გააგრძელონ. ეს საზოგადოებრივი განკარგულებაა. შრომა პირადი კი არა, საზოგადოებრივი საქმეა. „პირადი საქმე“, და „პირადი ცხოვრება“ — ასეთი ცნებები არ არსებობს. სწორედ ამის გაცნობიერება უნდა ვაიძულოთ მათ; — ჯინ ლოუსონმა იცის, რაზეც ვლაპარაკობ, — თქვა დოქტორმა ფერისმა ძლივს შესამჩნევი ღიმილით, — თუმცა წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რასაც აკეთებს — მაინც, რას გულისხმობ? — ხმას აუწია ლოუსონმა..

— გეყოფათ, — ბრძანების ტონით მიმართა მას მაუჩმა, — არ მანაღვლებს, რა ჩაიფიქრეთ, უესლი, — თქვა მისტერ ტომპსონმა — და არც ის მადარდებს, თუ ბიზნესმენები დაგიპირისპირდებიან. საკმარისია, დარწმუნებული იყო, რომ პრესა შენს მხარეზეა. ბოლომდე დარწმუნდი ამაში, ეშმაკმა წაიღოს.

— პრესა ჩემია, — თქვა მაუჩმა.

— ერთი რედაქტორიც კი, რომელიც უდროო დროს მოაღებს პირს, უფრო მეტად დაგვაზარალებს, ვიდრე ათი განაწყენებული მილიონერი.

— ეს სიმართლეა, მისტერ ტომპსონ, — თქვა დოქტორმა ფერისმა — ერთ რედაქტორს მაინც თუ დამისახელებთ, რომლისთვისაც ეს ცნობილია?

— მგონი, გამიჭირდება, — თქვა ტომპსონმა აშკარა კმაყოფილებით.

— რა ტიპის ადამიანებზეც არ უნდა ავაწყოთ.ჩვენი გეგმები, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — არსებობს ერთი ძველი გამოთქმა, რომელიც შეგვიძლია, დავივიწყოთ.

ეს გამოთქმა ბრძენ და პატიოსან ადამიანებზე. იმედების დამყარებას ეხება ჩვენ მათ არ დავეყრდნობით. ასეთების დრო წასულია.

— ჯეიმს ტაგარტმა ფანჯარას შეხედა. ვაშინგტონის ფართო ქუჩების თავზე აპრილის ნაზი ლურჯი ცა და ღრუბლებიდან გამოღწეული სხივები მოჩანდა. შორს

მზით გაჩახჩახებული მონუმენტი ბრწყინავდა: მაღალი, თეთრი ობელისკი სწორედ იმ კაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართეს, რომლის ციტატაც მოიყვანა ფერისმა, კაცის, რომლის სახელიც უწოდეს ამ ქალაქს. ჯეიმს ტაგარტმა განზე გაიხედა.

— მე არ მომწონს პროფესორის განცხადებები, — თქვა ლოუსონმა ხმამაღლა და პირქუშად.

— გაჩუმდი, — მიმართა მას უესლი მაუჩმა — დოქტორი ფერისი თეორიულად კი არა, პრაქტიკულად ლაპარაკობს.

— კარგი, თუ თქვენ პრაქტიკული საუბარი გსურთ, — თქვა ფრედ კინანმა, — მაშინ ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ ასეთ რთულ დროს ბიზნესმენებზე არ უნდა ვიდარდოთ. ჩვენი საფიქრალი დასაქმების საკითხია, სამუშაო ადგილების საკითხი. ჩემს პროფესიულ კავშირებში თითოეული დასაქმებული ადამიანი ხუთ უმუშევარს არჩენს, მისი დამშეული ნათესავების ჯგრო რომ არ ჩავთვალოთ. თუ ჩემი რჩევა გაინტერესებთ, — არა, ვიცი, რომ რჩევები არ გჭირდებათ, ეს უბრალოდ ჩემი აზრია, გაეცით განკარგულება, რომლის ძალითაც სავალდებულო გახდება, ქვეყანაში ყოველ სახელფასო უწყისს, ვთქვათ, ერთი მესამედით მეტი ადამიანი დაემატოს.

— ღმერთო ჩემო! — დაიგმინა ტაგარტმა, — გაგიჟდით? ახლანდელ სახელფასო უწყისებსაც ძლივს ვწვდებით! უკვე დასაქმებული ხალხისთვის სამყოფი საქმეც კი არ გვაქვს! ერთი მესამედით მეტი? მათ მაინც ვერაფერში გამოვიყენებთ!

— ვის ანაღვლებს, გამოიყენებთ რამეში თუ არა? — თქვა ფრედ კინანმა, — მათ სამსახური სჭირდებათ. აი, რა არის უპირველესი: გაჭირვებული ადამიანების დახმარება! და არა თქვენი მოგებები.

— საქმე მოგებას კი არ ეხება! — განაგრძო გმინვა ტაგარტმა, — მე მოგებაზე სიტყვაც არ დამცდენია. თქვენთვის ჩემი შეურაცხყოფის საბაბი არ მომიცია. უბრალოდ, სად ჯანდაბაში ვიშოვით ფულს თქვენი ხალხისთვის ხელფასების დასარიგებლად — მაშინ, როდესაც ჩვენი მატარებლების ნახევარი ცარიელი გადაადგილდება და იმდენი ტვირთიც კი არ არის გადასაზიდი; ტრამვაი რომ შეივსოს. — მოულოდნელად ტაგარტი ფრთხილი წინდახედულებით ალაპარაკდა, — თუმცა,:ჩვენ გვესმის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა, — ეს ესე... უბრალოდ; ხმამაღლა გავიფიქრე, — შესაძლოა, მოგვეხერხებინა კიდეც გარკვეული რაოდენობის ადამიანის აყვანა სამსახურში, თუ ტვირთის“ გადაზიდვის ტარიფების გაორმაგების ნებას დაგვრთავდნენ, რაც...

— თქვენ რა, შეიშალეთ? — აყვირდა-ორენ ბოილი, — ლამის გამაკოტროს თქვენმა ახლანდელმა ტარიფებმა, ლამის გული გამიჩერდეს ყოველ ჯერზე, როდესაც წყეული სატვირთო ვაგონი ქარხანაში შედის და გამოდის იქიდან. სისხლს მწოვენ, ამას ძლივს ვწვდები — და თქვენ მათი გაორმაგება გსურთ?

— მთავარი ის არ არის, რას წვდებით და რას არა; — ცივად უპასუხა ტაგარტმა, — მსხვერპლის გასაღებად მზად უნდა იყოთ. ხალხს სჭირდება რკინიგზა. ადამიანების:

საჭიროება კი უპირველესია — ის თქვენს მოგებებზე მაღლა დგას.

— რომელ მოგებაზე ლაპარაკობთ? — იყვირა ორენ ბოილმა, — როდის იყო, მოგებას ვიღებდი? ვერავინ დამაბრალებს, თითქოს ბიზნესს მოგებისთვის ვეწეოდე! უბრალოდ, შეხედეთ ჩემი ბალანსის უწყისს, მერე კი ჩემი კონკურენტების საბუღალტრო მონაცემები ნახეთ, რომლებსაც მონოპოლია აქვთ მომხმარებლებზე, ნედლეულზე, ტექნიკურ მიღწევებზე და საიდუმლო რეცეპტებზე — და მერე მითხარით, ვინ არის მოგებული!.. თუმცა, რა თქმა უნდა; ხალხს სჭირდება რკინიგზა,

და შესაძლოა, ტარიფების გარკვეული ზრდა ამეტანა კიდეც, თუ ეს გარდაუვალია, სუბსიდია რომ მიმეღო, რომელიც ერთ-ორ წელიწადს გადამატანინებდა, სანამ საქმეს ისევ ავაწყობდი და...

— რა? ისევ? — იყვირა მისტერ ვეზერბიმ, რომელსაც ჩვეულმა თავშეკავებამ უმტყუნა, — რამდენი სესხი, გადავადება, ვალდებულების შეჩერება და მორატორიუმი მიიღეთ ჩვენგან? ერთი ცენტიც კი არ გადაგიხდიათ სანაცვლოდ — როდესაც ყველანი ერთად დააქცევთ ჩვენს საგადასახადო სისტემას, საინტერესოა, მაინც საიდან მოვიტანთ ფულს თქვენი სუბსიდიისთვის?

— ჯერ ყველა არ გაკოტრებულა, — თქვა ბოილმა აუჩქარებლად, — თქვენ, ბიჭებო, არ გეპატიებათ, მთელი ქვეყანა გაჭირვებაში და უბედურებაში რომ ჩაეფლო, თუმცა ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ გაკოტრებულან.

— მე არ შემიძლია ამის შეჩერება! — აყვირდა უესლი მაუჩი, — მე ვერაფერს გავხდები! უფრო ფართო ძალაუფლება მჭირდება!

ოთახში მყოფები დაზუსტებით ვერ იტყოდნენ, რამ უბიძგა მისტერ ტომპსონს ამ კერძო თათბირს დასწრებოდა. ის ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ყველაფერს ყურადღებით ისმენდა. სახელმწიფოს მეთაურს თითქოს სურდა, რაღაც გაერკვია და ახლა ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდა, უკვე გაარკვია კიდეც ეს რაღაც. მისტერ ტომპსონი ფეხზე წამოდგა და იმედიანად გაიღიმა.

— საქმეს შეუდექით, უესლი, — თქვა მან, — აამოქმედეთ №10-289. არავითარი პრობლემები არ შეგექმნებათ.

დანარჩენებიც უხალისოდ, პირქუში მოწიწებით წამოდგნენ ფეხზე უესლი მაუჩმა დახედა თავის ფურცელს, შემდეგ კი უკმაყოფილოდ განაცხადა:

— თუ გსურთ, საქმეს შევუდგე, საყოველთაო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოგიწევთ.

— ნებისმიერ დროს გამოვაცხადებ, როდესაც მზად იქნებით.

— არსებობს გარკვეული სიძნელეები, რომლებიც...

— მათი გადაჭრა თქვენთვის მომინდვია ნებისმიერი შესაძლო ხერხით ეს თქვენი სამუშაოა. ხვალ ან ზეგ პირველი მონახაზი მაჩვენეთ; მაგრამ წვრილმანების გამო ნუ შემაწუხებთ. ნახევარ საათში რადიოთი მოხსენება უნდა გავაკეთო.

— ძირითადი სიძნელე ის არის, რომ დარწმუნებული არ ვარ, კანონი მოგვანიჭებს თუ არა უფლებამოსილებას, დირექტივა 10-289-ის ზოგიერთი: დებულება ავამოქმედოთ. ვშიშობ, ეს დებულებები საკამათო გახდება.

— ოჰ, ჯანდაბა, ჩვენ იმდენი საგანგებო კანონი. მივიღეთ, დარწმუნებული ვარ, რაიმეს გამოქექავთ, ეს ამბავი რომ გადაფაროს.

მისტერ ტომპსონმა დანარჩენებს მეგობრული ღიმილით გადახედა.

— ბიჭებო, ახლა უნდა წავიდე, რომ დეტალები დავხვეწო, — თქვა მან, — მადლობას მოგახსენებთ ვაშინგტონში ჩამოსვლისთვის და შენიშვნებისთვის გამიხარდა თქვენი ნახვა.

— ოთახში დარჩენილებმა დაიცადეს, სანამ ტომპსონი კარს გაიხურავდა, შემდეგ კი თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ; ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

ისინი დირექტივა 10-289-ის ტექსტს დეტალურად არ გასცნობიან, მხოლოდ ზოგადად იცნობდნენ მის შინაარსს, და იცნობდნენ უკვე დიდი ხანია, მაგრამ უსიტყვო შეთანხმებით, საიდუმლოდ ინახავდნენ და კომენტარებს გაურბოდნენ იმავე მოსაზრებებით, ახლაც ერჩივნათ, თუ ეს მოხერხდებოდა, ამ განხილვისთვის

თავი აერიდებინათ. ასეთ საკითხებზე მსჯელობისას პირდაპირობა ხელსაყრელი არ იყო. თუმცა ყველას ძალიან სურდა, ეს დირექტივა ამოქმედებულიყო.

ოღონდ მათი მონაწილეობის გარეშე, რათა არ გაეცნობიერებინათ, რას სჩადიოდნენ. არც ერთი მათგანი არ აღიარებდა, რომ მისი ძალისხმევის საბოლოო მიზანი დირექტივა 10-289 იყო.

და ის დროც დადგა, როცა მისი ამოქმედება შესაძლებელი გახდა. თითოეული დებულება რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა უთვალავი მოხსენების, სტატიის, ქადაგებისა და სარედაქციო წერილის მეშვეობით. ნებისმიერს, ვინც შეეცდებოდა, მათი ნამდვილი მიზანი ემხილებინა, თავს რისხვა დაატყდებოდა.

— ახლა ვითარება ასეთია, — თქვა უესლი მაუჩმა, — ორი წლის წინ, გასულ წელთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, გასულ წელს კი საქმე უფრო კარგად იყო, ვიდრე წელს. ნათელია, რომ თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ერთ წელს ვეღარ გადავიტანთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ერთადერთი მიზანი ახლანდელი მდგომარეობის უცვლელად შენარჩუნებაა. ამიტომაც ახლა „დროებით უნდა გავჩერდეთ, ძალები მოვიკრიბოთ მომდევნო ნაბიჯისთვის და სრულ სტაბილურობას მივაღწიოთ. თავისუფლებას მიეცა შანსი;, მაგრამ ის დამარცხდა. ამიტომ მართვის უფრო მკაცრი მეთოდებია საჭირო. რადგან ადამიანებს არ შეუძლიათ და არც სურთ თავიანთი პრობლემების მოგვარება ნებაყოფლობით, მათ ამის გაკეთება უნდა ვაიძულოთ. — მაუჩი შეჩერდა, აიღო ფურცელი, შემდეგ კი ნაკლებად ოფიციალური ტონით განაგრძო, — ეშმაკმა წაიღოს, მთავარია, რომ ჩვენ შეგვიძლია არსებობა იმ ფორმით და იქ, სადაც ვიმყოფებით, მაგრამ წინ ვეღარ მივდივართ! ეს ნიშნავს, რომ უნდა გავჩერდეთ. მოგვიწევს გავჩერდეთ ჩვენ ის ნაძირლები უნდა ვაიძულოთ,; გაჩერდნენ!.

მაუჩს თავი მხრებში ჩაერგო და. ოთახში მყოფთ ისეთი ბრაზით შესცქეროდა, თითქოს ქვეყანაში წარმოქმნილი პრობლემები მას პირადად შეურაცხყოფდა. მაუჩის ძალიან ბევრ მის მაამებელს ეშინოდა. ის ახლაც ისე იქცეოდა, თითქოს მისი ბრაზი ყველა პრობლემას მოაგვარებდა, თითქოს მისი ბრაზი ყოვლისშემძლე იყო, თითქოს მას მხოლოდ ის ევალებოდა, რომ გაბრაზებულიყო.

თუმცა მაუჩის სამუშაო მაგიდის წინ მდუმარე ნახევარწრედ განლაგებულ ადამიანებს მაინც ვერ გაეგოთ, ეს მათი ემოცია იყო, ცივ ოფლში რომ იწურებოდნენ, თუ ამ შიშს მაგიდასთან მჯდარი მოკუნტული ადამიანი ასხივებდა კუთხეში მიმწყვდეული ვირთხასავით.

უესლი მაუჩს გრძელი, ოთხკუთხედი სახე და გაბრტყელებული თავი ჰქონდა, ზღარბივით შეკრეჭილი თმა. დიდად არც ჭირვეულად ჩამოკიდებული ქვედა ტუჩი შვენოდა და არც გათხაპნილი კვერცხის გულის მსგავსი თვალის გუგები არცთუ მაინცდამაინც თეთრი გარსის ფონზე. მოშვებულ კუნთებს მისი სახე არაფრის მთქმელი ნიღბისთვის დაემსგავსებინა. მაუჩის ღიმილი არავის ენახა.

უესლი მაუჩის ოჯახს მრავალი თაობის განმავლობაში არც სიღარიბე გამოუცდია, არც სიმდიდრე, არც წარჩინებული ყოფილა ოდესმე და ერთადერთ ტრადიციას ებღაუჭებოდა მხოლოდ: ამ ოჯახის ყველა წარმომადგენელს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული და, აქედან გამომდინარე, ბიზნესში ჩაბმული ადამიანები ძულდათ. ამ ოჯახის დიპლომები ყოველთვის კედელზე ეკიდა და თითქოს უხმოდ საყვედურობდა სამყაროს იმის გამო, რომ მათ ატესტირებული სულიერი ღირებულების ტოლფასი მატერიალური დოვლათი არ მოჰქონდათ. მრავალრიცხოვან ნათესაობაში ერთი მდიდარი ბიძაც ერია. ის მდიდარ ქალზე

დაქორწინდა და როდესაც დაქვრივდა, სიბერეში, მარტო დარჩენილმა, თავის დისშვილებსა და ძმისშვილებს შორის უესლი გამოარჩია, რადგან ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებ გამორჩეული იყო და, ძია იულიუსის დასკვნით, სწორედ ამიტომაც, ყველაზე უსაფრთხო ნათესავიც. ძია იულიუსს არ აინტერესებდა ნიჭიერი ადამიანები და არც თავისი ქონების მართვით იწუხებდა თავს; ამგვარად, ეს საქმე მან უესლის მიანდო. იმ დროისთვის, როდესაც უესლიმ კოლეჯი დაამთავრა, განსაკარგავი „ფული უკვე აღარ არსებობდა. ძია იულიუსმა ყველაფერი უესლის გაიძვერობას დააბრალა და მას უსინდისო ინტრიგანი უწოდა.

მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად იყო — უესლიმ უბრალოდ არ იცოდა, სად გაქრა ფული. სკოლის მაღალ კლასებში ის ერთ-ერთი ყველაზე უვარგისი მოსწავლე იყო და გააფთრებით შურდა მათი, ვინც კარგად სწავლობდა. კოლეჯში. სწავლისას კი მიხვდა, რომ მათი შურის საფუძველი არ ჰქონდა. როცა სწავლა დაასრულა, უესლიმ კოჟრების სამკურნალო ერთობ საეჭვო წამლის მწარმოებელი კომპანიის სარეკლამო განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. წამალი კარგად იყიდებოდა და ის განყოფილების უფროსად დააწინაურეს. შემდეგ უესლიმ ეს თანამდებობა მიატოვა, რომ თმის აღმდგენი კომპანიის სარეკლამო განყოფილებას ჩასდგომოდა სათავეში, შემდეგ დაპატენტებული ბიუსტჰალტერების, ახლებური საპნისა და გაზიანი სასმელების რეკლამირებაშიც მოსინჯა ძალები, ბოლოს კი საავტომობილო საწარმოს ვიცეპრეზიდენტიც გახდა რეკლამირების მიმართულებით. ცდილობდა, ავტომობილები კოჟრების სამკურნალო ყალბი წამლის მსგავსად გაეყიდა. მანქანები არ იყიდებოდა.

მაუჩმა ყველაფერი რეკლამისთვის გამოყოფილ მწირ ბიუჯეტს დააბრალა. სწორედ ამ საავტომობილო საწარმოს პრეზიდენტმა გაუწია მას. რიერდენთან რეკომენდაცია. რიერდენმა კი მაუჩი ვაშინგტონს წარუდგინა — რიერდენმა, ვისთვისაც უცნობი იყო სტანდარტი, რომლითაც მისი ვაშინგტონელი ლობისტის მოქმედების განსჯა შეიძლებოდა. ჯეიმს ტაგარტმა მაუჩი რიერდენის მოტყუების სანაცვლოდ ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიუროში მიაღებინა. რიერდენის გაცურება კი ორენ ბოილისთვის მადლობის გადახდა იყო, რომელმაც, თავის მხრივ, დენ კონვეი გაანადგურა. იქიდან მოყოლებული, ადამიანები უესლი მაუჩს წინსვლაში ეხმარებოდნენ იმავე მიზეზით, რამაც ძია იულიუსს უბიძგა მისი დახმარებისკენ: ისინი თვლიდნენ, რომ არაფრით გამორჩეულობა უსაფრთხო იყო. მათ, ვინც ახლა უესლის მაგიდის წინ ისხდნენ, ასწავლეს, რომ მიზეზ-შედეგობრიობის კანონი ცრურწმენაა და სიტუაციის გამოსწორებისთვის მიზეზების გათვალისწინება საჭირო არ არის. ამ კონკრეტულ სიტუაციაში მათ დაასკვნეს, რომ უესლი მაუჩი განსაკუთრებულად გონიერი და გამჭრიახი კაცი გამოდგა, რაკი მილიონობით პრეტენდენტიდან ძალაუფლებას სწორედ მან მიაღწია. მათი აზროვნების მეთოდი არ გულისხმობდა იმის გაცნობიერებას, რომ უესლი მაუჩი არარაობა იყო ერთმანეთის გასანადგურებლად გაჩაღებული ომის მონაწილე ძალთა გადაკვეთის წერტილში.

— ეს დირექტივა 10-289-ის პირველადი მონახაზია, — თქვა უესლი მაუჩმა, — რომელიც ჯინმა, კლემმა და მე სახელდახელოდ დავწერეთ, რომ თქვენთვის ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა. ჩვენ გვინდა, მოვისმინოთ თქვენი აზრები და რეკომენდაციები — თქვენ ხომ მუშათა კლასის, მრეწველობის, ტრანსპორტირებისა და სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლები ხართ.

ფრედ კინანი ფანჯრის რაფიდან ჩამოვიდა და სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა.

ორენ ბოილმა სიგარის ნამწვი პირიდან გამოიღო. ჯეიმს ტაგარტმა ხელებზე დაიხედა. ოთახში მყოფთაგან მხოლოდ დოქტორ ფერისს არ ეტყობოდა მღელვარება.

— საყოველთაო კეთილდღეობის სახელით, — დაიწყო კითხვა უესლი მაუჩმა, — მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად, სრული თანასწორობისა და სტაბილურობის მისაღწევად, ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში, დავადგინეთ...

— პირველი პუნქტი. ყველა დასაქმებული და ყველა ტიპის დაქირავებული პირი, დღეიდან მოყოლებული, მიმაგრებული იქნება თავის სამუშაოს, ის ვერც მიატოვებს და ვერც გათავისუფლდება სამსახურიდან, და ვერც საქმიანობას შეიცვლის, ეს ქმედებები ამიერიდან დაისჯება და დამრღვევს შეეფარდება პატიმრობის ვადა.

სასჯელს განსაზღვრავს „გაერთიანების საბჭო“, რომელსაც ეკონომიკური დაგეგმვისა და ეროვნული რესურსების ბიურო დანიშნავს ყველა პირი, ვისაც უკვე შეუსრულდა ოცდაერთი წელი, მიმართავს „გაერთიანების საბჭოს“, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ დაასაქმებს მათ იქ, სადაც ისინი ყველაზე უკეთ მოემსახურებიან ქვეყნის ინტერესებს.

— მეორე პუნქტი. ყველა სამრეწველო, კომერციული და ბიზნესსაწარმო დღეიდან მოყოლებული, ვალდებულია, განაგრძოს ფუნქციონირება, მათმა მფლობელებმა არ უნდა შეწყვიტონ საქმიანობა, არ უნდა დახურონ, არ უნდა გაყიდონ და არ გაასხვისონ თავიანთი ბიზნესი, მსგავსი ქმედებები დაისჯება მათი დაწესებულებებისა და მთლიანი ქონების კონფისკაციით.

— მესამე პუნქტი. ნებისმიერი მოწყობილობის გამოგონების ქიმიური ნაერთისა და ტექნოლოგიური პროცესის, აგრეთვე ნებისმიერი ტიპის მომსახურების ყველა პატენტი და საავტორო უფლება გადაეცემა ერს, როგორც საგანგებო პატრიოტული საჩუქარი, ჩუქების სერტიფიკატის მეშვეობით, რომელსაც ნებაყოფლობით მოაწერენ ხელს ასეთი პატენტებისა და საავტორო უფლებების მფლობელები. შემდეგ „გაერთიანების საბჭო“ ამ პატენტებისა და საავტორო უფლებების გამოყენების უფლებას მისცემს განურჩევლად ყველა განმცხადებელს, რათა აღმოიფხვრას მონოპოლისტური პრაქტიკა, აღარ არსებობდეს მოძველებული აღჭურვილობა და განვითარდეს ხელმისაწვდომი პროდუქციის წარმოება მთელ ქვეყანაში. აღარ იარსებებს სავაჭრო ნიშნები, მარკები და საავტორო უფლებით დაცული წოდებები.

წარსულში დაპატენტებულ ყველა ნაწარმს ახალი სახელი მიენიჭება და ყველა მწარმოებელი მას ამ სახელით გაყიდის, სახელს კი „გაერთიანების საბჭო“ შეარჩევს. ამ დოკუმენტის ძალით ყველა კერძო სავაჭრო ნიშანი და მარკა გაუქმდება.

— მეოთხე პუნქტი. არც ერთი ახალი მოწყობილობა, გამოგონება, ნაწარმი ან სხვა ნებისმიერი ტიპის საქონელი, რომლებიც ამჟამად არ არის ბაზარზე, არ იწარმოება და არ გაიყიდება ამ დირექტივის გამოცემის შემდეგ. ამ დოკუმენტის ძალით პატენტებისა და საავტორო უფლებების სამსახური უქმდება.

— მეხუთე პუნქტი. ყველა საწარმო, კონცერნი, კორპორაცია და კერძო პირი, რომელიც ჩართულია ნებისმიერი ტიპის წარმოებაში, დღეიდან მოყოლებული, ყოველწლიურად აწარმოებს ზუსტად იმავე მოცულობის პროდუქციას, რამდენსაც საბაზისო წლის განმავლობაში აწარმოებდა, არც მეტს, არც ნაკლებს. საბაზისო, ანუ კრიტერიუმის წლად მიიჩნევა წელიწადი, რომელიც დასრულდება ამ დირექტივის ამოქმედების მომენტამდე. წარმოების გადაჭარბება ან დასაშვებ ზღვარზე ნაკლების წარმოება დაჯარიმდება, ასეთ ჯარიმებს „გაერთიანების საბჭო“ განსაზღვრავს.

— მეექვსე პუნქტი. ყველა ადამიანი, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, კლასისა და შემოსავლისა, დღეიდან მოყოლებული, ზუსტად იმავე რაოდენობის თანხას დახარჯავს ყოველწლიურად საქონლის შესყიდვაზე, რამდენიც ძირითად წელს დახარჯა. შესყიდვების გადაჭარბება ან ნაკლები შესყიდვები დაჯარიმდება, ასეთ ჯარიმებს „გაერთიანების საბჭო“ განსაზღვრავს.

— მეშვიდე პუნქტი. ყველა სახის ხელფასი, ფასი; დივიდენდი; მოგება, საპროცენტო განაკვეთი და ყველა ტიპის მოგება გაიყინება ამჟამინდელ ციფრებში. დირექტივის გამოცემის დღეს.

— მერვე პუნქტი. ყველა შემთხვევა და წესი, რომელიც საგანგებოდ არ არის განხილული ამ დირექტივაში, გადაწყდება და დადგინდება „გაერთიანების საბჭოს“ მიერ, რომლის გადაწყვეტილებებიც საბოლოოა.

იმ ოთხ კაცსაც კი, რომლებიც მაუჩს უსმენდნენ, ჯერ კიდევ შერჩენოდათ. ადამიანური ღირსება, რამაც ისინი ერთი წუთის განმავლობაში დაადუმა და გულისრევის შეგრძნება მოჰგვარა.

პირველი ჯეიმს ტაგარტი ალაპარაკდა. ხმა დაძაბულობისგან ისე უთრთოდა, თითქოს ცდილობდა, არ აყვირებულიყო:

— კეთილი, რატომაც არა? რატომ უნდა შეეძლოთ მათ, ჩვენ კი არა? რატომ უნდა იდგნენ ისინი ჩვენზე მაღლა? თუ ჩვენ დაღუპვა გვიწერია, დაე, ყველანი ერთად დავიღუპოთ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ გადარჩენის შესაძლებლობას არ ვუტოვებთ!

— ძალიან სასაცილო განცხადებაა, როცა საქმე ეხება ასეთ პრაქტიკულ გეგმას, რომელიც ყველასთვის სასარგებლო იქნება, — ცახცახით წარმოთქვა ორენ ბოილმა და თან ტაგარტს შეშინებულმა შეხედა.

დოქტორმა ფერისმა ჩაიცინა.

ტაგარტი ცოტა დამშვიდდა, ყურადღება მოიკრიბა და წელში გასწორდა, მერე კი უფრო მტკიცე ტონით განაცხადა:

— დიახ, რა თქმა უნდა. ეს ძალიან პრაქტიკული გეგმაა — საჭირო, პრაქტიკული და სამართლიანი. ის ყველას პრობლემას მოაგვარებს. ყველას მისცემს იმის შესაძლებლობას რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, რომ სული მოითქვას.

— ეს ადამიანებს უსაფრთხოების განცდას მისცემს, — თქვა იუჯინ ლოუსონმა ნაძალადევი ღიმილით, — უსაფრთხოება — აი, რა სურს ხალხს. და თუკი ასეა, რატომ არ უნდა მიიღონ? მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მუჭა მდიდრები ამას შეეწინააღმდეგებიან?

— ამას მდიდრები არ შეეწინააღმდეგებიან, — თქვა დოქტორმა ფერისმა ზანტად, — მდიდრები უსაფრთხოებას ყველა სხვა ტიპის ცხოველზე მეტად ესწრაფვიან ნუთუ აქამდე ვერ მიხვდით?

— კარგი, მაშინ ვინ იქნება წინააღმდეგი? — წამოიძახა ლოუსონმა დოქტორმა ფერისმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, მაგრამ არაფერი უპასუხია ლოუსონმა გვერდზე გაიხედა:

— ჯანდაბაშიც წასულან! მათზე რატომ უნდა ვიდარდოთ? ჩვენ მსოფლიო რიგითი ადამიანებისთვის უნდა ვმართოთ. სწორედ გონებამ გამოიწვია კაცობრიობის ყველა პრობლემა. ყველა ბოროტების სათავე ადამიანის გონებაა. ეს ხომ დღესავით ნათელია. ჩვენი ზრუნვის ერთადერთი საგანი სუსტები, ღარიბები, ავადმყოფები და თვინიერები უნდა იყვნენ. — მისი ქვედა ტუჩი ნაზი, ავხორცი მოძრაობით იგრიხებოდა, — ძლიერნი სუსტებს უნდა ემსახურონ. თუ-ისინი უარს

იტყვიან თავიანთი ზნეობრივი მოვალეობის შესრულებაზე, ჩვენ ვაიძულებთ გონების საუკუნე დასრულდა. ჩვენ წინ წავედით. ახლა სიყვარულის საუკუნეა — მოკეტე! — დაიღრინა ჯეიმს ტაგარტმა ყველა მას მიაშტერდა.

— ღვთის გულისათვის, ჯიმ, რა მოხდა? ჰკითხა აცახცახებულმა ორენ ბოილმა — არაფერი, — თქვა ტაგარტმა, — არაფერი... უესლი, უთხარი, გაჩუმდეს.

— კი მაგრამ, ვერ ვხვდები... — შეშფოთებული ხმით თქვა მაუჩმა.

— უბრალოდ, გააჩუმე. ვალდებული ხომ არ ვართ, მას ვუსმინოთ?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ...

— მაშინ, მოდი, გავაგრძელოთ.

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა ლოუსონმა, — ძალიან მწყინს მე კატეგორიულად მაგრამ მან ოთახში მყოფთა სახეებზე თანაგრძნობის ნატამალი ვერ დაინახა, გაჩუმდა და პირი სიძულვილით მოკუმა.

— მოდი, გავაგრძელოთ, — გაიმეორა აღგზნებულმა ტაგარტმა — რა დაგემართა? — ჰკითხა მას ორენ ბოილმა, რომელიც ცდილობდა, არ გაეცნობიერებინა თუ რა დაემართა თავად მას და ასე რატომ შეეშინდა.

— ტალანტი ცრურწმენაა, ჯიმ, — თქვა დოქტორმა ფერისმა გაწელილი ხმითა და უცნაური ხაზგასმით, თითქოს იცოდა, რომ იქ მყოფთა გონებაში წარმოუთქმელ სიტყვებს ახმიანებდა, — ინტელექტი არ არსებობს. ადამიანის ტვინი საზოგადოებრივი პროდუქტია, გამოცდილებების ნაკრები, რომელთაც ადამიანი გარემოდან ენს, გამომგონებელი არავინ არ არის, ადამიანი, უბრალოდ, სოციალურ გარემოში არსებულ იდეებს ასახავს. გენიოსი ინტელექტუალური მენაგვეა, აზრების ხარბი მომხვეჭელი, ეს აზრები, კანონით, ეკუთვნის საზოგადოებას, რომელსაც ისინი ამ ადამიანმა მოჰპარა. აზროვნება ქურდობის აქტია. თუ ჩვენ კერძო საკუთრებას გავაუქმებთ, შედეგად დოვლათის ყველაზე უფრო სამართლიან განაწილებას მივიღებთ, ტალანტის უკუგდებით კი იდეების ყველაზე უფრო სამართლიან განაწილებას საზოგადოებაში.

— ჩვენ აქ საქმეზე სალაპარაკოდ ვართ, თუ ერთმანეთის მასხრად ასაგდებად? — იკითხა ფრედ კინანმა.

ყველანი კინანისკენ შებრუნდნენ. ამ დაკუნთული კაცის სახის მსხვილ ნაკვთებს ერთი საკვირველი თავისებურება ახასიათებდა: პირის კუთხეები თითქოს სამუდამოდ აგრეხოდა ყოვლისმცოდნე სარდონიკული ღიმილით. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი კინანი სავარძლის სახელურზე იჯდა და მაუჩს ისე უყურებდა, როგორც პოლიციელი მაღაზიაში ქურდობისას დაჭერილ წვრილფეხა დამნაშავეს.:

— უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ გიჯობს, ის „გაერთიანების საბჭო“ ჩემი ხალხით დააკომპლექტო, — თქვა კინანმა, — გირჩევ, იზრუნე ამაზე, ძმაო არადა შენს პირველ პუნქტს ჯანდაბაში გავაგზავნი.

— მე, რასაკვირველია, ვაპირებ, რომ იმ საბჭოში მყავდეს მუშათა წარმომადგენლები, — ცივად უპასუხა მაუჩმა, — ისევე, როგორც. მრეწველობის პროფესიული კავშირებისა და ყველა სხვა ჯგუფის წარმომადგენლები..:

— არავითარი ჯგუფები, — მოუჭრა ფრედ კინანმა, — მხოლოდ მუშათა კლასის წარმომადგენლები. მორჩა და გათავდა.

— ეს რა ჯანდაბაა! — იყვირა ორენ ბოილმა, — ეს ხომ ჩაწყობაა?

— რა თქმა უნდა, — თქვა ფრედ კინანმა.

— ასე ხომ მთელი ქვეყნის ბიზნესს გააკონტროლებთ!

— აბა, თქვენი აზრით, სხვას რას უნდა ვცდილობდე?

— ეს უსამართლობაა! — იყვირა ბოილმა, — მე ამას მხარს არ დავუჭერ! თქვენ არ გაქვთ უფლება! თქვენ...

— უფლება? — იკითხა კინანმა მიამიტურად, — უფლებებზე ალაპარაკდით?

— მე... იმის თქმა მინდოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს საკუთრების ფუნდამენტური უფლება, რომელიც...

— მომისმინე, მეგობარო, შენ ხომ გინდა მესამე პუნქტი?

— მე...

— ჰოდა, მაშინ გიჯობს, საკუთრების უფლებებზე სიტყვაც აღარ დაძრა. ხმაც აღარ ამოიღო.

— მისტერ კინან, — ჩაერია დოქტორი ფერისი, — ნუ გაიმეორებთ ძველ შეცდომას, მოერიდეთ ფართო განზოგადებებს. ჩვენი პოლიტიკა მოქნილი უნდა იყოს. არ არსებობს უდავო პრინციპები, რომლებიც...

— ეგ ყველაფერი ჯიმ ტაგარტისთვის შემოინახეთ დოქტორო, — თქვა ფრედ კინანმა, — მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, იმიტომ, რომ კოლეჯში არასოდეს მივლია.

— მე ვეწინააღმდეგები, — ჩაერთო ბოილი, — თქვენს დიქტატორულ მეთოდს...

კინანმა ბოილს ზურგი აქცია და თქვა:

— მომისმინე, უესლი, ჩემს ბიჭებს არ მოეწონებათ პირველი პუნქტი. თუ მე მართვის სადავეებს მივიღებ, მათ გავაჩუმებ, წინააღმდეგ შემთხვევაში — არა. ახლა შენ გადაწყვიტე.

— კარგი და... — თქვა მაუჩმა და გაჩუმდა.

— ღვთის გულისათვის, უესლი, ჩვენ რაღა გვეშველება? — იყვირა ტაგარტმა.

— ჩემთან მოხვალთ, — უთხრა მას კინანმა, — როდესაც საბჭოსთან საქმის მოგვარება დაგჭირდებათ. მაგრამ საბჭოს ჩვენ ვმართავთ, მე და უესლი.

— გგონია, ქვეყანა ამას მოითმენს? — გაცეცხლდა ტაგარტი.

— თავს ნუ იტყუებთ, — ჩაიცინა კინანმა, — ქვეყანა? თუკი პრინციპები უკვე აღარ არსებობს, — და მგონი, დოქტორი მართალია, სადღაა პრინციპები! — თუ ამ თამაშს წესები არ აქვს და მთავარი ის არის, ვინ ვის გაძარცვავს, — მაშინ მე უფრო მეტ ხმას მივიღებ, ვიდრე თქვენ ყველა, ერთად აღებული, მუშები ხომ ბევრად მეტნი არიან, ეს არ დაივიწყოთ, ბიჭებო!

— უცნაური პოზიცია აირჩიეთ, — თქვა ტაგარტმა მედიდურად, — იმ. ზომებთან მიმართებით, რომელთაც, ბოლოს და ბოლოს, არა მხოლოდ მუშებს ან დამსაქმებლებს უნდა მიანიჭონ უპირატესობა, არამედ მთელ საზოგადოებას.

— კარგი, — თქვა კინანმა მეგობრულად, — მოდი, თქვენს ენაზე ვილაპარაკოთ. ვინ არის ეს საზოგადოება? ხარისხის თვალსაზრისით, საზოგადოება არც თქვენ ხართ, ჯიმ, და არც თქვენ, ორი ბოილ. რაოდენობის თვალსაზრისით კი საზოგადოება ნამდვილად მე ვარ, რადგან რაოდენობა ზურგს სწორედ მე მიმაგრებს. — კინანი აღარ იღიმებოდა, მოულოდნელად მწარედ, დაღლილი გამომეტყველებით განაგრძო, — თუმცა მე არ ვაპირებ, ვთქვა, რომ ჩემი ხალხის კეთილდღეობისთვის ვიღწვი, რადგან ვიცი, რომ ასე არ არის. მე ვიცი, რომ იმ საცოდავ ნაბიჭვრებს მონობისთვის ვწირავ, სულ ეს არის, მეტი არაფერი. და ეს მათაც იციან. მაგრამ ისიც იციან, რომ დროდადრო რაღაც ნამცეცებს გადავუყრი ჩემი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, მაშინ, როცა თქვენგან ამასაც ვერ ეღირსებიან. ამიტომაც, თუ მაინც მონობა მოუწევთ, ურჩევნიათ, მათრახი მე მეჭიროს და არა თქვენ — საზოგადოებრივი კეთილდღეობის მეხოტბეებო, ყბედო, მტირალა, მლიქვნელო ნაძირალებო! გგონიათ, თქვენი ინსტიტუტდამთავრებული ქალაჩუნების გარდა, ერთ სოფლელ იდიოტს

მაინც გაასულელებთ? მე გამომძალველი ვარ — მაგრამ მე ვიცი ეს და ჩემმა ბიჭებმაც იციან, და ისიც იციან, რომ მე გადავიხდი. არა ჩემი გულკეთილობის გამო, და არც ერთი ცენტით მეტს, ვიდრე საჭიროა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმედს არ გავუცრუებ. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ეს გულს მირევს, ახლაც მერევა გული ამ ყველაფერზე, მაგრამ ეს სამყარო მე არ შემიქმნია — ის თქვენ შექმენით — ასე რომ მე თქვენ მიერ დადგენილი წესებით ვთამაშობ და მანამდე ვითამაშებ, ვიდრე თამაში არ დასრულდება, თანაც თქვენზე უკეთ!

კინანი წამოდგა. ყველანი დუმდნენ. მან ოთახში მყოფები შეათვალიერა და შემდეგ მზერა უესლი მაუჩზე შეაჩერა.

— მივიღებ საბჭოს, უესლი? — იკითხა გულგრილად.

— განსაკუთრებული პერსონალის შერჩევა მხოლოდ ტექნიკური დეტალია, — თავაზიანად უპასუხა მაუჩმა, — მგონი, აჯობებს, ეს საკითხი მოგვიანებით განვიხილოთ, ჩვენ ორმა.

ოთახში მყოფთაგან ყველა მიხვდა, რომ ეს თანხმობას ნიშნავდა.

— კარგი, მეგობარო, — თქვა კინანმა. ის ფანჯარასთან დაბრუნდა, რაფაზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

რაღაც აუხსნელი მიზეზით დანარჩენები დოქტორ ფერისს შესცქეროდნენ, თითქოს მისგან რჩევას ელოდნენ.

— ეს მჭევრმეტყველება ნუ აგაღელვებთ, — შეეცადა მძიმე შთაბეჭდილების გაქარწყლებას დოქტორი ფერისი, — მისტერ კინანი მშვენიერი ორატორია, მაგრამ ის რეალობას სათანადოდ ვერ შეიგრძნობს, დიალექტიკურად აზროვნება უჭირს.

კიდევ ერთხელ დაისადგურა სიჩუმემ, რომელიც უცებ ჯეიმს ტაგარტმა დაარღვია.

— არ მადარდებს. ამას არ აქვს მნიშვნელობა. მას მოუწევს, შეეგუოს არსებულ ვითარებას. ყველაფერი ისე უნდა დარჩეს, როგორც არის. ზუსტად ისე, როგორც არის.

არავის არა აქვს უფლება, რაიმე შეცვალოს. გარდა... — ის მკვეთრად შეტრიალდა უესლი მაუჩისკენ, — უესლი, მეოთხე პუნქტის ძალით, ჩვენ კვლევითი განყოფილებების, საექსპერიმენტო ლაბორატორიების, სამეცნიერო ფონდებისა და ყველა დანარჩენი მსგავსი დაწესებულების დახურვა მოგვიწევს. მათი აკრძალვა მოგვიხდება.

— დიახ, ასეა, — თქვა მაუჩმა, — ამაზე არ მიფიქრია. დირექტივაში ამასთან დაკავშირებით რამდენიმე წინადადების ჩაწერა დაგვჭირდება — მან ფანქარი მოიძია და ფურცლის კიდეზე რაღაც წაჯღაბნა.

— ეს ბოლოს მოუღებს უსარგებლო კონკურენციას, — თქვა ჯეიმს ტაგარტმა, ჩვენ აღარ მოგვიწევს ერთმანეთთან ბრძოლა გამოუკვლეველი და უცნობი სიახლის ხელში ჩასაგდებად, თავს აღარ ავიტკივებთ ახალი აღმოჩენებით, ბაზარს რომ თავდაყირა აყენებს. საჭირო აღარ იქნება ფულის ფლანგვა უსარგებლო ექსპერიმენტებში, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ამბიციურ კონკურენტებს არ ჩამოვრჩეთ.

— დიახ, — თქვა ორენ ბოილმა, — „არავის არ უნდა მიეცეს უფლება, ფული ფლანგოს სიახლეში, ვიდრე ამდენი ძველი რამ არსებობს. დახურეთ ყველა ის წყეული კვლევითი ლაბორატორია — რაც მალე, მით უკეთესი.

— დიახ, — თქვა უესლი მაუჩმა. — ჩვენ დავხურავთ მათ. ყველას დავხურავთ — მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტსაც? — დააზუსტა ფრედ კინანმა.

— ოჰ, არა! — სწრაფად იუარა მაუჩმა, — ეს სხვა ამბავია. ეს სამთავრობო დაწესებულებაა. გარდა ამისა, არაკომერციულიც. თანაც, სამეცნიერო პროგრესის ზედამხედველობის საქმეშიც გამოგვადგება.

— ძალიან გამოგვადგება, — თქვა დოქტორმა ფერისმა.

— და რა ბედი ელით ინჟინრებს, პროფესორებსა და სხვა თანამშრომლებს როდესაც თქვენ ყველა ლაბორატორიას დახურავთ? — იკითხა ფრედ კინანმა, — როგორ უნდა ირჩინონ თავი, როდესაც ყველა სხვა სამუშაო და ბიზნესი დაიხურება?

— ოჰ, — თქვა უესლი მაუჩმა და კეფა მოიფხანა. შემდეგ მისტერ ვეზერბის მიუბრუნდა, — შემწეობას დავუნიშნავთ, კლემ?

— არა, — თქვა მისტერ ვეზერბიმ, — შემწეობა რისთვის დავუნიშნოთ? ისინი იმდენნი არ არიან, რომ საპროტესტო გამოსვლები მოაწყონ. არ ღირს მათთვის ყურადღების მიქცევა.

— ვფიქრობ, — თქვა მაუჩმა და ფერისს მიუბრუნდა, — ზოგიერთი მათგანის სამსახურში მიღებას შეძლებთ, არა, ფლოიდ?

— ზოგიერთისას, — თქვა ფერისმა აუჩქარებლად, თითქოს თითოეულ ბგერას აგემოვნებდა, — ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს.

— დანარჩენებს რა ბედი ეწევათ? — იკითხა ფრედ კინანმა.

— მოცდა მოუწევთ, სანამ „გაერთიანების საბჭო“ რაიმე საქმეს გამოუნახავთ, — თქვა უესლი მაუჩმა.

— და მანამდე რა უნდა ჭამონ?

მაუჩმა მხრები აიჩეჩა:

— საგანგებო ვითარებაში მსხვერპლი გარდაუვალია. ამას ვერ გავექცევით.

— ჩვენ გვაქვს ამის უფლება! — მოულოდნელად დაიყვირა ტაგარტმა, რომელიც თითქოს ოთახში გამეფებულ სიჩუმეს იწვევდა, — ეს აუცილებელია. ეს ხომ აუცილებელია ჩვენთვის? — პასუხი არავის გაუცია, — ჩვენ გვაქვს უფლება, დავიცვათ ჩვენი საარსებო წყარო! — საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს, მაგრამ ის მაინც გულგამგმირავი და მავედრებელი დაჟინებით განაგრძობდა, — საუკუნეების შემდეგ, პირველად ვიგრძნობთ თავს უსაფრთხოდ. ყველას ეცოდინება საკუთარი ადგილი და სამსახური, და სხვებისაც — და ჩვენ ნებისმიერი ახირებული მაწანწალას იმედად აღარ ვიქნებით, რომელსაც თავში ახალი აზრი მოუვა. აღარავინ აღარ გაგვაძევებს ჩვენი ბიზნესიდან, აღარ მიითვისებენ ჩვენს ბაზრებს, ვერ დააგდებენ ფასს და ჩვენს პროდუქციას დრომოჭმულად ვერ აქცევენ. აღარავინ შემოგვთავაზებს რაღაც წყეულ სიახლეს და აღარ. ვიმკითხავებთ, მისი შეძენის შემთხვევაში უკანასკნელ პერანგსაც დავკარგავთ, თუ მაშინ დავრჩებით ამ პერანგის გარეშე, ის ჩვენ კი არა, ჩვენმა კონკურენტმა რომ იყიდოს. ჩვენ აღარ მოგვიწევს გადაწყვეტილების მიღება. არავის დართავენ ნებას, რაიმე გადაწყვიტოს. გადაწყვეტილება ერთხელ და სამუდამოდ მიიღება. — ტაგარტმა მუდარით მოავლო თვალი ოთახში მყოფთ, — აღარაფრის გამოგონება აღარ არის საჭირო, უკვე საკმარისია გამოგონებული — ეს ყველას კომფორტს გასწვდება. რატომ უნდა დართონ მათ ნება, კიდევ გამოიგონონ რაიმე? რატომ უნდა მივცეთ მათ იმის საშუალება, რომ ყოველ ნაბიჯზე საფრთხეში ჩაგვაგდონ? რატომ უნდა ვიმოძრაოთ მარადიულ გაურკვევლობაში? მხოლოდ რამდენიმე დაუდეგარი, ამბიციური ავანტიურისტის გამო? მთელი კაცობრიობის კმაყოფილება რამდენიმე დაუმორჩილებლის სიხარბეს უნდა შევწიროთ? ჩვენ ისინი არ გვჭირდება. საერთოდ არ გვჭირდება ისინი. როგორ ვოცნებობ, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს

გმირების თაყვანისცემა! გმირები? კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მათ ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ. მათ კაცობრიობა გიჟური სრბოლისთვის გაწირეს, სულის მოთქმის, დასვენების, დამშვიდებისა და უსაფრთხოების შეგრძნების საშუალება წაართვეს. სულ ვცდილობდით, მად არ ჩამოვრჩენოდით... დაუსრულებლად, გამუდმებით... როგორც კი დავეწეოდით, ისინი უკვე წლებით გვისწრებდნენ წინ... მათ ჩვენ შანსი არ დაგვიტოვეს... ისინი არასდროს არ გვიტოვებენ შანსს... — ტაგარტმა აწრიალებული მზერა ფანჯარას მიაპყრო, მაგრამ მალევე გვერდზე გაიხედა: არ სურდა, შორს აღმართული თეთრი ობელისკი დაენახა, — ჩვენ მათთან საქმე აღარ გვაქვს. ჩვენ გავიმარჯვეთ, ეს ჩვენი საუკუნეა. ჩვენი სამყაროა. ჩვენ მივაღწევთ უსაფრთხოებას — პირველად, საუკუნეების განმავლობაში — პირველად მას მერე, რაც სამრეწველო რევოლუცია დაიწყო!

— ჩემი აზრით, ეს, — გაუსწორა ფრედ კინანმა, — ანტისამრეწველო რევოლუცია იქნება.

— რა უცნაურ რამეებს ამბობთ! — წამოიძახა უესლი მაუჩმა, — მსგავსი რამ საჯაროდ არ უნდა ვთქვათ.

— ნუ ღელავ, ძმაო. ამას ხალხს არ ვეტყვი.

— ეს აშკარად მცდარი დასკვნაა, — განაცხადა დოქტორმა ფერისმა, — ამ განცხადების საფუძველი უცოდინრობაა. დიდი ხანია, რაც ყველა ექსპერტმა აღიარა, რომ წინასწარ დაგეგმილი ეკონომიკით მაქსიმალური პროდუქტიულობა მიიღწევა, ცენტრალიზაცია კი სუპერინდუსტრიალიზაციის წინაპირობაა.

— ცენტრალიზაცია სპობს მონოპოლიის მავნე ზეგავლენას, — თქვა ბოილმა.

— ეგ როგორ? — კითხვა გაწელა კინანმა.

ბოილმა ვერ შენიშნა მის ხმაში დაცინვის ტონი და სერიოზულად უპასუხა:

—ცენტრალიზაცია ხელს უშლის მონოპოლიის მავნე ზეგავლენას. ის მრეწველობის დემოკრატიზაციას იწვევს, ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის ყველაფერს. მაგალითად, ახლა, ამ ვითარებაში, როდესაც რკინის მადნის ასეთი დეფიციტია, რატომ უნდა ვფლანგო ფული, შრომა და ეროვნული რესურსები დრმოჭმული ფოლადის დამზადებაზე, როდესაც არსებობს გაცილებით უკეთესი მეტალი, რომელიც შემეძლო, მეწარმოებინა? მეტალი, რომელიც ყველას სურს, მაგრამ მისი მიღება არავის შეუძლია. ეს არის კარგი ეკონომიკა ან ქმედითი დემოკრატიული სამართლიანობა? რა ტომ არ უნდა მქონდეს უფლება, ვაწარმოო ეს მეტალი და რატომ ვერ უნდა მიიღოს ხალხმა ის, როდესაც ასე სჭირდება? მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეგოისტის კერძო მონოპოლიის გამო? ჩვენი უფლებები მის პირად ინტერესებს უნდა შევწიროთ?

— დაიკიდე, ძმაო, — თქვა ფრედ კინანმა, — ეგ ყველაფერი მეც წავიკითხე გაზეთებში. — არ მომწონს თქვენი პოზიცია, — უეცრად გაცეცხლდა ბოილი და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელიც სამიკიტნოში უსათუოდ გარდაუვალი შეხლა-შემოხლის მომასწავებელი იქნებოდა. ის სავარძელში შესწორდა, თითქოს წარმოსახვით მოყვითალო ქაღალდზე დაბეჭდილი პუნქტების მხარდაჭერა იგრძნო:

როდესაც ხალხს უკიდურესად უჭირს, ჩვენი სოციალური ძალისხმევა ხმარებიდან გამოსული ნაწარმის დამზადებას უნდა შევალიოთ? უნდა დავუშვათ, რომ უმრავლესობა გაჭირვებულ მდგომარეობაში დარჩეს მაშინ, როდესაც უმცირესობა უკეთეს ნაწარმსა და მეთოდებს გვიმალავს? ნუთუ, პატენტის უფლებების ცრურწმენამ უნდა შეგვაჩეროს? ნუთუ, ნათელი არ არის, რომ კერძო წარმოება ვერ უმკლავდება დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისს? მაინც რამდენი ხანი

ვაპირებთ, შევეგუოთ რიერდენ მეტალის აღმაშფოთებელ დეფიციტს? ამ მეტალზე საზოგადოების მხრიდან დიდი მოთხოვნაა, რომელსაც რიერდენი ვერ აკმაყოფილებს. როდის უნდა მოვუღოთ ბოლო ეკონომიკურ უსამართლობასა და განსაკუთრებულ პრივილეგიებს? რიერდენ მეტალის წარმოების უფლება მხოლოდ რიერდენს რატომ უნდა ჰქონდეს?

— არ მომწონს თქვენი პოზიცია, — დაასრულა მან, — რაკიღა ჩვენ პატივს ვცემთ მუშათა უფლებებს, გვინდა, რომ თქვენც პატივისცემით მოეპყროთ მეწარმეთა უფლებებს.

— რომელ მეწარმეთა რომელ უფლებებზე მელაპარაკებით? — თავისას არ იშლიდა კინანი.

— ჩემი ვარაუდით, — სასწრაფოდ ჩაერთო დოქტორი ფერისი, — მეორე პუნქტი ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია. ბოლო უნდა მოვუღოთ მეწარმეების ბიზნესიდან წასვლისა და გაქრობის ამ უცნაურ შემთხვევებს. უნდა შევაჩეროთ ისინი, მთელი ჩვენი ეკონომიკა რომ არ დაინგრეს.

— ამას რატომ აკეთებენ? — თქვა ტაგარტმა ნერვიულად, — მაინც რისთვის?

— ეს არავინ არ იცის, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — ჩვენ ვერავითარ ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ, ახსნა ვერ მოვუძებნეთ. მაგრამ ეს უნდა დასრულდეს. კრიზისის დროს ეკონომიკური სამსახური ისეთივე სავალდებულოა ქვეყნისთვის, როგორც სამხედრო სამსახური. ყველა, ვინც მას თავს აარიდებს, დეზერტირად უნდა გამოცხადდეს. მე ასეთი ადამიანების სიკვდილით დასჯის წინადადება შემოვიტანე, მაგრამ უესლი არ დამეთანხმა.

— დაწყნარდი, ბიჭო, — აუჩქარებლად, რაღაცნაირი უცნაური ტონით ჩაილაპარაკა ფრედ კინანმა. ის უცებ გაქვავდა და გულხელდაკრეფილი ისე მიაჩერდა ფერისს, რომ ოთახში მყოფთათვის მოულოდნელად ნათელი გახადა, რომ ფერისი მკვლელობის ჩადენას სთავაზობდათ, — სიტყვა აღარ დაგცდეს სიკვდილით დასჯის შესახებ, როცა საქმე მრეწველობას ეხება.

დოქტორმა ფერისმა მხრები აიჩეჩა.

— უკიდურეს ზომებს არ უნდა მივმართოთ, — სასწრაფოდ ჩაერთო მაუჩი, — ჩვენ ადამიანების შეშინება არ გვსურს. ჩვენ გვინდა, რომ ისინი მოგვემხრონ. მთავარი პრობლემა ახლა ის არის, მოიწონებენ... მოიწონებენ თუ არა ისინი დირექტივას საერთოდ?

— მოიწონებენ, — თქვა დოქტორმა ფერისმა.

— მე ცოტა არ იყოს, ვღელავ, — თქვა იუჯინ ლოუსონმა, — მესამე და მეოთხე პუნქტთან დაკავშირებით. პატენტების ჩამორთმევა კარგია. მრეწველების დაცვას არავინ არ აპირებს. მაგრამ მე საავტორო უფლებების ჩამორთმევის საკითხი მაწუხებს.

ეს ინტელექტუალებს ჩვენ წინააღმდეგ განაწყობს, რაც სახიფათოა, ეს სულიერების საკითხია. მეოთხე პუნქტი ხომ იმას გულისხმობს, რომ დღეიდან მოყოლებული, არც ერთი ახალი წიგნი აღარ დაიწერება და გამოიცემა?

— დიახ, — თქვა მაუჩმა, — ასეა. მაგრამ საგამომცემლო ბიზნესისთვის გამონაკლისს ვერ დავუშვებთ. ეს ისეთივე მრეწველობაა, როგორც ნებისმიერი სხვა სფერო, როდესაც ჩვენ ვამბობთ — „არავითარი ახალი ნაწარმი“, ეს უნდა ნიშნავდეს „არავითარ ახალ ნაწარმს“.

— კი მაგრამ, ეს ხომ სულიერების საკითხია, — თქვა ლოუსონმა; მის ხმაში გონივრული პატივისცემა კი არა, ცრუმორწმუნეობრივი კრძალვა ისმოდა.

— ჩვენ არავის სულს არ ვეხებით. მაგრამ, როდესაც წიგნს ფურცელზე ბეჭდავ, ის მატერიალური საგანი ხდება — და თუ ერთი ტიპის საქონლის შემთხვევაში დავუშვებთ გამონაკლისს, დანარჩენებს ვეღარ გავაკონტროლებთ და სტაბილურობას ვეღარ შევინარჩუნებთ.

— დიახ, ეს მართალია. მაგრამ...

— ნუ ხართ ლენჩი, ჯინ, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — ხომ არ გინდათ, რომ ზოგიერთმა დაუმორჩილებელმა მწერალმა ისეთი ტრაქტატები დაბეჭდოს, რომლებიც ჩვენს პროგრამას მთლიანად გაანადგურებს? ერთი თუ წამოგცდათ სიტყვა „ცენზურა“, მათ ვეღარ გააჩუმებთ — სისხლისმსმელ მკვლელად გამოგაცხადებენ. ისინი ამისთვის მზად არ არიან — ჯერჯერობით. მაგრამ თუ სულიერებას გვერდზე გადადებთ და ყველაფერს მარტივ მატერიალურ საკითხად აქცევთ — არა იდეების საგნად, არამედ ქაღალდის, მელნისა და საბეჭდი დაზგის საგნად — მიზანს გაცილებით უფრო იოლად მიაღწევთ. იზრუნეთ, რომ არაფერი სახიფათო არ დაიბეჭდოს, მატერიალური საკითხის გამო ჩხუბს არავინ ატეხს.

— დიახ, მაგრამ... მაგრამ არა მგონია, მწერლებმა ეს მოიწონონ.

— დარწმუნებული ხართ? — იკითხა უესლი მაუჩმა თითქმის ღიმილით, — არ დაგავიწყდეთ, რომ მეხუთე პუნქტის ძალით გამომცემლებმა იმდენი წიგნი უნდა დაბეჭდონ, რამდენიც საბაზისო წელს გამოსცეს. რაკი ახალი წიგნები აღარ იქნება, მათ ძველი წიგნების ხელახლა გამოცემა მოუწევთ და საზოგადოებასაც მოუწევს ზოგიერთი ძველი წიგნის ყიდვა. ბევრი ღირებული წიგნი არსებობს, რომელთაც არასოდეს მისცემიათ თანაბარი შესაძლებლობა.

— ოჰ, — თქვა ლოუსონმა; მას გაახსენდა, რომ ორი კვირის წინ ნახა, თუ როგორ მიირთმევდა მაუჩი ბალფ იუბენკთან ერთად ლანჩს, მერე მოიღუშა და თავი გადააქნია, — მაინც მაწუხებს ეს საკითხი. ინტელექტუალები ჩვენი მეგობრები არიან. ჩვენ არ გვსურს მათი დაკარგვა. მათ შეუძლიათ, უამრავი პრობლემა შეგვიქმნან.

— ისინი პრობლემებს არ შეგვიქმნიან, — უპასუხა ფრედ კინანმა, — თქვენი ინტელექტუალები პირველები მოკეტავენ, როგორც კი საფრთხეს იყნოსავენ. წლების განმავლობაში აფურთხებენ ადამიანებს, რომლებიც კვებავენ — და ხელებს ულოკავენ იმას, ვინც მათ გამოყეყეჩებულ სიფათში ულაწუნებდა. ვინ ჩააბარა ევროპის ყველა ქვეყანა ერთიმეორის მიყოლებით კომუნისტებს და მკვლელებს? ეგენი არ გაჰყვიროდნენ, რომ გაეუქმებინათ უსაფრთხოების ყველა სისტემა და ყველა ბოქლომი გაედოთ ავაზაკებისთვის? მას შემდეგ მათთვის თვალი მოგიკრავთ? ისინი არ გაიძახოდნენ, რომ მუშათა კლასის მეგობრები იყვნენ? გაგიგიათ, ოდესმე გაეპროტესტებინოთ კატორღული სამუშაოები, მონათა ბანაკები, თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე და სურავანდისგან გამოწვეული სიკვდილიანობა ევროპის სახალხო რესპუბლიკებში? არა, მაგრამ ის ხომ გვესმის, როგორ უქადაგებენ საცოდავ ღატაკებს, რომ შიმშილობა კეთილდღეობაა, რომ მონობა თავისუფლებაა, რომ საწამებელი საკნები ძმური სიყვარულის აკვანია და თუ ეს არ ესმით, მაშინ მათი ტანჯვა მათივე ბრალი ყოფილა, და რომ ყველა მათი პრობლემა სათნო ლიდერების კი არა, ციხის საკნებში დაღუპული ადამიანების ბრალია! ინტელექტუალები? შეგიძლიათ, ადამიანების ნებისმიერ სხვა სახეობაზე იდარდოთ, ოღონდ თანამედროვე ინტელექტუალებზე არა: ისინი ყველაფერზე დახუჭავენ თვალს. ნავსადგურის მტვირთავ მუშათა კავშირში გაერთიანებული ყველაზე საზიზღარი ქმნილების შემთხვევაშიც კი, ასეთი დამშვიდებული ვერ ვიქნებოდი: მას შესაძლოა,

მოულოდნელად გაახსენდეს, რომ ადამიანია — და მაშინ მის გაკონტროლებას ვეღარ შევძლებ. რაც შეეხება ინტელექტუალებს, მაგათ ეს დიდი ხანია, გადაავიწყდათ. მგონი, სწორედ ამისთვის იყო გამიზნული მთელი ამათი საგანმანათლებლო სისტემა. ინტელექტუალებს რაც გნებავთ, ის გაუკეთეთ — ყველაფერს შეეგუებიან.

— ამჯერად, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — მე ვეთანხმები მისტერ კინანს. მის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს ვეთანხმები, მის გრძნობებს არა. შენ არ უნდა გადარდებდეს ინტელექტუალები, უესლი. უბრალოდ, რამდენიმე მათგანი მთავრობაში დაასაქმე და ზუსტად ისეთი რამის საქადაგებლად გაუშვი, რაც მისტერ კინანმა თქვა: რომ ყველაფერი მსხვერპლის ბრალია. დაუნიშნე მათ ასე თუ ისე რიგიანი ხელფასები და შთამბეჭდავი ტიტულები — მაშინვე გადაავიწყდებათ თავიანთი საავტორო უფლებები და უფრო დიდ სამსახურს გაგიწევენ, ვიდრე პოლიციელთა მთელი რაზმები.

— გასაგებია, — თქვა მაუჩმა, — ვიცი.

— საფრთხე, რომელიც მაწუხებს, სულ სხვა მხრიდან არის მოსალოდნელი, — თქვა ჩაფიქრებულმა ფერისმა, — შენ შესაძლოა, სერიოზული პრობლემა შეგიქმნას იმ ჩუქების სერტიფიკატის საქმემ, უესლი.

— ვიცი, — თქვა მაუჩმა პირქუშად, — სწორედ ამ საკითხის მოგვარებაში მინდოდა, დაგვხმარებოდა ტომპსონი. მაგრამ, მგონი, მას ეს არ შეუძლია. სინამდვილეში, ჩვენ პატენტების მითვისების იურიდიული ძალა არ გვაქვს. ოჰ, უამრავ კანონში მოიპოვება ისეთი მუხლები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამის გადაფარვა — თითქმის, მაგრამ არა სრულად გადაფარვა. ნებისმიერ მაგნატს, რომელიც მოისურვებს სარჩელის შეტანას, ჩვენი დამარცხების საკმაოდ დიდი შანსი ექნება. ჩვენ გარეგნულად უნდა შევინარჩუნოთ კანონიერება — წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ამას არ მიიღებს. — ნამდვილად ასეა, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ის პატენტები ნებაყოფლობით გადმოგვეცეს. რომც გვქონდეს ახალი კანონი, რომელიც ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მყისიერად გადაცემის საშუალებას მოგვცემდა, გაცილებით აჯობებს, თუ ამ ქონებას საჩუქრად მივიღებთ, ხალხს იმის ილუზია უნდა დავუტოვოთ, რომ ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ კერძო საკუთრების უფლებებს. მათი უმეტესობა თამაშში აგვყვება. ისინი ხელს მოაწერენ ჩუქების სერტიფიკატებს. უბრალოდ, გაავრცელეთ ხმები, რომ ეს პატრიოტული მოვალეობაა, და რომ ყველა, ვინც უარს ამბობს ამაზე, ხარბია, და ისინი ხელს მოუწერენ სერტიფიკატს. მაგრამ... — ფერისს სიტყვა გაუწყდა.

— ვიცი, — კიდევ უფრო განერვიულდა მაუჩი, — ალბათ, აქა-იქ გამოჩნდება ძველმოდურად მოაზროვნე რამდენიმე ნაძირალა, რომელიც უარს იტყვის ხელის მოწერაზე, მაგრამ მათ საკმარისი გავლენა არ ექნებათ, ხმაური რომ ატეხონ, ამის შესახებ ვერავინ შეიტყობს, მათ ეგოიზმის გამო საკუთარი სამეგობრო დაუპირისპირდება, ასე რომ, ეს ვერავითარ პრობლემას ვერ შეგვიქმნის. ჩვენ მაინც მივიღებთ პატენტებს — მათ კი სარჩელის შესატანად არც გამბედაობა ეყოფათ და არც ფული, მაგრამ... — მაუჩი გაჩუმდა.

ჯეიმს ტაგარტი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, თან მათ შესცქეროდა; ახლა უკვე მოსწონდა საუბრის ასეთი მიმართულებით განვითარება.

— დიახ, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — ამაზე მეც ვფიქრობ. რა მოხდება, ერთმა მაგნატმა ჩვენი განადგურება რომ გადაწყვიტოს? ძნელი სათქმელია, მერე ფეხზე დადგომას ისევ მოვახერხებთ თუ არა. მხოლოდ ღმერთმა იცის, რა შეიძლება,

მოხდეს ასეთ ისტერიულ დროს და ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში. ნებისმიერმა რამემ შესაძლოა, ქაოსი გამოიწვიოს; ყველაფერი გამოიყვანოს მწყობრიდან. და თუ ერთი ადამიანი მაინც არსებობს, ვისაც ამის გაკეთება სურს, გააკეთებს კიდეც. აკეთებს კიდეც და შეუძლია კიდეც ეს. ის კარგად იცნობს ჭეშმარიტ ვითარებას, ისეთი რამეები იცის, რაზეც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს და არ შეეშინდება, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. ის ერთ სახიფათო, საბედისწეროდ სახიფათო იარაღს ფლობს. ის ჩვენი მოსისხლე მტერია.

— ვის შესახებ ლაპარაკობთ? — იკითხა ლოუსონმა.

დოქტორი ფერისი შეყოვნდა, მხრები აიჩეჩა და უპასუხა:

— უდანაშაულო კაცის შესახებ.

ლოუსონი მას უაზრო გამომეტყველებით მიაშტერდა:

— რას გულისხმობთ, ვისზე ლაპარაკობთ?

ჯეიმს ტაგარტმა გაიღიმა.

— იმას ვგულისხმობ, რომ ადამიანის განიარაღება, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — მხოლოდ დანაშაულის გრძნობით შეიძლება. იმის საშუალებით, რაც თავად მას დანაშაულად მიაჩნია. თუ ადამიანს ოდესმე ათცენტიანი მოუპარავს, თქვენ შეგიძლიათ, მას ბანკის მძარცველისთვის გამიზნული სასჯელი დააკისროთ და ის ამას დაეთანხმება. უბედურების ნებისმიერ ფორმას აიტანს, ჩათვლის, რომ უკეთესს არ იმსახურებს. თუ სამყაროში საკმარისი დანაშაულის გრძნობა არ არის, ჩვენ ის უნდა შევქმნათ. თუ ჩვენ ვასწავლით ადამიანს, რომ გაზაფხულის ყვავილების ცქერა ბოროტებაა და ამას დაიჯერებს, მერე კი მაინც შეხედავს მათ — შეგვეძლება, ამ ადამიანს ისე მოვექცეთ, როგორც მოგვესურვება. ის თავს არ დაიცავს. ჩათვლის, რომ იმსახურებს. არ იბრძოლებს. მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ადამიანისგან, რომელიც საკუთარი სტანდარტებით ხელმძღვანელობს. ღმერთმა დაგვიფაროს სუფთა სინდისის მქონე ადამიანისგან. სწორედ ასეთი მოახერხებს ჩვენს დამარცხებას.

— ჰენრი რიერდენზე საუბრობთ? — იკითხა ტაგარტმა მიამიტი ხმით.

სახელმა, რომლის წარმოთქმაც არავის არ სურდა, ოთახში მყოფებს მოულოდნელად დაურღვია მყუდროება.

— ასეც რომ იყოს, რა მერე? — იკითხა ბოლოს დოქტორმა ფერისმა წინდახედულად — ოჰ, არაფერი, — მხრები აიჩეჩა ტაგარტმა, — მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ თუ თქვენ ჰენრი რიერდენზე საუბრობდით, მე შემიძლია მისი დაყოლიება ის სერტიფიკატს ხელს მოაწერს.

ინტუიციისა და გამოცდილების წყალობით, ოთახში მყოფთაგან ყველა მიხვდა, რომ ტაგარტი არ ცრუობდა.

— ღმერთო ჩემო, ჯიმ! არაააა?! — წამოიძახა უესლი მაუჩმა — დიახ, — თქვა ტაგარტმა, — მეც გაოგნებული ვიყავი, როდესაც შევიტყვე — როდესაც ეს შევიტყვე. ნამდვილად არ მოველოდი. ყველაფერს ვიფიქრებდი, ამის გარდა.

— მიხარია ამის გაგება, — თქვა მაუჩმა შეპარვით, — ეს კონსტრუქციული ინფორმაციაა. და ალბათ ძალიან სასარგებლოც.

— ძალიან სასარგებლო, დიახ, —:—თქვა. ტაგარტმა თავაზიანად, — დირექტივის ამოქმედებას როდისთვის გეგმავთ?

— ოჰ, დრო არ იცდის. არ გვინდა, რომ ხალხში რაიმემ გაჟონოს იმედი მაქვს კრინტს არავინ დაძრავთ. ალბათ, რამდენიმე კვირაში ვიქნებით მზად მის გამოსაცემად.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ სასურველი იქნება, ვიდრე ყველა ფასი გაიყინება, მანამდე დარეგულირდეს სარკინიგზო ტარიფების საკითხი? მე მათ ზრდას ვვარაუდობდი. მცირე, თუმცა არსებითად საჭირო ზრდას.

— კარგი, ამ საკითხს თქვენ და მე განვიხილავთ, — თქვა მაუჩმა მეგობრული ტონით, — ამის მოგვარება შესაძლებელია. — შემდეგ დანარჩენებს მიუბრუნდა; ბოილს სახე ჩამოსტიროდა, — ჯერ კიდევ ბევრი დეტალია დასაზუსტებელი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პროგრამა რაიმე არსებით სიძნელეს არ წააწყდება:

მაუჩი საჯარო მიმართვისთვის გამიზნული. ტონითა და მანერით საუბრობდა; მისი ხმა მკვეთრად და თითქმის ხალისიანად გაისმოდა, — ხარვეზები მოსალოდნელია.

თუ ერთი გეგმა არ გაამართლებს, მეორეს მოვსინჯავთ. მოქმედების ერთადერთი პრაგმატული წესი შეცდომებზე სწავლაა. უბრალოდ, ისევ და ისევ ვცდით. თუ რაიმე სიძნელეები წამოიჭრა, გახსოვდეთ, რომ ეს მხოლოდ დროებითია. ვიდრე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ დასრულდება.

— მითხარით ერთი, — იკითხა კინანმა, — საგანგებო მდგომარეობა როგორ დასრულდება, თუ ყველაფერი უმოქმედოდ იქნება?

— თეორიულ მსჯელობას შეეშვით, — მოუთმენლად მოჭრა მაუჩმა, — ჩვენ დღევანდელობის მოთხოვნებს უნდა გავუმკლავდეთ. უმნიშვნელო დეტალებით თავს ნუ შეიწუხებთ, თუკი ჩვენი პოლიტიკის საერთო მიმართულება გასაგებია, ჩვენ გვექნება ძალაუფლება. ჩვენ შევძლებთ, მოვაგვაროთ ნებისმიერი პრობლემა და ვუპასუხოთ ნებისმიერ კითხვას.

ფრედ კინანმა ჩაიცინა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

— ეს აღარ გაიმეოროთ! — დაიყვირა ტაგარტმა.

— მეშვიდე პუნქტთან დაკავშირებით ერთი შეკითხვა მაქვს — თქვა კინანმა, — ამ პუნქტის თანახმად, ყველა ხელფასი, ფასი, დივიდენდი, მოგება და სხვა დანარჩენი დირექტივის გამოსვლის დღეს გაიყინება. ეს გადასახადებსაც ეხება?

— ოჰ, არა! — შესძახა მაუჩმა, — წინასწარ როგორ განვსაზღვრავთ, მომავალში რა თანხები დაგვჭირდება?

კინანს სახეზე ღიმილი დაეტყო.

— რა იყო? — დაიღრინა მაუჩმა.

— არაფერი, — თქვა კინანმა, — უბრალოდ, ისე ვიკითხე მაუჩი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— უნდა გითხრათ, რომ ძალიან ვაფასებ, აქ რომ მოხვედით და თქვენი შეხედულებები გაგვიზიარეთ. ეს ძალიან დაგვეხმარა. — ის წინ გადაიხარა, რომ მაგიდის კალენდრისთვის დაეხედა; ერთი წამით დაჰყურებდა მას, თან ხელში ფანქარს ათამაშებდა. შემდეგ ფანქარი კალენდარზე დაეშვა და თარიღი მოხაზა, — დირექტივა 10-289 პირველი მაისის დილას ამოქმედდება.

თანხმობის ნიშნად ყველამ თავი დააქნია. ოთახში მყოფები ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

ჯეიმს ტაგარტი ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და თეთრ ობელისკს დარაბა ჩამოაფარა.

* * *

ახალგაღვიძებულმა დაგნიმ განცვიფრებით შეხედა კაშკაშა, ნათელი ცის ფონზე აღმართული უცნობი შენობების კოშკურებს. შემდეგ ფეხზე დაიხედა და თხელი

წინდის დაგრეხილ ნაოჭს მოჰკრა თვალი, წელის არეში დაჭიმულობა იგრძნო და გააცნობიერა, რომ საკუთარ კაბინეტში, დივანზე იწვა. მის სამუშაო მაგიდაზე საათი 06:15-ს იტყობინებოდა და მზის პირველი სხივები ფანჯრის მიღმა ცათამბჯენების სილუეტებს ვერცხლისფრად ფერავდა. დაგნის მხოლოდ ის ახსოვდა, რომ სულ ათ წუთით წამოწვა დივანზე მოსასვენებლად, როდესაც ფანჯარაში წყვდიადი მოჩანდა და საათი 3:30-ს აჩვენებდა.

თავს ძალა დაატანა და მკვეთრი მოძრაობით წამოდგა, საშინლად მოთენთილი იყო. მაგიდის განათება დილის სიკაშკაშეში უსარგებლოდ ანათებდა. ფურცლების გროვას, მის მოსაწყენ და დაუმთავრებელ სამუშაოს. დაგნი ცდილობდა, რამდენიმე წუთით მაინც აღარ ეფიქრა საქმეზე, სანამ მაგიდას ჩაუვლიდა, მძიმე ნაბიჯებით შევიდოდა სააბაზანოში და პეშვით ცივ წყალს შეისხამდა სახეზე.

კაბინეტში დაბრუნებული დაღლილობას უკვე აღარ გრძნობდა. იმის მიუხედავად, როგორ გაატარებდა ღამეს, ვერ იხსენებდა ვერც ერთ დილას, როდესაც არ გრძნობდა ჩუმი მღელვარების მოზღვავებას, რომელიც მის სხეულს ენერგიით, გონებას კი მოქმედების წყურვილით ავსებდა — ეს მისი დღის დასაწყისი იყო, ეს დღე მის ცხოვრებას ეკუთვნოდა.

მან ქალაქს გახედა. ცარიელი ქუჩები უფრო ფართო მოჩანდა; გაზაფხულის თავბრუდამხვევ სუფთა ჰაერში გარინდებულნი თითქოს ელოდნენ, როდის წალეკავდა ადამიანების ბობოქარი, საქმიანი ნაკადი. შორს კალენდარი პირველ მაისს აჩვენებდა. დაგნი სამუშაო მაგიდას გამომწვევი ღიმილით მიუჯდა. სძულდა ანგარიშების კითხვა, მაგრამ ეს მისი სამუშაო იყო, მისი რკინიგზა. მან სიგარეტს მოუკიდა, ვარაუდობდა, რომ ამ საქმეს საუზმემდე დაამთავრებდა; განათება გამორთო და ფურცლები წინ დაიწყო.

ეს ანგარიშები ტაგარტის სარკინიგზო სისტემის ოთხი რეგიონის გენერალურ მენეჯერებს ეკუთვნოდათ, რომლებიც სასოწარკვეთით იუწყებოდნენ, რომ აღჭურვილობა მწყობრიდან გამოსულიყო; კოლორადოში, უინსტონის სიახლოვეს, მთავარ ხაზზე მომხდარი ავარიის მაუწყებელი ანგარიშიც აქ იყო; საოპერაციო დეპარტამენტის ბიუჯეტი, უკვე შესწორებული გაზრდილი ტარიფების გათვალისწინებით, ჯიმმა რომ მოიბრძოლა წინა კვირას ცდილობდა, როგორმე ჩაეხშო ბიუჯეტის ციფრების კითხვისას გაჩენილი უიმედობის განცდა: მთელი ეს გაანგარიშებები იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ გადასაზიდი ტვირთის მოცულობა უცვლელი დარჩებოდა, და რომ ტარიფების ზრდა წლის ბოლოსთვის მათ დამატებით შემოსავალს მოუტანდა; დაგნიმ კი იცოდა, რომ ტვირთის მოცულობა განუწყვეტლივ იკლებდა, რომ ტარიფების ზრდა ბევრს არაფერს შეცვლიდა, რომ წლის ბოლოს უფრო მეტ ზარალს ნახავდნენ, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

როდესაც ფურცლებიდან თავი აიღო, ცოტა გაუკვირდა, რომ საათი უკვე 9:25-ს აჩვენებდა. მისაღებიდან ბუნდოვნად მოესმა ჩვეული ხმები — თანამშრომლები სამუშაო დღეს იწყებდნენ; უკვირდა, კაბინეტში რატომ არ შემოვიდა არავინ და აქამდე რატომ დუმდა მისი ტელეფონი; როგორც წესი, ამ დროისთვის იქ უკვე სიცოცხლე დუღდა. დაგნიმ კალენდარს შეხედა; დილის ცხრა საათზე მისთვის ჩიკაგოდან, მაკნეილის საავტომობილო საამქროდან უნდა დაერეკათ ახალ სატვირთო ვაგონებთან დაკავშირებით, რომლებსაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ექვსი ვის განმავლობაში ელოდა.

დაგნიმ შიდა კომუნიკატორი ჩართო, რომ თავის მდივანს დაჰკავშირებოდა.

ყურმილში გოგონას შეშინებული ხმა გაისმა:

— მის ტაგარტ! აქ ხართ, თქვენს კაბინეტში?

— წუხელაც აქ მეძინა. არ ვაპირებდი, მაგრამ ასე მოხდა. მაკნეილის საავტომობილო საამქროდან ხომ არ დაურეკავთ ჩემთვის?

— არა, მის ტაგარტ.

— მაშინვე დამაკავშირეთ, როგორც კი დამირეკავენ.

— კეთილი, მის ტაგარტ.

კომუნიკატორი გამორთო, დაგნი შეფიქრიანდა, მოეჩვენა, რომ მდივანი გოგონა უცნაური, არაბუნებრივად დაძაბული ხმით ლაპარაკობდა.

შიმშილით გამოწვეული სუსტი თავბრუსხვევა იგრძნო და გაიფიქრა, რომ დაბლა უნდა ჩასულიყო ყავის დასალევად, მაგრამ მთავარი ინჟინრის ანგარიში ჯერ კიდევ დასამთავრებელი ჰქონდა, ამიტომაც კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა.

მთავარი ინჟინერი თავად ზედამხედველობდა ძირითად სარკინიგზო ხაზზე „ჯონ გოლტის ხაზიდან“ აყრილი რიერდენ მეტალისგან დამზადებული რელსების დაგებას,; დაგნიმ რეკონსტრუქციისთვის ისეთი მონაკვეთები შეარჩია, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდა შეკეთებას. ანგარიში გადაშალა და ბრაზიანი უნდობლობით შეუდგა კითხვას — მთავარ ინჟინერს კოლორადოში, უინსტონის მთიან მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები შეეჩერებინა. ის დაგნის გეგმების შეცვლას სთავაზობდა: ამბობდა, რომ უინსტონისთვის განკუთვნილი რელსები ვაშინგტონი-მაიამის სარკინიგზო განშტოებაზე გამოეყენებინათ. ინჟინერი მიზეზსაც ასახელებდა: იმ განშტოებაზე წინა კვირას ავარია მომხდარიყო და მისტერ ტინკი ჰოლოვეი, რომელსაც თან მეგობრებიც ახლდა, სამი საათით შეყოვნებულიყო; მთავარ ინჟინერს ეცნობა, რომ მისტერ ჰოლოვეი უკიდურესად განაწყენებული ყოფილა. ინჟინერი ანგარიშში წერდა, რომ მართალია, წმინდა ტექნოლოგიური თვალსაზრისით მაიამის განშტოების“ ლიანდაგი უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე უინსტონის მონაკვეთი, მაგრამ უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი, რომ სოციოლოგიური თვალთახედვით, მაიამის განშტოება მგზავრთა უფრო მნიშვნელოვან ფენას ემსახურებოდა; აქედან გამომდინარე, მთავარი ინჟინერი გამოდიოდა ინიციატივით, უინსტონის რეკონსტრუქცია ცოტა ხნით კიდევ შეეჩერებინათ და მთაში გაყვანილი ლიანდაგის მივარდნილი მონაკვეთი მსხვერპლად გაეღოთ იმ სარკინიგზო განშტოებისთვის, სადაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ვერ დაუშვებდა, არასასურველი შთაბეჭდილება დაეტოვებინათ“.

დაგნი კითხვისას გააფთრებით ჯღაბნიდა შენიშვნებს ფანქრით ფურცლების კიდეებზე და ფიქრობდა, რომ დღეს პირველ რიგში ამ სამარცხვინო უმსგავსობას მოუღებდა ბოლოს.

ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ? — დაგნიმ ხელი დასტაცა ყურმილს, — მაკნეილის საავტომობილო საამქროდან მიკავშირდებით?

— არა, — გაისმა მისი მდივნის ხმა, — სენიორ ფრანცისკო დ'ანკონია გკითხულობთ.

დაგნიმ წამიერი გაოგნებით დახედა ყურმილს:

— კარგი. დამაკავშირეთ.

შემდეგ მან ფრანცისკოს ხმა გაიგონა.

— ვხედავ, როგორც ყოველთვის, ახლაც შენს კაბინეტში ხარ, — თქვა მან დაძაბული და დამცინავი ხმით.

— მაინც, სად გეგონე?

— როგორ მოგწონს ახალი დირექტივა?

— რომელი დირექტივა?

— ტვინების მორატორიუმი.

— რაზე მელაპარაკები?

— დღევანდელი გაზეთები არ წაგიკითხავს?

— არა.

ფრანცისკო გაჩუმდა; შემდეგ ისევ გაისმა მისი ხმა, უკვე შეცვლილი და გამკაცრებული:

— გაზეთებს გადახედე, დაგნი.

— კარგი.

— მოგვიანებით დაგირეკავ.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა და კომუნიკატორი ჩართო.

— გაზეთები შემომიტანეთ, — დაავალა მდივანს.

— კეთილი, მის ტაგარტ, — უპასუხა მდივანმა დაღვრემილი ხმით.

დაგნის გაზეთები ედი უილერსმა შეუტანა და მაგიდაზე დაუდო. სახეზე იგივე ეწერა, რაც ფრანცისკოს ხმაში გაისმა: გამოუსწორებელი კატასტროფის წინათგრძნობა.

— არავის არ გვინდოდა, ეს ამბავი შენთვის“ პირველს შეგვეტყობინებინა, — უთხრა უილერსმა დაგნის ძალიან ჩუმად და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დაგნი ისევ ფლობდა საკუთარ სხეულს, თუმცა მის არსებობას ბოლომდე ვერ აცნობიერებდა. მართალია, წამოდგა და წელში გაიმართა, მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს ფეხქვეშ მიწას ვეღარ გრძნობდა. ოთახში ყველა საგანს არაბუნებრივი სიცხადე შეეძინა, თუმცა დაგნი ირგვლივ მაინც ვერაფერს ხედავდა, ოღონდ ერთი იცოდა — თუკი საჭირო გახდებოდა, აბლაბუდასაც კი დაინახავდა სადღაც კუთხეში და სახურავის კიდეზეც გაივლიდა მთვარეულისთვის დამახასიათებელი თავდაჯერებით. ვერ აცნობიერებდა, რომ ოთახს იმ ადამიანის თვალით შეჰყურებდა, ვისაც დაეჭვების უნარი დაჰკარგოდა და მხოლოდ პრიმიტიული ემოციები და ერთხელ არჩეული მიზანიღა შერჩენოდა. აბსოლუტური დარწმუნებულობის განცდამ, რომელიც ადრე წარმოუდგენელ სისასტიკედ მიაჩნდა, ახლა უჩვეულო სიმშვიდე მოჰგვარა. მრისხანება, რომელმაც მთელი მისი სხეული შეძრა და აქცია არსებად, ერთნაირი განურჩევლობით რომ მოკლავდა და მოკვდებოდა კიდეც, იყო მისი სიყვარული სამართლიანობისადმი — ერთადერთი სიყვარული, მთელი თავისი სიცოცხლე რომ მიუძღვნა.

დაგნიმ გაზეთი აიღო, კაბინეტიდან გავიდა და დერეფნისკენ გაემართა. მისაღები რომ გადაკვეთა, ხედავდა, როგორ მისჩერებოდნენ თანამშრომლები, ოღონდ გეგონებოდა, სულ სხვა განზომილებიდან.

სწრაფად, ძალდაუტანებლად მიაბიჯებდა დერეფანში, თუმცა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფეხებით მიწას არც კი ეხებოდა. არ ახსოვდა, რამდენი ოთახი გაიარა, რამდენ თანამშრომელს შეხვდა, ინსტინქტურად მოძრაობდა სწორი გეზით, შეაღო საჭირო კარი, გაუფრთხილებლად შევიდა და პირდაპირ ჯიმის მაგიდისკენ გაემართა.

დაგნიმ ჯიმს სახეში ესროლა დაგრაგნილი გაზეთი რომელიც მას ლოყაზე მოხვდა და ძირს დავარდა.

— აი, ჩემი განცხადება, მე სამსახურიდან მივდივარ ჯიმ — თქვა დაგნიმ — მე არც მონად ვიმუშავებ და არც მონების ზედამხედველად.

კარის მიჯახუნებისას დაგნის არ გაუგონია ჩახშული ამოოხვრა, რომელიც ჯიმს საპასუხოდ აღმოხდა.

მერე ისევ თავის კაბინეტისკენ გაემართა და ხელით ანიშნა ედის ოთახში შეჰყოლოდა.

მშვიდად და მკაფიოდ განუცხადა უილერსს:

— მე თანამდებობას ვტოვებ.

ედიმ უხმოდ დაუკრა თავი.

— ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებ მომავალში მივდივარ რომ ყველაფერი მოვიფიქრო და გადაწყვეტილება მივიღო. თუ გსურს, გამომყვე, ვუდსტოკის სახლში ვიქნები. — ეს ბარკშერის მთებში, ტყეში ჩადგმული ძველი სამონადირეო ქოხი იყო, რომელიც დაგნიმ მამისგან მიიღო მემკვიდრეობით, თუმცა უკვე მრავალი წელი გასულიყო, რაც იქ ფეხი არ ჩაედგა.

— მინდა, გამოგყვე, — დაიჩურჩულა უილერსმა, — სამსახურიდან წასვლა მინდა, მაგრამ... მაგრამ არ შემიძლია. ამას მე თვითონ ვერ ვიზამ — მაშინ შეგიძლია, ერთი სამსახური გამიწიო?

— რა თქმა უნდა.

— არც დამირეკოთ და არც მომწეროთ არაფერი რკინიგზასთან დაკავშირებით სიტყვის გაგონებაც აღარ მსურს ამაზე. ჰენკ რიერდენის გარდა, არავისთან დაგცდეს, სად ვიქნები. თუ ის რამეს შეგეკითხება, აუხსენი, როგორ მომაგნოს. მაგრამ სხვასთან ამაზე სიტყვაც არ წამოგცდეს არავის ნახვა არ მსურს.

— კარგი.

— მპირდები?

— რა თქმა უნდა.

— როდესაც გადავწყვეტ, რას მოვიმოქმედებ გაგაგებინებ — დაგიცდი.

— სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა, ედი უილერსი მიხვდა, რომ მის მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა სრული სიმართლე იყო და სხვას ვეღარაფერს ეტყოდნენ ერთმანეთს. მან თავი დახარა, თითქოს ყველაფერი უთხრა დაგნის, რისი თქმაც უნდოდა და ოთახიდან გავიდა.

დაგნიმ შეხედა მთავარი ინჟინრის ანგარიშს, რომელიც ჯერ კიდევ გადაშლილი იდო მის სამუშაო მაგიდაზე და გაიფიქრა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაეცა განკარგულება უინსტონის მონაკვეთზე შეჩერებული სამუშაოების განახლების შესახებ, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ ეს პრობლემა მას უკვე აღარ ეხებოდა. ტკივილს არ გრძნობდა. ხვდებოდა, რომ მოგვიანებით იგრძნობდა ტკივილს, მძაფრ ტკივილს, და რომ ეს გაოგნება მხოლოდ ხანმოკლე დასვენება იყო, სულის მოთქმა, რომელიც ტკივილის შემდეგ კი არა, ტკივილამდე იმიტომ ებოძა, რომ მისი ატანა მოეხერხებინა. „თუ ასეა საჭირო, მაშინ ავიტან მას“, — გაიფიქრა დაგნიმ.

მაგიდას მიუჯდა და რიერდენს დაურეკა, პენსილვანიაში, თავის ქარხანაში.

— გამარჯობა, ძვირფასო, — უთხრა მან ისე მარტივად და მკაფიოდ, თითქოს ეს ერთადერთი რეალობა იყო, რომელიც სჭირდებოდა.

— ჰენკ, სამსახურიდან წამოვედი.

— გასაგებია. — რიერდენი თითქოს სწორედ ამას მოელოდა.

— ჩემ წასაყვანად გამანადგურებელი არ მოსულა, იქნებ, არავითარი გამანადგურებელი არც არსებობს საერთოდ. არ ვიცი;.მომავალში რას გავაკეთებ, მაგრამ ახლა სადმე უნდა წავიდე, რომ ცოტა ხნით არავინ აღარ ვნახო. გადაწყვეტილებას მერე მივიღებ. ვიცი, რომ შენ ახლა ვერ წამოხვალ ჩემთან ერთად.

— ვერ წამოვალ. მათ ორი კვირა მომცეს, ჩუქების სერტიფიკატს ხელი რომ მოვაწერო. მინდა, აქ ვიყო, ეს ორი კვირა რომ გავა.

— შემიძლია, რაიმეთი დაგეხმარო?

— არა. ეს შენთვის უფრო მძიმე გადასატანია, ვიდრე ჩემთვის შენ მათ ვერაფრით შეებრძოლები, მე კი შევძლებ. მგონი, მიხარია კიდეც; რომ. ასე მოიქცნენ. ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა ჩემზე ნუ იდარდებ დაისვენე პირველ რიგში, ამ ყველაფრისგან დაისვენე.

— კარგი.

— სად მიდიხარ?

— სოფელში. იმ ქოხში, ბარკშერის მთებში რომ მაქვს თუ ჩემი ნახვა მოგინდება ედი უილერსი მოგასწავლის გზას. ორ კვირაში დავბრუნდები — ერთ თხოვნას შემისრულებ?

—კი.

— იქამდე არ ჩამოხვიდე, ვიდრე მე არ ჩამოგაკითხავ წამოსაყვანად — კი მაგრამ, მინდა, აქ ვიყო, როდესაც ეს ყველაფერი მოხდება — ეგ საქმე მე მომანდე.

— რაც არ უნდა გაგიკეთონ, მინდა, შენი ბედი მეც გავიზიარო.

— ეს საქმე მე მომანდე. ძვირფასო, არ გესმის? ჩემი აზრით, ახლა მეც იგივე მსურს, რაც შენ: რომ არც ერთი მათგანი აღარასოდეს აღარ ვნახო. მაგრამ მე ცოტა ხანს კიდევ უნდა დავრჩე აქ. ასე რომ, ძალიან დამეხმარება;, თუ მეცოდინება, რომ შენ მაინც შორს ხარ მათგან. მინდა, გონებაში ერთი ნათელი წერტილი მაინც დავიტოვო, რომელსაც დავეყრდნობი. ეს ცოტა ხანს გასტანს — შემდეგ კი შენთან ჩამოვალ გესმის? — კი, ძვირფასო. ნახვამდის.

ახლა დაგნის ძალიან გაუადვილდა კაბინეტიდან გამოსვლა და „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ გრძელი დერეფნების გავლა. მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯებით მიდიოდა, პირდაპირ იყურებოდა, თითქოს ყველა თავისი საქმე დაესრულებინა.

სახეზე მსუბუქი გაკვირვება, შეგუება და სიმშვიდე ეფინა.

როდესაც ტერმინალის მთავარი დარბაზი გაიარა, მან ნათანიელ ტაგარტის ქანდაკება დაინახა, მაგრამ არც ტკივილი უგრძნია და არც საყვედური, მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული — განცდა, რომ ის ნათანიელ ტაგარტს უერთდებოდა, ოღონდ არა სიკვდილში, არამედ იმ ყველაფერში, რაც ოდესღაც მისი ცხოვრება იყო.

* * *

პირველი ადამიანი, რომელმაც „რიერდენ სთილი“ დატოვა, ტომ კოლბი, საგლინი დგანის ოსტატი და რიერდენის კომპანიის მუშათა კავშირის თავმჯდომარე იყო. მას ათი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით კიცხავდნენ, რაკი ამ კავშირს ედგა სათავეში, კომპანიის ხელმძღვანელობას კი არასდროს დაჰპირისპირებია. ეს მართლაც ასე იყო: უბრალოდ, დაპირისპირება არ დასჭირვებია.

რიერდენი ქვეყანაში არსებული ყველაზე მაღალი ტარიფებით უხდიდა ხელფასებს დასაქმებულებს, რისთვისაც მოითხოვდა — და იღებდა კიდეც — საუკეთესო მუშახელს.

როდესაც ტომ კოლბიმ თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა რიერდენს მან თავი უხმოდ დაუქნია და არაფერი უკითხავს.

— არც თვითონ ვიმუშავებ ამ პირობებში, — თქვა კოლბიმ, — და არც სხვებს მოვუწოდებ, იმუშაონ. ისინი მე მენდობიან. არ მინდა, მოღალატე ვიყო და სასაკლაოსკენ გავუძღვე მათ.

— თავი რითი უნდა ირჩინოთ? — ჰკითხა რიერდენმა.

— ჩემი დანაზოგი დაახლოებით ერთი წელი მაინც მეყოფა — მერე რას აპირებთ?

კოლბიმ მხრები აიჩეჩა.

რიერდენს ის ბიჭი გაახსენდა, ბრაზით სავსე მზერით, რომელიც ბოროტმოქმედივით ღამით მოიპოვებდა მისთვის ქვანახშირს. თვალწინ დაუდგა ჩაბნელებული ქუჩები, შესახვევები, ბნელი კუთხეები, სადაც ამიერიდან ქვეყნის ყველაზე დაუზარელ და უნარიან ადამიანებს თანამშრომლობა მხოლოდ ველური, პირველყოფილი წესებითა და კანონებით შეეძლებოდათ, მხოლოდ შემთხვევითი სამუშაოებით, მოტყუებით, ქურდობით. ამ გზის დასასრულზე ჩაფიქრდა.

ეტყობოდა, ტომ კოლბი ხვდებოდა, რაზეც ფიქრობდა რიერდენი.

— თქვენც მალე მომყვებით, მისტერ რიერდენ, — თავი გააქნია მან, — ხომ არ აპირებთ, თქვენი გონება მათ გადაულოცოთ?

— არა.

— მერე რას გააკეთებთ?

რიერდენმა მხრები აიჩეჩა.

კოლბის ბრძმედთან მუშაობისგან გარუჯული სახე და უფერული, ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ნაოჭებში კი ჭვარტლი ჩასჯდომოდა.

— რამდენი წელი გვიკიჟინებდნენ, რომ თქვენ ჩემ წინააღმდეგ ხართ განწყობილი, მისტერ რიერდენ. მაგრამ ეს ასე არ არის. სინამდვილეში, ორენ ბოილი და ფრედ კინანი არიან თქვენი და ჩემი მოწინააღმდეგენი.

— ვიცი.

უეთ ნერსს არასოდეს არ გადაუბიჯებია რიერდენის კაბინეტის ზღურბლისთვის, თითქოს გრძნობდა, რომ ამის უფლება არ ჰქონდა. რიერდენს ყოველთვის გარეთ უცდიდა. დირექტივამ ის მოდარაჯე ქოფაკად გაამწესა, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა, რომ წარმოება დადგენილ ფარგლებს არ გასცდენოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან გავარვარებული ბრძმედების მწკრივებს შორის გასასვლელში შეაჩერა რიერდენი. როგორც წესი, მუდამ გულგრილ სახეზე ახლა უსაზღვრო მძვინვარება აღბეჭდოდა.

— მისტერ რიერდენ, — თქვა მან, — რაღაც მინდა, გითხრათ, თუ თქვენ გსურთ, ჩამოასხათ დადგენილ კვოტაზე ათჯერ მეტი რიერდენ მეტალი, ფოლადი, ნედლი რკინაქვა ან სხვა რამ, და კონტრაბანდულად მიჰყიდოთ ის ვინმეს ნებისმიერ ფასად — შეგიძლიათ, თავისუფლად იმოქმედოთ. მე ყველაფერს მოვაგვარებ. გავაყალბებ საბუღალტრო ჩანაწერებს, ანგარიშებსა და წერილობით ჩვენებებს, ვიშოვი ცრუ მოწმეებს — ასე რომ, სანერვიულო არაფერი გექნებათ, არანაირი პრობლემა არ შეიქმნება!

— მაინც, რატომ მოგინდა. ამის გაკეთება? — იკითხა რიერდენმა ღიმილით, მაგრამ როგორც კი ბიჭისგან გულწრფელი პასუხი მოისმინა, სახიდან ღიმილი მაშინვე გაუქრა — მინდა, ერთხელ მაინც მოვიქცე ზნეობრივად!

— შეუძლებელია; ზნეობრივად... — რიერდენს უცებ სიტყვა გაუწყდა, რადგან გააცნობიერა, რამდენ სისაძაგლეს გადააწყდა ეს ბიჭი, ვიდრე ამ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენამდე მივიდოდა.“

— ვხვდები, რომ სწორად ვერ ვთქვი, განაგრძო ბიჭმა დარცხვენით, ვიცი, რომ ეს დრომოჭმული, ძველმოდური სიტყვაა: მე სხვა რამე ვიგულისხმე. მე ვიგულისხმე... — და უეცრად სასოწარკვეთილი და აღშფოთებული ყვირილი აღმოხდა, მისტერ რიერდენ მათ უფლება არა აქვთ, ასე მოიქცნენ!

— როგორ?

— არ აქვთ უფლება, თქვენი მეტალი წაგართვან.

რიერდენმა გაიღიმა და სიბრალულით უთხრა:

— დაივიწყე, იშვიათო ადამიანო. უფლებები არ არსებობს.

— ვიცი, რომ არ არსებობს. მაგრამ მინდოდა, მეთქვა მე იმის თქმა მინდოდა, რომ ისინი ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ.

— ვითომ რატომ? — რიერდენი ღიმილს ვერ იკავებდა.

— მისტერ რიერდენ, ნუ მოაწერთ ჩუქების სერტიფიკატს ხელს! პრინციპულად ნუ მოაწერთ ხელს.

— არ მოვაწერ. მაგრამ აღარც პრინციპები არსებობს.

— ვიცი, რომ არ არსებობს. — ბეჯითი სტუდენტისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და ურყევი რწმენით წარმოთქვა მან, — ვიცი, რომ ყველაფერი ფარდობითია, რომ არავის შეუძლია რაიმეს ზუსტად ცოდნა, რომ თვითონ მიზეზი ილუზიაა, და რომ რეალობა არ არსებობს. მაგრამ მე ახლა რიერდენ მეტალზე ვლაპარაკობ, ნუ მოაწერთ ხელს, მისტერ რიერდენ. მიუხედავად იმისა, ზნეობა არსებობს თუ არ... პრინციპები არსებობს თუ არა, უბრალოდ, ნუ მოაწერთ ხელს — რადგან ეს არასწორია! უეთ ნერსის გარდა, რიერდენის თანდასწრებით დირექტივა არავის უხსენებია, მდუმარება ქარხნების ახალი მახასიათებელი გახდა. მუშები საამქროებში გამოჩენილ რიერდენს ხმას არ სცემდნენ, მან შეამჩნია, რომ ისინი ერთმანეთსაც არ ელაპარაკებოდნენ. კადრების განყოფილებაში სამსახურიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადებები არ შედიოდა, მაგრამ დღეგამოშვებით რამდენიმე თანამშრომელი სამუშაოზე აღარ ცხადდებოდა და უკვალოდ იკარგებოდა. შემდეგ ირკვეოდა, რომ მათი სახლები მიტოვებული იყო, თვითონ ეს ადამიანები კი სადღაც გაუჩინარებულიყვნენ.

კადრების განყოფილება დეზერტირობის ამ შემთხვევებს არ ახმაურებდა, როგორც ამას დირექტივა მოითხოვდა; სამსახურიდან წასულთა ნაცვლად, რიერდენი მუშებს შორის უცნობ სახეებს ხედავდა, დიდი ხნის განმავლობაში უმუშევრად მყოფი ადამიანების ტანჯულ, მოქანცულ სახეებს, და ესმოდა, თუ როგორ მიმართავდნენ მათ სამსახურიდან წასულების სახელებით. არც ერთხელ არაფერი არ უკითხავს.

მთელ ქვეყანაში ავის მომასწავებელმა სიჩუმემ დაისადგურა. რიერდენმა არ იცოდა, პირველ და ორ მაისს რამდენმა მეწარმემ მიატოვა ბედის ანაბარა თავისი ქარხნები და გაუჩინარდა. მხოლოდ თავის შემკვეთთა შორის, ასეთი ათამდე შემთხვევა დაითვალა, გაუჩინარებულთაგან ერთ-ერთი საავტომობილო: ქარხნის ჩიკაგოელი მფლობელი, მაკნეილიც აღმოჩნდა. სხვების შესახებ ვერაფერს შეიტყობდა; პრესაში ამაზე არაფერს წერდნენ. გაზეთების წინა გვერდები მოულოდნელად აივსო ამბებით, რომლებშიც იტყობინებოდნენ გაზაფხულის წყალდიდობების, საავტომობილო შემთხვევების, სასკოლო პიკნიკებისა და ქორწინების ოქროს წლისთავების შესახებ.

რიერდენის სახლშიც სიჩუმეს დაესადგურებინა. ლილიანი შუა აპრილში ფლორიდაში გაეშურა დასასვენებლად; ამ უცნაურმა კაპრიზმა რიერდენი გააკვირვა; მათი ქორწინების მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ლილიანი მარტო გაემგზავრა სადღაც. ფილიპი პანიკური გამომეტყველებით გაურბოდა ძმასთან ურთიერთობას. დედა კი რიერდენს საყვედურით სავსე განცვიფრებით უმზერდა; ის ვაჟს არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ მისი თანდასწრებით ცრემლად ისე იღვრებოდა

ხოლმე, თითქოს მისი ცრემლები ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო იმ კატასტროფისა, რომლის მოახლოებასაც გული უგრძნობდა.

15 მაისის დილას რიერდენი თავის კაბინეტში მაგიდას მისჯდომოდა და გაჰყურებდა, როგორ მიიწევდა კვამლი ნათელი, ლურჯი ცისკენ, სითბური ტალღების მსგავსი გამჭვირვალე კვამლის ნაკადები, რომლებიც უხილავი იქნებოდა, რომ არა მათ მიღმა მოცახცახე ნაგებობები. ქარხნის თავზე ტორტმანებდა მოწითალო კვამლის ზოლები, ყვითელი სვეტები, მსუბუქი, გადღაბნილი ლურჯი სპირალები და ატლასის დაგრეხილი რულონების მსგავსი სქელი, მკვრივი ხვეულები, რომლებიც ზაფხულის მზეს სადაფივით ვარდისფრად დაეფერა.

კომუნიკატორი აწკრიალდა და მის აივსის ხმა გაისმა:

— მისტერ რიერდენ, დოქტორ ფლოიდ ფერისს თქვენი ნახვა სურს წინასწარი ჩაწერის გარეშე. — მიუხედავად მკაცრად ოფიციალური ტონისა, მდივნის ხმაში იგულისხმებოდა შეკითხვა: „გარეთ ხომ არ გავუძახო?“

რიერდენს ცოტათი გაუკვირდა: კონკრეტულად ამ დესპანს არ მოელოდა მან აუღელვებლად უპასუხა მდივანს:

— სთხოვეთ, შემოვიდეს.

რიერდენის მაგიდისკენ მიმავალი დოქტორი ფერისი არ იღიმებოდა; მისი გამომეტყველება აშკარად ამბობდა, რომ საკმარისი მიზეზები ჰქონდა გასაღიმებლად, ამიტომაც ღიმილისთვის თავს არ შეიწუხებდა.

ფერისი მიპატიჟებას არც კი დაელოდა, ისე. ჩამოჯდა რიერდენის მოპირდაპირედ და პორტფელი მუხლებზე დაიდო; ისე იქცეოდა, თითქოს ყველაფერს თავად მისი მოსვლის ფაქტი ამბობდა და სიტყვები საჭირო აღარ იყო.

რიერდენი მას მდუმარედ შესცქეროდა.

— რაკიღა ჩუქების სერტიფიკატისთვის ხელის მოწერის ვადა დღეს შუაღამისას იწურება, — თქვა დოქტორმა ფერისმა იმ გამყიდველის ტონით, რომელიც კლიენტისადმი განსაკუთრებულ თავაზიანობას იჩენს — მე მოვედი რომ. თქვენი ხელმოწერა მივიღო, მისტერ რიერდენ.

და შეყოვნდა იმის ნიშნად, რომ პასუხი აუცილებელი იყო..

— განაგრძეთ, — თქვა რიერდენმა, — მე გისმენთ.

— ვფიქრობ, უნდა აგიხსნათ, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — გვინდა, თქვენი ხელმოწერა დღისით მივიღოთ, რომ ეს ფაქტი ნაციონალური რადიოს ახალი ამბების გამოშვებაში გაშუქდეს. მართალია, ჩუქების სერტიფიკატების. ხელმოწერა საკმაოდ შეუფერხებლად მიმდინარეობს, ჯერ კიდევ დარჩა რამდენიმე ჯიუტი ინდივიდუალისტი, რომელმაც უარი გამოგვიცხადა — წვრილფეხობა, რა თქმა უნდა, მათ პატენტებს გადამწყვეტი ღირებულება არ გააჩნიათ, მაგრამ ჩვენ ვერავის ვერ გავათავისუფლებთ ამ ვალდებულებისგან; ეს პრინციპის საკითხია, ხომ გესმით! ჩვენი აზრით, ისინი თქვენს მაგალითს ელოდებიან. თქვენ ბევრი მიმდევარი გყავთ, მისტერ რიერდენ, გაცილებით მეტი, ვიდრე თავად წარმოიდგენდით. აქედან გამომდინარე, თქვენი ხელმოწერის შესახებ განცხადება უკანასკნელ წინააღმდეგობასაც აღმოფხვრის, შუაღამისთვის დარჩენილ ხელმოწერებსაც მივიღებთ და პროგრამაც დროულად დასრულდება.

რიერდენი ხვდებოდა, რომ დოქტორი ფერისი არავითარ შემთხვევაში არ აირჩევდა საუბრის ასეთ ფორმას, იოტისოდენა ეჭვიც რომ შეჰპარვოდა გამარჯვებაში.

— განაგრძეთ, — თქვა რიერდენმა მშვიდი ხმით, — თქვენ ჯერ არ დაგისრულებიათ.

— თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ — და ეს თქვენს სასამართლო პროცესზეც დაადასტურეთ, — ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საკუთრება მსხვერპლთა ნებაყოფლობითი თანხმობით მივიღოთ. — დოქტორმა ფერისმა პორტფელი გახსნა, — აი, ჩუქების სერტიფიკატი, მისტერ რიერდენ. ჩვენ ის უკვე შევავსეთ და თქვენ მხოლოდ ხელის მოწერაღა დაგრჩათ.

ფურცელი, რომელიც ფერისმა რიერდენს წინ დაუდო, კოლეჯის დიპლომს წააგავდა, ძველებური შრიფტითა და შიგ ჩაბეჭდილი მონაცემებით. იქ ეწერა, რომ ის, ჰენრი რიერდენი, ამ დოკუმენტის ძალით სახელმწიფოს გადასცემდა ყველა უფლებას რიერდენის შენადნობად ან, უბრალო ენით, რიერდენ მეტალად წოდებულ ლითონის შენადნობზე, რომლის წარმოება ამიერიდან ნებისმიერ მსურველს შეეძლებოდა და მას ხალხის წარმომადგენელთა მიერ შერჩეული სახელი „საკვირველი მეტალი“ დაერქმეოდა, რიერდენი ფურცელს დაჰყურებდა და ვერ გაეგო, წესიერების უხეში პაროდია იყო თუ აშკარად დაბალი წარმოდგენა მსხვერპლთა გონებრივ შესაძლებლობებზე ამ დოკუმენტის ავტორებს ტექსტი თავისუფლების ქანდაკების მქრქალ ფონზე რომ დაებეჭდათ.

მან აუჩქარებლად ახედა დოქტორ ფერისს.

— თქვენ აქ არ მოხვიდოდით, — თქვა მან, — ჩემ წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებული კომპრომატი რომ არ მოგემზადებინათ. მაინც, რა არის ეს კომპრომატი?

— რასაკვირველია, — თქვა ფერისმა, — ვიცოდი, რომ მიმიხვდებოდით. ამიტომაც, გრძელი ახსნა-განმარტებები საჭირო არ არის. — მან პორტფელი გახსნა — გინდათ, ნახოთ ჩემი კომპრომატი? რამდენიმე ნიმუში მოვიტანე.

ფერისმა, დახელოვნებული შულერივით, ხელის ერთი მოძრაობით გაშალა მბზინავი ფოტოები და რიერდენს წინ დაუწყო. ეს მისტერ და მისის სმითების მიერ ხელმოწერილი სასტუმროებისა და ავტოსადგომების ქვითრების ფოტოასლები იყო.

— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, — ჩაიკრუტუნა დოქტორმა, — მაგრამ შესაძლოა, მაინც დაგაინტერესოთ, როგორ შევიტყვეთ, რომ მისის ჯეი სმითი სინამდვილეში მის დაგნი ტაგარტია.

ფერისმა რიერდენის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა ის არც კი დახრილა ფოტოებისკენ და არც მათ გულმოდგინე თვალიერებას მოჰყოლია თითქოს უკვე შენიშნა რაღაც მისთვის აქამდე უცნობი.

— მტკიცებულება სხვაც ბევრი გვაქვს, — თქვა დოქტორმა ფერისმა და საიუველირო მაღაზიაში შეძენილი ლალის გულსაკიდის ქვითრის ასლი დააგდო მაგიდაზე, — მის ტაგარტის შვეიცარისა და მოახლის წერილობითი ჩვენებები ალბათ აღარ გჭირდებათ — მათში თქვენთვის ახალი არაფერია, გარდა იმ მოწმეთა რაოდენობისა, რომელთაც იციან, სად ატარებდით ბოლო ორი წლის განმავლობაში ღამეებს ნიუ-იორკში. თქვენ ეს ადამიანები არ უნდა გაიცხოთ. ჩვენი ეპოქის საინტერესო მახასიათებელი ის არის, რომ ადამიანებს ეშინიათ, თქვან, რისი თქმაც სურთ, მაგ რამ აი, როდესაც კითხვებს უსვამენ, აშინებთ იმაზე გაჩუმება, რის გამჟღავნებასაც თავისი ნებით-არ ისურვებდნენ. ეს ისეთი გასაგებია. მაგრამ ძალიან გაგიკვირდებოდათ, რომ გაგეგოთ, თუ ვინ მოგვცა მთავარი კოზირი.

— ვიცი, — ხმა არ შესცვლია რიერდენს. ფლორიდაში გამგზავრება უცნაური აღარ ეჩვენებოდა.

— ამ კომპრომატში ისეთი არაფერია, რაც პირადად თქვენ მოგვაყენებდათ ზიანს.

— განსაკუთრებული ინტონაციით დააზუსტა დოქტორმა ფერისმა, — ჩვენ ვიცოდით, რომ ვერავითარი ბრალდება ვერ გაიძულებდათ, დაგვნებებოდით. ამიტომაც, გულახდილად მოგახსენებთ — პირადად თქვენ ეს ვერაფერს დაგაკლებთ. მხოლოდ მის ტაგარტს დააზარალებს.

რიერდენი ახლა დოქტორ ფერისს პირდაპირ სახეში შესცქეროდა, მაგრამ ფერისი ვერ მიმხვდარიყო, რატომ ეჩვენებოდა, თითქოს ეს მშვიდი, გაქვავებული სახე მას თანდათან უფრო და უფრო დიდი მანძილით შორდებოდა.

— თუ თქვენი რომანის შესახებ მთელი ქვეყანა შეიტყობს, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — ამ საქმეს კი სიბინძურეში ქექვის ისეთი სპეციალისტები მოჰკიდებენ ხელს, როგორიც ბერტრამ სკადერია, — თქვენი რეპუტაცია არ შეილახება. მეტი-მეტი, რამდენიმე ადამიანმა ამრეზით გამოგხედოთ ან ვიღაც ფარისევლებმა წარბი აზიდონ თქვენს დანახვაზე, სხვა არაფერი. ასეთი თავგადასავლები მამაკაცისგან არავის უკვირს. რეალურად, ეს თქვენს რეპუტაციას სასიკეთოდ წაადგება — ქალების თვალში რომანტიკულ ელფერს შეგძენთ, მამაკაცებს შორის კი პრესტიჟს, თან, თქვენი ნადავლის არაორდინარულობის გათვალისწინებით, ცოტა შეშურდებათ კიდეც. მაგრამ რა ბედი ელის მის ტაგარტს — მის უმწიკვლო სახელს, მის უზადო რეპუტაციას, როგორც განსაკუთრებული ქალისას, რომელიც ნამდვილი მამაკაცივით უძღვება ბიზნესს — რა ბედი ელის მას, რას ამოიკითხავს ის ყველა შემხვედრი ადამიანის მზერაში, რას მოისმენს იმ მამაკაცებისგან, რომლებთანაც ბიზნესსაქმიანობა აკავშირებს — ამის წარმოდგენა თქვენთვის მომინდვია.

რიერდენი მხოლოდ უკიდეგანო სიცარიელესა და სიცხადეს გრძნობდა. თითქოს რაღაც ხმა მკაცრად ეუბნებოდა: „დრო მოვიდა — გაანათეთ სცენა! — „უყურეთ“.

თვითონ კი თვალის მომჭრელად გაჩახჩახებული სცენის ცენტრში იდგა, სრულიად — შიშველი დაჟინებული მზერების პირისპირ, არც შიშს გრძნობდა, არც ტკივილს არც იმედს — არაფერს, გარდა სურვილისა, მიმხვდარიყო.

დოქტორი ფერისი გააოგნა რიერდენის აუჩქარებელმა გულგრილმა თითქოს არავისადმი მიმართულმა ტონმა:

— ესე იგი, ყველა თქვენი გაანგარიშება იმ ფაქტს ეფუძნება, რომ მის ტაგარტი უმწიკვლო ქალია და არა კახპა, რადაც გინდათ, წარმოაჩინოთ.

— დიახ, რა თქმა უნდა, — თქვა დოქტორმა ფერისმა.

— და იმას, რომ ეს ჩვეულებრივ სასიყვარულო თავგადასავალზე მეტს ნიშნავს ჩემთვის.

— რასაკვირველია.

— ჩვენ რომ ისეთი ზნედაცემულები ვყოფილიყავით, როგორებადაც აპირებთ, წარმოგვადგინოთ, თქვენი კომპრომატი არ გაამართლებდა, ასეა?

— ასეა, არ გაამართლებდა.

— თუ ჩვენი ურთიერთობა ისეთი უხამსი იქნებოდა, როგორადაც გსურთ, გამოაცხადოთ, თქვენ ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებდით.

— ვერა.

— ჩვენ თქვენთვის ხელშეუვალნი ვიქნებოდით.

— მართალია.

რიერდენი დოქტორ ფერისს არ მიმართავდა. მას თვალწინ ედგა პლატონის დროიდან მოყოლებული და დღევანდლობამდე მოღწეული ადამიანების უსასრულო

რიგი, რომლის მემკვიდრე და საბოლოო პროდუქტი იყო უვიცი პატარა პროფესორი, ჟიგოლოს გარეგნობითა და ავაზაკის სულით.

— ერთხელ უკვე შემოგთავაზეთ, რომ ჩვენს მხარეს გადმოსულიყავით, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — თქვენ უარი განაცხადეთ. ახლა კი ამის შედეგს იმკით. ვერ გამიგია, თქვენნაირმა გონიერმა კაცმა როგორ იფიქრა, რომ პატიოსანი თამაშით გაიმარჯვებდა.

— მაგრამ, თქვენს მხარეს რომც გადმოვსულიყავი, — თქვა რიერდენმა იმავე გულგრილი ტონით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, — ორენ ბოილს რამეს გამოვრჩებოდი?

— ეშმაკმა წაიღოს, სამყაროში ყოველთვის მოიძებნებიან არიფები გასაყვლეფად!

— როგორიც მის ტაგარტია? როგორიც კენ დენეგერი და ელის უაიატია? როგორიც მე ვარ?

— როგორიც ნებისმიერი ის ადამიანია, რომელიც არაპრაქტიკულად იქცევა.

— თქვენ იმას გულისხმობთ, რომ დედამიწაზე ცხოვრება პრაქტიკული არ არის, ასეა?

რიერდენს არ გაუგონია, გასცა თუ არა დოქტორმა ფერისმა პასუხი. უკვე საერთოდ აღარ უსმენდა მას. ის ხედავდა ორენ ბოილის მომჩვარულ სახეს და ღორივით წვრილ თვალებს, მისტერ მოუენის გაფუებულ სახეს, რომელიც თვალებში არავის უყურებდა და ყოველთვის ახერხებდა, ცბიერად აეცდინა ნებისმიერი გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა... ხედავდა, როგორ ცდილობდნენ ისინი, — იმ მაიმუნივით, უაზროდ რომ ასრულებს მიბაძვით დასწავლილ მოძრაობებს, — ეწარმოებინათ რიერდენ მეტალი, როცა არც ცოდნა გააჩნდათ და არც უნარი, რომ გაეგოთ: „რიერდენ სთილის“ შექმნას მისი ათი წლის თავდაუზოგავი შრომა და ერთგული მსახურება დასჭირდა. ახალი სახელწოდება — „საკვირველი მეტალი“ ამ შენადნობს მართლაც ზუსტად მიესადაგებოდა — ეს ერთადერთი შესატყვისი სახელი იყო იმ „ჯადოქრობისთვის“, რამაც შვა რიერდენის შენადნობი. მათი წარმოდგენით, „საკვირველი“ იყო ყველაფერი, რადაც კი გადაიქცეოდა ეს პროდუქტი, რომლის შეცნობა არა, მაგრამ მიტაცება, — თითქოს ქვა ყოფილიყო ანდა ჯოხი, — შეეძლოთ. „ნუთუ დასაშვებია, უმრავლესობას ასე უჭირდეს მაშინ, როცა უმცირესობა უკეთეს ნაწარმსა და მეთოდებს გვიმალავს?“

„მე რომ არ მცოდნოდა, რომ ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩემს გონებაზე და ძალისხმევაზეა დამოკიდებული“, — უხმოდ ეუბნებოდა რიერდენი საუკუნეების მანძილზე გამწკრივებულ ადამიანებს, — „მე რომ ჩემს უზენაეს ზნეობრივ პრინციპად არ დამესახა მთელი ჩემი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის გამოყენება იმისთვის, რომ უზრუნველმეყო და გამეხანგრძლივებინა ჩემი სიცოცხლე, თქვენ ვერაფერს გამომძალავდით თქვენი არსებობის უზრუნველსაყოფად: თქვენ მე ჩემი ცოდვების კი არა, ჩემი სათნოებების გამო შეურაცხმყოფთ — თვითონ უწოდებთ მათ სათნოებებს, რადგან თქვენი სიცოცხლე მათზეა დამოკიდებული, თქვენ ისინი გჭირდებათ, თქვენ არ შეგიძლიათ ჩემი მიღწევების განადგურება, მხოლოდ ძალის გამოყენებით შეძლებთ მათ მიტაცებას“.

რიერდენს მეცნიერების ჟიგოლოს დათაფლული ხმა შემოესმა:

— ძალაუფლება ჩვენ გვეკუთვნის. ეს ნამდვილად ასეა. თქვენი მეგობრები წუწურაქები არიან, მაგრამ ჩვენ ვიცით, საქმეები როგორ ვაკეთოთ.

„ჩვენ ძალაუფლებას არ ვფლობთ“, — უხმოდ მიმართავდა რიერდენი ჟიგოლოს სულიერ წინაპრებს, — „და ჩვენ არ ვცხოვრობთ იმ წესებით, რომლებსაც ვგმობთ.

ჩვენ სათნოებად და ადამიანის ღირებულების საზომად წარმოების უნარი მიგვაჩნია. ჩვენ ხეირს არ ვეძებთ იმაში, რასაც ბოროტებად ვთვლით, ჩვენ არ გვჭირდება მძარცველები, რომლებიც ჩვენს ბანკებს განაგებენ, არც ქურდები, ჩვენი სახლები რომ მართონ, და არც მკვლელები — ჩვენი სიცოცხლის დასაცავად. თქვენ კი გჭირდებათ ადამიანის ნიჭიერების ნაყოფი — თუმცა წარმოების უნარს ეგოიზმსა და ბოროტებას უწოდებთ და ადამიანის ნიჭიერების ხარისხს მისი დანაკარგის საზომად აქცევთ. ჩვენ იმით ვცხოვრობთ, რასაც სიკეთედ ვთვლით და უარვყოფთ იმას, რასაც ბოროტებად მივიჩნევთ. თქვენ კი იმის მეშვეობით ცხოვრობთ, რასაც გმობთ და უარყოფთ იმას, — და ეს მშვენივრად მოგეხსენებათ, — რაც კარგია“.

რიერდენს გაახსენდა დასჯის ის საზარელი ფორმულა, რომელიც ლილიანმა შეარჩია მის დასასჯელად, იმდენად საზარელი, რომ ვერც კი დაეჯერებინა — ხოლო ახლა მას მთელი სიცხადით ხედავდა, როგორც აზროვნების სისტემას, ცხოვრების სტილსა და ღირებულებების სკალას. აი, ისიც: დასჯა, რომლის ამოქმედებას საწვავად მსხვერპლის სათნოება სჭირდებოდა — მისი ქმნილება, „საკვირველი მეტალი“, მისი გაძარცვის საბაბად იქცა, დაგნის ღირსება და მათი გრძნობის სიღრმე — შანტაჟის იარაღად, შანტაჟისა, რომელიც გარყვნილებას ვერაფერს დააკლებდა. ევროპის სახალხო რესპუბლიკებში მილიონობით ადამიანს დაადეს ბორკილები იმის გამო, რომ მათ სიცოცხლე სწყურიათ, იმის გამო, რომ მათი ენერგია იძულებით შრომას ხმარდება, იმის გამო, რომ მათ უნარი აქვთ, გამოკვებონ თავიანთი ბატონები — მძევალთა სისტემის მეშვეობით, მათივე სიყვარულის მეშვეობით თავიანთი ცოლებისადმი, შვილებისადმი და მეგობრებისადმი. სიყვარული, ნიჭი და სიამოვნებები მუქარის საფუძველი გამხდარა, სატყუარა — გამოძალვისთვის. იქ შანტაჟმა კანონის ადგილი დაიკავა; მოქმედების ბიძგი, ერთადერთი ჯილდო მიღწევისთვის, სიამოვნებისკენ სწრაფვა კი არა, ტკივილისგან თავის დაღწევა გახდა. ადამიანები დამონებულნი აღმოჩნდნენ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სასიცოცხლო ძალა აბადიათ და სიხარულს ელტვიან. ასეთია სამყაროს მიერ აღიარებული საიდუმლო კოდექსი: ის არსებობისადმი ადამიანის სიყვარულს წამების წრედად კრავს. მხოლოდ იმ კაცს არ უნდა ჰქონდეს არაფრის შიში, ვისაც შესათავაზებელი არაფერი აქვს. სათნოებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის სიცოცხლეს, და ღირებულებები, რომლებიც მას აზრს ანიჭებს, განადგურების იარაღად გადაიქცა, ყველაფერი საუკეთესო ადამიანში მისი ტანჯვის ინსტრუმენტი გახდა და თვითონ სიცოცხლე კარგავს აზრს ამ პლანეტაზე.

„თქვენ სიცოცხლის კოდექსით ცხოვრობდით“, — გაისმა რიერდენის გონებაში იმ კაცის ხმა, რომლის დავიწყებაც ვერა და ვერ მოეხერხებინა, — „მაშინ მათი კოდექსი როგორიღაა?“

„რატომ შეეგუა ამას მსოფლიო?“ — ფიქრობდა რიერდენი, — „როგორ მოხდა, რომ ყველა მსხვერპლმა დასტური მისცა კოდექსს, რომელიც მხოლოდ არსებობის ფაქტის გამო აცხადებდა მათ დამნაშავედ?..“

შემდეგ მძაფრი შინაგანი დარტყმა იგრძნო და სრულ პროსტრაციაში ჩაიძირა, რადგან უეცრად გონების წამიერი გამონათებით გააცნობიერა, რომ თავადაც სწორედ ასე მოიქცა. განა თვითონაც არ მისცა დასტური თვითგაკიცხვის კოდექსს?

„დაგნი“, — ფიქრობდა ის, — „ჩვენი ერთმანეთისადმი გრძნობის სიღრმე... შანტაჟი, რომელიც გარყვნილებას ვერაფერს დააკლებდა...“ განა, ერთხელ თავადაც

გარყვნილება არ უწოდა ამას? განა მან პირველმა არ შეურაცხყო დაგნი, სწორედ ისე, როგორც ახლა ეს ზნედაცემული ადამიანი აპირებდა, საჯაროდ დაესხა მისთვის თავსლაფი? განა თავად არ მიაჩნდა დანაშაულად უზენაესი ბედნიერება, რაც კი ოდესმე განუცდია?

„თქვენ, რომელიც თქვენს შენადნობში ერთპროცენტიან მინარევსაც კი არ დაუშვებდით“, — ეუბნებოდა რიერდენს დაუვიწყარი ხმა, — „რა დაუშვით საკუთარ ზნეობრივ კოდექსში?“

— აბა, რას იტყვით, მისტერ რიერდენ? — გაისმა დოქტორ ფერისის ხმა, — ახლა გესმით ჩემი? მივიღებთ თქვენს შენადნობს თუ გავაცნოთ საზოგადოებას მის ტაგარტის პირადი ცხოვრება?

რიერდენი ფერისს ვეღარ ხედავდა. მას შემზარავი სიცხადით წარმოესახა ყველა საიდუმლო, ისე მკაფიოდ, თითქოს პროჟექტორის თვალის მომჭრელ შუქს გაეჩახჩახებინოს — იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც პირველად შეხვდა დაგნის. სულ რამდენიმე თვე იყო გასული, რაც დაგნი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ვიცე-პრეზიდენტად დაენიშნათ. რიერდენი სკეპტიკურად აღიქვამდა დროდადრო დარხეულ ჭორებს იმის შესახებ, რომ რკინიგზას ჯიმ ტაგარტის და მართავდა. იმ ზაფხულს, როდესაც ძალიან გააღიზიანა შეფერხებებმა და წინააღმდეგობრივმა პოზიციებმა ტაგარტის კომპანიის ახალი ლიანდაგისთვის საჭირო რელსებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჯიმ ტაგარტი წამდაუწუმ უკვეთავდა, მერე კი ამ შეკვეთას აუქმებდა და გაუთავებლად ცვლიდა, ვიღაცამ ურჩია რიერდენს, რომ თუ რამის გარკვევა სურდა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალთან“, ჯიმის დას უნდა დალაპარაკებოდა. რიერდენმა დარეკა დაგნის ოფისში, რათა დაჟინებით მოეთხოვა მასთან შეხვედრა იმ დღესვე.

დაგნის მდივანმა განუცხადა, რომ შუადღისას მის ტაგარტი ნიუ-იორკსა და ფილადელფიას შორის მდებარე მილფორდის სადგურთან ახალი ლიანდაგის გაყვანის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, მაგრამ იქაც სიამოვნებით შეხვდებოდა, თუ თავად რიერდენი მოისურვებდა. აღშფოთებული რიერდენი შეხვედრაზე გაემართა; დიდად არ ეპიტნავებოდა ის საქმიანი ქალები, რომელთაც მანამდე შეხვედროდა, რკინიგზა კი გოგონასთვის შესაფერის საქმედ სულაც არ ესახებოდა. შეხვედრაზე მიმავალი ვარაუდობდა, რომ კომპანიის ხელმძღვანელის ქედმაღალ დას, გაზულუქებულ მემკვიდრეს ნახავდა, რომელიც საქმიანი უნარების ნაცვლად თავის სახელსა და სქესს იყენებდა, გადაპრანჭულ, წარბებდაპუტულ არსებას, დაახლოებით იმ ქალბატონების მსგავსს, დიდ სუპერმარკეტებს რომ მართავენ.

რიერდენი მილფორდის სადგურის ბაქნიდან მოშორებით, გრძელი მატარებლის ბოლო ვაგონიდან ჩამოვიდა: გარშემო, ღარტაფის ფერდობამდე, სადაც მუშები ახალი ლიანდაგისთვის საძირკველს თხრიდნენ, სათადარიგო ხაზები, სატვირთო ვაგონები, ამწეები და ექსკავატორები გამწკრივებულიყო. სათადარიგო ხაზებს შორის მიმავალი რიერდენი სადგურის შენობისკენ გაემართა, შემდეგ კი შეჩერდა.

მან დაინახა გოგონა, რომელიც ღია სატვირთო ვაგონზე დახვავებული მოწყობილობების გროვასთან იდგა.

ის თავაწეული გაჰყურებდა ღარტაფს. თმას ქარი უწეწავდა. მზით გაკაშკაშებული ცის ფონზე სადა ნაცრისფერი კოსტიუმი მოხდენილ სხეულზე შემოკრულ მეტალის თხელ ფენას ჰგავდა. მისი დგომის მანერას სიმსუბუქე და გაუცნობიერებელი მედიდური თავდაჯერებულობა ეტყობოდა. მუშაობის პროცესს ყურადღებიანი და მცოდნე მზერით შეჰყურებდა, საქმის მცოდნე ადამიანის მზერით.

ეს მისი კუთვნილი ადგილი იყო, შრომით ტკბობა კი მისი ჩვეული მდგომარეობა. გოგონას სახე, მგრძნობიარე ქალური ტუჩებით, გონიერებას ასხივებდა, საკუთარ სხეულს კი თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტად აღიქვამდა, რომელიც ყოველთვის მზად იყო ნებისმიერი პრაქტიკული მიზნის მსახურებისთვის.

რიერდენისთვის წუთით ადრე რომ ვინმეს ეკითხა, როგორი წარმოედგინა თავისი ოცნების ქალი, ვერაფერს იტყოდა; ახლა კი, როდესაც ამ გოგონას შეჰყურებდა, მიხვდა, რომ სწორედ ეს ხატება დასდევდა მას წლების განმავლობაში. მაგრამ რიერდენი მას ქალად არ აღიქვამდა. სულ გადავიწყებოდა, სად იმყოფებოდა და რა მიზნით, ბავშვივით ტკბებოდა მოულოდნელი და ამოუხსნელი აღმოჩენით. გაოგნებისგან ვერ გამორკვეულიყო: რა იშვიათობაა, როდესაც ისეთ რამეს გადააწყდები, რაც მართლა გიყვარს, გიყვარს და მთელი სისავსით იღებ. რიერდენი გოგონას გაუცნობიერებელი ღიმილით შეჰყურებდა, ისე, როგორც ქანდაკებას ან ლანდშაფტს შეხედავდა, და სანახაობით მოგვრილ უკიდეგანო ტკბობას გრძნობდა, მისთვის აქამდე უცნობ ესთეტიკურ სიამოვნებას.

რიერდენს გვერდით მეისრემ ჩაუარა, მან გოგონაზე მიუთითა და ჰკითხა:

— ის ვინ არის?

— დაგნი ტაგარტი, — უპასუხა მეისრემ და გზა განაგრძო.

რიერდენს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეს სიტყვები მახვილივით ეძგერა.

ჯერ წამით სუნთქვა შეეკრა, შემდეგ, როცა ამოისუნთქა, მთელი სხეული დაუმძიმდა და დაუოკებელმა ვნებამ მოიცვა. უკიდურესი სიცხადით აცნობიერებდა, სადაც იმყოფებოდა, ვინ იყო დაგნი ტაგარტი, რა მდგომარეობა ეკავა მას კომპანიაში და საზოგადოებაში, მაგრამ ამ ყველაფერმა თითქოს უკან დაიხია, იმ წრის მიღმა, რომლის ცენტრშიც თვითონ იდგა და ერთადერთ რეალობად ჰქცეოდა სურვილი, დაუფლებოდა ამ ქალს, ახლა და აქ, მზის სხივებით გაჩახჩახებულ ღია ვაგონზე — დაუფლებოდა მანამდე, ვიდრე ერთმანეთს გამოელაპარაკებოდნენ. ამ წამით უნდა დაწყებულიყო მათი პირველი შეხვედრა, რადგან მხოლოდ ასე შეძლებდა ყველაფრის გამოხატვას, რადგან ეს მას უკვე ძალიან დიდი ხნის წინ სურდა...

გოგონა მოტრიალდა, თავი ნელა მოაბრუნა, მისი თვალები... ეს თვალები რიერდენის მზერას წააწყდა და შეჩერდა. რიერდენი დარწმუნებული იყო, რომ ქალი ჩასწვდა მისი მზერის არსს, რომ მან ქალი დაიპყრო. მაგრამ შემდეგ დაგნიმ თვალი მოაშორა რიერდენს და ვიღაც კაცს გამოელაპარაკა, რომელიც იქვე იდგა და ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა.

რიერდენს უცებ მძიმედ დაატყდა თავს ერთდროულად რეალობაში დაბრუნებისა და თავზარდამცემი დანაშაულის განცდა. წამით მოაწვა ემოცია, რომლის მთელი სისავსით შეგრძნებასაც ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაურჩება — სიძულვილი საკუთარი თავისადმი, მით უფრო გაუსაძლისი, რომ მისი არსების რომელიღაც ნაწილი ამას აპროტესტებდა და კიდევ უფრო ამძაფრებდა დანაშაულის სიმწვავეს. ეს უსიტყვო განაჩენი იყო: „აი, შენი ბუნება, შენი გარყვნილება, შენ ვერასოდეს იმორჩილებდი შენს სამარცხვინო სურვილებს“. მოულოდნელად აღმოჩენილი სილამაზისთვის ერთადერთი შეხედვის საპასუხოდ გამოტანილი განაჩენი იმდენად სასტიკი იყო, რომ ახლა დამალვისა და საკუთარი თავის შეზიზღების თავისუფლებაღა რჩებოდა, თუმცა, იმედი არ ჰქონდა, რომ ვიდრე ეს ქალი და თვითონ ცოცხლები იქნებოდნენ, ოდესმე თავს დააღწევდა ამ ლტოლვას.

რიერდენმა არ იცოდა, რამდენ ხანს იდგა იქ, ვერც იმას იტყოდა, როგორი სიცარიელე დაუტოვა სულში გრძნობების ამ ქარბუქმა. ერთადერთი ნუგეში იყო

მისივე მტკიცე გადაწყვეტილება, გოგონას არასოდეს არ შეეტყო, რაზე ფიქრობდა, როცა მას შეჰყურებდა.

რიერდენმა მოიცადა, სანამ დაგნი დაბლა ჩამოვიდოდა და ბლოკნოტიანი კაცი იქაურობას გაეცლებოდა, შემდეგ კი მიუახლოვდა ქალს და ცივად მიმართა:

— თქვენ მის ტაგარტი ბრძანდებით? მე ჰენრი რიერდენი ვარ.

— ოჰ! — თითქოს მოულოდნელობისგან დაბნეული დაგნი წამით შეყოვნდა, შემდეგ კი სრულიად მშვიდად თქვა:

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მისტერ რიერდენ.

მართალია, საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა ამაში, მაგრამ რიერდენმა იცოდა, რომ დაგნის ამოოხვრა მის მიერ იმ წამს განცდილი გრძნობის სუსტი გამოძახილი იყო — ქალს უბრალოდ გაუხარდა, რომ სახე, რომელიც მოეწონა, ეკუთვნოდა კაცს, რომლითაც შეეძლო, აღფრთოვანებულიყო.

საქმიანი საუბრის დროს რიერდენი დაგნისთან გაცილებით უფრო ტლანქად და მოურიდებლად იქცეოდა, ვიდრე რომელიმე მამაკაც შემკვეთთან მოქცეულა ოდესმე.

ახლა, როდესაც ღია სატვირთო ვაგონზე შემდგარ გოგონას იგონებდა და დაჰყურებდა ჩუქების სერტიფიკატს, რომელიც წინ ედო მაგიდაზე, რიერდენმა იგრძნო, რომ მაშინ, პირველი შეხვედრისას, ორივენი მოინუსხნენ, თითქოს ამ შეხვედრამ ერთი ხელის მოსმით წაშალა ყველა ის დღე და ეჭვი, რომელიც მათ ერთმანეთისგან აშორებდათ. უცებ მის ყველა შეკითხვას აფეთქებისთვის დამახასიათებელი სიკაშკაშით გაეცა პასუხი.

„დამნაშავე ვარ?“ — ფიქრობდა რიერდენი, — „უფრო მეტადაც, ვიდრე იმ დღეს წარმოვიდგენდი. დამნაშავე ვიყავი, რადგან დანაშაულად მივიჩნიე ის, რაც საუკეთესო იყო ჩემში, მე დავგმე ფაქტი, რომ ჩემი გონება და სხეული ერთი მთლიანობაა, და ის, რომ ჩემი სხეული ჩემი გონების ღირებულებებს პასუხობდა. მე დავგმე ის ფაქტი, რომ სიამოვნება არსებობის არსი და ყოველი ცოცხალი არსების მამოძრავებელი ძალაა, რომ ის ადამიანის სხეულის მოთხოვნილება და მისი სულის სწრაფვაა, რომ ჩემი სხეული უსულო კუნთების ნაკრები კი არა, ის იარაღი იყო, რომელსაც შეეძლო, ჩემთვის აღმატებული სიამოვნება განეცდევინებინა ჩემივე ხორცისა და სულის გასაერთიანებლად. იმ ნიჭმა, რომელიც მე სამარცხვინოდ მიმაჩნდა, კახპების მიმართ გულგრილი გამხადა, მაგრამ მომანიჭა ერთადერთი სურვილი — ქალის სიდიადე მეგრძნო და მეპასუხა ამისთვის. იმ სურვილის საფუძველი, რომელსაც მე გარყვნილებად ვთვლიდი, მისი სხეულის დანახვა კი არა, იმის ცოდნა იყო, რომ ჩემ მიერ დანახული მიმზიდველი ფორმა გამოხატავდა სულს, რომელსაც ვხედავდი — მე მის სხეულს კი არა, მის პიროვნებას ველტვოდი, მე ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ გოგონას კი არა, იმ ქალს უნდა დავუფლებოდი, რომელიც სარკინიგზო კომპანიას მართავდა.

მაგრამ მე დავგმე ჩემი სხეულის უნარი, გამოეხატა ის, რასაც განვიცდიდი, მე დაგნის შეურაცხყოფად მივიჩნიე უზენაესი თაყვანისცემა, რაც კი შემეძლო, გამომეხატა მისდამი, ისევე, როგორც ისინი კიცხავენ ჩემს ნიჭს, რომ შემიძლია, ჩემს გონებრივ სამუშაოს რიერდენ მეტალად შევასხა ხორცი, ზუსტად ისევე, როგორც ისინი მკიცხავენ მე იმისთვის, რომ ხელმეწიფება მატერიის გარდაქმნა ჩემი საჭიროებებისდა შესაბამისად. მე დავეთანხმე მათ კოდექსს და ვირწმუნე მისი, როგორც ისინი მმოძღვრავდნენ, რომ ადამიანის სულის ღირებულებები უნდა დარჩეს უსუსურ სწრაფვად, აუმოქმედებლად, რეალობაში ხორცშეუსხმელად, ადამიანის სხეულმა კი ცხოვრება, როგორც უაზრო, დამამცირებელი წარმოდგენა,

უბედურებაში უნდა გალიოს, და ისინი, ვინც სიცოცხლით ტკბობას ეცდებიან, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებს უნდა გაუთანაბრდნენ.

მე დავარღვიე მათი კოდექსი, მაგრამ მათ მიერვე დაგებულ მახეში თვითონ გავები. მე ჩემი წინააღმდეგობა საამაყოდ კი არა, დანაშაულად მივიჩნიე, მე ისინი კი არა, საკუთარი თავი გავკიცხე, მე მათი კოდექსი კი არა, არსებობა დავგმე — და ჩემი ბედნიერება სამარცხვინო საიდუმლოსავით დავმალე. მე არ უნდა დამემალა ეს ურთიერთობა, ეს ხომ ჩვენი უფლება იყო — ანდა ცოლად უნდა შემერთო, რადგან სინამდვილეში ის იყო კიდეც ჩემი მეუღლე. მაგრამ მე ჩემი ბედნიერება ბოროტებად შევრაცხე და დაგნი ვაიძულე, ეს ბედნიერება სირცხვილივით აეტანა. მე პირველმა ჩავიდინე ის, რასაც ახლა ისინი მას უპირებენ. მე თვითონ მივეცი მათ ამის უფლება. მე ეს ყველაზე საძულველი ქალისადმი სიბრალულის სახელით გავაკეთე. ამასაც მათი კოდექსი გულისხმობდა, და მეც დავეთანხმე. ვირწმუნე, რომ ერთ ადამიანს ვალდებულება აკისრია მეორის მიმართ — ყოველგვარი სანაცვლო ანაზღაურების გარეშე. მე მწამდა, რომ ჩემი ვალდებულება იმ ქალის სიყვარული იყო, რომელიც არაფერს არ მაძლევდა, რომელმაც უღალატა ყველაფერს, რისთვისაც ვცხოვრობდი, რომელიც თავის ბედნიერებას ჩემი ბედნიერების ხარჯზე მოითხოვდა. მე მეგონა, რომ სიყვარული საჩუქარია, რომელიც მოპოვების შემდეგ დამსახურებას აღარ საჭიროებდა — ზუსტად ისევე, როგორც ისინი სიმდიდრეს მიიჩნევენ საკუთრებად, რომელიც შეიძლება, მიიტაცო და სამუდამოდ დაეპატრონო, ისე, რომ ხელიც კი არ გაანძრიო მის შესანარჩუნებლად. მე მწამდა, რომ სიყვარული საჩუქარია და არა ჯილდო, რომელიც უნდა დაიმსახურო, ზუსტად ისევე, როგორც ისინი თვლიან, რომ მათი უფლებაა დაუმსახურებელი სიმდიდრის მოთხოვნა.

და როგორც მათ სწამთ, რომ მათი სიზარმაცე უფლებამოსილია ჩემს ენერგიაზე, მეც ზუსტად ისევე მჯეროდა, რომ მისი უბედურება უფლებამოსილი იყო ჩემს სიცოცხლეზე. სიბრალულის, და არა სამართლიანობის გამო, ათი წელი თვითგვემაში გავატარე. სიბრალული ჩემს სინდისზე მაღლა დავაყენე, და სწორედ ეს არის ჩემი დანაშაულის არსი. მე მაშინ ჩავიდინე დანაშაული, როდესაც ლილიანს ვუთხარი:

„ჩემი სტანდარტებით, ჩვენი ქორწინების შენარჩუნება მანკიერი სიყალბე იქნება.

მაგრამ ჩემი სტანდარტები შენსას არ ემთხვევა. მე ვერ ვიგებ შენს სტანდარტებს, ვერც ვერასოდეს ვიგებდი, მაგრამ მე შევეგუები მათ“.

აი, ახლა ჩემ მაგიდაზე აწყვია ის სტანდარტები, რომლებიც არ მესმოდა, მაგრამ შევეგუე, აი, მისი ჩემდამი სიყვარულის ფორმა, იმ სიყვარულის, რომლისაც არასდროს მწამდა, მაგრამ ვცდილობდი, გამეზიარებინა. აი, საბოლოო შედეგი. მე ვთვლიდი, რომ უსამართლობის ჩადენა დასაშვები იყო, თუ ამით მხოლოდ მე დავიტანჯებოდი. მაგრამ უსამართლობას ვერაფერი ვერ გაამართლებს.

ეს არის სასჯელი იმ დანაშაულისთვის, რომ დასაშვებად მივიჩნიე საზარელი ბოროტება — საკუთარი თავის ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვა. მეგონა, მსხვერპლი მხოლოდ მე ვიქნებოდი.

სინამდვილეში კი, ამქვეყნად ყველაზე კეთილშობილი ქალი ყველაზე ზნედაცემულს შევწირე მსხვერპლად. როდესაც ადამიანი სიბრალულის გამო უპირისპირდება სამართლიანობას, ის სიკეთეს სჯის ბოროტების გულისთვის; როდესაც დამნაშავეს ტანჯვას ააცილებს, ის უდანაშაულოს აიძულებს, დაიტანჯოს. სამართლიანობას ვერსად გაექცევი, სამყაროში არაფერი არ შეიძლება იყოს დაუმსახურებელი და აუნაზღაურებელი — არც მატერიალური და არც სულიერი. თუ დამნაშავენი არ ზღავენ, საზღაურის გადახდა უდანაშაულოებს მოუწევთ.

იაფფასიანმა, წვრილფეხა მძარცველებმა კი არ დამამარცხეს — თავად დავამარცხე საკუთარი თავი. მათ კი არ განმაიარაღეს — მე თავად მოვისროლე ჩემი იარაღი. ამ ომში მხოლოდ სუფთა ხელებით უნდა იბრძოლო — რადგან მტრის მთელი ძალა ჩვენი სნეული სინდისია. და მე მივიღე კოდექსი, რომელმაც ჩემი ხელების ძალა ცოდვად და სამარცხვინო ლაქად მიმაჩნევინა“.

— ერთი სიტყვით, შენადნობი ჩვენია თუ არა, მისტერ რიერდენ?

რიერდენი ჩუქების სერტიფიკატს დაჰყურებდა მაგიდაზე და ღია სატვირთო ვაგონზე მდგარ გოგონას ხედავდა. საკუთარ თავს ჰკითხა, შეეძლო თუ არა, ეს გასხივოსნებული არსება გონების მძარცველებისთვის და პრესის ავაზაკებისთვის გადაეცა ნუთუ შეეძლო, დაეშვა უდანაშაულო მსხვერპლის ტანჯვა? ნუთუ შეეძლო, დაგნისთვის მიესაჯა მდგომარეობა, რომელიც ყველა წესითა და კანონით, თვითონ დაიმსახურა?

ნუთუ შეეძლო, ახლა უარეყო მტრის კოდექსი, როდესაც სირცხვილის ატანა თვითონ კი არა, დაგნის მოუხდებოდა, როდესაც ტალახს მას კი არა, დაგნის ესროდნენ, როდესაც ბრძოლა ქალს მოუწევდა, ის კი არ დაზარალდებოდა? ნუთუ შეეძლო; დაეშვა, რომ დაგნის არსებობა ჯოჯოხეთად ჰქცეოდა, ჯოჯოხეთად, სადაც თვითონ ფეხსაც ვერ შეადგამდა?

რიერდენი გაუნძრევლად იჯდა და სატვირთო ვაგონზე შემომდგარ გოგონას აჰყურებდა. „მე შენ მიყვარხარ, დაგნი“, — ეუბნებოდა მას უხმოდ და ამ უბრალო სიტყვებში გაყურსულ ჩუმ ბედნიერებას გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველად წარმოთქვამდა მათ.

ჩუქების სერტიფიკატს დახედა. „დაგნი“, — გაიფიქრა მან, — „ეს რომ გაგეგო, უფლებას არ მომცემდი; შემიძულებ ამის გამო, მაგრამ მე ვერ დავუშვებ, რომ შენ გადაიხადო ჩემი ვალები. დამნაშავე მე ვარ და შენ ვერ დაგაკისრებ იმ სასჯელს, რომელსაც თვითონ ვიმსახურებ. ყველაფერი რომ წამართვან, რაც კი მაბადია, ამას ხომ ვერავინ წამართმევს — მე ვიცი სიმართლე, მე თავისუფალი ვარ მათი დანაშაულისგან, შემიძლია, საკუთარ თავთან პირნათელი ვიყო. ვიცი, რომ მართალი ვარ, თხემით ტერფამდე მართალი, პირველად ჩემს ცხოვრებაში, და არასოდეს ვუღალატებ ჩემი კოდექსის ერთადერთ მცნებას, რომელიც ერთხელაც არ დამირღვევია ვიყო ადამიანი, რომელიც ყველაფრის საზღაურს იხდის“.

„მე შენ მიყვარხარ“, — მიმართა მან ღია სატვირთო ვაგონზე შემომდგარ გოგონას და სითბო იგრძნო, თითქოს შუბლზე იმ ზაფხულის მზის სხივები ეხებოდა, თითქოს უკიდეგანო ცის ქვეშ იდგა, თვალუწვდენელ დედამიწაზე, და საკუთარი თავის გარდა, სხვა არაფერი ებადა.

— აბა, მისტერ რიერდენ, რას იტყვით? ხელს მოაწერთ? — იკითხა დოქტორმა ფერისმა. მზერა ფერისს მიაპყრო. მას გადაავიწყდა კიდეც ფერისის იქ ყოფნა, არც კი იცოდა, ის ელაპარაკებოდა, ეკამათებოდა თუ უხმოდ ელოდებოდა.

— ოჰ, ამას? — თქვა რიერდენმა.

მან კალამი აიღო და წამის დაუყოვნებლად, მილიონერისთვის ჩვეული მსუბუქი ჟესტით ჩეკის გამოწერისას, თავისუფლების ქანდაკების ქვემოთ ხელი მოაწერა და ჩუქების სერტიფიკატი მაგიდაზე გააცურა.

თავი 7
მორატორიუმი ტვინებზე

— სად ხარ მთელი ეს დრო? — ჰკითხა ედი უილერსმა მუშას მიწისქვეშა კაფეტერიაში. შემდეგ გაიღიმა, ღიმილით, რომელშიც ერთდროულად მუდარაც იგრძნობოდა, ბოდიშიც და სასოწარკვეთის აღიარებაც, და დაამატა:

— ჰო, ვიცი, მე თვითონ არ ვყოფილვარ მთელი კვირებია.

მისი ღიმილი ინვალიდი ბავშვის ძალისხმევას ჰგავდა, რომელიც ხელების ცეცებით ცდილობს, აჩვენოს, რომ მეტი უკვე აღარ შეუძლია.

— ერთხელ შემოვიარე, სადღაც ორი კვირის წინ, მაგრამ იმ ღამეს არ ყოფილხარ.

შემეშინდა, ვაითუ, შენც წახვედი... იმდენი ვინმე ქრება ბოლო დროს გაფრთხილების გარეშე... გავიგე, ასობით მათგანი ქვეყნის გარშემო დახეტიალებს. პოლიცია მათ სამსახურიდან წასვლის გამო აპატიმრებს, დეზერტირებს უძახიან, მაგრამ ძალიან ბევრნი არიან, ციხეებში კი საკმარისი საკვები არ აქვთ, ამიტომ, ამ ყველაფერზე უკვე აღარავინ დარდობს. როგორც ვიცი, ეს დეზერტირები უბრალოდ დაწანწალებენ, შემთხვევით სამუშაოებს პოულობენ ან რაიმეს, უფრო უარესს — ვინღა შემოგთავაზებს დღეს შემთხვევით სამუშაოს?! ..საუკეთესო ხალხს ვკარგავთ, ისეთებს, ვინც კომპანიაში ოცი წელი გაატარა ან მეტი. ბორკილებს ხომ არ დავადებდით, თავიანთ ადგილებზე რომ დარჩენილიყვნენ?! არ იყო ამის საჭიროება, ეს ხალხი არსად არ აპირებდა წასვლას, მაგრამ ახლა უმნიშვნელო უთანხმოების გამოც კი გარბიან, უბრალოდ, იარაღებს ყრიან და მიდიან, დღის ან ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, ხოლო ჩვენ ათასგვარი სირთულის წინაშე გვტოვებენ. არადა, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც, რკინიგზას თუ დასჭირდებოდა, ლოგინებიდან წამოხტებოდნენ და უცებ აქ გაჩნდებოდნენ... ერთი ცალი თვალით შეგახედა, განთავისუფლებული ადგილების შესავსებად რა ხალხს ვიღებთ. ზოგს მართლა გულით უნდა მუშაობა, მაგრამ საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია, დანარჩენი ისეთი ნაგავია, არც კი მეგონა, ამნაირები თუ არსებობდნენ: სამუშაოზე თანხმდებიან და იციან, რომ სხვა გზა არ გვაქვს — თუ ავიყვანეთ, აღარც გავუშვებთ. ამიტომ, არც მალავენ, რომ მუშაობის არავითარი სურვილი არა აქვთ და არც არასდროს ექნებათ. ისეთი ხალხია, ვისაც ეს მოსწონს — მოსწონს, რაც ახლა ხდება. წარმოგიდგენია, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც ეს მოსწონთ? ჰო, არსებობენ... იცი, მგონი, მე არც კი მჯერა... არ მჯერა, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება. არადა, ნამდვილად ხდება, მაგრამ მე არ მჯერა. სულ იმას ვფიქრობ, რომ სიგიჟე ისეთი მდგომარეობაა, სადაც ადამიანს რეალობის გარჩევა არ შეუძლია. თუმცა, ის, რაც ახლა რეალობაა, სიგიჟეა, და ეს რომ რეალობად მივიღო, მაშინ ჭკუიდანაც შევიშლები, არა? ...ვაგრძელებ მუშაობას და ჩემს თავს სულ ვეუბნები, რომ ეს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალია“. სულ მას ველოდები... ველოდები, როდის დაბრუნდება... რომ ნებისმიერ მომენტში, შეიძლება, კარი გაიღოს და... ღმერთო! ამას არ უნდა გეუბნებოდე! რა? იცოდი? იცოდი, რომ წასულია? ...ასაიდუმლოებენ. თუმცა, ალბათ, ყველამ იცის, უბრალოდ, ამაზე არავინ ლაპარაკობს. ხალხს ეუბნებიან, შვებულებაში გავიდაო. ფორმალურად, გადაზიდვებში კვლავ ჩვენს ვიცე-პრეზიდენტად რჩება. მგონი, მარტო მე და ჯიმმა ვიცით, რომ სამუდამოდ წავიდა. ჯიმს აკანკალებს იმის წარმოდგენაზე, რომ მისი მეგობრები ვაშინგტონში მთელ ჯავრს სწორედ მასზე იყრიან, თუ გაიგებენ, რომ დაგნი წავიდა. როცა რომელიმე ცნობილი პიროვნება მიდის, ეს საზოგადოების განწყობისთვის ნამდვილი კატასტროფაა, ჯიმს კი არ უნდა, სხვებმა გაიგონ, რომ დეზერტირი მთლად ოჯახში ჰყავს... თუმცა ეს ყველაფერი როდია. ჯიმს ეშინია, რომ აქციონერები, დასაქმებულები და ყველა, ვისთანაც საქმე გვიჭირავს, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალისადმი“ საბოლოოდ დაკარგავენ ნდობას, თუ გაიგებენ, რომ

დაგნი წავიდა. ნდობას! შეიძლება იფიქრო, ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვსო, როცა ვერც ერთი და ვერც მეორე უკვე ველარაფერს შეცვლის. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჯიმმა იცის, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ იმ სიდიადის რაღაც გარეგნული ნიშნები მაინც უნდა შეუნარჩუნოს, რომელიც ოდესღაც ჰქონდა. და იცის, რომ ბოლო წვეთი დაგნიმ გაიყოლა... არა, მათ არ იციან, სად არის... კი, მე ვიცი, მაგრამ მათ არ ვეტყვი. ერთადერთი ვარ, ვინც იცის... კი, კი, ცდილობდნენ გარკვევას. ყველა შესაძლო გზით ცდილობდნენ, ჩემთვის რამე დაეტყუებინათ, მაგრამ აზრი არა აქვს. არავის ვეტყვი... ერთი განახა ის გაწვრთნილი სელაპი, მის ადგილს ვინც იკავებს... ჩვენი ახალი ვიცე-პრეზიდენტი. კი, კი, ცხადია, გვყავს. უფრო სწორად, თან გვყავს და თან — არა. პრინციპში, დღეს ყველაფერში იგივე არ ხდება?! — ერთდროულად, რაღაც არის და არც არის. კლიფტონ ლოსი ჰქვია, ჯიმის პირადი პერსონალიდანაა, ორმოცდაშვიდი წლის ცოცხალი, პროგრესული ახალგაზრდა კაცია და ჯიმის მეგობარი. იდეაში, დროებითი შემცვლელია, მაგრამ დაგნის კაბინეტში ზის და ყველამ ვიცით, რომ ის არის ახალი ვიცე-პრეზიდენტი. განკარგულებებს გასცემს... უფრო სწორად, აქტიურად ზრუნავს იმაზე, რომ არავინ დაინახოს, როგორ იძლევა განკარგულებებს. აქტიურად ზრუნავს იმაზეც, რომ არც ერთი გადაწყვეტილება მას არასდროს არ მიაწერონ, რათა შემდეგ არაფერი დაბრალდეს.

ხომ ხვდები, რომ მისი მიზანი რკინიგზის მართვა კი არა, სამსახურის შენარჩუნებაა?! მატარებლების გაშვება კი არ ანაღვლებს, ჯიმის მოთაფვლა უნდა. სულ ფეხებზე ჰკიდია, გზაზე ერთი მატარებელი მაინც თუ დადის, მთავარია, ჯიმზე და ვაშინგტონის ბიჭებზე მოახდინოს კარგი შთაბეჭდილება. მისტერ კლიფტონ ლოსიმ ორი უდანაშაულო კაცის გაფუჭება უკვე მოახერხა: ახალგაზრდა მესამე თანაშემწე იმისთვის დაითხოვა, რომ ამ უკანასკნელმა არ გადასცა შესაბამის ხალხს მისტერ ლოსის ის განკარგულება, რომელიც მას არასდროს გაუცია. გადაზიდვების მენეჯერი კი იმისთვის გაუშვა, რომ მან ის განკარგულება გაახმოვანა, რომელიც მისტერ ლოსიმ გასცა, უბრალოდ, გადაზიდვების მენეჯერმა ამის დასაბუთება ვერ შეძლო. „გაერთიანების საბჭოს“ ოფიციალური დადგენილების მიხედვით, სამსახურიდან ორივე გააგდეს... როცა საქმე კარგად მიდის, — რაც ნახევარ საათზე მეტხანს არ გრძელდება ხოლმე, — მისტერ ლოსი შანსს არ უშვებს ხელიდან, შეგვახსენოს, რომ „მის ტაგარტის დრო წავიდა“. პრობლემის პირველივე ნიშნებზე, კაბინეტში მეძახის და ვითომც არაფერი, სრულიად სასხვათაშორისოდ, მეკითხება, ასეთ საგანგებო სიტუაციაში მის ტაგარტი როგორ იქცეოდაო. მეც ვპასუხობ, როგორც შემიძლია. ჩემს თავს ვეუბნები, რომ ეს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალია“ და... და რომ ათობით მატარებელში ასობით სიცოცხლე ჩვენს გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. საგანგებო სიტუაციების დროს მისტერ ლოსი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ უხეშად მომექცეს, ვინიცობაა არ ვიფიქრო, რომ რამეში ვჭირდები. მიზნად დაისახა, რომ შეცვალოს ყველაფერი, რასაც კი დაგნი აკეთებდა, ოღონდ ყველა იმ საკითხში, რაც უმნიშვნელოა, თუმცა, როცა საქმე მნიშვნელოვან რაღაცებს ეხება, აქ უკვე ძალიან ფრთხილობს. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ყოველთვის არ იცის, რა არის მნიშვნელოვანი და რა — არა... პირველივე დღეს, დაგნის კაბინეტი რომ დაიკავა, მითხრა, არა მგონია, კარგი აზრი იყოს, კედელზე რომ ნათ ტაგარტის სურათი კიდიაო. „ნათ ტაგარტი“, — ასე მითხრა, — „შავბნელ წარსულს განეკუთვნება, ეგოისტური სიხარბის ეპოქას; ჩვენი თანამედროვე, პროგრესული პოლიტიკის სიმბოლო მაინცდამაინც ვერ არის, ასე რომ, ცუდი შთაბეჭდილება

შეიძლება დატოვოს. ხალხმა, შესაძლოა, მასთან გამაიგივოს“. „ვერ გაგაიგივებენ“, — ვუპასუხე მე, მაგრამ სურათი ჩამოვხსენი... რა? ..არა, არაფერი იცის. არ მქონია კავშირი. არც ერთხელ. მითხრა, არ გინდაო... წინა კვირას კინაღამ წავედი სამსახურიდან. ჩიკის სპეცმატარებლის გამო. ვაშინგტონელი მისტერ ჩიკ მორისონი, — თუ ვინ ჯანდაბაცაა, — მთელი ქვეყნის მასშტაბით გასტროლებში გაემგზავრა — საჯარო გამოსვლები უნდა ჰქონოდა, დირექტივა უნდა განემარტა და, — რადგან ვითარება ყველგან მეტისმეტად გიჟური ხდება, — ხალხისთვის განწყობა აემაღლებინა. თავისთვის და თავისი ჯგუფისთვის სპეცმატარებელი მოითხოვა — საძინებელი-ვაგონი, სასტუმრო-ვაგონი და სასადილო-ვაგონი თავისი ბარითა და მოსასვენებელი კუთხით. „გაერთიანების საბჭომ“ ნება დართო, საათში ასი მილით ემგზავრა და როგორც თქვეს, გადაწყვეტილება უმიზეზოდ არ მიუღიათ: მოგზაურობას არაკომერციული დაარქვეს.

რა თქმა უნდა. ეს არის მოგზაურობა, რომელმაც ხალხი უნდა დაარწმუნოს, წელები მოიწყვიტონ და სარგებელი მოუტანონ იმ ადამიანებს, მათზე უპირატესნი მხოლოდ ერთი ნიშნით რომ არიან — თავად ვერავითარი სარგებელი ვერ მოაქვთ. ასეა თუ ისე, პრობლემამ მაშინ იჩინა თავი, როცა მისტერ ჩიკ მორისონმა თავისი მატარებლისთვის დიზელის ძრავა მოითხოვა. ჩვენ კი არ გვქონდა. რაც კი დიზელის ლოკომოტივები გვაქვს, ყველა გზაზეა გაშვებული, „კომეტას“ მასზე ვამუშავებთ და ტრანსკონტინენტური გადაზიდვებისთვის გვჭირდება. მოკლედ, დიზელის არც ერთი უფუნქციო ლოკომოტივი სისტემაში არ გვქონდა, გარდა... ერთი სიტყვით, არ მინდოდა, ეს ერთი ლოკომოტივი მისტერ კლიფტონ ლოსისთან მეხსენებინა. მისტერ ლოსი განრისხდა, მისმა ყვირილმა ლამის სახურავი ჩამოანგრია — მეორედ მოსვლა რომ დაიწყოს, მისტერ ჩიკ მორისონს მოთხოვნაზე უარს ვერ ვეტყვითო!

ნამდვილად არ ვიცი, საბოლოოდ რომელმა იდიოტმა მოახსენა იმ დიზელის შესახებ, უინსტონში, კოლორადოს შტატში, გვირაბის შესასვლელში რომ ვინახავდით.

ხომ იცი, დღეს ჩვენი დიზელის თბომავლები როგორ ფუჭდება?! ბოლო გაფართხალება აქვთ... ჰოდა, გესმის ალბათ, რატომაა საჭირო, გვირაბში რომ დიზელის სათადარიგო ლოკომოტივი გვქონდეს. ავუხსენი მისტერ ლოსის. დავემუქრე, შევეხვეწე, ვუთხარი, დაგნიმ უმკაცრეს წესად გვიქცია, უინსტონის სადგური სათადარიგო დიზელის გარეშე არასდროს დაგვეტოვებინა-მეთქი. მიპასუხა, შეგახსენებ, რომ მის ტაგარტი არა ვარო (გეგონება, ოდესმე დამავიწყდება!) და ეს წესი სისულელეა, რადგან ამ წლების მანძილზე არაფერი მომხდარა, ასე რომ, უინსტონი დიზელის გარეშე რამდენიმე თვე როგორმე გაძლებსო, და მითხრა, რომ არ აპირებდა, რაღაც სამომავლო ჰიპოთეტურ პრობლემებზე ედარდა მაშინ, როცა სრულიად რეალური და საშინელი კატასტროფა გველოდა, მისტერ ჩიკ მორისონი არ გაგვენაწყენებინა.

მოკლედ, ჩიკს სპეცმატარებელისთვის დიზელი მისცეს. კოლორადოს განყოფილების დირექტორმა სამსახური დატოვა. მის ადგილას მისტერ ლოსიმ თავისი მეგობარი დანიშნა. სამსახურიდან წასვლა მეც მინდოდა. ასე ძალიან არასდროს მდომებია.

მაგრამ დავრჩი... არა, მისგან არაფერი მსმენია. რაც წავიდა, ერთი სიტყვაც კი არ მსმენია. მასზე რატომ მეკითხები ამდენს? დაივიწყე. არ დაბრუნდება... არც კი ვიცი, რისი იმედი მაქვს. არაფრის, მე მგონი. ყოველდღიურობით ვცხოვრობ და ვცდილობ, წინ არ ვიყურო. თავიდან მეგონა, ვინმე გადაგვარჩენდა. ვფიქრობდი, ეს ადამიანი

ჰენკ რიერდენი იქნებოდა. მაგრამ დანებდა. არ ვიცი, ასეთი რა უქნეს, რომ ხელი მოაწერინეს, მაგრამ ალბათ რაღაც საშინელება. ყველა ასე ფიქრობს. ყველა ჭორაობს ამაზე, ყველას აინტერესებს, როგორ აიძულეს... არა, არავინ იცის. საჯარო განცხადებები არ გაუკეთებია და ყველას ნახვაზე უარს ამბობს... მაგრამ მისმინე, რაღაც სხვას გეტყვი, რაზეც ასევე ყველა ჭორაობს. ახლო მოიწიე, კარგი? არ მინდა, ხმამაღლა მომივიდეს. ამბობენ, ამ დირექტივის შესახებ ორენ ბოილმა დიდი ხნის წინ იცოდა, კვირებით თუ თვეებით ადრე, იმიტომ რომ, რიერდენ მეტალის საწარმოებლად ჩუმად და მალულად დაუწყია საბრძმედი ღუმლების რეკონსტრუქცია თავის ერთ-ერთ პატარა ფოლადის ქარხანაში — წყნარ, მიყრუებულ ადგილას, მენის შტატის სანაპიროზე. იმ წუთიდანვე, როცა კი რიერდენისთვის გამოძალულ დოკუმენტს, ანუ ნაჩუქარ სერტიფიკატს, ხელი მოეწერა, ბოილი ლითონის ჩამოსასხმელად მზად იყო. თუმცა, — მისმინე, — წინა ღამეს, ვიდრე ჩამოსხმას დაიწყებდნენ და ბოილის კაცები იმ ადგილას, სანაპიროზე, ღუმლებს ახურებდნენ, უცებ ხმა გაიგონეს. ვერ მიხვდნენ, საიდან მოდიოდა — თვითმფრინავიდან, რადიოდან თუ დინამიკებიდან, მაგრამ აშკარად კაცის ხმა იყო, რომელიც ათ წუთს აძლევდა ყველას იქაურობის დასატოვებლად. მუშაობა მართლაც ყველამ მიატოვა. უკანმოუხედავად მიდიოდნენ, რადგან, როგორც ითქვა, კაცის ხმა რაგნარ დანეშოლდს ეკუთვნოდა, მომდევნო ნახევარ საათში ბოილის ქარხანა მიწასთან იქნა გასწორებული. როე იტყვიან, ქვა ქვაზე აღარ დარჩა. ხმები დადის, ეს ყველაფერი შორსმსროლელი საფლოტო თოფებით მოხდაო, სადღაც შორეული ატლანტიკიდან. დანეშოლდის გემი არავის დაუნახავს... აი, რაზე ჭორაობდა ხალხი. გაზეთებს ამის შესახებ სიტყვაც კი არ დაუბეჭდავთ. ვაშინგტონის ბიჭებს რომ ჰკითხო, პანიკის დამთესავთა გავრცელებული ჭორიაო... არ ვიცი, ეს ამბავი სიმართლეა თუ არა. მგონი, რომ კი. იმედი მაქვს, რომ კი... იცი, თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, ვფიქრობდი, ნეტავ ადამიანი კრიმინალად როგორ ყალიბდება-მეთქი, ვერ წარმომედგინა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო. ახლა... ახლა კი მიხარია, რაგნარ დანეშოლდმა ის ქარხანა რომ გაანადგურა. ღმერთმა დაიფაროს და არავის მისცეს მისი პოვნის საშუალება, ვინც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს ის! ...ჰო, აი, აქამდე მივედი. ნეტავ რა ჰგონიათ, რამდენს აიტანს ადამიანი? ...დღის განმავლობაში ძალიან ცუდადაც არა ვარ, რადგან შემიძლია, რამით დავკავდე და არ ვიფიქრო, მაგრამ ღამღამობით უკვე ვეღარ ვუძლებ. ვეღარც ვიძინებ, საათობით ფხიზლად ვწევარ... კი! თუ მართლა გაინტერესებს, ნამდვილად ასეა, იმიტომ რომ, მასზე ვღელავ! საშინლად ვნერვიულობ. ვუდსტოკი ერთი მოცუცქნული, უბადრუკი ადგილია, მრავალი მილით დაშორებული ცივილიზაციას, ტაგარტების სახლი კი ოცი მილით კიდევ უფრო შორსაა — ოცმილიანი დაკლაკნილი ბილიკით უფრო შორს, ერთ ღვთისგან მივიწყებულ ტყეში. რა ვიცი, იქ რა მოუვა, სულ მარტოს, თან ღამღამობით რომ ეს ბანდები დაწანწალებენ მთელი ქვეყნის გარშემო?! ...მით უფრო, ისეთ მიტოვებულ ადგილებში, როგორიც ბერკშირებია. ..ვიცი, რომ ამაზე არ უნდა ვიფიქრო. ვიცი, რომ თავის თავს მიხედავს. ოღონდ, ნეტავ, ერთი პწკარი მაინც მომწეროს! ნეტავ შემეძლოს იქ წასვლა.

მაგრამ მითხრა, არ გინდაო. ვუთხარი, დაგელოდები-მეთქი... იცი, მიხარია, რომ ამაღამ აქ ხარ. მეხმარება... შენთან ლაპარაკი... და უბრალოდ, რომ გხედავ აქ. შენ ხომ არ გაქრები სხვებივით?! ...რა? ...იქით კვირას? ა, შვებულებაში. რამდენი ხნით? ..ერთი თვის შვებულებაში რამდენს ითხოვ? ...ნეტავ მეც შემეძლოს იგივე... საკუთარი ხარჯებით ერთი თვე შვებულებაში გასვლა... მაგრამ არ გამიშვებენ.

მართლა? მშურს შენი... რამდენიმე წლის წინ არ შემშურდებოდა. მაგრამ ახლა...

მინდა, წავიდე. ახლა შენი მშურს... მშურს, თუ მართლა შეგეძლო, ყოველ ზაფხულს, თორმეტი წლის განმავლობაში, ერთთვიანი შვებულება აგეღო.

* * *

გზა ბნელი იყო და სულ სხვა მიმართულებით მიდიოდა. რიერდენი თავისი ქარხნიდან გამოვიდა, თუმცა გეზი არა სახლისკენ, არამედ ქალაქისკენ — ფილადელფიისკენ აიღო. გასავლელი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ამაღამ მას გასეირნება უნდოდა. გასული კვირის ყოველ საღამოს ასე იქცეოდა. სოფლის დაცარიელებულ წყვდიადში თავს მშვიდად გრძნობდა, ირგვლივ მხოლოდ ხეთა შავი ჩრდილები მოჩანდა, მხოლოდ მისი სხეული და ქარით შერხეული ტოტები მოძრაობდა, მხოლოდ ღობეებიდან მკრთლად გამოსული ციცინათელების შუქი გამოსცემდა სინათლეს. ორი საათი ქარხნიდან ქალაქამდე მისი დასვენებისთვის გამოყოფილი დრო იყო.

თავისი სახლიდან ფილადელფიის ბინაში გადავიდა. დედამისისა და ფილიპისთვის არაფერი აუხსნია, მხოლოდ ის უთხრა, თუ გინდათ, შეგიძლიათ, სახლში დარჩეთ, თქვენს გადასახადებს კი მის აივსი მიხედავსო. სთხოვა, ასევე, ლილიანისთვის, როცა ის სახლში დაბრუნდებოდა, ეთქვათ, მასთან შეხვედრა არც კი ეცადა. შეძრწუნებული დუმილით მიაშტერდნენ.

თავის ადვოკატს ხელმოწერილი ცარიელი ჩეკი გაუწოდა და უთხრა:

— განქორწინება გამიკეთე. ნებისმიერი პირობით და ნებისმიერი ანაზღაურების სანაცვლოდ. არ მაინტერესებს, რა გზებს მიმართავ, რამდენ მოსამართლეს მოისყიდი ან, საჭიროდ თუ ჩათვლი, ჩემს ცოლს ცილი დასწამო. რაც გინდა, გააკეთე. მაგრამ არავითარი ალიმენტი და ქონების გაყოფა არ განიხილება.

ადვოკატმა რაღაცნაირი ბრძნული, სევდიანი ღიმილით შეხედა, თითქოს ამ ამბავს უკვე დიდი ხანია, ელოდა, და უპასუხა:

— კარგი, ჰენკ. ამის გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ დრო დასჭირდება...

— რაც შეიძლება სწრაფად გააკეთე.

ნაჩუქარ სერტიფიკატზე ხელმოწერის შესახებ მისთვის არავის არაფერი უკითხავს, თუმცა შეამჩნია, კაცები ქარხანაში ერთგვარი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, გეგონებოდა, რაღაცას ეძებდნენ და მოელოდნენ, რომ მის სხეულზე ფიზიკური ნამების ნიშნებს აღმოაჩენდნენ.

ვერაფერს გრძნობდა, აბსოლუტურად ვერაფერს, გლუვი, წყნარი ბინდის გარდა, რომელიც გამდნარ ფოლადზე გადაკრულ ფირს ჩამოჰგავდა, როცა ფოლადი ხრაშუნს იწყებს და უკანასკნელ ბრჭყვიალა, თეთრ ელვარებას შთანთქავს. ვერაფერს გრძნობდა, როცა იმ მძარცველებზე ფიქრობდა, რომლებიც ახლა რიერდენ მეტალის წარმოებას დაიწყებდნენ. მისი სურვილი, ამ უკანასკნელზე უფლება შეენარჩუნებინა და სიამაყე, მხოლოდ თავად ყოფილიყო ის ადამიანი, ვინც მას გაჰყიდდა, პარტნიორებისადმი პატივისცემის გამოხატვის მისეული ფორმა იყო, რწმენა, რომ მათთან ვაჭრობა ღირსების საკითხია. ახლა რწმენა, პატივისცემა და სურვილი უკვალოდ გაჰქრობოდა. აღარ ადარდებდა, რას აწარმოებდა ეს ხალხი, რას ჰყიდდა, სად ყიდულობდა მის მეტალს ან საერთოდ ვინმემ თუ იცოდა, რომ ეს მეტალი მისი იყო. ადამიანთა ფიგურები, რომლებიც მის გვერდით, ქალაქის ქუჩებში გადაადგილდებოდნენ, ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილი ფიზიკური ობიექტები იყვნენ მისთვის. სოფელი კი, — ადამიანური აქტივობის ყოველგვარ კვალს რომ შლიდა და მხოლოდ ხელშეუხებელ მიწას ტოვებდა, რომლის მართვა ერთ დროს მას შეეძლო, — რეალობა იყო.

ჯიბეში იარაღი ედო. ეს იმ პოლიციელებმა ურჩიეს, რადიომიმღებიანი მანქანებით რომ პატრულირებდნენ ქუჩებში. გააფრთხილეს, დღესდღეობით, სიბნელეში უსაფრთხო არც ერთი გზა აღარ არისო. ერთგვარი უხალისო ირონიით, მან იგრძნო, რომ იარაღი ქარხანაში იქნებოდა საჭირო, სიმარტოვისა და ღამის უსაფრთხო სიმშვიდეში კი არა. ისეთს რას წაართმევდა ვინმე მშიერი მაწანწალა, რაც იმ ადამიანებს წაეღოთ, რომლებიც მის მფარველობას იჩემებდნენ?!

ძალდაუტანებელი ნაბიჯით მიდიოდა და ამ მისთვის სრულიად ბუნებრივი აქტივობის შედეგად დაძაბულობა სულ უფრო და უფრო ეხსნებოდა, ფიქრობდა, რომ ეს დრო სიმარტოვეში გავარჯიშების დრო იყო მისთვის. ისე ცხოვრება უნდა ესწავლა, რომ ადამიანთა არსებობა აღარ ეგრძნო; ამ საძულველი შეგრძნების გამო ახლა პარალიზებული იყო. ოდესღაც სულ თეთრი ფურცლიდან, ცარიელი ხელებით შეექმნა თავისი ქონება. ახლა ცხოვრება უნდა შეექმნა ახლიდან, ცარიელი სულით.

ფიქრობდა, რომ ვარჯიშს ცოტაოდენ დროს გამოუყოფდა, მერე კი მიაკითხავდა ყველაზე ღირებულს, რაც კი რამ შერჩენოდა — ერთადერთ ნამდვილ და სრულყოფილ სურვილს: ის დაგნისთან მივიდოდა. ტვინში ორი მცნება ჩამოუყალიბდა.

ერთი ვალდებულებასთან იყო დაკავშირებული, მეორე — ვნებიან სურვილთან.

პირველი ის იყო, რომ დაგნის არასდროს გაეგო მიზეზი, რის გამო დანებდა მძარცველებს, მეორე კი ის, რომ მისთვის ეთქვა სიტყვები, რომლებიც მათი პირველივე შეხვედრის დროს უნდა სცოდნოდა და რომლებიც ჯერ კიდევ ელის უაიატის ტერასაზე უნდა გაენდო.

გზაზე არაფერი შეხვედრია, რაც ორიენტირებაში დაეხმარებოდა, მხოლოდ ზაფხულის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მაგრამ მაინც შეეძლო, ერთმანეთისაგან გაერჩია მთავარი გზა და მის წინ მდებარე ქვის ღობის ნანგრევები სოფლის გზაჯვარედინის კუთხეში. ღობე თითქმის უფუნქციო იყო, მის მიღმა მხოლოდ სარეველა ბალახს თუ შეამჩნევდი, გზაზე გადმოხრილ ტირიფს და კიდევ, — ცოტა უფრო შორს, — ფერმის ნანგრევებს, რომლის სახურავსაც ვარსკვლავების შუქი ეცემოდა.

გზა გააგრძელა და ფიქრობდა, რომ მარტო ეს სანახაობაც კი თავის თავში რაღაც ფასეულს ატარებდა: თითქოს რაღაცას ჰპირდებოდა — ადამიანის ხელისგან შეურყვნელ, დიდ მანძილზე გადაჭიმულ სივრცეს.

კაცი, რომელიც უეცრად გზაზე გამოდგა, ალბათ ტირიფის უკან უნდა ყოფილიყო დამალული, თუმცა ეს ისეთი სისწრაფით მოხდა, გეგონებოდა, პირდაპირ მთავარი გზის შუაგულიდან ამოიზარდაო. რიერდენმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, სადაც თოფი ედო, მაგრამ გაჩერდა. მიხვდა: გაშლილ სივრცეში მდგომის ამაყი პოზა და ვარსკვლავებით განათებული ცის ქვეშ მკაფიოდ გამოსახული მხრები იმას მიანიშნებდა, რომ კაცი ყაჩაღი არ იყო. ხოლო როცა ამ უკანასკნელის ხმაც გაიგონა, დარწმუნდა, რომ არც მათხოვარი იქნებოდა.

— მინდა, დაგელაპარაკოთ, მისტერ რიერდენ.

ხმაში სიმკაცრე, სიცხადე და ისეთი თავაზიანობა იგრძნობოდა, როგორიც ბრძანებების გაცემას დაჩვეულ ხალხს ახასიათებს.

— გისმენთ. — უთხრა რიერდენმა, — ოღონდ დახმარება და ფული არ მთხოვოთ.

კაცის ტანსაცმელი უბრალო ჩანდა, თუმცა პრაქტიკული. შავი შარვალი და ყელთან მჭიდროდ შეკრული მუქი ლურჯი ქურთუკი ეცვა, რაც მისი ტანად, მოხდენილ ფიგურას უფრო მეტად წარმოსადეგს აჩენდა. თავზე მუქი ლურჯი კეპი

ეხურა, და კიდევ, რისი გარჩევაც სიბნელეში შეიძლებოდა, იყო მისი ხელები, სახე და ოქროსფერი თმა საფეთქელთან. ხელში იარაღი არ ეჭირა, მხოლოდ სიგარეტის კოლოფისხელა ამანათი, ტილოს ნაჭერში გახვეული.

— არა, მისტერ რიერდენ, — თქვა მან, — ფულის თხოვნას არ ვაპირებ, პირიქით, უნდა დაგიბრუნოთ.

— ფული უნდა დამიბრუნოთ?

— ჰო.

— რა ფული?

— ძალიან დიდი ვალის პატარა საზღაური.

— თქვენ გქონდათ ჩემი ვალი?

— მე არა. ეს მხოლოდ სიმბოლური თანხაა, მაგრამ მინდა, მიიღოთ, როგორც დასტური იმისა, რომ თუ მე და თქვენ საკმარისად დიდ ხანს ვიცოცხლებთ, ამ ვალის ყოველი დოლარი დაგიბრუნდებათ.

— რა ვალის?

— ფული, რომელიც თქვენგან ძალით წაიღეს.

კაცმა რიერდენს ამანათი გაუწოდა და მანაც გახსნა დაიწყო. დაინახა, როგორ ალაპლაპდა ვარსკვლავების შუქი სარკესავით გლუვ ზედაპირზე. წონისა და ფაქტურის მიხედვით მიხვდა, რომ ხელში ოქროს ფილა ეკავა.

— ვინ ხართ? — ჰკითხა კაცს.

— უმეგობრო ადამიანის მეგობარი.

— აქ ამის მოსაცემად მოხვედით?

— კი.

— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ ამ ღამეს, ამ მარტოსულ გზაზე იმისთვის მსდიეთ, რომ კი არ გაგეძარცვეთ, არამედ ოქროს ფილა მოგეცათ?

— დიახ.

— რატომ?

— როცა ქურდობა დღისით, მზისით, კანონის ძალით ხდება, როგორც დღევანდელ დროს, მაშინ ღირსებისა თუ ზარალის ანაზღაურების ნებისმიერი აქტი მალულად, მიწის ქვეშ უნდა მოხდეს.

— რამ გაფიქრებინათ, რომ ასეთ საჩუქარს მივიღებდი?

— ეს არ არის საჩუქარი, მისტერ რიერდენ, თქვენი საკუთარი ფულია. მაგრამ ერთი რამეზე დამთანხმდეთ, ეს მოთხოვნაა და არა პირობა, რადგანაც არ შეიძლება, არსებობდეს ისეთი რაღაც, რასაც პირობითი ქონება ჰქვია. ეს თქვენი ოქროა. ასე რომ, როგორც მოგესურვებათ, ისე გამოიყენეთ. მაგრამ მე სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდე, ამაღამ რომ ეს თქვენთვის მომეტანა. ამიტომ, გთხოვთ, რომ ან მომავლისთვის შეინახოთ ან საკუთარ თავს დაახარჯოთ. მხოლოდ თქვენი კომფორტისა და სიამოვნებისთვის დახარჯეთ. სხვა არაფრისთვის. არავის მისცეთ და რაც ყველაზე მთავარია, ბიზნესში არ ჩადოთ.

— რატომაც არა?

— იმიტომ, რომ არ მინდა, მისით თქვენ გარდა, ვინმე სხვამაც ისარგებლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ხნის წინ დადებულ ფიცს გავტეხ, ისევე, როგორც ახლა, თქვენთან ლაპარაკით, ყველა წესს ვარღვევ, რაც კი ოდესმე საკუთარი თავისთვის დამიწესებია.

— რას გულისხმობთ?

— ამ ფულს თქვენთვის დიდი ხანია, ვაგროვებ. მაგრამ არ მინდოდა, აქამდე მენახეთ ან ამის შესახებ მეთქვა.

— მაშინ, ახლა რატომღა იქცევით ასე?

— იმიტომ, რომ მეტს ვეღარ გავუძლებდი.

— რას ვეღარ გაუძლებდით?

— მეგონა, ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა ვნახე და რომ აღარაფერი იყო ისეთი, რის ნახვასაც ვერ ავიტანდი. მაგრამ როცა რიერდენ მეტალი წაგართვეს, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ჩემთვისაც კი. ვიცი, რომ ამწუთას ეს ოქრო არ გჭირდებათ. რაც თქვენ გჭირდებათ — სამართალია, რომელსაც ეს ოქრო განასახიერებს და გჭირდებათ იმის ცოდნა, რომ არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც სამართალი მნიშვნელოვანია.

რიერდენი ძალიან ცდილობდა, ემოციებს არ აჰყოლოდა, რომლებიც, მთელი მისი სკეპტიციზმის მიუხედავად, აშკარად უტევდნენ. ცდილობდა, კაცის სახეში რამე ამოეკითხა, რაიმე მინიშნება ეპოვა ისეთი, რაც დაეხმარებოდა, გაეგო... მაგრამ ეს სახე არაფერს გამოხატავდა; ლაპარაკის დროს გამომეტყველება ერთხელაც კი არ შესცვლია; განცდის უნარი თითქოს დიდი ხნის წინ დაეკარგა და მხოლოდ ნაკვთები შემორჩენოდა — ულმობელი და უსიცოცხლო. რიერდენს განცვიფრებისგან გააჟრჟოლა და გაიფიქრა, რომ ეს ადამიანის კი არა, შურის მაძიებელი ანგელოზის სახე იყო.

— რატომ გაღელვებთ ეს ყველაფერი? — იკითხა მან, — ვინ ვარ თქვენთვის?

— გაცილებით მეტი ხართ, ვიდრე შეიძლება, გეგონოთ. და მყავს მეგობარი, ვისთვისაც კიდევ უფრო მეტს ნიშნავთ, ვიდრე ოდესმე შეიძლება, წარმოიდგინოთ. ყველაფერს გაიღებდა, დღეს თქვენ გვერდით რომ მდგარიყო. მაგრამ ის თქვენთან ვერ მოდის. ამიტომ, მე მოვედი.

— ვინ მეგობარი?

— მირჩევნია, მისი სახელი არ გითხრათ.

— ამ ფულს დიდხანს ვაგროვებდიო, ასე არ თქვით?

— ამაზე მეტიც შევაგროვე. — უპასუხა და ხელი ოქროსკენ გაიშვირა, — ყველაფერი თქვენს სახელზეა და დრო როცა მოვა, გადმოგცემთ. ეს მხოლოდ ნიმუშია, დასტურად, რომ ფული მართლაც არსებობს. და თუ დაგიდგებათ დღე, როცა უკანასკნელ ქონებასაც წაგართმევენ, მინდა, გახსოვდეთ, რომ თქვენს სახელზე ბანკში დიდი ანგარიშია გახსნილი.

— რა ანგარიში?

— თუ შეეცდებით, წარმოიდგინოთ მთელი ფული, რაც გამოგძალეს მიხვდებით, რომ თქვენს ანგარიშზე საკმაოდ სოლიდური თანხა დევს.

— როგორ შეაგროვეთ? ან ეს ოქრო საიდან მოვიდა?

— მათგან, ვინც თქვენ გაგძარცვეს — და ვინ წამოიღო?

— მე.

— თქვენ ვინ ხართ?

— რაგნარ დანეშოლდი.

რიერდენი მას მიაშტერდა — დიდხანს და გაუნძრევლად, შემდეგ კი ოქრო ხელიდან გაუვარდა.

დანეშოლდს მზერა მიწისკენ არ გაუყოლებია, რიერდენისკენ ჰქონდა მიმართული ისე, რომ გამომეტყველება ოდნავაც არ შესცვლია.

— გერჩივნათ, კანონმორჩილი მოქალაქე აღმოვჩენილიყავი, მისტერ რიერდენ?

თუ ასეა, რომელ კანონს უნდა დავმორჩილებოდი? დირექტივა 10-289-ს?

— რაგნარ დანეშოლდი... — თქვა რიერდენმა ისე, თითქოს მთელი გასული ათწლეული თვალწინ დაუდგა, თითქოს ათ წელზე გაჭიმული დანაშაულის მთელი სისაძაგლე ახლა ერთბაშად დაინახა და ეს სისაძაგლე ამ ორ სიტყვაში იყო მოქცეული.

— კარგად დაუკვირდით, მისტერ რიერდენ. დღეს ჩვენ სიცოცხლის ორი ფორმა დაგვრჩენია: ან უნდა იყო მძარცველი, რომელიც განიარაღებულ მსხვერპლს ძარცვავს, ან კიდევ მსხვერპლი, რომელიც საკუთარი მძარცველების სასარგებლოდ მუშაობს. მე არც ერთი არ ამირჩევია.

— თქვენ ძალისმიერი გზა აირჩიეთ, ისევე, როგორც დანარჩენებმა.

— კი, გაცხადებულად ოღონდ. გნებავთ, გულწრფელად. მე არ ვძარცვავ მოტყუებულ და შუბლზე იარაღმიდებულ ხალხს, ჩემი მსხვერპლისგან დახმარებას არ ვითხოვ, არ ვეუბნები, რომ მათ სასიკეთოდ ვმოქმედებ. ადამიანებთან ყოველი შეხვედრის დროს მე ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ, მათ კი აქვთ შანსი, სამართლიან ბრძოლაში თავიანთი იარაღებითა და ტვინებით ჩემსას დაუპირისპირდნენ.

სამართლიან ბრძოლაში? მე მთელი ხუთი კონტინენტის ორგანიზებულ ძალებს, თოფებს, თვითმფრინავებს, საბრძოლო გემებს ვუპირისპირდები. თუ ზნეობრივ მოსაზრებებზე მიდგება საქმე, მისტერ რიერდენ, მაშინ მითხარით, ვის აქვს უფრო მაღალი მორალი — მე თუ უესლი მაუჩს?

— არა მაქვს პასუხი. — ძლივს გასაგონი ხმით მიუგო რიერდენმა.

— რატომ უნდა იყოს ეს თქვენთვის შოკი, მისტერ რიერდენ? მე მხოლოდ იმ სისტემას ვემორჩილები, რომელიც ჩემი საზოგადოების წევრებმა შექმნეს. თუ სჯერათ, რომ ძალა ერთმანეთთან გამკლავებისთვის ადეკვატური საშუალებაა, მეც ვაძლევ, რასაც ითხოვენ. თუ სჯერათ, რომ ჩემი ცხოვრების მიზანი მათ სამსახურში დგომაა, დაე, კიდევ უფრო მეტად დაიჯერონ. თუ სჯერათ, რომ ჩემი ჭკუა მათი საკუთრებაა, დაე, მოვიდნენ და აიღონ.

— მაგრამ როგორი ცხოვრება აირჩიეთ? რა მიზნებს ახმართ თქვენს ჭკუას?

— ჩემი სიყვარულის მიზანს.

— ანუ?

— სამართალს.

— მეკობრეობით?

— იმ დღისთვის მუშაობით, როცა აღარ მომიწევს მეკობრეობა.

— ეგ რომელი დღეა?

— დღე, როცა რიერდენ მეტალისგან სარგებელს თავისუფლად ნახავთ.

— ღმერთო ჩემო! — სასოწარკვეთილი სიცილით მიუგო რიერდენმა, — ეს არის თქვენი ამბიცია?

დანეშოლდს გამომეტყველება არ შესცვლია.

— დიახ.

— იმედი გაქვთ, რომ ამ დღეს მოესწრებით?

— კი. თქვენ არა?

— არა.

— მაშინ რისი იმედი გაქვთ, მისტერ რიერდენ?

— არაფრის.

— რისთვის მუშაობთ?

რიერდენმა დანეშოლდს შეხედა.

— ამას რატომ მეკითხებით?

— რომ გაგაგებინოთ, მე რატომ ვაკეთებ იმას, რასაც ვაკეთებ.

— ნურასდროს იფიქრებთ, რომ კრიმინალი ჩემთვის მისაღები გახდება.

— არ ვიფიქრებ. მაგრამ რამდენიმე რამაა, რის დანახვაშიც მინდა, მოგეხმაროთ.

— მართალი რომც იყოს ის ყველაფერი, რაც თქვით, მაინც გაუგებარია, რატომ აირჩიეთ ყაჩაღობის გზა. რატომ უბრალოდ არ გადექით განზე, როგორც...

რიერდენი გაჩერდა.

— როგორც ელის უაიატი, მისტერ რიერდენ? როგორც ენდრიუ სტოკტონი? როგორც თქვენი მეგობარი კენ დენეგერი?

— ჰო!

— ეს მოგეწონებოდათ?

— მე...

რიერდენი კვლავ გაჩერდა, საკუთარი სიტყვებით შეძრწუნებული.

მომდევნო შოკი დანეშოლდის ღიმილმა მოჰგვარა. ეს ლამის იგივე იყო, აისბერგის გაყინულ ფერდობებზე უეცრად გაზაფხულის პირველი სიმწვანე რომ დაენახა.

რიერდენისთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. მან პირველად გააცნობიერა, რომ დანეშოლდს მეტისმეტად მომხიბლავი სახე ჰქონდა — ფიზიკური სრულყოფილების გასაოცარი სილამაზე: მტკიცე, ღრმა ნაკვთები, ვიკინგის დამცინავი ღიმილი. და მიუხედავად ამისა, თავად დანეშოლდი საკუთარ თავს ასეთად ვერ აღიქვამდა, მისი სახის უსიცოცხლო სიმკაცრე შექებას თითქოს არც გაგაბედვინებდა. მაგრამ თვალები არაჩვეულებრივად ცოცხალი ჰქონდა.

— მე მომწონს ეს, მისტერ რიერდენ. თუმცა მე ჩემი განსაკუთრებული მისია მაქვს. ერთ კაცს დავდევ, მისი განადგურება მინდა. მრავალი საუკუნის წინ მოკვდა, მაგრამ ვიდრე მისი უკანასკნელი კვალი არ გაქრება ადამიანების ტვინებიდან, ნორმალურ სამყაროში ვერ ვიცხოვრებთ.

— ვინ კაცზე ლაპარაკობთ?

— რობინ ჰუდზე.

რიერდენმა მას გულგრილად შეხედა, ვერ გაიგო, რას გულისხმობდა.

— ეს კაცი მდიდრებს ძარცვავდა და ღარიბებს ურიგებდა. მე ღარიბებს ვძარცვავ და მდიდრებს ვაძლევ ან, უფრო რომ დავაზუსტო, მომპარავ ღარიბებს ვძარცვავ და შრომისმოყვარე მდიდრებს ვაძლევ.

— რა ჯანდაბას გულისხმობთ?

— თუ ჩემ შესახებ სტატიები წაგიკითხავთ, როცა ჯერ კიდევ ბეჭდავდნენ გაზეთები, მაშინ გემახსოვრებათ, რომ კერძო გემი არასდროს გამიძარცვავს და კერძო საკუთრება არასდროს არავისთვის წამირთმევია, არც სამხედრო ხომალდი გამიძარცვავს ოდესმე, რადგან სამხედრო ფლოტის მიზანი იმ მოქალაქეების ძალადობისგან დაცვაა, რომლებიც ამაში ფულს იხდიან. ეს მთავრობის პირდაპირი ფუნქციაა. მაგრამ ყველა ის ძარცვა-გლეჯით მოპოვებული ნადავლით სავსე ეკიპაჟი გავანადგურე, რაც კი ჩემმა თოფებმა ამოიღეს მიზანში — შევიპყარი ყველა გემი სამთავრობო დახმარებით, ყოველი/ყველა გემი სუბსიდიით, სესხით, საჩუქრებით, ყველა ხომალდი, რომელიც ისეთი საქონლით იყო დატვირთული, რომელიც ვიღაც ადამიანებისთვის გამოეძალათ, რათა სხვებისთვის უშრომელად, დაუმსახურებლად მიეცათ. მე მიზანში ამოვიღე გემები, იმ იდეის დროშის ქვეშ რომ დაცურავდნენ, რომელსაც მე ვებრძვი: იდეა, რომ გაჭირვება წმინდა კერპია, რომელიც ადამიანურ

მსხვერპლს მოითხოვს; რომ ვიღაც ხალხის გასაჭირი თუ მოთხოვნილებები სხვათა თავზე გილიოტინის ნაჯახივით უნდა ეკიდოს; რომ ყველა ჩვენგანის სიცოცხლე, ჩვენი შრომით, იმედებით, გეგმებითა და მცდელობებით, იმ მომენტის ხელთაა, როცა ეს ნაჯახი თავზე დაგვეცემა; და რომ ჩვენი შესაძლებლობები ჩვენ წინაშე არსებული საფრთხის პროპორციულია ისე, რომ წარმატება თავს წაგვაცლის, ხოლო წარუმატებლობა უფლებას მოგვცემს, გილიოტინის თოკი შევაკავოთ. ეს არის კოშმარი, რომელიც, როგორც სამართლიანობის იდეალი, რობინ ჰუდმა უკვდავყო. ამბობენ, მძარცველი მმართველების წინააღმდეგ იბრძოდა და ნადავლს გაძარცულ ხალხს უბრუნებდაო, მაგრამ ლეგენდას ამ მნიშვნელობით დღემდე როდი მოუღწევია. რობინ ჰუდი ახსოვთ არა როგორც საკუთრების ქომაგი, არამედ, როგორც სიღარიბის ქომაგი; არა როგორც გაძარცულთა დამცველი, არამედ, როგორც ღარიბთა მომმარაგებელი. მას შარავანდედი დღეს იმიტომ ადგას, რომ პირველ ადამიანად მიიჩნევა, ვინც ქველმოქმედებას იმ სიმდიდრით ეწეოდა, რომელიც მისი არ იყო; იმ ქონებას არიგებდა, რომელიც თავად არ შეუქმნია — თავის სიბრალულში კი ფულს სხვებს ახდევინებდა. ეს კაცი იმ იდეის სიმბოლო გახდა, რომლის მიხედვითაც არა ნამდვილი მიღწევები, არამედ გაჭირვება მიიჩნევა უფლებათა სათავედ; რომ ჩვენ კი არ უნდა ვაწარმოებდეთ რაღაცებს, არამედ მხოლოდ გვინდოდეს ეს რაღაცები; რომ ჩვენ მიერ გამომუშავებული ჩვენ კი არ გვეკუთვნოდეს, არამედ მათ, ვისაც ხელი არ გაუნძრევია. რობინ ჰუდი ყოველივე სიმდარის გამართლებად იქცა — ყველა იმ სულმდაბალი ადამიანისა, რომელიც იმის გამო, რომ საკუთარ ცხოვრებას თავად ვერ უზრუნველყოფდა, თავისზე უკეთესის განკარგვაზე ითხოვდა ძალაუფლებას; ამისთვის კი ხმამაღლა აცხადებდა, მზად ვარ, ჩემი ცხოვრება ჩემზე მდაბალთ მივუძღვნაო, ოღონდ თავისზე უფრო მაღლა მდგომთა მსხვერპლის ფასად. ის ყველაზე საძაგელი არსებაა, ორმაგი პარაზიტი, რომელიც ღარიბების ჭრილობებითა და მდიდრების სისხლით ცხოვრობს, რომელსაც ადამიანები დღეს ზნეობრივ იდეალად მიიჩნევენ. ამან კი ისეთ სამყარომდე მიგვიყვანა, სადაც, რაც უფრო მეტს აწარმოებს ადამიანი, მით უფრო მეტად აგდებს საფრთხეში თავის უფლებებს და თუ განსაკუთრებული უნარები აქვს, მაშინ უფლებაწართმეული არსება ხდება, რომელიც ყველას, ვისაც კი მოესურვება, შეუძლია, მსხვერპლად იქციოს, რადგან უფლებებზე, პრინციპებზე, ზნეობაზე მაღლა რომ დადგე, დადგე იქ, სადაც ყველაფერი, თვით ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები, დაშვებულია, საკმარისია, უბრალოდ გასაჭირში იყო. არ გიფიქრიათ, რატომ ინგრევა ჩვენ თვალწინ სამყარო? აი, ამისთვის ვიბრძვი, მისტერ რიერდენ. ვიდრე ადამიანები არ მიხვდებიან, რომ ყველა ადამიანურ სიმბოლოს შორის, რობინ ჰუდი ყველაზე ამორალური და საზიზღარია, იქამდე დედამიწას მშვიდობა არ ეღირსება და არც კაცობრიობას ექნება გადარჩენის შანსი.

რიერდენი დამუნჯებული უსმენდა, მაგრამ სულის სიღრმეში რაღაც იგრძნო — თითქოს უეცრად მცენარესავით ამოიზარდა ემოცია, რომლის ამოცნობა არ შეეძლო, მაგრამ მშობლიური და შორეული ეჩვენებოდა, რაღაც, რაც თითქოს დიდი ხნის წინ განეცადა და რაზეც უარი ეთქვა.

— რეალურად, მისტერ რიერდენ, მე პოლიციელი ვარ. კრიმინალებისგან ხალხის დაცვა პოლიციის მოვალეობაა, კრიმინალები კი ის ხალხია, ვინც სიმდიდრეს ძალისმიერი გზით იტაცებს. სწორედ პოლიციელის მოვალეობაა, ამოიღოს მოპარული ქონება და მფლობელებს დაუბრუნოს. მაგრამ როცა ქურდობა კანონის ამოცანა ხდება, ხოლო პოლიციელის მოვალეობა არა ქონების დაცვა, არამედ მისი დატაცებაა, მაშინ ეს უკანასკნელი იძულებულია, კანონგარეშე ცხოვრება დაიწყოს.

მიტაცებულ ტვირთს ამ ქვეყანაში ჩემს განსაკუთრებულ კლიენტებზე ვყიდი, მათზე, ვინც ფულს ოქროში მიხდის. ჩემს ტვირთს, ასევე, ევროპის სახალხო რესპუბლიკების კონტრაბანდისტებზე და შავ ბაზარზე ვყიდი. იცით, ამ სახალხო რესპუბლიკებში არსებობის როგორი პირობებია? რადგანაც წარმოება და ვაჭრობა — და არა ძალადობა — დანაშაულებრივ ქმედებებად იქნა აღიარებული, ამ ქვეყნების საუკეთესო ადამიანებს სხვა გზა აღარ დარჩათ — კრიმინალებად უნდა ქცეულიყვნენ. ამ ქვეყნების მონათმფლობლები ძალაუფლებას ინარჩუნებენ იმ პატარ-პატარა მოწყალებათა მეშვეობით, რომელთაც მათი პარტნიორი-მძარცველები გადაუგდებენ ისეთი ქვეყნებიდან, ჯერ მთლად რომ არ ჩაძირულან, აი, როგორიც, მაგალითად, ეს ქვეყანაა. მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ მოწყალებამ მათთან ვერ ჩააღწიოს. მე საქონელს ევროპის კანონდამრღვევებზე ვყიდი, მაქსიმალურად მაღალ ფასად, და ოქროთი ვახდევინებ. ოქროს ობიექტური ღირებულება აქვს, ოქრო არის საშუალება, ადამიანის სიმდიდრე და მომავალი დაიცვას. ევროპაში არავის აქვს ოქროს ფლობის უფლება, გარდა კაცობრიობის მათრახებმომარჯვებული მეგობრებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფულს თავიანთ მსხვერპლთა კეთილდღეობაზე ხარჯავენ. ეს ის ოქროა, რომელსაც ჩემი კონტრაბანდისტი კლიენტები შოულობენ და მიხდიან. როგორ? იმავე მეთოდით, რითიც მე ვშოულობ საქონელს. მერე კი მე ამ ოქროს მათ ვუბრუნებ, ვისაც ეს საქონელი წაართვეს — თქვენ, მისტერ რიერდენ, და სხვა თქვენნაირ ადამიანებს.

რიერდენი ჩასწვდა იმ ემოციის არსს, რომელიც დავიწყებოდა. ეს იყო ემოცია, რომელიც მაშინ განიცადა, როცა თოთხმეტი წლის იყო და თავისი პირველი ანაზღაურების ჩეკს დახედა; როცა ოცდაოთხის იყო და მადნეულის საბადოების დირექტორი გახდა; როცა საბადოების მფლობელის რანგში, თავისი სახელით თავისი პირველი განკარგულება გასცა, იმ დროის საუკეთესო ფირმაში, „თუენთის სენჩერი მოტორსში“, ახალი მოწყობილობები რომ ეყიდათ. ეს საზეიმო, ბედნიერი აღელვების ემოცია იყო, შეგრძნება, რომ იმ სამყაროში მოიპოვა ღირსეული ადგილი, რომელსაც პატივს სცემდა და იმ ადამიანებისგან მიიღო აღიარება, რომელთაც აღმერთებდა. ლამის ოცი წელიწადია, ეს ემოცია უსიამოვნებებისა და მარცხების ნარჩენებით სავსე მთის ძირას ჰქონდა ჩამარხული; წლები ამ მთას ნაცრისფერ ფენას ფენაზე „ამატებდა — ზიზღის, გულისწყრომის ფენებს, ფენებს მისი დაძაბული ბრძოლისა, ირგვლივ არ მიმოეხედა, არ დაენახა ის, რასაც შესჭიდებოდა, ადამიანებისგან არაფრის იმედი არ ჰქონოდა და საკუთარ თავში, ლამის საკუთარი კაბინეტის ოთხ კედელში, პერსონალური მსოფლმხედველობის სახით შეენახა იმ სამყაროს შეგრძნება, რომელში გამარჯვების იმედიც ჰქონდა. და მიუხედავად ამისა, ეს ემოცია ახლა კვლავ აქ იყო, უსიამოვნებებისა და მარცხების ნარჩენებიდან ამოხტომას ლამობდა; ეს იყო აჩქარებული ინტერესის გრძნობა, გრძნობა, რომელიც საღი აზრის ცხადი ხმის გაგონებისას ჩნდება — იმ საღი აზრის გაგონებისას, რომლითაც ადამიანს შეუძლია, კომუნიკაცია დაამყაროს, თავი გაიტანოს და იცხოვროს. მაგრამ ეს ყაჩაღის ხმა იყო, რომელიც ძალადობის აქტების შესახებ ლაპარაკობდა და საღი აზრისა და სამართლიანობის სამყაროს შემცვლელად მას სწორედ ამ ძალადობას სთავაზობდა. რიერდენი ამას ვერ მიიღებდა; ვერ დაკარგავდა, რაც თავისი მსოფლმხედველობიდან შემორჩენოდა. უსმენდა და ძალიან უნდოდა, როგორმე თავი დაეღწია, თუმცა იცოდა, რომ ერთ სიტყვასაც კი არ დატოვებდა უყურადღებოდ.

— ოქრო ბანკში შემაქვს, — ოქროს სტანდარტის მქონე ბანკში, მისტერ რიერდენ, — იმ კაცების ანგარიშზე, რომლებიც მისი კანონიერი მფლობელები არიან. ისინი

უდიდესი უნარების მქონე კაცები არიან, ეს ის ხალხია, ვინც საკუთარი ქონება თავისუფალ ბაზარზე საკუთარი ძალისხმევის შედეგად დააგროვა; მათ მთავრობისგან არც ძალა უთხოვიათ და არც დახმარება. ეს ხალხი დიდი მსხვერპლია, მათი წვლილი უზარმაზარია, მაგრამ სანაცვლოდ ყველაზე დიდი უსამართლობა მიიღეს. მათი სახელები ჩემს ზარალის ანაზღაურების სიაშია შეტანილი. ყოველი ოქრო, რასაც ვიბრუნებ, მათ შორის ნაწილდება და მათ ანგარიშებზე იდება.

— ვინ არიან ისინი?

— თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ, მისტერ რიერდენ. ვერც კი დავითვლი ფულს, რომელიც გამოგძალეს — ფარული გადასახადების, რეგულაციების, დაკარგული დროისა თუ დაკარგული ძალისხმევის სახით, იმ ენერგიის სახით, რომელიც ხელოვნური დაბრკოლებების გადალახვაში დაიხარჯა. ზუსტ ოდენობას ვერ დავითვლი, მაგრამ თუ გაინტერესებთ მისი სიდიდე და მნიშვნელობა, გარშემო მიმოიხედეთ.

ტანჯვის მასშტაბი ამ ოდესღაც აყვავებულ ქვეყანაში იმ უსამართლობის მასშტაბებს შეესაბამება, რომელიც თქვენზეც გადატყდა. თუ ხალხი უარს ამბობს, ვალი გაგისტუმროთ, მაშინ სწორედ ამ ფორმით მოუწევთ გასტუმრება. მაგრამ არის ვალის ერთი ნაწილი, რომელიც დათვლილია და ჩაწერილი. ეს ის ნაწილია, რომლის შეგროვება და თქვენთვის დაბრუნება მიზნად დავისახე.

— რა ნაწილზეა ლაპარაკი?

— თქვენს საშემოსავლო გადასახადზე, მისტერ რიერდენ.

— რა?

— ბოლო თორმეტი წლის საშემოსავლო გადასახადზე.

— განიზრახეთ, რომ ეს ამინაზღაუროთ?

— მთლიანად და ოქროთი, მისტერ რიერდენ.

რიერდენს ხარხარი აუტყდა. პატარა ბიჭივით იცინოდა, რომელსაც გულწრფელად ართობს და ახალისებს რაღაც დაუჯერებელი იდეა.

— ღმერთო ჩემო, თქვენ პოლიციელი ხართ და სახელმწიფო შემოსავლების ამკრეფიც?

— დიახ. — სერიოზულად უპასუხა დანეშოლდმა.

— ხუმრობთ ალბათ, არა?

— მეტყობა რამე, რომ ვხუმრობ?

— ჰო, მაგრამ ეს აბსურდია!

— იმაზე უფრო დიდი აბსურდი, ვიდრე დირექტივა 10-289?

— ეს არც რეალურია და არც შესაძლებელი.

— მხოლოდ ბოროტებაა რეალური და შესაძლებელი?

— ჰო, მაგრამ...

— ფიქრობთ, რომ სიკვდილი და გადასახადები ჩვენი ერთადერთი რეალობაა, მისტერ რიერდენ? კარგი, პირველთან დაკავშირებით ვერაფერს შევცვლი, მაგრამ თუ მეორის წნეხს შევამცირებ, ადამიანებმა შესაძლოა, დაინახონ პირველსა და მეორეს შორის კავშირი და ის, თუ რამდენად უფრო ხანგრძლივი, ბედნიერი ცხოვრების შექმნის ძალა აქვთ. შესაძლოა, იმასაც კი მიხვდნენ, რომ სიკვდილი და გადასახადები კი არა, სიცოცხლე და წარმოება უნდა გახდეს მათი ორი აბსოლუტური ჭეშმარიტება, მათი ზნეობრივი კოდის საფუძველი.

რიერდენმა მას შეხედა. უკვე აღარ იღიმოდა. დანეშოლდის მაღალი, მოხდენილი სხეული, — რომლის კარგად ნავარჯიშებ კუნთებს ქურთუკი კიდევ უკეთ

წარმოაჩენდა, — ავაზაკისას მოგაგონებდათ; მისი მკაცრი, მარმარილოსებრი სახე მოსამართლის სახეს ჰგავდა, ხოლო მშრალი, მკაფიო ხმა — საქმის მცოდნე ბუღალტრისას.

— თქვენ მხოლოდ ყაჩაღები არ გითვალთვალებდნენ, მისტერ რიერდენ. მეც გითვალთვალებდით. ჩემს დოკუმენტებში თქვენი უკანასკნელი თორმეტი წლის საშემოსავლო გადასახადების ასლები მაქვს, ისევე, როგორც ჩემი ყველა სხვა კლიენტის. რამდენიმე გასაოცარ ადგილას მეგობრები მყავს, რომლებიც საჭირო ასლებს შოულობენ ჩემთვის. ფულს ჩემს კლიენტებს შორის ვყოფ, იმის მიხედვით, თუ რა თანხებია მათგან გამოძალული. მფლობელებს თავ-თავიანთი ფული, უმეტესად, უკვე დავუბრუნე. დარჩენილთაგან თქვენი ყველაზე დიდი თანხაა. იმ დღეს, როცა მზად იქნებით, ეს თანხა მოითხოვოთ, — იმ დღეს, როცა მეცოდინება, რომ ერთი გროშიც კი არ წავა ყაჩაღების მხარდასაჭერად, — თქვენს ანგარიშს გადმოგცემთ.

მანამდე კი... — მან ძირს დაგდებულ ოქროს ფილას დახედა, — აიღეთ ეს, მისტერ რიერდენ. ეს არ არის მოპარული. ეს თქვენია.

რიერდენი არ განძრეულა, არც პასუხი გაუცია, არც ქვემოთ დაუხედავს.

— ბანკში, თქვენს სახელზე, ამაზე გაცილებით მეტი ინახება.

— რომელ ბანკში?

— გახსოვთ მაიდას მალიგანი ჩიკაგოდან?

— კი, რა თქმა უნდა.

— ყველა ჩემი ანგარიში „მალიგან ბანკშია“ გახსნილი.

— ჩიკაგოში არავითარი „მალიგან ბანკი“ არ არის.

— ჩიკაგოში არა.

რიერდენი ერთხანს გაჩერდა. შემდეგ იკითხა:

— სად?

— ვფიქრობ, ამას მალე გაიგებთ, მისტერ რიერდენ. მაგრამ ახლა ვერ გეტყვით.

მიუგო დანეშოლდმა, და დაამატა, — თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ამ წამოწყებაზე მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი. ეს ჩემი პირადი მისიაა. ჩემ გარდა და ჩემი გემის ეკიპაჟის გარდა, ამ საქმეში არავინ არ არის ჩართული. ჩემი ბანკირიც კი არ მონაწილეობს, უბრალოდ, ინახავს იმ ფულს, რომელსაც ბანკში ვდებ. ბევრი ჩემი მეგობარი ჩემს არჩეულ კურსს არ იწონებს. მაგრამ ერთსა და იმავე ბრძოლაში ჩვენ ყველანი სხვადასხვა გზას ვირჩევთ. ჩემი კი ასეთია.

რიერდენმა ზიზღნარევად გაიღიმა.

— ამ ყველაფრის მერე, თქვენც ერთ-ერთი რიგითი ალტრუისტი არ გამოდიხართ, ვინც თავის დროს არამომგებიან წამოწყებებს ახმარს და სხვების სასარგებლოდ საკუთარ ცხოვრებას საფრთხეს უქმნის?

— არა, მისტერ რიერდენ. მე ჩემს დროს ჩემს საკუთარ მომავალში ვდებ. როცა გავთავისუფლდებით და ნანგრევებისგან ყველაფრის ახლიდან აშენება მოგვიწევს, მინდა, სამყარო რაც შეიძლება მალე აღდგეს. და თუ გარკვეული შრომითი კაპიტალი სწორი ადამიანების ხელთ იქნება, — ჩვენი საუკეთესო, ყველაზე ნაყოფიერი ხალხის ხელში, — მაშინ, ჩვენთვის, დანარჩენებისათვის, წლები დაიზოგება, ქვეყნის ისტორიისთვის კი, — სხვათა შორის, — საუკუნეები. ხომ მკითხეთ, რას წარმოვადგენ თქვენთვისო?! ყველაფერს, რაც აღმაფრთოვანებს, ყველაფერს, რაც მინდა, იმ დღეს ხდებოდეს, როცა დედამიწაზე ამგვარი არსებობა იქნება შესაძლებელი; ყველაფერს, რასთანაც მინდა, საქმე მეჭიროს, თუნდაც რომ ამწუთას ეს თქვენთან საქმის ქონისა და თქვენთვის სარგებლის მოტანის ერთადერთი გზა იყოს.

— რატომ? — ჩურჩულით ჰკითხა რიერდენმა.

— იმიტომ რომ, ჩემი ერთადერთი სიყვარული, ერთადერთი ღირებულება, რის გამოც ცხოვრებას ჩემთვის აზრი აქვს, ისაა, რაც სამყაროს არასდროს ჰყვარებია, რასაც არასდროს მოუპოვებია აღიარება, ან მეგობრები, ან დამცველები. ეს ადამიანის შესაძლებლობაა. ეს არის სიყვარული, რომელსაც ვემსახურები, და თუ სიცოცხლე უნდა დავკარგო, ამაზე უკეთეს მიზანს ხომ მაინც ვერ შევწირავ?!

„კაცი, რომელმაც განცდის უნარი დაკარგა?“ — გაიფიქრა რიერდენმა და მიხვდა, რომ დაუნდობელი მარმარილოსებრი სახე ერთგვარი ფორმა იყო ზედმეტად ღრმა გრძნობების განცდის უნარისა. დინჯი ხმა უემოციოდ აგრძელებდა:

— მინდოდა, ეს გცოდნოდათ. მინდოდა, ეს ახლა გცოდნოდათ — იმ დროს, როცა გგონიათ, რომ ორმოს ფსკერზე მიგატოვეს და უგულო არსებებით ხართ გარშემორტყმული, რომლებიც კაცობრიობის ერთადერთ შემორჩენილ სახეობას წარმოადგენენ. მინდოდა, თქვენს ყველაზე უიმედო პერიოდში, გცოდნოდათ, რომ ხსნის დღე გაცილებით ახლოა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. და მქონდა კიდევ ერთი განსაკუთრებული მიზეზიც, რის გამოც დროზე ადრე უნდა მელაპარაკა თქვენთან და მეთქვა ჩემი საიდუმლო. გაიგეთ, რა მოხდა ორენ ბოილის ფოლადის ქარხნებში, მენის სანაპიროზე?

— კი. — უპასუხა რიერდენმა და გაოცდა, როცა იგრძნო, რომ ეს სიტყვა უეცარი ენთუზიაზმით აღმოხდა, — არ ვიცოდი, სიმართლე იყო თუ არა.

— სიმართლეა. ეს მე გავაკეთე. მისტერ ბოილი მენის სანაპიროზე რიერდენ მეტალს ვერ აწარმოებს. ვერც ვერსად აწარმოებს. ვერც სხვა ყაჩაღი პარაზიტი აწარმოებს, რომელსაც ჰგონია, რომ დირექტივა მას თქვენს ტვინზე უფლებას მოუტანს.

ვინც ამ მეტალის წარმოებას გადაწყვეტს, საბრძმედი ღუმლები აუფეთქდება, მოწყობილობები გაუცამტვერდება, ტვირთი დაელეწება, ქარხანა დაეწვება... იმდენი რამე მოუვა იმ კაცს, ვინც ამას შეეცდება, რომ ხალხი იტყვის, წყევლაო, და მალე ერთი მუშაც კი ვეღარ მოიძებნება ქვეყანაზე, ვინც რიერდენ მეტალის ნებისმიერი ახალი მწარმოებლის ქარხანაში მუშაობას დასთანხმდება. თუ ბოილისნაირ კაცებს ჰგონიათ, რომ ძალა საკმარისია, თავისზე უკეთესი ადამიანები გაძარცვონ, ნახონ ერთი, რა მოხდება, როცა ერთ-ერთი ასეთი ადამიანი ძალის გამოყენებას გადაწყვეტს. მინდოდა, გცოდნოდათ, მისტერ რიერდენ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ აწარმოებს თქვენს მეტალს და ერთ გროშსაც კი ვერ გააკეთებს ამაზე.

რიერდენმა იგრძნო, რომ ხარხარის სურვილი დაეუფლა, სწორედ ისე, როგორც მაშინ იცინოდა, როცა უაიატის ხანძრის შესახებ შეიტყო, როცა „დ'ანკონია კოპერის“ უბედური შემთხვევის შესახებ შეიტყო... და იცოდა, რომ თუ ახლაც გაიცინებდა, ის, რისიც ეშინოდა, არ მისცემდა საშუალებას, დაცლილიყო — ამჯერად სიცილით შვებას ვერ იგრძნობდა და საკუთარ ქარხნებს თვალით ვეღარ ნახავდა. ამიტომ, თავი შეიკავა, ერთხანს ტუჩები მოკუმა, არავითარი ხმა რომ არ გამოეცა, და როცა მომენტმა გადაიარა, წყნარად, მკაცრი და უსიცოცხლო ხმით თქვა:

— წაიღეთ ეს თქვენი ოქრო და აქედან დამეკარგეთ. კრიმინალის დახმარებას არ მივიღებ.

დანეშოლდს რეაქცია არ ჰქონია.

— ვერ დაგაძალებთ, რომ ოქრო მიიღოთ, მისტერ რიერდენ. მაგრამ უკან არ წავიღებ. თუ გნებავთ, შეგიძლიათ, დატოვოთ, სადაც დევს.

— მე არც თქვენი დახმარება მინდა და არც თქვენს დაცვას ვაპირებ. ახლომახლო ტელეფონი რომ იყოს, პოლიციას დავურეკავდი. დავურეკავდი, და ასეც მოვიქცევი, თუ კიდევ ეცდებით ჩემთან მოახლოებას. მე ამას გავაკეთებ. თავდაცვის მიზნით.

— ზუსტად მესმის, რასაც გულისხმობთ.

— გესმით, იმიტომ რომ, გისმენდით, ხედავდით, როგორი ენთუზიაზმით გისმენდით და არ განმისჯიხართ. ვერც თქვენ განგსჯით და ვერც სხვას. სტანდარტები აღარ არსებობს, რითიც ადამიანები იცხოვრებდნენ. ასე რომ, არავის საქციელის განსჯა არ მაინტერესებს ან იმ ფორმების განსჯა, რომლითაც გაუსაძლისის გაძლებას ცდილობენ. თუ ეს თქვენი გზაა, ჯანდაბამდეც გივლიათ ამ გზაზე. მე არ მაინტერესებს. უბრალოდ, ამის არავითარი ნაწილი არ გავხდები. არც როგორც თქვენი შთაგონების წყარო და არც როგორც თქვენი თანამზრახველი. ნურასდროს გექნებათ იმედი, რომ თქვენს საბანკო ანგარიშს მივიღებ, თუ საერთოდ არსებობს ეს ანგარიში. იყიდეთ თქვენთვის კიდევ ერთი ჯავშან-ჟილეტი ან რაიმე მსგავსი, რადგან მე თქვენ შესახებ პოლიციას მოვახსენებ და ყველაფერს ვეტყვი, რაც კი შემიძლია, თქვენს კვალზე რომ დავაყენო.

დანეშოლდი არც განძრეულა და არც არაფერი უპასუხია. სადღაც შორს, ღამის წყვდიადში, სატვირთო მატარებელი მოძრაობდა. ვერ ხედავდნენ, მაგრამ ესმოდათ, როგორ ავსებდა სიჩუმეს ბორბლების მძიმე რიტმი. თითქოს ახლოს იყო, მათ გვერდით მოძრაობდა, თითქოს ფიზიკურობა დაეკარგა და მისგან მხოლოდ დროში გაწელილი ხმა იყო შემორჩენილი.

— გინდოდათ, ჩემს ყველაზე უიმედო პერიოდში დამხმარებოდით? — დასძინა რიერდენმა, — თუ იქამდე მივედი, რომ ჩემი ერთადერთი დამცველი მეკობრეა, მაშინ აღარ მაინტერესებს, დაცული ვიქნები თუ არა. თქვენს ლაპარაკში ადამიანური ენისგან ძალიან ცოტა რამ არის შემორჩენილი, ამიტომ, გეტყვით, რომ მე იმედი აღარ დამრჩა, მაგრამ როცა დასასრული მოახლოვდება, ის მაინც მეცოდინება, რომ ჩემი პირადი სტანდარტებით ვიცხოვრე, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის ჰქონდა ამ სტანდარტებს მნიშვნელობა. მეცოდინება, რომ იმ სამყაროში გავაგრძელე ცხოვრება, სადაც დავიწყე და რომ სხვა სამყაროსკენ არასდროს გადამიხვევია. მგონი, არ გინდათ, გამიგოთ, მაგრამ...

სინათლის სხივი ფიზიკური დარტყმასავით ძლიერად დაეცა რიერდენსა და დანეშოლდს. მატარებლის სტვენამ ძრავის ხმაური გადაფარა და მათ ვერ გაიგეს, როგორ მოუახლოვდათ მაქანა, რომელსაც გვერდითა გზიდან, ფერმის უკნიდან შემოეხვია. მართალია, ისინი მანქანის სავალ გზაზე არ იდგნენ, მაგრამ მაინც გაიგეს ფარების უკან მუხრუჭების მძლავრი ხმა, რის შედეგადაც უხილავი ფორმა გაჩერდა.

სწორედ რიერდენი იყო, ვინც უნებლიეთ განზე გახტა, თუმცა თანამგზავრით გაოცება მაინც მოასწრო: დანეშოლდის თვითკონტროლის ხიბლი იმაში იყო, რომ ეს უკანასკნელი არც კი განძრეულა.

მანქანა პოლიციის აღმოჩნდა. მათთან გაჩერდა.

მძღოლმა ფანჯრიდან გადმოიხედა.

— ა, თქვენ ხართ, მისტერ რიერდენ! — თქვა და თითებით თავის ქუდს შეეხო, — საღამო მშვიდობისა, სერ.

— გამარჯობა. — მიუგო რიერდენმა და ცდილობდა, საკუთარი ხმის არაბუნებრივი ტონალობა გაეკონტროლებინა.

წინ ორი პატრული იჯდა, სახეზე მიზანსწრაფულობა ემჩნეოდათ, ეს ჩვეული მეგობრული მზერა არ იყო — უბრალოდ მოსაკითხად გაჩერებულებს ნამდვილად არ ჰგავდნენ.

— მისტერ რიერდენ, ქარხნიდან ბლეკსმითის ყურის გავლით ეჯვუდ-როუდით მოდიხართ?

— კი. რატომ მეკითხებით?

— შემთხვევით ამ მიდამოებში კაცი ხომ არ დაგინახავთ? სწრაფად მოსიარულე უცხო კაცი.

— სად?

— ან ფეხით იქნებოდა ან ერთი ჟანგიანი გაუბედურებული მანქანით, რომელსაც, სხვათა შორის, მილიონდოლარიანი ძრავა აქვს.

— ვინ კაცზე მეკითხებით?

— მაღალი, ქერათმიანი კაცია.

— და ვინ არის?

— არ დამიჯერებთ, რომ გითხრათ, მისტერ რიერდენ. დაინახეთ?

რიერდენი ვერ აცნობიერებდა, რომ კითხვებს სვამდა. მხოლოდ იმ გასაოცარ ფაქტს აღიქვამდა, რომ ყელში გაჩხერილი რაღაც მფეთქავი ბურთის მიუხედავად, ხმის გამოცემას მაინც ახერხებდა. პოლიციელებს პირდაპირ უყურებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი მხედველობის ფოკუსი გვერდით მდგომისკენ იყო მიმართული, ხოლო, რასაც ყველაზე მკაფიოდ ხედავდა, ეს დანეშოლდის სახე იყო, რომელიც არაფერს გამოხატავდა, რომლის არც ერთი ნაკვთი თუ კუნთი არ იძვროდა. დაინახა, როგორ ძალდაუტანებლად ჩამოეშვა მას მხრები, როგორ მოედუნებინა ხელები — არავითარი ნიშანი იმისა, რომ იარაღის ამოღებას განიზრახავდა, არ ჩანდა; მისი მაღალი, ასხლეტილი სხეული დაუცველი და ღია იყო — ღია მსროლელთა მთელი რაზმის წინაშე. სინათლეში რიერდენმა დაინახა, რომ დანეშოლდის სახე იმაზე უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ვიდრე მანამდე ეგონა, თვალები კი ცისფერი ჰქონდა. იგრძნო, რომ საფრთხე მაშინ შეიქმნებოდა, მას თუ პირდაპირ შეხედავდა. ამიტომ, მზერა პოლიციელებზე შეეჩერებინა — ლურჯ უნიფორმაზე დაკერებულ თითბრის ღილებზე, თუმცა ობიექტი, რომელსაც მისი ცნობიერება უფრო ძლიერად მოეცვა, ვიდრე ამას ვიზუალური აღქმით შეძლებდა, დანეშოლდის სხეული იყო, შიშველი სხეული ტანსაცმელს მიღმა, სხეული, რომელიც უკვალოდ გაქრებოდა. საკუთარ სიტყვებს ვერ იგებდა, რადგან გონებაში მარტო ერთი წინადადება ჩაესმოდა — ყოველგვარი კონტექსტის გარეშე, მხოლოდ გრძნობდა, რომ ეს ერთადერთი რამ იყო, რასაც ამქვეყნად მისთვის აზრი ჰქონდა: „თუ სიცოცხლე უნდა დავკარგო, ამაზე უკეთეს მიზანს ხომ მაინც ვერ შევწირავ?!“

— დაინახეთ, მისტერ რიერდენ?

— არა, — უპასუხა რიერდენმა, — არ დამინახავს.

პოლიციელმა სინანულით აიჩეჩა მხრები და ხელები საჭეს შემოაჭდო.

— არავინ საეჭვო არ დაგინახავთ?

— არა.

— არც რამე უცნაურ მანქანას ჩაუვლია გზაზე?

— არა.

პოლიციელმა მანქანის გასაღებს შეავლო ხელი.

— შეტყობინება შემოვიდა, რომ დღეს ღამეს ამ მხარეში დაუნახავთ. ხუთ საოლქოში ძებნაა გამოცხადებული. არ გვაქვს მისი სახელის, ხსენების უფლება,

ხალხი რომ არ შევაშინოთ, მაგრამ ეს ის კაცია, ვისი თავის სანაცვლოდაც მთელი მსოფლიოდან სამი მილიონია გამოყოფილი.

მან მანქანა დაქოქა, ძრავამაც მკვეთრი ხმაურით გაავსო ჰაერი, რომ უცებ წინ მეორე პოლიციელი გადმოიწია. ის დანეშოლდის „კეპიდან ჩამოშლილ ოქროსფერ თმას უყურებდა.

— ეს ვინ არის, მისტერ რიერდენ? — შეეკითხა.

— ჩემი ახალი დაცვა. — მიუგო რიერდენმა.

— ა!.. წინდახედული ნაბიჯია, მისტერ რიერდენ, ჩვენს დროში.

— ღამე მშვიდობისა, სერ.

მანქანა წინ გახრიალდა. უკანა ფარების წითელი სხივები ნელ-ნელა სიბნელეში ჩაიკარგა. დანეშოლდმა მანქანას თვალი გააყოლა, შემდეგ რიერდენს მარჯვენა ხელზე მრავლისმეტყველად შეხედა. რიერდენმა გააცნობიერა, რომ პოლიციის პირისპირ ჯიბეში ჩადებული ხელით იდგა, ამ ხელით კი იარაღს ჩაჰბღაუჭებოდა და მზად იყო, დაემიზნებინა.

თითები გაშალა და ჯიბიდან ხელი სწრაფად ამოიღო. დანეშოლდს გაეღიმა. ეს გულწრფელი ხალისით გასხივოსნებული ღიმილი იყო — სუფთა, ახალგაზრდა სულის ჩუმი სიცილი, იმ მომენტს რომ ეგებება, რომელიც უხარია, ცხოვრებაში რომ განიცადა. და მართალია, ეს ორნი ერთმანეთს არ ჰგავდნენ, დანეშოლდის ღიმილმა რიერდენს ფრანცისკო დ'ანკონია მოაგონა.

— არ მოგიტყუებიათ. — თქვა რაგნარ დანეშოლდმა, — თქვენი დაცვა — სწორედ რომ თქვენი დაცვა ვარ და ამას ვიმსახურებ არა მარტო ამ ფორმით, არამედ კიდევ მრავალი სხვა ფორმით, რომლის შესახებაც დღეს თქვენ არ იცით. გმადლობთ, მისტერ რიერდენ, და დროებით — უფრო მალე შევხვდებით, ვიდრე ამას ვიმედოვნებდი.

ვიდრე რიერდენი რამეს უპასუხებდა, დანეშოლდი უკვე აღარ იყო. ქვის ღობის მიღმა გაუჩინარდა, ზუსტად ისევე მოულოდნელად და უხმოდ, როგორც გაჩნდა.

რიერდენი ფერმის მინდვრისაკენ გატრიალდა, მაგრამ დანეშოლდის კვალი იქ ვერ დალანდა, არც მოძრაობის რაიმე ნიშანწყალი იყო.

რიერდენი ცარიელი გზის კიდეში იდგა, შუაგულ სიმარტოვეში, რომელიც ახლა გაცილებით უფრო უსაზღვრო ეჩვენებოდა, ვიდრე მანამდე. შემდეგ ფეხებთან ტილოში გახვეული საგანი დაინახა, საგნის ერთი მხარე ტილოდან გამოჩრილიყო, მთვარის შუქზე ელვარებდა და ისეთივე ფერი ჰქონდა, როგორიც მეკობრის თმას.

რიერდენი დაიხარა, ზოდი აიღო და გზა გააგრძელა.

* * *

კიპ ჩალმერსმა შეიგინა, როცა მატარებელი მოსახვევში შეტორტმანდა და კოქტეილი მაგიდაზე დაუქცია. თავადაც წინ გადაიხარა და დაღვრილ სითხეში იდაყვჩაწობილმა, წამოიძახა:

— ეშმაკმა დალახვროს ამათი გზები! რა სჭირს ლიანდაგებს? მთელი იმ ფულიდან, რასაც აკეთებენ, ცოტა მაინც რომ დაეხარჯათ, შეიძლება არ გვეხტუნა ასე ჩალის ორთვალაზე შემომჯდარი გლეხებივით.

არც ერთი მისი სამი თანამგზავრიდან პასუხისთვის არ გარჯილა გვიანი იყო, მოსასვენებელ კუთხეს კი მხოლოდ იმიტომ შერჩნენ, რომ თავიანთ კუპეებში გასვლა ძალისხმევას ითხოვდა. ალკოჰოლის სუნით გაჟღენთილი მოსასვენებელი კუთხის განათება სიგარეტით გაბუღულ მკრთალ ილუმინატორს წააგავდა. ეს კერძო ვაგონი იყო, რომელიც ჩალმერსმა მოითხოვა და მიიღო კიდეც. „კომეტის“ ბოლოზე იყო

გამობმული და ნერვიული ცხოველის კუდივით ირწეოდა, როცა კი „კომეტა“ მთების უსწორმასწორო გზებზე კლაკნით მიიწევდა წინ.

— რკინიგზების ნაციონალიზაციის კამპანიას ვიწყებ. — თქვა კიპ ჩალმერსმა და უტიფრად ჩააცქერდა პატარა, ნაცრისფერ კაცს, რომელიც მას ყოველგვარი ინტერესის გარეშე უყურებდა, — ეს იქნება ჩემი პოლიტიკური პლატფორმის მთავარი იდეა.

ხომ უნდა მქონდეს რაღაც პლატფორმა?! ჯიმ ტაგარტი არ მომწონს. ნახევრად მოხარშულ მოლუსკს ჰგავს. ჯანდაბაშიც წასულან ეს რკინიგზები! დროა, ხელში ჩავიგდოთ.

— წადი, დაწექი, — მიუგო კაცმა, — თუ გინდა, რომ ხვალ დიდ შეკრებაზე ადამიანს ჰგავდე.

— შენი აზრით, გამოგვივა?

— უნდა გამოგივიდეს.

— ვიცი, რომ უნდა გამომივიდეს. მაგრამ არა მგონია, დროზე ჩავაღწიოთ. ეს წყეული ლოკოკინა სპეცმატარებელი უკვე რამდენიმე საათით აგვიანებს.

— იქ უნდა იყო, კიპ. — ავის მომასწავებლად მიუგო კაცმა, ისეთი ჯიუტი და უდარდელი მონოტონურობით, რომელიც მხოლოდ შედეგზე მომართულ კაცს ახასიათებს, ყოველგვარ საშუალებაზე ფიქრის გარეშე.

— რა, შე იდიოტო, გგონია, არ ვიცი?!

კიპ ჩალმერსს ხუჭუჭი ოქროსფერი თმა ჰქონდა და უფორმო პირი. საშუალოდ მდიდარი, საშუალოდ ცნობილი ოჯახიდან იყო, მაგრამ სიმდიდრესა და სახელს ისე იგდებდა აბუჩად, რომ მსგავსი ცინიკური გულგრილობის უფლებას მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატი თუ მისცემდა თავს. მას ის კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, რომელიც ამ ჯიშის არისტოკრატების გამოყვანაში სპეციალიზდებოდა. კოლეჯში ისწავლა, რომ მთავარია მიზანი, გაასულელო ხალხი, ვისაც ჰყოფნის სიბრიყვე და ფიქრობს. ვაშინგტონში მან ფანჯრიდან შეპარული ქურდისთვის ჩვეული სიმარჯვით გაიკაფა გზა: ბიუროდან ბიუროში ისე სწრაფად მიცოცავდა, გეგონებოდა, ჩამოსანგრევად გამზადებული შენობის კარნიზიდან კარნიზზე დახტისო. სანახევროდ ძლევამოსილის სტატუსი ჰქონდა, თუმცა მისი მანერები რიგით ადამიანებს აბნევდა და აფიქრებინებდა, რომ ის უესლი მაუჩს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

თავისი სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კიპ ჩალმერსმა გადაწყვიტა, პოპულარულ პოლიტიკაში შეედგა ფეხი და არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, როგორც კანონმდებელს კალიფორნიიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ შტატის შესახებ არაფერი იცოდა, თუ არ ჩავთვლით კინოინდუსტრიასა და სანანპიროს კლუბებს. წინასწარი სამუშაო მის კამპანიის მენეჯერს ჩაეტარებინა, ახლა კი ჩალმერსი საკუთარ ამომრჩევლებთან შესახვედრად პირველად მიდიოდა. ეს ზედმეტად გახმაურებული შეკრება მომდევნო დღის ღამეს, სან-ფრანცისკოში იმართებოდა.

მენეჯერს უნდოდა, ჩალმერსი ერთი დღით ადრე ჩასულიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი ვაშინგტონში დარჩა, რათა კოქტეილის წვეულებას დასწრებოდა, სან-ფრანცისკოსკენ კი ბოლო მატარებელს გამოჰყვა. დღევანდელ საღამომდე შეკრებისადმი სრულიად გულგრილი ჩანდა, ახლა კი, როცა შეამჩნია, რომ „კომეტა“ ექვსი საათით იგვიანებდა, ცოტა აღელდა.

ჩალმერსის განწყობა მის სამ თანამგზავრს დიდად არ ადარდებდა, სამაგიეროდ, მისი სასმელი მოსწონდათ. კამპანიის მენეჯერი ლესტერ ტაკი პატარა ტანის ასაკშეპარული კაცი იყო, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ერთხელ მუშტი უთავაზეს და მას მერე ასე დარჩაო. ლესტერ ტაკი ადვოკატი იყო, რომელიც, რამდენიმე თაობით ადრე, ალბათ მაღაზიის ქურდებსა და იმ ადამიანებს დაიცავდა, მდიდარი კორპორაციების შენობებში უბედურ შემთხვევებს რომ დგამენ. ახლა კი კიპ ჩალმერსის მსგავსი ხალხის დაცვით მშვენივრად ირჩენდა თავს.

ლორა ბრედფორდი ჩალმერსის ამჟამინდელი საყვარელი იყო. ჩალმერსს ის იმიტომ მოსწონდა, რომ მისი წინამორბედი ლორას ცხოვრებაში უესლი მაუჩი გახლდათ. ლორა კინომსახიობი იყო, რომელმაც იქამდე არ მოისვენა, ვიდრე კომპეტენტური შემსრულებლიდან არაკომპეტენტურ ვარსკვლავად არ იქცა, ოღონდ ამისათვის სტუდიების დირექტორებთან კი არ წოლილა, არამედ უფრო შორი გზა აირჩია — ბიუროკრატების ლოგინი. გლამურის მაგივრად, პრესასთან ინტერვიუებში ეკონომიკაზე ლაპარაკობდა, თანაც მესამეხარისხოვანი ტაბლოიდებისთვის დამახასიათებელ აგრესიულად სამართლიან სტილში. მისი იდეები ეკონომიკაში შედგებოდა მტკიცებისგან, რომ „ჩვენ ღარიბებს უნდა დავეხმაროთ“.

გილბერტ კით-უორთინგი ჩალმერსის სტუმარი იყო, თუმცა რატომ, არც ერთმა იცოდა და არც მეორემ. ეს მსოფლიოში განთქმული ბრიტანელი რომანისტი ოცდაათი წლის წინათ იყო პოპულარული. მას მერე, მისი ნაწერების კითხვით თავი არავის შეუწუხებია, მაგრამ ყველას მიღებული ჰყავდა, როგორც ცოცხალი კლასიკოსი, ღრმა მწერლად ითვლებოდა, მაგალითად, ასეთი რაღაცების თქმის გამო „თავისუფლება? მოდით, ერთხელ და სამუდამოდ, შევეშვათ თავისუფლებაზე ლაპარაკს, ადამიანი ვერასდროს იქნება თავისუფალი შიმშილისგან, სიცივისგან, დაავადებებისგან, ფიზიკური კატასტროფებისგან. ის ბუნების ტირანიისგან ვერასდროს განთავისუფლდება. ამიტომ, რა აზრი აქვს პოლიტიკური დიქტატურის ტირანიასთან დაპირისპირებას?“ როცა მისი ნაქადაგები იდეები მთელმა ევროპამ პრაქტიკაში გადაიტანა, საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა. წლებთან ერთად, წერის სტილი და სხეული დაუუძლურდა. სამოცდაათი წლისა, ახლა ჭარბწონიანი იყო, გადაღებილი თმითა და ზიზღნარევი ცინიზმით გაჯერებული მანერებით, რასაც თან ახლდა იოგების ციტატები ყოველგვარი ადამიანური მცდელობის ამაოების შესახებ. კიპ ჩალმერსმა ის დაპატიჟა, რადგან მისი იქ ყოფნა გამორჩეულობის ილუზიას ქმნიდა.

გილბერტ კით-უორთინგიც გაჰყვა, სხვაგან მაინც არსად ჰქონდა წასასვლელი.

— ეშმაკმა დალახვროს ეს რკინიგზის ხალხი! — წამოიძახა კიპ ჩალმერსმა, — ძალით მიკეთებენ. უნდათ, კამპანია ჩამიშალონ. შეკრებას ვერ გავაცდენ! ღვთის გულისათვის, ლესტერ, რამე გააკეთე!

— ვცადე. — უპასუხა ლესტერ ტაკმა. ბოლო გაჩერებაზე საქალაქთაშორისო ტელეფონით სცადა, საჰაერო ტრანსპორტი მოეძებნა, მაგრამ მომდევნო ორი დღის განმავლობაში კომერციული ფრენები არ იყო დაგეგმილი.

— დროზე თუ არ ჩამიყვანენ, სკალპებსაც ავაცლი და რკინიგზასაც! ამ წყეულ კონდუქტორს ვერ ვეტყვით, რომ აუჩქაროს?

— უკვე სამჯერ ვუთხარი.

— ისე ვიზამ, რომ გააგდონ. ამაზე მეტი სამხილი რად გინდა?! — ამდენი ტექნიკური პრობლემა აქვთ. მე გადაადგილება მჭირდება, სამხილების შეგროვება კი არა.

თავიანთი დღის მატარებლის რიგითი მგზავრივით მე ვერ მომექცევიან! უნდა წამიყვანონ იქ, სადაც მივდივარ და მაშინ, როცა მჭირდება. არ იციან, რომ ამ მატარებელში ვზივარ?

— უკვე იციან. — უპასუხა ლორა ბრედფორდმა, — მოკეტე რა, კიპ. თავი მომაბეზრე.

ჩალმერსმა ჭიქა შეივსო. ვაგონი ჯაყჯაყებდა და შუშაც მსუბუქად წკრიალებდა ბარის მაგიდაზე. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ნაგლეჯები წყვეტილად ირხეოდნენ ფანჯარაში და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვარსკვლავებიც წკრიალით ეჯახებიან ერთმანეთსო. ვაგონის ბოლოს მდებარე მინის დიდი სადამკვირვებლო ფანჯრიდან არაფერი ჩანდა, მხოლოდ წითელი და მწვანე ფარნების ციმციმით შეიძლებოდა მატარებლის ბოლოსა და ლიანდაგების პატარ-პატარა მონაკვეთების გარჩევა, რომლებიც სწრაფ-სწრაფად იკარგებოდნენ წყვდიადში. მატარებელი კლდოვანი კედლის გასწვრივ დადიოდა, ვარსკვლავები კი დროდადრო მოულოდნელად სადღაც იზნიქებოდნენ და ზემოთ, მათგან ძალიან მაღლა, კოლორადოს მთების მწვერვალების მონახაზებს აჩენდნენ.

— მთები... — კმაყოფილებით წარმოთქვა გილბერტ კით-უორთინგმა, — სწორედ ამგვარი სანახაობა გაგრძნობინებს ადამიანის უმნიშვნელობას. რა არის ეს უბადრუკი რკინიგზა, უზნეო მატერიალისტებს ასე რომ ეამაყებათ, იმასთან შედარებით, რასაც მარადიული სიდიადე შეიძლება, ვუწოდოთ? სხვა არაფერი, თუ არა მკერავი ქალის ერთი დაბლანდული ძაფი ბუნების უსაზღვრო არშიაზე. ამ გოლიათი გრანიტებიდან თუნდაც ერთმა რომ მოისურვოს ჩამოშლა, ამ მატარებელს უმალ გაანადგურებს.

— რატომ უნდა მოისურვოს ჩამოშლა? — იკითხა ლორა ბრედფორდმა, ყოველგვარი განსაკუთრებული ინტერესის გარეშე.

— მგონი, ეს წყეული მატარებელი კიდევ უფრო ნელა დადის. — თქვა კიპ ჩალმერსმა, — ამ ნაბიჭვრებმა კიდევ უფრო შეანელეს, მიუხედავად იმისა, რომ ვთხოვე!

— არ ვიცი... მგონი, მთების გამოა... — მიუგო ლესტერ ტაკმა.

— ღმერთმა შეაჩვენოს ეს მთები! ლესტერ, რა დღეა დღეს? ამ წყეული დროის ცვლილებების გამო, სულ ავირ-დავირიე...

— ოცდაშვიდი მაისი. — ამოიოხრა ლესტერ ტაკმა.

— ოცდარვა მაისია. — დახედა საათს გილბერტ კით-უორთინგმა, — შუაღამეს უკვე თორმეტი წუთი გადასცდა.

— ღმერთო! — წამოიძახა ჩალმერსმა, — ანუ შეკრება დღესაა?

— კი. — მიუგო ლესტერ ტაკმა.

— ვერ მოვასწრებთ! ვერ...

მატარებელი კიდევ უფრო ძლიერად შეჯანჯღარდა და ჩალმერსს ჭიქა ხელიდან გააგდებინა. იატაკზე დავარდნილი შუშის მსხვრევის მსუბუქი ხმა ყურთასმენის წამღებ ხმას შეერია, რომელსაც ბორბლები გამოსცემდნენ, როცა ციცაბო მოსახვევში ძლიერად ეხეთქებოდნენ ლიანდაგს.

— იცით, რა მაინტერესებს, — ნერვიულად იკითხა გილბერტ კით-უორთინგმა, — უსაფრთხოა თქვენი გზები?

— ჰო, აბა! — მიუგო კიპ ჩალმერსმა, — იმდენი წესი, რეგულაცია და კონტროლის მექანიზმი გვაქვს, რომ ეს ნაბიჭვრები ვერ გაბედავდნენ, უსაფრთხო რომ არ იყოს.

— ლესტერ, რამდენი დაგვრჩა? შემდეგი გაჩერება სადაა?

— სოლტ ლეიკ სიტიმდე არანაირი გაჩერება არ იქნება.

— იმას ვგულისხმობ, შემდეგი სადგური რომელია.

ლესტერ ტაკმა დალაქავებული რუკა ამოიღო, რომელშიც დაღამებამდე წამდაუწუმ იცქირებოდა, და უპასუხა:

— უინსტონი, კოლორადო.

კიპ ჩალმერსმა ახალი ჭიქა აიღო.

— ტინკი ჰოლოვეიმ მითხრა, უესლის უთქვამს, ეს არჩევნები თუ ვერ მოიგე, მერე უკვე მორჩაო. — თქვა ლორა ბრედფორდმა. თავის სავარძელზე გაშხლართულიყო და ლესლის მიღმა იყურებოდა: მოსასვენებელი კუთხის კედელზე დაკიდებულ სარკეში საკუთარ თავს გულმოდგინედ ათვალიერებდა. მოწყენილი იყო და ჩალმერსის უსუსური ბრაზის წაქეზებით თავს ირთობდა.

— ჰო, ასე თქვა, არა?

— უ-ჰუ. უესლის არ უნდა, რომ... რა ჰქვია იმ კაცს... რაც ჰქვია... შენი მოწინააღმდეგე ვინც არის... არ უნდა, რომ საკანონმდებლოში ეგ შეძვრეს. თუ ვერ გაიმარჯვებ, უესლი სასტიკად გაცოფდება. ტინკიმ მითხრა...

— ღმერთმა დაწყევლოს ეგ ნაბიჭვარი! თავის თავს მიხედოს, ურჩევნია.

— ჰო, არ ვიცი. უესლის ძალიან მოსწონს. — დაამატა ლორა ბრედფორდმა, — ყოველ შემთხვევაში, ტინკი ჰოლოვეი ისე არასდროს იზამს, რომ რომელიმე უბადრუკი მატარებლის გამო უესლიმ მნიშვნელოვან შეხვედრაზე დაიგვიანოს. მის შეკავებას ვერ შეძლებენ.

კიპ ჩალმერსი იჯდა და საკუთარ ჭიქას მიშტერებოდა.

— ვიზრუნებ, მთავრობამ ყველა რკინიგზა ჩამოართვათ. — წარმოთქვა პირქუშად.

— ჰო, მართლა, — მიმართა გილბერტ კით-უორთინგმა, — არ მესმის, ეს კარგა ხნის წინ რატომ არ გააკეთეთ. ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც უკვე იმდენად ჩამორჩა, რომ რკინიგზებს კერძო საკუთრებაში ტოვებს.

— გეწევით ნელ-ნელა. — მიუგო კიპ ჩალმერსმა.

— წარმოუდგენლად გულუბრყვილო ქვეყანაა. ეს იმხელა ანაქრონიზმია... მთელი ეს ყბედობა თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე... ჩემი დიდი ბაბუის ეპოქის შემდეგ მსგავსი არც გამიგია. სხვა არაფერია, თუ არა მდიდართა ვერბალური ფუფუნება. ბოლოს და ბოლოს, ღარიბებისთვის ხომ მაინც არა აქვს მნიშვნელობა, ვის ხელში იქნება მათი საარსებო წყარო — მეწარმის თუ ბიუროკრატის.

— მეწარმეების დრო დამთავრდა. დღეს უკვე...

ახლა უკვე ისე შეინჯღრნენ, თითქოს ვაგონში ჰაერის მძლავრი ნაკადი შეიჭრა და ყველანი წინ გადაისროლა, ხოლო იატაკი მათ ფეხქვეშ თავის ადგილას დარჩა.

კიპ ჩალმერსი ნოხზე ეგდო, გილბერტ კით-უორთინგი — მაგიდაზე. ნათურები აფეთქდა, ჭიქები თაროებიდან გადმოცვივდა, ფოლადის კედლებიდან კი ისეთი ხმა გაისმა, გეგონებოდა, ეს-ესაა, შუაზე გასკდებაო; შორეულმა, ყრუ ხმაურმა, როგორც კრუნჩხვამ, ისე მოიცვა მატარებლის ბორბლები.

როცა ჩალმერსმა თავი წამოსწია, მიხვდა, რომ ვაგონი არ მოძრაობდა; გაიგონა თანამგზავრთა ოხვრა და ლორა ბრედფორდის პირველი ისტერიკული კივილი.

იატაკიდან გასასვლელისკენ გაცოცდა, ძლივძლიობით გააღო კარი და ბორძიკით ჩავიდა კიბეზე. წინ, შორს, სასიგნალო შუქები ანათებდნენ, ხოლო იმ ადგილას, სადაც ლოკომოტივს არაფერი ესაქმებოდა, წითელი შუქი დაინახა. კვლავ ბორძიკით გააღწია სიბნელეში. გზადაგზა ნახევრად ჩაცმულ ფიგურებს ეჯახებოდა, რომლებიც

ერთმანეთის მოძებნას ასანთის მკრთალი სინათლით ცდილობდნენ. სადღაც, გზაზე, ფანრიანი კაცი დაინახა. მკლავზე ხელი ჩაავლო. კაცი კონდუქტორი იყო.

— რა მოხდა? — სუნთქვაშეკრულმა ჰკითხა.

— რელსები გაწყდა, — უემოციოდ უპასუხა კონდუქტორმა, — ლოკომოტივი გზიდან გადმოვარდა.

— გადმოვარდა?..

— ჰო, გვერდულად დაეცა.

— ვინმე... მოკვდა?

— არა. მემანქანე კარგადაა. მეხანძრე დაშავდა.

— რელსები გაწყდა? რას ნიშნავს, რელსები გაწყდა?

კონდუქტორმა უცნაური მზერით შეხედა — მკაცრი, დამადანაშაულებელი და გულგრილი მზერით.

— რელსები ცვდება, მისტერ ჩალმერს. — უპასუხა და მომდევნო სიტყვებს უჩვეულოდ გაუსვა ხაზი, — განსაკუთრებით მოსახვევებში.

— მერე არ იცოდით, რომ გაცვეთილი იყო?

— ჩვენ ვიცოდით.

— მერე, რატომ არ გამოაცვლევინეთ?

— უნდა გამოგვეცვალა, მაგრამ მისტერ ლოსიმ ბოლო წუთს უარი თქვა.

— ვინაა მისტერ ლოსი?

— კაცი, რომელიც ახლა ჩვენი ვიცე-პრეზიდენტია.

ჩალმერსი ვერაფრით ხვდებოდა, თუ რატომ უყურებდა კონდუქტორი ისე, თითქოს ამ უბედურ შემთხვევაში მას რაიმე ბრალი მიუძღოდა.

— გასაგებია... გასაგებია... ლოკომოტივს ლიანდაგზე ვერ დააბრუნებთ?

— ამ ლოკომოტივს, როგორც ჩანს, უკვე ვერც ერთ ლიანდაგზე ვეღარ დავაბრუნებთ.

— მაგრამ... ამან უნდა წაგვიყვანოს!

— ვერ წაგიყვანთ.

აქა-იქ მიმოფანტულ სინათლეებისა და ჩახშული წივილ-კივილის ფონზე, ჩალმერსმა უეცრად რაღაც იგრძნო. იგრძნო, მაგრამ შეხედვა არ უნდოდა. ეს თვალუწვდენელი მთების სიდიადე იყო, ასობით დაუსახლებელი, უდაბური მილის მდუმარება და კლდოვან კედელსა და უფსკრულს შორის გამოკიდებული ბორტის ვიწრო ზოლი. კონდუქტორს კიდევ უფრო ძლიერად ჩაავლო ხელი.

— მაგრამ... რა უნდა ვქნათ?

— მემანქანე უინსტონში დასარეკად წავიდა.

— დასარეკად? როგორ?

— ქვემოთ, რამდენიმე მილში ტელეფონია.

— გვიშველიან?

— კი.

— მაგრამ... — ჩალმერსის ტვინმა წარსულსა და მომავალს შორის კავშირის გაბმა დაიწყო და მისი ხმა, პირველად ამ ხნის მანძილზე, კივილში გადაიზარდა, — რამდენი ხანი უნდა ვიცადოთ?

— არ ვიცი. — უპასუხა კონდუქტორმა, ჩალმერსის ხელი მკლავიდან მოიცილა და წავიდა.

უინსტონის სადგურის მორიგე ოპერატორმა სატელეფონო შეტყობინება. მოისმინა, ყურმილი დააგდო, კიბეებზე გიჟივით აირბინა და სადგურის უფროსის

გაღვიძებას შეუდგა. სადგურის უფროსი ზორბა, პირქუში კაცი იყო, რომელიც სამუშაოებს მუდამ იცვლიდა. უინსტონშიც ათი დღის დანიშნული იყო, განყოფილების ახალი დირექტორის მიერ. თავიდან რეტიანივით წამობანცალდა, მაგრამ როცა ოპერატორის ხმამ მის ტვინამდე ჩააღწია, ერთბაშად გამოფხიზლდა.

— რა? — წამოიძახა, — ღმერთო! „კომეტა“? ...დგომა და ცახცახი საქმეს არ უშველის! სილვერ სპრინგსს დაუკავშირდი!

სილვერ სპრინგსის სათავო ოფისის მორიგე დისპეტჩერმა შეტყობინება მოისმინა, შემდეგ კი დეივ მიჩემს, კოლორადოს განყოფილების ახალ დირექტორს დაურეკა.

— „კომეტა“? — წამოიძახა მიჩემმა, ყურმილი ყურთან მიიბჯინა, ფეხები კი ძლივს შეახო იატაკს, ისე წამოხტა, — რომელი ძრავა? დიზელი?

— დიახ, სერ.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო დიდებულო! რა უნდა ვქნათ? — შემდეგ კი, როცა თავისი თანამდებობა გაახსენდა, დაამატა, — კარგი, ავარიული მატარებელი გაგზავნეთ.

— უკვე გავგზავნეთ.

— შერვუდში მორიგეს დაუკავშირდით და უთხარით, მოძრაობა მთლიანად შეაჩეროს.

— უკვე დავუკავშირდით.

— განრიგის მიხედვით შემდეგი მატარებელი რომელია?

— არმიის სპეცსატვირთო, დასავლეთისკენ მიმავალი. მაგრამ სადღაც ოთხ საათში გავა. გვიან დადის.

— მე ახლავე მოვალ... მისმინე ერთ წამს, ბილი, სენდი და კლარენსი ჩემი მოსვლისთვის ადგილზე იყვნენ. ნამდვილი ჯოჯოხეთი გველის!

დეივ მიჩემი გამუდმებით უსამართლობაზე ჩიოდა, რადგან მისი თქმით, მას არასდროს გამართლებია. ამ თავის ცუდ ბედს ბობოლა ხალხის შეთქმულებებით ხსნიდა, რომლებიც მას შანსს არ აძლევდნენ, თუმცა კი არასდროს აზუსტებდა, ვის გულისხმობდა ამ „ბობოლა ხალხში“. საქმეში უმცროს-უფროსობის საკითხი მიჩემის საყვარელი საწუწუნო თემა იყო და ერთადერთი ზნეობრივი სტანდარტი. რკინიგზაში ბევრ ისეთ ადამიანზე უფრო დიდი დრო დაეყო, რომლებიც, მისგან განსხვავებით, კარგად დაწინაურებულიყვნენ. ეს, მიჩემის თქმით, სოციალური სისტემის უსამართლობას მოწმობდა, მაგრამ არც ეს დაკონკრეტებია არასოდეს, რას გულისხმობდა ამ „სოციალურ სისტემაში“. არაერთ რკინიგზაზე უმუშავია, საკმარისად დიდხანს კი არც ერთგან არ გაჩერებულა. უფროსებს მიჩემის მიმართ რაიმე კონკრეტული საყვედური არ ჰქონდათ ხოლმე ან რაიმე მიზეზი, რომ გაეგდოთ, მაგრამ სხვა გზას უბრალოდ არ უტოვებდა მათ, რადგან ძალიან ხშირად ამბობდა ფრაზას: „არავის უთქვამს, რომ ეს უნდა გამეკეთებინა!“. მიჩემმა არ იცოდა, რომ მისი ამჟამინდელი თანამდებობა ჯეიმს ტაგარტსა და უესლი მაუჩს შორის დადებული გარიგების დამსახურება იყო: როცა ტაგარტმა მაუჩს ტარიფების აწევის სანაცვლოდ საკუთარი დის პირადი ცხოვრების საიდუმლოებები მოახსენა, მაუჩმა ტაგარტს კიდევ ერთი სარგებელი გამოსძალა, რაც სავსებით შეესაბამებოდა მათი ვაჭრობის მახინჯ წესებს, ეს წესები კი იმაში მდგომარეობდა, რომ ნებისმიერი გზით, ნებისმიერი არსებული სიტუაციიდან რაც შეიძლებოდა მეტი უნდა გამოგეღლიტა. ამჯერად ეს დეივ მიჩემისთვის პოსტის მიცემას გულისხმობდა. რაც შეეხება მიჩემს, ის კლოდ სლაგენჰოპის სიძე იყო, რომელიც თავის მხრივ, „გლობალური პროგრესის

მეგობრების“ პრეზიდენტი გახლდათ, მაუჩი კი თვლიდა, რომ „გლობალური პროგრესის მეგობრებს“ საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. მიჩემისთვის სამსახურის შოვნის პასუხისმგებლობა ტაგარტმა კლიფტონ ლოსის გადააბარა, ხოლო ლოსიმ მიჩემს პირველი განთავისუფლებული პოსტი ჩააბარა; ეს კოლორადოს განყოფილების დირექტორის თანამდებობა იყო და მაშინ მოხდა, როცა ამ ადგილას მომუშავე კაცი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაქრა. და გაქრა მაშინ, როცა ჩიკ მორისონის სპეცმატარებელს უინსტონის სარეზერვო დიზელი მისცეს.

— რა უნდა ვქნათ? — წამოიყვირა დეივ მიჩემმა და ნახევრად ჩაცმული და ძილისგან ჯერ კიდევ გაბრუებული, თავის კაბინეტში შევარდა, სადაც უფროსი დისპეტჩერი, მთავარი ტექნიკოსი და რკინიგზის მთავარი მუშა უცდიდნენ.

მათ მიჩემისთვის არაფერი უპასუხიათ. შუახნის კაცები იყვნენ, რომელთაც რკინიგზის საქმეში წლები გაეტარებინათ. ერთი თვის წინ, ნებისმიერი ავარიული სიტუაციის დროს, ხალისით გაიღებდნენ რჩევებს, მაგრამ ახლა უკვე ხვდებოდნენ, რომ ვითარება საგრძნობლად შეცვლილიყო და ნებისმიერ ზედმეტ სიტყვას შესაძლოა, საფრთხე მოეტანა.

— რა ჯანდაბა უნდა ვქნათ?

— ერთი რამ ცხადია, — თქვა ბილ ბრენტმა, უფროსმა დისპეტჩერმა, — ქვანახშირის ძრავაზე მატარებელს გვირაბში ვერ გავუშვებთ.

დეივ მიჩემს სახე მოეღუშა. იცოდა, რომ სწორედ ეს უტრიალებდა სამივე კაცს თავში. თავად კი ერთი რამ უნდოდა: ნეტავ, ეს აზრი ბრენტს არ გაეხმოვანებინა.

— კარგი, დიზელს სად ვიშოვით? — ბრაზიანად იკითხა.

— ვერსად. — მიუგო მთავარმა მუშამ.

— ჰო, მაგრამ „კომეტას“ მთელი ღამე ასე მხარ-თეძოზე ვერ დავტოვებთ!

— როგორც ჩანს, მოგვიწევს. — უპასუხა მთავარმა ტექნიკოსმა, — ლაპარაკს რა აზრი აქვს, დეივ? ხომ იცი, რომ დიზელი არც ერთ განყოფილებაში აღარაა.

— ჰო, მაგრამ, ღმერთო დიდებულო, რა ჰგონიათ ერთი, ძრავის გარეშე მატარებლები როგორ უნდა ვამუშაოთ?“.

— მის ტაგარტს ასე არ ეგონა. — დასძინა მთავარმა მუშამ, — მისტერ ლოსის ჰგონია ასე.

— ბილ, — თხოვნით აღსავსე ტონით მიმართა ბრენტს მიჩემმა, — რომელიმე ტრანსკონტინენტური მატარებელი ამაღამ არ გადის, რომ იქნებ რაიმე დიზელი ჰქონდეს?

— პირველი სან-ფრანცისკოდან მომავალია, — მკაცრად უპასუხა ბილ ბრენტმა, — №236, სწრაფი სატვირთო. განრიგის მიხედვით, უინსტონში დილას, რვის თვრამეტ წუთზე უნდა ჩამოდგეს. ეს არის ამ მომენტისთვის ჩვენთან ყველაზე ახლო მყოფი დიზელის მატარებელი. შევამოწმე.

— არმიის სპეცსატვირთო?

— ამაზე ჯობს, არც იფიქრო, დეივ. ამას ყველაფერზე უფრო მაღალი პრიორიტეტი ენიჭება, ყველა მატარებელზე, რაც კი რამ დადის. „კომეტაზეც“ კი. ეს არმიის ბრძანებაა. ბოლო დროს სულ აგვიანებენ, და თან ამას წინათ, მუხრუჭების ბუქსებს ორჯერ გაუჩნდა ცეცხლი. დასავლეთ სანაპიროს არსენალებისთვის სამხედრო აღჭურვილობა დააქვთ. გირჩევნია, ილოცო, რომ არმიის მატარებელი შენს ხაზებზე არაფერმა შეაყოვნოს. თუ ფიქრობ, რომ „კომეტის“ შეყოვნებისთვის

ჯოჯოხეთი გველის, წარმოიდგინე, რომ ეს არაფერია იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, რაც არმიის სპეცსატვირთოს შეყოვნებისთვის დაგვემართება.

ერთხანს ყველა გაჩუმდა. ზაფხულის ღამე იდგა. ფანჯრები ღია ჰქონდათ. ქვედა სართულზე დისპეტჩერის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა. უკაცრიელ ეზოში სასიგნალო შუქები აციმციმდა. ეს ეზო ერთ დროს საქმიანი და ფუსფუსა სარკინიგზო პუნქტი იყო.

მიჩემმა სალოკომოტივო დეპოს მიმართულებით გაიხედა. იქ, მკრთალ განათებაში, რამდენიმე ორთქლმავლის შავი სილუეტი მოჩანდა.

— გვირაბი... — დაიწყო მიჩემმა და გაჩერდა.

— რვა მილის სიგრძისაა. — მკაფიოდ გამოთქვა მთავარმა ტექნიკოსმა სიტყვები.

— უბრალოდ, ახლა ვიფიქრე, რომ... — ნაჩქარევად დასძინა მიჩემმა.

— ჯობს, ამაზე არც იფიქრო. — რბილად მიუგო ბრენტმა.

— არაფერი მითქვამს!

— დიკ ჰორტონთან რაზე ილაპარაკე, ვიდრე სამსახურიდან წავიდოდა? — იკითხა მთავარმა მუშამ ზედმეტად გულუბრყვილოდ, თითქოს ეს საკითხი ახლა არც არაფერ შუაში ყოფილიყო, — იმაზე ხომ არა, რომ გვირაბის სავენტილაციო სისტემა სულს ღაფავს? არ უთქვამს, რომ დიზელისძრავიანი მატარებლებისთვისაც კი სახიფათოა დღევანდელ დროს გვირაბი?

— ახლა ეს რაღა შუაში იყო? — ბრაზიანად მიუგო მიჩემმა, — მე არაფერი მითქვამს! განყოფილების მთავარმა ინჟინერმა, დიკ ჰორტონმა თანამდებობა მიჩემის მოსვლიდან სამი დღის შემდეგ დატოვა.

— უბრალოდ ვიფიქრე, მაინც ვკითხავ-მეთქი. — გულუბრყვილოდ უპასუხა მთავარმა მუშამ.

— მისმინე, დეივ, — მიმართა ბილ ბრენტმა და კარგად იცოდა, რომ მომდევნო ერთი საათი მიჩემი ასე იყოყმანებდა, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებამდე მივიდოდა, — ხომ ხვდები, რომ ახლა მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია, გავაკეთოთ: „კომეტა“ უინსტონში დილამდე უნდა გავაჩეროთ, 236-ს დაველოდოთ, მათი დიზელით „კომეტა“ გვირაბში გავუშვათ, მერე კი, გვირაბის ბოლოს, საუკეთესო ქვანახშირის ორთქლმავალი ჩავუბათ და დანიშნულების ადგილისკენ გავამგზავროთ.

— ჰო, მაგრამ ეს რას ნიშნავს? რამდენი საათით დააგვიანდება „კომეტას“?

ბრენტმა მხრები აიჩეჩა.

— თორმეტი საათით... თვრამეტი საათით... ღმერთმა იცის.

— თვრამეტი საათით? „კომეტა“? ღმერთო, ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა!

— რაც ახლა ხდება, აქამდე მსგავსი არაფერი მომხდარა. — უპასუხა ბრენტმა და ენერგიულ, კომპეტენტურ ხმაში აშკარა დაქანცულობის ნოტები შეეპარა.

— ჰო, მაგრამ მერე ნიუ-იორკში ჯავრს ჩვენზე იყრიან! ყველაფერში ჩვენ დაგვადანაშაულებენ!

ბრენტმა კვლავ აიჩეჩა მხრები. ერთი თვის წინ ვერც წარმოიდგენდა, რომ ასეთი უსამართლობა შეიძლებოდა, მომხდარიყო. დღეს უკვე არაფერი უკვირდა.

— მგონი... — გაუბედურებული ხმით თქვა მიჩემმა, — მგონი, სხვა გზა არ გვაქვს.

— ჰო, დეივ, არ გვაქვს.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო, მაინცდამაინც ჩვენ რატომ დაგვემართა?

— ვინ არის ჯონ გოლტი?

სამის ნახევარი იყო, როცა ძველ კომუტატორზე გამობმული „კომეტა“ უინსტონის სადგურის სათადარიგო გაჩერებაზე ტორტმანით გაჩერდა. კიპ

ჩალმერსმა ეჭვნარევი და გაბრაზებული სახით ფანჯრიდან გაიხედა და მზერა უკაცრიელ მთის ფერდობებზე მიმობნეულ ერთ-ორ ქოხმახსა და სადგურის დეპოს შეავლო.

— ახლა კიდევ რაღაა ჯანდაბაა? აქ რატომ გვაჩერებენ? — წამოიყვირა და კონდუქტორის დასაძახებლად ზარი დარეკა.

მოძრაობასა და უსაფრთხოების აღდგენასთან ერთად, მისი შიშები უკვე მრისხანებაში გადაზრდილიყო. თავს ლამის მოტყუებულად გრძნობდა იმის გამო, რომ ვიღაცების დამსახურებით ეს ყოვლად არასაჭირო შიში განეცადა. მისი თანამგზავრები კვლავ მოსასვენებელი კუთხის მაგიდებს იყვნენ ჩაბღაუჭებული. მატარებელი მეტისმეტად ჯაყჯაყებდა საიმისოდ, რომ დაეძინათ.

— რამდენი ხნით? — უემოციოდ მიუგო ჩალმერსს შეკითხვაზე კონდუქტორმა, — დილამდე, მისტერ ჩალმერს.

ჩალმერსმა მას გაოგნებული მზერა მიაპყრო.

— აქ დილამდე ვაპირებთ დგომას?

— დიახ, მისტერ ჩალმერს.

— აქ?

— დიახ.

— ჰო, მაგრამ ამ საღამოს სან-ფრანცისკოში შეკრება მაქვს!

კონდუქტორს არაფერი უპასუხია.

— რატომ? რატომ უნდა ვიდგეთ? რა ჯანდაბაა? რა მოხდა?

წყნარად, მოთმინებით და ზიზღნარევი თავაზიანობით, კონდუქტორმა ჩალმერსს სიტუაცია დეტალურად განუმარტა. მაგრამ წლების წინ, — დაწყებით კლასებში, მაღალ კლასებში, შემდეგ კოლეჯში, — კიპ ჩალმერსს ასწავლეს, რომ ადამიანმა არ უნდა იცხოვროს რაციონალურად და რომ არც არაფერში სჭირდება ასეთი ცხოვრება.

— ეშმაკსაც წაუღია თქვენი გვირაბი! — დაიკივლა, — გგონიათ, რომ ჩემი შეყოვნების ნებას მოგცემთ ამ ერთი უბადრუკი გვირაბის გამო? გინდათ, გვირაბის გამო ეროვნული მნიშვნელობის გეგმები ჩამაშლევინოთ? უთხარით თქვენს მემანქანეს, რომ ამ საღამოს სან-ფრანცისკოში უნდა ვიყო და მან იქ უნდა ჩამიყვანოს!

— როგორ?

— ეს თქვენი საქმეა და არა ჩემი!

— სხვაგვარად არ გამოვა.

— მერე გამოიყვანე, შე!..

კონდუქტორს არაფერი უპასუხია.

— გგონიათ, დავუშვებ, თქვენს უბადრუკ ტექნიკურ პრობლემებს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სოციალური საკითხები გავაფუჭებინო? იცით, საერთოდ ვინა ვარ? უთხარით მემანქანეს, რომ დაძრას მატარებელი, თუ რამედ უღირს თავისი სამუშაო!

— მემანქანეს თავისი ბრძანებები აქვს.

— ეშმაკსაც წაუღია ეგ ბრძანებები! დღეს მე ვიძლევი ბრძანებებს! ახლავე უთხარით, რომ დაძრას მატარებელი!

— მგონი, ჯობს, სადგურის უფროსს მიმართოთ, მისტერ ჩალმერს. ჩემი პოზიცია არ მაძლევს უფლებას, ისე დაგელაპარაკოთ, როგორც მე მინდა. — მიუგო კონდუქტორმა და გავიდა.

ჩალმერსი წამოხტა.

— კიპ, იქნებ... — დაიწყო ლესტერ ტაკმა უხერხულად, — იქნებ, მართალს ამბობენ... იქნებ, სხვა გზა მართლა არ არის.

— სხვა გზა ყოველთვის არის, როცა საჭიროება ითხოვს! — მკვახედ მიუგო ჩალმერსმა და მტკიცე ნაბიჯით კარისკენ გაეშურა.

წლების წინ, კოლეჯში, მან ისწავლა, რომ ადამიანების ასამოქმედებლად ერთადერთი ეფექტური საშუალება მათი შეშინება იყო.

უინსტონის სადგურის დაფხავებულ კაბინეტში ის ჩამქრალი, დაქანცული ნაკვთების მქონე მძინარე კაცსა და ოპერატორის მაგიდასთან მჯდარ ახალგაზრდა შეშინებულ ბიჭს მისდგა. ისინიც უსმენდნენ, ჩუმად და გაშტერებულები — უსმენდნენ უხამსობის ისეთ ნიაღვარს, მუშათა არც ერთი ბრიგადისგანაც კი რომ არ მოესმინათ არასდროს.

— და ჩემი პრობლემა სულაც არ არის, როგორ გაიყვანთ მატარებელს გვირაბში, ეს თქვენ უნდა მოიფიქროთ! — იყო ჩალმერსის დასკვნითი სიტყვები. — მაგრამ ლოკომოტივს თუ ვერ მიშოვით და მატარებელს თუ ვერ დაძრავთ, სამსახურს, სამუშაო ლიცენზიებსა და მთელ ამ წყეულ რკინიგზას დაემშვიდობებით!

სადგურის უფროსს კიპ ჩალმერსის შესახებ აქამდე არაფერი სმენოდა და არც ის იცოდა, რა თანამდებობა ეკავა. მაგრამ მიხვდა, რომ დღეს სწორედ ის დღე იყო, როცა გაუგებარი თანამდებობის უცნობი კაცი უსაზღვრო ძალაუფლებას ფლობდა — ძალაუფლებას სიკვდილ-სიცოცხლეზე.

— ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მისტერ ჩალმერს. — მუდარიანი ტონით მიუგო, — ბრძანებებს ჩვენ აქ არ ვიძლევით. ბრძანება სილვერ სპრინგსიდან წამოვიდა. იქნებ, მისტერ მიჩემს დაურეკოთ და...

— ვინაა მისტერ მიჩემი?

— სილვერ სპრინგსის განყოფილების დირექტორი. იქნებ, შეტყობინება გაუგზავნოთ, რომ...

— ა, განყოფილების დირექტორებს უნდა ვურეკო?! არა, ჯიმ ტაგარტს დავუკავშირდები. აი, რას ვიზამ!

ვიდრე სადგურის უფროსი გონს მოვიდოდა, ჩალმერსმა ახალგაზრდა ბიჭთან მიირბინა და უბრძანა:

— აი, ჩაიწერე ეს ყველაფერი და ახლავე გაუგზავნე!

შეტყობინება ისეთი იყო, რომ ერთი თვის წინ სადგურის უფროსი მის გაგზავნაზე არც ერთ მგზავრს არ დათანხმდებოდა. წესები ამას კრძალავდა. მაგრამ ახლა წესებთან დაკავშირებით მას უკვე თავგზა აჰბნეოდა.

„მისტერ ჯეიმს ტაგარტს, ნიუ-იორკში. შევყოვნდი „კომეტაზე“, უინსტონში, კოლორადოში, თქვენი თანამშრომლების არაკომპეტენტურობის გამო, რომლებიც ლოკომოტივზე უარს მეუბნებიან. საღამოს სან-ფრანცისკოში ეროვნული მნიშვნელობის უმაღლესი დონის შეხვედრა მაქვს. თუ მატარებელს დაუყოვნებლივ არ დაძრავთ, შეგიძლიათ, თავად გამოიცნოთ, ამას რა მოჰყვება.

კიპ ჩალმერსი“.

მას შემდეგ, რაც ბიჭმა ჩალმერსის სიტყვები მავთულებზე გადაამისამართა, რომლებიც, ტაგარტის რკინიგზის მფარველებივით, მთელი კონტინენტის მასშტაბით ბოძებზე იყვნენ გადაჭიმულნი, და მას შემდეგ, რაც პასუხის მოლოდინში კიპ ჩალმერსი თავის ვაგონს დაუბრუნდა, სადგურის უფროსმა დეივ მიჩემს დაურეკა.

ეს უკანასკნელი მისი მეგობარი იყო. მან მიჩემს ჩალმერსის შეტყობინება წაუკითხა, პასუხად კი ოხვრა მიიღო.

— ვიფიქრე, უნდა მეთქვა, დეივ. ამ ტიპის შესახებ აქამდე არაფერი მსმენია, მაგრამ არ ვიცი, იქნებ ვინმე მნიშვნელოვანია?!

— არ ვიცი! — ხვნეშით მიუგო მიჩემმა, — კიპ ჩალმერსი? გაზეთებში სულ მაგის სახელი წერია, სულ ვიღაც მაღალი დონის ტიპების გვერდით არის. არ ვიცი, რას წარმოადგენს, მაგრამ ვაშინგტონიდანაა. ვერ გავრისკავთ. ღმერთო, რა უნდა ვქნათ?

„ვერ გავრისკავთ“, — იფიქრა „ტაგარტის“ ოპერატორმა ნიუ-იორკში და შეტყობინება ტელეფონით ჯეიმს ტაგარტის სახლში გადაგზავნა. ნიუ-იორკში დილის ექვსი საათი ხდებოდა. ჯეიმს ტაგარტს მოუსვენარი ღამის ინსტინქტური ძილიდან გამოეღვიძა. შეტყობინებას უსმენდა და ყოველ სიტყვაზე სახე სულ უფრო ეკუმშებოდა. ისეთივე შიში იგრძნო, როგორიც სადგურის უფროსმა და ზუსტად იმავე მიზეზით.

კლიფტონ ლოსის სახლში დაურეკა. მთელი ის რისხვა, რაც კიპ ჩალმერსს ვერ დაატეხა თავს, სატელეფონო ქსელის მეშვეობით კლიფტონ ლოსიზე დაანთხია.

— გააკეთე რამე! — ყვიროდა ტაგარტი, — არ მაინტერესებს, რას გააკეთებ, ეს შენი საქმეა, ჩემი კი არა! მაგრამ ისე უნდა ქნა, რომ მატარებელმა ადგილზე ჩააღწიოს! რა ჯანდაბა ხდება? გაჩერებული „კომეტა“ მე აქამდე არ მინახავს! ასე უძღვები დეპარტამენტს? გადასარევია პირდაპირ, მნიშვნელოვანი მგზავრები შეტყობინებებს მე მიგზავნიან! სხვა თუ არაფერი, ჩემი და რომ შენს ადგილას იყო, ღამით მაინც არ მაღვიძებდნენ ყველა იმ ლურსმნის გამო, რაც აიოვაში ფუჭდებოდა... უფრო სწორად, კოლორადოში!

— ძალიან ვწუხვარ ჯიმ. — მშვიდად უპასუხა კლიფტონ ლოსიმ, ისეთი ტონით, რომელიც ერთდროულად ითავსებდა ბოდიშსაც, გამხნევებასაც და საჭირო დოზის მზრუნველ თავდაჯერებულობასაც, — რაღაც გაუგებრობაა. ვიღაცის ბრიყვული შეცდომა. მივხედავ. სხვათა შორის, ვიწექი, მაგრამ ახლავე მივხედავ.

კლიფტონ ლოსი არ იწვა, ახლახან დაბრუნებულიყო ღამის კლუბებიდან, თანაც ახალგაზრდა ქალბატონთან ერთად. ამ უკანასკნელს მოცდა სთხოვა, თავად კი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ოფისებისკენ გაექანა. ღამის მორიგეებიდან არც ერთს, ვინც კი ის დაინახა, არ შეეძლო, ეთქვა, თუ რატომ გადაწყვიტა ლოსიმ პირადად მისვლა, თუმცა ვერც იმას იტყოდნენ, რომ ეს არ იყო საჭირო. კაბინეტიდან კაბინეტში დარბოდა, არაერთმა ადამიანმა დაინახა და დიდად აქტიური კაცის შთაბეჭდილებაც დატოვა. მთელი ამ აქტივობის ერთადერთი მატერიალური შედეგი კი იყო ბრძანება, რომელიც კოლორადოს განყოფილების დირექტორთან, დეივ მიჩემთან ტელეგრამით გაიგზავნა:

„მისტერ ჩალმერსს დაუყოვნებლივ მიეცით ლოკომოტივი. „კომეტა“ უსაფრთხოდ და ყოველგვარი უსაფუძვლო შეფერხებების გარეშე გაუშვით დანიშნულების ადგილისკენ. თუ ვერ შეასრულებთ თქვენს მოვალეობას, „გაერთიანების საბჭოს“ წინაშე მოგიწევთ პასუხის გაცემა. კლიფტონ ლოსი“.

შემდეგ თავის მეგობარ გოგონას დაურეკა, შეხვედრა დაუთქვა და ქალაქგარეთ, გზისპირა სასტუმროში წაიყვანა ისე, რომ მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში მას ვერავინ დაჰკავშირებოდა.

სილვერ სპრინგსის დისპეტჩერმა შეცბუნებული სახით გაუწოდა დეივ მიჩემს შემომავალი ბრძანება. მაგრამ მიჩემი ყველაფერს მიხვდა. იცოდა, რომ ნებისმიერ სარკინიგზო ბრძანებაში ასეთი ტერმინებით ლაპარაკი, — როგორიცაა

მგზავრისთვის ლოკომოტივის მიცემა, — აბსურდი იყო. იცოდა, რომ ეს უბრალოდ შოუს ნაწილი იყო. იმასაც მიხვდა, რა ტიპის შოუ იდგმებოდა და ცივმა ოფლმა დაასხა, როცა გააცნობიერა, თუ ვინ შეიძლებოდა, ამ შოუში განტევების ვაცი აღმოჩენილიყო.

— რა ხდება, დეივ? — ჰკითხა მთავარმა ტექნიკოსმა.

მიჩემს არ უპასუხია. ტელეფონს სწვდა და აკანკალებული ხელებით ნიუ-იორკში, „ტაგარტის“ ოპერატორთან დაკავშირება ითხოვა. ხაფანგში გამომწყვდეულ ცხოველს ჰგავდა.

ნიუ-იორკის ოპერატორს მისტერ კლიფტონ ლოსის სახლთან დაკავშირებას შეევედრა. ოპერატორმა სცადა. არავის უპასუხია. შეევედრა კიდევ ეცადა, და ეცადა ყველა იმ ნომერზე დარეკვა, სადაც კი მისტერ ლოსის პოვნა შეიძლებოდა. ოპერატორმა პირობა მისცა. მიჩემმა ყურმილი დაკიდა, მაგრამ იცოდა, რომ ამაო იყო ლოდინიც და მისტერ ლოსის დეპარტამენტში ვინმესთან დალაპარაკებაც.

— რა ხდება, დეივ?

მიჩემმა მთავარ ტექნიკოსს ლოსის ბრძანება გაუწოდა, მისმა გამომეტყველებამ კი ეჭვები დაუდასტურა: დაგებული ხაფანგი მართლაც ისეთი მზაკვრული აღმოჩნდა, როგორც თავად ფიქრობდა.

მიჩემმა ნებრასკას შტატში, ომაჰაში, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რეგიონულ სათავო ოფისში დარეკა და რეგიონის გენერალურ მენეჯერთან დალაპარაკება ითხოვა. ხაზზე ერთხანს დუმილი იყო, შემდეგ კი ომაჰის ოპერატორის ხმამ მიჩემს აუწყა, რომ გენერალურ მენეჯერს სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაეწერა და სამი დღის წინ უკვალოდ გამქრალიყო, — „პატარა გაუგებრობის გამო მისტერ ლოსისთან“, — დაამატა ხმამ...

შემდეგ კოლორადოს განყოფილების გენერალური მენეჯერის თანაშემწესთან ითხოვა საუბარი, მაგრამ უთხრეს, რომ შაბათ-კვირისთვის თანაშემწე ქალაქიდან იყო გასული და მას ვერ დაუკავშირდებოდნენ.

— ვინმესთან დამაკავშირეთ! — დაიყვირა მიჩემმა, — ნებისმიერთან ნებისმიერ რეგიონში! ღვთის გულისათვის, დამაკავშირეთ ვინმესთან, ვინც მეტყვის, რა უნდა გავაკეთო! კაცი, რომელიც ხაზზე გამოვიდა, აიოვა-მინესოტას რეგიონის გენერალური მენეჯერის თანაშემწე იყო.

— რა? — შეაწყვეტინა მიჩემს პირველივე სიტყვებზე, — უინსტონში, კოლორადოში? მერე მე რატომ მირეკავთ? ..არა, ნუ მეტყვით, რა მოხდა, არ მინდა, ვიცოდე!

— ...არა! ხომ გითხარით?! არა-მეთქი! ვერ გამომიყენებთ ამ ამბავში! ჩემკენ ვერ გამოიშვერთ თითს და ვერ იტყვით მერე, რატომ გავაკეთე ან არ გავაკეთე რამე ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც არ უნდა იყოს ეს ოხერი საკითხი. არაა ჩემი პრობლემა! ...ვინმე რეგიონის უფროსს დაელაპარაკეთ, მე შემეშვით, რა შუაშია ჩემთან კოლორადო? ...ჯანდაბა, არ ვიცი, მთავარ ინჟინერს დაელაპარაკეთ, არ ვიცი!

ცენტრალური რეგიონის მთავარმა ინჟინერმა მოუთმენელი ხმით უპასუხა:

— დიახ. რა? რა ხდება? — მიჩემი სასოწარკვეთილი ხმით შეუდგა დეტალების ახსნას, მაგრამ როცა მთავარმა ინჟინერმა გაიგო, რომ დიზელი აღარ იყო, მკვახედ მოუჭრა, — მაშინ გაჩერებული უნდა გყავდეთ მატარებელი, რა თქმა უნდა! — ხოლო როცა მისტერ ჩალმერსის შესახებ გაიგო, ტონი უეცრად შეარბილა და მიუგო, — ჰმმ... კიპ ჩალმერსი? ვაშინგტონიდან? ...არ ვიცი. ეს მისტერ ლოსის გადასაწყვეტი საკითხია. — და როცა მიჩემმა დაიწყო, მისტერ ლოსიმ ასე და ასე მითხრაო, მაშინ

მთავარმა ინჟინერმა შვებით ამოისუნთქა და კვლავ მკვახედ მოუჭრა, — მერე გააკეთეთ ზუსტად ის, რასაც ლოსი ამბობს! — და ყურმილი დაუკიდა.

დეივ მიჩემმა ყურმილი ფრთხილად დადო. უკვე აღარ ყვიროდა. სკამისკენ ფეხაკრეფით წავიდა, თითქოს რაღაც უნდა მოიპაროსო, და დაჯდა. ხელში ლოსის ბრძანება ეჭირა და დიდხანს დასცქეროდა.

შემდეგ ოთახში მიმოიხედა. დისპეტჩერი ტელეფონთან იყო დაკავებული, მთავარი ტექნიკოსი და მთავარი მუშა იქ იყვნენ, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს არა. ფერსაც არ ელოდებიანო. მიჩემს ძალიან უნდოდა, უფროსი დისპეტჩერი გილ ბრენტი სახლში წასულიყო. ბილ ბრენტი კი კუთხეში იდგა და მას უყურებდა.

ბრენტი დაბალი, გამხდარი კაცი იყო ფართო მხრებით. ორმოც წელს ვერ მისცემდი, უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. კაბინეტის თანამშრომლისთვის დამახასიათებელი ფერმკრთალი სახე ჰქონდა და კოვბოისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი, უხორცო ნაკვთები. სისტემაში საუკეთესო დისპეტჩერი იყო.

მიჩემი უეცრად წამოდგა და ლოსის ბრძანებით ხელში, ზედა სართულზე, თავისი კაბინეტისკენ დაიძრა.

საინჟინრო თუ სატრანსპორტო საქმეში დეივ მიჩემს ბევრი არაფერი გაეგებოდა, თუმცა კლიფტონ ლოსისნაირი ხალხის გაგება მშვენივრად შეეძლო. ესმოდა, რა თამაშსაც თამაშობდა ნიუ-იორკის ხელმძღვანელობა და ამ თამაშით რას უკეთებდნენ მას. ბრძანებაში არ ეწერა, კიპ ჩალმერსს ქვანახშირზე მომუშავე ლოკომოტივი მიეცითო, უბრალოდ, სიტყვა „ლოკომოტივი“ გამოეყენებინათ. და თუ კითხვებზე პასუხების გაცემის დრო დადგებოდა, ნუთუ მისტერ ლოსი არ აღშფოთდებოდა იმის გამო, რომ განყოფილების დირექტორისგან სამართლიანი მოლოდინი ჰქონდა, ამ უკანასკნელს სცოდნოდა, რომ მის ბრძანებაში მხოლოდ დიზელის ლოკომოტივი შეიძლებოდა, ყოფილიყო ნაგულისხმევი? ბრძანებაში ხაზგასმით ეწერა, რომ „კომეტა“ მას „უსაფრთხოდ“ უნდა გაეშვა. ჰოდა, ნუთუ არ უნდა სცოდნოდა განყოფილების დირექტორს, რას ნიშნავდა უსაფრთხოება? ჰო, და კიდევ, ეს „ყოველგვარი უსაფუძვლო შეფერხებების გარეშე“! რა იყო „უსაფუძვლო“ შეფერხება? თუ რამე სერიოზული ავარიის საფრთხე არსებობდა, მაშინ რა — ერთკვირიანი ან ერთთვიანი შეფერხება საფუძვლიანად ჩაითვლებოდა?

ნიუ-იორკის ხელმძღვანელობას ეს არ ადარდებდა, — ფიქრობდა მიჩემი, — არ აინტერესებდათ, მისტერ ჩალმერსი ჩაუსწრებდა თუ არა თავის შეხვედრას ან რაიმე უპრეცედენტო კატასტროფა თუ მოხდებოდა მათ გზებზე. ერთადერთი, რაზეც ღელავდნენ, ის იყო, რომ არც ერთი ამ გარემოებისათვის ისინი ვინმეს არ დაედანაშაულებინა. მიჩემი თუ მატარებელს არსად გაუშვებდა, მაშინ გაცოფებული მისტერ ჩალმერსის დასაშოშმინებლად, განტევების ვაცის როლში სწორედ მას გამოიყვანდნენ, ხოლო, თუ გაუშვებდა და მატარებელი გვირაბის დასავლეთ შესასვლელამდე ვერ მიაღწევდა, მაშინ ყველაფერს მის არაკომპეტენტურობას დააბრალებდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, განაცხადებდნენ, რომ მიჩემმა მათი განკარგულებების წინააღმდეგ იმოქმედა. და თავად რის დამტკიცებას შეძლებდა? ან ვისთვის? რა აზრი შეიძლება ჰქონდეს იმ ტრიბუნალთან რაიმეს მტკიცებას, რომელსაც არა აქვს არავითარი გაცხადებული პოლიტიკა, არავითარი განსაზღვრული პროცედურები, არავითარი მკაფიოდ დადგენილი წესები თუ შემაკავშირებელი პრინციპები?! რას შეიძლებოდა, ჰქონოდა აზრი „გაერთიანების საბჭოს“ მსგავსი ტრიბუნალის წინაშე, რომელიც ადამიანებს დამნაშავეებად ან

უდანაშაულოებად იმის მიხედვით სცნობდა, როგორც იმ მომენტში აწყობდა, დანაშაულებისა თუ უდანაშაულობის ყოველგვარი სტანდარტების გათვალისწინების გარეშე.

სამართლის ფილოსოფიის შესახებ დეივ მიჩემს არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იცოდა, რომ როცა სასამართლო არანაირი კანონიერების ფარგლებში არ მოქმედებს, ის არც ფაქტების ფარგლებში იმოქმედებს; პროცესი სამართლის მიხედვით კი არ წარიმართება, არამედ ადამიანების განწყობების მიხედვით, ხოლო შენი ბედი იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რაც გააკეთე ან არ გააკეთე, არამედ იმაზე, ვის იცნობ და ვის არა. მიჩემი საკუთარ თავს შეეკითხა, რა შანსები ექნებოდა ისეთ პროცესზე, სადაც მისტერ ჯეიმს ტაგარტს, მისტერ კლიფტონ ლოსის, მისტერ კიპ ჩალმერსსა და მათ ძლევამოსილ მეგობრებს უნდა დაჰპირისპირებოდა.

დეივ მიჩემმა ცხოვრება გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობის თავიდან არიდებაში განვლო. როგორღაც ახერხებდა, ყოველთვის დალოდებოდა, ვინ როდის რა განკარგულებას მისცემდა, თვითონ დარწმუნებული არაფერში იყო. ახლა კი მისი გონება მხოლოდ გრძელ, აღშფოთებულ წუწუნს მოეცვა უსამართლობის შესახებ. ბედისწერამ, როგორც თავად თვლიდა, ის დანარჩენებისგან უიღბლობის უსამართლო დოზებით გამოარჩია: მისი უფროსები მას აფუჭებდნენ იმ ერთადერთ კარგ თანამდებობაზე, რაც ოდესმე ჰქონია. საქმე კი ის იყო, რომ მისთვის არავის არასდროს აუხსნია, რომ გზა, რითიც მან ეს სამსახური იშოვა და მთელი ეს გაფუჭების ამბავი ერთი მთლიანის განუყოფელი ნაწილები იყო.

მისტერ ლოსის ბრძანების შემყურემ, ერთხანს გაიფიქრა, რომ გააჩერებდა „კომეტას“, მისტერ ჩალმერსის ვაგონს რაიმე ორთქლმავალს გამოაბამდა და გაუშვებდა გვირაბში, მარტოს. მაგრამ ვიდრე ეს აზრი ბოლომდე ჩამოუყალიბდებოდა, თავი გააქნია. იცოდა, რომ მისტერ ჩალმერსი მიხვდებოდა, რა სახის რისკთან ჰქონდა საქმე, უარს ეტყოდა და გააგრძელებდა უსაფრთხო და არარსებული ლოკომოტივის მოთხოვნას. და მეტიც — ეს იმასაც ნიშნავდა, რომ თავად მას, მიჩემს, პასუხისმგებლობა უნდა აეღო, მთლიანად განემარტა შესაძლო საფრთხის შესახებ, ესე იგი, გაშიშვლებულიყო და სიტუაცია მთელი სიზუსტით აღეწერა. სხვა სიტყვებით, ჩაედინა ის ერთი აქტი, რომლის თავიდან არიდებასაც ეფუძნებოდა მისი უფროსების მთელი პოლიტიკა და რაც მათი თამაშის საკვანძო ნაწილი იყო.

მაგრამ დეივ მიჩემი არ იყო ის კაცი, საკუთარი წარსულის წინააღმდეგ რომ გაელაშქრა ან უფროსობის ზნეობრივი კოდი დაეყენებინა კითხვის ნიშნის ქვეშ. არჩევანი, რომელიც მან გააკეთა, არა ხელმძღვანელთა პოლიტიკასთან დაპირისპირება, არამედ ამ პოლიტიკის აღსრულება იყო. ბილ ბრენტი მას ნებისმიერ ტექნოლოგიურ საკითხში დაჯაბნიდა, მაგრამ ეს იყო საკითხი, რაშიც თავად დაჯაბნიდა ბრენტს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. ერთ დროს, თავის გადასარჩენად, ადამიანებს ბილ ბრენტის განსაკუთრებული უნარები სჭირდებოდათ, მაგრამ ახლა თავს დეივ მიჩემის უნარებით გადაირჩენდნენ.

მიჩემი თავისი მდივნის საბეჭდ მანქანას მიუჯდა და ორი თითით, ფრთხილად აკრიფა ორი ბრძანება, ერთი — მთავარი ტექნიკოსისთვის, მეორე — მთავარი მუშისთვის. პირველს ლოკომოტივის ბრიგადის დაუყოვნებელი გამოძახება ევალებოდა, — როგორც ბრძანებაში ეწერა, — „საგანგებო სიტუაციის გამო, მეორეს კი „საუკეთესო ხელმისაწვდომი ლოკომოტივის გაგზავნა უინსტონში, საგანგებო სიტუაციაში დახმარების აღმოჩენის მიზნით“.

— ორივე ბრძანების ასლი ჯიბეში ჩაიდო, კარი გააღო, მორიგე დისპეტჩერს დაუძახა, ბრძანებები გაუწოდა და უთხრა, ქვემოთ, მთავარი ტექნიკოსისა და მთავარი მუშისთვის ჩაეტანა. მორიგე დისპეტჩერმა, ახალგაზრდა, ბეჯითმა ბიჭმა, რომელიც თავის უფროსებს ენდობოდა, იცოდა, რომ სარკინიგზო საქმეში დისციპლინა მთავარი წესი იყო. კი გაუკვირდა, ერთი სართულით ქვემოთ დაწერილი ბრძანებების ჩაგზავნა რად უნდაო, მაგრამ არაფერი უკითხავს.

მიჩემი ნერვიულად იცდიდა. ცოტა ხნის შემდეგ, ეზოში რკინიგზის მთავარი მუშა დალანდა, რომელიც სალოკომოტივო დეპოსკენ მიდიოდა. ამოისუნთქა: არც ერთი კაცი მასთან შესაწინააღმდეგებლად არ ამოსულა; მათ ესმოდათ ყველაფერი და მისი თამაშის წესებით ითამაშებდნენ.

რკინიგზის მთავარმა მუშამ ეზო გაიარა. მზერა ძირს ჰქონდა მიმართული. თავის ცოლზე და ორ შვილზე ფიქრობდა და კიდევ იმ სახლზე, რომლის ყიდვასაც ცხოვრება შეალია. იცოდა, რასაც მისი უფროსები აკეთებდნენ, მაგრამ არ იცოდა, მათ დამორჩილებაზე უარი უნდა ეთქვა თუ არა. სამსახურის დაკარგვის არასდროს შეშინებია. საკუთარ კომპეტენტურობაში დაჯერებულმა, იცოდა, რომ თუ რომელიმე უფროსთან ჩხუბი მოუვიდოდა, ახალ სამუშაოს მაინც ყოველთვის იშოვიდა. მაგრამ ახლა უკვე ეშინოდა. არ ჰქონდა სამუშაოდან წასვლის ან ახლის მოძებნის უფლება.

თუ უფროსს დაუპირისპირდებოდა, მის თავს საბჭოს გაუგებარ ძალაუფლებას გადასცემდნენ, ხოლო საბჭო თუ გარიცხავდა, ეს დროში გაწელილი სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნებოდა: ამ გადაწყვეტილების შედეგად მისთვის ყველა სამუშაოს კარი ჩაიკეტებოდა. იცოდა, რომ საბჭო გაამტყუნებდა; იცოდა, რომ საბჭოს ურთიერთწინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების ბნელით მოცული, გიჟური მისტერიის გასაღები გავლენიანი კავშირების ძალაუფლებაში იდო. რა შანსი ექნებოდა მას მისტერ ჩალმერსის წინააღმდეგ? იყო დრო, როცა უფროსები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მისგან სრულყოფილ კომპეტენციას ითხოვდნენ. ახლა კომპეტენცია აღარავის სჭირდებოდა. იყო დრო, როცა მას უმაღლეს სტანდარტებს უწესებდნენ და შესრულებული სამუშაოსთვის შესაბამისადაც აჯილდოებდნენ. ახლა, საკუთარი სინდისის კარნახით თუ მოიქცეოდა, მხოლოდ დასჯის მოლოდინი უნდა ჰქონოდა. იყო დრო, როცა მისგან ფიქრს მოელოდნენ. ახლა მათ ფიქრი აღარ სჭირდებოდათ, მხოლოდ მორჩილება. მისი სინდისი დღეს აღარაფერში სჭირდებოდათ. ჰოდა, მაშინ რატომ უნდა აემაღლებინა ხმა? ვისი გულისთვის? ის ფიქრობდა მგზავრებზეც — „კომეტაზე“ მყოფ სამას მგზავრზე. ფიქრობდა თავის შვილებზე — ბიჭზე, რომელიც მალე სკოლას დაამთავრებდა და ცხრამეტი წლის ქალიშვილზე, რომლითაც გიჟურად, ლამის ტკივილამდე ამაყობდა, რადგან ამ უკანასკნელს ქალაქში ყველაზე ლამაზი გოგოს სახელი ჰქონდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, — ნუთუ თავის შვილებს იმ უმუშევართა შვილების ბედი უნდა გაეზიარებინათ, რომლებიც მრავლად ენახა უიმედო მხარეებში, დახურული ქარხნების გარშემო და დაწყვეტილ რკინიგზებთან მდებარე დასახლებებში. მან, სრულიად შემზარავად, გააცნობიერა, რომ არჩევანი, რომლის წინაშეც ახლა იდგა, თავისი შვილების სიცოცხლესა და „კომეტის“ მგზავრების სიცოცხლეს შორის უნდა გაეკეთებინა. ასეთი კონფლიქტი აქამდე წარმოუდგენელი იყო. სწორედ მგზავრების უსაფრთხოების დაცვით მოეპოვებინა თავისი შვილების უსაფრთხოება; ერთის მსახურებით მეორეს ემსახურებოდა; ინტერესთა კონფლიქტი არასდროს ყოფილა, არც ვინმეს მსხვერპლად შეწირვის აუცილებლობა. ახლა კი მგზავრების გადარჩენას მხოლოდ თავისი შვილების ხარჯზე

თუ შეძლებდა. ბუნდოვნად გაახსენდა ოდესღაც მოსმენილი ქადაგებები საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების შესახებ და თუ რამხელა სათნოება იყო იმაში, როცა ადამიანს მისთვის ყველაზე ძვირფასის მსხვერპლად შეწირვა შეუძლია. ეთიკის ფილოსოფიაში არაფერი გაეგებოდა, მაგრამ უეცრად იგრძნო, — ბნელი, განრისხებული, ველური ტკივილით, — რომ თუ სათნოება სწორედ ეს იყო, მაშინ მას ასეთი სათნოება არაფერში სჭირდებოდა.

სალოკომოტივო დეპოში შევიდა და უინსტონის სადგურისთვის დიდი, ძველთაძველი ქვანახშირის ლოკომოტივის გამზადება მოითხოვა.

მთავარი ტექნიკოსი დისპეტჩერის კაბინეტში შევიდა და ტელეფონს მიუახლოვდა, რათა, როგორც ბრძანებაში იყო ნათქვამი, ლოკომოტივის ბრიგადა გამოეძახებინა. მაგრამ ყურმილმომარჯვებული, უეცრად გაჩერდა. თავში დაჰკრა, რომ ხალხს სასიკვდილოდ იძახებდა და რომ მის წინ მდებარე სიაში ჩამოწერილი ოცი ადამიანიდან ორის სიცოცხლე მის არჩევანს შეეწირებოდა. სხეული მთლად გაეყინა. სხვა არაფერი უგრძნია. არ ნერვიულობდა, უბრალოდ, ერთგვარად გულგრილ გაოცებასა და დაბნეულობას გრძნობდა. ხალხის სასიკვდილოდ გამოძახება მისი სამუშაო არასდროს ყოფილა. მისი სამუშაო იყო ხალხის გამოძახება, რათა მათ ამით სიცოცხლის საშუალება მოეპოვებინათ. ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი ახლა უცნაური ჩანდა. უცნაური იყო, რომ ყურმილმომარჯვებული გაჩერებულიყო. ის, რამაც მისი ხელი გააჩერა, იმ გრძნობას ჰგავდა, რასაც ოცი წლის წინ განიცდიდა... არა... ერთი თვის წინაც... მაგრამ ახლა არა.

ორმოცდარვა წლის იყო. არც ოჯახი ჰყავდა, არც მეგობრები, ამქვეყნად არც ერთ ცოცხალ არსებასთან არაფერი აკავშირებდა. და თუკი მას რაიმე ერთგულება ჰქონდა, — უნარი, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით სხვები უკვალოდ ფანტავენ, — მთლიანად თავისი უმცროსი ძმისთვის მიეძღვნა, ოცდახუთი წლით უმცროსი ძმისთვის, რომელიც მისი გაზრდილი იყო. ტექნოლოგიურ კოლეჯშიც გაუშვა. ბიჭს, როგორც თავადაც დარწმუნებული იყო და როგორც ყველა მასწავლებელი ამბობდა, პირქუშ, ახალგაზრდა შუბლზე გენიოსის ნიშანი ემჩნეოდა. უფროსი ძმის ცალსახა მიზანსწრაფულობის არ იყოს, უმცროსსაც მხოლოდ სწავლისთვის მიეძღვნა თავი, არც სპორტი აინტერესებდა, არც წვეულებები, არც გოგოები, მხოლოდ იმ რაღაცებთან დაკავშირებული ოცნებით იყო მოცული, რომელთაც, როგორც გამომგონებელი, მომავალში შექმნიდა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ, თავისი ასაკისთვის უჩვეულო ანაზღაურებაზე დიდი ელექტროკონცერნის კვლევით ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა.

„ახლა 28 მაისია“, — ფიქრობდა მთავარი ტექნიკოსი. 1 მაისს დირექტივა 10-289 გამოსცეს. სწორედ 1 მაისის საღამოს აცნობეს, რომ მის ძმას თავი მოეკლა.

მთავარ ტექნიკოსს გაგონილი ჰქონდა, რომ დირექტივა ქვეყნის გადასარჩენად იყო საჭირო. არ იცოდა, რამდენად შეეფერებოდა ეს სიმართლეს. არ ჰქონდა საშუალება, სცოდნოდა, რა იყო ქვეყნის გადასარჩენად საჭირო და რა — არა.

მაგრამ რაღაც ენით გამოუთქმელი ემოციით შეპყრობილი, ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის კაბინეტში შევიდა და მოსთხოვა, მისი ძმის სიკვდილზე სტატია დაებეჭდათ. „ხალხმა უნდა გაიგოს“, — მხოლოდ ამ ერთი არგუმენტის მოტანა მოახერხა. ვერც კი ახსნიდა, რომელმა ქაოტურმა ფიქრებმა მიიყვანა გამოუთქმელ დასკვნამდე — თუ ყველაფერი ხალხის ნებით ხდებოდა, მაშინ ხალხს ეს უნდა სცოდნოდა. სჯეროდა, რომ თუ მათ ეს ეცოდინებოდათ, ასე აღარ

მოიქცეოდნენ. რედაქტორმა უარი უთხრა — ქვეყნის მორალური მდგომარეობისთვის ცუდი იქნებაო.

მთავარ ტექნიკოსს პოლიტიკის ფილოსოფიაში არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იცოდა, რომ დადგა მომენტი, როცა ნებისმიერი ადამიანისა თუ თავისი ქვეყნის სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა.

ერთხანს, ყურმილით ხელში, ფიქრობდა, რომ უნდა გაეფრთხილებინა ის ხალხი, ვისაც ურეკავდა. ისინი მას ენდობოდნენ და თავში აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ სრულიად გაცნობიერებულად, მათ სასიკვდილოდ უშვებდა. მაგრამ თავი გააქნია:

ეს უბრალოდ ძველი ფიქრი იყო, წინა წლის ფიქრი, იმ დროიდან შემორჩენილი ფიქრი, როცა თვითონაც ენდობოდა ამ ადამიანებს. ახლა კი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გონება ნელა უმუშავებდა, თითქოს ვაკუუმიდან ცდილობს ფიქრების ამოქაჩვასო — ვაკუუმიდან, სადაც ემოციები არ იყო, რომ ეს ფიქრები წაექეზებინა. იფიქრა, რომ თუ ვინმეს გააფრთხილებდა, ამას პრობლემები მოჰყვებოდა, იქნებოდა ჩხუბი და სწორედ მას უნდა გამოეჩინა ამ ჩხუბის დასაწყებად დიდი ძალისხმევა. დავიწყებული ჰქონდა, საერთოდ რისთვის იწყებდა ხოლმე ადამიანი ასეთ ჩხუბს. სიმართლისთვის? სამართლიანობისთვის? ახლობლის სიყვარულისთვის? არ უნდოდა, რაიმე ეღონა. ძალიან დაღლილი იყო. თუ სიაში ჩამოწერილ ყველა ადამიანს გააფრთხილებდა, მაშინ, — ფიქრობდა ის, — მატარებლის წაყვანას არავინ დასთანხმდებოდა და ამრიგად, ორ სიცოცხლეს გადაარჩენდა და კიდევ სამასს „კომეტაზე“. მაგრამ მის გონებაში ციფრებზე რეაქციას არაფერი იძლეოდა. „სიცოცხლე“ — ეს მხოლოდ სიტყვა იყო, ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილი.

ყურმილი ყურთან მიიტანა, ორ ნომერზე დარეკა და მოვალეობის დაუყოვნებელი შესრულების მიზნით მემანქანე და მეხანძრე გამოიძახა.

როცა ორთქლმავალმა ნომრით 306 უინსტონი დატოვა, დეივ მიჩემი ქვედა სართულზე ჩავიდა.

— ერთი ვაგონი გამიმზადეთ, — გასცა ბრძანება, — ფეამაუნტში უნდა წავიდე.

ფეამაუნტი აღმოსავლეთით, ოცი მილით დაშორებული პატარა სადგური იყო.

თანამშრომლებმა მიჩემს თავი დაუქნიეს ისე, რომ კითხვები არ დაუსვამთ. ბილ ბრენტი იქ არ ყოფილა. მიჩემი მის კაბინეტში შევიდა. ბრენტი უხმოდ იჯდა მაგიდასთან. თითქოს რაღაცას ელოდებოდა.

— ფეამაუნტში მივდივარ. — უთხრა მიჩემმა, ტონი კი ზედმეტად უზრუნველი, ძალდაუტანებელი ჰქონდა, აგრესიულობამდეც კი; ისეთი, თითქოს პასუხს არ ითხოვდა, — რამდენიმე კვირის წინ დიზელი ჰქონდათ... ხომ იცი, ავარიული სიტუაციებისთვის... რაღაცების შესაკეთებლად... უნდა წავიდე და ვნახო, თუ მოგვცემენ. მიჩემი ერთხანს გაჩერდა. ბრენტს ხმა არ ამოუღია.

— სიტუაცია ისეთია, — გააგრძელა მიჩემმა ისე, რომ ბრენტისთვის არც შეუხედავს, — მატარებელს დილამდე ვერ შევაფერხებთ. ასე იქნება თუ ისე, უნდა გავრისკოთ. ჰოდა, ახლა ვფიქრობ, იქნებ ის დიზელი გამოგვადგეს. ბოლო შანსია. ასე რომ, ნახევარ საათში თუ ჩემგან ვერაფერს შეიტყობ, ხელი მოაწერე ბრძანებას და „კომეტა“ №306-ს მიაბი და გაუშვი.

რას არ ფიქრობდა ბრენტი, მაგრამ ამას უკვე ნამდვილად არ ელოდა. ჯერ არაფერი უპასუხა, შემდეგ კი, ძალიან წყნარად, ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— არა.

— რას ნიშნავს „არა“?

— ამას არ ვიზამ.

— რას ნიშნავს, არ იზამ? ეს ბრძანებაა!

— არ გავაკეთებ. — ბრენტის ხმაში ყოველგვარი ემოციისგან დაცლილი საოცარი სიმტკიცე და თავდაჯერებულობა იგრძნობოდა.

— ანუ უარს ამბობ, ბრძანებას დამორჩილდე?

— ჰო.

— მაგრამ არ გაქვს უარის თქმის უფლება! და არ ვაპირებ ახლა შენთან ამაზე კამათს. ასე გადავწყვიტე, ჩემი პასუხისმგებლობაა და შენთვის აზრი ნამდვილად არ მიკითხავს. შენი საქმე ჩემი ბრძანებების შესრულებაა.

— ამ ბრძანებას წერილობითი ფორმით მომცემ?

— ეშმაკმა დალახვროს, რა გინდა? იმის თქმა ხომ არა, რომ არ მენდობი? შენ რა... — რატომ უნდა წახვიდე ფეამაუნტში, დეივ? რატომ არ დაურეკავ და არ ჰკითხავ, თუ აქვთ ეს დიზელის ლოკომოტივი, მით უფრო, თუ გგონია, რომ აქვთ?

— ჭკუას მასწავლი? როგორც მე ვთვლი საჭიროდ, საქმეს ისე გავაკეთებ! ზიხარ აქ და მეკითხები რაღაცებს! მოკეტავ და გააკეთებ, რასაც გეუბნები, თორემ გპირდები... „გაერთიანების საბჭოსთან“ მოგიწევს ლაპარაკი!

რთული იყო, ბრენტის კოვბოი-სახეზე ემოციები ამოგეცნო, მაგრამ მიჩემმა რაღაც შეამჩნია — რაღაც, რაც უნდობელ შეძრწუნებას ჰგავდა, თუმცა ეს რაღაც თავისებური, დამოუკიდებელი შეძრწუნება იყო და არა მიჩემის სიტყვებით გამოწვეული. ეს არ იყო ის შიში, რომლის აღძვრასაც მიჩემი იმედოვნებდა.

ბრენტმა იცოდა, რომ მიჩემის წინააღმდეგ ნათქვამ მის სიტყვას მომდევნო დილას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მიჩემი უარყოფდა, რომ მისთვის ბრძანება მიეცა და წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც, ორთქლმავალი №306 უინსტონში მხოლოდ იმისთვის გაეგზავნათ, რომ „მზადყოფნაში“ ყოფილიყო; შემდეგ კი ადამიანებსაც დაიმოწმებდა, რომლებიც იტყოდნენ, რომ ის დიზელის ლოკომოტივის მოსაძებნად ფეამაუნტში წასულიყო. მიჩემი განაცხადებდა, რომ ფატალური ბრძანება მხოლოდ და მხოლოდ უფროსი დისპეტჩერის, ბილ ბრენტის პირადი პასუხისმგებლობა იყო. ცხადია, მტკიცებულებებიცა და საქმეც სუსტი იქნებოდა, რომლის სიმყარე დეტალურ შესწავლას ნამდვილად ვერ გაუძლებდა, თუმცა სრულიად საკმარისი „გაერთიანების საბჭოსთვის“, რომლის პოლიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ დეტალურად არც ერთი საქმე არ ყოფილიყო შესწავლილი. ბრენტმა ისიც იცოდა, რომ მასაც შეეძლო ამ თამაშში ჩაბმა და გასაფუჭებლად სხვა მსხვერპლის მოძებნა; იცოდა, რომ მისი გონებრივი შესაძლებლობები ამას გასწვდებოდა, მაგრამ ერთი პრობლემა იყო: უფრო მოკვდებოდა, ვიდრე ასე მოიქცეოდა.

მიჩემის ცქერა მას არ ჰგვრიდა შიშს. შიშისგან გაქვავებული სხვა რამის გამო იჯდა, იმის გაცნობიერების გამო, რომ არავინ ეგულებოდა, ვისაც დაურეკავდა, ამ ყველაფერს ეტყოდა და შეაჩერებინებდა. ასეთი ადამიანი მთელ სარკინიგზო ხაზზე არსად მოიძებნებოდა — კოლორადოდან ომაჰამდე და ომაჰიდან ნიუ-იორკამდე.

ყველანი ამ თამაშში იყვნენ ჩაბმული, იმავეს შვრებოდნენ, რასაც მიჩემი; სწორედ მათ ჩაებარებინათ მიჩემისთვის მართვის სადავეებიცა და მეთოდებიც. ახლა სწორედ დეივ მიჩემი ნიშნავდა რაღაცას ამ რკინიგზაზე და არა ის — ბილ ბრენტი.

როგორც ფურცელზე გამოსახული რამდენიმე ციფრისთვის ერთი თვალის შევლებით ბრენტს განყოფილების მთელი სარკინიგზო ქსელის დანახვა შეეძლო, ზუსტად ისევე, მან მთელი თავისი ცხოვრება დაინახა და დაინახა ის ფასი, რადაც თავისი გადაწყვეტილება დაუჯდებოდა. ახალგაზრდა უკვე აღარ იყო, როცა პირველი

სიყვარული ეწვია. ცხოვრების სიყვარული ოცდათექვსმეტი წლის ასაკში იპოვა. ბოლო ოთხი წელი დანიშნულები იყვნენ. მოცდა უწევდა, რადგან მის იმედად იყვნენ დედა და დაქვრივებული და ოთხი შვილით. ტვირთის არასდროს შეშინებია, რადგან იცოდა, რომ ჰქონდა მისი ზიდვის უნარი და არასდროს აუღია ვალდებულება, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ მის შესრულებას შეძლებდა. იცდიდა, ფულს აგროვებდა და ახლა იმ მომენტისთვის მიეღწია, როცა შეეძლო, საკუთარი თავისთვის ბედნიერების უფლება მიეცა. რამდენიმე კვირაში, ივნისში, დაქორწინებას გეგმავდა. იჯდა მაგიდასთან, დეივ მიჩემს უყურებდა და ამ ყველაფერზე ფიქრობდა, თუმცა ფიქრებს მასში ყოყმანი არ გამოუწვევიათ, მხოლოდ სინანული და შორეული სევდა — შორეული, რადგან იცოდა, რომ ვერ დაუშვებდა, ამ სევდას დამორჩილებოდა.

ბილ ბრენტს ეპისტემოლოგიაში არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ადამიანმა რეალობის რაციონალური აღქმის მიხედვით უნდა იცხოვროს და რომ თავად ამის წინააღმდეგ ვერ წავა, ვერც გაექცევა და ვერც რამით ჩაანაცვლებს და რომ სხვაგვარად, მას ცხოვრება არ შეუძლია.

ფეხზე წამოდგა.

— მართალი ხარ, რომ ვიდრე ამ თანამდებობაზე ვარ, უნდა დაგმორჩილდე. — მიმართა მიჩემს, — მაგრამ უფლება მექნება, არ დაგმორჩილდე, თუ სამსახურიდან წავალ. ჰოდა, მივდივარ.

— რა?

— მივდივარ. ახლავე.

— არ გაქვს წასვლის უფლება, შე ნაბიჭვარო! არ იცი? ხომ იცი, რომ თუ წახვალ, შენს თავს ციხეში ამოვალპობინებ?!

— თუ მოგინდება, რომ დილას შერიფი გამომიგზავნო, სახლში ვიქნები. გაქცევას არ ვაპირებ. ან რა აზრი აქვს სადმე წასვლას?!

დეივ მიჩემი ლამის ორმეტრიანი კაცი იყო და მოკრივის აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ ბილ ბრენტის სუსტ სხეულს ახლა ბრაზითა და თავზარდამცემით აკანკალებული უყურებდა.

— სამსახურიდან ვერ წახვალ. ამას კანონი კრძალავს! კანონი ჩემ მხარესაა! ვერ გადამაბიჯებ! არსად არ გაგიშვებ! ამაღამ შენობას არ დაგატოვებინებ!

ბრენტი კარისკენ დაიძრა.

— სხვების თანდასწრებით გაიმეორებ იმ ბრძანებას, რაც მომეცი? არა? მაშინ წავალ. როცა ბრენტმა კარი გააღო, მიჩემმა მუშტი შეკრა, ბრენტს სახეში გაუქანა და ძირს დააგდო.

მთავარი ტექნიკოსი და მთავარი მუშა ღია კარში იდგნენ.

— სამსახურიდან წავიდა! — ყვიროდა მიჩემი, — ეს მშიშარა ნაბიჭვარი წავიდა!

ასეთ დროს! კანონდამრღვევი ლაჩარია!

ბილ ბრენტმა თავს ძალა დაატანა, რომ ნელ-ნელა წამომდგარიყო, გაბრუებულს, თვალებიდან სისხლი მოსდიოდა. მან ორ კაცს ახედა. მიხვდა, რომ მათ ყველაფერი ესმოდათ, მაგრამ მიხვდა იმასაც, რომ ახლა ისინი საკუთარ თავებში ჩაკეტილიყვნენ, არ სურდათ, გაეგოთ, არ სურდათ, ჩარეულიყვნენ და ეზიზღებოდათ ბრენტი იმისთვის, რომ ამ რთულ მომენტში მათგან სამართლიანობის სახელით პასუხი მოითხოვა. ბრენტს ხმა არ ამოუღია, წამოდგა და შენობიდან გავიდა.

მიჩემი დანარჩენებს თვალს არიდებდა.

— ე! ბიჭო! — თავის ქნევით დაუძახა ოთახის ბოლოში მჯდარ მორიგე დისპეტჩერს, — მოდი აქ. საქმე უნდა გადაიბარო. დაუყოვნებლივ.

დახურულ კარს მიღმა ბიჭთან ფეამაუნტის დიზელის ისტორია გაიმეორა. მოუყვა ზუსტად ისე, როგორც ბრენტს უყვებოდა, და გაუმეორა ბრძანებაც, რომ თუ მისგან ნახევარ საათში ვერაფერს შეიტყობდა, „კომეტა“ ორთქლმავალ №306-თან ერთად უნდა გაეშვა. ბიჭი არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ დაფიქრებულიყო, რაიმე ეთქვა ან გაეგო. მას თვალწინ თავისი კერპის, ბილ ბრენტის სისხლიანი სახე ედგა. — დიახ, სერ. — ძლივს ამოღერღა.

დეივ მიჩემი ფეამაუნტისკენ დაიძრა და ვიდრე ვაგონში მოთავსდებოდა, — დეპოს მუშით დაწყებული, მეისრითა და მხვეტავით დამთავრებული, — ყველა შემხვედრს მოახსენა, რომ „კომეტისთვის“ დიზელის მოსაძებნად მიდიოდა.

მორიგე დისპეტჩერი თავის მაგიდასთან იჯდა, საათს უყურებდა და ლოცულობდა, რომ ტელეფონს დაერეკა და მიჩემისგან რაიმე ამბავი შეეტყო. მაგრამ ნახევარი საათი მდუმარედ მიიზლაზნებოდა და როცა ამ დროის გასვლამდე მხოლოდ სამი წუთი იყო დარჩენილი, ბიჭი ძლიერმა, აუხსნელმა შიშმა მოიცვა. მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა: ბრძანების გაცემა არ უნდოდა.

მთავარ ტექნიკოსსა და მთავარ მუშას მიუტრიალდა და ყოყმანით შეეკითხა:

— მისტერ მიჩემმა წასვლამდე ინსტრუქცია დამიტოვა, მაგრამ არ ვიცი, უნდა გავცე თუ არა... იმიტომ რომ, მგონი... მგონი, არ იქნება სწორი. მითხრა...

მთავარი ტექნიკოსი გატრიალდა. სიბრალულს არ განიცდიდა. ბიჭი დაახლოებით მისი ძმის ტოლი იყო.

— გააკეთე, რაც მისტერ მიჩემმა გითხრა. შენგან ფიქრს არავინ ითხოვს. — მოკლედ მოუჭრა მთავარმა მუშამ და ოთახიდან გავიდა.

პასუხისმგებლობა, რომელსაც ჯეიმს ტაგარტი და კლიფტონ ლოსი გაექცნენ, ახლა აცახცახებული, საგონებელში ჩავარდნილი ბიჭის მხრებზე იწვა. ერთხანს იყოყმანა, მერე კი ერთი აზრი მოუვიდა თავში, რამაც მხნეობა შემატა: მისი რწმენით, რკინიგზის ხელმძღვანელების კეთილ ნებასა და კომპეტენციაში ეჭვი არ უნდა შეგეტანა. ის კი არ იცოდა, რომ მისი წარმოდგენა რკინიგზასა და მის ხელმძღვანელობაზე მეტისმეტად დრომოჭმული იყო.

როცა ზუსტად ნახევარი საათი გავიდა, რკინიგზის თანამშრომლისთვის დამახასიათებელი სიბეჯითითა და პუნქტუალობით, მან ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც, „კომეტა“ ორთქლმავალ №306-ს უნდა გაჰყოლოდა, და ეს ბრძანება უინსტონის სადგურს გადასცა.

უინსტონის სადგურის უფროსმა ბრძანებას დახედა და ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ არ იყო ისეთი კაცი, ავტორიტეტი რომ უგულებელეყო. საკუთარ თავს უთხრა, რომ გვირაბი, სავარაუდოდ, ისეთ სახიფათო არ იყო, თავად როგორც მიაჩნდა, და რომ დღევანდელ დროს, საუკეთესო სტრატეგია იყო — არ ეფიქრა.

როცა ბრძანების ასლები „კომეტის“ კონდუქტორსა და მემანქანეს გაუწოდა, კონდუქტორმა მიმოიხედა, ოთახში მყოფ ყოველ ადამიანს წყნარად შეავლო მზერა, ქაღალდი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და უსიტყვოდ გავიდა.

მემანქანე ერთხანს იდგა, ბრძანებას უყურებდა, მერე ეს ბრძანება ძირს დააგდო და თქვა:

— არ ვაპირებ ამის შესრულებას. და თუ ეს რკინიგზა იქამდე მივიდა, რომ ამნაირ ბრძანებებს იძლევა, მაშინ არც აქ მუშაობას ვაპირებ. შემიყვანეთ სამსახურიდან წამსვლელთა სიაში.

— ჰო, მაგრამ ვერ წახვალთ! — წამოიყვირა სადგურის უფროსმა, — დაგაპატიმრებენ!

— კი. თუ მიპოვიან. — მიუგო მემანქანემ, სადგურიდან გავიდა და მთებისა და ღამის უსაზღვრო წყვდიადს შეერია.

სილვერ სპრინგსის მემანქანე, რომელსაც №306 მოეყვანა, ოთახის კუთხეში იჯდა.

— ლაჩარია. — ხითხითით ჩაილაპარაკა.

მას სადგურის უფროსი მიუტრიალდა:

— შენ წაიყვან, ჯო? წაიყვან „კომეტას“?

ჯო სკოტი მთვრალი იყო. ერთ დროს რკინიგზის თანამშრომელს სამსახურში სიმთვრალის ოდნავი ნიშნები მაინც რომ გამოევლინა, მას იმ ექიმს შეადარებდნენ, ვინც პაციენტთან სახეზე ნაყვავილარი წყლულებით მიდის. მაგრამ ჯო სკოტი პრივილეგირებული კაცი იყო. სამი თვის წინ, ის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო სამსახურიდან გააგდეს; დარღვევა მართლაც უხეში იყო — სერიოზული ავარია გამოიწვია. ორი კვირის წინ კი „გაერთიანების საბჭოს“ გადაწყვეტილებით, უკან დააბრუნეს. ფრედ კინანის მეგობრად ითვლებოდა და საბჭოში კინანის ინტერესები დაიცვა — არა ხელმძღვანელთა, არამედ რიგითი წევრების წინააღმდეგ.

— რა თქმა უნდა. — თქვა ჯო სკოტმა, — „კომეტას“ წავიყვან. საკმარისად სწრაფად თუ ვივლი, დროულადაც ჩავალ.

№306-ის მეხანძრე ორთქლმავალში, საკუთარ ადგილას იჯდა და როცა „კომეტის“ თავში მისი ორთქლმავლის მიბმას შეუდგნენ, უხერხულად ამოიხედა. შეხედა გვირაბის წითელ და მწვანე შუქებს, რომლებიც შორს, მიხვეულ-მოხვეულ მთებს შუა გამოკიდულიყვნენ. მშვიდი, მეგობრული კაცი იყო, კარგი მეხანძრეც, რომელსაც მემანქანედ დაწინაურების იმედი არასდროს ჰქონია. ახოვანი სხეული მისი მთავარი ღირსება იყო. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მისმა ზემდგომებმა იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ და კითხვების დასმა არც გაუბედავს.

კონდუქტორი „კომეტის“ ბოლო ვაგონთან იდგა. შეხედა გვირაბის შუქებს, შემდეგ კი „კომეტის“ ფანჯრების გრძელ რიგს. რამდენიმე ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა, მაგრამ უმეტესად, ფარდები იყო ჩამოფარებული და მათგან ღამის ფანრების მკრთალი ლურჯი შუქი აღწევდა. ერთხანს გაიფიქრა, რომ მგზავრებს გააღვიძებდა და გააფრთხილებდა. იყო დრო, როცა მათ უსაფრთხოებას საკუთარ უსაფრთხოებაზე მაღლა აყენებდა და ამას ადამიანებისადმი სიყვარულის გამო კი არ აკეთებდა, არამედ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა მისი სამუშაოს ნაწილი იყო — სამუშაოსი, რომელზეც დათანხმებულიყო და რომლის შესრულებაც სიამაყეს ჰგვრიდა. ახლა ზიზღნარევი გულგრილობით გამსჭვალულიყო. მგზავრების გადარჩენის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. მისი აზრით, ეს ის ადამიანები იყვნენ, ვისაც დირექტივა 10-289 მოეთხოვათ და მიეღოთ კიდეც; ისინი ცხოვრებას აგრძელებდნენ და ცდილობდნენ, არ შეემჩნიათ ვერდიქტები, დაუცველი მსხვერპლისთვის ყოველდღიურად რომ გამოჰქონდა „გაერთიანების საბჭოს“. ჰოდა, ახლა მასაც ხომ შეეძლო, არ შეემჩნია ეს ხალხი? მათი სიცოცხლე რომც გადაერჩინა, მაინც არც ერთი მათგანი არ გამოვიდოდა მის დასაცავად, როცა „გაერთიანების საბჭო“ ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის ბრალს წაუყენებდა და პანიკის შექმნაში და მისტერ ჩალმერსის შეყოვნებაში დაადანაშაულებდა. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა, წამებულის მანტია მოესხა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ხალხს უსაფრთხოდ და უზრუნველად გაეგრძელებინა თავისი უპასუხისმგებლო ცხოვრება.

დრო როცა მოვიდა, მან ფანარი ასწია და მემანქანეს წასვლის სიგნალი მისცა, — ხედავ? — ტრიუმფით მიუგო კიპ ჩალმერსმა ლესტერ ტაკს, როცა მათ ქვემოთ

ბორბლებმა ცახცახი დაიწყეს, — შიში ერთადერთი პრაქტიკული საშუალებაა, თუ გინდა, რომ ადამიანებთან რამეს მიაღწიო.

კონდუქტორი ბოლო ვაგონის შესასვლელთან გაჩერდა. არავის დაუნახავს, როგორ ჩავიდა გვერდითა მხრიდან კიბეზე, როგორ ჩახტა მატარებლიდან და მთების წყვდიადში გაუჩინარდა.

მეისრე მზად იყო, რომ რკინიგზის ისარი ჩამოეშვა, რომელიც „კომეტას“ მთავარ გზაზე გადაიყვანდა. „კომეტა“ მას ნელ-ნელა უახლოვდებოდა. ისიც უყურებდა „კომეტას“ — ეს მხოლოდ თვალის მომჭრელი თეთრი ბურთი იყო, რომლისგანაც სინათლის სხივი გამოდიოდა, და კიდევ ჭექა-ქუხილივით ხმაურიანი ჯაყჯაყი, რომელსაც მეისრე ფეხქვეშ გრძნობდა. მან იცოდა, რომ ისარი არ უნდა ჩამოეშვა. ფიქრობდა ათი წლის წინანდელ ღამეზე, როცა წყალდიდობის დროს, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, რათა მატარებელი წალეკვისგან გადაერჩინა. მაგრამ ახლა ხვდებოდა, რომ სხვა დრო იდგა. იმ მომენტში, როცა ისარი ჩამოუშვა და დაინახა, როგორ შეინჯღრა ფარნები, მან იცოდა, რომ ამიერიდან, მთელი სიცოცხლე, საკუთარი სამუშაო შესძულდებოდა.

ავარიული რელსებიდან „კომეტა“ მთავარ, ისარივით სწორ ხაზზე გადავიდა და მთებისკენ აიღო გეზი. ორთქლმავლის პროჟექტორი წინ გაწვდილ ხელს წააგავდა, რომელმაც გზა უნდა გიჩვენოს, შემადგენლობის ბოლოში კი სადამკვირვებლო ვაგონის ფანჯრების განათებული რკალი მოჩანდა.

ზოგიერთ მგზავრს არ ეძინა. როცა მატარებელი კლაკნით შეუყვა ციცაბო გზას, თავიანთი ფანჯრებიდან, ღამის წყვდიადში, უინსტონის სადგურის რამდენიმე შუქურა დაინახეს, ამას კვლავ სიბნელე მოჰყვა, ოღონდ წითელი და მწვანე შუქებით შეჯერებული, რომელიც გვირაბის შესასვლელიდან გამოდიოდა. უინსტონის შუქები სულ უფრო და უფრო პატარავდებოდნენ, გვირაბის შავი შესასვლელი კი სულ უფრო და უფრო დიდი მოჩანდა. პერიოდულად, ფანჯრების გასწვრივ შავი ლანდი ჩამოწვებოდა და სასიგნალო შუქებს აფერმკრთალებდა. ეს ქვანახშირის ლოკომოტივიდან ამოსული ძლიერი ორთქლი იყო.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ გვირაბს, შორეულ ცაზე, სამხრეთისკენ, თვალუწვდენელ სივრცესა და კლდეებს შორის, მგზავრები სულ უფრო უკეთ არჩევდნენ ქარში მოფარფატე ცეცხლს. მაგრამ არ იცოდნენ, რა იყო ეს ცეცხლი და არც აინტერესებდათ, გაეგოთ.

ამბობენ, კატასტროფები წმინდა წყლის შემთხვევითობაზეა დამოკიდებულიო.

მოიძებნებიან ისეთებიც, ვინც იტყოდნენ, რომ „კომეტის“ მგზავრები არც პასუხისმგებელნი იყვნენ და არც დამნაშავენი იმაში, რაც მათ დაემართათ.

კაცი, რომელიც პირველი ვაგონის საძინებელ ოთახ A-ში იმყოფებოდა, სოციოლოგიის პროფესორი გახლდათ. ის ასწავლიდა, რომ ინდივიდუალურ უნარებს შედეგი არ მოაქვს; რომ ინდივიდუალური ძალისხმევა ფუჭია; რომ ინდივიდუალური სინდისი უსარგებლო ფუფუნებაა; რომ არ არსებობს არც ინდივიდუალური აზროვნება, არც ინდივიდუალური ხასიათი და არც ინდივიდუალური წარმატება; რომ ყველა წარმატება კოლექტიურად მიიღწევა და რომ ყველაფერს მასები წყვეტენ და არა ცალკეული ადამიანები.

მეორე ვაგონის მეშვიდე კუპეს მგზავრი ჟურნალისტი იყო. ეს კაცი წერდა, რომ იძულება „კეთილი საქმისთვის“ სწორი და მორალური საქციელია; სხვებზე ფიზიკური ძალადობა — სხვათა ცხოვრების გაფუჭება, ამბიციების ჩაკვლა, სურვილების ჩახშობა, რწმენათა დანგრევა, დაპატიმრება, ძარცვა, კვლა — მისთვის

სავსებით მისაღები იყო, თუ „ამ ყველაფერს იმის სახელით გააკეთებდი, რაც მას „კეთილ საქმედ“ მიაჩნდა, თუმცა, ეს შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყო „საქმე“ და მით უფრო, „კეთილი“, რადგან არასდროს განუმარტავს, რას თვლიდა სიკეთედ, მხოლოდ იმას გაიძახოდა, „გრძნობების შესაბამისად ვცხოვრობო — გრძნობების, რომელთაც არავითარი ცოდნა არ აკავებდა, რადგან ემოცია მისთვის ცოდნაზე მაღლა იდგა და მხოლოდ საკუთარ „კარგ განზრახვებსა“ და იარაღის ძალაუფლებას ენდობოდა.

მესამე ვაგონის მეათე კუპეში ქალი იჯდა — ხანშიშესული სკოლის მასწავლებელი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება უმწეო ბავშვების მხდალ ადამიანებად გარდაქმნაში გაეტარებინა. ამისათვის ის ბავშვებს ასწავლიდა, რომ უმრავლესობის ნება სიკეთისა და ბოროტების ერთადერთი სტანდარტია; რომ უმრავლესობას შეუძლია, გააკეთოს ნებისმიერი რამ, რაც მოესურვება; რომ მათ არ უნდა ამტკიცონ საკუთარი ინდივიდუალურობა, არამედ მოიქცნენ ისე, როგორც სხვები იქცევიან.

მეოთხე ვაგონის სასტუმრო ოთახ B-ში მყოფი კაცი გაზეთის გამომცემელი იყო, რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანები ბუნებით ბოროტები და თავისუფლებისთვის შეუფერებელნი არიან; რომ მათი ძირითადი ინტერესები, — თუ არ გააკონტროლე, — მოტყუება, ძარცვა და ერთმანეთის ჟლეტაა, და აქედან გამომდინარე, ადამიანები უნდა მართო ტყუილის, ძარცვისა და მოკვლის საშუალებით; ეს საშუალებები კი მმართველთა ექსკლუზიური პრივილეგია უნდა იყოს, რაც იმისთვის უნდა გამოიყენონ, რომ ადამიანებს დააძალონ მუშაობა, ასწავლონ ზნეობრივად ცხოვრება და წესრიგისა და სამართლის ჩარჩოებში მოაქციონ.

მეხუთე ვაგონის საძინებელ ოთახ H-ის მგზავრი გახლდათ ბიზნესმენი კაცი, რომელსაც თავისი ბიზნესი, მადნეულის მაღარო, „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“ ძალით, სახელმწიფო სესხის მეშვეობით მოეპოვებინა.

კაცი მეექვსე ვაგონის სასტუმრო ოთახ A-დან ფინანსისტი იყო, რომელიც რკინიგზის „გაყინული“ ობლიგაციების შესყიდვითა და შემდეგ თავისი ვაშინგტონელი მეგობრების მიერ ამ ობლიგაციების „გალღობით“ გამდიდრებულიყო.

მეშვიდე ვაგონის მეხუთე ადგილას მუშა იჯდა, რომელსაც სჯეროდა, რომ მუშაობის „უფლება“ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, დამქირავებელს სჭირდებოდა ის თუ არა.

მერვე ვაგონის მეექვსე კუპეთი ლექტორი ქალი მგზავრობდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ, როგორც მომხმარებელს, მას გადაადგილების „უფლება“ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რას ფიქრობდნენ რკინიგზის თანამშრომლები ამის თაობაზე.

მეცხრე ვაგონის მეორე კუპეში მჯდომი ეკონომიკის პროფესორი იყო, რომელიც კერძო საკუთრების მოსპობის აპოლოგეტი გახლდათ, რასაც იმით ხსნიდა, რომ სამრეწველო წარმოების სფეროში ინტელექტს არავითარი წვლილი არ მიუძღვის; რომ ადამიანის გონება მატერიალურ იარაღზეა დამოკიდებული; რომ ქარხნის ან რკინიგზის მართვა ნებისმიერს შეუძლია, მთავარია, საჭირო ტექნიკა ჩაიგდოს ხელში.

ქალი მეათე ვაგონის საძინებელი D-დან გახლდათ დედა, რომელსაც თავისი ორი შვილი ზედა სანოლზე დაეწვინა და ორპირი ქარისა და ჯაყჯაყისგან დაცვის მიზნით, მათთვის ფრთხილად შემოეკეცა საბანი. მისი ქმარი სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა და განკარგულებების შესრულებაზე იყო პასუხისმგებელი, რასაც ცოლი შემდეგი სიტყვებით ამართლებდა: „არ მაინტერესებს. ამით ხომ მაინც მარტო მდიდრებს ადგებათ ზიანი?! ბოლო-ბოლო, ბავშვები მყავს გასაზრდელი“.

მეთერთმეტე ვაგონის მესამე კუპეში მყოფი კაცი საწყალი წუწუნა ნევროტიკი იყო და პიესებს წერდა, რომლებშიც, სოციალური გზავნილების სახით, ჩაჩრიდა ხოლმე პატარ-პატარა ლაჩრულ უხამსობებს, იმის საჩვენებლად, რომ ყველა ბიზნესმენი არამზადაა.

მეთორმეტე ვაგონის მეცხრე კუპეში დიასახლისი მგზავრობდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ უფლება ჰქონდა, აერჩია პოლიტიკოსები, რომელთა შესახებ არაფერი იცოდა.

მეცამეტე ვაგონის საძინებელ ოთახ F-ში იმყოფებოდა იურისტი კაცი, რომელსაც ასეთი რამ ჰქონდა ნათქვამი: მე? მე ჩემს გზას ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ვიპოვი“.

კაცი მეთოთხმეტე ვაგონის საძინებელ ოთახ A-ში ფილოსოფიის პროფესორი იყო, რომელიც ასწავლიდა, რომ არავითარი გონება არ არსებობს („საიდან იცით, რომ გვირაბი სახიფათოა?“); რომ არ არსებობს რეალობა („როგორ დაამტკიცებთ, რომ გვირაბი არსებობს?“); არ არსებობს ლოგიკა („რატომ მიგაჩნიათ, რომ ლოკომოტივის გარეშე მატარებლები ვერ გადაადგილდებიან?“); არ არსებობს პრინციპები („რატომ უნდა ვიყოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჩარჩოებში მოქცეულნი?“); არ არსებობს წესები („რატომ არ უნდა დავაძალოთ ადამიანებს მუშაობა?“); არ არსებობს მორალი („არის რაიმე ზნეობრივი რკინიგზის მართვაში?“); არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება („რა განსხვავებაა თქვენთვის სიცოცხლესა და სიკვდილს შორის?“). ის ასწავლიდა, რომ ჩვენ არაფერი ვიცით („რატომ უნდა შევეწინააღმდეგოთ ჩვენი უფროსების ბრძანებებს?“); რომ არასდროს შეიძლება, რამეში დარწმუნებულნი ვიყოთ („საიდან იცით, რომ მართალი ხართ?“); რომ მომენტის მიზანშეწონილების მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ („სამსახურის დაკარგვა ხომ არ გინდათ, არა?“).

კაცი, რომელიც მეთხუთმეტე ვაგონის სასტუმრო ოთახ B-ში იჯდა, მემკვიდრე იყო — მთელი თავისი ქონება მემკვიდრეობით მიეღო და გამუდმებით გაიძახოდა:

„რატომ უნდა ჰქონდეს რიერდენ მეტალის წარმოების უფლება მხოლოდ რიერდენს, ვერ ვხვდები!“

მეთექვსმეტე ვაგონის საძინებელ ოთახ A-ს მგზავრი ჰუმანიტარი კაცი გახლდათ, რომელიც ამბობდა: „ნიჭიერი ადამიანები? არ მაინტერესებს, რისთვის იტანჯებიან ან საერთოდ ტანჯვისთვის თუ არიან შექმნილები. მათ უფლებები უნდა შეუზღუდო, რათა უუნარო ადამიანებს დაეხმარონ. გულწრფელად რომ ვთქვა, სულ არ მაინტერესებს, ეს სამართლიანია თუ არა. მე მეამაყება, რომ არ მაინტერესებს, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მხარეზე იქნება სამართალი თუ არა, მით უფრო, როცა საქმე გაჭირვებულთა თანადგომას ეხება“.

ამ მგზავრებს გაეღვიძათ. მატარებელში ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნებოდა ისეთი, აქ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს იდეა მაინც რომ არ გაეზიარებინა. როცა მატარებელი გვირაბში შევიდა, უაიატის ჩირაღდანი იყო უკანასკნელი რამ, რაც კი მათ ამ პლანეტაზე დაინახეს.

თავი 8

ჩვენი სიყვარულის გამო

მზე მთის ფერდობზე მიმობნეულ ხეთა კენწეროებს შეეხო და ცის ფერში ბუნებრივად შეჯერებული, მოლურჯო-მოვერცხლისფრო ელფერი მისცა. დაგნი კოტეჯის კართან იდგა, შუბლზე მზის პირველი სხივები ეცემოდა, მის ფეხქვეშ კი

დიდი ტყე გადაჭიმულიყო. ფოთლების ფერები ვერცხლისფრიდან თანდათანობით მწვანეში გადადიოდნენ, ხოლო შემდეგ კვამლისფერ ლურჯში — ისევე, როგორც ჩრდილები გზაზე. მზის შუქი ტოტებს შორის აღწევდა, მოულოდნელად ზემოთ იჭრებოდა, გზაში გვიმრის ბუჩქებს ეცემოდა და მწვანე სხივების შადრევანს ემსგავსებოდა. შუქის მოძრაობის ცქერა დაგნის სიამოვნებდა: ეს იყო მოძრაობა უძრაობაში — მოძრაობა იქ, სადაც სხვა ყველაფერი უძრავი იყო.

ოთახში, კედელზე გაკრულ ფურცელზე თარიღი აღნიშნა. ამას ყოველდღე აკეთებდა. დღეების სვლა ფურცელზე ერთადერთი მოძრაობა იყო მის უძრავ დღეებში, უკაცრიელ კუნძულზე გამომწყვდეული პატიმრის ჩანაწერებივით. ამ დილას 28 მაისი გათენდა.

განზრახული ჰქონდა, თარიღებს რაღაც მიზნამდე მიეყვანა, მაგრამ არ იცოდა, მიაღწია თუ არა ამ მიზანს. აქ სამი დავალებით ჩამოსულიყო, უფრო სწორად, სამი განკარგულებით, რომელიც საკუთარი თავისთვის გაეცა: დაისვენე; ისწავლე რკინიგზის გარეშე ცხოვრება; თავიდან მოიცილე ტკივილი. „თავიდან მოიცილე“ — სწორედ ამ სიტყვებს ხმარობდა ხოლმე. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ვიღაც დაჭრილ უცნობზე იყო მიჯაჭვული, რომელსაც ნებისმიერ მომენტში რაიმე შეტევა განგმირავდა, დაგნის კი მისი ყვირილი დაახრჩობდა. უცნობისადმი არავითარ სიბრალულს არ განიცდიდა, მხოლოდ ზიზღნარევ მოუთმენლობას; უნდა შებრძოლებოდა და უნდა გაენადგურებინა ის. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა ცხადი, რისი გაკეთება სურდა სინამდვილეში. მაგრამ უცნობთან ბრძოლა ადვილი არ იყო.

დავალება, რომელიც დასვენებას უკავშირდებოდა, უფრო ადვილი შესასრულებელი გამოდგა. მიხვდა, რომ მოსწონდა მარტოობა; დილას თავდაჯერებული და კეთილგანწყობილი იღვიძებდა. უნდოდა, ეს შეგრძნება საკუთარ თავში განევითარებინა, რომ ყველაფერს, რასთანაც კი შეხება მოუწევდა, გამკლავებოდა. ქალაქში ქრონიკული დაძაბულობის რეჟიმში უხდებოდა ცხოვრება; იქ წინ უნდა აღსდგომოდა ბრაზით, შეურაცხყოფით, სიძულვილითა თუ ზიზღით გამოწვეულ ათასგვარ შოკს. აქ კი ერთადერთ საფრთხეს რაიმე უბედური შემთხვევით გამოწვეული უბრალო ფიზიკური ტკივილი თუ შეუქმნიდა. ეს ტკივილი, სხვა რამეებთან შედარებით, ადვილი ასატანი იყო, სასაცილოც კი.

არც ერთი მთავარი გზა კოტეჯთან ახლო არ გადიოდა. კოტეჯი მას ზუსტად იმ მდგომარეობაში დახვდა, როგორშიც მამამისს დაეტოვებინა. შეშას გორაკებზე აგროვებდა და საჭმელს შეშის ღუმელზე იმზადებდა. კედლები კარგად გაასუფთავა, სახურავი შეაკეთა, კარი და ფანჯრის ჩარჩოები გადაღება. წვიმებს, სარეველა ბალახსა და ჯაგნარს მთლიანად გაექროთ კიბეები, ოდესღაც კარგად მოვლილი ბილიკი, რომელიც გზასა და მთას და მთასა და სახლს ერთმანეთთან აკავშირებდა. დაგნიმ ბილიკი მოაწესრიგა: გაწმინდა კიბეები, ქვები გამოცვალა და ფხვიერ მინას გვერდებზე საბჯენად რიყის ქვები შემოულაგა. სიამოვნებას ჰგვრიდა ძველი რკინებისა და თოკებისგან ძელაკებისა და შკივების რთული სისტემის შექმნა და მძიმე ქვების ზიდვა, რომელთა წონა მის ფიზიკურ შესაძლებლობებს საგრძნობლად აღემატებოდა. დედოფლის ყვავილებისა და ბილილების რამდენიმე ნარგავიც გააკეთა, რომ მერე ენახა, როგორ გაიშლებოდა პირველი ნელ-ნელა მიწაზე და როგორ აიწევდა მეორე ზემოთ, ხეებისკენ; რომ ენახა ზრდის პროცესი; ენახა პროგრესი და მოძრაობა.

მუშაობა მას აუცილებელ სიმშვიდეს ჰგვრიდა. ვერ შეამჩნია, როგორ ან რატომ დაიწყო ეს ყველაფერი; საკუთარი ქცევის განზრახვა არ ჰქონდა გაცნობიერებული, მაგრამ ხედავდა, როგორ იზრდებოდა მის ხელებში ძალა, როგორ მიჰყავდა ამ ძალას წინ და სიმშვიდის განმკურნავი შეგრძნებით ამარაგებდა. შემდეგ მიხვდა, რომ რაც მას სჭირდებოდა, ეს მიზნისკენ სვლა იყო, მოძრაობა, და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს მოძრაობა რამდენად მცირე იქნებოდა ან რა ფორმით გამოხატული, მთავარი აქტივობის შეგრძნება იყო — შეგრძნება იმისა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, აქტივობას რაღაც არჩეული შედეგი მოჰყვება. საჭმლის მომზადება ამ მხრივ ჩაკეტილ წრეს ჰგავდა: მართალია, შრომას ჰქონდა შედეგი, მაგრამ ეს შედეგი იქვე მთავრდებოდა, არსად მიჰყავდი. აი, ბილიკის აშენება კი, თავისი არსით, ცოცხალი აქტივობა იყო: მის უკან არც ერთი დღე არ კვდებოდა, პირიქით, ყოველი დღე შეიცავდა რაღაცას წინამორბედი დღეებისგან, ყოველი ახალი დღე ყოველი მომდევნო დღის სახით უკვდავებას იძენდა. წრიული მოძრაობა, დაგნის აზრით, ფიზიკური ბუნების მახასიათებელი თვისება იყო; ამბობენ, ჩვენ ირგვლივ არსებულ არაცოცხალ სამყაროში მხოლოდ წრიული მოძრაობა არსებობსო, მაგრამ ადამიანის მთავარი თვისება სწორი ხაზია — გეომეტრიული აბსტრაქციის სწორი ხაზი, რითიც იგება გზები, რკინიგზები და ხიდები; ეს ის სწორი ხაზია, რომელიც ბუნების უმიზნო, ხვეულ არსში მიზანმიმართული, თავიდან ბოლომდე დაგეგმილი მოძრაობით მკაფიოდ იჭრება. „საჭმლის მომზადება“, — ფიქრობდა დაგნი, — „ძრავის საწვავით მომარაგებას ჰგავს, რათა ძრავამ შემდეგ რაღაც დიდი მოძრაობა განახორციელოს, მაგრამ რამხელა სიბრიყვე იქნებოდა ძრავის საწვავით გამოკვება, თუ ძრავა არავითარ მოძრაობას არ განახორციელებდა?! ადამიანური სიცოცხლისთვის წრიულობა არ არის ორგანული, — ფიქრობდა ის, — და არც წრეთა ჯაჭვებს შორის ქაოტური მოძრაობაა, რადგან ასეთ შემთხვევაში, ადამიანის ცხოვრება ნულების ჯამს დაემსგავსება. ადამიანიც, ცხოვრება სწორი ხაზი უნდა იყოს — სწორი ხაზი, რომელიც განუწყვეტლივ, მიზნიდან მიზნისკენ მოძრაობს, ყოველ მიზანს კი მომდევნო მიზნამდე მიჰყავხარ, რაც საბოლოოდ, ერთ მთლიან, ცოცხალ ჯამს იძლევა. ეს მატარებლით მოგზაურობას ჰგავს, რომელიც სადგურიდან სადგურამდე მოძრაობს და... გაჩერდი! გეყო!

— გეყო! — მკაცრად უთხრა დაგნიმ საკუთარ თავს და იგრძნო, რომ დაჭრილ უცნობს ის-ის იყო, კივილი აღმოხდებოდა, — არ იფიქრო ამაზე, ძალიან შორს ნუ იყურები. ხომ მოგწონს ამ ბილიკის დაგება?! ჰოდა, დააგე. მთის მიღმა ნუ იყურები, დაგნი რამდენჯერმე ვუდსტოკში ჩავიდა, ოცი მილის სავალზე, მაღაზიაში პროდუქტები რომ ეყიდა. ვუდსტოკი მომაკვდავი ნაგებობების ერთი გროვადა იყო, რომელიც ათწლეულების წინ, კარგა ხნის წინ მივიწყებული მიზნისა და იმედის საფუძველზე აეშენებინათ. ვუდსტოკში არც რკინიგზა იყო, რომ იქაურობა როგორმე გამოეცოცხლებინა, არც ელექტროენერგია, არაფერი, ერთი მთავარი საოლქო გზის გარდა, რომელიც ყოველ წელს სულ უფრო და უფრო ცარიელდებოდა.

ხის ფარდული ერთადერთი მაღაზია იყო — ობობისქსელებიანი კუთხეებითა და სახურავიდან ჩამოჟონილი წვიმისგან ჩამპალი იატაკით. მაღაზიის პატრონს, მსუქან, ფერმიხდილ ქალს, მოძრაობა უჭირდა, თუმცა საკუთარი დისკომფორტით მაინცდამაინც შეწუხებული არ ჩანდა. რაც შეეხება საკვების მარაგს, ის გახუნებულიარლიყებიანი და დამტვერილი თუნუქის ქილებისაგან, ცოტაოდენი მარცვლეულისგან და კიდევ უფრო ცოტა ბოსტნეულისგან შედგებოდა, რომელიც გარეთ, მაღაზიის წინ, ძველთაძველ დახლზე ლპებოდა.

— ეს ბოსტნეული მზეზე რატომ გიწყვიათ? — ჰკითხა ერთხელ დაგნიმ მაღაზიის პატრონს.

ქალმა მას უაზრო მზერა შეავლო, თითქოს ვერც მიხვდა, რა საჭირო იყო ამ კითხვის დასმა, და გულგრილად უპასუხა:

— ყოველთვის აქ გვეწყო.

კოტეჯში რომ ბრუნდებოდა, დაგნიმ მანქანიდან მთის ნაკადულს შეხედა. ნაკადული გრანიტის ციცაბო კედელზე გაშმაგებით ეშვებოდა, ხოლო მისი შხეფები მზის შუქში ცისარტყელას ეფექტს ქმნიდა. დაგნიმ გაიფიქრა, რომ აქ შეიძლებოდა ჰიდროელექტროსადგურის აშენება, საკმარისად დიდის, რომ ენერგიით მისი კოტეჯიც მოემარაგებინა და მთელი ქალაქიც; ამით ვუდსტოკი გამოცოცხლდებოდა და ფუნქცია მიეცემოდა. ის უჩვეულო რაოდენობის ველური ვაშლის ხეები კი, გორაკებზე, გაველურებულ მცენარეულობათა შორის რომ დაინახა, ხეხილის ბაღების გადმონაშთი იყო; ჰოდა, მათი ხელახლა გაშენებაც სრულიად შესაძლებელია; შესაძლებელია უახლოეს სადგურთან გზის გაყვანაც... „გაჩერდი! გეყო!“

— ნავთი დღეს არა გვაქვს. — მიუგო მაღაზიის პატრონმა დაგნის, როცა ეს უკანასკნელი ვუდსტოკს მორიგ ჯერზე ეწვია, — ხუთშაბათ ღამეს წვიმდა, ჰოდა, როცა წვიმს, სატვირთო მანქანები ფეაფილდის უღელტეხილს ვერ გამოდიან, გზა იტბორება, ჰოდა, ნავთის სატვირთო მანქანები შემდეგ თვემდე აქ ვერ ჩამოაღწევენ.

— მერე თუ იცით, რომ წვიმის დროს გზა ყოველთვის იტბორება, რატომ არ შეაკეთებთ?

— ამ გზაზე სულ ასე იყო. — უპასუხა ქალმა.

შინისკენ მიმავალი დაგნი გორაკის თავზე გაჩერდა და ქვემოთ გაშლილ სივრცეს ჩახედა. შეხედა ფეაფილდის უღელტეხილს, სადაც მთავარი საოლქო გზა გადიოდა.

ეს გზა ჭაობიანი დაბლობის გასწვრივ იკლაკნებოდა და ორ მთას შორის გამომწყვდეულს, ნაპრალები გასჩენოდა. „არადა, რა ადვილი იქნებოდა, გზა ისე გაგეყვანა, რომ მთებისთვის გვერდი აგევლო“, — ფიქრობდა დაგნი, — „გზა მდინარის მეორე მხარეს უნდა დაგეგო. ვუდსტოკის მცხოვრებლებს სხვა საქმე მაინც არ ჰქონდათ, ასწავლიდა მათ და გააჭრევინებდა გზას პირდაპირ სამხრეთ-დასავლეთისკენ, დაზოგავდა არაერთ მილს, დააკავშირებდა შტატის მთავარ გზასთან, სადაც უკვე სალოკომოტივო დეპო... გაჩერდი! გეყო!“

ნავთის ლამპა გვერდზე გადადო და შებინდებულზე სანთლის შუქთან მოეწყო.

პატარა რადიომიმღებით მუსიკას უსმენდა. სიმფონიურ კონცერტებს ეძებდა და როცა კი ახალი ამბების ჩახრინწულ ხმებს გაიგებდა, უმალ სხვა ტალღაზე გადართავდა. ქალაქიდან არავითარი ახალი ამბის გაგონება არ სურდა.

ნუ ფიქრობ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალზე“. — უთხრა საკუთარ თავს კოტეჯში ყოფნის პირველ ღამეს, — ნუ იფიქრებ იქამდე, ვიდრე არ შეძლებ ამ სახელის ისე აღქმას, როგორც, ვთქვათ, გესმის სიტყვები, „ატლანტიკ საუთერნი“ ან „ესოშიეიტიდ სთილი“. მაგრამ კვირები გადიოდა და ჭრილობა არ შუშდებოდა.

ხანდახან ეგონა, რომ საკუთარ გონებაში გაჩენილ რაღაც არაპროგნოზირებად ბოროტებას ებრძოდა. ჩაწვებოდა ლოგინში, თითქოს ძილიც მოერეოდა და უცებ, უნებურად, იწყებდა ფიქრს, თუ როგორი გამცვდარი იყო კონვეიერის ღვედი ინდიანაში, უილოუ ბენდის ქვანახშირის სადგურზე — ეს მანქანიდან მაშინ დაინახა, როცა იქ ბოლოჯერ იყო... ფიქრობდა, რომ უნდა ეთქვა ამის შესახებ, ეთქვა, რომ გამოეცვალათ ღვედი, თუ არა და... და ამ დროს უკვე ლოგინზე წამომჯდარი,

ყვიროდა: „გაჩერდი! გეყო!“ და მართლაც ჩერდებოდა, მაგრამ მთელ ღამეს თეთრად ათენებდა.

იჯდა ხოლმე კოტეჯის კართან მზის ჩასვლისას და უყურებდა, როგორ მშვიდდებოდნენ შრიალა ფოთლები ბინდის უძრაობაში. შემდეგ ბალახზე მოელვარე ციცინათელებს უცქერდა, რომლებიც ყოველ ბნელ კუთხეში ქრებოდნენ და ინთებოდნენ, ფრთხილად ციმციმებდნენ, თითქოს ვიღაცას აფრთხილებენო... სასიგნალო შუქებს წააგავდნენ, რომლებიც ღამით, რკინიგზაზე... „გაჩერდი! გეყო!“ — იყო დრო, როცა დაგნის არ შეეძლო გაჩერება; იყო დრო, როცა, — როგორც ფიზიკური ტკივილისას, რომელსაც სულიერისგან ვერ გამოყოფ, — ის ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა: კოტეჯის იატაკზე ან მიწაზე ეცემოდა და გაუნძრევლად იჯდა, სახე სკამზე ან ქვაზე მიებჯინა და ვერ ებრძოდა საკუთარ თავს, არ შეეძლო, არ დაეყვირა. და ამ დროს, მოულოდნელად, როგორც საყვარლის სახეს, მათ ძალიან ახლოს და ძალიან რეალურად ხედავდა: ხედავდა რკინიგზის ორ ხაზს, რომლებიც შორს, ერთი პუნქტისკენ მიიწევდნენ; ლოკომოტივის წინა ნაწილი, რომელზეც ორი ასო — „TT“ — იყო ამოტვიფრული, სივრცეს შუაზე აპობდა; ბორბლების ხმა მისი ვაგონის ქვეშ მკაფიო რიტმში ისმოდა; ტერმინალის მთავარ დარბაზში ნათ ტაგარტის ძეგლი იდგა. დაგნი ცდილობდა, ათ სცოდნოდა ეს ყველაფერი, არ ეგრძნო. არ იძვროდა, მხოლოდ ხელებში ჩარგულ სახეს ამოძრავებდა ნერვიულად, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, რომ ცნობიერება როგორმე დაეოკებინა და უხმოდ, მონოტონურად იმეორებდა: „თავიდან მოიცილე!“

იყო სიმშვიდის ხანგრძლივი ეპიზოდებიც, როცა პრობლემას ისეთი ვნებადაცლილი სიცხადით უყურებდა, თითქოს ინჟინერიის საკითხი აქვს გადასაწყვეტიო, მაგრამ პასუხს მაინც ვერ პოულობდა. იცოდა, რომ სასოწარკვეთილი ლტოლვა რკინიგზისადმი იმ შემთხვევაში გაუქრებოდა, თუ საკუთარ თავს დაარწმუნებდა, რომ ეს ფუჭი, არაადეკვატური ლტოლვა იყო. მაგრამ ლტოლვა მტკიცე რწმენიდან მოდიოდა — რწმენიდან, რომ სიმართლე და კანონი მის მხარეს იდგა, რომ მტერი ირაციონალური და არარეალური იყო, რომ სხვა მიზანს ვერც დაისახავდა და საკუთარ თავში ვერც მის მისაღწევ სიყვარულს იპოვიდა იქამდე, ვიდრე მისი კანონიერი მონაპოვარი დაკარგული იყო — და არა რაღაც ზებუნებრივი ძალის, არამედ საზიზღარი, მავნებლური ბოროტების მიერ, რომელმაც მიუხედავად საკუთარი უძლურებისა, მაინც მოახერხა გამარჯვება.

დაგნი ფიქრობდა, რომ შეეძლო, რკინიგზაზე უარი ეთქვა. აქ, ამ ტყეში, სიმშვიდეს მოიპოვებდა; გაიყვანდა ბილიკს, შემდეგ ქვემოთა გზამდეც ჩავიდოდა, გზას ხელახლა ააშენებდა, შემდეგ ვუდსტოკის მაღაზიის მეპატრონემდეც მიაღწევდა...

და ეს იქნებოდა ბოლო წერტილი — სამყაროში მომზირალი აპათიური და უაზრო, თეთრი სახე იქნებოდა მისი ძალისხმევის ლიმიტი. „რატომ?!“ — ჩაესმა დაგნის საკუთარი ყვირილის ხმა. პასუხი კითხვაზე არ ჰქონდა.

„ჰოდა, დარჩი აქ იქამდე, სანამ პასუხს არ იპოვი“, — გაიფიქრა მან, — „სხვაგან წასასვლელი არა გაქვს, მოძრაობა არ შეგიძლია, რკინიგზის მშენებლობის უფლებას ვერ მოიპოვებ, თუ... თუ საკმარისად ბევრი არ იცი, რომ საბოლოო პუნქტი — ტერმინალი — აირჩიო“.

იყო გრძელი, მდუმარე საღამოებიც, როცა ემოცია მას ერთ ადგილას გაუნძრევლად მიაჯაჭვავდა და მის მზერას სამხრეთისკენ, ჩამავალი მზის შუქს მიღმა, მიუწვდომელი სივრცისკენ მიმართავდა. ეს მარტოობის განცდა იყო, განცდა

ჰენკ რიერდენის გამო. უნდოდა, მისი შეუპოვარი სახე დაენახა, უნდოდა, მისი თავდაჯერებული, ოდნავ ღიმილნარევი მზერა ეგრძნო. მაგრამ იცოდა, რომ მას იქამდე ვერ ნახავდა, ვიდრე ომს არ მოიგებდა. მისი ღიმილი უნდა დაემსახურებინა. ეს ღიმილი მეტოქისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც მათი ძალების შესარკინებლად მუდამ მზად იყო, და არა ვიღაც დაუძლურებული საცოდაობისთვის, რომელიც ამ ღიმილში შვებას იპოვიდა და შედეგად, მის მნიშვნელობასაც დააკნინებდა. რიერდენი მას დაეხმარებოდა — დაეხმარებოდა სიცოცხლის გაგრძელებაში, მაგრამ ვერ დაეხმარებოდა და ვერ გადააწყვეტინებდა, რა მიზნისთვის სურდა ამ სიცოცხლის გაგრძელება.

იმ დილას, როცა თავის კალენდარზე „15 მაისი“ აღნიშნა, მსუბუქად აღელდა.

ხანდახან საკუთარ თავს ახალი ამბების მოსმენას აძალებდა, რაღაც პერიოდულობით მაინც. რიერდენის სახელი ერთხელაც არ უხსენებიათ. შიში მის გამო ერთადერთი იყო, რაც ქალაქთან აკავშირებდა. სწორედ ეს შიში მიმართავდა მის მზერას სამხრეთის ჰორიზონტისკენ, შემდეგ კი ქვემოთ, მთის ძირას. მიხვდა, რომ მის მოსვლას ელოდებოდა. მიხვდა, რომ ძრავის ხმის გაგონებას ელოდებოდა. ოღონდ ხმა, რომელიც დროდადრო იმედის ამაო ჩანასახს უჩენდა, ტოტებიდან ცაში ასაფრენად გამზადებული რომელიღაც დიდი ჩიტის ფრთების ფრთხიალი იყო.

წარსულთან კიდევ ერთი რაღაც აკავშირებდა, ისეთი რამ, რაც გადაუჭრელი კითხვის სახით უფორიაქებდა გონებას — ქუენტინ დენიელსი და ძრავა, რომლის აღდგენას დენიელსი ცდილობდა. 1 ივნისისთვის დენიელსს დაგნისგან თვიური ჩეკი უნდა მიეღო. ნეტავ უნდა ეთქვა მისთვის, რომ სამსახურიდან წავიდა? რომ ძრავა არც მას და არც სამყაროს აღარასდროს დასჭირდებოდა? უნდა ეთქვა, რომ აღარ გაეგრძელებინა მუშაობა და ძრავა ისეთივე ნაგავსაყრელზე მოესროლა და დასაჟანგავად გაეწირა, როგორზედაც თავად დაგნიმ იპოვა ის თავის დროზე? საკუთარ თავს ამის გაკეთებას ვერ აიძულებდა. ეს უფრო რთულ ამოცანად ეჩვენებოდა, ვიდრე რკინიგზის დატოვება. ეს ძრავა, დაგნის აზრით, წარსულთან კი არ აკავშირებდა: ეს იყო მისი უკანასკნელი დამაკავშირებელი ძაფი მომავალთან. მისი განადგურება არა მკვლელობის, არამედ თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ძრავის განადგურებაზე განკარგულების გაცემით ხელს მოაწერდა რწმენას, რომ მისთვის არავითარი ტერმინალი აღარ არსებობს, რომლისკენ სწრაფვასაც გააგრძელებდა.

„მაგრამ არ არის სიმართლე“, — ფიქრობდა 28 მაისის დილას, კოტეჯის კართან მდგომი, — „არ არის სიმართლე, რომ ამქვეყნად ადამიანური გონების უმაღლეს მიღწევას მომავალი არა აქვს. ეს ვერასდროს იქნება სიმართლე“. რა პრობლემაც არ უნდა ჰქონოდა, ეს აზრი დაგნის არასდროს მიატოვებდა — ურყევი რწმენა, რომ ბოროტება არაბუნებრივი და დროებითი რამ იყო. ამ დილას ეს კიდევ უფრო ცხადად შეიგრძნო — ღრმა რწმენა, რომ ქალაქში მყოფი ხალხის სიმახინჯე და საკუთარი მდგომარეობის სიმახინჯე წარმავალი შემთხვევითობებია, ხოლო მზის სხივებით მოფენილი ტყის ყურებისას მასში ჩასახული მოღიმარი იმედი და შეუზღუდავი პერსპექტივის შეგრძნება — მუდმივი და ნამდვილი.

კართან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. მის უკან, ოთახში, ჩართული რადიოდან ბაბუამისის დროინდელი სიმფონიის ხმები ისმოდა. წესიერად არც უსმენდა, მხოლოდ იმას აცნობიერებდა, როგორ ჰარმონიაში იყო მუსიკის ტაქტი მისი სიგარეტის ზანტ კვამლთან და მისი მკლავის მოძრაობასთან, რომელსაც პერიოდულად, სიგარეტის პირთან მიტანისას ამოძრავებდა. თვალები დახუჭა. სხეულზე მზის სხივები იგრძნო.

„ეს იყო მიღწევა“, — ფიქრობდა დაგნი, — „მიღწევაა, როცა შეგიძლია, ასეთი მომენტით სიამოვნება მიიღო, როცა არ აძლევ მტკივნეულ მეხსიერებას საშუალებას, დაგიჩლუნგოს უნარი, იგრძნო ის, რასაც ამწუთას მე ვგრძნობ“. სადამდეც ამ გრძნობის შენარჩუნებას შეძლებდა, იქამდე არ დაელეოდა სასიცოცხლო საწვავიც.

დაგნიმ ძლივს გამოარჩია სუსტი ხმაური, რომელიც მუსიკის ჰანგებს შორის ძველი, დაკაწრული ფირფიტის ხმასავით გაისმა. პირველი, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, საკუთარი ხელის უხეში მოძრაობა იყო, რითიც სიგარეტი გვერდზე გაისროლა. ეს ზუსტად იმ მომენტში მოხდა, როცა მან გააცნობიერა, რომ ხმაური მატულობდა და რომ ეს ძრავის ხმაური იყო. შემდეგ მიხვდა, რომ საკუთარ თავთან ჯერაც არ ეღიარებინა, თუ როგორ ნატრობდა ამ ხმას, როგორ სასოწარკვეთილად ელოდა ჰენკ რიერდენს. საკუთარი სიცილი გაიგონა — თავმდაბალი, ფრთხილი, ჩუმი სიცილი, თითქოს ლითონის გუგუნი რომ არ ჩაეხშო, რომელშიც ახლა უკვე უდავოდ მთიან გზაზე ამომავალი მანქანის ხმა ამოიცნო.

გზას ვერ ხედავდა. მთის ძირას, ტოტების თაღის ქვეშ მოქცეული პატარა მონაკვეთი გზის ერთადერთი ნაწილი იყო, რისი დანახვაც შეეძლო. მაგრამ მანქანის სვლას მაინც „ხედავდა“: ძრავა სულ უფრო ძლიერად, დაჟინებით გრუხუნებდა აღმართზე და საბურავები სულ უფრო მეტად ხმაურობდნენ მოსახვევებში.

მანქანა ტოტების თაღის ქვეშ გაჩერდა. დაგნიმ ის ვერ იცნო. ეს შავი „ჰემონდი“ კი არა, გრძელი, ნაცრისფერი კაბრიოლეტი აღმოჩნდა. ცოტა ხანში მანქანიდან მძღოლიც გადმოვიდა, კაცი, რომლის იქ ყოფნა წარმოუდგენელი იყო — ფრანცისკო დ'ანკონია.

ძლიერი ემოცია, რომელიც დაგნის ეწვია, იმედგაცრუება არ ყოფილა, უფრო ინტენსიური შეგრძნება იყო იმისა, რომ იმედგაცრუება ახლა უადგილო იქნებოდა. ეს იყო ენთუზიაზმი და უცნაური, საზეიმო გაშეშება, უეცარი გაცნობიერება იმისა, რომ ახლა, ძალიან მალე, რაღაც უცხოსა და რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის პირისპირ აღმოჩნდებოდა. ლაა ფრანცისკო სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა გორაკზე და პერიოდულად ზემოთ იყურებოდა. კოტეჯის კართან დაგნი დაინახა. გაჩერდა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მზერა მისკენ მიეპყრო. შემდეგ კვლავ გააგრძელა სიარული.

დაგნიმ იგრძნო, — და თითქოს ამას ელოდებოდა კიდეც, — რომ ეს იყო სცენა მათი ბავშვობიდან. ის მისკენ მიიწევდა, სირბილით არა, თუმცა ერთგვარი საზეიმო, თავდაჯერებული ენთუზიაზმით. არა, — გაიფიქრა დაგნიმ, — ეს მათი ბავშვობა არ იყო, ეს იყო მომავალი, რომელიც მას ადრე ნანახი ჰქონდა, — იმ პერიოდში, როცა ფრანცისკოს ისე ელოდებოდა, გეგონება, მან ციხიდან უნდა დაიხსნასო. ეს იყო წამიერი სურათი იმ დილისა, რომელიც მათ უნდა გაეზიარებინათ იმ შემთხვევაში, თუ დაგნის იდეალური წარმოდგენა ცხოვრებაზე ახდებოდა, თუ ორივე მათგანი ცხოვრების იმ გზას გაივლიდა, რომლის გავლა მაშინ ცალსახა რამ ეგონა, რაშიც სრულიად დარწმუნებული იყო. ჩაფიქრებული და გაოცებული, უძრავად იდგა და ფრანცისკოს უყურებდა, ამ წამით ტკბებოდა, ოღონდ არა აწმყოს, არამედ მათი წარსულის გულისთვის.

როცა ფრანცისკო მას საკმარისად მიუახლოვდა, დაგნიმ შეძლო მისი სახის გარჩევა. დაინახა ის ნათელი სიხალისე, რომელიც ყოველგვარ სერიოზულობას განაიარაღებდა — განაიარაღებდა, იმიტომ რომ, ეს იყო დიდი ადამიანის უმანკოება, რომელსაც უზრუნველობის ყველა უფლება მოეპოვებინა. ფრანცისკო იღიმოდა და რაღაც მელოდიას ღიღინებდა, რომელიც მის გრძელ, მშვიდ, სწრაფ ნაბიჯებთან

ჰარმონიაში მოდიოდა. მელოდია დაგნის შორეული და თანაც ძალიან ახლობელი ეჩვენა, იგრძნო, რომ ის ამ წამს ეკუთვნოდა და ამავე დროს, იგრძნო, რომ რაღაც უცნაურიც იყო ამაში, რაღაც მნიშვნელოვანი, რასაც უნდა მიმხვდარიყო, თუმცა იმ მომენტში ამაზე ვერ ფიქრობდა.

— გამარჯობა, სლაგ!

— გამარჯობა, ფრისკო!

ფრანცისკოს მზერა; ის, თუ როგორ ერთ წამში დახუჭა თვალები; როგორ გადასწია თავი და როგორ ცდილობდა, ცოტა ხანს მაინც გაეძლო ცდუნებისთვის; როგორ მოდუნდა მისი ნახევრად მომღიმარი ტუჩები; როგორ ძლიერად ჩაავლო ხელი — ამ ყველაფერმა დაგნი მიახვედრა, რომ ეს იყო არა განზრახული, არამედ უნებლიე და ორივე მათგანისთვის გაუსაძლისად სწორი ნაბიჯი.

ის სიველურე, რომლითაც დაგნის გულში იკრავდა; მისი ტუჩების ლამის მტკივნეული შეხება; ის, თუ როგორი ეგზალტაციით დანებდა დაგნის პირველივე შეხებას მისი სხეული — ეს არ იყო წმიერი სიამოვნების გამოხატულება; დაგნიმ იცოდა, რომ ფიზიკური ჟინი კაცს აქამდე ვერ მიიყვანდა; იცოდა, რომ ეს იყო განაცხადი, რომელიც მისგან აქამდე არასდროს მოესმინა — სიყვარულის ახსნის ყველაზე დიდი გამოხატულება, რაც კი კაცს შეუძლია. სულერთი იყო, რა ჩაედინა თავისი ცხოვრების გასაუბედურებლად ფრანცისკოს, ის მაინც ფრანცისკო დ'ანკონიად რჩებოდა, კაცად, რომლის ლოგინში ყოფნა დაგნის სიამაყით ავსებდა. სულერთი იყო, როგორ ეღალატა დაგნისთვის ცხოვრებას, მისი წარმოდგენა ცხოვრების შესახებ სწორი იყო და ამ წარმოდგენის რამდენიმე ურყევი ნაწილი ფრანცისკოში ინახებოდა. და დაგნიმ მას უპასუხა — მისმა სხეულმა ფრანცისკოს სხეულს უპასუხა, უპასუხა მკლავებითა და ტუჩებით, გამოუტყდა სურვილში, გამოუტყდა, რომ მას ყოველთვის აღიარებდა — წარსულშიც და ახლაც.

მაგრამ მერე, ფრანცისკოს ცხოვრების მთელი შემდგომი წლები დაუდგა თვალწინ და როგორც დანის მტკივნეული ჩარტყმა, გააცნობიერა, რომ რაც უფრო დიდი იყო ეს პიროვნება, მით უფრო დამნაშავე იყო საკუთარი თავის გაუბედურებაში. მისი მკლავებისგან თავი დაიხსნა. თავი გააქნია და, ორივეს ნაცვლად, უპასუხა:

— არა.

ფრანცისკო იდგა და, განიარაღებული და მომღიმარი, დაგნის უყურებდა.

— ჯერ არა. პირველ რიგში, ძალიან ბევრი გაქვს ჩემთვის საპატიებელი. მაგრამ ახლა შემიძლია, ყველაფერი მოგიყვე.

ეს უმწეობის ჩუმი, სუნთქვაშეკრული ტონი მის ხმაში დაგნის აქამდე არასდროს შეემჩნია. ფრანცისკო ძალიან ცდილობდა, თავი ხელში აეყვანა. მის ღიმილში ლამის ბოდიშიც კი იგრძნობოდა, ბოდიში ბავშვისა, რომელიც თავზე ხელის გადასმას ითხოვს, მაგრამ ამავე დროს, ზრდასრული ადამიანივით გაოცებული და გახალისებულიც ჩანდა, რომელიც სიცილით აცხადებს, რომ თავისი სისუსტის დამალვის არ რცხვენია, რადგან ეს სისუსტე მის ბედნიერებას უკავშირდება და არა ტკივილს.

დაგნიმ უკან დაიხია. იგრძნო, რომ ემოციას მისი ცნობიერება დაეჯაბნა და მხოლოდ ახლა უტევდნენ შეკითხვები, რომელთა სიტყვებად ფორმულირებას სასოწარკვეთილად ცდილობდა.

— დაგნი, ეს ტანჯვა, რაშიც აღმოჩნდი, აქ, ბოლო თვეა... გულწრფელად მიპასუხე... თორმეტი წლის წინ ამას აიტანდი?

— არა. — უპასუხა დაგნიმ. ფრანცისკომ გაიღიმა, — რატომ მეკითხები?

— რომ გამოვისყიდო და აღარ ვინანო ჩემი ცხოვრების თორმეტი წელიწადი.

— რას გულისხმობ? და საერთოდ... — დაგნიმ შეკითხვის ფორმულირება მოახერხა, — და საერთოდ, რა იცი, აქ როგორ ვიტანჯები?

— დაგნი, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ყველაფერს გავიგებდი?

— როგორ... ფრანცისკო! რას ღიღინებდი, გორაკზე რომ ამოდიოდი?

— ვღიღინებდი რამეს? არ ვიცი.

— რიჩარდ ჰალის „მეხუთე სიმფონია“ იყო, არა?

— ო!.. — ფრანცისკო დაბნეული ჩანდა, შემდეგ საკუთარი თავით გახალისებულმა, გაიღიმა, ბოლოს კი სერიოზულად უპასუხა, — ამას მოგვიანებით გეტყვი.

— როგორ მომაგენი?

— ამასაც გეტყვი.

— ედის გამოსტყუე, ჰო?

— ედი ალბათ ერთი წელია, არ მინახავს.

— მარტო ედიმ იცოდა.

— მე ედისგან არ გამიგია.

— არ მინდოდა, ვინმეს ვეპოვე.

ფრანცისკომ ირგვლივ მიმოიხედა. დაგნიმ შეამჩნია, რომ ფრანცისკოს მზერა მის დაგებულ ბილიკზე შეჩერდა, შემდეგ ყვავილების ნარგავებზე, ახლად შეკეთებულ სახურავზე. ფრანცისკომ ჩაიხითხითა, ისე, თითქოს ესმოდა მისი და გული სტკიოდა.

— აქ ერთი თვე შენი დატოვება არ შეიძლებოდა. — უთხრა დაგნის, — ჩემი პირველი შეცდომაა. ცხოვრებაში ერთხელ, არ მინდოდა, შეცდომა დამეშვა და მაინცდამაინც აქ დავუშვი. მაგრამ არ მეგონა, სამსახურიდან წასასვლელად მზად თუ იყავი. რომ მცოდნოდა, დღე და ღამე თვალს არ მოგაშორებდი.

— ჰოო? რატომ?

— რომ თავიდან აგეცილებინა — ფრანცისკომ დაგნის ნაღვაწისაკენ გაიშვირა ხელი, — ეს ყველაფერი.

— ფრანცისკო, — ხმადაბლა მიუგო დაგნიმ, — თუ ჩემი ტანჯვა მართლა გაწუხებს, მაშინ ვერ ხვდები, რომ არ მინდა, ამაზე მელაპარაკო, რადგან... — გაჩერდა; მასთან არასდროს უწუწუნია, არც ერთხელ მთელი ამ წლების განმავლობაში; კვლავ დაბალ ხმაზე მხოლოდ ეს უთხრა, — რადგან არ მინდა ამის მოსმენა?!

— რადგან მე სწორედ ის კაცი ვარ, ვისაც ამაზე ლაპარაკის არავითარი უფლება არ აქვს? დაგნი, თუ გგონია, რომ არ ვიცი, რამდენად გატკინე, მაშინ მოგიყვები იმ წლებზე, როცა... თუმცა, ეს ყველაფერი მორჩა. მორჩა, საყვარელო, მორჩა!

— ჰოო?

— მაპატიე, ამას არ უნდა გეუბნებოდე. არ უნდა გეუბნებოდე, სანამ შენ თვითონ არ მეტყვი. — ფრანცისკო თავისი ხმის გაკონტროლებას ცდილობდა, მაგრამ ბედნიერება, რომელიც სახეზე ეწერა, უკვე მის კონტროლს მიღმა იყო.

— ბედნიერი ხარ, რომ დავკარგე ის ყველაფერი, რისთვისაც ვცხოვრობდი? კარგი, გეტყვი, თუ ამის მოსასმენად მოხვედი: შენ პირველი იყავი, რაც დავკარგე. გართობს ახლა იმის გაგონება, რომ სხვა დანარჩენიც დავკარგე?

ფრანცისკომ დაგნის შეხედა, თვალები დაუწვრილდა, მზერა კი ისეთი გულწრფელი, ინტენსიური და ლამის საშიში ჰქონდა, რომ დაგნი მიხვდა: რა

მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონოდა ფრანცისკოსთვის ამ წლებს, „გართობა“ ის სიტყვა იყო, რომლის ხმარების უფლება მას არ გააჩნდა.

— მართლა ასე გგონია? — ჰკითხა ფრანცისკომ.

— არა... — ჩურჩულით უპასუხა დაგნიმ.

— დაგნი, ჩვენ ვერასდროს დავკარგავთ იმას, რისთვისაც ვცხოვრობთ. მათი ფორმები პერიოდულად შეიძლება, ვცვალოთ, მით უფრო, თუ ვხვდებით, რომ სადმე რაიმე შეცდომა დავუშვით, მაგრამ მიზანი უცვლელი რჩება, ფორმები კი უკვე ჩვენი განსასაზღვრია.

— ზუსტად ამას ვეუბნები ჩემს თავს, ერთი თვეა. მაგრამ აღარც ერთი კარი აღარც ერთი მიზნისკენ ღია არ დარჩა.

ფრანცისკოს არაფერი უპასუხია. კოტეჯის კართან, დიდ რიყის ქვაზე ჩამოჯდა და დაგნის ჩააცქერდა, თითქოს არ უნდოდა, მისი რეაქციის ერთი პატარა აჩრდილიც კი გამორჩენოდა.

— იმ ხალხზე რას ფიქრობ, სამსახურები ვინც მიატოვა და გაქრა? — ჰკითხა დაგნის.

დაგნიმ მხრები აიჩეჩა, უმწეოდ და სევდიანად გაიღიმა და ბალახზე ფრანცისკოს გვერდით ჩამოჯდა.

— იცი, — თქვა მან, — ადრე მეგონა, ვიღაც გამანადგურებელი არსებობს, რომელიც დასდევს ამ ხალხს და სამსახურიდან წასვლას აიძულებს-მეთქი. მაგრამ მე მგონი, ასეთი არავინაა. ამ თვის მანძილზე, იყო დრო, როცა ლამის ვნატრობდი, ეს გამანადგურებელი ჩემთანაც მოსულიყო. მაგრამ არავინ მოსულა.

— არა?

— არა. მეგონა, რომ ამ ადამიანებს რაღაც დაუჯერებელ საბაბს აძლევდა, რის გამოც ისინი ღალატობდნენ ყველაფერს, რაც კი უყვარდათ. მაგრამ ეს საჭირო არ ყოფილა. ვიცი, რასაც გრძნობდნენ. ახლა მათ უკვე ვეღარ ვამტყუნებ. უბრალოდ, ერთი, რასაც ვერ ვხვდები, ის არის, თუ როგორ ისწავლეს ამ ყველაფრის შემდეგ არსებობა... თუ საერთოდ არსებობენ კიდევ.

— გგონია, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ უღალატე?

— არა. მე... მე მგონი, რომ დავრჩენილიყავი, ამით უფრო ვუღალატებდი.

— ჰო, ასეა.

— მძარცველებთან თანამშრომლობას რომ დავთანხმებულიყავი... მაშინ ნათ ტაგარტი მათთვის მსხვერპლად უნდა შემეწირა. არ შემეძლო. არ შემეძლო, მისი და ჩემი მიღწევა მძარცველებთან ურთიერთობით დამესრულებინა, ეს მექცია ჩვენს საბოლოო მიზნად.

— ჰო, არ შეგეძლო. ამას გულგრილობას ეძახი? გგონია, რკინიგზა ახლა ნაკლებად გიყვარს, ვიდრე ერთი თვის წინ?

— ხანდახან ვფიქრობ, რომ ცხოვრებას გავიღებდი, რკინიგზაზე რომ კიდევ ერთი წელი მემუშავა... მაგრამ ვერ დავბრუნდები.

— მაშინ ხვდები ალბათ, რასაც გრძნობდა ყველა ის ადამიანი, სამსახურიდან რომ წავიდა და რა უყვარდათ, როცა საქმე მიატოვეს.

— ფრანცისკო, — მიმართა დაგნიმ ისე, რომ მიწისკენ თავჩახრილს, მისთვის არც შეუხედავს, — რატომ მკითხე, თორმეტი წლის წინ თუ წახვიდოდიო?

— ორივემ ვიცით, რომელ ღამეზეც ვფიქრობ, არა?

— ჰო... — ჩურჩულით უპასუხა დაგნიმ.

— იმ ღამეზე, როცა „დ'ანკონია კოპერი“ მივატოვე.

ნელა, დიდი ძალისხმევის შედეგად, დაგნიმ სახე წამოსწია, რომ ფრანცისკოსთვის შეეხედა. მას იგივე გამომეტყველება ჰქონდა, რაც იმ ღამის მომდევნო დილას, თორმეტი წლის წინ: ღიმილიანი გამომეტყველება (მიუხედავად იმისა, რომ არ იღიმოდა), ტკივილზე გამარჯვების მშვიდი გამომეტყველება, იმ კაცის გამომეტყველება, რომელიც ამაყობს ფასით, მან რომ გადაიხადა და ამაყობს იმით, რის გამოც ღირდა ამ ფასის გადახდა.

— ჰო, მაგრამ შენ არ მიგიტოვებია, — უთხრა დაგნიმ, — შენ არ წამოსულხარ. შენ ისევ „დ'ანკონია კოპერის“ პრეზიდენტი ხარ, უბრალოდ, ეს შენთვის არაფერს ნიშნავს.

— ზუსტად იმდენს ნიშნავს, რამდენსაც მაშინ ნიშნავდა, იმ ღამეს.

— მაშინ, როგორ მიუშვი ასე, გასანადგურებლად?

— დაგნი, შენ ჩემზე იღბლიანი ხარ. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ ძალიან ფაქიზი, ზუსტ სისტემაზე აწყობილი მექანიზმია. შენ გარეშე დიდხანს ვერ გაძლებს.

მონური შრომის ხარჯზე ვერ იმუშავებს. მადლობა თქვი, რომ გაგინადგურებენ, რადგან არ მოგიწევს იმის ნახვა, როგორ ემსახურება მძარცველებს. მაგრამ სპილენძის დამუშავება უფრო მარტივი საქმეა. „დ'ანკონია კოპერი“ მძარცველებისა და მონების მთელ თაობებს გაუძლებდა. ცუდად, არაკომპეტენტურად, ძლივძლიობით, მაგრამ თავს გაიტანდა და მათაც დაეხმარებოდა თავის გატანაში. ამიტომ, მე თვითონ უნდა გამენადგურებინა.

— შენ თვითონ... რა?

— „დ'ანკონია კოპერს“ გაცნობიერებულად, შეგნებულად, გეგმის მიხედვით და საკუთარი ხელით ვანადგურებ. ზედმიწევნით კარგად უნდა დავგეგმო და ისე ვიმუშაო თითქოს რაიმე მნიშვნელოვანს ვაწარმოებდე. და ეს იმიტომ, რომ არ მივცე მაროდიორებს საბაბი, შემამჩნიონ და შემაჩერონ; რომ არ მივცე საშუალება, ხელში ჩაიგდონ მაღაროები, სანამ ძალიან გვიანი არ იქნება. მთელ იმ ძალისხმევასა და ენერგიას, რასაც მეგონა, „დ'ანკონია კოპერზე“ დავხარჯავდი, ახლა მხოლოდ იმაზე ვხარჯავ, რომ... მხოლოდ იმაზე, რომ არ განვითარდეს. გავანადგურებ მის ყოველ დეტალს, ჩემი ქონების ყოველ უკანასკნელ გროშს და სპილენძის ყოველ წვეთს, რამაც კი შეიძლება, ეს ყაჩაღები გამოკვებოს. ისე არ დავტოვებ, რა მდგომარეობაშიც დამხვდა.

დავტოვებ იმ მდგომარეობაში, რომელშიც სებასტიან დ'ანკონიამ აღმოაჩინა... და მერე უკვე ნებას მივცემ ყაჩაღებს, ეცადონ და მის ან ჩემ გარეშე იარსებონ!

— ფრანცისკო! — წამოიყვირა დაგნიმ, — როგორ გააკეთე ეს?

— ზუსტად იმ ძლიერი სიყვარულის გამო, რომელიც შენ გაქვს. — წყნარად უპასუხა ფრანცისკომ, — ეს ჩემი სიყვარულია „დ'ანკონია კოპერის“ მიმართ, იმ სულის მიმართ, რომელმაც ის შექმნა. შექმნა... და ერთ დღესაც, ისევ შექმნის.

დაგნი გაუნძრევლად იჯდა. ცდილობდა, ყველა ის აზრი გაეთავისებინა, რომელიც ახლა მხოლოდ შოკის სახით აღწევდა მის ტვინამდე. რადიოში ჩართული სიმფონიის ჰანგები სიჩუმეში იჭრებოდა, მუსიკის ტაქტი მას ნელი, საზეიმო, რიტმული ნაბიჯებივით ჩაესმოდა, გონება დაეძაბა, როგორმე განვლილი თორმეტი წელიწადი ახლა ერთიანად რომ დაენახა: დატანჯული ბიჭი, რომელიც მის მკერდზე შველას ითხოვდა; კაცი, რომელიც მისაღები ოთახის იატაკზე იჯდა, მარმარილოს ბურთებით თამაშობდა და დიდი საწარმოების განადგურებაზე იცინოდა; კაცი, რომელიც ტირილით ამბობდა: „ჩემო სიყვარულო, არ შემიძლია“, და მის დახმარებაზე

უარს აცხადებდა; კაცი, რომელიც ბარის ბნელ კუთხეში იმ წლების სადღეგრძელოს სვამდა, რომელთათვისაც სებასტიან დ'ანკონიას უნდა გაეძღო...

— ფრანცისკო... რა არ მიფიქრია შენ შესახებ... მაგრამ ამას... ამას ვერასდროს ვიფიქრებდი... ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ვინც წავიდა... — მე ერთ-ერთი პირველი მათგანი ვიყავი.

— მეგონა, ისინი ყოველთვის ქრებოდნენ...

— მე რა, არ გავქრი? ეს ხომ ყველაზე ცუდი რაღაც იყო, რაც შენ გაგიკეთე? დაგტოვე იაფფასიანი პლეიბოის შემყურე, რომელიც არ იყო ის ფრანცისკო დ'ანკონია, ვისაც შენ იცნობდი.

— ჰო... — ჩურჩულით უპასუხა დაგნიმ, — ოღონდ ყველაზე ცუდი ის აღმოჩნდა, რომ არ შემეძლო ამის დაჯერება... არასდროს დამიჯერებია... ყოველ ჯერზე, როცა გხედავდი, მე ფრანცისკო დ'ანკონიას ვხედავდი...

— ვიცი. და ვიცი, რადაც დაგიჯდა. ვცადე, დაგხმარებოდი და შენთვის გამეგებინებინა, მაგრამ ამ ყველაფრის თქმა მაშინ ძალიან ადრე იყო. დაგნი, იმ ღამეს რომ მეთქვა ან იმ დღეს, სან სებასტიანის მაღაროების გამო ჩემ დასაწყევლად რომ მოხვედი... რომ მეთქვა, ვიღაც რიგითი უქნარა რომ არ ვიყავი, რომ მინდოდა, დამეჩქარებინა იმ ყველაფრის განადგურება, რაც ჩვენთვის, ორივესთვის, წმინდა იყო, — „დ'ანკონია კოპერის“, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“, „უაიატ ოილის“, „რიერდენ სთილის“ განადგურება, — მაშინ უფრო ადვილად გამიგებდი?

— არა. — კვლავ ჩურჩულით უპასუხა დაგნიმ, — ახლაც არ ვიცი, ბოლომდე მესმის თუ არა... ან შენი საქციელი ან ჩემი... მაგრამ ფრანცისკო... — დაგნიმ უეცრად თავი ასწია, რომ მისთვის შეეხედა, — თუ ეს შენი საიდუმლო იყო, მაშინ მთელი იმ ჯოჯო ხეთიდან, რისი ატანაც მოგიხდა, მე...

— ჰო, ჩემო საყვარელო, ჰო. შენ ყველაზე მძიმე ნაწილი იყავი! — ეს სასოწარკვეთილი ყვირილი იყო, რომელშიც სიცილიც იგრძნობოდა და იმ განსაცდელის აღიარებით მოპოვებული შვებაც, რისგან განთავისუფლებასაც დიდი ხანია, ცდილობდა. ხელი ძლიერად მოუჭირა ხელზე, ტუჩებთან მიიტანა, შემდეგ სახეზე, რომ დაგნის არ დაენახა ის, რაც ამ წლებს დაეშავებინა მისთვის, — თუ რაიმე სახის სამაგიერო არსებობს... რაც კი გატკინე, მე ასე გადავიხადე... იმით, რომ ვიცოდი, რას გიკეთებდი და მაინც უნდა გამეკეთებინა... და ლოდინით... ველოდებოდი, რომ... მაგრამ ახლა მორჩა.

თავი წამოსწია. იღიმოდა. დაგნის დახედა, ამ უკანასკნელმა კი მის თვალებში მზრუნველი სითბო დაინახა. მიხვდა, რომ ეს სითბო იმ სასოწარკვეთილებიდან მოდიოდა, რომელიც ფრანცისკოს უკვე მის თვალებში ამოეკითხა.

— დაგნი, ამაზე არც იფიქრო. ნუ იფიქრებ, რომ ჩემი ტანჯვით თავს ვიმართლებ, რაც უნდა მიზეზები მქონოდა, ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და ვიცოდი, რომ საშინლად გატკინე. დაივიწყე, რაც... — დაგნიმ იცოდა, რასაც გულისხმობდა: იმას, რაც ჩახუტებით აღიარა, — დაივიწყე, რაც არ მითქვამს. იმ ყველაფერს შორის, რაც შენთვის მაქვს სათქმელი, ეს უკანასკნელი იქნება, რასაც გეტყვი. — მაგრამ მისი თვალები, ღიმილი, დაგნის წელზე ძლიერად შემოჭდობილი თითები მისი ნების წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ, — ზედმეტად ბევრი გადაიტანე და ძალიან ბევრი უნდა ისწავლო, რომ გაიგო და მოიშუშო იმ ტანჯვით მიღებული ყოველი იარა, რომელიც არასდროს არ უნდა განგეცადა. ახლა მხოლოდ ერთ რამეს აქვს მნიშვნელობა: შენ უკვე შეგიძლია, ძალები აღიდგინო. ორივეს შეგვიძლია. ორივე თავისუფლები ვართ.

თავისუფლები ვართ მძარცველებისგან. ისინი ჩვენამდე ვერ მოვლენ.

— აქ სწორედ ამისთვის წამოვედი. — ჩუმად და სევდიანად უპასუხა დაგნიმ, — რომ მეცადა და გამეგო. მაგრამ არ შემიძლია. საშინლად არასწორად მეჩვენება, ყაჩაღებს რომ დავნებდეთ და სამყარო მათ ჩავუგდოთ ხელში, საშინლად არასწორია მათი მმართველობის ქვეშ ცხოვრება. ვერც დავნებდები და ვერც უკან დავბრუნდები.

ვერც ვიარსებებ მუშაობის გარეშე და ვერც მონასავით ვიმუშავებ. მეგონა, რომ ყველა სახის ომი გამართლებული იყო, ყველაფერი, საკუთარ უფლებებზე უარის თქმის გარდა. არ ვიცი, რამდენად სწორად ვიქცევით მე და შენ — რამდენად სწორია, რომ წამოვედით მაშინ, როცა მათთან უნდა გვებრძოლა. მაგრამ ბრძოლის გზა არ არსებობს. მხოლოდ დანებება. დანებებაა, თუ წამოვალთ, და დანებებაა, თუ დავრჩებით. უკვე აღარ ვიცი, რა არის სწორი და რა — არა.

— გადაამოწმე შენი წინასწარი დაშვებები, დაგნი. ურთიერთწინააღმდეგობები არ არსებობს.

— ჰო, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობ. შენს საქციელს ვერ ვამტყუნებ და მიუხედავად ამისა, მაინც შეძრწუნებული ვარ. შეძრწუნებული და აღტაცებული, ერთდროულად. შენ, დ'ანკონიების მემკვიდრე, რომელიც წარმოების სასწაული უნარებით ყველა შენს წინაპარს დაჯაბნიდი, ამ შენს შეუდარებელ უნარებს დესტრუქციას ახმარ. მე კიდევ... მე რიყის ქვებით ვთამაშობ და სახურავებს ვაშენებ, მაშინ, როცა ტრანსკონტინენტური რკინიგზის სისტემა ვიღაც პოლიტიკოსების დამსმენი დამქაშების ხელში კოლაფსის პირასაა. და მაინც, მე და შენ იმ ტიპის ადამიანები ვიყავით, რომლებიც სამყაროს ბედს განსაზღვრავენ, და თუ საქმე აქამდე მივიყვანეთ, მაშინ ალბათ ჩვენი ბრალია. მაგრამ ვერ ვხედავ, სად დავუშვით ეს შეცდომა.

— კი, დაგნი, ჩვენი ბრალია.

— რატომ? რადგან საკმარისად კარგად არ ვიმუშავეთ?

— რადგან ზედმეტად კარგად ვიმუშავეთ და სანაცვლოდ ზედმეტად ცოტას ვითხოვდით.

— რას გულისხმობ?

— არასდროს მოგვითხოვია ის საზღაური, რომელიც სამყაროს ჩვენს ვალად აწევს, ჩვენი საუკეთესო ჯილდო კი ყველაზე ცუდ ადამიანებს ჩავუგდეთ ხელში.

მაგრამ შეცდომა საუკუნეების წინ იქნა დაშვებული, სებასტიან დ'ანკონიასა და ნათ ტაგარტის მიერ, ყველა იმ ადამიანის მიერ, რომელიც სამყაროს კვებავდა, სანაცვლოდ კი ერთი მადლობაც არ მიუღია. უკვე ვეღარ ხვდები, ჰო, რა არის სწორი და რა — არა? დაგნი, ახლა მატერიალური სიკეთეებისთვის ბრძოლა როდი მიმდინარეობს. ეს მორალური კრიზისია, ყველაზე მძლავრი მორალური კრიზისი, რაც კი სამყაროს ოდესმე უნახავს. და უკანასკნელი კრიზისი. ჩვენ ბოროტების საუკუნეთა კულმინაციის ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. ამას წერტილი უნდა დავუსვათ, ერთხელ და სამუდამოდ, ან უნდა დავიღუპოთ — ჩვენ, ფიქრის უნარით აღჭურვილი ადამიანები. ჩვენი ბრალი იყო. სამყაროში დოვლათი შევქმენით, მაგრამ მტერს საშუალება მივეცით, თავისი ზნეობრივი კოდექსი დაეწერა.

— ჰო, მაგრამ მათი კოდექსი არასდროს მიგვიღია. საკუთარი სტანდარტებით ვცხოვრობდით.

— ჰო, და ამისთვის იქით ვიხდიდით! ვიხდიდით მატერიალურად და სულიერად — ფულით, რომელსაც ჩვენი მტრები იღებდნენ, მაგრამ არ იმსახურებდნენ, და მაღალი რეპუტაციით, რომელსაც ვიმსახურებდით, მაგრამ არ მიგვიღია. ეს ჩვენი შეცდომა იყო — შეცდომა იყო, რომ მზად ვიყავით, ამაში გადაგვეხადა. სამყაროს

ვასულდგმულებდით, მაგრამ ხალხს საშუალებას ვაძლევდით, შევძულებოდით, ჩვენი გამანადგურებლები კი გაეღმერთებინათ. საშუალებას ვაძლევდით, გაეღმერთებინათ არაკომპეტენტურობა და სიმხეცე, დაუმსახურებელი სიკეთეების მიმღებნი და გამცემნი.

ჩვენ ვიღებდით დასჯას — არა ცოდვების, არამედ საკუთარი ღირსებების გამო — და ამით ჩვენს ზნეობრივ კოდექსს ვღალატობდით და მათსას ვუწყობდით ხელს. დაგნი, მათი ზნეობრივი კოდექსი ყაჩაღების კოდექსია. მათ იციან, რომ ყველაფერს აიტან, რათა იმუშაო და შექმნა, რადგან შენთვის მიღწევა უმაღლესი მორალური მიზანია, იცი, რომ ამის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს, შენი სიყვარული კეთილი საქმის ქმნისა შენი ცხოვრების სიყვარულია. მათ შენი იმედი აქვთ — იმედი აქვთ, რომ ყველანაირ ტვირთს გაუძლებ. შენ გეყრდნობიან, რადგან იციან, რომ სირთულე შენთვის არ არსებობს, როცა საქმე შენს სიყვარულს ეხება. დაგნი, შენი მტრები შენივე ღირსებების საშუალებით განადგურებენ შენი გულუხვობა და გამძლეობა მათი ერთადერთი იარაღია. შენი ფენომენალური პატიოსნება ერთადერთია, რითიც გინარჩუნებენ. მათ ეს იციან. შენ — არა. ერთ დღესაც, აღმოაჩენ იმ ერთადერთს, რისიც ეშინიათ, უნდა ისწავლო მათი გაგება. სანამ არ ისწავლი, მათგან ვერ განთავისუფლდები, მაგრამ როცა ეს დღე დადგება, სიბრაზის ისეთ სამართლიან მდგომარეობამდე მიხვალ, რომ შენი ხელით ააფეთქებ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ყოველ რელსს. ყველაფერ იზამ, ოღონდ მათ კეთილდღეობას არ მოახმარო!

— ჰო, მაგრამ რკინიგზის მათ ხელში ჩაგდება! — ამოიკვნესა დაგნიმ, — „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მიტოვება... მაშინ, როცა... როცა ის ლამის ცოცხალი ადამიანივითაა... — იყო, მაგრამ ახლა აღარ არის. დაუტოვე. კარგს მათ არაფერს მოუტანს. ჩვენ არ გვჭირდება. შეგვიძლია, თავიდან ავაშენოთ. მათ არ შეუძლიათ. ჩვენ მის გარეშეც გადავრჩებით. ისინი ვერა.

— ჰო, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ იქამდე მიგვიყვანეს, რომ საკუთარ უფლებებზე უარი გვეთქვა და დავნებებოდით!

— დაგნი, მართალია, სულიერების მკვლელები ჩვენ „მატერიალისტებს“ გვეძახდნენ, მაგრამ ჩვენზე კარგად მაინც არავინ იცის, რა მცირედი ღირებულება თუ მნიშვნელობა აქვს მატერიალურ საგანს, როგორც ასეთს, რადგან სწორედ ჩვენ ვართ ის ადამიანები, ვინც ამ საგნებს ღირებულებასა და მნიშვნელობას ანიჭებს.

შევძლებთ, გარკვეული დროით მათზე უარი ვთქვათ იმისთვის, რომ რაღაც გაცილებით ძვირფასი შევინარჩუნოთ. ჩვენ სულები ვართ, ჩვენი სხეულები კი რკინიგზების, სპილენძის მაღაროების, ფოლადის მაღაროებისა და ნავთობის ჭაბურღილების სახით არის წარმოდგენილი, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმებივით, დღედაღამ, მუშაობენ — ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების წმინდა მიზნისთვის ჩვენი გულებივით ფეთქავენ, მაგრამ მხოლოდ იქამდე, ვიდრე ჩვენს სხეულებად რჩებიან, ჩვენი მიღწევების ჯილდოთა და პროდუქტთა გამოხატულებებად. ჩვენ გარეშე ისინი გვამები არიან, მათი ერთადერთი პროდუქტი კი საწამლავია, არა დოვლათი ან საკვები, არამედ ნგრევის საწამლავი, რომელიც ადამიანებს მენაგვეთა ბრბოდ აქცევს. დაგნი, ისწავლე საკუთარი ძალის არსის გაგება და გაიგებ იმ პარადოქსს, რომელსაც ახლა ირგვლივ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდები. შენ არ გჭირდება, რომ მატერიალურ საგნებზე იყო დამოკიდებული, პირიქით — ეს საგნები არიან შენზე დამოკიდებულნი, შენ მათ ქმნი, წარმოების ერთადერთი იარაღი შენს ხელშია. სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის შეგეძლება, შექმნა. მაგრამ მძარცველებს

თავიანთივე გაცხადებული თეორიის მიხედვით, სასოწარკვეთილად, გამუდმებით, აუცილებლად სჭირდებათ ეს საგნები და სავსებით არიან დამოკიდებულნი მატერიაზე. რატომ არ აძლევ მათ ყველაფერს, რასაც ითხოვენ? მათ სჭირდებათ რკინიგზები, ქარხნები, მაღაროები, ძრავები, მაგრამ არ შეუძლიათ არც მათი შექმნა და არც მათი მართვა. შენ გარეშე შენი რკინიგზისგან როგორ იხეირებენ? ვინ ააწყო ეს რკინიგზა? ვინ აცოცხლებდა მას? შენი ძმა ჯეიმსი ხომ არა? ვინ კვებავდა ჯეიმსს? ვინ კვებავდა მძარცველებს? ვინ ქმნიდა მათთვის იარაღებს? ვინ მისცა მათ შენი დამონების საშუალება? წარმოუდგენელი სპექტაკლი უბადრუკი და უგვანო არაპროფესიონალების მონაწილეობით, რომლებიც ახლა გენიოსის მიერ შექმნილ პროდუქტებს აკონტროლებენ! — ვის შეეძლო ამ პრეცედენტის დაშვება? ვინ ეხმარებოდა შენს მტრებს? ვინ დაგადო ბორკილები? ვინ გაანადგურა შენი მიღწევები?

დაგნი თითქოს მდუმარე ყვირილმა წამოაგდო ფეხზე. ფრანცისკოც დაუყოვნებლივ წამოდგა, გეგონებოდა, ფეხებში უცებ ზამბარები დაეჭიმაო, და შეუბრალებლად საზეიმო ხმით გააგრძელა:

— ნელ-ნელა გესმის, ხომ, ყველაფერი?! დაგნი! დაუტოვე მათ რკინიგზის კარკასი, დაუტოვე მთელი ეს ჟანგიანი რელსები და დამპალი შპალები და გამოშიგნული ლოკომოტივები, მაგრამ გონებრივ რესურსებს ნუ დაუტოვებ! სამყაროს ბედი ამ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული!

„ქალბატონებო და ბატონებო“, — შეენაცვლა სიმფონიის აკორდებს რადიონამყვანის პანიკით მოცული ხმა, — „საგანგებო ინფორმაციის გამო დროებით ვწყვეტთ გამოშვებას. უინსტონში, კოლორადოს შტატში, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მთავარ ხაზზე, დილაადრიან, რკინიგზის ისტორიაში ყველაზე დიდი კატასტროფა მოხდა, რამაც ტაგარტის გვირაბის ნგრევა გამოიწვია!“

დაგნის კივილი იმ კივილს ჰგავდა, რომელიც გვირაბის წყვდიადში, ალბათ, ბოლო წამს გაისმა. ფრანცისკოს ეს ხმა მთელი გადაცემის მანძილზე ყურებში ჩაესმოდა.

ორივენი კოტეჯში შეცვივდნენ და ერთნაირად თავზარდაცემულები, რადიოსთან დადგნენ. დაგნის რადიოსკენ ჰქონდა მიმართული მზერა, ფრანცისკოს — დაგნისაკენ.

„ამბის დეტალები „ტაგარტის“ მთავარი ხაზის სპეცმატარებელ „კომეტის“ მეხანძრისგან, ლუკ ბილისგან გახდა ცნობილი, რომელიც ამ დილას გვირაბის დასავლეთ შესასვლელთან გონებადაკარგული იპოვეს. ბილი, როგორც ჩანს, ერთადერთია, ვინც კატასტროფას გადაურჩა. უსაფრთხოების წესების ძალიან უხეში დარღვევის გამო, — ვითარებაში, რომელიც ჯერ არ არის ბოლომდე დადგენილი, — დასავლეთით, სან-ფრანცისკოსკენ მიმავალი „კომეტა“ ქვანახშირის ორთქლმავლით გაუშვეს გვირაბში. რვა მილის სიგრძის ტაგარტის გვირაბი, რომელიც კლდოვანი მთების ქედზეა გაჭრილი და რომელიც ჩვენს დროში ფენომენალურ საინჟინრო მიღწევად მიიჩნევა, ნათანიელ ტაგარტმა ააშენა ჯერ კიდევ სუფთა, უკვამლო დიზელის ელმავლების ეპოქაში. გვირაბის სავენტილაციო სისტემა ქვანახშირზე მომუშავე ლოკომოტივების ჭვარტლზე და გამონაბოლქვზე მორგებული არ იყო და რეგიონში რკინიგზის ყველა თანამშრომელმა იცოდა, რომ ამგვარი ლოკომოტივით მატარებლის გვირაბში გაშვება მატარებელში მყოფი ყველა მგზავრის გაგუდვით სიკვდილს ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, გაცემული განკარგულების მიხედვით, „კომეტა“ სწორედ ქვანახშირის ორთქლმავლით იქნა გაშვებული. როგორც მეხანძრე ბილი აცხადებს, გვირაბში სამი მილის გავლის შემდეგ, გამონაბოლქვის ზემოქმედება

მატარებელში უკვე საგრძნობი გახდა. მემანქანე ჯოზეფ სკოტმა, სიჩქარის აკრეფის მიზნით, დროსელი მთლიანად გახსნა, მაგრამ ძველი, გამცვდარი ლოკომოტივი გრძელი მატარებლის წონისა და საფეხუროვანი რელსებისთვის შეუფერებელი იყო. მოჭარბებულ გამონაბოლქვში მემანქანე და მეხანძრე ძლივს ახერხებდნენ, გაცვეთილი ორთქლის ქვაბებით სიჩქარე საათში ორმოც მილამდე აეყვანათ, რომ ამ დროს ერთ-ერთმა მგზავრმა, რომელსაც პანიკის შეტევისგან სუნთქვა გასძნელებოდა, ავარიული მუხრუჭის კაბელი გამოსწია. აშკარაა, რომ მატარებლის გაჩერებით გამოწვეულმა მოულოდნელმა ნჯღრევამ ლოკომოტივის საჰაერო შლანგი გაწყვიტა და მატარებლის დაძვრა შეუძლებელი გახდა. ვაგონებიდან კივილის ხმები ისმოდა. მგზავრები ფანჯრებს ამსხვრევდნენ. მემანქანე სკოტი გაშმაგებით ცდილობდა ლოკომოტივის დაძვრას, მაგრამ გამონაბოლქვის ინტენსივობას ველარ გაუძლო და გონება დაკარგა. მეხანძრე ბილი ლოკომოტივიდან ჩამოხტა და გაიქცა, დასავლეთის შესავლელთან ახლოს იყო, როცა აფეთქების ხმა გაიგო. ეს უკანასკნელი რამ არის, რაც მას ახსოვს. დანარჩენი ინფორმაცია უინსტონის სადგურის რკინიგზის თანამშრომლებისგან იქნა მოპოვებული. როგორც ჩანს, დასავლეთისკენ მიმავალი არმიის სპეცსატვირთო მატარებელს, რომელსაც დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი საშუალება გადაჰქონდა, არავითარი გაფრთხილება არ მიუღია „კომეტის“ რელსებზე ყოფნის შესახებ. ორივე მატარებელი შეყოვნებით იქნა გაშვებული და განრიგის მიხედვით გათვალისწინებულ დროს ორივემ გადააცილა. როგორც ირკვევა, სპეცსატვირთოს ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული, რომ სიგნალებს არ დალოდებოდა და ისე დაძრულიყო, რადგანაც გვირაბის სასიგნალო სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული. სავენტილაციო სისტემის გახშირებული ავარიების გამო დაწესებული სიჩქარის რეგულაციების მიუხედავად, როგორც ამბობენ, ყველა მემანქანეს დაუწერელი კანონი ჰქონდა და გვირაბში სრული სიჩქარით მოძრაობდნენ. ამ მომენტისთვის ხელმისაწვდომი ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ „კომეტა“ გაჩერდა პუნქტთან, სადაც გვირაბი ციცაბო მოსახვევში შედის. როგორც აცხადებენ, იმ მომენტისთვის არც ერთი მგზავრი ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო. ვარაუდობენ, რომ სპეცსატვირთოს მემანქანე, რომელიც საათში ოთხმოცი მილით მიიწევდა მოსახვევისკენ, შეძლებდა „კომეტის“ ბოლო ვაგონის სადამკვირვებლო ფანჯრის დანახვას, რომელიც უინსტონის სადგურიდან გამოსვლისას ძლიერად იყო განათებული. თუმცა, რაც ვიცით, ის არის, რომ სპეცსატვირთო „კომეტის“ ბოლო ვაგონს დაეჯახა. სპეცსატვირთოში მოთავსებული ტვირთის აფეთქებამ ხუთი მილის მოშორებით მდებარე ფერმერის სახლის მინები ჩაამსხვრია და გვირაბზე იმ სიმძიმისა და რაოდენობის ქვები ჩამოყარა, რომ მაშველთა რაზმები ჯერაც ვერ მიდიან სამ მილზე ახლოს იმ ადგილამდე, სადაც მატარებლები იმყოფებიან. მიაჩნიათ, რომ კატატროფას ვერავინ გადაურჩებოდა. მიაჩნიათ, ასევე, რომ ტაგარტის გვირაბის რეკონსტრუქცია შეუძლებელი იქნება.

დაგნი გაუნძრევლად იდგა. ისე იყურებოდა, თითქოს თავის ოთახს კი არა, კოლორადოში დატრიალებულ ამბებს უყურებსო. მოულოდნელად, კრუნჩხვაში ჩავარდნილივით ამოძრავდა. მთვარეულისთვის დამახასიათებელი ცალმხრივი რაციონალურობით, ხელჩანთის მოსაძებნად გავარდა, თითქოს ეს ხელჩანთა ამქვეყნად ერთადერთი საგანი ყოფილიყო; იპოვა, ხელი დასტაცა, კარს მივარდა და გაიქცა.

— დაგნი! — დაუყვირა ფრანცისკომ, — არ წახვიდე!

ყვირილს აზრი არ ჰქონდა. დაგნის ყურამდე ეს ხმა ახლა ისე აღწევდა, ფრანცისკოს მისთვის კოლორადოს მთის მწვერვალიდან რომ დაეყვირა.

ფრანცისკო მას გაეკიდა, დაიჭირა, ორივე ხელი ხელზე მაგრად მოუჭირა და კვლავ ყვირილით მიმართა:

— არ წახვიდე! დაგნი! თუკი რაიმე წმინდა გაგაჩნია! არ წახვიდე!

დაგნიმ ისე შეხედა, გეგონებოდა, არც იცნობსო. ნებისმიერ ფიზიკურ დაპირისპირებაში, ფრანცისკო მას ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ძვლებს გადაუმტვრევდა, მაგრამ დაგნის ახლა სულ სხვა ძალა ჰქონდა — ძალა, რომლითაც ცოცხალი არსება საკუთარი თავის გადასარჩენად იბრძვის. სწორედ ამ ძალის გამო იყო, ველური სიშმაგით მისი მკლავებიდან თავი ისე დაიხსნა, რომ ფრანცისკო ერთხანს შებარბაცდა კიდეც, ხოლო როცა წონასწორობა დაიბრუნა, დაგნი უკვე მირბოდა, ჩარბოდა მთაზე — მირბოდა, ისე, როგორც ფრანცისკო მირბოდა, როცა რიერდენის ქარხნებში განგაშის სირენების ხმა გაიგო, მირბოდა გზისკენ, თავისი მანქანისაკენ. * * *

თანამდებობიდან წასვლის განცხადება ჯეიმს ტაგარტს მაგიდაზე, ცხვირწინ ედო. იჯდა და მიშტერებოდა, სიძულვილისგან დაპატარავებული. მისთვის მტერი ახლა ეს ფურცლის ნაგლეჯი იყო და არა ის სიტყვები, რაც მასზე ეწერა, მაგრამ ფურცელსა და მელანს ამ დაწერილი სიტყვებისთვის ერთგვარი მატერიალური სისრულე მიეინჭებინა. აზრებსა და სიტყვებს მუდამ არადამაჯერებლად მიიჩნევდა, მატერიალური ფორმა კი იყო ის, რის თავიდან არიდებაშიც მთელი ცხოვრება გაეტარებინა: პასუხისმგებლობა.

გადადგომა ჯერ არ გადაეწყვიტა. ბოლომდე არა — თავად ასე ფიქრობდა. წერილი იმ მოტივის საფუძველზე უკარნახა მდივანს, რომელსაც საკუთარ თავთან შემდეგი სიტყვებით მოიხსენიებდა: „ყოველი შემთხვევისთვის“. წერილი მისთვის ერთგვარი დაცვის ფორმა იყო, მაგრამ ხელი ჯერ არ მოეწერა, რაც უკვე მისივე დაცვა იყო დაცვის წინააღმდეგ. სიძულვილი იმაზე ჰქონდა მიმართული, რამაც ის ამ განცდამდე მიიყვანა — განცდამდე, რომ პროცესის გაჭიმვას უკვე ვეღარ შეძლებდა.

კატასტროფის შესახებ დილის რვა საათზე აცნობეს. თორმეტი საათისთვის ოფისში მივიდა. ინსტინქტმა, რომელიც მისთვის ცნობილ მიზეზებს ეფუძნებოდა (თუმცა მთელ თავის ძალისხმევას ამ მიზეზების არცოდნას ახმარდა), უკარნახა, რომ ახლა აქ უნდა ყოფილიყო.

ადამიანები, რომლებიც მის თამაშში მონიშნული კარტები იყვნენ, — თამაშში, რომელსაც კარგად ართმევდა თავს, — წასულიყვნენ. კლიფტონ ლოსი ექიმის განცხადებას აფარებდა თავს, რომელსაც ეთქვა, რომ მისტერ ლოსის გულის შეტევა მოუვიდა და ამ მომენტში მისი შეწუხება გამორიცხული იყო. ტაგარტის ერთ-ერთ აღმასრულებელ თანაშემწეზე ამბობდნენ, წუხელ ბოსტონში წავიდაო, მეორეზე კი თქვეს, რომ მოულოდნელად რომელიღაც უსახელო საავადმყოფოდან დაერეკათ მისთვის და მომაკვდავი მამის სასთუმალთან დაებარებინათ, რომლის არსებობის შესახებ აქამდე არავინ არაფერი იცოდა. მთავარი ინჟინრის სახლის ტელეფონს არავინ პასუხობდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მოქმედ ვიცე-პრეზიდენტს ვერსად პოულობდნენ.

ოფისისკენ მანქანით მიმავალს, ტაგარტს ქუჩებში არაერთი შავი, მსხვილი საგაზეთო სათაური მოხვდა თვალში. ხოლო როცა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ დერეფნებში ჩაიარა, ერთ-ერთ კაბინეტში ჩართული რადიოდან ვიღაცის

ისტერიკული ხმები შემოესმა, ისეთი ხმები, ქუჩის ჩაბნელებულ კუთხეებში რომ გაიგონებ, ეს ხმა კივილით ითხოვდა რკინიგზების ნაციონალიზაციას.

დერეფნებში გაიარა — ხმაურიანი ნაბიჯით, რათა სხვებს შეემჩნიათ, და სწრაფად, რათა შეკითხვებისთვის არავის გაეჩერებინა. კაბინეტის კარი ჩაკეტა და მდივანს უთხრა, არ მიეღო არც ერთი ადამიანი თუ სატელეფონო ზარი და ყველასთვის ეთქვა, რომ მისტერ ტაგარტი დაკავებული იყო.

შემდეგ მაგიდას მიუჯდა, საკუთარ შიშთან მარტო დარჩენილი. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მიწისქვეშა აკლდამაში იყო გამომწყვდეული და კლიტეს ვერასდროს გახსნიდა, თუმცა, ამავე დროს, ეგონა, რომ მის ქვემოთ მთელი ქალაქი, მისი სახით, სანახაობას ელოდა, რის გამოც იმედოვნებდა, რომ აკლდამა სამუდამოდ იქნებოდა ჩაკეტილი. ახლა აქ უნდა ყოფილიყო — თავის კაბინეტში, მისგან ახლა ამას ითხოვდნენ, უნდა მჯდარიყო უაზროდ და დალოდებოდა. დალოდებოდა, ღმერთმა იცის, რას, მაგრამ რაღაცას, რაც მოვიდოდა და მის მოქმედებებს განსაზღვრავდა. ორმაგად ეშინოდა:

ეშინოდა იმის, თუ ვინ იქნებოდა მისი მოქმედებების განმსაზღვრელი და იმისიც, რომ ასეთი არავინ ჩანდა, არავინ, ვინც ეტყოდა, რა უნდა ექნა.

მის კაბინეტს მიღმა აწკრიალებული სატელეფონო ზარები გასაჭირში ჩავარდნილის კივილს ჰგავდა. კარს შეხედა და ღვარძლიანი ტრიუმფით გაიფიქრა, რომ ყველა ამ ხმას მისი მდივნის უწყინარი სხეული ახშობდა — ახალგაზრდა კაცისა, რომელიც სიტუაციებიდან თავის დაძვრენის ხელოვნების გარდა, სხვას ვერაფერს ფლობდა, ამ ხელოვნებას კი უზნეო ადამიანისთვის დამახასიათებელი ნაცრისფერი, უძლური, ერთგვარი რეზინისებრი მოქნილებით დაეუფლა: ხმები, — ფიქრობდა ტაგარტი, — კოლორადოდან მოდიოდა, ტაგარტის სისტემის ყოველი ცენტრიდან, შენობაში არსებული ყოველი კაბინეტიდან. სანამ ამ ხმებს ვერ გაიგებდა, ის დაცული იყო.

მისი ემოციები მყარ, მძიმე, ბუნდოვან ბურთად გადაიქცნენ, სადაც ვერავითარი აზრი ტაგარტის სისტემაში მომუშავე ადამიანების შესახებ ვერ აღწევდა. ეს ადამიანები მხოლოდ მისი მტრები იყვნენ, რომლებიც ჭკუაში უნდა მოეტყუებინა. შიშის უფრო მკაფიო შეტევებს მაშინ გრძნობდა, როცა დირექტორთა საბჭოზე ფიქრობდა. მაგრამ მისი გადადგომის წერილი მისი პირადი სახანძრო კიბე იყო, რომელიც ამ ხალხს შუა ცეცხლში დატოვებდა. კიდევ უფრო მკაფიო შიში ვაშინგტონის ხალხს უკავშირდებოდა. ეს უკანასკნელნი თუ დარეკავდნენ, უნდა ეპასუხა. მის რეზინის მდივანს კარგად შეეძლო იმ ხმების გარჩევა, რომლებიც ტაგარტის განკარგულებებზე მაღლა იდგნენ. მაგრამ ვაშინგტონიდან არავის დაურეკავს.

პერიოდულად მასში შიშები სპაზმების სახით ჩნდებოდნენ და პირში სიმშრალეს უტოვებდნენ. არ იცოდა, რისი ეშინოდა. იცოდა, რომ რადიოში გაგონილი მუქარის — არა. ის ემოცია, რაც ამ ბღავილის გაგონებისას დაეუფლა, უფრო შიში იყო იმის გამო, რომ მან იცოდა, რომ უნდა განეცადა ეს შიში. ეს ერთგვარი სავალდებულო შიში იყო, შიში, რომელიც მისი თანამდებობის ისეთივე ნაწილი იყო, როგორიც კოხტად გაუთოებული კოსტიუმები და სუფრასთან სიტყვით გამოსვლები. მაგრამ ამ ემოციაში უცებ პატარა იმედიც შეეპარა, ტარაკანივით სწრაფი და ჩუმჩუმელა: თუ მუქარა ფორმას მიიღებდა, მაშინ ყველაფერი თავისით გადაწყდებოდა, თავად არ მოუწევდა გადაწყვეტილების მიღება, წერილზე ხელის მოწერა... „ტაგარტ

ტრანსკონტინენტალის“ პრეზიდენტი ის აღარ იქნებოდა, მაგრამ არც არავინ იქნებოდა პრეზიდენტი... არც არავინ...

იჯდა, მაგიდას დასცქეროდა და ცდილობდა, მზერისა და აზრების კონცენტრირება აერიდებინა. თითქოს ბურუსში იყო გახვეული და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ბურუსს სისრულის რაიმე ფორმა არ მიეღო. იმას, რაც არსებობს, იდენტობა აქვს. ხოლო ტაგარტი, მის იდენტიფიცირებაზე უარის თქმით, მის არსებობაზეც იტყოდა უარს.

არ არკვევდა კოლორადოში მომხდარს, არ ცდილობდა, მიზეზებს ჩასწვდომოდა, არც შედეგებზე მსჯელობდა. ის არ ფიქრობდა. ემოციის ბუნდოვანი ბურთი ყელში ფიზიკური სიმძიმესავით გასჩხეროდა, მის ცნობიერებას ავსებდა და აზროვნების პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა. ეს ბურთი სიძულვილი იყო — სიძულვილი, როგორც მისი ერთადერთი პასუხი, სიძულვილი, როგორც ერთადერთი რეალობა, სიძულვილი ყოველგვარი საგნის, მიზეზის, დასაწყისისა თუ დასასრულის გარეშე, სიძულვილი, როგორც მისი სარჩელი სამყაროს წინააღმდეგ, როგორც ყველაფრის — გამართლება, როგორც მისი უფლება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება.

სატელეფონო ზარები სიჩუმეს კვლავ არღვევდნენ. მან იცოდა, რომ ამ შველის მთხოვნელი ხვეწნა-მუდარების ადრესატი თავად კი არ იყო, არამედ ის ობიექტი, რომლის ფორმა მას მოეპარა. სწორედ ამ ფორმისკენ მოიწევდნენ ახლა ეს კივილები: მოეჩვენა, რომ ტელეფონმა რეკვა შეწყვიტა და ყოველი ზარი ახლა მის თავის ქალაში ჩარტყმად გადაიქცა. თითქოს სწორედ ამ ზარების დამსახურებით, სიძულვილის ობიექტმა ფორმის მიღება იწყო. მყარი ბურთი აფეთქდა და მას ბრმა მოქმედებისაკენ მოუხმო.

ოთახიდან გიჟივით გავარდა. შემხვედრთა მზერებს თავს არიდებდა. ჰოლი ჩაირბინა, საოპერაციო დეპარტამენტისკენ აიღო გეზი და საოპერაციო მიმართულების ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტის მისაღებში შევარდა.

კაბინეტის კარი ღია იყო, ცარიელი მაგიდის უკან, დიდ ფანჯრებში, ცას მოჰკრა თვალი. შემდეგ მისაღებში ხალხი შეამჩნია და ბოლოს, მინით გადატიხრულ ოთახში ედი უილერსის ოქროსფერი თმა დაინახა. მიზანმიმართულად დაიძრა მისკენ, მინის კარი უხეშად გამოაღო და ზღურბლზე, ყველას შესამჩნევად და გასაგონად, ედი უილერსს დაუყვირა:

— სად არის?

ედი უილერსი ნელა წამოდგა და ტაგარტს უცნაური, ერთგვარი დინჯი ცნობისმოყვარეობით შეხედა — ისე, თითქოს ეს უკანასკნელიც კიდევ ერთი დასაკვირვებელი ფენომენი იყო ამდენ უპრეცედენტო მოვლენებს შორის, რისი დაკვირვებაც ბოლო დროს უწევდა. პასუხი არ გაუცია.

— სად არის?

— ვერ გეტყვი.

— მისმინე, შე ჯიუტო ნაბიჭვარო, ცერემონიების დრო არ არის! თუ იმას ცდილობ, დამაჯერო, რომ არ იცი, სად არის, მაშინ გეტყვი, რომ არ მჯერა შენი! იცი და მეტყვი! თუ არა და, „გაერთიანების საბჭოზე“ დავაყენებ შენს საკითხს! მათთან დავიფიცებ, რომ იცი. ჰოდა, მერე მიდი და ამტკიცე, რომ არ იცოდი!

— აზრადაც არ მომსვლია, დამემალა, რომ ვიცი მისი ადგილსამყოფელი, ჯიმ, — ედის ტონში მსუბუქი განცვიფრება შეეპარა, — ვიცი. მაგრამ არ გეტყვი.

ტაგარტის ყვირილი უკვე ყურთასმენის წამღებ ხმაში გადაიზარდა, ხმაში, რომელიც უნებლიეთ აღიარებს, რომ ჭკუაში წააგო.

— აცნობიერებ, რასაც ამბობ?

— კი, რა თქმა უნდა.

— გაიმეორებ, — ტაგარტმა ხელი ოთახში მყოფთა მისამართით გაიშვირა, — ამ მოწმეების გასაგონად?

ედიმ ხმას ოდნავ აუწია, თუმცა ეს იმდენად არა ტონალობაში, არამედ სიტყვების ზუსტად და მკაფიოდ წარმოთქმაში გამოიხატა:

— ვიცი, სადაც არის. მაგრამ არ გეტყვი.

— ანუ აღიარებ, რომ თანამზრახველი ხარ, რომელიც დეზერტირს ხელს აფარებს და ეხმარება?

— კი, თუ გინდა, რომ ასე დაარქვა.

— ეს დანაშაულია! ეს არის ერის წინაშე დანაშაული! არ იცი?

— არა.

— ეს კანონის დარღვევაა!

— ჰო.

— ეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხია! არ გაქვს უფლება, პირადი საიდუმლოებები შეინახო! სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარს ამბობ! მე ამ რკინიგზის პრეზიდენტი ვარ! გიბრძანებ, რომ მითხრა! ბრძანებას უნდა დამორჩილდე! ეს პენიტენციალური დანაშაულია! გესმის?

— კი.

— უარს მეუბნები?

— ჰო.

მრავალწლიანმა ვარჯიშმა ტაგარტს ერთი უნარი გამოუმუშავა: მას შეეძლო, ნებისმიერ აუდიტორიას ისე დაჰკვირვებოდა, რომ დაკვირვების ობიექტებს ვერაფერი შეემჩნიათ. ახლა ის ხედავდა თანამშრომელთა ჩაკეტილ, პირმოკუმულ მზერებს — მზერებს ადამიანებისა, რომლებიც მისი მოკავშირეები არ იყვნენ. ყველა სასოწარკვეთილი ჩანდა, ედი უილერსის გარდა. „ტაგარტ ტრანსკონტინეტალის“ „ფეოდალთა ყმა“ ერთადერთი იყო, რომელსაც ტრაგედია არ შეჰხებოდა. ტაგარტს უსიცოცხლო, თუმცა კი კეთილსინდისიერი მზერით უპირისპირდებოდა — მკვლევრისთვის დამახასიათებელი მზერით, იმ ცოდნას რომ ფლობს, რომლის მიღება ტაგარტს არასდროს ნდომებია.

— აცნობიერებ, რომ მოღალატე ხარ? — დაუღრიალა ტაგარტმა.

— ვის ვღალატობ? — წყნარად ჰკითხა ედიმ.

— ხალხს! ღალატია, როცა დეზერტირს ხელს აფარებ! ეს ეკონომიკური ღალატიაL შენი პირველი ვალი ხალხზე ზრუნვაა! ეს ყველაზე წინ დგას და მერე მოდის სხვა ყველაფერი! ნებისმიერი საზოგადოებრივი ავტორიტეტი დამეთანხმება ამაში!

მათ ეს ათასჯერ უთქვამთ! არ იცი? არ იცი, რას გიზამენ?

— ვერ ხვდები, რომ სულ ფეხებზე მკიდია ყველა?

— აჰ, ასე ჰო? სიტყვასიტყვით გავიმეორებ შენს ნათქვამს „გაერთიანების საბჭოსთან“! ყველა ეს ადამიანიც დამემოწმება...

— მოწმეებზე ნუ გაირჯები, ჯიმ. ნუ გარევ ამ საქმეში. მე თვითონ დავწერ ყველაფერს, რაც გითხარი, ხელსაც მოვაწერ და შეგიძლია, წაუღო „გაერთიანების საბჭოს“. თითქოს სილა გააწნესო, ისეთი უეცარი აფეთქება განიცადა ტაგარტის ხმამ; — ვინ ხარ შენ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებ? ვინ ხარ შენ, შე საცოდავო ოფისის ვირთხავ, რომ ეროვნული პოლიტიკა განსაჯო და საკუთარი

მოსაზრებები გქონდეს? გგონია, სახელმწიფოს იმის დრო აქვს ახლა, შენი მოსაზრებებით, შენი სურვილებითა თუ შენი პატარა ძვირფასი სინდისით რომ დაინტერესდეს? ეს გაკვეთილი იქნება შენთვის... და ყველა თქვენგანისთვის! ყველა განებივრებული, ეგოისტი, უდისციპლინო, უმაქნისი, უბადრუკი კლერკისთვის, რომლებიც ისე ქედმაღლურად დაიარებით, გეგონება, მთელი ეს მარაზმი თქვენი უფლებების შესახებ სერიოზული საკითხი იყოს! ჰოდა, ისწავლით ახლა, რომ ნათ ტაგარტის დრო წარსულს ჩაბარდა!

ედის ხმა არ ამოუღია. ერთხანს გაუნძრევლად იდგნენ და მაგიდის გადაღმა ერთმანეთს უყურებდნენ. ტაგარტის სახე შიშს დაემახინჯებინა, ედი სრულიად მშვიდად იყო. ჯეიმს ტაგარტს ედი უილერსის არსებობაში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარებოდა; ედი უილერსი ჯეიმს ტაგარტის არსებობას ვერ იჯერებდა.

— გგონია, ქვეყანა შენი ან მისი სურვილებით დაინტერესდება? — წამოიყვირა ტაგარტმა, — მისი ვალია, დაბრუნდეს! მისი ვალია, იმუშაოს! ვის ანაღვლებს, აქვს მუშაობის სურვილი თუ არა?! ჩვენ ის გვჭირდება!

— გჭირდება, ჯიმ?

თვითგადარჩენის ინსტინქტმა ამ კონკრეტული ტონის გაგონებაზე ტაგარტს ერთი ნაბიჯით უკან დაახევინა. ეს ედი უილერსის ხმაში გაჟღერებული ერთი ძალიან წყნარი ტონი იყო. მაგრამ ედი ადგილიდან არ დაძრულა. თავის მაგიდასთან იდგა, მისი პოზა და მანერები კი ბიზნესურთიერთობების ცივილიზებულ ტრადიციებს მოგაგონებდა.

— ვერ იპოვი. — მიმართა ტაგარტს, — არ დაბრუნდება. და მიხარია, რომ არ დაბრუნდება. შეგიძლია, იშიმშილო, დახურო რკინიგზა, ციხეში ჩამსვა, ჩემი თავი მოაკვლევინო... და ამით რა? სულერთია, მაინც არ გეტყვი, სად არის. მთელი ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც არ გეტყვი. შენ...

შემოსასვლელი კარის გაღების ხმაზე გატრიალდნენ. კარის ზღურბლზე დაგნი იდგა, დაჭმუჭნილი კოტონის კაბა ეცვა, თმა კი დამღლელი მგზავრობისგან ასწეწოდა.

ცოტა ხანს შეჩერდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ირგვლივ მიმოეხედა, თითქოს ცდილობდა, გაეხსენებინა, სად იმყოფებოდა. მაგრამ ადამიანებს, გეგონებოდა, საერთოდ ვერ აღიქვამდა, მზერა მხოლოდ ოთახს მიმოავლო, თითქოს ფიზიკური საგნების სწრაფი შემოწმება სურდა. მათ სხვა დაგნი ახსოვდათ; მისი სახე ახლა დაბერებული ჩანდა, ოღონდ არა ნაოჭების, არამედ უძრავი, გაშიშვლებული მზერის გამო, რომელსაც შეუბრალებლობის გარდა, ყველა სხვა თვისება შემოსცლოდა.

და მაინც, პირველი რეაქცია, შოკისა თუ გაოცების წინმსწრები, იყო ერთი ემოცია, რომელმაც მთელი ოთახი მოიცვა და რომელიც ყველაზე ახლოს შვებით ამოსუნთქვასთან იდგა. ერთი ადამიანის გარდა, ეს ემოცია ყველას თვალებში იკითხებოდა. ეს ერთი ადამიანი კი ედი უილერსი იყო; ადამიანი, რომელიც წამის წინ სრულიად აუღელვებელი ჩანდა, ახლა მაგიდისკენ თავჩახრილი, სკამზე ჩაეშვა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ მისი მხრების მოძრაობა ქვითინი იყო.

დაგნის გამომეტყველება გარშემომყოფთა მიმართ არაფერს გამოხატავდა: არც მისალმებას და არც იმას, რომ საერთოდ ამჩნევდა მათ. მისი იქ ყოფნა თითქოს გარდაუვალი იყო და ამას არავითარი სიტყვები არ სჭირდებოდა. მტკიცე ნაბიჯით თავისი კაბინეტისკენ წავიდა და მდივნის მაგიდას რომ ჩაუარა, ამ უკანასკნელს, ავტომატივით, — არც უხეშად და არც კეთილგანწყობით, — მიმართა:

— სთხოვე ედის, შემოვიდეს.

პირველი, ვინც გაინძრა, ჯეიმს ტაგარტი იყო, თითქოს ეშინოდა, დაგნი მხედველობის ველიდან არ დაეკარგა. გაეკიდა და ხმამაღლა უთხრა:

— ვერაფერი შევძელი! — მერე კი, როცა იგრძნო, რომ სიცოცხლის ნიშნები, — თავისი ჩვეული სიცოცხლის ნიშნები — უბრუნდებოდა, დაუყვირა, — შენი ბრალია! შენ გამო მოხდა! შენ დაგბრალდება ყველაფერი, იმიტომ რომ წახვედი!

კარგად ვერ ხვდებოდა, სიტყვები მართლა ამოდიოდა პირიდან თუ ეს ყვირილი რაღაც შინაგანი ხმა იყო მხოლოდ. დაგნის სახე კვლავ არაფერს გამოხატავდა, მისკენ გატრიალდა და შეხედა ისე, თითქოს მხოლოდ ხმას და არა რეალურ სიტყვებს მიეღწია მის გონებამდე. ის, რაც ტაგარტმა იგრძნო, მაქსიმალური მიახლოება იყო საკუთარი არარსებობის შეგრძნებამდე.

შემდეგ დაგნის სახეში ოდნავი ცვლილება შენიშნა — თითქოს ახლა ადამიანის არსებობას აღიქვამსო, მაგრამ ის ტაგარტის მიღმა იყურებოდა და როცა ამ უკანასკნელმაც გაიხედა უკან, კაბინეტში შემოსული ედი უილერსი შერჩა.

ედის ნამტირალევი სახე ჰქონდა, თუმცა ამის დამალვას არც ცდილობდა. ის დაგნის პირისპირ დადგა, თითქოს ცრემლები, ან სირცხვილი, ან მობოდიშება ამ ცრემლების გამო ახლა მისთვისაც ისეთივე უადგილო იყო, როგორც დაგნისთვის.

— რაიანს დაურეკე, — მიმართა დაგნიმ, — უთხარი, რომ აქ ვარ და მერე დამალაპარაკე.

რაიანი რკინიგზის ცენტრალური რეგიონის გენერალური მენეჯერი იყო.

ედიმ მას ერთხანს არაფერი უპასუხა, თითქოს ამ პაუზით რაღაცას აფრთხილებსო.

— რაიანი წავიდა, დაგნი. — უთხრა ბოლოს ისევე დინჯად, როგორც თავად დაგნი ლაპარაკობდა, — წინა კვირას დატოვა თანამდებობა.

ტაგარტს ვერ ამჩნევდნენ, ზუსტად ისევე, როგორც ვერ ამჩნევდნენ ავეჯს თავიანთ გარშემო. დაგნი ჯიმის არსებობას იმდენად არ აღიარებდა, რომ მისი კაბინეტიდან მიბრძანებაც კი არ მოუთხოვია. ტაგარტმა დამბლადაცემულივით, საკუთარი კუნთების მოძრაობის კონტროლში დაურწმუნებელმა, ძალ-ღონე მოიკრიბა და გაიძურწა. მაგრამ ერთ რამეში მაინც დარწმუნებული იყო: რაც შეიძლება ჩქარა უნდა შესულიყო საკუთარ კაბინეტში და გადადგომის წერილი გაენადგურებინა.

დაგნის მისი გასვლა არ შეუმჩნევია. ედის უყურებდა.

— ნოულანდი აქ არის? — ჰკითხა მას.

— არა, წავიდა.

— ენდრიუსი?

— წავიდა.

— მაკგუაიერი?

— წავიდა.

ედიმ წყნარად გააგრძელა იმ ადამიანების ჩამოთვლა, რომლებსაც, იცოდა, რომ დაგნი მოიკითხავდა — რომლებიც ასეთ დროს ყველაზე საჭირონი იყვნენ, მაგრამ ბოლო თვის მანძილზე სამსახური მიეტოვებინათ და გამქრალიყვნენ. დაგნი უსმენდა, — განცვიფრებისა თუ ემოციის გარეშე, — როგორც შეიძლება, მოუსმინო ომში დაშავებულთა თუ გარდაცვლილთა სიას, სადაც ყველა მაინც სიკვდილისთვის არის განწირული და სულერთია, რომლის სახელს გაიგებ პირველს.

როცა ედიმ დაასრულა, დაგნის კომენტარი არ მოუყოლებია, მხოლოდ ეს იკითხა:

— ამ დილის მერე რამე გაკეთდა?

— არაფერი.

— არაფერი?

— დაგნი, ამ დილას ნებისმიერ ოფისის ბიჭს შეეძლო განკარგულებების გაცემა და მას ყველა დაემორჩილებოდა, მაგრამ ოფისის ბიჭებმაც კი იციან, რომ ის, ვინც დღეს პირველი გადადგამს ნაბიჯს, მომავალზე, აწმყოსა და წარსულზე იქნება პასუხისმგებელი, იმიტომ, რომ ახლა ასეა — დაიწყება პასუხისმგებლობის გადაბარების დიდი ჯაჭვი და საბოლოოდ ვინმეს დადანაშაულება მოუწევთ. ეს ოფისის ბიჭი სისტემას კი ვერ გადაარჩენდა, დიდი-დიდი ერთი განყოფილება გადაერჩინა და თანაც ამ დროისთვის უკვე სამსახურიც დაკარგული ექნებოდა. არავის არაფერი გაუკეთებია. საქმე არ იძვრის. და თუ რამე იძვრის, ეს ვინმეს ბრმა ინტუიციის ხარჯზე ხდება... სადმე, რკინიგზაზე, და იქაც არ იციან, რა ჯობს — მოძრაობა თუ გაჩერება. ზოგი მატარებელი სადგურებზე ჰყავთ გაჩერებული, ზოგი გაუშვეს და ისინიც უნდა გააჩერონ, ვიდრე კოლორადოს მიაღწევენ. ყველაფერი ადგილობრივი დისპეტჩერების გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ქვედა სართულზე, ტერმინალის მენეჯერმა ყველა დღევანდელი ტრანსკონტინენტური რეისი გააუქმა, მათ შორიც ღამის „კომეტაც“. სან-ფრანცისკოს მენეჯერი რას შვრება, წარმოდგენა არა მაქვს.

მხოლოდ ის ვიცი, რომ ავარიული რაზმები მუშაობენ. გვირაბში. ავარიის ადგილს ჯერ ვერც კი მიუახლოვდნენ. არა მგონია, საერთოდ შეძლონ.

— დაურეკე ტერმინალის მენეჯერს და უთხარი, ყველა ტრანსკონტინენტური რეისი განრიგზე დააბრუნოს, მათ შორის ღამის „კომეტაც“. მერე შემოდი ჩემთან, როცა ედი დაბრუნდა, დაგნის მაგიდაზე რუკები ჰქონდა გაშლილი, იდაყვებდაყრდნობილი ჩასცქეროდა და ედის სწრაფი ჩანაწერების ფონზე ინსტრუქციებს იძლეოდა:

— დასავლეთისკენ მიმავალი ყველა მატარებელი გაუშვი: სამხრეთით — კირბიდან, ნებრასკას შტატიდან სათადარიგო ხაზის გავლით ჰეისტინგსამდე, მერე „კანზას უესთერნის“ გზით ლორელამდე, კანზასის შტატში, მერე ოკლაჰომას ჯასპერის „ატლანტიკ საუთერნის“ ხაზით გაუშვი; მერე დასავლეთით — „ატლანტიკ საუთერნის“ ხაზით არიზონას შტატში, ფლეგსტაფამდე; ჩრდილოეთით — ფლეგსტაფ-ჰოუმდეილის ხაზით იუტას შტატში, ელჯინამდე, ჩრდილოეთით მიდლენდისკენ, ჩრდილო-დასავლეთით — უასაჩის სარკინიგზო ხაზის გავლით — სოლტ ლეიკ სიტიმდე. უასაჩის რკინიგზა მიტოვებული წვრილი ლიანდაგია. იყიდე. ლიანდაგები სტანდარტებს მიუსადაგე. რადგან გაყიდვები ახლა არალეგალურია, მეპატრონეებს შეიძლება, შეეშინდეთ. ამიტომ, ორმაგი გადაუხადე და გააგრძელე მუშაობა. კანზასში, ლორელში და ოკლაჰომაში, ჯასპერს რკინიგზა არ აკავშირებთ — სამი მილია მათ შორის; რკინიგზა არ არის ელჯინში და იუტას შტატში, მიდლენდს შორის — ესეც შენი ხუთ-ნახევარი მილი; გაიყვანე რკინიგზა. დაუყოვნებლივ დააწყებინე სამშენებლო რაზმებს მუშაობა — ყველა ადგილობრივი, ვისზეც კი ხელი მიგიწვდება, ჩართე სამუშაოში, ლეგალურ ანაზღაურებაზე ორჯერ მეტი გადაუხადე, სამჯერ მეტი, ან არ ვიცი, ნებისმიერი თანხა, რასაც მოგთხოვენ. ისე ქენი, რომ სამი ცვლა გყავდეს და საქმე ერთ ღამეში დაასრულონ. რაც შეეხება რელსებს, დახსენი სათადარიგო ხაზები კოლორადოს შტატში — უინსტონში და სილვერ სპრინგსში, იუტას შტატში — ლიდსში და ნევადას შტატში — ბენსონში. თუ „გაერთიანების საბჭოს“ რომელიმე ადგილობრივი დამქაში სამუშაოების შეფერხებას შეეცდება, ჩვენს ადგილობრივებს — მათ, ვისაც ენდობი, — დაავალე, რომ ქრთამი მისცენ.

ოღონდ ეს ხარჯები ბუღალტერიის დეპარტამენტში არ გაატარო, ჩემს ანგარიშს დააწერე, მე გადავიხდი. თუ ისე მოხდა, რომ ქრთამი რაღაც შემთხვევებში არ იმუშავებს, მაშინ უთხრან ჩვენებმა დამქაშებს, რომ დირექტივა 10-289 ადგილობრივ დონეზე აკრძალვებს არ ითვალისწინებს, რომ ეს აკრძალვა ჩვენს მთავარ ოფისში უნდა გადმოამისამართონ და თუ უნდათ, რომ გაგვაჩერონ, მაშინ ჩემ წინააღმდეგ მოუწევთ საქმის აღძვრა.

— მართლა ასეა?

— მე რა ვიცი?! ან ვინმემ იცის საერთოდ? მაგრამ იმ დროისთვის, როცა ამის გარკვევას მორჩებიან და რაც მოესურვებათ, იმას გადაწყვეტენ, ჩვენ გზა უკვე გაყვანილი გვექნება.

— გასაგებია.

— ახლა სიებს ჩავხედავ და იმათ სახელებს გეტყვი, ვისაც საქმე უნდა ჩავაბაროთ.

თუ ჯერაც არ წასულან... იმ დროისთვის, როცა დღევანდელი ღამის „კომეტა“ კირბიში, ნებრასკას შტატში ჩავა, რელსები მზად იქნება. ტრანსკონტინენტურ განრიგს ამით ოცდათექვსმეტი საათი ემატება, მაგრამ ტრანსკონტინეტური განრიგი იარსებებს. ჰო, და მერე არქივებში ჩვენი გზის ის რუკები მოაძებნინე ვინმეს, რომლებზეც გზა ისეა დატანილი, ვიდრე მას ნათ ტაგარტის ვაჟი შვილიშვილი ააშენებდა.

— რა?.. — ედის ხმა არ აუმაღლებია, მაგრამ სუნთქვაშეკრული ტონი იმ ემოციას ააშკარავებდა, რომლის დამალვასაც ცდილობდა.

დაგნის გამომეტყველება არ შესცვლია, მაგრამ მის ხმაში გაჟღერებულ ნოტში იგრძნობოდა, რომ ედის კითხვაზე რეაქცია ჰქონდა, ოღონდ კი არ საყვედურობდა, არამედ პირიქით, ეს ერთგვარი სითბოს გამოხატულება იყო.

— ძველი რუკები მინდა, იმდროინდელი, გვირაბი როცა არ იყო აშენებული. უკან ვბრუნდებით, ედი. იმედი ვიქონიოთ, რომ შევძლებთ. არა, გვირაბს თავიდან არ ავაშენებთ. ახლა ამის არავითარი საშუალება არა გვაქვს. მაგრამ ძველი გზა, რომელიც კლდოვან მთებს კვეთდა, ჯერაც ადგილზეა. მისი აღდგენა შესაძლებელია, უბრალოდ, რელსებისა და ხალხის შოვნა გაგვიჭირდება. უფრო ხალხის.

ედიმ თავიდანვე იცოდა, რომ დაგნიმ მისი ცრემლები დაინახა და ამ ცრემლებისადმი გულგრილი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი მონოტონური ხმა და უძრავი სახე გრძნობებს ოდნავადაც არ ავლენდა. და მაინც, რაღაც იყო დაგნიში ისეთი — რაღაც, რასაც ედი გრძნობდა, მაგრამ სახელს ვერ არქმევდა. დაგნი თითქოს შემდეგს ამბობდა: ვიცი, მესმის, თანაგრძნობითა და მადლიერებით განვიმსჭვალებოდი, ცოცხლები რომ ვიყოთ ან სიცოცხლის თავისუფლება რომ გვქონდეს, მაგრამ არა გვაქვს, ედი. შენც ხომ იცი?! მკვდარ პლანეტაზე ვართ, როგორც მთვარეზე, სადაც უნდა ვიმოძრაოთ და სუნთქვისთვის ან ემოციისთვის გაჩერება არაფრით არ შეიძლება, რადგან თუ გავჩერდებით, აღმოვაჩენთ, რომ სასუნთქი ჰაერი არაა.

— საქმეები დღეს და ხვალ უნდა დავიწყოთ. — თქვა დაგნიმ, — ხვალ ღამე კოლორადოში წავალ.

— გაფრენა თუ გინდა, თვითმფრინავის დაქირავება მომიწევს სადმე. შენი ისევ რემონტდება, ნაწილებს ვერ შოულობენ.

— არა, რკინიგზით წავალ. ხაზები უნდა ვნახო. ხვალინდელ „კომეტას“ გავყვები.

მხოლოდ ორი საათის შემდეგ, სხვადასხვა რეგიონთან გამართულ სატელეფონო ზარებს შორის, დაგნიმ ედის პირველად დაუსვა კითხვა, რომელიც რკინიგზას არ ეხებოდა: — ჰენკ რიერდენს რა უქნეს?

ედიმ იგრძნო, რომ ერთხანს დაგნისთვის თვალის არიდებას ცდილობდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, თვალებში შეხედა და უპასუხა:

— დანებდა. ჩუქების სერტიფიკატს ხელი მოაწერა, ბოლო წუთში.

— ოჰ! — დაგნის ხმაში არც შოკი იყო და არც საყვედური, მან უბრალოდ ერთგვარი ზეპირი სასვენი ნიშანი დასვა, რაც თითქოს ფაქტის მიღებას ნიშნავდა, — ქუენტინ დენიელსისგან ხომ არაფერი შეგიტყვია?

— არა.

— წერილი არ გამოუგზავნია ჩემთვის? ან რაიმე შეტყობინება?

— არა.

ედი მიხვდა, რისიც ეშინოდა დაგნის და ამან სხვა საკითხი გაახსენა — საკითხი, რომელიც მისთვის ჯერ არ ეუწყებინა.

— დაგნი, კიდევ ერთი პრობლემაა და რაც წახვედი, 1 მაისიდან მოყოლებული“ ეს პრობლემა სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებს. გაყინულ მატარებლებს ვგულისხმობ, — რა?

— შუაგზაში, ძირითადად ღამღამობით, ხაზებზე მატარებლებს ტოვებენ, მთელი რაზმი გარბის. უბრალოდ, ტოვებენ მატარებელს და ქრებიან. არც გვაფრთხილებენ და არც რაიმე საგანგებო მიზეზები აქვთ. ეპიდემიასავითაა, ხალხს უცებ ემართება და გარბიან. სხვა რკინიგზებზეც არის იგივე შემთხვევები. ვერავინ ვერ ხსნის, რატომ. მაგრამ, მგონი, ყველა ხვდება მიზეზს. დირექტივა შვრება ამ ყველაფერს. ჩვენი ხალხის პროტესტის ფორმაა. ცდილობენ, საქმე გააგრძელონ, მაგრამ უცებ, რაღაც მომენტში, ისეთ მდგომარეობამდე მიდიან, რომ მეტი აღარ შეუძლიათ. რა უნდა ვქნათ? — ედიმ მხრები აიჩეჩა, — ვინ არის ჯონ გოლტი?

დაგნიმ შეფიქრიანებულად დაუქნია თავი, გაკვირვებული არ ჩანდა.

ტელეფონმა დარეკა და მალე მდივნის ხმაც გაისმა:

— მისტერ უესლი მაუჩი რეკავს ვაშინგტონიდან, მის ტაგარტ.

დაგნიმ ტუჩები ოდნავ მოკუმა, თითქოს მოულოდნელად მწერი დააჯდაო, და მდივანს უპასუხა:

— ალბათ ჩემს ძმასთან უნდა ლაპარაკი.

— არა, მის ტაგარტ, თქვენთან.

— კარგი, დამალაპარაკე.

— მის ტაგარტ, — დაიწყო უესლი მაუჩმა კოქტეილის წვეულების მასპინძლის ტონით, — ისე გამიხარდა, თქვენი გამოჯანმრთელების ამბავი რომ გავიგე, პირადად მინდოდა, მომელოცა. ვიცი, რომ ხანგრძლივი დასვენება გჭირდებოდათ და ძალიან გიფასებთ პატრიოტიზმს, რის გამოც ამ მეტად მძიმე ვითარებაში შვებულება შეწყვიტეთ და დაბრუნდით. ნებისმიერ საქმეში, რაშიც საჭიროდ ჩათვლით, ჩვენთან თანამშრომლობის იმედი გქონდეთ. ბოლომდე თქვენ გვერდით ვართ. ნებისმიერი სახით დაგეხმარებით და გვერდში დაგიდგებით. თუ რაიმე... განსაკუთრებული გამონაკლისების დაშვება იქნება საჭირო, უყოყმანოდ მოგვმართეთ. თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

დაგნი მას ლაპარაკის საშუალებას აძლევდა, მიუხედავად იმისა, რომ დაგნის ასალაპარაკებლად მაუჩს უკვე რამდენიმე მოკლე პაუზა გაეკეთებინა. როცა მისი მორიგი პაუზა ჩვეულებრივზე მეტად გაიწელა, დაგნიმ ხმა ამოიღო:

— ძალიან დამავალებთ, მისტერ ვეზერბის თუ დამალაპარაკებთ.

— რას ამბობთ, მის ტაგარტ, რასაკვირველია... ნებისმიერ დროს, როცა მოისურვებთ... ანუ... ახლა გინდათ მასთან ლაპარაკი?

— დიახ. ახლავე.

მაუჩი ყველაფერს მიხვდა, თუმცა მხოლოდ ეს უპასუხა:

— ახლავე, მის ტაგარტ.

სატელეფონო ხაზიდან გამოსული მისტერ ვეზერბის ხმა ფრთხილი ჩანდა:

— დიახ, მის ტაგარტ. რით შემიძლია, გემსახუროთ?

— უთხარით თქვენს ბოსს, რომ თუ არ უნდა, კიდევ წავიდე სამსახურიდან, — და მშვენივრად იცის, რომ წასული ვიყავი, — მაშინ არასდროს დამირეკოს და არასდროს დამელაპარაკოს. თუ თქვენს ბანდას ჩემთვის რაიმე სათქმელი ექნება, ჩემთან სალაპარაკოდ თქვენ გამოგიშვან. შეგიძლიათ, ისიც უთხრათ, რომ ამის მიზეზი ჰენკ რიერდენისადმი მისი საქციელია იმ პერიოდში, როცა მისგან ხელფასს იღებდა.

თუ ყველას დაავიწყდა ეს ამბავი, მე მახსოვს.

— ჩემი ვალია, ქვეყნის რკინიგზებს ნებისმიერ დროს გავუწიო დახმარება, მის ტაგარტ. — ისე ჩანდა, რომ მისტერ ვეზერბი ყოველმხრივ ცდილობდა, აირიდებინა პასუხისმგებლობა, რაც ის-ის იყო გაგონილი სიტყვებით დაეკისრა, მაგრამ ხმაში პატარა ინტერესი მაინც შეეპარა, როცა ნელა, წინდახედულად და შორსმჭვრეტლურად წარმოთქვა, — ანუ, როგორც მესმის, მის ტაგარტ, თქვენი სურვილია, ყველა ოფიციალურ საკითხთან დაკავშირებით ექსკლუზიურად ჩემთან გქონდეთ საქმე.

შემიძლია, ეს თქვენს პოლიტიკად მივიჩნიო?

დაგნიმ უხეშად და მკვახედ ჩაიცინა და მიუგო:

— ჰო, მიდით. შეგიძლიათ, ჩემი თავი თქვენს ექსკლუზიურ საკუთრებათა ნუსხაში ჩაამატოთ, განსაკუთრებულ საკონტაქტო საშუალებად გამომიყენოთ და ივაჭროთ ჩემით მთელ ვაშინგტონში. მაგრამ ეს კარგს რას მოგიტანთ, არ ვიცი, რადგან თქვენი თამაშის წესების მიღებას მე არ ვაპირებ, არ ვაპირებ რაღაც სარგებლების მოსაპოვებლად ვაჭრობას. უბრალოდ, ვაპირებ, თქვენი კანონების დარღვევა დავიწყო, თან ამ საქმეს ახლავე შევუდგები, თქვენ კი შეგიძლიათ, დამაპატიმროთ, როცა იგრძნობთ, რომ მზად ხართ, საკუთარ თავებს ამის უფლება მისცეთ.

— როგორც ვხვდები, კანონის შესახებ ძველმოდური წარმოდგენები გაქვთ, მის ტაგარტ. რა საჭიროა უდრეკ, მოუქნელ კანონებზე ლაპარაკი? ჩვენი თანამედროვე კანონები მოქნილია და ინტერპრეტაციებისადმი ღია, როცა... როცა ამას გარემოებები მოითხოვს.

— ჰოდა, ჯობს, ახლავე გამოიჩინოთ მოქნილობა, რადგან არც მე და არც სარკინიგზო კატასტროფები მოქნილები არ ვართ.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა და ედის ისეთი ტონით მიმართა, გეგონება, ფიზიკურ ობიექტებს აფასებდესო:

— რაღაც ხანი თავს დაგვანებებენ.

დაგნი თითქოს ვერ ამჩნევდა მის კაბინეტში მომხდარ ცვლილებებს: ნათ ტაგარტის გამქრალ პორტრეტს, ახალ მინის ყავის მაგიდას, სადაც სტუმრების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, მისტერ ლოსის ყველაზე მყვირალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები მიმოეფანტა, ყდებზე გამოტანილი სათაურებით.

დაგნი უსმენდა, — ყურადღებიანი მზერით, ლამის რობოტივით, რომელიც არა რეაგირებაზე, არამედ ინფორმაციის მიღებაზეა მომართული, — უსმენდა ედის მონათხრობს იმაზე, თუ რა უქნა ამ ერთმა თვემ რკინიგზას; უსმენდა მის მოსაზრებებს კატასტროფის მიზეზების შესახებ; ისეთივე უემოციო მზერით უცქერდა ადამიანებს რომლებიც აჩქარებული ნაბიჯებითა და ჟესტიკულაციით, მის კაბინეტში შედიოდნენ და გადიოდნენ. ედი ფიქრობდა, რომ დაგნი ყველაფრისადმი გულგრილი გამხდარიყო მაგრამ უეცრად, — როცა კაბინეტში შეუჩერებლად მოძრაობდა და ედის რელსების დაგებისთვის საჭირო მასალის ნუსხას და იმ ადგილებს უთვლიდა, სადაც შეეძლოთ, ეს მასალა არალეგალურად შეეძინათ, — ის გაჩერდა და ყავის მაგიდაზე გაშლილ ჟურნალებს დახედა. გარეკანზე გამოტანილ სათაურებში ეწერა: „ახალი სოციალური ცნობიერება“, „ჩვენი ვალი გაჭირვებულთა წინაშე“, „ღარიბები ხარბების წინააღმდეგ“ ხელის ერთი მოძრაობით, — წმინდა ფიზიკური სისასტიკისთვის დამახასიათებელი უხეში, ფიცხი მოძრაობით, რაც ედის მასში არასდროს შეემჩნია, — ჟურნალები მაგიდიდან ჩამოყარა, მერე კი ციფრების კარნახი გააგრძელა, პაუზის გარეშე, თითქოს მის გონებასა და მისი სხეულის ძალადობრივ აქტს შორის არავითარი კავშირი არ იყო.

გვიან შუადღეს, როცა კაბინეტში მარტო აღმოჩნდა, დაგნიმ ჰენკ რიერდენს დაურეკა. რიერდენის მდივანს თავისი სახელი უთხრა, რიერდენის ხმის მიხედვით კი მიხვდა, როგორ სწრაფად აიღო ამ უკანასკნელმა ყურმილი:

— დაგნი?

— გამარჯობა, ჰენკ. მე დავბრუნდი.

— სად?

— ჩემს კაბინეტში.

სატელეფონო ხაზზე ჩამოწოლილ ხანმოკლე დუმილში დაგნიმ ისეთი რაღაცებიც გაიგო, რაც რიერდენს მისთვის არ უთქვამს. შემდეგ კი რიერდენმა დასძინა:

— მგონი, ჯობს, ხალხის მოქრთამვა დავიწყო, რომ მადანი მივიღო და შენთვის რელსები ჩამოვასხა.

— ჰო, და რაც შეიძლება, ბევრი. აუცილებელი არაა, რიერდენ მეტალი იყოს.

იყოს, მაგალითად... — პაუზა შეუმჩნევლად ხანმოკლე გამოდგა, თუმცა ის, რაც ამ მოკლე დროში დაგნიმ გაიფიქრა, იყო შემდეგი: რიერდენ მეტალის რელსები — იმისათვის, რომ ფოლადამდელ ეპოქაში დავბრუნდეთ? ან იქნებ კიდევ უფრო უკან წავიდეთ... რკინისზოლიანი ხის რელსების ეპოქაში? — იყოს ფოლადი, ნებისმიერი წონის, ნებისმიერი, რაც შეგიძლია, მომცე.

— კარგი. დაგნი, იცი, რომ დავნებდი და „რიერდენ მეტალი“ მათ გადავეცი? ჩუქების სერტიფიკატს მოვაწერე ხელი.

— კი, ვიცი.

— დავნებდი.

— მე რა უფლება მაქვს, შენ რომ გაგამტყუნო? მეც იგივე არ ვქენი? — რიერდენს არ უპასუხია, კვლავ დაგნიმ გააგრძელა, — ჰენკ, არა მგონია, მათ აინტერესებდეთ, ამქვეყნად ერთი მატარებელი ან საბრძმედი ღუმელი თუა დარჩენილი. ჩვენ კი გვაინტერესებს. ჩვენივე სიყვარულის საშუალებით ვყავართ გამოჭერილი, ჩვენ კი მათ იქამდე გადავუხდით, ვიდრე ერთი ბორბალი მაინც იქნება დედამიწაზე, რომ ვამოძრაოთ — ვამოძრაოთ ადამიანური ინტელექტის სახელით. ჩვენ მას წყალზე ვატივტივებთ, არ მივცემთ ჩაძირვის საშუალებას, როგორც დახრჩობის პირას მყოფ ბავშვს, ხოლო, როცა ადიდებული ტალღა მას შთანთქავს, ბოლომდე ჩავყვებით —

ჩავყვებით უკანასკნელ ბორბალსა და უკანასკნელ ლოგიკურ აზროვნებას. ვიცი, რასაც ვიხდით, მაგრამ საფასურს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

— ვიცი.

— ჩემ გამო ნუ შეგეშინდება, ჰენკ. ხვალ დილისთვის უკვე ნორმალურად ვიქნები.

— შენ გამო არასდროს შემეშინდება, ძვირფასო. გნახავ ამაღამ.

თავი 9

სახე ტკივილის, შიშის ან დანაშაულის გრძნობის გარეშე

დაგნი თავისი ბინის მისაღებ ოთახში შევიდა. სიჩუმემ და საგანთა სრულყოფილმა უძრაობამ (რომლებიც ზუსტად იმ მდგომარეობაში დახვდა, როგორშიც დატოვა), ერთდროულად, შვებისა და მარტოობის შეგრძნება მოუტანა. სიჩუმე ინტიმურობის და საკუთრების განცდის ილუზიას უქმნიდა, ხოლო საგნების შემხედვარეს, აგონდებოდა, რომ მათში ის მომენტი იყო შენახული, რომელსაც უკვე ვეღარ აღიდგენდა — ვერ აღიდგენდა ზუსტად ისევე, როგორც ვეღარ შეცვლიდა მისი წასვლის შემდეგ მომხდარ მოვლენებს.

მკრთალი დღის შუქი ჯერ კიდევ აღწევდა ფანჯრიდან. დაგნი ოფისიდან დაგეგმილზე ადრე წავიდა — ძალებს ვერ მოუყარა თავი, რომ ის საქმეები მოეგვარებინა, რომლებიც მომდევნო დილისთვის შეეძლო, გადაედო. ეს მისთვის რაღაც ახალი იყო. ახალი იყო ისიც, რომ ბინაში უფრო შინ გრძნობდა თავს, ვიდრე სამსახურში.

შხაპი მიიღო. წყლის ქვეშ დიდხანს იდგა, წყალს საგანგებოდ ისხამდა სხეულზე, მაგრამ მაშინვე გაჩერდა, როცა კი გააცნობიერა, რომ ის, რისი ჩამორეცხვაც უნდოდა, გზის მტვერი კი არ იყო, არამედ სამსახურიდან გამოყოლილი შეგრძნება.

ჩაიცვა, სიგარეტს მოუკიდა, მისაღებ ოთახში შევიდა და ფანჯარასთან დადგა — ქალაქს უყურებდა, ისევე, როგორც ამას სოფელში, დილაობით აკეთებდა ხოლმე.

ნათქვამი ჰქონდა, ცხოვრებას გავიღებ, რკინიგზაზე კიდევ ერთი წელი რომ ვიმუშაოო. ახლა დაბრუნდა, მაგრამ ამას მუშაობასთან დაკავშირებული სიამოვნება არ მოუტანია, ეს იყო მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გაჩენილი მკაფიო, ცივი სიმშვიდე და უგულებელყოფილი ტკივილის თანმხლები მდუმარება.

ცა ღრუბლებში გახვეულიყო და ღრუბლები ახლა ქვემოთ, ქუჩისკენ, ნისლად იწყებდნენ მოგროვებას, გეგონებოდა, ცა ქალაქის გადაყლაპვას ლამობსო. დაგნი მთელ კუნძულს ხედავდა — მთელ მანჰეტენს — გრძელ, სამკუთხედ ფორმას, რომელიც უხილავ ოკეანეში იჭრებოდა. ჩაძირვის პირას მყოფი გემის ცხვირს ჰგავდა.

რამდენიმე მაღალი შენობა, საკვამურებივით, მაინც იწვერებოდა ღრუბლებიდან.

დანარჩენები კი ნაცრისფერ-ცისფერი რგოლების ქვეშ ბურუსსა და სივრცეში ნელ ნელა უჩინარდებოდნენ. „სწორედ ასე გაქრნენ ისინიც“, — ფიქრობდა დაგნი, — „ატლანტიდა — ოკეანეში ჩაძირული ქალაქი, და ყველა ის გამქრალი სამეფო, რომელთაც კაცობრიობის ყველა ენას ერთი და იგივე ლეგენდა და ერთი და იგივე მელანქოლია შემოუნახეს“.

როგორც გაზაფხულის ერთ ღამეს, როცა „ჯონ გოლტის ხაზის“ დაფხავებულ ოფისში, მაგიდასთან გართხმული, ფანჯრიდან ჩაბნელებულ ხეივანს გასცქეროდა, ისეთივე განცდა დაეუფლა ახლაც... საკუთარი სამყაროს განცდა და ხილვა — სამყაროსი, რომელშიც ვერასდროს მოხვდებოდა... „შენ“, — ფიქრობდა დაგნი, — „ვინც არ უნდა იყო შენ, შენ, ვინც ყოველთვის მიყვარდი და ვერასდროს გიპოვე, შენ,

ვისაც მეგონა, ლიანდაგების ბოლოს, ჰორიზონტს მიღმა დაგინახავდი, შენ, ვისაც ყოველთვის გგრძნობდი ქალაქის ქუჩებში და ვისი სამყაროც ყოველთვის მინდოდა, ამეშენებინა, სწორედ შენდამი ჩემი სიყვარულია, რასაც არ მოუცია ჩემთვის გაჩერების საშუალება, — ჩემი სიყვარული და იმედი, რომ მოგწვდე, და ჩემი ნატვრა, შენი ღირსი ვიყო იმ დღეს, როცა შენ პირისპირ აღმოვჩნდები. ახლა ვიცი, რომ ვერასდროს მოგაგნებ, — შენ მიუწვდომელი და არარეალური ხარ, — მაგრამ რაც კი ჩემში ცოცხალია დარჩენილი, მაინც შენ გეკუთვნის და მე კვლავ შენი სახელით გავაგრძელებ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ შენი სახელი არასდროს მეცოდინება; ისევ შენს მსახურებას გავაგრძელებ, მიუხედავად იმისა, რომ ვერასდროს გავიმარჯვებ; გავაგრძელებ... რომ ვიყო შენი ღირსი ჩვენი შეხვედრის დღეს, მიუხედავად იმისა, რომ არ შეგხვდები“... დაგნი უიმედობას არასდროს მისცემია; იდგა ფანჯარასთან, ნისლში გახვეულ ქალაქს გადაჰყურებდა და თავის ცალმხრივ, უანგარო სიყვარულს უჩუმრად უხმობდა.

კარზე ზარი დარეკეს.

ერთდროულად ინდიფერენტული და გაკვირვებული, დაგნი კარისკენ გაემართა და როცა კარს მიღმა ფრანცისკო დ'ანკონია დაინახა, მიხვდა, რომ ამაში საკვირველი არაფერი იყო. არც გაჰკვირვებია. არც პროტესტის გრძნობა ჰქონია, მხოლოდ საკუთარ გადაწყვეტილებაში დარწმუნებულობა იგრძნო და ამით გამოწვეული უხალისო სიმშვიდე. ნელი, ფრთხილი მოძრაობით, თავი ასწია და ფრანცისკოს შეხედა, თითქოს ამით ეუბნებოდა, ჩემი გზა ავირჩიე და ამ გზას არ გადავუხვევო.

ფრანცისკო სერიოზული და მშვიდი იყო. ბედნიერი გამომეტყველება აღარ ჰქონდა, თუმცა არც პლეიბოისთვის დამახასიათებელი მოჩვენებითი განწყობა დაჰბრუნებოდა. თითქოს ყველა ნიღაბი უკვე ჩამოხსნილი იყო; ის ალალი ჩანდა, მკაცრი, დაჟინებული და ერთი მიზნით შეპყრობილი; იმ კაცს ჰგავდა, რომელმაც იცის, რამხელა მნიშვნელობა აქვს მოქმედებას — სწორედ იმ კაცს, რომლის დანახვასაც მასში ოდესღაც დაგნი ელოდა. ასეთი მომხიბლავი, როგორიც ამ წამს იყო, ჯერ არასდროს ყოფილა. და უცებ, საკუთარი თავით გაოცებულმა, აღმოაჩინა რომ მის წინ ახლა ის კაცი კი არ იდგა, რომელმაც მიატოვა, არამედ კაცი, რომელიც თავად მიეტოვებინა.

— დაგნი, შეგიძლია ახლა ამაზე ლაპარაკი?

— კი... თუ გინდა. შემოდი.

ფრანცისკომ დაგნის მისაღებ ოთახს თვალი შეავლო, სახლს, რომელშიც ფეხი არასდროს შეედგა, შემდეგ კი კვლავ დაგნის მიაპყრო მზერა. ყურადღებით უცქერდა. თითქოს ხვდებოდა, რომ მისი უბრალოებამდე მშვიდი მანერები ცუდს მოასწავებდნენ — ყველაზე ცუდს მისი მიზნისთვის; ეს სიწყნარე გაფანტულ ფერფლს ჰგავდა, სადაც ტკივილის ნაპერწკალს უკვე ვეღარ გააღვივებდი; ტკივილის ცეცხლი უკვე საბოლოოდ ჩამქრალიყო.

— დაჯექი, ფრანცისკო.

თავად არ ჯდებოდა, თითქოს განზრახ ცდილობს, აჩვენოს, რომ დასამალი არაფერი აქვსო — არც თავისი დაქანცულობა, არც ის ფასი, რომელიც ამ დღისთვის გადაიხადა და არც ინდიფერენტული დამოკიდებულება ამ ფასისადმი.

— თუ უკვე გააკეთე არჩევანი, — მიმართა ფრანცისკომ, — არა მგონია, შენი გაჩერება შევძლო. მაგრამ თუ კიდევ არის ერთი შანსი მაინც, რომ გაგაჩერო, ეს შანსი უნდა გამოვიყენო.

დაგნიმ თავი ნელა გააქნია.

— არ არის. და თან... რისთვის, ფრანცისკო? შენ დანებდი. რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, რკინიგზასთან ერთად დავიტანჯები თუ მის გარეშე?

— მე მომავალს არ დავნებებივარ.

— რომელ მომავალს?

— იმ დღეს, როცა მძარცველები დაიტანჯებიან, მაგრამ ჩვენ აღარ.

— თუ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალმა“ მძარცველებთან ერთად უნდა იტანჯოს, მაშინ მეც დავიტანჯები.

ფრანცისკოს დაგნისთვის თვალი არ მოუცილებია, თუმცა არაფერი უპასუხია.

— მეგონა, მის გარეშე შევძლებდი ცხოვრებას. — უემოციოდ გააგრძელა დაგნიმ, — არ შემიძლია. ამას აღარც კი ვცდი. ფრანცისკო, გახსოვს? გახსოვს, როცა დავიწყეთ, ორივეს გვჯეროდა, რომ ამქვეყნად ერთადერთი ცოდვა საქმის ცუდად კეთება იყო?! მე დღემდე მჯერა. — ამ სიტყვებზე დაგნის ხმაში სიცოცხლის პირველი ნიშნები შეეპარა, — ვერ დავდგები და ვერ ვუყურებ, რა გააკეთეს გვირაბში. ვერ მივიღებ იმას, რაც მათ, ყველას, მიღებული აქვთ. ფრანცისკო, ეს ხომ ყველაზე საზარელ რაღაცად მიგვაჩნდა?! მე და შენ... — რწმენა, რომ კატასტროფები თითქოს ადამიანის ბუნებრივი ბედია, რომელიც უნდა მიიღო, კი არ უნდა შეებრძოლო. მე ამას ვერ მივიღებ. ვერ დავმორჩილდები. უიმედობას ვერ მივიღებ. ჩემს უფლებებზე უარს ვერ ვიტყვი. სანამ რკინიგზა იარსებებს, მე მას ვუხელმძღვანელებ.

— მძარცველებს სამყარო რომ შეუნარჩუნო?

— საკუთარი სამყაროს უკანასკნელი კუნძული რომ შევინარჩუნო.

— დაგნი, — მშვიდად მიმართა ფრანცისკომ, — ვიცი, ადამიანს თავისი საქმე რატომ უყვარს. ვიცი, რას ნიშნავს შენთვის ეს საქმე — მატარებლების გაშვება. მაგრამ ცარიელ მატარებლებს ხომ არასდროს გაუშვებდი?! დაგნი, რას ხედავ, როცა მოძრავ მატარებელზე ფიქრობ?

დაგნიმ ქალაქს გადახედა.

— გონიერი ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც შესაძლოა, ამ კატასტროფაში დაიღუპა, მაგრამ შემდეგს გადაურჩება, მე დავიცავ ამისგან... ადამიანს, რომელსაც შეუპოვარი ინტელექტი აქვს და უსაზღვრო ამბიციები და საკუთარი ცხოვრება უყვარს... ისეთ ადამიანს, როგორებიც ჩვენ ვიყავით, როცა დავიწყეთ... მე და შენ. შენ ეს ადამიანი მიატოვე. მე არ შემიძლია.

ფრანცისკომ ერთხანს თვალები დახუჭა, მისი მოკუმული პირი კი ღიმილი იყო — ღიმილი, რომელიც თანაგრძნობითა და ტკივილით გამოწვეულ კვნესას ანაცვლებდა. შემდეგ კი სერიოზული და მშვიდი ხმით მიმართა:

— გგონია, რომ რკინიგზის მართვით მას — ამ ადამიანს — კიდევ შეგიძლია, ემსახურო?

— კი.

— კარგი, დაგნი. შენს შეჩერებას აღარ შევეცდები. იქამდე, ვიდრე, ფიქრობ, რომ ვერაფერი გაგაჩერებს ან ვერაფერმა ვერ უნდა გაგაჩეროს. იმ დღეს გაჩერდები, როცა აღმოაჩენ, რომ შენი შრომა ამ ადამიანის სიცოცხლეს კი არა, მის განადგურებას ემსახურება.

— ფრანცისკო! — ეს გაოცებისა და სასოწარკვეთილების ყვირილი იყო, — შენ ხომ გესმის! გესმის, ვის ვგულისხმობ ასეთ ადამიანში, მას შენც ხედავ!

— ჰო, რა თქმა უნდა. — მარტივად, ძალდაუტანებლად უპასუხა ფრანცისკომ და თან რაღაც მომენტში სივრცეს შეაშტერდა, თითქოს, ლამისაა, რეალურ ადამიანს ხედავსო, შემდეგ კი დაამატა, — რატომ გიკვირს? ხომ თქვი, ჩვენც მისნაირები

ვიყავით ოდესღაცო, მე და შენ. ჰოდა, ახლაც ვართ, უბრალოდ, ერთ-ერთმა ჩვენგანმა მას უღალატა.

— ჰო. — მკაცრად მიუგო დაგნიმ, — ერთ-ერთმა ჩვენგანმა. საკუთარ უფლებებზე უარის თქმით მის მსახურებას ვერ შევძლებთ.

— მის გამანადგურებლებთან გარიგებითაც ვერ შევძლებთ მის მსახურებას.

— მე მათთან გარიგებაში არ შევდივარ. მათ მე ვჭირდები. ეს იციან. ჩემს პირობებს ვუყენებ, რომლებიც უნდა მიიღონ.

— როგორ? იმ თამაშის თამაშით, სადაც შენი ზარალის ხარჯზე ისინი სარგებელს ნახავენ?

— „ტაგარტ ტრანსონტინენტალი“ თუ ვასულდგმულე, ეს ერთადერთი სარგებელია, რაც მე მინდა. სულ არ მადარდებს, ჩემგან ხარკს თუ მოითხოვენ. წაიღონ, რაც უნდათ. მე რკინიგზა მექნება.

ფრანცისკოს გაეღიმა.

— ასე გგონია? გგონია, რადგან მათ სჭირდები, დაგიცავენ? გგონია, შეძლებ მათთვის იმის მიცემას, რაც უნდათ? არა, შენ იქამდე დარჩები, ვიდრე საკუთარი თვალით არ დაინახავ, რა უნდათ რეალურად. დაგნი, ხომ გახსოვს, ვისწავლეთ, რომ რაღაცები ღმერთს ეკუთვნის, რაღაცები — კეისარს. მათი ღმერთი ალბათ ასეთი რამეების ნებას იძლევა, მაგრამ ის ადამიანი, რომელზეც შენ ამბობ, ჩვენ ვემსახურებითო, ამას კრძალავს. ის ორმაგ ლოიალობას არ დაუშვებს, არც ბრძოლას დაუშვებს შენს სხეულსა და გონებას შორის, არც შენს ღირებულებებსა და მოქმედებებს შორის დაუშვებს უფსკრულის გაჩენას და არავითარ ხარკებს კეისრისთვის, კეისრებს ის არ ცნობს.

თორმეტი წლის განმავლობაში, — რბილი ხმით მიუგო დაგნიმ, — ვერც ერთხელ ვერ წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დრო, როცა მუხლებზე დაცემული პატიებას შეგევედრებოდი. ახლა მგონია, რომ ეს შესაძლებელია. თუ მივხვდები, რომ მართალი ხარ, ასე მოვიქცევი. მაგრამ მანამდე — არა.

— კი, ასე იზამ, ოღონდ მუხლებზე დაცემული — არა.

ფრანცისკო დაგნის ისე უყურებდა, თითქოს მის სხეულს ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ მზერა დაგნის სახეზე ჰქონდა მიმართული; ამ მზერით კი დაგნი ხვდებოდა, როგორ მონანიებასა და კაპიტულაციას ელოდა მისგან ფრანცისკო მომავალში. ისიც დაინახა, რამხელა ძალისხმევად დაუჯდა ფრანცისკოს, მისთვის თვალი რომ მოეშორებინა; როგორ იმედოვნებდა, რომ დაგნი ვერ შეამჩნევდა მის მზერას ან ვერ გამოიცნობდა, რა იდგა ამ მზერის უკან; დაინახა მასში გაჩაღებული ჩუმი ბრძოლაც, რომელიც სახეზე, კანქვეშ, რამდენიმე დაძაბულმა კუნთმა უნებლიეთ გამოააშკარავა — იმ სახეზე, რომელსაც დაგნი ასე კარგად იცნობდა.

— მანამდე, დაგნი, გახსოვდეს, რომ მე და შენ მტრები ვართ. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ შენ პირველი ადამიანი ხარ, ვინც თითქმის სამოთხეში შეაბიჯა და ისევ უკან დაბრუნდა დედამიწაზე. უკვე საკმარისად ბევრი ნახე, ასე რომ, ყველაფერი კარგად უნდა გესმოდეს. მე შენ გებრძვი, შენს ძმა ჯეიმსს ან უესლი მაუჩს კი არა. მე სწორედ შენ უნდა დაგამარცხო. ბოლო უნდა მოვუღო იმ ყველაფერს, რაც შენთვის ახლა ყველაზე ძვირფასია. სანამ შენ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ გადასარჩენად იბრძოლებ, მე მის განადგურებაზე ვიმუშავებ. დახმარების ან ფულის თხოვნა ჩემთვის არც კი გაბედო. იცი ჩემი არგუმენტები. ახლა კი შეგიძლია, გძულდე. შენი არჩევნიდან გამომდინარე, უნდა გძულდე.

დაგნიმ თავი ოდნავ წამოსწია, პოზა თითქმის არ შეუცვლია, უბრალოდ, აცნობიერებდა საკუთარ სხეულს და იმას, თუ რას ნიშნავდა ეს სხეული ფრანცისკოსთვის, თუმცა ერთი წინადადების მანძილზე ის ნამდვილ ქალად იქცა და ამას არა მისი სხეული, არამედ ძლივძლიობით წარმოთქმული სიტყვები მოწმობდა:

— და შენ რა მოგივა ამით?

ფრანცისკომ მას შეხედა, კარგად ესმოდა ყველაფერი, მაგრამ არც აღიარა და არც უარყო ის, რის მოსმენასაც ასე ძალიან ლამობდა დაგნი.

— ეს მხოლოდ ჩემი საქმეა, სხვა არავისი. — იყო ფრანცისკოს პასუხი.

ახლა დაგნი იყო სუსტის პოზიციაში, სწორედ ის გატყდა, მაგრამ ლაპარაკის დროს გააცნობიერა, რომ მისი ეს სიტყვები კიდევ უფრო დიდი უგულობა იყო:

— არ მძულხარ. ბევრი ვეცადე, წლების განმავლობაში, მაგრამ არასდროს შემძულდები, სულერთია, რას ვიზამთ, ან ერთი ან მეორე.

— ვიცი. — უპასუხა ფრანცისკომ ხმადაბლა, ისე, რომ დაგნის მის ხმაში ტკივილი არ გაუგია, მხოლოდ ექოსავით იგრძნო შიგნით.

— ფრანცისკო! — სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა დაგნიმ, თითქოს მისგან საკუთარი თავის დაცვას ცდილობსო, — როგორ შეგიძლია ასე? როგორ აკეთებ იმას, რასაც აკეთებ?

— ჩემი სიყვარულის სახელით — „შენთვის“, — თქვეს მისმა თვალებმა, — „იმ ადამიანისთვის“, — თქვა მისმა ხმამ, — „რომელიც შენს კატასტროფაში არ დაღუპულა და არასდროს დაიღუპება“.

დაგნი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, თითქოს ფრანცისკოსადმი პატივისცემასა და მადლიერებას გამოხატავსო.

— ნეტავ შემეძლოს, იმ ყველაფრისგან გაგათავისუფლო, რაშიც ახლა ყოფ თავს.

— უთხრა ფრანცისკომ, მისი ნაზი ტონი კი შემდეგს ამბობდა: „ამ შემთხვევაში, მე არაფერი მაქვს შესაცოდი“, — მაგრამ არ შემიძლია. ყველა ჩვენგანმა თავისი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ გზაზე, თუმცა კი გზა ერთია.

— სად მიჰყავხარ ამ გზას?

ფრანცისკომ გაიღიმა ისე, თითქოს უნდოდა, ამ რბილ ტალღაზე ყველა იმ კითხვისთვის ჩაეკეტა კარი, რომლებზე პასუხის გაცემასაც არ აპირებდა.

— ატლანტიდაში. — იყო მისი პასუხი.

— რა? — დაბნეულად ჰკითხა დაგნიმ.

— რა, არ გახსოვს? დაკარგული ქალაქი, სადაც მხოლოდ გმირების სულებს შეუძლიათ ფეხის შედგმა.

ამ სიტყვებმა დაგნის თავზარი დასცა. ატლანტიდა დილიდანვე უტრიალებდა თავში, ოღონდ რაღაც ბუნდოვანი შფოთვის სახით, რომლის ამოცნობის დრო არ ჰქონდა. მან ეს იცოდა, მაგრამ მხოლოდ ფრანცისკოს პირად ბედზე და პირად გადაწყვეტილებაზე ფიქრობდა, ფიქრობდა, რომ ის მარტო მოქმედებდა. ახლა კი უფრო დიდი მასშტაბის საფრთხე გაახსენდა და იგრძნო, რამხელა და როგორი განუსაზღვრელი ფორმის მტრის წინაშე აღმოჩნდა.

— ერთ-ერთი მათგანი ხარ, ჰო? — წყნარად ჰკითხა ფრანცისკოს.

— ერთ-ერთი ვისთაგანი?

— კენ დენეგერის კაბინეტში შენ იყავი?

— არა. — ღიმილით მიუგო ფრანცისკომ, თუმცა დაგნიმ შეამჩნია, რომ მას არ დაუზუსტებია, რას გულისხმობო.

— მითხარი... შენ ეს გეცოდინება... მართლა თავისუფლად დადის გამანადგურებელი ამ ქვეყანაზე?

— რა თქმა უნდა.

— ვინ არის ის?

— შენ.

დაგნიმ მხრები აიჩეჩა; სახე ნელ-ნელა გაუმკაცრდა.

— ის ხალხი, სამსახურებიდან ვინც წავიდა, ცოცხალია თუ მკვდარი?

— მკვდრები არიან. შენთვის მკვდრები არიან. მაგრამ სამყაროში მეორე რენესანსი მოხდება. მე ამას დაველოდები.

— არა! — უეცარი გააფთრება დაგნის ხმაში მისი პირადი პასუხი იყო ფრანციისკოს მიმართ, იმ ორიდან ერთ საკითხზე, რომელიც ფრანციისკოს უნდოდა, დაგნის მის სიტყვებში ამოეკითხა, — არა, მე ნუ დამელოდები.

— მე ყოველთვის დაგელოდები, სულერთია, რას ვიზამთ, ან ერთი ან მეორე, ხმა, რომელმაც მათ ყურამდე მოაღწია, შემოსასვლელ კარში საკეტის გადატრიალება იყო. კარი გაიღო და მათ ჰენკ რიერდენი დაინახეს.

ერთხანს გველნაკბენივით გაჩერდა კარის ზღურბლზე, შემდეგ კი ნელი ნაბიჯებით მისაღებ ოთახში შევიდა, გზადაგზა კი ჯიბეში გასაღებს იდებდა.

დაგნი მიხვდა, რომ რიერდენმა ჯერ ფრანციისკოს სახე დაინახა და მერე მისი, დაგნის შეხედა, მაგრამ მზერა კვლავ ფრანციისკოს მიაპყრო, თითქოს ახლა ეს ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი დანახვაც შეეძლო.

აი, ფრანციისკოს შეხედვისა კი დაგნის ეშინოდა. მზერის მისკენ გადატანა იმხელა ძალისხმევად დაუჯდა, გეგონებოდა, უმძიმეს ტვირთს მიათრევსო. ფრანციისკო ფეხზე წამოდგა — ეს დ'ანკონიათათვის დამახასიათებელი დინჯი, ავტომატური თავაზიანობა იყო. მის თვალებში რიერდენი ვერაფერს ხედავდა, თუმცა ის, რაც დაგნიმ დაინახა, მის შიშებს უდავოდ აღემატებოდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ფრანციისკოს რიერდენმა ისე უხეშად, როგორც სასტუმრო ოთახში შეპარულ მსახურს შეიძლება, ჰკითხო.

— როგორც ჩანს, მე არ მაქვს იმავე კითხვის დასმის უფლება. — უპასუხა ფრანციისკომ. დაგნიმ იცოდა, რა ძალისხმევად დაუჯდა მას, ასეთი მკაფიო, უემოციო ტონისთვის რომ მიეღწია. ფრანციისკო პერიოდულად რიერდენის მარჯვენა ხელს უყურებდა, თითქოს ჯერაც ხედავდა მის ხელში გასაღებს.

— ჰოდა, მიპასუხე. — მიმართა რიერდენმა.

— ჰენკ, ნებისმიერი კითხვა, რაც გიჩნდება, მე უნდა დამისვა. — ჩაერთო დაგნი.

რიერდენს თითქოს არც ესმოდა დაგნის ხმა და ვერც ხედავდა მას.

— მიპასუხე. — გაიმეორა მან.

— მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს, რისი მოთხოვნის უფლებაც გაქვს. — მიუგო ფრანციისკომ, — ასე რომ, გიპასუხებ, რომ ჩემი აქ ყოფნის მიზეზი ეს არ არის.

— ნებისმიერი ქალის სახლში შენი მისვლის მიზეზი მხოლოდ ერთია. — უთხრა რიერდენმა, — და მე ნებისმიერ ქალს ვგულისხმობ... როცა შენზეა ლაპარაკი... გგონია, ახლა მჯერა შენი გულახდილობის ან საერთოდ, შენი ერთი სიტყვის მაინც, რაც ჩემთვის გითქვამს?

— საბაბი, რომ ჩემი ნდობა არ გქონოდა, თავად მოგეცი, მაგრამ მის ტაგარტს ეს ნამდვილად არ ეხება.

— ნუ მეტყვი, რომ აქ არავითარი შანსი არ გაქვს, არ გქონია ან არასდროს გექნება. ვიცი ყველაფერი. მაგრამ აქ რომ გნახავდი პირველივე...

— ჰენკ, თუ გინდა, რომ მე დამადანაშაულო... — დაიწყო დაგნიმ, მაგრამ რიერდენმა მას შეაწყვეტინა.

— ღმერთო, დაგნი, არა! მაგრამ მასთან შეხვედრა არ უნდა დაგეშვა. მასთან არავითარი საქმე არ უნდა დაიჭირო. შენ, ჩემგან განსხვავებით, მას არ იცნობ. — შემდეგ რიერდენი ფრანცისკოს მიუტრიალდა, — აქ რისთვის მოხვედი? იმედი გაქვს, რომ მას შენს სასიყვარულო წარმატებათა ნუსხაში შეიყვან თუ...

— არა! — ეს უნებლიე ყვირილი იყო და ამაო, რადგან ფრანცისკომ იცოდა, რომ მიუხედავად მისი გულწრფელი ემოციისა, რიერდენი ამას — მის ამ ერთადერთ არგუმენტს მაინც არ მიიღებდა.

— არა? მაშინ ალბათ საქმეზე ხარ მოსული! მახე გინდა, დაუგო, როგორც მე დამიგე, ხომ ასეა? რა მზაკვრობას უმზადებ?

— ჩემი მიზანი... მე აქ... საქმიან შეხვედრაზე არ მოვსულვარ.

— აბა, რატომ მოხვედი?

— თუ კიდევ შეგიძლია, დამიჯერო, გეტყვი, რომ ჩემი მიზანი... არავითარ მოტყუებასა და ღალატთან არ იყო დაკავშირებული.

— გგონია, ჩემი თანდასწრებით ღალატზე ლაპარაკის უფლება კიდევ გაქვს?

— ერთ დღეს, ამ კითხვაზე გიპასუხებ. ახლა არ შემიძლია.

— არ მოგწონს, ამას რომ გახსენებენ, ასეა? იმ დღის მერე ჩემგან თავი შორს გეჭირა. არ მელოდი აქ, ხომ ასეა? არ გინდოდა, ჩემ პირისპირ აღმოჩენილიყავი, არა? — მაგრამ რიერდენმა იცოდა, რომ ფრანცისკო მის პირისპირ ახლა ისე იდგა, როგორც არავინ ამ ბოლო დროს; ხედავდა, რომ მისი თვალები მის შესახვედრად მზად იყვნენ. თავი ხელში აეყვანა და უემოციოდ, თავდაცვისა თუ წინააღმდეგობის გარეშე, მზად იყო, ყველაფერი ღირსეულად მოეთმინა. რიერდენმა მისი სახით სიმამაცე დაინახა — ღია, დაუცველი სიმამაცე; ეს იმ კაცის სახე იყო, რომელიც უყვარდა, რომელსაც ის სინდისის ქენჯნისგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ რიერდენმა საკუთარი თავი გამოიჭირა, რომ ახლა ამ ცოდნას უპირისპირდებოდა — ცოდნას, რომ ამ სახეს ის ჯერაც შეპყრობილი ჰყავდა, ყველაფერზე უფრო მეტად, იმ მოუთმენლობით სავსე ერთ თვეზე მეტადაც კი, დაგნის ნახვას რომ ნატრობდა.

— რატომ არ იცავ თავს, თუ დასამალი არაფერი გაქვს? — კვლავ შეეკითხა ფრანცისკოს, — აქ რატომ ხარ? რატომ შეგაძრწუნა ჩემმა დანახვამ?

— ჰენკ, გაჩერდი! — დაიყვირა დაგნიმ, მაგრამ მალევე დაიხია უკან, რადგან მიხვდა, რომ ამწუთას ნებისმიერი აგრესია ყველაზე სახიფათო რამ იყო.

ორივე კაცმა მას შეხედა.

— გთხოვ, ნება მომეცი, მე ვუპასუხო. — წყნარად უთხრა ფრანცისკომ.

— ხომ გითხარი, რომ იმედი მქონდა, მას ველარასდროს ვნახავდი?! — უთხრა რიერდენმა, — ვწუხვარ, თუ ეს ყველაფერი სწორედ აქ ხდება. შენთან ამას კავშირი არ აქვს, მაგრამ არის რაღაც, რაზეც პასუხი უნდა აგოს.

— თუ ეს... თუ ესაა შენი მიზანი, — დაიწყო ფრანცისკომ და ლაპარაკი დიდ ძალისხმევად უჯდებოდა, — ამას ხომ... ხომ უკვე მიაღწიე?

— რა ხდება? — რიერდენს სახე გაჰყინვოდა, ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებდა, თუმცა ხმაში დამცინავი ნოტები შეერია, — ასე ითხოვ მოწყალებას?

პაუზა, რომელიც ამ სიტყვებს მოჰყვა, ფრანცისკოს ძალების მოსაკრებად დასჭირდა.

— ჰო... თუ ასე გინდა. — იყო მისი პასუხი.

— მოწყალება გამოავლინე, ჩემი მომავალი როცა გეჭირა ხელში?

— უფლება გაქვს, ყველაფერი იფიქრო ჩემზე. მაგრამ რადგან ეს ყველაფერი მის ტაგარტს არ ეხება... ნებას დამრთავ, წავიდე?

— არა! გინდა, რომ პასუხისმგებლობას გაექცე, როგორც ყველა სხვა ლაჩარი?

გინდა, გაიქცე?

— მოვალ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, სადაც კი მეტყვი. მაგრამ მირჩევნია, ეს მის ტაგარტის თანდასწრებით არ მოხდეს.

— რატომაც არა? მე მინდა, რომ ისიც აქ იყოს, რადგან ეს ის ერთადერთი ადგილია, სადაც მოსვლის არავითარი უფლება შენ არ გქონდა. მე აღარაფერი დამრჩა, რასაც შენგან დავიცავ, შენ გაცილებით მეტი წაიღე, ვიდრე მძარცველები ამას ოდესმე მოახერხებენ, შენ გაანადგურე ყველაფერი, რასაც კი შეეხე, მაგრამ არის ერთი რამ, რასაც არ შეეხები.

რიერდენმა იცოდა, რომ ფრანცისკოს გამომეტყველებაში ემოციის სრული არარსებობა სწორედ ემოციებზე მიანიშნებდა და იმ არანორმალურ ძალისხმევას მოწმობდა, რომელიც მას თვითკონტროლისთვის სჭირდებოდა. რიერდენი ხვდებოდა, რომ ეს ნამდვილი წამება იყო, ხოლო თავად რაღაც ბრმა გრძნობის ძალით იმართებოდა, გრძნობისა, რომელიც მწამებლის სიამოვნებას ჰგავდა, ოღონდ ის არ იცოდა, თავად აწამებდა ფრანცისკოს, თუ ეს უკანასკნელი — მას.

— შენ მძარცველებზე უარესი ხარ, — გააგრძელა რიერდენმა, — იმიტომ, რომ შენ მთლიანად გაქვს გაცნობიერებული, რასაც ღალატობ. არ ვიცი, რა გახრწნილი მოტივი გამოძრავებს, მაგრამ მინდა, გაიგო, რომ არსებობს რაღაცები, რაც შენს კლანჭებს მიღმა რჩება, შენს მისწრაფებებსა თუ შენს დანაშაულებრივ განზრახვებს მიღმა.

— ახლა უკვე... ჩემი ნუღარ შეგეშინდება.

— მინდა, შეიგნო, რომ არ გაქვს უფლება, მასზე იფიქრო, მას შეხედო, მიუახლოვდე. სწორედ შენ ხარ ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იქ, სადაც ის არის. — რიერდენი ხვდებოდა, რომ ახლა ამ კაცისადმი სასოწარკვეთილ სიბრაზეს აეტანა, მისდამი გრძნობები ჯერაც ცოცხლობდნენ და სწორედ ეს გრძნობები უნდა დაემსხვრია და გაენადგურებინა, — რაც უნდა იყოს შენი მოტივი, დაგნი შენთან ნებისმიერი კონტაქტისგან უნდა იქნეს დაცული.

— რადგან მე პირობა მოგეცი... — ფრანცისკო უცებ გაჩერდა.

რიერდენმა დამცინავად ჩაიხითხითა.

— ვიცი, რასაც ნიშნავს შენი პირობები, შენი სიტყვები, შენი მეგობრობა და შენი ერთგულების ფიცი იმ ერთადერთი ქალის მიმართ, რომელიც... — რიერდენმა სიტყვა გაწყვიტა. სამივემ კარგად იცოდა, რისი თქმაც უნდოდა.

ფრანცისკოს მიუახლოვდა, ხელი დაგნისკენ გაიშვირა და დაბალი, მისთვის მეტად უჩვეულო ხმით — ხმით, რომელიც თითქოს არც ცოცხალ ადამიანს ეკუთვნოდა და არც ცოცხალი ადამიანის მისამართით იყო გაჟღერებული, — ფრანცისკოს შეეკითხა:

— ეს ის ქალია, ვინც გიყვარს?

ფრანცისკომ თვალები დახუჭა.

— ამას ნუ ეკითხები! — დაიყვირა დაგნიმ.

— ეს ის ქალია, ვინც გიყვარს?

— კი. — უპასუხა ფრანცისკომ და დაგნის შეხედა.

რიერდენმა ხელი ასწია, მოიქნია და ფრანცისკოს სახეში გაარტყა.

დაგნიმ დაიკივლა. ერთხანს გაბრუებული იყო — თავს ისე გრძნობდა, თითქოს სილა მას გაარტყესო, ხოლო შემდეგ, როცა გონს მოვიდა, პირველი, რაც დაინახა, ეს ფრანცისკოს ხელები იყო. დ'ანკონიების მემკვიდრე განზე გამდგარი, ხელით მაგიდის კიდეს ჩაჰბღაუჭებოდა, ოღონდ იმიტომ არა, რომ დასაყრდენი სჭირდებოდა, ასე უბრალოდ საკუთარ ხელებს აკავებდა. დაგნიმ დაინახა, რა ძალისხმევად უჯდებოდა ფრანცისკოს სხეულის ფლობა, სხეულისა, რომელიც ზედმეტად მყარად იდგა, მაგრამ მაინც გატეხილი ჩანდა, არაბუნებრივად მოხრილი წელითა და მხრებით, ძლიერი, თუმცა უხერხულად უკან გაწეული ხელებით. იდგა და ენერგია, რომელსაც გაუნძრევლად დგომას ახმარდა, თითქოს მთელ მის აგრესიას მისკენვე მიმართავდა; თითქოს მოძრაობის სურვილი, რომელსაც მთელი თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა, მის კუნთებში გამჭოლი ტკივილის სახით ჩაღვრილიყო.

დაგნი ხედავდა მის მოკაკულ თითებს, ხედავდა, როგორ კონვულსიურად ჩასჭიდებოდა ამ თითებით მაგიდას და ფიქრობდა, რომელი უფრო მალე გაიბზარებოდა — მაგიდის ხის ზედაპირი თუ ამ კაცის ძვლები. ხედავდა და ხვდებოდა, რომ რიერდენის სიცოცხლე ახლა ბეწვზე ეკიდა.

როცა დაგნიმ ფრანცისკოსთვის სახეზე შეხედვა შეძლო, შინაგანი ბრძოლის ვერავითარი ნიშანწყალი ვერ შეამჩნია, მხოლოდ საფეთქლებზე მჭიდროდ გადაკრული კანი და ჩაცვენილი ლოყები დაინახა. მისი სახე ახლა უფრო შიშველი, სუფთა და ახალგაზრდა იყო. დაგნი უცებ შიშმა აიტანა, რადგან ფრანცისკოს თვალებში ცრემლებს ხედავდა, ცრემლებს, რომლებიც არ ჩანდა. თვალები ბრჭყვიალა და მშრალი ჰქონდა. რიერდენს უყურებდა, მაგრამ მას ვერ ხედავდა. ისე უყურებდა, თითქოს მის წინ, ოთახში, უბრალოდ ვიღაც იყო, თვალებით კი ამბობდა: „თუ ამას ითხოვ ჩემგან, მაშინ იცოდე, რომ თვით ესეც კი შენია; შენია და შეგიძლია, მიიღო, ხოლო მე უნდა მოვითმინო, გავუძლო; ამაზე მეტს მე მაინც ვერაფერს შემოგთავაზებ, მაგრამ ნება მომეცი, ამაყი ვიყო, რომ ამხელა რამის შემოთავაზება შემიძლია“.

ყელზე ფრანცისკოს ერთი არტერია უფეთქავდა, ტუჩის კუთხეში კი მოვარდისფრო ქაფი უჩანდა. ეს საკმარისი იყო დაგნისთვის, რომ მასში ეიფორიული ერთგულება დაენახა — ლამის ღიმილი. დაგნი მიხვდა, რომ სწორედ ახლა, ის ფრანცისკო დ'ანკონიას უდიდესი გამარჯვების მომსწრე იყო.

როცა დაგნიმ იგრძნო, როგორ კანკალებდა და როცა საკუთარი ხმაც გაიგონა, ოთახი ჯერაც მისი კივილის ექოს მოეცვა; მიხვდა, რომ ძალიან მოკლე დრო გასულიყო. მის ხმაში ველური ნოტები რიერდენის მისამართით ჟღერდა:

— ...მისგან რომ დამიცვა? ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ, ვიდრე შენ...

— არ გინდა! — მოულოდნელად მიუტრიალდა მას ფრანცისკო. მისი მკვახე ტონი მთელ მის არარეალიზებულ აგრესიას იტევდა და დაგნიც მიხვდა, რომ ეს ბრძანება იყო, რასაც უნდა დამორჩილებოდა.

ფრანცისკო კვლავ არ იძვროდა, მხოლოდ თავი მიაბრუნა რიერდენისკენ. დაგნიმ დაინახა, როგორ მოაცილა მან ხელები მაგიდის კიდეს და მშვიდად ჩამოუშვა. ახლა უკვე ფრანცისკოს შეეძლო რიერდენის დანახვა; მის თვალებში არაფერი იკითხებოდა, მხოლოდ დაქანცულობა, რომელიც გადატანილ დაძაბულობას გამოეწვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, რიერდენმა უცებ იგრძნო, როგორ უყვარდა ის ამ კაცს.

— იქიდან გამომდინარე, რა ინფორმაციასაც ფლობ, — წყნარად მიმართა ფრანცისკომ რიერდენს, — მართალი ხარ.

პასუხს არც დალოდებია და არც ამის ნება მიუცია რიერდენისთვის, ისე დაიძრა კარისაკენ. დაგნის თავი დაუქნია. რიერდენისთვის ეს გამომშვიდობების ფორმალური ჟესტი იყო, დაგნისთვის — თანხმობისა. შემდეგ კი წავიდა.

რიერდენი ისევ იდგა, ისევ იმ მზერით, ფრანცისკოს რომ გააყოლა; ყოველგვარი კონტექსტის გარეშე, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერს გაიღებდა, ოღონდაც ის აქტი არ ჩაედინა, რაც ცოტა ხნის წინ ჩაიდინა.

შემდეგ დაგნის შეხედა. სახე გამოფიტული ჰქონდა, ღია და ოდნავ ყურადღებიანი, ისეთი, თითქოს დაგნის არაფერს ეკითხებოდა იმ სიტყვების შესახებ, რომლებიც ამ უკანასკნელმა არ დაასრულა, და, მიუხედავად ამისა, ელოდებოდა, რომ დაასრულებდა.

დაგნის სიბრალულისგან ააკანკალა, რამაც საბოლოოდ თავის ქნევის ფორმა მიიღო: არ იცოდა, უფრო რომელი კაცი ებრალებოდა, მაგრამ ამ გრძნობამ ხმა ვერ ამოაღებინა, მხოლოდ თავს აქნევდა სასოწარკვეთილად, თითქოს ცდილობს, რაღაც დიდი, განუსაზღვრელი და ბუნდოვანი ტანჯვა უარყოსო, რომელსაც ყველა მათგანი მსხვერპლად ექცია.

— თუ რამე არის სათქმელი, ჯობს, თქვა. — უემოციოდ მიმართა რიერდენმა.

ხმა, რომელიც დაგნისგან გაისმა, ნახევრად სიცილი იყო, ნახევრად — კვნესა, ეს შურისძიების სურვილი არ ყოფილა, არამედ უფრო სამართლიანობის უიმედო განცდა, რომელიც მის ატირებულ ხმას სიმწარით ავსებდა, და თითოეულ სიტყვას შეგნებულად ესროდა რიერდენს:

— გაინტერესებდა, არა, სხვა კაცის სახელი? გაინტერესებდა, არა, ვისთან ვიწექი? ვინ იყო ჩემი პირველი კაცი? ეს ფრანცისკო დ'ანკონია იყო.

რიერდენის უეცარმა გაფითრებამ დაგნი მიახვედრა, რამხელა დარტყმა მიაყენა მას, მაგრამ იცოდა, რომ თუ სამართლიანობა იყო მისი მიზანი, მაშინ ამ სამართლიანობას მიაღწია, რადგან მისი სილა გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე სილა, რომელიც რიერდენმა ფრანცისკოს გააწნა.

დაგნის უეცრად სიმშვიდე დაეუფლა. იცოდა, რომ უნდა ეთქვა ყველაფერი, რაც თქვა — სამივე მათგანის გულისათვის. უიმედო მსხვერპლის სასოწარკვეთილმა შეგრძნებამ გაუარა, ახლა უკვე მსხვერპლი კი აღარ იყო, არამედ შეჯიბრის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც მოქმედების პასუხისმგებლობას ოდნავადაც არ გაურბოდა.

იდგა და რიერდენს უყურებდა, აინტერესებდა, რა პასუხის გაცემას გადაწყვეტდა ეს უკანასკნელი, და ლამის მზად იყო საპასუხო დარტყმის მისაღებად.

ვერ ხვდებოდა, რამხელა ტკივილს განიცდიდა ახლა ეს კაცი ან რა ინგრეოდა მასში; ამას მხოლოდ რიერდენი ხედავდა და ყოველმხრივ ცდილობდა, ეს ტკივილი თავისთვის შეენახა. დაგნი მასში ტკივილის ვერავითარ ნიშანწყალს ვერ ამჩნევდა, რომ რაიმე რეაქციისთვის მომზადებულიყო. რიერდენი ოთახის შუაგულში გაუნძრევლად იდგა და ცნობიერებას თითქოს იმ ფაქტის გათავისებისკენ უხმობდა, რომლის გათავისებაც არ შეეძლო. პოზას არ იცვლიდა, ხელებიც კი ისევ ისე ჰქონდა ჩამოშვებული, თითები — ნახევრად მოკაკული; დაგნი თითქოს გრძნობდა კიდეც, როგორ გაეშეშებინა სისხლს მისი თითები და სწორედ ეს იყო დაგნისთვის ერთადერთი ნიშანი, რაც მის განსაცდელზე მეტყველებდა; იმასაც ხვდებოდა, რიერდენის ტკივილი იმხელა იყო, რომ ყველა სხვა განცდის უნარი წაერთმია, საკუთარი სხეულის შეგრძნებაც კი. დაგნი იცდიდა. იცდიდა და სიბრალული ნელ-ნელა პატივისცემაში ეზრდებოდა.

შემდეგ დაინახა, როგორ ნელა გადაიტანა რიერდენმა მზერა მისი სახიდან მისი სხეულისაკენ, და მიხვდა, რა ტიპის ტკივილს უმკლავდებოდა ის ახლა. ეს იმდენად ბუნებრივი, ლამის ცხოველური მზერა იყო, რომ ვერ დამალავდა დაგნისგან. დაგნიმ იცოდა, რომ ახლა მას ჩვიდმეტი წლის გოგოდ ხედავდა, ხედავდა თავის საძულველ მეტოქესთან ერთად, ხედავდა, როგორ იყვნენ ის და ფრანცისკო ერთად, ხედავდა და ამ სურათს ვერც უძლებდა და ვერც ეწინააღმდეგებოდა. დაგნიმ შეამჩნია, როგორ კარგავდა რიერდენი თვითკონტროლს, მაგრამ აღარ დარდობდა — სულერთი — იყო, დაინახავდა თუ არა დაგნი მის შიშველ, განიარაღებულ სახეს, რადგან ამ სახეში ახლა არაფერი იკითხებოდა, სიძულვილში შერეული ფარული აგრესიის გარდა.

მან დაგნის მხრებში ჩაავლო ხელი, დაგნიმ კი იგრძნო, რომ მზად იყო მისი აგრესიის მისაღებად; მას შეეძლო, ის მოეკლა ან გონების დაკარგვამდე ეცემა, და როცა დარწმუნდა, რომ რიერდენმაც იფიქრა ამაზე, იგრძნო, როგორ მიიკრო ამ უკანასკნელმა სხეულზე და როგორი გააფთრებით შეეხო მისი ტუჩები მის ტუჩებს — ეს ალბათ კიდევ უფრო სასტიკი აქტი იყო, ვიდრე ცემა.

დაგნი, თავზარდაცემული, სხეულის კლაკნით წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა და ამავე დროს, აღტაცებული, ძლიერად ხვევდა მკლავებს, გულში იკრავდა, დასისხლიანებული ტუჩებით კოცნიდა და დანამდვილებით იცოდა, რომ ეს კაცი ასე არასდროს ნდომებია, როგორც ახლა.

როცა რიერდენმა ის ტახტზე დააწვინა, დაგნი მისი სხეულის ფეთქვის მიხედვით მიხვდა, რომ რიერდენისთვის ეს ერთდროულად გამარჯვების აქტიც იყო მის მეტოქეზე და დანებებისაც, საკუთრებაზე უფლებების გაცხადების აქტი; აქტი, რომელიც აუტანელ აგრესიულობამდე იყო დასული იმ კაცზე ფიქრით, ვისაც ეს აქტი გამოწვევებს უწყობდა; ეს იყო სიძულვილის სიამოვნებად გარდაქმნის აქტი — იმ სიამოვნებად, რომელიც ოდესღაც იმ კაცს განეცადა; ეს იყო ამ კაცის დაპყრობის აქტი — დაგნის სხეულის საშუალებით. ეს უკანასკნელი რიერდენის გონებაში ფრანცისკოს გრძნობდა, იმდენად, რომ ეგონა, ახლა ორივე კაცს ნებდებოდა; ნებდებოდა იმას, რასაც ორივე კაცში აღმერთებდა, რაც ორივე მათგანს საერთო ჰქონდა, ხასიათის ის მთავარი შტრიხი, რასაც დაგნის სიყვარული ორივესადმი ერთგულების აქტად ექცია. დაგნი იმასაც ხვდებოდა, რომ ეს რიერდენის მხრიდან ამბოხიც იყო — ამბოხი მათ ირგვლივ შექმნილი რეალობის წინააღმდეგ, დეგრადაციის გაღმერთების წინააღმდეგ, ამ სამყაროს წინააღმდეგ, თავისი დაკარგული დღეებისა და შავბნელი შინაგანი ბრძოლის თანმხლები ხანგრძლივი ტანჯვის წინააღმდეგ ეს იყო ის, რისი დამტკიცებაც უნდოდა, და ახლა, ქალაქის ნანგრევების თავზე, ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეში, დაგნისთან განმარტოებული, თავისი უკანასკნელი საკუთრების დაცვას ცდილობდა.

შემდეგ გაუნძრევლად იწვნენ, რიერდენს თავი მის მხარზე ედო. შორეული ნეონის ბანერის ანარეკლი დაგნის თავზე, ჭერში მკრთალად ციმციმებდა.

რიერდენი დაგნის ხელს მისწვდა, მისი თითები სახესთან მიიტანა, შემდეგ კი რაღაც ხანი მისი ხელისგული პირზე დაიდო, ისე ნაზად, რომ ქალი ამას უფრო მიხვდა, ვიდრე რეალური შეხება იგრძნო.

ცოტა ხანში დაგნი ადგა, სიგარეტს მოუკიდა და რიერდენს გაუწოდა ხელის ოდნავი, შეკითხვის შემცველი მოქმედებით. ტახტზე სანახევროდ მიწოლილმა რიერდენმა თავი დაუქნია. დაგნიმ სიგარეტი მის ბაგეებს შორის მოათავსა და თავისთვის ახალს მოუკიდა. იგრძნო, რომ მათ შორის უზარმაზარი სიმშვიდე გაჩენილიყო, ხოლო უმნიშვნელო ჟესტების ინტიმურობა იმ მნიშვნელოვან რაღაცებს

უსვამდა ხაზს, რასაც ერთმანეთს არ ეუბნებოდნენ. ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო, — ფიქრობდა დაგნი, მაგრამ ამ ყველაფრის აღიარება ჯერ წინ ჰქონდათ.

ამჩნევდა, რომ პერიოდულად რიერდენი მზერას შემოსასვლელი კარისკენ აპყრობდა და კარგა ხანს აჩერებდა კიდეც, თითქოს ჯერაც ხედავდა ამ კარიდან გასულ კაცს.

— სიმართლის თქმით ჩემი დამარცხება ნებისმიერ მომენტში შეეძლო. რატომ არ ქნა? — წყნარად თქვა რიერდენმა.

დაგნიმ მხრები აიჩეჩა და უიმედოდ და სევდიანად გაშალა ხელები. ორივემ იცოდა პასუხი.

— შენთვის ის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ასეა? — შეეკითხა რიერდენს.

— ახლაც არის.

ორი აალებული წერტილი მათი სიგარეტების წვერებზე ახლა მათ თითებთან ჩამოსულიყო, შიგადაშიგ უფრო მკვეთრად ალდებოდა, ჩაფერფლების ჩუმი პროცესი კი ერთადერთი მოძრაობა იყო, რაც სიჩუმეს არღვევდა, რომ მოულოდნელად კარზე ზარის ხმა გაისმა. მათ იცოდნენ, რომ ეს ის კაცი არ იქნებოდა, ვის მოსვლასაც ნატრობდნენ და ვისი დაბრუნების იმედიც არ ჰქონდათ. დაგნის უნებლიეთ სიბრაზისგან სახე მოეღუშა და კარის გასაღებად გავიდა. მას გარკვეული დრო დასჭირდა იმის გასახსენებლად, რომ უწყინრად თავაზიანი ფიგურა, რომელიც კარის ზღურბლზე იდგა და მას ფორმალური ღიმილით თავს უკრავდა, მისი სახლის მენეჯერის თანაშემწე იყო.

— საღამო მშვიდობისა, მის ტაგარტ. ძალიან გაგვიხარდა, რომ ჩამოხვედით. ახლა მოვედი ცვლაზე და თქვენი დაბრუნების შესახებ შევიტყვე. მინდოდა, პირადად მოგსალმებოდით.

— გმადლობთ. — დაგნი კართან იდგა, არ იძვროდა, ეს ადამიანი რომ არ შემოეშვა შიგნით.

— თქვენთვის წერილი მაქვს. სადღაც ერთი კვირის წინ მოვიდა, მის ტაგარტ. — მან ხელი ჯიბისკენ წაიღო, — ისე გამოიყურება, ვიფიქრე, რაღაც მნიშვნელოვანია-მეთქი, მაგრამ რადგანაც ზედ „პირადი“ აწერია, აშკარად სამსახურში გამოსაგზავნს არ ჰგავდა, თან არც თქვენი მისამართი იცოდნენ, ასე რომ, რადგან არ ვიცოდით, სად გამოგვეგზავნა, ჩვენს სეიფში შევინახე და ვიფიქრე, პირადად გადმოგცემდით.

კონვერტზე, რომელიც დაგნის გაუწოდეს, ეწერა: „რეგისტრირებული — საჰაერო ფოსტა — საგანგებო — პირადი“. გამომგზავნელის მისამართი კი შემდეგი იყო: „ქუენტინ დენიელსი. იუტას ტექნოლოგიის ინსტიტუტი, ეფტონი, იუტა“.

— აჰ... დიდი მადლობა.

მენეჯერის თანაშემწემ შენიშნა, რომ დაგნის ხმა ჩურჩულად იქცა, რომ მისი სიტყვები შოკის თავაზიანი შენიღბვა იყო და რომ გამომგზავნის სახელს საჭიროზე მეტ ხანს უყურებდა. ასე რომ, ერთხელ კიდევ გაიმეორა, როგორი გახარებული იყო მისი კვლავ ხილვით და წავიდა.

დაგნი რიერდენისკენ დაიძრა და თან კონვერტს ხევდა. წერილის წასაკითხად შუა ოთახში გაჩერდა. წერილი თხელ ფურცელზე იყო ნაბეჭდი. გამჭვირვალე ფურცლებზე რიერდენი აბზაცების შავ კვადრატებს არჩევდა და ამჩნევდა ქალის სახესაც, რომელიც უკვე წერილს კითხულობდა.

დაგნის რეაქცია იწინასწარმეტყველა. როცა ამ უკანასკნელმა კითხვა დაასრულა, ტელეფონთან მივარდა; რიერდენმა გაიგო, როგორი გაშმაგებით დაიწყო მან ნომრის აკრეფა და გაიგო მისი ათრთოლებული ხმაც, როცა ნერვიულად ამბობდა:

„საქალაქთაშორისო, თუ შეიძლება...“

— რა ხდება? — მიუახლოვდა მას რიერდენი.

დაგნიმ წერილი გაუწოდა ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავს, მზერა ტელეფონზე ჰქონდა მიჯაჭვული, გეგონება, აპარატზე ძალას ხმარობს, რომ პასუხი დააჩქაროსო.

წერილში შემდეგი ეწერა:

„ძვირფასო მის ტაგარტ, სამი კვირა ფიქრსა და საკუთარ თავთან ცხარე კამათში გავატარე. არ მინდოდა ამის გაკეთება. ვიცი, რამხელა დარტყმას მოგაყენებთ და ყველა თქვენი არგუმენტიც ვიცი, რადგან თავადაც ამ არგუმენტებს ვიყენებდი საკუთარი თავის წინააღმდეგ. მაგრამ გწერთ, რომ გითხრათ — მივდივარ.

დირექტივა 10-289-ის პირობებში მუშაობა არ შემიძლია, თუმცა არა იმის გამო, რაც მათ განუზრახავთ. ვიცი, რომ მათი მხრიდან ყოველგვარი სამეცნიერო კვლევის განადგურება არც თქვენთვის ნიშნავს რამეს და არც ჩემთვის და რომ თქვენ მაინც გექნებათ სურვილი, გავაგრძელო მუშაობა. მაგრამ უნდა წავიდე, რადგან აღარ მაქვს წარმატების მიღწევის სურვილი.

არავითარი სურვილი არ მაქვს, ვიმუშაო სამყაროში, რომელიც მონად მიმიჩნევს. არავითარი სურვილი არ მაქვს, ხალხისთვის რაიმე ღირებული შევქმნა. თუ ძრავის გარდაქმნა შევძელი, არ მოგცემთ ნებას, ის მათთვის გამოიყენოთ. სინდისი არ მაპატიებს, რომ ჩემი ტვინით შექმნილი ნებისმიერი რამ მათი კომფორტისთვის იქნეს გამოყენებული.

ვიცი, რომ თუ ყველაფერს წარმატებით დავასრულებთ, მათ ერთი სული ექნებათ, ძრავა ჩამოგვართვან და მიითვისონ. ასეთი მომავლის გამო კი ჩვენ — მე და თქვენ — კრიმინალების პოზიციის მიღება მოგვიწევს და მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრება, რომ ნებისმიერ მომენტში, როცა მოეპრიანებათ, დაგვაპატიმრებენ. აი, ამას მე ვერ მივიღებ, სხვა ყველაფერი რომც მივიღო. ვერ დავუშვებ, რომ მათთვის ფასდაუდებელი სარგებლის მოტანის გამო იმ ადამიანებისთვის უნდა ვეწამოთ, რომლებიც, ჩვენ რომ არა, ასეთი რამის შექმნას ვერც კი წარმოიდგენდნენ. სხვა ყველაფერი შეიძლება, მეპატიებინა, მაგრამ აი, ამაზე რომ ვფიქრობ, ჩემს თავს ვეუბნები: ჯანდაბაშიც წასულან, დაე, ვნახო, როგორ კვდება შიმშილით ყველა, ჩემი ჩათვლით, ვიდრე ვაპატიო მათ ეს ან დავუშვა საერთოდ!

ბოლომდე რომ გულწრფელი ვიყო, გეტყვით — საქმის წარმატებით დასრულება ახლაც ძველებურად მინდა, მინდა, ამოვხსნა ძრავის საიდუმლო. ასე რომ, მუშაობას მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი სიამოვნებისთვის გავაგრძელებ; გავაგრძელებ იქამდე, სადამდეც შემეძლება. მაგრამ თუ ამოვხსენი, ეს ჩემს პირად საიდუმლოდ დარჩება. კომერციული მიზნებისთვის არამც და არამც არ გამოვიყენებ. აქედან გამომდინარე, თქვენს ფულს ვეღარ მივიღებ.

თანაც ხომ ამბობენ, ბიზნესი საზიზღრობააო?! ჰოდა, ალბათ, ჩემს გადაწყვეტილებას მხურვალედ მიესალმებიან. მე კი... მე დავიღალე იმ ხალხის დახმარებით, ვისაც ვეზიზღები.

არ ვიცი, სადამდე გავიტან თავს ან რას გავაკეთებ მომავალში.

ამ ეტაპზე, ინსტიტუტში ჩემს ადგილას დარჩენას ვგეგმავ. მაგრამ თუ ადმინისტრაციიდან ან სამეურვეო საბჭოდან ვინმე შემახსენებს, რომ ამიერიდან კანონი მიკრძალავს, ვიყო დარაჯი, მაშინ სამსახურიდან წავალ.

თქვენ მე უდიდესი შანსი მომეცით და თუ მე ახლა ტკივილს გაყენებთ, ალბათ, პატიებაც უნდა გთხოვოთ. ჩემი აზრით, თქვენ ისევე გიყვართ თქვენი საქმე, როგორც

მე ჩემი მიყვარდა და ამდენად, მიხვდებით, რომ ეს გადაწყვეტილება ადვილი მისაღები არ ყოფილა, მაგრამ უნდა მიმეღო.

უცნაური შეგრძნებაა... ამ წერილის წერა. სიკვდილს არ ვაპირებ, მაგრამ სამყაროს თავს ვანებებ და წერილი თვითმკვლელობის წერილს წააგავს. ჰო, და მინდა გითხრათ, რომ ყველა იმ ადამიანს შორის, ვისაც კი ვიცნობ, თქვენ ერთადერთი ხართ, ვისთან განშორებაც გულს მწყვეტს.

გულწრფელად თქვენი, ქუენტინ დენიელსი.“

როცა რიერდენმა წერილი წაიკითხა და თავი ასწია, დაგნის ხმა გაიგონა (ისევე, როგორც კითხვის დროს, ნაბეჭდ სიტყვებს შორის, ესმოდა), რომელიც ყოველ ჯერზე სულ უფრო სასოწარკვეთით ჟღერდა:

— დარეკეთ, ოპერატორო!.. გთხოვთ, არ შეწყვიტოთ რეკვა!

— რის თქმას აპირებ? — ჰკითხა რიერდენმა, — არგუმენტები არა გაქვს.

— მასთან ლაპარაკის შანსი აღარ მექნება! უკვე წასულია! ეს ერთი კვირის წინ მომწერა. დარწმუნებული ვარ, წავიდა. ჩაიგდეს ხელში.

— ვინ ჩაიგდო?

— დიახ, ოპერატორო, ხაზზე ვიქნები, გააგრძელეთ რეკვა!

— რას ეტყვი, თუ გიპასუხებს?

— შევევედრები, რომ ფული ისევ გამომართვას, ყოველგვარი ვალდებულებების და პირობების გარეშე, უბრალოდ, მას უნდა ჰქონდეს საქმის გაგრძელების საშუალება! შევპირდები, რომ თუ წარმატებით დაამთავრებს მუშაობას და ჩვენ კვლავაც მძარცველების სამყაროში ვიცხოვრებთ, არც ძრავას ვთხოვ და არც მის საიდუმლოს. მაგრამ თუ იმ დროისთვის თავისუფლები ვიქნებით... — დაგნი გაჩერდა.

— თავისუფლები თუ ვიქნებით...

— ერთადერთი, რაც ახლა მისგან მინდა, ის არის, რომ არ შეეშვას საქმეს და არ გაქრეს, როგორც... როგორც ყველა სხვა. არ მინდა, ხელში რომ ჩაიგდონ. თუ უკვე ძალიან გვიანი არაა... ღმერთო, არ მინდა, ხელში რომ ჩაიგდონ! ...დიახ, ოპერატორო, გააგრძელეთ რეკვა!

— და ჩვენ კარგს რას მოგვიტანს, მუშაობა თუ გააგრძელა?

— მხოლოდ ეს მინდა, შევევედრო. რომ უბრალოდ გააგრძელოს მუშაობა. შეიძლება, არც არასდროს მოგვეცეს ძრავის გამოყენების საშუალება. მაგრამ მინდა, ვიცოდე, რომ სადღაც, ამ სამყაროში კიდევ არსებობს დიდი გონება, რომელიც დიდ საქმეზე მუშაობს... და რომ ჯერაც გვაქვს მომავლის შანსი... თუ ამ ძრავას კვლავ მივატოვებთ, მაშინ მომავალში, სტრანსვილის გარდა, არაფერი შეგვრჩება.

— ჰო, ვიცი.

დაგნის ყურმილი ყურთან ჰქონდა მიბჯენილი და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ხელი როგორმე არ აჰკანკალებოდა. იცდიდა, რიერდენს კი სიჩუმეში უპასუხო ზარების ამაო წკარუნი ესმოდა.

— წავიდა. — თქვა დაგნიმ, — ჩაიგდეს ხელში. ერთი კვირა არც კი სჭირდებათ არ ვიცი, როგორ ხვდებიან, როდის უნდა იმოქმედონ, მაგრამ ეს, — მან წერილისკენ გაიშვირა ხელი, — უტყუარი ნიშანი იყო და ხელიდან არ გაუშვებდნენ.

— ვისზე ლაპარაკობ?

— გამანადგურებლის ჯაშუშებზე.

— უკვე გგონია, რომ მართლა არსებობენ?

— კი.

— სერიოზულად ამბობ?

— კი. ერთს უკვე შევხვდი.

— ვის?

— მერე გეტყვი. არ ვიცი, ვინაა მათი ლიდერი, მაგრამ გავიგებ ამ დღეებში. აუცილებლად გავიგებ. ჯანდაბაშიც წავსულვარ, თუ ნება მივცე, რომ...

სუნთქვაშეკრულმა, უეცრად სიტყვა შეწყვიტა. რიერდენმა მის გამომეტყველებაში ცვლილება ჯერ კიდევ მანამ შეამჩნია, სანამ შორეულ სატელეფონო ხაზზე წკარუნი და შემდეგ კაცის ხმა გაიგონა:

— გისმენთ?!

— დენიელს, თქვენ ხართ? ცოცხალი ხართ? არ წასულხართ?

— დიახ, დიახ. თქვენ ხართ, მის ტაგარტ? ხომ მშვიდობაა?

— მე... მე მეგონა, წახვედით.

— ვწუხვარ, მხოლოდ ახლა გავიგე ტელეფონის ხმა, ეზოში ვიყავი, სტაფილოს ვკრეფდი.

— სტაფილოს? — შვებამოგვრილმა დაგნიმ ისტერიკულად გადაიხარხარა.

— ჩემი პატარა ბოსტანი მაქვს ინსტიტუტის ყოფილ მანქანების სადგომზე. ნიუიორკიდან რეკავთ, მის ტაგარტ?

— ჰო, ამწუთას მივიღე თქვენი წერილი. ამწუთას... წასული ვიყავი.

— აჰ... — ამას პაუზა მოჰყვა, შემდეგ დენიელსმა მშვიდად დასძინა, — სათქმელი მეტი მართლა არაფერი მაქვს, მის ტაგარტ.

— მითხარით, ნასვლას აპირებთ?

— არა.

— არ გეგმავთ?

— არა. სად?

— ინსტიტუტში აპირებთ დარჩენას?

— ჰო.

— რამდენი ხნით? განუსაზღვრელი ვადით?

— ჰო... ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ.

— ვინმე იყო მოსული თქვენთან?

— რასთან დაკავშირებით?

— წასვლასთან.

— არა. ვინ უნდა ყოფილიყო?

— მისმინეთ, დენიელს, თქვენი წერილის განხილვა ტელეფონში არ მინდა, მაგრამ უნდა დაგელაპარაკოთ. ჩამოვალ და გნახავთ. რაც შეიძლება მალე ჩამოვალ.

— არ მინდა, ეს რომ გააკეთოთ, მის ტაგარტ. არ მინდა, ამხელა ძალისხმევა ჩადოთ იმაში, რასაც აზრი არა აქვს.

— შანსს არ მომცემთ? არაა საჭირო, რომ აზრის შეცვლას ან რაიმე პასუხისმგებლობის აღებას შემპირდეთ, არაფერია საჭირო, მხოლოდ უნდა მომისმინოთ. მე თუ ჩამოსვლა მინდა, ეს ჩემი პირადი რისკია და მივდივარ ამ რისკზე. არის რაღაცები, რისი თქმაც მინდა თქვენთვის, მხოლოდ შანსს ვითხოვ თქვენგან.

— ხომ იცით, რომ შანსს ყოველთვის მოგცემთ, მის ტაგარტ.

— ახლავე მოვდივარ იუტაში. ამაღამ. მაგრამ ერთი რაღაცაა, რაც მინდა, რომ შემპირდეთ. მაძლევთ პირობას, რომ დამელოდებით? დამპირდებით, რომ როცა ჩამოვალ, მანდ დამხვდებით?

— კი... რა თქმა უნდა, მის ტაგარტ. თუ არ მოვკვდი ან რაიმე არ მოხდა ჩემს კონტროლს მიღმა... მაგრამ ასეთს არაფერს ველოდები.

— თუ არ მოკვდებით, რაც უნდა მოხდეს, დამელოდებით, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა.

— მაძლევთ პირობას, რომ დამელოდებით?

— დიახ, მის ტაგარტ.

— გმადლობთ, ღამე მშვიდობის.

— ღამე მშვიდობის, მის ტაგარტ.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა, შემდეგ ისევე ნერვიულად აიღო და სწრაფად აკრიფა ნომერი.

— ედი? ...უთხარი, „კომეტა“ უჩემოდ არ წავიდეს... ჰო, ამ ღამის „კომეტა“. უბრძანე, რომ ჩემი ვაგონი მიაბან, მერე მოდი აქ, ჩემთან, დაუყოვნებლივ. — დაგნიმ საათს დახედა, — ცხრის თორმეტი წუთია, ერთი საათი მაქვს. დიდხანს არ მინდა, შევაყოვნო. მოდი და სანამ ჩავალაგებ, დაგელაპარაკები.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა და რიერდენს მიუტრიალდა.

— ამაღამ? — ჰკითხა ამ უკანასკნელმა.

— ჰო, სხვა გზა არ მაქვს.

— მესმის. კოლორადოში წასვლა არ მოგიწევს?

— კი. ხვალ ღამით ვაპირებდი, მაგრამ ვფიქრობ, ედი გაართმევს ჩემს საქმეებს თავს, მე კი ჯობს, ახლავე დავიძრა. სამი დღეა საჭირო... — დაგნის უცებ გაახსენდა, — არა, ახლა იუტამდე ხუთი დღე დამჭირდება. მატარებლით უნდა წავიდე, ხაზზე ხალხი მყავს სანახავი, ამ საქმესაც ვერ გადავდებ.

— რამდენ ხანს დარჩები კოლორადოში?

— ძნელი სათქმელია.

— რომ ჩახვალ, დეპეშა გამომიგზავნე, კარგი? თუ მიხვდები, რომ დიდხანს დარჩები, შემოგიერთდებოდი.

ეს ერთადერთი გამოხატულება იყო იმ სიტყვებისა, რაც რიერდენს ასე სასოწარკვეთილად უნდოდა, დაგნისთვის ეთქვა, ელოდებოდა ამას, მივიდა მასთან და ახლა კიდევ უფრო მეტი რამის თქმა უნდოდა, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ხვდებოდა, რომ ამაღამ ეს სიტყვები არ უნდა თქმულიყო.

რიერდენის ხმაში მსუბუქად შეპარულმა დაძაბულობამ დაგნი მიახვედრა, რომ ახლაც მწვავედ განიცდიდა მის აღიარებას, ეს რიერდენის კაპიტულაცია იყო, მისი პატიება.

— ქარხნების დატოვებას შეძლებ? — ჰკითხა დაგნიმ.

— საქმეების მოსაგვარებლად რამდენიმე დღე დამჭირდება, მაგრამ შევძლებ, — ჰენკ, ერთ კვირაში კოლორადოში ვერ შემხვდები? თუ გადაფრინდები, ორივენი ერთსა და იმავე დროს ჩავალთ. და მერე ერთადაც დავბრუნდებით. — რიერდენი მიხვდა, რომ დაგნის სიტყვები მისი მიღება, აღიარება და პატიება იყო.

— კარგი... უსაყვარლესო.

* * *

დაგნი საძინებელ ოთახში ტანსაცმელს აგროვებდა, ჩქარ-ჩქარა ალაგებდა ჩემოდანს და თან ინსტრუქციებს იძლეოდა. რიერდენი წასულიყო. ედი უილერსი დაგნის ტუალეტის მაგიდასთან იჯდა და ჩანაწერებს აკეთებდა. ჩვეული, ძველებური რიტმით მუშაობდა, ისე, როგორც საქმის მცოდნეს შეეფერება, რომელსაც კითხვების დასმა არ სჭირდება; თითქოს ვერც ამჩნევდა სუნამოების ბოთლებსა და პარფიუმერიას; თითქოს ტუალეტის მაგიდა მისი სამუშაო მაგიდა იყო, საძინებელი კი კაბინეტი.

— ჩიკაგოდან, ომაჰიდან, ფლეგსტაფიდან და ეფტონიდან დაგირეკავ. — უთხრა დაგნიმ ედის და ჩემოდანში საცვლები ჩაყარა, — თუ მანამდე დაგჭირდები, ხაზის ნებისმიერ ოპერატორს დაურეკე და უთხარი, მატარებელი გააჩერონ.

— „კომეტა“? — წყნარად ჰკითხა ედიმ.

— ჰო, ჰო! „კომეტა“!

— კარგი.

— თუ საჭირო იქნება, აუცილებლად დამირეკე, გესმის?

— მესმის, მაგრამ არა მგონია, საჭირო გახდეს.

— რამეს მოვახერხებთ. საქალაქთაშორისო ტელეფონით ვიმუშავებთ, როგორც მაშინ, როცა... — დაგნიმ არ დაამთავრა.

— როცა „ჯონ გოლტის ხაზს“ ვაშენებდით? — მშვიდად შეეკითხა ედი. მათ ერთმანეთს გადახედეს, თუმცა ხმა არ ამოუღიათ.

— სამშენებლო რაზმებთან დაკავშირებით ახალი ამბები გაქვს?

— მუშაობა დაწყებულია. წახვედი თუ არა, მითხრეს, ლორელში, კანზასში და ჯასპერში, ოკლაჰომაში სატრაქტორო სამუშაოები უკვე დაიწყესო. რელსები უკვე მოაქვთ სილვერ სპრინგსიდან. ყველაფერი რიგზეა. ყველაზე რთული მოსაძებნი...

— ხალხი აღმოჩნდა, ხომ?

— ჰო. ისინი, ვინც ამ ყველაფერს უხელმძღვანელებდნენ. დასავლეთში პრობლემები გვქონდა, განსაკუთრებით ელჯინიდან მიდლენდამდე მონაკვეთზე. ყველა, ვისი იმედიც გვქონდა, წასული დაგვხვდა. ვერავინ ვნახე, ვისაც საქმეს ჩავაბარებდი, ვერც ჩვენს ხაზზე და ვერც ვერსად. დენ კონვეისთან დაკავშირებაც კი ვცადე, მაგრამ... — დენ კონვეი? — სიტყვა გააწყვეტინა დაგნიმ.

— ჰო. ვცადე მართლა. არ გახსოვს, დღეში ხუთი მილის რელსებს აგებდა? თანაც ზუსტად იმ მხარეში. არა, კი ვიცი, რომ აქვს რაღაც მიზეზები, მთელი გულით ვძულდეთ, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ჰოდა, ვიპოვე. არიზონაში, რანჩოზე ცხოვრობს. მე თვითონ დავურეკე და შევეხვეწე, გადაგვარჩინე-მეთქი.

უბრალოდ, ერთი ღამით უხელმძღვანელე ხუთ-ნახევარი მილის გზის გაყვანას-მეთქი. დაგნი, სულ რაღაც ხუთ-ნახევარ მილზეა ლაპარაკი! ის კი რკინიგზის საუკეთესო ცოცხალი მშენებელია! ვუთხარი, თუ გინდათ, ჩათვალეთ, რომ ეს თქვენი მხრიდან საქველმოქმედო ჟესტი იქნება-მეთქი. მგონი, გამიგო. გაბრაზებული არ ყოფილა. სევდიანი ჩანდა. მაგრამ არ დამთანხმდა. მითხრა, ადამიანების საფლავებიდან ამოთხრა უაზრობააო... წარმატება მისურვა. მგონი, გულწრფელი იყო... იცი, არა მგონია, ის ერთ-ერთი მათგანი იყოს, გამანადგურებლის ხელში ვინც ჩავარდა.

მგონი, თავისით მოტყდა.

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ.

ედიმ დაგნის გამომეტყველება შეამჩნია და ჩქარ-ჩქარა დაუბრუნდა საქმეს.

— ჰო, როგორც იქნა, ელჯინისთვის ვიშოვეთ კაცი. — ედი თავდაჯერებული ტონის შენარჩუნებას ცდილობდა, — არ ინერვიულო, სანამ ჩახვალ, რკინიგზა უკვე კარგა ხნის დაგებული იქნება.

დაგნიმ მას შეხედა, მზერით ღიმილის გამოხატვას ცდილობდა და, ფიქრობდა, რამდენჯერ ეთქვა თავად ეს სიტყვები ედისთვის, თანაც ზუსტად ისეთი სასოწარკვეთილი სიმამაცით, როგორითაც ახლა ედი ეუბნებოდა მას: „არ ინერვიულო“.

ედიმ დაგნის მზერა დაიჭირა და მიუხვდა, ხოლო მის საპასუხო ღიმილში ოდნავი სირცხვილი და პატიების თხოვნა იგრძნობოდა.

თავის თავზე გაბრაზებული, ჩანაწერების რვეულს მიუბრუნდა. იგრძნო, რომ საკუთარი გაუცხადებელი აღთქმა დაარღვია. ეს აღთქმა კი შემდეგში მდგომარეობდა:

უარესად ნუ ურთულებ საქმეს. ფიქრობდა, რომ დენ კონვეის შესახებ დაგნისთვის არ უნდა ეთქვა; ისეთი არაფერი უნდა ეთქვა, რის გამოც ორივე უიმედობას იგრძნობდა; ვერ ხვდებოდა, რა დაემართა; მისი აზრით, უდისციპლინობა — მხოლოდ იმიტომ, რომ კაბინეტის ნაცვლად ახლა საძინებელში იჯდა, — უპატიებელი იყო.

დაგნი აგრძელებდა ლაპარაკს, ედიც უსმენდა და რვეულში თავჩაქინდრული, დროდადრო მოკლე ჩანაწერებს აკეთებდა. თავს აღარ აძლევდა ნებას, დაგნისთვის ისევ შეეხედა.

დაგნიმ ტანსაცმლის კარადა ფართოდ გამოაღო, კოსტიუმი უხეშად ჩამოხსნა საკიდიდან და სწრაფად დაკეცა, თუმცა ტონი ერთხელაც არ შესცვლია, ჩვეულებისამებრ, აუჩქარებლად აგრძელებდა ლაპარაკს. ედი მას არ უყურებდა, მხოლოდ ხმის საშუალებით ხვდებოდა, რომ იქ იყო — მისი მოქნილი მოძრაობებისა და მოზომილი ტონის მიხედვით. ახლა უკვე ხვდებოდა, რაც დაემართა: არ უნდოდა, დაგნი რომ წასულიყო არ უნდოდა მისი კიდევ ერთხელ დაკარგვა ასეთი ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ, მაგრამ მარტოობაზე და პირად პრობლემებზე ფიქრი ასეთ დროს ფუფუნება იყო. ფუფუნება იყო, რადგან კარგად იცოდა, როგორ ძალიან სჭირდებოდა რკინიგზას დაგნის კოლორადოში ყოფნა. ფუფუნება იყო და ღალატის აქტი, რომელიც აქამდე არასდროს ჩაედინა. ედის დანაშაულის ბუნდოვანი, სევდაშერეული განცდა დაეუფლა.

— გააგზავნე განკარგულებები, რომ „კომეტა“ ყველა განყოფილების სადგურზე გაჩერდეს. — მიმართა დაგნიმ, — და რომ ყველა განყოფილების დირექტორმა ჩემთვის ანგარიში მოამზადოს...

ედიმ თავი ასწია, მისი მზერა სადღაც შეჩერდა და დაგნის სიტყვები უკვე აღარ გაუგია. მან კარადის ღია კარზე ჩამოკიდებული ხალათი დაინახა — მამაკაცის ლურჯი ხალათი თეთრი ინიციალებით მკერდის ჯიბეზე:

გაახსენდა, სად ენახა ეს ხალათი უკვე; გაახსენდა სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“, საუზმის დროს მის პირისპირ მდგომი კაცი; გაახსენდა, გაუფრთხილებლად რომ მივიდა ის დაგნის ოფისში მადლიერების დღეს, ღამით; იმის გაცნობიერებამ კი, რომ ეს უნდა სცოდნოდა, ერთი მიწისძვრის ორი მიწისქვეშა ბიძგივით იმოქმედა მასზე. იმ გრძნობას ჰგავდა, რომელიც დაჟინებით ყვიროდა: „არა!“ ისე ველურად, რომ არა იმდენად ნანახმა, რამდენადაც ამ ყვირილის ხმამ, მასში ყველა ნერვი ერთბაშად შეატოკა. ეს ამ ფაქტის აღმოჩენით მიღებული შოკი კი არა, იმით გამოწვეული ძლიერი შოკი იყო, რაც იმწუთას საკუთარ თავში აღმოაჩინა.

მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: დაგნის არამც და არამც არ უნდა შეემჩნია ის, რაც მან შეამჩნია და რაც დამართა ამის შემჩნევამ. სირცხვილის გრძნობამ აიტანა, იმდენად მძაფრმა, რომ ლამის უკვე ფიზიკურ ტანჯვას განიცდიდა. ეს იყო აუტანელი შიში, შიში იმისა, რომ მისი პირადი სივრცე დაარღვია, თანაც ორჯერ. ერთხელ, როცა მისი საიდუმლო გაიგო, ხოლო მეორეჯერ — როცა თავისი აღმოაჩინა. რვეულს ჩააშტერდა და უახლოეს მიზანზე კონცენტრირდა: კალამი როგორმე კანკალის გარეშე უნდა დაეჭირა.

— „ორმოცდაათი მილია გასაყვანი მთაში, თან მხოლოდ იმ მასალის იმედი უნდა გვქონდეს, რაც გვაბადია.

— მაპატიე — ძლივს გასაგონ ხმაზე წარმოთქვა ედიმ, — ვერ გავიგე, რა თქვი.

— ანგარიში მჭირდება ყველა დირექტორისგან ხაზის ყოველი ფუტისა და მათ განყოფილებაში არსებული თითოეული ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

— კარგი.

— ყველას სათითაოდ დაველაპარაკები. უთხარი, „კომეტაში“, ჩემს ვაგონში შემოვიდნენ.

— კარგი.

— ჰო, და კიდევ ინსტრუქცია მიეცი, — არაოფიციალურად, ცხადია, — რომ მემანქანეებმა გაჩერებებზე დაკარგული დრო აანაზღაურონ და სამოცდაათი, ოთხმოცი, ასი მილით იარონ საათში... არ ვიცი, რამდენიც მოესურვებათ და რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიან... მერე კი უთხარი, რომ მე... ედი!

— ჰო, ჰო. კარგი.

— ედი, რა გჭირს?

ედი იძულებული გახდა, თავი აეწია, დაგნისთვის შეეხედა და სასოწარკვეთილს, მისთვის ცხოვრებაში პირველი ტყუილი ეთქვა.

— მეშინია, კანონთან პრობლემები არ შეგვექმნას. — იყო მისი პასუხი.

— დაივიწყე კანონი. ვერ ხედავ, არავითარი კანონი აღარ არსებობს?! ახლა ყველაფერი თავის ნებაზეა მიშვებული, მთავარია, თავის დაძვრენა მოახერხო, ამ მომენტისთვის კი წესებს ჩვენ ვაწესებთ.

ბოლოს და ბოლოს, დაგნი წასასვლელად გაემზადა. ედიმ მისი ჩემოდანი ტაქსიში ჩაიტანა, მერე „ტაგარტ ტერმინალამდეც“ გაჰყვა და ჩემოდანი „კომეტის“ ბოლოს მიბმულ, კორპორატიულ ვაგონში მოათავსა. იდგა პლატფორმაზე და უყურებდა, როგორი ტორტმანით დაიძრა მატარებელი და როგორ ნელ-ნელა გაუჩინარდა დაგნის ვაგონის წითელი ფანრები გასასვლელი გვირაბის თვალუწვდენელ წყვდიადში.

როცა „კომეტა“ საბოლოოდ ჩაიკარგა გვირაბში, ედიმ რაღაც იგრძნო — რაღაც ისეთი, რასაც ადამიანი იმ ოცნების დაკარგვის დროს გრძნობს, რომლის არსებობას მხოლოდ მისი დაკარგვის შემდეგ აცნობიერებს.

მის ირგვლივ, პლატფორმაზე, ცოტა ხალხი იყო, თითქოს რაღაცით შეცბუნებულები, დაძაბულები მოძრაობდნენ, თითქოს რელსებსა და მათ თავებს ზემოთ, რკინის ჭერზე, კატასტროფა იმალებოდა. ედი გულგრილად ფიქრობდა, რომ საუკუნოვანი უსაფრთხოების შემდეგ, მატარებლის გასვლას ადამიანები ისევ სიკვდილთან თამაშად აღიქვამდნენ.

გაახსენდა, რომ ნასადილევი არ იყო, თუმცა ჭამის სურვილი არ ჰქონდა. მაგრამ მისთვის „ტაგარტ ტერმინალის“ კაფეტერია ახლა უფრო იყო სახლი, ვიდრე ის ცარიელი კუბი, რომელსაც მისი ბინა ერქვა. ამიტომ, კაფეტერიისკენ დაიძრა, სხვაგან მაინც არსად ჰქონდა წასასვლელი.

კაფეტერია თითქმის სულ დაცარიელებული დახვდა, მაგრამ პირველი, რაც ედიმ შესვლისთანავე შეამჩნია, იყო კვამლის წვრილი სვეტი, რომელიც ბნელ კუთხეში მარტო მჯდომი მუშის სიგარეტს ასდიოდა.

ედიმ ლანგარზე რაღაცები დააწყო (არც შეუმჩნევია, რა) და პირდაპირ მუშის მაგიდისკენ გასწია. ერთი მიესალმა, გვერდით დაუჯდა და მერე ხმა აღარ ამოუღია.

ვერცხლის დანა-ჩანგალს შეხედა, ერთხანს მათ დანიშნულებაზე ჩაფიქრდა, მერე გაიხსენა, როგორ უნდა ჩანგლის ხმარება და ჭამის მოძრაობების შესრულებას

შეეცადა. მიხვდა, რომ ეს მის ძალებს აღემატებოდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და. დაინახა, რომ მუშა მას ყურადღებით აკვირდებოდა.

— არა. — წარმოთქვა ედიმ, — არა, მე არაფერი მჭირს... ჰო, კი, ბევრი რამ მოხდა მაგრამ ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს? ..კი, დაბრუნდა... რა გინდა, კიდევ რომ გითხრა? ..საიდან გაიგე, რომ ჩამოვიდა? უჰ, ალბათ ათ წუთში უკვე მთელმა კომპანიამ იცოდა... არა, ვერ გეტყვი, რომ მისმა დაბრუნებამ გამახარა... არა, ცხადია, რკინიგზას გადაარჩენს... მომდევნო ერთი წლით ან თვით... რა გინდა, რომ გითხრა? არა, არა. არ უთქვამს, რისი იმედი აქვს. არ უთქვამს, რაზე ფიქრობდა ან რას გრძნობდა... რა უნდა ეგრძნო, შენი აზრით? მისთვის ეს ჯოჯოხეთია... ჰო, კარგი, ჩემთვისაც! უბრალოდ, ჩემი ჯოჯოხეთი ჩემივე ბრალია... არა. არაფერი. ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია. ლაპარაკი? ლაპარაკი კი არა, ამაზე არც უნდა ვიფიქრო. უნდა გავჩერდე. აღარ უნდა ვიფიქრო არც მასზე და არც... დაგნიზე ანუ.

ედი დუმდა და ვერ ხვდებოდა, რა იყო მუშის თვალებში ისეთი, — თვალებში, რომლებიც მასში თითქოს ყოველთვის ყველაფერს ხედავდნენ, — რაც დღეს მას უხერხულობას უქმნიდა. მან მაგიდას დახედა და მუშის თეფშზე შემორჩენილ საჭმელს შორის უამრავი სიგარეტის ნამწვი შეამჩნია.

— შენც პრობლემები გაქვს? — ჰკითხა ედიმ, — ა, უბრალოდ, გვიანობამდე შემორჩი? ...მე? მე რატომ მელოდებოდი? ეს რატომ უნდა მოგნდომებოდა? ...იცი, ყოველთვის მეგონა, სულ არ გადარდებდა, მნახავდი თუ არა, ან ვინმეს თუ ნახავდი საერთოდ... იმდენად უპრობლემო ჩანდი, რომ... სწორედ ამიტომ მომწონდა შენთან ლაპარაკი. მომწონდა, რადგან მეგონა, ყოველთვის ყველაფერი გესმოდა, მაგრამ არაფერს შეეძლო შენთვის ტკივილის მოყენება. მეგონა, ტკივილი ცხოვრებაში არ გამოგივლია... ამის გამო კი თავს თავისუფლად ვგრძნობდი, თითქოს... თითქოს ამქვეყნად ტკივილი არც არსებობდა... იცი, რატომ გამოიყურები ახლა უცნაურად?

იმიტომ რომ, თითქოს არც ტკივილი გიგრძნია ოდესმე, არც შიში და არც დანაშაული... მაპატიე, ამაღამ ასე რომ დამაგვიანდა. დაგნი უნდა გამეცილებინა... ახლახან წავიდა... „კომეტით“... ჰო, ამაღამ, აი, სულ ცოტა ხნის წინ... ჰო, წავიდა... ჰო, უცებ გადაწყვიტა... სულ ცოტა ხნის წინ... ხვალ ღამე აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად რაღაც მოხდა და დაუყოვნებლივ მოუხდა წასვლა... კი, შემდეგ კოლორადოში მიდის... ჯერ იუტაში... იმიტომ რომ, ქუენტინ დენიელსისგან მიიღო წერილი, სამსახურიდან მივდივარო... ხოლო ის ერთადერთი, რასაც დაგნი არ შეელევა და ვერ შეელევა, ძრავაა. ხომ გახსოვს ეს ძრავა?! — გეუბნებოდი, ნარჩენები იპოვა-მეთქი... დენიელსი? ფიზიკოსია, ბოლო წელიწადია, იუტას ტექნოლოგიის ინსტიტუტში ამ ძრავის საიდუმლოს ამოხსნასა და მის თავიდან შექმნაზე მუშაობს... ასე რატომ მიყურებ? არა, დენიელსზე აქამდე არაფერი მითქვამს, რადგან ეს საიდუმლო იყო. ეს დაგნის პირადი, საიდუმლო პროექტი იყო... ან, რომც მეთქვა, რაში დაგაინტერესებდა? ..ახლა, მგონი, შემიძლია ამაზე ლაპარაკი, რადგან დენიელსი წავიდა... კი, აუხსნა ყველაფერი. უთხრა, არაფერს, რასაც კი ჩემი გონებრივი რესურსებით შევქმნი, არ მივცემ იმ სამყაროს, რომელიც მონად მიმიჩნევსო. უთხრა, ფასდაუდებელი სარგებლის სანაცვლოდ ხალხისთვის წამებული არ გავხდებიო... რა? რაზე იცინი? გაჩერდი, გეხვეწები! ასე რატომ იცინი? ...მთელი საიდუმლო? რას ნიშნავს მთელი საიდუმლო? მთელი საიდუმლო ჯერ არ ამოუხსნია, თუ ამას გულისხმობ, მაგრამ, მგონი, კარგად მიდიოდა, შანსები მაღალი ჰქონდა. ახლა ყველაფერი წყალში ჩაიყარა. დაგნი მასთან გარბის, უნდა შეევედროს, ყველა ღონე იხმაროს, რომ დენიელსმა მუშაობა არ შეწყვიტოს... მაგრამ, როგორც ვხვდები, აზრი

არა აქვს. ასეთი ხალხი ერთხელ თუ გაჩერდა, ეს ნიშნავს, რომ სამუდამოდ გაჩერდება. უკან აღარ დაბრუნდება. არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა... არა, არ მადარდებს... უფრო სწორად, აღარ მადარდებს... იმდენი დანაკარგი გვქონდა, რომ უკვე ვეჩვევი... არა! დენიელსის გამო არ ვარ ასე. უბრალოდ... არაფერი... დაივიწყე. ნუ მეკითხები. მთელი ქვეყანა ნამსხვრევებად იქცევა, დაგნი კი ჯერაც მის გადასარჩენად იბრძვის... მე კი... მე კი ვზივარ და ვწყევლი მას იმის გამო, რისი ცოდნის უფლებაც კი არ მქონდა...

არა, დასაწყევლად არა აქვს საქმე! არაფერი ცუდი არ უქნია... თანაც, ეს რკინიგზასთან არაა კავშირში... ნუ მომაქცევ ყურადღებას, არ ვარ მართალი, სინამდვილეში, საკუთარ თავს ვწყევლი, მას კი არა... მისმინე, ყოველთვის ვხვდებოდი, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ შენც ჩემსავით გიყვარდა, რაღაც განსაკუთრებულს ნიშნავდა შენთვის, რაღაც პიროვნულს, და ამიტომაც მოგწონდა, როცა რკინიგზაზე გელაპარაკებოდი. მაგრამ აი, ეს რაღაც — რაღაც, რაც დღეს გავიგე — რკინიგზასთან არაფერ შუაშია. არ იქნება შენთვის საინტერესო... უბრალოდ, დაგნიზე ისეთი რაღაც გავიგე, რაც აქამდე არ ვიცოდი... სულ ესაა... მასთან ერთად გავიზარდე. მეგონა, ვიცნობდი. თურმე არა... არ ვიცი, რას ველოდებოდი... მე მგონი, უბრალოდ, ვფიქრობდი, რომ არავითარი პირადი ცხოვრება მას არ ჰქონდა. ჩემთვის ის არც ადამიანი იყო და არც... არც ქალი. ის რკინიგზა იყო. და არ მეგონა, ვინმეს ოდესმე თუ ეყოფოდა გამბედაობა და მას სხვანაირად შეხედავდა... ეგრეც მომიხდება. დაივიწყე... დაივიწყე, ხომ გითხარი?! რატომ მიწყობ ამ დაკითხვას? ეს მხოლოდ მისი პირადი ცხოვრებაა. შენთვის სულერთი არ არის? ...დაივიწყე, ღვთის გულისათვის!

ვერ ხედავ, რომ არ შემიძლია ამაზე ლაპარაკი? ...არაფერი მომხდარა, არაფერი არ მჭირს, უბრალოდ... რატომ ვიტყუები? შენ ვერ მოგატყუებ, მგონია, რომ ყოველთვის შეგიძლია, ჩემ შიგნით ჩაიხედო... ეს საკუთარი თავის მოტყუებაზე უარესია!

საკუთარ თავს ვატყუებდი. არ მეგონა, თუ მიყვარდა. რკინიგზა? დამპალი ფარისეველი ვარ. ის ჩემთვის მხოლოდ რკინიგზას რომ განასახიერებდეს, მაშინ ასე არ გავნადგურდებოდი. არ მომინდებოდა იმ კაცის მოკვლა! ...რა გჭირს დღეს? ასე რატომ მიყურებ? ..უჰ, რა გვჭირს საერთოდ ყველას? უბედურების გარდა, რატომ აღარაფერი დაგვრჩენია? ასე ძალიან რატომ ვიტანჯებით? ამდენს არ ვიმსახურებდით. სულ მეგონა, ბედნიერები ვიქნებოდით, ყველანი, მეგონა, ეს ჩვენი ბუნებრივი ბედი იყო. ახლა რას ვაკეთებთ? რა დავკარგეთ? ერთი წლის წინ დაგნის არ დავწყევლიდი იმის გამო, რომ მან ისეთი რაღაც იპოვა, რაც უნდოდა. მაგრამ ვიცი, რომ განწირულები არიან, ორივენი... და მეც... და საერთოდ ყველა... ის კი ერთადერთი იყო, ვინც დამრჩა... არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო — შეგრძნება, რომ ცოცხალი ხარ. ასეთი შანსი გვქონდა! არ ვიცოდი, რომ მიყვარდა და რომ ეს ჩვენი სიყვარული იყო, მისი, ჩემი და შენი... მაგრამ ახლა სამყარო იღუპება, ჩვენ კი ამ პროცესის შეჩერება არ შეგვიძლია. რატომ ვანადგურებთ საკუთარ თავებს? ვინ გვეტყვის სიმართლეს? ვინ გადაგვარჩენს? ჰო, ვინ არის ჯონ გოლტი?! ...არა, უაზრობაა. ახლა აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რატომ უნდა ვიგრძნო საერთოდ რამე? დიდხანს მაინც ვერ გავძლებთ. რატომ უნდა მადარდებდეს, რას აკეთებს დაგნი? რატომ უნდა მადარდებდეს, ჰენკ რიერდენთან რომ წევს? ...ღმერთო! რა გჭირს? არ წახვიდე! სად მიდიხარ?

თავი 10

დოლარის ნიშანი

მატარებელში ფანჯარასთან მოთავსდა, თავი უკან გადასწია და არ იძვროდა.

მეტიც, უნდოდა, აღარასდროს დასჭირვებოდა მოძრაობა.

ფანჯრის მიღმა ტელეგრაფის ბოძები სწრაფ-სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მატარებელი თითქოს სიცარიელეში ჩაკარგულიყო, ყავისფრად გადაჭიმულ პრერიებსა და მკაფიოდ გამოსახულ მოჟანგისფრო-მონაცრისფრო ღრუბლებს შორის. ბინდი ისე ხარბად ეფინებოდა ცას, რომ ჩამავალი მზის ერთი პატარა სხივისთვისაც კი არ ტოვებდა ადგილს; გეგონებოდა, ანემიური ორგანიზმია და სისხლისა და სინათლის უკანასკნელ წვეთებს კარგავსო. მატარებელი დასავლეთისკენ მიიწევდა; თითქოს ისიც ჩამავალ სხივებს მიჰყვებოდა და უკვალოდ უნდა გამქრალიყო მიწიდან. დაგნი გაუნძრევლად იჯდა და არავითარი სურვილი არ ჰქონდა, წინააღმდეგობა გაეწია თავისი მდგომარეობისთვის.

ნატრობდა, არ გაეგო ბორბლების ხმა. ბორბლები თანაბარ რიტმში ეხეთქებოდნენ ლიანდაგებს, ყოველი მეოთხე დარტყმა კი უფრო ძლიერი იყო; დაგნისთვის ეს სწრაფი, თანმიმდევრული თქარათქური რაღაც ამაო და პანიკურ თავდაღწევას წააგავდა, ყოველი მეოთხე დარტყმის ხმა კი მტრის ნაბიჯები იყო, რომელიც რაღაც სასტიკი მიზნისკენ მიიწევდა.

აქამდე ასეთი რამ არასდროს განეცადა არასდროს გასჩენია პრერიების დანახვაზე შიშნარევი, უსიამოვნო წინათგრძნობა, განცდა, რომ რკინიგზის ხაზი უზარმაზარ სივრცეში გაჭიმული ერთი მყიფე ძაფი იყო, გამცვდარი ძარღვი, რომელიც სადაცაა, გაწყდებოდა. ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ თავად, — მატარებელში მყოფი, უწინ თავს რომ მის მამოძრავებელ ძალად გრძნობდა, — ახლა, ველურისა თუ ბავშვის მსგავსად, ინატრებდა, ის არ გაჩერებულიყო და დროულად ჩაეყვანა დანიშნულების ადგილას. ოღონდ ამ ნატვრას ნებისყოფის აქტთან არ ჰქონდა კავშირი, ეს რაღაც ხვეწნა-მუდარა იყო ბნელით მოცული უცხოს წინაშე.

ფიქრობდა, რამდენი რამე შეეცვალა ბოლო ერთ თვეს. ამ ცვლილებებს სადგურებზე, ადამიანების თვალებში ამჩნევდა. რკინიგზის მუშები, მეისრეები, დეპოს თანამშრომლები, რომლებიც ადრე, ყოველთვის, რკინიგზის ნებისმიერ მონაკვეთზე, მას გულითადად ესალმებოდნენ, გაბადრული სახეებით კი თითქოს ამაყობდნენ, ვიცით, ვინც ხართო, ახლა გაქვავებული, ფრთხილი და ჩაკეტილი მზერით უცქერდნენ და ზურგს აქცევდნენ. დაგნის ყვირილი უნდოდა, უნდოდა, პატიება ეთხოვა მათთვის, — „ეს მე არ გამიკეთებია თქვენთვის!“ — მაგრამ მერე ახსენდებოდა, რომ მან „ეს“ მიიღო, მათ კი დაგნის სიძულვილის უფლება ნამდვილად ჰქონდათ, ახლა დაგნი ერთდროულად ტყვეც გახდა და ტყვეების წინამძღოლიც და ზუსტად ამავე მდგომარეობაში უწევდა ყოფნა ყველას ამ ქვეყანაში, სიძულვილი კი ერთადერთი ემოცია იყო, რასაც ადამიანები უკვე ერთმანეთისადმი განიცდიდნენ.

ცოტაოდენი სიმშვიდე ორი დღის განმავლობაში ფანჯრის მიღმა მოძრავმა ქალაქებმა მოუტანა — ქარხნებმა, ელექტროგადამცემებმა, სახლის სახურავებზე ჩამოკიდებულმა სარეკლამო ბანერებმა, ყველაფერმა, რაც ინდუსტრიული აღმოსავლეთის ხალხმრავალ, ჭვარტლიან და აქტიურ ყოფას ქმნიდა.

მაგრამ ეს ქალაქებიც უკან მოიტოვა. მატარებელი ახლა ნებრასკას პრერიებში ჩაძირულიყო, ვაგონთა გადამბმელები კი ისეთ ხმას გამოსცემდნენ, თითქოს სიცივისგან კანკალებენო. დაგნი ხედავდა მარტოსულ ფორმებს, ერთ დროს ფერმერთა სახლები რომ იყო, და დაცარიელებულ მიწებად გადაქცეულ მინდვრებს.

იმ უზარმაზარმა ენერგიამ, რომელმაც ათწლეულების წინ აღმოსავლეთში იფეთქა, ცარიელი სივრცეები მჩქეფარე ნაკადულებით გააპო; ზოგი მათგანი დაშრა, მაგრამ ზოგი ჯერაც მიედინებოდა. დაგნი შეკრთა, როცა პატარა ქალაქის შუქებმა მის ვაგონს ჩაუქროლეს, შემდეგ გაქრნენ და კიდევ უფრო ჩააბნელეს იქაურობა. გაუნძრევლად იჯდა. შუქის ასანთებადაც არ ამდგარა. იჯდა და უყურებდა გამეჩხრებულ ქალაქებს. ხოლო როცა ელექტროსხივი მცირე ხნით სახეზე დაეცემოდა, ამას სალმის ჟესტად აღიქვამდა.

ფანჯრიდან ხედავდა, როგორ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს კომპანიების ლოგოები — მოკრძალებული შენობების კედლებზე, გამურულ სახურავებზე, წვრილ საკვამურებზე, ცისტერნებზე — „რეინოლდს ჰარვერსტერსი“, „მეისი ცემენტი“, „ქინლან ენდ ჯოუნს პრესდ ალფალფა“, „ჰოუმ ოფ ზე ქროუფორდ მეტრესი“, „ბენჯამინ უაილი გრეინ ენდ ფიდი“. ასოები დროშებივით აღმართულიყვნენ ცის ცარიელი წყვდიადის წინაშე; მოძრაობის, ძალისხმევის, სიმამაცისა და იმედის უძრავი ფორმებივით გამოკიდებულნი, ერთგვარი მონუმენტები იყვნენ იმის მოსაგონრად, თუ რამდენისთვის მიეღწიათ ადამიანებს ველური ბუნების გასაყარზე, იმ ადამიანებს, რომლებიც ოდესღაც თავისუფალნი იყვნენ და ხელს არავინ უშლიდათ შრომაში.

დაგნი ხედავდა შორი-შორ მდგარ სახლებს, პატარა მაღაზიებს, ფართო ქუჩებს ელექტროგანათებებით, რამდენიმე ჯვარედინად განათებულ პუნქტს რომ წააგავდნენ უკუნით მოცულ უნაყოფო მიწაზე. ამ ნათელ წერტილებს შორის კი აჩრდილებს ხედავდა, ქალაქების ნაშთებს, ქარხნების ჩონჩხებს დაფხავებული საკვამურებით, მაღაზიათა ცხედრებს ჩამსხვრეული მინებით, ჩამოზნექილ ბოძებს დაგლეჯილი მავთულებით. როგორც უეცარი თვალის მომჭრელი სხივი, დაინახა ბენზინგასამართი სადგურიც — სივრცისა და ცის უსაშველო შავი სიმძიმის ქვეშ მოთავსებული მინისა და მეტალის თეთრი კუნძული; დაინახა ქუჩის კუთხეში ჩამოკიდებული ნაყინის კონუსი, რომელიც ბრჭყვიალა მეტალისგან იყო დამზადებული; იქვე, ოდნავ ქვემოთ, დაინახა, როგორ გაჩერდა ძველი მანქანა, საჭესთან ახალგაზრდა ბიჭი იჯდა, გოგონა მანქანიდან გადმოდიოდა, მისი თეთრი კაბა კი ზაფხულის ქარში ნაზად ფარფატებდა. და დაგნის ორივე მათგანის ნაცვლად გააჟრჟოლა. „ვერ გიყურებთ“, — გაიფიქრა მან, — „რადგან მე ვიცი, რის ფასად მოგეცათ თქვენ ეს ახალგაზრდობა, ეს საღამო, ეს მანქანა და ნაყინი, რომელსაც ახლა მეოთხედ დოლარად იყიდით“... ქალაქის ბოლოს მან დაინახა შენობა, რომლის ყველა სართულიდან მკრთალი ლურჯი სინათლე გამოდიოდა — ინდუსტრიული განათება, რომელიც ასე ძალიან უყვარდა. შენობის ფანჯრებიდან მანქანების სილუეტები მოჩანდა, სახურავზე კი, სიბნელეში, სარეკლამო ბანერი ეკიდა... დაინახა და უეცრად თავი ხელებში ჩარგო და კანკალი აუტყდა. იჯდა და უხმოდ ტიროდა. შესტიროდა ღამეს, საკუთარ თავს, იმ ყველაფერს, რაც კი ცოცხალ არსებაში ადამიანური იყო: ამას ნუ დავკარგავთ!.. ნუ დავკარგავთ!..

უცებ წამოხტა და შუქი აანთო. გაუნძრევლად იდგა, მთელი არსით კონტროლის აღდგენას ცდილობდა, იცოდა, რომ ასეთი წუთები მისთვის ყველაზე სახიფათო იყო. ქალაქის განათება უკან მოეტოვებინა, მისი ფანჯარა ახლა მხოლოდ ცარიელ მართკუთხედად იქცა. სიჩუმეში ბორბლების მეოთხე დარტყმა გაიგო — მტრის მორიგი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც არც უნდა დაგეჩქარებინა და არც უნდა შეგეჩერებინა. სასოწარკვეთილად სჭირდებოდა, რაიმე ცოცხალი აქტივობა დაენახა, ამიტომ, გადაწყვიტა, სადილი ვაგონში კი არ შეეკვეთა, არამედ თავად გასულიყო

სასადილოდ. ამ დროს, თითქოს საკუთარ სიმარტოვეს ხაზს უსვამს და დასცინისო, გონებაში ეს სიტყვები ამოუტიტივდა: „მაგრამ ცარიელ მატარებლებს ხომ არასდროს გაუშვებდი?!“ დაივიწყე, — ბრაზმორეულმა უთხრა საკუთარ თავს და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა ვაგონიდან.

როცა ვაგონის ვესტიბიულს მიუახლოვდა, ადამიანების ხმები შემოესმა. გაუკვირდა. კარი რომ გააღო, უკვე ყვირილის ხმაც გაიგო:

— ჩაეთრიე, შე ნაგავო!

დაგნის ვესტიბულის კუთხეში ასაკშეპარულ მაწანწალას შეეფარებინა თავი.

ძირს იჯდა და ისეთ პოზაში, რომ აშკარად არ ჰქონდა არც ფეხზე ადგომის ძალა და არც იმის დარდი, რომ დაიჭერდნენ. კონდუქტორს უყურებდა — დაკვირვებული, სრულიად ფხიზელი, თუმცა ურეაქციო თვალებით. მატარებელი რელსების ცუდ მონაკვეთზე შედიოდა და ამიტომ, შენელებულად მოძრაობდა. ცივი ქარი ძლიერად უბერავდა კონდუქტორის მიერ გაღებული კარიდან, რომელიც ხელს შავი სიცარიელისკენ იშვერდა და უკმეხად უყვიროდა მაწანწალას:

— ჩაეთრიე! ჩაეთრიე, როგორც ამოეთრიე, თორემ თავს წაგაძრობ!

მაწანწალას რეაქცია არ ჰქონდა. არც რაიმე უკვირდა, არც პროტესტის გრძნობა ემჩნეოდა თვალებში, არც სიბრაზე და არც იმედი; ისე იყურებოდა, თითქოს ადამიანური ქმედებების განსჯისთვის კარგა ხნის წინ დაენებებინა თავი. დამჯერად სცადა წამოდგომა, აცახცახებული ხელი ვაგონის სახელურისკენ ასწია. დაგნიმ დაინახა, როგორ მიაპყრო მას მზერა და მერე როგორ მოაცილა, თითქოს მატარებლის რომელიღაც უსულო დეტალი ყოფილიყო. მაწანწალა დაგნის ვერ აღიქვამდა, ისევე, როგორც ვერ აღიქვამდა საკუთარ თავს; სრულიად გულგრილი ჩანდა და მზად იყო, ასეთივე გულგრილობით დამორჩილებოდა ბრძანებას, რაც მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, სიკვდილს ნიშნავდა.

დაგნიმ კონდუქტორს შეხედა. მის თვალებში ვერაფერი დაინახა, მხოლოდ ბრმა ზიზღი სხვისი ტკივილისადმი და დიდი ხნის წინათ დათრგუნვილი სიბრაზე, რომელსაც პირველ ხელსაყრელ ობიექტზე დაანთხევდა და სულერთი იყო, ეცოდინებოდა თუ არა ამ ობიექტის ვინაობა. ეს ორი კაცი ერთმანეთისთვის ახლა უკვე ადამიანები აღარ იყვნენ.

მაწანწალას კოსტიუმი სულ დალაქავებული იყო და ხმარებისგან ისეთი გახევებული და მბზინავი, იფიქრებდი, წელში თუ მოიხრება, კოსტიუმი შუშასავით დაიმსხვრევაო. მაგრამ დაგნიმ უცებ მისი პერანგის საყელო დაინახა: ხშირი რეცხვისგან ქაღალდივით თეთრი იყო და ასე თუ ისე, ჯერაც შეენარჩუნებინა ფორმა. მაწანწალა როგორღაც ფეხზე წამოდგა და ინდიფერენტული მზერა მიაპყრო მის წინ გაჩენილ მუქ ხვრელს, რომელიც უსაზღვრო და უკაცრიელ სივრცეში ეპატიჟებოდა, იქ, სადაც ვერავინ დაინახავდა მის დასახიჩრებულ სხეულს და ვერ გაიგონებდა მის ხმას. რეაქციის ერთადერთი გამოხატულება ის იყო, რომ ხელი კარგად მოუჭირა თავის პატარა, ჭუჭყიან ბოხჩას, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, მატარებლიდან გადახტომის დროს ხომ არ დაკარგავდა მას.

სწორედ გარეცხილი საყელო იყო და ეს უკანასკნელი ჟესტი — ჟესტი უკანასკნელი ქონების დასაცავად, რამაც დაგნიში უცაბედად ემოცია გააჩინა, თითქოს რაღაც ჩაეწვა შიგნით.

— მოიცადეთ. — თქვა მან.

ორივე კაცმა მას შეხედა.

— ჩემი სტუმარი იყოს. — უთხრა კონდუქტორს, მაწანწალასთვის კარი გამოაღო და იმპერატიულად მიმართა, — შემოდით.

მაწანწალა დაგნის გაჰყვა, ისეთივე ბრმა მორჩილებით, როგორითაც ცოტა ხნის წინ კონდუქტორს ემორჩილებოდა.

ვაგონის შუაგულში დადგა, ხელში ბოხჩა ეჭირა და იმავე დამკვირვებლური, ურეაქციო მზერით იყურებოდა ირგვლივ.

— დაჯექით. — მიმართა დაგნიმ.

ისიც კვლავ დამორჩილდა და დაგნის შეხედა, თითქოს ახალ განკარგულებებს უცდისო. იყო მასში რაღაც ღირსეული. გულწრფელად აცნობიერებდა, რომ მისთვის ახლა ის კარი გაღებულიყო, სადაც თავად არ ჰქონდა შესვლის არავითარი უფლება; იცოდა, რომ ვერაფერს მოითხოვდა, ვერც რაიმე კითხვას დასვამდა; ახლა უნდა მიეღო ის ყველაფერი, რაც დამართნოდა და მზადაც იყო მისაღებად.

ორმოცდაათს გადაცილებული იქნებოდა. სხეულის აგებულებისა და მოშვებული კოსტიუმის მიხედვით, ერთ დროს, წესით, კუნთმაგარი ვინმე უნდა ყოფილიყო. უსიცოცხლო და გულგრილი გამომეტყველება ვერ მალავდა მის თვალებში ინტელექტის ნაპერწკალს. ვერც საოცრად ღრმა ნაოჭებს მოეხერხებინათ იმ ფაქტის წაშლა, რომ მის სახეზე ოდესღაც პატიოსანი კაცისთვის დამახასიათებელი სიკეთე იყო აღბეჭდილი.

— ბოლოს როდის ჭამეთ? — ჰკითხა დაგნიმ.

— გუშინ. — უპასუხა მაწანწალამ და დააყოლა, — მე მგონი.

დაგნიმ შვეიცარს დაუძახა და ვაგონ-რესტორნიდან თავის ვაგონში ორი კაცისთვის სადილი შეუკვეთა.

მაწანწალა მას ჩუმად უყურებდა, მაგრამ როცა შვეიცარი გავიდა, დაგნის მან მის ხელთ არსებული ერთადერთი საზღაური შესთავაზა:

— არ მინდა, რომ ჩემ გამო პრობლემები შეგექმნათ, მემ. — წარმოთქვა მან სიტყვები. — რა პრობლემები? — გაეღიმა დაგნის.

— თქვენ ხომ რკინიგზის ერთ-ერთ მაგნატთან ერთად მგზავრობთ?

— არა, მარტო ვარ.

— მაშინ რომელიმე მათგანის ცოლი იქნებით.

— არა.

— აჰ...

დაგნიმ დაინახა, რამხელა ძალისხმევად დაუჯდა მაწანწალას, მზერაში რაღაც პატივისცემის მსგავსი რომ შეენარჩუნებინა, თითქოს ბოდიშს იხდიდა, რომ მისგან ასე უცერემონიოდ რაღაცების აღიარება მოეთხოვა. ეს რომ შეამჩნია, დაგნის გაეცინა.

— არა, არც ეს შეეფერება სიმართლეს. ალბათ უფრო მე ვარ ერთ-ერთი მაგნატი.

დაგნი ტაგარტი მქვია. ამ რკინიგზაზე ვმუშაობ.

— აჰ... მგონი, მსმენია თქვენ შესახებ, მემ... ძველი დროიდან ძნელი სათქმელია, რას ნიშნავდა მისთვის „ძველი დრო“ — ერთი თვის წინანდელ დროს, ერთი წლის წინანდელს თუ საერთოდ რამდენი ხნის წინ იყო, რომ საკუთარ თავზე ხელი ჩაექნია. დაგნის ერთგვარი წარსული დროიდან გამოყოლილი ინტერესით უყურებდა, თითქოს ფიქრობდა, რომ იყო დრო, როცა ამ პიროვნების ნახვა უმნიშვნელო რამე არ იქნებოდა.

— თქვენ ის ქალბატონი იყავით, რკინიგზას ვინც მართავდა. — დასძინა მან.

— ჰო. — მიუგო დაგნიმ, — ვიყავი.

მაწანწალას გაკვირვება ოდნავადაც არ ემჩნეოდა იმის გამო, რომ დაგნიმ მისი დახმარება გადაწყვიტა. თითქოს იმდენი სისასტიკე გადაეტანა, რომ თავი დაენებებინა ყოველგვარი მცდელობისთვის, რაიმე გაეგო, ან ვინმეს ნდობოდა, ან რაიმეს იმედი თუ მოლოდინი ჰქონოდა.

— მატარებელში როდის ამოხვედით? — ჰკითხა დაგნიმ.

— მთლად მთავარ სადგურზე, მემ. თქვენი კარი ჯერ დაკეტილი არ იყო. — უპასუხა და ცოტა ხანში დაამატა, — ვიფიქრე, რადგან პირადი ვაგონია, დილამდე ვერავინ შემამჩნევს-მეთქი.

— სად მიდიხართ?

— არ ვიცი. — უპასუხა; მერე კი, თითქოს იგრძნო, ვაითუ, ეს პასუხი თავის შეცოდებისთვის გამიზნულს ჰგავდესო, დასძინა, — მგონი, უბრალოდ მოძრაობა მინდოდა... იქამდე მინდოდა, მევლო, ვიდრე რაიმე ისეთ ადგილს არ დავინახავდი: სადაც მუშაობის რაიმე შანსი მაინც იქნებოდა.

ეს ფრაზა უფრო მცდელობა იყო, მიზნისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობისთვის გაესვა ხაზი, ვიდრე ის, რომ დაგნის მხრებზე საკუთარი უმიზნობის მძიმე ტვირთი აეკიდა. ისეთივე ჟანრის მცდელობა, როგორიც მისი პერანგის საყელო.

— რა ტიპის სამუშაოს ეძებთ?

— ხალხი რაიმე ტიპის სამუშაოს უკვე აღარ ეძებს, მემ. — უემოციოდ უპასუხა, — უბრალოდ, სამუშაოს ეძებენ.

— როგორი ადგილის პოვნა გინდოდათ?

— აჰ... ჰმმ... სადაც ქარხნებია ალბათ.

— მაშინ არასწორი მიმართულებით ხომ არ მიდიხართ? ქარხნები აღმოსავლეთშია, — არა. — ისე მტკიცედ თქვა, რომ უდავოდ იცოდა, რასაც ამბობდა. — აღმოსავლეთში ზედმეტად ბევრი ხალხია. ქარხნებს გამადიდებელი შუშით მეთვალყურეობენ. ვიფიქრე, უკეთესი შანსი ისეთ ადგილას მექნება, სადაც ნაკლები ხალხი და ნაკლები კანონებია-მეთქი.

— აჰ, ანუ გარბიხართ? კანონს გაურბიხართ?

— არა. ძველი დრო რომ იყოს, ქალბატონო, — არა. მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ალბათ ასეა. მუშაობა მინდა.

— რას გულისხმობთ?

— აღმოსავლეთში სამუშაო აღარაა. და ვინმეს რომც შეეძლოს, მაინც ვერავინ გამუშავებს. ამისთვის ციხეში გაუშვებენ. უთვალთვალებენ და იმიტომ. „გაერთიანების საბჭოს“ გარეშე სამუშაოს ვერ იშოვი. „გაერთიანების საბჭოს“ კიდევ თავისი მეგობრების უზარმაზარი ამალა უდგას რიგში, მილიონერს არ ჰყავს იმდენი ნათესავი, რამდენიც ეს სამუშაოს მსურველი ხალხია. მე კი... მე არც ერთი მყავს და არც მეორე. — ბოლოს სად მუშაობდით?

— ბოლო ექვსი თვეა, ქვეყნის გარშემო დავწანწალებ... არა, მეტი, მგონი. მგონი, უკვე ერთი წელი გავიდა. ზუსტად ვერ გეტყვით. ძირითადად, დღის სამუშაოებზე ვიყავი, ძირითადად, ფერმებში. მაგრამ ახლა ესეც აღარავის სჭირდება. ვიცი, ფერმერები როგორც გიყურებენ — არ მოსწონთ მოშიმშილე კაცის დანახვა, მაგრამ თვითონაც შიმშილობის ზღვარზე არიან, სამუშაო არ აქვთ, რომ შემოგთავაზონ, არც საჭმელი აქვთ და თუ რაიმე დანაზოგს აკეთებენ, ან გადასახადის ამკრეფები ართმევენ, ან მძარცველები... ხომ იცით ეს ბანდები?! — მთელ ქვეყანაში რომ დაძრწიან. დეზერტირებს უძახიან ახლა.

— თქვენი აზრით, დასავლეთში უკეთესი სიტუაციაა?

— არა.

— მაშინ რატომ მიდიხართ?

— იმიტომ, რომ აქამდე არასდროს მიცდია. ახლა ადამიანს მარტო რამის ცდა თუ დარჩენია. უბრალოდ, სადმე უნდა წახვიდე. რომ არ გაჩერდე... იცით, — მოულოდნელად დაამატა, — არ მგონია, აზრი ჰქონდეს, მაგრამ აღმოსავლეთში გასაკეთებელი არაფერია, გარდა იმისა, რომ რომელიმე ღობის ძირას დაჯდე და სიკვდილს დაელოდო. ახლა, მგონი, ეს უკვე დიდად აღარც მადარდებს. სიკვდილს ვგულისხმობ.

ვიცი, გაცილებით ადვილი გახდებოდა ყველაფერი. უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ცოდვა მგონია, იჯდე, არაფერი სცადო და საკუთარი ცხოვრება ბედზე მიუშვა.

დაგნის, უნებურად, კოლეჯებში მოწამლული თანამედროვე პარაზიტები გაახსენდა, რომლებიც შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, საკუთარი ზნეობრივი უპირატესობა ემტკიცებინათ და სულ ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებში გამოხატავდნენ თავიანთ წუხილს სხვათა კეთილდღეობის შესახებ. მანანწალას ბოლო წინადადება კი ერთ-ერთი ყველაზე ღრმად მორალური განაცხადი იყო, რაც დაგნის ოდესმე გაეგონა.

მაგრამ ეს კაცი ამას თავად ვერ ხვდებოდა — გრძნობებისგან დაცლილი, ჩამქრალი ტონით უთხრა, მარტივად, მშრალად და სასხვათაშორისოდ.

— რომელი მხარიდან ხართ?

— ვისკონსინიდან.

ამ დროს მიმტანმა დაგნის ვაგონში მათთვის სადილი შეიტანა, მაგიდა გააწყო, თავაზიანად მიუდგა ორი სკამი ისე, რომ სიტუაციის შემყურეს, ოდნავი გაკვირვებაც კი არ გამოუხატავს.

დაგნიმ მაგიდას შეხედა და იმ სამყაროს დიდებულებაზე ჩაფიქრდა, სადაც ადამიანებს არც დროდ და არც ძალისხმევად არ უჯდებოდათ ისეთი რამეები, როგორიც ლამაზად დაკეცილი ხელსახოცები და ყინულის წკრიალა ნატეხები იყო, რამდენიმე დოლარის სანაცვლოდ მირთმეულ კერძებთან ერთად რომ სთავაზობდნენ მგზავრებს. და იფიქრა, რომ ეს უკვე წარსულის გადმონაშთი იყო, იმ წარსულისა, როცა ადამიანის საარსებო საშუალებებზე ზრუნვა დანაშაულად არ ითვლებოდა და და არც საკვები იყო სიკვდილთან გამართული მარათონი. ეს გადმონაშთი კი მალე გაქრებოდა; გაქრებოდა ისევე, როგორც ის თეთრი ბენზინგასამართი სადგური, სარეველა ბალახებით სავსე ჯუნგლების ზღურბლზე რომ დაინახა.

დაგნიმ შეამჩნია, რომ მართალია, მანანწალას ფეხზე წამოდგომის ძალა წართმეოდა, იმ ნივთების მიმართ პატივისცემა მაინც შეენარჩუნებინა, რომლებიც მის წინ, მაგიდაზე ეწყო. საჭმელს ხარბად არ დასძგერებია; ყოველმხრივ ცდილობდა, საკუთარი მოძრაობა ეკონტროლებინა: მაგიდისკენ ნელა გაიწია, ნელა გაშალა ხელსახოცი, დაგნის რიტმში აიღო ჩანგალი და თუმცა ხელები უკანკალებდა, ჯერაც ახსოვდა, რომ ეს ადამიანებისთვის შესაფერისი მანერები იყო, მიუხედავად ყველა იმ დამამცირებელი სიტუაციისა, რაშიც კი ცხოვრების მანძილზე მოუწია ყოფნა.

— რა განხრით მუშაობდით? ...ძველ დროს? — ჰკითხა დაგნიმ, როცა მიმტანი ვაგონიდან გავიდა, — ქარხნებში ალბათ?

— დიახ, მემ.

— სპეციალობა?

— კვალიფიციური ხარატი.

— ბოლოს თქვენი სპეციალობით სად იმუშავეთ?

— კოლორადოში, მემ. „ჰემონდ ქარ კომპანიში“.

— ოჰ!..

— მემ?

— არა, არაფერი. დიდხანს მუშაობდით?

— არა, მემ. მხოლოდ ორი კვირა.

— რატომ?

— ერთი წელი ამ ადგილს ველოდებოდი, კოლორადოში სამუშაოს საშოვნ ჩავედი. „ჰემონდ ქარ კომპანისაც“ მომლოდინეთა სია ჰქონდა, მაგრამ მეგობრობის და სტატუსის ნიშნით კი არ იყვანდნენ, არამედ სამუშაო გამოცდილებით. მე კარგი გამოცდილება მქონდა. მაგრამ სულ რაღაც ორ კვირაში ჩემი იქ მისვლიდან, ლოურენს ჰემონდი თანამდებობიდან წავიდა. წავიდა და გაუჩინარდა. ქარხანა დახურეს. შემდეგ მოქალაქეთა კომიტეტმა ისევ გახსნა, დამიძახეს, მაგრამ სულ ხუთი დღე დავრჩი. მაშინვე ხალხის გაშვება დაიწყეს, სტატუსის მიხედვით, ჰოდა, გამიშვეს. როგორც გავიგე, კიდევ დაახლოებით სამი თვე ამუშავეს ქარხანა, მოქალაქეთა საბჭოს ძალისხმევით. მერე საბოლოოდ დახურეს.

— მანამდე სად მუშაობდით?

— აღმოსავლეთის თითქმის ყველა შტატში, მემ. მაგრამ ერთ ან ორ თვეზე მეტხანს არსად გავჩერებულვარ. ქარხნები პანტაპუნტით იხურებოდა.

— ყველგან ასე მოხდა, სადაც გიმუშავიათ?

მაწანწალამ დაგნის ახედა, თითქოს გაიგო, რასაც ეკითხებოდა.

— არა, მემ. — უპასუხა და პირველად, ამ ხნის მანძილზე, დაგნიმ მის ხმაში სიამაყის სუსტი ექო ამოიცნო, — ჩემს პირველ სამსახურში ოცი წელი გავატარე. ერთსა და იმავე თანამდებობაზე კი არა, ერთსა და იმავე ადგილას. ქარხნის მთავარი მუშაც გავხდი. მაგრამ ეს თორმეტი წლის წინ იყო. შემდეგ ქარხნის მფლობელი გარდაიცვალა, ქარხნის მართვა მისმა მემკვიდრეებმა დაიწყეს და დაღუპეს კიდეც. მაშინ უკვე ცუდი დრო იყო, მაგრამ აი, მერე დაიწყო ნამდვილი ჯოჯოხეთი, ყველგან ყველაფერი ელვის უსწრაფესად უარესდებოდა. იქიდან მოყოლებული, ასე მგონია, სადაც არ გავიხედე, ყველაფერი ჩამოიშალა და დაინგრა. თავიდან ვფიქრობდით, მარტო ერთ-ორ შტატში ხდებოდა ასე. ბევრს გვეგონა, კოლორადოს არ შეეხებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ კოლორადოსაც შეეხო. რასაც არ ცდიდი, რასაც არ მოჰკიდებდი ხელს, ყველაფერი ინგრეოდა. სადაც არ გაიხედავდი, სამუშაო ჩერდებოდა...

ქარხნები ჩერდებოდნენ... მანქანები ჩერდებოდნენ... — თქვა მაწანწალამ და მერე ნელა, ლამის ჩურჩულით, თითქოს თავის სიტყვებში რაღაც ფარულ საშინელებას ხედავსო, დაამატა, — ძრავები... ჩერდებოდნენ. — უცებ ხმას აუწია, — ღმერთო ჩემო, ვინ არის... — მაგრამ სიტყვა გაწყვიტა.

— ჯონ გოლტი? — იკითხა დაგნიმ?

— ჰო, — მიუგო მაწანწალამ და თავი ისე გააქნია, თითქოს რაღაც ხილვა უნდა გაფანტოსო, — უბრალოდ, არ მომწონს ეს გამოთქმა.

არც მე. ძალიან მაინტერესებს, რატომ ამბობს ხალხი ან ვინ თქვა საერთოდ პირველად, — დიახ, მემ. სწორედ ამის მეშინია. შესაძლოა, სწორედ მე ვიყავი ეს პირველი ადამიანი.

— რა?

— მე ან ვინმე ექვსი ათასი კაციდან. სავსებით შესაძლებელია, სწორედ ჩვენ ვყოფილიყავით პირველები. იმედია, ვცდებით.

— რას გულისხმობთ?

— საქმე ის არის, რომ ქარხანაში, სადაც ოცი წელი ვმუშაობდი, რაღაც მოხდა.

ეს მაშინ, როცა მოხუცი მფლობელი გარდაიცვალა და ქარხანას მისი მემკვიდრეები დაეპატრონნენ. სამნი იყვნენ, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ქარხნის მართვის ახალი გეგმა შეიმუშავეს. გეგმისთვის ხმის მიცემის საშუალება მოგვცეს და ყველამ, თითქმის ყველამ, მის სასარგებლოდ მისცა ხმა. არ ვიცოდით. გვეგონა, კარგი გეგმა იყო. არა, არც ესაა სიმართლე. გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ყველას თავისი შესაძლებლობის მიხედვით უნდა ემუშავა, მაგრამ ანაზღაურებას იმის მიხედვით მიიღებდა, თუ რამდენად უჭირდა ან არ უჭირდა. ჩვენ... რა გჭირთ, მემ?

ასე რატომ მიყურებთ?

— რა ერქვა ამ ქარხანას? — ძლივს გასაგონი ხმით ჰკითხა დაგნიმ?

— „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანი“, ქალბატონო, სტარნსვილში, ვისკონსინის შტატში.

— გააგრძელეთ.

— გეგმას კენჭი დიდ შეკრებაზე ვუყარეთ, ყველანი ვიყავით, ექვსი ათასი კაცი, სულყველა, ვინც კი ქარხანაში ვმუშაობდით. სტარნსის მემკვიდრეებს გეგმასთან დაკავშირებით გრძელი გამოსვლები ჰქონდათ, მთლად ნათელი არ იყო, რასაც ამბობდნენ, მაგრამ კითხვები არავის დაუსვამს. არც ერთმა არ ვიცოდით, როგორ იმუშავებდა გეგმა, მაგრამ გვეგონა, რომ დანარჩენებმა იცოდნენ. ხოლო ვინმეს თუ რამეში ეჭვი ეპარებოდა, თავს უმალ დამნაშავედ გრძნობდა და ხმას არ იღებდა. და ეს იმიტომ, რომ ისე გამოიყვანეს, თითქოს, ვინც კი გეგმას შეეწინააღმდეგებოდა, ბავშვების მკვლელი და უკანასკნელი ადამიანი იყო. გვითხრეს, ამ გეგმით კეთილშობილური იდეის აღსრულებას შევძლებთო. აბა, საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ ასე არ იყო? ეს არ გვესმის მთელი ცხოვრება — ჩვენი მშობლებისგან და მასწავლებლებისგან და მინისტრებისგან, ყველა გაზეთში, რაც კი წაგვიკითხავს და ყველა ფილმში და ყველა საჯარო გამოსვლაში? სულ ამას არ ჩაგვჩიჩინებენ, ესაა სამართლიანი და სწორიო? არ ვიცი, შესაძლოა რაღაც გამართლება ჰქონდა ჩვენს საქციელს იმ შეკრებაზე. და მაინც, ხმა მივეცით ამ გეგმას და მერე ვზღეთ კიდეც ამისთვის. იცით, ქალბატონო, ჩვენ, რაღაც თვალსაზრისით, დაღდასმული ხალხი ვართ, მათ ვგულისხმობ, ვინც გეგმის დამტკიცების შემდეგ კიდევ ოთხი წელი ვიმუშავეთ „თუენთის სენჩერის“ ქარხანაში. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორია ჯოჯოხეთი?! ბოროტება — დაუფარავი, პირდაღრეჯილი, ჩვეულებრივი ბოროტება. აი, რა გამოვიარეთ, რა ვნახეთ და რას შევუწყვეთ ხელი... ჰოდა, ვფიქრობ, დაწყევლილები ვართ, ყველა ჩვენგანი... და შესაძლოა, არც არასდროს მოგვეტევოს.

იცით, როგორ იმუშავა გეგმამ და ხალხს რა მოუტანა? სცადეთ, წყლით აავსოთ ავზი, რომლის ძირშიც მილია ჩამაგრებული და ავზი ავსებული არ გაქვთ, რომ ამ მილიდან უკვე გაედინება მთელი წყალი. მოგაქვთ დიდი ვედრო, ასხამთ ისევ ავზში წყალს, მაგრამ ყოველი ჩასხმა მილს ერთი ინჩით უფრო აფართოებს და რაც უფრო მეტს მუშაობთ, კიდევ უფრო მეტს ითხოვენ თქვენგან. დაათრევთ მძიმე ვედროებს კვირაში ორმოცი საათი, მერე — ორმოცდარვა, ორმოცდათხუთმეტი — თქვენი მეზობლის ვახშმის გულისთვის, მისი ცოლის ოპერაციისთვის, მისი შვილის წითელას გამო, დედამისის ინვალიდის ეტლისთვის, ბიძამისის პერანგისთვის, ძმისშვილის განათლებისთვის, მეზობელი ბავშვისთვის, ბავშვისთვის, რომელიც უნდა დაიბადოს... ყველასთვის და ყველგან თქვენ ირგვლივ... ეს მათთვის კეთდება... მათი საბავშვო საფენებიდან დაწყებული, მათი პროტეზებით დამთავრებული... ამისთვის

კი თქვენ უნდა იმუშაოთ, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, ისე, რომ ამაში საკუთარი ოფლის გარდა, არაფერს იღებთ, პერსპექტივაში არაფერი გაქვთ, მხოლოდ მათი დაკმაყოფილება... და ეს მთელი ცხოვრება გრძელდება, დასვენების გარეშე, უიმედოდ, უსასრულოდ... ყველასგან ამას ითხოვენ მათი შესაძლებლობებისა და გაჭირვების დონის მიხედვით...

ერთი დიდი ოჯახი ხართო, გვითხრეს, ყველანი ერთად უნდა ვიყოთო. მაგრამ ყველა ერთად ხომ არ დგას შესადუღებელ აპარატთან დღეში ათი საათი? ერთად ხომ არ სტკივდება ყველას მუცელი? ვისი შესაძლებლობა დგას წინ და ვისი გაჭირვების დონე? ერთ ქვაბში როცა იხარშებით, ყველას ხომ ვერ მისცემ საშუალებას, განსაზღვროს, როგორია მისი გაჭირვების დონე და მისი მოთხოვნილებები. ამის უფლება რომ მისცე, შეიძლება, გითხრას, იახტა მჭირდებაო, და შენც მხოლოდ მისი სურვილები რომ გქონდეს კრიტერიუმად, შეიძლება, დაგიმტკიცოს კიდეც, რომ სჭირდება ეს იახტა. რატომაც არა? თუ, მაგალითად, ჩემს შემთხვევაში არასწორია, მანქანა რომ მყავდეს, სანამ საავადმყოფოში არ აღმოვჩნდები იმის გამო, ამქვეყნად ყოველი უქნარასთვის და შიშველი ველურისთვის მუშაობაში რომ ამომხდა სული, მაშინ რატომ არ უნდა მომთხოვოს ვიღაცამ იახტა, თუ დაინახავს, რომ ჯერ კიდევ მაქვს რაღაც უნარები და მუშაობისგან გული არ წამსვლია?! არა? არ აქვს უფლება? მაშინ იმის უფლება რატომ აქვს, მომთხოვოს, ყავას ნაღები არ ვუქნა, ვიდრე თავად არ გაარემონტებს თავის მისაღებ ოთახს? ...მოკლედ... ასე იყო თუ ისე, გადაწყვიტეს, რომ არავის ჰქონდა უფლება, თავისი შესაძლებლობებისა თუ გაჭირვების დონე თავად განესაზღვრა. ჩვენ ამას ხმა მივეცით. დიახ, ქალბატონო, ამას ხმას ვაძლევდით წელიწადში ორჯერ საჯარო შეკრებებზე. აბა, სხვაგვარად როგორ აღსრულდებოდა? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რა ხდებოდა ასეთ შეკრებებზე? მხოლოდ ერთი შეკრება იყო საკმარისი და მივხვდით, რომ მათხოვრებად ვიქეცით ჩამპალ, აწკმუტუნებულ, ზლუქუნა მათხოვრებად. ყველანი, რადგან არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო, ეთქვა, რომ გასამრჯელოს სამართლიანად და დამსახურებულად იღებდა; არც უფლებები გვქონდა და არც ანაზღაურება. ჩვენი სამუშაო ჩვენ არ გვეკუთვნოდა, ეკუთვნოდა „ოჯახს“, რომელიც უკან არაფერს გვიბრუნებდა, ერთადერთი, რაზეც შეგვეძლო, ამ „ოჯახისთვის“ პრეტენზია განგვეცხადებინა, იყო ჩვენი „გაჭირვების დონე“. საჯაროდ უნდა გვემათხოვრა და როგორც ტილიან გაჭირვებულს, მთელი ჩვენი პრობლემები და უბედურებები უნდა ჩამოგვეთვალა, დაწყებული ჩვენი დახეული საცვლებიდან, ცოლების სურდოთი დამთავრებული, და იმედი უნდა გვქონოდა, რომ „ოჯახი“ მოწყალებას გადმოგვიგდებდა. სწორედ ჩვენს უბედურებებზე უნდა გველაპარაკა, რადგან უბედურებები, და არა შესრულებული სამუშაო, იქცა მთავარ ღირებულებად. ამდენად, ეს ყველაფერი ექვსი ათასი მათხოვრის კონკურსად იქცა, რომელთაგან თითოეული ამტკიცებდა, რომ მას უფრო უჭირდა, ვიდრე მის ძმას. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მომხდარიყო? გაინტერესებთ, მერე რა მოხდა? როგორი ადამიანები გაჩუმდნენ, როგორებს შერცხვათ და როგორები აგრძელებდნენ ჯეკპოტისთვის ბრძოლას?

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ზუსტად ამავე შეკრებაზე კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინეთ. პირველ ნახევარ წელიწადში ქარხნის წარმოების მაჩვენებელი ორმოცი პროცენტით დაეცა. ამიტომ, გადაწყვიტეს, რომ ვიღაცამ თავისი „შესაძლებლობის“ მიხედვით არ იმუშავა. და ვის? როგორ უნდა გაგეგო? „ოჯახმა“ ამაზეც კენჭის ყრა მოაწყო. კენჭი უყარეს იმას, თუ ვინ იყო საუკეთესო

თანამშრომელი და მომდევნო ექვსი თვის მანძილზე, ყოველღამე ამუშავებდნენ. დადგენილ დროზე მეტხანს და ანაზღაურების გარეშე, იმიტომ რომ, არც დროის მიხედვით გიხდიდნენ და არც შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მხოლოდ გაჭირვების მიხედვით.

გითხრათ, ამის შემდეგ რა მოხდა? ან რა არსებებად ვიწყეთ ყველამ გადაქცევა, ჩვენ, ვინც ოდესღაც ადამიანები ვიყავით? რამის უნარი თუ გვქონდა, ვმალავდით, უფრო ნელა დავიწყეთ მუშაობა და ქორებივით ვუყურებდით ერთმანეთს ისე, რომ სხვაზე სწრაფად ან უკეთ არ გვემუშავა. აბა, სხვა რა უნდა გვექნა, როცა ვიცოდით, რომ თუ „ოჯახისთვის“ კარგად ვიმუშავებდით, მადლობას ან ჯილდოს კი არ მივიღებდით სანაცვლოდ, არამედ სასჯელს! ვიცოდით, რომ თუ ვინმე იდიოტი ძრავების პარტიას დააზარალებდა და კომპანიას წაგებაზე გაუშვებდა, — თუნდაც თავისი დაუდევრობის გამო, რადგან აღარ გვიწევდა სიფრთხილეზე დარდი, ან სულაც არაკომპეტენტურობის შედეგად, — სწორედ ჩვენ მოგვიწევდა ანაზღაურება ჩვენი ღამეებითა და კვირა დღეებით. ასე რომ, ყოველმხრივ ვცდილობდით, როგორმე არაეფექტიანები ვყოფილიყავით.

ერთი ახალგაზრდა ბიჭი გვყავდა, ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა — კეთილშობილური იდეებით გულანთებული, ცოცხალი ბიჭი, რომელსაც განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ არაჩვეულებრივი თავის პატრონი იყო. პირველ წელს ისეთი სამუშაო პროცესი მოიგონა, ათასობით ადამიანის დრო დაზოგა. ეს „ოჯახისთვის“ გააკეთა, არც არაფერი მოუთხოვია სანაცვლოდ და ვერც მოითხოვდა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონია. როგორც თავად ამბობდა, ეს მისი ზნეობრივი სტანდარტი იყო. მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ ყველაზე უნარიან კაცად აირჩიეს და ღამის სამუშაოებით დააჯარიმეს, რადგან საკმარისად არ შრომობდა, პირიც მოკუმა და ტვინიც. და რა გასაკვირია, რომ მეორე წელს ახალ-ახალი იდეებით აღარ გამოუჩენია თავი.

არადა, მანამდე რას ჩაგვჩიჩინებდნენ? — როგორი მანკიერიცაა წარმოების სისტემა, ისეთივე მანკიერ კონკურენციას წარმოშობს, სადაც ადამიანები ერთმანეთს სამუშაოს კარგად შესრულებაში ეჯიბრებიანო. მანკიერი იყო, ხომ?! ჰოდა, ვინც ამას ჩაგვჩიჩინებდა, უნდა ენახა ერთი, რას ნიშნავს კონკურენცია, სადაც ადამიანები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვინ უფრო ცუდად შეასრულებს სამუშაოს. არ არსებობს ადამიანის განადგურების იმაზე უფრო უტყუარი გზა, როცა აიძულებ, ისეთ ადგილას იყოს, სადაც მისი მიზანი რაღაცის კარგად შესრულება არ იქნება, სადაც მას ცუდად მუშაობაზე უწევს ენერგიის დახარჯვა, ყოველდღე. ეს უფრო მალე მოკლავს, ვიდრე სასმელი ან უსაქმურობა ან ქურდობა. მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვშვრებოდით, მხოლოდ უნდა გვეთამაშა, რომ უვარგისები ვიყავით. ერთადერთი ბრალდება, რისიც გვეშინოდა, ის იყო, რომ ვინმეს ჩვენს უვარგისობაში ეჭვი შეეტანა. თორემ ნიჭი ერთგვარი გირაო იყო, რომელსაც ვერასდროს გადაიხდიდი. ანდა რისთვის უნდა გემუშავა?

იცოდი, რომ გროშებს ყველა შემთხვევაში მოგცემდნენ, გინდაც გემუშავა და გინდაც — არა. ეს „ბინისა და კვების ფული“ იყო, როგორც უძახდნენ და ამაზე მეტის მიღების შანსი არ გქონდა, რაც უნდა ძალიან მოგენდომებინა. ვერ დაგეგმავდი მომავალი წლისთვის ახალი ტანსაცმლის ყიდვას, იმიტომ რომ, ან მოგცემდნენ „ტანსაცმლის ფულს“, ან არა და ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინმე მოიტეხდა ფეხს თუ არა, დასჭირდებოდა ოპერაცია თუ არა, ან კიდევ გააჩენდა ბავშვებს თუ არა.

კოსტიუმის ფული ყველასთვის უნდა ყოფილიყო, სხვა შემთხვევაში, ვერც შენ მიიღებდი.

მახსოვს ჩვენთან ერთი კაცი, მთელი ცხოვრება მონდომებით რომ მუშაობდა, რადგან სულ უნდოდა, ვაჟი კოლეჯში გაეშვა. გეგმის განხორციელების მეორე წელი იყო, როცა ბიჭმა სკოლა დაამთავრა, მაგრამ „ოჯახმა“ მამამისს „კოლეჯის ფული“ არ მისცა. უთხრეს, შენი შვილი ვერ წავა კოლეჯში, ვიდრე იმდენი ფული არ გვექნება, ყველას შვილები რომ გავუშვათო, ჯერ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ყველა ბავშვმა სკოლაში იაროს და ამის ფულიც ძლივს გვაქვსო. მომდევნო წელს, ეს კაცი მოკვდა — დუქანში, დანით იჩხუბა ვიღაცასთან, სისულელის გამო. ასეთი ჩხუბები უკვე ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ჩვენში.

მახსოვს კიდევ ერთი მოხუცი კაცი, ქვრივი იყო, ოჯახი არ ჰყავდა. ჰობი ჰქონდა:

ფონოგრაფის ფირფიტები. მგონი, ცხოვრებაში ეს ერთადერთი რამ იყო, რაც სიამოვნებას ანიჭებდა. ძველ დროს შესვენებაზე არ შეჭამდა და გარეთ გავიდოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ კლასიკური მუსიკის რაიმე ახალი ჩანაწერი ეყიდა. ცხადია, „ფირფიტების ფულს“ არ აძლევდნენ, ეს ხომ, მათი აზრით, „პირადი ფუფუნება“ იყო. მაგრამ იმავე შეკრებაზე, მილი ბუშს, რომელიღაცის საძაგელ, შეუხედავ რვა წლის ქალიშვილს, კენჭის ყრაზე ხმა მისცეს, რადგან თურმე დაღრეჯილი კბილებისთვის ოქროს საბრჯენები სჭირდებოდა. ეს „სამედიცინო აუცილებლობად“ მიიჩნიეს, რაკი კადრების განყოფილების ფსიქოლოგმა თქვა, კბილებს თუ არ გაისწორებს, საბრალო გოგოს არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოუყალიბდებაო მოხუცმა კაცმა, მუსიკა რომ უყვარდა, სმა დაიწყო. იმდენს სვამდა, რომ ბოლომდე გამოფხიზლებულს ვეღარასდროს ნახავდი. თუმცა, როგორც ჩანს, იყო ერთი რამ, რისი დავიწყებაც ვერ შეძლო. ერთ ღამეს ქუჩაზე ბარბაცით რომ მიდიოდა, მილი ბუში დაინახა, მუშტი გაუქანა და ყველა კბილი ჩაულეწა. სულყველა, უკლებლივ.

სმა, რა თქმა უნდა, ყველამ დავიწყეთ. ზოგმა — მეტის, ზოგმა — ნაკლების. ნუ მკითხავთ, სასმლის ფული საიდან გვქონდა. როცა ყველა სხვა ნორმალური სიამოვნება აკრძალულია, უზნეობისთვის ფულს ყოველთვის შოულობ. სიბნელეში გასტრონომებში არ იჭრები და არც შენი მეგობრების ჯიბეებში აფათურებ ხელებს, როცა კლასიკური სიმფონიების ან სათევზაო მოწყობილობების ყიდვა გინდება, მაგრამ როცა საქმე გალეშვას და ყველაფრის დავიწყებას ეხება, ზუსტად ასე იქცევი. სათევზაო მოწყობილობები? სანადირო თოფები? ფოტოკამერები? ჰობი? „გართობის ფული“ არავისთვის არ იყო. „გართობა“ პირველი იყო, რაც აკრძალეს. ხომ მიღებულია, რომ უნდა შეგრცხვეთ გაპროტესტება, როცა ვინმე გეუბნებათ, შეეშვათ იმას, რაც სიამოვნებას განიჭებთ?! „თამბაქოს ფულიც“ კი ისე შეგვიმცირეს, რომ თვეში მხოლოდ ორი კოლოფი მოგვდიოდა; და ეს იმიტომ, რომ ფული ბავშვების რძის ფონდში უნდა წავიდესო. ბავშვები წარმოების ერთადერთი სფერო იყო, რაც არ ჩამორჩენილა, პირიქით — სულ უფრო ვითარდებოდა, რადგან ხალხს, ჩემი აზრით, სხვა საქმე არ ჰქონდა და თან დიდად არც ენაღვლებოდათ — ბავშვი მათი კი არა, „ოჯახის“ ტვირთი იყო. პრაქტიკულად, დაწინაურებისა და რაღაც ხანი შვებით ამოსუნთქვის საუკეთესო შანსი მაშინ გქონდა, როცა „ბავშვის ფულს“ იღებდი. ან ეს, ან რაიმე სერიოზული დაავადება.

მალევე მივხვდით, საითკენაც მივექანებოდით ამ გეგმის წყალობით. ნებისმიერს, ვინც ღირსეულად შეეცდებოდა მოქცევას, უარი უნდა ეთქვა ყველაფერზე.

ასეთ ადამიანს სიამოვნებათა მადა დაჰკარგვოდა, ხუთცენტიანი თამბაქოს მოწევა თუ რეზინის ღეჭვა შესძულებოდა, რადგან სულ იმას დარდობდა, იქნებ, ეს

ხუთი ცენტი ვინმეს ჩემზე მეტად სჭირდებაო. ყოველ ლუკმას სირცხვილით ყლაპავდა და სულ ის აფიქრებდა, ნეტავ ვისმა დამქანცველმა ღამის სამუშაოებმა გადამიხადა ამ საჭმლისთვის ფულიო, რადგან იცოდა, რომ ეს საჭმელი კანონით არ ეკუთვნოდა და ერჩივნა, თავად ყოფილიყო მოტყუებული, ვიდრე მატყუარა, მიმნდობი და გულუბრყვილო, მაგრამ არამც და არამც — სისხლის მწოველი პარაზიტი. ცოლსაც არ მოიყვანდა, მშობლებსაც არ დაეხმარებოდა, „ოჯახს“ ზედმეტ ტვირთად არ დააწვებოდა. თანაც, თუ კაცს ოდნავი პასუხისმგებლობის გრძნობა მაინც ჰქონდა, ცოლს მხოლოდ იმიტომ არ მოიყვანდა ან შვილებს იმიტომ არ გააჩენდა, რომ არაფრის იმედი არ ჰქონდა, ვერაფერს დაგეგმავდა, ვერავის ვერაფერს შეჰპირდებოდა. სამაგიეროდ, უქნარებმა და უპასუხისმგებლოებმა კარგად იხეირეს. ბავშვებს აჩენდნენ, გოგოებს პრობლემებს უქმნიდნენ, ქვეყნის ყველა კუთხიდან თავიანთი უღირსი ნათესავები და გაუთხოვარი ორსული დები ჩამოჰყავდათ, რომ უფრო მეტი „ჯანმრთელობის ფული“ აეღოთ. სწორედ ისინი ხდებოდნენ ყველაზე ხშირად ავად და თან იმდენი სენი ეყრებოდათ, ექიმიც კი იბნეოდა; ხევდნენ თავიანთ ტანსაცმელს, აფუჭებდნენ ავეჯს, სახლებს... რა ენაღვლებოდათ?! მაინც ოჯახი იხდიდა ფულს! იმდენ და ისეთ გზას პოულობდნენ, სხვებზე „გაჭირვებულები“ რომ ყოფილიყვნენ, დანარჩენებს თავში აზრადაც რომ არ მოგვივიდოდა; საგანგებო უნარ-ჩვევები შეიმუშავეს და სწორედ ეს იყო ის ერთადერთი ნიჭი, რასაც ამჟღავნებდნენ.

ღმერთო, შენ გვიშველე! ქალბატონო, ხვდებით, რასაც ჩვენ მივხვდით, მივხვდით, რომ არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც უნდა გვეცხოვრა, მორალური კანონი, როგორც თავად უძახდნენ და რომელიც სჯიდა მათ, ვინც ამ კანონს ასრულებდა. მხოლოდ ამისთვის. რაც უფრო მეტს ცდილობდი, კანონის დაცვით გეცხოვრა, მით უფრო მეტად იტანჯებოდი და რაც უფრო ხშირად დაარღვევდი, მით უფრო მეტ ჯილდოს იღებდი. ერთის პატიოსნება მეორის უპატიოსნების ამარა დარჩენილი იარაღივით იყო. პატიოსნები იხდიდნენ, უსინდისოები იღებდნენ. პატიოსნები აგებდნენ, უსინდისოები იგებდნენ. რამდენ ხანს შეძლებდა კაცი კარგ ადამიანად დარჩენას ასეთი „კარგი“ კანონის პირობებში? მუშაობა რომ დავიწყეთ, საკმაოდ წესიერი ხალხი ვიყავით. ჩვენში ბევრ თაღლითსა და გაიძვერას ვერ ნახავდით. ვიცოდით ჩვენი საქმე და გვეამაყებოდა; ქვეყნის საუკეთესო ქარხანაში ვმუშაობდით, სადაც მოხუც სტარნსს საუკეთესო მშრომელი ხალხი აჰყავდა. ახალი გეგმის ამუშავებიდან ერთ წელიწადში, ჩვენში ერთ პატიოსან კაცსაც კი ვეღარ იპოვიდით. ეს ბოროტება იყო, აბსოლუტური ჯოჯოხეთური ბოროტება, ეშმაკი — აი, ისეთი, მქადაგებლები რომ გაშინებდნენ, მაგრამ რეალურად მაინც რომ ვერასდროს ხედავდი. ის კი არ იყო, რომ გეგმამ რამდენიმე გარეწარი ამოატივტივა, არა, წესიერი ხალხი ერთბაშად გარეწრებად აქცია. ასეთი გეგმა სხვა ნაყოფს ვერც გამოიღებდა. და აი, ამას უძახდნენ ზნეობრივ იდეალს!

რისთვის უნდა გვდომებოდა მუშაობა?! ჩვენი ძმების სიყვარულის გამო? რომელი ძმების? გაზულუქებული, უმაქნისი და მათხოვარი ადამიანების გამო, ჩვენ ირგვლივ რომ იყვნენ? გინდაც ეთაღლითათ და გინდაც სრულიად უნიჭოები ყოფილიყვნენ, გინდაც სიზარმაცე ყოფილიყო მათი უნიათობის მიზეზი და გინდაც უვიცობა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის? თუ მაინც სიცოცხლის ბოლომდე მათი უვარგისობის ხარისხზე — გამოგონილზე თუ რეალურზე — უნდა ვყოფილიყავით დამოკიდებული, რამდენ ხანს მოვითმენდით? ჩვენ მათი ნიჭისა თუ შესაძლებლობის შესახებ არაფერი ვიცოდით და არც გვქონდა საშუალება, გაგვეგო, სამაგიეროდ,

შეგვეძლო, გვეკონტროლებინა მათი „გაჭირვების დონე“; მხოლოდ ის ვიცოდით, რომ სხვა არაფერი ვიყავით, თუ არა ნახირი, რომელიც ერთ რომელიმე ადგილასაა შეყრილი და ბრმად ცდილობს გზის გაკვლევას, ეს ადგილი კი ნახევრად საავადმყოფოს ჩამოჰგავს, ნახევრად — საქონლის ბაკს, რომელიც მხოლოდ უუნარობას, უბედურებას წარმოშობს.

მხეცები ვიყავით, რომლებსაც უნდა შეგვემსუბუქებინა ვიღაცის „გაჭირვება“, რაც უნდა ყოფილიყო ეს „გაჭირვება“ და ვისაც უნდა დაერქმია ეს სახელი.

ჩვენი ძმების სიყვარული? რომელი ძმების სიყვარულზე ვლაპარაკობთ, მაშინ, როცა სწორედ იმ დროს, ჩვენს ცხოვრებაში პირველად, ვისწავლეთ, რას ნიშნავს ძმების სიძულვილი. შეგვძულდნენ საჭმლის ყველა ლუკმისთვის, ყველა მცირედი სიამოვნებისთვის, ახალი პერანგისთვის, რომელიც რომელიმეს ეცვა, რომელიმეს ცოლის ახალი ქუდისთვის, იმისთვის, რომ ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ გადიოდნენ, ახალი საღებავისთვის, რომლითაც სახლი შეღებეს, რადგან ამ ყველაფერს ჩვენ გვართმევდნენ, ამას ჩვენი ხელმოკლეობით, რაღაცებზე უარის თქმითა თუ შიმშილით ვიხდიდით. ჯაშუშებად ვიქეცით — ერთმანეთის თვალთვალი დავიწყეთ და თითოეულ ჩვენგანს იმედი ჰქონდა, რომ ვინმეს ტყუილში გამოვიჭერდით, როგორმე შევიტყობდით, რომ „გაჭირვების დონის“ შესახებ რომელიღაც იტყუება, მორიგ შეხვედრაზე მას დავასმენდით და ფულსაც აღარ მისცემდნენ. საიდუმლო აგენტები გვყავდა, რომლებიც ხალხზე ინფორმაციას გვაწვდიდნენ, გვეუბნებოდნენ, მაგალითად, რომ ვიღაცას კვირადღეს სახლში ინდაური მიეტანა, ეს ინდაური კი, დიდი შანსი იყო, აზარტული თამაშებით ნაშოვნი ფულით ეყიდა. ერთმანეთის ცხოვრებაში ხელებს ვაფათურებდით. ოჯახებში შუღლს ვაგდებდით, რომ ვინმეს ნათესავი გზიდან ჩამოგვეცილებინა. თუკი დავინახავდით, რომ რომელიმე ჩვენგანი გოგოსთან სტაბილურ ურთიერთობას იწყებდა, ცხოვრებას ვუმწარებდით. არაერთი ნიშნობა ჩაგვიშლია. არ გვინდოდა, რომ ვინმე დაქორწინებულიყო, არ გვინდოდა, დამატებითი ადამიანები ყოფილიყვნენ ჩვენს კმაყოფაზე.

ძველ დროს, ვინმეს ბავშვი თუ გაუჩნდებოდა, აღვნიშნავდით; თუ იმწუთას რაიმე პრობლემები ჰქონდა, ფულს ვდებდით და საავადმყოფოს ხარჯების დაფარვაში ვეხმარებოდით. ახლა კი, ბავშვი რომ ჩნდებოდა, მის მშობლებს კვირობით ხმას არ ვცემდით. ბავშვები ჩვენთვის იგივე გახდა, რაც ფერმერებისთვის — კალიები. ძველ დროს, ადამიანს თუ ოჯახში ვინმე ავად ჰყავდა, ვეხმარებოდით. ახლა კი... აი, ერთ შემთხვევას მოგიყვებით. იმ კაცის დედაზე მაქვს ლაპარაკი, რომელიც ჩვენთან სადღაც თხუთმეტი წელი მუშაობდა. კეთილი მოხუცი ქალბატონი იყო, ხალისიანი და ბრძენი, ყველას სახელებით გვიცნობდა და ჩვენც ყველას მოგვწონდა ეს ქალი.

ჰო, მოგვწონდა. ერთ დღეს, სარდაფის კიბეებზე ფეხი დაუცდა, დაეცა და ბარძაყი მოიტეხა. ვიცოდით, მის ასაკში ეს რასაც ნიშნავდა. კადრების ექიმმა თქვა, ქალაქის საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთო, ხანგრძლივი მკურნალობაა საჭირო, რაც ძვირი დაჯდებაო. მოხუცებული ქალაქში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, ღამე გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი ვერაფრით დაადგინეს. არა, არ ვიცი, მოკლეს თუ არა. ამას არავინ ამბობდა. ამაზე ვერავინ ილაპარაკებდა. მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია, — და ეს არასდროს დამავიწყდება! — მისი სიკვდილი მეც მინატრია. ღმერთო მაპატიე, მაგრამ აი, ეს იყო ჩვენი ძმობა და ის უსაფრთხო და ბარაქიანი ცხოვრება, რაც, წესით, გეგმას უნდა მოეტანა ჩვენთვის!

ვის რაში სჭირდებოდა ასეთი საშინელების ქადაგება? ჰქონდა ვინმეს ამ უბედურებისგან რაიმე სარგებელი? კი, ჰქონდა. სტარნსის მემკვიდრეებს. იმედი

მაქვს, არ შემახსენებთ, როგორ გაიღეს მსხვერპლად თავიანთი ქონება და ქარხანა საჩუქრად გვიბოძეს. ამაშიც გაგვაბითურეს. ჰო, ქარხანაზე მართლაც უარი თქვეს, მაგრამ მოგება, ქალბატონო, სხვადასხვაგვარი არსებობს, იმის მიხედვით, რისი მიღწევა გინდა. ხოლო იმას, რისი მიღწევაც სტარნსის მემკვიდრეებს უნდოდათ, ამქვეყნად ვერავითარი ფულით ვერ იყიდი. ფული ამასთან შედარებით ზედმეტად სუფთა და უმანკოა.

ერიკ სტარნსი მათგან ყველაზე ახალგაზრდა იყო, ყოვლად უნიათო კაცი, რომელსაც ნებისყოფა არც ჰქონდა, რომ ცხოვრებაში რაიმე კონკრეტული მიზანი დაესახა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორად აირჩია თავი. ეს დეპარტამენტი არაფერს არ აკეთებდა, გარდა იმისა, რომ იყვანდა ხალხს, რომელიც არაფერს არ აკეთებდა, ასე რომ, სამსახურში ყოფნა არ უწევდა. გასამრჯელო, რომელსაც იღებდა... არა, „გასამრჯელო“ ამას არ უნდა დავუძახო, „გასამრჯელოს“ არც ერთი არ ვიღებდით... მოკლედ, მოწყალება, რომელიც არჩევნების შედეგად ერგო, შედარებით მოკრძალებული იყო, ჩემსაზე სადღაც ათჯერ მეტი, მაგრამ ამას მთლად მდიდრული შემოსავალი არ ერქვა. ერიკს ფული არ ანაღვლებდა, არც იცოდა, ფულისთვის რა ექნა. დროს ჩვენთან ერთად ატარებდა და ცდილობდა, ეჩვენებინა, როგორი გულღია და დემოკრატი იყო. როგორც ჩანს, უნდოდა, რომ ხალხს ჰყვარებოდა. ამისთვის კი სულ იმას გვიმეორებდა, თქვენ გამო „ქარხანაზე უარი ვთქვიო. ერიკის ატანა არ გვქონდა.

ჯერალდ სტარნსი წარმოების განყოფილების დირექტორი იყო. ვერასდროს დავადგინეთ, რამდენი იყო მისი წილი... მოწყალება, უფრო სწორად. ამისთვის ბუღალტერიის მთელი დეპარტამენტი იქნებოდა საჭირო და ინჟინრების მთელი რაზმი, რათა გაგერკვია, რა გზებით ხვდებოდა ეს ფული მის ჯიბეში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ. თანაც არც ერთი ცენტი, წესით, მას არ ეკუთვნოდა — ყველაფერი კომპანიის ხარჯებს უნდა მოხმარებოდა. ჯერალდს სამი მანქანა ჰყავდა, ოთხი მდივანი, ხუთი ტელეფონი და შამპანურითა და ხიზილალით გაძეძგილ ისეთ წვეულებებს აწყობდა, ამ ქვეყანაში ვერც ერთი გადასახადის გადამხდელი მაგნატი რომ ვერ გასწვდებოდა. ერთ წელიწადში იმაზე მეტ ფულს ხარჯავდა, ვიდრე სიცოცხლის ბოლო ორი წლის მანძილზე იშოვა მამამისმა მოგების წყალობით. ჯერალდის კაბინეტში ჟურნალების შეკვრა გვაქვს ნანახი, ას ფუნტს იწონიდა. ავწონეთ კიდეც. ეს ჟურნალები ჩვენი ქარხნის შესახებ სტატიებით იყო სავსე, წერდნენ, როგორი კეთილშობილური გეგმა გვქონდა, გვერდები სულ ჯერალდის ფოტოებით იყო აჭრელებული და მას უდიდეს საზოგადო მოღვაწედ მოიხსენიებდნენ. ჯერალდს ღამღამობით საამქროში შევლა უყვარდა, ოფიციალურ ტანსაცმელში გამოეწყობოდა, ხუთცენტიანისხელა ალმასის მანჟეტის საკინძეებს აბრდღვიალებდა და გარშემო სიგარის ფერფლებს ყრიდა. ნებისმიერი იაფფასიანი ყეყეჩი, რომელსაც ფულის გარდა, სატრაბახო არაფერი აქვს, საკმაოდ ცუდი სანახავია, მაგრამ იმას მაინც არ გიმტკიცებს, ეს ფული ჩემი არ არისო, ჰოდა, შენი ნებაა — გინდა, უყურე პირდაფჩენილმა, გინდა — არა.

მაგრამ როცა ჯერალდ სტარნსისნაირი ნაძირალა შოუს გიდგამს და სულ იმას გაიძახის, რომ მატერიალური კეთილდღეობა არაფრად ადარდებს, რომ მხოლოდ „ოჯახს“ ემსახურება, რომ ფუფუნება თავისთვის კი არა, მხოლოდ ჩვენთვის და ზოგადი კეთილდღეობისთვის სჭირდება, და ეს კი იმიტომ, რომ საჯარო თვალისთვის კომპანიისა და კეთილშობილური გეგმის პრესტიჟის შენარჩუნება აუცილებელია —

ასეთ დროს, სწავლობ ამ არსების სიძულვილს და გძულდება ისე, როგორც არც ერთი ადამიანი არასდროს არ შეგძულებია.

მაგრამ მისი და, აივი, უარესი იყო. მას მართლა არ ადარდებდა მატერიალური კეთილდღეობა. ჩვენზე მეტ მოწყალებას არც იღებდა და გაცვეთილი, დაბალძირიანი ფეხსაცმლითა და განიერი პერანგით დადიოდა, რომ ეჩვენებინა, როგორ არ აინტერესებდა საკუთარი თავი. დისტრიბუციის განყოფილების დირექტორი იყო. ჩვენს „გაჭირვების დონეს“ განაგებდა. სწორედ მას ჰქონდა ჩვენთვის ყელში ხელი წაჭერილი. ცხადია, დისტრიბუციაც არჩევნების გზით უნდა გადაწყვეტილიყო — ხალხის ხმით. მაგრამ როცა ამ ხალხს ექვსი ათასი აყმუვლებული ხმა წარმოადგენს, რომელიც რაღაცის გადაწყვეტას ყოველგვარი კრიტერიუმისა და აზრის გარეშე ცდილობს, როცა თამაშს წესები არა აქვს და ნებისმიერს ნებისმიერი რამის მოთხოვნა შეუძლია, როცა ყველა ადამიანს ყველა სხვა დანარჩენის სიცოცხლეზე აქვს ძალაუფლება, საკუთრის გარდა — მაშინ აღმოჩნდება (და ასეც აღმოჩნდა), რომ ხალხის ხმა აივი სტარნსია. მეორე წლის მიწურულს, „ოჯახური შეკრებების“ თამაშს შევეშვით — თამაშს, რომელიც „წარმოების ეფექტიანობისა და დროის ეკონომიის“ სახელით იმართებოდა, რომელსაც ათი დღე მიჰქონდა და რომლის შედეგადაც „გაჭირვების“ პეტიციები უბრალოდ მის სტარნსის კაბინეტში იგზავნებოდა. არა, არ იგზავნებოდა.

თითოეული მთხოვნელი პირადად უნდა მისულიყო მასთან და სათხოვარი გაეხმოვანებინა. შემდეგ დისტრიბუციის სიას ადგენდა და გვიკითხავდა შეკრებაზე, რომელიც საათის მესამედი გრძელდებოდა. არჩევნებზე მის სიას მხარს ვუჭერდით. დისკუსიისთვის და საწინააღმდეგო არგუმენტებისთვის, რეგლამენტის მიხედვით, ათი წუთი გვქონდა. საწინააღმდეგო არგუმენტებს არ ვაყენებდით. იმ დროისთვის უკვე ყველაფერი კარგად ვიცოდით. ქარხნის შემოსავლების განაწილება ათასობით კაცს შორის შეუძლებელია, თუ ადამიანი შრომის შეფასების რაიმე კრიტერიუმს არ მიმართავს.

კრიტერიუმი მისთვის ფეხების ლოკვა იყო. ჰო, არ აინტერესებდა თურმე საკუთარი თავი! ძველ დროს, მთელი ის ფული, რაც მამამისს ჰქონდა, ამ კაცს არ აძლევდა საშუალებას, ყველაზე საძაგელ, ქვემდგომ დაქირავებულთანაც კი ისე ელაპარაკა, როგორც მისი ქალიშვილი ელაპარაკებოდა ჩვენს საუკეთესო მუშებსა და მათ ცოლებს.

უფერული, ცივი და მკვდარი თვალები ჰქონდა და თევზის გამომეტყველება. და თუ ოდესმე განსხეულებული ბოროტების დანახვა მოგინდებოდა, მისი აალებული თვალებისთვის უნდა შეგეხედა, როცა უცქერდა კაცებს, რომლებიც გაბედავდნენ და მას სიტყვას შეუბრუნებდნენ, თუკი იმ ადამიანთა სიაში აღმოჩნდებოდნენ, ჩვეულ გროშებზე მეტი არაფერი რომ არ უნდა რგებოდათ. ხოლო როცა ამ თვალებს დაინახავდი, დაინახავდი თითოეული იმ ადამიანის ნამდვილ მოტივს, ვინც ქადაგებდა ლოზუნგს:

„ყველას თავისი შესაძლებლობისა და გაჭირვების დონის მიხედვით“.

აი, ამაში მდგომარეობდა მთელი მათი საიდუმლო. თავიდან სულ მიკვირდა, როგორ შეეძლოთ მთელი მსოფლიოს განათლებულ, კულტურულ, სახელგანთქმულ ადამიანებს, ამხელა შეცდომა დაეშვათ და ასეთი რამეები ექადაგათ — სამართლად გაესაღებინათ ასეთი საზიზღრობა, მაშინ, როცა ალბათ საკმარისი იქნებოდა, ხუთი წუთი დაფიქრებულიყვნენ, რომ მიმხვდარიყვნენ, რა მოხდებოდა, თუ ვინმე შეეცდებოდა და მათი ქადაგებების პრაქტიკაში განხორციელებას დაიწყებდა. ახლა

ვხვდები, რომ მათ არავითარი შეცდომა არ მოსვლიათ. ამ მასშტაბის შეცდომები გულუბრყვილობის გამო არასდროს ხდება. როცა ადამიანები რაღაც მანკიერ სიგიჟეს დაიმართებენ და არ აქვთ მიზეზები, რითიც თავიანთ არჩევანს ახსნიდნენ, ეს იმიტომ ხდება, რომ სინამდვილეში, არ სურთ მიზეზების გამხელა. არც ჩვენ ვიყავით გულუბრყვილოები, როცა პირველ შეკრებაზე გეგმას მივეცით ხმა. არა იმიტომ, თითქოს გვჯეროდა, რომ მათი ცარიელი ყბედობა რამე სიკეთეს მოიტანდა. არა, ჩვენ სხვა მიზეზი გვქონდა, მაგრამ ეს ბოდვა დაგვეხმარა, ნამდვილი მიზეზი ჩვენი მეზობლებისა და საკუთარი თავებისგან დაგვემალა. ბოდვამ საშუალება მოგვცა, სიკეთედ გაგვესაღებინა ის, რისი აღიარებაც საკუთარ თავებთან სხვაგვარად შეგვრცხვებოდა. ერთი კაციც კი არ იყო, რომელიც გეგმას ხმას აძლევდა და არ ფიქრობდა, რომ ამგვარი მონაჩმახის წყალობით მასზე უფრო კომპეტენტური ადამიანის ჯიბეში დაიწყებდა ხელების ფათურს. რაც უნდა მდიდარი და ჭკვიანი იყოს ადამიანი, ვიღაცა მაინც თავისზე მდიდარი და ჭკვიანი ჰგონია, ეს გეგმა კი მასზე უკეთესის სიმდიდრისა და გონების გარკვეულ ნაწილზე მისცემდა წვდომას. მაგრამ ვიდრე ფიქრობდა, ჩემზე უკეთესებისგან დაუმსახურებელ სარგებელს გამოვკრავ კბილსო, დაავიწყდა, რომ მასზე უარესებიც არსებობდნენ, რომლებიც ასევე მიიღებდნენ დაუმსახურებელ სარგებელს. დაავიწყდა ყველა ის უნიჭო ადამიანი, რომელიც სულ მალე მის დახრჩობას დაიწყებდა ზუსტად ისევე, როგორც თავად ჰქონდა თავისზე ნიჭიერების დახრჩობის იმედი. მუშას, რომელსაც მოსწონდა აზრი, რომ თავისი „გაჭირვების დონე“ თავისი ბოსისნაირი ლიმუზინის ყოლის უფლებას მოუტანდა, დაავიწყდა, „რომ ამქვეყნად ყველა უქნარა და მათხოვარი აწკმუტუნდებოდა და იტყოდა, რომ მისი „გაჭირვების დონე“ მისნაირი მაცივრის ქონის უფლებას აძლევდა. აი, ეს იყო ჩვენი ნამდვილი მოტივი, როცა გეგმას მივეცით ხმა, ეს იყო სიმართლე, მაგრამ არ მოგვწონდა, ასე რომ გვეფიქრა. და რაც უფრო მეტად არ მოგვწონდა, მით უფრო ხმამაღლა გავყვიროდით ჩვენი სიყვარულის შესახებ საყოველთაო სიკეთისადმი.

ჰოდა, მივიღეთ კიდეც, რასაც ვითხოვდით. ხოლო როცა მივხვდით, რასაც ვითხოვდით, უკვე ძალიან გვიანი იყო. ხაფანგში ვიყავით გამომწყვდეულები, წასასვლელი არსად გვქონდა. საუკეთესო კაცებმა გეგმის აღსრულებიდან პირველსავე კვირაში დატოვეს ქარხანა. საუკეთესო ინჟინრები, დირექტორები, მთავარი მუშები, საოცრად კვალიფიციური თანამშრომლები დავკარგეთ. კაცი, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, მეწველი ძროხა ვერავისთვის გახდება. ზოგმა მცოდნე კაცმა სცადა, მოთმინებით შეხვედროდა ამ ყველაფერს, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ გაძლო. ვკარგავდით და ვკარგავდით თანამშრომლებს. ისე გარბოდნენ, გეგონება, ქარხანა კი არა, შავი ჭირის კერააო; ვკარგავდით იქამდე, ვიდრე არავინ დაგვრჩა, უფრო სწორად, დაგვრჩნენ მხოლოდ „გაჭირვებაში მყოფნი“, და არც ერთი მცოდნე და ნიჭიერი ადამიანი.

ჩვენ, ვინც აქ ძალიან დიდი ხნის წინ მოვედით სამუშაოდ, ვინც ჯერ კიდევ რაღაც ვიცოდით და მაინც დავრჩით ქარხანაში, ცოტანი ვიყავით., ძველ დროს, „თუენთის სენჩერიდან“ არავინ მიდიოდა და ახლაც არ გვინდოდა, დაგვეჯერებინა, რომ ეს დრო წარსულში დარჩა. მერე უკვე იმიტომაც ვეღარ მივდიოდით, რომ ვიცოდით, მაინც არც ერთი დამქირავებელი არ აგვიყვანდა (და ვერც დაადანაშაულებდი ამაში). ჩვენთან საქმეს აღარავინ დაიჭერდა — აღარც ერთი კარგი რეპუტაციის მქონე ადამიანი თუ ფირმა. ყველა პატარა მაღაზია, სადაც საყიდლებზე დავდიოდით, სტარნსვილიდან თვალის დახამხამებაში სხვა ადგილებში ინაცვლებდა. ბოლოს

მხოლოდ დუქნები, აზარტული თამაშების ბუნაგები და თაღლითები შემოგვრჩნენ, რომლებიც ნაგვის სანაცვლოდ გაბერილ თანხებს გვძალავდნენ. მოწყალებაც, რასაც ვიღებდით, სულ უფრო მცირდებოდა, თუმცა ცხოვრება ძვირდებოდა. ქარხნის გაჭირვებულ თანამშრომელთა სიები კიდევ უფრო დაგრძელდა, მაგრამ კლიენტთა რიცხვმა იკლო. თანდათან შემცირებული მოგება სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანზე უნდა გადაგენაწილებინა. ძველ დროს, ამბობდნენ, „თუენთის სენჩერი მოტორსი“ ისეთივე საიმედო სასაქონლო ნიშანია, როგორც ოქროს სინჯიო. არ ვიცი, სტარნსის მემკვიდრეები რას ფიქრობდნენ, — თუკი საერთოდ ფიქრობდნენ, — მაგრამ მგონი, როგორც ყველა სოციალურ დამგეგმავსა და ველურს, ეგონათ, ეს სასაქონლო ნიშანი ერთგვარი მაგიური, სასწაულთმოქმედი შტამპი იყო და რომელიღაც ვუდუს ძალით ისევე შეუნარჩუნებდათ სიმდიდრეს, როგორც თავის დროზე — მათ მამას. ასე იყო თუ ისე, როცა ჩვენი კლიენტები მიხვდნენ, რომ შეკვეთას დროულად არასდროს ვასრულებდით და ერთი ძრავაც არ გამოგვიშვია ისეთი, რომელსაც რაიმე ხარვეზი არ ექნებოდა, მაგიურმა შტამპმა უკულმა დაიწყო მუშაობა: ძრავას, რომელზეც „თუენთის სენჩერი“ იყო აღბეჭდილი, ჩუქებითაც არავინ იჩუქებდა. ყველაფერი კი იქამდე მივიდა, რომ ჩვენი ერთადერთი კლიენტები ის ხალხი იყო, ვინც არასდროს იხდიდა და არც არასდროს აპირებდა გადახდას. მაგრამ თავისი საჯარო იმიჯით გაბრუებული ჯერალდ სტარნსი გაღიზიანდა, მორალური უპირატესობის იერით დაიარებოდა აქეთ-იქით და ბიზნესმენებისგან შეკვეთებს მოითხოვდა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ კარგი ძრავები გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ შეკვეთები ძალიან გვჭირდებოდა.

უკვე სოფლის გიჟიც კი ხედავდა იმ ყველაფერს, რასაც პროფესორების მთელი თაობა ვერ ამჩნევდა, უფრო სწორედ, თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა. რა ხეირი უნდა მოეტანა ჩვენს ძრავებს ელექტროსადგურებისთვის, როცა ათასგვარი დეფექტის გამო გენერატორები წამდაუწუმ ჩერდებოდა? რა ხეირს მოუტანდა ეს ძრავები საოპერაციო მაგიდაზე გაწოლილ ადამიანს, როცა ელექტროგანათება ითიშებოდა? რა ხეირს მოუტანდა თვითმფრინავის მგზავრს, თუკი ძრავა შუა ჰაერში ფუჭდებოდა? იყო კი კარგი, სწორი და მორალური საქციელი ელექტროსადგურის მფლობელის, ქირურგისა და ავიამშენებლის მიმართ, თუ ჩვენს პროდუქტს მისი ღირსებების გამო კი არა, იმის გამო იყიდდნენ, რომ ჩვენ ეს გვჭირდებოდა?

აი, სწორედ ამგვარი ზნეობრივი ნორმის დამკვიდრება სურდათ მთელ დედამიწაზე პროფესორებს, ლიდერებსა და მოაზროვნეებს. თუ ერთ პატარა ქალაქში, სადაც ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, ასეთი რამეები დაგვემართა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ეს რომ მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებულიყო? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, ცხოვრება და მუშაობა რომ გიხდებოდეთ იქ, სადაც თქვენი ბედი ამ პლანეტის ყველა კატასტროფასა და სიმულანტზეა დამოკიდებული? იმუშაოთ, როდესაც თქვენ მოგეთხოვებათ პასუხი, თუკი ვინმე, სადმე, დედამიწის ნებისმიერ ადგილას, ვერ შეასრულებს თავის სამუშაოს, იმუშაოთ — როცა დაწინაურების არავითარი შანსი არ გაქვთ და როცა თქვენი საჭმელი, ტანსაცმელი, სახლი და სიამოვნებები ათასგვარ თაღლითობაზე, შიმშილობაზე, ეპიდემიაზეა დამოკიდებული — ყველა იმ უბედურებაზე, რაც კი დედამიწის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში შეიძლება, მოხდეს. იმუშაოთ — როცა დამატებითი ულუფის მიღების არავითარი შანსი არ გაქვთ, ვიდრე ყველა კამბოჯელი არ გამოიკვებება და ყველა პატაგონიელს კოლეჯში არ გაუშვებენ. იმუშაოთ — როცა ნებისმიერ ამქვეყნად დაბადებულ არსებას უფლება აქვს, ნებისმიერი თანხა

მოგთხოვოთ — იმ ადამიანებს, რომელთაც ვერასდროს შეხვდებით, რომელთა სურვილებსა და მოთხოვნილებებს ვერასდროს გაიგებთ, რომელთა ნიჭსა თუ სიზარმაცეს, უხეირობასა თუ თაღლითობას ვერასდროს ჩასწვდებით და არც არასდროს გექნებათ უფლება, რამით დაინტერესდეთ... მუშაობა და მხოლოდ მუშაობა... იმისთვის, რომ ამ ქვეყნის აივიებსა და ჯერალდებს გადააწყვეტინო, ვისმა კუჭმა უნდა მოიხმაროს შენი შრომა და ძალისხმევა, შენი ცხოვრების ოცნებები და დღეები. და ეს არის ზნეობრივი კოდექსი? ეს უნდა მივიღოთ? ეს არის ზნეობრივი იდეალი?

ასე იყო თუ ისე, ჩვენ ვცადეთ... და ყველაფერს მივხვდით ჩვენმა აგონიამ ოთხ წელს გასტანა — პირველი შეკრებიდან უკანასკნელამდე. და დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო (სხვაგვარად ვერც იქნებოდა): ბანკროტით. ბოლო შეკრებაზე აივი სტარნსი ერთადერთი იყო, ვინც კიდევ ბედავდა უტიფრობას. მოკლე, საძაგელი, უკმეხი სიტყვით გამოვიდა და თქვა, გეგმამ იმიტომ არ იმუშავა, რომ დანარჩენმა ქვეყანამ მას მხარი არ დაუჭირაო, რომ ერთი დაჯგუფება ეგოისტებითა და გაუმაძღრობით გატენილ სამყაროში წარმატებას ვერ მიაღწევსო, და რომ გეგმა კეთილშობილურ იდეას ემსახურებოდა, მაგრამ ადამიანის ბუნება საკმარისად კეთილშობილი არ არის, რომ ასეთი იდეა მიიღოსო. ახალგაზრდა ბიჭი — ის, ვინც იმის გამო დასაჯეს, პირველ წელს პრაქტიკული იდეებით რომ მოგვამარაგა — წამოდგა, დანარჩენები ჩუმად ვისხედით. ჰოდა, პირდაპირ აივისთან მივიდა, ტრიბუნაზე. არაფერი უთქვამს. სახეში შეაფურთხა. ეს იყო კეთილშობილური გეგმისა და „თუენთის სენჩერის“ დასასრული.

მაწანწალა ისე ლაპარაკობდა, თითქოს მრავალწლიანი მდუმარების ტვირთი უეცრად მოეხსნაო. დაგნიმ იცოდა, რომ ეს მისდამი პატივისცემის გამოხატულება იყო: დაგნის სიკეთეზე მას არავითარი რეაქცია არ ჰქონია, ადამიანური ღირებულებისა თუ ადამიანური იმედის მიმართაც თითქოს ყოველგვარი გრძნობა განელებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც მასში მაინც გამოცოცხლებულიყო, მისი რეაქცია კი სწორედ მისი ეს აღიარება იყო — ხანგრძლივი, სასოწარკვეთილი მოთქმა და ამბოხი უსამართლობის წინაშე, რისგანაც წლების მანძილზე თავი შეეკავებინა, მაგრამ ახლა ერთბაშად გადმოენთხია იმ პირველ შემხვედრ ადამიანთან, რომლისთვისაც ამ ყველაფრის მოყოლა — სამართალზე ჩივილი — უიმედო და ფუჭი აქტი არ იქნებოდა. თითქოს ცხოვრება, რომელზეც ლამის იყო, უკვე უარი ეთქვა, მისთვის უკან დაებრუნებინათ იმ ორი უმთავრესი რამის წყალობით, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა: საკვები და რაციონალური ადამიანის საზოგადოება.

— და ჯონ გოლტზე რას იტყვით? — ჰკითხა დაგნიმ.

— აჰ... — თქვა და გაახსენდა, რასაც ეკითხებოდნენ, — ჰო, ჰო...

— უნდა მოგეყოლათ, რატომ დაიწყო ხალხმა ამ შეკითხვის დასმა.

— ჰო... — უპასუხა და განზე გაიხედა, თითქოს რაღაც ისეთს უყურებდა, რასაც მთელი ცხოვრება აკვირდებოდა, მაგრამ ჯერაც ვერ გაეგო, რა იყო ეს რაღაც, ვერაფრით ამოეხსნა... სახეზე უცნაური, ეჭვნარევი შიში დაეტყო.

— უნდა გეთქვათ, ვის გულისხმობდა ხალხი ამ ჯონ გოლტში... თუ საერთოდ არსებობდა ასეთი ადამიანი.

— იმედი მაქვს, რომ არა, მემ. უფრო სწორედ, იმედი მაქვს, რომ ეს უბრალო დამთხვევაა, უბრალო ფრაზა, შინაარსისგან დაცლილი.

— ჰო, მაგრამ, თქვენ რაღაცას გულისხმობდით. რას?

— იმას, რომ... „თუენთის სენჩერის“ პირველ შეკრებაზე რაღაც მოხდა... შესაძლოა, სწორედ ეს იყო დასაწყისი, შესაძლოა — არა. არ ვიცი... შეკრება გაზაფხულის ღამეს გაიმართა, თორმეტი წლის წინ. ექვსი ათასი კაცი უსკამო ტრიბუნაზე შეგვყარეს, უზარმაზარ ტრიბუნაზე — ქარხნის ყველაზე დიდი ანგრის მთელი სახურავი რომ ეკავა. გეგმას ის-ის იყო, კენჭი ვუყარეთ და აგზნებულები ვიყავით, ვხმაურობდით, ხალხის გამარჯვებას ვზეიმობდით, ვიღაც გაუგებარ მტრებს ვემუქრებოდით და უსინდისო, ავაზაკი მჩაგვრელებივით საჩხუბრადაც კი ვიწევდით. ზემოდან თეთრი ელექტროგანათების შუქი გვეცემოდა და ერთგვარ გაღიზიანებულ, ფეთქებად განწყობას გვიქმნიდა; მოკლედ, იმწუთას ერთი მახინჯი, სახიფათო ბრბო ვიყავით. ჯერალდ სტარნსი — შეკრების თავმჯდომარე, ჩაქუჩს გამალებით აკაკუნებდა, წესრიგისკენ მოგვიწოდებდა; ერთხანს დავმშვიდდებოდით, მაგრამ მერე ისევ თავიდან ვიწყებდით და იქაურობა ისე ტორტმანებდა, როგორც ქვაბში დგაფუნობს წყალი, კარგად რომ შეანჯღრევ.

„ეს გადამწყვეტი მომენტია კაცობრიობის ისტორიაში!“ — გაჰკიოდა ჩვენს ხმაურში ჯერალდ სტარნსი, — „გახსოვდეთ, რომ ახლა. ვერც ერთი ვერ დავტოვებთ აქაურობას, რადგან ყოველი ჩვენგანი ერთმანეთს ეკუთვნის იმ ზნეობრივი კანონის ძალით, რომელიც ყველამ მივიღეთ!“

„მე არ მიმიღია“, — წარმოთქვა ერთმა კაცმა და ფეხზე წამოდგა. ერთ-ერთი ახალგაზრდა ინჟინერი აღმოჩნდა. ძირითადად, თავისთვის იყო ხოლმე და მასზე ბევრი არაფერი ვიცოდით. წამოდგა თუ არა, ყველანი უცებ გავშეშდით. ხმას ვერ ვიღებდით და ეს იმიტომ, რომ რაღაცნაირად ეჭირა თავი. მაღალი და გამხდარი იყო და მახსოვს, როგორ გავიფიქრე, რომ კისერს ნებისმიერი ჩვენგანი მარტივად გადაუმტვრევდა, მაგრამ იმ დროს მხოლოდ შიში ვიგრძენით. ის იდგა, როგორც კაცი, რომელმაც იცის, რომ მართალია.

„ამ ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოვუღებ“, — იყო მისი სიტყვები, მკაფიო, ყოველგვარი განცდისაგან დაცლილი ხმა ჰქონდა. მხოლოდ ეს თქვა და გასასვლელად დაიძრა. მთელი ამხელა ტერიტორია ჩაიარა, თეთრი განათების ქვეშ მიდიოდა, აუჩქარებლად და ისე, რომ ჩვენ არც კი გვიმჩნევდა. მის შესაჩერებლად არავინ განძრეულა.

„როგორ?“ — უეცრად დაუყვირა ჯერალდ სტარნსმა.

„მე სამყაროს ძრავას შევაჩერებ“, — მოტრიალდა, ეს უპასუხა და წავიდა.

მას მერე აღარავის გვინახავს, არც ის ვიცოდით, რა ბედს ეწია. მაგრამ წლების შემდეგ, — როცა ვნახეთ, როგორ ითიშებოდა შუქი ერთიმეორის მიყოლებით დიდ ქარხნებში, ათწლეულების მანძილზე მყარი მთებივით რომ იდგნენ და უამრავ თაობას რომ გაუძლეს, როცა ვნახეთ, როგორ იკეტებოდა ჭიშკრები და როგორ ჩერდებოდა კონვეიერები, როცა ვნახეთ, როგორ ცარიელდებოდა გზები და როგორ იკლებდა მანქანების ნაკადი, როცა უკვე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა სამყაროს ენერგიის წყაროს აცლისო, სამყარო კი უკვე სულამოცლილი სხეულივით იწყებდა რღვევას, — მაშინ უკვე რაღაცებზე დავიწყეთ ფიქრი და იმ ახალგაზრდა კაცთან დაკავშირებით კითხვები გაგვიჩნდა. ერთმანეთს ვეკითხებოდით. მათ, ვისაც მისი ნათქვამი გაგვეგო, მოსვენება დაგვეკარგა. ნელნელა ვიჯერებდით, რომ თავისი სიტყვა შეასრულა; რომ ის, ვინც დაინახა და გააცნობიერა ჭეშმარიტება, რის ცოდნაზეც ჩვენ უარს ვამბობდით, იქცა იმ სასჯელად, რომელიც საკუთარ თავებს მოვუტანეთ, შურისმაძიებლად, სამართლიანობის მსახურად, იმ სამართლიანობისა, რომელიც ჩვენ უკუვაგდეთ.

ნელ-ნელა დავიჯერეთ, რომ მან დაგვწყევლა, მის განაჩენს კი თავს ვერასდროს დავაღწევდით, მისგან ვერასდროს გავთავისუფლდებოდით და ეს კიდევ უფრო საზარელი რამ იყო, რადგან თავად კი არ დაგვდევნებოდა, არამედ ჩვენდა გასაკვირად, უცებ ჩვენვე ვეძებდით მას, ის კი უკვალოდ გამქრალიყო. მის შესახებ პასუხს ვერსად ვიღებდით. ვერაფრით ვხვდებოდით, რა დაუჯერებელი ძალის საშუალებით შეეძლო იმ ყველაფრის აღსრულება, რასაც დაგვპირდა. ამაზე პასუხი არ გვქონდა. როცა კი სამყაროში მორიგი აუხსნელი კოლაფსის მომსწრენი ვხდებოდით, მაშინვე მასზე ვიწყებდით ფიქრს; სწორედ ის გვახსენდებოდა, როცა რაიმე მორიგ დარტყმას ვიღებდით, უკანასკნელ იმედს ვკარგავდით და როცა ვგრძნობდით, რომ იმ მკვდარ, ნაცრისფერ ბურუსში ვიყავით გამომწყვდეულნი, მთელ დედამიწას თანდათან რომ ეფინებოდა.

შეიძლება, ხალხს ესმოდა ჩვენი სასოწარკვეთილი ხმა, ამ კითხვას რომ ახლდა თან, და ვერ ხვდებოდნენ, რას ვგულისხმობდით, მაგრამ ძალიან კარგად ხვდებოდნენ, რას განვიცდიდით და რა იყო ის გრძნობა, რომელიც ჩვენს ხმას სასოწარკვეთილებით აჯერებდა. ისინიც ხვდებოდნენ, რომ სამყაროდან რაღაც ქრებოდა. და შესაძლოა, ამიტომაც დაიწყეს ამ კითხვის დასმა — კითხულობდნენ მაშინ, როცა იმედი უქრებოდათ. მირჩევნია, ვიფიქრო, რომ ვცდები, რომ ეს ფრაზა არაფერს ნიშნავს, რომ არავის აქვს ცნობიერი განზრახვა და ადამიანური მოდგმის განადგურების უკან არავითარი შურისმაძიებელი არ დგას. მაგრამ როცა მესმის, ამ შეკითხვას როგორ იმეორებენ, მეშინია. იმ კაცზე ვიწყებ ფიქრს, რომელმაც თქვა, სამყაროს ძრავას შევაჩერებო. ჰოდა, საქმე ის არის, რომ ამ კაცს ჯონ გოლტი ერქვა.

* * *

დაგნის გამოეღვიძა, რადგან ბორბლების ხმა ახლა შეცვლილიყო. არათანაბარ რიტმში ეხეთქებოდნენ ლიანდაგებს, პერიოდულად ყვირილის მსგავს ხმებს გამოსცემდნენ და ხანმოკლე, მკაფიო ტკაცატკუცს, თითქოს ვიღაც ისტერიკულად იცინისო, რასაც ვაგონის სპაზმური ტორტმანიც ემატებოდა. ვიდრე საათს დახედავდა, მიხვდა, რომ „კანზას უესთერნის“ რელსებზე იდგნენ, მატარებელს კირბიდან, ნებრასკას სამხრეთით აეღო გეზი და გრძელ, შემოვლით გზაზე მიდიოდა.

მატარებელი ნახევრად ცარიელი იყო. გვირაბის ტრაგედიის შემდეგ ბევრი ვეღარ რისკავდა პირველი „კომეტით“ კონტინენტზე მგზავრობას. მაწანწალა დაგნიმ საძინებელ ვაგონში გადაიყვანა და მის ისტორიასთან მარტო დარჩა. უნდოდა, ეფიქრა და ყველა ის კითხვა ჩამოეყალიბებინა, რის დასმასაც მისთვის მეორე დღეს აპირებდა, მაგრამ მიხვდა, რომ გონება გაჰყინვოდა და გაშეშებოდა — თითქოს უბრალო მაყურებელი იყო, რაღაც ამბავს რომ უცქერს და თავად მხოლოდ ცქერა შეუძლია, მოქმედება კი არა. გრძნობდა, რომ ამ სპექტაკლის არსი იცოდა; იცოდა ყოველგვარი ზედმეტი კითხვების გარეშე და უნდოდა, მისგან თავი დაეღწია. მოძრაობა — ეს სიტყვა ახირებულად, რიტმულად ჩაესმოდა გონებაში. მოძრაობა — თითქოს მოძრაობა თვითმიზნად ქცეულიყო, გადამწყვეტ, ფატალურ ჭეშმარიტებად.

დაგნის ფხიზლად ეძინა. ძილში ბორბლების ხმა ჩაესმოდა და დაძაბულობას უმძაფრებდა. გამუდმებით ეღვიძებოდა, უმიზეზო პანიკისგან წყვდიადში წამოხტებოდა და უაზროდ იწყებდა ფიქრს: „რა იყო ახლა ეს?“ შემდეგ კი საკუთარ თავს ამშვიდებდა: „ვმოძრაობთ... კვლავ ვმოძრაობთ...“

არ ელოდა, „კანზას უესთერნის“ გზა ასეთ ცუდ დღეში თუ დახვდებოდა. ეს გაიფიქრა, და ბორბლების ხმას მიაყურადა. მატარებელი იუტადან ასობით მილით იყო დაშორებული. უცებ სასოწარკვეთილი სურვილი დაეუფლა, მთავარ ხაზზე

მატარებლიდან ჩამოსულიყო, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ყველა პრობლემა მიეტოვებინა, თვითმფრინავი მოეძებნა და პირდაპირ ქუენტინ დენიელსთან ჩაფრენილიყო. საკუთარ თავს ძალა დაატანა, რომ ვაგონში დარჩენილიყო.

იწვა სიბნელეში, ბორბლების ხმას უსმენდა და ფიქრობდა, რომ მხოლოდ დენიელსი და მისი ძრავა რჩებოდნენ იმ ერთადერთ ნათელ წერტილად, რომელიც მას წინ წასვლის ძალას აძლევდა. რაში გამოადგებოდა ახლა ეს ძრავა? ამაზე პასუხი არ ჰქონდა. რატომ იყო ამდენად დარწმუნებული, რომ აუცილებლად უნდა ეჩქარა, თანაც ასე სასოწარკვეთილად? არც ამაზე ჰქონდა პასუხი. „დენიელსი დროულად უნდა ვნახო!“ — ეს იყო მის გონებაში შემორჩენილი ერთადერთი ულტიმატუმი. სწორედ ამ ულტიმატუმს ებღაუჭებოდა, კითხვების დასმის გარეშე. ქვეცნობიერად დაგნიმ იცოდა რეალური პასუხი: ძრავა საჭირო იყო. არა იმიტომ, რომ მატარებლები გაეშვა, არამედ იმიტომ, რომ თავად არ გაჩერებულიყო.

ლითონის უწესრიგო კივილში ბორბლების მეოთხე დარტყმა აღარ ესმოდა — აღარ ესმოდა იმ მტრის ნაბიჯების ხმა, რომელსაც მისდევდა, ახლა მხოლოდ უიმედო, პანიკური ხმა თუ აღწევდა მის ყურამდე... „დროულად ჩავალ“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „პირველი მე ჩავალ და ძრავას გადავარჩენ. არის ერთი ძრავა, რომელსაც ვერ შეაჩერებს... ვერ შეაჩერებს... ვერ შეაჩერებს“, — გაიფიქრა და ნჯღრევისგან გამოღვიძებულს, ბალიშიდან ტორტმანით ჩამოუვარდა თავი. ბორბლებმა მოძრაობა შეწყვიტეს.

ერთხანს გაუნძრევლად იყო, ცდილობდა, მის გარშემო გამეფებული უჩვეულო სიჩუმის არსს ჩასწვდომოდა. ეს ჰგავდა შეუძლებელ მცდელობას, არ-არარსებობის გრძნობიერი ხატი შეგექმნა. რეალობის არავითარი ნიშანი არ იყო, რომ აღგექვა, არაფერი, ამ ნიშანთა არარსებობის გარდა: არც ხმა, თითქოს დაგნი მარტო იყო მატარებელში, არც მოძრაობა, თითქოს ეს მატარებელი კი არა, რაღაც შენობის ოთახი ყოფილიყო, არც შუქი, თითქოს ეს არც მატარებელი იყო და არც ოთახი, არამედ რაღაც უსაგნო სივრცე, არც ძალადობისა და ფიზიკური კატასტროფის ნიშნები, თითქოს ეს ისეთი მდგომარეობა იყო, სადაც კატასტროფა უკვე შეუძლებელია, მოხდეს.

იმ მომენტში, როცა დაგნი სიჩუმისა და უძრაობის არსს ჩასწვდა, ერთიანად წამოიმართა, ისე მოულოდნელად და გაშმაგებით, თითქოს რაღაც უმნიშვნელოვანესს აპროტესტებს და ყვირისო. შტორებიც უცბად ასწია, ამან კი ისეთი ხმაური გამოიწვია, რომ დანის გასმასავით გაისმა სამარისებურ სიჩუმეში. გარეთ არაფერი ჩანდა, მხოლოდ დიდ სივრცეებზე გაშლილი უცნობი პრერიები; ძლიერი ქარი ღრუბლებს ფანტავდა, მთვარის შუქი ველებს ეცემოდა, მაგრამ ეს ველები ისეთივე უსიცოცხლონი ჩანდნენ, როგორც თავად მთვარე.

დაგნი სწრაფად მისწვდა სინათლის ჩამრთველსა და ზარს, გამცილებელი რომ გამოეძახა. ელექტროგანათებამ რაციონალურ სამყაროში დააბრუნა. საათს დახედა: შუაღამეს რამდენიმე წუთი იყო გადაცდენილი. უკანა ფანჯარაში გაიხედა:

რელსები სწორ ხაზს მიჰყვებოდა, ოდნავ მოშორებით კი წითელი ფანრები შეამჩნია, რომლებიც თავიანთ ადგილას, კეთილსინდისიერად მოეთავსებინათ მატარებლის უკანა ნაწილის დასაცავად. ნანახმა ოდნავ შვება მოჰგვარა.

კიდევ ერთხელ სცადა გამცილებლის გამოძახება. უცდიდა. შემდეგ ვესტიბიულში გავიდა, კარი გააღო, თავი გასწია და მატარებლის კორიდორს გახედა. ფოლადის გრძელ, ვიწრო მწკრივში სულ რამდენიმე ფანჯრიდან გამოდიოდა შუქი. ადამიანები არ დაუნახავს, არც არავითარი ადამიანური აქტივობის ნიშანი. კარი

გაიჯახუნა, თავისთან შებრუნდა და უეცრად დამშვიდებული და სწრაფი მოძრაობებით ჩაცმა დაიწყო.

მის ზარს არავინ გამოხმაურებია. ჩქარი ნაბიჯით გვერდითა ვაგონისკენ გასწია.

არც შიშს გრძნობდა, არც დაბნეულობას, არც სასოწარკვეთილებას, მხოლოდ იმას, რომ სასწრაფოდ უნდა ემოქმედა.

გვერდითა ვაგონში გამცილებელი არ დახვდა, არც მომდევნოში. ვიწრო კორიდორი სწრაფად ჩაიარა ისე, რომ გზაში არავინ შეხვედრია. მაგრამ რამდენიმე კუპეში კარი ღია იყო. მგზავრები შიგნით ისხდნენ — ჩაცმულები ან ნახევრად ჩაცმულები და გაჩუმებულნი, გეგონებოდა, რაღაცას ელოდებიანო. დაგნის უცნაური, ჩასაფრებული მზერები გააყოლეს, თითქოს იცოდნენ, რატომაც ჩქარობდა და ელოდებოდნენ კიდეც, რომ ვინმე მოვიდოდა და პრობლემებს მოუგვარებდათ. დაგნი მკვდარი მატარებლის ხერხემალზე სირბილს აგრძელებდა; თუმცა განათებული კუპეების, გაღებული კარებისა და ცარიელი გასასვლელების თავისებური კომბინაცია ყურადღების მიღმა არ დარჩენია. კუპედან გამოსვლა არავის გაუბედავს, ვერც კითხვის დასმას ბედავდა ვერავინ.

მატარებლის ერთადერთ სკამებიან ვაგონშიც შევარდა, იქ ზოგიერთ დაქანცულ მგზავრს მოკუნტულს ეძინა, ზოგი კი ფხიზლად იყო, არ იძვროდა და აბუზული იჯდა, როგორც ცხოველი, დარტყმას რომ ელოდება და არაფერს აკეთებს მის თავიდან ასაცილებლად.

ამ ვაგონის ვესტიბულში გაჩერდა. კაცი დაინახა, რომელსაც კარი გაეღო, თავი გამოეწია ცნობისმოყვარედ იყურებოდა სიბნელეში და გამოსვლას აპირებდა. დაგნის ფეხის ხმაზე მოტრიალდა. დაგნიმ კაცი იცნო. ეს ოუენ კელოგი იყო, ადამიანი, რომელმაც უარი თქვა იმ მომავალზე, დაგნიმ რომ ოდესღაც შესთავაზა.

— კელოგ! — სუნთქვაშეკრულმა წამოიძახა და ხმაში სიცილი შეერია, როგორც ადამიანს, უდაბნოში რომ სულიერს დაინახავს და შვებისგან ყვირილს დაიწყებს.

— გამარჯობა, მის ტაგარტ. — უპასუხა კელოგმა გაკვირვებული ღიმილით, თუმცა ამ ღიმილიდან, სიხარულთან ერთად, ეჭვიც გამოსჭვიოდა და სევდაც, — არ ვიცოდი, მატარებელში თუ იყავით.

— წამოდით! — ბრძანებითი კილოთი მიმართა დაგნიმ, თითქოს კელოგი კვლავაც რკინიგზის თანამშრომელი იყო, — მგონი, გაყინულ მატარებელში ვართ.

— ასეა, — მიუგო კელოგმა და გაჰყვა მარდი, დისციპლინირებული ნაბიჯით.

ახსნა-განმარტებები ზედმეტი იყო. თითქოს მათ ახლა უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის და უბრალოდ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, თანაც თითქოს სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მატარებელში მყოფი ასობით ადამიანიდან სწორედ ამ ორს უნდა ეთანამშრომლა სახიფათო სიტუაციაში.

— ხომ არ იცით, რამდენი ხანია, ვდგავართ? — ჰკითხა კელოგს დაგნიმ, როცა შემდეგი ვაგონისკენ მიიჩქაროდნენ.

— არა. — უპასუხა კელოგმა, — რომ გამეღვიძა, უკვე ვიდექით.

მთელი მატარებელი ისე გაიარეს, რომ ერთი გამცილებელი, ერთი მიმტანი სასადილოში, ერთი მემუხრუჭე და ერთი კონდუქტორიც კი არ შეხვედრიათ. პერიოდულად ერთმანეთს გადახედავდნენ, თუმცა ხმას არც ერთი არ იღებდა. მათ კარგად იცოდნენ მიტოვებული მატარებლების ისტორიები, ბრიგადებისა, რომლებიც მონობის წინააღმდეგ უეცარი აჯანყების შედეგად ქრებოდნენ.

მატარებელი ბოლომდე რომ გაიარეს, ქვემოთ ჩავიდნენ; ირგვლივ არაფერი მოძრაობდა, გარდა მათ სახეებზე მობერილი ქარისა. სწრაფი მოძრაობით

ლოკომოტივის კაბინაში ავიდნენ. ლოკომოტივის ფარანი ენთო, შუქი კი ბრალმდებლის გაშვერილი ხელივით გაჭიმულიყო ღამის წყვდიადში. კაბინაში არავინ დახვდათ.

ნანახით გამოწვეულ შოკზე პასუხად დაგნის ნახევრად სასოწარკვეთილი, ნახევრად მოზეიმე ყვირილი აღმოხდა:

— კარგად მოიქცნენ! ისინიც ხომ ადამიანები არიან!

უცებ გაჩერდა, შეძრწუნებული, თითქოს სხვისი ყვირილი გაიგონაო. შეამჩნია, რომ კელოგი უყურებდა — ცნობისმოყვარედ და სულ ოდნავ შესამჩნევი ღიმილით.

ძველი ორთქლმავალი იყო, საუკეთესო, რაც კი რკინიგზას შეეძლო, „კომეტასთვის“ მიეცა. საცეცხლე გისოსებში იყო მოქცეული, ორთქლის მილი — მოკლე, ხოლო მათ წინ, დიდი საქარე მინიდან ფანრის შუქი ჩანდა და შპალების შეკვრას ეცემოდა, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ემოძრავა, გაშეშებული იყო, კიბის საფეხურებივით — დათვლილი, დანომრილი და დასრულებული.

დაგნიმ სწრაფად სამეთვალყურეო ჟურნალი იპოვა და უკანასკნელი ბრიგადის წევრთა გვარებს დახედა. მემანქანე პეტ ლოგანი აღმოჩნდა.

თავი ნელ-ნელა ქვემოთ ჩასწია და თვალები დახუჭა. პირველი მგზავრობა გაახსენდა მწვანე-ლურჯ სარკინიგზო ხაზზე, რაც ალბათ, პეტ ლოგანსაც უნდა გახსენებოდა (ზუსტად ისევე, როგორც ახლა დაგნის) — გახსენებოდა მაშინ, როცა რკინიგზაზე უკანასკნელად მართავდა მატარებელს.

— მის ტაგარტ? — თბილად წარმოთქვა ოუენ კელოგმა.

დაგნიმ თავი კონვულსიურად წამოსწია.

— დიახ. — უპასუხა, — დიახ... ჰო... — ხმაში ემოცია არ ჰქონდა, არაფერი, მხოლოდ ლითონისებრი სიმტკიცე, რაც იმას მიანიშნებდა, რომ გადაწყვეტილება მიეღო, — ტელეფონი უნდა მოვძებნოთ და სხვა ბრიგადა გამოვიძახოთ. — დაგნიმ საათს დახედა, — იმ სიჩქარეს თუ გავითვალისწინებთ, რითიც ვმოძრაობდით, ახლა, წესით, ოკლაჰომას ხაზამდე სადღაც რვა მილი უნდა გვაშორებდეს. ჩემი აზრით, ბრედშოუ უახლოესი პუნქტია, საიდანაც შეგვიძლია, დავრეკოთ. ბრედშოუმდე სადღაც ოცდაათი მილი იქნება.

— „ტაგარტის“ რომელიმე მატარებელი არ დაგვეწევა?

— შემდეგი ტრანსკონტინენტური სატვირთოა — №253, მაგრამ დილის შვიდამდე ვერ ჩამოაღწევს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განრიგის მიხედვით ივლის, რაშიც ეჭვი მეპარება.

— მხოლოდ ერთი სატვირთო შვიდ საათში? — უნებურად წამოიძახა კელოგმა, მის რიტორიკულ კითხვაში კი შეურაცხყოფილი ერთგულება იგრძნობოდა იმ დიდი რკინიგზის მიმართ, რომლის სამსახურში ყოფნაც ერთ დროს სიამაყეს ჰგვრიდა.

დაგნის პირის მოძრაობა ღიმილს ჩამოჰგავდა.

— ჩვენი სარკინიგზო მოძრაობა იგივე აღარაა, რაც თქვენს დროს იყო.

კელოგმა ნელა დაუქნია თავი.

— ალბათ არც „კანზას უესთერნის“ მატარებლებს უნდა ველოდოთ ამაღამ, არა?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ არა მგონია.

კელოგმა რელსების გასწვრივ აღმართულ ბოძებს შეავლო მზერა.

— იმედი მაქვს, „კანზას უესთერნის“ ხალხს ტელეფონები მწყობრში აქვს.

— ალბათ იმის თქმა გინდათ, რომ არის შანსი, ასე არ იყოს, თუ მათი რელსების მდგომარეობით ვიმსჯელებთ. ყველა შემთხვევაში, უნდა ვცადოთ.

— ჰო.

დაგნი წასასვლელად გატრიალდა, მაგრამ გაჩერდა. იცოდა, რომ კომენტარის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ სიტყვები თავისდაუნებურად წარმოთქვა:

— იცით, ყველაზე მძიმე ახლა რა არის?! ჩვენებმა რომ ეს ფანრები მატარებლის უკან, ჩვენ დასაცავად მოათავსეს. მათ... მათ უფრო მეტად შესტკივათ გული ჩვენს სიცოცხლეზე, ვიდრე ქვეყანას — მათ სიცოცხლეზე.

დაგნისკენ მიმართული კელოგის სწრაფი მზერა თითქოს განზრახ უსვამდა რაღაცას ხაზს, შემდეგ კი სევდიანად უპასუხა:

— დიახ, მის ტაგარტ.

ლოკომოტივის კაბინის კიბიდან რომ ჩამოძვრნენ, რელსებთან მოგროვებული მგზავრები დაინახეს, მატარებლიდან დანარჩენებიც ჩამოდიოდნენ და მათკენ მიემართებოდნენ. რაღაც თავისებური ინსტინქტის ძალით, ხალხი, რომელიც იჯდა და რაღაცას ელოდებოდა, ახლა მიხვდა, რომ ვიღაცას საკუთარ თავზე აეღო პასუხისმგებლობა და ადამიანური თვისებების გამოვლენა უკვე აღარ იყო საშიში.

როცა დაგნი მათ მიუახლოვდა, ყველამ მოლოდინითა და ცნობისმოყვარეობით აღვსილი მზერები მიაპყრო. მთვარის არაბუნებრივად ფერმიხდილი შუქი თითქოს ამ ადამიანებს შორის სხვაობას შლიდა და იმ თვისებებს უსვამდა ხაზს, რაც ყველას საერთო ჰქონდა: ფრთხილი ინტერესი, ნახევრად შიში, ნახევრად მუდარა და დროებით მინელებული კადნიერება.

— არის აქ ვინმე, ვისაც უნდა, რომ მგზავრების სახელით ილაპარაკოს? — იკითხა დაგნიმ.

მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს. პასუხი არავის გაუცია.

— ძალიან კარგი, — გააგრძელა დაგნიმ, — არ არის საჭირო ლაპარაკი. მე დაგნი ტაგარტი ვარ, ამ რკინიგზის ვიცე-პრეზიდენტი და... — შეკრებილებს შორის შრიალი ატყდა, მსუბუქი მოძრაობები, გადალაპარაკებები და ჩურჩული, რაც შვებით ამოსუნთქვას წააგავდა, — ...და მე ვილაპარაკებ. ჩვენ ვიმყოფებით მატარებელში, რომელიც ბრიგადამ მიატოვა. ფიზიკური უბედური შემთხვევა არ მომხდარა. ორთქლმავალი უვნებელია, მაგრამ არავინაა, ვინც მატარებელს წაიყვანს. აი, ამას ეძახიან გაზეთები „გაყინულ მატარებელს“. ყველამ იცით, რასაც ნიშნავს... და იცით მიზეზებიც, რატომაც ხდება ასე. შესაძლოა, ეს მიზეზები იმ ადამიანებზე ადრეც კი იცოდით, ვინც ამაღამ მიგატოვათ. კანონი მატარებლების მიტოვებას მათ უკრძალავდა, თუმცა ახლა ეს თქვენ არაფერში დაგეხმარებათ.

უცებ ერთმა ქალმა წამოიკივლა, ისტერიკაში მყოფისთვის დამახასიათებელი გამაღიზიანებელი ტონით, თითქოს რაღაცას ითხოვდა:

— რა უნდა ვქნათ?

დაგნი შეჩერდა და ქალს შეხედა. ეს უკანასკნელი წინ მოიწევდა, ხალხში იჭყლიტებოდა, თითქოს მასა და დიდ ვაკუუმს შორის ადამიანური სხეულები რომ შეეგრძნო, — მასა და იმ უზარმაზარ ველს შორის, რომელიც მთვარის შუქში უჩინარდებოდა, — ამ უძლური, ნასესხები ენერგიის ფოსფორის ნათებაში. ქალს ღამის პერანგზე პალტო ჰქონდა შემოცმული, პალტო გახსნილიყო და პერანგის თხელი ქსოვილიდან მუცელი გამოვარდნოდა, თანაც ისე უხამსად, რომელიც ყოველგვარ ადამიანურ გამოვლინებას სიმახინჯედ აქცევს და არც ცდილობს, ეს სიმახინჯე დამალოს. წუთით დაგნიმ ინანა, რომ სიტყვის გაგრძელება მისი მხრიდან აუცილებელი იყო.

— ტელეფონის მოსაძებნად წავალ. — განაგრძო მან, მკაფიო და მთვარის შუქივით ცივი ხმით, — გზაზე, ყოველი ხუთი მილის მონაკვეთში, საგანგებო

სიტუაციებისთვის ტელეფონებია დამონტაჟებული. დავრეკავ და სხვა ბრიგადას გამოვიძახებ, ამას გარკვეული დრო დასჭირდება. თქვენ კი, თუ შეიძლება, მატარებელში ადით და მაქსიმალურად ეცადეთ, წესრიგი შეინარჩუნოთ.

— და მძარცველების ბანდები? — ახლა სხვა ქალის ნერვიული ხმა გაისმა.

— მართალი ხართ, — მიუგო დაგნიმ, — ჯობს, ვინმე გავიყოლო. აქვს სურვილი რომელიმე თქვენგანს, წამომყვეს?

როგორც ჩანს, დაგნი ვერ მიხვდა, ვის უსაფრთხოებაზე ღელავდა ქალი. დაგნის შეკითხვას პასუხი არ მოჰყოლია, არც არავის შეუხედავს მისთვის, არც ერთმანეთში გაუცვლიათ მზერები. ადამიანთა თვალებს დაგნი აქ ვერ ხედავდა, ეს მხოლოდ მთვარის შუქში ალაპლაპებული სველი ოვალები იყო. „ჰო, აი, ესენი არიან“, — ფიქრობდა ის, — „ახალი დროის ადამიანები, რომლებიც მსხვერპლშეწირვას ითხოვენ და იღებენ კიდეც“. მათ დუმილში რაღაც საოცარ სიბრაზეს გრძნობდა, სიბრაზეს, რომელიც ამბობდა, რომ ამგვარ სიტუაციებში ისინი მისგან ხსნას ელოდნენ. ხედავდა ბოროტებას — ბოროტებას, რომელიც მისთვის რაღაც ახალი იყო. დაგნი, სრულიად გაცნობიერებულად, ხმას არ იღებდა.

შეამჩნია, რომ ოუენ კელოგიც ჩუმად იყო, თუმცა ის მგზავრების ნაცვლად, მას უყურებდა და როცა დარწმუნდა, რომ ბრბოდან პასუხს ამაოდ ელოდნენ, ჩუმად უთხრა:

— მის ტაგარტ, მე წამოგყვებით, რასაკვირველია.

— გმადლობთ.

— და ჩვენ? — უკმეხად იკითხა ნერვიულმა ქალმა.

დაგნი მას მიუტრიალდა და საქმიანი ადამიანისთვის დამახასიათებელი ფორმალური, ცივი ტონით მიუგო:

— არ ყოფილა შემთხვევები, მძარცველთა ბანდებს გაყინულ მატარებლებზე იერიში მიეტანათ. სამწუხაროდ.

— და სად ვართ? — იკითხა ჩასუქებულმა მამაკაცმა, ზედმეტად ძვირიანი პალტოთი და ზედმეტად დუნე იერით. ისეთი ტონი ჰქონდა, როგორც კაცს, მსახურებს რომ ელაპარაკება, მაგრამ მათი ყოლის ღირსი რომ არ არის, — შტატის რომელ მხარეში ვართ? — არ ვიცი. — უპასუხა დაგნიმ.

— აქ რამდენ ხანს უნდა გავჩერდეთ? — იკითხა მეორემ მოტყუებული კრედიტორის ხმით.

— არ ვიცი.

— სან-ფრანცისკოში როდის ჩავალთ? — იკითხა მესამემ შერიფისთვის დამახასიათებელი ტონით, ეჭვმიტანილს რომ მიმართავს.

— არ ვიცი.

მომთხოვნი, აღშფოთებული პათოსი თანდათან ფეხს იკიდებდა და პატარ-პატარა, ტკაცუნა კვამლის ბოლქვებივით ჭრიდა ჰაერს, როგორც წაბლი სკდება ხოლმე ცხელ ღუმელში — იმ ადამიანთა ტვინების ბნელით მოცულ ღუმელში, რომლებიც ახლა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათზე ვიღაც იზრუნებდა და უკვე დაცულად გრძნობდნენ თავს.

— აღმაშფოთებელია პირდაპირ! — დაგნის მისამართით დაიყვირა ვიღაც ქალმა და ბრბოში გზის გაკაფვა სცადა, — არავითარი უფლება არ გაქვთ, ეს დაუშვათ! მე არ ვაპირებ, ვიცადო ამ გაუგებარ ადგილას! ღმერთმა იცის, საერთოდ სად ვართ!

ტრანსპორტირებას ვითხოვ!

— გეყოთ, — მიუგო დაგნიმ, — თორემ მატარებლის ყველა კარს ჩავკეტავ და დაგტოვებთ ასე.

— ამას ვერ გაბედავთ! საზოგადოებრივი ტრანსპორტის თანამშრომელი ხართ!

არ გაქვთ ჩემი დისკრიმინირების უფლება! თქვენს საკითხს „გაერთიანების საბჭოს“ წინაშე დავაყენებ!

— ჰო, თუ მოგცემთ მატარებელს, რომელიც ამ თქვენი საბჭოს მხედველობის ან სმენის ველში გადაგიყვანთ, — უპასუხა დაგნიმ და გატრიალდა.

შეამჩნია, რომ კელოგი უყურებდა — ეს მზერა ერთგვარი ხაზი იყო, რომელიც მისი სიტყვების მნიშვნელობაზე მისივე ყურადღების გამახვილებას ცდილობდა.

— სადმე ფანარი იპოვეთ, — მიმართა დაგნიმ კელოგს, — მე ამასობაში ჩანთას ავიღებ და შევუდგეთ საქმეს.

როცა ტელეფონის საძებნელად გზას გაუდგნენ და ვაგონთა მდუმარე მწკრივს ჩაუარეს, მატარებლიდან ჩამომავალი კაცი დაინახეს. მათკენ მიიჩქაროდა. დაგნიმ მაწანწალა იცნო.

— პრობლემებია, მემ? — ჰკითხა მაწანწალამ.

— ბრიგადა წავიდა.

— ჯანდაბა. რას აპირებთ?

— ტელეფონი უნდა მოვძებნო და უახლოეს პუნქტში დავრეკო.

— მარტო ნუ წახვალთ, მემ. ახლა სხვა დროა. მე წამოგყვებით.

— გმადლობთ. — დაგნის გაეღიმა, — მაგრამ არ არის პრობლემა, აი, მისტერ კელოგი მომყვება. მითხარით, რა გქვიათ?

— ჯეფ ალენი, მემ.

— მისმინეთ, ალენ, რკინიგზაზე ოდესმე გიმუშავიათ?

— არა, მემ.

— გასაგებია. ახლა იმუშავებთ. თქვენ კონდუქტორის მოვალეობის შემსრულებელი და საოპერაციო მიმართულების ვიცე-პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი იქნებით. თქვენი სამუშაო ჩემს არყოფნაში ამ მატარებელზე პასუხისმგებლობის აღება, წესრიგის დაცვა და ამ ცხვრის ფარის ზედამხედველობაა, რომ პანიკაში არ ჩავარდნენ და სადმე არ გაიქცნენ. უთხარით, რომ ჩემი დანიშნული ხართ. დამადასტურებელი საბუთი ან რაიმე მსგავსი არ დაგჭირდებათ. ეს ხალხი ყველას დაემორჩილება, ვინც მათგან მორჩილებას ელის.

— დიახ, მემ. — მაწანწალამ მტკიცედ და გამგები გამომეტყველებით უპასუხა.

დაგნის უცებ გაახსენდა, რომ ადამიანს ფული ჯიბეში თავდაჯერებულობას სძენს. ჩანთიდან ასდოლარიანი ამოიღო და მაწანწალას ხელში ჩაუცურა.

— ავანსად მიიღეთ. — უთხრა მას.

— დიახ, მემ.

დაგნი უკვე დაიძრა, როცა მაწანწალამ დაუძახა:

— მის ტაგარტ!

— გისმენთ?! — მიუტრიალდა დაგნი.

— გმადლობთ.

დაგნის გაეღიმა, დამშვიდობების ნიშნად ხელი ნახევრად აუწია და გზა გააგრძელა.

— ეს ვინ არის? — ჰკითხა კელოგმა.

— მაწანწალა, რომელიც მატარებელში ამოიპარა.

— მგონი, საქმეს გაართმევს თავს.

— მეც ასე მგონია.

ორთქლმავალს ჩუმად ჩაუარეს და ფარნის შუქზე განაგრძეს გზა. თავიდან, როცა ლიანდაგებს მიუყვებოდნენ, შპალიდან შპალზე აბიჯებდნენ ფეხს და ფარნის შუქიც უკნიდან ძლიერად უნათებდათ გზას, თავს თითქოს ბუნებრივ გარემოში გრძნობდნენ — რკინიგზის ჩვეულ სამყაროში. მერე კი, დაგნიმ გააცნობიერა, როგორ უყურებდა თავის ფეხქვეშ განათებას, როგორ სულ უფრო იკლებდა შუქი, როგორ ცდილობდა მის შენარჩუნებას და როგორ არ უნდოდა, გამქრალიყო; ბოლოს კი მიხვდა, რომ ხის შპალებზე დაცემული მკრთალი სხივები მხოლოდ მთვარის შუქი იყო. და ამ დროს, უკვე ვეღარ შეიკავა თავი, ჟრუანტელმა დაუარა და უკან გაიხედა. მათ უკან ფარანი კვლავ ეკიდა, როგორც პლანეტის გამჭვირვალე ვერცხლისფერი გლობუსი — მოჩვენებითად ახლო, მაგრამ სხვა ორბიტასა და სხვა სისტემას რომ ეკუთვნოდა.

ოუენ კელოგი ჩუმად მიდიოდა მის გვერდით, დაგნი კი დარწმუნებული იყო, რომ ერთმანეთის ფიქრებს ორივენი ხვდებოდნენ.

— ღმერთო, შეუძლებელია! არა, ამას ვერ გააკეთებდა! — უეცრად წარმოთქვა დაგნიმ ისე, რომ ვერც მიხვდა, ფიქრებიდან სიტყვებზე რომ გადართულიყო.

— ვინ?

— ნათანიელ ტაგარტი. ამ მგზავრებისნაირ ხალხთან ვერ იმუშავებდა. მათთვის მატარებლებს ვერ გაუშვებდა, მათ ვერ დაიქირავებდა. საერთოდ ვერაფერში გამოიყენებდა, ვერც როგორც კლიენტებს და ვერც როგორც თანამშრომლებს.

კელოგს გაეღიმა, — იმის თქმა გინდათ, რომ მათი ექსპლუატაციით ვერ გამდიდრდებოდა, მის ტაგარტ?

დაგნიმ თავი დაუქნია.

— ისინი... — დაიწყო დაგნიმ და კელოგმა შეამჩნია, რომ ხმა ოდნავ აუკანკალდა, რაც ერთდროულად სიყვარულსაც გამოხატავდა, ტკივილსაც და აღშფოთებასაც, — უამრავი წელია, გაიძახიან, რომ სხვების შესაძლებლობების ხარჯზე მიაღწია წარმატებას, რომ მათ სხვა შანსს არ უტოვებდა, და რომ... ადამიანურ უნიჭობას საკუთარი ეგოისტური ინტერესებისთვის იყენებდა... მაგრამ ის... ის ხალხისგან მორჩილებას არ ითხოვდა.

მის ტაგარტ, — მიმართა კელოგმა და ხმაში უჩვეულო სიმკაცრე შეეპარა, — უბრალოდ გახსოვდეთ, რომ ის არსებობის პრინციპს განასახიერებდა, — შესაძლოა, მთელი კაცობრიობის ისტორიისთვის ეს ხანმოკლე პერიოდია, მაგრამ ასე იყო: ამ პრინციპმა ცივილიზებული სამყაროდან მონობა განდევნა. გახსოვდეთ ეს, როცა კი მისი მტრების ქმედებები და ბუნება საგონებელში ჩაგაგდებთ.

— ოდესმე გსმენიათ ქალის, სახელად აივი სტარნსის შესახებ?

— როგორ არა.

— სულ მგონია, რომ აი, ამაღამ, ეს ქალი ძალიან ისიამოვნებდა — ამ მგზავრთა სპექტაკლით. სწორედ ეს უნდოდა. მაგრამ ჩვენ... ჩვენ ასე ვერ ვიცხოვრებთ. ხომ მეთანხმებით?! ასე ვერავინ იცხოვრებს. ასე ცხოვრება შეუძლებელია.

— და რატომ გგონიათ, რომ აივი სტარნსის მიზანი საერთოდ სიცოცხლეა?

სადღაც, ცნობიერების ზღურბლზე, დაგნიმ რაღაც ფორმა შეიგრძნო... დაახლოებით ისევე, როგორც პრერიის კიდეებზე მოლივლივე ფორმებს ხედავდა, რომლებიც არც მთლად სხივებს ჰგავდნენ, არც მთლად ნისლს და არც მთლად ღრუბლებს.

ეს ფორმა თითქოს მისგან გაცნობიერებას ითხოვდა, მაგრამ მის არსს ვერ ჩასწვდა, მხოლოდ რაღაც ბუნდოვანი შეგრძნება დაეუფლა.

დაგნი ჩუმად იყო, მათი ნაბიჯების რიტმი კი დუმილს ისე არღვევდა, თითქოს გრძელი ჯაჭვი თანდათანობით წყდებაო; მიაბიჯებდნენ შპალებზე და მხოლოდ მათი ქუსლების მშრალი, სწრაფი ხმა ისმოდა ხეზე.

დაგნის დრო არ ჰქონია, კელოგის იქ ყოფნა გაეცნობიერებინა, მას მხოლოდ კომპეტენტურ პარტნიორად თვლიდა, რომელიც იღბლის წყალობით მის გვერდით იყო. მაგრამ ახლა ყურადღებით შეხედა. მას ისევ ის სუფთა, მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა, დაგნის რომ უწინ მოსწონდა, თუმცა ახლა უფრო მშვიდი ჩანდა, თითქოს უფრო უშფოთველი, დაწყნარებული. მოძველებული ტანსაცმელი ეცვა.

დაგნიმ სიბნელეშიც კი შეძლო მის გაცვეთილ ტყავის ქურთუკზე ლაქების გარჩევა.

— „ტაგარტ ტრანსკონტინენტალიდან“ რომ წახვედით, რას აკეთებდით?

— უჰ, რას აღარ.

— ახლა სად მუშაობთ?

— ძირითადად, საგანგებო დავალებებს ვასრულებ.

— რა ტიპის?

— ყველა ტიპის.

— რკინიგზაზე არ მუშაობთ?

— არა.

ისეთი ხანმოკლე იყო მის პასუხში გაჟღერებული ხმა, რომ თითქოს პირიქით — ეს სიტყვაძუნწობა ამ პასუხს ენაწყლიან განაცხადად აქცევდა. დაგნიმ იცოდა, რომ კელოგმა იცოდა მისი განზრახვა.

— კელოგ, რომ გითხრათ, რომ „ტაგარტის“ სისტემაში ერთი მაღალი კლასის თანამშრომელიც კი აღარ მყავს, ნებისმიერი თანამდებობა რომ შემოგთავაზოთ, ნებისმიერი პირობები და ნებისმიერი თანხა, რაც მოგესურვებათ, დაბრუნდებოდით ჩვენთან?

— არა.

— განრიგის შემცირებამ შავ დღეში ჩაგაგდოთ. არა მგონია, ხვდებოდეთ, რა გვიქნა, ადამიანური რესურსი რომ შემოგვაკლდა. ვერც აგიწერთ, რა ჯოჯოხეთი გამოვიარე სამი დღის წინ, როდესაც ხუთი მილის სიგრძის დროებითი გზის დასაგებად შესაფერისი ადამიანის მოძებნას ვცდილობდი. კლდოვან მთებში ორმოცდაათი მილი მაქვს გასაჭრელი. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ გავაკეთებ. მაგრამ უნდა გავაკეთო. მთელი ქვეყანა გადავჩხრიკე, თუმცა ხალხი ვერ ვიპოვე. და ახლა უცებ თქვენ შეგხვდით, სამგზავრო ვაგონში — შევხვდი ადამიანს, რომელსაც შემიძლია, ნახევარი სისტემა თვალდახუჭულმა ჩავაბარო... ახლა გესმით, რატომ ვერ გაგიშვებთ? რაც გინდათ, აირჩიეთ. გინდათ რეგიონის გენერალური მენეჯერობა? ვიცეპრეზიდენტის თანაშემწეობა?

— არა. ., — რასაც შოულობთ, ხომ, პრინციპში, საარსებო მინიმუმია?

— კი.

— მგონია, რომ ბევრ ფულს ვერ აკეთებთ.

— რასაც ვაკეთებ, ჩემთვის მყოფნის... და სხვა არავისთვის.

— რატომ გაქვთ სურვილი, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ გარდა, ნებისმიერთან იმუშაოთ?

— იმიტომ რომ, თქვენ ისეთ სამუშაოს ვერ მომცემთ, როგორიც მინდა.

— მე? — უცებ გაჩერდა დაგნი, — ღმერთო დიდებულო, კელოგ! ვერ გაიგეთ? ნებისმიერ სამუშაოს მოგცემთ, თქვენ მხოლოდ თითი დაადეთ!

— კარგი. ლიანდაგის მეთვალყურე.

— რა?

— მეისრე. ორთქლმავლის დამლაგებელი. — დაგნის გამომეტყველებამ კელოგს ღიმილი მოჰგვარა, — ვერა? აი, ხომ გითხარით, სასურველ სამუშაოს ვერ მომცემთ-მეთქი. — იმის თქმა გინდათ, რომ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს შეასრულებდით?

— ნებისმიერ დროს, როცა კი შემომთავაზებდით.

— უკეთესი არაფერი გინდათ?

— არა, ეს მინდა, უკეთესი არაფერი.

— არ გესმით, რომ უამრავი კაცი მყავს, რომელსაც ასეთი სამუშაოების შესრულება შეუძლია, მაგრამ უკეთესის არაფრის?

— მე მესმის, მის ტაგარტ, და თქვენ?

— ერთადერთი, რაც თქვენგან მჭირდება, თქვენი...

— ტვინი, მის ტაგარტ? ჩემი ტვინი უკვე აღარ იყიდება.

დაგნი გაჩერდა და კელოგს შეხედა, სახე სულ უფრო სევდიანი უხდებოდა.

— თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, ხომ ასეა? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— ერთ-ერთი ვისთაგანი?

დაგნის არ უპასუხია, მხრები აიჩეჩა და გზა გააგრძელა.

— მის ტაგარტ, — ჰკითხა კელოგმა, — რამდენი ხანი არ მოგბეზრდებათ საზოგადოებრივი ტრანსპორტის თანამშრომლის როლში ყოფნა?

— არ ვაპირებ, ეს სამყარო იმ არსებას დავუთმო, ვისაც ახლა ციტირებთ.

— პასუხი, რომელიც თქვენ ამ ქალს გაეცით, გაცილებით რეალისტური იყო.

მათი ნაბიჯების ჯაჭვი არაერთ მდუმარე წუთზე გაიჭიმა, ვიდრე დაგნიმ კვლავ არ დასვა ახალი კითხვა:

— ამაღამ ჩემ გვერდით რატომ ხართ? რატომ გინდოდათ, დამხმარებოდით?

— იმიტომ რომ, — თავისუფლად, ლამის მხიარულად მიუგო კელოგმა, — ამ მატარებელზე ერთი მგზავრიც კი არ არის, რომელსაც ჩემზე სასწრაფოდ ესაჭიროება დანიშნულების ადგილას ჩასვლა. მატარებელი თუ დაიძვრება, ჩემზე მეტად ამით არავინ იხეირებს. მაგრამ როცა რაღაც მჭირდება, არ ვზივარ გულზე ხელდაკრეფილი და არ ველოდები ტრანსპორტირებას, როგორც ის არსება, წეღან რომ ახსენეთ.

— არა? და ყველა მატარებელი რომ გაჩერდეს, მერე რას იზამდით?

— მერე მნიშვნელოვან მგზავრობას მატარებელს აღარ ვანდობდი.

— სად მიდიხართ?

— დასავლეთში.

— „სპეცდავალებაზე“?

— არა, ერთი თვით უნდა დავისვენო რამდენიმე მეგობართან ერთად.

— დაისვენოთ? და ესაა თქვენთვის მნიშვნელოვანი?

— გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვა ყველაფერი ამქვეყნად.

ორი მილი ჰქონდათ გავლილი, როცა რელსების გვერდით, ბოძზე, პატარა, ნაცრისფერ ჯიხურს მოჰკრეს თვალი. ეს საგანგებო სიტუაციებისთვის განკუთვნილი ტელეფონი იყო. ჯიხური გვერდზე გადაზნექილიყო შტორმების გამო. დაგნიმ კარი ხელის კვრით გააღო. ტელეფონი ადგილზე დახვდათ; ნაცნობი, ლამის მშობლიური და

მანუგეშებელი საგანი კელოგის ფანრის შუქზე ელვარებდა. მაგრამ მიიტანა თუ არა ყურმილი ყურთან, დაგნიმ უკვე იცოდა, რომ ტელეფონი არ მუშაობდა.

დაგნიმ უსიტყვოდ გადააწოდა კელოგს ყურმილი. ფანარი თავად დაიჭირა, კელოგი კი უმალ აპარატის შესწავლას შეუდგა, შემდეგ ჩამოხსნა კედლიდან და მავთულების დათვალიერება დაიწყო.

— მავთულებთან ყველაფერი რიგზეა. — დასძინა მან, — დენი მიეწოდება. უბრალოდ, ეს კონკრეტული აპარატია გაფუჭებული. არის შანსი, რომ შემდეგი მუშაობდეს. — თქვა და ცოტა ხანში დაამატა, — შემდეგი ხუთი მილის იქითაა.

— წავიდეთ. — დასძინა დაგნიმ.

შორს, მათ უკან, ჯერ კიდევ მოჩანდა ფარანი, თუმცა პლანეტას უკვე აღარ ჰგავდა, არამედ პატარა ვარსკვლავს, რომელიც ნისლიან სიშორეებში თავისთვის ციმციმებს. წინ კი ლიანდაგები მოლურჯო სივრცეში მიემართებოდნენ და არაფერი ჩანდა, მათი დასასრული რომ აღენიშნა.

დაგნიმ გააცნობიერა, თუ როგორ ხშირად იყურებოდა უკან, ფარნისკენ; ვიდრე მას ხედავდა, ეგონა, წყალში გადმოგდებულ სამაშველო თოკზე უსაფრთხოდ იყვნენ გამობმულები. „მაგრამ ახლა ეს თოკი წყდება და იძულებული არიან, მოსწყდნენ...

მოსწყდნენ ამ პლანეტას“, — ფიქრობდა დაგნი. შეამჩნია, რომ კელოგიც იდგა და ფარანს გასცქეროდა.

ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. კენჭის ტკაცუნი დაგნის ფეხსაცმლის ქვეშ სიჩუმეში შუშხუნას აფეთქებასავით გაისმა. ცივი, გააზრებული მოძრაობით კელოგმა ტელეფონის აპარატი მოისროლა, აპარატიც ხრიალ-ხრიალით ჩავარდა თხრილში. ძლიერმა ხმაურმა ცარიელი სივრცე შეაჯანჯღარა.

— ეშმაკმა დაწყევლოს, — დინჯად წარმოთქვა კელოგმა ისე, რომ ხმისთვის არც კი აუწევია; მისი სიძულვილი ყოველგვარი ემოციისგან იყო დაცლილი, — არც დაუპირებია, ემუშავა. ალბათ ხელოსანს ფული სჭირდებოდა, როცა ის დააყენა და არავის ჰქონდა უფლება, მოეთხოვა, აპარატს ემუშავა.

— წავიდეთ. — თქვა დაგნიმ.

— თუ დაიღალეთ, შეგვიძლია, დავისვენოთ, მის ტაგარტ.

— კარგად ვარ. დაღლილობის დრო არ გვაქვს.

— ეს ჩვენი დიდი შეცდომაა, მის ტაგარტ. ხანდახან დასვენება აუცილებელია.

დაგნიმ ჩაიცინა და მტკიცედ გადადგა ნაბიჯი, თითქოს ამით კელოგს პასუხობსო. გზა გააგრძელეს.

შპალებზე სიარული ძნელი იყო, მაგრამ, როცა ლიანდაგებს მიღმა სცადეს გავლა, მიხვდნენ, რომ კიდევ უფრო გაუჭირდებოდათ. მიწა — ნახევრად ქვიშა, ნახევრად მტვერი — ფეხსაცმლის ძირებზე ეკვროდათ, როგორც რაღაც რბილი, განუსაზღვრელი ნივთიერება, რომელიც არც თხევადი მასა იყო და არც მყარი სხეული.

შპალიდან შპალზე მიაბიჯებდნენ. მთელი ეს პროცესი შუა მდინარეში მორიდან მორზე ხტომას წააგავდა.

დაგნი ფიქრობდა, თუ რამხელა მანძილად ქცეულიყო უცებ ხუთი მილი, ოცდაათი მილი კი, რომელიც უახლოეს სადგურს აშორებდათ, ხომ მთლად მიუწვდომელი ჩანდა, და ეს იმ დიდი ეპოქის შემდეგ, როცა ადამიანები რკინიგზებს აშენებდნენ და მათი ფიქრები და შესაძლებლობები ათასობით ტრანსკონტინენტურ მილს სწვდებოდა. რელსებისა და განათებების ეს ქსელი, რომელიც ოკეანიდან

ოკეანემდე იყო გადაჭიმული, მავთულის ნაგლეჯზე ეკიდა — დაზიანებულ ჟანგიან ტელეფონში.

„არა“, — გაუსწორა საკუთარ თავს დაგნიმ, — „რაღაც გაცილებით ძლიერზე და გაცილებით ფაქიზზე კიდია — იმ ადამიანების გონებრივ კავშირებზე, რომლებმაც იცოდნენ, რომ მავთულის, მატარებლის, შრომის, საკუთარი თავებისა და საკუთარი ქმედებების არსებობა აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რომელსაც ვერსად გაექცევი“.

მაგრამ ამგვარი ტვინები თანდათან ქრებოდნენ და ამ პირობებში ორიათასტონიანი მატარებელი დაგნის და კელოგის ფეხების ძალის ამარა რჩებოდა.

„დაღლილობა?“ — გაიფიქრა დაგნიმ, — „არა“. თვითონ მოძრაობაც კი ახლა მისთვის ფასეული იყო და რეალობის პატარა ნაგლეჯად ქცეულიყო მათ გარშემო გამეფებულ უძრაობაში. ძალისხმევის შეგრძნება მეტად თავისებურ განცდას ქმნიდა — ეს იყო ტკივილი და სხვა ვერაფერი იქნებოდა იმ ცარიელ სივრცეში, რომელიც არც ნათელი იყო და არც ბნელი, ნიადაგზე, რომელიც არც აადვილებდა სიარულს და არც ხელს უშლიდათ, ნისლში, რომელიც არც იძვროდა და არც უძრავად იყო გამოკიდული ჰაერში. მათი დაძაბულობა მოძრაობის ერთადერთ საბუთად ქცეულიყო: მათ ირგვლივ გაშლილ სიცარიელეში არაფერი იცვლებოდა, არაფერი იძენდა ფორმას, რომ მათი პროგრესი რამით აღენიშნა. დაგნის, ეჭვნარევი ზიზღით, ყოველთვის აკვირვებდა სექტები, რომელთაც იდეალად და მიზნად სამყაროს განადგურება ესახებოდათ.

ჰოდა, აი, ეს, სწორედ ეს იყო ამ სექტების სამყარო, მათი იდეალის ხორცშესხმა.

როცა გზაზე შუქნიშნის მწვანე განათება გამოჩნდა, მათ ერთგვარი ორიენტირი გაუჩნდათ — პუნქტი, რომლამდეც მიაღწევდნენ და უკან მოიტოვებდნენ, მაგრამ შუაგულ ნისლში უადგილოდ გამოკიდებულმა, შვება მათ არ მოუტანა. ეს მწვანე შუქი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს დიდი ხნის წინათ გადაშენებული სამყაროდან გამოსჭვიოდა, როგორც ვარსკვლავები, რომელთა ნათება მათი გაქრობის შემდეგაც შემორჩება. მწვანე რკალი სივრცეში ანათებდა, რითიც აცხადებდა, რომ გზა თავისუფალი იყო და მოძრაობას არაფერი უშლიდა ხელს იქ, სადაც არაფერი იყო, რასაც მოძრაობა შეეძლო. „ნეტავ, რომელმა ფილოსოფოსმა თქვა“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „რომ მოძრაობა ყოველგვარი მოძრავი საგნების გარეშე არსებობს?!“ ჰო, ეს ამ ფილოსოფოსის სამყაროც იყო.

დაგნიმ უცებ გააცნობიერა, რომ მოძრაობას უფრო მეტ ძალისხმევას ახმარდა, თითქოს რაღაც წინააღმდეგობას ლახავსო, რომელსაც წნეხის კი არა, შთანთქმის სახით განიცდიდა. კელოგს შეხედა — ისიც შტორმთან მებრძოლი კაცივით მიდიოდა. დაგნის ისეთი განცდა ჰქონდა, რომ ის და კელოგი ორად ორი ადამიანი იყვნენ, ვინც გადაურჩა... რეალობას. ორი მარტოსული ფიგურა, რომლებიც არა შტორმს, არამედ რაღაც უარესს ებრძოდნენ: არ-არსებობას.

რაღაც დროის შემდეგ პირველმა კელოგმა გაიხედა უკან, დაგნიმ მის მზერას მზერა გააყოლა: მათ უკან ფარანი აღარ ანათებდა.

არ გაჩერებულან. კელოგი პირდაპირ იყურებოდა, დაბნეულად ჯიბეში ჩაიყო ხელი; დაგნიმ დანამდვილებით იცოდა, რომ ეს მოძრაობა სრულიად უნებლიე იყო; კელოგმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო და დაგნის გაუწოდა.

ის-ის იყო, სიგარეტი უნდა გამოერთმია, რომ დაგნი უცებ კელოგს მაჯაზე ჩაებღაუჭა და კოლოფი ხელიდან გამოჰგლიჯა. ეს თეთრი, სადა კოლოფი იყო, რომელსაც ერთადერთი გამოსახულება ამშვენებდა: დოლარის ნიშანი.

— მომინათეთ ფანარი! — გაჩერდა დაგნი და იმპერატიულად მიმართა კელოგს.

კელოგიც გაჩერდა დამჯერად და კოლოფს შუქი მიანათა დაგნის ხელში. დაგნიმ მის სახეს მოჰკრა თვალი: კელოგი ცოტათი გაკვირვებული ჩანდა და ძალიან გახალისებული. კოლოფზე არაფერი იყო დაბეჭდილი — არც სასაქონლო ნიშანი, არც მისამართი, მხოლოდ დოლარის ნიშანი ჰქონდა ოქროსფრად ამოტვიფრული. სიგარეტებსაც ზუსტად ასეთივე ნიშანი ერტყა.

— ეს საიდან გაქვთ? — ჰკითხა კელოგს.

კელოგი იღიმოდა.

— რადგან ამას მეკითხებით, ესე იგი უკვე საკმარისად ბევრი იცით, მის ტაგარტ, და ისიც გეცოდინებათ, რომ არ გიპასუხებთ.

— ვიცი, რომ ეს რაღაცას ნიშნავს.

— დოლარის ნიშანი? კი, ძალიან ბევრ რამეს. ყველა კარიკატურაში, ყველა მსუქანი, ღორისებრი არსების ტანსაცმელზე ხატია და განასახიერებს თაღლითს, მექრთამესა და არამზადას — ბოროტების უპირობო სიმბოლოა. როგორც თავისუფალი ქვეყნის ვალუტა, ის წინსვლას, წარმატებას, ნიჭს, ადამიანის შემოქმედებით უნარებს ნიშნავს და სწორედ ამის გამო, დღეს უნამუსობის სიმბოლოდ გამოიყენება. ის ისეთი კაცის შუბლზეა დასმული, ჰენკ რიერდენი რომ გახლავთ, როგორც ნიშანი დაწყევლილობისა. და, სხვათა შორის, იცით, საიდან მოდის — ეს შეერთებული შტატების ინიციალებია.

კელოგმა ფანარი გამორთო, მაგრამ არ განძრეულა. დაგნის მისი მწარე ღიმილი შეუმჩნევლად არ დარჩენია.

— იცით, რომ შეერთებული შტატები ისტორიაში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც უზნეობის სიმბოლოდ თავისი მონოგრამა აქვს გამოყენებული? საკუთარ თავს ჰკითხეთ ამის მიზეზი. ჰკითხეთ, რამდენ ხანს უნდა ჰქონდეს ამის გამკეთებელ ქვეყანას არსებობის იმედი — ქვეყანას, რომლის ზნეობრივმა სტანდარტებმა ეს მონოგრამა გაანადგურა. შტატები ისტორიაში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სიმდიდრე ყაჩაღობით კი არ დაუგროვებიათ, არამედ წარმოებით, არა ძალის გამოყენებით, არამედ ვაჭრობით — ქვეყანა, რომლის ფულიც განასახიერებდა ადამიანის უფლებას საკუთარ გონებრივ რესურსებზე, საკუთარ შრომაზე, ცხოვრებაზე, ბედნიერებაზე, საკუთარ თავზე. და თუ, დღევანდელი სამყაროს სტანდარტებით, ეს ბოროტებაა, თუ ეს არის ჩვენი დაწყევლის მიზეზი, მაშინ ჩვენ, დოლარის მადევრები და შემქმნელები, მას ვიღებთ და ვირჩევთ, რომ ამ სამყარომ დაგვწყევლოს. ვირჩევთ, დოლარის ნიშანი შუბლებზე ამაყად ვატაროთ, როგორც ჩვენი კეთილშობილების დამღა, დამღა, რომლისთვისაც გვიღირს სიცოცხლე და თუ საჭიროა — სიკვდილიც.

კელოგმა დაგნის ხელი გაუწოდა კოლოფის გამოსართმევად. დაგნი კოლოფს ჩაჰბღაუჭებოდა, გეგონებოდა, დათმობას არ აპირებსო, მაგრამ დანებდა და კელოგს ხელისგულზე დაუდო. შეგნებულად ნელი მოძრაობით, თითქოს საკუთარი ჟესტისთვის ხაზი რომ გაესვა, კელოგმა სიგარეტი შესთავაზა. მანაც გამოართვა და ტუჩებს შორის მოიქცია. კელოგმა ერთი ღერი თავისთვისაც აიღო, ორივეს მოუკიდა და გზა გააგრძელეს.

მიდიოდნენ — ჩამპალ დირეებზე, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ეფლობოდნენ ნიადაგში; მიდიოდნენ მთვარის შუქისა და კლაკნია ბურუსის ვრცელ, უსასრულო სამეფოში და ხელებში ორი ცოცხალი ცეცხლის წერტილი მოუჩანდათ და მხოლოდ ორი პაწაწინა რკალი უნათებდათ სახეებს.

ცეცხლი საშიში ძალაა, რომელიც ადამიანმა მოითვინიერა და თითებს შორის მოიქცია... — გაახსენდა დაგნის მოხუცი კაცის სიტყვები, რომელმაც უთხრა, რომ ეს სიგარეტები დედამიწაზე ვერსად დამზადდებოდა, — როცა ადამიანი აზროვნებს, მის გონებაში ცეცხლის ალი წარმოიქმნება და ანთებული სიგარეტიც თითქოს მის სიმბოლოდ იქცევა.

— როგორ მინდა, მითხრათ, ვინ ამზადებს ამ სიგარეტებს. — თქვა დაგნიმ უიმედო მუდარის ტონით.

კელოგმა თბილად ჩაიცინა.

— ამაზე მეტს ვერ გეტყვით: ჩემი მეგობარი ამზადებს და ყიდის, ოღონდ რადგანაც საზოგადოებას არ ემსახურება, მხოლოდ მეგობრებზე ყიდის.

— მომყიდეთ ეს კოლოფი, თუ შეიძლება!

— არა მგონია, გასწვდეთ, მის ტაგარტ, მაგრამ კარგი, რაკი ასე გინდათ...

— რა ღირს?

— ხუთი ცენტი.

— ხუთი ცენტი? — გაიმეორა გაოგნებულმა.

— ხუთი ცენტი... — უპასუხა კელოგმა და დაამატა, — ოქროში.

დაგნი გაჩერდა და კელოგს ჩააშტერდა.

— ოქროში?

— დიახ, მის ტაგარტ.

— კარგი, გაცვლის კურსი როგორი გაქვთ? ჩვენს ჩვეულებრივ ფულში რამდენი გამოდის?

— არავითარი გაცვლის კურსი არ არსებობს, მის ტაგარტ, ვერავითარი ოდენობის ფიზიკური — გნებავთ, სულიერი — ვალუტა, რომლის ღირებულების ერთადერთ სტანდარტს მისტერ უესლი მაუჩის ბრძანებები ადგენს, ამ სიგარეტს ვერ იყიდის.

— გასაგებია.

კელოგმა ჯიბეში ჩაიდო ხელი, კოლოფი ამოიღო და დაგნის გაუწოდა.

— თქვენ მოგცემთ, მის ტაგარტ, იმიტომ, რომ თქვენ ის არაერთხელ დაგიმსახურებიათ და კიდევ, იმიტომ, რომ თქვენც იმავე მიზნისთვის გჭირდებათ, რისთვისაც ჩვენ. — რა მიზნისთვის?

— იმისთვის, რომ შეგვახსენოს იმედგაცრუების, გარიყულობის თანმხმლებ მარტოობის წუთებში... გაგვახსენოს ჩვენი ნამდვილი სამშობლო, რომელიც თქვენიც იყო მუდამ, მის ტაგარტ.

— გმადლობთ. — უპასუხა დაგნიმ და სიგარეტი ჯიბეში ჩაიდო; კელოგმა დაინახა, რომ მას ხელი უკანკალებდა.

როცა მილის აღმნიშვნელი ხუთი ბოძიდან მეოთხემდე მიაღწიეს, უკვე კარგა ხნის დადუმებულები იყვნენ — ძალა მხოლოდ ფეხების მოძრაობისთვის ჰქონდათ შემორჩენილი. პირდაპირ და შორს სინათლის წერტილი დაინახეს — ჰორიზონტზე საკმაოდ დაბლა მოჩანდა და საკმაოდ მკვეთრადაც ანათებდა საიმისოდ, რომ ვარსკვლავი ყოფილიყო. არ გაჩერებულან, სინათლისთვის თვალი არ მოუცილებიათ და არც ხმა ამოუღიათ იქამდე, ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ ეს მძლავრი ელექტროუქურა იყო, რომელიც შუაგულ პრერიებში კაშკაშებდა.

— ეს რა არის? — იკითხა დაგნიმ.

— არ ვიცი, — მიუგო კელოგმა, — მგონი...

— არა! — სწრაფად გააწყვეტინა დაგნიმ სიტყვა, — ვერ იქნება. აქ ვერა.

მას არ უნდოდა, კელოგს იმ იმედის სახელი გაეხმოვანებინა, რომელიც მრავალი წუთის წინ განეცადა. საკუთარ თავს არ აძლევდა ნებას, მასზე, როგორც იმედზე, ეფიქრა ან გაეგო, რომ თავისი ფიქრები სინამდვილეში იმედი იყო.

მეხუთე ბოძთან ტელეფონის ჯიხური იპოვეს. შუქურა ცივი ცეცხლის მძვინვარე ალივით გამოკიდებულიყო სამხრეთით, მათგან ნახევარ მილზე უფრო ახლოს.

ტელეფონი მუშაობდა. როცა დაგნიმ ყურმილი აიღო, ხმოვანი სიგნალები ცოცხალი არსების სუნთქვასავით ჩაესმა. მალე გაწელილი ტონით უპასუხეს:

— ჯესაპი, ბრედშოუ, გისმენთ. — მოპასუხეს მძინარე ხმა ჰქონდა.

— დაგნი ტაგარტი ვარ, გირეკავთ...

— ვინ?

— დაგნი ტაგარტი, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალიდან“...

— აჰ... გასაგებია... გისმენთ?

— თქვენი საგზაო ტელეფონიდან გირეკავთ, №83-დან. ჩვენგან ჩრდილოეთით, ხუთი მილის იქით, „კომეტა“ დგას გაჩერებული. ბრიგადამ დატოვა. გაიქცნენ.

დაგნის სიტყვებს პაუზა მოჰყვა.

— გასაგებია, და რა გინდათ, რომ მე გავაკეთო?

დაგნისაც პაუზა დასჭირდა, რათა დაეჯერებინა, რაც გაიგო.

— თქვენ ხართ ღამის დისპეტჩერი?

— დიახ.

— ჰოდა, დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთ ბრიგადა.

— ბრიგადა სრული შემადგენლობით სამგზავრო მატარებლისთვის?

— რა თქმა უნდა.

— ახლა?

— დიახ.

კვლავ პაუზა.

— წესებში ამის შესახებ არაფერი წერია.

— უფროსი დისპეტჩერი დამალაპარაკეთ. — სუნთქვა შეეკრა დაგნის.

— დასასვენებლად არის წასული.

— განყოფილების დირექტორი დამალაპარაკეთ.

— რამდენიმე დღით ლორელში წავიდა.

— დაუძახეთ ვინმეს, ვინც პასუხისმგებელია.

— მე ვარ პასუხისმგებელი.

— მისმინეთ, — აუჩქარებლად უთხრა დაგნიმ და ცდილობდა, წყობიდან არ გამოსულიყო, — გესმით, რომ შუაგულ პრერიებში მიტოვებული სამგზავრო მატარებელი დგას:

— ჰო, მაგრამ მე რა ვიცი, რა უნდა გავაკეთო? წესებში ამაზე არაფერი წერია.

ავარია რომ მოგსვლოდათ, სამაშველო ბრიგადას გამოგიგზავნიდით, მაგრამ თუ ავარია არ არის... არ გჭირდებათ სამაშველო ბრიგადა?

— არა. არ გვჭირდება. გვჭირდება ხალხი. გესმით? ცოცხალი ადამიანები, რომლებიც მატარებელს წაიყვანენ.

— ბრიგადის გარეშე დარჩენილ მატარებელზე წესებში არაფერი წერია, არც მატარებლის გარეშე დარჩენილ ბრიგადაზე. არავითარი წესი არ არის, რომ შუაღამეს ბრიგადა სრული შემადგენლობით გამოვიძახოთ და გამოვუშვათ სადღაც გაჩხერილ მატარებელთან. ასეთი რამე აქამდე არც გამიგია.

— ახლა ხომ გესმით?! ვერ ხვდებით, რა უნდა გააკეთოთ?

— მე საიდან უნდა ვხვდებოდე?

— ვერ ხვდებით, რომ თქვენი მოვალეობაა, მატარებლების მოძრაობა უზრუნველყოთ?

— ჩემი მოვალეობა წესების დამორჩილებაა. ბრიგადა რომ გამოვუშვა, იმ შემთხვევაში, თუ ეს არ უნდა გავაკეთო, ღმერთმა იცის, რა მოხდება! მთელი ამ „გაერთიანების საბჭოთი“ და რეგულაციებით, დღეს რომ აქვთ, მე ვინ მეკითხება, აქ რაღაცები გადავწყვიტო?

— და რა მოხდება, მატარებელს ხაზზე გაჩხერილს თუ დატოვებთ?

— ეს ჩემი ბრალი არ იქნება. მე არაფერ შუაში ვარ. ამის გამო შარს ვერ მომდებენ. ვერ დაგეხმარებით.

— დამეხმარებით!

— არავის უთქვამს, რომ უნდა დაგეხმაროთ.

— მე გეუბნებით!

— მე რა ვიცი, ის ხართ თუ არა, ვინც ეს უნდა მითხრას? ჩვენ „ტაგარტის“ ბრიგადებით მომარაგება არ გვევალება. თქვენ თქვენი ბრიგადები უნდა გყავდეთ. ასე გვითხრეს. — ჰო, მაგრამ ეს საგანგებო სიტუაციაა!

— საგანგებო სიტუაციის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

დაგნის რამდენიმე წამი დასჭირდა, რომ თავი ხელში აეყვანა შეამჩნია, როგორ უყურებდა კელოგი დამცინავი ღიმილით.

— მისმინეთ, — ჩასძახა დაგნიმ ყურმილში, — იცით, რომ „კომეტა“ ბრედშოუში სამი საათის წინ უნდა ჩასულიყო?

— კი, რასაკვირველია, მაგრამ ამისგან პრობლემას არავინ შექმნის. დღეს არც ერთი მატარებელი განრიგის მიხედვით აღარ მოძრაობს.

— მაშინ რას აპირებთ? თქვენი გზა სამუდამოდ უნდა ჩაკეტოთ ჩვენი გაჩერებული მატარებლის გამო?

— №4-მდე არაფერი გამოივლის — ლორელიდან ჩრდილოეთში მიმავალი სამგზავროა, დილის შვიდ საათსა და ოცდაჩვიდმეტ წუთზე ველოდებით. ამ დრომდე მოიცადეთ, დილის დისპეტჩერიც შემცვლის, მას შეგიძლიათ, დაელაპარაკოთ.

— შე შეუგნებელო იდიოტო! ეს „კომეტაა“!

— მერე მე რა ვქნა? სამაგიეროდ, ჩვენ არ ვართ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“, ფულის სანაცვლოდ ზედმეტად ბევრს ხომ არ ითხოვთ? ჩვენთვის თავის ტკივილის მეტი, არაფერი მოგიტანიათ, პატარა ადამიანებს ზედმეტი ანაზღაურების გარეშე, ზედმეტ დროს ამუშავებდით. — დისპეტჩერის ხმა უკვე თავხედურ წუწუნში გადაზრდილიყო, — ასე ლაპარაკის უფლება ჩემთან არ გაქვთ. წავიდა ის დრო, ხალხს ასე რომ ელაპარაკებოდით.

დაგნის არასდროს სჯეროდა, თუ არსებობდნენ ადამიანები, რომლებთანაც გაჭრიდა კონკრეტული მეთოდი, თავად რომ არასდროს გამოუყენებია. ასეთი ადამიანები „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ სამუშაოდ არ აჰყავდა და არც დაგნი ყოფილა იძულებული, მათთან ოდესმე საქმე ჰქონოდა.

— იცი, მე ვინ ვარ? — იკითხა მკაცრი, მბრძანებლური და მუქარის შემცველი ტონით. ამან გაჭრა.

— მგონი... მგონი, კი. — იყო დისპეტჩერის პასუხი.

— ჰოდა, მისმინე: ბრიგადას თუ დაუყოვნებლივ არ გამომიგზავნი, ბრედშოუში რომ ჩავალ, სადღაც ერთი საათის განმავლობაში, სამსახური აღარ გექნება. ადრე თუ გვიან ჩავალ ბრედშოუში და გირჩევნია, დროზე გააკეთო, რასაც გეუბნები.

— დიახ, მემ. — უპასუხა დისპეჩერმა.

— სრული შემადგენლობით გამოუძახე ბრიგადას სამგზავრო მატარებლისთვის და განკარგულება მიეცი, ლორელში ჩაგვიყვანონ. იქ უკვე ჩვენი ხალხი გვყავს.

— დიახ, მემ. — მიუგო და დაამატა, — ცენტრს ეტყვით, რომ თქვენ დამავალეთ ამის გაკეთება?

— ვეტყვი.

— და რომ თქვენ ხართ ამაზე პასუხისმგებელი?

— კი.

ამას პაუზა მოჰყვა, მერე კი დისპეტჩერმა უმწეოდ იკითხა:

— ახლა როგორ უნდა გამოვიძახო ხალხი? უმეტესობას ტელეფონები არა აქვს — მაცნე არ გყავთ?

— კი, მაგრამ დილამდე არ მოვა.

— ამწუთას ეზოში ვინმე არის?

— დამლაგებელია დეპოში.

— გაუშვით ხალხის გამოსაძახებლად.

— დიახ, მემ. არ დაკიდოთ ყურმილი.

დაგნი ჯიხურის კედელს მიეყრდნო. იცდიდა. კელოგი იღიმოდა.

— და ამ ყველაფრის მერე გინდათ, რომ რკინიგზა — ტრანსკონტინენტური რკინიგზა — მართოთ? — ჰკითხა კელოგმა.

დაგნიმ მხრები აიჩეჩა.

თვალს ვერ აცილებდა შუქურას. ძალიან ახლო ჩანდა და თითქოს ძალიან ადვილად მისაწვდომი. გრძნობდა, რომ აუღიარებელი აზრი მას გაშმაგებით ებრძოდა და ამ ბრძოლის ფრაგმენტები მთელ მის გონებას შხეფ-შხეფად ეხეთქებოდა: კაცი, რომელსაც შეუძლია, ენერგიის უშრეტი წყარო გამოიყენოს... კაცი, რომელიც ისეთ ძრავაზე მუშაობს, ყველა სხვა ძრავას რომ უსარგებლოდ აქცევს... რამდენიმე საათში შეეძლო, სწორედ ამ კაცს დალაპარაკებოდა, შეხვედროდა მის ინტელექტს... იქნებ, არც იყო საჭირო, ასე ეჩქარა?! მაგრამ მას სწორედ ეს უნდოდა. მხოლოდ ეს უნდოდა... და თავისი სამუშაო? როგორი სამუშაო ჰქონდა? — საკუთარი ტვინის სრულყოფილ, მთლიან გამოყენებაზე უნდა ემუშავა თუ დარჩენილი სიცოცხლე უნდა გაეტარებინა ფიქრში იმ ადამიანის მაგივრად, რომელიც ღამის დისპეტჩერობისთვისაც კი არაფრად ვარგოდა? მაინც რატომ გადაეწყვიტა მუშაობა? — რომ დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც დაიწყო? — როკდეილის სადგურის ღამის ოპერატორად? არა, კიდევ უფრო დაბალ თანამდებობაზე... დაგნი ამ ღამის დისპეტჩერზე უკეთესი იყო, როკდეილშიც კი; ნუთუ საბოლოო ჯამი ასეთი უნდა ყოფილიყო? — ბოლოს უფრო დაბლა უნდა დაესრულებინა, ვიდრე დაიწყო? არ უნდა ეჩქარა? არ ჰქონდა საკმარისი მიზეზი? ის თავად იყო მიზეზი... მატარებლები სჭირდებოდათ და არ სჭირდებოდათ ძრავა? მას სჭირდებოდა ძრავა... პასუხისმგებელი იყო? ვის წინაშე?

დისპეტჩერი კარგი ხნის შემდეგ დაბრუნდა ხაზზე. მოღუშული ხმა ჰქონდა:

— დამლაგებელი ამბობს, ხალხს მოვიყვანო, მაგრამ აზრი არა აქვს. აბა, როგორ გამოგიგზავნოთ? — ლოკომოტივი არ გვაქვს.

— ლოკომიტივი არ გაქვთ?

— არა. ერთი დირექტორს დასჭირდა ლორელში წასასვლელად, მეორე ხელოსანთანაა, უკვე კვირებია, კომუტატორიც გაფუჭდა ამ დილას, ხვალ შუადღემდე ვერ გააკეთებენ. — და სამაშველო ლოკომოტივი? ხომ გვითხარი, გამოგიგზავნითო?!

— აჰ... ჩრდილოეთში გვყავს გაგზავნილი. გუშინ ავარია მოუვიდათ. ჯერ არ ჩამოსულა.

— და დიზელის ლოკომოტივი გაქვთ?

— არა, არასდროს გვქონია. აქ არა.

— დრეზინა თუ გაქვთ?

— აჰ... დიახ, მემ.

— უთხარი შენებს, №83 საგზაო ტელეფონთან გაჩერდნენ და მისტერ კელოგი და მე წაგვიყვანონ. — უთხრა დისპეტჩერს დაგნიმ და თან შუქურას უყურებდა.

— დიახ, მემ.

— ლორელში „ტაგარტის“ მთავარ ტექნიკოსს დაურეკე, უთხარი, რომ „კომეტა“ გაჩერებულია, აუხსენი, რაც მოხდა. — დაგნიმ ხელი ჯიბეში ჩაიყო და უეცრად თითები მაგრად მოკუმა: სიგარეტის კოლოფს შეეხო, — და მითხარი, ეს რა შუქურაა, სადღაც ნახევარ მილში აქედან?

— სადაც თქვენ ხართ? „ფლეგშიპ ეარლაინსის“ სათადარიგო აეროდრომი უნდა იყოს.

— გასაგებია... კარგი, სულ ესაა. ახლავე გამოუშვი ხალხი. უთხარი, მისტერ კელოგი №83 საგზაო ტელეფონთან ელოდება.

— დიახ, მემ.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა. კელოგი იღიმოდა.

— აეროდრომი, არა? — ჰკითხა დაგნის.

— ჰო. — მიუგო დაგნიმ, კვლავ შუქურას უყურებდა და კვლავ ძლიერად ჩაჰბღაუჭებოდა ჯიბეში სიგარეტს.

— ანუ მისტერ კელოგის წასაყვანად უნდა მოვიდნენ?

დაგნი კელოგს სწრაფად მიუტრიალდა და ახლა მიხვდა, რა გადაწყვეტილებამდეც მისულიყო მისი ტვინი მისი ცნობიერი განზრახვის გარეშე.

— არა. — უპასუხა, — არა, თქვენი აქ დატოვება არ მინდა. უბრალოდ, მეც რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს დასავლეთში, ჩქარა უნდა ჩავიდე. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ, თვითმფრინავით გადავფრინდე-მეთქი, მაგრამ ამას ვერ ვიზამ და თან არც არის საჭირო.

— წამოდით. — უთხრა კელოგმა და აეროდრომისკენ დაიძრა.

— ჰო, მაგრამ...

— თუ რამე უფრო მნიშვნელოვანი გაქვთ გასაკეთებელი, ვიდრე გამოლენჩებული ცხვრის ფარის მოვლაა, ახლავე უნდა გააკეთოთ.

— ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი... — ჩურჩულით წარმოთქვა დაგნიმ.

— თქვენს პასუხისმგებლობას გადავიბარებ და „კომეტას“ თქვენებს ლორელში ჩავუყვან.

— გმადლობთ... მაგრამ თუ იმის იმედი გაქვთ, რომ... მე დეზერტირობას არ ვაპირებ. — ვიცი.

— აბა, ასე რატომ გინდათ, დამეხმაროთ?

— უბრალოდ მინდა, ერთხელ მაინც ნახოთ, როგორია იმის გაკეთება, რაც მართლა გინდათ.

— მაინცდამაინც დიდი შანსი არ არის, აეროდრომზე თვითმფრინავი ჰყავდეთ.

— არა, არის შანსი.

აეროდრომის კიდეზე ორი თვითმფრინავი იდგა: ნახევრად დამწვარი, გაპარტახებული სამაშველო, რომელიც ფარატინა ფურცლის გადასარჩენადაც. კი არ

გამოდგებოდა, და მეორე — „დუაიტ სანდერსის“ მონოპლანი — სულ მთლად ახალი, ისეთი, მთელ ქვეყანაში ხალხი ამაოდ რომ ითხოვდა.

აეროდრომზე ერთი მძინარე გამცილებელი დაუხვდათ — ახალგაზრდა, ჩასუქებული ბიჭი და თუ არ ჩავთვლით მის სამეტყველო ლექსიკონში ოდნავ შესამჩნევ კოლეჯის სურნელს, სხვა მხრივ ბრედშოუს ღამის დისპეტჩერის მენტალური ძმა იყო. ორი თვითმფრინავის შესახებ არაფერი იცოდა: მას მერე, რაც ერთი წლის წინ აქ დაეწყო მუშაობა, ორივე თვითმფრინავი ასე იდგა. მათ შესახებ არავისთვის არაფერი უკითხავს და არც სხვა თანამშრომელს უცდია რამის გარკვევა, სხვათა შორის. ცენტრალური ოფისისგან შორს მყოფებმა, ამ დიდი ავიახაზების მდუმარე და ნელი კვდომის პირობებში, „სანდერსის“ მონოპლანი დავიწყებას მისცეს. ამგვარი რამეები ბოლო დროს ხომ ყველგან დავიწყებას ეძლეოდა... ზუსტად ისევე, როგორც დაივიწყეს ძრავის მოდელი, და ნაგავსაყრელზე თვალსაჩინო ადგილას მიგდებული, აღარაფერს ნიშნავდა ახალი მეპატრონეებისა თუ მემკვიდრეებისთვის...

ახალგაზრდა გამცილებელს არავითარი ინსტრუქციები არ ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ექნა „სანდერსის“ თვითმფრინავისთვის — დაეტოვებინა აეროდრომზე თუ გაეშვა. მის მაგივრად, უხეში და თავდაჯერებული მანერით, გადაწყვეტილებას ორი უცნობი იღებდა. გადაწყვეტილების კომპონენტებს შეადგენდა მის დაგნი ტაგარტის — რკინიგზის ვიცე-პრეზიდენტის — ავტორიტეტი; ერთიორი გადაკრული სიტყვა საიდუმლო, სასწრაფო მისიაზე, რაც გამცილებლისთვის ლამის ისე ჟღერდა, როგორც ვაშინგტონი; ავიახაზების ნიუ-იორკელი წამყვანი ჩინოვნიკების ხსენება (მათი სახელები ბიჭს აქამდე არასდროს გაეგო), რომლებთანაც თვითმფრინავის გაშვების შესახებ შეთანხმება არსებობდა; მის ტაგარტის ხელმოწერილი 15 ათასი დოლარის ჩეკი (როგორც გირაო თვითმფრინავისთვის); და კიდევ ერთი, ორი ათასი დოლარის ოდენობის ჩეკი — იმისთვის, რომ გამცილებელმა მათ დრო და ყურადღება დაუთმო.

ბიჭმა თვითმფრინავში საწვავი ჩაასხა, ყურადღებით შეამოწმა, რამდენადაც ეს შეეძლო, იპოვა ქვეყნის აეროპორტების რუკა და დაგნიმაც დაინახა, რომ ეფტონის, იუტას დასაშვები ბილიკები კვლავაც ცოცხლებში ეწერა. ზედმეტად დაძაბული, სწრაფი და აქტიური იყო, რომ რაიმე ეგრძნო, მაგრამ ბოლო წუთს, როცა გამცილებელმა პროჟექტორები ჩართო და როცა უკვე ბორტზე უნდა ასულიყო, გაჩერდა და ცარიელ ცას მიაპყრო მზერა, შემდეგ — ოუენ კელოგს. ეს უკანასკნელი მყარად იდგა, მარტო, თეთრ განათებაში, ცემენტის კუნძულზე ფეხები გაეშალა და ზემოდან თვალის მომჭრელი შუქის რკალი ეცემოდა. ამ რკალს იქით აღარაფერი იყო, მხოლოდ უიმედო ღამე, და დაგნიმ გაიფიქრა, რომელი მათგანი მიდიოდა ახლა უფრო დიდ რისკზე და უფრო რომელი მათგანი უნდა დარჩენილიყო უკაცრიელი წყვდიადის პირისპირ.

— ვაითუ, რამე მომივიდა, — მიმართა დაგნიმ კელოგს, — ეტყვით ჩემს ოფისში ედი უილერსს, რომ ჯეფ ალენს დაპირებული სამუშაო მისცეს?

— ვეტყვი... თუ მხოლოდ ეს გინდათ... ვაითუ, რამე მოხდეს...

დაგნი დაფიქრდა და ამის გაცნობიერებით გაოგნებულმა, სევდიანი ღიმილით მიუგო:

— ჰო, მგონი, სულ ესაა... არა, კიდევ ერთი რამე: უთხარით ჰენკ რიერდენს, რაც მოხდა და რომ მე გთხოვეთ, გეთქვათ.

— კარგი.

დაგნიმ თავი ასწია და მტკიცედ დასძინა:

— თუმცა, არა მგონია, რამე მოხდეს. ლორელში რომ ჩახვალთ, უინსტონში, კოლორადოში დარეკეთ და უთხარით, რომ ხვალ შუადღის თორმეტისთვის იქ ვიქნები.

— დიახ, მის ტაგარტ.

დაგნის, დამშვიდობების ნიშნად, ხელის აწევა უნდოდა, მაგრამ შეუსაბამო მოეჩვენა, მერე კი უცებ გაახსენდა, კელოგს მარტოობის შესახებ რაც ეთქვა მისთვის, ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და ხმის ამოუღებლად მისივე სიგარეტი შესთავაზა. კელოგის ღიმილი მხოლოდ ერთ რამეს აცხადებდა: მან დაგნის ჟესტი ბოლომდე გაიგო, ხოლო ასანთის პატარა ნაპერწკალი, რომლითაც ორივე სიგარეტს მოუკიდა, ალბათ ყველაზე გულის ამაჩუყებელი ხელის ჩამორთმევა იყო.

ამის შემდეგ დაგნი ბორტზე ავიდა და ის, რაც უკვე მისმა ცნობიერებამ მოიცვა, არა ცალკეული მოძრაობები და მომენტები, არამედ ერთი მთლიანი მოძრაობისა და დროის ერთი მთლიანი მონაკვეთის ნაკადი იყო — პროგრესირებადი ნაკადი, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების ნოტებივით ერთ მთლიანობას ქმნიდა: დაწყებული იმით, ხელი რომ სტარტერს შეახო; შემდეგ ძრავის ხმა, მთიდან უეცრად დაშვებული მეწყერივით რომ გაისმა და დროსთან ყოველგვარი კავშირი რომ გაწყვიტა დაგნისთვის; წრიული მოძრაობით დაქანებული ფრთა, აბზრიალებული ჰაერის მყიფე ელვარებაში რომ გაუჩინარდა; ამ აბზრიალებული ჰაერის მიერ გაპობილი წინ გადაშლილი თვალუწვდენელი სივრცე; ასაფრენ ბილიკზე გასვლა; შემდეგ ხანმოკლე პაუზა; უხეში ბიძგი; გრძელი, სახიფათო გარბენა — გარბენა, რომლისთვისაც არაფერს უნდა შეეშალა ხელი; გარბენა სწორ ხაზზე, რომელიც ენერგიას სულ უფრო მძლავრი და სულ უფრო აჩქარებული ძალისხმევის ხარჯზე იკრებს; სწორი ხაზი, რომელსაც მიზნამდე მიჰყავხარ და რომელსაც არ უნდა გადაუხვიო; და შემდეგ წამი — შეუმჩნეველი წამი, როცა დედამიწა ძირს ვარდება, სწორ, უწყვეტ ხაზზე მოძრაობა უკვე ჰაერში გრძელდება და ზემოთ ასვლის მარტივი, ბუნებრივი აქტიც იწყება.

დაგნიმ თავის ქვემოთ ტელეგრაფების ბოძები დაინახა, რომლებიც სარკინიგზო გზაზე ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ. დედამიწა სულ უფრო დაბლა ეცემოდა და დაგნისაც თითქოს ამ პლანეტის მთელი სიმძიმე წვივებიდან ეხსნებოდა; თითქოს პლანეტა ახლა ბურთის ზომამდე იკუმშებოდა, იმ მძიმე რკინის ბურთის ზომამდე, ტყვეთა ფეხბორკილებს რომ აქვს გამობმული — რომელსაც დაგნი თან დაათრევდა და ახლა, როგორც იქნა, მისგან განთავისუფლებულიყო. ამ აღმოჩენით მთვრალი, დაგნი ირწეოდა, ირწეოდა თვითმფრინავიც და ამ რწევის ტაქტში ირწეოდა დედამიწაც მის ქვემოთ. დაგნი ახლა მიხვდა, რომ მისი ცხოვრება მის ხელთ იყო, რომ კამათი, ახსნა-განმარტებები, სწავლება, თხოვნა და ბრძოლა არ იყო საჭირო, არაფერი იყო საჭირო, ფიქრისა და მოქმედების გარდა. შემდეგ დედამიწამ უკვე ფართო ზეწრის მყარი ფორმა მიიღო, რომელიც თვითმფრინავის წრიულ მოძრაობებსა და ზემოთ აზიდვასთან ერთად, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ქვემოთ ბოლოჯერ რომ ჩაიხედა, აეროდრომის განათებები უკვე გამქრალიყო, მხოლოდ ერთი შუქურა მოჩანდა და ისიც კელოგის სიგარეტის წვერს წააგავდა, უკანასკნელი გამომშვიდობების ნიშანივით რომ ბრდღვიალებდა წყვდიადში.

შემდეგ უკვე თავისი ხელსაწყოს პანელის განათებებისა და კაბინის მინის მიღმა განფენილი ვარსკვლავების ამარა დარჩა. ახლა მას მხოლოდ ძრავის რიტმი და იმ ადამიანების გონებრივი რესურსები იცავდნენ, რომელთაც ეს თვითმფრინავი შექმნეს.

„თუმცა, აბა, ზოგადად, სხვამ რამ უნდა დაიცვას ადამიანი?“ — გაიფიქრა დაგნიმ.

კურსი ჩრდილო-დასავლეთით აიღო, რითიც კოლორადოს შტატს დიაგონალზე გადაკვეთდა. იცოდა, რომ ყველაზე საშიში გზა აირჩია — ყველაზე საძნელო და გრძელი მთიანი ბარიერის თავზე უნდა გადაეფრინა, მაგრამ ეს ყველაზე მოკლე გზა იყო, უსაფრთხოებას კი სიმაღლის დონე განსაზღვრავდა, მაგრამ დაგნის ახლა არც ერთი მთა არ ეჩვენებოდა ისეთი საშიში, როგორც ის დისპეტჩერი ბრედშოუდან.

ვარსკვლავები ქაფის ბუშტუკებს ჩამოჰგავდნენ, ცა თითქოს ლივლივებდა, ბუშტუკები მალიმალ ჩნდებოდნენ და ფორმას იძენდნენ, მთელი სანახაობა კი ტალღების წყნარ, წრიულ ლივლივს მოგაგონებდათ. პერიოდულად დედამიწაზე ნაპერწკალივით რაღაც აინთებოდა, თანაც გაცილებით უფრო ელვარედ ჩანდა, ვიდრე მთელი სტატიკური სილურჯე ზემოთ. მაგრამ ნაპერწკალი მარტოდმარტო იყო გამოკიდებული — სიშავესა და სილურჯეს შორის, — თითქოს თავისი მყიფე საყრდენი წერტილისთვის იბრძოდა, დაგნის სალამს აძლევდა და ქრებოდა.

სიცარიელიდან ნელ-ნელა მდინარის ფერმკრთალმა ზოლმაც იჩინა თავი, დიდხანს დარჩა თვალთახედვის არეში და შეუმჩნევლად დაგნის შესაგებებლად მოიზლაზნებოდა; ფოსფორისფერ ვენას ჰგავდა — უსისხლო, ფაქიზ ვენას, რომელიც დედამიწის კანიდან გამოსჭვივის.

დაგნიმ ქალაქის განათებები დაინახა, პრერიებზე მიმობნეულ ერთ მუჭა ოქროს მონეტებს რომ ჩამოჰგავდნენ. ეს ელექტრობით გამოკვებილი, ულმობლად ელვარე განათებები მას ახლა ისევე შორეულად და მიუწვდომლად ეჩვენებოდა, როგორც ვარსკვლავები. ენერგია, რომელიც მათ აანთებდა, გამქრალიყო, აღარც ის ძალა იყო, რომელსაც ცარიელ პრერიებში ელექტროსადგურები შეექმნა, და არ იცოდა არავითარი გზა, რომლითაც ამ ყველაფერს დააბრუნებდა. და მაინც, ეს მისი პირადი ვარსკვლავები იყო, — ფიქრობდა დაგნი და ქვემოთ იცქირებოდა, — ეს იყო მისი მიზანი, მისი შუქურა, მისი ვნება — ის ყველაფერი, რასაც ახლა ცაში აეწია. რასაც სხვები თითქოს ვარსკვლავების დანახვისას განიცდიდნენ, — ვარსკვლავებისა, რომლებთანაც მილიონობით წელი უსაფრთხოდ გვაშორებს და ამდენად, არავითარ მოქმედებებს ჩვენგან არ ითხოვენ, მხოლოდ ბრჭყვიალა ამაოებას თუ ემსახურებიან, — იმას დაგნი ელექტრონათურების დანახვისას განიცდიდა, რომლებიც ქალაქის ქუჩებს ანათებდნენ. სწორედ მის ქვემოთ გაშლილი დედამიწა იყო ის სიმაღლე, რომლის მიღწევაც მას უნდოდა; ფიქრობდა, როგორ შეეძლო დაეკარგა დედამიწა; ვის ექცია ის ტყვის ფეხბორკილზე გამობმულ ბურთად, რომელიც ტალახში უნდა ეთრია; ვის ექცია დაპირებები დიდი წარმატებების შესახებ სამუდამოდ მიუღწეველ ოცნებად. მაგრამ ახლა ქალაქი უკან მოიტოვა, წინ უნდა ეყურა — კოლორადოს მთებისკენ, რომლებიც უკვე მის პირდაპირ იშლებოდნენ.

პანელზე გამოსახული ისარი უჩვენებდა, რომ ზემოთ იწევდა. ძრავის ხმა — მის ირგვლივ ლითონის ნიჟარაში რიტმულად და ხმაურიანად რომ ისმოდა და დიდი ძალისხმევისგან დაძაბული გულის ფეთქვასავით მის ხელისგულებში მოქცეულ საჭეს რომ აცახცახებდა, — დაგნის იმ ძალაზე მიანიშნებდა, რომელსაც თვითმფრინავი მთის მწვერვალების თავზე აჰყავდა. დედამიწა ახლა ერთ დაქუცმაცებულ ქანდაკებად ქცეულიყო, რომელიც აქეთ-იქით ირწეოდა; ყუმბარას დამსგავსებოდა, რომელიც თვითმფრინავის მიმართულებით შიგადაშიგ მოულოდნელად მაინც ახერხებდა სროლას; ეს აფეთქებები დაგნისთვის პატარა შავი ნაკვესებივით იყო, რომლებიც პირდაპირ მის გზაზე ვარსკვლავთა რძისფერ სივრცეს

მიაპობდნენ და სულ უფრო ფართოდ ჭრიდნენ ამ სივრცეს. სხეულთან ერთსულად შეკრული გონებით და თვითმფრინავთან ერთხორცად შეკრული სხეულით, დაგნი უხილავი ჰაერის ტუმბოს ებრძოდა, რომელიც მის ქვემოთ ჩაშვებას ლამობდა; ებრძოდა უეცრად მობერილ ძლიერ ქარს, რომელიც დედამიწას მსუბუქად არხევდა; ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ესესაა, ცას შეერევა და მთებსაც გაიყოლებსო. ყველაფერი გაყინულ ოკეანესთან ბრძოლას ჰგავდა, სადაც ერთი შხეფიც კი შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს.

როცა მთები ნისლით დაბურულ ხეობებში იძირებოდნენ, დაგნის ამოსუნთქვის საშუალება ეძლეოდა, მაგრამ ნისლი მერე ისევ ზემოთ იწევდა, დედამიწას სანსლავდა და დაგნის კვლავ ჰაერში გამოკიდებულს ტოვებდა, სადაც არაფერი მოძრაობდა, ძრავის ხმის გარდა.

მაგრამ დედამიწის დანახვა მას არ სჭირდებოდა. მის მხედველობას ახლა პანელი უზრუნველყოფდა — იმ საუკეთესო გონებათა კონდენსირებული მხედველობა, რომელთაც დაგნისთვის მეგზურობის გაწევა მშვენივრად შეეძლოთ. მათი კონდენსირებული მხედველობა, — ფიქრობდა დაგნი, — შეიძლება ითქვას, ნაჩუქარი იყო და დაგნისგან მხოლოდ ერთ უნარს მოითხოვდა: სწორად წაკითხვის უნარს. და რა გადაუხადეს მათ, ამ მხედველობის მბოძებლებს? — დაწყებული კონდენსირებული რძის, კონდენსირებული მუსიკის შემქნელებისგან, დამთავრებული იმ ადამიანებით, ვინც ზუსტი ხელსაწყოები კონდენსირებული მხედველობით აღჭურვეს. რამდენი სიკეთე და ფუფუნება მისცეს ამ ადამიანებმა სამყაროს და რა მისცა მათ სამყარომ სანაცვლოდ? სად არიან ახლა? სად არის დუაიტ სანდერსი? სად არის დაგნის ძრავის გამომგონებელი?

ნისლი ზემოთ იწევდა, თუმცა უეცრად რომ გადაიყარა, კლდეებზე დაგნიმ პატარა ცეცხლი შენიშნა. ეს ელექტროგანათება კი არა, მარტოსული ალი იყო წყვდიადით მოცულ დედამიწაზე. დაგნიმ იცოდა, სადაც იყო და იცნო ცეცხლიც — უაიატის ჩირაღდანი.

მიზანს უკვე მიუახლოვდა. სადღაც, მის უკან, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტაგარტის გვირაბის მიერ გაჭრილი მწვერვალები აზიდულიყვნენ. მთები იუტას უფრო ერთგვაროვანი ნიადაგისკენ მიიზლაზნებოდნენ. დაგნიმ თვითმფრინავი დედამიწას მიუახლოვა.

ვარსკვლავები ქრებოდნენ, ცა უფრო ბნელი ხდებოდა, მაგრამ ღრუბელთა სქელ-სქელ ჯგუფებში, აღმოსავლეთისკენ, პატარა ნაპრალები იწყებდნენ გამოჩენას — ჯერ უწვრილესი ძაფების სახით, მერე უფრო მსხვილად, მერე კი სწორი ზოლებივით, რომლებიც მართალია, ჯერ არ გავარდისფრებულიყვნენ, მაგრამ ლურჯი ფერი უკვე მიეღოთ — მომავლის შუქის ფერი, როგორც ნიშანი მოახლოებული აისისა. ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, ნელ-ნელა უფრო მკაფიო სახეს იძენდნენ, კონტრასტში ცას უფრო ბნელს აჩენდნენ და მერე ამ ცას უფრო ფართოდ აპობდნენ. ეს სანახაობა იმ პირობას ჰგავდა, რომლის შესრულებისთვისაც იბრძვიან. დაგნის, უნებლიეთ, მუსი კალური ნაწარმოების ჰანგები ჩაესმა, ისეთის, იშვიათად რომ უნდოდა, გაეხსენებინა. ეს ჰალის არა „მეხუთე“, არამედ „მეოთხე სიმფონია“ იყო — ტანჯული ბრძოლის ჰანგები, აკორდები რომ კივილით აპობდა ჰაერს და რაღაცით რომ შორეულ ოცნებას ჰგავდა, რომელიც უნდა აისრულო.

მილებს იქით ეფტონის აეროპორტი დაინახა — თავიდან, როგორც ნაპერწკლებისგან შექმნილი ოთხკუთხედი, მერე კი, როგორც ელვარე თეთრი სხივების კონა.

თვითმფრინავი ის-ის იყო აფრენას აპირებდა და სწორედ ამიტომ იყო იქაურობა განათებული, თუმცა ამის გამო დაგნი ჯერ ვერ დაეშვებოდა. როდესაც აეროდრომის ბნელ თავზე წრიულად მოძრაობდა, თვითმფრინავის ვერცხლისფერი სხეული დაინახა, რომელიც ისე იწეოდა ზემოთ, როგორც ფენიქსი თეთრი ცეცხლიდან, მერე კი სწორ ხაზზე მიმავალმა, აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი და უკან, სივრცეში სინათლის წამიერი ნაკვალევები დატოვა.

დაგნიმ გაკვალულ ბილიკზე თვითმფრინავის დაშვება დაიწყო და სხივების ნათელ საკვამურში ჩაყვინთა. დაინახა, როგორ უახლოვდებოდა სახესთან ცემენტის ზოლი, იგრძნო, როგორ დროულად შეწყვიტეს ბორბლებმა ნჯღრევა, თავადაც შეასუსტა მოძრაობები და თვითმფრინავი, მოთვინიერებული უსაფრთხო მანქანასავით, რბილად გასრიალდა დასაშვებ ბილიკზე.

პატარა კერძო აეროდრომი იყო, იშვიათად ახორციელებდა რეისებს ეფტონში შემორჩენილი რამდენიმე უმნიშვნელო სამრეწველო ბიზნესისთვის. დაგნის შესახვედრად ერთი გამცილებელი გამოექანა. იგრძნო თუ არა, რომ თვითმფრინავი საბოლოოდ გაჩერდა, დაგნი უმალვე ჩამოხტა მიწაზე. ფრენაში გატარებული საათები ახლა თითქოს არაფერი იყო იმ რამდენიმე მოუთმენელ წუთთან შედარებით, რაც მიწაზე უნდა გაეტარებინა.

— აქ სადმე მანქანას ვიშოვი, ახლავე რომ ტექნოლოგიის ინსტიტუტში წამიყვანოს? — ჰკითხა გამცილებელს.

ამ უკანასკნელმა დაბნეულად შეხედა:

— დიახ ქალბატონო, ვფიქრობ, შესაძლებელია, მაგრამ რისთვის? იქ არავინ არ არის.

— იქ მისტერ ქუენტინ დენიელსია.

გამცილებელმა ნელა გააქნია თავი, შემდეგ ცერა თითი აღმოსავლეთით, თვითმფრინავის მბჟუტავი ფარნებისკენ გაიშვირა და დასძინა:

— მისტერ დენიელსი ახლა იქაა.

— რა?

— ამწუთას გაფრინდა.

— გაფრინდა? რატომ?

— ვიღაც კაცთან ერთად გაემგზავრა, რომელიც მის წასაყვანად ორი-სამი საათის წინ ჩამოფრინდა.

— ვინ კაცი იყო?

— არ ვიცი, პირველად ვნახე, მაგრამ... ბიჭო, ბიჭო, რა ლამაზი თვითმფრინავი ყავს!

დაგნი უკვე საჭესთან იჯდა, სარბენ ბილიკზე სიჩქარეს გაშმაგებით კრეფდა, ცაში ზემოთ აწეულიყო, ტყვიასავით იმ ორ — წითელ და მწვანე — ნაპერწკალს უმიზნებდა, აღმოსავლეთის ცაში რომ კრთოდა, და თან განუწყვეტლივ იმეორებდა:

— არა, ღმერთო, არა! ვერ წავლენ! ვერ წავლენ! ვერ წავლენ!

„ერთხელ და სამუდამოდ“, — ფიქრობდა დაგნი და საჭეს ისე ებღაუჭებოდა, როგორც მტერს, ხელიდან რომ არ უნდა გაუშვა, მისი სიტყვები კი ცალკეული აფეთქებებივით იყო, რომლებიც მის გონებაში ცეცხლის ნაკვალევს ტოვებდნენ, ნაკვალევს, ეს სიტყვები რომ უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან. „ერთხელ და სამუდამოდ...

პირისპირ უნდა შეხვდე გამანადგურებელს... უნდა გაიგო, ვინ არის და სად იმალება... ოღონდ ძრავა არა... არა, ძრავას ვერ წაიღებს... ვერ წაიღებს თავის

ბნელეთში, თავის საზარელ, დახშულ, უცნობ ბნელეთში... ვერსად გაიქცევა... ამჯერად...“

სინათლის კონა აღმოსავლეთის მიმართულებით იწევდა და ისე ჩანდა, თითქოს დედამიწიდან ამოდისო, როგორც დიდი ხნით შეკავებული და გამოთავისუფლებული სუნთქვა. მაღალ სილურჯეებში, უცნობის თვითმფრინავი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო, რომელიც ფერს იცვლიდა და ხან ერთ გვერდზე განათდებოდა და ხან მეორეზე, გეგონებოდა, ქანქარას წვერი ყოფილიყო, წყვდიადში რომ ირწევა და დროს ზომავს.

დიდმა მანძილმა და დაქანებულმა ფრენამ ეს ნათელი წერტილი დედამიწას უფრო დაუახლოვა. დაგნიმ გაშმაგებით მოუმატა სიჩქარეს — წერტილი თვალთახედვის არიდან არ უნდა გაეშვა, არ უნდა მიეცა მისთვის ნება, ჰორიზონტს შეხებოდა და გაუჩინარებულიყო. სინათლე ცაში იღვრებოდა, თითქოს დედამიწიდან ზემოთ უცნობის თვითმფრინავი აფრქვევსო. თვითმფრინავს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აეღო გეზი, დაგნი კი მას მიჰყვებოდა. განთიადი უკვე ახლოს იყო.

გამჭვირვალე-მომწვანო ყინულისფერი ცა ნელ-ნელა მკრთალ ოქროსფრად გარდაიქმნა, ოქროსფერს კი თხელი ვარდისფერი ფენა გადაეკრა — იმ დავიწყებული დილის ფერი, რომელიც დაგნიმ დედამიწაზე პირველად ნახა. კვამლისფერი ლურჯი ღრუბლები გრძელ ნაგლეჯებად მოძრაობდნენ ცაში. დაგნი უცნობის თვითმფრინავს თვალს არ აცილებდა, თითქოს მისი მზერა ბუქსირი იყო და მის თვითმფრინავს მიექაჩებოდა. უცნობის თვითმფრინავი ახლა პატარა შავ ჯვრად ქცეულიყო — აკიაფებულ ცაში გამოკიდულ ნიშნად, რომელიც სულ უფრო პატარავდებოდა.

შემდეგ დაგნიმ შეამჩნია, რომ ღრუბლები, ნაცვლად იმისა, გაფანტულიყვნენ, ჰორიზონტზე მყარად იყვნენ მოქუჩებული და მიხვდა, რომ თვითმფრინავი კოლორადოს მთებისკენ მიეშურებოდა და რომ კიდევ ერთხელ ჰქონდა უხილავ ქარიშხალთან ბრძოლა გასამართი. ამ ყველაფერზე ყოველგვარი ემოციის გარეშე გაიფიქრა. არ აინტერესებდა, მის თვითმფრინავს ან თავად მას თუ ექნებოდა მეორედ ამის ძალა. სანამ შეძლებდა მოძრაობას, იმოძრავებდა და გაჰყვებოდა ამ ლაქას, რომელიც გაქცევას ცდილობდა და მიჰქონდა ის უკანასკნელი, რაც კი დაგნის ამ სამყაროში ებადა. მხოლოდ სიცარიელეს გრძნობდა, ცეცხლი უკვე გამქრალიყო — გამქრალიყო სიძულვილი, სიბრაზე და სასოწარკვეთილი იმპულსი ბრძოლისა სიკვდილისათვის. ეს ყველაფერი ახლა ერთ ყინულოვან გადაწყვეტილებად ქცეულიყო — გაჰყოლოდა ამ კაცს, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, სადაც არ უნდა წაეყვანა დაგნი, გაჰყოლოდა და... დაგნის სიტყვა აღარ დაუმატებია, მაგრამ ამ გაუცხადებელ აზრში შემდეგი იგულისხმებოდა: გაჰყოლოდა და საკუთარი სიცოცხლე გაეღო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებდა, ჯერ უცნობისთვის წაერთმია სიცოცხლე.

როგორც ხელსაწყო, ავტომატურ რეჟიმზე რომ მუშაობს, ისეთივე ავტომატურ მოქმედებებს ახორციელებდა დაგნის სხეულიც თვითმფრინავის მართვისას. ქვემოთ, მოლურჯო ნისლში, თავბრუდამხვევად მოჩანდნენ მთები, პერიოდულად კი ულმობელ ლურჯ კვამლში გახვეული ოღროჩოღრო მწვერვალები ეღობებოდნენ გზაზე. შეამჩნია, რომ მანძილი მასა და უცნობის თვითმფრინავს შორის შემცირებულიყო; უცნობმა სახიფათო მონაკვეთში სიჩქარეს მოუმატა, დაგნიც კვლავ მის კვალზე იდგა ისე, რომ ვერ აცნობიერებდა საფრთხეს, მხოლოდ ხელებისა და ფეხების კუნთებს ძაბავდა, თვითმფრინავი რომ სიმაღლეზე შეენარჩუნებინა. მოკუმული ტუჩების წამიერი მოძრაობა ალბათ ღიმილი იყო: სწორედ ამ უცხო კაცს

მიჰყავდა ახლა მისი თვითმფრინავი; სწორედ მას მიეცა დაგნისთვის ძალა, რომ მთვარეულის ავტომატური, უშეცდომო მოქმედებებით დასდევნებოდა.

ამ უცნობის კონტროლზე ბუნებრივი რეაქციასავით, დაგნის ალტიმეტრის ისარი ნელ-ნელა ზემოთ იწეოდა. და იწეოდა თვითმფრინავიც, სულ უფრო ზემოთ და ზემოთ, და დაგნი ფიქრობდა, როდის უმტყუნებდა სუნთქვა და პროპელერი. უცნობი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიიწევდა, იმ ყველაზე მაღალი მთებისკენ რომლებიც მზეს გზას უღობავდნენ.

მზის პირველი სხივი უცნობის თვითმფრინავს შეეხო, თეთრი ცეცხლის აფეთქებასავით. თვითმფრინავმა წამიერად გაიელვა სივრცეში და სხივები ყოველი მხრიდან გამოუშვა. შემდეგ მზემ მთათა მწვერვალები გაანათა, შუქი თოვლიან ნაპრალებს მოედო და მერე გრანიტის ფერდებს მოეფინა; ფერდებზე მკაფიო, საზარელი ჩრდილები გამოსახა და მთებს სისრულის ცოცხალი ფორმა შესძინა.

კოლორადოს ყველაზე ველური მონაკვეთის თავზე დაფრინავდნენ — დაუსახლებელი, დაუსახლებადი ადგილის თავზე, რომელიც ადამიანებისთვის მიუწვდომელი იყო, ფეხითაც და თვითმფრინავითაც. ასი მილის რადიუსში დაშვებაზე ფიქრიც კი სისულელე იყო. დაგნიმ საწვავის დეტექტორს დახედა: საწვავი ნახევარ საათს ეყოფოდა. უცნობი სხვა, კიდევ უფრო მაღალი მთაგრეხილისკენ მიექანებოდა. დაგნი ფიქრობდა, ნეტავ რატომ აერჩია ამ კაცს გზა, რომელზეც არც ერთი საჰაერო მარშრუტი არ განხორციელებულა და ვერც განხორციელდებოდა. უნდოდა, ეს მთაგრეხილი უკვე უკან ჰქონოდა მოტოვებული; უნდოდა, იმედი დაეტოვებინა, რომ ეს უკანასკნელი დაბრკოლება იქნებოდა.

უეცრად უცნობის თვითმფრინავმა სიჩქარე დააგდო ზუსტად მაშინ, როცა დაგნი ელოდებოდა, რომ ზემოთ აიწევდა, მან ქვემოთ ჩასვლა დაიწყო. გრანიტის ზღუდე უცნობს გზაზე ეღობებოდა, მისკენ მოიწევდა, ლამის უკვე თვითმფრინავის ფრთებს ეხებოდა, მაგრამ უცნობი მშვიდად და მოხდენილად აშკარად ქვემოთ ეშვებოდა. დაგნიმ ვერავითარი რწევა, ვერავითარი რყევა ვერ შეამჩნია — ვერავითარი ნიშანი, რაც აფიქრებინებდა, რომ უცნობის თვითმფრინავს ტექნიკური პრობლემები ჰქონდა, პირიქით, ხომალდი დინჯად და თანაბრად აგრძელებდა ფრენას, თითქოს პილოტი ამას სრულიად განზრახ და გაცნობიერებულად აკეთებსო. მერე უეცრად ფრთებზე მზის ელვარე შუქი მოედო, თვითმფრინავმა ცაში გრძელი გვერდული მრუდი მოხაზა და მთელი კორპუსიდან სხივები წყალივით ჩამოეწვეთა; შემდეგ, სპირალივით, განიერ, გლუვ წრიულ მოძრაობებს შეუდგა და დაშვება დაიწყო იქ, სადაც ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო.

დაგნი უყურებდა, არ ცდილობდა, რაიმე ახსნა-განმარტებები მოეძებნა და არც სჯეროდა დანახულის. მხოლოდ უცდიდა, როდის ამოიწეოდა ზემოთ თვითმფრინავი და კვლავ ჩვეულ გზაზე გავიდოდა. მაგრამ ის მშვიდი, გლუვი წრიული მოძრაობებით კვლავ ქვემოთ ეშვებოდა იმ მიწისკენ, რომელზე ფიქრიც ვერ გაებედა. დაგნისა და უცნობის თვითმფრინავებს შორის, დალეწილი ყბებივით, გრანიტის დაუნდობელი მწკრივები გამოკიდებულიყვნენ. დაგნის წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ჩანაფიქრი იდო ამ სპირალური მოძრაობების უკან, მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს არ იყო თვითმკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად, შეუძლებელი ჩანდა, რაიმე სხვა ყოფილიყო.

მზის შუქი წამიერად ალაპლაპდა უცნობის თვითმფრინავის ფრთებზე. შემდეგ — ადამიანივით, რომელსაც ხელები გაუშლია და წყალში ჩასაყვინთად ემზადება, — თვითმფრინავი ქვემოთ დაეშვა და კლდოვანი თხემების უკან გაუჩინარდა.

დაგნიმ ფრენა გააგრძელა, ლამის ელოდა, რომ ისევ გამოჩნდებოდა უცნობის ხომალდი, უჭირდა დაჯერება, რომ საზარელი კატასტროფის მოწმე გამხდარიყო — კატასტროფისა, რომელიც ასე მარტივად და ასე წყნარად მოხდა. თვითმფრინავის ჩავარდნის ადგილას მიფრინდა. ქვემოთ, სავარაუდოდ, გრანიტის კედლებს შორის მოქცეული გაშლილი ხეობა უნდა ყოფილიყო.

დაბლა ჩაიხედა. დაშვება აქ შეუძლებელი იყო. თვითმფრინავის ჭაჭანებაც არსად ჩანდა.

ხეობის ფსკერი დედამიწის ქერქს წააგავდა, იმ დროს რომ ფორმირდა, როცა დედამიწა გაგრილებას იწყებდა, და მას შემდეგ არ შეცვლილიყო. ეს ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი კლდეების მასა იყო, სახიფათოდ გამოკიდული დიდი ქვები, გრძელი, ბნელი ნაპრალებითა და რამდენიმე დამახინჯებული ფიჭვით, ნახევრად ჰორიზონტალურად რომ აზიდულიყო ჰაერში. ცხვირსახოცის ზომის ერთ დაბლობსაც კი ვერ ნახავდი მიწაზე. ვერ ნახავდი ადგილს, სადაც თვითმფრინავი დამალვას შეძლებდა და უბედური შემთხვევის კვალი ერთიანად გაქრებოდა.

დაგნიმ მკვეთრად გადახარა თვითმფრინავი და ხეობის თავზე წრიულ მოძრაობებს მოჰყვა, ისე, რომ ოდნავ იწევდა დაბლა. განათების რაღაც ილუზიის მეშვეობით, რომლის ახსნა არ შეეძლო, ხეობის ფსკერი ახლა ბევრად უფრო კარგად გამოჩნდა, ვიდრე მთელი დანარჩენი ზედაპირი. საკმარისად ნათლად ჩანდა ყველაფერი, რომ დაგნი დარწმუნებულიყო: თვითმფრინავი იქ არ იყო, არადა, ეს წარმოუდგენელი ჩანდა.

კვლავ აგრძელებდა წრიულ მოძრაობებს და კვლავ იწევდა დაბლა. ირგვლივ მიმოიხედა და ერთხანს, — ერთი შემაშინებელი წუთით, — გაიფიქრა, რომ ახლა ზაფხულის მშვიდი დილა იდგა, თავად მარტო იყო, კლდოვან მთებში დაკარგული — ისეთ ადგილას, ვერც ერთი საფრენი აპარატი ვერასდროს რომ ვერ გაბედავდა მიახლოებას, და სანვავის უკანასკნელი წვეთებით, ეძებდა თვითმფრინავს, რომელიც არასდროს არსებობდა, ეძებდა გამანადგურებელს, რომელიც გაქრა ისევე, როგორც მუდამ ქრებოდა; შესაძლოა, ეს მხოლოდ ხილვა იყო — გამანადგურებლის მოჩვენება, რომელსაც დაგნი აქ დასაღუპავად მოეყვანა. მეორე წუთს, თავი გააქნია, პირი მოკუმა და კიდევ უფრო დაბლა დაეშვა.

გაიფიქრა, რომ ქვემოთ, ერთ-ერთ კლდეზე, ვერ მიატოვებდა ისეთ ფასდაუდებელ სიმდიდრეს, როგორიც ქუენტინ დენიელსის ტვინი იყო, თუ კიდევ ცოცხლებში ეწერა ეს ადამიანი და თუ კიდევ შეეძლო დაგნის მისი დახმარება. ხეობის კედლებში წრიულად დაეშვა. ფრენა აქ უკიდურესად სახიფათო იყო, სივრცე — ზედმეტად ვიწრო, მაგრამ დაგნი არ წყვეტდა ბრუნვას და ქვემოთ დაშვებას. მისი სიცოცხლე ახლა მის მხედველობაზე იყო დამოკიდებული, მისი მხედველობა კი ორ ამოცანას შორის გახლეჩილი: ხეობაზე დასაშვებ ადგილს ეძებდა და უყურებდა გრანიტის კედლებს, რომლებიც წუთი წუთზე თვითმფრინავს ფრთებს მოაცლიდნენ.

საფრთხეს საქმის ნაწილად აღიქვამდა. პირადი მნიშვნელობა საფრთხეს უკვე დაეკარგა. ის ველური ემოცია, რასაც განიცდიდა, თითქმის სიამოვნება იყო. ეს წაგებული ომის ბოლო მძვინვარებას ჰგავდა. „არა!“ — ყვიროდა უჩუმრად, უყვიროდა გამანადგურებელს, სამყაროს, რომელიც დატოვა, წლებს, რომლებიც გამოიარა, პროგრესირებადი მარცხის ხანგრძლივ პერიოდს, — „არა! ...არა! ...არა!..“

მზერა ხელსაწყოს პანელზე მოუხვდა. გაშეშდა. მხოლოდ საკუთარი სუნთქვის ხმა ესმოდა. ბოლოს როცა შეხედა, ალტიმეტრი 11 000 ფუტს უჩვენებდა. ახლა ისარი 10 000-ზე იდგა. მაგრამ ხეობის ზედაპირი უცვლელი იყო — მანძილი ხეობასა და

თვითმფრინავს შორის არ შემცირებულა. ზუსტად ისეთივე შორეული ჩანდა, როგორც მაშინ, პირველად რომ ჩაიხედა.

იცოდა, რომ ციფრი 8 000 კოლორადოს ამ მხარეში მიწის დონეს აღნიშნავდა ვერ ამჩნევდა, როგორ ეშვებოდა, ვერ ამჩნევდა, რომ ზედაპირი, რომელიც სიმაღლიდან ძალიან ნათლად და ახლოს მოჩანდა, ახლა ძალიან ბუნდოვანი და ძალიან შორეული იყო. იმავე პერსპექტივიდან იმავე კლდეებს უყურებდა — კლდეები ზომაში არ გაზრდილან, არც ჩრდილებს შეუცვლიათ ფორმა თუ მდებარეობა და უჩვეულო, არაბუნებრივი შუქი კვლავ გამოკიდებული იყო ხეობის თავზე.

იფიქრა, რომ ალტიმეტრი გაუფუჭდა და ისევ გააგრძელა დაშვება. ხედავდა, რომ ისარი ქვემოთ ჩადიოდა, ხოლო გრანიტის კედლები ზემოთ იწევდნენ, მთაგრეხილი ახლა იზრდებოდა, მწვერვალები კი ცაში ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, მაგრამ ხეობის ზედაპირი მაინც უცვლელი რჩებოდა და დაგნის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჭაში ჩადიოდა, რომლის ფსკერს ვერასდროს მიაღწევდა. ისარი სულ უფრო ქვემოთ იწევდა — 9 500-დან — 9 300-მდე, 9 000-დან — 8 700-მდე.

სინათლის ელვარე სხივს, რომელიც დაგნის დაეცა, წყარო არ ჰქონია. თითქოს ჰაერი თვითმფრინავს შიგნით და თვითმფრინავს მიღმა თვალის მომჭრელი ცივი ცეცხლის უეცარმა და უხმო აფეთქებამ გააპო. შოკმა დაგნი უკან გადააგდო, ხელები საჭეს მოაცილებინა და თვალებზე ააფარა. ერთ წამში, როდესაც საჭეს კვლავ ჩაავლო ხელები, შუქი აღარ იყო, მაგრამ ხომალდი ბზრიალებდა, იქაურობა ყურთასმენის წამღებ სიჩუმეს მოეცვა, პროპელერი დაგნის თვალწინ გაშეშდა; ძრავა მოკვდა.

ზემოთ აწევა სცადა, მაგრამ თვითმფრინავი დაბლა ჩადიოდა, ხოლო ის, რისკენაც სახით მიფრინავდა, იყო არა უფორმო კლდოვანი ქვები, არამედ მწვანე ბალახით მოპენტილი მდელო — მდელო, რომელიც მანამდე აქ არ ყოფილა. დანარჩენის დასანახად დრო არ ჰქონდა. არც იმის დრო ჰქონდა, თვითმფრინავი ბზრიალის რეჟიმიდან გამოეყვანა. დედამიწა მწვანე ჭერივით იყო, რამდენიმე ასეული ფუტით დაშორებული, დიდი სიჩქარით რომ უახლოვდებოდა და ეცემოდა თავზე.

გაფუჭებული ქანქარასავით, თვითმფრინავი ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ხან — მეორე მხარეს; დაგნი საჭეს ჩაჰბღაუჭებოდა და ნახევრად სკამზე მჯდომი, ნახევრად მუხლებზე დაცემული, გამალებით ცდილობდა, თვითმფრინავი გაესწორებინა, რომ როგორმე მუცლით დაესვა მიწაზე. ამასობაში კი მწვანე ველი მის ირგვლივ ტრიალებდა — ხან ზემოდან იკლაკნებოდა, ხან — ქვემოდან და თან სულ უფრო უახლოვდებოდა. საჭეზე ხელებშემოჭდობილს, ერთი შანსიც კი არ ჰქონდა, სცოდნოდა, გადარჩებოდა თუ არა, დრო და სივრცე ხელიდან ეცლებოდა და ამ დროს უცებ, მძვინვარე, სრულყოფილი სიცხადით, საკუთარი არსებობის განსაკუთრებულობა შეიგრძნო — განსაკუთრებულობა, რომელიც მას არასდროს ტოვებდა. ამ წამიერ გასხივოსნებაში ყველაზე დიდი ერთგულება იგრძნო ყველაზე წმინდას მიმართ — თავისი სიყვარულის მიმართ: თავისი მეამბოხე, კატეგორიული უარის მიმართ კატასტროფებზე, სიცოცხლის სიყვარულის მიმართ და იმ შეუდარებელი ღირებულების მიმართ, რასაც თავად წარმოადგენდა. და სწორედ ამ წამში ძლიერი, ამაყი რწმენა დაეუფლა — რწმენა, რომ გადარჩებოდა.

და მის შესაგებებლად წამოსული მიწის პასუხად, — თითქოს ბედისწერას იწვევდა, მედიდური სასოწარკვეთითა და შველის ვედრებით, — გონებაში ყველაზე საძულველი სიტყვები ჩაესმა:

— ჯანდაბა! ვინ არის ჯონ გოლტი?

ნაწილი მესამე
A არის A

თავი 1
ატლანტიდა

გაახილა თუ არა თვალები, დაგნიმ მზის შუქი, მწვანე ფოთლები და მამაკაცის სახე დაინახა. „ვიცი, ეს რაც არის“, — გაიფიქრა მან. ეს სწორედ ის სამყარო იყო, რომელსაც თექვსმეტი წლის ასაკში წარმოიდგენდა ხოლმე და აი, ახლა მოახერხა კიდეც მისი ნახვა. ყველაფერი ისეთი მარტივი და ჩვეულებრივი ჩანდა, რომ რასაც ამ მომენტში გრძნობდა, სამყაროს წყალობას ჰგავდა, სულ რაღაც სამ სიტყვაში ჩატეულს — „რა თქმა უნდა!..“

დაგნიმ შეხედა მის გვერდით ჩამუხლული კაცის სახეს და მიხვდა, რომ არასოდეს დაფიქრდებოდა, სიცოცხლე დაეთმო, ოღონდ კი დაენახა ეს სახე — სახე, რომელსაც ტკივილის, შიშის ან დანაშაულის განცდის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ამ სახის გამომეტყველება გაფიქრებინებდა, რომ ეს ადამიანი საკუთარი სიამაყითაც კი ამაყობდა. წამახული ლოყები მედიდურობაზე, დაძაბულობაზე და ზიზღზე მიანიშნებდა, თუმცა თვითონ სახეს ამ თვისებებიდან ცალკე აღებული არც ერთი არ ემჩნეოდა, თითქოს მხოლოდ მათ ნაერთს გამოხატავდა: უშფოთველი მიზანსწრაფულობისა და თავდაჯერებულობის ულმობელ უბიწოებას — პატიებას არავის სთხოვდა და არც თვითონ შეუნდობდა ვინმეს. ამ სახეს დასამალი არაფერი ჰქონდა და არაფერს არ გაურბოდა. მას არ აჩნდა იმის შიში, რომ ვინმე დაინახავდა ან თავად დაინახავდა რაიმეს. ამიტომ დაგნიმ თავდაპირველად სწორედ მისი თვალების ძლიერი აღქმის უნარი შეამჩნია. დანახვის ნიჭი ამ კაცის გამორჩეული თვისება იყო, მისი გამოყენება კი დაუსრულებელი, მხიარული თავგადასავალი. თითქოს ეს თვალები უდიდეს ღირებულებას ანიჭებდნენ თავად მასაც და მთელ სამყაროსაც — მას იმიტომ, რომ შეეძლო, დაენახა, და სამყაროს იმისთვის, ასეთი სასურველი სანახავი რომ იყო. დაგნის წუთით მოეჩვენა, თითქოს მხოლოდ საკუთარ წარმოსახვაში არსებული ადამიანის აწმყოში აღმოჩნდა, თუმცა კი ასე ცხოვლად ადრე არასდროს უგრძნია თავის გვერდით ადამიანის სხეული. კაცის პერანგის ნათელი ფერი უფრო გამოკვეთდა, ვიდრე მალავდა მის აღნაგობას. ნამზეური კანი ჰქონდა, გამხდარ სხეულს სიმტკიცე, მოქნილი სიძლიერე, ლითონის ჩამოსასხმელი საამქროს მკაცრი სიზუსტე ეტყობოდა, გეგონებოდა, ალუმინ-სპილენძის შენადნობის მსგავსი მკრთალად მბზინავი და დაბინდული ლითონისგან ჩამოესხათ, კანის შეფერილობა მზის შუქზე ოქროსფრად მოელვარე მოწაბლისფრო ყავისფერ თმას უერთდებოდა. ფერთა გამას თვალები ასრულებდა, რომლებიც თითქოს ამ კაცის ჩამოსხმისას გაუმკრთალებელი და დაუბინდავი დარჩენილიყო: ღრმა, მუქი მწვანე თვალები მკვეთრად ბრჭყვიალებდა ლითონის ფერების ფონზე. ის დაგნის ოდნავ შესამჩნევი ღიმილით დაჰყურებდა, ისეთი ღიმილით კი არა, ვითომდა რაიმე ახალი აღმოეჩინოს, არამედ, ისე, თითქოს ქალი სულ არ ეუცხოებოდა — თითქოს მის ნახვას უკვე დიდი ხანი ელოდა და ეჭვიც არასდროს შეჰპარვია, რომ ეს წუთი დადგებოდა.

დაგნი ფიქრობდა, რომ სწორედ ეს იყო მისი სამყარო, რომ ადამიანები ზუსტად ასეთები უნდა ყოფილიყვნენ და ასე უნდა შეხვედროდნენ თავიანთ არსებობასა და

მის თანამდევ სხვა მოვლენებს. მოეჩვენა, რომ სისაძაგლისა და ბრძოლის ის წლები მხოლოდ ვიღაცის უაზრო ხუმრობა იყო. მან შვებითა და თავისუფლებით გაუღიმა კაცს, როგორც თანამოაზრეს, მსუბუქი ირონიით იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც ამიერიდან უკვე აღარასოდეს აღარ უნდა აღექვა სერიოზულად. საპასუხოდ მანაც ისეთივე ღიმილით გაუღიმა, თითქოს თვითონაც იმავეს გრძნობდა, რასაც დაგნი და ისიც ესმოდა, რაზე ფიქრობდა ქალი.

— აუცილებელი არ არის, ეს ყველაფერი სერიოზულად აღვიქვათ, ხომ ასეა?

წაიჩურჩულა დაგნიმ.

— არ არის აუცილებელი.

შემდეგ, როდესაც საბოლოოდ მოეგო გონს, უეცრად გააცნობიერა, რომ ეს ადამიანი სრულიად უცხო იყო მისთვის. სცადა, თავი განზე გაეწია, თუმცა მხოლოდ ძლივს შესამჩნევად შეატოკა ბალახი, რომელიც თმაზე ეხებოდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ ზურგში გაელვებულმა მოულოდნელმა ტკივილმა მიწაზე დაანარცხა.

— არ იმოძრაოთ, მის ტაგარტ. თქვენ დაშავებული ხართ.

— თქვენ მე მიცნობთ? — იკითხა დაგნიმ გულგრილი, მკაცრი ხმით.

— მე თქვენ დიდი ხანია, გიცნობთ.

— მეც გიცნობთ?

— დიახ, ასე მგონია.

— რა გქვიათ?

— ჯონ გოლტი.

ქალმა მას შეხედა, გაოგნებისგან თითქოს გაქვავდა.

— რამ შეგაშინათ?

— მეშინია, რადგან მჯერა თქვენი.

კაცმა გაიღიმა, თითქოს ბოლომდე ჩასწვდა აზრს, რომელიც დაგნიმ ამ სიტყვებში ჩადო; ეს ღიმილი გამოხატავდა მეტოქის მიერ გამოწვევის მიღებასა და მოწიფული ადამიანის ირონიას ბავშვის მცდელობაზე, თავი მოიტყუოს.

დაგნის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოსდა რეალობას უბრუნდებოდა იმ კატასტროფის შემდეგ, რომელმაც მარტო თვითმფრინავი როდი აქცია ნაფლეთებად.

ახლა არ შეეძლო, ხელახლა მოეგროვებინა ეს ნაწილები, ვერ იხსენებდა, რა სმენოდა ამ კაცის სახელის შესახებ. ერთი იცოდა მხოლოდ, რომ ის განასახიერებდა ბუნდოვან სიცარიელეს, რომლის შევსებაც მას თანდათან მოუწევდა. თუმცა ახლა ეს შეუძლებელი იყო, რადგან კაცი გვერდიდან პროჟექტორივით სჭრიდა თვალს და სიბნელის მიღმა მიმოფანტული საგნების დანახვის საშუალებას არ აძლევდა.

— თქვენ მოგყვებოდით? — იკითხა მან.

— დიახ.

დაგნიმ ნელა მიმოიხედა ირგვლივ. ის მინდორში, ბალახზე იწვა, გრანიტის კლდესთან, რომელიც ლურჯი ციდან ათასობით ფუტის მანძილზე ჩამოშვებულიყო.

მინდვრის მეორე მხარეს კლდეები, ფიჭვის ხეები და არყის მბზინავი ფოთლები ფარავდნენ გარს შემორტყმულ შორეულ მთებამდე გადაჭიმულ სივრცეს. იქვე, რამდენიმე ფუტის მოშორებით, მისი თვითმფრინავი მოჩანდა — დაზიანებულს არ ჰგავდა. სხვა თვითმფრინავი ან ნაგებობა, რაიმე, რაც ადამიანის არსებობაზე მიანიშნებდა, ვერსად შეამჩნია.

— ეს რა ხეობაა? — იკითხა ქალმა.

კაცმა გაიღიმა.

— ტაგარტების სადგური.

— რას გულისხმობთ?

— გაიგებთ.

ბუნდოვანმა, თითქოსდა ვიღაც დაუდგენლის მიერ ნაკარნახევმა სურვილმა დაგნის უბიძგა, შეემოწმებინა, რის ძალა შერჩენოდა. მხრებისა და ფეხების მოძრაობა, თავის აწევა შეეძლო, თუმცა ღრმად სუნთქვისას გამჭოლ ტკივილს გრძნობდა.

წინდაზე სისხლის წვრილი ხაზი შენიშნა.

— ვინმეს შეუძლია, აქაურობას თავი დააღწიოს? — იკითხა მან.

კაცის ხმა გულწრფელად ჟღერდა, თუმცა მისი ლითონისფერ-მწვანე თვალების ბრჭყვიალში ღიმილი გამოკრთოდა:

— სამუდამოდ არა, დროებით — კი.

დაგნიმ წამოდგომა სცადა. გოლტი მის წამოსაყენებლად დაიხარა, მაგრამ ქალმა დარჩენილი ძალა მოიკრიბა და სწრაფი, უეცარი მოძრაობით შეეცადა, ხელიდან გასხლტომოდა და თვითონ წამომდგარიყო.

— ვფიქრობ, შემიძლია... — თქვა დაგნიმ, თუმცა იმწამსვე ბასრი ტკივილი იგრძნო კოჭში და ჩაიკეცა.

გოლტმა ხელში აიყვანა ქალი და გაუღიმა.

— არა, არ შეგიძლიათ, მის ტაგარტ, — უთხრა მას და მინდორს გაუყვა.

მდუმარე ქალს ხელები შემოეჭდო მისთვის, თავი მხარზე დაედო: „რა მოხდება, — სულ რამდენიმე წუთით, სანამ ეს ყველაფერი გასტანს, — თუ მთლიანად მიენდობი, ყველაფერს დაივიწყებ და საკუთარ თავს მისცემ უფლებას, უბრალოდ გრძნობდე“... დაგნი ჩაფიქრდა, ცდილობდა, გაეხსენებინა, ოდესმე თუ განეცადა რაიმე ამდაგვარი; დაახლოებით ერთი წუთი იწვალა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა. ოდესღაც თავდაჯერებულობის მსგავსი განცდა, რაღაც სამუდამო, მიღწეული და ნამდვილი დარწმუნებულობის, მართლაც დაუფლებია. მაგრამ ასეთი დაცულობა, გაცნობიერება იმისა, რომ მფარველობის მიღება, ანუ ერთგვარი დანებება, მისთვის დასაშვები იყო — სრულიად ახალი ჩანდა, რადგან ეს უცნაური შეგრძნება მომავლისგან კი არ იცავდა, არამედ წარსულისგან. ბრძოლისგან მის განდგომას კი არ ემსახურებოდა, პირიქით, მის გამარჯვებას უწყობდა ხელს. ეს მფარველობა მას სისუსტისთვის კი არა, სიძლიერისთვის მიენიჭა... დაგნი გრძნობდა კაცის ხელების ძალას საკუთარ სხეულზე, ხედავდა მისი თმის ოქროსფერ და სპილენძისფერ ხვეულებს, წამწამების ჩრდილს მის სახეზე და მოდუნებულმა გაიფიქრა, რისგან უნდა დაეცვა ამ ადამიანს... განა თვითონ ეს კაცი არ იყო მისი მტერი?.. რატომ ან რისთვის?.. არ იცოდა, და არც შეეძლო ახლა ამაზე ფიქრი. ძალა დაატანა საკუთარ თავს, რომ გაეხსენებინა — სულ რამდენიმე საათის წინ, რაღაც მიზნები და მოტივი ჰქონდა. ცდილობდა, ეს ყველაფერი როგორმე კვლავ აღედგინა გონებაში.

— იცოდით, რომ უკან მოგყვებოდით? — იკითხა დაგნიმ.

— არა.

— თქვენი თვითმფრინავი სად არის?

— დასაფრენ მოედანზე.

— ეს მოედანი სადღაა?

— ხეობის მეორე მხარეს.

— როცა დაბლა ჩავიხედე, ამ ხეობაში დასაფრენი მოედანი არ დამინახავს. არც მდელო შემინიშნავს. როგორ გაჩნდა ეს ყველაფერი?

გოლტმა ცას ახედა.

— ყურადღებით დააკვირდით. ხედავთ იქ რაიმეს?

დაგნიმ თავი უკან გადააგდო და ცას ახედა, თუმცა დილის წყნარი ცის სილურჯის გარდა, არაფერი დაუნახავს. ცოტა ხნის შემდეგ ჰაერში რამდენიმე ბუნდოვნად მოციმციმე, მკრთალი ზოლი გაარჩია.

— სითბური ტალღები, — თქვა მან.

— სხივების გარდატეხა, — უპასუხა კაცმა, — ხეობა, თქვენ რომ დაინახეთ, რვა ათასი ფუტის სიმაღლის მთის მწვერვალია, რომელიც აქედან ხუთი მილით არის დაშორებული.

— რაა?

— დიახ, ნუ გიკვირთ, ეს მთის მწვერვალია, რომელსაც არც ერთი მფრინავი არ აირჩევს დასაფრენად. ის, რაც თქვენ დაინახეთ, მისი ანარეკლი იყო ამ ხეობაზე.

— როგორ?

— იგივენაირად, როგორც მირაჟი უდაბნოში: სურათი გარდატყდა ცხელი ჰაერის ფენიდან.

— როგორ?

— სხივების ეკრანის საშუალებით, რომელსაც შეუძლია, ყველაფერს შეეწინააღმდეგოს, გარდა ისეთი სიმამაცისა, თქვენ რომ ფლობთ.

— რას გულისხმობთ?

— ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომელიმე თვითმფრინავი შეეცდებოდა, შვიდასი ფუტის სიმაღლიდან დაშვებულიყო მიწაზე. თქვენ სხივთა ეკრანს დაეჯახეთ. ზოგიერთი სახის სხივს მაგნეტური ძრავაც კი გამოჰყავს წყობიდან. თქვენ უკვე მეორედ მაჯობეთ: მე არც უკან გამომყოლიან როდისმე.

— რატომ დაგჭირდათ ეს ეკრანი?

— იმიტომ, რომ ეს ადგილი კერძო საკუთრებაა და ასეთადვე უნდა დარჩეს.

— ეს რა ადგილია?

— გაჩვენებთ, რაკი უკვე აქ ხართ, მის ტაგარტ. მერე კი კითხვებზეც გიპასუხებთ.

დაგნი გაჩუმდა. უცებ მიხვდა, რომ უკვე უამრავი რამის შესახებ ჰკითხა, თვითონ მასზე კი არაფერი უკითხავს. კაცი თითქოს ერთი მთლიანობა იყო, თვალის პირველი შევლებისთანავე გასაგები — როგორც რაღაც ურყევი სრულყოფილება, აქსიომა, რომელიც ახსნას არ საჭიროებს; დაგნიმ თითქოს ისედაც უკვე იცოდა ყველაფერი მის შესახებ და ახლა მხოლოდ ამ ცოდნის გამყარებაღა დარჩენოდა.

გოლტს დაგნი ვიწრო და ხვეული ბილიკით ხეობაში ჩაჰყავდა. ფერდობების ორივე მხარეს, მაღალი, მუქი პირამიდებივით, ერთ სწორ ხაზზე უძრავად ჩამწკრივებულიყვნენ პირობით სკულპტურულ ფორმას მიმსგავსებული ნაძვები და თავიანთი ნამდვილი მამაკაცური სიმარტივით სრულ კონტრასტს ქმნიდნენ მზის სხივებში მთრთოლავი, ქალურად გაპრანჭული არყის ხის ფოთლების რთულ, მრავალფეროვან მაქმანთან. გოლტის თმასა და ორივეს სახეს ფოთლებს შორის გამოღწეული მზის სხივები დასთამაშებდა. დაგნი ქვემოთ, დაკლაკნილ ბილიკს მიღმა, ვერაფერს ვერ ხედავდა.

მზერა წამდაუწუმ გოლტის სახისკენ გაურბოდა. ისიც დროდადრო თვალს შეავლებდა ხოლმე. თავიდან დაგნი განზე იყურებოდა, თითქოს საკუთარი ცნობისმოყვარეობის რცხვენოდა, მერე კი, გოლტის მაგალითს მიბაძა და მზერას აღარ არიდებდა — ხვდებოდა, რომ კაცმა იცოდა, თუ რას გრძნობდა ის და საკუთარი მზერის მნიშვნელობას აღარც მალავდა ქალისგან.

იცოდა, რომ გოლტის დუმილი ისეთივე აღსარება იყო; როგორიც მისი საკუთარი. მას დაგნი ისე კი არ მიჰყავდა ხელში აყვანილი, როგორც მამაკაცს დაშავებული ქალი — მხოლოდ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ამ უკანასკნელს სიარული არ შეუძლია. ეს უფრო გულში ჩაკვრას ჰგავდა, თუმცა დაგნის იოტისოდენა ინტიმურობაც არ შეუნიშნავს, თუნდაც უმცირესი მინიშნებაც კი გოლტის ქცევაში; მხოლოდ გრძნობდა, რომ კაცი მთელი თავისი სხეულით აღიქვამდა მის სხეულს.

დაგნიმ მანამდე გაიგონა ჩანჩქერის ხმა, სანამ დაინახავდა, როგორ იმსხვრეოდა წყალი ბზინვარე ზოლებად, როდესაც ხეობის კიდეებს ეხლებოდა. ეს ხმა მის გონებაში გაურკვეველ რიტმად აღწევდა, რომელიც შორეული მოგონებების გამოძახილზე ხმამაღალი არ იყო — მართალია, მათ უკვე ჩაუარეს ჩანჩქერს, რიტმი მაინც კვლავ ისმოდა; დაგნი აყურადებდა წყლის ხმაურს, მაგრამ ახლა რაღაც სხვა ხმა შემოესმა, თანდათან უფრო და უფრო მკვეთრი და მაღალი, ოღონდ უკვე გონებაში კი არა, სადღაც ფოთლებიდან. ბილიკმა გადაუხვია და უცბად დაგნიმ დაბლა, ნაპირზე, პატარა სახლი დაინახა, რომლის ღია ფანჯრის მინას მზის სხივი აელვარებდა.

და უცებ მიხვდა, თუ რამ მოანდომა წარსულიდან, აწმყოს დანებებოდა — ეს იმ ღამეს იყო, როდესაც ტაგარტების კომპანიის მატარებლის მტვრიან ვაგონში იჯდა და რიჩარდ ჰალის მეხუთე სიმფონია მოისმინა პირველად: წმინდა, თავისუფლად მონარნარე მუსიკა, თითქოს ვიღაცის ძლიერი თითების მკვეთრი, თავდაჯერებული მოძრაობით ფორტეპიანოს კლავიშებიდან ცაში ატყორცნილი.

დაგნიმ გოლტს კითხვა ისე მიახალა, გეგონებოდა, იმედი ჰქონდა, რომ დააბნევდა და პასუხის წინასწარ მომზადებას ვერ შეძლებდა:

— ეს რიჩარდ ჰალის მეხუთე სიმფონიაა, ხომ ასეა?

— დიახ.

— როდის დაწერა?

— რატომ თვითონ მას არ ჰკითხავთ?

— ის აქ არის?

— ახლა სწორედ თვითონ უკრავს. ეს ხომ მისი სახლია.

— ოჰ!..

— მას მოგვიანებით გაიცნობთ. თქვენთან საუბარი ესიამოვნება. იცის, რომ მხოლოდ მის ჩანაწერებს უსმენთ საღამოობით, როდესაც მარტო რჩებით.

— ეს საიდან იცის?

— მე ვუთხარი.

დაგნის სახეზე დაეწერა კითხვა, რომელიც ამ სიტყვებით უნდა დაწყებულიყო:

„სად ჯანდაბიდან?..“ — მაგრამ როდესაც გოლტის თვალების გამომეტყველება დაინახა, გაეცინა და ეს სიცილი იმასვე აირეკლავდა, რასაც მამაკაცის მზერა.

დაგნი ფიქრობდა, რომ აღარაფერი უნდა ეკითხა და აღარც არაფერში აღარ უნდა დაეჭვებულიყო, როდესაც ასეთი მუსიკა ჟღერდა, ასე საზეიმოდ მიიკვლევდა გზას ზეცისკენ მზის შუქით გასხივოსნებული ფოთლების გავლით, გათავისუფლების, თავის დაღწევის მუსიკა, სწორედ ისე შესრულებული, როგორც უნდა შესრულებულიყო, როგორც მაშინ ცდილობდა დაგნი მის მოსმენას ტორტმანით მიმავალი ვაგონის დაქანცული ბორბლების ხმაურში... ალბათ, ასე ხედავდა ამ ბგერებს იმ ღამეს: ჯადოსნური ხეობა, დილის მზე და...

და უცებ დაგნის სუნთქვა შეეკრა, რადგან ბილიკმა გვერდზე გადაუხვია და კლდის კიდიდან ხეობის ფსკერზე ქალაქი დაინახა.

თუმცა ამ ადგილს ქალაქიც არ ეთქმოდა, ეს უფრო უწესრიგოდ მიმოფანტული სახლების ერთობლიობა იყო ხეობის ძირში და მთების ფერდობებზე, რომლებიც გაუვალ წრედ ერტყა ნაგებობებს და მათ სახურავებს ფარავდა. მცირე ზომის ახლად აშენებულ სახლებს სადა, კუთხოვანი ფორმები და მზის შუქზე მბრწყინავი ფართო ფანჯრები ჰქონდა. შორს ზოგიერთი შენობა უფრო მაღალი ჩანდა და მათ ზემოთ კვამლის მკრთალი რგოლები სამრეწველო დასახლებაზე მიანიშნებდა. მაგრამ ქალს თვალი მოსჭრა მის წინ აღმართულმა მყარი ოქროსგან ჩამოსხმულმა სამი ფუტის სიმაღლის დოლარის სიმბოლომ, რომელიც ხეობის შვერილზე გრანიტის წვრილ სვეტზე იდგა და ირგვლივ ყველაფერს აუფერულებდა თავისი ბრწყინვალებით. ის ქალაქის თავზე ეკიდა სივრცეში, მისი გერბი, საფირმო ნიშანი და შუქურა ენერგიის გადამყვანივით იზიდავდა მზის სხივებს და მოკაშკაშე წყალობასავით აფენდა ჰაერში სახლების სახურავებს.

— ეს რა არის? — აღმოხდა დაგნის.

— ოჰ, ეს ფრანცისკოს მოფიქრებული ხუმრობაა.

— რომელი ფრანცისკოს? — წაიჩურჩულა დაგნიმ, რომელმაც თვითონაც კარგად იცოდა ამ კითხვის პასუხი.

— ფრანცისკო დ'ანკონიას.

— ისიც აქ არის?

— ახლა უკვე შეიძლება, ნებისმიერ დღეს გამოჩნდეს.

— ხუმრობაში რა იგულისხმეთ?

— ფრანცისკომ ეს სიმბოლო ამ ადგილის მფლობელს წლისთავზე საჩუქრად გადასცა. ჩანაფიქრი ყველას ძალიან მოგვეწონა და ჩვენს განსაკუთრებულ სიმბოლოდ ვაქციეთ.

— კი მაგრამ, თქვენ თვითონ არ ხართ ამ ადგილის მფლობელი?

— მე? არა. — მან დაბლა დახედა შვერილის ფსკერს და მიუთითა, — აი, მფლობელიც მოდის.

ქვემოთ, ტალახიანი გზის ბოლოში, მანქანა გაჩერდა და ორი კაცი ბილიკისკენ გამოემართა. დაგნიმ მათი სახეები ვერ გაარჩია; ერთი მათგანი მაღალი და გამხდარი იყო, მეორე უფრო დაბალი და დაკუნთული. მერე მოსახვევში თვალს მიეფარნენ.

დაგნიმ ისინი მაშინ დაინახა, როდესაც უეცრად კლდოვანი კუთხიდან ისევ გამოჩნდნენ. მათი სახეების დანახვამ ისე გააოგნა, თითქოს მოულოდნელად რაღაცას შესჯახებოდა.

— ეშმაკმა დალახვროს, აი, ეს მესმის! — თქვა დაგნის მიშტერებულმა დაკუნთულმა კაცმა, რომელსაც ქალი საერთოდ არ იცნობდა.

დაგნი ამ დროს მეორე კაცს უყურებდა, მაღალსა და გამორჩეულად აღნაგს. მას ჰიუ ექსტონი ერქვა.

ის თავის დაკვრითა და თავაზიანი ღიმილით მიესალმა ქალს:

— მის ტაგარტ, პირველად შეძლო ვიღაცამ, დავერწმუნებინე, რომ ვცდები. მაშინ, როდესაც გითხარით, ამ ადამიანს ვერასოდეს იპოვით-მეთქი, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, თუ შემდეგ ჯერზე სწორედ მის მკლავებში გიხილავდით.

— ვის მკლავებში?

— ეს რა საკითხავია, რა თქმა უნდა, ძრავის გამომგონებლის.

ქალს სული შეეხუთა და თვალები დახუჭა; თვითონ როგორ ვერ მიხვდა აქამდე. როდესაც თვალი ისევ გაახილა, გოლტს შეხედა. ის თავდაჯერებულად და

დამცინავად იღიმოდა, თითქოს ამჯერადაც იცოდა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი დაგნისთვის.

— უფრო სამართლიანი იქნებოდა, კისერი რომ მოგეტეხათ! — ბრაზით, თუმცა აშკარა მზრუნველობით, სიმპათიითაც კი, ჩაიბურტყუნა დაკუნთულმა კაცმა, — ხომ უნდა მოიფიქრო ასეთი სულელური და უაზრო ოინი, თანაც ვინ? ქალმა, რომელსაც ისედაც სიხარულით შეხვდებოდნენ აქ, მთავარი კარიდანაც რომ შემოსულიყო!

— მის ტაგარტ, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ მაიდას მალიგანი. — თქვა გოლტმა.

— ოჰ, — აღმოხდა დაგნის და გაიცინა; უკვე გაკვირვების ძალაც აღარ შესწევდა, — თქვენ გინდათ, მითხრათ, რომ მე ავიაკატასტროფაში დავიღუპე და ეს ახლა არსებობის რაღაც სხვა ნაირსახეობაა?

— მართლაც ასეა, ეს სულ სხვა სახის სიცოცხლეა, — თქვა გოლტმა, — რაც შეეხება დაღუპვას, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ყველაფერი სწორედ პირიქით არის?

— ოჰ, დიახ, — დაიჩურჩულა დაგნიმ, — დიახ... — და მალიგანს გაუღიმა, — და სად არის მთავარი კარი?

— აქ, — უპასუხა მან და საკუთარ შუბლზე მიუთითა.

— მე გასაღები დავკარგე, — თქვა ქალმა გულწრფელად, წყენის გარეშე, — ახლა მე ყველა გასაღები დავკარგე.

— თქვენ მათ იპოვით. მაგრამ რა ჯანდაბას აკეთებდით იმ თვითმფრინავში?

— უკან მივყვებოდი.

— მას? — მალიგანმა გოლტზე მიუთითა.

— დიახ.

— გაგიმართლათ, რომ გადარჩით! ძალიან დაშავდით?

— არა მგონია.

— რამდენიმე კითხვაზე მოგიწევთ პასუხის გაცემა მას შემდეგ, რაც ცოტას გამოგაკეთებენ.

მალიგანი მკვეთრად შეტრიალდა და პირველი გაემართა მანქანისკენ, მერე კი გოლტს მოუტრიალდა:

— კარგი, ახლა რას ვაკეთებთ? ამისთვის მზად არ ვიყავით: ეს პირველი გამცემია.

— პირველი ვინ? — იკითხა დაგნიმ.

— დაივიწყეთ, — უპასუხა მაიდასმა და გოლტს მიაშტერდა, — აბა, რას ვაკეთებთ?

— ამას მე მივხედავ, — თქვა ჯონმა, — მე ვიქნები პასუხისმგებელი. შენ ქუენტინ დენიელსს მოეფარე.

— ოჰ, ის არანაირ დაბრკოლებას არ ქმნის. მხოლოდ ამ ადგილის გაცნობა სჭირდება. დანარჩენი ყველაფერი უკვე იცის.

— კი, მართლაც, ქუენტინმა პრაქტიკულად მთელი გზა თავისით გაიარა. — გოლტმა დაინახა, როგორი გაკვირვებით უყურებდა ქალი და თქვა, — მის ტაგარტ, ვალდებული ვარ, ერთი რამის გამო მადლობა გადაგიხადოთ: თქვენ მე პატივი დამდეთ, როდესაც ჩემ შემცვლელად ქუენტინ დენიელსი აირჩიეთ. ის მართლაც იმსახურებს ასეთ ნდობას.

— დენიელსი სადაა? — იკითხა დაგნიმ, — მეტყვით, რა მოხდა?

— რატომაც არა, მაიდასი ჩვენ დასაშვებ მოედანზე შეგვხვდა, მე სახლამდე მანქანით მიმიყვანა, დენიელსი კი თავისთან წაიყვანა. მათთან სასაუზმოდ

ვაპირებდი მისვლას, როდესაც დავინახე, თქვენი თვითმფრინავი როგორ ტრიალებდა ჰაერში და ეშვებოდა საძოვარზე. ყველაზე ახლოს იმ ადგილთან მე ვიყავი.

— ჩვენ რაც შეგვეძლო, სწრაფად მოვედით, — თქვა მალიგანმა, — ვფიქრობდი, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო იმ თვითმფრინავში, სიკვდილს იმსახურებდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ იქ სწორედ ერთ-ერთი იჯდებოდა იმ ორი ადამიანიდან მთელ მსოფლიოში, რომლებსაც მე სიკვდილისგან დავიხსნიდი.

— მეორე ვინღაა? — იკითხა ქალმა.

— ჰენკ რიერდენი.

ქალი შეკრთა; ამ სახელის გაგონება მისთვის შორი მანძილიდან დარტყმას ჰგავდა. ვერ გაეგო, რატომ ეჩვენებოდა, რომ გოლტი დაჟინებით უყურებდა; დაგნიმ მას რაღაც წამიერი და გაურკვეველი ცვლილებაც შეამჩნია.

ისინი მანქანასთან მივიდნენ. ეს იყო რამდენიმე წლის წინ გამოშვებული, მაგრამ ძალიან კარგად მოვლილი „ჰემონდის“ ფირმის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული კაბრიოლეტი. სახურავი გადახდილი ჰქონდა. გოლტმა დაგნი უკანა სავარძელზე მოათავსა და ხელი გადახვია. დაგნი დროდადრო გამჭოლ ტკივილს გრძნობდა, თუმცა ამისთვის არ ეცალა. ქალაქის შორეულ სახლებს გასცქეროდა, როდესაც მალიგანმა მანქანა დაქოქა. დოლარის სიმბოლოს სკულპტურა უკან მოიტოვეს.

დაგნის თვალებში და შუბლზე მოხვდა ოქროსფერი სხივი.

— ვინ არის აქაურობის მფლობელი? — იკითხა მან.

— მე, — უპასუხა მალიგანმა.

— ის ვინღაა? — მიუთითა გოლტზე.

მალიგანმა ჩაიხითხითა:

— ის აქ უბრალოდ მუშაობს.

— თქვენ, დოქტორო ექსტონ? — იკითხა ქალმა ექსტონმა გოლტს შეხედა.

— მე ერთ-ერთი ვარ მისი ორი მამიდან მის ტაგარტ ის ერთი, რომელმაც ჯონს არ უღალატა..

— ოჰ! — თქვა დაგნიმ და კიდევ ერთი კავშირს მოეფინა ნათელი, — თქვენი მესამე მოსწავლე?

— სწორია.

— ბუღალტრის ასისტენტი! — უცებ ამოიკვნესა ქალმა მორიგი მოგონების გახსენებისას.

— ეს რას ნიშნავს?

— ასე დოქტორმა სტადლერმა უწოდა, რადგან ფიქრობს რომ მისმა მესამე მოსწავლემ მეტს ვერაფერს მიაღწია.

— გაუზვიადებია, — თქვა გოლტმა, — სინამდვილეში, მისი და მისი სამყაროს საზომებით, მე ამაზე გაცილებით დაბლა ვდგავარ.

მანქანამ ვიწრო გზაზე გადაუხვია და ხეობაზე გადმომდგარი მთის ქედზე კენტად აღმართული სახლისკენ გაემართა. დაგნიმ ბილიკზე მიმავალ კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიეშურებოდა ქალაქისკენ. მას ჯინსის ლურჯი კომბინეზონი ეცვა და ხელში თუნუქის კონტეინერი ეჭირა საუზმისთვის. მისი სხარტი მიხრა-მოხრა ბუნდოვნად ეცნო. როდესაც მანქანამ გვერდით ჩაუარა, დაგნიმ მისთვის თვალის შევლება მოასწრო, გაოგნებულმა უკან გადაიწია და შეჰყვირა, ნაწილობრივ, ამ მოძრაობით გამოწვეული ტკივილისგან, ნაწილობრივ კი დანახულის გამო განცვიფრებისგან:

— ოჰ, გააჩერეთ! გააჩერეთ! არ მისცეთ უფლება, წავიდეს!

ეს ელის უაიატი იყო.

სამივენი იცინოდნენ, თუმცა მალიგანმა მანქანა მაინც გააჩერა.

— ოჰ... — თქვა ქალმა მისუსტებული ხმით, მობოდიშებით, რადგან გააცნობიერა, რომ ამ ხეობიდან უაიატი არ გაქრებოდა.

ის მათკენ გამოიქცა: მანაც იცნო დაგნი. როდესაც უაიატი მანქანის კარს მოეჭიდა, ქალმა დაინახა მისი სახე და ის მგზნებარე, მოზეიმე ღიმილი, რომელიც ადრე ერთადერთხელ ენახა: „უაიატ ოილის“ ბაქანზე.

— დაგნი! თქვენც? როგორც იქნა! თქვენც ერთ-ერთი ჩვენგანი ხართ?

— არა, — უპასუხა გოლტმა, — მის ტაგარტი აქ შემთხვევით მოხვდა.

— რა?

— მის ტაგარტის თვითმფრინავი ავარიულად დაეშვა. არ დაგინახავთ?

— ავარიულად დაეშვა — აქ?

— დიახ.

— თვითმფრინავის ხმა გავიგონე, მაგრამ მე... — განცვიფრება სინანულით სავსე, კმაყოფილმა და მეგობრულმა ღიმილმა შეცვალა, — მივხვდი. ოჰ, ეშმაკმა წაიღოს, დაგნი, ეს ხომ აბსურდია!

დაგნი უმწეოდ შესცქეროდა მას, ვერა და ვერ დაეკავშირებინა წარსული აწმყოსთან. უმწეოდ, როგორც ადამიანი, რომელიც გარდაცვლილ მეგობარს სიზმრად ეუბნება იმ სიტყვებს, სიცოცხლეში რომ ვერ მოასწრო, ეთქვა, მაგრამ ახლა, როცა გაახსენდა, როგორ ცდილობდა თითქმის ორი წლის წინ მასთან დაკავშირებას, ცხადში გაიმეორა ის სიტყვები, რომელთა წარმოთქმასაც იმედოვნებდა, თუკი როდისმე მას კვლავ შეხვდებოდა:

— მე... მე ვცდილობდი თქვენთან დაკავშირებას.

უაიატმა თბილად გაუღიმა:

— ჩვენც ძალიან დიდხანს ვცდილობდით თქვენთან და კავშირებას, დაგნი... საღამოს შევხვდებით. ნუ წუხხართ, მე არ გავქრები, დარწმუნებული ვარ, არც თქვენ.

ის დანარჩენებსაც დაემშვიდობა და გზა განაგრძო, თან კონტეინერს მიიქნევდა.

დაგნიმ თავი მხოლოდ მაშინ ასწია მაღლა, როდესაც მალიგანმა მანქანის დაქოქვა დაიწყო, და დაინახა, როგორი ყურადღებით შესცქეროდა გოლტი. ქალმა სახე გაიმკაცრა, თითქოს ღირსეულად აღიარა ტკივილი და არ დაანება გოლტს, მისთვის გულჩათხრობილობა დაეწამებინა.

— კეთილი, — თქვა დაგნიმ, — ვხვდები, როგორ ცდილობთ, შთაბეჭდილება მოახდინოთ ჩემზე ამ ყველაფრის დემონსტრირებით.

მართალია, დაგნიმ სცადა გაეხუმრა, ეგებ რამდენადმე მოუხერხებლადაც, მაგრამ მის ნათქვამს გოლტის სახეზე არავითარი საპასუხო რეაქცია არ მოჰყოლია, სრული გულგრილობის გარდა.

— ჩვენი უპირველესი წესი აქ, მის ტაგარტ, — თქვა გოლტმა, — არის ის, რომ ნებისმიერმა ადამიანმა ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახოს.

მანქანა განმარტოებით მდგარ სახლთან გაჩერდა, რომელიც გრანიტის უხეშად თლილი უსწორმასწორო ბლოკებისგან აეშენებინათ, ხოლო წინა კედელი თითქმის მთლიანად შეემინათ.

— ექიმს გამოვგზავნი, — უთხრა მათ მალიგანმა და მანქანით უკან გაბრუნდა, გოლტს კი დაგნი ხელში აყვანილი მიჰყავდა ბილიკზე.

— ეს თქვენი სახლია? — შეეკითხა დაგნი.

— ჩემია, — უპასუხა ჯონმა და სახლის კარი ფეხით შეაღო.

მან დაგნი ზღურბლიდან მისაღები ოთახის გაკაშკაშებულ სივრცეში შეიყვანა, სადაც ფიჭვის ხის პანელით დაფარულ კედლებს მზის სხივი ეცემოდა. დაგნიმ იქ ხელით დამზადებული ცოტაოდენი ავეჯი დაინახა, ოთახიდან ჭერის ფიცრები მოჩანდა, თაღი სამზარეულოში გადიოდა, სადაც რამდენიმე გაურანდავი თარო ჩამოეკიდებინათ და ხის მაგიდა დაედგათ, ელექტროქურის ქრომიუმის ციმციმი კი გასაოცარ სანახაობას ქმნიდა; ამ ადგილს სასაზღვრო ზონაში მცხოვრები ადამიანის ოთახის აუცილებელ საჭიროებებამდე დაყვანილი, პირველყოფილი სიმარტივე ახასიათებდა, თუმცა მას დახვეწილი ოსტატის ხელი მაინც აჩნდა.

გოლტმა დაგნი სტუმრებისთვის განკუთვნილ, მზის სხივებით გაჩახჩახებულ პატარა ოთახში შეიყვანა და საწოლზე დააწვინა. ფანჯრიდან კლდოვანი ფერდობი და ცად აზიდული ფიჭვის ხეები მოჩანდა. რაფის ქვეშ დაგნიმ წარწერები შენიშნა, წვრილი ასოები თითქოს“ ხეზე ამოეკვეთათ — რამდენიმე მიმობნეული. სტრიქონი სხვადასხვა ხელით დაწერილს ჰგავდა. დაგნიმ სიტყვები ვერ გაარჩია. მარცხნივ კიდევ ერთი კარი შენიშნა, ნახევრადგაღებული — ეს გოლტის საძინებლის კარი იყო.

— მე აქ სტუმარი ვარ თუ ტყვე? — იკითხა ქალმა.

— არჩევანი თქვენზეა, მის ტაგარტ.

— მე არჩევანს ვერ გავაკეთებ, როდესაც უცნობთან მაქვს საქმე.

— უცნობთან? კი მაგრამ, თქვენ არ დაარქვით თქვენს სარკინიგზო ხაზს ჩემი სახელი? — ოჰ!.. დიახ... — და ისევ გაიელვა კიდევ ერთმა ბუნდოვანმა აღმოჩენამ, — დიახ, მე, — უყურებდა ამ მაღალ მამაკაცს, მზით შუქით აბრჭყვიალებულ მის თმას, მის დაუნდობლად გამჭრიახ თვალებს, მათში გამომკრთალ შეკავებულ ღიმილს და ხედავდა — როგორც ანარეკლს — თავის რკინიგზას და ზაფხულის იმ დღეს, როდესაც ამ ხაზზე პირველი შემადგენლობა გაუშვეს, ფიქრობდა, რომ თუკი შესაძლებელი იყო, ადამიანი ყოფილიყო ამ სარკინიგზო ხაზის სიმბოლო, ახლა მის წინაშე სწორედ ის იდგა — დიახ... მე, ეს მე გავაკეთე, მე დავარქვი... — შემდეგ, როდესაც ამბის დანარჩენი ნაწილი გაახსენდა, დაამატა, — თუმცა, აღმოჩნდა, რომ მე ამ ხაზს მტრის სახელი ვუწოდე.

გოლტმა გაიღიმა.

— ეს სწორედ ის წინააღმდეგობრიობაა, რომლის გამოსწორებაც ადრე თუ გვიან მოგიწევთ, მის ტაგარტ.

— ეს თქვენ იყავით... არა? ..ვინც ჩემი ხაზი გაანადგურა...

— რატომ მე? ის წინააღმდეგობრიობამ გაანადგურა.

დაგნიმ თვალები დახუჭა; რამდენიმე წამის შემდეგ მან იკითხა:

— თქვენ შესახებ რა აღარ მსმენია, სიმართლე რა არის?

— ყველაფერი.

— თქვენ გაავრცელეთ ეს ხმები?

— არა. ეს რისთვის უნდა გამეკეთებინა? არასდროს მიოცნებია, ჩემზე ელაპარაკათ.

— მაგრამ, თქვენ ხომ იცით, რომ ლეგენდა გახდით?

— დიახ, ვიცი.

— ამ ლეგენდის ერთადერთი ნამდვილი ვერსია ძრავთმშენებელი კომპანიის „მეოცე საუკუნის“ ახალგაზრდა გამომგონებელია, არა?

— ასეა.

დაგნიმ მღელვარება ვერ მოთოკა და სუნთქვაშეკრულმა ჩურჩულით ჰკითხა:

— ძრავა... ძრავა, რომელიც მე ვიპოვე... თქვენ შექმენით?

— დიახ.

დაგნიმ უნებლიე სიხარულით ასწია თავი მაღლა.

— ენერგიის გარდაქმნის საიდუმლო... — დაიწყო მან და გაჩერდა.

— მე შემიძლია, ეს თხუთმეტ წუთში მოგიყვეთ, — უპასუხა გოლტმა იმ სასოწარკვეთილი თხოვნის პასუხად, რომლის წარმოთქმაც დაგნიმ ვერ მოახერხა, — მაგრამ მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ძალა, ეს რომ მათქმევინოს. თქვენ თუ ამას გაიგებთ, მაშინ ყველაფერს მიხვდებით, რაც კი თავგზას გიბნევთ.

— იმ ღამეს... თორმეტი წლის წინ... გაზაფხულის იმ ღამეს, როდესაც თქვენ ექვსი ათასი მოღალატის თავყრილობა დატოვეთ — ეს ისტორია სინამდვილეს შეესაბამება, ასეა, არა?

— კი, ნამდვილად ასე იყო.

— თქვენ მათ უთხარით, რომ დედამიწის ძრავას გააჩერებდით.

— დიახ, ვუთხარი.

— რა გააკეთეთ?

— არაფერი, მის ტაგარტ. და სწორედ ეს არის მთელი ჩემი საიდუმლო დაგნი გოლტს დიდხანს უსიტყვოდ შესცქეროდა. ის კი იდგა და ისე უყურებდა, თითქოს ქალის ფიქრებს კითხულობდა.

— გამანადგურებელი... — ჩაილაპარაკა დაგნიმ დაბნეული, უმწეო ხმით.

— ყველაზე ბოროტი არსება დედამიწაზე, — გააგრძელა გოლტმა დაგნის სიტყვების ღამის ციტირება და ქალმა თავისი საკუთარი სიტყვები იცნო, — კაცი, რომელიც ანადგურებს ნიჭიერებას მთელ მსოფლიოში.

— რამდენ ხანს მითვალთვალებდით და რამდენად გულმოდგინედ? — ჰკითხა ქალმა ჯონს.

გოლტი მხოლოდ წამით შეყოვნდა, მზერა არ შესცვლია, მაგრამ დაგნის მოეჩვენა, რომ უფრო დაეძაბა, თითქოს იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანი ელოდა ამ შეხვედრას, და როდესაც გოლტმა მშვიდად უპასუხა შეკითხვას, ქალს მის ხმაშიც რაღაც უცნაური, საგულდაგულოდ დაფარული მგზნებარება მოესმა:

— წლების განმავლობაში.

დაგნიმ თვალები დახუჭა, მოდუნდა და მოეშვა. რაღაც უცნაურ, თავქარიან უდარდელობას გრძნობდა, თითქოს მხოლოდ ისღა უნდოდა, რომ უმწეობის განცდას ბოლომდე დანებებოდა და სიმშვიდე დაუფლებოდა.

ექიმი, რომელიც დაგნის სანახავად მოვიდა, გაჭაღარავებული კაცი იყო, მშვიდი და მზრუნველი იერითა და ზომიერად თავდაჯერებული ქცევით.

— მის ტაგარტ, ნებას მომცემთ, წარმოგიდგინოთ ექიმი ჰენდრიკსი? — მიმართა გოლტმა დაგნის.

— შემთხვევით, ექიმი თომას ჰენდრიკსი ხომ არა? — წამოიყვირა ქალმა უნებლიე ბავშვური უტაქტობით; სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ სახელგანთქმულ ქირურგს, რომელმაც ექვსი წლის წინ დატოვა სამსახური და სადღაც გაუჩინარდა.

— დიახ, რა თქმა უნდა, — უპასუხა გოლტმა.

ექიმმა ჰენდრიკსმაც გაუღიმა დაგნის საპასუხოდ.

— მაიდასმა მითხრა, რომ მის ტაგარტს მკურნალობა სჭირდება შოკის დასაძლევად — თქვა მან, — არა იმ შოკის, რომელიც უკვე განიცადა, არამედ იმის, რაც წინ ელის.

— მარტო დაგტოვებთ, პაციენტს რომ უმკურნალოთ, — უთხრა გოლტმა ექიმს, — მაღაზიაში წავალ და საუზმისთვის სურსათს ვიყიდი.

ექიმმა ჰენდრიკსმა ქალი ოსტატურად გასინჯა. შემდეგ ჩანთიდან პორტატული რენტგენის აპარატი ამოიღო. დაგნიმ შეიტყო, რომ ორი ნეკნი ჰქონდა გატეხილი და კოჭი ნაღრძობი, ერთ იდაყვზე და მუხლზე კანი გადაუსკდა, მთელ ტანზე კი იისფერ ლაქებად ეტყობოდა დაბეჟილობები. როდესაც ექიმ ჰენდრიკსის მარჯვე ხელი დაგნის ჭრილობებს ბინტით და ზონრით მჭიდროდ უხვევდა, დაგნის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისი სხეული ძრავა იყო, რომელსაც გამოცდილი მექანიკოსი სინჯავდა და სადარდებელი აღარაფერი ჰქონდა.

— გირჩევთ, იწვეთ, მის ტაგარტ.

— ოჰ, არა! ფრთხილად და ნელა ვივლი, კარგად ვიქნები.

— უნდა დაისვენოთ.

— ფიქრობთ, ახლა დასვენება შემიძლია?

ექიმმა გაიღიმა:

— ვფიქრობ, არა.

ქალს უკვე ჩაეცვა, როდესაც გოლტი უკან დაბრუნდა. ექიმმა ჰენდრიკსმა მას დაგნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოახსენა და თან დაამატა:

— ხვალ ისევ მოვალ მის გასასინჯად.

— გმადლობთ, — უპასუხა გოლტმა, — მკურნალობის ანგარიში მე გამომიგზავნეთ.

— მას არ გაუგზავნოთ! — აღშფოთებით წამოიძახა ქალმა, — ჩემი მკურნალობის ხარჯებს მე თვითონ გადავიხდი.

კაცებმა ერთმანეთს ისეთი ირონიით გადახედეს, თითქოს მათხოვრის კვეხნას ისმენდნენ.

— ამ საკითხს მოგვიანებით განვიხილავთ, — თქვა გოლტმა.

ექიმი ჰენდრიკსი წავიდა და დაგნიმ წამოდგომა სცადა, კოჭლობდა და ავეჯს ეჭიდებოდა. გოლტმა ის ხელში აიყვანა და სამზარეულოში ორი ადამიანისთვის გაწყობილ მაგიდასთან დასვა სკამზე.

როდესაც ქურაზე შემოდგმული ჯეზვე, ორი ჭიქა ფორთოხლის წვენი და მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირზე მზის შუქზე მოელვარე მძიმე კერამიკის თეთრი თეფშები დაინახა, დაგნიმ მაშინღა იგრძნო, რომ მოშიებოდა.

— ბოლოს როდის გეძინათ და ჭამეთ? — შეეკითხა ჯონი.

— არ მახსოვს... მატარებლის ვაგონში ვისადილე... — ქალმა თავი გააქნია უმწეოდ, მწარე ირონიით. „მაწანწალასთან ერთად“, — გაიფიქრა მან. სასოწარკვეთილი ხმა კარნახობდა, გაჰქცეოდა ამ შურისმაძიებელს, რომელიც არც დაედევნებოდა და ვერც თვითონ ვეღარ იპოვიდა მას, შურისმაძიებელს, რომელიც ახლა მის წინ იჯდა მაგიდასთან და ფორთოხლის წვენს სვამდა, — არ მახსოვს... ეს ყველაფერი თითქოს მრავალი საუკუნის წინ და კონტინენტების დაშორებით მოხდა.

— როგორ გამომყევით უკან?

— აფტონის აეროპორტში ზუსტად მაშინ დავეშვი, როდესაც თქვენ მიფრინავდით. იქ ერთმა კაცმა მითხრა, რომ ქუენტინ დენიელსი თქვენთან ერთად წამოვიდა.

— დავინახე, როგორ ეშვებოდა თქვენი თვითმფრინავი მიწაზე. მაგრამ ეს სწორედ ის ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც თქვენზე არ მიფიქრია. მეგონა, მატარებლით მოდიოდით.

ქალმა გოლტს პირდაპირ შეხედა და ჰკითხა:

— როგორ გინდათ, ეს ყველაფერი გავიგო?

— რა გაიგოთ?

— რომ ეს ის ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც თქვენ ჩემზე არ ფიქრობდით.

გოლტმა ქალის მზერა დაიჭირა; დაგნიმ მის სახეზე დამახასიათებელი ბუნდოვანი მოძრაობა შენიშნა: გოლტის ამაყად ჯიუტ სახეს ძლივს შესამჩნევი ღიმილი დაეტყო.

— როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, — უპასუხა კაცმა.

დაგნი ერთი წუთით დადუმდა, სახე გაუმკაცრდა, მის ხმაში კი ბრალდების ტონმა გაიჟღერა:

— თქვენ ხომ იცოდით, რომ მე ქუენტინ დენიელსს დავედევნე?

— ვიცოდი.

— და დამასწარით მისვლა, რომ მასთან შეხვედრა ვერ მომეხერხებინა, ასეა? იმიტომ, რომ დაგემარცხებინეთ — თანაც მშვენივრად იცოდით, როგორი დარტყმა იქნებოდა ეს ჩემთვის?

— რა თქმა უნდა.

დაგნიმ გვერდზე გაიხედა და ხმა აღარ ამოუღია. გოლტი ადგა, საუზმის მომზადება რომ გაეგრძელებინა. დაგნი უყურებდა, როგორ ბრაწავდა ქურასთან მდგარი პურს და კვერცხსა და შებოლილ ღორის ხორცს წვავდა. გოლტი ამ ყველაფერს ძალდაუტანებელი ოსტატობით აკეთებდა, თუმცა ეს სულ სხვა პროფესიისთვის დამახასიათებელი ოსტატობა იყო; მისი ხელები სამართავი დაფის ბერკეტებთან მომუშავე ინჟინრისთვის ნიშნეული სწრაფი სიზუსტით მოძრაობდა. ქალს უცბად გაახსენდა, სად ენახა ასეთივე ვირტუოზული და გაუაზრებელი მოძრაობები.

— ეს დოქტორ ექსტონისგან ისწავლეთ? — შეეკითხა ქალი და ქურისკენ მიუთითა.

— ესეც, სხვა რამეებთან ერთად.

— დროის ასე გატარებაც მან გასწავლათ! — დაგნიმ ვერაფრით დამალა ზიზღით გამოწვეული კანკალი ხმაში, — ასეთი საქმიანობით დაკავება?

— უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზეც დამიკარგავს დრო.

როდესაც გოლტმა ქალს თეფში წინ დაუდო, მან ჰკითხა:

— საიდან მოიტანეთ ეს საჭმელი? აქ სურსათის მაღაზია არის?

— არის, მთელ მსოფლიოში საუკეთესო, რომელსაც ლორენს ჰემონდი მართავს.

— რაა?

— ლორენს ჰემონდი, „ჰემონდის“ მანქანების მწარმოებელი კომპანიის მფლობელი. შებოლილი ღორის ხორცი სანდერსის საავიაციო კომპანიის მფლობელის, დუაიტ სანდერსის ფერმიდან არის, კვერცხები და კარაქი კი ილინოისის შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლისგან, ნარაგანსეტისგან.

დაგნიმ ნაღვლიანი სახით დახედა თეფშს, თითქოს ეშინოდა შეხებოდა მას:

— თუ მზარეულისა და სხვა დანარჩენების თავისუფალი დროის ფასს გავითვალისწინებთ, ეს ალბათ ყველაზე ძვირად ღირებული საუზმეა, რაც კი ოდესმე მიჭამია.

— დიახ, ერთი მხრივ ასეა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ყველაზე იაფფასიანი საუზმეა — რადგან მისი არც ერთი ნაწილი არ გაგზავნილა მძარცველების გამოსაკვებად,

რომლებიც ამისთვის წლების განმავლობაში გადაგახდევინებენ და ბოლოს მშიერს დაგტოვებენ.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დაგნი მიამიტი და ნაღვლიანი ხმით შეეკითხა გოლტს:

— აქ რას აკეთებთ?

— ვცხოვრობთ.

მას არასდროს გაეგონა, ეს სიტყვა ასეთი ბუნებრივი ყოფილიყოს.

— რას საქმიანობთ? — ჰკითხა ქალმა, — მაიდას მალიგანმა თქვა, რომ აქ მუშაობთ.

— თავს ხელმარჯვე კაცად მივიჩნევ.

— რად?

— მე მზად ვარ დასახმარებლად ყოველთვის, როდესაც რაიმე მოწყობილობა გაფუჭდება, მაგალითად, ელექტროგაყვანილობა.

ქალმა ჯონს შეხედა, შემდეგ უცებ წინ გადაიხარა და ელექტროქურას მიაშტერდა, მაგრამ ტკივილისგან შეწუხებული მალევე უკან, სკამზე დაეცა.

გოლტმა ჩაიცინა.

— დიახ, ეს მართალია, მაგრამ დამშვიდდით, თორემ ექიმი ჰენდრიკსი ისევ საწოლში დაგაბრუნებთ.

— ელექტროგაყვანილობა... — თქვა ქალმა ისეთი ხმით, თითქოს ყელში რაღაც უჭერდა, — ელექტროგაყვანილობა აქ... ის თქვენი ძრავის საშუალებით იმართება?

— დიახ.

— ის შექმნილია? მუშაობს?

— სწორედ მან მოამზადა თქვენი საუზმე.

— მისი ნახვა მსურს!

— თავს ნუ დაიხეიბრებთ ამ ქურის ყურებით. ეს ერთი ჩვეულებრივი ელექტროქურაა, მხოლოდ ეგაა განსხვავება, რომ მისი გამოყენება ასჯერ უფრო იაფია ჩემთვის. ეს არის ყველაფერი, რისი ნახვის შესაძლებლობაც მოგეცემათ, მის ტაგარტ.

— თქვენ დამპირდით, რომ დამათვალიერებინებდით ამ ხეობას.

— ასეც მოვიქცევი, მხოლოდ ელექტროენერგიის წყაროს ვერ გიჩვენებთ.

— წამიყვანთ ამ ადგილის სანახავად საუზმის შემდეგ?

— წაგიყვანთ, თუ თქვენ გინდათ და თუ მოძრაობა შეგიძლიათ.

— შემიძლია.

გოლტი წამოდგა, მივიდა ტელეფონთან და ნომერი აკრიფა:

— გამარჯობა, მაიდას, შენ ხარ? ...კი... გააკეთა? ...კი, ის კარგადაა... ერთი დღით მომაქირავებ შენს მანქანას? ..მადლობა. როგორც ყოველთვის — ოცდახუთ ცენტად... შეგიძლია, გამომიგზავნო? ...შემთხვევით, რაიმე ჯოხისმაგვარი ხომ არ გაქვს? მას დასჭირდება. ...დღეს საღამოს? კი, ასე მგონია. ჩვენ გავაკეთებთ. მადლობა.

კაცმა ყურმილი დაკიდა. დაგნი მას სკეპტიკურად შესცქეროდა.

— სწორად გავიგე თქვენი ნათქვამი, მისტერ მალიგანი — რომელსაც დაახლოებით ორასი მილიონი დოლარის ქონება აქვს — აპირებს, ოცდახუთი ცენტი გამოგართვათ თავისი მანქანის თხოვების სანაცვლოდ?

— სწორად გაგიგიათ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არ შეუძლია, მანქანა უბრალოდ თავაზიანობის გამო გათხოვოთ?

გოლტი დაჯდა და ერთი წუთით ქალის სახეს აკვირდებოდა, თითქოს განგებ აძლევდა დაგნის შესაძლებლობას, მისი ირონიული გამომეტყველება შეემჩნია.

— მის ტაგარტ, — მიმართა მან დაგნის, — ამ ხეობაში არც კანონები გვაქვს, არც წესები და არც ოფიციალური ორგანიზაცია. ჩვენ აქ დასასვენებლად ჩამოვდივართ. თუმცა გვაქვს გარკვეული წეს-ჩვეულებები, რომელთაც ყველანი ვიცავთ, რადგან მშვენივრად ვიცით, რისგან გვსურს დასვენება. ამგვარად, ახლავე გაფრთხილებთ, არის ერთი სიტყვა, რომლის წარმოთქმაც ამ ხეობაში იკრძალება: ეს არის სიტყვა: მომეცი.

— მაპატიეთ, — უთხრა დაგნიმ, — თქვენ მართალი ხართ.

გოლტმა ჭიქა შეივსო და სიგარეტის კოლოფი გახსნა. როდესაც სიგარეტი აიღო, ქალს გაეღიმა, რადგან დაინახა, რომ მასზეც დოლარის სიმბოლო იყო ამოტვიფრული.

— თუ ძალიან დაღლილი არ იქნებით საღამოხანს, — უთხრა გოლტმა, — შეგვიძლია, მალიგანს სადილზე ვეწვიოთ. მის სტუმრებს შორის ისეთი ადამიანები იქნებიან, რომლებთან შეხვედრასაც, ვფიქრობ, მოისურვებდით.

— ოჰ, რა თქმა უნდა! არ ვიქნები ძალიან დაღლილი. მგონი, ამის შემდეგ აღარასოდეს ვიგრძნობ დაღლილობას.

ისინი საუზმეს ამთავრებდნენ, როდესაც დაგნიმ დაინახა, რომ მათი სახლის წინ მალიგანის მანქანა გაჩერდა. მანქანიდან მძღოლი გადმოხტა, ჩქარი ნაბიჯებით აიარა სახლისკენ მიმავალი ბილიკი და დაკაკუნებისა და ზარის დარეკვის გარეშე შეიჭრა ოთახში. დაგნის ერთი წამი დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ეს აქოშინებული და თმაგაბურძგნილი ახალგაზრდა კაცი ქუენტინ დენიელსი იყო.

— მის ტაგარტ, — წამოიძახა კაცმა, — მაპატიეთ! — სასოწარკვეთილი დანაშაულის განცდა მის ხმაში მისსავე სახეზე გამოხატულ მხიარულ მღელვარებას ეწინააღმდეგებოდა, — აქამდე მიცემული სიტყვა არასდროს გამიტეხავს! ჩემს საქციელს გამართლება არ აქვს, პატიების თხოვნაც კი არ შემიძლია და ისიც ვიცი, რომ თქვენ ამას არ დაიჯერებთ, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მე დამავიწყდა!

ქალმა გოლტს შეხედა:

— მე მჯერა შენი.

— დამავიწყდა, რომ შეგპირდით, დაგელოდებით-მეთქი, ყველაფერი დამავიწყდა — მხოლოდ რამდენიმე წუთის წინ, როდესაც მისტერ მალიგანმა მითხრა, რომ თქვენი თვითმფრინავი აქ ჩამოვარდა, გავაცნობიერე, რომ ამ ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე. თქვენ რომ რამე მოგსვლოდათ... ოჰ, ღმერთო, ხომ კარგად ხართ?

— კი, ნუ წუხხარ. შეგიძლია, დაჯდე.

— ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, ადამიანმა თავისი პირობა დაივიწყოს. არ ვიცი, რა დამემართა.

— მე ვიცი.

— მის ტაგარტ, მე თვეების განმავლობაში ვმუშაობდი ამაზე, ამ ერთ განსაკუთრებულ ჰიპოთეზაზე და რაც უფრო მეტს ვშრომობდი, მით უფრო მიჭირდა მისი დამტკიცება. უკანასკნელი ორი დღე ჩემს ლაბორატორიაში გავატარე და ვცდილობდი, ამომეხსნა მათემატიკური განტოლება, რომელიც შეუძლებელი მეჩვენებოდა. ვფიქრობდი, რომ მერჩივნა, დაფასთან მოვმკვდარიყავი, ვიდრე დავნებდებოდი. ის ჩემთან გვიან ღამით შემოვიდა. არც კი შემიმჩნევია. მითხრა, რომ დალაპარაკება სურდა, მაგრამ ვთხოვე, მოეცადა და კვლავ გავაგრძელე მუშაობა. მგონი, დამავიწყდა კიდეც მისი არსებობა. არც კი ვიცი, რამდენი ხანი იდგა იქ და

მიყურებდა. მხოლოდ ის მახსოვს, როგორ გაშალა ხელი, წაშალა დაფიდან ჩემი დაწერილი ციფრები და მათ ნაცვლად ერთი მოკლე განტოლება დაწერა. ამის მერეღა შევნიშნე. და შევყვირე, რადგან ეს უბრალოდ ძრავის საიდუმლოს პასუხი კი არ იყო, არამედ თვითონ ამ ძრავისკენ მიმავალი გზა, რომელიც მართალია, მე არ დამინახავს და არც მივარაუდია, მაგრამ ვიცოდი, საითკენაც მიდიოდა! მახსოვს, როგორ წამოვიყვირე: „საიდან იცი ეს?“ მან კი მიმითითა თქვენი ძრავის ფოტოსურათზე და მიპასუხა: „მე სწორედ ის კაცი ვარ, ვინც ეს ძრავა თავდაპირველად შექმნა“. და მეტი აღარაფერი მახსოვს, მის ტაგარტ, საკუთარი არსებობაც კი გადამავიწყდა, რადგან ამის შემდეგ ჩვენ სტატიკურ ელექტროენერგიაზე, ენერგიის გარდაქმნაზე და ძრავაზე ვისაუბრეთ.

— აქეთ რომ მოვდიოდით, მთელი გზა თანამედროვე ფიზიკის არასრულყოფილებაზე და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ვლაპარაკობდით, — თქვა გოლტმა, — ოჰ, მახსოვს, როგორ მკითხე, ვისურვებდი თუ არა შენთან წამოსვლას, — გააგრძელა დენიელსმა, — ვისურვებდი თუ არა, ყველაფერი მიმეტოვებინა და უკან აღარასოდეს დავბრუნებულიყავი... მიმეტოვებინა ყველაფერი? მიმეტოვებინა ჩამკვდარი ინსტიტუტი, რომელიც პირველყოფილი ხანისკენ მიექანებოდა, მიმეტოვებინა ჩემი მომავალი, ოფიციალური კარისკაცი-მონის მომავალი, მიმეტოვებინა უესლი მაუჩი და მისი დირექტივა 10-289, უბადრუკი ცხოველები, მუცელზე რომ დახოხავდნენ და ღრუტუნებენ, არავითარი გონება არ არსებობსო!.. მის ტაგარტ, — ქუენტინმა აღტაცებით გადაიხარხარა, — მეკითხებოდა, მივატოვებდი თუ არა ამ ყველაფერს, მასთან ერთად რომ წავსულიყავი! იძულებული გახდა, მეორედაც ეკითხა, რადგან პირველად ყურებს არ დავუჯერე, ვერ დავიჯერე, ეს საერთოდ საკითხავი თუ იყო. წავიდოდი? მასთან ერთად ცათამბჯენიდანაც კი გადავეშვებოდი, მისი ფორმულა რომ მომესმინა, ვიდრე ქვაფენილზე დავენარცხებოდით!

— მე თქვენ არ გადანაშაულებთ, — უთხრა ქუენტინს დაგნიმ და ნაღვლიანად, ლამის შურით შეხედა მას, — თანაც, თქვენ მაინც შეასრულეთ თქვენი პირობა, რადგან ძრავის საიდუმლომდე მომიყვანეთ.

— მე აქ მეეზოვე ვიქნები, — თქვა დენიელსმა და მხიარულად ჩაიცინა, — ბატონმა მალიგანმა მითხრა, რომ მეეზოვედ დამნიშნავდა ელექტროსადგურში. როცა საქმეს შევისწავლი, ელექტროტექნიკოსად დამაწინაურებენ. ხომ შესანიშნავი პიროვნებაა მაიდას მალიგანი? სწორედ ასეთი მინდა ვიყო, როდესაც მის ასაკს მივაღწევ. მინდა, ფული ვიშოვო. მილიონები ვიშოვო, იმდენი, რამდენიც მან!

— დენიელს! — გაიცინა დაგნიმ, როდესაც გაახსენდა იმ ახალგაზრდა მეცნიერის მშვიდი თვითკონტროლი, ზედმიწევნითი სიზუსტე და მკაცრი ლოგიკა, ადრე რომ იცნობდა, — რა მოგივიდა? სად ხარ? ხვდები, რას ლაპარაკობ?

— მე აქ ვარ, მის ტაგარტ, და აქ შესაძლებლობების ზღვარი არ არსებობს! ვაპირებ, ყველაზე სახელგანთქმული და მდიდარი ელექტროტექნიკოსი გავხდე მთელ მსოფლიოში! ვაპირებ...

— აპირებ, უკანვე, მალიგანის სახლში დაბრუნდე, — უთხრა გოლტმა, — და დაიძინო ოცდაოთხი საათი, სხვა შემთხვევაში, ელექტროსადგურთან ახლოს მისვლის ნებას არ მოგცემ.

— დიახ, ბატონო, — უპასუხა დენიელსმა მორჩილად.

როდესაც ისინი სახლიდან გამოვიდნენ, მზე უკვე მთის მწვერვალებამდე დაშვებულიყო და ხეობის გარშემო მოკაშკაშე გრანიტისა და თოვლისგან წრე

შემოეხაზა. დაგნის უცებ მოეჩვენა, რომ ამ წრის გადაღმა აღარაფერი აღარ არსებობდა და სურვილი წვავდა, შეეგრძნო მხიარული და თვითკმაყოფილი სიმშვიდე ზღვარდადებულობის განცდითა და იმის ცოდნით, რომ ერთი ადამიანის ინტერესის სფერო მეორის მხედველობის არის სამყაროს ნაწილს შეადგენდა. უნდოდა, ხელები გაეშალა და დაბლა, ქალაქში განლაგებული სახლების სახურავებს ასცდენოდა, თითქოს, ასე თითის წვერებით შეეხებოდა ირგვლივ აღმართულ მთების მწვერვალებს. მაგრამ ხელების აწევა არ შეეძლო; მანქანამდე ახლად ფეხადგმული ბავშვივით მიდიოდა — ერთი ხელით ჯოხზე დაყრდნობილი, მეორით კი გოლტის მხარზე, ნელი და ფრთხილი ნაბიჯებით.

მანქანა გოლტს მაიდას მალიგანის სახლისკენ მიჰყავდა ქალაქის გარეუბანში, დაგნი კი მის გვერდით იჯდა. მალიგანის სახლი მთის ქედზე იდგა. ის ხეობაში ყველაზე დიდი და ერთადერთი ორსართულიანი შენობა იყო, ციხესიმაგრისა და საკურორტო სახლის უცნაური ნაერთი, სქელი გრანიტის კედლებითა და ფართო ღია ტერასებით. გოლტმა მანქანა გააჩერა, დენიელსი რომ გადასულიყო, შემდეგ კი ისევ გაუყვა მიხვეულ-მოხვეულ გზას, რომელიც მთებისკენ მიემართებოდა.

მალიგანის სიმდიდრეზე ფიქრმა, ძვირად ღირებულმა ავტომობილმა და გოლტის ხელების დანახვამ საჭეზე დაგნი პირველად დააინტერესა, ისიც მდიდარი იყო თუ არა. დააკვირდა გოლტის ნაცრისფერ ფართო შარვალსა და თეთრ პერანგს, რომლებიც უბრალო, მაგრამ გამძლე ქსოვილისგან იყო შეკერილი; წვრილი ქამრის ტყავი დამსკდარიყო; მაჯის საათი, რომელიც დროს ზუსტად აჩვენებდა, უჟანგავი ფოლადისგან დამზადებულ უბრალო კორპუსში იყო ჩასმული... ფუფუნებაზე მხოლოდ მისი თმა მიანიშნებდა, რომელიც ქარში გამდნარი ოქროსა და სპილენძის ჭავლებად ირხეოდა...

უეცრად ერთი შესახვევის იქით ქალმა შორეულ ფერმამდე მწვანედ გადაჭიმული საძოვრები დაინახა. ხის ტლანქ ფარდულებსა და საჯინიბოში ცხვრის ფარა და ცხენები შეერეკათ, იქვე მოჩანდა საღორეებიც, მოშორებით კი ლითონისგან ნაგები ანგარი აღმართულიყო, რომელიც ფერმას ნამდვილად არ ეკუთვნოდა.

მწყემსის ღია ფერის პერანგიანი კაცი მათკენ მოიჩქაროდა. გოლტმა მანქანა შეაჩერა და კაცს ხელი დაუქნია, თუმცა დაგნის შეკითხვის გამომხატველი მზერის საპასუხოდ არაფერი უთქვამს. არჩია, როდესაც მოუახლოვდებოდათ, ქალს თავად ეცნო — ეს კაცი დუაიტ სანდერსი იყო.

— გამარჯობა, მის ტაგარტ, — მიესალმა ქალს ღიმილით სანდერსი.

დაგნი უსიტყვოდ შეჰყურებდა მისი პერანგის აკაპიწებულ სახელოებს, უხეშ ჩექმებსა და საქონლის ჯოგს მის გარშემო.

— სულ ეს დარჩა სანდერსის საავიაციო კომპანიისგან, თქვა ქალმა — ამას რატომ ამბობთ, ასე არ არის. ის შესანიშნავი მოდელის მონოპლანიც დარჩა, რომელიც თქვენ გორაკის ფერდობებზე დაგემტვრათ.

— ოჰ, თქვენც გაიგეთ ამის შესახებ? დიახ, ის ერთ-ერთი თქვენი ქმნილება იყო, შესანიშნავი თვითმფრინავი, თუმცა, ვშიშობ, ძალიან დავაზიანე.

— მოგიწევთ შეკეთების საზღაურის გადახდა.

— მგონი, ძირი აქვს გახეთქილი. მას ვერავინ ვერ შეაკეთებს.

— მე შევაკეთებ, მერწმუნეთ, მის ტაგარტ.

ასეთი თბილი, მეგობრული ტონი დაგნის უკვე წლები იყო, აღარ მოესმინა, და იმედიც, რომ ოდესმე კვლავ გაიგონებდა, დიდი ხნის წინ დაკარგვოდა, თუმცა მან მხოლოდ მწარედ ჩაიცინა.

— ამას როგორ მოახერხებთ? — იკითხა ქალმა, — ღორების ფერმაში შეაკეთებთ თვითმფრინავს?

— რა თქმა უნდა, არა — სანდერსის საავიაციო კომპანიაში.

— სად არის ის?

— მაინც სად გეგონათ? ნიუ-ჯერსიში მდებარე იმ შენობაში, რომელიც ტინკი ჰოლოვეის ბიძაშვილმა შეისყიდა ჩემი გაკოტრებული მემკვიდრეებისგან სახელმწიფო სესხის მიღებისა და გადასახადების დამალვის მეშვეობით? იმ შენობაში, სადაც მან ექვსი ისეთი თვითმფრინავი შექმნა, რომლებმაც აფრენაც კი ვერ მოახერხეს, რვა კი აფრენისთანავე ავარიულად დაეშვა და თითოეულში მსხდომი ორმოცივე მგზავრი დაიღუპა?

— მაშინ სად არის საავიაციო კომპანია?

— იქ, სადაც მე ვარ.

კაცმა გზის გადაღმა მიუთითა. ხეობის ძირში ფიჭვის ხეების კენწეროებს შორის დაგნიმ მართკუთხა ფორმის აეროდრომი დაინახა.

— ჩვენ აქ რამდენიმე თვითმფრინავი გვაქვს და მათი მოვლა მე მევალება, — თქვა სანდერსმა, — ღორების ფერმის მეპატრონე და აეროდრომის თანამშრომელი ვარ.

წარმატებით ვაწარმოებ შებოლილ ღორის ხორცსა და ლორს იმ ადამიანების გარეშე, რომლებისგანაც ადრე ვყიდულობდი ამ პროდუქტებს. მაგრამ მათ არ შეუძლიათ, ჩემ გარეშე შექმნან თვითმფრინავები და ჩემ გარეშე ვერც შებოლილ ხორცსა და ლორს ვერ ამზადებენ.

— მაგრამ არც თქვენ აწარმოებთ თვითმფრინავებს ამჟამად — არ ვაწარმოებ. არც დიზელის ძრავებს ვაწარმოებ, როგორც ერთხელ დაგპირდით. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ, მხოლოდ ერთი ტრაქტორი შევქმენი, ისიც ხელით ავაწყვე, რადგან მასობრივი წარმოება საჭირო არ იყო, თუმცა მისი წყალობით რვასაათიანი სამუშაო დღე ოთხ საათამდე შემცირდა, — სანდერსმა თავისუფალი ადამიანის მეფური მედიდურობით მიუთითა ხეობის გადაღმა; დაგნიმ თვალი გააყოლა მის ხელს და შორეული მთების ფერდობებზე შეფენილი ბაღების მწვანე ტერასები დაინახა, — მოსამართლე ნარაგანსეტის ქათმებისა და რძის ფერმა, — მერე სანდერსის ხელმა ჯერ ხეობის ძირას მომწვანო ოქროსფერ გრძელ ზოლზე გადაინაცვლა, შემდეგ კი მუქი მწვანე ზოლისკენ, — მაიდას მალიგანის ხორბლის ყანები და თამბაქოს ნარგავები, — ახლა ფოთლების მბზინავი მწკრივებით დასერილი გრანიტის კედლისკენ მიათითა სანდერსმა, რიჩარდ ჰალის ხეხილის ბაღები.

დაგნის თვალები ნელ-ნელა მიჰყვებოდა კაცის ხელის მოძრაობას, ბოლოს როდესაც სანდერსმა დაასრულა, მოკლედ უთხრა:

— გასაგებია.

— ახლა ხომ გჯერათ, რომ მე შემიძლია თქვენი თვითმფრინავის შეკეთება?

ჰკითხა კაცმა.

— დიახ, მაგრამ თუ ნახეთ ის?

— რა თქმა უნდა. მაიდასმა მაშინვე გამოუძახა ორ ექიმს — ჰენდრიკსს თქვენ სამკურნალოდ და მე — თვითმფრინავის შესაკეთებლად. მისი შეკეთება შესაძლებელია, თუმცა ეს ძვირად ღირებული სამუშაოა.

— რამდენი დაჯდება?

— ორასი დოლარი.

— ორასი დოლარი? — გაიმეორა ქალმა ურწმუნოდ, რადგან ფასი ძალიან დაბალი მოეჩვენა.

— ოქროთი, მის ტაგარტ.

— ოჰ!.. სად შემიძლია ოქროს ყიდვა?

— თქვენ არ შეგიძლიათ, — უპასუხა გოლტმა.

ქალმა გამომწვევად შეხედა ჯონს:

— არა?

— არ შეგიძლიათ იქ, საიდანაც მოხვედით. თქვენი კანონებით ეს იკრძალება.

— თქვენი კი არ კრძალავს?

— არა.

— მაშინ მომყიდეთ. თქვენ თვითონ აირჩიეთ ვალუტის კურსი. დაასახელეთ ნებისმიერი თანხა და ჩემი ფულით გადაგიხდით.

— რომელი ფულით? თქვენ ერთი ცენტიც კი არ გაგაჩნიათ, მის ტაგარტ.

— რა? — ტაგარტების მემკვიდრე ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ასეთ სიტყვებს ეტყოდნენ.

— თქვენ ღატაკი ხართ ამ ხეობაში. თქვენ მილიონობით დოლარს ფლობთ ტაგარტის სარკინიგზო კომპანიის აქციებით, მაგრამ ეს ფული ერთ გირვანქა ღორის შებოლილ ხორცსაც ვერ გაყიდინებთ სანდერსის ღორების ფერმიდან — გასაგებია.

გოლტმა გაიღიმა და სანდერსს მიუბრუნდა:

— წადი და შეაკეთე თვითმფრინავი. მის ტაგარტი ბოლოს დაფარავს ყველა ხარჯს.

ჯონმა მანქანა დაქოქა და გზა განაგრძო, ქალი კი გახევებული უხმოდ იჯდა მის გვერდით.

გზის ბოლოს წამომართულ კლდეებს ერთმანეთისგან მუქი ფირუზისფერი ზოლი ყოფდა; დაგნი უცებ ვერც კი მიხვდა, რომ ეს ტბა იყო. მისი უძრავი ზედაპირი ცის სილურჯესა და ფიჭვის ხეებით დაფარული მთების სიმწვანეს ისეთი ხასხასა, წმინდა ფერით დაეფერა, რომ ცა მქრქალი ნაცრისფერი მოჩანდა. ფიჭვებს შორის აქაფებული წყლის ზოლი ამოდიოდა და დამდგარ წყალში გაუჩინარებამდე კლდოვან ფერდობებზე იღვრებოდა. ნაკადულის პირას კი გრანიტის პატარა ნაგებობა იდგა.

ზუსტად იმ დროს, როდესაც გოლტმა მანქანა გააჩერა, ღია კარის ზღურბლიდან სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილმა ახოვანმა კაცმა გადმოაბიჯა. ეს კაცი დიკ მაკნამარა აღმოჩნდა, რომელიც ერთ დროს დაგნის საუკეთესო მოიჯარე იყო.

— დღე მშვიდობისა, მის ტაგარტ! — მიესალმა მაკნამარა ქალს მხიარულად, — მოხარული ვარ — როგორც ვხედავ, ძალიან არ დაშავებულხართ.

ქალმაც დაუქნია თავი ჩუმი მისალმების ნიშნად — თითქოს წარსულის დანაკარგსა და ტკივილს ესალმებოდა, იმ სევდიან საღამოსა და ედი უილერსის სასოწარკვეთილ გამომეტყველებას, როდესაც მან დაგნის მისი მოიჯარის გაუჩინარების შესახებ შეატყობინა. „ძალიან არ დაშავებულხართ?“ — გაიფიქრა დაგნიმ, — „მე მართლა ძალიან დავშავდი, ოღონდ არა თვითმფრინავის ჩამოვარდნისას, არამედ იმ საღამოს, ცარიელ ოფისში...“

ხმამაღლა კი ეს ჰკითხა:

— აქ რას აკეთებთ? ის რას ნიშნავდა, ყველაზე მძიმე დროს რომ მიღალატეთ?

კაცმა გაიღიმა, მან ქვის ნაგებობაზე და ქვემოთ, კლდოვან ფერდობზე მიუთითა, სადაც წყალი მიედინებოდა ბუჩქნარისკენ:

— მე აქ კომუნიკაციების ზედამხედველი ვარ, — თქვა მან, — წყლის, ელექტროდა სატელეფონო გაყვანილობას ვაქცევ ყურადღებას.

— ამას მარტო აკეთებთ?

— ადრე მარტო ვაკეთებდი. მაგრამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენი რიცხვი ისე გაიზარდა, რომ დასახმარებლად სამი კაცის აყვანა მომიხდა.

— რომელი კაცების? საიდან?

— ერთი მათგანი ეკონომიკის პროფესორია, რომელმაც ამ ხეობის გარეთ სამსახური ვერ იშოვა, რადგან ასწავლიდა, რომ არ შეიძლება, იმაზე მეტი მოიხმარო, ვიდრე აწარმოებ. მეორე ისტორიის პროფესორია. ვერც მან იპოვა სამუშაო, რადგან ასწავლიდა, რომ ეს ქვეყანა ჯურღმულების მცხოვრებლებს არ შეუქმნიათ, მესამე კი ფსიქოლოგიის პროფესორია და, რაკი ასწავლიდა, რომ ადამიანებს ფიქრი შეუძლიათ, სამსახური სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ იშოვა.

— ისინი თქვენთან სანტექნიკოსებად და გაყვანილობის ოსტატებად მუშაობენ?

— გაოცდებით, რომ ნახავთ, რა კარგად გამოსდით ეს საქმე.

— და ვის დაუტოვეს ჩვენი სასწავლებლები?

— მათ, ვინც იქ სჭირდებათ. — ჩაიცინა მაკნამარამ, — რამდენი ხნის წინ გიღალატეთ, მის ტაგარტ? ჯერ სამი წელიც არ იქნება გასული, ხომ ასეა? მე „ჯონ გოლტის ხაზის“ გაყვანაზე გითხარით უარი. სადაა ახლა თქვენი სარკინიგზო ხაზი? ჩემი ხაზების სიგრძე კი ამ წლების მანძილზე მალიგანის გაყვანილი ორიოდე მილიდან მილსადენებისა და სადენების ასეულობით მილამდე გაიზარდა მთელ ხეობაში.

მან დაგნის სახეზე სწრაფი და უნებლიე ინტერესი შენიშნა, საქმეში ჩახედული ადამიანის მიერ დაფასების გამოხატულება; მაკნამარამ გაიღიმა, ქალის თანმხლებს მიაშტერდა და მშვიდად თქვა:

— თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, მის ტაგარტ, რომ „ჯონ გოლტის ხაზს“ რაც შეეხება, მგონი, სწორედ მე მივყევი ბოლომდე ამ საქმეს, ეს თქვენ უღალატეთ მას. დაგნიმ გოლტს შეხედა. ჯონი უყურებდა, თუმცა ქალმა მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა.

როდესაც ტბის ნაპირზე მიდიოდნენ მანქანით, დაგნიმ იკითხა:

— თქვენ ეს მარშრუტი განგებ დაგეგმეთ, ხომ? ყველას მაჩვენებთ, ვინც... — ქალი გაჩერდა, რადგან თვითონაც ვერ ხვდებოდა, რატომ, მაგრამ არ სურდა, ეს ეთქვა და ამის ნაცვლად თქვა, — ვინც კი დავკარგე?

— მე ყველას გიჩვენებთ, ვინც კი თქვენგან წავიყვანე, — უპასუხა გოლტმა მკაცრი ხმით.

დაგნიმ გაიფიქრა, რომ სწორედ ეს იყო საფუძველი გოლტის უდანაშაულო იერის:

ჯონმა გამოიცნო და თქვა სწორედ ის სიტყვები, რომლებიც დაგნის სურდა, მისთვის აეცილებინა — უარყო ქალის მცდელობა, შეერბილებინა ფრაზა, ისევე, როგორც უარყო ის ყველაფერი, რაც მის ღირებულებებს არ ეფუძნებოდა და, საკუთარი ურყევი სიმართლით ამაყმა, იმით დაიტრაბახა, რაშიც ქალი მის დადანაშაულებას აპირებდა.

დაგნიმ მათ წინ ტბაზე ხისგან ნაგები ნავმისადგომი დაინახა. მზით განათებულ ფიცარნაგზე ახალგაზრდა ქალი იწვა და ანკესის ბატარეას შესცქეროდა. მანქანის ხმაზე მან მაღლა აიხედა, უცბად წამოხტა და გზისკენ გაიქცა. მუხლს ზემოთ აკეცილი ფართო შარვალი ეცვა, მუქი გაბურძგნილი თმა და დიდი თვალები ჰქონდა.

გოლტმა მას ხელი დაუქნია..

— სალამი, ჯონ! როდის ჩამოხვედი? — დაუძახა ქალმა გოლტს.

— ამ დილით, — უპასუხა გოლტმა ღიმილით და გზა განაგრძო.

დაგნიმ უკან მიაბრუნა თავი და დაინახა, თუ როგორი მზერით შესცქეროდა ახალგაზრდა ქალი გოლტს. მართალია, მორჩილი უმწეობა ამ მზერაში გამოხატული თაყვანისცემის ნაწილი იყო, დაგნიმ მაინც იგრძნო რაღაც ისეთი, რაც მანამდე არასოდეს განეცადა: ეჭვიანობით გამოწვეული ტკივილი.

— ეს ქალი ვინ არის? — იკითხა მან.

— თევზის საუკეთესო გამყიდველია. ის ამარაგებს ჰემონდის სასურსათო მაღაზიას თევზით.

— კიდევ?

— თქვენ უკვე შენიშნეთ, რომ ყველანი, ვინც აქ ვცხოვრობთ, კიდევ რაღაც ვართ? ის მწერალია. ისეთი მწერალი, რომლის ნაწარმოებებს ხეობის გარეთ არ დაბეჭდავდნენ. მისი აზრით, ადამიანს, რომელსაც საქმე აქვს სიტყვებთან, გონებასთანაც აქვს კავშირი.

მანქანა ვიწრო შესახვევში შევიდა, რომელიც მაღლა, ბუჩქებითა და ფიჭვის ხეებით დაბურული უკაცრიელი ადგილისკენ მიემართებოდა. დაგნიმ იცოდა, რაც მოხდებოდა, როდესაც ხეზე მიმაგრებული ხელნაკეთი აბრა დაინახა, ისრით გზისკენ:

ბუენა ესპერანსას გასასვლელი.

სინამდვილეში, ეს გასასვლელი კი არა, ლითონით დაფარული კლდის კედელი იყო, რომლის ვიწრო შვერილებში ვაზივით დახვეულიყო ერთმანეთში გადახლართული მილები, ტუმბოები და სარქველები. კედლის მაღლა ხის უზარმაზარი წარწერა დაემაგრებინათ და მისი ასოების ამაყი ძალა, რომელიც გადასცემდა შეტყობინებას გვიმრებისა და ფიჭვების გაუვალ ტევრს, უფრო მეტად სახასიათო და ნაცნობი ჩანდა, ვიდრე თავად სიტყვები: ელის უაიატი.

სწორედ ნავთობი იღვრებოდა კაშკაშით მილის პირიდან კედლის ძირას დადგმულ ავზში, როგორც ქვაში მიმდინარე უზარმაზარი საიდუმლო ბრძოლის ერთადერთი აღიარება, როგორც რთული მექანიზმის მანქანების მოკრძალებული მიზანი, მაგრამ ეს მანქანები სულაც არ ჰგავდა ჭაბურღილის ამწე დანადგარს და დაგნიმ იცოდა, რომ ის ახლა ბუენა ესპერანსას გასასვლელის მომავალ საიდუმლოს უმზერდა, რომ ეს თიხოვანი ფიქლისგან ნავთობის მიღების ის მეთოდი იყო, რომელიც ადამიანებს შეუძლებელი ეგონათ.

ელის უაიატი ქედზე იდგა და კლდეში დატანებული მანომეტრის მინის ციფერბლატს უყურებდა. მან დაინახა, რომ ქვემოთ მანქანა ჩერდებოდა და დაიძახა:

— სალამი, დაგნი! ახლავე ჩამოვალ!

უაიატთან ერთად ორი კაცი მუშაობდა: ერთი ჩაფსკვნილი, დაკუნთული ტიპი კედლის შუაში დამაგრებულ ტუმბოსთან, ახალგაზრდა ბიჭი კი მიწაზე მდგარ ავზთან. ჭაბუკს ქერა თმა და უჩვეულო უმანკოების გამომხატველი სახე ჰქონდა.

დაგნი დარწმუნებული იყო, რომ ეს სახე ადრეც ენახა, მაგრამ სად, ვერ იხსენებდა. ბიჭმა მისი გაოცებული მზერა შენიშნა, გაიღიმა და, თითქოს გახსენებაში ეხმარებოდა, ჰალის მეხუთე სიმფონიის პირველი ნოტები დაუსტვინა ჩუმად და გაურკვევლად. ახალგაზრდა ტაგარტების კომპანიის სწრაფმავალი მატარებლის, „კომეტას“ მემანქანის თანაშემწე იყო.

დაგნის გაეცინა:

— ეს რიჩარდ ჰალის მეხუთე სიმფონია იყო, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ბიჭმა, — მაგრამ, როგორ გგონიათ, მე ამას მოღალატეს ვეტყოდი?

— ვის?

— რისთვის გიხდი ფულს? — მიუახლოვდა ბიჭს ელის უაიატი; ბიჭმა ჩაიცინა და თავის სამუშაოს დაუბრუნდა, — მის ტაგარტს არ შეუძლია შენი დათხოვნა სამსახურიდან უსაქმურობის გამო, მე კი შემიძლია.

— მის ტაგარტ, ეს არის სწორედ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დავანებე რკინიგზაზე მუშაობას თავი, — თქვა ბიჭმა.

— იცოდი, რომ ის მე წავიყვანე თქვენგან? — ჰკითხა ქალს უაიატმა, — ადრე საუკეთესო კონდუქტორი იყო, ახლა კი ჩემი საუკეთესო მექანიკოსია, თუმცა ბოლომდე არც ერთ ჩვენგანთან არ გაჩერდება.

— აბა, ვისთან დარჩება სამუდამოდ?

— რიჩარდ ჰალისთან. მუსიკასთან. ჰალის საუკეთესო მოსწავლეა.

დაგნის გაეღიმა.

— ვიცი, რომ ეს ის ადგილია, სადაც არისტოკრატებს ყველაზე დამამცირებელ საქმეს აკეთებინებენ.

— მართალია, აქ მართლაც ყველა არისტოკრატია, — უპასუხა უაიატმა, — რადგან მათ იციან, რომ არ არსებობს დამამცირებელი სამუშაო — არსებობენ მხოლოდ გაფუყული ადამიანები, რომლებიც თაკილობენ ასეთი სამუშაოს შესრულებას.

დაკუნთული ტიპი მათ ზემოდან დაჰყურებდათ და საუბარს ინტერესით ისმენდა. დაგნიმ ახედა, ის სატვირთო მანქანის მძღოლს ჰგავდა.

— გარეთ რას საქმიანობდით? ალბათ, შედარებითი ფილოლოგიის პროფესორი იქნებოდით, არა? — ჰკითხა მას დაგნიმ.

— არა, ქალბატონო, — უპასუხა კაცმა, — სატვირთო მანქანის მძღოლი ვიყავი.

თან დაამატა, — თუმცა არ მსურდა, მძღოლად დავრჩენილიყავი.

ელის უაიატი იქაურობას ახალგაზრდული სიამაყით ათვალიერებდა, თითქოსდა აღიარების სულსწრაფი მოლოდინით: ეს მასპინძლის სიამაყეს ჰგავდა სტუმრების ოფიციალური მიღებისას, მხატვრის მოუთმენლობას გალერეაში თავისი გამოფენის გახსნის წინ. ქალმა გაიღიმა და მექანიზმზე მიუთითა:

— თიხოვანი ფიქლისგან მიღებული ნავთობი?

— კი.

— ეს სწორედ ის მეთოდია, რომლის განვითარებაზეც მუშაობდით დედამიწაზე ყოფნის დროს? — წამოსცდა დაგნის უნებურად და ცოტათი შეაკრთო კიდეც თავისმა სიტყვებმა.

უაიატმა გაიცინა.

— ჯოჯოხეთში ყოფნის დროს — კი. ახლა ვარ დედამიწაზე.

— რამდენს აწარმოებთ?

— დღეში ორას ბარელს.

დაგნის ხმას ისევ სევდა დაეტყო:

— ეს სწორედ ის მეთოდია, რომლის საშუალებითაც ერთ დროს დღეში ხუთი ცისტერნის გავსებას გეგმავდით.

— დაგნი, — თქვა უაიატმა გულწრფელად და თავის ავზზე მიუთითა, — აქ ერთი გალონი ნავთობი უფრო ღირებულია ჩემთვის, ვიდრე მთელი ვაგონი იქ, ჯოჯოხეთში — რადგან ეს ჩემია, სულ მე მეკუთვნის, მისი თითოეული წვეთი მხოლოდ ჩემთვის დაიხარჯება. — მან დასვრილი ხელი მაღლა ასწია და ცხიმის ლაქები საგანძურივით უჩვენა ქალს, ნავთობის შავი წვეთი კი მზეზე მბრწყინავი ძვირფასი ქვასავით

ციალებდა მისი თითის წვერზე, — ჩემი, — გაიმეორა უაიატმა, — ნუთუ მათ ამ სიტყვის მნიშვნელობა, მისი ძალა დაგავიწყეს? საკუთარ თავს უნდა მისცე შესაძლებლობა, ხელახლა ისწავლო ეს სიტყვა.

— თქვენ სადღაც უკაცრიელ და მიგდებულ ადგილზე იმალებით, — უთხრა დაგნიმ ნაღვლიანი ხმით, — და დღეში ორას ბარელ ნავთობს აწარმოებთ, მაშინ, როდესაც ამ რაოდენობით შეგეძლოთ, მთელი მსოფლიო წაგელეკათ.

— რისთვის? მძარცველების გამოსაკვებად?

— არა! იმ სიმდიდრის მოსაპოვებლად, რომელსაც იმსახურებთ.

— კი მაგრამ, მე ახლა უფრო შეძლებული ვარ, ვიდრე დედამიწაზე ყოფნის დროს ვიყავი. რა არის ქონება, თუ არა სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალება? ამისთვის კი ორი გზა არსებობს: უფრო მეტის წარმოება ან უფრო სწრაფად წარმოება.

და მეც სწორედ ამას ვაკეთებ: დროს ვაწარმოებ.

— რას გულისხმობთ?

— მე ყველაფერს ვაწარმოებ, რაც კი მჭირდება, ვმუშაობ ჩემი მეთოდების გაუმჯობესებაზე და ყოველი დაზოგილი საათით სიცოცხლის წლებს ვიხანგრძლივებ.

ადრე ასეთი ავზის ავსებას ხუთ საათს ვანდომებდი, ახლა კი სამი საათიც მყოფნის. ეს ორი დაზოგილი საათი მე მეკუთვნის, ნამდვილად ჩემია, იმ შეგრძნებასავით, თითქოს ჩემი დასაფლავების დრო ყოველი ხუთი საათიდან დაზოგილი ორით იქით იწევა. ეს ერთი საქმიდან გამოთავისუფლებული ორი საათია, რომელიც სხვა რამეში შეიძლება დაიხარჯოს — ამ დროში შეგიძლია, იმუშაო, განვითარდე, წინ წაიწიო.

ეს ჩემი შემნახველი ანგარიშია. ნუთუ არსებობს რაიმე სახის სეიფი, რომელშიც გარეთ ეს ანგარიში დაცული იქნება?

— კი მაგრამ, რა სივრცე გაქვთ განვითარებისთვის? სად არის თქვენი ბაზარი?

უაიატმა ჩაიცინა.

— ბაზარი? მე ახლა სარგებლობისთვის ვმუშაობ და არა მოგებისთვის — ჩემი საკუთარი სარგებლობისთვის და არა მძარცველების მოგებისთვის. ჩემს ბაზარს მხოლოდ ისინი ქმნიან, ვინც რაიმეს სძენენ ჩემს ცხოვრებას, და არა შთანთქავენ მას. მხოლოდ მათ შეუძლიათ, ბაზარი შექმნან ვინმესთვის, ვინც რაიმეს აწარმოებს და არა იმათ, ვინც მას მოიხმარს. მე საქმე სიცოცხლის მიმნიჭებლებთან მაქვს და არა კაციჭამიებთან. თუ ჩემი ნავთობის წარმოება ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, მაშინ ნაკლებსაც ვითხოვ იმ ადამიანებისგან, რომლებზეც ვყიდი მას სხვა საჭირო ნივთების შესაძენად. მე ამ ადამიანების ცხოვრების დროს ვახანგრძლივებ თითოეული გალონი ჩემი ნავთობით, რომელსაც ისინი მოიხმარენ. და რადგან ისინიც ზუსტად ჩემნაირები არიან, თვითონაც იგონებენ უფრო სწრაფ მეთოდებს ამ ნივთებისა და პროდუქტების საწარმოებლად — ასე რომ, თითოეული მაძლევს მე დამატებით წუთს, საათს და დღეს იმ პურის, ტანსაცმლის, ხე-ტყის მასალის, ლითონის საშუალებით, რომლებსაც მათგან ვყიდულობ, — უაიატმა გოლტს შეხედა, — კიდევ ერთი მომატებული წელიწადი ყოველთვიურად შეძენილი ელექტროენერგიის მეშვეობით; ესაა სწორედ ჩვენი ბაზარი და ის ასეთნაირად მუშაობს ჩვენთვის აქ — თუმცა გარეთ საქმე სულ სხვაგვარად იყო. რა არხის საშუალებით ღვრიდნენ და აშრობდნენ ისინი ჩვენს დღეებს, სიცოცხლესა და ენერგიას? უფასოდ მიღებული საქონლის უძირო, უფორმო საკანალიზაციო მილის საშუალებით? ჩვენ აქ მიღწევებით ვვაჭრობთ და არა მარცხით, ღირებულებებით და

არა საჭიროებებით. ჩვენ არ ვართ ერთმანეთზე დამოკიდებული, თუმცა ერთად ვვითარდებით. სიმდიდრე, დაგნი? ამაზე მეტი სიმდიდრე რა უნდა იყოს, როდესაც შენ განაგებ შენს ცხოვრებას და მას შენივე განვითარებისთვის იყენებ? ყოველი ცოცხალი არსება უნდა განვითარდეს, უმოძრაოდ არ გაჩერდეს. ის ან უნდა განვითარდეს, ან დაიღუპოს. შეხედე, — უაიატმა ქალს ერთი მცენარისკენ მიუთითა, რომელიც მაღლა გაწოლილი კლდის სიმძიმეს ებრძოდა. მას უთანასწორო ბრძოლისგან გამრუდებული გრძელი დაკოჟრილი ღერო და ფოთლების უფორმო, ყვითელი ნარჩენები ჰქონდა, ერთადერთი მწვანე ყლორტი კი უკანასკნელი გამოფიტული ძალებით სასოწარკვეთილი მიმართულიყო მზისკენ, — აი, სწორედ ამას გვიკეთებდნენ ჩვენ იმ ჯოჯოხეთში. და როგორ გგონია, მე დავემორჩილებოდი?

— არა, — ჩურჩულით უპასუხა ქალმა.

— გგონია, ის დაემონებოდა ამას? — უაიატმა გოლტზე მიუთითა.

— ო, ღმერთო, რა თქმა უნდა, არა!

— მაშინ აღარაფერი გაგიკვირდეს ამ ხეობაში.

დაგნის ხმა აღარ ამოუღია, როდესაც მათ მანქანით გზა განაგრძეს. გოლტიც დუმდა.

შორეული მთის ფერდობზე, ტყის სიმწვანეში, დაგნიმ საათის ისრის ფორმის ფიჭვის ხე დაინახა, რომელიც მხედველობის არიდან მალევე გაქრა. მიხვდა, რომ ეს ადამიანის ნახელავი უნდა ყოფილიყო.

— აქ ვინ არის ტყისმჭრელი? — იკითხა დაგნიმ.

— ტედ ნილსენი.

წინ უფრო ფართო მოსახვევები ჩნდებოდა და დაღმართებიც ნაკლებად იყო დაქანებული, აქეთ-იქით კი გორაკები მოჩანდა. დაგნიმ დაინახა მუქი ყავისფერი ფერდობი, რომელიც შუაზე გაეყო ორი სხვადასხვა შეფერილობის მწვანედ მოხასხასე ნარგავებს: ერთ ნაწილზე მუქი მწვანე ფერის კარტოფილი დაერგოთ, მეორეზე კი ღია მომწვანო-მოვერცხლისფრო ფერის კომბოსტო. წითელ პერანგში გამოწყობილი კაცი ტრაქტორს მართავდა და ნარგავებს სარეველასგან ასუფთავებდა.

— ვინ არის ეს კომბოსტოს მაგნატი? — იკითხა ქალმა.

— როჯერ მარში.

დაგნიმ თვალები დახუჭა და წარმოიდგინა სარეველა ბალახი, რომელიც დახურული ქარხნის კიბეებსა და გაპრიალებულ წინკარს მოსდებოდა მთებს გადაღმა, რამდენიმე ასეული მილის იქით.

გზა ხეობის ძირში ჩადიოდა. ქვემოთ, ლამის მის ფეხქვეშ, ქალაქის სახლების სახურავები დაინახა, გზის ბოლოს კი მბრწყინავი დოლარის სიმბოლო იდგა. გოლტმა მანქანა პირველივე ნაგებობასთან შეაჩერა ქალაქის თავზე გადმოკიდებულ ქედზე; აგურის შენობასთან, რომლის საკვამურიდან წითლად შეფერილი კვამლი იკლაკნებოდა. დაგნი ძალიან გააკვირვა კარის თავზე დამაგრებულმა ნიშანმა: „სტოკტონ ფაუნდრი“ — ამ ადგილისთვის მეტისმეტად თანმიმდევრული ჩანდა.

როდესაც ხელჯოხზე დაყრდნობილი დაგნი დღის სინათლიდან ჩაბნელებულ საამქროში შევიდა, ნაწილობრივ სიძველის შეგრძნებამ, ნაწილობრივ კი ნოსტალგიურმა განწყობამ განაცვიფრა. ეს სწორედ ის სამრეწველო აღმოსავლეთის რაიონი იყო, რომელსაც ქალს რამდენიმე საათის წინ თითქოს საუკუნეები აშორებდა. აი, ძველი, ნაცნობი და საყვარელი სანახაობაც — ფოლადის ნივნივებამდე აწელილი

მოწითალო კვამლი, უხილავი ადგილებიდან გაჩენილი ნაპერწკლები, შავ ბურუსში უეცრად გაელვებული ალის ენები, თეთრი ლითონისგან გავარვარებული ქვიშა.

შენობის კედლები ბურუსს დაეფარა და გეგონებოდა, თანდათან აქრობდა მას.

ერთ წუთში შენობა თითქოს კოლორადოში მდებარე სტოკტონის გაჩერებულ ლითონის ჩამოსასხმელ საამქროდ იქცა, ეს ნილსენის ძრავების მწარმოებელი კომპანია იყო... რიერდენის ფოლადის კომპანია.

— სალამი, დაგნი!

ბურუსიდან ენდრიუ სტოკტონი გამოვიდა მოღიმარი სახით და დაგნის ისეთი თავდაჯერებული სიამაყით გამოუწოდა დასვრილი ხელი, ვითომ იმ მომენტში ქალის მთელი ყურადღება მისი ხელისგულისკენ ყოფილიყო მიპყრობილი.

დაგნიმ მას ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობა, — მიესალმა ენდრიუს წყნარი ხმით, თითქოს არც კი იცოდა, თავის წარსულს ესალმებოდა თუ მომავალს. შემდეგ თავიც დაუკრა და მიმართა, — როგორ მოხდა, რომ თქვენ არც კარტოფილი მოგყავთ და არც მეწაღე გახდით? ფაქტობრივად, თქვენი პროფესია შეინარჩუნეთ.

— ოჰ, მეწაღე ნიუ-იორკის ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიის მფლობელი კელვინ ეტვუდია. გარდა ამისა, ჩემი პროფესია ყველაზე ძველი და, ამავე დროს, ყველაზე საჭიროა. თუმცა ბრძოლაც მომიწია ამისთვის, რადგან ჯერ მეტოქე უნდა დამემარცხებინა.

— რაა?

ენდრიუმ ჩაიცინა და ქალს მზით განათებული ოთახის მინის კარზე მიუთითა.

— იქაა ჩემი დამარცხებული მეტოქე.

დაგნიმ ოთახში გრძელ მაგიდაზე დახრილი ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელიც საბურღი ჩარხის ყალიბის რთულ მოდელზე მუშაობდა, პიანისტივით ნაზი და მოხერხებული ხელებით, გამომეტყველება კი იმ ქირურგისა ჰქონდა, ოპერაციას რომ ატარებს.

— ის მოქანდაკეა, — თქვა სტოკტონმა, — როდესაც აქ მოვედი, მასა და მის ამხანაგს სამჭედლოსა და შესაკეთებელი პუნქტის მსგავსი რაღაც ჰქონდათ გახსნილი.

მე კი ნამდვილი ლითონის ჩამოსასხმელი საამქრო გავაკეთე და მათ ყველა კლიენტი წავართვი. ამ ბიჭს არ შეეძლო იმის გაკეთება, რისიც მე, ეს მისთვის მხოლოდ ნახევარგანაკვეთური სამუშაო იყო, მისი ნამდვილი ხელობა კი სკულპტორობაა, მაგრამ ის მაინც მოვიდა ჩემთან სამუშაოდ. აქ გაცილებით ნაკლებ დროში უფრო მეტ ფულს შოულობს, ვიდრე თავის ლითონის ჩამოსასხმელ საამქროში. მისი პარტნიორი ქიმიკოსი იყო, მან სოფლის მეურნეობის სფეროში გააგრძელა საქმიანობა და ისეთი ქიმიური სასუქი შექმნა, რომ მოსავალი ამ ადგილებში ორჯერ გაიზარდა მგონი, კარტოფილი ახსენეთ, არა? — სწორედ კარტოფილის მოსავალი გაზარდა განსაკუთრებულად ამ სასუქმა.

— ასე ხომ შეიძლება, თქვენც გაგაძევოთ ვინმემ ამ საქმიანობიდან?

— რა თქმა უნდა, თანაც ნებისმიერ დროს. მე ვიცნობ ერთ კაცს, ვინც ამას შეძლებს და ალბათ ასეც იზამს, როდესაც აქ მოვა. ოჰ, რა კარგი იქნება, ეს თუ მოხდა! — მზად ვარ, მასთან ნაცრის დამგველადაც კი ვიმუშაო. ის ალბათ რაკეტასავით შემოიჭრება ამ ხეობაში, ყველას წარმოებას გაასამმაგებს.

— ვის გულისხმობ?

— ჰენკ რიერდენს.

— დიახ... — ჩაიჩურჩულა დაგნიმ, — ოჰ, რა თქმა უნდა!

თვითონაც გაუკვირდა, რამ ათქმევინა ეს ასეთი დარწმუნებით. ხვდებოდა, რომ ამ ხეობაში ჰენკ რიერდენის ყოფნა შეუძლებელი იყო, მაგრამ ამავე დროს, იმასაც გრძნობდა, რომ სწორედ აქ იყო ჰენკის ადგილი, მისი ახალგაზრდობის, სადაც მან საქმიანობა დაიწყო. ამ ადგილს ის მთელი ცხოვრება ეძებდა და დაუღალავად იბრძოდა, რომ ეპოვა... დაგნის მოეჩვენა, თითქოს ბურუსში გაელვებული ალის ენები უცნაურ წრეს ხაზავდნენ, ამ დროს კი მას ბუნდოვანი ფიქრი უტრიალებდა გონებაში, რომელიც ოდესღაც უგულებელყოფილ ნათქვამს ახსენებდა: ახალგაზრდობა სამუდამოდ რომ შეინარჩუნო, საბოლოოდ სწორედ იმ ხედვას უნდა დაუბრუნდე, რომლითაც დაიწყე. დაგნის „კომეტის“ ბოლო ვაგონში ნანახი მაწანწალას სიტყვები გაახსენდა: ჯონ გოლტმა ახალგაზრდობის, უკვდავების წყარო აღმოაჩინა და, როგორც პრომეთეს, სურდა, ის ადამიანებისთვის მიეცა. მხოლოდ ეგ არის, გოლტი უკან აღარ დაბრუნებულა... რადგან მიხვდა, რომ ეს, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

უცებ ბურუსში ნაპერწკალმა გაიელვა და დაგნიმ ოსტატის განიერი ზურგი დაინახა, რომელიც ჟესტით ვიღაცას დავალებას აძლევდა. კაცმა თავი მოაბრუნა ბრძანების გასაცემად, ამ დროს ქალმა მისი პროფილი დაინახა და სუნთქვა შეეკრა.

სტოკტონმა ეს შეამჩნია, ჩაიცინა და დაიძახა:

— ჰეი, კენ! მოდი! აქ შენი ძველი მეგობარია!

დაგნის კენ დენეგერი მიუახლოვდა. სახელგანთქმულ მრეწველს — ოდესღაც დაგნი სასოწარკვეთილი რომ ცდილობდა, როგორმე სამუშაო მაგიდასთან დაეკავებინა, — ახლა დასვრილი სამუშაო ტანსაცმელი ეცვა.

— სალამი, მის ტაგარტ. ხომ ვთქვი, რომ ერთმანეთს მალე კიდევ შევხვდებოდით.

დაგნიმ თანხმობისა და მისალმების ნიშნად თავი დაუკრა. ხელით ისევ ჯოხს დაყრდნობილი, მათ ბოლო შეხვედრას იხსენებდა: მოლოდინში გატარებულ იმ საშინელ საათს, შორეულ სახეს სამუშაო მაგიდასთან და მინისპანელიანი კარის მიხურვის ხმას ვიღაც უცნობის ზურგს უკან.

თუმცა ეს ჩაფიქრება ისეთი წამიერი იყო, მის წინ მდგარ ორ კაცს შეიძლებოდა, უბრალო მისალმებად მიეღო, მაგრამ როდესაც თავი ასწია, დაგნიმ გოლტს შეხედა და დაინახა, რომ ის ისე შესცქეროდა, უეჭველად ხვდებოდა, რა ფიქრებიც უტრიალებდა ქალს გონებაში, ხვდებოდა, რომ დაგნიმ იცოდა — იმ დღეს სწორედ გოლტი გავიდა დენეგერის კაბინეტიდან. თუმცა კაცის სახე სხვას არაფერს გამოხატავდა — მხოლოდ მოწიწებულ მორჩილებას, რომლითაც ადამიანი იღებს ფაქტს, რომ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა, A არის A და ამას ვერსად გაექცევი.

— არ მოველოდი, — უთხრა დაგნიმ დენეგერს, — თქვენს კვლავ ნახვას აღარ ველოდი.

დენეგერი კი ქალს ისეთი მოწყალე ღიმილით შესცქეროდა, თითქოს ის იმედის მომცემი ბავშვი ყოფილიყო, რომელიც ოდესღაც თვითონ აღმოაჩინა, და ახლა შედეგით ტკბებოდა.

— ვიცი, — უთხრა მან დაგნის, — მაგრამ მაინც რით ხართ ასე განცვიფრებული?

— მე... ოჰ, ეს ხომ აბსურდია! — წამოიძახა ქალმა და კენს მის ტანსაცმელზე მიუთითა. — რას სჭირს ჩემს ტანსაცმელს?

— ეს არის თქვენთვის გზის ბოლო?

— ჯანდაბა, რა თქმა უნდა არა! ეს ბოლო კი არა, დასაწყისია.

— რა დაისახეთ მიზნად?

— სამთო მრეწველობა, ოღონდ ქვანახშირის კი არა, რკინის მოპოვება.

— სად?

დენეგერმა მთისკენ გაიშვირა ხელი.

— აი, ზუსტად იქ. როდისმე გაგიგიათ, რომ მაიდას მალიგანს წარუმატებლად დაებანდებინოს ფული? განცვიფრდებით, როცა ნახავთ, იმ კლდეში რისი პოვნა შეუძლია ადამიანს, თუ იცის, როგორ მოძებნოს. აი, მეც სწორედ ამას ვაკეთებ — ვეძებ. — და თუ იქ რკინის მადანს ვერ იპოვით?

კაცმა მხრები აიჩეჩა.

— სხვაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. დრო არასდროს მყოფნიდა, იმაზე საფიქრალად კი არასოდეს მეცალა, რაში დამეხარჯა ის.

დაგნიმ სტოკტონს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— თქვენ შემთხვევით იმ კაცს ხომ არ წვრთნით, რომელიც შესაძლოა, ყველაზე საშიშ მეტოქედ გექცეთ?

— მე მხოლოდ ასეთ ადამიანებს თუ დავიქირავებ საქმის საკეთებლად დაგნი, ძალიან დიდხანს ხომ არ იცხოვრეთ მძარცველებს შორის? თქვენც მათსავით ფიქრობთ, რომ ერთი ადამიანის ნიჭი მეორეს საფრთხეს უქმნის?

— ოჰ, არა! მაგრამ მეგონა, მარტო მე ვიყავი დარჩენილი, ვინც ასე არ ფიქრობდა.

— ნებისმიერი, ვისაც ნიჭიერი ადამიანის სამსახურში აყვანის ეშინია, მატყუარაა, რომელიც იმ ბიზნესს მოჰკიდებია, სადაც არაფერი ესაქმება. ჩემთვის ის დამსაქმებელი, ვისაც ადამიანი ნიჭიერების გამო არ აჰყავს სამსახურში, ყველაზე უნამუსოა მთელი დედამიწის ზურგზე და დამნაშავეზე უფრო მეტად საძულველი ამიტომ ყოველთვის ვფიქრობდი... მისმინეთ, რატომ გეღიმებათ?

დაგნი ენდრიუს მართლაც აღფრთოვანებული ღიმილით უსმენდა.

— შემაძრწუნებელი მოსასმენია, — თქვა მან, — რადგან ეს ყველაფერი ისეთი სწორია! — აბა, სხვას რას უნდა ფიქრობდეს ადამიანი ამაზე?

ქალმა ჩუმად ჩაიცინა:

— იცით, პატარა რომ ვიყავი, მეგონა, ყველა ბიზნესმენი სწორედ ასე ფიქრობდა.

— და მას მერე რა მოხდა?

— მას მერე ვისწავლე, რომ ასე სულაც არ არის.

— მაგრამ ეს ხომ სწორი აზროვნებაა, რა, არა?

— მე ვისწავლე, რომ ყოველთვის არ უნდა მოველოდე იმას რაც სწორია.

— მაგრამ ეს ხომ გონივრული მიდგომაა?

— უკვე არც გონივრულობას აღარ მოველი.

— აი, ეს კი დაუშვებელია, — თავი გააქნია კენ დენეგერმა.

გოლტი და დაგნი ისევ მანქანაში ჩასხდნენ და ბოლო დაღმართს დაუყვნენ. ქალმა გოლტს შეხედა და ისიც იმ წუთში მიბრუნდა მისკენ, თითქოს ელოდებოდა დაგნის მზერას.

— თქვენ იყავით იმ დღეს დენეგერის ოფისში, არა? — ჰკითხა გოლტს ქალმა.

— დიახ.

— იცოდით, რომ მე გარეთ ვიცდიდი?

— დიახ.

— იცით, რა რთული იყო ჩემთვის იმ დახურულ კარს მიღმა ლოდინი?

დაგნი ვერ იტყოდა, რას გამოხატავდა გოლტის მზერა. სიბრალულს არა, რადგან შესაბრალებელი თითქოს არაფერი სჭირდა; არც თანაგრძნობას... ცნობისმოყვარეობა უფრო ეთქმოდა.

— დიახ, — უპასუხა გოლტმა მშვიდად, ლამის უდარდელად.

ხეობის ერთადერთ ქუჩაზე მდებარე პირველივე მაღაზია საზაფხულო თეატრს წააგავდა: ეს იყო ყუთის ფორმის ნაგებობა წინა კედლის გარეშე, მუსიკალური კომედიისთვის დამახასიათებელი ფერად-ფერადი დეკორაციით — ნაირფერი კუბებით, მწვანე წრეებით, წითელი და ოქროსფერი სამკუთხედებით. ეს პომიდვრით სავსე ყუთები, სალათის კასრები და ფორთოხლის პირამიდები იყო. ამ ყველაფრის უკან მზეზე მოელვარე მეტალის კონტეინერები მოჩანდა. ფარდულს „ჰემონდის სასურსათო ბაზარი“ ეწოდებოდა. პერანგში გამოწყობილი არისტოკრატიული შესახედაობის კაცი, მკაცრი გამომეტყველებითა და საფეთქელთან შეჭაღარავებული თმით, დახლთან მდგომ მომხიბვლელ ახალგაზრდა ქალს კარაქს უწონიდა. ქალი მოხდენილად იდგა, მოცეკვავესავით, ქარში კაბა ოდნავ უფრიალებდა და სამეჯლისო კოსტიუმს მიუგავდა. დაგნის უნებლიეთ გაეღიმა.

დახლთან ლორენს ჰემონდი იდგა.

ქუჩაზე სულ ერთსართულიანი მაღაზიები ჩარიგებულიყო და დაგნი ძლივს ასწრებდა, მანქანის ფანჯრიდან თვალი შეევლო აბრებისთვის, რომლებზეც მისთვის ნაცნობი სახელები ეწერა. თითქოს წიგნების სათაურებს კითხულობდა: „მალიგანის მაღაზია“ — „ეტვუდის ტყავის ნაწარმი“ — „ნილსენის ხე-ტყის საწყობი“ — შემდეგ კი აგურით ნაგები ერთი პატარა ქარხნის კარზე მიკრული დოლარის სიმბოლო დაინახა წარწერით: „მალიგანის თამბაქოს კომპანია“.

— ვინ ხელმძღვანელობს ამ კომპანიას, გარდა მაიდას მალიგანისა? — იკითხა დაგნიმ. — დოქტორი ექსტონი, — უპასუხა გოლტმა.

გზად რამდენიმე გამვლელიც შემოხვდათ, უფრო მეტად კაცები. სადღაც მიეჩქარებოდნენ საქმიანი იერით, თითქოს რაიმე საგანგებო დავალების შესასრულებლად. გამვლელები რიგრიგობით ჩერდებოდნენ მანქანასთან, გოლტს ხელს უქნევდნენ მისალმების ნიშნად, დაგნის კი ინტერესით შესცქეროდნენ, თუმცა, გაკვირვების გარეშე.

— დიდი ხანია, რაც აქ მომელიან? — იკითხა ქალმა.

— ჯერჯერობით იმედი არ გადაუწურავთ, — უპასუხა გოლტმა.

გზის პირას დაგნიმ ხისკარკასიანი მინის ნაგებობა დაინახა. წუთით მოეჩვენა, რომ ეს შენობა კი არა, პორტრეტის ჩარჩო იყო — მაღალი, სიფრიფანა ქერა ქალის გასაოცრად ლამაზ სახეს სიშორე თითქოს აბუნდოვნებდა, თითქოს მხატვარმა მისი უსაზღვრო სილამაზის მხოლოდ წარმოდგენა შეძლო და არა სრულყოფილად გამოსახვა. წამის შემდეგ ქალმა სახე მოატრიალა და დაგნი მიხვდა, რომ იქ, შიგნით, მაგიდების გარშემო ხალხი იჯდა, ეს კაფეტერია იყო, დახლს იქით მდგომი ქალი კი კინოვარსკვლავი, უმშვენიერესი კეი ლადლოუ აღმოჩნდა; სწორედ ის ვარსკვლავი, ხუთი წლის წინ რომ შეწყვიტა მსახიობობა და გაუჩინარდა, მერე კი მის ნაცვლად ეკრანზე გამოჩნდნენ გოგონები, რომლებსაც თითქმის ერთნაირი სახელები და სახეები ჰქონდათ. მართალია, კეი ლადლოუს დანახვამ დაგნი გააოგნა, მაგრამ უცებ გაახსენდა, როგორ ფილმებს იღებდნენ დღეს და მიხვდა, რომ ეს მინის კაფეტერია, სადაც თავისი მშვენიერებით სტუმრებს იზიდავდა, კეის უფრო მეტად შეეფერებოდა, ვიდრე ის უშინაარსო ფილმები, რომლებიც კინემატოგრაფის გარდასულ დიდებას შეურაცხყოფდნენ.

კაფეტერიის გვერდით საგანგებოდ უხეშად დამუშავებული გრანიტის მომცრო, დაბალი, მკვიდრად ნაგები შენობა იდგა, ოფიციალური სამოსის ნაკეცებივით ზუსტი, სწორი ხაზებით გამოყვანილი — მაგრამ დაგნის წამიერი ხილვასავით დაუდგა თვალწინ ჩიკაგოს ნისლში ცისკენ აზიდული ცათამბჯენი, რომელზეც ოდესღაც

სწორედ ის ნიშანი იყო გამოსახული, ახლა ფიჭვის ხისგან გაკეთებული უბრალო კარის თავზე ოქროს ასოებით რომ ამოეტვიფრათ: „მალიგან ბანკი“. გოლტმა ბანკის შენობასთან ჩავლისას სიჩქარე შეანელა.

ბანკის შემდეგ აგურის პატარა ნაგებობა იდგა, რომელსაც ეწერა: „მალიგანის ზარაფხანა“.

— ზარაფხანა? — იკითხა დაგნიმ, — რას ქმნის მალიგანი ამ ზარაფხანაში?

გოლტმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ორი პატარა მონეტა ამოიღო და ქალს ხელისგულზე დაუდო. ეს იყო ოქროს ორი ელვარე მინიატურული ფირფიტა, უფრო პატარა ზომის, ვიდრე ერთცენტიანი, რომელიც ნათ ტაგარტის დროის შემდეგ მიმოქცევაში აღარ ყოფილა; ცალ მხარეს თავისუფლების ქანდაკება ამოეტვიფრათ, მეორეზე კი ეწერა:

„ამერიკის შეერთებული შტატები — ერთი დოლარი“, თუმცა მათი გამოშვების თარიღიდან ჩანდა, რომ ეს მონეტები ბოლო ორი წლის განმავლობაში უნდა მოეჭრათ.

— აი, ეს არის ის ფული, რომელსაც აქ ვიყენებთ, — თქვა გოლტმა, — მაიდას მალიგანმა მოჭრა.

— კი მაგრამ... რა უფლებამოსილებით?

— ეს მონეტის ორივე მხარეზეა მითითებული.

— ხურდად რაღას ხმარობთ?

— მალიგანი ვერცხლის მონეტებსაც ჭრის. ჩვენს ხეობაში სხვა ვალუტა არ მოქმედებს. ჩვენ მხოლოდ ობიექტურ ღირებულებებს ვაღიარებთ.

ქალი მონეტებს აკვირდებოდა:

— ეს... თითქოს ჩემი შორეული წინაპრების ხანიდან გეგონება.

გოლტმა დაგნის ხეობაზე მიუთითა:

— ცხადია. რა, ესე არ არის?

დაგნი დაჰყურებდა ოქროს ორ თხელ და თითქმის უწონო ფირფიტას თავის ხელისგულზე და ხვდებოდა, რომ ოდესღაც ძლევამოსილი ტაგარტების სარკინიგზო კომპანია სწორედ მათზე იყო დაყრდნობილი, სწორედ ეს იყო ტაგარტთა სადგურების, გზების, ხიდებისა და ცათამბჯენის ყველა თაღისა და კოჭის საყრდენი ქვაკუთხედი... მან თავი გააქნია და მონეტები გოლტს დაუბრუნა.

— თქვენ მე აშკარად არ მინდობთ, — უთხრა ქალმა გოლტს ჩუმი ხმით.

— ვცდილობ, რამდენადაც შესაძლებელია, აუტანელი გავხადო თქვენთვის ეს ყველაფერი.

— ნუთუ არ შეიძლებოდა, სიტყვებს დასჯერებოდით? უბრალოდ, გეთქვათ, რა უნდა შემეტყო.

გოლტმა ხელი გაიშვირა უკან დარჩენილი ქალაქისკენ, გზისკენ და უთხრა:

— როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი უფრო მეტს არ ამბობს?

მათ მდუმარედ გააგრძელეს გზა. ცოტა ხნის შემდეგ დაგნი გოლტს უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის კილოთი შეეკითხა:

— რა ქონება დააგროვა მაიდას მალიგანმა ამ ხეობაში?

მან ხელი წინ გაიშვირა:

— თავად განსაჯეთ.

უსწორმასწორო გზა ახლა საცხოვრებელი სახლებისკენ მიემართებოდა. თუმცა ისინი ქუჩის გასწვრივ კი არ ჩაემწკრივებინათ, არამედ უწესრიგოდ მიმოებნიათ გორაკებზე და დაბლობებზე. პატარა, უბრალო კოტეჯები ადგილობრივი მასალით, უმეტესად ფიჭვითა და გრანიტით იყო ნაგები, მაგრამ საოცრად გონივრულად და

ფიზიკური ძალის უკიდურესი დაზოგვით. ყოველი სახლი მეორისგან განსხვავდებოდა და ერთადერთი ნიშანი, რაც მათ აერთიანებდათ, უაღრესად დიდი გამჭრიახობა იყო. გოლტი დროდადრო დაგნის რომელიმე სახლზე მიუთითებდა და მისი პატრონის სახელს ეუბნებოდა. დაგნისთვის ეს ჩამონათვალი საფონდო ბირჟის ყველაზე შეძლებულ მოთამაშეთა ან კიდევ წარჩინებულთა სიას აგონებდა: „კენ დენეგერი... ტედ ნილსენი... ლორენს ჰემონდი... როჯერ მარში... ელის უაიატი... ოუფენ კელოგი... დოქტორი ექსტონი“. ბოლო სახლი დოქტორ ექსტონს ეკუთვნოდა. ეს მთის ძირას მდგარი პატარა კოტეჯი იყო, მოზრდილი ტერასით. იქით უკვე აღმართი იწყებოდა და გზა ვიწროვდებოდა. ბილიკის ორივე მხარეს ფიჭვის მაღალი ხეები იყო ჩამწკრივებული, რომლებიც ტოტებით ერთმანეთს გადახლართვოდნენ და ამის გამო ბილიკი ბინდში ჩაკარგულიყო. ხეების რიგს შორის მიმავალი გზა უკაცრიელს ჰგავდა, ყველასგან მიტოვებული და დავიწყებული გეგონებოდა. რამდენიმე წუთში ორიოდე მოსახვევის შემდეგ მანქანა თითქოს ადამიანების დასახლებას უამრავი მილით დაშორდა და სიმყუდროვეს დროდადრო ტყის სიღრმეში ჩაღწეული მზის სხივი თუ არღვევდა.

ამ ბილიკის პირას მოულოდნელად წამომართული სახლის დანახვამ დაგნი ისე გააოგნა, თითქოს სროლის ხმა გაეგონოს: სიმარტოვეში მდგარი და გარე სამყაროს სრულიად მოწყვეტილი, განდეგილის საიდუმლო თავშესაფარს თუ გაუქარვებელი მწუხარების ნავსაყუდელს ჰგავდა. ხეობაში ეს ყველაზე უბრალო სახლი იყო. ხის ქოხი მრავალგზის წვიმებს უკვე დაეღარა, ავდრის შემოტევებისთვის მხოლოდ მისი დიდი ფანჯრების გლუვ და მბრწყინავ მინებს გაეძლოთ, რომლებიც მათ მშვიდი, ელვარე, უდრტვინველი უდარდელობით შეეგებნენ.

— ეს ვისი... ოჰ! — დაგნის სუნთქვა შეეკრა და მკვეთრად შემოტრიალდა. კარის თავზე სებასტიან დ'ანკონიას მზის სხივებისგან და ქარისგან გახუნებული და გადახეხილი ვერცხლის გერბი ეკიდა.

თითქოს პასუხად დაგნის უნებლიე მცდელობაზე, გაქცეულიყო, გოლტმა განგებ შეაჩერა მანქანა სახლის წინ. მათ წუთით ერთმანეთს შეხედეს: ქალის მზერა კითხვას გამოხატავდა, კაცის გამოხედვა კი ბრძანებას. დაგნის სახე ამბობდა, რომ ის მზად იყო, მიმხვდარიყო, გოლტს კი შეუვალი სიმკაცრე ეწერა სახეზე; დაგნი მიხვდა გოლტის მოქმედების მიზანს, თუმცა არა მის მიზეზს. ის გოლტს დაემორჩილა და ხელჯოხზე დაყრდნობილი მანქანიდან გადმოვიდა, შემდეგ კი სახლის წინ დადგა წელში გამართული.

მან შეხედა ვერცხლის გერბს, რომელიც ესპანეთიდან, მარმარილოს სასახლიდან, ჯერ ანდებში მდებარე ქოხში მოხვდა, შემდეგ კი კოლორადოში, ამ სახლში აღმოჩნდა. ეს გერბი სწორედ იმ კაცს ეკუთვნოდა, რომელიც არასდროს ნებდებოდა.

სახლის კარი დაკეტილი იყო და მზის შუქი მის ჩაბნელებულ ფანჯრებში ვერ აღწევდა, სახურავზე ფიჭვის ტოტები გადმოწოლილიყო, გეგონებოდა, მის დაცვას, საზეიმოდ დალოცვას ცდილობდა. სიჩუმეს ტყეში ძირს ჩამოვარდნილი ხის ტოტის ან წყლის წვეთის ხმა თუ დაარღვევდა. ეს სიჩუმე თითქოს იფარავდა სიწმინდეს, რომელიც აქ და ასე საიმედოდ იყო დავანებული, ყველასთვის შეუმჩნევლად. დაგნი იდგა, ამ დუმილს მორჩილი და უხმო პატივისცემით უგდებდა ყურს და ფრანცისკოს სიტყვები ახსენდებოდა: „აბა, ვნახოთ, ვის უფრო მეტ პატივს მიაგებს დიდ წინაპარს, შენ — ნათ ტაგარტს, თუ მე — სებასტიან დ'ანკონიას“... „დაგნი! დამეხმარე, რომ იგივე დავრჩე, უარი ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ის მართალია!“

მერე გოლტისკენ მიიხედა. ხვდებოდა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ფრანცისკოს დახმარებას ვერ შეძლებდა — ამ კაცის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. ჯონი ისევ მანქანის საჭესთან იჯდა, ქალს უკან არ გაჰყოლია და არც დახმარება შეუთავაზებია, თითქოს უნდოდა, დაგნის ბოლომდე გაეცნობიერებინა თავისი წარსული და ამავე დროს, პატივსაც სცემდა მისი პირადი გრძნობების ხელშეუხებლობას.

გოლტი ზუსტად ისევე დაჰყრდნობოდა მკლავით საჭეს და თითებიც ისევე ჰქონდა დაშვებული, როგორც მაშინ, დაგნი რომ მანქანიდან გადმოვიდა. მზერა მისკენ მიეპყრო, თუმცა ქალმა მის თვალებში დაჟინებული ყურადღების, ერთგვარი სიფრთხილის გარდა ვერაფერი ამოიკითხა.

როდესაც მანქანაში ჩაჯდა, გოლტმა მას უთხრა:

— ის პირველი იყო, რომელიც თქვენგან წავიყვანე.

ქალმა გამომწვევად, ყინულივით ცივი ხმით ჰკითხა:

— რა იცით ამ ამბის შესახებ?

— მისი სიტყვებიდან — არაფერი, მხოლოდ ის, რასაც მისი ტონით მივხვდი, როდესაც თქვენზე ლაპარაკობდა.

ქალმა თავი ჩაკიდა. მან გოლტის გადამეტებულად მშვიდ ხმაში ტანჯვის ელფერი შენიშნა.

ჯონმა მანქანა დაძრა, ძრავის ხმამ გაფანტა სიჩუმეში დატეული ამბავი და მათ გზა განაგრძეს.

ბილიკი ოდნავ გაფართოვდა და მზეც უფრო მკაფიოდ ანათებდა. როდესაც მდელომდე მიაღწიეს, დაგნიმ ტოტებს შორის დახლართული სადენების ციმციმი შეამჩნია. გორაკის კლდოვან ფერდობზე პატარა, მოკრძალებული ნაგებობა იდგა. ეს იყო ხელსაწყოების შესანახი ფარდულისხელა გრანიტის შენობა, რომელსაც არც ფანჯრები ჰქონდა და არც რაიმე ჭუჭრუტანა, მხოლოდ ერთი ფოლადის კარი ეკიდა და სახურავზე ანტენა ედგა. გოლტს მისკენ არც გაუხედავს, ისე ჩაუარა, მაგრამ დაგნი მოულოდნელად შეეკითხა:

— ეს რა არის?

გოლტს სახეზე ღიმილი გაუკრთა:

— ელექტროსადგური.

— გააჩერეთ, გთხოვთ!

გოლტი დამორჩილდა, მანქანა უკან დახია და გორაკის ძირას მიაყენა. დაგნიმ ფერდობზე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შემდეგ გაჩერდა, თითქოს იმის იქით წასვლა აღარც იყო საჭირო და აღარც შეიძლებოდა — ადგილზე გაქვავებულს, ახლაც იგივე გრძნობა დაუფლებოდა, რაც მაშინ, პირველად რომ მოვიდა გონს ამ ხეობაში, იმ წუთს, რომელმაც მისი ცხოვრების საწყისი და საბოლოო მიზანი გაამთლიანა.

დაგნი დიდხანს იდგა და შეჰყურებდა ამ ნაგებობას. მისი ცნობიერება ახლა ერთადერთ კონკრეტულ წერტილს ხედავდა, თუმცა მან ყოველთვის იცოდა, რომ ემოცია გონების გამომთვლელი მანქანის მიერ შეკრებილ სხვადასხვა აზრთა ერთობლიობაა და რასაც ამ წუთს გრძნობდა, სწორედ იმ ფიქრების მყისიერი და საბოლოო თავმოყრა იყო, რომლებსაც სახელის დარქმევა არც კი სჭირდებოდათ. ქუენტინ დენიელსსაც მხოლოდ და მხოლოდ იმ რწმენის გამო ებღაუჭებოდა, რომ ეს გამოგონება უკვალოდ არ გაქრებოდა, თუმცა კი უმცირესი იმედიც არ ჰქონდა, რომ ძრავის გამოყენებას თვითონ როდისმე შეძლებდა; მზერაგაყინული, მოხრიალე,

გაურკვეველი მრწამსისა და სულშერყვნილი, უსაქმურობისგან ხელებგასათუთებული ადამიანების ზეწოლისგან უკიდეგანო უფერულების ოკეანეში რომ იძირებოდა მყვინთავის მსგავსად, რომელსაც მძიმე ტვირთი აქვს მოკიდებული, ადამიანის გონების უზენაეს მიღწევაზე ფიქრს მაშველი რგოლივით, ჟანგბადის ბალიშივით ეჭიდებოდა; დაგნის იმის ხილვამ, რომ ძრავის ნარჩენების დანახვისთანავე დოქტორ სტადლერს აღფრთოვანებისგან კინაღამ სული შეეხუთა და უკანასკნელად იქცა ისევ იმ ადამიანად, ოდესღაც რომ იყო, ახალი ძალა შთაბერა, ახალი სუნთქვა; თუკი თავის ახალგაზრდულ ოცნებებს მიყურადებული, იდეალს დაეძებდა — ახლა, ამ წუთს, ის მის წინაშე იყო, უკვე მიღწეული და დასრულებული, უბადლო გონების ნაყოფი, ზაფხულის ცის ქვეშ მოკაშკაშე დაქსელილი სადენების სახით ხორცშესხმული, რომელიც კოსმოსიდან უზღვავ ენერგიას ისრუტავდა პატარა, ქვით ნაგებ ამ ქოხში.

დაგნი ფიქრობდა ნაგებობაზე, რომელიც ზომით სატვირთო ვაგონის ნახევარი იყო და რომელსაც შეეძლო, მთელი ქვეყნის ელექტროსადგურები ჩაენაცვლებინა, ხარბად რომ შთანთქავდნენ აურაცხელ მეტალს, საწვავსა და ძალას; ამ ქოხიდან გამომავალ ენერგიაზე, რომელიც ადამიანებს უმძიმეს ტვირთს ჩამოხსნიდა მხრებიდან და მათ თავიანთი ცხოვრების საათები, დღეები და წლები გამოუთავისუფლდებოდათ. ამ გამოთავისუფლებულ დროში კი მზეს შეხედავდნენ, დენის ქვითრისგან დაზოგილი ფულის საფასურად ერთ კოლოფ სიგარეტს იყიდდნენ, ან ამ ძრავაზე მომუშავე მატარებლით ერთი თვით წავიდოდნენ სადმე დასასვენებლად თავიანთი ერთი დღის მუშაობით შეძენილი ბილეთით — და ამ ყველაფერს უზრუნველყოფდა ერთი გონების ძალა, რომელმაც იცოდა, როგორ შეესხა სადენების მეშვეობით თავისი ნააზრევისთვის ხორცი. მაგრამ დაგნიმ ისიც იცოდა, რომ არც ერთი ძრავა, ქარხანა თუ მატარებელი თვითმიზანი არ იყო, რომ მათი ერთადერთი დანიშნულება ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭებაში და ამ მიზნის მსახურებაში მდგომარეობდა — და უნდოდა, თაყვანი ეცა კაცისთვის, რომელმაც ეს ყველაფერი შექმნა, და რომელსაც სწამდა, რომ დედამიწაზე სიხარული უნდა ბატონობდეს და არა დამთრგუნველი, ქანცგამწყვეტი ჯაფა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ ბედნიერების მისაღწევად ცხოვრების მიზანი, მიზეზი და არსი გონივრული შრომაა.

ნაგებობის გლუვი და უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული კარი მზის შუქზე ლურჯად ელვარებდა. კარის თავზე, გრანიტში, ამოკვეთილი იყო წარწერა:

„ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს და მისდამი ჩემს სიყვარულს, რომ მე არასდროს ვიცხოვრებ სხვა ადამიანის გულისთვის და არც სხვას მოვთხოვ ჩემთვის არსებობას“.

დაგნი გოლტისკენ შებრუნდა. ის უკან გამოჰყოლოდა და ახლა გვერდით ედგა.

დაგნი ხვდებოდა, რომ მისი თაყვანისცემა გოლტს ეკუთვნოდა, რადგან სწორედ გოლტი იყო ამ სასწაულებრივი ძრავის გამომგონებელი, თუმცა, ახლა მხოლოდ უბრალო სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს ხედავდა, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებდა მისთვის ბუნებრივ გარემოში. ხედავდა, როგორი ლაღი, თავისუფალი იყო მისი ქცევა, როგორ ეჭირა თავი, როგორ ფლობდა საკუთარ სხეულს — თხელი პერანგითა და ფართო შარვლით მოსილ წარმოსადეგ სხეულს, ვიწრო წელზე შემორტყმული ქამრით... მსუბუქი ნიავი ლითონივით მბრწყინავ გრძელ თმას უწეწავდა. და ქალი მას ახლა ისეთივე მზერით შეჰყურებდა, როგორც მის ელექტროსადგურს.

შემდეგ დაგნი მიხვდა, რომ პირველი ორი წინადადება, რომლებიც მათ ერთმანეთს უთხრეს, ჯერაც ავსებდა წინანდელი მნიშვნელობით იმ მომენტში დასადგურებულ სიჩუმეს და სურდა, ვიდრე ხმას ამოიღებდა, კარგად ჩაებეჭდა გონებაში ეს წუთები და არასოდეს დაევიწყებინა ისინი. უცებ გააცნობიერა, რომ ისინი სულ მარტონი იყვნენ... ეს ფაქტი დაუშვებელს ხდიდა ზედმეტ ახსნა-განმარტებას, მხოლოდ ხაზს უსვამდა იმას, რაც ხმამაღლა არ თქმულა. ისინი მარტონი იდგნენ აქ, ამ უღრან ტყეში, უძველესი ტაძრის მსგავსი ნაგებობის წინ და დაგნიმ იცოდა, რომელი რიტუალი შეეფერებოდა ამ მომენტსა და ადგილს.

უცებ ყელში რაღაც მოაწვა, თავი ოდნავ უკან გადააგდო. ბუნდოვნად შეიგრძნო, როგორ დაურბინა თმაში ცივმა ნიავმა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ სამყარომ ნივთიერი სახე დაკარგა, მისმა სხეულმა კი წონა.

გოლტი დაჟინებით შესცქეროდა ქალს, მშვიდი სახით, მხოლოდ თვალები მოეჭუტა ოდნავ, თითქოს კაშკაშა სინათლის გამო. ეს ყველაფერი სულ სამ წამს გაგრძელდა და მომდევნო წამს დაგნიმ დაუნდობელი სიხარული იგრძნო, როცა გააცნობიერა, როგორ დაიძაბა კაცი, როგორ უჭირდა მას ბრძოლა. შემდეგ გოლტი მიბრუნდა და წარწერას ახედა.

ქალმა ერთხანს დააცადა, თითქოს გულმოწყალებას იჩენდა მეტოქის მიმართ, ძალა რომ მოეკრიბა, შემდეგ კი წარწერაზე მიუთითა და საკმაოდ ცივად, ლამის მედიდურად მიმართა:

— ეს რა არის?

— ეს ის ფიცია, რომელიც ამ ხეობაში თქვენ გარდა ყველას უკვე დადებული აქვს.

— მე აქამდეც ამ წესის თანახმად ვცხოვრობდი, — მხრები აიჩეჩა დაგნიმ.

— ვიცი.

— მაგრამ ვფიქრობ, ეს თქვენზე არ ითქმის.

— მაშინ მოგვიწევს დადგენა, რომელი ჩვენგანი ტყუის.

დაგნი ფოლადის კარს თავდაჯერებული მოძრაობით მიუახლოვდა, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ გოლტის ტკივილი მას უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა, და კარის სახელურის გადატრიალება სცადა. კარი ჩაკეტილი იყო, თითქოს საკეტი ფოლადით ჩაემაგრებინათ ქვაში.

— ნუ ეცდებით მაგ კარის გაღებას, მის ტაგარტ გოლტი უხმო ნაბიჯებით მიუახლოვდა დაგნის, თითქოს ხაზს უსვამდა, რომ იცოდა: ქალი მის ყოველ ნაბიჯს აყურადებდა.

— არავითარ ფიზიკურ ძალას არ შეუძლია ამ კარის გაღება, — თქვა მან, — მას მხოლოდ აზრი გააღებს. ყველაზე ძლიერმომქმედი ასაფეთქებელი ნივთიერებაც რომ გამოიყენოთ, ვიდრე შიგ შესვლას მოახერხებთ, მექანიზმი ნაწილებად დაიშლება. მაგრამ როგორც კი ყველაზე მთავარს გააცნობიერებთ, მაშინ ძრავის საიდუმლო თქვენი გახდება, როგორც... — მას პირველად გაუწყდა სიტყვა, — როგორც ნებისმიერი სხვა საიდუმლო, რომლის ცოდნასაც ისურვებთ.

და გოლტმა ისე შეხედა დაგნის, თითქოს ბოლომდე გაეხსნა მას, მერე კი მშვიდად, თუმცა უცნაურად გაუღიმა რაღაც ფიქრს და თქვა:

— გაჩვენებთ, ეს როგორ კეთდება.

მან უკან დაიხია, შემდეგ თავი ასწია და ხმამაღლა ამოიკითხა ქვაზე ამოტვიფრული წარწერა, ისე ნელა და გამოთქმით, თითქოს კიდევ ერთხელ დებდა ფიცს. მის ხმაში არ იგრძნობოდა მღელვარება, არავითარი ემოცია, უბრალოდ, ამ სიტყვებს მკაფიოდ და მათი მნიშვნელობის სრული გაცნობიერებით წარმოთქვამდა,

მაგრამ დაგნი ხვდებოდა, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი რამის თვითმხილველი გახდა — როდესაც ადამიანის გაშიშვლებულ სულს ხედავდა და იმ ფასს, რომელიც თვითონ უნდა გადაეხადა ამ ყველაფრისთვის. დაგნის სწორედ იმ დღის ექო ესმოდა, როდესაც გოლტმა პირველად დაიფიცა, და აცნობიერებდა, რომ მისთვის მრავალი წელი უნდა მიეძღვნა. ახლა უკვე ხვდებოდა, თუ როგორი ადამიანი შეძლებდა, გაზაფხულის იმ ბნელ ღამეს ექვსი ათას კაცს დაჰპირისპირებოდა და ისიც იცოდა, რატომ შეეშინდათ მათ გოლტის. დაგნიმ იცოდა, რომ სწორედ ეს გახდა დასაბამი და მიზეზი იქიდან მოყოლებული თორმეტი წლის განმავლობაში მომხდარი ამბებისა, და რომ ამ ნაგებობაში გადამალულ ძრავაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს იყო — იმ კაცის ხმიდან, რომელიც ამ სიტყვების ხელახლა წარმოთქმით თითქოს იხსენებდა ფიცს და ხელახლა უძღვნიდა მას თავს:

— ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს... და მისდამი ჩემს სიყვარულს... რომ მე არასდროს ვიცხოვრებ სხვა ადამიანის გულისთვის... და არც სხვას მოვთხოვ... ჩემთვის არსებობას. დაგნის არ გაჰკვირვებია, როდესაც უკანასკნელი სიტყვის შემდეგ შენობის კარი თავისით, შეხების გარეშე გაიღო. როგორც კი ნაგებობის შიგნით შუქი აინთო, გოლტმა კარი მაშინვე გამოხურა.

— ამ კარს ხმოვანი ჩამკეტი აქვს, — თქვა მან მშვიდად, — სწორედ ეს წინადადებაა იმ ბგერათა ერთობა, რომელიც საჭიროა მის გასაღებად. მე მშვიდად განდობთ საიდუმლოს, რადგან ვიცი, რომ ამ სიტყვებს მანამდე არ წარმოთქვამთ, სანამ ისინი თქვენთვის იმ მნიშვნელობას არ შეიძენენ, რომელიც მე ჩავდე მათში.

დაგნიმ თავი დახარა:

— არ წარმოვთქვამ.

ქალი ნელი ნაბიჯით გაჰყვა გოლტს მანქანამდე. მოულოდნელად ძალა სრულიად წაერთვა და სავარძლის საზურგეს მიყრდნობილმა თვალები დახუჭა. დაქოქვის ხმა ბუნდოვნადღა ესმოდა. მთელი ამ დროის განმავლობაში დაგროვებულმა დაძაბულობამ და უძილო საათებმა მასზე ერთბაშად იმოქმედა, ამიტომ გაუნძრევლად იჯდა, ვერაფერზე ვერ ფიქრობდა, არც რეაგირების უნარი ჰქონდა, აღარც ბრძოლის, არაფერს გრძნობდა, ერთადერთი ემოციის გარდა.

დაგნის არც ხმა ამოუღია და არც თვალები გაუხელია, ვიდრე მანქანა გოლტის სახლის წინ არ გაჩერდა.

— ჯობს, დაისვენოთ, — უთხრა მას ჯონმა, — თანაც ახლავე, თუ გინდათ, დღეს საღამოს მალიგანთან სადილს დაესწროთ.

დაგნიმ მორჩილად დაუკრა თავი და გოლტის დაუხმარებლად მიაღწია სახლამდე. მხოლოდ ეს უთხრა:

— კარგად ვიქნები, — შემდეგ კი თავის ოთახში შევიდა და კარი მიიკეტა.

მარტო დარჩენილი პირქვე დაემხო საწოლზე. მხოლოდ ფიზიკურად არ იყო დაღლილი, უფრო ერთი, აუტანლად ძლიერი გრძნობის მოზღვავებას მოეცელა. როცა ფიზიკური ძალა მთლიანად გამოელია, მისი ენერგია, განსჯისა და მართვის უნარი ერთადერთ ემოციასღა ეყრდნობოდა. ვერც წინააღმდეგობას უწევდა და ვეღარც მართავდა მას. მხოლოდ შეიგრძნობდა. მთელი მისი არსება რაღაც სტატიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელსაც არც საწყისი ჰქონდა და არც მიზანი. თვალწინ ედგა გოლტის ფიგურა ფოლადის კართან, აღარაფერს განიცდიდა გარდა ამისა, არც რაიმე სურვილს ან იმედს, ვერ აფასებდა და სახელს ვერ უძებნიდა ამ გრძნობას, ვერც თავისი კავშირი დაედგინა მასთან, ის, როგორც პიროვნება, აღარც არსებობდა, ახლა მხოლოდ გოლტის დანახვის ფუნქცია ჰქონდა და ეს სანახაობა

თავისთავად იყო მიზანიცა და არსიც — სხვა ყველაფერი დანარჩენი უბრალოდ გაქრა.

ბალიშში თავჩარგულ დაგნის ბუნდოვნად ახსენდებოდა თავისი აფრენა კანზასის აეროდრომიდან. თითქოს ახლა, ამ წამს გრძნობდა ძრავის ხმას, გრძნობდა, როგორ უმატებდა თვითმფრინავი ნელ-ნელა სიჩქარეს, და იმ მომენტს, როდესაც მისმა ბორბლებმა მიწა დატოვა. ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდეც.

* * *

როდესაც ისინი მალიგანის სახლს მიადგნენ, ხეობა ჯერ კიდევ ირეკლავდა ცის ბრწყინვალებას, მაგრამ ოქროსფერს უკვე სპილენძისფერი შეენაცვლა და განაპირებზეც და მთის მწვერვალებზეც ბინდი წვებოდა.

დაგნის მიხრა-მოხრაში დაღლილობისა და მღელვარების კვალიც კი აღარ იგრძნობოდა. შებინდებისას გამოეღვიძა; თავისი ოთახიდან გამოსულმა ლამპის შუქზე მომლოდინე გოლტი დაინახა. გოლტმა დაგნის შეხედა. ქალს სახეზე სიმშვიდე ეფინა, თმა მოეწესრიგებინა, ისეთი თავდაჯერებული იდგა კართან, გეგონებოდა, ტაგარტის კომპანიის შენობის ზღურბლზე მდგარიყოს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლა ოდნავ მოხრილიყო და ხელჯოხს დაჰყრდნობოდა. ჯონი ერთხანს კიდევ თვალმოუშორებლად შესცქეროდა მას და დაგნიმ უნებლიეთ საკუთარ თავს ჰკითხა, რატომ იყო ასე დარწმუნებული, რომ კაცი ამ მომენტში მას სწორედ თავის კაბინეტში ხედავდა, თითქოს ეს უკვე დიდი ხნის განმავლობაში სურდა, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნდა.

მანქანაში გოლტის გვერდით იჯდა. გოლტს ხმა არ ამოუღია, თვითონაც დუმდა:

იცოდა, რომ მათ დუმილს ერთი, საერთო მიზეზი ჰქონდა. დაგნიმ შორს, სივრცეში, სინათლის რამდენიმე წერტილი დაინახა, შემდეგ კი, მალევე, ხეობის შვერილზე, მალიგანის სახლის განათებულ ფანჯრებსაც მოჰკრა თვალი და გოლტს ჰკითხა:

— იქ ვინ იქნება?

— ზოგიერთი თქვენი ახალი და ჩემი ძველი მეგობართაგანი, — გაურკვევლად უპასუხა კაცმა.

მაიდას მალიგანი მათ კართანვე შეეგება. დაგნიმ ყურადღება მიაქცია, რომ მასპინძლის პირქუში, ფართო სახე ამჯერად არც ისეთი გულგრილი ჩანდა, როგორც ადრე:

კმაყოფილი იერიც კი ედო. კმაყოფილებას მისი ნაკვთები დიდად ვერ შეერბილებინა, მაგრამ თითქოს კაჟის ქვასავით სცემდა მათ და ნაპერწკალივით აჩენდა უფრო გამჭრიახ, უფრო მომთხოვნ, და ამავე დროს, თავაზიან ღიმილზე გაცილებით უფრო თბილ იუმორს, რომელიც ძლივს შესამჩნევად კიაფობდა მალიგანის თვალის კუთხეებში.

მაიდასმა სახლის კარი გააღო და სტუმრები აუჩქარებლად, საზეიმოდ შეიპატიჟა შინ. შევიდა თუ არა დაგნი სასტუმრო ოთახში, იქ მყოფი შვიდივე კაცი მაშინვე ფეხზე წამოდგა.

— ბატონებო, წარმოგიდგენთ ტაგარტის სარკინიგზო კომპანიას, — თქვა მალიგანმა.

ეს სიტყვები მალიგანმა ღიმილით წარმოთქვა, თუმცა, მზერა კვლავ სერიოზული ჰქონდა. რომელიღაც მოუხელთებელი ინტონაციის წყალობით, კომპანიის სახელწოდებამ საპატიო ტიტულივით გაიჟღერა, ისეთივე მაღალფარდოვნებით, როგორც ეს ნათ ტაგარტის დროს მოხდებოდა.

დაგნიმაც აუჩქარებლად დაუხარა თავი მისალმების ნიშნად ამ ადამიანებს, რადგან წინასწარვე იცოდა, ეს ის ხალხი იყო, რომელთა ღირებულებისა და ღირსების სტანდარტი მისას ემთხვეოდა; იცოდა, რომ ისინიც ისევე აღიარებდნენ ამ კომპანიის სიდიადეს, როგორც თვითონ, და უცებ ნაღველი შემოაწვა — მიხვდა, როგორ სწყურებია თურმე ეს აღიარება მთელი ამ წლების განმავლობაში.

დაგნის მზერა ერთი სტუმრიდან მეორეზე ინაცვლებდა: ელის უაიატი — კენ დენეგერი — ჰიუ ექსტონი — ექიმი ჰენდრიკსი — ქუენტინ დენიელსი — მალიგანმა დარჩენილი ორი სტუმრის გვარი თავად გამოაცხადა: რიჩარდ ჰალი — მოსამართლე ნარაგანსეტი.

ძლივს შესამჩნევი ღიმილი რიჩარდ ჰალის სახეზე დაგნის თითქოს ეუბნებოდა, რომ ისინი ერთმანეთს უკვე დიდი ხანია, იცნობდნენ, — და ეს ასეც იყო — იმ საღამოებიდან, დაგნი რომ სიმარტოვეში ატარებდა ფირსაკრავთან. თმაშეევერცხლილი ნარაგანსეტის კუშტმა იერმა კი გაახსენა, რომ ერთხელ სადღაც გაეგონა, თუ როგორ ამსგავსებდნენ მოსამართლეს თემიდას თვალახვეულ მარმარილოს ქანდაკებას; მისნაირი მოსამართლეები სწორედ მაშინ გაუჩინარდნენ სასამართლო დარბაზებიდან, როდესაც ოქროს მონეტები გაქრა ქვეყნიდან.

— უკვე დიდი ხანია, თქვენი ადგილი აქ არის, მის ტაგარტ, — მიმართა მაიდას მალიგანმა დაგნის, — მართალია, არ ველოდით, რომ აქ ამ გზით აღმოჩნდებოდით, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კეთილი იყოს თქვენი შინ დაბრუნება.

ქალს სურდა, ეყვირა: „არა!“ თუმცა ამის ნაცვლად ჩუმად წარმოთქვა:

— გმადლობთ.

— დაგნი, მაინც რამდენი წელი დაგჭირდებათ, რომ საკუთარი გრძნობების გამოხატვა ისწავლოთ? — უთხრა ქალს ელის უაიატმა, შემდეგ იდაყვში წაავლო ხელი და სკამთან მიიყვანა, აშკარად ართობდა ქალის უსუსური გამომეტყველება, როდესაც თან უნდოდა, გაეღიმა, თანაც თავგანწირვით ებრძოდა ამ სურვილს, — ოღონდაც თავს ისე ნუ გვაჩვენებთ, თითქოს ჩვენი არ გესმოდეთ. კარგად ვიცით, რომ ეს ასე არ არის. — ჩვენ არასდროს არაფერს კატეგორიულად არ ვამტკიცებთ, მის ტაგარტ, — უთხრა დაგნის ჰიუ ექსტონმა, — ეს ჩვენი მტრებისთვის დამახასიათებელი მორალური დანაშაულია. ჩვენ კი არ ვამბობთ, არამედ ვაჩვენებთ. ჩვენ კი არ ვატყობინებთ, უბრალოდ, საქმით ვადასტურებთ. ჩვენ თქვენს მორჩილებას კი არა, გაცნობიერებულ რწმენას მოველით. თქვენ უკვე იხილეთ ჩვენი საიდუმლო მთელი თავისი სისრულით. ახლა თავად უნდა გააკეთოთ დასკვნა — ჩვენ შეგვიძლია, მისთვის სახელის დარქმევაში დაგეხმაროთ, მაგრამ მის მიღებას ვერ დაგაძალებთ — ეს მხოლოდ თქვენზე, თქვენს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

— მეჩვენება, თითქოს მე ვიცი თქვენი საიდუმლო, — თქვა დაგნიმ გულწრფელად, — ასე მგონია, თითქოს ყოველთვის ვიცოდი, თუმცა არ შემეძლო მეპოვა, შევხებოდი, ახლა კი მაშინებს... მისი სახელის გაგონება კი არა, ასე ახლოს რომ არის.

ექსტონმა გაუღიმა ქალს და ხელით სტუმრებისკენ მიათითა:

— როგორ მოგწონთ ეს საზოგადოება, მის ტაგარტ?

— ეს საზოგადოება? — მოულოდნელად გაიცინა დაგნიმ, როდესაც შეხედა ამ სახეებს ოქროსფერ-ბრინჯაოსფერი შუქით განათებული ფართო ფანჯრების ფონზე, — იცით, აღარც კი მეგონა, თუ როდისმე კიდევ ვნახავდი რომელიმე თქვენგანს.

ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ ყველაფერს გავიღებდი თუნდაც თქვენი ერთი შემოხედვისთვის, თქვენი ერთი სიტყვისთვის. ახლა კი... ახლა ეს ყველაფერი

ბავშვობისდროინდელ ოცნებას მაგონებს, როდესაც გგონია, რომ ერთ დღესაც ზეცაში შეხვდები იმ დიად გარდაცვლილებს, რომელთა ნახვის საშუალებაც დედამიწაზე არ მოგეცა, და შენ თვითონ ირჩევ, გასული საუკუნეების რომელ გამოჩენილ პიროვნებასთან ისურვებდი შეხვედრას.

— კარგი, ეს ჩვენი საიდუმლოს არსის ერთ-ერთი გასაღებია, — თქვა ექსტონმა, — ახლა კი ჰკითხეთ საკუთარ თავს, ეს თქვენი ოცნება ზეცაზე და გამოჩენილ ხალხზე მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ უნდა ასრულდეს, თუ მისი რეალობად ქცევა ჩვენს სიცოცხლეშივეა შესაძლებელი ამ სამყაროში.

— ვიცი, რასაც გულისხმობთ, — წაიჩურჩულა ქალმა.

— მაინც რას ეტყოდით იმ დიდ ადამიანებს, ზეცაში რომ შეხვედროდით მათ?

შეეკითხა კენ დენეგერი ქალს.

— ალბათ, უბრალოდ... უბრალოდ, მივესალმებოდი.

— ეს ყველაფერი არ არის, — უთხრა დაგნის დენეგერმა, — თქვენ მათგან რაღაცის გაგონება გსურთ. ეს მეც არ ვიცოდი, ვიდრე მას არ შევხვდი, — და გოლტისკენ გაიშვირა ხელი, — მაშინ მან ისეთი რაღაც მითხრა, რაც თურმე მთელი ცხოვრება მაკლდა. მის ტაგარტ, თქვენ გინდათ, რომ მათ შემოგხედონ და გითხრან ერთი პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა: „ყოჩაღ!“

დაგნიმ თავი უხმოდ დახარა, მისი უნებლიეთ თვალს მომდგარი ცრემლები ვინმეს რომ არ დაენახა.

— კეთილი, ყოჩაღ, დაგნი! ახლა კი დროა, გათავისუფლდეთ იმ ტვირთისგან, რომლის ტარება არც ერთ ჩვენგანს არ ევალება.

— საკმარისია, — შეშფოთებით თქვა მაიდას მალიგანმა, როდესაც თავჩაღუნულ დაგნის შეხედა.

მაგრამ დაგნიმ მალევე ასწია თავი და დენეგერს გაუღიმა:

— გმადლობთ.

— ჯობს, დაგნიმ ახლა დაისვენოს, ერთი დღისთვის ესეც საკმარისია, — თქვა მალიგანმა.

— არა, — გაიღიმა ქალმა, — განაგრძეთ, მითხარით ყველაფერი, რისი თქმაც გსურდათ.

— მოგვიანებით, — უთხრა მალიგანმა.

მალიგანი და ექსტონი ვახშმით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს, მათ ქუენტინ დენიელსი ეხმარებოდათ. კერძები ვერცხლის მომცრო ლანგრებით შემოდგეს სავარძლის სახელურებზე. ფანჯრებს მიღმა ნელ-ნელა ბნელდებოდა, ღვინის სასმისებში კი ელექტრონათურის შუქი ციმციმებდა. ოთახში ფუფუნებას დაესადგურებინა, თუმცა ეს დახვეწილი უბრალოებით აღბეჭდილი ფუფუნება იყო; დაგნის ყურადღება მიიპყრო დიდებულმა ავეჯმა, რომელიც იმ დროს შეექმნათ, როდესაც ინტერიერის მოწყობა ჯერ კიდევ ხელოვნებად მიიჩნეოდა. ოთახში ზედმეტი არაფერი შეუნიშნავს, მხოლოდ რენესანსის ეპოქის მხატვრის მიერ შესრულებული ფასდაუდებელი ფერწერული ტილო შეამჩნია კედელზე, და ისეთი დახვეწილი ფაქტურისა და ფერადოვნების სპარსული ნოხი, რომლის ადგილიც მუზეუმში იყო. დაგნიმ გაიფიქრა, რომ სწორედ ეს იყო სიმდიდრის მალიგანისეული აღქმა — საგულდაგულოდ შერჩევა და არა უბრალოდ დაგროვება.

ქუენტინ დენიელსი იატაკზე იჯდა, ლანგარი კი კალთაში ედო; ჩანდა, თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. დროდადრო დაგნისაც შეხედავდა ხოლმე და იმ კადნიერი უმცროსი ძმასავით ჩაიცინებდა, რომელმაც თავის უფროს დაზე ადრე

შეიტყო რაღაც საიდუმლო. „ათი წუთით დამასწრო აქ ჩამოსვლა და უკვე ერთ-ერთი ამათგანია, მე კი ჯერაც უცხო ვარ“, — ფიქრობდა დაგნი.

გოლტი განაპირას იჯდა, ჩრდილში, დოქტორ ექსტონის სავარძლის სახელურზე.

მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, განზე გადგა, თითქოს სპექტაკლს შესცქეროდა, სადაც მისი როლი ამოიწურა. თუმცა დაგნის დროდადრო თვალი მაინც მისკენ გაურბოდა, რადგან დარწმუნებული იყო — ამ პიესის ავტორიც ის იყო და დამდგმელიც: მან დიდი ხნით ადრე ჩაიფიქრა ყველაფერი და ეს დანარჩენებმაც კარგად უწყოდნენ.

ქალმა შენიშნა, გოლტის იქ ყოფნას კიდევ ერთი ადამიანი გრძნობდა მასავით მძაფრად: ჰიუ ექსტონი ხანდახან, ლამის ფარულად, შეჰყურებდა ჯონს, გეგონებოდა, ცდილობდა, არ დასტყობოდა, რა ბედნიერი იყო მასთან შეხვედრით ხანგრძლივი განშორების მერე. ექსტონი გოლტს არ დალაპარაკებია, თითქოს მისი იქ ყოფნა ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა. ოღონდ, როდესაც გოლტი წინ გადმოიხარა და თმის კულული შუბლზე ჩამოუვარდა, ექსტონმა თმა უკან გადაუწია და წამით ხელი მოწაფის შუბლზე შეაყოვნა. ეს ემოციის ერთადერთი გამოვლინება იყო, რომლის უფლებაც ექსტონმა საკუთარ თავს მისცა — მისი მამობრივი ჟესტი.

დაგნიმ ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაება საუბარში: მყუდრო გარემომ დაძაბულობა მოუხსნა. წესიერად ვერც კი აცნობიერებდა, რას ეკითხებოდა იქ შეკრებილებს, თუმცა მათი პასუხები გონებაში მკაფიოდ ეწერებოდა, თითქოს ყოველი მომდევნო წინადადებით თანდათან უახლოვდებოდნენ რაღაც მიზანს.

— მეხუთე სიმფონია? — თქვა რიჩარდ ჰალიმ დაგნის შეკითხვის პასუხად, — მე ის ათი წლის წინ დავწერე. ჩვენ მას „განთავისუფლების სიმფონიასაც“ ვუწოდებთ. გმადლობთ, რომ იცანით ჩემი მუსიკა იმ ღამით, როდესაც რამდენიმე ტაქტი დაუსტვინეს... დიახ, მე ამის შესახებ შევიტყვე... დიახ, რაკი ჩემს ადრინდელ ნაწარმოებებს იცნობდით, იმასაც მიხვდებოდით, რომ ეს სიმფონია იმ ყველაფერს გადმოსცემს, რის მიღწევასაც მე მთელი ცხოვრება ვესწრაფოდი. ეს სიმფონია მას ეძღვნება. — ჰალიმ დაგნის გოლტზე ანიშნა, — რას ამბობთ, მის ტაგარტ, მე მუსიკა არასდროს მიმიტოვებია. ეს რამ გაფიქრებინათ? უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იმაზე მეტი დავწერე, რაც კი ჩემი ცხოვრების რომელიმე პერიოდში დამიწერია. როდესაც მესტუმრებით, რასაც მოისურვებთ, იმას დავუკრავ თქვენთვის. ..არა, მის ტაგარტ, ის ამ ხეობის გარეთ არ გამოიცემა, ამ მთების გადაღმა მის ერთ ნოტსაც კი ვერავინ მოისმენს.

— არა, მის ტაგარტ, მედიცინა არ მიმიტოვებია, — უთხრა დაგნის ექიმმა ჰენდრიკსმა, — ბოლო ექვსი წელი გამოკვლევას ვატარებდი. მე ტვინის სისხლძარღვების ინსულტისგან დაცვის მეთოდი აღმოვაჩინე. ეს მეთოდი ადამიანებს მოულოდნელი პარალიზების საფრთხეს ააცილებს. ...არა, ამ ხეობის გარეთ ჩემი აღმოჩენის შესახებ ვერაფერს შეიტყობენ.

— სამართალი, მის ტაგარტ? — უპასუხა დაგნის მოსამართლე ნარაგანსეტმა, რა სამართალი! მე არ მიმიტოვებია ის — იქ მან თავად შეწყვიტა არსებობა. თუმცა მე მაინც განვაგრძობ მის სრულყოფაზე მუშაობას, ანუ ისევ ჩემს პროფესიას ვემსახურები... არა, სამართლიანობას არ შეუწყვეტია არსებობა. ეს წარმოუდგენელია! შესაძლოა, ადამიანებმა სამართლიანობა დაივიწყონ, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ის გაანადგურებს მათ. სამართლიანობა არასდროს შეწყვეტს არსებობას, რადგან ის არსებობის სიმბოლოა, იმის აღიარების აქტი, რაც არსებობს... დიახ, მე ვაგრძელებ ჩემი პროფესიით მოღვაწეობას. ამჟამად სამართლის

ფილოსოფიის ტრაქტატს ვწერ. დავამტკიცებ, რომ კაცობრიობის ყველაზე ბნელი ძალა, ყველაზე დამანგრეველი და საზარელი მანქანა არაობიექტური სამართალია... არა, მის ტაგარტ, ჩემი ტრაქტატი ხეობის გარეთ არ დაიბეჭდება.

— ჩემი საქმიანობა, მის ტაგარტ? — თქვა მაიდას მალიგანმა, — ჩემი საქმიანობა სისხლის გადასხმაა და მე ეს დღემდე არ შემიწყვეტია. ჩემი მოვალეობაა, სასიცოცხლო საწვავი მივაწოდო ყველაფერს, რასაც ზრდის უნარი აქვს. მაგრამ ჰკითხეთ ექიმ ჰენდრიკსს, რა სისხლი ეყოფა იმ ორგანიზმის გადარჩენას, რომელიც უარს ამბობს ფუნქციონირებაზე, იმ ცოცხლად დამპალ სხეულს, რომელსაც ხელის განძრევა არ უნდა. ჩემი სისხლის ბანკი ოქროა. სწორედ ოქროა ის საწვავი, რომელიც სასწაულებს მოახდენს, მაგრამ ვერც ერთი საწვავი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას ძრავის გარეშე... არა, მე არ დავნებებულვარ. უბრალოდ, მომბეზრდა სასაკლაოს მართვა, სადაც სრულიად ჯანმრთელ არსებებს სისხლს ართმევენ და მას ნახევრად მკვდრებს უსხამენ.

— დავნებდი? — თქვა ჰიუ ექსტონმა, — თქვენ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით მის ტაგარტ. არც ერთი ჩვენგანი არ დანებებულა. ის სამყარო დანებდა... რა არის ცუდი იმაში, რომ ფილოსოფოსმა გზისპირა სასადილო მართოს? ან კიდევ, სიგარეტის მწარმოებელი ქარხანა, ჩემსავით? ყველანაირი სამუშაო ფილოსოფიის აქტია.

და მაშინ, როდესაც ადამიანები თავიანთ მორალური ღირებულებების ნორმად ნაყოფიერ სამუშაოს მიიჩნევენ, ისინი სრულყოფილების იმ მდგომარეობას მიაღწევენ, რომელიც მათი დაბადებით მინიჭებული უფლებაა და რომელიც დაკარგეს...

შრომის სათავე? ეს ადამიანის გონებაა, მის ტაგარტ, ადამიანის გონიერება. მე ამ საკითხზე წიგნს ვწერ, სადაც განვიხილავ ახალ მორალურ ფილოსოფიას, რომელიც ჩემი მოსწავლისგან შევიმეცნე... დიახ, ეს ფილოსოფია მართლაც გადაარჩენდა სამყაროს... არა, ჩემი წიგნი ამ ხეობის გარეთ არ გამოიცემა.

— რატომ? — წამოიძახა დაგნიმ, — რატომ? ბოლოს და ბოლოს, რატომ იქცევით ასე?

— ჩვენ გაფიცულები ვართ, — გამოეპასუხა ქალს ჯონ გოლტი.

ყველანი გოლტისკენ შებრუნდნენ, გეგონებოდა, მთელი ამ დროის განმავლობაში სწორედ ამის გაგონებას ელოდებოდნენ. ოთახში, სადაც თითქოს ყველაფერი გაქვავდა, უცბად სიჩუმე ჩამოწვა, და დაგნიმაც დანარჩენებივით ჯონს შეხედა. ის უდარდელად ჩამომჯდარიყო სავარძლის სახელურზე და წინ გადმოხრილს ხელი საკუთარ მუხლზე დაედო, სახეზე კი მსუბუქი ღიმილი დასთამაშებდა, რომელიც მის სიტყვებს მომაკვდინებელ დამაჯერებლობას სძენდა.

— რატომ გეჩვენებათ ეს ასეთი გასაოცარი? კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ერთი ტიპის ადამიანები არ გაფიცულან არასდროს. ყველა სხვა დანარჩენი ფენისა და კატეგორიის წარმომადგენელი წყვეტდა საქმიანობას, როცა კი მოესურვებოდა, მთელ მსოფლიოს უყენებდა საკუთარ მოთხოვნებს და დამოუკიდებლობას აცხადებდა. მხოლოდ ის ადამიანები არ გაფიცულან არასდროს, თავიანთი მხრებით რომ ეჭირათ სამყარო, სანაცვლოდ კი მხოლოდ ტანჯვას იღებდნენ, რომელსაც მთელი ეს ხანი უდრტვინველად იტანდნენ და ქვეყნიერებისთვის ზურგი არ შეუქცევიათ. ახლა მათი ჯერიც დადგა. დაე, გაიგოს მთელმა ქვეყანამ, თუ ვინ არიან და რას აკეთებენ ისინი და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ხალხი უარს იტყვის

თავისი მოვალეობის შესრულებაზე. ეს გონიერი ადამიანების გაფიცვაა, მის ტაგარტ. სწორედ გონებაა გაფიცული.

დაგნი გაუნძრევლად ისმენდა გოლტის სიტყვებს, მხოლოდ ერთხელ მოისვა ხელი საფეთქელზე.

— საუკუნეების განმავლობაში, — განაგრძო გოლტმა, — გონებას ბოროტებად მიიჩნევდნენ და მათ, ვინც სამყაროს ცნობიერების საშუალებით ჭვრეტისა და ანალიზის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა, როგორ არ შეურაცხყოფდნენ, რას არ უწოდებდნენ — ერეტიკოსს, მატერიალისტს, ექსპლოატატორს... არანაირ უსამართლობას არ ერიდებოდნენ: დევნიდნენ, უფლებებს ულახავდნენ, ქონებას ართმევდნენ, გვემდნენ, საწამებელ ძელზე აკრავდნენ, კოცონზე წვავდნენ. თუმცა ზოგიერთები ბორკილდადებულნიც განაგრძობდნენ აზროვნებას დილეგებში, გასაიდუმლოებულ სამალავებში, ფილოსოფოსთა სენაკებში, სავაჭრო ფარდულებში. სწორედ ამგვარად მოახერხა კაცობრიობამ გადარჩენა. უგუნურების თაყვანისცემის მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში უძრაობის რა პერიოდიც არ უნდა გადაეტანა კაცობრიობას და რა მხეცური მეთოდებიც არ უნდა გამოეყენებინა, იმ ადამიანთა წყალობით, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ ხორბლის მოსაყვანად წყალი იყო საჭირო, რომ წრიულად დაწყობილი ქვები თაღს ქმნიდნენ, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ სიყვარული ტანჯვა კი არა, ბედნიერებაა, რომ ადამიანმა ნგრევისთვის არ უნდა იცხოვროს, მარტოდენ და სწორედ ასეთების წყალობით ისწავლეს დანარჩენებმა ადამიანური წუთების განცდა და ამგვარ მომენტთა ერთობლიობა აძლევდა მათ ცხოვრების გაგრძელების საშუალებას. ასეთმა გონიერმა ადამიანებმა ასწავლეს კაცობრიობას პურის ცხობა, ჭრილობის მკურნალობა, იარაღის გამოჭედვა და ციხეების აშენება, სადაც შემდეგ ამ გონიერ ხალხსვე ამწყვდევდნენ. ასეთი ადამიანი უსაზღვროდ ენერგიული და გულუხვი იყო, მან იცოდა, რომ ადამიანის ბედისწერა უძრაობა არ არის და არც უმწეობაა მისი ხასიათის თანდაყოლილი თვისება, რომ ადამიანის ყველაზე კეთილშობილური ძალა მდგომარეობს მის გონიერებაში და სიცოცხლის სიყვარულის მსახურებაში, მარტო რომ თვითონ გრძნობდა. ასე რომ, ის განაგრძობდა მუშაობას ნებისმიერ ფასად თავისი მძარცველებისთვის, ზედამხედველებისთვის, მაწამებლებისთვის და მათ გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა. მისი საქციელი მისივე დიდებაც იყო და ამავე დროს, დანაშაულიც, რადგან მან ნება მისცა ამ ადამიანებს, ესწავლებინათ მისთვის, თავისი დიდების გამო დამნაშავედ ეგრძნო თავი, სამსხვერპლო ცხოველის როლი მოერგო და საკუთარი გონიერების ცოდვის გამოსასყიდად მათ საკურთხეველზე ზვარაკად შეწირულიყო. კაცობრიობის ისტორიის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის მიერ აგებულ ყველა საკურთხეველზე ყოველთვის თავად ადამიანებსვე სწირავდნენ მსხვერპლად, ცხოველებს კი კერპებად აღმართავდნენ.

კაცობრიობა ადამიანურ კი არა, ცხოველურ თვისებებს სცემდა თაყვანს: ისინი ეთაყვანებოდნენ ინსტინქტისა და ძალის კერპებს — მისტიკოსებსა და მეფეებს, მისტიკოსებს, რომლებიც უპასუხისმგებლო ცნობიერებას ესწრაფოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მათი გაურკვეველი ემოციები გონებაზე მაღლა იდგა, რომ ცოდნა ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი შეგრძნებების სახით მოდიოდა, რომელსაც ბრმად უნდა მიჰყოლოდი და არ დაეჭვებულიყავი მის ჭეშმარიტებაში, და ეთაყვანებოდნენ მეფეებს, რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებით განაგებდნენ ქვეყანას, მათი მეთოდი დაპყრობა იყო, ხოლო მიზანი — ძარცვა, თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად კი მხოლოდ სახრეს ან იარაღს იყენებდნენ.

ადამიანის სულის დამცველებს მისი გრძნობები აღელვებდათ, სხეულის დამცველებს კი მისი კუჭი, მაგრამ ორივე მიმართულების წარმომადგენლები ადამიანის გონების წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ.

თუმცა ჯერ კიდევ არავის, უდაბლეს საფეხურზე მდგომ ადამიანსაც კი, არ მოუხერხებია გონების სრული უარყოფა. აბსურდის დაჯერება შეუძლებელია, უსამართლობისა კი ადვილი. ადამიანი გონებას მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მიზეზის გამო კიცხავს — თუ თვითონ არა აქვს მისი წვდომის უნარი. როდესაც შეუსაბამობებს ქადაგებს, ის ვარაუდობს, რომ ვიღაც სხვა აუცილებლად შეუწყობს ხელს შეუძლებლის მოხდენას, ვიღაც თავის სიცოცხლესაც კი გაიღებს, შეუძლებელს რომ შეასხას ხორცი; არადა, ნებისმიერი წინააღმდეგობა ნგრევის ფასად ხორციელდება. სწორედ მსხვერპლი ხდის უსამართლობას შესაძლებელს. საუბედუროდ, სწორედ გონიერი ადამიანები დაეხმარნენ მხეცური ინსტინქტების მქონეთ, წარმატებით ებატონათ და ემართათ მათივე დადგენილი წესებით. გონების საწინააღმდეგო ყველა მრწამსის მიზანი გონიერების განადგურება იყო. ისევე, როგორც ცოდნის მოსპობა იყო თავგანწირვის მქადაგებელი ყოველი მრწამსის მიზანი. მძარცველებმა ეს ყოველთვის იცოდნენ, ჩვენ კი არა. დრო მოვიდა, ჩვენც შევიგნოთ ეს. რის თაყვანისცემასაც ახლა ჩვენგან ითხოვენ, რაც ადრე ღმერთად, მეფედ ან ქურუმად იყო წარმოჩენილი, სინამდვილეში, ადამიანის უვიცობის ყოვლად უგუნური, ბიწიერი და უაზრო ხატებაა. ეს არის ახალი იდეალი, მიზანი, ცხოვრების საზრისი და ყველა იმის მიხედვით დაჯილდოვდება, თუ რამდენად ახლოს მივა მასთან. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს უბრალო ადამიანის საუკუნეა და რომ ეს წოდება თითოეულს გამორჩეულობის იმ ხარისხის მიხედვით მიენიჭება, რომელსაც მან ვერ მიაღწია; სწორედ იმ ძალისხმევის გამო, რომელიც მან ვერ გამოიჩინა; რომ მას დააჯილდოებენ იმ სათნოების გამო, რომელიც არ გამოუმჟღავნებია და გადაუხდიან იმ პროდუქტისთვის, რომელიც თავად არ შეუქმნია. მაგრამ ჩვენ, რაკიღა ცოდნის დანაშაული უნდა გამოვისყიდოთ, ვიმუშავებთ მისი ბრძანებების შესასრულებლად და ჩვენი ერთადერთი ჯილდო მისივე სიამოვნება იქნება.

რაკი ყველაზე დიდი წვლილი ჩვენ უნდა შევიტანოთ საქმეში, ყველაზე ნაკლებიც ჩვენვე გვეთქმის. რაკი ჩვენ ფიქრის უკეთეს უნარს ვფლობთ, უფლება არ გვაქვს, თუნდაც ერთი საკუთარი აზრი ვიქონიოთ. რაკი განსჯის უნარი გვაქვს, საკუთარი არჩევნით მოქმედების ნებას არ დაგვრთავენ. ჩვენ მოგვიწევს, იმ ადამიანთა ბრძანებებითა და ზედამხედველობით ვიმუშაოთ, რომლებსაც თავად არ შეუძლიათ შრომა.

ისინი ჩვენი ენერგიით ივაჭრებენ, რადგან თავად არ გააჩნიათ ის და ჩვენს პროდუქტებს გაყიდიან, რადგან თვითონ არ შეუძლიათ წარმოება. თქვენ იტყვით, რომ ეს შეუძლებელია და ადამიანის შრომას ასე ვერ მოექცევიან? მათ ეს იციან, თქვენ კი არა, და სწორედ თქვენს ამ არცოდნას იყენებენ თქვენსავე საწინააღმდეგოდ. მათ თქვენი იმედი აქვთ, რომ მუშაობას ზეადამიანურ ზღვრამდე გააგრძელებთ და სანამ შეძლებთ, მათ ასაზრდოებთ; როდესაც თქვენ აღარ იქნებით, ახლა სხვა მსხვერპლი გამოჩნდება, რომელიც მათ გამოკვებავს, ყოველი მომდევნო მსხვერპლის ცხოვრება უფრო და უფრო ხანმოკლე იქნება. მაშინ, როცა თქვენ სიკვდილის შემდეგ მათ ბანკს ან რკინიგზას დაუტოვებთ, თქვენს უკანასკნელ სულიერ შთამომავალს მხოლოდ ერთ ხმელ პურს თუ გამორჩებიან. თუმცა ჩვენი დროის მძარცველებს ეს სულაც არ ანაღვლებთ. მსგავსად წარსულში მცხოვრები სამეფო მძარცველებისა, ამ ადამიანების მიზანიც ის არის, რომ ძარცვა მთელი მათი

სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდეს. ადრე ეს შესაძლებელი იყო, რადგან მსხვერპლთა რიცხვი ერთ თაობაში არ ამოიწურებოდა, მაგრამ ამჯერად ასე აღარ მოხდება, იმიტომ, რომ მსხვერპლები გაიფიცნენ. ჩვენ გავიფიცეთ ძარცვისა და იმ მორალური კოდექსის წინააღმდეგ, რომელმაც ის დააკანონა. გაფიცულები ვართ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც სწამთ, რომ ერთი ადამიანი მეორის გულისთვის უნდა არსებობდეს, და კაციჭამიათა მორალის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, სხეულით იკვებებიან ისინი თუ სულით.

ჩვენ ადამიანებთან ურთიერთობას მხოლოდ ჩვენი პირობებით დავთანხმდებით, ჩვენი პირობები კი ის მორალური კოდექსია, რომლის მიხედვითაც ადამიანი თავისთავად დასრულებული არსებაა და არა საშუალება მეორე ადამიანის დასასრულებლად.

ჩვენ არ ვაპირებთ, მათ თავს მოვახვიოთ ჩვენი კოდექსი. შეუძლიათ, ის ირწმუნონ, რაც სურთ. მაგრამ, ცხოვრებაში პირველად, მათ უნდა გაიაზრონ, რომ ჩვენ გარეშე მოუწევთ არსებობა და მაშინ, ერთხელ და სამუდამოდ, თავიანთი მრწამსის მნიშვნელობასაც გაიგებენ. ეს მრწამსი საუკუნეების განმავლობაში მსხვერპლთა მორჩილებით არსებობდა, რადგან ისინი ეთანხმებოდნენ სასჯელს იმ კოდექსის დარღვევისთვის, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იყო. თუმცა ეს კოდექსი ხომ სწორედ დარღვევისთვის იყო გამიზნული. ეს კოდექსი იმათი მეშვეობით კი არ არსებობს, ვინც მას ასრულებს, არამედ იმათი ძალით, ვინც მას არ იცავს, ეს მორალი ცხოვრებაში ხორციელდება არა წმინდანთა სათნოებით, არამედ ცოდვილთა წყალობით. ჩვენ გადავწყვიტეთ, აღარ ვიყოთ ცოდვილები. ჩვენ შევწყვიტეთ ამ მორალური კოდექსის დარღვევა. ჩვენ მის არსებობას დავასრულებთ ერთი მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ის ვერ გაუძლებს: ჩვენ მას დავემორჩილებით. ჩვენ მას ვემორჩილებით და ვასრულებთ. ჩვენ ზედმიწევნით ვასრულებთ მათი ღირებულებების კოდექსს და ვათავისუფლებთ მათ ყველა ბოროტებისგან, რასაც კი ისინი კიცხავენ. გონება საზიანოა? თუნდაც ასე იყოს — ჩვენი გონების ნაყოფი უკვე მოვაშორეთ საზოგადოებას და ადამიანებს ამიერიდან ჩვენს არც ერთ იდეაზე აღარ მიუწვდებათ ხელი. ცოდნა ეგოისტური სიბოროტეა და ნაკლებად უნარიანებს არ აძლევს თავის გამოვლენის საშუალებას? ჩვენ ჩამოვცილდით შეჯიბრს და ბურთი და მოედანი უცოდინრებს დავუტოვეთ. ქონების დაგროვება სიხარბე და ყოველი ბოროტების საფუძველია? ჩვენ აღარ ვმდიდრდებით. ბოროტებაა საარსებო მინიმუმზე მეტის შოვნა? ჩვენ ყველაზე დაბალანაზღაურებად სამუშაოს ვასრულებთ და არც იმაზე მეტს ვაწარმოებთ, რამდენიც ჩვენი პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გვჭირდება, არც ერთი ზედმეტი ცენტით ან გამომგონებლური აზრით აღარ ვაყენებთ ზიანს სამყაროს. წარმატება ბოროტებაა, რადგან ეს ძლიერის მიერ სუსტის დაჯაბნის ხარჯზე ხდება? ჩვენ მოვაშორეთ სუსტებს ჩვენი ამბიციის სიმძიმე და გავეცალეთ მათ, რათა ჩვენ გარეშე შეძლონ წარმატების მიღწევა. ბოროტებაა დამსაქმებლობა? ჩვენ აღარავის ვასაქმებთ. ქონების ფლობა ბოროტებაა? ჩვენ აღარაფერს ვფლობთ. ბოროტებაა ამქვეყნად ცხოვრებისას სიამოვნების მიღება? ჩვენ აღარ ვეძიებთ არც ერთ იმ სიამოვნებას, რომელიც მათ სამყაროს ეკუთვნის, — და ყველაზე რთული სწორედ ეს აღმოჩნდა, — ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მათი იდეალი: გულგრილობა — სიცარიელე — არარაობა — სიკვდილის ნიშანი... და დავუტოვეთ ადამიანებს ყველაფერი, რასაც ისინი საუკუნეების განმავლობაში ზნეობად სახავდნენ. ახლა დაე, თვითონ გადაწყვიტონ, ნამდვილად სურთ თუ არა ეს მათ.

— თქვენ დაიწყეთ ეს გაფიცვა? — შეეკითხა დაგნი გოლტს.

— მე დავიწყე.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გოლტი ადგა და სინათლის შუქზე ქალმა დაინახა, როგორ იღიმებოდა ის: მშვიდად, ძალდაუტანებლად, მხიარულად და თავდაჯერებით, — ჩვენ იმდენი რამ გვსმენია გაფიცვებზე, — თქვა ჯონმა, — და იმაზე, თუ როგორ არიან ნიჭიერი ადამიანები დამოკიდებული ჩვეულებრივ ადამიანებზე. გვესმოდა, როგორ გაჰყვიროდნენ, რომ მრეწველი მუქთახორაა და სინამდვილეში მას მუშები არჩენენ, მის სიმდიდრესა და ფუფუნებას სწორედ ისინი ქმნიან — და რომ ის დაიღუპება, თუ მუშები მიატოვებენ. ძალიან კარგი. მე ვაპირებ, გავაგებინო სამყაროს, სინამდვილეში ვინ ვისზეა დამოკიდებული, ვინ ვის არჩენს, ვინ ქმნის კომფორტს, ვინ ქმნის საარსებო წყაროს და ვის რა ელის, თუკი ვინმე საქმიანობას შეწყვეტს.

ფანჯრებში უკვე მთლიანად ჩამობნელებულიყო და მათი მინები სიგარეტის მოციმციმე წერტილებს ირეკლავდა. დაგნიმ გვერდით მდგარი მაგიდიდან სიგარეტის ღერი აიღო და ასანთის გაკვრისას თავის თითებს შორის ოქროსფერი ნათება, დოლარის სიმბოლო დაინახა.

— მე შევწყვიტე ჩემი საქმიანობა და მასთან ერთად გავიფიცე, — თქვა ჰიუ ექსტონმა, — რადგან არ მინდოდა, იმ ადამიანთა შორის მემუშავა, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოსდა სწავლულის კვალიფიკაცია დამოკიდებულია ინტელექტის არსებობის უარყოფაზე. არავინ დაასაქმებს ისეთ სანტექნიკოსს, რომელიც თავისი პროფესიონალიზმის საჩვენებლად შეეცდება, ამტკიცოს, რომ წყალგაყვანილობა ჯერ საერთოდ არ გამოუგონებიათ, მაგრამ ფილოსოფოსებთან მიმართებით ამგვარი სიფრთხილის ნორმები აშკარად არ არის გათვალისწინებული. თუმცა, ჩემი მოსწავლისგან შევიტყვე, რომ ეს ყველაფერი მე გავხადე შესაძლებელი. როდესაც მოაზროვნეები აზროვნების უარმყოფელთა აზრს ისე ითვალისწინებენ, თითქოს ეს უკანასკნელნი აზროვნების სხვა სკოლის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, ამ საქციელით გონებას თვითონვე ანადგურებენ. ისინი მოწინააღმდეგის ძირითადი ლოგიკური წინაპირობის მიღებით ოფიციალურ სიგიჟეს გონების სტატუსს ანიჭებენ. ძირითადი წინაპირობა კი არის აბსოლუტი, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ ანტითეზისს და რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი შემწყნარებლობა. როგორც ბანკირი არ მიიღებს, საკუთარი ბანკის სახელსა და პრესტიჟს არ უბოძებს და მიმოქცევაში არ გაუშვებს ყალბ ფულს, როგორც ის არ შეიწყნარებს გამყალბებელს, ისე მე ვერ ვუბოძებ ფილოსოფოსის წოდებას დოქტორ საიმონ პრიტჩეტს და ვერ ჩავერთვები მასთან ფილოსოფიურ პაექრობაში. დოქტორ პრიტჩეტს ფილოსოფიის ანგარიშზე არაფერი აქვს შესატანი, გარდა ფილოსოფიის განადგურების პომპეზურად განცხადებული სურვილისა. მას სურს, ხელი მოითბოს ადამიანის გონების ძალით, რომელსაც თვითონ უარყოფს. სურს, თავისი მძარცველი ბატონების გეგმები გონიერებად გაასაღოს, ფილოსოფიის პრესტიჟის მეშვეობით აზრი დაიმონოს. მაგრამ პრესტიჟი ისეთი ანგარიშია, რომელიც მანამდე იარსებებს, ვიდრე ვინმე ქვითრებს ხელს აწერს. დაე, მან ეს ჩემ გარეშე გააკეთოს. დაე, მან და იმ ადამიანებმა, ვინც თავიანთი შვილების გონებას მას ანდობენ, მიიღონ ის, რასაც სურთ: უინტელექტო ინტელექტუალების სამყარო, იმ მოაზროვნეთა სამყარო, რომლებიც აცხადებენ, რომ აზროვნება არ შეუძლიათ. მე განზე გავდექი და პასუხისმგებლობა მოვიხსენი. და როდესაც ისინი გააცნობიერებენ თავიანთი

არასრულყოფილი სამყაროს სასტიკ რეალობას, მათი ალოგიზმის გამო პასუხისგება მე აღარ მომიწევს.

— დოქტორმა ექსტონმა პატიოსანი ბანკირის პრინციპების საფუძველზე შეწყვიტა თავისი საქმიანობა, მე სიყვარულის პრინციპებით ვიხელმძღვანელე, — თქვა მაიდას მალიგანმა, — სიყვარული უზენაესი ფასეულობების აღიარების ფორმაა. წასვლა ჰანსაკერის საქმემ გადამაწყვეტინა, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ ლი ჰანსაკერისთვის სესხი უნდა მიმეცა, მეანაბრეების მიერ ჩემს ბანკში შემოტანილი ფული უნდა მიმეცა ერთი არაფრის მაქნისი ნაძირალასთვის, რომელიც თავისი მოთხოვნით მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ სესხის მიღების უფლება არ ჰქონდა. მე ფერმაში დავიბადე და ფულის ყადრი ვიცოდი; საქმე ბევრთან მქონია და თვალი მიდევნებია მათი განვითარებისთვის; ჩემი ქონება იმის წყალობით დავაგროვე, რომ ვცნობდი იმ ტიპის ადამიანებს, რომლებიც ერთგულებას, იმედსა და ქველმოქმედებას კი არ ითხოვენ, არამედ ფაქტებს, მტკიცებულებებსა და სარგებელს გთავაზობენ. იცოდით, რომ მე ფული ჩავდე ჰენკ რიერდენის საქმეში, როგორც კი მან მოახერხა მინესოტადან გამოღწევა და ფოლადსასხმელი ქარხნების შეძენა პენსილვანიაში? როდესაც სასამართლოს ეს განკარგულება დავინახე ჩემს სამუშაო მაგიდაზე, უცებ ხილვა მეწვია და წარმომიდგა სურათი, რომელმაც მთლიანად შემიცვალა შეხედულებები. მე დავინახე ჭაბუკი რიერდენის ჭკვიანი სახე და მგზნებარე თვალები, სწორედ ისეთი, როგორიც მაშინ იყო, როცა პირველად შევხვდი. ის საკურთხეველთან ეგდო და სისხლისგან იცლებოდა, თვალებამღვრეული ლი ჰანსაკერი კი საკურთხეველზე შემომდგარიყო და წკმუტუნებდა, რომ მას არასდროს მისცემია შესაძლებლობა... საოცარია, რა მარტივი გასაგები ხდება საგნები მას შემდეგ, რაც ნათლად დაინახავ მათ. სულ არ გამძნელებია, დამეხურა ბანკი და მიმეტოვებინა ჩემი საქმიანობა: მაშინ ჩემს სიცოცხლეში პირველად მივხვდი, თუ რისთვის ვცხოვრობდი და რა მიყვარდა.

დაგნიმ მოსამართლე ნარაგანსეტს შეხედა და ჰკითხა:

— თქვენც ხომ იმავე საქმის გამო მიატოვეთ ყველაფერი?

— დიახ, — უპასუხა მოსამართლე ნარაგანსეტმა, — მე საქმიანობა მას შემდეგ შევწყვიტე, რაც სააპელაციო სასამართლომ ჩემი გადაწყვეტილება შეცვალა. ეს პროფესია იმის გამო ავირჩიე, რომ მინდოდა, სამართლიანობის დამცველი ვყოფილიყავი.

თუმცა მათ მიერ ჩემთვის თავს მოხვეულმა კანონებმა საშინელი უსამართლობის მსახურად გადამაქცია. მე მაიძულებდნენ, ძალის გამოყენებით შემელახა იმ დაუცველ ადამიანთა უფლებები, რომლებიც ჩემთან სამართლის საპოვნელად მოდიოდნენ.

მოდავეები სასამართლოს განაჩენს მხოლოდ იმ წინაპირობის გამო ემორჩილებიან, რომ არსებობს მიუკერძოებელი ეთიკის კოდექსი, რომელსაც ორივე მხარე აღიარებს.

მაგრამ მე დავინახე, რომ იმ შემთხვევაში ერთი მხარე იზღუდებოდა ამ კოდექსით, მეორე კი არა, ერთი ემორჩილებოდა ქცევის წესს, მეორე კი სასამართლოს თავს ახვევდა საკუთარ სურვილს და კანონიც მას უნდა მიმხრობოდა. სამართლიანობას გაუმართლებელი რამ უნდა დაეცვა. მე შევწყვიტე საქმიანობა, რადგან აღარ შემეძლო, ამეტანა, როგორ მომმართავდა პატიოსანი კაცი — „თქვენო ღირსებავ“.

დაგნიმ ნელა გააპარა თვალი რიჩარდ ჰალისკენ, თითქოს სთხოვდა, თავისი ამბავი მოეყოლა და ამავე დროს, აშინებდა კიდეც მისი მოსმენა. ჰალის გაეღიმა.

— მე ვაპატიებდი ადამიანებს ჩემთან ომს, — თქვა რიჩარდ ჰალიმ, — მაგრამ ჩემი წარმატებისადმი მათი დამოკიდებულება ვერ ვაპატიე. მთელი იმ წლების განმავლობაში, როდესაც ისინი არ მაღიარებდნენ, მე სიძულვილი არ მიგრძნია. თუ ჩემი მუსიკა რაღაც ახალი იყო, მათთვის მის გასაგებად დრო უნდა მიმეცა; თუ მეამაყებოდა, რომ პირველმა გავკვალე გზა მწვერვალისკენ, არ მქონდა უფლება, დამეჩივლა, რომ სხვები ფეხდაფეხ არ მომყვებოდნენ. ასე შთავაგონებდი საკუთარ თავს წლების განმავლობაში, მხოლოდ ზოგჯერ, საღამოობით, როდესაც აღარც ლოდინი შემეძლო და რწმენაც მღალატობდა, ვყვიროდი: „რატომ?“ თუმცა პასუხს ვერ ვპოულობდი. შემდეგ, როდესაც ერთ საღამოს აპლოდისმენტებით შემეგებნენ, თეატრის სცენაზე ვიდექი და ვფიქრობდი, რომ სწორედ ამ წუთს ველოდებოდი და ვნატრობდი, რომ შემეგრძნო ის, თუმცა უკვე აღარაფერს ვგრძნობდი და თვალწინ მიდგებოდა წარსული ღამეები, ყურში ჩამესმოდა „რატომ?“ ეს კითხვა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი ჩანდა და მათი აპლოდისმენტებიც ისეთივე ცარიელი მეჩვენებოდა, როგორც საყვედურები. რომ ეთქვათ ჩემთვის: „ბოდიში, რომ ასე დავიგვიანეთ, მადლობა ლოდინისთვის“, მეტს აღარაფერს ვითხოვდი და ისინიც ყველაფერს მიიღებდნენ ჩემგან, რაც კი მე მათთვის უნდა მიმეცა. მაგრამ როდესაც ჩემ სადიდებლად შეიკრიბნენ, მათ გამომეტყველებასა და ტონში სწორედ ისეთი რამ შევამჩნიე, ყველა დიდ ხელოვანს რომ უკიჟინებდნენ — მაგრამ მე არ მჯეროდა, თუ რომელიმე მათგანი მართლაც ასე ფიქრობდა. ისინი თითქოსდა ამბობდნენ, რომ არაფერი ემართათ ჩემი და მათი სიყრუე მე მავალებდა, მათ გამო მებრძოლა და მეტანჯა, ამეტანა მათი დაცინვა, სიძულვილი, უსამართლობა, წამება იმისთვის, რომ მათთვის ჩემი მუსიკით სიამოვნების მიღება მესწავლებინა, რომ სწორედ ეს იყო მათი სამართლიანი უფლება და ჩემი ერთადერთი მიზანი. და უცებ, მე შევიცანი სულით მძარცველის ბუნება, რასაც ადრე ვერ ვწვდებოდი. ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ ჩემს სულში შემოღწევას, სწორედ ისე, როგორც მალიგანის ჯიბეში შეაღწიეს, ცდილობდნენ, ჩემთვისაც ისევე ჩამოერთმიათ პიროვნული ღირებულება, როგორც მალიგანს ჩამოართვეს ქონება, ვხედავდი, თუ როგორ კვეხნით ფენდა უფერულობის უტიფარი ღვარძლი თავის სიცარიელეს, როგორც უფსკრულს, რომელიც მასზე უკეთესების სხეულებით უნდა ამოევსო, ვხედავდი, რომ ისინი ცდილობდნენ, ისევე ესაზრდოვათ ჩემ მიერ მუსიკის შეთხზვისთვის მიძღვნილი საათებით, როგორც მალიგანის ფულით, ცდილობდნენ, იმ განცდით გაეკვალათ გზა საკუთარი თავის პატივისცემისკენ, რომელიც მე ამ მუსიკას მაწერინებდა, ჩემთვის იმ აღიარების გამოძალვით, თითქოსდა ისინი იყვნენ ჩემი მუსიკის მიზანი, ასე რომ, თუკი მსურდა, წარმატებისთვის მიმეღწია, მათ უნდა ეცნოთ ჩემი ღირებულება, მე კი ქედი უნდა მომეხარა მათ წინაშე... სწორედ იმ ღამეს დავდე ფიცი, რომ ისინი ჩემს ერთ ნოტსაც კი ვეღარ მოისმენდნენ. თეატრიდან ბოლო გამოვედი და უკაცრიელ ქუჩაში თვალი ერთ კაცს მოვკარი, რომელიც მანამდე არასდროს მენახა. ქუჩის განათების ბოძთან იდგა, მე მიცდიდა. ბევრი ლაპარაკი არ დასჭირვებია. მაგრამ ნაწარმოებს, რომელიც მე მას მივუძღვენი, „განთავისუფლების სიმფონია“ ეწოდა.

დაგნიმ დანარჩენებს მიმართა:

— გთხოვთ, თქვენი ამბავიც მომიყევით.

მის ხმაში ოდნავი გაჯიუტება ისმოდა, თითქოს ეს ყველაფერი ტკივილს აყენებდა, მაგრამ ცდილობდა, ბოლომდე გაეძლო ამ განსაცდელისთვის:

— მე რამდენიმე წლის წინ შევწყვიტე ჩემი საქმიანობა, როდესაც სახელმწიფომ მედიცინა თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია, — თქვა ექიმმა ჰენდრიკსმა, — თქვენ თუ იცით, რას ნიშნავს ნეიროქირურგიული ოპერაცია ტვინზე? იცით, როგორი მომზადებაა საჭირო, ეს ოპერაცია რომ ჩაატარო? რამდენი წლის თავდაუზოგავი, მტანჯველი შრომა სჭირდება ასეთი ოსტატობის მიღწევას? აი, რა ვერ დავუთმე იმ ადამიანებს, რომელთა ერთადერთი იარაღი ჩემ სამართავად იყო დემაგოგია, რისი საშუალებითაც ისინი არჩევნებში იმარჯვებდნენ და ეძლეოდათ პრივილეგია, სხვებისთვის საკუთარი ნება მოეხვიათ თავს. ვერ მივცემდი უფლებას, ეკარნახათ ჩემთვის ჩემივე მიზანი, ან ის, თუ როგორ პირობებში უნდა მემუშავა და როგორი პაციენტები მიმეღო, ან კიდევ — განესაზღვრათ ჩემი გასამრჯელო. შევნიშნე, რომ ვიდრე მედიცინას საბოლოოდ დაიმონებდნენ, დისკუსიებზე ისინი ყველაფრის შესახებ ლაპარაკობდნენ გარდა იმისა, თუ რა სურდათ თავად ექიმებს. მხოლოდ პაციენტების „კეთილდღეობას“ ითვალისწინებდნენ, თუმცა საერთოდ არ ფიქრობდნენ იმათზე, ვისაც ეს უნდა უზრუნველეყო. ის ფაქტი, რომ ექიმსაც შეიძლებოდა, ჰქონოდა რაიმე უფლება, სურვილი ან არჩევნის გაკეთების საშუალება, შეუფერებელ ეგოიზმად განიხილებოდა; როგორც ისინი ამბობდნენ, ექიმის საქმე არჩევნის გაკეთება კი არა, მსახურება იყო. იძულებით მომუშავე ადამიანი რომ ველურზე საშიშია და მას საქონელიც კი არ უნდა ანდო, ეს ალბათ აზრადაც არ გაუვლიათ თავში მათ, ვინც ავადმყოფების დასახმარებლად ჯანმრთელების ცხოვრებას გაუსაძლისს ხდიდნენ. მე ხშირად მაკვირვებდა, თუ როგორ მედიდურად აცხადებდნენ ადამიანები, რომ მათ უფლება ჰქონდათ, დავემონებინე და გაეკონტროლებინათ ჩემი სამუშაო, უგულებელეყოთ ჩემი ნება, ჩემი სინდისი, ჩაეხშოთ ჩემი გონება. და ამ ყველაფრის შემდეგ, რატომღა მოელოდნენ, რომ მე მათ დავინდობდი, როდესაც ჩემს საოპერაციო მაგიდაზე წვებოდნენ? მათი მორალური კოდექსი ამბობდა, რომ მსხვერპლთა სათნოება სრულიად საიმედო დასაყრდენია. მე ეს სათნოება მათ მოვაშორე. დაე, ისეთი ტიპის ექიმებთან ჰქონდეთ ამიერიდან საქმე, რომლებსაც მათი სისტემა შექმნის. დაე, თავად ნახონ, როგორ ექიმებს შექმნის ამიერიდან მათი სისტემა, დაე, მიხვდნენ, როგორი საშიშია, როცა საოპერაციოებში და საავადმყოფოს პალატებში საკუთარ სიცოცხლეს მიანდობენ ადამიანს, რომელიც სიცოცხლეც ფეხქვეშ გათელეს.

საშიშია, თუ ის ამით აღშფოთებულია...

— მე შევწყვიტე ჩემი საქმიანობა, — თქვა ელის უაიატმა, — რადგან არ მინდოდა, კაციჭამიების საკვებიც თვითონ ვყოფილიყავი და მათი მზარეულიც ერთდროულად.

— მე მივხვდი, — თქვა კენ დენეგერმა, — რომ ადამიანები, რომლებსაც მე ვებრძოდი, უმწეონი იყვნენ. უსუსურნი, უსარგებლონი, უპასუხისმგებლონი, უგუნურნი — მე არ მჭირდებოდა ისინი, მათ არ უნდა ეკარნახათ ჩემთვის პირობები და მე არ უნდა დავმორჩილებოდი მათ მოთხოვნებს. მე წავედი, მათ რომ ეს გაეგოთ.

— მე შევწყვიტე ჩემი საქმიანობა, — თქვა ქუენტინ დენიელსმა, — რადგან უხეში ძალის სამსახურში ჩამდგარი მეცნიერი ყველაზე საშიშ მკვლელად იქცევა დედამიწის ზურგზე და ყველაზე საზარელ წყევლას იმსახურებს.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. დაგნი გოლტს მიუბრუნდა და შეეკითხა:

— თქვენ? თქვენ პირველი მოხვდით აქ. რამ გაიძულათ ამის გაკეთება?

ჯონმა ჩაიცინა:

— უარმა, რომელიღაც პირველყოფილი ცოდვა მეღიარებინა.

— ამით რისი თქმა გინდათ?

— ჩემი უნარისა და გონების გამო, იმის გამო, რომ ადამიანად დავიბადე, თავი დამნაშავედ არასდროს მიგრძნია. მე დაუმსახურებელ ბრალდებებს არ ვაღიარებდი, ამიტომაც, უფლება მქონდა, მომეპოვებინა და მცოდნოდა ჩემი საკუთარი ღირსება. რაც თავი მახსოვს, სულ მეგონა, რომ აუცილებლად მოვკლავდი ადამიანს, ვინც მეტყოდა, რომ მე მისი დაკმაყოფილებისთვის ვარსებობდი, და ეს ჩემს უზენაეს ზნეობად მიმაჩნდა. იმ ღამით, როდესაც „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ კრებაზე გავიგონე, თუ როგორ ქადაგებდნენ ენით აუწერელ ბოროტებას მორალური სამართლიანობის ტონით, მე დავინახე სამყაროს ტრაგედიის მიზეზი, მისი გასაღები და და საშველი. მივხვდი, რა უნდა მექნა და წამოვედი ამის გასაკეთებლად.

— და ძრავა? — იკითხა დაგნიმ, — რატომ მიატოვეთ ის? რატომ დაუტოვეთ ის სტარნსის მემკვიდრეებს?

— ძრავა მათი მამის საკუთრება იყო. გადამიხადა კიდეც მისი შექმნისთვის. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ძრავა რომ დავასრულე. მაგრამ ვიცოდი, რომ ის სტარნსის მემკვიდრეებს მოგებას ვერ მოუტანდა და მის შესახებ ვერავინ ვეღარაფერს შეიტყობდა. ეს ძრავა პირველი საცდელი მოდელი იყო. მხოლოდ მე ან ჩემს მსგავს ადამიანს შეეძლო, დაესრულებინა, ან თუნდაც მიმხვდარიყო, რასთან ჰქონდა საქმე. მე კი დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემნაირი შესაძლებლობების მქონე ადამიანი იმ ქარხანას ახლოსაც არ გაეკარებოდა.

— ხვდებოდით, რა დიადი მიღწევა იყო თქვენი ძრავა?

— დიახ.

— და ისიც იცოდით, რომ მას დასაღუპად სწირავდით?

— დიახ. — გოლტმა ჩაბნელებულ ფანჯარაში გაიხედა და მწარედ ჩაიცინა, — სანამ წავიდოდი, უკანასკნელად შევხედე ჩემს ძრავას. იმ ადამიანებზე ვფიქრობდი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიმდიდრეს ბუნებრივი რესურსები განსაზღვრავს, მათზე, ვისაც მიაჩნია, რომ მას ქარხნების კონფისკაციით მოიპოვებ, ვისაც ჰგონია, რომ მექანიზმი მართავს გონებას. ძრავა იქ დარჩა, რომ ემართა ისინი, თუმცა ადამიანის გონების გარეშე ის მხოლოდ და მხოლოდ ჯართისა და მავთულების გროვა იყო, რომელსაც მალე ჟანგი შეჭამდა. თქვენ ის გაფიქრებთ, თუ რა სამსახურს გაუწევდა ეს ძრავა კაცობრიობას, წარმოებაში რომ ჩაეშვათ. მე კი მგონია, მისი დრო მაშინ დადგება, როცა ადამიანები გააცნობიერებენ, რა მიზეზით აღმოჩნდა ის ჯართის გროვაში. ვვარაუდობ, რომ ასეთი დრო მართლაც დადგება.

— როდესაც ძრავას ტოვებდით, იმედი გქონდათ, რომ ეს დრო დადგებოდა?

— არა.

— იმედი გქონდათ, რომ შესაძლებლობა მოგეცემოდათ, სხვაგან დაგეპროექტებინათ ის?

— არა.

— და მზად იყავით, მაინც დაგეტოვებინათ ჯართის გროვაში?

— დიახ, სწორედ იმის გამო, რასაც ეს ძრავა ჩემთვის ნიშნავდა, — თქვა გოლტმა ხმადაბლა, — მე მზად უნდა ვყოფილიყავი, დამეტოვებინა ის, დამეშვა, რომ ნაწილებად დაშლილიყო და განადგურებულიყო, — მან დაგნის თვალებში შეხედა და ქალმა მის ხმაში მტკიცე და აუღელვებელი შეუბრალებლობა გაარჩია, — ისევე, როგორც თქვენ მოგიხდებათ სარკინიგზო კომპანიის „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რკინიგზის ხაზის დაშლა და გაქრობა.

ამ სიტყვების გაგონებაზე დაგნიმ თავი მაღლა ასწია და ჩუმად თქვა:

— ნუ მაიძულებთ, ამაზე ახლავე გიპასუხოთ.

— არ გაიძულებთ. ჩვენ ყველაფერს გეტყვით, რის ცოდნასაც მოისურვებთ. ძალას არ დაგატანთ, რომ ახლავე მიიღოთ გადაწყვეტილება, — დაგნი გააკვირვა მოულოდნელმა სინაზემ გოლტის ხმაში, — ასეთი გულგრილი დამოკიდებულება იმ სამყაროს მიმართ, რომელიც ჩვენი უნდა ყოფილიყო, ყველაზე რთული მისაღწევია. მე ეს ვიცი. ჩვენ ყველამ გამოვცადეთ ეს.

დაგნიმ თვალი მოავლო ამ მყუდრო ოთახსა და გოლტის ძრავიდან აღმოცენებულ სინათლეს, იქ მყოფი ადამიანების სახეებს. ეს ყველაზე უდრტვინველი და ერთსულოვანი ადამიანების თავყრილობა იყო, რომელიც კი ოდესმე ენახა.

— რას აკეთებდით, როდესაც „თუენთის სენჩერიდან“ წამოხვედით? — ჰკითხა დაგნიმ გოლტს.

— უკუნ წყვდიადში მოკაშკაშე სინათლეებს ვაკვირდებოდი — ნიჭიერების, ინტელექტის გამონათებებს. უნარიანი და გონიერი ადამიანების ცხოვრების გზას, მათ ბრძოლასა და წამებას, მერე კი, როდესაც ვხვდებოდი, რომ უკვე საკმარისად იტანჯეს, მიმყავდა ისინი.

— მაინც, როგორ დაიყოლიეთ ეს ხალხი, ყველაფერი მიეტოვებინათ?

— მე მათ ვუთხარი, რომ ისინი მართლები იყვნენ.

ქალის მზერაში ამოკითხული უხმო შეკითხვის პასუხად, გოლტმა განაგრძო:

— მე მათ სიამაყე შევაგრძნობინე, რომელიც არც კი იცოდნენ, თუ ჰქონდათ. მე მათ ის სიტყვები მივეცი, რომლითაც ამ სიამაყეს განსაზღვრავდნენ. მე მათ ის ფასდაუდებელი საუნჯე მივეცი, რომელიც უკვე დიდი ხანია, სჭირდებოდათ, თუმცა თავად ვერც კი ხვდებოდნენ — მორალური მხარდაჭერა. თქვენ მე გამანადგურებელი და ადამიანებზე მონადირე მიწოდეთ? მე ამ გაფიცვის ორგანიზატორი ვიყავი, მსხვერპლთა აჯანყების მეთაური, შევიწროებულთა, უფლებააყრილთა, ექსპლუატირებულთა დამცველი. და ამჯერად ეს სიტყვები მათი პირდაპირი, ნამდვილი მნიშვნელობით წარმოითქმება.

— პირველი ვინ გამოგყვათ?

ჯონმა წამით მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა, მერე კი უპასუხა:

— ჩემი ორი საუკეთესო მეგობარი. ერთ მათგანს თქვენც იცნობთ. ალბათ, სხვებზე უკეთ იცით, თუ რა გაიღო მან ამისთვის. მესამე კი ჩვენი მასწავლებელი, დოქტორი ექსტონი იყო. ის ერთი საღამოს საუბრის შემდეგ შემოგვიერთდა. უილიამ ჰეისტინგსი, ჩემი უფროსი „თუენთის სენჩერი მოტორ კომპანის“ კვლევით ლაბორატორიაში ერთი წელი ებრძოდა საკუთარ თავს, მაგრამ ბოლოს მაინც შემოგვიერთდა. შემდეგ რიჩარდ ჰალი წამოვიდა, მერე კი მაიდას მალიგანი.

— რომელსაც ამისთვის თხუთმეტი წუთი ეყო, — თქვა მაიდას მალიგანმა.

დაგნი მალიგანს მიუბრუნდა:

— თქვენ დაუთმეთ მათ ეს ხეობა?

— დიახ, — უპასუხა მალიგანმა, — თავდაპირველად ეს მხოლოდ ჩემი საკუთარი თავშესაფარი იყო. აქაურობა წლების წინ ვიყიდე ნაწილ-ნაწილ ფერმერებისგან და მწყემსებისგან, რომლებიც ვერც კი ხვდებოდნენ, რას ფლობდნენ. ხეობა არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული. ეს სახლი მაშინ ავაშენე, როდესაც გადავწყვიტე, საქმიანობა შემეწყვიტა. ხეობასთან მისასვლელი ყველა გზა გადავკეტე, გარდა ერთისა, რომელიც ისეა შენიღბული, რომ ვერავინ იპოვის. აქაურობა იმგვარად მოვაწყვე, რომ დამოუკიდებლად ეარსება, რათა სიცოცხლის ბოლომდე აქ ისე მეცხოვრა, მძარცველის სახე აღარასდროს დამენახა. როდესაც შევიტყვე, რომ ჯონს მოსამართლე ნარაგანსეტიც შეუერთდა, აქ მოვიწვიე. შემდეგ რიჩარდ ჰალის

ვთხოვეთ, ჩამოსულიყო. დანარჩენები კი თავიდან ხეობის გარეთ განაგრძობდნენ ცხოვრებას.

— ჩვენ არანაირი წესები არ გვაქვს, — თქვა გოლტმა, — გარდა ერთისა. როდესაც ადამიანი ჩვენს ფიცს დებს, ეს მას ერთ ვალდებულებას აკისრებს: არ იმუშაოს თავისი პროფესიით, არ მისცეს სამყაროს სარგებელი თავისი გონების ნაყოფით. ეს ვალდებულება თითოეულმა ჩვენგანმა ისე შეასრულა, როგორც მას სურდა. ვისაც ფული ჰქონდა, საერთოდ შეწყვიტა მუშაობა და საკუთარი დანაზოგით განაგრძობს არსებობას. ვისაც დანაზოგი არ აქვს, ყველაზე დაბალანაზღაურებადი სამუშაო იშოვა თავის სარჩენად. ზოგიერთი ჩვენგანი სახელგანთქმული იყო; დანარჩენები კი, — მაგალითად, თქვენს სარკინიგზო ხაზზე მომუშავე მემანქანის ახალგაზრდა თანაშემწე, რომელიც ჰალიმ აღმოაჩინა, — შევაჩერეთ, ვიდრე ისინიც დაიტანჯებოდნენ. თუმცა ჩვენ არც ჩვენი გონება არ მიგვიტოვებია და არც საყვარელი საქმე. თითოეული ჩვენგანი, როგორც მოეხერხება, ისე განაგრძობს თავისი ნამდვილი პროფესიით საქმიანობას თავისუფალ დროს, მაგრამ ყველასგან მალულად, მხოლოდ საკუთარი სარგებლობისთვის, და ამით კაცობრიობას არაფერს სძენს. ჩვენ მთელ ქვეყანაში განდევნილებივით ვიყავით გაფანტული, — კაცმა რომ თქვას, ვიყავით კიდევაც განდევნილები, ოღონდ ახლა უკვე ამ როლს გაცნობიერებულად ვასრულებდით. შვებას მხოლოდ ის იშვიათი შეხვედრები გვგვრიდა, როდესაც ერთმანეთს ვნახულობდით.

მივხვდით, რომ ეს შეხვედრები ძალიან გვსიამოვნებდა, რადგან ისინი გვახსენებდა, რომ ადამიანები ჯერ კიდევ არსებობდნენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, წელიწადში ერთი თვე გაგვეტარებინა ამ ხეობაში, დაგვესვენა, გვეცხოვრა გონივრულ სამყაროში, დაუფარავად გვეკეთებინა ჩვენი ნამდვილი საქმე, გვევაჭრა ჩვენი მიღწევებით — აქ მიღწევა გასამრჯელოს ნიშნავდა და არა ქონების ჩამორთმევას. თითოეულმა ჩვენგანმა ხეობაში საკუთარი ხარჯებით აიშენა სახლი, რომ ყოველ წელს ერთი თვე აქ გაეტარებინა. ეს ერთი თვე დანარჩენ თერთმეტს უფრო ადვილად ასატანს ხდიდა.

— ალბათ მიხვდით, მის ტაგარტ, — უთხრა დაგნის ჰიუ ექსტონმა, — რომ ადამიანი სოციალური ცხოველია, თუმცა არა იმ გაგებით, როგორც ამას მძარცველები ქადაგებენ.

— სნორედ კოლორადოს განადგურებამ გააფართოვა ეს ხეობა, — თქვა მაიდას მალიგანმა, — ელის უაიატი და ზოგიერთი სხვაც აქ სამუდამოდ დასახლდნენ, რადგან იძულებული გახდნენ, დამალულიყვნენ. რისი გადარჩენაც მოახერხეს თავიანთი ქონებიდან, მთლიანად ოქროდ და აღჭურვილობად აქციეს, როგორც მე, და აქ მოიტანეს ყველაფერი. უკვე ვკმაროდით საიმისოდ, რომ აქაურობა მოგვეწყო და სამუშაო ადგილები შეგვექმნა იმათთვის, ვისაც ხეობის გარეთ უწევდა მუშაობა თავის სარჩენად. ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ სტადიას, როცა ლამის ყოველ ჩვენგანს შეუძლია, სულ აქ იცხოვროს. ხეობა თითქმის მთლიანად დამოუკიდებელია და იმ საქონელს, რომელსაც ჯერჯერობით აქ ვერ ვაწარმოებთ, გარეთ ვყიდულობ საკუთარი არხის საშუალებით. ამას ჩემი საგანგებო წარმომადგენელი აკეთებს, რომელიც ჩემს ფულს მძარცველებს არ უგდებს ხელში. ჩვენ არ წარმოვადგენთ სახელმწიფოს და არც რომელიმე საზოგადოებას, იმ ადამიანთა ნებაყოფლობით გაერთიანებას მივეკუთვნებით, რომლებიც ერთმანეთთან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარმა ინტერესმა შეაკავშირა. მე ვარ ამ ხეობის მფლობელი და შემიძლია, მიწის ნაკვეთი მივყიდო აქ ცხოვრების მსურველებს. შეუთანხმებლობის შემთხვევაში,

მოსამართლე ნარაგანსეტმა უნდა იკისროს შუამავლობა, თუმცა ჯერჯერობით მას ამ მოვალეობის შესრულება არ დასჭირვებია. ამბობენ, რომ ადამიანები ძნელად თანხმდებიან ერთმანეთთან. გაოგნდებით, როდესაც ნახავთ, რა ადვილია შეთანხმება, თუ ორივე მხარე თავის მორალურ ჭეშმარიტებად მიიჩნევს იმას, რომ არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს მეორის გულისთვის და ვაჭრობის ერთადერთი საშუალება მხოლოდ მათი გონებაა. ახლოვდება დრო, როცა ყველა ჩვენგანს აქ მოუწევს გადმოსვლა, რადგან სამყარო ისე სწრაფად ინგრევა, რომ მალე შიმშილობა დაიწყება. თუმცა ამ ხეობის მცხოვრებლები შევძლებთ თავის რჩენას.

— სამყარო იმაზე უფრო სწრაფად ინგრევა, ვიდრე ჩვენ მოველოდით, — თქვა ჰიუ ექსტონმა, — ადამიანები მუშაობას წყვეტენ და ნებდებიან. თქვენი გაჩერებული მატარებლების ეკიპაჟს, თავდამსხმელთა ბანდებს, დეზერტირებს ჩვენ შესახებ არაფერი სმენიათ და ჩვენს გაფიცვას არ შემოერთებიან, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ — ეს მათში დარჩენილი გონიერების ბუნებრივი რეაქციაა, მათი პროტესტიც ზუსტად ჩვენნაირია.

— ჩვენ გაფიცვის დაწყებისას მის ხანგრძლივობაზე არც გვიფიქრია, — თქვა გოლტმა, — არ ვიცოდით, სიცოცხლეშივე გავხდებოდით სამყაროს გათავისუფლების მომსწრე თუ ჩვენი ბრძოლა და საიდუმლო მომავალი თაობებისთვის უნდა გადაგვეცა. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ სხვანაირად ცხოვრება არ შეგვეძლო. მაგრამ ახლა უკვე ვფიქრობთ, რომ ჩვენი გამარჯვებისა და უკან დაბრუნების დღე სულ მალე დადგება.

— როდის? — წაიჩურჩულა დაგნიმ.

— როდესაც მძარცველთა კოდექსი დამარცხდება.

გოლტმა შენიშნა ქალის სანახევროდ კითხვის, ნაწილობრივ კი იმედის გამომხატველი მზერა და განაგრძო:

— როდესაც მსხვერპლშეწირვის მრწამსი საბოლოოდ გაცხადდება ყველასთვის — როდესაც ადამიანები ვეღარ იპოვიან იმ მსხვერპლთაგან ვერც ერთს, რომლებიც მზად იქნებიან, სამართლიანობის გზა ჩახერგონ და საკუთარ თავზე აიღონ სასჯელი — როდესაც თავგანწირვის მქადაგებლები აღმოაჩენენ, რომ იმათ, ვინც მზად არიან თავგანწირვისთვის, აღარაფერი აქვთ შესაწირი, ხოლო მათ, ვისაც აქვთ, უკვე აღარ სურთ თავგანწირვა — როდესაც ადამიანები მიხვდებიან, რომ არც სიტყვებს და არც ლოზუნგებს მათი ხსნა აღარ ძალუძთ, მათ მიერ შეჩვენებული გონება კი აღარსადაა, რომ ძახილზე გამოეხმაუროს და უშველოს — როდესაც ისინი დაიღუპებიან, როგორც აზროვნების უნარის გარეშე დარჩენილი ადამიანები — როდესაც მათ აღარ ექნებათ თვალთმაქცური ძალაუფლება, სამართლის ნაშთი, მორალურობის კვალი, იმედი, საკვები და მისი მოპოვების გზა — როდესაც ისინი დაიღუპებიან და გზა გათავისუფლდება — სწორედ მაშინ დავბრუნდებით ჩვენ უკან, რომ ხელახლა ავაშენოთ სამყარო.

„ტაგარტების სადგური“, — გაიფიქრა დაგნიმ; მან გაიგონა, თუ როგორ ხმაურობდა ეს სიტყვები მის გაქვავებულ გონებაში, როგორც იმ ტვირთის სიმძიმე, რომლის აწონის დრო მას არ ჰქონდა. ქალმა გაიფიქრა, რომ სწორედ ეს ოთახი იყო ტაგარტების სადგური და არა ვაგზლის ის უზარმაზარი დარბაზი ნიუ-იორკში — სწორედ ეს იყო მისი მიზანი, გზის ბოლო, და არა ჰორიზონტის ის წერტილი, სადაც რკინიგზის ორი ხაზი ერთმანეთს ხვდებოდა, მერე თვალსაწიერიდან უჩინარდებოდა და მას უხილავი ძალით იზიდავდა — ისევე, როგორც ნათანიელ ტაგარტს — ეს სწორედ ის მიზანი იყო, რომელსაც მისი წინაპარი, ნათანიელ ტაგარტი ხედავდა

შორს, ის წერტილი, რომელსაც ჯერ კიდევ გადმოჰყურებდა მისი ქანდაკება ხალხით სავსე ვაგზლის გრანიტით მოპირკეთებულ დარბაზში. ამის გამო მიუძღვნა თავი დაგნიმ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სარკინიგზო ხაზს, როგორც სხეულს, რომელსაც სული ჯერ არ შთაბერვოდა. დაგნიმ უკვე იპოვა ეს სული — ის ამ ოთახში იყო, მაგრამ ამ ყველაფრის საფასური მის უკან დარჩენილი სარკინიგზო ხაზების ქსელი იყო, რომელიც გაქრებოდა, ხიდი, რომელიც დაინგრეოდა, სასიგნალო შუქი, რომელიც ჩაქრებოდა... „და მაინც... ეს არის ყველაფერი, რაც მე მსურდა“, — გაიფიქრა მან და თვალი მოარიდა კაცს, რომელსაც მზისფერი თმა და მტკიცე გამოხედვა ჰქონდა.

— აუცილებელი არ არის, ახლავე გვიპასუხოთ.

დაგნიმ თავი მაღლა ასწია; გოლტი მას ისე უყურებდა, თითქოს ზუსტად იცოდა, რასაც ფიქრობდა.

— ჩვენ არასდროს მოვითხოვთ თანხმობას, — თქვა ჯონმა, — არასოდეს იმაზე მეტს არ ვეუბნებით არავის, რის მოსასმენადაც ის მზად არის. თქვენ პირველი ხართ, ვინც დროზე ადრე შეიტყო ჩვენი საიდუმლო. მაგრამ თქვენ უკვე აქ ხართ და ეს უნდა გაგეგოთ. ახლა უკვე იცით იმ არჩევნის არსი, რომლის გაკეთებაც მოგიხდებათ. თუ ეს რთული გეჩვენებათ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გგონიათ, უფლება გაქვთ, ან ერთი აირჩიოთ ან მეორე. თუმცა მიხვდებით, რომ აუცილებელია.

— დროს მომცემთ?

— თქვენი დრო ჩვენ არ გვეკუთვნის, რომ მოგცეთ. არ აჩქარდეთ. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, გადაწყვიტოთ, რის გაკეთებას აირჩევთ და როდის. ჩვენ ვიცით ამ გადაწყვეტილების ფასი. ჩვენ ის უკვე გავიღეთ. იმ ფაქტმა, რომ თქვენ უკვე აქ ხართ, შესაძლოა, საქმე გაგიადვილოთ... ან უფრო გაგირთულოთ.

— უფრო გამირთულა, — წაიჩურჩულა დაგნიმ.

— ვიცი.

გოლტმა ეს ისეთივე ჩუმი ხმით თქვა, როგორც დაგნიმ, თითქოს. სუნთქვაშეკრულმა, და დაგნი შეკრთა, მოულოდნელად გააცნობიერა, რომ სწორედ აზრების ეს თანხვედრა იყო მათი ყველაზე ახლო ფიზიკური შეხება და არა წუთები, როცა გოლტს ის ხელში აყვანილი ჩამოჰყავდა მთის ფერდობზე.

ხეობას უკვე სავსე მთვარე დაჰყურებდა, როდესაც მათი მანქანა გოლტის სახლის გზას დაადგა; მთვარე სივრცეში დაკიდებულ ბრტყელ, მრგვალ, სინათლის ბურუსში გახვეულ ფარანს წააგავდა, რომლის შუქიც მიწამდე ვერ აღწევდა. თითქოს ამ ნათებას უჩვეულოდ თეთრი გრუნტი ასხივებდა. გეგონებოდა, ნათებას ნიადაგის თეთრი სიკაშკაშე გამოსცემდა. არაამქვეყნიურ სიმშვიდეში გარინდებული, გაუფერულებული დედამიწა თითქოს სიშორის ნისლში გახვეულიყო, რელიეფი ლანდშაფტს არ უერთდებოდა და ღრუბლებივით ზანტად მიიზლაზნებოდა.

მოულოდნელად დაგნი მიხვდა, რომ იღიმებოდა. ზემოდან დაჰყურებდა სახლებს ხეობაში. მათი განათებული ფანჯრები ლურჯად იყო დაბინდული, კედლების კონტურები გადღაბნილიყო, ნისლის გრძელი ზოლები კი მათ შორის დუნე ტალღებად იკლაკნებოდა. ეს სანახაობა წყალში ჩაძირულ ქალაქს ჰგავდა.

— რა ჰქვია ამ ადგილს? — ჰკითხა ჯონს დაგნიმ.

— მე მას მალიგანის ხეობას ვეძახი, — უპასუხა კაცმა, — დანარჩენები კი გოლტის ხეობას უწოდებენ.

— მე მას დავარქმევდი... — დაგნის წინადადება არ დაუმთავრებია.

გოლტმა ქალს შეხედა. დაგნი მიხვდა, თუ რა ამოიკითხა კაცმა მის სახეზე. ჯონმა პირი იბრუნა.

დაგნიმ დაინახა გოლტის ტუჩების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა — გეგონებოდა, სუნთქვა უჭირდა. ქალმა თვალები დახარა და ხელები ისე ჩამოყარა, თითქოს მათ სიმძიმეს ვეღარ გაუძლო.

აღმართზე უფრო ჩამობნელდა. გზის ორივე მხარეს ფიჭვის ხეები გამწკრივებულიყვნენ. მოახლოებული კლდის თავზე დაგნიმ გოლტის სახლის ფანჯრებში არეკლილი მთვარის შუქი დაინახა. ქალს თავი უკან გადაეგდო და დუმდა, თითქოს ვერც კი აცნობიერებდა, მანქანაში თუ იჯდა, მხოლოდ იმ მოძრაობას გრძნობდა, რომელიც მას წინ მიაქანებდა და ფიჭვის ტოტებზე დაფენილი წყლის წვეთების მსგავსად მოციმციმე ვარსკვლავებს შეჰყურებდა.

როდესაც მანქანა გაჩერდა, დაგნი გადმოვიდა და საკუთარ თავს გოლტისთვის შეხედვაც კი აუკრძალა. ადგილზე გაქვავებული, ერთი წამით უხმოდ შესცქეროდა ჩაბნელებულ ფანჯრებს. არც კი გაუგონია, როგორ მიუახლოვდა გოლტი, მხოლოდ მისი ხელების შეხება იგრძნო გასაოცარი სიმძაფრით, თითქოს ეს იყო ერთადერთი რამ, რასაც აცნობიერებდა, სხვას ვერაფერს. გოლტმა დაგნი ხელში აიყვანა და ნელი ნაბიჯით დაადგა სახლისკენ მიმავალ ბილიკს.

არც კი უყურებდა, ისე მიჰყავდა მკერდზე მაგრად მიკრული, გეგონებოდა, დროის შეჩერება სურდა, იმ წამის შენახვა, როდესაც ქალი ხელში აიყვანა. დაგნი თითოეულ მის ნაბიჯს გრძნობდა, თითქოს ეს ბუნდოვან, მაგრამ დიად მიზნამდე მისასვლელი ერთადერთი მოძრაობა იყო; ეს ნაბიჯები საათის რეკვას ჰგავდა და ყოველი დარტყმისას მომდევნოზე ფიქრი ვერ გაებედა.

თავებით თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს, კაცის თმა დაგნის ლოყაზე ელამუნებოდა და მან იცოდა, რომ არც ერთი მათგანი არაფერს არ მოიმოქმედებდა, სახით რომ შეხებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო უეცარი და მშვიდი უხმო თრობა, თავისთავში დასრულებული, სივრცეში ორი ვარსკვლავის სხივების ნანატრი შეხვედრის მსგავსი. დაგნი ხედავდა, რომ გოლტი თვალდახუჭული მიდიოდა, თითქოს უბრალო მზერაც კი ყველაფერს გააფუჭებდა.

გოლტი სახლში შევიდა და სასტუმრო ოთახი გაიარა, არც მასა და არც დაგნის მარცხნივ არ გაუხედავთ, მაგრამ ქალმა იცოდა, რომ ორივე მათგანს ჯონის საძინებლის კარი ედგა თვალწინ. გოლტმა შეაბიჯა მთვარის შუქის სვეტში, რომელიც სტუმრებისთვის განკუთვნილ საწოლს ეცემოდა და ქალი ამ საწოლზე დააწვინა.

დაგნიმ იგრძნო, როგორ შეყოვნდა წამით კაცის ხელები მის მხარსა და წელზე და როდესაც ეს შეხება დასრულდა, მიხვდა, რომ ის წამი უკვე მიიწურა.

გოლტმა ჩამრთველს ხელი მიაჭირა და ოთახი თვალის მომჭრელი კაშკაშა სინათლით აივსო. უძრავად იდგა, თითქოს მოითხოვდა, ქალს მისთვის შეეხედა.

— დაგავიწყდათ, რომ გინდოდათ, დანახვისთანავე გესროლათ ჩემთვის?

ჰკითხა გოლტმა დაგნის.

მისი უძრაობა, დაუცველობა ამ სიტყვებს ბრალდების მკაცრ დამაჯერებლობას სძენდა. დაგნი შეკრთა და მკვეთრად გასწორდა, თითქოს ყვირილით იუარა, თუმცა თვალებში შეხედა კაცს და მშვიდად უპასუხა:

— მართალია. მინდოდა.

— მაშინ იმოქმედეთ.

ქალმა ჩუმად თქვა, მის ხმაში ერთდროულად დანებებაც გაისმოდა და ზიზღნარევი საყვედურიც:

— თქვენ იცით, რომ ამას არ ვიზამ, ხომ ასეა?

გოლტმა თავი გააქნია:

— არა. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ასეთი სურვილი გქონდათ. წარსულში თქვენ არ ტყუოდით, სანამ გარე სამყაროს ნაწილი იყავით, უნდა გეცადათ კიდეც ჩემი განადგურება. ახლა თქვენ წინაშე ორი გზა გამოჩნდა. და ერთ-ერთი აუცილებლად მიგიყვანთ იმ დღემდე, როდესაც იძულებული გახდებით, ეს გააკეთოთ.

დაგნი დუმდა, იჯდა და ძირს იყურებოდა. გოლტმა დაინახა, როგორ შეერხა მას თმა, როდესაც უარის ნიშნად სასოწარკვეთით გაიქნია თავი.

— ერთადერთი საფრთხე ჩემთვის თქვენ ხართ. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, ჩემი მტრების ხელში ჩამაგდოთ. თუ მათთან დარჩებით, ამას გააკეთებთ. თუ გსურთ, ეს გზა აირჩიეთ, მაგრამ კარგად გააცნობიერეთ თქვენი არჩევანი. ახლა ნუ მიპასუხებთ, მაგრამ ვიდრე მიპასუხებდეთ, — გოლტის ხმის მკაცრი ტონი ძალისხმევის დაძაბვაზე მიანიშნებდა, — გახსოვდეთ, რომ მე ორივე პასუხის მნიშვნელობა კარგად ვიცი.

— ისევე კარგად, როგორც მე? — წაიჩურჩულა ქალმა.

— ისევე კარგად.

როდესაც გოლტი წასასვლელად გატრიალდა, დაგნიმ უცებ თვალი მოჰკრა წარწერებს კედლებზე, რომლებიც მან ადრეც შენიშნა და მერე გადაავიწყდა.

ეს წარწერები პალირებულ ხეზე გამოესახათ და ჯერ კიდევ ეტყობოდა ფანქრით დაწოლის კვალი: „შენ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვან — ელის უაიატი“, „დილისთვის ყველაფერი კარგად იქნება — კენ დენეგერი“, „ეს ამად ღირს — როჯერ მარში“. ამათ გარდა კედლებზე სხვა წარწერებიც იყო.

— ეს რა არის? — იკითხა დაგნიმ.

გოლტმა გაიღიმა:

— მათ ხეობაში ყოფნის პირველი ღამე ამ ოთახში გაატარეს. ყველაზე რთული სწორედ პირველი ღამის გადატანაა. ეს მოგონებებთან კავშირის გაწყვეტის უკანასკნელი და ყველაზე საშინელი ეტაპია. როდესაც ბრუნდებიან, მე მათ აქ ვტოვებ ღამით, რომ დამიძახონ, თუ დავჭირდები. ვესაუბრები, თუ დაძინება უჭირთ. უმეტესობა ვერც იძინებს. მაგრამ დილისთვის უკვე ყველაფრისგან თავისუფლდებიან...

ეს ოთახი თითოეულმა მათგანმა გამოიარა. ახლა ისინი მას ან საწამებელ კამერას ეძახიან, ან წინკარს, რადგან ხეობაში ყველა ჩემი სახლის გავლით შემოდის.

სანამ გავიდოდა, გოლტი ზღურბლზე შეჩერდა და ქალს უთხრა:

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, ამ ოთახში თქვენც თუ აღმოჩნდებოდით. ღამე მშვიდობისა, მის ტაგარტ.

თავი 2

სიხარბის უტოპია

— დილა მშვიდობისა.

თავისი საძინებლის ზღურბლიდან დაგნიმ სასტუმრო ოთახში მყოფ გოლტს შეხედა. მის უკან, ფანჯრებში, მოვერცხლისფრო-ვარდისფერი აისის ფონზე მთები აზიდულიყო. მზეს დედამიწის რომელიღაც ნაწილში უკვე დაეწყო ამოსვლა, თუმცა ჯერ არ ჩანდა და მის მოახლოებას გაკაშკაშებული ცა იუწყებოდა; დაგნიმ გაიგონა განთიადის მხიარული მისალმება, მაგრამ ეს ჩიტების გალობა კი არა, ტელეფონის ზარი იყო წუთით ადრე; ახალი დღის დასაწყისი არა მწვანედ მოხასხასე ხის ტოტებმა, არამედ ქრომირებული ღუმლის ელვარებამ, მინის საფერფლის ბრწყინვამ მაგიდაზე

და გოლტის გაქათქათებულმა პერანგმა აუწყა. დაგნის ხმაშიც იგივე სითბო გაკრთა, რაც გოლტის მისალმებაში, როდესაც კაცს უპასუხა:

— დილა მშვიდობისა.

გოლტმა მაგიდიდან ფანქრით ნაწერი ფურცლები წამოკრიფა და ჯიბეში ჩაიწყო.

— ელექტროსადგურში უნდა ჩავიდე, — თქვა მან, — ახლახან დამირეკეს და მითხრეს, რომ სხივურ ეკრანთან დაკავშირებით რაღაც პრობლემა აქვთ. როგორც ჩანს, თქვენმა თვითმფრინავმა ღილაკი დაუზიანა. ნახევარ საათში დავბრუნდები და საუზმეს მოვამზადებ.

გოლტის ხმა ჩვეულებრივად ჟღერდა, დაუდევრადაც კი, თითქოს დაგნის იქ ყოფნაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავდა, თითქოს ეს მისი ყოველდღიურობის ნაწილი იყო და სხვაგვარად არც უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაგნი გრძნობდა, რომ ის ასე საგანგებოდ იქცეოდა და მისი ინტონაციაც რაღაც განსაკუთრებულს მალავდა.

და თვითონაც ჩვეულებრივად უპასუხა:

— თუ მანქანიდან ხელჯოხს მომიტანთ, საუზმეს მომზადებულს დაგახვედრებთ.

გოლტმა დაგნის ოდნავ შესამჩნევი გაოცებით შეხედა; თვალი შეავლო მის შეხვეულ კოჭს, კოფთის მოკლე სახელოებს, რომელიც იდაყვზე შემოხვეულ ბინტს ვერ უფარავდა. სიფრიფანა ბლუზონი, ღია საყელო, გამჭვირვალე ქსოვილის ქვეშ უმანკოდ გაშიშვლებულ მხრებზე ჩამოშლილი თმა დაგნის ავადმყოფის კი არა, სკოლის მოსწავლის იერს აძლევდა და ამ სახვევებს შეუფერებელს ხდიდა.

გოლტს გაეღიმა, თუმცა ქალს კი არა, თითქოს რომელიღაც კეთილ მოგონებას უღიმოდა:

— როგორც გენებოთ, — უპასუხა მან დაგნის.

გოლტის სახლში მარტო დარჩენილ დაგნის უცნაური შეგრძნება დაეუფლა. ნაწილობრივ, ეს იყო დღემდე მისთვის უცნობი შიშნარევი პატივისცემა, რის გამოც თითქოს უფრთხოდა რომელიმე ნივთისთვის ხელის ხლებას, რაკი ეს ზედმეტ სიახლოვედ ეჩვენებოდა. მეორე მხრივ კი, თავს ისე ლაღად გრძნობდა, გეგონებოდა, თავად ყოფილიყო ამ სახლისა და მისი პატრონის მფლობელი.

საუზმის მომზადებისას დაგნი უცნაურ სიხარულს გრძნობდა. თითქოს ეს მარტივი თვითმიზანი ყოფილიყო, თითქოს ყავადნის ავსებას, ფორთოხლის გაწურვას, პურის დაჭრას უსაზღვრო სიხარული მოჰქონდა, სიხარული, რომელსაც ადამიანი მუდამ მოელის, მაგრამ იშვიათად იღებს. დაგნი გაოცდა, როდესაც გააცნობიერა, რომ ასეთი სიამოვნება იმ დროიდან მოყოლებული არ განუცდია, როკდეილის სადგურში ოპერატორად რომ მუშაობდა.

უკვე სუფრას შლიდა, როცა სახლისკენ აჩქარებული ნაბიჯით მომავალი კაცი დაინახა, რომელიც სწრაფად, მოხერხებულად ახტებოდა კენჭებს. მან კარი ხელის კვრით შეაღო და დაიძახა: „ჰეი, ჯონ!“ — თუმცა დაგნის დანახვაზე უცებ გაჩუმდა.

მუქი ლურჯი სვიტერი და განიერი შარვალი ეცვა, ოქროსფერი თმა და ისეთი სრულყოფილი სილამაზის სახე ჰქონდა, რომ დაგნი ადგილზე გაშეშდა და აღტაცებით კი არა, გაოგნებული შესცქეროდა.

კაციც ისე შეჰყურებდა დაგნის, გეგონებოდა, ამ სახლში ქალის ნახვა სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო. გამომეტყველება თვალსა და ხელშუა ეცვლებოდა, ჯერ გაოცება დაეწერა სახეზე, თითქოს მან დაგნი იცნო, მერე კი ნაწილობრივ კმაყოფილი, ნაწილობრივ კი გამარჯვებული ღიმილი მოეფინა — ოჰ, თქვენც შემოგვიერთდით?

— არა, — მოკლედ მოუჭრა ქალმა, — არ შემოგერთებივართ მე შტრაიკბრეხერი ვარ კაცმა იმ ზრდასრული ადამიანივით გაიცინა, ბავშვის გაუგებარმა ტიტინმა რომ გაახალისა:

— რომ აცნობიერებდეთ, რას ამბობთ, იმასაც მიხვდებოდით, რომ ეს შეუძლებელია, — უთხრა მან დაგნის, — შეუძლებელია, აქ ასეთი რამ მოხდეს.

— გაზვიადების გარეშე გეტყვით, რომ მე ჭიშკარი შემოვამტვრიე.

კაცმა ქალის სახვევებს შეხედა, წამით ჩაფიქრდა, მერე კი კადნიერი ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— როდის?

— გუშინ.

— როგორ?

— თვითმფრინავით.

— რას აკეთებდით თვითმფრინავით ამ მხარეში?

კაცს არისტოკრატისა და ხულიგნისთვის დამახასიათებელი თავდაჯერებული და მბრძანებლური ქცევის მანერა ჰქონდა; პირველს ჰგავდა, მაგრამ მეორესავით ეცვა. დაგნი ერთი წუთით დააკვირდა მას და განგებ დააყოვნა პასუხი:

— პრეისტორიულ მირაჟში დაშვებას ვცდილობდი, — უპასუხა მან, — და მოვახერხე კიდეც.

— თქვენ ნამდვილად შტრაიკბრეხერი ხართ, — ჩაიცინა კაცმა ისე, თითქოს ყველაფერს მიხვდა, — ჯონი სადღაა?

— მისტერ გოლტი ელექტროსადგურშია წასული. შესაძლოა, ნებისმიერ წამს დაბრუნდეს უკან.

კაცი უნებართვოდ ჩაეშვა სავარძელში, გეგონება, საკუთარ სახლში ყოფილიყო.

დაგნი უსიტყვოდ მიუბრუნდა თავის საქმეს. კაცი მის მოძრაობებს დაუფარავი ღიმილით შესცქეროდა, თითქოს დაგნი რომ სამზარეულოს მაგიდაზე დანა-ჩანგალს აწყობდა, რაღაც დაუჯერებელი სანახაობა იყო.

— რა თქვა ფრანცისკომ, როდესაც აქ გნახათ? — ჰკითხა მან.

დაგნი მკვეთრი მოძრაობით მიბრუნდა მისკენ თუმცა მშვიდი ხმით უპასუხა:

— ის ჯერ აქ არ გამოჩენილა.

— ჯერ არა? — გაოცება დაეტყო კაცს, — დარწმუნებული ხართ, რომ ასეა?

— მე ასე მითხრეს.

კაცმა სიგარეტს მოუკიდა. დაგნი ინტერესით შესცქეროდა და ცდილობდა, გამოეცნო, რა პროფესია აერჩია ამ ადამიანს, რა უყვარდა და რისი მიტოვება მოუხდა, ხეობაში რომ დასახლებულიყო. პასუხი ვერ იპოვა: მას არც ერთი პროფესია არ შეეფერებოდა; უცებ მიხვდა, რომ აბსურდული აზრი დაებადა — ამ კაცს საერთოდ არ ჰქონდა პროფესია, რადგან მისი გასაოცარი სილამაზისთვის ნებისმიერი საქმიანობა მეტისმეტად საშიში ჩანდა. თუმცა ეს პიროვნული ლტოლვა არ იყო, დაგნი მასში მამაკაცს კი არა, ხელოვნების გასულიერებულ ქმნილებას ხედავდა. მისი სრულყოფილების ფონზე გარე სამყარო, სადაც ნებისმიერი პროფესია საკუთარი საქმის მოყვარულ ადამიანს ელდას, დაძაბულობას, უსიამოვნო მოულოდნელობებს უქადდა, უფრო მეტად უგვანი ჩანდა.

მაგრამ ამ კაცს სახეზე ისეთი სიმტკიცე ეწერა, თითქოს ვერავითარი საფრთხე ვერ დაჯაბნიდა და დაგნის საკუთარი აზრი კიდევ უფრო აბსურდული ეჩვენა.

— არა, მის ტაგარტ, — მიმართა მან დაგნის მოულოდნელად, როდესაც მისი მზერა შეამჩნია, — ადრე არასდროს გინახივართ.

დაგნი უცებ მიხვდა, რომ დაუფარავად აკვირდებოდა მას და თვალი მოარიდა.

— თქვენ საიდან იცით, ვინ ვარ? — იკითხა მან.

— ჯერ ერთი, თქვენი ფოტოები ბევრჯერ მინახავს გაზეთებში. მეორეც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ გარე სამყაროში ერთადერთი ქალი ხართ, რომელსაც გოლტის ხეობაში დარჩენის ნებას დართავდნენ. მესამეც, თქვენ ერთადერთი ქალი ხართ, ვინც იმდენად მამაცი, — და მფლანგველი, — აღმოჩნდა, რომ დღემდე შტრაიკბრეხერად რჩება.

— საიდან იცით, რომ შტრაიკბრეხერი ვარ?

— ჯერ ერთი, ეს თვითონ თქვით, თანაც... ასე რომ არ იყოს, გეცოდინებოდათ, რომ პრეისტორიული მირაჟი ეს ხეობა კი არა, გარე სამყაროში მცხოვრები ადამიანების წარმოდგენაა ცხოვრებაზე.

უცებ მათ ძრავის ხმა შემოესმათ და სახლის წინ მანქანა გაჩერდა. დაგნიმ შენიშნა, როგორ წამოხტა ადგილიდან სტუმარი გოლტის დანახვაზე; რომ არა სურვილი, რაც შეიძლებოდა, მალე შეხვედროდა მას, გეგონებოდა, სამხედრო პირი იყო და ჩინით უფროსს აძლევდა სალამს.

ქალმა შენიშნა, როგორ შეყოვნდა გოლტი, როდესაც სახლში შემოვიდა და სტუმარი დაინახა. მერე გაეღიმა და, მართალია უცნაურად ხმადაბლა, თითქმის საზეიმოდ, უნებლიე შვებით მიესალმა მას:

— გამარჯობა.

— სალამი, ჯონ, — მხიარულად უპასუხა სტუმარმა.

დაგნიმ შეამჩნია, რომ ისინი ჩვეულებრივზე მეტხანს ართმევდნენ ხელს ერთმანეთს, იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც დარწმუნებული არ იყვნენ, მათი წინა შეხვედრა უკანასკნელი რომ არ აღმოჩნდებოდა.

გოლტი ქალს მიუბრუნდა:

— უკვე გაიცანით ერთმანეთი?

— ბოლომდე არა, — უპასუხა სტუმარმა.

— მის ტაგარტ, ნებას მომცემთ, წარმოგიდგინოთ რაგნარ დანეშოლდი?

დაგნი ხვდებოდა, როგორი გამომეტყველება ჰქონდა, როდესაც სადღაც შორიდან დანეშოლდის ხმა შემოესმა:

— თქვენი შიში უსაფუძვლოა, მის ტაგარტ. გოლტის ხეობაში მე არავისთვის არ ვარ საშიში.

დაგნიმ მხოლოდ თავის დაქნევა მოახერხა, ვიდრე მეტყველების უნარი დაუბრუნდებოდა, მერე კი უთხრა:

— საქმე ის არ არის, თქვენ როგორ ექცევით სხვებს... არამედ, რასაც ისინი თქვენ გიკეთებენ...

რაგნარის ხარხარმა ქალი წამიერი გარინდებისგან გამოაფხიზლა:

— ფრთხილად იყავით, მის ტაგარტ. თუ ამგვარად დაიწყებთ ფიქრს, მოღალატედ დიდხანს ვეღარ დარჩებით. თქვენ გოლტის ხეობაში მცხოვრები ადამიანებისგან მათ მიერ დაშვებული შეცდომები კი არა, წარმატებები უნდა შეითვისოთ; მათ სულ უშედეგოდ გაატარეს თორმეტი წელი ჩემზე წუხილში.

სტუმარმა გოლტს შეხედა.

— როდის ჩამოხვედი? — ჰკითხა მას ჯონმა.

— წუხელ, გვიან ღამით.

— დაჯექი. ჩვენთან ერთად ისაუზმებ.

— კი მაგრამ, ფრანცისკო სად არის? რატომ არ ჩანს ჯერ კიდევ?

— არ ვიცი, — უპასუხა გოლტმა ოდნავ მოღუშული სახით, — ახლახან ვიკითხე აეროპორტში. მისგან არავის არაფერი სმენია.

როდესაც დაგნი სამზარეულოსკენ გაემართა, გოლტი უკან მიჰყვა:

— არა, — უთხრა ქალმა ჯონს, — დღეს ამას მე გავაკეთებ.

— ნება მომეცით, დაგეხმაროთ.

— ამ ხეობაში დახმარებას არავინ ითხოვს, ხომ ასეა?

გოლტს გაეღიმა და მიუგო:

— ეს მართალია.

დაგნის აქამდე არასოდეს განუცდია ამგვარი სიამოვნება მოძრაობისგან, მისი ტერფები თითქოს სხეულის წონას სრულიად ვერ გრძნობდნენ, თითქოს ხელჯოხი კიდევ უფრო მეტ ელეგანტურობას სძენდა სიარულისას — მის სწრაფ, მსუბუქ, გამართულ ნაბიჯებს ჰაეროვნებას მატებდა. დაგნის მიხრა-მოხრა ამბობდა, რომ მან მშვენივრად იცოდა, მამაკაცები რომ აკვირდებოდნენ: თავი ისე ეჭირა, როგორც მსახიობს სცენაზე, ქალბატონს მეჯლისზე, რომელიღაც უხმო შეჯიბრში გამარჯვებულს.

— ფრანცისკო გაიხარებს, როდესაც გაიგებს, რომ დღეს ის აქ თქვენ შეცვალეთ, — უთხრა დანეშოლდმა, დაგნი რომ სუფრას მიუჯდა.

— შევცვალე?

— დღეს ხომ პირველი ივნისია და ჩვენ სამს — ჯონს, ფრანცისკოსა და მე — ბოლო თორმეტი წელია, ტრადიციად გვაქვს, ყოველი წლის პირველ ივნისს ერთად ვისაუზმოთ. ., — აქ?

— თავიდან არა, მაგრამ უკვე რვა წელია, აქ — რაც ეს სახლი აშენდა, — რაგნარმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა, — უცნაურია, რომ ჩვენი ეს ტრადიცია პირველმა სწორედ ფრანცისკომ დაარღვია, რომლის ტრადიციებიც გაცილებით მეტ საუკუნეს ითვლის, ვიდრე ჩემი.

— და მისტერ გოლტზე რას იტყვით, მან რამდენი საუკუნე მოიტოვა უკან?

ჰკითხა რაგნარს დაგნიმ.

— ჯონმა? არც ერთი. პირიქით, მას ყველაფერი წინ აქვს.

— საუკუნეები იქით იყოს, — უთხრა დანეშოლდს გოლტმა, — შენ ის მითხარი, როგორი წელი მოიტოვე უკან? შენიანებიდან ვინმე ხომ არ დაკარგე?

— არა.

— დრო ხომ არ დაგიკარგავს?

— იმას გულისხმობ, ვიყავი თუ არა დაჭრილი? არა. ნაკაწრიც კი არ მქონია იმ ათი წლის წინანდელი ამბის შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ დილეტანტი ვიყავი და წესით, დავიწყებული უნდა გქონდეს. წელს გაცილებით უსაფრთხოდ ვიყავი, ვიდრე დირექტივა 10-289-ის შემთხვევაში ვიქნებოდი, რომელიღაც პატარა ქალაქში აფთიაქი რომ მქონოდა.

— რომელიმე ბრძოლა წააგე?

— არა. წელს ყველა ჯერზე მოწინააღმდეგე მხარე დამარცხდა. მძარცველებმა ჩემი წყალობით თავიანთი გემების უმეტესობა დაკარგეს, შენი წყალობით კი — ადამიანების. შენც კარგი წელი გქონდა, ხომ ასეა? ვიცი, ყველაფერს თვალს ვადევნებდი.

ჩვენი უკანასკნელი საუზმობიდან მოყოლებული, კოლორადოს შტატიდან ვინც გინდოდა ყველა წამოიყვანე და, ამას გარდა, რამდენიმე სხვაც, მაგალითად, კენ დენეგერი. ეს დიდი წარმატებაა. მაგრამ ნება მომეცი, ახლა კიდევ უფრო

მნიშვნელოვან კაცზე დაგელაპარაკო, ის უკვე თითქმის შენია. სულ ცოტაც და, შენს ფეხებთან დაეცემა. ამ კაცმა ჩემი სიცოცხლე იხსნა — თვითონაც ხედავ, რამდენად ღრმად შეტოპა.

გოლტი უკან გადაიწია და თვალები მოჭუტა:

— ხომ თქვი, რომ არავითარი საფრთხე არ დაგმუქრებია?

დანეშოლდმა გაიცინა:

— ოჰ, ცოტათი გავრისკე. ამად ღირდა. ეს ყველაზე სასიამოვნო შეხვედრა იყო ჩემს ცხოვრებაში. ერთი სული მქონდა, შენთვის მომეყოლა. ძალიან ისიამოვნებ.

იცი, ვინ არის ეს კაცი? ჰენკ რიერდენი. მე...

— არა!

ეს გოლტის ხმა იყო, ბრძანება; ასეთი მრისხანება, ამ პატარა სიტყვაში რომ გამოკრთოდა, არც დაგნისა და არც რაგნარს ადრე არასდროს სმენოდათ მისგან.

— რა? — ხმადაბლა ჰკითხა გაოცებულმა დანეშოლდმა.

— ახლა ნუ მომიყვები.

— კი მაგრამ, შენ არ ამბობდი, რომ ყველაზე მეტად სწორედ რიერდენის ხილვა გსურდა აქ?

— მართალია, მაგრამ აჯობებს, მოგვიანებით მომიყვე.

დაგნი გოლტის სახეს ყურადღებით დააკვირდა, თუმცა ამ მოულოდნელ აფეთქებას ახსნა ვერ მოუნახა, მხოლოდ უემოციო, გულჩათხრობილ გამომეტყველებას ხედავდა, რაც მტკიცე გადანყვეტილებით, ან პირიქით, ყოყმანით იყო გამოწვეული, დაჭიმულ ნაკვთებს, მაგრად მოკუმულ პირს. „რაც არ უნდა შეეტყო ჩემ შესახებ, უბრალოდ, შეუძლებელია, რაიმე ისეთი იცოდეს, რითაც ასეთი რეაქცია აიხსნება“, — ფიქრობდა დაგნი.

— თქვენ შეხვდით ჰენკ რიერდენს? — მიუბრუნდა მერე დანეშოლდს, — და მან გადაგარჩინათ?

— დიახ.

— მინდა, მოვისმინო ეს ამბავი.

— მე კი არა, — თქვა გოლტმა.

— რატომ?

— თქვენ არ ხართ ჩვენიანი, მის ტაგარტ.

— ვიცი. — ლამის გამომწვევად გაიღიმა დაგნიმ, — ფიქრობთ, რომ მე ხელს შეგიშლით ჰენკ რიერდენის მოპოვებაში?

— არა, ეს არც მიფიქრია.

დაგნიმ შენიშნა, რომ დანეშოლდიც ისე აკვირდებოდა გოლტს, თითქოს მისი საქციელი ვერც მას აეხსნა. გოლტმა მშვიდად გაუსწორა თვალი დანეშოლდს, თითქოს სთავაზობდა, მიმხვდარიყო მიზეზს და თანაც ჰპირდებოდა, რომ ამაოდ გაირჯებოდა. როდესაც მან ირონიულად მოჭუტა თვალები, დაგნი მიხვდა, რომ დანეშოლდი დამარცხდა.

— კიდევ რას მიაღწიე წელს? — ჰკითხა ჯონმა რაგნარს.

— მიზიდულობის კანონს შევეწინააღმდეგე.

— შენ მას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდი. ამჯერად, ეს როგორ მოახერხე?

— შუა ატლანტიკიდან კოლორადოში გადმოვფრინდი იმ თვითმფრინავით, რომელშიც ოქროს რაოდენობა მისი ტევადობის უსაფრთხოების ზღვარს აჭარბებდა.

მოიცადე, მაიდასმა ნახოს, რა ანაბარს შემოვიტან მის ბანკში. ამ წელს ჩემი კლიენტები გამდიდრდებიან — მითხარი ერთი, უკვე შეატყობინე მის ტაგარტს, რომ ის ჩემი ერთ-ერთი კლიენტია?

— არა, ჯერ არ მითქვამს. თუ გსურს, შეგიძლია, თავად უთხრა.

— რა თქვით, მე ვინ ვარ? — იკითხა დაგნიმ.

— ნუ აღშფოთდებით, მის ტაგარტ, — მიმართა ქალს დანეშოლდმა, — და არ შემეწინააღმდეგოთ, წინააღმდეგობას მიჩვეული ვარ. აქ ხომ ყველა დარტყმულად — მთვლის. ბრძოლის ჩემეულ მეთოდს არავინ არ იწონებს, არც ჯონი და არც დოქტორი ექსტონი. მათ მიაჩნიათ, რომ ჩემი ცხოვრება მეტისმეტად ძვირფასია საამისოდ.

მაგრამ, იცით, მამაჩემი ეპისკოპოსი იყო და მთელი მისი შეგონებებიდან მე მხოლოდ ერთს ვაღიარებ: „ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე განიგმირება“.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ძალმომრეობა არაპრაქტიკული რამეა. თუ სამყარო ფიქრობს, რომ მისი გაერთიანებული ძალები ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ჩემ სამართავად — დაე, გაიგონ, როგორ მთავრდება ომი უხეშ ფიზიკურ ძალასა და გონებით მართულ ძალას შორის. ჯონიც მეთანხმება იმაში, რომ ჩვენს დროს მე მქონდა იმ მიმართულების არჩევის მორალური უფლება, რომელიც ავირჩიე. მეც იმავეს ვაკეთებ, რასაც ის — მხოლოდ ჩემებურად. ის მძარცველებს ადამიანის სულს ართმევს, მე კი მათ ადამიანის სულის მიერ ნაწარმოებ პროდუქტს ვძალავ. ის მათ გონებას ართმევს, მე კი ქონებას. ის სამყაროს სულს აღარიბებს, მე კი სამყაროს სხეულს. მას უნდა, მძარცველებს გაკვეთილი დაასწავლოს, მე კი მოუთმენელი ვარ და სასწავლო პროცესის დაჩქარებას ვცდილობ. მაგრამ ჯონის მსგავსად, მეც ვემორჩილები მათ მორალურ კოდექსს და უარს ვაცხადებ, ორმაგი სტანდარტი მივანიჭო მათ ჩემს ხარჯზე, ან რიერდენის ხარჯზე, ან თქვენს ხარჯზე.

— რაზე ლაპარაკობთ?

— გადასახადის აკრეფაზე. დაბეგვრის ყველა სქემა რთული გასაგებია, თუმცა ჩემი მეთოდი ძალიან მარტივია, რადგან ის ყველა დანარჩენის არსს აშიშვლებს. ნება მომეცით, აგიხსნათ.

დაგნი უსმენდა დანეშოლდს. ესმოდა, როგორ ჰყვებოდა ის პედანტი ბუღალტრის ტონით ფინანსური გადარიცხვების, საბანკო ანგარიშების, საშემოსავლო გადასახადის შესახებ, თითქოს საბუღალტრო დავთრის დამტვერილ გვერდებს კითხულობდა ხმამაღლა, იმ განსაკუთრებული დავთრისა, სადაც თითოეული ჩანაწერისთვის ადამიანებს უზრუნველყოფის სახით საკუთარი სისხლი გაეღოთ და ნებისმიერ წუთს მზად იყვნენ, ამ სისხლით ეგოთ პასუხი. დაგნი უსმენდა, თვალს ვერ წყვეტდა მის სრულყოფილ სილამაზეს და ფიქრობდა, რომ სამყარომ სწორედ ამ კაცის თავი შეაფასა მრავალ მილიონად, რათა ის სასიკვდილო ხრწნისთვის გაეწირა...

სახე, რომელიც მეტისმეტად ლამაზი იყო, რათა კარიერის იარები დამჩნეოდა...

დაგნი ფიქრებს მისცემოდა და დანეშოლდის ნათქვამიდან ნახევარი არც ესმოდა:

„ეს სახე მეტისმეტად ლამაზია საიმისოდ, რომ რაიმე საფრთხე დაემუქროს“. შემდეგ უცებ გაუელვა, რომ რაგნარის გარეგნული სრულყოფილება მხოლოდ ილუსტრაცია იყო, მისთვის განკუთვნილი თვალსაჩინო გაკვეთილი სამყაროს ბუნებაზე და ყველა ადამიანური ღირებულების ხვედრზე ამ არაადამიანურ ეპოქაში. „როგორი სამართლიანი ან მანკიერიც არ უნდა ყოფილიყო მისი ქმედებები“, — ფიქრობდა დაგნი, — „როგორ შეეძლოთ... არა! მან სწორი გზა აირჩია, უბედურება ის

არის, რომ სამართლიანობას სხვა არჩევანი აღარ დარჩა, და რომ მე ვერც მოვიწონებ და ვერ გავკიცხავ მის გადაწყვეტილებას“.

— და ჩემი კლიენტების სახელები, მის ტაგარტ, ნელ-ნელა შეირჩა, ერთიმეორის მიყოლებით. მე ბოლომდე უნდა ვყოფილიყავი დარწმუნებული, რომ მათ უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდათ და სარგებლობას მოუტანდნენ მომავლის საზოგადოებას. ჩემი კლიენტების სიაში თქვენი სახელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო.

დაგნიმ თავს ძალა დაატანა, რომ გულგრილი გამომეტყველება შეენარჩუნებინა და მხოლოდ ეს უთხრა რაგნარს:

— მივხვდი.

— თუმცა თქვენს ანგარიშზე, სხვებისგან განსხვავებით, ისეთი დიდი თანხა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე აურაცხელი ფული გამოგძალეს. თქვენ ნახავთ, — როგორც საშემოსავლო გადასახადის იმ დეკლარაციების ასლებშია აღნიშნული, მალიგანი რომ გადმოგცემთ, — მე მხოლოდ ის გადასახადები აგინაზღაურეთ, საკუთარი ხელფასიდან რომ იხდიდით, როდესაც კომპანიის მმართველი ვიცე-პრეზიდენტი იყავით, მაგრამ ის თანხა, რომელსაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აქციების შემოსავლიდან იხდიდით, თქვენთვის არ დამიბრუნებია. თქვენ ამ აქციებიდან შემოსულ თითოეულ ცენტს იმსახურებდით და მამათქვენის დროს მოგების ყოველ ცენტს აგინაზღაურებდით, მაგრამ თქვენი ძმის მმართველობის პერიოდში „ტაგარტ ტრანსკონტინენტალმა“ მძარცველობას მიჰყო ხელი.

ის მოგებას ძალის გამოყენებით, მთავრობის კეთილგანწყობის, სუბსიდიების, მორატორიუმებისა და დირექტივების საშუალებით იღებდა. ეს თქვენი ბრალი არ იყო, სინამდვილეში, ამ პოლიტიკის გამო ყველაზე მეტად თქვენ დაზარალდით, მაგრამ მე მხოლოდ გამომუშავებული თანხა აგინაზღაურეთ და არა მიტაცებულის ნაწილი.

— მივხვდი.

მათ საუზმობა დაასრულეს. დანეშოლდმა სიგარეტს მოუკიდა და ერთი წამით ბოლში გასცქეროდა დაგნის, თითქოს იცოდა, რა ბრძოლა მიმდინარეობდა ქალის გონებაში, შემდეგ გოლტს გაუღიმა და ფეხზე წამოდგა.

— ახლა კი უნდა დაგტოვოთ, — თქვა რაგნარმა, — ჩემი ცოლი მელოდება.

— რა? — წამოიძახა განცვიფრებულმა დაგნიმ.

— ჩემი ცოლი, — გაიმეორა დანეშოლდმა მხიარულად, თითქოს ვერც კი მიხვდა მისი განცვიფრების მიზეზს.

— ვინ არის თქვენი ცოლი?

— კეი ლადლოუ.

ეს პასუხი იმაზე მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა, ვიდრე დაგნი წარმოიდგენდა:

— როდის... როდის დაქორწინდით?

— ოთხი წლის წინ.

— როგორ მოახერხეთ, საჯაროდ გამოჩენა, რომ გექორწინათ?

— ჩვენ მოსამართლე ნარაგანსეტმა აქ დაგვაქორწინა.

— როგორ შეუძლია მას, — დაგნი შეეცადა, თავი შეეკავებინა, მაგრამ სიტყვები თავისთავად აღმოხდა, უმწეო და ბრაზმორეული პროტესტით, ისე, რომ თავადაც ვერ იტყოდა, ვის მიემართებოდა მისი ეს პროტესტი — დანეშოლდს, ბედისწერასა თუ გარე სამყაროს, — როგორ შეუძლია მას, თერთმეტი თვის განმავლობაში აქ მარტომ იცხოვროს იმ აზრით, რომ თქვენ შეიძლება, ნებისმიერ წუთს...

დაგნის შეკითხვა არ დაუმთავრებია.

რაგნარს გაეღიმა და ქალმა ცხადად დაინახა, რომ მას სწორად გაუგეს, თორემ ამგვარ ღიმილს ვერასოდეს დაიმსახურებდა:

— მას შეუძლია, ასე იცხოვროს, მის ტაგარტ, რადგან ჩვენ არ გვჯერა, რომ დედამიწა უბედურების საუფლოა, სადაც ადამიანი დაღუპვისთვის არის განწირული.

ჩვენ არ გვჯერა, რომ ტრაგედია ჩვენი გარდაუვალი ხვედრია და კატასტროფის მუდმივ შიშში არ ვცხოვრობთ. უბედურებას არ ველით, ვიდრე მის აშკარა ნიშნებს არ დავინახავთ, და ამ შემთხვევაშიც გამოვნახავთ ძალას მასთან საბრძოლველად.

არაბუნებრივად ბედნიერება კი არა, უბედურება მიგვაჩნია, არანორმალური გამონაკლისი სწორედ უბედურებაა და არა წარმატება ადამიანის ცხოვრებაში.

გოლტმა კარამდე მიაცილა დანეშოლდი, შემდეგ კი მაგიდასთან დაბრუნდა და ხელი გაიწოდა, კიდევ ერთი ფინჯანი ყავა რომ დაესხა.

დაგნი უცებ ისე მოულოდნელად წამოხტა, თითქოს ორთქლის ძლიერ ჭავლს წამოეგდოს, რომელმაც უსაფრთხოების სარქველი ამოაგდო:

— გგონიათ, როდისმე მის ფულს მივიღებ?

გოლტმა დაიცადა, ვიდრე ფინჯანი ბოლომდე გაივსებოდა, შემდეგ ახედა და უთხრა:

— დიახ, ასე მგონია.

— არა! მე არ მივიღებ მის ფულს! უფლებას არ მივცემ, ამის გამო საფრთხეში ჩაიგდოს სიცოცხლე!

— თქვენ ვერაფერს გააწყობთ.

— მე მაქვს უფლება, არასოდეს არ მოვითხოვო ეს ფული!

— დიახ, ამის უფლება თქვენ მართლაც გაქვთ.

— მაშინ ეს ფული სამუდამოდ ბანკში დარჩება!

— არა, არ დარჩება. თუ თქვენ უარს იტყვით ამ ფულზე, მაშინ ამ თანხის სულ მცირე ნაწილი მე გადმომეცემა თქვენი სახელით.

— ჩემი სახელით? რატომ?

— თქვენი ცხოვრებისა და კვების ხარჯები რომ დავფარო.

დაგნი ჯონს მიაშტერდა, მის სახეზე ბრაზს თანდათან განცვიფრება ჩაენაცვლა და ის ნელა დაეშვა ისევ უკან სკამზე.

გოლტმა გაიღიმა:

— როგორ გგონიათ, მაინც რამდენ ხანს დარჩებით აქ, მის ტაგარტ? — დაგნის თვალებში შიში და უმწეობა ჩაუდგა, — არ გიფიქრიათ ამაზე? მე კი ვიფიქრე. ხეობაში ერთ თვეს დარჩებით. თქვენც ჩვენსავით შვებულების ერთ თვეს გაატარებთ აქ. მე თანხმობას არ გთხოვთ, რადგან არც თქვენ გიკითხავთ ჩვენთვის ნებართვა, როდესაც მოხვედით. თქვენ დაარღვიეთ ჩვენი წესები, ასე რომ, შედეგებზეც უნდა აგოთ პასუხი. ამ თვის განმავლობაში ხეობიდან ვერავინ წავა. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო თქვენი გაშვება, თუმცა ამას არ გავაკეთებ. არ არსებობს კანონი, რომელიც მომთხოვდა, თქვენთვის აქ დარჩენა დამეძალებინა, მაგრამ რაკი ძალით შემოიჭერით, თვითონვე მომეცით ნებისმიერი არჩევნის გაკეთების უფლება და მე ვაპირებ, აქ გაგაჩეროთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი აქ ყოფნა თავად მჭირდება. თვის ბოლოს თუ მოისურვებთ, შეგეძლებათ, ხეობა დატოვოთ, თუმცა იქამდე ვერსად წახვალთ.

დაგნი წელში გამართული იჯდა, სახე დამშვიდებოდა, მხოლოდ პირზე დასთამაშებდა მკაცრი, მტკიცე ღიმილი; ეს მეტოქის საშიში ღიმილი იყო. თვალები

ცივად უბრწყინავდა, თუმცა თან უცნაურ სილბოსაც ასხივებდა, როგორც იმ მტრის თვალები, ბრძოლა რომ განუზრახავს, მაგრამ დამარცხების შემთხვევაში გული მაინცდამაინც არ დასწყდება.

— ძალიან კარგი, — თქვა დაგნიმ.

— მე გადაგახდევინებთ ცხოვრებისა და კვების ხარჯებს, რადგან სხვა ადამიანის რჩენა ჩვენს წესებს ეწინააღმდეგება. ზოგიერთ ჩვენგანს ცოლ-შვილიც ჰყავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ორმხრივი ვაჭრობა და გადასახადია დაწესებული, — გოლტმა ქალს შეხედა, — იმ ტიპის გადასახადი, რომლის მიღების უფლებაც მე არ მაქვს. ამგვარად, მე თითოეული დღისთვის ორმოცდაათ ცენტს დაგაკისრებთ და ამ თანხას მაშინ გადამიხდით, როდესაც „მალიგან ბანკში“ თქვენს სახელზე გახსნილ ანგარიშს ჩაიბარებთ. თუ თქვენ არ დასთანხმდებით ამ თანხის მიღებას, მაშინ თავად მალიგანი გამოქვითავს თქვენი ანგარიშიდან ჩემთვის გადასახდელ ვალს და ის გადამიხდის ამ ფულს.

— მე შევასრულებ თქვენს პირობებს, — უპასუხა დაგნიმ, ვაჭრისთვის დამახასიათებელი გამჭრიახობითა და დინჯი სიფრთხილით, — მაგრამ ამ ფულით ჩემი ვალების გადახდას არ დავუშვებ.

— აბა, სხვაგვარად როგორ აპირებთ, გადამიხადოთ?

— ჩემი ცხოვრებისა და კვებისთვის საჭირო თანხას თვითონ გამოვიმუშავებ.

— მაინც როგორ?

— მზარეულად და მოახლედ დაგიდგებით.

დაგნიმ პირველად დაინახა, როგორ გაოგნდა გოლტი — სულის სიღრმემდე და იმ სიძლიერით, თვითონ რომ ვერ წარმოიდგენდა. მან მხოლოდ გადაიხარხარა, მაგრამ ისე იცინოდა, თითქოს იმ მხრიდან დაარტყეს მოულოდნელად, საიდანაც სრულიად არ ელოდებოდა, თითქოს ქალის სიტყვებში გაცილებით მეტი რამ დაინახა, ვიდრე მათი პირდაპირი მნიშვნელობა გულისხმობდა; დაგნი მიხვდა, რომ ის უნებლიეთ გოლტის წარსულს შეეხო, რომელიღაც მისთვის უცნობი მოგონებები და განცდები გაუღვიძა, გოლტი ისე იცინოდა, თითქოს რომელიღაც შორეულ ხატებას ხედავდა, თითქოს სწორედ მას შეჰხარხარებდა პირში, თითქოს როგორც იქნა დაამარცხა და ახლა შურს იძიებდა რაღაც ძალიან ძველის, შორეულის გამო, რაც დაგნისთვის უცნობი იყო.

— თუ სამუშაოდ ამიყვანთ, — უთხრა ქალმა ჯონს მკაცრად თავაზიანი გამომეტყველებით, მკაფიო, გულგრილი და საქმიანი ტონით, — მე მოგიმზადებთ საჭმელს, დაგილაგებთ სახლს, დაგირეცხავთ სარეცხს და მსახურის სხვა მოვალეობებსაც შევასრულებ — ჩემი ოთახის, კვებისა და ტანსაცმლის სანაცვლოდ. პირველ დღეებში შესაძლოა, ტრავმამ ცოტათი ხელი შემიშალოს, მაგრამ მალე გამოვკეთდები და საქმეს სრულყოფილად გავუძღვები.

— თქვენ მართლა გინდათ, ეს გააკეთოთ? — ჰკითხა დაგნის გოლტმა.

— მინდა, — უპასუხა ქალმა და გაჩუმდა, ხმამაღლა რომ არ წამოსცდენოდა პასუხის დარჩენილი ნაწილი: „ყველაზე მეტად ამქვეყნად“.

გოლტი კვლავ მხიარულად იღიმოდა, თუმცა, ეს მხიარულება ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, გამარჯვების ზეიმად გარდაქმნილიყო.

— კეთილი, მის ტაგარტ, — თქვა მან, — აგიყვანთ სამუშაოდ.

დაგნიმ მშრალად და თავშეკავებული მადლიერებით დაუკრა თავი.

— ოთახისა და საკვების გარდა, თვეში ათ დოლარს მიიღებთ.

— ძალიან კარგი.

— პირველი ადამიანი ვიქნები ამ ხეობაში, ვისაც მოახლე ეყოლება — ჯონი ადგა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ხუთდოლარიანი ოქროს მონეტა დააგდო მაგიდაზე, — ეს თქვენი ავანსია, — უთხრა მან ქალს.

დაგნიმ ხელი წაიღო მონეტის ასაღებად და გაოცდა, როცა გააცნობიერა, რომ იმ პატარა გოგონასავით, რომელიც პირველად აიყვანეს სამუშაოდ, მგზნებარე, გაუბედავ იმედს გრძნობდა — იმედს, რომ შეძლებდა, ეს ფული დაემსახურებინა.

— დიახ, სერ, — მიუგო თავდახრილმა გოლტს.

* * *

ოუენ კელოგი დაგნის ხეობაში ყოფნის მესამე დღეს ჩამოვიდა, შუადღისას.

დაგნი ვერ მიხვდა, რამ უფრო მეტად გააოცა კელოგი: თვითმფრინავიდან ჩამოსვლისას აეროდრომის განაპირას მისმა დანახვამ თუ მისმა ტანსაცმელმა: სიფრიფანა, გამჭვირვალე ბლუზონმა, რომელიც ნიუ-იორკის ყველაზე პრესტიჟულ მაღაზიაში იყო შეკერილი, და ბამბის ფართო დაჩითულმა ქვედატანმა, რომელიც ქალს ხეობაში სამოც ცენტად ეყიდა, მისმა ხელჯოხმა, სახვევებმა თუ სურსათით სავსე კალათამ.

კელოგი თვითმფრინავიდან ვიღაც კაცებთან ერთად ჩამოვიდა და დაგნი რომ დაინახა, ჯერ გაჩერდა, მერე კი მისკენ გამოიქცა, თითქოს შიშისმაგვარი უმძაფრესი ემოციის ბიძგით.

— მის ტაგარტ... — წაიჩურჩულა მან, შემდეგ ენა ჩაუვარდა, დაგნი კი სიცილით უხსნიდა, როგორ მოხვდა ამ ხეობაში მასზე ადრე.

კელოგი ისე უსმენდა დაგნის, თითქოს რასაც ის უყვებოდა, სრულიად უმნიშვნელო იყო, შემდეგ კი როგორც იქნა, ამოღერღა, რამ გააოგნა ასე:

— ჩვენ დაღუპული გვეგონეთ.

— ვის თქვენ?

— ჩვენ ყველას... ვგულისხმობ, ყველას გარე სამყაროში.

დაგნის სახეზე ღიმილი უკვალოდ გაქრა, როდესაც კელოგმა აღტაცებული შეძახილების მერე ყველაფერი უამბო:

— მის ტაგარტ, გახსოვთ, თქვენ მთხოვეთ, დამერეკა უინსტონში, კოლორადოში და მეთქვა, რომ მეორე დღეს თორმეტი საათისთვის იქ იქნებოდით, ანუ გუშინწინ, ოცდათერთმეტ მაისს. მაგრამ თქვენ უინსტონში არ გამოჩენილხართ და საღამოსკენ ყველა რადიოსადგურმა ახალ ამბებში გადმოსცა, რომ თქვენი თვითმფრინავი ავარიულად დაეშვა კლდოვან მთებში.

დაგნიმ უსიტყვოდ დაუქნია თავი, თანდათან ნათლად გააცნობიერა ყველაფერი, რაზეც მანამდე არც კი დაფიქრებულა.

— მე ეს ამბავი „კომეტაზე“ შევიტყვე, — ამბობდა კელოგი, — ნიუ მექსიკოს პატარა სადგურში. მატარებელი დისპეტჩერის განკარგულებით იქ ერთი საათი გააჩერეს, ვიდრე ამ ამბავს გადავამოწმებდით და საქალაქთაშორისო ტელეფონით სხვადასხვა ქალაქებს დავუკავშირდებოდით. ისიც ისევე იყო თავზარდაცემული, როგორც მე. ყველა გაოგნებული იყო — მატარებლის ეკიპაჟი, სადგურის ზედამხედველი, მეისრეები. სანამ მე დენვერში და ნიუ-იორკში გაზეთების რედაქციებს ვურეკავდი, ყველამ ჩემ ირგვლივ მოიყარა თავი, თუმცა ბევრი ვერაფერი შევიტყვეთ.

მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ ოცდათერთმეტ მაისს აფტონის, აეროდრომიდან აფრინდით გამთენიისას, ვიღაცის თვითმფრინავს რომ გაჰყოლოდით უკან, და რომ გამცილებელმა დაინახა, თუ როგორ მიფრინავდით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, მას

შემდეგ კი აღარავის უნახიხართ... რომ სამაშველო ჯგუფები თქვენს ჩამოვარდნილ თვითმფრინავს მთებში ეძებდნენ.

დაგნიმ უნებურად იკითხა:

— „კომეტამ“ თუ მიაღწია სან-ფრანცისკომდე?

— არ ვიცი. როდესაც მე მატარებლიდან ჩამოვედი, ის ჩრდილოეთ არიზონასკენ მიდიოდა. ბევრი შეფერხება, ურთიერთგამომრიცხავი განკარგულება იყო, სრული ქაოსი. მე მთელი ღამის განმავლობაში კოლორადოსკენ მომავალ სატვირთო მანქანებს, ფორნებსა და ურმებს მოვყვებოდი, რომ დროზე მომეღწია ჩვენი შეხვედრის ადგილამდე, საიდანაც მაიდასის თვითმფრინავს მოვყავართ აქ.

დაგნი ნელი ნაბიჯებით გაემართა ჰემონდის სასურსათო ბაზრის წინ გაჩერებული მანქანისკენ. კელოგი ქალს უკან მიჰყვა და უკვე ხმადაბლა, უფრო მშვიდად უთხრა, თითქოს დაგნის ნაბიჯების რიტმის შესატყვისად, გეგონებოდა, ორივენი ცდილობდნენ, რაღაც გადაევადებინათ:

— მე ჯეფ ალენს სამსახური ვუშოვე, — თქვა კელოგმა ისეთი უცნაურად საზეიმო ტონით, ვითომდა წარმოეთქვას: „მე შევასრულე თქვენი უკანასკნელი სურვილი“, — ლორელში თქვენი სადგურის უფროსმა აიყვანა სამუშაოდ. მას სწორედ ჯანმრთელი... უფრო ზუსტად, საღად მოაზროვნე ადამიანი სჭირდებოდა.

ისინი მანქანას მიუახლოვდნენ, მაგრამ დაგნი არ ჩაჯდა.

— მის ტაგარტ, ძალიან არ დაშავებულხართ ავარიისას, არა? საშიში ხომ არაფერია?

— არა, სერიოზული არაფერი. ხვალიდან მისტერ მალიგანის მანქანაც აღარ დამჭირდება, ერთ-ორ დღეში კი აღარც ეს. — დაგნიმ ხელჯოხი გაიქნია და დაუდევრად შეაგდო მანქანაში.

იდგნენ და დუმდნენ; ქალი იცდიდა.

— ნიუ მექსიკოს იმ სადგურიდან, — დაიწყო კელოგმა ჩუმი ხმით, — ბოლოს პენსილვანიაში დავრეკე. ჰენკ რიერდენს ვესაუბრე და ყველაფერი მოვუყევი, რაც კი ვიცოდი. მან ბოლომდე მომისმინა, ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი მითხრა: „გმადლობთ, რომ დამირეკეთ“. — კელოგმა თავი დახარა და განაგრძო, — აღარ მინდა, ოდესმე კიდევ მოვისმინო ამგვარი პაუზა.

კელოგმა დაგნის თვალებში შეხედა. მზერაში საყვედური არ ედგა, თითქოს ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა ყველაფერს, როცა დაგნის თხოვნა მოისმინა.

— გმადლობ, — უთხრა მას ქალმა და მანქანის საჭეს მიუჯდა, — ხომ არ წაგიყვანო?

უნდა წავიდე და სანამ ჩემი დამსაქმებელი სახლში დაბრუნდება, სადილი მოვამზადო. როდესაც დაგნი გოლტის სახლში დაბრუნდა და მარტო დარჩა მზით გაჩახჩახებული ოთახის სიჩუმეში, შეეცადა, საკუთარ გრძნობებში გარკვეულიყო. ფანჯარაში აღმოსავლეთით აღმართულ მთებს გახედა. წარმოიდგინა, როგორ იჯდა ჰენკ რიერდენი ორი ათასი მილის დაშორებით თავის სამუშაო მაგიდასთან ტანჯვისგან გაქვავებული სახით, ისევე, როგორც მთელი ამ წლების განმავლობაში, როცა იძულებული ხდებოდა, უსამართლო, დაუმსახურებელი დარტყმებისთვის გაეძლო, — და მოუნდა, რიერდენისთვის ებრძოლა, მისი წარსულისთვის, მისი გაქვავებული სახისთვის, რომელიც მას მხნეობას მატებდა, სწორედ ისე, როგორც „კომეტისთვის“ სურდა ბრძოლა, უკანასკნელი ძალების დაძაბვით რომ მიბობღავდა ნახევრად აყრილ ლიანდაგზე. დაგნის შეაჟრჟოლა, შემდეგ თვალები დახუჭა, ისეთი

განცდა ჰქონდა, გეგონებოდა, ორმაგად იყო დამნაშავე, თითქოს სივრცეში გამოკიდებული ამ ხეობასა და დანარჩენ სამყაროს შორის.

ამ განცდამ გაუარა, როდესაც გოლტის პირდაპირ იჯდა სასადილო მაგიდასთან. გოლტი მას დაუფარავად და მშვიდად შეჰყურებდა, თითქოს დაგნის იქ ყოფნა ჩვეულებრივი ამბავი გახდა, მიეჩვია კიდევაც მის დანახვას ყოველდღე და ეს უხაროდა კიდეც.

დაგნი ოდნავ გადაიხარა უკან, იფიქრებდი, ეგუებაო ამგვარ ვითარებას და მშრალად, და საგანგებოდ ცივი, საქმიანი ტონით უთხრა კაცს:

— თქვენს პერანგებს გადავხედე, ერთ მათგანს ორი ღილი აკლია, მეორე კი მარცხენა სახელო აქვს გაცვეთილი. ხომ არ გინდათ, დავაკერო?

— რატომაც არა, თუ მოახერხებთ.

— მოვახერხებ.

გოლტს მზერა არ შესცვლია, მხოლოდ უხმოდ დაუქნია თავი, თითქოს სწორედ ამ სიტყვების გაგონება სურდა, თუმცა დაგნის მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, მისგან რაიმე მოესმინა.

აღმოსავლეთით ცა ქარიშხლის მაუწყებელმა ღრუბლებმა შთანთქეს. დაგნის უკვირდა, რატომ აღარ ეწადა, ფანჯარაში გაეხედა, უცებ მოუნდა, ხის მაგიდაზე, კარაქწასმულ ფუნთუშებზე, სპილენძის ჯეზვეზე და გოლტის თმაზე დაფენილ სინათლის ოქროსფერ სხივებს ჩასჭიდებოდა, როგორც უკიდეგანო სიცარიელის განაპირას შემორჩენილ პატარა კუნძულს.

შემდეგ საკუთარი ხმა შემოესმა, რომელიც მოულოდნელად და თავისდა უნებურად კითხულობდა, და მიხვდა, რომ ცდილობდა, ერთი ღალატისთვის მაინც დაეღწია თავი:

— უფლებას მომცემთ, გარე სამყაროს რაიმე სახით მაინც დავუკავშირდე?

— არა.

— ერთი ბარათის გაგზავნის ნებასაც არ დამრთავთ, აქაური მისამართის მითითების გარეშე?

— არა.

— ერთი მოკლე შეტყობინების უფლებასაც, თუ ამით თქვენს საიდუმლოს არ გავთქვამ?

— არა აქედან. არა ამ თვის განმავლობაში. არა გარეთ მყოფებთან.

დაგნიმ შენიშნა, რომ ის გოლტს თვალს არიდებდა და თავს ძალა დაატანა, რომ შეეხედა მისთვის. გოლტი ახლა ქალს დაჟინებით, გაუნძრევლად, შეუბრალებელი და გამჭოლი მზერით შეჰყურებდა, თითქოს იცოდა მისი შეკითხვის მიზეზი:

— გსურთ, განსაკუთრებული გამონაკლისი დავუშვა თქვენთვის?

— არა, — თვალი გაუსწორა მას დაგნიმ.

მეორე დილით, ნასაუზმევს, როდესაც დაგნი გოლტის პერანგის სახელოს კემსავდა, თავისი ოთახის კარი კი მიეხურა, გოლტს რომ არ დაენახა, როგორ წვალობდა მისთვის უჩვეულო საქმის კეთებისას, გაიგონა, რომ სახლის წინ მანქანა გაჩერდა. ყური მოჰკრა, როგორ გადაკვეთა გოლტმა აჩქარებული ნაბიჯებით სასტუმრო ოთახი, მერე შემოსასვლელი კარი გააღო და ბრაზნარევი მხიარულებით შესძახა:

— როგორც იქნა, გამოჩნდი!

დაგნი ადგა, თუმცა მაშინვე ადგილს მიეყინა: გოლტს ხმა მკვეთრად შეეცვალა, დაუსერიოზულდა, თითქოს რაღაც მოულოდნელი დაინახა:

— მოხდა რამე?

— სალამი, ჯონ, — გაისმა დაღლილი, ჩუმი, მაგრამ მკაფიო და მტკიცე ხმა.

დაგნი საწოლზე ჩამოჯდა, უცებ თითქოს ძალა წაერთვა: ეს ფრანცისკო იყო.

გაიგონა, როგორ იკითხა გოლტმა შეფიქრიანებული ხმით:

— რა მოხდა?

— მერე მოგიყვები.

— ასე რატომ დაიგვიანე?

— ერთ საათში უკან უნდა გავფრინდე.

— კი მაგრამ, რატომ?

— ჯონ, მე მხოლოდ იმის სათქმელად ჩამოვფრინდი, რომ ამ წელს აქ ვეღარ დავრჩები, სიჩუმე ჩამოწვა, მერე კი გოლტმა ხმადაბლა, თავშეკავებულად იკითხა:

— რაიმე სერიოზულია?

— ჰო. მე... შეიძლება, თვის ბოლომდე უკან დავბრუნდე. ზუსტად ვერ გეტყვი.

შემდეგ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გააგრძელა, — არ ვიცი, ეგებ ეს საქმე სწრაფად მოვაგვარო ან... ან ვერა.

— ფრანცისკო, შეგიძლია, ახლა დიდ ელდას გაუძლო?

— მე? მე ახლა ვეღარაფერი გამაკვირვებს.

— ჩემს სასტუმრო ოთახში ერთი ადამიანია, რომლის ნახვაც მოგიწევს. შეიძლება, გაოგნდე, ასე რომ, ვფიქრობ, უმჯობესია, წინასწარ გაგაფრთხილო: ეს ადამიანი ჯერ კიდევ მოღალატეა.

— რა? მოღალატე? შენს სახლში?

— ნება მომეცი, მოგიყვე...

— მირჩევნია, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახო!

დაგნიმ გაიგონა ფრანცისკოს ზიზღიანი ჩაცინება და მისი აჩქარებული ნაბიჯების ხმა, დაინახა, როგორ გაიღო მოულოდნელად კარი და მერე როგორ მიხურა გოლტმა, მარტო რომ დაეტოვებინა ისინი.

ქალმა ზუსტად არც კი იცოდა, რამდენ ხანს უყურებდა მას ადგილზე გაქვავებული ფრანცისკო, მაგრამ უცებ დაინახა, რომ ის მუხლებზე დამხობილიყო, ხელები დაგნის მუხლებისთვის შემოეხვია და სახით მის ფეხებს მიჰკვროდა, იგრძნო, როგორ დაუარა ფრანცისკოს მთელ სხეულში ჟრუანტელმა, რომელიც თითქოს დაგნისაც გადმოედო და გაოგნებისგან გამოერკვა.

განცვიფრებულმა შენიშნა, რომ ფრანცისკოს ნაზად უსვამდა თმაზე ხელს და გაიფიქრა, რომ ასე მოქცევის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი ხელისგულიდან მომდინარე სიმშვიდის ნაკადი ორივეს გარს ევლებოდა და წარსულის ტკივილებს აცხრობდა. ფრანცისკო უსიტყვოდ გაქვავებულიყო ადგილზე, თითქოს დაგნის მხოლოდ შეხებითაც ეუბნებოდა სათქმელს.

ბოლოს მან თავი მაღლა ასწია. ის ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც დაგნი, როდესაც კატასტროფის მერე ხეობაში მოხვედრილი პირველად მოეგო გონს: თითქოს სამყაროში არავითარი ტკივილი არ არსებობდა. ფრანცისკო იცინოდა.

— დაგნი, დაგნი, დაგნი, — მისი ხმა წლების მერე გულიდან ამოხეთქილი აღიარებასავით კი არ გაისმოდა, არამედ გეგონებოდა, ამ სიტყვებს იქიდან მოყოლებული იმეორებდა, დაგნი რომ გაიცნო და თვით ის აზრიც კი, თითქოს ეს სიტყვები ჯერ არ წარმოთქმულა, სასაცილოდ მიაჩნდა, — მე შენ მიყვარხარ. შეგეშინდა, რომ მან შენთვის ამის თქმა მაიძულა? ამას იმდენჯერ გავიმეორებ, რამდენჯერაც მოგესურვება — მიყვარხარ, ძვირფასო, მიყვარხარ და ყოველთვის

მეყვარები — ჩემზე ნუ იდარდებ, არ მანაღვლებს, თუ ჩემი ვეღარასოდეს იქნები, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

შენ ცოცხალი ხარ, აქ ხარ და უკვე იცი... როგორი მარტივია ეს ყველაფერი, არა?

ახლა მიხვდი, რატომ მომიხდა შენი მიტოვება? — ფრანცისკომ ხეობაზე მიუთითა, — აი ისიც, ეს არის შენი დედამიწა, შენი სამეფო, შენი სამყარო — დაგნი, მე შენ ყოველთვის მიყვარდი და სწორედ ამ სიყვარულის გამო დაგტოვე.

მან ქალის ხელები თავის ხელებში მოიქცია, ტუჩებთან მიიტანა და არც კი უკოცნია, ადგილზე გაქვავდა, ერთი გრძელი, მდუმარე წამის სიმშვიდეში გარინდებული, თითქოს ხმის ამოღებაც კი ხელს შეუშლიდა, მთავარი რომ გაეცნობიერებინა — დაგნის იქ ყოფნა, თუმცა სათქმელი უამრავი ჰქონდა, წარსულ წლებში წარმოუთქმელი ურიცხვი სიტყვა.

— ქალები, რომლებსაც დავდევდი — შენ ხომ ეს არ გჯეროდა, ხომ ასეა? ერთსაც კი არ შევხებივარ, თუმცა, ვფიქრობ, შენ ეს იცოდი, მთელი ეს ხანი იცოდი. მექალთანის როლი უნდა მომერგო, რომ მძარცველებს ჩემში ეჭვი არ შეჰპარვოდათ, ვიდრე მე „დ'ანკონია კოპერს“ მთელი სამყაროს თვალწინ ვანადგურებდი. ეს არის მათი სისტემის მანკიერება, ისინი მზად არიან, ნებისმიერ ენერგიულ და მიზანსწრაფულ ადამიანს შეებრძოლონ, თუმცა, საკმარისია, არაფრის მაქნისი ნაძირალა დაინახონ, რომ მას თავიანთ მომხრედ მიიჩნევენ და ჩათვლიან, რომ ის მათთვის საშიში არ არის! ასეთია მათი შეხედულება ცხოვრებაზე, მაგრამ მალე გაიგებენ! გაიგებენ, უსაფრთხოა თუ არა ბოროტება და არის თუ არა უნიჭობა პრაქტიკული! ...დაგნი, სწორედ იმ ღამეს გავაცნობიერე პირველად, რომ მიყვარდი და რომ უნდა წავსულიყავი. სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩემს სასტუმროს ნომერში შემოხვედი, დავინახე, როგორ გამოიყურებოდი, ვინ იყავი, რამდენს ნიშნავდი ჩემთვის და რა გელოდა მომავალში. ასეთი მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყავი, შესაძლოა, ცოტა ხანს კიდევ შეგეჩერებინე. მაგრამ ეს შენ იყავი, შენ იყავი სწორედ ის გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც შენი მიტოვება მაიძულა. იმ ღამეს გთხოვდი, დამხმარებოდი, რომ ჯონ გოლტს წინ აღვდგომოდი. ოღონდ ვიცოდი, რომ სწორედ შენ იყავი მისი ყველაზე ძლიერი იარაღი ჩემ წინააღმდეგ, თუმცა შეუძლებელია, ეს ან შენ და ან მას გცოდნოდათ. შენ იყავი ყველაფერი, რასაც ის ეძებდა, რის გამოც სიცოცხლისა და, თუ საჭირო გახდებოდა, სიკვდილისკენაც მოგვიწოდებდა... მე მზად ვიყავი მასთან წასასვლელად, როდესაც მოულოდნელად იმ გაზაფხულს ნიუ-იორკში მიხმო... ერთი ხანი მისგან არაფერი მსმენოდა. ის იმავე პრობლემას ებრძოდა, რასაც მე. მან ეს პრობლემა გადაჭრა... გახსოვს? მაშინ მე სამი წლით დავიკარგე. დაგნი, როდესაც მამაჩემის დატოვებულ ბიზნესს სათავეში ჩავუდექი, როდესაც მთელი მსოფლიოს სამრეწველო სისტემას შევეჭიდე, სწორედ მაშინ ჩავწვდი ამ ბოროტების ბუნებას.

მართალია, ეჭვები ადრეც მქონდა, მაგრამ იმდენად საზარელი მეჩვენებოდა, ვერც კი დამეჯერებინა. მე დავინახე, როგორ შესჩენოდა პარაზიტივით საგადასახადო სისტემა „დ'ანკონია კოპერს“ და საუკუნეების განმავლობაში ანგრევდა, ყოველგვარი უფლების გარეშე სისხლს სწოვდა და აუძლურებდა — მე დავინახე, რომ სახელმწიფო კანონებს ჩემს შესაზღუდად იღებდა, რაკი მე წარმატებით ვსაქმიანობდი, და ჩემი კონკურენტების დასახმარებლად, რაკი ისინი უქნარები და უუნარონი იყვნენ — მე დავინახე, რომ აკმაყოფილებდნენ პროფკავშირების ყველა სარჩელს ჩემ წინააღმდეგ, რადგან მე შემეძლო, ხელფასები გადამეხადა მუშებისთვის — მე დავინახე, რომ ნებისმიერი ადამიანის სურვილი,

მიეღო ის ფული, რომლის გამომუშავებაც მას არ შეეძლო, სამართლიანად იყო მიჩნეული, მაგრამ თუ ის ამ ფულს თავად გამოიმუშავებდა, სიხარბეს დასწამებდნენ — მე დავინახე პოლიტიკოსები, რომლებიც თვალს მიკრავდნენ და მეუბნებოდნენ, არაფერზე მედარდა, რადგან შემეძლო, ცოტათი უფრო მეტად მომენდომებინა და ყველასთვის მეჯობნა. მე ვეგუებოდი შემოსავლების დაკარგვას და ვხედავდი, რომ რაც უფრო მეტს ვმუშაობდი, მით მეტად ვიჭერდი ყელზე შემოხვეულ ყულფს, დავინახე, რომ ჩემი ენერგია ფუჭად იფლანგებოდა, რომ პარაზიტები, რომლებიც ჩემით საზრდოობდნენ, თავის მხრივ, სხვებს კვებავდნენ, რომ ისინი საკუთარ მახეშივე გაებნენ და ამ ყველაფრის მიზეზი არავინ იცოდა, რომ სამყაროს მაცოცხლებელი სისხლი საკანალიზაციო მილებით გაედინებოდა ნოტიო ბურუსში, სადაც ვერავინ ბედავდა შეღწევას, ადამიანები კი მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ და ამბობდნენ, რომ ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერი იყო, თუ არა ბოროტება. შემდეგ კი დავინახე, რომ მთელი მსოფლიოს მრეწველობას, — მთელი თავისი გასაოცარი მექანიზმით, ათასტონიანი ქურებით, ტრანსატლანტიკური კაბელებით, წითელი ხის ავეჯით გაწყობილი ოფისებით, საფონდო ბირჟებით, მოციმციმე აბრებით, ძალითა და სიმდიდრით, — ბანკირები და დირექტორთა საბჭოები კი არ მართავდნენ, არამედ ვიღაც ღვარძლიანი დემაგოგები ბნელ სამიკიტნოებში, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ ზნეობა უნდა დაისაჯოს იმიტომ, რომ ზნეობაა, რომ ნიჭის ამოცანაა, უნიჭობას ემსახუროს, რომ ადამიანმა მხოლოდ სხვების გულისთვის უნდა იარსებოს... მე ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, როგორ უნდა შევბრძოლებოდი. ჯონი კი მიხვდა. იმ ღამეს მხოლოდ ჩვენ ორნი, მე და რაგნარი, მივედით მასთან ნიუ-იორკში. მან გვითხრა, რა უნდა გაგვეკეთებინა და რა ტიპის ადამიანებს უნდა დავკავშირებოდით. ის უკვე წამოსულიყო „თუენთის სენჩერიდან“ და გარეუბანში ერთი სახლის სხვენში ცხოვრობდა. ჯონი ფანჯარასთან მივიდა და ცათამბჯენებზე მიგვითითა. მან გვითხრა, რომ სამყაროში სინათლე უნდა ჩაგვექრო და როდესაც დავინახავდით, თუ როგორ ჩაქრებოდა შუქები ნიუიორკში, გვეცოდინებოდა, რომ საქმე დასრულებულია. მას არ უთხოვია ჩვენთვის, მაშინვე შევერთებოდით. გვითხრა, ყველაფერი კარგად მოგვეფიქრებინა და გაგვეაზრებინა, თუ რა გავლენას იქონიებდა ეს ნაბიჯი ჩვენს ცხოვრებაზე. საბოლოო პასუხი მე მას მეორე დღეს, დილით ვუთხარი, რაგნარმა კი ცოტა მოგვიანებით, ნაშუადღევს... დაგნი, ეს სწორედ ჩვენი ერთად გატარებული უკანასკნელი ღამის მეორე დილა იყო. მე ხილვასავით დავინახე, რომ უნდა მებრძოლა. უნდა მებრძოლა იმისთვის, როგორც შენ გამოიყურებოდი იმ ღამით, როდესაც შენ შენს რკინიგზაზე ლაპარაკობდი, შენი მზერისთვის, როდესაც ჰადსონის კლდის წვერიდან ნიუ-იორკის ჰორიზონტის დანახვას ვცდილობდით, მე უნდა გადამერჩინე, გზა უნდა გამეკვლია შენთვის, შენი ქალაქის პოვნის საშუალება მომეცა, არ დამეშვა, რომ ცხოვრების წლები უაზროდ დაგეკარგა მომწამვლელ ბურუსში გზის ძებნაში, თავაწეულს გებრძოლა იმისთვის, რომ გზის ბოლოს ქალაქის კოშკები დაგხვედროდა და არა მსუქანი, გაოფლილი და ჩლუნგი მახინჯი, განცხრომით რომ წრუპავს ჯინს, რომლის ფასიც შენი ცხოვრების წლებით იყო გადახდილი! მხოლოდ იმიტომ არ უნდა განგეცადა სიხარული, მას რომ გაეხარა? შენ რატომ უნდა ქცეულიყავი იარაღად, სხვათა ნეტარების გამო? შენ საშუალება უნდა ყოფილიყავი, ადამიანისმაგვარი არარაობა კი მიზანი? აი, რას ვხედავდი მე, დაგნი, აი, რის უფლებას ვერ მივცემდი მათ! ისინი ასე ვერ მოგექცეოდნენ, ვერც შენ, ვერც რომელიმე ბავშვს, რომელიც შენსავით უყურებს მომავალს, ვერც ერთ იმ ადამიანს, რომელსაც შენნაირი სული აქვს და სჯერა, რომ

ამაყი, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, მხიარული და ცოცხალი ქმნილებაა. ეს იყო ჩემი სიყვარული, ადამიანის სულის ეს მდგომარეობა და სწორედ ამისთვის საბრძოლველად დაგტოვე, ვიცოდი, რომ თუ მე შენ უნდა დამეკარგე, ყოველ წელს მაინც სწორედ შენი მეშვეობით გავიმარჯვებდი ბრძოლაში.

მაგრამ ამ ყველაფერს შენ ახლაღა ხვდები, ხომ ასეა? შენ უკვე ნახე ეს ხეობა. ეს სწორედ ის ადგილია, რომლისკენაც გავემართეთ მე და შენ ბავშვობაში. ჩვენ აქამდე უკვე მოვაღწიეთ. ახლა მეტი რაღა უნდა ვინატრო? მას შემდეგ, რაც აქ გნახე, — ჯონმა გითხრა, რომ ჯერ კიდევ მოღალატე ხარ? — ოჰ, ეს მხოლოდ დროის საკითხია, მაგრამ შენ აუცილებლად გახდები ერთ-ერთი ჩვენგანი, რადგან ყოველთვის ჩვენიანი იყავი, თუ ყველაფერს ბოლომდე ვერ ხვდები, მოვიცდით, არ მენაღვლება — სანამ ცოცხალი ხარ, სანამ კლდოვან მთებში შენი თვითმფრინავის ნაწილების საძებნელად არ მომიწევს წასვლა!

დაგნიმ შვებით ამოისუნთქა, რადგან გაიგო, რატომ არ მოვიდა დ'ანკონია ხეობაში დათქმულ დროს.

ფრანცისკოს გაეცინა:

— ასე ნუ მიყურებ. ნუ მიყურებ, თითქოს ჭრილობა ვიყო, რომელსაც გეშინია, შეეხო. — ფრანცისკო, იმდენჯერ გატკინე გული...

— არა! არა, შენ ჩემთვის გული არ გიტკენია — და არც მას არ უტკენია, ამაზე მეტს ნუღარ ილაპარაკებ, ახლა მას ძალიან უმძიმს, მაგრამ ჩვენ მას გადავარჩენთ და ისიც მოვა აქ, სწორედ აქ არის მისი ადგილი, ისიც გაიგებს ყველაფერს და მერე სიცილით გაიხსენებს წარსულ უბედურებებს. დაგნი, არ მოველოდი, რომ დამიცდიდი, ამის იმედი არ მქონდა, ვაცნობიერებდი, რა რისკიც გავწიე და თუ ვიღაც მაინც უნდა ყოფილიყო შენ გვერდით, მოხარული ვარ, რომ ეს ადამიანი ის აღმოჩნდა.

დაგნიმ თვალები დახუჭა და ტუჩები მოკუმა, რომ არ დაეკვნესა.

— ძვირფასო, არ გინდა, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემთვის უკვე მისაღები გახდა ეს ყველაფერი?

„მაგრამ ეს ის არ არის", — ფიქრობდა დაგნი, — „და მე შენ სიმართლეს ვერ გეტყვი, რადგან მან, იმ სხვამ, შესაძლოა, ამის შესახებ ვერასოდეს ვერაფერი შეიტყოს ჩემგან და ვერც ვერასდროს ვერ გახდეს ჩემი".

— ფრანცისკო, მე შენ მიყვარდი, — მიმართა დაგნიმ და განცვიფრებისგან სუნთქვა შეეკრა, როდესაც გააცნობიერა, რომ ამის თქმას სულაც არ აპირებდა და წარსული დროის გამოყენებაც არ სურდა.

— მაგრამ შენ ჯერ კიდევ გიყვარვარ, — უპასუხა ფრანცისკომ ღიმილით, — იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მხოლოდ ერთი გამოხატულება არსებობს, რომელსაც მე ველარასოდეს ველირსები; მე ისევ ის ვარ, ვინც ვიყავი, შენ ყოველთვის დაინახავ ამას და ყოველთვის სიყვარულს იგრძნობ ჩემდამი, თუნდაც სხვას უფრო მეტის უფლება მისცე. არ აქვს მნიშვნელობა, რას განიცდი მის მიმართ, ეს შენს ჩემდამი გრძნობას არ შეცვლის და ეს არც ერთი ჩვენგანის ღალატად არ ჩაგეთვლება, რადგან ამ გრძნობებს ერთი და იგივე საფუძველი აქვს, ეს იმავე ღირებულებებისთვის ბოძებული იგივე ჯილდოა. არ აქვს მნიშვნელობა, რა მოხდება მომავალში, მე და შენ ზუსტად იგივენი ვიქნებით ერთმანეთისთვის, რაც ვიყავით, რადგან შენ ყოველთვის გეყვარები.

— ფრანცისკო, — წაიჩურჩულა ქალმა, — ამ ყველაფერს ბოლომდე აცნობიერებ?

— რა თქმა უნდა. ნუთუ ახლაც არ გესმის? დაგნი, ბედნიერების ყველა ფორმა ერთნაირია, ყველა სურვილს ერთი და იგივე ძრავა ამოძრავებს — ეს ძრავაა ჩვენი სიყვარული ერთადერთი ღირებულებისადმი, ჩვენი არსებობის უზენაესი შესაძლებლობისადმი — და ყოველი მიღწევა მისი გამოხატულებაა. ირგვლივ მიმოიხედე. ხედავ, რამდენი შესაძლებლობა გვეძლევა ამ თავისუფალ მიწაზე? ხედავ, რამდენად თავისუფალი ვარ, რომ ვაკეთო, გამოვცადო და მივაღწიო? ხედავ, რომ ყველაფერი ეს ნაწილია იმისა, რასაც შენ ნიშნავ ჩემთვის — როგორც მე ვარ შენთვის მისი ნაწილი? და თუ მე დავინახავ შენს აღფრთოვანებულ ღიმილს სპილენძის ახალი სადნობის ნახვისას, რომელიც მე ავაგე, ეს იქნება იმ განცდის კიდევ ერთი ფორმა, რასაც საწოლში ვგრძნობდი შენ გვერდით წოლისას. მომინდება თუ არა შენთან დაწოლა? საშინლად მომინდება. შემშურდება თუ არა იმ კაცის, ვინც ამას გააკეთებს? რა თქმა უნდა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? უბრალოდ, შენი აქ ყოფნა, შენდამი ჩემი სიყვარული და ის, რომ ცოცხალი ხარ, ჩემთვის უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

დაგნიმ თვალები დახარა, ისეთი მკაცრი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, წმინდა ფიცს დებდა და თავდახრილმა ნელა წარმოთქვა:

— მაპატიებ?

ფრანცისკოს სახეზე გაკვირვება დაეტყო, შემდეგ რაღაც გაახსენდა, მხიარულად გაიცინა და უპასუხა:

— ჯერ არა. საპატიებელი არაფერი გაქვს, მაგრამ მაშინ გაპატიებ როცა შემოგვიერთდები.

ის წამოდგა, დაგნის ხელები შემოხვია და აკოცა. ეს კოცნა მათი წარსულის შეჯამება, მისი დასასრული და მათ მიერ ამ შეჯამების მიღების დადასტურება იყო.

როდესაც ისინი მისაღებ ოთახში გამოვიდნენ, ფანჯარასთან მდგარი გოლტი მათკენ შემობრუნდა. დაგნი მიხვდა, რომ ის მთელი ეს დრო ასე იდგა. გოლტი გამომცდელი მზერით აკვირდებოდა მასა და დ'ანკონიას. გამომეტყველება ოდნავ შეურბილდა, როდესაც ფრანცისკოს გამოხედვაში ცვლილება შეამჩნია.

ფრანცისკომ გაიღიმა და გოლტს ჰკითხა:

— რატომ მიყურებ ასე დაჟინებით?

— იცი, როგორ გამოიყურებოდი, რომ შემოხვედი?

— საშინლად, არა? ეს იმიტომ, რომ სამი ღამეა, არ მიძინია. ჯონ, ვახშმად დამპატიჟებ? მინდა, გავიგო, ეს თქვენი მოღალატე ქალი აქ როგორ აღმოჩნდა, მაგრამ შესაძლოა, შუა ლაპარაკში ღრმად ჩამეძინოს, — მიუხედავად იმისა, რომ ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ძილი აღარასდროს მომინდება, — ასე რომ, მგონი, აჯობებს, სახლში წავიდე და საღამომდე იქ დავრჩე.

გოლტი დ'ანკონიას ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უმზერდა:

— კი მაგრამ, შენ ხომ ერთ საათში უნდა გაფრენილიყავი?

— რა? არა... — უპასუხა გაოცებულმა ფრანცისკომ და მერე გაახსენდა, — არა! — და მხიარულად გაიცინა, — აღარ მომიწევს! მე არ მითქვამს ხომ შენთვის, რის გამო უნდა წავსულიყავი? დაგნის ვეძებდი, მისი თვითმფრინავის ნამსხვრევებს... გამოაცხადეს, რომ ის ავიაკატასტროფაში დაიღუპა კლდოვან მთებში.

— გასაგებია, — თქვა გოლტმა წყნარი ხმით.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, გარდა იმისა, რომ კატასტროფისთვის გოლტის ხეობას შეარჩევდა, — ხალისიანად თქვა ფრანცისკომ; მის ხმაში მხიარული შვება ისმოდა, თითქოსდა ლამის ტკბებოდა კიდეც, როდესაც წარსულში გადატანილ საშინელებას აწმყოს უპირისპირებდა, — აფტონსა და უინსტონს შორის თითოეულ

მწვერვალსა და ნაპრალს გადავუფრინე და როდესაც სადმე დამსხვრეულ... — დ'ანკონია გაჩერდა, თითქოს გააჟრჟოლა, — შემდეგ უინსტონის რკინიგზის სამაშველო ჯგუფთან ერთად ფეხით გავემართე დაგნის მოსაძებნად, მთელი ღამე, გათენებამდე ვეძებდით ჩამოვარდნილ თვითმფრინავს, ალალბედზე, ყოველგვარი მინიშნებისა და გეგმის გარეშე, — ფრანცისკომ მხრები აიჩეჩა და შეეცადა, გაეღიმა, — მტერსაც არ ვუსურვებ ამას... და უცებ გაჩერდა, ღიმილი გაუქრა და სახე მოეღუშა, თითქოს მოულოდნელად რაღაც მოაგონდა.

გრძელი პაუზის შემდეგ, დ'ანკონია გოლტს მიუბრუნდა. ., — ჯონ, — მიმართა მას უცნაური ოფიციალურობით, — შეგვიძლია, გარეთ მყოფებს შევატყობინოთ, რომ დაგნი ცოცხალია... თუკი იქ ისეთი ვინმეა, რომელიც...

რომელიც ჩემსავით განიცდის ამ ამბავს?

გოლტმა დ'ანკონიას ჯიქურ შეხედა:

— გსურს, რომელიმე გარეთ მყოფს გარეთ დარჩენა შეუმსუბუქო?

ფრანცისკომ თავი დახარა, თუმცა მტკიცე ხმით მიუგო:

— არა.

— არ გრცხვენია, ფრანცისკო?

— კი. დაივიწყე. მართალი ხარ.

გოლტი უცნაურად მკვეთრი, თითქოსდა უნებლიე მოძრაობით გატრიალდა.

ფრანცისკო გაოცებული შესცქეროდა მას, შემდეგ ხმადაბლა შეეკითხა:

— რა ხდება?

გოლტი მისკენ მიბრუნდა და ერთი წამით უხმოდ შესცქეროდა. დაგნის ვერ გაეგო, რომელმა ემოციამ მოულბო გოლტს სახის ნაკვთები: მის ღიმილში მოთმინება, ტანჯვა და რაღაც კიდევ უფრო მეტი გამოკრთოდა.

— რა მსხვერპლიც არ უნდა გაეღო თითოეულ ჩვენგანს ამ ბრძოლაში, — თქვა გოლტმა, — ყველაზე ძვირი საფასური მაინც შენ გადაიხადე, ასე არ არის?

— ვინ? მე? — გაოცებით გაიღიმა ფრანცისკომ, — რა თქმა უნდა, არა! რა დაგემართა? — მერე ჩაიცინა და ჰკითხა, — არ გრცხვენია, ჯონ?

— არა, — უპასუხა გოლტმა მტკიცე ხმით.

დაგნიმ დაინახა, რომ ფრანცისკო შეცბა და მოიღუშა, რადგან გოლტი ამ სიტყვის წარმოთქმისას მას კი არა, ქალს შესცქეროდა.

* * *

გრძნობა, რომელიც ფრანცისკოს სახლში პირველად შესულ დაგნის დაეუფლა, სულაც არ ჰგავდა შთაბეჭდილებას, ამ სახლის პირქუშმა შესახედაობამ რომ მოჰგვარა. ამჯერად აქ ტრაგიკული მარტოობის ატმოსფერო კი არა, სიცოცხლის გამამხნევებელი ხალისი დახვდა. ოთახები ძალიან უბრალოდ და მარტივად იყო მოწყობილი; სახლი ფრანცისკოსთვის დამახასიათებელი სიმარჯვით, სიმტკიცითა და მოუთმენლობით იყო ნაშენი; ის კოლონისტი ახალმოშენის სახელდახელოდ შეკრულ ქოხს წააგავდა, მომავალში ტრამპლინად გამოსაყენებელს — იმ მომავლის, სადაც ადამიანს ისეთი ფართო სამოქმედო ასპარეზი ელოდებოდა, რომ აწმყოს კეთილმოწყობაზე დროის დაკარგვა არ ღირდა. ეს ადგილი საცხოვრებელი სახლის კი არა, ცად აზიდული ცათამბჯენის გარშემო აღმართული ხარაჩოების ენერგიას გამოსცემდა.

ფრანცისკოს პიჯაკი გაეხადა და თავისი ვიწრო სასტუმრო ოთახის ცენტრში ისე იდგა, თითქოს სასახლის მფლობელი ყოფილიყო. იმ სასახლეებს შორის, სადაც კი დაგნის დ'ანკონია ენახა, ეს ფონი მისთვის ყველაზე შესაფერისი ჩანდა. როგორც

თავისი სამოსის სისადავე, მისსავე მიხრა-მოხრასთან ერთად, ანიჭებდა ფრანცისკოს არისტოკრატის იერს, ისე ამ ოთახსაც ეს სიმარტივე წარჩინებულის სამყოფელს ამსგავსებდა; მთელ ამ უბრალოებას ერთადერთი დიდებული შტრიხი ემატებოდა: ხის მორებისგან შეკრულ კედელში დატანებულ პატარა ნიშაში ორი ძველი ვერცხლის თასი იდგა; ამ თასების ჟამთასვლისგან უკვე გამქრქალებული ვარაყის შესაქმნელად გაცილებით უფრო მეტი შრომა იყო გაწეული, ვიდრე ამ სახლის ასაგებად. ფრანცისკოს ძალდაუტანებელ და ბუნებრივ ქცევას უსიტყვო სიამაყის ელფერი ედო, თითქოს მისი ღიმილი უხმოდ ეუბნებოდა დაგნის: „აი, როგორი ვარ მე სინამდვილეში და როგორი ვიყავი მთელი ამ წლების განმავლობაში“.

დაგნიმ ვერცხლის თასებს ახედა.

— ასეა, — თქვა ფრანცისკომ მისი უხმო ვარაუდის პასუხად, — ეს თასები სებასტიან დ'ანკონიასა და მის მეუღლეს ეკუთვნოდა. მხოლოდ ესენი და კარზე დამაგრებული გერბი წამოვიღე ჩემი ბუენოს-აირესის სასახლიდან. მხოლოდ მათი გადარჩენა მსურდა. დანარჩენი ყველაფერი სულ რაღაც რამდენიმე თვეში უკვალოდ გაქრება, — ჩაიცინა მან, — ისინი ყველაფერს წაეპოტინებიან, „დ'ანკონია კოპერის“ უკანასკნელ ნარჩენებს, თუმცა განცვიფრებულნი დარჩებიან, როდესაც, მათდა სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს აღმოაჩენენ. სასახლეს რაც შეეხება, ისინი მისი გათბობის დანახარჯებსაც კი ვერ გადაიხდიან.

— და მაშინ შენ რას იზამ? — ჰკითხა მას დაგნიმ, — სად აპირებ წასვლას?

— მე? მე „დ'ანკონია კოპერში“ ვიმუშავებ.

— რას გულისხმობ?

— ხომ გახსოვს ინგლისელების ერთი ძველი რიტუალური ფრაზა: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“ როდესაც ჩემი წინაპრების ქონების ნარჩენები უკვე აღარ იარსებებს, ჩემი საბადო „დ'ანკონია კოპერის“ ახალგაზრდა სხეულად გადაიქცევა, იმ ქონებად, რომელზეც ჩემი წინაპრები ოცნებობდნენ, რომლის მოსაპოვებლადაც შრომობდნენ, რომელსაც იმსახურებდნენ, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსნენ.

— შენი საბადო? რომელი საბადო? სად?

— აქ, — უპასუხა ქალს დ'ანკონიამ და მთის მწვერვალებზე მიუთითა, — არ იცოდი?

— არა.

— მე ვფლობ სპილენძის საბადოს, რომელსაც მძარცველები ვერასდროს ვერ მიაგნებენ. ის აქ არის, ამ მთებში. მე გამოვიკვლიე ეს ადგილი, აღმოვაჩინე საბადო და საცდელად გავთხარე. ეს დაახლოებით რვა წლის წინ იყო. მე პირველი ვიყავი, ვისაც მაიდასმა მიწა მიჰყიდა ამ ხეობაში. მე ვიყიდე ეს საბადო. საქმიანობა შიშველი ხელებით დავიწყე, როგორც ერთ დროს სებასტიან დ'ანკონიამ. ახლა ამ საბადოს უძღვება ადამიანი, რომელიც ჩილეში ჩემი საუკეთესო მეტალურგი იყო. ეს საბადო მთელი ხეობისთვის საკმარის სპილენძს იძლევა. ჩემი მოგება „მალიგან ბანკში“ ინახება. სულ ეს არის, რაც დამჭირდება, — ბოლო წინადადების წარმოთქმისას ფრანცისკოს ხმა ისე ჟღერდა, თითქოს მთელ მსოფლიოს იპყრობდა, და დაგნი განაცვიფრა მკვეთრმა განსხვავებამ დ'ანკონიას ხმასა და იმ დარცხვენილ, საძაგელ ტონს შორის, რომელიც სანახევროდ სლუკუნს, ნაწილობრივ კი მუქარას წააგავდა, ნახევრად-მათხოვრისა და ნახევრად-ავაზაკის ტონს, რომლითაც ამ საუკუნის ადამიანები წარმოთქვამდნენ სიტყვას „მჭირდება“.

— დაგნი, — მიმართა ქალს ფანჯარასთან მდგომმა ფრანცისკომ, თითქოს მთების კი არა, დროის მწვერვალებს უცქერდა, — „დ'ანკონია კოპერისა“ და მთელი

მსოფლიოს აღორძინება აქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დაიწყოს. ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც უბრალო შემთხვევითობისა და ტომთა შორის განუკითხავი ომების კი არა, ადამიანის გონების რაციონალური ნაყოფია. ეს ქვეყანა გონების უზენაესობამ შექმნა და ერთ ბრწყინვალე საუკუნეში მან მთელი მსოფლიო გადაარჩინა. და ეს კვლავ უნდა გაიმეოროს. „დ'ანკონია კოპერი", ისევე, როგორც სხვა უნივერსალური ადამიანური ღირებულებები, ხელახლა სწორედ აქ უნდა დაიბადოს, რადგან მთელი დანარჩენი სამყარო საბოლოოდ დაინთქა საუკუნეების განმავლობაში ფესვგადგმული წარმოდგენების ჭაობში: მისტიკასა და ირაციონალურის თაყვანისცემაში, რისი საბოლოო შედეგიც საგიჟეთი და სასაფლაოა... სებასტიან დ'ანკონიამ ერთი შეცდომა დაუშვა: მან აღიარა სისტემა, რომელიც აცხადებდა, რომ მისი შექმნილი ქონება მას უფლებით კი არა, ნებართვით ეკუთვნოდა. მისმა შთამომავლებმა ზღეს ამ შეცდომისთვის. სწორედ მე გადავიხადე ამ შეცდომის უკანასკნელი საზღაური... მგონია, რომ მოვესწრები იმ დღეს, როდესაც ახალ ნიადაგში აღმოცენებული „დ'ანკონია კოპერის" მადნები, სადნობები და ნავმისადგომები ისევ მოედება მთელ მსოფლიოს და ჩემს სამშობლომდეც მიაღწევს და მე ვიქნები პირველი ადამიანი, რომელიც ჩემი ქვეყნის ხელახალ აღმშენებლობას დაიწყებს.

შეიძლება, მართლაც მოვესწრო ამ დროს, თუმცა დარწმუნებული არ ვარ. ვერავინ იწინასწარმეტყველებს, თუ როდის მოუხმობენ ადამიანები გონებას. ეს შესაძლოა, ჩემი ცხოვრების მიწურულს მოხდეს და იმ დროისთვის ამ ერთი საბადოს მეტი არც არაფერი გამაჩნდეს. მაგრამ, დაგნი, ხომ გახსოვს, რომ ჩემი მიზანი მამაჩემის სპილენძის წარმოების გაორმაგება იყო? თუ ჩემი ცხოვრების დასასრულს ყოველწლიურად ერთ გირვანქა სპილენძს მაინც ვაწარმოებ, მამაჩემზე და ყველა ჩემ წინაპარზე მდიდარი ვიქნები, რომლებიც ათასობით ტონას აწარმოებდნენ — რადგან ეს ერთი გირვანქა უფლებით იქნება ჩემი და იმ სამყაროს შენარჩუნებას მოხმარდება, რომელმაც ამის ფასი იცის!

ამ სიტყვების წარმოთქმისას ფრანცისკო მიხრა-მოხრით, მანერებითა და აელვარებული თვალებით თავის ბავშვობას ჰგავდა და დაგნიმ უნებლიეთ ისევე გამოჰკითხა მას ხეობაში მდებარე სპილენძის საბადოს შესახებ, როგორც ადრე ესაუბრებოდა ხოლმე მის სამომავლო სამრეწველო გეგმებზე ჰადსონის სანაპიროზე სეირნობისას, და მაშინდელივით, ახლაც დაეუფლა ხვალინდელი დღის უკიდეგანო შესაძლებლობების განცდა.

— წაგიყვან საბადოს სანახავად, — უთხრა ქალს დ'ანკონიამ, — როგორც კი კოჭი მოგირჩება. იქამდე ციცაბო საცალფეხო ბილიკით უნდა ავაღწიოთ, რადგან ჯერ სამანქანო გზა არ არის გაყვანილი. გინდა, გაჩვენო ახალი სადნობი, რომელსაც მე ვაპროექტებ? დიდი ხანია, ამაზე ვმუშაობ, მაგრამ ჩვენი ახლანდელი წარმოების მოცულობისთვის ის მეტისმეტად რთულია, თუმცა, როდესაც საბადო მთელი დატვირთვით ამუშავდება, დაინახავ, რამდენ ენერგიას, დროსა და ფულს დაზოგავს.

დაგნი და ფრანცისკო იატაკზე ისხდნენ და ფურცლებს დაჰყურებდნენ, ისეთივე ხალისიანი სერიოზულობით ჩაჰკირკიტებდნენ სადნობის ჩახლართული ნაწილების ნახაზებს, როგორც ერთ დროს ჯართს ათვალიერებდენ ნაგავსაყრელზე.

როდესაც ფრანცისკო მორიგ ფურცელს ასაღებად დასწვდა, დაგნი წინ გადაიხარა და მოულოდნელად მის მხარს შეეხო. უნებლიეთ წამით გაირინდა და ახედა.

ფრანცისკოც დაჰყურებდა ქალს და არ ცდილობდა, დაემალა თავისი გრძნობა, თუმცა სულ ეს იყო — რაიმე სახით მის გაგრძელებას არ ითხოვდა. დაგნი უკან გაიწია, რადგან აღმოაჩინა, რომ თვითონაც იმასვე გრძნობდა, რასაც ფრანცისკო.

შემდეგ, როდესაც მიხვდა, როგორ მძაფრად მოეძალა გრძნობა, რომელსაც წარსულში განიცდიდა ფრანცისკოს მიმართ, დაგნიმ უცებ გააცნობიერა ერთი თავისებურება, რომელიც ყოველთვის იყო ფრანცისკოსადმი მისი დამოკიდებულების განუყოფელი ნაწილი, თუმცა ასე ცხადად პირველად ახლა შეიგრძნო: თუ ეს სურვილი ადამიანის ცხოვრების დღესასწაული იყო, მაშინ ის, რასაც ბავშვობის მეგობრის მიმართ განიცდიდა, მისი მომავლის დღესასწაული იყო, სიხარული, დაპირებული იმედისა... და ბედნიერების ნაწილი. უბრალოდ, ეს ყველაფერი ახლა მომავლის სიმბოლოდ კი არა, უმომავლო აწმყოდ აღიქმებოდა. და დაგნი მიხვდა. მიხვდა გრანიტის მომცრო ნაგებობის კართან მდგომი კაცის ხატების საშუალებით. მიხვდა, რომ სწორედ ეს კაცი იყო ის ერთადერთი, რომელიც შესაძლოა, სამუდამოდ მიუღწეველ ოცნებად დარჩენილიყო მისთვის.

„მაგრამ ეს ხომ ის შეხედულება იყო ადამიანის ბედისწერაზე“, — ფიქრობდა თავზარდაცემული დაგნი, — „რომელიც მთელი ძალით მძულდა და რომელსაც უკუვაგდებდი: შეხედულება, რომ ადამიანი მუდმივად უნდა ესწრაფოდეს რაღაც მიუღწეველ მანათობელ ხილვას, რომ განწირულია, მიუწვდომელი სურდეს. ჩემი ცხოვრება და ღირებულებები აქამდე ვერ მომიყვანდა; არასდროს. მხიბლავდა შეუძლებელზე ოცნება და ყოველთვის ვახერხებდი, შეუძლებლისთვის მიმეღწია“.

მაგრამ მაინც მივიდა აქამდე, ახსნა კი ვერ მოეძებნა.

იმ საღამოს, როდესაც გოლტს უყურებდა, დაგნი ფიქრობდა, რომ მას არც გოლტის მიტოვება შეეძლო და არც სამყაროსი. ჯონის თანდასწრებით გადაწყვეტილების მიღება კიდევ უფრო ძნელი ჩანდა. გრძნობდა, რომ არავითარი პრობლემა აღარ არსებობდა, რომ ვერაფერი ვერ შეედრებოდა იმას, გოლტის ყურება რომ შეეძლო, რომ ვერაფერი აიძულებდა ამ ადამიანისგან წასვლას, და, ამავე დროს, სამუდამოდ დაკარგავდა გოლტისთვის შეხედვის უფლებას, თუ უარს იტყოდა თავის რკინიგზაზე. დაგნი გრძნობდა, რომ გოლტი მას ეკუთვნოდა, რომ მათ, ორივემ, თავიდანვე, პირველივე წუთებიდანვე, რაღაც აუხსნელი იგრძნეს და განიცადეს, თუმცა, ამის მიუხედავად, კაცს შეეძლო, ნებისმიერ წუთს გამქრალიყო მისი ცხოვრებიდან და მომავალში, გარე სამყაროს რომელიღაც ქუჩაში, სრულიად გულგრილად აექცია გვერდი დაგნისთვის.

დაგნიმ შენიშნა, რომ ჯონი არაფერს ეკითხებოდა მას ფრანცისკოს შესახებ. როდესაც უყვებოდა, როგორ ესტუმრა თავის ბავშვობის მეგობარს სახლში, გოლტის სახეზე ვერანაირი რეაქცია ვერ შენიშნა, ვერც მოწონება, ვერც განაწყენება. მართალია, წამით მოეჩვენა, რომ მას ოდნავ შესამჩნევმა ჩრდილმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ ისე ჩანდა, რაიმე განსაკუთრებული ემოციები გოლტს ფრანცისკოსთან დაგნის ვიზიტის გამო არ აღძვრია.

ეს ბუნდოვანი შიში კითხვად გადაიქცა, კითხვად, რომელიც დაგნის ღრმად ჩაებეჭდა ცნობიერებაში მომდევნო საღამოებში, როდესაც გოლტი სახლიდან მიდიოდა და მას მარტო ტოვებდა. ყოველ მეორე საღამოს, ნავახშმევს, ის სახლიდან გადიოდა, ისე, რომ არც კი ეუბნებოდა დაგნის, სად მიდიოდა და შინ შუაღამისას ან უფრო გვიანაც ბრუნდებოდა. დაგნი საკუთარ თავს უფლებას არ აძლევდა, ბოლომდე გაეცნობიერებინა, თუ როგორ დაძაბულად და მოუსვენრად ელოდა გოლტის დაბრუნებას. ის არ ეკითხებოდა ჯონს, სად ატარებდა საღამოებს — სწორედ ამის

შეტყობის მეტისმეტად მძაფრი ძლიერი სურვილი აფერხებდა: დაგნის დუმილში ქვეცნობიერი გამოწვევა იგულისხმებოდა — ნაწილობრივ საკუთარი თავის, ნაწილობრივ კი გოლტის.

დაგნის არ უნდოდა, ეღიარებინა თავისი შიშები, სახელი დაერქმია მათთვის.

მხოლოდ ახალი, მისთვის აქამდე უცნობი განცდის საძაგელი, გაუსაძლისი შემოტევით გრძნობდა მათ. ეს მწველი აღშფოთება იყო, რომლის მსგავსიც ადრე არასოდეს გამოუცდია, ეჭვი, რომ გოლტის ცხოვრებაში ვიღაც ქალი არსებობდა, თუმცა ამ აღშფოთებას არბილებდა ჯანსაღი აზრი, რომ ამ საფრთხეს შეიძლებოდა, შეჰბრძოლებოდა, ან არადა, უკიდურეს შემთხვევაში, თვალი გაესწორებინა და მიეღო. მაგრამ კიდევ ერთი, უფრო მეტად ავის მომასწავებელი საფრთხეც არსებობდა: თავგანწირვის მდაბალი ფორმა — დაგნი ეჭვობდა, რომ გოლტმა გადაწყვიტა, უბრალოდ გაუჩინარებულიყო და უახლოესი მეგობრისთვის დაეთმო გზა.

დღეები გადიოდა, დაგნი კვლავ დუმდა. ერთ საღამოსაც, ვახშმობისას, როდესაც გოლტი ისევ უნდა წასულიყო სადღაც, დაგნიმ უეცრად გააცნობიერა, რომ უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებდა იმის ცქერა, თუ როგორ შეექცეოდა ის მის მომზადებულ კერძს და მოულოდნელად, უნებლიეთ, თითქოს ამ სიამოვნებამ მისცა უფლება, თითქოს სწორედ მან და არა ტკივილმა, სადღაც გააქრო დაგნის თავშეკავება, ჯონს შეეკითხა:

— რა საქმეზე მიდიხართ სახლიდან ყოველ მეორე საღამოს?

— ლექციების წასაკითხად, — უპასუხა გოლტმა ისე უბრალოდ, თითქოს თვლიდა, რომ ქალს ეს უკვე უნდა სცოდნოდა.

— რა?

— ლექციების კურსს ვკითხულობ ფიზიკაში, ისევე, როგორც ყოველ წელიწადს ამ თვეში. ეს ჩემი... რა გაცინებთ? — ჰკითხა გოლტმა ქალს, როდესაც დაინახა, რომ დაგნი ლამის გაიგუდა უხმო სიცილისგან, მერე კი, ვიდრე ქალი რაიმეს თქმას მოასწრებდა, მოულოდნელად გაიღიმა, თითქოს პასუხი გამოიცნო. დაგნიმ გოლტის ღიმილში რაღაც განსაკუთრებული, მეტისმეტად პირადი შენიშნა... თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, გოლტი ისევ ალაპარაკდა, — იცით, ამ თვეში ჩვენ ყველანი ვვაჭრობთ მიღწევებით ჩვენს ნამდვილ პროფესიებში. რიჩარდ ჰალი კონცერტებს გამართავს, კეი ლადლოუ იმ ავტორების მიერ დაწერილ ორ პიესაში ითამაშებს, რომლებიც გარე სამყაროსთვის არ ქმნიან არაფერს, მე. კი ლექციების კურსს ვკითხულობ და ჩემი მთელი წლის საქმიანობის ანგარიშს წარმოვადგენ.

— უფასოდ კითხულობთ ლექციებს?

— რა თქმა უნდა, არა. ლექციების მთელი კურსი თითოეულ მსმენელს ათი დოლარი უჯდება.

— მეც მინდა, დავესწრო თქვენს ლექციებს.

გოლტმა თავი გააქნია:

— არა. თქვენ შეგიძლიათ, დაესწროთ კონცერტებს, სპექტაკლებს ან სხვა გასართობ წარმოდგენებს, მაგრამ არა ჩემს ლექციებს ან იდეების სხვა აუქციონს, რადგან შესაძლოა, ეს იდეები ხეობის გარეთ გაიტანოთ. გარდა ამისა, ჩემი კლიენტები თუ სტუდენტები მხოლოდ ის ხალხია, ვინც ლექციების ამ კურსს პრაქტიკული მიზნით გადის: დუაიტ სანდერსი, ლოურენს ჰემონდი, დიკ მაკნამარა, ოუენ კელოგი და კიდევ რამდენიმე სხვა ადამიანი. ამ წლიდან ჩემს ლექციებს ერთი დამწყებიც ესწრება: ქუენტინ დენიელსი.

— მართლა? — ლამის შურით იკითხა დაგნიმ, — ის როგორღა ახერხებს ლექციების საფასურის გადახდას?

— კრედიტით. მე მას გადავუვადე საფასურის გადახდა. დენიელსი ამად ღირს.

— სად კითხულობთ ლექციებს?

— დუაიტ სანდერსის ფერმის ფარდულში.

— მთელი წლის განმავლობაში სადღა მუშაობთ?

— ჩემს ლაბორატორიაში.

— სად არის თქვენი ლაბორატორია? აქ, ხეობაში? — იკითხა დაგნიმ ფრთხილად.

სანამ უპასუხებდა, გოლტმა წუთით თვალი გაუსწორა დაგნის, რათა ქალს მოესწრო მის მზერაში ირონიის ამოკითხვა და მიმხვდარიყო, რომ მან იცოდა ამ შეკითხვის მიზანი:

— არა.

— და მთელი ამ თორმეტი წლის განმავლობაში თქვენ გარე სამყაროში ცხოვრობდით?

— დიახ.

— თქვენც, — დაგნის ეს აზრი აუტანლად ეჩვენა, — თქვენც ისეთივე სამუშაო გაქვთ, როგორიც დანარჩენებს?

— დიახ. — გოლტის თვალებში ჩამდგარ ირონიას თითქოს რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

— ოღონდ ნუ მეტყვით, რომ ბუღალტრის მეორე ასისტენტი ხართ!

— არა, არ ვარ.

— მაშინ რას აკეთებთ?

— იმას, რასაც გარე სამყარო მოითხოვს ჩემგან.

— სად?

გოლტმა თავი გააქნია:

— არა, მის ტაგარტ. თუ თქვენ ხეობის დატოვებას გადაწყვეტთ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი რამ, რისი გაგების უფლებაც თქვენ არ გაქვთ.

სანამ წამოდგებოდა, ჯონმა კვლავ გაიღიმა — კადნიერად, მაგრამ არა შეურაცხმყოფელად; გეგონებოდა, ამბობდა, რომ იცოდა, რა საფრთხესაც შეიცავდა დაგნისთვის მისი პასუხი და მერე წამოდგა.

როდესაც გოლტი წავიდა, დაგნის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს სახლში გამეფებულ სიჩუმეში დრო დამთრგუნველ სიმძიმედ დიოდა, უძრავ, ნახევრად მყარ მასად, ისე ნელა, რომ ძნელი მისახვედრი იყო, წუთები გავიდა თუ საათები. დაგნი ნახევრად გადაწოლილიყო მისაღები ოთახის ერთ-ერთ სავარძელში, სრულიად გამოფიტული, მოწყვეტილი, თითქოს სიზარმაცეს კი არა, რაღაც იდუმალ ძალას დანებდა, რომელიც ამაზე ნაკლებს არ დასჯერდებოდა.

„კმაყოფილების მიზეზი, რომელსაც მანიჭებს ყურება, როგორ შეექცევა ის ჩემს მომზადებულ საჭმელს“, — ფიქრობდა თვალდახუჭული დაგნი, მისი გონებაც ისევე ზანტად მოქმედებდა, როგორც დრო, — „იმის გაცნობიერებაა, რომ მე ამ კაცს გრძნობადი სიამოვნება მივანიჭე, რომ მისი ერთ-ერთი ხორციელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოვახერხე... რაღაც მიზეზი აქვს იმას, რომ ქალი ოცნებობს, მამაკაცისთვის მოამზადოს საჭმელი... ოჰ, არა, ეს ყოველდღიური მოვალეობა კი არა, იშვიათი და განსაკუთრებული რიტუალი უნდა იყოს, რაღაც განსაკუთრებულის სიმბოლო... მაგრამ რად გადააქციეს ეს ყველაფერი ქალური მოვალეობის მქადაგებლებმა?.. გულის ამრევი, მძიმე და ერთფეროვანი საქმის მორჩილად

შესრულება ქალის ჭეშმარიტ დანიშნულებად გამოაცხადეს — მაშინ, როდესაც ამის საფუძველი სამარცხვინო ცოდვად შეირაცხა... გაჭვარტლულ სამზარეულოში გაქონილი და ლორწოვანი ნაფცქვენების გადაყრა სულიერ საქმედ და ქალური მოვალეობის შესრულებად მიიჩნიეს, ხოლო ორი სხეულის შეხვედრა საძინებელ ოთახში — გარყვნილებად და ცხოველური ინსტინქტის გამოვლინებად“.

დაგნი მკვეთრად წამოდგა ფეხზე. არ სურდა, გარე სამყაროზე და მის მორალურ კოდექსზე ეფიქრა. იცოდა, რომ ახლა ეს არ იყო მისი საფიქრალი. არც იმ საგანზე არ უნდოდა ეფიქრა, რომლისკენაც მისი გონება მიიწევდა და რომელსაც თავისი ნების საწინააღმდეგოდ უბრუნდებოდა, თითქოს გონებას საკუთარი ნება ჰქონდა...

წინ და უკან დადიოდა ოთახში და სძულდა საკუთარი ულამაზო, ტლანქი, მოუხერხებელი მოძრაობები, გეგონებოდა, ცდილობდა, მოძრაობით მაინც დაერღვია ეს აუტანელი სიჩუმე. სიგარეტს მოუკიდა, რომ მიზანმიმართული მოქმედების ილუზია შეექმნა, მაგრამ იმავე წამს ჩააქრო, როგორც კი ყალბი მიზნისადმი დამღლელი სიძულვილი იგრძნო. ოთახს მოუსვენარი მზერა მოავლო, სასოწარკვეთილად დაეძებდა რაიმე სასარგებლო საქმეს, რაიმეს, რასაც გარეცხვა, გაწმენდა, შეკეთება სჭირდებოდა... თუმცა იმასაც აცნობიერებდა, რომ ამ ძალისხმევად არც ერთი ეს საქმე არ ეღირებოდა. „თუკი არაფერი გეჩვენება ძალისხმევის ფასად“, — ამბობდა ვიღაცის მკაცრი ხმა ქალის გონებაში, — „ესე იგი, ამის მიღმა შენს მთავარ სურვილს მალავ რა გსურს შენ?..“ — დაგნიმ ასანთს გაჰკრა და პირის კუთხეში გადმოკიდებული სიგარეტის ანთება სცადა... — „რა გსურს შენ?“ — იმეორებდა ულმობელი მსაჯულივით ქალის გონებაში დასადგურებული ხმა. „მსურს, ის დაბრუნდეს!“ — უპასუხა დაგნიმ ხმას. მან უხმო ყვირილით მიუგდო ეს სიტყვები უხილავ ბრალმდებელს, როგორც უკან დადევნებულ მხეცს გადაუგდებენ ხოლმე ძვალს თავიდან მოსაშორებლად.

„მსურს, ის უკან დაბრუნდეს“, — თქვა ქალმა ჩუმად იმ ბრალდების საპასუხოდ, რომ ასეთი მოუთმენლობის მიზეზი არ არსებობდა. „მსურს, ის უკან დაბრუნდეს“, — თქვა მუდარით სავსე ხმით იმ მკაცრი შეხსენების პასუხად, რომ მისი მუდარა ვითარებას ვერ შეცვლიდა... „მსურს, ის უკან დაბრუნდეს!“ — იყვირა დაგნიმ გამომწვევად, თან თავს ებრძოდა, რომ ყველაზე მთავარი გამამართლებელი სიტყვა არ დასცდენოდა.

თავი ჩაკიდა, თითქოს ხანგრძლივ, მძიმე შრომას წელში გაეწყვიტა. სიგარეტი მის თითებშორის მხოლოდ ნახევარ ინჩზე ჩამწვარიყო. დაგნიმ ჩააქრო ის და კვლავ სავარძელში ჩაეშვა.

„თავს კი არ ვარიდებ“, — ფიქრობდა დაგნი, — „თავს არ ვარიდებ ამას, უბრალოდ, პასუხამდე მისასვლელ გზას ვერ ვხედავ... „ის, რაც შენ ნამდვილად გსურს“, — უთხრა ხმამ, სანამ მისი გონება გაურკვევლობისა და დაბნეულობის ბურუსში დაეხეტებოდა, — „შენთვის სულ ადვილი მოსაპოვებელია, მაგრამ გახსოვდეს: ნებისმიერი რამ, რაც ჩამოუვარდება შენს სრულ თანხმობასა და რწმენას, იქნება ყველაფერ იმის ღალატი, რასაც ის განასახიერებს შენთვის... „მაშინ, დაე, გამკიცხოს მან“, — ფიქრობდა დაგნი, თითქოს მის გონებაში დაბუდებული ხმა ახლა ბურუსში დაკარგულიყო და ქალის სიტყვები აღარ ესმოდა, — „დაე, გამკიცხოს მან, ოღონდ ხვალ...

ახლა კი... მინდა, ის უკან დაბრუნდეს...“

პასუხის გაგება ვეღარ მოახერხა, რადგან თავი სავარძლის საზურგეზე გადაუვარდა და ჩაეძინა.

როდესაც დაგნიმ თვალები გაახილა, დაინახა გოლტი, რომელიც მისგან სამი ფუტის მოშორებით იდგა და მაღლიდან ისე დაჰყურებდა, თითქოს უკვე დიდი ხანი იყო, აკვირდებოდა. დაინახა გოლტის სახე და აღქმის მთელი სიცხადით მიხვდა: ეს სახე სწორედ იმას გამოხატავდა, რასაც თვითონ ებრძოდა რამდენიმე საათის განმავლობაში. მიხვდა მშვიდად, გაოცების გარეშე, რადგან ჯერ ძილისთვის ბოლომდე ვერ დაეღწია თავი.

— სწორედ ასე გამოიყურებით, — მიმართა დაგნის გოლტმა წყნარი ხმით, — როდესაც თქვენს ოფისში ჩაგეძინებათ ხოლმე, — და უცებ ქალს გონება გაუნათდა:

გოლტმა თავი ბოლომდე გათქვა, მისმა სიტყვებმა ისე გაიჟღერა, რომ დაგნისთვის სრულიად ცხადი გახდა, რა ხშირად ფიქრობდა ის ამაზე და რა მიზეზით, — ისეთი გამომეტყველება გაქვთ, თითქოს გსურთ, იმ სამყაროში გამოიღვიძოთ, სადაც დასამალი ან საშიში არაფერი გექნებათ, — ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე დაგნის სახეზე ღიმილი გამოესახა, მაგრამ როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა, ღიმილი თანდათან უკვალოდ გაუქრა. გოლტმა ეს შენიშნა და მშვიდად და სრული რწმენით დასძინა, — თუმცა აქ ეს ნამდვილად ასეა.

დაგნის მთავარი ემოცია რეალურ სამყაროში დაბრუნებისას სიძლიერის განცდა იყო. ის მოხდენილად, ზანტად წამოჯდა სავარძელზე, გრძნობდა, როგორ გადაეცემოდა მოძრაობა კუნთიდან კუნთს. სიზანტემ და დაუდევარი ცნობისმოყვარეობის ტონმა მის ხმას ოდნავი მედიდურობა შესძინა:

— თქვენ რა იცით, როგორ გამოვიყურები... ჩემს კაბინეტში?

— ხომ გითხარით, რომ წლების განმავლობაში გადევნებდით თვალყურს.

— როგორ მოახერხეთ, ასეთი დაჟინებით გედევნებინათ ჩემთვის თვალყური?

— ახლა გიპასუხებთ, — უთხრა გოლტმა უბრალოდ, და არა გამომწვევად.

ჩუმად, თითქმის ალერსიანად ჰკითხა, ფარული ზეიმის ინტონაციის ხმაში:

— პირველად როდის დამინახეთ?

— ათი წლის წინ, — უპასუხა ქალს გოლტმა და არ უცდია, დაემალა, რომ შეკითხვის არსს ხვდებოდა.

— სად? — ლამის ბრძანებასავით გაისმა დაგნის ხმა.

გოლტი შეყოვნდა, შემდეგ კი დაგნიმ მისი მკრთალი ღიმილი დაინახა — მხოლოდ ბაგეებზე, თვალები არ უღიმოდა; ასე, — სევდით, ტკივილითა და სიამაყით, — იმ საგანს შესცქერიან, რომლის მოსაპოვებლად უზარმაზარი ფასი გადაიხადეს.

— მიწის ქვეშ, ტაგარტის სარკინიგზო ხაზის ბოლო სადგურზე.

დაგნიმ უეცრად საკუთარ თავს გვერდიდან შეხედა: ის უდარდელი გამომეტყველებით ნახევრად გადაწოლილიყო სავარძელზე, დაუდევრად გაეწია ერთი ფეხი წინ, გამჭვირვალე, სადა ბლუზონი, განიერი, ხასხასა გლეხური ქვედატანი, თხელი წინდები და მაღალქუსლიანი ლაკის ფეხსაცმელები ეცვა... სულაც არ ჰგავდა უმსხვილესი სარკინიგზო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს, — ქალმა ეს გოლტის მზერის პასუხად გააცნობიერა, რომელიც ჩანდა, მიუღწეველს ხედავდა — ზუსტად ისეთი შესახედაობა ჰქონდა, როგორიც მის მოახლე გოგონას უნდა ჰქონოდა. დაიჭირა წამი, როდესაც გოლტის მზერას წარსულის რიდე ჩამოეხსნა და ამწუთას ის ახლანდელ დაგნის ხედავდა... და ქალმა დაუფარავი კადნიერებით გაუსწორა გოლტს თვალი.

გოლტი შებრუნდა, მაგრამ ოთახში რომ გაიარა, მისი ნაბიჯების ხმამაც მზერასავით ბევრი რამ თქვა. დაგნი ხვდებოდა, მას სურდა, ახლაც ისევე წასულიყო, როგორც ყოველთვის, როდესაც შინ დაბრუნებული, ტკბილ ძილს უსურვებდა თუ

არა, მაშინვე გადიოდა დაგნის ოთახიდან. ქალი შესცქეროდა გოლტის შინაგან ჭიდილს, და ხვდებოდა, — ხან მისი ნაბიჯების მეშვეობით, რომელიც ხშირად იცვლიდა მიმართულებას, ხან კი მტკიცე რწმენით, რომ მისი სხეული კაცს მაგნიტივით იზიდავდა, — რომ ამ ადამიანს, რომელსაც დღემდე არასოდეს დასჭირვებია საკუთარ თავთან ბრძოლის წამოწყება და, შესაბამისად, არც არასდროს დამარცხებულიყო, ახლა ოთახიდან გასვლის ძალაც კი არ შესწევდა.

გოლტის ქცევას დაძაბულობა არ ეტყობოდა. მან პიჯაკი გაიხადა, გვერდზე მიაგდო და პერანგის ამარა მოპირდაპირე ფანჯარასთან ჩამოჯდა, პირით ქალისკენ, თუმცა კი სავარძლის სახელურზე იჯდა, თითქოს არც მიდიოდა და არც რჩებოდა.

დაგნი გამარჯვების თავქარიან, საამო და უდარდელ გრძნობას მოეცვა — აცნობიერებდა, რომ ფიზიკურად მართავდა კაცს; ერთი, საშიში წამის განმავლობაში ამ კონტაქტმა უსაზღვრო სიამოვნება მიანიჭა მას.

შემდეგ თითქოს თავზარი დაეცა და თვალთ დაუბნელდა, — დარტყმასავით ძლიერი, უხმო კივილის მსგავსი ელდით, — გაოგნებული ცდილობდა მიზეზის მიკვლევას და აღმოაჩინა, რომ გოლტი, უბრალოდ, ოდნავ გადახრილიყო გვერდზე, — დაგნი მთელი არსებით შეძრა ამ სრულიად შემთხვევითმა პოზამ: მისი მხრიდან წელს, თეძოებსა და ფეხებს ჩამოყოლებულმა მოხდენილმა ხაზმა. გატრიალდა, გოლტს რომ არ შეემჩნია, როგორ ცახცახებდა და დაივიწყა ფიქრები გამარჯვებაზე და იმაზე, თუ სინამდვილეში ვის ეპყრა ხელთ ძალაუფლება.

— მას შემდეგ კიდევ ბევრჯერ დაგინახეთ, — ხმადაბლა, მშვიდად წარმოთქვა გოლტმა, ჩვეულებრივზე უფრო ნელა, თითქოს ყველაფერს აკონტროლებდა, გარდა საუბრის მოთხოვნილებისა.

— სად?

— ბევრგან.

— მაგრამ ცდილობდით, თვითონ არავის შეემჩნიეთ, ასეა?

დაგნი გრძნობდა, რომ გოლტის სახე არასოდეს დაავიწყდებოდა.

— დიახ.

— რატომ? გეშინოდათ?

— დიახ. — მომაკვდინებელი გულწრფელობით უპასუხა გოლტმა და დაგნი უცებ ვერც კი მიხვდა, რომ მან იცოდა, რისი მიმანიშნებელიც იქნებოდა დაგნისთვის მისი დანახვა. — თავიდანვე იცოდით, ვინც ვიყავი?

— ოჰ, დიახ. ჩემი რიგით მეორე ყველაზე საშინელი მტერი.

— რა? — დაგნი ასეთ პასუხს არ მოელოდა; შემდეგ კი შეეცადა, სიმშვიდე დაებრუნებინა და აუღელვებელი ხმით იკითხა, — პირველი ვინღაა?

— დოქტორი რობერტ სტადლერი.

— მასთან მაიგივებდით?

— არა. ის შეგნებულად არის ჩემი მტერი. ადამიანი, რომელმაც თავისი სული გაყიდა. ჩვენ მის მომხრობას არ ვაპირებთ. აი, თქვენ კი ყოველთვის ერთ-ერთი ჩვენგანი იყავით. მე ეს მანამდეც ვიცოდი, სანამ დაგინახავდით. მე ისიც ვიცოდი, რომ თქვენ ყველაზე ბოლოს შემოგვიერთდებოდით და ყველაზე რთული თქვენი დამარცხება იქნებოდა.

— ეს ვინ გითხრათ?

— ფრანცისკომ.

დაგნი წუთით შეყოვნდა, შემდეგ კი ჰკითხა:

— მაინც, რა გითხრათ ფრანცისკომ?

— მან მითხრა, რომ ჩვენს სიაში ყველაზე რთული გადმოსაბირებელი თქვენ იქნებოდით. მაშინ შევიტყვე პირველად თქვენი არსებობის შესახებ. სწორედ ფრანცისკომ ჩაწერა თქვენი სახელი ჩვენს სიაში. მან მითხრა, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ერთადერთი იმედი და მომავალი იყავით, რომ დიდხანს შეგვეწინააღმდეგებოდით და თავგანწირვით იბრძოლებდით თქვენი რკინიგზისთვის, რადგან ძლიერი, მამაცი და საკუთარ საქმის ერთგული ადამიანი ხართ, — გოლტმა ქალს შეხედა, — ამის მეტი არაფერი უთქვამს. ის ისე ლაპარაკობდა თქვენზე, როგორც ჩვენს ერთ-ერთ მომავალ გაფიცულზე. მე ვიცოდი, რომ თქვენ ბავშვობის მეგობრები იყავით, სულ ეს იყო.

— ამ საუბრიდან რამდენ ხანში მნახეთ?

— ორი წლის შემდეგ.

— საგანგებოდ?

— შემთხვევით. გვიან ღამით... ტაგარტის სარკინიგზო ხაზის ბოლო სადგურის ბაქანზე, — დაგნი ხვდებოდა, რომ ეს გოლტის მხრიდან ერთგვარ დანებებას ნიშნავდა, მას არ სურდა ამის თქმა, მაგრამ იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო, დაგნის მის ხმაში ყრუ პროტესტი მოესმა: უნდა ეთქვა, უნდა დახმარებოდა საკუთარ თავსაც და დაგნისაც, ურთიერთგაგების ძაფი გაბმულიყო მათ შორის, — თქვენ საღამოს კაბა გეცვათ. მოსასხამი სანახევროდ ჩამოგცურებოდათ. მხოლოდ თქვენი შიშველი მხრები, ზურგი და პროფილი დავინახე, ერთი წუთით მომეჩვენა, რომ მოსასხამი სადაცაა, მთლიანად ჩამოგვარდებოდათ და სრულიად შიშველი აღმოჩნდებოდით. მერეღა შევამჩნიე, რომ ბერძენთა ქალღმერთის ტუნიკის მსგავსი გრძელი კაბა გეცვათ, თუმცა კი ამერიკელი ქალისთვის დამახასიათებელი მოკლედ შეჭრილი თმა და მბრძანებლური პროფილი გქონდათ. რკინიგზის ბაქანი სრულიად არ შეგესაბამებოდათ, მაგრამ იმ წუთებში მე თქვენ სულ სხვაგან, სხვა სივრცეში გხედავდით, ისეთში, ადრე რომ არასოდეს წარმოუსახავს ჩემს ცნობიერებას, მერე კი უეცრად მივხვდი, რომ თქვენი ადგილი სწორედ აქ იყო, სწორედ რკინიგზის გამურული რელსების ფონი შეესატყვისებოდა თქვენს მიწამდე დაცემულ კაბას, მოშიშვლებულ მხრებსა და ასე სიცოცხლით სავსე სახეს — რკინიგზის ბაქანი და არა მაღალი საზოგადოების წვეულება — ფუფუნების სიმბოლოს ჰგავდით და თქვენი ადგილიც იქ იყო, სწორედ ამ ფუფუნების დასაბამთან; თითქოს სიმდიდრეს, მოხდენილობას, ექსტრავაგანტულობასა და სიცოცხლით ტკბობის სიხარულს უბრუნებდით მათ კანონიერ მფლობელებს, ადამიანებს, რომლებმაც შექმნეს ეს სარკინიგზო ხაზები და ქარხნები; თქვენ ენერგიას, მის წყაროს განასახიერებდით, საქმის ცოდნასა და სილამაზეს ასხივებდით; მე პირველი ვიყავი, ვინც ამ ორი რამის ერთმანეთისგან განუყოფლობა დაადგინა და გავიფიქრე — ჩვენ საუკუნეს რომ თავის ღმერთებისთვის ხელშესახები ფორმა მიეცა და ამერიკული რკინიგზის სიმბოლოდ ქანდაკება აღემართა, ეს სწორედ თქვენი ქანდაკება იქნებოდა... მერე დავინახე, რასაც აკეთებდით და იმასაც მივხვდი, ვინც იყავით. თქვენ განკარგულებებს აძლევდით სადგურის სამ თანამშრომელს, მართალია, სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ თქვენი ხმა სხარტი, მკაფიო და მტკიცე იყო. მივხვდი, რომ თქვენ დაგნი ტაგარტი იყავით. მე მოგიახლოვდით და ორი წინადადების გარჩევაც მოვახერხე. „ვინ გადაწყვიტა ეს?“

— იკითხა სადგურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა. „მე“, — უპასუხეთ თქვენ. სულ ეს იყო, რაც გავიგონე, თუმცა ესეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

— მერე რა მოხდა?

გოლტმა ნელა ახედა დაგნის, თვალი გაუსწორა და მის ჩუმ ხმაში საკუთარი თავის მიმართ ირონია გაისმა:

— შემდეგ მე მივხვდი, რომ ყველაზე მაღალი ფასი, რომელიც ამ გაფიცვის გამო უნდა გადამეხადა, ჩემს ძრავასთან განშორება უკვე აღარ იყო.

დაგნი ფიქრობდა, ნეტავი რომელი უსახელო უცნობის ჩრდილი და სახე ეკუთვნოდა გოლტს იმ მგზავრებს შორის, რომლებიც ლოკომოტივის ორთქლივით უსხეულო ლანდებად კრთოდნენ მის გარშემო იმ დროს; აინტერესებდა, რამდენად ახლო იდგა გოლტი მასთან:

— რატომ არ გამომელაპარაკეთ მაშინ ან მოგვიანებით მაინც?

— შემთხვევით, ხომ არ გახსოვთ, რას აკეთებდით სადგურში იმ ღამით?

— ბუნდოვნად მახსოვს, როდესაც სადგურში გამომიძახეს, წვეულებაზე ვიყავი.

მამაჩემი ქალაქიდან იყო გასული და სადგურის ახალმა მენეჯერმა რაღაც შეცდომა დაუშვა, რამაც მთელი მოძრაობა გააჩერა. ძველმა მენეჯერმა ერთი კვირით ადრე მოულოდნელად მიატოვა სამუშაო.

— ეს მე ვურჩიე მას სამუშაოს მიტოვება.

— მივხვდი...

დაგნის ხმა წაერთვა, თითქოს უარი თქვა ჟღერაზე. „გოლტისთვის რომ მოთმინებას ეღალატა“, — ფიქრობდა ის, — „ჩემთან მისულიყო, მაშინვე ან მოგვიანებით, და ამ გაფიცვაში მონაწილეობა შემოეთავაზებინა, რა ტრაგედიამდე მივიდოდა საქმე?..“ — დაგნის გაახსენდა, რას გრძნობდა იმ დროს, როდესაც ყვიროდა, რომ გამანადგურებელს დანახვისთანავე დაუფიქრებლად ადგილზე დახვრეტდა... — „დავხვრეტდი კიდეც!“ — ეს აზრი სიტყვებად არც კი ქცეულა, მხოლოდ სიმძიმის შეგრძნებითა და შინაგანი ცახცახით გამოიხატა, — „მე მას მართლაც ვესროდი... მერე, თუკი შევიტყობდი, რა როლი ჰქონდა ამ ამბავში... მე აუცილებლად მომიწევდა ამის შეტყობა... და მაინც...“

დაგნი მიხვდა, რომ გოლტი ისევე ადვილად კითხულობდა მის ფიქრებს, როგორც თვითონ გოლტისას. ხედავდა, როგორ დაებინდა მზერა, როგორ დაძაბულად მოეკუმა ტუჩები, როგორ იტანჯებოდა ის, და მწველმა სურვილმა მოიცვა, ტკივილი მიეყენებინა მისთვის და თან ეყურებინა ამ წამებისთვის, ვიდრე ეს გაუსაძლისი არ გახდებოდა მათთვის, ორივესთვის, შემდეგ კი ენახა, როგორ გამოელეოდა უკანასკნელი ძალა სიამოვნებისგან.

გოლტის ოდნავ წამოწეულმა თავმა და დაძაბულმა ნაკვთებმა მის გამომეტყველებას სიმტკიცე და სიცხადე შესძინა, სახეზე, რომელიც თითქოს მარტივ პირობითობამდე დასულიყო, ემოციის არავითარი კვალი არ ეტყობოდა.

— ყველა საუკეთესო ადამიანი, რომელიც თქვენმა რკინიგზამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაკარგა, მე დაგაკარგვინეთ. — უთხრა დაგნის გოლტმა მონოტონური და მკაფიო ხმით, ბუღალტერივით, რომელიც დაუდევარ კლიენტს ახსენებს, რომ საფასურის გადახდისგან თავს ვერ დაიძვრენს, — მე ყველა საყრდენი გამოვაცალე „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“ და თუ თქვენ იქ დაბრუნებას გადაწყვეტთ, მთელი კომპანია თავზე დაგემხობათ.

გოლტი გატრიალდა და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ დაგნიმ შეაჩერა. ის სიტყვებმა კი არა, მისმა ხმამ უფრო გააჩერა: დაგნის უემოციო, ჩუმ ხმაში მხოლოდ ტკივილი ისმოდა, ტანჯვით დაფერილი, რომელიც მუქარის მსგავსი დაფარული გრძნობის გამოძახილს წააგავდა; ეს იმ ადამიანის მუდარის ხმა იყო, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს ღირსებას, თუმცა უკვე დიდი ხანია, რაც ის აღარ ადარდებს:

— თქვენ გინდათ, როგორმე აქ დამტოვოთ, ასეა?

— ყველაზე მეტად სწორედ ეგ მსურს.

— თქვენ შეგიძლიათ ამის გაკეთება.

— ვიცი.

გოლტის ხმაში სწორედ ის ინტონაცია ჟღერდა, რაც დაგნისაში. ერთხანს გაჩერდა, სული რომ მოეთქვა და მერე ჩუმად, მკაფიოდ, დაუფარავი სიმპათიით, ლამის ღიმილით წარმოთქვა:

— მე მსურს, რომ თქვენ მიიღოთ ეს ადგილი. აბა, რა ფასი ექნება, მხოლოდ ფიზიკურად რომ დარჩეთ აქ, თუ თვითონ ვერ დაინახავთ ამ ყველაფრის მნიშვნელობას?

ეს ხომ იმ გაყალბებულ რეალობას დაემსგავსება, რომლის მეშვეობითაც ადამიანების უმეტესობა თავს იტყუებს? მე ასე არ შემიძლია. — გოლტი წასასვლელად მოემზადა, — და არც თქვენ შეგიძლიათ ეს. ძილი ნებისა, მის ტაგარტ.

ჯონი თავის საძინებელში შევიდა და კარი მიიხურა.

დაგნი რაღაც სიგიჟემ მოიცვა — საწოლზე იწვა, ჩაბნელებულ ოთახში, არც ფიქრი შეეძლო, არც დაძინება — გონება გმინვით ეხმიანებოდა ტკივილით შეძრულ სხეულს, რომელსაც თითქოს მის ცნობიერებაში მავედრებელი ყვირილით წარმოთქმული სიტყვები კი არა, ეს ტკივილი აცახცახებდა: „დაე, შემოვიდეს ის აქ, დაე, ვერ გაუძლოს ცდუნებას — ეშმაკსაც წაუღია ჩემი რკინიგზა და მისი გაფიცვა, ყველაფერი, რითიც აქამდე ვცხოვრობდით! — ეშმაკს წაუღია ყველაფერი, რისთვისაც აქამდე გვიცხოვრია ან რაც დღეს ვართ! თუნდაც მოვკვდე, მაგრამ ხვალ, ოღონდაც ახლა ის აქ შემოვიდეს! ყველაფერს უყოყმანოდ დავთმობ მისთვის... ალბათ, ამას უწოდებენ ცხოველურ ინსტინქტს... ასეა, ცხოველი ვარ...“ დაგნი ზურგზე იწვა, ხელებით ზეწარს ჩაჰბღაუჭებოდა საკუთარი თავის შესაჩერებლად, რომ არ ამდგარიყო და გოლტის ოთახში არ შესულიყო, რადგან აცნობიერებდა, რომ უკვე ამის გაკეთებაც შეეძლო... „ეს მე აღარ ვარ, ეს ის სხეულია, რომელსაც ვეღარ ვერევი, ვეღარ ვმართავ...“ მაგრამ სადღაც ღრმად მის არსებაში, სიმშვიდის რომელიღაც მანათობელ წერტილში, მისი ფიქრების დინებას ჯერ კიდევ ადევნებდა თვალს მსაჯული, თუმცა მკაცრად კი არ კიცხავდა, მოწონებით, ხალისიანად, თითქოს ეუბნებოდა: „შენი სხეული? — ის რომ ისეთი არ იყოს, როგორიც არის, მაშინაც დაეუფლებოდა იგივე სურვილი? რატომ მაინცდამაინც ამ ადამიანისკენ მიილტვი და არა სხვა ვინმესკენ?

გგონია, ყველაფერს წყევლი, რითაც აქამდე ცხოვრობდით ორივე თქვენგანი? ცდილობ, ყველაფერი გადაშალო მხოლოდ ერთი შენი სურვილით?“ დაგნის არც სჭირდებოდა ამ სიტყვების მოსმენა, რადგან ისედაც იცოდა ისინი, ყოველთვის იცოდა...

ცოტა ხნის შემდეგ ეს სხივიც ჩაქრა და აღარაფერი დარჩა, მხოლოდ ტანჯვა, თითები, რომლებიც ზეწარს ებღაუჭებოდა და თითქმის გულგრილი ცნობისწადილი, გოლტსაც ეღვიძა თუ არა იმ დროს და ისიც ასევე იტანჯებოდა თუ არა.

სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ირგვლივ გამეფებული წყვდიადი მიანიშნებდა, რომ შუქი არც ერთი ფანჯრიდან არ გამოდიოდა. კარგა ხნის მერე, გოლტის ჩაბნელებული ოთახიდან ორი განსხვავებული ხმა შემოესმა, რამაც მის კითხვას ამომწურავად უპასუხა — ეს იყო ნაბიჯებისა და სანთებელას ჩხაკუნი; დაგნი მიხვდა, რომ გოლტსაც ეღვიძა და ის მასთან არ შემოვიდოდა.

* * *

რიჩარდ ჰალიმ დაკვრა შეწყვიტა, ზურგი აქცია ინსტრუმენტს, დაგნის შეხედა და შენიშნა, როგორ დახარა ქალმა უნებლიეთ თვალები, ემოციები რომ დაემალა.

ჰალი ღიმილით წამოდგა ფეხზე და ხმადაბლა წარმოთქვა:

— გმადლობთ.

— ოჰ, არა... — წაიჩურჩულა დაგნიმ, რადგან ხვდებოდა, რომ მადლიერი თავად უნდა ყოფილიყო, თუმცა ახლა ამის გამოხატვა საჭირო არ იყო. იმ წლებზე დაფიქრდა, როდესაც ნაწარმოებები, ჰალიმ რომ ახლახან შეასრულა მისთვის, ხეობის განაპირას მდებარე პატარა სახლში იქმნებოდა, როდესაც ბგერების ეს უშურველი დიდებულება იმ იდეის უკვდავსაყოფად იღვრებოდა, სიცოცხლის აზრს სილამაზის შეგრძნებას რომ უთანაბრებს. ამ დროს დაგნი ნიუ-იორკის ქუჩებში დაეხეტებოდა და უიმედოდ ცდილობდა, სიამოვნება განეცადა, თანამედროვე სიმფონიების გამყინავი ხმა კი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, თითქოს დინამიკის დასნებოვნებული ყელი სამყაროსადმი ღვარძლსა და ზიზღს იფურთხებოდა.

— თქვენი მართლაც მადლობელი ვარ, — უთხრა რიჩარდ ჰალიმ ღიმილით დაგნის, — მე ბიზნესმენი ვარ და გასამრჯელოს გარეშე არაფერს ვაკეთებ. სწორედ ახლა თქვენ გადამიხადეთ. ხვდებით, რატომ მინდოდა, ამ საღამოს თქვენთვის დამეკრა?

ქალმა თავი ასწია. კომპოზიტორი თავისი მისაღები ოთახის ცენტრში იდგა. მარტონი იყვნენ. ღია ფანჯარაში კი ზაფხულის ღამე ჩანდა, ტყიანი ფერდობები ხეობის შორეული მოკაშკაშე სინათლეებისკენ მიემართებოდნენ.

— მის ტაგარტ, რამდენი ადამიანი გეგულებათ, ვისთვისაც ჩემი ნაწარმოებები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თქვენთვის?

— არცთუ ისე ბევრი, — უპასუხა ქალმა გულწრფელად. ეს არც ტრაბახი იყო და არც პირფერობა, უბრალოდ, საკადრისი პატივი მიაგო ახლახან მოსმენილის მშვენიერებას. — სწორედ ასეთ გასამრჯელოს ვითხოვ. მისი გადახდა ბევრს არ შეუძლია. მე არც თქვენს სიამოვნებას ვგულისხმობ და არც ემოციას — ჭირსაც წაუღია ემოციები! — მე ვგულისხმობ თქვენი გაგების უნარსა და იმ ფაქტს, რომ თქვენ მიერ განცდილი სიამოვნება ჩემსას ჰგავს, რომ მასაც იგივე საფუძველი აქვს: გონება, რომელსაც შეუძლია, შეაფასოს ჩემი ნაწარმოები იმავე ღირებულებების საზომებით, რომლებმაც ის დამაწერინა — იმ ფაქტს კი არ ვგულისხმობ, რომ თქვენ შეიგრძენით ეს ნაწარმოები, არამედ იმას, რომ თქვენ შეიგრძენით ის, რაც მე მსურდა გეგრძნოთ, იმ ფაქტს კი არა, რომ თქვენ გხიბლავთ ჩემი მუსიკა, არამედ იმას, რომ ამ მუსიკას სწორედ იმიტომ ეთაყვანებით, რის გამოც მე მსურდა, მისით აღტაცებულიყვნენ. — კომპოზიტორმა ჩაიცინა, — ხელოვანების უმეტესობას, გარდა თაყვანისცემის დაუძლეველი წყურვილისა, კიდევ ერთი, გაცილებით ძლიერი ცდუნება ტანჯავთ — ჩასწვდნენ მათდამი თაყვანისცემის ბუნებას, თუმცა ეს აშინებთ კიდეც.

ამგვარი შიში ჩემთვის სრულიად უცხოა. როდესაც საქმე ჩემს მუსიკასა და იმ გამოხმაურებას ეხება, რომელსაც ვეძიებ — ეჭვები არ მაწუხებს. ერთზეც და მეორეზეც ძალიან მაღალი აზრის ვარ. არ მსურს, უმიზეზოდ, მხოლოდ ემოციების დონეზე, ინტუიციურად და ინსტინქტურად, ანუ ბრმად მოიხიბლონ ჩემით. არ მჭირდება რაიმე სახის სიბრმავე, რადგან ძალიან ბევრი რამის ჩვენება შემიძლია, არც სიყრუე, რადგან ბევრი მაქვს სათქმელი. არ მსურს, ვინმე გულით მეთაყვანებოდეს, მინდა, მხოლოდ გონებით მაღიარონ. და როდესაც ვიპოვი ამ ფასდაუდებელი უნარის მქონე კლიენტს, მაშინ ჩემი მუსიკა ორმხრივი მოგებისთვის გამიზნული ორმხრივი

ვაჭრობა ხდება. ხელოვანი ვაჭარია, მის ტაგარტ, ყველაზე ჯიუტი და მომთხოვნი ვაჭარი. ახლა ხომ გესმით ჩემი?

— დიახ, — უპასუხა გაოცებულმა დაგნიმ, — მესმის, — გაოცებულმა იმით, რომ მისი მორალური სიამაყის კრედოს სწორედ ის კაცი ანიჭებდა უპირატესობას, ვისგანაც ყველაზე ნაკლებად ელოდა ამას.

— თუ გესმით, მაშინ სულ ერთი წუთის წინ რატომ გქონდათ ასეთი ტრაგიკული გამომეტყველება? რას ნანობთ?

— იმ წლებს, როდესაც თქვენს მუსიკას არავინ ისმენდა.

— ეს ასე არ ყოფილა. ყოველ წელიწადს ორ-სამ კონცერტს ვმართავდი აქ, გოლტის ხეობაში. სწორედ მომავალ კვირას ვმართავ შემდეგ კონცერტს. იმედი მაქვს, დაესწრებით. ოცდახუთი ცენტის გადახდა მოგიწევთ.

დაგნიმ სიცილი ვერ შეიკავა. ჰალიმაც გაიღიმა, შემდეგ მოულოდნელად სერიოზული სახე მიიღო, თითქოს საკუთარ გამოუთქმელ ფიქრებში ჩაიძირა. ღია ფანჯრიდან სიბნელეს გაჰყურებდა, მთვარის შუქით გაფერმკრთალებულ დოლარის სიმბოლოს ხის ტოტებს შორის, რომელიც ცაზე ამოტვიფრულ მბზინავი ფოლადის მრუდს ჰგავდა.

— მის ტაგარტ, ახლა ხვდებით, რატომ ვამჯობინებ ათას თანამედროვე ხელოვანს ერთ ნამდვილ ბიზნესმენს? რატომ ვპოულობ უფრო მეტ საერთოს ელის უაიატთან და კენ დენეგერთან, რომელსაც მუსიკალური სმენა საერთოდ არ გააჩნია, ვიდრე მორტ ლიდისა და ბალფ იუბენკის მსგავს ადამიანებთან? სიმფონია იქნება ეს თუ ქვანახშირის მაღარო, ყველა სახის სამუშაო ქმნის აქტია და იმავე სათავიდან წარმოიშობა: ფასდაუდებელი უნარიდან, საკუთარი თვალებით დაინახო ყველაფერი, დანახვის ნიჭიდან — შეგეძლოს, დაინახო, ერთმანეთთან დააკავშირო და შექმნა ისეთი რამეები, რაც ადრე არავის დაუნახავს, ერთმანეთთან არ დაუკავშირებია და არ შეუქმნია. ხალხი სიმფონიებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს მიაწერს იდუმალებით მოცული მომავლის განჭვრეტის ზებუნებრივ უნარს; როგორ ფიქრობენ, რა ჰქვია იმ ადამიანების ნიჭს, რომლებმაც აღმოაჩინეს, როგორ მოეპოვებინათ ნავთობი, ემუშავებინათ მაღარო, შეექმნათ ელექტროძრავა? ჰგონიათ, მუსიკოსებისა და პოეტების სულში წმინდა ცეცხლი გიზგიზებს, მაგრამ აბა, მათი აზრით, ის რაღა ცეცხლია, იმ მრეწველის სულში რომ ანთია, რომელიც მთელ სამყაროს დაუპირისპირდება ახალი ლითონის შექმნის გამო, სწორედ ისე, როგორც საუკუნეების განმავლობაში უპირისპირდებოდნენ კაცობრიობას თვითმფრინავის გამომგონებლები, რკინიგზის მშენებლები, ახალი მიკრობებისა და კონტინენტების აღმომჩენები?.. ჭეშმარიტების ძიებისადმი უდრეკი ერთგულება, მის ტაგარტ? ხომ გსმენიათ, რამდენს ლაპარაკობენ მორალისტები და ხელოვნების თაყვანისმცემლები ჭეშმარიტების ძიებისადმი ხელოვანის უდრეკ ერთგულებაზე?

დამისახელეთ უფრო მეტი თავდადება და ერთგულება, ვიდრე იმ ადამიანის საქციელია, რომელიც ამტკიცებს, რომ დედამიწა ბრუნავს, ან აცხადებს, რომ ფოლადისა და სპილენძის შენადნობს ახასიათებს თვისებები, რომელიც მისი ამა თუ იმ სახით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა — ასეთი ადამიანები უმძიმესი წამების შედეგადაც კი არ უარყოფენ თავიანთ შეხედულებებს! ამგვარი მხნეობა და ჭეშმარიტებისადმი სიყვარული არის სწორედ მამოძრავებელი ფაქტორი და არა იმ დაუდევარი უქნარას საქციელი, რომელიც ამაყად თავაწეული დაიარება და ხალხს არწმუნებს, რომ თითქმის მიაღწია გიჟის სრულყოფილებას, რადგან ის ხელოვანია, რომელსაც წარმოდგენაც კი არ აქვს, თუ რა არის ან რა მნიშვნელობის მატარებელია

მისი ნაშრომი, ის არ არის შეზღუდული ისეთი უხეში ცნებებით, როგორებიცაა „არსებობა“ და „მნიშვნელობა“, ის უზენაესი საიდუმლოებების აღმსრულებელი მანქანაა, მან არ იცის, როგორ და რატომ შექმნა თავისი ნაშრომი, ის მისი არსებიდან მოულოდნელად აღმოცენდა, როგორც ლოთი არწყევს ხოლმე, მას არ უფიქრია, ის აზროვნების დონემდე არ დაეშვებოდა, მან ეს უბრალოდ იგრძნო, მას მხოლოდ გრძნობა ავალია — ის მხოლოდ გრძნობს, უძლური, მოლაყბე, გაიძვერა, მერყევი ნაბიჭვარი! მე, რომელმაც კარგად ვიცი, თუ როგორი მკაცრი რეჟიმი, ძალისხმევა, ნათელი და მობილიზებული გონება სჭირდება ხელოვნების ნაწარმოების შექმნას, რა კატორღულ შრომასა და ლამის სამხედრო დისციპლინას მოითხოვს ეს — ქვანახშირის მაღაროს მემანქანეს უზენაესი საიდუმლოებების აღმსრულებელ ნებისმიერ მოსიარულე მანქანაზე მაღლა დავაყენებდი. მემანქანემ იცის, რომ ქვანახშირით დატვირთულ საზიდრებს მიწის ქვეშ მისი გრძნობები არ ამოძრავებს და ისიც იცის, თუ რა ძალა ამუშავებს მათ. გრძნობები? ოჰ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვგრძნობთ, ის, შენ და მე — სინამდვილეში, მხოლოდ ჩვენ გვაქვს გრძნობის უნარი და ჩვენ ვიცით, საიდან იღებს სათავეს ჩვენი გრძნობები. მაგრამ რაც ჩვენ არ ვიცოდით და რის გაგებასაც დიდი ხნის განმავლობაში გავურბოდით, არის იმ ადამიანთა ხასიათი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თავიანთი გრძნობების აღწერა და განმარტება არ შეუძლიათ. ჩვენ არ ვიცოდით, თუ რას გრძნობენ ისინი. ამას ახლაღა ვიგებთ. ეს შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. და ისინი, ვინც ყველაზე მეტად დააშავა, შესაბამისად, ყველაზე მკაცრად დაისჯებიან, როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს. ყველაზე მეტად კი ნამდვილმა ხელოვანებმა დააშავეს, რომლებიც ახლა მიხვდებიან ყველაფერს, პირველები თვითონ რომ განადგურდებიან და საკუთარი გამანადგურებლების გამარჯვებასაც თავადვე რომ დაუდეს საფუძველი, რაკიღა სწორედ თვითონ დაეხმარნენ მათ იმათ მოსპობაში, ვინც ხელოვანების ერთადერთი დამცველები იყვნენ. რადგან თუ არსებობს იმაზე შესაბრალისი სულელი, ვიდრე ბიზნესმენია, რომელმაც არ იცის, რომ თავად არის კაცობრიობის უზენაესი შემოქმედებითი სულისკვეთების დამცველი, ეს სწორედ ის ხელოვანია, რომელსაც ბიზნესმენი თავის მტრად მიაჩნია.

„მართლაც“, — ფიქრობდა ხეობის ქუჩებში მიმავალი დაგნი, რომელიც მზეზე აელვარებულ მაღაზიის ვიტრინებს ბავშვური აღტაცებით შეჰყურებდა, ბიზნესს აქ ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მიზნობრივი შერჩევითობა აქვს“. „ხელოვნებას კი“, — ფიქრობდა ის, როდესაც ჩაბნელებულ საკონცერტო დარბაზში იჯდა და ჰალის მუსიკის მართულ მძვინვარებასა და მათემატიკურ სიზუსტეს უსმენდა, — „ბიზნესის მკაცრი დისციპლინა ახასიათებს“.

„ორივეს, ბიზნესსაც და ხელოვნებასაც, ინჟინერიის ბრწყინვალება აქვს“, — ფიქრობდა დაგნი ღია ცის ქვეშ, თეატრში, და სცენაზე გამოსულ კეი ლადლოუს შესცქეროდა. ბავშვობის შემდეგ აღარ ჰქონია ასეთი განცდა — მისი ყურადღება სამი საათის განმავლობაში დაეპყრო პიესას, რომელიც იმ ამბავს უყვებოდა, ადრე მსგავსი რომ არ ენახა და არ მოესმინა. უკვე მივიწყებულ სიხარულს გრძნობდა, როდესაც აღფრთოვანებული შეჰყურებდა გონებამახვილურ, მოულოდნელ, ლოგიკურ, მიზანმიმართულ ახალ ამბავს, რომელსაც შეუდარებელი ოსტატობით წარმოადგენდა მსახიობი ქალი, ვისი სულიერი სილამაზეც მის გარეგნულ სრულყოფილებას შერწყმოდა.

— სწორედ ამიტომ ვარ აქ, მის ტაგარტ, — მიუგო ღიმილით კეი ლადლოუმ დაგნის მისი კომენტარის პასუხად სპექტაკლის შემდეგ, — მე განსახიერების ნიჭი

მაქვს და გარე სამყარო სწორედ ჩემი ამ უნარის დეგრადირებას ცდილობდა. ისინი მხოლოდ გარყვნილების სიმბოლოების, მეძავების, მემკვიდრეობაზე მონადირეებისა და ოჯახის დამანგრევლების როლებს მათამაშებდნენ, ამ გმირებს ფილმის ფინალში ყოველთვის ამარცხებდა მეზობლად მცხოვრები პატარა გოგონა, რომელიც ყოველგვარი სიმდარის სათნოებას განასახიერებდა. ისინი ჩემს ნიჭს მისსავე დასაკნინებლად იყენებდნენ. სწორედ ამიტომ შევწყვიტე საქმიანობა.

„ბავშვობიდან მოყოლებული“, — ფიქრობდა დაგნი, — „სპექტაკლის შემდეგ არ განმიცდია ამგვარი სიხარული, გრძნობა, რომ თურმე ცხოვრებაში მართლაც არსებობს ისეთი რამეები, რისი მიღწევაც ღირს“. როდესაც მაყურებელმა შუქით განათებული სკამების რიგები დატოვა და სიბნელეში გავიდა, მან ელის უაიატი, მოსამართლე ნარაგანსეტი, კენ დენეგერი დაინახა, ადამიანები, რომლებსაც ერთ დროს ხელოვნების ყველა ფორმის სიძულვილს სწამებდნენ.

იმ საღამოს დაგნიმ ფერდობებს შორის ბილიკზე მიმავალი ორი ადამიანის მაღალ და გამხდარ ფიგურას მოჰკრა თვალი, პროჟექტორის შუქმა მხოლოდ ერთხელ დაანათა მათ ოქროსფერ თმაზე. ესენი კეი ლადლოუ და რაგნარ დანეშოლდი იყვნენ, და როდესაც დაგნი მათ შეჰყურებდა, ეჭვი შეეპარა, შეძლებდა თუ არა იმ სამყაროში დაბრუნებას, სადაც ეს ორი ადამიანი განადგურებისთვის იყო განწირული.

დაგნის ყოველთვის თავისი ბავშვობა ახსენდებოდა საცხობის მფლობელი ახალ გაზრდა ქალის ბიჭუნების დანახვისას. ის ხშირად ხედავდა ხეობის ბილიკებზე მოხეტიალე ამ ორ პატარა უშიშარ არსებას, უფროსი შვიდის, უმცროსი კი ოთხი წლის იყო. ეს ბიჭებიც ისევე მედგრად ხვდებოდნენ ცხოვრებას, როგორც დაგნი ბავშვობაში. ისინი გარე სამყაროში მცხოვრები ბავშვებივით შეშინებულნი, გულჩათხრობილნი და ზიზღით გამსჭვალულნი არ გაურბოდნენ უფროსებთან გულწრფელ ურთიერთობას, რომლებიც მათ ატყუებენ და სიძულვილს ასწავლიან. ბიჭუნები მხიარულ და მეგობრულად მიმნდობ კნუტებს ჰგავდნენ, რომლებსაც სჯერათ, რომ არავინ არაფერს დაუშავებს. მათ საკუთარი ღირსების მიამიტურად ბუნებრივი განცდა და ასეთივე მიამიტური რწმენა ჰქონდათ, რომ ამ ღირსებას ნებისმიერი უფროსი აღიარებდა. დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ყველგან დაძვრებოდნენ, სრულიად დარწმუნებულნი, რომ ამ სამყაროში არაფერი იყო ცუდი და აკრძალული. და რომც სადმე შესჩეხებოდნენ ღვარძლსა და არაკეთილგანწყობას, უსათუოდ მაშინვე ზიზღით უარყოფდნენ მას, არა როგორც რაიმე საშიშს, არამედ როგორც სისულელეს, და არც დამამცირებელი მორჩილებით არ შეეგუებოდნენ, თითქოს გარდაუვალი მოვლენა ყოფილიყო.

— ჩემი მთავარი საქმიანობა ჩემი შვილებია, მის ტაგარტ, — მიმართა დახლთან მდგომმა ბიჭების დედამ დაგნის ღიმილით, თან ახალგამომცხვარ პურს უფუთავდა, — ეს ჩემ მიერ არჩეული პროფესიაა, რომლითაც გარე სამყაროში წარმატებას ვერ მიაღწევ, მიუხედავად მთელი ამ სულელური საუბრებისა დედობაზე. ალბათ უკვე შეხვდით ჩემს ქმარს, ის ეკონომიკას ასწავლის, აქ კი ელექტრიკოსად მუშაობს დიკ მაკნამარასთან. თქვენ გეცოდინებათ, რომ ხეობაში ნათესაურ ურთიერთობებს არ აღიარებენ, ოჯახის წევრებსა და ნათესავებს აქ ჩამოსვლა ეკრძალებათ, თუკი პირადად არ დადებენ ფიცს. მე აქ ჩემი ქმრის პროფესიის გამო კი არა, ჩემი საკუთარი საქმის გამო მოვედი. მინდა, შვილები ადამიანებად გავზარდო. მე მათ ხელში არ ჩავუგდებ იმ საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც იმისთვის არის გამოგონილი, რომ ბავშვის განვითარება შეაფერხოს, დააჯეროს, რომ გონება უძლურია, არსებობა კი ირაციონალური ქაოსი, რომელთან გამკლავებაც შეუძლებელია, და აიძულოს,

მუდმივი შიშით იცხოვროს. თქვენ გაკვირვებთ სხვაობა ჩემს შვილებსა და გარე სამყაროში მცხოვრებ ბავშვებს შორის, მის ტაგარტ? მიზეზი ძალიან მარტივია — აქ, გოლტის ხეობაში, თავში არავის მოუვა, ბავშვს თუნდაც სიტყვა გადაუკრას, რომ ცხოვრება უაზრობაა.

ყოველწლიურ შეკრებაზე დოქტორ ექსტონის მოწაფეების დანახვისას დაგნი დაფიქრდა მასწავლებლებზე, რომლებიც მსოფლიოს სკოლებმა დაკარგეს.

დოქტორ ექსტონს კეი ლადლოუც მოეწვია. ექვსივენი ექსტონის სახლის უკანა ეზოში ისხდნენ, ჩამავალი მზის სხივები სახეზე ეცემოდათ, ხეობის დაღმართი კი სადღაც შორს, მოლურჯო ბურუსში იკარგებოდა.

დაგნი ექსტონის მოწაფეებს უყურებდა — ჯონ გოლტს, ფრანცისკო დ'ანკონიასა და რაგნარ დანეშოლდს. სამი მოქნილი, მოუსვენარი ადამიანი უდარდელად გადაწოლილიყო შეზლონგებზე, სამივეს ფართო შარვალი, ქურთუკი და საყელომოღეღილი პერანგი ეცვა.

— ნუ გაიკვირვებთ, მის ტაგარტ, — უთხრა დაგნის დოქტორმა ექსტონმა ღიმილით, — ნუ შეცდებით და ამ ჩემს მოწაფეებს უზენაეს ქმნილებებად ნუ ჩათვლით.

ისინი უზენაეს ქმნილებებზე უფრო დიადი და გასაოცარი არსებები არიან: ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა მსგავსი ქვეყნად არავის უხილავს, ანდა არ სურდა ეხილა — ისინი სწორედ იმიტომაც არიან გმირები, რომ მოახერხეს, გადარჩენილიყვნენ და საკუთარი თავისთვისაც არ ეღალატათ. განსაკუთრებული გონება და კიდევ უფრო განსაკუთრებული ნებისყოფა გჭირდება, რომ გონების გამანადგურებელი დოგმების გავლენა და საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული ბოროტება ვერ შეგეხოს და ისევ ადამიანად დარჩე, რადგან ადამიანი რაციონალური არსებაა, დაგნიმ დოქტორ ექსტონის მისდამი დამოკიდებულებაში რაღაც ახალი იგრძნო — ის ადრინდელივით თავდაჭერილი და მკაცრი აღარ ჩანდა; თითქოს დაგნის თავის წრეს მიაკუთვნებდა, თითქოს ქალი მისთვის უბრალო სტუმარზე მეტი ყოფილიყო, ფრანცისკოს თავი ისე ეჭირა, გეგონებოდა, დაგნის ყოფნა მათ შეკრებაზე სრულიად ბუნებრივი იყო და ყველას ჩვეულებრივ ამბად უნდა აღექვა; გოლტის სახეზე არაფერი იკითხებოდა; თავაზიანი მხლებელივით იქცეოდა, რომელმაც დაგნი იქ დოქტორ ექსტონის თხოვნით მიიყვანა.

დაგნიმ შენიშნა, რომ დოქტორი ექსტონი დროდადრო შეხედავდა ხოლმე, თითქოს მისგან მოელოდა დადასტურებას, რომ სამართლიანად ამაყობდა საკუთარი სტუდენტებით. სულ ერთსა და იმავე თემას უბრუნდებოდა, იმ მამასავით, რომლის შვილებსაც ისევ აინტერესებთ მისი საყვარელი საგანი:

— თქვენ ისინი უნივერსიტეტში სწავლისას უნდა გენახათ, მის ტაგარტ. სად იპოვიდით სამ ბიჭს, რომლებიც ასეთ განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბდნენ — მაგრამ ეშმაკსაც წაუღია ყველა პირობითობა! — მათ ალბათ დანახვისთანავე ამოირჩიეს ერთმანეთი უნივერსიტეტის ათასობით სხვა სტუდენტს შორის. ფრანცისკო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მემკვიდრე იყო, რაგნარი — ევროპელი არისტოკრატი, ჯონმა კი, არსაიდან მოსულმა, უფულომ, მშობლებისა და ნაცნობების დახმარების გარეშე, საკუთარი თავი თვითონვე შექმნა. ის ოჰაიოს რომელიღაც გზატკეცილზე მდებარე ბენზინგასამართი სადგურის მექანიკოსის ვაჟი იყო და თორმეტი წლისა წამოვიდა სახლიდან, ცხოვრებაში თავისი გზა რომ ეპოვა. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ის ამ სამყაროს სიბრძნის ქალღმერთ მინერვასავით მოევლინა, იუპიტერის თავიდან წარმოიშვა, უკვე ზრდასრული და სრულყოფილი...

კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც პირველად ვნახე სამივე მათგანი. ისინი აუდიტორიის უკანა რიგში ისხდნენ. მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ლექციების კურსს ვკითხულობდი, რომელიც იმდენად რთული იყო, მათ გარდა იშვიათად თუ ვინმე ბედავდა დასწრებას. ეს სამნი კი პირველკურსელებიც არ გეგონებოდათ. როგორც შემდეგ გავიგე, მხოლოდ თექვსმეტი წლისანი იყვნენ. ლექციის დასასრულს ჯონი წამოდგა და შეკითხვა დამისვა, ისეთი შეკითხვა, რომელიც იმ სტუდენტისგანაც გამაკვირვებდა და სიამაყით ამავსებდა, უკვე ექვსი წელი რომ შეისწავლის ფილოსოფიას. ეს კითხვა პლატონის მეტაფიზიკას შეეხებოდა და თავად პლატონსაც კი არ მოსვლია აზრად, საკუთარი თავისთვის დაესვა.

მე ჯონს ვუპასუხე და ვთხოვე, ლექციის შემდეგ ჩემს კაბინეტში მოსულიყო. მარტო არ მოსულა, ფრანცისკო და რაგნარიც თან ახლდნენ და ისინიც შევიპატიჟე. ერთი საათი ვისაუბრეთ, შემდეგ კი ყველა დანიშნული შეხვედრა გადავდე და მთელი დღე მათთან ერთად გავატარე. მერე მოვახერხე, ნება დაერთოთ მათთვის, ეს კურსი მოესმინათ და გამოცდა ჩაებარებინათ. მათ კურსი ბოლომდე გაიარეს და ჯგუფში ყველაზე მაღალი ქულებიც დაიმსახურეს... ორი სპეციალობის განხრით სწავლობდნენ: ფიზიკისა და ფილოსოფიის. მათი არჩევანი ჩემ გარდა ყველას აკვირვებდა: თანამედროვე მოაზროვნეებს რეალობის აღქმა უსარგებლოდ მიაჩნდათ, თანამედროვე ფიზიკოსები კი ფიქრს თვლიდნენ ზედმეტად. მე მათზე უკეთ ვხვდებოდი ყველაფერს; და მაკვირვებდა, რომ ამას ეს სამი ბავშვიც ხვდებოდა... რობერტ სტადლერი ფიზიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელი იყო, მე კი ფილოსოფიის ფაკულტეტს ვხელმძღვანელობდი. მე და მან ყველა წესი და შეზღუდვა გავაუქმეთ ამ სამი სტუდენტისთვის, ჩვენ მათ თავიდან მოვაშორეთ ყველა რუტინული და არაარსებითი სალექციო კურსი და სამაგიეროდ, ყველაზე რთული დავალებებით დავტვირთეთ, იმ ოთხი წლის განმავლობაში ამ ორი სპეციალობის საფუძვლიანად შესწავლა რომ შესძლებოდათ.

ისინი სწორედ ამისთვის შრომობდნენ, გარდა სწავლისა, თავის სარჩენადაც მუშაობდნენ. ჯონისგან განსხვავებით, ფრანცისკო და რაგნარი თავიანთი მშობლებისგან იღებდნენ თანხას, მაგრამ ამის მიუხედავად, თვითონაც მუშაობდნენ ნახევარგანაკვეთურ სამუშაოზე, გამოცდილება რომ მიეღოთ და თვითონ ეშოვათ ფული. ფრანცისკო სპილენძის ჩამოსასხმელ საამქროში მუშაობდა, ჯონი კი მატარებლების დეპოში, ხოლო რაგნარი, მის ტაგარტ, ამ სამიდან ყველაზე დინჯი იყო, ის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში კლერკად მსახურობდა. მათ ყველაფრისთვის საკმარისი დრო ჰქონდათ, რაც მოესურვებოდათ, თუმცა გართობისა და უნივერსიტეტის სულელური საზოგადოებრივი წამოწყებებისთვის არ ეცალათ. ისინი... რაგნარ! — ექსტონმა მოულოდნელად შეწყვიტა ლაპარაკი, — მიწაზე ნუ ზიხარ!

დანეშოლდი ბალახზე იჯდა და თავი კეი ლადლოუს მუხლებზე ედო. მან ჩუმად ჩაიცინა, მაგრამ მორჩილად წამოდგა. დოქტორმა ექსტონმა დამნაშავესავით გაიღიმა.

— ძველი ჩვევაა, — მიმართა ექსტონმა დაგნის, — ასე ვთქვათ, პირობითი რეფლექსია. რამდენჯერ მითქვამს ეს რაგნარისთვის უნივერსიტეტში სწავლის დროს, როდესაც წავასწრებდი, რომ ცივ, ნისლიან საღამოებში უკანა ეზოში მიწაზე იჯდა — ასეთი რამეები არ ადარდებდა და ძალიან ვღელავდი, ხომ უნდა გაეგო ბოლოს და ბოლოს, რომ ასე მოქცევა ჯანმრთელობისთვის სახიფათოა და...

მოულოდნელად ექსტონი გაჩერდა; დაგნის შეშინებულ თვალებში სწორედ ის აზრი ამოიკითხა, რამაც იმ წუთს მასაც გაუელვა თავში: ფიქრი იმაზე, თუ რა საფრთხეებს შეეჭიდა უკვე ზრდასრული რაგნარი. დოქტორმა ექსტონმა მხრები აიჩეჩა და უსუსური თვითირონიით გაასავსავა ხელები. კეი ლადლოუ მას მიუხვდა და გაუღიმა.

— ჩემი სახლი უნივერსიტეტთან ახლოს იყო, — ამოიოხრა ექსტონმა, — მაღალი კლდის შვერილზე, ტბა ირის თავზე. ჩვენ ოთხს მრავალი საღამო გაგვიტარებია იქ ერთად. ადრეული შემოდგომისა და გაზაფხულის საღამოებში მაშინაც ზუსტად ასე ვისხედით ჩემს უკანა ეზოში, მხოლოდ ამ გრანიტის ფერდობის ნაცვლად, ჩვენ წინ თვალუწვდენელი ტბა იშლებოდა. მე ასეთ შეკრებებზე გაცილებით მეტად ვიყავი დაძაბული, ვიდრე ნებისმიერ აუდიტორიაში, მათი შეკითხვებისთვის რომ მეპასუხა და მათ მიერ წამოჭრილი საკითხები განმეხილა. დაახლოებით ღამის თორმეტი საათისთვის ცხელ შოკოლადს ვამზადებდი და ვასმევდი — მეჩვენებოდა, რომ ისინი კვებისთვის ვერ იცლიდნენ. შემდეგ ისევ ვაგრძელებდით საუბარს. ტბას წყვდიადი გადაეფარებოდა, ცა კი მიწაზე ნათელი ჩანდა. რამდენიმეჯერ გათენებამდეც შევრჩით საუბარს. მართალია, ვიცოდი, რომ მათ ძილი არ ჰყოფნიდათ, მაგრამ ხანდახან მაინც მავიწყდებოდა ხოლმე ეს და დროის შეგრძნებას ვკარგავდი — იცით, როდესაც ისინი ჩემ გვერდით იყვნენ, ასე მეგონა, ჯერ ადრიანი დილა იყო და წინ გრძელი, დამქანცველი დღე გველოდა. ისინი არასდროს საუბრობდნენ იმაზე, როგორი წარმოედგინათ საკუთარი მომავალი, არასდროს უკითხავთ, დააჯილდოვა თუ არა რომელიღაც იდუმალმა ძალამ ღვთაებრივი ნიჭით, სასურველი მიზნისთვის მიეღწიათ. მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რას გააკეთებდნენ მომავალში. შესაძლებელია, სიყვარულმა ადამიანი მხდალად აქციოს? მე შიში იშვიათად მიგრძნია, მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ვუსმენდი და დავფიქრდებოდი ხოლმე, რად იქცეოდა სამყარო და რასთან მოუწევდათ შეჯახება მათ მომავალში. შიში? ეს გაცილებით უარესი იყო, ვიდრე შიშია. ხანდახან, როდესაც გავიფიქრებდი, რომ სამყაროს მიზანი ამ ბავშვების განადგურება იყო, რომ ეს ჩემი სამი ვაჟი მსხვერპლობისთვის იყო განწირული, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომელმაც შეიძლება, ადამიანს მკვლელობაც კი ჩაადენინოს. ოჰ, დიახ, მე მზად ვიყავი მკვლელობის ჩასადენად, მაგრამ ვინ უნდა მომეკლა? თითქოს ყველა და, ამასთანავე, არც არავინ, ერთი კონკრეტული მტერი და ბოროტმოქმედი არ არსებობდა, ეს არც თვითკმაყოფილი წვრილი ჩინოვნიკი იყო, რომელსაც ცენტის შოვნაც კი არ შეუძლია და არც თაღლითი ბიუროკრატი, რომელსაც საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია, მთელი დედამიწა მიექანებოდა საზარელი უფსკრულისკენ, რაც იმ, ასე ვთქვათ, წესიერი ადამიანების დამსახურება იყო, რომლებსაც სჯეროდათ, რომ საჭიროება ნიჭზე, სიბრალული კი სამართლიანობაზე უფრო წმინდაა. მაგრამ ასეთი წუთები იშვიათი იყო, ეს განცდა დროდადრო მეუფლებოდა ხოლმე. ვუსმენდი ჩემს ბავშვებს და ვხვდებოდი, რომ მათ ვერავინ დაამარცხებდა. შევცქეროდი, როგორ ისხდნენ ისინი ჩემს უკანა ეზოში, ჩემი სახლის გადაღმა კი ჯერ კიდევ თავისუფალი აზრის სიმბოლოდ მიჩნეული პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტის მაღალი შენობები იდგა, ხოლო უფრო შორს კლივლენდის სინათლეები მოჩანდა, ფოლადის მწარმოებელი ქარხნის ნარინჯისფერი ნათება საკვამურების მიღმა, რადიოგადამცემი ბოძების მოციმციმე წითელი წერტილები... ჩაშავებულ ცისკიდურზე აეროპორტების შუქების გრძელი თეთრი წყება ირეკლებოდა და მე ვფიქრობდი, რომ ისინი გაიმარჯვებდნენ — იმ სიდიადის სახელით, რაც კი ოდესმე არსებულა და ასულდგმულებდა ამ სამყაროს, იმ

სიდიადის სახელით, რომლის უკანასკნელი მემკვიდრეებიც თვითონ იყვნენ... მახსოვს, ერთ საღამოს როგორ შევნიშნე, რომ ჯონი დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდა და ვნახე, მიწაზე მწოლიარეს ჩასძინებოდა. ფრანცისკო და რაგნარი გამომიტყდნენ, რომ გოლტს სამი ღამე არ ეძინა. მე ისინი მაშინვე გავისტუმრე ჩემი სახლიდან, თუმცა ჯონი გასაღვიძებლად დამენანა. გაზაფხულის თბილი საღამო იყო. საბანი გამოვუტანე და გადავაფარე. დილამდე შევყურებდი ვარსკვლავების შუქით განათებულ ამ მძინარე სახეს, სანამ მზის პირველი სხივი არ შეეეხო მის უშფოთველ შუბლსა და ქუთუთოებს. რასაც იმ დროს განვიცდიდი, ლოცვა არ იყო, მე არასდროს არ ვლოცულობ, ეს სულის ის მდგომარეობა იყო, რომელთანაც ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა ახლოსაც ვერ მივა: ეს იყო საკუთარი თავის სრული, უეჭველი, საბოლოო მიძღვნა სიკეთის სიყვარულისადმი, რწმენა, რომ სიკეთე გაიმარჯვებს და რომ ამ ბიჭს სწორედ ისეთი მომავალი ექნებოდა, როგორსაც იმსახურებდა, — ექსტონმა ხეობისკენ გაიშვირა ხელი, — არ მოველოდი, თუ მისი მომავალი ასეთი დიადი და ასეთი რთული აღმოჩნდებოდა.

ჩამობნელდა და მთები ცას შეუერთდა. ძირს ხეობის სინათლეები თითქოს სივრცეში ეკიდა, სტოკტონის ლითონის ჩამოსასხმელი საამქროს წითელი კვამლი ტორტმანით მიიწევდა ცისკენ, მალიგანის სახლის ფანჯრებიდან გამომავალი შუქი კი მატარებლის ვაგონებივით ჩამწკრივებულიყო.

— მე მეტოქე მყავდა, — თქვა დოქტორმა ექსტონმა მშვიდი ხმით, — რობერტ სტადლერი... ნუ იჭმუხნები, ჯონ, ეს უკვე წარსულია... ჯონს ის არასდროს არ უყვარდა, კაცმა რომ თქვას, არც მე. ისეთი გონების მიმართ, როგორიც სტადლერს ჰქონდა, ერთადერთი გრძნობა დაგებადებოდა, რომელიც ძალიან ახლოს არის სიყვარულთან, ეს სიამოვნების უიშვიათესი ფორმაა: აღფრთოვანება. არა, არსებითად, მე ის არ მიყვარდა, მაგრამ მასაც და მეც ისეთი განცდა გვქონდა, თითქოს რომელიღაც გამქრალი ხანიდან თუ მიწიდან ჩვენ ორნიღა გადავრჩით, ირგვლივ კი უფერულების ჭაობი ბუყბუყებდა. რობერტ სტადლერის მომაკვდინებელი ცოდვა ის იყო, რომ მან ვერა და ვერ შეიცნო თავისი ჭეშმარიტი გონიერების წყარო... მას სძულდა უგუნურება. ადამიანების მიმართ ერთადერთ ემოციას ამჟღავნებდა — გესლსა და სიძულვილს ანთხევდა ნებისმიერი ჩერჩეტის მისამართით, რომელიც მისთვის წინააღმდეგობის გაწევას გაბედავდა. სურდა, საკუთარი გზით ევლო, ხელი არავის შეეშალა, უნდოდა, ყველა ჩამოეშორებინა გზიდან, თუმცა ვერა და ვერ მოახერხა, ვერც საკუთარი სწრაფვების ბუნება შეიცნო, ვერც თავისი მტრების. სტადლერმა მარტივი მეთოდი შეარჩია. იღიმებით, მის ტაგარტ? თქვენ ის გძულთ, ხომ ასეა? დიახ, თქვენ იცით, რა მეთოდსაც მიმართა... მან გითხრათ, რომ ჩვენ ამ სამი სტუდენტის გამო ვმტრობდით ერთმანეთს. ეს სიმართლეა, უფრო სწორად, მე ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თვითონ ასე მიაჩნდა. კეთილი, თუ ჩვენ მეტოქეები ვიყავით, მაშინ მე ერთი უპირატესობა მქონდა: მე ვიცოდი, რატომ სჭირდებოდათ მათ ორივე ჩვენგანის პროფესიის შესწავლა; მას კი არ ესმოდა ჩემი პროფესიით მათი დაინტერესების აზრი. ის ვერასოდეს იგებდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩემი პროფესია თვითონ მისთვის — რამაც, სხვათა შორის, გაანადგურა კიდეც. მაგრამ იმ წლებში სტადლერი ჯერ კიდევ საკმარისად ყოჩაღად იყო, ამ სამ სტუდენტს რომ ჩასჭიდებოდა. სწორედაც რომ „ჩასჭიდებოდა“. რაკიღა მხოლოდ და მხოლოდ გონიერებას ეთაყვანებოდა, მათ ისე ჩაებღაუჭა, როგორც საკუთარ განძს. ყოველთვის ძალიან მარტოსული იყო. მგონი, ცხოვრებაში არავინ არ ჰყვარებია, ფრანცისკოს და რაგნარის გარდა, ჯონი კი მისი ერთადერთი

ვნება იყო. მას თავის განსაკუთრებულ მემკვიდრედ, თავის მომავლად და უკვდავებად მიიჩნევდა. ჯონი გამომგონებლობას აპირებდა, რაც ნიშნავდა, რომ ის ფიზიკოსი უნდა გამხდარიყო და მაგისტრატურა რობერტ სტადლერის ხელმძღვანელობით გაევლო. ფრანცისკო ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის დატოვებასა და მუშაობის დაწყებას გეგმავდა; ის ჩვენი, მისი ორი გონებრივი მამის, სრულყოფილი ნაზავი გამოვიდოდა: მრეწველი. და რაგნარი? — თქვენ არ იცოდით, რა პროფესია აირჩია რაგნარმა, მის ტაგარტ? ეს არც კასკადიორი მფრინავი იყო, არც ჯუნგლების მკვლევარი და არც ღრმა წყალში მყვინთავი. მისი არჩეული პროფესია ამაზე გაცილებით უფრო მეტ სიმამაცეს მოითხოვდა. რაგნარი ფილოსოფოსობას აპირებდა. თეორეტიკოს, რეალურ სამყაროს მოწყვეტილ ფილოსოფოსობას... დიახ, რობერტ სტადლერს უყვარდა ისინი. და მაინც — მე ვთქვი, რომ ნებისმიერს მოვკლავდი მათ დასაცავად, მხოლოდ ესაა, არავინ იყო მოსაკლავი. თუკი ამ გზით პრობლემა მოგვარდებოდა, — რაც, რა თქმა უნდა, ასე არ არის, — მოსაკლავი ისევ რობერტ სტადლერი იქნებოდა.

იმ ადამიანებს შორის, ვისაც ბრალი მიუძღოდა ამ ბოროტებაში, რომელიც ახლა სამყაროს ანადგურებს, ყველაზე დიდი დამნაშავე სწორედ რობერტ სტადლერი გახლდათ. ასეთი გონების პატრონი ყველაზე ბრძენი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სწორედ მისი რეპუტაცია გამოიყენეს მძარცველთა მმართველობის დასაკანონებლად.

სწორედ მან გარდაქმნა მეცნიერება მძარცველთა იარაღად. ჯონი ამას არ მოელოდა. არც მე მოველოდი... ჯონი დაბრუნდა უნივერსიტეტში, ფიზიკის მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ბოლომდე არ დაუმთავრებია ის. სწავლა იმ დღეს მიატოვა, როდესაც რობერტ სტადლერმა მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის დაარსებას მხარი დაუჭირა. მე სტადლერს შემთხვევით შევხვდი უნივერსიტეტის დერეფანში, როდესაც ჯონთან უკანასკნელი საუბრის შემდეგ თავისი სამუშაო კაბინეტიდან გამოდიოდა. შეცვლილი ჩანდა. ვიმედოვნებ, ამგვარ ცვლილებას ადამიანის სახეზე ჩემს სიცოცხლეში მეტად აღარ ვიხილავ. სტადლერმა დაინახა, რომ მისკენ მივდიოდი და, მართალია თავად ვერ ხვდებოდა, მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რამ აიძულა, ჩემკენ წამოსულიყო და ეყვირა: „ძალიან დამღალეთ, არაპრაქტიკულო იდეალისტებო!“ მე შევბრუნდი, რადგან გავაცნობიერე, რომ გავიგონე, როგორ გამოუტანა ადამიანმა საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი... მის ტაგარტ, გახსოვთ, რა მკითხეთ ჩემი სამი მოსწავლის შესახებ?

— დიახ, — დაიჩურჩულა დაგნიმ.

— თქვენი ინტონაციის მიხედვით, მაშინვე მივხვდი, რა შეიძლებოდა, რობერტ სტადლერს მათ შესახებ თქვენთვის ეთქვა. მითხარით, საერთოდ რატომ დაგელაპარაკათ ის მათზე?

დაგნიმ ნაღვლიანად გაიღიმა:

— სტადლერმა მათი ისტორია მიამბო, რათა დავერწმუნებინე, რომ არ ცდებოდა, როდესაც ადამიანის გონიერების ამაოებას ქადაგებდა, მიამბო, როგორც გაცრუებული იმედების კიდევ ერთი მაგალითი. „ასეთი ნიჭით“, — მითხრა მან, — „ამ ახალგაზრდებს ოდესღაც სამყარო უნდა შეეცვალათ“... და რა, განა არ შეცვალეს?

დოქტორმა თავი დახარა და ერთხანს ასე იდგა თანხმობისა და დაგნის ნათქვამისადმი პატივისცემის ნიშნად.

— მინდა, მის ტაგარტ, სრულად გააცნობიეროთ იმ ადამიანების მიერ ჩადენილი ბოროტება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დედამიწა თავისი არსით ღვარძლის სამყაროა, სადაც სიკეთე ვერასოდეს გაიმარჯვებს. დაე, მათ გადაამოწმონ თავიანთი წინაპირობა და ღირებულებათა სკალა. დაე, გადაამოწმონ, — ვიდრე დაიკანონებენ უფლებას, ბოროტების აუცილებლობა ამტკიცონ, — იციან თუ არა, რა არის სიკეთე და რა საარსებო პირობებს ითხოვს ის. რობერტ სტადლერს ახლა სწამს, რომ გონიერება ამაოა და ადამიანის ცხოვრება — ირაციონალური. ნუთუ მოელოდა, რომ ჯონ გოლტი, მას მერე, რაც დიდი მეცნიერი გახდებოდა, მოისურვებდა, დოქტორ ფლოიდ ფერისის განკარგულებებით ემუშავა? ნუთუ ეგონა, რომ ფრანცისკო დ'ანკონია, მას მერე, რაც დიდი მეწარმე გახდებოდა, ეწარმოებინა პროდუქცია უესლი მაუჩის განკარგულებით და მისივე კეთილდღეობისთვის ემუშავა? ან რაგნარ დანეშოლდი იქადაგებდა გონების არარსებობას დოქტორ საიმონ პრიტჩეტის განკარგულებით, როცა დიდი ფილოსოფოსი გახდებოდა? ასეთ მომავალს მიიჩნევდა რობერტ სტადლერი გონივრულად? დააკვირდით, მის ტაგარტ, რომ სწორედ ის ადამიანები გაჰყვირიან ყველაზე მეტს თავიანთი იმედგაცრუების, ზნეობრივი დეგრადაციის, გონების ამაოების, ლოგიკის უსუსურების შესახებ, ვინც უკვე მიაღწია თავის მიერ ნაქადაგები აზრების სრულ, ზუსტ და ლოგიკურ შედეგს, ისე შეუბრალებლად ლოგიკურს, რომ მისი სახელის ხსენებასაც კი ვერ ბედავენ. იმ სამყაროში, რომელიც ქადაგებს გონების არარსებობას, ძალისმიერი მართვის სამართლიანობას, მცოდნის დასჯას უცოდინრის გამო, საუკეთესოს მსხვერპლად შეწირვას ყველაზე ცუდის გულისთვის — ასეთ სამყაროში საუკეთესონი უნდა დაუპირისპირდნენ საზოგადოებას და მისი დაუძინებელი მტრები გახდნენ. ასეთ სამყაროში უსაზღვრო გონებრივი შესაძლებლობების მქონე ჯონ გოლტი არაკვალიფიციურ მუშად დარჩება, სიმდიდრის გასაოცარი შემოქმედი ფრანცისკო დ'ანკონია მაწანწალა გახდება, განმანათლებელი რაგნარ დანეშოლდი კი მოძალადე. საზოგადოებამ და დოქტორმა რობერტ სტადლერმა ყველაფერს მიაღწიეს, რასაც კი იცავდნენ. ახლა რაღა აქვთ დასაჩივლელი? რომ სამყარო უგუნურია? მაგრამ, არის კი ეს მართლაც ასე?

ექსტონმა გაიღიმა — შეუბრალებლად მშვიდი ღიმილით.

— თითოეული ადამიანი თავისი სამყაროს საკუთარ სახეს ქმნის, — განაგრძო ექსტონმა, — მართალია, ადამიანს არჩევნის უფლებამოსილება აქვს, მაგრამ არჩევანს ვერ გაექცევა. თუ ის უარს იტყვის თავის უფლებამოსილებაზე, ამით საკუთარ ადამიანურ სტატუსსაც უარყოფს და თავისივე ნებით ირაციონალურის ქაოსს აირჩევს არსებობის სფეროდ. ვინც თუნდაც ერთ აზრს მაინც შეინარჩუნებს და სხვების ნებას არ დაუქვემდებარებს, თუკი ვინმე თუნდაც ასანთის ღერს ან ბაღს შექმნის საკუთარი წარმოდგენებისა და შეხედულებების შესაბამისად და რეალობად აქცევს, ის ამ ხარისხამდე ადამიანია და მისი სათნოების ერთადერთი საზომიც ეს ხარისხი იქნება. მათ, — ექსტონმა თავის მოსწავლეებზე მიუთითა, — არაფერი დათმეს. ეს, — ხეობაზე მიუთითა, — არის იმის საზომი, თუ რა შეინახეს მათ და ვინ არიან ისინი... ახლა კი შემიძლია, თქვენი შეკითხვის პასუხი გავიმეორო, რადგან ვიცი, რომ სავსებით გაიგებთ მას. თქვენ მკითხეთ, ვამაყობ თუ არა ჩემი სამი ვაჟით. იმაზე მეტადაც კი ვამაყობ, ვიდრე ოდესმე ვიოცნებებდი. მათი თითოეული ნაბიჯითა და მიზნით ვამაყობ — მათ მიერ არჩეული ყოველი ღირებულებით. აი, ეს არის, დაგნი, ჩემი სრული პასუხი თქვენს კითხვაზე.

უეცრად ექსტონმა მისი სახელი მამობრივი ტონით წარმოთქვა, მაგრამ ამ დროს ის დაგნის კი არა, გოლტს შესცქეროდა.

დაგნიმ დაინახა, რომ გოლტმა მას გულწრფელი, პირდაპირი მზერა შეაგება და ერთხანს კიდევ შეცქეროდა თვალებში, თითქოს მადლიერების ნიშნად. შემდეგ დაგნისკენ შემობრუნდა. დაგნი მიხვდა, რომ გოლტი მას ისე შეჰყურებდა, ვითომ მოულოდნელად დოქტორ ექსტონს ქალისთვის საპატიო ტიტული ებოძებინა, თუმცა უსიტყვოდ, და ეს გოლტის გარდა ვერავის შეემჩნია. ისიც დაინახა, როგორ გაკრთა მის თვალებში მეგობრული დაცინვა დაგნის დაბნეულობის გამო, მხარდაჭერა და გასაოცარი სინაზე.

* * *

დ'ანკონიას სპილენძის პირველი მაღარო მომცრო იარებს ჰგავდა, თითქოს მთის მოწითალო-მოყავისფრო ფერდობი რამდენიმე ადგილას დანით დაესერათ და კლდეს ეს შვერილები ჭრილობასავით წითლად აჩნდა. მთის ფერდობს მზე დაჰნათოდა. დაგნი მაღაროში ჩამავალი ბილიკის დასაწყისში იდგა და გოლტისა და ფრანცისკოსთვის ხელები ჩაეკიდებინა. ორი ათასი ფუტის ქვემოთ მდებარე ხეობის თავზე ქარი ქროდა და მათ პირდაპირ სახეში სცემდათ.

„ამ მთის ფერდობზე ადამიანის სიმდიდრის ისტორია წერია“, — ფიქრობდა დაგნი. ჭრილთან ამ უკაცრიელ ადგილას საუკუნეების განმავლობაში მძვინვარე ქარიშხლებისგან გადრეკილი რამდენიმე ფიჭვი იდგა; შვერილებზე ექვსი კაცი მუშაობდა, საქმის უმეტეს ნაწილს კი უამრავი რთული მექანიზმის მქონე მანქანა ასრულებდა, რომელთა გამონაბოლქვი ცაზე მკრთალ ხაზებს ავლებდა.

დაგნიმ შენიშნა, რომ ფრანცისკო თავის სამფლობელოს მას კი არა, უფრო გოლტს უჩვენებდა:

— შენ აქ ბოლოს შარშან იყავი, ჯონ... ჯონ, მომავალ წლამდე მოიცადე. რამდენიმე თვეში გარეთ საქმეებს მოვრჩები და მერე მხოლოდ ეს იქნება ჩემი ერთადერთი სამუშაო... ჯანდაბა, არა, ჯონ, რას ამბობ! — გაიცინა ფრანცისკომ შეკითხვის პასუხად, მაგრამ დაგნიმ რაღაც განსაკუთრებული შეამჩნია მის მზერაში, როდესაც გოლტს უყურებდა: ასე დ'ანკონია მაშინ იყურებოდა, როდესაც დაგნის ოთახში იდგა და სასოწარკვეთილი ეჭიდებოდა მაგიდის კიდეს; ისე იყურებოდა, თითქოს ვიღაც ედგა თვალწინ; „ეს გოლტი იყო“, — გაიფიქრა ქალმა, — „სწორედ გოლტის ხატება ეხმარებოდა ფრანცისკოს“.

დაგნის აუხსნელი შიში დაეუფლა, პანიკური შიში: მან თითქმის ფიზიკურად შეიგრძნო, რა გადაიტანა ფრანცისკომ, როდესაც საკუთარი თავი აიძულა, მშვიდად შეხვედროდა მეტოქის არსებობას და მიეღო, როგორც საზღაური, რომელიც ბედისწერამ თავისი ბრძოლისთვის დაუწესა. ეს მას მეტისმეტად ძვირი დაუჯდა საიმისოდ, რომ ახლა ეჭვი აეღო იმ საიდუმლოებაზე, რომელსაც დოქტორი ექსტონი გუმანით მიხვდა. „რა მოხდება, როდესაც ის სიმართლეს შეიტყობს?“ — გაიფიქრა დაგნიმ, თუმცა რაღაც უცნაურმა სიმწარემ, თითქოს აზრები გემოს დაიკრავდნენ, შეახსენა, რომ შესაძლოა, ეს არც არასდროს მომხდარიყო.

გოლტის ერთი შეხედვით წრფელ, უბრალო, გულღია მზერაში, როდესაც ის ფრანცისკოს შეჰყურებდა, დაგნის ფარული საფრთხე მოელანდა, ოღონდ საფრთხე მისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის — ხომ არ გახდებოდა ეს მეგობრობა მახინჯი, ყველასთვის უსარგებლო და დამამცირებელი თვითშეწირვის მიზეზი?

მაგრამ დაგნის ცნობიერება უმეტესად მაინც მოპოვებული თავისუფლების უმძაფრეს შეგრძნებას მოეცვა, თითქოს ახლა უკვე უფლება ჰქონდა, ყველა თავისი ეჭვისთვის დაეცინა.

დროდადრო მზერას ხეობის ფსკერისკენ კლაკნით ჩამავალ ბილიკს აპყრობდა, რომლის ორი რთული მილიც გამოიარეს აქ მოსასვლელად. ჯაგნარი, ფიჭვები და ხავსი მთის ამწვანებული ფერდობებიდან გრანიტის შვერილებისკენ მიისწრაფოდნენ. ხავსი და ჯაგნარი თანდათან იშვიათდებოდა, უფრო და უფრო გამეჩხრებული ფიჭვები კი კვლავ ზევით მიიწევდნენ, ვიდრე მათგან მხოლოდ რამდენიმემ მთის მწვერვალების ნაპრალებამდე არ ააღწია, სადაც თოვლი თეთრად ელავდა. დაგნი შესცქეროდა ყველაზე მოხერხებულ სამთო მექანიზმებს, რაც კი ოდესმე უნახავს, მერე კი ბილიკს გახედა, სადაც ფლოქვების ბაკუნით მოირწეოდნენ ჯორები, გადაადგილების ეს უძველესი საშუალებები.

— ფრანცისკო, — იკითხა ქალმა, — ვინ დააპროექტა ეს მანქანები?

— ეს უბრალოდ სტანდარტული მოწყობილობის გადაკეთებული ვარიანტია.

— ვინ გადააკეთა?

— მე. მუშახელი ცოტა გვყავს, ამიტომაც სხვა გზა არ გვქონდა.

— მადნის ჯორებით ზიდვას უამრავი შრომა და დრო მიაქვს. ხეობაში რკინიგზა უნდა გაიყვანოთ.

დაგნი ქვემოთ იყურებოდა და ვერ შენიშნა ფრანცისკოს სწრაფი, მგზნებარე მზერა, ვერც ის შეამჩნია, როგორ ფრთხილად უთხრა მან:

— ვიცი, მაგრამ ეს იმდენად შრომატევადი საქმეა, რომ მაღაროს დღევანდელი პროდუქტიულობა ასეთ ხარჯს ვერ გაამართლებს.

— სისულელეა! ამის გაკეთება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. აღმოსავლეთისკენ გასასვლელი შევნიშნე, სადაც უფრო ნაკლები დაქანებაა და ქვაც უფრო დამყოლია, გზად ვაკვირდებოდი, ბევრი მოსახვევი არც გახდება საჭირო, სამი მილის დაგებაც იკმარებს, შეიძლება ამდენიც არ დასჭირდეს.

დაგნი აღმოსავლეთს გაჰყურებდა და არც კი შეუმჩნევია, როგორი დაძაბული სახეებით შეჰყურებდნენ ფრანცისკო და ჯონი.

— ვიწრო ლიანდაგიც გეყოფა... პირველი სარკინიგზო ხაზების მსგავსი... სწორედ მაღაროებთან გაიყვანეს პირველი რკინიგზა, ოღონდ ქვანახშირის მაღაროებთან...

ხედავ იმ ქედს? იქ სრულიად საკმარისი ადგილია სამი ფუტი სიგანის ლიანდაგის გასაყვანად, არც აფეთქება და გაფართოება დაგჭირდება. ხედავ დაახლოებით ნახევარი მილის სიგრძის აღმართს? ასე ორი გრადუსით დაქანებული აღმართი იქნება, ნებისმიერი ძრავა გადალახავს ასეთ მცირე დაბრკოლებას, — დაგნი სწრაფი და ხალისიანი დარწმუნებულობით ლაპარაკობდა, მხოლოდ თავისი ბუნებრივი მოვალეობის შესრულებით გამოწვეულ სიხარულს აცნობიერებდა მისთვის ბუნებრივ სამყაროში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ გამოსავლის შეთავაზებაა, — რკინიგზა ხარჯებს სამ წელიწადში ამოიღებს. როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ამ საქმეში ყველაზე ძვირი ფოლადის რამდენიმე ესტაკადა დაჯდება, და ეგებ ერთგან გვირაბის გასაყვანად აფეთქებაც მომიხდეს, მაგრამ მისი სიგრძე მხოლოდ ასი ფუტი ან უფრო ნაკლებიც კი შეიძლება იყოს. ფოლადის ესტაკადა დამჭირდება, იმ ხეობაში ლიანდაგი რომ გადავჭიმო და აქამდე მოვიყვანო, თუმცა ეს არც ისეთი რთულია, ერთი შეხედვით რომ გეჩვენება. მოდი, განახო, როგორ უნდა გაკეთდეს ყველაფერი, ფურცელი მჭირდება, თან ხომ არ გაქვს?

დაგნის ყურადღება არ მიუქცევია, რა სწრაფად მიაჩეჩა გოლტმა რვეული და ფანქარი, არც კი გაჰკვირვებია — ისე გამოართვა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს განკარგულებებს იძლეოდა სამშენებლო მოედანზე, სადაც ამგვარ უმნიშვნელო წვრილმანს არ უნდა შეეფერხებინა.

— მოდი, ზოგადად აგიხსნი, რის გაკეთებას ვგეგმავ. თუ ჩვენ გავიყვანთ დიაგონალურ ხიმინჯებს კლდეში, — დაგნი სწრაფად ხაზავდა, — ფოლადის ესტაკადა მხოლოდ ექვსასი ფუტის სიგრძის იქნება და ეს სპირალისებურ მოსახვევებს ამ ბოლო ნახევარ მილს ჩამოაჭრის, მე შემიძლია, სულ რაღაც სამ თვეში გავიყვანო რკინიგზა და...

უცებ გაჩუმდა, ფრანცისკოსა და ჯონს შეხედა და გზნება გაუქრა, მონახაზი დაჭმუჭნა და გვერდზე დაყრილ მოწითალო ხრეშზე მოისროლა.

— ოჰ, რისთვის? — წამოიყვირა მერე. მის ხმას პირველად დაეტყო სასოწარკვეთა, — სამი მილი სიგრძის რკინიგზა რომ ავაშენო და ტრანსკონტინენტური სისტემა მივატოვო?

ორივენი დაგნის შეჰყურებდნენ, სახეზე საყვედური კი არა, გაგება, ლამის თანაგრძნობა ეწერათ.

— მაპატიეთ, — თქვა დაგნიმ ჩუმად და თვალები დახარა.

— თუ აზრს შეიცვლი, — მიმართა ფრანცისკომ, — მე იმწუთასვე დაგიქირავებ, ან, თუ მოგინდება, თვითონ გახდე ამ რკინიგზის მფლობელი, მაიდასი სულ რაღაც ხუთ წუთში მოგცემს სესხს მშენებლობის დასაფინანსებლად.

დაგნიმ თავი გააქნია უარის ნიშნად.

— არ შემიძლია... — წაიჩურჩულა მან, — ჯერ არა...

თავი ასწია, ხვდებოდა, რომ ფრანცისკომაც და გოლტმაც ისედაც იცოდნენ მისი სასოწარკვეთილების მიზეზი და მათგან ამ შინაგანი ბრძოლის დამალვას აზრი არ ჰქონდა.

— ერთხელ უკვე ვცადე, — თქვა დაგნიმ, — ვცადე მისი მიტოვება... ვიცი, რაც მომივა... მე აქ ყოველი შპალისა და ლურსმნის დანახვისას მასზე ვიფიქრებ... იმ სხვა გვირაბზე და... და ნათ ტაგარტის ხიდზე ვიფიქრებ... ოჰ, ნეტავ შემეძლოს მისი დავიწყება! ნეტავ, შემეძლოს, აქ დავრჩე და ვეღარასდროს გავიგო, რას უკეთებენ ისინი ჩემს რკინიგზას, ვერ გავიგო, როდის განადგურდება ის საბოლოოდ!

— თქვენ მოგიწევთ ამის გაგება, — უთხრა ქალს გოლტმა; მისი გულწრფელი, ემოციებისგან თავისუფალი, მხოლოდ მშრალ ფაქტებზე გამახვილებული ხმა ამჯერად შეუბრალებლად ჟღერდა, — თქვენ შეიტყობთ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აგონიის მთელ მიმდინარეობას. ყოველი ავარიის, გაჩერებული მატარებლისა და მიტოვებული სარკინიგზო ხაზის შესახებ გაიგებთ. ტაგარტის ხიდის დანგრევასაც შეიტყობთ. ამ ხეობაში მხოლოდ ის რჩება, ვინც საბოლოო, სრულიად გაცნობიერებულ არჩევანს გააკეთებს თავის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტის ამომწურავად ცოდნის საფუძველზე. ყალბი რეალობით თავს აქ ვერავინ მოიტყუებს.

დაგნიმ თავი ასწია და გოლტს შეხედა. კარგად ესმოდა, რა შესაძლებლობასაც უშვებდა ხელიდან. გაიფიქრა, რომ გარე სამყაროში არც ერთი კაცი მას ამ დროს ასეთ რამეს არ ეტყოდა — ალბათ, სამყაროს მორალურ კოდექსზე დაელაპარაკებოდნენ, აშკარა ტყუილს რომ განადიდებდა, როგორც მოწყალების აქტს. დაგნიმ, პირველად თავის ცხოვრებაში, სრულად გააცნობიერა ამ კოდექსის მთელი სიმახინჯე და მოულოდნელად უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალა მის წინ მდგომი კაცის მტკიცე

და გულწრფელი სახის მიმართ. გოლტმა დაინახა, როგორ მოკუმა ქალმა პირი, თუმცა რაღაც გრძნობამ მისი გამომეტყველება ოდნავ შეარბილა, როდესაც ხმადაბლა უპასუხა:

— გმადლობთ. მართალი ხართ.

— შეგიძლიათ, ახლა არც მიპასუხოთ, — მიმართა ქალს გოლტმა, — საბოლოო პასუხი მაშინ მითხარით, როცა გადაწყვეტთ. ჯერ კიდევ ერთი კვირაა დარჩენილი.

— დიახ, — თქვა დაგნიმ მშვიდი ხმით, — ერთი კვირაღა დარჩა.

ჯონი შებრუნდა, აიღო დაბლა დაგდებული დაჭმუჭნილი მონახაზი, ფრთხილად გადაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

— დაგნი, — უთხრა ქალს ფრანცისკომ, — როდესაც შენს გადაწყვეტილებას აწონ-დაწონი, თუ მოგინდება, ცხადია, შეგიძლია, წასვლის პირველი მცდელობა გაიხსენო, მაგრამ ის ყველაფერიც გაიხსენე, რამაც წასვლა გადაგაწყვეტინა. ამ ხეობაში შენ არ მოგიწევს, თავი დაიტანჯო სახურავების ყავრით გადახურვითა და იმ გზების გაყვანით, რომელიც არსად არ მიდის.

— მითხარი, — მოულოდნელად შეეკითხა დაგნი, — როგორ გაიგე, სად ვიყავი მაშინ?

დ'ანკონიამ გაიღიმა:

— ჯონმა მითხრა, გამანადგურებელმა, გახსოვს? შენ გიკვირდა, რატომ არ გამოგაყოლა უკან ვინმე გამანადგურებელმა. მაგრამ ასე არ ყოფილა. მან იქ მე გამომგზავნა.

— მან გამოგაგზავნა?

— დიახ.

— რა გითხრა?

— ბევრი არაფერი. რატომ მეკითხები?

— რა გითხრა? ზუსტად გახსოვს მისი ნათქვამი?

— მახსოვს. მან მითხრა: „თუ გსურს, გამოიყენე შენი შესაძლებლობა. შენ ის დაიმსახურე“. მე კარგად მახსოვს მისი სიტყვები, რადგან, — ფრანცისკო გოლტისკენ შებრუნდა და წარბშეჭმუხნილმა ოდნავ შეფიქრიანებული, მშვიდი გამომეტყველებით იკითხა, — ჯონ, ახლაც ვერ გამიგია, ეს რატომ თქვი. რატომ თქვი, რომ ეს ჩემი შესაძლებლობა იყო?

— წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ახლავე რომ არ გიპასუხო?

— არა, მაგრამ...

დ'ანკონიას მაღაროს შვერილებიდან ვიღაცამ დაუძახა და ისიც იმწამსვე იქითკენ გაემართა, თითქოს ამ თემაზე საუბრის გაგრძელება საჭირო აღარ იყო.

დაგნი დიდხანს დუმდა, მერე გოლტისკენ მიბრუნდა. დარწმუნებული იყო, რომ ის უყურებდა. გოლტის თვალებში მხოლოდ მსუბუქი ირონია ამოიკითხა, თითქოს იცოდა, რა პასუხს ეძებდა მის სახეში ქალი და ისიც იცოდა, რომ დაგნი ამ პასუხს ვერ იპოვიდა.

— თქვენ მას ის შესაძლებლობა მიეცით, რაც თვითონ გჭირდებოდათ, ასეა?

— მე არავითარი შესაძლებლობა არ მომეცემოდა, ვიდრე ის სრულად არ მიიღებდა თავის კუთვნილს.

— საიდან იცოდით, რომ მან ეს დაიმსახურა?

— ათი წლის განმავლობაში მას თქვენ შესახებ გამუდმებით ვეკითხებოდი, როგორც კი შემთხვევა მომეცემოდა, ათასგვარი ფორმითა და ხერხით. თუმცა მთავარი მას არ უთქვამს — ეს მისმა საუბრის მანერამ მითხრა. ფრანცისკოს არ

სურდა თქვენზე ლაპარაკი, ცდილობდა, თავი აერიდებინა, მაგრამ როდესაც ვერ ახერხებდა, ძალიან დიდი გზნებით და, ამავე დროს, უხალისოდ ლაპარაკობდა. და მაშინ მივხვდი, რომ ეს ბავშვობისდროინდელ მეგობრობაზე მეტი იყო. ვიცოდი, რამდენი რამის მიტოვება მოუხდა მას ამ გაფიცვისთვის და როგორ სასოწარკვეთილად უნდოდა დანაკარგის დაბრუნება. მე? მე უბრალოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომავალი გაფიცულის შესახებ ვეკითხებოდი მას — ისევე, როგორც ბევრ სხვაზეც დამისვამს ასეთი კითხვები.

გოლტის თვალები ისევ ირონიას ასხივებდა; მან იცოდა, რომ დაგნის ამის გაგონება სურდა, მაგრამ ეს სულაც არ იყო პასუხი იმ კითხვაზე, რომლისაც ქალს ასე ეშინოდა. დაგნიმ მზერა მათკენ მომავალ ფრანცისკოზე გადაიტანა. თავს აღარ უმალავდა, რომ მისი უეცარი, მძაფრი, სასოწარკვეთილი მღელვარების მიზეზი იყო შიში, გოლტს სამივესთვის აბსურდული თავგანწირვა არ მიესაჯა.

დ'ანკონია მათ უახლოვდებოდა და ჩაფიქრებული შეჰყურებდა დაგნის, თუმცა თვალები უდარდელი მხიარულებით უელვარებდა.

— დაგნი, ერთი კვირაღა დარჩა, — მიმართა მან ქალს, — თუ შენ უკან დაბრუნებას გადაწყვეტ, მაშინ ეს კვირა ჩვენთვის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იქნება უკანასკნელი, — მის ხმაში არც საყვედური იგრძნობოდა და არც მწუხარება, ემოციაზე ოდნავ შესამჩნევი სირბილე მიანიშნებდა, — ახლა რომც წახვიდე აქედან, რა თქმა უნდა, უსათუოდ დაბრუნდები. თუმცა ეს მალე არ მოხდება. მეც რამდენიმე თვეში აქ სამუდამოდ გადმოვსახლდები, ასე რომ, თუ წახვალ, შეიძლება წლები ვეღარც გნახო. მინდა, ეს ბოლო კვირა ჩემთან ერთად გაატარო. მინდა, ჩემს სახლში გადმოხვიდე საცხოვრებლად, მხოლოდ და მხოლოდ როგორც სტუმარი, და მეტი არაფერი.

ფრანცისკომ ეს ისე გულწრფელად თქვა, თითქოს ამ სამ ადამიანს ერთმანეთისგან არაფერი ჰქონდა დასამალი. დაგნის გოლტის სახეზე გაოცების რაიმე ნიშანი არ შეუმჩნევია. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მოულოდნელად შიგნით რაღაც მკვეთრად შეეკუმშა, რაღაც მძიმე, აუხსნელი, ღამის უკეთური... თითქოს რაღაც პირქუში და ბობოქარი გარეთ გამოღწევას ცდილობდა.

— მაგრამ მე ხომ ვმუშაობ, — თქვა ქალმა და თან უცნაური ღიმილით უცქერდა გოლტს, — და ვალდებული ვარ, სამუშაო დავასრულო.

— სამუშაოთი არ დაგაკავებთ, — უპასუხა გოლტმა. დაგნი გააბრაზა ამ ტონმა, რომელშიც არავითარი დაფარული მნიშვნელობა არ ისმოდა და მხოლოდ მის ნათქვამს პასუხობდა სიტყვასიტყვით, — შეგიძლიათ, მაშინ დაანებოთ თავი მუშაობას, როცა კი მოისურვებთ. თქვენი გადასაწყვეტია.

— არა, ასე არ არის. მე აქ პატიმარი ვარ. ხომ არ დაგავიწყდათ? მე განკარგულებებს უნდა დავემორჩილო. არც არჩევნის უფლება მაქვს, არც სურვილების გამოთქმის. მინდა, თქვენ გადაწყვიტოთ ეს საქმე.

— გინდათ, მე გადავწყვიტო?

— დიახ!

— თქვენ ახლა სურვილს გამოთქვამთ.

დაცინვა გოლტის სერიოზული ტონით გამოიხატებოდა და დაგნიმ მას ღიმილის გარეშე, უტიფრად მიახალა, თითქოს იწვევდა, თავი ისე დაეჭირა, ვითომდა ვერაფერს ხვდებოდა:

— კარგი. სწორედ ეს მსურს!

გოლტმა გაიღიმა, თითქოს ბავშვის ეშმაკურ ჩანაფიქრზე ეცინებოდა, რომელიც უკვე დიდი ხნის წინ გამოეცნო:

— ძალიან კარგი. — მაგრამ შემდეგ ღიმილის გარეშე მიუბრუნდა ფრანცისკოს და უთხრა, — მაშინ ჩემი პასუხია: არა.

ფრანცისკომ დაგნის სახეზე მხოლოდ ჯიბრი დაინახა, თითქოს რომელიღაც მეტოქეს იწვევდა, ყველაზე მკაცრ მასწავლებელს. დ'ანკონიამ დანანებით, მაგრამ მაინც მხიარულად აიჩეჩა მხრები:

— ალბათ, მართალი ხარ. თუ შენც კი ვერ შეძელი, ხელი შეუშალო მას დაბრუნებაში, მაშინ სხვა ვერც ვერავინ შეძლებს.

ქალს ფრანცისკოს სიტყვები აღარ გაუგონია. გააოგნა უსაზღვრო შვებამ, რომელიც გოლტის პასუხმა მოჰგვარა, შვებამ, რომელმაც დაანახა, რა უკიდეგანო ყოფილა შიში, რომელიც უკვალოდ გაქრა. მხოლოდ ახლადღა მიხვდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თურმე მისთვის გოლტის პასუხი; მიხვდა, რომ სხვაგვარი პასუხი სრულიად გაუქარწყლებდა შთაბეჭდილებას ხეობაზე.

მოუნდა, გაეცინა, გულში ჩაეკრა ორივე და მათთან ერთად მხიარულად ეცინა.

ახლა უკვე სულერთი იყო, აქ დარჩებოდა თუ გარე სამყაროში დაბრუნდებოდა, ერთი კვირა მარადისობად ეჩვენებოდა, ორივე გზა მზეს გაეკაშკაშებინა. „არც ერთი ბრძოლა რთული არ იქნება, თუკი სიცოცხლის არსი ასეთია“, — ფიქრობდა დაგნი.

შვება არც იმის გაცნობიერებამ მოჰგვარა, რომ გოლტმა მასზე უარი არ თქვა, არც განცდამ, რომ უსათუოდ გაიმარჯვებდა. შვებას ჰგვრიდა რწმენა, რომ გოლტი ყოველთვის იმად დარჩებოდა, რაც იყო.

— არ ვიცი, დავბრუნდები თუ არა გარე სამყაროში, — თქვა დაგნიმ სევდიანად, თუმცა მის ხმას რაღაც დაუოკებელი ძალა ათრთოლებდა, დაფარული სიხარულის ძალა, — ვწუხვარ, რომ ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია. მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: რომ არ შემეშინდება გადაწყვეტილების მიღების.

ფრანცისკომ ქალის სახის უეცარი გაბრწყინება იმის დასტურად ჩათვალა, რომ ეს შემთხვევა დიდად მნიშვნელოვანი არ იყო. მაგრამ გოლტი ყველაფერს მიხვდა; მან დაგნის ნაწილობრივ დაცინვით, ნაწილობრივ კი ზიზღნარევი საყვედურით შეხედა. მისთვის არაფერი უთქვამს, ვიდრე მარტო არ დარჩნენ. შემდეგ კი, როდესაც ხეობისაკენ მიმავალ ბილიკს ჩაუყვნენ, კვლავ შეხედა დაგნის, თუმცა ამჯერად კიდევ უფრო დამცინავად:

— მაინცდამაინც უნდა გამოგეცადეთ, რომ გაგეგოთ, ალტრუიზმის უმდაბლეს საფეხურამდე დავეცემოდი თუ არა? — ჰკითხა მან ქალს.

დაგნიმ არაფერი უპასუხა, მხოლოდ გულწრფელი, უმწეო და მართალი მზერით შეხედა. გოლტმა ჩაიცინა და განზე გაიხედა, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კი აუჩქარებლად, ციტატასავით წარმოთქვა:

— ყალბი რეალობით აქ თავს ვერავინ მოიტყუებს.

გოლტის გვერდით უხმოდ მიმავალი დაგნი ფიქრობდა, რომ მისი შვების სიძლიერე ნაწილობრივ კონტრასტით გამოწვეულმა განცვიფრებამ განაპირობა: უეცარი სიცხადით დაინახა სრული სურათი, თუ რა ელოდათ სამივეს, თავგანწირვის კოდექსის მიხედვით რომ მოქცეულიყვნენ. გოლტს რომ თავისი მეგობრის გამო საყვარელი ქალი დაეთმო, რეალობას გააყალბებდა, რადგან თავის ყველაზე ძლიერ გრძნობას ჩაახშობდა და, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ეს ორივეს, დაგნის საკუთარი ცხოვრებიდან განდევნიდა, მერე დარჩენილ სიცოცხლეს მიუღწევლისა და აუხდენლის ძიებაში გალევდა; დაგნის რომ ნუგეში სხვასთან ეძებნა, რეალობას

გააყალბებდა, გამოიგონებდა არარსებულ სიყვარულს, საკუთარივე ნებით, რადგან მისი თავის მოტყუების სურვილი გოლტის თავგანწირვის არსებითი პირობა იქნებოდა. შემდეგ მთელ სიცოცხლეს უიმედო მონატრებაში გაატარებდა, მოუშუშებელ ჭრილობას კი დაუამებდა დამქანცველი სიყვარული და დოგმა, რომ სიყვარული ამაოა და ბედნიერება არ არსებობს. ფრანცისკო კი ამ დროს ყალბი რეალობის გაურკვეველ ბურუსში ეცდებოდა გზის გაკვლევას, მისი სიცოცხლე იმ ორი ადამიანის მიერ დადგმული ფარსი იქნებოდა, რომლებიც ყველაზე ძალიან უყვარდა და რომლებსაც ყველაზე მეტად ენდობოდა, დ'ანკონია ეცდებოდა, გაეგო, თუ რა აკლდა მის ბედნიერებას, იარსებებდა ტყუილის მყიფე ეშაფოტზე, რომლის ქვეშაც იმ აღმოჩენის უფსკრული იმალებოდა, რომ ის სულაც არ იყო დაგნის საყვარელი მამაკაცი, რომ ის მხოლოდ შემცვლელი იყო, სანახევროდ ქველმოქმედების ობიექტი, სანახევროდ კი ყავარჯენი, მისი აღქმის უნარი მისსავე საფრთხედ იქცეოდა და მხოლოდ სიბრიყვის ლეთარგიული მორჩილება დაიცავდა მის ყალბ სიხარულს, თავიდან იბრძოლებდა, შემდეგ კი დანებდებოდა მოსაწყენ რუტინაში იმ რწმენით ჩაბმული, რომ ადამიანს არ შეუძლია საკუთარი მიზნების მიღწევა. ისინი, სამივენი, ვისაც სიცოცხლის ყველა ნიჭი ებოძათ, სიცოცხლეს დაამთავრებდნენ გაბოროტებული და ხელჩაქნეული ადამიანის სასოწარკვეთილი ქვითინით, რომ ცხოვრება იმედგაცრუებაა, რადგან არარეალურის რეალურად ქცევა შეუძლებელია.

„მაგრამ ეს“, — ფიქრობდა დაგნი, — „გარე სამყაროში მცხოვრები ადამიანების მორალური კოდექსია, რომელიც მათ მოუწოდებთ, იმოქმედონ ერთმანეთის სისუსტეზე, სიბრიყვეზე და სიცრუეზე დაყრდნობით, სწორედ ეს არის მათი ცხოვრების წესი, ბრძოლა მოჩვენებითისა და შეუცნობლის ბურუსში, რწმენა, რომ ფაქტი არ არის საიმედო და საბოლოო, მდგომარეობა, სადაც რეალობის ნებისმიერი ფორმის უარყოფის შემდეგ, ადამიანები არარსებული ცხოვრებით ცხოვრობენ და ისე კვდებიან, თითქოს არც არასდროს დაბადებულან. „აქ“, — ფიქრობდა ის და ხეობის სახლების სახურავებზე მბზინავ ამწვანებულ ხის ტოტებს უყურებდა, — „მზესა და კლდესავით ნათელი და მტკიცე ადამიანები არიან“. დაგნის შვება და სიხარული სწორედ იმის ცოდნას ეფუძნებოდა, რომ იქ, სადაც არავინ ყოყმანობს და არც მიკიბ-მოკიბვით არ ლაპარაკობს, არც ერთი ბრძოლა სასტიკი არ არის.

— ოდესმე თავში აზრად მოგსვლიათ, მის ტაგარტ, — თქვა გოლტმა განყენებულ თემებზე მსჯელობისთვის შესაფერისი გულგრილი ტონით, — რომ ბიზნესში, ვაჭრობაში და პირად სურვილებში არ იარსებებდა ინტერესთა კონფლიქტი, თუ ადამიანები აღარ განიხილავენ ირაციონალურს, როგორც შესაძლებელს, და განადგურებას, როგორც პრაქტიკულს? კონფლიქტი და თავგანწირვის საჭიროება აღარ იარსებებდა და ერთი ადამიანი მეორის მიზნებისთვის საფრთხის შემცველი აღარ იქნებოდა, თუ ადამიანები გაიგებდნენ, რომ რეალობა ის განყენებული აბსტრაქციაა, რომელიც არ შეიძლება, გაყალბდეს, რომ ტყუილი ვერ მოიტანს სიკეთეს, რომ შეუძლებელია, იმას ფლობდე, რაც არ მოგიპოვებია, მოგეცეს ის, რაც არ დაგიმსახურებია, რომ არსებული ღირებულების განადგურება ვერ წარმოშობს არარსებულ ღირებულებას. ბიზნესმენი, რომელიც ბაზრის ხელში ჩაგდებას თავისზე ძლიერი კონკურენტის მოსპობით ცდილობს, მუშა, რომელსაც თავისი დამსაქმებლის ქონებიდან წილის მიღება სურს, ხელოვანი, რომელსაც შურს მეტოქის აღმატებული ნიჭიერება — ყველა ეს ადამიანი ოცნებობს არარსებულ ფაქტებზე და მათთვის ოცნების ასრულების ერთადერთი გზა განადგურებაა. თუ ისინი ამ გზას მიჰყვებიან,

ამით ვერც ბაზარს მიიღებენ, ვერც ქონებას და ვერც უკვდავ დიდებას — ისინი უბრალოდ გაანადგურებენ წარმოებას, დასაქმებასა და ხელოვნებას. ირაციონალურზე ოცნება არასდროს ახდება, იმისდა მიუხედავად, მსხვერპლს აქვს თუ არა თავგანწირვის სურვილი. მაგრამ ადამიანები არ შეწყვეტენ შეუძლებელზე ოცნებას და განადგურების სურვილი არ გაუქრებათ მანამდე, სანამ მათ უქადაგებენ, რომ საკუთარი თავის განადგურება და თავგანწირვა პრაქტიკული საშუალებაა სხვების ბედნიერების მოსაპოვებლად, — ჯონმა ქალს შეხედა და აუჩქარებლად განაგრძო ლაპარაკი, მისი გულგრილ ტონს მხოლოდ ოდნავი ცვლილება დაეტყო, — მე მხოლოდ საკუთარი ბედნიერების მოპოვება ან განადგურება შემიძლია. თქვენ უფრო მეტად უნდა გეცათ პატივი მისთვისაც და ჩემთვისაც და არ უნდა შეგშინებოდათ იმის, რისიც შეგეშინდათ.

დაგნის საპასუხოდ არაფერი უთქვამს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ერთი სიტყვაც კი ამ წუთის სისავსეს შებღალავდა. ის უბრალოდ მიბრუნდა გოლტისკენ უსიტყვო თანხმობის გამომხატველი ბავშვურად მორჩილი გამომეტყველებით, რომელიც მობოდიშებას ემგვანებოდა, რომ არა მის თვალებში მოკიაფე სიხარული.

გოლტმაც გაუღიმა — მხიარულად, გაგებით და ამ ღიმილით ლამის მოკავშირეობა დაუდასტურა ქალს მისივე განცდების გამართლების საქმეში.

ისინი მდუმარედ მიუყვებოდნენ გზას და დაგნის ეჩვენებოდა, რომ ეს მისი უდარდელი ახალგაზრდობის ზაფხულის ერთი დღე იყო, რომელიც იმ დროს არ უცხოვრია, არასდროს ჰქონია, იმ ორი ადამიანის ქალაქგარეთ გასეირნებას ჰგავდა, რომლებსაც შეეძლოთ, დამტკბარიყვნენ ასეთი სიამოვნებით, რადგან ცხოვრებისეული საზრუნავებისგან თავისუფალნი იყვნენ. სიმსუბუქის შეგრძნება, რომელიც დაგნის დაუფლებოდა, დაღმართზე ჩასვლის სიმსუბუქეს ეხამებოდა, თითქოს ერთადერთი, რაც მოეთხოვებოდა, ის იყო, რომ თავი უნდა შეეკავებინა და არ გაფრენილიყო. ისიც მიდიოდა, ცდილობდა, არ გაქცეულიყო, სხეულით უკან გადახრილიყო, ქარი კი ქვედატანს აფრასავით უფრიალებდა.

ბილიკის ბოლოს დაგნი და გოლტი ერთმანეთს დაშორდნენ; გოლტი მაიდას მალიგანთან დათქმულ შეხვედრაზე წავიდა, ქალი კი ჰემონდის ბაზარში გაემართა ვახშმისთვის შესაძენი პროდუქტების სიით ხელში — ახლა ეს იყო ერთადერთი საზრუნავი მისთვის.

„მისი ცოლი“, — გაუელვა დაგნის სიტყვამ, რომელიც განგებ არ წარმოთქვა, სიტყვა, რომელსაც ქალი დიდი ხანია, გრძნობდა, თუმცა არ წარმოუთქვამს. ამ სამი კვირის განმავლობაში ის მართლაც გოლტის ცოლი იყო, ყველა თვალსაზრისით, გარდა ერთისა, რომელიც ჯერ კიდევ უნდა დაემსახურებინა, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ხომ ნამდვილი იყო და დღეს დაგნის შეეძლო, საკუთარი თავისთვის უფლება მიეცა, ეს გაეცნობიერებინა, ეგრძნო, ამ ერთი აზრით ეცხოვრა დღევანდელი დღე.

პროდუქტები, რომლებსაც ლოურენს ჰემონდი თავისი მაღაზიის მბზინავ დახლზე აწყობდა, დაგნის არასოდეს მოსჩვენებია ასეთი ხასხასა და მათი ყურებით გართული, მხოლოდ ნაწილობრივ აცნობიერებდა უცნაურ წუხილს, თითქოს რაღაც რიგზე ვერ იყო, თუმცა მისი გონება იმდენად იყო გადატვირთული, რომ ამის გაცნობიერებას ვერ ახერხებდა. მხოლოდ მაშინღა მიხვდა, რა ხდებოდა, როდესაც დაინახა, რომ ჰემონდი საქმეს მოსწყდა, მოიღუშა და მაღაზიის ღია ფასადიდან ცას ახედა.

— მგონი, ვიღაც თქვენი ტრიუკის გამეორებას ცდილობს, მის ტაგარტ, — თქვა ჰემონდმა თუ არა, დაგნისაც შემოესმა თვითმფრინავის ხმა, რომელიც უკვე რამდენიმე წუთი იყო, გაისმოდა და, რომელმაც პირველი ივნისის მერე, სრულიად მოულოდნელად დაარღვია ხეობის სიმყუდროვე.

ისინი მაღაზიიდან ქუჩაში გაცვივდნენ. ვერცხლისფერი ჯვრის ფორმის თვითმფრინავი მთების თავზე წრეს ხაზავდა მოციმციმე ნემსიყლაპიასავით, რომელიც სადაც იყო, მწვერვალებს ფრთებით შეეხებოდა.

— ხვდება მაინც, რას აკეთებს? — იკითხა ლოურენს ჰემონდმა.

ქუჩის ჩაყოლებაზე მაღაზიების კარებთან ხალხი იდგა და უსიტყვოდ იყურებოდა ცაში.

— ვინმეს... ვინმეს ელოდებით? — იკითხა დაგნიმ და თვითონვე გააკვირვა საკუთარ ხმაში გამკრთალმა მღელვარებამ.

— არა, ყველა, ვისაც კი რაიმე ესაქმება ამ ხეობაში, უკვე აქ არის, — შეშფოთებით კი არა, უკმაყოფილო ცნობისწადილით უპასუხა ჰემონდმა.

თვითმფრინავი ახლა ვერცხლისფერი სიგარეტის მსგავს პატარა ხაზად მოჩანდა ცაში და მთების კალთებისკენ ეშვებოდა.

— კერძო მონოპლანს ჰგავს, — თქვა ჰემონდმა, თან მზეს თვალმოჭუტული შესცქეროდა, — სამხედრო მოდელი არ უნდა იყოს.

— სხივების გარდამტეხი ეკრანი დააკავებს? — იკითხა დაგნიმ მტრის მოახლოებით აღშფოთებული, დაძაბული ხმით.

ჰემონდმა ჩაიცინა:

— დააკავებს?

— ჩვენს დანახვას მოახერხებს?

— თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ეკრანი მიწისქვეშა თავშესაფარზე უფრო საიმედოა, მის ტაგარტ.

თვითმფრინავი მაღლა აფრინდა, წუთით ქარში უაზროდ მოფარფატე ქაღალდის ნაგლეჯივით მოჩანდა თეთრ ლაქად ცაზე, შემდეგ კი დაბლა დაეშვა და კიდევ ერთი სპირალური წრე შემოხაზა.

— რა ჯანდაბას აკეთებს? — თქვა ჰემონდმა.

დაგნიმ სწრაფად შეხედა მას.

— რაღაცას დაეძებს, — განაგრძო ჰემონდმა, — მაგრამ რას?

— აქ სადმე ტელესკოპი არის?

— რისთვის გჭირდებათ? დიახ, აეროდრომზეა, მაგრამ, — ჰემონდს უნდოდა, ეკითხა დაგნისთვის, რატომ ჰქონდა ასეთი ხმა, მაგრამ ქალი უკვე აეროდრომისკენ მიმავალ ბილიკზე მირბოდა, თუმცა ვერც კი აცნობიერებდა, თუ მირბოდა, იმდენად იყო მოცული მიზეზით, რომლის დასახელების არც დრო ჰქონდა და არც გამბედაობა, სამეთვალყურეო კოშკში მცირე ზომის ტელესკოპთან დუაიტ სანდერსი დახვდა; ის ყურადღებით აკვირდებოდა თვითმფრინავის მოძრაობას.

— მიმიშვით, მეც შევხედო! — მივარდა სანდერსს დაგნი.

ის ტელესკოპის მეტალის სახელურს ჩაებღაუჭა და ლინზაში გაიხედა, თან, თვითმფრინავის მიმართულების შესაბამისად, ნელი მოძრაობით არეგულირებდა სახელურს. შემდეგ სანდერსმა შეამჩნია, რომ დაგნის ხელმა მოძრაობა შეწყვიტა, თუმცა ქალს არც თითები და არც სახე ტელესკოპისთვის არ მოუშორებია. სანდერსი მიუახლოვდა მას და დაინახა, რომ დაგნი ტელესკოპის ლინზას შუბლით მიჰყრდნობოდა.

— რა მოხდა, მის ტაგარტ?

დაგნიმ ნელა ასწია თავი.

— თვითმფრინავში ვინმე ნაცნობი ხომ არ დაგინახავთ, მის ტაგარტ?

დაგნის პასუხი არ გაუცია. ის სამეთვალყურეო კოშკიდან გარეთ გავარდა. აჩქარებული ნაბიჯებით უმიზნოდ მიდიოდა — გაქცევა ვერ გაებედა, მაგრამ თავიდან უნდა აეცილებინა ხიფათი, სადმე უნდა დამალულიყო, უნდა გაუჩინარებულიყო, არ იცოდა, რისი ეშინოდა — ირგვლივ მყოფი ადამიანების მზერის თუ თვითმფრინავიდან რომ შეამჩნევდნენ, იმ თვითმფრინავიდან, რომლის ვერცხლისფერ ფრთებზე აღბეჭდილი ნომერი ჰენკ რიერდენს ეკუთვნოდა.

კლდეზე რომ ადიოდა, დაგნი წაბორძიკდა და დავარდა, მხოლოდ მაშინღა გააცნობიერა, რომ მირბოდა. ის აეროდრომის მაღლა, კლდის შვერილზე ასულიყო, ქალაქიდან უხილავ, თუმცა ციდან ხილულ ადგილას. დაგნი წამოდგა, ხელის ცეცებით მიჰყვა გრანიტის კედელს, ხელისგულებით მზით გამთბარი კლდის სიმხურვალე იგრძნო — ზურგით კედელს მიყრდნობილი გაუნძრევლად იდგა და თვითმფრინავისთვის თვალი ვერ მოეშორებინა.

თვითმფრინავი კი ნელი მოძრაობით ხაზავდა წრეს ჰაერში, დაბლა ეშვებოდა, შემდეგ ისევ მაღლა ადიოდა. „ცდილობს“, — ფიქრობდა დაგნი. როგორც თავად ცდილობდა, გაერჩია თვითმფრინავის ნამსხვრევები ნაპრალებითა და ქვებით მოფენილ ფერდობზე, როცა არც კი იცოდა, ჰქონდა თუ არა ძებნის გაგრძელებას აზრი. რიერდენი შეუპოვრად დაეძებდა მის ჩამოვარდნილ თვითმფრინავს, არ დანებდა, იმის დამამტკიცებელი საბუთი და პასუხი კი, თუ რა დაუჯდა ჰენკს უკანასკნელი სამი კვირა და რა გადაიტანა მან, სწორედ ამ მომაკვდინებლად საშიში, მიუდგომელი მთაგრეხილის თავზე მოწრიალე ერთი ციდა თვითმფრინავის ძრავის ეს უწყვეტი, მტკიცე და მონოტონური გუგუნი იყო.

ზაფხულის კრიალა ცის გამჭვირვალობაში თვითმფრინავი ძალიან ახლოს მოჩანდა, დაგნი ხედავდა, როგორ ტორტმანებდა ის ქარში. დაბლა მზით გაჩახჩახებული ხეობა გადაშლილიყო, მოელვარე ფანჯრებითა და ამწვანებული კორდებით — რიერდენის მომქანცველი მტანჯველი ძიების დასასრული, უფრო მეტი, ვიდრე ოცნებების ასრულება. ჰენკი აქ დამსხვრეულ თვითმფრინავს და დაგნის უსულო გვამს კი არა, ცოცხალ და უვნებელ ქალს და საკუთარ თავისუფლებას იპოვიდა — რასაც კი ეძებდა ან ოდესმე უძებნია, ახლა მის წინაშე იყო გადაშლილი და მას ელოდა, ჰენკს მხოლოდ უნდა დაენახა ეს ყველაფერი.

— ჰენკ! — დაუყვირა რიერდენს დაგნიმ, თან თავგანწირვით უქნევდა ხელს, — ჰენკ!

კლდეს მიეყრდნო, რადგან მიხვდა, რომ მას ხმას ვერ მიაწვდენდა, რომ ამქვეყნად ვერაფერი ვერ გაარღვევდა სხივების გარდამტეხ ეკრანს, გარდა თავად ჰენკისავე გონებისა და ხედვისა. მოულოდნელად და პირველად თავის ცხოვრებაში, დაგნის ეს ეკრანი უხილავ საგნად კი არა, მსოფლიოში ყველაზე დაუძლეველ წინაღობად მოეჩვენა.

კლდეს მიყრდნობილი, ბედს დამორჩილებული შესცქეროდა თვითმფრინავის უიმედო წრიალს, ესმოდა, როგორ შეუპოვრად ითხოვდა დახმარებას მისი ძრავა და ძალა არ შესწევდა, მის ძახილს გამოხმაურებოდა. უცებ თვითმფრინავი დაბლა დაეშვა, მაგრამ სინამდვილეში, ეს უკანასკნელი აფრენისთვის სამზადისი იყო, რადგან მალევე ღია სივრცეში აიჭრა და მხედველობის არიდან გაუჩინარდა, თითქოს უნაპირო ტბის სიღრმეში ჩაძირულიყო.

დაგნი ნაღვლიანი თანაგრძნობით ფიქრობდა იმაზე, რამდენი რამის დანახვა ვერ მოახერხა ჰენკმა. „და მე?“ — გაიფიქრა მან. თუ ხეობიდან წავიდოდა, ეკრანი მისთვის ისე მჭიდროდ დაიხურებოდა, რომ ატლანტიდა სხივების საფარში ღრმად ჩაიძირებოდა და მისთვის ოკეანის ფსკერზე უფრო მიუვალი გახდებოდა, დაგნისაც ისევე უნდა ებრძოლა იმ საგნებისთვის, რომელთა დანახვის გზები მან არ იცოდა, მასაც მოუწევდა დასაბამისდროინდელი სისასტიკის მირაჟთან შერკინება, თანაც მაშინ, როდესაც თავისი სურვილების მიღწევის შესაძლებლობა უკვე აღარასოდეს მიეცემოდა.

თუმცა, ბიძგი, რომელიც დაგნის გარე სამყაროსკენ მიეზიდებოდა და მოანდომა, თვითმფრინავს გაჰყოლოდა, ჰენკ რიერდენის ხატება არ იყო — კარგად იცოდა, რომ გარე სამყაროში დაბრუნების შემთხვევაშიც კი, მას რიერდენთან ყოფნა არ შეეძლებოდა. დაგნის ჰენკ რიერდენისა და ყველა იმ დანარჩენი ადამიანის გამბედაობა იზიდავდა, რომლებიც ჯერ კიდევ იბრძოდნენ თავის გადასარჩენად. ჰენკი არ შეწყვეტდა დაგნის თვითმფრინავის ძებნას, მაშინ, როდესაც სხვებს უკვე დიდი ხანია, იმედი გადასწურვოდათ, ისევე, როგორც არ მიატოვებდა თავის საამქროებს, ან სხვა რომელიმე დასახულ მიზანს, თუ მცირე შესაძლებლობა მაინც ექნებოდა დარჩენილი. იყო კი დარწმუნებული დაგნი, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ გადარჩენის ყოველი შესაძლებლობა ამოიწურა? რომ ბრძოლის პირობები ისეთნაირი იყო, გამარჯვებაზე ფიქრი არც კი ღირდა? ატლანტიდაში მცხოვრები ადამიანები სწორად მოიქცნენ, რომ გაუჩინარდნენ, თუ მათ იცოდნენ, რომ უკან ღირებული აღარაფერი რჩებოდათ, მაგრამ დაგნის უფლება არ ჰქონდა, მათთან დარჩენილიყო, ვიდრე არ დაინახავდა, რომ ყველა შესაძლებლობა გამოყენებულია და ყველა ბრძოლა გადახდილი. ეს საკითხი უკვე რამდენიმე კვირა იყო, აწუხებდა, მაგრამ პასუხი ვერ ეპოვა.

დაგნის ის ღამე არ ეძინა. გაუნძრევლად იწვა და როგორც ინჟინერი, როგორც ჰენკ რიერდენი, გულგრილად, ლამის მათემატიკური სიზუსტით აანალიზებდა ყველაფერს, ღირებულებისა და გრძნობის გათვალისწინების გარეშე. ტანჯვას, რომელსაც რიერდენი თვითმფრინავში ჯდომისას განიცდიდა, დაგნი ღამის სიჩუმეში გრძნობდა იმ პასუხის ძიებისას, რომელიც ვერა და ვერ ეპოვა. თვალი შეავლო წარწერებს თავისი ოთახის კედლებზე, რომლებიც მთვარის შუქზე რთული გასარჩევი იყო, მაგრამ მძიმე წუთებში მყოფი ადამიანების ამ სასოწარკვეთილ წამოძახილებთან საერთო ვერაფერი აღმოაჩინა.

* * *

— კი თუ არა, მის ტაგარტ?

დაგნი სახეში შეჰყურებდა ოთხ მამაკაცს მალიგანის სასტუმრო ოთახის ბინდში.

გოლტს მეცნიერის მშვიდი, უემოციო და ყურადღებიანი სახე ჰქონდა; ფრანცისკოს ოდნავ შესამჩნევი ღიმილი ორივენაირი პასუხით დაინტერესებას მალავდა და მის სახეს არაფრისმთქმელ გამომეტყველებას სძენდა; ჰიუ ექსტონი თანაგრძნობითა და მამობრივი სითბოთი შესცქეროდა; როდესაც მაიდას მალიგანმა დაგნის შეკითხვა დაუსვა, მის ხმაში კატეგორიულობის ნატამალი არ ისმოდა. ამ დროს სადღაც, ორი ათასი მილის მოშორებით, ნიუ-იორკის თავზე, დაისის ბინდში მოკიაფე კალენდარი 28 ივნისს იუწყებოდა, და დაგნის მოულოდნელად მოეჩვენა, რომ ეს კალენდარი აქ, ამ ოთახში შეკრებილი ადამიანების თავზე, სივრცეში ეკიდა.

— ერთი დღე კიდევ დამრჩა, — თქვა მშვიდად დაგნიმ, — ნებას მომცემთ, ის გამოვიყენო? მგონი, უკვე მივიღე გადაწყვეტილება, მაგრამ ბოლომდე

დარწმუნებული არ ვარ მის სისწორეში. მინდა, კიდევ დავფიქრდე, რომ ეჭვი აღარაფერში შემეპაროს.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მალიგანმა, — ზეგ დილამდე შეგიძლიათ, იფიქროთ.

ჩვენ მოვიცდით.

— ჩვენ მერეც მოვიცდით, თქვენს აქ არყოფნაში, თუ ეს საჭირო იქნება, — უთხრა ქალს ჰიუ ექსტონმა.

დაგნი ფანჯარასთან იდგა და კაცებს უყურებდა. ერთი წუთით კმაყოფილება იგრძნო, როდესაც გააცნობიერა, რომ წელში გამართული იდგა, მღელვარებისგან ხელები არ უკანკალებდა, მისი ხმაც მათსავით მტკიცედ და უდრტვინველად ჟღერდა; ამის გამო წუთით ერთგვარი კავშირი იგრძნო მათთან.

— თუ თქვენი ყოყმანის მიზეზი ნაწილობრივ გულსა და გონებას შორის კონფლიქტია, — უთხრა ქალს გოლტმა, — გონებას მიჰყევით.

— გაითვალისწინეთ ის მიზეზები, რომელმაც ჩვენ დაგვარწმუნა, რომ არ ვცდებით, — მიმართა დაგნის ჰიუ ექსტონმა, — მაგრამ არა ის ფაქტი, რომ ჩვენ დარწმუნებული ვართ. თუ თქვენ მერყეობთ, უგულებელყავით ჩვენი დარწმუნებულობა. არ შეცდეთ და თქვენი საკუთარი განსჯის უნარი ჩვენით არ ჩაანაცვლოთ.

— ნუ დაეყრდნობით ჩვენს ცოდნას, თუ რა არის საუკეთესო თქვენი მომავლის თვის, — უთხრა ქალს მალიგანმა, — ჩვენ მართლაც ვიცით, მაგრამ ეს საუკეთესო თქვენთვის იქამდე ვერ იქნება, ვიდრე ამას თავად არ გააცნობიერებთ.

— ნუ გაითვალისწინებ ჩვენს ინტერესებსა და სურვილებს, — მიმართა ფრანცისკომ, — შენ მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ხარ ვალდებული.

დაგნიმ გაიღიმა. მისი ღიმილი არც სევდას გამოხატავდა და არც სიხარულს. მან გაიღიმა, რადგან გაიფიქრა, ასეთ რჩევებს ვერასოდეს მოისმენდა გარე სამყაროში.

იცოდა, რომ ეს ადამიანები თავგანწირვით ცდილობდნენ მის დახმარებას იქ, სადაც დახმარება არ შეიძლებოდა და იგრძნო, რომ მოვალე იყო, დაემშვიდებინა ისინი.

— მე ძალით შემოვიჭერი აქ, — თქვა დაგნიმ მშვიდად, — და ვალდებული ვარ, თავადვე ვიტვირთო პასუხისმგებლობა. ასეც მოვიქცევი.

ჯილდოდ გოლტის ღიმილი ებოძა, რომელიც სამხედრო დამსახურებისთვის მინიჭებულ მედალს ჰგავდა.

ქალმა გვერდზე გაიხედა და უცებ „კომეტაზე“ მყოფი მაწანწალა ჯეფ ალენი გაახსენდა. გაახსენდა, როგორი აღფრთოვანებული იყო, როდესაც ალენი შეეცადა, ურთიერთობა გაეადვილებინა მისთვის და ეთქვა, რომ იცოდა, საითაც მიდიოდა და რა მიზნით, ბრმად კი არ მიუყვებოდა გზას. დაგნიმ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, როცა გაიფიქრა, რომ უკვე გამოსცადა ორივე როლი და იცის — იმაზე უფრო მდაბალი და ფუჭი საქციელი არ არსებობს, ვიდრე არჩევანზე უარის თქმით საკუთარი ტვირთის მეორე ადამიანისთვის მიგდებაა. უცნაურმა სიმშვიდემ მოიცვა; მან იცოდა, რომ ეს დაძაბულობა იყო, თუმცა სრული სიცხადით გამოწვეული დაძაბულობა. დაგნის თავში გაუელვა: „ის შესანიშნავად მოქმედებს კრიტიკულ ვითარებაში, მე მასთან არაფერი გამიჭირდება“, — და გააცნობიერა, რომ ამ ყველაფერს საკუთარ თავზე ფიქრობდა.

— ზეგამდე ამაზე ნუღარ ვისაუბრებთ, მის ტაგარტ, — მიმართა ქალს მაიდას მალიგანმა, — დღეს ჯერ კიდევ აქ ბრძანდებით.

— გმადლობთ, — უპასუხა დაგნიმ.

ის ფანჯარასთან დარჩა, მამაკაცები კი ხეობის საქმეების განხილვას შეუდგნენ; ეს ამ თვის ბოლო თათბირი იყო. მათ ცოტა ხნის წინ ივახშმეს და დაგნის თავისი პირველი ვახშამი გაახსენდა ამ სახლში, ერთი თვით ადრე; მას ახლაც ისევე ეცვა, როგორც მაშინ — გარე სამყაროდან გამოყოლილი ნაცრისფერი პიჯაკი და გლეხური ქვედატანი, რომელიც მზიან ამინდში ძალიან მოსახერხებელი იყო. „ამ საღამოს ჯერ კიდევ აქ ვარ“, — ფიქრობდა დაგნი და ხელისგულით ფანჯრის რაფას დაჰყრდნობოდა.

მზეს, რომელიც ჯერაც არ ჩასვენებულიყო მთებს მიღმა, უხილავ ღრუბლებს შერწყმული, მაცდურად მოწმენდილი და ლურჯი ცა გადაჰფარებოდა; მხოლოდ ღრუბლების კიდეებს დაუყვებოდა წვრილი მოციმციმე ალი და დაგნიმ გაიფიქრა, რომ ეს ნეონის მილების დაგრეხილ და მოკაშკაშე ქსელს ჰგავდა... რუკაზე გამოსახული მიხვეულ-მოხვეული მდინარეებისა და ცაზე მატარებლის მიერ დატოვებული თეთრი ორთქლის კვალის მსგავსად.

გაიგონა, რომ მალიგანი გოლტს იმ ადამიანების სახელების სიას გადასცემდა, რომლებიც გარე სამყაროში არ ბრუნდებოდნენ.

— ჩვენ ყველა მათგანის დასაქმება შეგვიძლია, — ეუბნებოდა მალიგანი გოლტს, — წელს მხოლოდ ათი-თორმეტი კაცი თუ ბრუნდება გარე სამყაროში, ისიც იმისთვის, რომ იქ საქმიანობა დაასრულონ, გაყიდონ თავიანთი საკუთრება და სამუდამოდ ხეობაში დასახლდნენ. ვფიქრობ, ეს ჩვენთვის შვებულების უკანასკნელი თვე იყო, რადგან მომავალი წლის ბოლომდე ყველანი აქ ვიცხოვრებთ.

— კარგია, — უპასუხა გოლტმა.

— ნამდვილად ასე მოგვიწევს, გარე სამყაროში მოვლენების განვითარებას თუ გავითვალისწინებთ.

— ასეა.

— ფრანცისკო, — მიმართა მალიგანმა, — შენ ხომ რამდენიმე თვეში უკან დაბრუნდები? — ყველაზე გვიან, ნოემბერში მაინც, — უპასუხა ფრანცისკომ, — როდესაც მზად ვიქნები დასაბრუნებლად, მოკლეტალღურ შეტყობინებას გამოგიგზავნით. ჩემს სახლში გათბობას ჩართავთ?

— ჩავრთავ, — მიუგო ჰიუ ექსტონმა, — და ვახშამსაც მზად დაგახვედრებ.

— ჯონ, როგორც ვხვდები, ამჯერად შენ ნიუ-იორკში არ ბრუნდები, — უთხრა გოლტს მალიგანმა.

გოლტმა ერთი წუთით შეხედა მაიდასს, შემდეგ კი მშვიდი ხმით უპასუხა:

— ჯერ არ გადამიწყვეტია ეგ ამბავი.

დაგნიმ შენიშნა, როგორი შეშფოთებით გადმოიხარნენ წინ ფრანცისკო და მალიგანი და გოლტს მიაშტერდნენ, ჰიუ ექსტონი კი აუჩქარებლად შეჰყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს მონაცვლეობით; მას თითქოს არ გაჰკვირვებია გოლტის ნათქვამი.

— ნუთუ აპირებ, კიდევ ერთი წელი გაატარო იმ ჯოჯოხეთში? — ჰკითხა მალიგანმა ჯონს.

— ვაპირებ.

— ღმერთო ჩემო, ჯონ! — რისთვის?

— გეტყვით, როცა გადაწყვეტილებას მივიღებ.

— კი მაგრამ, იქ ხომ აღარაფერი დაგრჩა გასაკეთებელი. ჩვენ ყველა აქ გვყავს, ვისაც ვიცნობდით და ვისი გაცნობის იმედიც გვქონდა. ჩვენი სია დასრულებულია, მხოლოდ ჰენკ რიერდენი გვაკლია, და ამ წლის ბოლომდე ისიც აქ გვეყოლება, მის ტაგარტიც, თუ თავად მოისურვებს. სულ ეს არის. შენი საქმე უკვე შეასრულე. იქ,

გარე სამყაროში, აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ დაველოდოთ, როდის დაემხობათ თავზე ყველაფერი.

— ვიცი.

— ჯონ, ნამდვილად არ მინდა, შენც იქ იყო, როდესაც ეს უბედურება მოხდება.

— ჩემზე ნუ იღელვებთ.

— ნუთუ ვერ ხვდები, რა ეტაპს უახლოვდებიან ისინი? ერთი ნაბიჯიღა აშორებთ აშკარა ძალადობამდე. ჯანდაბა, მათ უკვე დიდი ხნის წინ გადადგეს ეს ნაბიჯი, დაადასტურეს და განაცხადეს კიდეც ამის შესახებ, მაგრამ ცოტა ხანში ბოლომდე გააცნობიერებენ, რაც ჩაიდინეს, პირისპირ შეეჩეხებიან აშკარა, უგუნურ, თვითნებურ და სისხლისმღვრელ ძალმომრეობას, რომელიც გამძვინვარებული ანადგურებს ყველას და ყველაფერს, რაც კი გზად შემოხვდება. არ მინდა, ამ დროს იქ იყო.

— ჩემზე არ იდარდოთ.

— ჯონ, რისკი საჭირო არ არის, — უთხრა გოლტს ფრანცისკომ.

— რომელი რისკი?

— მძარცველები შეშფოთებული არიან ადამიანების გაუჩინარების გამო. ისინი რაღაცას ეჭვობენ. ყველაზე მეტად სწორედ შენთვის არის სახიფათო იქ დარჩენა.

შესაძლოა, მათ შეიტყონ, ვინც ხარ.

— ამის ძალიან მცირე შანსი არსებობს.

— მაგრამ გარისკვა მაინც არ არის საჭირო. იქ ისეთი აღარაფერი დარჩა, რასაც მე და რაგნარი ვერ დავასრულებთ.

ჰიუ ექსტონი სავარძლის საზურგეს მიჰყრდნობოდა და უხმოდ შესცქეროდა დანარჩენებს, დაძაბული სახით, თან სევდით და თან ღიმილით. ასეთი გამომეტყველებით აკვირდება ადამიანი საინტერესო პროცესს, რომლის საბოლოო შედეგიც მისთვის წინასწარვე სრულიად ცხადია.

— თუ მე დავბრუნდები გარე სამყაროში, — ამბობდა გოლტი, — ამის მიზეზი ჩვენი საერთო საქმე კი არა, ის ერთადერთი რამ იქნება, რომელიც მსურს, სამყაროსგან ჩემი საკუთარი საჭიროებისთვის მივიღო. მე სამყაროდან არაფერი წამომიღია და არც არაფერი მომითხოვია. მაგრამ არის ერთადერთი რამ, რასაც ჯერ კიდევ ის ფლობს, რაც მე მეკუთვნის და სამყაროს არ დავუთმობ. არა, მე არ ვაპირებ ჩემი ფიცის გატეხას და მძარცველებთან საქმის დაჭერას, არავის არ დავეხმარები გარე სამყაროში, არც მძარცველებს, არც ნეიტრალური პოზიციის მქონე ადამიანებს და არც მოღალატეებს. მე მხოლოდ საკუთარი თავის გამო თუ დავბრუნდები იქ — და არ მგონია, ამით საფრთხეში ვაგდებდე ჩემს სიცოცხლეს, თუმცა, ასეც რომ იყოს, ახლა უკვე მაქვს ამის სრული უფლება.

მართალია, გოლტი ამ დროს დაგნის არ უყურებდა, მაგრამ ქალი იძულებული გახდა, მიბრუნებულიყო და ფანჯარას მიჰყრდნობოდა, რადგან მღელვარებისგან ხელები უკანკალებდა.

— კი მაგრამ, ჯონ! — წამოიძახა მალიგანმა და ხელი ხეობისკენ გაიშვირა, — შენ რომ რამე დაგემართოს, ჩვენ რა... — მაიდასი უცებ გაჩუმდა და დამნაშავის გამომეტყველება მიიღო.

გოლტმა ჩაიცინა:

— რის თქმას აპირებდი? — მალიგანმა პასუხად დარცხვენით ჩაიქნია ხელი, — იმისას ხომ არა, რომ ჩემი დაღუპვა ნამდვილი ტრაგედია იქნება მთელი სამყაროსთვის?

— კარგი, — უპასუხა მალიგანმა დამნაშავესავით, — არ ვიტყვი ამას. არ ვიტყვი, რომ შენ გარეშე ვერ შევძლებთ ცხოვრების გაგრძელებას. შევძლებთ. არ გთხოვ აქ დარჩენას ჩვენ გამო. აღარ მეგონა, თუ როდისმე კიდევ მომიწევდა ეს ოხერი ხვეწნა-მუდარა, მაგრამ, ჯანდაბა! — ეს ძალიან დიდი ცდუნება იყო, თითქმის მესმის კიდეც, რატომ იქცევა ხალხი ასე. ვიცი, რომ მხოლოდ შენი გადასაწყვეტია, ჩააგდებ თუ არა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში. აბა, რაღაა სალაპარაკო, მაგრამ... ოჰ, ღმერთო ჩემო, ჯონ, შენი სიცოცხლე იმდენად ძვირფასია!

გოლტმა გაიღიმა:

— ვიცი და სწორედ ამიტომაც მგონია, რომ საშიში არაფერია, რომ მე გავიმარჯვებ, ფრანცისკო დუმდა და დაჟინებით შეჰყურებდა გოლტს, დაბნეული და მოღუშული, თითქოს პასუხი ვერ ეპოვა, მაგრამ მოულოდნელად კითხვა აღმოაჩინა.

— მომისმინე, ჯონ, — მიმართა გოლტს მალიგანმა, — რადგან ჯერ არ გადაგიწყვეტია, დაბრუნდები თუ არა გარე სამყაროში... ხომ არ გადაგიწყვეტია, ასე არ არის? — არა, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— რადგან ასეა, ნებას მომცემ, შეგახსენო რაღაც-რაღაცები?

— გისმენ.

— მე შემთხვევითი საფრთხეების მეშინია — დაღუპვის პირას მისული სამყაროს უაზრო, მოულოდნელი საფრთხეების. სულელებისა და შიშისგან გონებადაბნელებული ლაჩრების ხელში რთული მექანიზმები ძალიან საშიში ხდება. თუნდაც მათი რკინიგზა გაიხსენე — ყოველ ჯერზე, როდესაც კი მატარებლით მგზავრობას გადაწყვეტ, იარსებებს ალბათობა, კატასტროფას ემსხვერპლო, აი, ისეთს, უინსტონის გვირაბში რომ მოხდა. ამგვარი კატასტროფები მომავალში უფრო და უფრო გახშირდება. ისინი მალე მიაღწევენ იმ ეტაპს, როდესაც ერთი დღეც არ ჩაივლის სერიოზული ავარიის გარეშე.

— ვიცი.

— იგივე დატრიალდება ყველგან, სადაც კი მანქანებია გამოყენებული, სწორედ ის მანქანები, რომლებსაც, მძარცველების აზრით, ჩვენი გონების ჩანაცვლება შეუძლიათ. თვითმფრინავის ავარიული დაშვება, ნავთობის ცისტერნის აფეთქება, ლითონის გამოსადნობი ბრძმედის გასკდომა, მაღალი ძაბვის სადენების მწყობრიდან გამოსვლა, მეტროპოლიტენისა და ესტაკადების ჩამოქცევა — ისინი ამ ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავენ. სწორედ ის მანქანები, რომელთა წყალობითაც მათი ცხოვრება ასეთი უსაფრთხო იყო, ახლა მას დაუსრულებელ განსაცდელად აქცევენ.

— ვიცი.

— ვიცი, რომ იცი, მაგრამ ყოველი დეტალი თუ გაიაზრე? ცხადად წარმოიდგინე თუ არა ეს ყველაფერი? ვიდრე საბოლოოდ დარწმუნდებოდე, რომ ეს რისკი გამართლებულია, მინდა, სრულად გააცნობიერო, სადაც მიდიხარ. ალბათ ხვდები, რომ ყველაზე ძლიერ დარტყმას ქალაქები მიიღებენ. ქალაქები რკინიგზამ შექმნა და ისინიც მასთან ერთად განადგურდებიან.

— მართალი ხარ.

— რკინიგზის განადგურებიდან ორ დღეში ნიუ-იორკში შიმშილობა დაიწყება. მათი საკვების მარაგი ამოიწურება. ნიუ-იორკს სამი ათასი მილის სიგრძის კონტინენტი არჩენს. როგორ ჩაიტანენ სურსათს ნიუ-იორკში? დირექტივითა და ფორნებით?

მაგრამ, მანამდე აგონიით შეპყრობილი ქალაქის ყველა უბედურებას იგემებენ — სიცივეს, გაჭირვებას, მშიერ ამბოხს, პანიკურ ძალმომრეობას.

— ასეა.

— თავდაპირველად თვითმფრინავებს დაკარგავენ, შემდეგ ავტომობილებს, საზიდრებს, ფორნებს.

— ასეა.

— მათი ქარხნები გაჩერდება, შემდეგ ლითონის გამოსადნობი ბრძმედები და რადიოსადგურებიც შეწყვეტენ მუშაობას. ბოლოს მათი ელექტროსისტემაც გაითიშება.

— ასე იქნება.

— ამ კონტინენტის რეგიონებს ერთადერთი გაცვეთილი ძაფი დააკავშირებს.

ჯერ დღეში ერთი მატარებელი იმოძრავებს, შემდეგ კვირაში ერთი, ბოლოს ტაგარტის ხიდიც ჩამოიქცევა და...

— არა, არ ჩამოიქცევა!

დაგნის ხმაზე ყველანი მისკენ შეტრიალდნენ. დაგნის სახე გაჰფითრებოდა, მაგრამ ახლა უფრო მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, ვიდრე ცოტა ხნის წინ, როდესაც მათ შეკითხვებს პასუხობდა.

გოლტი ნელა წამოდგა და, თითქოს განაჩენს ისმენდა, თავი დახარა:

— თქვენ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება, — უთხრა მან ქალს.

— მივიღე.

— დაგნი, — უთხრა ჰიუ ექსტონმა ქალს, — ძალიან ვწუხვარ. — ექსტონი ლაპარაკისას თავს ძალას ატანდა, თითქოს ცდილობდა, ოთახში ჩამოწოლილი სიჩუმე სიტყვებით შეევსო, თუმცა ვერ ახერხებდა, — ნეტავ ასე არ მომხდარიყო, ამას ყველაფერი მერჩივნა, გარდა იმისა, რომ აქ იმიტომ დარჩენილიყავით, თქვენი მრწამსი საკმარისად მტკიცე რომ არ აღმოჩნდა.

დაგნიმ უსაზღვრო გულწრფელობით გაშალა ხელები და ყველას ხმადაბლა, დაუფარავი მღელვარებით მიმართა:

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა თქვენგანმა იცოდეს: ისე მინდა აქ დარჩენა, რომ თანახმა ვიქნებოდი, საკუთარი სიცოცხლეც კი დამეთმო ხეობაში გატარებული ერთი თვის სანაცვლოდ. მაგრამ გადავწყვიტე, ვიცოცხლო და ვერ მივატოვებ ბრძოლას, რომელსაც ჩემს მოვალეობად ვთვლი.

— რა თქმა უნდა, — უთხრა ქალს მალიგანმა მოწიწებით, — თუ თქვენ ჯერ კიდევ ადრინდელივით ფიქრობთ.

— თუ გინდათ, გაიგოთ ის ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ვბრუნდები უკან, გეტყვით: არ შემიძლია, საკუთარი თავი ვაიძულო და განადგურებისთვის გავიმეტო სამყაროს მთელი სიდიადე, რომელიც მე და თქვენ გვეკუთვნოდა, რომელიც ჩვენ შევქმენით და კანონიერად ჯერ კიდევ ჩვენია, რადგან ვერ დავიჯერებ, რომ ადამიანები ხედვის უნარზე უარს იტყვიან, რომ სამუდამოდ დაიბრმავებენ და დაიყრუებენ თავებს, მაშინ, როდესაც სიმართლე ჩვენ მხარეზეა და მათი სიცოცხლე სწორედ ამის აღიარებაზეა დამოკიდებული. მათ ჯერ კიდევ უყვართ თავიანთი სიცოცხლე და სწორედ ეს არის მათი გონების გაურყვნელი ნარჩენი. სანამ ადამიანებს სიცოცხლის სურვილი ექნებათ, მე ფარ-ხმალს ვერ დავყრი.

— აქვთ კი? — მიმართა ქალს ჰიუ ექსტონმა წყნარი ხმით, — აქვთ კი მათ სიცოცხლის სურვილი? არა, ახლა არ მიპასუხოთ. ვიცი, რომ პასუხის პოვნა და მიღება ყველა ჩვენგანისთვის ურთულესი საქმე იყო. უბრალოდ, გარე სამყაროში დაბრუნებისას იფიქრეთ ამ კითხვაზე, როგორც უკანასკნელ წანამძღვარზე, რომელიც უნდა გადაამოწმოთ.

— თქვენ ჩვენგან მიდიხართ, როგორც ჩვენი მეგობარი, — უთხრა ქალს მაიდას მალიგანმა, — ჩვენ ყველაფერს შევეწინააღმდეგებით, რასაც გააკეთებთ, რადგან ვიცით, რომ ცდებით, მაგრამ ამას ისე ნუ გაიგებთ, თითქოს გკიცხავდეთ.

— თქვენ უკან დაბრუნდებით, — თქვა ჰიუ ექსტონმა, — რადგან ეს შეცდომაა და არა მორალური მარცხი, თქვენ ბოროტებას კი არ ნებდებით, არამედ უკანასკნელად ხდებით თქვენი საკუთარი სათნოების მსხვერპლი. ჩვენ დაგელოდებით და, დაგნი, როდესაც უკან დაბრუნდებით, აღმოაჩენთ, რომ არ უნდა ყოფილიყო არავითარი კონფლიქტი თქვენს სურვილებს შორის და არც ღირებულებათა ტრაგიკული შეჯახება, რომელიც ასე მტკიცედ გადაიტანეთ.

— მადლობელი ვარ, — უპასუხა დაგნიმ და თვალები დახუჭა.

— ჩვენ თქვენი გამგზავრების პირობები უნდა განვიხილოთ, — თქვა გოლტმა საქმიანი, გულგრილი ტონით, — უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგვპირდეთ, რომ არ გათქვამთ ჩვენს საიდუმლოს მთლიანად ან ნაწილობრივ; არც ჩვენი გაფიცვის მიზეზს, არც ჩვენს და არც ამ ხეობის არსებობას, არც თქვენს ადგილსამყოფელს ბოლო ერთი თვის განმავლობაში არ გაანდობთ არც ერთ ადამიანს გარე სამყაროში, არასდროს და არავითარი მიზნით.

— გპირდებით.

— ამას გარდა, თქვენ აღარასოდეს აღარ უნდა შეეცადოთ ამ ხეობის პოვნას.

თქვენ აღარ უნდა მოხვიდეთ აქ დაუპატიჟებლად. პირველ პირობას თუ დაარღვევთ, ეს ჩვენ დიდ საფრთხეს არ შეგვიქმნის, მაგრამ თუ მეორე პირობას არ შეასრულებთ, სერიოზული საშიშროება დაგვემუქრება. ჩვენ არასდროს ვყოფილვართ დამოკიდებული ვინმეს კეთილ ნებაზე ან დაპირებაზე, რომლის შესრულებას პირობის მომცემს ვერ ვაიძულებთ. არც იმას მოველით, რომ საკუთარ ინტერესებზე წინ ჩვენსას დააყენებთ. რაკი თქვენი კურსი სწორად მიგაჩნიათ, ერთ დღესაც შესაძლოა, საჭიროდ ჩათვალოთ, ჩვენს მტრებს ხეობისკენ მომავალი გზა უჩვენოთ. ამიტომ ჩვენ ამის საშუალებას არ დაგიტოვებთ. ამ ხეობიდან თვალახვეულს გაგიყვანთ, თვითმფრინავით, და დიდხანს იფრენთ, რომ უკან დაბრუნებულმა აქეთკენ მომავალი გზა ვეღარ აღიდგინოთ.

ქალმა თავი ჩაღუნა:

— მართალი ხართ.

— თქვენი თვითმფრინავი უკვე შეაკეთეს. გინდათ, გადაიხადოთ რემონტის საფასური თქვენი ანგარიშიდან „მალიგან ბანკში“ და უკან დაიბრუნოთ ის?

— არა.

— მაშინ ჩვენ თქვენს თვითმფრინავს იქამდე დავიტოვებთ, ვიდრე ფულის გადახდას არ გადაწყვეტთ. ზეგ ჩემი თვითმფრინავით გაგიყვანთ ხეობიდან და ისეთ ადგილას დაგტოვებთ, საიდანაც შეძლებთ, რაიმე სხვა ტრანსპორტს გაჰყვეთ.

დაგნიმ თავი დაუქნია:

— ძალიან კარგი.

უკვე ბნელოდა, როდესაც გოლტი, დაგნი და ფრანცისკო მაიდას მალიგანის სახლიდან წამოვიდნენ. ბილიკი, რომელიც გოლტის სახლისკენ მიდიოდა, ფრანცისკოს ქოხსაც ჩაუვლიდა. სიბნელეში რამდენიმე განათებული ფანჯარა მიმობნეულიყო, ბურუსის პირველი სვეტები ბილიკზე შორეული ზღვიდან მოვლენილ ლანდებს ჰგავდა.

სამივენი მდუმარედ მიაბიჯებდნენ, მაგრამ მათი ნაბიჯების ერთსულოვანი რიტმი გაისმოდა იმ სიტყვებად, რომლებიც სხვა ფორმით არ გამოთქმულა.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანცისკომ თქვა:

— ეს არაფერს ცვლის, უბრალოდ, ცოტათი აგრძელებს გზას, მართალია, უკანასკნელი მონაკვეთი ყველაზე რთულია, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ის მაინც უკანასკნელია.

— მეც ამის იმედი მაქვს, — უპასუხა დაგნიმ, ერთი წუთის შემდეგ კი ხმადაბლა დასძინა, — უკანასკნელი ყველაზე რთულია. — შემდეგ გოლტს მიუბრუნდა, — შეიძლება, ერთი რაღაც გთხოვოთ?

— დიახ.

— ნებას მომცემთ, ხვალვე წავიდე?

— თქვენი ნებაა.

მალე ფრანცისკო ისევ ალაპარაკდა, თითქოს რაღაც გაურკვევლობას მიმართავდა დაგნის გონებაში, კითხვაზე პასუხის ინტონაციით:

— დაგნი, სამივე ჩვენგანი შეყვარებულია, — ქალმა მკვეთრად მიაბრუნა თავი მისკენ, — ერთსა და იმავე საგანზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმა აქვს მას. ნუ გაოცებს, რომ ჩვენ შორის გაუცხოებას ვერ გრძნობ. შენ ერთ-ერთი ჩვენგანი იქნები მანამდე, სანამ გეყვარება შენი რკინიგზის ხაზები და ძრავები, და ისინი ჩვენთან დაგაბრუნებენ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ დროს დაკარგავ გზაში. მხოლოდ იმ ადამიანის გადარჩენაა შეუძლებელი, ვისაც არაფერი არ უყვარს.

— გმადლობ, — უპასუხა ქალმა მშვიდი ხმით.

— რისთვის?

— იმისთვის... იმისთვის, რომ ასე ლაპარაკობ.

— როგორ ვლაპარაკობ? მითხარი, დაგნი.

— ისე... თითქოს ბედნიერი ხარ.

— მე ბედნიერი ვარ, ზუსტად ისევე, როგორც შენ. არ მითხრა, რას გრძნობ. ეს ისედაც ვიცი. მაგრამ შენი სიყვარულის საზომი სწორედ ტანჯვის ის საზომია, რომლის მოთმენაც შეგიძლია. ჩემთვის კი ყველაზე აუტანელი სატანჯველი იქნებოდა, მენახა, რომ შენ გულგრილი გახდი.

დაგნიმ დ'ანკონიას უსიტყვოდ დაუქნია თავი, მართალია, სიხარულისმაგვარს ვერაფერს გრძნობდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ფრანცისკო მართალი იყო,.

ნისლი კვამლივით ეფინებოდა მთვარეს და ფრანცისკოსა და ჯონს შორის მიმავალი დაგნი მათ სახეებს ვერ ხედავდა: მხოლოდ სწორ სილუეტებსა და ნაბიჯების მკაფიო რიტმს აღიქვამდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ უნდოდა, უსასრულოდ ევლო ასე. ამ გრძნობას სახელს ვერ არქმევდა, მხოლოდ ის იცოდა, რომ არც ეჭვი იყო და არც ტკივილი.

როდესაც ფრანცისკოს სახლს მიუახლოვდნენ, დ'ანკონია გაჩერდა და კარისკენ გაიშვირა ხელი:

— ეგებ შემოხვიდეთ, ეს ხომ ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი ღამეა ხანგრძლივი განშორების წინ? ვადღეგრძელოთ მომავალი, რომლისაც სამივეს გვწამს.

— გვწამს კი? — იკითხა ქალმა.

— დიახ, — თქვა გოლტმა, — გვწამს.

როდესაც ფრანცისკომ სახლში სინათლე აანთო, დაგნიმ ორივე მამაკაცს სახეზე შეხედა. ვერ ხვდებოდა, რას გამოხატავდა მათი გამომეტყველება. ეს არც ბედნიერება იყო და არც რაიმე სიხარულის მსგავსი. ორივე დაძაბული და სერიოზული ჩანდა, მაგრამ დაგნიმ გაიფიქრა, რომ ეს რაღაცნაირ მგზნებარე

სერიოზულობას წააგავდა, თუკი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელი იყო. უცნაურ მგზნებარებას დაესადგურებინა მის სულშიც და სახეზეც ასეთივე სხივი მოჰფენოდა.

ფრანცისკო კარადისკენ გაემართა სასმისების გამოსაღებად, მაგრამ უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში და შეჩერდა. მხოლოდ ერთი სასმისი დადგა მაგიდაზე, მერე კი სებასტიან დ'ანკონიას ვერცხლის ორი თასი მოიტანა და გვერდით მიუდგა.

— პირდაპირ ნიუ-იორკში მიდიხარ, დაგნი? — ჰკითხა ქალს ფრანცისკომ მასპინძლის მშვიდი ტონით და დაძველებული ღვინით სავსე ბოთლი გამოიღო.

— დიახ, — უპასუხა დაგნიმაც ასევე მშვიდად.

— ხვალ ბუენოს-აირესში მივფრინავ, — განაგრძო დ'ანკონიამ და ბოთლი გახსნა, — არ ვიცი, მოგვიანებით ნიუ-იორკში დავბრუნდები თუ არა, მაგრამ თუ ასე მოხდა, ჩემთან შეხვედრა შესაძლოა, შენთვის საშიში აღმოჩნდეს.

— ეს არ მანაღვლებს, — მიუგო დაგნიმ, — თუ, რა თქმა უნდა, თვითონ არ ამიკრძალავ შენს ნახვას.

— ასეა, დაგნი. ნიუ-იორკში ჩემი ნახვის უფლება არ გაქვს.

ფრანცისკო ღვინოს ასხამდა და თან გოლტს შესცქეროდა:

— ჯონ, როდის გადაწყვეტ, უკან ბრუნდები თუ აქ რჩები?

გოლტმა პირდაპირ სახეში შეხედა დ'ანკონიას, შემდეგ კი აუჩქარებლად, იმ ადამიანის ტონით უპასუხა, რომელიც კარგად აცნობიერებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის სიტყვებს:

— მე უკვე გადავწყვიტე, ფრანცისკო. უკან ვბრუნდები.

ფრანცისკოს ხელი გაუშეშდა და რამდენიმე წამი გოლტის სახის გარდა ვეღარაფერს ხედავდა. შემდეგ დაგნიზე გადაიტანა მზერა. მერე ბოთლი დადგა და, მართალია, ადგილიდან არ დაძრულა, მაგრამ მისმა მზერამ თითქოს უკან დაიხია, რომ დაგნი და ჯონი ერთად დაენახა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — თქვა მან.

ფრანცისკო თითქოს კიდევ უფრო შორიდან შესცქეროდა დაგნისა და გოლტს და ახლა მთელ ცხოვრებას ჭვრეტდა. მისი ხმა მშვიდად, გულგრილად ჟღერდა და მისი ხედვის მასშტაბს შეესაბამებოდა.

— მე ეს უკვე თორმეტი წლის წინ ვიცოდი, — განაგრძო დ'ანკონიამ, — იქამდე ვიცოდი, ვიდრე შენ გაიგებდი, და უნდა მივმხვდარიყავი, რომ შენც გაიგებდი ამას. იმ ღამეს, როდესაც ნიუ-იორკში გვიხმე, მივხვდი, ვინ იყო იმ ყველაფრის განსხეულება, — ფრანცისკო გოლტს მიმართავდა, მაგრამ მზერა დაგნისთვის მიეპყრო, — რასაც შენ ეძებდი... ყველაფრის, რისი გულისთვისაც შენ სიცოცხლისკენ ან, თუ საჭირო გახდებოდა, სიკვდილისკენაც კი მოგვიწოდებდი. უნდა მივმხვდარიყავი, რომ ამაზე შენც იფიქრებდი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ასე უნდა ყოფილიყო და ასე უნდა იყოს. ეს ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინ გადაწყდა. — დ'ანკონიამ გოლტს შეხედა და ჩუმად ჩაიცინა, — და შენ ამბობ, რომ ყველაზე მძიმე დარტყმა მე მივიღე? დ'ანკონია მკვეთრად გატრიალდა, შემდეგ კი ძალიან ნელა, თითქოს განგებ, ხაზი რომ გაესვა, ჩამოასხა ღვინო სასმისებში; ვერცხლის თასები ხელში აიღო და წამით დახედა მათ, შემდეგ კი ერთი თასი დაგნის გაუწოდა, მეორე — ჯონს.

— გამომართვით, თქვენ დაიმსახურეთ, ეს შემთხვევით არ მომხდარა.

გოლტმა გამოართვა ფრანცისკოს თასი, მაგრამ ეს თითქოს უფრო მისმა მზერამ მოიმოქმედა.

— ამქვეყნად ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ ასე არ მომხდარიყო, — თქვა მან.

დაგნიმაც აიღო თასი, ფრანცისკოს შეხედა და შემდეგ მის დასანახად გადაიტანა მზერა გოლტზე:

— დიახ, — თქვა ქალმა, თითქოს პასუხად, — მაგრამ მე ეს არ დამიმსახურებია და იმ საფასურს, რაც თქვენ უკვე გაიღეთ, მე ახლა ვიხდი, ჯერ ისიც კი არ ვიცი, ოდესმე თუ მოვახერხებ ბოლომდე გადახდას, მაგრამ თუკი ამის საფასური და საზომი ტანჯვაა, დაე, ყველაზე მეტი ჩვენ სამს შორის მე გადავიხადო.

როდესაც ღვინოს სვამდნენ, დაგნიმ თვალები დახუჭა, გრძნობდა, როგორ მიწანწკარებდა სასმელი ყელში და ხვდებოდა, რომ ეს სამივე მათგანისთვის ყველაზე მტანჯველი და ამავე დროს, ყველაზე ამაღელვებელი წუთი იყო.

ქალს გოლტისთვის სიტყვაც არ უთქვამს, როდესაც ისინი მისი სახლისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდნენ. თავიც კი არ მიუბრუნებია კაცისკენ, რადგან ხვდებოდა, რომ წამიერი მზერაც კი შესაძლოა, მეტისმეტად სახიფათო ყოფილიყო. ამ სიჩუმეში სრული თანხმობის სიმშვიდეს გრძნობდა და დაძაბულობასაც, რადგან აცნობიერებდა, რომ არ უნდა ეხსენებინათ ის, რასაც ისინი ხვდებოდნენ.

მაგრამ როდესაც სასტუმრო ოთახში შევიდნენ, დაგნიმ ჯონს შეხედა, მტკიცედ, უეცარი რწმენით, რომ ამის უფლება ჰქონდა, რწმენით, რომ ახლა უკვე აღარ წახდებოდა და საუბარიც საშიში აღარ იყო. მშვიდი ხმით, რომელიც არც მუდარას გამოხატავდა და არც ტრიუმფს და მხოლოდ ფაქტის ფორმულირებას ცდილობდა, წარმოთქვა:

— თქვენ იმიტომ ბრუნდებით გარე სამყაროში, რომ იქ მე დაგხვდებით.

— დიახ.

— არ მინდა, რომ წამოხვიდეთ.

— ეს თქვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული.

— თქვენ ჩემ გამო მიდიხართ იქ.

— არა, საკუთარი თავის გამო.

— ნებას მომცემთ, რომ გნახოთ ხოლმე იქ?

— არა.

— ისევ შორიდან უნდა მითვალთვალოთ, როგორც ადრე?

— უფრო მეტადაც კი.

— თქვენი მიზანი ჩემი დაცვაა?

— არა.

— მაშინ რატომ აკეთებთ ამას?

— იმისთვის, რომ იქ ვიყო იმ დღეს, როდესაც გადაწყვეტთ, ჩვენ შემოგვიერთდეთ.

დაგნიმ დაკვირვებით შეხედა გოლტს, მხოლოდ ამის უფლება მისცა საკუთარ თავს, ოღონდ ისე, თითქოს პასუხს დაეძებდა სიტყვებზე, რომელთა არსსაც ბოლომდე ვერ ჩასწვდომოდა.

— დანარჩენები უკვე წასულები იქნებიან, — აუხსნა გოლტმა, — გარე სამყაროში დარჩენა ძალიან საშიში გახდება. მე იქ თქვენს უკანასკნელ მეგზურად დავრჩები, ხეობაში რომ შემოაღწიოთ, ვიდრე კარი საბოლოოდ ჩაიკეტება.

— ოჰ! — დაგნიმ თავს ძალა დაატანა, რომ არ დაეკვნესა. შემდეგ კი ისევ გულგრილი ტონით განაგრძო, — რა მოხდება, თუ გეტყვით, რომ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და თქვენს გაფიცვას არასდროს შემოვუერთდები?

— ეს ტყუილი იქნება.

— და თუ ახლა გადავწყვიტე, რომ ყოველთვის ჩემი არჩევნის ერთგული დავრჩები, იმისდა მიუხედავად, თუ რა მოხდება მომავალში?

— იმისდა მიუხედავად, რა ფაქტებს წააწყდებით მომავალში და როგორ შეგეცვლებათ შეხედულებები?

— დიახ.

— ეს ტყუილზე უარესი იქნება.

— დარწმუნებული ხართ, რომ მცდარი გადაწყვეტილება მივიღე?

— დარწმუნებული ვარ.

— მიგაჩნიათ, რომ ადამიანი საკუთარ შეცდომებზე თავადვე უნდა აგებდეს პასუხს?

— ვეთანხმები.

— მაშინ რატომ არ მაძლევთ საშუალებას, ჩემი გადაწყვეტილების შედეგებზე თვითონ ვაგო პასუხი?

— მე გაძლევთ ამის საშუალებას და თქვენ უთუოდ აგებთ პასუხს.

— თუ მე მეტისმეტად გვიან გადავწყვიტე ხეობაში დაბრუნება, რატომ უნდა გარისკოთ და ჩემ გამო ხეობის შესასვლელი ღია დატოვოთ?

— არავინ მავალდებულებს ამის გაკეთებას. არც გავაკეთებდი, პირადი მიზანი რომ არ მამოძრავებდეს.

— მაინც, რომელი პირადი მიზანი?

— მსურს, რომ აქ იყოთ.

დაგნიმ თვალები დახუჭა და თავი დახარა, გულწრფელად აღიარა, რომ დამარცხდა, დამარცხდა კამათში და რომ უშედეგოდ ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, როდესაც სრულად აცნობიერებდა იმის მნიშვნელობას, რასაც ტოვებდა.

შემდეგ თავი ასწია და თვითონაც გულწრფელად შეხედა გოლტს — არაფერი დაუმალავს, ყველაფერს მისი მზერა ამბობდა.

გოლტს ახლაც ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც მაშინ, როდესაც დაგნიმ ხეობაში პირველად გაახილა თვალი და ის დაინახა: მშვიდი და გამჭრიახი, სრულიად თავისუფალი ყოველგვარი ტკივილის, შიშისა და დანაშაულის გრძნობისგან. დაგნიმ გაიფიქრა, რომ შესძლებოდა, მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება აქ, ამ ადგილას იდგებოდა, და თვალს არ მოსწყვეტდა წარბების სწორ ხაზს გოლტის მუქ მწვანე თვალებს ზემოთ, პირზე დაფენილ ჩრდილს, თითქოს ლითონისგან ჩამოსხმულ მის ყელს პერანგის მოღეღილ საყელოში და მის ძალდაუტანებელ დგომას. მაგრამ მეორე წამსვე გააცნობიერა, რომ თუ ამ ცდუნებას აჰყვებოდა, ყველაფერს უღალატებდა, რაც კი ამ სურათს მნიშვნელობას ანიჭებდა.

უცებ შეიგრძნო, — არა როგორც წარსული, არამედ როგორც ამწამიერი განცდა, — რომ მის გონებაში გაცოცხლდა წუთი, როდესაც ნიუ-იორკში თავისი ოთახის ფანჯრიდან გადაჰყურებდა ნისლში გახვეულ ქალაქს, ოკეანეში ჩაძირულ მითიურ კუნძულ ატლანტიდას რომ ჰგავდა, და მიხვდა: სწორედ ახლა მიაგნო იმ წუთის პასუხს.

დაგნი სიტყვებს კი არ გრძნობდა, რომლებითაც ქალაქს მაშინ მიმართავდა, არამედ ენით გამოუთქმელ განცდას, ეს სიტყვები რომ წარმოშვა: „შენ, რომელიც სულ მიყვარდი და ვერ გპოულობდი, შენ, რომლის ნახვასაც რკინიგზის ხაზის ბოლოში, ჰორიზონტს გადაღმა მოველოდი“...

ხმამაღლა კი მხოლოდ ეს თქვა:

— მინდა, ეს იცოდეთ. მე ჩემი ცხოვრება ერთადერთი ჭეშმარიტებით დავიწყე:

მტკიცედ მწამდა, რომ ეს სამყარო მე მეკუთვნოდა, რომ თავად უნდა მიმეცა მისთვის უზენაესი ღირებულებების შესატყვისი ფორმა და არასოდეს დავკმაყოფილებულიყავი ნაკლებით, — „შენ, რომლის არსებობასაც ყოველთვის ვგრძნობდი ქალაქის ქუჩებში“, — ამბობდა დაგნის არსებაში დავანებული უსიტყვო ხმა, — „და ვისი სამყაროც მსურდა შემექმნა“, — ახლა უკვე ვიცი, რომ ამ ხეობისთვის ვიბრძოდი, — „სწორედ შენი სიყვარული მამოძრავებდა“, — ამბობდა უსიტყვო ხმა, — მე ის ცხადად ვიხილე და არასოდეს არ გავცვლი რაიმე ნაკლებზე, არ ვუღალატებ და უგუნურ ბოროტებას ხელში არ ჩავუგდებ, — „ჩემი სიყვარული და ჩემი იმედი, რომ მოვაღწევდი შენამდე და ოცნება, რომ შენ დამემსახურებინე იმ დღეს, როდესაც პირისპირ შეგხვდებოდი“, — ამბობდა ხმა, — უკან იმისთვის ვბრუნდები, რომ ამ ხეობისთვის ვიბრძოლო, გავათავისუფლო ის მიწისქვეშეთიდან, დავუბრუნო მას თავისი სრული და კანონიერი სამყარო, მარტო სულიერად კი არა, ფიზიკურადაც, რომ თქვენ გეკუთვნოდეთ დედამიწა, და შეგხვდეთ იმ დღეს, როდესაც უკვე შემეძლება, სამყაროს მთლიანობა გადმოგცეთ ან, თუ ამას ვერ შევძლებ, სიცოცხლის ბოლომდე განდევნილი დავრჩე ამ ხეობიდან, — „მაგრამ მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე შენი იქნება და ცხოვრებას შენი სახელით გავაგრძელებ, მართალია, მისი წარმოთქმის უფლება არასდროს მექნება, მაინც გავაგრძელებ შენს მსახურებას, მიუხედავად იმისა, რომ არც გამარჯვების უფლება მექნება, მაინც გავაგრძელებ მოქმედებას, რომ დაგიმსახურო იმ დღეს, როდესაც უნდა შეგხვედროდი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ...“ — ამბობდა უსიტყვო ხმა, — მე ვიბრძოლებ ამისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ წინააღმდეგ მომიხდება ბრძოლა და გამკიცხავთ, როგორც მოღალატეს...

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ველარასოდეს შეგხვდებით.

გოლტი გაუნძრევლად იდგა, არც სახეზე დასტყობია ცვლილება, მხოლოდ მისი თვალები შეჰყურებდნენ დაგნის ისე, თითქოს თითოეული მისი სიტყვა ესმოდა, ისინიც კი, რომლებიც ჯერ არ წარმოუთქვამს, ან რომელთა წარმოთქმაც არ მოუნდა.

როდესაც მან ქალს უპასუხა, მზერა არ შესცვლია, გეგონებოდა, მათ შორის წარმოქმნილი უხილავი კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა, მისმა უემოციო, მშვიდმა ხმამ კი დაგნის ხმის ინტონაცია შეიძინა, თითქოს ეს რაღაც მინიშნება იყო:

— თუ თქვენ დამარცხდებით, იმ ადამიანების მსგავსად, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ, ოცნება რეალობად ექციათ, თუ თქვენც, მათსავით, მიხვალთ აზრამდე, რომ უზენაესი ღირებულებები მიუწვდომელია და რომ ადამიანს არ ძალუძს საკუთარი ოცნებების ხორცშესხმა, ნუ შეაჩვენებთ ამ სამყაროს და სიცოცხლეს, როგორც ისინი. თქვენ უკვე იხილეთ ატლანტიდა, რომელსაც ისინი ეძებდნენ, აი, ისიც, ის არსებობს, მაგრამ ადამიანი აქ არა მხოლოდ ნათელი გონებით ან უმანკო გულით უნდა შემოვიდეს, არამედ მარტოსული, ილუზიებისგან გათავისუფლებული, მრავალსაუკუნოვანი სიყალბისგან სავსებით განწმენდილი, ყველაზე მთავარი კი, რასაც მან უნდა მიაღწიოს — სრული უკომპრომისობაა, სწორედ ეს არის აქ მიჩნეული უპირველეს მიღწევად და გასაღებად. თქვენ აქ იქამდე ვერ შემოხვალთ, ვიდრე არ გაიგებთ, რომ სულაც არ გჭირდებათ სამყაროს დარწმუნება და დამორჩილება. როდესაც ამას გაიგებთ, იმასაც მიხვდებით, რომ ამდენი წლის ბრძოლის განმავლობაში, ატლანტიდის კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იყო და არავითარი ბორკილები არ გაკავებდათ, იმათ გარდა, რომელთა ტარებაც თავადვე ისურვეთ. მთელი ამ წლების განმავლობაში, რისი მოპოვებაც ყველაზე მეტად გსურდათ, აქ

სწორედ ის გელოდათ, — გოლტი ისე შეჰყურებდა დაგნის, თითქოს იმ სიტყვებზე პასუხობდა, რომელთა წარმოთქმაც მას ვერ მოესწრო, — გელოდათ ისევე მედგრად, როგორი აღტკინებითაც თქვენ იბრძოდით, მაგრამ თქვენზე გაცილებით მეტი რწმენით. წადით გარე სამყაროში თქვენი ბრძოლის გასაგრძელებლად. ადრინდელივით ზიდეთ უსარგებლო ტვირთი, აიტანეთ დაუმსახურებელი სასჯელი და გჯეროდეთ იმის, რომ სამართლიანობა მიიღწევა, თუ თქვენს სულს ყველაზე უსამართლო ტანჯვისთვის გაწირავთ. მაგრამ მძიმე წუთებში გახსოვდეთ, რომ ნანახი გაქვთ სხვაგვარი სამყარო. გახსოვდეთ, რომ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს მიხვიდეთ იქ, როცა კი მოისურვებთ. გახსოვდეთ, რომ ის დაგელოდებათ, ის რეალურია და თქვენ გეკუთვნით.

შემდეგ გოლტმა თავი ოდნავ მიაბრუნა და მათ შორის არსებული უხილავი კავშირი დაარღვია, მერე კი ისევ მკაფიო ხმით ჰკითხა:

— ხვალ რა დროს აპირებთ წასვლას?

— ოჰ!.. რაც შესაძლებელი იქნება, ადრე.

— მაშინ შვიდი საათისთვის საუზმე გაამზადეთ, რვაზე უკვე გავფრინდებით.

— კარგი.

გოლტმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და დაგნის მომცრო მბრწყინავი დისკი გაუწოდა.

დაგნიმ თავიდან ვერ გაარჩია, რა იყო ეს. გოლტმა მას ხელისგულზე ოქროს ხუთდოლარიანი მონეტა დაუდო.

— ეს თქვენი ერთი თვის ხელფასის დარჩენილი ნაწილია, — უთხრა ქალს ჯონმა.

დაგნიმ მონეტას ხელი მაგრად მოუჭირა, მაგრამ მშვიდად, გულგრილი ხმით უპასუხა:

— გმადლობთ.

— ღამე მშვიდობისა, მის ტაგარტ.

დაგნიმ დაძინება ვერ მოახერხა. ის თავისი ოთახში, იატაკზე იჯდა სახით საწოლს მიყრდნობილი და სხვას ვეღარაფერს გრძნობდა, გარდა კედლის იქით გოლტის არსებობისა. დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს ის მის წინ იდგა, თავად კი ფეხებთან ეჯდა. ხეობაში ყოფნის უკანასკნელი ღამე ასე გაატარა.

* * *

დაგნიმ ხეობა ისე დატოვა, რომ თან არაფერი წაუღია, რაც იქ შეიძინა. კომოდის უჯრაში ფაქიზად ჩაკეცა ხეობაში შეძენილი ტანსაცმელი — გლეხური ქვედატანი, ბლუზონი, წინსაფარი, საცვლები. ერთი წამი დაჰყურებდა თავის ტანსაცმელს, მერე ამოიოხრა, სანამ უჯრას დაკეტავდა და გაიფიქრა, რომ თუ უკან დაბრუნდებოდა, ისინი ალბათ ისევ აქ დახვდებოდა. თან მხოლოდ ხუთდოლარიანი მონეტა და ნეკნებზე ჯერ კიდევ დაკრული საფენი წაიღო.

როდესაც მზის სხივები მთების მწვერვალებს დაეფინა და ხეობა თითქოს შემოისაზღვრა მათი მანათობელი წრით, დაგნი თვითმფრინავში ავიდა. გოლტის გვერდით დაჯდა, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და სახეში შეხედა კაცს, რომელიც ისე გადმოხრილიყო მისკენ, როგორც მაშინ, როცა დაგნიმ ხეობაში ყოფნის პირველ დილას თვალი გაახილა. შემდეგ თვალები დახუჭა და გოლტის თითების შეხება იგრძნო, რომელიც მას თვალებს უხვევდა.

დაგნიმ ძრავის გუგუნი ხმად კი არა, თავის არსებაში მომხდარი აფეთქების გრგვინვად აღიქვა, თუმცა შორეულ გრგვინვად, სხვა შემთხვევაში უსათუოდ რაიმე დაუშავდებოდა.

არც კი გაუგია, როგორ აფრინდა თვითმფრინავი და როგორ გასცდა მთების მწვერვალთა წრეს. ის გაუნძრევლად გადაწოლილიყო სავარძელში და სივრცეს მხოლოდ ძრავის დარტყმების მეშვეობით აღიქვამდა, თითქოს ბგერის ნაკადში გადიოდა, რომელიც დროგამოშვებით ირყეოდა. ამ ხმას გოლტის ძრავა გამოსცემდა, მისი ზემოქმედება თვითმფრინავის მოძრაობაზე; მხოლოდ ამ ხმას უსმენდა; დანარჩენი ყველაფერი უნდა მოეთმინა, სხვა გზა არ დარჩენოდა.

დაგნი სავარძელში მოეწყო, ფეხები გაჭიმა, იდაყვებით კი სავარძლის სახელურებს ეყრდნობოდა. ვერ აღიქვამდა მოძრაობას, რომელიც დროის განცდას მისცემდა, მისთვის აღარც სივრცე არსებობდა, აღარც საკუთარი ხედვა გააჩნდა, აღარც მომავალი. თვალახვეულს ახლა მხოლოდ მხოლოდ ღამის წყვდიადი დარჩა, და გოლტის იქყოფნა, როგორც ერთადერთი შეუცვლელი რეალობა. ერთმანეთს არ ესაუბრებოდნენ. მხოლოდ ერთხელ წარმოთქვა დაგნიმ მოულოდნელად:

— მისტერ გოლტ...

— გისმენთ?

— არაფერი. უბრალოდ, მინდოდა გამეგო, ისევ აქ ხართ თუ სადმე წახვედით.

— მე არასოდეს არსად არ წავალ.

დაგნიმ არ იცოდა, კიდევ რამდენი მილი ხედავდა გოლტის ამ სიტყვებს ორიენტირივით ჰორიზონტზე, მერე ნელ-ნელა სივრცეში დაიკარგა და ბოლოს საერთოდაც გაქრა. შემდეგ კი აწმყოს სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

ვერ ხვდებოდა, ერთი დღე იყო გასული თუ მხოლოდ ერთი საათი, როდესაც იგრძნო, როგორ დაეშვა თვითმფრინავი მკვეთრად დაბლა, რაც ნიშნავდა, რომ ის სულ მალე ან მიწაზე დაეშვებოდა, ან ჩამოვარდებოდა; თუმცა ეს სულერთი იყო.

დაგნის მოეჩვენა, რომ თვითმფრინავი მიწაზე დაგვიანებით დაეშვა: თითქოს დროის რაღაც მონაკვეთი იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ მგზავრობა დასრულდა.

ჯერ მკვეთრი რყევა იგრძნო, შემდეგ თვითმფრინავი მოულოდნელად გაჩერდა და სიჩუმე ჩამოწვა, მერე კი გოლტის ხელები მის თმას შეეხო, თვალებიდან სახვევი რომ მოეშორებინა.

დაგნიმ მზის თვალის მომჭრელი შუქი და ჰორიზონტამდე გადაჭიმული, გადამხმარი ბალახით დაფარული ტრიალი ველი დაინახა, ერთი მილის იქით კი უკაცრიელი გზატკეცილი და ქალაქის ბუნდოვანი კონტურები გაირჩეოდა. ქალმა საათს დახედა: ორმოცდაშვიდი წუთის წინ ის ჯერ კიდევ ხეობაში იყო.

— იქ ტაგარტის რკინიგზის სადგურია, — მიუთითა გოლტმა ქალაქისკენ, — და შეგიძლიათ, მატარებელს გაჰყვეთ.

დაგნიმ მორჩილად დაუქნია თავი ჯონს.

ის თვითმფრინავიდან გადმოვიდა, გოლტი არ გადმოჰყოლია. მხოლოდ ღია კარისკენ გადმოიხარა და მათ ერთმანეთს შეხედეს. დაგნი მიწაზე იდგა და თმას ნიავი უწეწავდა — საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ქალი თვალუწვდენელი ველის ფონზე.

ჯონმა ხელი აღმოსავლეთით გაიშვირა, სადაც ქალაქის ბუნდოვანი კონტურები მოჩანდა:

— არ სცადოთ იქ ჩემი მოძებნა, — უთხრა მან დაგნის, — მაინც ვერ მიპოვით, ვიდრე ისეთი არ დაგჭირდებით, სინამდვილეში რომ ვარ. და როდესაც დაგჭირდებით, ძალიან ადვილად მომძებნით.

დაგნიმ გაიგონა, როგორ მიიხურა მან თვითმფრინავის კარი; ეს ხმა ძრავის გუგუნზე უფრო ძლიერი იყო. უყურებდა, როგორ მისრიალებდა თვითმფრინავის ბორბლები და როგორ ქელავდა გზად ბალახს.

შემდეგ ბორბლებსა და ბალახს შორის ცის ზოლი დაინახა.

მარტო დარჩენილმა ირგვლივ მიმოიხედა. შორს, ქალაქის თავზე, მოწითალო ბუღი მოჩანდა, უფრო ჟანგის ნადებს რომ მიაგავდა; სახლების სახურავების თავზე ქარხნის საკვამლე მილის ნარჩენები შენიშნა. ფეხქვეშ, ბალახში, ქაღალდის გაყვითლებული ნაგლეჯი შრაშუნებდა — გაზეთის ნაკუწი. დაგნი უაზროდ მიაჩერდა მის წინ გადაშლილ პეიზაჟს — ვერ დაეჯერებინა, რომ ეს რეალობა იყო.

თვალი გააყოლა ცაში ატყორცნილ თვითმფრინავს. ხედავდა, როგორ დაპატარავდა ის, ესმოდა, როგორ მისუსტდა ძრავის გუგუნი. ეს გრძელი, ვერცხლისფერი ჯვარი ჯერ მაღლა აიჭრა, შემდეგ ნელ-ნელა დედამიწისკენ დაეშვა; მერე კი თითქოს ადგილზე გაქვავდა, მხოლოდ თანდათან პატარავდებოდა. დაგნი მას ისე აკვირდებოდა, როგორც მოწყვეტილ ვარსკვლავს — ჯვრის მსგავსი თვითმფრინავი ჯერ წერტილად გადაიქცა, შემდეგ კი გადღაბნილ მოკიაფე ნაპერწკლად. როდესაც ცა მთლიანად მოიჭედა ასეთი ნაპერწკლებით, დაგნი მიხვდა, რომ თვითმფრინავი უკვე თვალს მიჰფარებოდა.

თავი 3

ანტისიხარბე

— აქ რა მინდა? — იკითხა დოქტორმა სტადლერმა, — რატომ მთხოვეთ აქ მოსვლა? ახსნა-განმარტებას მოვითხოვ. მიჩვეული არ ვარ, ნახევარი კონტინენტი უაზროდ და წინასწარი შეტყობინების გარეშე გადავსერო.

ამ სიტყვებზე დოქტორმა ფლოიდ ფერისმა გაიღიმა:

— სწორედ ამიტომაც, კიდევ უფრო მეტად ვაფასებ, აქ რომ მოხვედით, დოქტორო სტადლერ.

ძნელი მისახვედრი იყო, ფერისის ხმა მართლაც მადლიერებას გამოხატავდა თუ ნიშნის მოგებას.

მზე მათ ზემოდან დაჰნათოდათ და დოქტორმა სტადლერმა იგრძნო, როგორ მოწვეთავდა ოფლი საფეთქელთან. აღმაშფოთებელ და შემაცბუნებლად პირადულ საუბარს ვერ წამოიწყებდა ამ ხალხმრავალ ადგილას, სადაც უწყვეტად მოედინებოდნენ ადამიანები მათ გარშემო აღმართულ ტრიბუნებზე სკამების დასაკავებლად. არადა, ამ შესაძლებლობას სტადლერი ბოლო სამი დღის განმავლობაში უშედეგოდ ესწრაფოდა, წამით გაიფიქრა კიდევაც, რომ საუბარი აქამდე სწორედ ამიტომაც გადაიდო, მაგრამ ეს აზრი მალევე მოიგერია თავის ოფლიან საფეთქელთან მოზუზუნე მწერივით.

— რატომ ვერ ვახერხებდი თქვენთან დაკავშირებას? — იკითხა სტადლერმა. სარკაზმის თაღლითური იარაღი ახლა ყველაზე გამოუსადეგარი ჩანდა, მაგრამ სტადლერს მის გარდა სხვა საშუალება არ გააჩნდა, — რატომ გადაწყვიტეთ, ოფიციალური შეტყობინებები გამოგეგზავნათ ჩემთვის, სამხედრო... — აპირებდა, ეთქვა „განკარგულებების“, მაგრამ თავი შეიკავა, — კომუნიკაციის სტილში, და სრულიად შეუფერებელი მეცნიერული მიმოწერისთვის?

— ეს სამთავრობო საქმეა, — უპასუხა ფერისმა მშვიდი ხმით.

— თუ გესმით მაინც, რომ ძალზე დაკავებული ვიყავი და ამის გამო ჩემი სამუშაო უნდა შემეწყვიტა?

— ოჰ, რა თქმა უნდა, — მიუგო დოქტორმა ფერისმა ურცხვად.

— აცნობიერებთ, რომ შეიძლებოდა, უარი მეთქვა აქ მოსვლაზე?

— მაგრამ, ასე ხომ არ მოქცეულხართ? — თქვა ფერისმა წყნარი ხმით.

— რატომ არაფერი ამიხსენით? რატომ თავად არ მოხვედით ჩემთან იმ ახალგაზრდა ხულიგნების ნაცვლად, რომელთა გაუგებარი ლაპარაკი ნაწილობრივ მეცნიერების, სანახევროდ კი იაფფასიანი ლიტერატურული ჟურნალის ენას წააგავდა?

— ძალიან დაკავებული გახლდით, — უპასუხა ფერისმა თავაზიანად.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, განმიმარტოთ, რას აკეთებთ აიოვას შტატში მდებარე ამ ველის შუაგულში და მე რატომ ვარ აქ? — სტადლერმა ზიზღით მიუთითა მოტიტვლებული ველის მტვრიან ჰორიზონტზე და ხის სამ ტრიბუნაზე. ტრიბუნები ახალი დადგმული ჩანდა და ნედლი ხე თითქოს ჯერაც ნოტიო იყო; სტადლერმა მზის შუქზე მოელვარე ფისის წვეთები გაარჩია.

— ჩვენ სულ მალე ისტორიული მოვლენის მომსწრენი გავხდებით, დოქტორო სტადლერ. იმ მოვლენას ვიხილავთ, რომელიც ნიშანსვეტად იქცევა მეცნიერების, ცივილიზაციის, სოციალური კეთილდღეობისა და პოლიტიკური სტაბილურობის გზაზე, — დოქტორი ფერისი თითქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტისთვის დამახასიათებელ დაზეპირებულ ტექსტს წარმოთქვამდა, — ახალი ეპოქის დასაწყისს.

— რა მოვლენა? რა ახალი ეპოქა?

— თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ მოვლენის საკუთარი თვალით ხილვის პრივილეგია მხოლოდ გამორჩეულ მოქალაქეებს, ჩვენი ინტელექტუალური ელიტის ნაღებს, მიეცემათ. ნუთუ ამ სიაში თქვენი სახელი არ უნდა შეგვეტანა? — და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეგვიძლია, თქვენი ერთგულებისა და თანამშრომლობის იმედი ვიქონიოთ.

დოქტორი ფერისი სტადლერს არც კი უყურებდა. ტრიბუნა სწრაფად ივსებოდა ხალხით და ფერისს ხშირად უხდებოდა სიტყვის გაწყვეტა, მისალმების ნიშნად ხელი რომ დაექნია უღიმღამო და ერთგვაროვანი იერის მქონე ახალმოსულებისთვის.

დოქტორი სტადლერი მათ ადრე არასდროს შეხვედროდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ეს ადამიანები გავლენიანი პიროვნებები იყვნენ, რადგან ფერისი მათ მხიარულად და არაოფიციალური პატივისცემით უქნევდა ხელს. ეტყობოდა, ეს ხალხი კარგად იცნობდა დოქტორ ფერისს და თვალებით ეძებდა მას, თითქოს ცერემონიების ოსტატი ან ამ მოვლენის ვარსკვლავი ყოფილიყო.

— პატივს ხომ არ დამდებდით, — მიმართა სტადლერმა ფერისს, — და ზუსტად მეტყოდით...

— სალამი, სპად! — დაუძახა დოქტორმა ფერისმა გენერლის ფორმაში გამოწყობილ ახოვან, ჭაღარა კაცს.

დოქტორმა სტადლერმა ხმას აუწია:

— მე გითხარით, ხომ არ დამდებდით პატივს და ამიხსნიდით, რა ჯანდაბა ხდება აქ... — ამას რა მიხვედრა უნდა. ეს საბოლოო გამარჯვებაა... ერთი წუთით, მომიტევეთ, დოქტორო სტადლერ, — თქვა ფერისმა აჩქარებით და როგორც კარგად გაწვრთნილი ლაქია ზარის ხმაზე, წინ გაიჭრა იმ ადამიანთა ჯგუფისკენ, რომლებიც ზრდასრულ ხულიგნებს ჰგავდნენ; შემდეგ უკან შემოტრიალდა და სტადლერს ერთი სიტყვა მიაძახა, მოწიწებით რომ ხსნიდა ყოველივეს — პრესა!

დოქტორი სტადლერი ხის სკამზე ჩამოჯდა, რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო ერიდებოდა, ირგვლივ რაიმეს შეხებოდა. ერთმანეთისგან გამოყოფილი სამი ტრიბუნა ნახევარწრედ განელაგებინათ, მომცრო, დაახლოებით სამას ადამიანზე გაანგარიშებული კერძო ცირკის იარუსების მსგავსად; ეტყობოდა, ეს ტრიბუნები რაღაც სანახაობის საყურებლად აეგოთ, მაგრამ მათ წინ, ჰორიზონტამდე, მხოლოდ ველის სიცარიელე გადაჭიმულიყო, რამდენიმე მილის მოშორებით კი ფერმა მოჩანდა მუქ, ეულ ლაქად.

ერთ-ერთი ტრიბუნის წინ პრესისთვის განკუთვნილი რადიომიკროფონები ეწყო, ტრიბუნის წინ იდგა პორტატული კომუტატორის მსგავსი უცნაური აპარატურაც ოფიციალური პირებისთვის; კომუტატორის ლითონის ზედაპირის რამდენიმე ფენა მზის შუქზე პრიალებდა. ტრიბუნების უკან სახელდახელოდ მოწყობილ ავტოსადგომზე ძვირად ღირებული ახალი მანქანების ბრწყინვალება თვალს იტაცებდა. მაგრამ რამდენიმე ათასი ფუტის დაშორებით გორაკზე აგებული შენობა დოქტორ სტადლერს მოუსვენრობის ბუნდოვანი გრძნობით ავსებდა. ეს იყო მომცრო, დაბალი, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა, ქვის მასიური კედლებითა და რკინისგისოსებიანი რამდენიმე ჭუჭრუტანით ფანჯრების ნაცვლად. შენობას უშნო, დიდი გუმბათი ედგა, რომელიც თითქოს მიწისკენ ექაჩებოდა. გუმბათის ფუძეს ცუდად ჩამოსხმული თიხის ძაბრის მსგავსი რამდენიმე უფორმო შვერილი ჰქონდა; ეს შვერილები სამრეწველო ეპოქას არ ეკუთვნოდა და მათი დანიშნულება უცნობი იყო.

შენობას ჩუმი ღვარძლიანობის ელფერი დაჰკრავდა, შხამით გაჟღენთილი სოკოს მსგავსად; ეს აშკარად თანამედროვე ნაგებობა იყო, თუმცა უსნორმასნორო და მომრგვალებული ხაზები მას შუა ჯუნგლებში აგებულ პირველყოფილ ნაგებობას ამსგავსებდა, რომელსაც ველურთა საიდუმლო რიტუალებისთვის იყენებდნენ.

დოქტორმა სტადლერმა გაღიზიანებით ამოიოხრა; ის უკვე ძალიან დაეღალა ამდენ საიდუმლოს. „საიდუმლო“ და „ზესაიდუმლო“ — ასე ეწერა მოსაწვევ ბარათზე, რომელიც მისგან მოითხოვდა, გაურკვეველი მიზნით, ორი დღით ადრე მისული შეტყობინების საფუძველზე, აიოვას შტატში გამგზავრებულიყო. ორმა ახალგაზრდა კაცმა, თავს ფიზიკოსებს რომ უწოდებდნენ, ინსტიტუტში მიაკითხა წამოსაყვანად; მისი სატელეფონო ზარები ფერისის ვაშინგტონის ოფისში უპასუხოდ დატოვეს. სამთავრობო თვითმფრინავით დამქანცველი მოგზაურობისა და შემდეგ მანქანით უსიამოვნო მგზავრობის დროს ეს ახალგაზრდები იმდენს საუბრობდნენ მეცნიერებაზე, გაუთვალისწინებელ შემთხვევაზე, სოციალურ თანასწორობასა და კონსპირაციის საჭიროებაზე, რომ სტადლერს უკვე იმაზე ნაკლები ესმოდა, ვიდრე თავიდან; მხოლოდ ის გაარჩია, რომ ახალგაზრდები ყბედობისას განსაკუთრებით ხშირად ორ სიტყვას იმეორებდნენ, რომლებიც მოსაწვევ ბარათშიც იყო ნახსენები, და როდესაც საქმე უცნობ საკითხს ეხებოდა, ავის მომასწავებლად ჟღერდნენ: ეს იყო მოთხოვნა მის „ერთგულებასა“ და „თანამშრომლობაზე“.

ახალგაზრდა კაცები ტრიბუნის პირველ რიგში, სკამებზე ჩამოსხდნენ და მოწყობილობის მოძრავი ნაწილივით გაუჩინარდნენ, სტადლერი კი დოქტორ ფერისის პირისპირ დატოვეს. ახლა, როდესაც რეპორტიორების ჯგუფის შუაგულში მდგარი ფერისის გაურკვეველ, აღგზნებულ და თავისუფალ ქცევას უყურებდა, სტადლერს განცვიფრების, დაბნეულობისა და უუნარობის შეგრძნება ეუფლებოდა.

მან ერთადერთხელ იგრძნო პანიკის შემოტევა, რომელიც წამიერ გაელვებას ჰგავდა და გააცნობიერა, რომ გაქცევის სურვილი გასჩენოდა. მაგრამ მალევე თავიდან ამოიგდო ეს აზრი; კარგად იცოდა, რომ ამ მოვლენის ყველაზე ბნელი

საიდუმლო, სოკოს მსგავსი შენობის საიდუმლოზე გაცილებით უფრო კრიტიკული, ხელშეუხებელი და მომაკვდინებელი, მისი აქ მოსვლის მიზეზი იყო.

სტადლერი იმედოვნებდა, რომ არასდროს მოუწევდა საკუთარი განზრახვის გაგება; ის ამას სიტყვების საშუალებით კი არა, გაღიზიანების მსგავსი ემოციის ხანმოკლე და ავის მომასწავებელი სპაზმის მეშვეობით ფიქრობდა, რომელიც მჟავის შეგრძნებას უტოვებდა. სიტყვები, რომლებიც ახლა უტრიალებდა გონებაში და მაშინაც, როდესაც აქ მოსვლაზე დათანხმდა, ჯადოს შელოცვას ჰგავდა, რომელსაც როცა საჭიროა, მაშინ წარმოთქვამენ და რომლის უკან დაბრუნებაც შეუძლებელია:

„რა უნდა გააკეთო, როდესაც საქმე ადამიანებთან გაქვს?“

სტადლერმა შენიშნა, რომ ინტელექტუალური ელიტისთვის გამოყოფილი ტრიბუნა უფრო დიდი იყო, ვიდრე მთავრობის წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი.

იმის გაფიქრებისას, რომ ადგილი პირველ რიგში მიუჩინეს, საკუთარ თავს სიამოვნების ხანმოკლე შეგრძნება შეატყო. სტადლერი უკან შებრუნდა იარუსების დასათვალიერებლად. ის მოულოდნელად განაცვიფრა დანახულმა: ეს შემთხვევითი, უფერული და უგემოვნოდ გამოწყობილი ხალხისგან შემდგარი კრებული სულაც არ შეესაბამებოდა მის წარმოდგენას ინტელექტუალურ ელიტაზე. სტადლერმა დაინახა დაუფარავად აგრესიული კაცები და უგემოვნოდ ჩაცმული ქალები — მათი ღვარძლიანი და დაეჭვებული სახეები, რომლებიც ინტელექტისთვის ყოვლად შეუსაბამო ნიშანს ატარებდნენ — დაურწმუნებლობის ნიშანს. სტადლერი ამ ხალხში ნაცნობს ვერავის იპოვიდა, ვერ მოძებნიდა ვინმე გამოჩენილ ან ისეთ ადამიანს, რომელიც მომავალში გახდებოდა ცნობილი. მოუნდა, გაეგო, თუ რა სტანდარტის მიხედვით შეარჩიეს ეს ადამიანები.

შემდეგ მეორე რიგში ტლანქი ასაკოვანი კაცი შეამჩნია, რომლის ჩამოგრძელებული და მოშვებული სახე ბუნდოვნად ეცნო, თუმცა გაურკვეველი მოგონების გარდა ვერაფერს იხსენებდა, მსგავსად რომელიღაც უგემოვნო გამოცემაში ნანახი ფოტოსურათისა. სტადლერმა ერთ ქალს ამ კაცზე მიუთითა და ჰკითხა: თუ შეგიძლიათ, იმ ბატონის სახელი მითხრათ? ქალმა უცნობისადმი პატივისცემით სავსე ხმით წასჩურჩულა: ეს დოქტორი საიმონ პრიტჩეტია! სტადლერი მაშინვე მიბრუნდა, გულში კი ნატრობდა, რომ არავის დაენახა და ვერც ვერავის შეეტყო, თვითონაც რომ ამ ჯგუფის წევრი იყო.

მან თავი ასწია და დაინახა, რომ ფერისი პრესის წარმომადგენლებს მისკენ მოუძღოდა, გიდივით მიანიშნებდა მასზე რეპორტიორებს და როდესაც ისინი საკმარისად მიუახლოვდნენ, მისი ხმა რომ გაეგოთ, გამოაცხადა — რატომ უნდა დაკარგოთ დრო ჩემზე, როდესაც აქ იმყოფება დღევანდელი მიღწევის წყარო, კაცი, რომელმაც ეს ყველაფერი შესაძლებელი გახადა — დოქტორი რობერტ სტადლერი!

სტადლერს ერთი წამით მოეჩვენა, რომ ჟურნალისტების დაღლილ და ცინიკურ სახეებზე შეუფერებელი გამოხედვა დაინახა, რომელიც ბოლომდე არც პატივისცემა იყო, არც მოლოდინი და არც იმედი, არამედ მათი გამოძახილი, იმ გამოხედვის მკრთალი ანარეკლი, რომელიც მათ უფრო ახალგაზრდულ ასაკში ექნებოდათ რობერტ სტადლერის სახელის გაგონებისას. სწორედ ამ წამს სტადლერს ერთი სურვილი გაუჩნდა, რომელსაც თვითონაც არ აღიარებდა: რეპორტიორებისთვის ეთქვა, რომ თავადაც არაფერი იცოდა დღევანდელი მოვლენის შესახებ, რომ იმ მომენტში მათზე უძლური იყო და აქ ისე მოეყვანათ, როგორც პაიკი და ტყვე ვიღაცის თამაშში. ამის ნაცვლად, სტადლერი თავმომწონე და შემწყნარებლური ტონით

პასუხობდა რეპორტიორების შეკითხვებს იმ კაცის მსგავსად, რომელიც უზენაესი ძალაუფლების მქონე პირების საიდუმლოებებს აცნობს ხალხს — დიახ, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი ამაყობს გაწეული საზოგადოებრივი სამსახურით... სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტი არ ექვემდებარება ვიღაცის კერძო ინტერესებსა და პიროვნულ სიხარბეს, ის მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას ემსახურება... — დოქტორ ფერისივით, ისიც გულის ამრევ და გაურკვეველ განცხადებებად დაიღვარა.

სტადლერს ფიქრშიც კი უმძიმდა აღიარება, რომ იმ მომენტში საკუთარი თავი ეზიზღებოდა; მხოლოდ ზიზღის ემოციას აცნობიერებდა და არა მის ობიექტს; ეგონა, რომ გარშემო მყოფი ადამიანები სძულდა; სწორედ ისინი აიძულებდნენ მთელი ამ სამარცხვინო წარმოდგენის დადგმას. „რა უნდა გააკეთო, როდესაც საქმე ადამიანებთან გაქვს?“ — ფიქრობდა სტადლერი.

რეპორტიორები მის პასუხებს მოკლედ იწერდნენ. ახლა მათ რობოტების იერი ედოთ, რომლებიც თავს იკატუნებდნენ, თითქოს სხვა რობოტის წარმოთქმული უშინაარსო სიტყვების აზრი ესმოდათ.

— დოქტორო სტადლერ, — ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გორაკზე წამომართული შენობისკენ მიუთითა, — მართალია, რომ პროექტ X“—ს თქვენ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევთ?

უცებ სიჩუმემ დაისადგურა.

— პროექტი... X?.. — იკითხა სტადლერმა.

მან იცოდა, რომ მისი ხმის ტონში რაღაც ავის მომასწავებლად არასწორი იყო, რადგან დაინახა, როგორ ასწიეს რეპორტიორებმა მაღლა თავები, თითქოს მაღვიძარას ხმა გაეგოთ; დაინახა, როგორ გაუქვავდათ კალმები ჰაერში მისი პასუხის მოლოდინში.

ერთი წამით, როდესაც სტადლერმა იგრძნო, რომ სახეზე ყალბი ღიმილი დააჩნდა, ის უფორმო და ზებუნებრივმა შიშმა მოიცვა, თითქოს კვლავ შეიგრძნო რაღაც მექანიზმის უხმო გავლენა თავის თავზე, თითქოს მას უკვე აკონტროლებდა ეს მანქანა და ისიც მის შეუვალ ნებას ექვემდებარებოდა. — „პროექტი X“? — თქვა სტადლერმა შეთქმულის წყნარი და იდუმალებით მოცული ხმით, — კეთილი, ბატონებო, სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის ნებისმიერი მიღწევის ღირებულებასა და მიზანში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგან ეს არაკომერციული წამოწყებაა. საჭიროა ამ აზრის უფრო მეტად განვრცობა?

მან თავი ასწია და შენიშნა, რომ მთელი ინტერვიუს განმავლობაში დოქტორი ფერისი ჟურნალისტების ჯგუფის განაპირას იდგა. სურდა, გაეგო, ეჩვენებოდა, თუ ფერისს სახეზე ახლა ნაკლებად დაძაბული და უფრო მეტად კადნიერი იერი დასდებოდა.

ორი ძვირად ღირებული მანქანა მთელი სისწრაფით შემოიჭრა ავტოსადგომზე და უცბად დაამუხრუჭა. სტადლერს ჯერ წინადადებაც არ დაემთავრებინა, როდესაც ჟურნალისტებმა ის მიატოვეს და ამ მანქანებიდან გადმოსული ადამიანების შესახვედრად გაიქცნენ.

დოქტორი სტადლერი ფერისისკენ შეტრიალდა და მკაცრი ხმით შეეკითხა:

— რა არის „პროექტი X“?

დოქტორმა ფერისმა კი გულუბრყვილოდ და ამასთანავე უტიფრად გაუღიმა.

— არაკომერციული წამოწყება, — მიუგო სტადლერს და ახალმოსულების შესახვედრად გაემართა.

ბრბოს პატივისცემით სავსე წამოძახილებიდან სტადლერმა შეიტყო, რომ სელის ფართო კოსტიუმში გამოწყობილი პატარა ტანის კაცი, რომელიც პოლიტიკურ დამნაშავეს ჰგავდა და ახალმოსულებს შორის სწრაფად დააბიჯებდა, მისტერ ტომპსონი იყო, სახელმწიფოს მეთაური. მისტერ ტომპსონი იღიმებოდა, იჭყანებოდა და რეპორტიორების კითხვებს მბრძანებლური ხმით პასუხობდა. დოქტორი ფერისი ჯგუფში იმ კატის მსგავსი გრაციოზულობით მოძრაობდა, სხვადასხვა ადამიანების ფეხებს შორის რომ დაძვრება.

ფერისი მათ სტადლერისკენ მოუძღვებოდა.

— მისტერ ტომპსონ, — თქვა ფერისმა შთამბეჭდავი ტონით, — ნებას მომცემთ, დოქტორი რობერტ სტადლერი წარმოგიდგინოთ?

სტადლერმა შეამჩნია, თუ როგორ აკვირდებოდა მას ეს ტანმორჩილი პოლიტიკური დამნაშავე ნახევარი წამის განმავლობაში: ტომპსონის თვალებში ცრურწმენით გამოწვეული რიდი გამოსჭვიოდა, თითქოს მისტიკური სამყაროდან მოსულ ფენომენს შესცქეროდა, რომელიც სამუდამოდ ამოუხსნელ მოვლენად დაურჩებოდა; მის თვალებს გამჭოლი და დაკვირვებული გამჭრიახობა ეტყობოდა, მსგავსად პოლიტიკური მოღვაწის იმ დამქაშისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე შეუვალი მისი სტანდარტებისთვის, მზერა კი ზუსტად გამოხატავდა სიტყვებს: „რა გაქვს განზრახული?“

— ჩემთვის პატივია თქვენი გაცნობა, დოქტორო, — მკვირცხლად მიუგო სტადლერს მისტერ ტომპსონმა და ხელი ჩამოართვა.

სტადლერმა ისიც გაიგო, რომ მაღალი, მხრებში მოხრილი კაცი, უკან მოკლედ აჭრილი თმით, უესლი მაუჩი იყო. დანარჩენი ადამიანების სახელები კი, რომლებსაც ხელი ჩამოართვა, ვერ დაიმახსოვრა. როდესაც ახალმოსულთა ჯგუფი სამთავრობო ტრიბუნისკენ გაემართა, სტადლერს მწველი შეგრძნება გაუჩნდა იმ აღმოჩენის გამო, რომლისთვისაც თვალი ვერც კი გაესწორებინა: აღმოაჩინა, რომ პოლიტიკური დამნაშავის მიერ პატივისცემის ნიშნად თავის დაკვრამ მას მღელვარებანარევი სიამოვნება მოჰგვარა.

ახალგაზრდა მოსამსახურეები, კინოთეატრის კარისკაცებს რომ ჰგავდნენ, მოულოდნელად გამოჩნდნენ საიდანღაც; ისინი ურიკებს მოაგორებდნენ იქ მყოფთათვის დასარიგებელი მბრწყინავი საგნებით. ეს საგნები ბინოკლები იყო. დოქტორმა ფერისმა დაიკავა თავისი ადგილი ოფიციალური პირებისთვის განკუთვნილი ტრიბუნის წინ, რეპროდუქტორებიან მიკროფონთან. უესლი მაუჩის ნიშანზე ფერისის შემპარავად და ფარისევლურად საზეიმო ხმამ მოულოდნელად მთელი ველი დაფარა, მიკროფონის შემქმნელის გონებამახვილური გამოგონება მის ხმას გოლიათურ სიძლიერეს ანიჭებდა:

— ქალბატონებო და ბატონებო!..

ბრბო გაირინდა და ყველანი ერთხმად შებრუნდნენ დოქტორ ფლოიდ ფერისის მოხდენილი ფიგურისკენ.

— ქალბატონებო და ბატონებო, აქ თქვენი გამორჩეული საზოგადოებრივი სამსახურისა და სოციალური ერთგულების გამო მოგიწვიეთ, რათა საკუთარი თვალით იხილოთ ოფიციალური გახსნის ცერემონია მეცნიერული მიღწევისა, რომელიც იმდენად უზარმაზარი მნიშვნელობის, განსაცვიფრებელი მასშტაბისა და ეპოქალური შესაძლებლობისაა, რომ დღემდე მის შესახებ რამდენიმე ადამიანმა თუ უწყოდა და მხოლოდ პროექტ X“—ის სახელით იცნობდა.

დოქტორმა სტადლერმა თავისი ბინოკლი შორეული ფერმისკენ მიმართა, რომელიც მუქ წერტილად მოჩანდა.

მან დაინახა წლების წინ მიტოვებული ფერმის ნანგრევები. მზის სხივები მის სახურავში ატანდა და ჩაბნელებულ ფანჯრებში ჩარჩენილ მინის ნამსხვრევებს ეცემოდა. სტადლერმა ჩამონგრეული საჯინიბო, წყლის წისქვილის დაჟანგებული კოშკურა და ამოყირავებული ტრაქტორის ნარჩენებიც შენიშნა.

დოქტორი ფერისი მეცნიერების ჯვაროსნებზე, თავდადების, შეუპოვარი შრომისა და დაჟინებული კვლევა-ძიების წლებზე ლაპარაკობდა, რომელიც პროექტ X“—ზე დაიხარჯა.

დოქტორი სტადლერი ფიქრობდა, რომ ასეთ მიყრუებულ ადგილას თხების ჯოგი უცნაური დასანახი იყო. ფერმის ნანგრევებთან, მართლაც, ექვსი-შვიდი თხა მოჩანდა, ზოგი თვლემდა, ზოგიერთები კი უხალისოდ ცოხნიდნენ, რასაც კი მზით გადატრუსულ სარეველებს შორის წააწყდებოდნენ.

— „პროექტი X“, — ამბობდა დოქტორი ფერისი, — მიეძღვნა ბგერის შესწავლის დარგში ჩატარებულ სპეციალურ კვლევას. ბგერის მეცნიერებას ისეთი გასაოცარი ასპექტები აქვს, რომლებსაც არასპეციალისტები ძნელად თუ მიხვდებიან...

დაახლოებით ორმოცდაათი ფუტის მოშორებით ფერმიდან სტადლერმა ერთი ნაგებობა შეამჩნია, რომელიც ახალი აშენებული ჩანდა, თუმცა მისი დანიშნულება გაურკვეველი იყო: ეს ფოლადის რამდენიმე ესტაკადა იყო, რომელიც ღია სივრცეში უმიზნოდ ადიოდა და არაფერი ეკავა.

დოქტორი ფერისი ახლა ბგერის ვიბრაციის ბუნებაზე საუბრობდა.

დოქტორმა სტადლერმა თავისი ბინოკლი ფერმის იქით, ჰორიზონტისკენ მიმართა, მაგრამ დიდ მანძილზე ვერაფერი დაინახა. ერთ-ერთი თხის დაძაბულმა და მოულოდნელმა მოძრაობამ სტადლერის ყურადღება ისევ ჯოგისკენ გადაიტანა. მან შეამჩნია, რომ თხები მიწაში ჩასობილ პალოებზე დაებათ.

— ...აღმოაჩინეს, — ამბობდა ფერისი, — რომ ბგერის ვიბრაციას აქვს გარკვეული სიხშირეები, რომლებსაც ვერც ერთი ორგანული თუ არაორგანული ნაერთი ვერ გაუძლებს...

დოქტორმა სტადლერმა ჯოგის გარშემო სარეველა ბალახზე მხტუნავი ვერცხლისფერი ლაქა დაინახა. ეს დედის გარშემო მოკუნტრუშე ციკანი აღმოჩნდა, რომელიც დანარჩენი თხებივით დაბმული არ იყო.

— ბგერით სხივს უზარმაზარი მიწისქვეშა ლაბორატორიის შიგნით მდებარე სამართავი პანელი მართავს, — თქვა დოქტორმა ფერისმა და გორაკზე აგებული შენობისკენ გაიშვირა ხელი, — ამ პანელს ქსილოფონს ვუწოდებთ, რადგან როგორც მუსიკალური ქსილოფონის შემთხვევაში მოითხოვს დიდ ყურადღებას საჭირო კლავიშის შერჩევა, ასევეა აქაც — საჭირო ბერკეტი რომ ჩამოვწიოთ. სპეციალურად ამ მოვლენისთვის, ერთი ქსილოფონი, რომელიც ლაბორატორიის შიგნით მოთავსებულს უკავშირდება, აქ დავდგით, — ფერისმა ოფიციალური პირებისთვის განკუთვნილი ტრიბუნის წინ დადგმული სამართავი დაფისკენ გაიშვირა ხელი, — ამგვარად, თქვენ შეგეძლებათ, დაინახოთ მთელი პროცედურა და მისი სიმარტივე...

ამ პატარა ციკნის ყურებამ სტადლერი დაამშვიდა და გაართო. ჯერ მხოლოდ ერთი კვირის თუ იქნებოდა, თეთრ ბეწვის ბურთს ჰგავდა, რომელსაც კოხტა, გრძელი ფეხები ჰქონდა; მხიარული ციკანი ტლანქად, მუხლმოუხრელად დახტოდა, ისე, რომ გაშეშებულ ფეხებს არ ხრიდა, თითქოს მზის სხივები, ზაფხულის ჰაერი და საკუთარი არსებობის აღმოჩენით მოგვრილი სიხარული არ ასვენებდა.

— .„„რაც შეეხება მიზანს, მიმართულებასა და დიაპაზონს, ბგერითი სხივი შეიძლება, მთლიანად ვაკონტროლოთ და ის უხილავი და უხმო გავხადოთ. მისი პირველი საჯარო გამოცდა, რომელსაც თქვენ სულ მალე იხილავთ, შედარებით პატარა მონაკვეთზე გავრცელდება, მხოლოდ ორ მილზე, უსაფრთხოების ნორმები სრულყოფილად იქნება დაცული, ოცი მილის მანძილზე სივრცე მთლიანად გაწმენდილია. ჩვენს ლაბორატორიაში დადგმულ ამ მოწყობილობას შეუძლია, წარმოქმნას ბგერითი სხივები, რომელიც დაფარავს — თქვენ ამას დაინახავთ თაღის ნახვრეტების მეშვეობით, — ასი მილი რადიუსის ტერიტორიას, წრეს, რომელიც ვრცელდება მისისიპის სანაპიროდან, დაახლოებით „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სარკინიგზო კომპანიის ხიდიდან დე მოინამდე და ფორტ დოჯამდე, აიოვამდე, ოსტინამდე, მინესოტამდე, ვუდმენამდე, ვისკონსინამდე, როკ აილენდამდე, ილინოისამდე. და ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ საკმარისი ტექნიკური ცოდნა გვაქვს ორასი-სამასი მილის დიაპაზონის გენერატორების შესაქმნელად, მაგრამ რაკი არ შეგვეძლო, ამ მოკლე დროში მოგვეპოვებინა საკმარისი რაოდენობა ისეთი მაღალი გამძლეობის მქონე ლითონისა, როგორიც რიერდენის ლითონია, იძულებული გავხდით, ამჟამინდელი მოწყობილობითა და მისი მოქმედების რადიუსით დავკმაყოფილებულიყავით. ჩვენი დიდებული ხელმძღვანელის, მისტერ ტომპსონის საპატივცემულოდ, — სწორედ მისი შორსმჭვრეტელი მმართველობის წყალობით მიიღო მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტმა დაფინანსება, რომლის გარეშეც „პროექტი X“ ვერ განხორციელდებოდა, — ეს დიდი გამოგონება ამიერიდან ტომპსონ ჰარმონიზატორად იწოდება!

ბრბო აპლოდისმენტებით შეეგება მისტერ ტომპსონის სახელის გამოცხადებას, რომელიც უძრავად იჯდა შემცბარი გამომეტყველებით. დოქტორი სტადლერი დარწმუნებული იყო, რომ ამ პოლიტიკურ ვიგინდარას ისევე არ მიუძღოდა იოტისოდენა წვლილიც კი ამ პროექტში, როგორც აქაურ მომსახურე პერსონალს, კინოთეატრის კარისკაცებს რომ ჰგავდნენ, რომ მას არ გააჩნდა საკმარისი გონებამახვილობა, ინიციატივა ან თუნდაც აგრესია საიმისოდ, თუნდაც თრიის დასაჭერი ხაფანგის მსგავსი ახალი მოწყობილობა გაეჩინა, რომ ისიც მხოლოდ ერთი ჭანჭიკი იყო უხმო მექანიზმისა, რომელსაც არც ცენტრი გააჩნდა, არც მიმართულება და არც ხელმძღვანელი ჰყავდა. ამ მექანიზმს არც დოქტორი ფერისი მართავდა და არც უესლი მაუჩი, არც რომელიმე დაშინებული არსება ტრიბუნაზე ან სცენის უკან მდგომი ადამიანებიდან ვინმე — ეს იყო უპიროვნო, ფიქრის უნარს მოკლებული, უსხეულო მექანიზმი, რომელსაც მმართველი არ ჰყავდა და ყველა მისი პაიკი იყო, თითოეული — სიბოროტის საკუთარი ხარისხის შესატყვისად. სტადლერი სკამის კიდეს ჩაეჭიდა: მოუნდა, წამომხტარიყო და და გაქცეულიყო იქიდან.

— ბგერითი სხივის ფუნქციასა და მიზანზე არაფერს ვიტყვი. დაე, მან თავად აჩვენოს ეს. ახლა დაინახავთ მის მოქმედებას. გირჩევთ, როდესაც დოქტორი ბლაჯეტი ქსილოფონის ბერკეტებს ჩამოსწევს, მზერა სამიზნეზე შეაჩეროთ, ორი მილის დაშორებით მდებარე ფერმაზე. სხვა არც არაფერი იქნება დასანახი, რადგან თვითონ ბგერითი სხივი უხილავია. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა დიდი ხნის წინ დაასკვნეს, რომ არ არსებობს განყენებული ცნებები და ღირებულებები, არსებობს მხოლოდ ქმედებები და შედეგები. ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ იხილავთ ტომპსონ ჰარმონიზატორის ქმედებასა და მისი მოქმედების შედეგებს.

დოქტორმა ფერისმა თავი დაუკრა საზოგადოებას, მიკროფონს მოშორდა და სტადლერის გვერდით თავისი ადგილი დაიკავა.

ახალგაზრდა, ტანსრული კაცი სამართავ დაფასთან მივიდა და თვალები მომლოდინედ მიაპყრო ბატონ ტომპსონს. ის ერთი წამით გაოცებული იყურებოდა, თითქოს რაღაც ამოუვარდა თავიდან, შემდეგ უესლი მაუჩი მისკენ გადაიხარა და ყურში რაღაც სიტყვა წასჩურჩულა.

— კონტაქტი! — წამოიძახა ტომპსონმა ხმამაღლა.

დოქტორ სტადლერს არაფრით არ შეეძლო, ეყურებინა, როგორ სწევდა ბლაჯეტი ხელის მოხდენილი და ნაზი მოძრაობით სამართავი დაფის ბერკეტებს რიგრიგობით. მან აიღო ბინოკლი და ფერმას გახედა.

იმ დროს, როდესაც სტადლერმა ბინოკლის ლინზებში გაიხედა, ერთ-ერთი თხა თავის ჯაჭვს ექაჩებოდა და მაღალი, გამომშრალი სარეველა ბალახისკენ იწევდა, მეორე წამს კი ჰაერში ახტა, ფეხები ასწია და დაიკრუნჩხა, შემდეგ დანარჩენი თხების ნაცრისფერ გროვაში ჩავარდა. როცა დოქტორმა სტადლერმა ეს სანახაობა დაიჯერა, თხების გროვა უკვე აღარ ინძრეოდა, მხოლოდ ერთ-ერთს გამოეშვირა გარეთ ჯოხივით გაშეშებული ფეხი, რომელიც ისე ირხეოდა, თითქოს ძლიერ ქარში მოხვედრილიყო. ფერმა ტკეჩის ნაწილებად დაიშალა და ჩამოინგრა, მას აგურით ნაშენი საკვამურიც მიჰყვა. მოულოდნელად ტრაქტორიც გასწორდა მიწასთან. წყლის ავზიც გაიბზარა და ნამსხვრევები მიწაზე ჩამოიყარა, მისი ბორბალი კი თითქოს საკუთარი სურვილისამებრ ჰაერში მრუდს ხაზავდა. ახალი აგებული, მყარი ესტაკადის ფოლადის კოჭები და დირეები ასანთის ჩხირებით აწყობილი ნაგებობასავით ერთი ამოსუნთქვით ჩამოიქცა. ეს ისე სწრაფად, ისე უდავოდ და მარტივად მოხდა, რომ დოქტორ სტადლერს არაფერი უგრძნია, არც შიში, ასეთი რეალობა მისთვის უცნობი იყო, ეს ბავშვის კოშმარის რეალობა იყო, სადაც მხოლოდ ერთ ბოროტ ნატვრას შეუძლია, საგნები წამში გააქროს.

სტადლერმა თვალებიდან მოიშორა ბინოკლი. ახლა დაცარიელებულ ველს უყურებდა. ფერმა აღარსად იყო, შორს ღრუბლის ჩრდილის მსგავსი ერთადერთი მუქი ზოლი მოჩანდა.

უკან, იარუსებიდან, გამყინავი ყვირილი მოისმა, რომელიღაც ქალს გული შეუღონდა. სტადლერს გაუკვირდა, ქალმა ასე დაგვიანებით რატომ დაიწივლა, მაგრამ მერე გააცნობიერა, რომ სინამდვილეში, პირველი ბერკეტის ჩამოწევიდან წუთიც კი არ იყო გასული.

სტადლერმა ისევ გაიხედა ბინოკლში, თითქოსდა უცაბედი იმედით, რომ მხოლოდ ღრუბლის ჩრდილს დაინახავდა. მაგრამ საგნები არსად გამქრალან, ოღონდ ახლა ისინი ნაგვის გროვად გადაქცეულიყვნენ. დაჟინებით აკვირდებოდა კატასტროფის ადგილს; გააცნობიერა, რომ ციკანს ეძებდა, თუმცა ვერ იპოვა — მხოლოდ ნაცრისფერი ბეწვის პატარა გორა დაინახა.

როდესაც ბინოკლი დაუშვა, დოქტორ ფერისისკენ შებრუნდა, რომელიც მას შესცქეროდა. სტადლერი დარწმუნებული იყო, რომ მთელი ამ გამოცდის განმავლობაში ფერისი სამიზნეს კი არა, მის სახეს უყურებდა, თითქოს აინტერესებდა, მას, რობერტ სტადლერს, აღმოაჩნდებოდა თუ არა საკმარისი მხნეობა ამ მოვლენის საცქერლად.

— სულ ეს არის, — გამოაცხადა მიკროფონში ტანსრულმა დოქტორმა ბლაჯეტმა უნივერსალური მაღაზიის გაყიდვების მენეჯერის პირფერული ტონით, —

ნაგებობების კარკასში არ დარჩენილა ლურსმანი ან მოქლონი, ცხოველების ორგანიზმში კი სისხლძარღვი, რომელიც არ დაზიანებულა.

ბრბოს მოუსვენრობა დაეტყო და ხმამაღალი ჩურჩული გაისმა. ადამიანები ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ, თითქოს ითხოვდნენ, ეს სიჩუმე რაც შეიძლება სწრაფად დარღვეულიყო. მათ ჩურჩულში ისტერიკა იმალებოდა. ჩანდა, ხალხი ელოდა, ვინმეს ეკარნახა მათთვის, თუ რა უნდა ეფიქრათ.

დოქტორმა სტადლერმა დაინახა, რომ უკანა რიგიდან ერთი ქალი ჩამოჰყავდათ, რომელსაც თავი წინ გადმოეხარა და პირზე ხელსახოცი აეფარებინა: ეტყობოდა, გული ერეოდა.

სტადლერი მიბრუნდა და დაინახა, რომ დოქტორი ფერისი კვლავ მას შესცქეროდა. სტადლერი ოდნავ უკან გადაიხარა, სახეზე კი ერის უდიდესი მეცნიერის კუშტი და დამცინავი იერი ედო. — ვინ გამოიგონა ეს შემაძრწუნებელი საგანი? — ჰკითხა მან ფერისს.

— თქვენ.

სტადლერი არ განძრეულა, ისე უყურებდა მას.

— ეს უბრალოდ პრაქტიკული მოწყობილობაა, — ამბობდა ფერისი სასიამოვნო ხმით, — რომელიც თქვენს თეორიულ აღმოჩენებს დაეფუძნა. ეს მოწყობილობა კოსმოსური სხივების ბუნებასა და ენერგიის სივრცულ გადაცემაში თქვენ მიერ ჩატარებული ფასდაუდებელი კვლევის საფუძველზე შეიქმნა.

— ვინ მუშაობდა ამ პროექტზე?

— რამდენიმე მესამეხარისხოვანი პირი, როგორც თქვენ მათ უწოდებდით. მართლა, დიდად არ გაგვძნელებია. არც ერთ მათგანს არ ესმოდა ენერგიის გადაცემის თქვენი ფორმულის კონცეფცია, სწორედ ამიტომ, დანარჩენი ყველაფერი მარტივი აღმოჩნდა.

— რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ამ გამოგონებას? რაში გამოიხატება მისი ეპოქალური შესაძლებლობები?

— ოჰ, ნუთუ ვერ ხედავთ? ეს ხომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფასდაუდებელი იარაღია. ვერც ერთი მტერი ვერ გაბედავს, თავს დაესხას ასეთი იარაღის მფლობელს. ეს საშუალებას მისცემს ქვეყანას, გათავისუფლდეს აგრესიის შიშისგან და გარანტირებული უსაფრთხოების ფონზე დაგეგმოს თავისი მომავალი, — ფერისის ხმას უცნაური უდარდელობა ეტყობოდა და იმპროვიზაციის ელფერი დაჰკრავდა, თითქოს არც მოელოდა და არც ცდილობდა, მისი სიტყვებისა ერწმუნათ, — ეს გაანეიტრალებს სოციალურ მტრობას, ხელს შეუწყობს მშვიდობას, სტაბილურობას და ჰარმონიას. ეს ომის ყოველგვარ საშიშროებას მოსპობს.

— რომელი ომი? რომელი აგრესია? სად ხედავთ ომის საფრთხეს, როდესაც მთელი მსოფლიო შიმშილობს და ეს ქვეყანა სამოწყალოდ არჩენს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის „სახალხო რესპუბლიკებს“? ამ ჩამოკონკილი ველურებისგან ელით თავდასხმას?

დოქტორმა ფერისმა სტადლერს პირდაპირ თვალებში ჩახედა — შინა მტრები ხალხს შესაძლოა, ზუსტად ისეთსავე საფრთხეს უქმნიდნენ, როგორც გარეშე მტრები, — მიუგო მან სტადლერს, — შეიძლება, უფრო დიდ საფრთხესაც, — ამჯერად ფერისის ხმა ისე ჟღერდა, თითქოს მოელოდა და დარწმუნებულიც იყო, რომ მისი სიტყვების აზრს გაიგებდნენ, — სოციალური სისტემები ბოლომდე საიმედო არ არის. მაგრამ, დაფიქრდით, როგორი სტაბილურობა მიიღწევა სტრატეგიული

მნიშვნელობის მქონე წერტილებში რამდენიმე სამეცნიერო მოწყობილობის დაყენებით.

ეს სამუდამო მშვიდობის გარანტიას მოგვცემდა, ასე არაა?

დოქტორი სტადლერი არც განძრეულა და არც უპასუხია; წამები გადიოდა და გამომეტყველება არ ეცვლებოდა, თითქოს პარალიზებული იყო. მის თვალებს იმ ადამიანის გამოხედვა ჰქონდა, რომელმაც მოულოდნელად დაინახა ის, რაც წლების განმავლობაში, თავიდანვე იცოდა, მაგრამ ცდილობდა, არ დაენახა, ახლა კი მასში შინაგანი ბრძოლა გაიმართა მისი ხედვის უნარსა და მისსავე ძალას შორის, რომელიც ამ საგნის არსებობას უარყოფდა. — არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ! — მიახალა ფერისს ბოლოს.

დოქტორმა ფერისმა გაიღიმა.

— „პროექტ X“—ს არც ერთი კერძო ბიზნესმენი ან ხარბი მეწარმე არ დააფინანსებდა, — დაიწყო მან წყნარი ხმით, არაოფიციალური და შენელებული ტონით, — ამას, უბრალოდ, ვერ გასწვდებოდა. ეს უზარმაზარი ინვესტიციაა, რომელსაც არავითარი მატერიალური მოგების პერსპექტივა არ გააჩნია. რა ხეირის იმედი უნდა ჰქონოდათ მათ ამ საქმიდან? ამიერიდან ვერც იმ ფერმიდან მოიგებენ რაიმეს, — ფერისმა შორეულ მუქ ზოლზე მიუთითა, — მაგრამ, როგორც თქვენც კარგად შენიშნავდით, „პროექტი X“ არაკომერციული წამოწყება უნდა ყოფილიყო. ბიზნესფირმისგან განსხვავებით, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტს პროექტისთვის საჭირო ფულადი სახსრების მიღებაში პრობლემა არ შეექმნებოდა. თქვენ ხომ არ გსმენიათ, რომ ინსტიტუტს რაიმე ფინანსური პრობლემები ჰქონოდა ბოლო ორი წლის განმავლობაში? ეს კი ისეთი რთული საქმე იყო — ადამიანების დარწმუნება, მეცნიერების წინსვლისთვის საჭირო თანხა შემოეწირათ. თქვენივე სიტყვებით თუ ვიტყვით, ისინი თავიანთი ნაღდი ფულის სანაცვლოდ ყოველთვის ითხოვდნენ რაიმე მოწყობილობას. და აი, ის მოწყობილობაც, რომელსაც ძალაუფლების მქონე ზოგიერთი ადამიანი ძალიან აფასებს. მათ სხვებსაც გააღებინეს თანხა პროექტისთვის. ეს სულაც არ იყო ძნელი. სინამდვილეში, ხალხი, რომელმაც ფული ჩადო ამ საქმეში, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა, რადგან ეს საიდუმლო პროექტი იყო — ისინი დარწმუნებული იყვნენ ამ პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელოვანებაში, რაკი თავადაც არ უმხელდნენ არაფერს მის შესახებ. რა თქმა უნდა, მათ შორის რამდენიმე სკეპტიკურად განწყობილი ადამიანიც აღმოჩნდა. მაგრამ პროექტის მნიშვნელოვანება მათაც დაიჯერეს, როდესაც შეახსენეს, რომ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის ხელმძღვანელი რობერტ სტადლერი იყო, რომლის გონიერებასა და პატიოსნებაში ისინი ეჭვს ვერ შეიტანდნენ.

თავდახრილი სტადლერი საკუთარ ფრჩხილებს დაჰყურებდა.

მიკროფონის მოულოდნელმა ხმამ საზოგადოების ყურადღება მიიქცია; ხალხს პანიკამდე ბევრი არაფერი უკლდა. დიქტორმა, რომელიც სიტყვებს ავტომატივით ისროდა, მხიარული ხმით გამოაცხადა, რომ მალე რადიოთი მთელ ერს ეცნობებოდა ამ დიადი აღმოჩენის შესახებ. შემდეგ საათსა და დაწერილ ტექსტს დახედა, უესლი მაუჩის ხელის მოძრაობაზე კი მიკროფონში დაიყვირა, მისი ხმა მთელი ქვეყნის სასტუმრო ოთახებში, ოფისებში, კაბინეტებსა და საბავშვო ბაღებში გაისმოდა: „ქალბატონებო და ბატონებო! „პროექტი X“!

როდესაც დიქტორი აჩქარებული ხმით მთელ კონტინენტს აუწყებდა ახალი გამოგონების შესახებ, დოქტორი ფერისი სტადლერისკენ გადაიხარა და ჩვეულებრივი შენიშვნის ტონით მიმართა:

— სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ქვეყნისთვის ასეთ გაურკვეველ პერიოდში ეს პროექტი არ გააკრიტიკონ, — შემდეგ ნახევრად შემთხვევით, ნაწილობრივ კი ხუმრობასავით დაამატა, — საერთოდაც, არავითარი კრიტიკა არ უნდა არსებობდეს, არასოდეს. — და ერის პოლიტიკური, კულტურული, ინტელექტუალური და მორალური ხელმძღვანელები, — ჩაჰყვიროდა დიქტორი მიკროფონში, — რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს ეს დიადი მოვლენა, როგორც თქვენმა წარმომადგენლებმა, თქვენივე სახელით, ახლა პირადად გესაუბრებიან თავიანთ შეხედულებებზე მის შესახებ!

მისტერ ტომპსონი პირველი ავიდა ხის კიბით სცენაზე, სადაც მიკროფონი იდგა.

მან მოკლე სიტყვა წარმოთქვა — ახალი ეპოქის დაწყება ამცნო აუდიტორიას და იდუმალი მტრებისადმი მიმართული გამოწვევის აგრესიული ტონით გამოაცხადა, რომ მეცნიერება ხალხს ეკუთვნოდა და დედამიწაზე მცხოვრებ ყოველ ადამიანს ჰქონდა უფლება, ტექნოლოგიური პროგრესის მიერ შექმნილი უპირატესობებით ესარგებლა.

შემდეგ უესლი მაუჩი გამოვიდა სიტყვით. მან სოციალურ დაგეგმარებასა და ორგანიზატორების მხარდასაჭერად ერთსულოვანი გაერთიანების საჭიროებაზე ილაპარაკა, დისციპლინაზე, ერთიანობაზე, სიმტკიცეზე და დროებითი სიძნელეების გადატანის პატრიოტულ მოვალეობაზე:

— ჩვენ მოვახერხეთ მობილიზაცია ქვეყნის ყველაზე ნიჭიერი ადამიანებისა, რათა მათ თქვენი კეთილდღეობისთვის ეღვაწათ. ეს დიადი გამოგონება იმ ადამიანის ნიჭიერების ნაყოფია, რომლის კაცობრიობისთვის თავდადებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, იმ ადამიანის, რომელიც საუკუნის გენიოსად მიიჩნევა — დოქტორ რობერტ სტადლერის!

— რა? — წამოიძახა სტადლერმა და ფერისისკენ შებრუნდა.

ფერისმა მას მშვიდად შეხედა.

— მას ამის თქმის ნებართვა ჩემთვის არ უთხოვია! — დაიჩურჩულა სტადლერმა უკმეხად.

დოქტორმა ფერისმა საყვედურით სავსე უძლურებით გაშალა ხელები:

— ახლა ხომ ხედავთ, დოქტორო სტადლერ, რა უსიამოვნება მოჰყვება პოლიტიკურ საქმეებში ჩაბმას, რომლებსაც თქვენი ყურადღების ღირსად არასდროს თვლიდით. როგორც ხედავთ, ბატონ მაუჩი სულაც არ არის ვალდებული, ნებართვა სთხოვოს ვინმეს.

წელში მოხრილი კაცი, რომელიც ახლა სცენაზე მიკროფონთან იდგა და დაქანცული და დაუდევარი ტონით ლაპარაკობდა, დოქტორ საიმონ პრიტჩეტი იყო. მან თქვა, რომ ახალი გამოგონება სოციალური სამართლიანობისა და საყოველთაო კეთილდღეობის საიმედო იარაღია, და ყველას, ვინც ეჭვს შეიტანს ამ უდავო ჭეშმარიტებაში, საზოგადოების მტრად გამოაცხადებენ და საკადრისადაც დასჯიან.

— ეს გამოგონება დოქტორ რობერტ სტადლერს ეკუთვნის, თავისუფლებაზე შეყვარებულ ადამიანს...

დოქტორმა ფერისმა პორტფელი გახსნა, იქიდან ფურცლები ამოიღო აკურატულად ჩაწიკწიკებული ტექსტით და დოქტორ სტადლერს მიუბრუნდა:

— რადიოგადაცემის კულმინაცია თქვენი სიტყვა უნდა გახდეს, ბოლო გამომსვლელი თქვენ იქნებით, — და ფურცლები გაუწოდა, — აი, თქვენი მოხსენება.

დანარჩენი ფერისის თვალებმა თქვეს: მას სიტყვები შემთხვევით არ შეურჩევია.

დოქტორმა სტადლერმა გამოართვა ფურცლები, თუმცა ისინი თითის წვერებით ისე ეჭირა, როგორც გადასაგდებად გამზადებული ქაღალდის ნაგლეჯი.

— მე არ მითხოვია თქვენთვის, ჩემ მაგივრად დაგეწერათ მოხსენება, — უთხრა მან ფერისს, რომელსაც სტადლერისვე ხმის სარკაზმი აგრძნობინებდა, რომ ახლა ნამდვილად არ იყო სარკაზმისთვის შესაფერისი დრო.

— მე ვერ დავუშვებდი, თქვენი შეუფასებელი დრო რადიოგადაცემისთვის განკუთვნილი მოხსენების დასაწერად დაგეხარჯათ, — თქვა ფერისმა, — ვიცოდი, რომ ამას დააფასებდით, — თქვა მან მოჩვენებითი თავაზიანობის ტონით, რომლის მიზანიც სწორედ ამ სიყალბის ჩვენება იყო, თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით მათხოვარს მოწყალება მიუგდო.

დოქტორ სტადლერის რეაქციამ ფერისი ააღელვა: სტადლერს მისთვის არც პასუხი გაუცია და არც ნაწერისთვის დაუხედავს.

— რწმენის ნაკლებობის, — ქუჩის ხულიგნის ხმით ღრიალებდა მიკროფონში სცენაზე მდგარი ზორბა ტანის გამომსვლელი, — მხოლოდ რწმენის ნაკლებობის უნდა გვეშინოდეს! თუ ჩვენ ჩვენი ლიდერების გეგმებისადმი რწმენით განვიმსჭვალებით, ეს გეგმები აუცილებლად იმუშავებს და კეთილდღეობა, სიმშვიდე და დოვლათი არ მოგვაკლდება. ამ გაჭირვებაში სწორედ ისინი გვამყოფებენ, ვისაც ამაში ეჭვი შეაქვს და ჩვენს რწმენას ანადგურებს. მაგრამ ჩვენ აღარ ვაპირებთ, მათ ამის უფლება კიდევ მივცეთ, აქ ხალხის დასაცავად ვართ — და თუ ვინმე ასეთი დაეჭვებული ყოვლისმცოდნე გამოჩნდება, მერწმუნეთ, ჩვენ მათ მოვუვლით!

— ასეთ დროს ხალხის მტრულად განწყობა მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტისადმი, — ამბობდა დოქტორი ფერისი წყნარი ხმით, — უბედურებას მოიტანს.

ახლა ქვეყანაში დიდი უკმაყოფილება და არეულობაა, და თუ ადამიანები სწორად ვერ გაიგებენ ახალი გამოგონების არსს, ისინი მეცნიერებზე იყრიან ჯავრს. მეცნიერები ხომ ხალხის მასების დიდი მხარდაჭერით არასდროს სარგებლობდნენ.

— მშვიდობა, — ოხრავდა მიკროფონში მაღალი, თხელი ქალი, — ეს დიადი გამოგონებაა, მშვიდობის ახალი იარაღია. ის ჩვენ დაგვიცავს თავკერძა მტრების უკეთური განზრახვისგან, საშუალებას მოგვცემს, თავისუფლად ვისუნთქოთ და ჩვენი თანამოძმეების სიყვარული ვისწავლოთ, — ქალს წვეულებებზე სიარულისგან დაქანცული, გამხდარი სახე ჰქონდა და გრძელი ცისფერი კაბა ეცვა, არფისტებს რომ აცვიათ ხოლმე სცენაზე, დაახლოებით ისეთი, — ეს გამოგონება შეგვიძლია, საუკუნეების ახდენილ ოცნებად, მეცნიერებისა და სიყვარულის საბოლოო სინთეზად, იმ სასწაულად მივიჩნიოთ, რომელიც შეუძლებელი ეგონათ კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში!

დოქტორმა სტადლერმა ტრიბუნაზე მსხდომი ადამიანების სახეებს შეხედა.

ისინი მდუმარედ უსმენდნენ მომხსენებლებს, მაგრამ მათ მზერაში მწუხარება, სამუდამო შიში და ჩირქმოდებული ღია ჭრილობები მოჩანდა. სტადლერის მსგავსად, ისინიც ხვდებოდნენ, რომ სოკოსმაგვარი შენობის თაღიდან გამოშვერილი უფორმო საკვამურების სამიზნეები თავად იყვნენ; სტადლერს ამ დროს ძალიან მოუნდა, გაეგო, როგორ ახშობდნენ ეს ადამიანები საკუთარ გონებას, ამ ცოდნისგან თავი რომ დაეღწიათ; მან იცოდა, რომ სიტყვები, რომელთა გაგება და დაჯერება ასე უნდოდა ამ ხალხს, სწორედ იმ ჯაჭვებს ჰგავდა, რომლებითაც თხებს საკვამურების სიახლოვეს აჩერებდნენ. მათ მართლაც სურდათ, მომხსენებლების სიტყვები დაეჯერებინათ; სტადლერი ხედავდა მათ მოკუმულ ტუჩებს, თუ როგორი ეჭვის თვალით

გადახედავდნენ ხოლმე გვერდით მჯდომს — თითქოს ბგერითი სხივი კი არ იყო მათთვის საშიშროება, არამედ ადამიანი, რომელიც მათ აიძულებდა, ის საშიშროებად მიეჩნიათ. ამ ადამიანების თვალებს ნელ-ნელა ძველი მზერა უბრუნდებოდა, მაგრამ მათში ჯერ კიდევ მოჩანდა ჭრილობის ნარჩენი, რომელიც მკურნალობას ითხოვდა.

— რატომ გგონიათ, რომ ისინი ფიქრობენ? — ჰკითხა ფერისმა სტადლერს წყნარი ხმით, — გონება მეცნიერის ერთადერთი იარაღია, ადამიანებზე კი გონება ვერ ზემოქმედებს, ასე არ არის? ჩვენი დროის მსგავს ხანაში, როდესაც ქვეყანა ნაწილებად იშლება, სასოწარკვეთილებით დაბრმავებული ბრბო კი აშკარა ამბოხისა და ძალადობისკენ მიექანება, წესრიგის შესანარჩუნებლად ნებისმიერი საშუალება გამართლებულია. რისი გაკეთება შეგვიძლია, როდესაც საქმე ადამიანებთან გვაქვს?

სტადლერს არაფერი უპასუხია.

თავიდან ყურებს არ დაუჯერა — გაიგონა, როგორ აცხადებდა მიკროფონში ტანსრული ქალი, რომელსაც მუქი, ოფლით დალაქავებული კაბის ქვეშიდან პატარა ზომის ბიუსტჰალტერი მოუჩანდა, რომ ქვეყანაში მცხოვრები დედები ახალ გამოგონებას განსაკუთრებული მადლიერებით უნდა შეხვედროდნენ.

სტადლერმა გვერდზე გაიხედა; ფერისი მხოლოდ მისი მაღალი შუბლის შთამბეჭდავ ხაზსა და სიმწრის ნაოჭს ხედავდა პირის კუთხეში.

უცებ რობერტ სტადლერი ფერისისკენ მიბრუნდა. გეგონებოდა, უკვე ლამის შეხორცებული ჭრილობა მოულოდნელად გაიხსნა და სისხლის ჭავლმა იხუვლა: სტადლერს სახე თითქოს გაეხსნა და ტკივილმა, ძრწოლამ, ნამდვილმა ემოციამ ამოხეთქა, თითქოს წამით მასშიც და ფერისშიც ისევ გაიღვიძა ადამიანმა, და აღშფოთებითა და სასოწარკვეთით დაიგმინა:

— და ეს ცივილიზებულ ქვეყანაში, ფერის, ცივილიზებულ ქვეყანაში!

ფერისმა ჯერ ჩაიცინა, შემდეგ კი მკაცრი მენტორის ტონით მიუგო სტადლერს:

— არ ვიცი, რაზე მელაპარაკებით.

სტადლერმა თავი დახარა.

როდესაც ფერისმა საუბარი განაგრძო, სტადლერმა მის ხმაში ბუნდოვანი ტონი შენიშნა, რომელსაც ვერ მიუხვდა, მხოლოდ ის იცოდა, რომ ასეთი ტონი ცივილურ მსჯელობაში არ გამოიყენებოდა:

— დიდი უბედურება იქნებოდა, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტს რაიმე საფრთხე რომ დამუქრებოდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დახურავდნენ ან ერთ-ერთ ჩვენგანს მის დატოვებას აიძულებდნენ. სად წავიდოდით? დღესდღეობით მეცნიერება გადამეტებულ ფუფუნებად მიიჩნევა და ცოტა ადამიანსა და დაწესებულებას თუ შეუძლია ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება, ფუფუნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჩვენთვის ღია კარი აღარ არსებობს. რიერდენის ფოლადის კომპანიის მსგავსი საწარმოს კვლევით განყოფილებაში არავინ მიგვიღებს.

გარდა ამისა, თუ მტრებს გავიჩენთ, ეს მტრები საფრთხედ აღიქვამენ ყველას, ვინც დააპირებს, დაგვასაქმოს ჩვენი ნიჭის გამო. რიერდენის მსგავსი ადამიანი ჩვენი გულისთვის ნამდვილად იბრძოლებდა. როგორ გგონიათ, ამას ორენ ბოილისნაირი კაცი გააკეთებს? მაგრამ ეს წმინდა თეორიული მსჯელობაა, რადგან სინამდვილეში სამეცნიერო კვლევის ყველა კერძო დაწესებულება უკვე დაიხურა უესლი მაუჩის მიერ შემოღებული დირექტივა 10-289-ის საფუძველზე. იქნებ უნივერსიტეტებზე ფიქრობთ? ისინიც იმავე მდგომარეობაში არიან, მტრების გაჩენა არც მათ აწყობთ.

ვინ გამოგვექომაგება? მჯერა, რომ ვინმე ჰიუ ექსტონისნაირი ადამიანი მოვიდოდა აქ ჩვენ დასაცავად, მაგრამ ახლა ამგვარი ფიქრი წარსულის გადმონაშთად, ანაქრონიზმად ჩაგვეთვლება. ექსტონი სხვა ეპოქას ეკუთვნოდა. ჩვენს სოციალურ და ეკონომიკურ რეალობაში შექმნილმა პირობებმა კი დიდი ხანია, მისი არსებობა შეუძლებელი გახადა. და არა მგონია, რომ დოქტორმა საიმონ პრიტჩეტმა ან მისი ხელმძღვანელობით აღზრდილმა თაობამ შეძლონ ან მოისურვონ ჩვენი დაცვა. მე არასდროს მჯეროდა იდეალისტების — თქვენ? არც ეს ეპოქაა არაპრაქტიკული იდეალიზმისთვის შესაფერისი. ვინმეს რომ მოესურვებინა, მთავრობის პოლიტიკას შესწინააღმდეგებოდა, როგორ გაახმოვანებდა ამას? პრესის წარმომადგენლების მეშვეობით, დოქტორო სტადლერ? ამ მიკროფონის საშუალებით? კიდევ დარჩა ქვეყანაში დამოუკიდებელი გაზეთი? კონტროლისგან თავისუფალი რადიოსადგური? ამ მიზნისთვის გამოსადეგი კერძო საკუთრება ან პირადი აზრი? — აქ ფერისის ხმის ტონი უკვე აშკარა გახდა: ეს ავაზაკის ტონი იყო, — პირადი აზრი ფუფუნების ის საგანია, რომლის შესაძლებლობა დღესდღეობით არავის აქვს.

დოქტორ სტადლერს ტუჩები თხების კუნთებივით გახევებოდა, როდესაც ფერისს უპასუხა:

— თქვენ რობერტ სტადლერს ესაუბრებით.

— ეს არც დამვიწყებია. სწორედ ამიტომაც ვლაპარაკობ ასე. „რობერტ სტადლერი“ სწორედ ის ცნობილი სახელია, რომლის განადგურებაც არ მსურს, ვიხილო.

მაგრამ დღესდღეობით რა ძალა აქვს ცნობილ სახელს ამ ხალხის თვალში? — ფერისმა ტრიბუნებისკენ გაიშვირა ხელი, — აქ შეკრებილი ხალხის თვალში? თუკი ისინი იჯერებენ, რომ სიკვდილის იარაღი კეთილდღეობის საშუალებაა, იმას აღარ დაიჯერებენ, თუ ეტყვიან, რომ რობერტ სტადლერი მოღალატე და ქვეყნის მტერია? მაშინ რისი იმედიღა დაგრჩებათ? რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება? ჭეშმარიტებაზე ფიქრობთ, დოქტორო სტადლერ? ჭეშმარიტების დადგენა სოციალურ საკითხებს არ შეეხება. საზოგადოებრივ საქმეებზე პრინციპები გავლენას ვერ ახდენენ. ადამიანებზე გონება ვერ ზემოქმედებს. ლოგიკა უძლურია. მორალი ზედმეტია. ახლა არ მიპასუხოთ, დოქტორო სტადლერ. თქვენ მიკროფონის საშუალებით გამცემთ პასუხს, რადგან შემდეგი მომხსენებელი თქვენ ხართ.

სტადლერმა შორს, ფერმის ადგილას გაჩენილ მუქ ზოლს გახედა და გააცნობიერა, რომ მთელი მისი არსება შიშს მოეცვა, მაგრამ თავს უფლებას მაინც არ აძლევდა, ამ გრძნობის ბუნება შეეცნო. ის, ვინც კოსმოსური სამყაროს ნაწილაკების შესწავლა შეძლო, თავს უფლებას არ აძლევდა, საკუთარ გრძნობას დაჰკვირვებოდა და გაეგო, რომ ის სამი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი იყო იმ ხილვის შიში, რომელსაც ასე ნათლად ხედავდა — ეს იყო ინსტიტუტის კარს ზემოთ მის საპატივცემულოდ გაკეთებული წარწერა: „უშიშარ გონებას, შეუბღალავ ჭეშმარიტებას“. ამ გრძნობის მეორე ნაწილი იყო ფიზიკური განადგურების დამამცირებელი და ცხოველური შიში, რომლის განცდასაც თავისი ახალგაზრდობის დროინდელ ცივილიზებულ სამყაროში სტადლერი ვერასდროს წარმოიდგენდა, მესამე ნაწილი კი იმის ცოდნით გამოწვეული შიში იყო, რომ პირველი სახის შიშის ღალატის შემთხვევაში, ადამიანი მეორე ტიპის შიშის სამყაროში იგდებს თავს.

სტადლერი სცენისკენ წელგამართული, მტკიცე და ნელი ნაბიჯებით გაემართა, ხელში დაჭმუჭნილი მოხსენება ეჭირა. ეს კვარცხლბეკისკენ ან გილიოტინისკენ

მსვლელობას ჰგავდა. როგორც სიკვდილის წუთებში გაუელვებს ადამიანს განვლილი ცხოვრება თვალწინ, ისე უცხადებდა დიქტორი მთელ ქვეყანას სტადლერის კარიერულ მიღწევებს, როდესაც ის სცენისკენ მიემართებოდა. რობერტ სტადლერს სახეზე მსუბუქმა კრუნჩხვამ დაუარა, როდესაც ეს სიტყვები გაიგონა: „პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ყოფილი ხელმძღვანელი“. სტადლერი აცნობიერებდა, — ბუნდოვნად, თითქოს ეს ცოდნა მასში კი არა, მის მიერ უკან მოტოვებულ რომელიღაც ადამიანში არსებობდა, — რომ ბრბო სულ მალე იხილავდა ფერმის განადგურებაზე გაცილებით უფრო საზარელი განადგურების აქტს.

სტადლერს ჯერ სცენისკენ მიმავალი კიბის სამი საფეხური ჰქონდა ავლილი, როდესაც ერთი ახალგაზრდა რეპორტიორი მიეჭრა და მისი შეჩერება სცადა.

— დოქტორო სტადლერ! — წამოიძახა ჟურნალისტმა სასოწარკვეთილი ხმით, — უთხარით ხალხს სიმართლე! უთხარით, რომ ამ საქმესთან საერთო არაფერი გაქვთ!

უთხარით, რა ჯოჯოხეთური მანქანაა ეს გამოგონება და რა მიზნით იგეგმება მისი გამოყენება! თქვით, რა ტიპის ადამიანები ცდილობენ, ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ჩაიგდონ! თქვენს სიტყვებში ეჭვს არავინ შეიტანს! უთხარით ხალხს ჭეშმარიტება! გვიხსენით! მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩვენი შველა!

დოქტორმა სტადლერმა ჟურნალისტს შეხედა. ის ახალგაზრდა კაცი იყო; მის მოძრაობებსა და ხმას ცოდნის მანიშნებელი სხარტი სიცხადე ეტყობოდა; პოლიტიკური პრესის ელიტაში, ასაკით უფროს, მოქრთამულ და მომხვეჭელ კოლეგებს შორის მოხვედრა ამ ახალგაზრდას შეუდრეკელი ნიჭის წყალობით მოეხერხებინა. მის თვალებში მგზნებარე და უშიშარი ინტელექტი გამოსჭვიოდა; სწორედ ასეთ გამოხედვას ხედავდა ხოლმე სტადლერი აუდიტორიაში ლექციის კითხვისას. მან შენიშნა, რომ რეპორტიორ ბიჭს თაფლისფერი თვალები ჰქონდა, რომლებსაც მწვანე ელფერი დაჰკრავდა.

სტადლერმა თავი მიაბრუნა და დაინახა, რომ ფერისი მისკენ მიიჩქაროდა, მსახურის ან სატუსაღოს ზედამხედველის მსგავსად.

— არ მოველოდი, თუ ქვეყნის მოღალატე ახალგაზრდა ავაზაკი შეურაცხმყოფდა, — თქვა სტადლერმა ხმამაღლა.

მოულოდნელი უსიამოვნო ინციდენტით განრისხებული დოქტორი ფერისი ჟურნალისტს მივარდა:

— მომეცი შენი პრესის ბარათი და მუშაობის ნებართვა!

— ვამაყობ, — კითხულობდა დოქტორი სტადლერი მოხსენების ტექსტს მიკროფონში ყურადღებად ქცეული აუდიტორიის სიჩუმის ფონზე, — რომ სწორედ მეცნიერების სამსახურში გატარებულმა წლებმა გამხადა ღირსი, ჩვენი დიადი ლიდერისთვის, მისტერ ტომპსონისთვის გადამეცა ახალი იარაღი. ამ იარაღის შესაძლებლობები, ადამიანის გონება გაათავისუფლოს და პროგრესისკენ მიმართოს, უსაზღვროა...

* * *

ჰაერი სიცხისგან ჩახუთულიყო, ნიუ-იორკის ქუჩები კი ჰაერისა და სინათლის ნაცვლად, დამდნარი მტვრით იყო სავსე. აეროპორტის ავტობუსიდან ჩამოსული დაგნი ქუჩის კუთხეში იდგა და ქალაქს უმოქმედო განცვიფრებით შესცქეროდა. შენობები თითქოს კვირების განმავლობაში გაგრძელებულ ზაფხულის სიცხეს გადაეხუნებინა, ხალხი კი საუკუნეების ტანჯვას მოექანცა. დაგნი უხმოდ შესცქეროდა ამ ყველაფერს, განიარაღებული არარეალურობის შეგრძნებით.

არარეალურობის ეს შეგრძნება ადრეული დილიდან მოჰყვებოდა, იმ წუთიდან, როდესაც დაცარიელებული გზატკეცილის ბოლოს უცნობ ქალაქში ამოყო თავი და პირველივე გამვლელი გააჩერა, თავისი ადგილმდებარეობა რომ დაედგინა.

— ვატსონვილი, — უპასუხა გამვლელმა. — ეს რომელი შტატია? — ჰკითხა დაგნიმ.

კაცმა შეხედა და მიუგო — ნებრასკა, და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა. დაგნიმ უხალისოდ გაიღიმა, რადგან მიხვდა, რომ გაოცებულ გამვლელს აინტერესებდა, საიდან მოდიოდა ქალი და ვერანაირი ახსნა ამ ამბისა, რაც კი შეიძლებოდა, კაცს წარმოედგინა, სიმართლესავით უჩვეულო ვერ იქნებოდა. მაგრამ დაგნის ვატსონვილი გაცილებით უფრო უცნაურ ადგილად ეჩვენებოდა, ვიდრე გოლტის ხეობა, როდესაც რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი მის ქუჩებს კვეთდა. მას დაჰკარგვოდა უნარი, სასოწარკვეთილება ადამიანის არსებობის ჩვეულებრივ ასპექტად აღექვა, იმდენად ჩვეულებრივად, რომ ის შეუმჩნეველიც კი გამხდარიყო, და ახლა სასოწარკვეთილების ხილვა მთელი თავისი ამაოებით განაცვიფრებდა ქალს. ის ადამიანების სახეზე ტკივილისა და შიშის დაღს ხედავდა და ყველაფერ ამის უარყოფის კვალსაც ამჩნევდა — ისინი თითქოს ოსტატურად თვალთმაქცობდნენ, თითქოს ასრულებდნენ რიტუალს, რეალობისგან თავი შორს დაეჭირათ, დედამიწა უხილავი რომ დარჩენილიყო, მათი ცხოვრება კი უსიცოცხლო რაღაც უსახელო აკრძალულის შიშში — მათ ეკრძალებოდათ საკუთარი ტკივილის ბუნებაზე დაკვირვება და მისი ატანის მოვალეობაში დაეჭვება. დაგნი ამ ყველაფერს ისე მკაფიოდ აცნობიერებდა, რომ მოუნდა, მისულიყო ამ მისთვის უცნობ ადამიანებთან, შეენჯღრია ისინი, დაეცინა მათთვის და ეყვირა: „გათავისუფლდით ამისგან!“

დაგნი ფიქრობდა, რომ რაც არ უნდა ყოფილიყო, ადამიანებს ასეთი უბედურების საფუძველი არ გააჩნდათ... შემდეგ კი გაახსენდა, რომ საღი აზრი მათ უკვე დიდი ხნის წინ განდევნეს თავიანთი არსებობიდან.

უახლოეს აეროდრომამდე მისაღწევად ტაგარტის მატარებელში ჩაჯდა; თავისი ვინაობა არავისთვის გაუმჟღავნებია, რადგან მისი აზრით, ეს შეუფერებელი იქნებოდა. ფანჯარასთან მოკალათდა იმ უცნობის მსგავსად, რომელმაც გარშემომყოფთა გაუგებარი ენა უნდა შეისწავლოს. დაგნიმ იქვე დაგდებული გაზეთი აიღო; ძლივძლიობით მოახერხა, გაეგო, რა ეწერა იქ, მაგრამ ვერ მიხვდა, საერთოდ რატომ უნდა დაეწერა ვინმეს ასეთი რამ: ეს ყველაფერი ხომ ბავშვურად უაზრო იყო.

დაგნი გაოცებული მიაშტერდა ნიუ-იორკიდან მიღებული ფასიანი განცხადებების სვეტის ერთ-ერთ აბზაცს. აქ ხაზგასმით იუწყებოდნენ — ჯეიმს ტაგარტს სურდა, ყველას სცოდნოდა, მისი და რომ ავიაკატასტროფაში დაიღუპა, ამ ამბის შესახებ რაიმე არაპატრიოტული ხმები რომ აღარ გავრცელებულიყო. დაგნის ნელ-ნელა გაახსენდა დირექტივა 10-289 და გააცნობიერა, რომ ჯიმს საზოგადოებაში გავრცელებული ჭორი აწუხებდა, თითქოს მისი და დეზერტირივით გაიპარა.

საგაზეთო შენიშვნის სიტყვების წყობა დაგნის მიანიშნებდა, რომ მისი გაუჩინარება საზოგადოებაში ფართო განხილვის საგნად ქცეულიყო და ჯერ კიდევ ინარჩუნებდა აქტუალობას. ამას სხვა რამეც მიანიშნებდა: სტატიაში ავიაკატასტროფების მზარდი რიცხვის შესახებ მის ტაგარტის ტრაგიკული სიკვდილიც იყო ნახსენები, გაზეთის ბოლო გვერდზე კი სარეკლამო განცხადება დაებეჭდათ, სადაც ჰენრი რიერდენი დაგნის ჩამოვარდნილი თვითმფრინავის მპოვნელს ჯილდოდ 100 000 დოლარს ჰპირდებოდა.

დაგნის რიერდენის განცხადებამ მოულოდნელად ამ ამბის მნიშვნელობა დაანახვა; ყველაფერ დანარჩენს უკვე აზრი ეკარგებოდა. შემდეგ ქალმა გააცნობიერა, რომ მისი დაბრუნება საზოგადო მოვლენა იყო, რომელიც დიდ ხმაურს გამოიწვევდა. მან ლეთარგიული დაღლილობა იგრძნო თავისი დრამატული დაბრუნების, ჯიმთან და პრესასთან შეხვედრისა და მთელი ამ მღელვარების წარმოდგენაზე. დაგნი ნატრობდა, რომ მისი ოჯახის წევრებსა და საზოგადოებას ეს ყველაფერი მის გარეშე გადაეტანა.

აეროდრომზე დაინახა, რომ პატარა ქალაქის რეპორტიორი გასამგზავრებლად გამზადებული ოფიციალური პირებისგან ინტერვიუს იღებდა. მან დაიცადა ინტერვიუს დამთავრებამდე, შემდეგ მივიდა ჟურნალისტთან, გაუწოდა თავისი პასპორტი და მშვიდი ხმით უთხრა გაოცებულ რეპორტიორს:

— მე დაგნი ტაგარტი ვარ. ხომ არ გააგებინებდით საზოგადოებას, რომ ცოცხალი ვარ და ნაშუადღევს უკვე ნიუ-იორკში ვიქნები?

თვითმფრინავი მალე უნდა აფრენილიყო და დაგნიმ მოახერხა, თავი დაეძვრინა კითხვებზე პასუხის გაცემის აუცილებლობისგან.

ის თვითმფრინავიდან გადაჰყურებდა, როგორ ჩაუქროლეს მიუწვდომელი მანძილით დაშორებულმა ველებმა, მდინარეებმა, ქალაქებმა და უცებ შენიშნა, რომ თვითმფრინავიდან მიწაზე ცქერისგან გამოწვეული მარტოობის განცდა იგივე იყო, რასაც ადამიანთა სახეების ყურებისას განიცდიდა, განსხვავება მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ ხალხი უფრო დიდი მანძილით ეჩვენებოდა დაშორებული.

თვითმფრინავის მგზავრები რაღაც რადიოგადაცემას უსმენდნენ, ისეთი ინტერესით, ჩანდა, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. დაგნიმ გაიგონა ყალბი პათოსით მოსაუბრე ხმები, რომლებიც ხალხს ამცნობდნენ რაღაც ახალი ტიპის გამოგონების შესახებ, გაურკვეველი საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის გაურკვეველი ხასიათის მოგება რომ უნდა მოეტანა. აშკარა იყო, განგებ შეერჩიათ ისეთი სიტყვები, რომელთაც კონკრეტული მნიშვნელობა არ ჰქონდათ; დაგნი გააოცა იმ ამბავმა, თუ როგორ შეეძლო ადამიანს თავის მოტყუება, თითქოს მართლაც მოხსენებას ისმენდა; თუმცა მგზავრები სწორედ ასე იქცეოდნენ: ისინი წარმოდგენას თამაშობდნენ კითხვის უცოდინარი ბავშვის მსგავსად, რომელსაც ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს და რაც სურს, იმას „კითხულობს“, თითქოს მისთვის გაუგებარ შავად დაბეჭდილ ხაზებში მართლაც ასე ეწეროს. მაგრამ ბავშვმა იცის მაინც, რომ თამაშობს; ეს ადამიანები კი ცდილობენ, საკუთარი თავი დააჯერონ, რომ არ ფარისევლობენ; მათთვის უცნობია არსებობის სხვაგვარი ფორმა.

არარეალურობის განცდა იყო ერთადერთი რამ, რასაც დაგნი გრძნობდა, როდესაც თვითმფრინავიდან ჩამოვიდა და იმის ნაცვლად, ტაქსის გაჩერებასთან მისულიყო, რეპორტიორების ჯგუფისგან თავის დასაღწევად, ავტობუსში ჩაჯდა. ავტობუსიდან ჩამოსული გაჩერებაზე იდგა და ნიუ-იორკის ქუჩებს შესცქეროდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მიტოვებულ ქალაქს უყურებდა.

დაგნის შინ დაბრუნების განცდა არ ჰქონია, როდესაც თავის ბინაში შედგა ფეხი; ეს ადგილი მოსახერხებელ მანქანას ჰგავდა, მისთვის უმნიშვნელო დანიშნულებით.

მაგრამ როდესაც ტელეფონის ყურმილი აიღო პენსილვანიაში, რიერდენის ოფისში დასარეკად, უცებ ენერგიის მოზღვავება იგრძნო, თითქოს ნისლი გაიფანტა და მისთვის ცხოვრებას აზრი მიეცა.

— ოჰ, მის ტაგარტ... მის ტაგარტ! — ყურმილში კუშტი და უემოციო მის აივსის სიხარულნარევი კვნესა გაისმა.

— სალამი, მის აივს. ხომ არ შეგაშინეთ? იცოდით, რომ ცოცხალი ვიყავი?

— ოჰ, რა თქმა უნდა! ამ დილით რადიოთი გავიგე.

— მისტერ რიერდენი თავის ოფისშია?

— არა, მის ტაგარტ. ის... ის როკის მთებშია, რომ მოძებნოს...

— დიახ, მესმის. იცით, როგორ მივაწვდინოთ ხმა?

— ნებისმიერ დროს ველი მის ზარს. ამჟამად ლოს-გატოსში, კოლორადოშია გაჩერებული. როდესაც თქვენი ამბავი გავიგე, მაშინვე დავურეკე, მაგრამ ის გასული იყო და შეტყობინება დავუტოვე, რომ დამიკავშირდეს. იცით, თითქმის მთელ დღეს ფრენას ანდომებს... მაგრამ როდესაც სასტუმროში დაბრუნდება, აუცილებლად დამირეკავს.

— რომელ სასტუმროშია გაჩერებული?

— სასტუმრო „ელდორადოში“, ლოს-გატოსში.

— გმადლობთ, მის აივს. — დაგნის ის-ის იყო ყურმილი უნდა დაეკიდა.

— ოჰ, მის ტაგარდტ!

— დიახ?

— რატომ გაუჩინარდით? სად იყავით?

— მე... მე მაშინ მოგიყვებით ყველაფერს, როდესაც პირადად შეგხვდებით. ახლა ნიუ-იორკში ვარ. მისტერ რიერდენი რომ დარეკავს, უთხარით, რომ ჩემს ოფისში ვიქნები.

— კეთილი, მის ტაგარტ.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა, მაგრამ ხელი მაინც არ გაუშვია, რადგან ეჭიდებოდა თავის პირველ კონტაქტს იმ საგანთან, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო მისთვის.

ქალმა თავის ბინას მოავლო თვალი, შემდეგ კი ფანჯრიდან ქალაქს გახედა და უხალისობა იგრძნო იმის გაფიქრებისას, რომ კვლავ მოუწევდა უაზრობის ამ უსიცოცხლო გაურკვევლობაში დანთქმა.

მან ყურმილი აიღო და ლოს-გატოსში დარეკა.

— სასტუმრო „ელდორადო“, — დაგნის ქალის დაღლილი და განაწყენებული ტონი შემოესმა.

— შეგიძლიათ, ბატონ რიერდენს შეტყობინება გადასცეთ? როდესაც დაბრუნდება, სთხოვეთ, რომ...

— ერთი წუთით მოიცადეთ, — თქვა ქალმა გაწელილი ხმით, თითქოს თავის ძალისხმევას აყვედრიდა დაგნის.

დაგნიმ გაიგონა გადართვის ჩხაკუნი, ზუზუნი, სიჩუმე, შემდეგ კი კაცის მკაფიო და მტკიცე ხმა მოესმა: გისმენთ! ეს ხმა ჰენკ რიერდენს ეკუთვნოდა.

დაგნი ყურმილს თოფის ლულასავით მიაშტერდა, თავს ხაფანგში მომწყვდეულივით გრძნობდა, სუნთქვა უჭირდა.

— გისმენთ? — გაიმეორა კაცის ხმამ.

— ჰენკ, შენ ხარ?

დაგნის ხმადაბალი ამოოხვრის ხმა შემოესმა, შემდეგ კი ტელეფონში გაბმული ტკაცუნი გაისმა.

— ჰენკ! — პასუხს არავინ სცემდა, — ჰენკ! — დაიწივლა დაგნიმ შეშინებული ხმით.

მას ჯერ გაძნელებული სუნთქვა მოესმა, შემდეგ კი ჩურჩული გაიგონა, რომელიც სათქმელს მთლიანად გადმოსცემდა:

— დაგნი.

— ჰენკ, ვწუხვარ. ოჰ, ძვირფასო, ვწუხვარ! არ გაგიგია?
— სად ხარ, დაგნი?
— კარგად ხარ?
— რა თქმა უნდა.
— არ გაგიგია, რომ დავბრუნდი და... და რომ ცოცხალი ვარ?
— არა... არ გამიგია.
— ოჰ, ღმერთო, ვწუხვარ, მე დავურეკე...
— რაზე ლაპარაკობ? დაგნი, სად ხარ?
— ნიუ-იორკში. რადიოთი არ გაგიგია?
— არა. ეს-ესაა დავბრუნდი სასტუმროში.
— შეტყობინება არ გადმოუციათ, რომ მის აივსისთვის დაგერეკა?
— არა.
— კარგად ხარ?
— ახლა? — ჰენკმა ჩუმად ჩაიცინა. დაგნიმ კაცის ხმაში შეკავებული სიცილისა და ახალგაზრდული სიხარულის გამომხატველი ტონი შეამჩნია, რომელიც ყოველი სიტყვის მერე უფრო და უფრო ძლიერდებოდა, — როდის დაბრუნდი?
— ამ დილით.
— სად იყავი, დაგნი?
ქალს მაშინვე არ გაუცია პასუხი.
— ჩემი თვითმფრინავი ჩამოვარდა, — თქვა დაგნიმ, — როკის მთებში. შემდეგ ვიღაც უცნობებმა მიპოვეს და გადამარჩინეს, მაგრამ არ შემეძლო, თქვენთვის შემეტყობინებინა ეს ამბავი.
რიერდენმა გაიცინა:
— ასე ცუდად იყო საქმე?
— ოჰ... ოჰ, ავარია? არა, არც ისე მძიმე იყო. სერიოზულად არ დავშავებულვარ.
— მაშინ რატომ არ შეგვეხმიანე?
— იქ... იქ კომუნიკაციის საშუალება არ იყო.
— ამდენი ხანი რატომ დაგჭირდა დასაბრუნებლად?
— ახლა ვერ გეტყვი ამას.
— დაგნი, რამე საფრთხე ხომ არ გემუქრებოდა?
— არა, — უპასუხა დაგნიმ ნახევრად ღიმილნარევი, ნახევრად კი სიმწარეგარეული სინანულის გამომხატველი ხმით.
— დატყვევებული იყავი?
— არა.
— მაშინ უფრო ადრეც შეგეძლო დაბრუნება, რატომ დაიგვიანე?
— მართალი ხარ, მაგრამ ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი.
— სად იყავი, დაგნი?
— წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ახლა რომ არ ვისაუბროთ ამის შესახებ? მოდი, დავიცადოთ, სანამ პირადად გნახავ.
— კარგი. მეტს არაფერს გკითხავ. უბრალოდ, მითხარი: ახლა ხომ უსაფრთხოდ ხარ?
— უსაფრთხოდ? კი.
— იმას ვგულისხმობ, რაიმე სამუდამო ტრავმა ხომ არ დაგრჩენია ან სამუდამო გავლენა ხომ არ მოუხდენია ამ ამბავს?
დაგნიმ უდარდელი ღიმილის ტონით უპასუხა:

— ტრავმა არა, ჰენკ. სამუდამო გავლენას რაც შეეხება, არ ვიცი.

— დღეს საღამოს ხომ ჯერ კიდევ ნიუ-იორკში იქნები?

— რა თქმა უნდა. მე... მე აქ სამუდამოდ დასარჩენად დავბრუნდი.

— ნამდვილად?

— ამას რატომ მეკითხები?

— არ ვიცი. მგონი, ზედმეტად შევეჩვიე იმ განცდას, რომ გეძებ და ვერ გპოულობ, — მე უკვე დავბრუნდი.

— კარგი. რამდენიმე საათში განახავ, — ჰენკს უცებ ხმა ჩაუწყდა, თითქოს თავისი სიტყვების თვითონვე არ სჯეროდა, — რამდენიმე საათში, — გაიმეორა მან მტკიცედ.

— აქ დაგხვდები.

— დაგნი...

— რა?

რიერდენმა ნაზი ხმით ჩაიცინა:

— არაფერი. უბრალოდ მინდოდა, ცოტა ხანს კიდევ მომესმინა შენი ხმა. მაპატიე. ახლა არაფერს არ გეტყვი.

— ჰენკ, მე...

— როცა განახავ, მაშინ ვისაუბროთ, ჩემო საყვარელო. ნახვამდის.

დაგნი იდგა და დადუმებულ ყურმილს დასცქეროდა. სახლში დაბრუნების შემდეგ პირველად მოხდა, რომ ქალმა ტკივილი იგრძნო, ძლიერი ტკივილი, მაგრამ ეს გრძნობა მას აცოცხლებდა, რადგან ნამდვილად ღირდა მისი განცდა.

დაგნიმ თავის მდივანს დაურეკა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ და უთხრა, რომ ნახევარ საათში ოფისში იქნებოდა.

ვაგზლის მთავარ დარბაზში მდგარ დაგნის ნათანიელ ტაგარტის ქანდაკება ცოცხალ არსებად ეჩვენებოდა. თითქოს ისინი მარტო იყვნენ ვრცელ ტაძარში, მათ ირგვლივ კი უფორმო ნისლის მსგავსი მოჩვენებები დაქროდნენ და უჩინარდებოდნენ. ქალი მდუმარედ შეჰყურებდა ქანდაკებას, წამიერი თაყვანისცემით გამსჭვალული. „მე დავბრუნდი“, — მხოლოდ ეს სიტყვები შეეძლო ეთქვა დაგნის ნათანიელ ტაგარტისთვის.

„დაგნი ტაგარტი“ — ეს წარწერა დაგნის ოფისის კარზე დამაგრებულ მოჭიქული მინის დაფაზე ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო. როდესაც დაგნი მისაღებში შევიდა, მის ხელქვეითებს სახეზე იმ დასახრჩობად განწირული ადამიანის იერი დაედოთ, რომელმაც ეს-ესაა მაშველი თოკი იხილა. დაგნიმ დაინახა ედი უილერსი თავის მინით შემოსაზღვრულ მაგიდასთან, მის წინ კი რამდენიმე ადამიანი იდგა. ედი დაგნისკენ გამოეშურა, მაგრამ მალევე გაჩერდა, თითქოს განცვიფრებამ გააქვავა. მოღიმარმა დაგნიმ თანამშრომლებს ნაზი გამომეტყველებით მოავლო თვალი, თითქოს სასიკვდილოდ განწირულ ბავშვებს შესცქეროდა, შემდეგ კი უილერსის მაგიდისკენ გაემართა.

ედი შესცქეროდა მათკენ მომავალ ქალს და თითქოს სხვას ვეღარაფერს ხედავდა, თუმცა ისეთი დაძაბული იდგა, ეტყობოდა, რომ მის წინ მდგომ კაცს უსმენდა.

— გამწევი ძალა? — ამბობდა კაცი უკმეხი და თან დუდღუნა ხმით, — გამწევ ძალასთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს. თქვენ, უბრალოდ, ამოიღებთ...

— გამარჯობა, — წარმოთქვა ედი უილერსმა ბუნდოვანი ღიმილით, თითქოს შორეულ ხილვას უღიმოდა.

უილერსთან მოსაუბრე კაცი დაგნისკენ მიბრუნდა. კაცს გაყვითლებული ტლანქი სახე ჰქონდა, ნაზი ნაკვთებით, ხვეული თმა და იაფფასიანი ბარებისთვის დამახასიათებელი ესთეტური ნორმის შესაბამისი უსიამოვნო მოხდენილობა; მის დაბინდულ ყავისფერ თვალებში მინისებური სიცარიელე ირეკლებოდა.

— მის ტაგარტ, — მიმართა ქალს უილერსმა მჟღერი მკაცრი ხმით, იმ კაცის ტონით, რომელიც არასდროს ყოფილა სასტუმრო ოთახში და სრულიად მოულოდნელად დასჭირდა იქ მიღებული მანერების გამოყენება, — ნებას მომცემთ, წარმოგიდგინოთ მისტერ მეგზი?

— სასიამოვნოა, — უთხრა კაცმა დაგნის უინტერესოდ, შემდეგ კი ისევ უილერსს მიუბრუნდა და საუბარი განაგრძო, თითქოს ქალი არც კი არსებობდა, — თქვენ, უბრალოდ, ამოიღებთ განრიგიდან სწრაფმავალ მატარებელ „კომეტას“ ხვალისთვის და სამშაბათისთვის და არიზონაში გაუშვებთ მას გრეიპფრუტის გადასაზიდად, მასთან ერთად გაგზავნით სკრენტონის ქვანახშირის სატვირთო მატარებლის შემადგენლობასაც. ახლავე გაეცით განკარგულება.

— ამას არ გააკეთებთ! — წამოიძახა დაგნიმ იმდენად გაოგნებულმა, რომ აღშფოთების უნარიც კი წაერთვა.

ედის არაფერი უპასუხია.

მეგზმა დაგნის გაკვირვებული მზერით შეხედა, თუკი მის თვალებს საერთოდ შეეძლო რაიმეს გამოხატვა.

— გაეცით განკარგულება, — გაუმეორა მან უილერსს აუღელვებელი ხმით და ოთახიდან გავიდა.

ედი ფურცელზე რაღაც მოკლე ჩანაწერებს აკეთებდა.

— ხომ არ გაგიჟებულხარ? — ჰკითხა დაგნიმ უილერსს.

მან ისეთი მოქანცული მზერა მიაპყრო ქალს, თითქოს რამდენიმე საათის განმავლობაში ურტყამდნენ.

— მაინც მოგვიწევს ამის გაკეთება, დაგნი, — უპასუხა უსიცოცხლო ხმით.

— ეს ვინაა? — მიუთითა დაგნიმ გარეთ გასასვლელ კარზე, საიდანაც მისტერ მეგზი გავიდა.

— გაერთიანების დირექტორი.

— რა?

— ვაშინგტონიდან გამოგზავნილი რკინიგზის გაერთიანების გეგმის ხელმძღვანელი.

— ეს რა არის?

— ეს... როგორ გითხრა... ოჰ, მოიცა, დაგნი, ხომ კარგად ხარ? ხომ არ დაშავდი?

შენი თვითმფრინავი მართლა ჩამოვარდა?

დაგნი არასდროს დაფიქრებულა იმაზე, რა შესახედაობა ექნებოდა ასაკში შესულ ედი უილერსს, მაგრამ ახლა ზუსტად ამას ხედავდა, როდესაც უილერსი ჯერ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის იყო და მათი ბოლო შეხვედრიდან სულ რაღაც ერთი თვე გასულიყო. ასაკის მომატება ნაოჭების გაჩენით კი არ გამოიხატებოდა — არც სახე გადასხვაფერებოდა და არც ნაკვთები, მაგრამ ჩამომჭკნარი იერი დასდებოდა, რადგან უმწეობის განცდით გამოწვეულ ტკივილს დანებებოდა.

დაგნიმ უილერსს ნაზად და გაგებით გაუღიმა, თითქოს დროებით დაივიწყა ყველა პრობლემა, ხელი გაუწოდა და მიმართა:

— კარგი, ედი. სალამი.

უილერსმა ქალის ხელი ტუჩებთან მიიტანა, რაც ადრე არასდროს გაუკეთებია, მაგრამ არა კადნიერად ან მობოდიშების ნიშნად — ისე, უბრალოდ, მეგობრულად.

— ჩემი თვითმფრინავი ჩამოვარდა, — განაგრძო ქალმა, — ედი, რომ არ ინერვიულო, გეტყვი, რომ სერიოზულად არ დავშავებულვარ. მაგრამ ამის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ პრესასთან და სხვებთან. ასე რომ, შენ არსად არ უნდა ახსენო, რაც ახლა გითხარი.

— რა თქმა უნდა.

— მე არ მქონდა კომუნიკაციის საშუალება, მაგრამ იმიტომ არა, რომ დაშავებული ვიყავი. მხოლოდ ესაა, რის თქმაც შემიძლია შენთვის, ედი. არ მკითხო, სად ვიყავი და რატომ დამჭირდა ამდენი ხანი უკან დასაბრუნებლად.

— არ გკითხავ.

— ახლა კი მითხარი, რას გულისხმობს რკინიგზის გაერთიანების გეგმა?

— ეს... იქნებ, ჯიმმა აგიხსნას. სადაცაა, გამოჩნდება. მე ძალიან არ მინდა... თუ, რასაკვირველია, წინააღმდეგი არ ხარ, — უთხრა ქალს უილერსმა პასუხისმგებლობით გამსჭვალული ხმით.

— მესმის, რომ გიჭირს. მარტო ის მითხარი, სწორად გავიგე თუ არა ამ „გამაერთიანებლის“ სიტყვების აზრი: მას სურს, რომ ორი დღით განრიგიდან მოხსნათ „კომეტა“ არიზონადან გრეიპფრუტის გადასაზიდად?

— სწორად გაგიგია.

— და აპირებს, ქვანახშირის სატვირთო მატარებლის შემადგენლობაც ამ მიზნით გამოიყენოს?

— ასეა.

— გრეიპფრუტის გამო?

— სწორედ ამის გამო.

— რატომ?

— დაგნი, სიტყვა „რატომ“ დღეს ზედმეტი გახდა.

ერთი წუთის შემდეგ დაგნიმ ედის ჰკითხა:

— ხვდები, რა შეიძლება იყოს მიზეზი?

— მიხვედრა არ მჭირდება. ზუსტად ვიცი.

— კარგი, რა არის ეს მიზეზი?

— გრეიპფრუტი ძმებ სმატერებს ეკუთვნით. მათ ერთი წლის წინ შეიძინეს ხილის ფერმა არიზონაში კაცისგან, რომელიც „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონის“ გამოცემის შემდეგ გაკოტრდა. ის კაცი ოცდაათი წლის განმავლობაში ფლობდა ამ ფერმას. ძმები სმატერები კი გასულ წლამდე სათამაშო დაფების ბიზნესში იყვნენ ჩართულები. ამ ფერმის შესაძენად მათ ვაშინგტონმა მისცა სესხი ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების პროექტის ფარგლებში. სმატერებს ვაშინგტონში მეგობრები ჰყავთ.

— მერე?

— დაგნი, ეს ამბავი ყველამ იცის. ყველამ იცის, უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში როგორ იგეგმება მატარებლების მოძრაობის განრიგი და რატომ არის, რომ ზოგიერთი რაიონი და ტვირთის გადამზიდავი კომპანია მუდმივად იღებს შეკვეთას გადაზიდვებზე, მაშინ, როდესაც სხვები ვერ ახერხებენ ამას. ჩვენ არ უნდა ვთქვათ, რომ ეს ვიცით. თავი უნდა მოვიკატუნოთ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიზეზი მხოლოდ „საზოგადოებრივი კეთილდღეობაა“ და რომ ნიუ-იორკის საზოგადოებრივი კეთილდღეობა სასწრაფოდ საჭიროებს დიდი

რაოდენობით გრეიფრუტს, — უილერსი ერთი წამით გაჩუმდა, შემდეგ კი გააგრძელა, — გაერთიანების დირექტორი კი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ერთადერთი განმსაზღვრელია და მხოლოდ მას შეუძლია შეერთებული შტატების ნებისმიერ რკინიგზაზე გამწევი ძალისა და მატარებლის შემადგენლობის განაწილება.

ერთი წუთით სიჩუმემ დაისადგურა.

— მივხვდი, — თქვა დაგნიმ, მეორე წუთს კი იკითხა, — უინსტონის გვირაბს რა მოუვიდა?

— უკვე სამი კვირაა, იქ სამუშაოები შეწყდა. მატარებლები არც გამოუყვანიათ იქიდან. ტექნიკა მწყობრიდან არის გამოსული.

— ძველი ხაზის აღდგენასთან დაკავშირებით რა ხდება?

— გადაიდო, დიდი ხნით.

— გამოდის, რომ ჩვენი ტრანსკონტინენტური მოძრაობა შეწყვეტილია?

უილერსმა დაგნის უცნაურად შეხედა:

— არა, ასე არ არის, — მწარედ თქვა მან.

— აბა, „კანზას ვესტერნის“ შემოვლით გზას ვიყენებთ?

— არა.

— ედი, რა მოხდა აქ ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში?

უილერსმა გაიღიმა, თითქოს მისი სიტყვები არასასიამოვნო აღსარება იქნებოდა:

— ჩვენ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ფულს ვშოულობთ, — უპასუხა ქალს.

დაგნიმ დაინახა, რომ კარი გაიღო და ჯეიმს ტაგარტი გამოჩნდა, რომელსაც თან მისტერ მეგზი ახლდა.

— ედი, გინდა, თათბირს დაესწრო? — ჰკითხა დაგნიმ უილერსს, — თუ გირჩევნია, წახვიდე?

— მინდა, დავესწრო.

ჯიმის სახე დაჭმუჭნილ ქაღალდს მიუგავდა, თუმცა მომჩვარულ კანზე ახალი ნაოჭები არ გასჩენია.

— დაგნი, უამრავი სალაპარაკო გვაქვს, უამრავი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომელიც, — დაიწყო ჯიმმა უკვე შორიდან, — ოჰ, მოხარული ვარ, რომ დაბრუნდი, გამიხარდა, ცოცხალი რომ ხარ, — უცბად გაახსენდა და გაღიზიანებით უთხრა დაგნის, — ახლა კი, რამდენიმე გადაუდებელი...

— მოდი, ჩემს კაბინეტში შევიდეთ, — თქვა დაგნიმ.

დაგნის კაბინეტისთვის თითქოს ისტორიული რეკონსტრუქცია ჩაეტარებინათ, ის ედი უილერსს აღედგინა და იქაურობისთვის ძველი იერი შეენარჩუნებინა. კედელზე უწინდებურად ეკიდა დაგნის რუკა, კალენდარი, ნათ ტაგარტის სურათი, კლიფტონ ლოსის ეპოქის კვალიც კი აღარსად იყო.

— როგორც ვხვდები, მე ჯერ კიდევ რკინიგზის მმართველი ვიცე-პრეზიდენტი ვარ, ასეა? — იკითხა დაგნიმ და თავის სამუშაო მაგიდასთან დაჯდა.

— ხარ, — უპასუხა ჯიმმა აჩქარებით, თითქოს ბრალს სდებდა, ისეთი უტიფარი ხმით, — რა თქმა უნდა, ხარ — ეს არ დაგავიწყდეს. შენ არ შეგიწყვეტია საქმიანობა — ხომ არ შეგიწყვეტია?

— არა, არ შემიწყვეტია.

— ახლა კი დაუყოვნებლივ უნდა შევატყობინოთ პრესას, რომ შენ სამსახურში დაბრუნდი და ვუთხრათ, სად იმყოფებოდი მთელი ამ დროის განმავლობაში — მართლაც, სად იყავი?

— ედი, — მიმართა უილერსს დაგნიმ, — თუ შეგიძლია, ჩაიწერე და შემდეგ პრესის წარმომადგენლებს გადაუგზავნე: როკის მთების თავზე ფრენისას, როდესაც ტაგარტის გვირაბისკენ მივემართებოდი, ჩემი თვითმფრინავის ძრავას რაღაც პრობლემა გაუჩნდა. ამის გამო გზა ამებნა, საავარიო მოედანს ვეძებდი დასაჯდომად, როდესაც თვითმფრინავი ვაიომინგში, მთის დაუსახლებელ მონაკვეთზე ჩამოვარდა. ერთმა მოხუცმა მწყემსმა და მისმა ცოლმა მიპოვეს. მათ თავიანთ ქოხში წამიყვანეს, რომელიც უახლოესი დასახლებული პუნქტიდან ორმოცდაათი მილით იყო დაშორებული. მე მძიმედ ვიყავი დაშავებული და თითქმის ორი კვირის განმავლობაში გონზე ვერ მოვდიოდი. მოხუც ცოლ-ქმარს არც ტელეფონი ჰქონდა, არც რადიო, არც კომუნიკაციისა და ტრანსპორტის სხვა საშუალება, გარდა ერთი ძველი ურმისა, რომელიც დაიშალა, როდესაც მისი გამოყენება სცადეს. მე მათთან მომიწია დარჩენა, სანამ იმდენად გამოვკეთდებოდი, რომ საკუთარი ფეხით სიარულს შევძლებდი. როცა საკმარისად მოვმჯობინდი, ორმოცდაათი მილი ფეხით გავიარე, შემდეგ კი გზად შემხვედრ სხვადასხვა ტრანსპორტს მოვყვებოდი ნებრასკაში ტაგარტის სადგურამდე.

— გასაგებია, — თქვა ჯიმმა, — ეს კარგი. ახლა კი მითხარი, როდის მისცემ ჟურნალისტებს ინტერვიუს.

— არავითარი ინტერვიუს მიცემას არ ვაპირებ.

— რა? კი მაგრამ, მთელი დღეა, მირეკავენ! ჟურნალისტები ჩვენგან პასუხს ელიან! ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია! — ჯიმის ხმაში პანიკა ისმოდა, — ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს!

— ვინ გირეკავდა მთელი დღის განმავლობაში?

— ხალხი ვაშინგტონიდან და... და სხვებიც... ისინი შენს განცხადებას ელიან.

დაგნიმ ედის მიერ გაკეთებულ ჩანაწერზე მიუთითა:

— ესაა ჩემი განცხადება.

— ეგ არ არის საკმარისი! შენ უნდა თქვა, რომ საქმიანობა არ შეგიწყვეტია.

— ეს ხომ ისედაც ნათელია? მე უკან დავბრუნდი.

— შენ ვალდებული ხარ, რაიმე თქვა ამის შესახებ.

— მაგალითად, რა?

— რაიმე პირადული.

— ვის უნდა ვუთხრა?

— ქვეყანას. ხალხი წუხდა შენ გამო. შენ უნდა დააწყნარო ისინი.

— ეს ჩანაწერი დაამშვიდებს ყველას, ვინც კი ჩემზე წუხდა.

— მე ამას არ ვგულისხმობ!

— მაინც რას გულისხმობ?

— მე ვგულისხმობ... — ჯიმი გაჩუმდა და დაგნის თვალი აარიდა, — მე ვგულისხმობ, — ის ჩამოჯდა და საჭირო სიტყვებს დაუწყო ძებნა, თან თითებს იმტვრევდა.

დაგნი ამჩნევდა, რომ ჯიმი თავის ემოციებს ვეღარ აკონტროლებდა; ეს მოუსვენრობა, გულგამგმირავი ტონი, პანიკა მისთვის დამახასიათებელი არ იყო; ჯიმის ფრთხილი ქცევები უსუსური მუქარის უხეშ გამოხტომებს შეეცვალა.

— მე ვგულისხმობ, — დაგნი ფიქრობდა, რომ ჯიმი საჭირო სიტყვებს ეძებდა, სათქმელი მისი ნამდვილი მნიშვნელობის გაუმჟღავნებლად რომ გამოეთქვა, — მე ვგულისხმობ იმას, რომ საზოგადოება...

— მე ვიცი, რასაც გულისხმობ, — მიუგო დაგნიმ, — არა, ჯიმ, არ ვაპირებ საზოგადოების დაწყნარებას ჩვენი ინდუსტრიის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

— რაკი შენ...

— საზოგადოებას უჯობს, იმდენად იყოს შეწუხებული, რამდენადაც საამისოდ ჭკუა ეყოფა. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ.

— მე...

— საქმეზე გადადი, ჯიმ.

ჯიმმა მისტერ მეგზს შეხედა. მეგზი ჩუმად იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და სიგარეტს ეწეოდა. მისი ქურთუკი სამხედრო ფორმას ჰგავდა. კისერთან, საყელოდან და წელთან ხორცი ამობურცვოდა, ხელზე კი დიდი ყვითელი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ეკეთა, რომელიც მისი კოტიტა თითების მოძრაობისას ბრწყინავდა.

— მისტერ მეგზს შენ უკვე იცნობ, — უთხრა დაგნის ჯიმმა, — მოხარული ვიქნები, თუ თქვენ კარგად გაუგებთ ერთმანეთს, — ჯიმი ერთი წამით შეჩერდა, მაგრამ საპასუხო რეაქცია ვერც ერთისგან ვერ მიიღო, — მისტერ მეგზი რკინიგზის გაერთიანების გეგმის წარმომადგენელია. დაგნი, შენ ხშირად მოგიხდება მასთან თანამშრომლობა.

— რკინიგზის გაერთიანების გეგმა რა არის?

— ეს ახალი ეროვნული მოდელია, რომელიც სამი კვირის წინ ამოქმედდა, ის შენ აუცილებლად მოგეწონება და ძალიან პრაქტიკულად მიიჩნევ, — დაგნი ჯიმის მეთოდის არასერიოზულობამ გააოცა: თითქოს დაგნის რეაქციის წინასწარ დასახელებით, მას აზრის შეცვლის საშუალებას აღარ აძლევდა, — ეს საგანგებო მდგომარეობისთვის განკუთვნილი მოდელია, რომელმაც მთელი ქვეყნის სატრანსპორტო სისტემა გადაარჩინა.

— რას გულისხმობს ეს გეგმა?

— შენ კარგად იცი, რამდენ გადაულახავ სირთულეს უკავშირდება ნებისმიერი მშენებლობა საგანგებო მდგომარეობისას. უცბად ახალი სარკინიგზო ხაზის გაყვანა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ქვეყნის უმთავრესი პრობლემა სატრანსპორტო ინდუსტრიის ერთ მთლიანობად შენარჩუნება და არსებული ბაზის მოფრთხილებაა. ეროვნული გადარჩენა მოითხოვს...

— მაინც, რას გულისხმობს ეს გეგმა?

— ეროვნული გადარჩენის პოლიტიკის თანახმად, მთელი ქვეყნის სარკინიგზო კომპანიები ერთ გუნდად გაერთიანდა, მათი რესურსები კი, შესაბამისად, საერთო ფონდში ირიცხება. მთლიანი შემოსავალი ვაშინგტონში სარკინიგზო ფონდის საბჭოს გადაეცემა, რომელიც ერთ მთლიანობად გაერთიანებული ინდუსტრიისთვის მეურვის როლს ასრულებს, რადგან მთელ შემოსავალს სხვადასხვა სარკინიგზო კომპანიებს შორის ანაწილებს... გადანაწილების გათანამედროვებული პრინციპის საფუძველზე.

— ეს პრინციპი რაღას გულისხმობს?

— ნუ წუხხარ, საკუთრების უფლება სრულად იქნება დაცული, უბრალოდ, ახალ ფორმას შეიძენს. თითოეული სარკინიგზო კომპანია სხვებისგან დამოუკიდებლად იქნება პასუხისმგებელი თავის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე, მატარებლების განრიგზე და ლიანდაგისა და მისი მოძრავი შემადგენლობის მოვლა-პატრონობაზე. როგორც საერთო ეროვნულ ფონდში წვლილის შემტანი, თითოეული სარკინიგზო კომპანია ვალდებულია, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, უსასყიდლოდ დაუთმოს მეორეს საკუთარი სარკინიგზო ხაზი და მისი შემადგენლობა.

წლის ბოლოს საერთო ფონდის საბჭო მთლიან შემოსავალს გაანაწილებს და ყველა სარკინიგზო კომპანია მიიღებს თავის გასამრჯელოს არა მოძველებული და შემთხვევითი მეთოდის საფუძველზე, რომელიც მოძრავი მატარებლების რაოდენობასა და გადატანილი ტვირთის წონას ემყარებოდა, არამედ თავისი საჭიროების საფუძველზე — მისი მთავარი საჭიროება სარკინიგზო ხაზის მოვლა-პატრონობა უნდა იყოს, ყოველ სარკინიგზო კომპანიას გადაუხდიან ლიანდაგის იმ სიგრძის მიხედვით, რომელსაც ის ფლობს და უვლის.

დაგნიმ მოისმინა ეს სიტყვები და მათი მნიშვნელობაც გაიგო; მაგრამ მაინც ვერ იჯერებდა მოსმენილს და არ შეეძლო, სათანადო ბრაზი და პროტესტი გამოეხატა ამ კოშმარული სიგიჟის მიმართ, რომელიც ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების სურვილს, თავი მოეჩვენებინათ, ვითომ სწამდათ ამ ყველაფრის ნორმალურობა. გულგრილი სიცარიელე იგრძნო — თითქოს იმ სამყაროს მიღმა აღმოჩნდა, სადაც მორალური აღშფოთება მართებულია.

— ვის ლიანდაგებს ვიყენებთ ჩვენი ტრანსკონტინენტური ტრანსპორტისთვის? — იკითხა დაგნიმ უხალისო ხმით.

— ჩვენსას, რა თქმა უნდა, — მიუგო ჯიმმა ნაჩქარევად, — ნიუ-იორკიდან ბედფორდამდე, ილინოისამდე. ბედფორდიდან კი ჩვენი მატარებლები სარკინიგზო კომპანია „ატლანტიკ საუთერნის“ სარკინიგზო ხაზზე მოძრაობენ.

— სან-ფრანცისკომდე?

— ეს გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე ის შემოვლითი გზა, რომლის გაყვანაც გინდოდა.

— ჩვენი მატარებლების სხვის ლიანდაგზე გატარებისთვის საფასურს არ ვიხდით?

— ამას გარდა, შენი შემოვლითი გზა დიდხანს ვერ გაძლებდა, „კანზას ვესტერნის“ ლიანდაგი კი განადგურდა და...

— ჩვენ საფასურს არ ვიხდით „ატლანტიკ საუთერნის“ სარკინიგზო ხაზის გამოყენებისთვის?

— არც იმათ ვახდევინებთ საფასურს ჩვენი მისისიპის ხიდის გამოყენებისთვის.

ერთი წუთის შემდეგ დაგნიმ იკითხა:

— რუკისთვის შეგიხედავთ ოდესმე?

— რა თქმა უნდა, — მიუგო მეგზმა მოულოდნელად, — თქვენი სარკინიგზო ხაზების სიგრძე ყველა დანარჩენი კომპანიისას აღემატება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ასე რომ, სანერვიულო ნამდვილად არაფერი გაქვთ.

ედი უილერსმა მოულოდნელად გადაიხარხარა.

მეგზმა გულგრილად შეხედა მას და ჰკითხა:

— რა დაგემართათ?

— არაფერი, — უპასუხა უილერსმა მოქანცული ხმით, — არაფერი.

— მისტერ მეგზ, — თქვა დაგნიმ, — თუ რუკას შეხედავთ, დაინახავთ, რომ ჩვენი ტრანსკონტინენტური ტრანსპორტისთვის ლიანდაგის მოვლა-პატრონობის ხარჯების ორი მესამედი არაფერი გვიჯდება, რადგან მას ჩვენი კონკურენტი იხდის.

— დიახ, ასეა, — უპასუხა მეგზმა, მაგრამ თვალები დაუვიწროვდა და მზერაში ეჭვი ჩაუდგა, თითქოს აინტერესებდა, რა მიზანი ამოძრავებდა დაგნის, როდესაც ასეთ მკაფიო განცხადებას აკეთებდა.

— მაშინ, როდესაც ჩვენ გვიხდიან ფულს იმ ათასობით მილის სიგრძის გამოუსადეგარი ლიანდაგების ფლობისთვის, რომელზედაც ტრანსპორტი აღარ მოძრაობს, — თქვა ქალმა.

მეგზი ყველაფერს მიხვდა და უკან გადაიხარა, თითქოს ამ მსჯელობის გაგრძელების ინტერესი დაკარგა.

— ეს ასე არაა! — წამოიძახა ჯიმმა, — ჩვენ უამრავ ადგილობრივ მატარებელს ვამოძრავებთ, რომ რეგიონს მოვემსახუროთ ჩვენი ყოფილი ტრანსკონტინენტური სარკინიგზო ხაზით — აიოვას, ნებრასკასა და კოლორადოს გავლით, გვირაბის მეორე მხარეს კი კალიფორნიის, ნევადასა და იუტას გავლით.

— ჩვენ დღეში ორ ადგილობრივ მატარებელს ვამოძრავებთ, — თქვა ედი უილერსმა ბიზნესანგარიშისთვის დამახასიათებელი უხალისო და გულგრილი ტონით, — ზოგან კი უფრო ნაკლებსაც.

— რა განსაზღვრავს მატარებლების იმ რაოდენობას, რომლის თავის სარკინიგზო ხაზზე გატარების ვალდებულებაც ეკისრება კომპანიას? — იკითხა დაგნიმ.

— საზოგადოებრივი კეთილდღეობა, — უპასუხა ჯიმმა.

— საერთო ფონდის საბჭო, — თქვა ედიმ.

— ბოლო სამი კვირის განმავლობაში რამდენმა მატარებელმა შეწყვიტა მოძრაობა ქვეყნის მასშტაბით?

— სინამდვილეში, — თქვა ჯიმმა მგზნებარედ, — რკინიგზის გაერთიანების გეგმამ ჰარმონია დაამყარა ამ ინდუსტრიაში და დაუნდობელი კონკურენცია გააუქმა.

— ამან გააუქმა ქვეყანაში მოძრავი მატარებლების ოცდაათი პროცენტი, — დაამატა უილერსმა, — კონკურენცია მხოლოდ საერთო ფონდის საბჭოსადმი მატარებლების გაუქმების ნებართვის გამოსათხოვი განაცხადების წარდგენაშიღა არსებობს. ალბათ ბოლოს მხოლოდ ის სარკინიგზო კომპანია გადარჩება, რომელიც მოახერხებს, ერთი მატარებელიც კი აღარ ამოძრაოს.

— ხომ არ გამოგითვლიათ, კიდევ რამდენი ხანი მოახერხებს „ატლანტიკ საუთერნი“ ამ ბიზნესში დარჩენას?

— ეს თქვენი საქმე არაა, — ალაპარაკდა მეგზი.

— გთხოვთ, კაფი, არ გინდათ! — წამოიძახა ჯიმმა.

— „ატლანტიკ საუთერნის“ პრეზიდენტმა, — დაიწყო ედი უილერსმა მშვიდი ხმით, — სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

— ამას ბიზნესთან არავითარი კავშირი არ აქვს! — წამოიყვირა ჯიმმა, — ამ ამბავს პირადული მიზეზი ჰქონდა!

დაგნი მდუმარედ იჯდა და ოთახში მყოფი მამაკაცების სახეებს აკვირდებოდა. მის გულგრილ გონებაში ჯერ კიდევ რჩებოდა განცვიფრების ელემენტი: ჯიმი თავისი მარცხის სიმძიმეს ყოველთვის მის გვერდით მყოფი უძლიერესი კონკურენტებისკენ მიმართავდა და თავის გადარჩენას იმით ახერხებდა, რომ მათ აზღვევინებდა ხოლმე საკუთარი შეცდომების გამო, როგორც ეს დენ კონვეისა და კოლორადოს ინდუსტრიის წარმომადგენლების შემთხვევაში გააკეთა; მაგრამ ის, რაც ახლა ხდებოდა, თვით მძარცველის აზროვნებასაც კი არ შეეფერებოდა — სუსტი, სანახევროდ უკვე გაკოტრებული კონკურენტის გამოფიტულ ჩონჩხზე თავდასხმა ერთი წუთის მოგებისთვის, მაშინ, როცა ამ თავდამსხმელს უფსკრულამდე ერთი ძვალიღა აშორებდა.

საღი აზრი დაგნის კამათის დაწყებისკენ უბიძგებდა, ისედაც აშკარა ფაქტი რომ ეჩვენებინა, მაგრამ როდესაც ამ ადამიანების სახეებს შეხედა, მიხვდა, რომ მათ ეს ისედაც იცოდნენ. მართალია, განსხვავებული სახით, ცნობიერების მიუწვდომელი ფორმით, მაგრამ მათ მაინც იცოდნენ ყველაფერი, რისი თქმაც ქალს შეეძლო; უსარგებლო იყო, მათი მოქმედების მიმართულებითა და მისი შესაძლო შედეგებით გამოწვეული ირაციონალური შიში ემტკიცებინა მათთვის — ორივემ, მეგზმაც და ჯიმმაც, იცოდნენ ეს, მათი ცნობიერების საიდუმლო კი იყო საშუალება, რომლის მეშვეობითაც ახერხებდნენ, გაჰქცეოდნენ თავიანთი ცოდნიდან დასკვნის გამოტანას.

— მესმის, — თქვა დაგნიმ მშვიდი ხმით.

— აბა, რას ისურვებდი, რომ გამეკეთებინა? — წამოიყვირა ჯიმმა, — ისურვებდი, რომ მიმეტოვებინა ტრანსკონტინენტური ტრანსპორტი? რომ გავკოტრებულიყავით? ჩვენი რკინიგზა „ისტ კოუსტის“ მსგავს საცოდავ ადგილობრივ ტრანსპორტად გადამექცია? — ჩანდა, დაგნის ერთმა სიტყვამ უფრო მეტად გააბრაზა მისი ძმა, ვიდრე ამას ნებისმიერი აღშფოთებული შეპასუხება მოახერხებდა; ჯიმი შიშისგან ცახცახებდა იმის წარმოდგენაზე, თუ რა იგულისხმებოდა დაგნის მიერ მშვიდი ხმით წარმოთქმული ერთი სიტყვის — „მესმის“ მიღმა, — მე არ შემეძლო ამის შეჩერება! ჩვენ უნდა გვქონოდა ტრანსკონტინენტური სარკინიგზო ხაზი! გვირაბს ვეღარ გამოვიყენებდით! დამატებითი ხარჯების დასაფარად ფული აღარ გვქონდა!

რაღაც უნდა მოგვეხერხებინა! ჩვენ ლიანდაგები გვჭირდებოდა!

მეგზი ჯიმს განცვიფრებითა და ზიზღით შესცქეროდა.

— მე არ გეკამათები, ჯიმ, — უთხრა ძმას დაგნიმ ცივად.

— ჩვენ ვერ დავუშვებდით, რომ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მსგავსი კომპანია განადგურებულიყო! ეს ეროვნული კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა! ჩვენ უნდა გვეზრუნა ყველა ქალაქზე, ინდუსტრიაზე, ტვირთის გადამზიდავზე, მგზავრზე, დასაქმებულზე და აქციონერზე, რომელთა სიცოცხლე ჩვენზეა დამოკიდებული! ეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ გაგვიკეთებია, ეს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის გაკეთდა! ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ რკინიგზის გაერთიანების გეგმა პრაქტიკულია! ამ საქმეში ყველაზე გარკვეული...

— ჯიმ, — მიმართა ძმას დაგნიმ, — თუ საქმესთან დაკავშირებით კიდევ გაქვს რაიმე სათქმელი, მითხარი.

— შენ არასდროს ითვალისწინებდი სოციალურ მხარეს, — უკან დაიხია ჯიმმა და მოიღუშა.

დაგნიმ შენიშნა, რომ ჯიმის ეს თვალთმაქცური ქცევა მეგზისთვისაც ისევე არადამაჯერებელი იყო, როგორც მისთვის. მეგზი ჯიმს მოყირჭებული ზიზღით შესცქეროდა. უცებ დაგნის ძმა იმ კაცად წარმოუდგა, რომელიც ცდილობდა, საშუალო მიმართულება ეპოვა ორ პოლუსს — მეგზსა და თავის დას შორის და რომელიც ახლა ხედავდა, რომ ეს შუა გზა თანდათან ვიწროვდებოდა და მას მალე ორ კედელს შორის გაჭყლეტა მოელოდა.

— მისტერ მეგზ, — დაიწყო დაგნიმ სიმწარენარევი ცნობისმოყვარეობით, — რას გულისხმობს თქვენი ეკონომიკური გეგმა უფრო შორეული მომავლისთვის?

დაინახა, როგორ მიაპყრო მას მეგზმა თავისი დანისლული ყავისფერი თვალები, ისე, რომ სახის გამომეტყველება არ შესცვლია.

— თქვენ არაპრაქტიკული ხართ, — უთხრა მან დაგნის.

— სრულიად უსარგებლოა მომავლის შესახებ თეორიული მსჯელობა, — წამოიძახა ჯიმმა, — მაშინ, როდესაც ახლა კრიტიკულ მდგომარეობას უნდა გავუმკლავდეთ, გრძელვადიან პერსპექტივაში...

— გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ ყველანი დავიხოცებით, — თქვა მეგზმა.

შემდეგ მოულოდნელად ის ფეხზე წამოხტა.

— მე წავალ, ჯიმ, — მიმართა მან ტაგარტს, — სალაპარაკოდ არ მცალია. შენ დაელაპარაკე დაგნის, რაიმე იღონოს ამ სარკინიგზო ავარიების შესაჩერებლად, რაკი ეს გოგონა ასეთი ჯადოქარია რკინიგზის ამბებში.

მეგზს ვინმეს შეურაცხყოფა არც უფიქრია; იმ ტიპის ადამიანი იყო, რომელიც ვერც კი აცნობიერებდა, როდის შეურაცხყოფდა ადამიანს ან თავად მას თუ შეურაცხყოფდნენ.

— მოგვიანებით გნახავ, კაფი, — უპასუხა ჯიმმა, როდესაც მეგზი ოთახიდან გადიოდა, ისე, რომ არც კი დამშვიდობებია მათ.

ჯიმმა შიშნარევი მოლოდინით შეხედა დას, თითქოს თან ეშინოდა მისი კომენტარების, თანაც უნდოდა, რაიმე მაინც გაეგონა მისგან.

— აბა? — იკითხა დაგნიმ.

— რას გულისხმობ?

— კიდევ გაქვს სათქმელი?

— იცი, მე... — იმედგაცრუებული ხმით ალაპარაკდა ჯიმი, — დიახ! — წამოიყვირა მან სასოწარკვეთით, — ერთ საკითხზეც უნდა დაგელაპარაკო, რომელიც ყველა დანარჩენზე მნიშვნელოვანია.

— სარკინიგზო ავარიების გახშირებაზე?

— არა! ამაზე არა.

— მაშინ რაზე?

— იმაზე... რომ შენ დღეს საღამოს ბერტრამ სკადერის რადიოგადაცემაში უნდა გამოხვიდე.

დაგნი სკამის საზურგეს მიეყრდნო;:

— მართლა?

— დაგნი, ეს უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი საკითხია, ვერაფერს შეცვლი, უარის თქმა გამორიცხულია, ასეთ დროს სხვა არჩევანი არ არსებობს და...

დაგნიმ საათს დახედა:

— სამ წუთს გაძლევ, რომ ამიხსნა ყველაფერი, თუკი საერთოდ გინდა, რომ მოგისმინო, ჯობს, პირდაპირ მელაპარაკო.

— კარგი! — მიუგო ჯიმმა სასოწარკვეთილი ხმით, — ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ უმაღლეს ეშელონებში, — ჩიკ მორისონს, უესლი მაუჩსა და მისტერ ტომპსონს ვგულისხმობ, — საკითხი შეეხება იმას, რომ ვალდებული ხარ, სიტყვით მიმართო მთელ ერს. ეს უნდა იყოს ზნეობრივი მოხსენება და ხალხს უნდა გააგებინო, რომ შენ არ შეგიწყვეტია საქმიანობა.

— რატომ უნდა გავაკეთო ეს?

— იმიტომ, რომ ყველას ეგონა, შენ საქმიანობა შეწყვიტე!.. არ იცი, ამ ბოლო დროს რა ხდებოდა აქ,... ყველაფერი საიდუმლოებითაა მოცული. მთელ ქვეყანას მოედო სახიფათო ჭორები, სხვადასხვა სახის ჭორები, ჭორები ყველაფერზე. ეს დამანგრეველია. ხალხი ჭორაობის გარდა თითქმის აღარაფერს აკეთებს. მათ აღარ სჯერათ გაზეთების, არც საუკეთესო ორატორების, მათ მხოლოდ ბოროტი და შიშის მომგვრელი ჭორების სწამთ. ნდობა, რწმენა და წესრიგი აღარ არსებობს...

აღარც ხელისუფლების პატივისცემა. ხალხი პანიკის ზღვარზეა.

— რატომ?

— ერთი მხრივ, უგზო-უკვლოდ გამქრალი ცნობილი მეწარმეების დაწყევლილი საქმის გამო! ამ ამბავს ახსნა ვერავინ მოუძებნა, რაც ხალხს აშინებს. უამრავი ისტერიკული ჭორი ვრცელდება ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაზე მეტად ეს ფრაზაა გავრცელებული — „არც ერთი წესიერი კაცი არ იმუშავებს იმ ადამიანებისთვის“. „იმ ადამიანებში“ ხალხი ვაშინგტონში მყოფ ხელისუფლების წარმომადგენლებს გულისხმობს. ახლა ხომ ხვდები? შენ აზრადაც არ მოგივიდოდა, თუ ასეთი ცნობილი იყავი, მაგრამ ხარ, ან გახდი ცნობილი მას შემდეგ, რაც შენი თვითმფრინავი ჩამოვარდა. არავინ იჯერებდა ამ ამბავს. ყველას ეგონა, რომ შენ კანონი — დირექტივა 10-289 დაარღვიე და გაიქეცი. ბევრს... ბევრს სწორად არ ესმის დირექტივა 10-289-ის არსი. ახლა ხომ ხვდები, რამდენად მნიშვნელოვანია შენი რადიოთი გამოსვლა და ხალხისთვის იმის თქმა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება გავრცელებული აზრი, თითქოსდა დირექტივა 10-289 მრეწველობას ანადგურებს, რომ ეს დირექტივა სინამდვილეში საყოველთაო კეთილდღეობისთვის გამოცემული საკანონმდებლო აქტია და თუ სულ ცოტა ხანს კიდევ მოიცდიან, ნახავენ, რომ ყველაფერი გაუმჯობესდება და ქვეყანაში კეთილდღეობა დაბრუნდება. ხალხს აღარ სჯერა ხელისუფლების წარმომადგენლების. შენ... შენ კი მეწარმე ხარ, ერთ-ერთი იმ მცირედთაგან, ვინც დარჩა ძველი სკოლიდან და ერთადერთი, რომელიც დაბრუნდა გაუჩინარების შემდეგ. ხალხი ვაშინგტონის პოლიტიკის მოწინააღმდეგედ მიგიჩნევს.

ასე რომ, შენ ადამიანები დაგიჯერებენ. შენი სიტყვა მათზე დიდ გავლენას მოახდენს, ის გაამყარებს მათ ნდობას, დაეხმარება მათ რწმენის დაბრუნებაში. ახლა ხომ ხვდები ყველაფერს?

ჯიმი სწრაფად ლაპარაკობდა, დაგნის სახის უცნაურმა გამომეტყველებამ, მსუბუქმა, ბუნდოვანმა ღიმილმა ცოტათი გაამხნევა.

დაგნი კი უსმენდა ძმას და რიერდენის ხმა ესმოდა, რომელიც ერთი წლის წინ, გაზაფხულის ერთ საღამოს ეუბნებოდა: „მათ ჩვენგან დასტური სჭირდებათ, ზუსტად არ ვიცი, როგორი, მაგრამ, დაგნი, იმას კი ვხვდები, რომ თუ რაიმედ გვიღირს ჩვენი სიცოცხლე, მათ არ უნდა დავეხმაროთ. რომც გაწამონ, მაინც არ დათანხმდე.

დაე, გაანადგურონ შენი რკინიგზა და ჩემი საამქროები, მაგრამ ჩვენს მხარდაჭერას ვერასოდეს ვერ ეღირსებიან“.

— ახლა ხომ ხვდები ყველაფერს?

— ოჰ, კი, ჯიმ, ვხვდები!

ჯიმი ვერ მიხვდა, რას გამოხატავდა დაგნის ტონი — ის ხმადაბლა ლაპარაკობდა, ამ ხმაში კვნესაც გამოკრთოდა, ირონიაც, ზეიმიც, მაგრამ ეს დაგნის მხრიდან ემოციის პირველი გამოვლინება იყო და ჯიმიც ისე ჩაეჭიდა მას, როგორც უკანასკნელ იმედს:

— მე მათ, ვაშინგტონში; დავპირდი, რომ შენ სიტყვით გამოხვიდოდი! ჩვენ მათ ვერ დავაღალატებთ, როდესაც საქმე ასეთ საკითხს ეხება! თავს იმის უფლებას ვერ მივცემთ, ჩვენს ერთგულებაში ეჭვი შეიტანონ. ყველაფერი უკვე დაგეგმილია. დღეს საღამოს თერთმეტის ნახევარზე ბერტრამ სკადერის გადაცემის მიწვეული სტუმარი იქნები. ის თავის რადიოგადაცემაში ინტერვიუს იღებს საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისგან, მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი აუდიტორია ჰყავს, მის გადაცემას ოც მილიონზე მეტი ადამიანი უსმენს. მორალური მდგომარეობის მმართველმა...

— ვინ?

— მორალური მდგომარეობის მმართველმა — ჩიკ მორისონმა სამჯერ დამირეკა, რომ დაეზუსტებინა, ხომ არაფერი შეიცვალა. ვაშინგტონიდან ყველა სამაუწყებლო კომპანიას დაეგზავნა ბრძანება და ისინი მთელი დღეა, აცხადებენ, რომ ამ საღამოს ბერტრამ სკადერის გადაცემაში აპირებ მონაწილეობის მიღებას.

ჯიმმა ისე შეხედა დაგნის, თითქოს ერთდროულად პასუხსაც სთხოვდა და აღიარებასაც, რომ ამგვარ სიტუაციაში მის პასუხს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

დაგნიმ ძმას მიმართა:

— შენ კარგად იცი, რასაც ვფიქრობ ვაშინგტონის პოლიტიკაზე და დირექტივა 10-289-ზე.

— დღეს ფიქრი ფუფუნებაა, ამის უფლებას საკუთარ თავს ვერ მივცემთ!

დაგნიმ ხმამაღლა გაიცინა.

— ვერ ხვდები, რომ ახლა მათ უარს ვერ ეტყვი? — დაიყვირა ჯიმმა, — თუ ასეთი განცხადებების მერე შენ საღამოს გადაცემაში არ გამოჩნდები, ჭორები დადასტურდება, აშკარა დაუმორჩილებლობას დაემსგავსება!

— ეს მახე არ იმუშავებს, ჯიმ.

— რომელი მახე?

— ის, რომელსაც შენ მუდმივად აგებ.

— ვერ ვხვდები, რას გულისხმობ!

— დიახ, შენ იცოდი ეს. თქვენ ყველამ კარგად იცოდით, რომ მე ამაზე არ დაგთანხმდებოდით. ამიტომ საზოგადოებრივი მახისკენ მიბიძგეთ, სადაც ჩემი უარი სამარცხვინო სკანდალი იქნებოდა, ისეთი სამარცხვინო, რომ, შენი აზრით, მე ვერ გავბედავდი უარის თქმას. შენ იმედი გქონდა, რომ მე თქვენს რეპუტაციას გადავარჩენდი, თქვენ, ყველას, გიხსნიდით. არ ვაპირებ, გიხსნათ.

— კი მაგრამ, მე მათ დავპირდი!

— მე არ დავპირებივარ.

— მათ უარს ვერ ვეტყვით! ვერ ხედავ, რომ ხელ-ფეხი შეგვიკრეს, რომ გასაქანს არ გვაძლევენ? ვერ ხვდები, რა შეუძლიათ გაგვიკეთონ სარკინიგზო საერთო ფონდის, ან „გაერთიანების საბჭოს“, ან კიდევ ჩვენს ობლიგაციებზე მორატორიუმის გამოცხადებით?

— მე ეს ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვიცოდი.

ჯიმი კანკალებდა. მის შიშში იყო რაღაც უფორმო, სასოწარკვეთილი და თითქმის დაუჯერებელი, რაც სულაც არ შეესაბამებოდა იმ საფრთხეს, მან რომ დაასახელა. დაგნი მოულოდნელად მიხვდა, რომ ჯიმის შიშს გაცილებით უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა, ვიდრე მხოლოდ ბიუროკრატიული შურისგების საფრთხეა. ეს ბიუროკრატიული შურისგება მხოლოდ იმას მაჩვენებელი იყო, თუ რისი გაცნობიერების უფლებას აძლევდა საკუთარ თავს ჯიმი. ეს იყო იმ სიმშვიდის მაჩვენებელი, რომელსაც გონივრულობის სახე ჰქონდა და ჯიმის ჭეშმარიტ მოტივს მალავდა. დაგნი დარწმუნებული იყო, რომ ძმას სინამდვილეში ქვეყნისთვის კი არ უნდოდა პანიკის აცილება, არამედ საკუთარი თავისთვის — მას, ჩიკ მორისონს, უესლი მაუჩსა და მთელ დანარჩენ მძარცველთა ჯგუფს დაგნის მიერ დასტურის მიცემა თავიანთი მსხვერპლების კი არა, საკუთარი თავების დასამშვიდებლად სჭირდებოდათ, თუმცა მსხვერპლების გაცურების მარჯვე და პრაქტიკული აზრი ერთადერთი მაჩვენებელი იყო, რომელსაც ისინი თავიანთ მოტივსა და ისტერიკულ წინააღმდეგობას ანიჭებდნენ. დაგნი მოკრძალებული ზიზღით დაინტერესდა —

მოკრძალებულით, რაკიღა მთლიანი სურათის დანახვა აშინებდა — მაინც, რა სახის შინაგან დეგრადაციას მიაღწიეს ამ ადამიანებმა, რომ თავს ისულელებდნენ და ცდილობდნენ, მსხვერპლისგან მოწონება გამოეძალათ, როგორც მათთვისვე საჭირო მორალური სანქცია, მაშინ, როდესაც თავად ეგონათ, რომ სამყაროს უბრალოდ ატყუებდნენ.

— ჩვენ არჩევნის გაკეთების საშუალება არ გვაქვს! — იყვირა ჯიმმა, — არავის აქვს არჩევნის გაკეთების საშუალება!

— აქედან გაეთრიე, — უთხრა დაგნიმ ძმას დაბალი და მშვიდი ხმით.

დაგნის ხმის ტონი ზუსტად იმას შეეხო, რისი აღიარებაც ჯიმს არ სურდა და ის მაშინვე გავიდა დის კაბინეტიდან.

დაგნიმ ედის შეხედა; ის სიძულვილის კიდევ ერთი ბრძოლით მოქანცულ ადამიანს ჰგავდა, რომელიც ცდილობდა, შეჰგუებოდა ფაქტს, რომ ამგვარი ბრძოლები მუდმივი მდგომარეობა იყო.

ერთი წუთის შემდეგ უილერსმა დაგნის ჰკითხა:

— დაგნი, რა დაემართა ქუენტინ დენიელსს? შენ ხომ მის მოსაძებნად გაფრინდი?

— დიახ, — უპასუხა ქალმა, — ის წავიდა.

— გამანადგურებელთან?

ეს სიტყვა დაგნისთვის ფიზიკური დარტყმის ტოლფასი იყო. ეს იყო გარე სამყაროს პირველი დარტყმა იმ მბრწყინავ აწმყოზე, რომელიც მთელი დღე თან სდევდა, როგორც ჩუმი, უცვლელი ხილვა, მხოლოდ მისი პირადი ხილვა, რომელზეც მის გარშემო მყოფ საგნებს ზემოქმედება არ უნდა მოეხდინათ, რომელზეც ქალს არც უნდა ეფიქრა, მხოლოდ უნდა შეეგრძნო ის, როგორც თავისი სიძლიერის წყარო.

დაგნიმ გააცნობიერა, რომ აქ, ამ სამყაროში, სწორედ „გამანადგურებელი“ იყო ამ ხილვის სახელი.

— დიახ, — უპასუხა ქალმა უხალისოდ, ძალის დაძაბვით, — გამანადგურებელთან, შემდეგ დაგნიმ ხელები ჩასჭიდა მაგიდის კიდეს, თავისი განზრახვა და თავშეკავება რომ გაემყარებინა და სიმწარენარევი ღიმილით თქვა:

— ედი, აბა ვნახოთ, ისეთი ორი არაპრაქტიკული ადამიანი, შენ და მე რომ ვართ, რის გაკეთებას შეძლებს მატარებლების ავარიების თავიდან ასაცილებლად.

ორი საათის შემდეგ კი მარტო დარჩენილი დაგნი თავის მაგიდაზე მიმოფანტულ ფურცლებს ათვალიერებდა, მართალია, ზედ მხოლოდ ციფრები ეწერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ფურცლები ფილმს ჰგავდა, რომელიც ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში რკინიგზაზე დატრიალებულ ამბებს უყვებოდა. ამ დროს ზარის ხმა გაისმა და მდივანმა დაგნის ამცნო:

— მისის რიერდენია მოსული თქვენ სანახავად, მის ტაგარტ.

— მისტერ რიერდენი? — იკითხა დაგნიმ განცვიფრებული ხმით, ვერც ერთის მოსვლა ვერ დაეჯერებინა.

— არა, მისის რიერდენი.

დაგნი ერთი წუთით შეყოვნდა, შემდეგ კი უთხრა მდივანს:

— სთხოვეთ მისის რიერდენს, შემოვიდეს.

ლილიან რიერდენის ქცევაში რაღაც გამომწვევი იგრძნობოდა, როდესაც დაგნის სამუშაო მაგიდას მიუახლოვდა. მას დახვეწილი კოსტიუმი ეცვა, საგანგებო ელეგანტური შეუსაბამობით გვერდზე მოქცეული ღია ფერის ბაფთითა და პატარა, თითქოს დამცინავი შესახედაობის, და ამიტომაც მოხდენილი ქუდით თავზე.

ლილიანი მეტისმეტად მშვიდი სახითა და მეტისმეტად აუჩქარებელი ნაბიჯით მოემართებოდა, თეძოების ლამის დემონსტრაციული რხევით.

— მიხარია თქვენი ნახვა, მის ტაგარტ, — მიმართა დაგნის ლილიანმა ნაძალადევად საამური ხმით, რომელიც დაგნის კაბინეტს ისევე არ შეეფერებოდა, როგორც მისი კოსტიუმი და ბაფთა.

დაგნიმ მძიმედ დახარა თავი.

ლილიანმა თვალი მოავლო დაგნის კაბინეტს; მზერაში მისი სასაცილო ქუდივით ხალისიანი გამომეტყველება უკრთოდა, რომელიც იმ რწმენით განპირობებულ სიმწიფეს გამოხატავდა, რომ ცხოვრება მხოლოდ სეირია და მეტი არაფერი.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, — მიუგო დაგნიმ სტუმარს.

ლილიანი გრაციოზულად ბუნებრივ პოზაში დაჯდა. როდესაც დაგნისკენ მიაბრუნა სახე, მას კვლავ სეირის მომლოდინე მზერა ჰქონდა, თუმცა რამდენადმე მაინც შეცვლილი: ეს მზერა ახლა ამბობდა, რომ ამ ორ ქალს ისეთი საიდუმლო აკავშირებდა ერთმანეთთან, რომელიც ლილიანის დაგნის კაბინეტში ყოფნას დაუჯერებლად წარმოაჩენდა ხალხის თვალში, ამ ორისთვის კი მას აშკარა ლოგიკურ აზრს ანიჭებდა. ლილიანი ამ ფაქტს ხაზს უსვამდა თავისი სიჩუმით.

— რით შემიძლია, გემსახუროთ?

— მე თქვენთან იმის სათქმელად მოვედი, — მიმართა დაგნის ლილიანმა სასიამოვნო ხმით, — რომ თქვენ მონაწილეობას მიიღებთ ბერტრამ სკადერის გადაცემაში დღეს საღამოს.

ლილიანმა დაგნის სახეზე გაოცების კვალი ვერ შენიშნა, მას მხოლოდ იმ ინჟინრის გამოხედვა ჰქონდა, რომელიც დაკვირვებით ათვალიერებს უჩვეულოდ მოხმაურე ძრავას.

— ვიმედოვნებ, — უთხრა ლილიანს დაგნიმ, — თქვენ სრულად აცნობიერებთ თქვენი მიმართვის ფორმას.

— ოჰ, რა თქმა უნდა! — უპასუხა ლილიანმა.

— მაშინ განაგრძეთ.

— უკაცრავად?

— განაგრძეთ, რისი თქმაც გსურდათ.

ლილიანმა გაიცინა, სიცილის დაძაბულმა ტონმა გაამჟღავნა, რომ ის დაგნისგან ასეთ რეაქციას არ მოელოდა.

— დარწმუნებული ვარ, ხანგრძლივი ახსნა-განმარტებები აღარ არის საჭირო, — განაგრძო ლილიანმა, — ისედაც კარგად მოგეხსენებათ, თუ რატომ არის თქვენი გამოჩენა იმ გადაცემაში ხელისუფლებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი. ვიცი, რატომაც განაცხადეთ უარი მასში მონაწილეობაზე. კარგად ვიცი თქვენი შეხედულებები ამ საკითხზე. თქვენ შესაძლოა, ამას დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებდით, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩემი სიმპათია ყოველთვის ახლანდელი ხელისუფლების მხარეზე იყო. აქედან გამომდინარე, მიხვდებით, თუ რა სახის ინტერესი მამოძრავებს ამ საქმისადმი და რა როლი მაქვს მასში. როდესაც თქვენმა ძმამ შემატყობინა, რომ გადაცემაში გამოჩენაზე უარს აცხადებდით, გადავწყვიტე, თავად მომეგვარებინა ეს საკითხი, რადგან, როგორც კარგად ხვდებით, ადამიანთა იმ მცირე ჯგუფს ვეკუთვნი, ვინც იცის, რომ თქვენ უარის თქმისთვის შესაფერის მდგომარეობაში არ ხართ.

— მე ჯერ არ ვირიცხები ადამიანთა იმ ჯგუფში, — უპასუხა დაგნიმ.

ლილიანმა გაიღიმა:

— კარგი, მაშინ მომიწევს, უფრო დაწვრილებით აგიხსნათ. თქვენ ხომ აცნობიერებთ, რომ თქვენს რადიოგადაცემაში მონაწილეობას ზუსტად იგივე ღირებულება ექნება ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რაც ჩემი ქმრის მოქმედებას, როდესაც მან ხელი მოაწერა ჩუქების სერტიფიკატს და რიერდენის ლითონი ხელისუფლებას გადასცა. თქვენც იცით, რამდენად ხშირად ახსენებდნენ ამ ამბავს თავისდა სასარგებლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ პროპაგანდაში.

— ეს არ ვიცოდი, — მოკლედ მოუჭრა დაგნიმ.

— ოჰ, რა თქმა უნდა, თქვენ ბოლო ორი თვის განმავლობაში უმეტესად წასული იყავით და შესაძლოა, ამის გამო გამოგრჩენოდათ — პრესაში, რადიოში და საჯარო გამოსვლებში მუდმივად აცხადებენ, რომ ჰენკ რიერდენიც კი იწონებს და მხარს უჭერს დირექტივა 10-289-ს, რადგან მან საკუთარი ნებით მოაწერა ხელი თავისი შექმნილი ლითონის ხალხისთვის გადაცემას, თავად ჰენკ რიერდენიც კი. ეს ამბავი წინააღმდეგობის გაწევის სურვილს უკარგავს ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებს და აადვილებს მათ კონტროლს. — ლილიანი სკამის საზურგეს მიეყრდნო და სასხვათაშორისოდ იკითხა, — როდესმე გიკითხავთ ჰენკისთვის, რატომ მოაწერა ხელი ჩუქების სერტიფიკატს?

დაგნის არაფერი უპასუხია; თითქოს ვერც გაიგო შეკითხვა; ის მდუმარედ იჯდა, უტყვი სახით, თუმცა გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ლილიანს, თითქოს ახლა მხოლოდ ის სურდა, ბოლომდე მოესმინა სტუმრისთვის.

— არა, არ მგონია, ეს თქვენ იცოდეთ. არც ის მგონია, რომ ოდესმე ჰენკი გეტყოდათ ამას, — თქვა ლილიანმა ისეთი მშვიდი ხმით, თითქოს გზის მაჩვენებლებს ხედავდა, რომელთა წყალობითაც კომფორტულად მიუყვებოდა წინასწარ ცნობილ მიმართულებას, — თუმცა თქვენ მაინც უნდა შეიტყოთ მიზეზი, რამაც მოაწერინა ჰენკს ხელი ამ სერტიფიკატზე, რადგან ზუსტად იგივე მიზეზი თქვენც გაიძულებთ დღეს საღამოს ბერტრამ სკადერის გადაცემაში მონაწილეობას.

ლილიანი გაჩუმდა, შეკითხვას ელოდა. დაგნი დუმდა.

— ამ მიზეზის გაგება, — განაგრძო ლილიანმა, — თქვენ სიამოვნებას მოგგვრით, სანამ საქმე ჩემი ქმრის მოქმედებას ეხება. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა ეს ხელმოწერა მისთვის. რიერდენის ლითონი მისი უდიდესი მიღწევა იყო, მისი ცხოვრების საუკეთესო წლების შეჯამება, მისი სიამაყის საბოლოო სიმბოლო, ჩემი ქმარი კი, თავადაც მოგეხსენებათ, უზომოდ მგზნებარე ადამიანია, მისი უდიდესი ვნება ალბათ საკუთარი თავით სიამაყეა. რიერდენის ლითონი მისთვის უბრალო მიღწევაზე მეტი იყო, მისი მიღწევის უნარის, მისი დამოუკიდებლობის, ბრძოლისა და აღმასვლის სიმბოლო. ის მისი საკუთრება იყო და ამ ლითონის ფლობის სრული უფლება ჰქონდა. და ალბათ ისიც მოგეხსენებათ, რას ნიშნავს უფლება ასეთი მტკიცე ადამიანისთვის და საკუთრება მისნაირი მესაკუთრე კაცისთვის. ის სიხარულით დასთანხმდებოდა ამ ლითონის დასაცავად სიკვდილს, ვიდრე მას იმ ადამიანებს დაუთმობდა, რომლებიც სძულდა. აი, რას ნიშნავდა ეს ლითონი მისთვის და რა დათმო მან.

თქვენ გაგახარებთ იმის გაგება, რომ ჰენკმა ის თქვენ გამო დათმო, მის ტაგარტ, თქვენი რეპუტაციისა და სახელის გადასარჩენად. მან ჩუქების სერტიფიკატს ხელი მოაწერა, რადგან იმ ამბის საქვეყნოდ გამოაშკარავებით ემუქრებოდნენ, რომ ის ცოლს თქვენთან ღალატობდა. ოჰ, დიახ, ჩვენ ამ ამბის სრული მტკიცებულება მოგვეპოვებოდა, მისი ყოველი ინტიმური დეტალი ცნობილი იყო ჩვენთვის. მე მჯერა,

რომ თქვენი ფილოსოფია არ ეთანხმება თავგანწირვას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში, თქვენ, როგორც ქალი, სიამოვნებას იგრძნობთ თავგანწირვის იმ მასშტაბის გამო, რომელიც კაცმა გაიღო, თქვენი სხეულით ტკბობის პრივილეგია რომ ჰქონოდა. ეჭვი არ არის, იმ ღამეებში, რომლებსაც ჰენკი თქვენთან ატარებდა, დიდად ისიამოვნებდით. ახლა კი შეგიძლიათ, იმის ცოდნით ისიამოვნოთ, თუ რა დაუჯდა მას თქვენთან გატარებული ეს ღამეები. და რადგან თქვენ მოგწონთ პირდაპირობა, — ასე არაა, მის ტაგარტ? — რადგან თქვენ მეძავის სტატუსი აირჩიეთ, მე ქედს ვიხრი თქვენ წინაშე იმ ფასის გამო, რომელიც გამოსძალეთ თქვენს კლიენტს და რომელზეც ვერც ერთი სხვა მეძავი ვერ იოცნებებდა.

ლილიანის ხმა უფრო და უფრო მკვეთრი ხდებოდა იმ საბურღი ჩარხის მსგავსად, რომელიც ქვის ბურღვას განაგრძობს, რადგან მასში ხარვეზი ვერ უპოვია. დაგნი ისევ ისე უყურებდა ლილიანს, მაგრამ მისი თვალებიდან დაძაბულობა გამქრალიყო.

თავისუფლად იჯდა. ლილიანს აინტერესებდა, რატომ ჰქონდა ისეთი შეგრძნება, თითქოს დაგნის სახე პროჟექტორით იყო განათებული. არ შეეძლო, მის სახეზე რაიმე კონკრეტული გამომეტყველება დაეფიქსირებინა, დაგნის ბუნებრივი გამომეტყველება ჰქონდა, სიცხადე კი მისი აგებულებიდან, დახვეწილი ნაკვთებიდან, მოკუმული პირიდან და თვალებში ჩამდგარი სიმშვიდიდან გამოსჭვიოდა. ლილიანს არ შეეძლო, ჩასწვდომოდა დაგნის მზერის მნიშვნელობას, ის თითქოს ამ სიტუაციისთვის შეუფერებელი იყო, ქალის მზერას კი არა, უფრო მეცნიერის მშვიდ გამოხედვას ჰგავდა. შიშისგან თავისუფალ, შეუპოვარ გამოხედვას.

— სწორედ მე, — თქვა ლილიანმა წყნარი ხმით, — შევატყობინე ბიუროკრატებს ჩემი ქმრის ღალატის შესახებ.

დაგნიმ ლილიანის უსიცოცხლო თვალებში გრძნობის პირველი გაელვება შენიშნა: ეს გრძნობა სიამოვნებას ჰგავდა, მაგრამ ისე ბუნდოვნად, თითქოს მზის სხივი არეკლილიყო ჭაობის უძრავ ზედაპირზე; ამ გრძნობამ წამით გაიელვა და ჩაქრა.

— სწორედ მე წავართვი ჰენკს რიერდენის ლითონი. — თქვა ლილიანმა და მისმა ხმამ თავის მართლებასავით გაიჟღერა.

დაგნისთვის გაუგებარი იყო ეს თავის მართლება, ვერც იმას ხვდებოდა, რა რეაქციას ელოდა მისგან რიერდენის ცოლი. გაიგო მხოლოდ, — როდესაც ლილიანის მოულოდნელად გულგამგმირავი ხმა მოესმა, — რომ ამ უკანასკნელმა ეს რეაქცია ვერ მიიღო.

— გესმით ჩემი სიტყვების აზრი? — ჰკითხა მას ლილიანმა.

— დიახ.

— მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, თუ რას ვითხოვ მე თქვენგან და რატომ დამემორჩილებით. გეგონათ, თქვენ და ჰენკს ვერავინ დაგამარცხებდათ, ასე არ არის? — ლილიანი ცდილობდა, მღელვარება არ დასტყობოდა, თუმცა ვერ ახერხებდა, — თქვენ ყოველთვის მხოლოდ საკუთარი ნებით მოქმედებდით — ამ ფუფუნების უფლებას მე საკუთარ თავს ვერასოდეს ვაძლევდი. ახლა კი როგორც იქნა, საკუთარი თვალით ვიხილავ, თუ როგორ დაემორჩილებით თქვენ ჩემს ნებას. თქვენ მე ვერ შემებრძოლებით. ვერც თავის დაძვრენას მოახერხებთ იმ დოლარების გამოყენებით, რომლის შოვნაც თქვენ შეგიძლიათ, მე კი არა. თქვენ მე ვერ მომისყიდით — მე სიხარბისგან სრულიად თავისუფალი ვარ. არც ბიუროკრატები მიხდიან რაიმეს — მე ამას უანგაროდ ვაკეთებ. უანგაროდ. გასაგებია?

— დიახ.

— მაშინ მეტი ახსნა-განმარტება საჭირო აღარ არის, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ყველა ფაქტობრივი მტკიცებულება — სასტუმროების სარეგისტრაციო ჟურნალები, ძვირფასეულობის შეძენის დამადასტურებელი ქვითრები და სხვა დანარჩენიც საჭირო ადამიანებს აქვთ ხელთ და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამ საღამოს სკადერის გადაცემაში არ მიიღებთ მონაწილეობას, ხვალ ყველა გაზეთს გადაეგზავნება. გასაგებია?

— დიახ.

— აბა, რას მეტყვით? — ლილიანი ხედავდა, რომ დაგნი მეცნიერის გამჭრიახი მზერით შესცქეროდა მას და მოულოდნელად ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისი პიროვნების შესახებ ძალიან ბევრი რამე გამოაშკარავდა, და ამავე დროს, მას თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ.

— მოხარული ვარ, რომ ეს ამბავი შემატყობინეთ, — მიუგო ლილიანს დაგნიმ, — მონაწილეობას მივიღებ ბერტრამ სკადერის გადაცემაში დღეს საღამოს.

* * *

მიკროფონის მოციმციმე ლითონს თეთრი ფერის სხივი ეცემოდა, მინის კაბინის ცენტრში კი დაგნი და ბერტრამ სკადერი იყვნენ გამომწყვდეული. ლითონი მომწვანო-მოლურჯოდ ბრწყინავდა; მიკროფონი რიერდენ მეტალისგან იყო დამზადებული.

მაღლა, მინის იქითა მხარეს, მეორე კაბინაში, დაგნი ორ რიგად ჩამწკრივებული ადამიანების სახეებს ხედავდა, რომლებიც მას შესცქეროდნენ: ჯეიმს ტაგარტს უსიცოცხლო და აღელვებული იერი ედო, გვერდით ლილიან რიერდენი ეჯდა, რომელსაც ხელი დამაიმედებლად ჩამოედო ჯიმისთვის მხარზე. ამ ადამიანებს შორის იმყოფებოდა ვაშინგტონიდან თვითმფრინავით ჩამოფრენილი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც დაგნის ჩიკ მორისონად წარუდგინეს, იქვე იყო მორისონის თანმხლები ახალგაზრდა კაცების ჯგუფი. ისინი ინტელექტუალური ზეგავლენის პროცენტულ დიაგრამაზე საუბრობდნენ და საპატრულო პოლიციელებივით იქცეოდნენ.

ბერტრამ სკადერს თითქოს ეშინოდა დაგნისი. მას ხელში მიკროფონი ჩაებღუჯა და დანაზებული ხმით გადაცემის თემას აუწყებდა მსმენელებს. მთელი ძალით ცდილობდა, თავისი ხმისთვის ცინიკური, სკეპტიკური, ამპარტავნული და ისტერიკული ტონი მიეცა, თითქოს ყველა ადამიანური რწმენის ამაოებას დასცინის და ამიტომაც მყისიერ რწმენას მოითხოვს მსმენელებისგან. სკადერს კისერი ოდნავ დაეცვარა ოფლით. ის დაწვრილმანებით აღწერდა დაგნის მიერ მწყემსის ქოხში გატარებულ ერთ თვეს, შემდეგ კი მის გმირულ თავდადებას, როდესაც მთის ბილიკით ორმოცდაათი მილი ფეხით გაიარა, რათა განეგრძო საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება ამ ძნელბედობის ჟამს.

— და თუ ვინმე შეაცდინა ბოროტმა ხმებმა, რათა ჩვენი ლიდერების დიად სოციალურ პროგრამაში ეჭვი შეგპარვოდათ, შეგიძლიათ, დაერწმუნოთ მის ტაგარტს; რომელიც...

დაგნი იდგა და თეთრ სხივს უყურებდა. სხივზე მტვრის ნაწილაკები ირეოდნენ და შენიშნა, რომ ერთ-ერთი მათგანი ცოცხალი იყო: ეს კოღო აღმოჩნდა, რომელიც ფრთებს აფართხალებდა და გააფთრებულს რაღაც გამოუცნობი მიზანი ამოძრავებდა, დაგნისთვის მისი ეს მიზანი ისეთივე შორეული ჩანდა, როგორც მთელი დანარჩენი სამყარო.

— მის ტაგარტი მიუკერძოებელი დამკვირვებელია, ბრწყინვალე ბიზნესლედი, რომელიც წარსულში ხშირად აკრიტიკებდა მთავრობას და, შეიძლება ითქვას, უკიდურესად კონსერვატიულ შეხედულებებს გამოთქვამდა, მსგავსად მრეწველობის ისეთი გიგანტისა, როგორიც ჰენკ რიერდენია. თუმცა ისიც კი...

დაგნის აოცებდა, თურმე რა სიმსუბუქეს გრძნობს ადამიანი, როდესაც არაფრის განცდა არ არის საჭირო; ის თითქოს შიშველი იდგა ყველას წინაშე და სინათლის სხივი სრულიად საკმარისი იყო მის მხარდასაჭერად, რადგან არც ტკივილს გრძნობდა, არც იმედს და არც სინანულს, აღარც რაიმე საზრუნავი არსებობდა, აღარც მომავალი...

— ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, წარმოგიდგენთ ამ გადაცემის გმირს, ჩემს ყველაზე უჩვეულო სტუმარს...

დაგნიმ მოულოდნელად ტკივილის გამჭოლი დარტყმა იგრძნო, რომელსაც თითქოს მინის დამცავი კედლის ნამსხვრევი იწვევდა, იმ კედლისა, რომელიც იმის ცოდნას დაემსხვრია, რომ ახლა დაგნის უნდა მიემართა მსმენელისთვის; მან ეს ტკივილი იმ კაცის სახელის გახსენებისას იგრძნო, რომელსაც გამანადგურებელს უწოდებდა:

დაგნის არ სურდა, გოლტს გაეგონა ის, რისი თქმაც ახლა მას მოუწევდა. „თუ შენ ამას მოისმენ“, — დაგნის ხმით თითქოს მისი ტკივილი მიმართავდა გოლტს, — „შენ აღარ დაიჯერებ, რასაც მე გეუბნებოდი, უფრო უარესიც, აღარც იმას ირწმუნებ, რასაც მე თავად არ გეუბნებოდი, მაგრამ შენ იცოდი, გჯეროდა და აღიარებდი. შენ გეგონება, რომ მე ჩემი ნებით არ ვმოქმედებდი და ჩემი შენთან გატარებული დღეები სიცრუე იყო, ეს ჩემს ერთ თვეს და შენს ათ წელს გაანადგურებს. არ მინდოდა, ასეთი ფორმით გაგეგო ეს დღეს საღამოს, მაგრამ, სამწუხაროდ, შენ ამას გაიგებ, შენ მე მითვალთვალებდი და ჩემი თითოეული ნაბიჯი შენთვის ცნობილი იყო, შენ ახლაც მადევნებ თვალყურს, სადაც არ უნდა იყო, და ამასაც მოისმენ, მაგრამ ეს მაინც უნდა ითქვას“. — ...ჩვენი სამრეწველო ისტორიის სახელმოხვეჭილი მეწარმის უკანასკნელი შთამომავალი, ხელმძღვანელი ქალი, რომლის მსგავსსაც მხოლოდ ამერიკაში შეხვდებით, უდიდესი სარკინიგზო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი — მის დაგნი ტაგარტი!

როდესაც მიკროფონს მოჰკიდა ხელი, დაგნიმ რიერდენის ლითონი შეიგრძნო და უცებ ყველაფერი ძალიან მარტივი მოეჩვენა, თუმცა ეს სიმარტივე დუნე გულგრილობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მოქმედების ნათელი, მკაფიო და ცოცხალი სიმშვიდით.

— მე აქ მოვედი, რათა გესაუბროთ იმ სოციალურ პროგრამაზე, პოლიტიკურ სისტემაზე და ზნეობრივ ფილოსოფიაზე, რომლითაც ცხოვრობთ.

დაგნის ხმაში ისეთი მშვიდი, ბუნებრივი და სრული დარწმუნებულობა გაისმოდა, რომ უბრალო ბგერაც კი უსაზღვრო დამაჯერებლობით ჟღერდა.

— თქვენ უკვე მოისმინეთ, რომ მე ამ სისტემის მამოძრავებელ ძალად კორუფციას მივიჩნევ, მიზნად კი ძარცვას, რომ სიცრუე, თაღლითობა და ძალმომრეობა მგონია მისი მოქმედების მეთოდი, ნგრევა კი ამ მოქმედების ერთადერთი შედეგი. იმასაც გაიგებდით, რომ ჰენკ რიერდენის მსგავსად, მეც ამ სისტემის ერთგული მხარდამჭერი გავხდი და ჩემივე ნებით ვიზიარებ დღევანდელ პოლიტიკას, რისი მაგალითიც არის დირექტივა 10-289. აქ იმისთვის მოვედი, რომ ამ ყველაფრის შესახებ სრული სიმართლე მოგახსენოთ.

— მართალია, რომ მე ვიზიარებ ჰენკ რიერდენის პოზიციას. მისი პოლიტიკური შეხედულებები შეესაბამება ჩემსას. თქვენ იცით, რომ წარსულში მას კიცხავდნენ იმის გამო, რომ რეაქციონერი იყო და ახლანდელი სისტემის ყოველ მოქმედებას, ღონისძიებას, მოწოდებასა და წანამძღვარს ეწინააღმდეგებოდა. ახლა კი თქვენ გესმით, რომ მას ხოტბას ასხამენ, როგორც სახელგანთქმულ მეწარმეს, რომლის შეხედულებაც ეკონომიკურ პოლიტიკაზე უყოყმანოდ შეიძლება ირწმუნოთ. ეს მართლაც ასეა. თქვენ შეგიძლიათ, ირწმუნოთ მისი შეფასება. თუ ახლა უკვე შიშობთ, რომ უპასუხისმგებლო ბოროტების ხელში მოექეცით, რომ ქვეყანა ინგრევა და მალე შიმშილობა დაიწყება — მაშინ გაითვალისწინეთ ჩვენი ყველაზე გონიერი მეწარმის აზრი, რომელმაც კარგად იცის, როგორი პირობებია საჭირო წარმოებისთვის და იმისთვის, რომ ქვეყანა დაღუპვას გადაურჩეს. გაითვალისწინეთ ყველაფერი, რაც კი იცით მისი შეხედულებების შესახებ. როდესაც მას ლაპარაკის საშუალება ეძლეოდა, თქვენ ისმენდით მისგან, რომ ამ მთავრობის პოლიტიკა დამონებისკენ და ნგრევისკენ მიგაქანებდათ. თუმცა მას არ გაუკიცხავს ამ პოლიტიკის საბოლოო კულმინაცია — დირექტივა 10-289. თქვენ გაიგებდით, რომ ის იბრძოდა თავისი უფლებებისთვის — თავისი და თქვენი უფლებებისთვის — თავისი დამოუკიდებლობისთვის და საკუთრებისთვის. თუმცა მას მაინც არ გაულაშქრია დირექტივა 10-289-ის წინააღმდეგ. როგორც შეგატყობინეს, ჰენკ რიერდენმა საკუთარი ნებით მოაწერა ხელი ჩუქების სერტიფიკატს და რიერდენის ლითონი თავის მტრებს დაუთმო. მან იმ ერთ ფურცელს მოაწერა ხელი, რომლის წინააღმდეგაც, მთელი მისი განვლილი საქმიანობის გათვალისწინებით, სიცოცხლის ბოლომდე უნდა ებრძოლა. მაინც, რა შეიძლებოდა, გამხდარიყო ამგვარი მოქმედების მოტივი? — თუ არა ის, რომ თითქოს თვით ჰენკ რიერდენმაც კი ცნო დირექტივა 10-289-ის მნიშვნელოვანება და ქვეყნის კეთილდღეობის გამო უარი თქვა პირად დაინტერესებაზე. განსაჯეთ მისი შეხედულებები მისივე მოქმედების მოტივით, როგორც ამას გიკიჟინებდნენ. გულახდილად გეტყვით, რომ ამ აზრს მეც ვეთანხმები: განსაჯეთ მისი შეხედულებები ამ მოქმედების მოტივით. და თუ რაიმე მნიშვნელობას ანიჭებთ ჩემს აზრსა და რჩევას, ჩემი შეხედულებებიც ამ მოქმედების მოტივის მიხედვით განსაჯეთ, რადგან ჰენკისა და ჩემი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა.

— ორი წლის მანძილზე მე ჰენკ რიერდენის საყვარელი ვიყავი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიტყვი, რომ ამ ამბავს დიდი სიამაყით გიმხელთ და არა როგორც სამარცხვინო აღსარებას. მე მისი საყვარელი ვიყავი. მე მასთან ერთად მეძინა მის მკლავებში მოქცეულს. ახლა უკვე ვეღარაფერს გეტყვიან ჩემ შესახებ ისეთს, რასაც პირადად ჩემგან არ მოისმენთ. ჩემი გაკიცხვა უსარგებლო იქნება, რადგან კარგად ვიცი, რა სახის ბრალდებებსაც წამიყენებთ და მათ თავადვე მოგახსენებთ.

ვგრძნობდი თუ არა ჰენკის მიმართ ფიზიკურ ლტოლვას? ვგრძნობდი. აღძრავდა თუ არა ის ვნებას ჩემს სხეულში? აღძრავდა. განვიცდიდი თუ არა მასთან ფიზიკური სიახლოვის დროს სიამოვნებას? განვიცდიდი. თუ ეს ყველაფერი თქვენს თვალში უღირს ქალად წარმომაჩენს — თქვენი შეფასება თქვენთვის დაიტოვეთ. მე კი კვლავინდებურად ჩემს აზრზე დავრჩები.

ბერტრამ სკადერი დაგნის გაოცებული მიშტერებოდა; ეს არ იყო ის განცხადება, რომელსაც ქალისგან ელოდა და გაურკვეველი პანიკით მოცული გრძნობდა, რომ ეს არ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ დაგნი განსაკუთრებული სტუმარი იყო და ვაშინგტონის წარმომადგენლებს ნაბრძანები ჰქონდათ სკადერისთვის, მასთან

მიმართებით წინდახედულება გამოეჩინა. სკადერს ვეღარ გაეგო, უნდა შეეწყვეტინებინა ახლა სტუმრისთვის ლაპარაკი თუ არა; ესეც რომ არ ყოფილიყო, მას სიამოვნებდა ასეთი ამბების მოსმენა. მსმენელებისთვის განკუთვნილ კაბინაში ჯეიმს ტაგარტი და ლილიან რიერდენი გაშეშებული ისხდნენ, მათკენ მომავალი მატარებლის პროჟექტორის შუქის დანახვაზე პარალიზებული ცხოველების მსგავსად; მხოლოდ მათ იცოდნენ იქ მყოფთაგან, დაგნის სიტყვებსა და გადაცემის თემას შორის რა კავშირიც არსებობდა; უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო; მათ არ სურდათ, მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრათ. სამართავ პულტთან ჩიკ მორისონის ხელქვეითი ახალგაზრდა ინტელექტუალი იჯდა, რომელიც მზად იყო, მაშინვე გაეთიშა პირდაპირი ეთერი, როგორც კი რაიმე პრობლემა წარმოიქმნებოდა, მაგრამ მან ვერავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა ვერ დაინახა დაგნის სიტყვებში, ვერაფერი ისეთი, რასაც შესაძლოა, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საფრთხე შეექმნა. ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მიჩვეული იყო ზეწოლის ქვეშ მყოფი მსხვერპლის სმენას, დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაშიც, ხელისუფლების მოწინააღმდეგე აიძულეს, ეღიარებინა სკანდალური ფაქტი და რომ დაგნი ტაგარტის განცხადებას განსაკუთრებული, წინასწარ გაანგარიშებული პოლიტიკური ძალა ჰქონდა; თანაც, ამ ამბის მოსმენა თვითონაც აინტერესებდა.

— მეამაყება, რომ მან მე ამირჩია სიამოვნების მისანიჭებლად და ჩემი არჩევანი კი ის აღმოჩნდა. როგორც უმეტესობა თქვენგანის შემთხვევაში ხდება ხოლმე, ეს არ ყოფილა შემთხვევით სურვილს აყოლა და ორმხრივი ზიზღი. ეს ჩვენი ერთმანეთისადმი თაყვანისცემის უზენაესი ფორმა იყო, სრული გაცნობიერებით იმ ღირებულებებისა, რომლის მიხედვითაც გავაკეთეთ არჩევანი. ჩვენ იმ ტიპის ადამიანები ვართ, რომლებიც თავიანთი გონების ღირებულებებს არ განაცალკევებენ სხეულის ქმედებებისგან, რომლებიც თავიანთ ღირებულებებს ფუჭ ოცნებებს კი არ სწირავენ, არამედ რეალობად აქცევენ მათ და საკუთარ აზრებს ხელშესახებ ფორმას აძლევენ — ადამიანები, ვინც ქმნიან ფოლადს, რკინიგზასა და ბედნიერებას. მათ, ვისაც სძაგს ადამიანურ სიამოვნებაზე ფიქრი, ვისაც სურს, ადამიანის ცხოვრება მუდმივი ტანჯვა და მარცხი იყოს, ვისაც უნდა, რომ ადამიანი საკუთარი ბედნიერების, წარმატების, ნიჭის, მიღწევის ან სიმდიდრის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდეს, ახლა მივმართავ: მე მსურდა ჰენკი, მე მივიღე კიდეც ის, ვიყავი ბედნიერი, განვიცდიდი სიამოვნებას, წმინდა, სრულ და დანაშაულის გრძნობისგან თავისუფალ სიამოვნებას, იმ სიამოვნებას, რომლის გამოთქმაც გაშინებთ და რომელიც თქვენთვის მხოლოდ იმ სიძულვილის დონეზეა ცნობილი, რომელსაც განიცდით მათ მიმართ, ვინც იმსახურებს, მიაღწიოს სიამოვნების განცდას. მაშინ მეც შემიძულეთ, რადგან მე მოვახერხე, სიამოვნება განმეცადა!

— მის ტაგარტ, — მიმართა დაგნის ბერტრამ სკადერმა აღელვებული ხმით, — გადაცემის თემას ხომ არ გადავუხვიეთ;...მიუხედავად ყველაფრისა, თქვენს ურთიერთობას ჰენკ რიერდენთან არ აქვს ის პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც...

— მეც ასე მეგონა. რა თქმა უნდა, აქ იმისთვის მოვედი, რომ გესაუბროთ იმ პოლიტიკურ და ზნეობრივ სისტემაზე, რომლის მმართველობის ქვეშაც ვიმყოფებით ახლა. მეგონა, ყველაფერი ვიცოდი ჰენკ რიერდენის შესახებ, მაგრამ მხოლოდ დღეს გავიგე, რომ არსებობდა ერთი საიდუმლო — შანტაჟი, რომ ჩვენი ურთიერთობის შესახებ საზოგადოებას გააგებინებდნენ. ამან აიძულა ჰენკი, ხელი მოეწერა ჩუქების

სერტიფიკატისთვის, რომლის ძალითაც თმობდა რიერდენ მეტალს. ამ შანტაჟს ახორციელებდნენ თქვენი მთავრობის პირები, თქვენი კანონმდებლები, თქვენი...

სკადერმა უეცრად ხელიდან გამოგლიჯა დაგნის მიკროფონი და მოისროლა; როდესაც მიკროფონი იატაკზე დაენარცხა, სუსტი ტკაცუნის ხმა გაისმა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ სამართავ ოთახში მყოფ ინტელექტუალ პოლიციელს უკვე გაეთიშა პირდაპირი ეთერი.

დაგნი იცინოდა, თუმცა მას არავინ უყურებდა და არც მისი სიცილის მიზეზის გაგებას ცდილობდა ვინმე. მინის კაბინაში მყოფი ადამიანები ერთმანეთს უყვიროდნენ. ჩიკ მორისონი ბერტრამ სკადერს უწმაწური სიტყვებით ლანძღავდა, სკადერი კი გაჰყვიროდა, რომ თავიდანვე არ მოსწონდა გადაცემის იდეა, მაგრამ ნაბრძანები ჰქონდა, ამ თემის შესახებ ესაუბრა; ჯეიმს ტაგარტი გამძვინვარებულ ცხოველს ჰგავდა, ის მორისონის ორ ახალგაზრდა თანაშემწეს უბღაოდა, მესამე, ასაკით უფროს თანაშემწეს კი თავს არიდებდა; ლილიან რიერდენის სახის კუნთებს უცნაური უსიცოცხლო ელფერი დასდებოდა, გზაზე დაგდებული ცხოველის ლეშის მსგავსად. მისტერ მაუჩის შიშით გულგახეთქილი მორალური მდგომარეობის მმართველები ერთმანეთს უყვიროდნენ.

— რა ვუთხრა მათ? — ყვიროდა გადაცემის წამყვანი და მიკროფონზე უთითებდა, — ბატონო მორისონ, მსმენელები მელოდებიან, რა ვუთხრა მათ? — სკადერისთვის არავის უპასუხია. მინის კაბინაში მყოფები იმაზე კი არ დაობდნენ, რა გაეკეთებინათ, არამედ იმაზე, თუ ვისთვის დაებრალებინათ ეს ყველაფერი.

დაგნისთვის ხმა არავის გაუცია, არც არავის შეუხედავს მისთვის. არც კი შეუჩერებიათ, როდესაც ის კაბინიდან გამოვიდა.

ქუჩაში გამოსული პირველივე შემხვედრ ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს თავისი ბინის მისამართი უთხრა. როდესაც მანქანა დაიძრა, შეამჩნია, რომ რადიო ჩართული იყო, მაგრამ მხოლოდ წყვეტილი ტკაცუნი ისმოდა: ეს ბერტრამ სკადერის გადაცემა იყო.

დაგნი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო; სევდამ მოიცვა, როცა გაიფიქრა, რომ არ იყო გამორიცხული, ამ საქციელით თავისი ცხოვრებიდან ის ადამიანები განედევნა, რომელთაც შესაძლოა, სამუდამოდ დაეკარგათ მისი ნახვის სურვილი. პირველად თავის სიცოცხლეში, მთელი სისრულით შეიგრძნო გოლტის პოვნის უიმედობა მისი სურვილის გარეშე ქალაქის ქუჩებში, კონტინენტის ქალაქებში, როკის მთების ხეობებში, სადაც სხივების საიდუმლო ეკრანი ხეობას უხილავს ხდიდა. მაგრამ დაგნის ერთი იმედი რჩებოდა, რომელიც ვაკუუმში მოტივტივე მორს ჰგავდა და რომელსაც მთელი გადაცემის მსვლელობისას ებღაუჭებოდა — იცოდა, ყველაფერი დანარჩენი რომც დაეკარგა, ამას არაფერი დაემუქრებოდა; თითქოს გოლტის ხმა ჩაესმოდა: „აქ გაყალბებული რეალობით თავს ვერავინ მოიტყუებს“.

— ქალბატონებო და ბატონებო, — სიჩუმეში მოულოდნელად ბერტრამ სკადერის ხმა გაისმა, — ტექნიკური შეფერხებების გამო იძულებული ვართ, შევწყვიტოთ მაუწყებლობა, ვიდრე ამ ხარვეზების გამოსწორება არ მოხერხდება. — ტაქსის მძღოლმა აგდებულად ჩაიცინა და რადიო გამორთო.

დაგნი მანქანიდან გადმოვიდა და მძღოლს ფული მიაწოდა, მან ხურდა გაუწოდა ქალს და წინ გადაიხარა, რომ მგზავრისთვის სახეზე უფრო ახლოდან შეეხედა. დაგნი მიხვდა, რომ მძღოლმა ის იცნო და ერთი წამით კუშტად შეხედა კაცს. ტაქსის მძღოლის ნაღვლიანი სახე და დაკემსილი პერანგი მიანიშნებდა, რომ ის უიმედო

ბრძოლას მოექანცა და დაემარცხებინა. როდესაც დაგნიმ ხურდა არ გამოართვა, მან გულწრფელად და მეტისმეტად საზეიმო ხმით წარმოთქვა:

— გმადლობთ, მემ.

დაგნი სწრაფად მიბრუნდა და შენობაში ჩქარი ნაბიჯით შევიდა, მძღოლს რომ არ შეემჩნია მისი ემოცია, რომლის შეკავებაც ვეღარ შეძლო.

კარი თავდახრილმა შეაღო თუ არა, იატაკიდან სინათლემ შემოანათა; განცვიფრებულმა თავი ასწია: იქაურობა გაჩახჩახებული დახვდა. დაგნიმ ერთი ნაბიჯი წინ გადადგა — შუაგულ ოთახში ჰენკ რიერდენი იდგა.

დაგნი ადგილზე გაქვავდა. ჯერ ერთი, არ ელოდა, რომ ჰენკი ასე სწრაფად მოახერხებდა უკან დაბრუნებას; მეორე, რამაც განაცვიფრა, ჰენკის გამომეტყველება იყო. რიერდენი ოდნავ შესამჩნევად იღიმოდა და თვალებში სინათლე ჩასდგომოდა, სახეზე კი ისეთი მტკიცე, დარწმუნებული და მშვიდი იერი ედო, დაგნის მოეჩვენა, თითქოს მას ამ ერთ თვეში რამდენიმე ათეული წელი მომატებოდა ხედვის, რწმენისა და გამძლეობის თვალსაზრისით. იგრძნო, რომ ჰენკი, რომელმაც ერთი თვე ტანჯვაში გაატარა, რომელსაც გული ატკინა და ახლაც კიდევ ერთხელ უნდა გაეცრუებინა მისთვის იმედი, ამ წუთებში ერთადერთი ადამიანი იქნებოდა, რომელიც ანუგეშებდა და თავისი ძალით საკუთარ თავსა და მას დაიცავდა. დაგნი ერთი წამით გაუნძრევლად იდგა, შემდეგ კი დაინახა, რომ ჰენკის ღიმილი უფრო გამოიკვეთა, თითქოს ქალის აზრებს კითხულობდა და ეუბნებოდა, არაფრის არ შეშინებოდა. დაგნიმ ჩუმი ტკაცუნის ხმა გაიგონა და დაინახა, რომ იქვე, მაგიდაზე, რადიო იყო ჩართული. შეკითხვის გამომხატველი მზერით შეხედა ჰენკს, მან კი პასუხად ოდნავ დაუკრა თავი; რიერდენს მოესმინა დაგნის გამოსვლა სკადერის გადაცემაში.

ჰენკი და დაგნი ერთდროულად გაემართნენ ერთმანეთისკენ. რიერდენმა მხარდაჭერის ნიშნად ქალს მხრებზე დაადო ხელი, დაგნიმ ახედა, მაგრამ ჰენკს მისთვის ტუჩებში არ უკოცნია, ამის ნაცვლად, დაგნის ხელი აიღო და მაჯაზე, თითებზე, ხელისგულზე დაუწყო კოცნა. ეს სწორედ ის შეხვედრა იყო, რომელსაც ასეთი გატანჯული ელოდა. მოულოდნელად, მთელი დღითა და მთელი იმ თვით მოქანცული დაგნი რიერდენის მკლავებში აქვითინდა, ისე, როგორც არასდროს. ტიროდა, როგორც ქალი, რომელიც ტკივილს დანებებოდა, მაგრამ, ამავე დროს, უკანასკნელ, ამაო წინააღმდეგობასაც უწევდა ამ ტკივილს.

ჰენკმა დაგნი დივანთან მიიყვანა და სცადა, გვერდით მოესვა, მაგრამ ქალი იატაკზე, მის ფეხებთან ჩაჯდა, თავი მის მუხლებში ჩარგო და ტირილი განაგრძო.

გულწრფელად, უმწეოდ ტიროდა.

რიერდენს აღარ უცდია დაგნის წამოყენება, დააცადა გამოტირება, მხოლოდ ხელი შემოხვია მაგრად. დაგნი გრძნობდა, როგორ ეხებოდა თავზე და მხარზე ჰენკის ხელისგული, გრძნობდა, როგორ იცავდა მისი სიმტკიცე, სიმტკიცე, რომელიც თითქოს ეუბნებოდა, რომ ჰენკისთვის ცნობილი იყო დაგნის ტკივილი, ის გრძნობდა მას და ესმოდა მისი არსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეეძლო, სიმშვიდე შეენარჩუნებინა. სწორედ რიერდენის ეს სიმშვიდე უმსუბუქებდა ქალს მძიმე ტვირთს და უფლებას აძლევდა, თავისუფლად გამოეხატა თავისი გრძნობები აქ, მის ფეხებთან დამხობილს; თითქოს ჰენკი ეუბნებოდა, რომ მას შეეძლო იმ ტვირთის ზიდვა, რისი ტარებაც ქალს უკვე აღარ ძალუძდა. დაგნი ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ სწორედ ასეთი იყო ნამდვილი ჰენკ რიერდენი, ახლა უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როგორი შეურაცხმყოფელი სისასტიკე გამოავლინა მათი ურთიერთობის პირველ

ღამეებში რიერდენმა, თუ როგორ ხშირად ჩანდა ის ქალზე უფრო ძლიერი, ეს სიძლიერე ყოველთვის არსებობდა ამ ადამიანში და მათი ურთიერთობის საფუძველში, სიძლიერე, რომელიც დაგნის დაიცავდა, თუ როდისმე თავად მას ძალა გამოელეოდა.

დაგნიმ თავი მაღლა ასწია და ჰენკის მომღიმარი სახე დაინახა.

— ჰენკ... — წაიჩურჩულა დაგნიმ დამნაშავესავით, განცვიფრებულმა საკუთარი ემოციით.

— გაჩუმდი, ძვირფასო.

დაგნიმ კვლავ დაადო მუხლებზე თავი ჰენკს; ხმას არ იღებდა, ცდილობდა, დაწყნარებულიყო და შესწინააღმდეგებოდა უხმო ფიქრის სიმძიმეს: რიერდენმა მოახერხა, დაგნის გამოსვლა რადიოგადაცემაში მხოლოდ ისე გადაეტანა და მიეღო, როგორც ქალის მიერ სიყვარულის აღიარება; ეს ყველაფერი იმ სიმართლეს, ქალს რომ ახლა უნდა ეთქვა მისთვის, მძიმე დარტყმად აქცევდა, რომელიც ყოველგვარი ადამიანურობის ფარგლებს სცილდებოდა. დაგნის თავზარი დაეცა, როცა გაიფიქრა, რომ საამისოდ ძალა არ ეყოფოდა და, მეორე მხრივ, როცა წარმოიდგინა, რომ ამას შეძლებდა.

როდესაც დაგნიმ ჰენკს ახედა, მან ქალს შუბლზე გადაუსვა ხელი და სახიდან თმა მოაშორა.

— ყველაფერი დამთავრდა, საყვარელო, — მიმართა მან ქალს, — ყველაზე ცუდი უკვე ჩავლილია, ორივე ჩვენგანისთვის.

— არა, ჰენკ, ასე არ არის.

რიერდენმა გაიღიმა. დაგნი გვერდზე მოისვა, მან კი ჰენკს მხარზე დაადო თავი.

— ახლა არაფერი თქვა, — უთხრა რიერდენმა ქალს, — შენც იცი, რომ ჩვენ ორივეს კარგად გვესმის ყველაფერი, რაც უნდა ითქვას, და ჩვენ ამაზე ვილაპარაკებთ, ოღონდ მერე, როცა ეს ყველაფერი ასეთი მტკივნეული აღარ იქნება შენთვის.

ჰენკის ხელი ქალის სახელოს ხაზსა და ქვედატანის ნაკეცს შეეხო. მისი ხელი ისე მსუბუქად მოძრაობდა, თითქოს ვერც კი გრძნობდა ტანსაცმლის ქვეშ ქალის სხეულს, თითქოს ის დაგნის სხეულს კი არა, მის დანახვის შესაძლებლობას იბრუნებდა.

— შენ ძალიან ბევრი რამ გადაიტანე, — თქვა რიერდენმა, — მეც ასევე. დაე, გვაკრიტიკონ. ჩვენ თვითონ კი თავს ამაზე მეტად ნუღარ გავიტანჯავთ. მნიშვნელობა არა აქვს, რისი გადატანა მოგვიწევს, ჩვენ შორის ტანჯვა აღარ უნდა არსებობდეს, ზედმეტი ტკივილი აღარ უნდა იყოს. დაე, ტანჯვა და ტკივილი მხოლოდ მათი სამყაროდან მოდიოდეს და არა ჩვენგან. ნუ გეშინია, ჩვენ ერთმანეთს გულს არ ვატკენთ, ახლა უკვე აღარ.

დაგნიმ მწარე ღიმილით გააქნია თავი, მაგრამ მას კვლავ დაუბრუნდა ძალა და მზად იყო, მედგრად შეხვედროდა სასოწარკვეთას.

— ჰენკ, როგორი ჯოჯოხეთიც ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩემ გამო გამოიარე... — დაგნის ხმა უკანკალებდა.

— ეგ იმასთან შედარებით არაფერია, რასაც ჩემ გამო შენ ბოლო ერთი საათის განმავლობაში განიცდიდი, — მშვიდად უპასუხა რიერდენმა.

დაგნი წამოდგა და ოთახში მტკიცე ნაბიჯით გაიარა. ამ ნაბიჯების ყრუ, უგრძნობელი ხმა მისი სიტყვებივით მკაფიოდ ამბობდა, რომ შებრალებას აღარ

საჭიროებდა. როდესაც დაგნი შეჩერდა და ჰენკისკენ მიიხედა, რიერდენი წამოდგა, თითქოს მიუხვდა განზრახვას.

— ვიცი, რომ შენი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დავამძიმე, — მიმართა ჰენკს დაგნიმ და რადიოზე მიუთითა.

რიერდენმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია:

— არა.

— ჰენკ, რაღაც უნდა გითხრა.

— მეც უნდა გითხრა რაღაც. ნებას მომცემ, ჯერ მე ვილაპარაკო? იცი, ეს დიდი ხნის წინ უნდა მეთქვა შენთვის. გთხოვ, ბოლომდე მომისმინო და სანამ არ დავამთავრებ, არ მიპასუხო.

დაგნიმ თავი დაუქნია.

ჰენკი ერთი წუთით უსიტყვოდ შესცქეროდა ქალს, თითქოს უნდოდა, მთლიანად შეეთვისებინა მისი სხეული, ის წუთი და ყველაფერი, რაც წინ უძღოდა ამ მომენტს.

— მიყვარხარ, დაგნი, — თქვა რიერდენმა წყნარი ხმით, უღრუბლო, თუმცა სევდიანი ბედნიერებისთვის დამახასიათებელი უბრალოებით.

დაგნის უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ მიხვდა, რომ ვერ შეძლებდა, ჰენკს რომც მიეცა ამის საშუალება და გაჩერდა, პასუხად მხოლოდ ტუჩები შეუთრთოლდა უნებლიეთ, შემდეგ კი თავი დაუქნია.

— მიყვარხარ, იმავე ღირებულებით, გამოხატულებით, სიამაყითა და მნიშვნელობით, როგორც ჩემი საქმე მიყვარს, ჩემი საამქროები და მეტალი, როგორც მაგიდასთან, ლითონის სადნობ ღუმელთან, ლაბორატორიაში და საბადოში გატარებული საათები, როგორც ჩემი მუშაობის უნარი, მხედველობა და ცოდნა მიყვარს, როგორც ჩემი გონებრივი მოქმედება, როდესაც ქიმიურ განტოლებას ვხსნი ან მზის ამოსვლას ვუყურებ, ან ის საგნები, რომლებიც მე შევქმენი და რომლებიც შევიგრძენი, როგორც ჩემი ნაწარმი, არჩევანი, ჩემი სამყაროს ფორმა, ჩემი საუკეთესო გამოხატულება და ცოლი, რომელიც არასდროს მყოლია, როგორც ჩემი სიცოცხლის უნარი მიყვარს, რომელიც ყველაფერ დანარჩენს შესაძლებლად აქცევს.

დაგნის თავი აღარ ჩაუღუნია, თავაწეული იდგა, რომ ისე მოესმინა და მიეღო ჰენკის სიტყვები, როგორც რიერდენს სურდა ეს და როგორც ის იმსახურებდა.

— მე იმ დღიდან მოყოლებული მიყვარდი, როდესაც პირველად დაგინახე მილფორდის სადგურის სათადარიგო ხაზის პლატფორმაზე. მიყვარდი მაშინაც, როდესაც „ჯონ გოლტის ხაზზე“ პირველი მატარებლით ვიმგზავრეთ, როდესაც ელის უაიატის სახლის შესასვლელში იდექი. მეორე დილასაც მიყვარდი. შენ ამას ხვდებოდი. მაგრამ მე მაინც თავად უნდა გითხრა ეს, რადგან მსურს, წარსულის დღეები იმ მნიშვნელობით გავაცოცხლო, რომელიც მათ ჩვენთვის ჰქონდა. მე მიყვარდი, შენ ეს იცოდი, მე კი არა; და ამიტომაც, ამის გაგება მე მაშინ მომიხდა, როდესაც ჩემს მაგიდას მივუჯექი და რიერდენ მეტალის დასათმობად მომზადებულ ჩუქების სერტიფიკატს დავხედე.

დაგნიმ თვალები დახუჭა, თუმცა რიერდენს სახეზე ტანჯვა არ ეტყობოდა, მხოლოდ სიცხადით გამოწვეული უზომო და ჩუმი ბედნიერება ეწერა.

— „ჩვენ იმ ტიპის ადამიანები ვართ, რომლებიც თავიანთი გონების ღირებულებებს არ განაცალკევებენ სხეულის ქმედებებისგან“ — ეს სიტყვები შენ დღეს საღამოს გადაცემაში თქვი. მაგრამ ეს იმ დილითაც კარგად იცოდი, ელის უაიატის სახლში. იცოდი, რომ შენ წინააღმდეგ მომართული ყველა ჩემი შეურაცხყოფა სხვა არაფერი იყო, თუ არა სიყვარულის ყველაზე სრულყოფილი

გამოხატულება. შენ იცოდი, რომ ის ფიზიკური ლტოლვა, რომელიც მე ჩვენს საერთო სირცხვილად მიმაჩნდა, სინამდვილეში, სხეულის სურვილი კი არა, გონების ყველაზე ღრმა ღირებულებების გამოხატულებაა, მიუხედავად იმისა, ადამიანს ყოფნის თუ არა გამბედაობა ამის გასაცნობიერებლად. სწორედ ამიტომ დამცინოდი ხოლმე, ასე არ არის?

— ასეა, — წაიჩურჩულა ქალმა.

— შენ მითხარი, რომ არ გჭირდებოდა ჩემი გონება, ჩემი ნება, ჩემი არსება და ჩემი სული იქამდე, სანამ შენთან მხოლოდ ფიზიკური ლტოლვის გამო მოვიდოდი. როცა ამას მეუბნებოდი, შენ კარგად იცოდი, რომ ამ ლტოლვის საშუალებით გაძლევდი ჩემს გონებას, ნებას, არსებასა და სულს. იმ დილამ რომ თავისი მნიშვნელობა დაიბრუნოს, მსურს, ახლა გითხრა, რომ ჩემი გონება, ნება, არსება და სული ჩემი სიცოცხლის ბოლომდე შენი იქნება, დაგნი.

რიერდენი პირდაპირ უყურებდა დაგნის და ქალმა მის თვალებში ხანმოკლე გაელვება შეამჩნია, რომელიც ღიმილს არ ჰგავდა და თითქოს იმის გამომხატველი იყო, რომ ჰენკი მის უხმო ტკივილს ჩასწვდა.

— ნება მომეცი, დავასრულო, საყვარელო. მინდა, გაიგო, რომ მთელი სისრულით ვგრძნობ, რაზეც ვლაპარაკობ. მე, რომელსაც მეგონა, რომ მათ წინააღმდეგ ვიბრძოდი, დავმორჩილდი ჩვენი მტრების კრედოს ყველაზე საშინელ ბოროტებას — და იქიდან მოყოლებული, სწორედ ამის საზღაურს ვიხდი, ახლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნება. მე იმ პრინციპს დავემორჩილე, რომლის საშუალებითაც ისინი ადამიანს იქამდე ანადგურებენ, ვიდრე რამეს დაიწყებდეს, ეს მკვლელი პრინციპია: ადამიანის გონებასა და სხეულს შორის კავშირის გაწყვეტა. მათი მსხვერპლების უმეტესობის მსგავსად, მე ამ პრინციპს ისე დავემორჩილე, რომ არც კი მქონდა გაცნობიერებული, მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცოდი. მე გავილაშქრე ადამიანის უმწეობის მათეული კრედოს წინააღმდეგ და მეამაყებოდა ჩემი სურვილების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული ჩემივე ფიქრის, მოქმედებისა და მუშაობის უნარი.

მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ ეს იყო სიკეთე, მე მას ვერ აღვიქვამდი უზენაეს ზნეობრივ ღირებულებად, რომელიც ადამიანმა საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი უნდა დაიცვას, რადგან სწორედ ის ხდის ცხოვრებას შესაძლებელს; და დავისაჯე, დავისაჯე იმისთვის, რომ სიკეთე ხელში ჩავუგდე ქედმაღალ ბოროტებას, რომელიც სწორედ ჩემი გულგრილობითა და მორჩილებით გახდა ქედმაღალი.

— მე ვემორჩილებოდი მათ შეურაცხყოფას, თაღლითობას, გამოძალვას. მეგონა, შემეძლო, ყურადღება არც კი მიმექცია იმ უსუსური მისტიკოსებისთვის, რომლებიც თავიანთ სულებზე ყბედობენ და თავშესაფარიც კი არ გააჩნიათ. მეგონა, მთელი სამყარო მე მეკუთვნოდა და ეს ყბედი უვიცები ჩემს ძალაუფლებას საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ. არ მესმოდა, რა მიზეზით ვაგებდი ბრძოლებს ერთიმეორის მიყოლებით. ვერ ვაცნობიერებდი, რომ ჩემ წინააღმდეგ სწორედ ჩემივე ძალა იყო გამოყენებული. ამ სიძნელეების გადალახვის დროს მე უნებლიეთ ჩვენს მტრებს ვუთმობდი გონების, აზრის, პრინციპის, კანონის, ღირებულებებისა და ზნეობის სამყაროს. მე დავემორჩილე იმ პრინციპს, რომ აზრები არ არის ადამიანური არსებობის, შრომის, რეალობის და ამ სამყაროს შედეგი, რომ თითქოს აზრები გონების კი არა, იმ მისტიკური რწმენის მოქმედების სფეროა, რომელიც მე ასე მძულდა. ეს იყო ყველაფერი, რაც მათ სურდათ, რომ დამეთმო. ეს სრულიად საკმარისი იყო. მე მათ სწორედ ის დავუთმე, რის დასამხობად და

გასანადგურებლადაც არის გამიზნული მთელი მათი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები: ეს არის ადამიანის გონება. არა, მათ არ შესწევდათ ძალა, საქმეს გამკლავებოდნენ, შეექმნათ დოვლათი, ემართათ სამყარო.

მათ არც სჭირდებოდათ ეს, რადგან ისინი მე მმართავდნენ.

— მე, რომელმაც ვიცოდი, რომ სიმდიდრე მხოლოდ საშუალებაა საქმის გასაკეთებლად, შევქმენი ეს საშუალება და ნება მივეცი მათ, თავისად გამოეცხადებინათ ჩემი გაკეთებული საქმეები. მე, რომელიც ვამაყობდი საკუთარი უნარით, განმეხორციელებინა საკუთარი სურვილები, ნება მივეცი მათ, თავისად გაესაღებინათ ჩემი ღირებულებების კოდექსი, რომლის მიხედვითაც ჩემს სურვილებს განვსჯიდი, მე, რომელიც მატერიას ისეთ ფორმას ვაძლევდი, რომ გამოსადეგარი ყოფილიყო ჩემი მიზნისთვის, დამტოვეს ფოლადისა და ოქროს გროვასთან, მაშინ, როცა თითოეული ეს მიზანი და სურვილი გაცამტვერებული აღმოჩნდა, ჩემი სწრაფვა ბედნიერებისკენ კი განუხორციელებელი.

— მე საკუთარი თავი ორ ნაწილად გავყავი, როგორც ამას მისტიკოსები ქადაგებდნენ, ბიზნესს კანონთა ერთი კოდექსით ვმართავდი, ცხოვრებას კი მეორით. მე ვეწინააღმდეგებოდი მძარცველთა მცდელობას, ჩემი ფოლადის ფასი და ღირებულება თავად დაეწესებინათ, მაგრამ, მეორე მხრივ, მე მათ ნებას ვრთავდი, ჩემი ცხოვრების ზნეობრივი ღირებულებები დაედგინათ. მე ვეწინააღმდეგებოდი მოთხოვნას დაუმსახურებელ ქონებაზე, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარ მოვალეობად მიმაჩნდა, დაუმსახურებელი სიყვარული მიმეცა ცოლისთვის, რომელიც მეზიზღებოდა, დაუმსახურებელი პატივისცემით მოვპყრობოდი დედას, რომელსაც ვძულდი, დაუმსახურებლად დამეჭირა მხარი ძმისთვის, რომელიც ჩემს განადგურებას გეგმავდა. მე ვეწინააღმდეგებოდი დაუმსახურებელ ფინანსურ ზარალს, მაგრამ თავად დაუმსახურებლად ვიტანდი ტკივილს. მე ვილაშქრებდი იმ დოგმის წინააღმდეგ, რომ ჩემი წარმოების უნარი დანაშაული იყო, ჩემი ბედნიერების უნარის გამო კი თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. მე ვეწინააღმდეგებოდი იმ აზრს, რომ სიკეთე სულის უსხეულო და მიუწვდომელი თვისებაა, თუმცა, ამავე დროს, გაკიცხავდი შენ, ჩემს ყველაზე საყვარელ არსებას, შენი სხეულის ლტოლვისა და ჩემი საკუთარი სურვილისთვის.

მაგრამ თუ სხეული ბოროტებაა, მაშინ ისინიც ბოროტნი არიან, ვინც ამ სხეულისთვის სასიცოცხლო საშუალებას ქმნიან, ასე რომ, მატერიალური სიმდიდრე და მისი მწარმოებლები ბოროტი ძალაა — და თუ ჩვენი ზნეობრივი ღირებულებები წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს ფიზიკურ არსებობასთან, მაშინ სამართლიანია, რომ ჯილდო დაუმსახურებლად იყოს მიღებული, რომ სიკეთე შეუსრულებელს გამოხატავდეს, რომ არავითარი კავშირი არ იყოს მიღწევასა და მოგებას შორის, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ცხოველები, რომლებსაც წარმოების უნარი აქვთ, უნდა ემსახურონ მაღალ დონეზე მდგარ იმ არსებებს, რომელთა სულიერი აღმატებულებაც ხორცშესხმული უმეცრებაა.

— როდესაც ჩემი საქმიანობა დავიწყე, თუ ვინმე, ჰიუ ექსტონისნაირი ადამიანი მეტყოდა, რომ მისტიკოსთა სქესობრივი თეორიის აღიარებით ეკონომიკის შესახებ მძარცველთა თეორიას ვეთანხმებოდი, მე ამ ადამიანს დავცინებდი. ახლა კი არ დავცინებ. ახლა ვხედავ, რომ რიერდენის კომპანიას ნაძირალები განაგებენ და ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი მტრების ბოროტების გაძლიერებას ემსახურება, იმ ორი ადამიანიდან კი, ვინც მიყვარდა, ერთს საშინელი შეურაცხყოფა მივაყენე, ხოლო მეორე საქვეყნოდ შევარცხვინე. მე იმედი გავუცრუე კაცს, რომელიც

ჩემი მეგობარი, დამცველი და მასწავლებელი იყო, მან მე გამათავისუფლა თავისი ცოდნის გადმოცემის საშუალებით. მე ის მიყვარდა, დაგნი, ის ჩემთვის ძმა, ვაჟიშვილი და მეგობარი იყო, რომელიც არასდროს მყოლია, მაგრამ მე ის განვდევნე ჩემი ცხოვრებიდან, რადგან მძარცველებისთვის შრომას არასდროს მომიწონებდა. რას არ გავიღებდი, უკან რომ დაბრუნებულიყო, მაგრამ აღარაფერი დამრჩა, რომ ამგვარი ფასი გადავიხადო და მას ვეღარასოდეს ვიხილავ, რადგან ვიცი — პატიების თხოვნის უფლებაც კი არ მაქვს.

— მაგრამ, ძვირფასო, შენ უფრო მეტი რამ დაგიშავე. ჩემთვის ბედნიერების მონიჭების სანაცვლოდ, დღევანდელი სიტყვით გამოსვლა დაგაკისრე — იმ ერთადერთ ქალს, რომელიც კი როდისმე მყვარებია. არ მითხრა, რომ ეს თავიდანვე შენი არჩევანი იყო და ვალდებული იყავი, მისი ყველა შედეგი მიგეღო, მათ შორის დღევანდელი გამოსვლაც — ეს მაინც არ გამოისყიდის იმას, რომ სწორედ მე ვერ შემოგთავაზე უკეთესი არჩევანი.

— ნუ მეტყვი, რომ მძარცველებმა გაიძულეს, გელაპარაკა და იმისთვის ალაპარაკდი, რომ ჩემ გამო გეძია შური და მე გაგეთავისუფლებინე — ეს არ შეცვლის იმ ფაქტს, რომ სწორედ მე გავხადე მათი მოქმედების ტაქტიკა შესაძლებელი. მათ შენ შესარცხვენად ცოდვასა და უღირსობაზე თავიანთი შეხედულებები კი არა, ჩემი თვალსაზრისი გამოიყენეს. მათ უბრალოდ განახორციელეს ის, რისიც მე მჯეროდა და რის შესახებაც ელის უაიატის სახლში თავად ვილაპარაკე. სწორედ მე ვმალავდი ჩვენს სიყვარულს სამარცხვინო საიდუმლოს მსგავსად, მათი დამოკიდებულება კი ჩვენი სიყვარულისადმი მხოლოდ ჩემი საკუთარი შეფასებით იყო ნაკარნახევი. სწორედ მე მსურდა რეალობის გაყალბება მათ თვალში ღირსების შენარჩუნების მიზნით — მათ მხოლოდ იხეირეს იმ უფლებით, რომელიც მე მივეცი.

— ხალხს ჰგონია, რომ მატყუარა სარგებლობს თავის მსხვერპლზე გამარჯვებით.

მე კი ის აღმოვაჩინე, რომ ტყუილი საკუთარი თავის უარყოფის აქტია, რადგან მატყუარა თავის რეალობას უთმობს იმ ადამიანს, ვისაც ატყუებს, მას თავის ბატონად ხდის, იქიდან მოყოლებული, საკუთარ თავს წირავს გაყალბებული რეალობისთვის, რომელსაც ამ ადამიანის თვალსაზრისი მოითხოვს. და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მატყუარა მაშინვე იღებს თავისი ტყუილიდან სარგებელს, საზღაური არის განადგურება იმისა, რასაც უნდა ემსახუროს ეს სარგებელი. კაცი, რომელიც სამყაროს ატყუებს, იმ დროიდან მოყოლებული ხდება სამყაროს მონა. როდესაც მე გადავწყვიტე, დამემალა, უარმეყო შენდამი ჩემი სიყვარული საზოგადოებაში და მეცხოვრა ტყუილით, მე ეს სიყვარული საზოგადოებრივ საკუთრებად ვაქციე და, შესაბამისად, საზოგადოებამაც მიისაკუთრა ის. მე აღარ შემეძლო ამის თავიდან აცილება და შენი გადარჩენა. როდესაც მძარცველებს დავემორჩილე და შენ დასაცავად მათ ჩუქების სერტიფიკატს მოვაწერე ხელი, მე კვლავ ვაყალბებდი რეალობას, რადგან სხვა გზა არ მქონდა — და დაგნი, მერჩივნა, ორივენი მოვმკვდარიყავით, ვიდრე მათთვის იმის ნება მიმეცა, რისი გაკეთებითაც იმუქრებოდნენ. მაგრამ უწყინარი ტყუილები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ნგრევის სიშავე და უწყინარი ტყუილი სინამდვილეში ყველაზე მავნეა. მე კვლავ ვაყალბებდი რეალობას და ამან ულმობელი შედეგი მოიტანა — დაცვის ნაცვლად, უარეს განსაცდელში ჩაგაგდო, იმის ნაცვლად, ღირსება შეენარჩუნებინა შენთვის, გაიძულა, ლინჩის წესით გასამართლებისთვის გაგეწირა თავი და შენივე ხელით დაგეშინა საკუთარი თავისთვის ქვები. ვიცი, რომ გეამაყებოდა, რაც მოჰყევი და მეც

სიამაყით მევსებოდა გული, შენ რომ გისმენდი — მაგრამ ეს სიამაყე ჯერ კიდევ ორი წლის წინ უნდა გამოგვეჩინა.

— არა, შენ არ გაგიუარესებია ჩემი მდგომარეობა, შენ გამათავისუფლე, შენ ორივე ჩვენგანი გადაარჩინე, შენ ჩვენი წარსული გამოასწორე. მე არ შემიძლია, შენ პატიება გთხოვო, რადგან ჩვენთვის უცხოა ასეთი საუბარი — და ჩემი მონანიების ერთადერთი გამოხატულება იქნება ის ფაქტი, რომ მე ბედნიერი ვარ. მე ბედნიერი ვარ, საყვარელო, და არ ვიტანჯები. ბედნიერი ვარ, რომ დავინახე ჭეშმარიტება — იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხედვის უნარის გარდა, აღარაფერი დამრჩა. უნდა დავნებებოდი ტკივილს და თავი გამეწირა ამაო სინანულისთვის, რომ ჩემმა საკუთარმა შეცდომამ დამინგრია წარსული ცხოვრება? ეს ხომ უკანასკნელი ღალატი და საბოლოო მარცხი იქნებოდა იმ ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე, რომლის ვერჩაწვდომასაც ვნანობ. მაგრამ თუ ჩემი ერთადერთი საკუთრება სწორედ ჭეშმარიტებისადმი ჩემი სიყვარულია, მაშინ, რაც უფრო დიდი დანაკარგი მაქვს გაღებული, მით უფრო ამაყი უნდა ვიყო იმ ფასით, რომელიც ამ სიყვარულისთვის გადავიხადე. მაშინ ეს ნგრევა ჩემს სამარეზე წამომართული ბორცვი კი არა, ის მწვერვალი იქნება, რომელზეც ავედი, რათა მაღლიდან უფრო უკეთესად დამენახა ყველაფერი. როდესაც ჩემი საქმიანობა დავიწყე, მხოლოდ სიამაყესა და ხედვის უნარს ვფლობდი და ყველაფერს მათი საშუალებით მივაღწიე. ახლა ორივე მათგანი მომემატა, რადგან შევიცანი ის უზენაესი ღირებულება, რომელსაც ადრე ვერ ვამჩნევდი: ეს ღირებულებაა ჩემი უფლება, მეამაყებოდეს საკუთარი ხედვის უნარი, დანარჩენი ყველაფრის მიღწევა კი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული.

— დაგნი, მინდოდა, ჩემი მომავალი ცხოვრება იმით დამეწყო, რომ შენთვის სიყვარული ამეხსნა — როგორც ახლა გიხსნი. მიყვარხარ, ძვირფასო, ჩემი სხეულის ბრმა ვნებით, რომელიც ჩემი გონების აღქმის მკაფიო უნარიდან წარმოიშობა — და ჩემი სიყვარული შენდამი ჩემი წარსულის ერთადერთი მონაპოვარია, რომელიც უცვლელად დარჩება ჩემთან მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. მე მსურდა, ეს მაშინ მეთქვა შენთვის, როდესაც ჯერ კიდევ მქონდა ამის უფლება; და რადგან ეს ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში არ გითხარი, ურთიერთობის დასასრულს მიწევს ამის თქმა. ახლა კი გეტყვი, რისი თქმაც გინდა ჩემთვის, რადგან კარგად მომეხსენება ეს და ვიღებ კიდეც ამ ფაქტს: უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში შენ შეხვდი კაცს, რომელიც შენ გიყვარს და თუ სიყვარული ნიშნავს ადამიანის საბოლოო, შეუცვლელ არჩევანს, მაშინ სწორედ ის ყოფილა ერთადერთი კაცი, ვინც კი ოდესმე გყვარებია.

— ასეა! — დაგნის ლამის სული შეეხუთა, თითქოს დაარტყესო, — ჰენკ! ამას როგორ მიხვდი?

რიერდენმა გაიღიმა და რადიოზე მიუთითა:

— საყვარელო, ჩვენს ურთიერთობაზე მხოლოდ წარსულ დროში ლაპარაკობდი.

— ოჰ!.. — დაიკვნესა დაგნიმ და თვალები დახუჭა.

— შენ არასოდეს წარმოგითქვამს ის ერთი სიტყვა, რომელსაც სრული უფლებით მიახლიდი მათ, სხვაგვარად რომ არ ყოფილიყო საქმე. შენ თქვი — „მსურდა“, და არა — „მიყვარდა“. დღეს ტელეფონით საუბრისას მითხარი, რომ შეიძლებოდა, უფრო ადრეც დაბრუნებულიყავი. ვერც ერთი სხვა მიზეზი ვერ გაიძულებდა ჩემს მიტოვებას, გარდა იმ ერთისა, რომელიც მართებული და სწორი იყო.

დაგნი ოდნავ გადაიხარა უკან, თითქოს წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა; ის კვლავ ღიმილით შესცქეროდა რიერდენს, თუმცა ბაგეებმოკუმული,

თაყვანისცემის გამომხატველი მზერა მხოლოდ მის თვალებში გამოსჭვიოდა, პირზე კი ტკივილი ემჩნეოდა.

— მართალია. მე იმ კაცს შევხვდი, რომელიც მიყვარს და რომელიც ყოველთვის მეყვარება, მე ის ვნახე, ვესაუბრე მას — მაგრამ ის შესაძლოა, არასდროს გახდეს ჩემი და ვეღარც ვეღარასოდეს ვნახო.

— მგონია, რომ ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთ დღესაც მას იპოვიდი. ვიცოდი, რას გრძნობდი ჩემდამი და რამდენად ძლიერი იყო ეს გრძნობა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ მე არ ვიყავი შენი საბოლოო არჩევანი. ის, რასაც შენ მას მისცემ, ჩემგან არ წაგიღია, რადგან შენ ის ჩემთვის არც მოგიცია. მე არ შემიძლია, ამას შევეწინააღმდეგო. რაც შენგან მივიღე, ჩემთვის საკმარისზე მეტიცაა და ამ ფაქტს ვერაფერი შეცვლის.

— გინდა, ეს გითხრა, ჰენკ? გამიგებ, თუ გეტყვი, რომ ყოველთვის მეყვარები?

— მგონი, მე ეს იმაზე ადრე გავიგე, ვიდრე შენ მიხვდებოდი ამას.

— მე ყოველთვის ასეთად აღგიქვამდი, როგორიც ახლა ხარ. შენი ეს სიდიადე, რომლის გაცნობიერებასაც მხოლოდ ახლა იწყებ, მე ყოველთვის ვიცოდი და შენს ბრძოლასაც ვუყურებდი, როდესაც მის აღმოჩენას ცდილობდი. სინანულზე ნულაპარაკობ, შენ გული არ გიტკენია ჩემთვის, შენი შეცდომები შენივე გასაოცარი ერთგულების შედეგი იყო, როდესაც შეუძლებელი მორალური კოდექსის ზეწოლის ქვეშ იყავი და შენს ბრძოლას მის წინააღმდეგ ჩემთვის ტანჯვა არ მოუტანია, მან იმ გრძნობით ამავსო, რომელსაც ასე იშვიათად განვიცდი: ეს თაყვანისცემის გრძნობაა. თუ მიიღებ ჩემგან ამ თაყვანისცემას, ის სამუდამოდ შენი იქნება. რასაც შენ ჩემთვის ნიშნავ, ის არასდროს არ შეიცვლება. მაგრამ კაცი, რომელსაც მე შევხვდი, განასხეულებს სიყვარულს, რომლის მიღწევაზეც დიდი ხნით ადრე ვოცნებობდი, სანამ საერთოდ გავიგებდი ამ ადამიანის არსებობის შესახებ, და მგონია, რომ ის სამუდამოდ მიუღწეველი დარჩება ჩემთვის, მაგრამ მხოლოდ მისდამი სიყვარულიც კი საკმარისი იქნება, სასიცოცხლო ძალა რომ მომანიჭოს.

ჰენკმა დაგნის ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა:

— მაშინ იმასაც გაიგებ, მე რას ვგრძნობ და რატომ ვარ ჯერ კიდევ ბედნიერი.

დაგნიმ რიერდენს შეხედა და პირველად გააცნობიერა, რომ ის ახლა სწორედ ისეთი იყო, როგორიც მისი აზრით უნდა ყოფილიყო: კაცი, რომელიც არსებობით ტკბობის უზომო უნარს ფლობდა. გამძლეობისა და გამოუთქმელი ტკივილის დაძაბული იერი სადღაც გამქრალიყო; ახლა, თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში, რიერდენს სახეზე ჭეშმარიტი სიძლიერის გამომხატველი მტკიცე გამომეტყველება ეწერა; ასეთი გამომეტყველება დაგნის ხეობაში მყოფი ადამიანების სახეებზე ენახა.

— ჰენკ, — დაიჩურჩულა ქალმა, — ვერ აგიხსნი ამას, თუმცა ასე მგონია, რომ მე არც შენთვის და არც მისთვის არ მიღალატია.

— შენ ნამდვილად არავისთვის არ გიღალატია.

დაგნის თვალები არანორმალურად ბრწყინავდა მის უფერულ სახეზე, თითქოს ქალის ცნობიერება ხელშეუხებელი დარჩენილიყო დაღლილობისგან გამოფიტულ სხეულში. რიერდენმა ქალი დასვა და ხელი დივნის საზურგეს გადაადო, ისე, რომ დაგნის არ შეხებია, თუმცა ამავე დროს მფარველივით ხვევდა მას ხელს.

— ახლა კი მითხარი, — ჰკითხა ჰენკმა დაგნის, — სად იყავი?

— ვერ გეტყვი. სიტყვა მაქვს მიცემული, რომ არაფერი გავამხილო. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის ადგილი შემთხვევით აღმოვაჩინე, როდესაც ჩემი

თვითმფრინავი ჩამოვარდა და უკან წამოსვლისას თვალახვეული ვმგზავრობდი, გზა რომ არ დამემახსოვრებინა.

— ვეღარ შეძლებ იმ ადგილის მიგნებას?

— არც ვეცდები.

— და ის კაცი?

— მის მოძებნას არ ვაპირებ.

— ის იქ დარჩა?

— არ ვიცი.

— რატომ მიატოვე?

— ვერ გეტყვი.

— ვინ არის ის?

დაგნის თავისდაუნებურად ჩაეცინა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

რიერდენმა ქალს გაკვირვებული სახით შეხედა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ის არ ხუმრობდა.

— ესე იგი, იქ ჯონ გოლტი ნახე? — ჰკითხა მან დაგნის დაეჭვებული ხმით.

— კი.

— ეს სლენგად ქცეული ფრაზა მას ეხება?

— კი.

— და ამ ფრაზას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს?

— ოჰ, დიახ!.. ერთი რაღაც კი შემიძლია, გითხრა მასზე, რადგან მე ეს გაცილებით ადრე გავიგე, ვიდრე საიდუმლოს შენახვის პირობას ჩამომართმევდნენ: სწორედ გოლტმა შექმნა ის ძრავა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ.

— ოჰ! — გაიღიმა რიერდენმა, თითქოს ეს ამბავი მასაც უნდა სცოდნოდა, შემდეგ კი თანამგრძნობი მზერით მიმართა, — ის ხომ გამანადგურებელია? — ჰენკმა დაგნის სახეზე განცვიფრება ამოიკითხა და განაგრძო, — თუ არ შეგიძლია, ნუ მიპასუხებ.

მგონი, ვიცი, სადაც იყავი. შენ ქუენტინ დენიელსის ხსნა გინდოდა გამანადგურებლისგან და შენი თვითმფრინავიც სწორედ მაშინ ჩამოვარდა, როდესაც დენიელსს მისდევდი, არა?

— ასე იყო.

— ღმერთო ჩემო, დაგნი! ნუთუ მართლა არსებობს ასეთი ადგილი? ყველანი ცოცხლები არიან? იქ?.. მაპატიე. არ მიპასუხო.

ქალმა გაიღიმა:

— არსებობს.

რიერდენი რაღაც დროის განმავლობაში ხმას არ იღებდა.

— ჰენკ, შეგიძლია, შენი კომპანია მიატოვო?

— არა! — დაუფიქრებლად უპასუხა კაცმა, მაგრამ მერე პირველად თავის ცხოვრებაში უიმედო ხმით თქვა, — ჯერ არა.

შემდეგ რიერდენმა დაგნის ისეთნაირად შეხედა, თითქოს ამ სამი სიტყვის წარმოთქმისას ის ტანჯვა გადაიტანა, რომელსაც ქალი ბოლო ერთი თვის განმავლობაში განიცდიდა.

— მივხვდი, — თქვა ჰენკმა და შუბლზე მოისვა ხელი, მისი ეს ჟესტი გაგებას, თანაგრძნობასა და განცვიფრებას გამოხატავდა, — რა ჯოჯოხეთის გადატანაც მოგიხდა! — უთხრა მან დაგნის ხმადაბლა.

ქალმა თავი დაუქნია.

დაგნი დივანზე წამოწვა, სახე კი რიერდენის მუხლებში ჩარგო. ჰენკი მას თმაზე უსვამდა ხელს და თან ეუბნებოდა:

— სადამდეც კი შეგვეძლება, იქამდე შევებრძოლებით მძარცველებს. არ ვიცი, მომავალი რას მოგვიტანს, მაგრამ ჩვენ ან გავიმარჯვებთ, ან გავიგებთ, რომ ეს ბრძოლა უიმედოა ჩვენთვის. სანამ მოქმედება შეგვეძლება, ვიბრძოლებთ ჩვენი სამყაროს გადასარჩენად, რომლიდანაც მხოლოდ ჩვენღა დავრჩით.

დაგნის მალევე ჩაეძინა, ხელი კი რიერდენის ხელისთვის ჩაეჭიდა. სანამ ჩაეძინებოდა, უკანასკნელი, რაც შეიგრძნო, უზარმაზარი სიცარიელის განცდა იყო, იმ ქალაქისა და კონტინენტის სიცარიელის განცდა, სადაც ველარასოდეს შეძლებდა, ეპოვა კაცი, რომლის მოძებნის უფლებაც მას არ ჰქონდა.

თავი 4

ანტისიცოცხლე

ჯეიმს ტაგარტმა პიჯაკის ჯიბიდან ხელში მოხვედრილი პირველივე ბანკნოტი ამოიღო, რომელიც ასდოლარიანი აღმოჩნდა და მათხოვარს მისცა.

ჯეიმსმა შენიშნა, რომ მათხოვარმა ისევე გულგრილად ჩაიდო ფული ჯიბეში, როგორც თავად იქცეოდა.

— მადლობა, მეგობარო, — უთხრა მან ტაგარტს აგდებული ტონით და თავის გზას გაუყვა.

ჯეიმს ტაგარტი შუა ტროტუარზე უხმოდ გაჩერდა, თან ფიქრობდა, რატომ იგრძნო მოულოდნელად გაოცება და შიში. ამის მიზეზი მათხოვრის კადნიერება არ ყოფილა, მადლიერებას არც მოელოდა. ფული სიბრალულის გამო კი არ მიუცია, მისი ეს ჟესტი უნებური და აზრს მოკლებული იყო, რადგან მათხოვარი ისე იქცეოდა, თითქოს მისთვის სულერთი იყო, ას დოლარს მიიღებდა, ათცენტიან მონეტას, თუ საერთოდ არაფერს არ მისცემდნენ და იმ საღამოს შიმშილისგან მოკვდებოდა.

ჯეიმს ტაგარტს გააჟრჟოლა ამის გაფიქრებაზე და მკვეთრი მოძრაობით გააგრძელა გზა, თითქოს ასე უნდოდა, უკუეგდო აზრი, რომ მათხოვრის განწყობა მისას ჰგავდა.

ქუჩაში ნაგებობების გალავნებს ზაფხულის ბინდისთვის დამახასიათებელი არაბუნებრივი სინათლე დასდებოდა, ფორთოხლისფერ ნისლს აევსო ქუჩების გადაკვეთის ადგილები და დაეფარა სახურავები, ტაგარტი კი ამ ნისლში ჩაძირულ მიწის ნაგლეჯზე იდგა. ძველი პერგამენტის მსგავსად გაყვითლებული მზის კალენდარი თითქოს ნისლს გამოჰყოფოდა და იმ დღის რიცხვს — 5 აგვისტოს აჩვენებდა.

ტაგარტი თავს ირწმუნებდა, რომ კარგ გუნებაზე იდგა და სურდა, იმ საღამოს რაიმე გაეკეთებინა. გაუჭირდა აღიარება, რომ მისი უცნაური მოუსვენრობის მიზეზი სიამოვნების განცდის სურვილი გახდა; საკუთარ თავს ვერ უმხელდა, რომ ამ უცნაური სიამოვნების საფუძველი, რომლის მიღებაც სურდა, ზეიმი იყო, რადგან არ შეეძლო იმის აღიარება, რისი აღნიშვნაც უნდოდა.

ის დღე მისთვის დაძაბული გამოდგა, ბუნდოვანი, უმისამართო, ბამბასავით მოფარფატე სიტყვებით სავსე, თუმცა ამ სიტყვებმა მაინც მიაღწიეს სასურველ მიზანს და კალკულატორივით ზუსტად დააჯამეს ყველაფერი, რათა ჯეიმს ტაგარტს სრული კმაყოფილება განეცადა. მაგრამ ეს მიზანი და თავისი კმაყოფილების ბუნება მას ისევე უნდა დაემალა საკუთარი თავისგან, როგორც სხვებს უმალავდა; და ამ ფონზე სიამოვნების მიღების ეს უეცარი სურვილი სახიფათო ჩანდა.

ის დღე შტატებში სტუმრად ჩამოსული არგენტინელი კანონმდებლის მიერ სასტუმროს აპარტამენტში გამართული ლანჩით დაიწყო, სხვადასხვა ეროვნების ადამიანების მცირე ჯგუფი თავშესაქცევად საუბრობდა არგენტინის კლიმატზე, ნიადაგზე, რესურსებზე, არგენტინელი ხალხის საჭიროებებზე და მომავლისადმი მისი დინამიკური, პროგრესული დამოკიდებულების მნიშვნელობაზე; საუბრისას მოკლედ ისიც ახსენეს, რომ ორ კვირაში არგენტინას სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადებდნენ.

შემდეგ ორენ ბოილის სახლში კოქტეილის წვეულება მოეწყო, სადაც ერთადერთი არგენტინელი ხმის ამოუღებლად იჯდა კუთხეში, მაშინ, როდესაც ვაშინგტონიდან მოწვეული აღმასრულებელი ხელისუფლების ორი წარმომადგენელი და გაურკვეველი თანამდებობის მქონე მათი რამდენიმე მეგობარი ეროვნულ რესურსებზე, მეტალურგიაზე, მინერალოგიაზე, სამეზობლო ვალდებულებებზე და დედამიწის კეთილდღეობაზე მსჯელობდნენ; ისიც ახსენეს, რომ სამი კვირის შემდეგ არგენტინისა და ჩილეს სახალხო რესპუბლიკებს ოთხი მილიარდი დოლარის სესხი გამოეყოფოდა.

ამას მოჰყვა კოქტეილის პატარა წვეულება ცათამბჯენის სახურავზე სხვენივით მოწყობილ ბარში, რომელიც თვითონ ჯეიმს ტაგარტმა გამართა ახლად დაარსებული კომპანიის „ინთერნეიბორლი ემითი ენდ დიველოპმენტ კორპორეიშენის“ დირექტორების საპატივცემულოდ. მისი პრეზიდენტი ორენ ბოილი გახლდათ, ხაზინადარი კი ჩილედან ჩამოსული გამხდარი, მოხდენილი და ზედმეტად აქტიური კაცი, სახელად სენიორ მარიო მარტინესი, რომელსაც ტაგარტი ხასიათის მსგავსების გამო კინაღამ სენიორ კაფი მეგზს არ უწოდებდა. წვეულებაზე შეკრებილები გოლფზე, დოღზე, ნავებით შეჯიბრზე, ავტომობილებზე და ქალებზე საუბრობდნენ. ის არც კი უხსენებიათ, რომ ამ ახალ კორპორაციას ექსკლუზიური კონტრაქტის ძალით მომავალი ოცი წლის მანძილზე სამხრეთ ნახევარსფეროს სახალხო რესპუბლიკების ყველა სამრეწველო საკუთრების იჯარით მართვის უფლება ჰქონდა, რადგან ეს ფაქტი ისედაც ყველამ იცოდა.

იმ დღის უკანასკნელი მოვლენა იყო დიდი სადილი, რომელიც ჩილეს დიპლომატიური წარმომადგენლის, სენიორ როდრიგო გონსალესის სახლში გაიმართა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ არავის სმენოდა გონსალესის სახელი, მაგრამ ის ნიუ-იორკში ჩამოსვლის დღიდან მოყოლებული ბოლო ექვსი თვის მანძილზე გამართული წვეულებებით გახდა ცნობილი. გონსალესის სტუმრები მასპინძელს პროგრესულად მოაზროვნე ბიზნესმენად ახასიათებდნენ. ამბობდნენ, რომ მან მაშინ დაკარგა თავისი ქონება, როდესაც სახალხო რესპუბლიკად გამოცხადებულმა ჩილემ სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა ყველაფერი, გარდა არგენტინის მსგავსი, ჩამორჩენილი, არასახალხო ქვეყნების მოქალაქეების კუთვნილი ქონებისა; მაგრამ გონსალესმა ამ ყველაფრისადმი პროგრესული დამოკიდებულება გამოავლინა და ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი ახალ რეჟიმს შეუერთდა. ნიუ-იორკში მას პირველხარისხოვანი სასტუმროს ერთი მთლიანი სართული ეკავა. ჩილეს დიპლომატიურ წარმომადგენელს მსუქანი, უტყვი სახე და მკვლელის მზერა ჰქონდა. იმ საღამოს ჯეიმს ტაგარტმა გონსალესზე დაკვირვების შედეგად დაასკვნა, რომ ამ კაცისთვის უცხო უნდა ყოფილიყო ნებისმიერი გრძნობა, თითქოს მისი ხორცის სქელ ფენებში დანაც კი შეუმჩნევლად გაატანდა — გონსალესის ერთადერთი გრძნობა იყო ავხორცი სიამოვნება, რომელსაც ის მაშინ განიცდიდა, როდესაც ძვირად ღირებულ სპარსულ ნოხზე ფეხს უსვამდა, ან როდესაც სავარძლის გაპრიალებულ სახელურს

უთათუნებდა ხელს, ან სიგარას მოიქცევდა მომრგვალებულ ტუჩებს შორის. მისი ცოლი, სენიორა გონსალესი პატარა ტანის მიმზიდველი ქალი იყო, თუმცა არც ისეთი ლამაზი, როგორც თვითონ ეგონა თავი, მაგრამ მაინც სარგებლობდა ამ წოდებით მგზნებარე ენერგიულობისა და უცნაურად დაუდევარი, გულმხურვალე და ცინიკური მიზანსწრაფულობის გამო, რომელსაც თითქოს ყველაფრის დაპირება და ყველა ცოდვის შენდობა შეეძლო. ყველამ იცოდა, რომ სენიორა გონსალესის განსაკუთრებული სავაჭრო ნიშანი მისი ქმრის მთავარი აქტივი იყო იმ ეპოქაში, როდესაც საქონლით კი არა, მფარველობითა და წყალობით ვაჭრობდნენ; სენიორა გონსალესის შემხედვარე ჯეიმს ტაგარტი იმაზე ფიქრით ირთობდა თავს, თუ რამდენიმე ასეთი ხელსაყრელი საღამოს სანაცვლოდ რა სახის გარიგებები იდებოდა, რა დირექტივები გამოიცემოდა და რომელი მრეწველობები ნადგურდებოდა. ამ კითხვებზე პასუხების მონახვით უმეტესობა აქ მყოფი ადამიანებისა დიდად არ ინტერესდებოდა და შესაძლოა, უკვე დავიწყებულიც ჰქონდათ. ჯიმს წვეულებაზე ყოფნა მობეზრდა, სტუმრებს შორის მხოლოდ რამდენიმე ადამიანი თუ იქნებოდა ისეთი, რომელთა გამოც ტაგარტი იმ წვეულებაზე მივიდა და მათთანაც დალაპარაკება არც იყო საჭირო, მხოლოდ შეხედვაც იკმარებდა. სადაც იყო სადილით უნდა გამასპინძლებოდნენ სტუმრებს, როდესაც ჯეიმსმა გაიგონა ის, რის მოსასმენადაც მივიდა იქ: სენიორ გონსალესმა, რომლის სიგარის ბოლში მის სავარძელთან მდგომი რამდენიმე ადამიანი გახვეულიყო, გამოაცხადა, რომ არგენტინის მომავალ სახალხო რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულების ძალით, დ'ანკონიას სპილენძის მწარმოებელი კომპანიის მთელი ქონება ერთ თვეზე ნაკლებ დროში, ორ სექტემბერს, ჩილეს სახალხო რესპუბლიკას გადაეცემოდა.

ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ტაგარტი მოელოდა; მოულოდნელი რამ მაშინ მოხდა, როდესაც ჩილეს დიპლომატიური წარმომადგენლის ამ სიტყვების გაგონებისას, მას იმ ადგილიდან გაქცევის დაუძლეველი სურვილი დაეუფლა. აღარ შეეძლო წვეულებაზე გამეფებული მოწყენილობის ატანა, თითქოს რაიმე სხვა უნდა მოემოქმედებინა, იმღამინდელი მიზნის მიღწევა რომ აღენიშნა. ჯიმი გარეთ გამოვიდა და ზაფხულის ბინდში გაუყვა ქუჩას, თან ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაცას მიჰყვებოდა უკან და თავად მასაც ვიღაც მოსდევდა: ის დაედევნა სიამოვნებას, ვერაფერი რომ ვერ მიანიჭებდა, გარდა იმ გრძნობით გამოწვეული ზეიმისა, რომლის დასახელებასაც ვერ ბედავდა. თავად მას კი ასდევნებოდა შიში, რომ გამოაშკარავდებოდა, თუ რა მიზნით დაგეგმა იმღამინდელი მიღწევა და რა ავსებდა კმაყოფილების მგზნებარე გრძნობით.

ჯეიმსმა შეახსენა საკუთარ თავს, რომ ის გაყიდდა დ'ანკონიას სპილენძის მწარმოებელი კომპანიის აქციებს, რომლის ფასიც წინა წელს დაეცა და ამ ფულით, როგორც თავის მეგობრებთან მოილაპარაკა, ახალ კორპორაციაში წილს შეიძენდა, რაც დიდძალ სიმდიდრეს მოუტანდა. მაგრამ ამ ფიქრმაც მხოლოდ მოწყენილობა მოჰგვარა; არა, ეს ნამდვილად არ იყო ის, რისი აღნიშვნაც მას სურდა.

ტაგარტი თავს ძალას ატანდა, რომ სიამოვნება მიეღო ამისგან: მას ხომ მხოლოდ ფული მიაჩნდა ცხოვრების მამოძრავებელ ძალად, სწორედ ფული, და არაფერი უარესი. განა ფული ნორმალური მამოძრავებელი ძალა, მართებული მოტივი არ იყო? მისკენ არ მიისწრაფოდნენ ყველანი, უაიატები, რიერდენები, დ'ანკონიები?..

ჯეიმსმა თავი მკვეთრად გააქნია, ამგვარი აზრები რომ განედევნა: ეჩვენებოდა, თითქოს მისი ფიქრები იმ სახიფათო ჩიხისკენ მიექანებოდა, რომლის ბოლოს დანახვის უფლება საკუთარი თავისთვის არასდროს არ უნდა მიეცა.

უხალისოდ გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ ფული მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. იმ დღეს, როდესაც წვეულება გამართა, მან ასობით დოლარი დაუნანებლად გადაყარა შეუსმელ სასმელებში, შეუჭმელ დელიკატესებში, არასაჭირო გასამრჯელოში და მოულოდნელ კაპრიზებში, მათ შორის, არგენტინაში განხორციელებული სატელეფონო საუბრისთვის, როდესაც ერთ-ერთ სტუმარს მოუნდა, გადაემოწმებინა იმ უხამსი ამბის ზუსტი ვერსია, რომლის მოყოლასაც აპირებდა.

— ამ რკინიგზის გაერთიანების გეგმის წყალობით სადარდებელი აღარაფერი გაქვს, — ეუბნებოდა ტაგარტს ნასვამი ორენ ბოილი ხითხითით. სინამდვილეში, რკინიგზის გაერთიანების გეგმის კონტროლის ქვეშ ჩრდილოეთ დაკოტაში ადგილობრივი რკინიგზა გაკოტრდა, ადგილობრივმა ბანკირმა ჯერ ცოლი და შვილები დახოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა, ტენესის შტატში სატვირთო მატარებელი განრიგიდან მოხსნეს და ამის გამო ადგილობრივი ქარხანა ტრანსპორტის გარეშე დარჩა, ქარხნის მფლობელის ვაჟმა სწავლას თავი გაანება, ახლა ციხეში იჯდა და თავდამსხმელთა ბანდასთან ერთად ჩადენილი მკვლელობის გამო სიკვდილით დასჯას ელოდებოდა, კანზასში სადგური დახურეს, სადგურის ხელმძღვანელმა, რომელსაც მეცნიერი სურდა გამოსულიყო, სწავლა მიატოვა და ჭურჭლის მრეცხავად დაიწყო მუშაობა, ამ დროს კი, ის, ჯეიმს ტაგარტი, კერძო ბარში იჯდა და ფულს იმ ალკოჰოლური სასმლისთვის იხდიდა, რომელიც ორენ ბოილის ყელში გადადიოდა, იმ ოფიციანტისთვის, რომელმაც ბოილის ტანსაცმელი გაწმინდა, როდესაც მან სასმელი გულზე ჩამოიღვარა, იხდიდა იმ ხალიჩისთვის, სიგარეტის ფერფლით რომ დაეწვა ჩილედან ჩამოსულ ყოფილ სუტენიორს, რომელსაც თავის შეწუხება არ სურდა, სამი ფუტის მოშორებით დადგმულ საფერფლემდე რომ მისულიყო.

ჯიმს ფულისადმი თავისი გულგრილობის გაცნობიერებამ კი არა, იმისმა გაგებამ მოჰგვარა შიშით გამოწვეული ჟრჟოლა, რომ მათხოვრის დონემდე დასულიც კი ასეთივე გულგრილი იქნებოდა. ზოგჯერ გაღიზიანებით გამოხატული დანაშაულის გრძნობა ეუფლებოდა, როცა გაიფიქრებდა, რომ თანამონაწილე იყო სიხარბის იმ ცოდვისა, რომელსაც მთელი ცხოვრება კიცხავდა. ახლა კი იმის გაცნობიერებაზე გააჟრჟოლა, რომ, სინამდვილეში, თვალთმაქცი არასდროს ყოფილა — ფული არასდროს არ ადარდებდა. ამ აზრმა ჯიმის ცნობიერებაში კიდევ ერთი ღია ხვრელი გააჩინა, მეორე ჩიხისკენ რომ მიუძღოდა, რომლის დანახვასაც ის ასევე ვერ გარისკავდა.

„მე უბრალოდ მინდა, რამე გავაკეთო დღეს საღამოს!“ — დაიყვირა ტაგარტმა უხმოდ, საზოგადოდ, პროტესტის გამოსახატავად იმის წინააღმდეგ, რაც მის გონებაში მსგავს აზრებს აჩენდა და გაბრაზებულმა სამყაროზე, სადაც რაღაც ბოროტი ძალა არ აძლევდა საშუალებას, ესიამოვნა იმის გაცნობიერების გარეშე, თუ რა სურდა და რატომ.

„რა გინდა?“ — ეკითხებოდა ვიღაცის მტრული ხმა ჯიმს და ისიც რაც შეეძლო სწრაფად მიდიოდა, ამ ხმას რომ გაჰქცეოდა. ტაგარტს ეჩვენებოდა, რომ მისი გონება ლაბირინთი იყო, სადაც ყოველ მოსახვევში ჩიხი ჩნდებოდა. ეს ჩიხი იმ ბურუსისკენ მიუძღოდა, რომლის მიღმაც უფსკრული იყო. მოეჩვენა, რომ მირბოდა, უსაფრთხოების პატარა კუნძული ნელ-ნელა იძირებოდა და მალე მხოლოდ ეს ჩიხებიღა დარჩებოდა. ეს კუნძული სინათლის ნარჩენს ჰგავდა, რომელიც მას გარს ერტყა ქუჩაში, სადაც ყველა გასასვლელი ნისლით ივსებოდა. „რატომ უნდა ჩაიძიროს ეს კუნძული?“ — ფიქრობდა შეშინებული ჯეიმსი. ის მთელი სიცოცხლე ასე

ცხოვრობდა — დაჟინებით უყურებდა მხოლოდ უახლოეს ტროტუარს, ოსტატურად გაურბოდა თავისი გზის, კუთხეების, შორი მანძილის, მწვერვალების დანახვას. მას არასდროს განუზრახავს სადმე წასვლა, არასდროს სურდა წინსვლა, რომ მისი ცხოვრების წლებს რაღაც შედეგი მოეტანა. მაინც, რატომ მოიტანა შედეგი ამ წლებმა? რატომ მიაღწია მან თავისი ნების საწინააღმდეგოდ დანიშნულების იმ ადგილს, სადაც აღარც გაჩერება შეიძლებოდა და აღარც უკან დახევა? — წინ იყურე, ძმაო! — დაუღრიალა ვიღაცამ და იდაყვით ზურგში უბიძგა. ამ დროს ჯიმმა გააცნობიერა, რომ ვიღაცის ბრგე და აყროლებულ სხეულს შეეჯახა, როცა მირბოდა.

ტაგარტმა ნაბიჯი შეანელა და ნაცნობი ქუჩა დაინახა. მას არ სურდა, გაეცნობიერებინა, რომ სახლში, ცოლთან მიდიოდა. ესეც ისეთივე ბურუსით მოცული ჩიხი იყო, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენოდა.

როდესაც ოთახში შევიდა და გაწონასწორებული, მშვიდი შერილი უსიტყვოდ წამოდგა ფეხზე მის შესახვედრად, ტაგარტი მიხვდა, რომ ცოლი გაცილებით უფრო სახიფათო იყო, ვიდრე თვითონ ეგონა და აქ ვერ აღმოაჩენდა, რასაც ეძებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, საფრთხე ჯიმისთვის ყოველთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ ხედვა და განსჯა შეეწყვიტა და ძველ მიმართულებას გაჰყოლოდა იმედით, რომ საფრთხე, — მისი უზენაესი სურვილის წყალობით, არ დაენახა ის, — რეალობად ვერ იქცეოდა — ეს თითქოს ერთგვარი შინაგანი ნისლის ბუკი იყო, რომელიც გასაფრთხილებლად კი არ ხმიანობდა, არამედ ნისლს მოუხმობდა.

— მნიშვნელოვან ბიზნეს წვეულებას უნდა დავსწრებოდი, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან მომინდა, დღეს საღამოს შენთან ერთად მესადილა, — უთხრა ტაგარტმა ცოლს ისეთი ტონით, თითქოს ქათინაურს ეუბნებოდა.

— გასაგებია, — მიიღო მშვიდი პასუხი.

ჯიმი გააღიზიანა ცოლის გულგრილობამ და მისმა ფერმკრთალმა, იდუმალმა სახემ; იმაზეც გაღიზიანდა, თუ როგორ აუღელვებლად მისცა სუფრის გაშლის განკარგულება მოახლეებს შერილმა და იმაზეც, რომ ცოტა ხნის შემდეგ სანთლის შუქით განათებულ სასადილო ოთახში იდეალურად გაწყობილ მაგიდასთან აღმოჩნდა ცოლის პირისპირ, მათ შორის კი ყინულისთვის განკუთვნილი ვერცხლის ჯამები და ხილით სავსე ბროლის ორი თასი იდგა.

ჯიმს ყველაზე მეტად ცოლის თავდაჭერილობა აღიზიანებდა; შერილი ის პატარა უცნაური გოგონა აღარ იყო, რომელსაც ცნობილი ხელოვანის მიერ მოწყობილი სახლის ფუფუნება ჩრდილავდა; ახლა ის უკვე აქაურობას სავსებით შეესატყვისებოდა. მაგიდას ამ სასადილო ოთახის შესაფერისი დიასახლისივით უჯდა. შერილს მოწითალო-მოყავისფრო ფარჩისგან საგანგებოდ მისთვის შეკერილი მოხდენილი ხალათი ეცვა, რომელიც შესანიშნავად ეხამებოდა ბრინჯაოსფერ თმას, ერთადერთი სამკაული კი მისი ნაკვთების უბრალოება იყო. ტაგარტს ერჩივნა, მის ცოლს, როგორც ადრე, ჩხრიალა სამაჯურები და იაფფასიანი თვლებით მოოჭვილი ბალთები ჰკეთებოდა. უკვე თვეები იყო, რაც ცოლის მზერა მოსვენებას არ აძლევდა: შერილის მზერა არც მეგობრული იყო და არც მტრული. ქალს ყურადღებიანი და დაეჭვებული გამოხედვა ჰქონდა.

— დღეს ძალიან მნიშვნელოვანი გარიგება დავდე, — მიმართა ცოლს ტაგარტმა, კვეხნისა და ამავე დროს, მუდარის ტონით, — ამ გარიგებაში მთელი კონტინენტი და რამდენიმე ქვეყნის მთავრობაა ჩართული.

ჯიმმა მოულოდნელად გააცნობიერა, რომ ის მოწიწება, აღტაცება და მგზნებარე ცნობისმოყვარეობა, რომელსაც ცოლისგან მოელოდა, იმ მაღაზიის გამყიდველ

გოგონას ეკუთვნოდა, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. ცოლის სახეზე მან ამ გრძნობების ამოკითხვა ველარ შეძლო; შერილის მშვიდსა და ყურადღებიან მზერას ბრაზი და სიძულვილი ერჩივნა; ქალის გამოხედვა დადანაშაულებაზე უფრო უარესი იყო, ის დაეჭვებას გამოხატავდა.

— რა გარიგება, ჯიმ?

— მაინც, რას გულისხმობ? რატომ ხარ ასეთი ეჭვიანი? ცხვირს რატომ ყოფ ყველაფერში?

— ვწუხვარ. არ ვიცოდი, თუ ეს გასაიდუმლოებული ინფორმაცია იყო. შეგიძლია, არ მიპასუხო.

— არაა გასაიდუმლოებული. — ჯიმი ცოტა ხნით გაჩუმდა, მაგრამ შერილი ხმას მაინც არ იღებდა, — აბა? არაფრის თქმას არ აპირებ?

— რატომაც არა, — უპასუხა შერილმა უბრალოდ, თითქოს უნდოდა, ქმრისთვის ესიამოვნებინა.

— ესე იგი, საერთოდ არ გაინტერესებს?

— მე მეგონა, რომ შენ თვითონ არ გინდოდა ამაზე საუბარი.

— ოჰ, ნუ ხარ ასეთი დაუნდობელი! — წამოიძახა ჯიმმა, — ეს დიდი ბიზნესგარიგებაა. შენ ხომ აღტაცებული ხარ დიდი ბიზნესით, ასე არ არის? ეს ყველაზე დიდი გარიგებაა.

სხვა ბიზნესმენები ვერც კი იოცნებებენ. ისინი მთელი ცხოვრება აგროვებდნენ ქონებას, თითოეულ ცენტს დასდევდნენ, აი, მე კი ასე შემიძლია, გავმდიდრდე! — ჯიმმა თითები გაატკაცუნა, — ზუსტად ასე. ასეთი მარჯვე ოინი ჯერ არავის გამოსვლია.

— ოინი, ჯიმ?

— გარიგება!

— და შენ გააკეთე ეს? თვითონ?

— რასაკვირველია, მე გავაკეთე! იმ სქელ სულელ ორენ ბოილს მილიონი წელიც კი არ ეყოფოდა. ამას ცოდნა, სიმარჯვე და ხელსაყრელი დროის შერჩევა დასჭირდა, — ჯიმმა ცოლის თვალებში ინტერესის გამომხატველი ნაპერწკალი შენიშნა, — და კიდევ ფსიქოლოგის თვალი.

შერილის მზერაში ნაპერწკალი ჩაქრა, თუმცა ტაგარტს ეს არც შეუმჩნევია და განაგრძო:

— კაცმა უნდა იცოდეს, როგორ მიუდგეს უესლის და როგორ დაიცვას ის სახიფათო ზეგავლენისგან, როგორ დაინტერესოს მისტერ ტომპსონი ისე, რომ მან ზედმეტი არაფერი შეიტყოს, როგორ ჩააბას ამ საქმეში ჩიკ მორისონი, ტინკი ჰოლოვეი კი ახლოსაც არ გააკაროს მას, როგორ აიძულოს საჭირო ადამიანები, საჭირო დროს რამდენიმე წვეულება გამართონ უესლისთვის და... მითხარი, შერილ, სახლში შამპანური თუ გვაქვს?

— შამპანური?

— არ შეიძლება, რაიმე განსაკუთრებული რომ გავაკეთოთ დღეს საღამოს? არ შეიძლება, ერთად აღვნიშნოთ ეს ამბავი?

— რა თქმა უნდა, შეგვიძლია, შამპანური დავლიოთ, ჯიმ.

შერილმა მოახლის მოსახმობად ზარი დარეკა და განკარგულება გასცა მისთვის დამახასიათებელი უსიცოცხლო და გულგრილი ფორმით — ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა ქმრის ნება ისე, რომ საკუთარი სურვილები არ გამოუთქვამს.

— დიდი აღფრთოვანება არ გეტყობა, — უთხრა ჯიმმა ცოლს, — მაგრამ შენ ბიზნესის რა გესმის? ასეთი მასშტაბური რამეების რა გაგეგება! ორ სექტემბრამდე მოიცადე, სანამ ისინი შეიტყობენ ამის შესახებ.

— ვინ ისინი?

ტაგარტმა ისე შეხედა შერილს, თითქოს უნებლიეთ ზედმეტი დასცდენოდეს:

— ჩვენ, მე, ორენმა და ჩვენმა რამდენიმე მეგობარმა, ორგანიზაცია დავაარსეთ და ვაპირებთ, კონტინენტის სამხრეთით მდებარე ყველა საწარმოს ქონება გავაკონტროლოთ.

— ვისი ქონება?

— ვისი და... ხალხის. ეს ადრინდელი პირადი ხეირისთვის ბრძოლა არ გეგონოს. ამ გარიგებას თავისი დანიშნულება აქვს, ღირსეული, საზოგადოებრივი დანიშნულება, სამხრეთ ამერიკის სახალხო რესპუბლიკების ქონება რომ მართოს, რომ მათ მუშებს წარმოების ჩვენეული თანამედროვე მეთოდები ასწავლოს, რომ დაეხმაროს უუფლებო ხალხს, რომელსაც ნორმალურად ცხოვრების შესაძლებლობა არასოდეს მისცემია, რომ... — ჯიმი მოულოდნელად გაჩერდა, თუმცა ცოლი ისევ თვალებში უმზერდა, — იცი, — უცებ ჩაიცინა მან, — თუ ასე ძალიან გინდა, დამალო, რომ ჯურღმულში გაიზარდე, მაშინ ნაკლებად გულგრილი უნდა იყო სოციალური კეთილდღეობის ფილოსოფიის მიმართ. სწორედ ღარიბებს არ გააჩნიათ ჰუმანიტარული ინსტინქტები. ადამიანი მდიდარი უნდა დაიბადოს, ალტრუიზმის სათუთი გრძნობა რომ შეიმეცნოს.

— არასოდეს მიცდია, დამემალა, რომ ჯურღმულში გავიზარდე, — უპასუხა შერილმა გულგრილი და აუღელვებელი ხმით, თითქოს უბრალოდ ფაქტს აზუსტებდა, — საერთოდ არ მომწონს ეს კეთილდღეობის ფილოსოფია. მე ისეთი ღარიბებიც საკმარისად ბევრი მინახავს, რომლებსაც სურთ, რაღაც მუქთად მიიღონ, ასე რომ, კარგად ვიცი, რა უბიძგებთ მათ ამისკენ. — ტაგარტს არაფერი უპასუხია, ქალმა კი ლაპარაკი გაოცებული, თუმცა მტკიცე ტონით გააგრძელა, თითქოს საბოლოოდ ადასტურებდა დიდი ხნის ეჭვს, — ჯიმ, არც შენ გადარდებს ეს. არც შენ განაღვლებს კეთილდღეობის შესახებ ეს სულელური ქადაგებები.

— კარგი, მაშინ, თუ მხოლოდ ფული გაინტერესებს, — წამოიძახა ჯიმმა, — ნება მომეცი, გითხრა, რომ ეს გარიგება დიდ სიმდიდრეს მომიტანს. შენ ხომ ყოველთვის აღგაფრთოვანებდა სიმდიდრე?

— გააჩნია...

— მე მგონი, მთელ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კაცი გავხდები, — უთხრა ცოლს ჯიმმა, — ქვეყნად არაფერი არ იარსებებს, რის ყიდვასაც ვერ შევძლებ. მხოლოდ მითხარი, რა გსურს. შემიძლია, ყველაფერი მოგცე, რასაც მოისურვებ. მიდი, მითხარი, რა გინდა.

— მე არაფერი მინდა, ჯიმ.

— მაგრამ, მე მინდა, საჩუქარი გაგიკეთო ამ შემთხვევის აღსანიშნავად! ნებისმიერი რამ მთხოვე და ის შენი გახდება. მინდა დაგანახო, რომ ნამდვილად შემიძლია ამის გაკეთება. შენი ნებისმიერი ახირება დამისახელე.

— მე არ მაქვს ახირებები.

— ოჰ, მიდი რა! იახტა გინდა?

— არა.

— გინდა, მთელი ის კვარტალი გიყიდო ბუფალოში, სადაც შენ ცხოვრობდი?

— არა.

— გინდა, ინგლისის სახალხო რესპუბლიკის მონარქის გვირგვინის ძვირფასი ქვები გიყიდო? იცი, ეს შესაძლებელია, ამ სახალხო რესპუბლიკას დიდი ხანია, ამ ქვების გაყიდვა უნდა შავ ბაზარზე. მაგრამ ის ძველი მაგნატები, რომლებსაც ამ ქვების ყიდვა შეეძლოთ, აღარ არსებობენ. მე შემიძლია, ან შემეძლება ორი სექტემბრის შემდეგ. გინდა? — არა.

— აბა, რა გინდა?

— არაფერი მინდა, ჯიმ.

— მაგრამ უნდა გინდოდეს! რაღაცა უნდა გსურდეს, ეშმაკმა წაგიღოს!

შერილს მხოლოდ ოდნავი შიში დაეტყო, სხვა მხრივ კი ისევ გულგრილი ჩანდა.

— ოჰ, კარგი, მაპატიე, — უთხრა ცოლს ჯიმმა, თვითონაც გაკვირვებულმა საკუთარი ემოციურობით, — უბრალოდ მინდოდა, მესიამოვნებინა შენთვის, — გააგრძელა მან პირქუშად, — მაგრამ, მგონი, საერთოდ არაფერი გესმის. წარმოდგენაც კი არ გაქვს, ეს რამდენად მნიშვნელოვანია. არც კი იცი, რა დიადი კაცია შენი ქმარი.

— ვცდილობ, გავიგო, — უპასუხა შერილმა წყნარი ხმით.

— ადრინდელივით ისევ გგონია, რომ ჰენკ რიერდენი დიადი ადამიანია?

— დიახ, ჯიმ, ახლაც ასე მგონია.

— კარგი, მაშინ გეტყვი, რომ მე ის დავამარცხე. მე ყველა მათგანზე დიადი ვარ, ჰენკ რიერდენზე და ჩემი დის მეორე საყვარელზეც, რომელიც... — ჯიმი უცებ გაჩუმდა, რადგან მიხვდა, რომ ძალიან ღრმად შეტოპა.

— ჯიმ, — ჰკითხა ცოლმა მშვიდად, — მაინც რა მოხდება ორ სექტემბერს?

ტაგარტმა ცოლს შუბლს ქვემოდან ცივი მზერით ამოხედა, მისი სახის კუნთები თავშეკავებულ ღიმილს გამოხატავდა, თითქოს რაღაც წმინდა საიდუმლოს უმხელდა ცინიკურად:

— ისინი დ'ანკონიას სპილენძის მწარმოებელი კომპანიის სახელმწიფოსთვის გადაცემას აპირებენ, — უპასუხა ცოლს ჯიმმა.

ტაგარტმა ძრავის გაბმული და მკვეთრი გუგუნი გაიგონა, სადღაც სიბნელეში თვითმფრინავი აფრინდა, შემდეგ კი ვერცხლის ჯამში გამდნარი ყინულის სუსტი წკრიალი შემოესმა, სანამ ცოლი ეტყოდა:

— ის ხომ შენი მეგობარი იყო?

— ოჰ, შემეშვი რა!

ჯიმი გაჩუმდა და შერილს აღარ უყურებდა. როდესაც მას კვლავ შეხედა, დაინახა, რომ ქალი მას თვალს არ აშორებდა და საუბარიც პირველმა მან წამოიწყო უცნაურად მკაცრი ხმით:

— შენი და რადიოგადაცემაში დიდებულად მოიქცა.

— ვიცი, ვიცი, უკვე ერთი თვეა, ამას მიმეორებ.

— შენ არასოდეს გიპასუხია ჩემთვის.

— საპასუხო რა არის?

— როგორც შენმა ვაშინგტონელმა მეგობრებმა არ გასცეს პასუხი დაგნის.

ჯიმი ხმას არ იღებდა.

— ჯიმ, გაჩუმებას არ ვაპირებ. — ტაგარტი ისევ დუმდა, — შენს ვაშინგტონელ მეგობრებს ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. მათ არ უარყვეს, რაც დაგნიმ თქვა, არც რაიმეს ახსნა უცდიათ ამასთან დაკავშირებით, არც თავი უმართლებიათ.

ისინი ისე მოიქცნენ, თითქოს შენს დას არაფერი ეთქვას. მგონი, იმედი აქვთ, რომ ხალხი ამ ამბავს მალე დაივიწყებს. ზოგი მართლა დაივიწყებს, მაგრამ დანარჩენებმა

ჩვენ მსგავსად იციან, რას გულისხმობდა დაგნის სიტყვები და ისიც იციან, რომ შენს მეგობრებს მასთან დაპირისპირების შეეშინდათ.

— ასე არ არის! საჭირო ზომები უკვე მიიღეს და ეს თემა უკვე დახურულია, არ მესმის, რატომ ლაპარაკობ ამაზე განუწყვეტლივ.

— რა ზომები მიიღეს?

— ბერტრამ სკადერის გადაცემა მოხსნეს ეთერიდან, როგორც ამჟამად საზოგადოებრივი ინტერესისთვის შეუსაბამო პროგრამა.

— და ეს არის პასუხი დაგნის გამოსვლაზე?

— ამით ეს თემა უკვე დაიხურა და სათქმელი მეტი აღარაფერია.

— იმ მთავრობაზე არ უნდა ითქვას რაიმე, რომელიც შანტაჟითა და გამოძალვით მართავს ქვეყანას?

— იმას ვერ იტყვი, რომ არაფერი გაკეთდა. საჯაროდ გამოაცხადეს, რომ სკადერის გადაცემა დამანგრეველი იყო და ხალხის ნდობას არ იმსახურებდა.

— ჯიმ, მინდა, ბოლომდე გავიგო ეს ამბავი. სკადერი დაგნის მხარეზე არ იყო — ის თქვენ მხარეზე იყო. მას თავად არ დაუგეგმავს ის გადაცემა. სკადერი ვაშინგტონიდან წამოსული განკარგულების შესაბამისად მოქმედებდა, ასე არ იყო?

— მეგონა, სკადერი არ მოგწონდა.

— არც მომწონდა და არც ახლა მომწონს, მაგრამ...

— მაშინ რა განაღვლებს?

— მაგრამ, ამ შემთხვევაში, როდესაც საქმე შენს ვაშინგტონელ მეგობრებს ეხებოდა, ის უდანაშაულო იყო, ასე არ არის?

— ნეტა, პოლიტიკაზე ფიქრს თავს გაანებებდე. სულელურ აზრებს აფრქვევ.

— ის ხომ უდანაშაულო იყო?

— მერე რა?

შერილმა განცვიფრებისგან გაფართოებული თვალებით შეხედა ქმარს:

— მაშინ გამოდის, რომ სკადერი მათთვის უბრალოდ განტევების ვაცი იყო?

— ოჰ, ედი უილერსივით ნუ იყურები!

— მართლა ასე ვიყურები? მომწონს ედი უილერსი. ის პატიოსანი კაცია.

— ის ერთი ჭკუასუსტია, რომელსაც წარმოდგენაც კი არ აქვს, როგორ გაუმკლავდეს პრაქტიკულ რეალობას!

— მაგრამ, შენ ხომ იცი ეს, ჯიმ?

— რასაკვირველია!

— მაშინ, არ შეგეძლო, სკადერს დახმარებოდი?

— მე? — ჯიმმა თავშეუკავებლად გადაიხარხარა, — ოჰ, როდის უნდა ისწავლო ჭკუა? მე ყველანაირად ვეცადე, რომ სკადერი ლომებისთვის მიმეგდო! ვიღაცა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო მსხვერპლი. ვერ ხვდები, რომ თუ სხვას ვერ ვიპოვიდი, ეს მსხვერპლი მე ვიქნებოდი?

— შენ რატომ, და არა დაგნი, თუ ის ნამდვილად დამნაშავე იყო? იმიტომ ხომ არა, რომ არაფერში ტყუოდა?

— დაგნი ადამიანთა სულ სხვა კატეგორიას ეკუთვნის! მსხვერპლი ან სკადერი უნდა ყოფილიყო, ან მე.

— რატომ?

— და ეროვნული პოლიტიკისთვის გაცილებით უკეთესია, მსხვერპლი სკადერი იყოს. ამ შემთხვევაში, დაგნის ნათქვამთან დაპირისპირება აღარ არის საჭირო და თუ ვინმე კიდევ წამოჭრის ამ საკითხს, ჩვენ ვიტყვით, რომ ეს ბერტრამ სკადერის

გადაცემაში ითქვა, რომ მის პროგრამას უკვე დაკარგული აქვს ავტორიტეტი და სკადერი ცნობილი თაღლითი და მატყუარაა, და ასე შემდეგ. გგონია, რომ საზოგადოება სიმართლეს ჩასწვდება? ბერტრამ სკადერს ხომ ისედაც არავინ ენდობოდა, ოჰ, ასე ნუ მიყურებ! აბა, ჩემი დისკრედიტაცია გერჩივნა?

— რატომ დაგნისი არა? იმიტომ ხომ არა, რომ მისი გამოსვლის დისკრედიტებას ვერ მოახერხებდნენ?

— თუ ასე ძალიან წუხხარ ბერტრამ სკადერზე, უნდა გენახა, რას აღარ აკეთებდა, რომ მათ მე გავენადგურებინე! წლების განმავლობაში ასე იქცეოდა. აბა, რა გგონია, როგორ მიაღწია წარმატებას თავის კარიერაში, თუ არა სხვების განადგურების ხარჯზე? საკუთარი თავი უძლიერესი ეგონა — უნდა გენახა, დიდი ბიზნესის მფლობელი მაგნატებიც კი როგორ ძრწოდნენ შიშით მის წინაშე! მაგრამ ამჯერად სკადერმა შეცდომა დაუშვა, საჭირო ხალხს არ შეეკრა.

სკამზე გადაწოლილი ტაგარტი სრულ ნეტარებას მოეცვა და ღიმილით გააცნობიერა, რომ სწორედ ამ სიამოვნებას ესწრაფოდა: ის ყოფილიყო, ვინც სინამდვილეში იყო. ჯიმის გაბრუებულ გონებაში მისი ყველაზე სახიფათო ჩიხები ჩნდებოდა, მათ შორის ისიც, რომელიც იმ კითხვისკენ მიაქანებდა, თუ ვინ იყო თვითონ სინამდვილეში.

— იცი, სკადერი ტინკი ჰოლოვეის ჯგუფს ეკუთვნოდა. რაღაც დროის განმავლობაში ხან ტინკი ჰოლოვეის ჯგუფი ჯაბნიდა ჩიკ მორისონის ჯგუფს, ხანაც პირიქით ხდებოდა. მაგრამ საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვეთ. ტინკი გარიგებაზე წამოვიდა და ჩვენგან რაღაც-რაღაცების მიღების სანაცვლოდ თავისი მეგობარი ბერტრამი გაწირა. უნდა გენახა, რა დღეში ჩავარდა სკადერი, ეს რომ გაიგო! მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ უკვე ველარაფერს გააწყობდა.

ჯიმმა ხითხითი დაიწყო, შემდეგ კი ზმანებიდან გამოერკვა და ცოლს შეხედა.

— ჯიმ, — წაიჩურჩულა შერილმა, — ამას უწოდებ გამარჯვებას?

— ოჰ, ღვთის გულისათვის, გაჩერდი! — დაიყვირა ტაგარტმა და მუშტი მაგიდას დასცხო, — მაინც სად იყავი მთელი ეს წლები? რა გგონია, რომელ სამყაროში ცხოვრობ? — დარტყმაზე ჯიმის წყლის ჭიქა გადაყირავდა და წყალი სუფრის არშიაზე გადმოიღვარა. — ვცდილობ, გავიგო, — წაიჩურჩულა შერილმა. ქალი მხრებჩამოყრილი იჯდა, ღონემიხდილი, დაბნეული გამომეტყველებით, თითქოს წლები მომატებოდა.

— მე არ შემეძლო ამის თავიდან აცილება! — წამოიყვირა ჯიმმა მოულოდნელად, — მე არაფერში არ მიმიძღვის ბრალი! ისე უნდა მივიღო ყველაფერი, როგორც არის!

მე არ შემიქმნია ეს სამყარო!

ტაგარტი გააოცა ცოლის გაღიმებული სახის დანახვამ. შერილის ღიმილი ისეთ ძლიერ სიძულვილს გამოხატავდა, რომ მის მოთმინებით სავსე, მშვიდ სახეზე დაუჯერებელი ჩანდა; ქალი ქმარს კი არა, თავის ცნობიერებაში წარმოდგენილ სურათს უყურებდა:

— სწორედ ასე ამბობდა მამაჩემიც, როდესაც სამსახურის მოძებნის ნაცვლად სამიკიტნოში გამოთვრებოდა ხოლმე.

— როგორ ბედავ, ჩემს შედარებას... — დაიწყო ჯიმმა, მაგრამ წინადადება არ დაუმთავრებია, რადგან ქალი მას საერთოდ არ უსმენდა.

უცებ ტაგარტი ცოლის უადგილო სიტყვებმა გააოცა.

— დ'ანკონიას კომპანიის სახელმწიფოსთვის გადაცემის თარიღი, ორი სექტემბერი, — ჰკითხა შერილმა ქმარს სევდიანი ხმით, — შენ შეარჩიე?

— არა. მე რიცხვის არჩევასთან არაფერი მესაქმებოდა. ეს მათი საკანონმდებლო ხელისუფლების საგანგებო სხდომის თარიღია. ამას რატომ მეკითხები?

— ორ სექტემბერს ჩვენი ქორწინების ერთი წლისთავი შესრულდება.

— ოჰ? ოჰ, ასეა! — გაიღიმა ჯიმმა შვებით, რადგან ეგონა, რომ საუბარმა უსაფრთხო თემაზე გადაინაცვლა, — ჩვენ უკვე ერთი წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ.

ღმერთო ჩემო, არ მეგონა, ამდენი ხანი თუ იყო გასული!

— მე კი ეს დრო ერთ წელზე უფრო მეტად მეჩვენება, — თქვა შერილმა გულგრილად.

მას კვლავ გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა და ჯეიმსი მიხვდა, რომ საუბრის საგანი სულაც არ იყო უწყინარი; ნატრობდა, მის ცოლს ისეთი გამომეტყველება არ ჰქონოდა, თითქოს მთელ იმ წელსა და მათი ქორწინების ხანას უყურებდა...

„კი არ უნდა შეგეშინდეს, უნდა ისწავლო“... ეს სიტყვები იმ წინადადების ნაწილი იყო, რომელსაც ქალი საკუთარ თავს ისე ხშირად უმეორებდა, ლამის მაგიურ ფრაზად ექცა, საყრდენად ბოლო ერთი წლის განმავლობაში. შერილმა სცადა, გაემეორებინა ეს წინადადება, მაგრამ თითქოს გლუვ ზედაპირზე ხელები უსრიალებდა და შიშისგან აღარ იცავდა, რადგან ის უკვე ყველაფერს ხვდებოდა.

„თუ არ იცი რაღაც, კი არ უნდა შეგეშინდეს, უნდა ისწავლო“, — ამ სიტყვებს ეუბნებოდა შერილი საკუთარ თავს ქორწინების პირველი კვირების განმავლობაში, როდესაც განცვიფრებისა და მარტოობის განცდა ეუფლებოდა. მას ვერ გაეგო ჯიმის ქცევა, სისუსტის მსგავსი მისი ჩუმი ბრაზი ან ცოლის შეკითხვებზე მისი ორჭოფული და გაუგებარი პასუხები, რომელიც სიმხდალეს ჰგავდა; ხასიათის ეს თვისებები უცხო იყო იმ ჯეიმს ტაგარტისთვის, რომელთანაც მან იქორწინა. ქალი კი საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ არ უნდა გაეკიცხა ქმარი, რადგან მან არაფერი იცოდა ჯიმის სამყაროს შესახებ და უვიცობის გამო მისი ქცევა და ნაბიჯები არასწორად ესმოდა.

შერილი საკუთარ თავს აბრალებდა ყველაფერს და ცდილობდა, შესწინააღმდეგებოდა შინაგან ხმას, რომელიც ეუბნებოდა, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო, მას კი თანდათან შიში იპყრობდა.

— მე ყველაფერი უნდა ვისწავლო, რაც მისის ტაგარტმა უნდა იცოდეს, — ასე აუხსნა თავისი მიზანი ეტიკეტის მასწავლებელს შერილმა. მან ეტიკეტის შესწავლა სამხედრო კურსანტისა და ახალბედა ბერის თავგანწირვით, დისციპლინითა და ენერგიით დაიწყო. შერილის რწმენით, ეს იყო ერთადერთი გზა იმ სიმაღლის მისაღწევად, რომელიც ქმარმა ნდობის საფუძველზე და ისეთად გახდომისთვის უბოძა, მისგან რომ მოელოდა. შერილი საკუთარ თავსაც არ უმხელდა, რომ ეგონა, ამ გრძელვადიანი დავალების შესრულების შემდეგ მიღებული ცოდნა შეაძლებინებდა, კვლავ ეხილა ისეთი ჯეიმს ტაგარტი, რომელიც რკინიგზის ტრიუმფის საღამოს ნახა.

შერილი ვერ მიმხვდარიყო ჯიმის დამოკიდებულებას, როდესაც ქმარს ეტი პეტის გაკვეთილების შესახებ უამბობდა ხოლმე. ტაგარტი ამ დროს ხარხარს იწყებდა, ქალი კი ვერ იჯერებდა, რომ ქმრის სიცილში ღვარძლიანი ზიზღი გამოკრთოდა.

— რატომ იცინი, ჯიმ? — ტაგარტი ცოლს პასუხს არ სცემდა, თითქოს მისი ზიზღი ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებდა.

შერილს გაუძნელდებოდა, გუმანით მიხვედრილიყო ქმრის ღვარძლს: ჯიმი ძალიან მომთმენი იყო ცოლის შეცდომებისადმი. ის ცდილობდა, ქალაქის საპატივცემულო ადამიანებთან სტუმრად ეტარებინა ქალი; არასოდეს წამოსცდენია საყვედური ცოლის უვიცობისა და იმ უხერხული მომენტების გამო, როდესაც შერილს სტუმრების უსიტყვო მზერა და საკუთარი ალმურმოდებული სახე აგრძნობინებდა,

რომ კიდევ რაღაც არასწორი წამოსცდა. ჯიმი შეცბუნებას არ იმჩნევდა და მხოლოდ ბუნდოვანი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. როდესაც ასეთი საღამოების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ, ჯიმი თითქოს ცოლის გასამხნევებლად მხიარულობდა და ამის გამო მადლიერების გრძნობით გამსჭვალული შერილი ცდილობდა, უფრო მეტად მოენდომებინა ეტიკეტის შესწავლა.

ქალი თავისი შრომის ჯილდოს იმ საღამოს მოელოდა, როდესაც რაღაც წარმოუდგენელი გარდაქმნის დამსახურებით პირველად მოხდა, წვეულებაზე ყოფნა რომ სიამოვნებდა. ის თავისუფლად იქცეოდა არა წესების მიხედვით, არამედ საკუთარი სიამოვნებისთვის, თითქოს ეს წესები უკვე ჩვევაში გადასვლოდა. შერილი გრძნობდა, რომ ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ ეს დამცინავი ყურადღება კი არა, უკვე აღფრთოვანება იყო — მას თვალებით ეძებდნენ მისივე მიღწევისა და უნარის გამო, ის მისის ტაგარტი იყო, და არა მოწყალების ობიექტი, რომელიც ქმარს მძიმე ტვირთად აწვებოდა და რომელთანაც მხოლოდ იმის გამო ურთიერთობდნენ, რომ ჯეიმს ტაგარტის ცოლი იყო; ქალი ლაღად იცინოდა და საპასუხოდ საზოგადოებისგან პატივისცემის გამომხატველ ღიმილს იღებდა. შერილი ოთახის მეორე ბოლოში მჯდომ ქმარს გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა იმ ბავშვის მსგავსად, რომელიც თავის მაღალ ქულას მშობელს აჩვენებს, რომ მანაც იამაყოს მისით. ჯიმი კი ამ დროს განმარტოებით იჯდა კუთხეში და გაურკვეველი მზერით შესცქეროდა ცოლს.

სახლისკენ მიმავალ გზაზე მას შერილისთვის ხმაც არ გაუცია.

— არ ვიცი, რატომ დავეთრევი ამ წვეულებებზე, — წამოიძახა ჯიმმა და ჰალსტუხი სასტუმრო ოთახის შუაგულში მოისროლა, — ასე მოსაწყენად არასდროს გამიტარებია დრო!

— ამას რატომ ამბობ, ჯიმ, — მიუგო განცვიფრებულმა ცოლმა, — მეგონა, შესანიშნავად გავერთეთ.

— შენ კი! თავი ისე გეჭირა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყავი კონი აილენდზე. ნეტავ ისწავლიდე თავის დაჭერას და ხალხში არ შემარცხვენდე.

— შეგარცხვინე? დღეს საღამოს?

— კი!

— როგორ?

— თუ თავად არ გესმის, ვერც მე აგიხსნი, — მიუგო ჯიმმა და აშკარად მიანიშნა, რომ რაღაცის ვერგაგება საკუთარი სამარცხვინო არასრულყოფილების აღიარებაა.

— არ მესმის, — თქვა შერილმა კუშტად.

ჯიმი ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა.

მაშინ შერილი მიხვდა, რომ ქმრის საქციელი უბრალოდ გაურკვეველი კი აღარ იყო, არამედ მას სიბოროტის ელფერიც დაჰკრავდა. იმ საღამოდან მოყოლებული, ქალს პატარა და აუტანელი შიში შეეპარა, რომელიც უხილავი რელსებით უახლოვდებოდა შორეული მატარებლის პროჟექტორივით.

ცოდნამ შერილს ჯიმის სამყარო ვერ შეაცნობინა, პირიქით, ის უფრო საიდუმლოებით მოცული გახადა. ვერ დაეჯერებინა, რომ მისგან მოელოდნენ, პატივისცემით გამსჭვალულიყო იმ გამოფენების მოსაწყენი უაზრობისადმი, რომელსაც ჯიმის მეგობრები ესწრებოდნენ, იმ ნაწარმოებებისადმი, რომელსაც ისინი კითხულობდნენ, იმ პოლიტიკური ჟურნალებისადმი, რომლებსაც ისინი განიხილავდნენ; არ აღაფრთოვანებდა გამოფენები, სადაც ისეთ ტილოებს ხედავდა, თავისი ბავშვობის დროინდელი ჯურღმულების ტროტუარებზე ცარცით დაჯღაბნილ

ნახატებს რომ აგონებდა, იმ ნაწარმოებებისადმი, რომლებიც ადასტურებდნენ მეცნიერების, მრეწველობის, ცივილიზაციისა და სიყვარულის ამაოებას და ისეთ ენას იყენებდნენ, რომელსაც უზომოდ მთვრალი მამამისიც კი არ ხმარობდა, იმ ჟურნალებისადმი, რომლებიც ლაჩრულად გაურკვეველ განცხადებებს მიმოიხილავდნენ, ეს განცხადებები უფრო გაურკვეველი და იმაზე მეტად ბანალური იყო, ვიდრე ჯურღმულში მიგზავნილი იმ მღვდლის ქადაგებები, სინამდვილეში ერთი ბებერი გაიძვერა რომ იყო. შერილს ვერ დაეჯერებინა, რომ სწორედ ეს საგნები წარმოადგენდნენ იმ კულტურას, რომელსაც ის ასე მოწიწებით შეჰყურებდა და რომლის გაცნობასაც ასე მოუთმენლად ელოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მთაზე ავიდა, რომლის მწვერვალზეც შორიდან სასახლეს ხედავდა, სინამდვილეში კი ხელში საწყობის ნანგრევები შერჩა.

— ჯიმ, — მიმართა ერთხელ შერილმა ქმარს ქვეყნის ინტელექტუალ ლიდერებად წოდებულ ადამიანებთან გატარებულ საღამოს შემდეგ, — დოქტორი საიმონ პრიტჩეტი ნამდვილი თაღლითია, ფლიდი და შეშინებული ბებერი თაღლითი.

— ასე არ არის, — უპასუხა ჯიმმა, — გგონია, სათანადო ცოდნას ფლობ, ფილოსოფოსებზე რომ იმსჯელო?

— მე საკმარისი ცოდნა მაქვს საიმისოდ, რომ თაღლითებზე ვიმსჯელო. საკმაოდ ბევრი თაღლითი მინახავს ცხოვრებაში და ადვილად ვცნობ მათ.

— სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ შენ ვერასოდეს მოიშორებ შენს წარსულს. ასე რომ არ იყოს, აუცილებლად დააფასებდი დოქტორ პრიტჩეტის ფილოსოფიას.

— რა ფილოსოფიას?

— თუ თავად არ გესმის, ვერც მე აგიხსნი.

შერილი ვერ დაუშვებდა, რომ ჯიმს საუბარი თავისი საყვარელი ფრაზით დაესრულებინა.

— ჯიმ, — უთხრა მან ქმარს, — პრიტჩეტი, ბალფ იუბენკი და მთელი მათი ბანდა თაღლითები არიან და მგონია, რომ ისინი შენ გატყუებენ.

გაბრაზების ნაცვლად, რასაც შერილი მოელოდა, ჯიმის გამოხედვაში სიამოვნებამ გაიელვა.

— ეს მხოლოდ შენი აზრია, — უთხრა მან ცოლს.

შერილმა წამიერი შიში იგრძნო იმის გაფიქრებისას, რომ ჯიმი შესაძლოა, სულაც არ იყო მოტყუებული მათ მიერ. ქალს კარგად ესმოდა დოქტორ პრიტჩეტის თაღლითობის არსი, ის გამოძალვით უშრომელ შემოსავალს იღებდა; შერილს ახლა იმის დაშვებაც შეეძლო, რომ შესაძლოა, ჯიმი იყენებდა კიდეც თაღლითურ მეთოდებს საკუთარ ბიზნესში; მაგრამ ქალს ვერ დაეჯერებინა, რომ ის იმ გამოძალვაში იყო ჩართული, რომლიდანაც თავად არაფერს იღებდა. ამ შემთხვევაში ჯიმი მოხალისე თაღლითი გამოდიოდა; ამასთან შედარებით, შულერის ან სხვა რომელიმე თაღლითის საქციელი გაცილებით უფრო ჯანსაღი მოვლენა ჩანდა. შერილს არ შეეძლო ჯიმის ნამდვილი მიზნის წარმოდგენა; მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ მისკენ მომავალი მატარებლის პროჟექტორი უფრო და უფრო კაშკაშა ხდებოდა.

შერილს აღარ ახსოვდა, როგორ დაიწყო დაეჭვება სარკინიგზო კომპანიაში ქმრის მდგომარეობასთან დაკავშირებით, თავდაპირველად დროდადრო დაბნეულობას გრძნობდა, რასაც მუდმივი, შემაწუხებელი შიში მოჰყვა. განაწყენებული ჯიმი მის კითხვებს ასე პასუხობდა: „არ მენდობი?“ შერილს კი ეგონა, რომ ქმრის პასუხი მის ახლად გაჩენილ ეჭვს მთლიანად გააქარწყლებდა. ჯურღმულებში ცხოვრებისას

ესწავლა, რომ პატიოსანი ადამიანები არასდროს ბრაზდებოდნენ, როდესაც საქმე ნდობის საკითხს შეეხებოდა.

— მე არ მადარდებს ის მაღაზია, სადაც შენ მუშაობდი, — ასე პასუხობდა ჯიმი ცოლს, როდესაც ქალი რკინიგზას ახსენებდა.

შერილი ცდილობდა, კიდევ ერთხელ ეკითხა ქმრისთვის:

— ჯიმ, შენ კარგად იცი, რა აზრისა ვარ შენს საქმიანობაზე და როგორ მომწონს შენი სამუშაო.

— ოჰ, მართლა? მაინც ვისზე დაქორწინდი, მამაკაცზე თუ სარკინიგზო კომპანიის პრეზიდენტზე?

— მე... მე არასოდეს მიცდია, ეს ორი რამ ერთმანეთისგან გამეცალკევებინა.

— შენი პასუხი სასიამოვნო ნამდვილად არ არის ჩემთვის.

შერილმა ქმარს იმედგაცრუებული სახით შეხედა, ეგონა, რომ თავისი პასუხით ასიამოვნებდა ჯიმს.

— მინდა, დავიჯერო, — განაგრძო საუბარი ტაგარტმა, — რომ შენ მე ჩემი პიროვნების გამო გიყვარვარ და არა ჩემი რკინიგზის გულისთვის.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ჯიმ, — წამოიძახა ქალმა, — შენ ხომ არ ფიქრობ, რომ მე!..

— არა, — უპასუხა ჯიმმა ნაღვლიანი, მოწყალე ღიმილით, — არ ვფიქრობ, რომ ჩემი ფულისა და მდგომარეობის გამო გამომყევი ცოლად. მე შენში ეჭვი არასოდეს შემპარვია.

როდესაც გააცნობიერა, რომ შესაძლოა, ქმარს საბაბი მისცა, არასწორად გაეგო მისი განცდები, რომ დაავიწყდა, რამდენჯერ ატკინეს გული ჯიმს წარსულში სიმდიდრეზე მონადირე ქალებმა, თავგზააბნეულმა შერილმა მხოლოდ თავიღა გააქნია და ამოიკვნესა:

— ოჰ, ჯიმ, ამას არ ვგულისხმობდი!

ტაგარტმა ისე ჩაიცინა, თითქოს ბავშვის საქციელზე ეცინებოდა და ცოლს ხელი მოხვია.

— გიყვარვარ? — ჰკითხა მან ცოლს.

— კი, — დაიჩურჩულა ქალმა.

— მაშინ უნდა გწამდეს ჩემი. ხომ იცი, რომ სიყვარული რწმენაა. ვერ ხვდები, რომ მე მჭირდება შენი რწმენა? ჩემ გარშემო მყოფ ადამიანებს არ ვენდობი, მხოლოდ მტრები მახვევია გარს, ძალიან მარტოსული ვარ. ვერ ხვდები, რომ ძალიან მჭირდები?

რამდენიმე საათის შემდეგ შერილი აჩქარებული ნაბიჯით გაემართა თავისი ოთახისკენ, იმ სურვილით გამსჭვალული, რომ ქმრის სიტყვები დაეჯერებინა. იცოდა, რომ ჯიმის ნათქვამი სიმართლეს შეესაბამებოდა, მაგრამ მაინც არ სწამდა მისი. ჯიმს მართლაც სჭირდებოდა შერილი, მაგრამ არა იმგვარად, თავად რომ გულისხმობდა, და არც ისე, ქალი რომ ოცნებობდა. ჯიმს სჭირდებოდა ის, მაგრამ ამ საჭიროების ბუნება ბოლომდე გარკვეული არ იყო ქალისთვის. შერილმა არ იცოდა, რა სურდა ქმარს მისგან. ტაგარტს ქება-დიდება სულაც არ სჭირდებოდა ცოლისგან.

ხშირად უნახავს, თუ როგორ ინერტულად, ნაწყენი სახით ისმენდა ჯიმი ფარისეველთა კომპლიმენტებს — იმ ნარკომანის მსგავსად, რომელმაც საკმარისი დოზა ვერ მიიღო. თუმცა, შერილს ბევრჯერ შეუნიშნავს, რომ ჯიმი ისეთი გამომეტყველებით შესცქეროდა, თითქოს მაცოცხლებელ მზერას ელოდა მისგან; როდესაც აღფრთოვანებას გამოხატავდა ქმრის მისამართით, ჯიმს თვალები უბრწყინდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, ქალს მისით აღფრთოვანების მიზეზი ეთქვა, რომ ტაგარტი მაშინვე კუშტ გამომეტყველებას იღებდა. ჯეიმსს თითქოს

სურდა, ცოლს ის დიად ადამიანად მიეჩნია, თუმცა მისი სიდიადისთვის რაიმე კონკრეტული თვისება არ მიეწერა.

შერილს ვერ აეხსნა ქმრის საქციელი შუა აპრილის ერთ საღამოს, როდესაც ის ვაშინგტონიდან დაბრუნდა.

— სალამი, პატარა! — მიესალმა ჯიმი ცოლს ხმამაღლა და იასამნის თაიგული დაბლა დააგდო, — წინ ბედნიერი დღეები გველის! ეს ყვავილები რომ დავინახე, შენ გამახსენდი. გაზაფხული კარს მოგვადგა!

ჯიმმა სასმელი დაისხა და ოთახში სიარულს მოჰყვა. თვალები გაბრწყინებოდა და არაბუნებრივად აღელვებული ხმით ლაპარაკობდა. შერილს ვერ გაეგო, ქმრის ასეთი განწყობა სიხარულს გამოხატავდა თუ იმედგაცრუებას.

— ვიცი, რასაც გეგმავენ! — დაიწყო ჯიმმა მოულოდნელად, ისე, რომ ხმა არ შეუცვლია. შერილმა მას სწრაფი მზერა ესროლა, ეცნო ქმრის შინაგანი ბრაზის გამომხატველი ტონი, — ქვეყანაში თორმეტიოდე ადამიანმაც კი არ იცის ამის შესახებ, აი, მე კი ვიცი! ქვეყნის მმართველი ბიჭები ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავენ, ვიდრე მზად არ იქნებიან, მთელი ერი გააოგნონ. ბევრს გააკვირვებს?! ამ ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს! ეს ამბავი ყველას შეეხება. აი, რამდენად მნიშვნელოვანია.

— ყველას შეეხება... რანაირად, ჯიმ?

— უკლებლივ ყველას! არც კი იციან, რა მოელით, მე კი ვიცი. ისინი დღეს საღამოს მშვიდად სხედან, — ჯიმმა ქალაქის განათებული ფანჯრებისკენ გაიქნია ხელი, — გეგმებს აწყობენ, ფულს ითვლიან, ეხვევიან თავიანთ შვილებს, ოცნებობენ და წარმოდგენაც კი არ აქვთ, რომ ეს ყველაფერი სულ მალე შეწყდება და შეიცვლება!

— შეიცვლება — უარესობისკენ თუ უკეთესობისკენ?

— უკეთესობისკენ, რა თქმა უნდა, — უპასუხა ტაგარტმა ცოლს მოუთმენლად, თითქოს ეს უმნიშვნელო იყო; მის ხმას გზნება დაეკარგა და მოვალეობის ყალბი ტონი გაუჩნდა, — ეს ქვეყნის გადასარჩენი გეგმაა, რომ ეკონომიკური ვარდნა შეჩერდეს, სიტუაცია დასტაბილურდეს და უსაფრთხო გარემო შეიქმნას.

— რა გეგმაზე ლაპარაკობ?

— ვერ გეტყვი. ეს საიდუმლოა, ზესაიდუმლო. ვერც კი წარმოიდგენ, რამდენი ადამიანი ისურვებდა ამის გაგებას. არ არსებობს მრეწველი, რომელიც თავის საუკეთესო სადნობ ღუმელს არ გაიღებდა იმ მინიშნებისა და გაფრთხილების სანაცვლოდ, რომელსაც ის ვერასდროს მიიღებს! სწორედ ასეთი მრეწველია ჰენკ რიერდენი, შენ რომ ასე ხარ აღფრთოვანებული. — ჯიმმა თითქოს მომავალს გახედა ამაყად ფანჯარაში და ჩაიცინა.

— ჯიმ, რატომ გძულს ჰენკ რიერდენი? — ჰკითხა შერილმა ქმარს.

— მე ის არ მძულს! — მიუბრუნდა ჯიმი ქალს უცნაურად შეშფოთებული, ლამის დამფრთხალი გამომეტყველებით, — არასდროს მითქვამს, რომ რიერდენი მძულს.

ნუ წუხხარ, ის მოიწონებს ამ გეგმას. სად გაიქცევა. მას ყველა მოიწონებს. ეს გეგმა ხალხის კეთილდღეობისთვის შეიქმნა.

ტაგარტის ხმაში ვედრება ისმოდა. შერილმა გულისამრევი დარწმუნებით იცოდა, რომ მისი ქმარი ცრუობდა, თუმცა ისიც იგრძნო, რომ ჯიმი სასოწარკვეთილად ცდილობდა, ცოლი დაემშვიდებინა, ოღონდ სულ სხვა რამესთან დაკავშირებით.

ქალმა თავს ძალა დაატანა და გაიღიმა.

— რა თქმა უნდა, ჯიმ, ასეა, — თვითონაც შეეცადა, დაემშვიდებინა ქმარი.

ჯიმს სახეზე თითქოსდა მადლიერი ღიმილი გამოეხატა.

— მე ეს შენთვის დღეს საღამოს უნდა მეთქვა, უნდა მეთქვა. უნდა იცოდე, რა დიდ საქმეებს ვარ შეჭიდებული. შენ ყოველთვის ჩემს სამუშაოზე ლაპარაკობ, მაგრამ სინამდვილეში საერთოდ არ გესმის მისი არსი. ეს გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი საქმეა. შენ გგონია, რომ რკინიგზის მართვა მხოლოდ ლიანდაგების დაგება, მაღალი ხარისხის ლითონის შერჩევა და მატარებლების განრიგის მიხედვით მოძრაობის უზრუნველყოფაა, ეს ხომ ნებისმიერ ჩემს ქვეშევრდომსაც შეუძლია. სინამდვილეში, რკინიგზა ვაშინგტონიდან იმართება. ჩემი საქმიანობა პოლიტიკაა, პოლიტიკა და ის საქვეყნო გადაწყვეტილებები, რომელიც ყველაზე ახდენს გავლენას და ყველას მართავს; ფურცელზე დაწერილი სულ რამდენიმე სიტყვა, რომელიღაც დირექტივა, ამ ქვეყნის ყოველ ქოხში თუ აპარტამენტში მცხოვრები თითოეული ადამიანის ცხოვრებას ცვლის!

— ასეა, ჯიმ, — უპასუხა შერილმა ქმარს. უნდოდა, დაეჯერებინა, რომ მისი ქმარი ვაშინგტონის იდუმალებით მოცულ სამყაროში მართლაც ძალიან გავლენიანი ფიგურა იყო.

— შენ ყველაფერს მიხვდები, — მიმართა ჯიმმა ცოლს და თან ოთახში დააბიჯებდა, — შენ გგონია, მაგათ ვერავინ მოერევა — მრეწველობის მაგ გიგანტებს, თავიანთი ძრავებითა და სადნობი ღუმლებით! ისინი ჩიხში მოექცევიან! მათ გაატყავებენ!

მიწასთან გაასწორებენ! ისინი... — ჯიმმა შენიშნა, თუ როგორ უყურებდა ცოლი, — ეს ჩვენ გამო არ კეთდება, — წამოიძახა მან სწრაფად, — ეს ხალხისთვისაა საჭირო. ეს არის სწორედ განსხვავება ბიზნესსა და პოლიტიკას შორის — ჩვენ არ ვმოქმედებთ ჩვენი ეგოისტური მიზნებითა და კერძო ინტერესებით, ჩვენ არ დავეძებთ მოგებას, ჩვენ ფულისთვის ბრძოლაში არ ვატარებთ ცხოვრებას, ეს ჩვენ არ გვჭირდება! ამიტომ გვწამებენ ცილს და ვერ გვიგებენ მოგებას დახარბებული მეწარმეები, რომლებსაც არაფერი გაეგებათ სულიერი მიზნებისა და ზნეობრივი იდეალების და...

ჩვენ სხვა არჩევანი არ გვქონდა! — მოულოდნელად წამოიყვირა ჯიმმა და ცოლს შეხედა, — ჩვენ უნდა შეგვედგინა ეს გეგმა! რაღაც ხომ უნდა გვეღონა, როდესაც ყველაფერი ნაწილებად იშლება და ნადგურდება! უნდა შეგვეჩერებინა ეს უძრაობა!

სხვა გამოსავალი აღარ დაგვრჩა!

ჯიმს თვალებში სასოწარკვეთა ედგა, თუმცა იმავე დროს, გეგონებოდა, საბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. შერილს ვერ გაერკვია, მისი ქმარი იკვეხნიდა თუ პატიებას ითხოვდა; ვერ მიმხვდარიყო, ეს ტრიუმფი იყო თუ შიში.

— ჯიმ, კარგად ხარ? იქნებ ზედმეტი იმუშავე და გადაიღალე და...

— ამაზე უკეთ თავი ჩემს სიცოცხლეში არასდროს მიგრძნია! — წამოიძახა ჯიმმა და სიარული შეწყვიტა, — რასაკვირველია, ბევრი ვიშრომე. ჩემი სამუშაო გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე სხვა რომელიმე საქმე, უფრო ღირებული, ვიდრე ყველაფერი, რასაც კი ის ხარბი ტექნოკრატები, ჩემი და და რიერდენი აკეთებენ. მათ რაც არ უნდა გააკეთონ, მე შემიძლია, მივიდე და გავანადგურო. დაე, გაიყვანონ სარკინიგზო ხაზი — მივალ და და გავანადგურებ, აი, ასე! — ტაგარტმა თითები გაატკაცუნა, — ხერხემალივით გადავამტვრევ!

— გინდა, ხერხემალივით გადაამტვრიო? — დაიჩურჩულა აკანკალებულმა შერილმა.

— ეს არ მითქვამს! — დაიყვირა ჯიმმა, — რა დაგემართა? მე ეს არ მითქვამს!

— მაპატიე, ჯიმ! — წამოიძახა ქალმა, გაოცებულმა საკუთარი სიტყვებითა და ქმრის თვალებში ჩამდგარი შიშით, — მე უბრალოდ არ მესმის, მაგრამ... მაგრამ ვიცი, რომ შე კითხვებით თავი არ უნდა მოგაბეზრო, როდესაც ასეთი დაღლილი ხარ...

შერილი სასოწარკვეთილად ცდილობდა საკუთარი თავის დარწმუნებას, — როდესაც ამდენი საფიქრალი გაქვს... ასეთი... ასეთი დიადი საქმეები... საქმეები, რომლის წარმოდგენაც მე არ შემიძლია...

ჯიმს მხრები ჩამოეყარა. ის ცოლს მიუახლოვდა, მოქანცული მუხლებზე დაემხო და ქალს ხელები შემოხვია.

— შე საბრალო პატარა სულელო, — მიმართა მან ცოლს ნაზად.

სითბოთი და სიბრალულით გულაჩუყებული შერილი ქმარს ეხუტებოდა. ჯიმმა თავი ასწია და ცოლს შეხედა. შერილს მოეჩვენა, რომ ქმრის თვალებში არეკლილ მის მზერაში კმაყოფილება და ამავე დროს, ზიზღი გამოსჭვიოდა, თითქოს როგორღაც მოახერხა, ქმარი გაემართლებინა, საკუთარი თავი კი დაწყევლა.

მომდევნო დღეებში შერილი მიხვდა, რომ უაზრობა იყო, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ეს საგნები მიუწვდომელი იყო მისი გონებისთვის, რომ მისი მოვალეობაა, სწამდეს ქმრის, რომ სიყვარული იგივე რწმენაა. თანდათან უფრო და უფრო მეტად დააეჭვა ჯიმის გაურკვეველმა საქმიანობამ და მისმა დამოკიდებულებამ რკინიგზის მიმართ. შერილს ვერ გაეგო, რატომ მძაფრდებოდა ეს ეჭვები პირდაპირპროპორციულად დაუსრულებელი თვითშთაგონებისა, რომ ქმრისადმი რწმენა მისი მოვალეობა იყო. შემდეგ კი, როდესაც ერთ უძილო ღამეს ფიქრებს მიეცა, ქალმა აღმოაჩინა, რომ ეს მოვალეობა აიძულებდა, ზურგი ექცია ადამიანებისთვის, რომლებიც ჯეიმს ტაგარტის საქმიანობაზე ლაპარაკობდნენ, არ წაიკითხა გაზეთები, სადაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ იყო ნახსენები, თვალი დაეხუჭა ფაქტებზე და წინააღმდეგობრიობაზე. უცებ შეძრწუნებულს თავში ამ კითხვამ გაუელვა: „ეს რას ნიშნავს — ნუთუ რწმენა ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას?“ და როდესაც გააცნობიერა, რომ რწმენისადმი მისი გულმოდგინების ნაწილს სწორედ ცოდნის შიში შეადგენდა, ქალმა გადაწყვიტა, სიმართლე დაედგინა და ამ გადაწყვეტილებამ მოულოდნელად გაცილებით მეტი სიმტკიცე მიანიჭა, ვიდრე მცდელობებმა, მორჩილად მოეტყუებინა თავი.

შერილს დიდი ხანი არ დასჭირვებია სიმართლის დასადგენად. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ აღმასრულებელთა მიკიბ-მოკიბული, ზოგადი და ბანალური პასუხები მის მიერ სასხვათაშორისოდ დასმულ კითხვებზე, თუ როგორ იძაბებოდნენ ისინი ტაგარტის სახელის ხსენებისას და როგორ არ სურდათ მასზე საუბარი — ეს ყველაფერი შერილს კონკრეტულს არაფერს ეუბნებოდა, თუმცა უარესის მოლოდინით ავსებდა. უფრო გულახდილები იყვნენ რკინიგზის მუშები — მეისრეები, კარისკაცები და ბილეთების გამყიდველები, რომლებსაც შერილი ვითომდა შემთხვევით გამოელაპარაკა „ტაგარტ ტერმინალში“, და რომლებმაც მისი ვინაობა არ იცოდნენ.

— ჯიმ ტაგარტი? ის ბუზღუნა, ზლუქუნა, მოლაქლაქე გონებაჩლუნგი! — რკინიგზის პრეზიდენტი ჯიმი? გეტყვით, ვინც არის: ის ნამდვილი პარაზიტია! — უფროსი? მისტერ ტაგარტი? თქვენ მის დაგნი ტაგარტს ხომ არ გულისხმობთ? — ასე ახასიათებდნენ ისინი შერილის ქმარს.

ქალს მთელი სიმართლე ჯიმზე ედი უილერსმა მოუყვა. შერილმა შეიტყო, რომ უილერსი ჯიმს ბავშვობიდან იცნობდა და სთხოვა, ერთად ესადილათ. როდესაც მაგიდას მიუსხდნენ და უილერსის გულწრფელი, პატიოსანი მზერა დაინახა და მისი

მარტივი, ზუსტი პასუხები მოისმინა, შერილმა გადაწყვიტა, პირდაპირ ეთქვა, რისი გაგებაც სურდა მისგან. არც დახმარებას ევედრებოდა და არც სიბრალულს სთხოვდა, მხოლოდ სიმართლის გაგება უნდოდა. უილერსმაც ასევე გულწრფელად უპასუხა. მან შერილს ყველაფერი მშვიდად და მიუკერძოებლად მოუყვა, ისე, რომ არც განაჩენი გამოუტანია, არც საკუთარი აზრი გამოუთქვამს და არც შერილის გრძნობების დანდობა უცდია.

მარტივად და ზუსტი ფაქტებით ლაპარაკობდა. უთხრა, სინამდვილეში ვინ მართავდა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს"; „ჯონ გოლტის ხაზზეც" უამბო. შერილი უსმენდა, განცვიფრების გარეშე, ეს გაცილებით უფრო მძიმე შეგრძნება აღმოჩნდა: თითქოს ამ ამბავს ახლა პირველად კი არ ისმენდა, არამედ ყოველთვის იცოდა, ასე რომ იყო.

— გმადლობთ, ბატონო უილერს, — მხოლოდ ეს უთხრა უილერსს, როდესაც მან ლაპარაკი დაასრულა.

შერილი იმ საღამოს ქმრის სახლში დაბრუნებას ელოდა. არც აღშფოთებას გრძნობდა, არც ტკივილს, მხოლოდ გაუცხოებას, თითქოს ეს ყველაფერი მას საერთოდ აღარ ეხებოდა, გეგონებოდა, რაღაც უნდა მოემოქმედებინა, მაგრამ რას იზამდა ან რა მოჰყვებოდა მის საქციელს, უკვე სულერთი იყო.

როდესაც ოთახში შემოსული ქმარი დაინახა, შერილი არ გაბრაზებულა, ამის ნაცვლად გაოცება იგრძნო, თითქოს აინტერესებდა, ვინ იყო ოთახში შემოსული კაცი და რატომ იყო მასთან დალაპარაკება საჭირო. შერილმა ყველაფერი უამბო ჯიმს დაღლილი და გულგრილი ხმით. ქალს მოეჩვენა, რომ ის პირველივე წინადადებებიდან მიხვდა ყველაფერს, თითქოს ამას ადრე თუ გვიან მოელოდა.

— რატომ არ მითხარი სიმართლე? — ჰკითხა შერილმა ქმარს.

— ეს არის შენი მადლიერება? — დაუყვირა ჯიმმა, — ასე მიხდი სამაგიეროს იმ ყველაფრისთვის, რაც მე გაგიკეთე? ყველა მაფრთხილებდა, რომ მაწანწალას თუ დავეხმარებოდი, სანაცვლოდ მხოლოდ უტიფრობას და უმადურობას მივიღებდი!

შერილი ჯიმს ისე უყურებდა, თითქოს ის გაურკვეველ ბგერებს გამოსცემდა და მისი სიტყვები არ ესმოდა:

— რატომ არ მითხარი სიმართლე?

— ესაა შენი სიყვარული, შე ორპირო? ასე მიხდი სამაგიეროს იმისთვის, რომ მწამდა შენი?

— რატომ იტყუებოდი? რატომ მომატყუე?

— უნდა გრცხვენოდეს, სირცხვილით როგორ მიყურებ ან მელაპარაკები?!

— მე? — ქალმა აღიქვა ქმრის წარმოთქმული ბგერები, თუმცა მათ მნიშვნელობას ბოლომდე მაინც ვერ იჯერებდა, — რის მიღწევას ცდილობ, ჯიმ? — ჰკითხა შერილმა ქმარს შორეული და გაოცებული ხმით.

— ოდესმე გიფიქრია ჩემს გრძნობებზე? გიფიქრია, ეს რა გავლენას მოახდენდა ჩემს გრძნობებზე? ჯერ ჩემი გრძნობები უნდა გაგეთვალისწინებინა! ეს ნებისმიერი ცოლის უპირველესი მოვალეობაა, განსაკუთრებით კი შენს მდგომარეობაში მყოფი ქალისა! უმადურობაზე უფრო მდაბიო გრძნობა არ არსებობს!

ერთი წამში შერილისთვის წარმოუდგენელი ფაქტი გაცხადდა — კაცი, რომელიც აცნობიერებდა საკუთარ დანაშაულს, თავის დაძვრენას იმით ცდილობდა, რომ მსხვერპლში გაეღვივებინა დანაშაულის განცდა. მაგრამ ქალს ეს ბოლომდე მაინც ვერ დაეჯერებინა. შერილი შიშის ზეწოლას გრძნობდა, მისი გონება მთელი ძალით ცდილობდა იმ სანახაობის უარყოფას, რომელიც მას გაანადგურებდა — ეს

სიგიჟისგან გაქცევის უეცარი მცდელობა იყო. როდესაც თავი ჩაკიდა და თვალები დახუჭა, მხოლოდ იმასღა აცნობიერებდა, რომ ზიზღს გრძნობდა, გამოუთქმელი მიზეზით გამოწვეულ, გულის ამრევ ზიზღს.

როდესაც ქალმა თავი ასწია, მოეჩვენა, რომ ქმარი იმ დამარცხებული კაცის დაბნეული მზერით შეჰყურებდა, რომლის მზაკვრობამაც სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. მაგრამ ვიდრე შერილი ამ ყველაფრის აღქმას მოასწრებდა, ჯიმმა ისევ შეურაცხყოფილი და განაწყენებული ადამიანის ნიღაბი მოირგო.

შერილი ალაპარაკდა, თითქოს საკუთარ აზრებს გონიერ არსებას უზიარებდა, რომელიც იმ მომენტში იქ არ იყო, მაგრამ ვისი არსებობაც უსათუოდ უნდა ევარაუდა, რადგან სხვას ვერავის მიმართავდა:

— იმ ღამით... ის საგაზეთო სათაურები... ის დიდება... ეს შენ სულაც არ გეკუთვნოდა... ეს ყველაფერი დაგნის დამსახურება იყო.

— მოკეტე, შე დამპალო ძუკნა!

შერილმა ქმარს გულგრილად შეხედა, თითქოს მასზე აღარაფერი მოქმედებდა, რადგან თავისი უკანასკნელი სიტყვები უკვე წარმოეთქვა.

ჯიმმა ამოიკვნესა:

— შერილ, ვწუხვარ, ეს არ მიგულისხმია, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები ეს არ მიგულისხმია...

ქალი ადგილიდან არ დაძრულა, ისევ კედელს მიყრდნობილი იდგა.

ტაგარტი კი დივნის კიდეზე დაეშვა, უმწეო და დადარდიანებული გამომეტყველებით:

— როგორ უნდა ამეხსნა ეს ყველაფერი შენთვის? — თქვა მან უიმედო ხმით, — ეს ისეთი მასშტაბური და რთული საკითხია. როგორ უნდა მეთქვა შენთვის რაიმე ტრანსკონტინენტური რკინიგზის შესახებ, თუ მისი ყოველი დეტალი და განშტოება არ გეცოდინებოდა? როგორ ამეხსნა შენთვის ჩემი მუშაობის წლები, ჩემი... ოჰ, ამას რა აზრი აქვს? მე ყოველთვის არასწორად მიგებდნენ და ახლაც მზად უნდა ვყოფილიყავი ამისთვის, უბრალოდ, მეგონა, შენ დანარჩენებისგან განსხვავდებოდი და შანსი მომეცა.

— ჯიმ, ცოლად რატომ შემირთე?

ტაგარტმა ნაღვლიანად ჩაიცინა:

— ყველა ამას მეკითხებოდა. არ მეგონა, თუ ოდესმე შენც დამისვამდი ამ შეკითხვას. რატომ მოგიყვანე ცოლად? იმიტომ, რომ მიყვარხარ.

შერილს გაუკვირდა, რომ სიტყვამ „სიყვარული“, — ადამიანთა ლექსიკის ამ უმარტივესმა, ყველასთვის გასაგებმა და ყველას დამაკავშირებელმა სიტყვამ, — მას არაფერი არ უთხრა. არ იცოდა, მისი ქმრისთვის ამ სიტყვას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

— არავის ვყვარებივარ, — განაგრძობდა ჯიმი, — სამყაროში სიყვარული არ არსებობს. ადამიანებს გრძნობები არ გააჩნიათ. მე კი მაქვს ისინი. მაგრამ ეს ვის ადარდებს? ხალხი მხოლოდ დროის განრიგზე, მატარებლების დატვირთვაზე და ფულზე ფიქრობს. მე აღარ შემიძლია მათ შორის ცხოვრება. ძალიან მარტოსული ვარ. ყოველთვის ვნატრობდი, რომ ვინმეს ჩემთვის გაეგო. შესაძლოა, უიმედო იდეალისტი ვარ და შეუძლებელს დავეძებ. მე ვერავინ გამიგებს.

— ჯიმ, — მიმართა ქმარს შერილმა ოდნავ გამკაცრებული ხმით, — მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორედ შენს გაგებას ვცდილობდი.

ტაგარტმა ხელი ჩაიქნია, თითქოს ცოლის სიტყვებს თავიდან იშორებდა, თუმცა ეს შეურაცხმყოფლად კი არა, ნაღვლიანად გააკეთა:

— მეგონა, ამას შეძლებდი. შენ გარდა არავინ მყავს. მაგრამ იქნებ ადამიანთა შორის ურთიერთგაგება არც არის შესაძლებელი?

— შეუძლებელი რატომ უნდა იყოს? რატომ არ მეუბნები, რა გსურს? რატომ არ მეხმარები ამის გაგებაში?

ჯიმმა ამოიოხრა:

— აი, სწორედ ეს არის უბედურება, რომ მეკითხები: „რატომ?“ მუდმივად ყველაფერზე მეკითხები: „რატომ?“ ის, რაზეც მე ვლაპარაკობ, სიტყვებით ვერ გადმოიცემა. მას სახელს ვერ მოუძებნი. ეს უნდა იგრძნო. ან შეგიძლია მისი შეგრძნება, ან არა. ის გონებიდან კი არა, გულიდან მოდის. გრძნობები არ გაქვს?

ნუთუ არ შეგიძლია, უბრალოდ იგრძნო, ისე, რომ შეკითხვები არ დასვა? არ შეგიძლია, გამიგო, როგორც ადამიანს, და არ მომეპყრო, როგორც საცდელ ცხოველს? ნამდვილი ურთიერთგაგება ჩვენს გაცვეთილ სიტყვებზე მაღლა დგას, ჩვენი უსუსური გონების საზღვრებს სცდება... არა, მგონი, ამას ვერსად ვიპოვი, მაგრამ მე მაინც ვეძიებ და იმედს არ დავკარგავ. შენ ხარ ჩემი უკანასკნელი იმედი. შენ გარდა არავინ მყავს.

შერილი გაუნძრევლად იდგა კედელთან.

— მე შენ მჭირდები, — აქვითინდა ჯიმი, — მე სულ მარტო ვარ. შენ სხვებს არ ჰგავხარ. მე შენი მჯერა. გენდობი. რა მომცა ამდენმა ფულმა, დიდებამ და ბრძოლამ?

შენ გარდა არავინ მყავს...

შერილი არ განძრეულა, უბრალოდ, ზემოდან დახედა ქმარს, მხოლოდ ეს მიანიშნებდა, რომ მის არსებობას ამჩნევდა.

„ყველაფერი, რაც ტანჯვაზე თქვა, სიცრუეა, — ფიქრობდა შერილი, — თუმცა ნამდვილად იტანჯება, გამუდმებით აწვალებს რაღაც საწუხარი, რომელსაც, ჩანს, ვერ მიმხელს, მაგრამ ალბათ თვითონაც მოვახერხებ, მივუხვდე. ვალდებული ვარ, ვცადო, იმ მდგომარეობის სანაცვლოდ, რომელიც მან მომცა, და როგორც ეტყობა, ეს ერთადერთი რამ იყო, რისი მოცემაც მას შეეძლო“.

მომდევნო დღეებში შერილს საკუთარ თავთან გაუცხოების უცნაური შეგრძნება დაეუფლა — მას აღარაფერი აღარ სურდა და აღარაფერს ეძებდა. იმ სიყვარულის ნაცვლად, რომლის საფუძველიც გმირისადმი თაყვანისცემის კაშკაშა ცეცხლი იყო, შერილს სიბრალულის უცვლელი ერთფეროვნებაღა შერჩა. იმ კაცის მაგივრად კი, რომელსაც ეძებდა და რომელიც ტანჯვას საკუთარი მიზნებისთვის ბრძოლას ამჯობინებს, ისეთი კაცი იპოვა, რომლის ერთადერთი ღირსება ტანჯვა იყო და ცოლისთვისაც მხოლოდ მისი შეთავაზება შეეძლო. მაგრამ ამ ყველაფერს შერილისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ადრე აღტკინებით ელოდა ნებისმიერ ცვლილებას ცხოვრებაში; ის პასიური უცნობი კი, რომელმაც ახლა მისი ადგილი დაიკავა, იმ დაღვრემილ ადამიანებს დამსგავსებოდა, გარშემო რომ ირეოდნენ და ფიქრისა და სურვილების უარყოფა თავიანთი მოწიფულობის ნიშნად მიაჩნდათ.

მაგრამ ამ უცნობს ჯერ კიდევ არ ტოვებდა ძველი შერილის აჩრდილი და ამ აჩრდილს თავისი მისია ჰქონდა შესასრულებელი. როგორმე უნდა გაერკვია, რა იყო ის, რამაც გაანადგურა. შერილს ეს უნდა სცოდნოდა და განუწყვეტელი მოლოდინის შეგრძნებით ცხოვრობდა. უნდა სცოდნოდა ეს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე აცნობიერებდა, როგორ უახლოვდებოდა თანდათან პროჟექტორი და რაწამს კი ამ ცოდნას შეიძენდა, მაშინვე მატარებლის ბორბლებქვეშ აღმოჩნდებოდა.

„რა გინდათ ჩემგან?“ — ეს კითხვა უტრიალებდა თავში შერილს. „რა გინდათ ჩემგან?“ — უხმოდ ყვიროდა ქალი წვეულებებზე სტუმრობისას. „რა გინდათ

ჩემგან?“ — შესტიროდა უძილო ღამეებში ქმარსა და იმ ადამიანებს, ვისაც, წესით, მისი საიდუმლო უნდა სცოდნოდა, ბალფ იუბენკს, დოქტორ საიმონ პრიტჩეტს...

შერილს ეს კითხვა ხმამაღლა არასდროს დაუსვამს; იცოდა, რომ მაინც არავინ უპასუხებდა. „რა გინდათ ჩემგან?“ — კითხულობდა უხმოდ და ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს მირბოდა, მაგრამ გასაქცევი გზა არსად ჩანდა. „რა გინდათ ჩემგან?“ — კითხულობდა ქალი და თვალწინ საკუთარი ქორწინების ხანგრძლივი ტანჯვა უდგებოდა, თუმცა დაქორწინებიდან ჯერ ერთი წელიც კი არ იყო გასული.

— რა გინდა ჩემგან? — იკითხა შერილმა ხმამაღლა და უცებ ფიქრებიდან გამორკვეულმა აღმოაჩინა, რომ სასადილო ოთახში მაგიდასთან ქმრის პირდაპირ იჯდა და მის აღგზნებულ სახესა და მაგიდაზე დაღვრილი წყლის ლაქას შესცქეროდა.

შერილმა ვერ გაიგო, ზუსტად რამდენ ხანს გაგრძელდა მათ შორის ჩამოწოლილი სიჩუმე, ის გაოგნებული იყო საკუთარი ხმითა და იმ შეკითხვით, რომლის დასმასაც არ აპირებდა. შერილი არ მოელოდა ქმრისგან, რომ ის ამას გაიგებდა, რადგან ისე ჩანდა, თითქოს ჯიმს ამაზე უფრო მარტივი კითხვების გაგებაც არ შეეძლო — და ქალმა თავი გააქნია, აწმყოში რომ დაბრუნებულიყო.

შერილი გაოცდა, როდესაც დაინახა, რომ ჯიმი მას მსუბუქი დაცინვით შესცქეროდა, თითქოს მის მიხვედრილობას დასცინოდა.

— სიყვარული, — უპასუხა ტაგარტმა ცოლის შეკითხვას.

შერილს უმწეობის განცდა დაეუფლა იმ პასუხის პირისპირ, რომელიც ერთდროულად ასეთი მარტივი იყო და თან ასეთი უაზრო.

— შენ მე არ გიყვარვარ, — თქვა ჯიმმა ბრალდების ტონით. შერილმა არაფერი უპასუხა, — შენ არ გიყვარვარ, სხვა შემთხვევაში, ასეთ კითხვას არ დამისვამდი.

— ოდესღაც მიყვარდი, — უპასუხა ქალმა უხალისოდ, — მაგრამ შენ ეს არ გსურდა.

მე შენი გამბედაობის, ამბიციის, უნარის გამო მიყვარდი. მაგრამ არც ერთი ეს თვისება რეალური არ იყო.

ჯიმს ქვედა ტუჩი ოდნავ გამოებერა ზიზღის ნიშნად.

— რა შეურაცხმყოფელი წარმოდგენაა სიყვარულზე! — თქვა მან.

— ჯიმ, აბა, რის გამო გსურს, რომ უყვარდე ვინმეს?

— ეს მაღაზიის გამყიდველის იაფფასიანი დამოკიდებულებაა სიყვარულისადმი!

შერილი მდუმარედ უყურებდა ქმარს, თვალები კი შეკითხვის ნიშნად დასწვრილებოდა.

— რის გამო უნდა ვუყვარდე! — გააგრძელა საუბარი ჯიმმა დამცინავი ხმით, — შენ გგონია, რომ სიყვარული მათემატიკის, გაცვლის, აწონვის, გაზომვის საქმეა, სასურსათო მაღაზიის დახლზე დადებული ერთი გირვანქა კარაქის მსგავსად? მე არ მსურს, რაიმეს გამო ვუყვარდე ვინმეს. მე მსურს, ჩემ გამო ვუყვარდე ვინმეს — და არა იმის გამო, რასაც ვაკეთებ, მაქვს, ვამბობ ან ვფიქრობ. ჩემი თავის გამო — და არა ჩემი სხეულის, გონების, სიტყვების, სამუშაოს ან მოქმედებების გამო.

— მაგრამ მაშინ... მარტო შენი თავი რაღას ნიშნავს?

— რომ გიყვარდე, ამას არ მკითხავდი. — ჯიმის ხმაში გულგამგმირავი მღელვარება ისმოდა, თითქოს სიფრთხილესა და ბრმა იმპულსს შორის მერყეობდა, — არ მკითხავდი. შენ ეს ისედაც გეცოდინებოდა. იგრძნობდი ამას. რატომ ცდილობ ყოველთვის ყველაფრისთვის იარლიყის მიწებებას? არ შეგიძლია, ამ წვრილმან მატერიალურ განსაზღვრებებზე მაღლა დადგე? როდისმე არ გრძნობ რაიმეს — უბრალოდ, არ გრძნობ?

— კი, ჯიმ. ვგრძნობ, — უპასუხა შერილმა ქმარს ხმადაბლა, — მაგრამ ვცდილობ, რომ არ ვიგრძნო, რადგან... რადგან მეშინია.

— ჩემი გეშინია? — ჰკითხა ტაგარტმა ცოლს იმედიანად.

— არა, იმის კი არ მეშინია, რაც შენ შეგიძლია, მე დამიშავო, არამედ იმის, რაც სინამდვილეში ხარ.

ჯიმმა კარის მიჯახუნების სისწრაფით დახარა თვალები, მაგრამ გაკვირვებულმა შერილმა მაინც შეამჩნია ქმრის თვალებში გაელვებული შიში.

— შენ სიყვარული არ შეგიძლია, შე იაფფასიანო ოქროს მაძიებელო! — მოულოდნელად აფეთქდა ტაგარტი, ამ ხმას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ტკივილი მიეყენებინა შერილისთვის, — დიახ, მე ვთქვი „ოქროს მაძიებელი“. ოქროსმაძიებლობის მრავალი სახე არსებობს, ზოგი ფულზე ნადირობს, აი, შენ კი სულზე ნადირობ. შენ ჩემზე ფულის გამო კი არ დაქორწინდი, არამედ ჩემი უნარის, გამბედაობისა და სხვა ღირსებების გამო, რომლებიც შენი სიყვარულის საზღაურად დააწესე!

— შენ გინდა... რომ სიყვარული... უსაფუძვლო... იყოს?

— სიყვარული თავისივე თავის საფუძველია! სიყვარული ყველა საფუძველზე და მიზეზზე მაღლა დგას. სიყვარული ბრმაა. მაგრამ შენ არ შეგიძლია ასეთი სიყვარულის განცდა. შენ ძუნწი, ფლიდი და მოანგარიშე სული გაქვს მაღაზიის გამყიდველის მსგავსად, რომელიც ვაჭრობს, მაგრამ არასოდეს გასცემს! სიყვარული საჩუქარია — დიადი, უფასო, შეუზღუდავი საჩუქარი, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას და ყველაფრის მიტევება შეუძლია. აბა, ადამიანის შეყვარება მისი ღირსებების გამო რა დიდსულოვნებაა? რას აძლევ მას ამით? არაფერს. ეს ხომ მტკნარი სამართალია. ეს მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რასაც შენი სიყვარულის ობიექტი იმსახურებს, არც მეტი, არც ნაკლები.

შერილს თვალები ჩაუმუქდა, რადგან მიზანი დაინახა.

— შენ გინდა, სიყვარული დაუმსახურებლად მიიღო, — უთხრა ქალმა ქმარს შეკითხვის კი არა, განაჩენის გამოცხადების ტონით.

— ოჰ, შენ ვერ გაიგე!

— არა, ჯიმ, ძალიან კარგად გავიგე. სწორედ ეს არის, რაც გინდათ — რაც ყველა თქვენგანს სურს სინამდვილეში — არა ფული, არა მატერიალური მოგება, არა ეკონომიკური უსაფრთხოება, არა ის მოწყალება, რომელსაც თქვენ მუდმივად ითხოვთ, — შერილი მონოტონურად ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარ თავს უყვებოდა თავისი აზრების შესახებ, თითქოს ცდილობდა, საკუთარ გონებაში არსებული ქაოსის მტანჯველი ნაგლეჯებისთვის სიტყვების მყარი ფორმა მიეცა, — თქვენ, კეთილდღეობაზე მოქადაგეები, დაუმსახურებელ ფულს არ დაეძებთ. თქვენ სხვა სახის მოწყალება გსურთ. შენი აზრით, მე სულზე მონადირე ოქროს მაძიებელი ვარ, რადგან ღირებულებას დავეძებ. მაშინ თქვენ, კეთილდღეობაზე მოქადაგეები... სულის მძარცველები ყოფილხართ. მე არასოდეს მიფიქრია ამაზე და არც არავის უთქვამს ჩემთვის, როგორ უნდა მეფიქრა ამაზე და რას ნიშნავდა ეს სიტყვები — „სულიერად დაუმსახურებელი“. შენ სწორედ ეს გსურს. შენ დაუმსახურებელი სიყვარული გინდა. დაუმსახურებელი თაყვანისცემა გწადია. დაუმსახურებელი სიდიადე. შენ გინდა, ჰენკ რიერდენის მსგავსი ადამიანი გახდე, ისე, რომ არც კი სცადო, გახდე... ვინმე... საერთოდ, რაიმედ ყოფნის საჭიროების გარეშე.

— მოკეტე! — იყვირა ჯიმმა.

ორივენი თავზარდაცემულნი შეცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს იმ კლდის კიდეზე ტორტმანებდნენ, რომლის დასახელებაც შერილს არ შეეძლო და ჯიმს არ სურდა, ორივემ იცოდა, რომ მომდევნო ნაბიჯი შეიძლებოდა, საბედისწერო აღმოჩენილიყო.

— ხვდები მაინც, რას ბოდავ? — ჰკითხა ცოლს ტაგარტმა კეთილმოსურნედ, რამაც ცოლ-ქმარი თითქოს კეთილგონიერების, უწყინარი ოჯახური კამათის კალაპოტში დააბრუნა, — რომელ მეტაფიზიკურ საგანთან ცდილობ შეჭიდებას?

— არ ვიცი... — თქვა ქალმა უცნაურად და თავი დაღუნა, თითქოს კიდევ ერთხელ დაუსხლტა ხელიდან მოჩვენება, რომლის დაჭერასაც ცდილობდა, — არ ვიცი... ეს თითქოს შეუძლებელი ჩანს...

— ჯობს, ისეთ რამეს არ შეეჭიდო, რაც შენს ძალებს აღემატება, თორემ... — ჯიმმა საუბარი შეწყვიტა, რადგან ამ დროს ოთახში უფროსი მსახური შემოვიდა და მოციმციმე ყინულით სავსე სათლში ჩადგმული შამპანურის ბოთლი შემოიტანა, რომლითაც ახალი ამბავი უნდა აღენიშნათ.

ცოლ-ქმარს ხმა არ ამოუღია, როდესაც ოთახი იმ ხმებით აივსო, საუკუნეების მანძილზე დღესასწაულის სიმბოლოდ რომ დაედგინათ: გაისმა კორპის საცობის ამოვარდნის ხმა, ღია ოქროსფერი სითხის მხიარული წანწკარი, როდესაც ის სანთლის შუქზე აელვარებულ ორ ფართო სასმისში იღვრებოდა, ბუშტუკების შუშხუნი ბროლის სასმისებში, რომელიც საყოველთაო სიხარულისკენ მოუწოდებდა.

შერილსა და ჯიმს მსახურის გასვლამდე ხმა არ ამოუღიათ. ტაგარტი მაგიდასთან იჯდა და შამპანურის ბუშტუკებს დაჰყურებდა, ჭიქა დაუდევრად მოექცია ორ თითს შორის. შემდეგ უეცრად კონვულსიური მოძრაობით მუშტი შეკრა და შამპანურით სავსე სასმისი ისე ასწია, თითქოს დანა მოიღერა დასარტყმელად.

— ფრანცისკო დ'ანკონიას გაუმარჯოს! — თქვა ტაგარტმა.

შერილმა თავისი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— არა, — მიუგო მან ქმარს.

— შესვი! — დაუყვირა ცოლს ჯიმმა.

— არა, — უპასუხა ქალმა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

ცოლ-ქმარი წუთით ერთმანეთს შესცქეროდა, ოქროსფერ სითხეს შუქი დასთამაშებდა, თუმცა ის მათ სახეებამდე და თვალებამდე ვერ აღწევდა.

— ჯანდაბაშიც წასულხარ! — დაუყვირა ჯიმმა ცოლს, ფეხზე წამოხტა, სასმისი იატაკზე დაანარცხა და ოთახიდან გავარდა.

შერილი კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან, შემდეგ ნელა წამოდგა და მსახურის მოსახმობად ზარი დარეკა.

ქალი არაბუნებრივად თანაბარი ნაბიჯებით გაემართა თავისი ოთახისკენ, კარადიდან პიჯაკი და ერთი წყვილი ფეხსაცმელი გამოიღო და საშინაო ხალათი გაიხადა; შერილი ისეთი ფრთხილი სიზუსტით მოძრაობდა, თითქოს მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება იმაზე იყო დამოკიდებული, რომ თავის ირგვლივ ან საკუთარ არსებაში რაიმე არ შეერხია. მას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: სახლიდან უნდა წასულიყო, — თუნდაც ერთი საათით მაინც უნდა დაეტოვებინა ეს ადგილი, — რომ მოგვიანებით მზად ყოფილიყო, პირისპირ შეხვედროდა ყველაფერს, რაც მომავალში მოელოდა.

* * *

სტრიქონები გაიდღაბნა და თავი ასწია თუ არა, დაგნი მიხვდა, რომ უკვე დიდი ხნის წინ ჩამობნელებულიყო. მან გვერდზე გადადო ფურცლები, რადგან ნათურის

ანთება დაეზარა და თავს უსაქმურობისა და სიბნელეში ყოფნის ფუფუნება დაანება. მთლიანად მოსწყდა თავისი სასტუმრო ოთახის ფანჯრებს მიღმა განფენილ ქალაქს. მოშორებით კალენდარი 5 აგვისტოს აჩვენებდა.

დაგნის დაბრუნებიდან ერთი თვე გასულიყო. ამ პერიოდმა მას მხოლოდ სიცარიელე დაუტოვა. ეს იყო უმიზნო, დაუფასებელი შრომის პერიოდი, როდესაც ერთი ავარიული შემთხვევიდან მეორისკენ გარბოდა და ცდილობდა, რკინიგზის საბოლოო განადგურება შეეყოვნებინა — ეს ერთი თვე მიღწევათა ჯამი კი არა, ნულების ჯამი იყო, თავიდან აცილებული კატასტროფების ჯამი, კატასტროფების, რომლებიც მაინც არ მოხდებოდა, რადგან მატარებლებმა მოძრაობა პრაქტიკულად უკვე დიდი ხნის წინ შეწყვიტეს.

ზოგჯერ დაგნის ხილვა ეწვეოდა, მას თვალწინ ხეობა წარმოუდგებოდა ხოლმე, რომელიც მუდმივად არსებობდა სადღაც მის მეხსიერებაში, მაგრამ დროდადრო ხილულ ფორმას იღებდა. ამ ხილვას ადრეც შეხვედრია პირისპირ გამაბრუებელი უმოძრაობის დროს, უმოქმედო გადაწყვეტილებისა და დაუოკებელი ტკივილის ჭიდილში. ეს იყო ტკივილი, რომელიც მას უნდა გაეცნობიერებინა და ეთქვა: სადაც ამდენი, დაე, ესეც!

ხანდახან დილით, როდესაც სახეზე დაცემული მზის სხივები გააღვიძებდა, დაგნის უცებ ეგონა, რომ ჰემონდის ბაზარში იყო წასასვლელი საუზმისთვის ახლად დადებული კვერცხების საყიდლად; შემდეგ კი, როცა უკვე კარგად გამოფხიზლდებოდა, თავისი საძინებლის ფანჯრიდან დანისლულ ნიუ-იორკის ქუჩას დაინახავდა, მძიმე დარტყმას გრძნობდა. ის სიკვდილის შეხებას, უგულებელყოფილი რეალობის შეხებას ჰგავდა. „შენ ეს იცოდი“, — ეუბნებოდა დაგნი საკუთარ თავს, — „იცოდი, რა მოგელოდა, როდესაც არჩევანი გააკეთე“. ძალით აითრევდა სხეულს საწოლიდან, რომ არასასიამოვნო დღეს შეხვედროდა და ჩურჩულით ამბობდა: „დაე, ესეც“.

ყველაზე მტანჯველი დაგნისთვის ის მომენტები იყო, როდესაც ქუჩაში მიმავალი უცებ უცნობ გამვლელებს შორის მოოქროსფრო წაბლისფერ, მბრწყინავ თმას მოჰკრავდა თვალს, ამ დროს ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს მთელი ქალაქი უჩინარდებოდა, თითქოს მხოლოდ საკუთარი უმოძრაობაღა უშლიდა ხელს, რომ მიერბინა და ჩასჭიდებოდა მას; მაგრამ მეორე წამს ვიღაც სრულიად უმნიშვნელოს სახეს დაინახავდა და ერთ ადგილზე გაქვავებულს სიცოცხლე აღარ უნდოდა, სიკვდილს ნატრობდა. ცდილობდა, გაჰქცეოდა ასეთ მომენტებს; ცდილობდა, საკუთარი თავისთვის გამვლელების შეხედვა აეკრძალა; თავჩაქინდრული მხოლოდ ტროტუარს უყურებდა. მაგრამ ბოლოს მაინც გაურბოდა ხოლმე თვალი რომელიმე გამვლელის ოქროსფერი თმისკენ.

თავისი ოფისის ფანჯრებზე ჟალუზებს არ აფარებდა. ის მხოლოდ გოლტის დაპირებაზეღა ფიქრობდა: „თუ ახლა მიყურებ, სადაც არ უნდა იყო...“ ახლომახლო დაგნის ოფისის შენობასავით მაღალი არც ერთი ნაგებობა არ იდგა, მაგრამ ქალი მაინც დაჟინებით შეჰყურებდა შორეულ ცათამბჯენებს სურვილით შეპყრობილი, გაეგო, თუ რომელი იყო მათგან გოლტის სათვალთვალო პუნქტი. იქნებ გოლტი საკუთარი გამოგონების საშუალებით, სხივებისა და ლინზების მოწყობილობით ახერხებდა, ქალის ყოველი მოძრაობისთვის ედევნებინა თვალყური ერთი კვარტლით ან მილით დაშორებული რომელიმე ცათამბჯენიდან. საკუთარ სამუშაო მაგიდასთან და ფარდაგადაწეულ ფანჯარასთან გამუდმებით ფიქრობდა: „უბრალოდ, მინდა ვიცოდე, რომ მიყურებ, თუნდაც ვეღარასოდეს გნახო“.

ამ ყველაფრის გახსენებაზე ახლა, ჩაბნელებულ ოთახში მჯდომი, ფეხზე წამოხტა და ნათურა აანთო.

შემდეგ ერთი წამით ჩაღუნა თავი, თითქოს საკუთარ თავს დასცინოდა. აინტერესებდა, სიბნელით მოცულ ქალაქში მისი განათებული ფანჯრები ტანჯვის ნათება იყო, რომელიც დახმარების თხოვნას გამოხატავდა თუ შუქურა, რომელიც ჯერ კიდევ იცავდა სამყაროს.

კარზე ვიღაცამ დარეკა.

როდესაც კარი გააღო, გოგონას სილუეტი დაინახა, რომელსაც ბუნდოვნად ნაცნობი სახე ჰქონდა — განცვიფრებულ დაგნის ერთი წამი დასჭირდა იმის აღსაქმელად, რომ კართან მდგარი გოგო შერილ ტაგარტი იყო. მათ ერთმანეთი ქორწილის შემდეგ არც ენახათ, თუ არ ჩავთვლით ფორმალურ მისალმებას ტაგარტის კომპანიის შენობაში რამდენიმე შემთხვევითი შეხვედრისას.

შერილს მშვიდი და სერიოზული სახე ჰქონდა.

— ნებას მომცემთ, დაგელაპარაკოთ, — შერილი ცოტა ხანს შეყოვნდა და შემდეგ განაგრძო, — მის ტაგარტ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა დაგნიმ სერიოზული ხმით, — შემოდი.

დაგნიმ შერილის სახეზე რაღაც სასოწარკვეთილი სიმტკიცე ამოიკითხა, რაშიც კიდევ უფრო მეტად დარწმუნდა, როდესაც გაჩახჩახებული სასტუმრო ოთახის შუქში უკეთ დააკვირდა მას.

— დაჯექი, — უთხრა მან შერილს, მაგრამ გოგონა ისევ ფეხზე იდგა.

— მე აქ ვალის გადასახდელად მოვედი, — შერილი ისე ცდილობდა თავისი ემოციის დამალვას, რომ მისი ხმა არაბუნებრივად მშვიდად ჟღერდა, — მინდა, ბოდიში მოგიხადოთ იმისთვის, რაც ჩემს ქორწილში გითხარით. თქვენ არ ხართ ვალდებული, მაპატიოთ, მაგრამ ჩემი ვალია, გითხრათ — ვაცნობიერებ, რომ შეურაცხყოფას ვაყენებდი ყველაფერს, რითიც აღტაცებული ვიყავი და ვიცავდი იმას, რაც მძულდა.

ვხვდები, რომ ახლა ეს აღიარება აღარაფერს გამოასწორებს, უფრო მეტიც, ჩემი აქ მოსვლა უდანაშაულობის მტკიცებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. თქვენ არ ხართ ვალდებული, მომისმინოთ. ასე რომ, მე ჩემს ვალს გადახდილადაც ვერ ჩავთვლი.

მხოლოდ იმის უფლება მაქვს, დავიტოვო თქვენი კეთილი ნების იმედი, მათქმევინოთ ყველაფერი, რისი თქმაც მსურს.

გრძნობების ქარბუქი, რომელიც დაგნის დაატყდა მოულოდნელად, გადმოიცემოდა სიტყვებით: „წელიც არ გასულა, შენ კი რამდენი რამ გადაგიტანია!..“ — ხმამაღლა კი, თითქოს დახმარების ხელს უწვდიდა, სერიოზული გულწრფელობის ტონით უთხრა შერილს, — გამოასწორებს, და მინდა შენი სიტყვების მოსმენა. — დაგნის არ გაუღიმია, რადგან იცოდა, რომ ღიმილს შესაძლოა, მათ შორის არსებული ისედაც მერყევი წონასწორობა დაერღვია.

— ვხვდები, რომ სწორედ თქვენ მართავდით „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“. სწორედ თქვენ გაიყვანეთ „ჯონ გოლტის ხაზი“. თქვენი გონება და მხნეობა ამუშავებდა ყველაფერს. მგონი, თქვენ ფიქრობთ, რომ ჯიმს მე, მაღაზიის გამყიდველი გოგონა, ფულის გამო გავყევი. მაგრამ, იცით, მე მას ცოლად იმიტომ გავყევი, რომ მე... მე ის თქვენ მეგონეთ. ვფიქრობდი, რომ ჯიმი მართავდა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალს“.

ახლა ვიცი, რომ ის, — შერილი შეყოვნდა, შემდეგ კი მტკიცე ხმით გააგრძელა, თითქოს თავს არ ზოგავდა, რომ ბოლომდე ეთქვა ყველაფერი, — ღვარძლიანი

პარაზიტია, თუმცა არ მესმის, ზუსტად რა ტიპის ადამიანია და რატომ არის ასეთი. როდესაც ჩემს ქორწილში გესაუბრეთ, მეგონა, სიდიადეს ვიცავდი და მის მტერს ვუტევდი... მაგრამ, სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა... ეს ისეთი საშინელი და დაუჯერებელი წინააღმდეგობა იყო!.. ამიტომაც მინდოდა, თქვენთვის მეთქვა, რომ უკვე ვიცი სიმართლე... არა იმდენად თქვენი გულისთვის, რადგან არ მქონდა უფლება, მეფიქრა, რომ თქვენ განაღვლებდათ ეს, არამედ... იმ ყველაფრის გულისთვის, რაც მიყვარდა.

დაგნიმ აუჩქარებლად მიუგო:

— კეთილი, ნაწყენი არ ვარ.

— გმადლობთ, — წაიჩურჩულა შერილმა და წასასვლელად მოემზადა.

— დაჯექი.

შერილმა თავი გააქნია.

— სულ ეს... ეს იყო, რის თქმასაც ვაპირებდი, მის ტაგარტ.

დაგნიმ თავს უფლება მისცა, გაეღიმა, თუმცა ეს ღიმილი მხოლოდ მის თვალებში გამოკრთა, როდესაც შერილს ეუბნებოდა:

— შერილ, მე დაგნი მქვია.

შერილმა საპასუხოდ მხოლოდ ტუჩები შეარხია უხერხულად, თითქოს იღიმებოდა:

— მე... მე არ ვიცოდი, თუ მე უნდა...

— ჩვენ ხომ დები ვართ, ასე არ არის?

— არა! არა ჯიმის გამო! — წამოიძახა უნებურად შერილმა.

— არა ჯიმის გამო, არამედ ჩვენი არჩევნით. დაჯექი, შერილ. — შერილი დაემორჩილა დაგნის, თან ცდილობდა, არ გამოემჟღავნებინა თავისი სისუსტე და სურვილი, რომ დაგნის ის მიეღო, ცდილობდა, არ ჩასჭიდებოდა მულის მხარდაჭერას, — ალბათ საშინელება გამოიარე, ასეა?

— დიახ... მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს... ეს მხოლოდ ჩემი პრობლემაა... და ჩემი ბრალია.

— არ მგონია, შენი ბრალი იყოს.

შერილმა ჯერ არ უპასუხა დაგნის, შემდეგ კი მოულოდნელად სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა:

— იცით... მე მოწყალება არ მჭირდება.

— ჯიმი გეტყოდა, და ეს ასეც არის, რომ მე მოწყალებას არასდროს გავცემ.

— დიახ, მან მითხრა... მაგრამ, მე ვგულისხმობ...

— ვიცი, რასაც გულისხმობ.

— ვალდებული არ ხართ, ჩემზე იზრუნოთ... მე აქ საწუწუნოდ არ მოვსულვარ...

რომ კიდევ უფრო მეტად დაგამძიმოთ ტვირთით... ის ფაქტი, რომ მე ვიტანჯები, თქვენგან რაიმეს მოთხოვნის უფლებას არ მაძლევს.

— ასეა, ეს ფაქტი არა, მაგრამ შენ რომ ყველაფერ იმას აფასებ, რასაც მე, გაძლევს ამ უფლებას.

— თქვენ გულისხმობთ, რომ... მოწყალების გამო არ გსურთ ჩემთან საუბარი?

მხოლოდ იმიტომ არა, რომ გებრალებით?

— მართლა ძალიან მებრალები, შერილ, და მინდა, დაგეხმარო, მაგრამ არა იმიტომ, რომ იტანჯები, არამედ იმის გამო, რომ შენ ეს ტანჯვა არ დაგიმსახურებია.

— თქვენ გულისხმობთ, რომ შემწყნარებელი არ იქნებით ჩემი სისუსტის, წუწუნის ან უვარგისობის მიმართ? და მხოლოდ იმის გამო მომეპყრობით კეთილად, თუკი რაიმე კარგია ჩემში?

— რა თქმა უნდა.

შერილი არ განძრეულა, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს თავი მაღლა ასწია და რაღაც გამამახნევებელმა ბიძგმა მისი სახის ნაკვთებს ის იშვიათი გამომეტყველება მისცა, რომელიც ერთდროულად ტკივილსაც გამოხატავს და ღირსებასაც.

— ეს არ არის მოწყალება, შერილ. ჩემთან დალაპარაკების ნუ გეშინია.

— უცნაურია... პირველი ადამიანი ხართ, რომელსაც შემიძლია დაველაპარაკო... და ეს ისეთი მარტივი ჩანს... მე კი თქვენთან საუბრის მეშინოდა. დიდი ხანია, მინდოდა, პატიება მეთხოვა... იქიდან მოყოლებული, რაც სიმართლე გავიგე. მე თქვენი კაბინეტის კართანაც ვიყავი მოსული, მაგრამ კორიდორშივე გავჩერდი, რადგან შემოსასვლელად გამბედაობა არ მეყო... ამ საღამოს აქ მოსვლას არ ვაპირებდი. გარეთ უბრალოდ იმისთვის გამოვედი, რომ... რაღაც მომეფიქრებინა და მერე მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ თქვენი ნახვა მსურდა, რომ მთელ ქალაქში ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც უნდა მივსულიყავი და ერთადერთი რამ, რაც გასაკეთებელი დამრჩა.

— მოხარული ვარ, რომ ასე მოიქეცი.

— იცით, მის ტაგ... დაგნი, — უთხრა დაგნის შერილმა ნაზი და გაკვირვებული ხმით, — საერთოდ არ ყოფილხართ ისეთი, როგორსაც მოველოდი... ისინი, ჯიმი და მისი მეგობრები, ამბობდნენ, რომ თქვენ უხეში, გულცივი და უგრძნობი ხართ.

— მაგრამ ეს მართლაც ასეა, შერილ. მე ვარ კიდეც ასეთი იმ თვალსაზრისით, ისინი რომ გულისხმობენ — უთქვამთ კი მათ ოდესმე შენთვის, რა თვალსაზრისია ეს?

— არა, არც ერთხელ. როდესაც ვეკითხები, რას გულისხმობენ, ისინი მხოლოდ დამცინიან... ყოველთვის ასე იქცევიან. მაინც, რას გულისხმობდნენ, როდესაც თქვენზე ლაპარაკობდნენ?

— ყოველთვის, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს „უგრძნობლობაში“ ადანაშაულებს, იგულისხმება, რომ ეს ადამიანი სამართლიანია, რომ ეს ადამიანი არ გამოხატავს ემოციებს უსაფუძვლოდ და ბრალმდებლის მიმართაც არ იგრძნობს იმას, რასაც ის არ იმსახურებს. ბრალმდებელი გულისხმობს, რომ „გრძნობა“ მიზეზის, სულიერი ღირებულებებისა და რეალობის წინააღმდეგ წასვლაა. ის გულისხმობს... რა მოგვიდა? — ჰკითხა დაგნიმ შერილს, როდესაც მის სახეზე უცნაური დაძაბულობა შენიშნა.

— ეს... ეს სწორედ ის არის, რის გაგებასაც ასე დაჟინებით ვცდილობდი... ამდენი ხნის განმავლობაში...

— აბა, დააკვირდი, მიხვდები, რომ ამ ბრალდებას ყოველთვის დანაშაულის დასაცავად იყენებენ, და არა უდანაშაულობის. ასეთ ბრალდებას ვერასოდეს მოისმენ კარგი ადამიანისგან იმათი მისამართით, ვინც მას უსამართლოდ მოექცა. შენ მას ყოველთვის ნაძირალას პირიდან გაიგონებ იმათი მისამართით, ვინც მას ისე მოექცა, როგორც ნაძირალას, ვინც თანაგრძნობა არ გამოამჟღავნა მის მიერ ჩადენილი ბოროტებისადმი ან ამ ბოროტებით გამოწვეული მისი ტკივილისადმი. ეს მართლაც ასეა — ამ თვალსაზრისით მართლაც უგრძნობელი ვარ. მაგრამ ვისაც ამგვარი თანაგრძნობა ახასიათებს, ისინი არაფერს გრძნობენ ადამიანური სიდიადის ნებისმიერი გამოვლინებისადმი, არც ერთი იმ ადამიანისადმი და საქციელისადმი, რომელიც აღტაცებას, მოწონებასა და პატივისცემას იმსახურებს. აი, მე კი ვგრძნობ.

შენ მიხვდები, რომ ადამიანი ან ერთი ტიპის არის, ან მეორის. ვინც დანაშაულს თანაუგრძნობს, უდანაშაულობის მიმართ არაფერს იგრძნობს. ახლა კი, საკუთარ თავს ჰკითხე, ამ ორიდან რომელი ტიპის ადამიანია უგრძნობელი. მაშინ იმასაც მიხვდები, რა არის მოწყალების საპირისპირო მოტივი.

— რა არის? — ჩურჩულით იკითხა შერილმა.

— სამართლიანობა, შერილ.

უცებ შერილს გააჟრჟოლა და თავი ჩაკიდა.

— ღმერთო ჩემო! — ამოიკვნესა გოგონამ, — რომ იცოდეთ, როგორ მტანჯავდა ჯიმი, რადგან მწამდა იმის, რასაც ახლა თქვენ ამბობთ! — მან თავი მაღლა ასწია და ერთხელ კიდევ გააჟრჟოლა, თითქოს ემოციების გაკონტროლება აღარ შეეძლო; მზერაში შიში ჩაუდგა, — დაგნი, — დაიჩურჩულა გოგონამ, — დაგნი, მე მეშინია მათი... ჯიმის და დანარჩენების... იმის კი არ მეშინია, რომ ისინი რამეს დამიშავებენ... ასე რომ იყოს, უბრალოდ, გავიქცეოდი... მე იმის მეშინია, რომ გამოსავალი თითქოს აღარ არსებობს... მეშინია იმის, რასაც ისინი განასხეულებენ და... და იმის, რომ ისინი არსებობენ.

დაგნი სწრაფად მივიდა შერილთან და მისი სავარძლის სახელურზე ჩამომჯდარმა გოგონას დასამშვიდებლად მხარზე ხელი დაადო.

— დაწყნარდი, პატარა, — მიმართა მან შერილს, — შენ ცდები. ასე არ უნდა გეშინოდეს ადამიანების. არასოდეს არ უნდა გეგონოს, რომ მათი არსებობა დაბრკოლებას შეუქმნის შენს ცხოვრებას.

— მეჩვენება, თითქოს აღარასოდეს მექნება არსებობის შესაძლებლობა, ვიდრე ისინი იარსებებენ... აღარ მექნება შესაძლებლობა, სივრცე, სამყარო... არ მინდა, ამას ვგრძნობდე, ვცდილობ, თავიდან მოვიშორო, მაგრამ ეს შეგრძნება უფრო და უფრო მძაფრი ხდება და გასაქცევი ადგილიც აღარ მრჩება... ახსნაც კი არ შემიძლია, როგორია ეს განცდა, ვერა და ვერ ჩავწვდი მას და ჩემი შიშიც ნაწილობრივ ამით არის განპირობებული, რომ ვერაფერს მოიხელთებ. თითქოს მთელი სამყარო მოულოდნელად განადგურდა, კი არ აფეთქდა, — აფეთქება რაღაც მკვეთრი და კონკრეტულია, — არამედ თითქოს შემზარავად დარბილდა... თითქოს მყარი აღარაფერი არსებობდეს, არაფერს ჰქონდეს ფორმა, ქვის კედელშიც ისევე შეიძლებოდეს თითის შეყოფა, როგორც ჟელეში, მთებიც ჩამოიღვენთონ, შენობებიც ღრუბლების მსგავსად იცვლიდნენ ფორმას — აი, ასეთი იქნება სამყაროს დასასრული, არა ცეცხლი და გოგირდი, არამედ წებოვანი და ბლანტი ნივთიერება.

— შერილ... შერილ, საბრალო ბავშვო, საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსები ცდილობდნენ, სწორედ ასეთად ექციათ სამყარო — გაენადგურებინათ გონება, დაერწმუნებინათ ადამიანები, რომ ის მართლაც ასეთია. მაგრამ შენ ეს არ უნდა დაიჯერო. შენ შენი თვალთახედვა, საკუთარი შეხედულებები უნდა შეინარჩუნო. შენ აცნობიერებ, როგორია სამყარო სინამდვილეში და თქვი — ეს „არის“, ხმამაღლა, უწმინდესი ლოცვის მსგავსად, და უფლება არ მისცე არავის, სხვაგვარი აზრი მოგახვიონ თავს.

— მაგრამ... ისინი უკვე აღარაფერი აღარ „არიან“. ჯიმი და მისი მეგობრები აღარ არიან. როცა მათ შორის ვარ, არ ვიცი, რას ვხედავ, არ ვიცი, რა მესმის, როდესაც ისინი საუბრობენ... მათი არც ერთი სიტყვა სინამდვილეს არ შეესაბამება, რასაც ისინი აკეთებენ, ისეთი საშინელებაა... არ ვიცი, რას გეგმავენ ისინი... დაგნი! ჩვენ ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ ადამიანებს ცხოველებზე მეტის ცოდნა შეუძლიათ, მაგრამ ამწუთას ნებისმიერ ცხოველზე უფრო თავგზააბნეული და უმწეო ვარ.

ცხოველმა იცის, ვინ არიან მისი მეგობრები და მტრები და როდის დაიცვას თავი. ის არ მოელის, რომ მეგობარი სასტიკად მოექცევა, ყელში სწვდება. არ მოელის, რომ ეტყვიან, სიყვარული დრომოჭმული გადმონაშთია, ძარცვა წარმატებაა, განგსტერები სახელმწიფო მოღვაწეები არიან, ჰენკ რიერდენისთვის ხერხემლის გადამტვრევა კი დიდებული საქმეაო! — ღმერთო ჩემო, რას ვამბობ?

— ვხვდები, რასაც ამბობ.

— ნეტავ როგორ უნდა გავაგრძელო ადამიანებთან ურთიერთობა? თუ ერთი საათის განმავლობაშიც კი ვერაფერი ინარჩუნებს ფორმას, ცხოვრების გაგრძელება ხომ შეუძლებელი ხდება? ვიცი, რომ საგნები მყარია, მაგრამ ადამიანები? დაგნი!

ისინი თან არაფერნი არიან და თან ნებისმიერი რამ, რაც კი შეიძლება, კაცმა წარმოიდგინოს, ისინი არსებები კი არა, თითქოს უფორმო ღილაკები არიან, რომლებსაც მუდმივად იყენებენ. მაგრამ მე იძულებული ვარ, მათ შორის ვიცხოვრო. ეს როგორ უნდა შევძლო?

— შერილ, რასაც ახლა შენ ებრძვი, ეს კაცობრიობის ისტორიის უდიდესი პრობლემაა, ყველა ადამიანური ტრაგედიის საფუძველი. შენ გაცილებით უფრო მეტი რამ გესმის, ვიდრე ადამიანების უმეტესობას, რომლებიც ისე იტანჯებიან და კვდებიან, რომ ვერც კი იგებენ, რა გახდა მათი სიკვდილის მიზეზი. მე დაგეხმარები ამის გაგებაში. ეს სერიოზული თემა და მძიმე ბრძოლაა — მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, არაფრის არ უნდა გეშინოდეს.

შერილის გამომეტყველებაში უცნაური და ნაღვლიანი სურვილი იკითხებოდა, თითქოს დაგნის შორი მანძილიდან უყურებდა და ამაოდ ცდილობდა მასთან მიახლოებას.

— ნეტავ შემეძლოს, ბრძოლის უნარი ვინატრო, — თქვა მან, — მაგრამ არ ვნატრობ. გამარჯვებაც კი აღარ მინდა. არის ერთი რამ, რომლის შეცვლის ძალაც ჯერ კიდევ არ შემწევს. იცი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჯიმისნაირ კაცს თუ გავყვებოდი ცოლად. როცა ასე მოხდა, ვიფიქრე, რომ ცხოვრება გაცილებით უფრო მშვენიერი ყოფილა, ვიდრე ველოდი. ახლა კი, როდესაც უნდა შევეგუო აზრს, რომ ცხოვრებაც და ადამიანებიც გაცილებით უფრო საშინელნი არიან, ვიდრე როდისმე წარმოვიდგენდი, ხოლო ჩემი ქორწინება ბრწყინვალე სასწაული კი არა, რაღაც გამოუთქმელი ბოროტებაა, რომლის ბოლომდე შეცნობისაც ჯერ კიდევ მეშინია — სწორედ ამის მიღებას ვერ ვაიძულებ საკუთარ თავს. ამის დაძლევა არ შემიძლია.

უცებ შერილმა მაღლა აიხედა, — დაგნი, ეს როგორ შეძელით? როგორ მოახერხეთ, რომ ამ ყველაფერს თქვენზე გავლენა არ მოეხდინა?

— ერთი წესის მეშვეობით.

— რომელი წესის?

— იმ წესის საშუალებით, რომ ჩემს აზროვნებაზე მაღლა არაფერი დავაყენო.

— რამდენი საშინელი დარტყმა გადაიტანეთ... შესაძლოა, უფრო საშინელიც, ვიდრე მე.....უფრო საშინელიც, ვიდრე რომელიმე ჩვენგანმა... რამ გაგაძლებინათ? — იმისმა ცოდნამ, რომ ჩემი სიცოცხლე უზენაესი ღირებულებაა, იმდენად უზენაესი, რომ არ მაქვს უფლება, ბრძოლის გარეშე დავნებდე.

დაგნიმ შერილის სახეზე განცვიფრება შენიშნა, თითქოს გოგონას მისი საუბრიდან რაღაც ეცნო და ახლა წლების წინ განცდილი შეგრძნების გახსენებას ცდილობდა.

— დაგნი, — დაიჩურჩულა შერილმა, — ეს... ეს სწორედ ის არის, რასაც ბავშვობაში განვიცდიდი... ყველაზე კარგად საკუთარ თავზე ეს მახსოვს... ეს

გრძნობა... მე ის არც არასდროს დამიკარგავს. ის აქ არის, ყოველთვის აქ იყო, მაგრამ როდესაც გავიზარდე, მეგონა, რომ უნდა დამემალა... მისთვის არასდროს მიწოდებია სახელი, მაგრამ ახლა, შენ რომ ახსენე, უცებ გამიელვა გონებაში, რომ ეს იყო ჩემი გრძნობა... დაგნი, ასე რომ ფიქრობ შენს ცხოვრებასთან დაკავშირებით, კარგია?

— შერილ, ყურადღებით მომისმინე: ეს გრძნობა, ყველაფერ იმასთან ერთად, რასაც ის მოითხოვს და გულისხმობს, არის უზენაესი, უკეთილშობილესი და ერთადერთი სიკეთე დედამიწაზე.

— ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მე... მე ასე ფიქრს ვერ გავბედავდი. როგორღაც ადამიანები ყოველთვის მაიძულებდნენ, მეფიქრა, რომ ისინი ამას ცოდვად თვლიდნენ... თითქოს ჩემს ამ გრძნობას კიცხავდნენ,.. და მისი განადგურება სურდათ.

— მართალია. ზოგიერთ ადამიანს მართლა უნდა მისი განადგურება. და როდესაც ისწავლი მათი მოტივების გამოცნობას და ყველაზე ბნელ და მახინჯ, სამყაროში არსებულ ერთადერთ ბოროტებას შეიცნობ, შენ ეს ბოროტება უკვე ველარაფერს დაგაკლებს.

შერილის ღიმილი იმ სუსტ ალს ჰგავდა, რომელიც ცდილობს, საწვავის რამდენიმე წვეთით ცეცხლი ააგიზგიზოს.

— ეს პირველად ხდება ბოლო თვეების განმავლობაში, — დაიჩურჩულა შერილმა, — რომ თავს ისე ვგრძნობ, თითქოს... თითქოს ჯერ კიდევ მაქვს რაღაც იმედი. — გოგონამ დაინახა, როგორი ყურადღებით შესცქეროდა დაგნი და განაგრძო, — კარგად ვიქნები... ნება მომეცი, შევეჩვიო ამას, შეგეჩვიო შენ და ყველაფერს, რაც შენ თქვი. მგონი, შევძლებ დაჯერებას... იმის დაჯერებას, რომ ეს რეალურია... და, რომ ჯიმი ჩემს ცხოვრებაზე გავლენას ვერ მოახდენს.

შერილი ფეხზე წამოდგა, თითქოს ცდილობდა, მეტი სიმტკიცე მოეპოვებინა.

უეცრად დაგნიმ სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და შერილს მიმართა:

— შერილ, არ მინდა, რომ სახლში წახვიდე.

— ოჰ, არა! შინ დაბრუნების არ მეშინია.

— რაღაც უსიამოვნო ხომ არ მოხდა ამ საღამოს თქვენს სახლში?

— არა... მართლა... არაფერი იმაზე უარესი, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

უბრალოდ, მე რაღაც-რაღაცები ცოტათი უფრო მკაფიოდ დავინახე, სულ ეს იყო...

კარგად ვარ. მე უნდა ვიფიქრო, ვიფიქრო იმაზე უკეთ, ვიდრე როდისმე ვფიქრობდი... და შემდეგ გადავწყვეტ, რა უნდა გავაკეთო. შეიძლება... — შერილი შეყოვნდა. — გისმენ!

— შეიძლება, კიდევ დავბრუნდე თქვენთან დასალაპარაკებლად?

— რა თქმა უნდა.

— მადლობა, მე... მე ძალიან მადლიერი ვარ თქვენი.

— ხომ დამპირდები, რომ აუცილებლად დაბრუნდები?

— გპირდებით.

დაგნიმ დაინახა, როგორ გაემართა მხრებჩამოყრილი შერილი ლიფტისკენ, მერე როგორ მოიკრიბა მან უკანასკნელი ძალა და წელში გაიმართა. ღეროში გადატეხილ მცენარეს ჰგავდა, რომელიც ერთადერთი ბოჭკოს მეშვეობით ინარჩუნებდა მთლიანობას და ცდილობდა, ჭრილობა მოეშუშებინა, მცენარეს, რომელიც ქარის კიდევ ერთ დაბერვას ველარ გაუძლებდა, * * *

თავისი კაბინეტის ღია კარიდან ჯეიმს ტაგარტმა დაინახა, როგორ გაიარა შერილმა წინკარი და სახლიდან გავიდა. ჯიმმა კაბინეტის კარი ხმაურით მიხურა და დივანზე მძიმედ დაეშვა, შამპანურით დასველებული შარვალი ჯერ კიდევ არ გამოეცვალა, თითქოს საკუთარი თავისთვის დისკომფორტის შექმნით სამაგიეროს უხდიდა ცოლსა და მთელ სამყაროს, რომლებმაც მას სასიხარულო ამბის აღნიშვნის საშუალება არ მისცეს.

ცოტა ხნის შემდეგ ფეხზე წამოვარდა, სწრაფი მოძრაობით გაიხადა ქურთუკი და დაბლა დააგდო. შემდეგ სიგარეტი აიღო ხელში, მაგრამ მოულოდნელად შუაზე გადატეხა და ბუხრის თავზე ჩამოკიდებულ სურათს შეანარცხა.

თვალი მოჰკრა ვენეციური მინისგან დამზადებულ ლარნაკს, რამდენიმე საუკუნის სიძველის სამუზეუმო ნივთს; გამჭვირვალე ლარნაკი ლურჯი და ოქროსფერი გრეხილი ხაზებით იყო დასერილი. ტაგარტი სწვდა მას და კედელს შეანარცხა; ლარნაკი ელექტრონათურასავით წვრილ ნამცეცებად დაიმსხვრა.

თავის დროზე ჯიმმა ეს ლარნაკი იმისთვის იყიდა, რომ კმაყოფილება ეგრძნო, როდესაც იმ ხელოვნებათმცოდნეებს გაიხსენებდა, რომელთაც მსგავსი ნივთის შეძენა არ შეეძლოთ. ახლა კი მან კმაყოფილება იმ საუკუნეებზე შურისძიებით იგრძნო, რომლებმაც ლარნაკს ფასდაუდებელი ღირებულება შესძინეს, და კიდევ იმის გაცნობიერებით, რომ მილიონობით ისეთი გაჭირვებული ოჯახი არსებობდა, რომელიც ამ ნივთის საფასურით მთელი წლის განმავლობაში გაიტანდა თავს.

ტაგარტმა ფეხსაცმელები გაიძრო და დივანზე გადაწვა, წინდიანი ფეხები კი ჰაერში გადმოკიდა.

ზარის ხმამ ჯიმი გააოგნა: ეს ხმა თითქოს მის განწყობას შეესატყვისებოდა — მკვეთრი, მომთხოვნი და მოუთმენელი, ზუსტად ისეთი, როგორიც გაისმებოდა, ჯიმს რომ ახლა ვინმეს კარზე ზარი დაერეკა.

ტაგარტი მისი კაბინეტისკენ მომავალი მოსამსახურის ნაბიჯების ხმას უგდებდა ყურს, გადაწყვეტილი ჰქონდა, ჯანდაბაში გაეგზავნა ნებისმიერი, ვინც გულზე არ დაეხატებოდა. წუთის მერე კაბინეტის კარზე დააკაკუნეს, ოთახში მოსამსახურე შემოვიდა და ამცნო:

— მისის რიერდენს სურს თქვენი ნახვა, სერ.

— რა?.. ოჰ... კარგი! სთხოვე!

ჯიმმა ფეხები ჩამოიღო დივნიდან, თუმცა ეტიკეტის დაცვით მეტად თავი აღარ შეუწუხებია და მსუბუქი ღიმილით დაელოდა ლილიანის შემოსვლას. უნდოდა, მანამდე არ წამომდგარიყო, სანამ ლილიანი არ შევიდოდა.

ლილიანს სამგზავრო კოსტიუმის ყაიდაზე შეკერილი ღვინისფერი გრძელი კაბა ეცვა, მაღალ წელზე მჭიდროდ შემოტმასნოდა ღილებით ორ რიგად გაწყობილი მინიატურული ქურთუკი, ცალ მხარეს ყურზე ჩამოწეული პატარა ქუდის ბუმბულის ფრთა ნიკაპამდე სცემდა. ოთახში უხეში, არეული ნაბიჯებით შემოვიდა, კაბის შლეიფსა და ქუდის ბუმბულს გემის სასიგნალო, საფრთხის მიმანიშნებელი დროშასავით მოაფრიალებდა, ისე, რომ ერთი ფეხებზე შემოეხლართა, მეორე — ყელზე.

— ლილიან, ძვირფასო, უნდა გამიხარდეს თუ უნდა გამიკვირდეს?

— ოჰ, ნუ აზვიადებ! შენი ნახვა მომინდა, რაც შეიძლება სწრაფად, სულ ეს არის.

ლილიანის გაღიზიანებული ტონი და მბრძანებლური შესახედაობა, როდესაც დაჯდა, მის სისუსტეზე მეტყველებდა: მათი დაუწერელი წესების მიხედვით, ასე ის

ადამიანები იქცეოდნენ, რომლებსაც დახმარება სჭირდებოდათ, თავად კი არც რაიმეს შეთავაზება შეეძლოთ და არც საშიშნი იყვნენ.

— რატომ არ დარჩი გონსალესის გამართულ წვეულებაზე? — ჰკითხა ქალმა ტაგარტს ნაძალადევი ღიმილით, რომლის მიღმაც გაღიზიანება იმალებოდა, — მე იქ ვახშმის შემდეგ მივედი, შენ რომ მენახე, მაგრამ მითხრეს, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდი და სახლში წახვედი.

ჯიმმა ოთახი გადაკვეთა და სიგარეტი აიღო, რომ ლილიანის ელეგანტური ჩაცმულობის ფონზე თავისი წინდიანი ფეხების გამოჩენით ესიამოვნა.

— მომბეზრდა, — უპასუხა მან ქალს.

— ვერ ვიტან, — თქვა ლილიანმა და ცოტათი გააჟრჟოლა; ჯიმმა გაკვირვებით შეხედა ქალს: ლილიანის სიტყვები უნებლიე და გულწრფელი ჩანდა, — ვერ ვიტან სენიორ გონსალესსა და მის კახპა ცოლს. რა გულისამრევია, რომ ისინი და მათი გამართული წვეულებები ასე მოდური გახდა. აღარსად აღარ მინდა წასვლა. ყველაფერს დაეკარგა ადრინდელი პენი. თვეებია, რაც ბალფ იუბენკთან, დოქტორ პრიტჩეტთან და სხვებთან არ ვყოფილვარ. ეს ახალი ტიპები კი ყასბის შეგირდებს ჰგვანან! ჩვენი წრის ადამიანები, სხვა თუ არაფერი, ჯენტლმენები მაინც იყვნენ.

— მართალია, — დაეთანხმა ჯიმი, — მართლაც საგრძნობი სხვაობაა. სარკინიგზო კომპანიაშიც იგივე ხდება: კლემ ვეზერბისთან კიდევ შემეძლო ნორმალური ურთიერთობა, ის კულტურული ადამიანი მაინც იყო, მაგრამ კაფი მეგზს რაც შეეხება — ეს სულ სხვა კატეგორიაა, ეს... — ჯიმი უცებ გაჩუმდა.

— სრული აბსურდია, — თქვა ლილიანმა ისეთი ტონით, თითქოს ზოგადად სიცარიელეს იწვევდა ბრძოლაში, — ისინი ამისგან თავს ვერ დაიძვრენენ.

„ვინ ვერ დაიძვრენდა თავს“ და „რისგან“, არ დაუზუსტებია, მაგრამ ჯიმი მაინც მიხვდა, რასაც გულისხმობდა ლილიანი. ერთი წუთით დუმილი ჩამოწვა, თითქოს ორივენი ცდილობდნენ, სიმშვიდე მოეპოვებინათ.

მეორე წუთს კი ტაგარტმა სიამოვნებით გაიფიქრა, რომ ლილიანს ნელ-ნელა დაეტყო ასაკი. ბურგუნდიული ღვინისფერი კაბა არ უხდებოდა, თითქოს მისი სახის კანს აუფერულებდა, ბუნებრივი ელფერი ოდნავ შესამჩნევ ნაოჭებსღა დაუყვებოდა, რაც სახეს მოქანცულ იერს სძენდა, ეს კი ღიმილს ღვარძლის გრიმასას ამსგავსებდა.

ტაგარტმა შენიშნა, რომ ლილიანი სახეზე აკვირდებოდა, შემდეგ ქალმა ლამის შეურაცხმყოფელი, უხეში ტონით უთხრა:

— შენ თავს ცუდად გრძნობ, არა, ჯიმ? გალოთებულ მეჯინიბეს ჰგავხარ.

ტაგარტმა ჩაიცინა:

— გადავიტან.

— ვიცი, ძვირფასო. შენ ხომ ნიუ-იორკში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცი ხარ. — შემდეგ კი დაამატა, — კარგი ხუმრობაა ქალაქ ნიუ-იორკზე.

— კარგია.

— ვაღიარებ, რომ სწორედ შენს ხელშია ძალაუფლება. ამიტომ უნდა მოვსულიყავი შენ სანახავად. — ნათქვამის შესარბილებლად ლილიანმა მსუბუქად ჩაიცინა.

— კარგია, — მიუგო ჯიმმა მშვიდი და გულგრილი ხმით.

— იძულებული გავხდი, აქ მოვსულიყავი, ვფიქრობდი, ასე აჯობებდა, ერთად რომ არავის ვენახეთ.

— ყოველთვის ასე ჯობს.

— როგორც მახსოვს, ადრე რამდენიმეჯერ დაგეხმარე.

— ადრე — კი.

— დარწმუნებული ვარ, შემიძლია, შენი იმედი ვიქონიო.

— რა თქმა უნდა — მაგრამ მეტისმეტს ხომ არ მოითხოვ ჩემგან? როგორ შეიძლება, როდისმე ბოლომდე ვიყოთ დარწმუნებული რაიმეში?

— ჯიმ, — წამოიძახა ლილიანმა მოულოდნელად, — უნდა დამეხმარო!

— ძვირფასო, შენს სამსახურში მიგულე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაგეხმარო, — უპასუხა ჯიმმა, მათი სასაუბრო ენის წესების მიხედვით, ყველა მკაფიო და გასაგები აზრი აშ კარა ტყუილის ფორმით უნდა გადმოცემულიყო. „ლილიანი შეცდომას უშვებს“, — გაიფიქრა ტაგარტმა, ესიამოვნა, მოწინააღმდეგეს ასე დაუძლურებულს რომ ხედავდა.

ისიც შენიშნა, რომ ლილიანი თავსაც კი აღარ უვლიდა ადრინდელი გულმოდგინებით. ქალს თმა ოდნავ ჩამოშლოდა, ფრჩხილებზე კაბის ფერთან შეხამებული, შედედებული სისხლისფერი ლაკი ესვა, ოღონდ ალაგ-ალაგ დამსკდარი და გადაქექილი. გლუვ, რბილ კანზე კი, კაბის ღრმად ამოჭრილ ოთხკუთხა დეკოლტეში, პატარა ქინძისთავი უელავდა, რომლითაც პერანგის ბრეტელი ჰქონდა დამაგრებული.

— შენ არ უნდა დაუშვა, რომ ეს მოხდეს! — მიმართა ლილიანმა ჯიმს ბრძანებად შენიღბული ვედრების აგრესიული ტონით, — შენ ეს უნდა შეაჩერო!

— მართლა? რა?

— ჩემი განქორწინება.

— ოჰ!.. — ჯიმმა მოულოდნელად სერიოზული სახე მიიღო.

— შენ ხომ იცი, რომ ჰენკი ჩემთან განქორწინებას აპირებს?

— რაღაც ჭორები გავიგე ამის შესახებ.

— პროცესი შემდეგი თვისთვის არის დაგეგმილი. „დაგეგმილი“ — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ოჰ, ეს ჩემს ქმარს ძალიან დიდი თანხა დაუჯდა — მოისყიდა მოსამართლე, კლერკები, აღმასრულებლები, აღმასრულებელთა თანაშემწეები, ამ თანაშემწეების თანაშემწეები, რამდენიმე კანონმდებელი, ექვსიოდე ადმინისტრატორი. მან მთელი სამართლებრივი პროცესი კერძო ქუჩასავით იყიდა და მე ერთი გზაჯვარედინიც კი აღარ დამრჩა, თავი რომ დავიძვრინო!

— მესმის.

— ალბათ ისიც გეცოდინება, რატომ დაიწყო ჰენკმა განქორწინების პროცესი?!

— ვხვდები.

— და მე ჩემი კეთილი ნებით გაგიკეთე ეს! — ლილიანის ხმა უფრო და უფრო მღელვარე და გულგამგმირავი ხდებოდა, — შენი დის შესახებ იმიტომ მოგიყევი, რომ მიგეღო შენი მეგობრებისთვის ის ჩუქების სერტიფიკატი, რომელიც...

— გეფიცები, არ ვიცი, ვინ გაამჟღავნა ეს ამბავი! — ნაჩქარევად წამოიძახა ჯიმმა, — მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა მაღლა, რომ შენ იყავი ჩვენი ინფორმატორი და დარწმუნებული ვარ, ვერავინ გაბედავდა, ეხსენებინა...

— ოჰ, მჯერა, რომ ამას არავინ გაამჟღავნებდა. ჰენკი თავად მიხვდებოდა ყველაფერს, ასე არ არის?

— კი, მეც ასე მგონია. რას იზამ, შენ უნდა გცოდნოდა, რომ რისკზე მიდიოდი.

— არ მიფიქრია, თუ ჰენკი ასე შორს წავიდოდა. არ მეგონა, თუ როდისმე გამშორდებოდა. არ...

ჯიმმა გესლიანად ჩაიცინა:

— არ იცოდი, რომ დანაშაულის განცდა დროთა განმავლობაში არაეფექტური ხდება, ლილიან?

ქალმა ტაგარტს განცვიფრებული სახით შეხედა, შემდეგ კი ცივად უპასუხა:

— მე ასე არ ვფიქრობ.

— ასეა, ჩემო ძვირფასო, როცა შენი ქმრისნაირ ადამიანებს ეხება საქმე.

— არ მინდა, რომ გამშორდეს! — მოულოდნელად წამოიყვირა ლილიანმა, — არ მინდა, რომ მას თავისუფლება მივცე! ამის ნებას არ მივცემ! არ დავუშვებ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება სრული მარცხი აღმოჩნდეს! — უცებ გაჩუმდა, თითქოს ზედმეტი წამოსცდა.

ტაგარტმა ხმადაბლა ჩაიხითხითა, თან თავი დაუქნია ჭკვიანური, ლამის დიდებული გამომეტყველებით, იმის ნიშნად, რომ სავსებით ესმოდა მისი.

— მე ვგულისხმობ... ასეა თუ ისე, ყველაფრისდა მიუხედავად, ის მაინც ჩემი ქმარია, — თქვა ლილიანმა, თითქოს თავს იცავდა.

— კი, ლილიან, კი, მესმის.

— იცი, რას აპირებს? გამშორდეს და ერთი ცენტიც კი არ დამიტოვოს — არც ქონება, არც ალიმენტი, საერთოდ არაფერი! უნდა, ყველაფერი თვითონ გადაწყვიტოს.

ვერ ხვდები? თუ ის ამას მოახერხებს, მაშინ... მაშინ, გამოდის, რომ ჩუქების სერთიფიკატი სულაც არ ყოფილა ჩემი გამარჯვება!

— კი, ძვირფასო, ვხვდები.

— ამას გარდა... დაუჯერებელია, რომ ამაზე ფიქრი მიწევს, მაგრამ რითი უნდა ვიცხოვრო? მე თვითონ ძალიან მცირე თანხა მაქვს. ეს ფული ძირითადად მამაჩემის დროინდელი ქარხნების აქციებია, რომლებიც დიდი ხნის წინ დაიხურა. რა უნდა გავაკეთო?

— კი მაგრამ, ლილიან, — მიმართა ქალს ჯიმმა მშვიდი ხმით, — მეგონა, შენ ფული და მატერიალური კომპენსაცია არ გაინტერესებდა.

— შენ არ გესმის! მე ფულზე კი არა, სიღატაკეზე ვლაპარაკობ! ნამდვილ და საშინელ სიღატაკეზე! ასე ცივილიზებული ადამიანი ვერ იცხოვრებს! მე — მე საკვებსა და ბინის ქირაზე უნდა ვიფიქრო?

ტაგარტი ქალს ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უყურებდა: ამ მოშვებულ, სიბერეშეპარულ სახეზე თითქოს აზრიანი გამომეტყველება გაჩნდა, მისთვის გასაგები, თუმცა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თვითონ სურდა.

— ჯიმ, უნდა დამეხმარო! ჩემი ადვოკატი უძლურია. ის მცირე თანხა, რაც მებადა, მასა და მის გამომძიებლებს, მეგობრებსა და თანაშემწეებს დავახარჯე — მაგრამ მათ თურმე არაფერი შესძლებიათ. ჩემმა ადვოკატმა საბოლოო ანგარიში დღეს, შუადღისას ჩამაბარა. მან პირდაპირ მომახალა, რომ შანსი არ მაქვს. ისეთს არავის ვიცნობ, ვინც ამ ბრძოლაში დამეხმარება. ბერტრამ სკადერის იმედი მქონდა, მაგრამ... თვითონაც კარგად იცი, რაც დაემართა ბერტრამს. და ესეც იმის გამო მოხდა, რომ მე შენს დახმარებას ვცდილობდი. შენ ასეთი რთული სიტუაციიდან უკვე დაიძვრინე თავი, ჯიმ, ახლა კი ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისაც შეუძლია, მეც გადამარჩინოს. დაუკავშირდი შენს გავლენიან ნაცნობებს. ჩააწვეთე შენს მეგობრებს, სიტყვა შემაწიონ თავიანთ მეგობრებთან. უესლის ერთი წინადადებაც საკმარისი იქნება ამ საქმის მოსაგვარებლად. უთხარი მათ, რომ არ დაამტკიცონ ჩვენი განქორწინების სასამართლო გადაწყვეტილება. უბრალოდ, არ დაამტკიცონ.

ჯიმმა თავი ნელი მოძრაობით გააქნია თანაგრძნობის ნიშნად, ზედმეტად მონდომებული დილეტანტის ქცევით დაღლილი პროფესიონალივით.

— ეს შეუძლებელია, ლილიან, — მიმართა ქალს ტაგარტმა მტკიცე ხმით, — დიდი სიამოვნებით დაგეხმარებოდი, საამისოდ მეც იგივე მიზეზები მაქვს, რაც შენ, და მგონი, ეს თვითონაც კარგად იცი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი ძალები საკმარისი არ არის.

ლილიანი ჯიმს უცნაურად, უსიცოცხლოდ გარინდებული თვალებით შესცქეროდა; როდესაც ის ალაპარაკდა, ტუჩები ისეთი საშინელი ზიზღით დაემანჭა, ტაგარტმა მხოლოდ იმის გაცნობიერება გაბედა, რომ ეს სიძულვილი ორივეს ეხებოდა — მასაც და თავად ლილიანსაც:

— ვიცი, რომ სიამოვნებით დამეხმარებოდი.

ტაგარტს თავის მოკატუნება არ მოუნდა; სიმართლე სასიამოვნო ეჩვენა — ცხოვრებაში პირველად.

— მგონი, შენც ხვდები, რომ ეს შეუძლებელია, — მიმართა მან ქალს, — ჩვენს დროში უანგაროდ არავინ ირჯება და თანაც ფსონი სულ უფრო და უფრო იზრდება. გავლენიან პირებს შორის ურთიერთობა კი ისეა გართულებული და ჩახლართული, რომ ყველამ ყველას საიდუმლო იცის და მოქმედებას ვერავინ ბედავს, რადგან ვერ ხვდებიან, პირველი ვინ დაზარალდება. ასე რომ, ისინი მხოლოდ მაშინ იმოქმედებენ, როდესაც მეტი გზა არ ექნებათ, თუკი სიკვდილ-სიცოცხლის საქმე წყდება და, მართალი გითხრა, ახლა ყველას სადარდებელი სწორედ ასეთი საქმეებია. რას ნიშნავს შენი პირადი ცხოვრება გავლენიანი ბიჭებისთვის? ეს შენ გინდა ქმრის შენარჩუნება, თორემ ისინი ამ საქმეს რას გამორჩებიან? მე მათ ვერაფერს შევთავაზებ იმის სანაცვლოდ, რომ სასამართლოს მომგებიანი გარიგება დააკარგვინონ. ესეც რომ არ იყოს, ამ მომენტში გავლენიანი ბიჭები ამას არაფრის ფასად არ გააკეთებენ. მათ დიდი სიფრთხილე მართებთ შენს ქმართან მიმართებით — ჰენკი ამ მომენტში მათგან დაცულია — იქიდან მოყოლებული, რაც ჩემმა დამ რადიოგადაცემაში განცხადება გააკეთა.

— შენ მთხოვე, რომ დაგნი იძულებული გამეხადა, იმ გადაცემაში მიეღო მონაწილეობა!

— ვიცი, ლილიან. ჩვენ მაშინ ორივემ წავაგეთ და ახლაც ორივენი ვაგებთ.

— ასეა, — უპასუხა ლილიანმა კვლავ სიძულვილით სავსე თვალებით, — ჩვენ, ორივენი. ქალის თვალებში დანახულმა ზიზღმა ჯიმს სიამოვნება მოჰგვარა, ეს იყო სიამოვნების უდარდელი და უჩვეულო ფორმა, გამოწვეული იმის გაცნობიერებით, რომ ქალი ხედავდა მის ნამდვილ სახეს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მის არსებობას მაინც ემორჩილებოდა და სავარძლის საზურგეს მიყრდნობილი, თითქოს თავის მონობას აღიარებდა.

— შენ საოცარი ადამიანი ხარ, ჯიმ, — მიმართა ლილიანმა ტაგარტს. მისი სიტყვები წყევლასავით გაისმა. ეს ვალის მოხდა იყო, ჯიმს კი სიამოვნებდა გაცნობიერება, რომ ორივენი იმ სამყაროში ცხოვრობდნენ, სადაც წყევლას დიდად აფასებდნენ.

— იცი, — დაიწყო მოულოდნელად ტაგარტმა, — შენ სწორად არ მსჯელობ ყასბის შეგირდების, გონსალესის მსგავსი ადამიანების შესახებ. მათ თავიანთი ფუნქცია აქვთ. ფრანცისკო დ'ანკონია როდისმე მოგწონდა?

— ვერ ვიტან.

— კარგი მაშინ, იცი, დღეს საღამოს სენიორ გონსალესთან გამართული კოქტეილის წვეულების ნამდვილი მიზეზი რა იყო? ეს წვეულება იმ ხელშეკრულების აღსანიშნავად გაიმართა, რომლის ძალითაც დ'ანკონიას სპილენძის მწარმოებელი კომპანია დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სახელმწიფო საკუთრება გახდება.

ლილიანი ერთი წუთით შესცქეროდა ტაგარტს, შემდეგ კი მისი ტუჩების კუთხეებში ღიმილი გამოკრთა:

— ფრანცისკო ხომ შენი მეგობარი იყო?

ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოითქვა, როგორიც ჯიმს ადრე არასდროს დაუმსახურებია, ლილიანის ხმაში აღფრთოვანება ისმოდა, რასაც ჯიმი ჩვეულებრივ მხოლოდ თაღლითობით აღწევდა. ახლა კი პირველად მიმართეს ამ ტონით მისი საქციელის ნამდვილი ბუნების სრული გაცნობიერების შედეგად.

უცებ ტაგარტი მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო მისი მშფოთვარე საათების მიზანი, სწორედ ეს იყო სიამოვნება, რომლის პოვნის იმედიც გადაწურული ჰქონდა, სწორედ ასეთი ზეიმი სურდა მას.

— მოდი, დავლიოთ, ლილ, — მიმართა მან ქალს.

სასმისს რომ უვსებდა, ჯიმმა ლილიანს გახედა, ქალი სავარძელში გადაწოლილიყო.

— ნება მიეცი ჰენკს, გაგეყაროს, — უთხრა ქალს ტაგარტმა, — სულერთია, გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლება მას მაინც არ ექნება. გადამწყვეტ სიტყვას ყასბის შეგირდები — სენიორ გონსალესი და კაფი მეგზი იტყვიან.

ლილიანს საპასუხოდ არაფერი უთქვამს. როდესაც ჯიმი ქალს მიუახლოვდა, მან ტაგარტს ხელის დაუდევარი მოძრაობით გამოართვა სასმისი. ლილიანი საზოგადოებაში მიღებული მანერით კი არა, სამიკიტნოში განმარტოებით მჯდომი ლოთის მსგავსად სვამდა — ხარბად, სულმოუთქმელად.

ტაგარტი დივნის სახელურზე ჩამოჯდა, შეუფერებლად ახლოს ლილიანთან, თან წრუპავდა და თან ქალის სახეს აკვირდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— რას ფიქრობს ჰენკი ჩემ შესახებ?

ამ კითხვას ლილიანი არ გაუკვირვებია.

— ჰენკი შენ სულელად გთვლის, — უპასუხა მან ტაგარტს, — ის ფიქრობს, რომ ცხოვრება ზედმეტად ხანმოკლეა იმისთვის, რომ შენნაირი ადამიანის არსებობას ყურადღება მიაქციოს.

— ის ყურადღებას მომაქცევდა, თუ... — ჯიმს წინადადება არ დაუმთავრებია.

— თუ შენ მას თავში კეტს ჩაარტყამდი? დარწმუნებული არ ვარ ამაში. ალბათ უფრო საკუთარ თავს გაამტყუნებდა, კეტი რომ ვერ აიცილა. თუმცა, იქნებ ასე მაინც გამოგსვლოდა რაიმე.

ლილიანი კიდევ უფრო ღრმად ჩაეშვა სავარძელში, მუცელი კი წინ გამოსწია, თითქოს ჯიმს ისეთი სახის სიახლოვეს სთავაზობდა, რომელსაც თავდაჭერასთან და პატივისცემასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

— როდესაც ჰენკი გავიცანი, — თქვა ლილიანმა, — პირველად სწორედ ამან მიიპყრო ჩემი ყურადღება: მას არ ეშინოდა. თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაუშავებდა რამეს — იმდენად დარწმუნებული, რომ წამით არ დაეჭვებულა საკუთარ თავში.

— ბოლოს როდის ნახე?

— სამი თვის წინ. იქიდან მოყოლებული არ მინახავს, რაც... რაც ჩუქების სერტიფიკატს...

— მე მას ორი კვირის წინ მრეწველების შეკრებაზე მოვკარი თვალი. ისევ ისეთი თავდაჯერებული ჩანდა — უფრო მეტადაც კი. ახლა უკვე თითქოს აცნობიერებს კიდეც ამას. შენ დამარცხდი, ლილიან.

ქალმა არაფერი უპასუხა. მან ხელუკუღმა გადაიგდო ქუდი თავიდან; ქუდი ხალიჩაზე დავარდა, მისმა ბუმბულის ფრთამ კი კითხვის ნიშნის ფორმა მიიღო.

— მახსოვს, პირველად რომ ვნახე მისი ქარხნები, — ხმადაბლა განაგრძო ლილიანმა, — მისი ქარხნები! ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავდა ისინი მისთვის. ვერ წარმოიდგენ, რა ქედმაღალი უნდა იყოს ადამიანი, რათა ეგონოს, რომ ყველაფერი, რაც ეკუთვნის და რასაც ხელით შეეხო, მისი ერთი შეხებისთანავე წმინდა ხდება. მისი ქარხნები, მისი მეტალი, მისი ფული, მისი სანოლი, მისი ცოლი! — ლილიანმა ტაგარტს ახედა, ქალის თვალების ლეთარგიულ სიცარიელეში ძლივს შესამჩნევი სხივი გაკრთა, — ჰენკს არასოდეს მიუქცევია ყურადღება შენი არსებობისთვის. არც ჩემს არსებობას აქცევდა ყურადღებას. მე კვლავ მისის რიერდენი ვარ და ვიქნები კიდევ ერთი თვის განმავლობაში მაინც.

— ჰო... — მიუგო ჯიმმა, თან ქალს მოულოდნელად მოზღვავებული ინტერესით შეხედა.

— მისის რიერდენი! — ჩაიცინა ლილიანმა, — ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავდა ეს მისთვის. ფეოდალური ხანის არც ერთი მმართველი არ გრძნობდა და არ ითხოვდა ასეთ პატივისცემას თავისი ცოლის ტიტულისადმი და არ აღიქვამდა მას ღირსების ამგვარ სიმბოლოდ. საკუთარი მტკიცე, ხელშეუხებელი, ურღვევი და შეუბღალავი ღირსების სიმბოლოდ! — ლილიანმა ხელით გაურკვეველი მოძრაობა მოხაზა და ჩაიცინა, — კეისრის ცოლი! — ჩაიცინა ქალმა, — გახსოვს, როგორი უნდა ყოფილიყო კეისრის ცოლი? არა, არ გეხსომება. კეისრის ცოლი უმწიკვლო უნდა ყოფილიყო.

ჯიმი ლილიანს უსუსური სიძულვილით სავსე უცნაური მზერით დასცქეროდა, ქალი მისი სიძულვილის ობიექტი კი არა, უეცარი სიმბოლო იყო.

— ჰენკს ხომ არ მოსწონდა, როდესაც მისი მეტალი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, როდესაც ნებისმიერ შემთხვევით გამვლელს შეეძლო... მოსწონდა?

— არა, არ მოსწონდა.

ტაგარტის სიტყვები ძნელი გასარჩევი იყო, თითქოს ვისკის ზემოქმედებით:

— არ მითხრა, რომ ჩუქების სერტიფიკატის მისაღებად მხოლოდ ჩემ გამო დაგვეხმარე და თვითონ სანაცვლოდ არაფერი მიგიღია... ვიცი, რატომაც გააკეთე ეს.

— შენ ეს მაშინაც იცოდი.

— რა თქმა უნდა. ამიტომაც მომწონხარ, ლილიან.

ჯიმი ლილიანის ღრმა დეკოლტეს თვალს ვერ სწყვეტდა. ტაგარტს არც ქალის გლუვი კანი იზიდავდა და არც მისი ამობურცული მკერდი, მის მზერას იმ სამაგრის სიყალბე იპყრობდა, რომლითაც ლილიანს პერანგის ბრეტელი დაემაგრებინა.

— მინდა, დამარცხებული რიერდენი ვნახო, — თქვა ჯიმმა, — მსურს, ერთხელ მაინც მოვისმინო, როგორ ყვირის ტკივილისგან.

— შენ ამას ვერასდროს ნახავ, ჯიმ.

— რატომ მიიჩნევს ჰენკი თავს ჩვენზე უკეთესად — ის და ჩემი და?

ლილიანმა ჩაიცინა.

ჯიმი მოულოდნელად წამოხტა ფეხზე, თითქოს ქალს მისთვის ხელი გაერტყას. ბართან მივიდა და სასმელი კიდევ დაისხა, ისე, რომ ლილიანისთვის არც კი შეუთავაზებია.

ლილიანი თითქოს სივრცეს ელაპარაკებოდა, ჯიმის მიღმა იყურებოდა:

— ის ჩემს არსებობას ყურადღებას არ აქცევდა. მართალია, მე არ შემიძლია, გავიყვანო რკინიგზის ხაზები მისთვის და მისი მეტალის სადიდებლად ხიდები ავაგო, არ შემიძლია, ავაშენო მისი ფოლადსასხმელი ქარხნები — თუმცა, მათი განადგურება შემიძლია. არ შემიძლია, ვაწარმოო მეტალი, მაგრამ შემიძლია, ჰენკს წავართვა ის. მე არ შემიძლია, ადამიანები ვაიძულო, აღტაცებისგან მუხლი მოიყარონ ჩემ წინაშე, მაგრამ მათი დაჩოქება კი ნამდვილად შემიძლია.

— მოკეტე! — იყვირა ჯიმმა შეშინებული ხმით, თითქოს ლილიანი ნისლში გახვეულ იმ ჩიხს უახლოვდებოდა, რომელიც უხილავი უნდა დარჩენილიყო.

ქალმა ტაგარტს ახედა:

— ლაჩარი ხარ, ჯიმ.

— რატომ არ თვრები? — წამოიძახა ჯიმმა და თავისი ჭიქა, რომელშიც კიდევ იყო დარჩენილი სასმელი, ლილიანს პირთან ისეთი სწრაფი მოძრაობით მიუტანა, თითქოს უნდოდა, დაერტყა მისთვის.

ქალმა ჭიქას ხელი წაავლო და მოიყუდა. სასმელი ნიკაპზე, მკერდზე და კაბაზე ეღვრებოდა.

— ოჰ, ჯანდაბა, ლილიან, რა სასაცილო ხარ! — უთხრა ქალს ჯიმმა და თავიც არ შეუწუხებია ხელსახოცის მოტანით, თავისი ხელისგულით სცადა, ჩამოწუწული სასმელი მოეწმინდა. ტაგარტმა ლილიანს გულისპირში ჩაუცურა ხელი და მკერდზე მოუჭირა. უცებ ჯიმს სუნთქვა ისე შეეკრა, თითქოს დაასლოკინა. თვალები ეხუჭებოდა, მაგრამ მაინც მოახერხა, დაენახა, როგორ გადასწია მორჩილად ლილიანმა თავი უკან, დაინახა მისი ვნებიანად გაპობილი ბაგე.

როდესაც ჯიმი საკოცნელად დაიხარა, ქალმა თვინიერად შემოხვია მკლავები, მაგრამ საპასუხო კოცნის მაგივრად, უბრალოდ შეეხო მას ტუჩებით.

ჯიმმა თავი ასწია, რომ ქალისთვის შეეხედა. ლილიანს კბილები გამოეჩინა, თითქოს იღიმოდა, მაგრამ ის სადღაც მიღმა იყურებოდა, თითქოს ვიღაც უხილავს დასცინოდა. უსიცოცხლო, ღვარძლით სავსე ღიმილი ჰქონდა, კბილებდაკრეჭილ თავის ქალას ჰგავდა.

ჯიმმა სწრაფად მიიზიდა ქალი, რომ საკუთარი ჟრჟოლა ჩაეხშო. კაცის ხელები მექანიკურად ასრულებდნენ სიახლოვის მოძრაობებს და ლილიანიც დანებდა მას, მაგრამ ისე, რომ თითქოს მისი კანიც კი დამცინავად ხითხითებდა. ისინი წინასწარ განსაზღვრულ რუტინას ასრულებდნენ, რუტინას, რომელიც ვიღაც სხვას გამოეგონებინა და ახლა მათ ახვევდა თავს — დაცინვითა და სიძულვილით, როგორც მისი გამომგონებლების პაროდიას.

ტაგარტმა ბრმა, გაუაზრებელი მძვინვარება იგრძნო, ნაწილობრივ შიში, ნაწილობრივ კი სიამოვნება — შიში, რადგან რასაც ახლა სჩადიოდა, ვერავისთან აღიარებდა; სიამოვნებას კი ჰგვრიდა ფაქტი, რომ სწორედ ამ საქციელით მკრეხელურად იწვევდა მათ, ვისთანაც ვერასდროს გაბედავდა, ეს ეღიარებინა. ჯიმი ახლა თავისი თავი იყო! — მძვინვარების ერთადერთი ცნობიერი ნაწილი ტაგარტს ჩასძახოდა, რომ ის ბოლოს და ბოლოს, თავისი თავი იყო.

ლილიანი და ჯიმი ხმას არ იღებდნენ. ორივემ იცოდა ერთმანეთის განზრახვა.

მხოლოდ ორი სიტყვა გაისმა:

— მისის რიერდენ! — მიმართა ქალს ტაგარტმა.

ერთმანეთისთვის არ შეუხედავთ, როდესაც ჯიმმა ქალი თავის საძინებელში შეიყვანა, საწოლისკენ უბიძგა და მის სხეულს ზემოდან დაემხო. საჩოთირო

საქმიანობაში თანამზრახველების გამომეტყველება ჰქონდათ — ცუღლუტი, ურცხვი ბავშვებივით, რომლებიც ვიღაცის მესერზე ცარცით უხამს ჩანახატებს ჯღაბნიან.

ჯიმი სულაც არ გაუწბილებია იმ ამბავს, რომ ის ქალის უსიცოცხლო სხეულს ეუფლებოდა, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და საპასუხო გრძნობის გარეშე. სინამდვილეში ქალის დაუფლება არც ნდომებია. ჯიმს სიცოცხლის ზეიმის აქტის შესრულება კი არ სურდა — ის აქტი უნდოდა შეესრულებინა, რომლითაც უმწეობის გამარჯვებას იზეიმებდა.

* * *

შერილი შინ უხმოდ და მალულად შევიდა, თითქოს ცდილობდა, არავის დაენახა და თავადაც არ დაენახა თავისი სახლი. გზაზე მომავალს დაგნის არსებობისა და დაგნის სამყაროს შეგრძნება მატებდა ძალას, მაგრამ როგორც კი საკუთარ ბინაში შედგა ფეხი, კედლებმა თითქოს კვლავ თავიანთ სულის შემხუთველ მახეში მოაქციეს.

სახლში სიჩუმე გამეფებულიყო; ერთ-ერთი ოთახის ნახევრად ღია კარიდან შესასვლელში სინათლის ზოლი ეცემოდა. შერილი მექანიკურად, ფეხათრევით გაემართა თავისი ოთახისკენ. შემდეგ უცებ შეჩერდა.

სინათლის ზოლი ჯიმის კაბინეტიდან გამოდიოდა. შერილმა ნახევრად ღია კარიდან თვალი მოჰკრა ხალიჩაზე დაგდებულ ქალის ქუდს, რომლის ბუმბულის ფრთაც სუსტად ირხეოდა.

კიდევ ერთი ნაბიჯი წადგა წინ. კაბინეტი ცარიელი იყო, შერილმა ორი ჭიქა დაინახა, ერთი მაგიდაზე იდგა, მეორე კი იატაკზე, სავარძელზე ქალის საფულე იდო.

შერილი ერთ ადგილზე იდგა გაშეშებული, სანამ ჯიმის საძინებლიდან ორი ადამიანის გაწელილი მეტყველება არ გაიგონა; სიტყვები ვერ გაარჩია, მხოლოდ საუბრის ტონის გარკვევა შეძლო; ჯიმი გაღიზიანებული ტონით ლაპარაკობდა, ქალი კი სიძულვილით სავსე ხმით.

შემდეგ შერილმა ვერც კი გააცნობიერა, როგორ აღმოჩნდა საკუთარ ოთახში; სასოწარკვეთილი ცდილობდა კარის ჩაკეტვას, ხელებს ვერ იმორჩილებდა; თავზარდაცემული ისე გაიქცა თავისი ოთახისკენ, თითქოს სწორედ მას ჰქონდა საქმე დასამალად, თითქოს ის უნდა გაჰქცეოდა სისაძაგლეს — მათი ცქერისას დაენახა ვინმეს. ზიზღს, სიბრალულს, შეცბუნებას მოეცვა და სურვილს, როგორმე პირისპირ არ გადაეყაროს ადამიანს მისი დანაშაულის უდავო მტკიცებულებით.

შერილი შუა ოთახში იდგა, ვერ მოესაზრებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო. შემდეგ უცებ ჩაიმუხლა, იატაკზე დაჯდა და კანკალით დააცქერდა ხალიჩას.

არც ბრაზს, არც ეჭვიანობას და არც გულისწყრომას არ გრძნობდა, მხოლოდ უშინაარსო შიშს მოეცვა იმის გამო, რომ გროტესკულად უაზრო სიტუაციაში აღმოჩნდა. უცებ გააცნობიერა, რომ არც მათ ქორწინებას, არც ჯიმის მისდამი სიყვარულს და მცდელობას, შეენარჩუნებინა ცოლი, არც სხვა ქალისადმი ჯიმის სიყვარულს, არც ამ დაუმსახურებელ ღალატს მნიშვნელობა არ ჰქონდა და ყოველგვარი ახსნა-განმარტებაც ზედმეტი იყო. ბოროტება ყოველთვის რომელიღაც კონკრეტული მიზნის მისაღწევი საშუალება ეგონა; მაგრამ რასაც ახლა ხედავდა, ეს ბოროტების გულისთვის ჩადენილი ბოროტება იყო.

ზუსტად არ იცოდა, რამდენი ხანი იჯდა თავის ოთახში, სანამ მათი ნაბიჯების ხმასა და საუბარს გაიგონებდა, შემოსასვლელი კარის მიხურვის ხმას გაიგონებდა. მერე უაზროდ წამოდგა, ინსტინქტურად, თითქოს სიცარიელეში მოქმედებდა, სადაც პატიოსნება საჭირო აღარ იყო, თუმცა სხვაგვარად მოქცევა უბრალოდ, არ იცოდა.

ოთახიდან გამოსული ჯიმს შემოსასვლელში შეეჩეხა. ერთი წუთის განმავლობაში ისინი უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ვერც ერთს ვერ დაეჯერებინა მეორის არსებობა.

— როდის დაბრუნდი? — წამოიძახა ჯიმმა, — რამდენი ხანია, რაც დაბრუნდი?

— არ ვიცი...

ტაგარტი ცოლს სახეში შესცქეროდა:

— რა დაგემართა?

— ჯიმ, მე... — შერილი თავს ძალას ატანდა, რომ წინადადება დაესრულებინა, თუმცა ეს ვერ მოახერხა და მხოლოდ ხელი გაიქნია ჯიმის საძინებლისკენ, — ჯიმ, ვიცი. — რა იცი?

— შენ იქ... ქალთან ერთად იყავი.

ჯიმმა შერილი კაბინეტში შეაგდო და კარი მიაჯახუნა, თითქოს დამალვას ლამობდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, ვისგან. მის გონებაში გამოუთქმელი მძვინვარება ბობოქრობდა, არ იცოდა, გაჰქცეოდა ამ ყველაფერს თუ ბრაზი გადმოენთხია; უცებ გააცნობიერა, რომ ეს არარაობა, რომელიც მისი ცოლი იყო, ტრიუმფს ართმევდა და გადაწყვიტა, კბილებით დაეცვა თავისი ახალი გამარჯვება.

— ასეა! — დაიყვირა ტაგარტმა, — მერე რა? მაინც რას აპირებ?

შერილი ქმარს უაზროდ მისჩერებოდა.

— ასეა! მე იქ ქალთან ერთად ვიყავი! იმიტომ, რომ მინდოდა! გგონია, შემაშინებ შენი ოხვრებით და მოთქმა-გოდებით, გაფართოებული თვალებითა და სათნო წუწუნით? — ჯიმმა თითები გაატკაცუნა, — აი, ამას ნიშნავს შენი აზრი ჩემთვის! ფეხებზე მკიდია შენი აზრი! შენთვის დაიტოვე! — შერილის ფერმიხდილი და უმწეო სახის დანახვა კიდევ უფრო ახელებდა, სადისტურ სიხარულს გრძნობდა, თითქოს სიტყვებს კი არ წარმოთქვამდა, დანას ურტყამდა, — გგონია, მაიძულებ, სირცხვილისგან დავიმალო? დავიღალე თავის მოკატუნებით შენი სამართლიანი კმაყოფილების მოსაპოვებლად! ვინ ჯანდაბა ხარ, შე პატარა იაფფასიანო არარაობავ? როგორც მომესურვება, ისე მოვიქცევი, შენ კი ხმას არ ამოიღებ ამის შესახებ, საზოგადოებაში არაფერს შეიმჩნევ და აღარ წამომიყენებ მოთხოვნებს, როგორ მოვიქცე საკუთარ სახლში! საკუთარ სახლში უმწიკვლო არავინ არ არის, მხოლოდ საზოგადოებაში წარმოაჩენენ ასე! მაგრამ თუ გგონია, შენს ჭკუაზე ვივლი, შე წყეულო პატარა სულელო, ჯობს, მალე გაიზარდო!

ჯიმი შერილის სახის ნაცვლად იმ კაცს ხედავდა, რომლისთვისაც უნდოდა, პირში მიეხალა ამ ღამის ნამოქმედარი, თუმცა კი ვერასდროს ამას ვერ შეძლებდა, შერილი კი ყოველთვის ამ კაცის თაყვანისმცემელი, დამცველი და მისი წარმომადგენელი იყო ჯიმის თვალში, ამიტომაც მოიყვანა ცოლად, ასე რომ, შეეძლო, ქალი ახლა თავისი განზრახვისთვის გამოეყენებინა; და ტაგარტმა ცოლს უყვირა:

— იცი, ვინ იყო ის ქალი, ვისთანაც ვიწექი? ის...

— არა! — წამოიძახა შერილმა, — ჯიმ! მე ეს არ უნდა გავიგო!

— ის ქალი მისის რიერდენი იყო! ჰენკ რიერდენის ცოლი!

შერილმა უკან დაიხია. ჯიმს წამით შეეშინდა, რადგან ქალი ისე უყურებდა, თითქოს იმას ხედავდა, რაც ჯიმს საკუთარი თავისთვისაც კი არ უნდა გაემხილა.

— ალბათ, შენ განქორწინება გინდა, ხომ ასეა? — ჰკითხა ქმარს შერილმა უსიცოცხლო ხმით, რომელსაც ვითარებისთვის შეუსაბამო გონიერების ელფერი დაჰკრავდა.

ტაგარტმა გადაიხარხარა:

— შე წყეულო სულელო! შენ კიდევ იმ აზრზე ხარ! შენ კვლავ გინდა, ყველაფერი დიადი და წმინდა იყოს! მე შენთან გაყრას არ ვაპირებ და იმედი ნუ გექნება, რომ განქორწინების უფლებას მოგცემ! შენ ეს ასეთი მნიშვნელოვანი გგონია? მომისმინე, სულელო, არ არსებობს ქმარი, რომელსაც სხვა ქალთან არ სძინავს და არ არსებობს ცოლი, რომელმაც ეს არ იცის, მაგრამ ისინი ამაზე არ საუბრობენ! ვისთანაც მომესურვება, იმასთან დავწვები და შენც ისევე მოიქცევი, როგორც სხვა ძუკნები იქცევიან, და ენას კბილს დააჭერ!

ჯიმმა გასაოცარი რამ დაინახა — შერილის თვალებიდან მტკიცე, ნათელი, უგრძნობი და ზეადამიანური გონიერების გამომხატველი მზერა გამოსჭვიოდა.

— ჯიმ, ისეთი ტიპის ქალი რომ ვყოფილიყავი, ვინც გღალატობდა ან გიღალატებდა, ცოლად არ მომიყვანდი.

— არა, არ მოგიყვანდი.

— რატომ დაქორწინდი ჩემზე?

ჯიმს თითქოს მორევი ითრევდა, ნაწილობრივ შვებას გრძნობდა იმის გამო, რომ საფრთხე უკვე ჩავლილი იყო, ნაწილობრივ კი ამ საფრთხის გამოწვევის დაუძლეველი სურვილი იპყრობდა:

— იმიტომ, რომ შენ იაფფასიანი და უმწეო ქუჩის ბავშვი იყავი, რომელიც ვერასდროს გამითანაბრდებოდა! იმიტომ, რომ მეგონა, გეყვარებოდი! მეგონა, გააცნობიერებდი, რომ უნდა გყვარებოდი!

— უნდა მყვარებოდი ისეთი, როგორიც ხარ?

— უნდა გყვარებოდი და არასოდეს გაგებედა, გეკითხა, როგორი ვარ! უმიზეზოდ უნდა გყვარებოდი! არ უნდა შეგეწუხებინე შენი გაუთავებელი მოთხოვნებით, ასეთი უნდა ვყოფილიყავი თუ ისეთი, თითქოს სიცოცხლის ბოლომდე წყეულ საზეიმო აღლუმზე გამოვდიოდი!

— იმიტომ გიყვარდი... რომ არაფრის მაქნისი ვიყავი?

— მაინც რა გგონია, რას წარმოადგენდი?

— იმიტომ გიყვარდი, რომ სუსტი და გამოუსადეგარი ვიყავი?

— აბა, რისი შემოთავაზება შეგეძლო? მაგრამ შენ საკმარისი თავმდაბლობა არ აღმოგაჩნდა, რომ ეს დაგეფასებინა. მინდოდა, გულუხვი ვყოფილიყავი, მინდოდა, შენთვის საკუთარი თავის რწმენა ჩამენერგა — სიკარგის გამო შეყვარებულ ადამიანს კი სულაც არ სჭირდება თავდაჯერებულობის მინიჭება. კონკურენციის დონე მაღალია, როგორც ჯუნგლებში, ყოველთვის გამოჩნდება შენზე უკეთესი, რომელიც დაგამარცხებს! მაგრამ მე მსურდა, შენი ნაკლის, შეცდომების, სისუსტეების, უვიცობის, მოუქნელობისა და ვულგარულობის გამო მყვარებოდი, ამგვარად, შენ საკუთარი თავის რწმენა გექნებოდა, არაფრის შეგეშინდებოდა და არაფრის დამალვა არ მოგიწევდა, შენ შეგეძლებოდა, შენი თავი ყოფილიყავი, ნამდვილი, საზიზღარი, ცოდვილი და მახინჯი, იდეალური არც არავინაა — ასე რომ, მაინც მეყვარებოდი და სანაცვლოდ არაფერს მოვითხოვდი შენგან!

— შენ გინდოდა, რომ... შენი სიყვარული... მოწყალებასავით მიმეღო?

— აბა, გეგონა, რომ შეგეძლო, ჩემი სიყვარული თავად მოგეპოვებინა? გეგონა, რომ შეგეძლო, ჩემზე დაქორწინება დაგემსახურებინა, შე საცოდავო პატარა მაწანწალა? მე შენს მოწონებას საკვების საფასურით ვყიდულობდი! მინდოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას და ხიზილალის თითოეული ლუკმის გადაყლაპვისას გცოდნოდა, რომ ჩემი მადლიერი უნდა ყოფილიყავი, რომ შენ თავად არაფერი არ

გაგაჩნდა და არაფერი არ იყავი, რომ ვერასოდეს იოცნებებდი ჩემთან გათანაბრებას, ჩემი სიყვარულის დამსახურებასა და ჩემი სიკეთისთვის სამაგიეროს გადახდას!

— მე... ვცდილობდი... შენი სიყვარულის დამსახურებას.

— რომ დაგემსახურებინა, რაღაში დამჭირდებოდი?

— არ გინდოდა, რომ დამემსახურებინა?

— მაინც, რა სულელი ხარ!

— არ გინდოდა, რომ უკეთესი გავმხდარიყავი? არ გინდოდა, რომ წინ წამეწია?

გამოუსადეგარი გეგონე და გინდოდა, ასეთადვე დავრჩენილიყავი?

— რაღაში დამჭირდებოდი, თუ ამ ყველაფერს თვითონ მოიპოვებდი, მაშინ ხომ შენი შენარჩუნებისთვის ბრძოლა მომიწევდა, რადგან შეიძლებოდა, სხვასთან წასვლა მოგესურვებინა.

— შენ გსურდა, რომ სიყვარული მოწყალება ყოფილიყო... ორივე ჩვენგანისთვის და ორივე ჩვენგანისგან? გინდოდა, ბორკილებით ერთმანეთზე მიჯაჭვული ორი მათხოვარი ვყოფილიყავით?

— კი, შე წყეულო მორალისტო! კი, წყეულო გმირების თაყვანისმცემელო! კი!

— იმიტომ ამირჩიე, რომ არაფრის მაქნისი ვიყავი?

— კი!

— ცრუობ, ჯიმ.

ტაგარტის პასუხი ცოლის სიტყვებზე მხოლოდ განცვიფრებული მზერა იყო.

— ის გოგონები, რომლებსაც საკვების საფასურით ყიდულობდი, ბედნიერი იქნებოდნენ, თავიანთი ნამდვილი მდაბიო პიროვნებით ეცხოვრათ, ისინი მიიღებდნენ შენს მოწყალებას და არასდროს ეცდებოდნენ, უკეთესი გამხდარიყვნენ, მაგრამ შენ არც ერთ მათგანს არ შეირთავდი ცოლად. შენ მე შემირთე ცოლად, რადგან იცოდი, რომ მე ვერ შევეგუებოდი მდაბიო ყოფას და ვიბრძოლებდი წინსვლისთვის, ასე არ არის?

— კი! — წამოიყვირა ჯიმმა.

შემდეგ კი იმ პროჟექტორმა, რომელიც შერილისკენ მოისწრაფოდა, მიზანს მიაღწია და ქალმა შეჰყვირა და თან უკან დაიხია ჯიმისგან, ის ფიზიკური შიშისგან ყვიროდა.

— რა მოგივიდა? — წამოიძახა ჯიმმა კანკალით, ვერც კი ბედავდა ცოლის თვალებში იმის ამოკითხვას, რაც ქალმა დაინახა.

შერილი უაზროდ იქნევდა ხელებს, თითქოს თან თავიდან იშორებდა და თან ებღაუჭებოდა დანახულს; როდესაც ქმრის შეკითხვას უპასუხა, შერილის სიტყვები ზუსტად ვერ გადმოსცემდა დანახულს, მაგრამ სხვა სიტყვები ვერ ეპოვა მის გამოსახატავად: — შენ... შენ მკვლელი ხარ... მკვლელი, რომელიც იმიტომ კლავს, რომ მოკლას...

ამას ჯიმი საკუთარ თავსაც კი არ უმხელდა; შიშისგან აკანკალებულმა გააფთრებით მოიქნია ხელი და ცოლს სილა გააწნა.

შერილი ძირს დავარდა და თავი იატაკს დაარტყა, მაგრამ მალევე წამოიწია და ქმარს ისე შეხედა, თითქოს მოულოდნელი არაფერი მომხდარიყოს. პირის კუთხიდან მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი ჩამოუგორდა.

ჯიმი ადგილზე გაქვავდა, წამით ორივენი ერთმანეთს შესცქეროდნენ, განძრევას ვერც ერთი ვერ ბედავდა.

პირველად შერილი მოეგო გონს. ის ფეხზე წამოხტა და გაიქცა. გაიქცა ოთახიდან, ბინიდან — ჯიმს ესმოდა ცოლის ნაბიჯების ხმა, როდესაც ის დერეფანში მირბოდა, შერილს ლიფტი არ გამოუძახებია, საევაკუაციო კიბის რკინის კარი გააღო.

კიბეებით ჩარბოდა დაბლა, ალალბედზე აღებდა კიბის ბაქნების კარებს, მირბოდა შენობის ხვეულ დერეფნებში, შემდეგ ისევ კიბეებზე ჩარბოდა, ბოლოს ვესტიბიულამდე ჩააღწია და ქუჩაში გავარდა.

ცოტა ხნის შემდეგ გააცნობიერა, რომ ჩაბნელებული ქუჩის ნაგვით მოფენილ ტროტუარზე მიდიოდა, სინათლე მხოლოდ მიწისქვეშა გადასასვლელის თავზე დაკიდებული ნათურიდან და სამრეცხაოს ჩაშავებულ სახურავზე დამაგრებული კრეკერების სარეკლამო დაფიდან მოდიოდა. შერილი ვერ იხსენებდა, როგორ აღმოჩნდა ამ ადგილას. მისი გონება ახლა დანაწევრებული ცნებებით აზროვნებდა და მოვლენებს ერთმანეთთან ვერ აკავშირებდა. იცოდა, რომ უნდა გაქცეულიყო და იმასაც აცნობიერებდა, რომ გაქცევა შეუძლებელი იყო.

„უნდა გავექცე მას“, — ფიქრობდა შერილი, — „სად უნდა გავიქცე?“ — ეკითხებოდა ის საკუთარ თავს და მლოცველივით მავედრებელი მზერით იყურებოდა აქეთიქით. გზად შემხვედრ ნებისმიერ ჩამოფასებული ნივთების მაღაზიაში ან სამრეცხაოში ჩაებღაუჭებოდა სამუშაოს. მაგრამ ფიქრობდა, რომ რაც უფრო დაუღალავად იმუშავებდა, მით მეტ ღვარძლს გადააწყდებოდა, არასოდეს ეცოდინებოდა, როდის მოითხოვდნენ მისგან სიმართლეს და როდის — ტყუილს, რაც უფრო პატიოსანი იქნებოდა, მით მეტ სიყალბეს მიიღებდა სამაგიეროდ. ასეთი რამეები შერილს ადრეც ენახა და გადაეტანა საკუთარ ოჯახში და ჯურღმულების სამყაროში, მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ მანკიერ გამონაკლისად, შემთხვევით ბოროტებად მიაჩნდა, რომელსაც თავი უნდა დააღწიო და დაივიწყო. ახლა აცნობიერებდა, რომ ეს გამონაკლისი არ ყოფილა, რომ ასეთ კოდექსს აღიარებდა მთელი სამყარო, რომ ეს ცხოვრების ის კრედო იყო, რომელიც ყველამ იცოდა, მაგრამ სახელს არავინ არქმევდა. მასზე შერილს ადამიანების ის ცბიერი, მზაკვრული გამოხედვა მიანიშნებდა, რომლის აზრსაც ადრე ვერ იგებდა, რაც ამ კრედოს ფსკერზე იმალებოდა მდუმარების მიღმა და რაც ჩასაფრებული ელოდა მას დიდი ქალაქის სახლებისა და ადამიანების სულების სარდაფებში — ის, რასთან შეგუებაც შეუძლებელი იყო.

„ასე რატომ მექცევით?“ — უხმოდ დაუყვირა შერილმა ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს. „იმიტომ, რომ წესიერი ხარ“, — მიუგო ქალს ვიღაცამ ხარხარით ნაგებობების სახურავებიდან და საკანალიზაციო მილებიდან. „მაშინ აღარ მინდა, წესიერი ვიყო!“ „მაგრამ შენ მაინც წესიერი იქნები“. „არ ვარ ვალდებული, წესიერი ვიყო“. „მაინც იქნები“. „ამის ატანა არ შემიძლია!“ „მაინც იქნები“.

შერილს გააჟრჟოლა და ნაბიჯს აუჩქარა. წინ, დანისლულ სიშორეში, სახურავების ზემოთ, კალენდარი დაინახა, შუაღამე უკვე დიდი ხნის გადასული იყო და კალენდარი 6 აგვისტოს აჩვენებდა, მაგრამ უცებ მოეჩვენა, რომ ქალაქის თავზე სისხლიანი ასოებით ეწერა „2 სექტემბერი“ და გაიფიქრა, რომ თუ ის იმუშავებდა, იბრძოლებდა, ფეხზე წამოდგებოდა და აღმასვლას შეეცდებოდა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე უფრო და უფრო მძიმე დარტყმას მიიღებდა, ვიდრე ბოლოს, რისთვისაც არ უნდა მიეღწია, რაც არ უნდა მოეპოვებინა, სპილენძის მწარმოებელი კომპანია იქნებოდა ეს თუ საკუთარი სახლი, რომელიღაც 2 სექტემბერს მას ჯიმი წაგლეჯდა მიღწეულს და იმ წვეულებების მოწყობას მოახმარდა, სადაც ჯიმი და მისი მეგობრები სარფიან გარიგებებს დებდნენ.

— მაშინ არ ვიმუშავებ! — იყვირა შერილმა, შემობრუნდა და უკან გაიქცა, მაგრამ უცებ მოეჩვენა, რომ ჩაშავებულ ცაზე სამრეცხაოს ორთქლიდან უზარმაზარი, დამცინავი ფიგურა გამოიკვეთა, რომელიც სახეს იცვლიდა და ხან ჯიმის სახეს იღებდა, ხან შერილის ბავშვობის დროინდელ ჯურღმულებში მოქადაგე მღვდლის, ხანაც იაფფასიანი ნივთების მაღაზიის კადრების განყოფილების სოციალური მუშაკისას და თითქოს ირონიულად ეუბნებოდა მას: „შენნაირი ადამიანები ყოველთვის პატიოსნებად დარჩებიან, ისინი ყოველთვის იბრძოლებენ წინსვლისთვის, ყოველთვის იმუშავებენ, ასე რომ, ჩვენ არაფერი გვემუქრება, შენ კი სხვა არჩევანი არ გაქვს“. შერილი გაიქცა. შემდეგ, როდესაც ირგვლივ მიმოიხედა, აღმოაჩინა, რომ ერთ წყნარ ქუჩაში მიდიოდა. სადარბაზოების შემინულ კარებში მდიდრული შენობების ხალიჩებით მოგებული, განათებული ვესტიბიულები მოჩანდა. უცებ შენიშნა, რომ კოჭლობდა — როცა გარბოდა, მის ფეხსაცმელს თურმე ქუსლი მოსტეხოდა.

ფართო გზაჯვარედინზე შერილმა შორს აღმართული ცათამბჯენების სილუეტები დაინახა. მაღალსართულიანი შენობები ნისლის საბურველში უჩინარდებოდნენ, უკან კი მკრთალ ალისფერ შუქს ტოვებდნენ, გამოსამშვიდობებელი ღიმილის მსგავს სინათლის რამდენიმე სხივს. ერთ დროს ეს ცათამბჯენები შერილს იმედით ავსებდა, რწმენით, რომ სიღატაკისა და უმოქმედობის მიღმა, რომელიც მას ერტყა გარს, სხვაგვარი ადამიანებიც არსებობდნენ. ახლა კი უკვე იცოდა, რომ ეს ნაგებობები იმ ადამიანების ხსოვნის უკვდავსაყოფი ძეგლები, ცად აზიდული ობელისკები იყო, მათი შექმნის გამო რომ დაიღუპნენ, ქვაში გარინდებული უხმო მოთქმა, რომ ჯილდო მიღწევისთვის მოწამეობაა.

შერილმა გაიფიქრა, რომ სადღაც, ნისლში გაუჩინარებულ ერთ-ერთ ასეთ კოშკში, დაგნი ცხოვრობდა, მაგრამ დაგნი მარტოსული მსხვერპლი იყო, რომელიც წასაგებად განწირულ ომს ომობდა, დაგნიც დანარჩენების მსგავსად დაიღუპებოდა და ნისლში ჩაიძირებოდა.

„წასასვლელი არსად მაქვს“, — გაიფიქრა შერილმა და წაიბორძიკა, — „არც შეჩერება შემიძლია და აღარც მოძრაობა, არც მუშაობა და არც დასვენება, არც დანებება და არც ბრძოლა, მაგრამ ეს... ეს სწორედ ის არის, რაც მათ ჩემგან სურთ — რომ არც ცოცხალი ვიყო და არც მკვდარი, არც გონიერი და არც შეშლილი, რომ უბრალოდ რბილი მასა ვიყო, რომელიც შიშისგან ყვირის და რომლისგანაც რასაც მოისურვებენ, იმას გამოძერწავენ... ისინი, ის ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ფორმა არ გააჩნიათ“.

დამფრთხალი შერილი ბნელ კუთხეში მიიყუჟა, გამვლელებს ემალებოდა. „არა“, — ფიქრობდა ქალი, — „ყველა ადამიანი ბოროტი არ არის... ისინი საკუთარი თავის მსხვერპლნი არიან, მაგრამ ყველა მათგანს სჯერა ჯიმის კრედოსი და მე არ შემიძლია მათთან ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც ეს გავიგე... და თუ მე მათ დაველაპარაკები, ისინი შეეცდებიან, თავიანთი სიკეთე თავს მომახვიონ, მაგრამ მე უკვე კარგად ვიცი, რა არის სინამდვილეში მათი სიკეთე და დავინახავ მათი თვალებიდან მომზირალ სიკვდილს“.

ტროტუარი დავიწროვდა და ჭუჭყიან ზოლად იქცა, ჩამონგრეული სახლების სადარბაზოებთან პირთამდე სავსე ნაგვის ურნები იდგა. სამიკიტნოების მქრქალი შუქების მიღმა, დაკეტილი კარის თავზე, შერილმა განათებული აბრა დაინახა, რომელზეც ეწერა: „გოგონების დასასვენებელი კლუბი“.

შერილი კარგად იცნობდა მსგავსი ტიპის დაწესებულებებს და იმ ქალებს, ვინც განაგებდა მათ, ქალებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათი საქმე ტანჯულთა დახმარება იყო. „ახლა რომ ამ დაწესებულებაში შევსულიყავი და დახმარება მეთხოვა, ისინი მკითხავდნენ: „რა დააშავე? სვამ? ნარკოტიკს იღებ? დაფეხმძიმდი? მაღაზიიდან რაიმე მოიპარე?“ — ფიქრობდა შერილი, — მე კი ვუპასუხებდი: „არაფერი დამიშავებია, მაგრამ...“ ისინი კი მეტყოდნენ: „ვწუხვართ, მაგრამ ჩვენ უდანაშაულოთა სატკივარი არ გვეხება“.

ისევ გაიქცა. შემდეგ გონს მოეგო და გრძელი, ფართო ქუჩის კუთხეში შეჩერდა.

შენობები და ტროტუარები ცას ერწყმოდნენ, სივრცეში გაკიდული მწვანე შუქნიშნების ორი უსასრულო მწკრივი თითქოს სხვა ქალაქებისკენ, ოკეანეებისკენ, სხვა ქვეყნებისკენ მიემართებოდნენ, მთელ დედამიწას გარს რომ შემორტყმოდნენ. ამ მწვანე ნათებას უშფოთველი შესახედაობა ჰქონდა, მიმზიდველი, უსასრულო გზასავით, რომელიც მშვიდი მგზავრობის წინაპირობაა. შემდეგ მწვანეს წითელი ფერი ცვლიდა, დაბლა ეშვებოდა და შუქის მკვეთრი წრეები გარდაუვალი საფრთხის მანიშნებელ ნისლიან ლაქებად იქცეოდა. იდგა და უყურებდა გვერდით ჩავლილ ვეება სატვირთო მანქანას, რომლის უზარმაზარმა ბორბლებმაც გაცვეთილ ქვაფენილს ტალახის მორიგი ფენა დააგლისა.

შუქნიშნებმა კვლავ უსაფრთხოების გამომხატველი მწვანე ფერი დაიბრუნეს, მაგრამ შერილი მაინც გაუნძრევლად იდგა და კანკალებდა. გაიფიქრა, რომ მწვანე შუქი ადამიანების სხეულს უსაფრთხო მგზავრობას ჰპირდებოდა, მაგრამ სულის მოძრაობისთვის რა გააკეთეს? სულის შუქნიშნები საწინააღმდეგოდ დააყენეს და გზა მაშინ იყო უსაფრთხო, როდესაც ბოროტების ფერი — წითელი ენთო, ხოლო როდესაც სიკეთისა და სათნოების ფერი — მწვანე ინთებოდა უსაფრთხოების ნიშნად, გზის გადაკვეთისას ადამიანს მანქანა ეჯახებოდა. შერილი ფიქრობდა, რომ ეს გაუკუღმართებული შუქნიშნები ყველა ქვეყნამდე აღწევდა და მთელ დედამიწას მოიცავდა. ამიტომაც აივსო მსოფლიო ხეიბრებით, რომლებმაც არც კი იციან, რამ და რატომ დაღუპა ისინი, მთელი თავიანთი ცხოვრება დასახიჩრებული კიდურებით დახოხავენ და ჰგონიათ, რომ არსებობის არსი ტკივილია, სულის მოძრაობის პოლიციელები კი ხითხითებენ და აცხადებენ, რომ ადამიანს ბუნებრივად არ გააჩნია სიარულის უნარი.

ეს სიტყვები შერილის გონებაში არ წარმოქმნილან, მაგრამ მათ შერილი უსათუოდ წარმოთქვამდა, მათი პოვნის ძალა რომ ჰქონოდა, ახლა კი ეს ცოდნა უეცარ მძვინვარებაში გამოიხატა, რომელმაც გოგონა აიძულა, ფუჭ შიშს აყოლილს იქვე, გვერდზე, შუქნიშნის რკინის ბოძისთვის დაეშინა მუშტები, იმ ფუტურო მილისთვის, რომლის მტკიცე მექანიზმის ღრჭიალი ხრინწიანი ხითხითივით გაისმოდა.

შერილს არ შეეძლო, შუქნიშნის ბოძი მუშტებით დაემტვრია, ის ქუჩის ჩაყოლებაზე უსასრულოდ ჩამწკრივებულ ყველა ბოძს ერთიმეორის მიყოლებით ვერ დალეწავდა — ისევე, როგორც ვერ დაამსხვრევდა ყველა შემხვედრი ადამიანის სულში ფესვგადგმულ ამ კრედოს. მას უკვე აღარ შეეძლო ურთიერთობა ადამიანებთან და სიარული იმ გზებით, რომლებითაც ისინი დადიოდნენ, თუმცა, ან კი რა უნდა ეთქვა ამ ადამიანებისთვის შერილს, რომელსაც საჭირო სიტყვები ვერ მოეძებნა იმის გამოსახატავად, რაც იცოდა და არც ხმა ჰქონდა, ხალხისთვის რომ მიეწვდინა? რის თქმა შეეძლო მას ადამიანებისთვის? როგორ უნდა დაერწმუნებინა ისინი? სად იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც საუბარი შეეძლოთ?

„სად არიან ადამიანები, რომელთაც საუბარი შეუძლიათ?“ — არც ეს სიტყვები წარმომდგარა შერილის გონებიდან, ეს მხოლოდ მისი მუშტების დარტყმები იყო ლითონზე. შემდეგ მოულოდნელად დაინახა, რომ რკინის ბოძზე მუშტების ცემისგან თითები დასისხლიანებოდა და გააჟრჟოლა; გზა განაგრძო — მიდიოდა, მაგრამ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, თითქოს ლაბირინთში აღმოჩნდა, რომელსაც გასასვლელი არ ჰქონდა.

„გასასვლელი არსადაა“, — ამბობდნენ ქალის ფეხის ხმას აყოლილი შერილის ცნობიერების ნაგლეჯები, — „გასასვლელი არსადაა... არც თავშესაფარია... არც ნიშნები, რომლებითაც გაარჩევ განადგურებას უსაფრთხოებისგან ან მტერს მეგობრისგან“.

შერილი იმ ძაღლზე ფიქრობდა, რომელსაც ლაბორატორიაში რაღაცები მიუერთეს და რაღაც სიგნალებს აძლევდნენ ისე, რომ კმაყოფილებას ტანჯვისგან ვეღარ არჩევდა, საკვები ცემად, ცემა კი საკვებად ეჩვენებოდა. ძაღლი ხვდებოდა, რომ საკუთარი თვალები და ყურები ატყუებდა, აღქმა ღალატობდა, ცნობიერება კი უძლური აღმოჩნდა მოულოდნელად სახეცვლილ სამყაროში საარსებოდ და მასზე გული აიცრუა, ასეთ ფასად მოპოვებულ საჭმელს აღარ ეკარებოდა და ამგვარ სამყაროში ცხოვრება აღარ სურდა. „არა!“ — „არა“ იყო შერილის გონებაში არსებული ერთადერთი გაცნობიერებული სიტყვა, — „არა! არა! არა! არ მჭირდება თქვენი გზა, არ მჭირდება თქვენი სამყარო — თუნდაც ამ „არას“ მეტი არც არაფერი მებადოს!“

შუაღამე გადასული იყო, როდესაც სოციალური მუშაკი ჩიხში, ნავმისადგომებსა და საწყობებს შორის შერილს გადააწყდა. ამ ქალის ნაცრისფერი პალტო და სახე იქაურობას ერწყმოდა. მან დაინახა იმ დასახლებისთვის შეუფერებლად მოხდენილ და ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი გოგონა, ქუდისა და ხელჩანთის გარეშე, ქუსლმოტეხილი ფეხსაცმლით, თმაგაწეწილი, ტუჩის კუთხე ჩალურჯებული ჰქონდა, ბარბაცით დადიოდა და ტროტუარს გზის სავალი ნაწილისგან ვერ ასხვავებდა.

ქუჩა სასაწყობე ნაგებობებს შორის მოქცეული ვიწრო ზოლი იყო, მაგრამ იქ, ნოტიო ნისლში, მაინც აღწევდა სინათლის სხივი, რომელიც დამპალი წყლის სუნად ყარდა; ქუჩას ქვის მოაჯირი ასრულებდა, რომლის იქითაც მდინარისა და ცის გამაერთიანებელი უსასრულო სიშავე მოჩანდა.

სოციალური მუშაკი შერილს მიუახლოვდა და მკაცრი ხმით ჰკითხა:

— შეგემთხვათ რაიმე?

მან დაინახა ერთი დამფრთხალი თვალი, მეორეს თმის კულული ფარავდა. შერილს იმ ველური ქმნილების სახე ჰქონდა, რომელსაც ადამიანური მეტყველების ჟღერადობა დავიწყებოდა და ახლა თითქოს შორეულ ექოს აყურადებდა ეჭვით და თან იმედით.

სოციალურმა მუშაკმა მას მკლავში სტაცა ხელი.

— სირცხვილია ასე გალეშვა... თქვენ, მაღალი საზოგადოების გოგონებს, საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებისა და განცხრომის გარდა, სხვა საქმეც რომ გქონოდათ, ასე არ იყიალებდით, მაწანწალასავით, შუაღამისას... მხოლოდ საკუთარ თავზე და ახირებებზე რომ აღარ გეფიქრათ და რაიმე უფრო მაღალ...

და უეცრად შერილმა დაიყვირა — მისი ყვირილის ხმა ყრუ კედლებს ეხლებოდა, თითქოს საწამებელ გალიაში გამომწყვდეული შეძრწუნებული ცხოველი ღრიალებდა. მან მკლავი გაითავისუფლა, უკან გახტა და დაიყვირა:

— არა! არა! ეს თქვენი სამყარო არ არის!

შემდეგ გაიქცა, უცებ ძალის საოცარი მოზღვავება იგრძნო — იმ არსებასავით, რომელიც ცდილობს, საზარელ ხვედრს გაექცეს. ქუჩის ბოლომდე შეუსვენებლად ირბინა. ეჭვი არაფერში შეჰპარვია, სრულად აცნობიერებდა, რომ ამას თავის გადასარჩენად აკეთებდა; ქვის მოაჯირს რომ მიაღწია, უყოყმანოდ გადაევლო მას და მდინარეში გადაეშვა.

თავი 5

ძმების დარაჯები

ორი სექტემბრის დილას, კალიფორნიაში, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ წყნარი ოკეანის სარკინიგზო განშტოების ხაზთან, ორ სატელეფონო ბოძს შორის გაჭიმული სპილენძის მავთული გაწყდა.

შუაღამიდან მოყოლებული ცრიდა და თითქოს არც გათენებულიყო, მხოლოდ ნაცრისფერმა შუქმა გამოასხივა მოღუშული ციდან და ცარცისფერი ღრუბლების ფონზე მარტო სატელეფონო ხაზზე დაკიდებული წვიმის წვეთები ბრწყინავდა, ოკეანის ტყვიის ფერი და ნავთობის ჭაბურღილების ფოლადის ფერი კი განმარტოებული გორაკის ფერდობზე განცალკევებით ეშვებოდნენ. სადენები წვიმასა და წლებს გაეცვითა, მათ გაცილებით მეტხანს იმუშავეს, ვიდრე ევალებოდათ; ერთ-ერთი სადენი იმ დილით სულ უფრო და უფრო ჩაეზნიქა წვიმის წვეთების ტვირთს; უკანასკნელი წვეთი ბროლის მძივივით ჩამოეკიდა და სადენმა ველარ გაუძლო, ცრემლებივით უხმოდ გაწყდა და წყლის წვეთთან ერთად დაბლა ჩამოვარდა.

„ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სარკინიგზო განშტოების სათავო ოფისის თანამშრომლებმა ერთმანეთს თვალი მოარიდეს, როდესაც სატელეფონო ხაზის გაწყვეტის ამბავი გაიგეს. მათ საშინლად გაუგებარი განცხადებები გააკეთეს, რომლებიც თითქოს პრობლემას ეხებოდა, თუმცა კონკრეტულს არაფერს ამბობდა. სათავო ოფისის თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ სპილენძის სადენი ოქროზე და ღირსებაზე უფრო ძვირად ფასობდა; მათ იცოდნენ, რომ იმ განშტოების საწყობის გამგემ სადენის მარაგი რამდენიმე კვირის წინ მიჰყიდა ღამით მისულ უცნობ მოვაჭრეებს, რომლებიც ბიზნესმენები არ იყვნენ, დღისით, დაუფარავად რომ ეყიდათ საქონელი; ამ მოვაჭრეებს საკრამენტოსა და ვაშინგტონში მეგობრები ჰყავდათ, მსგავსად თავად სამსახურში ახალი აყვანილი საწყობის გამგისა, რომელსაც ნიუ-იორკში ჰყავდა მეგობარი, სახელად კაფი მეგზი, რომლის შესახებაც კითხვებს არავინ სვამდა. „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ვინც ახლა გასცემდა აღდგენითი სამუშაოების განკარგულებას, რომლის საბოლოო შედეგი იმის აღმოჩენა იქნებოდა, რომ შეუძლებელი იყო სარემონტო სამუშაოების ჩატარება, უცნობი მტრების შურისგებას გამოიწვევდა, ამ ადამიანის კოლეგა თანამშრომლები კი ამ დროს დადუმდებოდნენ და მის სასარგებლოდ ერთ სიტყვასაც კი არ იტყოდნენ, ეს ადამიანი ვერაფერს დაამტკიცებდა და თუ ეცდებოდა თავისი სამუშაოს შესრულებას, ეს სამსახური მისი უკვე აღარ იქნებოდა. სარკინიგზო კომპანიის თანამშრომლებმა აღარ იცოდნენ, რა იყო უსაფრთხო და რა — საფრთხის შემცველი იმ დროში, როდესაც დამნაშავეს კი არა, მის ბრალმდებლებს სჯიდნენ; და ისინიც, ცხოველების მსგავსად, მხოლოდ იმასღა აცნობიერებდნენ, რომ ეჭვისა და საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავდაცვის ერთადერთი საშუალება უმოქმედება იყო. ამიტომ ისინიც უმოქმედობას

ამჯობინებდნენ და მხოლოდ სათანადო დროს სათანადო ოფიციალური პირებისთვის მოხსენებების გაგზავნის სათანადო პროცედურაზე საუბრობდნენ.

რკინიგზის ერთ-ერთი ახალგაზრდა მუშა სათავო ოფისის შენობიდან გამოვიდა და აფთიაქის სატელეფონო ჯიხურში შევიდა, რომ მისი საუბარი არავის მოესმინა.

მან თავისივე ხარჯით, შუა რგოლის აღმასრულებლების გვერდის ავლით, პირდაპირ დაგნი ტაგარტს დაურეკა ნიუ-იორკში.

დაგნის ამ ზარმა თავისი ძმის ოფისში გამართული საგანგებო თათბირი შეაწყვეტინა. რკინიგზის მუშამ მხოლოდ ის უთხრა ტაგარტს, რომ სატელეფონო ხაზი გაწყდა და მის აღსადგენად საჭირო სადენი არ იყო; დაგნი ყველაფერს მიხვდა და აღარ უკითხავს მუშისთვის, თუ რატომ დაუკავშირდა ის პირადად მას, საპასუხოდ მხოლოდ მადლობა გადაუხადა.

დაგნის ოფისში ინახებოდა ავარიული შემთხვევებისთვის განკუთვნილი საქაღალდე, სადაც აღნუსხული იყო „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ თითოეული სარკინიგზო განშტოების მარაგში შემორჩენილი დეფიციტური მასალები. გაკოტრების საქაღალდის მსგავსად, ეს საქაღალდეც დანაკარგების სიას მოიცავდა, მწირი ჩანაწერები მარაგის შევსების შესახებ ვიღაც მტანჯველის ღვარძლიან ხითხითს ჰგავდა, რომელიც მოშიმშილე ქვეყანას პურის ნამცეცებს უყრიდა. დაგნიმ საქაღალდეს გადახედა, შემდეგ დახურა, ამოიოხრა და თქვა:

— მონტანა, ედი. დაუკავშირდი მონტანას სარკინიგზო ხაზს, რომ თავიანთი მარაგის ნახევარი კალიფორნიას გაუგზავნონ. მონტანა კიდევ ერთ კვირას მაინც გაძლებს სადენების გარეშე.

ის იყო ედი უილერსს უნდა გაეპროტესტებინა ეს განკარგულება, რომ დაგნიმ განაგრძო:

— ნავთობი, ედი. კალიფორნია ქვეყანაში დარჩენილი ნავთობის ერთ-ერთი უკანასკნელი მომპოვებელია. ჩვენ თავს უფლებას ვერ მივცემთ, კალიფორნიის სარკინიგზო ხაზი დავკარგოთ.

და თავისი ძმის კაბინეტში დაბრუნდა თათბირზე.

— სპილენძის სადენი? — თქვა ჯეიმს ტაგარტმა უცნაური გამომეტყველებით და მზერა ფანჯარაზე გადაიტანა, საიდანაც ქალაქი მოჩანდა, — უახლოეს მომავალში სპილენძის დეფიციტი აღარ გვექნება.

— რატომ? — ჰკითხა ძმას დაგნიმ, მაგრამ ჯიმმა არაფერი უპასუხა. ფანჯრიდან განსაკუთრებული არაფერი ჩანდა, მხოლოდ მზიანი დღის მოწმენდილი ცა, ქალაქის ნაგებობების სახურავებზე დაცემული შუადღის ადრეული საათების მშვიდი სინათლე და მათ ზემოთ კალენდარი, რომელიც ორ სექტემბერს იუწყებოდა.

დაგნის ვერ გაეგო, რატომ დაიჟინა ჯიმმა ამ თათბირის თავის კაბინეტში ჩატარება, რატომ უნდოდა მაინცდამაინც დასთან მარტო საუბარი, რასაც ადრე ყოველთვის გაურბოდა და რატომ იყურებოდა გამუდმებით მაჯის საათზე.

— მეჩვენება, რომ საქმე კარგად ვერ მიდის, — თქვა ჯიმმა, — რაღაც უნდა გაკეთდეს. ჩემი აზრით, დიდი დომხალია, რომელსაც შედეგად შეუთანხმებელი და გაუწონასწორებელი პოლიტიკა მოჰყვება. იმას ვგულისხმობ, რომ ქვეყანაში ტრანსპორტზე უზარმაზარი მოთხოვნაა, თუმცა ჩვენ მაინც წაგებაში ვართ. მეჩვენება...

დაგნი იჯდა და მამამისის „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რუკას შესცქეროდა ჯიმის კაბინეტის კედელზე, ყვითელი ფერის მატერიკზე დახლართულ წითელ არტერიებს. იყო დრო, როდესაც ამ რკინიგზას ქვეყნის სისხლის მიმოქცევის

სისტემას უწოდებდნენ და მატარებლების დინება მართლაც სისხლის მიმოქცევასავით იყო.

ის ყველაზე უკაცრიელ რეგიონებსაც კი დოვლათით და კეთილდღეობით ავსებდა.

რკინიგზა ახლაც სისხლის დინებას ჰგავდა, მაგრამ ამჯერად ეს სისხლი თითქოს ჭრილობიდან იღვრებოდა და სხეულს უკანასკნელ საზრდოსა და ძალას ართმევდა.

„ცალმხრივი მოძრაობა“, — ფიქრობდა დაგნი გულგრილად, — „მომხმარებლების მოძრაობა“.

დაგნი მატარებელ №193-ზე ფიქრობდა. ექვსი კვირის წინ ფოლადით დატვირთული მატარებელი №193 ნებრასკას შტატში, ქალაქ ფოლკტონში კი არ გაუგზავნიათ, სადაც სპენსერის მექანიკური დაზგების მწარმოებელი კომპანია ფუნქციონირებდა, — ქვეყანაში არსებული საუკეთესო საწარმო, სადაც წარმოება ორი კვირით შეჩერდა, რადგან ფოლადის მიღებას ელოდებოდნენ, — არამედ ეს ფოლადი ილინოისის შტატში, ქალაქ სენდ კრიკში არსებულ კომპანიას — „კონფედერეითიდ მეშინს“ გაეგზავნა, რომელიც წელიწადზე მეტი იყო, ვალებში ჩაფლულიყო და არაპროგნოზირებადი გრაფიკით აწარმოებდა არასაიმედო პროდუქციას. ეს ფოლადი იმ დირექტივის ძალით გამოიყო, რომელიც აცხადებდა, რომ სპენსერის მექანიკური დაზგების მწარმოებელი კომპანია წარმატებული საწარმო იყო და მოიცდიდა, მაშინ, როცა „კონფედერეითიდ მეშინი“ უკვე გაკოტრდა და მისი მთლიანად განადგურება არ უნდა დაეშვათ, რადგან ის სენდ კრიკის მოსახლეობისთვის ერთადერთი სასიცოცხლო წყარო იყო.

სპენსერის მექანიკური დაზგების მწარმოებელი კომპანია ერთი თვის წინ დაიხურა, ორი კვირის შემდეგ კი „კონფედერეითიდ მეშინმაც“ შეწყვიტა ფუნქციონირება.

სენდ კრიკის მოსახლეობა შემწეობის სახელმწიფო პროგრამაში ჩასვეს, თუმცა ქვეყნის დაცარიელებულ ბეღლებში მათთვის საკვები არ აღმოჩნდა, ამიტომ „გაერთიანების საბჭოს“ განკარგულებით ნებრასკელ ფერმერებს მარცვლეულის თესლი ჩამოართვეს და მატარებელ №194-ის მეშვეობით ეს დაუთესავი მოსავალი და ნებრასკას მოსახლეობის მომავალი ილინოისის ხალხს გაუგზავნეს. „ამ ჰუმანისტურ ეპოქაში, — აცხადებდა რადიოგადაცემაში იუჯინ ლოუსონი, — ბოლოს და ბოლოს, გავაცნობიერეთ, რომ თითოეული ჩვენგანი თავისი ძმის დარაჯია.

— ისეთ კრიტიკულ პერიოდში, როგორიც ჩვენი დროა, — ამბობდა ჯეიმს ტაგარტი, დაგნი კი ამ დროს რუკას უყურებდა, — სახიფათოა, ჩვენი კომპანიის რომელიმე განშტოებაში ხელფასების გაცემა დავაგვიანოთ, მართალია, ასეთი მდგომარეობა დროებითია, მაგრამ...

დაგნიმ ჩაიცინა:

— რკინიგზის გაერთიანების გეგმა არ მუშაობს, არა, ჯიმ?

— უკაცრავად?

— შენ სარკინიგზო კომპანია „ატლანტიკ საუთერნის“ მთლიანი შემოსავლიდან დიდი წილი უნდა მიგეღო წლის ბოლოს შენს ამხანაგებთან ერთად, პრობლემა კი ის არის, რომ შესაძლოა, შენი და შენი ამხანაგებისთვის მისატაცებელი შემოსავალი საერთოდ არ დარჩეს, ასეა?

— არ არის ასე! ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ბანკები საბოტაჟს უწყობენ გაერთიანების გეგმას. ეს ნაბიჭვრები, რომლებიც ადრე მხოლოდ ჩვენი რკინიგზის გარანტიის საფუძველზე გვაძლევდნენ სესხს, ახლა უარს მეუბნებიან სულ რაღაც

რამდენიმე ასი ათასის მოცემაზე მცირე ხნით, ხელფასების გადახდა რომ მოვახერხო, მაშინ, როცა სესხის გარანტიად შემიძლია, მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა რკინიგზა შევთავაზო!

დაგნიმ ისევ ჩაიცინა.

— ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ! — წამოიყვირა ჯიმმა, — გაერთიანების გეგმის ბრალი არ არის, რომ ზოგიერთი ადამიანი უარს ამბობს, საერთო ტვირთი გაინაწილოს!

— ჯიმ, სულ ეს არის, რისი თქმაც გინდოდა? თუ ასეა, მაშინ წავალ. სამუშაო მაქვს. ჯიმმა მაჯის საათზე დაიხედა:

— არა, არა, ჯერ არ დამიმთავრებია! სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ შექმნილი მდგომარეობა და რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელიც...

დაგნი გულგრილად ისმენდა ძმის გაურკვეველი განცხადებების მორიგ ნიაღვარს და ცდილობდა, მისი განზრახვა გამოეცნო. ჯიმს თითქოს დრო გაჰყავდა, მაგრამ მისი ასეთი ქცევის მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო; დაგნი დარწმუნებული იყო, რომ ძმა მას თავის კაბინეტში რაღაც კონკრეტული მიზნით აკავებდა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ ჯიმს ამავე დროს მარტო დარჩენაც სურდა.

ჯიმის ეს ახალი თვისება დაგნიმ შერილის სიკვდილის შემდეგ შეამჩნია. ძმა გაუფრთხილებლად მიეჭრა დაგნის ბინაში იმ საღამოს, როდესაც შერილის გვამი იპოვეს და გაზეთები მისი თვითმკვლელობის ცნობით აჭრელდა, რომელსაც ამ ამბის თვითმხილველი სოციალური მუშაკი ჰყვებოდა. „აუხსნელი თვითმკვლელობა“, — ასე იხსენიებდნენ გაზეთებში ამ ამბავს, რადგან შერილის საქციელის მიზეზი ვერ აღმოეჩინათ.

— ჩემი ბრალი არ იყო! — ყვირილით უხსნიდა ამ ამბავს ჯიმი დას, თითქოს დაგნი ერთადერთი მოსამართლე იყო, რომელიც მას უნდა დაერწმუნებინა, — მე არ უნდა დამადანაშაულონ ამაში! მე არ უნდა დამადანაშაულონ! — ჯიმი შიშისგან ცახცახებდა, თუმცა დაგნიმ შენიშნა მისი მზერა, რომელიც, რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა ყოფილიყო, სრულიად აუხსნელ ტრიუმფსაც გამოხატავდა.

— წაეთრიე აქედან, ჯიმ, — მხოლოდ ეს უთხრა დაგნიმ ძმას საპასუხოდ.

ჯიმი დას შერილის შესახებ აღარ დალაპარაკებია, მაგრამ ამის შემდეგ დაგნის ოფისში სიარულს მოუხშირა. დერეფანში აჩერებდა ხოლმე და უმიზნოდ ესაუბრებოდა; ასეთი შემთხვევების შედეგად დაგნის გაუგებარი შეგრძნება გაუჩნდა: როდესაც ჯიმი დას თანადგომისთვის და უსახელო შიშისგან თავის დასაღწევად ებღაუჭებოდა, თითქოს ლამობდა, დანა ჩაეცა მისთვის ზურგში.

— მინდა, შენი აზრი გავიგო ამ საკითხზე, — ეუბნებოდა ჯიმი დას დაჟინებით, დაგნი კი ამ დროს გვერდზე იყურებოდა, — სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ მდგომარეობა და... შენ კი ჯერ არაფერი გითქვამს. — დაგნის ძმისთვის არ შეუხედავს, — ისე კი არ არის საქმე, თითქოს სარკინიგზო ბიზნესში ფული აღარ იყოს, მაგრამ...

დაგნიმ ძმას მკაცრად შეხედა; ჯიმმა დას თვალი აარიდა.

— იმას ვგულისხმობ, რომ უნდა შევიმუშაოთ გარკვეული კონსტრუქციული პოლიტიკა, — განაგრძო ჯიმმა საუბარი მონოტონური და აჩქარებული ხმით, — რაღაც უნდა გაკეთდეს... ვინმემ რამე უნდა მოიმოქმედოს. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში...

დაგნი მიხვდა, რა აზრსაც გაექცა ჯიმი, რა მიანიშნა მან დას, თუმცა არ სურდა, რომ დაგნის გაეცნობიერებინა ან ემსჯელა ამ მინიშნებაზე. დაგნიმ კარგად იცოდა,

რომ უკვე შეუძლებელი იყო მატარებლების განრიგის შენარჩუნება, დაპირებების შესრულება, ხელშეკრულებების დაცვა, რომ რეგულარულ მატარებლებს გასვლამდე ერთი წუთით ადრე აუქმებდნენ და მოულოდნელი ბრძანების საფუძველზე გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის განკუთვნილ მატარებლად უშვებდნენ გაურკვეველი მიმართულებით და ამ ბრძანებას კაფი მეგზი გასცემდა, რომელიც საგანგებო ვითარებებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ერთადერთი მსაჯული იყო. დაგნიმ იცოდა, რომ ქარხნები იხურებოდა, ზოგიერთი იმის გამო, რომ დანადგარებს ვერ ამუშავებდნენ საჭირო მასალის უკმარისობის გამო, რომლის მოპოვებას ვერ ახერხებდნენ, ზოგი ქარხანა კი იმიტომ წყვეტდა ფუნქციონირებას, რომ მათი საწყობები იმ საქონლით იყო სავსე, რომელსაც ვერსად ვერ აბარებდნენ. დაგნიმ იცოდა, რომ ძველი საწარმოების, იმ გიგანტების არსებობა, რომლებმაც ძალაუფლება დროის გარკვეულ მონაკვეთში დაგეგმილი მიზნობრივი მოქმედების საშუალებით მოიპოვეს, წამიერ კაპრიზზე იყო დამოკიდებული, იმ წამის ახირებაზე, რომლის განჭვრეტა და მართვა მათ არ შეეძლოთ. დაგნიმ იცოდა, რომ ამ საწარმოებიდან საუკეთესოები, რომლებსაც წარმოების ყველაზე დიდი დიაპაზონი და რთული ფუნქცია ჰქონდათ, დიდი ხნის წინ განადგურდნენ, ისინი კი, რომლებიც ჯერ კიდევ იბრძოდნენ, თავგანწირულად ცდილობდნენ, დაეცვათ იმ დროების კოდექსი, დროების, როდესაც წარმოება შესაძლებელი იყო: ახლა ისინი თავიანთ ხელშეკრულებებს ერთ მუხლს ურთავდნენ, რომელიც ნათ ტაგარტის შთამომავლისთვის სამარცხვინო იყო: „ტრანსპორტირების ნებართვა“.

დაგნიმ იცოდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ, ტრანსპორტირების უფლება ნებისმიერ დროს მოეპოვებინათ, თითქოს რომელიღაც მისტიკური საიდუმლოს მეშვეობით, იმ ძალის წყალობით, რომლის ახსნა და ეჭვქვეშ დაყენება არავის არ უნდა გაებედა.

ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელთა ურთიერთობას კაფი მეგზთან ხალხი მისტიკური კრედოების იმ მიუწვდომელ საგნად მიიჩნევდა, რომელიც დანახვის ცოდვისთვის სჯის დამკვირვებელს, ასე რომ, ხალხი თვალებს არ ახელდა, მას უვიცობის კი არა, ცოდნის ეშინოდა. დაგნიმ იცოდა, რომ გარიგებები იდებოდა ამ ადამიანების მიერ იმ საქონლის გაყიდვის მეშვეობით, რომელსაც „ტრანსპორტირების გამწევ ძალას“ უწოდებდნენ — ეს ის ტერმინი იყო, რომლის აზრიც ყველას ესმოდა, მაგრამ მის განმარტებას ვერავინ ბედავდა. დაგნიმ იცოდა, რომ სწორედ ეს ადამიანები მართავდნენ გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის განკუთვნილი მატარებლების განრიგს, მათ შეეძლოთ, გაეუქმებინათ მისი მატარებლების წინასწარ დაგეგმილი გასვლა და ეს მატარებლები კონტინენტის რომელიმე შემთხვევით შერჩეულ ადგილზე გაეშვათ, რომელსაც თავიანთი ჯადოსნური ჯოხის დარტყმით არჩევდნენ, ეს ჯოხი კი ყველა ხელშეკრულებას, საკუთრებას, სამართლიანობას, მიზეზსა და სიცოცხლეს აღემატებოდა და აცხადებდა, რომ „საზოგადოებრივი კეთილდღეობა“ მოცემული ადგილის დაუყოვნებლივ შველას მოითხოვდა. სწორედ ამ ადამიანებმა გაუშვეს მატარებლები ძმები სმატერების და მათი არიზონაში დარგული გრეიპფრუტის საშველად, მათ გაუშვეს მატარებლები ფლორიდატს სათამაშო აპარატების მწარმოებელი ქარხნის დასახმარებლად, კენტუკის ცხენების ფერმისა და ორენ ბოილის კომპანიის „ესოშიეტიდ სთილის“ საშველად.

ეს ადამიანები გარიგებებს დებდნენ სასოწარკვეთილ მეწარმეებთან და მათ საწყობებში დაგროვებულ საქონელს ტრანსპორტირებით უზრუნველყოფდნენ ან,

თუ გასამრჯელოდ სასურველ პროცენტს ვერ მიიღებდნენ, როდესაც ქარხანა დაიხურებოდა, თვითონ შეიძენდნენ მის პროდუქციას გაკოტრების ფასად — ყოველ ერთი დოლარის ღირებულებაში მხოლოდ ათ ცენტს გადაიხდიდნენ და საქონელს სატვირთო მატარებლით გააქანებდნენ იმ ბაზრებზე, სადაც ვაჭრები მის შესასყიდად კაცსაც კი მოკლავდნენ. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ქარხნებს დასტრიალებდნენ თავს და ელოდნენ ლითონის სადნობი ბრძმედის უკანასკნელ დაბერვას, აღჭურვილობას რომ დაჰპატრონებოდნენ; ისინი თავს დასტრიალებდნენ რკინიგზის მიტოვებულ სათადარიგო ხაზებს, რომ ხელში ჩაეგდოთ ჩაუბარებელი საქონლით სავსე სატვირთო ვაგონები — ესენი იყვნენ ახალი ბიოლოგიური სახეობა, უდარდელი ბიზნესმენები, რომლებიც ბიზნესის ერთ სფეროში მხოლოდ ერთი გარიგების განმავლობაში რჩებოდნენ, შემდეგ კი სხვაგან ინაცვლებდნენ, მათ არც ხელფასები ჰქონდათ დასარიგებელი, არც ზედნადები ხარჯები, არც უძრავი ქონება, არც აღჭურვილობა, მათი ერთადერთი აქტივი და ინვესტიცია იყო საგანი, რომელსაც „მეგობრობას“ უწოდებდნენ. ამ ადამიანებს ოფიციალურ გამოსვლებში ახასიათებდნენ, როგორც „ჩვენი დინამიკური საუკუნის პროგრესულ ბიზნესმენებს“, მაგრამ ხალხი მათ „პროტექციით მოვაჭრეებს“ უწოდებდა. და ეს ბიოლოგიური სახეობა თავისთავად მრავალ ქვესახეობას მოიცავდა — „ტრანსპორტირების პროტექციით მოვაჭრეთა“ ჯიშს, „ნედლეულის პროტექციით მოვაჭრეთა“ და „ნავთობის პროტექციით მოვაჭრეთა“ ჯიშებს, „ხელფასის მომატების პროტექციით მოვაჭრეთა“ და „პირობითი სასჯელის განჩინების მოვაჭრეთა“ ჯიშებს — ეს დინამიკური ადამიანები ელვის უსწრაფესად დაქროდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით მაშინ, როცა სხვები ადგილიდან ვერ იძროდნენ, აქტიურები და უსულგულონი, მტაცებელი ცხოველებივით კი არა, იმ ჭიაღუებივით, რომლებიც ლეშით იკვებებიან და იქვე მრავლდებიან.

დაგნიმ იცოდა, რომ სარკინიგზო ბიზნესში ფული იშოვებოდა და ისიც იცოდა, თუ ვის ჯიბეში მიდიოდა ახლა ეს ფული. კაფი მეგზი მატარებლებს ისევე ყიდდა, როგორც რკინიგზის უკანასკნელ მარაგს, როცა კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ისე მოეწყო საქმე, რომ არაფერი გამჟღავნებულიყო — ის რელსებს გვატემალის საგზაო კომპანიებზე ან კანადის ტრამვაის მწარმოებელ კომპანიებზე ყიდდა, სადენებს მისგან მუსიკალური ავტომატების მწარმოებლები ყიდულობდნენ, ხოლო შპალებს — საკურორტო სასტუმროები საწვავად.

დაგნი რუკას უყურებდა და ფიქრობდა, ჰქონდა კი რაიმე მნიშვნელობა, გვამის რომელ ნაწილს რომელი ტიპის მატლი დაისაკუთრებდა, იმ ტიპის მატლი, რომელიც თვითონ შეჭამდა, თუ რომელიც საკვებს სხვა მატლებს მისცემდა? ვიდრე სხეულით მუცლებს იყორავდნენ, ჰქონდა კი რაიმე მნიშვნელობა, ვის ეკუთვნოდა ეს მუცელი?

ძნელი გასარჩევი იყო, რომელ უბედურებას იწვევდნენ ჰუმანისტები და რომელს — შეუნიღბავი ყაჩაღები. ვერ გაიგებდი, დაყაჩაღების რომელი შემთხვევა წააქეზა ლოუსონების ქველმოქმედების სურვილმა და რომელი — კაფი მეგზის სიხარბემ, რომელი დასახლება შეეწირა მსხვერპლად შიმშილობის ზღვარზე მყოფი მეორე დასახლების გამოკვებას და რომელი — პროტექციით მოვაჭრეებისთვის იახტების ყიდვას. ჰქონდა კი ამას რაიმე მნიშვნელობა? ორივე ტიპის მძარცველი ერთმანეთის მსგავსი იყო, რადგან არსითა და სულით ისინი ერთნი იყვნენ, ორივეს უჭირდა და ეს გაჭირვება მიიჩნეოდა მათ ერთადერთ უფლებად საკუთრებაზე, ორივე ზედმიწევნით იცავდა სულიერების ერთსა და იმავე კოდექსს. ადამიანების მსხვერპლად შეწირვას ორივე ნორმალურ მოვლენად მიიჩნევდა და ასეც იქცეოდნენ. ისიც კი გაუგებარი

ჩანდა, ვინ იყო კაციჭამია და ვინ მსხვერპლი — დასახლებები, რომლებიც მათგან აღმოსავლეთით მდებარე ქალაქის მოსახლეობისთვის ჩამორთმეულ ტანსაცმელსა და საწვავს ისე იღებდნენ, როგორც კანონიერ წილს, მეორე კვირას აღმოაჩენდნენ, რომ მათი ბეღლები დასავლეთით მდებარე ქალაქის გამოსაკვებად დაეცალათ — ადამიანებმა საუკუნეების მანძილზე წარმოდგენილ იდეალს მიაღწიეს, ისინი ამ იდეალს შეუზღუდავი სრულყოფილებით ახორციელებდნენ, ისინი ისე ემსახურებოდნენ გაჭირვებას, როგორც თავიანთ უზენაეს მბრძანებელს, გაჭირვებას მათზე უპირველესი უფლება ჰქონდა, ის მათთვის ღირებულების ნორმა, მათი სამყაროს ფულის ერთეული, უფლებაზე და სიცოცხლეზე უფრო წმინდა საგანი იყო. ადამიანებს უფსკრულისკენ უბიძგებდნენ და უჩიჩინებდნენ, რომ ადამიანი თავისი ძმის დარაჯია, თითოეული მათგანი ჭამდა თავის მეზობელს, თავად მას კი მეზობლის ძმა შთანთქავდა, თითოეული მათგანი უფლებას აცხადებდა დაუმსახურებელზე და თან უკვირდა, მაინც, ვინ გადაუტყავა ზურგი, თითოეული მათგანი საკუთარ თავს ანადგურებდა და თან შეშინებული გაჰყვიროდა, რომ დედამიწას გამოუცნობი ბოროტება ანადგურებდა.

„ახლა რაღაზე იწუწუნებენ?“ — ჩაესმა დაგნის ჰიუ ექსტონის სიტყვები, — „რომ სამყარო ირაციონალურია? მაგრამ, არის კი ეს ასე?“

დაგნი იჯდა და რუკას გულგრილი, სერიოზული მზერით შესცქეროდა, თითქოს ლოგიკის ამ გასაოცარი ძალის ჭვრეტისას ნებისმიერი ემოცია დაუშვებელი იყო.

დასაღუპავად განწირული კონტინენტის ქაოსში დაგნი მათემატიკური სიზუსტით ხორცშესხმულ ყველა იდეას ხედავდა, რომლებიც ადამიანებს ჰქონდათ. ადამიანებს არ უნდოდათ, გაეცნობიერებინათ, რომ ეს სწორედ ის იყო, რაც მათ სურდათ, არ უნდოდათ, დაენახათ, რომ სურვილის შესაძლებლობა მიეცათ და არა ძარცვის, და რომ მათ თავიანთი საწადელი სრულყოფილად განახორციელეს.

აინტერესებდა, ნეტავ რას ფიქრობდნენ ახლა გაჭირვების დამცველები და სიბრალულის მემრუშეები. რისი იმედი ჰქონდათ მათ? მათ, ვინც ერთ დროს ბრიყვული ღიმილით ამბობდნენ: „მე არ მინდა მდიდრის განადგურება, მე მხოლოდ ცოტაოდენის მიტაცება მსურს მათი ჭარბი ქონებიდან, გაჭირვებულებს რომ დავეხმარო, იმდენად მცირე ნაწილის, რომ ისინი მას ვერც კი შეამჩნევენ!“ მოგვიანებით უკმეხად აცხადებდნენ: „მაგნატები გაუძლებენ შევიწროებას; მათ სამი თაობის სამყოფი ქონება აქვთ დაგროვებული“. შემდეგ კი გაჰყვიროდნენ: „რატომ უნდა იტანჯებოდეს ხალხი, როდესაც ბიზნესმენებს ჯერ კიდევ ერთი წლის სამყოფი ქონება აქვთ?“ ახლა კი გაიძახიან: „რატომ უნდა ვშიმშილობდეთ, როდესაც ზოგიერთ ადამიანს ერთი კვირის მარაგი აქვს?“ „ნეტავ რისი იმედი აქვს ამ ხალხს“, — ფიქრობდა დაგნი.

— რაღაც უნდა გააკეთო! — წამოიყვირა ჯიმმა.

დაგნიმ ძმისკენ მიაბრუნა თავი:

— მე?

— ეს შენი საქმეა, შენი სფეროა, შენი მოვალეობაა!

— რა?

— მოქმედება, გაკეთება.

— რისი გაკეთება?

— მე საიდან უნდა ვიცოდე? ეს შენი განსაკუთრებული უნარია. შენ ხომ ასეთი ნიჭიერი ხარ.

დაგნიმ გაოცებით შეხედა ძმას: ჯიმის სიტყვები სრულიად უადგილო იყო. დაგნი ფეხზე წამოდგა.

— სულ ეს არის, რაც უნდა გეთქვა, ჯიმ?

— არა! არა! მინდა, ეს ყველაფერი განვიხილოთ!

— მიდი, დაიწყე.

— კი მაგრამ, შენ ჯერ არაფერი გითქვამს!

— არც შენ გითქვამს რაიმე.

— მაგრამ... მე იმას ვგულისხმობ, რომ პრაქტიკული პრობლემებია მოსაგვარებელი, რომლებიც... მაგალითად, რა დაემართა პიტსბურგის საწყობიდან გაუჩინარებულ ჩვენს ახალ რელსებს?

— კაფი მეგზმა მოიპარა და გაყიდა.

— ამის დამტკიცება შეგიძლია? — წამოიძახა ჯიმმა თავდაცვის ტონით.

— დატოვეს შენმა მეგობრებმა დამტკიცების რაიმე საშუალება, მეთოდი, წესი ან დაწესებულება?

— მაშინ ამაზე ნუ ლაპარაკობ, თეორიებს შეეშვი, ჩვენ მხოლოდ ფაქტები უნდა გვაინტერესებდეს! დღევანდელი ფაქტები... იმას ვამბობ, რომ რეალისტები უნდა ვიყოთ და რაიმე პრაქტიკული გზა უნდა მოვიფიქროთ, ჩვენი ინტერესები არსებულ ვითარებაში რომ დავიცვათ და არა დაუმტკიცებელ ვარაუდებში, რომლებიც...

დაგნიმ ჩაიცინა. „აი, ესეც — უფორმობის ფორმა, ასე მუშაობს ჯიმის ცნობიერება:

ჯიმს სურს, რომ რომ მე ის კაფი მეგზისგან დავიცვა, ისე, რომ მეგზის არსებობა არ გავაცნობიერო, რომ მე ვებრძოლო ბოროტებას და თან მის არსებობას არ ვაღიარებდე, დავამარცხო და თან მის თამაშსაც ხელი არ შევუშალო“, — ფიქრობდა დაგნი.

— ჯანდაბა! მაინც, რა ნახე ასეთი სასაცილო? — წამოიძახა ჯიმმა გაბრაზებული ხმით. — შენც კარგად იცი.

— მე არ ვიცი, რა გემართება! არ ვიცი, რა მოგივიდა... ბოლო ორი თვეა... რაც უკან დაბრუნდი... ასეთი უპასუხისმგებლო არასდროს ყოფილხარ!

— ამას რატომ ამბობ, ჯიმ? ბოლო ორი თვის განმავლობაში შენთან არც კი მიკამათია. — მეც ამას ვამბობ! — ჯიმი მალევე გაჩუმდა, თუმცა მაინც შენიშნა, როგორ გაელიმა დაგნის, — იმას ვგულისხმობ, რომ მინდოდა, თათბირი გამემართა და ამ მდგომარეობის შესახებ შენი აზრი გამეგო...

— ისედაც იცი ჩემი აზრი.

— კი მაგრამ, შენ ერთი სიტყვაც კი არ გითქვამს!

— ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა, სამი წლის წინ ვთქვი. მე გითხარი, სად წაგიყვანდა შენი არჩეული მიმართულება და გამართლდა კიდეც ჩემი სიტყვები.

— შენსას ისევ არ იშლი! რა სარგებლობა მოაქვს თეორიულ მსჯელობას? ჩვენ ახლა აქ ვართ და არა წარსულში, სამი წლის წინ. ჩვენ აწმყოს უნდა გავუმკლავდეთ და არა წარსულს. შესაძლოა, საქმე სხვაგვარად ყოფილიყო, შენი რჩევის მიხედვით რომ მოვქცეულიყავით, შესაძლოა, მაგრამ ფაქტია, რომ ასე არ მოვიქეცით და ახლა ფაქტებია მთავარი. რეალობა უნდა მივიღოთ, ისეთი, როგორიც ახლა, დღეს არის!

— კარგი მაშინ, მიიღე.

— უკაცრავად?

— მიიღე შენი რეალობა. მე კი უბრალოდ შენს განკარგულებებს დავემორჩილები.

— ეს უსამართლობაა! მე შენი აზრის გაგება მინდა...

— შენ ჩემი მხარდაჭერა გჭირდება, ჯიმ. ამას კი ვერ ეღირსები.

— უკაცრავად?

— არ ვაპირებ, შენთან კამათით დაგეხმარო, რომ თავი მოიკატუნო, თითქოს რეალობა, რომლის შესახებაც ლაპარაკობ, სულაც არ არის ისეთი, როგორც არის სინამდვილეში, რომ ჯერ კიდევ არსებობს ამ რეალობის ამოძრავებისა და შენი გადარჩენის გზა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

— აბა... — ჯიმის ხმაში ბრაზი, მრისხანება არ იგრძნობოდა, ეს სასოწარკვეთილი ადამიანის სუსტი, გაუბედავი ხმა იყო, — აბა... რა გინდა, რომ გავაკეთო?

— მინდა, რომ დანებდე. — ჯიმმა დაგნის უაზრო გამომეტყველებით შეხედა, — მინდა, რომ დანებდეთ ყველა თქვენგანი, შენ და შენი ვაშინგტონელი მეგობრები, ისინი, ვინც ეს ძარცვა დაგეგმა, ვინც ამ კანიბალურ ფილოსოფიას იზიარებს. დანებდით და გზიდან ჩამოგვეცალეთ, რომ საშუალება მოგვცეთ ჩვენ, ვისაც ამის უნარი გვაქვს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

— არა!!! — მაინც აფეთქდა ბოლოს ჯიმი; ასე ყვირიან ხოლმე, როცა სიკვდილი უჯობთ საკუთარ იდეაზე უარის თქმას, ახლა კი ეს ხმა იმ კაცს ეკუთვნოდა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება უარყოფდა იდეების არსებობას და ცივსისხლიანი ბოროტმოქმედის პრაქტიკულობით მოქმედებდა. „საინტერესოა, ნეტავ როგორია იდეების უარყოფის იდეისადმი მისი ერთგულების ბუნება?“ — დაინტერესდა უცებ დაგნი.

— არა! — წამოიძახა ჯიმმა უფრო დაბალი და ხრინწიანი, თითქმის დაღლილი ხმით, ფანატიკოსის ექსტაზს ახლა მედიდური ხელმძღვანელის ტონი ჩაენაცვლა, — ეს შეუძლებელია! გამორიცხულია!

— ვინ თქვა, რომ ასეა?

— ამას მნიშვნელობა არ აქვს! ეს ასეა! ყოველთვის არაპრაქტიკულად რატომ აზროვნებ? რატომ არ გინდა, რეალობას თვალი გაუსწორო? შენ ხარ რეალისტი, ინიციატორი, მწარმოებელი, ნათ ტაგარტი, შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც ნებისმიერ მიზანს მიაღწევს! შენ ახლა შეგიძლია, ჩვენ გადაგვარჩინო, შეგიძლია, იპოვო გზა, როგორ მოაგვარო ყველაფერი, თუკი მოისურვებ!

დაგნიმ გადაიხარხარა. „აი, რა იყო მთელი ამ აკადემიური ყბედობის საბოლოო მიზანი, რომელსაც ბიზნესმენები წლების განმავლობაში ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ, მიზანი იმ ბუნდოვანი განსაზღვრებების, ზოგადი განცხადებების, სენტიმენტალური აბსტრაქციების საბოლოო მიზანი, ყველა იმ განცხადების, რომ ობიექტური რეალობისადმი მორჩილება იგივეა, რაც სახელმწიფოსადმი მორჩილება, რომ არ არსებობს განსხვავება ბუნების კანონსა და ბიუროკრატის დირექტივას შორის, რომ მშიერი ადამიანი თავისუფალი არ არის, რომ ადამიანი უნდა გათავისუფლდეს საკვების, თავშესაფრისა და ტანსაცმლის ტირანიისგან, რომ შესაძლოა, ერთ დღესაც რეალისტი ნათ ტაგარტისთვის ეთხოვათ, რომ მას კაფი მეგზის ნება მიეჩნია ბუნების ფაქტად, ფოლადის, რელსებისა და მიზიდულობის ძალის მსგავს, შეუცვლელ და უდავო საგნად, რომ მიეღო მეგზის მიერ შექმნილი სამყარო, როგორც ობიექტური და შეუცვლელი რეალობა, შემდეგ კი გაეგრძელებინა ასეთ სამყაროში დოვლათის წარმოება. ეს იყო ბიბლიოთეკებსა და აუდიტორიებში მოკალათებული თაღლითების მიზანი, რომლებიც თავიანთ აღმოჩენებს გონიერებად, ინსტინქტებს მეცნიერებად, სურვილებს კი ცოდნად ასაღებდნენ, ეს იყო არაობიექტური, არააბსოლუტური, შედარებითი, საცდელი და შესაძლო

მოვლენების მქადაგებელი ყველა ველურის მიზანი — თუკი ეს ველურები დაინახავენ, როგორ იღებს გლეხი მოსავალს, ამ მოსავალს მისტიკურ ფენომენად მიიჩნევენ, ყოველგვარი მიზეზისა და შესაბამისი შედეგების გარეშე, თვით ამ გლეხის ყოვლისშემძლე ახირების წყალობით რომ გაჩნდა, მერე ამ გლეხს შეიპყრობენ, გაკოჭავენ, ჩამოართმევენ სამუშაო იარაღებს, მარცვალს, წყალს, ნიადაგს, უნაყოფო კლდეზე დაადგებენ და უბრძანებენ:

„ახლა მოიყვანე მოსავალი და გვარჩინე!“

დაგნიმ გაიფიქრა, რომ აზრი არ ექნებოდა, ჯიმისთვის აეხსნა, რაზე გაეცინა — მაინც ვერ გაიგებდა.

მაგრამ ჯიმს არც უკითხავს დისთვის სიცილის მიზეზი. დაგნიმ დაინახა, როგორ ჩაქინდრა მან თავი და ერთი მხრივ, — იმ შემთხვევაში, თუ ვერ აცნობიერებდა, რას ამბობდა, — სრულიად უადგილო რამ თქვა, მეორე მხრივ კი, — თუკი თავისი ნათქვამის აზრი ესმოდა, — შემზარავი:

— დაგნი, მე შენი ძმა ვარ...

დაგნი წელში გასწორდა, კუნთები ისე დაეჭიმა, თითქოს იარაღი დაანახვეს.

— დაგნი, — ჯიმის ხმა მათხოვრის დუდღუნა, მონოტონურ წკმუტუნს ჰგავდა, — მე მინდა, სარკინიგზო კომპანიის პრეზიდენტი გავხდე. მე მინდა ეს. რატომ არ შეიძლება, მეც მქონდეს ჩემი ნატვრა, შენსავით? რატომ არ შეიძლება, მეც ამისრულდეს სურვილი ისე, როგორც შენ იკმაყოფილებ შენს ნებისმიერ სურვილს? რატომ უნდა იყო შენ ბედნიერი მაშინ, როდესაც მე ვიტანჯები? ოჰ, რა თქმა უნდა, სამყარო ხომ შენ გეკუთვნის, მხოლოდ შენ გაქვს მის სამართავად საჭირო გონიერება. მაშინ რატომღა უშვებ ტანჯვას შენს სამყაროში? შენ ბედნიერებისთვის ბრძოლას ქადაგებ, ამ დროს კი მე იმედგაცრუებისთვის მწირავ. ნუთუ არ მაქვს უფლება, მოვითხოვო ბედნიერების ნებისმიერი ფორმა, რომელსაც მე თვითონ ავირჩევ? ეს ხომ ის ვალია, რომელიც შენ გმართებს ჩემი? შენი ძმა არ ვარ?

ჯიმის მზერა ქურდბაცაცას ფარნის სხივივით დაცოცავდა დაგნის სახეზე და ცდილობდა, იოტისოდენა სიბრალული მაინც ეპოვა, მაგრამ ზიზღის გარდა ვერაფერს წააწყდა.

— თუ მე ვიტანჯები, ეს შენი ბრალია! შენი ზნეობრივი მარცხია! მე შენი ძმა ვარ, შესაბამისად, შენ პასუხს აგებ ჩემზე, მაგრამ შენ ვერ შეძელი ჩემი სურვილების დაკმაყოფილება, ამიტომ დამნაშავე ხარ! საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის ყველა სულიერი ლიდერი ამას ქადაგებდა და შენ რა უფლება გაქვს, მათ არ დაეთანხმო? ძალიან კი გეამაყება საკუთარი თავი, გგონია, რომ უმწიკვლო და კეთილი ხარ, მაგრამ იქამდე ვერ გახდები კეთილი, სანამ მე უბედური ვიქნები. ჩემი უბედურება შენი დანაშაულის საზომია, ჩემი კმაყოფილება კი შენი სიკეთის საწყაო. მე ასეთი სამყარო მსურს, დღევანდელი სამყარო, ის ჩემს წილ ძალაუფლებას მაძლევს, ის საშუალებას მაძლევს, რომ მნიშვნელოვან ადამიანად ვიგრძნო თავი — აამუშავე ეს სამყარო ჩემთვის! რაღაც გააკეთე! მე რა ვიცი, რა უნდა გააკეთო? ეს შენი პრობლემაა, შენი მოვალეობაა! შენი უპირატესობა შენს ძლიერებაშია, მე... მე კი სისუსტის უფლებით ვსარგებლობ! ეს არის სულიერი ჭეშმარიტება! ნუთუ ვერ ხვდები?! ვერ ხვდები? ვერ ხვდები?

ჯიმის მზერა ახლა იმ კაცის ხელებს ჰგავდა, რომელიც უფსკრულის თავზე კიდია — ის ამაოდ ეძებდა ეჭვის ბზარს დაგნის მშვიდ და გლუვ სახეზე.

— შე ნაბიჭვარო, — თქვა დაგნიმ მშვიდი ხმით, ყოველგვარი ემოციის გარეშე, რადგან მისი სიტყვები ადამიანს არ მიემართებოდა.

უცებ მოეჩვენა, რომ დაინახა, როგორ გადაეშვა ჯიმი უფსკრულში, თუმცა მის ძმას მხოლოდ იმ თაღლითის გამომეტყველება ჰქონდა, რომლის ხრიკმაც სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

დაგნი ფიქრობდა, რომ მიზეზი არ ჰქონდა, ჩვეულებრივზე უფრო ძლიერი ზიზღი ეგრძნო; ჯიმმა უბრალოდ ის თქვა, რასაც ყველგან ქადაგებდნენ, ყველგან გაისმოდა და ყველგან მიღებული იყო; მაგრამ ამ კრედოს გადმოსაცემად, ჩვეულებრივ, მესამე პირს მიმართავდნენ ხოლმე, ჯიმს კი საკმარისი თავხედობა აღმოაჩნდა, ეს ყველაფერი პირველ პირში გადმოეცა. დაგნის აინტერესებდა, ადამიანები მსხვერპლშეწირვის დოქტრინას იმ შემთხვევაშიც მიიღებდნენ თუ არა, საკუთარი საქციელის ბუნებას ბოლომდე რომ ჩასწვდომოდნენ.

დაგნი მიბრუნდა და წასვლა დააპირა.

— არა! არა! მოიცადე! — წამოხტა ჯიმი ფეხზე, თან მაჯის საათზე იყურებოდა, — უკვე დროა! მნიშვნელოვანი ახალი ამბავი უნდა გადმოსცენ, მინდა, საინფორმაციო გამოშვებას მოუსმინო!

ძმის სიტყვებით დაინტერესებული დაგნი შეჩერდა.

ჯიმმა რადიო ჩართო და დაჟინებით, თითქმის უტიფრად შეაშტერდა დას სახეში.

თვალებში შიში და რაღაც განსაკუთრებულის სასიამოვნო მოლოდინი ედგა.

— ქალბატონებო და ბატონებო! — გაისმა უცებ რადიოს დიქტორის პანიკით შეპყრობილი ხმა, — ახლახან ჩილეს დედაქალაქიდან, სანტიაგოდან, შემაძრწუნებელი ახალი ამბავი შევიტყვეთ!

დაგნიმ დაინახა, როგორ შეკრთა და მოიღუშა ჯიმი, ისე შეშფოთდა, თითქოს არც ამგვარ დასაწყისს ელოდა და არც ასეთ ხმას.

— დღეს, დილის ათ საათზე, ჩილეს სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის საგანგებო სხდომაზე უნდა მიეღოთ აქტი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ჩილეს, არგენტინისა და სამხრეთ ამერიკის სხვა სახალხო რესპუბლიკების ხალხებისთვის. ჩილეს სახალხო რესპუბლიკის ახალი მეთაურის, სენიორ რამირესის მოწინავე შეხედულებების შესაბამისად, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა ზნეობრივი ლოზუნგით:

„თითოეული ადამიანი თავისი ძმის დარაჯია“, პარლამენტს „დ'ანკონია კოპერის“ ჩილეს საკუთრების ნაციონალიზაცია უნდა გამოეცხადებინა, რითაც არგენტინის სახალხო რესპუბლიკას შესაძლებლობა მიეცემოდა, დ'ანკონიას კომპანიის დანარჩენი ქონება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სახელმწიფო საკუთრებად ექცია. თუმცა ამის შესახებ ამ ორი ქვეყნის მხოლოდ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირმა იცოდა. ეს საქმე ასეთი გასაიდუმლოებული იმიტომ იყო, რომ თავიდან აეცილებინათ დისკუსია და რეაქციული ოპონირება. „დ'ანკონია კოპერის“ მრავალმილიარდიანი ქონების კონფისკაციის ამბავი ქვეყნისთვის სასიამოვნო სიურპრიზი უნდა ყოფილიყო.

ზუსტად ათ საათზე, როდესაც თავმჯდომარემ სხდომის დაწყების საუწყებლად ტრიბუნას ჩაქუჩი შეახო, — თითქოს ბომბის მექანიზმი აემოქმედებინოს, — სხდომათა დარბაზი წარმოუდგენელი სიძლიერის აფეთქებამ შეაზანზარა და ფანჯრების მინები ჩაამსხვრია. აფეთქების ხმა რამდენიმე ქუჩის იქით მდებარე ნავსადგურიდან მოდიოდა. კანონმდებლები ფანჯრებს მიაწყდნენ და იმ ადგილას, სადაც ადრე დ'ანკონიას კომპანიის მადნის დოკების ნაცნობი სილუეტი იყო აღმართული, ცეცხლის უზარმაზარი სვეტი დაინახეს. აფეთქებას დოკები ნამსხვრევებად ექცია.

თავმჯდომარემ პანიკის ჩაცხრობა მოახერხა და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. დ'ანკონიას კომპანიის ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის აქტი შეკრებილ საზოგადოებას სახანძრო საყვირისა და შორეული წივილ-კივილის ფონზე წაუკითხეს. მოღრუბლული დილა იყო, ცა საავდრო ღრუბლებს დაეფარა, აფეთქებამ ელექტროგადამცემი დააზიანა, ასე რომ, კენჭისყრა სანთლის შუქზე გაიმართა, ამ დროს კი ხანძრის წითელი ანარეკლი დარბაზის გუმბათისებრ ჭერზე ლაპლაპებდა.

მაგრამ უფრო დიდი ელდა წინ ელოდათ, როდესაც კანონმდებლებმა ნაჩქარევად გამოაცხადეს შესვენება, ქვეყნისთვის „დ'ანკონია კოპერის“ ნაციონალიზაციის სასიხარულო ამბავი რომ ეუწყებინათ. კენჭისყრის დროს დედამიწის ყველა კუთხიდან მოვიდა ცნობა, რომ დ'ანკონიას კომპანია აღარ არსებობდა. ქალბატონებო და ბატონებო, არსად აღარ არსებობდა. ზუსტად ათი საათი შესრულდა თუ არა, სასწაულებრივი სინქრონულობით, „დ'ანკონია კოპერის“ მთელი ქონება, — ჩილედან ტაილანდამდე, ესპანეთამდე, პოტსვილამდე, მონტანამდე, — ერთიანად აფეთქდა.

მსოფლიოს ყველა წერტილში დ'ანკონიას კომპანიის თანამშრომლებს დილის ცხრა საათზე ნაღდი ფულით გადაუხადეს უკანასკნელი ხელფასები და ათის ნახევარზე სამუშაო ტერიტორია დაატოვებინეს. მადნის გემმისადგომები, ლითონის სადნობები, ლაბორატორიები და საოფისე შენობები ერთიანად დაინგრა. დ'ანკონიას კომპანიის მადნის გადამზიდავი გემები მთლიანად განადგურდა — ისინიც, რომლებიც ნავსადგურში იდგნენ და ისინიც, რომლებიც ზღვაში იყვნენ გასული, მხოლოდ სამაშველო ნავები გადარჩა, რომლებზეც ეკიპაჟების წევრები გადმოსხდნენ.

რაც შეეხება საბადოებს, ზოგი მათგანი აფეთქების შედეგად ნანგრევების ქვეშ დაიმარხა, დანარჩენები კი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მათი აფეთქება არც ღირდა. როგორც გაირკვა, ამ საბადოების დიდ ნაწილზე მაინც გრძელდებოდა მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ მადნის მარაგი იქ უკვე წლების წინ იყო ამოწურული.

„დ'ანკონია კოპერის“ ათასობით თანამშრომელს შორის პოლიციამ ვერავინ იპოვა ისეთი, ვისაც ეცოდინებოდა, თუ როგორ ჩაისახა, დაიგეგმა და განხორციელდა ეს საზარელი ამბავი. მაგრამ კომპანიის წამყვანი თანამშრომლები არსად ჩანან.

კვალიფიციური აღმასრულებლები, მინერალოგები, ინჟინრები და ზედამხედველები — ის ადამიანები, ვისზედაც სახალხო რესპუბლიკა იმედს ამყარებდა, რომ მუშაობას გააგრძელებდნენ და გარდაქმნის პროცესს გააიოლებდნენ, სადღაც გაუჩინარდნენ. ყველაზე ნიჭიერი, უფრო სწორად, ყველაზე ეგოისტი ადამიანები გაუჩინარდნენ. სხვადასხვა ბანკებიდან იტყობინებიან, რომ დ'ანკონიას კომპანიის ანგარიშები ყველგან გაუქმებულია; თანხა ანგარიშებიდან უკანასკნელი ცენტის ჩათვლით არის გატანილი.

ქალბატონებო და ბატონებო, დ'ანკონიას სიმდიდრემ, მთელ მსოფლიოში უდიდესმა სიმდიდრემ, საუკუნეების განმავლობაში ნაგროვებმა ლეგენდარულმა სიმდიდრემ, არსებობა შეწყვიტა. ახალი ეპოქის ოქროს დასაწყისის ნაცვლად, ჩილესა და არგენტინის სახალხო რესპუბლიკებს ხელში მხოლოდ ქვების გროვა და უმუშევართა გუნდი შერჩათ.

სენიორ ფრანცისკო დ'ანკონიას ბედისა და ადგილსამყოფლის შესახებ არაფერია ცნობილი. ის დაუმშვიდობებლად გაუჩინარდა.

„მადლობა, ძვირფასო, მადლობას გიხდი, უკანასკნელი ჩვენგანის სახელით, თუნდაც ვერ გაიგონო ჩემი სიტყვები და არც განაღვლებდეს ამის მოსმენა...“ — ეს

დაგნის გონებაში აღვლენილი ლოცვის უხმო ემოცია იყო, ლოცვის, რომელიც იმ ბიჭის მოცინარი სახისადმი იყო მიმართული, ბავშვობიდან რომ იცნობდა.

შემდეგ დაგნიმ შენიშნა, რომ რადიოს ისე ებღაუჭებოდა, თითქოს მისი სუსტი ელექტროსიგნალი აკავშირებდა დედამიწაზე დარჩენილ ერთადერთ ცოცხალ ძალასთან, რომელსაც ის რამდენიმე წუთის განმავლობაში გადმოსცემდა და რომელიც ახლა ავსებდა იმ ოთახს, სადაც ყველაფერი დანარჩენი უსიცოცხლო იყო.

დაგნის შორეული აფეთქების ექოსავით შემოესმა ჯეიმსის ხმა — კვნესა, ყვირილიც და ბუზღუნიც ერთდროულად. შემდეგ დაინახა, ტელეფონისკენ დახრილ ჯიმს როგორ უცახცახებდა მხრები და როგორ გაჰყვიროდა ხრინწიანი ხმით:

— როდრიგო, შენ ხომ მითხარი, რომ საეჭვო არაფერი იყო! როდრიგო, ოჰ, ღმერთო! იცი, რამდენი ფული ჩავყარე ამ საქმეში? — შემდეგ ჯიმის მაგიდაზე მეორე ტელეფონმა დაიწკრიალა გულგამგმირავად. ახლა მეორე ყურმილში აღრიალდა ისე, რომ პირველი ტელეფონის ყურმილი არც დაუდვია, — მოკეტე, ორენ! რის გაკეთებას აპირებ? ეგ რა ჩემი სადარდებელია, ღმერთმა დაგწყევლოს!

კაბინეტში ხალხი შემორბოდა, ტელეფონები რეკავდა, ჯიმი კი ხან ერთ ყურმილში, ხან მეორეში ხმამაღლა ან რაღაცას იხვეწებოდა, ანდა ილანძღებოდა:

— სანტიაგოსთან დამაკავშირეთ!.. დამაკავშირეთ ვაშინგტონთან, რომ იქიდან სანტიაგოს დავუკავშირდე!

დაგნი ბუნდოვნად, ცნობიერების რომელიღაც კუნჭულით, ხვდებოდა, რა თამაშს ეწეოდნენ და როგორ წააგეს ეს თამაში ამ ადამიანებმა, მიკროსკოპის მინის ქვეშ, თეთრ ფირფიტაზე დაკლაკნილ ჭიებს რომ ჰგავდნენ. „ნეტავ, რისი იმედი ჰქონდათ, რატომ ეგონათ, რომ ვინმე სერიოზულად აღიქვამდა მათ, თუკი ფრანცისკო დ'ანკონია არსებობდა ამ სამყაროში?“ — ფიქრობდა დაგნი.

ამ აფეთქებების ანარეკლს ხედავდა თითოეული იმ ადამიანის სახეზე, ვისაც კი მთელი დღის განმავლობაში და საღამოს შეხვდა. „თუ ფრანცისკო დ'ანკონიას თავისი კომპანიისთვის ღირსეული სამგლოვიარო კოცონის დანთება სურდა, მან ეს მოახერხა“, — ფიქრობდა დაგნი. ეს კოცონი აქ, ნიუ-იორკის ქუჩებში გიზგიზებდა. ნიუ-იორკი მთელი დედამიწის ზურგზე ერთადერთი ქალაქი იყო, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ამის გააზრება — ეს კოცონი გიზგიზებდა გამვლელების სახეებზე, მათ ჩურჩულში, რომელიც თითქოს ცეცხლის ენებივით წყვეტილად ტკაცუნებდა; ამ შორეული ხანძრის ანარეკლი ჯერ კიდევ შერჩენოდა ადამიანების სახეებს, ზოგიერთი შეშინებული ჩანდა, ზოგი — გააფთრებული, უმეტესობა კი შეშფოთებული, დაეჭვებული; თუმცა, ყველა მათგანი აცნობიერებდა, რომ ეს ჩვეულებრივი სამრეწველო კატასტროფა კი არა, რაღაც გაცილებით უფრო სერიოზული რამ იყო, მაგრამ ამ ფაქტის ნამდვილი მნიშვნელობის განსაზღვრას ვერავინ ახერხებდა. ყველანი ჰგავდნენ მსხვერპლს, რომელიც იღუპება, მაგრამ იცის, რომ მის გამო შური იძიეს.

დაგნიმ ამ აფეთქების ანარეკლი ჰენკ რიერდენის სახეზეც შენიშნა იმ საღამოს, როდესაც ვახშამზე შეხვდნენ ერთმანეთს. მაღალი, თავდაჯერებული მამაკაცი, რომელიც დაგნისკენ მოემართებოდა, ერთადერთი იყო, ვინც ამ მდიდრული რესტორნის დიდებულ გარემოში თავს ლაღად და ბუნებრივად გრძნობდა, თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდა, თუმცა ქალმა მასში ის ბიჭიც დაინახა, რომელიც ჯერ კიდევ ხარობს ცხოვრებით. ჰენკს იმდღევანდელ ამბავზე სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ დაგნიმ იცოდა, რომ მას გონებაში სხვა არაფერი უტრიალებდა.

დაგნი და ჰენკი ყოველთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს, როდესაც კი რიერდენი ნიუ-იორკში ჩადიოდა; ერთად ატარებდნენ საღამოებს. წარსული კვლავ ცოცხლობდა უხმოდ მათ გონებაში. მართალია, ამ წარსულს მათ საქმიანობაში და საერთო ბრძოლაში მომავალი არ ჰქონდა, მაგრამ ისინი მაინც მოკავშირეები იყვნენ და ერთმანეთის არსებობა ძალას მატებდათ.

ჰენკს არ უნდოდა იმ დღის მოვლენის ხსენება და ფრანცისკოზე საუბარი, მაგრამ როდესაც მაგიდას უსხდნენ, დაგნიმ შეამჩნია, დროდადრო როგორ ეღიმებოდა მას უნებლიეთ. მიხვდა, ვისაც გულისხმობდა ჰენკი, როდესაც მომლბალი, აღფრთოვანებული ხმით ჩუმად თქვა:

— მან არ გატეხა თავისი ფიცი, ხომ ასეა?

— ფიცი? — იკითხა გაოგნებულმა დაგნიმ და თვალწინ ატლანტიდის ტაძარზე ამოტვიფრული წარწერა დაუდგა.

— მან მითხრა: „გეფიცებით იმ ქალს, რომელიც მიყვარს, რომ თქვენი მეგობარი ვარ“. ის ნამდვილად იყო ჩემი მეგობარი.

— ის ახლაც შენი მეგობარია.

რიერდენმა თავი გააქნია უარყოფის ნიშნად:

— მე არ მაქვს მასზე ფიქრის უფლება. არ მაქვს უფლება, მივიღო, რაც მან ჩემ გამო ჩაიდინა. თუმცა... — წინადადება არ დაუმთავრებია.

— თუმცა, ეს მართლაც ასეა, ჰენკ. მან ეს ყველა ჩვენგანისთვის ჩაიდინა, უპირველეს ყოვლისა კი, შენ გამო.

რიერდენმა ქალაქს გახედა. ისინი ფანჯარასთან ისხდნენ, ეს გამჭვირვალე მინა თითქოს სივრცეში წალეკვისგან და სამოცი სართულით დაბლა მდებარე ქუჩებისგან იცავდათ. ქალაქი არაბუნებრივად შორეული ჩანდა. ცათამბჯენები წყვდიადში დანთქმულიყვნენ; კალენდარი კი, დაგნისა და ჰენკის სახეების გასწვრივ რომ ეკიდა, პატარა აბეზარ მართკუთხედს კი არა, უზარმაზარ ეკრანს ჰგავდა, რომელიც შემაძრწუნებლად ახლოს იყო და უსიცოცხლო, მქრქალი შუქით განათებულ სუდარას ჰგავდა, რომელზეც არაფერი იყო გამოსახული, გარდა წარწერისა — 2 სექტემბერი.

— „რიერდენ სთილი“ ახლა სრული დატვირთვით მუშაობს, — ამბობდა ჰენკი გულგრილად, — მათ ჩემს ქარხნებს წარმოების შეზღუდვა მოუხსნეს, მგონი, მომდევნო ხუთი წუთით. არც კი ვიცი, რამდენი რეგულაცია შეწყვიტეს, ვფიქრობ, ეს თვითონაც არ იციან. კანონიერებას უკვე აღარ დაგიდევენ. დარწმუნებული ვარ, კანონი ხუთჯერ ან ექვსჯერ მაინც მაქვს დარღვეული, ამის უარყოფა ან დამტკიცება კი არავის შეუძლია — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ დღევანდელმა ყაჩაღებმა ნება დამრთეს, სრული დატვირთვით ვიმუშაო. — რიერდენმა მხრები აიჩეჩა, — ხვალ, როდესაც მათ სხვა განგსტერები განდევნიან, ალბათ, ბიზნესს დამიხურავენ უკანონო მოქმედების გამო. მაგრამ დღევანდელი გეგმის მიხედვით, შემიძლია, ჩემი მეტალი ნებისმიერი რაოდენობითა და ნებისმიერი საშუალებით ჩამოვასხა.

დაგნიმ გარშემომყოფთა მალული მზერები შენიშნა. ეს ადრეც შეუმჩნევია, რადიოგადაცემაში გამოსვლისა და მას შემდეგ, რაც ჰენკმა და მან ხალხში ერთად დაიწყეს გამოჩენა. გულისწყრომის ნაცვლად, რისიც რიერდენს ეშინოდა, ადამიანები მოწიწებითა და საკუთარი შეხედულებების სისწორეში დაეჭვებულნი შესცქეროდნენ ამ ორს, ვინც გაბედა, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. ხალხი მათ შეფარული ცნობისმოყვარეობით, შურით, პატივისცემით უყურებდა, თითქოს უბოდიშებდნენ კიდეც: „გვაპატიეთ, რომ დაქორწინებული ვართ“. ზოგიერთის მზერაში ღვარძლი გამოსჭვიოდა, მცირე ნაწილი კი აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

— დაგნი, — უცებ იკითხა ჰენკმა, — როგორ ფიქრობ, ის ნიუ-იორკშია?

— არა. სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“ დავრეკე და მითხრეს, რომ მის ნომერს იჯარის ვადა ერთი თვის წინ გაუვიდა და მერე იჯარა არ განუახლებია.

— ისინი მას მთელ მსოფლიოში დაეძებენ, — გაიღიმა რიერდენმა, — და ვერასოდეს იპოვიან. — უცებ სახიდან ღიმილი გაუქრა, — ვერც მე ვიპოვი.

მერე ისევ გულგრილი, საქმიანი ტონით განაგრძო:

— ქარხნები კი მუშაობს, მაგრამ მე არა. მე არაფერს არ ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ მთელ ქვეყანაში დავძრწივარ ნარჩენების შემგროვებელივით და ნედლეულის შესაძენად უკანონო გზებს დავეძებ. ვიმალები, ვიპარავ, ვიტყუები — მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ტონა მადანი, ქვანახშირი ან სპილენძი მივიღო. მათ ჩემი ნედლეულისთვის რეგულაციები არ მოუხსნიათ. იციან, რომ იმაზე მეტ მეტალს ვაწარმოებ, ვიდრე მათ მიერ დაწესებული შეზღუდული რაოდენობის ნედლეულით მოვახერხებდი, მაგრამ არ ენაღვლებათ. ჰგონიათ, ეს მე მადარდებს.

— დაიღალე, ჰენკ?

— საშინლად დავიღალე.

„იყო დრო, როდესაც რიერდენის გონება, ენერგია, დაუშრეტელი ნიჭიერება მხოლოდ მადნის გადამუშავების გაუმჯობესებას ხმარდებოდა, ახლა კი ეს ყველაფერი ადამიანების გაცურებას ემსახურება“, — გაიფიქრა დაგნიმ და საკუთარ თავს ჰკითხა, ნეტავ რამდენ ხანს შეეძლო ადამიანს, ამგვარი ცვლილებისთვის გაეძლო, — თითქმის შეუძლებელია რკინის მადნის შოვნა, — თქვა ჰენკმა გულგრილად, შემდეგ კი უცებ გამოცოცხლდა, — ახლა კი სპილენძის შოვნაც შეუძლებელი გახდება, — და გაიღიმა.

დაგნი დაფიქრდა, კიდევ რამდენ ხანს მოახერხებდა ადამიანი, საკუთარი თავის წინააღმდეგ ემუშავა, როდესაც წარმატების ნაცვლად, მთელი გულით სურდა, მარცხი განეცადა.

დაგნი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაც იგულისხმა ჰენკმა, როდესაც მან ჰკითხა:

— შენთვის არ მითქვამს, რომ რაგნარ დანეშოლდს შევხვდი?

— დანეშოლდმა თავად მითხრა ეს.

— რა? სად... — რიერდენი გაჩუმდა, — რა თქმა უნდა, — თქვა მერე დაძაბულმა ხმადაბლა, — ის ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა. შენ მას შეხვდებოდი. დაგნი, როგორები არიან, ის ადამიანები, ვინც... არა. არ მიპასუხო. — წუთის შემდეგ კი გააგრძელა, — ესე იგი, მე მათ ერთ-ერთ აგენტს შევხვდი.

— შენ მათ ორ აგენტს შეხვდი.

რიერდენმა პასუხის გაცემა დააგვიანა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან უხალისოდ, — მე ვიცოდი ეს... უბრალოდ, საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი, რომ ეს ვიცოდი... ის მათი გადმობირებელი აგენტი იყო ხომ? — მათი ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო აგენტი.

რიერდენმა სიმწრით, ნაღვლიანად ჩაიცინა:

— იმ ღამეს, როდესაც მათ კენ დენეგერი წაიყვანეს... ვიფიქრე, რომ ჩემ წასაყვანად რატომღაც არავინ გამოგზავნეს...

უცებ მის სახეს მკაცრი გამომეტყველება დაუბრუნდა, თითქოს გასაღებით გადაკეტეს მზით გაჩახჩახებული ოთახის კარი, სადაც არავის შეშვება არ სურდა. ცოტა ხნის შემდეგ ჰენკმა გულგრილი ხმით განაგრძო:

— დაგნი, ის ახალი რელსები, ერთი თვის წინ რომ ვილაპარაკეთ... მგონი, ვერ მოვახერხებ მის ჩაბარებას. მათ ჩემი ნაწარმისთვის რეგულაციები არ მოუხსნიათ,

ჯერ კიდევ აკონტროლებენ ჩემს გაყიდვებს და როგორც მოესურვებათ, ისე ანაწილებენ ჩემს მეტალს. მაგრამ ბუღალტერიაში ისეთი ქაოსია, რომ ყოველ კვირას მაინც ვახერხებ რამდენიმე ათასი ტონა ლითონის კონტრაბანდად შეტანას შავ ბაზარზე. მგონი, ეს მათაც იციან; თუმცა თავს იკატუნებენ, თითქოს ვერაფერს ხვდებიან. ახლა არ აწყობთ ჩემთან დაპირისპირება. ან არ შეუძლიათ. მე კი ამასობაში რამდენ ტონასაც ვახერხებ, იმდენს ვუგზავნი ჩემს ზოგიერთ კლიენტს, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაგნი, წინა თვეში მინესოტაში ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, რა ხდება იქ. ქვეყანას შიმშილობა მომავალ წელს კი არა, ამ ზამთარს ემუქრება, თუ სწრაფად არ ვიმოქმედეთ. მარცვლეულის მარაგი აღარსად დარჩა. მაშინ, როდესაც ნებრასკა განადგურებულია, ოკლაჰომა დაღუპულია, ჩრდილოეთი დაკოტა მიტოვებულია, კანზასი სულს ღაფავს — ასეთ პირობებში ხორბალი ამ ზამთარს არ იქნება, არც ნიუ-იორკისთვის და არც აღმოსავლეთით მდებარე რომელიმე ქალაქისთვის.

მინესოტა ჩვენი უკანასკნელი ბეღელია. იქ ზედიზედ ორი წელი მოუსავლიანი იყო, მაგრამ ამ შემოდგომაზე უხვი მოსავალი მოუვიდათ — და უნდა შეძლონ მისი აღება. იცი, რა მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მრეწველობაში?

ეს საწარმოები არც ისეთი მდიდარია, რომ ვაშინგტონში უფლებამოსილ ყაჩაღთა პერსონალის შენახვა ან პროტექციით მოვაჭრეებისთვის პროცენტების გადახდა შეძლონ. ასე რომ, მათ იშვიათად თუ გადაუგდებენ რაიმეს. ორი მესამედი უკვე დაიხურა და დანარჩენებიც სულ მალე შეწყვეტენ ფუნქციონირებას. ფერმები მთელ ქვეყანაში ერთიმეორის მიყოლებით ნადგურდება სამუშაო ტექნიკის უქონლობის გამო. უნდა გენახა, ფერმერები მინესოტაში. ისინი უფრო მეტ დროს იმ ძველი ტრაქტორების შეკეთებას ანდომებენ, რომელთა შეკეთებაც შეუძლებელია, ვიდრე თავიანთი მინდვრების დახვნას. არ ვიცი, როგორ გაიტანეს თავი შარშან გაზაფხულამდე ან ხორბლის დათესვა როგორ მოახერხეს. მაგრამ მათ ეს შეძლეს.

მათ ეს შეძლეს. — რიერდენს სახე დაეძაბა, თითქოს რაღაც შორეულისა და ბუნდოვანის დანახვას ცდილობდა; დაგნი მიხვდა, რატომ არ ტოვებდა ის თავის საქმიანობას, — დაგნი, ფერმერებს ტექნიკა სჭირდებათ მოსავლის ასაღებად. რამდენი მეტალის მოპარვაც მოვახერხე ჩემი ქარხნებიდან, იმდენი მივყიდე სასოფლოსამეურნეო ტექნიკის მწარმოებლებს ნისიად. ისინი კი მაშინვე მინესოტაში გზავნიან თავიანთ ნაწარმს, სწორედ ისევე, როგორც მე მივყიდე მათ ჩემი მეტალი — უკანონოდ და ნისიად. მაგრამ მწარმოებლებიც და მეც მივიღებთ ჩვენს თანხას ამ შემოდგომაზე. ქველმოქმედება, ეშმაკმა წაიღოს! ჩვენ მწარმოებლებს ვეხმარებით, თანაც რა შეუპოვარ მწარმოებლებს! — და არა საზიზღარსა და უქნარა „მომხმარებლებს“. ჩვენ სესხებს გავცემთ და არა მოწყალებას. ჩვენ ნიჭიერებას ვუჭერთ მხარს და არა გაჭირვებას. წყეულიმც ვიყო, თუ უმოქმედოდ ვიდგე და დავუშვა ამ ადამიანების განადგურება მაშინ, როდესაც პროტექციით მოვაჭრეები მდიდრდებიან!

რიერდენს თვალწინ მინესოტაში ნანახი სურათი ედგა: მიტოვებული ქარხნის სილუეტი, რომლის ჩალეწილ ფანჯრებში და სახურავის ნაპრალებში მზის სხივები შეჭრილიყო, ქარხნის აბრაზე შემორჩენილი წარწერა: „უორდ ჰარვესტერ კომპანი“.

— ოჰ, ვიცი, — განაგრძო რიერდენმა, — ჩვენ მათ მხოლოდ ამ ზამთარს გადავარჩენთ, მომავალ წელს კი მძარცველები მაინც შთანთქავენ. მაგრამ ამ ზამთარს მაინც ხომ გადავარჩენთ... ამიტომ ვერ მოგაწვდი შენი რკინიგზისთვის საჭირო მეტალს მალულად, უახლოეს მომავალში ვერ შევძლებ. ჩვენ კი უახლოესი

მომავლის გარდა აღარაფერი დაგვრჩენია. მე ვეღარ ვხვდები, რა აზრი აქვს ქვეყნის გამოკვებას, თუ მას რკინიგზა აღარ ექნება, მაგრამ მეორე მხრივ, რაღა საჭიროა რკინიგზა იქ, სადაც საკვები არ იქნება? მაინც, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?

— არა უშავს, ჰენკ. ჩვენ ასეთი ლიანდაგითაც გავალთ იოლას, მაგრამ... — დაგნი გაჩუმდა.

— ერთ თვეს გაძლებთ?

— მთელი ზამთარიც... იმედი მაქვს.

მოულოდნელად სიჩუმეში ერთ-ერთი მაგიდიდან გულგამგმირავი ყვირილი მოისმა, დაგნი და ჰენკი მიბრუნდნენ და დაინახეს აღელვებული კაცი, რომელიც კუთხეში მიმწყვდეულ ბოროტმოქმედს ჰგავდა, სადაცაა, იარაღზე რომ იტაცებდა ხელს.

— რა დროს დირექტივებია, — უყვიროდა ის პირქუშ კომპანიონს, — როდესაც სპილენძის ასეთი დეფიციტია!.. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ! არ უნდა დავუშვათ, რომ ასე მოხდეს!

რიერდენი მკვეთრად შეტრიალდა და ქალაქს გახედა.

— რას არ მივცემდი, რომ გამეგო, სად არის ფრანცისკო, — თქვა ჰენკმა ხმადაბლა, — უბრალოდ რომ მცოდნოდა, სად არის ის ახლა, ამწუთას.

— და რომ გაგეგო, რას გააკეთებდი?

რიერდენმა ხელი ჩაიქნია:

— არც კი მივუახლოვდებოდი. ვერ ვითხოვ შენდობას, როდესაც მიტევება შეუძლებელია.

ორივენი გაჩუმდნენ. გარშემომყოფთა ხმებს უსმენდნენ, მდიდრულ დარბაზში მოფარფატე პანიკის ნაფლეთებს.

დაგნი გრძნობდა, რომ ყოველ მაგიდასთან ისხდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, განყენებულ საკითხებზე ესაუბრათ, მაგრამ უნებლიეთ ერთსა და იმავე თემას უბრუნდებოდნენ. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ეს სივრცე, — მკრთალად განათებული, შემინული დარბაზი, ლურჯი ხავერდის ფარდებით, — მათთვის ზედმეტად დიდი და დაუცველი იყო.

— როგორ შეეძლო, ასე მოქცეულიყო? როგორ შეეძლო? — გაღიზიანებული, შეშინებული ტონით კითხულობდა ვიღაც ქალი, — მას არ ჰქონდა ამის უფლება!

— ეს უბედური შემთხვევა იყო, — მოუჭრა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც კლერკს ჰგავდა, — ეს უბრალოდ დამთხვევათა ჯაჭვია, შეხედეთ ალბათობის ნებისმიერ სტატისტიკურ მრუდს და თვითონ დარწმუნდებით. ხალხის მტრების ძალის გაზვიადება და ასეთი ხმების გავრცელება არაპატრიოტული საქციელია.

— სიკეთე და ბოროტება პირადული საუბრების თემაა, — შენიშნა ქალმა, მასწავლებლისთვის დამახასიათებელი ხმითა და იაფფასიანი პაბების მოყვარულისთვის შესაფერისი ჭყეტელა პომადით შეღებილი ტუჩებით, — მაგრამ, როგორ შეიძლება, ვინმეს თავისი ახირებები იმდენად მნიშვნელოვანი ეგონოს, რომ გაანადგუროს ქონება, რომელიც ადამიანებს ასე სჭირდებათ?

— მე ეს არ მესმის, — ამბობდა მოხუცი კაცი აკანკალებული, მწუხარე ხმით, — რამდენი საუკუნეა, კაცობრიობა განათლებით, აღზრდით, კეთილისა და მარადიულის შთაგონებით ცდილობს, ადამიანის თანდაყოლილი სისასტიკე ალაგმოს!

ვიღაც ქალმა შეცბუნებული ხმით დაიწყო და ვეღარ დაასრულა:

— მეგონა, ძმური სიყვარულის ეპოქაში ვცხოვრობდით...

— მეშინია, — ირწმუნებოდა ახალგაზრდა გოგონა, — მეშინია... ოჰ, არ ვიცი!.. უბრალოდ, მეშინია.

— ის ამას არ გააკეთებდა!..

— თუმცა, გააკეთა!..

— მაგრამ, რატომ?.. მე ამას ვერ დავიჯერებ!.. ეს არაადამიანური საქციელია!.. რატომ, რატომ?.. ერთი უმაქნისი მექალთანეა და მეტი არაფერი!.. მაინც, რატომ გააკეთა?

ეს ერთდროული, გაურკვეველი, ბუნდოვანი ხმები ერთმანეთში აირია; დაგნი ფანჯრისკენ შებრუნდა და ქალაქს გახედა.

კალენდარი ეკრანის მიღმა მოთავსებული მექანიზმით იმართებოდა, ეს მექანიზმი წლების განმავლობაში ერთსა და იმავე ფირს ატრიალებდა და თარიღებს მყარი მონაცვლეობითა და უცვლელი რიტმით აჩვენებდა — ზუსტად შუაღამისას ცვლიდა წარწერას. თარიღის შეცვლის მომენტში დაგნიმ ისეთი დაუჯერებელი რამ დაინახა, როგორიც, მაგალითად, რომელიმე პლანეტის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა იქნებოდა თავის ორბიტაზე: დაინახა, როგორ აცურდა წარწერა „2 სექტემბერი“ ეკრანის ზემოთა კიდისკენ და მის მიღმა გაუჩინარდა.

შემდეგ კი კალენდრის უზარმაზარ ეკრანზე დრო შეჩერდა და სამყაროსადმი და მისი ძრავისადმი, ნიუ-იორკისადმი მიმართული უკანასკნელი შეტყობინება გამოჩნდა — მკაფიო, ხელით ნაწერი ასოებით შესრულებული:

„ძმაო, შენ მთხოვე ეს!

ფრანცისკო დომინგო კარლოს ანდრეს სებასტიან დ'ანკონია“ დაგნის ვეღარ გაეგო, რამ უფრო გააოგნა: ამ შეტყობინების დანახვამ თუ რიერდენის ხარხარმა — ჰენკი ფეხზე წამოდგა, მას მთელი დარბაზი ხედავდა. დარბაზის პანიკური გმინვა მისმა ხმამაღალმა და ბედნიერმა სიცილმა გადაფარა. სიცილით ესალმებოდა და იღებდა ამ საჩუქარს.

* * *

7 სექტემბრის საღამოს, მონტანაში, სპილენძის სადენი გაწყდა, რამაც სტენფორდის სპილენძის საბადოზე, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ერთ-ერთ სარკინიგზო განშტოებაზე, სატვირთო ამწის ძრავა გააჩერა.

საბადო ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობდა, დღეები და ღამეები ბრძოლის ერთ მთლიან მონაკვეთად გაერთიანებულიყო, არც ერთი წუთი რომ არ დაკარგულიყო და ქვეყნის სამრეწველო უდაბნოს არ მოჰკლებოდა არც ერთი წვეთი სპილენძი, რომელიც მთის ქანებიდან გამოიწურებოდა. ამწე მატარებლის დატვირთვისას გაჩერდა; მან მოულოდნელად შეწყვიტა მუშაობა და საღამოს ცის ფონზე, ვაგონების ცარიელ მწკრივსა და მადნის გროვას შორის, უძრავად ჩამოეკიდა.

რკინიგზისა და საბადოს განცვიფრებულმა თანამშრომლებმა მუშაობა შეწყვიტეს: აღმოაჩინეს, რომ მთელ ამ მათ რთულ მოწყობილობაში, საბურღ ჩარხებს, ძრავებს, ამწეებს, საზომ ხელსაწყოებს, მთების კარიერებისა და ქედების გამნათებელ მძიმე წონის პროჟექტორებს შორის სადენი ამწის შესაკეთებლად არ აღმოჩნდა. თითქოს საოკეანო ლაინერზე იმყოფებოდნენ, რომელსაც 10 000 ცხენის ძალის სიმძლავრის მქონე ძრავები ამუშავებს, მაგრამ რკინის სამაგრის უქონლობის გამო იღუპება.

სადგურის დისპეტჩერმა, სხარტმა ახალგაზრდა კაცმა, უხეში ხმით, სადგურის შენობას სადენი ააგლიჯა და ამწე კვლავ აამუშავა — სანამ მადანი ვაგონებს

გრუხუნით ავსებდა, სადგურის ჩაბნელებული ფანჯრებში სანთლების მოცახცახე ალი კრთოდა.

— მინესოტა, ედი, — მიმართა დაგნიმ უილერსს მკაცრად და უჯრა დახურა, სადაც საგანგებო შემთხვევებისთვის განკუთვნილი საქაღალდე ედო, — მინესოტას განშტოებას უთხარი, რომ თავიანთი სადენის მარაგის ნახევარი მონტანაში გადაგზავნონ.

— კი მაგრამ, ღმერთო ჩემო, დაგნი! — მოსავლის აღების დრო ახლოვდება...

— მგონი, ისინი თავის გატანას მოახერხებენ. სპილენძის ერთადერთ მომწოდებელს ვერ დავკარგავთ.

— მაგრამ მე ხომ მივაღწიე! — იყვირა ჯეიმსმა, როდესაც დაგნიმ ეს ამბავი შეახსენა, — სპილენძის სადენი პირველ რიგში შენთვის მოეწოდებინათ, როგორც კი მოითხოვე, ყველა ბარათი, მოწმობა, დოკუმენტი და განაცხადი გადმოგეცი — მეტი რაღა გინდა?

— სპილენძის სადენი.

— რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე! ვერავინ დამადანაშაულებს!

დაგნი აღარ შეჰკამათებია. მაგიდაზე გაზეთი ედო და უკანა გვერდზე დაბეჭდილ სტატიას ჩაჰყურებდა: „კალიფორნიაში საგანგებო გადასახადი დაწესდა შტატის უმუშევარი მოსახლეობის დასახმარებლად, ყველა ადგილობრივ კორპორაციას მთლიანი შემოსავლის ორმოცდაათი პროცენტის გადახდა დაეკისრა; კალიფორნიის ნავთობის მომპოვებელმა კომპანიებმა უკვე შეწყვიტეს ფუნქციონირება“.

— ნუ წუხხართ, მისტერ რიერდენ, — გაისმა ყურმილში ვიღაცის შემპარავი, ფრთხილი ხმა ვაშინგტონიდან, გარწმუნებთ, თქვენ არაფერი გემუქრებათ.

— რას გულისხმობთ? — დაიბნა რიერდენი.

— დროებით არეულობას კალიფორნიაში. ჩვენ ამ მდგომარეობას სწრაფად გამოვასწორებთ. ეს უკანონო ამბოხება იყო, შტატის ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, შემოეღო ისეთი ადგილობრივი გადასახადი, რომელიც სახელმწიფო გადასახადებს დააზარალებდა, სულ მალე სამართლიანად გადავწყვეტთ ამ საკითხს — მაგრამ, თუ კალიფორნიის ნავთობის მომპოვებული კომპანიების შესახებ გავრცელებულმა არაპატრიოტულმა ჭორებმა შეგაშფოთათ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ „რიერდენ სთილი“ ყველაზე პრიორიტეტულ კომპანიათა სიაშია და უფლება აქვს, პირველმა მოითხოვოს ნებისმიერი ნავთობი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე პრიორიტეტულ კომპანიათა სიაში ხართ, მისტერ რიერდენ, და მინდა იცოდეთ, რომ ამ ზამთარს საწვავზე წუხილი არ მოგიწევთ!

რიერდენმა ყურმილი დაკიდა და მოიღუშა. არც საწვავის პრობლემას დაუღონებია და არც კალიფორნიის ნავთობსაბადოების დახურვას, — ასეთი კატასტროფები უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, — ის აწუხებდა, ვაშინგტონში მისი დამშვიდება საჭიროდ რომ მიიჩნიეს. ადრე მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა და რიერდენს აინტერესებდა, რას ნიშნავდა ეს ჟესტი. მრავალწლიანმა ბრძოლამ ასწავლა, რომ ვითომდა უმიზეზო მტრობასთან გამკლავება ძნელი სულაც არ იყო, უსაფუძვლო მზრუნველობა კი მართლაც სერიოზულ საფრთხეს შეიცავდა. ასეთი შეშფოთება რიერდენმა მოგვიანებით კიდევ იგრძნო, როდესაც ქარხნის ნაგებობებს შორის ადამიანის მოხრილი სილუეტი დაინახა, რომელიც თან უტიფრად იდგა და, იმავე დროს, თითქოს მოელოდა, რომ ვინმე დაარტყამდა: ეს მისი ძმა ფილიპი აღმოჩნდა.

რაც საცხოვრებლად ფილადელფიაში გადავიდა, რიერდენი ძველ სახლში აღარ ჩასულა და ოჯახის წევრებისგანაც არაფერი გაუგია, თუმცა მათ გადასახადებს მუდმივად იხდიდა. ბოლო კვირების განმავლობაში კი ორჯერ მოჰკრა თვალი თავის ძმას, ფილიპს, რომელიც ქარხანაში უმიზეზოდ დაეხეტებოდა. ჰენკს ვერ გაეგო, ფილიპი მას ემალებოდა, თუ პირიქით, მისი ყურადღების მიპყრობა სურდა; თითქოს ორივე განზრახვა ერთდროულად ამოძრავებდა. რიერდენს ვერ აეხსნა ძმის საქციელი, ერთი იცოდა, რომ ამგვარი ფორიაქი ადრე ფილიპისთვის არასოდეს შეუმჩნევია.

პირველ ჯერზე, როდესაც გაკვირვებულმა ჰენკმა ძმას მოსვლის მიზეზი ჰკითხა, ფილიპისგან გაურკვეველი პასუხი მიიღო:

— ვიცი, ვიცი, რომ არ გსიამოვნებს, შენს კაბინეტში რომ შემოვიდე.

— რა გინდა?

— ოჰ, არაფერი... მაგრამ... დედა შენზე ღელავს.

— დედას შეუძლია, ნებისმიერ დროს დამირეკოს.

ფილიპმა აღარაფერი უპასუხა ძმას, მაგრამ კითხვების დასმა გააგრძელა მისი სამუშაოს, ჯანმრთელობისა და ბიზნესის შესახებ; ფილიპის კითხვები უცნაური ჩანდა, რადგან ისინი რიერდენის ბიზნესს კი არა, უფრო მის დამოკიდებულებას შეეხებოდა ამ ბიზნესისადმი. ჰენკმა მოკლედ მოუჭრა ძმას და ჟესტით მიუთითა, მიბრძანებულიყო, მაგრამ ფილიპის წასვლის შემდეგ ამ ამოუხსნელი შემთხვევით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნება მაინც დარჩა.

მეორედ ფილიპმა თავისი იქ მისვლის მიზეზი მხოლოდ ასე ახსნა:

— ჩვენ უბრალოდ გვინდა გავიგოთ, როგორ გრძნობ თავს.

— ვინ „თქვენ“?

— როგორ თუ ვინ?.. მე და დედას გვინდა ამის გაგება. ახლა მძიმე დროა და... დედას აინტერესებს, რას ფიქრობ ამ ყველაფერზე.

— გადაეცი დედას, რომ საერთოდ არაფერს არ ვფიქრობ.

ამ სიტყვებმა ფილიპზე საკმაოდ უცნაურად იმოქმედა, თითქოს სწორედ ასეთი პასუხის ეშინოდა ყველაზე მეტად.

— წაეთრიე აქედან, — უბრძანა ჰენკმა ძმას დაღლილი ხმით, — შემდეგ ჯერზე, როდესაც ჩემი ნახვა მოგინდება, წინასწარ შემითანხმდი შეხვედრაზე და კაბინეტში მოდი. მაგრამ თუ არაფერი გაქვს სათქმელი, საერთოდ ნუ მოხვალ. ეს ის ადგილი არ არის, სადაც ვინმეს გრძნობებს განიხილავენ.

ფილიპს არც ამჯერად შეუთანხმებია შეხვედრა ძმასთან; უზარმაზარ ღუმლებს შორის დაეხეტებოდა, თან დამნაშავესავით და თანაც გაბღენძილი, თითქოს რაღაცას ზვერავდა და იმავე დროს, პატივსაც სდებდა იქაურობას თავისი სტუმრობით.

— მაგრამ, მე უნდა გითხრა რაღაც! უნდა გითხრა! — წამოიყვირა ფილიპმა, როგორც კი ძმის განრისხებული სახე დაინახა.

— ჩემს კაბინეტში რატომ არ მოხვედი?

— შენ არ გინდა, კაბინეტში რომ მოვიდე.

— მე აქაც არ მინდა შენი დანახვა.

— მაგრამ, მე მხოლოდ... მე მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ ტაქტიანი ვიყო და დრო არ დაგაკარგვინო, როდესაც ასეთი დაკავებული ხარ და... შენ ხომ ძალიან დაკავებული ხარ, ასე არ არის?

— მერე რა?

— ის, რომ... მე უბრალოდ მინდოდა, ხელსაყრელი დრო შემერჩია, როცა გეცლებოდა... შენთან დასალაპარაკებლად.

— რის შესახებ გინდა ჩემთან საუბარი?

— მე... მე სამუშაო მჭირდება.

ფილიპმა ეს სიტყვები აგრესიული ტონით წარმოთქვა და ცოტათი უკან დაიხია.

ჰენკი გულგრილად შესცქეროდა ძმას.

— ჰენრი, სამუშაო მინდა. აქ, ქარხანაში. მინდა, რაღაცით დამასაქმო. სამსახური მჭირდება, თავი თვითონ რომ ვირჩინო, მოწყალებით ცხოვრებამ დამღალა. — ფილიპი სიტყვებს არჩევდა, ნაწყენი და მავედრებელი ხმა ჰქონდა, თითქოს ვიღაცამ უსამართლოდ დააკისრა, თხოვნა როგორმე უსათუოდ გაემართლებინა, — მინდა, საკუთარი საარსებო წყარო მქონდეს, მე მოწყალებას კი არ გთხოვ, მინდა, შანსი მომცე!

— ფილიპ, ეს ქარხანაა და არა კაზინო.

— რა?

— ჩვენ შანსებს არც ვითხოვთ და არც ვიძლევით.

— მე სამუშაოს მოცემას გთხოვ!

— რატომ უნდა მოგცე?

— იმიტომ, რომ მჭირდება!

ჰენკმა ძმას შავი ღუმლიდან გამომავალ ცეცხლის ენებზე მიუთითა, რომლებიც ოთხასი ფუტის სიმაღლეზე, ფოლადში, თიხაში და ორთქლში განსხეულებულ აზრად მიიკლაკნებოდა სივრცეში:

— მე ეს ღუმელი მჭირდებოდა, ფილიპ. თუმცა ის ჩემს საჭიროებას არ მოუცია ჩემთვის.

ფილიპმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა ძმის სიტყვების აზრს.

— შენ ოფიციალურად არავის დაქირავება არ გევალება, თუმცა, ეს მხოლოდ ფორმალობაა, თუ შენ სამსახურში ამიყვან, ჩემი მეგობრები დაეთანხმებიან ამას მოიწონებენ და...

ფილიპმა ჰენკის თვალებში რაღაც ისეთი დაინახა, რამაც მოულოდნელად დაადუმა, შემდეგ კი გაბრაზებული, გაღიზიანებული ხმით ჰკითხა ძმას:

— რა მოხდა? მაინც რა ვთქვი არასწორი?

— ის, რაც არ გითქვამს.

— უკაცრავად?

— რაც გირჩევნია, უთქმელი დარჩეს.

— რა?

— ის, რომ შენ ჩემთვის სრულიად უსარგებლო ხარ.

— და შენ ასე... — წამოიძახა განცვიფრებულმა ფილიპმა უნებურად, მაგრამ წინადადება აღარ დაამთავრა.

— დიახ, — უპასუხა ჰენკმა ღიმილით, — ასე ვფიქრობ.

ფილიპის თვალი აარიდა; როდესაც ისევ ალაპარაკდა, თითქოს გონებაში შემთხვევით გაელვებულ წინადადებებს წარმოთქვამდა:

— ყველას აქვს უფლება, საარსებო წყაროს ჰქონდეს... როგორ უნდა მოვიპოვო შანსი, თუ არავინ მომცემს ამის შესაძლებლობას?

— მე როგორ მოვიპოვე ჩემი საარსებო წყარო?

— მე ფოლადსასხმელი ქარხნის მფლობელად არ დავბადებულვარ.

— მე დავიბადე?

— მეც შემიძლია ყველაფერ იმის გაკეთება, რასაც შენ აკეთებ — თუ მასწავლი.

— მე ვინ მასწავლა?

— სულ ამას რატომ იმეორებ? მე ხომ შენზე არ ვლაპარაკობ!

— მე ვლაპარაკობ.

წუთის შემდეგ ფილიპმა ჩაიბუტბუტა:

— შენ რა გენაღვლება? შენს საარსებო წყაროს ხომ არაფერი ემუქრება!

ჰენკმა ძმას ღუმლის გამონაბოლქვში გახვეულ მუშებზე მიუთითა და ჰკითხა:

— შეგიძლია, ის გააკეთო, რასაც ისინი აკეთებენ?

— არ მესმის, რას...

— რა მოხდება, თუ იქ დაგაწყებინებ მუშაობას და ფოლადს ვერ ჩამოასხამ?

— შენთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, შენი წყეული ფოლადის ჩამოსხმა თუ მე რომ ვიკვებო?

— როგორ უნდა იკვებო, თუ ფოლადი არ ჩამოისხა?

ფილიპს სახეზე საყვედური დაეტყო:

— ვერ შეგეკამათები, რადგან უპირატესობა შენს მხარეზეა.

— მაშინ არ მეკამათო.

— რა?

— მოკეტე და აქედან წაეთრიე.

— მაგრამ, მე იმის თქმა მინდოდა... — ფილიპმა წინადადება არ დაამთავრა.

ჰენკმა ჩაიცინა:

— შენ გინდოდა გეთქვა, რომ მე უნდა მოვკეტო, რადგან უპირატესობა ჩემს მხარეზეა და სამუშაო მოგცე, რაკი არაფრის კეთება არ იცი?

— როგორ შეიძლება, ასე უხეშად გამოთქვა ზნეობრივი პრინციპი!

— მაგრამ, შენი ზნეობრივი პრინციპი ხომ სწორედ ამას გულისხმობს?

— მორალზე მატერიალური ტერმინებით არ მსჯელობენ.

— ჩვენ ახლა ფოლადსასხმელ ქარხანაში მუშაობაზე ვლაპარაკობთ, ეს კი მეტისმეტად მატერიალური ადგილია, ბიჭო!

ფილიპი დაიძაგრა, თვალები ოდნავ დაებინდა, თითქოს იმ ადგილის შეეშინდა, სადაც იმყოფებოდა, თითქოს არ სურდა მისი დანახვა, მისი რეალურობის აღიარება. ხმადაბლა, დაჟინებით ამოიწუწუნა, გეგონებოდა, შელოცვას წარმოთქვამდა:

— ნებისმიერ ადამიანს აქვს მუშაობის უფლება, ეს ჩვენი დროის საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი კანონია, — შემდეგ კი ხმა აიმაღლა, — მეც მაქვს მუშაობის უფლება! — გაქვს? მაშინ, მიდი და მოიპოვე შენი უფლება.

— რა?

— მოიპოვე შენი სამუშაო. იმ ბუჩქიდან მოწყვიტე, სადაც იზრდება, შენი ჭკუით.

— მე მინდოდა მეთქვა...

— გინდოდა გეთქვა, რომ სამუშაო ბუჩქზე არ იზრდება? შენ გინდოდა გეთქვა, რომ შენ გჭირდება სამუშაო, მაგრამ მისი შექმნა არ შეგიძლია? შენ იმის თქმა გსურდა, რომ უფლება გაქვს იმ სამუშაოზე, რომელიც შენთვის მე უნდა შევქმნა?

— დიახაც!

— და თუ არ შევქმნი?

სიჩუმე ჩამოწვა.

— შენი არ მესმის, — თქვა ფილიპმა; იმ კაცივით იყო განცვიფრებული და განრისხებული, რომელიც კარგად ნასწავლი როლის ფრაზებს წარმოთქვამს, თუმცა საპასუხო სასურველ რეპლიკებს ვერა და ვერ იღებს, — არ მესმის, რატომ აღარ

შეიძლება შენთან ნორმალურად დალაპარაკება. არ მესმის, რა თეორიაზე ცდილობ, იმსჯელო...

— თანაც, როგორ კარგად გესმის.

თითქოს არ სურდა აღიარება, რომ მისმა ფრაზებმა მარცხი განიცადა, ფილიპმა წამოიყვირა:

— როდიდან დაინტერესდი აბსტრაქტული ფილოსოფიით? შენ მხოლოდ ბიზნესმენი ხარ, პრინციპულ საკითხებზე მსჯელობა არ შეგიძლია, ამ საკითხების განხილვა იმ ექსპერტებს უნდა მიანდო, რომლებიც საუკუნეების მანძილზე...

— მოკეტე, ფილიპ. ეს რაღა ფანდია?

— ფანდი?

— მოულოდნელად რატომ გაგიჩნდა ასეთი ამბიცია?

— ასეთ დროში...

— როგორ დროში?

— ყველა ადამიანს აქვს უფლება, საარსებო სახსრებს ფლობდეს... გარიყული რომ არ აღმოჩნდეს... მაშინ, როდესაც საიმედო აღარაფერია, ადამიანს რაღაც გარანტია უნდა ჰქონდეს... საყრდენი წერტილი... იმის თქმა მინდა, რომ ასეთ დროს, შენ რომ შემთხვევით რამე დაგემართოს, მე აღარაფერი...

— მაინც, რა შემთხვევითობას მოელი, რა უნდა დამემართოს?

— ოჰ, არაფერს! არაფერს! — დაიყვირა ფილიპმა უცნაურად გულწრფელი ხმით, — არაფერსაც არ მოველი!.. შენ, შენ თვითონ მოელი რაიმეს?

— რა უნდა დამემართოს?

— მე საიდან უნდა ვიცოდე?.. იმის გარდა, რასაც შენ მიკეთებ, მე არაფერი გამაჩნია და... და შენ შესაძლოა, ნებისმიერ წამს გადაიფიქრო ჩემი დახმარება.

— შესაძლოა.

— მე კი შენზე არავითარი გავლენა არ მაქვს.

— ამდენი წელი რატომ დაგჭირდა, ეს რომ გაგეცნობიერებინა და თავი შეგეწუხებინა? და ეს ყველაფერი მაინცდამაინც ახლა რატომ გააცნობიერე?

— იმიტომ... იმიტომ, რომ შენ შეიცვალე. შენ... შენ ადრე მოვალეობისა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა გქონდა, მაგრამ... შენ ამ გრძნობას ნელ-ნელა კარგავ. შენ მას კარგავ, ასე არ არის?

ჰენკი მდუმარედ აკვირდებოდა ძმას; ფილიპს კითხვიდან კითხვაზე გადასვლის განსაკუთრებული მანერა ჰქონდა. მისი სიტყვები თითქოს შემთხვევითი ჩანდა, მაგრამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ოდნავ დაჟინებული კითხვები მის განზრახვას ხსნიდა.

— თუ მე შენთვის ტვირთი ვარ, სიხარულით ჩამოგხსნი მას მხრებიდან! — წამოიძახა ფილიპმა მოულოდნელად, — უბრალოდ, მომეცი სამუშაო და ჩემ გამო სინდისი აღარ შეგაწუხებს!

— სინდისი არც ახლა მაწუხებს.

— მეც სწორედ ამას ვამბობდი! შენ არაფერი გადარდებს. შენ არ განაღვლებს, რა მოგვივა რომელიმე ჩვენგანს, ასე არ არის?

— ვის?

— როგორ თუ ვის... დედას და მე და... და კაცობრიობას ზოგადად. მაგრამ მე არ ვაპირებ, კეთილგონიერებისკენ მოგიწოდო. ვიცი, რომ მზად ხარ, ნებისმიერ წამს მომიშორო თავიდან, ასე რომ...

— ტყუი, ფილიპ. შენ ეს არ გაწუხებს. ეს რომ იყოს შენი წუხილის მიზეზი, სამსახურის კი არა, ნაღდი ფულის მიღებას ეცდებოდი ჩემგან...

— არა! მე სამუშაო მინდა! — წამოიძახა ფილიპმა მოულოდნელი გააფთრებით, — ნუ ცდილობ, ფულით მომქრთამო! მე სამუშაო მინდა!

— თავი ხელში აიყვანე, შე საცოდავო არსებავ. გესმის მაინც, რას ლაპარაკობ?

ფილიპმა უმწეო ზიზღით სავსე ხმით უპასუხა ძმას:

— არ გაქვს ჩემთან ასე ლაპარაკის უფლება!

— და შენ გაქვს ასე ლაპარაკის უფლება?

— მე მხოლოდ...

— შენს მოქრთამვას ვცდილობ? რატომ უნდა ვცდილობდე შენს მოქრთამვას იმის მაგივრად, რომ აქედან კინწისკვრით გაგდებდე, რაც წლების წინ უნდა გამეკეთებინა? — მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც შენი ძმა ვარ!

— და ამიტომ — რა?

— ადამიანს ძმის მიმართ რაღაც გრძნობები უნდა ჰქონდეს.

— შენ გაქვს ეს გრძნობები?

ფილიპს გაღიზიანებით დაებრიცა ტუჩები და ძმის კითხვას პასუხი არ გასცა; დაიცადა. ჰენკიც დუმდა. ბოლოს ფილიპმა ჩაიბუტბუტა:

— შენ... სულ მცირე... უნდა ითვალისწინებდე ჩემს განცდებს... მაგრამ შენ ასე არ იქცევი.

— შენ ითვალისწინებ ჩემს განცდებს?

— შენს? შენს განცდებს? — ფილიპის ხმაში ღვარძლი კი არა, რაღაც გაცილებით უფრო საზარელი რამ ისმოდა: გულწრფელი, აღშფოთებული განცვიფრება, — შენ განცდები არ გაგაჩნია. შენ არასდროს არაფერი არ გიგრძნია. შენ არასდროს გატანჯულხარ!

ჰენკს თითქოს გავლილმა წლებმა ერთიანად დაარტყა სახეში შეგრძნებებისა და ხილვის საშუალებით: მან ზუსტად შეიგრძნო, თუ რაზე ოცნებობდა „ჯონ გოლტის ხაზზე“, პირველ მატარებელში, და თვალწინ ფილიპის მქრქალი და წყალწყალა თვალები დაუდგა, რომლებშიც ადამიანის დეგრადაციის უკიდურეს ფორმას დაესადგურებინა: ჩონჩხის უდავო ტანჯვა და შეურაცხმყოფელი კადნიერება ცოცხალი არსებისადმი, რომლისგანაც მოითხოვდა, მისი ტანჯვა უზენაეს ღირებულებად ეცნო. „შენ არასდროს გატანჯულხარ“, — ადანაშაულებდნენ ფილიპის თვალები, ამ დროს კი ჰენკს თვალწინ დაუდგა თავის კაბინეტში გატარებული ის ღამე, როდესაც მადნის საბადოები წაართვეს, ის წუთი, როდესაც ხელი მოაწერა ჩუქების სერტიფიკატს, რომლის ძალითაც რიერდენ მეტალი დათმო, ის დღეები, როდესაც თვითმფრინავით დაეძებდა დაგნის ნეშტს. „შენ არასდროს გატანჯულხარ“, — ეუბნებოდნენ ფილიპის თვალები თვითკმაყოფილი ზიზღით, ამ დროს კი ჰენკს ახსენდებოდა, როგორი სიამაყით იბრძოდა მძიმე წუთებში, როდესაც ტკივილს არ ნებდებოდა. ამ შეგრძნებას ქმნიდა მისი სიყვარული, ერთგულება და ცოდნა იმისა, რომ არსებობის მიზანი სიამოვნებაა, სიამოვნებას კი შემთხვევით ვერ წააწყდები, მის მისაღწევად უნდა იბრძოლო და ღალატი იქნება, თუ სიამოვნების ამ ხილვას წუთიერი ტანჯვის ჭაობში ჩაძირვის საშუალებას მისცემ. ფილიპის თვალების უსიცოცხლო მზერა კი ჰენკს ეუბნებოდა: „შენ არასდროს გატანჯულხარ, შენ არასდროს არაფერი გიგრძნია, რადგან გრძნობა მხოლოდ ტანჯვით მიიღწევა — არ არსებობს სიამოვნების მსგავსი საგანი, არსებობს მხოლოდ ტკივილი და ტკივილის არარსებობა; არსებობს მხოლოდ ტკივილი და არარა, როდესაც ადამიანი საერთოდ

არაფერს გრძნობს — მე ვიტანჯები, მე ვიკლაკნები ტანჯვისგან, მე მთლიანად ტანჯვით ვარ მოცული, ეს ჩემი სიწმინდეა, ეს ჩემი სათნოებაა — და შენ, წელში გამართული და თავისუფალი, ვალდებული ხარ, შემიმსუბუქო ტკივილი — დაკუწე შენი დაუტანჯავი სხეული ჩემი სხეულის გამოსაჯანმრთელებლად, დაკუწე შენი უგრძნობი სული ჩემი სულის გრძნობებისგან გასათავისუფლებლად — და ჩვენ მივაღწევთ სრულყოფილებას, სიცოცხლეზე გამარჯვებას, არარას!“ ჰენკი ხედავდა იმ ადამიანთა ბუნებას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში განადგურების მქადაგებლებთა ტყვეობაში იყვნენ, ხედავდა მტრების ბუნებას, რომლებსაც ის მთელი თავისი ცხოვრება ებრძოდა.

— ფილიპ, — თქვა რიერდენმა, — წაეთრიე აქედან, — მისი ხმა მორგში შეღწეულ მზის სხივს ჰგავდა, ეს ბიზნესმენის მშრალი და ყოველდღიური ტონი იყო, სიჯანსაღის ხმა, იმ მტრისადმი მიმართული, რომელიც არც ბრაზს და არც შიშს არ იმსახურებს, — და აღარასოდეს აღარ ეცადო ქარხანაში მოსვლას, რადგან ვუბრძანებ, ყველა კარიდან გაგიძახონ.

— კარგი, მაგრამ, — თქვა ფილიპმა გაუბედავი მუქარისთვის დამახასიათებელი გაბრაზებული და ფრთხილი ტონით, — მე შემიძლია, ჩემს მეგობრებს ვთხოვო, მომცენ აქ სამუშაო და გაიძულონ, შეეგუო ამას!

ჰენკი უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ შეჩერდა და ძმას მიუბრუნდა.

უეცრად ფილიპმა მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა, გონებით კი არა, მისი ცნობიერების ერთადერთი მდგომარეობით — ბნელი შეგრძნებით: მან საზარელი ძრწოლა იგრძნო, რომელიც ყელში მიებჯინა და ცახცახით ჩაუყვა მუცლამდე — ხედავდა საამქროების რიგებს, გამდნარი ფოლადით სავსე, სივრცეში მოსრიალე ციცხვების წვრილ გვარლებზე მოლიცლიცე ცეცხლის ენებს, გავარვარებული ქვანახშირით სავსე ღია კარიერებს, ამწეებს, რომლებიც ჯერ თითქოს მისკენ მოემართებოდნენ, მერე კი უცებ გრუხუნით უქცევდნენ გვერდს, ტონობით ფოლადს, რომელიც მაგნიტების უხილავ ძალას ეჭირა, — და ფილიპმა გააცნობიერა, რომ საშინლად ზარავდა ეს ადგილი, რომ განძრევასაც კი ვერ გაბედავდა მის წინ მდგომი ადამიანის მფარველობისა და წინამძღოლობის გარეშე; შემდეგ ამ მაღალ, წელში გამართულ კაცს შეხედა, რომელიც მშვიდად იდგა, სწორედ მისმა მტკიცე მზერამ შეაღწია კლდეში და ცეცხლის ალში, ეს ადგილი რომ შეექმნა — და გააცნობიერა, რა მარტივად შეეძლო ამ კაცს, რომლის კუთხეში მიმწყვდევაც სურდა, ერთი სათლი გამდნარი ლითონი დანიშნულ დროზე წამით ადრე გადმოებრუნებინა ან ტვირთი ჩამოეცალა ამწიდან დანიშნულ ადგილამდე ერთი ფუტით წინ და მისგან, ფილიპისგან, აღარაფერი დარჩებოდა — და მას მხოლოდ ის ფაქტი იცავდა, რომ ასეთი ქმედებები თვითონ მოსდიოდა თავში აზრად, და არა ჰენკ რიერდენს.

— აჯობებს, მეგობრულად გადავწყვიტოთ ეს საკითხი, — უთხრა ძმას ფილიპმა.

— შენთვისვე აჯობებს, — უპასუხა ჰენკმა.

„ადამიანები, რომლებიც ტანჯვას ეთაყვანებიან“, — გაიფიქრა ჰენკმა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა თავისი მტრების ხატება, ადრე რომ ვერაფერს უგებდა. ეს საზარელი იყო, მაგრამ თან, — უცნაურად, — სრულიად უმნიშვნელო. რიერდენი არაფერს გრძნობდა. გეგონებოდა, ცდილობდა, რაიმე მაინც ეგრძნო უსულო საგნებისადმი, თითქოს მთის ფერდობზე ჩამოწოლილ ზვავს გაურბოდა, რომელსაც უნდა გაესრისა. ასეთ საფრთხეს შეიძლება გაექცე ან დამცავი ჯებირით გადაუღობო გზა, მაგრამ უსულო საგნის აზრს მოკლებული მოძრაობები მრისხანებას,

აღშფოთებას ან ზნეობრივ შეფასებას არ იმსახურებს. „არა, ეს უბრალოდ უსულო საგანი კი არა, უფრო უარესი — ანტისიცოცხლეა“, — გაიფიქრა რიერდენმა.

ასე გულგრილად შესცქეროდა ფილადელფიის ერთ-ერთ სასამართლო დარბაზშიც, როგორ ასრულებდნენ ადამიანები მისი განქორწინებისთვის გამიზნულ რიტუალს, უსმენდა სასამართლოს მოხელეებს, როგორ წარმოთქვამდნენ მექანიკურად ზოგად მტკიცებულებებს, როგორ მოჰყავდათ სიტყვასიტყვით ბუნდოვანი ფრაზები ცრუჩვენებებიდან — არც ერთი ფაქტი, არც ერთი მკაფიო აზრი! სწორედ ამისთვის გადაუხადა მათ რიერდენმა ფული — რადგან კანონმა მას არ დაუტოვა სხვა გზა თავისუფლების მოსაპოვებლად, არ მისცა უფლება, ფაქტებით დაემტკიცებინა საკუთარი სიმართლე. ეს კანონი რიერდენის ბედს მკაცრად განსაზღვრულ ობიექტურ წესებს კი არა, ამ სახედანაოჭებული და უდარდელი ცბიერებით მომზირალი მოსამართლის თვითნებურ გადაწყვეტილებას მიანდობდა.

ლილიანი სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა; მისი ადვოკატი დროდადრო ფუჭ განცხადებებს აკეთებდა. სასამართლოს განაჩენი და ამ ყველაფრის მიზეზი ყველამ წინასწარ იცოდა; სხვაგვარი არგუმენტები, უკვე მრავალი წელი იყო, აღარც არსებობდა, არც სხვა რაიმე ნორმა, გარდა ახირებისა. პროცესის მონაწილეებს ეს თითქოს თავიანთ კანონიერ პრეროგატივად მიაჩნდათ; ისე იქცეოდნენ, გეგონებოდა, პროცედურის მიზანი საქმის განხილვა კი არა, მათი დასაქმება იყო, თითქოს მათი სამუშაო საჭირო ფრაზების ციტირება იყო მათი მნიშვნელობის გაუაზრებლად, სასამართლო დარბაზი კი სულაც არ იყო ის ადგილი, სადაც ვინმეს მტყუან-მართალზე უნდა ემსჯელა, და მათ, ამ ხალხს, ვისაც სამართალი უნდა განეჩინა, მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ სამართლიანობა უბრალოდ არ არსებობდა. ისინი ველურების მსგავსად ასრულებდნენ რიტუალს, რომელიც ობიექტური რეალობისგან თავის დასაღწევად იყო გამოგონებული.

„მაგრამ, ამ ქორწინების ათი წელი რეალურად არსებობდა“, — ფიქრობდა რიერდენი, — და ეს ადამიანები უფლებამოსილი არიან, ჩემი ქორწინება ბათილად ცნონ, გადაწყვიტონ, მომეცეს შესაძლებლობა, თავისუფლად ვიცხოვრო თუ დარჩენილი წლები ტანჯვისთვის ვიყო განწირული“. გაახსენდა, როგორ მტკიცე, ურყევ მოწიწებას გრძნობდა თავისი საქორწინო ხელშეკრულების, საერთოდ, ყველა თავისი ხელშეკრულებისა და იურიდიული ვალდებულების მიმართ და მიხვდა, რა სახის კანონიერების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო მისი უმწიკვლო კანონმორჩილება.

რიერდენმა შეამჩნია, რომ სასამართლო დარბაზის მარიონეტები მას ცბიერი, უტიფარი მზერით უყურებდნენ, საერთო დანაშაულებრივ შეთქმულებაში მონაწილე თანამზრახველებივით, რომლებსაც ერთმანეთის ზნეობრივი გაკიცხვის უფლება არ აქვთ. შემდეგ კი, როდესაც მათ შენიშნეს, რომ რიერდენი ერთადერთი იყო, ვინც მშვიდად, თამამად უსწორებდა თვალს დარბაზში მყოფებს, თვალებში აღშფოთება ჩაუდგათ. გაოცებული რიერდენი მიხვდა, რასაც მოელოდნენ ეს ადამიანები: მას, უმწეო მსხვერპლს, რომელმაც სხვა გამოსავალი ვერ გამონახა, გარდა მოქრთამვისა, უნდა დაეჯერებინა, რომ მის მიერვე ნაყიდი ფარსი სასამართლო პროცესი იყო, მისი დამონების ეს ვერდიქტი კი ზნეობრივად გამართლებული, რომ ის სამართლიანობის დამცველთა პატიოსნების შებღალვაში იყო დამნაშავე, და რომ ბრალი მათ კი არა, თავად მიუძღოდა. ეს იმას ჰგავდა, დაყაჩაღების მსხვერპლი ყაჩაღის პატიოსნების შებღალვაში დაედანაშაულებინათ. „პოლიტიკური გამოძალვის მთელი ისტორიის განმავლობაში ხომ დამნაშავედ თავს მძარცველი ბიუროკრატები კი არა, სწორედ

უფლებააყრილი მეწარმეები ცნობდნენ, არა ის ადამიანები, რომლებიც სამართლებრივი მფარველობით ვაჭრობდნენ, არამედ ისინი, ვისაც ამ მფარველობის ყიდვას აძალებდნენ; კორუფციის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომში ბრძოლის მთავარი იარაღი მსხვერპლთა გათავისუფლება კი არა, გამომძალველებისთვის კიდევ უფრო მეტი უფლებების მინიჭება იყო. მსხვერპლთა ერთადერთი დანაშაული ის აღმოჩნდა, რომ ისინი თავს დამნაშავედ ცნობდნენ“, — ფიქრობდა რიერდენი.

როდესაც სასამართლო დარბაზიდან გარეთ გამოვიდა, უკვე შუადღე იყო, ოდნავ ცრიდა და გრილოდა; ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს ლილიანთან ერთად იმ საზოგადოებასაც გაეყარა, რომელიც ასეთ სასამართლო პროცედურას უჭერდა მხარს.

რიერდენის ხანშიშესული, ძველი ყაიდის ადვოკატის გამომეტყველება ადამიანს აფიქრებინებდა, რომ ერთი სული ჰქონდა, აბაზანაში ჩაწოლილიყო.

— მისმინე, ჰენკ, — მიმართა მან რიერდენს, — მძარცველებს კიდევ რაიმეს მიღება ხომ არ სურთ თქვენგან?

— მგონი, არა. რატომ მეკითხები?

— ყველაფერმა მეტისმეტად მშვიდად ჩაიარა. ზოგიერთ პუნქტთან დაკავშირებით ზეწოლას და დამატებით თანხაზე მინიშნებებს ველოდი, მაგრამ ბიჭებმა თავიანთი უპირატესობით არ ისარგებლეს. მეჩვენება, რომ ზემოდან გაიცა განკარგულება, პატივისცემით მოგპყრობოდნენ და განქორწინების ნება დაერთოთ. რამეს ხომ არ გეგმავენ შენი ქარხნების წინააღმდეგ?

— არა მგონია, — უპასუხა რიერდენმა და უცებ გონებაში გაელვებულმა ფრაზამ გააოცა: „ასეც რომ იყოს, მიმიფურთხებია“.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ქარხანაში რიერდენმა დაინახა, როგორ მოიჩქაროდა მისკენ აწოწილი, შეუხედავი უეთ ნერსი — უხეში, მოკრძალებული და მტკიცე ერთდროულად.

— მისტერ რიერდენ, თქვენთან საუბარი მსურს. — უთხრა უეთ ნერსმა დამფრთხალი, თუმცა მაინც უცნაურად მტკიცე ხმით.

— გისმენ.

— რაღაც მინდა, გთხოვოთ. — ბიჭს სერიოზული და დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა, — ვიცი, უარი უნდა მითხრათ, მაგრამ მე მაინც მინდა, რომ გთხოვოთ... და... და, თუ მეტისმეტ თავხედობად მოგეჩვენებათ, ჯანდაბაში გამგზავნეთ.

— მაინც, რა უნდა მთხოვო ასეთი?

— მისტერ რიერდენ, სამუშაოს მომცემთ? — ბიჭის მცდელობა, ვითომდა განსაკუთრებულს არაფერს ამბობდა, ხანგრძლივ შინაგან ჭიდილზე მიანიშნებდა. — აღარ მსურს იმის კეთება, რასაც აქამდე ვაკეთებდი, ნამდვილი საქმე მინდა, ფოლადის წარმოებაში მინდა ვიმუშაო, როგორც ოდესღაც ვაპირებდი, თვითონ რომ ვირჩინო თავი. დამღალა პარაზიტობამ.

რიერდენმა ღიმილი ვერ შეიკავა და ციტირების ტონით გაახსენა უეთ ნერსს:

— რა საჭიროა ასეთი სიტყვების გამოყენება, არააბსოლუტო? თუ უხამს სიტყვებს არ გამოვიყენებთ, უხამსობაც აღარ იარსებებს და... — მაგრამ ბიჭის სახეზე სასოწარკვეთილი გულწრფელობა დაინახა, გაჩუმდა და ღიმილიც გაუქრა სახიდან.

— მე სერიოზულად ვამბობ, მისტერ რიერდენ, ვიცი, რასაც ნიშნავს სიტყვა „პარაზიტი“ და ის ჩემს მდგომარეობას ზუსტად მიესადაგება. მომბეზრდა, თქვენს ფულს რომ მიხდიან მხოლოდ იმის სანაცვლოდ, რომ თქვენ შეგიშალოთ ხელი ფულის

შოვნაში. ვიცი, რომ ყველა, ვინც დღეს მუშაობს, უბრალოდ ბრიყვია, და სწორედ ჩემნაირი ნაძირალების წყალობით, მაგრამ... ეშმაკმა დასწყევლოს, დაე, ბრიყვი ვიყო, თუ სხვა აღარაფერი დამრჩენია! — უეთ ნერსი უკვე ლამის ყვიროდა, — ბოდიში, მისტერ რიერდენ, — თქვა რამდენიმე წამის შემდეგ ისევ მშვიდი, აუღელვებელი ხმით, — მინდა, დისტრიბუციის დირექტორის მოადგილეობაზე უარი ვთქვა, დავტოვო ეს ყაჩაღური პოსტი. არ ვიცი, რამდენად გამოგადგებით, მართალია, დიპლომირებული მეტალურგი ვარ, მაგრამ ეს დიპლომი იმაზე მეტი არ ღირს, ვიდრე ქაღალდი, რომელზედაც არის დაბეჭდილი. თუმცა, მგონია, რომ ორი წლის განმავლობაში, რაც აქ ვარ, ამ საქმის შესახებ ცოტა რამ ვისწავლე. და თუ თქვენ რაიმეში გამომიყენებთ, დამლაგებლად, მენაგვედ, ან რა საქმესაც მომანდობთ, ჩემს თანამდებობას ჯანდაბაში მოვისვრი და ხვალიდანვე, მომავალი კვირიდანვე, ახლავე, ან როცა კი მოისურვებთ, იმ წუთიდან დავიწყებ თქვენთან მუშაობას.

უეთ ნერსი რიერდენს არ უყურებდა, თითქოსდა მისთვის თვალის გასწორების უფლება არ ჰქონდა.

— რატომ გეშინოდა ჩემთვის ამის თხოვნა? — ჰკითხა ჰენკმა ბიჭს მშვიდი ხმით.

უეთ ნერსმა მას მწყრალად და გაკვირვებით შეხედა, თითქოს ამ კითხვაზე პასუხი ისედაც ნათელი იყო:

— მას მერე, რაც აქ დირექტორის მოადგილედ მოვედი, მას მერე, როგორც ვიქცეოდი, წესით, თქვენთან რაიმეს სათხოვნელად მოსული კინწისკვრით უნდა გაგეგდეთ!

— ბევრი რამ გისწავლია ამ ორი წლის განმავლობაში.

— არა, მე... — უეთ ნერსმა რიერდენს შეხედა, მიუხვდა, თვალი აარიდა და უთხრა, — კი... თუ ამას გულისხმობთ.

— მომისმინე, ბიჭო, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამწამსვე მოგცემდი სამუშაოს და თანაც დამლაგებელზე გაცილებით მაღალ პოზიციასაც ჩაგაბარებდი. მაგრამ „გაერთიანების საბჭო“ ხომ არ დაგავიწყდა? მე შენი დაქირავების უფლება არ მაქვს, შენ კი შენი ამჟამინდელი პოსტის დატოვების. რა თქმა უნდა, ადამიანები გამუდმებით გარბიან სამსახურიდან, თუმცა ჩვენ მათ ნაცვლად სხვები აგვყავს ყალბი სახელებითა და დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებს, რომ ისინი წლებია უკვე, რაც აქ მუშაობენ. შენ ეს იცოდი და მადლობელი ვარ, რომ არაფერი თქვი.

მაგრამ, მართლა ფიქრობ, რომ თუ შენც ასევე გაგაფორმებ, ამ ამბავს შენი ვაშინგტონელი მეგობრები ვერ გაიგებენ?

ბიჭმა აუჩქარებლად გააქნია თავი.

— გგონია, რომ თუ მათ სამსახურზე დამლაგებლობისთვის იტყვი უარს, ვერ მიხვდებიან შენი საქციელის მიზეზს?

უეთ ნერსმა თავი დაუქნია.

— მოგცემენ წასვლის უფლებას?

ბიჭმა თავი გააქნია. ერთი წუთის შემდეგ კი უმწეო განცვიფრებით თქვა:

— ამაზე არც დავფიქრებულვარ, მისტერ რიერდენ. ისინი სულ გადამავიწყდა.

ერთადერთი რამ მაფიქრებდა — მოისურვებდით თუ არა, სამუშაო მოგეცათ ჩემთვის, და რომ ყველაფერი თქვენს გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.

— მესმის.

— და... ეს ასეც არის.

— მართალია, ასეა.

უეთ ნერსმა მოულოდნელად მწარედ გაიღიმა:

— გამოდის, რომ ნებისმიერ ბრიყვზე უფრო მეტად მაქვს ხელ-ფეხი შეკრული...

— ასეა, ახლა მარტო ის შეგიძლია, რომ „გაერთიანების საბჭოს“ სამსახურის გამოცვლის ნებართვა სთხოვო. თუ გინდა, სცადე, მე მხარს დავუჭერ შენს განცხადებას, თუმცა არ მგონია, მათ ჩემთან მუშაობის ნება დაგრთონ.

— არა, ამის უფლებას არ მომცემენ.

— თუ როგორმე მოახერხებ, მოატყუო, შეიძლება, ფოლადსასხმელ რომელიმე სხვა კომპანიაში არაოფიციალურად მუშაობის ნება მაინც მოგცენ.

— არა! სხვაგან არ მინდა, წავიდე! აქაურობის დატოვება არ მინდა! — უეთ ნერსი უხილავ ორთქლს შეჰყურებდა ბრძმედებში მოგიზგიზე ცეცხლის თავზე. ცოტა ხნის შემდეგ კი ჩუმად თქვა, — მგონი, აჯობებს, არაფერი შეიცვალოს და ისევ მძარცველების კაცად დავრჩე. მე რომ წავიდე, ღმერთმა იცის, რომელ ნაძირალას გამოგზავნიან ჩემ ნაცვლად! უეთ ნერსი მობრუნდა:

— ისინი რაღაცას აპირებენ, მისტერ რიერდენ. არ ვიცი, ზუსტად რას, მაგრამ რაღაც ოინს გიწყობენ.

— მაინც, რას?

— არ ვიცი. მაგრამ ბოლო კვირების განმავლობაში დეზერტირობის ყოველ შემთხვევას თვალს ადევნებენ და გამოთავისუფლებულ ადგილებს მალულად თავიანთი ბანდით ავსებენ. ძალიან საეჭვო ხალხია — მათ შორის ნამდვილი ყაჩაღებიც ურევიან, ზოგიერთი ფოლადსასხმელ ქარხანაში ნამყოფიც კი არ არის. მიბრძანეს, რაც შეიძლება, ბევრი „ჩვენი ბიჭი“ დამესაქმებინა ქარხანაში, თუმცა მიზეზი არ აუხსნიათ. ვერ გეტყვით, რას გეგმავენ. ვეცადე, სიმართლე მეთქმევინებინა მათთვის, მაგრამ ძალიან სიტყვაძუნწები არიან. არ ვიცი, მენდობიან თუ არა კიდევ.

მგონი, მათთან კონტაქტი დავკარგე. მხოლოდ ის ვიცი, რომ აქ რაღაცა ამბის დასატრიალებლად ემზადებიან.

— გმადლობ გაფრთხილებისთვის.

— შევეცდები, მოვიპოვო ინფორმაცია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ დროულად შევიტყო სიმართლე, — უცებ უეთ ნერსი შეტრიალდა და წასვლა დააპირა, მაგრამ შემდეგ შეჩერდა, — მისტერ რიერდენ, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ამიყვანდით სამსახურში?

— ახლავე სიხარულით აგიყვანდი.

— გმადლობთ, მისტერ რიერდენ, — უთხრა ბიჭმა ჩუმი, გულწრფელი ხმით და წავიდა.

რიერდენი იდგა. სიბრალულის გამომხატველი ტანჯული ღიმილით გაადევნა თვალი მიმავალს. ხვდებოდა, რა გაიყოლა თან ნუგეშად ამ ყოფილმა რელატივისტმა, პრაგმატისტმა და ამორალისტმა.

* * *

11 სექტემბერს, შუადღეს, მინესოტაში სპილენძის სადენი გაწყდა, რამაც „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ სოფლის პატარა სადგურზე მარცვლეულის კონვეიერების გაჩერება გამოიწვია.

გზატკეცილზე, გზებზე, სოფლის მიტოვებულ ბილიკებზე ხორბლის ნაკადი მოედინებოდა. რკინიგზის სადგურების მყიფე პლატფორმებს ათასობით აკრზე მოწეული მოსავალი მოაწყდა. ეს ნაკადი განუწყვეტლივ მოემართებოდა, წვეთები ნაკადულებად, ნაკადულები მდინარეებად გადაიქცა — მოემართებოდა დანჯღრეული სატვირთო მანქანებით, რომელთა ძრავები ჭლექიანივით

ახველებდნენ, ოთხთვალებით, რომლებსაც გაძვალტყავებული ცხენები მიათრევდნენ, ხარებშებმული ურმებით, იმ ადამიანთა ნერვებისა და უკანასკნელი ენერგიის საშუალებით, რომლებიც გაჭირვების ორი წელი ელოდნენ ჯილდოს ამ შემოდგომის უხვი მოსავლის სახით, რომლებიც თავიანთ სატვირთო მანქანებსა და ურმებს მავთულებით, გადასაფარებლებით, თოკებითა და უძილო ღამეებით უდგამდნენ სულს ამ გზაზე, მარცვლეული დანიშნულების ადგილზე რომ ჩაეზიდათ და თუნდაც იქვე დაშლილიყვნენ ნაწილებად, ოღონდ კი მათი მფლობელებისთვის გადარჩენის შესაძლებლობა მიეცათ.

ყოველ წელს, ამ სეზონზე კიდევ ერთი მოძრაობა იწყებოდა, რომელიც მთელი კონტინენტის ცარიელ სატვირთო ვაგონებს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მინესოტას განშტოებაში უყრიდა თავს, მატარებლების ბორბლების ხმა ამ ნიაღვრის შესაგებებლად მკაცრად დაგეგმილი და ნაბრძანები ექოსავით უსწრებდა წინ ფორნების ჭრიალს. მინესოტას განშტოება მთელი წლის განმავლობაში თვლემდა, რომ მოსავლის აღებისას მჩქეფარე ცხოვრება დაეწყო; მის სადგურებს თოთხმეტი ათასი სატვირთო ვაგონი ავსებდა; ამჯერად თხუთმეტი ათასსაც კი ელოდნენ. ხორბლის საზიდ პირველ მატარებლებს ოთხი დაცარიელებული წისქვილი, საცხობები და ქვეყნის კუჭი უნდა გაევსო, თუმცა ყოველი მატარებელი, ვაგონი და ამწე მნიშვნელოვანი იყო — წუთი და ერთი ინჩი მანძილი არ იყო დასაკარგი.

ედი უილერსი დაგნის აკვირდებოდა, როდესაც ის საგანგებო შემთხვევებისთვის განკუთვნილი საქაღალდის ბარათებს ათვალიერებდა; შეეძლო, თითოეული ბარათის შინაარსი დაგნის გამომეტყველებით გამოეცნო.

— ტერმინალი, ედი, — თქვა დაგნიმ წყნარი ხმით და საქაღალდე დახურა, — დარეკე ტერმინალში და უთხარი, რომ სადენის მარაგის ნახევარი მინესოტას გაუგზავნონ.

ედი უხმოდ დაემორჩილა.

მას არც მაშინ უთქვამს რაიმე, როდესაც იმ დილით დაგნის მაგიდაზე ტაგარტის კომპანიის ვაშინგტონის ოფისიდან მოსული დეპეშა დადო. დეპეშა იტყობინებოდა დირექტივის შესახებ, რომელიც სპილენძის დეფიციტთან დაკავშირებით მთავრობის წარმომადგენლებს სპილენძის ყველა საბადოს კონფისკაციასა და საზოგადოებრივ სარგებლობაში გადაცემას უბრძანებდა.

— რას იზამ, — თქვა დაგნიმ და დეპეშა სანაგვე კალათაში ჩააგდო, — ეს მონტანას დასასრულია.

დაგნის ხმა არ ამოუღია, როდესაც ჯეიმსმა განუცხადა, რომ ტაგარტის კომპანიის მატარებლებში ვაგონ-რესტორნების გაუქმების ბრძანება გასცა.

— ჩვენ ამას ვეღარ გავწვდებით, — უხსნიდა დას ჯიმი, — ყოველთვის უაზროდ ვახარჯავდით ფულს ამ წყეულ ვაგონ-რესტორნებს. მაშინ, როდესაც სურსათი გაწყდა, როდესაც რესტორნები იხურება, რადგან ერთ გირვანქა ცხენის ხორცსაც ვერ შოულობენ, რკინიგზამ როგორღა უნდა ამუშაოს ვაგონ-რესტორნები? საერთოდაც, რა ვალდებულები ვართ, მგზავრები ვკვებოთ? ისინი იმისთვისაც მადლობელი უნდა იყვნენ, რომ ტრანსპორტით მგზავრობის საშუალება აქვთ, თუ საჭირო გახდება, საქონლის გადასაყვანი ვაგონებითაც იმგზავრებენ, თვითონ იზრუნონ თავიანთ ლანჩზე, ჩვენ რა გვენაღვლება — ჩვენი მატარებლების გარდა სხვა ტრანსპორტი მაინც აღარ დარჩა!

დაგნის სამუშაო მაგიდაზე ტელეფონის საქმიანი ზარები კი არა, კატასტროფის მაუწყებელი განგაშის საყვირები გაისმოდა — მის ტაგარტ, სპილენძის სადენი აღარ

გვაქვს! — ლურსმნები, მის ტაგარტ, უბრალო ლურსმნები, შეგიძლიათ, ვინმეს დაავალოთ, რომ ერთი კასრი ლურსმნები გამოგვიგზავნოს? — შეგიძლიათ, საღებავი გვიშოვოთ, მის ტაგარტ, ნებისმიერი სახის წყალგამძლე საღებავი?

ამ დროს კი ვაშინგტონიდან ოცდაათი მილიონი დოლარის სუბსიდია ჩაიდო პროექტ „სოიოში“ — ლუიზიანას უკიდეგანო მინდვრებში სოიოს მოსავალი მწიფდებოდა. ამ საქმეს ემა ჩალმერსი უძღვებოდა, რომელსაც ერის ტრადიციული რაციონის შეცვლა ჰქონდა განზრახული. ემა ჩალმერსი, რომელსაც „კიფის დედიკოს“ სახელით უფრო იცნობდნენ, ხანშიშესული სოციოლოგი იყო, რომელიც წლების განმავლობაში დაეხეტებოდა ვაშინგტონის ბარებში, მისი თაობისა და ტიპის სხვა ქალებივით. ვერავინ იტყოდა, რატომ შესძინა ემა ჩალმერს ვაშინგტონში გვირაბის კატასტროფისას ვაჟის დაღუპვამ წამებულის სახელი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მისი ბოლოდროინდელი ინტერესი ბუდიზმისადმი.

— სოიო გაცილებით უფრო ნოყიერი და ბარაქიანი მცენარეა, ვიდრე ყველა ის პროდუქტი, რომელსაც ჩვენი უყაირათო და ზღვარსგადასული კვების რაციონი შეიცავს, — განაცხადა რადიოთი კიფის დედიკომ; მისი ხმა ყოველთვის ისე ჟღერდა, თითქოს წვეთებად ეცემოდა, ოღონდ წყლის კი არა, მაიონეზის წვეთებად, — სოიო პურის, ხორცის, მარცვლეულისა და ყავის შესანიშნავი შემცვლელია, და თუ თითოეული ჩვენგანი სოიოს ჩვენს ძირითად საკვებად გამოვიყენებთ, ქვეყანაში საკვების კრიზისი აღარ იქნებოდა და უფრო მეტი ხალხი დაპურდებოდა. „მეტი საკვები რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის“ — ეს არის ჩემი ლოზუნგი. ასეთი გაჭირვების დროს, ჩვენი მოვალეობაა, უარი ვთქვათ ფუფუნებაზე და მივეჩვიოთ უბრალო და ჯანსაღ საკვებ პროდუქტებს, რითიც საუკუნეების განმავლობაში იკვებებოდა აღმოსავლეთის ხალხი. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

— სპილენძის ხვეულა, მის ტაგარტ, შეგიძლიათ, სადმე გვიშოვოთ სპილენძის მავთულის ხვეულა? — ისმოდა ტელეფონში მავედრებელი ხმები, — რელსების ლურსმნები, მის ტაგარტ! — სახრახნისები, მის ტაგარტ! — ელექტრონათურები, მის ტაგარტ, ორასი მილის რადიუსში ნათურები არ იშოვება!

თუმცა, მორალური მდგომარეობის სამსახურმა ხუთი მილიონი დოლარი დაახარჯა სახალხო ოპერის დასს — ის მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო წარმოდგენებს მართავდა ადამიანებისთვის, რომლებიც დღეში მხოლოდ ერთხელ იკვებებოდნენ და ოპერის შენობამდე მილასლასებაც კი უჭირდათ. შვიდი მილიონი დოლარი გადაეცა ფსიქოლოგს, რომელიც იმ პროექტს ხელმძღვანელობდა, რომლის მიზანიც ძმური სიყვარულის ბუნების გამოკვლევის საშუალებით მსოფლიო კრიზისის დაძლევა იყო. ათი მილიონი დოლარი მისცეს სიგარეტის ელექტროსანთებლების მწარმოებელს — თუმცა ქვეყნის მაღაზიებში სიგარეტი აღარ იშოვებოდა. ბაზარზე იყიდებოდა ფარნები, მაგრამ ელემენტებს ვერსად შეიძენდი; რადიოები იყიდებოდა, რადიოლამპები კი არა; კამერები იყიდებოდა, ფირები კი არა. ადამიანებს გამოუცხადეს, რომ თვითმფრინავების წარმოება „დროებით შეჩერდა“. კერძო ინტერესებისთვის თვითმფრინავით მგზავრობა აიკრძალა და მხოლოდ „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“ იქნა დაშვებული. მეწარმეს, რომელსაც თავისი ქარხანა უნდა გადაერჩინა, თვითმფრინავში არ აუშვებდნენ — ეს „საზოგადოებრივ საჭიროებად“ არ მიიჩნეოდა, გადასახადების მოსაკრებად ჩინოვნიკის გამგზავრება კი სწორედ ასეთი იყო და შეეძლო, ნებისმიერი მიმართულებით გაფრენილიყო.

— ხალხი ღამით ლიანდაგებიდან ქანჩებსა და ჭანჭიკებს იპარავს, მის ტაგარტ, და ჩვენი მარაგი ილევა, განშტოების საწყობი ცარიელია, რა უნდა ვქნათ, მის ტაგარტ? ამ დროს ვაშინგტონში, სახალხო პარკში, ტურისტებისთვის ტელევიზორები დაიდგა, ოთხი ფუტის დიაგონალის ეკრანით, მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტში კი კოსმოსური სხივების გამოსაკვლევად ციკლოტრონის აგება დაიწყო, რომელიც ათ წელიწადში უნდა დასრულებულიყო.

— ჩვენი სამყაროს პრობლემა არის ის, — გაისმოდა რობერტ სტადლერის ხმა რადიოში, ციკლოტრონის მშენებლობის საზეიმო გახსნისას, — რომ ხალხი ზედმეტად ბევრს ფიქრობს. ეს არის ჩვენი ყველა შიშისა და ეჭვის საფუძველი. განათლებულმა მოქალაქეებმა თავი უნდა დაანებონ ლოგიკის ბრმად თაყვანისცემასა და მოძველებულ რწმენას გონებისადმი. როგორც მედიცინა მიანდეს ექიმებს და ელექტრონიკა — ინჟინრებს, ასევე აზროვნებაც ექსპერტებს უნდა მიანდონ იმ ადამიანებმა, რომლებიც საკმარისად კომპეტენტურნი არ არიან აზროვნებისთვის, და სჯეროდეთ მათი უზენაესი ავტორიტეტის. მხოლოდ ექსპერტებს შეუძლიათ, ჩასწვდნენ თანამედროვე მეცნიერების იმ აღმოჩენებს, რომლებმაც დაამტკიცა, რომ აზრი ილუზიაა, გონება კი მითი.

— უბედურების ეს ეპოქა უფლის მიერ გამოგზავნილი სასჯელია იმისთვის, რომ ადამიანი გონებას არის მინდობილი! — გაჰყვიროდნენ სხვადასხვა სექტისა და ტიპის მისტიკოსები მოზეიმე ხმით გზაჯვარედინებზე, წვიმით დასველებულ კარვებსა და ჩამონგრეულ ტაძრებში, — ეს განსაცდელი მოიტანა ადამიანის მცდელობამ, იცხოვროს გონების კარნახით! აი, სადამდე მიგიყვანათ აზროვნებამ, ლოგიკამ და მეცნიერებამ! და ხსნა იქამდე არ იქნება, ვიდრე ადამიანები არ შეიგნებენ, რომ მათი მოკვდავი გონება უძლურია, მოაგვაროს მათი პრობლემები, ვიდრე ისინი არ დაუბრუნდებიან რწმენას, უფლის რწმენას, უზენაესი ძალის რწმენას!

დაგნის ყოველდღიურად უწევდა ამ ყველაფრის საბოლოო პროდუქტთან, მემკვიდრესთან და გამკონტროლებელთან — კაფი მეგზთან დაპირისპირება, ადამიანთან, რომელიც შეუვალი იყო აზრის მიმართ. მეგზი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ოფისებში დააბიჯებდა, ნახევრად სამხედრო კიტელი ეცვა და სიარულისას ტყავის მბზინავ პორტფელს ტყავისავე მბზინავ გამაშებს ურტყამდა, ერთი ჯიბით ავტომატურ პისტოლეტს დაატარებდა, მეორით კი კურდღლის თათის ამულეტს.

კაფი მეგზი დაგნის თავს არიდებდა; ნაწილობრივ ზიზღით ეპყრობოდა მას, როგორც არაპრაქტიკულ იდეალისტს, ნაწილობრივ კი ერთგვარი მისტიკური თაყვანისცემით, თითქოს ქალი შეუცნობელ ძალას ფლობდა, რომელთან საქმის დაჭერაც აფრთხობდა. მეგზი ისე იქცეოდა, ვითომდა რკინიგზის შესახებ მის ხედვაში დაგნის არაფერი ესაქმებოდა, თუმცა ამავე დროს, სწორედ დაგნი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისთან დაპირისპირებასაც ვერასოდეს ბედავდა. რაც შეეხებოდა ჯიმისთან დამოკიდებულებას, მეგზი მის მიმართ გაღიზიანებასა და გულისწყრომას გრძნობდა, თითქოს ჯიმის მოვალეობა დაგნისთან საქმის მოგვარება და მეგზის მისგან დაცვა ყოფილიყო. ჯიმს, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველეყო რკინიგზის ფუნქციონირება, რათა მეგზს პრაქტიკული საქმეებისთვის მიეხედა, და, მეორე მხრივ, იძულებული გაეხადა დაგნი, მექანიზმის რომელიღაც ნაწილივით ემუშავა.

დაგნის კაბინეტის ფანჯრიდან ცაზე ჭრილობას დაკრული წებოვანი სალბუნივით მოჩანდა კალენდრის ცარიელი გვერდი. კალენდარი მას მერე არ შეეკეთებინათ, რაც ზედ ფრანცისკოს დასამშვიდობებელი გზავნილი გამოისახა. იმ

ღამეს კოშკში კისრისტეხით მიცვივდნენ ოფიციალური პირები, კალენდრის ძრავა გააჩერეს და პროექტორიდან ფირი ამოგლიჯეს. დანომრილი დღეების ზოლში ჩაწებებული შეტყობინება კი იპოვეს, მაგრამ ვინ გააკეთა ეს, ვინ, როდის და როგორ შეაღწია დაკეტილ ოთახში, სამი კომისიისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ იძიებდნენ ამ საქმეს, უცნობი დარჩა. კალენდრის ცარიელი გვერდი კი კვლავ ქალაქის თავზე ეკიდა და გამოძიების დასრულებას ელოდა.

14 სექტემბრის შუადღეს კალენდრის გვერდი კვლავ ცარიელი იყო, როდესაც დაგნის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. „მინესოტადან ვიღაც გირეკავთ“, — გაისმა დაგნის მდივნის ხმა.

დაგნიმ დიდი ხნის წინ გააფრთხილა მდივანი, რომ ასეთ ზარებს ყოველთვის უპასუხებდა. ეს მავედრებელი ზარები მისთვის ინფორმაციის ერთადერთი წყარო გახდა. იმ დროს, როცა რკინიგზის ოფიციალური პირების ხმები ცარიელ ბგერებად იქცნენ, რომელთა დანიშნულება ურთიერთობისთვის თავის არიდება იყო, ამ უცნობი ადამიანების ხმები დაგნისთვის სისტემასთან კავშირის უკანასკნელი საშუალება, ტაგარტების შორეული გზებიდან მოღწეული გონიერებისა და ტანჯული პატიოსნების უკანასკნელი ნაპერწკლები იყო.

— მის ტაგარტ, მართალია, თქვენთან დარეკვა ჩემი მოვალეობა არ არის, მაგრამ ამას სხვა არავინ გააკეთებდა, — გაისმა ყურმილში ახალგაზრდული, მეტისმეტად მშვიდი ხმა, — ერთი-ორ დღეში აქ წარმოუდგენელი უბედურება დატრიალდება, დამალვით ამ ამბავს ვერავინ დამალავს, მაგრამ ვეღარაფერს გამოასწორებენ, შესაძლოა, უკვე ყველაფერი მეტისმეტად დაგვიანებულიც კი იყოს.

— რა მოხდა? ვინ ბრძანდებით?

— თქვენი ერთ-ერთი თანამშრომელი ვარ მინესოტას განშტოებიდან, მის ტაგარტ. ერთ ან ორ დღეში აქ მატარებლები მოძრაობას შეწყვეტენ და კარგად მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს ეს მოსავლის აღების პერიოდში. ყველაზე უხვი მოსავლის დროს, რაც კი ოდესმე გვქონია. მატარებლების მოძრაობა შეწყდება, რადგან წელს ჩვენთვის სატვირთო ვაგონები არ გამოუგზავნიათ.

— რა თქვით? — დაგნის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წუთებმა გაიარა ამ სიტყვებს შორის, რომლებიც მისთვის უჩვეულო, არაბუნებრივი ხმით წარმოთქვა.

— ვაგონები არ გამოუგზავნიათ. ამ დროისთვის აქ თხუთმეტი ათასი ვაგონი უნდა გვქონოდა. როგორც მე ვიცი, მხოლოდ რვა ათასი ვაგონი გვაქვს. ერთი კვირაა, რაც განშტოების სათავო ოფისს ვურეკავ. ისინი მეუბნებოდნენ, არ მეღელვა. ბოლოს კი მითხრეს, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფო. ლიანდაგის გაყოლებაზე ყველა ფარდული, ბეღელი, ამწე, საწყობი, გარაჟი და საცეკვაო დარბაზი ხორბლით არის სავსე. შერმანის ამწეებთან, ორი მილის მანძილზე, ფერმერების სატვირთო მანქანები და ურმებია ჩამწკრივებული. ლეიკვუდის სადგურის მოედანი კი უკვე სამი ღამეა, მოსავლით აივსო.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს მხოლოდ დროებითია, რომ ვაგონები უკვე გზაშია და მოგვისწრებს. მაგრამ ასე არ არის. ვაგონები არ იგზავნება. ვისაც შემეძლო, ყველას დავურეკე. მათი პასუხებით ვხვდები, რომ იციან სიმართლე, მაგრამ არ სურთ აღიარება. ისე ეშინიათ, რომ განძრევას, ლაპარაკს, კითხვის დასმასა და პასუხის გაცემას ვერ ბედავენ. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ ვის დაბრალდება სადგურებში დახვავებული მოსავლის გაფუჭება, და არა იმაზე, თუ ვინ მიიტანს ამ მოსავალს დანიშნულების ადგილზე. იქნებ, ეს უკვე შეუძლებელიც არის. იქნებ, არც თქვენ შეგიძლიათ რამის გამოსწორება. მაგრამ ვიფიქრე, რომ ერთადერთი ადამიანი ხართ,

ვისაც ეს ამბავი დააინტერესებს, ამიტომაც აუცილებლად უნდა მეცნობებინა თქვენთვის.

— მე... — დაგნის სუნთქვა უჭირდა, — მესმის... ვინ ხართ?

— ჩემს ვინაობას რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენი საუბრის შემდეგ სამუშაოს მიტოვებას ვაპირებ. არ მინდა, აქ დავრჩე და საკუთარი თვალით ვხედავდე ყველაფერს, აღარ მინდა, რაიმე მაკავშირებდეს ამ უბედურებასთან. წარმატებას გისურვებთ, მის ტაგარტ.

დაგნიმ ჩხაკუნი გაიგონა.

— გმადლობთ, — ჩასძახა დადუმებულ ყურმილში.

დაგნიმ მხოლოდ მომდევნო დღეს, შუადღისას შენიშნა, რომ თავის კაბინეტში იმყოფებოდა და საკუთარ გრძნობებს მიაყურადა. ერთი წამი გაკვირვებული ფიქრობდა, სად იყო და რა დაუჯერებელი ამბავი მოხდა უკანასკნელი ოცი საათის განმავლობაში. როდესაც იგრძნო, რომ შიშს მოეცვა, იმასაც მიხვდა, რომ ეს განცდა მინესოტელ კაცთან სატელეფონო საუბრის პირველივე წუთიდან გაუჩნდა, ოღონდ ამის გასაცნობიერებლად დრო არ ჰქონდა.

ბევრი აღარაფერი ახსოვდა უკანასკნელი ოცი საათიდან, გონებაში წყვეტილი აზრებიღა შემორჩენოდა, მათ ერთადერთი მუდმივა ამთლიანებდათ, რომელმაც ისინი შესაძლებელი გახადა — იმ ადამიანთა მოდუნებული, უტყვი სახეები, თავდაუზოგავად რომ ცდილობდნენ, საკუთარი თავისგან დაემალათ, დაგნის დასმულ შეკითხვებზე პასუხი რომ იცოდნენ.

როგორც კი უთხრეს, რომ ვაგონით მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი რამდენიმე დღის წინ გავიდა ქალაქიდან და მისამართიც არ დაეტოვებინა, დაგნი მიხვდა, რომ მინესოტელი კაცი სიმართლეს ამბობდა. ვაგონით მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელის თანაშემწეებმა ეს ამბავი ვერც უარყვეს და ვერც დაადასტურეს, თუმცა ამის მიუხედავად, გაუთავებლად აჩვენებდნენ დაგნის იმ საბუთებს, ბრძანებებს, ანკეტებსა და ჩანაწერების კარტოთეკებს, რომლებიც ინგლისურ ენაზე დაწერილ სიტყვებს შეიცავდა, გასაგებ ფაქტებს კი არა. — გაიგზავნა სატვირთო ვაგონები მინესოტაში? — ანკეტა 357W დეტალურად არის შევსებული, როგორც ამას კოორდინატორის სამსახური მოითხოვს აუდიტორის ინსტრუქციებისა და დირექტივა 11-493-ის თანახმად. — გაიგზავნა სატვირთო ვაგონები მინესოტაში? — აგვისტოსა და სექტემბრის ჩანაწერები დაამუშავა... — გაიგზავნა სატვირთო ვაგონები მინესოტაში? — ჩემს კარტოთეკაში აღნიშნულია სატვირთო ვაგონების ადგილმდებარეობა შტატის, თარიღის, კლასიფიკაციისა და... — იცით, გაიგზავნა თუ არა სატვირთო ვაგონები მინესოტაში? — რაც შეეხება სატვირთო ვაგონების შტატებს შორის მოძრაობას, მე მისტერ ბენსონის კარტოთეკაში უნდა გადაგამისამართოთ და...

კარტოთეკებიდან რაიმეს გაგება შეუძლებელი იყო. ამ ფრთხილი ჩანაწერებიდან თითოეულს ოთხი სავარაუდო მნიშვნელობა ჰქონდა, ამ მნიშვნელობებს შენიშვნები ერთვოდა, რომლებიც თავის მხრივ კიდევ სხვა შენიშვნებს უკავშირდებოდა, ეს შენიშვნები კი საბოლოოდ ერთ შენიშვნამდე დადიოდა, რომელიც კარტოთეკებიდან გამქრალიყო. დაგნის დიდი ხანი არ დასჭირვებია იმის გასარკვევად, რომ ვაგონები მინესოტაში არ გაუგზავნიათ და რომ ეს ბრძანება კაფი მეგზისგან მოდიოდა; მაგრამ ვინ შეასრულა ეს ბრძანება, ვინ წაშალა კვალი, რა ზომები მიიღეს გარეგნული წესრიგის შესანარჩუნებლად და რომელმა მორჩილმა ადამიანებმა, ერთი საპროტესტო სიტყვაც კი რომ არ დასცდენიათ, ვინმე უფრო გაბედულის ყურადღება

რომ მიეპყროთ, ვინ გააყალბა ანგარიშები და სად გაქრა ვაგონები — ამ კითხვებზე პასუხების მონახვა შეუძლებელი ჩანდა.

იმ ღამით, როდესაც ედი უილერსის ხელმძღვანელობით უშიშარი ადამიანების პატარა ჯგუფი ურეკავდა „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ ყოველ სარკინიგზო განშტოებას, სადგურს, საწყობსა და სათადარიგო ხაზს და განკარგულებას აძლევდა, რაც კი სატვირთო ვაგონი მოეპოვებოდათ, დაეცალათ და დაუყოვნებლივ მინესოტაში გაეგზავნათ, ისინი თავის მხრივ ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩენილ სხვა სარკინიგზო კომპანიების სადგურებსა და პრეზიდენტებს უკავშირდებოდნენ და მინესოტასთვის ვაგონებს სთხოვდნენ. დაგნი კი ხან ერთ ლაჩარს ხვდებოდა, ხან მეორეს და ცდილობდა, გამქრალი სატვირთო ვაგონების ადგილსამყოფელი დაედგინა.

დაგნიმ მოიარა რკინიგზის აღმასრულებლები, შეძლებული ტვირთის გადამზიდავები, ვაშინგტონის ოფიციალური პირები და უკან, თავის ოფისში დაბრუნდა, ტაქსით, ტელეფონითა და ტელეგრაფის მეშვეობით მიჰყვებოდა ბუნდოვანი მინიშნებების კვალს. ნაკვალევის ბოლოს მაშინ მიუახლოვდა, როდესაც ვაშინგტონის ოფისის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა, მედიდურმა, თავდაჯერებულმა ქალმა აღშფოთებული ხმით განუცხადა ტელეფონზე საუბრისას: „ბოლოს და ბოლოს, სადავო საკითხია, რამდენად სასარგებლოა ხორბალი ერის კეთილდღეობისთვის, არსებობენ ისეთი პროგრესული აზროვნების ადამიანებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სოიო გაცილებით უფრო ღირებული პროდუქტია“.

შუადღეს დაგნი შუაგულ კაბინეტში იდგა და უკვე იცოდა, რომ ხორბლისთვის განკუთვნილი სატვირთო ვაგონები, მინესოტას ნაცვლად, კიფის დედიკოს პროექტის თანახმად, ლუიზიანაში გაიგზავნა ჭაობებიდან სოიოს ჩამოსაზიდად.

მინესოტას კატასტროფის ამბავი გაზეთებში პირველად სამი დღის შემდეგ გამოჩნდა. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ფერმერებმა, რომლებიც ექვსი დღის განმავლობაში იცდიდნენ ლეიკვუდის ქუჩებში, სადაც არც ხორბლის შესანახი ადგილი არ იყო და არც მატარებლები ჩანდა მის გადასაზიდად, ადგილობრივი სასამართლო, მერის სახლი და რკინიგზის სადგური დაარბიეს. შემდეგ ეს ცნობები მოულოდნელად გაქრა გაზეთებიდან და მათ ნაცვლად გამოჩნდა გაფრთხილებები, რომლებიც ხალხს მოუწოდებდა, არ დაეჯერებინათ არაპატრიოტული ჭორები.

ვიდრე ქვეყანაში დარჩენილი ოთხი წისქვილი და მარცვლეულის ბაზარი ვაშინგტონში დელეგაციებსა და მუდარის შეტყობინებებს აგზავნიდა ნიუ-იორკში ტელეფონისა და ტელეგრაფის მეშვეობით, ვიდრე სატვირთო ვაგონების ჯაჭვი მთელი კონტინენტიდან ჟანგიანი მუხლუხოებივით მიხოხავდა მინესოტას მიმართულებით, ქვეყნის ხორბალი და იმედი დაცარიელებული ლიანდაგის გაყოლებაზე ელოდა აღსასრულს, უცვლელი მწვანე შუქის სიგნალების ქვეშ, რომლებიც მოძრაობისკენ მოუწოდებდა არარსებულ მატარებლებს.

თანამშრომელთა მცირე ჯგუფი „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მართვის დაფებიდან კვლავ განაგრძობდა რეკვას და სატვირთო ვაგონებს იხვეწებოდა, ჩასაძირავად განწირული გემის ეკიპაჟივით, რომლის ვედრება არავის ესმოდა. ამ დროს კი სატვირთო ვაგონები თვეების განმავლობაში იდგა პროტექციით მოვაჭრეთა მეგობრების კუთვნილი კომპანიების ტერიტორიებზე, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ სასწრაფო მოთხოვნას, დაეცალათ ეს ვაგონები და მინესოტაში გაეშვათ. „გადაეცით მაგ რკინიგზას, რომ...“ — ფრაზას უხამსი სიტყვები

ასრულებდა — ასე უპასუხეს არიზონელმა ძმებმა სმატერებმა ნიუ-იორკიდან გაგზავნილ რადიოცნობას.

მინესოტაში კი ვაგონებს ყოველი სათადარიგო ხაზიდან იტაცებდნენ, მესაბის მთაგრეხილიდან, პოლ ლარკინის საბადოებიდან, სადაც ეს ვაგონები უმნიშვნელო მოცულობის მადნით უნდა დაეტვირთათ. ხორბალს როგორც მადნისა და ქვანახშირის გადასაზიდ, ისე საქონლის გადასაყვან ვაგონებში ტვირთავდნენ, საიდანაც ლიანდაგებზე გზადაგზა დაფანტული მარცვალი ოქროსფერ ნაკადულებად მოედინებოდა, ასევე სამგზავრო ვაგონებში — სავარძლებზე, თაროებზე, ოღონდ კი მატარებელი დაძრულიყო, მერე თუნდაც რელსებიდან თხრილში გადავარდნილიყო დაზიანებული ზამბარებისა თუ ააღებული ღერძკოლოფების აფეთქების გამო.

მინესოტელები მოძრაობისთვის იბრძოდნენ, მოძრაობისთვის — კონკრეტული დანიშნულების ადგილის გარეშე, დამბლადაცემული ადამიანის მსგავსად, რომელიც გაშმაგებული, ძალის წარმოუდგენელი დაძაბვით ცდილობს განძრევას იმის გაცნობიერების ფონზე, რომ მოძრაობა მისთვის შეუძლებელია. სხვა რკინიგზები აღარ არსებობდა: ისინი ჯეიმს ტაგარტმა გაანადგურა; ტბებზე გემები აღარ იყო:

პოლ ლარკინმა მოსპო ისინი. მხოლოდ ერთი სარკინიგზო ხაზი და მიტოვებული გზატკეცილების ქსელიღა იყო დარჩენილი.

მომლოდინე ფერმერების სატვირთო მანქანები და ურმები გზებს ბრმად გაუყვნენ, მიმართულების, საწვავისა და ცხენების საკვების გარეშე — ისინი სამხრეთისკენ მიემართებოდნენ, გონებით წარმოსახული წისქვილებისკენ, რომლებიც მათ სადღაც უცდიდნენ; წინ რა ელოდათ, უცნობი იყო, ერთი ის იცოდნენ, უკან რომ „ სიკვდილი ჩასაფრებულიყო — მიდიოდნენ, რომ გზებზე დაცემულიყვნენ, ხევებში და დამპალი ხიდების ნაპრალებში გადაჩეხილიყვნენ. სამხრეთში ერთი ფერმერი თავისი დამტვრეული სატვირთო მანქანიდან ნახევარი მილის დაშორებით მკვდარი იპოვეს, თხრილში სახით ჩამხობილი, მხარზე მოგდებულ, ხორბლით სავსე ტომარას ისევ ებღაუჭებოდა. შემდეგ მინესოტას პრერიების თავზე საავდრო ღრუბლები მოიყარა; წვიმამ რკინიგზის სადგურებში დახვავებული ხორბალი აამძაღა; გზების გაყოლებაზე დაყრილ ხორბლის გროვებსაც აწვიმდა და ოქროსფერი მარცვლები წვიმის წყალთან ერთად მიწაში იტკეპნებოდა.

ბოლოს და ბოლოს, პანიკამ ვაშინგტონამდეც მიაღწია. ვაშინგტონში მინესოტას ახალ ამბებს კი არა, თავიანთი მეგობრული კავშირებისა და შეხედულებების მყიფე წონასწორობას ადევნებდნენ თვალს; მოსავლის ბედზე კი არა, განუსაზღვრელი ძალის მქონე, წინდაუხედავი ადამიანების არაპროგნოზირებადი ემოციების გონებისთვის მიუწვდომელ შედეგზე ფიქრობდნენ, თავიდან იცილებდნენ ნებისმიერ თხოვნას და აცხადებდნენ: „ოჰ, სასაცილოა, ასაღელვებელი არაფერია! ტაგარტის კომპანიის ხალხს ყოველთვის თავის დროზე ჩამოჰქონდა ხორბალი, ახლაც აუცილებლად მონახავენ რაიმე გზას!“

შემდეგ კი, როდესაც მინესოტას შტატის გუბერნატორმა ვაშინგტონს სთხოვა, ჯარი მიეშველებინა ამბოხებების ჩასახშობად, რომელთაც საკუთარი ძალებით ვეღარ უმკლავდებოდა, ორი საათის განმავლობაში სამი დირექტივა გამოიცა და მთელი ქვეყნის მასშტაბით მატარებლების მოძრაობა შეწყდა, რათა ყველა ვაგონი სასწრაფოდ მინესოტაში გაეგზავნათ.

უესლი მაუჩის მიერ ხელმოწერილი ბრძანებით, ყველა სატვირთო ვაგონი, რომელსაც კიფის დედიკო იყო დაპატრონებული, დაუყოვნებლივ მინესოტაში უნდა

წასულიყო, მაგრამ ძალიან გვიანი აღმოჩნდა. ეს ვაგონები უკვე კალიფორნიაში იყო, სადაც აღმოსავლური ასკეტიზმის მქადაგებელი სოციოლოგებისა და წარსულში არალეგალურ ლატარეაში ჩაბმული ბიზნესმენების მიერ დაარსებულ პროგრესულ კონცერნს გაეგზავნა სოიო.

მინესოტაში ფერმერები საკუთარ ფერმებს წვავდნენ, ელევატორებსა და ადგილობრივი მოხელეების სახლებს ანადგურებდნენ, ლიანდაგის გაყოლებაზე იბრძოდნენ, ზოგი იმისთვის, რომ აეყარა ლიანდაგი, ზოგი კი პირიქით, თავისი სიცოცხლის ფასად იცავდა მას — ფერმერები, რომელთა ერთადერთი მიზანი უკვე ძალადობა იყო და სხვა არაფერი, განადგურებული ქალაქების ქუჩებში და ხევებში იღუპებოდნენ.

მერე დამპალი მარცვლეულის მყრალი სუნი დატრიალდა, ნახევრად დამწვარი, გაღივებული გროვებიდან კვამლის რამდენიმე სვეტი ადიოდა და ჩაშავებული ნანგრევების თავზე უძრავად იდგა — პენსილვანიაში კი, ჰენკ რიერდენი თავის კაბინეტში, მაგიდასთან იჯდა და გაკოტრებული ადამიანების სიას დაჰყურებდა; ესენი ფერმის აღჭურვილობის მწარმოებლები იყვნენ, რომლებსაც ვერ გადაუხდიდნენ და რომლებიც, თავის მხრივ, რიერდენს ვერ გადაუხდიდნენ.

სოიოს მოსავალმა ქვეყნის ბაზრებამდე ვერ მიაღწია: ის ნაადრევად აიღეს და საკვებად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

* * *

15 ოქტომბრის ღამეს ნიუ-იორკში, „ტაგარტ ტერმინალის“ მიწისქვეშა საკონტროლო კოშკში, სპილენძის სადენი გაწყდა და სასიგნალო შუქები ჩაქრა.

მართალია, მხოლოდ ერთი სადენი დაზიანდა, მაგრამ ამ მოვლენამ მოკლე ჩართვა გამოიწვია ბლოკირების სისტემაში და საკონტროლო კოშკურების დაფებიდან და სარკინიგზო ხაზებიდან მოძრაობისა და საფრთხის მანიშნებელი სიგნალები გაქრა. წითელ და მწვანე ლინზებს ფერი არ შეუცვლიათ, ოღონდ უკვე აღარ კაშკაშებდნენ, მხოლოდ უსიცოცხლოდღა ბჟუტავდნენ. ქალაქის განაპირას, ტერმინალის გვირაბების შესასვლელთან, რამდენიმე მატარებელმა მოიყარა თავი და მათი რიცხვი უფრო და უფრო გაიზარდა, როგორც ვენაში დაგროვებული სისხლი, რომელსაც თრომბი არ უშვებს გულამდე.

დაგნი იმ საღამოს „უეინ-ფოლკლენდის“ განსაკუთრებულ სასადილო დარბაზში იჯდა. სანთლების ცვილი ვერცხლის შანდლების ძირზე გამოსახულ თეთრ კამელიებსა და დაფნის ფოთლებს ეწვეთებოდა, ტილოს დაქარგულ სუფრაზე ვიღაცას ფანქრით არითმეტიკული გამოთვლები მიეწერა, ხელსაბან ჯამში კი სიგარეტის ნამწვი ტივტივებდა. დაგნისთან ერთად მაგიდას სმოკინგში გამოწყობილი ექვსი კაცი უჯდა: უესლი მაუჩი, იუჯინ ლოუსონი, დოქტორი ფლოიდ ფერისი, კლემ ვეზერბი, ჯეიმს ტაგარტი და კაფი მეგზი.

— რატომ? — ჰკითხა დაგნიმ ძმას, როდესაც ჯიმმა უთხრა, რომ ის ამ სადილს უნდა დასწრებოდა.

— იმიტომ... რომ საბჭო შემდეგ კვირას დირექტორთან იკრიბება.

— მერე?

— შენ ხომ გაინტერესებს, როგორ გადაწყდება მინესოტას სარკინიგზო ხაზის საკითხი?

— ეს საბჭოს შეკრებაზე გადაწყდება?

— არა.

— აბა, ამ სადილზე?

— არა, მაგრამ... ოჰ, ყოველთვის ასეთ ზუსტ პასუხებს რატომ მოითხოვ? ბოლომდე ზუსტი არასდროს არაფერი არ არის. გარდა ამისა, მათ დაჟინებით მოითხოვეს შენი მოსვლა.

— რატომ?

— მათი მოთხოვნა საკმარისი არ არის?

დაგნის ძმისთვის არ უკითხავს, რატომ იღებდნენ ეს ადამიანები ყველა კრიტიკულ გადაწყვეტილებას ამგვარ წვეულებებზე; იცოდა, რომ ნამდვილად ასე ხდებოდა. მან იცოდა, რომ საბჭოს სხდომების, კომიტეტის შეკრებების, ხალხმრავალი დისკუსიების ხმაურიანი და მოსაწყენი თვალთმაქცობის მიღმა, გადაწყვეტილებებს წინასწარ, მალულად და არაოფიციალურად იღებდნენ ლანჩებზე, სადილებზე, ბარებში, და რაც უფრო სერიოზული საკითხი იყო გადასაწყვეტი, მით უფრო უდარდელად იღებდნენ გადაწყვეტილებასაც. პირველად მოხდა, რომ ამ ადამიანებმა დაგნის, უცხო პირს, მტერს, თავიანთ ერთ-ერთ საიდუმლო სხდომაზე დასწრება სთხოვეს; დაგნის ვარაუდით, ეს მათი მხრიდან იმ ფაქტის აღიარება იყო, რომ მათ ის სჭირდებოდათ და, იქნებ, დანებებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯიც; ასეთ შესაძლებლობას კი ხელიდან ვერ გაუშვებდა.

მაგრამ მოგვიანებით, როდესაც სასადილო ოთახში, სანთლის შუქზე იჯდა, დარწმუნდა, რომ არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდა; თუმცა ეს ამბავი ბოლომდე მაინც ვერ დაეჯერებინა, რადგან მიზეზი ვერ ეპოვა, და მაინც, საკუთარი თავი ვერ აიძულა, საკითხს ბოლომდე ჩაღრმავებოდა.

— მის ტაგარტ, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ახლა ეკონომიკური გამართლება არ მოეძებნება მინესოტაში სარკინიგზო ხაზის არსებობას, რომელიც...

— და მგონია, მის ტაგარტიც კი დაგვეთანხმება, რომ დროებით გარკვეული ხარჯები უნდა შევამციროთ, სანამ...

— ვერავინ, თვით მის ტაგარტიც კი, ვერ უარყოფს, რომ ზოგჯერ მთელის შესანარჩუნებლად შემადგენელი ნაწილების გაწირვაა საჭირო...

როდესაც დაგნის ესმოდა თავისი სახელი, რომელსაც საუბრისას ნახევარსაათიანი შუალედებით, სხვათა შორის ახსენებდნენ, ისე, რომ მზერა არც ერთხელ არ მიუპყრიათ მისთვის, ფიქრობდა, მაინც, რატომ მოინდომეს ამ ადამიანებმა მისი დასწრება შეკრებაზე. ეს არ ჰგავდა მცდელობას, დაერწმუნებინათ დაგნი, თითქოსდა მისი რჩევა სჭირდებოდათ, გაცილებით უარესი იყო: ისინი ცდილობდნენ, საკუთარი თავები დაეჯერებინათ, რომ დაგნი მათ თვალსაზრისს ეთანხმებოდა. დროდადრო შეკითხვებს უსვამდნენ მას და სიტყვას პირველივე წინადადებაზე აწყვეტინებდნენ.

თითქოს დაგნის თანხმობა სჭირდებოდათ, მაგრამ მართლაც ეთანხმებოდა თუ არა, ეს სულაც არ აინტერესებდათ.

სწორედ საკუთარი თავის მოტყუების რაღაცნაირად მოუქნელმა, ბავშვურმა მცდელობამ გადააწყვეტინათ, შეხვედრისთვის ოფიციალური, საზეიმო სადილის სახე მიეცათ. ისე იქცეოდნენ, თითქოს სურდათ, ამ დახვეწილი, მდიდრული ნივთებისგან გამოეწურათ ის ძალა და ღირსება, რომლის ნაყოფიც და სიმბოლოც იყვნენ ისინი ოდესღაც. „იმ ველურებივით იქცევიან, მტრის გვამს რომ ჭამდნენ მისი ძალისა და ღირსების მოპოვების იმედით“, — გაიფიქრა დაგნიმ.

ინანა, ასე რომ გამოეწყო.

— ეს ოფიციალური სადილია, — უთხრა მას ჯიმმა, — მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს... ანუ მეტისმეტად მდიდრულად ნუ ჩაიცვამ... დღეს ბიზნესმენებმა თავი

უნდა შეიკავონ მედიდურობის გამოვლინებისგან... იმას კი არ ვამბობ, რომ ღატაკივით გამოიყურებოდე, უბრალოდ, შეეცადე, მოკრძალებული ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინო... ეს მათ მოეწონებათ, საკუთარი თავი მნიშვნელოვან ადამიანებად მოეჩვენებათ.

— მართლა? — უპასუხა დაგნიმ ძმას და ზურგი აქცია.

დაგნის შავი კაბა თითქოს ქსოვილის ნაკუწი იყო, რომელიც მკერდს უფარავდა და ნაზ ნაკეცებად ეშვებოდა ფეხებთან ბერძნული ტუნიკასავით, იმდენად მსუბუქი და სიფრიფანა ატლასისგან შეკერილი, ღამის პერანგისთვისაც კი გამოდგებოდა.

ქსოვილის ცვალებადი ბზინვარება ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს ოთახის შუქი ქალის პირადი საკუთრება იყო, რომელიც მის მოძრაობებს ემორჩილებოდა, ფარჩაზე უფრო მდიდრულ ბრწყინვალებაში ხვევდა ამ მოხდენილ სხეულს, მის მოქნილობას გამოკვეთდა და ისეთ ბუნებრივ ელეგანტურობას სძენდა, რომ ზიზღნარევი დაუდევრობის უფლებასაც კი ანიჭებდა. დაგნის ერთადერთი სამკაული ეკეთა — შავი საყელოს კიდეზე დაბნეული ბრილიანტისთვლიანი ბროში, რომელიც თვალით უხილავ სუნთქვით მოძრაობასთან ერთად ელავდა, თითქოს რომელიღაც ტრანსფორმატორივით, ციმციმს ცეცხლად გარდაქმნიდა და ყურადღებას ძვირფას თვლებს კი არა, მათ მიღმა მფეთქავ სიცოცხლეს მიაპყრობდა, სამხედრო მედალივით ელვარებდა, განძეულივით, რომელსაც ღირსების სიმბოლოსავით ატარებენ. გამომწვევად მდიდრული და არისტოკრატული ჩანდა დაგნის შავი ხავერდის მოსასხამიც.

ახლა, როდესაც წინ მჯდომ კაცებს შეჰყურებდა, დაგნი ნანობდა, ასე რომ გამოეწყო; უაზრობაში დადანაშაულებულივით იყო შემცბარი, თითქოს ცვილის ქანდაკებების გამოწვევა ეცადა. მან კაცების თვალებში უაზრო გულისწყრომა და უსიცოცხლო, უსქესო და უხამსი მზერის ჩრდილი შენიშნა — ასეთი მზერით ბურლესკის რეკლამას შესცქერიან ხოლმე.

— უდიდესი პასუხისმგებლობაა, — ამბობდა იუჯინ ლოუსონი, — ათასობით ადამიანის ბედი გებაროს და გაწირო ისინი, თუ აუცილებელი გახდება, მაგრამ ჩვენ უნდა გვეყოს გამბედაობა ამის გასაკეთებლად.

ლოუსონს რბილი ტუჩები ღიმილმა დაუბრიცა.

— გასათვალისწინებელია მხოლოდ მიწის ფართობი და მოსახლეობის რიცხვი, — თქვა დოქტორმა ფერისმა მშრალი, სტატისტიკური ტონით, თან კვამლის რგოლებს ჭერისკენ უშვებდა, — რაკი უკვე შეუძლებელია ერთდროულად ორივეს — მინესოტას სარკინიგზო ხაზისა და ამ რკინიგზის ტრანსკონტინენტური მოძრაობის შენარჩუნება, არჩევანი უნდა გავაკეთოთ ერთი მხრივ, მინესოტასა და როკის მთების დასავლეთით მდებარე იმ შტატებს შორის, რომლებიც ტაგარტის გვირაბში მომხდარი ავარიის შემდეგ მოწყვეტილი აღმოჩნდა, და მეორე მხრივ, მონტანას, აიდაჰოსა და ორეგონის მოსაზღვრე შტატებს შორის, რაც, ფაქტობრივად, მთელი ჩრდილო-დასავლეთი გამოდის. თუ ორივე რეგიონის ფართობსა და მოსახლეობის რიცხვს დავიანგარიშებთ, ნათელი გახდება, რომ ჩვენ მინესოტა უნდა გავწიროთ და არ დავთმოთ საკომუნიკაციო კავშირი კონტინენტის მესამედ ნაწილთან.

— მე არ დავთმობ კონტინენტს, — ნაწყენი და მტკიცე ხმით თქვა უესლი მაუჩმა, რომელიც თავის თეფშზე დადებულ ნაყინს დასცქეროდა.

დაგნი მესაბის მთაგრეხილზე ფიქრობდა, რკინის მადნის ძირითადი წყაროებიდან უკანასკნელზე, ის მინესოტელ ფერმერებზე ფიქრობდა, ქვეყანაში ხორბლის საუკეთესო მწარმოებლებზე — მიაჩნდა, რომ მინესოტას განადგურება

ვისკონსინს, მიჩიგანსა და ილინოისსაც მოუღებდა ბოლოს — თვალწინ ედგა სამრეწველო აღმოსავლეთში დასაღუპავად განწირული ქარხნების მოწითალო კვამლი დასავლეთის მოტიტვლებული ქვიშნარის, მოუვლელი საძოვრებისა და მიტოვებული ფერმების ფონზე.

— გამოთვლები აჩვენებს, — თქვა მისტერ ვეზერბიმ მოკრძალებულად, — რომ ორივე რეგიონის შენარჩუნება შეუძლებელია. ერთის სარკინიგზო ხაზები და აღჭურვილობა უნდა დაიშალოს, რომ მეორის შესანარჩუნებლად საჭირო მასალა გაჩნდეს.

დაგნიმ შეამჩნია, რომ ყველაზე სუსტი ავტორიტეტი ამ ადამიანებს შორის კლემ ვეზერბის, რკინიგზის ტექნიკურ ექსპერტს ჰქონდა, ყველაზე გავლენიანი კი კაფი მეგზი ჩანდა. მეგზი სკამზე გაშხლართულიყო, მისი სახე მფარველურ შემწყნარებლობას გამოხატავდა იმ თამაშის მიმართ, რომელიც განხილვებზე დროის დაკარგვას გულისხმობდა. მეგზი ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ თუ რამეს იტყოდა, უკმეხად, კატეგორიული ტონითა და დამცინავი გამომეტყველებით ამბობდა — „მოკეტე, ჯიმ!“ ან — „ჯანდაბა, უეს, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ!“ დაგნიმ შენიშნა, რომ ეს არც ჯიმს სწყინდა და არც მაუჩს. ისინი თითქოს იწონებდნენ მეგზის მედიდურ თავდაჯერებულობას და მას თავიანთ ბატონად აღიარებდნენ.

— ჩვენ პრაქტიკულები უნდა ვიყოთ, — ამბობდა დოქტორი ფერისი, — მეცნიერულად უნდა ვიმსჯელოთ.

— მე ქვეყნის ეკონომიკა მჭირდება, ერთიანი ეკონომიკა, — ამბობდა უესლი მაუჩი, — მე ეროვნული წარმოება მჭირდება.

— ეკონომიკაზე ლაპარაკობთ? წარმოებაზე? — თქვა დაგნიმ ცივი და მოზომილი ხმით, როდესაც საუბარში სიტყვის ჩაგდება მოახერხა, — თუ ასეა, მაშინ მოგვეცით აღმოსავლეთის შტატების გადარჩენის საშუალება. სულ ეს არის, რაც ქვეყნისგან და მთელი მსოფლიოსგან დარჩა. თუ მისი გადარჩენის ნებას მოგვცემთ, ჩვენ ყველაფერ დანარჩენს თავიდან ავაშენებთ. თუ არა, მაშინ ეს ნამდვილად დასასრული იქნება. „ატლანტიკ საუთერნმა“ მიხედოს ტრანსკონტინენტურ მიმოსვლას, რაც კი ჯერ დღეისთვის კიდევ არსებობს; ჩრდილო-დასავლეთზე კი ადგილობრივმა რკინიგზებმა იზრუნონ. მოდით, ჩვენი ქვეყნის საწყის ვითარებას დავუბრუნდეთ, მაგრამ ოღონდ ერთი პირობით — მთლიანად უნდა ვფლობდეთ ამ დასაბამს. დასავლეთით ჩვენს მატარებლებს მისურს იქით არ გავუშვებთ. ჩვენ ადგილობრივი რკინიგზა გავხდებით — სამრეწველო აღმოსავლეთის ადგილობრივი რკინიგზა. ნება მოგვეცით, გადავარჩინოთ ჩვენი მრეწველობა. დასავლეთში გადასარჩენი აღარაფერი დარჩა. სოფლის მეურნეობა შეიძლება, საუკუნეების განმავლობაში მართო ხელით შრომის საშუალებით და ხარებშებმული ურმით, მაგრამ თუ ამ ქვეყნის უკანასკნელ სამრეწველო ქარხანას გაანადგურებთ, საუკუნეების ძალისხმევაც აღარ ეყოფა მის აღორძინებას და საჭირო ეკონომიკური სიძლიერის შექმნას ყველაფრის თავიდან დასაწყებად. როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი მრეწველობისა და რკინიგზის არსებობა ფოლადის გარეშე? როგორ წარმოგიდგენიათ ფოლადის წარმოება, თუ რკინის მადნის მიწოდებას შეაჩერებთ? გადაარჩინეთ მინესოტა, რაც კი მისგან დარჩა. ქვეყანა? გადასარჩენი ქვეყანა აღარ გექნებათ, თუ მისი მრეწველობა განადგურდება.

თქვენ შეგიძლიათ, გაწიროთ ფეხი ან ხელი. მაგრამ სხეულის გადარჩენას ვერ მოახერხებთ, თუ მის გულს და ტვინს გაიღებთ მსხვერპლად. გადაარჩინეთ ჩვენი მრეწველობა. გადაარჩინეთ მინესოტა. გადაარჩინეთ აღმოსავლეთის სანაპირო.

დაგნი ამჯერადაც უშედეგოდ ლაპარაკობდა. ეს ადრეც რამდენჯერ უთქვამს, დეტალების, სტატისტიკური მონაცემების, რიცხვების, მტკიცებულებების მოშველიებით, როგორმე სათქმელი მათ დახშულ სმენამდე რომ მიეტანა. თუმცა ამას აზრი არ ჰქონდა. ისინი მას არც შეჰკამათებიან, არც დასთანხმებიან; მხოლოდ ერთმანეთს გადახედეს, თითქოს დაგნის არგუმენტები უადგილო ყოფილიყო. მათ პასუხებში გაუგებარი აქცენტები ისმოდა, გეგონებოდა, ეს ახსნა-განმარტებები დაშიფრული იყო, ოღონდ დაგნის ამ შიფრის გასაღები არ ჰქონდა.

— კალიფორნიაში პრობლემა გვაქვს, — თქვა უესლი მაუჩმა პირქუშად, — მათი შტატის საკანონმდებლო ხელისუფლება ძალიან ქედმაღლურად იქცევა. კავშირიდან გასვლას აპირებენ.

— ორეგონში დეზერტირთა ბანდები დაძრწიან, — თქვა კლემ ვეზერბიმ თავშეკავებულად, — უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გადასახადების ორი ამკრეფი მოკლეს.

— მრეწველობის მნიშვნელობა ცივილიზაციისთვის გაზვიადებულია, — თქვა დოქტორმა ფერისმა თვლემამორევით, — ინდოეთის სახალხო რესპუბლიკამ საუკუნეები იარსება ყოველგვარი სამრეწველო განვითარების გარეშე.

— ადამიანებს საარსებოდ უფრო ნაკლები მატერიალური საგანი და უფრო მეტი ხელმომჭირნეობა სჭირდებათ, — განაცხადა იუჯინ ლოუსონმა გზნებით, — ეს მათთვის სასარგებლო იქნებოდა.

— ოჰ, ჯანდაბა, თქვენ რა, აპირებთ, ამ ქალბატონს დაუჯეროთ და მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა დასაღუპად გაიმეტოთ? — თქვა კაფი მეგზმა და ფეხზე წამოხტა, — რის გამო უნდა გაწიროთ მთელი კონტინენტი? ერთი უმნიშვნელო შტატის გამო, რომელიც ისედაც განადგურებულია! მინესოტას შეეშვით, მიხედეთ თქვენს ტრანსკონტინენტურ ქსელს. მაშინ, როდესაც ყველგან არეულობა და ამბოხებებია, როგორ უნდა ალაგმო ადამიანები, თუკი ტრანსპორტი არ იქნება ჯარების გადასაყვანად, ნებისმიერი წერტილიდან რამდენიმე დღის სავალზე კი ჯარების ჩაყენებას ვერ შეძლებთ? ახლა შემცირების დრო არაა. ლაჩრულად ნუ მოიქცევით, ამ სისულელეს ყურს ნუ უგდებთ. ქვეყანა თქვენ ხელთაა. უბრალოდ, უნდა შეინარჩუნოთ ის.

— შორეულ პერსპექტივაში... — წამოიწყო მაუჩმა გაუბედავად.

— შორეულ პერსპექტივაში ჩვენ ყველანი დავიხოცებით, — წამოიძახა კაფი მეგზმა, რომელიც ბოლთას სცემდა ოთახში, — ეკონომია, ჯანდაბა! კალიფორნიაში, ორეგონში და სხვა ადგილებში დიდი რაოდენობის მოსავალია დარჩენილი. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ გაფართოებაზე უნდა ვიფიქროთ, — ახლანდელი მდგომარეობით, ხელს ვერავინ შეგვიშლის, — შესაძლოა, მექსიკა და კანადა შემოვიერთოთ, ამის გაკეთება უმარტივესია.

და მოულოდნელად დაგნი პასუხს ჩასწვდა — საიდუმლო წანამძღვარს ამ სიტყვებს მიღმა. მეცნიერების ეპოქისადმი ამ ხმაურიანი ერთგულებით, ისტერიკულად ტექნოლოგიური ჟარგონით, ციკლოტრონებით, ბგერითი სხივებით, ეს ადამიანები სამრეწველო ჰორიზონტისკენ კი არა, იმ სახის არსებობისკენ მიისწრაფოდნენ, რომელიც მეწარმეებმა გაანადგურეს — ეს იყო მსუქანი და ჭუჭყიანი ინდოელი რაჯას არსებობის ფორმა, რომელიც უაზრო გამომეტყველებით იყურება და დროის გასაყვანად თითებს შორის ძვირფას ქვებს ათამაშებს, დროდადრო კი დამშეულ, ჯაფისგან და ათასგვარი სნეულებისგან დაუძლურებულ ადამიანს დანას ჩასცემს და მის კუთვნილ რამდენიმე მარცვალ ბრინჯს

დაისაკუთრებს, შემდეგ კი ასობით მილიონი სხვა ასეთივე ადამიანისგანაც იმავეს მოითხოვს და ამგვარად გადააქცევს ბრინჯის მარცვლებს ალმასებად.

ადრე დაგნი ფიქრობდა, რომ სამრეწველო წარმოება ყველასთვის უდავო, უეჭველი ღირებულება იყო, რომ ამ ადამიანების სწრაფვას, დაესაკუთრებინათ სხვისი საწარმოები, ამგვარი საწარმოების ფასეულობის აღიარება ედო საფუძვლად; დაგნის, სამრეწველო რევოლუციის პირმშოს, ვერ წარმოედგინა და ასტროლოგიისა და ალქიმიის ზღაპრებთან ერთად დავიწყებოდა, თუ რა იცოდნენ ამ კაცებმა მალულად, იცოდნენ არა აზროვნების საშუალებით, არამედ იმ უსახელო სისაძაგლის მეშვეობით, რომელსაც ისინი თავიანთ ინსტინქტებსა და ემოციებს უწოდებდნენ; რომ სანამ ადამიანები გადარჩენისთვის იბრძოლებენ, ისინი ასე ცოტას არასდროს აწარმოებენ; რომ კეტიანი კაცები ვერ წაართმევენ ხალხს ნაწარმს, თუ ის თავად არ დაემორჩილება მათ; რომ რაც უფრო მძიმე შრომა აქვს ადამიანს და ნაკლები მოგება, მით უფრო მორჩილი ხდება; რომ ადვილად სამართავი ელექტრული გამანაწილებელი დაფის ბერკეტებთან მომუშავე ხალხი კი არ არის, არამედ ის ჩამოკონკილი ადამიანები, რომლებიც მიწასთან მუშაობენ; რომ ფეოდალური ხანის დიდებულს არ სჭირდებოდა ელექტრონული ქარხნები ძვირფასი თვლებით მოოჭვილი თასიდან მათრობელა სასმელის მისართმევად, სწორედ ისევე, როგორც ინდოეთის სახალხო რესპუბლიკის რაჯას არ სჭირდებოდა.

დაგნიმ გააცნობიერა, რა სურდათ მათ და რა მიზნისკენ მიჰყავდა ისინი აუხსნელ ინსტინქტებს. დაინახა, რომ იუჯინ ლოუსონს, ჰუმანიტარს, ადამიანთა შიმშილობის წარმოდგენა სიამოვნებას ანიჭებდა და დოქტორი ფერისი კი, მეცნიერი, ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც ადამიანები ხელის გუთანს დაუბრუნდებოდნენ.

დაგნის რეაქცია ამ ყველაფერზე მხოლოდ გაოცება და გულგრილობა იყო: გაოცება, რადგან ვერ წარმოედგინა, რას უნდა მიეყვანა კაცი ასეთ მდგომარეობამდე, გულგრილობა კი იმიტომ, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ არსებებს ადამიანებად უკვე აღარ თვლიდა. დანარჩენები საუბარს განაგრძობდნენ, მაგრამ დაგნის აღარც ლაპარაკი შეეძლო მათთან, აღარც მათი სმენა. მიხვდა, რომ სახლში წასვლისა და დაძინების გარდა არაფერი სურდა.

— მის ტაგარტ, — დაგნიმ ზრდილი და ოდნავ შეშფოთებული ხმა გაიგონა, თავი ასწია და თავაზიანი ოფიციანტი დაინახა, — „ტაგარტ ტერმინალის“ მენეჯერის თანაშემწე გირეკავთ. ამბობს, რომ გადაუდებელი შემთხვევაა.

დაგნიმ შვება იგრძნო, რაკი წამოდგომა და იმ ოთახიდან გასვლა მოუწია, თუნდაც მორიგი კატასტროფის მაუწყებელი ზარის საპასუხოდ. შვება მოჰგვარა მენეჯერის თანაშემწის ხმის გაგონებამ, მიუხედავად იმისა, რომ ის ატყობინებდა:

— მოძრაობის გამაერთიანებელი სისტემა გათიშულია, მის ტაგარტ. სიგნალები ჩამქრალია. რვა შემომავალი და ექვსი გამავალი მატარებელი გაჩერებულია. ჩვენ ვერ ვუშვებთ მათ გვირაბში და ვერც იქიდან გაგვყავს, მთავარი ინჟინერი ვერსად ვერ მოვნახეთ, წრედში დაზიანების ადგილს ვერ მივაგენით, სპილენძის სადენი არ გვაქვს მის შესაკეთებლად, არ ვიცით, რა გავაკეთოთ, ჩვენ...

— ახლავე მოვდივარ, — მიუგო დაგნიმ და ყურმილი დააგდო.

როდესაც ლიფტისკენ მიიჩქაროდა, მერეც, როცა „უეინ-ფოლკლენდის“ მდიდრულ ვესტიბიულში მირბოდა, დაგნიმ იგრძნო, რომ მოქმედების შესაძლებლობამ სიცოცხლე დაუბრუნა.

ტაქსები უკვე იშვიათად მოძრაობდნენ და კარისკაცის სტვენაზე არც ერთი მანქანა არ გამოჩენილა. დაგნი აჩქარებული ნაბიჯებით გაუყვა ქუჩას. სულ

გადაავიწყდა, როგორ იყო გამოწყობილი და უკვირდა, რატომ ეჩვენებოდა ქარი ასეთი ცივი და სუსხიანი.

თავში მხოლოდ ტერმინალი უტრიალებდა, როდესაც მოულოდნელად დიდებულმა სანახაობამ განაცვიფრა: დაინახა მისკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალი მოხდენილი ქალი, ფარნის შუქი ქალის მბზინავ თმას, მოშიშვლებულ მკლავებს, შავ, ფართო მოსასხამსა და მის მკერდზე მოკაშკაშე ბრილიანტს ეცემოდა, უკან ქალაქის დაცარიელებული ქუჩა და მოციმციმე სინათლეებით შემოსაზღვრული ცათამბჯენები მოჩანდა.

მხოლოდ მომდევნო წამს გააცნობიერა, რომ საკუთარ გამოსახულებას ხედავდა ყვავილების მაღაზიის გვერდითა სარკეში: მან მთლიანად შეიგრძნო იმ გარემოს მომხიბვლელობა, რომელსაც ეს გამოსახულება და ქალაქი ეკუთვნოდა. შემდეგ სასოწარკვეთილი მარტოობის განცდა დაეუფლა, ამ გაუკაცრიელებულ ქუჩაზე უფრო ფართო მარტოობის, და საკუთარ თავზე გაბრაზდა — თავის გარეგნობასა და იმ ღამისა და ეპოქის კონტექსტს შორის არსებულმა აბსურდულმა კონტრასტმა გააღიზიანა.

დაგნიმ კუთხიდან გამოსულ ტაქსის ხელი დაუქნია, მანქანაში ჩახტა და კარი ხმაურით მიიხურა, იმ იმედით, რომ ცარიელ ქვაფენილზე, ყვავილების მაღაზიის“ ვიტრინასთან დატოვებდა თავის განცდას. მაგრამ კარგად იცოდა, სიმწარენარევი თვითირონიითა და გზნებით, რომ ეს განცდა მოლოდინის ის შეგრძნება იყო, რომელიც თავის პირველ წვეულებაზე დაეუფლა და იმ იშვიათ წუთებში, როდესაც სურდა, ცხოვრების გარეგნული მშვენიერება მისი შინაგანი ბრწყინვალებას შესატყვისი ყოფილიყო. „რა შესაფერისი დროა ასეთი ფიქრისთვის!“ — დასცინოდა დაგნი საკუთარ თავს, — „ახლა არა!“ — ბრაზმორეულმა შეუყვირა მან თავს, მაგრამ რაღაც ხმა ძრავის გუგუნის ფონზე მოსვენებას არ აძლევდა: „შენ ხომ გეგონა, რომ ბედნიერებისთვის უნდა გეცხოვრა, ახლა რაღა დაგრჩა ამ ბედნიერებისგან? რას მიიღებ შენი ბრძოლით? დიახ! გულწრფელად აღიარე: რა მოგიტანა ამ ბრძოლამ? თუ შენ ერთერთი იმ უბადრუკ ალტრუისტთაგანი გახდი, რომლებსაც ამ კითხვაზე პასუხი აღარ აქვთ?..“ „ახლა არა!“ — უბრძანა დაგნიმ თავს, როდესაც ტაქსის მართკუთხა საქარე მინაში „ტაგარტ ტერმინალის“ კაშკაშა შესასვლელი გამოჩნდა.

ტერმინალის მენეჯერის კაბინეტში შეკრებილი ადამიანები ჩამქრალ სიგნალებს ჰგავდნენ, გეგონებოდა, იქაც წრედი იყო დაზიანებული და მათ ასამოძრავებლად ელექტრონის ცოცხალი ნაკადი არ არსებობდა. ისინი დაგნის უსიცოცხლო პასიურობით შესცქეროდნენ, თითქოს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ის მათ ჩუმად დგომას აცლიდა თუ გადამრთველის მეშვეობით აამოძრავებდა.

ტერმინალის მენეჯერი იქ არ იმყოფებოდა. მთავარ ინჟინერსაც ვერსად პოულობდნენ, ბოლოს ორი საათის წინ ენახათ ტერმინალში. მენეჯერის თანაშემწეს თავისი ინიციატივით მხოლოდ ის მოეხერხებინა, რომ დაგნისთვის დაერეკა, დანარჩენები კი საერთოდ უმოქმედოდ იყვნენ. ელექტროინჟინერი, ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი, რომელიც სტუდენტს ჰგავდა, აგრესიული ტონით ამბობდა:

— ასეთი რამ ადრე არასდროს მომხდარა, მის ტაგარტ! გამაერთიანებელი სისტემა არასდროს გათიშულა. არც უნდა გათიშულიყო. ჩვენ კარგად ვიცით საკუთარი საქმე და სხვაზე ნაკლებად არ შეგვიძლია, ამ სისტემას მივხედოთ, — მაგრამ არა ივ შემთხვევაში, თუ მაშინ გამოდის მწყობრიდან, როდესაც ასე არ უნდა ხდებოდეს!

დაგნი ვერ მიმხვდარიყო, დისპეტჩერს, მოხუც კაცს, რომელსაც რკინიგზაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა გონიერება და მალავდა მას, თუ მრავალთვიანმა ზეწოლამ მისი შესაძლებლობების ჩახშობის მიზნით სამუდამოდ გაანადგურა ისინი, რითაც უძრაობის უსაფრთხოება მიანიჭა ამ ადამიანს.

— არ ვიცით, რა გავაკეთოთ, მის ტაგარტ! არ ვიცით, ვის მივმართოთ ნებართვის მისაღებად! არ არსებობს რაიმე წესები ამ ტიპის საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით! იმის შესახებაც კი არ არსებობს წესი, თუ ვინ უნდა შექმნას ასეთი წესები! დაგნიმ მოისმინა ეს ყველაფერი, შემდეგ კი უსიტყვოდ დასწვდა ტელეფონის ყურმილს. მან ოპერატორს განკარგულება მისცა, რომ „ატლანტიკ საუთერნის“ მმართველ ვიცე-პრეზიდენტთან დაეკავშირებინა ჩიკაგოში, და თუ საჭირო გახდებოდა, სახლშიც დაერეკა მისთვის, საწოლიდანაც წამოეყენებინა, თუკი ეძინა.

— ჯორჯ? დაგნი ტაგარტი ვარ, — თქვა დაგნიმ თავისი კონკურენტის ხმის გაგონებისთანავე, — შეგიძლიათ, თქვენი ჩიკაგოს ტერმინალის ელექტროინჟინერი ჩარლზ მარი ოცდაოთხი საათით ჩემთან სამუშაოდ გამოუშვათ?.. დიახ... ასეა...

თვითმფრინავში ჩასვით და რაც შეიძლება, სწრაფად გამოგზავნეთ. უთხარით, რომ სამი ათას დოლარს გადავუხდით... დიახ, მხოლოდ ერთი დღისთვის... დიახ, ასე ცუდადაა საქმე... დიახ, ნაღდი ფულით გადავუხდი, თუ საჭირო გახდება, ჩემი საკუთარი ჯიბიდანაც. იმდენს გადავუხდი, რამდენიც საჭირო იქნება მის დასაყოლიებლად, ოღონდ კი ჩიკაგოდან მომავალი პირველივე თვითმფრინავით გამოგზავნეთ... არა, ჯორჯ, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ ერთი მოაზროვნეც კი აღარ დარჩა... დიახ, მე მოვაგვარებ საბუთების, გათავისუფლების, გამონაკლისის დაშვებისა და საგანგებო შემთხვევის ნებართვის საკითხებს... გმადლობ, ჯორჯ. ნახვამდის.

დაგნიმ ყურმილი დაკიდა თუ არა, სასწრაფოდ ალაპარაკდა, მის წინ გაჩერებულ ადამიანებს მიმართა, რომ არ მოესმინა სიჩუმე, რომელსაც ამ ოთახში და ტერმინალში დაესადგურებინა, სადაც ბორბლების ხმაური აღარ გაისმოდა, რომ აღარ მოესმინა მწარე სიტყვები, რომლებსაც თითქოს სიჩუმე იმეორებდა: „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ ერთი მოაზროვნეც კი აღარ დარჩა“.

— გაამზადეთ საავარიო მატარებელი და ბრიგადა, — თქვა დაგნიმ, — გაგზავნეთ ისინი ჰადსონის სარკინიგზო ხაზზე, რომ დაშალონ სპილენძის სადენის თითოეული ფუტი, ლამპები, სიგნალები, ტელეფონები, ყველაფერი, რაც კი კომპანიის საკუთრებაა და ხვალ დილისთვის უკვე აქ ჰქონდეთ მოტანილი.

— მაგრამ, მის ტაგარტ! ჰადსონის ხაზზე ჩვენი მომსახურება მხოლოდ დროებით არის შეჩერებული და „გაერთიანების საბჭომ“ უარი გვითხრა ხაზის დემონტაჟის ნებართვაზე!

— ყველაფერზე პასუხს მე ვაგებ.

— მაგრამ, როგორ აპირებთ აქედან საავარიო მატარებლის გაშვებას მაშინ, როდესაც სიგნალები გათიშულია?

— სიგნალები ნახევარ საათში ამუშავდება.

— როგორ?

— გამომყევით, — თქვა დაგნიმ და ფეხზე წამოდგა.

ისინი ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ დაგნის, როდესაც ის ბაქანზე მიიჩქაროდა და მხარს უქცევდა გაჩერებულ მატარებლებთან მოგროვებული მგზავრების ჯგუფებს.

დაგნი რელსების ლაბირინთში მიაბიჯებდა, ჩამქრალ სიგნალებსა და გაჩერებულ გადამრთველ ისრებს გვერდს უვლიდა, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ მიწისქვეშა გვირაბებში მხოლოდ მისი ფეხის ხმა გაისმოდა, ამ ხმას კი დაგნის უკან ნელი ნაბიჯებით მიმავალი ადამიანების ფეხებქვეშ შპალების ყრუ ჭრიალი მოსდევდა, დაგვიანებული ექოსავით. დაგნი კოშკურასკენ მიიჩქაროდა, რომელიც განათებული, კუბის ფორმის მინის ნაგებობა იყო და სიბნელეში უსხეულო გვირგვინივით ეკიდა, დაცარიელებული ლიანდაგების სამყაროს გადაყენებული მმართველის გვირგვინივით.

კოშკურის დირექტორი მეტისმეტად კომპეტენტური კაცი იყო და მეტისმეტად საპასუხისმგებლო სამუშაო ჰქონდა საიმისოდ, რომ გონიერების საშიში ტვირთი სრულიად უგულებელეყო. მან პირველივე რამდენიმე სიტყვიდან გაიგო, თუ რა სურდა დაგნის მისგან და მოჭრით უპასუხა: „დიახ, მემ!“ ვიდრე დაგნის თანმხლებმა თანამშრომლებმა რკინის კიბეები ამოათავეს, ის უკვე რუკებს დაჰყურებდა და თავისი მრავალწლიანი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში ყველაზე დამამცირებელ სამუშაოს ასრულებდა — ანგარიშობდა. დაგნი კოშკის დირექტორის ერთი გამოხედვით მიხვდა, რომ მას ყველაფერი ზედმიწევნით ღრმად ესმოდა. ეს მზერა გულისწყრომასა და სიმტკიცეს გამოხატავდა, იგივე ემოციები წაიკითხა დირექტორმა დაგნის სახეზეც.

— ჯერ საქმეს მივხედავთ, გრძნობებზე მერე ვიფიქრებთ, — თქვა დაგნიმ, თუმცა კოშკურის დირექტორს სიტყვა არ დაუძრავს.

— კეთილი, ქალბატონო, — უპასუხა მან დაგნის უემოციოდ.

მიწისქვეშა კოშკურის ზემო ნაწილში განთავსებული დირექტორის ოთახი მინის ვერანდას ჰგავდა, რომელიც ზემოდან გადმოჰყურებდა ერთ დროს მსოფლიოში ყველაზე სწრაფ, მდიდრულ და მოწესრიგებულ რკინიგზას. დირექტორს საათში ოთხმოცდაათზე მეტი მატარებლის მიმართულების დაგეგმვა უწევდა და თვალყურის დევნება, როგორ მოძრაობდნენ მისი ხელმძღვანელობით უსაფრთხოდ ლიანდაგებისა და გადამრთველი ისრების ლაბირინთში ტერმინალში შემავალი და გამომავალი მატარებლები მისი კოშკურის მინის კედლებქვეშ. ახლა კი პირველად მოხდა, რომ ის დაცარიელებულ და ჩაბნელებულ გვირაბს შესცქეროდა.

წრედის სამართავი ოთახის ღია კარიდან დაგნი კოშკურის უსაქმურად მყოფ თანამშრომლებს გაჰყურებდა. ადამიანები, რომელთა სამუშაოც წუთიერი მოდუნების საშუალებასაც არ იძლეოდა, ახლა გრძელ მწკრივებად იდგნენ; ეს მწკრივები სპილენძის ვერტიკალურ ნაკეცებს, წიგნის თაროებს წააგავდნენ, ადამიანის გონიერებისადმი მიძღვნილ ერთგვარ სკულპტურას. თაროებიდან სანიშნეებივით გამოშვერილი ერთ-ერთი პატარა ბერკეტის ჩამოწევა ათასობით ელექტრულ წრედს აამოძრავებდა, ათასობით კონტაქტს დაამყარებდა და ამდენივეს გათიშავდა, აამოქმედებდა უამრავ გადამრთველ ისარს არჩეული მიმართულების დასაყენებლად და უამრავ სიგნალს ამ გზის გასანათებლად, რაიმე შეცდომა, გაუთვალისწინებელი შემთხვევა ან წინააღმდეგობა გამორიცხული იყო — ადამიანის ხელის ერთ მოძრაობაში თავს იყრიდა აზროვნების მთელი სირთულე, როდესაც ის მატარებლის კურსს აყენებდა და უზრუნველყოფდა, რომ ასობით მატარებელს უსაფრთხოდ ემოძრავა, რომ ერთმანეთისგან მცირე მანძილით დაშორებულ ათასობით ტონა ლითონსა და ადამიანს დიდი სისწრაფით ჩაევლო, უსაფრთხოების გარანტი კი მხოლოდ აზროვნება იყო, იმ ადამიანის აზროვნება, რომელმაც ბერკეტები გამოიგონა. დაგნიმ ელექტროინჟინერს შეხედა და გაიფიქრა: „მაგრამ

ისინი ფიქრობენ, რომ მოძრაობა მხოლოდ ხელის კუნთის შეკუმშვით იმართება“. ახლა კი კოშკურის თანამშრომლები უსაქმოდ იდგნენ და კოშკურის დირექტორის წინ, უზარმაზარ დაფებზე განთავსებული წითელი და მწვანე ლამპების ნათება, ადრე რამდენიმე მილის სიშორიდან მატარებლების მოახლოებას რომ იუწყებოდნენ, ახლა მხოლოდ შუშის მძივებიღა იყო, იმ შუშის მძივების მსგავსი, რომელთა სანაცვლოდაც ერთ დროს ველურთა სხვა მოდგმამ მანჰეტენის კუნძული გაყიდა.

— დაურეკეთ ყველა თქვენს დაბალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელს, — მიმართა დაგნიმ მენეჯერის თანაშემწეს, — სექციის მუშებს, კონტროლიორებს, ძრავის მწმენდავებს, ყველას, ვინც კი ახლა ტერმინალშია, და უთხარით, რომ ახლავე მოვიდნენ აქ. — აქ?

— აქ, — თქვა დაგნიმ და კოშკურის გარეთ ლიანდაგებზე მიუთითა, — მეისრეებსაც დაურეკეთ. საწყობშიც დარეკეთ და უთხარით, რომ ყველა ფარანი აქ მოიტანონ, ყველა სახის — კონდუქტორის ფარნები, ქარიშხლისას გამოსაყენებელი ფარნები, ყველანაირი, რაც კი აქვთ.

— ფარნები, მის ტაგარტ?

— იმოქმედეთ.

— დიახ, მემ.

— რა უნდა გავაკეთოთ, მის ტაგარტ? — ჰკითხა დაგნის დისპეტჩერმა.

— ხელით ვმართოთ მატარებლების მოძრაობა.

— ხელით? — იკითხა ელექტროინჟინერმა.

— დიახ, მეგობარო! რამ გაგაკვირვათ? — დაგნიმ თავი ვეღარ შეიკავა, — ადამიანი ხომ მხოლოდ კუნთების ნაკრებია? ჩვენ წარსულში ვბრუნდებით — იმ დროში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა მოძრაობის გამაერთიანებელი სისტემები, სემაფორები, ელექტროენერგია, როდესაც მატარებლების სასიგნალო მოწყობილობა ფოლადისა და სადენის ნაზავი კი არ იყო, ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ხელში ფარნები ეკავათ. სწორედ ადამიანები ასრულებდნენ ფარნის ბოძების დანიშნულებას. თქვენ საკმაოდ დიდი ხანი უჭერდით ამას მხარს — და აი, მიიღეთ კიდეც, რაც გსურდათ. ხომ გეგონათ, რომ თქვენი სამუშაო ინსტრუმენტები განსაზღვრავდა თქვენს აზროვნებას? მაგრამ პირიქით მოხდა — ახლა დაინახავთ, რა ინსტრუმენტები წარმოქმნა თქვენებურმა აზროვნებამ!

დაგნიმ გარშემო მყოფთა აპათიური გამომეტყველების დანახვისას საკუთარი მდგომარეობის პარადოქსულობა იგრძნო და გაიფიქრა, რომ წარსულში დაბრუნებაც კი საზრიან მოქმედებას საჭიროებდა.

— როგორ ავამუშავებთ გადამრთველ ისრებს, მის ტაგარტ?

— ხელით.

— და სიგნალებს?

— ხელით.

— როგორ?

— თითოეული სიგნალის ბოძთან ადამიანს დავაყენებთ, რომელსაც ხელში ფარანი ეჭირება.

— როგორ? ცოტა გაუგებარია.

— სათადარიგო ლიანდაგებს გამოვიყენებთ.

— როგორ მიხვდებიან, რომელ მხარეს უნდა მიმართონ ისარი?

— ხელით დაწერილი განრიგის მიხედვით.

— რა?

— ხელით დაწერილი განრიგის მიხედვით — როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე. — დაგნიმ კოშკურის დირექტორზე მიუთითა, — ის შეადგენს განრიგს, თუ როგორ უნდა იმოძრაონ მატარებლებმა და რომელი ლიანდაგი უნდა იყოს გამოყენებული.

ჩვენ თითოეული სიგნალისა და გადამრთველი ისრისთვის დავწერთ ბრძანებას, შემდეგ ამ დაწერილ ბრძანებებს მორბენალი ადამიანები თითოეულ ბოძთან მიიტანენ — თუმცა, რასაც აქამდე წუთებში ვაკეთებდით, საათები დასჭირდება, მაგრამ მაინც მოვახერხებთ მომლოდინე მატარებლების ტერმინალში შემოყვანას და აქედან სარკინიგზო ხაზზე გაყვანას.

— მთელი ღამე მოგვიწევს ასე მუშაობა?

— და ხვალაც, მთელი დღე, სანამ მცოდნე ინჟინერი არ გაჩვენებთ, თუ როგორ უნდა შეკეთდეს გამაერთიანებელი სისტემა.

— კავშირის ხელშეკრულებებში არაფერია ნათქვამი ადამიანების შესახებ, რომლებიც ხელში ფარნებით იდგებიან. ამის გამო პრობლემა შეგვექმნება. კავშირი ამას შეეწინააღმდეგება.

— ჩემთან გამოგზავნეთ, მე გავცემ პასუხს.

— „გაერთიანების საბჭოც“ არ მოიწონებს ამას.

— მე ვაგებ პასუხს.

— კარგი, მაგრამ არ მინდა, ბრძანებების გაცემისთვის დამაკავონ...

— ბრძანებებს მე გავცემ.

დაგნი კოშკურის გვერდითა რკინის კიბის ბაქანზე გამოვიდა; შეეცადა, წონასწორობა დაებრუნებინა. ერთი წუთით მოეჩვენა, რომ თვითონაც ელექტრული წრედის გარეშე დარჩენილი მაღალგანვითარებული ტექნოლოგიის ზუსტი ინსტრუმენტი იყო, რომელიც ტრანსკონტინენტური რკინიგზის მართვას შიშველი ხელებით ლამობდა. ტაგარტის რკინიგზის მიწისქვეშეთის უზარმაზარ და ჩუმ წყვდიადს შეხედა და უცებ მტანჯველი დამცირება იგრძნო, როცა დაინახა, სადამდე მივიდ, ამ რკინიგზის საქმე — ფარნიანი ადამიანები მისი უკანასკნელი მემორიალური ძეგლებივით იდგნენ გვირაბებში.

დაგნის უჭირდა კოშკურის ძირას შეკრებილი ადამიანების სახეების გარჩევა. ისინი უსიტყვოდ გამოჩნდნენ წყვდიადიდან და მოლურჯო სიბნელეში გაუნძრევლად იდგნენ, მათ უკან, კედლებზე, ლურჯი ნათურები მოჩანდა, კოშკურის ფანჯრებიდან გამომავალი შუქი კი მხრებზე ეცემოდათ. დაგნი ხედავდა გაზეთილ სამუშაო ფორმებს, დაკუნთულ სხეულებს, დაუფასებელი შრომით გამოფიტული იმ ადამიანების ჩამოყრილ მკლავებს, რომელთა სამუშაო აზროვნებას არ საჭიროებდა. ისინი რკინიგზის ნარჩენები იყვნენ — ახალგაზრდა კაცები, რომელთაც წინსვლის შესაძლებლობა ვერ ეპოვათ, და ხანშიშესულები, რომელთაც არც არასოდეს უცდიათ ამ შესაძლებლობის მოძებნა. ისინი მდუმარედ იდგნენ, არა მუშებისთვის დამახასიათებელი მშფოთვარე ცნობისმოყვარეობით, არამედ კატორღელების დაღლილი გულგრილობით.

— ბრძანებები, რომლებსაც ახლა მიიღებთ, მე მეკუთვნის, — თქვა ხმამაღლა, მკაფიოდ რკინის კიბეზე მდგარმა დაგნიმ, — ადამიანები, რომლებიც ამ ბრძანებებს გაგაცნობენ, ჩემი განკარგულებით მოქმედებენ. გამაერთიანებელი საკონტროლო სისტემა დაზიანდა. მას ახლა ხელით შრომა შეცვლის. მატარებლების მოძრაობა სულ მალე აღდგება.

დაგნიმ ბრბოში რამდენიმე სახე შენიშნა. ეს სახეები მას უცნაური გამომეტყველებით შესცქეროდნენ: შეფარული წყრომითა და რაღაცნაირი უტიფარი

ცნობისმოყვარეობით, რამაც უცებ გაახსენა, ქალი რომ იყო. მერე ისიც გაახსენდა, როგორ იყო გამოწყობილი და გაიფიქრა, რომ მისი ჩაცმულობა სრულიად არ შეესაბამებოდა ამ ვითარებას, შემდეგ კი, თითქოს რაღაც ძლიერი ბიძგის ზემოქმედებით, რომელიც იმ წუთის სრული და ნამდვილი მნიშვნელობის გამოწვევასა და მისადმი თავდადებას ჰგავდა, მოსასხამი მხრებიდან გადაიგდო და გამურული სვეტების ქვეშ, შუქის თვალის მომჭრელ კაშკაშში, როგორც ოფიციალურ მიღებაზე, ყველას წინაშე წელში გამართული წარდგა — ლამაზი შიშველი მკლავებით, მბზინავი შავი ატლასის კაბაში, სამხედრო ჯილდოსავით მოელვარე ბრილიანტის ბროშით.

— კოშკურის დირექტორი მეისრეებს პოზიციებზე დააყენებს. შეარჩევს ადამიანებს, რომლებიც ფარნების საშუალებით სიგნალს მისცემენ მატარებლებს და იმათაც, ვინც მის განკარგულებებს გაავრცელებენ...

დაგნი მთელი ძალით ცდილობდა, ჩაეხშო ტკივილით გამსჭვალული შინაგანი ხმა, რომელიც ეუბნებოდა: „სულ ეს არის, რისთვისაც ადამიანები გამოდგებიან, ან, იქნებ, ესეც არ შეუძლიათ... „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ ერთი მოაზროვნეც კი აღარ არის დარჩენილი“... — მატარებლები ისევ გააგრძელებენ მიმოსვლას, შემოვლენ ტერმინალში და გავლენ აქედან. თქვენ კი იქამდე დარჩებით თქვენს პოზიციებზე, სანამ... მოულოდნელად დაგნიმ ლაპარაკი შეწყვიტა. თავიდან მისი თვალები და თმა შენიშნა — შეუბრალებლად გამჭოლი თვალები, მისი თმა თითქოს მზის სინათლეს ასხივებდა მიწისქვეშეთის წყვდიადში — ოქროს და სპილენძის ელფერით. დაგნიმ ამ აპათიურ უგუნურთა ბრბოში ჯონ გოლტი დაინახა, გაზეთილი კომბინეზონი ეცვა, პერანგის სახელოები დაეკაპიწებინა, იცნო მისი თავისუფალი დგომის მანერა.

გოლტს თავი მაღლა აეწია და ისე შესცქეროდა დაგნის, თითქოს ეს ყველაფერი რამდენიმე წუთის წინ ენახა.

— რა მოხდა, მის ტაგარტ? — ხმადაბლა იკითხა კოშკურის დირექტორმა. ის დაგნის გვერდით იდგა და ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა. და დაგნიმ გაიფიქრა, რომ უცნაური იყო გამორკვევა ცნობიერების მიღმიერი სტადიიდან, რომელიც სინამდვილეში გაცნობიერებულობის ყველაზე ხელშესახები შემთხვევა გამოდგა, რაც კი ოდესმე განეცადა, ოღონდ ერთი არ იცოდა — რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს სტადია ან სად იმყოფებოდა და რა მიზნით. დაგნი ხედავდა გოლტის სახეს, ამ ულმობელ უშფოთველობას მისი პირისა და ყვრიმალების მოხაზულობაში, თუმცა მზერა აღიარებდა მათ შორის არსებულ მანძილსა და ფაქტს, იმას, რომ ეს წუთი გოლტისთვისაც კი გაუსაძლისი იყო.

დაგნიმ იცოდა, რომ ლაპარაკობდა, რადგან მის გარშემო მყოფ ადამიანებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს უსმენდნენ; მართალია, თავისი ხმა არ ესმოდა, მაინც განაგრძობდა ლაპარაკს, გეგონებოდა, ჰიპნოზის მდგომარეობაში მიღებულ დავალებას ასრულებდა, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ თვითონვე მისცა საკუთარ თავს. მხოლოდ იმასღა აცნობიერებდა, რომ ამ ბრძანების შესრულება გოლტის გამოწვევის ფორმა იყო.

ეჩვენებოდა, რომ მანათობელ სიჩუმეში იდგა, სადაც მისი ერთადერთი უნარი ხედვა იყო და ამ უნარის ერთადერთი ობიექტი გოლტის სახე, მისი სახის დანახვა კი ყელში მოწოლილი წნევის ფორმით გამოხატული მეტყველება. გოლტის იქ ყოფნა ისეთი ბუნებრივი, მაგრამ აუტანლად მარტივი ამბავი ჩანდა — თითქოს საკვირველი ჯონის კი არა, სხვების იქ ყოფნა იყო, მისი რკინიგზის ლიანდაგებზე, სადაც ჯონს ჰქონდა ადგილი, სხვებს — არა. დაგნის ის წუთები ახსენდებოდა, როდესაც

მატარებელში იჯდა და გვირაბში შესვლისას მოულოდნელად ძლიერ, მოზეიმე დაძაბულობას გრძნობდა, თითქოს ეს ადგილი შიშველი სიმარტივით წარმოადგენდა მისი რკინიგზისა და ცხოვრების არსს, ცნობიერებისა და მატერიის კავშირს, შემოქმედებითი გონების გაქვავებულ ფორმას, რომელიც თავის განზრახვას ფიზიკურ არსებობას ანიჭებდა; მოულოდნელად იმედი მიეცა, რომ ამ წუთმა ყველა მისი ღირებულების არსი დაიტია, იდუმალი სიხარული, თითქოს აქ, მიწისქვეშ, რომელიღაც უსახელო დაპირება ელოდა — კანონზომიერი იყო, რომ ახლა გოლტს აქ შეხვდა, გვირაბში; სწორედ გოლტი განასხეულებდა ამ საზრისს და დაპირებას. დაგნი ველარ ამჩნევდა ჯონის ჩაცმულობას, ვერც იმას, თუ რა მდგომარეობამდე დააკნინა მისმა რკინიგზამ გოლტი. მხოლოდ თვეების მანძილზე მასთან განშორებით გამოწვეული ტანჯვის დასასრულს ხედავდა, გოლტის სახეზე კითხულობდა, რად დაუჯდა მაც ...

თვეები. თითქოს ფიქრით მიმართავდა მას: „ეს არის ჯილდო მთელი ჩემი ცხოვრებისთვის“, და თითქოს გოლტიც პასუხობდა: „ჩემი ცხოვრებისთვისაც“.

დაგნი მიხვდა, რომ ლაპარაკი დაასრულა, როდესაც დაინახა, როგორ წადგა კოშკურის დირექტორმა ნაბიჯი წინ და რაღაცას ეუბნებოდა მუშებს, თან სიას დაჰყურებდა. მერე მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ კიბეზე დაეშვა, ბრბოს გამოეყო, თუმცა ბაქნებისკენ და გასასვლელისკენ კი არ წავიდა, მიტოვებული გვირაბის წყვდიადს მიაშურა. „გამომყვები“, — გაიფიქრა მან და ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ეს აზრი სიტყვებით კი არ გამოიხატა, არამედ მისი დაძაბული კუნთები და ნებისყოფა ცდილობდა, ისეთი რამისთვის მიეღწია, რაც მის ძალას აღემატებოდა, თუმცა ისიც დარწმუნებით იცოდა, რომ ეს მისი სურვილით იქნებოდა მიღწეული...

„არა, ჩემი სურვილით კი არა, ჩემი სურვილის სრული სამართლიანობით“, — გაიფიქრა დაგნიმ, — „გამომყვები!“ ეს არც მუდარა იყო, არც ლოცვა და არც მოთხოვნა, არამედ ფაქტის მშვიდი გაცხადება, რომელიც მოიცავდა დაგნის შემეცნების მთელ უნარსა და იმ ყველაფერს, რაც კი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შეემეცნებინა. „გამომყვები, თუ ნამდვილად ის ვართ, რაც ვართ, შენ და მე, თუ ვცოცხლობთ, თუ სამყარო არსებობს, თუ გვესმის ამ წუთის მნიშვნელობა და, სხვების მსგავსად, არ დავუშვებთ, გაგვისხლტეს არასასურველისა და მიუღწევლის უაზრობაში. გამომყვები!“ — აღტკინებული დარწმუნებულობა იგრძნო, ეს არც იმედი იყო და არც რწმენა, ეს ცხოვრების ლოგიკის თაყვანისცემის აქტი იყო.

დაგნი მიტოვებული ლიანდაგების ნაშთებზე მიაბიჯებდა გრანიტის გრძელ და ჩამობნელებულ დერეფნებში. კოშკურის დირექტორის ხმა მიწყდა. შემდეგ საკუთარი გულის ფეთქვა იგრძნო და საპასუხოდ გვირაბის თავზე მდებარე ქალაქის რიტმი მოესმა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ საკუთარი სისხლის მოძრაობა ესმოდა, რომელიც თითქოს სიჩუმეს ავსებდა, ქალაქის რიტმი კი მის სხეულში ფეთქავდა, უკან, შორიდან, ნაბიჯების ხმა მოესმა, მაგრამ არ შეჩერებულა.

დაგნიმ ნაბიჯს აუჩქარა. ჩაუარა დაკეტილ რკინის კარს, სადაც მისი ძრავის ნარჩენები ინახებოდა. არ შეჩერებულა, თუმცა ბოლო ორი წლის მოვლენების ერთიანობისა და ლოგიკის უეცარი გაცნობიერებისას მსუბუქად გააჟრჟოლა. სიბნელეში მბზინავ გრანიტს, ქვიშის დახეულ ტომრებს, საიდანაც ქვიშის ნაწილი რელსებზე გადმოყრილიყო, ჟანგიანი ჯართის გროვებს ლურჯი შუქის ჯაჭვი მიუყვებოდა.

როდესაც მოახლოებული ნაბიჯების ხმა გაიგონა, დაგნი გაჩერდა და უკან მიიხედა.

დაინახა, როგორ გაანათა ლურჯმა შუქმა გოლტის თმა. წამით ჯონის სახის მკრთალი კონტური და ჩაშავებული თვალები დაინახა. შემდეგ ეს სახე ისევ სიბნელემ შთანთქა, მაგრამ ნაბიჯების ხმა მომდევნო ლურჯ ფარანთან მის გამოჩენას მოასწავებდა. ლურჯი შუქი გოლტის პირდაპირ მომზირალ თვალებს ანათებდა და დაგნი დარწმუნდა, რომ გოლტი მას იმ წუთიდან უთვალთვალებდა, რაც კოშკურაზე დაინახა.

დაგნი ქალაქის ფეთქვას გრძნობდა გვირაბის თავზე. გაიფიქრა, რომ ეს გვირაბები ქალაქისა და ყველა მოძრაობის ფესვები იყო მიწასა და ცას შორის, მაგრამ ის და ჯონ გოლტი ამ ფესვების სასიცოცხლო ძალა იყვნენ, ისინი საწყისი, მიზანი და მნიშვნელობა იყვნენ და გოლტსაც, მის მსგავსად, თავისი სხეულის ფეთქვასავით ესმოდა ქალაქის რიტმი.

დაგნიმ მოსასხამი უკან გადაიგდო და შეჩერდა, გამომწვევად გაიმართა წელში — ზუსტად ისე, როგორც გოლტმა დაინახა კოშკურის კიბეზე, როგორც პირველად, ათი წლის წინ, აქ, მიწისქვეშეთში ნახა. დაგნის ჯონის აღსარება ესმოდა, ესმოდა — მისი გულის ფეთქვით, რომელიც ასე აძნელებდა სუნთქვას: „შენ ფუფუნების სიმბოლოსავით გამოიყურებოდი და იმ ადგილს შეეფერებოდი, რომელიც სწორედ ამ ფუფუნების წყარო იყო..: თითქოს ცხოვრებით ტკბობას მის კანონიერ მფლობელებს უბრუნებდი... შენ ერთდროულად ენერგიაც გქონდა და მისი ჯილდოც... მე კი პირველი ადამიანი ვიყავი, ვისაც კი ოდესმე განუცხადებია, როგორი განუყოფელია ეს ორი რამ ერთმანეთისგან...“

შემდეგი წამები წყვდიადში გამკრთალ ელვას ჰგავდა — როდესაც გოლტი გვერდით დაუდგა, დაგნიმ მისი სახე დაინახა — მისი სიმშვიდე, შეკავებული გზნება, მიხვედრილი სიცილი მუქ მწვანე თვალებში. მჭიდროდ მოკუმული ტუჩების მიხედვით მიხვდა, რაც წაიკითხა გოლტმა მის სახეზე. იგრძნო ამ ტუჩების შეხება, მერე იგრძნო, როგორ ჩაინაცვლეს მათ ქვემოთ, ყელისკენ, როგორ ისრუტავდნენ დაგნის კანს და ჩალურჯებულ ლაქებს ტოვებდნენ მასზე, დაინახა, როგორ აბრჭყვიალდა მისი ბრილიანტები გოლტის აწეწილ სპილენძისფერ თმაზე.

დაგნი საკუთარი სხეულის გარდა ვეღარაფერს გრძნობდა, რადგან მოულოდნელად სწორედ სხეულს მიეცა მისი ყველაზე სიღრმისეული ღირებულებების პირდაპირ აღქმის უნარი. როგორც დაგნის თვალები აქცევდნენ სინათლის ტალღებს მხედველობად, ხოლო ყურები ვიბრაციას — ბგერად, ისე ამ სხეულს შეეძლო ახლა, მისი ცხოვრების მთელი არჩევნის მამოძრავებელი ძალა უშუალო შეგრძნებებად გარდაექმნა. დაგნი გოლტის ხელის შეხების გამო კი არ კანკალებდა, არამედ ამ მოვლენის მნიშვნელობის მყისიერი ნაკრების გამო, ცოდნისა, რომ ეს მისი ხელი იყო, რომ ეს ხელი ისე მოძრაობდა, თითქოს ქალის სხეული მთლიანად მას ეკუთვნოდა, რომ მისი ხელის მოძრაობა იყო თანხმობა იმ მიღწევის პირობების მიღებაზე, რასაც თავად დაგნი განასხეულებდა — ეს მხოლოდ ფიზიკური სიამოვნების შეგრძნება იყო, მაგრამ ის მოიცავდა დაგნის თაყვანისცემას გოლტისადმი, ყველაფრისადმი, რასაც გოლტის პიროვნება და სიცოცხლე ნიშნავდა — ვისკონსინის ქარხანაში მოწყობილი შეკრების ღამიდან მოყოლებული როკის მთებში დამალულ ატლანტიდის ხეობამდე, იმ მწვანე თვალების მოზეიმე დაცინვამდე, რომელთა გონიერება კოშკურის დაბლა მდგარი მუშის გონიერებას ბევრად აღემატებოდა — ეს მოიცავდა დაგნის თავისი თავით სიამაყეს და იმას, რომ სწორედ ის აირჩია გოლტმა საკუთარ სარკედ, რომ ახლა სწორედ მისი სხეული აძლევდა გოლტს მისი არსებობის ნაკრებს, როგორც გოლტის სხეული აძლევდა ქალს

მისი არსებობის შეჯამებას. სწორედ ამ საგნებს მოიცავდა ის — მაგრამ ახლა დაგნი მხოლოდ გოლტის ხელის მოძრაობასღა გრძნობდა თავის მკერდზე.

გოლტმა დაგნის მოსასხამი შემოაგლიჯა და მის მკლავებში მოქცეულმა ქალმა საკუთარი სხეულის სინაზე შეიგრძნო, თითქოს გოლტის პიროვნება მისთვის მხოლოდ საკუთარი თავის მოზეიმე გაცნობიერების საშუალება იყო, მაგრამ საკუთარი თავიც მხოლოდ საშუალება იყო გოლტის შესაცნობად. დაგნიმ თითქოს მიაღწია გრძნობის უნარის ზღვარს, თუმცა, რასაც თვითონ გრძნობდა, მხოლოდ იმ მოუთმენელი მოთხოვნის წამოყვირებას ჰგავდა, რომელსაც სახელს ვერ არქმევდა, მხოლოდ ერთი იცოდა, რომ ამ მოთხოვნას მისი ცხოვრების მიმართულების მსგავსი ამბიციურობა და იგივენაირი დაუშრეტელი, მწველი სურვილის თვისება ჰქონდა.

გოლტმა ერთი წუთით უკან გადაუწია დაგნის თავი, რომ მისთვის თვალებში ჩაეხედა, რომ ქალსაც დაენახა კაცის თვალები და მათი ქმედებების სრული მნიშვნელობა გაეცნობიერებინა; გოლტი თითქოს საკუთარ თავსა და დაგნის ცნობიერების პროჟექტორის ქვეშ ათავსებდა, რათა მათი თვალები ერთმანეთს შეხვედროდნენ, ვიდრე ინტიმურობის მოახლოებული წუთი დადგებოდა.

შემდეგ დაგნიმ იგრძნო, როგორ გაუხეხა ჯვალომ მხრები, გააცნობიერა, რომ ქვიშის დახეულ ტომრებზე იწვა, დაინახა, როგორ ბზინავდა მისი წინდები, შეიგრძნო, როგორ შეეხო გოლტის ტუჩები კოჭებზე, როგორ აინაცვლა მისმა ბაგემ დაგნის ფეხზე ზემოთკენ, თითქოს გოლტი ცდილობდა, ტუჩებით შეეცნო ქალის ფეხის ფორმა. დაგნი გრძნობდა მისი ხელების შეხებას, მისი ტუჩების შეხებას ბაგეზე, ყელზე. მერე მხოლოდ გოლტის სხეულის მოძრაობას აცნობიერებდა, რომელიც სულ უფრო და უფრო ხარბად ეკვროდა, და თითქოს დაგნი პიროვნება კი აღარ იყო, არამედ მიუღწევლისკენ დაუსრულებელი სწრაფვის შეგრძნება. მოულოდნელად მიხვდა, რომ ეს შესაძლებელი იყო — დაგნიმ მძიმედ ამოიკვნესა და მიყუჩდა, იცოდა, რომ მეტს ვეღარაფერს ისურვებდა.

დაინახა, როგორ იწვა გოლტი მის გვერდით და გრანიტის კამარას აჰყურებდა.

ისე იყო გადაწოლილი ქვიშის ტომრებზე, თითქოს მოდუნებული სხეული გასთხევადებოდა. დაინახა თავისი მოსასხამი, რომელიც მათ ფეხებთან, ლიანდაგზე ეგდო, კამარაზე კი ნესტი წვეთებად ციმციმებდა, შორეული შუქნიშნების მსგავსად, მერე ფორმას იცვლიდა და უხილავ ბზარებში ჩაედინებოდა. როდესაც ჯონი ალაპარაკდა, მისი ხმა ისე ჟღერდა, თითქოს მშვიდად აგრძელებდა დაწყებულ ფრაზას და დაგნის გონებაში წარმოქმნილ კითხვებს პასუხობდა, თითქოს დასამალი აღარაფერი ჰქონდა დაგნისგან და მისი მხოლოდ ის ემართა, რომ სხეულის მსგავსად, ახლა თავისი სულიც გაეშიშვლებინა:

— ასე გადევნებდი თვალს ათი წლის განმავლობაში... აქედან, მიწისქვეშეთიდან, შენს ფეხებქვეშ... შენი ყოველი მოძრაობა ვიცოდი შენს კაბინეტში შენობის ზემოთა სართულზე, თუმცა არასდროს დამინახიხარ, არასდროს საკმარისად... ათი წლის განმავლობაში ღამით ვცდილობდი, შენთვის თვალი მომეკრა აქ, ბაქნებზე, როდესაც მატარებელში ადიოდი... როდესაც კი დაბლა ბრძანება მოდიოდა, შენი ვაგონი ჩაებათ, მე შენს გამოჩენას ველოდი და ვნატრობდი, რომ ასე სწრაფად არ გევლო დაქანებულ ბაქანზე... სიარულის ეს მანერა იმდენად შენეული იყო, რომ ნებისმიერ ადგილზე ვიცნობდი მას... შენი სიარული და ფეხები... პირველად ყოველთვის შენი ფეხები მხვდებოდა თვალში, როდესაც ბაქანზე ჩარბოდი, გვერდზე ჩამივლიდი, მე კი ქვემოდან, ლიანდაგის ჩაბნელებული მხრიდან ამოგხედავდი... მგონი, შენი ფეხების გამოქანდაკებაც კი შემეძლო, მე მათ თვალებით კი არა, ხელისგულებით ვცნობდი,

გვერდზე რომ ჩამივლიდი ხოლმე... როდესაც ჩემს სამუშაოს მივუბრუნდებოდი... როდესაც აისამდე სამი საათით სახლში დასაძინებლად მივდიოდი, თუმცა მაინც ვერ ვიძინებდი...

— მიყვარხარ, — თქვა დაგნიმ მშვიდი, თითქმის გულგრილი, ბავშვურად ნაზი ხმით.

გოლტმა თვალები დახუჭა, თითქოს სურდა, ბგერებს უკან მოტოვებულ წლებამდე მიეღწია:

— ათი წლის განმავლობაში, დაგნი... გარდა ერთი შემთხვევისა, რომელიც რამდენიმე კვირა გრძელდებოდა, როდესაც ჩემ წინ იდექი, არსად ჩქარობდი, თითქოს განათებულ სცენაზე მდგარიყავი უძრავად, მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილ სცენაზე, რომ შენთვის მეცქირა... და მე მრავალი საღამოს განმავლობაში საათობით გიყურებდი... იმ ოფისის განათებულ ფანჯარაში, რომელსაც „ჯონ გოლტის ხაზი“ ერქვა... და ერთ ღამეს...

დაგნის სუნთქვა შეეკრა:

— იმ ღამეს შენ იყავი?

— დამინახე?

— შენი ჩრდილი დავინახე... ქვაფენილზე... წინ და უკან დადიოდი... თითქოს საკუთარ თავს ებრძოდი... თითქოს... — დაგნი გაჩერდა; არ სურდა, სიტყვა „ტანჯვა“ ეხსენებინა.

— ასე იყო, — თქვა გოლტმა წყნარი ხმით, — იმ ღამით მინდოდა, შემოვსულიყავი და პირისპირ დაგლაპარაკებოდი... იმ ღამეს კინაღამ ფიცი დავარღვიე, როდესაც სამუშაო მაგიდაზე დამხობილი დაგინახე, როდესაც დავინახე, რომ ტვირთის ტარებას ძალიან მოექანცე...

— ჯონ, იმ ღამეს სწორედ შენზე ვფიქრობდი... ოღონდ ამას ვერ ვაცნობიერებდი...

— მაგრამ, მე ვიცოდი ეს.

— ..„.სწორედ შენ გამო იყო ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი და მსურდა მთელი ჩემი ცხოვრება...

— ვიცი.

— ჯონ, ყველაზე მძიმე ის კი არ იყო ჩემთვის, ხეობაში რომ დაგტოვე... ყველაზე მძიმე...

— შენი რადიოთი გამოსვლა იყო იმ დღეს, როდესაც დაბრუნდი?

— კი! მისმენდი?

— რა თქმა უნდა. მოხარული ვარ, რომ ეს გააკეთე. შესანიშნავი იყო. და მე — მე ეს მაინც ვიცოდი.

— იცოდი... ჰენკ რიერდენის შესახებ?

— მე ეს მანამდე ვიცოდი, სანამ ხეობაში გნახავდი.

— ეს... როდესაც ეს გაიგე, მოელოდი ამ ამბავს?

— არა.

— და ეს... — აღარ დაასრულა დაგნიმ.

— გინდოდა, გეთქვა, მძიმე გადასატანი თუ იყო? კი. მაგრამ მხოლოდ პირველი რამდენიმე დღით. მეორე ღამეს... გინდა, მოგიყვე, რა მოხდა იმ ღამეს, როდესაც ეს გავიგე?

— მინდა.

— ჰენკ რიერდენი მანამდე პირადად არასდროს მინახავს, მხოლოდ საგაზეთო ფოტოსურათები მენახა. ვიცოდი, რომ იმ ღამეს მსხვილი მეწარმეების კონფერენციას ესწრებოდა ნიუ-იორკში. მსურდა, მხოლოდ ერთხელ შემევლო მისთვის თვალი. იმ სასტუმროს შესასვლელთან ვიცდიდი, სადაც ეს კონფერენცია იმართებოდა.

შესასვლელის თაღი გაჩახჩახებული იყო, მაგრამ ქვაფენილზე ბნელოდა, ასე რომ, შემეძლო, ყველაფერი ისე დამენახა, რომ თავად არავის შევემჩნიე. იქ ჩემ გარდა რამდენიმე უსაქმური და მაწანწალა დაყიალებდა, ცრიდა და ჩვენ შენობის კედლებს ვეკვროდით. გარეთ გამოსული მონაწილეების ტანსაცმლითა და ქცევის მანერით ადვილად მიხვდებოდი, თუ ვინ იყვნენ ისინი სინამდვილეში — სამოსი აშკარად ძვირფასი ეცვათ, მათ ქცევას კი ერთგვარი მოკრძალებული მედიდურობა დასდევდა, თითქოს რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, თვალთმაქცობდნენ და ამის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდნენ. გარეთ მომლოდინე მძღოლებს მანქანები მიჰყავდათ მათთან, იქ მყოფი რეპორტიორები კითხვებს აყრიდნენ მათ, დაუპატიჟებელი თაყვანისმცემლები კი ცდილობდნენ, ერთი სიტყვისთვის მაინც მოეკრათ ყური. ეს მეწარმეები მუდმივ მცდელობას, შეენიღბათ საკუთარი დაურწმუნებლობა, მოექანცა, ნაადრევად დაებერებინა და მოედუნებინა. მერე კი რიერდენი დავინახე. მას ძვირფასი პალტო ეცვა და თვალებზე ქუდი ჩამოეფხატა. სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა, ისეთი თავდაჯერებით, რომელსაც დამსახურება სჭირდება, მას კი ეს დაემსახურებინა.

ზოგიერთი მისი კოლეგა-მეწარმე კითხვებს უსვამდა რიერდენს. მაგნატები მის წინაშე დაუპატიჟებელი თაყვანისმცემლებივით იქცეოდნენ. ვუყურებდი, როგორ იდგა მანქანის კართან, თავი მაღლა აეწია, დავინახე მისი ღიმილი — ამაყი, გაღიზიანებული და ოდნავ ირონიული. შემდეგ კი წამით ის გავაკეთე, რაც ადრე არასდროს მიქნია, რის გამოც უამრავმა ადამიანმა გაიფუჭა ცხოვრება — მე ის წუთი მოცემული რეალობისგან დამოუკიდებლად დავინახე, მე სამყარო ისეთი დავინახე, როგორსაც რიერდენი ქმნიდა, თითქოს ეს სამყარო მას შეეფერებოდა, თითქოს რიერდენი მისი სიმბოლო იყო. დავინახე წარმატების, ჩაუხშობელი ენერგიის სამყარო, მრავალწლიანი შეუფერხებელი, მიზანმიმართული წინსწრაფვისა დამსახურებული ჯილდოთი ტკბობისკენ. — წვიმაში, მაწანწალებს შორის მდგომმა, დავინახე, თუ რას მომიტანდა ჩემი ცხოვრების წლები, ამ სამყაროს რომ ნამდვილად ეარსება და მტანჯველი სევდა ვიგრძენი — ჰენკი ყველაფერ იმას განასხეულებდა, რაც მე უნდა ვყოფილიყავი... და ყველაფერს ფლობდა, რაც კი ჩემი უნდა ყოფილიყო... მაგრამ ეს მხოლოდ წამი გაგრძელდა. შემდეგ კი იგივე სცენა კვლავ მთელი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით აღვიქვი — მე დავინახე, რად უჯდებოდა რიერდენს თავისი ბრწყინვალე ნიჭი, როგორ იტანჯებოდა, როდესაც დაბნეული უსიტყვოდ ცდილობდა იმის გაგებას, რაც მე უკვე გაგებული მქონდა — მე დავინახე, რომ მისი შემოთავაზებული სამყარო არ არსებობდა, რომ ის ჯერ კიდევ შესაქმნელი იყო, მე კვლავ დავინახე ჰენკი, სწორედ ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო — ჩემი ბრძოლის სიმბოლო, დაუფასებელი გმირი, რომლის გამოც შური უნდა მეძია და რომელიც უნდა გამეთავისუფლებინა. და მერე... მერე კი მე დავეთანხმე ყველაფერს, რაც კი შენსა და მის შესახებ გამეგო. მე მივხვდი, რომ ეს არაფერს ცვლიდა, რომ მე ამის მოლოდინი უნდა მქონოდა — რომ ეს სწორი იყო.

გოლტმა დაგნის სუსტი კვნესა გაიგონა და ჩუმად ჩაიცინა.

— დაგნი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ ვიტანჯებოდი, უბრალოდ, მე ვაცნობიერებ ტანჯვის უაზრობას, მე ვიცი, რომ ტკივილს უნდა შეებრძოლო და უარყო, ის არ უნდა მიიჩნიო შენი სულის ნაწილად და სამყაროს შენეული ხედვის სამუდამო იარად. ნუ შეგებრალები. მე ეს განსაცდელი მაშინვე გადავიტანე.

დაგნიმ თავი მისკენ მიაბრუნა, გოლტმა გაიღიმა და იდაყვზე დაყრდნობილმა უმწეოდ მიწოლილ ქალს პირდაპირ თვალებში შეხედა.

დაგნიმ დაიჩურჩულა:

— შენ ლიანდაგის მუშა იყავი აქ — აქ! თორმეტი წლის განმავლობაში...

— კი.

— იქიდან მოყოლებული...

— იქიდან მოყოლებული, რაც „თუენთის სენჩერიში“ მუშაობას თავი დავანებე.

— როდესაც პირველად დამინახე ღამით... მაშინაც აქ მუშაობდი?

— კი. და იმ დილით, როდესაც შემომთავაზე, ჩემს მზარეულად გემუშავა, მე შენი მუშა ვიყავი და დროებითი ნებართვით გამოშვებული სამსახურიდან. ახლა ხომ მიხვდი, რატომ გამეცინა მაშინ შენს სიტყვებზე?

დაგნიმ გოლტს შეხედა; ქალის ღიმილში ტკივილი იკითხებოდა, გოლტის ღიმილი კი მხიარულებას გამოხატავდა:

— ჯონ...

— თქვი. ბოლომდე მითხარი, რისი თქმაც გსურს.

— შენ აქ იყავი... მთელი ეს წლები...

— ჰო.

— ...მთელი ეს წლები... მაშინ, როდესაც რკინიგზა ნადგურდებოდა... მაშინ, როდესაც გონიერ ადამიანებს ვეძებდი... მაშინ, როდესაც მზად ვიყავი, თითოეულ ასეთ ადამიანს ჩავჭიდებოდი...

— ..„მაშინ, როდესაც მთელ ქვეყანაში დაეძებდი ჩემი ძრავის გამომგონებელს, როდესაც ჯეიმს ტაგარტსა და უესლი მაუჩს არჩენდი, როდესაც შენს საუკეთესო მიღწევას იმ მტრის სახელს არქმევდი, რომლის განადგურებაც გსურდა.

დაგნიმ თვალები დახუჭა.

— მთელი ამ წლების განმავლობაში აქ ვიყავი, — განაგრძო გოლტმა, — შენ გვერდით, შენს საკუთარ სამყაროში, თვალს ვადევნებდი შენს ბრძოლას, მარტოობას მისწრაფებას, გიყურებდი, როგორ იყავი იმ ბრძოლაში ჩაბმული, რომელსაც გეგონა, ჩემთვის იბრძოდი, იმ ბრძოლაში, რომელშიც ჩემს მტრებს უჭერდი მხარს და დაუსრულებლად მარცხდებოდი — მე აქ ვიყავი და შენგან მხოლოდ შენივე შემცდარი მხედველობა მფარავდა, ისევე, როგორც ატლანტიდა არის დამალული ადამიანთა თვალისგან მხოლოდ ოპტიკური ილუზიის მეშვეობით — მე აქ ვიყავი და ველოდი, როდის დადგებოდა დღე, როდესაც მიხვდებოდი, რომ სამყაროს იმ კოდექსის მიხედვით, რომელსაც მხარს უჭერდი, შენთვის ფასეული ყველა საგანი მიწისქვეშეთის წყვდიადით მოცულ ფსკერზე აღმოჩნდება და იქ მოგიწევს მათი მოძებნა. მე აქ ვიყავი. მე შენ გელოდებოდი. მიყვარხარ, დაგნი. მე სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, მე, ვინც ადამიანებს ვასწავლიდი, როგორ უნდა ჰყვარებოდათ სიცოცხლე. მე მათ ისიც ვასწავლე, რომ ისეთ რამეს არ მოელოდნენ, რისი საფასურიც არ გადაუხდიათ — და სრულად ვაცნობიერებ, რომ რაც მე დღეს გავაკეთე, ამისთვის აუცილებლად გადავიხდი და ფასი შესაძლოა, ჩემი სიცოცხლეც კი იყოს.

— არა!

გოლტმა გაიღიმა და თავი დაუქნია:

— ასეა. შენ იცი, რომ ვერ გაგიძელი, ჩემი თავისთვის მიცემული პირობა დამარღვევინე. მაგრამ ასე შეგნებულად მოვიქეცი. ვიცოდი, ეს რასაც ნიშნავდა, წამიერ სურვილს კი არ დავემორჩილე ბრმად, არამედ სრულად ვაცნობიერებდი ჩემი მოქმედების შედეგებს და მზად ვიყავი, მეკისრა პასუხისმგებლობა. ამ წუთზე უარს ვერ ვიტყოდი, ის ჩვენ გვეკუთვნოდა, ჩემო სიყვარულო, ჩვენ ის დავიმსახურეთ.

მაგრამ შენ არ ხარ მზად, რომ შეწყვიტო საქმიანობა და მე შემომიერთდე — ამის თქმა არ გჭირდება, ეს ისედაც კარგად ვიცი — და, რადგან ვამჯობინე, რაც მსურდა, იქამდე მიმეღო, სანამ ის ბოლომდე ჩემი გახდებოდა, უნდა კიდეც ვზღო ამისთვის. არ ვიცი ზუსტად, როგორ ან როდის გადავიხდი საფასურს, მხოლოდ ის ვიცი, თუ მტერს დავნებდები, შედეგებზეც ვაგებ პასუხს. — და როდესაც დაგნის მზერა შენიშნა, ჯონმა გაიღიმა, — არა, დაგნი, შენ სულით არ ხარ ჩემი მტერი, — და სწორედ ამან მომიყვანა აქამდე, — თუმცა, სინამდვილეში მაინც ჩემი მტერი გამოდიხარ იმ მიმართულების გამო, რომელსაც მისდევ. მართალია, შენ ჯერ ვერ ხვდები ამას, მაგრამ მე ვხვდები. ჩემი ნამდვილი მტრები საფრთხეს ვერ შემიქმნიან, შენ კი საშიში ხარ ჩემთვის. შენ ერთადერთი ხარ, ვისაც შეუძლია, მათ ჩემკენ მოსასვლელი გზა უჩვენოს. ისინი თვითონ ვერასოდეს შეიტყობენ, ვინ ვარ მე, შენი დახმარებით კი მოახერხებენ.

— არა!

— არა, ამას განზრახ არ გააკეთებ. შენ შეგიძლია, შეცვალო შენი მიმართულება, მაგრამ სანამ მას მიჰყვები, მის ლოგიკას ვერსად გაექცევი. ნუ იღუშები, მე თავისუფალი ვიყავი არჩევანში და საფრთხე ავირჩიე. მე ყველაფერში ვაჭარი ვარ. მე შენ მინდოდი, ძალა არ შემწევდა, შემეცვალა შენი გადაწყვეტილება, მხოლოდ ის შემეძლო, საფასური გამეთვალისწინებინა და გადამეწყვიტა, შევძლებდი თუ არა ამ ფასის გადახდას. მე შემეძლო მისი გადახდა. ჩემი გადასაწყვეტია, საკუთარ სიცოცხლეს გავფლანგავ თუ სარფიანად დავაბანდებ — და შენ, შენ ხარ... — გოლტმა წინადადება თითქოს მოძრაობით დაასრულა, მან ხელზე გადაწვენილი ქალი წამოაყენა და აკოცა. დაგნის სხეული მოედუნებინა, თმა ჩამოშლოდა, თავი უკან გადაეგდო, მას მხოლოდ ჯონის ტუჩების ძალა აკავებდა, — შენ ხარ ერთადერთი ჯილდო, რომელიც უნდა მიმეღო და რომლის ყიდვაც ავირჩიე. მე შენ მსურდი და თუ ამის საფასური ჩემი სიცოცხლეა, მზად ვარ, ის გავიღო. ეს მხოლოდ ჩემი სიცოცხლე იქნება და არა ჩემი გონება.

გოლტის თვალებში მოულოდნელად სიმტკიცემ გაიელვა, როდესაც წამოჯდა და ღიმილით შეეკითხა დაგნის:

— გინდა, შემოგიერთდე და ვიმუშაო? გინდა, შენი სასიგნალო სისტემა ერთ საათში შევაკეთო?

— არა! — დაუფიქრებლად წამოიძახა ქალმა, გონებაში გაელვებული სურათის პასუხად, როდესაც „უეინ-ფოლკლენდის“ განსაკუთრებულ სასადილო ოთახში შეკრებილი ადამიანები წარმოიდგინა.

გოლტმა გაიცინა:

— რატომ არა?

— არ მინდა, გნახო, როგორ ემსახურები მათ ყმასავით!

— შენს თავზე რაღას იტყვი?

— ჩემი აზრით, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და საბოლოოდ მე გავიმარჯვებ. ცოტა ხანს კიდევ გავუძლებ ამ ყველაფერს.

— მართალია, მხოლოდ ცოტა ხანს — იქამდე კი არა, სანამ გაიმარჯვებ, იქამდე, სანამ ყველაფერს მიხვდები.

— ვერ დავუშვებ, ჩემი საქმე დაიღუპოს! — წამოიძახა დაგნიმ სასოწარკვეთით.

— ჯერჯერობით, — თქვა ჯონმა მშვიდი ხმით.

გოლტი წამოდგა და დაგნიც მორჩილად ადგა, ლაპარაკის ძალა აღარ შესწევდა.

— მე აქ დავრჩები, ჩემს სამსახურში, — თქვა გოლტმა, — მაგრამ ჩემს ნახვას არ შეეცადო. შენ იმის გადატანა მოგიწევს, რაც მე გადავიტანე და რისგანაც შენ გიცავდი — შენ უნდა გააგრძელო საქმიანობა, იცოდე ჩემი ადგილსამყოფელი, ისე მოგესურვო, როგორც მე მომინდები, მაგრამ არასდროს მისცე საკუთარ თავს ჩემთან მოახლოების ნება. აქ არ მეძებო. ჩემს სახლში არ მოხვიდე. არ დაუშვა, რომ მათ ერთად დაგვინახონ. და როდესაც დასასრულამდე მიხვალ, როდესაც მზად იქნები, თავი დაანებო შენს საქმეს, მათ არაფერი უთხრა, უბრალოდ, დოლარის სიმბოლო დაწერე ცარცით ნათ ტაგარტის ქანდაკების კვარცხლბეკზე — სადაც არის კიდეც მისი ადგილი — შემდეგ სახლში წადი და მოიცადე. მე შენს წასაყვანად ოცდაოთხი საათის განმავლობაში მოვალ. დაგნიმ თავი დახარა უსიტყვო დაპირების ნიშნად.

მაგრამ როდესაც გოლტმა წასვლა დააპირა, დაგნის მოულოდნელად გააჟრჟოლა. ეს გამოღვიძების პირველ ბიძგს ან სიცოცხლის უკანასკნელ კრუნჩხვას ჰგავდა, რასაც უნებლიე წამოძახილი მოჰყვა:

— სად მიდიხარ?

— მივდივარ, რომ ბოძად გადავიქცე და განთიადამდე მეჭიროს ფარანი — ეს არის ერთადერთი სამუშაო, რომელიც შენმა სამყარომ მარგუნა და ერთადერთი სამსახური, რასაც ის ჩემგან მიიღებს.

დაგნი ჯონს მკლავში ჩაეჭიდა, რომ არ დაეკარგა ის, რომ მიჰყოლოდა, მიჰყოლოდა მას ბრმად, რომ ყველაფერი მიეტოვებინა, გარდა მისი სახის დანახვის შესაძლებლობისა:

— ჯონ!

გოლტმა ქალს მაჯაზე წაავლო ხელი და თავიდან მოიშორა.

— არა, — მიმართა მან დაგნის.

შემდეგ გოლტმა მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. ეს კოცნა მისი ყველაზე ვნებიანი აღსარება იყო, შემდეგ კი ლიანდაგს გაუყვა და მასთან ერთად მიეფარა თვალს. დაგნის მოეჩვენა, რომ ის ერთდროულად მიატოვა რკინიგზამ და ჯონის ფიგურამ.

როდესაც ტერმინალის მთავარ დარბაზში გამოვიდა ბარბაცით, შენობის კედლები მატარებლის ბორბლების პირველმა გრუხუნმა შეაცახცახა, თითქოს გაჩერებული გული მოულოდნელად ამუშავდა. ნათანიელ ტაგარტის ტაძარში სიჩუმე და სიცარიელე გამეფებულიყო, მისი მუდმივად მანათობელი შუქი მარმარილოს იატაკს ეცემოდა. იქ ღარიბულად ჩაცმული რამდენიმე ადამიანი მილასლასებდა, თითქოს დარბაზის მოკაშკაშე სივრცეში დაკარგულიყვნენ. კვარცხლბეკის საფეხურებზე, მტკიცე და მოზეიმე ადამიანის ფერხთით, ჩამოფლეთილი მაწანწალა იჯდა. ფრთამოტეხილ ჩიტს ჰგავდა, რომელსაც წასასვლელი არსად აქვს და ნებისმიერ შვერილზე ისვენებს.

დაგნიც კვარცხლბეკის საფეხურებზე დაეშვა, თითქოს ისიც მაწანწალა ყოფილიყო. დამტვერილი მოსასხამი ფეხებზე მჭიდროდ ჰქონდა შემოხვეული. თავი ხელზე ჩამოეყრდნო და მდუმარედ იჯდა, არც ტირილის ძალა შესწევდა და არც განძრევის.

ეჩვენებოდა, რომ ხედავდა ადამიანის ფიგურას, რომელსაც მაღლა აწეულ ხელში ჩირაღდანი ეჭირა. ის ჯერ თავისუფლების ქანდაკებას ჰგავდა, შემდეგ კი მზის სხივებით თმააჭრელებულ კაცს დაემსგავსა, ფარნით ხელში შუაღამის ცის ფონზე, წითელი ფარნით, რომელიც სამყაროს მოძრაობას აჩერებდა.

— ქალბატონო, გულთან ახლოს არაფერი მიიტანოთ, რაც არ უნდა იყოს, — მიმართა დაგნის მაწანწალამ ზერელე თანაგრძნობით, — ამას მაინც აღარაფერი ეშველება... რა აზრი აქვს, მემ? ვინ არის ჯონ გოლტი?

თავი 6

განთავისუფლების სიმფონია

20 ოქტომბერს „რიერდენ სთილის“ მუშათა კავშირმა ხელფასების გაზრდა მოითხოვა.

ჰენკ რიერდენმა ეს ამბავი გაზეთებიდან შეიტყო; მისთვის პირადად არავის მიუმართავს და არც გაფრთხილება ჩაუთვლიათ საჭიროდ. ეს მოთხოვნა „გაერთიანების საბჭოს“ წაუყენეს; არავითარი ახსნა-განმარტება არ გაკეთებულა იმის შესახებ, ფოლადსასხმელ სხვა კომპანიებს რატომ არ მიმართეს მსგავსი მოთხოვნებით.

რიერდენს ვერ გაეგო, ხელფასის გაზრდას მართლაც მისი მუშები ითხოვდნენ თუ არა — საბჭოს მიერ დაკანონებულმა წესებმა პროფესიული კავშირის არჩევნების შესახებ ამის დადგენა შეუძლებელი გახადა. ერთი, რაც მოახერხა, დაადგინა, რომ ხელფასის გაზრდის მომთხოვნთა ჯგუფის აქტივისტები ის ახალბედები იყვნენ, რომლებიც საბჭომ მის ქარხნებში ბოლო თვეების განმავლობაში შეაპარა.

23 ოქტომბერს „გაერთიანების საბჭომ“ პროფესიული კავშირის შუამდგომლობა ხელფასების გაზრდის თაობაზე არ დააკმაყოფილა. რიერდენმა არ იცოდა, გაიმართა თუ არა რაიმე სახის მოსმენები ამ საკითხთან დაკავშირებით. მას არავინ მოსთათბირებია და არაფერი შეუტყობინებიათ. ის იცდიდა და კითხვებს არ სვამდა.

25 ოქტომბერს გაზეთებმა, რომლებსაც საბჭოს მმართველები აკონტროლებდნენ, „რიერდენ სთილის“ მუშების მხარდასაჭერი კამპანია წამოიწყეს. მათ დაბეჭდეს ამბები ხელფასის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა არც კი უხსენებიათ, კონკრეტულად ვინ განაცხადა უარი ხელფასების გაზრდაზე, ან ვის ჰქონდა ამის გაკეთების იურიდიული ძალა, თითქოს ვარაუდობდნენ, რომ საზოგადოებას გადაავიწყდებოდა იურიდიული ფორმალობები აურაცხელი პუბლიკაციის ფონზე, სადაც ორაზროვნად იყო მინიშნებული, რომ ყველა იმ უბედურების ბუნებრივი მიზეზი, რითიც დასაქმებულები იტანჯებოდნენ, დამსაქმებელი იყო. დაიბეჭდა სტატია, სადაც მოთხრობილი იყო, როგორ დამძიმდა „რიერდენ სთილის“ მუშების ყოფა ბოლო დროს ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით, იქვე, გვერდით, გამოქვეყნდა ცნობა ჰენკ რიერდენის შემოსავლების შესახებ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. დაიბეჭდა რიერდენის კომპანიის ერთ-ერთი მუშის ცოლის ნაღვლიანი ისტორია, რომელიც საკვების უიმედო ძიებაში მაღაზიიდან მაღაზიაში დალასლასებდა, იქვე კი განხილული იყო ფეშენებელურ სასტუმროში ფოლადის რომელიღაც მაგნატის მიერ გამართულ წვეულებაზე მომხდარი ამბავი, როდესაც ვიღაცას თავზე შამპანურის ბოთლი გადაამსხვრიეს; ფოლადის ეს მაგნატი სინამდვილეში ორენ ბოილი გახლდათ, მაგრამ სტატიაში სახელები არ იყო ნახსენები. „ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს უთანასწორობა“, — აცხადებდნენ გაზეთები, — „რაც ჰუმანისტური ეპოქის სიკეთეებით სარგებლობას

აფერხებს“, „გაჭირვებამ ძალა და მოთმინება გამოაცალა ხალხს. მდგომარეობა მალე სახიფათო ნიშნულს მიაღწევს“, „გვეშინია, ძალადობამ არ იფეთქოს“, — დაუსრულებლად იუწყებოდა პრესა.

28 ოქტომბერს რიერდენის ფოლადის კომპანიის ახალმიღებულ მუშათა ჯგუფი თავს დაესხა ზედამხედველს და ბრძმედს ცხვირი ჩამოამტვრია. ორი დღის შემდეგ კი იმავე ჯგუფმა ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის ფანჯრები ჩალეწა. ერთ-ერთმა ახალმიღებულმა მუშამ ამწის კბილანები ჩაამსხვრია და შედეგად გამდნარი ლითონით სავსე ციცხვი გადმოყირავდა იმ ტერიტორიაზე, სადაც კიდევ ხუთი ადამიანი იმყოფებოდა. „მგონი, შევიშალე ჩემს მშიერ შვილებზე დარდით“, — განაცხადა მუშამ, როდესაც დააკავეს. „იმის დრო არ არის, ვარკვიოთ, ვინ მართალია და ვინ ტყუის“, — ეხმაურებოდნენ ამ ამბავს გაზეთები, — „ჩვენ მხოლოდ ის ფაქტი გვადარდებს, რომ ქვეყნის ფოლადის წარმოებას სრული ფიასკო ემუქრება“.

რიერდენი ამ ყველაფერს მდუმარედ ადევნებდა თვალყურს. თითქოს ელოდებოდა, რომ სულ მალე რომელიღაც ჭეშმარიტება უნდა გამოაშკარავებულიყო და ეს პროცესი არც უნდა აჩქარებულიყო და არც შეჩერებულიყო. შემოდგომის ადრეული შებინდებისას, როდესაც თავისი კაბინეტის ფანჯრიდან იყურებოდა, ფიქრობდა, რომ სულაც არ იყო გულგრილი თავისი ქარხნებისადმი; მაგრამ გრძნობა, რომელიც ოდესღაც ცოცხალი არსებისადმი ვნებას ჰგავდა, ახლა ნაღვლიან სინაზედ გადაიქცა, რომელსაც გარდაცვლილი საყვარელი არსების ხსოვნისადმი განიცდიან. „ყველაზე მთავარი ამ გრძნობაში ის არის“, — ფიქრობდა რიერდენი, — „რომ ვეღარაფერს ვეღარ შეცვლი“. რამის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო.

31 ოქტომბრის დილას რიერდენმა მიიღო შეტყობინება, რომ მთელ მის ქონებას, საბანკო ანგარიშებისა და ანაბრების ჩათვლით, ყადაღა დაედო იმ სასამართლო პროცესზე გამოტანილი განაჩენის დასაკმაყოფილებლად, რომელზედაც სამი წლის წინ მის საშემოსავლო გადასახადში არსებული დანაკლისი განიხილებოდა. ეს იყო ოფიციალური შეტყობინება, რომელიც კანონის ყველა მოთხოვნას პასუხობდა — გარდა იმისა, რომ არც ასეთი დანაკლისი არსებობდა როდისმე და არც ასეთი სასამართლო პროცესი გამართულა.

— არა, — უთხრა რიერდენმა თავის აღშფოთებულ ადვოკატს, — არ გაუგზავნო მათ კითხვები, არც უპასუხო, არც შეეწინააღმდეგო.

— კი მაგრამ, ეს ხომ დაუჯერებელია!

— სხვა ამბებზე უფრო დაუჯერებელი?

— ჰენკ, გინდა, რომ არაფერი არ ვიღონო? გინდა, მუხლებზე დაჩოქილმა მორჩილად გადავყლაპო ეს ბრალდება?

— არა, მე მინდა, რომ იდგე. მინდა, უბრალოდ იდგე. არ იმოქმედო.

— მაგრამ მათ შენ იარაღი აგყარეს.

— ვითომ? — მიუგო ადვოკატს რიერდენმა ღიმილით.

რიერდენს მხოლოდ რამდენიმე ასეული დოლარი ნაღდი ფული ჰქონდა საფულეში დარჩენილი. მაგრამ სულს უთბობდა ფიქრი, რომ მისი საძინებლის საიდუმლო სეიფში წმინდა ოქროს ზოდი ინახებოდა, რომელიც მას ოქროსფერთმიანმა მეკობრემ მისცა, დახმარების ხელი რომ გაუწოდა, მაშინ.

მეორე დღეს, 1 ნოემბერს, რიერდენს ვაშინგტონიდან დაურეკა ერთმა ბიუროკრატმა, რომლის ხმაც თითქოს მოცოცავდა სატელეფონო ხაზზე და იბოდიშებდა:

— ეს შეცდომაა, მისტერ რიერდენ! სავალალო შეცდომა, სხვა არაფერი! დაყადაღების ბრძანება თქვენ არ უნდა შეგხებოდათ. ხომ იცით, დღეს რა მდგომარეობაც არის, ამას კადრების უტვინობა და წარმოუდგენელი ბიუროკრატიზმიც ემატება — ვიღაც იდიოტს აერია ჩანაწერები და ნაცვლად ვიღაც საპნის მწარმოებლისა, თქვენი საკუთრების დაყადაღების ბრძანება გაგზავნა. გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი ბოდიში, მისტერ რიერდენ, ჩვენი ღრმა მობოდიშება უმაღლეს დონეზე. — შემდეგ ხმა შეწყდა და მომლოდინე პაუზა ჩამოწვა, — მისტერ რიერდენ?..

— გისმენთ.

— ვერ გადმოგცემთ, როგორ ვწუხვართ, რომ შეგაწუხეთ ან რაიმე უხერხულობა შეგიქმენით. ყველაფერი ამ წყეული ფორმალობების ბრალია — თქვენც ხომ კარგად მოგეხსენებათ ბიუროკრატიული პროცედურების ამბავი! — ბრძანების გაუქმებასა და ყადაღის მოხსნას რამდენიმე დღე, შესაძლოა, ერთი კვირაც დასჭირდეს... მისტერ რიერდენ?

— გისმენთ.

— ჩვენ საშინლად ვწუხვართ და მზად ვართ, ნებისმიერი კომპენსაცია გადავიხადოთ, რაც ჩვენს ძალებს არ აღემატება. თქვენ, რა თქმა უნდა, უფლებამოსილი ბრძანდებით, მოითხოვოთ ზარალის ანაზღაურება და ჩვენ მზად ვართ, აგინაზღაუროთ ეს ზარალი. ჩვენ არ შევეწინააღმდეგებით თქვენს სარჩელს. თქვენ, რა თქმა უნდა, შეიტანთ ამ სარჩელს და...

— მე ეს არ მითქვამს.

— რა? არა, თქვენ არ გითქვამთ... ეს... კეთილი, და რა თქვით, მისტერ რიერდენ?

— არაფერი მითქვამს.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, რიერდენს მეორედ დაურეკეს მუდარის ხმით ვაშინგტონიდან. თუმცა ეს ხმა კი არ მოცოცავდა, არამედ მხიარულად დახტოდა სატელეფონო ხაზზე, ვირტუოზი აკრობატივით. ადამიანმა, რომელმაც დარეკა, რიერდენს ტინკი ჰოლოვეიდ გააცნო თავი და შეეხვეწა, კონფერენციას დასწრებოდა:

— ეს არაოფიციალური პატარა კონფერენცია იქნება, მხოლოდ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი დაესწრება.

კონფერენცია ორი დღის შემდეგ ნიუ-იორკში, სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდში“ უნდა გამართულიყო.

— ბოლო კვირების განმავლობაში იმდენი გაუგებრობა მოხდა! — თქვა ტინკი ჰოლოვეიმ, — ისეთი საბედისწერო გაუგებრობები — და ისეთი უსარგებლო! ჩვენ ყველაფერს სწრაფად გამოვასწორებდით, მისტერ რიერდენ, თუ თქვენთან გასაუბრების შესაძლებლობა მოგვეცემა. ერთი სული გვაქვს, როდის შეგხვდებით.

— შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გამოგზავნოთ სასამართლოს უწყისი.

— ოჰ, არა! არა! არა! — ხმას შიში დაეტყო, — არა, მისტერ რიერდენ, ეს რამ გაფიქრებინათ? თქვენ ვერ გაგვიგეთ, ჩვენ ერთი სული გვაქვს, როდის შეგხვდებით მეგობრულად, ჩვენ მხოლოდ ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე გვინდა დაგელაპარაკოთ. — ჰოლოვეიმ დაძაბული პაუზა გააკეთა, რომ გაერკვია, მართლა გაიგონა თუ არა შორეული ჩაცინების ხმა; ის იცდიდა, თუმცა მეტი აღარაფერი გაუგონია, — მისტერ რიერდენ?

— დიახ?

— უეჭველია, მისტერ რიერდენ, რომ ასეთ დროს ჩვენთან ერთად კონფერენციაზე დასწრება შესაძლოა, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენთვის.

— კონფერენციის თემა რა იქნება?

— თქვენ ბევრ სიძნელეს შეეჩეხეთ და ჩვენ მზად ვართ, დაგეხმაროთ, რითიც შეგვეძლება.

— მე არ მითხოვია დახმარება.

— ახლა არასაიმედო დროა, მისტერ რიერდენ, საზოგადოების განწყობა ისეთი გაურკვეველი და არასტაბილურია, ისეთი... ძალიან საშიში... და ჩვენ გვსურს, რომ თქვენი დაცვა შეგვეძლოს.

— მე არ მითხოვია დაცვა.

— მაგრამ თქვენ ალბათ აცნობიერებთ, რომ ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვიკავია, რომ თქვენი დახმარება თავისუფლად შეგვიძლია და თუ ჩვენგან რაიმე გინდათ...

— არაფერი არ მინდა თქვენგან.

— მაგრამ თქვენ აუცილებლად გექნებათ ისეთი პრობლემები, რომელთა განხილვაც მოგინდებათ ჩვენთან.

— არ მაქვს ასეთი პრობლემები.

— მაშინ... კეთილი, მაშინ... — ჰოლოვეი პატივის დადების თამაშს შეეშვა და აშკარა მუდარაზე გადავიდა, — მაშინ, უბრალოდ ხომ ვერ მოგვისმენდით?

— კი, თუ გაქვთ რაიმე ჩემთვის სათქმელი.

— გვაქვს, მისტერ რიერდენ, რა თქმა უნდა, გვაქვს! ჩვენ მხოლოდ მოსმენას ვითხოვთ, მეტს არაფერს. უბრალოდ, მოგვეცით შესაძლებლობა. მოდით ამ კონფერენციაზე. თქვენ არავითარი ვალდებულება არ დაგეკისრებათ... — წამოსცდა ჰოლოვეის უნებურად და პასუხად რიერდენის დამცინავი, გამოცოცხლებული ხმა გაიგონა:

— ვიცი.

— იმის თქმა მინდოდა, რომ... ანუ... აბა, რას იტყვით, მოხვალთ?

— კეთილი, — უპასუხა რიერდენმა, — მოვალ.

რიერდენი ჰოლოვეის მადლიერ ლაქუცს ყურს აღარ უგდებდა, მხოლოდ ის დაიმახსოვრა, რომ ჰოლოვეი გამუდმებით იმეორებდა: „საღამოს შვიდ საათზე, ოთხ ნოემბერს. მისტერ რიერდენ... ოთხ ნოემბერს“... თითქოს ამ თარიღს რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

რიერდენმა ყურმილი დააგდო, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და კაბინეტის ჭერზე ბრძმედიდან გამომავალი ცეცხლის ენების თამაშს შესცქეროდა. მან იცოდა, რომ ეს კონფერენცია მახე იყო; თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ მახის დამგებები მას ვერაფერს გამორჩებოდნენ.

ტინკი ჰოლოვეიმაც დააგდო ყურმილი თავის ვაშინგტონის კაბინეტში, შემდეგ კი დაძაბული და მოღუშული სახით წამოიწია. კლოდ სლაგენჰოპმა, „გლობალური პროგრესის მეგობრების“ პრეზიდენტმა, რომელიც სავარძელში იჯდა და ნერვიულად ღეჭავდა ასანთის ღერს, ჰოლოვეის ახედა და ჰკითხა:

— არც ისე კარგადაა საქმე?

ჰოლოვეიმ თავი გააქნია.

— მოვა, მაგრამ... არა, არც ისე კარგადაა საქმე. — თან დაამატა, — არა მგონია, რომ მან ეს მიიღოს.

— ჩემმა ინფორმატორმაც ასე მითხრა.

— ვიცი.

— ინფორმატორმა მითხრა, რომ ჯობია, საერთოდ არ ვცადოთ ეს.

— ღმერთმა დასწყევლოს შენი ინფორმატორი! უნდა ვცადოთ! უნდა გავრისკოთ!

ინფორმატორი ფილიპ რიერდენი იყო, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ კლოდ სლაგენჰოპს მოახსენა:

— არა, ის არ შემიშვებს, სამუშაოს არ მომცემს. მე ვცადე, როგორც თქვენ დამავალეთ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვიყენე. მაგრამ ამას აზრი არ აქვს, ის თავის ქარხნებში ფეხსაც არ შემადგმევინებს. და რაც შეეხება მის განწყობას, კარგს ვერაფერს გეტყვით. საქმე იმაზე ცუდადაა, ვიდრე მოველოდი. მე კარგად ვიცნობ მას და შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ შანსი არ გაქვთ. მას მოთმინება ეწურება. სულ პატარა მიზეზიც კი იკმარებს, რომ საბოლოოდ დაკარგოს მოთმინება.

თქვენ მითხარით, რომ გავლენიან ბიჭებს სურდათ ამის გაგება. მაშინ უთხარით მათ, რომ ამას ნუ გააკეთებენ. უთხარით მათ, რომ ის... კლოდ, ღმერთო გვიშველე, თუ ისინი ამას გააკეთებენ, საბოლოოდ დაკარგავენ მას!

— კარგი, შენ დიდად ვერ გვეხმარები, — უთხრა სლაგენჰოპმა ფილიპს ცივად და მიბრუნდა.

ფილიპი მას სახელოზე ჩაეჭიდა და მღელვარე ხმით ჰკითხა:

— მითხარით, კლოდ... დირექტივა 10-289-ის... მიხედვით... თუ ის წავა... მემკვიდრეები აღარ იქნებიან?

— ასეა.

— ისინი დაეპატრონებიან ქარხნებს და... და ყველაფერს?

— ასეთია კანონი.

— კი მაგრამ... კლოდ, ისინი მე ასე ხომ არ მომექცევიან?

— მათ არ სურთ მისი წასვლა. ეს შენც იცი. თუ შეგიძლია, შეაჩერე.

— მე არ შემიძლია! ხომ იცი, რომ არ შემიძლია! ჩემი პოლიტიკური აზრებისა და...

და იმ ყველაფრის გამო, რაც მე თქვენთვის გავაკეთე, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რასაც ფიქრობს ის ჩემზე! მე მასზე არავითარი გავლენა არ მაქვს!

— ეს შენი პრობლემაა.

— კლოდ! — წამოიყვირა ფილიპმა სასოწარკვეთით, — კლოდ, ისინი ღია ცის ქვეშ ხომ არ დამტოვებენ? მე ხომ მათ ჯგუფს ვეკუთვნი? ისინი ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ მათ ჯგუფს ვეკუთვნოდი, ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ მათ ვჭირდებოდი... ისინი ამბობდნენ, რომ ჩემნაირი ადამიანები სჭირდებოდათ და არა მისნაირი, ჩემნაირი... ჩემნაირი სულის, გახსოვთ? და იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მე მათთვის გავაკეთე, საქმისადმი მთელი ჩემი ერთგულების, სამსახურისა და თავდადების შემდეგ...

— შე წყეულო სულელო, — წამოიძახა სლაგენჰოპმა, — მის გარეშე რა სარგებლობის მოტანა შეგიძლია ჩვენთვის?

4 ნოემბრის დილას ჰენკ რიერდენი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. მან თვალები გაახილა, რომ თავისი საძინებლის ფანჯრებიდან ნათელი და მკრთალი ცა დაენახა, ადრეული განთიადის ცა, რომელსაც ბივრილის ღია ფერი დაჰკრავდა და უხილავი მზის პირველ სხივებთან ერთად ფილადელფიის ნაგებობების სახურავებს ვარდისფრად ფერავდა. ერთი წუთით, სანამ მის გონებას ცის მსგავსი სიწმინდე ჰქონდა, სანამ მხოლოდ საკუთარ თავს აცნობიერებდა და ჯერ კიდევ არ დაემძიმებინა სული უცხო მოგონებების ტვირთით, რიერდენი გაუნძრევლად იწვა, მონუსხული იმ სამყაროს მომხიბვლელობის წარმოდგენით, რომელიც ამ წუთს ემგვანებოდა და სადაც არსებობის ფორმა მუდმივი დილა იქნებოდა.

ტელეფონის ზარმა რეალობაში დააბრუნა: წყვეტილი, მწივანა ზარი თითქოს გამალებით ითხოვდა დახმარებას. რიერდენმა მოღუშული სახით აიღო ყურმილი:

— გისმენთ!

— დილა მშვიდობისა, ჰენრი, — გაისმა დედამისის აკანკალებული ხმა.

— დედა, შენ ხარ ასე დილაადრიან? — ჰკითხა რიერდენმა ცივად.

— ოჰ, შენ ყოველთვის ალიონზე დგები და მინდოდა, მომესწრო, ვიდრე ქარხანაში წახვიდოდი.

— რა ხდება?

— უნდა გნახო, ჰენრი. უნდა დაგელაპარაკო. დღესვე. ნებისმიერ დროს, როცა მოიცლი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— მოხდა რამე?

— არა... კი... ეს... პირადად უნდა გელაპარაკო. მოხვალ?

— ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია. დღეს საღამოს ნიუ-იორკში შეხვედრა მაქვს დანიშნული. თუ გინდა, ხვალ მოვალ...

— არა! ხვალ არა. დღეს უნდა მოხვიდე. უნდა მოხვიდე. — დედამისის ხმაში ბუნდოვნად ისმოდა პანიკა, მაგრამ გადაუდებელი შემთხვევის მაუწყებელი კი არა, ქრონიკული უმწეობის გაცვეთილი პანიკა, მხოლოდ ეს იყო, რომ მის მექანიკურ დაჟინებაში შიშის უცნაური ექო გაისმოდა.

— რა გინდა, დედა?

— ტელეფონით ვერ გეტყვი. უნდა გნახო.

— მაშინ, თუ გინდა, ოფისში მოდი...

— არა! ოფისში არა! სადმე მარტო უნდა გნახო, სადაც საუბარი შეგვეძლება. შეგიძლია, პატივი დამდო და დღეს აქ მოხვიდე? დედაშენი გთხოვს, რომ პატივი დასდო. ჩვენ სანახავად არასდროს მოსულხარ. შესაძლოა, შენ არც ხარ ამაში დამნაშავე. მაგრამ ნუთუ არ შეგიძლია, ეს ჩემთვის გააკეთო?

— კარგი, დედა. შუადღისას, ოთხ საათზე მანდ ვიქნები.

— ძალიან კარგი. მადლობა, ჰენრი. ძალიან კარგი.

რიერდენს ეჩვენებოდა, რომ იმ დღეს ქარხნებში რაღაცნაირი მსუბუქი დაძაბულობა იგრძნობოდა, იმდენად მსუბუქი, რომ მისი ბუნების განსაზღვრა შეუძლებელი ჩანდა — მაგრამ ქარხანა მისთვის საყვარელი ქალის სახესავით იყო — უმცირესი ემოციური ცვლილების ჩრდილიც კი არ გამოეპარებოდა. იმ დღეს ერთი-ორჯერ შენიშნა, ახალმიღებული მუშები როგორ იკრიბებოდნენ პატარა, სამ თუ ოთხკაციან ჯგუფებად. მათი ქცევა ქარხნის საამქროს კი არა, საბილიარდოს უფრო შეეფერებოდა. როდესაც გვერდით ჩაუარა, რიერდენმა რამდენიმეჯერ დაჟინებული და მტრული მზერები შენიშნა, თუმცა ხელი ჩაიქნია: ასეთ წვრილმანებზე ფიქრი არ ღირდა, ან სად ეცალა ამისთვის.

თავის ყოფილ სახლს მიუახლოვდა თუ არა, მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა გორაკის ძირთან. სახლში მას შემდეგ არ ყოფილა, რაც ექვსი თვის წინ, 15 მაისს, წამოვიდა იქიდან. და ახლა მისმა დანახვამ ერთიანად გაახსენა, თუ რას გრძნობდა ათი წლის განმავლობაში ყოველდღიურად, შინ დაბრუნებისას: დაძაბულობას, შეცბუნებას, აუღიარებელი ბედნიერების უღიმღამო სიმძიმეს, მკაცრ პროტესტს და გულუბრყვილო სასოწარკვეთას. ცდილობდა, გაეგო თავისი ოჯახისთვის... სამართლიანი ყოფილიყო.

რიერდენი ნელი ნაბიჯებით გაუყვა სახლისკენ მიმავალ ბილიკს. სიმშვიდის განცდა ჰქონდა. აცნობიერებდა, რომ ეს სახლი დანაშაულის ძეგლი იყო — საკუთარი თავისადმი მისი დანაშაულის.

ეგონა, მხოლოდ დედას და ფილიპს ნახავდა, ლილიანის დანახვა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

რიერდენი ზღურბლთან შეჩერდა. სამივენი ფეხზე იდგნენ და მის სახესა და ღია კარს შეჰყურებდნენ. მათი მოჩვენებითად სათნო გამომეტყველება რიერდენისთვის უკვე კარგად ნაცნობ შიშსა და ცბიერებას მალავდა, თითქოს თავიანთი მიზნის მიღწევას მისი სიბრალულის მოპოვებით ცდილობდნენ, ამ მახეში მისი გაბმით — ერთი ნაბიჯითაც რომ დაეხია უკან, მათთვის ხელმისაწვდომი აღარ იქნებოდა.

მათ ჰენკის სიბრალულის იმედი ჰქონდათ, მისი რისხვის კი ეშინოდათ, მესამე ალტერნატივის — მისი გულგრილობის გათვალისწინებას კი ვერც ბედავდნენ.

— აქ რას აკეთებს? — გულგრილი ხმით ჰკითხა ჰენკმა დედას ლილიანზე.

— ლილიანი თქვენი განქორწინების დღიდან აქ ცხოვრობს, — გამოექომაგა რიერდენის დედა ლილიანს, — ვერ დავუშვებდი, რომ მას ქუჩაში ეშიმშილა.

დედამისის მზერა ნაწილობრივ მუდარას გამოხატავდა, გეგონებოდა სთხოვდა შვილს, რომ მისთვის სილა არ გაეწნა, ნაწილობრივ კი ტრიუმფს, თითქოს თავად გაერტყა ჰენკისთვის. რიერდენმა კარგად იცოდა დედის განზრახვა: მისი საქციელი თანაგრძნობით არ იყო განპირობებული, დედამისსა და ლილიანს ერთმანეთი დიდად არასდროს მოსწონდათ, მათ მხოლოდ მის წინააღმდეგ მიმართული საერთო შურისძიება აკავშირებდათ, ჰენკის დედას იდუმალ კმაყოფილებას ჰგვრიდა ფაქტი, რომ შვილის ფულს ახარჯავდა მის ყოფილ ცოლს, რომლის შენახვაზეც თვითონ შვილს უარი ჰქონდა ნათქვამი.

ლილიანს მისალმების ნიშნად თავი ოდნავ დაეხარა და ტუჩებზე გამომცდელი ღიმილი გადაჰკრავდა, ერთდროულად მორიდებული და უტიფარი. ჰენკს თავი არ მოუჩვენებია, თითქოს ყოფილ ცოლს ყურადღებას არ აქცევდა; ის ლილიანს ისე უყურებდა, როგორც ცარიელ ადგილს. აღარაფერი უთქვამს, კარი დახურა და სასტუმრო ოთახში შეაბიჯა.

რიერდენის დედამ მღელვარე შვებით ამოიოხრა და უახლოეს სკამზე ნაჩქარევად დაეშვა, თან დაძაბული შესცქეროდა შვილს, ჩამოჯდებოდა ისიც თუ არა.

— რა გინდოდა? — ჰკითხა დედამისს რიერდენმა და დაჯდა.

დედა წელგამართული იჯდა, თან რაღაცნაირად მოკუნტულიც, მხრები გაემართა, თავი კი დაბლა ჰქონდა დახრილი.

— გულმოწყალება, ჰენრი, — დაიჩურჩულა მან.

— რას გულისხმობ?

— ვერ ხვდები?

— ვერა.

— კარგი, — უმწეობის ნიშნად ხელები გაშალა დედამისმა, — კარგი... — და თან ჰენკის ყურადღებიანი მზერისგან თავის დასაღწევად თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, — კარგი, იმდენი რამე მაქვს სათქმელი და... და მე არ ვიცი, როგორ გითხრა, მაგრამ... კარგი, არის ერთი პრაქტიკული საკითხი, თუმცა, ეს არ არის მნიშვნელოვანი... მის გამო არ დამიბარებიხარ აქ...

— რისი თქმა გინდა?

— იმ პრაქტიკულ საკითხზე მეკითხები? ჩვენს სარჩენ ჩეკებს ვგულისხმობ — ფილიპის და ჩემი. მაგრამ ამ თვეში დაყადაღების ბრძანების გამო ჩეკები ვერ მივიღეთ. ეს შენც იცი, ხომ ასეა?

— ვიცი.

— კარგი, მაშინ რა უნდა ვქნათ?

— არ ვიცი.

— ანუ რას აპირებ ამ საკითხის მოსაგვარებლად?

— არაფერს.

დედა უსიტყვოდ მისჩერებოდა რიერდენს, თითქოს სიჩუმის წამებს ითვლიდა:

— არაფერს, ჰენრი?

— მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

ისინი დაჟინებით აკვირდებოდნენ მას სახეზე; რიერდენი დარწმუნებული იყო, რომ დედამისმა სიმართლე უთხრა, რომ ეს კონკრეტული ფინანსური პრობლემა არ იყო მისი იქ დაბარების მიზანი, რომ ის გაცილებით უფრო ფართო საკითხის სიმბოლო იყო.

— კი მაგრამ, ჰენრი, ჩვენ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

— მეც ამ მდგომარეობაში ვარ.

— არ შეგიძლია, ნაღდი ფული გამოგვიგზავნო?

— ვერ მოვასწარი ნაღდი ფულის გამოტანა ბანკიდან.

— მაშინ... მისმინე, ჰენრი, ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი იყო, მგონი, ხალხი შეაშინა — სასურსათო მაღაზია უარს გვეუბნება, სესხად მოგვცეს პროდუქტები, თუ შენ არ სთხოვ ამას. მგონი, უნდათ, საკრედიტო ბარათს თუ რაღაც მსგავსს მოაწერო ხელი. დაელაპარაკები მათ და მოაგვარებ ამ საკითხს?

— არა.

— არა? — დედას განცვიფრებისგან სუნთქვა შეეკრა, — რატომ?

— ისეთ ვალდებულებებს არ დავიკისრებ, რომლებსაც ვერ შევასრულებ.

— ამით რისი თქმა გინდა?

— არ ავიღებ ვალს, რომლის გადახდასაც ვერ შევძლებ.

— რატომ ვერ შეძლებ? დაყადაღების ის ბრძანება მხოლოდ რაღაც ფორმალობაა, მხოლოდ დროებითია, ეს ყველამ იცის!

— ყველამ იცის? მე არ ვიცი.

— კი მაგრამ, ჰენრი — სასურსათო მაღაზიის ქვითარი! შენ არ ხარ დარწმუნებული, რომ სასურსათოს ქვითრის გადახდა შეგეძლება, მაშინ, როცა მილიონებს ფლობ?

— არ ვაპირებ, სასურსათოს მეპატრონე მოვატყუო, თითქოს მილიონებს ვფლობდე.

— რაზე ლაპარაკობ? აბა, ვისია ის მილიონები?

— არავისი.

— ეს რას ნიშნავს?

— დედა, მე ვფიქრობ, შენ მშვენივრად გესმის, რასაც ვამბობ. ვფიქრობ, ეს ჩემზე გაცილებით ადრეც გესმოდა. უკვე აღარ არსებობს რაიმე სახის მფლობელობა ან საკუთრება. ეს სწორედ ის არის, რასაც ეთანხმებოდი და რისიც გწამდა წლების განმავლობაში. შენ გინდოდა, რომ მე ხელფეხშეკრული ვყოფილიყავი. მე ხელფეხშეკრული ვარ. ახლა უკვე ძალიან გვიანია რაიმეს გამოსწორება.

— გინდა, შენმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა... — დაიწყო დედამისმა, მაგრამ როგორც კი მისი გამომეტყველება დაინახა, წინადადება აღარ დაასრულა. ლილიანი თავჩაღუნული უყურებდა იატაკს, თითქოს იმ წუთისთვის თვალის გასწორების ეშინოდა, ფილიპი კი თითებს იმტვრევდა.

დედამ კვლავ შეხედა ჰენკს და დაიჩურჩულა:

— ნუ მიგვატოვებ, ჰენრი. — მის ხმაში რაღაცნაირი ცოცხალი ნოტი გაკრთა და რიერდენმა იგრძნო, რომ დედამისის ნამდვილი განზრახვა თანდათან აშკარავდებოდა, — საშინელი დროა და ჩვენ გვეშინია. ეს არის სიმართლე, ჰენრი, გვეშინია იმიტომ, რომ შენ ზურგს გვაქცევ. ოჰ, მე მაინცდამაინც სასურსათოს ქვითარს არ ვგულისხმობ, მაგრამ ის ამის ერთ-ერთი ნიშანია — ერთი წლის წინ შენ არ დაუშვებდი, რომ ასეთი რამ მოგვსვლოდა. ახლა კი... ახლა ეს შენ არ გადარდებს, — მან მომლოდინე პაუზა გააკეთა, — გადარდებს?

— არა.

— კარგი... კარგი, მგონი, ჩვენი ბრალია. სწორედ ამის თქმა მინდოდა შენთვის — ჩვენ ვიცით, რომ დამნაშავეები ვართ. მთელი ამ წლების განმავლობაში სამართლიანად არ გექცეოდით. ჩვენ შენ მიმართ უსამართლოები ვიყავით, გტანჯავდით, გამოგიყენეთ და სანაცვლოდ მადლობაც არ გადაგიხადეთ. ჩვენ დამნაშავეები ვართ, ჰენრი, ჩვენ შევცოდეთ შენ წინააღმდეგ და ამას ვაღიარებთ. მეტი რაღა უნდა გითხრათ ახლა? შეძლებ ჩვენ პატიებას?

— მაინც, როგორ გინდა, მოვიქცე? — იკითხა ჰენკმა ბიზნესკონფერენციისთვის დამახასიათებელი მკაფიო და მონოტონური ხმით.

— არ ვიცი! ვინ ვარ, რომ ეს ვიცოდე? მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობ. მოქცევაზე კი არა, მხოლოდ გრძნობაზე გელაპარაკები. გრძნობას გთხოვ, ჰენრი, მხოლოდ გრძნობას — თუნდაც არ ვიმსახურებდეთ მას. შენ სულგრძელი და ძლიერი ხარ. დაივიწყებ წარსულს, ჰენრი? გვაპატიებ?

მის თვალებში ნამდვილი შიში ჩამდგარიყო. ერთი წლის წინ რიერდენი საკუთარ თავს ეტყოდა, რომ ეს დანაშაულის მიჩუმათების დედამისისთვის ჩვეული ხერხი იყო; ჩაკლავდა საკუთარ ზიზღს დედის იმ სიტყვებისადმი, რომლებიც მას მხოლოდ უაზრობის ბურუსად ესახებოდა; ძალას დაატანდა თავის გონებას, რომ ამ სიტყვებისთვის მნიშვნელობა მიეცა, თუნდაც თვითონვე ვერ ჩასწვდომოდა მათ აზრს; იმ წარმოდგენებს მიაწერდა, რომელიც ვითომდა დედამისს გულწრფელობის სათნოებაზე ჰქონდა, თუნდაც ეს თავად მისთვის სრულიად გაუგებარი ყოფილიყო. მაგრამ ახლა ჰენკი მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებს მიაგებდა პატივს.

— გვაპატიებ?

— დედა, ჯობს, საერთოდ არ ვილაპარაკოთ ამაზე. ძალას ნუ დამატან, რომ მიზეზი გითხრა. მგონი, ეს შენც კარგად იცი. თუ გინდა, რამე გაგიკეთო, მითხარი. მეტი არაფერი გვაქვს სალაპარაკო.

— მაგრამ შენი ვერ გამიგია! ვერ გამიგია! იმისთვის დაგიბარე, რომ შენთვის პატიება მეთხოვა! უარს მეუბნები პასუხის გაცემაზე?

— კარგი. რა მნიშვნელობა ექნება ჩემს პატიებას?

— რა?

— მე ვიკითხე, რა მნიშვნელობა ექნება ჩემს პატიებას?

დედამ გაკვირვებით გაშალა ხელები იმის ნიშნად, რომ პასუხი ისედაც აშკარა იყო:

— ასე ხომ... ასე ჩვენ თავს უკეთ ვიგრძნობდით.

— ეს წარსულს შეცვლიდა?

— თუკი გვეცოდინებოდა, რომ შენ გვაპატიე, შვებას ვიგრძნობდით.

— გინდათ, რომ ისე მოვიქცე, თითქოს წარსული არც არსებობდა?

— ოჰ, ღმერთო, ჰენრი, ნუთუ ვერ ხვდები? ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ შენ...

რომ შენ ცოტათი მაინც გადარდებდეს ჩვენი ბედი.

— თქვენი ბედი არ მადარდებს. გინდათ, თავი მოგაჩვენოთ, თითქოს მადარდებს?

— მე ხომ იმას გთხოვ, რომ რაიმეს გრძნობდე ჩვენ მიმართ!

— რის საფუძველზე უნდა ვგრძნობდე?

— რის საფუძველზე?

— რის სანაცვლოდ?

— ჰენრი, ჰენრი, ჩვენ ახლა ბიზნესზე — ფოლადის წყალწყვასა და საბანკო ანგარიშებზე არ ვსაუბრობთ, საქმე გრძნობებს ეხება, შენ კი ვაჭარივით ლაპარაკობ!

— ვარ კიდეც ვაჭარი.

რიერდენმა დედის თვალებში შიში ამოიკითხა, არა უმწეო შიში, როდესაც ადამიანი ცდილობს და არ შესწევს უნარი, გაიგოს, არამედ იმ ზღვართან მიმწყვდეულის შიში, სადაც იმის გაგებისგან, რაც უნდა გაიგო, თავის დაძვრენა უკვე შეუძლებელია. — მისმინე, ჰენრი, — მიმართა ფილიპმა ძმას აჩქარებით, — დედას ასეთი რამეები არ ესმის. ჩვენ არ ვიცით, როგორ მოგიდგეთ. ჩვენ შენს ენას ვერ ვიგებთ.

— მე კი თქვენსას.

— დედა იმის თქმას ცდილობს, რომ ჩვენ ძალიან ვწუხვართ. ჩვენ საშინლად ვნანობთ, რომ გული გატკინეთ. შენ გგონია, რომ ჩვენ ამისთვის არ ვზღეთ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვიხდით ამის საზღაურს. ჩვენ სინდისის ქენჯნა გვტანჯავს.

ფილიპის სახეზე აღბეჭდილი ტკივილი ნამდვილი იყო. ერთი წლის წინ სიბრალულს იგრძნობდა ძმის მიმართ. ახლა კი უკვე იცოდა, რომ ამ ადამიანების იარაღი სწორედ ის იყო, რომ ჰენკს ეშინოდა, გული არ ეტკინა მათთვის, ტანჯვისთვის ვერ იმეტებდა მათ. მაგრამ ახლა ეს უკვე აღარ აშინებდა.

— ვწუხვართ, ჰენრი. ვიცით, რომ ზიანი მოგაყენეთ. ნეტავ, შეგვეძლოს დანაშაულის გამოსყიდვა. მაგრამ ახლა რაღას ვიზამთ? წარსული წარსულია. მას უკან ვეღარ დავაბრუნებთ.

— არც მე შემიძლია მისი უკან დაბრუნება.

— შენ შეგიძლია, მიიღო ჩვენი სინანული, — მიმართა ჰენკს ლილიანმა წინდახედულად მოზომილი ხმით, — ახლა ვეღარაფერს გამოგრჩები. მე მხოლოდ ის მინდა იცოდე, რომ ყველაფერი შენი სიყვარულის გამო გავაკეთე.

რიერდენს პასუხი არ გაუცია, ზურგი შეაქცია.

— ჰენრი! — წამოიყვირა რიერდენის დედამ, — რა დაგემართა? ასე რამ შეგცვალა?

ადამიანს აღარ ჰგავხარ! პასუხებს მოითხოვ, რომლებიც არ გაგვაჩნია. ლოგიკით გვებრძვი — რას ნიშნავს ლოგიკა ასეთ დროს? რა აზრი აქვს ლოგიკას, როდესაც ადამიანები იტანჯებიან?

— ჩვენ ვერაფერს გავხდებით! — წამოიძახა ფილიპმა.

— ჩვენ შენს ხელში ვართ, — თქვა ლილიანმა.

ისინი ემუდარებოდნენ ადამიანს, ვისზედაც მუდარა აღარ ჭრიდა.

მათ არ იცოდნენ, — და ეს პანიკა უკანასკნელი გაბრძოლება იყო, ამ ცოდნას რომ გაჰქცეოდნენ, — რომ რიერდენის უმოწყალო სამართლიანობა, რომელიც ადრე მათი ერთადერთი იარაღი იყო მასზე ზემოქმედებისთვის, რომელიც ჰენკს აიძულებდა, ნებისმიერი სასჯელი მიეღო და ნებისმიერ საეჭვო ვითარებაში ისინი გაემართლებინა, ახლა მათსავე საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა; მათ არ იცოდნენ, რომ ძალა, რომელმაც ჰენკი შემწყნარებელი გახადა, ახლა მას შეუბრალებელს ხდიდა; რომ სამართლიანობა, რომელიც ათასობით უნებლიე შეცდომას

შეუნდობდათ, შეგნებული ბოროტებით გადადგმულ ერთ ნაბიჯსაც კი არ აპატიებდათ.

— ჰენრი, არ გესმის ჩვენი? — მუდარის ტონით მიმართა დედამ რიერდენს.

— მესმის, — უპასუხა ჰენკმა მშვიდად.

დედამ ჰენკის გამჭოლ მზერას თვალი ვერ გაუსწორა:

— არ გადარდებს, რა დაგვემართება?

— არ მადარდებს.

— ადამიანი არ ხარ? — ქალს ხმაში ბრაზი შეეპარა, — სიყვარული საერთოდ არ შეგიძლია? მე ვცდილობ, შენს გულს მივაწვდინო ხმა და არა შენს გონებას! სიყვარულზე არ კამათობენ, არ მსჯელობენ და არც ვაჭრობენ მისით! სიყვარული უნდა გასცე!

უნდა იგრძნო! ოჰ, ღმერთო, ჰენრი, აზროვნების გარეშე გრძნობა არ შეგიძლია?

— აზროვნების გარეშე არასოდეს არაფერი მიგრძნია.

ერთი წუთის შემდეგ რიერდენის დედამ კვლავ დაიბრუნა თავისი მშვიდი და მონოტონური ხმა:

— ჩვენ შენნაირი საზრიანები და ძლიერები არ ვართ. ჩვენ შეცდომა დავუშვით, რადგან უმწეოები ვართ. ჩვენ გვჭირდები შენ, შენ გარდა არაფერი გაგვაჩნია. და შენც გკარგავთ — და გვეშინია ამის. საშინელი დროა და მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება, ადამიანებს ეშინიათ, დაბრმავებულები არიან და არ იციან, რა ქნან. როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ ყველაფერს, თუ შენ მიგვატოვებ? ჩვენ სუსტი ადამიანები ვართ და შიშის ნიაღვარი, რომელმაც მთელი სამყარო წალეკა, ხის ნაფოტებივით წაგვიღებს. შესაძლოა, ჩვენც მიგვიძღვის ბრალი ამაში, შესაძლოა, ჩვენც შევუწყვეთ ხელი ამას ჩვენივე უცოდინრობით, მაგრამ მოსახდენი უკვე მოხდა — და ახლა მისი შეჩერება აღარ შეგვიძლია. თუ მიგვატოვებ, დავიღუპებით. თუ ხელს აიღებ შენს საქმიანობაზე და გაქრები, ყველა იმ ადამიანის მსგავსად, ვინც...

ჰენკის დედას რაიმე ხმამ კი არ შეაწყვეტინა ლაპარაკი, არამედ მხოლოდ მოძრაობამ — დაინახა, როგორ სხარტად შეიძრა ჰენკის წარბები, მისი ხალი ლოყაზე. შემდეგ ყველამ დაინახა, რომ ის იღიმებოდა; ამ ღიმილის ბუნება ყველაზე შემაძრწუნებელი პასუხი იყო მათთვის.

— აი, თურმე რისი გეშინოდათ, — თქვა რიერდენმა აუჩქარებლად.

— შენ არ უნდა შეწყვიტო საქმიანობა! — წამოიყვირა რიერდენის დედამ გაუაზრებლად, — შენ არ უნდა შეწყვიტო საქმიანობა! შარშან შენ გქონდა ამის უფლება, მაგრამ ახლა აღარ გაქვს! დღეს არა! შენ არ გაქვს უფლება, დეზერტირი გახდე, რადგან ახლა ისინი შენს ოჯახს აზღვევინებენ ამისთვის! უფულოდ დაგვტოვებენ, ყველაფერს წაგვართმევენ, შიმშილობისთვის გაგვწირავენ, ისინი...

— გაჩუმდი! — წამოიძახა ლილიანმა, რადგან ის დანარჩენებზე უფრო გამოცდილი იყო ჰენკის სახეზე საფრთხის შემცველი ნიშნების ამოკითხვაში.

რიერდენის სახეს ღიმილის კვალი აჩნდა და უკვე იცოდნენ, რომ ჰენკი მათ ვეღარ ხედავდა, მაგრამ იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რატომ გამოხატავდა მისი ღიმილი ტკივილს და ლამის მეოცნებე სურვილს ან რატომ იყურებოდა ჰენკი ოთახის ყველაზე შორეული ფანჯრისკენ.

რიერდენი ქალის დახვეწილ სახეს ხედავდა, რომელსაც, მისი შეურაცხყმოფელი მოპყრობის მიუხედავად, თავშეკავება მაინც არ დაუკარგავს, ესმოდა, როგორ ეუბნებოდა მშვიდი ხმით აქ, ამ ოთახში: „მინდოდა, გამეფრთხილებინეთ მიტევების ცოდვასთან დაკავშირებით“. რიერდენმა გაიფიქრა: „შენ, რომელმაც ეს მაშინვე

იცოდი...“ მაგრამ გონებაში ფრაზა არ დაუსრულებია, მხოლოდ მწარედ გაიღიმა — იცოდა, რაც უნდა გაეფიქრებინა: „შენ, რომელმაც ეს მაშინვე იცოდი, მაპატიე“.

რიერდენი თავისი ოჯახის წევრებს უყურებდა და ფიქრობდა, რომ სწორედ ასეთი იყო ბუნება მათი მოწყალების თხოვნისა, იმ გრძნობათა ლოგიკა, რომელსაც ისინი ასე სამართლიანად მიანერდნენ არალოგიკურობას — ეს იყო ყველა იმ ადამიანის მარტივი და მხეცური არსი, ვინც აცხადებდა, რომ შეეძლო, აზროვნების გარეშე ეგრძნო და მოწყალება სამართლიანობაზე მაღლა დაეყენებინა.

ამ ადამიანებმა იცოდნენ, რისი უნდა შინებოდათ; ისინი რიერდენზე ადრე მიხვდნენ და დაადგინეს ის ერთადერთი გზა, რომელიც მას თავისუფლებას მოუტანდა; მათ კარგად ესმოდათ რიერდენის, როგორც მრეწველის, მდგომარეობის უიმედობა, მისი ბრძოლის ამაოება, იმ ტვირთის სიმძიმე, რომელიც მალე გასრესდა რიერდენს; მათ იცოდნენ, რომ ახლა მისთვის ყველაზე გონივრული და გამართლებული საქციელი იქნებოდა ყველაფრის მიტოვება და გაქცევა თავის გადასარჩენად — თუმცა მაინც სურდათ, დაეკავებინათ ამ სამსხვერპლო ბრძმედში, რომ უფლება მიეცა მათთვის, მოწყალების, მიტევებისა და ძმური-კაციჭამიური სიყვარულის სახელით ბოლომდე შთაენთქათ.

— თუ შენ ჯერ კიდევ გინდა, რომ აგიხსნა, დედა, — მიმართა ჰენკმა დედას მშვიდი ხმით, — თუ ჯერ კიდევ გაქვს იმედი, იმდენად დაუნდობელი არ ვიქნები, რომ გითხრა ის, რაც თითქოსდა არ იცი, მაშინ — აი, რა არის მიტევების თქვენეულ წარმოდგენაში მანკიერი: თქვენ ნანობთ, რომ გული მატკინეთ და ამ დანაშაულის გამოსასყიდად მთხოვთ, საკუთარი თავი გავიღო მსხვერპლად.

— ლოგიკა! — დაიყვირა რიერდენის დედამ, — ისევ ეს შენი წყეული ლოგიკა! ჩვენ სიბრალული გვჭირდება, სიბრალული, და არა ლოგიკა!

ჰენკი ფეხზე წამოდგა.

— მოიცადე! არ წახვიდე! ჰენრი, არ მიგვატოვო! დასაღუპად ნუ გაგვწირავ! რაც არ უნდა იყოს, ჩვენც ადამიანები ვართ! ჩვენც გვინდა სიცოცხლე!

— არა... — რიერდენმა ჯერ მშვიდად გაკვირვებულმა დაიწყო წინადადება, შემდეგ კი, როცა ეს აზრი სრულად გააცნობიერა, მისი განცვიფრება შიშში გადაიზარდა, — არა მგონია, ადამიანები იყოთ. ადამიანები რომ ყოფილიყავით, ისიც გეცოდინებოდათ, როგორ დაგეფასებინეთ.

თითქოს ჩუმი დასტურის ნიშნად, ფილიპის სახემ ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელსაც წესით, დამცინავი ღიმილი უნდა გამოეხატა, თუმცა მხოლოდ შიშსა და ღვარძლს გამოხატავდა:

— შენ ვერ შეძლებ, შეწყვიტო საქმიანობა და გაიქცე, — უთხრა ძმას ფილიპმა, — უფულოდ ვერ გაიქცევი.

მისი სიტყვები თითქოს მიზანში მოხვდა; ჰენკი ჯერ გაშეშდა, მერე კი ჩაიცინა.

— გმადლობ, ფილიპ, — თქვა მან.

— რა? — ფილიპს განცვიფრებისგან ნერვიულად გააკანკალა.

— აი, თურმე რა იყო დაყადაღების მიზანი. სწორედ ამის ეშინიათ შენს მეგობრებს. ვხვდებოდი, რომ დღეს რაღაც ხაფანგს მიწყობდნენ. ის კი არ ვიცოდი, რომ ქონების დაყადაღებით ეცდებოდნენ ჩემთვის გასაქცევი გზის მოჭრას. — ჰენკმა დედას გაოცებით შეხედა, — თურმე ამიტომ გინდოდა ჩემი ნახვა დღეს, ნიუ-იორკის კონფერენციამდე.

— დედამ ეს არ იცოდა! — წამოიყვირა ფილიპმა, შემდეგ კი მიხვდა თავის შეცდომას და უფრო ხმამაღლა აყვირდა, — არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ! მე არაფერი მითქვამს! ეს მე არ მითქვამს!

— ნუ ნერვიულობ, შე საცოდავო არარაობავ, შენს მეგობრებს არ ვეტყვი, რომ ენას კბილი ვერ დააჭირე. და თუ თქვენ ცდილობდით...

ჰენკს წინადადება არ დაუმთავრებია; მან შეხედა ამ სამი ადამიანის სახეს და აზრი მოულოდნელი ღიმილით დაასრულა, დაღლილი, სიბრალულითა და უსაზღვრო ზიზღით სავსე ღიმილით. ირაციონალისტების თამაში საბოლოო წინააღმდეგობრიობითა და გროტესკული აბსურდით დასრულდა: ვაშინგტონელებს იმედი ჰქონდათ, რომ მის შეჩერებას შეძლებდნენ, თუ ამ სამ ადამიანს მძევლების როლის შესრულებას დაავალებდნენ.

— შენ თავი სრულყოფილი გგონია, არა? — უცებ წამოიყვირა ლილიანმა; ის ფეხზე წამოვარდა და ჰენკს წინ გადაეღობა; ლილიანს სახე შეშლოდა, ზუსტად ისე, როგორც იმ დილით, როდესაც ქმრის საყვარლის სახელი შეიტყო, — შენ ისეთი სრულყოფილი ხარ! ისე გეამაყება საკუთარი თავი! კარგი, რაღაცა უნდა გითხრა!

ლილიანს თითქოს ამ წუთამდე ვერ დაეჯერებინა, რომ თამაში წაგებული ჰქონდა. ყოფილი ცოლის გამომეტყველების დანახვა ჰენკისთვის ბოლო დეტალი იყო, რომელმაც წრედი შეკრა; მოულოდნელად, მან სრული სიცხადით გააცნობიერა, რას გულისხმობდა ლილიანის თამაში და რატომ დაქორწინდა ის მასზე.

რიერდენი ფიქრობდა, რომ თუ სიყვარული ნიშნავდა ერთი ადამიანის მიერ მეორის არჩევას თავისი ყურადღებისა და ცხოვრების აზრის ცენტრად, მაშინ ლილიანს ნამდვილად უყვარდა ის; მაგრამ თუ ჰენკისთვის სიყვარული საკუთარი არსისა და სიცოცხლის ზეიმი იყო, საკუთარი თავისა და სიცოცხლის მოძულეებისთვის სიყვარულის ერთადერთი ფორმა და ეკვივალენტი განადგურებისკენ სწრაფვა იქნებოდა.

ლილიანმა ის საუკეთესო თვისებების გამო აირჩია, მისი სიძლიერის, თავდაჯერებულობის, სიამაყის გამო — ისე შეარჩია, როგორც ირჩევენ სიყვარულის საგანსა და ადამიანის სასიცოცხლო ძალის სიმბოლოს, მაგრამ ლილიანის მიზანი ამ ძალის განადგურება იყო.

რიერდენს თვალწინ წარმოუდგა, როგორები იყვნენ ეს ადამიანები მისი და ლილიანის პირველი შეხვედრის დროს: თვითონ, ენერგიით სავსე, ამბიციური და თავისი მიღწევებით გასხივოსნებული წარმატებული კაცი, მოხვდა პრეტენზიულ ნეშტებს შორის, რომლებიც თავს ინტელექტუალ ელიტას უწოდებდნენ, ისინი გაუთავისებელი კულტურის გამოფიტული ნარჩენები იყვნენ და სხვების გონების მწუხრით იკვებებოდნენ, საკუთარი გამორჩეულობის ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთად გონების უარყოფა მოჰყავდათ და თავიანთ ერთადერთ სურვილად მსოფლიოს მართვისკენ სწრაფვა მიაჩნდათ. ლილიანი კი ამ ელიტას მიტმასნილი თაყვანისმცემელი იყო, მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი ამ წრისთვის დამახასიათებელი ბანალური დაცინვით გამოიხატებოდა, ის უსუსურებას თავის უპირატესობად მიიჩნევდა, ფუქსავატობას კი სათნოებად. ლილიანისთვის ჰენკი, რომელმაც არაფერი იცოდა ამ ადამიანების სიძულვილის შესახებ და გულუბრყვილო ზიზღს ჰგვრიდა ეს თვალთმაქცობა, მათი სამყაროსთვის სერიოზულ საფრთხეს, გამოწვევას და საყვედურს განასხეულებდა.

სურვილი, რომელიც სხვებს იმპერიის დამონებისკენ უბიძგებს, ლილიანის შემთხვევაში, ჰენკზე ზეგავლენის მოხდენის ჟინად იქცა. მან რიერდენის

განადგურება დაისახა მიზნად, თითქოს, — რაკი ქმრის სიდიადესთან გატოლება არ შეეძლო, — მის დაჯაბნას ამ სიდიადის განადგურებით შეძლებდა, თითქოს რიერდენის სიდიადის ხარისხს თვითონ დაისაკუთრებდა, თითქოს ვანდალი, რომელიც ქანდაკებას ანადგურებდა, მოქანდაკეზე აღმატებული გახდებოდა, თითქოს ბავშვის მკვლელი ამ ბავშვის მშობელ დედაზე აღმატებული გახდებოდა. ჰენკს ამის გაფიქრებაზე გააჟრჟოლა.

რიერდენს გაახსენდა, როგორ იგდებდა ლილიანი მასხრად მის სამუშაოს, ქარხნებს, მეტალს, წარმატებას, გაახსენდა, როგორ სურდა მას, ერთხელ მაინც ენახა მთვრალი, როგორ უბიძგებდა ღალატისკენ, როგორ სიამოვნებდა იმის გაფიქრება, რომ ჰენკი ბინძურ რომანში გაიხლართა, როგორ შეეშინდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ეს რომანი დეგრადაცია კი არა, მიღწევა იყო. ლილიანის თავდასხმის მიზანი, რომელსაც რიერდენი ვერა და ვერ ჩასწვდა, სინამდვილეში უცვლელი და ნათელი იყო — ლილიანს მისი თვითშეფასების განადგურება ეწადა, რადგან იცოდა, რომ ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს პატივს აღარ სცემს, ნებისმიერის გავლენას დაემორჩილება; ლილიანი რიერდენის ზნეობრივი სიწმინდის შებღალვას ცდილობდა, სურდა, ჰენკის სამართლიანობის რწმენა დანაშაულის გრძნობის შხამით დაემსხვრია — თითქოს, თუ რიერდენი დაეცემოდა, მისი გარყვნილება მასაც მისცემდა ბინძური საქციელის ჩადენის უფლებას.

იმავე მიზნითა და მიზეზით, რის გამოც სხვები თაობათა დასაღუპავად რთულ ფილოსოფიურ სისტემებს ხლართავდნენ ან ქვეყნის გასანადგურებლად დიქტატურას ამყარებდნენ, ლილიანმა, რომლის ერთადერთი იარაღიც ქალურობა იყო, თავის მიზნად ერთი კაცის განადგურება დაისახა.

„თქვენი კოდექსი სიცოცხლის კოდექსია“, — გაახსენდა რიერდენს თავისი დაკარგული ახალგაზრდა მასწავლებლის სიტყვები. „მაშინ მათი რაღაა?“ — გაიფიქრა მან.

— რაღაც უნდა გითხრა! — წამოიყვირა ლილიანმა იმ უსუსური გააფთრებით, როდესაც ნატრობ, რომ სიტყვები ბასრ იარაღად იქცეს, — ძალიან გეამაყება საკუთარი თავი, არა? ძალიან გეამაყება შენი სახელი! რიერდენის ფოლადი, რიერდენ მეტალი, რიერდენის ცოლი! ეს ვიყავი მე, არა? მისის რიერდენი! მისის ჰენრი რიერდენი! — ბგერები, რომელსაც ლილიანი გამოსცემდა, კაკანს ჰგავდა, ეს გაურკვეველი, დაუჯერებლად დამახინჯებული სიცილის ხმები იყო, — კეთილი, მგონი, გენდომება იმის გაგება, რომ შენი ცოლი სხვა კაცთან იწვა! მე შენ გიღალატე, გესმის? მე შენ გიღალატე, ვიღაც შესანიშნავ და კეთილშობილ საყვარელთან კი არა, ყველაზე საზიზღარ არარაობასთან, ჯიმ ტაგარტთან! სამი თვის წინ! განქორწინებამდე! მაშინ, როცა შენი ცოლი ვიყავი! მაშინ, როცა ჯერ კიდევ შენი ცოლი ვიყავი!

რიერდენი იდგა და ყოფილ ცოლს ისე უსმენდა, როგორც მეცნიერი სწავლობს საკვლევ საგანს, რომელსაც მისთვის არავითარი სუბიექტური მნიშვნელობა არ გააჩნია. და გაიფიქრა, რომ სწორედ ეს იყო კოლექტიური ურთიერთდამოკიდებულების კრედოს, ინდივიდუალურობის, საკუთრებისა და ფაქტის უარყოფის კრედოს დასასრული: შეხედულება, რომ ერთი ადამიანის ზნეობრივი ღირსება მეორის საქციელზეა დამოკიდებული.

— გიღალატე! ჩემი არ გესმის, შე უმწიკვლო პურიტანო? ჯიმ ტაგარტთან ვიწექი, შე მოუსყიდველო გმირო! არ გესმის ჩემი?.. არ გესმის ჩემი?.. არა?..

რიერდენი ისე შეჰყურებდა ლილიანს, თითქოს ქუჩაში გამვლელი, ვიღაც უცხო ქალი მიუახლოვდა და თავისი პირადი ცხოვრების შესახებ გამოუტყდა. „ამას მე რატომ მეუბნები?“ — ამბობდა რიერდენის მზერა.

ლილიანის ხმა შეწყდა. ჰენკმა არ იცოდა, როგორი იყო ადამიანის განადგურება; მაგრამ ერთი ნამდვილად იცოდა, რომ ახლა სწორედ ლილიანის განადგურებას ხედავდა. უყურებდა, როგორ მოეშვა უცებ ქალის სახის ნაკვთები, თითქოს მათ ერთად აღარაფერი აკავებდა. უყურებდა ლილიანის თვალებს, რომლებიც ვერაფერს ამჩნევდნენ, თუმცა იმზირებოდნენ, ოღონდ ეს მზერა სადღაც შიგნით იყო მიმართული, სადაც ისეთ საშინელებას ხედავდა, რომელსაც ვერავითარი გარე საფრთხე ვერ შეედრებოდა. ეს იმ ადამიანის მზერა კი არ იყო, რომელიც გონებას კარგავდა, არამედ გონიერი ადამიანის მზერა, რომელიც თავის სრულ და საბოლოო მარცხს შესცქერის, და საკუთარ ბუნებასაც პირველად ხედავს — ეს იმ ადამიანის გამოხედვა იყო, რომელმაც არსებობის უარყოფის მრავალწლიანი ქადაგების შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია არარსებობას.

რიერდენმა წასვლა დააპირა. დედამ ის კართან შეაჩერა და მკლავში ჩაეჭიდა.

ჯიუტი განცვიფრების გამომეტყველებით და თავის მოტყუების უკანასკნელი მცდელობით, ცრემლნარევი და გაღიზიანებული საყვედურის ტონით დაიკვნესა:

— მართლა არ შეგიძლია პატიება?

— არა, დედა, — უპასუხა რიერდენმა, — არ შემიძლია. წარსულს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაპატიებდით, თუ დღეს დაჟინებით მომთხოვდით, რომ შემეწყვიტა საქმიანობა და გავმქრალიყავი.

გარეთ ცივი ქარი ქროდა. რიერდენი პალტოში გაეხვია. გორაკის ძირში მწვანე სივრცე გადაჭიმულიყო, უკან — ნათელი, ბინდშეპარული ცა. დღეს თითქოს ორი დაისი ასრულებდა — დასავლეთით ჩამავალი მზის სხივები წითელ, სწორ და უძრავ ზოლად გაწოლილიყო, აღმოსავლეთით მოკიაფე წითელი ზოლი კი მისი ქარხნების დაისს იუწყებოდა.

ნიუ-იორკისკენ მიმავალ რიერდენს მანქანის საჭისა და გლუვი, სწორი გზატკეცილის შეგრძნება რატომღაც ძალას მატებდა. ეს იყო უკიდურესი სიზუსტისა და მოდუნების განცდა ერთდროულად, მოქმედების შეგრძნება ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, რატომღაც ამოუხსნელად ახალგაზრდული; განცდა, რომელიც ძალიან ჰგავდა მარტივ, განცვიფრების გამომხატველ კითხვას: „საერთოდაც, რატომ უნდა მოიქცეს ოდესმე ადამიანი სხვანაირად?“

როდესაც ჰორიზონტზე ნიუ-იორკი აღიმართა, რიერდენს მოეჩვენა, რომ ქალაქს უცნაურად მანათობელი სიცხადე ჰქონდა, თუმცა კონტურების გარჩევა ასე შორიდან შეუძლებელი იყო. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ამ სიცხადეს თვითონ მისგანვე გამომავალი ნათება განაპირობებდა. რიერდენმა დიდ ქალაქს გახედა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რად გადააქციეს ადამიანებმა ის. რიერდენისთვის ეს არც განგსტერების ქალაქი იყო, არც მათხოვრების, არც მაწანწალების და არც მეძავების. ნიუ-იორკი კაცობრიობის უდიდესი სამრეწველო მიღწევა იყო, სხვა ყველაფერი უმნიშვნელო ჩანდა. რიერდენის მზერაში, როდესაც ნიუ-იორკს გაჰყურებდა, ამ ქალაქთან მისი სულიერი ნათესაობის განცდა იკითხებოდა. თვალს ვეღარ სწყვეტდა, თითქოს პირველად ხედავდა მას, ანდა უკანასკნელად.

„უეინ-ფოლკლენდის“ ჩუმ დერეფანში, იმ კართან, რომელიც უნდა შეეღო, ერთი წუთით შეჩერდა; ძალიან გაუჭირდა ხელის აწევა და კარზე დაკაკუნება: ოდესღაც ეს ნომერი ფრანცისკო დ'ანკონიას ეკუთვნოდა.

სასტუმრო ოთახში, ხავერდის პორტიერებსა და ცარიელ, გაპრიალებულ მაგიდებს შორის, სიგარეტის კვამლი ტორტმანებდა. ძვირად ღირებული ავეჯით სავსე ოთახს, სადაც ერთი პირადი ნივთიც კი არსად ჩანდა, დროებითი სამყოფლისთვის დამახასიათებელი პირქუში ფუფუნების ელფერი ჰქონდა, ისეთივე დამთრგუნველი, როგორიც იაფფასიანი სასტუმროს ელფერია. როდესაც რიერდენი შევიდა, დანისლულ ოთახში ხუთი ადამიანი წამოდგა ფეხზე: უესლი მაუჩი, იუჯინ ლოუსონი, ჯეიმს ტაგარტი, დოქტორი ფლოიდ ფერისი და გამხდარი, ტლანქი კაცი, რომელიც გაქნილ ჩოგბურთელს ჰგავდა და რომელიც რიერდენს ტინკი ჰოლოვეიდ წარუდგინეს.

— კარგი, — თქვა რიერდენმა, მისალმებებისთვის, ღიმილებისთვის“ სასმლის შეთავაზებებისა და ქვეყანაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობაზე კომენტარებისთვის ბოლო რომ მოეღო, — რა გნებავდათ?

— ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ, მისტერ რიერდენ, — მიმართა მას ტინკი ჰოლოვეიმ, — მხოლოდ და მხოლოდ თქვენი მეგობრები, აქ არაოფიციალური საუბრისთვის შევიკრიბეთ, რომლის მიზანიც ორმხრივი გუნდური მუშაობის გაძლიერებაა.

— ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, გამოვიყენოთ თქვენი განსაკუთრებული ნიჭი, — თქვა ლოუსონმა, — და თქვენი კომპეტენტური რჩევა ქვეყნის სამრეწველო პრობლემებთან დაკავშირებით.

— ვაშინგტონში სწორედ თქვენნაირი ხალხია საჭირო, — მიმართა რიერდენს დოქტორმა ფერისმა, — რატომ უნდა იყოთ ამდენ ხანს ისევ გარეშე პირი, როდესაც თქვენი ხმა სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს დონეზე გვჭირდება.

რიერდენის აზრით, გულის ამრევს ამ სიტყვებს ის ხდიდა, რომ ისინი მხოლოდ სანახევროდ იყო ტყუილი; მათი ისტერიკულ-დაჟინებული ტონის მეორე ნახევარში კი გამოიხატებოდა გამოუთქმელი ნატვრა, რომ ეს სიტყვები რამენაირად სიმართლე ყოფილიყო.

— რა გნებავდათ? — იკითხა მან.

— როგორ თუ რა... თქვენი მოსმენა, მისტერ რიერდენ, — უპასუხა უესლი მაუჩმა შეშინებული ღიმილით; ღიმილი ყალბი იყო, შიში კი ნამდვილი, — ჩვენ... ჩვენ გვინდა, გავეცნოთ თქვენს თვალსაზრისს ქვეყნის სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით.

— მე არაფერი მაქვს სათქმელი.

— კი მაგრამ, მისტერ რიერდენ, — თქვა დოქტორმა ფერისმა, — ჩვენ მხოლოდ თქვენთან თანამშრომლობას ვცდილობთ.

— ერთხელ უკვე გითხარით, საჯაროდ, რომ მე მუქარის ძალით არ ვთანამშრომლობ.

— არ შეიძლება, ასეთ დროს მაინც გადავდოთ გვერდზე იარაღი? — მიმართა ლოუსონმა რიერდენს ვედრების ტონით.

— იარაღი? მიდით.

— რა?

— თქვენ გიჭირავთ იარაღი. გადადეთ ის გვერდზე, თუ შეძლებთ.

— ეს... ეს მხოლოდ სიტყვის მასალა იყო, — სცადა ახსნა ლოუსონმა, თან თვალებს ახამხამებდა, — მე მეტაფორულად ვთქვი.

— მე კი არა.

— არ შეიძლება, ქვეყნისთვის ასეთ კრიტიკულ დროს ყველანი ერთად დავდგეთ?

— თქვა დოქტორმა ფერისმა, — არ შეიძლება, აზრთა სხვადასხვაობა დავივიწყოთ?

ჩვენ მზად ვართ, დათმობაზე წავიდეთ. თუ ჩვენი პოლიტიკის რომელიმე ასპექტი არ მოგწონთ, უბრალოდ, გვითხარით და ჩვენ დირექტივას გამოვცემთ...

— მორჩით, ბიჭებო. მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ დაგეხმაროთ თავის მოკატუნებაში, თითქოს ჩემი მდგომარეობა იმაზე უკეთესია, ვიდრე არის, და თითქოს ჩვენ შორის რაიმე კომპრომისი შესაძლებელი იყოს. საქმეზე გადავიდეთ. თქვენ რაღაც მორიგი მახე დაუგეთ ფოლადის მრეწველობას. ასე არ არის?

— სინამდვილეში, — თქვა მაუჩმა, — სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი უნდა განგვეხილა ფოლადის მრეწველობასთან დაკავშირებით, მაგრამ... მაგრამ თქვენი საუბრის ენა, მისტერ რიერდენ!

— ჩვენ არ გვსურს, თავს დაგესხათ, — მიმართა რიერდენს ჰოლოვეიმ, — აქ იმისთვის დაგიბარეთ, რომ თქვენთან ერთად გვემსჯელა ამ საკითხზე.

— მე აქ ბრძანებების მისაღებად მოვედი. მიბრძანეთ.

— მაგრამ, მისტერ რიერდენ, თქვენთან ასეთი ურთიერთობა არ გვინდა. არ გვინდა, გიბრძანოთ რაიმე. ჩვენ თქვენი ნებაყოფლობითი თანხმობა გვჭირდება.

რიერდენმა გაიღიმა:

— ვიცი.

— იცით? — დაიწყო ჰოლოვეიმ აღტაცებით, მაგრამ მალე რიერდენის ღიმილში ისეთი რაღაც შენიშნა, რამაც ეჭვში ჩააგდო, — კარგი, მაშინ...

— შენ კი, მეგობარო, — თქვა რიერდენმა, — იცი, რომ ეს არის თქვენი თამაშის ხარვეზი, საბედისწერო ხარვეზი. ახლა კი, მეტყვით, რას ამზადებთ ჩემ წინააღმდეგ და რის დამალვას ცდილობთ ასეთი მონდომებით, თუ წავიდე სახლში?

— ოჰ, არა, მისტერ რიერდენ! — წამოიძახა ლოუსონმა, თან უცებ მაჯის საათს დახედა, — ახლა არ უნდა წახვიდეთ! ანუ არ უნდა წახვიდეთ, ვიდრე არ მოისმენთ, რისი თქმაც გვინდა თქვენთვის.

— მაშინ მითხარით, რისი თქმაც გინდათ.

რიერდენმა დაინახა, როგორ გადახედეს მათ ერთმანეთს. უესლი მაუჩს თითქოს ეშინოდა, მისთვის მიემართა; მაუჩის გამომეტყველება მოუთმენელ დაჟინებას გამოხატავდა, რაც დანარჩენებისთვის ამოქმედების განკარგულებას ნიშნავდა; რა კომპეტენციაც არ უნდა ჰქონოდათ ამ ადამიანებს ფოლადის მრეწველობის ბედის გადაწყვეტის საქმეში, ისინი იქ ისე მიეყვანათ, როგორც მაუჩის მხარდამჭერები საუბრის დროს.

რიერდენი ჯეიმს ტაგარტის იქ ყოფნის მიზეზმა დააინტერესა; დაღვრემილი ტაგარტი უსიტყვოდ წრუპავდა სასმელს და ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის.

— ჩვენ გეგმა შევიმუშავეთ, — თქვა დოქტორმა ფერისმა ყალბი ხალისით, — ეს გეგმა ფოლადის მრეწველობის პრობლემებს გადაჭრის და თქვენს სრულ მოწონებას დაიმსახურებს, როგორც ზომა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ამასთანავე, თქვენს ინტერესებს და უსაფრთხოებასაც დაიცავს...

— ნუ ცდილობთ, გამოიცნოთ, მე რას ვიფიქრებ. ფაქტებზე ილაპარაკეთ.

— ეს კარგი, გონივრული, სამართლიანი გეგმაა...

— თქვენი შეფასებები არ მჭირდება. ფაქტებზე ილაპარაკეთ.

— ეს არის გეგმა, რომელიც... — დოქტორი ფერისი გაჩუმდა; მან ფაქტების დასახელების უნარი დაკარგა.

— ამ გეგმის მიხედვით, — თქვა უესლი მაუჩმა, — ჩვენ მრეწველობას ხუთპროცენტიან ზრდას მოვუტანთ ფოლადის ღირებულებაში.

და მოზეიმე გამომეტყველებით გაჩუმდა.

რიერდენს არაფერი უთქვამს.

— რა თქმა უნდა, მცირე შესწორებები დასჭირდება, — თქვა ჰოლოვეიმ უდარდელად და ისე დაარღვია სიჩუმე, თითქოს ცარიელ საჩოგბურთო მოედანზე ბურთივით დამხტარიყო, — რკინის მადნის მწარმოებლებსაც უნდა მიეცეთ ფასების გაზრდის საშუალება — ოჰ, მაქსიმუმ სამი პროცენტით — იმ დამატებითი სიძნელეების გათვალისწინებით, რომლებსაც ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მისტერ ლარკინი მინესოტადან, ახლა წააწყდება იმის გამო, რომ მადნის გადაზიდვა ძვირად ღირებული საშუალებით მოუწევთ — სატვირთო მანქანებით, რადგან მისტერ ჯეიმს ტაგარტს მოუხდა, მინესოტას სარკინიგზო ხაზი საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის შეეწირა. და, რა თქმა უნდა, ქვეყნის სარკინიგზო კომპანიებს უნდა მიეცეთ საშუალება, გაზარდონ ტვირთის გადატანის ტარიფი — დაახლოებით შვიდი პროცენტით — უკიდურესად არსებითი საჭიროების გათვალისწინებით...

ჰოლოვეი იმ მოთამაშის მსგავსად გაჩერდა, რომელიც გრიგალისებური მოძრაობებიდან გამოერკვა და უცებ შენიშნა, რომ მის დარტყმებს მეტოქე არ პასუხობდა.

— მაგრამ ხელფასები არ გაიზრდება, — თქვა დოქტორმა ფერისმა ნაჩქარევად, — ამ გეგმის არსებითი პუნქტი ის არის, რომ ფოლადის მწარმოებელი კომპანიის მუშებს ხელფასებს არ გავუზრდით, მიუხედავად მათი დაჟინებული მოთხოვნებისა.

ჩვენ გვსურს, თქვენთან მიმართებით სამართლიანები ვიყოთ, მისტერ რიერდენ, და დავიცვათ თქვენი ინტერესები, თუნდაც სახალხო გულისწყრომა და აღშფოთება დაგვატყდეს თავს.

— რა თქმა უნდა, თუ ჩვენ გვსურს, მუშებმა მსხვერპლი გაიღონ, — თქვა ლოუსონმა, — მათ უნდა ვუჩვენოთ, რომ ხელმძღვანელობაც წირავს გარკვეულ მსხვერპლს ქვეყნის გულისთვის. ფოლადის მრეწველობაში ამჟამად მუშათა განწყობა განსაკუთრებით დაძაბულია, მისტერ რიერდენ, ფეთქებადსაშიშია და... და იმისთვის, რომ დაგიცვათ... დაგიცვათ... — ლოუსონი გაჩერდა.

— დიახ? — ჰკითხა რიერდენმა, — რისგან?

— მოსალოდნელი... ძალადობისგან, საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, რომლებიც... მოიხედე, ჯიმ, — ლოუსონი უცებ ჯეიმს ტაგარტს მიუბრუნდა — რატომ შენ არ უხსნი ამას მისტერ რიერდენს, როგორც მეწარმე მეწარმეს?

— კარგი, რკინიგზას მხარდაჭერა სჭირდება, — თქვა ტაგარტმა მოულოდნელად, ისე, რომ რიერდენისთვის არც კი შეუხედავს, — ქვეყანას სჭირდება რკინიგზა და ვინმე უნდა ამოგვიდგეს მხარში, თუ ჩვენ არ გავზრდით ტვირთის გადაზიდვის ტარიფებს...

— არა, არა, არა! — წამოიძახა უესლი მაუჩმა, — მისტერ რიერდენს რკინიგზის გაერთიანების გეგმის მუშაობის შესახებ მოუყევი.

— კარგი, ეს გეგმა სავსებით წარმატებულია, — თქვა ტაგარტმა ლეთარგიულად, — თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დროის ელემენტი სრულად ვერ კონტროლდება. მხოლოდ დროის საკითხია, როდის მოვახერხებთ ჩვენი გაერთიანებული გუნდური მუშაობით ქვეყნის ყველა რკინიგზის ფეხზე დაყენებას. ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ეს გეგმა ნებისმიერი სხვა მრეწველობის შემთხვევაშიც წარმატებულად იმუშავებს.

— ამაში ეჭვი არ მეპარება, — თქვა რიერდენმა და მაუჩს მიუბრუნდა, — რატომ სთხოვთ თქვენს ხელქვეითს, რომ დრო დამაკარგვინოს? რა კავშირი აქვს რკინიგზის გაერთიანების გეგმას ჩემთან?

— კი მაგრამ, მისტერ რიერდენ, — წამოიძახა მაუჩმა თავდაუზოგავი ხალისით, — ეს სწორედ ის მოდელია, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმოქმედოთ! სწორედ ამის განსახილველად დაგიბარეთ აქ!

— რა?

— ფოლადის მწარმოებელი კომპანიების გაერთიანების გეგმა!

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ჩაყვინთვის შემდეგ სულს ითქვამდნენ. რიერდენი მათ ინტერესით შესცქეროდა.

— ფოლადის მრეწველობაში არსებული კრიტიკული მდგომარეობის გათვალისწინებით, — წამოიწყო უესლი მაუჩმა უეცარი აჩქარებით, თითქოს საკუთარ თავს დროს არ აძლევდა იმის გასაცნობიერებლად, თუ რატომ აგრძნობინა რიერდენის მზერამ თავი უხერხულად, — და, რადგან ფოლადი სასიცოცხლო და არსებითი მნიშვნელობის მოხმარების საგანია, მთელი ჩვენი სამრეწველო სტრუქტურის საფუძველი, საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება ქვეყნის ფოლადსასხმელი ქარხნების შესანარჩუნებლად. — აქ მაუჩს ორატორულმა პათოსმა უღალატა, — ამ მიზნის გათვალისწინებით, ჩვენი გეგმა არის... ჩვენი გეგმა არის...

— ჩვენი გეგმა მართლაც ძალიან მარტივია, — თქვა ტინკი ჰოლოვეიმ და შეეცადა, თავისი ნათქვამი ნაძალადევად უშუალო ტონით განემტკიცებინა, — ჩვენ ყველა შეზღუდვას მოვხსნით ფოლადის წარმოებაზე და თითოეული კომპანია იმდენ ფოლადს აწარმოებს, რამდენიც შეეძლება, მთელი თავისი შესაძლებლობების გამოყენებით. მაგრამ დაუნდობელი კონკურენციით გამოწვეული დანაკარგისა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ყველა კომპანია თავის მთლიან შემოსავალს საერთო ფონდში განათავსებს, რომელსაც ფოლადის გაერთიანების ფონდი ერქმევა და საგანგებო საბჭოს მიერ იქნება მართული. წლის ბოლოს საბჭო ამ შემოსავლებს გადაანაწილებს შემდეგი მეთოდით — ის შეაჯამებს ქვეყნის ფოლადის ნაწარმს და ამ რიცხვს მარტენის ღუმლების საერთო რაოდენობაზე გაყოფს, ამგვარად, მივიღებთ საშუალო არითმეტიკულს, რომელიც ყველასთვის სამართლიანი იქნება — და ყველა კომპანიას მისი საჭიროებისდა მიხედვით გადაუხდიან. რადგან კომპანიისთვის უმთავრესი საჭიროება ბრძმედების შენარჩუნებაა, ყოველ მათგანს მისი კუთვნილი ბრძმედების რაოდენობის მიხედვით გადაუხდიან.

ჰოლოვეი გაჩერდა, ცოტა ხანს დაიცადა, შემდეგ კი განაგრძო.

— აი, ასეთია ჩვენი გეგმა, მისტერ რიერდენ, — და პასუხი რომ ვერ მიიღო, დაამატა, — ოჰ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი, მაგრამ... მაგრამ, გეგმა ასეთია. რიერდენის რეაქცია ნამდვილად მოულოდნელი გამოდგა მათთვის — ის სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, ყურადღებიანი მზერა ჰქონდა, მაგრამ თვალი სივრცისთვის გაეშტერებინა, თითქოს სადღაც ძალიან შორს იყურებოდა, შემდეგ კი რაღაც უცნაური, გულგრილი ირონიით იკითხა:

— ბიჭებო, ერთი ეს მითხარით: რისი იმედი გაქვთ?

რიერდენმა იცოდა, რომ ისინი მიუხვდნენ, დაინახა მათი დაჟინებულად ცბიერი გამოხედვა, რომელსაც ცოტა ხნით ადრე მატყუარას მიაწერდა, მსხვერპლს რომ ატყუებს, თუმცა ახლა უკვე ხვდებოდა, რომ სინამდვილეში საქმე გაცილებით უარესად იყო: ეს იმ ადამიანის მზერა იყო, რომელიც საკუთარ სინდისს ატყუებს. მათ

პასუხი არ გაუციათ. ხმას არ იღებდნენ, თითქოს იმას კი არ ცდილობდნენ, რიერდენს დავიწყებოდა თავისი შეკითხვა, არამედ თავად დავიწყებოდათ, ის რომ მოისმინეს.

— ეს საიმედო და პრაქტიკული გეგმაა! — მოულოდნელად წამოიძახა ჯეიმს ტაგარტმა, უეცარი ბრაზით გამოცოცხლებული ხმით, — ის იმუშავებს! მან უნდა იმუშაოს! ჩვენ გვინდა, რომ მან იმუშაოს!

ტაგარტს არავინ გამოეპასუხა.

— მისტერ რიერდენ?.. — წარმოთქვა ჰოლოვეიმ მოკრძალებით.

— კეთილი, მოდით, გავერკვეთ, — თქვა რიერდენმა, — ორენ ბოილის „ესოშიეიტიდ სტილი“ სამოც ფოლადის სადნობ ბრძმედს ფლობს, ერთი მესამედი ამ ბრძმედებისა არ ფუნქციონირებს, დანარჩენი ბრძმედები კი, თითოეული, საშუალოდ სამას ტონა ფოლადს აწარმოებს დღეში. მე ოცი ბრძმედი მაქვს, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობს და თითოეული დღეში 750 ტონა რიერდენ მეტალს აწარმოებს. ასე რომ, ჩვენ გვაქვს ფონდში გაერთიანებული ოთხმოცი ბრძმედი, რომელთა ნაწარმი შეადგენს 27 000 ტონას, ანუ თითო ბრძმედზე საშუალოდ 337,5 ტონა მოდის. წლის თითოეულ დღეს მე ვაწარმოებ 15 000 ტონას და მე გადამიხდიან 6 750 ტონისთვის. ბოილს კი, რომელიც 12 000 ტონას აწარმოებს, გადაუხდიან 20 250 ტონისთვის. ფონდის სხვა წევრები სახსენებელიც კი არ არიან, ისინი ვერ შეცვლიან საერთო სურათს, გარდა იმისა, რომ საშუალო მაჩვენებელს კიდევ უფრო შეამცირებენ, უმეტესობა მათგანი ბოილზე უარესად მუშაობს, არც ერთი არ აწარმოებს იმდენს, რამდენსაც მე. ახლა კი, მითხარით, თქვენი აზრით, რამდენ ხანს შევძლებ წარმოებას ამ გეგმით?

რიერდენისთვის პასუხი არავის გაუცია. შემდეგ კი ლოუსონმა წამოიყვირა ვითომდა სამართლიანი ბრაზით აღვსილი ხმით:

— როდესაც სახელმწიფო ასეთ საფრთხეშია, თქვენი ვალია, იმსახუროთ, დაიტანჯოთ და იმუშაოთ ქვეყნის გადასარჩენად!

— ვერ ვხვდები, როგორ გადაარჩენს ქვეყანას ჩემი ფულის ორენ ბოილის ჯიბეში გადანაცვლება.

— თქვენ გარკვეული მსხვერპლი უნდა გაიღოთ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის!

— ვერ ვხვდები, რატომ არის ორენ ბოილის კეთილდღეობა უფრო „საზოგადოებრივი“, ვიდრე ჩემი.

— ოჰ, მისტერ ბოილი არაფერ შუაში არ არის! ეს პრობლემა ნებისმიერ ადამიანზე გაცილებით უფრო მრავლისმომცველია. საქმე ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას ეხება, მაგალითად, ქარხნების შენარჩუნებას, და, საერთოდ, მთელი ქვეყნის მრეწველობის გადარჩენას. ჩვენ ვერ დავუშვებთ ისეთი დიდი წარმოების განადგურებას, როგორიც მისტერ ბოილის კომპანიაა. ქვეყანას სჭირდება ის.

— მე ვფიქრობ, — თქვა რიერდენმა აუჩქარებლად, — რომ ქვეყანას მე უფრო მეტად ვჭირდები, ვიდრე ორენ ბოილი.

— რა თქმა უნდა, ასეა! — წამოიძახა ლოუსონმა აღტკინებით, — თქვენ სჭირდებით ქვეყანას, მისტერ რიერდენ! თქვენ აცნობიერებთ ამას, ხომ ასეა?

მაგრამ ლოუსონის ხარბი აღფრთოვანება საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის საყვარელი დოგმატით მყისვე ჩაიფერფლა, როგორც კი რიერდენმა ვაჭრისთვის დამახასიათებელი გულგრილი ხმით მიუგო:

— ვაცნობიერებ.

— ეს მარტო ბოილს არ ეხება, — თქვა ჰოლოვეიმ მუდარის ტონით, — ქვეყნის ეკონომიკა ვეღარ გაუძლებს სერიოზულ ცვლილებებს. ბოილის კომპანიაზე ათასობით მუშა, მომწოდებელი და მომხმარებელია დამოკიდებული. რა ბედი ეწევათ მათ, თუ „ესოშიეიტიდ სთილი“ გაკოტრდება?

— რა ბედი ეწევა ათასობით მუშას, მომწოდებელსა და მომხმარებელს, როცა მე გავკოტრდები?

— თქვენ, მისტერ რიერდენ? — მიმართა ჰენკს ჰოლოვეიმ გაკვირვებით, — კი მაგრამ, თქვენ დღეს ქვეყნის ყველაზე შეძლებული, წინდახედული და ძლიერი მეწარმე ხართ!

— მომავალზე რას იტყვით?

— რა?

— თქვენი აზრით, რამდენ ხანს შევძლებ წაგებაზე მუშაობას?

— ოჰ, მისტერ რიერდენ, მე თქვენი მწამს!

— ეშმაკს წაულია თქვენი რწმენა! თქვენი აზრით, რამდენ ხანს გავუძლებ ამას?

— თქვენ ეს გამოგივათ!

— მაინც, როგორ?

ჰოლოვეიმ არაფერი უპასუხა.

— რა დროს მომავლის შესახებ თეორიული მსჯელობაა, — წამოიძახა უესლი მაუჩმა, — როდესაც სახელმწიფო თავზე გვემხობა! ქვეყნის ეკონომიკა უნდა გადავარჩინოთ! რაღაც უნდა ვიღონოთ! — რიერდენის მშვიდმა და ცნობისმოყვარე მზერამ მაუჩს სიფრთხილე გადაავიწყა, — თუ ეს არ მოგწონთ, შეგიძლიათ, პრობლემის გადაწყვეტის უკეთესი გზა შემოგვთავაზოთ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა რიერდენმა ხალისიანად, — თუ თქვენ პროდუქცია გჭირდებათ, გადექით, მოაშორეთ ყველა თქვენი წყეული რეგულაცია, ხელი არ შეუშალოთ ორენ ბოილის გაკოტრებას, მომეცით საშუალება, შევისყიდო „ესოშიეიტიდ სთილი“ — და მისი სამოცივე ბრძმედი ყოველდღე ათას ტონას ჩამოასხამს.

— ოჰ, მაგრამ... მაგრამ ამას ვერ ვიზამთ! — თითქოს სული შეეხუთაო, ისე თქვა მაუჩმა, — ეს მონოპოლია იქნება!

რიერდენმა ჩაიცინა.

— კეთილი, — თქვა მან გულგრილად, — მაშინ ჩემი ქარხნის მმართველს მიეცით უფლება, იყიდოს ბოილის ქარხანა. ის საქმეს ბოილზე უკეთ გაუძღვება.

— ოჰ, გამოვა, რომ ძლიერს მივეცით უფლება, სუსტი დაჩაგროს! ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ!

— მაშინ ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენაზე ნუღარ ლაპარაკობთ.

— ჩვენ მხოლოდ ის გვინდა... — მაუჩი გაჩერდა.

— თქვენ გინდათ წარმოება იმ ადამიანების გარეშე, რომელთაც რაიმეს წარმოება შეუძლიათ, ასე არ არის?

— ეს... ეს თეორიაა. თეორიული უკიდურესობა, სხვა არაფერი. ჩვენ მხოლოდ დროებითი რეგულირება გვინდა.

— თქვენ უკვე წლებია, რაც ამ დროებითი რეგულაციით სარგებლობთ. ვერ ხვდებით, რომ თქვენი დრო უკვე ამოწურეთ?

— ეს მხოლოდ თეო... — მაუჩმა ფრაზა აღარ დაასრულა.

— კარგი მაშინ, ახლა მომისმინეთ, — მიმართა რიერდენს ჰოლოვეიმ თავშეკავებულად, — მისტერ ბოილი სინამდვილეში არც ისეთი... სუსტია. მისტერ

ბოილი უაღრესად ნიჭიერი კაცია. უბრალოდ, რამდენიმეჯერ ბედმა უმუხთლა, მასზე არაფერი იყო დამოკიდებული. მან დიდი თანხები ჩადო ჰუმანურ სამოქალაქო პროექტში სამხრეთ ამერიკის გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად და სპილენძის ბიზნესის განადგურებამ სერიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა. ასე რომ, ეს მხოლოდ ფეხზე წამოდგომის შესაძლებლობის მიცემაა ბოილისთვის, დროებით დახმარების ხელის გაწვდენა, მეტი არაფერი. ჩვენ მხოლოდ ზარალის გათანაბრება მოგვიწევს — შემდეგ კი ყველა ფეხზე დადგება და წარმატებას მიაღწევს.

— თქვენ ას წელზე მეტია, რაც ზარალს ათანაბრებთ, — რიერდენი შეჩერდა — ათასობით წელია, — განაგრძო მერე აუჩქარებლად, — ვერ ხვდებით, რომ უკვე გზის ბოლოში ხართ?

— ეს მხოლოდ თეორიაა! — წამოიძახა უესლი მაუჩმა.

რიერდენმა გაიღიმა.

— თქვენს პრაქტიკას უკვე ვიცნობ, — თქვა მან ხმადაბლა, — აი, თქვენს თეორიას კი ვერა და ვერ ჩავწვდი.

რიერდენმა იცოდა, რომ ამ გეგმის უკან ორენ ბოილი იდგა; იცოდა, რომ ჩახლართული მექანიზმი, რომელიც გამოძალვით, მუქარით, ზეწოლითა და შანტაჟით იმართებოდა და იმ ირაციონალურ არითმომეტრს ჰგავდა, წამიერი კაპრიზის საფუძველზე რომ იღებს შემთხვევით ჯამს, მოულოდნელად დაექვემდებარა ბოილის ზეწოლას ამ ადამიანებზე, მოთხოვნით, ეს უკანასკნელი ნადავლი მოეპოვებინათ მისთვის. რიერდენმა ისიც იცოდა, რომ ბოილი არ იყო ამ ყველაფრის მიზეზი და ძირითადი ფაქტორი. ბოილი მხოლოდ შემთხვევითი მესაჭე იყო და არა შემქმნელი იმ ჯოჯოხეთური მანქანისა, რომელმაც მსოფლიო გაანადგურა, არც ბოილი და არც იქ მყოფი რომელიმე ადამიანი. ისინიც მხოლოდ მგზავრები იყვნენ მანქანაში, რომელსაც მძღოლი არ ჰყავდა, მოცახცახე მგზავრები, რომლებმაც იცოდნენ, რომ ეს მანქანა სულ მალე უფსკრულში გადაეშვებოდა — მათ ბოილისადმი სიყვარული ან შიში კი არ უბიძგებდათ, კურსი არ შეეცვალათ და სიკვდილს შეჩეხებოდნენ, არამედ რაღაც სხვა, უსახელო ელემენტი, რომელსაც კარგად იცნობდნენ და საკუთარ თავს უმალავდნენ. ეს არც აზრი იყო და არც იმედი, არამედ რაღაც ისეთი, რაც რიერდენმა მზერასთან გააიგივა, ცბიერ მზერასთან, რომელიც თითქოს ამბობდა: „მე აქედან გამოვძვრები“. „რატომ ჰგონიათ, რომ ამას შეძლებენ?“ — ფიქრობდა რიერდენი.

— თეორიული მსჯელობების დრო არ გვაქვს! — წამოიძახა უესლი მაუჩმა, — ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ!

— კარგი, მაშინ მე სხვა გზას შემოგთავაზებთ პრობლემის გადასაწყვეტად. რატომ არ ჩამომართმევთ ქარხნებს და არ დაამთავრებთ ამ საქმეს?

მათ რიერდენის სიტყვებზე შიშისგან გააჟრჟოლათ.

— ოჰ, არა! — წამოიძახა მაუჩმა.

— ამაზე ფიქრიც არ გვინდა! — წამოიყვირა ჰოლოვეიმ.

— ჩვენ თავისუფალ მეწარმეობას ვუჭერთ მხარს! — შესძახა დოქტორმა ფერისმა.

— სულაც არ გვინდა, რამე გავნოთ! — წამოიძახა ლოუსონმა, — ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ, მისტერ რიერდენ. ნუთუ არ შეიძლება, ერთობლივი ძალებით ვიმუშაოთ? ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ.

ოთახის შორეულ კუთხეში, მაგიდაზე, ტელეფონი იდო, სავარაუდოდ, იგივე მაგიდა და იგივე ტელეფონი — და უცბად რიერდენს მოეჩვენა, თითქოს დაინახა კაცი, რომელიც ამ ტელეფონისკენ დახრილიყო და ცახცახებდა, კაცს, რომელმაც მაშინ

უკვე იცოდა ის, რის გაცნობიერებასაც რიერდენი მხოლოდ ახლა იწყებდა. ის კაცი მთელი ძალით ებრძოდა საკუთარ თავს, რომ უარი ეთქვა რიერდენისთვის იმავე თხოვნაზე, რაზედაც ახლა რიერდენი ეუბნებოდა უარს ოთახის იმჟამინდელ მოიჯარეებს — დაინახა ამ ბრძოლის დასასრული, იმ კაცის განაწამები სახე, გაიგონა მისი სასოწარკვეთილი ხმა, რომელიც მტკიცედ ეუბნებოდა: „მისტერ რიერდენ, გეფიცებით... იმ ქალს, რომელიც მიყვარს... რომ მე თქვენი მეგობარი ვარ“.

ეს საქციელი მაშინ რიერდენმა ღალატად მიიჩნია და ის კაციც უარყო, რათა იმ ადამიანების მსახურება გაეგრძელებინა, ახლა აქ მის წინაშე რომ ისხდნენ. „ამ შემთხვევაში ვინ გამოდის მოღალატე?“ — გაიფიქრა რიერდენმა თითქმის გულგრილად, განცდის უფლების გარეშე, მხოლოდ რაღაცნაირ საზეიმო, მოკრძალებულ სიცხადეს აცნობიერებდა. ვინ მისცა ამჟამინდელ მოიჯარეებს ამ ოთახის დაქირავების სახსრები? ვინ გაწირა, და ვისი გულისთვის?

— მისტერ რიერდენ! — დაიკვნესა ლოუსონმა, — რა დაგემართათ?

რიერდენმა თავი მიაბრუნა და როდესაც მისი შეშინებული თვალები დაინახა, მიხვდა, რაც წაიკითხა ლოუსონმა მის სახეზე.

— ჩვენ არ გვინდა თქვენთვის ქარხნების წართმევა! — წამოიძახა მაუჩმა.

— ჩვენ არ გვსურს, ქონება ჩამოგართვათ! — მხარი აუბა დოქტორმა ფერისმა, — თქვენ არ გესმით ჩვენი!

— მე ვიწყებ თქვენს გაგებას.

რიერდენი ფიქრობდა, რომ ერთი წლის წინ ისინი მას მოკლავდნენ; ორი წლის წინ კი ქონებას ჩამოართმევდნენ; თაობების წინ ამგვარ ადამიანებს თავისუფლად შეეძლოთ, მკვლელობა ჩაედინათ და ჩამოერთმიათ ქონება ისე, რომ საკუთარ თავთან და მსხვერპლებთან ეთვალთმაქცათ, თითქოს ერთადერთ მიზნად მხოლოდ მატერიალური ძარცვა დაესახათ. მაგრამ მათი დრო იწურებოდა, რიერდენის ბედის თანაზიარი მსხვერპლები იმაზე ადრე წასულიყვნენ, ვიდრე რომელიმე ისტორიული წინასწარმეტყველება ვარაუდობდა და ახლა მძარცველებს მოუწევდათ, თვალი გაესწორებინათ საკუთარი მიზნის შეუნიღბავი რეალობისთვის.

— მისმინეთ, ბიჭებო, — თქვა რიერდენმა მოქანცული ხმით, — ვიცი, რაც გინდათ.

თქვენ გინდათ, შთანთქათ ჩემი ქარხნები, ოღონდ ისე, რომ მათ ფუნქციონირება მაინც განაგრძონ. მე კი მხოლოდ ამის გაგება მსურს: მაინც რა გაფიქრებინებთ, რომ ეს შესაძლებელია?

— ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ, — უპასუხა მაუჩმა განაწყენებით, — ჩვენ უკვე გითხარით, რომ არ გვინდა თქვენი ქარხნები.

— კარგი, უფრო კონკრეტულად ვიტყვი. თქვენ ჩემი განადგურებაც გინდათ და ამასთანავე, ჩემი შენარჩუნებაც. როგორ აპირებთ, ეს გააკეთოთ?

— ვერ ვხვდები, ამას როგორდა ამბობთ მას მერე, რაც სრული გარანტია მოგეცით, რომ ჩვენ ფასდაუდებლად მნიშვნელოვან ადამიანად მიგიჩნევთ ქვეყნისთვის, ფოლადის მრეწველობისთვის...

— მე მჯერა თქვენი. ეს კიდევ უფრო ართულებს საქმეს. თქვენ მე ქვეყნისთვის ფასდაუდებლად მნიშვნელოვან ადამიანად მიმიჩნევთ? ჯანდაბა, თქვენ თქვენი საკუთარი ტყავისთვისაც ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი გგონივართ. სხედხართ აქ და შიშისგან ცახცახებთ, რადგან იცით, რომ უკანასკნელი ვარ, ვისაც თქვენი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. ისიც იცით, რომ ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. თუმცა მაინც ამზადებთ გეგმას ჩემს გასანადგურებლად, გეგმას, რომელიც არც ერთ

შემოვლით გზას, არავითარ გამოსავალს არ მიტოვებს და იდიოტური პრიმიტიულობით მოითხოვს ჩემგან, რომ წაგებაზე ვიმუშაო, რომ ვიმუშაო მაშინ, როცა თითოეული ტონა ლითონის ჩამოსხმა იმაზე მეტი დამიჯდება, ვიდრე მოგებას მივიღებ მის სანაცვლოდ, რომ ჩემი ქონების ნარჩენებით სხვები გამოვკვებო იქამდე, სანამ ჩვენ ყველანი ერთად არ დავიწყებთ შიმშილობას. ასეთი ალოგიკურობა ნებისმიერი ადამიანისთვის ან მძარცველისთვის დაუშვებელია. ისევ თქვენივე ინტერესებისთვის — ქვეყანაზე და ჩემზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — რაღაცის იმედი უთუოდ უნდა გქონდეთ. რისი იმედი გაქვთ?

რიერდენმა მათი მზერა დაინახა, რომელიც ამბობდა: „მე აქედან გამოვძვრები“, უცნაური, იდუმალი და თან განაწყენებული მზერა, თითქოს რიერდენს დაემალოს მათგან რაიმე.

— ვერ ვხვდები, რატომ გაქვთ ასეთი კაპიტულანტური შეხედულება დღევანდელ ვითარებაზე, — მიმართა რიერდენს მაუჩმა პირქუშად.

— კაპიტულანტური? მართლა გგონიათ, რომ ამ თქვენი გეგმის შემთხვევაში ისევ დავრჩები ბიზნესში?

— კი მაგრამ, ეს მხოლოდ დროებითია!

— არ არსებობს დროებითი თვითმკვლელობა.

— მაგრამ ეს მხოლოდ კრიტიკული მდგომარეობის პერიოდში გასტანს! ვიდრე ქვეყანა ფეხზე არ დადგება!

— თქვენი აზრით, როგორ დადგება ქვეყანა ფეხზე?

რიერდენმა პასუხი ვერ მიიღო.

— თქვენი აზრით, როგორ ვიმუშავებ, თუ გავკოტრდი?

— თქვენ არ გაკოტრდებით. თქვენ ყოველთვის აწარმოებთ ფოლადს, — თქვა დოქტორმა ფერისმა გულგრილად, როგორც ეტყოდა სხვა რომელიმე ადამიანს:

„შენ ყოველთვის არარაობა იქნები“. — ამას ვერაფერს მოუხერხებთ. თქვენ ეს სისხლში გაქვთ. ან, უფრო მეცნიერულად რომ ვთქვათ: თქვენ ასე ჩამოყალიბდით.

რიერდენი სავარძელში შესწორდა: გეგონებოდა, ციფრების საიდუმლო კომბინაციას ეძებდა საკეტის გასაღებად და ამ სიტყვების მოსმენისას შიგნით რაღაცამ სუსტად დაიჩხაკუნა, თითქოს პირველი ციფრი მოენახოს.

— მთავარია, ეს კრიზისი გადავიტანოთ, — თქვა მაუჩმა, — და ადამიანებს სულის მოთქმის საშუალება მივცეთ.

— და მერე რა მოხდება?

— მერე მდგომარეობა გაუმჯობესდება.

— როგორ?

რიერდენმა პასუხი ვერ მიიღო.

— რა გააუმჯობესებს მდგომარეობას?

რიერდენმა პასუხი ამჯერადაც ვერ მიიღო.

— ვინ გააუმჯობესებს?

— ღმერთო ჩემო, მისტერ რიერდენ, ადამიანები გულხელდაკრეფილი კი არ სხედან! — წამოიყვირა ჰოლოვეიმ, — მუშაობენ, ვითარდებიან, წინ მიიწევენ!

— რომელი ადამიანები?

ჰოლოვეიმ გაურკვევლად გაიქნია ხელი.

— ხალხი, — თქვა მან.

— რომელი ხალხი? ის ხალხი, რომელიც „რიერდენ სთილის“ ნარჩენებით უნდა გამოკვებოთ უსასყიდლოდ? ხალხი, რომელიც მომავალშიც უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს?

— ვითარება შეიცვლება.

— ვინ შეცვლის?

პასუხი არავინ გასცა.

— კიდევ დაგრჩათ რაიმე გასაძარცვი? თუ ადრე არ გესმოდათ თქვენი პოლიტიკის არსი, ახლა უკვე შეუძლებელია, რომ არ გესმოდეთ. მიმოიხედეთ ირგვლივ. ყველა ის წყეული სახალხო რესპუბლიკა მხოლოდ იმ მოწყალებით საზრდოობს, რომელიც თქვენ მათთვის ამ ქვეყანას გამოსწურეთ. მაგრამ აღარც გამოსაწური დაგრჩათ და აღარც მოსაპარავი. არც ერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე. ეს იყო ყველაზე დიდი და უკანასკნელი ქვეყანა. თქვენ ის გამოფიტეთ. თქვენ ის დააცარიელეთ. საბოლოოდ დაამხეთ მისი სიდიადე. მეღა დავრჩი. მერე რაღას იზამთ თქვენ და თქვენი სახალხო რესპუბლიკები, როდესაც მეც მომიღებთ ბოლოს? რისი იმედი გაქვთ? რას ხედავთ მომავალში — გარდა მარტივი, სასტიკი, ცხოველური შიმშილობისა?

მათ რიერდენს არ უპასუხეს. არც კი შეუხედავთ მისთვის. ჯიუტად განაწყენებული გამომეტყველება მიეღოთ, თითქოს მატყუარას მოწოდებებს ისმენდნენ.

შემდეგ კი ლოუსონმა თქვა ხმადაბლა, საყვედურისა და ზიზღის ტონით:

— ბოლოს და ბოლოს, უკვე რამდენი წელია, თქვენ, ბიზნესმენები, ყოველი პროგრესული წამოწყების წინ, კატასტროფას წინასწარმეტყველებთ და გაიძახით, რომ დავიღუპებით, მაგრამ ჩვენ არ დავღუპულვართ.

ლოუსონს უნდა გაეღიმა, მაგრამ შენიშნა, როგორ გაიელვა დაძაბულობამ რიერდენის მზერაში და ღიმილი პირზე შეაშრა.

რიერდენმა კიდევ ერთხელ იგრძნო ჩხაკუნი, კიდევ უფრო მკვეთრი, როდესაც საიდუმლო კომბინაციის მეორე ციფრს მიაგნო და წინ გადაიხარა:

— რისი იმედი გაქვთ? — იკითხა მან ამჯერად ხმადაბლა, მონოტონური, დაჟინებული ტონით.

— მხოლოდ დრო უნდა მოვიგოთ! — წამოიძახა მაუჩმა.

— დრო ამოიწურა.

— ჩვენ მხოლოდ შესაძლებლობა გვჭირდება! — ხმას აუწია ლოუსონმა.

— შესაძლებლობები აღარ დარჩა.

— უნდა დაველოდოთ, სანამ ფეხზე არ დავდგებით! — წამოიყვირა ჰოლოვეიმ.

— ეს უკვე შეუძლებელია.

— მოცდაა საჭირო, სანამ ჩვენი პოლიტიკა შედეგს მოიტანდეს! — წამოიძახა დოქტორმა ფერისმა.

— ირაციონალური შედეგს არასდროს მოიტანს. — რიერდენმა პასუხი ვერ მიიღო, — ახლა რაღას შეუძლია თქვენი გადარჩენა?

— ოჰ, თქვენ ხომ იღონებთ რამეს! — წამოიყვირა ჯეიმს ტაგარტმა.

ახლა კი, — თუმცა მთელი თავისი ცხოვრება ეს წინადადება ესმოდა, — რიერდენმა სხეულში გამაყრუებელი გრგვინვა იგრძნო, თითქოს უკანასკნელი ბერკეტის შეხებაზე ფოლადის კარი გაიღო, ერთმა პატარა ციფრმა დაასრულა ძიება და გახსნა ჩახლართული საკეტი, ერთმა პასუხმა გაამთლიანა ყველა ნაწილი, შეკითხვა და მისი ცხოვრების მოუშუშებელი ჭრილობები.

გრგვინვის შემდეგ დასადგურებულ სიჩუმეში რიერდენს მოეჩვენა, რომ ფრანცისკოს ხმა გაიგონა, რომელიც ამავე სასტუმროს საცეკვაო დარბაზში მშვიდად შეეკითხა, ოღონდ ეს შეკითხვა აქაც და ახლაც გაისმა:

— ვინ არის ყველაზე მეტად დამნაშავე ამ ოთახში?

რიერდენს წარსულში გაცემული თავისი პასუხი მოესმა:

— მგონი, ჯეიმს ტაგარტი, არა?

და ისევ გაიგონა ფრანცისკოს ხმაც, რომელიც საყვედურის გარეშე ეუბნებოდა:

— არა, მისტერ რიერდენ, ჯეიმს ტაგარტი არ არის.

მაგრამ ამ ოთახში და ახლა, ამ წამს, რიერდენის გონებამ შეკითხვას ასე უპასუხა: — მე ვარ.

შეაჩვენა კი მან ოდესმე ეს მძარცველები მათი ბრმა უგუნურების გამო? სწორედ მან გახადა ეს ყველაფერი შესაძლებელი. როგორც კი პირველივე გამოძალვას დაეთანხმა, როგორც კი დაემორჩილა პირველივე დირექტივას, რიერდენმა მათ მიზეზი მისცა, ერწმუნათ, რომ რეალობა უნდა მოატყუო, რომ ერთ ადამიანს შეუძლია ირაციონალურის მოთხოვნა, ხოლო მეორე რაღაცნაირად გაუხერხებს მას ამ ყველაფერს. თუ რიერდენი დაეთანხმა „შესაძლებლობათა გათანაბრების კანონს“, დირექტივა 10-289-ს, კანონს, რომლის თანახმადაც მათ, ვინც მისნაირად ნიჭიერი არ იყო, ჰქონდათ მისი ნიჭის გამოყენების უფლება, რომ ვისაც თავისი შრომით არაფერი მოეპოვებინა, შეეძლო, მოგება ენახა, მას კი, ვინც ფული გამოიმუშავა, უნდა ეზარალა, რომ ბრძანებები იმათ უნდა გაეცათ, ვისაც აზროვნების უნარი არ გააჩნდა, ხოლო ის, ვისაც ეს უნარი ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა მათ — ყველაფერ ამის შემდეგ, იყო კი ალოგიკური მათი რწმენა, რომ ისინი ირაციონალურ სამყაროში ცხოვრობდნენ? სწორედ რიერდენმა გახადა ეს შესაძლებელი მათთვის.

იყო კი ალოგიკური ამ ადამიანების რწმენა, რომ მათ მხოლოდ უნდა ესურვათ და არც დაფიქრებულიყვნენ, რამდენად რეალური იყო ეს სურვილი, ხოლო რიერდენს ქვა უნდა გაეხეთქა და ნებისმიერი გზებით შეესრულებინა მათი ახირებები? ისინი, უსუსური მისტიკოსები, ცდილობდნენ, ფიქრის პასუხისმგებლობას გაჰქცეოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მან, რაციონალისტმა, იტვირთა მათი ახირებების მსახურება.

იცოდნენ, რომ რიერდენმა მათ რეალობის განკარგვის სრული თავისუფლება მიანიჭა. მას არ უნდა ეკითხა: „რატომ?“ მათ კი არ უნდა ეკითხათ: „როგორ?“ დაე, მათ მოეთხოვათ წილი რიერდენის ქონებიდან, შემდეგ მთელი მისი ქონება, შემდეგ კი იმაზე მეტი, ვიდრე ის რეალურად ფლობდა. შეუძლებელი იყო? არა, რიერდენი რაიმეს იღონებდა!

ვერც კი გააცნობიერა, როგორ წამოხტა ფეხზე, ის ჯეიმს ტაგარტს დაჰყურებდა და მისი უფორმო სახის ნაკვთებში ხედავდა პასუხს იმ უბედურებებზე, რომელსაც ამდენი წელია, თვალს ადევნებდა.

— რა მოხდა, მისტერ რიერდენ? რა ვთქვი ასეთი? — ეკითხებოდა თანდათან სულ უფრო და უფრო შეშფოთებული ტაგარტი, მაგრამ რიერდენს მისი ხმა უკვე აღარ ესმოდა.

მას თვალწინ დაუდგა განვლილი წლები, საზარელი გამოძალვები, არარეალური მოთხოვნები, ბოროტების აუხსნელი გამარჯვებები, ბინძური ფილოსოფიის ტომეულებში გაცხადებული აბსურდული გეგმები და გაურკვეველი მიზნები, იმ მსხვერპლთა სასოწარკვეთილი განცვიფრება, რომლებსაც ეგონათ, რომ სამყაროს გამანადგურებელი ძალები რაღაც რთული და ღვარძლიანი სიბრძნით იმართებოდა. სინამდვილეში კი, ყველაფერი ეს ეფუძნებოდა გამარჯვებულების ცბიერი მზერის

უკან დამალულ ერთადერთ პრინციპს: „ის იღონებს რამეს!.. ჩვენ აქედან გამოვძვრებით — ის მოგვცემს ამის საშუალებას, ის იღონებს რამეს!..“

„თქვენ, ბიზნესმენები, წინასწარმეტყველებდით, რომ დავიღუპებოდით, მაგრამ ჩვენ არ დავღუპულვართ...“ რიერდენმა გაიფიქრა, რომ ეს სიმართლე იყო. ისინი მშვენივრად ხედავდნენ რეალობას, ბრმა თვითონ იყო, ადამიანი, რომელიც ვერ ხედავდა იმ რეალობას, რომელიც თავადვე შექმნა. არა, ისინი არ დაღუპულან, მაგრამ ვინ დაიღუპა მათ ნაცვლად? ვინ დაიღუპა, ისინი რომ გადარჩენილიყვნენ? ელის უაიატი... კენ დენეგერი... ფრანცისკო დ'ანკონია.

რიერდენი თავის ქუდსა და პალტოს დასწვდა და შენიშნა, რომ ოთახში მყოფები მის შეჩერებას ცდილობდნენ, სახეზე პანიკური შიში ეწერათ, მათ წამოძახილებში კი განცვიფრება გაისმოდა:

— რა მოხდა, მისტერ რიერდენ?.. რატომ?.. კი მაგრამ, რატომ?.. რა ვთქვით ისეთი?.. თქვენ ვერ წახვალთ!.. ჯერ ძალიან ადრეა!.. ჯერ არა! ოჰ, ჯერ არა!

რიერდენს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ ადამიანებს სწრაფმავალი მატარებლის ფანჯრიდან ხედავდა, თითქოს ისინი უკან, ლიანდაგზე იდგნენ, უშედეგოდ უქნევდნენ ხელს და გაურკვევლად ყვიროდნენ, მათი ფიგურები თანდათან სიშორეში ჩაიკარგა და დაპატარავდა, ხმები კი მისუსტდა.

რომელიღაცამ სცადა, შეეჩერებინა რიერდენი, როდესაც კარისკენ დაიძრა. რიერდენმა უხეშად კი არა, მხრის მარტივი, მსუბუქი მოძრაობით ჩამოიშორა ის გზიდან, როგორც წინ გადაღობებულ ფარდას იშორებენ, შემდეგ კი გარეთ გავიდა.

როდესაც სწრაფად მიაქროლებდა მანქანას უკან, ფილადელფიისკენ, მხოლოდ სიჩუმესღა გრძნობდა, უმოქმედობის სიჩუმეს საკუთარ არსებაში, თითქოს იცოდა, რომ უკვე შეეძლო, სული მოესვენებინა. არაფერს გრძნობდა, არც ტკივილს და არც სიხარულს. თითქოს მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად, მთაზე ავიდა, უფრო შორს რომ გაეხედა და როცა მწვერვალს მიაღწია, დასასვენებლად მიწვა, ვიდრე სივრცეს გახედავდა — ცხოვრებაში პირველად მიეცა შესაძლებლობა, საკუთარი თავი დაენდო.

რიერდენი აცნობიერებდა გრძელ, ცარიელ გზას, რომელიც ხან პირდაპირ მიემართებოდა, ხან დაეხვეოდა, აცნობიერებდა, როგორ ძალდაუტანებლად აწვებოდა საჭეს ხელებით, აცნობიერებდა მოსახვევებში მანქანის საბურავების ჭრიალს, მაგრამ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ტრიალ სივრცეში გაკიდებულ საჰაერო ხაზზე მიქროდა.

გზის გასწვრივ, ქარხნების, ხიდების, ელექტროსადგურების ახლომახლო ჩავლილი ადამიანები შეესწრნენ სანახაობას, რომელიც ადრე სრულიად ბუნებრივად მიიჩნეოდა: ლამაზ, ძვირად ღირებულ, მძლავრ მანქანას მიაქროლებდა თავდაჯერებული კაცი, რომელიც თავისი სამოსით, მანქანის ტარების უზადო ცოდნითა და მიზანმიმართული მოძრაობით ნებისმიერ ელექტრონულ რეკლამაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავდა წარმატების იდეას. გამვლელები უყურებდნენ, როგორ ჩაიქროლა მან და მწუხრის ბინდში გაუჩინარდა.

რიერდენმა დაინახა სიბნელიდან ამოზრდილი თავისი ქარხნის შავი სილუეტი მოცახცახე დაისის ფონზე. დაისი გამლღვარი ოქროს ფერს დაიკრავდა, ცაზე კი ბროლის ცივი სითეთრით ციალებდა წარწერა — „რიერდენ სთილი“.

უყურებდა ამ წაგრძელებულ სილუეტს — ტრიუმფალური თაღებივით აღმართულ ბრძმედების ხვეულებს, საიმპერატორო დედაქალაქის ღირსების ხეივნის გასწვრივ საზეიმო კოლონადებივით ჩამწკრივებულ საკვამურებს, ხიდები

გირლანდებივით ეკიდა, ამწეები თითქოს სამხედრო სალამს აძლევდნენ კვამლს, რომელიც დროშასავით ნელა ირხეოდა ჰაერში. ამ სანახაობამ დაარღვია ჰენკის შინაგანი უძრაობა და მან მისალმების ნიშნად გაიღიმა ბედნიერი, მოსიყვარულე, ერთგული ღიმილით. არასოდეს ისე არ ჰყვარებია თავისი ქარხნები, როგორც ამ წუთს, რადგან მათ ახლა საკუთარ ღირებულებათა კოდექსის პრიზმაში ჭვრეტდა, იმ ნათელი რეალობით, რომელიც წინააღმდეგობებს არ შეიცავდა — ის თავისი სიყვარულის მიზეზს ხედავდა: ქარხნები მისი გონების მიღწევა იყო, სიცოცხლით ტკბობისადმი მიძღვნილი, რაციონალურ სამყაროში რაციონალურ ადამიანებთან საურთიერთოდ აგებული. თუ ეს ადამიანები გაქრნენ, თუ ეს სამყარო გაქრა, თუ მისი ქარხნები მის ღირებულებებს აღარ ემსახურებოდნენ, მაშინ ქარხნები მხოლოდ ჯართის გროვა იყო, რომლებიც რაც შეიძლებოდა მალე უნდა მიეტოვებინა — მათი მიტოვება ღალატი კი არა, მათივე ნამდვილი მნიშვნელობისადმი ერთგულების დამტკიცების აქტი იქნებოდა.

ქარხნამდე ჯერ კიდევ ერთი მილი იყო დარჩენილი, როდესაც რიერდენმა ცეცხლის ალი შენიშნა, უჩვეულო და მოულოდნელი ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ათასფრად მოგიზგიზე აურაცხელ ცეცხლის ალს შორის: მეტისმეტად მკვეთრი ყვითელი ფერის იყო და იმ ადგილიდან ამოდიოდა, სადაც არავითარი ცეცხლის კერა არ უნდა ყოფილიყო — მთავარი ალაყაფის მიმდებარე ნაგებობიდან.

მეორე წამს რიერდენს თოფის გასროლის ხმა მოესმა, რომელსაც საპასუხოდ სამი გასროლა მოჰყვა, მოულოდნელი თავდამსხმელისთვის რისხვით გაწნილი სილასავით.

შემდეგ შენიშნა, როგორ მიიღო ფორმა შავმა მასამ, რომელმაც გზა გადაკეტა.

ეს უბრალოდ სიბნელე არ იყო, რიერდენის მიახლოებისას უკან არ დაუხევია — ეს მასა მთავარ შესასვლელთან თავმოყრილი ბრბო აღმოჩნდა, რომელიც ქარხანაზე იერიშის მიტანას აპირებდა. რიერდენმა მოასწრო, გაერჩია ადამიანების ხელები.

ზოგს ხელკეტი ეჭირა, ზოგს — ძალაყინი, ზოგს — შაშხანა. დარაჯის ოთახის ფანჯრიდან ცეცხლის ყვითელი ალი გამოვარდა — ბრბოში თოფი გაისროლეს, ნაგებობების სახურავიდან კი საპასუხო სროლები გაისმა. მერე თვალი მოჰკრა ადამიანის სილუეტს, რომელიც უკან გადაიხარა და მანქანის სახურავიდან ჩამოვარდა, მკვეთრად გადაუხვია გზიდან და სიბნელეში გაუჩინარდა.

რიერდენი საათში სამოცი მილის სიჩქარით მიდიოდა უასფალტო გზაზე, ქარხნების აღმოსავლეთ შესასვლელისკენ. და როდესაც მანქანა წიდის გროვით სავსე ხევის პირას აღმოჩნდა, შესასვლელიც გამოიკვეთა. რიერდენი საჭეს მთელი სიმძიმით დააწვა, ბორბლებმა წუილით მოხაზეს ნახევარწრე და მანქანა ისევ გზაზე დაბრუნდა. ამან ერთ წამს გასტანა, მეორე წამს კი მუხრუჭს ფეხი მიაჭირა და ძრავა გამორთო, რადგან იმ მომენტში, როდესაც ფარებმა ხეობა გაანათა, რაღაც წაგრძელებულ საგანს მოჰკრა თვალი, რომელიც ფერდობს მოდებულ ნაცრისფერ შამბზე უფრო მუქად მოჩანდა და მოეჩვენა, რომ სწრაფად გამკრთალი თეთრი ლაქა ადამიანის ხელი იყო, რომელიც შველას ითხოვდა.

რიერდენმა პალტო მოისროლა და აჩქარებული ნაბიჯით ჩაუყვა ხეობას. მიწის ბელტები ფეხქვეშ ეფშვნებოდა, ბუჩქებს ეჭიდებოდა, ხან მირბოდა, ხანაც სრიალით მიიკვლევდა გზას წაგრძელებული შავი ფიგურისკენ, საეჭვო აღარაფერი იყო — ეს ადამიანის სხეული აღმოჩნდა. ღრუბელში გახვეულ მთვარის შუქზე გაარჩია ბალახში გაუნძრევლად გაწოლილი ადამიანის გამოწვდილი ხელის თეთრი მტევანი.

— მისტერ რიერდენ...

ეს ჩურჩული იყო, რომელიც მთელი ძალით ლამობდა ყვირილს, მგზნებარების შემზარავი ხმა, რომელიც ცდილობდა, ტკივილის გმინვა ჩაეხშო.

რიერდენი ვერ აცნობიერებდა, პირველად რა იგრძნო, ყველაფერი ერთიან ელდად გამთლიანდა — ის, რომ ხმა ნაცნობი აღმოჩნდა, ღრუბლის საბურველში გამომკრთალი მთვარის შუქზე ამ ფერმიხდილი სახის ოვალთან მუხლებზე რომ დაეცა, რომ იცნო — ეს უეთ ნერსი იყო.

იგრძნო, როგორ უჭერდა ბიჭი აუტანელი ტკივილით გაწამებული ადამიანის განსაცვიფრებელი ძალით ხელს, ხედავდა ტანჯვისგან დასახიჩრებულ მის სახეს, მის დაშაშრულ ტუჩებს, დაბინდულ თვალებს და მკერდის არეში, გულთან ძალიან ახლოს, პატარა შავი ნახვრეტიდან გადმოღვრილი სითხის მუქ და წვრილ ნაკადს.

— მისტერ რიერდენ... მათი შეჩერება მინდოდა... მინდოდა, გადამერჩინეთ...

— რა დაგემართა, შვილო?

— მათ მესროლეს, რომ არაფერი მეთქვა... მინდოდა, ხელი შემეშალა იმისთვის, — უეთ ნერსმა ძლივს ასწია ხელი და ცაში მოკაშკაშე წითელ ნათებაზე მიანიშნა, — რასაც ისინი აკეთებენ... უკვე ძალიან გვიანი იყო, მაგრამ მე მაინც ვეცადე... ვეცადე... და... მე ჯერ კიდევ შემიძლია... ლაპარაკი... მისმინეთ, ისინი...

— შენ დახმარება გჭირდება. მოდი, წაგიყვან საავადმყოფოში და...

— არა! მოიცადეთ! მე... მე ვფიქრობ, ბევრი დრო აღარ დამრჩა და... და უნდა გითხრათ... მომისმინეთ, ეს ამბოხება... დადგმულია... ვაშინგტონიდან მოსული ბრძანებით... ამბოხებულები მუშები არ არიან... თქვენი მუშები არ არიან... ესენი მათი შემოგზავნილი ახალი თანამშრომლები არიან და... და კიდევ, გარეთ დაქირავებული ავაზაკები... მათი ერთი სიტყვაც არ დაიჯეროთ... ეს ყველაფერი ფარსია... მათი დადგმული უზნეო ფარსი...

ბიჭის სახეზე თავგანწირული დაძაბულობა აღბეჭდილიყო, ბრძოლის ველზე მეომარი ჯვაროსნის დაძაბულობა, თითქოს მის ხმას სასიცოცხლო ძალას სულში დროდადრო აგიზგიზებული ცეცხლი აძლევდა. და რიერდენი მიხვდა, რომ ახლა უეთ ნერსისთვის საუკეთესო დახმარება ის იქნებოდა, რომ მოესმინა მისთვის.

— მათ... მათ უკვე მოამზადეს „ფოლადის გაერთიანების გეგმა“... და თავის გასამართლებელი საბუთი სჭირდებათ... რადგან იციან, რომ ხალხი არ მოიწონებს ამას... და არც თქვენ დაუჭერთ მხარს... მათ იმის ეშინიათ, რომ ეს ნაბიჯი უკვე მეტისმეტი იქნება ყველასთვის... ეს არც მეტი, არც ნაკლები, თქვენი ცოცხლად გატყავების გეგმაა... ამიტომაც უნდათ, ისე წარმოაჩინონ ყველაფერი, თითქოს თქვენ მუშებს აშიმშილებთ... და თითქოს მუშები გააფთრებულები არიან და თქვენ მათ ვეღარ აკონტროლებთ... და მთავრობა უნდა ჩაერიოს ამ საქმეში თქვენი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად... აი, ამის თქმას აპირებენ, მისტერ რიერდენ...

რიერდენი ხედავდა ბიჭის დაკაწრულ ხელებს, ტალახში აზელილ შემხმარ სისხლს მის ხელისგულებზე და ტანსაცმელზე, მტვერში ამოგანგლულ, ეკლებით დაფარულ მუხლებსა და მუცელს. მთვარის შუქზე გათელილი ბალახისა და სისხლის მბზინავი ლაქების კვალი ჩანდა, რომელიც ქვემოთ, სიბნელეში იკარგებოდა.

გული შეეკუმშა, როდესაც გაიფიქრა, რა მანძილზე და რამდენ ხანს მოუწია უეთ ნერსს ხოხვა.

— მათ არ უნდოდათ, ამ საღამოს აქ ყოფილიყავით, მისტერ რიერდენ... არ უნდოდათ, მათ მიერ დადგმული „სახალხო აჯანყება“ გენახათ... შემდეგ კი... თვითონაც იცით, როგორ აურ-დაურევენ სამხილებს... სიმართლეს ვერავინ

შეიტყობს... იმედი აქვთ, რომ მთელი ქვეყნის გასულელებას მოახერხებენ... და თქვენც დაგაჯერებენ... რომ თავდასხმისგან გიცავენ... ნუ მისცემთ მათ თავის დაძვრენის საშუალებას, მისტერ რიერდენ!.. მოუყევით ქვეყანას... ხალხს... პრესას... მოუყევით, რაც მე გითხარით... ფიცით დაგიდასტურებთ... ვფიცავ... ეს ჩემს ნათქვამს იურიდიულ ძალას აძლევს, ასე არ არის?.. ასეა, არა?.. ეს თქვენ შანსს გაძლევთ, ხომ ასეა?

რიერდენმა ბიჭს ხელზე ხელი მოუჭირა:

— გმადლობ, შვილო.

— მე... მე ვწუხვარ, რომ დავაგვიანე, მისტერ რიერდენ, მაგრამ... მაგრამ ისინი ბოლო წუთამდე მიმალავდნენ საიდუმლოს... აჯანყება წუთი წუთზე უნდა დაწყებულიყო, როცა სიმართლე მითხრეს... მათ დამიძახეს... თათბირზე, სადაც სტრატეგია უნდა განეხილათ... იქ ერთი კაცი იყო, სახელად პიტერსი... „გაერთიანების საბჭოდან“... ის ტინკი ჰოლოვეის მარიონეტია... თვითონ ჰოლოვეი კი ორენ ბოილის... მათ უნდოდათ, რომ მე... უნდოდათ, საშვებზე მომეწერა ხელი... რომ ქარხნებში ავაზაკები შეეშვათ... შიგნით და გარეთ ერთდროულად რომ დაეწყოთ ამბოხი... რომ ამ ყველაფერს ისეთი სახე ჰქონოდა, თითქოს ისინი ნამდვილად თქვენი მუშები იყვნენ... მე უარი ვთქვი საშვების ხელმოწერაზე.

— უარი თქვი? მას შემდეგ, რაც მათ თავიანთ თამაშში ჩაგრთეს?

— ამას რატომ მეკითხებით... რა თქმა უნდა, მისტერ რიერდენ... გეგონათ, ამას ვიკადრებდი?

— არა, შვილო, არა. უბრალოდ, ვიფიქრე...

— რა?

— რომ თავი საფრთხეში ჩაიგდე, როდესაც მათ უარი უთხარი.

— მაგრამ, მე სხვა გზა არ მქონდა!.. მათ ქარხნების განადგურებაში ვერ დავეხმარებოდი, ასე არ არის?.. მაინც რამდენ ხანს უნდა გავჩუმებულიყავი? ვიდრე თქვენ არ გაგანადგურებდნენ?.. ამ ფასად შენარჩუნებული სიცოცხლე რაღად მინდოდა?..

თქვენ... თქვენ ხომ გესმით ჩემი, მისტერ რიერდენ?

— მესმის.

— მე უარი ვუთხარი მათ... კაბინეტიდან გამოვიქეცი... მმართველის მოსაძებნად... რომ მისთვის ყველაფერი მომეყოლა... მაგრამ ის ვერსად ვიპოვე... შემდეგ კი მთავარი შესასვლელიდან გასროლის ხმა მომესმა და მივხვდი, რომ ამბოხება დაიწყო... თქვენთან სახლში დარეკვა ვცადე... მაგრამ სატელეფონო ხაზები გადაჭრილი დამხვდა... ჩემი მანქანისკენ გავიქეცი, მინდოდა, თქვენამდე, პოლიციელებამდე ან რომელიმე გაზეთის რედაქციამდე მიმეღწია... მაგრამ ეტყობა, ისინი უკან მომყვებოდნენ... სწორედ მაშინ მესროლეს... ავტოსადგომზე... ზურგიდან... მხოლოდ ის მახსოვს, რომ წავიქეცი და... და მერე, როდესაც თვალები გავახილე, ვნახე, რომ თურმე აქ დამაგდეს... წიდის გროვაზე...

— წიდის გროვაზე? — გაიმეორა რიერდენმა დაეჭვებული ხმით, რადგან იცოდა, რომ წიდის გროვა ასი ფუტით დაბლა იყო.

ბიჭმა თავი დაუქნია და გაურკვეველი მოძრაობით დაბლა, სიბნელისკენ მიუთითა:

— კი... იქ, დაბლა... და შემდეგ მე... მე ხოხვა დავიწყე... მაღლა მოვხოხავდი... მინდოდა... მინდოდა, როგორმე გამეძლო, იქამდე მეცოცხლა, ვიდრე ვინმეს მოვუყვებოდი, თქვენთვის რომ გადმოეცა. — ტკივილმა უეთ ნერსს სახე დაუბრიცა,

შემდეგ კი უცებ ღიმილი გადაეფინა, მის ხმაში ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გამარჯვების საზეიმო ტონმა გაიჟღერა, როდესაც დაამატა, — და გავუძელი კიდეც.

შემდეგ თავი მაღლა ასწია და ბავშვური გაოცებით, თითქოს მოულოდნელად რაღაც ახალი აღმოეჩინოს, ჰკითხა:

— მისტერ რიერდენ, ამას გრძნობს ადამიანი, როდესაც... როდესაც რაღაც ძალიან სურს... ძალიან, ძალიან რომ გინდა... და მოახერხებ?

— კი, შვილო, ასეა.

ბიჭს თავი უკან გადაუვარდა, რიერდენის მკლავზე, თვალები დაეხუჭა, ტუჩები მოეკუმა, თითქოს ცდილობდა, ამ წუთის უსაზღვრო კმაყოფილება გაეხანგრძლივებინა.

— მაგრამ აქ არ უნდა შეჩერდე. ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. ცოტა ხანს კიდევ გაუძელი, სანამ ექიმთან წაგიყვან და...

რიერდენი შეეცადა, ფრთხილად აეყვანა ბიჭი ხელში, მაგრამ უეთ ნერსს სახეზე ტკივილმა გადაურბინა და პირი დაეღრიცა, რომ არ დაეყვირა, ამიტომ იძულებული გახდა, ისევ მიწაზე დაეწვინა.

უეთ ნერსმა თავი გადააქნია და ლამის დამნაშავესავით შეხედა რიერდენს:

— მე უკვე ვეღარ გამოვძვრები, მისტერ რიერდენ... თავის მოტყუებას აზრი არ აქვს... ვიცი, რომ ვკვდები.

შემდეგ კი, თითქოს საკუთარი თავისადმი სიბრალულის მიმართ ბუნდოვანი ზიზღით, შეუდგა დაზუთხული გაკვეთილის ციტირებას, თან რაც ღონე ჰქონდა, ცდილობდა, ადრინდელი ცინიკური და ყოვლისმცოდნე ტონი დაებრუნებინა:

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, მისტერ რიერდენ?.. ადამიანი ხომ მხოლოდ... მხოლოდ გარკვეული ქიმიკალიების ნაკრებია... და მისი სიკვდილი არაფრით.. არაფრით განსხვავდება ცხოველის სიკვდილისგან.

— შენ იცი, რომ ასე არ არის.

— კი, — დაიჩურჩულა ბიჭმა, — კი, მგონი, ვიცი.

უეთ ნერსი წყვდიადს მიაშტერდა, შემდეგ კი რიერდენს შეხედა; მისი მზერა უმწეობას, მძაფრ სურვილს და ბავშვურ განცვიფრებას გამოხატავდა:

— ვიცი... ყველაფერი, რასაც ისინი გვასწავლიდნენ, სისულელეა... ყველაფერი, რასაც ამბობდნენ... სიცოცხლეზე და... და სიკვდილზე... სიკვდილი..... არაფერს არ ნიშნავს ქიმიკალიებისთვის, მაგრამ... — უეთ ნერსი გაჩუმდა და მთელი მისი თავგანწირული პროტესტი მისივე ჩუმი ხმის დაძაბულობაში გამოიხატა, — მაგრამ ის ჩემთვის მნიშვნელოვანია... და... და, მე ვფიქრობ, ცხოველისთვისაც... მაგრამ ისინი ამბობდნენ, რომ არ არსებობს ღირებულებები... რომ, ეს მხოლოდ სოციალური წესჩვეულებებია... არავითარი ღირებულებები! — უეთ ნერსმა ხელის ცეცებით მოძებნა თავის მკერდზე ნატყვიარი, თითქოს იმის შენარჩუნებას ცდილობდა, რასაც კარგავდა, — არავითარი... ღირებულებები...

შემდეგ თვალები სრული გულწრფელობის უეცარი სიმშვიდით გაუფართოვდა.

— სიცოცხლე მინდა, მისტერ რიერდენ. ღმერთო, როგორ მინდა! — თქვა მგზნებარედ მშვიდი ხმით, — არა იმიტომ, რომ ვკვდები... არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ამ საღამოს გავიგე, რას ნიშნავს ნამდვილი სიცოცხლე... და... რა სასაცილოა... იცით, როდის გავიგე ეს?... კაბინეტში... როდესაც თავი საფრთხეში ჩავიგდე... როდესაც ის ნაძირალები ჯანდაბაში გავაგზავნე... რამდენი... რამდენი რამე არ მესმოდა ადრე, როგორ ვწუხვარ... მაგრამ... ახლა ამაზე დარდს რა აზრი აქვს. — მან რიერდენის უნებლიე მზერა შეამჩნია, რომელიც გათელილი ბალახის ქვემოთ

მიმავალი კვალისკენ იყო მიმართული და თქვა, — რაც მოხდა — მოხდა, წარსულზე დარდი არ ღირს, მისტერ რიერდენ.

— მისმინე, შვილო, — მკაცრად უთხრა რიერდენმა ბიჭს, — მინდა, ერთი თხოვნა შემისრულო.

— ახლა, მისტერ რიერდენ?

— ახლა.

— რა თქმა უნდა, მისტერ რიერდენ... თუ შევძელი.

— დღეს საღამოს შენ მე დიდი სამსახური გამიწიე, მაგრამ ახლა კიდევ უფრო დიდი სათხოვარი მაქვს. ძალიან იყოჩაღე, იმ წიდის გროვიდან რომ ამობობღდი. შეგიძლია, კიდევ უფრო მეტად იყოჩაღო? შენ მზად იყავი, მომკვდარიყავი ჩემი ქარხნის გადასარჩენად. შეეცდები, ჩემთვის იცოცხლო?

— თქვენთვის, მისტერ რიერდენ?

— ჩემთვის. იმიტომ, რომ მე გთხოვ ამას. იმიტომ, რომ მე მინდა ეს. იმიტომ, რომ ჩვენ კიდევ დიდი გზა გვაქვს ერთად გასავლელი, შენ და მე.

— ეს... ეს თქვენთვის მნიშვნელოვანია, მისტერ რიერდენ?

— მნიშვნელოვანია. გადაწყვეტ, რომ სიცოცხლე გინდა, როგორც იქ, დაბლა, წიდის გროვაზე გადაწყვიტე? რომ გინდა, გადარჩე და იცოცხლო? იბრძოლებ ამისთვის? შენ გსურდა, ჩემი ბრძოლა გებრძოლა. ახლა იბრძოლებ ამ ბრძოლას, როგორც ჩვენს პირველ ბრძოლას?

რიერდენმა იგრძნო, როგორ მოუჭირა ბიჭმა ხელზე ხელი; ეს მოძრაობა პასუხის მძაფრ მგზნებარებას გამოხატავდა; თქმით კი მხოლოდ ჩურჩულით უთხრა:

— შევეცდები, მისტერ რიერდენ.

— ახლა კი დამეხმარე, რომ ექიმთან წაგიყვანო. უბრალოდ მოეშვი, არაფერზე იდარდო და ნება მომეცი, ხელში აგიყვანო.

— კარგი, მისტერ რიერდენ. — უეთ ნერსმა მოულოდნელად ღონე მოიკრიბა და წამოიწია, რომ იდაყვს დაჰყრდნობოდა.

— მოდუნდი, ტონი.

უცებ რიერდენმა დაინახა, როგორ გადაურბინა ღიმილმა ბიჭის სახეს, უეთ ნერსი შეეცადა, ადრინდელივით მხიარულად და უტიფრად გაეღიმა:

— „არა-აბსოლუტს“ უკვე აღარ მეძახით?

— არა, აღარ გეძახი. შენ ახლა უკვე სრული აბსოლუტი ხარ და ეს თვითონაც კარგად იცი.

— კი, ახლა უკვე რამდენიმე აბსოლუტი ვიცი. ერთ-ერთი მათგანი ეს არის, — ბიჭმა ნატყვიარზე მიუთითა, — ეს აბსოლუტია, ხომ ასეა? — განაგრძობდა უეთ ნერსი, სანამ რიერდენი ცდილობდა, ნელა, ფრთხილად აეყვანა ხელში, თითქოს თითქოს მოცახცახე ხმის დაძაბულობით როგორღაც ტკივილს იყუჩებდა, — და ისიც ვიცი, რომ ადამიანისთვის ცხოვრება შეუძლებელი იქნება, ვიდრე დამპალი ნაძირალები...

როგორებიც ვაშინგტონში არიან... დაუსჯელები დარჩებიან ისეთი რამეების გამო, დღეს საღამოს რომ ჩაიდინეს... თუ ყველაფერი საძაგელ სიყალბედ იქცევა... და აღარაფერი იქნება ნამდვილი... არარაობა მნიშვნელოვანი პირი გახდება... ადამიანები ასე ცხოვრებას ვერ შეძლებენ... ეს არის აბსოლუტი, ხომ?

— კი, ტონი, ეს აბსოლუტია.

რიერდენი ფრთხილად წამოდგა ფეხზე; მან დაინახა, ბიჭის სახეს როგორ გადაურბინა ტკივილის სპაზმმა, როდესაც ის ბავშვივით მიიკრა მკერდზე, მაგრამ სპაზმი მალევე უტიფარ ღიმილად იქცა და უეთ ნერსმა ჰკითხა:

— ახლა ვინ არის მეძუძური ძიძა?

— მგონი, მე.

რიერდენმა პირველი ნაბიჯები გადადგა დაქანებულ ფერდობზე. სხეული დაძაბა, რომ ფაქიზად ეტარებინა თავისი სუსტი ტვირთი და წონასწორობა შეენარჩუნებინა, თუმცა კი ეს შეუძლებელი ჩანდა. ბიჭს გაუბედავად ჩამოუვარდა თავი რიერდენის მხარზე, თითქოს განზრახ. რიერდენი დაიხარა და ტუჩები ბიჭის მტვრიან შუბლს შეახო.

უეთ ნერსი უკან გაიწია და თავი მაღლა წამოსწია გაოგნებულმა:

— თუ ხვდებით, ახლა რა გააკეთეთ?

— დამადე თავი, — უპასუხა რიერდენმა, — და კიდევ გავაკეთებ ამას.

ბიჭმა კვლავ დაადო თავი მხარზე და რიერდენმაც ერთხელ ისევ აკოცა შუბლზე, თითქოს მამობრივი მადლიერების ნიშნად სამართლიანი ბრძოლის გამო. ბიჭი დადუმდა, სახე ჩაემალა, ხელებით კი რიერდენის მხრებს ჩასჭიდებოდა. მერე კი სრულიად უხმოდ, მის სხეულს რიტმულმა ჟრჟოლამ დაუარა და რიერდენი მიხვდა, რომ ის უმწეოდ ტიროდა — ყველაფერ იმის აღიარების ნიშნად, რის გამოსათქმელადაც საჭირო სიტყვებს ვერასდროს პოულობდა.

რიერდენი ნელა, ფრთხილი ნაბიჯებით მიიწევდა მაღლა, ცდილობდა, შამბნარში, მტვრის, ჯართისა და ნაგვის გროვაში არ წაბორძიკებულიყო. მისი ქარხნის თავზე გაწოლილი წითელი ნათებისკენ აეღო გეზი, სადაც ხევის კიდე ეგულებოდა. ეს თავგანწირული ბრძოლა იყო, რომელსაც მშვიდი, აუჩქარებელი მოძრაობის სახე უნდა მიეღო.

რიერდენს ქვითინი არ გაუგონია, მხოლოდ რიტმულ ჟრჟოლასა და, ცრემლების ნაცვლად, ჭრილობიდან პერანგზე ამ ჟრჟოლის შედეგად გადმოღვრილ ცხელ წვეთებს გრძნობდა. იცოდა, რომ ხელების მჭიდროდ მოხვევა იყო ერთადერთი პასუხი, რომლის აღქმა და გაგებაც ბიჭს ახლა შეეძლო და მასაც ეს მოცახცახე სხეული ისე ჩაეკრა, თითქოს მისი მკლავების ძალა მისი სასიცოცხლო ენერგიის რაღაც ნაწილს ბიჭის სულ უფრო და უფრო სუსტად მფეთქავ არტერიებს გადასცემდა.

შემდეგ ბიჭმა ტირილი შეწყვიტა და თავი მაღლა ასწია. სახე უფრო გამხდარი და ფერმკრთალი უჩანდა, მაგრამ თვალები უბრწყინავდა. მან რიერდენს ახედა და ძალა მოიკრიბა, რომ ეთქვა:

— მისტერ რიერდენ... მე... მე ძალიან მომწონდით.

— ვიცი.

ბიჭს გაღიმების ძალა აღარ ჰქონდა, მაგრამ ღიმილი თვალებში ედგა, როდესაც რიერდენს შეჰყურებდა, როდესაც იმას უყურებდა, რასაც თურმე მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება ეძებდა, თუმცა ეს თავადაც არ იცოდა. ეძებდა, როგორც იმის გამოხატულებას, რაც თურმე მისი ღირებულებები უნდა გამხდარიყო.

შემდეგ თავი უკან გადაუვარდა, სახეზე კრუნჩხვას არ გადაუვლია, მხოლოდ პირი შეუკრთა ოდნავ, მაგრამ სხეულში, უკანასკნელი საპროტესტო წამოყვირების მსგავსად, ხანმოკლე კონვულსიამ მაინც დაუარა. რიერდენმა გზა განაგრძო, ნელა მიდიოდა, ნაბიჯი არ შეუცვლია, თუმცა უკვე იცოდა, რომ სიფრთხილე საჭირო აღარ

იყო, ახლა ხელით სწორედ ის მიჰქონდა, რასაც ბიჭის მასწავლებლები ადამიანს უწოდებდნენ — ქიმიკალიების ნაკრები.

ისე მიდიოდა, თითქოს უკანასკნელად მიაგებდა პატივს მის მკლავებში დაღუპულ ახალგაზრდა კაცს. უსაზღვრო ბრაზს გრძნობდა, თითქოსდა სურვილს, რომელიც მისი არსებიდან ამოხეთქვას ლამობდა — მკვლელობის ჩადენის სურვილს.

იმ უცნობი ავაზაკის მოკვლა კი არ სურდა, რომელმაც ბიჭს ტყვია ესროლა ან იმ მძარცველი ბიუროკრატების, რომლებმაც ეს ავაზაკი დაიქირავეს, რიერდენს იმ მასწავლებლების მოკვლა უნდოდა, რომელთა ძალისხმევითაც ბიჭი განიარაღებული აღმოჩნდა ავაზაკის იარაღის პირისპირ, იმ სათნო, სანდო მკვლელებისა კოლეჯის აუდიტორიებიდან, რომლებსაც თავიანთი უცოდინრობის გამო საღი აზრის საძიებლად მოსული ბავშვების კითხვებზე პასუხები არ გააჩნდათ და სიამოვნებას მათზე მინდობილი ახალგაზრდების გონების დასახიჩრებით იღებდნენ.

„ამ ბიჭის დედა მზრუნველობისგან ცახცახებდა ბარბაცით მოსიარულე შვილის ყურებისას, როდესაც მას სიარულს ასწავლიდა“, — ფიქრობდა რიერდენი, — „იუველირული სიზუსტით ზომავდა თავისი პატარას კვების რაციონს, ფანატიკოსის აღტკინებით ემორჩილებოდა მეცნიერების უკანასკნელ აღმოჩენებს ბავშვთა კვებასთან და ჰიგიენასთან დაკავშირებით, შვილის სუსტი სხეული მიკრობებისგან რომ დაეცვა. მერე კი ეს შვილი სკოლას მიაბარა, ხელში ჩაუგდო იმ ადამიანებს, რომლებმაც ასწავლეს, რომ მას გონება არ ჰქონდა, რომ აზროვნება არც კი უნდა ეცადა და გატანჯულ ნევრასთენიკად გადააქციეს. დედამისს რომ გაფუჭებული პროდუქტებით ეკვება შვილი და საჭმელში საწამლავი გაერია მისთვის, ასეთი სისასტიკე, ასეთი საბედისწერო მაინც არ იქნებოდა“.

რიერდენი ფიქრობდა ყველა ცოცხალ არსებაზე, რომლებიც საკუთარ ნაშიერებს თავის გადარჩენის ხელოვნებაში წვრთნიან — კატებზე, რომლებიც თავიანთ კნუტებს ნადირობას აჩვევენ, ჩიტებზე, რომლებიც ასე წვალობენ, თავიანთ ახლად შებუმბლულ ბარტყებს ფრენა რომ ასწავლონ, ადამიანი კი, რომლის თავის გადარჩენის საშუალება გონებაა, არა მარტო არ ასწავლის შვილს აზროვნებას, უფრო მეტიც — ბავშვის აღზრდის მიზნად მისი გონების განადგურება დაუსახავს და, ვიდრე ფიქრს დაიწყებდეს, მისი დარწმუნება, რომ აზროვნება ფუჭი და საზიანოა.

ბავშვისადმი მიმართული ყველა დემაგოგიური ფრაზა, პირველიდან მოყოლებული, უკანასკნელის ჩათვლით, თითქოს დარტყმების სერიაა, რომლის მიზანიც მისი ძრავის გაყინვა და მისი გონებრივი შესაძლებლობების დათრგუნვაა — ნუ სვამ ამდენ კითხვას, ბავშვებს თვალი არ უნდა მოაშორო, ყურს კი არ უნდა უგდებდე! — ვინ ხარ, რომ იაზროვნო? ეს ასეა, იმიტომ, რომ მე ვამბობ ამას! — ნუ იკამათებ, დაემორჩილე! — ნუ ცდილობ გაგებას, დაიჯერე! — ნუ შეეწინააღმდეგები, შეეგუე! — ნუ ცდილობ, სხვებისგან გამოირჩეოდე! — ნუ შეებრძოლები, დაეთანხმე! — შენი სული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონება! — ვინ ხარ შენ, რომ იცოდე? შენმა მშობლებმა უკეთ იციან! — ვინ ხარ შენ, რომ იცოდე? საზოგადოებამ უკეთ იცის! — ვინ ხარ შენ, რომ იცოდე? ბიუროკრატებმა უკეთ იციან! — ვინ ხარ შენ, რომ შეეწინააღმდეგო? ყველა ღირებულება ფარდობითია! — ვინ ხარ შენ, რომ გინდოდეს, ავაზაკის ტყვია აიცდინო? ეს მხოლოდ პიროვნული ცრუ წარმოდგენებია!

რიერდენი ფიქრობდა, რომ ადამიანებს ალბათ გააჟრჟოლებდათ იმის დანახვაზე, თუ როგორ აძრობს ჩიტი თავის ბარტყს ფრთებიდან ბუმბულს, შემდეგ კი ბუდიდან აგდებს, თავის გადასარჩენად რომ იბრძოლოს — თუმცა სწორედ ასე ექცევიან თვითონაც საკუთარ შვილებს.

ეს ბიჭიც მხოლოდ უაზრო ფრაზებით შეიარაღებული გამოაგდეს, არსებობისთვის რომ ებრძოლა, ხელის ფათურით და ბორძიკით დაეხეტებოდა მარცხისთვის განწირული, აღშფოთებული და გაოგნებული დროდადრო ყვირილით გამოხატავდა პროტესტს — და დაიღუპა პირველივე მცდელობისას, თავისი დაჩეხილი ფრთებით ცაში გაენავარდა. „მაგრამ ერთ დროს სხვანაირი მასწავლებლებიც ხომ არსებობდნენ“, — ფიქრობდა რიერდენი, — „ხომ აღზარდეს ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ეს ქვეყანა; დედებმა მუხლისჩოქით უნდა მოძებნონ ჰიუ ექსტონის მსგავსი მასწავლებლები და უკან დაბრუნება შეევედრონ“.

ქარხნის შესასვლელი ისე გაიარა, ძლივს შენიშნა მცველები, რომლებიც თვალს ვერ სწყვეტდნენ მის სახესა და მის ტვირთს; არც კი შეჩერებულა მათ მოსასმენად, როცა მოშორებით გამართულ ჩხუბზე მიუთითებდნენ; ნელი ნაბიჯით გაემართა სინათლის ზოლისკენ, რომელიც საავადმყოფოს შენობის ღია კარიდან გამოდიოდა.

რიერდენმა ადამიანებითა და გასისხლიანებული სახვევებით სავსე, ანტისეპტიკური საშუალებების სუნით გაჟღენთილ განათებულ ოთახში შეაბიჯა; მან თავისი ტვირთი უსიტყვოდ დაასვენა მერხზე და უკანმოუხედავად გავიდა გარეთ.

ქარხნის მთავარი ალაყაფისკენ გაეშურა, სადაც ცეცხლი გიზგიზებდა და სროლის ხმა ისმოდა. დროდადრო ხედავდა როგორ დასდევდნენ მცველები და მუშები ადამიანებს, რომლებიც ხან ნაგებობებს შორის დარბოდნენ, ხანაც ბნელ კუთხეებს ეფარებოდნენ; რიერდენს გაუკვირდა, როდესაც შენიშნა, რომ მუშები კარგად იყვნენ შეიარაღებული. როგორც ჩანდა, მათ ქარხნის ტერიტორიაზე ამბოხებული ხულიგნები უკვე დაემორჩილებინათ და ახლა ალაყაფთან განლაგებულ ალყაზეღა უნდა მიეტანათ იერიში. ფარნის შუქზე თვალი მოჰკრა ვიღაც ნაძირალას, რომელიც ცხოველური სიამოვნებით ურტყამდა გადაჭრილ მილს შემინულ პანელს და მინის მსხვრევის ხმაზე გორილასავით ბუქნავდა, ვიდრე სამი ახოვანი კაცი არ მივარდა, შებოჭა და მიწაზე დააგდო.

ალაყაფთან ალყა უკან იხევდა, თითქოს ბრბო ხერხემალში გადატეხეს. რიერდენს შორიდან თავდამსხმელთა გამყინავი ყვირილი ესმოდა, მაგრამ სროლებმა თანდათან უფრო იკლო, დარაჯის ოთახში ხანძარი ჩაექროთ, შვერილებზე და ფანჯრებთან კი შეიარაღებული ადამიანები იდგნენ, გონივრულად დაგეგმილი თავდაცვის სტრატეგიით.

როდესაც უფრო ახლოს მივიდა, ალაყაფის მიმდებარე ნაგებობის სახურავზე რიერდენმა წარმოსადეგი მამაკაცი დაინახა, რომელსაც ორივე ხელში იარაღი ეჭირა და თავის დასაცავად საკვამურს ამოფარებული, დროდადრო სხარტად, თითქოს ორივე მიმართულებით ერთდროულად ისროდა დაბლა, ბრბოში, ალაყაფის მცველი გუშაგივით. თავდაჯერებული მოძრაობები, სროლის მანერა, — ის, რომ დაუმიზნებლად, მოულოდნელად ისროდა და მიზანს არასდროს აცილებდა, — უცნობს ვესტერნის გმირს ამსგავსებდა და რიერდენი მას მიუკერძოებელი სიამოვნებით შესცქეროდა, თითქოს ქარხნისთვის ბრძოლა მას პირადად უკვე აღარ ეხებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შეეძლო, დამტკბარიყო ამ სანახაობით — სწორედ ასეთი ოსტატობითა და დარწმუნებულობით ებრძოდნენ ოდესღაც, შორეულ წარსულში ადამიანები ბოროტებას.

რიერდენს სახეზე პროჟექტორის სხივმა გადაუარა, მერე კი შენიშნა, როგორ გადმოიხარა სახურავზე მდგომი კაცი წინ და თითქოს მისი მიმართულებით გამოიხედა. შემდეგ მან ხელით ანიშნა ვიღაცას, მისი ადგილი დაეკავებინა და იმწამსვე დატოვა თავისი პოსტი.

რიერდენი სწრაფად მიაბიჯებდა, მაგრამ უცებ გვერდიდან, შენობებს შორის გასასვლელში ვიღაც მთვრალის ყვირილი მოესმა: „აი, ისიც!“ როდესაც მიბრუნდა, მისკენ მომავალ ორ ზორბა ტიპს მოჰკრა თვალი. დაინახა ღვარძლიანი, უაზრო სახე, უსიხარულო ღიმილად გადღაბნილი ტუჩები, კეტმომარჯვებული ხელი, მერე ნაბიჯების ხმა შემოესმა უკნიდან. შეეცადა, თავში მოქნეული ხელკეტი აეცდინა, მაგრამ უეცრად იგრძნო, როგორ დაარტყეს ზურგში. მოულოდნელად, როცა წყვდიადში შეტორტმანდა ამ დაუჯერებელი ვითარებით გაოგნებული, და გააცნობიერა, რომ ძირს ვარდებოდა, ვიღაცის ძლიერმა ხელმა დაიჭირა, რომ არ წაქცეულიყო. რიერდენმა თავისი ყურიდან ერთი ინჩის მანძილზე გასროლის ხმა გაიგონა, მომდევნო წამს კი იმავე იარაღიდან კიდევ ერთხელ გაისროლეს, მაგრამ მეორე გასროლის ხმა რიერდენს ისე სუსტი და შორეული ეჩვენა, თითქოს შახტში ჩავარდნილიყო.

გონს რომ მოვიდა, პირველი შეგრძნება სრული სიმშვიდე იყო. მერე აღმოაჩინა, რომ თანამედროვე, დახვეწილი გემოვნებით მოწყობილ ოთახში, დივანზე იწვა, შემდეგ კი გააცნობიერა, რომ საკუთარ კაბინეტში იმყოფებოდა, ეს ორი კაცი კი, იქვე, მის გვერდით, ქარხნის ექიმი და მმართველი იყვნენ. რიერდენმა თავში ყრუ ტკივილი იგრძნო, რომელიც აუტანელი იქნებოდა, ყურადღება რომ მიექცია მისთვის, და თავზე დაკრული სახვევიც შეიგრძნო. იმის ცოდნამ, რომ თავისუფალი იყო, სიმშვიდე მოჰგვარა.

სახვევისა და კაბინეტის ერთდროულად მიღება და მათი ერთმანეთთან შეთავსება შეუძლებელი ეჩვენა. ეს უკვე მისი ბრძოლა, მისი სამუშაო, მისი ბიზნესი აღარ იყო. — ვფიქრობ, კარგად ვიქნები, ექიმო, — თქვა რიერდენმა და თავი ასწია.

— დიახ, მისტერ რიერდენ, საბედნიეროდ. — ექიმი ისე შეჰყურებდა, თითქოს ჯერაც ვერ დაეჯერებინა, რომ ასეთი რამ ჰენრი რიერდენს საკუთარ ქარხანაში შეემთხვა; ბრაზისგან, ერთგულებისგან და აღშფოთებისგან ხმა დასძაბვოდა, — სერიოზული არაფერია, მხოლოდ ზედაპირული ჭრილობა და ტვინის შერყევის მსუბუქი ფორმაა. მაგრამ სიმშვიდე და დასვენება მაინც გჭირდებათ.

— დავისვენებ, — თქვა რიერდენმა მტკიცედ.

— ყველაფერი დამთავრდა, — თქვა ქარხნების მმართველმა და ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი, საიდანაც ქარხნები მოჩანდა, — კუდით ქვა ვასროლინეთ იმ ნაძირალებს. სადარდებელი არაფერი გაქვთ, მისტერ რიერდენ. ყველაფერი დამთავრდა.

— დამთავრდა, — თქვა რიერდენმა, — ალბათ, საქმე ბევრი გექნებათ, ექიმო.

— ოჰ, დიახ! ვერ ვიფიქრებდი, თუ როდისმე მოვესწრებოდი იმ დღეს, როდესაც...

— მესმის. წადით, მიხედეთ თქვენს საქმეს. მე კარგად ვიქნები.

— დიახ, მისტერ რიერდენ.

— ქარხანას მე მივხედავ, — თქვა მმართველმა, როგორც კი ექიმი აჩქარებული ნაბიჯით გავიდა გარეთ, — ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება, მისტერ რიერდენ.

მაგრამ ეს ყველაზე ბინძური...

— ვიცი, — თქვა რიერდენმა, — ვინ გადამარჩინა? ვიღაცამ მტაცა ხელი, რომ არ დავცემულიყავი და იმ ავაზაკებს სროლა აუტეხა.

— მართალია! პირდაპირ სახეში ესროლა და ტვინი გაასხმევინა. ბრძმედის ახალი ზედამხედველია. მხოლოდ ორი თვეა, რაც აქ მუშაობს. საუკეთესო თანამშრომელია. სწორედ მან შეიტყო, რასაც აპირებდნენ ეს ნაძირალები და შუადღისას

გამაფრთხილა ამის შესახებ. მითხრა, რაც შეიძლებოდა, მეტი მუშა შემეიარაღებინა. პოლიცია და ჯარი არ დაგვხმარებია, რა სისულელე აღარ მოიმიზეზეს, რომ არ დაგვხმარებოდნენ. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და ავაზაკები შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ მოელოდნენ. სწორედ იმ ბრძმედის ზედამხედველმა, ფრენკ ადამსი ჰქვია, დაგეგმა თავდაცვის სტრატეგია, ის ხელმძღვანელობდა ბრძოლას და სახურავიდან იღებდა მიზანში ყველა ნაძირალას, ვინც კი ალაყაფს მოუახლოვდებოდა. ეშმაკმა დალახვროს, მაგარი სნაიპერია! ჟრუანტელი მივლის, როცა წარმოვიდგენ, რამდენი ჩვენგანის სიცოცხლე იხსნა დღეს საღამოს. ამ ნაძირალებს სისხლი სწყუროდათ, მისტერ რიერდენ.

— მისი ნახვა მინდა.

— გარეთ იცდის. სწორედ მან მოგიყვანათ აქ და თქვენთან დალაპარაკების ნებართვა ითხოვა, როცა შეძლებდით.

— შემოუშვით. შემდეგ კი წადით და საქმეს მიხედეთ.

— კიდევ რამეს ხომ არ მიბრძანებთ, მისტერ რიერდენ?

— არა, მეტი არაფერი.

რიერდენი გაუნძრევლად იწვა თავისი კაბინეტის სიჩუმეში. იცოდა, რომ მისი ქარხნის არსებობამ მნიშვნელობა დაკარგა და ამ ცოდნის სისავსე ილუზიის გამო სინანულისთვის ადგილს არ ტოვებდა. უკანასკნელმა სანახაობამ რიერდენს თავისი მტრების სული და არსი დაანახვა: ეს ხელკეტმომარჯვებული ავაზაკის უაზრო სიფათი იყო. რიერდენს თვითონ სახე კი არ აძრწუნებდა, არამედ ის პროფესორები, ფილოსოფოსები, მორალისტები და მისტიკოსები, რომლებმაც ეს სიფათი მიუქსიეს ქვეყნიერებას.

რიერდენი უცნაური სიწმინდის განცდას მოეცვა. ეს იყო სიამაყე და სიყვარული დედამიწისადმი, იმ დედამიწისადმი, რომელიც მისი იყო, მათი კი არა. სწორედ ეს გრძნობა მიუძღოდა წინ მთელი ცხოვრება, გრძნობა, რომელიც ზოგიერთ ადამიანს ახალგაზრდობაში განუცდია, შემდეგ კი უღალატია მისთვის, მაგრამ თვითონ რიერდენს ის არასოდეს გაუყიდია, მუდმივად საკუთარ თავში ატარებდა მას, როგორც დაზიანებულ, დამსხვრეულ, დაუდგენელ, თუმცა მაინც ცოცხალ ძრავას — გრძნობას, რომელიც შეეძლო, ახლა სრული და უდავო სიწმინდით განეცადა: ეს საკუთარი თავისა და ცხოვრების აღმატებითი ღირებულების შეგრძნება იყო, საბოლოო რწმენა, რომ მისი სიცოცხლე ნამდვილად მას ეკუთვნოდა, სიცოცხლე, რომელიც ისე უნდა ეცხოვრა, რომ ბოროტებას არ დამონებოდა, და რომ ეს მონობა არც არასოდეს ყოფილა აუცილებელი და გარდაუვალი; იმის ცოდნით გამოწვეული მანათობელი სიმშვიდე, რომ შიშისგან, ტკივილისგან და დანაშაულის გრძნობისგან თავისუფალი იყო.

„თუკი მართლაც არსებობენ შურისმაძიებლები,“ — ფიქრობდა რიერდენი, — „რომლებიც ჩემნაირი ადამიანების გათავისუფლებისთვის იღწვიან, დაე, ახლა დამინახონ, დაე, გამანდონ საკუთარი საიდუმლო, დაე, მიხმონ, დაე... დაე, პრეტენზია განმიცხადონ, დაე...

— შემოდით! — დაიძახა კარზე კაკუნის პასუხად.

კარი გაიღო და რიერდენი გაოგნდა. ზღურბლზე თმააწეწილი, სახეგამურული კაცი იდგა, ბრძმედთან მუშაობისგან გაჭვარტლული ხელებით, ალაგ-ალაგ ამომწვარი სამუშაო კომბინეზონი და სისხლით დალაქავებული პერანგი ეცვა, ისე იდგა თითქოს მოსასხამს ქარი უფრიალებდა — ეს კაცი ფრანცისკო დ'ანკონია იყო.

რიერდენს მოეჩვენა, რომ მისი ცნობიერება მის სხეულზე წინ გაიჭრა. განცვიფრებისგან პარალიზებული სხეული უარს ამბობდა მოძრაობაზე, გონება კი იცინოდა და ეუბნებოდა, რომ ეს ყველაზე ბუნებრივი და ყველაზე მოსალოდნელი მოვლენა იყო სამყაროში.

ფრანცისკომ გაიღიმა, თითქოს ბავშვობის მეგობარს ესალმებოდა ღიმილით ზაფხულის ერთ დილას, თითქოს სხვა არც არაფერი მომხდარიყო მათ შორის. და რიერდენმა აღმოაჩინა, რომ თვითონაც იღიმებოდა საპასუხოდ. მისი არსების ერთი ნაწილი გამოუთქმელ განცვიფრებასა და, იმავე დროს, რწმენას მოეცვა, რომ სხვაგვარად არც უნდა ყოფილიყო.

— თქვენ თვეების განმავლობაში ტანჯავდით საკუთარ თავს, — წარმოთქვა ფრანცისკომ, როდესაც რიერდენისკენ მოემართებოდა, — იმაზე ფიქრით, რა სიტყვებით უნდა გეთხოვათ ჩემთვის პატიება და გქონდათ თუ არა პატიების თხოვნის უფლება, თუკი ოდესმე ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ ახლა ხედავთ, რომ ეს საჭირო არ არის, რომ სათხოვნელი ან საპატიებელი არაფერია.

— ასეა, — უპასუხა რიერდენმა განცვიფრებული ჩურჩულით, მაგრამ როდესაც გაჩუმდა, მიხვდა, რომ ეს იყო ყველაზე დიდი პატივი, რომლის მიგებაც შესაძლებელი იყო, — დიახ, მე ვიცი ეს.

ფრანცისკო რიერდენის გვერდით, დივანზე ჩამოჯდა და ფრთხილად შეახო ხელი მის შუბლს. ეს სამკურნალო შეხებას ჰგავდა, რომელმაც წარსულს ბოლო მოუღო.

— ერთადერთი რამის თქმა მსურს თქვენთვის, — თქვა რიერდენმა, — მინდა, ეს ჩემგან გაიგოთ: თქვენ შეასრულეთ ფიცი, თქვენ ჩემი მეგობარი იყავით.

— მე ვიცოდი, რომ თქვენ ეს იცოდით. თქვენ ეს თავიდანვე იცოდით. იცოდით, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდით ჩემს საქციელზე. ხელი იმიტომ გამარტყით, რომ საკუთარი თავი ვერ აიძულეთ, ამაში დაეჭვებულიყავით.

— ეს... — დაიჩურჩულა რიერდენმა, რომელიც თვალს ვერ აშორებდა დ'ანკონიას, — ამის თქმის უფლება თქვენთვის არ მქონდა... არ მქონდა ამის გამოყენების უფლება თავის გასამართლებლად...

— არ გიფიქრიათ, რომ მე ეს მესმის?

— მინდოდა, მომეძებნეთ... მე არ მქონდა თქვენი მოძებნის უფლება... თქვენ კი მთელი ეს ხანი... — რიერდენმა ფრანცისკოს ტანსაცმლისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც შემდეგ უმწეოდ ჩამოუვარდა და თვალები დახუჭა.

— მე თქვენი ბრძმედის ზედამხედველი ვიყავი, — უთხრა ფრანცისკომ ღიმილით, — არ მეგონა, წინააღმდეგი თუ იქნებოდით. თვითონ შემომთავაზეთ ეს სამუშაო.

— ორი თვეა, აქ ხართ და მე მიცავთ?

— ასეა.

— მას მერე, რაც... — რიერდენი გაჩუმდა.

— სწორედ ასეა. იმ დილით, როდესაც თქვენ ჩემს გამოსამშვიდობებელ შეტყობინებას კითხულობდით ნიუ-იორკის სახურავების თავზე, მე აქ ჩემი პირველი ცვლის ანგარიშს ვაბარებდი ბრძმედის ზედამხედველის პოზიციაზე.

— მითხარით, — ნელა წარმოთქვა რიერდენმა, — იმ ღამეს, ჯეიმს ტაგარტის ქორწილში, როდესაც თქვით, რომ მთელი ცხოვრების ყველაზე დიდი გამარჯვების მოპოვება გინდოდათ... მე მგულისხმობდით, ასეა?

— რა თქმა უნდა.

ფრანცისკო ოდნავ გაიმართა, თითქოს საზეიმო მისიის შესასრულებლად ემზადებოდა. სერიოზული გამომეტყველება მიიღო, მხოლოდ თვალები უცინოდა.

— ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, — მიმართა მან რიერდენს, — მაგრამ იქნებ მანამდე ის სიტყვა გამიმეოროთ, რომელიც ერთხელ მითხარით და მე... მე კი იძულებული ვიყავი, უარი მეთქვა მასზე, რადგან ვიცოდი, რომ მის მისაღებად ჯერ მზად არ ვიყავი.

რიერდენმა გაიღიმა:

— რომელი სიტყვა, ფრანცისკო?

დ'ანკონიამ თავი დახარა თანხმობის ნიშნად და უპასუხა:

— გმადლობ, ჰენკ.

შემდეგ კი თავი მაღლა ასწია:

— ახლა კი გეტყვი ყველაფერს, რის სათქმელადაც მოვედი, მაგრამ არ დავასრულე იმ ღამეს, როდესაც აქ პირველად ვიყავი. მგონი, უკვე მზად ხარ ამის მოსასმენად. — მზად ვარ.

ფანჯრიდან მოჩანდა, თუ როგორ აირეკლებოდა ცაზე ბრძმედიდან გადმოღვრილი ფოლადის კაშკაში. კაბინეტის კედლებზე, ცარიელ სამუშაო მაგიდაზე და რიერდენის სახეზე, თითქოს მისალმებისა და თან დამშვიდობების ნიშნად, ნელა ცახცახებდა წითელი ათინათი.

თავი 7

„ლაპარაკობს ჯონ გოლტი“

კარის ზარი მაღვიძარასავით რეკდა გაბმული, მომთხოვნი წივილით, რომელსაც ნაწილებად წყვეტდა ვიღაცის თითის გააფთრებული და მოუთმენელი დაწოლა.

საწოლიდან წამომხტარმა დაგნიმ დილის ცივი და მკრთალი მზის შუქი და შორეულ კოშკურაზე განთავსებული საათი დაინახა, რომელიც ათს აჩვენებდა. ის ღამის ოთხ საათამდე მუშაობდა ოფისში და დაბარებული ჰქონდა, რომ შუადღემდე არ მივიდოდა.

გადათეთრებული, პანიკისგან შეშლილი სახე, რომელიც დაგნის კარის გაღებისას შეეფეთა, ჯეიმს ტაგარტს ეკუთვნოდა.

— ის წავიდა! — წამოიყვირა ჯიმმა.

— ვინ?

— ჰენკ რიერდენი! ის წავიდა, გაუჩინარდა, გაქრა, გადაიკარგა!

დაგნი წუთით ჩუმად იდგა და ხელში ხალათის ქამარი ეჭირა, რომლის შეკვრასაც ცდილობდა; შემდეგ, როდესაც სრულად გაიაზრა, რაც მოისმინა, ქამარი მჭიდროდ შემოიჭირა — თითქოს საკუთარი სხეული წელთან ორად გადაჭრა და სიცილი აუტყდა. ეს მოზეიმე სიცილი იყო.

ჯიმი მას განცვიფრებული სახით მიაშტერდა.

— რა მოგივიდა? — ამოიგმინა მან, — ვერ გაიგე?

— შემოდი, ჯიმ, — უთხრა დაგნიმ ძმას, ზიზღით აქცია ზურგი და სასტუმრო ოთახისკენ გაემართა, — გავიგე, ნუ ღელავ.

— ის გაუჩინარდა! მიიმალა! დანარჩენებივით გაქრა! მიატოვა თავისი ქარხნები, საბანკო ანგარიშები, ქონება, ყველაფერი! უბრალოდ გაქრა! თან მხოლოდ ტანსაცმელი და თავისი ბინის სეიფში შენახული ნივთები წაიღო, — მის საძინებელში ღია და ცარიელი სეიფი იპოვეს, — მეტი არაფერი! ერთი სიტყვაც კი არ დაუტოვებია, ან ბარათი ანდა რაიმე ახსნა-განმარტება! მე ვაშინგტონიდან დამირეკეს, მაგრამ ეს ამბავი უკვე მთელმა ქალაქმა იცის! ვეღარ დამალეს! შეეცადნენ, თუმცა... არავინ იცის, როგორ გახმაურდა მისი წასვლის ამბავი, მაგრამ მთელ ქარხანას მოედო,

თითქოს მეტალს გამოეხეთქოს ბრძმედიდან, მერე კი... სანამ შეაჩერებდნენ, მთელი მათი გუნდი გაქრა! ქარხნის მმართველი, მთავარი მეტალურგი, მთავარი ინჟინერი, რიერდენის მდივანი, ექიმიც კი! და კიდევ რამდენი ადამიანი, ღმერთმა იცის! გარბიან, ნაძირალები! გვტოვებენ, ყველა იმ სასჯელის მიუხედავად, რაც ჩვენ დავაწესეთ! ის წავიდა და დანარჩენებიც მიდიან, ქარხანა კი უპატრონოდ არის მიტოვებული! ხვდები, ეს რას ნიშნავს?

— შენ თუ ხვდები?

ჯეიმსმა დას მთელი ისტორია სხაპასხუპით მიაყარა, თითქოს ცდილობდა, მისი სახიდან გესლისა და გამარჯვების ზეიმის გამომხატველი უცნაური ღიმილი გაექრო, მაგრამ ვერ მოახერხა:

— ეს სახელმწიფოებრივი კატასტროფაა! რა დაგემართა? ვერ ხვდები, რომ ეს სასიკვდილო დარტყმაა? ეს ქვეყნის ზნეობასა და ეკონომიკას საბოლოოდ დაასამარებს! ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ის გაუჩინარდეს! შენ ის უკან უნდა დააბრუნო!

დაგნის სახიდან ღიმილი გაქრა.

— შენ ეს შეგიძლია! — წამოიყვირა ჯიმმა, — მხოლოდ შენ შეგიძლია ეს! ის ხომ შენი საყვარელია?.. ოჰ, ასე ნუ მიყურებ! ახლა დელიკატურობის დრო არ არის! ახლა მხოლოდ მის დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთ! შენ გეცოდინება, სად არის! შენ შეგიძლია მისი პოვნა! უნდა მოძებნო და დააბრუნო!

დაგნის მზერა მის ღიმილზე უსიამოვნო იყო — ისე უყურებდა ჯიმს, თითქოს მას შიშველს ხედავდა და ეს სანახაობა გულს ურევდა.

— მე არ შემიძლია მისი უკან დაბრუნება, — ხმისთვის არ აუწევია დაგნის, — და რომც შემეძლოს, მაინც არ დავაბრუნებდი. ახლა კი აქედან გაეთრიე.

— კი მაგრამ, სახელმწიფოებრივი კატასტროფა...

— გაეთრიე.

დაგნიმ ვერც კი შენიშნა, როგორ წავიდა ჯიმი. მარტო დარჩენილი სასტუმრო ოთახის შუაგულში იდგა, თავი ჩაექინდრა, მხრები ჩამოეყარა და იღიმოდა, ტკივილითა და სინაზით სავსე ღიმილით, ჰენკ რიერდენს ესალმებოდა. ბუნდოვნად უკვირდა, ასე რატომ ახარებდა რიერდენის განთავისუფლება, რატომ იყო დარწმუნებული მისი საქციელის სისწორეში და მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს მაინც უკრძალავდა ასეთივე განთავისუფლებას. გონებაში ორი წინადადება უტრიალებდა; ერთი გამარჯვების ზეიმს გამოხატავდა: „ის თავისუფალია, მათგან თავისუფალია!“

მეორე კი თავდადების ლოცვას ჰგავდა: „ჯერ კიდევ არის გამარჯვების შესაძლებლობა, ოღონდ, დაე, ერთადერთი მსხვერპლი მე ვიყო“...

მომდევნო დღეებში, როდესაც გარშემომყოფებს აკვირდებოდა, დაგნი ფიქრობდა, რომ კატასტროფამ უფრო მეტი სიძლიერით გააცნობიერებინა მათ ჰენკ რიერდენის მნიშვნელობა, ვიდრე მისმა მიღწევებმა, თითქოს მათი ცნობიერების გზები ღირებულებისთვის კი არა, კატასტროფისთვის იყო გახსნილი. ზოგიერთი რიერდენს უმოწყალოდ აძაგებდა, ზოგი დამნაშავე და შეშინებული გამომეტყველებით ჩურჩულებდა, გეგონებოდა, სასტიკ სასჯელს მოელოდა, ზოგი კი ისტერიკულად ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

გაზეთები ერთნაირი გააფთრებითა და ერთხმად გაჰყვიროდნენ: „სოციალური ღალატია ჰენკ რიერდენის დეზერტირობისთვის გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭება და საზოგადოებრივი მორალისთვის ძირის გამოთხრა იმ დრომოჭმული

შეხედულებით, თითქოს ინდივიდს შეიძლება, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოებისთვის“. „ჰენკ რიერდენის გაუჩინარების შესახებ ჭორების გავრცელება სო— „ციალური ღალატია, მისტერ რიერდენი არსად არ წასულა, ის თავის კაბინეტშია და, როგორც ყოველთვის, მართავს თავის ქარხნებს, „რიერდენ სთილში“ კი არავითარი მღელვარება არ მომხდარა, თუ არ გავითვალისწინებთ უმნიშვნელო არეულობას, რომელიც რამდენიმე მუშის პირად დაპირისპირებას მოჰყვა“. „სოციალური ღალატია არაპატრიოტული ელფერის მიცემა ჰენკ რიერდენის ტრაგიკული დაღუპვისთვის, მისტერ რიერდენი არ გაქცეულა, ის სამსახურისაკენ მიმავალ გზაზე საავტომობილო ავარიაში დაიღუპა და მისმა დამწუხრებულმა ოჯახმა დახურული დაკრძალვა მოითხოვა“.

„რა უცნაურია“, — ფიქრობდა დაგნი, — „როდესაც ახალი ამბები მხოლოდ უარყოფებისგან შედგება, თითქოს არსებობა შეწყდა, ფაქტები გაქრა და მხოლოდ ოფიციალური პირებისა და ჟურნალისტების გააფთრებული უარყოფებია ერთადერთი გასაღები იმ რეალობისა, რომელსაც ისინი უარყოფენ“. „სიმართლეს არ შეესაბამება, თითქოს ნიუ-ჯერსის მილერის ფოლადსასხმელმა საამქრომ ფუნქციონირება შეწყვიტა“. „სიმართლეს არ შეესაბამება, თითქოს მიჩიგანის ჯენსენის ძრავების მწარმოებელი კომპანია აღარ ფუნქციონირებს“. „ბოროტი და ანტისოციალური ტყუილია, თითქოს საწარმოები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ფოლადისგან ამზადებენ, ფოლადის დეფიციტის საფრთხის გამო იხურებიან. ფოლადის დეფიციტის არანაირი საშიშროება არ არსებობს“. „ცილისმწამებლური და უსაფუძვლო ჭორია, თითქოს ფოლადის გაერთიანების გეგმა მზადდება და მას ორენ ბოილი უჭერს მხარს. მისტერ ბოილის ადვოკატმა ეს კატეგორიულად უარყო და დაარწმუნა პრესა, რომ მისტერ ბოილი ნებისმიერ ამგვარ გეგმას სასტიკად ეწინააღმდეგება. ამჟამად მისტერ ბოილს ნერვიული აშლილობა აწუხებს“.

მაგრამ ზოგიერთ რამეს ადამიანი საკუთარი თვალითაც ნახავდა ნიუ-იორკის ქუჩებში, შემოდგომის საღამოების ცივ და ნოტიო მწუხრში: რკინა-კავეულის მაღაზიის წინ ბრბო შეკრებილიყო, მეპატრონეს მაღაზიის კარი გაეღო და ყველას ეპატიჟებოდა, უფასოდ წაეღოთ მისი საქონლის მწირი ნარჩენები, თვითონ კი ისტერიული ხარხარით ამსხვრევდა ვიტრინის მინებს; ბრბო იდგა ჩამოფხავებულ საცხოვრებელ კორპუსთანაც, სადაც პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანა უცდიდა, როდის გამოიტანდნენ გაჟონილი გაზით გაგუდული მამაკაცის, მისი ცოლისა და სამი ბავშვის გვამებს; გარდაცვლილი მამაკაცი ფოლადის ფორმების წვრილი მწარმოებელი იყო.

დაგნის ვერაფრით გაეგო, თუკი ახლა ხვდებოდა ხალხი ჰენკ რიერდენის ფასს, რატომ ადრე ვერ დააფასეს ის? რატომ არ აიცილეს თავიდან უბედურება და რიერდენსაც არ ააცილეს მრავალწლიანი უაზრო ტანჯვა? მან ამ კითხვებზე პასუხი ვერ იპოვა.

უძილო ღამეების სიჩუმეში დაგნი ფიქრობდა, რომ ჰენკმა და მან ახლა ადგილები გაცვალეს: ჰენკი ატლანტიდაში იყო, დაგნის კი იქაურობისგან სხივების გარდამტეხი ეკრანი ყოფდა. შესაძლოა, ჰენკი მას ეძახდა, როგორც თვითონ ეძახდა ოდესღაც მის თვითმფრინავს, მაგრამ ეკრანში ვერც ერთი ხმა ვერ გამოაღწევდა.

თუმცა ეს დამცავი ეკრანი მცირე დროით მაინც გაიხსნა და გამოატარა წერილი, რომელიც დაგნიმ რიერდენის გაუჩინარებიდან ერთი კვირის თავზე მიიღო. კონვერტს გამომგზავნის მისამართი არ ეწერა, მხოლოდ კოლორადოს რომელიღაც დასახლების საფოსტო შტამპი ესვა. წერილი ორად ორ წინადადებას შეიცავდა:

„მე მას შევხვდი. მე შენ არ გადანაშაულებ.

ჰ. რ.“

დაგნი კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა და წერილს დაჰყურებდა, თითქოს მოძრაობისა და შეგრძნების უნარი დაჰკარგვოდა. ეგონა, არაფერს გრძნობდა, მერე კი შენიშნა, რომ მხრები ოდნავ უცახცახებდა და მიხვდა, რომ მის არსებაში მოზეიმე სიხარული, მადლიერებისა და სასოწარკვეთის ნაზავი აზვირთებულიყო. დაგნი სიხარულს გრძნობდა გამარჯვების გამო, რომელსაც ამ ორი ადამიანის შეხვედრა ნიშნავდა, მათ საბოლოო გამარჯვებას; გრძნობდა მადლიერებას იმის გამო, რომ ატლანტიდაში მცხოვრებლებს ჯერ კიდევ თავისიანად მიაჩნდათ და მისთვის შეტყობინების გაგზავნით გამონაკლისი დაუშვეს; სასოწარკვეთა, რადგან მისი გულგრილობა იყო მცდელობა, არ გაეგონა კითხვები, რომლებიც ახლა ესმოდა. ხომ არ მიატოვა გოლტმა ის? ხომ არ დაბრუნდა ხეობაში თავის ყველაზე დიდ მონაპოვართან, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანთან შესახვედრად? თუ დაბრუნდებოდა უკან ოდესმე? იქნებ, გოლტმა უარი თქვა მასზე? გაუსაძლისი ის კი არ იყო, რომ ამ კითხვებს პასუხი არ ჰქონდა, არამედ ის, რომ პასუხი იქვე, გვერდით ეგულებოდა, ხოლო დაგნის ერთი ნაბიჯის გადადგმის უფლებაც კი არ ჰქონდა მასთან მისაახლოებლად.

დაგნის გოლტის ნახვა არ უცდია. ერთი თვის განმავლობაში ყოველ დილით, კაბინეტში შესვლისას, ოთახს კი არა, გვირაბს ხედავდა, რომელიც ამ შენობის ქვეშ გადიოდა და მუშაობის დროს ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს მისი ტვინის რომელიღაც ნაწილი ითვლიდა რიცხვებს, კითხულობდა ანგარიშებს, უსიცოცხლო საქმიანობისთვის დამახასიათებელი სისწრაფით იღებდა გადაწყვეტილებებს, მისი ცოცხალი გონება კი ერთ ფრაზაზე იყო გაყინული და იმის იქით წასვლა ეკრძალებოდა: „ის იქ არის, დაბლა“. ერთადერთი, რისი უფლებაც დაგნიმ საკუთარ თავს მისცა, ტერმინალის თანამშრომლების სახელფასო უწყისებს ჩახედა და ამოიკითხა სახელი: „გოლტი, ჯონ“, რომელიც იქ უკვე თორმეტ წელზე მეტი იყო, დაუფარავად ეწერა. მთელი თვე თავგანწირულად ცდილობდა სახელის გასწვრივ მითითებული მისამართის დავიწყებას.

იმ ერთი თვის გადატანა ძალიან გაუჭირდა, თუმცა ახლა, როდესაც წერილს დაჰყურებდა, გოლტის წასვლაზე ფიქრი კიდევ უფრო აუტანელი ეჩვენა. გოლტის ნახვაზე უარის თქმაც კი მასთან დამაკავშირებელი რგოლი იყო, საფასური, რომელიც დაგნის უნდა გადაეხადა, მისი სახელით მიღწეული გამარჯვება. ახლა კი აღარაფერი დარჩა, გარდა იმ კითხვისა, რომელიც არ უნდა დაესვა. იმ დღეებში გოლტის გვირაბში ყოფნა, ისევე, როგორც ქალაქში მისი ყოფნა ზაფხულის თვეებში, დაგნის მამოძრავებელი ძალა იყო — ზოგადად მისი არსებობა სამყაროში მთელი იმ წლების განმავლობაში, როცა მისი სახელიც კი არ სმენოდა. ახლა კი ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მამოძრავებელი ძალის გარეშე დარჩენილიყო.

მუშაობის სტიმულს იმ ხუთდოლარიანი ოქროს მონეტის ნათელი, წმინდა ელვარება აძლევდა, რომელსაც ჯიბით დაატარებდა. ძველებურად განაგრძობდა მუშაობას და გარემომცველი სამყაროსგან თავისი უკანასკნელი ჯავშანი — გულგრილობა იცავდა.

გაზეთებში არაფერს წერდნენ მთელ ქვეყანაში დაწყებულ არეულობებზე. ტყვიებით დაცხრილული ვაგონების, აყრილი ლიანდაგების, მატარებელზე თავდასხმის, ნებრასკაში, ორეგონში, ტექსასსა და მონტანაში ალყაშემორტყმული სარკინიგზო სადგურების შესახებ დაგნი მატარებლების კონდუქტორების

ანგარიშებში კითხულობდა. — ეს ფუჭი, მარცხისთვის განწირული აჯანყებები მხოლოდ სასოწარკვეთილების გამო იწყებოდა და ყოველთვის განადგურებით სრულდებოდა. ზოგიერთ ოლქში სტიქიური ამბოხი იფეთქებდა — აპატიმრებდნენ ადგილობრივ ჩინოსნებს, აძევებდნენ ვაშინგტონის წარმომადგენლებს, ხოცავდნენ გადასახადების ამკრეფებს, შემდეგ კი ქვეყნიდან გამოყოფას აცხადებდნენ და, თითქოს მკვლელობას თვითმკვლელობით უპირისპირდებოდნენ, მათივე დამღუპველი ბოროტების უკიდურეს ფორმას მიმართავდნენ: იტაცებდნენ მთელ საკუთრებას, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ, საყოველთაო მონობას აცხადებდნენ და ერთ კვირაში იღუპებოდნენ, როდესაც ნაძარცვი გამოელეოდათ, ხალხში დაუნდობელი სიძულვილი გამეფდებოდა და ამ ქაოსში ერთადერთი კანონი იარაღის ძალა ხდებოდა. იღუპებოდნენ ვაშინგტონიდან წესრიგის დასამყარებლად გამოგზავნილი მცირერიცხოვანი ჯარის ლეთარგიული დარტყმებით.

გაზეთებში ამ ყველაფერზე სიტყვას არ წერდნენ. მეწინავე სტატიები კვლავ ქადაგებდნენ, რომ პირად სარგებელზე უარის თქმა მომავალი პროგრესის საწინდარია, თავგანწირვა — ზნეობრივი იმპერატივი, სიხარბე — მტერი, სიყვარული — ვალდებულება. ეს გაცვეთილი, დაშაქრული ფრაზები ისეთივე გულის ამრევი იყო, როგორც საავადმყოფოში დამდგარი ეთერის სუნი.

ჭორები მფრთხალი ჩურჩულით ვრცელდებოდა მთელ ქვეყანაში, მაგრამ ადამიანები მაინც კითხულობდნენ გაზეთებს და თავი ისე ეჭირათ, თითქოს წაკითხულის სჯეროდათ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო კარგად მოახერხებდა თავის მოსულელებას და პირში წყლის ჩაგუბებას. ყველანი თვალთმაქცობდნენ, რომ არ იცოდნენ ის, რაც იცოდნენ, ცდილობდნენ, ერწმუნათ, რომ წარმოუთქმელი არც იარსებებდა. ეს იმას ჰგავდა, თითქოს სადაც იყო, ვულკანს უნდა ამოეხეთქა, მთის ძირში მდგარი ადამიანები კი მოულოდნელად გაჩენილ ბზარებს, შავ კვამლს, მდუღარე შხეფებს არ იმჩნევდნენ და სჯეროდათ, რომ ერთადერთი საფრთხე მათთვის ამ ნიშნების რეალურობის აღიარება იყო.

„22 ნოემბერს მოისმინეთ მისტერ ტომპსონის მოხსენება მსოფლიო კრიზისის შესახებ!“

ეს იყო აუღიარებლის პირველი აღიარება. განცხადებები ერთი კვირით ადრე გაჩნდა და მთელ ქვეყანას მოედო. „მისტერ ტომპსონი გამოვა მოხსენებით მსოფლიო კრიზისის შესახებ! 22 ნოემბრის საღამოს 8 სთ-ზე მოუსმინეთ მისტერ ტომპსონს ყველა რადიოსადგურზე და სატელევიზიო არხზე!“

თავდაპირველად გაზეთების წინა გვერდებზე და რადიოგანცხადებებში განმარტავდნენ: „22 ნოემბერს, ხალხის მტრების მიერ გავრცელებული ჭორებისა და შიშების გასაქარწყლებლად, მისტერ ტომპსონი მიმართავს მთელ ქვეყანას და დეტალურად მოგვახსენებს, თუ რა ვითარებაა მსოფლიოში გლობალური კრიზისის ამ უმძიმეს მომენტში. მისტერ ტომპსონი ბოლოს მოუღებს ბოროტ ძალებს, რომელთა მიზანიც ჩვენი დაშინება და სასოწარკვეთაა. ის სინათლეს მოჰფენს მსოფლიოში გამეფებულ წყვდიადს და გვიჩვენებს გამოსავალს ამ ტრაგიკული მდგომარეობიდან — მკაცრ გამოსავალს, როგორც ამას ჩვენი დროის სიმძიმე მოითხოვს, მაგრამ თან დიდებულსაც, როგორიც სინათლის ხელახლა დაბადებას შეეფერება. მისტერ ტომპსონის მიმართვას ქვეყნისა და მთელი დანარჩენი მსოფლიოს ყველა რადიოსადგური გადასცემს, სადაც კი რადიოტალღები ვრცელდება“.

პათოსი დღითი დღე თანდათან უფრო გამძაფრდა. „მოუსმინეთ მისტერ ტომპსონს 22 ნოემბერს!“ — ღაღადებდნენ ყოველდღიური გაზეთების სათაურები. „არ დაგავიწყდეთ, მოუსმინოთ მისტერ ტომპსონს 22 ნოემბერს!“ — გაჰყვიროდნენ რადიოსადგურები ყოველი პროგრამის დასასრულს. „მისტერ ტომპსონი გეტყვით სიმართლეს!“ — იუწყებოდნენ პლაკატებზე მიწისქვეშა გადასასვლელებში, ავტობუსებზე, შენობების კედლებზე და სარეკლამო დაფები დაუსახლებელი გზატკეცილების გაყოლებაზე.

„ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას! მოუსმინეთ მისტერ ტომპსონს!“ — ეწერა სამთავრობო მანქანებზე დამაგრებულ ალმებს. „არ დანებდეთ! მოუსმინეთ მისტერ ტომპსონს!“ — მოუწოდებდნენ ოფისებიდან და მაღაზიებიდან გადმოკიდებული დროშები. „გწამდეთ! მოუსმინეთ მისტერ ტომპსონს!“ — გაისმოდა ეკლესიებში.

„მისტერ ტომპსონი გაგცემთ პასუხს!“ — წერდნენ სამხედრო თვითმფრინავები ცაზე, ასოები ჰაერში მალევე იდღაბნებოდა და წინადადების დასრულებისას ბოლო ორი სიტყვაღა იკითხებოდა.

დათქმული დღისთვის ნიუ-იორკის მოედნებზე დინამიკები დაიდგა და საათში ერთხელ, სატრანსპორტო მოძრაობის მოქანცული გუგუნისა და შორეული საათის რეკვის ფონზე, ღარიბ-ღატაკ ბრბოს ხრინწიანი, მექანიკური ხმა დაჰყვიროდა: „მოუსმინეთ მისტერ ტომპსონის მოხსენებას მსოფლიო კრიზისის შესახებ 22 ნოემბერს!“ — ეს ყვირილი გაყინულ ჰაერში მისრიალებდა და ნისლში გახვეულ სახურავებს შორის უჩინარდებოდა, უთარიღო კალენდრის ცარიელი გვერდის ქვეშ.

22 ნოემბრის შუადღისას ჯეიმს ტაგარტმა დაგნის უთხრა, რომ მისტერ ტომპსონს სურდა, რადიოგადაცემის წინ დაგეგმილ კონფერენციაზე შეხვედროდა მას.

— ვაშინგტონში? — იკითხა დაგნიმ გაკვირვებით და საათს დახედა.

— გეტყობა, რომ გაზეთებს არ კითხულობდი და თვალს არ ადევნებდი მნიშვნელოვან მოვლენებს. რა, არ იცი, რომ მისტერ ტომპსონი რადიომოხსენებას ნიუიორკიდან გააკეთებს? ის აქ ჩამოვიდა, რათა მოეთათბიროს მრეწველობის, მეცნიერების, მშრომელი ადამიანებისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის საუკეთესო წარმომადგენლებს. მან კონფერენციაზე შენი მიყვანა მთხოვა.

— კონფერენცია სად ტარდება?

— რადიოსტუდიაში.

— შემთხვევით, ხომ არ ჰგონიათ, რომ რადიოთი გამოვალ მათი პოლიტიკის მხარდასაჭერად?

— ნუ წუხხარ, მიკროფონთან ახლოსაც არ მიგიშვებენ! მათ მხოლოდ შენი აზრის მოსმენა სურთ და შენ უარს ვერ იტყვი ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, მით უმეტეს, რომ პირადად მისტერ ტომპსონმა მიგიწვია იქ!

ჯიმი გაღიზიანებული ჩანდა და დაგნის თვალს არიდებდა.

— როდის დაიწყება კონფერენცია?

— რვის ნახევარზე.

— არცთუ ისე დიდი დრო გამოუყვიათ კონფერენციისთვის, რომელიც ქვეყანაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას ეხება, რას იტყვი?

— მისტერ ტომპსონი ძალიან დაკავებული კაცია. ახლა კი, გთხოვ, არ მეკამათო, ყველაფერს ნუ გაართულებ, ვერ ვხვდები, რა...

— კარგი, — თქვა დაგნიმ გულგრილად, — წამოვალ, — შემდეგ კი დაამატა, — მაგრამ ედი უილერსიც უნდა წამოვიყვანო. — თითქოს განგსტერების შეკრებაზე მიდიოდა და მოწმის გარეშე წასვლას ვერ გარისკავდა.

ჯიმი მოიღუშა და წამით ჩაფიქრდა, უფრო განაწყენებული, ვიდრე შეშფოთებული, მერე კი მხრები აიჩეჩა:

— წამოიყვანე, თუ ასე გინდა.

როდესაც დაგნი სტუდიაში შევიდა, ერთ მხარეს ჯეიმსი მიჰყვებოდა პოლიციელივით, მეორე მხარეს კი ედი უილერსი, პირადი მცველივით. ჯიმს განაწყენებული, დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა, ედის კი მორჩილი, თუმცა გაოცებული და ცნობისმოყვარე. უზარმაზარი, ნახევრად ჩაბნელებული სივრცის ერთ კუთხეში მუყაოს დეკორაციით რაღაც საშუალო აეგოთ მდიდრულ სასტუმრო ოთახსა და სადად მოწყობილ კაბინეტს შორის. სცენაზე ნახევარწრედ გაემწკრივებინათ ცარიელი სავარძლები, თითქოს საოჯახო ალბომისთვის ფოტოსურათების გადასაღებად, ამ ნახევარწრის განაპირებში კი ანკესზე წამოგებული სატყუარასავით კონწიალებდა მიკროფონები, საჭიროების შემთხვევაში სკამებს შორის რომ ეტარებინათ. — ქვეყნის ხელმძღვანელობის ჯგუფ-ჯგუფად შეგროვებული ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები აშკარად ღელავდნენ და გაკოტრებული მაღაზიის სალიკვიდაციო გაყიდვის მონაწილეებს ჰგავდნენ. დაგნიმ დაინახა უესლი მაუჩი, იუჯინ ლოუსონი, ჩიკ მორისონი, ტინკი ჰოლოვეი, დოქტორი ფლოიდ ფერისი, დოქტორი საიმონ პრიტჩეტი, დედა ჩალმერსი, ფრედ კინანი და რამდენიმე უბადრუკი ბიზნესმენი, რომელთაგან თან შეშინებულ და თანაც ნასიამოვნებ მისტერ მოუენს, გადამრთველი ისრებისა და სიგნალების მწარმოებელი კომპანიის მფლობელს, საკვირველი იყო და, სამრეწველო მაგნატების წარმომადგენლობა ჰქონდა განზრახული.

მაგრამ დაგნი ყველაზე მეტად დოქტორ სტადლერის შესახედაობამ გააოგნა. ვერ მიმხვდარიყო, როგორ შეიძლებოდა, ადამიანი ერთ წელიწადში ასე დაბერებულიყო:

სტადლერის სახიდან დაუშრეტელი ენერგიულობა და ახალგაზრდული მგზნებარება უკვალოდ გამქრალიყო და ზიზღიანი ღვარძლის გამომხატველი ნაოჭებიღა ეტყობოდა. სტადლერი განმარტოებით იდგა, სხვებისგან მოშორებით, და როდესაც შედიოდა, დაგნიმ თვალი შეასწრო, როგორ შესცქეროდა დოქტორი მას — იმ კაცივით, რომელსაც მოულოდნელად ცოლი წაადგება თავს საროსკიპოში: ეს მზერა დანაშაულის განცდას გამოხატავდა, რომელიც სიძულვილში გადაიზრდებოდა. მერე შენიშნა, როგორ შებრუნდა რობერტ სტადლერი, თითქოს არც კი დაუნახავს ის — თითქოს მისი უარი დაგნის დანახვაზე მისი იქყოფნის ფაქტს გაანადგურებდა.

მისტერ ტომპსონი ჯგუფებს შორის დადიოდა, ხან ვის შეუღრენდა, ხანაც ვის, დაუდგრომელი საქმიანი კაცივით, რომელსაც სიტყვით გამოსვლა ზიზღს ჰგვრის. დაბეჭდილი ფურცლების დასტა გადასაყრელი ძონძების შეკვრასავით ეჭირა ხელში.

ჯეიმს ტაგარტი ტომპსონს მიუახლოვდა და გაუბედავად და ხმამაღლა მიმართა:

— მისტერ ტომპსონ, ნებას მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი და, მის დაგნი ტაგარტი.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი აქ ხილვა, მის ტაგარტ, — უთხრა დაგნის ტომპსონმა და ხელი ისე ჩამოართვა, თითქოს ერთ-ერთი ამომრჩეველი ყოფილიყო, რომლის სახელიც პირველად ესმოდა; მერე კი სწრაფი ნაბიჯით გაეცალა.

— აბა, რატომ არ იწყება კონფერენცია, ჯიმ? — ჰკითხა დაგნიმ ძმას და კედლის საათს შეხედა: უზარმაზარ თეთრ ციფერბლატზე შავი ისარი დანასავით ჭრიდა წუთებს და რვა საათისკენ მიიწევდა.

— მე ვერაფერს ვიზამ! მე აქ არაფერს ვწყვეტ! — წყვეტილად უპასუხა ჯიმმა.

ედი უილერსმა ნაღვლიანი მოთმინებით შეხედა დაგნის და მასთან კიდევ უფრო ახლოს დადგა. მეორე სტუდიაში რადიომიმღებიდან გაისმოდა გადაცემა სამხედრო მარშების შესახებ, რომელიც ნაწილობრივ ახშობდა მღელვარე ხმებს, აჩქარებულ, უმიზნო ნაბიჯებსა და ჭრიალს, როდესაც დეკორაციის ფოკუსში მოსაქცევად აპარატურას ამონტაჟებდნენ.

— დარჩით ჩვენს ტალღაზე და მოუსმინეთ მისტერ ტომპსონის მოხსენებას მსოფლიო კრიზისის შესახებ საღამოს რვა საათზე! — მოისმა დიქტორის ომახიანი ხმა რადიომიმღებიდან, წუთების მაჩვენებელი ისარი ციფერბლატზე ცხრას რომ მიუახლოვდა.

— აბა, დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, ბიჭებო! — წამოიძახა მისტერ ტომპსონმა, როდესაც რადიოში მორიგი მარში აჟღერდა.

რვა საათს რომ ათი წუთი დააკლდა, ჩიკ მორისონმა, მორალური მდგომარეობის მმართველმა, რომელიც ამ ყველაფერს ხელმძღვანელობდა, დაიყვირა:

— აბა, ბიჭებო და გოგოებო, დავიკავოთ ჩვენ-ჩვენი ადგილები! — ფურცლების დასტა სავარძლების გაჩახჩახებული ნახევარწრისკენ გაიქნია.

მისტერ ტომპსონი ცენტრში მდგომ სავარძელში მძიმედ ჩაეშვა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მეტროს ვაგონში თავისუფალი ადგილის დაკავებას ეშურებოდა.

ჩიკ მორისონის თანაშემწეები ბრბოს განათებული ნახევარწრისკენ მიერეკებოდნენ.

— ბედნიერი ოჯახი, — განმარტავდა ჩიკ მორისონი, — ქვეყანამ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ... რა დაემართა ამას? — მოულოდნელად მუსიკა ჩაჩუმდა და სუსტმა ტკაცანმა მუსიკალური ფრაზა გაწყვიტა. საათი 7:51-ს აჩვენებდა. მორისონმა მხრები აიჩეჩა და განაგრძო, — ბედნიერი ოჯახი. დაუჩქარეთ, ბიჭებო. ჯერ მისტერ ტომპსონი გადაიღეთ ახლო კადრით.

საათის ისრები ისევ ჭრიდნენ წუთებს, ფოტოგრაფები კი კამერებს მისტერ ტომპსონის მოღუშული, გაღიზიანებული სახის წინ აჩხაკუნებდნენ.

— მისტერ ტომპსონი მეცნიერებასა და მრეწველობას შორის იჯდება! — გამოაცხადა ჩიკ მორისონმა, — დოქტორო სტადლერ, გთხოვთ, მისტერ ტომპსონს მარცხნივ დაუჯექით. მის ტაგარტ, აქეთ წამობრძანდით, მისტერ ტომპსონის მარჯვნივ.

დოქტორი სტადლერი დაემორჩილა მითითებას, დაგნი კი ადგილიდან არ დაძრულა.

— ეს მარტო პრესისთვის კი არა, ტელემაყურებლებისთვისაცაა, — წააქეზა ჩიკ მორისონმა დაგნი.

დაგნიმ წინ წადგა ნაბიჯი.

— მე ამ გადაცემაში მონაწილეობას არ მივიღებ, — მშვიდი ხმით მიმართა მან ტომპსონს.

— არ მიიღებთ? — იკითხა ტომპსონმა და ისე მიაშტერდა დაგნის, თითქოს მოულოდნელად რომელიღაც ლარნაკს განეცხადებინოს უარი თავისი ფუნქციის შესრულებაზე.

— დაგნი, ღვთის გულისათვის! — წამოიყვირა ჯეიმსმა პანიკურად.

— რა დაემართა? — იკითხა მისტერ ტომპსონმა.

— კი მაგრამ, მის ტაგარტ! რატომ? — წამოიყვირა ჩიკ მორისონმა.

— ყველამ იცით, რატომაც, — მიმართა დაგნიმ გარშემო შემოკრებილ ადამიანებს, — მეორედ ეს აღარ უნდა გაგებედათ.

— მის ტაგარტ! — შესძახა ჩიკ მორისონმა, როდესაც დაგნიმ წასვლა დააპირა, — ეს ქვეყანაში შექმნილი კრიტ...

შემდეგ მისტერ ტომპსონთან ვიღაც კაცმა მიირბინა და დაგნიც დანარჩენებივით გაშეშდა — ამ კაცის გამომეტყველებამ უცებ ყველა დაადუმა. ეს რადიოსადგურის მთავარი ინჟინერი იყო და უცნაური დასანახი ჩანდა, როგორ ებრძოდა მის თვალებში პირველყოფილი შიში ცივილიზებული თვითკონტროლის ნარჩენებს.

— მისტერ ტომპსონ, — ამოთქვა მთავარმა ინჟინერმა, — ჩვენ... ჩვენ შესაძლოა, გადაცემა დროულად ვერ დავიწყოთ.

— რაო? — იყვირა ტომპსონმა.

ისარი ციფერბლატზე 7:58-ს აჩვენებდა.

— ჩვენ ვცდილობთ, რაიმე ვიღონოთ, მისტერ ტომპსონ, ვცდილობთ, გავარკვიოთ, რა ხდება... მაგრამ შეიძლება, დროზე ვერ მოვასწროთ და...

— რაზე ლაპარაკობთ? რა მოხდა?

— ვცდილობთ, მივაგნოთ...

— რა მოხდა?

— არ ვიცი! მაგრამ... ჩვენ... ჩვენ ეთერში ვერ გავალთ, მისტერ ტომპსონ.

წუთით დუმილი ჩამოწვა, შემდეგ კი ტომპსონმა არაბუნებრივად ჩუმი ხმით იკითხა:

— გაგიჟდით?

— ალბათ. ნეტავი ასე იყოს. არ მესმის, რა მოხდა. რადიოსადგური გაითიშა.

— მექანიკური დაზიანებაა? — იყვირა ტომპსონმა და ფეხზე წამოხტა, — მექანიკური გაუმართაობაა, ღმერთმა დაგწყევლოთ, ასეთ დროს? თუ ასე მართავთ ამ სადგურს...

მთავარმა ინჟინერმა თავი ნელა გადააქნია, იმ ზრდასრული ადამიანივით, რომელსაც ბავშვის შეშინება არ უნდა:

— საქმე ამ რადიოსადგურს არ ეხება, მისტერ ტომპსონ, — თქვა მან წყნარად, — ქვეყნის ყველა რადიოსადგური გათიშულია, რამდენადაც ამის შემოწმება შევძელით, და ეს მექანიკური გაუმართაობა არ არის. არც აქ და არც სხვაგან. აპარატურა წესრიგშია, სრულ წესრიგში, და ყველა რადიოსადგურიდან ამას გვატყობინებენ, მაგრამ... მაგრამ ყველა რადიოსადგური ერთდროულად გაითიშა, რვას რომ აკლდა ცხრა წუთი და... და ამის მიზეზს ვერავინ იგებს.

— კი მაგრამ... — წამოიყვირა ტომპსონმა, შემდეგ გაჩერდა, ინჟინერს შეხედა და ისევ აღრიალდა, — მაინცდამაინც ამ საღამოს! თქვენ ამას არ დაუშვებთ! ეთერში უნდა გამიყვანოთ!

— მისტერ ტომპსონ, — თქვა ნელა ინჟინერმა, — ჩვენ მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის ელექტროლაბორატორიაში დავრეკეთ. მათ... მათ ასეთი რამ არასდროს უნახავთ. მათ თქვეს, რომ ეს შესაძლოა, ბუნების ფენომენი იყოს, რომელიღაც უპრეცედენტო კოსმოსური არეულობა, ოღონდ...

— რა?

— ოღონდ ისინი ასე არ ფიქრობენ. არც ჩვენ. მათ თქვეს, რომ ეს რადიოტალღებს ჰგავს, მაგრამ ისეთი სიხშირისას, რომელიც ადრე არასდროს წარმოშობილა, არსად შეუნიშნავთ და არავის არ აღმოუჩენია.

ინჟინერს არავინ გამოეპასუხა. წუთის შემდეგ მან უცნაურად ნაღვლიანი ხმით განაგრძო:

— ეს რადიოტალღების კედელს ჰგავს, რომელმაც ეთერი შეავსო და ჩვენ იქ შეღწევას ველარ ვახერხებთ, არც შეხება შეგვიძლია, არც მისი დანგრევა... ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ მის წყაროს ვერ მივაგენით, ვერც ერთი მეთოდით... ეს ტალღები თითქოს ისეთი გადამცემიდან მოდის, რომელთან... რომელთან შედარებითაც ჩვენთვის ცნობილი ყველა გადამცემი ბავშვის სათამაშოა!

— მაგრამ ეს შეუძლებელია! — გაისმა მისტერ ტომპსონის ზურგს უკან, ამ ყვირილში გახმიანებულმა უჩვეულო შიშმა ყველანი შეაშფოთა და იქითკენ მიბრუნდნენ; ხმა დოქტორ სტადლერს ეკუთვნოდა, — ასეთი რამ არ არსებობს! დედამიწის ზურგზე არავის არ შეუძლია მისი შექმნა!

მთავარმა ინჟინერმა ხელები გაშალა.

— საქმეც ეს არის, დოქტორო სტადლერ, — თქვა მან დაღლილი ხმით, — ეს შეუძლებელია. შეუძლებელია, ასეთი გადამცემი არსებობდეს. მაგრამ ის მაინც არსებობს.

— კი მაგრამ, იღონეთ რაიმე ბოლოს და ბოლოს! — დაუყვირა ტომპსონმა გარშემომყოფებს.

არავის უპასუხია, არც განძრეულა ვინმე.

— მე ამას არ დავუშვებ! — ღრიალებდა მისტერ ტომპსონი, — მე ამას არ დავუშვებ! მაინცდამაინც ამ საღამოს! მე სიტყვით უნდა გამოვიდე! რაიმე იღონეთ! მოაგვარეთ ეს პრობლემა! გიბრძანებთ, მოაგვაროთ!

მთავარი ინჟინერი უტყვი მზერით შეჰყურებდა მას.

— ამის გამო ყველანი დატოვებთ სამსახურს! ყველა ელექტროინჟინერს გავათავისუფლებ ქვეყანაში! ყველას გავასამართლებ საბოტაჟისთვის, დეზერტირობისთვის და ღალატისთვის! გესმით ჩემი თუ არა? გააკეთეთ რამე, ეშმაკმა დაგწყევლოთ! რაიმე იღონეთ!

მთავარი ინჟინერი ტომპსონს გულგრილად შესცქეროდა, თითქოს სიტყვებს მისთვის მნიშვნელობა უკვე დაეკარგათ.

— ნუთუ აქ აღარავინ არის, ვინც ბრძანებას დაემორჩილება? — იყვირა ტომპსონმა, — ნუთუ ამ ქვეყანაში ერთი მოაზროვნე ადამიანიც აღარ დარჩა?

საათის ისარმა რვას მიაღწია.

— ქალბატონებო და ბატონებო, — რადიომიმღებიდან მამაკაცის მკაფიო, მშვიდი და შეურიგებელი ხმა გაისმა, ასეთი ხმა უკვე მრავალი წელი იყო, აღარავის გაეგონა რადიოთი, — დღეს თქვენ მისტერ ტომპსონი არ მოგმართავთ. მისი დრო ამოიწურა.

ახლა მე ვილაპარაკებ. თქვენ უნდა მოგესმინათ მოხსენება მსოფლიო კრიზისის შესახებ. და მოისმენთ კიდეც.

ამ ხმას სამი წამოძახილი მოჰყვა, მაგრამ ბრბოს ხმაურში ეს არავის შეუნიშნავს.

ერთი წამოძახილი გამარჯვების ზეიმს გამოხატავდა, მეორე — შიშს, მესამე კი განცვიფრებას. სამმა ადამიანმა იცნო ორატორი: დაგნიმ, დოქტორმა სტადლერმა და ედი უილერსმა. უილერსისთვის არავის შეუხედავს; დაგნიმ და დოქტორმა სტადლერმა კი ერთმანეთს შეხედეს. დაგნიმ დაინახა, როგორ შეეშალა სტადლერს

სახე საზარელი შიშით, რომელსაც თვალს ვერავინ გაუსწორებდა; სტადლერმა დაინახა, რომ დაგნი ყველაფერს მიხვდა და ახლა ისე შეჰყურებდა, თითქოს ორატორს მისთვის სილა გაეწნა.

— თქვენ თორმეტი წლის განმავლობაში კითხულობდით: ვინ არის ჯონ გოლტი?

ახლა სწორედ ჯონ გოლტს უსმენთ. მე ვარ ის კაცი, ვისაც თავისი ცხოვრება უყვარს. მე ვარ ის კაცი, ვინც თავის სიყვარულსა და ღირებულებებს მსხვერპლად არ გაიღებს. მე ის კაცი ვარ, ვინც თქვენ მსხვერპლები წაგართვათ და ამგვარად გაანადგურა თქვენი სამყარო, და თუ გსურთ, გაიგოთ, რატომ იღუპებით — თქვენ, ვისაც ძალიან გეშინიათ ცოდნის, მე ვარ სწორედ ის კაცი, ვინც ახლა გეტყვით ამას.

მხოლოდ მთავარ ინჟინერს შერჩენოდა მოძრაობის უნარი; ის ტელევიზორისკენ გაიქცა და გააფთრებული დაეჯაჯგურა ღილაკებს. მაგრამ ეკრანზე არაფერი გამოჩენილა; ორატორმა არ ისურვა, თავისი სახე გამოეჩინა, ქვეყნის საეთერო სივრცეს მხოლოდ მისი ხმა ავსებდა, რომელიც ისე გაისმოდა, თითქოს ის იქ, იმ ოთახში ლაპარაკობდა და ადამიანების ჯგუფს, ერთ ადამიანს მიმართავდა, თავყრილობისადმი მიმართვის ტონით კი არა, გონებისადმი მიმართვის ტონით.

— თქვენ მოგისმენიათ, რომ ეს ზნეობრივი კრიზისის ეპოქაა. თავადვე თქვით — ნაწილობრივ შიშით, ნაწილობრივ კი იმის იმედით, რომ სიტყვებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. თქვენ გაიძახოდით, რომ სამყაროს ადამიანის ცოდვები ანადგურებს და წყევლიდით ადამიანურ ბუნებას იმისთვის, რომ მზად არ იყო, თქვენ მიერ მოთხოვნილი სათნოებები გაეთავისებინა. რაკი სათნოება, თქვენი თვალსაზრისით, მსხვერპლის გაღებით გამოიხატება, ყოველი მომდევნო კატასტროფისას უფრო და უფრო მეტი მსხვერპლის გაღებას ითხოვდით. ზნეობრიობასთან დაბრუნების სახელით თქვენ გაწირეთ ყველა მანკიერება, რაც კი თქვენი მძიმე მდგომარეობის მიზეზად მიგაჩნდათ. სამართლიანობა მსხვერპლად შესწირეთ გულმოწყალებას, დამოუკიდებლობა მსხვერპლად შესწირეთ ერთიანობას, გონება მსხვერპლად შესწირეთ რწმენას, სიმდიდრე მსხვერპლად შესწირეთ გაჭირვებას, საკუთარი ღირსების განცდა მსხვერპლად შესწირეთ ყოველგვარ პირად სიკეთეზე უარის თქმას, ბედნიერება მსხვერპლად შესწირეთ მოვალეობას.

— თქვენ გაანადგურეთ ყველაფერი, რაც კი ბოროტებად მიგაჩნდათ და მიაღწიეთ ყველაფერს, რაც სიკეთედ გესახებოდათ. მაშინ რატომღა გაშინებთ ასე ძალიან თქვენ გარშემო არსებული სამყაროს დანახვა? ეს სამყარო თქვენი ცოდვების კი არა, თქვენი სათნოებების ნაყოფი და გამოხატულებაა. ეს თქვენი ზნეობრივი იდეალია, რეალობაში სრული და საბოლოო სრულყოფილებით განხორციელებული.

თქვენ იბრძოდით მისთვის, ოცნებობდით მასზე, ნატრობდით მას და მე... მე ვარ ის კაცი, ვინც შეგისრულათ ნატვრა.

— თქვენს იდეალს შეურიგებელი მტერი ჰყავდა, რომლის გასანადგურებლადაც შეიქმნა ზნეობის თქვენეული კოდექსი. მე წავიყვანე ეს მტერი. მე ის გზიდან ჩამოგაშორეთ და თქვენ მასზე ხელი აღარ მიგიწვდებოდათ. მე მოგაშორეთ ყველა იმ ბოროტების სათავე, რომელსაც ერთიმეორის მიყოლებით წირავდით. მე დავასრულე თქვენი ბრძოლა. მე გავაჩერე თქვენი ძრავა. მე თქვენს სამყაროს ადამიანის გონება წავართვი.

— თქვენ ხომ ამბობთ, რომ ადამიანები გონებით არ ცხოვრობენ? მე ის ხალხი წავიყვანე, ვინც გონებით ცხოვრობს. თქვენ ხომ ამბობთ, რომ გონება უმწეოა? მე ისინი წავიყვანე, ვისი გონებაც არ არის უმწეო. თქვენ ხომ ამბობთ, რომ გონებაზე მაღალი ღირებულებებიც არსებობს? მე ისინი წავიყვანე, ვისთვისაც ეს ასე არ არის.

ვიდრე თქვენ სამართლიან, დამოუკიდებელ, გონიერ, მდიდარ და ღირსეულ ადამიანებს თქვენი სამსხვერპლოებისკენ მიათრევდით, მე დაგასწარით, მე პირველმა მივაღწიე იმ ადამიანებამდე. მე მათ თქვენი თამაშისა და ზნეობის კოდექსის ბუნების შესახებ მოვუყევი, რომელსაც ასე გულუბრყვილოდ იღებდნენ. მე მათ სხვა ზნეობის თანახმად ცხოვრების გზა დავანახე — ჩემი ზნეობით. მათ ჩემი ზნეობა აირჩიეს.

— ყველა ადამიანი, რომელიც გაქრა, რომელიც თქვენ გძულდათ, თუმცა მათი დაკარგვის მაინც ძალიან გეშინოდათ, სწორედ მე წავიყვანე თქვენგან. ნუ ეცდებით ჩვენს პოვნას. ჩვენ არ გვსურს, ვინმემ გვიპოვოს. ნუ ყვირით, რომ თქვენი სამსახური ჩვენი მოვალეობაა. ჩვენ არ ვცნობთ ასეთ მოვალეობას. ნუ ყვირით, რომ თქვენ ჩვენ გჭირდებით. ჩვენ საჭიროებას უფლებად არ მივიჩნევთ. ნუ ყვირით, რომ თქვენ გვფლობთ ჩვენ. ეს ასე არ არის. ნუ გვთხოვთ დაბრუნებას. ჩვენ გაფიცულები ვართ, ჩვენ, გონიერი ადამიანები.

— ჩვენ გაფიცულები ვართ თვითგანადგურების წინააღმდეგ. ჩვენ გაფიცულები ვართ დაუმსახურებელი ჯილდოებისა და დაუფასებელი მოვალეობების კრედოს წინააღმდეგ. ჩვენ გაფიცულები ვართ იმ მოძღვრების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ბედნიერებისკენ სწრაფვა ბოროტებაა. ჩვენ გაფიცულები ვართ იმ პრინციპის წინააღმდეგ, რომ ცხოვრება დანაშაულია.

— ჩვენი გაფიცვა განსხვავდება ყველა იმ გაფიცვისგან, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მიმართავდით: ჩვენი გაფიცვა მოთხოვნების წამოყენებას კი არა, მათ დაკმაყოფილებას გულისხმობს. თქვენი ზნეობის მიხედვით, ჩვენ ბოროტები ვართ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ზიანი აღარ მოგაყენოთ. თქვენი ეკონომიკური შეხედულებების მიხედვით, ჩვენ უსარგებლოები ვართ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თქვენს ექსპლუატაციაზე უარი ვთქვათ. თქვენი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, ჩვენ საშიშები ვართ და აუცილებელია, ბორკილები დაგვადოთ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საფრთხე აღარ შეგიქმნათ და ბორკილები მოვიხსნათ. თქვენი ფილოსოფიის მიხედვით, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ილუზია ვართ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გონება აღარ აგირიოთ და მოგცეთ საშუალება, თვალი გაუსწოროთ რეალობას — იმ რეალობას, რომელიც გსურდათ, იმ სამყაროს, რომელსაც ახლა ხედავთ — გონების გარეშე დარჩენილ სამყაროს.

— ჩვენ თქვენ ყველაფერი მოგეცით, რასაც ითხოვდით, ჩვენ, ვინც ყოველთვის გავცემდით, თუმცა მხოლოდ ახლაღა მივხვდით ამას. ჩვენ არ გვაქვს თქვენთვის წამოსაყენებელი მოთხოვნები, მოსალაპარაკებელი პირობები, მისაღწევი კომპრომისი.

თქვენ არაფრის შემოთავაზება არ მოგიწევთ ჩვენთვის. ჩვენ თქვენ არ გვჭირდებით.

— ახლა ყვირით, რომ ეს ის არის, რაც გსურდათ? განა გონების გარეშე დარჩენილი სამყაროს ნანგრევები არ იყო თქვენი მიზანი? განა, თქვენ არ გინდოდათ, რომ ჩვენ მიგვეტოვებინეთ? ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ, ზნეობრივო კაციჭამიებო, ყოველთვის იცოდით, რომ სწორედ ეს გსურდათ. მაგრამ თქვენი თამაში დასრულებულია, რადგან ახლა ეს ჩვენც გავიგეთ.

— ტანჯვისა და კატასტროფების საუკუნეების განმავლობაში, რომლებიც თქვენი ზნეობის კოდექსის ნაყოფია, თქვენ გაჰყვიროდით, რომ თქვენს კოდექსს არღვევდნენ, რომ უბედურებები სასჯელი იყო მისი დარღვევისთვის, რომ ადამიანები ძალიან სუსტები და ეგოისტები იყვნენ, იმდენი სისხლი რომ დაეღვარათ,

რამდენსაც ეს კოდექსი მოითხოვდა. თქვენ წყევლიდით ადამიანს, არსებობას, დედამიწას, მაგრამ საკუთარ კოდექსში დაეჭვება არასდროს გაგიბედავთ. თქვენმა მსხვერპლებმა თავად იტვირთეს დანაშაული და განაგრძობდნენ შრომას, ხოლო ჯილდოდ თავიანთი მოწამეობისთვის თქვენს წყევლას იღებდნენ. ამ დროს კი თქვენ გაჰყვიროდით, რომ თქვენი კოდექსი კეთილშობილური იყო, მაგრამ ადამიანური ბუნება არ იყო საკმარისად კარგი, მის მიხედვით რომ ეცხოვრა. და არც ერთ თქვენგანს არ უკითხავს: „კარგია კი ეს კოდექსი? — რომელი საზომით?“

— თქვენ გინდოდათ, გაგეგოთ, ვინ არის ჯონ გოლტი. მე ვარ ის, ვინც ეს კითხვა დასვა.

— დიახ, ეს ზნეობრივი კრიზისის ეპოქაა. დიახ, თქვენ ისჯებით თქვენი მანკიერებების გამო. მაგრამ ახლა ადამიანი არ სამართლდება და ბრალი ადამიანურ ბუნებას არ დაედება. ამჯერად თქვენი ზნეობრივი კოდექსის საქმე წასულია. მან თავის კულმინაციას და ჩიხს მიაღწია გზის დასასრულს. და თუ გინდათ, გააგრძელოთ ცხოვრება, თქვენ ახლა ზნეობას კი არ უნდა დაუბრუნდეთ, — ის ყოველთვის უცხო იყო თქვენთვის, — არამედ უნდა აღმოაჩინოთ ის.

— თქვენ ზნეობის მხოლოდ მისტიკური და სოციალური ცნებები გსმენიათ. თქვენ გასწავლიდნენ, რომ ზნეობა ქცევის კოდექსია, ქცევის, რომელიც თავს მოგახვიათ ზებუნებრივი ძალისა თუ საზოგადოების ახირებამ, და რომელიც მოითხოვს, ემსახუროთ ღმერთის განზრახვას ან თქვენი მეზობლის კეთილდღეობას, რომ აამოთ უკვე გარდაცვლილ ან ჯერ კიდევ ცოცხალ ავტორიტეტებს, საკუთარი ცხოვრებისთვის და სიამოვნებისთვის კი არაფერი გააკეთოთ. თქვენ გასწავლიდნენ, რომ სიამოვნების განცდა უზნეობაა, ხოლო საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა — ბოროტება.

ნებისმიერი ზნეობრივი კოდექსი თქვენთვის კი არა, თქვენ წინააღმდეგ არის შექმნილი, რათა წინ კი არ წასწიოს თქვენი ცხოვრება, არამედ გამოფიტოს ის.

— საუკუნეების განმავლობაში ზნეობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა მათ შორის, ვინც ამტკიცებდა, რომ თქვენი ცხოვრება ღმერთს ეკუთვნის, და ვინც ადამიანის ცხოვრებას მოყვასის საკუთრებად თვლიდა — მათ შორის, ვინც ქადაგებდა, რომ სიკეთე არის თავგანწირვა ზეციური სულისთვის, და ვინც ქადაგებდა, რომ დედამიწაზე მცხოვრები უვიცების გამო უნდა გაწირო თავი. და არავის უთქვამს, რომ თქვენი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით და სიკეთე სწორედ ის არის, რომ საკუთარი თავისთვის იცხოვრო.

— ორივე მხარე თანხმდებოდა იმაზე, რომ ზნეობა მოითხოვს პირად ინტერესებზე და გონებაზე უარის თქმას, რომ ზნეობრივი და პრაქტიკული ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია, რომ ზნეობა გონების კი არა, რწმენისა და იძულების სფეროს მიეკუთვნება. ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ რაციონალური ზნეობის არსებობა შეუძლებელია, რომ გონება არ შეიძლება, იყოს კეთილი ან ბოროტი, არ შეიძლება, იყოს ზნეობრივი.

— ყველა თქვენი მორალისტი ერთხმად უპირისპირდებოდა ადამიანის გონებას.

მათი ყველა სისტემა და გეგმა მიმართული იყო ადამიანის გონების გასაძარცვად და გასანადგურებლად. ახლა კი არჩიეთ: ან დაიღუპეთ, ანდა შეიგნეთ, რომ ანტიგონება ანტისიცოცხლეა.

— ადამიანის გონება მისი გადარჩენის ძირითადი იარაღია. მას ეძლევა სიცოცხლე, გადარჩენა კი არა. ადამიანს ეძლევა სხეული, მისი საზრდო კი არა. მას ეძლევა გონება, მისი შიგთავსი კი არა. ცოცხალი რომ დარჩეს, ადამიანმა უნდა

იმოქმედოს, მაგრამ სანამ იმოქმედებს, მან უნდა გაიაზროს თავისი მოქმედების ბუნება და მიზანი. მას არ შეუძლია, მიიღოს საკვები ამ საკვებისა და მისი მოსაპოვებელი გზის ცოდნის გარეშე. მას არ შეუძლია, გათხაროს არხი ან ააგოს ციკლოტრონი თავისი მიზნისა და ამ მიზნის მისაღწევი საშუალების ცოდნის გარეშე. იმისთვის, რომ ცოცხალი დარჩეს, ადამიანმა უნდა იაზროვნოს.

— მაგრამ აზროვნება არჩევითი მოქმედებაა. იმის გასაღები, რასაც თქვენ ასე უგუნურად უწოდებთ „ადამიანურ ბუნებას“, ყველასთვის ცნობილი საიდუმლოა, რომლის მიხედვითაც ცხოვრობთ, თუმცა გეშინიათ მისი დასახელების — ფაქტი, რომ ადამიანი ნებაყოფლობითი ცნობიერების მქონე არსებაა. გონება არ მუშაობს ავტომატურად; აზროვნება არ არის მექანიკური პროცესი; ლოგიკური ურთიერთკავშირები ინსტინქტურად არ მყარდება. თქვენი კუჭი, ფილტვები და გული ავტომატურად ფუნქციონირებს, თქვენი გონება კი არა. თქვენი ცხოვრების თითოეულ საათს, ნებისმიერი საკითხის შესახებ, თქვენ შეგიძლიათ, იფიქროთ ან თავი აარიდოთ ამ ძალისხმევას. მაგრამ საკუთარ ბუნებასა და იმ ფაქტს, რომ გონება თქვენი გადარჩენის საშუალებაა, ვერსად გაექცევით. ასე რომ, თქვენთვის, ადამიანებისთვის, კითხვა „ყოფნა თუ არყოფნა“ ასე გამოითქმის: „აზროვნება თუ არაზროვნება“.

— ნებაყოფლობითი ცნობიერების მქონე არსების ქცევა ავტომატური არ არის.

მას ღირებულებების კოდექსი სჭირდება თავისი მოქმედებების სახელმძღვანელოდ.

„ღირებულება“ არის ის, რის მისაღებადაც და შესანარჩუნებლადაც მოქმედებს ადამიანი, „სათნოება“ კი არის მოქმედება, რომლის მეშვეობითაც ადამიანი იღებს და ინარჩუნებს ამ ღირებულებას. „ღირებულება“ გულისხმობს პასუხს შეკითხვაზე:

ღირებული ვისთვის და რისთვის? „ღირებულება“ გვთავაზობს მოქმედების სტანდარტს, მიზანსა და საჭიროებას ალტერნატივის პირისპირ. ღირებულებები ვერ იარსებებს იქ, სადაც არ არსებობს ალტერნატივები.

— სამყაროში მხოლოდ ერთი ფუნდამენტური ალტერნატივაა: არსებობა თუ არარსებობა, და ის არსებათა მხოლოდ ერთ კლასს ეხება: ცოცხალ ორგანიზმებს.

უსულო მატერიის არსებობა უპირობოა, სიცოცხლის არსებობა კი არა; ის დამოკიდებულია მოქმედების კონკრეტულ მიმართულებაზე. მატერია ურღვევია, ის იცვლის ფორმებს, მაგრამ მას არ შეუძლია, შეწყვიტოს არსებობა. მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმს უწევს მუდმივ ალტერნატივასთან შეჯახება: ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი. სიცოცხლე დამოუკიდებელი და თვითაღმდგენი მოქმედების პროცესია. თუ ორგანიზმი მარცხდება ამ მოქმედებაში, ის კვდება; მისი ქიმიური ელემენტები რჩება, მაგრამ სიცოცხლე წყვეტს არსებობას. მხოლოდ ცნება „სიცოცხლე“ ხდის ცნება „ღირებულებას“ შესაძლებელს. მხოლოდ ცოცხალი არსებისთვის შეიძლება იყოს საგნები და მოვლენები კარგი ან ცუდი.

— მცენარემ უნდა კვებოს საკუთარი თავი იმისთვის, რომ იცოცხლოს; მისთვის საჭირო მზის სინათლე, წყალი და ქიმიკალიები არის ღირებულებები, რომელთა მოძიებაც მცენარეს თავისმა ბუნებამ დაუსახა; მცენარის სიცოცხლე ღირებულების ის სტანდარტია, რომელიც წარმართავს მის მოქმედებებს. მაგრამ მცენარეს მოქმედების არჩევნის საშუალება არ აქვს; პირობების ალტერნატივები აქვს, თუმცა მოქმედების — არა: ის ავტომატურად მოქმედებს სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მაგრამ ვერ იმოქმედებს საკუთარი თავის გასანადგურებლად.

— ცხოველი შექმნილია თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად; მისი შეგრძნებები მას აძლევს მოქმედების და იმის ცოდნის ავტომატურ შიფრს, თუ რა არის კარგი და ცუდი მისთვის. მას არ შესწევს ძალა, გაიღრმაოს ცოდნა ან თავი აარიდოს მას.

იმ პირობებში, სადაც მისი ცოდნა არასაკმარისი აღმოჩნდება, ის კვდება. მაგრამ სადამდეც ცოცხლობს, მისთვის მინიჭებული ცოდნით, გაუცნობიერებელი თვითგადარჩენის წყალობით მოქმედებს და არჩევნის გაკეთება არ შეუძლია — მას არ შეუძლია, უარი თქვას თავისთვის სასიკეთოზე, აირჩიოს ცუდი და საკუთარი თავის გასანადგურებლად იმოქმედოს.

— ადამიანს არ აქვს გადარჩენის ავტომატური შიფრი. მას ყველა დანარჩენი ცოცხალი სახეობისგან გამოარჩევს საჭიროება, იმოქმედოს ნებაყოფლობითი არჩევნით ალტერნატივების პირისპირ. მას არ აქვს ავტომატური ცოდნა იმისა, თუ რა არის კარგი მისთვის და რა ცუდი, რა ღირებულებებზეა დამოკიდებული მისი ცხოვრება, მოქმედების რა მიმართულებას მოითხოვს მისგან ცხოვრება. თქვენ თვითგადარჩენის ინსტინქტზე ჭიკჭიკებთ? თვითგადარჩენის ინსტინქტი სწორედ ის არის, რაც ადამიანს არ გააჩნია. „ინსტინქტი“ ცოდნის შეუმცდარი და ავტომატური ფორმაა. სურვილი არ არის ინსტინქტი. სიცოცხლის სურვილი არ გაძლევს სიცოცხლისთვის საჭირო ცოდნას. და ადამიანის სურვილიც კი, იცოცხლოს, არ არის ავტომატური: თქვენი საიდუმლო ბოროტება დღეს სწორედ ის არის, რომ თქვენ არ გაქვთ ასეთი სურვილი. თქვენი სიკვდილის შიში არ არის სიცოცხლის სიყვარული და ის არ მოგცემთ საჭირო ცოდნას სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ადამიანმა ცოდნა უნდა მიიღოს და აირჩიოს თავისი მოქმედებები აზროვნების პროცესის საშუალებით, რის გაკეთებასაც მას ბუნება არ დააძალებს. ადამიანს აქვს ძალა, იმოქმედოს საკუთარი თავის გასანადგურებლად — და სწორედ ასე იქცეოდა თითქმის მთელი თავისი ისტორიის მანძილზე.

— ცოცხალი არსება, რომელიც თავის გადარჩენის საშუალებას ბოროტებად მიიჩნევდა, ვერ გადარჩებოდა. ვერც მცენარე, რომელიც თავისი ფესვების დაჩეხვას ეცდებოდა, ვერც ჩიტი, რომელიც თავისი ფრთების დამსხვრევას შეეცდებოდა, დიდხანს ვერ იარსებებდნენ. კაცობრიობის ისტორია კი ბრძოლაა საკუთარი გონების უარსაყოფად და გასანადგურებლად.

— ადამიანს რაციონალურ არსებას უწოდებდნენ, მაგრამ რაციონალურობა არჩევნის საკითხია — და ადამიანს თავისი ბუნება სხვა ალტერნატივასაც სთავაზობს:

მას შეუძლია, იყოს რაციონალური არსება ან საკუთარი თავის გამანადგურებელი ცხოველი. ადამიანი უნდა იყოს ადამიანი — საკუთარი არჩევნით; მას თავისი სიცოცხლე ღირებულებად უნდა მიაჩნდეს — საკუთარი არჩევნით; მან უნდა ისწავლოს სიცოცხლის შენარჩუნება — საკუთარი არჩევნით; მან უნდა აღმოაჩინოს ის ღირებულებები, რომელსაც სიცოცხლე მოითხოვს და განახორციელოს თავისი სათნოებები — საკუთარი არჩევნით.

— საკუთარი არჩევნით მიღებული ღირებულებათა კოდექსი არის ზნეობის კოდექსი.

— ვინც არ უნდა იყოთ, თქვენ, ვინც ახლა მისმენთ, მე მივმართავ იმას, რაც კი ცოცხალი და შეურყვნელი დარჩენილა თქვენში, მივმართავ ადამიანურობის ნაშთს, თქვენს გონებას და ვამბობ: არსებობს გონების ზნეობა, ადამიანისთვის საჭირო ზნეობა და ადამიანის სიცოცხლე ამ ზნეობის ღირებულების სტანდარტია.

— ყველაფერი, რაც რაციონალური არსების სიცოცხლისთვის არის საჭირო, სიკეთეა; ყველაფერი, რაც ანადგურებს მის სიცოცხლეს, ბოროტებაა.

— ადამიანის სიცოცხლე, როგორც ამას მისი ბუნება მოითხოვს, უგუნური ცხოველის, მძარცველი ავაზაკის, უქნარა მისტიკოსის კი არა, მოაზროვნე არსების ცხოვრებაა, არა ძალადობითა და სიცრუით ცხოვრება, არამედ მიღწევებით, არა გადარჩენა ნებისმიერ ფასად, რადგან არსებობს ერთადერთი ფასი, რომელიც ანაზღაურებს ადამიანის გადარჩენას: ეს არის გონება.

— ადამიანის ცხოვრება არის ზნეობის სტანდარტი, მაგრამ თქვენი საკუთარი ცხოვრება არის ზნეობის მიზანი. თუ დედამიწაზე არსებობა თქვენი მიზანია, თქვენი მოქმედებები და ღირებულებები უნდა აირჩიოთ იმ სტანდარტით, რომელიც ადამიანს სჭირდება, რათა შეინარჩუნოთ, განახორციელოთ და დატკბეთ შეუცვლელი ღირებულებით — თქვენი ცხოვრებით.

— რადგან ცხოვრება მოქმედების კონკრეტულ მიმართულებას მოითხოვს, ნებისმიერი სხვა მიმართულება გაანადგურებს მას. ის არსება, რომელსაც საკუთარი ცხოვრება თავისი მოქმედებების მიზეზად და მიზნად არ მიაჩნია, მოქმედებს სიკვდილის მიზეზითა და სტანდარტით. ასეთი არსება მეტაფიზიკური ურჩხულია, რომელიც მთელი ძალით ცდილობს, საკუთარი არსებობის ფაქტს შეეწინააღმდეგოს და უარყოს ის, ეს არსება გააფთრებული ბრმად მიიწევს წინ განადგურების გზაზე და მხოლოდ ტკივილის განცდა შეუძლია.

— ბედნიერება სიცოცხლის წარმატებული მდგომარეობაა, ტკივილი კი სიკვდილის ფაქტორია. ბედნიერება ცნობიერების ის მდგომარეობაა, რომელიც ადამიანის ღირებულებების მიღწევიდან მომდინარეობს. ზნეობა, რომელიც გიბედავთ, გიქადაგოთ, ბედნიერება საკუთარ ბედნიერებაზე უარის თქმაში იპოვოთ და თქვენი ღირებულებების მარცხი დააფასოთ, ზნეობის კადნიერი უარყოფაა. პრინციპი, რომელიც იდეალად გისახავთ სამსხვერპლო ცხოველის როლს, სხვების საკურთხეველზე რომ ეძიებს სიკვდილს, სტანდარტად სიკვდილს გიდგენთ. რეალობისა და ცხოვრების ბუნების წყალობით, ადამიანი, თითოეული ადამიანი, საკუთარი სიამოვნებისთვის ცოცხლობს და პირადი ბედნიერების მიღწევა მისი უზენაესი ზნეობრივი მიზანია.

— მაგრამ ირაციონალური კაპრიზების მიყოლით არც სიცოცხლე მიიღწევა და არც ბედნიერება. ადამიანი როგორც იმაშია თავისუფალი, რომ სცადოს თავის გადარჩენა ნებისმიერი შემთხვევითი გზით, მაგრამ დაიღუპება, თუ ისე არ იცხოვრებს, როგორც ამას მისი ბუნება მოითხოვს, ასევე თავისუფალია, ეძიოს ბედნიერება ნებისმიერ უაზრო თაღლითობაში, მაგრამ მას მხოლოდ იმედგაცრუების ტანჯვა შერჩება ხელში, თუ ადამიანისთვის შესაფერისი ბედნიერება არ ეძია. ზნეობის მიზანი თქვენთვის ტანჯვისა და სიკვდილის კი არა, საკუთარი თავისთვის სიამოვნების მინიჭებისა და სიცოცხლის სწავლებაა.

— თავიდან მოიშორეთ სუბსიდირებული საკლასო ოთახების პარაზიტები, რომლებიც სხვების გონებიდან მიღებული მოგებით ცხოვრობენ და აცხადებენ, რომ ადამიანს არ სჭირდება ზნეობა, ღირებულებები, ქცევის კოდექსი. ისინი თავს მეცნიერებად ასაღებენ და ამტკიცებენ, რომ ადამიანი მხოლოდ ცხოველია და მასზე, ყველაზე დაბალი განვითარების მწერებისგან განსხვავებით, არსებობის კანონი არ ვრცელდება. ისინი აღიარებენ, რომ ყველა ცოცხალ სახეობას აქვს გადარჩენის გზა თავისი ბუნების მიხედვით, არ ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ თევზს უწყლოდ სიცოცხლე შეუძლია ან იმას, რომ ძაღლი ყნოსვის გარეშე გაძლებს, მაგრამ

ამტკიცებენ, რომ ადამიანს, ყველაზე რთულ არსებას, ნებისმიერი გზით შეუძლია გადარჩენა, რომ ადამიანს არ აქვს რაობა, ბუნება და ამიტომაც არ არსებობს პრაქტიკული მიზეზი, თუ რატომ ვერ იცოცხლებს ის, როდესაც მისი გადარჩენის საშუალება განადგურებულია — გონება დათრგუნვილია და მათ მიერ გამოცემულ ნებისმიერ დირექტივას დაქვემდებარებული.

— თავიდან მოიშორეთ დაბოღმილი მისტიკოსები, რომლებიც თავს კაცობრიობის მეგობრებად ასაღებენ და ქადაგებენ, რომ ადამიანისთვის უზენაესი სათნოება ის არის, საკუთარი სიცოცხლე ღირებულად არ მიაჩნდეს. ისინი თქვენ გეუბნებიან, რომ ზნეობის მიზანი ადამიანის თვითგადარჩენის ინსტინქტის ჩახშობაა? სწორედ თვითგადარჩენის გამო სჭირდება ადამიანს ზნეობის კოდექსი. მხოლოდ იმ ადამიანს სურს, იყოს ზნეობრივი, ვისაც სიცოცხლის სურვილი აქვს.

— არა, თქვენ არ ხართ ვალდებული, იცოცხლოთ; ეს ზნეობრივი არჩევნის ძირითადი აქტია; მაგრამ თუ სიცოცხლეს აირჩევთ, უნდა იცხოვროთ ისე, როგორც ადამიანმა — თქვენი გონების მუშაობითა და მსჯელობით.

— არა, თქვენ არ ხართ ვალდებული, იცხოვროთ, როგორც ადამიანმა; ეს ზნეობრივი არჩევნის აქტია. მაგრამ სხვა რამედ ვერ იცხოვრებთ — და ალტერნატივა არის ცოცხალი სიკვდილის მდგომარეობა, რომელსაც ახლა თქვენს არსებაში და თქვენ გარშემო ხედავთ, არსებობისთვის გამოუსადეგარი საგნის მდგომარეობა, რომელიც უკვე აღარ არის ადამიანი და ცხოველზე დაბლაა დაცემული, იმ საგნის, რომელმაც მხოლოდ ტკივილის განცდა იცის და თავისი ცხოვრების წლებს წინდაუხედავი თვითგანადგურების ტანჯვაში ატარებს.

— არა, თქვენ არ ხართ ვალდებული, იაზროვნოთ; ესეც ზნეობრივი არჩევნის აქტია. მაგრამ ვიღაცამ უნდა იაზროვნოს, თქვენ რომ გადარჩეთ; თუ თქვენ აზროვნების ვალდებულებას არ ასრულებთ, ამით არსებობის ვალდებულებასაც იხსნით და ამ დეფიციტს ვინმე ზნეობრივ ადამიანს დააკისრებთ, რომლისგანაც მოელით, რომ მან თავისი პირადი სიკეთე მსხვერპლად შესწიროს თქვენს გადარჩენას თქვენი ბოროტების მეშვეობით.

— არა, თქვენ არ ხართ ვალდებული, იყოთ ადამიანი; მაგრამ დღეს ის, ვინც ადამიანია, აქ აღარ არის. მე მოგაშორეთ თქვენი გადარჩენის საშუალება — თქვენი მსხვერპლები.

— თუ გსურთ, გაიგოთ, როგორ მოვახერხე ეს და რა ვუთხარი მათ, თავიანთი საქმიანობა რომ შეეწყვიტათ, მომისმინეთ. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ჩემი კოდექსით ცხოვრობდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, თუ რა დიადი სათნოება იყო ეს კოდექსი. მე მათ ეს დავანახვე. მე მათ საკუთარი ღირებულებები კი არ გადავაფასებინე, არამედ მხოლოდ მათ აღიარებაში დავეხმარე.

— ჩვენ, გონიერი ადამიანები, გაფიცული ვართ თქვენ წინააღმდეგ ერთადერთი აქსიომის სახელით, რომელიც ჩვენი ზნეობრივი კოდექსის საფუძველია, ისე, როგორც თქვენი კოდექსის საფუძველია მისგან გაქცევის სურვილი: ეს აქსიომაა — „სიცოცხლე არსებობს“.

— სიცოცხლე არსებობს და ამ პრინციპის გააზრების აქტი გულისხმობს ორ შედეგობრივ აქსიომას: რომ არსებობს რაღაც, რასაც ადამიანი აღიქვამს და არსებობს ადამიანი, რომელსაც აქვს ცნობიერება — იმის აღქმის საშუალება, რაც არსებობს.

— თუ არაფერი არ არსებობს, მაშინ ცნობიერებაც ვერ იარსებებს: ცნობიერება, რომელსაც არაფერი აქვს აღსაქმელი, თავის თავს ეწინააღმდეგება. ცნობიერება,

რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს აღიქვამს, თავის თავს ეწინააღმდეგება: სანამ ის შეძლებს საკუთარი თავის აღქმას ცნობიერებად, მან რაღაც უნდა აღიქვას. თუ ის, რის აღქმასაც თქვენ ამტკიცებთ, არ არსებობს, მაშინ რასაც თქვენ ფლობთ, არ ყოფილა ცნობიერება.

— იმის მიუხედავად, შემეცნების რომელ საფეხურზე ხართ, ორი რამ — არსებობა და ცნობიერება — ის აქსიომებია, რომლებსაც ვერ გაექცევით, ერთიცა და მეორეც უცვლელად პირველხარისხოვანია ნებისმიერ თქვენს მოქმედებაში, თქვენი ცოდნის ნებისმიერ ნაწილში და მის ჯამში, ცხოვრების დასაწყისში აღქმული მზის პირველი სხივიდან — ცხოვრების ბოლოს შეძენილ ფართო ერუდიციამდე. იმისდა მიუხედავად, კენჭის ფორმას იცნობთ თუ მზის სისტემის სტრუქტურას, ეს აქსიომები უცვლელი რჩება: რომ ეს არსებობს და რომ თქვენ ეს იცით.

— არსებობდე — ნიშნავს, იყო რაღაც, რაც განსხვავდება არარსებობისგან, არაფრისგან, განსაკუთრებული ბუნების არსება, რომელსაც გარკვეული განმასხვავებელი თვისებები ექნება. საუკუნეების წინ, კაცმა, რომელიც თავისი შეცდომების მიუხედავად, უდიდესი ფილოსოფოსი იყო, ჩამოაყალიბა დებულება, რომელიც არსებობის კონცეფციასა და ყველანაირი ცოდნის წესს განსაზღვრავს: A არის A. A არის ის, რაც არის. თქვენ არასდროს გაგიცნობიერებიათ ამ დებულების მნიშვნელობა. მე აქ მის დასასრულებლად ვარ: ყოფიერება არის რაობა, ცნობიერება კი რაობის დადგენა.

— რაც არ უნდა აირჩიოთ, იქნება ეს საგანი, თვისება თუ მოქმედება, რაობის კანონი იგივე რჩება. ფოთოლი იმავე დროს ქვა ვერ იქნება, ის ერთდროულად მთლიანად წითელი და მთლიანად მწვანე ვერ იქნება, არ შეიძლება, ერთდროულად იყინებოდეს კიდეც და იწვოდეს კიდეც. A არის A ან, გნებავთ, მარტივად ვთქვათ: არ შეიძლება, ერთდროულად თან გქონდეთ ნამცხვარი და თან შეჭამოთ ის.

— გსურთ, გაიგოთ, რა დაემართა სამყაროს? ყველა კატასტროფა, რომელმაც გაანადგურა თქვენი სამყარო, წარმოიშვა თქვენი ლიდერების მცდელობიდან, გაჰქცეოდნენ იმ ფაქტს, რომ A არის A. ყველა იდუმალი ბოროტება თქვენს არსებაში, რომლისთვისაც თვალის გასწორებისაც გეშინიათ და ყველა ტკივილი, რაც კი ოდესმე განგიცდიათ, წარმოიშვა თქვენი მცდელობიდან, გაჰქცეოდით იმ ფაქტს, რომ A არის A. ხოლო იმათი მიზანი, ვინც ამ ფაქტისგან გაქცევა გასწავლათ, იყო ის, რომ თქვენთვის დაევიწყებინათ, რომ ადამიანი ადამიანია.

— ადამიანს არ შეუძლია ცოდნის მიღების გარეშე გადარჩენა, გონება კი ერთადერთი საშუალებაა ცოდნის შესაძენად. გონება არის უნარი, რომელიც აღიქვამს, ამოიცნობს და აერთიანებს ადამიანის შეგრძნებების მიერ მიწოდებულ მასალას.

ადამიანის შეგრძნებების ფუნქციაა, მისცეს მას არსებობის მტკიცებულება, მაგრამ ამ მტკიცებულების რაობის დადგენა გონებას ევალება; შეგრძნებები ადამიანს მხოლოდ იმას ამცნობენ, რომ რაღაც არსებობს, მაგრამ მისმა გონებამ უნდა გაიგოს, თუ რა არის ეს რაღაც.

— ყველა სახის აზროვნება რაობის დადგენისა და გაერთიანების პროცესია. ადამიანი აღიქვამს ფერის ლაქას; მხედველობისა და შეხების გრძნობის მიერ მიწოდებული მასალის გაერთიანებით, ის სწავლობს იმის დადგენას, რომ ეს მყარი საგანია; ის სწავლობს იმის დადგენას, რომ საგანი მაგიდაა; ის იგებს, რომ მაგიდა ხისგან არის დამზადებული; ის იგებს, რომ ხე შედგება უჯრედებისგან, უჯრედები შედგება მოლეკულებისგან, მოლეკულები კი შედგება ატომებისგან. მთელი ამ

პროცესის განმავლობაში, ადამიანის გონების მუშაობა შედგება ამ ერთადერთ კითხვაზე პასუხებისგან: რა არის ეს? ადამიანისთვის თავისი პასუხების ჭეშმარიტების დადგენის საშუალება ლოგიკაა, ლოგიკა კი დაფუძნებულია აქსიომაზე, რომ არსებობა არსებობს. ლოგიკა არის არაწინააღმდეგობრივი რაობის დადგენის ხელოვნება. წინააღმდეგობა არ შეიძლება არსებობდეს. ატომი არის ატომი და ასევეა სამყაროც; არც ერთს არ შეუძლია, შეეწინააღმდეგოს საკუთარ რაობას; არც ნაწილს შეუძლია, შეეწინააღმდეგოს მთლიანს. არც ერთი ცნება, რომელსაც ადამიანი აყალიბებს, არ არის დასაბუთებული, თუ ის წინააღმდეგობის გარეშე არ მიუერთებს მას თავისი ცოდნის მთლიან ჯამს. თუკი წინააღმდეგობამდე მიხვალ, ეს ნიშნავს, რომ აღიარებ შეცდომას საკუთარ აზროვნებაში; წინააღმდეგობის მტკიცება ნიშნავს, უარყო შენი გონება და საკუთარი თავი გამოაძევო რეალობის სამყაროდან.

— რეალობა ის არის, რაც არსებობს; არარეალური არ არსებობს; არარეალური არსებობის უარყოფაა, ადამიანის ცნობიერების შიგთავსი, როდესაც ის ცდილობს გაანადგუროს გონება. ჭეშმარიტება რეალობის აღიარებაა; ჭეშმარიტების ერთადერთი სტანდარტი გონებაა, ადამიანისთვის ცოდნის მიღების ერთადერთი საშუალება.

— „ვისი გონება?“ — აი, ეს არის ყველაზე უგუნური შეკითხვა, რაც კი თქვენ ახლა შეგიძლიათ, დასვათ. ამ კითხვის პასუხია: „თქვენი“. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ფართოა თქვენი ცოდნა ან რამდენად მწირი, ნებისმიერ შემთხვევაში, ის თქვენმა გონებამ შეიძინა. მხოლოდ თქვენს საკუთარ ცოდნასთან შეგიძლიათ, გქონდეთ საქმე. მხოლოდ საკუთარი ცოდნის ფლობა შეგიძლიათ, მხოლოდ მისი გათვალისწინება შეიძლება, სთხოვოთ სხვებს. თქვენი გონება თქვენთვის ჭეშმარიტების ერთადერთი მსაჯულია — და თუ სხვები არ დაეთანხმებიან მის ვერდიქტს, მაშინ საბოლოო გასაჩივრების ინსტანცია რეალობა იქნება. მხოლოდ ადამიანის გონებას შეუძლია, შეასრულოს რაობის დადგენის ისეთი რთული, ფაქიზი და კრიტიკული პროცესი, როგორიც აზროვნებაა. ამ პროცესის წარმართვა მხოლოდ საკუთარ მსჯელობას შეუძლია, მსჯელობის წარმართვა კი მხოლოდ ზნეობრივ წესიერებას.

— თქვენ, ვინც „ზნეობრივ ინსტინქტზე“ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ის გონებისგან განცალკევებული ნიჭი იყოს — გეტყვით, რომ ადამიანის გონება მისი ზნეობრივი უნარია. გონების მუშაობის პროცესი მუდმივი არჩევნის გაკეთების პროცესია შემდეგი კითხვის პასუხად: სწორია თუ მცდარი? თესლი უნდა დაირგოს ნიადაგში ნაყოფის გამოსაღებად — სწორია თუ მცდარი? ადამიანის ჭრილობა უნდა დამუშავდეს სიცოცხლის გადასარჩენად — სწორია თუ მცდარი? ატმოსფერული ელექტროენერგიის ბუნება საშუალებას იძლევა მის კინეტიკურ ძალად გარდასაქმნელად — სწორია თუ მცდარი? ასეთი კითხვების პასუხებმა მოგცათ ყველაფერი, რაც კი გაქვთ, და ეს პასუხები ადამიანის გონებიდან წარმოიშვა, იმ გონებისგან, რომელსაც შეუპოვარი თავდადება აქვს იმისადმი, რაც სწორია.

— რაციონალური პროცესი ზნეობრივი პროცესია. შეიძლება, მის ნებისმიერ საფეხურზე შეცდომა დაუშვათ, მაშინ, როცა თქვენი ერთადერთი დამცველი თქვენივე სიმტკიცე იქნება, ან შესაძლოა, თაღლითობა, მტკიცებულების გაყალბება და ძიების ძალისხმევისგან თავის დაძვრენა სცადოთ, მაგრამ თუ ჭეშმარიტებისადმი თავდადება ზნეობის ნიშანია, არ არსებობს თავდადების იმაზე დიადი, კეთილშობილური, გმირული ფორმა, ვიდრე იმ ადამიანის მოქმედება, რომელიც აზროვნების პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს.

— ის, რასაც თქვენს სულს უწოდებთ, თქვენი ცნობიერებაა, და რასაც „თავისუფალ ნებას“ ეძახით, არის თქვენი გონების თავისუფლება, იაზროვნოს თუ არ იაზროვნოს, ერთადერთი ნება, რაც კი გაბადიათ, ერთადერთი თავისუფლება, არჩევანი, რომელიც ყველა თქვენ მიერ გაკეთებულ არჩევანს მართავს და განსაზღვრავს თქვენს ცხოვრებასა და ხასიათს.

— აზროვნება ადამიანის ერთადერთი ძირითადი სათნოებაა, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი სათნოება. და მისი ძირითადი მანკიერება, ყველა მისი ბოროტების წყარო, არის ის ამაზრზენი აქტი, რომელსაც ყველა თქვენგანი მიმართავთ, მაგრამ აღიარებას გაურბიხართ: ეს თვალის განზრახ დაბრმავების აქტია, ცნობიერების ნებაყოფლობით შეჩერება, აზროვნებაზე უარის თქმა — არა სიბრმავე, არამედ უარის თქმა დანახვაზე; არა უვიცობა, არამედ უარის თქმა ცოდნაზე; მსჯელობის პასუხისმგებლობისგან გაქცევის მიზნით გონების მოდუნებისა და შინაგანი ბუნდოვანების გამოწვევის აქტია — იმ გამოუთქმელი წინაპირობის საფუძველზე, რომ საგანი არ იარსებებს, თუ თქვენ მისი რაობის დადგენაზე უარს იტყვით, რომ A არ იქნება A, სანამ თქვენ არ გამოაცხადებთ განაჩენს, რომ „ის არის“. აზროვნებაზე უარის თქმა განადგურების აქტია, არსებობის უარყოფის სურვილია, რეალობის გაქრობის მცდელობაა. მაგრამ არსებობა არსებობს; რეალობის გაქრობა შეუძლებელია, ის უბრალოდ გააქრობს მისი გაქრობის მსურველს.

იმის უარყოფით, რომ „ის არის“, თქვენ უარყოფთ იმას, რომ „მე ვარ“. მსჯელობაზე უარის თქმით თქვენ საკუთარ პიროვნებას უარყოფთ. როდესაც ადამიანი აცხადებს: „ვინ ვარ მე, რომ ვიცოდე?“ — ის ამით ამბობს: „ვინ ვარ მე, რომ ვიცოცხლო?“ — თითოეულ საათს, თითოეულ საკითხში თქვენი უმთავრესი ზნეობრივი არჩევანია: აზროვნება თუ არაზროვნება, არსებობა თუ არარსებობა, A თუ არ-A, არსებობა თუ არარა.

— იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ადამიანი რაციონალურია, მისი მოქმედებების წარმმართველი წინაპირობა სიცოცხლეა. ირაციონალურობის შემთხვევაში კი, მისი მოქმედებების წარმმართველი წინაპირობა სიკვდილია.

— თქვენ, ვინც ჭიკჭიკებთ, რომ ზნეობა სოციალური მოვლენაა და უკაცრიელ კუნძულზე ადამიანს ის არ დასჭირდებოდა, გეტყვით, რომ სწორედ იქ დასჭირდებოდა მას ზნეობა ყველაზე მეტად. დაე, როცა მსხვერპლები არ იქნებიან, რომლებიც ზღავენ ამისთვის, მაშინ დაამტკიცოს მან, რომ კლდე სახლია, რომ ქვიშა ტანსაცმელია, რომ საკვები პირში თავისთავად მოხვდება, რომ ხვალ მოიწევს მოსავალს, თუ დღეს თესლის მარაგს შთანთქავს — და რეალობა გააქრობს მას, როგორც იმსახურებს კიდევაც; რეალობა მას უჩვენებს, რომ ცხოვრება ღირებულებაა, რომელიც უნდა იყიდო, აზროვნება კი მის საყიდლად ვარგისი ერთადერთი მონეტაა.

— მე რომ თქვენს ენაზე ვლაპარაკობდე, ვიტყოდი, რომ ადამიანის ერთადერთი ზნეობრივი მცნებაა: იაზროვნე. მაგრამ „ზნეობრივი მცნება“ ლოგიკას ეწინააღმდეგება. ზნეობრივი საკუთარი სურვილით არჩეულს ნიშნავს და არა დაძალებულს; გაგებულს და არა ბრძანებით მიღებულს. ზნეობა რაციონალურია, გონება კი მცნებებს არ ცნობს.

— ჩემი ზნეობა, გონების ზნეობა, ერთ აქსიომაშია თავმოყრილი: რეალობა არსებობს; და ერთ არჩევანში: სიცოცხლეში. ყველაფერი დანარჩენი აქედან გამომდინარეობს. იმისთვის, რომ იცოცხლოს, ადამიანი სამ საგანს უნდა მიიჩნევდეს

თავისი ცხოვრების უზენაეს და წარმმართველ ღირებულებად: გონებას — მიზანს — ღირსების გრძნობას. გონებას, როგორც ცოდნის მიღების ერთადერთ იარაღს — მიზანს, როგორც თავისი ბედნიერების არჩევანს, რომლის მისაღწევადაც უნდა იყოს გამოყენებული ეს იარაღი — ღირსების გრძნობას, როგორც თავის მტკიცე რწმენას, რომ მას შეუძლია აზროვნება და მისი პიროვნება იმსახურებს ბედნიერებას, რაც ნიშნავს: ის იმსახურებს სიცოცხლეს. ეს სამი ღირებულება გულისხმობს და მოითხოვს ყველა ადამიანურ სათნოებას და ადამიანის ყველა სათნოებას — გონიერებას, დამოუკიდებლობას, ერთგულებას, პატიოსნებას, სამართლიანობას, ნაყოფიერებას, სიამაყეს, — არსებობისა და ცნობიერების ურთიერთკავშირი ამთლიანებს.

— გონიერება იმ ფაქტის აღიარებაა, რომ არსებობა არსებობს, რომ არაფერს შეუძლია ჭეშმარიტების შეცვლა და წინ ვერაფერი აღუდგება მისი აღქმის აქტს, რაც არის სწორედ აზროვნება; რომ გონება ადამიანის ღირებულებების ერთადერთი მსაჯულია და მისი მოქმედების ერთადერთი ხელმძღვანელია; რომ გონება აბსოლუტია, რომელიც კომპრომისს არ უშვებს; რომ ირაციონალობის მიყოლა ადამიანის ცნობიერებას აუძლურებს და რეალობის აღქმის დანიშნულებას რეალობის გაყალბების ფუნქციად გადააგვარებს; რომ ცოდნამდე მისასვლელი ვითომდა მოკლე გზა, რწმენა, სინამდვილეში მოკლე ჩართვაა, რომელიც გონებას ანადგურებს; რომ მისტიკური გამონაგონის მიღება არსებობის განადგურების ნატვრაა და, შესაბამისად, ის ანადგურებს ადამიანის ცნობიერებას.

— დამოუკიდებლობა იმ ფაქტის აღიარებაა, რომ მსჯელობის პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ და მას ვერანაირად ვერ გაექცევით; რომ სხვა ვერავინ იაზროვნებს და იცხოვრებს თქვენ მაგივრად; რომ თავის დამცირებისა და თვითგანადგურების ყველაზე საზიზღარი სახე არის ის, რომ თქვენი გონება სხვისას დაუქვემდებაროთ; რომ თქვენს გონებაზე სხვისი ძალაუფლება აღიაროთ; რომ მისი განცხადებები ფაქტებად და მისი ბრძანებები თქვენს ცნობიერებასა და თქვენს არსებობას შორის შუამავლად ცნოთ.

— ერთგულება იმ ფაქტის აღიარებაა, რომ არ შეგიძლიათ საკუთარი ცნობიერების გაყალბება, ისევე, როგორც პატიოსნებაა იმ ფაქტის ცნობა, რომ არსებობის გაყალბება არ შეგიძლიათ; რომ ადამიანი განუყოფელი არსება, ორი თვისებისგან შემდგარი ერთეულია: მატერიისგან და ცნობიერებისგან, და მას არ აქვს უფლება, ერთმანეთს დააშოროს სხეული და გონება, მოქმედება და აზრი, თავისი ცხოვრება და თავისი შეხედულებები; რომ მოსამართლის მსგავსად, რომელიც საზოგადოებრივ აზრზე მაღლა დგას, მანაც არ უნდა შესწიროს თავისი შეხედულებები სხვების სურვილებს, თუნდაც მთელი კაცობრიობა ყვირილით ემუდარებოდეს და ემუქრებოდეს; რომ გამბედაობა და თავდაჯერებულობა პრაქტიკული საჭიროებებია; რომ გამბედაობა არსებობისადმი და ჭეშმარიტებისადმი ერთგულების პრაქტიკული ფორმაა, თავდაჯერებულობა კი საკუთარი ცნობიერებისადმი ერთგულების პრაქტიკული ფორმა.

— პატიოსნება იმ ფაქტის აღიარებაა, რომ არარეალური არარეალურია და მას ღირებულება ვერ ექნება; რომ ვერც სიყვარული, ვერც დიდება და ვერც ფული ვერ იქნება ღირებულება, თუ ის თაღლითობით არის მოპოვებული; რომ სხვების მოტყუების მეშვეობით ღირებულების მიღების მცდელობა არის თქვენი მსხვერპლების რეალობაზე მაღლა დაყენების აქტი, სადაც თქვენ ხდებით მათი უგუნურების პაიკი, მათი არაზროვნებისა და ორაზროვნების მონა, ამ დროს კი მათი

საზრიანობა, გონიერება, აღქმის უნარი ხდებიან მტრები, რომლებისაც ძალიან უნდა გეშინოდეთ და გარბოდეთ მათგან; რომ თქვენ არ გსურთ, ვინმეზე დამოკიდებული იყოთ, ყველაზე ნაკლებად კი სხვების უგუნურებაზე დამოკიდებულება გსურთ ან არ გსურთ, იყოთ სულელი, რომლის ღირებულებების წყარო არიან ის სულელები, წარმატებით რომ ასულელებს; რომ პატიოსნება არც სოციალური მოვალეობაა და არც სხვების გულისთვის თავგანწირვა, არამედ ყველაზე ღრმად ეგოისტური სათნოებაა, რაც კი შეიძლება, ადამიანს მოეპოვებოდეს: ეს არის უარის თქმა იმაზე, რომ საკუთარი არსებობის რეალობა მსხვერპლად შესწირო სხვების მცდარ ცნობიერებას.

— სამართლიანობა იმ ფაქტის ცნობაა, რომ თქვენ არ შეგიძლიათ, გააყალბოთ ადამიანების ხასიათი, ისევე, როგორც არ შეგიძლიათ, გააყალბოთ ბუნების ხასიათი; რომ თქვენ ყველა ადამიანი ისევე კეთილსინდისიერად უნდა განსაჯოთ, როგორც უსულო საგნებს განსჯით, სიმართლისადმი იგივენაირი პატივისცემით, ისეთივე მიუდგომელი ხედვით, რაობის დადგენის ისეთივე წმინდა და გონივრული პროცესის მეშვეობით; რომ ყოველი ადამიანი უნდა განისაჯოს იმის მიხედვით, თუ ვინ არის ის და შესაბამისადაც უნდა მოექცნენ; რომ როგორც ჟანგიან ჯართში არ იხდით მბრწყინავ ლითონზე მაღალ ფასს, ასევე არ უნდა აფასებდეთ არამზადას გმირზე მეტად; რომ თქვენი ზნეობრივი შეფასება არის მონეტა, რომლითაც ადამიანებს მათი სათნოებებისთვის ან მანკიერებებისთვის უხდით და ეს თქვენგან ისეთივე სკრუპულოზურ კეთილსინდისიერებას მოითხოვს, როგორც ფინანსური გარიგებები; რომ ადამიანების მანკიერებებისადმი თქვენი სიძულვილის დამალვა ზნეობრივი ფარისევლობის აქტია, მათი სათნოებებით თქვენი აღტაცების დამალვა კი ზნეობრივი მითვისების აქტი; რომ სამართლიანობაზე მაღლა რომელიმე სხვა ინტერესის დაყენება თქვენი ზნეობრივი ვალუტის გაუფასურება და ბოროტების სასარგებლოდ სიკეთის მოტყუებაა, რადგან მხოლოდ სიკეთემ შეიძლება, იზარალოს სამართლიანობის არარსებობით და ამისგან მხოლოდ ბოროტება ნახავს სარგებელს; და რომ ადამიანების დასჯა მათი სათნოებებისთვის და დაჯილდოება მანკიერებებისთვის ორმოა ამ გზის ბოლოს გათხრილი, ზნეობრივი გაკოტრება, სრული გარყვნა, სიკვდილის თაყვანისცემის შავი მესა, საკუთარი ცნობიერების მიძღვნა არსებობის განადგურებისთვის.

— წარმოების უნარი თქვენ მიერ ზნეობის აღიარებაა, იმ ფაქტის ცნობაა, რომ თქვენ ცხოვრებას ირჩევთ; რომ ნაყოფიერი მუშაობა ის პროცესია, რომლის მეშვეობითაც ადამიანის ცნობიერება მართავს მის არსებობას, ეს არის მუდმივი პროცესი ცოდნის მიღების, საკუთარი მიზნისთვის მატერიის მორგების, აზრისთვის ფიზიკური ფორმის მიცემისა და საკუთარი ღირებულებების ხატად დედამიწის გარდაქმნის; რომ ყველანაირი სამუშაო შემოქმედებითია, თუ მოაზროვნე გონების მიერ სრულდება და არც ერთი სამუშაო არ არის შემოქმედებითი, თუ მას ის უშინაარსო გონება ეწევა, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე რომ იმეორებს რუტინას, რომელიც სხვებისგან შეისწავლა; რომ თქვენი სამუშაო თქვენი ასარჩევია და ეს არჩევანი იმდენად ფართო აღმოჩნდება, რამდენადაც უფრო ძლიერი იქნება თქვენი გონება; რომ არაფერი ზედმეტი თქვენთვის შესაძლებელი არ იქნება და არაფერი ნაკლები — ღირსეული; რომ თუ ისეთ სამუშაოს აირჩევთ, რომელსაც თქვენი გონება ვერ გაუმკლავდება, შიშისგან დამანჭულ მაიმუნს დაემსგავსებით, სხვების მოძრაობებს რომ ბაძავს შეუფერებელ დროსა და შეუფერებელ ადგილას, და თუკი ისეთ საქმეს მოეკიდებით, რომელიც თქვენს გონებრივ შესაძლებლობებზე ნაკლებს

მოითხოვს, საკუთარი გონების ძრავას გააჩერებთ და სხვაგვარ მოძრაობას მიუსჯით თავს — დაღმასვლას; რომ თქვენი სამუშაო თქვენი ღირებულებების მიღწევის პროცესია და ღირებულებებისკენ სწრაფვაზე უარის თქმა სიცოცხლისკენ სწრაფვაზე უარის თქმას ნიშნავს; რომ თქვენი სხეული მანქანაა, თქვენი გონება კი მძღოლი და სხეული იქ უნდა მიდიოდეს, სადაც მას თქვენი გონება წაიყვანს, თქვენი გზის საბოლოო მიზანი კი მიღწევა უნდა იყოს; რომ უმიზნო ადამიანი ის მანქანაა, რომელიც ფერდობს მიუყვება და შესაძლოა, პირველივე შემხვედრ თხრილში ჩავარდეს; რომ ადამიანი, რომელიც თავის გონებას ახშობს, ერთ ადგილზე გაჩერებული მანქანაა, რომელიც ნელ-ნელა იჟანგება; რომ ადამიანი, რომელიც წინამძღოლს უფლებას მისცემს, მიმართულება უკარნახოს, ჯაბახანაა და მისი ადგილი ჯართის გროვაზეა; რომ ადამიანი, რომელიც თავის მიზნად მეორე ადამიანს დაისახავს, იმ კაცს ჰგავს, რომელიც ცდილობს, გზად ჩავლილ მანქანებს უსასყიდლოდ დაემგზავროს და არც ერთი მძღოლი არ ჩაისვამს მანქანაში; რომ თქვენი ცხოვრების მიზანი თქვენი სამუშაოა და უკან მოუხედავად უნდა ჩაუქროლოთ ნებისმიერ მძარცველს, რომელიც თქვენს გაჩერებას შეეცდება; რომ ნებისმიერი ღირებულება, რომელსაც შესაძლოა, თქვენი საქმიანობის მიღმა წააწყდეთ, ნებისმიერი სხვა ერთგულება ან სიყვარული, უნდა იყვნენ მხოლოდ ის თანამგზავრები, რომლებსაც თქვენი ნებით დაიმგზავრებთ და ისინი საკუთარი ძალებით უნდა მიემართებოდნენ იმავე მიმართულებით.

— სიამაყე იმ ფაქტის აღიარებაა, რომ თქვენ უზენაესი ღირებულება ხართ და რომ, ყველა სხვა ადამიანური ღირებულების მსგავსად, მასაც სჭირდება მოპოვება; რომ თქვენთვის ხელმისაწვდომი ყველა მიღწევიდან, ის მიღწევა, რომელიც დანარჩენს შესაძლებელს ხდის, არის საკუთარი ხასიათის შექმნა; რომ თქვენი ხასიათი, მოქმედებები, სურვილები და ემოციები თქვენს გონებაში არსებული წინაპირობების ნაყოფია; რომ როგორც მატერიალური ღირებულებები ესაჭიროება ადამიანს სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ისე სჭირდება ხასიათის ის თვისებებიც, რომლებიც მას სიცოცხლეს ღირსეულად გააგრძელებინებს; რომ მან ისევე უნდა შექმნას თავისი სული, როგორც სიმდიდრეს მოიპოვებს; რომ ცხოვრება ადამიანისგან მოითხოვს საკუთარი ფასეულობის განცდას, მაგრამ ღირებულებები თავისთავად, არსაიდან არ ჩნდებიან, არც ღირსების გრძნობა არ გეძლევა თავისთავად, ადამიანმა ის უნდა მოიპოვოს საკუთარი გარდაქმნით თავისი ზნეობრივი იდეალის ხატად, ადამიანის ხატად, იმ გონიერი არსების ხატად, რომელიც დაჯილდოებულია შექმნის უნარით, მაგრამ მან მხოლოდ საკუთარი არჩევნით უნდა შექმნას; რომ ღირსების უპირველესი საწინდარი არის სულის ის ბრწყინვალე ეგოიზმი, რომელიც ყველა საგანში, მატერიისა და სულის ღირებულებებში საუკეთესოს ელტვის, იმ სულის, რომელიც ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევისკენ ისწრაფვის და საკუთარ თავზე მაღლა არაფერს აყენებს, და რომ მიღწეული ღირსების მტკიცებულება თქვენი სულის ჟრჟოლაა, რომელიც სამსხვერპლო ცხოველის როლის სიძულვილსა და მის წინააღმდეგ ამბოხს გამოხატავს, პროტესტს ნებისმიერი იმ კრედოს საზიზღარი უტიფრობის წინააღმდეგ, მიზნად რომ დაუსახავს, მსხვერპლად შესწიროს შეუცვლელი ღირებულება — თქვენი ცნობიერება და შეუდარებელი დიდება — თქვენი არსებობა სხვების უგუნურ ორაზროვნებასა და უმოქმედო ხრწნას.

— თანდათან ხვდებით, ვინ არის ჯონ გოლტი? მე ვარ კაცი, რომელმაც მოიპოვა ის, რისთვისაც თქვენ არ იბრძოლეთ, ის, რაც თქვენ უარყავით და შერყვენით, რასაც

უღალატეთ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გაანადგურეთ და ახლა როგორც ბინძურ საიდუმლოს, ისე მალავთ, თქვენს ცხოვრებას პროფესიონალი კაციჭამიებისთვის მობოდიშებაში ატარებთ, გეშინიათ, არ გამოაშკარავდეს, რომ გულის სიღრმეში, თქვენ ჯერ კიდევ ნატრობთ, თქვათ ის, რასაც მე ახლა მთელი კაცობრიობის გასაგონად ვამბობ: მე მეამაყება ჩემი საკუთარი ღირებულება და ის ფაქტი, რომ სიცოცხლე მსურს.

— ეს სურვილი — რომელსაც იზიარებთ, თუმცა მაინც ცდილობთ მისი, როგორც ბოროტების, ჩახშობას — არის სიკეთის ერთადერთი ნარჩენი თქვენში, მაგრამ ეს ისეთი სურვილია, რომლის დამსახურებაც უნდა ისწავლოს ადამიანმა. ადამიანის ერთადერთი ზნეობრივი მიზანი საკუთარი ბედნიერებაა, მაგრამ ამ ბედნიერების მიღწევა მას მხოლოდ საკუთარი სათნოების საშუალებით შეუძლია. სათნოება თავისთავად მიზანი არ არის. სათნოება საკუთარი თავის ჯილდო არ არის და არც სამსხვერპლო ხორცია ბოროტების დასაჯილდოებლად. სათნოების ჯილდო სიცოცხლეა, ბედნიერება კი სიცოცხლის მიზანი და ჯილდოა.

— როგორც თქვენს სხეულს აქვს ორი ძირითადი შეგრძნება: სიამოვნება და ტკივილი, რომლებიც კეთილდღეობაზე ან ზიანზე მიანიშნებენ და მთავარი ალტერნატივის — სიცოცხლის ან სიკვდილის ერთგვარ ბარომეტრად გვევლინებიან, იმავე ალტერნატივის პასუხად თქვენს ცნობიერებასაც ორი ფუნდამენტური ემოცია აქვს — სიხარული და ტანჯვა. თქვენი ემოციები იმის შეფასებაა, თუ რა ახანგრძლივებს თქვენს სიცოცხლეს და რა უქმნის მას საფრთხეს, ისინი ელვისუსწრაფესი გამომთვლელებია, რომლებიც თქვენი მოგებისა ან ზარალის ჯამს გაძლევთ. თქვენ არ გაქვთ შეგრძნებების არჩევის საშუალება, მაგრამ ის, თუ რას მიიჩნევთ კარგად ან ცუდად, რა მოგანიჭებთ სიამოვნებას ან გაგრძნობინებთ ტკივილს, რა გეყვარებათ ან რას შეიძულებთ, რა მოგესურვებათ ან რისი შეგეშინდებათ, დამოკიდებულია ღირებულების თქვენეულ სტანდარტზე. ემოციები თანდაყოლილია თქვენი ბუნებისთვის, მაგრამ მათ შინაარსს თქვენი გონება განსაზღვრავს. თქვენი ემოციური უნარი ცარიელი ძრავაა, თქვენი ღირებულებები კი ის საწვავია, რომლითაც მას თქვენი გონება ავსებს. თუ თქვენ წინააღმდეგობების ნარევს აირჩევთ, ეს თქვენი ძრავის მუშაობას შეაფერხებს, ტრანსმისიას დააზიანებს და დაძრავთ თუ არა მანქანას, რომელიც თქვენ, მძღოლმა, დააზიანეთ, ავარია გარდაუვალი იქნება.

— თუ თქვენ საკუთარი ღირებულების სტანდარტად ირაციონალურს, თქვენი სიკეთის კონცეფციად კი შეუძლებელს მიიჩნევთ, თუ მოისურვებთ დაუმსახურებელ ჯილდოებს, ქონებას, სიყვარულს, ორაზროვნებას მიზეზ-შედეგობრიობის კანონში, მოისურვებთ, რომ A თქვენი კაპრიზის საფუძველზე არ-A გახდეს, შედეგად არსებობის საწინააღმდეგო მდგომარეობას მოიმკით — და როდესაც ასე მოხდება, ნუღარ დაიჩივლებთ, რომ ცხოვრება იმედგაცრუებაა და ადამიანისთვის შეუძლებელია ბედნიერების მიღწევა; შეამოწმეთ თქვენი საწვავი: თქვენ მან იქ მიგიყვანათ, სადაც თავადვე გსურდათ მისვლა.

— ბედნიერება ემოციური კაპრიზების ბრძანებებს არ ემორჩილება. ბედნიერება არ არის იმ ირაციონალური სურვილების დაკმაყოფილება, თქვენ რომ უგუნურად ცდილობდით, დაგეკმაყოფილებინათ. ბედნიერება არაწინააღმდეგობრივი სიხარულის მდგომარეობაა — სასჯელისა და დანაშაულის გრძნობისგან თავისუფალი სიხარულის, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის თქვენს რომელიმე ღირებულებასთან და თქვენს განადგურებას არ ემსახურება, არა თქვენი გონებისგან

გაქცევის, არამედ თქვენი გონების სრული შესაძლებლობის გამოყენების სიამოვნება, არა რეალობის გაყალბების სიამოვნება, არამედ რეალური ღირებულებების მიღწევისგან მოგვრილი სიამოვნება, არა ლოთის, არამედ მწარმოებლის სიამოვნება. ბედნიერება შესაძლებელი მხოლოდ გონიერი ადამიანისთვის არის, რომელსაც მხოლოდ გონივრული მიზნების მიღწევის სურვილი აქვს, რომელიც მხოლოდ გონივრულ ღირებულებებს ეძიებს და სიამოვნებას მხოლოდ გონივრულ მოქმედებებში პოულობს.

— რაკიღა მე თავს არც მძარცველობით ვირჩენ და არც მოწყალებით, არამედ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის საშუალებით, არც ჩემი ბედნიერების მიღებას ვესწრაფვი სხვებისთვის ზიანის მიყენების მეშვეობით ან მათი ქველმოქმედებით — ჩემი საკუთარი მიღწევით ვცდილობ მის დამსახურებას. როგორც სხვების სიამოვნებას არ მივიჩნევ ჩემი ცხოვრების მიზნად, ასევე არ მიმაჩნია ჩემი სიამოვნება სხვების ცხოვრების მიზნად. როგორც ჩემს ღირებულებებში არ არის წინააღმდეგობები და ჩემს სურვილებს შორის — კონფლიქტი, ასევე არ არსებობს მსხვერპლები და ინტერესთა კონფლიქტები გონიერ ადამიანთა შორის, რომლებიც დაუმსახურებელს არ ესწრაფვიან და ერთმანეთს კაციჭამიას ნდომით არ უყურებენ, რომლებიც არც თვითონ იღებენ მსხვერპლს და არც სხვებისგან ითხოვენ მის გაღებას.

— ასეთ ადამიანთა შორის ნებისმიერი ურთიერთობის სიმბოლო, ადამიანების მიმართ პატივისცემის ზნეობრივი სიმბოლო, არის ვაჭარი. ჩვენ, ვინც ღირებულებებით ვცხოვრობთ და არა ძარცვით, ვართ ვაჭრები, მოქმედების წესითა და სულით.

ვაჭარი ის ადამიანია, რომელიც თვითონ გამოიმუშავებს იმას, რასაც იღებს და არც გასცემს და არც იღებს დაუმსახურებელს. ვაჭარი არ ითხოვს, რომ მარცხისთვის გადაუხადონ და უყვარდეთ მისი ნაკლოვანებებისთვის. ვაჭარი თავის სხეულს არ ფლანგავს საზარბაზნე ხორცივით და სულს — მოწყალებასავით. როგორც თვითონ არ მუშაობს, თუკი სანაცვლოდ მატერიალური ღირებულებებს არ იღებს, ასევე არ გასცემს თავის სულიერ ღირებულებებსაც, — თავის სიყვარულს, მეგობრობას, ღირსებას, — როდესაც საზღაურად ადამიანურ სათნოებებს არ იღებს საკუთარი ეგოისტური სიამოვნების სახით იმ ადამიანებისგან, რომლებსაც შეუძლია, პატივი სცეს. იმ მისტიკოსმა პარაზიტებმა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ლანძღავდნენ და ამცირებდნენ ვაჭრებს, მაშინ, როცა მათხოვრებსა და მძარცველებს ეთაყვანებოდნენ, კარგად იცოდნენ თავიანთი დამცინავი დამოკიდებულების იდუმალი მიზეზი: ვაჭარი ის არსებაა, ვისიც მათ ეშინიათ — ის სამართლიანი ადამიანია. — თქვენ მეკითხებით, თუ რა ზნეობრივი ვალდებულება მაკისრია სხვა ადამიანების წინაშე? არავითარი — გარდა იმ ვალდებულებისა, რაც მაკისრია საკუთარი თავის, მატერიალური საგნებისა და მთლიანად არსებობის წინაშე: ეს არის გონიერება. მე ადამიანებთან ისეთი ურთიერთობა მაქვს, როგორსაც ამას ჩემი და მათი ბუნება მოითხოვს: ურთიერთობა, რომელიც გონებას ეფუძნება. მე მათგან მხოლოდ ისეთი ურთიერთობები მსურს, როგორსაც თავად ისურვებენ, საკუთარი ნებაყოფლობითი არჩევნით. მე შემიძლია, მხოლოდ მათ გონებასთან დავიჭირო საქმე და ეს მხოლოდ საკუთარი ინტერესისთვის გავაკეთო, მაშინ, როდესაც ისინი დაინახავენ, რომ მათი ინტერესი ჩემსას ემთხვევა. როცა ასე არ ხდება, მე ამ ადამიანებთან საქმეს არ ვიჭერ; მე მოწინააღმდეგეებს უფლებას ვაძლევ, თავიანთი გზით წავიდნენ, მე კი ჩემი გზიდან არ ვუხვევ. მე მხოლოდ ლოგიკის საშუალებით

ვიმარჯვებ და მხოლოდ მას ვნებდები. მე არ ვთმობ ჩემს გონებას და არც იმ ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა, ვინც უარს ამბობს საკუთარ გონებაზე. სულელებისგან და ლაჩრებისგან არაფერი მაქვს მისაღები; მე არ ვცდილობ, ადამიანური მანკიერებებისგან მოგება მივიღო:

უგუნურებისგან, უპატიოსნობისგან და შიშისგან. ერთადერთი ღირებულება, რისი შემოთავაზებაც ადამიანებს ჩემთვის შეუძლიათ, მათი გონების მუშაობაა. როდესაც მე არ ვეთანხმები გონიერ ადამიანს, ჩვენს საბოლოო მსაჯულად რეალობას მივიჩნევ; თუ მე ვარ მართალი, ის ისწავლის; თუ მე ვცდები, მე ვისწავლი; ერთ-ერთი ჩვენგანი გაიმარჯვებს, მაგრამ მოგებას ორივე ჩვენგანი ნახავს.

— რაც არ უნდა იყოს საკამათო, არსებობს ბოროტების ერთი დაუშვებელი აქტი, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება, აქტი, რომლის მეორე ადამიანის წინააღმდეგ ჩადენის უფლება არავის აქვს, რისი ჩადენის უფლებაც არავინ უნდა გასცეს და არავინ უნდა აპატიოს ის. სანამ ადამიანებს აქვთ ერთად ცხოვრების სურვილი, არავის არა აქვს უფლება, — გესმით ჩემი? არავის! — სხვების წინააღმდეგ ფიზიკური ძალა გამოიყენოს.

— ადამიანსა და რეალობის აღქმის მის უნარს შორის ფიზიკური განადგურების საფრთხის ჩაყენება მისი გადარჩენის საშუალების უარყოფა და პარალიზებაა; ადამიანს დააძალო, თავისი შეხედულებების საპირისპიროდ იმოქმედოს, იგივეა, დააძალო, იმის წინააღმდეგ იმოქმედოს, რასაც საკუთარი თვალებით ხედავს. ვინც არ უნდა დაიწყოს, რა მიზნითაც და ხარისხითაც არ უნდა დაიწყოს ძალის გამოყენება, ის მკვლელია, რომელიც სიკვდილის სახელით მოქმედებს, ჩვეულებრივ მკვლელობაზე უფრო დიდი მასშტაბით: ის ადამიანის სიცოცხლის უნარის განადგურების სახელით მოქმედებს.

— ნუ მეტყვით, რომ თქვენმა გონებამ დაგარწმუნათ თქვენს უფლებამოსილებაში, აიძულოთ ჩემს გონებას რაიმე. იძულება და გონება საპირისპირო ცნებებია; ზნეობა იქ მთავრდება, სადაც იარაღის ძალის გამოყენება იწყება. როდესაც თქვენ აცხადებთ, რომ ადამიანები ირაციონალური ცხოველები არიან და მათდამი ასე მოპყრობას გვთავაზობთ, თქვენ ამით ავლენთ საკუთარ ხასიათს და სამუდამოდ კარგავთ უფლებას, გონებისგან მხარდაჭერა მოითხოვოთ, ისევე, როგორც წინააღმდეგობების არც ერთ დამცველს აღარ აქვს ამის უფლება. შეუძლებელია, არსებობდეს „უფლება“ უფლებების სათავის, სწორისა და მცდარის ერთადერთი მსაჯულის — გონების გასანადგურებლად.

— აიძულო ადამიანი, უარყოს საკუთარი გონება და მის ნაცვლად თქვენი ნების უზენაესობა აღიაროს, რომლის არგუმენტი იარაღის ძალაა, დამამტკიცებელი საბუთი — დაშინება, სიკვდილი კი საბოლოო დასკვნა, არის მცდელობა, იცხოვრო რეალობის უგულებელყოფით. რეალობა მოითხოვს ადამიანისგან, რომ ის თავისი საკუთარი გონივრული ინტერესისთვის მოქმედებდეს; თქვენი იარაღის ძალა კი ადამიანისგან თავისი ინტერესის საწინააღმდეგოდ მოქმედებას მოითხოვს. რეალობა სიკვდილით ემუქრება ადამიანს, თუ ის თავისი გონივრული მსჯელობის უნარით არ მოქმედებს; თქვენ კი აშინებთ მას სიკვდილით იმ შემთხვევაში, თუ ის თავისი განსჯის უნარით მოქმედებს. თქვენ ადამიანს მიუსაჯეთ სამყარო, სადაც მისი სიცოცხლის ფასი სიცოცხლის მიერ მოთხოვნილი ყველა სათნოების დათმობაა — და თქვენ და თქვენი სისტემა მხოლოდ სიკვდილს მიაღწევთ თანდათანობითი განადგურების პროცესის მეშვეობით, მაშინ, როდესაც ადამიანთა საზოგადოებაში სიკვდილი გახდება მმართველი ძალა და უპირატესი არგუმენტი.

— იქნება ეს ყაჩაღი, რომელიც მოგზაურს ასეთ ულტიმატუმს უყენებს: „შენი ფული ან შენი სიცოცხლე“, თუ პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყანას ეუბნება: „თქვენი ბავშვების განათლება ან თქვენი სიცოცხლე“, ამ ულტიმატუმის მნიშვნელობა არის:

„შენი გონება ან შენი სიცოცხლე“ — ადამიანისთვის კი ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია.

— თუ არსებობს ბოროტების სხვადასხვა ხარისხი, ძნელი სათქმელია, რომელი უფრო საძულველია: ცხოველი, რომელიც საკუთარ უფლებად მიიჩნევს სხვების გონების იძულებას თუ ზნეობრივი დეგენერატი, რომელიც სხვებს თავის გონებაზე ზემოქმედების უფლებას აძლევს. ეს ის ზნეობრივი აბსოლუტია, რომელიც საკამათო არ უნდა იყოს. მე გონიერ არსებებად არ მივიჩნევ იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩემთვის გონების წართმევა სურთ. მე არ ვეკამათები მათ, ვისაც მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ, აზროვნება ამიკრძალონ. მე ზნეობრივ დასტურს არ ვაძლევ მკვლელს, რომ მომკლას. როდესაც ადამიანი ჩემთან ურთიერთობას ძალის გამოყენებით ცდილობს, მე მას ძალითვე ვპასუხობ.

— მხოლოდ საპასუხო შურისგებისთვის შეიძლება, ძალა იქნეს გამოყენებული და მხოლოდ იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც დაიწყო ძალის გამოყენება. არა, მე არ ვიზიარებ მის ბოროტებას და არც ზნეობის მისეულ ცნებამდე არ ვეცემი: მე უბრალოდ ვაძლევ მას მისი არჩევნის შესაძლებლობას, განადგურების არჩევანს, განადგურების ერთადერთი ფორმის, რომლის არჩევის უფლებაც მას აქვს: მისი საკუთარი განადგურების. ის იყენებს ძალას ღირებულების მისატაცებლად; მე კი ძალას მხოლოდ განადგურების გასანადგურებლად ვიყენებ. მძარცველი ჩემი ქონების ხელში ჩაგდებას ჩემი მოკვლით ცდილობს; მე არ გავმდიდრდები მძარცველის მოკვლით. მე არ ვეძიებ ღირებულებებს ბოროტების მეშვეობით და არც ჩემს ღირებულებებს ვუთმობ ბოროტებას.

— ყველა იმ მწარმოებლის სახელით, რომლებმაც სიცოცხლე შეგინარჩუნეს და საზღაურად თქვენ მიერ წამოყენებული სიკვდილის ულტიმატუმები მიიღეს, მე ახლა ჩვენი საკუთარი ერთადერთი ულტიმატუმით გპასუხობთ: ჩვენი სამუშაო ან თქვენი იარაღი. თქვენ შეგიძლიათ, ერთ-ერთი მათგანი აირჩიოთ; ორივე ერთდროულად კი ვერ გექნებათ. ჩვენ არ ვაპირებთ სხვების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას და არც მათ ძალას დავემორჩილებით. თუ თქვენ გინდათ, როდისმე ისევ იცხოვროთ სამრეწველო საზოგადოებაში, ეს საზოგადოება ჩვენს ზნეობრივ პირობებზე იქნება დაფუძნებული. ჩვენი პირობები და მამოძრავებელი ძალა თქვენის ანტითეზაა.

თქვენ შიშს იარაღად იყენებდით და სიკვდილი მოგქონდათ ადამიანისთვის, როგორც სასჯელი თქვენი ზნეობის უარყოფისთვის. ჩვენ მას სიცოცხლეს ვთავაზობთ, როგორც ჯილდოს ჩვენი ზნეობის მიღებისთვის.

— თქვენ, ვინც არარას ეთაყვანებით, ვერა და ვერ გაიგეთ, რომ სიცოცხლის მიღწევა სიკვდილის თავიდან აცილების ტოლფასი არ არის. სიხარული არ არის „ტანჯვის არარსებობა“, გონიერება არ არის „უგუნურების არარსებობა“, სინათლე არ არის „სიბნელის არარსებობა“, ყოფიერება არ არის „არყოფნის არარსებობა“. შენობა არ იგება ნგრევისგან თავის შეკავებით; საუკუნეების განმავლობაში უმოქმედოდ ჯდომა და ლოდინი ასეთი თავშეკავებით ერთ კოჭსაც კი არ ასწევს თქვენთვის, ნგრევისგან თავი რომ შეიკავოთ. და ახლა, თქვენ უკვე ვეღარ მეტყვით მე, მშენებელს: „აწარმოე და გამოგვკვებე იმის სანაცვლოდ, რომ არ გავანადგურებთ შენს წარმოებას“. მე გპასუხობთ ყველა თქვენი მსხვერპლის სახელით: „დაიკარგეთ თქვენი სიცარიელით თქვენსავე სიცარიელეში!“ არსებობა უარყოფების უარყოფა არ

არის. ბოროტება, და არა ღირებულება, არის არყოფნა და უარყოფა, ბოროტება უძლურია და მისი ძალა მხოლოდ ის არის, რისი ჩვენგან გამოძალვის უფლებასაც მას ვაძლევთ. დაიკარგეთ, რადგან ჩვენ ვისწავლეთ, რომ არარას არ შეუძლია, განკარგოს სიცოცხლე.

— თქვენ ტკივილისგან გაქცევას ცდილობთ. ჩვენ ბედნიერების მიღწევას ვცდილობთ. თქვენ სასჯელის თავიდან აცილებისთვის არსებობთ. ჩვენ ჯილდოების მოპოვებისთვის ვარსებობთ. მუქარა ვერ გვაიძულებს მოქმედებას; შიში ჩვენთვის სტიმული არ არის. ჩვენ სიკვდილის თავიდან აცილებას კი არა, სიცოცხლით ცხოვრებას ვესწრაფვით.

— თქვენ, ვისაც განსხვავების უნარი აღარ შეგწევთ, ვინც ამტკიცებთ, რომ შიში და სიამოვნება თანაბარი ძალის სტიმულებია, — და ფარულად იმასაც დასძენთ, რომ შიში გაცილებით უფრო „პრაქტიკულია“, თქვენ არ გსურთ სიცოცხლე და მხოლოდ სიკვდილის შიში გინარჩუნებთ იმ არსებობას, რომელსაც კიცხავდით. თქვენ მთელი სიცოცხლე შიშით შეპყრობილი აწყდებით აქეთ-იქით, ეძებთ იმ გასასვლელს, რომელიც თავად ჩაკეტეთ, გაურბიხართ იმ მდევარს, რომლის დასახელებაც ვერ გაგიბედავთ, გარბიხართ იმ შიშისკენ, რომლის აღიარებასაც ვერ ბედავთ, და რაც უფრო ძლიერია თქვენი შიში, მით მეტად გეშინიათ იმ ერთადერთი მოქმედების, რომელსაც შეუძლია თქვენი გადარჩენა: ეს არის აზროვნება. თქვენი ბრძოლის მიზანია იმ საგნის არცოდნა, არგაგება, არდასახელება და არმოსმენა, რომელსაც ახლა გამოვაცხადებ თქვენ გასაგონად: თქვენი ზნეობა სიკვდილის ზნეობაა.

— სიკვდილია თქვენი ღირებულებების სტანდარტი, თქვენ მიერ არჩეული მიზანი და იძულებული იქნებით, სულ ირბინოთ, რადგან ვერსად გაექცევით მდევარს, რომელსაც თქვენი განადგურება განუზრახავს ანდა ცოდნას. შეწყვიტეთ ბოლოს და ბოლოს სირბილი — ვერსად გაიქცევით, დადექით შიშველი, თქვენ ეს გაშინებთ, მე კი სწორედ ასეთებს გხედავთ თქვენ, და თვალი გაუსწორეთ იმას, რასაც ბედავთ და ზნეობრივ კოდექსს უწოდებთ.

— თქვენი ზნეობის სათავე გაკიცხვაა, ხოლო მისი მიზანი, საშუალება და არსი — განადგურება. თქვენი კოდექსი ჯერ კიცხავს ადამიანს, როგორც ბოროტ არსებას, მერე კი მოითხოვს, რომ მან სიკეთე თესოს, თუმცა, თავისივე განსაზღვრებით, ადამიანს სიკეთის ქმნის უნარი არ გააჩნია. თქვენი კოდექსი ადამიანისგან, მისი სათნოების პირველ მტკიცებულებად, მოითხოვს, რომ მან ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის გარეშე აღიაროს საკუთარი ბოროტება. ის მოითხოვს, რომ ადამიანისთვის ამოსავალი გახდეს არა ღირებულების სტანდარტი, არამედ ბოროტების სტანდარტი, რომელსაც თავადვე განასხეულებს, და მერე ამაზე დაყრდნობით განსაზღვროს სიკეთის რაობა: სიკეთე არის ის, რაც ადამიანს არ გააჩნია.

— არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ხეირობს ადამიანის უგულებელყოფილი დიდებითა და ნაწამები სულით, მისტიკური ღმერთი თუ რომელიმე მაწანწალა, რომელსაც თავისი დაწყლულებული იარები რაღაც გაუგებარ უფლებამოსილებას ანიჭებს — ამას მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანს სიკეთის შეცნობა არ ევალება, მისი მოვალეობაა, თავისი ცხოვრების წლები სინანულში გალიოს და თავისი არსებობის დანაშაულის გამოსასყიდად გაურკვეველი ვალები გადაუხადოს ნებისმიერ გადასახადების ამკრეფს, მისი ერთადერთი წარმოდგენა კი ღირებულებაზე არარაა: სიკეთეა ის, რაც ადამიანს არ გააჩნია.

— ამ საზარელი აბსურდულობის სახელია „პირველყოფილი ცოდვა“.

— საკუთარი ნების გარეშე ჩადენილი ცოდვა ზნეობის შეურაცხყოფაა, ლოგიკური შეუსატყვისობის გამო: ის, რაც არჩევნის საზღვრებს მიღმაა, ზნეობის არესაც არ მიეკუთვნება. თუ ადამიანი დაბადებით მანკიერია, მას არც ნება აქვს და არც ძალა ამის შესაცვლელად; თუ მას ნება არ აქვს, ის ვერც კეთილი იქნება და ვერც ბოროტი; რობოტს არ აქვს ზნეობა. ადამიანის ცოდვად იმ ფაქტის ჩათვლა, რაც მის არჩევანზე არ არის დამოკიდებული, ზნეობის დაცინვაა. იმ ფაქტის მიჩნევა ცოდვად, რომელიც ადამიანის არჩევანს არ ექვემდებარება, ბუნების დაცინვაა. ადამიანის დასჯა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მის დაბადებამდეა ჩადენილი, სამართლიანობის დაცინვაა. ადამიანის დამნაშავედ მიჩნევა საქმეში, სადაც უდანაშაულობა არ არსებობს, გონების დაცინვაა. ზნეობის, ბუნების, სამართლიანობისა და გონების განადგურება ერთადერთი კონცეფციის საშუალებით, ბოროტების ისეთი სიმარჯვეა, რომელსაც ძნელად თუ შეედრება რაიმე. მიუხედავად ამისა, ეს მაინც თქვენი კოდექსის საფუძველია.

— ნუ ეცდებით, თავი დაიძვრინოთ ლაჩრული მიკიბ-მოკიბვით, თითქოს ადამიანი თავისუფალი ნებით დაიბადა, მაგრამ დაბადებიდან ბოროტებისადმი „მიდრეკილებაც“ დაჰყვა. მიდრეკილებით შებორკილი თავისუფალი ნება იგივეა, რაც წინასწარ ნიშანდასმული კამათლით თამაში. ის აიძულებს ადამიანს, შეეცადოს, მოიგოს, საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და საზღაურიც გადაიხადოს, მაგრამ თამაშის ბედი განისაზღვრება იმ მიდრეკილების სასარგებლოდ, რომლისგან თავის დაღწევის ძალაც მას არ გააჩნია. თუ მიდრეკილება ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული, ის არ შეიძლება, დაბადებიდან ფლობდეს მას; თუ მიდრეკილება არ არის დამოკიდებული ადამიანის არჩევანზე, მაშინ მისი ნება თავისუფალი ვერ იქნება.

— რა არის იმ დანაშაულის ბუნება, რასაც თქვენი მასწავლებლები ადამიანის პირველყოფილ ცოდვას უწოდებენ? რა მანკიერებები შეიძინა ადამიანმა, როდესაც მან ის მდგომარეობა დაკარგა, რომელსაც თქვენი მასწავლებლები სრულყოფილებად მიიჩნევენ? მათი მითის მიხედვით, ადამიანმა ცნობადის ხის ნაყოფი შეჭამა — მან შეიძინა გონება და გახდა გონიერი არსება. ეს იყო კეთილისა და ბოროტის შეცნობა — ადამიანი ზნეობრივ არსებად იქცა. იქიდან მოყოლებული, მას თავისი შრომით უნდა მოეპოვებინა სარჩო — ის მწარმოებელი არსება გახდა. ადამიანს სურვილის განცდა მიესაჯა — მან შეიძინა სქესობრივი სიამოვნების განცდის უნარი. მანკიერებები, რომლისთვისაც თქვენი მასწავლებლები კიცხავენ ადამიანს, არის გონება, ზნეობა, შემოქმედების უნარი და სიამოვნება — მისი არსებობის ყველა ძირითადი ღირებულება. ადამიანის ცოდვით დაცემის მათეული მითი ადამიანის მანკიერებების ასახსნელად და გასაკიცხად არ არის შექმნილი, ისინი ადამიანის შეცდომებს კი არა, მისი ადამიანური ბუნების არსს მიიჩნევენ მის დანაშაულად. და სულერთია, ვინ იყო ედემის ბაღში მცხოვრები ის რობოტი, რომელიც გონების, ღირებულებების, შრომისა და სიყვარულის გარეშე არსებობდა — ის არ იყო ადამიანი.

— ადამიანის ცოდვით დაცემა, თქვენი მასწავლებლების განცხადებით, არის ის, რომ მან სიცოცხლისთვის საჭირო სათნოებები შეიძინა. მათი სტანდარტის მიხედვით, ეს სათნოებებია ადამიანის ცოდვა. მათი ბრალდებით, ადამიანის მანკიერება არის ის, რომ ადამიანია; ადამიანის დანაშაული კი ის არის, რომ ცოცხლობს. ისინი ამას გულმოწყალების ზნეობასა და ადამიანისადმი სიყვარულის დოქტრინას უწოდებენ.

— არა, — ამბობენ ისინი, — ჩვენ არ ვქადაგებთ, რომ ადამიანი ბოროტია, ბოროტი მხოლოდ ის უცხო საგანი — მისი სხეულია. ისინი აცხადებენ, რომ მათ არ

სურთ ადამიანის მოკვლა, მხოლოდ ის უნდათ, რომ მან დაკარგოს თავისი სხეული. მათი თქმით, ისინი ცდილობენ, დაეხმარონ ადამიანს ამ ტკივილთან გამკლავებაში და მიუთითებენ საწამებელ ძელზე, რომელზეც ის გააკრეს, ძელზე, რომლის ორი ბორბალი საწინააღმდეგო მიმართულებით ექაჩება ადამიანს, დოქტრინის ძელზე, რომელიც ხლეჩს მას სულსა და სხეულს.

— ისინი ადამიანს ორ ნაწილად ანაწევრებენ და ერთ ნაწილს მეორეს უპირისპირებენ. ისინი ასწავლიან ადამიანს, რომ მისი სხეული და მისი ცნობიერება ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული მოსისხლე მტრები არიან, ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების მქონე მეტოქეები, ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნებითა და მოთხოვნილებებით, რომ ერთისთვის სარგებლობის მოტანა მეორისთვის ზიანის მიყენებას ნიშნავს, რომ ადამიანის სული ზებუნებრივ სამყაროს ეკუთვნის, სხეული კი ბოროტების საპყრობილეა, რომელიც სულს დედამიწის ტყვეობაში ამყოფებს, და რომ ადამიანი სიკეთეს მაშინ ემსახურება, თუკი სხეულს დაამარცხებს, წლების განმავლობაში თავდაუზოგავი ბრძოლით დაასუსტებს მას და გათხრის ხვრელს, რომელიც ამ საპყრობილიდან სახელოვან თავდახსნაში დაეხმარება და რომელსაც საბოლოოდ საფლავის თავისუფლებასთან მიჰყავს ის.

— ისინი ადამიანს უქადაგებდნენ, რომ უვარგისი და ხელმოცარული არსებაა და შედგება ორი ელემენტისგან და ეს ორივე ელემენტი სიკვდილის სიმბოლოა. სხეული სულის გარეშე გვამია, ხოლო სული სხეულის გარეშე მოჩვენება, თუმცა მათი წარმოდგენა ადამიანის ბუნებაზე მაინც ასეთია: ეს არის გვამსა და მოჩვენებას შორის ბრძოლის ასპარეზი, გვამს ბოროტი ნება აქვს, მოჩვენებას კი იმის ცოდნა, რომ ყველაფერი, რაც ადამიანისთვის არის ცნობილი, არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შეუცნობელი.

— თუ შენიშნეთ, რომელ ადამიანურ უნარს უგულებელყოფს ეს დოქტრინა? ადამიანურ გონებას, რომელიც უნდა უარყო, რათა ადამიანი ორ ნაწილად დაანაწევრო.

როგორც კი გონებაზე უარს იტყვის ადამიანი, ის იმ ორი ურჩხულის მონა ხდება, რომელთა არც წვდომა შეუძლია და არც მართვა: სხეულის, რომელსაც გაუგებარი ინსტინქტები ამოძრავებს, და სულის, რომელსაც მისტიკური გამოცხადებები მართავს — ადამიანი რობოტსა და დიქტოფონს შორის გაჩაღებული ბრძოლის პასიური მსხვერპლი ხდება.

— და ახლა, როდესაც ის ნანგრევებს შორის დაფორთხავს და სასიცოცხლო გზას ხელის ფათურით დაეძებს, თქვენი მასწავლებლები მას იმ ზნეობის დახმარებას სთავაზობენ, რომელიც აცხადებს, რომ ადამიანი გამოსავალს ვერ იპოვის და არც უნდა ეძიოს სურვილების განხორციელებას დედამიწაზე. ისინი ეუბნებიან მას, რომ ჭეშმარიტი არსებობა ის არის, რისი აღქმაც ადამიანს არ შეუძლია, ჭეშმარიტი ცნობიერება კი არარსებულის აღქმის უნარია — და თუ ამის გაგება არ შეუძლია, ეს ადასტურებს, რომ მისი არსებობა მანკიერია, მისი ცნობიერება კი უძლური.

— ადამიანის სულისა და სხეულის ერთმანეთისგან გამოცალკევების შედეგად, სიკვდილის ზნეობის ორი ტიპის მასწავლებლები გაჩნდნენ: სულის მისტიკოსები და სხეულის მისტიკოსები, რომლებსაც თქვენ სპირიტუალისტებსა და მატერიალისტებს უწოდებთ, ისინი, ვისაც არსებობის გარეშე ცნობიერების სწამთ და ისინი, ვისაც ცნობიერების გარეშე არსებობის სწამთ. ორივე ტიპის მისტიკოსები თქვენგან გონების დათმობას მოითხოვენ, ერთნი თავიანთი გამოცხადებისთვის, მეორენი კი თავიანთი რეფლექსებისთვის. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ოსტატურად

ირგებენ ისინი შეურიგებელი მეტოქეების როლებს, მათი ზნეობრივი კოდექსები მაინც ერთნაირია და ასეთივეა მათი მიზნებიც: მატერიალურად ეს არის ადამიანის სხეულის დამონება, სულიერად კი — მისი გონების განადგურება.

— სულის მისტიკოსები ამბობენ, რომ სიკეთე ღმერთია, ღმერთი, რომლის ერთადერთი განმარტებაც ის არის, რომ იგი ადამიანის გაგების უნარს აღემატება — ეს განმარტება ადამიანის ცნობიერებას ძალას ართმევს და არსებობის მისეულ კონცეფციას ასამარებს. სხეულის მისტიკოსები კი აცხადებენ, რომ სიკეთე საზოგადოებაა, მოვლენა, რომელიც, მათი განმარტებით, ფიზიკურ ფორმას მოკლებული ორგანიზმია, ზეარსება, კონკრეტულად არავისში განსხეულებული და საზოგადოდ ყველაში მყოფი, საკუთრივ თქვენ გარდა. სულის მისტიკოსები ამბობენ, რომ ადამიანის გონება ღმერთის ნებას უნდა დაემორჩილოს. სხეულის მისტიკოსები კი აცხადებენ, რომ ადამიანის გონება საზოგადოების ნებას უნდა დაექვემდებაროს. სულის მისტიკოსები ამბობენ, რომ ადამიანის ღირებულების სტანდარტი იმ ღმერთის ნება-სურვილია, რომლის სტანდარტები ადამიანის გაგების უნარს აღემატება და მან ისინი რწმენის საფუძველზე უნდა მიიღოს. სხეულის მისტიკოსები კი აცხადებენ, რომ ადამიანის ღირებულების სტანდარტი იმ საზოგადოების ნება-სურვილია, რომლის სტანდარტები ადამიანის მსჯელობის უფლებას სცილდება და ის მათ, როგორც პირველხარისხოვან აბსოლუტს, ისე უნდა დაემორჩილოს. ორივე ტიპის მისტიკოსები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ცხოვრების მიზანი უბადრუკ ზომბად გადაქცევაა, რომელიც მისთვის უცნობ მიზანს იმ მიზეზების გამო ემსახურება, რომელთა ეჭვქვეშ დაყენების უფლებაც არ აქვს. სულის მისტიკოსები ამბობენ, რომ ადამიანს ჯილდო სიკვდილის შემდეგ მიეცემა. სხეულის მისტიკოსების თქმით კი, ადამიანის ჯილდო მის შვილთაშვილებს გადაეცემათ.

— ორივე ტიპის მისტიკოსები ეგოიზმს ადამიანის მანკიერებად მიიჩნევენ. მათი განცხადებით, მისი სიკეთე პირადი სურვილების დათმობა, საკუთარი თავის უარყოფა, დანებებაა; ადამიანის სიკეთეა იმ სიცოცხლის უარყოფა, რომელსაც ის ცხოვრობს. ზნეობის არსი, ადამიანისთვის ხელმისაწვდომი უზენაესი სათნოება მსხვერპლის გაღებაა, — გაჰყვირიან ისინი.

— ვინც კი მე ახლა მისმენს, ვინც ადამიანი-მსხვერპლია და არა ადამიანი-მკვლელი, მე ვლაპარაკობ თქვენი გონების სასიკვდილო სარეცელთან, წყვდიადის კიდესთან, რომელშიც დაინთქმებით — თუ კიდევ შეგრჩენიათ ძალა, რომ ჩაეჭიდოთ იმ მიმქრალ ნაპერწკლებს, ადრე თავადვე რომ იყავით, ახლა მოიკრიბეთ ის. სიტყვა, რომელმაც გაგანადგურათ, არის „მსხვერპლის გაღება“. გამოიყენეთ თქვენი უკანასკნელი ძალ-ღონე მისი მნიშვნელობის გასაგებად. თქვენ ჯერ კიდევ ცოცხლობთ.

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა.

— „მსხვერპლის გაღება“ გამოუსადეგრის კი არა, ძვირფასის უარყოფას ნიშნავს.

„მსხვერპლის გაღება“ სიკეთის გულისთვის ბოროტების უარყოფას კი არა, ბოროტების გამო სიკეთის უარყოფას ნიშნავს. „მსხვერპლის გაღება“ იმის დათმობაა, რასაც აფასებთ, იმის სასარგებლოდ, რაც თქვენთვის ღირებულება არ არის.

— თუ თქვენ ერთცენტიანს გაცვლით ერთ დოლარში, ეს არ არის მსხვერპლის გაღება; თუ ერთ დოლარს ცვლით ერთცენტიანში, ეს მსხვერპლის გაღებაა. თუ თქვენ წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომის შემდეგ მიაღწევთ მდგომარეობას, რომელზეც ოცნებობდით, ეს არ არის მსხვერპლის გაღება; თუ შემდეგ მასზე უარს იტყვით მეტოქის გამო, ეს მსხვერპლის გაღება იქნება. თუ თქვენ ერთი ბოთლი რძე

გაქვთ და მას თქვენს მოშიებულ ბავშვს აძლევთ, ეს არ არის მსხვერპლის გაღება; თუ ამ ერთ ბოთლ რძეს მეზობლის ბავშვს მისცემთ და თქვენს შვილს სასიკვდილოდ გაწირავთ, ეს იქნება მსხვერპლის გაღება.

— თუ თქვენ მეგობარს დახმარების მიზნით აძლევთ ფულს, ეს არ არის მსხვერპლის გაღება; თუ თქვენ უცხო ადამიანს მისცემთ ფულს, ეს არის მსხვერპლის გაღება. თუ თქვენ მეგობარს იმ თანხას აძლევთ, რომლის საშუალებაც გაქვთ, ეს არ არის მსხვერპლის გაღება; თუ თქვენ მეგობარს ფულს თქვენი საკუთარი დისკომფორტის ხარჯზე მისცემთ, ეს მხოლოდ ნაწილობრივი მსხვერპლის გაღებაა, ამ ტიპის ზნეობრივი სტანდარტის მიხედვით; თუ თქვენ მას ფულს თქვენი განადგურების ხარჯზე აძლევთ — ეს არის სრული მსხვერპლის გაღების სათნოება.

— თუ თქვენ უარყოფთ ყველა პირად სურვილს და თქვენს სიცოცხლეს მიუძღვნით იმათ, ვინც გიყვართ, სრულ სათნოებას ვერ მიაღწევთ: თქვენ ჯერ კიდევ ინარჩუნებთ თქვენს საკუთარ ღირებულებას — თქვენს სიყვარულს. თუ სიცოცხლეს უცხო, შემთხვევით ადამიანებს შესწირავთ, ეს უფრო დიდი სათნოების აქტი იქნება. უდიდეს სათნოებას კი მაშინ განახორციელებთ, თუ თქვენს სიცოცხლეს იმ ადამიანთა მსახურებას მიუძღვნით, რომლებიც გძულთ.

— მსხვერპლის გაღება ღირებულების დათმობაა. სრული მსხვერპლის გაღება კი ყველა ღირებულების სრული დათმობაა. თუ თქვენ სრული სათნოების მიღწევა გსურთ, თქვენი მსხვერპლის გაღების სანაცვლოდ არ უნდა ეძიოთ მადლიერება, ქება, სიყვარული, აღტაცება, ღირსების გრძნობა, იმითაც კი არ უნდა იამაყოთ, რომ სათნო ხართ; რაიმე სახის მოგების უმკრთალესი კვალიც კი შეასუსტებს თქვენს სათნოებას. თუ თქვენ ისეთ გზას აირჩევთ, რომელიც თქვენს ცხოვრებას რაიმე სახის სიხარულით არ წაახდენს, რომელიც მატერიალურად და სულიერად არავითარ ღირებულებას არ მოგიტანთ, არავითარ მოგებას, სარგებელს, ჯილდოს — თუ თქვენ სრული არარას ამ მდგომარეობას მიაღწევთ, ეს იქნება ზნეობრივი სრულყოფილების იდეალის მიღწევა.

— თქვენ გეუბნებიან, რომ ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევა ადამიანისთვის შეუძლებელია და ამ სტანდარტით ეს ასეა. თქვენ მას თქვენს სიცოცხლეში ვერასოდეს მიაღწევთ, მაგრამ თქვენი სიცოცხლისა და თქვენი პიროვნების ღირებულება გაიზომება იმით, თუ რამდენად მიუახლოვდებით სრულყოფილ არარას — სიკვდილს.

— თუმცა თუკი თქვენ იმოქმედებთ, როგორც უგრძნობი არსება, მცენარე, რომელიც ელოდება, როდის შეჭამენ, რომელსაც უარსაყოფი ღირებულებები და სურვილები არ ექნება, მსხვერპლად შეწირულის გვირგვინს ვერ მოიპოვებთ. მსხვერპლის გაღება არასასურველზე უარის თქმა არ არის. მსხვერპლის გაღება არ არის თქვენი სიცოცხლის სხვებისთვის გაღება, თუ თქვენი პირადი სურვილი სიკვდილია. იმისთვის, რომ მსხვერპლის გაღების სათნოებას მიაღწიოთ, თქვენ სიცოცხლე უნდა გსურდეთ, უნდა გიყვარდეთ ის, დედამიწაზე და ყველა იმ მშვენიერებაზე, რომლის მოცემაც მას თქვენთვის შეუძლია, მგზნებარედ უნდა იყოთ შეყვარებული — თქვენ უნდა გრძნობდეთ დანის თითოეულ მოძრაობას, როდესაც ის თქვენს სურვილებს კაფავს და თქვენს არსებაში სიყვარულს აჭკნობს. მსხვერპლის გაღების ზნეობა მხოლოდ სიკვდილს კი არ გისახავთ იდეალად, არამედ სიკვდილს ნელი წამებით.

— ნუ შემახსენებთ, რომ ეს მხოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებას ეხება. მე არავითარი სხვა ცხოვრება არ მაინტერესებს. თქვენს შემთხვევაშიც ასეა.

— თუ თქვენი ღირსების უკანასკნელი ნარჩენების გადარჩენა გსურთ, ნუ უწოდებთ თქვენს საუკეთესო მოქმედებებს „მსხვერპლის გაღებას“: ეს სიტყვა თქვენ უზნეობის დაღს დაგასვამთ. თუ დედა თავის მშიერ ბავშვს საკვებს უყიდის, იმის ნაცვლად, რომ თავისთვის ქუდი იყიდოს, ეს არ არის მსხვერპლის გაღება: ის ბავშვს ქუდზე მეტად აფასებს; მაგრამ ეს მსხვერპლის გაღება იმ ტიპის დედისთვის არის, რომლისთვისაც უფრო მაღალი ღირებულება ქუდია, იმ ტიპის დედისთვის, რომელიც ამჯობინებდა, რომ მის ბავშვს ეშიმშილა და მას მხოლოდ მოვალეობის გრძნობის გამო კვებავს. თუ ადამიანი საკუთარი თავისუფლებისთვის ბრძოლაში იღუპება, ეს არ არის მსხვერპლის გაღება: მას არ სურს, მონასავით იცხოვროს; მაგრამ ეს მსხვერპლის გაღებაა იმ ტიპის კაცისთვის, რომელიც მზად არის, იცხოვროს მონასავით. თუ ადამიანი უარს იტყვის საკუთარი შეხედულებების გაყიდვაზე, ეს არ არის მსხვერპლის გაღება, თუ ის იმ ტიპის ადამიანი არ იქნება, ვისაც შეხედულებები არ გააჩნია.

— მსხვერპლის გაღება მხოლოდ მათ შეეფერებათ, ვისაც არაფერი აქვს მსხვერპლად შესაწირი — არ გააჩნია ღირებულებები, სტანდარტები, განსჯის უნარი, ვისი სურვილებიც ირაციონალური კაპრიზებია, ბრმად მიღებული და ადვილად დასათმობი. ზნეობრივი ადამიანისთვის, რომლის სურვილებიც გონივრული ღირებულებებიდან იღებს სათავეს, მსხვერპლის გაღება მცდარისთვის სწორის, ბოროტებისთვის სიკეთის შეწირვას ნიშნავს.

— მსხვერპლის გაღების კრედო არის ზნეობა უზნეოთათვის — ზნეობა, რომელიც აცხადებს, რომ არაფრის შეთავაზება არ შეუძლია ადამიანებისთვის, რათა მათ პირადი დაინტერესება დაინახონ სათნოებებში და ღირებულებებში, და ამით საკუთარ მარცხს ადასტურებს; აცხადებს, რომ მათი სულები უზნეობის სანარცხეებია, რომლებსაც მსხვერპლის გაღება უნდა ასწავლო. ეს ზნეობა, მისივე საკუთარი აღსარებით, უძლურია, ჩააგონოს ადამიანებს, რომ კარგები იყვნენ, მხოლოდ ის შეუძლია, გამუდმებით დასაჯოს ისინი.

— თქვენ გაოგნებთ ის ფაქტი, რომ თქვენი ზნეობა თქვენგან მხოლოდ მატერიალური ღირებულებების გაღებას მოითხოვს მსხვერპლად? და მაინც, რა გგონიათ მატერიალური ღირებულებები? მატერიას არ აქვს ღირებულება, ის მხოლოდ ადამიანური სურვილების დაკმაყოფილების საშუალებაა. მატერია მხოლოდ ადამიანური ღირებულებების იარაღია. რისთვის გთხოვენ იმ მატერიალური იარაღების გაღებას, რომლებიც თქვენმა სათნოებამ შექმნა? იმის მსახურებისთვის, რასაც ბოროტებად მიიჩნევთ: იმ პრინციპისთვის, რომელსაც არ იზიარებთ, იმ ადამიანისთვის, რომელსაც არ სცემთ პატივს, იმ მიზნის მიღწევისთვის, რომელიც თქვენსას ეწინააღმდეგება — სხვა შემთხვევაში თქვენი საჩუქარი არ არის მსხვერპლის გაღება.

— თქვენი ზნეობა მოგიწოდებთ, უარყოთ მატერიალური სამყარო და თქვენი ღირებულებები მატერიისგან გამიჯნოთ. ადამიანი, რომლის ღირებულებებსაც მატერიალური ფორმა არ გააჩნია, რომლის არსებობა არ არის დაკავშირებული მის იდეალებთან, რომლის შეხედულებებიც ეწინააღმდეგება მის მოქმედებებს, იაფფასიანი ფარისეველია — თუმცა ეს სწორედ ის ადამიანია, რომელიც ეთანხმება თქვენს ზნეობას და თავის ღირებულებებს მატერიისგან გამოყოფს. კაცი, რომელსაც უყვარს ერთი ქალი, მეორესთან კი სძინავს; კაცი, რომელიც აღტაცებულია ერთი მუშის ნიჭით, მაგრამ მეორე აჭყავს სამსახურში; კაცი, რომელიც ერთ მიზეზს მიიჩნევს სამართლიანად, ფულს კი მეორეს სწირავს; კაცი, რომელსაც ოსტატობის

მაღალი სტანდარტები აქვს, მაგრამ თავის ძალას ნაგვის წარმოებას ახმარს; ეს ის ადამიანები არიან, ვინც უარყო მატერია, ვისაც სწამს, რომ მათი სულიერი ღირებულებები მატერიალურ რეალობაში ვერ განხორციელდება.

— თქვენ ამბობთ, რომ ასეთმა ადამიანებმა სული უარყვეს? დიახ, რა თქმა უნდა თქვენ ერთი მეორის გარეშე ვერ გექნებათ. თქვენ მატერიისა და ცნობიერებისგან შექმნილი განუყოფელი არსება ხართ. უარყავით თქვენი ცნობიერება და მხეცი გახდებით. უარყავით თქვენი სხეული და ყალბი გახდებით. უარყავით მატერიალური სამყარო და თქვენ მას ბოროტებას ჩააბარებთ.

— და სწორედ ეს არის თქვენი ზნეობის მიზანი, ის მოვალეობა, რასაც თქვენი კოდექსი მოითხოვს თქვენგან, დაკავდეთ იმით, რაც არ გსიამოვნებთ, ემსახუროთ იმას, რაც არ აღგაფრთოვანებთ, დაემორჩილოთ მას, რაც ბოროტებად მიგაჩნიათ — რომ სამყარო სხვების ღირებულებებს შესწიროთ და საკუთარი „მე“ უარყოთ. თქვენი „მე“ თქვენი გონებაა; უარყავით ის და თქვენ ხორცის ნაჭერი გახდებით, რომლის გადაყლაპვაც ნებისმიერ კაციჭამიას შეეძლება.

— მათ სწორედ ის უნდათ, რომ თქვენი გონება დათმოთ — ყველას, ვინც კი მსხვერპლის გაღების კრედოს ქადაგებს, როგორიც არ უნდა იყოს მათი ციტატები და მოტივები, თქვენი სულისთვის მოითხოვენ ამას თუ თქვენი სხეულისთვის, ზეცაში მეორე ცხოვრებას გპირდებიან თუ დედამიწაზე სავსე კუჭს. ისინი, ვინც საუბარს ასე იწყებენ: „საკუთარი სურვილების აყოლა ეგოიზმია, შენ ისინი სხვების სურვილებს უნდა შესწირო“, — და ასე ამთავრებენ: „ეგოიზმია საკუთარი შეხედულებების შენარჩუნება, შენ ისინი სხვების შეხედულებებს უნდა შესწირო“.

— ეს სიმართლეა: ყველაზე დიდი ეგოისტი სწორედ დამოუკიდებელი გონებაა, რომელიც თავისზე მაღალ ავტორიტეტს და ჭეშმარიტების განსჯის საკუთარ უნარზე მაღალ ღირებულებას არ ცნობს. თქვენ გთხოვენ, რომ მსხვერპლად გაიღოთ თქვენი ინტელექტუალური მთლიანობა, ლოგიკა, გონება, ჭეშმარიტების სტანდარტი, რათა გახდეთ მეძავი, რომლის სტანდარტიც არის — რაც შეიძლება ბევრს მოუტანოს სარგებელი.

— თუ თქვენ თქვენს სახელმძღვანელო კოდექსში დაძებნით პასუხს კითხვაზე: „რა არის სიკეთე?“ — ერთადერთი პასუხი, რომელსაც იპოვით, იქნება: „სიკეთე სხვებისთვის“. სიკეთეა ის, რასაც სხვები ნატრობენ, ან რასაც უნდა ნატრობდნენ. „სიკეთე სხვებისთვის“ ჯადოსნური შელოცვაა, რომელიც ყველაფერს ოქროდ აქცევს, შელოცვა, რომელმაც ნებისმიერი მოქმედება უნდა გაამართლოს, მთელი კონტინენტის მოსახლეობის გაჟლეტაც კი. თქვენი სათნოების სტანდარტი არ არის საგანი, მოქმედება ან პრინციპი, ის განზრახვაა. თქვენ არ გჭირდებათ დამამტკიცებელი საბუთი, მიზეზები, წარმატება, არ გჭირდებათ, რომ სინამდვილეში მიაღწიოთ სიკეთეს სხვებისთვის — თქვენ მხოლოდ იმის ცოდნა გჭირდებათ, რომ თქვენი მოტივი სხვებისთვის, და არა საკუთარი თავისთვის, სიკეთის მოტანა იყო. სიკეთის ერთადერთი განმარტება თქვენთვის არის უარყოფა: სიკეთე არის არა-სიკეთე ჩემთვის.

— თქვენი კოდექსი, რომელიც ტრაბახობს, რომ ის სამუდამო, აბსოლუტურ და ობიექტურ ზნეობრივ ღირებულებებს უჭერს მხარს, კიცხავს პირობით, შედარებით და სუბიექტურ ღირებულებებს. ის აბსოლუტის საკუთარ ვერსიას წარმოადგენს, ზნეობრივი ქცევის შემდეგ წესს: თუ თქვენ გსურთ, ესე იგი ეს ბოროტებაა; თუ სხვებს სურთ, ესე იგი ეს სიკეთეა; თუ თქვენი მოქმედების მოტივი თქვენივე

კეთილდღეობაა, ნუ გააკეთებთ ამას; თუ მისი მოტივი სხვების კეთილდღეობაა, მაშინ ყველაფერი დასაშვებია.

— როგორც თქვენ გხლეჩთ ეს მოქნილი და ორმაგი სტანდარტის მქონე ზნეობა, ისე კაცობრიობასაც ყოფს ორ მტრულ ბანაკად: ერთი ბანაკი ხართ თქვენ, მეორე კი დანარჩენი კაცობრიობა. მხოლოდ თქვენ ხართ საზოგადოებისგან მოკვეთილი და არ გაქვთ უფლება, გსურდეთ ან იცხოვროთ. მხოლოდ თქვენ ხართ მსახური, დანარჩენები კი ბატონები არიან, მხოლოდ თქვენ ხართ გამცემი, დანარჩენები კი მიმღებები არიან, თქვენ ხართ სამუდამო მოვალე, დანარჩენები კი მევალეები, რომლებსაც ვერასდროს გაისტუმრებთ. თქვენ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოთ მათი უფლება თქვენ მიერ გაღებულ მსხვერპლზე ან მათი სურვილებისა და საჭიროებების ბუნება: მათ ეს უფლება მიენიჭათ უარყოფის საფუძველზე, იმ ფაქტის მეშვეობით, რომ ისინი „თქვენ“ არ არიან.

— მათთვის, ვისაც შეიძლება, კითხვები გაუჩნდეს, თქვენს კოდექსს შემონახული აქვს სანუგეშო პრიზი და მახე: ის ამტკიცებს, რომ სხვების ბედნიერების მსახურება სწორედ თქვენ მოგიტანთ ბედნიერებას, რომ თქვენი სიამოვნების მიღწევის ერთადერთი გზა მისი სხვებისთვის შეწირვაა, რომ თქვენი კეთილდღეობის მიღწევის ერთადერთი გზა თქვენი ქონების სხვებისთვის დათმობაა, თქვენი სიცოცხლის დაცვის ერთადერთი საშუალება კი ყველა ადამიანის დაცვაა, გარდა საკუთარი თავისა — და თუ თქვენ ეს პროცესი სიამოვნებას არ განიჭებთ, ეს თქვენი ბრალი და თქვენივე მანკიერების მტკიცებულებაა; თქვენ რომ კეთილი ყოფილიყავით, ბედნიერებას სხვებისთვის ნადიმის გამართვაში, თქვენს ღირსებას კი მათ მიერ გადმოყრილი ნამცეცებით არსებობაში პოვებდით.

— თქვენ, ვისაც ღირსების სტანდარტი არ გაგაჩნიათ, დანაშაულს საკუთარ თავზე იღებთ და კითხვების დასმას ვერ ბედავთ. თუმცა, თქვენ იცით აუღიარებელი პასუხი, როდესაც უარს ამბობთ საკუთარი თვალით დანახულის აღიარებაზე, იცით, თუ რა დაფარული წინაპირობა ამოძრავებს თქვენს სამყაროს. თქვენ ეს იცით არა როგორც აშკარა განაცხადი, არამედ იცით თქვენს არსებაში დაბუდებული გაურკვეველი უხერხულობის სახით, როდესაც ხან დანაშაულის განცდით იტყუებით, ხან კი უხალისოდ ახორციელებთ პრაქტიკულად იმ პრინციპს, რომელიც მეტისმეტად ამაზრზენია საიმისოდ, რომ დასახელდეს.

— მე, ვინც დაუმსახურებელს არ ვიღებ, არც ღირებულებებს და არც ბრალდებებს, დავსვამ კითხვებს, რომელსაც თქვენ გაურბიხართ. რატომ არის ზნეობრივი სხვების ბედნიერების სამსახური და არა საკუთრის? თუ სიამოვნება ღირებულებაა, რატომ არის ზნეობრივი, როდესაც მას სხვები განიცდიან, და ამორალური, როდესაც თქვენ განიცდით მას? თუ ნამცხვარი ღირებულებაა, რატომ არის ეს უზნეო განცხრომა თქვენი კუჭისთვის, მაგრამ თქვენი მიზანი, სხვას მისცეთ ეს ნამცხვარი შესაჭმელად, ზნეობრივი? რატომ არის უზნეო თქვენი სურვილი, სხვების კი ზნეობრივი? რატომ არის უზნეობა, შექმნა ღირებულება და ის თვითონ დაიტოვო, მაგრამ ზნეობრივი, თუ მას სხვას მისცემ? და, თუ თქვენთვის არის უზნეობა მისი დატოვება, მაშინ სხვებისთვის რატომღაა მისი მიღება ზნეობრივი? თუ თქვენ უანგარო და სათნო ხართ ამ ღირებულების გაცემისას, ისინი ეგოისტები და მანკიერები არ არიან მისი მიღებისას? სათნოება მანკიერების მსახურებაა? კეთილი ადამიანების ზნეობრივი მიზანი ბოროტი ადამიანების გულისთვის საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებაა?

— აი, პასუხი, რომლის გააზრებაც გაშინებთ, საზარელი პასუხი: არა, ისინი, ვინც იღებენ, არ არიან მანკიერები, თუ მათ არ მოუპოვებიათ ის ღირებულება, რომელიც თქვენ მათ მიეცით. მათ უზნეობად არ ეთვლებათ ღირებულების მიღება, თუკი არ შეუძლიათ მისი წარმოება, მისი დამსახურება, სანაცვლოდ თქვენთვის რაიმე სხვა ღირებულების მოცემა. მათთვის ამ ღირებულებით ტკბობა უზნეობა არ არის, თუ მათ ის სამართლიანად არ მიუღიათ.

— ასეთია თქვენი კრედოს საიდუმლო არსი, თქვენი ორმაგი სტანდარტის მეორე ნახევარი: უზნეობაა საკუთარი შრომით ცხოვრება, მაგრამ სხვების ხარჯზე ცხოვრება ზნეობრივია; უზნეობაა საკუთარი ნაწარმის მოხმარება, მაგრამ სხვების ნაწარმის მოხმარება ზნეობრივია; ფულის გამომუშავება უზნეობაა, მუქთახორობა კი ზნეობრივი საქციელია; მწარმოებლების არსებობის ზნეობრივი გამართლება მუქთამჭამლები არიან, მაგრამ თვითონ მუქთამჭამლების არსებობა კი თავისთავად მიზანია; ბოროტებაა მიღწევის მეშვეობით სარგებლის მიღება, მსხვერპლის გაღებით მოგების ნახვა კი სიკეთეა; ბოროტებაა საკუთარი ბედნიერების მოპოვება, მაგრამ სხვების მიერ დაღვრილი სისხლის ფასად ბედნიერებით დატკბობა სიკეთეა.

— თქვენი კოდექსი კაცობრიობას ორ კასტად ყოფს და უბრძანებს მათ, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო წესების მიხედვით იცხოვრონ: ერთი კასტის წარმომადგენლებს შეუძლიათ, ნებისმიერი რამ ინატრონ, მეორე კასტაში შემავალ ადამიანებს კი საერთოდ არ გააჩნიათ უფლება, სურდეთ რაიმე, ერთნი რჩეულები არიან, მეორენი კი დაწყევლილები, ერთნი მხედრები არიან, მეორენი კი მეკურტნეები, ერთნი მჭამელები არიან, მეორენი კი შეჭმულები. რა სტანდარტი განსაზღვრავს თქვენს კასტას? რა გასაღები აღებს თქვენთვის ზნეობრივი ელიტის კარს? ეს გასაღებია ღირებულების არქონა.

— რა ღირებულებასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, სწორედ მისი არქონა მოგცემთ იმათზე ბატონობის უფლებას, რომლებსაც აქვთ ეს ღირებულება. თქვენი საჭიროება თქვენ გაძლევთ უფლებას, ჯილდოები მოითხოვოთ. თუ თქვენ თავად შეგიძლიათ თქვენი საჭიროების დაკმაყოფილება, თქვენი უნარი გისპობთ მისი დაკმაყოფილების უფლებას. მაგრამ საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაც თავად არ შეგიძლიათ, სხვების ცხოვრებაზე ბატონობის უფლებას განიჭებთ.

— თუ თქვენ წარმატებას მიაღწევთ, ნებისმიერი წარუმატებელი ადამიანი თქვენი ბატონი გახდება; თუ თქვენ განიცდით მარცხს, ნებისმიერი ადამიანი, ვინც წარმატებას მიაღწევს, თქვენი ყურმოჭრილი მონა იქნება. მიუხედავად იმისა, თქვენი მარცხი სამართლიანია თუ არა, თქვენი სურვილები გონივრულია თუ არა, თქვენი უბედურება დაუმსახურებელია თუ თქვენი მანკიერებების შედეგია, სწორედ უბედურებაა, რაც ჯილდოების მიღების უფლებას განიჭებთ. სწორედ ტანჯვა, მიუხედავად მისი ბუნებისა და მიზეზისა, ტანჯვა, როგორც პირველხარისხოვანი აბსოლუტი, არის ის, რაც არსებობის ყველა ფორმას თქვენს განკარგულებაში მოაქცევს.

— თუ თქვენ ტანჯვას თქვენივე ძალებით უმკურნალებთ, ზნეობრივ კრედიტს ვერ მიიღებთ: თქვენი კოდექსი ამას საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილების აქტს უწოდებს ზიზღით. რომელი ღირებულების მოპოვებაც არ უნდა გინდოდეთ, იქნება ეს ქონება, საკვები, სიყვარული ან უფლებები, თუ თქვენ მას თქვენი სათნოების საშუალებით მოიპოვებთ, თქვენი კოდექსი მას ზნეობრივ მონაპოვრად არ ჩათვლის:

თქვენ არავინ გიზარალებიათ, ეს ვაჭრობაა და არა მოწყალება; გასამრჯელო და არა მსხვერპლის გაღება. დამსახურებული ორმხრივი სარგებლის ეგოისტურ და

ვაჭრულ სამყაროს მიეკუთვნება; მხოლოდ დაუმსახურებელი მოითხოვს ზნეობრივ გარიგებას, რომელიც გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ მოგების მიღებას მეორის დაღუპვის ხარჯზე. თქვენი სათნოების გამო ჯილდოების მოთხოვნა ეგოისტური და უზნეო საქციელია; მხოლოდ თქვენი სათნოების ნაკლებობა აქცევს თქვენს მოთხოვნას ზნეობრივ უფლებად.

— იმ ზნეობის ღირებულების სტანდარტი, რომელიც საჭიროებას უფლებად მიიჩნევს, სიცარიელეა — არარსებობა; ის აჯილდოებს არყოფნას, დეფექტს: სისუსტეს, უუნარობას, უვიცობას, ტანჯვას, ავადმყოფობას, უბედურებას, უკმარისობას, ბრალს, ნაკლს — არარას.

— ვინ ზღავს ამ უფლებებისთვის? ისინი, ვინც არა-არარად ყოფნისთვის არიან განწირული — თითოეული ამ იდეალიდან თავისი დაშორების ხარისხის მიხედვით, რადგან ყველა ღირებულება სათნოებების ნაყოფია, თქვენი სათნოების ხარისხი გამოიყენება თქვენი სასჯელის გასაზომად, თქვენი ბრალეულობის ხარისხი კი თქვენი სარგებლის გასაზომად. თქვენი კოდექსი აცხადებს, რომ გონიერი ადამიანი მსხვერპლად უნდა შეეწიროს უგუნურ ადამიანს, დამოუკიდებელი — მუქთახორას, პატიოსანი — არაკეთილსინდისიერს, სამართლიანი — უსამართლოს, მწარმოებელი — ქურდბაცაცა უქნარას, თავისი პრინციპების ერთგული — თვინიერ თაღლითს, ღირსების გრძნობის მქონე ადამიანი კი მოზლუქუნე ფსიქოპათს. არ გაკვირვებთ თქვენ გარშემო მყოფი ადამიანების სულმდაბლობა? ადამიანი, რომელიც ამ სათნოებებს მიაღწევს, არ დაეთანხმება თქვენს ზნეობრივ კოდექსს, ხოლო ის, ვინც მას დაეთანხმება, ვერ მიაღწევს ამ სათნოებებს.

— მსხვერპლის გაღების ზნეობის მიხედვით, პირველი ღირებულება, რომელსაც წირავთ, არის ზნეობა, შემდეგი კი ღირსების გრძნობა. როდესაც საჭიროებაა სტანდარტი, ყველა ადამიანი ერთდროულად მსხვერპლიც არის და მუქთახორაც. როგორც მსხვერპლმა, მან უნდა იშრომოს სხვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, საკუთარი თავი კი იმ მუქთახორას მდგომარეობაში დატოვოს, რომლის საჭიროებებიც სხვებმა უნდა დააკმაყოფილონ. მას სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მხოლოდ ორი სამარცხვინო როლიდან ერთ-ერთის შემთხვევაში შეუძლია: ის მათხოვარიც არის და დოყლაპიაც.

— თქვენ გეშინიათ იმ ადამიანის, რომელსაც ერთი დოლარით თქვენზე ნაკლები აქვს, თქვენი ზედმეტი ერთი დოლარი კანონიერად მას ეკუთვნის, ის გაიძულებთ, თავი ზნეობრივ თაღლითად იგრძნოთ. თქვენ გძულთ ადამიანი, ვისაც თქვენზე ერთი დოლარით მეტი აქვს, მისი ზედმეტი ერთი დოლარი კანონიერად თქვენია, ის გაიძულებთ, თავი ზნეობრივი თაღლითობის მსხვერპლად იგრძნოთ. თქვენთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი კაცი თქვენი დანაშაულის გრძნობის წყაროა, თქვენზე აღმატებული კი იმედგაცრუების. თქვენ არ იცით, რა დათმოთ და რა მოითხოვოთ, როდის გასცეთ და როდის მიიტაცოთ, ცხოვრებაში რომელი სიამოვნება გეკუთვნით კანონიერად და რომელი ვალი დაგრჩათ ჯერ კიდევ გადასახდელი — თქვენ მთელი ძალით ცდილობთ, თავი აარიდოთ, როგორც „თეორიას“, იმის ცოდნას, რომ თქვენ მიერ აღიარებული ზნეობრივი სტანდარტის მიხედვით, თქვენი ცხოვრების თითოეულ წამს დამნაშავე ხართ, არ არსებობს თქვენ მიერ გადაყლაპული ერთი ლუკმაც კი, რომელსაც ვიღაც სადღაც არ საჭიროებს — და თქვენ გაურკვეველი გულისწყრომით ანებებთ თავს ამ პრობლემაზე ფიქრს, ასკვნით, რომ ზნეობრივი სრულყოფილება არ მიიღწევა და მასზე არ უნდა იოცნებოთ, რომ თქვენ როგორმე გაიტანთ თავს მიტაცებისა და იმ

ახალგაზრდებისთვის თვალის არიდების საშუალებით, რომლებიც ისე გიმზერენ, თითქოს ღირსების გრძნობის ქონა შესაძლებელი იყოს და თქვენგან სწორედ ამას მოელიან. სულში მხოლოდ დანაშაულის გრძნობას იტოვებთ — და ასევე იქცევიან სხვებიც, როდესაც გვერდით ჩაგივლიან და თვალს აგარიდებენ. გაინტერესებთ, თქვენმა ზნეობამ რატომ ვერ მიაღწია ძმობას დედამიწაზე ან კეთილგანწყობას ადამიანთა შორის?

— მსხვერპლის გაღების გამართლება, რომელსაც თქვენი ზნეობა გვთავაზობს, გაცილებით ამაზრზენია, ვიდრე გარყვნილება, რომლის გამართლებასაც ის მიზნად ისახავს. იგი გმოძღვრავთ, რომ თქვენი მსხვერპლშეწირვის საბაბი უნდა იყოს სიყვარული, რომელსაც ყველა ადამიანის მიმართ უნდა გრძნობდეთ. ზნეობა, რომელიც ირწმუნება, რომ სულიერი ღირებულებები მატერიალურზე აღმატებულია, სწორედ ის ზნეობა, რომელიც გასწავლით, გაკიცხოთ მეძავი, თავის სხეულს განურჩევლად ყველას რომ სთავაზობს, მოითხოვს თქვენგან, საკუთარი სული განურჩევლად ყველა ადამიანის სიყვარულის გამო დათმოთ.

— როგორც უმიზეზო სიმდიდრე ვერ იარსებებს, ასევე არ შეიძლება, უმიზეზო სიყვარული ან ნებისმიერი სხვა სახის ემოცია არსებობდეს. ემოცია რეალობის ფაქტისადმი მიმართული პასუხია, თქვენი სტანდარტების მიერ ნაკარნახები შეფასება.

სიყვარული დაფასებაა. თუკი ადამიანი ამბობს, რომ შესაძლებელია დაფასება ღირებულებების გარეშე და იმათი სიყვარული, ვისაც თქვენს თვალში ფასი არ აქვს, ესე იგი ის გეუბნებათ, რომ შესაძლებელია გამდიდრება მხოლოდ მოხმარებით, წარმოების გარეშე, და რომ ქაღალდის ფული ისეთივე ფასეულია, როგორც ოქრო.

— დააკვირდით, ეს ადამიანი არ მოელის, რომ თქვენ უმიზეზო შიში შეგიპყრობთ.

როდესაც ასეთი ტიპის ადამიანები ძალაუფლებას იგდებენ ხელთ, დაშინების ათასგვარ ხერხს იგონებენ, რათა საფუძვლიანი მიზეზები გაგიჩნდეთ შიშისთვის, რომლის მეშვეობითაც მათ თქვენი მართვა სურთ. მაგრამ როდესაც საქმე ეხება სიყვარულს, უზენაესს გრძნობებს შორის, თქვენ მათ უფლებას აძლევთ, ზნეობრივი დამნაშავე გიწოდონ, რაკი უმიზეზო სიყვარულის განცდა არ შეგიძლიათ. თუ ადამიანს უმიზეზოდ უჩნდება შიშის გრძნობა, თქვენ ის ფსიქიატრთან მიგყავთ; მაგრამ როდესაც საქმე სიყვარულის მნიშვნელობის, ბუნებისა და ღირსების დაცვას ეხება, ასეთ გულმოდგინებას არ ავლენთ.

— სიყვარული ადამიანის ღირებულებების გამოხატულებაა, ეს არის უდიდესი ჯილდო იმ ზნეობრივი თვისებებისთვის, რომლებიც პიროვნულად მოიპოვეთ, ეს არის ემოციური ფასი, რომელსაც ერთი ადამიანი მეორეს მისი სათნოებების წყალობით განცდილი სიხარულისთვის უხდის. თქვენი ზნეობა მოითხოვს, რომ თქვენი სიყვარული ღირებულებებს მოსწყვიტოთ და ის ნებისმიერ მაწანწალას ჩაუგდოთ ხელში, არა როგორც მისი ღირსების, არამედ მისი საჭიროების გამო, არა როგორც ჯილდო, არამედ როგორც მოწყალება, არა როგორც საზღაური მისი სათნოებებისთვის, არამედ როგორც კარტ ბლანში მისი მანკიერებებისთვის. თქვენი ზნეობა გეუბნებათ, რომ სიყვარულის მიზანია, ზნეობის ბორკილებისგან გაგათავისუფლოთ თქვენ; რომ სიყვარული აღემატება ზნეობრივი განსჯის უნარს; რომ ნამდვილი სიყვარული თავისი ობიექტის ნებისმიერ მანკიერებაზე მაღლა დგას და მიუტევებს მას; რომ რაც უფრო დიდია სიყვარული, მით უფრო დიდი უზნეობის უფლებას აძლევს იგი თავის ობიექტს. თქვენი ზნეობა გეუბნებათ, რომ ადამიანის შეყვარება მისი სათნოებების გამო ბანალური და ადამიანურია, ნაკლოვანებების

გამო მისი შეყვარება კი ღვთაებრივი. იმათი შეყვარება, ვინც ამას იმსახურებს, ეგოიზმია, ხოლო უღირსის შეყვარება მსხვერპლის გაღება. თქვენ სიყვარულის ვალდებულება გაკისრიათ იმათ წინაშე, ვინც არ იმსახურებს მას, და, რაც უფრო ნაკლებად იმსახურებენ ისინი თქვენს სიყვარულს, მით უფრო მეტი სიყვარული გმართებთ მათი — რაც უფრო საზიზღარია საგანი, მით უფრო კეთილშობილურია თქვენი სიყვარული; რაც უფრო ნაკლებად მომთხოვნია თქვენი სიყვარული, მით უფრო დიდია სათნოება; და თუ თქვენ შეგიძლიათ, თქვენი სული დაამსგავსოთ ნაგვის გროვას, რომელიც ერთნაირად მიიღებს ყველაფერს, თუ შეგიძლიათ, შეწყვიტოთ ზნეობრივი ღირებულებების დაფასება, მაშინ თქვენ ზნეობრივი სრულყოფილების მდგომარეობისთვის მიგიღწევიათ.

— ასეთია მსხვერპლის გაღების თქვენეული ზნეობა და ასეთ წყვილ იდეალს გთავაზობთ ის — თქვენი სხეულის სიცოცხლე საქონლის სადგომს დაამსგავსოთ, თქვენი სულის სიცოცხლე კი ნაგვის გროვას.

— ეს იყო თქვენი მიზანი და მიაღწიეთ კიდეც მას. ახლა რატომღა წუწუნებთ ადამიანის უსუსურობაზე და ადამიანური სწრაფვების ამაოებაზე? რაკი განადგურებისკენ სწრაფვის მეშვეობით წარმატებას ვერ მიაღწიეთ? რაკი ტკივილის თაყვანისცემამ სიხარული არ მოგიტანათ? რაკი ვერ შეძელით, გეცხოვრათ, როდესაც თქვენი ღირებულების სტანდარტად სიკვდილი მიიჩნიეთ?

— თქვენი სიცოცხლის უნარის ხარისხი იყო ის ხარისხი, სადამდეც არღვევდით თქვენს ზნეობრივ კოდექსს, თუმცა დღემდე გჯერათ, რომ ამ ზნეობას კაცობრიობის მეგობრები ქადაგებენ, თქვენ წყევლით საკუთარ თავს და ვერ ბედავთ მათ მოტივებსა და მიზნებს ჩაუღრმავდეთ. შეხედეთ მათ ახლა, როდესაც ერთი არჩევანიღა გაქვთ დარჩენილი — და თუ დაღუპვას აირჩევთ, სრულად მაინც გააცნობიერეთ, რა უღირსმა, უმნიშვნელო მტერმა ჩაიგდო ხელში თქვენი სიცოცხლე.

— ორივე სკოლის მისტიკოსები, რომლებიც მსხვერპლის გაღების კრედოს ქადაგებენ, არიან მიკრობები, რომლებიც ერთადერთი ჭრილობიდან გიტევენ: ეს არის თქვენი შიში, დაეყრდნოთ საკუთარ გონებას. ისინი გეუბნებიან, რომ გონებაზე აღმატებულ შემეცნების საშუალებასა და ცნობიერებას ფლობენ — თითქოს განსაკუთრებული კავშირი ჰქონოდეთ სამყაროს რომელიღაც ბიუროკრატთან, რომელიც მათ სხვებისაგან დაფარულ რჩევებს აძლევს. სულის მისტიკოსები აცხადებენ, რომ მათ დამატებითი გრძნობა მოეპოვებათ, რომელიც თქვენ არ გაგაჩნიათ: ეს განსაკუთრებული მეექვსე გრძნობა მთლიანად ეწინააღმდეგება თქვენი ხუთი გრძნობის მეშვეობით მიღებულ ცოდნას. სხეულის მისტიკოსებს თავი არ მოაქვთ ექსტრასენსორული წვდომის უნარით: ისინი მხოლოდ აცხადებენ, რომ თქვენი გრძნობები არასრულყოფილია და მათი სიბრძნე გამოიხატება თქვენი უგუნურების აღქმაში რომელიღაც გაურკვეველი ხერხებითა და საშუალებებით. ორივე ტიპის მისტიკოსები მოითხოვენ, რომ თქვენ უარი თქვათ თქვენს ცნობიერებაზე და მათი ძალაუფლება აღიაროთ. თავიანთი აღმატებული ცოდნის მტკიცებულებად ისინი გთავაზობენ ფაქტს, რომ ყველაფერ იმის საპირისპიროს ქადაგებენ, რაც თქვენ იცით, ყოფიერებასთან გამკლავების თავიანთი აღმატებული უნარის მტკიცებულებად კი ის ფაქტი მოჰყავთ, რომ მათ თქვენ სიღატაკისკენ, თავგანწირვისკენ, შიმშილობისკენ, განადგურებისკენ მიჰყავხართ.

— ისინი ამტკიცებენ, რომ თქვენს ამქვეყნიურ არსებობაზე უფრო აღმატებულ ცხოვრებას იცნობენ. სულის მისტიკოსებმა ამას „სხვა განზომილება“ დაარქვეს, რაც

განზომილებების უარყოფას გულისხმობს, სხეულის მისტიკოსებმა კი „მომავალი“, რაც აწმყოს უარყოფას ნიშნავს. არსებობა რაობის ქონაა. რა სახის რაობის მინიჭება შეუძლიათ მათ თავიანთი აღმატებული სამყაროსთვის? ისინი გეუბნებიან, რა არ არის, მაგრამ არასდროს გეუბნებიან, რა არის. ყველა მათი რაობის დადგენა უარყოფას მოიცავს: ისინი ამბობენ, რომ ღმერთი ის არის, რისი შეცნობაც არც ერთი ადამიანის გონებას არ შეუძლია და თქვენგან მოითხოვენ, რომ ასეთი განმარტებით დაკმაყოფილდეთ — ღმერთი არ არის ადამიანი, ზეცა არ არის დედამიწა, სული არ არის სხეული, სათნოება არ არის სარგებელი, A არ არის A, აღქმა არ არის მგრძნობელობითი, ცოდნა არ არის გონება. მათი განმარტებები განსაზღვრის კი არა, გამორიცხვის აქტებია.

— მხოლოდ წურბელას მეტაფიზიკა თუ ჩაეჭიდება იმ სამყაროს იდეას, სადაც რაობის დადგენის სტანდარტი არარაა. წურბელა აარიდებს თავს საკუთარი ბუნების დასახელების აუცილებლობას — იმის გაცნობიერების აუცილებლობას, რომ ნივთიერება, რომელზედაც ის თავის საკუთარ სამყაროს აგებს, სისხლია.

— როგორია იმ აღმატებული სამყაროს ბუნება, რომელსაც ისინი არსებულ სამყაროს სწირავენ მსხვერპლად? სულის მისტიკოსები წყევლიან მატერიას, სხეულის მისტიკოსები კი სარგებელს. პირველების სურვილია, ადამიანებმა სარგებელი დედამიწის უარყოფით მიიღონ, მეორეებს კი სურთ, რომ ადამიანებმა დედამიწა ყოველგვარი სარგებლის უარყოფის მეშვეობით დაიმკვიდრონ. მათ არამატერიალურ, არამომგებიან სამყაროებში რძისა და ყავის მდინარეები მიედინება, მათ ბრძანებაზე კლდეებიდან ღვინო გადმოედინება, პირს გააღებენ თუ არა, ღრუბლებიდან მანანა ცვივა. ამ მატერიალურ და სარგებლის მაძიებელ დედამიწაზე სათნოების — გონიერების, ერთგულების, ძალისა და ცოდნის — უზარმაზარი კაპიტალდაბანდებაა საჭირო რკინიგზის ასაგებად, რომ ისინი ერთ მილზე გადაადგილდნენ; თავიანთ არამატერიალურ, არამომგებიან საყაროში კი ისინი ერთი პლანეტიდან მეორეზე სურვილის მეშვეობით მოგზაურობენ. თუ გულმართალი ადამიანი შეეკითხება მათ:

„როგორ?“ — ისინი სამართლიანი ზიზღით აღვსილნი მიუგებენ, რომ „როგორ“ უხამსი რეალისტებისთვის დამახასიათებელი კონცეფციაა, ხოლო აღმატებული სულების ცნება არის „როგორღაც“. მატერიითა და სარგებლით შეზღუდულ ამ სამყაროში ჯილდოები აზროვნების საშუალებით უნდა მოიპოვო; ასეთი შეზღუდვებისგან თავისუფალ სამყაროში ჯილდოებს სურვილის საფუძველზე იღებენ.

— სწორედ ეს არის მთელი მათი სულმდაბლური საიდუმლო. მათი ყველა ეზოთერული ფილოსოფიის, დიალექტიკის, ზებუნებრივი გრძნობების, ცბიერი მზერისა და გესლიანი სიტყვების საიდუმლო, რომლის გამოც ისინი ანადგურებენ ცივილიზაციას, ენას, მრეწველობებს და სიცოცხლეებს, იხშობენ საკუთარ მხედველობას, სმენას, გრძნობებსა და გონებას, არღვევენ გონების, ლოგიკის, მატერიის, არსებობისა და რეალობის აბსოლუტებს, არის ამ ხელოვნურად შექმნილი ბურუსის თავზე ერთადერთი წმინდა აბსოლუტის — მათი სურვილის აღმართვა.

— შეზღუდვა, რომელსაც ისინი ცდილობენ, გაექცნენ, არის რაობის კანონი. თავისუფლება, რომელსაც ეძიებენ, არის თავისუფლება იმ ფაქტისგან, რომ A რჩება A-დ, მიუხედავად მათი ცრემლებისა და ჭირვეულობისა; რომ რძის მდინარეები არ არსებობს, როგორც არ უნდა მოშივდეთ მათ; რომ წყალი აღმა არ იდინებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი მოხერხებული იქნებოდა ეს მათთვის; და თუ მათ

ცათამბჯენის სახურავზე წყლის აყვანა სურთ, ამას აზროვნება და შრომა სჭირდება, აქ მილსადენის თითოეული ინჩია მნიშვნელოვანი, და არა მათი გრძნობები; რომ მათი გრძნობები მტვრის ერთ ნაწილაკსაც კი ვერ შეუცვლის მიმართულებას სივრცეში და ვერც მათ მიერ ჩადენილი ნებისმიერი მოქმედების ბუნებას შეცვლის.

— ისინი, ვინც ამბობენ, რომ ადამიანს არ აქვს უნარი, დაუმახინჯებლად აღიქვას რეალობა თავისი გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, გულისხმობენ, რომ მათ არავითარი რეალობის აღქმა არ სურთ, რომელიც მათი გრძნობების მიერ არ იქნება დამახინჯებული. „საგნები, როგორნიც არიან ისინი“ — თქვენი გონების მიერ აღქმული საგნები არიან; განაცალკევეთ ისინი გონებისგან და ისინი იქცევიან „საგნებად, როგორც მათ თქვენი სურვილები აღიქვამენ“.

— გონების წინააღმდეგ პატიოსანი აჯანყება არ არსებობს, და როდესაც თქვენ მათი კრედოს რაიმე ნაწილს ეთანხმებით, თქვენი მოტივია, თავი დაიძვრინოთ პასუხისმგებლობისგან იმის ჩადენის გამო, რის უფლებასაც თქვენი გონება არ მოგცემდათ. თავისუფლება, რომელსაც ეძებთ, არის თავისუფლება იმ ფაქტისგან, რომ თუ თქვენ ქონება ქურდობით დააგროვეთ, თქვენ ბოროტმოქმედი ხართ, მიუხედავად იმისა, რამდენი გაიღეთ ქველმოქმედებისთვის ან რამდენჯერ წარმოთქვით ლოცვა; რომ თუ თქვენ მეძავებთან წვებით, თქვენ ღირსეული ქმარი არ ხართ, რა მგზნებარედაც არ უნდა გიყვარდეთ თქვენი ცოლი მეორე დილით; რომ თქვენ განუყოფელი არსება ხართ და არა იმ სამყაროში გაბნეული შემთხვევითი ნაწილების წყება, სადაც არაფერთან ხართ დაკავშირებული და არაფერი გევალებათ, ბავშვის კოშმარის სამყაროში, სადაც რაობები იცვლებიან და ერთმანეთში გადადიან, სადაც არამზადა და გმირი ნებაყოფლობით მიღებული ურთიერთშენაცვლებადი როლებია; რომ თქვენ ადამიანი ხართ — ერთიანი და მთლიანი.

— მიუხედავად იმისა, რომ მგზნებარედ ამტკიცებთ, თითქოს თქვენი მისტიკური სურვილების მიზანი ცხოვრების უფრო აღმატებული ფორმაა, რაობის წინააღმდეგ აჯანყება არარსებობის სურვილია. არაფრად ყოფნის სურვილი არარსებობის სურვილია.

— თქვენმა მასწავლებლებმა, ორივე სკოლის მისტიკოსებმა, მიზეზ-შედეგობრიობის კანონი დაამახინჯეს თავიანთ ცნობიერებაში, ახლა კი მის დამახინჯებას რეალობაში ცდილობენ. ისინი თავიანთ ემოციებს მიზეზად თვლიან, თავიანთ გონებას კი პასიურ შედეგად. მათ საკუთარი ემოციები რეალობის აღქმის ინსტრუმენტად აქციეს, საკუთარი სურვილები კი ყველაფრის დასაბამად, ფაქტად, რომელიც ყველა სხვა დანარჩენ ფაქტს უპირისპირდება. პატიოსან ადამიანს სურვილი არ უჩნდება, ვიდრე თავისი სურვილის ობიექტის რაობას არ დაადგენს. იგი ამბობს: „ის არსებობს, მაშასადამე მე მინდა ის“. ისინი კი ამბობენ: „მე მინდა ის, მაშასადამე ის არსებობს“.

— მათ არსებობისა და ცნობიერების აქსიომის უარყოფა სურთ, უნდათ, რომ მათი ცნობიერება არსებობის აღქმის კი არა, მისი შექმნის იარაღი იყოს, ხოლო არსებობა — მათი ცნობიერების სუბიექტი, ობიექტი კი არა; მათ სურთ, იყვნენ ღმერთი, რომელიც თავიანთ ხატად და მსგავსად შექმნეს და რომელიც სიცარიელიდან ქმნის სამყაროს თავისი ახირებით. მაგრამ რეალობის გაყალბება არ შეიძლება. ისინი მიაღწევენ იმას, რაც მათ სურვილს ეწინააღმდეგება. მათ სრული ძალაუფლების მოპოვება სურთ ყოფიერებაზე, ამის ნაცვლად კი საკუთარ ცნობიერებაზეც კარგავენ ძალაუფლებას. ცოდნის უარყოფით, ისინი თავს სამარადისო უცოდინრობის საშინელებისთვის წირავენ.

— ის ირაციონალური სურვილები, გრძნობები, რომლებსაც თქვენ კერპებივით ეთაყვანებით, ვის საკურთხეველზეც სწირავთ მსხვერპლად დედამიწას, თქვენს არსებაში ჩაბუდებული ის ბნელი, გაურკვეველი ვნება, ღმერთის ან თქვენს ხმად რომ მიიჩნევთ, სხვა არაფერია, თუ არა თქვენი გონების ლეში. ემოცია, რომელიც ეწინააღმდეგება თქვენს გონებას, რომელიც ვერ აგიხსნიათ და ვერც მართავთ მას, მხოლოდ და მხოლოდ გვამია იმ ბანალური აზროვნებისა, რომლის გაცოცხლებაც საკუთარ გონებას აუკრძალეთ.

— ყოველ ჯერზე, როდესაც თქვენ აზროვნებისა და გაგების უარყოფის, რეალობის აბსოლუტისგან თქვენი რომელიმე ერთი წვრილმანი სურვილის გამოცალკევების ბოროტებას სჩადიოდით, როდესაც ამჯობინებდით, გეთქვათ: „მოდი, გონების განსჯისგან გავათავისუფლებ, ნამცხვრები რომ მოვიპარე ან ღმერთის არსებობის საკითხს, მოდი, მქონდეს ერთი უგუნური კაპრიზი და ყველაფერ დანარჩენთან მიმართებით გონიერი ადამიანი ვიქნები“ — ეს თქვენი ცნობიერების დამხობისა და გონების გახრწნის აქტი იყო. თქვენი გონება მოსყიდულ არბიტრად გადაიქცა, რომელიც შავბნელ დამნაშავეთა დაჯგუფების ბრძანებებს ემორჩილება. მისი განაჩენი ისე ამახინჯებს მტკიცებულებებს, რომ ისინი აღარ შეესატყვისებოდნენ აბსოლუტს, რომლის ხელყოფაც არბიტრს ვერ გაუბედავს — და ამის შედეგია ცენზურას დაქვემდებარებული და დანაწევრებული რეალობა, მისი ის ნაწილები, რომლებიც გსურთ, დაინახოთ, იმ აურაცხელ დანარჩენს შორის ტივტივებს, რომელთა დანახვაც არ გინდათ, მათ ერთად გონების მაბალზამირებელი სითხე აკავებს, აზრისგან განთავისუფლებული ემოცია.

— მაკავშირებელი რგოლები, რომელთა გაქრობასაც ცდილობთ, მიზეზობრივი კავშირებია. მტერი, რომლის დამარცხებაც გწყურიათ, მიზეზ-შედეგობრიობის კანონია: ის თქვენთვის სასწაულებს არ დაუშვებს. მიზეზ-შედეგობრიობის კანონი რაობის ამოქმედებული კანონია. ყველა მოქმედება გამოწვეულია არსებობის მიერ.

მოქმედებების ბუნებას საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს იმ საგანთა ბუნება, რომლებიც ასრულებენ მათ; საგანი თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ ვერ იმოქმედებს. მოქმედებას, რომელსაც არსებობა არ იწვევს, იწვევს არარა, რაც იმას ნიშნავს, რომ არარა მართავს მოცემულ საგანს, არ-არსებობა მართავს არსებობას, არარსებული მართავს არსებულს — ეს არის თქვენი მასწავლებლების საოცნებო სამყარო, მათი უმიზეზო მოქმედების მოძღვრებების საფუძველი, გონების წინააღმდეგ მათი აჯანყების მიზეზი, მათი ზნეობის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და იმ იდეალის მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვიან: ეს იდეალია არარას ბატონობა.

— რაობის კანონი არ გაძლევთ საშუალებას, ორჯერ შეჭამოთ ერთი და იგივე ნამცხვარი. მიზეზ-შედეგობრიობის კანონი კი არ გაძლევთ ნებას, რომ მანამდე შეჭამოთ თქვენი ნამცხვარი, სანამ ის გექნებათ. მაგრამ თუ თქვენ საკუთარი თავისა და სხვების წინაშე ითვალთმაქცებთ, თითქოს ეს არ იცოდეთ, ამ ორივე კანონს თქვენი გონების სიცარიელეში ფლავთ. შემდეგ უკვე შეგეძლებათ, სცადოთ თქვენი უფლების გამოცხადება იმაზე, რომ დღეს თქვენი ნამცხვარი შეჭამოთ, ხვალ კი ჩემი, შეგეძლებათ, იქადაგოთ, რომ ნამცხვრის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი იქამდე შეჭმა, ვიდრე გამოცხვებოდეს, რომ წარმოება ნაწარმის მოხმარებით უნდა იწყებოდეს, რომ ნებისმიერ მსურველს თანაბარი უფლება აქვს ნებისმიერ საგანზე, რადგან არაფერს არაფერი არ იწვევს. მატერიალურად უმიზეზოს შედეგი სულიერად დაუმსახურებელია.

— როდესაც კი მიზეზ-შედეგობრიობის წინააღმდეგ ილაშქრებთ, თქვენი მოტივი თაღლითური სურვილი — მისგან გაქცევა კი არა, გაცილებით უარესია: თქვენ მისი დამახინჯება გსურთ. თქვენ გინდათ დაუმსახურებელი სიყვარული, თითქოს სიყვარულს, შედეგს, შეეძლოს თქვენთვის მიზეზის, პიროვნული ღირებულების მოცემა; თქვენ გინდათ დაუმსახურებელი აღტაცება, თითქოს აღტაცებას, შედეგს, შეეძლოს თქვენთვის მიზეზის, სათნოების მოცემა; თქვენ გსურთ დაუმსახურებელი სიმდიდრე, თითქოს სიმდიდრეს, შედეგს, შეეძლოს თქვენთვის მიზეზის, უნარის მოცემა; თქვენ ითხოვთ შეწყალებას და არა სამართლიანობას, თითქოს დაუმსახურებელი მიტევება თქვენი თხოვნის მიზეზს გაანადგურებს. და თქვენი საზიზღარი თვალთმაქცობის დასაკმაყოფილებლად, ემხრობით თქვენი მასწავლებლების მოძღვრებებს, როცა ისინი პირზე დუჟმომდგარნი ამტკიცებენ, რომ ხარჯვა, შედეგი, ქმნის საფუძველს — სიმდიდრეს, რომ მექანიზმი, შედეგი, ქმნის საფუძველს — გონიერებას, რომ თქვენი სქესობრივი სურვილები, შედეგი, ქმნის საფუძველს — თქვენს ფილოსოფიურ ღირებულებებს.

— ვის ხარჯზე იმართება ორგია? ვინ არის უმიზეზოს გამომწვევი მიზეზი? ვინ არიან მსხვერპლები, რომლებსაც არასოდეს ეღირსებათ აღიარება და მდუმარედ დაიღუპებიან, რათა მათმა ტანჯვამ ხელი არ შეუშალოს თქვენს თვალთმაქცობას, თითქოს ისინი არც კი არსებობდნენ? ჩვენ ვართ მსხვერპლები, ჩვენ, გონიერი ადამიანები.

— ჩვენ ვართ ყველა იმ ღირებულების საფუძველი, რომელიც თქვენ გშურთ, ჩვენ, ვინც აზროვნების პროცესს ვასრულებთ, რაობის განსაზღვრისა და მიზეზობრივი კავშირების აღმოჩენის პროცესს. ჩვენ გასწავლეთ თქვენ გაგება, ლაპარაკი, წარმოება, ნდომა, სიყვარული. თქვენ უარყავით გონება — ჩვენ ის შევინარჩუნეთ. სწორედ ჩვენ არ უნდა გვიმადლოდეთ, რომ შეგიძლიათ, დაიკმაყოფილოთ თქვენი სურვილები, რომელთა წარმოდგენასაც კი ვერ მოახერხებდით ჩვენ გარეშე? თქვენ ვერ მოგინდებოდათ ის ტანსაცმელი, რომელიც არ შეიქმნებოდა, ის ავტომობილი, რომელსაც არ გამოიგონებდნენ, ის ფული, რომელსაც არ შექმნიდნენ, იმ საქონლის საყიდლად, რომელიც არ იარსებებდა, ის აღტაცება, რომელსაც ვერ გამოიწვევენ ადამიანები, ვისაც არაფრისთვის არ მიუღწევიათ, ის სიყვარული, რომელიც მხოლოდ მათ ეკუთვნით, ვინც ინარჩუნებს აზროვნების, არჩევნის გაკეთებისა და შეფასების უნარს.

— თქვენ, ვინც თქვენი გრძნობების ჯუნგლებიდან გამოვარდნილი ველურებივით დახტიხართ ჩვენი ნიუ-იორკის მეხუთე ავენიუზე და აცხადებთ, რომ გინდათ, ელექტროენერგია შეინარჩუნოთ, მაგრამ გენერატორები გაანადგუროთ, ჩვენს გასანადგურებლად ჩვენსავე ქონებას, ჩვენს შესაჩვენებლად ჩვენსავე ღირებულებებს, გონების უარსაყოფად ჩვენსავე ენას იყენებთ.

— სწორედ ისე, როგორც თქვენმა სულის მისტიკოსებმა გამოიგონეს თავიანთი სამოთხე ჩვენი დედამიწის ხატად, უგულებელყვეს ჩვენი არსებობა და არა-მატერიისგან, სასწაულის ძალით შექმნილ ჯილდოებს დაგპირდნენ, თქვენი თანამედროვე სხეულის მისტიკოსებიც უგულებელყოფენ ჩვენს არსებობას და გპირდებიან სამოთხეს, სადაც მატერია თავისი უსაფუძვლო სურვილით გარდაისახება ყველა იმ შესაძლო ჯილდოდ, რომელიც თქვენი არა-გონება ესწრაფვის.

— საუკუნეების განმავლობაში სულის მისტიკოსები მფარველობითი გამოძალვის საშუალებით არსებობდნენ — ჯერ დედამიწაზე ცხოვრებას აუტანელს

ხდიდნენ, შემდეგ ნუგეშისცემისთვის და შვების მოგვრისთვის საზღაურს ითხოვდნენ, ყველა იმ სათნოებას კრძალავდნენ, რომელიც არსებობას შესაძლებელს ხდის, წარმოებასა და სიხარულს ცოდვად აცხადებდნენ, მერე კი ცოდვილებს აშანტაჟებდნენ. ჩვენ, გონიერი ადამიანები, მათი კრედოს დაუსახელებელი მსხვერპლები აღმოვჩნდით, ჩვენ, ვინც მზად ვიყავით მათი ზნეობრივი კოდექსის დასარღვევად და გონების ცოდვის გამო წყევლის ასატანად; ჩვენ, ვინც ვაზროვნებდით და ვმოქმედებდით, სანამ ისინი ოცნებობდნენ და ლოცულობდნენ; ჩვენ, ვინც ზნეობრივი განდევნილები და სიცოცხლის კონტრაბანდისტები ვიყავით მაშინ, როდესაც სიცოცხლე დანაშაულად ითვლებოდა — სანამ ისინი ტკბებოდნენ ზნეობრივი დიდებით მატერიალური სიხარბის დაძლევისთვის და ვინ იცის ვისი წარმოებული მატერიალური სიკეთეების უანგარო ქველმოქმედებით დარიგების სათნოებისთვის.

— ახლა ველურებმა, რომლებმაც იმის ღირსადაც კი არ ჩაგვთვალეს, რომ ცოდვილები ეწოდებინათ ჩვენთვის, ბორკილები დაგვადეს და გვიბრძანეს, ვაწარმოოთ — ისინი აცხადებენ, რომ ჩვენ არ ვარსებობთ, მერე კი გვემუქრებიან, რომ წაგვართმევენ ცხოვრებას, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის, თუკი ვერ შევძლებთ, უზრუნველვყოთ ყველა იმ სიკეთით, რომელსაც ჩვენ არ ვქმნით. ახლა ჩვენგან მოელიან, რომ ძველებურად ვმართოთ რკინიგზა და ზუსტად ვიცოდეთ, როდის ჩამოდგება სადგურში მატარებელი, რომელმაც მთელი კონტინენტი გადაკვეთა. მოელიან, ვმართოთ ფოლადსასხმელი ქარხნები და ვიცოდეთ თქვენი ხიდების ბაგირებში და ცაში აჭრილ თვითმფრინავებში ლითონის თითოეული წვეთის მოლეკულური სტრუქტურა, ვიდრე თქვენი უგუნური წვრილფეხა მისტიკოსების ტომები ჩვენი სამყაროს გვამის ირგვლივ იბრძვიან და ბურტყუნებენ, რომ არ არსებობს პრინციპები, აბსოლუტები, ცოდნა და გონება.

— უფრო დეგრადირებულებს, ვიდრე ის ველურია, რომელსაც სწამს, რომ მის მიერ წარმოთქმულ მაგიურ სიტყვებს რეალობის შეცვლის ძალა აქვს, სჯერათ, რომ რეალობა შესაძლოა, შეიცვალოს იმ სიტყვების ძალით, რომელსაც ისინი არ წარმოთქვამენ — და მათი ჯადოსნური იარაღია უგულებელყოფა, თვალთმაქცობა, თითქოს ვერაფერი იარსებებს მისი რაობის დადგენაზე მათი თანხმობის გარეშე.

— როგორც სხეულს კვებავენ მოპარული ქონებით, ისე გონებასაც მოპარული ცნებებით კვებავენ და აცხადებენ, რომ პატიოსნება იმის გაცნობიერებაზე უარის თქმაა, რომ იპარავ. როგორც შედეგებს იყენებენ, როდესაც გამომწვევ მიზეზებს უარყოფენ, ასევე იყენებენ ჩვენს კონცეფციებს მაშინ, როდესაც ამ კონცეფციების საფუძველსა და მათ არსებობას უარყოფენ. როგორც სამრეწველო ქარხნების აგება კი არა, მათი ხელში ჩაგდება სურთ, სწორედ ასევე ცდილობენ, თვითონ კი არ იაზროვნონ, არამედ ადამიანური აზროვნების შედეგები ჩაიგდონ ხელში.

— როგორც აცხადებენ, რომ ქარხნის სამართავად ბერკეტების გადაადგილების უნარიც კმარა და უგულებელყოფენ კითხვას, თუ ვინ შექმნა ქარხანა, სწორედ ასევე აცხადებენ, რომ საგნები არ არსებობენ, რომ არაფერი არსებობს, გარდა მოძრაობისა, და უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ მოძრაობა გულისხმობს საგანს, რომელიც მოძრაობს, რომ ყოფიერების კონცეფციის გარეშე მოძრაობის კონცეფცია ვერ იარსებებს. როგორც აცხადებენ თავიანთ უფლებას დაუმსახურებლის მოხმარებაზე და უგულებელყოფენ კითხვას, ვინ უნდა აწარმოოს ის, ასევე აცხადებენ, რომ არ არსებობს რაობის კანონი, რომ ცვლილებების გარდა, არაფერი არსებობს, და უგულებელყოფენ ფაქტს, რომ ცვლილებები გულისხმობს იმის ცნებას,

რაც იცვლება, საიდანაც იცვლება და რადაც იცვლება, რომ რაობის კანონის გარეშე ცვლილების კონცეფცია ვერ იარსებებს. როგორც ძარცვავენ მეწარმეს მაშინ, როდესაც მის ღირებულებას უარყოფენ, ასევე ცდილობენ, მოიპოვონ ძალაუფლება მთლიანად არსებობაზე მაშინ, როდესაც არსებობის არსებობას უარყოფენ.

— „ჩვენ ვიცით ის, რომ არაფერი ვიცით“, — ყბედობენ ისინი და უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ საკუთარ ცოდნას ადასტურებენ; „აბსოლუტები არ არსებობს“, — ყბედობენ ისინი და უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ სიტყვა „აბსოლუტს“ წარმოთქვამენ; „თქვენ არ შეგიძლიათ იმის დამტკიცება, რომ არსებობთ ანდა ცნობიერი რომ ხართ“, — ყბედობენ ისინი და უგულებელყოფენ ფაქტს, რომ მტკიცება გულისხმობს არსებობას, ცნობიერებასა და ცოდნის რთულ ჯაჭვს: იმის არსებობას, რაც უნდა იცოდეთ, იმ ცნობიერების არსებობას, რომელსაც შეეძლება ცოდნის მიღება, და იმ ცოდნის არსებობას, რომლის მეშვეობითაც გაარჩევთ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა დამტკიცებული და დაუმტკიცებელი.

— როდესაც ველური, რომელსაც სათქმელის მწყობრად გადმოცემა არ შეუძლია, აცხადებს, რომ არსებობას დამტკიცება სჭირდება, ის თქვენ გთხოვთ, რომ ეს არარსებობის მეშვეობით დაამტკიცოთ; როდესაც აცხადებს, რომ თქვენს ცნობიერებას დამტკიცება სჭირდება, ის თქვენ გთხოვთ, რომ ეს არაცნობიერის საშუალებით დაამტკიცოთ — მოითხოვს, არსებობისა და ცნობიერების მიღმა, სიცარიელეში შეაბიჯოთ, რათა მას ორივე მათგანის მტკიცებულება მისცეთ, მოითხოვს, რომ არარას შესახებ ცოდნის შესაძენად არარა გახდეთ.

— როდესაც აცხადებს, რომ აქსიომა ნებაყოფლობითი არჩევნის საგანია და არ სურს მიიღოს აქსიომა, რომ ის არსებობს, უგულებელყოფს ფაქტს, რომ მან ეს აქსიომა ამ წინადადების წარმოთქმით მიიღო, რომ მისი უარყოფის ერთადერთი გზაა, არ ამოიღო ხმა, არავითარი თეორიები არ წამოაყენო და მოკვდე.

— აქსიომა არის დებულება, რომელიც ცოდნისა და ამ ცოდნიდან გამომდინარე ნებისმიერი მომდევნო დებულების საფუძვლის რაობას ადგენს, დებულება, რომელსაც ყველა დანარჩენი დებულება უნდა შეიცავდეს, სულერთია, რომელიმე კონკრეტულ ორატორს სურს თუ არა მისი აღიარება. აქსიომა არის თეორემა, რომელიც თავის ოპონენტებს ამარცხებს იმ ფაქტის მეშვეობით, რომ ისინი იძულებული არიან, მიიღონ ის და გამოიყენონ მისი უარყოფის ნებისმიერი მცდელობისას. დაე, გამოქვაბულში მცხოვრებმა ადამიანმა, რომელსაც არ სურს, მიიღოს აქსიომა, რომ არის 4, სცადოს და წამოაყენოს საკუთარი თეორია რაობის აქსიომის კონცეფციის ან მისგან გამომდინარე სხვა რომელიმე კონცეფციის გამოყენების გარეშე; დაე, ანთროპოიდმა, რომელიც არ ეთანხმება არსებითი სახელების არსებობას, სცადოს, გამოიგონოს ენა ზმნების, არსებითი და ზედსართავი სახელების გარეშე; დაე, ექიმბაშმა, რომელიც არ აღიარებს მგრძნობელობით აღქმას, სცადოს ამის დამტკიცება იმ მონაცემთა გამოყენების გარეშე, რომელიც მგრძნობელობითი აღქმის საშუალებით მიიღო; დაე, თავებზე მონადირე ველურმა, რომელიც არ აღიარებს ლოგიკის ძალას, ეს ლოგიკის გამოყენების გარეშე დაამტკიცოს; დაე, ჯუჯა პიგმეიმ, რომელიც აცხადებს, რომ ცათამბჯენს არ სჭირდება საძირკველი, თქვენსას კი არა, თავის სახლს გამოაცალოს ის; დაე, კაციჭამია, რომელიც ღრიალებს, რომ ადამიანის გონების თავისუფლება სამრეწველო ცივილიზაციის შესაქმნელად იყო საჭირო, მის შესანარჩუნებლად მშვილდ-ისარსა და დათვის ტყავს დასჯერდეს და უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრას ნუღარ წაეპოტინება.

— გგონიათ, რომ ისინი თქვენ უკან, პირქუში შუა საუკუნეებისკენ მიგაქანებენ?

არა, ისინი უძველეს წყვდიადში გაბრუნებენ, რომელიც არც ერთ ისტორიას არ შემოუნახავს. მათი მიზანი წინარე მეცნიერების ეპოქა კი არა, წინარე ენის ხანაა. მათი განზრახვა თქვენთვის იმ კონცეფციის წართმევაა, რომელზედაც ადამიანის გონება, მისი სიცოცხლე და კულტურაა დამოკიდებული: ობიექტური რეალობის კონცეფციის. დაადგინეთ ადამიანის ცნობიერების განვითარების რაობა — და თქვენ მათი კრედოს მიზანსაც შეიტყობთ.

— ველური ის არსებაა, რომელსაც ვერ შეუგნია, რომ 2 არის და, რომ რეალობა რეალურია. მან თავისი გონების განვითარება ჩვილი ყრმის დონეზე, იმ სტადიაზე შეწყვიტა, როდესაც ცნობიერება თავდაპირველ მგრძნობელობით აღქმას იძენს და ჯერ კიდევ არ უსწავლია მყარი ობიექტების გარჩევა. სწორედ ჩვილს ეჩვენება სამყარო ჩრდილების მოძრაობად, მოძრავ საგნებს კი ვერ არჩევს, მისი გონება იმ დღეს იბადება, როდესაც მიხვდება, რომ საგანი, რომელიც გამუდმებით მის თვალწინ კრთის, დედამისია, და რაც მის უკან ფრიალებს — ფარდა, რომ ეს ორი მყარი საგანია და ვერც ერთი მათგანი მეორედ ვერ გადაიქცევა, რომ ისინი არიან ის, რაც არიან, რომ ისინი არსებობენ. დღე, როდესაც ბავშვი მიხვდება, რომ მატერიას ნებასურვილი არ გააჩნია, იქნება დღე, როდესაც გაიგებს, რომ თვითონ აქვს ნება-სურვილი — და ეს იქნება მისი ადამიანად შობა. დღე, როდესაც გაიგებს, რომ სარკეში არეკლილი გამოსახულება ილუზია არ არის, რომ ის რეალურია, თუმცა ეს თვითონ არ არის, რომ უდაბნოში დანახული მირაჟი არ არის ილუზია, რომ ჰაერი და სინათლის სხივები, რომელიც ამ მირაჟს იწვევს, რეალურია, მაგრამ ის არ არის ქალაქი, ის ქალაქის ანარეკლია; დღე, როდესაც მიხვდება, რომ თვითონ ამა თუ იმ მოცემულ წამს გაჩენილი შთაბეჭდილებების პასიური მიმღები არ არის, რომ მისი გრძნობები კონტექსტისგან დამოუკიდებელი ცალკეული ნაწილების ავტომატურ ცოდნას კი არ სძენს, არამედ მხოლოდ ცოდნის მასალას აძლევს, რომელიც მისმა გონებამ უნდა გააერთიანოს; დღე, როდესაც მიხვდება, რომ მის გრძნობებს მისი მოტყუება არ შეუძლიათ, რომ ფიზიკური საგნები მიზეზის გარეშე გერ იმოქმედებენ, რომ მისი აღქმის ორგანოები ფიზიკურია და მათ არ გააჩნიათ ნება-სურვილი, გამოგონების ან დამახინჯების ძალა, რომ ის მტკიცებულებები, რომლებსაც ისინი აძლევენ, აბსოლუტია, მაგრამ მისმა გონებამ უნდა ისწავლოს მისი გაგება, მისმა გონებამ უნდა აღმოაჩინოს მისი მგრძნობელობითი მასალის ბუნება, მიზეზები და სრული კონტექსტი, რომ მისმა გონებამ მის მიერ აღქმული საგნების რაობა უნდა დაადგინოს — აი, ეს იქნება მისი მოაზროვნედ და მეცნიერად დაბადების დღე.

— ჩვენ ის ადამიანები ვართ, ვინც ამ დღეს მიაღწია; თქვენ ხართ ისინი, ვინც ამჯობინა, ნაწილობრივ მიეღწია მისთვის; ველური კი ის ადამიანია, ვინც ვერასდროს ვერაფერს ვერ მიაღწია.

— ველურისთვის სამყარო აუხსნელი სასწაულების ადგილია, სადაც უსულო მატერიისთვის ყველაფერია შესაძლებელი, მისთვის კი არაფერი. მისი სამყარო შეუცნობელი კი არა, ირაციონალური საშინელება — გამოუცნობია. მას სწამს, რომ ფიზიკური საგნები იდუმალ ნებას ფლობენ, რომ მათი მოქმედებები უსაფუძვლო, არაპროგნოზირებადი ახირებებით არის ნაკარნახები, თვითონ კი უსუსური პაიკია იმ ძალების ხელში, რომელთა მართვაც არ შეუძლია. მას სჯერა, რომ ბუნებას ყოვლისშემძლე დემონები განაგებენ და რეალობა მათი სათამაშო აირია, სადაც მათ შეუძლიათ, მისი კერძიანი ჯამი გველად, მისი ცოლი კი ხოჭოდ აქციონ ნებისმიერ დროს, სადაც მისთვის გაუგებარი X შესაძლოა, მათი სურვილისამებრ ნებისმიერ არა-

Mდ გადაიქცეს, სადაც ერთადერთი ცოდნა, რომელსაც თვითონ ფლობს, არის ის, რომ მან არ უნდა სცადოს ცოდნის მიღება. მას არ შეუძლია რაიმეს გათვლა, შეუძლია, მხოლოდ ისურვოს რაიმე, და ისიც მთელ ცხოვრებას ნატვრაში გალევს, ევედრება თავის დემონებს, რომ ინებონ მისი სურვილების ასრულება. თუ ნატვრა აუხდინეს, მადლობას სწირავს მათ, თუ არა — ყველაფერს საკუთარ თავს აბრალებს, მათ მადლიერების ნიშნად მსხვერპლს სწირავს, თვითონ კი თავისი დანაშაულის ნიშნად ეწირება მსხვერპლად, შიშით შეპყრობილი დახოხავს მუცელზე და თაყვანს სცემს მზეს, მთვარეს, ქარს, წვიმასა და ნებისმიერ თაღლითს, რომელიც თავს მათ მოციქულად გამოაცხადებს, თუკი გაუგებრად ლაპარაკობს და საკმარისად საშიში ნიღაბი აქვს მორგებული. ის ნატრობს, ითხოვს, დახოხავს და კვდება, თქვენ კი გიტოვებთ, როგორც არსებობაზე თავისი შეხედულებების მატიანეს, ამ მახინჯ, საზარელ კერპებს — სანახევროდ ადამიანებს, სანახევროდ ცხოველებს, სანახევროდ ობობებს, თავისი არა-ს სამყაროს განსხეულებებს.

— თქვენი თანამედროვე მასწავლებლების გონებრივი განვითარების დონე ამ ველურისას ჰგავს და თქვენც სწორედ მისი სამყაროსკენ მიგიძღვიან.

— თუ გაინტერესებთ, რა გზით აპირებენ ისინი ამის გაკეთებას, შედით ნებისმიერი სასწავლებლის აუდიტორიაში და მოისმენთ, როგორ ასწავლიან თქვენი პროფესორები თქვენს შვილებს, რომ ადამიანი არ შეიძლება, რაიმეში იყოს დარწმუნებული, რომ მისი ცნობიერება გამოუსადეგარია, რომ მას არ შეუძლია ჩასწვდეს არსებობის ფაქტებსა და კანონებს, რომ ის უძლურია, შეიცნოს ობიექტური რეალობა.

მაშინ რა არის ადამიანისთვის ცოდნისა და ჭეშმარიტების სტანდარტი? მათი პასუხია: „ის, რისიც სხვებს სწამთ“. ისინი ქადაგებენ, რომ არ არსებობს ცოდნა, არსებობს მხოლოდ რწმენა: თქვენი რწმენა, რომ თქვენ არსებობთ, რწმენის აქტია და ის სხვა რომელიმე ადამიანის იმ რწმენაზე მეტად დასაბუთებული არ არის, რომ მას თქვენი მოკვლის უფლება აქვს; მეცნიერების აქსიომები რწმენის აქტია და ისინი აპოკალიფსის შესახებ მისტიკოსის რწმენაზე მეტად დასაბუთებული არ არის; რწმენა, რომ ელექტროენერგია შესაძლოა, გენერატორის მიერ იყოს წარმოებული, რწმენის აქტია, რომელიც იმ რწმენაზე მეტად დასაბუთებული არ არის, რომ ელექტროენერგიის მიღება შესაძლებელია კიბის ქვეშ ბაჭიის თათის კოცნით ახალმთვარობის პირველ ღამეს, ჭეშმარიტება არის ის, რაც ადამიანებს სურთ, და ადამიანებში იგულისხმებიან ყველანი, თქვენ გარდა; რეალობა არის ის, რის თქმაც ადამიანებს მის შესახებ მოეგუნებებათ, ობიექტური ფაქტები არ არსებობს, მხოლოდ ადამიანთა თვითნებური კაპრიზები არსებობს — ადამიანი, რომელიც ცოდნის მიღებას ლაბორატორიაში კოლბებისა და სინჯარების მეშვეობით ცდილობს, ძველმოდური, ცრუმორწმუნე ბრიყვია. ჭეშმარიტი მეცნიერი ის მკვლევარია, რომელიც საზოგადოებრივი გამოკითხვების ჩასატარებლად აქეთ-იქით დაწანწალებს და შესაბამის დასკვნებს აკეთებს, და რომ არა ფოლადის კოჭების მწარმოებელთა ეგოისტური სიხარბე, რომლებიც მეცნიერების პროგრესისთვის ხელის შეშლას მთელი ძალით ცდილობენ, იმასაც შეიტყობდით, რომ ქალაქი ნიუ-იორკი არ არსებობს, რადგან მთელი მსოფლიოს მოსახლეობის გამოკითხვა ხმების უზარმაზარი უმრავლესობით აჩვენებდა, რომ ხალხის რწმენა ეწინააღმდეგება ამ ქალაქის არსებობას.

— საუკუნეების განმავლობაში სულის მისტიკოსები აცხადებდნენ, რომ რწმენა აღემატება გონებას, მაგრამ გონების არსებობის უარყოფა არ გაუბედავთ. მათმა

მემკვიდრეებმა და ნაყოფმა, სხეულის მისტიკოსებმა დაასრულეს მათი საქმე და აასრულეს მათი ოცნება: ისინი აცხადებენ, რომ ყველაფერი რწმენაა, და ისინი ამას შეხედულებების წინააღმდეგ აჯანყებას უწოდებენ. დაუსაბუთებელი მტკიცებების წინააღმდეგ გალაშქრებისას, ისინი აცხადებენ, რომ არაფრის დამტკიცება არ შეიძლება; ზებუნებრივი ცოდნის წინააღმდეგ აჯანყებისას, აცხადებენ, რომ ცოდნა შეუძლებელი რამ არის; მეცნიერების მტრების წინააღმდეგ აჯანყებისას, აცხადებენ, რომ მეცნიერება ცრურწმენაა; გონების დამონების წინააღმდეგ აჯანყებისას, ისინი აცხადებენ, რომ გონება არ არსებობს.

— თუ თქვენ უარს იტყვით თქვენი აღქმის უნარზე, თუ დაეთანხმებით, შეიცვალოს თქვენი სტანდარტი ობიექტურიდან კოლექტიურისკენ და დაელოდებით კაცობრიობას, რას დაგავალებთ სააზროვნოდ, იმ თვალებით, რომლებიც უარყავით, კიდევ ერთ ცვლილებას იხილავთ: დაინახავთ, რომ კოლექტივის მმართველები თქვენი მასწავლებლები გახდნენ, და თუ შემდეგ უარს იტყვით მათ მორჩილებაზე იმ საბაბით, რომ ისინი არ არიან მთელი კაცობრიობა, ასეთ პასუხს გაგცემენ: „საიდან იცი, რომ არ ვართ მთელი კაცობრიობა?“ არიან, ძმაო? მაინც, საიდან მოიტანე ეს დრომოჭმული ტერმინი?

— თუ ეჭვი გეპარებათ, რომ ასეთია მათი განზრახვა, დააკვირდით, როგორი მგზნებარე თანმიმდევრულობით ცდილობენ სხეულის მისტიკოსები, დაგავიწყონ, რომ ისეთი ცნება, როგორიცაა „გონება“, როდისმე არსებობდა. დააკვირდით მათ გაურკვეველ ენამჭევრობას, ბუნდოვანი მნიშვნელობის მქონე სიტყვებსა და ტერმინებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ცდილობენ, თავი აარიდონ ცნება „აზროვნებას“. ისინი გეუბნებიან, რომ თქვენი ცნობიერება შედგება „რეფლექსებისგან“, „რეაქციებისგან“, „განცდებისგან“, „მისწრაფებებისგან“ და „იმპულსებისგან“ და უარს ამბობენ, დაასახელონ საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძინეს ეს ცოდნა, დაასახელონ აქტი, რომელსაც ასრულებენ თქვენთვის ამის თქმისას ან აქტი, რომელსაც თქვენ ასრულებთ მათი მოსმენისას. ისინი ამბობენ, რომ სიტყვებს თქვენი „ფორმირების“ ძალა აქვთ და დუმილს ამჯობინებენ იმ მიზეზის დასახელებაზე, რის გამოც სიტყვებს უნარი აქვთ, შეცვალონ თქვენი... — უგულებელყოფილია.

სტუდენტი, რომელიც წიგნს კითხულობს, წაკითხულს იგებს პროცესის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს... — უგულებელყოფილია. მეცნიერი, რომელიც გამოგონებაზე მუშაობს, ჩართულია საქმიანობაში, რომელიც გულისხმობს... — უგულებელყოფილია. ფსიქოლოგი ნევროტიკს პრობლემის მოგვარებასა და კონფლიქტის გადაჭრაში ეხმარება საშუალებით, რომელიც გულისხმობს... — უგულებელყოფილია.

მეწარმე... — ასეთი ადამიანი არ არსებობს. ქარხანა „ბუნებრივი რესურსია“, როგორც ხე, კლდე ან ტბორი.

— ისინი გეუბნებიან, რომ წარმოების პრობლემა უკვე დიდი ხანია, გადაჭრილია და შესწავლასა და ყურადღებას აღარ საჭიროებს; ახლა თქვენს „რეფლექსებს“ მხოლოდ განაწილების პრობლემაღა დარჩა მოსაგვარებელი. ვინ გადაჭრა წარმოების პრობლემა? „კაცობრიობამ“, — ამბობენ ისინი. საიდან ჩანს, რომ ის გადაჭრილია? „აი, საქონელი, აქ არის.“ როგორ მოხვდა ეს საქონელი აქ? „როგორღაც“. ვინ არის ამის მიზეზი? „არავინ.“

— ისინი აცხადებენ, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, შრომის გარეშე იარსებოს და, რეალობის კანონების მიუხედავად, მიიღოს თავისი „საარსებო

მინიმუმი“, — საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, — როგორც დაბადებიდან მინიჭებული უფლება, ისე, რომ თითი თითზე არ დაადოს. მიიღოს ვისგან? — უგულებელყოფილია. ისინი აცხადებენ, რომ ყველა ადამიანი ფლობს თანაბარ წილს იმ ტექნოლოგიური სიკეთეებისა, რომლებიც მსოფლიოში შეიქმნა. შეიქმნა ვის მიერ? — უგულებელყოფილია. ამაზრზენი ლაჩრები, რომლებსაც მეწარმეთა დამცველებად მოაქვთ თავი, ახლა ეკონომიკის მიზანს ასე განსაზღვრავენ: „ადამიანთა უსაზღვრო სურვილებისა და შეზღუდული რაოდენობით მოწოდებული საქონლის ერთმანეთისთვის მორგება“. მოწოდებული ვის მიერ? — დუმილი. ინტელექტუალი ხულიგნები, რომლებიც თავიანთ თავს პროფესორებს უწოდებენ, უარყოფენ წარსულის მოაზროვნეებს და აცხადებენ, რომ მათი სოციალური თეორიები დაფუძნებული იყო იმ არაპრაქტიკულ ვარაუდზე, თითქოს ადამიანი გონიერი არსებაა — მაგრამ რაკიღა ადამიანები არ არიან გონიერი არსებები, უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც მათ არსებობის შესაძლებლობას მისცემს იმ დროს, როდესაც უგუნურები იქნებიან, რაც ნიშნავს: იმ დროს, როდესაც რეალობას უარყოფენ. ვინ გახდის ამას შესაძლებელს? — უგულებელყოფილია. ნებისმიერ ვიგინდარას შეუძლია, გამოაქვეყნოს პრესაში თავისი გეგმა, როგორ უნდა იმართებოდეს ყველაფერი, რასაც კი კაცობრიობა აწარმოებს — და არავის, ეთანხმება თუ არ ეთანხმება მის სტატისტიკურ მონაცემებს, არავის დააეჭვებს მისი უფლება, იარაღის ძალის გამოყენებით მოახვიოს თავს საკუთარი გეგმები. თავს მოახვიოს. ვის? — დუმილი. გაურკვეველი შემოსავლების მქონე ქალები მთელ დედამიწაზე დამოგზაურობენ და ბრუნდებიან განცხადებებით, რომ მსოფლიოს ჩამორჩენილი ქვეყნების მოსახლეობა ცხოვრების უფრო მაღალ დონეს მოითხოვს. მოითხოვს — ვისგან? — დუმილი.

— და ჯუნგლებში მდებარე სოფელსა და ქალაქ ნიუ-იორკს შორის განსხვავების მიზეზს შემთხვევით ვინმემ რომ არ მიაკვლიოს, ისინი უკიდურეს ურცხვობას მიმართავენ: ადამიანის ინდუსტრიული პროგრესის — ცათამბჯენების, საბაგირო ხიდების, ელექტროძრავების, რკინიგზისა და მატარებლების — მიზეზად ის მოჰყავთ, რომ თურმე ადამიანი ცხოველია, რომელიც „იარაღის შექმნის ინსტინქტს“ ფლობს, — ხომ გაინტერესებდათ, რა დაემართა სამყაროს. თქვენ ახლა უსაფუძვლოსა და დაუმსახურებლის კრედოს კულმინაციას ხედავთ. თქვენი მისტიკოსების ყველა ბანდა, სხეულისა თუ სულის მისტიკოსები, ებრძვიან ერთმანეთს ძალაუფლების გამო, თქვენ რომ გმართონ და ღრიალებენ, რომ სიყვარული თქვენი სულის ყველა პრობლემას მოაგვარებს, ხოლო მათრახი — თქვენი სხეულისას, თქვენი ყველასი, ვინც დათანხმდით, არ გაგაჩნდეთ გონება. ისინი მოელიან ადამიანისგან, რომ მან ადრინდელივით აწარმოოს ელექტრონის ლამპები, ზებგერითი თვითმფრინავები, ატომური ძრავები, ასტრონომიული ტელესკოპები, მაშინ, როდესაც ჯილდო ხორცის ნაჭერია, სტიმული კი გამათრახება, როდესაც საქონელს უფრო მეტ პატივს მიაგებენ, ვიდრე ადამიანს, და სულ არ ითვალისწინებენ, რასაც ნებისმიერი ცხოველის მომთვინიერებელი ეტყოდა მათ — დაშინებით ვერც ერთი ცხოველი ვერ გაიწვრთნება, ნაწამები სპილო უმალ ფეხებით გათელავს თავის მწამებელს, მაგრამ მას არ ემსახურება და მის ტვირთს არ ზიდავს.

— ნუ შეცდებით მისტიკოსების ბუნების დადგენისას. საუკუნეების განმავლობაში მათი ერთადერთი განზრახვა თქვენი ცნობიერების დაკნინება, ერთადერთი ჟინი კი თქვენზე ძალაუფლების მოპოვება იყო.

— ჯუნგლების ექიმბაშთა რიტუალებიდან მოყოლებული, რომლებიც რეალობას საზარლად ამახინჯებდნენ, თავიანთ მსხვერპლებს გონებას უხშობდნენ და უმოძრაობის საუკუნეების განმავლობაში ზებუნებრივის გამუდმებულ შიშში ამყოფებდნენ, შუა საუკუნეების ზებუნებრივ მოძღვრებებამდე, რომლებიც ადამიანებს აიძულებდა, მიწურ ქოხებში ეცხოვრათ და შიშით ეცახცახათ, ეშმაკს არ მოეპარა მათი წვნიანი, რომლის მოსაპოვებლადაც ისინი დღეში თვრამეტ საათს შრომობდნენ, და უბადრუკ, ჩია, მომღიმარ პროფესორამდე, რომელიც გარწმუნებთ, რომ თქვენს გონებას აზროვნების ძალა არ შესწევს, რომ თქვენ აღქმის საშუალება არ გაგაჩნიათ და ბრმად უნდა დაემორჩილოთ ზებუნებრივი ძალის, „საზოგადოების“ ყოვლისშემძლე ნებას — ეს ყველაფერი ერთი და იგივე სპექტაკლია, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურება: დაგიყვანოთ იმ უფორმო მასამდე, რომელმაც უარყო თავისი ცნობიერება.

— თუმცა ეს თქვენი თანხმობის გარეშე ვერ მოხდება. თუ თქვენ ამის ნება მიეცით, ესე იგი თქვენ ამას იმსახურებთ.

— როდესაც უსმენთ მისტიკოსის მაღალფარდოვან სიტყვას ადამიანის გონების უძლურების შესახებ და მის ცნობიერებაში კი არა, თქვენს ცნობიერებაში იწყებთ დაეჭვებას, როდესაც უფლებას იძლევით, თქვენი ნახევრად რაციონალური მდგომარება ნებისმიერი მტკიცებით შეარყიონ და გადაწყვეტთ, რომ უფრო საიმედოა, მისტიკოსის აღმატებულ ცოდნას დაეყრდნოთ, ორივენი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებით: თქვენი დასტური მისი დარწმუნებულობის ერთადერთი წყაროა.

ზებუნებრივი ძალა, რომლისაც მისტიკოსს ეშინია, შეუცნობელი სული, რომელსაც ის ეთაყვანება, ცნობიერება, რომელსაც ყოვლისშემძლედ მიიჩნევს — თქვენია.

— მისტიკოსი ის ადამიანია, რომელიც უარყოფს თავის გონებას სხვების გონებასთან პირველივე შეჯახებისთანავე. სადღაც, ბავშვობის შორეულ მოგონებებში, როდესაც მისი წარმოდგენა რეალობაზე შეეჯახა სხვების მტკიცებებს, მათ დაუსაბუთებელ ბრძანებებსა და წინააღმდეგობრივ მოთხოვნებს, მას იმდენად შეეშინდა დამოუკიდებლობის, რომ უარი თქვა თავის აზროვნების უნარზე. გზაჯვარედინზე, როდესაც არჩევანი უნდა გაეკეთებინა „მე ვიცი“—სა და „ისინი ამბობენ“—ს შორის, ის სხვების ძალაუფლებას ამჯობინებდა, ერჩივნა, დამორჩილებოდა, და არა გაეგო; ერწმუნა, და არა ეფიქრა. ზებუნებრივის რწმენა სხვების აღმატებულობის რწმენით იწყება. ადამიანის დანებებამ იმ შეგრძნების ფორმა შეიძინა, რომ მას უნდა დაემალა თავისი გონებრივი უუნარობა, რომ სხვები რაღაც იდუმალ ცოდნას ფლობენ, რომელიც მას ერთადერთს არ გააჩნია, რომ რეალობა ის არის, რადაც მათ სურთ, აქციონ მისთვის სამუდამოდ ხელმიუწვდომელი რომელიღაც საშუალებების მეშვეობით.

— და მას მერე, რაც ფიქრის შეეშინდა, ის დაუსახელებელი გრძნობების იმედად არის დარჩენილი. გრძნობები მისთვის ერთადერთი წინამძღოლი, პიროვნული რაობის ერთადერთი ნარჩენია, ის მათ გააფთრებული მესაკუთრეობით ებღაუჭება და მთელი მისი აზროვნება მიმართულია მცდელობისკენ, საკუთარ თავს დაუმალოს ფაქტი, რომ მისი გრძნობების ბუნება შიშია.

— როდესაც მისტიკოსი აცხადებს, რომ გონებაზე აღმატებული ძალის არსებობას გრძნობს, ის მართლაც გრძნობს მას, მაგრამ ეს ძალა სამყაროს ყოვლისმცოდნე ზე-სული კი არ არის, ის ნებისმიერი გამვლელის ცნობიერებაა,

რომელსაც მან თავისი ცნობიერება დაუთმო. მისტიკოსს სურს, მოატყუოს, ეთვალთმაქცოს და ძალა დაატანოს სხვების ყოვლისშემძლე ცნობიერებას. „ისინი“ მისთვის რეალობის ერთადერთი გასაღებია, ის გრძნობს, რომ მას არ შეუძლია არსებობა მათი იდუმალი ძალის მართვისა და მათგან უპასუხისმგებლო თანხმობის გამოძალვის გარეშე.

„ისინი“ მისთვის აღქმის ერთადერთი ძალაა და, ბრმა კაცის მსგავსად, რომელიც ძაღლის მხედველობის უნარზეა დამოკიდებული, გრძნობს, რომ ისინი საბლით უნდა დააბას, რათა თვითონ იცოცხლოს. სხვების ცნობიერების მართვა მისი ერთადერთი სწრაფვა ხდება; ძალაუფლების წყურვილი ის სარეველაა, რომელიც მხოლოდ მიტოვებული გონების ყამირ ადგილებში იზრდება.

— ყველა დიქტატორი მისტიკოსია, და ყველა მისტიკოსი პოტენციური დიქტატორია. მისტიკოსი ადამიანთაგან თანხმობას კი არა, მორჩილებას ითხოვს. მას სურს, რომ ადამიანებმა თავიანთი ცნობიერება მისი მტკიცებების, ბრძანებების, სურვილებისა და კაპრიზების გამო დათმონ — როგორც მან დაუთმო სხვებს თავისი ცნობიერება. სურს, ადამიანებთან რწმენისა და ძალის საშუალებით იურთიერთოს — მას სიამოვნებას არ ანიჭებს მათი თანხმობა, თუ ის ფაქტებისა და გონების მეშვეობით უნდა მოიპოვოს. გონება მისთვის მტერია, რომლისაც ეშინია და ამავე დროს, არასაიმედოდ მიიჩნევს მას: მისთვის გონება მოტყუების საშუალებაა, ის გრძნობს, რომ ადამიანები გონებაზე უფრო ძლიერ სხვა ძალას ფლობენ — და მხოლოდ მათმა უსაფუძვლო რწმენამ ან იძულებითმა მორჩილებამ შეიძლება მისცეს მას დაცულობის განცდა, მტკიცებულება, რომ მოიპოვა კონტროლი იმ მისტიკურ ნიჭზე, რომელიც თავად არ გააჩნია. მისი სურვილი დარწმუნება კი არა, ბატონობაა: დარწმუნება მოითხოვს დამოუკიდებლობის აქტს და ობიექტური რეალობის აბსოლუტზეა დაფუძნებული. ის ეძიებს ძალაუფლებას რეალობაზე, მისი აღქმის საშუალებებზე, ადამიანების გონებაზე, ძალაუფლებას, თავისი ნება არსებობასა და ცნობიერებას შორის მოათავსოს, თითქოს თუკი თანხმობა მისცა, თავისი მითითებების მიხედვით გააყალბონ რეალობა, ადამიანები მართლაც შექმნიან ამ ყალბ რეალობას.

— ზუსტად ისევე, როგორც მატერიალური თვალსაზრისით არის პარაზიტი, რომელიც სხვების მიერ შექმნილ დოვლათს ისაკუთრებს, მისტიკოსი სულიერი თვალსაზრისითაც პარაზიტია, რომელიც სხვების იდეებს იპარავს და იმ შეშლილის დონეზე დაბლა ეცემა, რომელიც საკუთარ დამახინჯებულ რეალობას ქმნის, ის იმ შეშლილი პარაზიტის დონემდე ეცემა, რომელიც სხვების მიერ შექმნილ დამახინჯებულ რეალობას ეძიებს.

— მხოლოდ ერთ მდგომარეობას შეუძლია მისტიკოსის უსასრულობისკენ, არამიზეზობრიობისკენ, არა-რაობისკენ სწრაფვის დაკმაყოფილება: ეს არის სიკვდილი. მიუხედავად იმისა, თუ რა გაურკვეველ მიზეზებს მიაწერს ის თავის გამოუთქმელ გრძნობებს, ის, ვინც უარყოფს რეალობას, უარყოფს არსებობასაც — და გრძნობები, რომელიც მას იქიდან მოყოლებული ამოძრავებს, არის ადამიანის ცხოვრების ყველა ღირებულებისადმი სიძულვილი, და სწრაფვა ყველა იმ ბოროტებისადმი, რაც ანადგურებს ადამიანის ცხოვრებას. მისტიკოსს სიამოვნებას ანიჭებს ტანჯვის, სიღარიბის, მორჩილებისა და შიშის სანახაობა; მათი ნახვა მას გამარჯვების შეგრძნებით ავსებს, როგორც რაციონალური რეალობის დამარცხების მტკიცებულება. მაგრამ სხვა რეალობა, გარდა რაციონალურისა, არ არსებობს.

— მნიშვნელობა არა აქვს, ვისი კეთილდღეობის მსახურებას იჩემებს ის, ღმერთისა თუ იმ უსხეულო მასის კეთილდღეობას, რომელსაც თვითონ „ხალხს“ უწოდებს, მიუხედავად იმისა, რა იდეალს ემხრობა რომელიღაც ზებუნებრივ განზომილებასთან მიმართებით — სინამდვილეში, რეალურად, დედამიწაზე, მისი იდეალია სიკვდილი, მისი წადილია მოკვლა, მისი ერთადერთი კმაყოფილებაა წამება.

— განადგურება ერთადერთი მიზანია, რომლისთვისაც მისტიკოსების კრედოს ოდესმე მიუღწევია. და ეს ერთადერთი მიზანია, რომლის მიღწევას დღესაც ცდილობენ, თითქოს თავიანთი ნამოქმედარით გამოწვეულმა კატასტროფებმა საკუთარი მოძღვრებების ჭეშმარიტებაში მაინც ვერ დააეჭვა ისინი. და თუ ჯერ კიდევ ამტკიცებენ, რომ სიყვარული ამოძრავებთ და ადამიანთა გვამების მთები ვერ შეაფერხებთ, ესეც მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ სიმართლე მათი სულების შესახებ იმაზე უარესია, ვიდრე ის ურცხვი არგუმენტი, რომლის მოტანის ნებაც თქვენ დართეთ მათ, არგუმენტი, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, და რომ მათ მიერ განხორციელებული საშინელებები კეთილშობილური მიზნების მიღწევის საშუალებებია. სიმართლე კი ის არის, რომ სწორედ ეს საშინელებებია მათი მიზნები.

— თქვენ, ვინც იმდენად გახრწნილები ხართ, რომ გჯერათ, თითქოს შეძლებთ, მისტიკოსის დიქტატურას მოერგოთ და მისი ბრძანებების მორჩილებით ასიამოვნოთ მას, გეტყვით, რომ მას ვერასგზით ვერ ასიამოვნებთ; თუკი დაემორჩილებით, ის თავის ბრძანებებს შეცვლის; მას სურს მორჩილება მორჩილების გულისთვის და განადგურება განადგურების გამო. თქვენ, ვინც იმდენად ლაჩრები ხართ, რომ გჯერათ, მისტიკოსთან საქმეს მოაგვარებთ, თუ მას თქვენთვის ფულის გამოძალვის ნებას მისცემთ, გეტყვით, რომ არ არსებობს მისი მოსყიდვის გზა. ქრთამი, რომელიც მას სურს, თქვენი ცხოვრებაა, — ისე ნელა ან ისე სწრაფად, როგორც თქვენ ხართ მზად, გაიღოთ ის, — და ურჩხული, რომლის მოსყიდვასაც ცდილობს, არის მისსავე გონებაში დამალული უგულებელყოფა, რომელიც მას უბიძგებს, კლას, რათა არ გააცნობიეროს, საკუთარი სიკვდილი რომ სწყურია.

— თქვენ, ვინც იმდენად მიამიტი ხართ, რომ გჯერათ, თითქოს თქვენს სამყაროში თავისუფლად მონავარდე ძალებს მატერიალური სიხარბე ამოძრავებთ, გეტყვით, რომ მისტიკოსების ბრძოლა ქონების ხელში ჩასაგდებად მხოლოდ შირმაა, რომელიც მათი მოტივების ბუნებას მალავს მათივე გონებისგან. ქონება ადამიანის ცხოვრების საშუალებაა, და ისინი ქონებას ცოცხალი არსებების მიბაძვით მოითხოვენ, საკუთარი თავები რომ დააჯერონ, ვითომდა სიცოცხლე სურთ. მაგრამ მიტაცებული ფუფუნებისადმი მათი ბინძური მიდრეკილება სიამოვნება კი არა, გაქცევაა. მათ არ სურთ თქვენი ქონების ფლობა, მათ უნდათ, რომ თქვენ დაკარგოთ ის; მათ წარმატების მიღწევა არ სურთ, მათ უნდათ, რომ თქვენ განიცადოთ მარცხი; მათ სიცოცხლე არ სურთ, მათ უნდათ, რომ თქვენ მოკვდეთ; მათ არაფერი სურთ, მათ სძულთ არსებობა, და ისინი აგრძელებენ გაქცევას, თითოეული მათგანი ცდილობს, არ გააცნობიეროს, რომ საკუთარი სიძულვილის ობიექტი თვითონვეა.

— თქვენ, ვისაც არასოდეს შეგიცნიათ ბოროტების ბუნება, ვინც მათ „თავგზააბნეულ იდეალისტებს“ უწოდებთ — დაე, ღმერთმა, რომელიც თავად შექმენით, მოგიტევოთ! ისინი ბოროტების არსია, ისინი ის ანტი-ცოცხალი საგნებია, რომლებიც სამყაროს შთანთქმით საკუთარი უპირო სულის არარას შევსებას ცდილობენ. მათ თქვენი ქონება არ სურთ. ისინი თქვენი გონების წინააღმდეგ აწყობენ შეთქმულებას, რაც სიცოცხლისა და ადამიანის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას ნიშნავს.

— ეს არის შეთქმულება წინამძღოლისა და მიმართულების გარეშე, და ის შემთხვევითი ავაზაკები, რომლებიც ამ თუ იმ ქვეყნის გაჭირვებაზე ხელის მოთბობას ცდილობენ, შემთხვევითი ნაძირალები არიან, უბრალოდ, ქაფი, რომელიც ნიაღვარივით მოედინება საუკუნეების დაზიანებული საკანალიზაციო მილიდან, გონებისადმი, ლოგიკისადმი, უნარისადმი, მიღწევისადმი, სიხარულისადმი ყველა იმ მოწუწუნე ანტი-ადამიანის მიერ დაგროვებული სიძულვილის რეზერვუარიდან, რომელსაც კი ოდესმე უქადაგია გონებაზე „გულის“ აღმატებულობის შესახებ.

— ეს არის შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობს ყველა, ვისაც სიცოცხლე კი არა, სიცოცხლის პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენა სურს, ვინც ცდილობს, რეალობას მხოლოდ ერთი პატარა კუთხე ჩამოაჭრას და იმათაც დაუკავშირდეს, ვინც დანარჩენი კუთხეების ჩამოჭრით არის დაკავებული — შეთქმულება, რომელიც თავის არიდების კავშირებით აერთიანებს მათ, ვისთვისაც კი ღირებულება არარაა:

იმ პროფესორს, რომელსაც აზროვნება არ შეუძლია და სიამოვნებას თავისი სტუდენტების გონების დასახიჩრებით იღებს, იმ ბიზნესმენს, რომელიც თავისი უმოქმედობის დასაცავად კონკურენტების უნარისთვის ხელის შეშლით იღებს სიამოვნებას, იმ ფსიქოპათს, რომელიც საკუთარი თავისადმი სიძულვილის დასაცავად, ღირსების გრძნობის მქონე ადამიანთა დაუძლურებით იღებს სიამოვნებას, იმ უვიცს, რომელიც მიღწევის დამარცხებით იღებს სიამოვნებას, იმ მდაბიოს, რომელსაც სიამოვნებას სიდიადის განადგურება ანიჭებს, იმ საჭურისს, რომელიც სიამოვნებას ყოველგვარი სიამოვნების დასაჭურისებით იღებს, და მათ ყველა ინტელექტუალ შემაიარაღებელს, ყველას, ვინც კი ქადაგებს, რომ სათნოების განადგურება მანკიერებებს სათნოებად აქცევს. სიკვდილია მათი თეორიების საფუძველში არსებული წინაპირობა, სიკვდილია მათი პრაქტიკაში განხორციელებული მოქმედებების მიზანი — და თქვენ ხართ მათი უკანასკნელი მსხვერპლები.

— ჩვენ, ვინც ცოცხალი ბუფერები ვიყავით თქვენსა და თქვენი კრედოს ბუნებას შორის, აქ აღარ ვართ, რომ თქვენ მიერ არჩეული რწმენის შედეგებისგან დაგიცვათ. ჩვენ აღარ გვსურს, რომ ჩვენი სიცოცხლით გადავიხადოთ თქვენი ვალები ან თქვენი წინა თაობების მიერ დაგროვებული ზნეობრივი დეფიციტი. თქვენ ნასესხები დროით ცხოვრობდით — მე კი ის ადამიანი ვარ, ვინც სესხის დაბრუნება მოითხოვა.

— მე ის ადამიანი ვარ, რომლის არსებობის არად ჩასაგდებადაც იყო გამიზნული თქვენი უგულებელყოფები. მე ის კაცი ვარ, ვისი არც სიცოცხლე გსურდათ და არც სიკვდილი. თქვენ არ გინდოდათ ჩემი სიცოცხლე, რადგან გეშინოდათ იმის გაცნობიერების, რომ თქვენ მიერ თავიდან მოშორებულ პასუხისმგებლობას მე ვატარებდი. და რომ თქვენი სიცოცხლე ჩემზე იყო დამოკიდებული; თქვენ არ გსურდათ ჩემი სიკვდილი, რადგან თქვენ ეს იცოდით.

— თორმეტი წლის წინ, როდესაც თქვენს სამყაროში ვცხოვრობდი, მე გამომგონებელი ვიყავი. მე იმ პროფესიას წარმოვადგენდი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბოლოს გაჩნდა და პირველი გაქრება ადამიანის არსებობამდელი განვითარებისკენ მიმავალ უკანა გზაზე. გამომგონებელი ის ადამიანია, რომელიც სამყაროს უსვამს კითხვას: „რატომ?“ და არაფერს რთავს ნებას, ჩადგეს პასუხსა და მის გონებას შორის.

— იმ ადამიანების მსგავსად, რომლებმაც აღმოაჩინეს, რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ორთქლისა თუ ნავთობის გამოყენებას, მე აღმოვაჩინე ენერგიის წყარო, რომელიც სამყაროს გაჩენის დღიდან იყო ხელმისაწვდომი, მაგრამ ადამიანები მას

მხოლოდ თაყვანისცემის, შიშისა და საზარელი ღმერთის შესახებ ლეგენდების ობიექტად იყენებდნენ. მე იმ ძრავის ექსპერიმენტული მოდელი შევქმენი, რომელიც სიმდიდრეს მომიტანდა მეც და მათაც, ვინც დამიქირავებდა. ეს ძრავა გაზრდიდა ადამიანის მიერ გამოგონებული ყველა იმ მოწყობილობის ეფექტიანობას, რომელიც ენერგიას იყენებს და თითოეული იმ საათის პროდუქტიულობას, თქვენ რომ საარსებო სახსრების მოსაპოვებლად ხარჯავთ.

— შემდეგ კი, ერთ საღამოს, ქარხანაში გამართულ კრებაზე, გავიგონე, როგორ გამომიტანეს სასიკვდილო განაჩენი ჩემი მიღწევის გამო. მოვისმინე, როგორ ამტკიცებდა სამი მუქთახორა, რომ ჩემი ტვინი და ჩემი ცხოვრება მათ ეკუთვნოდათ, რომ ჩემი სიცოცხლის უფლება პირობითი იყო და მათი სურვილების დაკმაყოფილებაზე დამოკიდებული. ისინი ამბობდნენ, რომ ჩემი უნარის მიზანი ნაკლებუნარიანთა საჭიროებების მსახურება იყო, რომ თურმე მე სიცოცხლის უფლება არ მქონდა, რადგან სიცოცხლისთვის საჭირო ცოდნას ვფლობდი; მათი სიცოცხლის უფლება კი უპირობო იყო მათივე უვიცობის გამო.

— მაშინ მივხვდი, რა დაემართა მსოფლიოს, რამ გაანადგურა ადამიანები და ერები და სად უნდა გამართულიყო ბრძოლა სიცოცხლისთვის. მე დავინახე, რომ მტერი გაუკულმართებული ზნეობა იყო, ჩემი დასტური კი მისი ერთადერთი ძალაუფლება. მე დავინახე, რომ ბოროტება უსუსური, ირაციონალური, ბრმა, ანტი-რეალური იყო და მისი გამარჯვების ერთადერთი იარაღი გახდა სიკეთის მზადყოფნა, ემსახურა მისთვის. ზუსტად ისევე, როგორც ჩემ გარშემო მყოფი პარაზიტები აღიარებდნენ თავიანთ უმწეო დამოკიდებულებას ჩემს გონებაზე და ჩემგან მოელოდნენ, ნებაყოფლობით მიმეღო მონობა, რადგანაც ჩემი იძულების ძალა არ გააჩნდათ, და იმედს ამყარებდნენ ჩემს თავგანწირვაზე, რათა მათთვის თავიანთი გეგმის განხორციელების საშუალება მიმეცა, ასევე მთელ მსოფლიოში და კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, ყველა სახესხვაობასა და ფორმაში, დაწყებული უქნარა ნათესავებისთვის დამახასიათებელი გამოძალვიდან, დამთავრებული კოლექტივად შეკრული ქვეყნების ბოროტმოქმედებებით, სწორედ კარგი, ნიჭიერი, გონიერი ადამიანები გვევლინებიან საკუთარი თავის გამანადგურებლებად, სწორედ ისინი უსხამენ ბოროტებას თავიანთი სათნოების სისხლს, მათგან კი მომაკვდინებელ საწამლავს იღებენ და ამგვარად ბოროტებას სასიცოცხლო ძალას აძლევენ, საკუთარ ღირებულებებს კი სიკვდილის უძლურებას. მე დავინახე, რომ ნებისმიერი სათნო ადამიანის დამარცხებისას დგება მომენტი, როდესაც ბოროტების გასამარჯვებლად მისი თანხმობა ხდება საჭირო და სხვების მიერ მიყენებული ვერავითარი ზიანი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ თავად ეს ადამიანი იტყვის უარს თანხმობის მიცემაზე. მე დავინახე, რომ შემეძლო, წერტილი დამესვა თქვენი დამცირებებისთვის ერთადერთი სიტყვის წარმოთქმით ჩემს გონებაში. მე წარმოვთქვი ის სიტყვა. და ის სიტყვა იყო „არა“.

— მე მივატოვე ქარხანა. მე მივატოვე თქვენი სამყარო, ჩემს საქმედ თქვენი მსხვერპლების გაფრთხილება და მათთვის თქვენ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდისა და იარაღის გადაცემა ვაქციე. მეთოდი მდგომარეობდა უარის თქმაში დამსახურებული სასჯელისთვის წინააღმდეგობის გაწევაზე, იარაღი კი იყო სამართლიანობა.

— თუ თქვენ გსურთ, გაიგოთ, რა დაკარგეთ, როდესაც მე და ჩემმა გაფიცულებმა მივატოვეთ თქვენი სამყარო, დადექით დაუსახლებელ, ყამირ მიწაზე და საკუთარ თავს ჰკითხეთ, გადარჩენის რა საშუალებას მოიფიქრებდით და რამდენ

ხანს გაძლებდით ცოცხალი, თუ აზროვნებაზე უარს თუ იტყოდით, გვერდით კი არავინ იქნებოდა ისეთი, ვინც გასწავლიდათ, როგორ უნდა გადაგერჩინათ თავი, ანდა, თუ ფიქრს ამჯობინებდით, რამდენი რამის აღმოჩენას შეძლებდა თქვენი გონება, ჰკითხეთ საკუთარ თავს, თქვენი ცხოვრების განმავლობაში რამდენი რამ აღმოგიჩენიათ დამოუკიდებლად და რამდენი დრო გაქვთ დახარჯული იმ მოქმედებების შესრულებაზე, რომლებიც სხვებისგან ისწავლეთ. ჰკითხეთ საკუთარ თავს, თუ შეძლებდით ნიადაგის დამუშავებისა და მოსავლის მოყვანის მეთოდის აღმოჩენას, თუ შეძლებდით ბორბლის, ბერკეტის, ინდუქციური კოჭის, გენერატორისა და ელექტრონის ლამპის გამოგონებას, შემდეგ კი გადაწყვიტეთ, უნარიანი ადამიანები არიან თუ არა ის ექსპლოატატორები, რომლებიც თქვენი შრომის ნაყოფით ცხოვრობენ და თქვენ მიერ წარმოებულ ქონებას გართმევენ, და გაბედავთ თუ არა, მართლაც დაიჯეროთ, რომ თქვენ მათ დასამონებელ ძალას ფლობთ. დაე, თქვენმა ქალებმა შეხედონ ჯუნგლებში მცხოვრებ, სახედანაოჭებულ და მკერდჩამოკიდებულ ქალს, რომელიც ჯამში საათობით ფქვავს საკვებს საუკუნეების განმავლობაში, შემდეგ კი საკუთარ თავს ჰკითხონ, „იარაღის კეთების ინსტინქტი“ მისცემდა თუ არა მათ მაცივრებს, სარეცხ მანქანებსა და მტვერსასრუტებს, და თუ არა, მაშინ ისურვებდნენ თუ არა იმათ განადგურებას, ვინც ეს ყველაფერი შექმნა, ოღონდ არა ინსტინქტის წყალობით.

— მიმოიხედეთ ირგვლივ, თქვენ, ველურებმა, რომლებიც ლაყბობთ, რომ იდეები ადამიანის წარმოების საშუალებით იქმნება და მანქანა ადამიანის აზროვნების ნაყოფი კი არა, ის მისტიკური ძალაა, რომელიც ადამიანის აზროვნებას ქმნის. თქვენ სამრეწველო ხანა არასოდეს აღმოგიჩენიათ და იმ ბარბაროსული ეპოქების ზნეობას ებღაუჭებით, როდესაც ადამიანის მწირი საარსებო საშუალებები მონების ფიზიკური შრომით იქმნებოდა. მისტიკოსები ყოველთვის ნატრობდნენ, მონები ჰყოლოდათ, რათა მათ ისინი იმ მატერიალური რეალობისგან დაეცვათ, რომლისაც ეშინოდათ. მაგრამ თქვენ, სასაცილო ატავისტებო, უაზროდ შეჰყურებთ თქვენ გარშემო ცათამბჯენებსა და საკვამურებს და ოცნებობთ, დაიმონოთ მატერიალურ ღირებულებათა შემქმნელები: მეცნიერები, გამომგონებლები, მრეწველები. როდესაც მოითხოვთ, წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებად გამოცხადდეს, თქვენ მოითხოვთ, გონება გამოცხადდეს საზოგადოებრივ საკუთრებად. მე ვასწავლე ჩემს გაფიცულებს, რომ თქვენ ერთადერთ პასუხს იმსახურებთ: „შეეცადეთ და დაისაკუთრეთ“.

— თქვენ აცხადებთ, რომ უსულო მატერიის ძალების მართვა არ შეგიძლიათ, თუმცა აპირებთ, მართოთ იმ ადამიანთა გონება, რომლებსაც ისეთი სიმაღლეების დაპყრობა შეუძლიათ, თქვენ რომ არც კი დაგესიზმრებათ. თქვენ აცხადებთ, რომ ჩვენ გარეშე ვერ გადარჩებით, თუმცა აპირებთ, თვითონ გვიკარნახოთ ჩვენი გადარჩენის პირობები. თქვენ აცხადებთ, რომ ჩვენ გჭირდებით, თუმცა ბედავთ, უტიფრად ამტკიცოთ თქვენი უფლება, ძალის გამოყენებით გვმართოთ ჩვენ, და მოელით, რომ შიშისაგან მოვიბუზებით ვიღაც ხეპრეს დანახვისას, რომელმაც დაგიყოლიათ, მისთვის მიგეცათ ხმა და ჩვენზე მბრძანებლობის შესაძლებლობა — ჩვენ, ადამიანები, რომლებსაც არ გვეშინია იმ ფიზიკური ბუნების, თქვენ რომ თავზარს გცემთ.

— თქვენ აპირებთ, დაამყაროთ საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც დაფუძნებული იქნება შემდეგ პრინციპებზე: თქვენ არ გაქვთ უნარი, მართოთ თქვენი ცხოვრება, მაგრამ გაქვთ უნარი, მართოთ სხვების ცხოვრება; თქვენ არ გაქვთ უნარი,

იარსებოთ თავისუფლების პირობებში, მაგრამ გაქვთ უნარი, გახდეთ ყოვლისშემძლე მმართველი; თქვენ არ შეგიძლიათ საკუთარი გონების მეშვეობით მოიპოვოთ საარსებო სახსარი, მაგრამ შეგიძლიათ, განსაჯოთ პოლიტიკოსები და ჩააბაროთ თანამდებობები, რომლებიც მათ სრულ ძალაუფლებას მისცემენ ხელოვნების იმ დარგებზე, თქვენ რომ არასდროს გინახავთ, იმ მეცნიერებებზე, რომელიც არასდროს შეგისწავლიათ, იმ მიღწევებზე, რომლებზეც არაფერი იცით, იმ გიგანტურ მრეწველობებზე, სადაც თქვენ, თქვენი უნარის თქვენივე განსაზღვრების მიხედვით, მზეთავის თანაშემწის სამუშაოსაც კი ვერ გაართმევთ თავს.

— არარას თაყვანისცემის თქვენი კულტის ეს კერპი, უძლურების ეს სიმბოლო — დაბადებით მუქთამჭამელი — არის ადამიანის თქვენეული ხატება და ღირებულების თქვენი სტანდარტი, რომელთა მსგავსადაც ცდილობთ თქვენი სულის გარდაქმნას.

„ეს ადამიანურია“, — ყვირით თქვენ ნებისმიერი გახრწნილების დასაცავად და უახლოვდებით თავის დამცირების იმ მდგომარეობას, როდესაც გსურთ, ცნება „ადამიანურის“ მნიშვნელობა გახადოთ — სუსტი, სულელი, ნაძირალა, მატყუარა, უიღბლო, ლაჩარი, თაღლითი, და ადამიანთა რასიდან განდევნოთ გმირი, მოაზროვნე, მწარმოებელი, გამომგონებელი, ძლიერი, მიზანდასახული, უმწიკვლო, თითქოს „გრძნობა“ ადამიანური იყოს, აზროვნება კი არა, თითქოს მარცხი ადამიანური იყოს, წარმატება კი არა, თითქოს გახრწნილება ადამიანური იყოს, სათნოება კი არა — თითქოს სიკვდილის წინაპირობა შესაფერისი იყოს ადამიანისთვის, სიცოცხლის წინაპირობა კი არა.

— იმისთვის, რომ ჩვენთვის ღირსება წაგერთმიათ, რათა შემდეგ ქონების ჩამორთმევაც შეგძლებოდათ, თქვენ ჩვენ ყოველთვის მონებად მიგვიჩნევდით, რომლებიც ზნეობრივ აღიარებას არ იმსახურებენ. თქვენ ხოტბას ასხამთ ნებისმიერ წამოწყებას, რომელიც არაკომერციულობას იჩემებს, იმ ადამიანებს კი, რომლებიც ქმნიან სახსრებს, შესაძლებელს რომ ხდის ამ წამოწყების განხორციელებას, კიცხავთ. თქვენ მიიჩნევთ, რომ „საზოგადოებრივი ინტერესებისთვის“ სასარგებლოა ნებისმიერი პროექტი, რომელიც ემსახურება მათ, ვინც არაფერს იხდის; იმ ადამიანებისთვის რაიმე სამსახურის გაწევა კი, ვინც იხდის, საზოგადოებრივ ინტერესებს არ წაადგება. „საზოგადოებრივი სარგებელია“ ყველაფერი, რაც კი სამოწყალოდ გაიცემა, ხოლო ვაჭრობა საზოგადოებისთვის საზიანო საქმიანობაა.

„საზოგადოებრივი კეთილდღეობა“ იმათი კეთილდღეობაა, ვისაც ეს არ დაუმსახურებია; ხოლო ვინც დაიმსახურა, მათ კეთილდღეობის უფლება არ აქვთ. „საზოგადოება“ თქვენთვის არის ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც მარცხი განიცადა, მიეღწია რომელიმე სათნოებისთვის ან ღირებულებისთვის; ხოლო ვინც აღწევს მას, ვინც აწარმოებს გადარჩენისთვის აუცილებელ საქონელს, საზოგადოების ან ადამიანთა რასის ნაწილად აღარ ითვლება.

— რომელმა უგულებელყოფამ დაგაიმედათ, რომ გაუძლებდით ამგვარ ბინძურ წინააღმდეგობრიობებს და მოაწყობდით იდეალურ საზოგადოებას, როდესაც თქვენი მსხვერპლების ერთი „არაც“ კი საკმარისი გახდა მთელი თქვენი სტრუქტურის დასანგრევად? რა აძლევს უტიფარ მათხოვარს იმის უფლებას, თავისი წყლულები მასზე აღმატებულ ადამიანებს ცხვირწინ უტრიალოს და მუქარის ტონით სთხოვოს მათ დახმარება? თქვენც მის მსგავსად გაჰყვირით, რომ ჩვენი სიბრალულის იმედი გაქვთ, მაგრამ თქვენი იდუმალი იმედი ის ზნეობრივი კოდექსია, რომელმაც გასწავლათ, ჩვენს დანაშაულის გრძნობას დაეყრდნოთ. თქვენ მოელით ჩვენგან, რომ თავი დამნაშავედ ვიგრძნოთ ჩვენი სათნოებების გამო თქვენი მანკიერებების“

ტანჯვისა და მარცხის ფონზე, თავი დამნაშავედ ვიგრძნოთ იმის გამო, რომ წარმატებას ვაღწევთ არსებობაში, რომ იმ სიცოცხლით ვტკბებით, რომელსაც თქვენ წყევლით, თუმცა ამავე დროს, ჩვენ გვთხოვთ, დაგეხმაროთ, რომ იცოცხლოთ.

— გინდოდათ, გაგეგოთ, ვინ არის ჯონ გოლტი? მე პირველი უნარიანი ადამიანი ვარ, ვინც უარი თქვა თავისი უნარის დანაშაულად მიჩნევაზე. მე პირველი ადამიანი ვარ, ვინც თავისი სათნოებების გამო ეპიტიმიას არ შეასრულებდა და არ დაუშვებდა, რომ მისი სათნოებები მისივე განადგურების იარაღად ყოფილიყო გამოყენებული. მე პირველი ადამიანი ვარ, ვინც არ ეწამებოდა იმათი ხელით, ვინც საკუთარი სიცოცხლისთვის მის დაღუპვას ნატრობდნენ. მე პირველი ადამიანი ვარ, ვინც მათ უთხრა, რომ არ სჭირდებოდა ისინი, და სანამ არ ისწავლიდნენ მასთან ურთიერთობას, როგორც ვაჭართან, რაც ღირებულების სანაცვლოდ ღირებულების მიცემას გულისხმობს, მის გარეშე მოუწევდათ არსებობა, ისევე, როგორც თვითონ იარსებებდა მათ გარეშე; შემდეგ კი მისცემდა მათ შესაძლებლობას, გაეგოთ, თუ ვის ჰქონდა საჭიროება და ვის — უნარი, და თუ ადამიანის გადარჩენა სტანდარტია, ვისი პირობები განსაზღვრავდა გადარჩენის გზას.

— მე განზრახ და დაგეგმილად გავაკეთე ის, რაც მთელი ისტორიის განმავლობაში უხმოდ და თავისთავად კეთდებოდა. ყოველთვის არსებობდნენ გონიერი ადამიანები, რომლებიც წინააღმდეგობისა და სასოწარკვეთილების გრძნობით იფიცებოდნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ თავიანთი მოქმედების მნიშვნელობა. ადამიანები, რომლებიც წყვეტენ საზოგადოებრივ ცხოვრებას აზროვნებისთვის, თუმცა თავიანთ აზრებს არავის უზიარებენ; ადამიანები, რომლებიც ამჯობინებენ, მთელი ცხოვრება უხმოდ შეასრულონ შავი სამუშაო, შეუნარჩუნონ საკუთარ თავს აზროვნების უნარი, თუმცა არასოდეს მისცენ მას ფორმა, გამოხატულება ან რეალურობა და არასოდეს შეიტანონ იმ სამყაროში, რომელიც სძულთ; ადამიანები, რომლებიც დამარცხებული არიან ზიზღის მიერ; ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ, ვიდრე დაიწყებდნენ; ადამიანები, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ თვითონ დანებდნენ, საქმიანობას ანებებენ თავს; ადამიანები, რომლებიც იყენებენ თავიანთი უნარის მხოლოდ მცირე ნაწილს, განიარაღებულნი იმ სრულყოფილებაზე დარდით, რომელიც მათ ვერ იპოვეს — გაფიცულები არიან, გაფიცულები უგუნურების წინააღმდეგ, თქვენი სამყაროსა და თქვენი ღირებულებების წინააღმდეგ. მაგრამ რადგან მათ არ იციან საკუთარი ღირებულებები, ისინი ამ ცოდნის ძიებას თავს ანებებენ თავიანთი უიმედო გულისწყრომის წყვდიადში, რომელიც სამართლიანია სიმართლის გაცნობიერების გარეშე, და მგზნებარეა სურვილის გაცნობიერების გარეშე, ისინი თქვენ გითმობენ ძალაუფლებას რეალობაზე, უარს ამბობენ თავიანთი გონების სტიმულზე და მწუხარე ამაოებაში იღუპებიან, როგორც აჯანყებულები, რომლებმაც ვერ შეიცნეს თავიანთი აჯანყების მიზანი, როგორც შეყვარებულები, რომლებმაც ვერა და ვერ იპოვეს თავიანთი სიყვარული.

— სამარცხვინო დროება, თქვენ რომ შუასაუკუნეებს უწოდებთ, გონიერების გაფიცვის ხანა იყო, როდესაც უნარიანი ადამიანები მიწისქვეშეთში ჩავიდნენ, იქ შეუმჩნევლად ცხოვრობდნენ და ფარულად ეუფლებოდნენ ცოდნას. ისინი უსახელოდ კვდებოდნენ, თავიანთი გონების ქმნილებებს ანადგურებდნენ. მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ყველაზე მამაცი წამებულები დარჩნენ, ადამიანთა მოდგმა რომ ეხსნათ. მისტიკოსების მიერ მართული ყოველი პერიოდი უძრაობისა და გაჭირვების ხანა იყო, როდესაც ადამიანების უმეტესობა არსებობას უჯანყდებოდა, რადგან

თავიანთი შრომის სანაცვლოდ საარსებოდ აუცილებელ საზღაურსაც ვერ იღებდნენ, თავიანთი მბრძანებლებისთვის გასაძარცვად მხოლოდ ნასუფრალს ტოვებდნენ, უარს ამბობდნენ აზროვნებაზე, საქმის წამოწყებაზე, წარმოებაზე, როდესაც მათი შემოსავლების უზენაესი აღმრიცხველი და მტყუან-მართლის საბოლოო მსაჯული იმ გახრწნილი დეგენერატის ახირება იყო, რომელიც გონებაზე აღმატებულად გამოცხადდა ღვთაებრივი უფლების მეშვეობითა და ხელკეტის მადლით. კაცობრიობის მთელი ისტორია უკუნეთ ზოლად სერავდა რწმენისა და ძალის მიერ ეროზირებულ, უნაყოფო მიწას, მზის შუქის იშვიათი და ხანმოკლე გამონათებებით. როდესაც გონიერი ადამიანების გამოთავისუფლებული ენერგია სასწაულებს ახდენდა, თქვენ განცვიფრებული შესცქეროდით მათ, თაყვანს სცემდით და შემდეგ მალევე ანადგურებდით.

— მაგრამ ამჯერად ასე აღარ მოხდება. მისტიკოსების თამაში დამთავრდა. თქვენ თქვენს იდეალურ სამყაროში დაინთქმებით, მისი არარეალურობის წყალობით. ჩვენ კი, გონიერი ადამიანები, გადავრჩებით.

— მე გასაფიცად იმ წამებულებს ვუხმე; რომლებსაც ადრე არასდროს მიუტოვებიხართ. მათ ის იარაღი მივეცი, რომელიც მანამდე არ ჰქონიათ: საკუთარი ზნეობრივი ღირებულების ცოდნა. მე მათ ვასწავლე, რომ სამყარო ჩვენი გახდება, როგორც კი ჩვენ გადავწყვეტთ, მოვითხოვოთ ის, რადგან ჩვენი ზნეობა სიცოცხლის ზნეობაა. მათ, დიად მსხვერპლებს, რომლებიც ქმნიდნენ კაცობრიობის ხანმოკლე ზაფხულის ყველა სასწაულს, მათ, მრეწველებს, მატერიაზე გამარჯვებულებს, თავიანთი უფლების ბუნება არ აღმოუჩენიათ. მათ იცოდნენ, რომ ძალა მათ ეკუთვნოდათ. მე კი ვასწავლე, რომ დიდებაც მათი იყო.

— თქვენ, ვინც ბედავთ, ნებისმიერ იმ მისტიკოსზე ქვენა არსებად მიგვიჩნიოთ, რომელიც ზებუნებრივ ხედვას იჩემებს, სვავებივით იბრძვით მიტაცებული ერთცენტიანების ხელში ჩასაგდებად, თუმცა ქონების შემქმნელებზე მეტ პატივს მარჩიელებს მიაგებთ; თქვენ ბიზნესმენი გეზიზღებათ მისი სიმდაბლის გამო, თუმცა ნებისმიერ უნიჭო მასხარას ცამდე განადიდებთ მისი ამაღლებული ბუნებისთვის.

თქვენი სტანდარტების კრიტერიუმი ის მისტიკური მიაზმაა, რომელიც დასაბამის დროინდელი ჭაობებიდან მოდის, სიკვდილის კულტი, რომელიც ბიზნესმენს უზნეოდ იმ ფაქტის საფუძველზე აცხადებს, რომ ის თქვენ სიცოცხლეს გინარჩუნებთ, თქვენ, ვინც ამტკიცებთ, რომ გსურთ, სხეულის უხეშ მოთხოვნილებებზე და ფიზიკური საჭიროებების ერთფეროვან მსახურებაზე მაღლა დადგეთ, გეკითხებით — ვინ არის დამონებული ფიზიკური საჭიროებების მიერ: ინდუსი, რომელიც დილიდან საღამომდე ამუშავებს ხელის სახნისს ერთი ჯამი ბრინჯის მოსაპოვებლად თუ ამერიკელი, რომელიც ტრაქტორს მართავს? ვინ დაჯაბნა ფიზიკური რეალობა: იმ ადამიანმა, რომელსაც ლურსმნით შეჭედილ საწოლზე სძინავს თუ იმან, რომელიც ზამბარებიან ლეიბზე წევს? რომელი მათგანია ადამიანის სულის მატერიაზე გამარჯვების ძეგლი: მდინარე განგის სანაპიროებზე ახორხლილი ბინძური ქოხები თუ ნიუიორკში, ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე აგებული ცათამბჯენები?

— თუ თქვენ არ გაიგებთ პასუხებს ამ კითხვებზე და არ ისწავლით, რომ მოწიწებით უნდა წამოუდგეთ ფეხზე ადამიანის გონების მიღწევებს, დიდხანს ვეღარ იბოგინებთ ამ დედამიწაზე, რომელიც ჩვენ გვიყვარს და რომლის დაღუპვის უფლებასაც არ მოგცემთ. თქვენ მთელი დარჩენილი ცხოვრება ვეღარ დაუსხლტებით პასუხისმგებლობას. მე მოკლედ წარმოგიდგინეთ ისტორიის ჩვეული მსვლელობა და

საშუალება მოგეცით, შეგეცნოთ იმ გადასახადის ბუნება, რომლის სხვებისთვის დაკისრებასაც იმედოვნებდით. ეს თქვენი სასიცოცხლო ძალების უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც ახლა დაიშრიტება, სიკვდილის თაყვანისმცემლებსა და შიკრიკებს დაუმსახურებელი რომ მიაგოს. თავს ნუ იკატუნებთ, თითქოს ბოროტმა რეალობამ დაგამარცხათ — თქვენ საკუთარმა თვალთმაქცობამ დაგამარცხათ. თავს ნუ იკატუნებთ, თითქოს კეთილშობილური იდეის გულისთვის იღუპებით — თქვენ დაიღუპებით, როგორც ადამიანის მოძულეთა უკანასკნელი ლუკმა.

— მაგრამ მათ, ვისაც თქვენ შორის ჯერ კიდევ შერჩენია ღირსება და სიცოცხლის სიყვარულის სურვილი, მე ვთავაზობ შესაძლებლობას, არჩევანი გააკეთოს. გადაწყვიტეთ, გინდათ თუ არა იმ ზნეობისთვის დაღუპვა, რომლისაც არასდროს გწამდათ და რომელიც არასდროს გამოგიყენებიათ. თვითგანადგურების ზღვარზე შეჩერდით და გადახედეთ თქვენს ღირებულებებსა და ცხოვრებას. თქვენ იცოდით, როგორ უნდა აღგენუსხათ თქვენი ქონება, ახლა კი თქვენი გონება აღნუსხეთ.

— თქვენ ბავშვობიდან მალავთ დანაშაულებრივ საიდუმლოს, რომ არანაირი სურვილი არ გაქვთ, ზნეობრივი ადამიანი იყოთ და თავი გაწიროთ, რომ გეშინიათ თქვენი ზნეობრივი კოდექსის და გძულთ ის, მაგრამ საკუთარ თავსაც კი არ უტყდებით, რომ თქვენ არ გაგაჩნიათ ზნეობრივი „ინსტინქტები“, რომლებსაც სხვები იბრალებენ. და რაც უფრო ნაკლებად გრძნობდით, მით უფრო ხმამაღლა ამტკიცებდით სხვებისადმი თქვენს უანგარო სიყვარულსა და მათი მსახურებისადმი თქვენს მზადყოფნას, იმის შიშით, რომ სხვებს ოდესმე არ აღმოეჩინათ თქვენი „მე“, „მე“, რომელსაც უღალატეთ და რომელსაც სამარცხვინო საიდუმლოსავით მალავდით.

და ისინი, ვინც ერთდროულად დოყლაპიებიც იყვნენ და მატყუარებიც, გისმენდნენ და ხმამაღლა გეთანხმებოდნენ, იმის შიშით, ოდესმე არ გაგეგოთ, რომ ისინიც იმავე გამოუთქმელ საიდუმლოს ატარებდნენ. თქვენთვის არსებობა უზარმაზარი თვალთმაქცობაა, აქტი, რომელსაც ერთმანეთის გამო ასრულებთ. თითოეული თქვენგანი თავს ისე გრძნობს, თითქოს ის იყოს ერთადერთი დამნაშავე, თითოეული თქვენგანი თავის ზნეობრივ ძალაუფლებას მხოლოდ სხვებისთვის ცნობილ შეუცნობელში ათავსებს, თითოეული აყალბებს იმ რეალობას, რომლის გაყალბებასაც მისივე შეგრძნებით სხვები მოელიან მისგან და არც ერთ თქვენგანს არ აქვს საკმარისი გამბედაობა მანკიერი წრის გასარღვევად.

— მიუხედავად იმისა, თუ რა სამარცხვინო კომპრომისი დაუშვით თქვენს უტოპიურ კრედოსთან, მიუხედავად იმისა, თუ რა საცოდავი წონასწორობის, სანახევროდ ცინიზმის, სანახევროდ კი ცრურწმენის, შენარჩუნებას ახერხებთ ახლა, თქვენ ჯერ კიდევ იცავთ საფუძველს, მომაკვდინებელ პრინციპს: იმ რწმენას, რომ ზნეობრივი და პრაქტიკული ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია. ბავშვობიდან მოყოლებული გაურბოდით იმ არჩევნის შიშს, რომლის სრულად გაცნობიერებაც არასდროს გაგიბედავთ: თუ პრაქტიკული, — რაც უნდა განახორციელოთ იმისთვის, რომ იარსებოთ, რაც მუშაობს, რაც წარმატებულია, რაც გეხმარებათ თქვენი მიზნის მიღწევაში, რასაც თქვენთვის საკვები, სიამოვნება და მოგება მოაქვს, — ბოროტებაა, და თუ სიკეთე, ზნეობრივი, არის არაპრაქტიკული, — ის, რაც მარცხს განიცდის, რაც ანადგურებს, რაც ხელის შემშლელია, რაც ზიანს გაყენებთ და თქვენთვის დანაკარგი ან ტკივილი მოაქვს, — მაშინ თქვენი არჩევანია, იყოთ ზნეობრივი ან იცოცხლოთ. — ამ მომაკვდინებელი მოძღვრების ერთადერთი შედეგი ცხოვრებისთვის ზნეობის ჩამოშორება იყო. თქვენ დაიჯერეთ, რომ ზნეობრივ კანონებს შრომასთან არავითარი

კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ მას დაბრკოლებასა და საფრთხეს უქმნიან, რომ ადამიანის არსებობა ის ამორალური ჯუნგლებია, სადაც ყველაფერი ნებადართულია და ყველაფერს მოაქვს შედეგი. და ცვალებადი განსაზღვრებების ამ ბურუსში, რომელშიც გაყინული გონება ეხვევა, თქვენ დაგავიწყდათ, რომ თქვენი კრედოს მიერ შეჩვენებული ბოროტებები სასიცოცხლოდ საჭირო სათნოებები იყო, და დაიჯერეთ, რომ ნამდვილი ბოროტებები არსებობის პრაქტიკული საშუალებებია. რაკი დაგავიწყდათ, რომ არაპრაქტიკული „სიკეთე“ თავგანწირვაა, თქვენ ირწმუნეთ, რომ ღირსების გრძნობაა არაპრაქტიკული; რაკი დაგავიწყდათ, რომ პრაქტიკული „ბოროტება“ წარმოებაა, თქვენ ირწმუნეთ, რომ ძარცვაა პრაქტიკული.

— გამოუცნობი ზნეობრივი სიველურის ქარში უმწეოდ მოქანავე ხის ტოტის მსგავსად, თქვენ ვერც ბოროტებას ბედავთ სრულად და ვერც სიცოცხლეს. როდესაც გულწრფელი ხართ, დოყლაპიას გულისწყრომას გრძნობთ; როდესაც იტყუებით, შიშისა და სირცხვილის განცდა გეუფლებათ. როდესაც ბედნიერი ხართ, თქვენს სიხარულს ჩრდილავს დანაშაულის გრძნობა; როდესაც იტანჯებით, თქვენს ტკივილს აძლიერებს იმის განცდა, რომ ტკივილი თქვენი ბუნებრივი მდგომარეობაა. თქვენ გებრალებათ ის ადამიანები, ვისითაც აღტაცებული ხართ, გჯერათ, რომ ისინი მარცხისთვის არიან განწირული; თქვენ გშურთ იმ ადამიანების, რომლებიც გძულთ, გჯერათ, რომ ისინი არსებობის ბატონები არიან. თქვენ განიარაღებულად გრძნობთ თავს, როდესაც არამზადას უპირისპირდებით: გჯერათ, რომ ბოროტება ყველა შემთხვევაში გაიმარჯვებს, რადგან ზნეობა უძლური და არაპრაქტიკულია.

— თქვენთვის ზნეობა მოვალეობისგან, მოწყენილობისგან, სასჯელისგან, ტკივილისგან შექმნილი მოჩვენება-საფრთხობელაა, თქვენი წარსულის — სკოლის პირველი მასწავლებლისა და თქვენი აწმყოს — გადასახადების ამკრეფის ნაჯვარი, უნაყოფო მინდორში აღმართული საფრთხობელაა, რომელიც თქვენი სიამოვნებების დასაფრთხობად იქნევს ჯოხს, სიამოვნება კი თქვენთვის ალკოჰოლით გაჟღენთილი ტვინია, სულელი მეძავია, იმ გონებაჩლუნგის სიშტერე, რომელიც თავის ფულს დოღში ფსონის დასადებად ხარჯავს, რადგან სიამოვნება არ შეიძლება, იყოს ზნეობრივი.

— თუ თქვენი ნამდვილი რწმენის რაობას დაადგენთ, სამმაგ წყევლას აღმოაჩენთ — თქვენსას, ცხოვრებისას და სათნოებისას — იმ კომიკურ დასკვნაში, რომელიც გამოიტანეთ: თქვენ გჯერათ, რომ ზნეობა აუცილებელი ბოროტებაა.

— გაინტერესებთ, რატომ ცხოვრობთ ღირსების გარეშე, გიყვართ გზნების გარეშე და კვდებით წინააღმდეგობის გაწევის გარეშე? გაინტერესებთ, რატომ ხედავთ, სადაც არ უნდა იყურებოდეთ, პასუხგაუცემელ კითხვებს, რატომ არის თქვენი ცხოვრება დანაწევრებული არარეალური კონფლიქტებით, რატომ ატარებთ თქვენს ცხოვრებას ირაციონალური ბარიერების აგებაში ხელოვნური“ არჩევნის თავიდან ასაცილებლად; ისეთი არჩევნის, როგორებიცაა, მაგალითად, სული თუ სხეული, გონება თუ გული, უსაფრთხოება თუ თავისუფლება, პირადი მოგება თუ საზოგადოებრივი სიკეთე?

— იმის გამო მოთქვამთ, რომ პასუხებს ვერ პოულობთ? მაინც, როგორ უნდა გეპოვათ ეს პასუხები? თქვენ უარყავით თქვენი აღქმის იარაღი — თქვენი გონება — ახლა კი ჩივით, რომ სამყარო საიდუმლოებაა. თქვენ გასაღები მოისროლეთ, ახლა კი გოდებთ, რომ თქვენთვის ყველა კარი ჩაკეტილია. თქვენ ირაციონალურს დაეძებთ და მერე კი არსებობას წყევლით უაზრობის გამო.

— მომლოდინე პოზიცია, რომლის აგებასაც ეს ორი საათია, ცდილობთ, მაშინ, როდესაც გესმით ჩემი სიტყვები და გსურთ, თავი აარიდოთ მათ, ლაჩრის წესია, რომელიც ასე გადმოიცემა: „მაგრამ ჩვენ უკიდურესობებში არ უნდა გადავიდეთ!“

უკიდურესობა, რომლის თავიდან აცილებასაც ყოველთვის ცდილობდით, არის იმის აღიარება, რომ რეალობა საბოლოოა, რომ A არის A, და რომ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა. ზნეობრივმა კოდექსმა, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია, კოდექსმა, რომელიც არასრულყოფილებას ან სიკვდილს მოითხოვს, თქვენ გასწავლათ, ბურუსში გახვიოთ ყველა იდეა, არ დაუშვათ მკაფიო განსაზღვრებები, ფარდობითად მიიჩნიოთ ნებისმიერი კონცეფცია და ქცევის ყოველი წესი — არაცალსახად, შეზღუდოთ ნებისმიერი პრინციპი, დათმოთ ნებისმიერი ღირებულება და ნებისმიერ შემთხვევაში შუალედი აირჩიოთ. თქვენთვის ზებუნებრივი აბსოლუტების აღიარებაზე თანხმობის გამოძალვით, მან ბუნების აბსოლუტის უარყოფა გაიძულათ.

რაკი ზნეობრივი განსჯა შეუძლებელი გახადა, მან თქვენ გონივრული მსჯელობის უნარი წაგართვათ. კოდექსმა, რომელიც გიკრძალავთ პირველი ქვის სროლას, აგიკრძალათ ქვების რაობის აღიარება და იმის გაცნობიერება, გიშენენ თუ არა ქვებს და როდის გიშენენ.

— მთელი პასუხისმგებლობა სისხლზე, დღეს მსოფლიოში რომ იღვრება, იმ ადამიანს ეკისრება, რომელიც უარს ამბობს განსჯაზე, დაეთანხმოს თუ არ დაეთანხმოს, რომელიც აცხადებს, რომ აბსოლუტები არ არსებობს და სჯერა, რომ პასუხისმგებლობას გაექცევა. რეალობა აბსოლუტია, არსებობა აბსოლუტია, მტვრის ნაწილაკი აბსოლუტია და ადამიანის სიცოცხლეც აბსოლუტია. თქვენ ცოცხლობთ თუ კვდებით, აბსოლუტია. თქვენ პურის ნაჭერი გაქვთ თუ არა, აბსოლუტია. თქვენ ჭამთ თქვენს პურს თუ შეჰყურებთ, როგორ უჩინარდება ის მძარცველის მუცელში, აბსოლუტია.

— ყველა საკითხს ორი მხარე აქვს: ერთი მხარე ჭეშმარიტებაა, მეორე კი შეცდომა, მაგრამ შუალედი ყოველთვის ბოროტებაა. ადამიანი, რომელიც ცდება, ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიმართლისადმი პატივისცემას, თუნდაც იმიტომ, რომ მან არჩევნის პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე. მაგრამ ის, ვინც შუაში დგომას ამჯობინებს, გაიძვერაა, რომელიც უგულებელყოფს სიმართლეს, რათა თავი მოიკატუნოს, თითქოს არჩევანი და ღირებულებები არ არსებობდეს. ის ნებისმიერი ბრძოლიდან თავის დაძვრენას ცდილობს, მზად არის, უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლით იხეიროს და მუხლის ჩოქებზე იხოხოს დამნაშავის წინაშე, რომელიც მართლმსაჯულებას აღასრულებს, მძარცველსაც და გაძარცულსაც ციხეში უკრავს თავს, კონფლიქტების გადასაჭრელად მოაზროვნესა და ბრიყვს უბრძანებს, ორივემ დათმოს.

საკვებსა და საწამლავს შორის შუალედში, მხოლოდ სიკვდილი თუ შეძლებს გამარჯვებას. სიკეთესა და ბოროტებას შორის შუალედში, მხოლოდ ბოროტება თუ იხეირებს. სისხლის გადასხმისას, როდესაც სიკეთე უძლურდება, ბოროტება რომ კვებოს, შუალედური ადამიანი სისხლის გადასასხმელი რეზინის მილი ხდება.

— თქვენ, ნახევრად გონიერები და ნახევრად ლაჩრები, რეალობასთან თაღლითურ თამაშს თამაშობთ, მაგრამ ადამიანი, რომელიც მოატყუეთ, თავად ხართ. როდესაც ადამიანები საკუთარ სათნოებებს ფარდობითობამდე აკნინებენ, აბსოლუტის ძალას ბოროტება იძენს, როდესაც სათნო ადამიანები უარს აცხადებენ მტკიცე მიზნისადმი ერთგულებაზე, მას არამზადები იჩემებენ — და თქვენ ხედავთ

ქედმოდრეკილი, მოვაჭრე, მოღალატე სიკეთისა და თვითკმაყოფილი, უკომპრომისო ბოროტების უგვან სანახაობას. როგორც სხეულის მისტიკოსებს დანებდით, როდესაც მათ გითხრეს, რომ უვიცობა ცოდნის მტკიცებით გამოიხატება, ახლაც ასევე ნებდებით მათ, როდესაც გულგამგმირავად გიყვირიან, რომ უზნეობა ზნეობრივი განსჯით გამოიხატება. როდესაც ისინი ყვირიან, რომ ეგოისტურია საკუთარ სისწორეში დარწმუნებულობა, თქვენ ეშურებით, დაარწმუნოთ ისინი, რომ არაფერში ხართ დარწმუნებული, როდესაც ისინი ყვირიან, რომ უზნეობაა საკუთარი შეხედულებების ერთგულება, თქვენ არწმუნებთ მათ, რომ შეხედულებები საერთოდ არ გაგაჩნიათ. როდესაც ევროპის სახალხო რესპუბლიკების ავაზაკები გაიძახიან, რომ შეუწყნარებლობა გედებათ ბრალად, რადგან თქვენი სიცოცხლის სურვილი და მათი სურვილი, მოგკლან თქვენ, აზრთა სხვადასხვაობად არ მიგაჩნიათ, შიშისაგან იბუზებით და სასწრაფოდ არწმუნებთ მათ, რომ არც ერთი საშინელების მიმართ არ ხართ შეუწყნარებელი. როდესაც აზიის რომელიღაც ეპიდემიის კერაში, ვიღაც ფეხშიშველა მაწანწალა გიყვირით: „როგორ ბედავ, იყო მდიდარი!“ — თქვენ ებოდიშებით მას, სთხოვთ, მოთმინება გამოიჩინოს და ჰპირდებით, რომ ყველაფერს გაიღებთ, რაც კი გაბადიათ.

— თქვენ იმ ღალატის ჩიხში აღმოჩნდით, რომელიც მაშინ ჩაიდინეთ, როდესაც დაეთანხმეთ იმას, რომ არსებობის უფლება არ გქონდათ. ოდესღაც გჯეროდათ, რომ ეს „მხოლოდ კომპრომისი“ იყო: თქვენ დაეთანხმეთ იმას, რომ საკუთარი თავისთვის ცხოვრება ბოროტებაა, მაგრამ თქვენი შვილების გულისთვის ცხოვრება ზნეობრივია. შემდეგ თქვენ დაეთანხმეთ იმას, რომ საკუთარი შვილებისთვის ცხოვრება ეგოისტურია, თქვენი სამეზობლოს გულისთვის ცხოვრება კი ზნეობრივი. შემდეგ თქვენ დაეთანხმეთ იმას, რომ თქვენი სამეზობლოსთვის ცხოვრება ეგოისტურია, მაგრამ თქვენი ქვეყნის გულისთვის ცხოვრება — ზნეობრივი. ახლა კი თქვენ დაუშვებთ, რომ ეს უდიდესი ქვეყანა დედამიწის ნებისმიერი კუთხიდან მოსულმა მაწანწალამ შთანთქას, თან ეთანხმებით იმას, რომ თქვენი ქვეყნისთვის ცხოვრება ეგოისტურია, და რომ თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა მთელი მსოფლიოს გულისთვის ცხოვრება. ადამიანს, რომელსაც სიცოცხლის უფლება არ აქვს, ღირებულებებზეც არ აქვს უფლება და არ მოუფრთხილდება მათ.

— თქვენი მრავალრიცხოვანი ღალატის გზის ბოლოს, იარაღისგან, დარწმუნებულობისგან, ღირსებისგან განძარცვულნი, ღალატის საბოლოო აქტს ასრულებთ და თქვენი ინტელექტუალური გაკოტრების პეტიციას აწერთ ხელს: როდესაც სახალხო რესპუბლიკების სხეულის მისტიკოსები აცხადებენ, რომ ისინი გონებისა და მეცნიერების მომხრეები არიან, თქვენ ეთანხმებით მათ და აჩქარებით ამტკიცებთ, რომ თქვენი უმთავრესი პრინციპი რწმენაა, რომ გონება თქვენი გამანადგურებლების მხარესაა, მაგრამ რწმენის მხარე თქვენ გეკუთვნით. თქვენი ბავშვების დამახინჯებულ და გაოგნებულ გონებაში ძლივს შემორჩენილ გონივრულ გულწრფელობას უცხადებთ, რომ არ შეგიძლიათ გონივრული არგუმენტის მოყვანა იმ იდეების მხარდასაჭერად, რომლებმაც შექმნეს ეს ქვეყანა, რომ არ არსებობს თავისუფლების, საკუთრების, სამართლიანობის, უფლებების გონივრული გამართლება, რომ ეს ყველაფერი მისტიკურ გასხივოსნებას ეფუძნება და მათი მიღება მხოლოდ რწმენის მეშვეობით შეიძლება, რომ გონივრულად და ლოგიკურად მტერი სწორია, მაგრამ რწმენა გონებაზე აღმატებულია. თქვენ უცხადებთ თქვენს ბავშვებს, რომ გონივრულია ძარცვა, წამება, დაჩაგვრა, ქონების ჩამორთმევა, მოკვლა, მაგრამ ლოგიკის ცდუნებებს ისინი წინ უნდა აღუდგნენ, უგუნურება

ამჯობინონ და ჯიუტად სჯეროდეთ, რომ ცათამბჯენები, ქარხნები, რადიოები, თვითმფრინავები რწმენისა და მისტიკური ინტუიციის ნაყოფია, ხოლო შიმშილობა, საკონცენტრაციო ბანაკები და დახვრეტა არსებობის გონივრული ფორმის ნაყოფი; რომ სამრეწველო რევოლუცია მორწმუნე ადამიანების აჯანყება იყო გონებისა და ლოგიკის იმ ეპოქის წინააღმდეგ, შუა საუკუნეების სახელით რომ არის ცნობილი. თანაც, იმავე ბავშვს ეუბნებით, რომ მძარცველები, რომლებიც სახალხო რესპუბლიკებს მართავენ, ამ ქვეყანას მატერიალური ნაწარმით აავსებენ, რადგან ისინი მეცნიერების წარმომადგენლები არიან, მაგრამ მატერიალურ ქონებაზე ზრუნვა ბოროტებაა და ადამიანმა მატერიალური კეთილდღეობა უნდა უარყოს; აცხადებთ, რომ მძარცველების იდეები კეთილშობილურია, მაგრამ ისინი არ აპირებენ მათ განხორციელებას, თქვენ კი აპირებთ; რომ მძარცველების წინააღმდეგ თქვენი ბრძოლის მიზანი მხოლოდ მათი იმ მიზნების მიღწევაა, რომელთა მიღწევაც მათ არ შეუძლიათ, თქვენ კი შეგიძლიათ; და რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლის გზა არის ის, რომ მათ დაასწროთ და გასცეთ საკუთარი ქონება. ამის შემდეგ კი გიკვირთ, რატომ ეწერებიან თქვენი ბავშვები სახალხო ავაზაკების რიგებში ან რატომ ხდებიან ნახევრად შეშლილი დამნაშავეები, გიკვირთ, რატომ მოიწევს მძარცველების დაპყრობილი ტერიტორია თქვენი კარებისკენ, ამას ადამიანურ სისულელეს აბრალებთ და აცხადებთ, რომ ბრბო გონებისგან შორს დგას.

— თქვენ უგულებელყოფთ გონების წინააღმდეგ მძარცველების ბრძოლის ღია და საჯარო სანახაობას, და იმ ფაქტს, რომ მათი ყველაზე სისხლიანი საშინელებები უკვე ამოქმედდა აზროვნების დანაშაულისთვის ადამიანების დასასჯელად. თქვენ უგულებელყოფთ იმ ფაქტს, რომ სხეულის მისტიკოსების უმეტესობა თავდაპირველად სულის მისტიკოსი იყო; რომ ისინი მუდმივად იცვლიან სახეს; რომ ის ადამიანები, თქვენ რომ მატერიალისტებსა და სპირიტუალისტებს უწოდებთ, შუაზე გაყოფილი კაცობრიობის ორი ნახევარია, რომელიც მუდმივად ეძიებს სრულყოფილებას, მაგრამ ეძიებს ხორცის განადგურებიდან სულის განადგურებაზე გადასვლით და პირიქით — უგულებელყოფთ, რომ რეალობისგან, გონებისგან ნებისმიერი ფორმით გასაქცევად, ეს მისტიკოსები გამუდმებით დარბიან თქვენს უნივერსიტეტებს, ევროპის მონათა ბანაკებსა და უეჭველ დაღუპვას შორის ინდოეთის მისტიკურ ჭაობში.

— თქვენ თავდაუზოგავად, თვალთმაქცურად ებღაუჭებით „რწმენას“, რათა უგულებელყოთ, რომ იცით — მძარცველებმა თქვენ წინააღმდეგ ციხესიმაგრე აღმართეს და ეს ციხესიმაგრე თქვენი ზნეობრივი კოდექსია; რომ ისინი საბოლოო და თანმიმდევრული განმახორციელებლები არიან იმ ზნეობისა, რომლებსაც თქვენ თან ემორჩილებით და თან გაურბიხართ; რომ მძარცველები მას იმ ერთადერთი გზით ახორციელებენ, რომლითაც შესაძლებელია მისი განხორციელება: დედამიწის სამსხვერპლო ღუმლად გადაქცევის გზით; რომ თქვენი ზნეობა გიკრძალავთ მათთვის წინააღმდეგობის გაწევას იმ ერთადერთი გზით, რომლითაც შესაძლებელია მათთვის წინააღმდეგობის გაწევა: სამსხვერპლო ცხოველობაზე უარის თქმისა და არსებობაზე თქვენი უფლების ამაყად გამოცხადების გზით; რომ მათ წინააღმდეგ ბოლომდე და სრული პირდაპირობით საბრძოლველად სწორედ თქვენი ზნეობა უნდა უარყოთ.

— თქვენ უგულებელყოფთ ამას, რადგან თქვენი ღირსების გრძნობა დაკავშირებულია იმ მისტიკურ „უანგარობასთან“, რომელიც არასდროს გაგაჩნდათ და არც არასდროს განგიხორციელებიათ, მაგრამ იმდენი წელი მიიწერდით მას, რომ

მის უარყოფაზე ფიქრი თავზარს გცემთ. ღირსების გრძნობაზე აღმატებული ღირებულება არ არსებობს, მაგრამ თქვენ ის გააუფასურეთ — და ახლა თქვენმა ზნეობამ გაგაბათ მახეში, სადაც იძულებული ხართ, თქვენი ღირსების გრძნობა თვითგანადგურების კრედოსთვის ბრძოლის მეშვეობით დაიცვათ. რა ირონიაა: ღირსების გრძნობის ის აუცილებლობა, რომლის ახსნა და განსაზღვრა თქვენ არ შეგიძლიათ, ჩემს ზნეობას ეკუთვნის, თქვენსას კი არა; ის ჩემი კოდექსის ობიექტური გამოხატულებაა, ის თქვენს სულებში არსებული ჩემი მტკიცებულებაა.

— იმ გრძნობის საშუალებით, რომლის რაობის დადგენაც არ უსწავლია, მაგრამ რომელიც არსებობის გაცნობიერებისთანავე, იმ წუთიდანვე შეიძინა, რაც პირველად აღმოაჩინა, რომ მან არჩევანი უნდა გააკეთოს, ადამიანმა იცის, რომ ღირსების გრძნობის თავგანწირული აუცილებლობა მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

როგორც ნებაყოფლობითი ცნობიერების მქონე არსებამ, მან იცის, რომ უნდა გააცნობიეროს საკუთარი ღირებულება, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს. მან იცის, რომ სწორად უნდა მოიქცეს; არასწორად მოქცევა მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის; იყო პიროვნულად ცუდი, იყო ბოროტი, ნიშნავს — იყო არსებობისთვის უვარგისი.

— ადამიანის ცხოვრების ყველა მოქმედება მის ნებას უნდა ეფუძნებოდეს; მხოლოდ საკვების მოპოვების ან მიღების მოქმედებაც კი გულისხმობს, რომ სიცოცხლე, რომლის შენარჩუნებაზეც ის ზრუნავს, იმსახურებს ამას; ყველა სიამოვნება, რომლის განცდასაც ადამიანი ესწრაფვის, გულისხმობს, რომ პიროვნება, რომელიც ესწრაფვის ამ სიამოვნებას, იმსახურებს მის განცდას. ადამიანს არ აქვს არჩევანი პირადი ღირსების გრძნობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, მას მხოლოდ იმ სტანდარტის არჩევა შეუძლია, რომლის მეშვეობითაც გაზომავს მას. და საბედისწერო შეცდომას მაშინ უშვებს, როდესაც ამ საზომს თავისი სიცოცხლის დაცვის მაგივრად, საკუთარი განადგურების სამსახურში აყენებს, როდესაც არსებობის საწინააღმდეგო სტანდარტს ირჩევს და საკუთარ ღირსების გრძნობას რეალობას უპირისპირებს.

— საკუთარ თავში უმიზეზოდ დაეჭვების ნებისმიერი ფორმა, დაბალი თვითშეფასება და საკუთარი უვარგისობის ფარული განცდა, არსებითად, ადამიანის შენიღბული შიშია თავისი უუნარობის გამო, გაუმკლავდეს არსებობას. მაგრამ რაც უფრო ძლიერია მისი შიში, უფრო თავგამოდებით ებღაუჭება ის იმ მომაკვდინებელ მოძღვრებებს, რომლებიც მას სულს უხუთავენ. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია, გადაიტანოს წუთი, როდესაც საკუთარ თავს გამოუსწორებელ ბოროტად გამოაცხადებს; შემდეგი წუთი მას გაგიჟებას ან თვითმკვლელობას უქადის. ამის თავიდან ასაცილებლად, — თუ ირაციონალურ სტანდარტს აირჩევს, — ის გააყალბებს, თავს აარიდებს, უგულებელყოფს; ის მოტყუებით წაართმევს საკუთარ თავს რეალობას, არსებობას, ბედნიერებას, გონებას; და საბოლოოდ, ღირსების გრძნობასაც წაართმევს, — ოღონდ კი მისი ილუზია შეინარჩუნოს, — ვიდრე გაბედავს და მის არარსებობას გააცნობიერებს. თუ პრობლემისთვის თვალის გასწორება გაშინებს, ესე იგი გჯერა, რომ ყველაზე უარესი თურმე სიმართლეს შეესაბამება.

— არც ერთი თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაული არ ასნებოვნებს თქვენს სულს სამუდამო დანაშაულის გრძნობით, არც ერთი თქვენი მარცხი, შეცდომა ან ნაკლი, არამედ ის ბურუსი, რომლის მეშვეობითაც მათგან გაქცევას ცდილობთ — ეს არ არის რომელიმე სახის პირველყოფილი ცოდვა ან უცნობი დაბადებამდელი ნაკლი, ეს არის

ცოდნა და ფაქტი თქვენი ძირითადი ნაკლის, თქვენი გონებრივი მუშაობის შეწყვეტისა და აზროვნებაზე უარის თქმისა. შიში და დანაშაულის გრძნობა თქვენი მუდმივი ემოციებია, ისინი რეალურია და თქვენ მათ იმსახურებთ, მაგრამ ისინი არ წარმოიშობიან იმ ხელოვნური მიზეზებიდან, რომლებსაც თქვენ მათი საფუძვლის შესანიღბად იგონებთ, ისინი თქვენი „ეგოიზმიდან“, სისუსტიდან ან უცოდინრობიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ იმ რეალური და ძირითადი საფრთხიდან, რომელიც თქვენს არსებობას ემუქრება; თქვენ გეშინიათ იმიტომ, რომ თქვენი გადარჩენის იარაღი უარყავით, დანაშაულის გრძნობა კი იმიტომ გაქვთ, რომ იცით — ეს შეგნებულად გააკეთეთ.

— „მე“, რომელსაც თქვენ უღალატეთ, თქვენი გონებაა; ღირსების გრძნობა საკუთარი აზროვნების ძალის რწმენაა. ეგო, რომელსაც დაეძებთ, ის უმთავრესი „თქვენ“, რომლის გამოხატვა და განსაზღვრა არ შეგიძლიათ, თქვენი ემოციები ან გამოუთქმელი ოცნებები კი არ არის, თქვენი ინტელექტია, იმ უზენაესი სასამართლოს მსაჯული, რომელსაც თქვენ განუდექით, რათა ხელში ჩავარდნოდით ბნელი საქმეების მომგვარებელ მაწანწალას, თქვენს „გრძნობას“ რომ უწოდებთ. შემდეგ კი თქვენ მიერვე შექმნილ ღამეში დაეხეტებით რომელიღაც უსახელო ცეცხლის სასოწარკვეთილ ძიებაში, რომელიღაც განთიადის მიმქრალი სანახაობით შთაგონებულნი, რომ იხილეთ და მერე დაკარგეთ.

— დააკვირდით, რა დაჟინებით მეორდება კაცობრიობის მითოლოგიაში ლეგენდები იმ სამოთხის შესახებ, რომლებსაც ადამიანები ოდესღაც ფლობდნენ, ლეგენდები ქალაქ ატლანტიდის, ედემის ბაღის ან რომელიღაც სრულყოფილი სამეფოს შესახებ. ამ ლეგენდების საფუძველი მართლაც არსებობს, ოღონდ არა კაცობრიობის, არამედ თითოეული ადამიანის წარსულში. თქვენ ჯერ კიდევ ინარჩუნებთ გრძნობას, — არა მყარს, მოგონებასავით, არამედ უიმედო სწრაფვის ტკივილივით გაბნეულს, — რომ ოდესღაც, თქვენი ბავშვობის პირველ წლებში, სანამ მორჩილებას, უგუნურების შიშსა და თქვენი გონების ღირებულებაში დაეჭვებას ისწავლიდით, თქვენთვის ცნობილი იყო არსებობის ერთგვარი ბრწყინვალება, თქვენ იცნობდით გახსნილი სამყაროსკენ მიპყრობილი გონივრული ცნობიერების დამოუკიდებლობას. ეს არის სამოთხე, რომელიც დაკარგეთ, რომელსაც ეძებთ და რომელიც თქვენ გელით.

— ზოგიერთი თქვენგანი ვერასოდეს გაიგებს, ვინ არის ჯონ გოლტი. მაგრამ მათ, ვისაც თუნდაც ერთი წამით ჰყვარებია არსებობა და მისი ღირსეული მიჯნურობით უამაყია, ერთი წამით, როდესაც უყურებ ამ სამყაროს და შენს მზერას მის დასტურად აქცევ, მათ ადამიანად ყოფნის სიდიადე განუცდიათ, და მე — მე ვარ ერთადერთი კაცი, ვინც იცის, რომ ამ სიდიადის ღალატი დაუშვებელია. მე ვარ ის კაცი, რომელმაც იცის, რამ გახადა ეს შეუძლებელი, და რომელმაც გადაწყვიტა, მუდმივად ისე ეცხოვრა, როგორც თქვენ იცხოვრეთ იმ ერთი წამის განმავლობაში და ყოფილიყო ის, ვინც თქვენ იყავით იმ წამს.

— ეს არჩევანი — საკუთარი უზენაესი უნარისადმი ერთგულება — თქვენი გასაკეთებელია, იმ ფაქტის მიღებით, რომ ყველაზე კეთილშობილური აქტი, რომელიც თქვენ ჩაგიდენიათ, არის თქვენი გონების მიერ შესრულებული მოქმედება პროცესში, როდესაც ის შეიცნობს, რომ ორჯერ ორი უდრის ოთხს.

— ვინც არ უნდა იყოთ თქვენ — თქვენ, ვინც ახლა მარტო ხართ დარჩენილი ჩემი სიტყვების პირისპირ, რომელთა გაგებაში მხოლოდ თქვენი წესიერება თუ დაგეხმარებათ, — გეტყვით, რომ არჩევანი, იყო ადამიანი, ჯერ კიდევ არსებობს,

მაგრამ მისი ფასი ასეთია: ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოთ, რეალობის პირისპირ შიშველი დადგეთ და მძიმე ისტორიული შეცდომის გასასწორებლად განაცხადოთ: „ვარსებობ, მაშასადამე, ვაზროვნებ“.

— მიიღეთ გარდაუვალი ფაქტი, რომ თქვენი ცხოვრება თქვენს გონებაზეა დამოკიდებული. აღიარეთ, რომ მთელი თქვენი ბრძოლა, თქვენი ეჭვები, თქვენი თვალთმაქცობა, თქვენი თავის დაძვრენა, ნებაყოფლობითი ცნობიერების პასუხისმგებლობისგან გაქცევის სასოწარკვეთილი ძიება ავტომატური ცოდნის, ინსტინქტური მოქმედების, ინტუიციური დარწმუნებულობის ძიება იყო. და სანამ ამას ანგელოზის მდგომარეობისკენ სწრაფვას ეძახდით, თქვენ სინამდვილეში ცხოველის მდგომარეობას ეძიებდით. დაისახეთ ამოცანა, როგორც თქვენი ზნეობრივი იდეალი, გახდეთ ადამიანი.

— ნუ ამბობთ, რომ გეშინიათ, თქვენს გონებას დაეყრდნოთ, რადგან ძალიან ცოტა იცით. ნუთუ თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობთ მისტიკოსებისთვის დათმობითა და იმ ცოტას უარყოფითაც კი, რაც იცით? იცხოვრეთ და იმოქმედეთ თქვენი ცოდნის საზღვრებში და ეცადეთ, თქვენი ცოდნა თქვენი ცხოვრების საზღვრებამდე გააფართოოთ. გამოისყიდეთ თქვენი გონება ძალაუფლების ლომბარდებისგან. მიიღეთ ის ფაქტი, რომ თქვენ არ ხართ ყოვლისმცოდნე, მაგრამ სულელის როლის თამაში ყოვლისმცოდნედ არ გაქცევთ; რომ თქვენი გონება შეცდომებისკენ არის მიდრეკილი, მაგრამ უგუნურად გადაქცევა უშეცდომოს არ გაგხდით; რომ თქვენ მიერ დაშვებული ერთი შეცდომა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე რწმენით მიღებული ათი ჭეშმარიტება, რადგან შეცდომა გიტოვებთ მისი გამოსწორების საშუალებას, მაგრამ რწმენით მიღებული ჭეშმარიტება ანადგურებს თქვენს უნარს, განასხვაოთ ჭეშმარიტება შეცდომისგან. ყოვლისმცოდნე ავტომატიზაციაზე ოცნების ნაცვლად, მიიღეთ ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სახის ცოდნას ადამიანი საკუთარი სურვილითა და ძალისხმევით იძენს, და, რომ სწორედ ეს გამოარჩევს მას სამყაროში, მის ბუნებას, ზნეობას, ღირსებას.

— ნუღარ მისცემთ ბოროტებას უსაზღვრო ძალაუფლებას, რაც გამოიხატება იმის მტკიცებით, რომ ადამიანი არასრულყოფილია. რომელი საზომის მიხედვით განსჯით ადამიანს, როდესაც ამას ამტკიცებთ? მიიღეთ ის ფაქტი, რომ ზნეობის სამყაროში სრულყოფილებაზე ნაკლები არაფერი გაამართლებს. მაგრამ სრულყოფილება არ უნდა განისაზღვრებოდეს შეუძლებლის განხორციელების მისტიკური მცნებებით, თქვენი ზნეობრივი თვისებები არ უნდა იზომებოდეს იმით, რაც თქვენს არჩევანზე არ არის დამოკიდებული. ადამიანს აქვს ერთადერთი ძირითადი არჩევანი: იაზროვნოს თუ არ იაზროვნოს, და ეს არის მისი სათნოების საზომი. ზნეობრივი სრულყოფილება ურღვევი გონიერებაა — არა თქვენი გონიერების ხარისხი, არამედ სრული და დაუცხრომელი გამოყენება თქვენი გონებისა, არა თქვენი ცოდნის დონე, არამედ გონების აღიარება აბსოლუტად.

— ისწავლეთ ცოდნის შეცდომებსა და ზნეობის დარღვევებს შორის განსხვავების დადგენა. ცოდნის შეცდომა არ არის ზნეობრივი ნაკლი, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მზად ხართ მის გამოსასწორებლად; მხოლოდ მისტიკოსი განსჯის ადამიანებს შეუძლებლის სტანდარტისა და ავტომატური ყოვლისმცოდნეობის საზომით. მაგრამ ზნეობის დარღვევა არის იმ მოქმედების გაცნობიერებული არჩევანი, რომელიც თავადაც იცით, რომ ბოროტებაა, ან ცოდნისთვის განზრახ თავის არიდება, ხედვისა და აზროვნების შეწყვეტა. ის, რაც თქვენ არ იცით, არ არის ზნეობრივი ბრალდება თქვენ წინააღმდეგ; მაგრამ ის, რის

ცოდნაზეც უარს ამბობთ, თქვენს სულში მზარდი სულმდაბლობაა. გაითვალისწინეთ ცოდნის შეცდომები; არ აპატიოთ და არ შეიწყნაროთ ზნეობის რაიმე სახის დარღვევა. იწამეთ მათი სიკარგე, ვინც ცოდნისკენ ისწრაფვის; მაგრამ პოტენციური მკვლელებივით მოექეცით იმ უტიფარ გახრწნილებს, გაუთავებლად რომ რაღაცას მოითხოვენ თქვენგან და თან აცხადებენ, რომ მათ არ გააჩნიათ გონება და არც ეძიებენ მას, თავიანთ უფლებად კი იმას წარმოადგენენ, რომ ისინი „უბრალოდ გრძნობენ ამას“ — ან იმათ, ვინც უდავო არგუმენტს ამ ფრაზით უარყოფს: „ეს მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკაა“, რაც ნიშნავს: „ეს მხოლოდ და მხოლოდ რეალობაა“. რეალობის საპირისპირო ერთადერთი სფერო სიკვდილის სფერო და წინაპირობაა.

— მიიღეთ ის ფაქტი, რომ საკუთარი ბედნიერების მიღწევა თქვენი ცხოვრების ერთადერთი ზნეობრივი მიზანია, და ეს ბედნიერება — არა ტკივილი ან უგუნური სიამოვნებებით ტკბობა — არის თქვენი ზნეობრივი ერთგულების მტკიცებულება, რადგანაც ის თქვენი ღირებულებების მიღწევისადმი თქვენი ერთგულების მტკიცებულება და შედეგია. ბედნიერებაა ის პასუხისმგებლობა, რომლისაც თქვენ გეშინოდათ. ის მოითხოვს ისეთი ტიპის გონივრულ დისციპლინას, რომელზე პასუხისმგებლობის აღების ღირსადაც საკუთარ თავს არ თვლიდით — და თქვენი ცხოვრების დღეების მშფოთვარე ჭაობი არის ძეგლი თქვენ მიერ იმ ცოდნისგან თავის არიდებისა, რომ ბედნიერების ზნეობრივი შემცვლელი არ არსებობს, რომ არ არსებობს იმ ადამიანზე მეტად საძულველი ლაჩარი, რომელმაც საკუთარი ბედნიერებისთვის გამართული ბრძოლა მიატოვა, რადგან ეშინოდა არსებობაზე თავისი უფლების განცხადებისა და აკლდა მხნეობა და ერთგულება ცხოვრებისადმი, იმ ჩიტისგან ან ყვავილისგან განსხვავებით, რომლებიც მზისკენ მიისწრაფვიან. მოისროლეთ მანკიერების დამცავი ძონძები, რომლებსაც სათნოებას უწოდებდით — მორჩილება, — ისწავლეთ საკუთარი თავის დაფასება, რაც ნიშნავს, იბრძოლოთ საკუთარი ბედნიერებისთვის, და როდესაც გააცნობიერებთ, რომ ყველა თქვენი სათნოების ნაკრები სიამაყეა, მაშინ ისწავლით ადამიანივით ცხოვრებას.

— საკუთარი თავის პატივისცემისკენ გადადგმული უმთავრესი ნაბიჯია, ისწავლოთ, რომ ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნა, დაეხმარონ მას, კაციჭამიას ნიშან-თვისებაზე მიანიშნებს. დახმარების მოთხოვნა გულისხმობს, რომ თქვენი სიცოცხლე მისი საკუთრებაა, და როგორი ამაზრზენიც არ უნდა იყოს ასეთი მოთხოვნა, კიდევ უფრო ამაზრზენი თქვენი თანხმობა იქნება. თქვენ გაინტერესებთ, შეიძლება კი საერთოდ, დაეხმარო სხვა ადამიანს? არა, არ შეიძლება — თუ ის ამას თავის უფლებად და იმ ზნეობრივ ვალად აცხადებს, რომელიც თქვენ გმართებთ მისი. დიახ, შეიძლება — თუ თქვენ გაქვთ თქვენს საკუთარ ეგოისტურ სიამოვნებაზე და მისი პიროვნებისა და ბრძოლის აღიარებაზე დაფუძნებული ასეთი სურვილი. ტანჯვა, თავისთავად, არ არის ღირებულება; ღირებული მხოლოდ ის ადამიანია, ვინც ტანჯვის წინააღმდეგ იბრძვის. თუ თქვენ გადაწყვეტთ, დაეხმაროთ ადამიანს, რომელიც იტანჯება, დაეხმარეთ მხოლოდ მისი სათნოებების, ტანჯვასთან მისი ბრძოლის, მისი გონივრული საქციელების ან იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ის უსამართლოდ იტანჯება; ასეთ შემთხვევაში თქვენი მოქმედება ვაჭრობა იქნება და დახმარების სანაცვლოდ, საზღაურად ამ ადამიანის სათნოებას მიიღებთ. მაგრამ იმ ადამიანის დახმარება, რომელსაც არ გააჩნია სათნოებები, მისი დახმარება მხოლოდ მისი ტანჯვის საფუძველზე, მისი შეცდომებისა და საჭიროების უფლებად მიჩნევა, არარას ბატონობის აღიარებაა თქვენს ღირებულებებზე. ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სათნოებები, არსებობის მოძულეა, რომელიც სიკვდილის წინაპირობით

მოქმედებს; მისი დახმარება მისი ბოროტებისთვის დასტურის მიცემასა და მისი გამანადგურებელი საქმიანობის მხარდაჭერას ნიშნავს. ეს დახმარება — თუნდაც სულ რაღაც ერთი ცენტი, რომელიც თქვენთვის არაფერს ნიშნავს, ან კეთილი ღიმილი, რომელიც მას არ დაუმსახურებია, — არარასადმი პატივის მიგება და სიცოცხლისა და ყველა იმათი ღალატი იქნება, ვინც მის შესანარჩუნებლად იბრძვის. სწორედ ასეთმა ერთცენტიანებმა და ღიმილებმა გაანადგურა თქვენი სამყარო.

— ნუ იტყვით, რომ ჩემი ზნეობა მეტისმეტად რთული განსახორციელებელია თქვენთვის და ისევე გეშინიათ მისი, როგორც რაღაც უცნობის. თქვენ მიერ განცდილი ყველა ცოცხალი მომენტი ჩემი კოდექსის ღირებულებებით იყო ნაცხოვრები. მაგრამ თქვენ დაივიწყეთ, უარყავით, უღალატეთ მას. თქვენ განაგრძობდით თქვენი სათნოებების თქვენივე მანკიერებებისთვის, და საუკეთესო ადამიანების ყველაზე ცუდებისთვის მსხვერპლად შეწირვას. მიმოიხედეთ ირგვლივ: რაც საზოგადოებას დამართეთ, თავდაპირველად ის საკუთარ სულში მოიმოქმედეთ; ერთი მეორის გამოხატულებაა. ეს დამთრგუნველი ნანგრევები, რადაც ახლა თქვენი სამყარო იქცა, იმ ღალატის მატერიალური ფორმაა, რომელიც თქვენი ღირებულებების, თქვენი მეგობრების, თქვენი დამცველების, თქვენი მომავლის, თქვენი ქვეყნისა და თქვენი თავის წინააღმდეგ ჩაიდინეთ.

— ჩვენ — ვისაც ახლა გვიხმობთ, მაგრამ ვინც აღარ გიპასუხებთ — ჩვენ თქვენ შორის ვცხოვრობდით, მაგრამ თქვენ ვერ მოახერხეთ ჩვენი გაგება, თქვენ უარი თქვით, გეფიქრათ, დაგენახათ, რას განვასხეულებდით ჩვენ. თქვენ ვერ მოახერხეთ, გეღიარებინათ ჩემ მიერ შექმნილი ძრავა და ის თქვენს სამყაროში ჯართის გროვა გახდა. თქვენ ვერ მოახერხეთ, შეგეცნოთ გმირი საკუთარ სულებში — და ვერც მე მცნობდით, როდესაც ქუჩაში გვერდით ჩაგივლიდით ხოლმე. როდესაც სასოწარკვეთილი ხმამაღლა უხმობდით იმ მიუწვდომელ სულს, რომელმაც, გრძნობდით, რომ მიატოვა თქვენი სამყარო, თქვენ მას ჩემს სახელს არქმევდით, მაგრამ სინამდვილეში თქვენ საკუთარ ნაღალატევ ღირსების გრძნობას უხმობდით. თქვენ ერთს მეორის გარეშე ვერ დაიბრუნებთ.

— როდესაც თქვენ უარი თქვით ადამიანის გონების აღიარებაზე და ადამიანების მართვა ძალის გამოყენებით სცადეთ, მათ, ვინც დაგემორჩილნენ, დასათმობი გონება არ გააჩნდათ; ხოლო ვისაც გონება ჰქონდა, მათი დამორჩილება შეუძლებელია. ამგვარად, ნაყოფიერი ნიჭის მქონე ადამიანმა თქვენს სამყაროში მექალთანის ნიღაბი მოირგო და ქონების გამანადგურებელი გახდა, არჩია, გაენადგურებინა თავისი სიმდიდრე, ვიდრე იარაღის ძალით დაეთმო ის. ასევე, მოაზროვნემ, გონიერმა ადამიანმა, მეკობრის როლი მოირგო, რათა თავისი ღირებულებები თქვენი ძალისგან ძალის გამოყენებითვე დაეცვა, ვიდრე დამორჩილებოდა სისასტიკის ძალაუფლებას. გესმით ჩემი, ფრანცისკო დ'ანკონია და რაგნარ დანეშოლდ, ჩემო უახლოესო მეგობრებო, ჩემო თანამებრძოლებო, ჩემთან ერთად განდევნილებო, ვისი სახელითაც და ვის პატივსაცემადაც ვლაპარაკობ?

— ჩვენ სამმა დავიწყეთ ის, რასაც ახლა მე ვასრულებ. ჩვენ, სამმა, გადავწყვიტეთ, გვეძია შური ამ ქვეყნისთვის და გაგვეთავისუფლებინა მისი დატყვევებული სული. ეს უდიდესი ქვეყანა ჩემი ზნეობის საფუძველზე იყო აგებული, — ადამიანის არსებობის უფლების შეუბღალავი უზენაესობის საფუძველზე, — მაგრამ თქვენ გეშინოდათ ამის აღიარების და მის თანახმად ცხოვრების. თქვენ გაოგნებული შესცქეროდით კაცობრიობის ისტორიაში შეუდარებელ მიღწევას, თქვენ მოიპარეთ მისი შედეგები, მისი მიზეზი კი უგულებელყავით. ადამიანის

ზნეობის ამ ძეგლების, ნებისმიერი ქარხნის, გზატკეცილისა თუ ხიდის შემხედვარენი, თქვენ განაგრძობდით ამ ქვეყნის წყევლას მისი უზნეობის გამო და კიცხავდით მის პროგრესს „მატერიალური სიხარბისთვის“, თქვენ ამ ქვეყნის სიდიადის გამო ებოდიშებოდით დასაბამის დროინდელი შიმშილობის კერპს, ევროპის კეთროვანი მისტიკური მაწანწალას გახრწნილ კერპს.

— ეს ქვეყანა — გონების ნაყოფი — ვერ გადარჩებოდა მსხვერპლის გაღების ზნეობით. ის არ შექმნილა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც საკუთარი თავის დაღუპვისკენ მიისწრაფოდნენ და არც იმათ მიერ, ვინც მოწყალებას ითხოვდა. ის ვერ დაეფუძნებოდა იმ მისტიკურ გახლეჩას, რომელიც ადამიანის სულს მისი სხეულისგან განაცალკევებდა. ის ვერ იარსებებდა იმ მისტიკური მოძღვრების საშუალებით, რომელიც ამ სამყაროს ბოროტებად აცხადებდა, აქ მცხოვრებ წარმატებულ ადამიანებს კი გახრწნილებად. დასაბამიდანვე, ეს ქვეყანა მისტიკოსების უძველეს მმართველობას საფრთხეს უქმნიდა. ბრწყინვალე აღმასვლით თავისი ახალგაზრდობის ხანაში, ამ ქვეყანამ ურწმუნო სამყაროს უჩვენა, თუ რა სიდიადე იყო ადამიანებისთვის შესაძლებელი და რა ბედნიერება იყო შესაძლებელი დედამიწაზე. ან ერთს უნდა ეარსება, ან მეორეს: ან ამერიკას, ან მისტიკოსებს. მისტიკოსებმა ეს იცოდნენ; თქვენ კი არა. თქვენ მათ უფლება მიეცით, საჭიროების თაყვანისცემით დაესნებოვნებინეთ — და ეს ქვეყანა გახდა გოლიათი, რომელსაც სხეულში სულის მაგივრად მუქთამჭამელი ჯუჯა ჰყავდა ჩასახლებული, ამ დროს კი მისი ცოცხალი სული მინისქვეშეთში იყო გაძევებული, უხმოდ რომ ემუშავა და თქვენ გამოეკვებეთ, მიჩუმათებული, დაუფასებელი, უარყოფილი, ამ ქვეყნის სული და მისი გმირი: მეწარმე.

გესმის ახლა ჩემი, ჰენკ რიერდენ, უდიადესო იმ მსხვერპლთაგან, ვის გამოც კი შური მიძიებია?

— არც მე და არც დანარჩენები არ დავბრუნდებით, სანამ გზა არ გაიწმინდება ამ ქვეყნის ხელახლა ასაშენებლად, სანამ მსხვერპლის გაღების ზნეობის ნარჩენები არ აღიგვება ჩვენი გზიდან. ქვეყნის პოლიტიკური სისტემა მისი ზნეობის კოდექსზეა დაფუძნებული. ჩვენ ხელახლა ავაგებთ ამერიკის სისტემას იმ ზნეობრივი დებულების საფუძველზე, რომელიც მისი საძირკველი იყო, მაგრამ თქვენ მას ისე ეპყრობოდით, როგორც დანაშაულებრივ იატაკქვეშეთს, როდესაც გახელებით ცდილობდით, თავი აგერიდებინათ ამ დებულებასა და თქვენს მისტიკურ ზნეობას შორის მომხდარი კონფლიქტისთვის: დებულებას, რომ ადამიანი თავისთავად მიზანია და არა სხვების მიზნების მიღწევის საშუალება, რომ სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერება ადამიანს ხელშეუხებელი უფლების მეშვეობით აქვს მინიჭებული.

— თქვენ, ვისაც დაგიკარგავთ უფლების ცნება, თქვენ, ვინც უსუსური გაურკვევლობით ხან იმ მტკიცებას ემხრობით, რომ უფლებები ღმერთის საჩუქარია, რწმენის საშუალებით მისაღები ზებუნებრივი საჩუქარი, ხან კი იმ მტკიცებას, რომ უფლებები საზოგადოების საჩუქარია, რომლებიც შესაძლოა, მისი თვითნებური კაპრიზის საფუძველზე დაირღვეს — გეტყვით, რომ ადამიანის უფლებების წყარო არც ღვთაებრივი კანონია და არც კონგრესის მიერ მიღებული კანონი, ის არის რაობის კანონი. A არის A და ადამიანი არის ადამიანი. უფლებები არსებობის პირობებია, ადამიანის ბუნების მიერ მისი სათანადოდ გადარჩენისთვის მოთხოვნილი არსებობის პირობები. თუ ადამიანმა უნდა იცხოვროს დედამიწაზე, მისთვის სწორი საქციელია თავისი გონების გამოყენება, თავისი თავისუფალი განსჯის უნარის

საფუძველზე მოქმედება, თავისი ღირებულებებისთვის შრომა და თავისი შრომის ნაყოფის შენარჩუნება. თუ დედამიწაზე ცხოვრება ადამიანის მიზანია, მას აქვს უფლება, იცხოვროს გონიერი არსებასავით: ბუნება უკრძალავს მას ირაციონალურს. ნებისმიერი ჯგუფი, ნებისმიერი ბანდა, ერი, რომელიც ადამიანის უფლებების უარყოფას შეეცდება, მანკიერია, რაც ნიშნავს, რომ ის ანტი-სიცოცხლეა.

— უფლებები ზნეობრივი კონცეფციაა, ზნეობა კი არჩევნის საკითხი. ადამიანებს შეუძლიათ, თავიანთი ზნეობისა და კანონების სტანდარტად გადარჩენა არ აირჩიონ, მაგრამ ისინი ვერ გაექცევიან იმ ფაქტს, რომ გადარჩენის ალტერნატივა არის კაციჭამიებისგან შემდგარი საზოგადოება, რომელიც ერთი ხანი თავისი საუკეთესო წარმომადგენლების შთანთქმის მეშვეობით არსებობს და ბოლოს კიბოთი დაავადებული სხეულივით იღუპება, როდესაც ავადმყოფი უჯრედები ჯანმრთელებს, უგუნურები კი გონიერებს შთანთქავენ. ასეთი იყო თქვენი საზოგადოებების ხვედრი ისტორიის განმავლობაში, მაგრამ მიზეზის ცოდნას თავს არიდებდით. მე აქ ამ მიზეზის გასაცხადებლად ვარ: დამსახურებული სასჯელის მიზეზი იყო რაობის კანონი, რომელსაც თქვენ ვერ გაექცევით. როგორც ერთ ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება ირაციონალურის საშუალებით, ზუსტად ასევე, არც ორ, ორი ათას ან ორ მილიონ ადამიანს არ შეუძლია ეს. როგორც ადამიანს არ შეუძლია წარმატების მიღწევა რეალობის უარყოფით, ზუსტად ასევე, არც ერს, ქვეყანას ან მსოფლიოს არ შეუძლია ეს. A არის A. დანარჩენი ყველაფერი დროის საკითხია, იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლები სულგრძელობას გამოიჩენენ. ზუსტად ისე, როგორც ადამიანს არ შეუძლია სხეულის გარეშე არსებობა, უფლებებიც ვერ იარსებებს მათი რეალობაში განხორციელების, აზროვნების, მუშაობისა და შედეგების შენარჩუნების უფლების გარეშე, რაც ნიშნავს: საკუთრების უფლებას. სხეულის თანამედროვე მისტიკოსები, რომლებიც გთავაზობენ თაღლითურ არჩევანს — „ადამიანის უფლებები“ „საკუთრების უფლებების“ საპირისპიროდ, თითქოს ერთ ალტერნატივას მეორის გარეშე შეეძლოს არსებობა, ასრულებენ თავიანთ უკანასკნელ, კომიკურ მცდელობას, ააღორძინონ მოძღვრება — „სული სხეულის წინააღმდეგ“. მხოლოდ მოჩვენება თუ იარსებებს მატერიალური საკუთრების გარეშე; მხოლოდ მონა თუ იმუშავებს თავისი ძალისხმევის ნაყოფზე უფლების ქონის გარეშე. ის მოძღვრება, რომ „ადამიანის უფლებები“ აღემატება „საკუთრების უფლებებს“, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანების ერთ ნაწილს აქვს უფლება, სარგებელი ნახოს სხვებისგან; რადგან მცოდნეები უვიცებისგან ვერაფერს მიიღებენ, ეს ნიშნავს უვიცების უფლებას, ფლობდნენ მცოდნეებს და მწარმოებელი საქონელივით გამოიყენონ ისინი. ვისაც ეს „უფლება“ ჰგონია, „ადამიანი“ არ უნდა ეწოდოს.

— საკუთრების უფლების საფუძველი მიზეზობრიობის კანონია. ყველა საკუთრება და ყველა სახის ქონება იწარმოება ადამიანის გონებისა და შრომის მეშვეობით.

როგორც შედეგებს ვერ მიიღებთ მიზეზების გარეშე, ასევე ქონება ვერ გექნებათ მისი წყაროს არსებობის გარეშე: გონიერების გარეშე. თქვენ გონიერებას შრომას ვერ აიძულებთ: ისინი, ვისაც აზროვნების უნარი აქვთ, იძულებით არ იმუშავებენ; ხოლო ისინი, ვინც თანახმა იქნებიან იძულებით მუშაობაზე, იმ მათრახის ფასზე მეტს არ გამოიმუშავებენ, რომელიც დაგჭირდებათ მათ დასამორჩილებლად. თქვენ გონების ნაწარმის მიღებას მხოლოდ მესაკუთრის პირობების დაკმაყოფილებით, ვაჭრობითა და ნებაყოფლობითი თანხმობით შეძლებთ. ადამიანების მიერ განხორციელებული

ნებისმიერი სხვა სახის პოლიტიკა ადამიანის საკუთრებისადმი ბოროტმოქმედების პოლიტიკაა, იმის მიუხედავად, რამდენნი არიან ისინი. ბოროტმოქმედები არიან ველურები, რომლებსაც შორს გახედვა არ შეუძლიათ, როდესაც თავიანთ ნაძარცვს ბოლოს მოუღებენ, სწორედ ისევე, როგორც დღეს თქვენ შიმშილობთ, თქვენ, ვისაც გწამდათ, რომ დანაშაული შეიძლება იყოს „პრაქტიკული“, თუ თქვენი მთავრობა გამოსცემდა ბრძანებას, რომ ძარცვა კანონიერია, ძარცვისთვის წინააღმდეგობის გაწევა კი უკანონო.

— მთავრობის ერთადერთი მართებული მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა, რაც ნიშნავს ადამიანის დაცვას ფიზიკური ძალადობისგან. მართებული მთავრობაა პოლიციელი, რომელიც ადამიანს იცავს და უფლება აქვს, ძალა მხოლოდ მათ წინააღმდეგ გამოიყენოს, ვინც თავად დაიწყო ძალის გამოყენება. მთავრობის მართებული ფუნქციებია, ჰყავდეს პოლიცია, ბოროტმოქმედთაგან თქვენ დასაცავად; ჯარი, უცხოელ დამპყრობელთაგან თქვენ დასაცავად; და სასამართლო, სხვებმა თქვენი საკუთრება და ხელშეკრულებები რომ არ ხელყონ, ობიექტური კანონების შესატყვისად, გონივრული წესების საშუალებით რომ გადაწყვიტონ დავები. მაგრამ თუ მთავრობა ძალის გამოყენებას დაიწყებს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც ძალა არავის წინააღმდეგ არ გამოუყენებიათ, თუ იარაღის გამოყენებას დაიწყებს განიარაღებული მსხვერპლების წინააღმდეგ, მაშინ ეს მთავრობა ზნეობის გასანადგურებლად შექმნილი კოშმარის ჯოჯოხეთური მანქანაა: ასეთი მთავრობა თავის ერთადერთ ზნეობრივ მიზანს უკუღმა ატრიალებს და დამცველის როლის ნაცვლად ადამიანის მოსისხლე მტრის როლს ირგებს, პოლიციელის როლის ნაცვლად — ბოროტმოქმედისას, რომელიც აღჭურვილია იმ მსხვერპლების წინააღმდეგ ძალის გამოყენების უფლებით, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ თავდაცვის უფლება. ასეთი მთავრობა ზნეობას საზოგადოებრივი ქცევის შემდეგი წესით ანაცვლებს: თქვენ უფლება გაქვთ, რაც მოგესურვებათ, ის გაუკეთოთ თქვენს მეზობელს, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ბანდა რიცხობრივად აღემატება მის დაჯგუფებას.

— მხოლოდ ცხოველს, სულელს ან დამპყრობელს შეუძლია, დასთანხმდეს ასეთი პირობებით არსებობას ან იმას, რომ სხვა ადამიანებს თავის სიცოცხლეზე და გონებაზე კარტ ბლანში მისცეს, რომ აღიაროს სხვების უფლება მისი პიროვნების თვითნებურად გამოყენებაზე, რომ უმრავლესობის ნება ყოვლისშემძლედ ცნოს, სხეულის ფიზიკური ძალა და რიცხვები კი სამართლიანობის, რეალობისა და ჭეშმარიტების შემცვლელად აღიაროს. ჩვენ, გონიერი ადამიანები, ვინც ბატონები და მონები კი არა, ვაჭრები ვართ, არ ვიყენებთ კარტ ბლანშებს და არც გავცემთ მათ. ჩვენ არა-ობიექტურის არც ერთ ფორმასთან ერთად არ ვცხოვრობთ და არ ვთანამშრომლობთ.

— სანამ ადამიანებს ველურ ხანაში ობიექტურ რეალობაზე წარმოდგენა არ გააჩნდათ და სწამდათ, რომ ფიზიკური ბუნება შეუცნობელი დემონების კაპრიზით იმართებოდა, აზროვნება, მეცნიერება, წარმოება შეუძლებელი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ ბუნება მტკიცე, პროგნოზირებადი აბსოლუტი იყო, შეძლეს მათ თავიანთ ცოდნაზე დაყრდნობა, თავიანთი მიმართულების არჩევა, თავიანთი მომავლის დაგეგმვა და ნელ-ნელა გამოვიდნენ კიდეც გამოქვაბულიდან.

ახლა კი თქვენ თანამედროვე მრეწველობა, მისი უსაზღვროდ რთული მეცნიერული წვრილმანებითურთ უკან დააბრუნეთ და კვლავ შეუცნობელი

დემონების ძალას ჩაუგდეთ ხელში — ფარული, საზიზღარი ბიუროკრატების თვითნებური კაპრიზების არაპროგნოზირებად ძალას. ფერმერი მთელი ზაფხული არ იშრომებს, თუკი არ შეეძლება, განსაზღვროს, რიგიან მოსავალს მიიღებს თუ არა. მაგრამ თქვენ სამრეწველო გიგანტებისგან, რომლებიც ათწლეულებთან მიმართებით გეგმავენ, თაობებთან მიმართებით აბანდებენ ფულს და ოთხმოცდაცხრამეტწლიან ხელშეკრულებებს დებენ, მოელით, რომ გააგრძელონ ფუნქციონირება და წარმოება, იმის ცოდნის გარეშე, თუ რომელი ოფიციალური პირის თავში გაჩენილი რომელი შემთხვევითი ახირება რა დროს დაატყდებათ თავზე მთელი მათი ნაწვალების გასანადგურებლად. ერთი დღის მასშტაბით მაწანწალები და მუშები ცხოვრობენ. რაც უფრო უნარიანია ადამიანი, დროის უფრო დიდ მონაკვეთს გეგმავს წინასწარ. კაცმა, რომლის ხედვაც ქოხს არ სცდება, შეიძლება, გააგრძელოს შენება თქვენს ფხვიერ ნიადაგზე, ჩაეჭიდოს სწრაფ მოგებას და გაიქცეს. ის ადამიანი კი, რომელსაც ცათამბჯენების წარმოდგენა შეუძლია, ამას არ გააკეთებს. არც ათ წელს არ შეალევს ახალი პროდუქციის გამოგონებას, როდესაც ეცოდინება, რომ მოყოჩაღებული უვიცების ბანდები აყალბებენ კანონებს მის წინააღმდეგ, მის ჩასაჭერად, მის შესაზღუდად და მისი მარცხის გამოსაწვევად; თუმცა, რომც შეებრძოლოს მათ და გაიმარჯვოს კიდევაც, ისინი მაინც მიისაკუთრებენ მის ჯილდოებსა და გამოგონებას.

— იაზროვნეთ უფრო მასშტაბურად, თქვენ, ვინც გაჰყვირით, რომ გეშინიათ თქვენზე მეტად გონიერ ადამიანებთან კონკურენციის, რომ მათი გონება თქვენს საარსებო წყაროს საფრთხეს უქმნის, რომ თავისუფალი ვაჭრობის ბაზარზე ძლიერები სუსტებს შესაძლებლობას აღარ უტოვებენ. რა განსაზღვრავს თქვენი შრომის მატერიალურ ღირებულებას? მას მხოლოდ თქვენი გონების მწარმოებლური ძალისხმევა განსაზღვრავდა, თუ თქვენ უკაცრიელ კუნძულზე იცხოვრებდით. რაც უფრო ნაკლებად ქმედითი იქნებოდა თქვენი აზროვნება, მით უფრო ნაკლებს მოგიტანდათ თქვენი ფიზიკური შრომა — და თქვენ შეგეძლებოდათ, რუტინულად გეცხოვრათ, აგეღოთ არაპროგნოზირებადი მოსავალი ან გენადირათ მშვილდ-ისრით, თქვენი გონება მეტი აზროვნების უნარს მოკლებული იქნებოდა. მაგრამ როდესაც გონიერ საზოგადოებაში ცხოვრობთ, სადაც ადამიანებს თავისუფალი ვაჭრობა შეუძლიათ, თქვენ უთვალავ ჯილდოს იღებთ: თქვენი შრომის მატერიალურ ღირებულებას მხოლოდ თქვენი საკუთარი ძალისხმევა კი არა, თქვენ გარშემო სამყაროში არსებული საუკეთესო გონებათა მწარმოებლური ძალისხმევა განსაზღვრავს.

— როდესაც თანამედროვე ქარხანაში მუშაობთ, თქვენ მხოლოდ თქვენი შრომისთვის კი არა, ყველა იმ მწარმოებლური ნიჭის მქონე ადამიანის შრომისთვისაც გიხდიან, რომლებმაც ამ ქარხნის ფუნქციონირება შესაძლებელი გახადეს: იმ მეწარმის შრომისთვის, რომელმაც ააგო ეს ქარხანა, იმ ინვესტორის შრომისთვის, რომელმაც გარისკა ფულის ჩადება ახალ წამოწყებაში, იმ ინჟინრის შრომისთვის, რომელმაც დააპროექტა მანქანები, რომელთა ბერკეტებსაც თქვენ მართავთ, იმ გამომგონებლის შრომისთვის, რომელმაც გამოიგონა ნაწარმი, რომლის შექმნაზეც თქვენ მუშაობთ, იმ მეცნიერის შრომისთვის, რომელმაც აღმოაჩინა წესები, რომლებიც ამ ნაწარმის შესაქმნელად გამოიყენება, იმ ფილოსოფოსის შრომისთვის, რომელმაც ადამიანებს აზროვნება ასწავლა, და ყველა ეს ადამიანი თქვენი გაკიცხვის საგანია. — მანქანა, ცოცხალი გონიერების გაყინული ფორმა, არის ძალა, რომელიც

თქვენი ცხოვრების პოტენციალს აფართოებს თქვენი დროის ნაყოფიერების გაზრდით.

თქვენ შუა საუკუნეებში მჭედლად რომ გემუშავათ, მთელი თქვენი პოტენციური შემოსავალი იქნებოდა რკინის ძელი, რომელსაც თქვენი ხელით შექმნიდით რამდენიმე დღის შრომის შედეგად. რამდენ ტონა რელსს აწარმოებთ ერთ დღეში ჰენკ რიერდენთან მუშაობის შემთხვევაში? გაბედავთ იმის მტკიცებას, რომ თქვენი გასამრჯელოს რაოდენობა მხოლოდ თქვენი ფიზიკური შრომის შედეგია და ეს რელსები მხოლოდ თქვენი შრომის ნაყოფია? იმ მჭედლის ცხოვრების დონე — აი, რა არის მთელი თქვენი ფიზიკური შრომის საფასური; დანარჩენი კი საჩუქარია ჰენკ რიერდენისგან.

— ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დაწინაურდეს იმდენად, რამდენადაც მას სურს ან შეუძლია, მაგრამ ის მხოლოდ იმ საფეხურს მიაღწევს, სადამდეც მისი აზროვნების უნარი მისწვდება. ფიზიკური შრომა მოცემულ მომენტს ვერ გასცდება. ადამიანი, რომელიც მხოლოდ ფიზიკურად შრომობს, წარმოების პროცესში შეტანილი საკუთარი წვლილის ეკვივალენტურ მატერიალურ ღირებულებას მოიხმარს, არც თავისი თავისთვის და არც სხვებისთვის აღარ ტოვებს რაიმე ღირებულებას. მაგრამ ადამიანი, რომელიც რომელიმე რაციონალურ დარგში ქმნის იდეას, რომელიც ახალ ცოდნას აღმოაჩენს, კაცობრიობის სამუდამო კეთილისმყოფელია. მატერიალური პროდუქტები ვერ იქნება გაზიარებული, ისინი რომელიმე საბოლოო მომხმარებელს ეკუთვნის; მხოლოდ იდეის ღირებულება შეიძლება იქნეს გაზიარებული ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის, მისი ყველა გამზიარებელი ისე გამდიდრდება, რომ ამას მსხვერპლად არავინ შეეწირება და არავინ დაზარალდება, მათი ნებისმიერი სახის შრომის ნაყოფიერება კი გაიზრდება. ძლიერი გონების მქონე ადამიანი სუსტებს საკუთარი დროის ღირებულებას გადასცემს, საშუალებას აძლევს მათ, მის მიერ აღმოჩენილ სამუშაოებზე დასაქმდნენ, თვითონ კი საკუთარ დროს მომავალ აღმოჩენებს უთმობს. ეს ორმხრივი ვაჭრობაა ორმხრივი სარგებლობისთვის; გონების ინტერესები ერთი და იგივეა, მიუხედავად გონიერების ხარისხისა, იმ ადამიანთა შორის, რომელთაც მუშაობა სურთ და არ ესწრაფვიან და არ მოელიან დაუმსახურებელს.

— თავის დახარჯულ გონებრივ ენერგიასთან შედარებით, ადამიანი, რომელიც რაიმე ახალს იგონებს, მატერიალურ გასამრჯელოსთან მიმართებით საკუთარი ღირებულების მხოლოდ მცირე პროცენტს იღებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ქონებას აგროვებს და რამდენ მილიონს გამოიმუშავებს. მაგრამ იმ ქარხანაში მომუშავე დამლაგებელს, სადაც ეს გამოგონება იწარმოება, უზარმაზარი გასამრჯელო ეძლევა იმ გონებრივ ძალისხმევასთან შედარებით, რასაც მისი საქმე მოითხოვს მისგან.

და იგივე შეიძლება ითქვას ყველა დონის ამბიციისა და უნარის მქონე ყოველი ადამიანის შემთხვევაში. ინტელექტუალური პირამიდის წვერზე მყოფი კაცი ყველაზე მეტს სძენს მის დაბლა მდგომ ადამიანებს, მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდ მატერიალურ გასამრჯელოს იღებს, მას სხვებისგან თავისი დროის ღირებულებისთვის დამატებით არანაირი ინტელექტუალური ჯილდო არ ეძლევა. პირამიდის ძირში მყოფი ადამიანი კი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილი, უიმედო უუნარობაში იშიმშილებდა, მის ზემოთ მყოფთ არაფერს მატებს, თუმცა თავად ყველა მათგანის გონებისგან იღებს ჯილდოს. ასეთია ძლიერი და სუსტი ინტელექტის მქონე ადამიანთა შორის გამართული „კონკურენციის“ ბუნება. ასეთია იმ „ექსპლუატაციის“ ფორმა, რომლისთვისაც წყევლიდით ძლიერებს.

— ასეთი იყო სამსახური, რომელსაც ჩვენ თქვენ გიწევდით და მზად ვიყავით, კიდევ გაგვეწია. სანაცვლოდ კი რას ვითხოვდით? არაფერს, გარდა თავისუფლებისა.

ჩვენ ვითხოვდით, რომ ჩვენთვის მოქმედების და აზროვნების თავისუფლება მოგეცათ; რომ შეგვძლებოდა, თავისუფლად გაგვერისკა და საკუთარ ზარალზე პასუხი გვეგო; რომ დაგვეგროვებინა ქონება; რომ თქვენი გონიერების იმედით, ჩვენი ნაწარმი თქვენი განსჯის უნარისთვის მიგვენდო თავისუფალი ვაჭრობის მიზნით, რომ ჩვენი შრომის ობიექტური ღირებულებისა და თქვენი გონების მიერ მისი დაფასების იმედი გვქონოდა; რომ თავისუფლად დავყრდნობოდით თქვენს გონიერებასა და პატიოსნებას, და მხოლოდ თქვენს გონებასთან გვქონოდა საქმე. ასეთი იყო ჩვენ მიერ მოთხოვნილი ფასი, რომელიც თქვენ უარყავით, რაკი ძალიან მაღალი მოგეჩვენათ. თქვენ გადაწყვიტეთ, არასამართლიანი გეწოდებინათ იმისთვის, რომ ჩვენ, — ვინც გამოგათრიეთ თქვენი ქოხებიდან და თანამედროვე ბინებით, რადიომიმღებებით, ფილმებით, მანქანებით უზრუნველგყავით, — ჩვენს საკუთარ სასახლეებსა და იახტებს უნდა ვფლობდეთ. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ თქვენ იმსახურებდით თქვენს ხელფასებს, ჩვენ კი არა, რომ თქვენ ჩვენს გონებასთან კი არა, საკუთარ იარაღთან გსურდათ საქმის დაჭერა. ჩვენი პასუხი ამაზე იყო: „წყეულიმც იყავით!“ და ეს ასრულდა. ხართ კიდეც წყეულები.

— თქვენ არ გსურდათ ინტელექტის შეჯიბრში ჩაბმა და ახლა ერთმანეთს ეჯიბრებით სიმხეცეში. თქვენ არ გსურდათ, რომ ჯილდო წარმატებულ მეწარმეს გადასცემოდა და ახლა იმ რბოლაში ხართ ჩაბმული, სადაც ჯილდოებს წარმატებული ძარცვაგლეჯვისთვის გასცემენ. თქვენ ეგოისტურსა და სასტიკს უწოდებდით ადამიანთა შორის გამართულ ვაჭრობას, როდესაც ისინი ღირებულებებს ღირებულებებში ცვლიდნენ — ახლა კი, დააფუძნეთ უანგარო საზოგადოება, სადაც გამოძალვის მეშვეობით ვაჭრობენ. თქვენი სისტემა კანონიერი სამოქალაქო ომია, სადაც ადამიანთა დაჯგუფებები თავს ესხმიან ერთმანეთს კანონის ხელში ჩასაგდებად, რომელსაც მოწინააღმდეგეებს ხელკეტივით უპირისპირებენ, სანამ მეორე ბანდა არ დაეპატრონება ამ კანონს და სხვების წინააღმდეგ არ გამოიყენებს მას. და ყველანი გაჰყვირიან, თითქოს რომელიღაც გაურკვეველი საზოგადოების გაურკვეველ სიკეთეს ემსახურებიან.

თქვენ თქვით, რომ განსხვავებას ვერ ხედავდით ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის, ფულისა და იარაღის ძალაუფლებას შორის, ჯილდოსა და სასჯელს შორის, ყიდვასა და მიტაცებას შორის, სიამოვნებასა და შიშს შორის, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ახლა კი თქვენ იგებთ ამ განსხვავებას.

— ზოგიერთმა თქვენგანმა შესაძლოა, ყველაფერი თავის უვიცობას, შეზღუდულ გონებასა და თვალსაწიერს დააბრალოს. მაგრამ წყეულები და ყველაზე მეტად დამნაშავეები თქვენ შორის ის ადამიანები არიან, რომლებსაც ჰქონდათ შეცნობის უნარი, თუმცა არჩიეს, უგულებელეყოთ რეალობა, ის ადამიანები, რომლებმაც მოისურვეს, გაეყიდათ თავიანთი გონიერება, რათა ცინიკურად დამონებოდნენ ძალას:

მეცნიერების მისტიკოსების ის საძულველი მოდგმა, რომელიც რაღაც ტიპის „წმინდა ცოდნისადმი“ ერთგულებას ამტკიცებს, — სიწმინდე ამ მოდგმის მტკიცებით არის ის, რომ ასეთ ცოდნას ამ სამყაროში პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია, — რომელიც თავის ლოგიკას უსულო მატერიისთვის ინახავს, მაგრამ სწამს, რომ ადამიანებთან ურთიერთობის თემა გონიერებას არ მოითხოვს და არ იმსახურებს, ის, ვინც ზიზღით ლაპარაკობს ფულზე და ამ დროს თავის სულს ძარცვის მეშვეობით

აღჭურვილი ლაბორატორიის სანაცვლოდ ყიდის. და, რადგან არ არსებობს ისეთი საგანი, როგორიც „არაპრაქტიკული ცოდნა“ ან რაიმე სახის „უანგარო“ მოქმედებაა, რადგან ეს მისტიკოსები კიცხავენ თავიანთი მეცნიერების გამოყენებას სიცოცხლის მიზნით და მოგებისთვის, ისინი მას სიკვდილის სამსახურში აყენებენ, იმ ერთადერთი პრაქტიკული მიზნის სამსახურში, რომელიც შესაძლოა, ოდესმე მეცნიერებას ჰქონდეს მძარცველებისთვის: იძულებისა და განადგურების იარაღების გამოგონების სამსახურში. ის ინტელექტუალები, რომლებიც ზნეობრივი ღირებულებებისგან გაქცევას ცდილობენ, ამ სამყაროში დაწყევლილები არიან, მათი დანაშაული მიუტევებელია. გესმით ჩემი, დოქტორო რობერტ სტადლერ?

— მაგრამ მე მისთვის არ ვლაპარაკობ. თქვენ შორის მე იმათ მივმართავ, ვინც ჯერ კიდევ შეინარჩუნა თავისი სულის საუკეთესო ნაწილი, მოუსყიდველს და დაღდაუსმელს „სხვების ძალაუფლების მიერ“. თუ იმ მოტივების ქაოსში, რამაც დღეს საღამოს რადიოს მოსმენა გადაგაწყვეტინათ, იყო გულწრფელი, გონივრული სურვილი იმის გაგებისა, თუ რა დაემართა სამყაროს, მაშინ თქვენ ხართ ის ადამიანი, ვისთვის მიმართვასაც ვისურვებდი. ჩემი კოდექსის წესებისა და პირობების მიხედვით, ადამიანი ვალდებულია, გონივრული განცხადება გააკეთოს მათი მისამართით, ვისაც ეს აღელვებს და ცდილობს კიდეც მის გაგებას. ისინი კი, ვინც ჩემი განცხადების უგულებელყოფას ცდილობენ, ჩემი ინტერესის საგანი არ არიან.

— მე ვესაუბრები მათ, ვისაც სურს სიცოცხლე და თავისი სულის ღირსების დაბრუნება. ახლა, როცა უკვე იცით სიმართლე თქვენი სამყაროს შესახებ, შეწყვიტეთ თქვენი გამანადგურებლების მხარდაჭერა. სამყაროში ბოროტება მხოლოდ თქვენ მიერ მიცემული დასტურით არის შესაძლებელი. უკან წაიღეთ თქვენი დასტური.

უკან წაიღეთ თქვენი მხარდაჭერა. ნუ ეცდებით თქვენი მტრების მიერ დაწესებული პირობების თანახმად ცხოვრებას ან იმ თამაშში გამარჯვების მოპოვებას, სადაც წესებს ისინი აწესებენ. ნუ ესწრაფვით იმათ სიამოვნებას, ვინც თქვენ დაგიმონათ, ნუ ითხოვთ მოწყალებას მათგან, ვინც თქვენ გაგძარცვათ, იმისდა მიუხედავად, ეს მოწყალება სუბსიდიები იქნება, სესხები თუ სამუშაოები, ნუ შეუერთდებით მათ რიგებს იმისთვის, რომ ზარალის ასანაზღაურებლად დაეხმაროთ თქვენი მეზობლების გაძარცვაში. ადამიანი სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებს მისი განადგურების შესანდობად გადმოგდებული ქრთამით. ნუ იბრძოლებთ მოგებისთვის, წარმატებისთვის და უსაფრთხოებისთვის თქვენი არსებობის უფლების დაყადაღების ხარჯზე. ასეთ ყადაღას ვერ გადაიხდით; რაც უფრო მეტს გადაუხდით მათ, უფრო მეტს მოითხოვენ ისინი; რაც უფრო დიად ღირებულებებს ესწრაფვით ან აღწევთ, მით უფრო მეტად უმწეო ხდებით. მათ იმისთვის შექმნეს ღია შანტაჟის სისტემა, თქვენ რომ სისხლისგან დაიცალოთ არა თქვენი ცოდვების, არამედ თქვენი არსებობისადმი სიყვარულის საშუალებით.

— ნუ ეცდებით მძარცველების პირობებით წინსვლას ან კიბეზე აძრომას, როდესაც თოკები მათ უჭირავთ. ნუ მისცემთ უფლებას, ხელით შეეხონ იმ ერთადერთ ძალას, რომელიც მათ ძალაუფლებას უნარჩუნებს: თქვენს ცოცხალ ამბიციას. გაიფიცეთ — ისევე, როგორც მე გავაკეთე ეს. გამოიყენეთ თქვენი გონება და ოსტატობა მალულად, გააღრმავეთ თქვენი ცოდნა, განავითარეთ თქვენი უნარი, მაგრამ თქვენი მიღწევები სხვებს არ გაუზიაროთ. ნუ ეცდებით ქონების დაგროვებას მაშინ, როდესაც მძარცველი თქვენს კისერზეა. დარჩით მათი კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე, თქვენს საარსებო მინიმუმზე მეტს ნუ გამოიმუშავებთ, ზედმეტი ერთცენტიანიც კი არ მოიპოვოთ მძარცველების სახელმწიფოს დასახმარებლად.

რაკი თქვენ ტყვეები ხართ, ტყვეებივით მოიქეცით, ნუ მისცემთ მათ თავის მოჩვენების საშუალებას, თითქოს თავისუფალი იყოთ. იყავით ჩუმი, მოუსყიდველი მტერი, რომლისაც მათ ეშინიათ. როდესაც რაიმეს დაგაძალებენ, დაემორჩილეთ, მაგრამ ინიციატივა არასოდეს გამოიჩინოთ. საკუთარი ინიციატივით მათკენ ერთი ნაბიჯიც კი არასდროს გადადგათ, საკუთარი ინიციატივით არ ისურვოთ, არ ითხოვოთ და არც მიზნად არ დაისახოთ რაიმე. მძარცველს იმის საშუალებას ნუ მისცემთ, რომ თქვენი მეგობრობა და კეთილისმყოფლობა ამტკიცოს. თქვენს დამტუსაღებლებს ნუ მისცემთ იმის ნებას, რომ თავი მოიკატუნონ, თითქოს საპყრობილე თქვენი არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა იყოს. ნუ მისცემთ მათ რეალობის გაყალბების საშუალებას. ეს სიყალბე არის ერთადერთი ჯებირი, რომელიც მათ ფარულ შიშს აკავებს, იმის ცოდნის შიშს, რომ ისინი არსებობისთვის შეუფერებელნი არიან; მოაშორეთ ეს ჯებირი, დაე, დაიხრჩონ; თქვენი დასტური მათთვის ერთადერთი სამაშველო რგოლია.

— თუ თქვენ შესაძლებლობა გამოგიჩნდებათ, რომ მათგან მოშორებით, სადმე უკაცრიელ ადგილზე გაიქცეთ, გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა, მაგრამ არ გახდეთ ყაჩაღი და არ შექმნათ დაჯგუფება მათ შანტაჟთან გასაჯიბრებლად; თქვენი ნაყოფიერი ცხოვრება იმათთან ერთად შექმენით, ვინც ეთანხმება თქვენს ზნეობრივ კოდექსს და ვინც მზად არის, იბრძოლოს ადამიანის არსებობისთვის. თქვენ ვერ გაიმარჯვებთ სიკვდილის ზნეობის საფუძველზე ან რწმენისა და ძალის კოდექსის საშუალებით; შემოიღეთ სტანდარტი, რომელსაც გულწრფელი ადამიანები შეაფარებენ თავს: სიცოცხლისა და გონების სტანდარტი.

— იმოქმედეთ გონიერი არსებასავით და მიზნად დაისახეთ, გახდეთ გამაერთიანებელი წერტილი მათთვის, ვისაც ერთიანობის გამოვლენა სწყურია, იმოქმედეთ თქვენი გონივრული ღირებულებების თანახმად, მიუხედავად იმისა, მარტო დარჩებით მტრებით გარშემორტყმული, გვერდით რამდენიმე ერთგული მეგობარი გეყოლებათ თუ კაცობრიობის ხელახლა დაბადების მიჯნაზე მცირე თემს დააფუძნებთ.

— როდესაც თავისი საუკეთესო მონების გარეშე დარჩენილი მძარცველების სახელმწიფო ჩამოირღვევა, როდესაც ის დაეშვება უღონო ქაოსის დონემდე, აღმოსავლეთის მისტიციზმით მართული ერების მსგავსად, და იმ მოშიმშილე ყაჩაღების ბანდებად დაიშლება, რომლებიც ერთმანეთს გაძარცვავენ, როდესაც მსხვერპლის გაღების ზნეობის დამცველები თავიანთი უცვლელი იდეალის გამო დაიღუპებიან, მაშინ და იმ დღეს დავბრუნდებით ჩვენ.

— ჩვენი ქალაქის — საკვამლე მილების, მილსადენების, ბაღების, მაღაზიებისა და ხელშეუხებელი სახლების ქალაქის, — კარიბჭეებს იმათ გავუღებთ, ვინც ღირსი იქნება, შემოვიდეს. ჩვენ გამაერთიანებელი ცენტრი ვიქნებით იმ ფარული დასახლებებისთვის, რომლებსაც თქვენ შექმნით. დოლარის ნიშნით, თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი გონების ნიშნით, რომელიც ჩვენი სიმბოლო იქნება, ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვიხსნით ამ ქვეყანას იმ უძლური ველურებისგან, რომლებსაც არასდროს აღმოუჩენიათ მისი ბუნება, დანიშნულება და ბრწყინვალება. ისინი, ვისაც სურვილი გაუჩნდებათ, შემოგვიერთდებიან; მათ, ვისაც ეს არ ენდომებათ, არ ექნებათ საკმარისი ძალა ჩვენ შესაჩერებლად; ველურთა ურდოები არასდროს ქმნიდნენ დაბრკოლებას იმ ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც სტანდარტი გონებაა.

— შემდეგ ეს ქვეყანა კიდევ ერთხელ გახდება თავშესაფარი გადაშენების გზაზე მდგომი სახეობისთვის: გონიერი არსებისთვის. პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ჩვენ შევქმნით, გამოიხატება ერთი ზნეობრივი დებულებით: არც ერთ ადამიანს არ აქვს უფლება, მიიღოს რაიმე სახის ღირებულება ფიზიკური ძალის გამოყენებით.

ყოველი ადამიანი იდგება ან დაეცემა, იცოცხლებს ან მოკვდება საკუთარი გონივრული განსჯის უნარის საშუალებით. თუ ის მარცხს განიცდის მის გამოყენებაში და დაეცემა, მისი ერთადერთი მსხვერპლი მხოლოდ საკუთარი თავი იქნება. თუ მას ეჭვი შეეპარება თავისი განსჯის უნარის შესაბამისობაში, იარაღი მის გასაუმჯობესებლად არ მიეცემა. თუკი გადაწყვეტს თავისი შეცდომების გამოსწორებას დროულად, მას უკეთესი ადამიანების ნათელი მაგალითი ექნება სახელმძღვანელოდ, აზროვნება რომ ისწავლოს; მაგრამ ერთი ადამიანის შეცდომების საფასურის მეორე ადამიანის სიცოცხლით გადახდის სისაძაგლეს ბოლო მოეღება.

— იმ სამყაროში თქვენ შეგეძლებათ, დილით გაიღვიძოთ განწყობით, რომელსაც ბავშვობაში იცნობდით: ეს არის გზნების, თავგადასავლების სიყვარულისა და დარწმუნებულობის განწყობა, რომელიც გონივრულ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგია. არც ერთ ბავშვს არ ეშინია ბუნების; ადამიანების მიმართ თქვენი შიში გაქრება, შიში, რომელიც ბოჭავდა თქვენს სულს, შიში, რომელიც ადამიანების არსებაში დაბუდებულ გაუგებართან, არაპროგნოზირებადთან, წინააღმდეგობრივთან, თვითნებურთან, დაფარულთან, გაყალბებულთან, ირაციონალურთან ადრეული შეჯახებისას გაგიჩნდათ. თქვენ პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე იმ არსებების სამყაროში იცხოვრებთ, რომლებიც თანმიმდევრულები და სანდოები იქნებიან, ფაქტების მსგავსად; მათი ხასიათის გარანტია იქნება არსებობის სისტემა, სადაც სტანდარტი და მსაჯული ობიექტური რეალობაა. თქვენი სათნოებები დაცული იქნება, მანკიერებები და სისუსტეები კი არა. თქვენი სიკეთისთვის ყოველი შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იქნება, ბოროტებისთვის კი არა. თქვენ ადამიანებისგან მოწყალებას, სიბრალულს ან ცოდვებისთვის მიტევებას კი არა, ერთადერთ ღირებულებას მიიღებთ: სამართლიანობას. და სხვა ადამიანების ან საკუთარი თავის ყურებისას, ზიზღი, ეჭვი ან დანაშაულის გრძნობა კი არა, ერთადერთი მუდმივა გაგიჩნდებათ: პატივისცემა.

— ასეთია მომავალი, რომლის მოპოვებაც შეგიძლიათ. ის ბრძოლას მოითხოვს, მსგავსად სხვა ადამიანური ღირებულებებისა. მთელი ცხოვრება მიზანმიმართული ბრძოლაა, და თქვენი ერთადერთი არჩევანი მიზნის არჩევაა. გსურთ, გააგრძელოთ თქვენი ახლანდელი ბრძოლა, თუ გსურთ, იბრძოლოთ ჩემი სამყაროსთვის? გინდათ, გააგრძელოთ ბრძოლა, როდესაც უფსკრულის ციცაბო ფერდობზე სახიფათო შვერილებს ეჭიდებით, ბრძოლა, სადაც სიძნელეები გარდაუვალია, გამარჯვებები კი აღსასრულს გაახლოებენ? თუ გსურთ, ის ბრძოლა წამოიწყოთ, როდესაც შვერილების მეშვეობით დარწმუნებით მიიწევთ მაღლა, ბრძოლა, სადაც სიძნელეები თქვენს მომავალში დაბანდებული კაპიტალია და გამარჯვებები უპირობოდ გაახლოებენ თქვენი ზნეობრივი იდეალის სამყაროს, და მანამდეც რომ დაიღუპოთ, ვიდრე მზის სინათლემდე მიაღწევდეთ, მაინც იმ სიმაღლეზე დაიღუპებით, სადაც მზის სხივები აღწევს? ასეთია თქვენ წინაშე არსებული არჩევანი. დაე, ეს თქვენმა გონებამ და სიცოცხლისადმი თქვენმა სიყვარულმა გადაწყვიტოს.

— ჩემი უკანასკნელი სიტყვებით იმ გმირებს მივმართავ, რომლებიც შესაძლოა, ჯერ კიდევ იმალებიან ამ სამყაროში, რომლებიც იმიტომ კი არ არიან

დატყვევებულნი, რომ პასუხისმგებლობას გაურბიან, არამედ თავიანთი სათნოებებისა და თავგანწირული მხნეობის გამო. ჩემო სულიერო ძმებო, გადაამოწმეთ თქვენი სათნოებები და იმ მტრების ბუნება, რომლებსაც ემსახურებით. თქვენი გამანადგურებლები თქვენ გაკავებენ თქვენი ამტანობის, დიდსულოვნების, მიამიტობის, სიყვარულის მეშვეობით, იმ ამტანობის მეშვეობით, რომელიც მათ ტვირთს ეზიდება, იმ დიდსულოვნების მეშვეობით, რომელიც ეხმაურება მათ სასოწარკვეთილ გოდებას, იმ მიამიტობის მეშვეობით, რომელსაც ვერ წარმოუდგენია მათი ბოროტება და ყოველთვის ცდილობს, გაამართლოს ისინი, უარს ამბობს გაგების გარეშე მათ გაკიცხვაზე და არ შეუძლია ისეთი მოტივების გაგება, მათ რომ ამოძრავებთ, იმ სიყვარულის, სიცოცხლისადმი თქვენი სიყვარულის საშუალებით, რომელიც გაჯერებთ, რომ ისინი ადამიანები არიან და მათაც უყვართ სიცოცხლე. მაგრამ დღევანდელი მსოფლიო სწორედ ის სამყაროა, მათ რომ სურდათ; მათი სიძულვილის საგანი სიცოცხლეა. დატოვეთ ისინი იმ სიკვდილის პირისპირ, რომელსაც ეთაყვანებიან. ამ დედამიწისადმი თქვენი გასაოცარი თავდადების სახელით, დატოვეთ ისინი, თქვენი სულის სიდიადეს მათი ბოროტების გამარჯვებას ნუ შეალევთ. გესმის ჩემი... ჩემო ძვირფასო?

— თქვენში საუკეთესოს სახელით, ნუ შესწირავთ ამ სამყაროს მის ყველაზე ცუდ წარმომადგენლებს. იმ ღირებულებების სახელით, რომლებიც სიცოცხლეს გინარჩუნებთ, ნუ დაუშვებთ, თქვენი წარმოდგენა ადამიანზე დაამახინჯოს იმათ არსებაში დაბუდებულმა სიმახინჯემ, სილაჩრემ და უგუნურებამ, რომლებსაც ადამიანის წოდებისთვის არასდროს მიუღწევიათ. ნუ დაივიწყებთ, რომ ადამიანისთვის შესაფერისი მდგომარეობა გამართული დგომა, მტკიცე გონება და უსასრულო გზებზე სვლაა. ნუ დაუშვებთ, თქვენი ცეცხლი ჩაქრეს, იბრწყინეთ შეუცვლელი ელვარებით მიახლოებითის, არა-სრულის, არა-ჯერ-ის, არა-საერთოდ-ის უიმედო ჭაობებში. ნუ დაუშვებთ, თქვენში მოკვდეს გმირი, მარტო რომ იბრძვის იმ სიცოცხლისთვის, რომელსაც იმსახურებდა, მაგრამ ვერ მოიპოვა. შეამოწმეთ თქვენი ცხოვრების გზა და თქვენი ბრძოლის ბუნება. თქვენი საოცნებო სამყაროს მოპოვება შეიძლება, ის არსებობს, ის რეალურია, ის შესაძლებელია, ის თქვენ გეკუთვნით. მაგრამ მის მოსაპოვებლად თქვენი სრული თავდადება და თქვენი წარსული სამყაროს სრული უკუგდებაა საჭირო, იმ მოძღვრების უკუგდება, რომ ადამიანი სხვების სიამოვნებისთვის არსებული სამსხვერპლო ცხოველია.

იბრძოლეთ თქვენი პიროვნების ღირებულებისთვის. იბრძოლეთ თქვენი სიამაყისთვის. იბრძოლეთ არსისთვის, ადამიანი რომ გულისხმობს: მისი დამოუკიდებელი, რაციონალური გონებისთვის. იბრძოლეთ დიადი რწმენითა და აბსოლუტური ერთგულებით ცოდნისადმი, რომ თქვენ გეკუთვნით სიცოცხლის ზნეობა და ბრძოლა ნებისმიერი მიღწევისთვის, ღირებულებისთვის, სიდიადისთვის, სიკეთისთვის, სიამოვნებისთვის, რასაც კი ოდესმე უარსებია სამყაროში.

— თქვენ გაიმარჯვებთ, როდესაც მზად იქნებით იმ ფიცის წარმოსათქმელად, რომელიც მე ჩემი ბრძოლის დასაწყისში დავდე. და მათთვის, ვისაც სურს, გაიგოს, როდის დავბრუნდები უკან, მე ახლა მთელი მსოფლიოს გასაგონად გავიმეორებ ამ ფიცს:

„ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს და მისდამი ჩემს სიყვარულს, რომ მე არასოდეს ვიცხოვრებ სხვა ადამიანის გულისთვის და არც სხვას მოვთხოვ ჩემთვის არსებობას“.

ეგოისტი

— ეს ხომ არ იყო რეალური? — თქვა მისტერ ტომპსონმა.

როდესაც გოლტის ხმა მიწყდა და სიჩუმემ დაისადგურა, არავინ განძრეულა; იდგნენ და თითქოს რაღაცას ელოდებოდნენ, რადიომიმღებს შეჰყურებდნენ, მაგრამ ის ახლა მხოლოდ ხის ყუთიღა იყო, რამდენიმე ღილაკითა და დადუმებულ რეპროდუქტორზე გადაფარებული წრიული ფორმის ქსოვილით.

— გამოვიდა, რომ ვუსმინეთ მას, — წარმოთქვა ტინკი ჰოლოვეიმ.

— ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებდით, — თქვა ჩიკ მორისონმა.

მისტერ ტომპსონი ტუმბოზე იჯდა. მკრთალი და წაგრძელებული ლაქა მისი იდაყვის გასწვრივ უესლი მაუჩის სახე იყო, ის იატაკზე მოკალათებულიყო. უკან, მოშორებით, ნახევრად ჩაბნელებულ ვრცელ სტუდიაში, კუნძულივით განმარტოებულიყო გადაცემისთვის აგებული გაჩახჩახებული სასტუმრო ოთახის დეკორაცია, დადუმებული მიკროფონების დაბლა ნახევარწრედ ჩამწკრივებული, განათებული ცარიელი სავარძლები მოჩანდა, მათ თავზე დაკიდებული პროჟექტორების გამორთვა ყველას დავიწყებოდა.

მისტერ ტომპსონი თავის გარშემო მყოფი ადამიანების სახეებს აკვირდებოდა, გეგონებოდა, მხოლოდ მისთვის ცნობილ განსაკუთრებულ ვიბრაციებს ეძებდა. დანარჩენებიც იმავეს ცდილობდნენ მალულად, თითოეულ მათგანს სურდა, სხვების მზერა დაეჭირა, ოღონდ მისი საკუთარი გამომეტყველების დანახვა ვერავის ვერ მოეხერხებინა.

— აქედან გამიშვით! — იყვირა უცბად ერთ-ერთმა ახალგაზრდა თანაშემწემ, თითქოს კონკრეტულად არავის არ მიმართავდა.

— ფეხი არ მოიცვალო! — დაუღრინა მისტერ ტომპსონმა.

საკუთარი ხმისა და სადღაც წყვდიადში უმოძრაოდ გაშეშებული ფიგურის სლოკინის მსგავსი კვნესის გაგონებამ ტომპსონს თითქოს ნაცნობი რეალობის აღქმა ისევ დაუბრუნა. თავი ოდნავ წამოსწია.

— ვინ დაუშვა ამის... — დაიწყო ტომპსონმა ხმამაღლა, მაგრამ უცებ გაჩერდა; საკუთარ ხმაში კუთხეში მიმწყვდეული ადამიანისთვის დამახასიათებელი სახიფათო პანიკა შენიშნა, — რას იტყვით ამ ყველაფერზე? — იკითხა მერე.

პასუხი არავის გაუცია.

— აბა? — ტომპსონმა პაუზა გააკეთა, — აბა, თქვით ვინმემ რაიმე!

— ჩვენ არ უნდა დავიჯეროთ ეს, ხომ ასეა? — წამოიყვირა ჯეიმს ტაგარტმა და თავი ლამის მუქარით მიუახლოვა სახე ტომპსონს, — ასეა?

ტაგარტს სახე შეშლოდა; ნაკვთებს ფორმა დაეკარგათ; ცხვირსა და ტუჩებს შორის ოფლის მძივები წვრილი ულვაშივით ბრწყინავდა.

— დაწყნარდი, — თქვა მისტერ ტომპსონმა ჭოჭმანით და ცოტათი გაიწია ჯიმისგან.

— ჩვენ არ უნდა დავიჯეროთ ეს! — ტაგარტის კატეგორიულ, დაჟინებულ ხმაში თითქოს ტრანსში დარჩენისთვის გაწეული ძალისხმევა გაისმოდა, — ეს ადრე არავის არ უთქვამს! ეს მხოლოდ ერთადერთმა ადამიანმა თქვა! ჩვენ ეს არ უნდა დავიჯეროთ!

— დამშვიდდი, — მიმართა მას ტომპსონმა.

— რატომ არის ის ასეთი დარწმუნებული თავის სიმართლეში? ვინაა ის, რომ მთელ სამყაროს დაუპირისპირდეს, ყველაფერს, რაც საუკუნეების განმავლობაში

უთქვამთ? ვინაა ის, რომ იცოდეს? ვერავინ ვერ იქნება დარწმუნებული! არავინ იცის, რა არის სწორი! არაფერი არ არის სწორი!

— მოკეტე! — იყვირა მისტერ ტომპსონმა, — რას ცდილობ...

ჰაერის ნაკადი, რომელმაც ტომპსონს სიტყვა შეაწყვეტინა, რადიომიმღებიდან გადმომსკდარი სამხედრო მარში იყო. სამი საათის წინ შეწყვეტილი მარში სტუდიური ჩანაწერისთვის დამახასიათებელი გამყინავი ხმით ისმოდა. ყველანი გაოგნდნენ, რამდენიმე წუთი დასჭირდათ მის აღსაქმელად, ამ დროს კი, სიჩუმეში, ფეხით მარშირებასავით გაისმოდა მხიარული და ხმამაღალი აკორდები, აღმაშფოთებლად უადგილო, შლეგის სიცილის მსგავსად. რადიოსადგურის პროგრამების დირექტორი გაუაზრებლად ემორჩილებოდა იმ აბსოლუტს, რომ რადიოეთერი ცარიელი არასდროს უნდა დარჩენილიყო.

— უთხარით, გამორთონ მუსიკა! — იყვირა უესლი მაუჩმა და ფეხზე წამოხტა, — ხალხი იფიქრებს, რომ ჩვენ გავეცით ნებართვა ამ მოხსენებაზე!

— წყეულო სულელო! — წამოიძახა მისტერ ტომპსონმა, — აბა, გირჩევნია, იფიქრონ, რომ ეს ჩვენი ნებართვის გარეშე მოხდა?

მაუჩი უცებ შეჩერდა და ტომპსონს პატივისცემის გამომხატველი მზერა მიაპყრო, თითქოს დილეტანტი იყო, რომელიც ოსტატს შესცქეროდა.

— გადაცემები ჩვეულებრივ გაუშვით! — გასცა ტომპსონმა განკარგულება, — უთხარით მათ, რომ გაუშვან, რაც ამ დროისთვის ჰქონდათ დაგეგმილი! არავითარი სპეციალური განცხადებები და ახსნა-განმარტებები! უთხარით მათ, რომ ისე გააგრძელონ, თითქოს არაფერი მომხდარა!

ჩიკ მორისონის ხელქვეითი მორალური მდგომარეობის ექვსიოდე მმართველი ტელეფონებს მივარდა.

— კომენტატორები გააჩუმეთ! ეს ქვეყნის ყველა რადიოსადგურს აცნობეთ! დაე, ყველა ინტერესმა შეიპყროს! არავის არ აფიქრებინოთ, რომ შეშფოთებულები ვართ! არ აფიქრებინოთ, რომ ეს მნიშვნელოვანია!

— არა! — დაიყვირა იუჯინ ლოუსონმა, — არა, არა, არა! არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მხარს ვუჭერთ ამ მოხსენებას! ეს საშინელებაა, საშინელებაა, საშინელება!

ლოუსონი არ ტიროდა, მაგრამ ხმა უსუსური მძვინვარებისგან სამარცხვინოდ მოქვითინე ზრდასრული ადამიანისას მიუგავდა.

— ვინმემ მხარდაჭერა ახსენა? — წამოიძახა მისტერ ტომპსონმა.

— ეს საშინელებაა! ეს უზნეობაა! ეს ეგოიზმია, გულქვაობაა, ულმობლობაა! ეს ყველაზე მავნებლური მოხსენებაა, რაც კი ოდესმე გაკეთებულა! ის... ის ხალხს ბედნიერების მოთხოვნისკენ უბიძგებს!

— ეს მხოლოდ მოხსენებაა, — თქვა ტომპსონმა, არცთუ მაინცდამაინც მტკიცედ.

— მე მგონია, — სცადა ჩიკ მორისონმა, დაეჭვებული და თან გამამხნევებელი ხმით წარმოეთქვა, — რომ კეთილშობილური სულის ადამიანები, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რასაც ვგულისხმობ, ადამიანები, რომლებსაც... რომლებსაც... მისტიკური ხედვა აქვთ, — მორისონი გაჩერდა, თითქოს სილის გაწვნას მოელოდა, მაგრამ არავინ განძრეულა, ასე რომ, დაწყებული წინადადება მტკიცე ხმით გააგრძელა, — დიახ, ის ადამიანები, ვისაც მისტიკური ხედვა აქვთ, არ მოიწონებენ ამ მოხსენებას. ბოლოს და ბოლოს, ლოგიკა ყველაფერი არ არის.

— მუშები არ მოიწონებენ მას, — თქვა ტინკი ჰოლოვეიმ ცოტათი უფრო მხნედ, — გოლტი მუშათა კლასის მეგობარს არ ჰგავდა.

— არც ქალები არ მოიწონებენ ამ მოხსენებას, — განაცხადა დედა ჩალმერსმა, — დარწმუნებული ვარ, ეს ასე იქნება, რადგან დამტკიცებული ფაქტია, რომ ქალები არ ინტერესდებიან გონებასთან დაკავშირებული ასეთი მონაჩმახით. მათ უფრო ფაქიზი გრძნობები აქვთ. შეგიძლიათ, ქალების იმედი გქონდეთ.

— შეგიძლიათ, მეცნიერების იმედიც იქონიოთ, — თქვა საიმონ პრიტჩეტმა.

მოულოდნელად ყველას მოუნდა ლაპარაკი, თითქოს ისეთი თემა აღმოაჩინეს, რომლის შესახებაც დარწმუნებით შეეძლოთ მსჯელობა, — მეცნიერები ისეთი სულელები არ არიან, რომ გონების ირწმუნონ. გოლტი არ არის მეცნიერების მეგობარი.

— ის არავის მეგობარი არ არის, — თქვა უესლი მაუჩმა, რომელსაც უეცარმა გაცნობიერებამ მხნეობა შემატა, — გარდა დიდი ბიზნესისა.

— არა! — წამოიყვირა შეშინებულმა მისტერ მოუენმა, — არა! ჩვენ ნუ დაგვადანაშაულებთ! ამას ნუ იტყვით! ამის ნებას ვერ მოგცემთ!

— მაინც, რას ნუ ვიტყვით?

— რომ... რომ... რომ ვიღაც შეიძლება, ბიზნესის მეგობარი იყოს!

— მოდი, ნუ ავტეხთ ხმაურს ამ მოხსენების გამო, — თქვა დოქტორმა ფლოიდ ფერისმა, — ეს ძალიან ინტელექტუალური მოხსენება იყო. ზედმეტად ინტელექტუალური უბრალო ხალხისთვის. ის შედეგს ვერ მოიტანს. ადამიანები მეტისმეტად სულელები არიან მის გასაგებად.

— კი, — თქვა მაუჩმა იმედიანად, — ასეა.

— ჯერ ერთი, — თქვა დოქტორმა ფერისმა გამხნევებული ხმით, — ადამიანებს აზროვნება არ შეუძლიათ. მეორეც, მათ არც სურვილი აქვთ აზროვნების.

— მესამეც, — თქვა ფრედ კინანმა, — მათ არ სურთ შიმშილობა. მაინც, რას ფიქრობთ, რა შეიძლება, ამ ყველაფერთან დაკავშირებით გაკეთდეს?

გეგონებოდა, კინანმა ის კითხვა დასვა, რომლის თავიდან აცილებასაც ისახავდა მიზნად ყველაფერი, რაც მანამდე ითქვა. მისთვის არავის უპასუხია, მაგრამ იქ მყოფებმა თავები ღრმად ჩარგეს მხრებში და ერთმანეთისკენ მიიწივნენ, თითქოს სტუდიის ცარიელი სივრცის წნევის დაწოლით. სამხედრო მარში თავის ქალას მომღიმარე გრიმასის უცვლელი მხიარულებით გუგუნებდა სიჩუმეში.

— გამორთეთ! — დაიყვირა მისტერ ტომპსონმა და რადიომიმღებისკენ გაიქნია ხელი, — გამორთეთ ეს წყეული!

ვიღაცამ რადიო გამორთო, მაგრამ მოულოდნელი სიჩუმე უფრო ძნელი ასატანი იყო.

— აბა? — ბოლოს სიჩუმე ტომპსონმა დაარღვია და ზანტად ახედა ფრედ კინანს, — შენი აზრით, რა უნდა გავაკეთოთ?

— ჩემი აზრით? — ჩაიცინა კინანმა, — ამ საქმეებს მე არ ვხელმძღვანელობ.

მისტერ ტომპსონმა მუხლზე დაირტყა მუშტი.

— თქვი რამე! — გასცა მან განკარგულება, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ კინანი შებრუნდა, დაამატა, — ვინმემ თქვას!

ინიციატივა არავის გამოუჩენია.

— რა უნდა გავაკეთოთ? — დაიყვირა მან იმის გაცნობიერებით, რომ ვინც უპასუხებდა, მომავალში ძალაუფალიც სწორედ ის გახდებოდა, — რა უნდა გავაკეთოთ?

ვინმეს შეუძლია, გვითხრას, რა უნდა გავაკეთოთ?

— მე შემიძლია!

ეს ქალის ხმა იყო, მაგრამ ის სწორედ ისე ჟღერდა, როგორც რადიოში მოსმენილი ხმა. ყველანი მანამდე მიბრუნდნენ დაგნისკენ, ვიდრე ის სიბნელეს გამოეყოფოდა. როდესაც დაგნიმ სინათლეში შეაბიჯა, მისმა სახემ ისინი დააფრთხო, რადგან ამ სახეს შიში არ ეტყობოდა.

— მე შემიძლია, — მიმართა დაგნიმ მისტერ ტომპსონს, — თქვენ უნდა დანებდეთ.

— დავნებდეთ? — გაიმეორა ტომპსონმა უაზროდ.

— თქვენ დაამთავრეთ. ვერ ხვდებით, რომ დაამთავრეთ? მეტი რაღა გინდათ მას შემდეგ, რაც მოისმინეთ? დანებდით და გზა გაათავისუფლეთ. მიეცით ადამიანებს თავისუფლად არსებობის საშუალება, — ტომპსონი დაგნის შეჰყურებდა, არც ეწინააღმდეგებოდა და არც ინძრეოდა, — თქვენ ჯერ კიდევ ცოცხლობთ, ადამიანის ენას იყენებთ, პასუხებს ითხოვთ, გონებაზე ამყარებთ იმედს — თქვენ ჯერ კიდევ გონებაზე ამყარებთ იმედს, ღმერთმა დაგწყევლოთ! თქვენ გაქვთ უნარი, გაიგოთ. შეუძლებელია, ეს ვერ გაგეგოთ. ახლა ვეღარ მოგვაჩვენებთ თავს, რომ მართლა გაქვთ რაიმეს იმედი, თქვენ აღარაფერი გსურთ, ვეღარაფერს მიიღებთ, ვერც ვერაფერს მიიტაცებთ და და ვერც მიაღწევთ. წინ მხოლოდ განადგურებაა, მსოფლიოს და თქვენი განადგურება. დანებდით და წადით აქედან.

ისინი დაგნის დაძაბულები უსმენდნენ, მაგრამ ისე, თითქოს მისი სიტყვები არ ესმოდათ, თითქოს გაუცნობიერებლად ებღაუჭებოდნენ ღირსებას, რომელსაც მათ შორის მხოლოდ ქალი ფლობდა: ღირსებას, იყო ცოცხალი. დაგნის ხმის ბრაზმორეულ შეუპოვრობაში მოზეიმე ხარხარი გაისმოდა, თავი მაღლა აეწია, მისი თვალები თითქოს წარმოუდგენელი მანძილით დაშორებულ რაღაც სანახაობას ესალმებოდა, მის შუბლზე მოკაშკაშე ლაქა სტუდიის პროჟექტორის შუქის ანარეკლს კი არა, ამომავალი მზისას ჰგავდა.

— თქვენ სიცოცხლე გსურთ, ხომ ასეა? გაათავისუფლეთ გზა, თუ გინდათ, ამის შესაძლებლობა მოგეცეთ. დაე, ახლა სხვებმა შეგცვალონ. გოლტმა იცის, რა უნდა გაკეთდეს, თქვენ კი არა. მას შეუძლია, კაცობრიობის გადარჩენის პირობები შექმნას, თქვენ კი არა. — ნუ უსმენთ მას!

ეს სიძულვილის გამომხატველი იმგვარი ველური წამოძახილი იყო, რომ ყველამ უკან დაიხია დოქტორ რობერტ სტადლერისგან, თითქოს მან ისეთი რაღაც გაახმოვანა, რის აღიარებასაც ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა. ისინი შეაშინა სტადლერის გამომეტყველებამ. მხსნელ წყვდიადს თავშეფარებულებს სავარაუდოდ თავადაც ასეთივე სახეები ექნებოდათ.

— ნუ უსმენთ მას! — წამოიყვირა სტადლერმა, ის თვალებს არიდებდა ქალს, როდესაც დაგნიმ ცოტა ხნით მის სახეზე შეაჩერა თავიდან განცვიფრებული, შემდეგ კი დამასამარებელი მზერა, — ან თქვენ უნდა იცოცხლოთ, ან გოლტმა!

— გაჩუმდით, პროფესორო, — თქვა მისტერ ტომპსონმა და მკვეთრად აუქნია ხელი. ტომპსონი დაგნის ისე მისჩერებოდა, თითქოს მის გონებაში რომელიღაც აზრი იბადებოდა.

— თქვენ იცით სიმართლე, ყველა თქვენგანმა, — თქვა დაგნიმ, — მეც ვიცი, ყველამ იცის ეს, ვინც ჯონ გოლტს მოუსმინა! რაღას უცდით? მტკიცებულებას? მან მოგცათ მტკიცებულება. ფაქტებს? ყველა ფაქტი თქვენ ირგვლივ არის. მაინც, კიდევ რამდენი გვამი უნდა დაახვავოთ, სანამ ამ ყველაფერზე უარს იტყვით — თქვენს იარაღებზე, თქვენს ძალაუფლებაზე, თქვენ მიერ სხვების კონტროლზე და მთელ თქვენს საცოდავ ალტრუისტულ კრედოზე? მიატოვეთ საქმიანობა, თუ სიცოცხლე

გსურთ. უარი თქვით, ვიდრე ჯერ კიდევ შემოგრჩათ უნარი, გსურდეთ, რომ ამ სამყაროში ადამიანები ცოცხლები დარჩნენ!

— კი მაგრამ, ეს ღალატია! — წამოიყვირა იუჯინ ლოუსონმა, — რასაც ის ამბობს, ნამდვილი ღალატია!

— აბა, აბა, — თქვა მისტერ ტომპსონმა, — უკიდურესობებში უნდა გადახვალთ.

— რა? — იკითხა ტინკი ჰოლოვეიმ.

— კი მაგრამ... მაგრამ ეს ხომ აღმაშფოთებელია? — იკითხა ჩიკ მორისონმა.

— თქვენ ხომ არ ეთანხმებით მას? — იკითხა უესლი მაუჩმა.

— დათანხმებაზე ვინ რა თქვა? — წარმოთქვა მისტერ ტომპსონმა გასაკვირად აუღელვებელი ხმით, — ბავშვებივით ნუ იქცევით. ნებისმიერი არგუმენტი უნდა მოვისმინოთ, ასე არ არის?

— ასეთი არგუმენტი? — იკითხა უესლი მაუჩმა, თან თითი დაგნის მიმართულებით გაიშვირა.

— ნებისმიერი, — უპასუხა ტომპსონმა მშვიდი ხმით, — შემწყნარებლები უნდა ვიყოთ. — კი მაგრამ, ეს ღალატია, დამღუპველია, ვერაგობაა, ეგოიზმი და დიდი ბიზნესის პროპაგანდაა!

— ოჰ, არ ვიცი, — თქვა ტომპსონმა, — ნაჩქარევი დასკვნებისგან თავი უნდა შევიკავოთ. ჩვენ ყველა ადამიანის თვალსაზრისი უნდა გავითვალისწინოთ. დაგნის შესაძლოა, რაღაც მნიშვნელოვანი აქვს ჩვენთვის სათქმელი. გოლტმა იცის, რა უნდა გაკეთდეს. მოქნილობა გვმართებს.

— თქვენ გულისხმობთ, რომ გინდათ, საქმიანობა შეწყვიტოთ? — წამოიძახა მაუჩმა.

— ნაჩქარევი დასკვნები ნუ გამოგაქვს, — მიახალა ტომპსონმა მაუჩს გაბრაზებული ხმით, — ყველაზე მეტად იმ ადამიანებს ვერ ვიტან, რომლებსაც ნაჩქარევი დასკვნები გამოაქვთ. და კიდევ მძულს ის თეორეტიკოსი ინტელექტუალები, რომლებიც ებღაუჭებიან ერთ თეორიას და პრაქტიკული რეალობის განცდა არ გააჩნიათ.

ასეთ დროს ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მოქნილები უნდა ვიყოთ.

ტომპსონმა დაგნისა და დანარჩენების სახეზე გაოგნება დაინახა, ოღონდ მათ გაოგნებას ერთი და იგივე მიზეზი არ ჰქონია. ტომპსონმა გაიღიმა, ფეხზე წამოდგა და დაგნის მიუბრუნდა.

— გმადლობთ, მის ტაგარტ, — უთხრა მან ქალს, — გმადლობთ, რომ თქვენი აზრი გაგვაცანით. მე მსურს, გითხრათ, რომ შეგიძლიათ, მენდოთ და სრული გულახდილობით მესაუბროთ. ჩვენ არ ვართ თქვენი მტრები, მის ტაგარტ. ამ ბიჭებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ — ისინი განაწყენებულები არიან, მაგრამ მალე დაეშვებიან მიწაზე. ჩვენ არც თქვენი მტრები ვართ და არც ქვეყნის. რა თქმა უნდა, შეცდომები დავუშვით, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები ვართ, მაგრამ ვცდილობთ, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთოთ ხალხისთვის — ვგულისხმობ, ყველასთვის — ამ მძიმე დროს. ჩვენ ხომ არ გვაქვს უფლება, ნაჩქარევი დასკვნები გამოვიტანოთ და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებები მივიღოთ? ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ და ყურადღებით ავწონ-დავწონოთ.

მე უბრალოდ, მინდა, გახსოვდეთ, რომ ჩვენ არავის მტრები არ ვართ — თქვენ ხომ გესმით ეს?

— მე ყველაფერი ვთქვი, რაც უნდა მეთქვა, — უპასუხა დაგნიმ და ტომპსონს ზურგი აქცია, ისე, რომ არც კი გაუაზრებია მისი სიტყვების მნიშვნელობა და არც ძალა გააჩნდა მათ გასაგებად.

დაგნი ედი უილერსს მიუბრუნდა, რომელიც ირგვლივ მყოფ ადამიანებს ისეთი აღშფოთებული მზერით შესცქეროდა, რომ პარალიზებული ჩანდა — თითქოს მისი ტვინი გოდებდა: „ეს ბოროტებაა!“ და სხვა ველარაფერი მოესაზრებინა. დაგნიმ თავი გააქნია და უილერსს კარისკენ მიუთითა; ის მორჩილად გაჰყვა ქალს.

დოქტორმა სტადლერმა მოიცადა, სანამ დაგნი და უილერსი კარს გაიხურავდნენ, შემდეგ კი მისტერ ტომპსონს მიუბრუნდა:

— წყეულო სულელო! ვერ ხვდებით, რომ ცეცხლს ეთამაშები? ვერ ხვდებით, რომ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია? რომ ან თქვენ უნდა იცოცხლოთ ან გოლტმა?

მისტერ ტომპსონს ტუჩები მსუბუქად უთრთოდა — ეს სიძულვილის გამომხატველი ღიმილი იყო.

— უცნაური ქცევაა პროფესორისთვის. არ მეგონა, თუ პროფესორებს გაგიჟება შეეძლოთ.

— არ გესმით? ვერ ხედავთ, რომ ან თქვენ უნდა იყოთ ან ის?

— თქვენი აზრით, რა უნდა გავაკეთო?

— თქვენ უნდა მოკლათ გოლტი.

ეს წინადადება სტადლერმა მშვიდად წარმოთქვა, ყვირილით კი არა, მონოტონური, მოულოდნელად სრულიად გულგრილი ხმით, გააზრებულად. ამას პასუხად ოთახში ჩამოწოლილი სამარისებური სიჩუმე მოჰყვა.

— თქვენ უნდა იპოვოთ გოლტი, — განაგრძო სტადლერმა ისევ მკვეთრი, მაღალი ხმით, — ყველაფერი უნდა იღონოთ მის საპოვნელად და გასანადგურებლად! თუ ის იცოცხლებს, ყველა ჩვენგანს გაანადგურებს! ან ჩვენ, ან ის!

— როგორ უნდა ვიპოვო? — იკითხა მისტერ ტომპსონმა აუჩქარებლად, თავშეკავებით.

— მე... მე შემიძლია, გითხრათ ეს. შემიძლია, მიგანიშნოთ. თვალყური ადევნეთ დაგნი ტაგარტს. თქვენს ხალხს დაავალეთ, მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალონ. ადრე თუ გვიან, ის გოლტთან მიგიყვანთ.

— რა იცით?

— განა, ეს აშკარა არ არის? განა, მან დიდი ხნის წინ არ მიგატოვათ, თანაც სრულიად არაშემთხვევით? ნუთუ, ვერ ხვდებით, რომ ის გოლტის ტიპის ადამიანია?

სტადლერს არ დაუკონკრეტებია, რა ტიპის ადამიანს გულისხმობდა.

— კი, — თქვა ჩაფიქრებულმა მისტერ ტომპსონმა, — კი, ეს მართალია. — და კმაყოფილი ღიმილით აიქნია თავი, — პროფესორმა მნიშვნელოვანი რამ გვითხრა. თვალყური ადევნეთ მის ტაგარტს, — უბრძანა მან მაუჩს, — დღე და ღამე უთვალთვალეთ.

ჩვენ უნდა ვიპოვოთ გოლტი.

— დიახ, სერ, — უპასუხა მაუჩმა გაუაზრებლად.

— და როდესაც გოლტს იპოვით, — იკითხა დოქტორმა სტადლერმა დაძაბული ხმით, — ხომ მოკლავთ?

— მოვკლავთ, წყეულო ბრიყვო? ჩვენ ის გვჭირდება! — წამოიყვირა მისტერ ტომპსონმა.

მაუჩი ცოტა ხანს იცდიდა, მაგრამ ვერავინ გაბედა, დაესვა ის კითხვა, რომელიც ყველას უტრიალებდა გონებაში, ამიტომაც ბოლოს თვითონვე მოიკრიბა ძალა და ჩაიბურტყუნა:

— მე არ მესმის თქვენი, მისტერ ტომპსონ.

— ოჰ, თქვე თეორეტიკოსო ინტელექტუალებო! — თქვა ტომპსონმა გაღიზიანებული ხმით, — რა გიკვირთ? ეს ხომ ძალიან მარტივია. ვინც არ უნდა იყოს, გოლტი მოქმედების ადამიანია. გარდა ამისა, გავლენიანი ხალხისგან შემდგარი ჯგუფი ჰყავს: ყველა გონიერი ადამიანი შემოიკრიბა. მან იცის, რა უნდა გააკეთოს. ჩვენ ვიპოვით გოლტს და ის გვეტყვის, რა უნდა გავაკეთოთ. ის ყველაფერს აამოქმედებს.

ის ჩვენ ორმოდან ამოგვათრევს.

— ჩვენ, მისტერ ტომპსონ?

— რასაკვირველია. ნუ წუხხართ თქვენს თეორიებზე. ჩვენ მას მოვურიგდებით.

— მას?

— რა თქმა უნდა. ოჰ, ჩვენ დათმობა მოგვიწევს, რაღაცეები უნდა დავუთმოთ დიდ ბიზნესს, და ეს კეთილდღეობის მქადაგებელ ბიჭებს არ მოეწონებათ, მაგრამ რას დავეძებთ! — სხვა გამოსავალს ხედავთ?

— მაგრამ მისი იდეები...

— ვის ანაღვლებს იდეები?

— მისტერ ტომპსონ, — თქვა სულშეხუთულმა მაუჩმა, — მე... მე ვშიშობ, რომ ის იმ ტიპის ადამიანია, რომელიც გარიგებაზე არ მიდის.

— ასეთები არ არსებობენ, — მიუგო მისტერ ტომპსონმა მაუჩს.

* * *

გარეთ, ქუჩაში, რადიოსადგურის მახლობლად, მიტოვებული მაღაზიების ვიტრინების თავზე, დაზიანებულ აბრებს ცივი ქარი არახუნებდა. ქალაქი არაბუნებრივად წყნარი ჩანდა. ტრანსპორტის მოძრაობის შორეული გრუხუნი ჩვეულებრივზე უფრო ხმადაბლა გაისმოდა და ეს ქარის ხმას კიდევ უფრო აძლიერებდა.

წყვდიადში ცარიელი ტროტუარები გადაჭიმულიყო; აქა-იქ მანათობელი შუქების ქვემოთ ადამიანთა აწოწილი ფიგურებისგან შემდგარ მოჩურჩულე ჯგუფებს მოეყარათ თავი.

ედი უილერსს ხმა არ ამოუღია, სანამ რადიოსადგურს მრავალი კვარტლით არ გასცდნენ. ის მოულოდნელად შეჩერდა უკაცრიელ მოედანზე, სადაც საჯარო დინამიკები, რომელთა გამორთვაც თავში აზრად არავის მოსვლოდა, ახლა ჩაბნელებული სახლების ფასადებით გარშემორტყმული ქვაფენილის დაცარიელებულ მონაკვეთს საოჯახო კომედიას გადასცემდნენ — ცოლი და ქმარი გამყინავი ხმით კამათობდნენ გოგონებზე, რომლებსაც მათი ვაჟი ხვდებოდა. მოედნის გადაღმა, ოცდახუთსართულიანი სახლების თავზე, — ეს ქალაქის ნაგებობათა სიმაღლის უკიდურესი ზღვარი იყო, — ტაგარტების კომპანიის ცათამბჯენის ვერტიკალურად გაბნეული სინათლეები მოჩანდა წერტილებად.

ედი გაჩერდა და შენობაზე აკანკალებული ხელით მიუთითა.

— დაგნი! — წამოიყვირა მან, შემდეგ კი უნებურად ხმას დაუნია, — დაგნი, — წაიჩურჩულა მან, — მე ვიცნობ მას. ის... ის იქ მუშაობს... იქ... — ედი უსაზღვრო უმწეობით იშვერდა თითს ცათამბჯენისკენ, — ის „ტაგარტ ტრანსკონტინენტალში“ მუშაობს...

— ვიცი, — უპასუხა დაგნიმ უსიცოცხლო, მონოტონური ხმით.

— ლიანდაგის მუშად... ლიანდაგის ყველაზე დაბალი რანგის მუშად...

— ვიცი.

— მე მისაუბრია მასთან... წლებია, რაც მას ვესაუბრები... ტერმინალის კაფეტერიაში... ის კითხვებს სვამდა... ათასნაირ კითხვას რკინიგზის შესახებ, და მე... ღმერთო ჩემო, დაგნი! რას ვაკეთებდი, რკინიგზას ვიცავდი, თუ მის განადგურებაში შემქონდა წვლილი?

— ერთსაც და მეორესაც, და ამავე დროს, არც ერთს. ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

— თავს დავდებდი, რომ მას მართლა უყვარდა რკინიგზა!

— მას ახლაც უყვარს რკინიგზა.

— მაგრამ მან გაანადგურა ის.

— ასეა.

დაგნიმ პალტოს საყელო მჭიდროდ შემოიხვია და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით განაგრძო სიარული.

— მე ვესაუბრებოდი ხოლმე მას, — თქვა უილერსმა ცოტა ხნის შემდეგ, — მისი სახე... დაგნი, ეს სახე არავისას არ ჰგავდა, ეს... ეს სახე ამბობდა, რომ მას ძალიან ბევრი რამ ესმოდა... მე მიხაროდა მისი ნახვა იქ, კაფეტერიაში... უბრალოდ, ველაპარაკებოდი... მგონი, ვერც ვაცნობიერებდი, რომ ცდილობდა, გამოვეკითხე... მაგრამ ის მართლა ძალიან ბევრ კითხვას მისვამდა რკინიგზისა და... და შენ შესახებ.

— როდისმე უკითხავს შენთვის, როგორ გამოვიყურებოდი მძინარე?

— ჰო... ჰო, უკითხავს... ერთხელ ოფისში ჩაძინებული გნახე, და ეს რომ ვახსენე, მან... — უილერსი გაჩუმდა, თითქოს უცებ რაღაც კავშირი აღმოაჩინა.

დაგნი ქუჩის ფარნის სინათლეზე მისკენ მიბრუნდა, ერთი წამით ახედა უილერსს, თითქოს მისი აზრის საპასუხოდ და დასადასტურებლად.

ედიმ თვალები დახუჭა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, დაგნი! — დაიჩურჩულა მან.

მათ უხმოდ განაგრძეს სიარული.

— ის ახლა უკვე წასულია, არა, ტაგარტების ტერმინალიდან? — იკითხა ედიმ.

— ედი, — დაგნის ხმა მოულოდნელად გაუმკაცრდა, — თუ მისი სიცოცხლე ძვირფასია შენთვის, ეს კითხვა აღარასოდეს დასვა. შენ ხომ არ გინდა, რომ მათ ის იპოვონ? ნუ მისცემ მათ რაიმე მინიშნებას. ერთი სიტყვაც კი არავისთან დაგცდეს იმის შესახებ, რომ მას იცნობდი. ნუ ეცდები, გაიგო, კიდევ მუშაობს თუ არა ტერმინალში.

— გინდა, თქვა, რომ ის ჯერ კიდევ იქაა?

— არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ შესაძლოა, იქ იყოს.

— ახლა?

— ჰო.

— ჯერ კიდევ?

— ჰო. სიტყვა არ დაგცდეს ამის შესახებ, თუ მისი განადგურება არ გინდა.

— ვფიქრობ, რომ ის წასულია. და აღარ დაბრუნდება. მას მერე არ მინახავს, რაც... მას მერე, რაც...

— რის მერე? — იკითხა დაგნიმ უკმეხად.

— მაისის ბოლოდან. იმ ღამის შემდეგ, რაც იუტაში წახვედი, გახსოვს? — უილერსი გაჩერდა, რადგან იმ ღამის შეხვედრის მოგონებამ და მისი მნიშვნელობის

სრულად გაცნობიერებამ ერთდროულად გაუელვა გონებაში. მერე ძალა დაძაბა და თქვა:

— მე ის იმ ღამეს ვნახე. იქიდან მოყოლებული არ... კაფეტერიაში ველოდებოდი...

ის აღარასდროს დაბრუნებულა უკან.

— ვფიქრობ, შენთან შეხვედრას აღარ მოინდომებს, მაგრამ არ შეეცადო მის მოძებნას. არაფრის დადგენას არ შეეცადო.

— რა ირონიაა. მე ისიც კი არ ვიცი, რა სახელს იყენებდა. ჯონის თუ რაღაც მაგდაგვარს...

— ჯონ გოლტი, — მსუბუქად, სევდიანად ჩაიცინა დაგნიმ, — ტერმინალის სახელფასო უწყისში არ ჩაიხედო. მისი სახელი ჯერ კიდევ იქ არის.

— ასეა? მთელი ამ წლების განმავლობაში ასე იყო?

— თორმეტი წლის განმავლობაში ასე იყო.

— და მისი სახელი ახლაც იქაა?

— კი.

ერთი წუთის შემდეგ უილერსმა თქვა:

— ვიცი, რომ ეს არაფერს ამტკიცებს. კადრების განყოფილებას ერთი სახელიც კი არ ამოუღია სახელფასო უწყისიდან დირექტივა 10-289-ის შემდეგ. თუ ადამიანი შეწყვეტს საქმიანობას, მათ ურჩევნიათ, მისი სახელი და სამსახური თავიანთ მოშიმშილე მეგობარს მისცენ, ვიდრე ეს „გაერთიანების საბჭოს“ შეატყობინონ.

— კადრების განყოფილებას ან ვინმე სხვას კითხვები არ დაუსვა. ნუ გამოიწვევ ინტერესს მის სახელთან მიმართებით. თუ შენ ან მე გამოკითხვას დავიწყებთ მის შესახებ, ვიღაცას შესაძლოა, ეჭვი გაუჩნდეს. ნუ მოძებნი მას. მისი მიმართულებით ერთი ნაბიჯიც არ გადადგა. და თუ შემთხვევით მოჰკრავ თვალს, ისე მოიქეცი, თითქოს არც კი იცნობდე.

უილერსმა ქალს თავი დაუკრა. ცოტა ხნის შემდეგ კი დაძაბული ჩუმი ხმით უთხრა:

— მე მათ გოლტს რკინიგზის გადარჩენის მიზნითაც კი არ ჩავუგდებ ხელში.

— ედი...

— რა?

— თუ როდისმე მოჰკრავ თვალს მას, მითხარი.

უილერსმა თავი დაუქნია.

ორი კვარტალი რომ გაიარეს, მან ხმადაბლა ჰკითხა დაგნის:

— შენ აპირებ, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მიატოვო და გაუჩინარდე, ხომ ასეა?

— ამას რატომ მეკითხები? — თითქმის წამოიყვირა დაგნიმ.

— ასე არ არის?

დაგნიმ პასუხი დააყოვნა; როდესაც ალაპარაკდა, სასოწარკვეთა მის ხმაში მხოლოდ თავშეკავებული მონოტონურობით გაკრთა:

— ედი, მე თუ წავალ, რა დაემართება ტაგარტების მატარებლებს?

— ტაგარტების მატარებლები ერთ კვირაში აღარ იარსებებს, შესაძლოა, უფრო მალეც.

— ათ დღეში მძარცველების მთავრობა აღარ იქნება. შემდეგ კი კაფი მეგზის მსგავსი ადამიანები ჩვენს უკანასკნელ სარკინიგზო რელსებსა და ძრავებს დაიტაცებენ. უნდა წავაგო ბრძოლა იმის გამო, რომ კიდევ ერთ წუთს ვერ შევძელი მოცდა? როგორ შემიძლია, „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ განადგურება დავუშვა,

ედი, მისი სამუდამოდ განადგურება დავუშვა მაშინ, როდესაც კიდევ ერთმა უკანასკნელმა ძალისხმევამ შეიძლება, მას არსებობა შეუნარჩუნოს? თუ აქამდე გავუძელი ამ ყველაფერს, ცოტა ხანს კიდევ მოვითმენ. სულ ცოტა ხანს. მე არ ვეხმარები მძარცველებს. მათ ახლა აღარაფერი უშველით.

— რას აპირებენ ისინი?

— არ ვიცი. რისი გაკეთება შეუძლიათ? მათი საქმე წასულია.

— მეც ასე მგონია.

— ვერ დაინახე, რა დღეში იყვნენ? ისინი საცოდავი, შეშინებული ვირთხები არიან, რომლებიც სიცოცხლეს ებღაუჭებიან.

— ის მათთვის რამეს ნიშნავს?

— რა?

— სიცოცხლე.

— ისინი ჯერ კიდევ იბრძვიან, ასე არ არის? მაგრამ მათი საქმე წასულია და ეს იციან.

— როდისმე გაუთვალისწინებიათ რაიმე, რაც იცოდნენ?

— მოუწევთ. დანებდებიან. სულ მალე. და მაშინ ჩვენ აქ ვიქნებით, რომ გადავარჩინოთ ის, რაც დარჩენილი იქნება.

— მისტერ ტომპსონს სურს, ყველამ გაიგოს, — აცხადებდნენ გადაცემებში 23 ნოემბრის დილას, — რომ განგაშის საფუძველი არ არსებობს. ის მოუწოდებს საზოგადოებას, თავი შეიკავოს ნაჩქარევი დასკვნებისგან. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დისციპლინა, მორალური მდგომარეობა, ერთიანობა და შემწყნარებლობა. ის უჩვეულო მოხსენება, რომელიც შესაძლოა, ზოგიერთმა თქვენგანმა წუხელ მოისმინა რადიოთი, მსოფლიოს პრობლემებთან დაკავშირებით ჩვენი იდეების ფონდში შეტანილი შთამაგონებელი წვლილი იყო. ჩვენ ეს მოხსენება სერიოზულად უნდა გავითვალისწინოთ და თავი შევიკავოთ უკიდურესობებისგან — არც სრულად უარვყოთ და არც განუსჯელად დავეთანხმოთ. ის ერთ-ერთ თვალსაზრისად უნდა მივიჩნიოთ იმ მრავალ თვალსაზრისს შორის, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ჩვენს დემოკრატიულ ფორუმში არსებობს და რომელიც, როგორც გუშინდელმა საღამომაც დაადასტურა, ყველასთვის ღიაა. როგორც მისტერ ტომპსონი ამბობს, ჭეშმარიტება მრავალწახნაგოვანია. ჩვენ მიუკერძოებლები უნდა დავრჩეთ.

„დუმან“, — წააწერა ჩიკ მორისონმა დასკვნის სახით ანგარიშს, რომელიც საზოგადოების განწყობის შესასწავლად გაგზავნილი ერთ-ერთი საველე აგენტისგან მიიღო. „დუმან“, — წააწერა მან შემდეგ ანგარიშსაც, შემდეგსაც, კიდევ შემდეგსაც.

„დუმილი“, — წერდა ის შეწუხებული სახით, როდესაც თავისი ანგარიშის შეჯამებას აკეთებდა მისტერ ტომპსონისთვის, — „ჩანს, რომ ხალხი დუმს“.

ცეცხლი, რომელიც ზამთრის ერთ ღამეს ავარდა ცაში და ვაიომინგში სახლი გაანადგურა, კანზასის მაცხოვრებლებს არ დაუნახავთ. ისინი პრერიების ჰორიზონტზე მოცახცახე წითელ ნათებას შესცქეროდნენ, ფერმის გასანადგურებლად ავარდნილი ცეცხლის ალს, და ეს ნათება არ არეკლილა პენსილვანიის ქუჩებში გამავალი ფანჯრების მინებზე, სადაც დაკლაკნილი წითელი ენები იმ ცეცხლის იყო, რომელიც ქარხანას ემუქრებოდა განადგურებით. მეორე დილას არავის უხსენებია, რომ ეს ცეცხლი შემთხვევით არ გაჩენილა და, რომ იმ სამი ადგილის მფლობელები სადღაც გაქრნენ. მეზობლები ამ ყველაფერს მდუმარედ და გაკვირვების გარეშე ადევნებდნენ თვალყურს. მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე სახლი იპოვეს მიტოვებული, ზოგი ჩაკეტილი და ცარიელი იყო, ზოგი კი ღია და

მოძრავი საგნებისგან დაცლილი — მაგრამ ადამიანები უხმოდ უყურებდნენ ამ ყველაფერს და, განთიადისწინა წყვდიადის ნისლში მოუვლელი, დანამქრული ქუჩებით ჩვეულებრივზე ცოტათი უფრო ნელა მილასლასებდნენ თავიანთი სამსახურებისკენ.

შემდეგ, 27 ნოემბერს, კლივლენდში, პოლიტიკურ შეკრებაზე მომხსენებელი სცემეს და ის იძულებული გახდა, ჩაბნელებული ქუჩებით გაქცეულიყო იქიდან. მისი მდუმარე მსმენელები მაშინ გამოცოცხლდნენ მოულოდნელად, როდესაც მან დაიყვირა, რომ ყველა მათი პრობლემის მიზეზი მათივე ეგოისტური ზრუნვა იყო საკუთარ პრობლემებზე.

29 ნოემბრის დილას, მასაჩუსეტსში, ფეხსაცმლის მწარმოებელი ფაბრიკის მუშებს გაუკვირდათ, როდესაც სამსახურში გამოცხადებულებმა აღმოაჩინეს, რომ ზედამხედველი ჯერ არ მისულიყო. მაგრამ მათ მაინც დაიკავეს თავიანთი პოზიციები და შეუდგნენ თავიანთ ჩვეულ რუტინას — ბერკეტების ჩამოწევას, ღილაკების ჩართვას, ავტომატურ გამომჭრელებში ტყავის ჩადებას, კონვეიერზე ყუთების დაწყობას. საათები გადიოდა და მუშებს უკვირდათ, რატომ არსად ჩანდა ზედამხედველი, ხელმძღვანელი, გენერალური მენეჯერი ან კომპანიის პრეზიდენტი. მათ მხოლოდ შუადღისას აღმოაჩინეს, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელების კაბინეტები ცარიელი იყო.

— თქვე წყეულო კაციჭამიებო! — ყვიროდა ქალი ხალხით გადაჭედილ კინოთეატრში და ისტერიკულად ქვითინებდა, აუდიტორიას კი გაოცების ნატამალი არ დასტყობია, თითქოს ეს ქალი ყველა მათგანის მაგივრად ყვიროდა.

— განგაშის მიზეზი არ არსებობს, — აცხადებდნენ გადაცემებში 5 დეკემბერს, — მისტერ ტომპსონს სურს, ყველამ გაიგოს, რომ ის მზად არის, ითანამშრომლოს ჯონ გოლტთან ჩვენი პრობლემების სწრაფად მოგვარების გზებისა და საშუალებების მოსაფიქრებლად. მისტერ ტომპსონი ხალხს მოთმინებისკენ მოუწოდებს. ჩვენ არ უნდა შევშფოთდეთ, არ უნდა დავეჭვდეთ, იმედი არ უნდა დავკარგოთ.

ილინოისის საავადმყოფოს მომსახურე პერსონალს საერთოდ არ გაჰკვირვებია, როდესაც იქ თავისი უფროსი ძმის მიერ ნაცემი კაცი მიიყვანეს. მას მთელი ცხოვრება უფროსი ძმა ეხმარებოდა: საავადმყოფოში მიყვანამდე უმცროსი ძმა უფროსს ეჩხუბა და ის ეგოიზმში და სიხარბეში დაადანაშაულა. არც ნიუ-იორკის საავადმყოფოს ექიმებს გაჰკვირვებიათ, როდესაც იქ ყბამოტეხილი ქალი მიიყვანეს: მას სახეში სრულიად უცნობმა ადამიანმა დაარტყა, რომელმაც გაიგონა, როგორ ავალებდა ქალი თავის ხუთი წლის ვაჟს, თავისი საუკეთესო სათამაშო მეზობლების ბავშვებისთვის მიეცა.

ჩიკ მორისონი შეეცადა, ხალხის განწყობის ასამაღლებლად, გასვლითი სააგიტაციო კამპანია ჩაეტარებინა საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მსხვერპლის გაღების შესახებ მოხსენებების მეშვეობით. პირველივე შეკრებებზე მორისონს ქვები დაუშინეს და მას ვაშინგტონში დაბრუნება მოუწია.

მართალია, არავის უწოდებია მათთვის „უკეთესი ადამიანები“ და არც ამ წოდების მინიჭების შემთხვევაში უცდია ვინმეს მისი მნიშვნელობის გაცნობიერება, მაგრამ ყველამ იცოდა, თითოეულმა თავის საკუთარ საზოგადოებაში, სამეზობლოში, ოფისში თუ მაღაზიაში, თავისი აუხსნელი წარმოდგენის მეშვეობით, თუ ვინ იქნებოდნენ ის ადამიანები, ვინც მეორე დღეს აღარ გამოცხადდებოდნენ თავიანთ პოზიციებზე და ხმის ამოუღებლად გაუჩინარდებოდნენ უცნობი საზღვრების საძიებლად — ისინი, რომელთა სახეებიც გარშემომყოფების სახეებზე მკაცრი იყო,

მზერა უფრო პირდაპირი, ხოლო ხასიათი უფრო მტკიცე. ეს ადამიანები ახლა ქვეყნის ყველა კუთხეებიდან ერთიმეორის მიყოლებით უჩინარდებოდნენ, თვითონ ქვეყანა კი ჰემოფილიის სენით ღონემიხდილ სამეფო გვარის შთამომავალს დაემსგავსა, რომელიც საუკეთესო სისხლს კარგავდა შეუხორცებელი ჭრილობიდან.

— კი მაგრამ, ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისთვის! — უყვიროდა მისტერ ტომპსონი თავის თანაშემწეებს და განკარგულებას იძლეოდა, რომ ყველა რადიოსადგურს ეს განცხადება დღეში სამჯერ გაეშვა, — ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისთვის! გოლტი მოისმენს ამას! ის გვიპასუხებს!

საგანგებო მომსმენებს დაევალათ, დღედაღამ ესმინათ რადიომიმღებებისთვის ყველა ცნობილ სიხშირეზე და რომელიღაც უცნობ გადამცემზე პასუხს დალოდებოდნენ. პასუხი არსაიდან არ ისმოდა.

ქალაქების ქუჩებში მომრავლდა გულგრილი, უიმედო და უაზრო სახეები, თუმცა ვერავის ამოეცნო, რას მალავდა ეს გამომეტყველებები. როგორც ერთნი აფარებდნენ თავს საკუთარი სხეულის გადასარჩენად დაუსახლებელ მხარეებს, სხვებსაც თავიანთი სულების ხსნა მხოლოდ საკუთარივე გონების თავშესაფარში გაქცევით შეეძლოთ. და ვერავის გაეგო, ამ ადამიანების ცარიელი, გულგრილი თვალები იმ მაღაროების ფსკერზე დამალული განძის დამცავი დარაბები იყო, რომლებსაც აღარ თხრიდნენ, თუ მხოლოდ ფართოდ დაღებული ხვრელები იმ პარაზიტული სიცარიელისა, რომელიც არასოდეს ამოივსებოდა.

— არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო, — თქვა ნავთობსახდელი ქარხნის დირექტორის თანაშემწემ, როდესაც უარი განაცხადა თავისი გაუჩინარებული ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებაზე, და „გაერთიანების საბჭოს“ აგენტები ვერ მიმხვდარიყვნენ, ცრუობდა თუ არა ის. მხოლოდ მისი ხმის დარწმუნებულმა ტონმა, ყოველგვარი მობოდიშებისა და სირცხვილის გარეშე, დააფიქრა ისინი, ამბოხებული იყო თანაშემწე თუ სულელი. ორივე შემთხვევაში, მისთვის ხელმძღვანელის თანამდებობის დაძალება სახიფათო იყო.

„მოგვეცით ადამიანები!“ — უფრო და უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ „გაერთიანების საბჭოსგან“ უმუშევრობით გაპარტახებული ქვეყნის ყველა კუთხიდან. ვერც მთხოვნელები და ვერც საბჭო ვერ ბედავდნენ, ამ მოთხოვნისთვის დაემატებინათ ის საშიში სიტყვა, მასში რომ იგულისხმებოდა: „მოგვეცით უნარიანი ადამიანები!“

გრძელი რიგები დადგა დამლაგებლების, მზეთავების, მებარგულებისა და ოფიციანტის თანაშემწეების პოზიციების დასაკავებლად, თუმცა აღმასრულებლობის, მენეჯერობის, ხელმძღვანელობის, ინჟინრობის მსურველები არსად ჩანდნენ.

ბრძმედებისა და ნავთობსახდელი ქარხნების აფეთქებებმა, გაუმართავი თვითმფრინავების ავარიებმა, მატარებლების შეჯახებებმა და ახალბედა აღმასრულებლების ოფისებში გამართული ღრეობების შესახებ გავრცელებულმა ჭორებმა საბჭოს წევრებს შიში გაუჩინა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავებას.

— ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას! ნუ დანებდებით! — აცხადებდნენ გადაცემებში 15 დეკემბრიდან მოყოლებული, — ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას ჯონ გოლტთან. ჩვენ მას ვიპოვით, რათა გვიხელმძღვანელოს. ის ყველა ჩვენს პრობლემას მოაგვარებს. ის აამუშავებს ყველაფერს. ნუ დანებდებით! ჩვენ ვიპოვით ჯონ გოლტს!

მენეჯერის თანამდებობის პრეტენდენტებს ჯილდოებს ჰპირდებოდნენ, შემდეგ ეს დაპირებები ზედამხედველებისა და გამოცდილი მექანიკოსების პოზიციებსაც შეეხო, ბოლოს კი უკვე ნებისმიერ ადამიანს, ვინც თანამდებობრივ დაწინაურებას შეეცდებოდა. ეს ჯილდოები იყო: ხელფასის გაზრდა, პრემიები, გადასახადებისგან გათავისუფლება და უესლი მაუჩის მიერ გაცემული მედალი, რომელსაც „საზოგადოების კეთილისმყოფელთა ორდენი“ ეწოდებოდა. ამან შედეგი ვერ მოიტანა. ჩამოკონკილი ხალხი უსმენდა ამ დაპირებებს მატერიალური სიკეთეების შესახებ და ლეთარგიული გულგრილობით იბრუნებდა პირს, თითქოს ისინი ცნება „ღირებულებას“ ვეღარ აღიქვამდნენ. საზოგადოების განწყობის შემსწავლელნი შიშით ფიქრობდნენ, რომ ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც არ სურდათ სიცოცხლე ანდა ისინი, ვისაც სიცოცხლე ახლანდელ პირობებში არ სურდათ.

— ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას! ნუ დანებდებით! ჯონ გოლტი მოაგვარებს ჩვენს პრობლემებს! — იუწყებოდნენ ოფიციალური რადიოგადაცემები და ეს ხმები თოვლცვენის სიჩუმეში გაყინული სახლების სიჩუმისკენ მიიკვლევდნენ გზას.

— ნუ ეტყვით ადამიანებს, გოლტი რომ ვერ ვიპოვეთ! — უყვიროდა მისტერ ტომპსონი თავის თანაშემწეებს, — ღვთის გულისათვის, უთხარით, მოძებნონ ის!

ჩიკ მორისონის ბიჭების ჯგუფებს ჭორების გავრცელება ებრძანათ: მათი ნაწილი ავრცელებდა ამბავს, რომ ჯონ გოლტი ვაშინგტონში იყო და მთავრობის წარმომადგენლებს ეთათბირებოდა, ამ დროს კი მათი მეორე ნახევარი ყრიდა ჭორს, რომ მთავრობა ხუთას ათას დოლარს გადაიხდიდა იმ ინფორმაციის სანაცვლოდ, რომელიც მას ჯონ გოლტის მოძებნაში დაეხმარებოდა.

— არა, ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანს, — უთხრა უესლი მაუჩმა ტომპსონს საგანგებო აგენტების ანგარიშების შეჯამებისას, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგზავნეს ყველა იმ ადამიანის მოსაძებნად, ვისაც კი ჯონ გოლტი ერქვა, — საცოდავი ხალხია. ჯონ გოლტია ოთხმოცი წლის კრიმინოლოგიის პროფესორი, პენსიონერი ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე, რომელსაც ცოლი და ცხრა შვილი ჰყავს, რკინიგზის არაკვალიფიციური მუშა, რომელიც თორმეტი წელია, სულ ამ პოზიციაზე მუშაობს. დანარჩენებიც ასეთივე ნაყარ-ნუყარია.

— იმედს ნუ დაკარგავთ! ჩვენ ვიპოვით ჯონ გოლტს! — აცხადებდნენ ოფიციალურ რადიოგადაცემებში დღისით, მაგრამ ღამის საათებში, ყოველ საათში ერთხელ, საიდუმლო ოფიციალური განკარგულებით, დაცარიელებულ სივრცეში მოკლეტალღიანი გადამცემებით იგზავნებოდა თხოვნა: ვუხმობთ ჯონ გოლტს!.. ვუხმობთ ჯონ გოლტს!.. გესმის, ჯონ გოლტ?.. ჩვენ მოლაპარაკება გვსურს. შენთან მოთათბირება გვინდა. გვითხარი, სად შეიძლება, გიპოვოთ... გესმის ჩვენი, ჯონ გოლტ? — პასუხი არსაიდან ისმოდა.

გაუფასურებული ბანკნოტების დასტები უფრო და უფრო სქელდებოდა ხალხის ჯიბეებში, მაგრამ ფულის საშუალებით საყიდელი საქონელი უფრო და უფრო მცირდებოდა. სექტემბერში ერთი ბუშელი ხორბალი თერთმეტი დოლარი ღირდა; ნოემბერში — ოცდაათი დოლარი; დეკემბერში — ასი დოლარი; ახლა კი, როდესაც მთავრობის ხაზინის პოლიგრაფიული სტამბები შიმშილობასთან შეჯიბრში მარცხდებოდნენ, ერთი ბუშელი ხორბლის ფასი ორას დოლარს უახლოვდებოდა.

როდესაც სასოწარკვეთისგან გავეშებულმა ქარხნის მუშებმა თავიანთი ზედამხედველი სცემეს და მანქანები დალეწეს, მათ წინააღმდეგ არაფერი მოიმოქმედეს.

დაჭერა ამაო იყო, ციხეები გადაივსო, პოლიციის ოფიცრები ციხეში გადასაყვან პატიმრებს გზიდან გაქცევის საშუალებას აძლევდნენ — ადამიანები წამიერი იმპულსების საფუძველზე მოქმედებდნენ და მომავალზე საერთოდ აღარ ფიქრობდნენ.

ვერაფერი იღონეს, როდესაც ქალაქების გარეუბნებში დამშეული ბრბო საწყობებში შეიჭრა. ვერც მაშინ გახდნენ რამეს, როდესაც დამსჯელი რაზმები იმ ადამიანებს შეუერთდნენ, ვის დასასჯელადაც იყვნენ გაგზავნილი.

— გესმის, ჯონ გოლტ?.. ჩვენ მოლაპარაკება გვსურს. ჩვენ შესაძლოა, დავაკმაყოფილოთ შენი პირობები... გესმის?

ჭორები დადიოდა, რომ მიტოვებული გზებით შენიღბული ფურგონები გადაადგილდებოდნენ და დასახლებები საიდუმლოდ მარაგდებოდა იარაღით, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ თავდამსხმელებისთვის, „ინდიელებისთვის“, როგორც მათ უწოდებდნენ — ათასი ჯურის მძარცველებისთვის, უსახლკაროთა ბრბოები იქნებოდნენ ისინი თუ მთავრობის წარმომადგენლები. ადამიანები პრერიების შორეულ ჰორიზონტზე დროდადრო სინათლეს ხედავდნენ, გორაკებზე, მთების ქედებზე, სადაც არავითარი შენობები არ იდგა, მაგრამ ვერავინ დაიყოლია ჯარისკაცები, ამ სინათლის წყარო დაედგინათ.

მიტოვებული სახლების კარებზე, ლამის დანგრეული ქარხნების ჭიშკრებზე, სამთავრობო შენობების კედლებზე დროდადრო ჩნდებოდა ცარცით, საღებავითა თუ სისხლით მიხატული ნიშანი — დოლარის სიმბოლო.

— გესმის ჩვენი, ჯონ გოლტ?.. რამე გვითხარი. შენი პირობები გაგვაცანი. ჩვენ ნებისმიერ შენს პირობას დავაკმაყოფილებთ. გესმის ჩვენი?

პასუხი არ ისმოდა.

წითელი ფერის კვამლის სვეტი, რომელიც 22 იანვრის ღამეს ავარდა ცაში და ერთი ხანი უჩვეულოდ გაქვავებული იდგა, შთამაგონებელი ობელისკივით, ხოლო შემდეგ ისე ირწეოდა, თითქოს პროჟექტორი დაშიფრულ შეტყობინებას გადასცემდა, მერე კი როგორც გაჩნდა, ისევე მოულოდნელად გაქრა, „რიერდენ სთილის“ დასასრულს აღნიშნავდა, თუმცა ადგილობრივმა მოსახლეობამ ეს არ იცოდა. მათ, ვინც ქარხნებს გამონაბოლქვის, ბოლის, ჭვარტლისა და ხმაურის გამო აკრიტიკებდა, ეს მხოლოდ მომდევნო ღამეებში შეიტყვეს, როდესაც გარეთ გაიხედეს და ნაცნობ ჰორიზონტზე სიცოცხლესთან ერთად მფეთქავი ნათების ნაცვლად შავი სიცარიელე დაინახეს.

რიერდენის ქარხნები, როგორც დეზერტირის ქონება, სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. „სახალხო მენეჯერის“ ტიტულის პირველი მატარებელი, ქარხნების სამართავად დანიშნული ადამიანი, ორენ ბოილის ფრაქციის წარმომადგენელი, მეტალურგიული მრეწველობის ჩასუქებული მუქთამჭამელი იყო, რომელიც მხოლოდ თვალს ადევნებდა ხელქვეითებს, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს საქმეს უძღვებოდა. თუმცა, თვის ბოლოს, მუშებთან მომხდარი აურაცხელი შეტაკების, უამრავი შემთხვევის შემდეგ, როდესაც მისი ერთადერთი პასუხი ის იყო, რომ არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მრავალი შეუსრულებელი შეკვეთისა და გაუთავებელი სატელეფონო ზეწოლების შემდეგ თავისი დოსტების მხრიდან, მან მოითხოვა, რომელიმე სხვა თანამდებობაზე გადაეყვანათ.

ორენ ბოილის ფრაქცია იშლებოდა, რადგან მისტერ ბოილი სანატორიუმში მკურნალობდა, სადაც ექიმმა მას ყოველგვარი კავშირი აუკრძალა ბიზნესთან და შრომით თერაპიად კალათების დაწვნა მიუჩინა. რიერდენის კომპანიაში გაგზავნილი

მეორე „სახალხო მენეჯერი“ კაფი მეგზის ფრაქციას ეკუთვნოდა. მას ტყავის საცვეთები ეცვა, თმას ლოსიონით იპოხავდა, სამსახურში თეძოზე ჩამოკიდებული იარაღით დადიოდა და იღრინებოდა, რომ მისი უპირველესი მიზანი დისციპლინა იყო და მიაღწევდა კიდევაც მას, თუ არადა, ყველას საკუთარი თავისთვის დაებრალებინა, რაც მოუვიდოდათ. ამ დისციპლინის ერთადერთი მკაფიო წესი შეკითხვების დასმის აკრძალვა იყო.

ერთ დილასაც, სადაზღვევო კომპანიების, მეხანძრეებისა და სასწრაფო დახმარების მანქანების მრავალკვირიანი თავგანწირული საქმიანობის შემდეგ, აუხსნელი უბედური შემთხვევების სერიას რომ გამკლავებოდნენ, „სახალხო მენეჯერი“ გაუჩინარდა. ოღონდ, ჯერ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების შავბნელ საქმოსნებს მიჰყიდა და გემით გადაუგზავნა ამწეების, ავტომატური კონვეიერებისა და ცეცხლგამძლე აგურის მარაგის უმეტესი ნაწილი, საგანგებო შემთხვევებისთვის განკუთვნილი გენერატორი და იმ კაბინეტიდან გამოტანილი ხალიჩა ოდესღაც რიერდენს რომ ეკუთვნოდა.

მომდევნო დღეების გავეშებულ ქაოსში ამ პრობლემების მოგვარება ვერავინ შეძლო. პრობლემები და მოქმედი მხარეები არასდროს დაუსახელებიათ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ძველ და ახალ მუშებს შორის სისხლიანი შეტაკებები ასეთ მძვინვარე დაძაბულობამდე იმ ბანალურ მიზეზებს არ მიუყვანია, რომლებიც თავიდან იწვევდა ამ დაპირისპირებებს — ვერც მცველები, ვერც პოლიციელები და ვერც სახელმწიფო ჯარები ვერ ახერხებდნენ, თუნდაც ერთი დღით შეენარჩუნებინათ წესრიგი. ვერც რომელიმე ფრაქციამ ვერ მონახა ისეთი კანდიდატი, „სახალხო მენეჯერის“ თანამდებობის დაკავებას რომ მოისურვებდა.

22 იანვარს „რიერდენ სთილის“ ოპერაციები დროებით შეჩერებულად გამოცხადდა.

მეწამული ფერის კვამლის სვეტი იმ ღამეს სამოცი წლის მუშამ გააჩინა. მან ერთ-ერთ ნაგებობას წაუკიდა ცეცხლი და როდესაც მიუსწრეს, შეშლილივით ხარხარებდა და ცეცხლის ალს შეჰყურებდა.

— ეს ჰენკ რიერდენის გამო! — გაჰყვიროდა მუშა გამომწვევად, თან ბრძმედთან მუშაობისგან გარუჯულ სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

„ნუ დაუშვებ, რომ ამან ასე გატკინოს გული“, — ფიქრობდა თავის სამუშაო მაგიდაზე სახით დამხობილი დაგნი, გაზეთის გვერდზე, სადაც ერთადერთი ლაკონური აბზაცი „რიერდენ სთილის „დროებით“ დასასრულს იუწყებოდა, — „ნუ დაუშვებ, რომ ამან ასე ძალიან გატკინოს გული“... დაგნი ჰენკ რიერდენის სახეს ხედავდა, რომელიც თავისი კაბინეტის ფანჯრიდან გასცქეროდა მომწვანო-მოცისფრო რელსებით დატვირთულ ამწეს ცის ფონზე... „ნუ დაუშვებ, რომ ამან ასე ატკინოს გული მას“, — ეს იყო დაგნის გონებაში გაელვებული თხოვნა, რომელიც არავის არ მიემართებოდა, — „ნუ დაუშვებ, რომ მან ეს გაიგოს, ნუ დაუშვებ, რომ მან ეს იცოდეს“... შემდეგ დაგნის კიდევ ერთი სახე დაუდგა თვალწინ, მტკიცედ მომზირალი მწვანე თვალები. მის ხმაში ფაქტებისადმი პატივისცემით გამოწვეული დაუნდობლობა გაისმოდა, როდესაც ქალს ეუბნებოდა: „მოგიწევს, შეიტყო ეს... შენთვის ყოველი მარცხი გახდება ცნობილი. შენ ყველა გაჩერებული მატარებლის შესახებ გაიგებ... ამ ხეობაში ვერავინ გააყალბებს რეალობას ვერანაირი სახით“... დაგნი ერთხანს გაქვავებული იჯდა, მის გონებაში არც ერთი სურათი და ბგერა აღარ დარჩა, გარდა უზარმაზარი ტკივილისა მკერდის არეში, ვიდრე ნაცნობი ძახილი არ შემოესმა, რომელიც ყველა შეგრძნების გამანადგურებელ ნარკოტიკად ექცა,

მოქმედების უნარის გარდა: „მის ტაგარტ, არ ვიცით, რა გავაკეთოთ!“ — და გონს მოეგო, რომ ეპასუხა.

„გვატემალის სახალხო რესპუბლიკა“, — წერდნენ გაზეთები 26 იანვარს, — „უარს ეუბნება ამერიკის შეერთებულ შტატებს თხოვნაზე, სესხად მისცეს რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი“.

3 თებერვლის ღამეს ახალგაზრდა პილოტი თავის ჩვეულებრივ მარშრუტს გადიოდა, ყოველკვირეულ ფრენას ასრულებდა დალასიდან ნიუ-იორკისკენ. როდესაც ფილადელფიის გადაღმა ცარიელ წყდიადს მიაღწია, — იმ ადგილს, სადაც „რიერდენ სთილის“ ქარხნების ცეცხლის ალი ეგულებოდა ორიენტირად, სალმად ღამის მარტოობაში, ცოცხალი დედამიწის შუქურად, — მან თოვლით დაფარული ადგილი დაინახა, ვარსკვლავების შუქზე მკვდარივით გადათეთრებული და ფოსფორისფერი, მწვერვალებისა და კრატერების განფენილობა, რომელიც მთვარის ზედაპირს წააგავდა. პილოტმა მეორე დილითვე დატოვა სამსახური.

სუსხიანი ღამეების წყდიადში, მომაკვდავი ქალაქების თავზე, დახშულ ფანჯრებსა და ყრუ კედლებს ამაოდ ეხლებოდა თხოვნა, რომელიც ჩაბნელებული სახლების სახურავებსა და ჩონჩხებს დამსგავსებულ ნანგრევებს თავზე მოექცეოდა და სივრცეში ვარსკვლავების უძრავი მოძრაობისა და მათი ცივი კიაფის მისამართით გაისმოდა: „გესმის ჩვენი, ჯონ გოლტ? გესმის ჩვენი?“

— მის ტაგარტ, ჩვენ არ ვიცით, რა გავაკეთოთ, — თქვა მისტერ ტომპსონმა; მან დაგნი ნიუ-იორკში ერთ-ერთი ნაჩქარევი ჩასვლისას პირადად დაიბარა მოსათათბირებლად თავისთან, — ჩვენ მზად ვართ, დავუთმოთ მას, დავთანხმდეთ მის პირობებს, ხელმძღვანელობა გადავაბაროთ, მაგრამ სად არის ის?

— მესამედ გეუბნებით, — უპასუხა დაგნიმ სრულიად გულგრილი ხმითა და გამომეტყველებით, — არ ვიცი, სად არის. რამ გაფიქრებინათ, რომ მე ეს მეცოდინებოდა? — კარგი, მე არ ვიცოდი, უნდა მეცადა... ვიფიქრე, ისე, ყოველი შემთხვევისთვის... ვიფიქრე, იქნებ, თქვენ მასთან დაკავშირება შეგძლებოდათ...

— მე არ მაქვს მასთან კავშირი.

— იცით, ჩვენ ვერ გამოვაცხადებთ, მოკლეტალღური რადიოთიც კი, რომ მზად ვართ, მთლიანად დავნებდეთ. შესაძლოა, ეს ხალხმა მოისმინოს. მაგრამ თუ თქვენ მას როგორმე დაუკავშირდებით და გააგებინებთ, რომ ჩვენ მზად ვართ, დავნებდეთ, უარვყოთ ჩვენი პოლიტიკა, გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც ის გვეტყვის...

— მე უკვე გითხარით, რომ მასთან კავშირი არ მაქვს.

— თათბირზე მაინც რომ დაგვთანხმებოდა, თუნდაც თათბირზე, ეს ხომ მას არაფერს ავალდებულებს? ჩვენ მზად ვართ, მთელი ეკონომიკა ჩავაბაროთ — უბრალოდ, გვითხრას, როდის, სად და როგორ. ერთი სიტყვაც რომ გვითხრას ან რაიმე მიგვანიშნოს... უბრალოდ, რომ გვიპასუხოს... რატომ არ გვპასუხობს?

— თქვენ მოისმინეთ მისი გამოსვლა.

— კი მაგრამ, რა უნდა გავაკეთოთ? ჩვენ არ შეგვიძლია, ასე მარტივად შევწყვიტოთ საქმიანობა და ქვეყანა მთავრობის გარეშე დავტოვოთ. გაფიქრებაც კი მზარავს, რა უბედურება შეიძლება დაატრიალონ იმ სოციალურმა ელემენტებმა, რომლებიც ახლა თავისუფლად დათარეშობენ, მე ვალდებული ვარ, წესრიგი დავამყარო, თორემ დღისით, მზისით, ძარცვა-გლეჯას და მკვლელობებს ბოლო აღარ მოეღება. არ ვიცი, რა დაემართათ ადამიანებს, მაგრამ ისინი ცივილიზებულ არსებებს აღარ ჰგვანან. ასეთ დროს საქმიანობას ვერ შევწყვეტთ. ჩვენ არც წასვლა შეგვიძლია და ვეღარც მოვლენებს ვმართავთ. რა უნდა გავაკეთოთ, მის ტაგარტ?

— კონტროლი უნდა შეწყვიტოთ.

— რა?

— დაიწყეთ გადასახადების გაუქმება და შეზღუდვების მოხსნა.

— ოჰ, არა, არა, არა! ეს გამორიცხულია!

— ვისთვის არის გამორიცხული?

— მე მინდოდა მეთქვა, არა ახლა, მის ტაგარტ, არა ახლა. ქვეყანა მზად არ არის ამისთვის. პირადად მე თქვენ დაგეთანხმებოდით, მე თავისუფლების მოყვარული ვარ, მის ტაგარტ, ძალაუფლება არ არის ჩემთვის მთავარი — მაგრამ ახლა კრიტიკული მდგომარეობაა. ადამიანები მზად არ არიან თავისუფლებისთვის. ჩვენ მკაცრი კონტროლი უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენ არ შეგვიძლია იმ იდეალისტური თეორიის მიღება, რომელიც...

— მაშინ ნუ მეკითხებით, რა უნდა გაკეთდეს, — თქვა დაგნიმ და ფეხზე წამოდგა.

— მაგრამ, მის ტაგარტ...

— მე აქ საკამათოდ არ მოვსულვარ.

დაგნი უკვე კართან იყო მისული, როდესაც ტომპსონმა ამოიოხრა და თქვა:

— ვიმედოვნებ, ის ჯერ კიდევ ცოცხალია, — დაგნი ამ სიტყვების გაგონებაზე შეჩერდა, — იმედი მაქვს, მათ რაიმე სისულელე არ ჩაიდინეს ნაჩქარევად.

დაგნის რამდენიმე წამი დასჭირდა, ძალა რომ მოეკრიბა და ტომპსონისთვის ეკითხა: „ვინ?“ — და ისე, რომ კითხვა ყვირილს არ დამსგავსებოდა.

ტომპსონმა მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა, შემდეგ კი უმწეოდ ჩამოყარა:

— მე ჩემი ბიჭების გაკონტროლება აღარ შემიძლია. ვერ გეტყვით, რის გაკეთებას შეეცდებიან ისინი. არსებობს ერთი ელიტური დაჯგუფება, ფერის-ლოუსონ მეგზის ფრაქცია, რომელიც ერთ წელზე მეტია, რაც უფრო მკაცრი ზომების მიღებას მთხოვს. პოლიტიკის გამკაცრებას გულისხმობენ, პირდაპირ რომ ვთქვათ, დაშინების მეთოდის გამოყენებას, სიკვდილით დასჯის შემოღებას სამოქალაქო დანაშაულების, კრიტიკისა და დისიდენტობის შემთხვევაში. მათი არგუმენტი ასეთია — რადგან ადამიანები თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ, საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ ნებაყოფლობით არ მოქმედებენ, ჩვენ მათ ეს უნდა ვაიძულოთ. მათი აზრით, ჩვენი სისტემის ფუნქციონირებას მხოლოდ შიში თუ უზრუნველყოფს. და შესაძლოა, მართლებიც იყვნენ, დღევანდელი გადასახედიდან. მაგრამ უესლი ძალისმიერ მეთოდებს მხარს არ დაუჭერს; უესლი მშვიდობის მოყვარე ადამიანია, ლიბერალი, და მეც ასეთი ვარ. ჩვენ ვცდილობთ, ფერისის ბიჭები მუდმივად ვაკონტროლოთ, მაგრამ... იცით, ისინი ჯონ გოლტთან დათმობაზე წასვლის სასტიკი წინააღმდეგები არიან. მათ არ უნდათ, რომ ჩვენ გოლტთან რაიმე გარიგება დავდოთ. მათ არ სურთ, რომ ჩვენ ვიპოვოთ გოლტი. მე ვერ გეტყვით, ისინი რას მოიმოქმედებენ. თუ გოლტს ჩვენზე ადრე იპოვიან, ისინი... ვერავინ იტყვის, რა შეიძლება, მას გაუკეთონ... აი, რა მაწუხებს. რატომ არ გვპასუხობს? რა მოხდება, თუ მათ უკვე იპოვეს გოლტი და მოკლეს? ვერ გეტყვით... ამიტომაც, იმედი მქონდა, რომ იქნებ თქვენ მაინც რამენაირად... რამენაირად შეგეძლოთ იმის დადგენა, ჯერ კიდევ ცოცხალია თუ არა გოლტი... — შეკითხვის ტონით დაამთავრა ტომპსონმა ლაპარაკი.

დაგნის მთელმა წინააღმდეგობამ თავზარდამცემი შიშისადმი გადაინაცვლა ძალისხმევაში, სიმტკიცე შეენარჩუნებინა ხმისთვის იმ დრომდე, ვიდრე მოასწრებდა, ეთქვა: „არ ვიცი“, და მუხლებისთვის, ოთახიდან გასვლა რომ მოეხერხებინა.

* * *

დაჟანგებულ ბოძებთან, რომლებიც ოდესღაც ბოსტნეულის ფარდული იყო, დაგნიმ მალულად მიიხედა უკან: ალაგ-ალაგ წამომართული ფარნები ქუჩას ცალკეულ კუნძულებად ყოფდა. სინათლის პირველ მონაკვეთში ლომბარდი დაინახა, მეორეში სამიკიტნო, ყველაზე შორეულში — ეკლესია, მათ შორის კი ბნელი სიცარიელე; ტროტუარებზე არავინ ჩანდა; დანამდვილებით ვერ იტყოდა, მაგრამ ქუჩაში თითქოს კაციშვილი არ ჩანდა.

დაგნიმ კუთხეში შეუხვია განგებ ხმაურიანი ნაბიჯებით, შემდეგ კი მკვეთრად შეჩერდა, რომ ყური დაეგდო: ვერ გაერკვია, არაბუნებრივი დაძაბულობა, რომელსაც მკერდში გრძნობდა, გულისცემის ხმა იყო თუ არა, შორეული ბორბლებისა და უსიცოცხლო შრიალის ხმისგან ვერ გაეცალკევებინა, იქვე ახლოდან, ისთ-რივერიდან რომ ისმოდა, მაგრამ ადამიანის ნაბიჯების ხმა არ გაუგონია. მხრები შეუთამაშდა, თითქოს აიჩეჩა თუ გააჟრჟოლა, და ნაბიჯს აუჩქარა. სადღაც სიბნელეში დაჟანგებულმა საათმა დილის ოთხის მაუწყებლად ჩამოკრა.

შიში, რომ უთვალთვალებდნენ, დაგნის ბოლომდე რეალური არ ეჩვენებოდა, რადგან ახლა მისთვის ვერც ერთი შიში ვერ იქნებოდა რეალური. იმაზე ფიქრობდა, მისი სხეულის არაბუნებრივი სიმსუბუქე დაძაბულობის შედეგი იყო თუ მოდუნების; სხეული ისე შეკუმშვოდა, რომ ერთადერთი უნარიღა შერჩენოდა — მოძრაობის უნარი; გონებას თითქოს მნიშვნელობა დაჰკარგვოდა, იმ აბსოლუტის ავტომატურ კონტროლს დაქვემდებარებული ძრავის მსგავსად, რომელშიც ეჭვს ვეღარავინ შეიტანდა.

„იარაღიდან გასროლილ შიშველ ტყვიას რომ შეეძლოს, რაიმე იგრძნოს, ალბათ სწორედ ამას იგრძნობდა“, — ფიქრობდა დაგნი, — „მხოლოდ მოძრაობასა და მიზანს“. ამას ბუნდოვნად, განყენებულად ფიქრობდა, თითქოს თავად მისი პიროვნება იყო არარეალური; მხოლოდ სიტყვა „შიშველი“ აღწევდა მის ცნობიერებაში: შიშველი... განძარცული ყოველგვარი საზრუნავისგან, გარდა მიზანზე ფიქრისა... გარდა ციფრ 367-ზე ფიქრისა, ეს ისთ-რივერის სანაპიროზე მრავალბინიანი სახლის ნომერი იყო, რომელსაც დაგნის გონება იმეორებდა, ნომერი, რომლის შესახებ ფიქრიც მის გონებას დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული ჰქონდა.

„სამას სამოცდაშვიდი“, — გაიფიქრა დაგნიმ და წინ, კუთხოვანი ფორმის მრავალბინიან სახლებს შორის, უხილავი ფორმის ძებნა დაიწყო, — „სამას სამოცდაშვიდი... აი, სად ცხოვრობს ის... თუ საერთოდ ცოცხალია...“ — დაგნის სიმშვიდის, გულგრილობისა და მისი ნაბიჯების სიმტკიცის საფუძველი იყო დარწმუნებულობა, რომ ეს ის „თუ“ იყო, რომლითაც არსებობა მას აღარ შეეძლო.

დაგნი ამ „თუ“—სთან ერთად ათი დღე არსებობდა — და მისი ყველა წინა ღამე იყო იმ თანმიმდევრობის ნაწილი, რომელმაც ამ ღამემდე მოიყვანა, თითქოს ძალა, რომელიც ახლა მას ამოძრავებდა, იმ ნაბიჯების ხმა იყო, რომლებიც, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი, ტერმინალის გვირაბებში გაისმოდა. საათობით ეძებდა გოლტს გვირაბებში, ყოველღამე — იმ ცვლის საათებში, რომელშიც გოლტი ოდესღაც მუშაობდა — მიწისქვეშა გასასვლელებში, ბაქნებზე, სახელოსნოებში და მიტოვებული სარკინიგზო ხაზების ყოველ მოსახვევში, არავის არაფერს ეკითხებოდა და არც თავისი იქ ყოფნის მიზეზს უხსნიდა ვინმეს. არც შიშს გრძნობდა და არც იმედს, მხოლოდ თავდადება ამოძრავებდა, ლამის სიამაყის მსგავსი. მის გრძნობას საფუძვლად ედო წუთები, როდესაც უეცარი განცვიფრებით შეჩერდებოდა ხოლმე რომელიმე ჩაბნელებულ, მიწისქვეშა კუთხეში და გონებაში ამოტივტივებული სიტყვები ჩაესმოდა: „ეს ჩემი რკინიგზაა“, — შორეული ბორბლების ხმაურისგან

აზრიალებული ფოლადის კამარის დანახვისას; „ეს ჩემი ცხოვრებაა“, — როდესაც შინაგან მძაფრ დაძაბულობას შეიგრძნობდა; „ეს ჩემი სიყვარულია“, — როდესაც ფიქრობდა კაცზე, რომელიც შესაძლოა, ახლომახლო, იმ გვირაბებშივე იმყოფებოდა. „ამ სამს შორის შეუძლებელია, შეუთავსებლობა იყოს... რაში მეპარება ეჭვი?.. რას შეუძლია ჩვენი დაშორება, აქ, სადაც მხოლოდ მისი და ჩემი ადგილია?..“ შემდეგ, როდესაც აწმყოს აღქმას იბრუნებდა, დაგნი ისევ მტკიცე ნაბიჯებით განაგრძობდა სიარულს, იმავე გაუტეხელი თავდადების შეგრძნებით, მაგრამ ახლა სხვა სიტყვები ჩაესმოდა: „შენ ამიკრძალე შენი მოძებნა, შენ შესაძლოა, გამკიცხო, შესაძლოა, უარმყო... მაგრამ იმ ფაქტის უფლებით, რომ მე ცოცხალი ვარ, მე უნდა გავიგო, რომ შენ... მე უნდა გნახო ამჯერად... არ შეგაჩერებ, არ დაგელაპარაკები, არ შეგეხები, უბრალოდ, შემოგხედავ...“ დაგნის არ დაუნახავს გოლტი. მან თავი ანება ძებნას, როდესაც მიწისქვეშეთის მუშების სახეებზე მისი ნაბიჯებისკენ მიმართული გაკვირვებული და ცნობისმოყვარე მზერა შენიშნა.

დაგნიმ ტერმინალის რკინიგზის მუშები კრებაზე დაიბარა მათი გამხნევების გამოგონილი საბაბით, ასეთი კრება ორჯერ ჩაატარა, რომ ყოველ მუშას რიგრიგობით, პირადად შეხვედროდა. ერთსა და იმავე გაურკვეველ სიტყვებს იმეორებდა, თან თავისი არაფრის მთქმელი, ზოგადი ფრაზების გამო თვითონვე რცხვენოდა და, ამავე დროს, ეამაყებოდა კიდეც, რომ ეს უკვე აღარ ანაღვლებდა. დაგნი იმ ადამიანთა მოქანცულ და გაუხეშებულ სახეებს შესცქეროდა, რომლებისთვისაც მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მუშაობას უბრძანებდნენ თუ უაზრო ფრაზების მოსმენას. მათ შორის გოლტის სახე ვერ დაინახა.

— ყველა ესწრებოდა კრებას? — ჰკითხა ზედამხედველს.

— მგონი, ყველა, — უპასუხა მან გულგრილად.

დაგნი ტერმინალის შესასვლელებთან დაეხეტებოდა და სამსახურში მიმავალ თანამშრომლებს უყურებდა. მაგრამ ყველა შესასვლელთან ერთდროულად ხომ ვერ დადგებოდა სათვალთვალოდ, თან ისე რომ, თავად არავის შეენიშნა — წვიმის წვეთებისგან მბზინავ ტროტუარზე იდგა ნესტიან ბინდში, საწყობის შენობას მიყრდნობილი, პალტოს საყელო ყვრიმალებამდე აეწია, მისი ქუდის ფარფლებიდან კი წვიმის წვეთები ეცემოდა. დაგნი ქუჩას გაჰყურებდა და აცნობიერებდა, რომ გამვლელები ცნობდნენ და გაკვირვებული სახით შესცქეროდნენ, აცნობიერებდა, რომ თვალთვალი სახიფათოდ აშკარა იყო. თუ ჯონ გოლტი ამ ადამიანთა შორის იმყოფებოდა, ვინმე მისი ძიების მიზანს მიხვდებოდა... თუ მათ შორის არ იყო ჯონ გოლტი... ის ფიქრობდა, რომ თუ ჯონ გოლტი ამ სამყაროში აღარ არსებობდა, მაშინ აღარც საფრთხე იარსებებდა და არც სამყარო.

„აღარც საფრთხე და არც სამყარო“, — ფიქრობდა ჯურღმულების ქუჩებში მიმავალი დაგნი, როდესაც №367 სახლისკენ მიდიოდა, რომელიც იყო კიდეც და თან არ იყო გოლტის სახლი. ფიქრობდა, ასეთი შეგრძნება ჰქონდა თუ არა იმ ადამიანს, რომელიც სასიკვდილო განაჩენს ელოდა: არავითარ შიშს, ბრაზსა და საზრუნავს არ გრძნობდა — მხოლოდ სითბოს მოკლებული სინათლისა და ღირებულებებს მოკლებული აღიარების ცივ გულგრილობას.

დაგნის ფეხქვეშ კონსერვის ქილა ახრიგინდა და ეს ხმა მეტისმეტად დიდხანს და მეტისმეტად ძლიერად ეხლებოდა თითქოსდა მიტოვებული ქალაქის კედლებს. გეგონებოდა, ქუჩების უკაცრიელობის მიზეზი ღონემიხდილობა იყო და არა ის, რომ ადამიანები ისვენებდნენ, თითქოს ნაგებობების კედლებს მიღმა მყოფთ კი არ ეძინათ, არამედ ქანცგაცლილნი ეყარნენ. დაგნი ფიქრობდა, რომ ამ დროისთვის გოლტი

სამსახურიდან უკვე შინ უნდა დაბრუნებულიყო... თუ ის ჯერ კიდევ მუშაობდა... თუ ჯერ კიდევ ჰქონდა სახლი... ყურადღებით აკვირდებოდა ჯურღმულებს, ჩამონგრეულ ბათქაშს, აქერცლილ საღებავს, იმ გაკოტრებული მაღაზიების გაცრეცილ აბრებს, რომელთა ჭუჭყიან ვიტრინებში უსარგებლო საქონელი ეწყო, კიბის დაბრეცილ საფეხურებს, რომლებზე დაბიჯებაც სახიფათო იყო, თოკებზე გაფენილ უვარგის ტანსაცმელს. ყველაფერი ეს — დაღუპული, უარყოფილი, მიტოვებული, დაუსრულებელი, — ორ მტერთან, უდროობასთან და უძლურებასთან წაგებული ბრძოლის სახიჩარი ძეგლები იყო. და დაგნიმ გაიფიქრა, რომ აქ გოლტმა თორმეტი წელი იცხოვრა, გოლტმა, რომელიც ადამიანის შრომისა და არსებობის შემსუბუქების განსაცვიფრებელ უნარს ფლობდა.

რომელიღაც მოგონება მისი ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივებას ცდილობდა, ბოლოს გაახსენდა: სტარნსვილი. გააჟრჟოლა. „კი მაგრამ, ეს ხომ ნიუ-იორკია!“ — უხმოდ წამოიყვირა იმ სიდიადის დასაცავად, რომელიც ასე ძალიან უყვარდა; შემდეგ კი საკუთარი გონების მიერ ურყევი სიმტკიცით წარმოთქმული განაჩენი შემოესმა: ქალაქი, რომელმაც გოლტი თორმეტი წლის განმავლობაში ამ ჯურღმულებში ჩატოვა, დაწყევლილი იყო და სტარნსვილის მომავლისთვის განწირული.

შემდეგ მოულოდნელად დაგნისთვის ამას მნიშვნელობა დაეკარგა; უცნაური განცვიფრება იგრძნო, თითქოსდა მოულოდნელად ჩამოწოლილი სიჩუმის გამო, რაღაცნაირი შინაგანი გაოგნება, რომელიც მას სიმშვიდის განცდად მოეჩვენა: ძველი, მრავალბინიანი სახლის კარების თავზე ნომერი 367 დაინახა.

დაგნი ფიქრობდა, რომ მშვიდად იყო, მხოლოდ დროს დაეკარგა მოულოდნელად თავისი უწყვეტობა და მისი აღქმა ცალკეულ ეპიზოდებად დაეყო: გააცნობიერა წამი, როდესაც ნომერი დაინახა — შემდეგ წამი, როდესაც ნახევრად განათებულ შესასვლელში ჩამოკიდებულ დაფაზე მაცხოვრებელთა სიას შეხედა და წაიკითხა ფანქრით მიჯღაბნილი სიტყვები: „ჯონ გოლტი, მეხუთე სართული, სახლის უკანა მხარე“ — წამი, როდესაც კიბესთან შეჩერდა, მოაჯირის გაუჩინარებულ კუთხეებს ახედა და მოულოდნელად შიშისგან აცახცახებული კედელს მიეყრდნო, ერჩივნა, არაფერი არ სცოდნოდა — შემდეგ წამი, როდესაც ტერფებით კიბის პირველ საფეხურებს შეეხო — შემდეგ კი წამები უწყვეტად მიჰყვა ერთმანეთს — დაგნიმ სიმსუბუქე იგრძნო, ძალდატანების, ეჭვისა და შიშის გარეშე ადიოდა, გრძნობდა, მორყეული კიბე როგორ იზნიქებოდა მისი გაბედული ნაბიჯების ქვეშ, თითქოს მისი შეუპოვარ აღმასვლას ბიძგს მისი გამართული სხეული, გაშლილი მხრები, მაღლა აწეული თავი და ის მოზეიმე დარწმუნებულობა აძლევდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტში იმ კიბის ბოლოს, რომელზე ასასვლელადაც ოცდაჩვიდმეტი წელი დასჭირდა, ის სიცოცხლისგან კატასტროფას არ მოელოდა.

კიბის ბოლოს დაგნიმ ვიწრო დერეფანი დაინახა, რომლის კედლებიც ჩაბნელებულ კარს ერწყმოდა. სიჩუმეში ფეხქვეშ იატაკის ფიცრების ჭრიალი მოესმა; ზარის ღილაკზე საკუთარი თითის დაწოლა იგრძნო და გაიგონა, როგორ დარეკა თავის წინ, უცნობ სივრცეში ზარმა. დაგნიმ დაიცადა. წამით ფიცარმა დაიჭრიალა, ოღონდ ქვემოთა სართულზე. საიდანღაც, მდინარიდან, საბუქსირო გემის საყვირის გაწელილმა ხმამ მოაღწია. შემდეგ მიხვდა, რომ დროის რაღაც მონაკვეთი გამოტოვა, რადგან მომდევნო წამი გამოღვიძებისას კი არა, დაბადებისას ჰგავდა:

თითქოს ორ ხმას გამოჰყავდა სიცარიელიდან — ნაბიჯების ხმას კარს მიღმა და საკეტში გასაღების გადატრიალების ხმას. მაგრამ აწმყოში იმ წუთამდე ვერ

დაბრუნდა, სანამ მოულოდნელად მის წინ კარი არ გაიღო და ზღურბლზე ჯონ გოლტი არ გამოჩნდა. კარის ღიობში იდგა. განიერი შარვალი და პერანგი ეცვა, ოდნავ გვერდზე გადახრილიყო.

დაგნიმ იცოდა, რომ გოლტის თვალებმა ეს წამი აღიქვეს, შემდეგ მან სწრაფად მოავლო მზერა წარსულსა და მომავალს. შეფასების ამ ელვისებურმა პროცესმა აწმყო მის ცნობიერ კონტროლს დაუქვემდებარა. და როდესაც მისი პერანგის ნაკეცი გულისცემამ შეარხია, დაგნიმ სიხარულის მისასალმებელი ღიმილი დაინახა.

დაგნი ადგილზე გაქვავდა. გოლტმა მკლავში მოჰკიდა ხელი და მკვეთრად უბიძგა ოთახისკენ. ქალმა მისი ტუჩების სითბო იგრძნო, მისი სხეულის სიძლიერე თავისი პალტოს მოულოდნელად მტრული სიხისტის მიღმა, დაინახა, როგორ უცინოდა გოლტს თვალები. კიდევ და კიდევ იგრძნო მისი ტუჩების შეხება, მძიმედ სუნთქავდა, თითქოს კიბე სუნთქვაშეკრულს აევლო. სახე გოლტის კისერსა და მხარს შორის ჩამალა, რათა დაეჭირა გოლტი, დაეჭირა მკლავებით, ხელებით, ლოყით.

— ჯონ... შენ ცოცხალი ხარ... — მეტი ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა.

გოლტმა თავი დაუქნია, თითქოს მიხვდა, რის ახსნას ცდილობდა ქალი ამ სიტყვებით.

შემდეგ დაგნის ქუდი აიღო იატაკიდან, პალტო გახადა და გვერდზე დადო. შეჰყურებდა მის მოხდენილ, აცახცახებულ სხეულს. თვალები მოწონებით უბრწყინავდა.

ხელი ჩამოაყოლა დაგნის მჭიდრო, მაღალყელიან მუქ ლურჯ სვიტერზე, რომელიც დაგნის სხეულს სკოლის მოწაფის სინაზესა და მეომრის დაძაბულ იერს სძენდა.

— შემდეგ ჯერზე, — თქვა გოლტმა, — თეთრი სვიტერი ჩაიცვი. ძალიან მოგიხდება.

დაგნიმ გააცნობიერა, რომ ასე ჩაცმული ხალხში არასდროს ჩნდებოდა, რომ ასე სახლში ეცვა, იმ ღამის უძილო საათებში და გაიცინა, ისევ დაიბრუნა სიცილის უნარი: ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ გოლტის პირველი სიტყვები ეს იქნებოდა.

— თუ იქნება შემდეგი ჯერი, — დაამატა მერე გოლტმა მშვიდად.

— რისი... თქმა გინდა?

გოლტი კართან მივიდა და ჩაკეტა.

— დაჯექი, — უთხრა დაგნის.

დაგნი არ დამჯდარა. გადაწყვიტა, ოთახი დაეთვალიერებინა. ეს გრძელი, ცარიელი სხვენი იყო. ერთ კუთხეში საწოლი იდგა, მეორეში კი გაზის ქურა, კიდევ ცოტაოდენი ხის ავეჯი. შიშველი ფიცრები იატაკის სიგრძეს გამოკვეთდა. საწერ მაგიდაზე ერთადერთი ლამპა ანათებდა. მისი წრიული ნათების მიღმა, ჩრდილში, დახურული კარი მოჩანდა, უზარმაზარ ფანჯარაში კი ქალაქი ნიუ-იორკი — კუთხოვანი ნაგებობებისა და გაბნეული სინათლეების განფენილობა, — და სიშორეში აღმართული ტაგარტის კომპანიის შენობის სვეტი.

— ახლა ყურადღებით მომისმინე, — მიმართა გოლტმა ქალს, — ჩვენ დაახლოებით ნახევარი საათი გვაქვს, როგორც გამოვთვალე. ვიცი, რატომაც მოხვედი აქ. მე გითხარი, რომ ამის გაძლება რთული იქნებოდა და შესაძლოა, ძალა გამოგლეოდა.

არ ინანო. იცი, არც მე შემიძლია, ეს ვინანო. მაგრამ ახლა უნდა დავგეგმოთ, როგორ მოვიქცეთ ამ წუთიდან. დაახლოებით ნახევარ საათში, აქ ჩემს

დასაპატიმრებლად მძარცველების აგენტები მოვლენ, რომლებიც შენ მოგყვებოდნენ უკან.

— ოჰ, არა! — წამოიძახა დაგნიმ.

— დაგნი, ვისაც კი მათ შორის ადამიანის შეცნობის თუნდაც ოდნავი უნარი შერჩენია, მიხვდებოდა, რომ შენ ერთ-ერთი მათგანი არ ხარ, რომ შენ მათი უკანასკნელი კავშირი ხარ ჩემამდე მოსასვლელად, და თავისი მხედველობის არიდან არ გაგიშვებდა — ან, თავისი ჯაშუშების მხედველობის არიდან.

— მე არავინ მომყვებოდა უკან! მე ვიყურებოდი, მე...

— შენ ამას ვერ შეამჩნევდი. ისინი შენიღბვის დიდოსტატები არიან. ვინც შენ გითვალთვალებდა, ახლა თავის უფროსებს აბარებს ანგარიშს. შენი ყოფნა ქალაქის ამ რაიონში, ასეთ დროს, ქვემოთ, დაფაზე დაწერილი ჩემი სახელი, ის ფაქტი, რომ შენს რკინიგზაში ვმუშაობ — ეს მათთვის სრულიად საკმარისია, ყველაფერს რომ მიხვდნენ.

— მაშინ, წავიდეთ აქედან!

გოლტმა თავი გააქნია:

— მათ უკვე ალყა ექნებათ შემორტყმული მთელი კვარტლისთვის. შენს მდევნელს ამ რაიონის ყველა პოლიციელი გაფრთხილებული ეყოლება. ახლა მისმინე, რა უნდა გააკეთო, როდესაც ისინი აქ მოვლენ. დაგნი, შენ მხოლოდ ერთადერთი რამ შეგიძლია ჩემ გადასარჩენად. თუ ბოლომდე ვერ გაიგე, რაც რადიოში შუალედური პოზიციის მქონე ადამიანზე ვთქვი, ახლა გაიგებ. შუალედური პოზიცია შენთვის არ არსებობს. და ჩემს მხარესაც ვერ დაიჭერ, სანამ მათ ხელში ვართ. ახლა შენ მათი მხარე უნდა დაიჭირო.

— რა?

— შენ მათი მხარე უნდა დაიჭირო, იმდენად სრულად, თანმიმდევრულად და გამოხატულად, რამდენადაც თვალთმაქცობის უნარი ამის საშუალებას მოგცემს. შენ ერთ-ერთი მათგანივით უნდა მოიქცე. ჩემი დაუძინებელი მტერივით უნდა მოიქცე.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, ცოცხალი გადავრჩე. მათ ძალიან ვჭირდები, ყველაფერს გააკეთებენ, რომ ჩემი მოკვლა არ დასჭირდეთ. რასაც არ უნდა სძალავდნენ ისინი ხალხს, ამას მხოლოდ თავიანთი მსხვერპლის ღირებულებების საშუალებით ახერხებენ, მათ ჩემი არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ, რომლის მეშვეობითაც ჩემს მართვას შეძლებდნენ, არაფერი მოეპოვებათ, რითაც დამემუქრებოდნენ.

მაგრამ თუ მცირე ეჭვს მაინც აიღებენ, რას ვნიშნავთ ჩვენ ერთმანეთისთვის, ერთი კვირაც არ გავა და შენს წამებას შეუდგებიან, ფიზიკურად გაწამებენ, ჩემ თვალწინ. ამას ვერ დაველოდები. პირველივე ჯერზე, როდესაც შენი მეშვეობით დამემუქრებიან, თავს მოვიკლავ და ასე დავუსვამ წერტილს მათ მოქმედებას.

გოლტმა ეს სიტყვები ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე წარმოთქვა, პრაქტიკული შეფასების გულგრილი ტონით, როგორც ყველაფერი სხვა დანარჩენი. დაგნიმ იცოდა, რომ ის არ ხუმრობდა: ხვდებოდა, რომ მხოლოდ თვითონ შეძლებდა გოლტის განადგურებას, როდესაც მისი მტრები უძლურნი აღმოჩნდებოდნენ. ჯონმა დაინახა დაგნის გაქვავებული მზერა, რომელშიც გაცნობიერება და შიში იკითხებოდა და მკრთალი ღიმილით დაუქნია თავი ქალს.

— ალბათ ხვდები, — განაგრძო გოლტმა, — რომ თუ მე ამას გავაკეთებ, ეს მსხვერპლის გაღების აქტი არ იქნება. მე არ მსურს მათი პირობებით ცხოვრება, არ მსურს მათი მორჩილება და არ მსურს, შენს წამებით სიკვდილს ვუყურო. ამ

ყველაფრის შემდეგ ჩემთვის არ იარსებებს საძიებელი ღირებულებები, ღირებულებების გარეშე ცხოვრება კი არ მსურს. მე არ მჭირდება შენთვის იმის თქმა, რომ ჩვენ არავითარი ზნეობრივი ვალდებულება არ გვაქვს მათ წინაშე, ვინც იარაღის ძალით ცდილობს ჩვენს მართვას. ასე რომ, იცრუე, რამდენადაც ეს შენთვის შესაძლებელია და დაარწმუნე ისინი, რომ გძულვარ. მაშინ გვექნება ცოცხლად დარჩენისა და გაქცევის შესაძლებლობა — არ ვიცი, ზუსტად როდის ან როგორ მოვახერხებთ ამას, მაგრამ ის მაინც მეცოდინება, რომ მოქმედების თავისუფლება მაქვს. გასაგებია?

ქალმა ძალა მოიკრიბა, რომ თავი აეწია, თვალებში შეეხედა გოლტისთვის და თანხმობის ნიშნად თავი დაექნია.

— როდესაც ისინი მოვლენ, — თქვა გოლტმა, — უთხარი, რომ მათთვის ჩემს მოძებნას ცდილობდი, რომ დაეჭვდი, როდესაც შენი კომპანიის სახელფასო უწყისში ჩემი სახელი ნახე და აქ იმ მიზნით მოხვედი, რომ ყველაფერი გაგერკვია.

ქალმა თავი დაუქნია.

— მე ჩემს ვინაობას არ ვაღიარებ, მათ შეიძლება, იცნონ ჩემი ხმა, მაგრამ მე შევეცდები, ყველაფერი უარვყო. ამიტომაც, შენ ეტყვი მათ, რომ მე ის ჯონ გოლტი ვარ, რომელსაც ეძებენ.

დაგნი რამდენიმე წამით შეყოვნდა, მაგრამ შემდეგ მაინც დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად.

— შემდეგ, შენ მოითხოვ — და მიიღებ — ჯილდოდ იმ ხუთას ათას დოლარს, რომელიც ჩემი შეპყრობისთვის დააწესეს.

ქალმა თვალები დახუჭა, შემდეგ კი ისევ დააქნია თავი.

— დაგნი, — აუჩქარებლად თქვა გოლტმა, — მათი სისტემის პირობებში შენი ღირებულებების მსახურება შეუძლებელია. ადრე თუ გვიან, გენდომებოდა შენ ეს თუ არა, ისინი მაინც მიგიყვანდნენ იმ წერტილამდე, როდესაც ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც ჩემთვის შეგეძლებოდა, ჩემ წინააღმდეგ ამხედრებაა. მოიკრიბე ძალა და გააკეთე ეს — მაშინ ჩვენ მოვიპოვებთ ამ ნახევარ საათს და შესაძლოა, მომავალსაც. — ასე მოვიქცევი, — თქვა დაგნიმ მტკიცედ და დაამატა, — თუ ეს მოხდება, თუ ისინი... — ეს მოხდება. არ ინანო. არც მე ვინანებ. შენ ჩვენი მტრების ბუნება არ გინახავს. მას ახლა იხილავ. თუ მე უნდა ვიყო პაიკი სანახაობაში, რომელიც შენ დაგარწმუნებს, მე სიამოვნებით შევასრულებ ამ როლს და ერთხელ და სამუდამოდ დაგიხსნი მათგან. შენ ლოდინი აღარ გსურდა? ოჰ, დაგნი, დაგნი, ეს არც მე მინდოდა!

გოლტი ისე ეხვეოდა და კოცნიდა ტუჩებში, რომ დაგნის ეჩვენებოდა, მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი საფრთხე, ყოველი ეჭვი, მისი ღალატიც კი გოლტის წინააღმდეგ, — თუ ეს მართლაც ღალატი იყო, — ყველაფერი ეს მას ერთგვარ უფლებას ანიჭებდა ამ წუთზე. ჯონმა ქალის სახეზე საკუთარი თავის წინააღმდეგ დაუჯერებელი პროტესტით გამოწვეული დაძაბულობა წაიკითხა და დაგნიმ გოლტის ბაგეზე მიკრულ თავის თმაში მისი ხმა გაიგონა:

— ახლა მათზე ნუ იფიქრებ. არასოდეს იფიქრო ტკივილზე, საფრთხეზე ან მტრებზე იმაზე ერთი წამითაც კი მეტ ხანს, რაც მათთან საბრძოლველად არის საჭირო. შენ აქ ხარ. ეს ჩვენი დრო და ცხოვრებაა, და არა მათი. ნუ ცდილობ, იყო ბედნიერი. შენ ხარ ბედნიერი.

— შენი საფრთხეში ჩაგდების ფასად? — წაიჩურჩულა დაგნიმ.

— შენ არ ჩამაგდებ საფრთხეში, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც ბედნიერი უნდა იყო, ამის ფასადაც კი. შენ ხომ არ ფიქრობ; რომ ეს გულგრილობაა? განა გულგრილობამ გაგტეხა და მოგიყვანა აქ?

— მე... — სიმართლის ძალამ დაგნი აიძულა, გოლტის სახე თავისკენ მიეზიდა, შემდეგ კი პირში მიეხალა, — მე არ მანაღვლებდა, რომელიმე ჩვენგანი იცოცხლებდა თუ არა ამის შემდეგ, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ერთხელ კიდევ მენახე!

— იმედი გამიცრუვდებოდა, რომ არ მოსულიყავი.

— შენ იცი, რა არის ეს? — ელოდო, აუკრძალო საკუთარ თავს, კიდევ ერთი დღით გადასწიო, შემდეგ კიდევ ერთით, შემდეგ...

გოლტს გაეცინა.

— მე ვიცი თუ არა? — ჩაილაპარაკა მან ჩუმად.

დაგნის უმწეოდ ჩამოუვარდა ხელი: გოლტის ათი წელიწადი გაახსენდა.

— როდესაც რადიოში შენი ხმა გავიგონე, — უთხრა მერე, — როდესაც მოვისმინე ყველაზე დიადი განცხადება, რაც კი... არა, მე არ მაქვს უფლება, გითხრა, რას ვფიქრობდი ამ განცხადებაზე.

— რატომ?

— შენ გგონია, რომ მე არ დავეთანხმე მას.

— დაეთანხმები.

— აქედან ლაპარაკობდი?

— არა, ხეობიდან.

— და მერე ნიუ-იორკში დაბრუნდი?

— მეორე დღესვე.

— და მას შემდეგ აქ ხარ?

— კი.

— ისმენდი თხოვნებს, რომლებსაც ისინი გიგზავნიან ყოველ ღამე?

— რა თქმა უნდა.

დაგნიმ ნელა მოავლო თვალი ოთახს, გახედა ქალაქის კოშკებს ფანჯარაში, მერე მზერა გოლტის ოთახის ჭერის ხის ნივნივებზე, კედლების დაბზარულ ბათქაშზე, მისი საწოლის რკინის ფეხებზე გადაიტანა.

— შენ მთელი ეს დრო აქ იყავი, თორმეტი წელი აქ ცხოვრობდა... აქ... აი, ასე...

— აი, ასე, — გაიმეორა გოლტმა და ოთახის ბოლოში მდებარე კარი შეაღო.

დაგნის გაკვირვებისგან სული შეუგუბდა: ზღურბლს მიღმა წაგრძელებული, შუქით გაჩახჩახებული, მკრთალად მბზინავი მეტალის გარსით შემოსაზღვრული უფანჯრო სივრცე, რომელიც წყალქვეშა ნავის პატარა საცეკვაო დარბაზს წააგავდა, ყველაზე კარგად აღჭურვილი, თანამედროვე ლაბორატორია იყო, რაც კი ოდესმე ენახა.

— შემოდი, — უთხრა მას გოლტმა ღიმილით, — ახლა უკვე შემიძლია, გაგანდო ჩემი საიდუმლოებები.

თითქოს სხვა სამყაროში შეაბიჯა. დაგნიმ შეხედა კაშკაშა, გაბნეულ სინათლეში აელვარებულ ურთულეს აღჭურვილობას, ერთმანეთში გადახლართულ მბზინავ სადენებს, მათემატიკური ფორმულებით აჭრელებულ დაფას, დანიშნულებისამებრ მოწესრიგებულად დალაგებული საგნების გრძელ რიგებს, შემდეგ კი მზერა სხვენის იატაკის ჩაზნექილ ფიცრებზე და კედლების დაბზარულ ბათქაშზე გადაიტანა. „ან — ან“, — გაიფიქრა მან, — „სწორედ ეს არის ის არჩევანი, რომელიც მსოფლიოს წინაშე დგას“.

— შენ გინდოდა, გაგეგო, სად ვმუშაობდი წელიწადში თერთმეტი თვე, — წარმოთქვა ჯონმა.

— ყველაფერი ეს — არაკვალიფიციური მუშის ხელფასით? — ჰკითხა მას ქალმა და ჯერ ლაბორატორიაზე მიუთითა, მერე კი სხვენისკენ გაიშვირა ხელი.

— ოჰ, არა! მაიდას მალიგანის მიერ მოცემული ჰონორარით, რომელსაც თავისი ელექტროსადგურისთვის, სხივების გარდამტეხი ეკრანისთვის, რადიოგადამცემისთვის და რამდენიმე სხვა მსგავსი სამუშაოს შესრულებისთვის მიხდის.

— მაშინ... მაშინ რკინიგზის უბრალო მუშად რატომღა დაგჭირდა მუშაობა?

— იმიტომ, რომ ხეობაში გამომუშავებული ფულის ხეობის გარეთ დახარჯვა არ შეიძლება.

— სად იშოვე ეს აღჭურვილობა?

— ის მე დავაპროექტე, ენდრიუ სტოკტონის ქარხანაში კი დაამზადეს. — გოლტმა ოთახის კუთხეში მდგარ რადიომიმღების ზომის საგანზე მიუთითა, — ეს არის ძრავა, რომელიც შენ გჭირდებოდა, — და გაეცინა, როდესაც დაგნიმ ამოიგმინა და უნებლიეთ წინ წაიწია, — შეგიძლია, დაათვალიერო, ახლა შენ მათ აღარაფერს გაუმხელ მის შესახებ.

დაგნი გაოცებით შეჰყურებდა ლითონის მბრწყინავ ცილინდრებსა და მავთულის მბზინავ ხვიებს, რომლებიც „ტაგარტ ტერმინალის“ აკლდამაში, მინის კუბოში წმინდა რელიკვიასავით ჩასვენებულ ჟანგმოკიდებულ საგანს ახსენებდა.

— ეს ძრავა საკუთარ ელექტროენერგიას მაწვდის ლაბორატორიისთვის, — თქვა გოლტმა, — ასე რომ, არავის გასჩენია ეჭვი იმის გამო, თუ რატომ ხარჯავს რკინიგზის მუშა ამდენ ელექტროენერგიას.

— მაგრამ თუ ისინი ამ ადგილს იპოვიან...

გოლტმა წამით უცნაურად ჩაიცინა:

— ვერ იპოვიან.

— და რამდენი ხანი...

დაგნი გაჩუმდა; ამჯერად სუნთქვა არ შეჰკვრია; მის წინ გადაშლილ სანახაობას მხოლოდ სრული შინაგანი სიმშვიდით მისალმება შეჰფეროდა: კედელზე, მექანიზმების რიგის უკან გაზეთიდან ამოჭრილი ფოტო დაინახა — ფოტოზე თავად იყო გამოსახული, პერანგსა და ფართო შარვალში გამოწყობილი, „ჯონ გოლტის ხაზის“ გახსნისას, ლოკომოტივის გვერდით იდგა, თავი მაღლა აეწია, მისი ღიმილი კი იმ დღის შინაარსს, მნიშვნელობასა და მზის შუქს გადმოსცემდა.

როდესაც გოლტისკენ მიბრუნდა, პასუხად მხოლოდ კვნესა აღმოხდა, თუმცა, გამომეტყველება ისეთივე ჰქონდა, როგორიც ფოტოზე.

— მე იმის სიმბოლო ვიყავი, რის განადგურებაც გსურდა ამ სამყაროში, — უთხრა ქალს დაგნიმ, — შენ კი ჩემთვის იმის სიმბოლო, რისი მიღწევაც მსურდა. — და ფოტოზე მიუთითა, — როგორც წესი, ადამიანები ასე თავს მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ გრძნობენ მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ მე ეს მდგომარეობა ჩემი ცხოვრების მუდმივად და ნორმად ვაქციე.

გოლტის გამომეტყველებამ, მისი მზერისა და გონების უშფოთველი სიძლიერემ დაგნისთვის ეს მდგომარეობა რეალობად აქცია, ახლა, ამ წუთს, ამ ქალაქში.

როდესაც გოლტმა აკოცა, დაგნიმ გააცნობიერა, რომ ერთმანეთისთვის მოხვეულ მათ მკლავებს თავიანთი უდიდესი გამარჯვება ეპყრათ, რომ ეს ყოველგვარი ტკივილისა და შიშისგან თავისუფალი რეალობა იყო, ჰალის მეხუთე

სიმფონიის რეალობა, ეს ის ჯილდო იყო, რომელიც მათ სურდათ, რომლის მოსაპოვებლადაც იბრძოდნენ და მოიპოვეს კიდეც.

კარზე ზარმა დარეკა.

დაგნის პირველი რეაქცია ზარის ხმაზე ის იყო, რომ უკან დაიწია, გოლტმა კი ქალი უფრო ძლიერად და დიდხანს ჩაიკრა გულში.

შემდეგ მან თავი ასწია, იღიმოდა. მხოლოდ ეს თქვა:

— ახლა შიშის დრო არ არის.

დაგნი ჯონს სხვენზე გამოჰყვა. ზურგს უკან ლაბორატორიის კარის დაკეტვის ხმა შემოესმა.

ჯონს მდუმარედ ეჭირა დაგნის პალტო, იცდიდა, სანამ ის პალტოს ქამარს შეიკრავდა და ქუდს დაიხურავდა, შემდეგ კი კარისკენ გაემართა და გააღო.

ოთახში შემოსული ოთხი კაციდან სამი დაკუნთული, სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირი იყო, თითოეულს ორი რევოლვერი ჩამოეკიდებინა თეძოზე. მათ უფორმო, ფართო სახეები და აღქმის უნარს მოკლებული თვალები ჰქონდათ. მეოთხე, მათი ხელმძღვანელი, ავადმყოფური შესახედაობის სამოქალაქო პირი იყო, ძვირფას პალტოში გამოწყობილი, აკურატულად მოვლილი ულვაშებით, ცისფერი თვალებითა და ინტელექტუალების იმ მოდგმისთვის დამახასიათებელი მიმოხრით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში რომ მუშაობენ.

ის მოჭუტული თვალებით მიაშტერდა გოლტს, ნაბიჯი წინ წადგა და გაჩერდა, შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა და ისევ გაჩერდა.

— გისმენთ? — მიმართა მას გოლტმა.

— თქვენ... თქვენ ჯონ გოლტი ხართ? — იკითხა კაცმა მეტისმეტად ხმამაღლა.

— დიახ, ეს ჩემი სახელია.

— თქვენ ის ჯონ გოლტი ხართ?

— რომელი?

— თქვენ გამოხვედით სიტყვით რადიოში?

— როდის?

— ნებას ნუ მისცემთ, რომ გაგასულელოთ. — ეს გამყინავი ხმა დაგნის ეკუთვნოდა, ჯგუფის ხელმძღვანელს მიმართავდა, — სწორედ ის ჯონ გოლტი გახლავთ. მე ამის დამამტკიცებელ საბუთს მთავარ სამმართველოს წარვუდგენ. შეგიძლიათ, განაგრძოთ.

გოლტი უცნობივით მიუბრუნდა დაგნის:

— ბოლოს და ბოლოს, მეტყვით, საერთოდ ვინ ხართ და აქ რისთვის მოხვედით?

დაგნის იქ მყოფი ჯარისკაცებივით უაზრო გამომეტყველება ჰქონდა:

— ჩემი სახელია დაგნი ტაგარტი. მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ თქვენ ნამდვილად ის კაცი ხართ, ვისაც მთელი ქვეყანა ეძებს.

გოლტი ხელმძღვანელს მიუბრუნდა.

— კარგი, — თქვა მან, — მე ჯონ გოლტი ვარ, მაგრამ თუ გსურთ, რომ საერთოდ გიპასუხოთ, თქვენი ჯაშუში, — დაგნიზე მიუთითა, — მომაშორეთ.

— მისტერ გოლტ! — წამოიძახა უჩვეულოდ გამოცოცხლებულმა ჯგუფის ხელმძღვანელმა, — ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა, პატივი და პრივილეგია! გთხოვთ, მისტერ გოლტ, არასწორად ნუ გაგვიგებთ — ჩვენ მზად ვართ, დავაკმაყოფილოთ თქვენი სურვილები. არა, რა თქმა უნდა, თქვენ არ მოგიწევთ მის ტაგარტთან ურთიერთობა, თუ ამის სურვილი არ გაქვთ — მის ტაგარტი მხოლოდ თავისი პატრიოტული მოვალეობის შესრულებას ცდილობდა, მაგრამ...

— გითხარით, მომაშორეთ-მეთქი.

— ჩვენ თქვენი მტრები არ ვართ, მისტერ გოლტ, გარწმუნებთ, რომ არ ვართ თქვენი მტრები. — ხელმძღვანელი დაგნის მიუბრუნდა, — მის ტაგარტ, თქვენ ხალხს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ. თქვენ საზოგადოების მადლიერების უმაღლესი ფორმა დაიმსახურეთ. ნება მოგვეცით, ახლა უკვე ჩვენ გავაგრძელოთ ეს საქმე.

და დამამშვიდებელი ჟესტით დაგნის ანიშნა, უკან გამდგარიყო, გოლტს რომ ვერ დაენახა.

— ახლა მითხარით, რა გინდათ? — იკითხა გოლტმა.

— მთელი ერი გელით, მისტერ გოლტ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ მოგვეცეს შესაძლებლობა, გაურკვევლობა აღმოვფხვრათ, მოგვეცეს შესაძლებლობა, თქვენთან ვითანამშრომლოთ. — მან თავისი თათმანიანი ხელით დანარჩენ სამს ანიშნა; იატაკის ფიცრები აჭრიალდა, როდესაც ისინი მდუმარედ შეუდგნენ უჯრებისა და კარადების გაღებას, ოთახს ჩხრეკდნენ, — ხვალ დილით, მისტერ გოლტ, ერს იმედი დაუბრუნდება, როდესაც ადამიანები თქვენი პოვნის ამბავს შეიტყობენ.

— რა გინდათ? — იკითხა გოლტმა.

— მხოლოდ ის, რომ ხალხის სახელით მოგესალმოთ.

— მაპატიმრებთ?

— რა საჭიროა ასეთი დრომოჭმული ტერმინები? ჩვენი საქმე მხოლოდ ის არის, რომ უსაფრთხოდ მიგაცილოთ ქვეყნის ხელმძღვანელობის უზენაეს საბჭომდე, სადაც თქვენი ყოფნა გადაუდებლად აუცილებელია. — მან პაუზა გააკეთა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, — ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელებს თქვენთან მოთათბირება სურთ — უბრალოდ, მოთათბირება და მეგობრული ურთიერთგაგების მიღწევა.

ჯარისკაცებმა ტანსაცმლისა და ჭურჭლის მეტი ვერაფერი აღმოაჩინეს; წერილები, წიგნები, გაზეთიც კი ვერ იპოვეს, თითქოს ოთახი წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანის საცხოვრებელი ყოფილიყო.

— ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ თქვენი კუთვნილი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავებაში დაგეხმაროთ, მისტერ გოლტ. როგორც ჩანს, თქვენ ვერ აცნობიერებთ თქვენს საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

— ვაცნობიერებ.

— ჩვენ აქ მხოლოდ თქვენ დასაცავად ვართ.

— დაკეტილია! — განაცხადა ჯარისკაცმა, როდესაც ლაბორატორიის კარს მუშტი მიარტყა.

ხელმძღვანელმა მაამებლურად გაიღიმა:

— რა არის კარს მიღმა, მისტერ გოლტ?

— კერძო საკუთრება.

— გააღეთ, თუ შეიძლება.

— არა.

ხელმძღვანელმა წამებულის უმწეობით გაშალა ხელები:

— სამწუხაროდ, მე არჩევანი არ მაქვს. ხომ გესმით, ბრძანებაა. ჩვენ უნდა შევიდეთ იმ ოთახში.

— შედით.

— ეს მხოლოდ ფორმალობაა, უბრალო ფორმალობა. მტრული დამოკიდებულების საფუძველი არ არსებობს. გთხოვთ, ითანამშრომლოთ ჩვენთან.

— მე უკვე ვთქვი, არა.

— დარწმუნებული ვარ, არ გენდომებათ, მივმართოთ რომელიმე... წრეგადასულ საშუალებას. — ხელმძღვანელმა დაიცადა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, — ჩვენ უფლებამოსილი ვართ, კარი შევამტვრიოთ, იცით... მაგრამ, ცხადია, ამის გაკეთება არ გვინდა. — მან ამჯერადაც ვერ მიიღო პასუხი, — გატეხე საკეტი! — დაუყვირა მოულოდნელად ჯარისკაცს.

დაგნიმ გოლტს სახეზე შეხედა. ის გულგრილად იდგა, ხედავდა მის მშვიდ ნაკვთებს და კარისკენ მიმართულ მზერას. საკეტი გაპრიალებული სპილენძისგან დამზადებული, მომცრო, კვადრატული ფორმის ფირფიტა იყო, რომელსაც არც ნახვრეტი ჰქონდა გასაღებისთვის და არც სახელური.

სამი ცხოველი უნებლიეთ დადუმდა და ადგილზე გაშეშდა, ვიდრე მეოთხე ფრთხილად არჭობდა საგანგებო ხელსაწყოს კარის ფიცარში.

ხე ადვილად იფხიკებოდა და წვრილი ნაფოტები დაბლა ცვიოდა, მათი დავარდნის ყრუ ხმას სიჩუმე იარაღის შორეულ გრგვინვად აქცევდა. როდესაც ძალაყინი სპილენძის ფირფიტას შეეხო, კარს მიღმა ბუნდოვანი შრიალი გაისმა, რომელიც ამოოხვრაზე ხმამაღალი არ იყო. წუთის შემდეგ საკეტი ამოვარდა და კარი ერთი ინჩზე ძაგძაგით გაიღო.

ჯარისკაცი უკან გახტა. ხელმძღვანელი მფრთხალი ნაბიჯებით მიუახლოვდა კარს და ხელის კვრით ბოლომდე შეაღო. მათ წინ უცნობი შიგთავსისა და სრული წყვდიადისგან შემდგარი შავი ხვრელი გაჩნდა.

ოთახში მყოფებმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, შემდეგ კი გოლტს; ის გაუნძრევლად შეჰყურებდა წყვდიადს.

მათ ზღურბლს გადააბიჯეს, თან გზას ფარნებით ინათებდნენ, დაგნიც უკან გაჰყვათ. კარს მიღმა ლითონისგარსიანი, წაგრძელებული ფორმის, ცარიელი სივრცე აღმოჩნდა. იატაკზე მტვრის სქელი ფენა იდო. ასეთი უცნაური, მონაცრისფრო-თეთრი მტვერი უძველეს ნანგრევებს შორის თუ ეყრებოდა, სადაც მრავალი საუკუნეა, ფეხი არავის დაუდგამს. ოთახი უსიცოცხლოს ჰგავდა, თავის ქალასავით.

დაგნიმ თავი მიაბრუნა, რათა ამ ადამიანებს მის სახეზე არ ამოეკითხათ, რა იყო ეს მტვერი სულ რამდენიმე წუთის წინ. „ნუ ეცდებით მაგ კარის გაღებას... თუ მის შენგრევას მოინდომებთ, მექანიზმი შენობაში იმაზე ადრე დაიშლება ნაწილებად, ვიდრე შიგნით შესვლას მოახერხებთ“, — ეს სიტყვები გოლტმა დაგნის ატლანტიდის ელექტროსადგურის შესასვლელთან უთხრა. „ნუ ეცდებით ამ კარის გაღებას“, — ფიქრობდა დაგნი, თუმცა იცოდა, რომ ის, რასაც ახლა ხედავდა, ხორცშესხმული, თვალით ხილული ფორმა იყო განცხადებისა: „ნუ ეცდებით გონების იძულებას“.

ჯარისკაცები უსიტყვოდ გამოვიდნენ ლაბორატორიიდან და გასასვლელ კარს მიაშურეს, შემდეგ კი სხვენში მიმოიფანტნენ, თითქოს ზღვის დინებას გამოერიყა.

— აბა, — თქვა გოლტმა, პალტო აიღო და ხელმძღვანელს მიუბრუნდა, — წავიდეთ.

* * *

სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ სამი სართული ადამიანებისგან დაეცალათ და კბილებამდე შეიარაღებულ ბანაკად ექციათ. ავტომატგადაკიდებული მცველები ხავერდის ხალიჩებით მოგებული გრძელი დერეფნების ყოველ მოსახვევში იდგნენ. ხიშტებმომარჯვებული მცველები დაეყენებინათ საევაკუაციო კიბეების ბაქნებზეც. ორმოცდამეცხრამეტე, მესამოცე და სამოცდამეერთე სართულებზე ლიფტის კარები ბოქლომით დაეკეტათ; ამ სართულებზე ასასვლელად მხოლოდ ერთი კარი და ერთი ლიფტი იყო დატოვებული, რომლებსაც საბრძოლველად გამზადებული ჯარისკაცები

იცავდნენ. სასტუმროს პირველი სართულის დერეფნებში, რესტორნებში და მაღაზიებში უცნაური შესახედაობის მქონე ადამიანები დაეხეტებოდნენ: მათი ტანსაცმელი, სასტუმროს ჩვეული კლიენტების წარუმატებელი მიბაძვით, მეტისმეტად ახალი და ძვირფასი ჩანდა, ოღონდ ყველაფერს ის აფუჭებდა, რომ სამოსი ახოვან ფიგურებზე სათანადოდ ვერ მოერგოთ და იმ ადგილებში, სადაც, როგორც წესი, ბიზნესმენის არა, მაგრამ შეიარაღებული ადამიანის სამოსელია ხოლმე ამობერილი, ბორცვებად დასდგმოდათ. „ტომპსონის“ ფირმის ავტომატებით შეიარაღებულ მცველთა ჯგუფები სასტუმროს ყოველ შესასვლელთან და გამოსასვლელთან განლაგებულიყვნენ, ისევე, როგორც მიმდებარე ქუჩების სტრატეგიულ წერტილებში.

ამ ბანაკის ცენტრში, მესამოცე სართულზე, რომელსაც სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ სამეფო აპარტამენტს უწოდებდნენ, ატლასის ფართლეულს, ბროლის შანდლებსა და ყვავილების გირლანდებს შორის, ფარჩაგადაფარებულ სავარძელში, ფართო შარვალსა და პერანგში ჩაცმული ჯონ გოლტი იჯდა, ცალი ფეხი ხავერდის პატარა ბალიშზე ედო, გადაჯვარედინებული ხელები კისერზე შემოეწყო და ჭერს აჰყურებდა.

ამ მდგომარეობაში დახვდა გოლტი მისტერ ტომპსონს, როდესაც დილის ხუთი საათიდან სამეფო აპარტამენტის კართან მდგომმა ოთხმა მცველმა თერთმეტ საათზე მას კარი გაუღო და შემდეგ ისევ დაკეტა.

მისტერ ტომპსონი წამით აფორიაქდა, როდესაც საკეტის ჩხაკუნის ხმამ მას უკან დასახევი გზა მოუჭრა და ტუსაღის პირისპირ მარტო დატოვა. მაგრამ მერე საგაზეთო სტატიების სათაურები და რადიოში გაკეთებული განცხადებები მოაგონდა, რომლებიც ქვეყანას განთიადიდან მოყოლებული აუწყებდნენ: „ჯონ გოლტი ნაპოვნია!“ „ჯონ გოლტი ნიუ-იორკშია!“ „ჯონ გოლტი ხალხის სატკივარს იზიარებს!“

„ჯონ გოლტი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ეთათბირება და მათთან ერთად ჩვენი ყველა პრობლემის სწრაფი მოგვარების გზას ეძებს!“ — და საკუთარი თავი დაარწმუნა იმაში, რომ ამ ყველაფრის სჯეროდა.

— აბა, აბა, აბა! — თქვა ტომპსონმა მხნედ და სწრაფად გაემართა გოლტის სავარძლისკენ, — მაშასადამე, თქვენ ხართ ის ახალგაზრდა, ვინც ეს ალიაქოთი გამოიხვია. ოჰ, — განაგრძო მოულოდნელად, როდესაც მისკენ მიმართულ გოლტის მუქ მწვანე თვალებს დააკვირდა, — კარგი, მე... მიხარია თქვენი გაცნობა, მისტერ გოლტ, მიხარია. — შემდეგ კი დაამატა, — მე მისტერ ტომპსონი გახლავართ.

— მოგესალმებით, — მიმართა მას გოლტმა.

მისტერ ტომპსონი მოწყვეტით დაეშვა სავარძელში, ეს მკვეთრი მოძრაობა თითქოს მის ძალდაუტანებელ საქმიან დამოკიდებულებაზე მიანიშნებდა:

— ოღონდ ნუ წარმოიდგენთ, თითქოს დაპატიმრებული იყოთ ან სხვა რაიმე მსგავს სისულელეს. — ტომპსონმა ოთახს მოავლო ხელი, — თვითონაც ხედავთ, ეს ციხე არ არის. იმასაც ხედავთ, რომ ღირსეულად გეპყრობით. თქვენ მნიშვნელოვანი პიროვნება ხართ, ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება, და ჩვენ ეს ვიცით. ისე მოიქეცით, თითქოს საკუთარ სახლში იყოთ. მოითხოვეთ, რაც მოგესურვებათ. სამსახურიდან დაითხოვეთ ნებისმიერი მსახური, თუ რაიმე არ მოგეწონათ. და თუ რომელიმე შეიარაღებული ჯარისკაცი თვალში არ მოგივათ, ერთი სიტყვა გვითხარით და სხვას გამოვაგზავნით მის შემცვლელად.

ტომპსონი მომლოდინედ გაჩუმდა, თუმცა პასუხი ვერ მიიღო.

— აქ მხოლოდ იმისთვის მოგიყვანეთ, რომ უბრალოდ დაგლაპარაკებოდით. ასე არ მოვიქცეოდით, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვეთ. არა და არ გამოჩნდით. არადა, მხოლოდ ის გვინდოდა, გვეთქვა, რომ თქვენ არასწორად გაგვიგეთ.

ტომპსონმა ხელები გაშალა და მომხიბვლელად გაიღიმა. გოლტი მდუმარედ შეჰყურებდა მას.

— ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვით, დიდებული ორატორი ხართ! რაღაც გაუკეთეთ ამ ქვეყანას — რა ან რატომ, არ ვიცი, მაგრამ რაღაც ნამდვილად გაუკეთეთ.

როგორც ჩანს, ადამიანებს სურთ ის, რასაც თქვენ ფლობთ. მაგრამ გეგონათ, რომ ჩვენ კატეგორიულად შევეწინააღმდეგებოდით ამას? აი, სად შეცდით. ასე არ არის.

პირადად მე ვფიქრობ, რომ თქვენს გამოსვლაში ბევრი რამ იყო აზრიანი. დიახ, სერ, ასე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ყოველ სიტყვას არ ვეთანხმები, მაგრამ რა მერე?

თქვენ ხომ არ ელოდით ჩვენგან, რომ ყველაფერზე დაგეთანხმებოდით? აზრთა სხვადასხვაობა — აი, რას მივყავართ წინ. რაც შემეხება მე, ყოველთვის მზად ვარ, აზრი შევიცვალო. მზად ვარ, ნებისმიერი არგუმენტი მივიღო.

ტომპსონი წამახალისებლად გადაიხარა წინ, თუმცა გოლტისგან პასუხი ვერც ამჯერად მიიღო.

— როგორც თავად თქვით, მსოფლიოში საშინელი ქაოსია. ამაში მეც გეთანხმებით. ერთ საკითხთან მიმართებით ჩვენი აზრები ემთხვევა. შეგვიძლია, ამით დავიწყოთ. რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ. მე მხოლოდ ის მინდოდა.....მისმინეთ, — წამოიძახა ტომპსონმა მოულოდნელად, — რატომ არ მაძლევთ თქვენთან დალაპარაკების საშუალებას?

— თქვენ უკვე მელაპარაკებით.

— მე... კარგი, ეს... კარგი, თქვენ იცით, რისი თქმაც მინდა.

— სავსებით.

— აბა?.. აბა, თქვენ თვითონ რას იტყვით?

— არაფერს.

— რა?!

— არაფერს.

— ოჰ, გეყოფათ, თუ ღმერთი გწამთ!

— მე არ ვცდილობდი თქვენთან საუბარს.

— კი მაგრამ... კი მაგრამ, მომისმინეთ!.. უნდა დავილაპარაკოთ!

— მე არაფერი მაქვს სათქმელი.

— მომისმინეთ, — მიმართა გოლტს ტომპსონმა პაუზის შემდეგ, — თქვენ მოქმედებისკენ მიდრეკილი ადამიანი ხართ, პრაქტიკული ადამიანი. მერედა, როგორი პრაქტიკული! ჯერ ბევრი არაფერი ვიცი თქვენ შესახებ, მაგრამ ამაში დარწმუნებული ვარ. აბა, რას იტყვით, ხომ ასეა?

— პრაქტიკული? ვარ.

— კარგი, მეც პრაქტიკული ვარ. ჩვენ შეგვიძლია, პირდაპირ ვილაპარაკოთ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე. რა მიზანიც არ უნდა გქონდეთ, მე გარიგებას გთავაზობთ.

— გარიგებისთვის ყოველთვის მზად ვარ.

— ვიცოდი! — წამოიყვირა ტომპსონმა მოზეიმე ხმით და მუშტი მუხლზე დაირტყა, — სწორედ ეს ვუთხარი მათ, უესლის მსგავს იმ სულელ ინტელექტუალ თეორეტიკოსებს!

— გარიგებისთვის ყოველთვის მზად ვარ — ნებისმიერთან, ვისაც ჩემთვის შემოსათავაზებელი ღირებულება აქვს.

მისტერ ტომპსონი დაზუსტებით ვერ იტყოდა, რატომ უყო გულმა რეჩხი, სანამ გოლტს უპასუხებდა:

— კარგი, დაასახელეთ თქვენი პირობები, მეგობარო! დაასახელეთ თქვენი პირობები!

— რა გაქვთ ჩემთვის შემოსათავაზებელი?

— რა ვიცი — ნებისმიერი რამ.

— მაგალითად?

— ყველაფერი, რასაც დაასახელებთ. მოისმინეთ ჩვენი მოკლეტალღიანი რადიომიმართვები?

— კი.

— ჩვენ ვთქვით, რომ თქვენს პირობებს დავთანხმდებოდით, ნებისმიერ პირობას.

და ეს ასეც არის.

— გაიგონეთ, რადიოში გამოსვლისას რომ ვთქვი, არავითარ პირობებს არ დავთანხმდები-მეთქი? და ეს ასეა.

— ოჰ, მომისმინეთ, თქვენ სწორად ვერ გაგვიგეთ! გეგონათ, ბრძოლას გამოგიცხადებდით, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიზამთ. ასეთი ხისტები არ ვართ. მზად ვართ, გავითვალისწინოთ ნებისმიერი აზრი. რატომ არ გამოგვეხმაურეთ და არ მოხვედით მოსათათბირებლად?

— ასე რატომ უნდა მოვქცეულიყავი?

— იმიტომ... იმიტომ, რომ ჩვენ მთელი ქვეყნის სახელით გვინდოდა, დაგლაპარაკებოდით.

— მე არ ვცნობ თქვენს უფლებას, მთელი ქვეყნის სახელით ილაპარაკოთ.

— იცით რა, მომისმინეთ, მიჩვეული არ ვარ... კარგი, შეგიძლიათ, უბრალოდ მომისმინოთ?

— გისმენთ.

— ქვეყანა საშინელ მდგომარეობაშია. ადამიანები შიმშილობენ და იმედი აქვთ დაკარგული, ეკონომიკა ნადგურდება, აღარავინ აღარაფერს აღარ აწარმოებს. ჩვენ არ ვიცით, მდგომარეობა როგორ გამოვასწოროთ, თქვენ კი იცით. თქვენ იცით, როგორ აამოქმედოთ მექანიზმი. კარგი, ჩვენ მზად ვართ, დაგითმოთ. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ გვითხრათ, რა უნდა გავაკეთოთ.

— მე უკვე გითხარით ეს.

— რა?

— დაასრულეთ თქვენი საქმიანობა.

— ეს შეუძლებელია! ეს გამორიცხულია!

— ხედავთ? ხომ გითხარით, ჩვენ არაფერი გვაქვს განსახილველი-მეთქი.

— ახლა გეყოფათ! გეყოფათ! უკიდურესობებს თავი დაანებეთ! ოქროს შუალედი ყოველთვის მოიძებნება. ყველაფერს ვერ მოითხოვთ. ჩვენ არ ვართ... ხალხი არ არის ამისთვის მზად. რატომ გგონიათ, რომ სახელმწიფო მანქანაზე ხელს ავიღებთ.

ჩვენ სისტემა უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ მზად ვართ, გავაუმჯობესოთ ის. თქვენ ოღონდ გვითხარით, როგორ გარდავქმნათ სისტემა და ჩვენ დაგიჯერებთ. კერპი თეორეტიკოსი დოგმატიკოსები არ ვართ — ჩვენ მოქნილები ვართ. ყველაფერს გავაკეთებთ, რასაც გვეტყვით. მოქმედების სრულ თავისუფლებას მოგცემთ. ჩვენ ვითანამშრომლებთ. დათმობაზე წავალთ. ძალაუფლებას თანაბრად გავიყოფთ.

პოლიტიკის სფეროს ისევ ჩვენ ვმართავთ, თქვენ კი სრული ძალაუფლება გექნებათ ეკონომიკის სფეროზე. მთელ წარმოებას გადმოგაბარებთ, მთლიანად გაჩუქებთ ეკონომიკას. შეგეძლებათ, ისე მართოთ, როგორც მოგესურვებათ, გასცეთ ბრძანებები, გამოსცეთ დირექტივები — თქვენს ხელში იქნება სახელმწიფოს ორგანიზებული ძალა, საკუთარი გადაწყვეტილებები რომ განახორციელოთ. ჩვენ დაგემორჩილებით, თითოეული ჩვენგანი, ჩემით დაწყებული. წარმოების სფეროში იმას გავაკეთებთ, რასაც თქვენ გვეტყვით. თქვენ იქნებით... თქვენ ქვეყნის ეკონომიკური დიქტატორი იქნებით!

გოლტმა გადაიხარხარა.

მისტერ ტომპსონი მისმა გულწრფელმა, მხიარულმა სიცილმა გააკვირვა:

— რა დაგემართათ?

— აი, თურმე როგორ წარმოგიდგენიათ კომპრომისი!

— ჯანდაბა! რა გაცინებთ!.. მგონი, თქვენ ვერ გამიგეთ. მე უესლი მაუჩის სამსახურს გთავაზობთ, ამაზე მეტს ვერავინ ვერაფერს ვერ შემოგთავაზებდათ!.. მოქმედების სრული თავისუფლება გექნებათ. თუ არ მოგწონთ შეზღუდვები — გააუქმეთ ისინი. თუ უფრო დიდი მოგება და დაბალი ხელფასები გინდათ — გამოეცით შესაბამისი ბრძანებულება. თუ საგანგებო პრივილეგიები გსურთ მსხვილი მაგნატებისთვის — მიანიჭეთ მათ ეს პრივილეგიები. თუ არ მოგწონთ პროფკავშირები — დაშალეთ ისინი. თუ თავისუფალი ეკონომიკა გინდათ — უბრძანეთ ხალხს, რომ თავისუფლები იყვნენ! როგორც მოგესურვებათ, ისე მოიქეცით. მაგრამ აამუშავეთ ქვეყანა. მოახერხეთ ქვეყნის ორგანიზება. აიძულეთ ხალხი, ისევ ამუშავდეს და აწარმოოს. დააბრუნეთ თქვენი ადამიანები — გონიერი ადამიანები. წაგვიძეხით მშვიდობიანი, სამეცნიერო, სამრეწველო ეპოქისკენ და კეთილდღეობისკენ.

— იარაღის ძალით?

— მომისმინეთ, მე... ჯანდაბა! მაინც, რას ხედავთ ამაში ასეთ სასაცილოს?

— აი, რას გკითხავთ: თუ თქვენ შეგიძლიათ, ითვალთმაქცოთ, თითქოს ჩემი რადიოში გამოსვლიდან ერთი სიტყვაც კი არ გაგიგონიათ, რა გაფიქრებინებთ, რომ მეც მოვიკატუნებ თავს, თითქოს არც ერთი ეს სიტყვა არ მითქვამს?

— ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდათ! მე...

— დაივიწყეთ. ეს უბრალოდ რიტორიკული შეკითხვა იყო. მისი პირველი ნაწილი მეორეს პასუხობს.

— რა?

— მე თქვენს თამაშებს არ ვთამაშობ, მეგობარო, თუ მაინცდამაინც გინდათ, რომ გადაგითარგმნოთ.

— ესე იგი, უარს ამბობთ ჩემს შემოთავაზებაზე?

— უარს ვამბობ.

— კი მაგრამ, რატომ?

— მე თქვენ სამი საათი გიხსნიდით, რატომაც.

— ოჰ, ეს მხოლოდ და მხოლოდ თეორიაა! მე საქმეზე გელაპარაკებით. მე ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობას გთავაზობთ. ამიხსენით, მაინც რას უწუნებთ?

— მე თქვენ სამი საათი გიხსნიდით, რომ სისტემა არ იმუშავებს.

— თქვენ შეგიძლიათ მისი ამუშავება.

— როგორ?

მისტერ ტომპსონმა ხელები გაშალა:

— არ ვიცი. ეს რომ ვიცოდე, თქვენ არ მოგმართავდით. ეს თქვენ უნდა გაარკვიოთ. თქვენ ხართ სამრეწველო გენიოსი. თქვენ ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეგიძლიათ.

— მე უკვე ვთქვი, რომ ეს შეუძლებელია.

— თქვენ ამას შეძლებთ.

— როგორ?

— როგორმე. — და როდესაც გოლტის ჩაცინების ხმა მოესმა, ტომპსონმა დაამატა, — რატომ არის შეუძლებელი? მითხარით, რატომ არის შეუძლებელი?

— კარგი, გეტყვით. თქვენ გსურთ, რომ მე ეკონომიკური დიქტატორი ვიყო?

— დიახ!

— და თქვენ ჩემს ნებისმიერ ბრძანებას დაემორჩილებით?

— უყოყმანოდ!

— მაშინ ყველა საშემოსავლო გადასახადის გაუქმებით დაიწყეთ.

— ოჰ, არა! — წამოიყვირა მისტერ ტომპსონმა და ფეხზე წამოვარდა, — ამას ვერ გავაკეთებთ! ეს... ეს წარმოების სფერო არ არის. ეს განაწილების სფეროა. როგორ გადავუხდით ხელფასებს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებს?

— გაათავისუფლეთ ისინი სამსახურიდან.

— ოჰ, არა! ეს პოლიტიკაა! ეს არ არის ეკონომიკა! თქვენ არ გაქვთ პოლიტიკაში ჩარევის უფლება! ყველაფერი არ უნდა მოითხოვოთ!

გოლტმა პატარა ბალიშზე ფეხები გადააჯვარედინა და ფარჩაგადაფარებულ სავარძელში უფრო მოხერხებულად მოკალათდა:

— კამათის გაგრძელება გსურთ? თუ უკვე მიხვდით ჩემს პოზიციას?

— მე მხოლოდ... — ტომპსონი გაჩერდა.

— დარწმუნდით, რომ მე მაქვს პოზიცია?

— მისმინეთ, — მიმართა ტომპსონმა გოლტს დამამშვიდებელი ტონით და სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა, — კამათი არ მინდა. ეს კარგად არ გამომდის. მე მოქმედებისკენ მოწოდებული ადამიანი ვარ. დრო ცოტა გვაქვს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თქვენ გონება გაქვთ. ზუსტად ისეთი გონება, როგორიც ჩვენ გვჭირდება. თქვენ ყველაფრის გაკეთება შეგიძლიათ. თუ მოინდომებთ, ყველაფერს აამუშავებთ.

— კარგი, თქვენთვის გასაგებ ენაზე გეტყვით: მე ეს არ მსურს. მე არ მსურს ეკონომიკური დიქტატორობა, იმდენი ხნითაც კი არა, ხალხის გათავისუფლების ბრძანება რომ გამოვცე — ბრძანება, რომლის გამოც ნებისმიერი გონიერი ადამიანი სახეში შემაფურთხებს, რადგან ეცოდინება, რომ მისი უფლებების ფლობა, გაცემა ან მიღება არც თქვენი ნებართვით უნდა განხორციელდეს და არც ჩემით.

— მითხარით, — თქვა მისტერ ტომპსონმა და გოლტს ჩაფიქრებული მზერით მეხედა, — რა გინდათ?

— მე ეს რადიოში გამოსვლისას გითხარით.

— მე ვერ გავიგე. თქვენ თქვით, რომ საკუთარი ეგოისტური ინტერესის კარნახით ცხოვრობთ, და ამის გაგება შემიძლია. მაგრამ რა შეიძლება, მოგინდეთ მომავალში ისეთი რამ, რასაც ახლა, ამწუთასვე ვერ მიიღებთ ჩვენგან, ისე, რომ თითიც არ გაანძრიოთ? მე მეგონა, თქვენ ეგოისტი და პრაქტიკული ადამიანი იყავით. მე თქვენ კარტ ბლანშს გთავაზობთ ნებისმიერ რამეზე, რასაც მოინდომებთ, თქვენ კი მეუბნებით, რომ ეს არ გსურთ. რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენი კარტ ბლანშის უკან კაპიტალი არ დგას.

— რა?

— იმიტომ, რომ თქვენ ჩემთვის შემოსათავაზებელი ღირებულება არ გაგაჩნიათ.

— მე ნებისმიერი რამის შემოთავაზება შემიძლია, რასაც მთხოვთ. უბრალოდ, დამისახელეთ, რა გსურთ.

— თქვენ დამისახელეთ.

— კარგი, თქვენ ბევრი ილაპარაკეთ სიმდიდრეზე. თუ თქვენ ფული გინდათ, სამი ცხოვრებაც რომ იცოცხლოთ, იმდენს ვერ გამოიმუშავებთ, რისი მოცემაც მე თქვენთვის ერთ წუთში, ახლავე, ნაღდი ფულით შემიძლია. გინდათ ერთი მილიარდი, სრულიად ფანტასტიკური მთელი ერთი მილიარდი?

— რომელიც მე უნდა გამოვიმუშაო, რომ შემდეგ თქვენ მომცეთ?

— არა, მე ვგულისხმობ, რომ ამ ფულს პირდაპირ სახელმწიფო ხაზინიდან, ახლად დაბეჭდილი კუპიურებით მიიღებთ... ან... ან, თუ გირჩევნიათ, ოქროთიც.

— რისი ყიდვის საშუალებას მომცემს მე ეს ფული?

— ოჰ, მომისმინეთ, როდესაც ქვეყანა ფეხზე დადგება...

— როდესაც მე დავაყენებ მას ფეხზე?

— კარგი, თუ მაინცდამაინც გინდათ, საკუთარი ახირების მიხედვით მართოთ ყველაფერი, თუკი ძალაუფლება გსურთ, მე გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ყოველი კაცი, ქალი და ბავშვი ამ ქვეყანაში დაემორჩილება თქვენს ბრძანებებს და იმას გააკეთებს, რასაც თქვენ მოისურვებთ.

— მას შემდეგ, რაც მე ვასწავლი მათ ამის გაკეთებას?

— თუ თქვენი კომპანიისთვის გსურთ რაიმე — ყველა იმ გამქრალი ადამიანისთვის — სამუშაო, მდგომარეობა, ძალაუფლება, გადასახადებისგან გათავისუფლება ან სხვა რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია, უბრალოდ, გვითხარით და ისინი ყველაფერს მიიღებენ.

— მას შემდეგ, რაც მე მათ უკან დავაბრუნებ?

— აბა, რა გინდათ, საერთოდ?

— მაინც, რისთვის მჭირდებით?

— რა?

— ისეთს რას შემომთავაზებთ, რასაც თქვენ გარეშე ვერ მოვიპოვებ?

მისტერ ტომპსონს მზერა შეეცვალა, როდესაც უკან გადაიწია, თითქოს კუთხეში მიიმწყვდიესო, თუმცა მან პირველად შეხედა გოლტს თვალებში და აუჩქარებლად უთხრა:

— ჩემ გარეშე, აი ახლა, ამ ოთახიდან გასვლას ვერ შეძლებთ.

გოლტმა გაიღიმა:

— მართალია.

— თქვენ ვერაფერს ვეღარ აწარმოებთ. შესაძლებელია, აქ შიმშილით ამოგხდეთ სული.

— მართალია.

— აბა, ნუთუ ვერ ხვდებით? — მისტერ ტომპსონის ხმას ადრინდელივით მეგობრული ხალისი და სიძლიერე დაუბრუნდა, თითქოს გაცემული და მიღებული მინიშნების გაქარწყლებას ახლა ტონის მეშვეობით ცდილობდა, — მე შემიძლია, თქვენი სიცოცხლე შემოგთავაზოთ.

— ის თქვენ არ გეკუთვნით, რომ შემომთავაზოთ, მისტერ ტომპსონ, — თქვა გოლტმა ხმადაბლა.

მის ხმაში ისეთი რაღაც გაისმა, რამაც ტომპსონი აიძულა, ჯერ შეეხედა მისთვის, მერე კი უცებვე აერიდებინა თვალი: გოლტი თითქმის უწყინრად იღიმებოდა.

— ახლა ხვდებით, რას ვგულისხმობდი, — თქვა მან, — როდესაც ვთქვი, რომ არარას არ შეუძლია, ფლობდეს სიცოცხლეს? ეს მე უნდა მებოძებინა თქვენთვის სიცოცხლე, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. მუქარის უკან წაღება გასამრჯელო არ არის, უარყოფის უარყოფა ჯილდო არ არის, თქვენი შეიარაღებული ბოროტმოქმედების მოშორება სტიმული არ არის, დაპირება, რომ არ მომკლავთ, ღირებულება არ არის.

— ვინ... ვინმემ ახსენა თქვენი მოკვლა?

— სხვა რამე ვიღამ ახსენა? თქვენ აქ იარაღის ძალითა და სიკვდილის მუქარით რომ არ მაკავებდეთ, საერთოდ არ მოგეცემოდათ ჩემთან დალაპარაკების შესაძლებლობა. თქვენს იარაღს მხოლოდ ამის მიღწევა შეუძლია. მე მუქარის უკან წაღებისთვის არ ვიხდი. მე ჩემს სიცოცხლეს არავისგან არ ვყიდულობ.

— ეს ასე არ არის, — მხიარული ხმით თქვა ტომპსონმა, — ფეხი რომ მოგეტეხათ, ხომ გადაუხდიდით ექიმს, რომ ემკურნალა?

— არა, თუ ფეხს ის ექიმი მომტეხდა. — გაუღიმა გოლტმა მდუმარე ტომპსონს, — მე პრაქტიკული ადამიანი ვარ, მისტერ ტომპსონ. არა მგონია, პრაქტიკული იყოს იმ ადამიანის გაძლიერება, რომლისთვისაც თავის რჩენის ერთადერთი წყარო ჩემი ძვლების მტვრევაა. მფარველობითი გამოძალვის მხარდაჭერა პრაქტიკულ საქციელად არ მიმაჩნია.

მისტერ ტომპსონი ჩაფიქრდა, შემდეგ კი თავი გააქნია.

— ჩემი აზრით, თქვენ პრაქტიკული ადამიანი არ ხართ, — მიმართა მან გოლტს, — პრაქტიკული ადამიანი რეალურ ფაქტებს არ უგულებელყოფს. ის დროს ფუჭად არ დაკარგავს, რომ მდგომარეობის შეცვლაზე იოცნებოს ანდა თვითონ ეცადოს მის შეცვლას. პრაქტიკული ადამიანი ცდილობს, რეალობა ისეთი მიიღოს, როგორიც არის. თქვენ ჩვენს ხელში ხართ — ეს ფაქტია. მოგწონთ თუ არა, ფაქტი ეს არის და თქვენ მის შესატყვისად უნდა მოიქცეთ.

— მე პრაქტიკული ადამიანი ვარ.

— მე იმას ვგულისხმობ, რომ თქვენ უნდა ითანამშრომლოთ. თქვენ უნდა ცნოთ არსებული მდგომარეობა, მიიღოთ ის და შეეგუოთ მას.

— სისხლი რომ მოგეწამლოთ, შეეგუებით ამ ფაქტს თუ იმოქმედებთ, რომ გამოასწოროთ ის?

— ოჰ, ეს სულ სხვა რამეა! ეს ფიზიკური ფაქტია!

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ფიზიკური ფაქტები ექვემდებარება შესწორებას, თქვენი კაპრიზები კი არა?

— რა?

— იმას გულისხმობთ, რომ ფიზიკური ბუნება შესაძლებელია, მოერგოს ადამიანებს, მაგრამ თქვენი კაპრიზები ბუნების კანონებზე მაღლა დგას, და ადამიანები უნდა ეცადონ თქვენთან შეგუებას?

— მე ვგულისხმობ, რომ თქვენზე აღმატებულ მდგომარეობაში ვარ!

— იარაღით ხელში?

— ოჰ, დაივიწყეთ იარაღი! მე...

— მე არ შემიძლია რეალური ფაქტის დავიწყება, მისტერ ტომპსონ. ეს არაპრაქტიკული საქციელი იქნებოდა.

— კარგი, მაშინ: მე ხელში იარაღი მიკავია. ამ შემთხვევაში რას აპირებთ?

— შესაბამისად მოვიქცევი. მე თქვენ დაგემორჩილებით.

— რა?

— რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ.

— ამას სერიოზულად ამბობთ?

— სერიოზულად. სავსებით. — გოლტმა დაინახა, რომ მისტერ ტომპსონის სახეზე სიფიცხეს განცვიფრება ჩაენაცვლა, — მე შევასრულებ ნებისმიერ მოქმედებას, რასაც კი თქვენ მიბრძანებთ. თუ თქვენ მიბრძანებთ, რომ ეკონომიკური დიქტატორის პოზიცია დავიკავო, დავიკავებ მას. თუ მიბრძანებთ, რომ სამუშაო მაგიდას მივუჯდე, მივუჯდები. თუ დირექტივის გამოცემას მიბრძანებთ, გამოვცემ იმ დირექტივას, რომლის გამოცემასაც თქვენ მიბრძანებთ.

— ოჰ, მაგრამ მე არ ვიცი, რა დირექტივები უნდა გამოიცეს!

— არც მე ვიცი.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა.

— აბა? — თქვა გოლტმა, — რას მიბრძანებთ?

— გადაარჩინეთ ქვეყნის ეკონომიკა!

— მე არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთო.

— მონახეთ გზა!

— მე არ ვიცი, ეს გზა როგორ მოვნახო.

— იაზროვნეთ!

— როგორ მაიძულებს აზროვნებას თქვენი იარაღი, მისტერ ტომპსონ?

ტომპსონი უსიტყვოდ შეჰყურებდა გოლტს. გოლტმა შეხედა მის მოკუმულ ტუჩებს, წინ წამოწეულ ნიკაპს, მოჭუტულ თვალებს და წარმოუდგა ხულიგანი მოზარდი, რომელიც სადაც იყო, წარმოთქვამდა შემდეგი ფრაზით გადმოცემულ ფილოსოფიურ არგუმენტს: „კბილებს ჩამოგიღებ“. გოლტმა გაიღიმა და ჯიქურ შეხედა ტომპსონს, თითქოს უთქმელი წინადადება გაიგონა და ხაზი გაუსვა მას. ტომპსონმა გვერდზე გაიხედა.

— არა, — თქვა გოლტმა, — თქვენ არ გსურთ, რომ მე ვიაზროვნო. როდესაც ადამიანს თავისი საკუთარი არჩევნისა და განსჯის უნარის წინააღმდეგ მოქმედებას აიძულებთ, თქვენ გსურთ, მან სწორედ აზროვნება შეწყვიტოს. გინდათ, ის რობოტი გახდეს. მე თქვენ დაგემორჩილებით.

მისტერ ტომპსონმა ამოიოხრა.

— არ მესმის, — თქვა მან გულწრფელი უმწეობის ტონით, — რაღაცაშია საქმე და მე ვერ გამიგია. რაში გჭირდებათ უსიამოვნებები? თქვენი გონების პატრონი ნებისმიერს ჩააწყვეტინებთ ხმას. მე თქვენთან ახლოსაც ვერ მოვალ, და ეს თვითონაც იცით. რატომ არ თვალთმაქცობთ, თითქოს შემოგვიერთდით, რომ შემდეგ მმართველობა მთლიანად ჩაიგდოთ ხელში და მოხერხებით მაჯობოთ?

— იმავე მიზეზის გამო, რისთვისაც ამას მთავაზობთ: იმიტომ, რომ თქვენ გაიმარჯვებთ.

— რა?

— იმიტომ, რომ სწორედ თქვენზე გონიერი ადამიანების მცდელობამ, დაემარცხებინეთ თქვენი პირობებით, მოგცათ შესაძლებლობა, საუკუნეების განმავლობაში დაგეძვრინათ თავი პასუხისმგებლობისგან. რომელი ჩვენგანი გაიმარჯვებს, თუ მე თქვენი განგსტერების მართვაში შეგეჯიბრებით? რა თქმა უნდა, შემეძლო, მეთვალთმაქცა, — თუმცა ამით ვერც თქვენს ეკონომიკას გადავარჩენდი და ვერც თქვენს სისტემას, მათ ახლა ვეღარაფერი უშველის, — მაგრამ მე დავიღუპებოდი, თქვენ ისევ იმას მიაღწევდით, რასაც ყოველთვის აღწევდით

წარსულში: დროს მოიგებდით, თქვენ ირგვლივ დარჩენილი საუკეთესო ადამიანების, — რომელთა შორის მეც ვარ, — უკანასკნელი იმედისა და ძალისხმევის ფასად, კიდევ ერთხელ გადაავადებდით სამართლის აღსრულებას, ერთი წლით ან იქნებ ერთი თვით, სწორედ ეს არის ის, რაც თქვენ გჭირდებათ, ეს არის თქვენი მისწრაფებების მასშტაბი. ერთი თვე? თქვენ ერთ კვირაზეც დათანხმდებით — იმ უცვლელ აბსოლუტზე დაყრდნობით, რომ მორიგი მსხვერპლი ყოველთვის გამოჩნდება. მაგრამ მსხვერპლი, რომელიც ახლა იპოვეთ, უკანასკნელია — ეს მსხვერპლი თავისი ისტორიული როლის შესრულებაზე უარს აცხადებს. თამაში დამთავრდა, მეგობარო.

— ოჰ, ეს მხოლოდ თეორიაა! — წამოიყვირა ტომპსონმა რამდენადმე გადამეტებული გაღიზიანებით; მისი მზერა ოთახში დაწრიალებდა, თითქოს თვალებით სცემდა ბოლთას; კარს ისე გახედა, გეგონებოდა, გაქცევას ლამობდა, — თქვენ ამბობთ, რომ თუ სისტემაზე უარს არ ვიტყვით, დავიღუპებით? — ჰკითხა მან გოლტს.

— ასეა.

— ჰო, მაგრამ რადგან თქვენ ჩვენს ხელში ხართ, თქვენც ჩვენთან ერთად დაიღუპებით?

— შესაძლებელია.

— სიცოცხლე არ გინდათ?

— გაგიჟებით მინდა. — გოლტმა ტომპსონის თვალებში სიხარულის ხანმოკლე გაელვება დაინახა და გაიღიმა, — მეტსაც გეტყვით: მე ვიცი, რომ იმაზე ძლიერ მსურს სიცოცხლე, ვიდრე თქვენ. მე ვიცი, რომ თქვენ ამის იმედი გაქვთ. მე ვიცი, რომ თქვენ სინამდვილეში საერთოდ არ გინდათ ის. მე კი მინდა. და რადგან სიცოცხლე ასე ძლიერ მსურს, მის შემცვლელზე არაფრის დიდებით არ დავთანხმდები.

მისტერ ტომპსონი ლამის წამოფრინდა.

— ეს სიცრუეა! — წამოიყვირა მან, — რომ მე სიცოცხლე არ მინდა. სიცრუეა! ასე რატომ მელაპარაკებით? — ტომპსონი ფეხზე იდგა, სხეული ოდნავ დასჭიმვოდა, თითქოს უეცარ ჟრჟოლას უმკლავდებოდა, — ასეთ რამეებს რატომ ამბობთ? ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდათ. — მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, — და არც ის არის სიმართლე, რომ მე შეიარაღებული ვარ. მე არ ვარ შეიარაღებული. მე არ ვაპირებ, რაიმე დაგიშავოთ. არასდროს არ მდომებია, ვინმესთვის რაიმე დამეშავებინა.

მე მინდა, რომ ხალხს მოვწონდე. მე მინდა, თქვენი მეგობარი ვიყო... მე მინდა, თქვენი მეგობარი ვიყო! — სივრცეს დაუყვირა ტომპსონმა.

გოლტის თვალები ტომპსონს უაზრო მზერით შეჰყურებდნენ და არაფერს ეუბნებოდნენ იმის შესახებ, მაინც რას ხედავდნენ ახლა ისინი.

მოულოდნელად ტომპსონი აწრიალდა, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა.

— მე უნდა გავიქცე, — თქვა მან, — მე... მე იმდენი შეხვედრა მაქვს დაგეგმილი. ჩვენ ამ საკითხზე კიდევ ვისაუბრებთ. კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. არ აჩქარდეთ.

მე ძალას არ გატანთ. უბრალოდ, მოდუნდით, არაფერზე არ იდარდოთ და თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში. მოითხოვეთ, რასაც მოისურვებთ — საჭმელი, სასმელი, სიგარეტი, ყველაფერი საუკეთესო. — ტომპსონი გოლტის ტანსაცმელს დააკვირდა, — ვუბრძანებ, რომ ქალაქში ყველაზე ძვირიანმა მკერავმა რიგიანი ტანსაცმელი შეგიკეროთ. მინდა, ყველაფერ საუკეთესოს მიეჩვიოთ. მინდა, თავი კომფორტულად იგრძნოთ და... მითხარით, — ჰკითხა გოლტს ტომპსონმა

ვითომდა დაუდევრად, — ოჯახი გყავთ? გყავთ ნათესავები, რომელთა ნახვასაც ისურვებდით?

— არა.

— მეგობრები?

— არა.

— საყვარელი ქალი?

— არა.

— უბრალოდ, იმიტომ გეკითხებით, რომ არ მინდა, მოიწყინოთ. შეგვიძლია, სტუმრების მიღების საშუალება მოგცეთ, დაასახელეთ ნებისმიერი ადამიანი, ვისი ნახვაც გინდათ, თუკი ვინმე ძვირფასია თქვენთვის.

— ასეთი ადამიანი არ არსებობს.

მისტერ ტომპსონი კართან შეჩერდა, ერთი წუთით შეხედა გოლტს და თავი გააქნია.

— თქვენი ვერაფერი გამიგია, — თქვა მან, — უბრალოდ, ვერაფერი გამიგია.

გოლტმა გაიღიმა, მხრები აიჩეჩა და უპასუხა:

— ვინ არის ჯონ გოლტი?

* * *

სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ შესასვლელთან ქარბუქს სველი თოვლის კორიანტელი დაეყენებინა. სინათლის წრეში მოქცეული შეიარაღებული მცველები უცნაური, უმწეო შესახედავი იყვნენ: მობუზულებს თავები ჩაეკიდათ, გასათბობად კი იარაღს იხუტებდნენ გულში — თითქოსდა იმის ნიშნად, დაბოღმილებს ტყვიების ჯერითაც რომ დაეცხრილათ ქარიშხალი, მათ სხეულებს მცირეოდენი შვებაც კი არ მიეცემოდათ.

ჩიკ მორისონმა, მორალური მდგომარეობის მმართველმა, რომელიც მიემართებოდა კონფერენციაზე, ორმოცდამეცხრამეტე სართულზე რომ უნდა გამართულიყო, შენიშნა, რომ გზაზე აქა-იქ გამოჩენილი დაღვრემილი გამვლელები თავს არ იწუხებდნენ, მცველებისთვის რომ შეეხედათ ანდა დაძონძილი, აცახცახებული გამყიდველის სტენდზე დაწყობილი გაუსაღებელი, დასველებული გაზეთების სათაურებისთვის: „ჯონ გოლტი კეთილდღეობას გვპირდება“.

ჩიკ მორისონმა შეშფოთებით გადააქნია თავი: უკვე ექვსი დღე იყო, მეწინავე სტატიებს იმის შესახებ, თუ როგორ თანამშრომლობდნენ სახელმწიფოს ხელმძღვანელები ჯონ გოლტთან ახალი პოლიტიკის შესამუშავებლად, არავითარი შედეგი არ გამოუღია. მორისონმა შეამჩნია, რომ ხალხი ისე მოძრაობდა, თითქოს ყველაფრის ინტერესი დაეკარგა. ის არავის შეუნიშნავს, გარდა ერთი ჩამოკონკილი მოხუცი ქალისა, რომელმაც უხმოდ გაუწოდა ხელი, როდესაც ის სასტუმროს გაჩახჩახებულ შესასვლელს მიუახლოვდა; მორისონმა ნაბიჯს აუჩქარა და ქალს დაკოჟრილ ხელისგულზე მხოლოდ დამდნარი ფიფქები დაეცა.

ჩიკ მორისონის ხმას გაღიზიანება ეტყობოდა, როდესაც ის ორმოცდამეცხრამეტე სართულზე, მისტერ ტომპსონის ოთახში, წრედ შემოკრებილ სახეებს ქუჩაში ნანახის შესახებ უყვებოდა. ამ სახეების გამომეტყველება მისი ხმის ტონს შეესატყვისებოდა. — როგორც ჩანს, ეს არ მუშაობს, — თქვა მორისონმა და საზოგადოების განწყობის შემსწავლელთა ანგარიშების დასტისკენ გაიშვირა ხელი, — პრესაში დაბეჭდილ ჩვენს განცხადებებს ჯონ გოლტთან თანამშრომლობის შესახებ შედეგი არ გამოუღია. ხალხს ეს არ ადარდებს. მათ ჩვენი ერთი სიტყვისაც კი არ სჯერათ. ზოგიერთი ამბობს, რომ გოლტი ჩვენთან არასდროს ითანამშრომლებს.

უმეტესობას ისიც კი არ სჯერა, რომ ჩვენ გოლტის პოვნა მოვახერხეთ. ვერ ვხვდები, ხალხს რა დაემართა. მათ აღარაფრის აღარ სწამთ. — მორისონმა ამოიოხრა, — სამმა ქარხანამ შეწყვიტა ფუნქციონირება კლივლენდში, გუშინწინ. გუშინ კი ჩიკაგოში ხუთი ქარხანა დაიხურა. სან-ფრანცისკოში...

— ვიცი, ვიცი, — წამოიყვირა ტომპსონმა და კაშნე ყელზე უფრო მჭიდროდ შემოიხვია: შენობაში გათბობის სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული, — გოლტს სხვა არჩევანი არ აქვს: ის უნდა დანებდეს და მმართველობა საკუთარ თავზე აიღოს. ასე უნდა მოიქცეს!

უესლი მაუჩმა ჭერს ახედა.

— მასთან დალაპარაკება აღარ მთხოვოთ, — თქვა მაუჩმა და გააჟრჟოლა, — მე უკვე ვცადე. ეს შეუძლებელია.

— მე... მე არ შემიძლია, მისტერ ტომპსონ! — წამოიყვირა ჩიკ მორისონმა, როდესაც ტომპსონმა მზერა მასზე შეაჩერა, — თუ თქვენ გნებავთ, სამსახურიდან წავალ!

მას კიდევ ერთხელ ვერ დაველაპარაკები! ძალას ნუ დამატანთ!

— მასთან დალაპარაკება არავის შეუძლია, — თქვა დოქტორმა ფლოიდ ფერისმა, — დროის კარგვაა და მეტი არაფერი. სხვისი ერთი სიტყვაც კი არ ესმის.

ფრედ კინანმა ჩაიცინა:

— ანუ მას ზედმეტად ბევრი ესმის, არა? და რაც კიდევ უფრო უარესია, პასუხობს კიდევაც.

— მაშინ ერთხელაც გეცადა! — მოუჭრა მაუჩმა, — გეტყობა, გესიამოვნა მასთან საუბარი. იქნებ კიდევ სცადო და დაიყოლიო.

— არც ეგეთი ბრიყვი ვარ, ასე რომ მოვიქცე, — თქვა კინანმა, — თავს ნუ ისულელებ, მეგობარო. მას ვერავინ დაიყოლიებს, მეორედ აღარ შევეცდები... მესიამოვნა? — დაამატა მერე გაკვირვებული გამომეტყველებით, — კი... კი, მგონი, კი.

— რა დაგემართა? გოლტი ხომ არ მოგწონს? ნებას აძლევ, რომ გადაგიბიროს?

— მე? — კინანმა მხიარულად ჩაიცინა, — რა სარგებლობას მომიტანს მე გოლტი?

მისი გამარჯვება, პირველ რიგში, მე დამაზარალებს... მხოლოდ ის ვიგულისხმე... — კინანმა ჭერს ნაღვლიანად ახედა, — მე მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ გოლტი გულწრფელად ლაპარაკობს.

— ის ვერ გაიმარჯვებს! — წამოიძახა ტომპსონმა, — ეს გამორიცხულია!

კარგა ხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— დასავლეთ ვირჯინიაში დამშეული ხალხის გამოსვლები დაიწყო, — თქვა უესლი მაუჩმა, — ტექსასელმა ფერმერებმა კი...

— მისტერ ტომპსონ! — თქვა ჩიკ მორისონმა სასოწარკვეთილი ხმით, — იქნებ... იქნებ, ადამიანებისთვის გოლტის ნახვის საშუალება მიგვეცა... ხალხმრავალ შეკრებაზე... ან ტელევიზიით... უბრალოდ, დარწმუნებულიყვნენ, რომ ნამდვილად ვიპოვეთ... ეს ხალხს ცოტა ხნით დააიმედებდა... ჩვენ კი დროს მოვიგებდით...

— ძალიან სახიფათოა, — წამოიძახა დოქტორმა ფერისმა, — ადამიანებს ახლოს არ უნდა გავაკაროთ. კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებს.

— ის უნდა დანებდეს, — თქვა მისტერ ტომპსონმა დაჟინებით, — ჩვენ უნდა შემოგვიერთდეს. ერთ-ერთმა თქვენგანმა უნდა...

— არა! — აყვირდა იუჯინ ლოუსონი, — ოღონდ მე არა! მისი დანახვაც არ მინდა!

აღარასოდეს! არ მინდა, მაიძულოს, დავიჯერო ეს ყველაფერი!

— რა? — იკითხა ჯეიმს ტაგარტმა სახიფათოდ კადნიერი დაცინვის ტონით; ლოუსონმა არ უპასუხა, — რისი გეშინია? — ტაგარტის ხმაში მეტისმეტად აშკარა ზიზღი იგრძნობოდა, თითქოს სხვისი უფრო ძლიერი შიში ჯიმს საკუთარი შიშის დაძლევისკენ უბიძგებდა, — რისი დაჯერების გეშინია, ჯინ?

— მე არ დავიჯერებ ამას! არ დავიჯერებ! — ლოუსონის ხმა ერთდროულად ღრიალიც იყო და ქვითინიც, — თქვენ მე ვერ მაიძულებთ, ადამიანისადმი რწმენა დავკარგო! ასეთები არ უნდა არსებობდნენ! ულმობელი ეგოისტი, რომელიც...

— მაგარმა ინტელექტუალებმა კი მოიყარეთ თავი, — თქვა ტომპსონმა ზიზღით, — მე მეგონა, შეგეძლოთ, გოლტს მის ენაზე დალაპარაკებოდით, არადა, მან ყველანი დაგაფრთხოთ. იდეები? ახლა სად არის თქვენი იდეები? რამე იღონეთ! აიძულეთ, რომ შემოგვიერთდეს! გადმოიბირეთ!

— უბედურება ის არის, რომ მას არაფერი არ უნდა, — თქვა მაუჩმა, — რა შეიძლება, შესთავაზო ადამიანს, რომელსაც არაფერი არ სურს?

— გინდა, თქვა, — ჰკითხა მას კინანმა, — რისი შეთავაზება შეგვიძლია ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც სიცოცხლე სურს?

— მოკეტე! — იყვირა ჯეიმს ტაგარტმა, — ამას რატომ ამბობ? ეს რამ გათქმევინა?

— შენ რაღამ აგაყვირა? — ჰკითხა მას კინანმა.

— ყველანი გაჩუმდით! — უბრძანა ტომპსონმა, — ერთმანეთთან ჩხუბი კარგად გამოგდით, მაგრამ როდესაც საქმე ნამდვილ ადამიანთან შებრძოლებაზე მიდგება...

— გამოდის, რომ მან თქვენც გადაგიბირათ? — წამოიძახა ლოუსონმა.

— მოკეტე რა, — თქვა ტომპსონმა მოქანცული ხმით, — ის ყველაზე ხისტი ნაძირალაა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე გადავყრივარ. თქვენ ამას ვერ გაიგებთ. ის უკიდურესად ხისტია... — ტომპსონის ხმაში ერთგვარი აღტაცება გაისმა, — უკიდურესად ხისტი...

— აკი გეუბნებოდით, — ზანტად, ვითომდა სასხვათაშორისოდ თქვა დოქტორმა ფერისმა, — ხისტი ნაძირალების დაყოლიების გზებიც არსებობს.

— არა! — წამოიყვირა მისტერ ტომპსონმა, — არა! მოკეტე! შენი მოსმენა არ მინდა! ერთ სიტყვასაც არ მოვისმენ! — ტომპსონის ხელები გაშმაგებით ამოძრავდა, თითქოს რაღაც დაუსახელებლის განდევნას ცდილობდა, — მე მას ვუთხარი... რომ ეს არ არის სიმართლე... რომ ჩვენ არ ვაპირებდით... რომ მე არ... — მან მკვეთრი მოძრაობით გააქნია თავი, თითქოს მისი სიტყვები საფრთხის რომელიღაც უმაგალითო ფორმა იყო, — არა, მომისმინეთ, ბიჭებო, მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ პრაქტიკულები უნდა ვიყოთ... და წინდახედულები. ძალიან წინდახედულები. ჩვენ ამ მდგომარეობას მშვიდობიანად უნდა გავუმკლავდეთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ ის გავაღიზიანოთ ან... ან რაიმე დავუშავოთ. ჩვენ არ უნდა გავრისკოთ... რომ მას რამე დაემართოს. რადგან... რადგან, თუ ის მოკვდება, ჩვენც დავიხოცებით. ის ჩვენი უკანასკნელი იმედია. შეცდომა არ უნდა დავუშვათ. თუ ის მოკვდება, ჩვენც დავიღუპებით. და ეს ყველამ ვიცით.

ტომპსონმა თვალი მოავლო ირგვლივ მყოფებს: ისინი ამას აცნობიერებდნენ.

მეორე დილას სველი ფანტელები გაზეთის მეწინავე სტატიებს ეცემოდა, რომლებიც ადამიანებს აუწყებდათ, რომ წინა დღეს, შუადღისას, ჯონ გოლტსა და ქვეყნის ლიდერებს შორის გამართულ, კონსტრუქციულ და ჰარმონიულ თათბირზე შეიმუშავეს ეგრეთ წოდებული „ჯონ გოლტის გეგმა“, რომელსაც სულ მალე

გააცნობდნენ ხალხს. საღამოს ფიფქები იმ სახლის ავეჯს ეცემოდა, რომლის წინა კედელიც ჩამონგრეულიყო და იმ ქარხნის დაკეტილ სალაროსთან უხმოდ მომლოდინე ბრბოს, რომლის მეპატრონეც სადღაც გამქრალიყო.

— სამხრეთდაკოტელი ფერმერები, — აბარებდა უესლი მაუჩი ანგარიშს მეორე დილით მისტერ ტომპსონს, — დედაქალაქისკენ დაიძრნენ, ისინი ცეცხლს უკიდებენ გზად შემხვედრ ყველა სამთავრობო ნაგებობას, და ყველა სახლს, რომლის ღირებულებაც ათი ათას დოლარს აღემატება.

— კალიფორნია არეულობამ მოიცვა, — აუწყებდა მაუჩი ტომპსონს საღამოს, — იქ სამოქალაქო ომი დაიწყო, თუ ეს ომი მართლაც სამოქალაქოა, რაც ბევრს ეეჭვება, როგორც ჩანს. აცხადებენ, რომ კავშირიდან გასვლა სურთ, მაგრამ არავინ იცის, ვინ არის ახლა ხელისუფლებაში. მთელ შტატში შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო, ერთი მხრივ, მისის ჩალმერსის „სახალხო პარტიას“ და აღმოსავლეთის თაყვანისმცემლების სოიოს კულტსა და, მეორე მხრივ, რამდენიმე ყოფილი მენავთობის პარტია „ღმერთთან დაბრუნებას“ შორის.

— მის ტაგარტ! — დაიკვნესა ტომპსონმა, როდესაც მეორე დილით მის მიერ გამოძახებული დაგნი ტაგარტი სასტუმროს ნომერში შევიდა მასთან, — რა უნდა გავაკეთოთ?

ტომპსონს გაუკვირდა, რატომ ეჩვენებოდა ადრე, რომ დაგნი რაღაც გამამხნევებელ ძალას ფლობდა. შეჰყურებდა მის უტყვ სახეს, რომელიც მშვიდი ჩანდა, მაგრამ როდესაც წუთი წუთს მისდევდა, გამომეტყველება კი არ იცვლებოდა და გრძნობის ნიშანწყალს არ ავლენდა, ეს სიმშვიდე უკვე აფორიაქებდა. „ჩვეულებრივი გამომეტყველება აქვს, როგორც ყველას, მხოლოდ პირის მოყვანილობა მიანიშნებს გამძლეობაზე“, — გაიფიქრა ტომპსონმა, — მე თქვენ გენდობით, მის ტაგარტ. თქვენ გაცილებით უფრო ჭკვიანი ხართ, ვიდრე ყველა ჩემი ბიჭი, — ალაპარაკდა ის მავედრებელი ტონით, — თქვენ ქვეყნისთვის უფრო მეტი გააკეთეთ, ვიდრე რომელიმე მათგანმა — სწორედ თქვენ გვაპოვნინეთ გოლტი. რა უნდა ვქნათ? ყველაფერი იღუპება და მხოლოდ მას შეუძლია ამ ქაოსიდან ჩვენი გამოყვანა. მაგრამ ის ამას არ გააკეთებს. მან უარი განაცხადა. ის უბრალოდ უარს ამბობს წინამძღოლობაზე. ასეთი რამ არასოდეს მინახავს: ადამიანი, რომელსაც მბრძანებლობის სურვილი არ გააჩნია. ჩვენ მას ვთხოვთ, ბრძანებები გასცეს, ის კი გვპასუხობს, რომ სურს, დაემორჩილოს ბრძანებებს! ეს აბსურდია!

— ასეა.

— თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? გესმით მისი?

— ის ამპარტავანი ეგოისტია, — თქვა დაგნიმ, — ამბიციური ავანტიურისტი, უსაზღვროდ კადნიერი ადამიანი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მაღალი ფსონებისთვის თამაშობს.

დაგნი ფიქრობდა, რომ ეს ადვილი იყო. ძნელი იმ შორეულ დროში იქნებოდა, როდესაც ენა მიაჩნდა ღირსების იარაღად, რომელიც ისე უნდა გამოგეყენებინა, თითქოს რეალობის ერთგულებისა და ადამიანებისადმი პატივისცემის ფიცი გქონდა დადებული. ახლა კი საქმე მხოლოდ ბგერების გამოცემას ეხებოდა, იმ უსულო საგნებისადმი მიმართული უაზრო ბგერების გამოცემას, რომლებსაც არაფერი აკავშირებდათ ისეთ ცნებებთან, როგორებიც რეალობა, ადამიანი და ღირსებაა.

ადვილი აღმოჩნდა პირველ დილას მისტერ ტომპსონისთვის იმის მოხსენება, თუ როგორ მიჰყვებოდა დაგნი უკან ჯონ გოლტს მის სახლამდე. ადვილი აღმოჩნდა ტომპსონის ათრთოლებული ღიმილის ყურება და მისი გაუთავებელი წამოძახილების

მოსმენა: „აი, ეს მესმის! ჩემი გოგონაა!“ ამ სიტყვების წარმოთქმისას ტომპსონი მოზეიმე გამომეტყველებით შესცქეროდა თავის თანაშემწეებს, ეს იმ კაცის ზეიმი იყო, რომლის განსჯის უნარმაც დაგნის ნდობასთან მიმართებით გაამართლა. ადვილი აღმოჩნდა გოლტისადმი დაუძლეველი სიძულვილის გამოხატვა: „მე ვეთანხმებოდი მის აზრებს, მაგრამ მას ჩემი რკინიგზის განადგურების უფლებას ვერ მივცემ!“ და მისტერ ტომპსონის სიტყვების მოსმენა: „ნუ წუხხართ, მის ტაგარტ! ჩვენ დაგიცავთ მისგან!“

ადვილი აღმოჩნდა ცივი, ანგარიშიანი ადამიანის გამომეტყველების მიღება და მისტერ ტომპსონისთვის ჯილდოს — ხუთასი ათასი დოლარის შეხსენება, დაგნის ხმა ამ დროს მკვეთრი და მკაფიო იყო — სალარო-აპარატის ხმას ჰგავდა ქვითარზე თანხის ამობეჭდვისას. მან ჯერ წამიერი გაოგნება შენიშნა ტომპსონის სახეზე, შემდეგ კი მხიარული, კიდევ უფრო ფართო ღიმილი — თითქოს უსიტყვოდ წარმოითქვა, რომ ტომპსონი ამას არ მოელოდა, მაგრამ ესიამოვნა გაგება, თუ რამ უბიძგა დაგნის, ასე მოქცეულიყო და ასეთი სახის ბიძგი მისთვის გასაგები იყო:

— რა თქმა უნდა, მის ტაგარტ! რასაკვირველია! ეს ჯილდო თქვენია. მთლიანად თქვენია! თანხას სრულად გამოგიწერენ!

ეს ადვილი აღმოჩნდა, რადგან დაგნის ეჩვენებოდა, თითქოს რომელიღაც პირქუშ არა-სამყაროში იმყოფებოდა, სადაც მისი სიტყვები და მოქმედებები ფაქტები და რეალობის ანარეკლი კი აღარ იყო, არამედ მხოლოდ დაბრეცილი ფიგურები სიცილის ოთახის სარკეებში, სადაც სიმახინჯე იმ არსებათა აღქმის უნარისთვის იქმნება, რომელთა ცნობიერება არ შეიძლება, ცნობიერებად განიხილო. დაგნის ერთადერთი საწუხარი, მწველი, ცეცხლოვანი სადენივით რომ დაუყვებოდა და ბუგავდა მის არსებას და გავარვარებული ნემსივით მოძრაობდა მთელ მის სხეულში, გოლტის უსაფრთხოება იყო. ყველაფერი დანარჩენი უფორმო კვამლში, ნახევრად მჟავაში, სანახევროდ კი ბურუსში გახვეულიყო.

გააჟრჟოლა, როდესაც გაიფიქრა, რომ ყველა ის ადამიანი, ვისიც არასოდეს ესმოდა, სწორედ ამ მდგომარეობაში ცხოვრობდა, სწორედ ეს იყო მათთვის სასურველი მდგომარეობა, ხელოვნური რეალობა, აუცილებლობა, ეთვალთმაქცათ, დაემახინჯებინათ, ეცრუათ. მათი ერთადერთი მიზანი და ჯილდო კი ვიღაც მისტერ ტომპსონის შიშით დაბინდული თვალების მიმნდობი მზერა იყო. „თუკი ეს არის მათი სასურველი მდგომარეობა, სურთ კი მათ სიცოცხლე?“ — ფიქრობდა დაგნი.

— მსოფლიოში ყველაზე მაღალი ფსონები, მის ტაგარტ? — ჰკითხა აღელვებით მისტერ ტომპსონმა, — ეს როგორ უნდა გავიგოთ? რა უნდა ამ ადამიანს?

— რეალობა. მთელი დედამიწა.

— ზუსტად ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ, მაგრამ... მომისმინეთ, მის ტაგარტ, თუ ფიქრობთ, რომ მისი გაგება შეგიძლიათ, ხომ არ... ხომ არ ცდიდით მასთან დალაპარაკებას კიდევ ერთხელ?

დაგნის თითქოს მრავალი სინათლის წლით დაშორებული საკუთარი ხმა შემოესმა, რომელიც ყვიროდა, რომ სიცოცხლეს დათმობდა, ოღონდ კი გოლტი დაენახა, მაგრამ ამ ოთახში მას ვიღაც უცნობის ცივი ხმა შემოესმა, რომელიც გულგრილად ამბობდა:

— არა, მისტერ ტომპსონ, ამას არ გავაკეთებ. იმედი მაქვს, მისი ნახვა აღარასოდეს აღარ მომიწევს.

— ვიცი, რომ გძულთ ის, და არც გამტყუნებთ, მაგრამ იქნებ, მაინც გეცადა...

— მე ვცადე, დამეყოლიებინა ის იმ ღამეს, როდესაც ვიპოვე. მაგრამ საპასუხოდ მისგან მხოლოდ შეურაცხყოფა მოვისმინე. ვფიქრობ, ამქვეყნად ყველაზე მეტად მას მე ვძულვარ. არ მაპატიებს, ხაფანგში რომ გავაბი. უკანასკნელი ადამიანი, ვისაც ის დანებდება, სწორედ მე ვიქნები.

— დიახ... დიახ... მართალია... როგორ გგონიათ, ოდესმე დანებდება?

დაგნის არსებაში გავარვარებული ნემსი ერთი წუთით შედრკა, თითქოს მიმართულებას ირჩევდა: ეთქვა, რომ გოლტი არასდროს დანებდებოდა, და ეყურებინა, როგორ მოკლავდნენ მას? თუ ეთქვა, რომ გოლტი დანებდებოდა, და ეყურებინა, როგორ ჩაეჭიდებოდნენ ისინი თავიანთ ძალაუფლებას, ვიდრე ბოლომდე არ გაანადგურებენ მსოფლიოს?

— ის დანებდება, — თქვა დაგნიმ მტკიცე ხმით, — უსათუოდ დანებდება, თუ სწორად იმოქმედებთ. ზედმეტად ამბიციურია საიმისოდ, ძალაუფლებაზე რომ უარი თქვას. გაქცევის საშუალებას ნუ მისცემთ, მაგრამ ნურც დაემუქრებით და დაუშავებთ რაიმეს. დაშინებით ვერაფერს გახდებით. მასზე შიში არ მოქმედებს.

— მაგრამ, თუ... ყველაფერი ინგრევა... თუკი მის დაყოლიებას ძალიან დიდი ხანი დასჭირდა?

— ასე არ მოხდება. გოლტი საამისოდ მეტისმეტად პრაქტიკულია. სხვათა შორის, თუ აგებინებთ ახალ ამბებს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ?

— ეს რატომ უნდა გავაკეთოთ... არა.

— გირჩევთ, მას თქვენი საიდუმლო ანგარიშების ასლები მისცეთ. ნახავს, რომ დიდი დრო აღარ არის დარჩენილი.

— ეს კარგი აზრია! ძალიან კარგი აზრი!.. იცით, მის ტაგარტ, — თქვა მოულოდნელად ტომპსონმა სასოწარკვეთილი ხმით, — ყოველთვის, როდესაც თქვენ გესაუბრებით, თავს უკეთ ვგრძნობ, რადგან თქვენ გენდობით. მე ჩემ გარშემო არავის არ ვენდობი. მაგრამ თქვენ — თქვენ სხვანაირი ხართ, ძლიერი.

დაგნიმ თვალი გაუსწორა ტომპსონს და უპასუხა:

— გმადლობთ, მისტერ ტომპსონ.

დაგნი ფიქრობდა, რომ ეს ადვილი აღმოჩნდა, თუმცა, როდესაც ქუჩაში გამოვიდა, შეამჩნია, რომ პალტოს ქვეშ ოფლისგან დასველებული ბლუზონი ბეჭებზე მიჰკვროდა.

ტერმინალის ვესტიბიულში მიაბიჯებდა და ფიქრობდა, გრძნობის უნარი შერჩენილი რომ ჰქონოდა, გააცნობიერებდა, რომ ის გაუსაძლისი გულგრილობა, რომელიც ახლა დაუფლებოდა თავისი რკინიგზისადმი, სიძულვილი იყო. თავიდან ვერ მოეშორებინა განცდა, რომ ახლა მხოლოდ სატვირთო მატარებლებს ამუშავებდა:

მგზავრები მისთვის ცოცხალი არსებები და ადამიანები აღარ იყვნენ. უსარგებლო ეჩვენებოდა ასეთი უზარმაზარი ძალისხმევის დახარჯვა ავარიების თავიდან აცილებაზე და იმ მატარებლების უსაფრთხოების დაცვაზე, რომლებსაც მხოლოდ უსულო სხეულები გადაჰყავდათ. უყურებდა ტერმინალში მყოფი ადამიანების სახეებს და ფიქრობდა, რომ, თუ მათი სისტემის მმართველთა ხელით სიკვდილი ეწერა, ხოლო მათ უწინდებურად უნდა ეჭამათ, ეძინათ და ემოგზაურათ, ღირდა კი მუშაობის გაგრძელება, რათა ეს ხალხი მატარებლებით უზრუნველეყო? შველა რომ ეთხოვა, ერთი მათგანი მაინც თუ გაუწვდიდა დახმარების ხელს? სურდათ კი ამ ადამიანებს სიცოცხლე, მათ, ვინც გოლტის გამოსვლას მოუსმინა?

ხუთასი ათასი დოლარის ჩეკი დაგნის იმავე დღეს მიუტანეს ოფისში, თან ყვავილების თაიგულიც მოაყოლეს მისტერ ტომპსონისგან. დაგნიმ ჩეკს დახედა და

სამუშაო მაგიდაზე მოისროლა: ის მისთვის არაფერს ნიშნავდა, არავითარ გრძნობებს არ უჩენდა, იოტისოდენა დანაშაულის განცდასაც კი. ეს მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯი იყო და ოფისის ურნაში ჩაყრილ სხვა ნაგლეჯებზე მეტი ღირებულება არ ჰქონდა.

დაგნისთვის სულერთი იყო, ამ ჩეკით ბრილიანტის ყელსაბამის ყიდვა შეეძლო, ქალაქის ნაგავსაყრელის თუ საკვების უკანასკნელი ულუფის. ეს ფული არასოდეს დაიხარჯებოდა. ის ღირებულების ნიშანი არ იყო და მისი მეშვეობით ნაყიდ ვერც ერთ საგანს ვერ ექნებოდა ღირებულება. „მაგრამ სწორედ ეს მდორე გულგრილობაა ამ ადამიანების მუდმივი მდგომარეობა, ადამიანების, რომელთაც არც მიზანი გააჩნიათ და არც ჟინი. ეს იმ სულის მდგომარეობა იყო, რომლისთვისაც ღირებული არაფერია; სურთ კი სიცოცხლე მათ, ვინც ეს მდგომარეობა აირჩიეს?“ — ფიქრობდა დაგნი.

მრავალბინიანი სახლის დერეფანში განათების სისტემა დაზიანებულიყო, როდესაც დაღლილობისგან ენაჩავარდნილი დაგნი შინ დაბრუნდა იმ საღამოს და იატაკზე დაგდებული კონვერტი იქამდე ვერ შენიშნა, ვიდრე თავისი ბინის შესასვლელში შუქი არ აანთო. დალუქული კონვერტი, რომელსაც ზედ არაფერი ეწერა, კარიდან შემოეცურებინათ. დაგნი დასწვდა მას და წამის შემდეგ უკვე უხმოდ იცინოდა.

იატაკზე იჯდა და ადგომა არ უნდოდა, მხოლოდ ნაცნობი ხელით დაწერილ ბარათს დაჰყურებდა, იმ ხელის მიერ დაწერილს, რომელმაც თავისი უკანასკნელი შეტყობინება ქალაქის თავზე ჩამოკიდებულ კალენდარზე დაწერა. ბარათში ეწერა:

„დაგნი:

არაფერი მოიმოქმედო. თვალყური ადევნე მათ. როდესაც მას ჩვენი დახმარება დასჭირდება, შემეხმიანე ამ ნომერზე — 0R 6-5693, ფ.“

მეორე დღეს დილის გაზეთები ხალხს არწმუნებდნენ, არ დაეჯერებინათ ჭორები, თითქოს სამხრეთ შტატებში არეულობები იყო. მისტერ ტომპსონისთვის გაგზავნილი საიდუმლო ანგარიშები კი იტყობინებოდნენ, რომ ჯორჯიასა და ალაბამას შტატებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება დაწყებულიყო ელექტრული მოწყობილობების მწარმოებელი ქარხნის ხელში ჩასაგდებად — იმ ქარხნის, რომელიც შეტაკებებისა და ლიანდაგების აფეთქების შედეგად ნედლეულის ყველა წყაროს იყო მოწყვეტილი.

— წაიკითხეთ ჩემი გამოგზავნილი საიდუმლო ანგარიშები? — დაიგმინა მისტერ ტომპსონმა იმ საღამოს, როდესაც კიდევ ერთხელ მივიდა გოლტთან სალაპარაკოდ, მას თან ჯეიმს ტაგარტი ახლდა, რომელმაც ტუსაღის გაცნობა მოინდომა.

გოლტი ზურგიან სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და სიგარეტს ეწეოდა. მისი გამომეტყველებით მხოლოდ იმას მიხვდნენ, რომ იოტისოდენა შიშსაც არ გრძნობდა.

— წავიკითხე, — უპასუხა გოლტმა ტომპსონს.

— დრო თითქმის აღარ დარჩა, — თქვა ტომპსონმა.

— ასეა.

— და რას აპირებთ, არაფერს მოიმოქმედებთ ვითარების გამოსასწორებლად?

— თქვენ თვითონ რას აპირებთ?

— როგორ შეგიძლიათ, ასეთი დარწმუნებული იყოთ საკუთარ სიმართლეში? — წამოიძახა ჯეიმს ტაგარტმა, არც ისეთი მაღალი, მაგრამ დაძაბული ხმით, — როგორ შეგიძლიათ, თავს უფლება მისცეთ, ასეთ მძიმე დროს საკუთარ პრინციპებს მისდიოთ და მთელი მსოფლიო დასაღუპავად გასწიროთ?

— აბა, სხვა ვის პრინციპებს უნდა მივდიო?

— როგორ შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ მართალი ხართ? ეს საიდან უნდა იცოდეთ? ვერავინ ვერ იქნება დარწმუნებული საკუთარ ცოდნაში! ვერავინ!

თქვენ სხვაზე უკეთესი არ ხართ!

— მაშინ რატომღა გჭირდებით?

— როგორ შეგიძლიათ, სხვა ადამიანების ცხოვრებით ითამაშოთ? როგორ შეგიძლიათ, საკუთარ თავს ისეთი ეგოისტური ფუფუნების უფლება მისცეთ, რომ განზე გადგეთ მაშინ, როდესაც ხალხს სჭირდებით?

— ანუ, როდესაც მათ ჩემი იდეები სჭირდებათ?

— ბოლომდე მართალი ან მცდარი არავინ არის! შავი და თეთრი არ არსებობს!

თქვენ ჭეშმარიტებაზე მონოპოლია არ გაქვთ!

ტომპსონი სახემოღუშული ფიქრობდა, რომ ტაგარტის ქცევაში რაღაც უცნაური, ძალიან პირადული წყენა იგრძნობოდა, თითქოს იქ პოლიტიკური საკითხის მოსაგვარებლად არ ყოფილიყო მისული.

— თქვენ რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გაგაჩნდეთ, — განაგრძობდა ტაგარტი, — მხოლოდ საკუთარი განსჯის უნარს არ დაეყრდნობოდით! ჩვენ შემოგვიერთდებოდით, მხოლოდ საკუთარს კი არა, სხვების აზრებსაც გაითვალისწინებდით და აღიარებდით, რომ შესაძლოა, ჩვენც მართლები ვიყოთ! თქვენ ჩვენ გეგმების შემუშავებაში დაგვეხმარებოდით! თქვენ...

ტაგარტი ფიცხი ჟინიანობით განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მისტერ ტომპსონს ვერ გაეგო, გოლტი მას უსმენდა თუ არა. ის სკამიდან წამოდგა და ოთახში დააბიჯებდა, თუმცა მოუსვენრად კი არა, იმ ადამიანივით, რომელიც საკუთარი მოძრაობით ტკბება. ტომპსონმა ყურადღება მიაქცია მისი ნაბიჯების სიმსუბუქეს, მის გამართულ ხერხემალს, შეზნექილ მუცელს, მოდუნებულ მხრებს. გოლტი ისე დადიოდა, თითქოს ვერ აცნობიერებდა საკუთარ სხეულს და ამავე დროს, ეამაყებოდა ის. ტომპსონმა ჯეიმს ტაგარტს შეხედა, რომელიც უგერგილოდ ჩამომჯდარიყო სკამზე, მხრებში მოხრილი, და შენიშნა, როგორი სიძულვილით ადევნებდა თვალს ტაგარტი გოლტის მოძრაობებს, ის კი ყურადღებასაც არ აქცევდა მას.

— ..„თქვენი სინდისი! — ამბობდა ტაგარტი, — მე აქ იმისთვის მოვედი, რომ სინდისი გაგიღვიძოთ! როგორ შეგიძლიათ, თქვენი გონება ათასობით ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა დააყენოთ? ხალხი იღუპება და... ოჰ, ღვთის გულისათვის! — წამოიყვირა ჯიმმა, — შეწყვიტეთ სიარული!

გოლტი გაჩერდა:

— ეს ბრძანებაა?

— არა, არა! — თქვა ტომპსონმა აჩქარებით, — ეს არ არის ბრძანება. ჩვენ არ გვსურს, თქვენ რაიმე გიბრძანოთ... დაწყნარდი, ჯიმ.

გოლტმა სიარული გააგრძელა.

— მსოფლიო ნადგურდება, — თქვა ტაგარტმა, რომლის მზერაც დაჟინებით დაჰყვებოდა გოლტს, — ხალხი იღუპება და სწორედ თქვენ შეგიძლიათ მათი გადარჩენა!

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის მართალი და ვინ მცდარი? თქვენ უნდა შემოგვიერთდეთ ჩვენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიგაჩნიათ, რომ ვცდებით, თქვენი გონება მსხვერპლად უნდა გაიღოთ მათ გადასარჩენად!

— მაინც, როგორ გადავარჩენ მათ?

— თავი ვინ გგონიათ? — იყვირა ტაგარტმა.

გოლტი გაჩერდა:

— თავადაც იცით.

— თქვენ ეგოისტი ხართ!

— ვარ.

— თუ აცნობიერებთ მაინც, როგორი ეგოისტი ხართ?

— თქვენ აცნობიერებთ? — ჰკითხა გოლტმა ტაგარტს და პირდაპირ შეხედა.

ჯეიმსი ნელა ჩაეშვა სავარძელში, თან თვალს არ აშორებდა გოლტს და მისტერ ტომპსონი მომდევნო წუთის აუხსნელმა შიშმა შეიპყრო.

— მითხარით, — მხიარული, სასხვათაშორისო ტონით ჩაერთო ის საუბარში, — რომელ სიგარეტს ეწევით?

გოლტი მისკენ მიბრუნდა და გაიღიმა:

— არ ვიცი.

— სად იშოვეთ?

— ერთ-ერთმა თქვენმა მცველმა მომიტანა ერთი კოლოფი. მან მითხრა, რომ ვიღაც კაცმა სთხოვა, ჩემთვის საჩუქრად გადმოეცა... ნუ წუხხართ, — დაამატა გოლტმა, — თქვენმა ბიჭებმა ის ძალიან გულდასმით შეამოწმეს. საიდუმლო შეტყობინებები არ აღმოჩნდა. ეს მხოლოდ საჩუქარი იყო უცნობი თაყვანისმცემლისგან.

გოლტის თითებს შორის მოქცეულ სიგარეტზე დოლარის სიმბოლო იყო გამოსახული.

მისტერ ტომპსონმა დაასკვნა, რომ ჯეიმს ტაგარტს ადამიანის დაყოლიება არ ემარჯვებოდა. თუმცა, უკეთ ვერც ჩიკ მორისონი გაისარჯა, რომელიც ტომპსონმა მეორე დღეს მიიყვანა გოლტთან.

— მე... მე თქვენს განკარგულებაში ვარ, მისტერ გოლტ, — თქვა ჩიკ მორისონმა მღელვარე ღიმილით, — თქვენ მართალი ბრძანდებით. ვაღიარებ, რომ მართალი ბრძანდებით, და მხოლოდ თანაგრძნობა შემიძლია, გთხოვოთ. გულის სიღრმეში, ვერ დამიჯერებია, რომ გამოუსწორებელი ეგოისტი ხართ, რომელსაც ხალხი არ ებრალება. — და ქაღალდების დასტაზე მიუთითა, რომელიც მაგიდაზე დადო, — ეს თხოვნის წერილია, რომელსაც ათასობით მოსწავლე აწერს ხელს, გთხოვენ, ჩვენ შემოგვიერთდეთ და გადაარჩინოთ ისინი. ამ წერილს კი ხეიბართა პანსიონატიდან გიგზავნიან. ეს ორასი სხვადასხვა რელიგიის მსახურის პეტიციაა. ეს ჩვენი ქვეყნის დედების თხოვნის წერილია. წაიკითხეთ ისინი.

— ეს ბრძანებაა?

— არა! — წამოიყვირა ტომპსონმა, — ბრძანება არ არის!

გოლტი არც კი განძრეულა, ხელიც არ გაუწვდია ქაღალდების ასაღებად.

— ესენი ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები არიან, მისტერ გოლტ, — თქვა ჩიკ მორისონმა ტონით, რომელიც ამ ადამიანების უბადრუკობაზე და უმნიშვნელობაზე მიანიშნებდა, — ისინი ვერ გეტყვიან, რა უნდა გაკეთდეს. მათ ეს არ იციან. ისინი უბრალოდ გთხოვენ თქვენ. შესაძლოა, ეს ადამიანები სუსტები, უმწეოები, უგუნურები, უვიცები იყვნენ, მაგრამ ნუთუ თქვენ, ასეთი გონიერი და ძლიერი, არ შეიბრალებთ მათ? არ დაეხმარებით?

— ჩემს გონიერებაზე უარის თქმით და მათი უგუნურების გაზიარებით?

— ისინი შესაძლოა, ცდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ თავიანთი უცოდინრობის მიზეზით!

— მე კი, ვისაც ცოდნა მაქვს, მათ უნდა დავემორჩილო?

— მე თქვენთან კამათი არ შემიძლია, მისტერ გოლტ. მე მხოლოდ თქვენს სიბრალულს ვითხოვ. ისინი იტანჯებიან. მე გთხოვთ, რომ შეიბრალოთ ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან. მე... მისტერ გოლტ, — იკითხა მორისონმა, როდესაც შენიშნა, რომ ის ფანჯრიდან სადღაც შორეთს გაჰყურებდა და უეცრად მზერა გაუსასტიკდა, — რა მოხდა? რაზე ფიქრობთ?

— ჰენკ რიერდენზე.

— რა... რატომ?

— მათ შეიბრალეს ჰენკ რიერდენი?

— ოჰ, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა! ის...

— მოკეტე, — თქვა გოლტმა მშვიდი ხმით.

— მე მხოლოდ...

— მოკეტე! — წამოიძახა მისტერ ტომპსონმა, — ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მისტერ გოლტ. ორი ღამეა, არ სძინებია. ძალიან არის შეშინებული.

მეორე დღეს დოქტორი ფლოიდ ფერისი შეშინებული არ ჩანდა. თუმცა, ეს უფრო უარესი იყო, ფიქრობდა ტომპსონი. მან შენიშნა, რომ გოლტი დუმდა და საერთოდ არ პასუხობდა ფერისს.

— ეს ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხია, რომელსაც თქვენ, უდავოდ, საკმარისად არ ჩაღრმავებიხართ, მისტერ გოლტ, — ამბობდა დოქტორი ფერისი რაღაც მეტისმეტად უდარდელად, მეტისმეტად ხელოვნური ძალდაუტანლობით, — რადიოში გამოსვლისას თქვენ მხოლოდ ჩადენილ ცოდვებზე ილაპარაკეთ. მაგრამ უმოქმედობის ცოდვებიც ხომ დასაფიქრებელია. არ გადაარჩინო სიცოცხლე, ისეთივე უზნეობაა, როგორც ადამიანის მოკვლა. შედეგები იგივეა — და რადგან ჩვენ ქმედებებზე მათი შედეგების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, ზნეობრივი პასუხისმგებლობაც იგივე იქნება... მაგალითად, საკვების უკიდურესი დეფიციტის შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს დირექტივის გამოცემა, რომლის მიხედვითაც, ათ წლამდე ასაკის ბავშვებსა და სამოც წელს გადაცილებულ მოზრდილებს შორის ყოველი მესამე უნდა მოკლან დანარჩენების გადასარჩენად. თქვენ ხომ არ გინდათ, ასე მოხდეს? თქვენ შეგიძლიათ, ეს თავიდან აიცილოთ. თქვენი ერთი სიტყვაც კი საკმარისი აღმოჩნდება ამისთვის. თუ უარს იტყვით და ამ ადამიანებს დახოცავენ, ეს თქვენი დანაშაული და ზნეობრივი პასუხისმგებლობა იქნება!

— ხომ არ გაგიჟდით! — წამოიყვირა ტომპსონმა, როცა განცვიფრებისგან გამოერკვა და ფეხზე წამოხტა, — ასეთი წინადადება არავის წამოუყენებია! ეს საერთოდ არ განიხილება! გთხოვთ, მისტერ გოლტ! ნუ დაუჯერებთ მას! მას ეს არ უგულისხმია!

— სწორედ ეს იგულისხმა, — თქვა გოლტმა, — უთხარით მაგ ნაძირალას, რომ ჯერ მე შემომხედოს, შემდეგ სარკეში ჩაიხედოს და საკუთარ თავს ჰკითხოს, ოდესმე მივიჩნევ თუ არა მის მოქმედებებს ჩემი ზნეობრივი თვისებების განმსაზღვრელად.

— გაეთრიე აქედან! — დაიყვირა ტომპსონმა და ფერისი ფეხზე წამოაგდო, — გაეთრიე! შენი წრიპინი აღარ გამაგონო! — მან კარი გააღო და ფერისი გარეთ მოისროლა განცვიფრებული მცველის თვალწინ.

ტომპსონი გოლტისკენ შემობრუნდა, ჯერ ხელები გაშალა, მერე კი ქანცგაწყვეტილი უმწეობით ჩამოყარა. გოლტს უტყვი სახე ჰქონდა.

— მომისმინეთ, — მიმართა ტომპსონმა მას მუდარით, — ნუთუ არ არსებობს ისეთი ადამიანი, ვინც თქვენთან დალაპარაკებას შეძლებს?

— სალაპარაკო არაფერია.

— ჩვენ გვაქვს სალაპარაკო. ჩვენ უნდა დაგარწმუნოთ თქვენ. არსებობს ისეთი ადამიანი, რომელთან საუბარსაც ისურვებდით?

— არა.

— მე ვიფიქრე, იქნებ... რადგან ის... — ზოგჯერ შენსავით ლაპარაკობდა... იქნებ, მის დაგნი ტაგარტი გამომეგზავნა, რომ თქვენთვის ეთქვა...

— მის ტაგარტი? მართალია, ის ჩემსავით ლაპარაკობდა. ის ჩემი ერთადერთი მარცხია. მეგონა, ჩემი ტიპის ადამიანი იყო. მაგრამ მან მე მომატყუა, თავისი რკინიგზა რომ შეენარჩუნებინა. სულსაც კი გაყიდის თავისი რკინიგზისთვის. შემოუშვით ჩემთან, თუ გინდათ, რომ სილა გავაწნა.

— არა, არა, არა! თქვენ არ ხართ ვალდებული, ნახოთ ის, თუ ასეთი დამოკიდებულება გაქვთ მისადმი. მე არ მინდა, კიდევ დავკარგო დრო იმ ადამიანებზე, ვინც თქვენ გაღიზიანებთ... მაგრამ... მაგრამ თუ მის ტაგარტი არა, უკვე აღარ ვიცი, ვინ ავირჩიო.... თუ... თუ მე შევძლებდი, მეპოვა ვინმე, რომლის აზრის გათვალისწინებაც თქვენ მოგინდებოდათ ან...

— აზრი შევიცვალე, — თქვა გოლტმა, — არის ერთი ადამიანი, რომელთან დალაპარაკებასაც ვისურვებდი.

— ვინ? — წამოიძახა ტომპსონმა გზნებით.

— დოქტორი რობერტ სტადლერი.

მისტერ ტომპსონმა გრძლად დაუსტვინა და შეწუხებული გამომეტყველებით გადააქნია თავი.

— ის თქვენი მეგობარი არ არის, — უთხრა მან გოლტს გულწრფელი გაფრთხილების ტონით.

— მე სწორედ მისი ნახვა მსურს.

— კარგი, თუკი ასე გსურთ. როგორც თქვენ იტყვით. თქვენი სურვილი ჩვენთვის კანონია. ხვალ დილით მოვიყვან მას აქ.

იმ საღამოს, უესლი მაუჩთან სადილობისას თავის ნომერში, მისტერ ტომპსონმა გაბრაზებული სახით შეხედა მის წინ დადგმულ პომიდვრის წვენით სავსე ჭიქას.

— ეს რა არის? გრეიპფრუტის წვენი არ გაქვთ? — უხეშად იკითხა მან; ტომპსონს გრეიპფრუტის წვენი ექიმმა გამოუწერა, როგორც გაციების საწინააღმდეგო საშუალება.

— გრეიპფრუტის წვენი არ გვაქვს, — უპასუხა მიმტანმა უცნაური ხაზგასმით.

— საქმე ის არის, — თქვა მაუჩმა დაღვრემით, — რომ მატარებელს მძარცველთა ბანდა თავს დაესხა ტაგარტის ხიდთან, მისისიპიზე. მათ ლიანდაგი ააფეთქეს და ხიდი დააზიანეს. სანერვიულო არაფერია. ხიდს მალე შეაკეთებენ, მაგრამ სატრანსპორტო მოძრაობა მთლიანად შეჩერებულია და არიზონადან მომავალ მატარებლებს აქამდე ვერ ჩამოუღწევიათ.

— სასაცილოა პირდაპირ! რა, არ არის სხვა... — ტომპსონი გაჩერდა; მან იცოდა, რომ მისისიპიზე სხვა სარკინიგზო ხიდი არ იყო. წუთის შემდეგ კი წყვეტილად წარმოთქვა, — უბრძანე საჯარისო დანაყოფებს, ხიდი დაიცვან. დღე და ღამე. უთხარი, ამ საქმისთვის საუკეთესოები შეარჩიონ. თუ იმ ხიდს რამე დაემართა...

ტომპსონს წინადადება არ დაუსრულებია; ის მოიხარა და ფაიფურის ძვირფას ჭურჭელსა და აპეტაიზერს დახედა. ისეთი უმნიშვნელო წვრილმანის გაქრობამ, როგორიც გრეიპფრუტის წვენი იყო, უცებ, პირველად ცხოვრებაში, ტომპსონს

ცხადად დაანახა, რა დაემართებოდა ქალაქ ნიუ-იორკს, ტაგარტის ხიდს რაიმე რომ მოსვლოდა.

— დაგნი, — უთხრა ედი უილერსმა ქალს იმ საღამოს, — ხიდი არ არის ერთადერთი პრობლემა. — უილერსმა დაგნის სამუშაო მაგიდაზე დადგმული სანათი აანთო. სამუშაოში გართულმა დაგნიმ ვერც კი შეამჩნია, ბინდი რომ ჩამოწვა, — სან-ფრანცისკოდან ვერც ერთი ტრანსკონტინენტური მატარებელი ვერ გამოდის. იქ ერთ-ერთმა მებრძოლმა მხარემ — არ ვიცი, ზუსტად რომელმა — ხელში ჩაიგდო ჩვენი ტერმინალი, „გამგზავრების გადასახადი“ დააწესა და გამოსასყიდის მიღების მიზნით მატარებლებს აკავებენ. ჩვენი ტერმინალის მენეჯერი მიიმალა. ახლა იქ არავინ არ იცის, რა უნდა გააკეთოს.

— მე ნიუ-იორკს ვერ დავტოვებ, — თქვა დაგნიმ ცივად.

— ვიცი, — უპასუხა უილერსმა წყნარი ხმით, — ამიტომაც, იქ მე წავალ საქმეების მოსაგვარებლად, ტერმინალის მმართველი მაინც რომ დავნიშნო.

— არა! არ მინდა, შენ წახვიდე. ეს ძალიან სახიფათოა. თანაც, რისთვის? ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. გადასარჩენი აღარაფერია.

— ეს ჯერ კიდევ „ტაგარტ ტრანსკონტინენტალია“. მის გადარჩენაზე ხელს ვერ ავიღებ. დაგნი, შენ სადაც არ უნდა წახვიდე, ყოველთვის შეძლებ რკინიგზის აშენებას. მე კი ეს არ შემიძლია. მე სურვილიც კი არ მაქვს, ყველაფერი ახლიდან დავიწყო. აღარ მინდა, მას მერე, რისი მომსწრეც გავხდი. შენ დაიწყებ. მე კი არ შემიძლია. ნება მომეცი, ის გავაკეთო, რისი ძალაც შემწევს.

— ედი! არ გინდა... — დაგნი გაჩერდა, რადგან იცოდა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, — კარგი, ედი, თუ ასე გსურს.

— დღეს საღამოს მივფრინავ კალიფორნიაში. სამხედრო თვითმფრინავზე მოვნახე ადგილი... ვიცი, რომ შენ თავს დაანებებ საქმიანობას, როგორც კი... როგორც კი ნიუ-იორკის დატოვებას მოახერხებ. შესაძლოა, უკვე წასულიც იყო იმ დროისთვის, როცა მე უკან დავბრუნდები. მზად რომ იქნები, წადი. ჩემზე ნუ იდარდებ. მე ნუ დამიცდი, რომ გამაფრთხილო. რაც შეიძლება მალე წადი... მე ახლა დაგემშვიდობები.

დაგნი ფეხზე წამოდგა. ედი და ის ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ოფისის ბინდში, მათ შორის კი, კედელზე, ნათანიელ ტაგარტის პორტრეტი ეკიდა. ორივეს თვალწინ წარმოუდგა იმ შორეული დღიდან მოყოლებული წლები, როდესაც სულ ახალი ნასწავლი ჰქონდათ რკინიგზის ლიანდაგზე სიარული. უილერსმა თავი ჩაღუნა და ერთხანს ასე იდგა.

დაგნიმ მას ხელი გაუწოდა:

— მშვიდობით, ედი.

უილერსმა მაგრად ჩამოართვა ხელი, ისე, რომ საკუთარი თითებისთვის არც კი დაუხედავს; დაგნის შეჰყურებდა სახეში.

მერე წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა, დაგნის მიუბრუნდა და ჩუმად, თუმცა მტკიცე ხმით ჰკითხა — ეს არც მუდარა იყო და არც სასოწარკვეთა, არამედ გრძელი ისტორიის დასასრულებლად დასმული წერტილი:

— დაგნი... იცოდი... რას ვგრძნობდი შენ მიმართ?

— კი, — უპასუხა ქალმა თბილად — იმ წამს გააცნობიერა, რაც მთელი ეს წლები უსიტყვოდ იცოდა, — ვიცოდი.

— ნახვამდის, დაგნი.

უილერსის გასვლისას მიწისქვეშა მატარებლის სუსტმა გუგუნმა შენობის კედლებში კარის მიხურვის ხმა შთანთქა.

მეორე დილას თოვდა და დამდნარი ფანტელები საფეთქლებს უთოშავდა დოქტორ რობერტ სტადლერს, რომელიც „უეინ-ფოლკლენდის“ გრძელ დერეფანს მიუყვებოდა სამეფო ნომრის კარისკენ. მას გვერდით ორი ახოვანი კაცი მიჰყვებოდა მორალური მდგომარეობის მმართველის განყოფილებიდან, თუმცა თავს მაინცდამაინც არ იწუხებდნენ, რომ დაემალათ, „მართვის“ რომელ მეთოდს მიესალმებოდნენ სინამდვილეში.

— მისტერ ტომპსონის განკარგულებები არ დაივიწყო, — ზიზღით უთხრა ერთერთმა მათგანმა სტადლერს, — ერთი არასწორი სიტყვა და, ინანებ, მეგობარო.

დოქტორი სტადლერი საფეთქლებზე თოვლს კი არა, მწველ დაწოლას გრძნობდა. ეს შეგრძნება წინა ღამიდან გამოჰყვა, როდესაც ტომპსონს უყვირა, რომ ჯონ გოლტის ნახვა არ შეეძლო. გაუაზრებელი შიშით ყვიროდა, წრედ ჩამწკრივებულ გულგრილ სახეებს ევედრებოდა, მისთვის ამის გაკეთება არ დაეძალებინათ და მოთქვამდა, რომ ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც ეს არ დაევალებინათ. ამ სახეებს თავი არ შეუწუხებიათ, ან შეჰკამათებოდნენ ანდა დამუქრებოდნენ მაინც — მხოლოდ განკარგულებები მისცეს. სტადლერმა ღამე თეთრად გაათენა, თავს ირწმუნებდა, რომ ამ ბრძანებას არ დაემორჩილებოდა; მაგრამ ახლა კარისკენ მიემართებოდა. საფეთქლებზე მწველი დაწოლის შეგრძნებასა და ბუნდოვან, ირეალურ, თავბრუდამხვევ გულისრევას კი ის ფაქტი იწვევდა, საკუთარ თავს დოქტორ რობერტ სტადლერად რომ ვეღარ აღიქვამდა.

მან ოთახის მცველების ხიშტების ლითონის კიაფი შენიშნა და საკეტში გასაღების გადატრიალების ხმაც მოესმა. აღმოაჩინა, რომ წინ მიდიოდა და გაიგონა, როგორ დაიკეტა მის უკან კარი.

მერე ვრცელი ოთახის მეორე ბოლოში ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ჯონ გოლტი დაინახა, მაღალი, აღნაგი, ფართო შარვალსა და პერანგში. ერთი ფეხი იატაკისკენ ჩამოეშვა, მეორე კი მოეხარა, ხელები მუხლებისთვის შემოეხვია. მისი თავი და თითქოს მზით დაფერილი თმა ნაცრისფერი ცის ფონზე მკვეთრად იკვეთებოდა.

უცებ დოქტორ სტადლერს თვალწინ დაუდგა პატრიკ ჰენრის უნივერსიტეტის სტუდენტური ქალაქის ახლოს, მისი სახლის ტერასის მოაჯირზე შემომჯდარი ბიჭი, რომელსაც მზის სხივებით აელვარებული წაბლისფერთმიანი თავი ზაფხულის ლურჯი ცის ფონზე მაღლა აეწია, და შემოესმა საკუთარი მგზნებარე ხმა, როდესაც ოცდაორი წლის წინ ამბობდა: „ერთადერთი წმინდა ღირებულება სამყაროში ადამიანის გონებაა, ჯონ, ადამიანის შეუბღალავი გონება...“ — და სტადლერმა ოთახისა და წლების მიღმა შესძახა იმ ბიჭს:

— მე არაფერი არ შემეძლო, ჯონ! მე ვერაფერს ვერ შევძლებდი!

სტადლერი თავისსა და გოლტს შორის მდგარი მაგიდის კიდეს დაეყრდნო და ისე ჩაეჭიდა, როგორც დამცავ ბარიერს, თუმცა კი ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ადამიანი არც განძრეულა.

— მე არ ჩამიგდიხარ ამ მდგომარეობაში! — აყვირდა სტადლერი, — მე ეს არ მდომებია! რა უნდა მექნა! მე სრულიად სხვა მიზანი მქონდა!.. ჯონ! მე არ მიმიძღვის ბრალი ამაში! მე არა! მე არასდროს არ მქონია მათთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა! ისინი ფლობენ ამ სამყაროს! მათ მე აქ ადგილი არ დამიტოვეს!.. რას ნიშნავს გონება მათთვის? რას ნიშნავს მეცნიერება? შენ არ იცი, რისი გაკეთება შეუძლიათ მათ! შენ ბოლომდე არ იცნობ მათ! ისინი არ აზროვნებენ!

ისინი ირაციონალური გრძნობებით მართული უგუნური ცხოველები არიან — თავიანთი ხარბი, მომხვეჭელური, უგუნური, უპასუხისმგებლო გრძნობებით! ყველაფერს იტაცებენ, რაც კი მოესურვებათ, მხოლოდ იმას აცნობიერებენ, რომ მათ ეს სურთ, მიუხედავად მიზეზისა, შედეგისა ან ლოგიკისა — მათ ეს სურთ, წყეული, გაუმაძღარი ღორები!.. გონება? არ იცი, რა უძლურია გონება უგუნურთა ამ ხროვის წინააღმდეგ? ჩვენი იარაღი ისე უმწეოდ, სასაცილოდ ბავშვურია: ჭეშმარიტება, ცოდნა, გონება, ღირებულებები, უფლებები! მათ მხოლოდ ძალმომრეობა იციან, ძალმომრეობა, თაღლითობა და ძარცვა!.. ჯონ! ასე ნუ მიყურებ! რა უნდა დამეპირისპირებინა მათი მუშტებისთვის? მე ხომ უნდა მეცოცხლა? ეს ჩემთვის კი არა, მეცნიერების მომავლისთვის იყო საჭირო! ჩემთვის თავი უნდა დაენებებინათ, მე დაცული უნდა ვყოფილიყავი. იძულებული გავხდი, მათ პირობებზე დავთანხმებულიყავი. სხვა გზა აღარ არსებობს! არ არსებობს! გესმის? — არ არსებობს!.. რა გინდოდა, რომ გამეკეთებინა? მთელი ცხოვრება სამსახური მემათხოვრა? რომ ფულადი სახსრები და შემოწირულობები მეთხოვა მათთვის, ვინც ჩემზე დაბლა იდგა? შენი აზრით, ფულის კეთებაში გაწაფული ავაზაკების მოწყალებაზე უნდა ვყოფილიყავი დამოკიდებული? მე იმის დრო არ მქონდა, რომ მათ ფულის ან ბაზრების მოპოვებაში ანდა მათი უბადრუკი მატერიალური მიზნების მიღწევაში გავჯიბრებოდი! შენი აზრით, სამართლიანი იქნებოდა, თუ ისინი თავიანთ ფულს სასმელზე, იახტებზე და ქალებზე დახარჯავდნენ, ჩემი სიცოცხლის ფასდაუდებელი საათები კი ფუჭად გაიფლანგებოდა, რაკი ლაბორატორია არ მექნებოდა? დამეყოლიებინა? როგორ უნდა მომეხერხებინა მათი დაყოლიება? რა ენაზე უნდა დავლაპარაკებოდი ადამიანებს, რომლებიც არ აზროვნებენ?.. შენ არ იცი, როგორი მარტოსული ვიყავი, როგორ ვნატრობდი გონიერების ნიშანწყალს! როგორი მარტოსული, დაღლილი და უმწეო ვიყავი! რატომ უნდა ევაჭრა ჩემნაირი გონების ადამიანს უვიც სულელებთან? ისინი ერთ ცენტსაც კი არასდროს არ გაიმეტებდნენ მეცნიერებისთვის! რატომ არ შეიძლება მათი იძულება? მე შენი იძულება არ მსურდა! ის იარაღი გონების წინააღმდეგ არ იყო მიმართული! ის ჩვენი მსგავსი ადამიანების კი არა, მხოლოდ უგუნური მატერიალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული!.. ასე რატომ მიყურებ? მე არჩევანი არ მქონდა! მხოლოდ ერთი არჩევანი არსებობს, რომ ისინი მათსავე თამაშში დაამარცხო! ოჰ, დიახ, ეს მათი თამაშია, წესებს ისინი ადგენენ! რისი იმედი გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, რომლებსაც აზროვნება შეგვიძლია? მხოლოდ იმის იმედი შეგვიძლია გვქონდეს, რომ შეუმჩნევლები დავრჩეთ და ეშმაკობით ვაიძულოთ ისინი, ჩვენს მიზნებს ემსახურონ!.. ნუთუ ვერ ხვდები, როგორი კეთილშობილური იყო ჩემი ამოცანა, მეცნიერების მომავლის ჩემეული ხედვა? მატერიალური ხუნდებისგან თავისუფალი, სახსრებით შეუზღუდავი ადამიანური ცოდნა! მე მოღალატე არ ვარ, ჯონ! არ ვარ! მე გონების საქმეს ვემსახურებოდი! რასაც მე მომავალში ვჭვრეტდი, რაც მე მინდოდა, რასაც მე ვგრძნობდი, მათი საცოდავი დოლარებით ვერ გაიზომებოდა! მე ლაბორატორია მინდოდა! მე მჭირდებოდა ის! რაში მენაღვლებოდა, საიდან ან რა გზით მივიღებდი მას? მე იმდენი რამის გაკეთება შემეძლო! ისეთი სიმაღლეების მიღწევა შემეძლო! ნუთუ სიბრალულის გრძნობა საერთოდ არ გაგაჩნია? მე ის მჭირდება!.. დიდი ამბავი, თუ მათ ძალას ატანდნენ! მაინც ვინ არიან ასეთი, რომ იაზროვნონ? რატომ ასწავლე მათ აჯანყება? ყველაფერი კარგად იქნებოდა, შენ რომ ისინი არ წაგეყვანა! გეუბნები, ყველაფერი კარგად იქნებოდა-მეთქი! ისე კი არა, ახლა რომ არის!.. მე ნუ დამადანაშაულებ! ჩვენ არ შეიძლება, დამნაშავეები ვიყოთ... ყველა ჩვენგანი...

საუკუნეების განმავლობაში... არ შეიძლება, ასე მთლიანად ვცდებოდეთ!.. ჩვენი გაკიცხვა არ შეიძლება! ჩვენ არჩევანი არ გვქონდა! დედამიწაზე ცხოვრების სხვა გზა არ არსებობს!.. რატომ არ მპასუხობ? რას ხედავ? იმ სიტყვაზე ფიქრობ, შენ რომ წარმოთქვი? მე არ მინდა, მასზე ვიფიქრო! ეს მხოლოდ ლოგიკა იყო! ადამიანი ლოგიკით ვერ იცხოვრებს! გესმის ჩემი?.. ნუ მიყურებ! შენ შეუძლებელს ითხოვ! ადამიანები შენი ცხოვრების წესით ვერ იცხოვრებენ! შენთვის უცხოა სისუსტის წუთები, ადამიანური ნაკლი და გრძნობები! რა გინდა ჩვენგან?

გონების მუშაობა დღე-ღამეში ოცდაოთხი საათის განმავლობაში, შესვენებისა და თავის დაძვრენის გარეშე?.. ნუ მიყურებ, ღმერთმა დაგწყევლოს! შენი უკვე აღარ მეშინია! გესმის? არ მეშინია! ვინ ხარ შენ, რომ ბრალი დამდო, შე საცოდავო, უიღბლო არსებავ? აი, სად მოგიყვანა შენმა გზამ! ახლა პატიმარი ხარ, უმწეო, იმ მხეცებმა შეიძლება, ნებისმიერ წამს მოგკლან — და მაინც ბედავ, რომ მე დამადანაშაულო არაპრაქტიკულობაში! ოჰ, დიახ, შენ მოგკლავენ! შენ ვერ გაიმარჯვებ! შენი გამარჯვება დაუშვებელია! შენ უნდა განადგურდე!

დოქტორ სტადლერს ჩახშული ყვირილი აღმოხდა, თითქოს ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ადამიანის უძრაობამ მდუმარედ აირეკლა მისი სიტყვები და მოულოდნელად აიძულა, მათი მნიშვნელობა სრულად გაეცნობიერებინა.

— არა! — დაიგმინა სტადლერმა და თავი გააქნია, რომ გაქვავებული მწვანე თვალების მზერას გაჰქცეოდა, — არა!.. არა!.. არა!

გოლტის ხმაში ისეთივე უდრეკი სიმკაცრე ისმოდა, როგორიც მზერა ჰქონდა:

— ყველაფერი თქვით, რაც მე უნდა მეთქვა თქვენთვის.

დოქტორმა სტადლერმა კარს მუშტები დაუშინა; გააღეს თუ არა კარი, მაშინვე ოთახიდან გავარდა.

* * *

სამი დღის მანძილზე გოლტის ნომერში არავინ შესულა, გარდა მცველებისა, რომლებსაც მისთვის საჭმელი შეჰქონდათ. მეოთხე დღეს, შებინდებისას, ოთახის კარი გაიღო და ჩიკ მორისონი შევიდა ორ თანმხლებთან ერთად. სმოკინგში გამოწყობილიყო, თითქოს ნერვიულად იღიმებოდა, თუმცა, ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო თავდაჯერებული ჩანდა. ერთ-ერთი თანმხლები კამერდინერი იყო, მეორე კი ვიღაც მუტრუკი, რომლის ფიზიონომია მის სმოკინგს აშკარად არ შეესატყვისებოდა — მკაცრი გამომეტყველება, ჩამოღვენთილი მძიმე ქუთუთოები, წყალწყალა თვალებს სწრაფად აცეცებდა, ცხვირი პროფესიონალი მოკრივესავით ჰქონდა გატეხილი; თავი მთლიანად გადაეპარსა, მხოლოდ თხემზე შერჩენოდა ქერა თმის ბულული; მარჯვენა ხელს შარვლის ჯიბიდან არ იღებდა.

— გთხოვთ, ჩაიცვათ, მისტერ გოლტ, — უთხრა გოლტს ჩიკ მორისონმა მტკიცედ და საძინებლის კარისკენ მიუთითა, სადაც კარადა სავსე იყო ძვირფასი ტანსაცმლით, რომლებსაც გოლტი არ იცვამდა, — სმოკინგი ჩაიცვით, თუ შეიძლება. — შემდეგ კი დაამატა, — ეს ბრძანებაა, მისტერ გოლტ.

გოლტი უსიტყვოდ შევიდა საძინებელში. სამივენი ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ჩიკ მორისონი სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. კამერდინერი, რომელიც გოლტს ჩაცმაში ეხმარებოდა და პერანგის საკინძეებსა და პიჯაკს აწვდიდა, მეტისმეტად ბევრ თავაზიან მოძრაობას ასრულებდა, ის მუტრუკი კი, ჯიბეში ხელჩაყოფილი, კუთხეში იდგა. ხმა არავის ამოუღია.

— გთხოვთ, ნუ გაჯიუტდებით, მისტერ გოლტ, — მიმართა ჩიკ მორისონმა გოლტს, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე მზად იყო, და მიპატიჟების თავაზიანი ჟესტით კარისკენ მიუთითა.

მუტრუკი ელვისებური სისწრაფით სწვდა გოლტს მკლავში და უჩინარი იარაღი გვერდში მიაბჯინა.

— არასწორ მოძრაობებს არ გირჩევთ, — წარმოთქვა მან უემოციოდ.

— არასწორ მოძრაობებს არასდროს არ ვაკეთებ, — უპასუხა გოლტმა.

ჩიკ მორისონმა კარი გააღო. კამერდინერი ნომერში დარჩა, სამი სმოკინგიანი კაცი კი უხმოდ გაუყვა დერეფანს და ლიფტისკენ გაემართა.

მათ არც ლიფტში ამოუღიათ ხმა. მანათობელი ციფრები კარის თავზე მათ ქვევით მიმართულ სვლაზე მიუთითებდა.

ლიფტი პირველ და მეორე სართულს შორის მდებარე ანტრესოლზე გაჩერდა. როდესაც გრძელ, მკრთალი შუქით განათებულ დერეფნებს მიუყვებოდნენ, მათ წინ ორი ჯარისკაცი გაუძღვათ, ორიც უკან აედევნათ. დერეფანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ მოსახვევებში იდგნენ შეიარაღებული მცველები. მუტრუკის მარჯვენა მხარი გოლტის მარცხენა მხარს შეზრდოდა; იარაღი შემთხვევითი თვალისთვის უხილავი იყო. გოლტი გრძნობდა, როგორ ეხებოდა ლულა მსუბუქად გვერდში, ისე, რომ ხელი არაფერში შეეშალა, მაგრამ ამავე დროს, წამითაც არ დავიწყებოდა მისი არსებობა.

დერეფნის ბოლოს ფართო, დაკეტილ კარს მიადგნენ. როდესაც ჩიკ მორისონის ხელი კარის სახელურს შეეხო, ჯარისკაცები თითქოს სიბნელეში გაუჩინარდნენ.

მართალია, კარი მორისონმა გააღო, მაგრამ შუქისა და ხმაურის უეცარმა კონტრასტმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ეს კარი აფეთქებამ გამოტყორცნა: შუქს სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ დიდი სამეჯლისო დარბაზის მოკაშკაშე ჭაღების სამასი ნათურა გამოსცემდა, ხმას კი ხუთასი კაცის აპლოდისმენტები.

ჩიკ მორისონი დაწინაურდა და მომხსენებელთა მაგიდისკენ გაემართა, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა დანარჩენ მაგიდებს დარბაზში. ჩანდა, იქ მყოფებმა გამოცხადების გარეშეც იცოდნენ, რომ მორისონის ფეხდაფეხ მომავალი ორი ადამიანიდან ტაშით ისინი მაღალ და მოხდენილ, ოქროსფერ-სპილენძისფერთმიან კაცს ეგებებოდნენ. ხმას, რომელიც მათ რადიოში მოისმინეს, სწორედ მისი მშვიდი, თავდაჯერებული და მიუწვდომელი სახე შეესატყვისებოდა.

გოლტისთვის გრძელი მაგიდის ცენტრში მიეჩინათ საპატიო ადგილი, ხელმარჯვნივ მისტერ ტომპსონი ეჯდა, მის მარცხნივ კი მუტრუკი მოკალათდა ისე ოსტატურად, რომ არც გოლტის მკლავისთვის გაუშვია ხელი და არც იარაღის ლულა მოუშორებია მისთვის. ჭაღების კაშკაში ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეშიც, შორეული კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული მაგიდებთან, ქალების მოშიშვლებულ მხრებზე დაფენილ ბრილიანტის თვლებზეც აირეკლებოდა; მამაკაცების მკაცრად შავ-თეთრი ჩაცმულობა აქარწყლებდა დარბაზის საზეიმო, მეფური დიდებულებისთვის შეუფერებელ სიჭრელეს, რომელსაც კამერები, მიკროფონები და ჯერჯერობით უმოქმედო სატელევიზიო მოწყობილობები ქმნიდა. ხალხი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა.

მისტერ ტომპსონი იღიმებოდა და იმ უფროსის მღელვარე გამომეტყველებით შესცქეროდა გოლტს სახეში, რომელმაც ბავშვს უჩვეულოდ ძვირფასი საჩუქარი

მიართვა და ახლა მის რეაქციას ელოდება. გოლტი უსიტყვოდ შეჰყურებდა ოვაციებს — არც უგულებელყოფდა მათ და არც პასუხობდა.

— ამ აპლოდისმენტებით, — ჩაჰყვიროდა დარბაზის კუთხეში მიკროფონს რადიოს დიქტორი, — ესალმებიან ჯონ გოლტს, რომელმაც ეს-ეს არის დაიკავა თავისი ადგილი მომხსენებელთა მაგიდასთან! დიახ, მეგობრებო, თქვენ წინაშეა თავად ჯონ გოლტი, როგორც სულ მალე იხილავთ ყველანი, ვისაც კი ტელევიზორი მოგეპოვებათ!

დაგნიმ საკუთარ თავს უთხრა, რომ არ უნდა დავიწყებოდა, თუ სად იმყოფებოდა და სუფრის ქვეშ, მეზობელი მაგიდის მიერ წარმოქმნილ წყვდიადში, ხელები მომუშტა. ძნელი იყო, ორმაგი რეალობის შეგრძნება შეენარჩუნებინა, როდესაც ჯონ გოლტი მისგან ოცდაათი ფუტის დაშორებით იმყოფებოდა. გრძნობდა, ვიდრე შეეძლო, გოლტის სახე დაენახა, სამყაროში ვერანაირი საფრთხე და ტკივილი ვერ იარსებებდა. ამავე დროს, შემაძრწუნებელი შიშიც იპყრობდა, როდესაც იმ ადამიანებს უყურებდა, გოლტი რომ ჰყავდათ დატყვევებული და ახსენდებოდა მთელი ამ წარმოდგენის უგუნური ირაციონალობა, რომელიც მათ დადგეს. ცდილობდა, სახის კუნთები არ გასტოკებოდა, რათა არც ბედნიერების ღიმილით გამოეაშკარავებინა თავი და არც შიშის გამოვლინებით.

გაუკვირდა, როგორ მოახერხა გოლტმა თვალებით ბრბოში მისი მონახვა. დაინახა გოლტის წამიერი მზერა, რომელიც არავის შეუნიშნავს, დაგნის გარდა; ეს მზერა კოცნაზე მეტი იყო: მოწონებისა და მხარდაჭერის გამომხატველ ხელის ჩამორთმევას უფრო ჰგავდა.

გოლტს მერე დაგნისკენ აღარ გაუხედავს, ქალი კი მას თვალს ვეღარ აშორებდა.

გამაოგნებელი იყო საღამოს სამოსში გამოწყობილი გოლტის ხილვა და უფრო მეტად გასაოცარი — ამ სამოსში სავსებით ბუნებრივად რომ გრძნობდა თავს: სმოკინგი მის სხეულზე თითქოს ღირსების სიმბოლოდ გამოიყურებოდა; გოლტის შესახედაობამ დაგნი შორეული წარსულის საზეიმო წვეულებაზე დააფიქრა, სადაც მას გამოგონებისთვის ჯილდოს გადასცემდნენ. „დღესასწაულები“, — სევდით გაახსენდა საკუთარი სიტყვები, — „მხოლოდ მათთვის უნდა იმართებოდეს, ვისაც რაიმე აქვს საზეიმო“.

დაგნი მიბრუნდა. ცდილობდა, მეტისმეტად ხშირად არ გაეხედა გოლტისკენ და ვინმეს ყურადღება არ მიეპყრო. ის საკმაოდ თვალში მოსახვედრ ადგილას დასვეს, რათა შეკრებილ საზოგადოებას დაენახა, მათ, ვისაც გოლტი არ სწყალობდა — დოქტორ ფერისსა და იუჯინ ლოუსონს. ჯიმი ტრიბუნასთან უფრო ახლოს იჯდა; დაგნი ხედავდა ჯიმის პირქუშ სახეს, მის გვერდით ტინკი ჰოლოვეი, ფრედ კინანი და დოქტორი საიმონ პრიტჩეტი ისხდნენ. მომხსენებელთა მაგიდასთან გამწკრივებულებს, — მართალია, ძალიან ცდილობდნენ ამის დამალვას, — მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების გაწამებული გამომეტყველება ჰქონდათ; გოლტის მშვიდი სახე თითქოს ბრწყინავდა; დაგნი ფიქრობდა, ვინ უფრო იყო მათგან ტუსაღი და ვინ — ბატონი. მან ნელა მოავლო მზერა ყველას: მისტერ ტომპსონს, უესლი მაუჩს, ჩიკ მორისონს, რამდენიმე გენერალსა და საკანონმდებლო ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს. რაც არ უნდა გასაკვირი ყოფილიყო, მისტერ მოუენი გოლტის საამებლად დიდი ბიზნესის სიმბოლოდ შეერჩიათ. მერე დარბაზს გადახედა, დოქტორ სტადლერს ეძებდა, მაგრამ ის არსად ჩანდა.

დარბაზში გაბნეული ხმები დაგნის სნეული ადამიანის ციებ-ცხელების დიაგრამას აგონებდა; ეს ხმები ხან მეტისმეტად მაღლა იწევდა, ხანაც მკვეთრად

ეცემოდა დაბლა, როდესაც სიჩუმე ისადგურებდა; დროდადრო ვიღაცას გაეცინებოდა, მერე კი მეზობელ მაგიდებთან მსხდომნი შემკრთალნი მიუტრიალდებოდნენ და უცებ დადუმდებოდა. ადამიანების სახეები დაძაბულობის ყველაზე აშკარა და ყველაზე ნაკლებად ღირსეულ ფორმას — ნაძალადევ ღიმილს დაემახინჯებინა. დაგნი ფიქრობდა, რომ ისინი თავიანთი გონების კი არა, თავიანთი შიშის მეშვეობით აცნობიერებდნენ, რომ ეს საზეიმო წვეულება მათი სამყაროს კულმინაცია და გაშიშვლებული არსი იყო. ისიც იცოდნენ, რომ ვერც მათი ღმერთი და ვერც მათი იარაღი ამ დღესასწაულს იმად ვერ აქცევდა, რადაც ისინი ცდილობდნენ მის გასაღებას. — დაგნის ყელში არაფერი გადასდიოდა, თითქოს საყლაპავი ძლიერმა კრუნჩხვამ გადაუკეტა. შენიშნა, რომ დანარჩენებიც უბრალოდ თვალთმაქცობდნენ, თითქოს ჭამდნენ. ეტყობოდა, მადა მხოლოდ დოქტორ ფერისს არ წახდომოდა.

როდესაც თავის წინ დადგმულ ბროლის ფიალაში დამდნარი ნაყინი დაინახა, დაგნიმ მოულოდნელად ოთახში გამეფებული სიჩუმე შენიშნა და გაიგონა სატელევიზიო აპარატურის ღრჭიალი, რომელსაც წინ მიათრევდნენ ასამუშავებლად. „აბა“, — გაიფიქრა მან მღელვარე მოლოდინის შეგრძნებით, და გააცნობიერა, რომ დანარჩენებიც იმავეს გრძნობდნენ. ყველას მზერა გოლტისკენ იყო მიმართული. გოლტს კი გამომეტყველება არ შესცვლია.

სიჩუმისკენ მოწოდება არავის დასჭირვებია, როდესაც მისტერ ტომპსონმა დიქტორს ხელი აუქნია: ყველამ სუნთქვა შეიკრა.

— ჩვენო თანამემამულენო, — ჩაჰყვირა დიქტორმა მიკროფონში, — და ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქენო, სადაც კი ჩვენი მოსმენა შეუძლიათ, ქალაქ ნიუ-იორკის სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ დიდ სამეჯლისო დარბაზში ჯონ გოლტის გეგმის ამოქმედება იწყება!

მომხსენებელთა მაგიდის უკან, კედელზე, მუქი ლურჯი შუქის მართკუთხედი გამოჩნდა — ეს სატელევიზიო ეკრანი იყო, სადაც დამსწრე საზოგადოებას უნდა ეხილა სურათი, რომელსაც სულ მალე მთელი ქვეყანა დაინახავდა.

— ეს ჯონ გოლტის გეგმაა მშვიდობისთვის, კეთილდღეობისთვის და გამდიდრებისთვის! — გაჰყვიროდა დიქტორი, როდესაც ეკრანზე სამეჯლისო დარბაზის მოცახცახე გამოსახულება გამოჩნდა, — ახალი ეპოქის დასაწყისი! ჩვენი ლიდერების კაცთმოყვარე სულისა და ჯონ გოლტის სამეცნიერო გენიის ჰარმონიული თანამშრომლობის ნაყოფი! თუ თქვენი რწმენა მომავლისადმი ბოროტმა ჭორებმა შეარყია, ახლა შეგიძლიათ, საკუთარი თვალით იხილოთ ჩვენი ხელმძღვანელობის ბედნიერი და ერთსულოვანი ოჯახი!.. ქალბატონებო და ბატონებო! — სატელევიზიო კამერა მომხსენებელთა მაგიდას მიუახლოვდა და ეკრანზე მისტერ მოუენის გაოგნებული სახე გამოჩნდა, — თქვენ წინაშეა მისტერ ჰორას ბაზბი მოუენი, ამერიკელი მეწარმე! — შემდეგ კამერამ ხანშიშესული ადამიანის სახისკენ გადაინაცვლა, რომელიც ნაძალადევ ღიმილს დაიკრავდა, — გენერალი ვიტინგტონ ს. თორპი! — კამერა, ეჭვმიტანილთა მწკრივიდან დამნაშავის ამომცნობი თვალივით, ერთი დამახინჯებული სახიდან მეორეზე ინაცვლებდა. ეს სახეები შიშს, თვალთმაქცობას, სასოწარკვეთილებას, ორჭოფობას, საკუთარი თავის სიძულვილსა და დანაშაულის გრძნობას დაემახინჯებინა, — სახელმწიფო საკანონმდებლო ხელისუფლების უმრავლესობის ლიდერი მისტერ ლუსიენ ფელპსი!.. მისტერ უესლი მაუჩი!.. მისტერ ტომპსონი!

— კამერა ტომპსონზე შეჩერდა; მან ჯერ ფართოდ გაუღიმა ხალხს, შემდეგ კი მარცხნივ გაიხედა სიამოვნების მომლოდინე სადღესასწაულო გამომეტყველებით და

მისი სახე ეკრანიდან გაქრა, — ქალბატონებო და ბატონებო, — გამოაცხადა დიქტორმა საზეიმოდ, — ჯონ გოლტი!

„ღმერთო ჩემო!“ — ფიქრობდა დაგნი, — „რას სჩადიან?“ ეკრანიდან ადამიანებს ჯონ გოლტის სახე შემოჰყურებდა, ტკივილის, შიშისა და დანაშაულის გრძნობისგან თავისუფალი სახე, ულმობელი — სიმშვიდის სათნოების, და უძლეველი — საკუთარი ღირსების განცდის წყალობით. „ეს სახე“, — ფიქრობდა ქალი, — „ამათ შორის?“

„რაც არ უნდა ჰქონდეთ მათ დაგეგმილი, მარცხი არ ასცდებათ, მეტი ველარაფერი ითქმის და არც არის საჭირო, ერთი კოდექსის ნაყოფიც აშკარად ჩანს და მეორისაც — აი, არჩევანი, და ამას ნებისმიერი ადამიანი გააცნობიერებს“, — გაიფიქრა დაგნიმ. — მისტერ გოლტის პირადი მდივანი, — გამოაცხადა დიქტორმა, კამერა სწრაფად გაეცალა მუტრუკის ფიზიონომიას და სხვა სახეებზე გადაინაცვლა, — მისტერ კლარენს „ჩიკ“ მორისონი... ადმირალი ჰომერ დოლი... მისტერ...

დაგნი შეჰყურებდა გარშემომყოფებს და ფიქრობდა: „ნუთუ ისინი კონტრასტს ვერ ხედავენ? ნუთუ ვერ ხვდებიან? ნუთუ მათ ვერ დაინახეს გოლტი? არ მოუნდათ მისი ჭეშმარიტი არსის დანახვა?“

— ეს საზეიმო წვეულება, — დაიწყო ჩიკ მორისონმა, რომელმაც ცერემონიის“ გაძღოლა იტვირთა, — ჩვენი დროის უდიდესი ფიგურის, უნიჭიერესი მწარმოებლის, პრაქტიკული ადამიანის, ჩვენი ეკონომიკის ახალი ხელმძღვანელის — ჯონ გოლტის საპატივცემულოდ იმართება! თუ თქვენ მოისმინეთ მისი გასაოცარი გამოსვლა რადიოში, ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ მას შეუძლია სისტემის ამუშავება. ახლა ჯონ გოლტი აქ არის, რათა გითხრათ, რომ ის თქვენი გულისთვის აამუშავებს ამ სისტემას. თუ თქვენ შეგაცდინეს დროს ჩამორჩენილმა ექსტრემისტებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოსდა გოლტი ჩვენს რიგებს არასოდეს შემოუერთდებოდა და მისი ცხოვრების წესი არასოდეს დაუახლოვდებოდა ჩვენსას, თითქოს ან ერთს უნდა ეარსება, ან მეორეს — დღევანდელი საღამო დაგარწმუნებთ, რომ ყველაფრის შეთანხმება და გაერთიანება შესაძლებელია!

„მას შემდეგ, რაც მათ გოლტი დაინახეს“, — ფიქრობდა დაგნი, — „როგორღა უნდა უნდოდეთ სხვა ვინმეს დანახვა? მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ ის ნამდვილად არსებობს, რომ ადამიანს შეუძლია, ასეთი იყოს, სხვას რაღას უნდა დაეძებდნენ? რაღა უნდა სურდეთ, გარდა იმისა, რომ საკუთარ სულებში მიაღწიონ, რასაც გოლტმა მიაღწია თავისაში? ნუთუ არ შეაჩერებთ ის ფაქტი, რომ ამ სამყაროს მაუჩებს, მორისონებს, ტომპსონებს არ სურთ ამის მიღწევა? ნუთუ ისინი მაუჩებს ადამიანებად მიიჩნევენ, გოლტის არსებობა კი შეუძლებლად მიაჩნიათ?“

კამერა სამეჯლისო დარბაზს იღებდა, ეკრანზე აღბეჭდავდა გამოჩენილ სტუმრებს, ქვეყნის ლიდერების დაძაბულ, გაფაციცებულ სახეებს და დროდადრო მთელ ქვეყანას აჩვენებდა ჯონ გოლტის სახესაც. მისი გამჭრიახი თვალები ისე იმზირებოდნენ, თითქოს ამ დარბაზის გარეთ მყოფ ადამიანებს აკვირდებოდა, ადამიანებს მთელ ქვეყანაში, რომლებიც ახლა მას უყურებდნენ; შეუძლებელი იყო გამოცნობა, უსმენდა თუ არა გოლტი სიტყვით გამომსვლელებს: მის მშვიდ სახეზე არაფერი იკითხებოდა, არც ერთი ემოცია.

— მე მეამაყება, რომ ამ საღამოს საკადრის პატივს მივაგებ, — ამბობდა შემდეგი გამომსვლელი, საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელი, — უდიდეს ეკონომიკურ ორგანიზატორს, ვინც კი ოდესმე მსოფლიოს აღმოუჩენია, უნიჭიერეს მმართველს, უბრწყინვალეს გამომგონებელს — ჯონ გოლტს, ადამიანს, რომელიც ჩვენ გადაგვარჩენს! მინდა, ხალხის სახელით მადლობა მოვახსენო მას!

დაგნი ზიზღიანი ირონიით ფიქრობდა, რომ გაიძვერათა გულწრფელობის წარმოდგენას უყურებდა. ამ სიყალბეში ყველაზე ყალბი ის იყო, რომ ისინი გულწრფელნი იყვნენ. ეს ადამიანები გოლტს სთავაზობდნენ საუკეთესოს, რისი შეთავაზებაც კი არსებობაზე მათი წარმოდგენების თანახმად შეიძლებოდა, ცდილობდნენ, იმით ეცდუნებინათ, რასაც ცხოვრების უმაღლეს მიღწევაზე მათი ოცნება გულისხმობდა: უგუნური პირფერობით, ამ საზარელი თვალთმაქცობის არარეალურობით, მოწონებით სტანდარტების გარეშე, უსაფუძვლო პატივის მიგებით, უშინაარსო ხოტბით, უმიზეზო აღტაცებით, სიყვარულით ღირებულებათა კოდექსის გარეშე.

— ჩვენ უგულებელვყავით აზრთა უმნიშვნელო სხვადასხვაობა, — მიკროფონში ახლა უესლი მაუჩი ლაპარაკობდა, — ყველა მიკერძოებული აზრი, ყველა პირადი ინტერესი და ეგოისტური შეხედულება, რათა ჯონ გოლტის ალტრუისტული ხელმძღვანელობის ქვეშ ვიმსახუროთ!

„რატომ უსმენენ ეს ადამიანები ამ ყველაფერს?“ — ფიქრობდა დაგნი, — „ნუთუ ვერ ხედავენ მათ სახეებზე სიკვდილის დამღას, გოლტის სახეზე კი სიცოცხლის ნიშანს? რომელ მდგომარეობას აირჩევდნენ ისინი? რომელი მდგომარეობა ურჩევნიათ კაცობრიობისთვის?..“ დარბაზში შეკრებილთა სახეებს მოავლო თვალი, მათ ნერვიულ, ცარიელ გამომეტყველებას; ამ სახეებზე მხოლოდ მძიმე აპათია და ქრონიკული შიში იყო აღბეჭდილი. ისინი ისე შეჰყურებდნენ გოლტსა და მაუჩს, თითქოს არ ხელეწიფებოდათ მათ შორის რაიმე სხვაობის დანახვა ან იმაზე დაფიქრება, არსებობდა თუ არა საერთოდ ეს სხვაობა. მათი უტყვი, არაკრიტიკული, გულგრილი მზერა აცხადებდა: „ვინ ვარ მე, რომ ვიცოდე?“ დაგნის გააჟრჟოლა გოლტის ნათქვამის გახსენებაზე: „ადამიანი, რომელიც აცხადებს: „ვინ ვარ მე, რომ ვიცოდე?“ ამბობს: „ვინ ვარ მე, რომ ვიცოცხლო?“ „სურთ მათ სიცოცხლე?“ — ფიქრობდა დაგნი. ჩანდა, რომ ისინი ამ კითხვის დასმითაც კი არ იწუხებდნენ თავს... ქალმა ის რამდენიმე ადამიანიც დაინახა, ვისაც ეს თითქოს სურდა. ისინი გოლტს სასოწარკვეთილი მუდარითა და ნაღვლიანი, ტრაგიკული აღტაცებით შესცქეროდნენ, თუმცა ხელები მაინც უმოქმედოდ დაეწყოთ მაგიდაზე. ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ხვდებოდნენ, ვინ იყო გოლტი, ადამიანები, რომლებიც გოლტის სამყაროს გაწბილებულ წადილში ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას — მაგრამ ხვალ, თუ გოლტს მათ თვალწინ დაუპირებდნენ მოკვლას, მათი ხელები ასევე უმოქმედონი დარჩებოდნენ, თვალები კი გვერდზე გაიხედავდნენ, და იტყოდნენ: „ვინ ვარ მე, რომ ვიმოქმედო?“

— მოქმედებისა და მიზნის ერთიანობა, — ამბობდა მაუჩი, — უფრო ბედნიერ სამყაროამდე მიგვიყვანს...

მისტერ ტომპსონი გოლტისკენ გადაიხარა და თავაზიანი ღიმილით წასჩურჩულა:

— მოგიწევთ, ქვეყანას რამდენიმე სიტყვა უთხრათ, ჩემ შემდეგ. არა, არა, ეს არ უნდა იყოს ხანგრძლივი გამოსვლა, მხოლოდ ერთი-ორი წინადადება. უბრალოდ, იტყვით: „მოგესალმებით, ხალხო!“ ან რაღაც ამდაგვარს, თქვენი ხმა რომ იცნონ.

„მდივნის“ ლულის ოდნავ გაძლიერებულმა დაწოლამ გოლტის ფერდზე ტომპსონის სიტყვებს უხმო ნაწილი დაამატა. გოლტს პასუხი არ გაუცია.

— ჯონ გოლტის გეგმა, — ამბობდა უესლი მაუჩი, — ყველა კონფლიქტს გადაჭრის.

ის დაიცავს მდიდრების ქონებას და ღარიბებს უფრო დიდ წილს არგუნებს. ის შეგიმცირებთ გადასახადებს და გაგიზრდით სახელმწიფო შეღავათებს. ის

შეამცირებს ფასებს და გაზრდის ხელფასებს. ის კერძო პირებს უფრო მეტ თავისუფლებას მისცემს და კოლექტიურ ვალდებულებებს გაამყარებს. ის თავისუფალი წარმოების ეფექტიანობისა და დაგეგმილი ეკონომიკის სიუხვის შერწყმას მოახერხებს.

დაგნიმ შეამჩნია რამდენიმე ადამიანი, რომლებიც გოლტს სიძულვილით შესცქეროდნენ — ამის ბოლომდე დასაჯერებლად ძალის დაძაბვა დასჭირდა. ამ ადამიანებს შორის ჯიმიც აღმოაჩინა. ვიდრე ეკრანზე მაუჩის სახე ჩანდა, მოწყენილი კმაყოფილებით მოდუნებული გამომეტყველება ჰქონდათ. ეს სიამოვნებას კი არა, სიმშვიდეს ჰგავდა, იმ ფაქტით გამოწვეულ სიმშვიდეს, რომ მათგან არაფერს ითხოვდნენ, და რომ ყველაფერი ბუნდოვანი და განუსაზღვრელი იყო. როდესაც ეკრანზე გოლტის სახე გამოჩნდა, პირი მოკუმეს და ნაკვთები უცნაური გაფაციცებით გაუმკაცრდათ. დაგნიმ მოულოდნელი დარწმუნებულობით იგრძნო, რომ მათ გოლტის სახის სიზუსტის, მისი ნაკვთების მკაფიოობის, არსებად ყოფნისა და არსებობის მტკიცების გამომეტყველების ეშინოდათ. „მათ გოლტი იმის გამო სძულთ, რომ ის არის ის, ვინც არის," — ფიქრობდა თავზარდამცემი შიშით შეპყრობილი დაგნი, როდესაც მათი სულების არსს ჩასწვდა, — „იმიტომ სძულთ ის, რომ სიცოცხლის ნიჭი აქვს. სურთ კი თვითონ მათ სიცოცხლე?" — ფიქრობდა ირონიით. გონებადაბინდულს გოლტის სიტყვები გაახსენდა: „არაფრად ყოფნის სურვილი არარსებობის სურვილია".

ახლა მიკროფონში მისტერ ტომპსონი გაჰყვიროდა ერთობ გამოცოცხლებული და ერთობ არაოფიციალური ტონით:

— მე გეუბნებით: კბილები ჩამოუღეთ ყველა იმ სკეპტიკოსს, რომელიც შუღლსა და შიშს ავრცელებს! ხომ გეუბნებოდნენ, რომ ჯონ გოლტი არასოდეს შემოგვიერთდებოდა? აი, ის აქ არის, პირადად, საკუთარი ნებით, ამ მაგიდასთან და ჩვენი სახელმწიფოს სათავეში! ის მზად არის, სურს და შეუძლია, რომ ემსახუროს ხალხს!

აღარასოდეს აღარ გაგიჩნდეთ ეჭვი, არ გაიქცეთ და არ დანებდეთ! ხვალინდელი დღე დღეს დადგა, აქ — და თან როგორი ხვალინდელი დღე! მსოფლიოში ყველა ადამიანს ექნება დღეში სამჯერადი კვება, საკუთარი ავტომობილი ავტოფარეხში, და უფასო ელექტროენერგია, რომელსაც აწარმოებს ძრავა, რომლის მსგავსიც თვალით არასდროს გინახავთ! თქვენ მხოლოდ ის გევალებათ, რომ ცოტა ხანი კიდევ მოითმინოთ! მოთმინება, რწმენა და ერთიანობა — ეს არის წინსვლის რეცეპტი! ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან, როგორც ერთი დიდი და ბედნიერი ოჯახი, რომლის თითოეული წევრი საყოველთაო კეთილდღეობისთვის იღწვის! ჩვენ ვიპოვეთ ისეთი წინამძღოლი, რომელიც ჩვენი ყველაზე მდიდარი და საქმიანი წარსულის მიღწევებს გადაფარავს! აქ ის კაცობრიობის სიყვარულის გამო მოვიდა — რომ გემსახუროთ, დაგიცვათ და თქვენზე იზრუნოს! მან გაიგონა თქვენი მუდარა და გაიზიარა ჩვენი საერთო ადამიანური მოვალეობა! ყოველი ადამიანი თავისი ძმის დარაჯია! არც ერთი ადამიანი არ ეკუთვნის მხოლოდ საკუთარ თავს! და ახლა თქვენ გაიგონებთ მის ხმას, მის განცხადებას!.. ქალბატონებო და ბატონებო, — წარმოთქვა ტომპსონმა მოზეიმე ხმით, — ჯონ გოლტი მიმართავს კაცობრიობის კოლექტიურ ოჯახს!

კამერამ გოლტისკენ გადაინაცვლა. ის რამდენიმე წამს გაუნძრევლად იჯდა. მერე კი, ისეთი სწრაფი და მოხერხებული მოძრაობით, რომ „მდივანმა" ვეღარაფერი მოასწრო, ფეხზე წამოდგა, გვერდზე გადაიხარა, დამიზნებულმა იარაღმა წამით

მთელი მსოფლიოს თვალწინ გაიელვა, შემდეგ გოლტი წელში გაიმართა, თავის ყველა უხილავ მაყურებელს შეხედა და წარმოთქვა:

— თავიდან მომწყდით!

თავი 9

გენერატორი

— თავიდან მომწყდით!

დოქტორმა რობერტ სტადლერმა ეს თავისი მანქანის რადიოში მოისმინა. ვერ გააცნობიერა, მომდევნო ხმა, ქოშინი, ყვირილი თუ სიცილი, საიდან მოდიოდა, მაგრამ გაიგონა ჩხაკუნი, რომელმაც ეს ხმა ჩაახშო. რადიო გაჩუმდა. სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდიდან“ აღარაფერი ისმოდა.

სტადლერი რადიომიმღების მოციმციმე ციფერბლატის ქვეშ ხან ერთ ღილაკს აჭერდა, ხან მეორეს და ერთი რადიოსადგურიდან მეორეზე რთავდა. რადიო დუმდა — არც ახსნა-განმარტებები, არც შეტყობინებები ტექნიკური ხარვეზის შესახებ, არც მუსიკა სიჩუმის გადასაფარავად. ყველა რადიოსადგური გათიშული იყო.

სტადლერს გააჟრჟოლა, საჭეს მაგრად ჩაეჭიდა, წინ გადაიხარა, როგორც ჟოკეი დოღის დასასრულს, და ფეხი აქსელერატორის პედალს დააჭირა. წინ გზატკეცილის მცირე მონაკვეთი თითქოს ხტოდა მისი მანქანის ფარების შუქზე. განათებული ზოლის იქით მხოლოდ აიოვას პრერიების სიცარიელე მოჩანდა.

სტადლერმა არ იცოდა, რატომ უსმენდა ამ გადაცემას; არც ის იცოდა, რა მიზეზით კანკალებდა ახლა. უცბად ჩაიცინა, თუმცა, უფრო თითქოს ბოროტად დაიღრინა — რადიოს, ქალაქის მაცხოვრებლების თუ ცის მისამართით.

ის გზატკეცილის ნომრების აღმნიშვნელ აქა-იქ შემხვედრ ბოძებს აკვირდებოდა.

რუკის გამოყენება არ სჭირდებოდა: ოთხი დღის განმავლობაში ეს რუკა ისე აღებეჭდა გონებაში, თითქოს მჟავით ამოეწვათ. „ისინი მე ამას ვერ წამართმევენ“, — გაიფიქრა სტადლერმა, — „ჩემს შეჩერებას ვერ შეძლებენ“. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მოსდევდნენ; მაგრამ რამდენიმე მილის მანძილზე მისი მანქანის უკანა ფარების ორი წითელი ნათების გარდა, აიოვას ველების წყვდიადში საფრთხის მანიშნებელი ორი სიგნალის მსგავსად რომ მიქროდა, არაფერი მოჩანდა.

ბიძგი, რომელმაც სტადლერი აიძულა, გზას გასდგომოდა, მის უკან დარჩენილი ოთხი დღე იყო. ეს იყო ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ადამიანისა და იმ ხალხის სახეები, რომლებსაც იმ ოთახიდან გამოვარდნილი შეეჯახა. ის უყვიროდა მათ, რომ არ შეეძლო გოლტთან გამკლავება, და ეს არც მათ შეეძლოთ, რომ გოლტი მათ გაანადგურებდა, თუ ისინი არ დაასწრებდნენ.

— ნუ ტვინიკოსობ, პროფესორო, — ცივად უპასუხა ტომპსონმა, — ბევრი იძახე, ძალიან მძულსო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერაფრით დაგვეხმარე. არ ვიცი, ვის მხარეზე ხარ. თუ ის მშვიდობიანად არ დაგვნებდა, შესაძლოა, ძალის გამოყენება მოგვიწიოს — მაგალითად, მძევლად ავიყვანოთ, ვინც მისთვის ძვირფასია, შენ კი ამ სიაში პირველი ხარ, პროფესორო.

— მე? — იყვირა სტადლერმა გამწარებული, სასოწარკვეთილი სიცილით და შიშით თავზარდაცემული აცახცახდა, — მე? კი მაგრამ, მას ჩემზე მეტად არავინ ეზიზღება მთელი დედამიწის ზურგზე!

— ეს საიდან უნდა ვიცოდე? — უპასუხა ტომპსონმა, — მე ის ვიცი, რომ მისი მასწავლებელი იყავი. ნურც იმას დაივიწყებ, რომ შენ ხარ ერთადერთი ადამიანი, ვისი ნახვაც მან ისურვა.

შიშით თავგზააბნეულ სტადლერს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მალე ორ კედელს შუა გაიჭყლიტებოდა: მისი საქმე მაშინაც წასული იყო, თუ გოლტი დანებებაზე უარს იტყოდა, და იმ შემთხვევაში, თუ გოლტი ამ ადამიანებს შეუერთდებოდა, ხომ — მით უმეტეს.

და გონებაში შორეული სურათი ამოუტივტივდა: შუაგულ აიოვას ველზე მდგარი ნაგებობა სოკოს ფორმის გუმბათით. შემდეგ მის ცნობიერებაში ყველა გამოსახულება ერთმანეთში აირია. „პროექტი X“, — გაიფიქრა სტადლერმა და ვერ მიმხვდარიყო, ამ შენობის შესახედაობის გამო დაეუფლა იმ ეპოქისა და სამყაროს განცდა, რომელსაც ის ეკუთვნოდა, თუ რომელიღაც ფეოდალური ციხესიმაგრის... „მე რობერტ სტადლერი ვარ, ეს ჩემი საკუთრებაა, ეს აპარატი ჩემი აღმოჩენების ნაყოფია, მათ თქვეს, რომ სწორედ მე გამოვიგონე ის... მე მაგათ ვუჩვენებ!“ — ფიქრობდა სტადლერი ისე, რომ ვერც კი აცნობიერებდა, ფანჯრის რაფაზე მჯდომ ადამიანს გულისხმობდა, დანარჩენებს თუ ეგებ მთელ კაცობრიობასაც... მისი აზრები სითხეში მოტივტივე, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ნაფოტებს დამსგავსებოდა: „მართვის სადავეების ხელში აღება... მე მაგათ ვუჩვენებ!.. მართვის სადავეების ხელში აღება... დედამიწაზე სხვაგვარად ცხოვრება შეუძლებელია...“

მხოლოდ ეს სიტყვები გამოხატავდა გეგმას მის გონებაში. გრძნობდა, რომ დანარჩენი ყველაფერი გარკვეული იყო მისთვის — იმ დაუოკებელი ემოციის ფორმით, რომელიც უტიფრად გაჰყვიროდა, რომ მას ეს არ უნდა გაერკვია. სტადლერი ხელში ჩაიგდებდა „პროექტ X“—ის მართვის სადავეებს და ქვეყნის ნაწილს თავისი კერძო ფეოდალური სამფლობელოსავით მართავდა. როგორ? ემოცია პასუხობდა: როგორღაც. მოტივი? გონება დაჟინებით უმეორებდა, რომ მისი მოტივი მისტერ ტომპსონის ბანდის შიში იყო, რომ ის უსაფრთხოდ ველარ იქნებოდა მათ შორის, რომ მისი გეგმა პრაქტიკული აუცილებლობა იყო. მისი გრძნობა ახალ შიშს მოიცავდა, რომელიც გაწყალებული გონების სიღრმეში ნაფოტებად ქცეულ სიტყვებს შორის არსებულ კავშირებთან ერთად დაძირულიყო.

ეს ნაფოტები ბოლო ოთხი დღისა და ოთხი ღამის განმავლობაში მისთვის ერთადერთი გზის მაჩვენებელი იყო, როდესაც უკაცრიელ გზატკეცილებზე მიაქროლებდა მანქანას დაღუპვის პირას მისული მიდამოების ქაოსში, როდესაც მანიაკის ცბიერებით იგონებდა ხერხებს, როგორ შეეძინა უკანონოდ საწვავი, როდესაც ყალბი სახელის გამოყენებით მდარე სასტუმროებში რამდენიმე საათით წაუძინებდა ხოლმე... „მე რობერტ სტადლერი ვარ“, — ფიქრობდა ის. მისი გონება ამას ყოვლისშემძლე ფორმულასავით იმეორებდა... „მართვის სადავეების ხელში აღება“, — ფიქრობდა ის, როდესაც ნახევრად დაცლილი ქალაქების უსარგებლო შუქნიშნებსა და აიოვას შტატის დაცარიელებული ველების იშვიათად შემხვედრ დანგრეულ ფერმებს ჩაუქროლებდა, როდესაც მისისიპიზე გადებული ტაგარტის ხიდის მოძაგძაგე ფოლადზე გადიოდა... „მე მაგათ ვუჩვენებ“, — იმუქრებოდა სტადლერი, — „დაე, დამედევნონ, ამჯერად ველარ შემაჩერებენ...“ — ასე ფიქრობდა, თუმცა არც ადრე და არც ახლა არავინ მიჰყვებოდა, გარდა თავისი მანქანის უკანა ფარების წითელი შუქებისა და გონებაში მოგუგუნე მოტივისა.

სტადლერმა მანქანის დადუმებულ რადიოს შეხედა და ჩაიცინა; ისე ჩაიცინა, თითქოს სივრცეს მოუღერა მუშტი. „ეს მე ვარ პრაქტიკული“, — ფიქრობდა სტადლერი, — „არჩევანი არ მაქვს... სხვა გზა არ მაქვს... ყველა იმ თავხედ ავაზაკს ვუჩვენებ, ვისაც აღარ ახსოვს, რომ მე რობერტ სტადლერი ვარ... ისინი ყველანი დაიღუპებიან, მე კი არა!.. მე გადავრჩები... მე გავიმარჯვებ!.. მე მაგათ ვუჩვენებ!“ ეს

სიტყვები მისი გონების საზარლად მდუმარე ჭაობის შუაგულში შემორჩენილ მყარი მიწის კუნძულებს ჰგავდა; კავშირები მათ შორის ფსკერზე იყო დაძირული.

შეერთების შემთხვევაში ისინი შექმნიდნენ წინადადებას: „მე ვუჩვენებ მათ, რომ დედამიწაზე სხვაგვარად ცხოვრება შეუძლებელია!..“

სიშორეში გაბნეული სინათლეები „პროექტ X“—ის ტერიტორიაზე აგებული ქოხმახებიდან მოდიოდა, რომელსაც ახლა ჰარმონიის ქალაქის სახელით იცნობდნენ. როდესაც სტადლერი იმ ადგილს მიუახლოვდა, შენიშნა, რომ „პროექტ X“—ის ტერიტორიაზე რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ღობე, რომელსაც ეკლიანი მავთული ჰქონდა შემოვლებული, დაშლილი იყო და ალაყაფთან მცველები აღარ იდგნენ. მაგრამ წყვდიადით მოცულ მონაკვეთებში და პროჟექტორების მოციმციმე ნათებაში რაღაც უჩვეულო ფორიაქი შეიმჩნეოდა: ჯავშნიანი სატვირთო მანქანები, ადამიანები, რომლებიც აქეთ-იქით დარბოდნენ, ყვირილით გაცემული განკარგულებები და ხიშტების მკრთალი ნათება. სტადლერის მანქანა არავის გაუჩერებია. ქოხმახის კუთხეში მან მიწაზე უმოძრაოდ გაშხლართული ჯარისკაცი დაინახა. ამჯობინა, ეფიქრა, რომ ჯარისკაცი მთვრალი იყო, თან ინტერესი ღრღნიდა, მაინც რატომ ვერ დაეჯერებინა ეს ბოლომდე.

წინ, ბორცვზე, სოკოს ფორმის ნაგებობა გამოჩნდა; მისი ფანჯრების ვიწრო ჭუჭრუტანებიდან სინათლე გამოდიოდა. გუმბათის ქვეშიდან გამოშვერილი უფორმო საკვამურები ირგვლივ გამეფებული წყვდიადისკენ იყო დამიზნებული. როდესაც სტადლერი მანქანიდან გადმოვიდა, შესასვლელთან წინ ჯარისკაცი გადაეღობა, რომელიც კბილებამდე იყო შეიარაღებული, თუმცა თავზე არაფერი ეხურა და უნიფორმაც დაუდევრად მოჩაჩვოდა.

— სად მიდიხარ, მეგობარო? — ჰკითხა მან სტადლერს.

— შემიშვი! — მედიდურად უბრძანა დოქტორმა სტადლერმა.

— აქ რა გესაქმება?

— მე დოქტორი რობერტ სტადლერი ვარ.

— მე ჯო ბლოუ ვარ. მე გკითხე, რა გესაქმება-მეთქი? ახლებს ეკუთვნი თუ ძველებს? — შემიშვი, შე იდიოტო! მე დოქტორი რობერტ სტადლერი ვარ!

ჯარისკაცი სტადლერის სახელმა კი არა, უფრო მისი ხმის ტონმა და მიმართვის ფორმამ დაარწმუნა.

— ახლებიდან არის, — თქვა მან, კარი გააღო და შიგნით ვიღაცას დაუძახა, — ეი, მაკ, ამ ბაბუას მიხედე, ერთი გაიგე, რა უნდა!

რკინაბეტონის დაცარიელებულ და მკრთალი შუქით განათებულ დერეფანში სტადლერს ერთი კაცი შემოხვდა, რომელიც შესაძლოა, ოფიცერი გგონებოდა, რომ არა მისი გაღეღილი კიტელი და პირის კუთხეში უტიფრად ჩამოკიდებული სიგარეტი.

— ვინ ხარ? — მიმართა მან სტადლერს უკმეხად და სწრაფი მოძრაობით წაიღო ხელი იარაღის ბუდისკენ.

— მე დოქტორი რობერტ სტადლერი ვარ.

სტადლერის სახელის ხსენებას შედეგი არ გამოუღია:

— ვინ მოგცა აქ შემოსვლის ნებართვა?

— მე ნებართვა არ მჭირდება.

ამ სიტყვებმა კი თითქოს მოახდინა შთაბეჭდილება; შეიარაღებულმა კაცმა პირიდან სიგარეტი გამოიღო.

— აქ ვინ დაგიბარა? — ჰკითხა ოდნავ დაეჭვებულმა.

— კომენდანტს დამალაპარაკე. — მოითხოვა დოქტორმა სტადლერმა მოუთმენლად.

— კომენდანტს? ძალიან დააგვიანე, მეგობარო.

— მაშინ მთავარ ინჟინერთან მიმიყვანე!

— მთავარ-ვისთან? ოჰ, ვილისთან? ვილი მაგარია, ის ჩვენიანია, მაგრამ ამწუთას დავალების შესასრულებლად არის გაგზავნილი. — დერეფანში სხვებიც იყვნენ. ისინი გაფაციცებული ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ ამ საუბარს. ოფიცერმა ერთ-ერთს, გაუპარსავ სამოქალაქო პირს, მხრებზე მოგდებული გაქუცული პალტოთი, ხელით უხმო თავისთან.

— რა გინდა? — უკმეხად მიმართა მან სტადლერს.

— ვინმე მეტყვის, სად არიან ის ჯენტლმენები სამეცნიერო პერსონალიდან? — იკითხა დოქტორმა სტადლერმა ბრძანების თავაზიანად კატეგორიული ტონით.

ოფიცერმა და სამოქალაქო პირმა ერთმანეთს ისე გადახედეს, თითქოს შეკითხვა იქაურობისთვის შეუფერებელი იყო.

— ვაშინგტონიდან ხართ? — ჰკითხა სტადლერს სამოქალაქო პირმა დაეჭვებით.

— არ ვარ ვაშინგტონიდან. მინდა, გაცნობოთ, რომ ვაშინგტონელების ბანდასთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე.

— მართლა? — კმაყოფილი ჩანდა სამოქალაქო პირი, — გამოდის, ხალხის მეგობარი ხართ?

— მე ვიტყოდი, რომ საუკეთესო მეგობარი ვარ, ვინც კი ხალხს ოდესმე ჰყოლია. მე ის ადამიანი ვარ, ვინც მათ ეს ყველაფერი მისცა. — და სტადლერმა ხელი ირგვლივ მოავლო. — შენ მიეცი? — მოწიწებით წარმოთქვა სამოქალაქო პირმა, — თქვენ ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ვინც უფროსთან გარიგება დადო?

— ამ წუთიდან მე ვარ აქ უფროსი.

ოფიცერმა და სამოქალაქო პირმა ერთმანეთს გადახედეს და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს. ოფიცერმა იკითხა:

— თქვენ თქვით, რომ სტადლერი გქვიათ?

— რობერტ სტადლერი. და თუ არ იცით, რას ნიშნავს ეს, სულ მალე გაიგებთ!

— გთხოვთ, გამომყვეთ, სერ. — მიმართა სტადლერს ოფიცერმა თავაზიანი ყოყმანით.

შემდეგ რა მოხდა, დოქტორი სტადლერი ვეღარ აცნობიერებდა, მისი გონება უარს აცხადებდა იმ რეალობის აღიარებაზე, რომლებსაც ხედავდა. სანახევროდ განათებულ, უწესრიგო კაბინეტებში ვიღაც ადამიანები ირეოდნენ, თეძოზე ყველას უამრავი რევოლვერი ეკიდა, თან კადნიერი და დამფრთხალი მკვეთრი ხმებით უაზრო შეკითხვებს უსვამდნენ.

სტადლერმა არ იცოდა, რომელიმე მათგანი შეეცადა თუ არა, მისთვის რაიმე აეხსნა; ის მათ არ უსმენდა; არ შეეძლო, დაეშვა, რომ ეს სიმართლე იყო და ფეოდალური ხანის მონარქის ტონით იმეორებდა:

— ამ წუთიდან მოყოლებული, აქ უფროსი მე ვარ... მე გავცემ ბრძანებებს... აქ იმიტომ მოვედი, რომ მმართველობა გადავიბარო... აქაურობა მე მეკუთვნის... მე დოქტორი რობერტ სტადლერი ვარ, და თუ თქვენთვის ეს სახელი უცნობია, მაშინ აქ არაფერი გესაქმებათ, თქვე წყეულო იდიოტებო! საკუთარ თავს თვითონვე დაღუპავთ, თუ ეს არის თქვენი ცოდნის დონე! სკოლაში ფიზიკა თუ გისწავლიათ?

მგონი, ნამყოფებიც კი არ ხართ სკოლაში! აქ რას აკეთებთ? ვინ ხართ?

სტადლერს დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე გააცნობიერებდა, რომ დაასწრეს, მისმა გონებამ რეალობის უგულებელყოფა ვეღარ შეძლო: ვიღაცას არსებობაზე მისნაირივე წარმოდგენა ჰქონდა და მიზნადაც ისეთივე მომავლის მიღწევა დაესახა. მიხვდა, რომ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავებს „ხალხის მეგობრებს“ უწოდებდნენ, „პროექტი X“ იმ საღამოს, სულ რამდენიმე საათის წინ ჩაეგდოთ ხელში, თვითონ რომ ემართათ. სტადლერი ღვარძლიანი ზიზღით დასცინოდა მათ:

— წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რას სჩადიხართ, საცოდავო ლაწირაკო ბოროტმოქმედებო! გგონიათ, თქვენ — თქვენ! — გაართმევთ თავს უზუსტეს სამეცნიერო გამოგონებას? ვინ არის თქვენი უფროსი? მე თქვენს უფროსთან მოვითხოვ შეხვედრას!

სტადლერის მბრძანებლურმა ტონმა, მისმა ზიზღმა და საკუთარმა ბრმა შიშმა, — იმ აღვირახსნილად მოძალადე ადამიანებისთვის დამახასიათებელმა გაუაზრებელმა შიშმა, რომელთაც უსაფრთხოებისა და საფრთხის სტანდარტები არ გააჩნიათ, — ისინი შეაცბუნა და დააეჭვა, მართლაც მათი უმაღლესი ხელმძღვანელობის საიდუმლო წევრი ხომ არ იყო ეს კაცი; ერთნაირად იყვნენ მზად, დამორჩილებოდნენ ან არ დამორჩილებოდნენ ნებისმიერ ძალას. სტადლერს დიდხანს დაატარებდნენ ერთი დაფეთებული მეთაურიდან მეორესთან, ბოლოს კი რკინის კიბით მიწის ქვეშ ჩაიყვანეს და რკინაბეტონის გრძელი, ექოიანი დერეფნების გავლით თვით „უფროსს“ მიჰგვარეს.

უფროსი მიწისქვეშა სამართავ ოთახს აფარებდა თავს. ბგერითი ტალღების მწარმოებელი ზუსტი სამეცნიერო აპარატურის ჩახლართულ სპირალებს შორის, მბრწყინავი ბერკეტების, ციფერბლატებისა და ხელსაწყოების პანელის ფონზე, რომელიც „ქსილოფონად იწოდებოდა“, რობერტ სტადლერი „პროექტ X“—ის ახალ მმართველს შეეჩეხა. ის კაფი მეგზი იყო.

მას მჭიდრო, ნახევრად სამხედრო კიტელი და ტყავის საცვეთები ეცვა; საყელოდან კისერი ნაკეცებად ამოსჩროდა; ოფლისგან გაწებილი კულულები ასწეწვოდა.

მეგზი მოუსვენრად სცემდა ბოლთას ქსილოფონის წინ და ყვირილით აძლევდა განკარგულებებს ადამიანებს, რომლებიც წამდაუწუმ შემორბოდნენ და მერე ისევ სადღაც გარბოდნენ:

— კურიერები დაგზავნეთ ყველა საოლქო ცენტრში, სადაც კი ხელი მიგვიწვდება!

შეატყობინეთ ადამიანებს, რომ ხალხის მეგობრებმა გაიმარჯვეს! უთხარით მათ, რომ ვაშინგტონის ბრძანებებს აღარ უნდა დაემორჩილონ! სახალხო რესპუბლიკის ახალი დედაქალაქი ჰარმონიის ქალაქია, რომელსაც ამიერიდან მეგზვილი ერქმევა!

გადაეცით მათ, რომ მე ხუთასი ათასი დოლარის მიღებას ველი ყოველ ხუთი ათას მოსახლეზე, თუ არადა, ყველამ საკუთარ თავს დააბრალოს!

ერთი ხანი გავიდა, ვიდრე კაფი მეგზი ყურადღებას და თავის ამღვრეულ ყავისფერ თვალებს მიაპყრობდა დოქტორ სტადლერს.

— აბა, რა ხდება? რა ხდება? — წამოიძახა მან.

— მე დოქტორი რობერტ სტადლერი ვარ.

— რა? — ოჰ, კი! კი! შენ ის ყველაზე გავლენიანი ბიჭი ხარ სხვა სამყაროდან, ასე არ არის? ის ტიპი, ატომებს თუ რაღაც ოხრობებს რომ იჭერს. კი მაგრამ, აქ რა ჯანდაბას აკეთებ?

— ამას მე უნდა გეკითხებოდეთ თქვენ.

— რა? მისმინე, პროფესორო, ხუმრობის ხასიათზე არ ვარ.

— მე აქ მართვის სადავეების ხელში ასაღებად მოვედი.

— მართვის? რისი მართვის?

— ამ მოწყობილობის. ამ ადგილის. მისი მოქმედების არეალში მყოფი ტერიტორიის.

მეგზი სტადლერს ერთი წუთით უაზრო გამომეტყველებით მიაშტერდა, შემდეგ კი ხმადაბლა ჰკითხა:

— აქ როგორ მოხვედი?

— მანქანით.

— მე მინდოდა მეთქვა, თან ვინ გამოიყოლე?

— არავინ.

— რა იარაღი გაქვს?

— არავითარი იარაღი არ მაქვს. ჩემი სახელი სავსებით საკმარისია.

— შენ აქ მარტო მოხვედი, შენი სახელითა და მანქანით?

— ასეა.

კაფი მეგზმა მოურიდებლად გადაიხარხარა.

— გგონია, — ჰკითხა მას სტადლერმა, — შეგიძლია ამ დანადგარის მართვა?

— აქედან დაიკარგე, პროფესორო, დროზე! გამასწარი, სანამ გესროლე! აქ ინტელექტუალები არაფერში არ გვჭირდება!

— მაინც, რა იცი ამის შესახებ? — დოქტორმა სტადლერმა „ქსილოფონზე“ მიუთითა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? დღეს ტექნიკოსები ოხრად ყრიან! მოწყდი აქედან! ეს ვაშინგტონი არ არის! მაგ არაპრაქტიკულ მეოცნებეებთან აღარაფერი მესაქმება! სულ ერთ ადგილს ტკეპნიან, ევაჭრებიან იმ რადიომოჩვენებას და ყბედობენ! მოქმედება — აი, რა არის საჭირო! პირდაპირი მოქმედება! აქედან დაიკარგე, დოქტორო! შენი დრო წავიდა!

მეგზი ბარბაცებდა და დროდადრო „ქსილოფონის“ ბერკეტებს ეჭიდებოდა.

სტადლერი მიხვდა, რომ ის მთვრალი იყო.

— მაგ ბერკეტებს არ შეეხო, შე სულელო!

მეგზმა უნებლიეთ ხელი უკან გასწია, მერე კი გამომწვევად გაიშვირა პანელისკენ:

— რასაც მომინდება, იმას შევეხები! შენ ნუ მასწავლი, რა გავაკეთო!

— მოშორდით მაგ პანელს! გაეთრიეთ აქედან! ეს ჩემია! გესმით? ეს ჩემი საკუთრებაა! — საკუთრება? ჰმ! — მეგზმა ჩაიცინასავით, თუმცა ყეფას უფრო ჰგავდა.

— „ქსილოფონი“ მე გამოვიგონე! ის მე შევქმენი! მე ვაქციე რეალობად!

— შენ? კარგი, დიდი მადლობა, დოქტორო. დიდი მადლობა, მაგრამ ჩვენ აღარ გვჭირდები. ჩვენ საკუთარი მექანიკოსები გვყავს.

— წარმოგიდგენიათ მაინც, რა უნდა მცოდნოდა, ეს რომ შემექმნა? თქვენ მის ერთ მილსაც კი ვერ გამოიგონებდით! ერთ ჭანჭიკსაც კი!

მეგზმა მხრები აიჩეჩა:

— შესაძლოა, ასეც იყოს.

— მაშინ როგორღა ბედავთ, იფიქროთ, რომ მისი ფლობა შეგიძლიათ? როგორ ბედავთ აქ მოსვლას? რა უფლება გაქვთ მასზე?

მეგზმა იარაღის ბუდეზე დაიკრა ხელი:

— ეს.

— მისმინეთ, მთვრალო ხეპრე! — უყვირა სტადლერმა, — იცით, რას ეთამაშებით?

— ასე ნუ მელაპარაკები, შე ბებერო სულელო! ვინ ხარ, ასე რომ მელაპარაკო? მე შემიძლია, შიშველი ხელებით წაგაწყვიტო კისერი! არ იცი, ვინ ვარ?

— შენ ერთი შეშინებული ავაზაკი ხარ, რომელიც არაფრის აზრზე არ არის!

— ოჰ, მართლა? მე უფროსი ვარ! მე უფროსი ვარ და შენნაირი ბებერი საფრთხობელა ვერ შემაჩერებს! აქედან გაეთრიე!

ისინი წუთით ერთმანეთს შეჰყურებდნენ, ქსილოფონის პანელთან გაქვავებულნი.

ორივე შიშს მოეცვა. სტადლერის შიშის საფუძველი იყო თავგანწირული ბრძოლა, არ ეღიარებინა ფაქტი, რომ თავის საბოლოო პროდუქტს უყურებდა, თავის სულიერ შვილს. კაფი მეგზის შიშს კი უფრო ფართო საფუძველი ჰქონდა, ის მთელ არსებობას მოიცავდა; მან სიცოცხლე მუდმივ შიშში გაატარა, ახლა კი გახელებით ცდილობდა, არ ეღიარებინა, თუ რისა ეშინოდა მთელი ეს ხანი: ტრიუმფის მომენტში, როდესაც იმედი გაუჩნდა, რომ საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ეს იდუმალი ქურუმი — ინტელექტუალი — უარს აცხადებდა, მისი შინებოდა და მის ძალაუფლებას უპირისპირდებოდა.

— აქედან გაეთრიე! — დაიღრიალა კაფი მეგზმა, — ჩემს ხალხს დავუძახებ! ვუბრძანებ, გესროლონ!

— თქვენ თვითონ გაეთრიეთ აქედან, საზიზღარო, უტვინო, გაბღენძილო იდიოტო! — იღრიალა დოქტორმა სტადლერმა, — გგონიათ, უფლებას მოგცემთ, ჩემი ცხოვრების ხარჯზე გამდიდრდეთ? გგონიათ, თქვენ გულისთვის... გავყიდე... — სტადლერმა აღარ დაასრულა, — მოეშვით მაგ ბერკეტებს, ეშმაკმა დაგწყევლოთ!

— ნუ მბრძანებლობ! ნუ მასწავლი, რა უნდა გავაკეთო! შენი მეცნიერული აბდაუბდით ვერ შემაშინებ! როგორც მინდა, ისე მოვიქცევი! აბა, სხვა რისთვის ვიბრძოდი? — მეგზმა ჩაიცინა და ხელი ერთ-ერთი ბერკეტისკენ წაიღო.

— ეი, კაფი, ფრთხილად! — დაიყვირა ვიღაცამ ოთახის სიღრმიდან და წინ გამოიჭრა.

— უკან დაიხიე! — დაიღრიალა კაფი მეგზმა, — ყველამ უკან დაიხიეთ! გგონიათ, შემეშინდა? მე თქვენ გაჩვენებთ, ვინ არის უფროსი!

დოქტორი სტადლერი წინ გადახტა, მეგზი რომ შეეჩერებინა. მეგზმა სტადლერი ცალი ხელით მოიშორა და გადაიხარხარა, როდესაც დაინახა, როგორ ეცემოდა ის იატაკზე, მეორე ხელით კი „ქსილოფონის“ ბერკეტი ჩამოსწია.

გრუხუნი, გახლეჩილი ლითონისა და სისტემის ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების შეჯახების ყურის წამღები გრუხუნი, საკუთარი თავის წინააღმდეგ აჯანყებული ურჩხულის ეს გრუხუნი მხოლოდ ნაგებობის კედლებში გაისმა. გარეთ ერთ ბგერასაც კი არ გაუღწევია. გარეთ მხოლოდ ნაგებობა აიწია ჰაერში, მოულოდნელად და უხმოდ, რამდენიმე დიდ ნაწილად დაიშალა, ლურჯი შუქის შიშინა ზოლები გასტყორცნა ცაში და ძირს ქვების გროვად დაშვავდა. ასი მილის რადიუსში, ოთხი შტატის ტერიტორიაზე, ტელეგრაფის ბოძები ასანთის ღერებივით ცვიოდა დაბლა, ფერმები ნაფოტებად დაიშალა, ქალაქის შენობები თითქოს წამიერმა დარტყმამ ნამცეცებად აქცია, დასახიჩრებულმა მსხვერპლებმა ყურიც ვერაფერს შეასწრეს, პერიფერიაზე კი, შუა მისისიპიზე, სამგზავრო მატარებლის ლოკომოტივი

და წინა ექვსი ვაგონი მეტალის ჩანჩქერივით გადაეშვა მდინარეში შუაზე გადახლეჩილი ტაგარტის ხიდის დასავლეთ ნაწილთან ერთად.

იქ, სადაც ერთ დროს „პროექტი X“ იყო, ნანგრევებს შორის ცოცხალი აღარაფერი დარჩა, დაფლეთილი ხორცის გროვების გარდა. ის ადამიანი კი, რომელიც ოდესღაც დიად გონებას ფლობდა, რამდენიმე უსასრულო წუთის განმავლობაში მტანჯველ ტკივილს გრძნობდა.

* * *

დაგნი ფიქრობდა, რომ უწონო თავისუფლება შეიგრძნო, როდესაც მის უახლოეს, აბსოლუტურ მიზნად სატელეფონო ჯიხური იქცა, მიზნად, რომელსაც არაფერი არ აკავშირებდა ქუჩებში მოსიარულე ადამიანების მიზნებთან. ამან დაგნის ქალაქისგან გაუცხოების შეგრძნება არ გაუჩინა: პირველად იგრძნო, რომ ეს მისი ქალაქი იყო და მას ის უყვარდა, ისე, როგორც არასდროს ჰყვარებია ამ წუთამდე, საკუთრების ასეთი პირადული, მოზეიმე და თავდაჯერებული განცდით. მშვიდი და უღრუბლო ღამე იდგა; დაგნიმ ცას ახედა; სწორედ ისე, როგორც მისი გრძნობა დღესასწაულის განცდას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიხარულს, მაგრამ მომავალი სიხარულის განცდასაც მოიცავდა, ჰაერიც უქარო უფრო იყო, ვიდრე თბილი, მაგრამ შორეულ გაზაფხულზეც მიანიშნებდა.

„თავიდან მომწყდით“, — ფიქრობდა დაგნი, ბოღმით კი არა, ლამის მხიარულად, გამოცალკევებისა და გათავისუფლების გრძნობით, და ეს სიტყვები მიემართებოდა გამვლელებს, მანქანებს, როდესაც ისინი მის აჩქარებულ მოძრაობას აფერხებდნენ, ნებისმიერ შიშს, რომელიც წარსულში განუცდია. ერთი საათიც კი არ იყო გასული მას მერე, რაც გოლტმა ეს ფრაზა წარმოთქვა, და დაგნის ეჩვენებოდა, რომ მისი ხმა ჯერ კიდევ გაისმოდა ქუჩებში და შორეული სიცილის ხმად გარდაისახებოდა.

დაგნი აღტაცებით იცინოდა სასტუმრო „უეინ-ფოლკლენდის“ სამეჯლისო დარბაზში, როდესაც გოლტის ეს ფრაზა მოისმინა; იცინოდა და პირზე ხელს იფარებდა, ასე რომ, სიცილი მხოლოდ მის თვალებში გამოსჭვიოდა — და გოლტის თვალებშიც, როდესაც მან პირდაპირ შეხედა ქალს, და დაგნი მიხვდა, რომ გოლტმა გაიგონა მისი სიცილი. ისინი წუთით შეჰყურებდნენ ერთმანეთს აყვირებული, აღრიალებული ბრბოს თავებს ზემოთ, მიკროფონების მსხვრევის ფონზე, — თუმცა კი ყველა რადიოსადგური დაუყოვნებლივ გათიშეს, — აყირავებული მაგიდებიდან ჩამოცვენილი ჭურჭლის ლეწვის ხმაზე, როდესაც ზოგიერთი შიშით თავზარდაცემული გარბოდა კარისკენ.

შემდეგ დაგნიმ გაიგონა, როგორ დაიყვირა მისტერ ტომპსონმა და ხელი გოლტისკენ გაიშვირა:

— ნომერში დააბრუნეთ, საკუთარი თავებით აგებთ პასუხს მის გამო!

როდესაც სამმა კაცმა გოლტი დარბაზიდან გაიყვანა, ბრბო ორად გაიყო. მისტერ ტომპსონს წამით თითქოს ძალა გამოეცალა, თავი ხელებში ჩარგო, მაგრამ მალევე მოეგო გონს, ფეხზე წამოხტა, დუნე მოძრაობით მიანიშნა თავის დამქაშებს, რომ უკან გაჰყოლოდნენ და გვერდითი კერძო გასასვლელით სწრაფად გავიდა გარეთ. სტუმრებისთვის არავის მიუმართავს და არც არაფერი აუხსნია ვინმეს: ვინ გაუაზრებლად გარბოდა, დანარჩენები კი ჩუმად ისხდნენ და განძრევასაც კი ვერ ბედავდნენ. სამეჯლისო დარბაზი კაპიტნის გარეშე დარჩენილ გემს ჰგავდა. დაგნიმ ბრბოში გზა გაიკვლია და ელიტურ ხროვას გაჰყვა უკან. მისი შეჩერება არავის უცდია.

დაგნის მთავრობის წევრები პატარა, განცალკევებულ კაბინეტში დახვდა შეკრებილი: მისტერ ტომპსონი სავარძელში ჩაშვებულიყო უმწეოდ და თავი ხელებში ჩაერგო, უესლი მაუჩი გმინავდა, იუჯინ ლოუსონი ჭირვეული ბავშვივით ღნაოდა, ჯიმი კი დანარჩენებს უცნაურად მომლოდინე დაძაბულობით შეჰყურებდა.

— მე გითხარით, რომ ასე მოხდებოდა! — ყვიროდა დოქტორი ფერისი, — ხომ გითხარით, რომ ასე მოხდებოდა? აი, რას მიაღწიეთ თქვენი „მშვიდობიანი დაყოლიებით“!

დაგნი კართან დარჩა. მათ თითქოს შენიშნეს მისი იქ ყოფნა, მაგრამ არაფრად ჩაუგდიათ.

— მე სამსახურიდან მივდივარ! — დაიყვირა ჩიკ მორისონმა, — მივდივარ! მორჩა, საკმარისია! არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა ქვეყანას! ვეღარ ვაზროვნებ! არც ვაპირებ, შევეცადო! უაზრობაა! მე აღარაფერი არ შემიძლია!

მორისონმა ხელები უმწეობისა თუ დამშვიდობების გამომხატველი გაურკვეველი ჟესტით აიქნია და ოთახიდან გავარდა.

— ჩიკს თავშესაფარი აქვს მოწყობილი ტენესიში, — თქვა შეფიქრიანებულმა ტინკი ჰოლოვეიმ ისე, თითქოს ამაზე თვითონაც ჰქონდა ნაზრუნი და ახლა აინტერესებდა, უკვე დადგა თუ არა დრო, გამოეყენებინა.

— ჩიკი მას დიდხანს ვერ გამოიყენებს, თუ საერთოდ ჩააღწია იქამდე, — თქვა მაუჩმა, — თავდამსხმელთა ბანდებისა და ტრანსპორტის მდგომარეობის გამო... — მან ხელები გაშალა და წინადადება არ დაუსრულებია.

დაგნიმ იცოდა, რა აზრები ავსებდა ამ პაუზას; იცოდა, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორი თავშესაფრები მოიმზადეს ამ ადამიანებმა ოდესღაც, ახლა ყველა მათგანი აცნობიერებდა ფაქტს, რომ ხაფანგში აღმოჩნდნენ მომწყვდეული. შეამჩნია, რომ სახეზე შიში არ ეტყობოდათ, მხოლოდ ერთგვარი მინიშნებები შიშზე, ოღონდ ზერელე მინიშნებები. ამ სახეებს სრული აპათიაც ეწერა, იმ თაღლითის შვებაც, რომელმაც იცის, რომ თამაში სხვაგვარად ვერ დასრულდებოდა და ამიტომაც არც წინააღმდეგობის გაწევით იწუხებს თავს და არც არაფერს ნანობს, ლოუსონის ფიცხი უგუნურებაც, რომელიც უარს აცხადებდა რაიმეს გაცნობიერებაზე, და თითქოსდა მალულად მოღიმარი ჯიმის უცნაური დაძაბულობაც.

— აბა? აბა? — კითხულობდა დოქტორი ფერისი გაღიზიანებით, ისტერიკის სამყაროში გაშინაურებული ადამიანის ბობოქარი ენერგიულობით, — ახლა რას უპირებთ მას? რაღა დარჩა — კამათი? მსჯელობა? სიტყვით გამოსვლა?

ფერისს არავინ უპასუხა.

— მან... უნდა... გადაგვარჩინოს, — თქვა მაუჩმა აუჩქარებლად, თითქოს საკუთარი გონების უკანასკნელ ნაწილს სიცარიელეში ერეკებოდა და ულტიმატუმს უყენებდა რეალობას, — მან უნდა... გადაიბაროს ძალაუფლება... და სისტემა გადაარჩინოს.

— რატომ არ მისწერთ მას სასიყვარულო წერილს ამის შესახებ? — იკითხა ფერისმა.

— ჩვენ უნდა... ვაიძულოთ იგი... აიღოს პასუხისმგებლობა... ჩვენ უნდა ვაიძულოთ იგი, მართოს, — თქვა მაუჩმა მთვარეულის ტონით.

— ახლა მაინც თუ ხვდებით, — თქვა ფერისმა და მოულოდნელად ხმას დაუწია, — რა ფასდაუდებელი დაწესებულებაა მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი სინამდვილეში?

მაუჩს არაფერი უთქვამს საპასუხოდ, მაგრამ დაგნიმ შეამჩნია, რომ მათ კარგად იცოდნენ, რას გულისხმობდა ფერისი.

— შენ ეწინააღმდეგებოდი ჩემს კერძო კვლევით პროექტს, როგორც „არაპრაქტიკულს“, — რბილად თქვა ფერისმა, — მაგრამ მე რას გეუბნებოდი?

მაუჩი ისევ დუმდა და თითებს იმტვრევდა.

— ახლა წვრილმანებზე გამოკიდების დრო არ არის, — მოულოდნელად გამოცოცხლდა ჯეიმს ტაგარტი, თუმცა, ხმა მანაც უცნაურად დაიდაბლა, — ჩვენ არ უნდა ვიყოყმანოთ.

— მე მეჩვენება... — დაიწყო მაუჩმა უსიცოცხლო ხმით, — რომ... რომ მიზანი ამართლებს საშუალებას...

— ყოყმანისა და პრინციპულობის დრო აღარ გვაქვს, — თქვა ფერისმა, — ახლა მხოლოდ გადამწყვეტი მოქმედება თუ მოგვიტანს შედეგს.

მისთვის არავის უპასუხია; ყველანი ისე იქცეოდნენ, თითქოს უნდოდათ, მათი შეხედულება სიტყვებს კი არა, სიჩუმეს გამოეხატა.

— აზრი არა აქვს, — თქვა ტინკი ჰოლოვეიმ, — გოლტი არ დანებდება.

— შენ გგონია ასე! — თქვა ფერისმა და ჩაიცინა, — შენ ჩვენი საცდელი მოდელი ამოქმედებული არ გინახავს. წინა თვეში სამი აღიარებითი ჩვენება მოვიპოვეთ სამი გაუხსნელი მკვლელობის საქმეში.

— თუ... — წამოიწყო მისტერ ტომპსონმა, და მისი ხმა მოულოდნელად გმინვაში გადაიზარდა, — თუ ის მოკვდება, ჩვენ ყველანი დავიღუპებით!

— ამაზე ნუ წუხხართ, — მიმართა მას ფერისმა, — არ მოკვდება. „ფერისის დამარწმუნებელი“ საიმედოდ არის გაანგარიშებული მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

ტომპსონმა არაფერი უპასუხა.

— მეჩვენება... რომ ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს... — თქვა მაუჩმა თითქმის ჩურჩულით.

ყველანი დუმდნენ; მისტერ ტომპსონი ცდილობდა, არ შეემჩნია, რომ დანარჩენები მას შესცქეროდნენ. შემდეგ მან მოულოდნელად დაიყვირა:

— ოჰ, რაც გინდათ, ის გააკეთეთ! მე არაფერი არ შემიძლია! რაც გინდათ, ის გააკეთეთ!

დოქტორი ფერისი ლოუსონს მიუბრუნდა.

— ჯინ, — თქვა მან დაძაბული ხმით, ისევ ჩურჩულით, — გაიქეცი რადიომაუწყებლობის მართვის სამსახურში. ყველა რადიოსადგურის მზადყოფნის განკარგულება გაეცი. უთხარი მათ, რომ მისტერ გოლტს სამ საათში გამოვიყვან რადიოში.

ლოუსონი უეცარი, მხიარული სიცილით წამოხტა ფეხზე და ოთახიდან გავარდა.

დაგნი მიხვდა. მიხვდა, რის გაკეთებას აპირებდნენ ისინი და იმაზე დაფიქრდა, მაინც რა იყო ასეთი მათ ცნობიერებაში, რამაც ეს შესაძლებელი გახადა. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ ეს გაამართლებდა. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ გოლტი დანებდებოდა; მათ არ უნდოდათ, ის დანებებულიყო. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ ახლა რაიმეს შეეძლო მათი გადარჩენა; მათ არ სურდათ გადარჩენა. თავიანთი დაუსახელებელი ემოციებით გამოწვეული პანიკის ბიძგით, ისინი მთელი სიცოცხლე რეალობის წინააღმდეგ იბრძოდნენ — და ახლა მიაღწიეს მომენტს, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. მათ არ უნდოდათ, სცოდნოდათ, რატომ გრძნობდნენ ამას. მათ არასდროს არ სურდათ, სცოდნოდათ,

რომ გრძნობდნენ — ეს მხოლოდ ერთგვარი შეგრძნება იყო ცნობისა, რადგან სწორედ ამას ეძიებდნენ, ეს იყო ის რეალობა, რომელიც ყველა მათ გრძნობაში, მოქმედებაში, სურვილში, არჩევანში, ოცნებაში იგულისხმებოდა. ეს იყო არსებობის წინააღმდეგ აჯანყებისა და უსახელო ნირვანას გაურკვეველი ძიების ბუნება და მეთოდი. მათ არ სურდათ სიცოცხლე; მათ უნდოდათ, რომ გოლტი მომკვდარიყო.

შიში, რომელიც დაგნის დაეუფლა, ხანმოკლე იყო, ელვისებურად ცვალებადი: მიხვდა, რომ არსებები, რომლებიც ადამიანები ეგონა, სულაც არ იყვნენ ადამიანები. სიცხადის, საბოლოო პასუხისა და მოქმედების საჭიროების გრძნობაღა შერჩა. გოლტს საფრთხე ემუქრებოდა; დაგნის ცნობიერებაში ადამიანზე დაბლა მდგომი არსებების მოქმედებებზე დასახარჯი ემოციების დრო და ადგილი არ იყო.

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ, — ჩურჩულებდა უესლი მაუჩი, — რომ ამის შესახებ ვერავინ გაიგოს...

— ვერავინ გაიგებს, — თქვა ფერისმა; ფრთხილად ლაპარაკობდნენ, შეთქმულებივით, — ეს საიდუმლო, განცალკევებული ნაგებობაა ინსტიტუტის ტერიტორიაზე... ხმაგაუმტარი და დანარჩენი ნაგებობებისგან უსაფრთხოდ დაშორებული... ჩვენი პერსონალიდან მხოლოდ რამდენიმე კაცმა თუ იცის მის შესახებ...

— გაფრენა რომ მოგვიწიოს... — თქვა მაუჩმა, და უცებ გაჩერდა, თითქოს ფერისის სახეზე რაღაც გაფრთხილება ამოიკითხა.

დაგნიმ დაინახა, როგორ შეხედა მას ფერისმა, თითქოს მოულოდნელად გაახსენდა, იქ რომ იყო. დაგნიმ ფერისს თვალი გაუსწორა, თავისი უდარდელი გულგრილობა რომ დაენახვებინა, თითქოს მათი საუბარი არ აინტერესებდა და ვერც ვერაფერს იგებდა. მერე კი, ვითომდა მიხვდა, რომ საუბარი პირადული იყო, ნელა გატრიალდა, მხრები ოდნავ აიჩეჩა და ოთახი დატოვა. იცოდა, ახლა მასზე საფიქრელად არ სცხელოდათ.

დაგნიმ ისეთივე გულგრილი გამომეტყველებით გაიარა დერეფნები და გავიდა სასტუმროდან. მაგრამ იმ კვარტალს რომ გასცდა, კუთხეს მიეფარა თუ არა, თავი მაღლა ასწია. როდესაც მოულოდნელად ნაბიჯს აუჩქარა, საღამოს კაბის ნაკეცები იალქანივით სცემდა ფეხებზე. და ახლა, როდესაც ბნელ ქუჩას მიუყვებოდა და მხოლოდ სატელეფონო ჯიხურზე ფიქრობდა, სავსებით გაცნობიერებული საფრთხისა და საზრუნავის მიუხედავად, ახალი შეგრძნება დაეუფლა: ეს თავისუფლების შეგრძნება იყო, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგებოდა.

დაგნიმ სინათლის ზოლი დაინახა, რომელიც ტროტუარს ბარის ფანჯრიდან ეცემოდა. როდესაც ნახევრად ცარიელი ოთახი გადაჭრა, მისთვის არავის შეუხედავს: ბარის რამდენიმე კლიენტი ჯერაც იცდიდა ტელეეკრანის მოტკაცუნე ლურჯი სიცარიელის წინ და დაძაბული ეჩურჩულებოდა ერთმანეთს.

სატელეფონო ჯიხურის სივიწროვეში დაგნის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ხომალდის კაიუტაში აღმოჩნდა, რომელიც სულ მალე სხვა პლანეტისკენ გაემგზავრებოდა. აკრიფა ნომერი OR 6-5693.

ყურმილში მაშინვე გაიგონა ფრანცისკოს ხმა:

— გისმენთ?

— ფრანცისკო, შენ ხარ?

— გამარჯობა, დაგნი. შენს ზარს ველოდი.

— მოისმინე რადიოგადაცემა?

— მოვისმინე.

— ახლა ისინი გეგმავენ, რომ მას დანებება აიძულონ, — გულგრილი ხმით ლაპარაკობდა დაგნი, — წამებას უპირებენ. მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის ტერიტორიაზე, იზოლირებულ შენობაში, რაღაც საწამებელი მექანიზმი აქვთ, რომელსაც „ფერისის დამარწმუნებელს“ უწოდებენ. ნიუ-ჰემპშირში მდებარეობს. გაფრენა ახსენეს. თქვეს, რომ სამ საათში გოლტს რადიოში გამოიყვანენ.

— გასაგებია. ავტომატიდან რეკავ?

— ჰო.

— ჯერ კიდევ საღამოს კაბა გაცვია, ხომ?

— კი.

— ახლა ყურადღებით მომისმინე. სახლში წადი, ტანსაცმელი გამოიცვალე, საჭირო ნივთები ჩაალაგე, წამოიღე შენი სამკაულები და ძვირფასეულობა, რის ტარებასაც შეძლებ, რაიმე თბილიც გამოიყოლე. შემდეგ ამის დრო აღარ გვექნება. ორმოც წუთში „ტაგარტ ტერმინალის“ მთავარი შესასვლელიდან ორი კვარტლის მერე აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში შემხვდი.

— კარგი.

— ნახვამდის, სლაგ.

— ნახვამდის, ფრისკო.

ხუთი წუთით არ გასულა, დაგნი თავისი ბინის საძინებელში აჩქარებით იხდიდა საღამოს კაბას. მან კაბა ოთახის შუაგულში მოისროლა, იმ არმიის მუნდირის მსგავსად, რომელშიც ის აღარ მსახურობდა. დაგნიმ მუქი ლურჯი კოსტიუმი და, გოლტის სიტყვების გახსენებაზე, თეთრი, მაღალყელიანი სვიტერი ჩაიცვა. ჩემოდანი და მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა ჩაალაგა. თავისი სამკაულები, მათ შორის გარე სამყაროში დამსახურებული რიერდენ მეტალის სამაჯური და ხეობაში დამსახურებული ხუთდოლარიანი ოქროს მონეტაც, ჩანთის კუთხეში ჩააწყო.

ბინის დატოვება და კარის ჩაკეტვა არ გასძნელებია, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, შესაძლოა, აღარც გაეღო ის ოდესმე. ცოტა გაუჭირდა, როდესაც თავის კაბინეტში შევიდა. მისი მისვლა არავის შეუმჩნევია; მისაღები ცარიელი იყო; ტაგარტის დიად შენობაში უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო. დაგნი ერთი წუთი გაუნძრევლად შეჰყურებდა თავის ოთახს და იქ გატარებულ წლებს იხსენებდა. შემდეგ გაიღიმა და გაიფიქრა, რომ ეს არცთუ ისე ძნელი აღმოჩნდა; მან სეიფი გახსნა და იქიდან საბუთები გამოიღო, რომელთა წასაღებადაც მივიდა. მეტი არაფრის წაღება არ უნდოდა, გარდა ნათანიელ ტაგარტის სურათისა და „ტაგარტ ტრანსკონტინენტალის“ რუკისა. სურათსა და რუკას ჩარჩოები მოხსნა, დაკეცა ისინი და ჩემოდანში ჩააცურა.

ჩემოდანს კეტავდა, როდესაც აჩქარებული ნაბიჯების ხმა შემოესმა. კარი გაიღო და კაბინეტში მთავარი ინჟინერი შემოვარდა; ის კანკალებდა, სახე შეშლოდა.

— მის ტაგარტ! — დაიყვირა მან, — ოჰ, მადლობა ღმერთს, მის ტაგარტ, რომ აქ ხართ! ჩვენ ყველგან გეძებდით!

დაგნის არ უპასუხია; შეკითხვის გამომხატველი მზერით უყურებდა ინჟინერს.

— მის ტაგარტ, უკვე გაიგეთ?

— რა?

— ჯერ არ გაგიგიათ! ოჰ, ღმერთო, მის ტაგარტ, ეს... ვერ ვიჯერებ, ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, მაგრამ... ოჰ, ღმერთო, რა უნდა გავაკეთოთ? ტაგ... ტაგარტის ხიდი განადგურებულია!

მოძრაობის უნარდაკარგული დაგნი ინჟინერს შეჰყურებდა და თითქოს მოძრაობის უნარი დაჰკარგვოდა.

— ის განადგურებულია! ის აფეთქდა! აფეთქდა, როგორც ჩანს, ერთ წამში! ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა, მაგრამ, როგორც ჩანს... ისინი ფიქრობენ, რომ „პროექტ X“—ს რაღაც დაემართა და... როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ბგერით ტალღებს უკავშირდება, მის ტაგარტ! ჩვენ ასი მილის რადიუსში ვერ ვუახლოვდებით იქაურობას! ეს შეუძლებელია, ეს არ შეიძლება, იყოს შესაძლებელი, მაგრამ, ეტყობა, იმ არეალში ყველაფერი განადგურებულია!.. ვერაფერი გაგვირკვევია! ვერავის გაურკვევია, რა მოხდა — ვერც გაზეთებს, ვერც რადიოსადგურებს, ვერც პოლიციას!

ჯერ კიდევ ვცდილობთ, რაიმე გავარკვიოთ, მაგრამ იქიდან მოსული ამბები... — ინჟინერს გააჟრჟოლა, — მხოლოდ ერთი რამეა დაზუსტებული: ხიდი განადგურებულია! მის ტაგარტ! არ ვიცით, რა ვქნათ!

დაგნი სამუშაო მაგიდასთან მივარდა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა. აწეული ხელი ჰაერში გაუქვავდა, შემდეგ კი ნელა, უკიდურესი დაძაბვის ფასად დაუშვა დაბლა, ყურმილი ისევ უკან რომ დაედო. მოეჩვენა, რომ ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდა, თითქოს მის ხელს მოძრაობა რომელიღაც ატმოსფერული წნევის საწინააღმდეგოდ უწევდა, რომელსაც ვერც ერთი ადამიანის სხეული ვერ გაუძალიანდებოდა. და ამ რამდენიმე ხანმოკლე წამის განმავლობაში, აუტანელი ტკივილის სიჩუმეში, დაგნი მიხვდა, რას გრძნობდა ფრანცისკო იმ ღამეს, თორმეტი წლის წინ, და რა განცდა ჰქონდა ოცდაექვსი წლის ბიჭს, როდესაც თავის ძრავას უკანასკნელად უყურებდა.

— მის ტაგარტ! — დაიყვირა მთავარმა ინჟინერმა, — არ ვიცით, რა ვქნათ!

ყურმილი მსუბუქი ჩხაკუნით დაუბრუნდა თავის ადგილს.

— არც მე ვიცი, — უპასუხა დაგნიმ.

დაგნიმ ერთ წამში უკვე იცოდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო: საკუთარი ხმა ჩაესმა, რომელიც ინჟინერს უბრძანებდა, უკეთ დაეზუსტებინა ყველაფერი და მოგვიანებით მისთვის მოეხსენებინა. მერე ელოდებოდა, როდის მიწყნარდებოდა ინჟინრის ნაბიჯების ხმა დერეფნის ექოიან სიჩუმეში.

როდესაც ტერმინალის დარბაზი უკანასკნელად გადაკვეთა, დაგნიმ ნათანიელ ტაგარტის ქანდაკებას შეხედა და თავისი დანაპირები გაახსენდა. ფიქრობდა, რომ ახლა ეს მხოლოდ სიმბოლური იქნებოდა, მაგრამ ნათანიელ ტაგარტი სწორედ ასეთ დამშვიდობებას იმსახურებდა. რაკი სხვა საწერი საშუალება არ ჰქონდა, დაგნიმ ჩანთიდან პომადა ამოიღო, გაუღიმა იმ კაცის მარმარილოს სახეს, რომელიც ამას გაუგებდა და მის ფეხებქვეშ, კვარცხლბეკზე, დოლარის ნიშანი დახატა.

დაგნი პირველი მივიდა კუთხესთან, ტერმინალის შესასვლელიდან ორი კვარტლის იქით აღმოსავლეთით. სანამ იცდიდა, პანიკის პირველი ნიშნები შეამჩნია, რომელიც მალე მთელ ქალაქს მოიცავდა: დაინახა დიდი სიჩქარით მიმავალი ავტომობილები, ზოგიერთი საოჯახო ნივთებით დაეტვირთათ, პოლიციის უამრავი მანქანა დაქროდა და სადღაც შორს მეტისმეტად ხშირად გაჰკიოდნენ საყვირები.

ჩანდა, ხიდის განადგურების ამბავი უკვე ვრცელდებოდა ქალაქში; ადამიანები მიხვდებოდნენ, რომ ქალაქი განწირული იყო და პანიკით მოცულნი გაქცევას შეეცდებოდნენ. თუმცა გასაქცევი აღარსად ჰქონდათ, და ეს დაგნის საზრუნავი უკვე აღარ იყო. დაგნიმ შორიდანვე დაინახა ფრანცისკო; სწრაფი ნაბიჯებით იცნო, ვიდრე თვალებზე ჩამოფხატული ქუდის ქვეშ მის სახეს გაარჩევდა. შენიშნა წამი, როდესაც მოახლოებულმა ფრანცისკომ ის დაინახა. დ'ანკონიამ დაგნის გულითადი ღიმილით

დაუქნია ხელი. ეს თითქოსდა მრავლისმეტყველად დაძაბული მოძრაობა დ'ანკონიას საგვარეულოს წარმომადგენლის ჟესტს დაემსგავსა, რომელიც საკუთარი სამფლობელოს კარიბჭესთან დიდი ხნის ლოდინის მერე წვეულ სტუმარს ესალმებოდა.

ფრანცისკო რომ მიუახლოვდა, დაგნი წელში გამართული იდგა და მის სახესა და მსოფლიოში უდიადესი ქალაქის შენობებს ისე შეჰყურებდა, როგორც სასურველ მოწმეებს. შემდეგ კი აუჩქარებლად, მტკიცე და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს და მისდამი ჩემს სიყვარულს, რომ მე არასოდეს ვიცხოვრებ სხვა ადამიანის გულისთვის და არც სხვას მოვთხოვ ჩემთვის არსებობას.

ფრანცისკომ თავი დახარა, თითქოსდა თავის სამფლობელოში ეპატიჟებოდა. ახლა მისი ღიმილი მისალმებას გამოხატავდა.

შემდეგ ერთი ხელით დაგნის ჩემოდანი აიღო, მეორე კი ქალს ჩაჰკიდა და უთხრა:

— წავედით.

* * *

რკინაბეტონის პატარა ნაგებობა, რომელსაც მისი შემქმნელის, დოქტორ ფერისის საპატივცემულოდ, „პროექტ X“—ის სახელი უწოდეს, იმ გორაკის ფერდობზე იდგა, სადაც უფრო მაღლა მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტი აღემართათ. ინსტიტუტის ფანჯრებიდან მრავალწლოვანი ხეების ტევრში ჩამალული ამ ნაგებობის ნაცრისფერი სახურავის მხოლოდ მცირე მონაკვეთის დანახვა შეიძლებოდა, რომელიც საკანალიზაციო მილის სარქველზე დიდი არ ჩანდა.

შენობა ორსართულიანი იყო, მომცრო კუბის ფორმის მეორე სართული ასიმეტრიულად დაედგათ დიდ კუბზე. პირველ სართულს ფანჯრები არ ჰქონდა, მხოლოდ რკინისკბილანებიანი კარი ება; მეორე სართულზე კი ერთი ფანჯარა იყო, დღის სინათლისადმი უხალისო დათმობასავით, და ცალთვალა სახეს ჰგავდა. ინსტიტუტის თანამშრომლები ამ ნაგებობით არ ინტერესდებოდნენ და მისი კარისკენ მიმავალ ბილიკებს თავს არიდებდნენ; მართალია, მათთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ამ შენობაში ხორციელდებოდა პროექტი, რომელიც მომაკვდინებელი დაავადებების გამომწვევ მიკრობებზე ცდების ჩატარებას ეხებოდა.

ორივე სართულზე განლაგებული იყო ლაბორატორიები, სადაც გალიებში ზღვის გოჭები, ძაღლები და ვირთხები მოეთავსებინათ. მაგრამ ამ ნაგებობის არსი და მთავარი დანიშნულება სარდაფში, მიწის სიღრმეში მდებარე ოთახი იყო; ოთახის კედლებზე სახელდახელოდ აეკრათ ხმაგაუმტარი მასალის ფოროვანი ფურცლები; ზოგიერთი უკვე დაბზარულიყო და მათ მიღმა კლდოვანი გამოქვაბული მოჩანდა.

ნაგებობას მუდმივად იცავდა ოთხი მცველი. იმ საღამოს კი ნიუ-იორკიდან განხორციელებული საქალაქთაშორისო ზარის საფუძველზე, მცველების რიცხვი თექვსმეტამდე გაეზარდათ საგანგებო მდგომარეობის გამო. მცველები, ისევე, როგორც „პროექტ X“—ის სხვა თანამშრომლები, ყურადღებით შეერჩიათ ერთადერთი კვალიფიკაციის — მორჩილების უსაზღვრო უნარის მიხედვით.

ეს თექვსმეტი მცველი მთელი ღამით სამორიგეოდ ნაგებობის გარეთ და მიწისზედა, უკაცრიელ ლაბორატორიებში განალაგეს, სადაც ისინი უხმოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ იმ ყველაფრის მიმართ, რაც მიწის ქვეშ ხდებოდა.

მიწისქვეშ, სარდაფში, კედლის გასწვრივ გამწკრივებულ სავარძლებში, დოქტორი ფერისი, უესლი მაუჩი და ჯეიმს ტაგარტი ისხდნენ. მოპირდაპირე

კედელთან, კუთხეში, ასიმეტრიული ყუთის ფორმის მექანიზმი იდგა. მის ფასადზე მწკრივებად განეთავსებინათ მინის ციფერბლატები, ზედ გამოსახული წითელი სეგმენტით თითოეულზე, ხმის გამაძლიერებლის მსგავსი კვადრატული ეკრანი, ციფრები, აურაცხელი ხის სახელური და პლასტმასის ღილაკი, ერთ მხარეს ბერკეტი, მეორე მხარეს კი წითელი მინის ღილაკი. მექანიზმის ზედაპირი უფრო მეტყველი ჩანდა, ვიდრე იმ მექანიკოსის სახე, რომელიც მას მართავდა; მექანიკოსი დაკუნთული, ახალგაზრდა კაცი იყო, ოფლისგან დასველებული პერანგის სახელოები იდაყვებზე აეკაპიწებინა; დავალებაზე ზედმეტად კონცენტრირებული ცისფერი თვალები შუშისას მიუგავდა; დროდადრო ტუჩებს ამოძრავებდა, თითქოს დაზეპირებულ გაკვეთილს იმეორებდა.

მექანიზმს მის უკან მოთავსებულ აკუმულატორთან მოკლე სადენი აერთებდა.

რვაფეხას კიდურებივით დაგრეხილი სადენების გრძელი ხვიები ქვის იატაკზე მექანიზმიდან შუქით გაჩახჩახებულ ტყავის მატრასამდე იყო გაჭიმული. მატრასზე ჯონ გოლტი დაებათ ღვედებით. ის შიშველი იწვა; სადენების ბოლოებზე განთავსებული ლითონის ელექტროდების პატარა ფირფიტები მაჯებზე, მხრებზე, თეძოებზე და კოჭებზე ჰქონდა მიმაგრებული, სტეტოსკოპის მსგავსი მოწყობილობა კი, რომელიც გამაძლიერებელზე იყო მიერთებული, მისთვის მკერდზე დაემაგრებინათ.

— მომისმინეთ, — პირველად მიმართა დოქტორმა ფერისმა გოლტს, — ჩვენ გვინდა, რომ თქვენ სრული ძალაუფლება გქონდეთ ქვეყნის ეკონომიკაზე. ჩვენ გვინდა, თქვენ დიქტატორი გახდეთ. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ მართოთ. გასაგებია? ჩვენ გვინდა, რომ თქვენ გასცეთ საჭირო განკარგულებები. შეიგნეთ ბოლოს და ბოლოს.

სიტყვით გამოსვლები, ლოგიკა, არგუმენტები ან პასიური მორჩილება ვეღარ გიშველით. ჩვენ იდეები გვჭირდება, თორემ საქმე ცუდად წავა. ჩვენ მანამდე არ გაგიშვებთ აქედან, სანამ არ დაასახელებთ კონკრეტულ ზომებს, რომელთა დახმარებითაც ჩვენს სისტემას გადაარჩენთ. მერე კი გაიძულებთ, მათ შესახებ მთელ ქვეყანას უამბოთ რადიოში.

ფერისმა მაჯა ასწია და წამზომი დაანახვა.

— ოცდაათ წამს მოგცემთ, რომ გადაწყვიტოთ, ახლავე დაგველაპარაკებით თუ არა. თუ ლაპარაკს არ აპირებთ, მაშინ ჩვენ დავიწყებთ. გასაგებია?

გოლტი პირდაპირ იყურებოდა, არაფრის მთქმელი გამომეტყველებით, თითქოს იმაზე მეტი გაიგო, ვიდრე ითქვა. მას არ უპასუხია. სიჩუმეში ყველას ესმოდა წამზომის წიკწიკი, რომელიც წამებს ითვლიდა, და სავარძლის სახელურებს ჩაბღაუჭებული მაუჩის ყრუ, არათანაბარი სუნთქვა.

ფერისმა დანადგართან მდგარ მექანიკოსს ხელით ანიშნა. მექანიკოსმა ჩამრთველი გადასწია; წითელი მინის ღილაკი აინთო და ორგვარი ხმა გაისმა: ელექტროგენერატორის ჩუმი ზუზუნი და საათის წიკწიკივით თანაბარი დარტყმების უცნაურად ყრუ ხმა. უცებ ვერც კი მიხვდნენ, რომ ეს ხმა გამაძლიერებლიდან მოდიოდა, და რომ მათ ახლა გოლტის გულისცემა ესმოდათ.

— ნომერი სამი, — თქვა ფერისმა და თითი ასწია, ნიშანი რომ მიეცა.

მექანიკოსმა ერთ-ერთი ციფერბლატის ქვემოთ ღილაკს დააჭირა თითი. გოლტის სხეულს ხანგრძლივმა ჟრჟოლამ დაუარა; მაჯასა და მხარს შორის მოძრავი ელექტრული ნაკადის ზემოქმედებით მარცხენა ხელი დაეკრუნჩხა. თავი უკან გადაუვარდა, თვალები დაეხუჭა, პირი მოეკუმა. ის მდუმარედ იწვა.

როდესაც მექანიკოსმა ღილაკს თითი მოაშორა, გოლტის ხელმა კანკალი შეწყვიტა. თვითონ გოლტი არ განძრეულა.

სამმა კაცმა წამით ერთმანეთს გადახედა. ფერისს უტყვი მზერა ჰქონდა, მაუჩს შეშინებული, ტაგარტს კი იმედგაცრუებული. სიჩუმეში ისევ გაისმოდა გულისცემა.

— ნომერი ორი, — თქვა ფერისმა.

გოლტს მარჯვენა ფეხი დაეკრუნჩხა, ელექტრონის ნაკადი ამჯერად მის თეძოებსა და კოჭს შორის მოძრაობდა. ხელებით მატრასის კიდეებს ჩაებღაუჭა. მან ერთხელ გადააქნია თავი, შემდეგ კი გაშეშდა. გულისცემა ოდნავ აუჩქარდა.

მაუჩმა უკან გადაიწია და სავარძლის საზურგეს აეკრა, ტაგარტი კი სავარძლის კიდეზე იჯდა წინ გადმოხრილი.

— ნომერი ერთი, მზარდი, — გასცა ფერისმა განკარგულება.

გოლტის ტორსი მკვეთრად წამოიწია, მერე ისევ დაბლა დაეშვა და ხანგრძლივმა კრუნჩხვამ დაუარა. ღვედებით დაბმული ხელები დაეჭიმა, ელექტრონის ნაკადი ამჯერად ერთი მაჯიდან მეორისკენ დაიძრა გულის გავლით. მექანიკოსი ნელა ატრიალებდა ერთ-ერთ სახელურს ძაბვის გასაზრდელად; ციფერბლატის ისარი საფრთხის მანიშნებელ წითელ სეგმენტს უახლოვდებოდა. გოლტი მძიმედ, წყვეტილად სუნთქავდა.

— გეყო? — ჰკითხა ფერისმა, როდესაც მექანიკოსმა დენი გამორთო.

გოლტმა არ უპასუხა. მან ოდნავ აამოძრავა ტუჩები, ჰაერი რომ ჩაესუნთქა. გულისცემა უფრო აუჩქარდა, თუმცა რაკი მოდუნების საშუალება მიეცა, სუნთქვას თანდათან ისევ ნორმალური რიტმი უბრუნდებოდა.

— მეტისმეტად ინდობთ! — დაიყვირა ტაგარტმა, რომელიც მატრასზე გაწოლილ შიშველ სხეულს შეჰყურებდა.

გოლტმა თვალები გაახილა და წამით მას შეხედა. მისი მზერა არაფერს ამბობდა, გარდა იმისა, რომ ის მშვიდი და სრულიად ცნობიერი იყო. შემდეგ ისევ ჩამოუვარდა თავი და გაუნძრევლად იწვა, თითქოს მათი არსებობა საერთოდ გადაავიწყდა.

გოლტის შიშველი სხეული ამ სარდაფში უცნაურად შეუფერებელი ჩანდა. ეს სხეული ძველბერძნულ ქანდაკებას წააგავდა, არსით მსგავსი, მაგრამ ფორმით უფრო მსუბუქი, დინამიკური, გაცილებით უფრო ძლიერი და უსაზღვროდ ენერგიული. ეს მეეტლის კი არა, თვითმფრინავების მშენებლის სხეული იყო. და როგორც ძველი ბერძნული ქანდაკების, — ღმერთ-კაცის ქანდაკების, — არსი ეწინააღმდეგებოდა თანამედროვე დარბაზების განწყობას, ასევე არ შეესაბამებოდა გოლტის სხეულიც პრეისტორიული საქმიანობისთვის განკუთვნილ სარდაფს. თუმცა ეს შეუსაბამობა კიდევ უფრო მკვეთრი ჩანდა, რადგან გოლტის ადგილი თითქოს სწორედაც ელექტროსადენებთან, უჟანგავ ფოლადთან, ზუსტ ხელსაწყოებთან და სამართავი პანელის ბერკეტებთან იყო. იქნებ ზუსტად თავიანთი შეგრძნების ფსკერზე ყველაზე ღრმად დამარხულ ამ აზრს ეწინააღმდეგებოდნენ ასე თავგამოდებით გოლტის მაყურებლები. მათთვის ეს აზრი მხოლოდ გაუცნობიერებელი სიძულვილისა და შიშის სახით იყო ცნობილი; იქნებ, სწორედ თანამედროვე ხანაში მსგავსი ქანდაკებების არარსებობამ აქცია გენერატორი რვაფეხად და ასეთი სხეული მის საცეცებში მოამწყვდია.

— როგორც ვიცი, თქვენ ელექტრობის ექსპერტი ხართ, — მიმართა გოლტს ფერისმა და ჩაიცინა, — აბა, რას იტყვით, მგონი, ჩვენც არა გვიშავს, არა?

ფერისს ერთდროულად ორი ხმა გამოეპასუხა სიჩუმეში: გენერატორის ზუზუნი და გოლტის გულისცემა.

— შერეული რიგი! — გასცა განკარგულება ფერისმა და თითი მექანიკოსისკენ გაიშვირა.

ახლა ელექტროდარტყმები არათანაბარი და არაპროგნოზირებადი შუალედებით ხორციელდებოდა, ხან ერთიმეორის მიყოლებით, ხან რამდენიმე წუთის გამოტოვებით. მხოლოდ გოლტის ფეხების, ხელების, ტორსის ან მთელი სხეულის კრუნჩხვა მიანიშნებდა, ელექტრული ნაკადი ორ კონკრეტულ ელექტროდს შორის მოძრაობდა თუ ერთდროულად ყველა მათგანის გავლით. ციფერბლატების ისრები წითელ ნიშნულებს უახლოვდებოდა, შემდეგ კი უკან იხევდა: მექანიზმს ისე უნდა მიეყენებინა მაქსიმალურად ძლიერი ტკივილი მსხვერპლისთვის, რომ მისი სხეული არ დაეზიანებინა.

გულისცემის ხმით სავსე ეს პაუზები გაუსაძლისი გოლტისთვის კი არა, მისი მაყურებლებისთვის იყო: გული ახლა არათანაბრად ძგერდა. შუალედები ისე იყო გათვლილი, რომ ეს რიტმი შენელებულიყო, თუმცა მსხვერპლს, რომელიც ყოველ წამს ელოდა მორიგ დარტყმას, შვება არ ეგრძნო.

გოლტი მოდუნებული იწვა, თითქოს ტკივილთან გამკლავებას კი არ ცდილობდა, ნებდებოდა მას, უკუგდება კი არა, მისი ატანა სურდა. როდესაც პირს აღებდა, რომ ჩაესუნთქა, და დენის უეცარი დარტყმის გამო ტუჩები კვლავ ეკუმებოდა, დაძაგრული სხეულის ცახცახს კი არ უძალიანდებოდა, არამედ საშუალებას აძლევდა მას, თვითონვე შეწყვეტილიყო დარტყმის დასრულებისთანავე.

მხოლოდ სახის კუნთები მოუჩანდა დაჭიმული და მოკუმული პირი დროდადრო ეღრიცებოდა. როდესაც ელექტრონის ნაკადი მკერდში დაუვლიდა, თავის მკვეთრი ძაგძაგის გამო ოქროსფერ-სპილენძისფერი თმის კულულები უფრიალებდა და ქარში მოხვედრილივით, სახეზე და თვალებზე სცემდა. მაყურებლებს უკვირდათ, რატომ უმუქდებოდა გოლტს თმა თანდათან, ბოლოს კი მიხვდნენ, რომ ის ოფლს დაესველებინა!

შიში, რომ გული, რომელიც ისე ძგერდა, თითქოს სადაცაა გასკდებოდა, მსხვერპლს უნდა გასჩენოდა. თუმცა, როდესაც ეს არათანაბარი, წყვეტილი რიტმი ესმოდათ, შიშისგან ჯალათები კანკალებდნენ და როგორც კი მოეჩვენებოდათ, რომ გულმა ძგერა შეწყვიტა, სუნთქვა ეკვროდათ. ახლა გოლტის გაწამებული გული თითქოს ხტოდა და სასოწარკვეთილი რისხვით ეხლებოდა ნეკნებს. გული იბრძოდა, თვითონ გოლტი კი არა. ის მშვიდად იწვა, თვალდახუჭული იწვა, ხელები მოედუნებინა და უსმენდა, როგორ იბრძოდა გული მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

პირველი უესლი მაუჩი გატყდა.

— ოჰ, ღვთის გულისათვის, ფლოიდ! — იყვირა მან, — ნუ მოკლავ! არ გაბედო! თუ ის მოკვდება, დავიღუპებით!

— ის არ მოკვდება! — დაიღრიალა ფერისმა, — ინატრებს სიკვდილს, მაგრამ არ მოკვდება! მექანიზმი არ დაანებებს! ის მათემატიკურად არის გაანგარიშებული!

უსაფრთხოა!

— იქნებ, საკმარისია? ახლა უკვე დაგვემორჩილება! დარწმუნებული ვარ, დაგვემორჩილება!

— არა! არ არის საკმარისი! მე არ მინდა, რომ დაგვემორჩილოს! მინდა, რომ მან ირწმუნოს! რომ დათანხმდეს! რომ დათანხმება მოუნდეს! უნდა ვაიძულოთ, რომ ჩვენთვის ნებაყოფლობით იმუშაოს!

— გააგრძელეთ! — იღრიალა ტაგარტმა, — რას ელოდებით? არ შეგიძლიათ, ელექტრული ნაკადი უფრო გააძლიეროთ? მას ჯერ ერთხელაც არც დაუყვირია!

— რა გემართება? — სუნთქვა შეეკრა მაუჩს, ტაგარტის გამომეტყველებას რომ მოჰკრა თვალი, როდესაც გოლტს სხეული ელექტრონის ნაკადისგან ეკრუნჩხებოდა: ტაგარტი დაჟინებით შეჰყურებდა მას. უსიცოცხლო თვალები შუშისას მიუგავდა, მაგრამ მისი სახის კუნთები ამ უსულო მზერას სიამოვნების ურცხვ კარიკატურად შემოსწყობოდნენ გარშემო.

— საკმარისია? — დროდადრო უყვიროდა ფერისი გოლტს, — მზად ხარ, ის გინდოდეს, რაც ჩვენ გვინდა?

გოლტს არ უპასუხია. ხანდახან თავს წამოსწევდა ხოლმე და უყურებდა მათ, მართალია, თვალების ირგვლივ მუქი წრეები გასჩენოდა, მაგრამ თვითონ თვალები მაინც ნათელი ჰქონდა, მზერა კი ცნობიერი.

პანიკა თანდათან მძაფრდებოდა. მაყურებლებს თავშეკავებამ უღალატა და მათი ხმები გაურკვეველ ღრიალში გადაიზარდა:

— ჩვენ გვინდა, რომ ძალაუფლება ჩაიბაროთ!.. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ იყოთ მმართველი!.. ჩვენ გიბრძანებთ, რომ ბრძანებები გასცეთ!.. მოვითხოვთ, რომ დიქტატორი გახდეთ!.. გიბრძანებთ, გადაგვარჩინოთ!.. გიბრძანებთ, იაზროვნოთ!..

პასუხად კი მხოლოდ გულისცემა ესმოდათ, რომელზედაც მათი სიცოცხლე იყო დამოკიდებული. ელექტრონის ნაკადი პირდაპირ გოლტის გულში გადიოდა და ის არათანაბრად ძგერდა, თითქოს სადღაც მიიჩქაროდა და მერე წაიბორძიკებდა ხოლმე. მოულოდნელად გოლტის სხეული მოდუნდა და გაშეშდა: გულისცემა შეწყდა. სიჩუმემ გამაოგნებელი დარტყმასავით იმოქმედა დანარჩენებზე და ვიდრე ისინი დაყვირებას მოასწრებდნენ, ერთი შიში მეორემ გადაფარა: გოლტმა თვალები გაახილა და თავი წამოსწია. შემდეგ მათ შენიშნეს, რომ ძრავაც აღარ ზუზუნებდა საკონტროლო პანელზეც ჩაქრა წითელი შუქი: ელექტრონის ნაკადი შეწყდა; გენერატორი არ მუშაობდა.

მექანიკოსი ამაოდ აჭერდა ღილაკს თითს. წამდაუწუმ ბერკეტს ეჯაჯგურებოდა. მექანიზმს ფეხს ურტყამდა. წითელი შუქი არ ირთვებოდა; ზუზუნის ხმა აღარ გაისმოდა. — აბა? — წამოიძახა ფერისმა, — აბა? რა ხდება?

— გენერატორს რაღაც დაემართა, — თქვა მექანიკოსმა უმწეოდ.

— რა სჭირს?

— არ ვიცი.

— კარგი, გაარკვიე, რა დაზიანდა და შეაკეთე!

მექანიკოსი გამოცდილი ელექტროტექნიკოსი არ იყო; ის თავისი ცოდნის კი არა, იმის გამო აიყვანეს სამსახურში, რომ შეეძლო, დაუფიქრებლად დაეჭირა ხელი ღილაკებისთვის; ამ დავალების დასწავლას მთელი მისი გონებრივი შესაძლებლობები დასჭირდა. მექანიკოსმა მექანიზმის უკანა პანელი გახსნა და უაზროდ მიაჩერდა ერთმანეთში გადახლართულ სადენებს: ერთი შეხედვით დაზიანებული არაფერი მოეჩვენა. რეზინის ხელთათმანები წამოიცვა, ბრტყელტუჩა აიღო, რამდენიმე ჭანჭიკს მოუჭირა და კეფა მოიფხანა.

— არ ვიცი, რა მოხდა, — თქვა მან უსუსური თვინიერებით, — ვინ ვარ მე, რომ ვიცოდე? მაყურებლები ფეხზე წამოხტნენ, მექანიზმს გარს შემოეხვივნენ და მის ურჩ დეტალებს შეჰყურებდნენ. ასე ინსტინქტურად იქცეოდნენ: თავადაც იცოდნენ, რომ ამ საქმის არაფერი გაეგებოდათ.

— მაგრამ, შენ უნდა შეაკეთო ის! — იყვირა ფერისმა, — ის უნდა ამუშავდეს! ჩვენ ელექტროენერგია გვჭირდება!

— ჩვენ უნდა გავაგრძელოთ! — დაიყვირა ტაგარტმა; ის ერთიანად კანკალებდა, — ეს აღმაშფოთებელია! მე ამას არ მოვითმენ! მე მას არ გავათავისუფლებ! — და მატრასისკენ გაიშვირა ხელი.

— რამე იღონე! — დაუყვირა ფერისმა მექანიკოსს, — რას დამდგარხარ! რამე იღონე! შეაკეთე გენერატორი! გიბრძანებ, შეაკეთო!

— მაგრამ მე არ ვიცი, რა სჭირს, — თვალები დააფახულა მექანიკოსმა.

— გაარკვიე მერე!

— როგორ უნდა გავარკვიო?

— მე გიბრძანებ, რომ შეაკეთო გენერატორი! გესმის თუ არა? აამუშავე ის — თორემ სამსახურიდან დაგითხოვ და ციხეში ამოგალპობ!

— მაგრამ მე არ ვიცი, რა სჭირს მას. — ამოიოხრა გაოგნებულმა მექანიკოსმა, — არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო.

— ვიბრატორია მოშლილი, — გაისმა ხმა უკნიდან; ყველანი შეტრიალდნენ; გოლტი მძიმედ სუნთქავდა, თუმცა მაინც ინჟინრის მტკიცე და დარწმუნებული ტონით ლაპარაკობდა, — ამოიღეთ და ალუმინის თავსახური მოხსენით. იქ ერთმანეთთან შედუღებულ წყვილ კონტაქტს დაინახავთ. გააცალკევეთ ისინი, აიღეთ პატარა ქლიბი და კონტაქტების შედუღებული ზედაპირი გადაქლიბეთ. მერე ვიბრატორს ისევ დაახურეთ, თავის ადგილას დააბრუნეთ და თქვენი გენერატორი ამუშავდება.

რამდენიმე წამით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

მექანიკოსი ჯიქურ შესცქეროდა გოლტს; თვალს ვერ სწყვეტდა. ისიც კი მიხვდა, რამ გაიელვა ამ მუქ მწვანე თვალებში: ზიზღიანმა დაცინვამ.

მექანიკოსმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ეს პატარა ადამიანიც კი, თავისი უთავბოლოდ დაბინდული ცნობიერებით, როგორღაც უსიტყვოდ, ბუნდოვნად და გაურკვევლად, მაგრამ ისიც კი ჩასწვდა იმ ყველაფრის არსს, რაც აქ, სარდაფში ხდებოდა.

მან ჯერ გოლტს შეხედა, შემდეგ დანარჩენ სამ კაცსა და მექანიზმს. უცებ გააჟრჟოლა, ბრტყელტუჩა მოისროლა და ოთახიდან გავარდა.

გოლტმა გადაიხარხარა.

დანარჩენებიც ნელა გაეცალნენ მექანიზმს. მთელი ძალით ცდილობდნენ, არ მიმხვდარიყვნენ იმას, რასაც მექანიკოსი მიხვდა.

— არა! — მოულოდნელად დაიღრიალა ტაგარტმა, გოლტს შეხედა და წინ გაიჭრა, — არა! უფლებას არ მივცემ, თავი დაიძვრინოს! — ჯიმი მუხლებზე დაეცა და გააფთრებული დაეძებდა ვიბრატორის ალუმინის ცილინდრს, — მე შევაკეთებ მას! მე თვითონ ვამუშავებ! ჩვენ უნდა გავაგრძელოთ! უნდა გავტეხოთ ის!

— დაწყნარდი, ჯიმ, — თქვა ფერისმა შეშფოთებით და ტაგარტი ფეხზე წამოაყენა.

— ხომ არ... ხომ არ აჯობებდა, რომ ხვალისთვის გადაგვედო? — თქვა მაუჩმა მუდარით, თან შურითა და შიშით შეჰყურებდა კარს, რომლის მიღმაც მექანიკოსი მიიმალა. — არა! — იყვირა ტაგარტმა.

— ჯიმ, იქნებ საკმარისია? არ დაგავიწყდეს, ფრთხილად უნდა მოვიქცეთ.

— არა! არ არის საკმარისი! ჯერ არც კი დაუყვირია!

— ჯიმ! — დაიყვირა მაუჩმა მოულოდნელად, რომელიც ტაგარტის გამომეტყველებამ შეზარა, — ჩვენ მისი მოკვლის უფლებას თავს ვერ მივცემთ! შენ იცი ეს!

— არ მენაღვლება! მე მინდა, ის გავტეხო! მინდა, გავიგონო, როგორ იყვირებს! მე მინდა...

და უცებ თვითონ ტაგარტმა დაიყვირა. ეს უეცარი, ხანგრძლივი, გამყინავი ყვირილი იყო, თითქოს რაღაც მოულოდნელი სანახაობა დაუდგა თვალწინ, თუმცა მისი თვალები სივრცეს მიშტერებოდნენ და უჩინონი ჩანდნენ. სანახაობა, რომელსაც ჯიმი შეჰყურებდა, მისსავე არსებაში წარმოიქმნა. ემოციების, ტყუილის, თვალთმაქცობის, სანახევრო აზროვნებისა და ფსევდოსიტყვების დამცავი კედლები, რომლებსაც ის მთელი ცხოვრება აგებდა, ერთ წამში ჩამოინგრა — იმ წამს, როდესაც მიხვდა, რომ გოლტის სიკვდილი სურდა, თუმცა სრულად აცნობიერებდა, რომ ამის შემდეგ თვითონაც ვეღარ იცოცხლებდა.

ჯიმმა მოულოდნელად დაინახა მოტივი, რომელიც მის ყველა მოქმედებას წარმართავდა. ეს არც მისი ეული სული იყო, არც სხვა ადამიანებისადმი მისი სიყვარული, არც მისი საზოგადოებრივი მოვალეობა და არც ის ყალბი ხმები, რომელთა მეშვეობითაც საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას გრძნობას ინარჩუნებდა: ეს იყო ყველაფერი ცოცხლის განადგურების სურვილი იმის გულისთვის, რაც უსიცოცხლო იყო. ეს იყო რეალობის უარყოფის სურვილი ყოველი ცოცხალი ღირებულების განადგურების საშუალებით, საკუთარი თავისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ მას, რეალობის უგულებელყოფის მიუხედავად, არსებობა მაინც შეეძლო და არასოდეს შეიზღუდებოდა რაიმე მყარი, გარდაუვალი ფაქტებით. ერთი წუთის წინ ჯიმს შეეძლო იმის შეგრძნება, რომ გოლტი ყველა სხვა ადამიანზე მეტად სძულდა, რომ ეს სიძულვილი გოლტის ბოროტების მტკიცებულება იყო, რომლის განმარტებაც მას აღარ სჭირდებოდა, რომ მას გოლტის განადგურება თავისი საკუთარი გადარჩენის გამო სურდა. ახლა კი გააცნობიერა, რომ გოლტის განადგურება მას საკუთარი განადგურების ხარჯზე ეწადა; მან გააცნობიერა, რომ არასდროს სურდა, ეცოცხლა; მან გააცნობიერა, რომ სურდა, ტანჯვით გაენადგურებინა გოლტის სიდიადე. ჯიმი აღიარებდა, რომ ეს სიდიადე, სიდიადე ამქვეყნად ერთადერთი არსებული სტანდარტით, სხვების მიერ აღიარებას არ საჭიროებდა: ეს რეალობაზე გაბატონებული კაცის სიდიადე იყო, რომელსაც ვერავინ ვერ შეედრებოდა. და იმ წამს, როდესაც ჯეიმს ტაგარტი აღმოჩნდა არჩევნის წინაშე, მიეღო რეალობა თუ მომკვდარიყო, მისმა ემოციებმა სიკვდილი არჩიეს, ოღონდ კი არ ეღიარებინათ სამყარო, რომლის ასეთი ბრწყინვალე ძეც გოლტი იყო. ტაგარტმა იცოდა, რომ გოლტის განადგურებით ის სრულიად არსებობის განადგურებას ესწრაფოდა.

ამ ცოდნას ტაგარტის ცნობიერებაში სიტყვების საშუალებით არ შეუღწევია: რაკიღა მთელი მისი ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ ემოციებისგან შედგებოდა, ახლა ისეთ ემოციასა და ხილვას შეეპყრო, რომელიც ვერა და ვერ მოეშორებინა თავიდან.

უკვე ვეღარსაიდან გამოიხმობდა ბურუსს, ყველა ის ჩიხი რომ მიემალა, რომლის დანახვასაც მთელი სიცოცხლე გაურბოდა: ახლა ყოველი ჩიხის ბოლოს ჯიმი არსებობისადმი საკუთარ სიძულვილს ხედავდა, ხედავდა სიცოცხლისადმი მხიარული სწრაფვით გაცისკროვნებულ შერილ ტაგარტის სახეს და ამ სწრაფვის განადგურებასაც ყოველთვის ცდილობდა, საკუთარი სახე იმ მკვლელის სახედ წარმოუდგა, რომელიც ყველა ადამიანს სამართლიანად უნდა სძულებოდა, რომელიც ღირებულებებს იმისთვის ანადგურებდა, რომ ისინი ღირებულებები იყო, რომელიც იმიტომ კლავდა, რომ საკუთარი გამოუსწორებელი ბოროტება არ აღმოეჩინა.

— არა...

— დაიგმინა ჯიმმა, რომელსაც თვალწინ ეს ხილვა ედგა და თავს გახელებით აქნევდა, როგორმე მას რომ გაჰქცეოდა, — არა... არა...

— კი, — წარმოთქვა გოლტმა.

ჯიმმა დაინახა, რომ გოლტის თვალები ჯიქურ შესცქეროდნენ მას, თითქოს გოლტი იმასვე ხედავდა, რასაც თვითონ.

— მე ხომ ეს რადიოში გამოსვლისას გითხარი? — ჰკითხა ტაგარტს გოლტმა.

ეს ის დამღა იყო, რომლისაც ჯიმს საშინლად ეშინოდა — ობიექტურობის დამღა და მტკიცებულება.

— არა... — თქვა ჯიმმა კიდევ ერთხელ მისუსტებული ხმით, მაგრამ ეს უკვე ცოცხალი ცნობიერების ხმა აღარ იყო.

ჯიმი წუთით გაუნძრევლად იდგა და სივრცეს მიშტერებოდა, შემდეგ ფეხები უმწეოდ მოეკვეთა და იატაკზე ჩაიკეცა ისევ სივრცეს მიჩერებული. ვერც თავის მოქმედებას აცნობიერებდა, ვერც გარემოს.

— ჯიმ!.. — შესძახა მაუჩმა. ტაგარტს პასუხი არ გაუცია.

მაუჩსა და ფერისს არ უცდიათ, გაერკვიათ, რა მოუვიდა ტაგარტს; მათ იცოდნენ, რომ არ უნდა ეცადათ ამის გარკვევა, ჯიმის ხვედრი რომ არ გაეზიარებინათ. ისინი აცნობიერებდნენ, ვინ გატყდა დღეს ამ სარდაფში. იცოდნენ, რომ ეს ჯეიმს ტაგარტის დასასრული იყო, იმის მიუხედავად, მისი ფიზიკური სხეული გადარჩებოდა თუ არა.

— მოდი... მოდი, ჯიმი აქედან წავიყვანოთ, — თქვა ფერისმა აცახცახებული ხმით, — მოდი, ექიმთან წავიყვანოთ... ან სადმე სხვაგან...

ტაგარტი ფეხზე წამოაყენეს; მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ლეთარგიულად დაემორჩილა მათ და ნაბიჯებსაც ადგამდა, როდესაც ისინი ხელით უბიძგებდნენ. თვითონ ჯიმი აღმოჩნდა იმ მდგომარეობაში, რომლამდეც გოლტი უნდოდა, დაეკნინებინა.

მეგობრები აქეთ-იქიდან შეუდგნენ მას მხარში და ოთახიდან გაიყვანეს. ტაგარტმა ისინი იხსნა აუცილებლობისგან, ეღიარებინათ, რომ სურდათ, გოლტის თვალებს გაჰქცეოდნენ. გოლტი მათ უყურებდა; და ეს მეტისმეტად მკაცრი, გამჭოლი მზერა იყო.

— ჩვენ დავბრუნდებით, — დაუღრიალა ფერისმა მცველების უფროსს, — აქ დარჩით და შიგნით არავინ შეუშვათ. გასაგებია? არავინ.

მათ ტაგარტი თავის მანქანაში ჩასვეს, რომელიც შესასვლელთან, ხეების ძირში იყო გაჩერებული.

— ჩვენ დავბრუნდებით, — უთხრა ფერისმა ხეებსა და უკუნ ცას ზოგადად.

ისინი ერთადერთ რამეში იყვნენ დარწმუნებულნი, რომ აუცილებლად უნდა გასცლოდნენ სარდაფს — იმ სარდაფს, სადაც ცოცხალი გენერატორი მკვდარ გენერატორს იყო მიერთებული.

თავი 10

ჩვენში საუკეთესოს სახელით

დაგნიმ ბაღი გაიარა და მცველის ჯიხურისკენ გაემართა, რომელიც „პროექტ X“— ის შესასვლელ კართან იდგა. მისი ნაბიჯების მიზანმიმართული, მშვიდი და თავისუფალი ხმა ხეივანში გამეფებულ სიჩუმეს არღვევდა. დაგნიმ სახე მთვარის შუქისკენ მიაბრუნა, მცველს რომ ეცნო.

— შემიშვი, — თქვა მან.

— აქ შესვლა აკრძალულია, — უპასუხა მან რობოტის ხმით, — ეს დოქტორ ფერისის განკარგულებაა.

— მე აქ მისტერ ტომპსონის ნებართვის საფუძველზე მოვედი.

— რა?.. მე... მე ეს არ ვიცოდი.

— სამაგიეროდ, მე ვიცი.

— დოქტორ ფერისს ჩემთვის არაფერი არ უთქვამს... მემ.

— ბოლომდე მათქმევინე.

— მაგრამ მე მხოლოდ დოქტორ ფერისის ბრძანებებს ვემორჩილები.

— ესე იგი, მისტერ ტომპსონს ეურჩები?

— ოჰ, არა, მემ! მაგრამ... მაგრამ თუ დოქტორმა ფერისმა თქვა, რომ არავინ არ უნდა შევუშვა, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ არავინ არ უნდა შევიდეს, — და მცველმა დაეჭვებით, მუდარის ტონით დაამატა, — ასე არ არის?

— იცი, რომ მე დაგნი ტაგარტი ვარ? ნანახი გექნება გაზეთებში ჩემი ფოტოები, სადაც მისტერ ტომპსონთან და სახელმწიფოს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად ვარ გადაღებული.

— დიახ, მემ.

— მაშინ გადაწყვიტე, ვის ბრძანებას გინდა დაემორჩილო.

— ოჰ, არა, მემ! ოღონდაც ამას ნუ მომთხოვთ!

— მაშინ შემიშვი!

— მაგრამ დოქტორ ფერისს რა პასუხი გავცე!

— მაშინ აირჩიე.

— მაგრამ მე არჩევანს ვერ გავაკეთებ, მემ! ვინ ვარ მე, რომ ავირჩიო?

— მოგიწევს.

— მისმინეთ, — თქვა მცველმა აჩქარებით, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარისკენ მიბრუნდა, — უფროსს ვკითხავ. ის...

— არა, — თქვა დაგნიმ.

მისი ხმის ტონმა მცველი აიძულა, შემობრუნებულიყო: დაგნის ხელში იარაღი ეჭირა და მკერდში უმიზნებდა.

— ყურადღებით მომისმინე, — მიმართა მას ქალმა, — ან შემიშვებ, ან არადა, გესვრი. შეეცადე, დამასწრო, თუ შეძლებ. მხოლოდ ეს ერთი არჩევანი გაქვს. ახლა კი თვითონ გადაწყვიტე.

მცველს ყბა ჩამოუვარდა და გასაღები ხელიდან გაუვარდა.

— გზიდან ჩამომეცალე, — თქვა დაგნიმ.

მცველმა თავგანწირულად გააქნია თავი და ზურგით კარს მიეყრდნო.

— ოჰ, ღვთის გულისათვის, მემ! — სასოწარკვეთით დაიწკმუტუნა მან, — თქვენ ვერ გესვრით, რაკი ტომპსონის გამოგზავნილი ხართ! და არც თქვენი შეშვება შემიძლია, რადგან ეს დოქტორ ფერისის ბრძანებაა! რა უნდა გავაკეთო? მე ერთი უბრალო ადამიანი ვარ! მე მხოლოდ ბრძანებებს ვემორჩილები! ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის!

— ან სიცოცხლე ან სიკვდილი, — თქვა დაგნიმ.

— თუ ნებას მომცემთ, უფროსს შევეკითხო, ის მეტყვის, ის...

— არავის არაფერს არ ჰკითხავ.

— კი მაგრამ, საიდან უნდა ვიცოდე, რომ აქ ნამდვილად მისტერ ტომპსონმა გამოგაგზავნათ?

— არსაიდან. იქნებ, არც ვარ ტომპსონის გამოგზავნილი და თვითნებურად ვმოქმედებ — დაგსჯიან, რაკი დამიჯერე. შესაძლოა, ტომპსონის გამოგზავნილი ვიყო — ამ შემთხვევაში ციხეში გიკრავენ თავს დაუმორჩილებლობისთვის. შესაძლოა, დოქტორი ფერისი და მისტერ ტომპსონი შეთანხმდნენ ამ ამბავთან დაკავშირებით. შესაძლოა, არც შეთანხმებულან — და აღმოჩნდება, რომ ერთ-ერთ მათგანს ეურჩე.

აირჩიე. შენ ვერავის შეეკითხები, ვერავის დაურეკავ, ვერავინ გიკარნახებს, როგორ მოიქცე. თვითონ უნდა გადაწყვიტო.

— მაგრამ მე არ შემიძლია გადაწყვეტილების მიღება! მაინცდამაინც მე რატომ უნდა გადავწყვიტო?

— იმიტომ, რომ სწორედ შენი სხეული მეღობება გზაზე.

— მაგრამ მე არ შემიძლია გადაწყვეტილების მიღება! მე ეს არ მევალება!

— სამამდე დავითვლი, — თქვა დაგნიმ, — შემდეგ კი ვისვრი.

— მოიცადეთ! მოიცადეთ! მე არც „კი“ მითქვამს და არც „არა“! — დაიყვირა მცველმა და კიდევ უფრო აეკრა კარს, თითქოს გონებისა და სხეულის უმოძრაობა დაიცავდა.

— ერთი, — ითვლიდა დაგნი და მცველის შეძრწუნებულ თვალებს შეჰყურებდა, — ორი, — როგორც ჩანდა, რომ მას იარაღზე მეტად მისი შეთავაზებული ალტერნატივა აშინებდა, — სამი.

დაგნიმ, რომელიც ცხოველსაც კი ვერ მოკლავდა, სასხლეტს თითი გულგრილად გამოჰკრა და პირდაპირ გულში ესროლა იმ კაცს, რომელმაც ვერა და ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება.

იარაღის მაყუჩმა სროლის ხმა ჩაახშო, მხოლოდ ყრუ ბრაგვანი გაისმა, როდესაც სხეული დაგნის ფეხებთან დაეცა.

დაგნიმ ძირს დაგდებული გასაღები აიღო, შემდეგ შეთანხმების მიხედვით, რამდენიმე წამი შეიცადა.

შენობის კუთხიდან პირველი ფრანცისკო გამოჩნდა, შემდეგ ჰენკ რიერდენი, ბოლოს კი რაგნარ დანეშოლდი. შენობის ირგვლივ, ხეებს შორის, ერთმანეთისგან დაშორებით ოთხი მცველი დაეყენებინათ. იმათ უკვე მიხედეს: ერთ-ერთი მკვდარი იყო, სამი კი გაკოჭილი და პირაკრული იწვა ბუჩქებში.

დაგნიმ უსიტყვოდ გადასცა გასაღები ფრანცისკოს. მან კარი გააღო და შიგნით მარტო შევიდა, კარი კი ერთი ინჩის სიგანეზე დატოვა შეღებული. დანარჩენი სამი გარეთ იცდიდა.

ერთადერთი ნათურა დერეფანს მკრთალად ანათებდა. მეორე სართულზე ამავალი კიბის ძირში მცველი იდგა.

— ვინ ხარ? — იყვირა მან, როდესაც ფრანცისკო დაინახა, რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს იქაურობის ბატონ-პატრონი ყოფილიყო, — აქ არავინ არ უნდა შემოვიდეს!

— უკვე შემოვედი, — უთხრა მას დ'ანკონიამ.

— რასტიმ რატომ შემოგიშვათ?

— ალბათ, ჰქონდა მიზეზი.

— არ უნდა შემოეშვით!

— ვიღაცამ გადაწყვეტილება შეცვალა.

ფრანცისკომ სწრაფად მოავლო მზერა ირგვლივ. ზემოთ, კიბის ბაქანზე, მეორე მცველი იდგა.

— მაინც, რა საქმე გაქვთ?

— სპილენძის მოპოვება.

— რაა?! მე გეკითხებით, ვინ ხართ თქვენ?

— ჩემი სახელი ძალიან გრძელია საიმისოდ, შენ რომ გითხრა. მას თქვენს უფროსს მოვახსენებ. სად არის ის?

— აქ კითხვებს მე ვსვამ! — დაიყვირა მცველმა, თუმცა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, — ისე... ისე ნუ იქცევით, თითქოს დიდი ვინმე იყოთ, თორემ...

— ეი, პიტ, ის მართლა დიდი კაცია! — დაიყვირა მეორე მცველმა, რომელიც ფრანცისკოს ქცევას დაებნია.

პირველი მცველი დაფრთხა; შიშისგან უკვე ლამის ყვიროდა, მერე კი მოჭრით ჰკითხა ფრანცისკოს:

— რა გნებავთ?

— ამას თქვენს უფროსს მოვახსენებ. სად არის ის?

— აქ კითხვებს მე ვსვამ!

— მე კი მათ არ ვპასუხობ.

— აჰ, არ პასუხობთ, არა? — დაიღრინა პიტმა და ნებისმიერი ხათაბალიდან მისთვის ცნობილ ერთადერთ გამოსავალს მიმართა: ხელი თეძოზე ჩამოკიდებული იარაღისკენ წაიღო.

ფრანცისკოს მოძრაობა მეტისმეტად სწრაფი აღმოჩნდა, მისი იარაღი — მეტისმეტად უხმაურო. მცველებმა მხოლოდ მომდევნო წამს შეასწრეს თვალი, როგორ გაუვარდა პიტს ხელიდან იარაღი, მისი დაფლეთილი თითებიდან სისხლმა ყველა მიმართულებით გაასხა. პიტმა დაიგმინა და ადგილზე ჩაიკეცა.

როდესაც მეორე მცველი გონს მოეგო, დაინახა, რომ ფრანცისკო უკვე მას უმიზნებდა.

— არ მესროლოთ, მისტერ! — იყვირა მან.

— ხელები მაღლა ასწიე და დაბლა ჩამოდი, — უბრძანა ფრანცისკომ, რომელსაც ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორით კი კარის ღიობთან მომლოდინეებს მოუხმობდა.

როდესაც მცველმა კიბე ჩამოიარა, რიერდენმა ის განაიარაღა, დანეშოლდმა კი ხელ-ფეხი შეუკრა. მცველი ყველაზე მეტად თითქოს დაგნის დანახვამ შეაშინა; ვერაფერი გაეგო: ეს სამი კაცი კეპებსა და ქურთუკებში, — მათი მანერები რომ არა, — ადამიანს შეიძლებოდა, ბანდიტები ჰგონებოდა, მაგრამ ქალბატონის იქ ყოფნა სრულიად აუხსნელი იყო.

— ახლა კი გვითხარი, — თქვა ფრანცისკომ, — სად არის შენი უფროსი?

მცველმა კიბისკენ გაიქნია თავი:

— იქ, მაღლა.

— რამდენი მცველია შენობაში?

— ცხრა.

— სად არიან?

— ერთი სარდაფის კიბეზე დგას, დანარჩენები მაღლა.

— მაინც, სად?

— დიდ ლაბორატორიაში. ფანჯრიან ოთახში.

— ყველა იქ არის?

— დიახ.

— ეს რა ოთახებია? — დერეფნიდან გამავალ კარებზე მიუთითა დ'ანკონიამ.

— ესენიც ლაბორატორიებია. ღამით იკეტება.

— გასაღები ვის აქვს?

— იმას. — მცველმა პიტისკენ გადააქნია თავი.

რიერდენმა და დანეშოლდმა პიტის ჯიბიდან გასაღები ამოიღეს და ჩქარი ნაბიჯებით, უხმოდ გაეშურნენ ოთახების დასათვალიერებლად, ფრანცისკომ კი განაგრძო:

— შენობაში კიდევ არის ვინმე?

— არა.

— ტუსაღი აქ არ არის?

— ოჰ... დიახ, მგონი, კი. სადღაც უნდა იყოს, თორემ ამდენ მცველს არ დააყენებდნენ.

— ჯერაც აქაა?

— ეს არ ვიცი. ამას არასდროს გვეუბნებიან.

— დოქტორი ფერისი აქ არის?

— არა. ათი-თხუთმეტი წუთის წინ წავიდა.

— ახლა მითხარი, ის ლაბორატორია, მაღლა, ზუსტად კიბის ბაქანზეა?

— კი.

— სულ რამდენი კარია იქ?

— სამი. იმ ლაბორატორიის კარი შუაშია.

— დანარჩენ ორ ოთახში რა ხდება?

— ერთ მხარეს კიდევ ერთი პატარა ლაბორატორიაა, მეორე მხარეს კი დოქტორ ფერისის კაბინეტი.

— მათ შორის დამაკავშირებელი კარი არსებობს?

— კი.

ის იყო, ფრანცისკო თავისი მეგობრებისკენ უნდა შებრუნებულიყო, რომ მცველმა მუდარის ტონით ჰკითხა:

— მისტერ, შეიძლება, ერთი რამე შეგეკითხოთ?

— მკითხე.

— ვინ ხართ?

ფრანცისკომ საზეიმოდ უპასუხა, თითქოს ნატიფ საზოგადოებას აცნობდა თავს:

— ფრანცისკო დომინგო კარლოს ანდრეს სებასტიან დ'ანკონია.

მან გაოგნებულ მცველს ზურგი აქცია და მეგობრებს მიუბრუნდა, ჩურჩულით რომ მოსთათბირებოდა.

ერთი წუთის შემდეგ რიერდენმა კიბე სწრაფად, უხმაუროდ და მარტომ აიარა.

ლაბორატორიის კედლების გასწვრივ გალიები იდგა, სადაც ვირთხები და ზღვის გოჭები გამოემწყვდიათ. ეს გალიები იქ მცველებმა დადგეს, შუაგულ ოთახში მდგარ გრძელ მაგიდაზე პოკერი რომ ეთამაშათ. ექვსი თამაშობდა, ორი შეიარაღებული მცველი კი კუთხეებში იდგა ერთმანეთის მოპირდაპირედ და კარს აკონტროლებდა. როდესაც რიერდენი ლაბორატორიაში შევიდა, ადგილზე მხოლოდ იმიტომ არ ჩაცხრილეს, რომ მისი სახე მცველებისთვის მეტისმეტად ნაცნობი აღმოჩნდა, მისი იქ გამოჩენა კი მეტისმეტად მოულოდნელი. რიერდენისკენ რვა თავი შემოტრიალდა, მისჩერებოდნენ და საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ.

ის კართან იდგა, უდარდელი, თავდაჯერებული გამომეტყველებით, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო.

— აქ ვინ არის უფროსი? — იკითხა მოჭრით, იმ კაცივით, რომელსაც დასაკარგი დრო არა აქვს.

— თქვენ... თქვენ ის ხომ არ ხართ... — ენა დაება ერთ-ერთ მოთამაშეს, აყლაყუდა, პირქუშ ტიპს.

— მე ჰენკ რიერდენი ვარ. შენ ხარ უფროსი?

— კი! მაგრამ თქვენ აქ საიდან გაჩნდით, ეშმაკმა დასწყევლოს?!

— ნიუ-იორკიდან.

— აქ რას აკეთებთ?

— როგორც ჩანს, თქვენთვის არაფერი შეუტყობინებიათ.

— მაგრამ... კი მაგრამ, რა უნდა შეეტყობინებინათ?

დაცვის უფროსი აშკარად განაწყენებული ჩანდა — ავტორიტეტი შეულახეს. ის მაღალი, გამხდარი, ავადმყოფურად სახეგაცრეცილი კაცი იყო, თვალებს ნარკომანივით აცეცებდა.

— ჩემი საქმის შესახებ.

— თქვენ... თქვენ არ შეიძლება, აქ რაიმე საქმე გქონდეთ, — მიახალა უფროსმა რიერდენს, შეშინებულმა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი, უმაღლესი დონის გადაწყვეტილება გამოაპარეს, — თქვენ ხომ მოღალატე, დეზერტირი და...

— ვხედავ, დროს ჩამორჩენიხართ, ჩემო კარგო.

დანარჩენი შვიდი მცველი რიერდენს მოწიწებით, თუმცა მაინც ერთგვარი ეჭვით შეჰყურებდა. ორ მათგანს ის რობოტისთვის დამახასიათებელი გულგრილობით ისევ მიზანში ჰყავდა ამოღებული, რიერდენი კი მათ თითქოს ვერც ამჩნევდა.

— მაინც, აქ რა გესაქმებათ? — მოჭრით იკითხა მცველების უფროსმა.

— ტუსაღის წასაყვანად მოვედი, რომელიც თქვენ უნდა გადმომცეთ.

— თუ მთავარი სამმართველოდან ხართ, მაშინ გეცოდინებათ, რომ მე უფლება არ მაქვს, მის შესახებ რაიმე ვიცოდე, და ისიც გეცოდინებათ, რომ მასთან ურთიერთობა ყველას ეკრძალება.

— ჩემ გარდა.“

მცველების უფროსი ფეხზე წამოვარდა, ტელეფონს ეცა და ყურმილი აიღო, მაგრამ ყურამდე არც კი მიუტანია, მოწყვეტით ჩამოუვარდა ხელი, რამაც დანარჩენებს შიშის ზაფრა დასცა — მიხვდა, რომ ტელეფონი გათიშული იყო: ვიღაცას სადენები გადაეჭრა.

წამში ყოყლოჩინობის ნიშანწყალიც კი აღარ ეტყობოდა.

— შენობას ასე არ იცავენ, ასეთი რამ როგორ დაუშვი? ჯობია, ტუსაღი მე გადმომცე, სანამ რამე მოუვიდოდეს, თუ არ გინდა, შენი დაუდევრობის და უვარგისობის ამბავი მოვახსენო, სადაც საჭიროა.

დაცვის უფროსი მძიმედ დაეშვა სკამზე, მაგიდაზე გადაიხარა და რიერდენს ისე შეხედა, რომ მისი ხმელი სახე უცებ გალიაში აწრიალებული ცხოველებისას დაემსგავსა. — ვინ არის ეგ ტუსაღი? — იკითხა მან.

— ჩემო კარგო, — უპასუხა რიერდენმა, — რაკი შენმა უშუალო ხელმძღვანელებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს შენთვის ამის თქმა, მე მით უმეტეს არ გეტყვი.

— მათ არც თქვენი აქ მოსვლის შეტყობინება მიუჩნევიათ საჭიროდ! — იყვირა უფროსმა, რომლის ხმაშიც ბრაზი და უმწეობა ისმოდა, — საიდან უნდა ვიცოდე, რომ სიმართლეს ამბობთ? ტელეფონი გათიშულია, ვის უნდა ვკითხო? როგორ გავიგო, რა უნდა გავაკეთო?

— ეს შენი პრობლემაა და არა ჩემი.

— მე თქვენი არ მჯერა! — ისე დაიწივლა, რაიმეში დარწმუნებულს აშკარად არ ჰგავდა, — არ მჯერა, რომ აქ მთავრობის დავალებით მოხვედით, იმიტომ რომ, თქვენც ერთ-ერთი მოღალატე ხართ, ჯონ გოლტის მეგობარი, რომელიც...

— ნუთუ არ გაგიგიათ?

— რა?

— ჯონ გოლტმა გარიგება დადო მთავრობასთან და ჩვენ ყველანი უკან დაგვაბრუნა.

— ოჰ, მადლობა ღმერთს! — წამოიყვირა მცველებიდან ყველაზე ახალგაზრდამ.

— მოკეტე! შენ პოლიტიკური შეხედულებები არ უნდა გქონდეს! — დაუღრიალა მას უფროსმა და ისევ მკვეთრი მოძრაობით მიუბრუნდა რიერდენს, — მაშინ რადიოში რატომ არ გამოაცხადეს?

— შენ ფიქრობ, რომ უფლება გაქვს, აზრი გამოთქვა, როდის და რა ფორმით უნდა ილაპარაკოს მთავრობამ თავისი პოლიტიკის შესახებ?

სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ ფხაჭუნის ხმა ისმოდა — გალიაში გამომწყვდეული ცხოველები ბრჭყალებით გისოსებს კაწრავდნენ.

— ვფიქრობ, უნდა შეგახსენო, — თქვა რიერდენმა, — რომ შენი საქმე ბრძანებების მართებულობაში დაეჭვება კი არა, მათი შესრულებაა, რომ შენ შენი ხელმძღვანელების პოლიტიკაში ქექვა არ გევალება, და რომ უფლება არ გაქვს, იმსჯელო ანდა დაეჭვდე რაიმეში.

— მაგრამ მე არ ვიცი, უნდა დაგემორჩილოთ თუ არა თქვენ!

— არ დაგვემორჩილები და შედეგებზეც თვითონ აგებ პასუხს.

მაგიდასთან მოკუნტულმა უფროსმა ნელა გადაიტანა დაკვირვებული მზერა რიერდენისგან ოთახის კუთხეებში მდგარ ორ მცველზე. მათ თითქმის შეუმჩნევლად კვლავ დაუმიზნეს რიერდენს იარაღი. ერთ-ერთ გალიაში ცხოველმა ყურისწამღებად დაიწრიპინა.

— ვფიქრობ, ისიც უნდა გითხრა, — თქვა რიერდენმა უფრო მკაცრი ხმით, — რომ მე მარტო არ ვარ. გარეთ ჩემი მეგობრები მიცდიან.

— სად?

— აქ, ყველგან.

— რამდენნი არიან?

— დრო მოვა და თვითონ ნახავ.

— მისმინე, უფროსო, — ამოიკვნესა ერთ-ერთმა მცველმა, — ამ ხალხთან დავიდარაბა არ ღირს, ისინი...

— მოკეტე! — დაიღრიალა დაცვის უფროსმა, ფეხზე წამოხტა და იარაღი მიუშვირა მას, — არ დავინახო, შეშინდეთ, თქვე ნაძირალებო! — ცდილობდა, ყვირილით ჩაეხშო საკუთარი შიში, რომელიც მის ხელქვეითებს უკვე გაეცნობიერებინათ. ხვდებოდა, რომ ისინი ვიღაცამ როგორღაც განაიარაღა, — საშიში არაფერია! — უყვიროდა ის საკუთარ თავს და გააფთრებით ცდილობდა, როგორმე არ დაეკარგა ძალმომრეობის ერთადერთი საკუთარი ასპარეზი, — არაფერი და არავინ! მე თქვენ გიჩვენებთ! — ის შემობრუნდა და აცახცახებული ხელით ესროლა რიერდენს.

მცველებმა დაინახა, როგორ შეტორტმანდა რიერდენი და როგორ წაივლო ხელი მარცხენა მხარზე. იმავე წამს თვალი შეასწრეს, რომ უფროსს იარაღი ხელიდან გაუვარდა, დაიყვირა და იატაკზე დავარდა, მისი მაჯიდან კი სისხლმა გაასხა. შემდეგ

ყველამ დაინახა კარის ღიობთან მდგარი ფრანცისკო დ'ანკონია, რომელსაც თავისი მაყუჩიანი იარაღი დაცვის უფროსისთვის დაემიზნებინა.

მცველებმა იარაღი მოიმარჯვეს, მაგრამ სროლა უკვე გვიანი იყო.

— თქვენ ადგილას, ამას არ ვიზამდი, — თქვა ფრანცისკომ.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ერთ-ერთმა სუნთქვაშეკრულმა მცველმა, რომელიც მთელი ძალისხმევის დაძაბვით ცდილობდა ვიღაცის სახელის გახსენებას, — ეს... ეს ის ტიპია, რომელმაც მსოფლიოში სპილენძის ყველა საბადო ააფეთქა!

— სწორედ ისაა, — გამოეპასუხა რიერდენი.

მცველებმა უნებურად უკან დაიხიეს ფრანცისკოსგან და რიერდენისკენ შეტრიალდნენ, რომელიც ჯერ კართან იდგა. მარჯვენა ხელში იარაღი მოემარჯვებინა, მის მარცხენა მხარზე კი მუქი ფერის ლაქა თანდათან ფართოვდებოდა.

— ესროლეთ, ნაძირალებო! — უყვიროდა უფროსი მცველებს, რომლებიც ყოყმანობდნენ. — რაღას ელოდებით? ჩაცხრილეთ! — ცალი ხელით მაგიდას ეყრდნობოდა, მეორიდან კი სისხლი სდიოდა, — ნებისმიერის შესახებ განვაცხადებ, ვინც არ იბრძოლებს! სიკვდილით დავასჯევინებ!

— დაყარეთ იარაღი! — თქვა რიერდენმა.

შვიდივე მცველი ადგილზე გაშეშდა, არ იცოდნენ, ვის ბრძანებას დამორჩილებოდნენ.

— გამიშვით აქედან! — იყვირა ყველაზე ახალგაზრდა მცველმა და მარჯვენა კარისკენ გაიქცა.

მან მკვეთრი მოძრაობით გააღო კარი და უკან გახტა: ზღურბლზე დაგნი ტაგარტი იდგა, იარაღით ხელში.

მცველები თანდათან ოთახის ცენტრში მოგროვდნენ, საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, ლეგენდად ქცეული ადამიანების დანახვამ ისინი სრულიად განაიარაღა. ისეთი განცდა დაეუფლათ, თითქოს მოჩვენებებისთვის სროლა უბრძანეს.

— დაყარეთ იარაღი, — მიმართა მცველებს რიერდენმა, — თქვენ არ იცით, აქ რატომ ხართ. ჩვენ კი ვიცით. თქვენ არ იცით, ვინ არის თქვენი ტუსაღი. ჩვენ კი ვიცით. თქვენ არ იცით, რატომ სურთ თქვენს უფროსებს, რომ ის დაიცვათ. ჩვენ კი ვიცით, რატომ გვინდა მისი აქედან გაყვანა. თქვენთვის უცნობია თქვენი ბრძოლის მიზანი. ჩვენ კი ვიცით ჩვენი ბრძოლის მიზანი. თუ თქვენ მოკვდებით, არ გეცოდინებათ, რისი გულისთვის კვდებით. თუ ჩვენ მოვკვდებით, ჩვენ გვეცოდინება ეს.

— ნუ... ნუ უსმენთ მათ! — დაიღრიალა მცველების უფროსმა, — ესროლეთ! გიბრძანებთ, ესროლოთ!

ერთ-ერთმა მცველმა შეხედა მას, იარაღი დააგდო, ხელებაწეული გამოეყო თავის ჯგუფს და რიერდენისკენ წავიდა.

— ეშმაკმა დაგწყევლოს! — დაიყვირა უფროსმა, იარაღი მოიმარჯვა და დეზერტირს ესროლა.

მცველი დაეცა თუ არა დაბლა, ფანჯრის მინა ჩაიმსხვრა და ხის ტოტიდან, თითქოსდა კატაპულტიდან, ოთახში მაღალი, მოხდენილი კაცი შემოფრინდა და ფეხზე დადგა თუ არა, ყველაზე ახლოს მდგარ მცველს ესროლა.

— ვინ ხართ? — დაიყვირა ვიღაცის დაზაფრულმა ხმამ.

— რაგნარ დანეშოლდი.

ამ სახელს სამი ხმა გამოეპასუხა: შიშის გამომხატველი ხმამაღალი კვნესა, იატაკზე ოთხი იარაღის დაყრისა და გასროლის ხმა მეხუთე იარაღიდან, როდესაც ერთ-ერთმა მცველმა უფროსს შუბლში ესროლა.

როდესაც ოთხი გადარჩენილი მცველი გონს მოეგო, ისინი უკვე იატაკზე ეყარნენ გაკოჭილები და პირაკრულები; უფროსი ცოცხალი აღარ იყო.

— სად არის ტუსაღი? — ჰკითხა მას ფრანცისკომ.

— სარდაფში... მგონი.

— ვის აქვს გასაღები?

— დოქტორ ფერისს.

— სარდაფში ჩასასვლელი კიბე სად არის?

— კარს უკან, დოქტორ ფერისის კაბინეტში.

— გზა გვიჩვენე.

როდესაც იქითკენ გაემართნენ, ფრანცისკო რიერდენს მიუბრუნდა:

— კარგად ხარ, ჰენკ?

— რა თქმა უნდა.

— დასვენება ხომ არ გჭირდება?

— ჯანდაბა, არა!

ფერისის კაბინეტში კარის ზღურბლთან ქვის შვეული კიბე დახვდათ, კიბის ბაქანზე კი კიდევ ერთი მცველი იდგა.

— ხელები ასწიე და ამოდი! — უბრძანა მას ფრანცისკომ.

მცველისთვის უცნობის სილუეტისა და იარაღის ბრჭყვიალის დანახვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მყისვე დამორჩილებოდა ბრძანებას — ეტყობოდა, შვებაც კი მოჰგვარა ქვის ნესტიანი აკლდამიდან თავის დაღწევამ. გაკოჭილი დააგდეს იატაკზე მეგზურ მცველთან ერთად. შემდეგ ოთხი მხსნელი შეუფერხებლად ჩავიდა ფოლადის ჩაკეტილ კართან. ამ წუთამდე მკაფიოდ და თავშეკავებულად მოქმედებდნენ, ახლა კი თითქოს წონასწორობა დაკარგეს.

დანეშოლდს კარის საკეტის გასაღები ხელსაწყოები თან ჰქონდა. ფრანცისკო პირველი შევიდა სარდაფში და ნახევარი წამით გზა ხელით გადაუღობა დაგნის — ეს საკმარისი იყო, რათა ერთი შეხედვით გადაემოწმებინა, ასატანი აღმოჩნდებოდა თუ არა სანახაობა, — და მხოლოდ ამის მერეღა შეუშვა შიგნით დაგნი: ერთმანეთში გადახლართული ელექტროსადენების მიღმა დ'ანკონიამ დაინახა გოლტი, რომელსაც თავი წამოეწია და იმედით შეჰყურებდა მას.

დაგნი მუხლებზე დაემხო. გოლტმა უდრტვინველი ღიმილით შეხედა მას და ნაზი, წყნარი ხმით უთხრა:

— დიდიც არაფერი მომხდარა, ხომ ასეა?

დაგნის ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები სახეზე, მაგრამ ცდილობდა, თავი შეეკავებინა.

— არა, არაფერი, — უპასუხა მან გოლტს.

რიერდენი და დანეშოლდი გოლტს ხუნდებს ხსნიდნენ. ფრანცისკომ ჯონს ბრენდით სავსე მათარა მიუტანა ტუჩებთან. გოლტმა მოსვა და, როდესაც ხელები გაუთავისუფლეს, იდაყვზე დაყრდნობილი წამოიწია.

— სიგარეტი მომეცით, — თქვა მან.

ფრანცისკომ სიგარეტის კოლოფი გაუწოდა, რომელზეც დოლარის ნიშანი იყო გამოსახული. ორივეს ხელი უცახცახებდათ, თუმცა ფრანცისკოს უფრო მეტად.

გოლტმა ალს ზემოდან შეხედა დ'ანკონიას, გაუღიმა და უსიტყვო კითხვის პასუხად მიუგო:

— კი, საკმაოდ მძიმე იყო, მაგრამ ასატანი.

— ერთ დღესაც ვიპოვი, ვინც არ უნდა იყვნენ და... — თქვა ფრანცისკომ, მეტი არაფრის თქმა აღარ იყო საჭირო.

— ხელის გასვრად არ ღირს.

გოლტი სახეში შეჰყურებდა გარს შემოხვეულ ადამიანებს და მათ მზერაში თანაგრძნობასა და რისხვას ხედავდა. მიხვდა, რის ფასად უმსუბუქებდნენ ახლა ისინი მას ტანჯვას.

— ყველაფერი დამთავრდა, — მიმართა ჯონმა მათ, — საკმარისია, რაც გადავიტანე.

ფრანცისკომ თავი მიაბრუნა.

— შენ რომ არა... — დაიჩურჩულა ფრანცისკომ, — შენ... შენ მაგივრად სხვა რომ ყოფილიყო...

— მაგრამ მათ მე ჩავუვარდი ხელში, ეს მათი უკანასკნელი და წარუმატებელი მცდელობა იყო... — გოლტმა ხელი ისე მოავლო გარშემო, თითქოს შენობის გაქრობა უნდოდა, — ამას დრო მიხედავს. ყველაფერი წარსულში დარჩა.

ფრანცისკო არ შემობრუნებულა, თავი დაუქნია და პასუხად გოლტს წამით მაგრად მოუჭირა ხელი მაჯაზე.

გოლტი წამოჯდა, კუნთები ნელა აამოძრავა. სახეში შეხედა დაგნის, რომელიც ძლივს ახერხებდა თავის შეკავებას, რადგან ხვდებოდა, რისი გადატანა მოუხდა მას, და რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, გოლტის სხეული რომ ფეთქავდა, ცოცხალი რომ იყო. გოლტი მას კვლავ თვალებში უყურებდა და ისე შეეხო თითებით ქალის თეთრი სვიტერის საყელოს, თითქოს ბედნიერ მომავალს ჰპირდებოდა. დაგნის ტუჩები ოდნავ შეუთრთოლდა — ყველაფერს მიუხვდა.

დანეშოლდმა უკვე მოძებნა გოლტის პერანგი და შარვალი.

— როგორ ფიქრობ, სიარულს შეძლებ, ჯონ? — ჰკითხა მან გოლტს.

— რა თქმა უნდა.

სანამ ფრანცისკო და რიერდენი გოლტს ჩაცმაში ეხმარებოდნენ, დანეშოლდი მშვიდად და თანმიმდევრულად შლიდა ნაწილებად საწამებელ მექანიზმს.

გოლტი ძლივს იდგა ფეხზე, ფრანცისკოს მხარს ეყრდნობოდა. პირველი რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა, მაგრამ როდესაც კარს მიუახლოვდნენ, სიარული უკვე შეეძლო. დაგნი და ფრანცისკო უხმოდ შეუდგნენ მხარში.

გორაკი ისე ჩაიარეს, სიტყვა არ უთქვამთ. ხეების ტევრი მთვარის უსიცოცხლო ნათებასა და მეცნიერებათა სახელმწიფო ინსტიტუტის ფანჯრებიდან გამომავალ კიდევ უფრო ავის მომასწავებელ შუქს ეღობებოდა.

ფრანცისკოს თვითმფრინავი მომდევნო გორაკის გადაღმა, მდელოს განაპირას, ბუჩქნარში მიემალათ. ირგვლივ რამდენიმე მილის მანძილზე არავინ სახლობდა. ვერავინ შენიშნავდა, როგორ გაიელვა უეცრად თვითმფრინავის ფარებმა ან როგორ ააგუგუნა მისი ძრავა საჭესთან მჯდომმა დანეშოლდმა.

კარი რომ მიიჯახუნა, ფრანცისკომ შვებით გაიღიმა.

— ისე, იცოდე, განკარგულებებს ახლა მე ვიძლევი, — მიმართა მან გოლტს, თან ეხმარებოდა, რომ მოდუნებულიყო და დამშვიდებულიყო, — შენც დამშვიდდი, — დაამატა მერე, როდესაც დაგნისკენ შებრუნდა, რომელიც გოლტს გვერდით ეჯდა.

თვითმფრინავმა სისწრაფე აკრიფა, მსუბუქად ირყეოდა მიწიდან ამოჩრილი ფესვების გამო. და როდესაც უკვე დაუბრკოლებლად აიჭრა ზევით, ყველანი თვალებით ეთხოვებოდნენ დაბლა დარჩენილი ხეების მუქ სილუეტებს, გოლტი მდუმარედ დაიხარა და ტუჩებით დაგნის ხელს შეეხო — გარე სამყაროს იმ ერთადერთ ღირებულებასთან ერთად ტოვებდა, რისი მოპოვებაც მისგან ეწადა.

ფრანცისკომ პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი ამოიღო და რიერდენს პერანგის გახდა დაუწყო, ჭრილობა რომ შეეხვია. გოლტმა დაინახა როგორ ჩამოედინებოდა წვრილი, წითელი ნაკადი რიერდენის მხრიდან.

— მადლობა, ჰენკ, — თქვა მან.

რიერდენმა გაიღიმა:

— მე იმას გეტყვი, რაც შენ მითხარი, როდესაც ჩვენი პირველი შეხვედრისას მადლობა გადაგიხადე: „მე ჩემი საკუთარი თავისთვის მოვიქეცი ასე და არავითარი მადლიერება არ მჭირდება“.

— მე კი იმას გავიმეორებ, — უთხრა გოლტმა, — რაც შენ მიპასუხე მაშინ: „სწორედ ამიტომაც გიხდი მადლობას“.

დაგნიმ შეამჩნია, რომ გოლტი და რიერდენი ისე შეჰყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს მათი მზერა ახლობელი ადამიანების მტკიცე კავშირის გამომხატველი ხელის ჩამორთმევა იყო, რომელიც სიტყვებს აღარ საჭიროებდა. რიერდენმა შენიშნა, რომ დაგნი მათ უყურებდათ და თვალები ოდნავ დახარა, თითქოს იმ შეტყობინებას უდასტურებდა, ხეობიდან რომ გამოუგზავნა ქალს.

მერე დანეშოლდის მხნე, ომახიანი ხმა შემოესმათ, ჯერ მოეჩვენათ, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ — თვითმფრინავის რადიომიმღებით შეტყობინებას გადასცემდა:

— დიახ, ყველანი ცოცხლები ვართ... დიახ, ის საღ-სალამათია, უბრალოდ, ცოტათი გადაიქანცა და ახლა ისვენებს... არა, არავითარი დაზიანება... დიახ, ჩვენ ყველანი აქ ვართ. ჰენკ რიერდენი მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ... — რაგნარმა უკან მოიხედა, — მაგრამ ახლა მიღიმის... დანაკარგები? მგონი, რამდენიმე წუთით, მოთმინება კი დავკარგეთ, მაგრამ თანდათან გონს მოვდივართ.... არც კი შეეცადოთ, რომ გოლტის ხეობაში მისვლა დამასწროთ, მე პირველი დავეშვები და კეის მივეხმარები რესტორანში თქვენთვის საუზმის მომზადებაში.

— შესაძლებელია, მისი შეტყობინებები ვინმემ მოისმინოს? — იკითხა დაგნიმ.

— არა, — უპასუხა ფრანცისკომ, — ამ სიხშირის შესატყვისი აპარატურა არ გააჩნიათ. — ვის ელაპარაკება? — იკითხა გოლტმა.

— ხეობის მამრობითი სქესის მოსახლეობის ლამის ნახევარს, — თქვა ფრანცისკომ, — ყველას, ვინც კი ჩვენს თვითმფრინავებზე დავატიეთ. ახლა ისინი უკან მოგვყვებიან. გეგონა, რომელიმე მათგანი შინ დარჩებოდა და მძარცველების ხელში დაგტოვებდა? უკვე მზად ვიყავით, შტურმით აგვეღო ეგ ინსტიტუტი ან, თუ საჭირო გახდებოდა, „უეინ-ფოლკლენდი“. მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ საშიში იყო — შეიძლებოდა, მოეკალით, როდესაც მიხვდებოდნენ, რომ მაგათი საქმე წასულია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ჯერ თავიდან ჩვენ ოთხს გვეცადა. თუ დავმარცხდებოდით, მაშინ დანარჩენები ჩაერთვებოდნენ. აქვე, შორიახლოს იცდიდნენ, გორაკზე ყველგან ჩვენები იყვნენ, დაინახეს, როგორ გამოვედით შენობიდან და დანარჩენებს შეატყობინეს. სხვათა შორის, მათ ელის უაიატი მეთაურობდათ. ის შენი თვითმფრინავით მოფრინავს. დოქტორ ფერისს ვერ ჩამოვასწარით ნიუ-ჰემპშირში, რადგან თვითმფრინავები საიდუმლო ასაფრენი

მოედნებიდან უნდა გამოგვეყვანა, მას კი უპირატესობა ჰქონდა — შეეძლო, სახელმწიფო აეროპორტები გამოეყენებინა. სხვათა შორის, მალე ვეღარ გამოიყენებს.

— მართალია, — თქვა გოლტმა, — მალე აღარ შეეძლება.

— სულ ეს იყო. დანარჩენი ადვილი აღმოჩნდა. მერე მოგიყვები ყველაფერს. ერთი სიტყვით, ჩვენ ოთხმაც შევძელით მათი ბასტიონის აღება.

— სულ მალე, — თქვა დანეშოლდმა და წუთით მათკენ შემობრუნდა, — ეს უგუნური ცხოველები, რომლებიც მალულად თუ დაუფარავად ცდილობენ მათზე უკეთესების მართვას, გაიგებენ, რომ უხეში ძალა გონებას ვერ დაამარცხებს.

— უკვე გაიგეს, — თქვა გოლტმა, — ამას არ ასწავლიდი ეს თორმეტი წელი?

— მე? ჰო, ასეა. მაგრამ სასწავლო კურსი დამთავრდა. ძალმომრეობა ჩემი საქმე არ არის. ჯილდო ამ თორმეტი წლისთვის უკვე მიღებული მაქვს. ჩემმა ხალხმა ახლა ხეობაში საკუთარი სახლების აშენება დაიწყო. გემი ისეთ ადგილზეა გადამალული, სადაც მას ვერავინ მიაგნებს, ვიდრე გაცილებით უფრო ღირსეული დანიშნულებისთვის მოვახერხებდე გაყიდვას. ის ტრანსატლანტიკურ სამგზავრო ლაინერად გადაკეთდება — მიუხედავად იმისა, რომ ზომით მოკრძალებულია, მაინც ჩინებული იქნება. რაც შემეხება მე, სხვაგვარი გაკვეთილებისთვის მოვემზადები. მგონი, მომიწევს ჩვენი პირველი მასწავლებლის ნაშრომების გახსენება.

რიერდენმა ჩაიცინა:

— ურიგო არ იქნებოდა, შენს ლექციებს დავსწრებოდი და ერთი-ორი უხერხული შეკითხვა დამესვა, — უთხრა მან დანეშოლდს.

— მე კიდევ ვიტყვი, რომ პასუხებს თვითონაც იპოვიან.

დაბლა, მიწაზე, თითქმის ბნელოდა. მხოლოდ აქა-იქ კრთოდა შუქი რომელიღაც ნაგებობების ფანჯრებში და ზოგიერთ მდიდრულ სახლში კიაფობდა სანთლები.

სოფლის მცხოვრებლების უმეტესობა უკვე დიდი ხანი იყო, დაჰბრუნებოდა იმ ძველ დროს, როდესაც ხელოვნური განათება წარმოუდგენელ ფუფუნებად ითვლებოდა და ადამიანები საქმიანობას მზის ჩასვლისთანავე წყვეტდნენ. ქალაქები უკუქცეული დინების მიერ დარჩენილ, აქა-იქ გაბნეულ გუბურებს ჰგავდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ელექტროენერგიის უკანასკნელ ნამცეცებს, მაგრამ სულ მალე დაიშრიტებოდნენ ულუფების, კვოტების, შეზღუდვებისა და ენერგიის კონსერვაციის წესების ამ უდაბნოში.

მათ წინ, წყვდიადში, წამოიმართა ქალაქი, ოდესღაც სინათლის ოკეანე — ქალაქი ნიუ-იორკი, რომელიც ჯერ კიდევ უწვდენდა შუქებს ზეცას და ჯერაც უპირისპირდებოდა პირველყოფილ წყვდიადს, ვედრებით ხელაპყრობილი, ის თითქოსდა უკანასკნელად ეხვეწებოდა შველას თვითმფრინავს ცაში. ყველანი უნებურად წამოიმართნენ, როგორც სულთმებრძოლი იმპერატორის სასიკვდილო სასთუმალთან.

დაბლა რომ იხედებოდნენ, უკანასკნელ კონვულსიებს ხედავდნენ: მანქანები ლაბირინთში მომწყვდეული ცხოველებივით დაქროდნენ ქუჩებში ანთებული ფარებით, გააფთრებით ეძებდნენ გასასვლელს. ხიდები გადაჭედილი იყო. მათ მისადგომებთან ანთებული ფარების მოციმციმე რიგები გამწკრივებულიყო. მოძრაობა გაჩერდა, საყვირების განწირული კივილი თვითმფრინავამდე ყრუდ აღწევდა. მთელ ქალაქს მოსდებოდა ამბავი, რომ კონტინენტის მთავარი არტერია გადაჭრილი იყო.

ადამიანები პანიკამ შეიპყრო და ცდილობდნენ, ნიუ-იორკიდან გაქცეულიყვნენ, თუმცა გასაქცევი აღარსად იყო.

თვითმფრინავი ცათამბჯენების თავზე მიფრინავდა, როდესაც მოულოდნელად მიწა თითქოს ორად გაიპო და ქალაქი ნიუ-იორკი შთანთქა. უცებ ვერც კი გააცნობიერეს, რომ უბედურებამ ელექტროსადგურებამდეც მიაღწია — და ნიუ-იორკში სინათლე ჩაქრა.

დაგნის სუნთქვა შეეკრა.

— დაბლა არ ჩაიხედო! — უბრძანა მას გოლტმა.

დაგნიმ გოლტს სახეში შეხედა. ჯონს სწორედ ის მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც ყოველთვის ხედავდა ხოლმე მის სახეზე, როცა კი საქმე ფაქტს ეხებოდა.

ფრანცისკოს მოყოლილი ამბავი გაახსენდა: გოლტი „თუენთის სენჩერიდან“ წამოვიდა და გარეუბანში, ჯურღმულების რაიონში, სხვენში დასახლდა. ის ფანჯარასთან მივიდა, ხელი ქალაქის ცათამბჯენებისკენ გაიშვირა და თქვა, რომ ჩვენ უნდა ჩაგვექრო შუქები მთელ ნიუ-იორკში, და როდესაც დავინახავდით, რომ ეს უკვე მოხდა, გვეცოდინებოდა, რომ ჩვენი საქმე გაკეთებული იყო“.

დაგნი ამ ამბავზე ფიქრობდა, როდესაც დაინახა, როგორ გადახედა სამივემ — ჯონ გოლტმა, ფრანცისკო დ'ანკონიამ და რაგნარ დანეშოლდმა, — უხმოდ ერთმანეთს.

მერე რიერდენს შეხედა; ის დაბლა კი არა, წინ იყურებოდა. ეს მზერა მას ნანახი ჰქონდა, როდესაც რიერდენი ყამირ მიწას გასცქეროდა და შესაძლო მოქმედებებს აფასებდა.

როდესაც დაგნიმ წყვდიადს გახედა, კიდევ ერთი მოგონება ამოუტივტივდა გონებაში — წუთი, როდესაც აფტონის აეროპორტის თავზე ფრენისას დაინახა, როგორ ამოიმართა თვითმფრინავის ვერცხლისფერი სხეული უკუნეთიდან ფენიქსის მსგავსად. დაგნი ხვდებოდა, რომ ახლა მათ ყველაფერი ის უნდა ეხსნათ, რაც კი ქალაქ ნიუ-იორკისგან დარჩენილიყო. დედამიწა ისეთივე ცარიელი იქნებოდა, როგორც სივრცე, რომელსაც მათი პროპელერი მიაპობდა — ისეთივე ცარიელი და უსიცოცხლო.

დაგნიმ თითქოსდა წაიკითხა ნათ ტაგარტის ფიქრები, როდესაც ის თავის საქმიანობას იწყებდა და უმისამართოდ გაჰყურებდა სიცარიელეს, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ აუცილებლად უნდა გაეჭრა გზა მთელ კონტინენტზე.

კაშკაშა ფრაგმენტებად წარმოუდგა თვალწინ საკუთარი ბრძოლა, რომელიც წარსულში დარჩა. გაეღიმა, როდესაც გაიხსენა სიმამაცის, სიამაყის, თავგანწირვის სიტყვები, ბევრისთვის გაუგებარ ბიზნესმენის ენაზე: „ფასს მნიშვნელობა არა აქვს“. არაფერი უგრძნია, როდესაც დაბლა, წყვდიადში, მოციმციმე წერტილებისგან შემდგარი ჯაჭვი დაინახა, ნელა რომ მიცოცავდა დასავლეთით და სინათლის გრძელ, კაშკაშა ზოლს ტოვებდა, თითქოსდა გზის უსაფრთხოებისთვის; თუმცა იცოდა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მატარებელი იყო, და ისიც იცოდა, მისი დანიშნულების ადგილი მხოლოდ სიცარიელე რომ იქნებოდა.

დაგნი გოლტისკენ მიბრუნდა. ჯონი ისე უყურებდა ქალს, თითქოს მის აზრებს კითხულობდა და გაუღიმა საპასუხოდ.

— ეს დასასრულია, — თქვა დაგნიმ.

— ეს დასაწყისია, — უპასუხა გოლტმა.

ისინი გაუნძრევლად ისხდნენ თავიანთ სავარძლებში და უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ადრე ასეთი სიმძაფრით არასოდეს უგრძნიათ, როგორი ახლობლები იყვნენ, როგორი განუყოფელი იყო მათი მიზანი და როგორ იყვნენ ერთმანეთს მიჯაჭვული.

ნიუ-იორკი უკვე საკმაოდ შორს იყო დარჩენილი, როდესაც გაიგონეს, როგორ უპასუხა დანეშოლდმა შეკითხვას რადიომიმღებში:

— დიახ, ღვიძავს. ალბათ, ღამე ვეღარ დაიძინებს.... დიახ, მგონი, შეძლებს. — და შემობრუნდა, — ჯონ, დოქტორ ექსტონს სურს შენთან საუბარი.

— რა? ის ერთ-ერთი თვითმფრინავით მოგვყვება?

— რასაკვირველია.

გოლტი წამოხტა და მიკროფონი აიტაცა.

— გამარჯობა, დოქტორო ექსტონ, — თქვა მან;

მის მშვიდ ხმაში თბილი ღიმილი კრთოდა.

— გამარჯობა, ჯონ. — ჰიუ ექსტონის ხმის სიმტკიცე ამხელდა, რად დაუჯდა ამ ორი მოკლე სიტყვის მტანჯველი მოლოდინი, — შენი ხმის გაგონება მინდოდა... უბრალოდ, მინდოდა, გამეგო, რომ კარგად ხარ.

გოლტმა ჩაიცინა და ექსტონს იმ სტუდენტის ტონით უპასუხა, რომელიც ამაყად ჰყვება კარგად დასწავლილ გაკვეთილს:

— რა თქმა უნდა, კარგად ვარ, პროფესორო. ასეც უნდა ყოფილიყო. A არის A.

* * *

აღმოსავლეთისკენ მიმავალი ჩქაროსნული მატარებლის, „კომეტას“ ლოკომოტივი შუაგულ არიზონას უდაბნოში გამოვიდა მწყობრიდან. შემადგენლობა მოულოდნელად გაჩერდა, რაიმე ხილული მიზეზის გარეშე — იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც საკუთარ თავსაც კი არ უტყდება, მეტისმეტად ბევრი რამის გადატანა რომ მოუწია, და უცებ მასში რაღაც საბოლოოდ ჩაწყდა.

ედი უილერსმა კონდუქტორი იხმო, დიდხანს მოუწია ლოდინი და როცა ბოლოს და ბოლოს, მოვიდა, მისი გამომეტყველების მეშვეობით თავის კითხვაზე პასუხს წინდაწინვე მიხვდა.

— მემანქანე ცდილობს, გაარკვიოს, რა მოხდა, მისტერ უილერს, — ხმადაბლა და უიმედოდ თქვა კონდუქტორმა.

— და მან ეს არ იცის?

— გაარკვევს. — კონდუქტორმა ნახევარი წუთი შეიცადა და წასასვლელად გატრიალდა, თუმცა მერე გაჩერდა და ახსნას შეეცადა, თითქოს შიშისგან თავის დაღწევას ლამობდა, — ჩვენი ორთქლმავლები უკვე გამოუსადეგარია, მისტერ უილერს.

დიდი ხანია, მათი შეკეთებაც აღარ ღირს.

— ვიცი, — თქვა ედი უილერსმა წყნარი ხმით.

კონდუქტორი მიხვდა, რომ აჯობებდა, აღარაფერი ეთქვა: ახსნა-განმარტებები კიდევ უფრო ამძაფრებდა შიშს. თავი გააქნია და გავიდა.

ედი უილერსი იჯდა და ფანჯრის მიღმა ცარიელ წყვდიადს გასცქეროდა.

ამ ბოლო ხანებში ეს სან-ფრანცისკოდან აღმოსავლეთისკენ მიმავალი პირველი „კომეტა“ იყო — უილერსის მიერ ტრანსკონტინენტური მოძრაობის აღსადგენად გაწეული წარმოუდგენელი შრომის პირმშო. უილერსი ვერც კი იტყოდა, რა გადაიტანა უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე ან რა გააკეთა, სან-ფრანცისკოს ტერმინალი რომ გადაერჩინა იმ სამოქალაქო ომის უაზრო ქაოსისგან, რომელიც

კაცმა არ იცის, რისთვის მძვინვარებდა; ყველა აქამდელი შეთანხმება დავიწყებული აღმოჩნდა.

უილერსმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ტერმინალი ხელშეუხებელი გამოდგა ერთმანეთთან მეომარი სამი მხარისთვის; რომ მონახა და მმართველად დანიშნა შესაფერისი ადამიანი, რომელიც ბოლომდე ფარხმალდაყრილი არ ჩანდა; და რომ მან ტაგარტის კიდევ ერთი ჩქაროსნული მატარებელი „კომეტა“ გაუშვა აღმოსავლეთით, საუკეთესო ორთქლმავლითა და საუკეთესო პერსონალით, უკან, ნიუ-იორკში რომ დაბრუნებულიყო.

უილერსს ასე გულმოდგინედ არასდროს უშრომია; მან თავისი საქმე ისევე კეთილსინდისიერად შეასრულა, როგორც ყოველთვის ასრულებდა ხოლმე ნებისმიერ დავალებას; მაგრამ ახლა თითქოს ვაკუუმში მუშაობდა, თითქოს მთელი მისი ენერგია რომელიღაც... რომელიღაც უდაბნოს ქვიშაში იკარგებოდა, აი, ისეთის, ახლა რომ მოჩანდა „კომეტის“ ფანჯრიდან. უილერსს გააჟრჟოლა: წამით მატარებლის გაჩერებულ ძრავასთან იგრძნო მსგავსება.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთხელ უხმო კონდუქტორს და ჰკითხა:

— როგორ მიდის საქმე?

მან მხრები აიჩეჩა და თავი გადააქნია.

— გაგზავნეთ ცეცხლფარეში, რკინიგზის ტელეფონით დარეკოს და სარკინიგზო განშტოების შტაბს აცნობოს, საუკეთესო მექანიკოსი გამოგვიგზავნონ.

— დიახ, სერ.

ფანჯრებიდან აღარაფერი ჩანდა; ედი უილერსმა შუქი ჩააქრო და კაქტუსების შავი ლაქებით დაწინწკლული უსასრულო ნაცრისფერი ველი გაარჩია. განცვიფრებით გაიფიქრა, როგორ ბედავდნენ ადამიანები, ეს უკაცრიელი ადგილი გადაესერათ, ანდა რის ფასად, იმ დროში, როდესაც მატარებლები არ არსებობდა. თავი მკვეთრი მოძრაობით გააქნია და შუქი აანთო.

თვითონ ის ამბავი, რომ „კომეტა“ უცხო ლიანდაგზე იყო გაჩერებული, უკვე საკმარისია სიმშვიდის დასაკარგავად, ფიქრობდა ედი. „ატლანტიკ საუთერნისგან“ ნასესხებ სარკინიგზო ხაზს „ტაგარტ ტრანსკონტინენტალი“ უფასოდ იყენებდა. როგორმე აქედან უნდა გაეღწიათ, დაუსრულებლად უმეორებდა საკუთარ თავს, როდესაც საკუთარ ხაზს დაუბრუნდებოდნენ, უფრო მშვიდად იქნებოდა. უცებ მოეჩვენა, რომ სარკინიგზო ხაზები სადღაც მისისიპის ნაპირთან, ტაგარტის ხიდთან წყდებოდა.

„არა“, — გაიფიქრა უილერსმა, — „აქ რაღაც ისე არ არის. ამ აკვიატებულ ხილვებს, რომლებიც მოსვენებას არ მაძლევენ, ვერც გაიაზრებ და ვერც თავიდან მოიცილებ“. ერთ-ერთს, გზად შემხვედრ სადგურს, უკვე ორ საათზე მეტი ხნის წინ ჩაუქროლეს: უილერსმა იქ ცარიელი ბაქანი და სადგურის პატარა ნაგებობის გაჩახჩახებული ფანჯრები შეამჩნია; შუქი ცარიელი ოთახებიდან გამოდიოდა; ადამიანის ჭაჭანება არ იყო არც შენობაში და არც რკინიგზაზე; გზად შემხვედრი მეორე სარკინიგზო სადგურიც აეკვიატა. აქ ბაქანი აღელვებული ადამიანებით იყო გადაჭედილი, მაგრამ ყველაფერი წყვდიადში ჩაძირულიყო.

„კომეტა“ აქედან უნდა გავიყვანო“, — ფიქრობდა უილერსი. უკვირდა, ასე რატომ ჩქარობდა, რატომ ეჩვენებოდა ასეთი მნიშვნელოვანი „კომეტის“ ადგილიდან დაძვრა. დაცარიელებულ ვაგონებში კანტიკუნტად შემორჩენილი მგზავრების ხმები ისმოდა; ეს ადამიანები ალალბედზე გასდგომოდნენ გზას, ალალბედზე და უმიზნოდ. ალბათ უილერსი მათ გამო არ იბრძოდა, თუმცა ვის გამო და ვისთვის — ვერც ამას

იტყოდა. თავში ორი ფრაზა უტრიალებდა, რომლებიც ლოცვის ბუნდოვანებითა და აბსოლუტის მწველი ძალით უბიძგებდნენ მოქმედებისკენ. ერთი ასე ჟღერდა:

„ოკეანიდან ოკეანემდე სამუდამოდ!“ მეორე კი: „არ დაუშვა მისი განადგურება!..“

კონდუქტორი უილერსთან ერთი საათის შემდეგ მივიდა ცეცხლფარეშთან ერთად, რომელსაც უცნაურად დაღვრემილი გამომეტყველება ჰქონდა.

— მისტერ უილერს, — თქვა ცეცხლფარეშმა ნელა, — განშტოების შტაბი არ პასუხობს.

ედი უილერსი წამოიწია. მართალია, მისი გონება უარს აცხადებდა ამის დაჯერებაზე, მაგრამ მოულოდნელად ისიც გააცნობიერა, რომ რაღაც აუხსნელი მიზეზით, სხვას არც არაფერს მოელოდა.

— ეს შეუძლებელია! — წარმოთქვა მან ხმადაბლა; ცეცხლფარეში კი შეჰყურებდა და ადგილიდან არ იძვროდა, — ალბათ სატელეფონო ხაზი დაზიანდა.

— არა, მისტერ უილერს. დაზიანებული არ არის. ხაზი მუშაობს, განშტოების შტაბი კი არა. იქ არავინ არ არის, ან არავის არ მოუნდა, ეპასუხა.

— კი მაგრამ, თქვენც ხომ იცით, რომ ეს შეუძლებელია!

ცეცხლფარეშმა მხრები აიჩეჩა; ახლა ადამიანებს შეუძლებელი უკვე აღარანაირი კატასტროფა აღარ ეგონათ.

ედი უილერსი ფეხზე წამოვარდა.

— დაიარეთ მთელი მატარებელი, — უბრძანა მან კონდუქტორს, — ყველა კუპეს კარზე დააკაკუნეთ, სადაც კი ვინმეა, და გაარკვიეთ, მგზავრებს შორის ელექტროინჟინერი ხომ არ არის რომელიმე.

— დიახ, სერ.

ედიმაც მშვენივრად იცოდა და დანარჩენებმაც — ამ ლეთარგიულ, უილაჯო მგზავრებს შორის ასეთ ადამიანს ვერ იპოვიდნენ.

— იჩქარეთ, — უბრძანა უილერსმა ცეცხლფარეშს.

ისინი ერთად ავიდნენ ლოკომოტივში. ჭაღარათმიანი მემანქანე თავის ადგილას იჯდა და კაქტუსებს გაჰყურებდა. ორთქლმავლის წინა ფარები ისევ ენთო, სინათლის ზოლი წყდიადს კვეთდა და ღამის სიბნელეს მხოლოდ სადღაც შორეთში გამთლიანებულ შპალებს სტაცებდა.

— მოდი, იქნებ გავარკვიოთ, რა მოხდა, — თქვა ედიმ თან ბრძანებისა და თანაც მუდარის ტონით და პიჯაკი გაიძრო, — ერთხელაც შევეცადოთ.

— კარგი, სერ, — უპასუხა მემანქანემ უიმედო ხმით.

მან ბოლომდე ამოწურა თავისი მწირი ცოდნა; ყველა კვანძი შეამოწმა, ყველა სადენი. მთელ ორთქლმავალში იძრომიალა, მის ქვეშაც შეძვრა, ჯერ დახსნა დეტალები, შემდეგ ისევ მიამაგრა, ალალბედზე შლიდა ძრავებს, როგორც ბავშვი შლის ხოლმე საათს, მაგრამ ბავშვისგან განსხვავებით, მას არ სჯეროდა, რომ ცოდნა შესაძლებელია.

ცეცხლფარეში კაბინის ფანჯარაში გადაეყუდა, უკუნ სიცარიელეს გახედა და გააჟრჟოლა, თითქოს ღამეული სუსხის გამო.

— ნუ წუხხართ, — სიმტკიცე დაიბრუნა ედი უილერსმა, — ყველაფერი უნდა ვცადოთ, რაც კი შეგვიძლია, მაგრამ თუ არაფერი არ გამოგვივა, ადრე თუ გვიან, დახმარებას მოგვაშველებენ. არავინ არ მიაგდებს მატარებელს ამ უკაცრიელ ადგილას.

— ადრე არ მიაგდებდნენ, — დააზუსტა ცეცხლფარეშმა.

დროდადრო მემანქანე თავის გამურულ სახეს წამოსწევდა ხოლმე, ედი უილერსის ასევე მურიანი სახისა და პერანგისთვის რომ შეეხედა.

— აზრი არა აქვს, ხომ, მისტერ უილერს? — კითხულობდა ის.

— მის დაღუპვას ვერ დავუშვებთ! — პასუხობდა ედი მგზნებარედ და ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ რასაც ის გულისხმობდა, „კომეტაზე“ მეტი იყო... რკინიგზაზე მეტიც კი.

ხელებდასისხლიანებული და ოფლში გაწურული ედი უილერსი კაბინასა და ძრავის ბლოკებს შორის აწყდებოდა და ცდილობდა, გაეხსენებინა, თუკი ოდესმე რაიმე გაეგო ძრავებზე ან რაც კი კოლეჯში თუ უფრო ადრე ესწავლა მათ შესახებ, ანდა იმ პერიოდში შეეტყო, როკდეილის დისპეტჩერები ზოზინა საბუქსირო ორთქლმავლების კიბის საფეხურებიდან რომ ერეკებოდნენ ხოლმე.

ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაწილები ვერაფრით ვერ დაეკავშირებინა ერთმანეთთან; როგორც ჩანდა, მისმა ტვინმა მოქმედების უნარი დაკარგა; იცოდა, რომ ძრავები მისი პროფესია არ იყო, რომ მათი არაფერი გაეგებოდა და ახლა ამ ყველაფერში გარკვევა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ქცეულიყო. შეჰყურებდა ლილვებს, ლაპოტებს, სადენებს, ჯერაც მოციმციმე სამართავ პანელებს და ცდილობდა, უკუეგდო აზრი კი არა, ფრაზა, რომელიც სადღაც სიღრმიდან ამოტივტივდა და აეკვიატა:

რამდენად შესაძლებელი იყო და რა დრო დასჭირდებოდა, — ალბათობის მათემატიკური თეორიის მიხედვით, — რამდენიმე დილეტანტს, რომლებიც ბრმად, ალალბედზე მოქმედებდნენ, სწორი კომბინაციისთვის რომ მიეგნოთ და ამ ორთქლმავლის ძრავა ხელახლა აემუშავებინათ?

— რა აზრი აქვს, მისტერ უილერს? — ამოიგმინა ინჟინერმა.

— ვერ დავუშვებთ, რომ ის დაიღუპოს! — იყვირა ისევ უილერსმა.

ედიმ არ იცოდა, რამდენი საათი იყო გასული, როდესაც უცებ ცეცხლფარეშის ყვირილი გაიგონა:

— მისტერ უილერს! შეხედეთ!

ცეცხლფარეში ფანჯრიდან გადაკიდებულიყო და უკან, წყვდიადზე მიუთითებდა.

ედიმ გარეთ გაიხედა. შორს უცნაური სინათლე კრთოდა; იდუმალი შუქი თითქოს შეუმჩნევლად უახლოვდებოდა მათ.

ცოტა ხნის მერე მოეჩვენა, რომ რაღაც დიდ, შავ სილუეტებს ხედავდა, რომლებიც ნელა მოიწევდნენ წინ რელსების პარალელურად; სინათლის ლაქა მიწასთან ახლოს ტორტმანებდა; უილერსმა სმენა დაძაბა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა.

შემდეგ ყრუ, რიტმული დარტყმა შემოესმა, ცხენის ფლოქვების ხმას ჰგავდა.

უილერსის გვერდით მდგომი ორი კაცი სულ უფრო და უფრო გამძაფრებული შიშით აკვირდებოდა შავ სილუეტებს, თითქოს ღამეულ უდაბნოში რომელიღაც ზებუნებრივი მოჩვენებები უახლოვდებოდათ. წუთის შემდეგ მხიარულად გაეცინათ, რადგან მიხვდნენ, რაც იყო ეს სილუეტები. თუმცა ედის სახეზე ძრწოლა აღებეჭდა, თითქოს მის მიერ დანახული მოჩვენებები იმაზე უფრო საზარელი გამოდგა, ვიდრე წარმოიდგენდა — ეს ფურგონების ქარავანი იყო.

მოტორტმანე ფარანი ორთქლმავლის გასწვრივ გაქვავდა.

— მეგობარო, ხომ არ წაგიყვანოთ? — სიცილით დაიძახა კაცმა, რომელიც მეთაურს ჰგავდა, — გაიჭედეთ ხომ?

„კომეტის“ მგზავრები ფანჯრებიდან იყურებოდნენ; ზოგიერთები კიბეზე დაეშვნენ და ფურგონებისკენ გაემართნენ, საიდანაც ქალები იჭყიტებოდნენ. მათ

უკან ათასგვარი საოჯახო ნივთის ფუთები ახორხლილიყო; სადღაც, ქარავნის ბოლოში, ბავშვი ღნაოდა.

— თქვენ რა, შეიშალეთ? — იკითხა ედი უილერსმა.

— არა, სერიოზულად ვამბობ, მეგობარო. უამრავი ადგილი გვაქვს. წაგიყვანთ, — რა თქმა უნდა, უფასოდ არა, — თუ გინდათ, აქედან გააღწიოთ. — მეთაური აყლაყუდა, ნერვიული კაცი, უტიფარი ჟესტებითა და ხმით, თითქოს შოუზე ეპატიჟებოდა ყველას.

— ეს ტაგარტების „კომეტაა“, — ძლივს ამოთქვა ედი უილერსმა.

— „კომეტა“, აი, თურმე რა? ჩაძაღლებულ მუხლუხოს კი ჰგავს. რა მოხდა, ძმაო? ძალიანაც რომ მოინდომოთ, მაინც ვერ მიხვალთ იქ, სადაც აპირებთ.

— რას გულისხმობ?

— იქნებ, გგონია, რომ ნიუ-იორკში მიდიხარ?

— სწორედ ნიუ-იორკში მივდივართ.

— ესე იგი... ესე იგი, არაფერი არ გაგიგია?

— რა?

— ერთი მითხარი, თქვენს რომელიმე სადგურს ბოლოს როდის ელაპარაკე?

— რა ვიცი!.. რა უნდა გამეგო?

— რომ ტაგარტის ხიდი აღარ არსებობს. დაინგრა. ნაკუწებად იქცა. ბგერითი სხივები აფეთქდა თუ რაღაც ამის მსგავსი. ზუსტად არავინ იცის. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მისისიპის გადასაკვეთად ხიდი აღარ არსებობს. ნიუ-იორკში ვეღარავინ ვეღარ მოხვდება — ყოველ შემთხვევაში, თქვენნაირი და ჩემნაირი ვეღარავინ. ედი უილერსმა ვეღარ გააცნობიერა, რა მოხდა ამის შემდეგ; როდესაც გამოერკვა, მემანქანის სკამზე იჯდა, საზურგეს მიყრდნობილი, ძრავის აგრეგატის ღია კარს მიშტერებული; არ იცოდა, რამდენ ხანს იყო ასე, მაგრამ ბოლოს თავი მოაბრუნა და დაინახა, რომ კაბინაში მარტო იყო. მემანქანე და ცეცხლფარეში აღარსად ჩანდნენ, გარედან კი ერთმანეთში არეული ხმები შემოდიოდა — წივილი, ქვითინი, ხმამაღალი შეკითხვები და უტიფარი მეთაურის ხორხოცი.

ედი კაბინის ფანჯარასთან მივიდა. „კომეტას“ მგზავრები და პერსონალი ქარავნის წინამძღოლისა და მისი ჩამოძონძილი თანამგზავრების ირგვლივ შემოკრებილიყვნენ; წინამძღოლი ხელებს იქნევდა და ბრძანებებს გასცემდა. ზოგიერთი, რიგიანად ჩაცმული ქალბატონი „კომეტის“ მგზავრებიდან, რომელთა ქმრებსაც, ჩანდა, სხვებზე ადრე დაედოთ გარიგება, ფურგონებში ადიოდა — თან სლუკუნებდნენ და თავიანთ დახვეწილ საკვოიაჟებს ებღაუჭებოდნენ.

— მოდით, ხალხო, მოდით! — გაჰყვიროდა მეთაური ომახიანად, — ადგილს ყველასთვის გამოვნახავთ! ცოტათი სივიწროვე კი იქნება, მაგრამ ჯობს, წავიდეთ და კოიოტის ლუკმად არ ვიქცეთ! რკინის ცხენების ხანა წარსულს ჩაბარდა! უბრალო, ძველებური ცხენიღა შეგვრჩა! ნელია, მაგრამ სამაგიეროდ — საიმედო!

ედი უილერსი ორთქლმავლის კიბეს შუამდე ჩამოუყვა, ბრბო რომ დაენახა და ხმა მიეწვდინა. ცალ ხელს იქნევდა, მეორით კი კიბის საფეხურს ეჭიდებოდა.

— თქვენ არ წახვალთ, ხომ ასეა? — დაუყვირა მან მგზავრებს, — ხომ არ მიატოვებთ „კომეტას“?

მათ ოდნავ უკან დაიხიეს, თითქოს არც მისი დანახვა სურდათ და არც მისი სიტყვების გაგონება. არაფრის მოსმენა არ უნდოდათ, არ უნდოდათ, გადაწყვეტილება მიეღოთ. ედი ხედავდა მათ უტყვ, დაფეთებულ სახეებს.

— რა სჭირს ამ მექანიკოსს? — იკითხა მეთაურმა და უილერსზე მიუთითა.

— მისტერ უილერს, — მიმართა ედის კონდუქტორმა რბილად, — აზრი არ აქვს...

— არ მიატოვოთ „კომეტა“! — დაიყვირა ედი უილერსმა, — არ დაუშვათ, რომ განადგურდეს! ოჰ, ღმერთო, არ დაუშვათ, რომ დაიღუპოს!

— შეიშალე? — დაუყვირა მას მეთაურმა, — წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა ხდება რკინიგზის სადგურებში და რეგიონალურ განყოფილებებში! თავწაჭრილი ქათმებივით დაფართხუნებენ აქეთ-იქით! რაღაც არა მგონია, ხვალ დილისთვის მისისიპის ამ ნაპირზე მოქმედი რკინიგზა დარჩეს!

— აჯობებს, თქვენც ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ, მისტერ უილერს, — მიმართა ედის კონდუქტორმა.

— არა! — დაიყვირა უილერსმა და ისე ჩაებღაუჭა ლითონის საფეხურს, თითქოს სურდა, მას ხელით შეზრდოდა.

მეთაურმა მხრები აიჩეჩა:

— კარგი, შენი საქმისა შენ იცოდე!

— საით მიდიხართ? — იკითხა მემანქანემ ისე, რომ უილერსისთვის არც კი შეუხედავს.

— უბრალოდ მივდივართ, ძმაო! ადგილს ვეძებთ, სადაც გავჩერდებით... სადმე.

ჩვენ კალიფორნიიდან ვართ, იმპერიალ ველიდან. მთელი მოსავალი და საკვები, რაც კი სარდაფებში გვქონდა, „სახალხო პარტიის“ ბანდამ მიიტაცა. ამას მარაგის დაგროვებას ეძახიან. ამიტომაც ავდექით და წამოვედით. ღამით გვიწევდა მგზავრობა, ვაშინგტონის ბანდის გამო.... უბრალოდ, რომელიღაც მშვიდ ადგილს ვეძებთ, სადაც ცხოვრება შეიძლება... თუ გინდა, გამოგვყევი, მეგობარო, თუ არადა, ნებისმიერ ქალაქთან ახლოს დაგტოვებთ.

„წარმოუდგენელია“, — გულგრილად ფიქრობდა ედი, — „ამ ადამიანებმა საიდუმლო თავისუფალი დასახლება შექმნან ან მძარცველთა ბანდად გადაიქცნენ; ესენი ვერაფერს ვერ მიაღწევენ, ამ პროჟექტორის სხივივით გაიბნევიან ქვეყნის უდაბურ სივრცეებში“. ის კიბეზე იდგა და დაჟინებით შეჰყურებდა სხივს, ცდილობდა, არ დაენახა, როგორ ტოვებდნენ უკანასკნელი მგზავრები „კომეტას“ და ფურგონებში სხდებოდნენ.

ყველაზე ბოლოს ფურგონში კონდუქტორი ჩაჯდა.

— მისტერ უილერს! — დაიძახა მან სასოწარკვეთით, — წამოდით!

— არა, — მიუგო ედიმ.

მეთაურმა მას ხელი დაუქნია.

— იმედი მაქვს, იცი, რასაც აკეთებ! — დაიყვირა მან მუქარის თუ თხოვნის ტონით, — იქნებ, ვიღაცამ გამოიაროს და წაგიყვანოს, ერთ კვირაში ან ერთი თვის მერე! რა ვიცი! მაგრამ ამ დღეებში აქ ვინ უნდა გამოჩნდეს?

— აქედან დაიკარგეთ, — თქვა ედი უილერსმა.

ის კაბინაში დაბრუნდა, ფურგონები კი ჭრიალითა და ტორტმანით გაუდგნენ გზას ღამის წყვდიადში. ედი უძრავ ორთქლმავალში, მემანქანის ადგილას იჯდა და შუბლით უსარგებლო დროსელს მიჰყრდნობოდა. თითქოს განწირული საოკეანო ლაინერის კაპიტანი ყოფილიყო, რომელმაც ამჯობინა, თავის გემთან ერთად ჩაძირულიყო, ვიდრე თავი დაემცირებინა და კანოეთი მოსულ ველურებს გაჰყოლოდა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

შემდეგ მოულოდნელად თავგანწირული, სამართლიანი ბრაზის გახელებული მოზღვავება იგრძნო. ფეხზე წამოვარდა და დროსელს მივარდა. მას თავისი მატარებელი უნდა აემუშავებინა; რომელიღაც წარმოსახვითი გამარჯვების

სახელით, ორთქლმავლის ძრავა უნდა აემუშავებინა და გზა გაეგრძელებინა. აზროვნების, შეფასებისა და შიშის უნარდაკარგული უილერსი, რომელიღაც სამართლიანი გამოწვევის ბიძგით, ალალბედზე ექაჩებოდა ბერკეტებს, სასოწარკვეთილი ეჯაჯგურებოდა დროსელს, ფეხს აჭერდა საავარიო პედალს, რომელიც აღარ მუშაობდა, ცდილობდა, გაერჩია თან შორეული და თან ძალიან ახლო მიზანი, და მხოლოდ ერთადერთი რამ იცოდა დაზუსტებით — მის თავგანწირულ ბრძოლას მხოლოდ და მხოლოდ ეს მიზანი ასულდგმულებდა.

„არ დაუშვა მისი დაღუპვა!“ — გაჰყვიროდა უილერსის გონება და თვალწინ ნიუიორკის ქუჩები ედგა, — „არ დაუშვა მისი დაღუპვა!“ — ხედავდა რკინიგზის სასიგნალო შუქნიშნებს, — „არ დაუშვა მისი დაღუპვა!“ — თვალწინ ქარხნების საკვამურებიდან ამაყად ავარდნილი კვამლი ედგა და ცდილობდა, ამ კვამლს მიღმა დაენახა ის, რაც მისი ხილვის ყველა გაელვებას აკავშირებდა. ეჭიდებოდა სადენებს, ხან აერთებდა მათ ერთმანეთთან, ხან ისევ აცალკევებდა, მისი ცნობიერების კუნჭულებში კი თანდათან მზის შუქით გაჩახჩახებული ფიჭვნარი ტივტივდებოდა. „დაგნი!“ — გაიგონა ედიმ საკუთარი უხმო ყვირილი, — „დაგნი, ჩვენში საუკეთესოს სახელით!..“

და ისევ ეჯაჯგურებოდა უსარგებლო ბერკეტებსა და დროსელს... „დაგნი!“ — უყვიროდა ის თორმეტი წლის გოგონას მზით გაკაშკაშებულ მდელოზე ტყეში, — „ჩვენში საუკეთესოს სახელით, მე ახლა ეს მატარებელი უნდა დავძრა!.. დაგნი, აი, თურმე რა... და შენ ეს მაშინვე იცოდი, მე კი არა... შენ ეს იცოდი, როდესაც შეტრიალდი, ლიანდაგისთვის რომ შეგეხედა... მე ვთქვი: „არა ბიზნესი ან სარჩოს მოპოვება“... მაგრამ, დაგნი, დასაცავი ადამიანის არსებაში ზუსტად ბიზნესია და უნარი, სარჩო მოიპოვო — აი, ეს არის ჩვენში საუკეთესო, აი, რა უნდა დავიცვა... და სწორედ მის გადასარჩენად, დაგნი, მე ახლა მატარებელი უნდა დავძრა...“

როდესაც აღმოაჩინა, რომ კაბინის იატაკზე ჩაკეცილიყო და, ბოლოს და ბოლოს, გააცნობიერა, რომ ვეღარაფერს გააწყობდა, წამოდგა და კიბეს დაუყვა, თან ბუნდოვნად შფოთავდა ორთქლმავლის ბორბლებზე, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ინჟინერმა შეამოწმა ისინი. უკანასკნელი საფეხურიდან რომ ჩამოდგა ფეხი, ტერფებქვეშ უდაბნოს ქვიშის ხრაშუნი იგრძნო. ედი ადგილზე გაქვავდა; საზარელ მდუმარებაში, წყდიადიდან ბურბურას შრიალი შემოესმა. ეს ხმა რომელიღაც უხილავი ჯარის ჩაცინებას ჰგავდა, რომელსაც „კომეტისგან“ განსხვავებით მოძრაობის შესაძლებლობა მიეცა. მერე იქვე ახლოს კიდევ უფრო მკვეთრი შრიალი გაიგონა, მიტრიალდა და დაინახა კურდღლის პატარა ნაცრისფერი სილუეტი, რომელიც უკანა თათებზე წამოწეულიყო, „კომეტას“ რომელიღაც ვაგონის საფეხურები რომ დაეყნოსა. უილერსი მომაკვდინებელი მძვინვარებით გაექანა ბაჭიასკენ, თითქოს მომხვდურ მტერს ამ პატარა ნაცრისფერი არსების სახით შეაჩერებდა. ბაჭია სიბნელეში გაუჩინარდა, ედი კი მიხვდა, რომ თავდასხმის შეჩერებას ვერ შეძლებდა.

მან ორთქლმავალს წინიდან შემოუარა და ახედა ასოებს „TT“, შემდეგ ლიანდაგზე ჩაიკეცა და წინ გაუწვა ორთქლმავალს, პროჟექტორების უდრტვინველი შუქები კი კვლავ უსასრულო ღამეს შესჩერებოდნენ.

* * *

რიჩარდ ჰალის მეხუთე სიმფონიის ჰანგები მისივე თითებიდან იღვრებოდნენ ფანჯრის მიღმა და ხეობის სინათლეებს დალივლივებდნენ თავზე. ეს გამარჯვების ჰიმნი იყო. ბგერები ზეცისკენ მიფარფატებდნენ. ისინი აღმასვლას

განასახიერებდნენ და ზევით მიმართული მოძრაობის არსად და ფორმად ქცეულნი, თითქოს ყველა ადამიანურ მოქმედებასა და აზრს აერთიანებდნენ, რომლებსაც ფრენის ოცნება ბადებდა. ეს გათავისუფლებული ბგერის ზესწრაფვა იყო, რომელიც გეგონებოდა, სივრცეს ყოველგვარი შებოჭილობისგან წმენდდა და მხოლოდ სრულიად დაუბრკოლებელი ძალისხმევის სიხარულს ტოვებდა. მარტო ბგერებში გამკრთალი სუსტი ექო ამბობდა, საიდანაც დაეღწია თავი მუსიკას, თუმცა ამ ექოს სძლევდა სასიხარულო აღმოჩენით გამოწვეული განცვიფრება, რომ არავითარი ბოროტება და ტანჯვა არ არსებულა, არ არსებულა და არც არასოდეს უარსებია. ეს სასწაულებრივი განთავისუფლების სიმღერა იყო.

ხეობის სინათლეები კაშკაშა ლაქებად ეცემოდა მიწაზე ჯერაც შემორჩენილ თოვლს. გრანიტის შვერილებსა და ფიჭვის ხეების მძიმე ტოტებზე თოვლი იდო, მაგრამ არყის ხეების ზეცისკენ ოდნავ აპყრობილი შიშველი ტოტები თითქოს მოახლოებულ საგაზაფხულო სიმწვანეს იპირებოდნენ.

მთის ფერდობს სინათლის მართკუთხედი ეფინებოდა. ეს მალიგანის კაბინეტის ფანჯარა იყო. მაიდას მალიგანი სამუშაო მაგიდას უჯდა, წინ კი რუკა და ციფრებით გადაჭრელებული ფურცლები ეწყო. ის თავისი ბანკის აქტივების სიას ადგენდა და მომავალ ინვესტიციებს გეგმავდა, განვითარების შესაძლო მიმართულებებს: „ნიუიორკი — კლივლენდი — ჩიკაგო... ნიუ-იორკი — ფილადელფია... ნიუ-იორკი... ნიუიორკი... ნიუ-იორკი“...

სინათლის მეორე მართკუთხედი, დანეშოლდის ფანჯარა, ხეობის ძირას ქათქათებდა. კეი ლადლოუ სარკის წინ იჯდა და ჩაფიქრებული დაჰყურებდა გრიმის ჩრდილების გაქუცულ ყუთს. რაგნარ დანეშოლდი კი დივანზე წამოწოლილიყო და არისტოტელეს ნაშრომს კითხულობდა: „...რადგანაც ეს ჭეშმარიტებები ყოველივე არსებულის შემთხვევაში მართლდება, და არა მხოლოდ ცალკეულ საგნებთან მიმართებით. და მათ ყველა ადამიანი იყენებს, რადგან ისინი უტყუარნი არიან — რაკი უტყუარნი არიან... რაკიღა საყოველთაო პრინციპები, რომელსაც ყველა უნდა მისდევდეს, ვინც კი არსებულს სწვდება, ჰიპოთეზა არ არის... მაშინ აშკარაა, რომ ასეთი პრინციპები ერთადერთ ჭეშმარიტებას გამოხატავენ; ახლა ვთქვათ, რას გულისხმობს ეს პრინციპი? იგი გულისხმობს, რომ ერთი და იგივე თვისება შეუძლებელია, ერთდროულად ჰქონდეს კიდეც და არც ჰქონდეს ერთსა და იმავე საგანს“...

მომდევნო მანათობელი მართკუთხედი მოსამართლე ნარაგანსეტის ბიბლიოთეკის ფანჯარა იყო. ის მაგიდასთან იჯდა, მისი ლამპის შუქი ძველი დოკუმენტის ასლს ეცემოდა. მოსამართლე ნარაგანსეტი მონიშნავდა და ასწორებდა იმ წინააღმდეგობრიობებს დოკუმენტის დებულებებში, რომლებიც ოდესღაც მისი განადგურების საფუძველი გახდა. ახლა ის დოკუმენტში ახალ ფორმულირებას ამატებდა: „კონგრესი არ მიიღებს კანონებს, რომელიც წარმოებისა და ვაჭრობის თავისუფლებას შეზღუდავს...“

ტყეში მანათობელი მართკუთხედი ფრანცისკო დ'ანკონიას კაბინეტის ფანჯარა იყო. ფრანცისკო იატაკზე გაწოლილიყო, აცეკვებული ცეცხლის ენების წინ, და თავისი სადნობი ღუმლის ნახაზს ამთავრებდა. ჰენკ რიერდენი და ელის უაიატი ბუხართან ისხდნენ.

— ჯონი ახალ ორთქლმავლებს დააპროექტებს, — ამბობდა რიერდენი, — დაგნი კი უხელმძღვანელებს პირველ რკინიგზას ნიუ-იორკსა და ფილადელფიას შორის. დაგნი...

მომდევნო წინადადება რომ შემოესმა, მოულოდნელად ფრანცისკომ თავი ასწია და გადაიხარხარა. ეს სიხარულის სიცილი იყო, გამარჯვებისა და თავისუფლების სიცილი. მათ არ ესმოდათ ჰალის მეხუთე სიმფონიის მუსიკა, რომელიც ახლა სადღაც მაღლა, ცაში ლივლივებდა, მაგრამ ფრანცისკოს სიცილი მას ესატყვისებოდა. როდესაც ამ წინადადებაზე ფიქრობდა, ფრანცისკომ წარმოიდგინა, როგორ ეცემოდა გაზაფხულის მზის სხივები სახლების ღია გაზონებს მთელ ქვეყანაში, როგორ ელვარებდა ელექტროძრავები, როგორ ბზინავდა ახალი ცათამბჯენების აღმავალი კარკასის ფოლადი, იმ ახალგაზრდების თვალები წარმოიდგინა, რომლებიც მომავალს რწმენით და უშიშრად შეჰყურებდნენ.

აი, რა ფრაზა წარმოთქვა რიერდენმა:

— დაგნი, ცხადია, ეცდება, ტყავი გამაძროს, ისეთ ტარიფებს დამიწესებს ტვირთის გადაზიდვისთვის, მაგრამ გადავიხდი როგორმე.

სუსტი კიაფი მთის მისაწვდომთაგან ყველაზე მაღალ შვერილზე გოლტის თმაზე დაცემული ვარსკვლავების შუქის ანარეკლი იყო. ის იდგა და ხეობას კი არა, ხეობის მიღმა არსებული სამყაროს წყვდიადს გაჰყურებდა. დაგნის ხელი გოლტის მხარზე ჩამოედო. ქარი მათ თმებს ერთმანეთში ხლართავდა. ხვდებოდა, რატომ მოუნდა გოლტს ამ საღამოს მთებში ხეტიალი, რატომ შეჩერდა სწორედ ამ ადგილას და რაზე ფიქრობდა ის ახლა. ხვდებოდა, რასაც იტყოდა გოლტი და იცოდა, რომ პირველი ამ სიტყვებს თვითონ მოისმენდა.

ისინი ვერ ხედავდნენ მთების მიღმა არსებულ სამყაროს, იქ მხოლოდ სიცარიელე და უსიცოცხლო კლდეები იყო, მაგრამ ეს წყვდიადი კონტინენტის ნანგრევებს ფარავდა: სახურავების გარეშე დარჩენილ სახლებს, ჟანგმოკიდებულ ტრაქტორებს, ჩაბნელებულ ქუჩებს, მიტოვებულ რკინიგზას. თუმცა, შორს, დედამიწის კიდეზე, ქარში სუსტი ალი ირხეოდა, უაიატის ჩირაღდნის გამომწვევად უდრეკი ალი, ის თრთოდა, უჩინარდებოდა და შემდეგ ისევ იფეთქებდა. მას ვერაფერი ჩააქრობდა. ალი თითქოს დაძაბული ელოდებოდა იმ სიტყვებს, რომელიც ჯონ გოლტს ახლა უნდა წარმოეთქვა.

— გზა თავისუფალია, — თქვა გოლტმა, — ჩვენ უკან ვბრუნდებით, სამყაროში.

მან ხელი ასწია და სივრცეში, გაუკაცურებული დედამიწის თავზე, დოლარის ნიშანი გამოსახა.